ლამარა ქოქიაური

საბანკო საქმიანობის საფუძვლები

/საბანკო საქმე/

(მესამე გამოცემა)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ ეკონომიკური პროფილის
უმაღლესი სასწავლებლებისათვის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2012

უაკ (UDC) 336.71
ქ. - 695

ლ. ქოქიაური. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე). სახელმძღვანელო. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2012. 1075გვ.

მეცნიერ-რედაქტორი: გივი გამსახურდია –ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წიგნში განხილულია საბანკო საქმიანობის ძირითადი საკითხები ბაზრის პირობებში. მასში გადმოცემულია ბანკების წარმოშობისა და საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები; პირველადაა კომპლექსურად შესწავლილი კომერციული ბანკების შექმნის, ლიცენზირების, რეორგანიზაციის, სანაცის და ლიკვიდაციის პრობლემატური საკითხები საქართველოში; აგრეთვე. საბანკო ბაზრის განვითარების კანონზომიერებები; ცენტრალური და კომერციული ბანკების ფუნქციონირების. მათი საქმიანობის სამართლებრივი ბაზის განვითარების საკითხები; შესწავლილია კომერციული ბანკის რესურსები და მათი კაპიტალური ბაზა, ოპერაციები (გარიგებები) და საიმედოობა; გაანალიზებულია შემოსავლები, ხარჯები და მოგება; განსაზღვრულია ბანკების ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა; განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საბანკო მენეჯმენტს, მის შეფასებასა და ხარისხს: საბანკო მარკეტინგის არსსა და ტექნოლოგიას: საბანკო საქმიანობის რეგულირებას; ახლებურადაა განხილული ბულალტრული სამსახურის მუშაობის ორგანიზაცია ბანკებში.

წიგნის მეორე ნაწილი მთლიანად დათმობილი აქვს საბანკო საქმიანობის ძირითად საკითხებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში. კერძოდ, გადმოცემულია: ბანკების საკრედიტო ბაზარი, სავალუტო ოპერაციები, კომერციული ბანკების სატრასტო. ჰიპოტეკური. დეპოზიტური და სხვა სახის ოპერაციები. საბანკო საქმიანობის რეგულირება, ბანკების ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა, საბანკო რისკების მართვა, საბანკო მენეჯმენტის საფუძვლები, საბანკო მარკეტინგი, საბანკო ინოვაციები. კომერციული ბანკები და ფულადი ანგარიშსწორების სისტემა, ბუღალტრული სამსახურის ორგანიზაცია, კონტროლი და აუდიტი ბანკებში.

წიგნი ილუსტრირებულია სქემებით, გრაფიკებით, ცხრილებითა და მაგალითებით; დართული აქვს მოკლე დასკვნები, აუცილებელი ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტებანი, რეკომენდებული ლიტერატურის ჩამონათვალი თითოეული თავისათვის.

წიგნი განკუთვნილია ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტების, უმაღლესი სკოლის პედაგოგების, მეცნიერ-მკვლევარებისა და ბანკების მუშაკთათვის.

რეცენზენტები: გედევან ხელაია – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ირაკლი ქოჩიაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გიორგი ცაავა – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ნანა ასლამაზიშვილი – საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული სტატისტიკისა და ინფორმაციის განყოფილების უფროსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ISBN 987-9941-0-2389-7
© ლამარა ქოქიაური

ᲣᲓᲙ (UDC) 336.71
ქ. 695

Lamara Qoqiauri – Elements of Banking (Banking). A manual. Georgian Technical University. 2012. 1075 pg.

Scientist-editor: **Givi gamsakhurdia** – Doctor of Economics, Professor.

Basic question of banking activities in the conditions of a market are discussed in this book. There are economical foundations of formation and activities of the banks: problematic questions for Georgia about creation of commercial banks. their licensing, reorganization. sanction and liquidation are also complexly researched; questions of central and commercial banks functioning, questions of the development of legislative base of their activities. Resources of commercial banks and their capital base. operation and trustworthiness are learned; incomes, expenses and profits are realized: we also discuss liquidity and solvency of the banks; banking management. its evaluation and quality occupy a special place, essence and technologies of bank marketing; regulation of bank activities; organization of accounting in the banks are also discussed from the new point of view.

The second part of the book is intended to the basic questions of banking under the conditions of market economy. In particular, there are: credit market of the banks, currency operations, trust, hypothec, deposit and other operations of the commercial banks, regulation of banking. liquidity and solvency of the banks, management of the bank risks, fundaments of the bank management, bank marketing, bank innovations, commercial banks and the system of cash accounting. organization. control and audit of accounting in the banks.

The book is illustrated with the schemes, graphs. tables and sums; it is attached with brief conclusions. explanation of necessary terms and basic concepts. and the list of the recommended bibliography for each chapter.

The book is intended to the bachelors, masters, doctors, the teachers of high schools, scientist-researchers and bank workers.

Appraisers: **Gedevan Khelaia** – doctor of economics, professor;
Irakli Kovzanadze – doctor of economics, professor;
Giorgi Tsaava - doctor of economics, professor;
Nana Aslamazashvili – head of the department of Monetary Statistics and Information of the National Bank of Georgia.

ISBN 987-9941-0-2389-7

© **Lamara Qoqiauri**

ვუძღვნი ჩემი მასწავლებლის,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ნამდვილი წევრის,
ქართული ფინანსური მეცნიერების
კორიფეს, აკადემიკოს
ვასილ ჩანტლაძის
ხსოვნას

This book is dedicated to the memory of my teacher, the true member of Georgian Science Academy, the leading person of Georgian Financial manager, Academician
Vasil Chantladze

Посвящается!
Моему учителю, Действительному члену Академии Наук Грузии, Академику, Корифею Грузинской финансовой науки
Чантлвдзе Василию Георгиевичу

ავტორის წინასიტყვაობა მესამე გამოცემისათვის

ისე მოხდა, რომ „საბანკო საქმიანობის საფუძვლების“ (საბანკო საქმე) პირველსა და მეორე ცხრების გამოცემებს შორის დრო დიდად გაიწელა. ამის გამო წიგნის შეძენის მოვლამა მსურველმა ფიზიკურად ვერ მოახერხა საბანკო საქმიანობის თეორიისა და კომერციული ბანკების საქმიანობის საერთო საკითხების მოძიება და შეძენა.

წინამდებარე წიგნის გამოცემით ამ უხერხულობას ვასწორებთ.

ვინაიდან შრომამ ძირითადი აპრობაცია გაიარა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პროფილის სტუდენტებსა და მაგისტრანტებში. თავს უფლება მივეცით მესამე გამოცემისათვის სილაბუსი დაგვერთო აღნიშნული დისციპლინის სილაბუსი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

კიდევ ერთხელ გამოვხატავ მადლიერებას ჩემი ღირსეული სტუდენტებისა და ყველა დაინტერესებული მკითხველისადმი ჩვენი სახელმძღვანელოს გულისხმიერი მიღებისათვის.

გმადლობთ!

ლამარა ქოქიაური

05.06.2012

It happened so, that time between publishing first and second books of "Element of Banking" (Banking) were longed. That's why, many wishers of buying the book were not able to find and buy banking theory and common subjects of commercial banks activities.

By publishing this book we solve this problem.

As this work was approved in the students and masters of The State University economic profile, we dared to attach syllabuses in Georgian and English languages to the second addition.

I express my honor to my honorable students and every interested reader for heartily receiving our manual.

Thank you!

Lamara Qoqiauri

05.06.2012

წიგნში დაცულია საბანკო საქმეში დღეისათვის აღიარებულ შემდეგ მონოგრაფიებსა და პოპულარულ სახელმძღვანელოებს:

კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2005.

კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი, 1999.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი (დამხმარე სახელმძღვანელო). თბილისი, 2005.

Банковское дело. Учебник. 2-е изд., / Под ред. **О.И. Лаврушина.** М.: Фынансы и статистика, 2009.

Банковское дело: управление и технологии: Учебное пособие для вузов/ Под ред. **А.М. Тавасиева.** М.: ЮНИТИ - ДАНА, 2010.

Банковское дело. Учебник. / Под ред. **Е. П. Жарковской.** М.: Омега - Л., 2004.

Основы банковской деятельности (Банковское дело). Учебник. Под.ред. **К.Р. Тагирбекова.** М.: ИНФРА-М., 2005.

Полфреман Д., Форд Ф. Основы банковского дела. М.: ИНФРА-М, 1996.

Основы банковской деятельности (Банковское дело). Учебник. Под.ред. **К.Р. Тагирбекова.** М.: ИНФРА-М., 2001.

Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. **А.Г. Грязновой.** М.: Финансы и статистика, 2004.

Palfreman David., Ford Philip. Elements of Banking. Pritman Publishing. London. 1996.

Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling Financial Services. Second Edition. IRWIN. Honewood. Boston. 1993.

Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა IX

შესავალი XXVI

პირველი განყოფილება. საბანკო საქმიანობის თეორია

პირველი თავი. ბანკების წარმოშობისა და საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები 1

ტერმინები და ძირითადი ცნებები 1
1.1. ბანკების არსი – მოკლე ისტორიული ექსკურსი 1
1.2. დისკუსია ბანკების არსის შესახებ 5
1.3. ბანკის არსის ანალიზისათვის 13
1.4. საბანკო მონოპოლია 17
1.5. ბანკების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში 21
1.6. ბანკი, როგორც საბანკო სისტემის შემადგენელი ელემენტი 29
მოკლე დასკვნები 35
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 36
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 38
რეკომენდებული ლიტერატურა 39

მეორე თავი. საკრედიტო სისტემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში 40

ტერმინები და ძირითადი ცნებები 40
2.1. საკრედიტო სისტემა და მისი განვითარება ბაზარზე გადასვლის პერიოდში 40
2.2. საბანკო სისტემის ცნება 45
2.3. საბანკო სისტემის ორგანიზაციული სქემა 48
2.4. საბანკო სისტემის ინსტიტუციური სქემა 50
2.5. კომერციული ბანკების ასოციაცია 54
2.6. საქართველოს საბანკო სისტემის მდგომარეობა 61
2.7. საბანკო სისტემის განვითარება 64
მოკლე დასკვნები 67
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 68
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 69
რეკომენდებული ლიტერატურა 71

მესამე თავი. საბანკო ბაზარი 72

ტერმინები და ძირითადი ცნებები 72
3.1. ფინანსური ბაზარი: არსი. სტრუქტურა. დახასიათება 72
3.2. საბანკო ბაზრის ცნება 82
3.2.1. საბანკო ბაზარი, როგორც საბანკო მომსახურების გასაღების ბაზარი 82
3.2.2. საბანკო, ფინანსური და ფულის ბაზრების თანაფარდობა 84
3.3. საბანკო ბაზრის მონაწილეები 85

3.3.1. კომერციული ბანკები: უნივერსალური და სპეციალიზებული 85
3.3.2. არასაბანკო საკრედიტო საფინანსო ინსტიტუტები 86
3.3.3. საბანკო ბაზრის არასაფინანსო მონაწილეები 94
3.4. საბანკო ბაზრის სტრუქტურა 95
3.4.1. დარგობრივი მიდგომა საბანკო ბაზრისადმი 95
3.4.2. საბანკო ბაზრის სტრუქტურა კლიენტთა ჯგუფების მიხედვით 96
3.4.3. საბანკო ბაზრის სივრცობრივი სტრუქტურა 99
3.5. კონკურენცია საბანკო ბაზარზე 99
3.5.1. საბანკო კონკურენციის არსი 99
3.5.2. საბანკო კონკურენციის ფორმები 101
3.5.3. საბანკო კონკურენციის თავისებურებები 115
მოკლე დასკვნები 116
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 117
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 119
რეკომენდებული ლიტერატურა 120

მეოთხე თავი. ცენტრალური ბანკები 121
ტერმინები და ძირითადი ცნებები 121
4.1. ცენტრალური ბანკის წარმოშობა 122
4.2. ცენტრალური ბანკის დამოუკიდებელი სტატუსის შესახებ 125
4.3. ცენტრალური ბანკის ადგილი ეკონომიკაში 129
4.4. საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა 130
4.5. ეროვნული ბანკის მმართველობა 132
4.6. ცენტრალური ბანკის ფუნქციები და ამოცანები 135
4.7. ცენტრალური ბანკების ფულადი და საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები 139
4.8. საემისიო საქმიანობის რეგულირება 140
4.9. ფულის მასა და მისი შეფასების მეთოდები 142
4.10. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა 149
4.10.1. ფულად საკრედიტო პოლიტიკის მიზნები და ძირითადი შედეგები 149
4.10.2. ეროვნული ბანკის ფულად საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები 151
მოკლე დასკვნები 153
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 156
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 160
რეკომენდებული ლიტერატურა 160

მეხუთე თავი. კომერციული ბანკები 162
ტერმინები და ძირითადი ცნებები 162
5.1. კომერციული ბანკის ცნება 162
5.2. კომერციული ბანკის საქმიანობის პრინციპები 164
5.3. საბანკო ოპერაციები და მომსახურება 165
5.4. კომერციული ბანკების ფუნქციები 171
5.5. ტიპიური კომერციული ბანკების ორგანიზაციულ ფუნქციური აგებულება 178
5.6. კომერციული ბანკების ხელმძღვანელობის ორგანოები 181
მოკლე დასკვნები 184
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 186
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 188
რეკომენდებული ლიტერატურა 189

მეორე განყოფილება. კომერციული ბანკების საქმიანობის საერთო საკითხები

მეექვსე თავი. საბანკო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები 190

ტერმინები და ძირითადი ცნებები ... 190
6.1. მოკლედ – საბანკო სამართლის შესახებ ... 191
6.2. თანამედროვე ბანკის საქმიანობის საკანონმდებლო საფუძვლები ... 196
6.3. კომერციული ბანკების კანონმდებლობის სტრუქტურა ... 201
6.4. საქართველოს საბანკო სისტემის სამართლებრივი ბაზის განვითარება ქრონოლოგია ... 203
6.5. ბანკებისა და საბანკო საქმიანობაზე ზედამხედველობის ბაზელის სტანდარტები ... 204
6.6. ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობის საზღვარგარეთული გამოცდილებიდან ... 211
6.7. ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების სამართლებრივი რეგულირებისა ზედამხედველობის ღონისძიებათა სისტემა 2000-2002 წლებში ... 217
6.8. ბანკებისა და საბანკო საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში ... 219
მოკლე დასკვნები ... 220
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება ... 222
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის ... 224
რეკომენდებული ლიტერატურა ... 225

მეშვიდე თავი. კომერციული ბანკის შექმნა, რეორგანიზაცია, სანაცია და ლიკვიდაცია ... 228

ტერმინები და ძირითადი ცნებები ... 228
7.1. კომერციული ბანკების შექმნა ... 229
7.1.1. კომერციული ბანკების შექმნის კონცეფცია და ეტაპები ... 229
7.1.2. ბანკის რეგისტრაცია და ლიცენზირება: ნორმატიული მოთხოვნები და პროცედურები ... 233
7.1.3. ახლად შექმნილი და მოქმედი ბანკების ლიცენზირების წესები ... 236
7.1.4. ბანკების განყოფილებების (ფილიალების) გახსნისა და დახურვის წესები ... 239
7.2. კომერციული ბანკების რეორგანიზაცია ... 242
7.2.1. ბანკების რეორგანიზაციის ცნება ... 242
7.2.2. ბანკის რეორგანიზაციის აუცილებლობის კრიტერიუმები ... 245
7.2.3. ბანკების შეერთება და შერწყმა. პროცედურები და პრობლემები ... 245
7.2.4. ბანკების რეორგანიზაციის სხვა ფორმები ... 252
7.3. კომერციული ბანკების სანაცია ... 253
7.3.1. კომერციული ბანკების სანაციის აუცილებლობის კრიტერიუმები ... 253
7.3.2. ბანკის ფინანსური გაჯანსაღების გეგმა ... 254
7.3.3. ბანკების რესტრუქტურიზაციის ეკონომიკური შინაარსი ... 259
7.3.4. საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილებიდან ... 267
7.4. კომერციული ბანკების ლიკვიდაცია ... 275
7.4.1. კომერციული ბანკის ლიკვიდაცია: ამოსავალი დებულებები ... 275
7.4.2. ბანკის ბანკროტად ცნობის წესი ... 281
7.4.3. ბანკის ლიკვიდაციის პროცედურები ... 283
7.4.4. ბანკის შუალედური სალიკვიდაციო ბალანსი ... 288
მოკლე დასკვნები ... 290

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 292
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 293
რეკომენდებული ლიტერატურა 294
დანართები 295

მერვე თავი. კომერციული ბანკის რესურსები და მისი კაპიტალური ბაზა 310
ტერმინები და ძირითადი ცნებები 310
8.1. კომერციული ბანკის რესურსები: მათი სტრუქტურა და დახასიათება 311
8.2. ბანკის საკუთარი კაპიტალის არსი 312
8.3. საქართველოს კომერციული ბანკების კაპიტალი და მისი ხარისხის განსაზღვრის მეთოდიკა .. 317
8.4. სბანკო კაპიტალის საზეები 321
8.5. სბანკო კაპიტალის ფუნქციები 325
8.6. რამდენი კაპიტალი ესაჭიროება ბანკს? 329
8.7. ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობის შეფასება 336
8.8. დამატებითი კაპიტალის მოზიდვის მიმდინარე ტენდენციები 341
8.9. კომერციული ბანკის მოზიდული სახსრები 350
მოკლე დასკვნები 356
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 358
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 361
რეკომენდებული ლიტერატურა 362

მესამე განყოფილება. კომერციული ბანკების ოპერაციები და შემოსავლები

მეცხრე თავი. კომერციული ბანკების ოპერაციები (ბარიბებები) და საიმედოობა 363
ტერმინები და ძირითადი ცნებები 363
9.1. ბანკის პასიური და აქტიური ოპერაციები 364
9.2. აქტივების შედგენილობა და სტრუქტურა 371
9.3. ბანკების აქტივების ხარისხი 374
9.4. სბანკო საქმიანობის რისკები: ცნება, კლასიფიკაცია, გაანგარიშების მეთოდები. ბანკის სარეზერვო ფონდი 386
9.5. ბანკის საიმედოობა: ცნება, განმსაზღვრელი ფაქტორები, მაჩვენებლები .. 392
მოკლე დასკვნები 396
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 399
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 401
რეკომენდებული ლიტერატურა 401

მეათე თავი. კომერციული ბანკების შემოსავლები, ხარჯები და მოგება 402
ტერმინები და ძირითადი ცნებები 402
10.1. ბანკების შემოსავლები: წყაროები, კლასიფიკაცია, დონის შეფასება და დაგეგმვა 402
10.2. კომერციული ბანკების ხარჯები 408
10.3. საპროცენტო მარჟა 409
10.4. კომერციული ბანკების შემოსავლებისა და გასაელების დონის ანალიზი 413

10.5. შემოსავლებისა და ხარჯების ფაქტორული ანალიზი 415
10.6. კომერციული ბანკების მოგების ფორმირება და გამოყენება 418
10.7. კომერციული ბანკების მოგების დონის შეფასება 422
10.8. ბანკის ფინანსური ანალიზი, მისი მიზნები და მეთოდები 431
10.8.1. ბანკის კაპიტალის განტოლება 432
10.8.2. დინამიკური ბუღალტრული ბალანსის განტოლება 436
10.8.3. ბალანსის მოდიფიცირებული განტოლება 440
10.8.4. ბანკის ბალანსის ძირითადი განტოლება 442
10.8.5. ბანკის ფინანსური მდგომარეობის დინამიკისა და დასაშვები საზღვრების შეფასება 455
მოკლე დასკვნები 459
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 461
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 462
რეკომენდებული ლიტერატურა 463

მეოთხე განყოფილება. ბანკების საკრედიტო, სავალუტო, იპოთეკური და სხვა ოპერაციები

მეთერთმეტე თავი. ბანკის საკრედიტო ბაზარი 464
ტერმინები და ძირითადი ცნებები 464
11.1. საბანკო კრედიტი: ძირითადი ცნებები 465
11.2. საბანკო დაკრედიტება: ძირითადი ნორმატიული მოთხოვნები 469
11.3. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა 472
11.3.1. საკრედიტო პოლიტიკის შინაარსი 472
11.3.2. საკრედიტო პოლიტიკის მიზნები 473
11.4. ბანკის საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმები 475
11.5. კრედიტის გაცემის ტექნოლოგიისა და ბანკის საკრედიტო ქვედანაყოფის მუშაობის ორგანიზების საფუძვლები 477
11.6. მსესხებლის ფინანსური შესაძლებლობისა და კრედიტუნარიანობის შეფასება 484
11.7. საბანკო კრედიტის ფასი 486
11.8. კრედიტების დაბრუნების უზრუნველყოფის ხერხები 489
11.9. ბანკის საკრედიტო საქმიანობის ხარისხი 490
დანართი: ეკონომიკური უსაფრთხოების მართვა საბანკო საქმიანობაში 493
მოკლე დასკვნები 498
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 499
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 501
რეკომენდებული ლიტერატურა 502

მეთორმეტე თავი. კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციები 503
ტერმინები და ძირითადი ცნებები 503
12.1. სავალუტო ბაზრის ცნება. სავალუტო ბაზრის ფუნქციები 504
12.2. სავალუტო ოპერაციების ეკონომიკური საფუძვლების 515
12.3. სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურა საქართველოში 518
12.4. სავალუტო ოპერაციების რეგულირება 525
12.5. სავალუტო რისკები და მათი რეგულირება 530
მოკლე დასკვნები 534

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 536
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 539
რეკომენდებული ლიტერატურა 540

მეცამეტე თავი. კომერციული ბანკების სატრასტო, დეპოზიტური, იპოთეკური და სხვა ოპერაციები 541
ტერმინები და ძირითადი ცნებები 541
13.1. კომერციული ბანკების სატრასტო ოპერაციები 541
13.2. კომერციული ბანკების დეპოზიტური საქმიანობა 549
13.3. კომერციული ბანკების იპოთეკური ოპერაციები 552
13.4. საკრედიტო ოპერაციების თანამედროვე სახეები 560
მოკლე დასკვნები 572
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 573
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 574
რეკომენდებული ლიტერატურა 575

მეთოთხმეტე თავი. საბანკო საქმიანობის რეგულირება 576
ტერმინები და ძირითადი ცნებები 576
14.1. ფულად საკრედიტო პოლიტიკის სახეები და თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე 577
14.2. საოპერაციო პროცედურა და ფულად საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები 581
14.3. ცენტრალურ ბანკში დეპონირებული სავალდებულო რეზერვების დადგენა 583
14.4. საპროცენტო პოლიტიკა. ოფიციალური საპროცენტო განაკვეთის რეგულირება 586
14.5. ბანკების რეფინანსირება. 588
14.6. ოპერაციები ღია ბაზარზე 590
14.7. სავალუტო რეგულირება 591
14.8. ფულის მასის ზრდის ორიენტირების დადგენა და პირდაპირი რაოდენობრივი შეზღუდვები ტარგეტირების პოლიტიკა 594
მოკლე დასკვნები 594
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 596
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 600
რეკომენდებული ლიტერატურა 601

მეხუთე განყოფილება. კომერციული ბანკების ლიკვიდობა, გადახდისუნარიანობა, რისკები

მეთხუთმეტე თავი. კომერციული ბანკის ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა 602
ტერმინები და ძირითადი ცნებები 602
15.1. კომერციული ბანკის ლიკვიდობა, როგორც ფინანსურ ეკონომიკური კატეგორია 603
15.2. კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები .. 608
15.3. კომერციული ბანკის ლიკვიდობის ანალიზი 613
15.4. კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვა 633
15.4.1. აქტივების მართვა 635
15.4.2. პასივების მართვა 641
15.4.3. აქტივების და პასივების დაბალანსებული მართვა 644
15.5. კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასების საზღვარგარეთული გამოცდილება 645

15.6. აშშ ბანკების ლიკვიდობის ინდიკატორები და მათი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოს პრაქტიკაში 650
მოკლე დასკვნები 653
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 654
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 659
რეკომენდებული ლიტერატურა 660

მეთექვსმეტე თავი. საბანკო რისკების მართვა 661
ტერმინები და ძირითადი ცნებები 661
16.1. საბანკო რისკების არსი და კლასიფიკაცია 661
16.2. კომერციული ბანკის მიერ რისკების მართვის ორგანიზაცია 666
16.3. საკრედიტო რისკი: შინაარსი,შეფასება, მართვის მიზეზები და მეთოდები 669
16.4. საკრედიტო რისკები და სესხებზე შესაძლო დანაკარგების შემთხვევისათვის შექმნილი რეზერვი 675
16.4.1. საკრედიტო პორტფელის ანალიზი 680
16.4.2. კომერციული ბანკის საკრედიტო რისკის ფაქტორი 681
16.4.3. საწარმოების საკრედიტო რისკის მიხედვით კლასიფიკაცია, ფინანსურ მდგომარეობაზე და კრედიტის უზრუნველყოფის ხარისხზე დამოკიდებულებით 684
16.5. სადეპოზიტო რისკი და მისი აღკვეთის საბანკო ღონისძიებები 687
16.6. ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების რისკი: შინაარსი და კომერციული ბანკის საქმიანობა მის დასარეგულირებლად 688
16.7. საპროცენტო რისკი: არსი და მართვის თავისებურებები 689
16.8. სავალუტო რისკი: არსი, სახეები, მართვის მეთოდები 695
16.9. დარგობრივი და ქვეყნი რისკი 696
16.10. ორგანიზაციული და საკადრო: არსი, მიზეზები, მართვა 698
მოკლე დასკვნები 700
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 700
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 702
რეკომენდებული ლიტერატურა 703

მეექვსე განყოფილება. საბანკო მენეჯმენტი, მარკეტინგი, საბანკო ინოვაციები

მეჩვიდმეტე თავი. საბანკო მენეჯმენტის საფუძვლები 704
ტერმინები და ძირითადი ცნებები 705
17.1. საბანკო მენეჯმენტის ძირითადი საკითხები 705
17.1.1. მართვა თუ მენეჯმენტი? 705
17.1.2. საბანკო საქმიანობის მართვა და მისი შემადგენელი ელემენტები 706
17.1.3. საბანკო საქმიანობის ხარისხი. ამოსავალი დებულებები 709
17.2. საბანკო მენეჯმენტის სისტემაში გარემოს ცნება 715
17.3. ინფორმაცია საბანკო მენეჯმენტის სისტემაში 717
17.4. საბანკო პოლიტიკა 719
17.5. საბანკო მენეჯმენტის ფინანსური სფეროები. აქტივების და პასივების მართვა 721
17.6. აქტივებისა და პასივების კომპლექსური მართვა 727
17.6.1. ბანკის აქტივებისა და პასივების ერთიანი პორტფელის მართვის პრინციპები 727
17.6.2. წმინდა საპროცენტო მარჟა და მისი ანალიზი 729

17.6.3. გეპის მართვა ... 731
17.6.4. შემოსავლიანობის მრუდი და მისი გავლენა გეპის მართვაზე ... 735
17.6.5. დიურაციის (ხანგრძლივობის) მართვა ... 738
17.7. მოგების მართვა ... 748
17.8. საბანკო რისკ მენეჯმენტი ... 745
17.8.1. საბანკო რისკების ცნება ... 745
17.8.2. საკრედიტო რისკი ... 747
17.8.3. ლიკვიდობის რისკი. სავალუტო რისკ შანსი ... 749
17.8.4. საფონდო, ანუ საინვესტიციო რისკი ... 750
17.9. საბანკო მენეჯმენტის შეფასება ... 750
17.10. ზედამხედველობა და რეგულირება საბანკო მენეჯმენტში ... 758
მოკლე დასკვნები ... 765
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება ... 767
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის ... 769
რეკომენდებული ლიტერატურა ... 770

მეთვრამეტე თავი. საბანკო მარკეტინგი ... 772
ტერმინები და ძირითადი ცნებები ... 772
18.1. მარკეტინგის ცნება ... 772
18.2. მარკეტინგის სპეციფიკა საბანკო სფეროში ... 775
18.3. საბანკო ბაზრის მარკეტინგული კვლევა ... 777
18.4. საბანკო ბაზრის სეგმენტაცია ... 783
18.5. საბანკო მომსახურების შემცველები ... 788
18.6. ბანკის კონკურენტული პოზიცია ... 788
18.7. ბაზარზე დაკვირვება ... 791
18.8. ბანკების მარკეტინგული სტრატეგია ... 792
18.9. ბანკების კონკურენტული სტრატეგიის ტიპოლოგია ბანკის სტრატეგიის დონეები. ... 794
18.10. ბანკის მარკეტინგული სტრატეგიის რეალიზაცია ... 800
მოკლე დასკვნები ... 806
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება ... 807
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის ... 807
რეკომენდებული ლიტერატურა ... 808

მეცხრამეტე თავი. საბანკო ინოვაციები ... 810
ტერმინები და ძირითადი ცნებები 810
19.1. საბანკო ინოვაციის არსი და შინაარსი ... 811
19.2. საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი ... 813
19.3. ზოგიერთი სახეობის საბანკო ინოვაციის დახასიათება ... 818
19.4. პლასტიკური ბარათები ... 821
19.5. პლასტიკური ბარათების დანერგვის საზღვარგარეთული გამოცდილება ... 825
19.5.1. საბანკო საკრედიტო ბარათები ... 825
19.5.2. მიკროპროცესორული ბარათების დამუშავება და გამოყენება ... 829
19.6. ინტერნეტ ბანკინგი. მდგომარეობა, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები ... 833
19.6.1. ინტერნეტ ბანკინგის ბაზრის სეგმენტაციის სახეები ... 833
19.6.2. ინტერნეტ ბანკინგის განვითარების პერსპექტივები ... 837
19.7. ბანკომატი, როგორც გადახდის ელექტრონული სისტემის ელემენტი ... 844

19.8. ბანკთაშორისი ელექტრონული გზავნილები სავაჭრო ორგანიზაციებში 845
19.9. „Home Banking" კლიენტების საბანკო მომსახურება ადგილზე და სამუშაო ადგილებზე 846
19.10. ბანკების ფორფეიტინგული ოპერაციები 848
19.11. ოფციონები, ფიუჩერსები, სეოპები 850
მოკლე დასკვნები 851
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 852
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 855
რეკომენდებული ლიტერატურა 855

მეშვიდე განყოფილება. ფულადი ანგარიშსწორების სისტემა. ბუღალტრული აღრიცხვა. კონტროლი და აუდიტი კომერციულ ბანკებში

მეოცე თავი. კომერციული ბანკები და ფულადი ანგარიშსწორების სისტემა 856
ტერმინები და ძირითადი ცნებები 856
20.1. საანგარიშსწორო ოპერაციები – კომერციული ბანკების ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო 857
20.2. ანგარიშის გახსნის, გაფორმებისა და დახურვის წესი, ანგარიშების სახეები 857
20.3. უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზაციის ზოგადი დებულებები 862
20.4. ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ორგანიზაცია 866
20.4.1. ანგარიშსწორება სხვა ბანკებში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით 866
20.4.2. ანგარიშსწორება ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო ქსელის მეშვეობით 867
20.4.3. ანგარიშსწორება შიდასაბანკო საანგარიშსწორებო ქსელის მეშვეობით 868
20.4.4. ბანკთაშორისი კლირინგი 869
20.5. უნაღდო ანგარიშსწორების მოქმედი ფორმები 870
20.5.1. ანგარიშსწორება საგადახდო დავალებებით 871
20.5.2. ანგარიშსწორება საგადახდო მოთხოვნა დავალებით 874
20.5.3. ჩეკებით ანგარიშსწორება 877
20.5.4. ანგარიშსწორება აკრედიტივით 878
20.5.5. თამასუქებით ანგარიშსწორება 881
20.5.6. თამასუქების დომიცილაცია 884
20.6.სალაროს ოპერაციები 885
20.7. ფაქტორინგი 887
მოკლე დასკვნები 890
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 891
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი სამუშაოებისათვის 894
რეკომენდებული ლიტერატურა 895

ოცდამეერთე თავი. საბუღალტრო სამსახურის მუშაობის ორგანიზაცია ბანკებში 896
ტერმინები და ძირითადი ცნებები 896
21.1. ბუღალტრული აღრიცხვისა და საღრიცხვო ოპერაციული მუშაობის არსი და მნიშვნელობა ბანკებში 897
21.2. ბუღალტრული აღრიცხვის ამოსავალი დებულებები ბანკებში 900
21.3. საღრიცხვო საოპერაციო მუშაობის ორგანიზაციული სტრუქტურა 905
21.4. საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციისა და წარმართვის საერთაშორისო პრინციპები 910
21.5. ბანკის ბალანსის დახასიათება და მისი აგების პრინციპები 914

21.6. საბანკო ანგარიშგების მნიშვნელობა და სახეობები 917
21.7. მიმდინარე ბუღალტრული ანგარიშგება 919
21.8. წლიური ბუღალტრული ანგარიშგება 920
21.9. საგადამხდელო სისტემის და საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფისათვის საქართველოში მოკლე დასკვნები 925
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 927
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 928
რეკომენდებული ლიტერატურა 930
ოცდამეორე თავი. კონტროლი და აუდიტი კომერციულ ბანკებში 930
ტერმინები და ძირითადი ცნებები 931
22.1. ბანკის საქმიანობის შიდა კონტროლის სისტემა 931
22.2. შიდა კონტროლის ორგანიზაცია: ცენტრალური ბანკის ვერსია 931
22.3. შიდასაბანკო კონტროლი და მისი სახეები 945
22.4. მიმდინარე კონტროლის ორგანიზაცია ბანკში 949
22.5. მომდევნო კონტროლი და მისი ჩატარების ხერხები 950
22.6.შიდა და გარე აუდიტი: მიზნები, ამოცანები და ბანკში მისი ორგანიზაციის თავისებურებები .. 952
22.7. საბანკო რეიტინგის სისტემა 953
დანართი 22.1. დებულება კომერციულ ბანკში შიდაუდიტორიული საქმიანობის მოთხოვნის შესახებ . 961
დანართი 22.2. კომერციულ ბანკში შიდაუდიტორიული საქმიანობის მოთხოვნის შესახებ დებულება 970
მოკლე დასკვნები 974
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება 975
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 976
რეკომენდებული ლიტერატურა 977
სილაბუსი „საბანკო საქმე“ ქართულ და ინგლისურ ენებზე 978
980

C O N T E N T

Introduction IX
Prologue XXVI

PART I. THE BANKING THEORY

CHAPTER I: THE ECONOMICAL BASIS OF CREATING AND ACTIVITY OF BANKS 1
Important terms and definitions 1
1.1. The essence of banks – short historical view 1
1.2. The discussion about the essence of banks 5
1.3. For the analyzes of the essence of bank 13
1.4. The banking monopoly 17
1.5. The establishment and development of banks in Georgia 21
1.6. The bank as the compound element of banking system 29
Short conclusions 35
The explanation of terms and main concepts 36
Question and exercises for independent work 38
Recommended literature 39

CHAPTER II. THE CREDITING SYSTEM UNDER THE CONDITIONS OF MARKET ECONOMICS 40
Important terms and definitions 40
2.1. The crediting system and its development during the market passing period 40
2.2.The concept of banking system 45
2.3.The organization scheme of banking system 48
2.4.The institutional scheme of banking system 50
2.5. The association of commercial banks 54
2.6. The state of banking system of Georgia 61
2.7. The development of banking system 64
Short conclusions 67
The explanation of terms and main concepts 68
Question and exercises for independent work 69
Recommended literature 71

CHAPTER III. THE BANKING MARKET 72
Important terms and definitions 72
3.1.The financial market. Essence. Structure. Characterization 72
3.2.The concept of financial market 82
3.2.1. The banking market as the product market of banking service 82
3.2.2. The ratio of banking, financial and money markets 84
3.3.The members of banking market 85
3.3.1.The commercial banks: universal and specialization 85

3.3.2.The nonbanking credit financing institutions 86
3.3.3. The nonfinanciering members of banking market 94
3.4. The structure of banking market 95
3.4.1. The sectorial approach at the banking market 95
3.4.2. The structure of banking market according to the customers group 96
3.4.3. The special structure of banking market 99
3.5.The essence of banking competition 99
3.5.1. The meaning of banking competition 99
3.5.2. The forms of banking competition 101
3.5.3. The peculiarities of banking competition 115
Short conclusions 116
The explanation of terms and main concepts 117
Question and exercises for independent work 119
Recommended literature 120

CHAPTER IV. THE CENTRAL BANKS 121
Important terms and definitions 121
4.1. The origin of central bank 122
4.2.On the independent status of the central bank 125
4.3.The position of the central bank in economics 129
4.4.The organization structure of the Georgian national Bank 130
4.5.The management of National Bank 132
4.6.The functions and objectives of central bank 135
4.7.The main instruments of monetary and crediting policy of central banks 139
4.8. The regulation of emission 140
4.9. Money supply and the methods of its assessment 142
4.10. The monetary crediting and exchange policy of National Bank Georgia 149
4.10.1.The objectives of monetary crediting policy and main results 149
4.10.2. The mechanisms of monetary crediting policy of National Bank 151
Short conclusions 153
The explanation of terms and main concepts 156
Question and exercises for independent work 160
Recommended literature 160

CHAPTER V. THE COMMERCIAL BANKS 162
Important terms and definitions 162
5.1. The concept of commercial bank 162
5.2. The principles of activity of commercial bank 164
5.3. Banking operations and service 165
5.4. The functions of commercial banks 171
5.5. The organizational functional structure of typical commerci al banks 178
5. 6.The directing bodies of commercial banks 181
Short conclusions 184
The explanation of terms and main concepts 186
Question and exercises for independent work 188
Recommended literature 189

PART II. GENERAL QUESTIONS OF ACTIVITY OF COMMERCIAL BANKS

CHAPTER VI. THE LEGISLATIVE PRINCIPLES OF BANKING ACTIVITY 190
Important terms and definitions 190
6.1. Briefly – about banking legislation 191
6.2. The principles of legislation of activity of modern bank 196
6.3. The legislative structure of commercial banks 201
6.4. The development of legislative principles of Georgian banking system the chronology 203
6.5. The Basel Standards of supervision on banks and banking activity 204
6.6. From the foreign experience of supervision on banking activity 211
6.7. The legislative regulation and supervision activity system of National Bank and commercial banks during 2000-2002 years 217
6.8. The outlooks of development of regulation and supervision of banks and banking activity in Georgia 219
Short conclusions 220
The explanation of terms and main concepts 222
Question and exercises for independent work 224
Recommended literature 225

CHAPTER VII. THE ORIGIN OF COMMERCIAL BANKS, REORGANIZATION, READJUSTMENT AND LIQUIDATION 228
Important terms and definitions 228
7.1. The origin of commercial banks 229
7.1.1.The concept and stages of origin of commercial banks 229
7.1.2.The registration and licensing of bank: the normative requirements and procedures 233
7.1.3. The licensing rules of newly originated and working banks 236
7.1.4. The rules for opening and closing of banking branches 239
7.2.The reorganization of commercial banks 242
7.2.1. The concept of reorganization of banks 242
7.2.2. The criteria for necessity of reorganization of banks 245
7.2.3. The merging and integration of banks. The procedures and problems . 245
7.2.4. The other forms of banks reorganization 252
7.3. The readjustment of commercial banks 253
7.3.1.The criteria of necessity of readjustment of commercial banks 253
7.3.2. The financial plan of financial normalization of bank 254
7.3.3. The economical structure of banks restructurization 259
7.3.4. From the foreign experience of the restructurization of banking system 267
7.4. The liquidity of commercial banks 275
7.4.1. The liquidity of unvitality bank: the initial concepts 275
7.4.2. The rules of banking failure 281
7.4.3. The procedures of banking liquidity 283
7.4.4. The intermediate liquidation balance of bank 288
Short conclusions 290
The explanation of terms and main concepts 292

Question and exercises for independent work 293
Recommended literature 294
Appendixes 295

CHAPTER VIII. THE RESOURCES OF COMMERCIAL BANK AND ITS CAPITAL RESERVE 310
Important terms and definitions 310
8.1.The resources of commercial banks: their structure and characterization 311
8.2.The essence of owned capital of bank 312
8.3.The capital of Georgian commercial banks and the definition methods of their quality 317
8.4.The types of banking capital 321
8.5.The functions of banking functions 325
8.6.How many capital needs bank? 329
8.7.The assessment of adequacy of owned capital 336
8.8.The current tendencies of attraction of additional capital 341
8.9.The attracted resources of commercial bank 350
Short conclusions 356
The explanation of terms and main concepts 358
Question and exercises for independent work 361
Recommended literature 362

PART III. THE OPERATIONS OF COMMERCIAL BANKS AND INCOMES

CHAPTER IX. THE OPERATIONS AND DEPENDABILITY OF COMMERCIAL BANKS 363
Important terms and definitions 363
9.1. The unfavorable and favorable banking operations 364
9.2.The structure and composition of assets 371
9.3.The banking assets degree 374
9.4.The risks of banking activity: concept, classification, the calculation methods. Banking reserve fund 386
9.5. Banking dependability: concept, definition factors, indications 396
Short conclusions 396
The explanation of terms and main concepts 399
Question and exercises for independent work 401
Recommended literature 401

CHAPTER X. THE INCOMES, EXPENDITURES AND PROFIT OF COMMERCIAL BANKS 402
Important terms and definitions 402
10.1. The incomes of bank: sources, classification, level assessment and planning 402
10.2.The expenditures of commercial banks 408
10.3.The merging interest 409
10.4.The analyze of income and outcome level of commercial banks 413
10.5.The factor analyze of incomes and expenditures 415

10.6.The formation of commercial banks profits and application 418
10.7.The assessment of profit level of commercial banks 422
10.8.The financial analyze of bank, its objectives and methods 431
10.8.1.The equation of bank's capital 432
10.8.2.The equation of dynamical accounting balance 436
10.8.3.The modificated equation of balance 440
10.8.4.The main equation of balance of bank 442
10.8.5.The assessment of dynamic of financial state of bank and. thresholds 455
Short conclusions 459
The explanation of terms and main concepts 461
Question and exercises for independent work 462
Recommended literature 463

PART IV . CREDIT, CURRENCY. MORTGAGE AND OTHER BANK OPERATIONS

CHAPTER XI. THE CREDIT MARKET OF BANK 464
Important terms and definitions 464
11.1.The banking credit: base concepts 465
11.2.The banking crediting: fundamental normative requirements 469
11.3.The crediting policy of commercial bank 472
11.3.1.The content of crediting policy 472
11.3.2.The objectives and mechanisms of crediting policy of bank 473
11.4.The fundamentals of crediting technology and organization of crediting subdivision activity of bank 477
11.5.The assessment of creditability and financial stability of lender 484
11.6.The price of banking crediting 486
11.7.The measures of ensuring of credit reflexivity 489
11.8.The degree of crediting activity of bank 490
11.9.Appendix: The management of economical safety in banking activity 493
Short conclusions 498
The explanation of terms and main concepts 499
Question and exercises for independent work 501
Recommended literature 502

CHAPTER XII. THE EXCHANGE OPERATIONS OF COMMERCIAL BANKS 503
Important terms and definitions 503
12.1. The concept of exchange market. The functions of exchange market 504
12.2. The economical basis of exchange operations 515
12.3. The infrastructure of exchange market in Georgia 518
12.4. The regulation of exchange market 525
12.5. The exchange risks and their regulations 530
Short conclusions 534
The explanation of terms and main concepts 536
Question and exercises for independent work 539
Recommended literature 540

CHAPTER XIII. TRUSTING,DEPOSIT, IPOTHECAR AND OTHER OPERATIONS OF COMMERCIAL BANKS 541
Important terms and definitions 541
13.1.The syndicate operations of commercial banks 541
13.2. The deposit activity of commercial banks 549
13.3. The hypothetic operations of commercial banks 552
13.4. The modern types of crediting operations 560
Short conclusions 572
The explanation of terms and main concepts 573
Question and exercises for independent work 574
Recommended literature 575

CHAPTER XIV. THE REGULATION OF BANKING ACTIVITY 576
Important terms and definitions 576
14.1. The types of monetary crediting policy and peculiarities at the modern stage 577
14.2. The operating procedures and instruments of monetary crediting policy 581
14.3. The identification of deposited obligated reserves in the central bank 583
14.4. The interest policy. The regulation of official interest rate. 586
14.5. The refinancing of banks 588
14.6. The operations at the open market 590
14.7. The exchange regulations 591
14.8. The identification of the orientates of money supply and direct qualitative restrictions: the targeting policy 594
Short conclusions 594
The explanation of terms and main concepts 596
Question and exercises for independent work 600
Recommended literature 601

PART V. LICUIDITY, SOLVENCY. RISKS OF COMMERTIAL BANKS

CHAPTER XV. THE LIQUIDITY OF COMMERCIAL BANKS AND PAYMENTABILITY 602
Important terms and definitions 602
15.1.The liquidity of commercial bank as the financial economical category 603
15.2. The definition factors of the liquidity and paymentability of commercial bank 608
15.3. The analyze of the liquidity of commercial bank 613
15.4. The management of the liquidity of commercial bank 633
15.4.1. The management of assets 635
15.4.2 The management of liabilities 641
15.4.3. The balancing management of assets and liabilities 644
15.5. The foreign experience of the assessment of the liquidity of commercial bank 645
15.6The indicators of the liquidity of USA banks and the possibility of their application in Georgia 650
Short conclusions 653
The explanation of terms and main concepts 654
Question and exercises for independent work 659
Recommended literature 660

CHAPTER XVI. THE MANAGEMENT OF BANKING RISKS 661
Important terms and definitions 661
16.1. The essence of the banking risks and classification 661
16.2. The organization of risk management by the commercial banks 666
16.3. The crediting risk: content, assessment, the management methods 669
16.4. The crediting risks and formed reserve for the potential losses of borrows 675
16.4.1. The analyze of crediting portfolio 680
16.4.2. The crediting policy of commercial bank 681
16.4.3. The classification of industries by the crediting risk on the financial .. state and depending on the credit supply degree 684
16.5. The depositing risk and banking operations for its prevention 687
16.6.The operation risk on securities: content and activity of commercial banks for its regulation 688
16.7. The interest risk: the essence and managing peculiarities 689
16.8. The exchange risk: the essence, types, managing methods 695
16.9. The sectoral and state risk 696
16.10.The organization and personnel: essence, reasons, management 698
Short conclusions 700
The explanation of terms and main concepts 700
Question and exercises for independent work 702
Recommended literature 703

PART VI . BANKING MANAGEMENT. MARKETING AND BANKING INOVATIONS

CHAPTER XVII. THE FUNDAMENTALS OF BANKING MANAGEMEN 704
Important terms and definitions 705
17.1. The main aspects of banking management 705
17.1.1.Drive or management? 705
17.1.2.The managing of banking activity and its composed elements 706
17.1.3.The degree of banking activity. The initial concepts 709
17.2. The concept of environment in the system of banking management 715
17.3. The information in the system of banking management. The banking policy 717
17.4. The financial spheres of banking management. The management of assets and liabilities 719
17.5.The complex management of assets and liabilities 721
17.6.The managing principles of single portfolio of banking assets and liabilities.. 727
17.6.1. principles of total portfolio administration of bank assets and passives 727
17.6.2.The pure merging interest and its analyze 729
17.6.3. The GAP management 731
17.6.4. The curve of incomes and its influence on the GAPs management 735
17.6.5. administration of duration 738
17.7. The duration 743
17.8 Management of incomes 745
17.8.1. The concept of banking risks 745
17.8.2. The crediting risk 747

17.8.3.The liquidity risk. The exchange risk chance 749
17.8.4. The fund or investing risk 750
17.9. The supervision and regulation in the banking management 750
17.10. The assessment scheme in the banking management 758
Short conclusions 765
The explanation of terms and main concepts 767
Question and exercises for independent work 769
Recommended literature 770

CHAPTER XVIII. THE BANKING MARKETING 772
Important terms and definitions 772
18.1. The concept of marketing 772
18.2. The specificity of marketing in the banking sphere 775
18.3. The marketing investigation of banking market 777
18.4. The segmentation of banking market 783
18.5. The substitutes of banking service 788
18.6. The banking competitive position 788
18.7. The observation on the market 791
18.8. The marketing strategy of banks 792
18.9. The typology of the competitive strategy of banks. The strategic levels of banks 794
18.10. The realization of the marketing strategy of banks 800
Short conclusions 806
The explanation of terms and main concepts 807
Question and exercises for independent work 807
Recommended literature 808

CHAPTER XIX. THE BANKING INNOVATION 810
Important terms and definitions 810
19.1. The essence and content of banking innovation 811
19.2. The vitality cycle of banking innovation 813
19.3. The characterization of banking innovation of some type 818
19.4. The Plastic cards 821
19.5. The foreign experience of implementation of plastic cards 825
19.5.1. The banking plastic cards 825
19.5.2. The processing and application of microproccessing plastic cards .. 829
19.6. The internet banking, state, problems and outlooks in development 833
19.6.1. The segmentation types of the internet banking market 833
19.6.2.Perspectives of development of internet bank 837
19.7. ATM as the electronic payment element 844
19.8. The electronic interbanking messages in trade organizations 845
19.9. "Home banking" the banking service in place and working places 846
19.10. The banking perfating operations 848
19.11. Options, futures, swaps 850
Short conclusions 851
The explanation of terms and main concepts 852
Question and exercises for independent work 855
Recommended literature 855

PART VII. THE SYSTEM OF CASH PAYMENT, ACCOUNTING. CONTROL AND AUDIT IN COMMERCIAL BANKS

CHAPTER XX. THE SYSTEM OF COMMERCIAL BANKS AND MONEY ACCOUNTING SYSTEM 856
Important terms and definitions 856
20.1.The settlement operations – one of the most important sphere of commercial banks 857
20.2. The rules of opening, forming and closing of accounts, The types of accounts 857
20.3. Some statements of the organization of cashless settlement 862
20.4. The organization of interbank settlement 866
20.4.1. The settlement by the corresponding accounts opened in different banks 866
20.4.2.The settlement by the payment net of the central bank 867
20.4.3.The settlement by the internal banking payment net 868
20.4.4.Inerbank clearing 869
20.5.The working forms of cashless settlement 870
20.5.1.The settlement by payment obligation 871
20.5.2. The settlement by payment request obligation 874
20.5.3.The settlement by checks 877
20.5.4. The payment by a letter of credit 878
20.5.5. The payment by bill 881
20.5.6. The addressed bill 884
20.6. The factoring 885
20.7. The cash desk operations 887
Short conclusions 890
The explanation of terms and main concepts 891
Question and exercises for independent work 894
Recommended literature 895

CHAPTER XXI. THE ORGANIZATION OF ACCOUNTING SERVICE IN BANKS 896
Important terms and definitions 896
21.1. The essence and importance of accounting and discounting operational business in banks 897
21.2. The initial statements of accounting in banks 900
21.3. The organizational structure of discounting operational business 905
21.4. The international principles of organization and ruling of accounting 910
21.5. The characterization of banks balance and the principles of its formation 914
21.6. The plan of book keeping accounts for banking institutions of Georgia 917
21.7. The importance and types of accounting settlement 919
21.8. The current accounting settlement 920
21.9. For the perfection of payment system and accounting in Georgia 925
Short conclusions 927
The explanation of terms and main concepts 928
Question and exercises for independent work 930
Recommended literature 930

CHAPTER XXII. THE CONTROL AND AUDIT IN COMMERCIAL BANKS 931
Important terms and definitions 931
22.1The system of internal control of banking activity 931
22.2. The organization of internal control: the version of central bank 945
22.3. The internal bank control and its types 949
22.4. The organization of current control in bank 950
22.5. The next control and its conducting measures 952
22.6. The internal and external audit: goals, objectives and the specifications of its organization in bank 953
22.7. The banking rating system 961
Appendix 22.1 The statement about requirement of internal auditing in commercial banks 970
Appendix 22.2 The statement about requirement of internal auditing in commercial banks 974
Short conclusions 975
The explanation of terms and main concepts 976
Question and exercises for independent work 977
Recommended literature 978

SYLLABUSES "BANKING ACTIVITY" on Georgian and English 980

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დასრულდა კიდევ ერთ წიგნზე მუშაობა. მისი შექმნითა და გამოცემით ერთგვარად გამოვხატეთ თანადგომა ჩვენი სტუდენტების და მაგისტრანტების მწვავე პრობლემისადმი – ჰქონოდათ საბანკო თეორიისა და პრაქტიკის შესახებ სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო, რომელიც ერთნაირად დააინტერესებდა როგორც ჩვენს ახალგაზრდობას, ისე ქართველ ბანკირებს, ამ სფეროში დასაქმებულ პრაქტიკოსებს, მეცნიერებს.

წინამდებარე სახელმძღვანელო, მონოგრაფიული კვლევისაგან განსხვავებით, არ გამოხატავს მხოლოდ ავტორის პერსონალურ პოზიციას. მასზე მუშაობისას გამოვიყენეთ ქართველი სწავლული ეკონომისტების ამ სფეროში დაგროვილი ცოდნა, საბანკო საქმის საზღვარგარეთელი გამოჩენილი სპეციალისტების მდიდარი მემკვიდრეობა; რაც მთავარია, დაველწრდენით ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის ქვეყნების საბანკო კანონმდებლობას და იმ ნორმატიულ მასალებს, რომელთა ჭეშმარიტება საყოველთაოდ აღიარებულია.

წიგნი განკუთვნილია სამი კატეგორიის მკითხველისათვის: უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის, პირველ რიგში „ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტის“ და „საბანკო მენეჯმენტის“ სპეციალობისათვის; ბანკების მუშაკთათვის, განსაკუთრებით საფინანსო ეკონომიკური სფეროს ხელმძღვანელ მუშაკთათვის და ამ სფეროში მომუშავე მაგისტრანტების. ასპირანტებისა და დისერტანტებისათვის.

ავტორი გულითად მადლობას გამოხატავს წიგნის რეცენზენტების, პროფესორ გ. ხელაიას, პროფესორ ი. კოჟზანაძეს, პროფესორ ქალბატონ ნანა ასლამაზაშვილს მიმართ პირუთნელი შენიშვნებისათვის.

განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ სახელმძღვანელოს მეცნიერ რედაქტორის, უნივერსიტეტის პროფესორის, ბატონ გივი გამსახურდიას, აგრეთვე, ქალბატონ ნანა ასლამაზაშვილის მიმართ – სახელმძღვანელოს გამოცემაში გაწეული დიდი დახმარებისათვის.

წიგნი ძალზე მასალატევდია. ჩვენ შევეცადეთ ყველა დამუშავებული თემის გარდა, თავი მოგვეყარა თითქმის შეუსწავლელი ზოგიერთი საკითხისათვის. საბანკო საქმიანობის უზარმაზარი მასალების ლაბირინთებში შევეცადეთ შეგვეჩია ძირითადი, აუცილებელი, რისი ცოდნაც აგრერიგად აუცილებელია საბანკო სფეროში ყველა კატეგორიის დაინტერესებულ პირთათვის.

წინამდებარე სახელმძღვანელოს და მისი მთავარი მასალის აგების ლოგიკა ავტორის მიერ აპრობირებულია „საბანკო საქმის“ სალექციო კურსის კითხვისას და პრაქტიკული სემინარების ჩატარებისას უმაღლესი სკოლების სტუდენტებისათვის.

წიგნი, ჩვენი გათვლით, შვიდი ნაწილისაგან შედგება და მოიცავს შემდეგ ძირითად განყოფილებებს:

I. საბანკო საქმიანობის თეორია

II. კომერციული ბანკების საქმიანობის საერთო საკითხები

III. კომერციული ბანკების ოპერაციები და შემოსავლები

IV ბანკების საკრედიტო, სავალუტო, იპოთეკური და სხვა ოპერაციები

V. კომერციული ბანკების ლიკვიდობა, გადახდისუნარიანობა, რისკები

VI. საბანკო მენეჯმენტი, მარკეტინგი, საბანკო ინოვაციები

VII. ფულადი ანგარიშსწორების სისტემა, ბუღალტრული აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი კომერციულ ბანკებში

მასალის მოცულობის სიდიდის გამო ცალკე წიგნად გამოიცემა –„უცხოეთის (საზღვარგარეთული) საბანკო სისტემები“.

და კიდევ ერთი, ჩვენ მართალია, გამიზნული გვაქვს „საბანკო მენეჯმენტის“ ქართული სახელმძღვანელოს ცალკე გამოშვება, რის დეფიციტსაც ასევე განიცდის ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა, მაგრამ ამ წიგნში მთლიანად ვერ აეუარეთ გვერდი საბანკო საქმეში მართვისა და მენეჯმენტის ზოგიერთ საკითხს.

ვინაიდან, სახელმძღვანელო განკუთვნილია ძირითადად სტუდენტი ახალგაზრდობისათვის, საჭიროდ ვცანით ყოველი თავისათვის დაგვერთო მასში გამოყენებული სპეციფიკური ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება, კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის და რაც ესოდენ საჭიროა სტუდენტთათვის – თითოეული თავის საფუძვლიანი შესწავლისათვის ეგზომ აუცილებელი სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურის ჩამონათვალი.

სახელმძღვანელო ილუსტრირებულია სქემებით, დიაგრამებით, გრაფიკებით, ცხრილებითა და მაგალითებით; იგი შეიცავს საბანკო საქმიანობაში გამოსაყენებელ ფინანსურ მათემატიკურ ფორმულებსა და აუცილებელ საცნობარო აპარატს. როგორც ყოველთვის, ნაშრომი დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებებისაგან. ამგვარი პრეტენზია არასოდეს გვქონია და არც გვაქვს. ყველა შენიშვნას, კონსტრუქციულ კრიტიკას, საქმიან წინადადებას, კეთილ სურვილებს დიდი ყურადღებით მოვისმენთ და გავითვალისწინებთ ჩვენს შემდგომ მუშაობაში. შენიშვნები და წინადადებები შეიძლება გამოგზავნილ იქნეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ან უშუალოდ ავტორთან მისამართზე: lqoqiauri @yahoo.com: ტელ: 599-90-60-11; 276-05-95.

პირველი განყოფილება
საბანკო საქმიანობის თეორია

პირველი თავი. ბანკების წარმოშობისა და საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები

ტერმინები და ძირითადი ცნებები
1.1. ბანკების არსი – მოკლე ისტორიული ექსკურსი
1.2. დისკუსია ბანკის არსის შესახებ
1.3. ბანკის არსის ანალიზისათვის
1.4. საბანკო მონოპოლია
1.5. ბანკების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში
1.6. ბანკი როგორც საბანკო სისტემის შემადგენელი ელემენტი
მოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

ანაბარი
ბანკი
ბანკირი
ბანკირთა სახლი
ბანკის გარანტია
ბირჟა
დეპოზიტი
ინოვაციური ბანკი
იპოთეკური ბანკი
კლირინგული ბანკი
კომერციული ბანკი
საბანკო ტიპის არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები
საემისიო ბანკი
საინვესტიციო ბანკი
სპეციალიზებული კომერციული ბანკები
უნივერსალური კომერციული ბანკები

1.1. ბანკების არსი – მოკლე ისტორიული ექსკურსი

ძველი საუკუნეების ისტორიას საკმარისი ცნობები არ შემოუნახავს იმის შესახებ, თუ სად გაჩნდა ბანკები, რა ოპერაციებს ასრულებდნენ ისინი, ან რა ძალა აძლევდა ბიძგს მათ განვითარებას. ამჟამად შემორჩენილია ცნობები ძველი ბაბილონის პირველი ფულის შესახებ (ნიჟარები, ბეწვეული, ოქროს ზოდები, პირველი მონეტები), ბანკების შესახებ კი – არა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე ისტორიამ წარსულში ფულის მიმოქცევის მრავალი მატერიალური სამხილი დააგროვა, მაგრამ მან პასუხი ვერ მოგვცა იმაზე, თუ როგორი იყო ამ დროს უმარტივესი საკრედიტო დაწესებულებების როლი. უფრო მეტიც, ეკონომიკურ ლიტერატურაში განსაზღვრული არაა ბანკების წარმოშობის თვით პერიოდიც კი, ნათელი არაა მათი ჭეშმარიტი ბუნება.

მრავალი მეცნიერის აზრით, პირველი ბანკები კაპიტალიზმის მანუფაქტურული სტადიის პირობებში აღმოცენდა. ისინი თავდაპირველად იტალიის ცალკეულ ქალაქებში (ვენეციაში, გენუაში) გაჩნდა XIV და XV საუკუნეებში. მათი აზრით, ბანკი, როგორც სასაქონლო მეურნეობის საგანგებო ინსტიტუტი, სასაქონლო მეურნეობის ადრეულ ეტაპებზე კი არ გაჩნდა სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარებასთან დაკავშირებით, არამედ სწორედ იმ პერიოდში, როცა საჭირო იყო სპეციალურ დაწესებულებათა ქსელი. ამ დაწესებულებებს უნდა მოეხდინა ფულის მიმოქცევის რეგულირება და უფრო ფართო მასშტაბებით ეწარმოებინა საკრედიტო ოპერაციები. ბანკი კრედიტის განვითარების მხოლოდ ისეთ სტადიაზე გაჩნდა, როდესაც მისი დიდი დახმარების გარეშე კაპიტალისტური საწარმოების ფუნქციონირება შეუძლებელი იყო. აბიტომ შემთხვევით არაა, რომ ბანკს ახასიათებენ როგორც სწორედ კაპიტალისტური მეურნეობის მოვლენას. „ადრე ბანკის ფულად-სავაჭრო კაპიტალის ოპერაციების საფუძველს შეადგენდა მრეწველი და ვაჭარი კაპიტალისტებისაგან ფულის მიღება განძად შენახვის მიზნით, რისთვისაც ივი მეანაბრეს სარგებელს ახდევინებდა გარდა ამისა, საქონლით მოვაჭრენი, რომლებიც ფულს შესანახად აძლევდნენ ზარაფებს, მათ იმასაც ავალებდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში თვითონვე ეწარმოებინათ ფულადი გადახდები და გადაგზავნები. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან იმ პერიოდში ოქროს ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანა-გადმოტანა გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული ვაჭრები ფართოდ მიმართავდნენ ზარაფების შუამავლობას. მაგალითად, ვაჭარი ფულს აძლევდა ზარაფს, ხოლო ეს მეორე ქალაქში მყოფ ზარაფს ავალებდა, რომ ეს თანხა ამ ვაჭრისათვის მიეცა. აღნიშნული ოპერაციების გაფართოებას შედეგად საკრედიტო ოპერაციების დაწყება მოჰყვა. სწორედ ზარაფების მიერ კრედიტების გაცემის პერიოდიდან იწყება ბანკების შექმნა, ხოლო თვითონ ზარაფები კი ბანკირები ხდებიან“ (გ. ხელაია. კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი (ლექციების კურსი). ნაკვეთი II. თბ., 1988, გვ. 32-33).

სპეციალისტთა მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ბანკები უფრო ადრეულ პერიოდში — ფეოდალიზმის დროს გაჩნდა. ისინი აღნიშნავენ, რომ უკვე ანტიკური და ფეოდალური მეურნეობის დროს წარმოიშვა მოთხოვნილება ბანკების, როგორც გადახდებში შუამავლების ფუნქციაზე. „შუა საუკუნეებში საბანკო საქმე აწყობილი იყო იტალიის რესპუბლიკაში, ჰოლანდიაში და ზოგიერთ გერმანულ სახელმწიფოში. ამ დროს სესხი გაიცემოდა, ჩვეულებრივად, უძრავი და მოძრავი ქონების გირაოთი“. (ვ. ჩანტლაძე. ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია. I და II ნაკვეთი. თბ., 1986, გვ. 97.). „ფეოდალიზმის დაშლის ეპოქაში XI-XVIII სს. მონეტების შერყვნის წინააღმდეგ ბურჟუაზიამ ახალი ნაბიჯი გადადგა მტკიცე ფულისათვის ბრძოლაში — შექმნა საანგარიშგებო ინსტიტუტები „ჟიროკასების“ სახით. ვაჭრებს შეჰქონდათ შენატანები „ბანკში“, რომლებიც ჩაიწერებოდა მათ ანგარიშებზე საანგარიშსწორებო ფულადი ერთეულებით... ბანკის მიზანი იყო, შებრძოლებოდა მონეტურ უწესრიგობას და გადახდის უფრო მოხერხებული შესაძლებლობა შეექმნა იმათთვის, რომელთაც ფული უნდა გაეშვათ ბრუნვაში“ (ვ. ჩანტლაძე. ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია. I და II ნაკვეთი. თბ., 1986, გვ.83-84).

ამრიგად, ბანკების წარმოშობის პერიოდზე არსებული წარმოდგენა ათი ან ოცი წლით კი არა, თითქმის ორი ათასი წლით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. თუმცა, პირველი ბანკების შესახებ საკითხის არსი იმდენად რომელიღაც ისტორიული თარიღის დადგენაში კი არაა (თუმცა ეკონომიკური მეცნიერებისათვის ესეც არაა ფორმალური საკითხი), რამდენადაც იმის დადგენაში, თუ რა უნდა მივიჩნიოთ ბანკად.

სამწუხაროდ, თვითონ სიტყვა „ბანკი“ არა თუ ნათელს არ ჰფენს მის არსს, არამედ დამატებით სირთულეებს ქმნის პირველი საკრედიტო დაწესებულებების შესახებ მსჯელობასა და წარმოდგენებში. სიტყვა ბანკი წარმოდგება იტალიური „ბანკო“-დან და „მაგიდას“ აღნიშნავს. ამ „ბანკო-მაგიდებს“ იმ მოედნებზე დგამდნენ, სადაც საქონლით გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობდა. ვაჭრობის დროს იყენებდნენ ნაირგვარ მონეტებს, რომლებიც ნაჭედი იყო როგორც სახელმწიფოე-

ბის, ისე ქალაქებისა და ცალკეული პირების მიერაც კი. მონეტების ერთგვაროვანი სისტემა არ არსებობდა. ყიდვა-გაყიდვაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ფორმისა და ღირებულების მონეტები, თანაც ხშირად მათი ღირებულება მათსავე სახელდებულ, ნომინალურ ფასზე ნაკლები იყო ხოლმე. ასეთ პირობებში საჭირო გახდნენ ისეთი სპეციალისტები, რომლებიც იცნობდნენ და ერკვეოდნენ მიმოქცევაში მყოფ ამ მრავალრიცხოვან მონეტებში, შეეძლოთ მათი შეფასება და გაცვლის დროს რჩევების მიცემა. ამ გადამცვლელ სპეციალისტებს, როგორც წესი, თავთავიანთი განსაკუთრებული მაგიდები ჰქონდათ ბაზრებში, სადაც ვაჭრობა ხდებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ X საუკუნეში იტალია იყო მსოფლიო ვაჭრობის ის ცენტრი, სადაც სხვადასხვა ქვეყნის საქონელი და ფული იყრიდა თავს, მაშინ გასაგები გახდება, თუ რატომ გახდნენ ბანკირები სავაჭრო ოპერაციების აუცილებელი მონაწილეები და რატომ ერცელდებოდა მათი „ბანკო-მაგიდები“ ასე ფართოდ.

ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრებული ბანკის ცნება გაიგივებული იყო ძველ საბერძნეთში არსებულ ფულის გადამცვლელებთან და მათ განსაკუთრებულ მაგიდებთან, სადაც ბანკირებს ტრაპეზიდებს უწოდებდნენ (ბერძნული სიტყვიდან „ტრაპეზა“, რომელიც „მაგიდას“ ნიშნავს). თავისი ტრაპეზიდები ჰყავდა ძველ რომსაც, სადაც მენსარიები არსებობდნენ (ლათინური სიტყვიდან „მენსა“-მაგიდა), რომლებიც ეწეოდნენ ვალუტის გაცვლას და ზოგიერთ სხვა ფულად ოპერაციას. გამოდის, რომ პირველი ბანკები ჩნდებოდა „გაცვლითი საქმის“ – სხვადასხვა ქალაქისა და ქვეყნის ფულის გაცვლის საფუძველზე.

ვალუტის გაცვლის ოპერაციებთან ბანკის ბუნების ამგვარი გაიგივება ნიღბავს პირველი საკრედიტო დაწესებულებების წარმოშობის ჭეშმარიტებას და ამიტომაც იგი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ჩვენს წარმოდგენას ბანკის არსის შესახებ. თავისთავად, გაცვლის ოპერაცია სასაქონლო გაცვლის ასახვაა. მასში არაა საკრედიტო პლატფორმა, რომელიც უფრო გვიანდელი პერიოდის ბანკების საქმიანობის მთავარი მიმართულებაა. მაგრამ საქმე მარტო ეს არაა. სიტყვა „ბანკის“ წინდა სემანტიკური გაგება გვიბიძგებს გავაკეთოთ ის დასკვნა, რომ ბანკის წარმოშობა მეურნეობის განვითარების მხოლოდ იმ პერიოდს ეკუთვნის, როცა ფულმა მსოფლიო ფულის ფუნქციის შესრულება დაიწყო. გამოდის, რომ უფრო ადრეულ ეტაპზე, როცა ფული მხოლოდ შიდა ბაზარზე მიმოიქცეოდა, ბანკები ჯერ კიდევ არ არსებობდა. არადა ცნობილია, რომ შენახვის ოპერაცია, რომელიც შიდა მიმოქცევაზეა ორიენტირებული, უფრო ძველია და უფრო მეტად სწორედ ის გვაახლოებს საკრედიტო დაწესებულებების შინაარსის გახსნა-ამოცნობასთან.

ისტორიკოსთა აზრით, ჯერ კიდევ 2300 წელს ჩვენს ერამდე ქალდეველებს ჰქონდათ სავაჭრო კომპანიები, რომლებიც თავიანთ უშუალო ფუნქციებთან ერთად სესხებსაც გასცემდნენ. საკრედიტო ოპერაციების ცალკე შესრულება ჩვენს ერამდე VI საუკუნეშია მოხსენიებული. ძველ ბაბილონში გავრცელებული იყო საანაბრო ოპერაცია: ანაბრების მიღება და მათზე პროცენტების გაცემა. ჩვენს ერამდე IV საუკუნეში ეს ოპერაციები საბერძნეთშიც იყო გავრცელებული. ნიშანდობლივია, რომ ანაბრების მიღებასთან ერთად ძველი ბერძნები ფულის გადაცვლასაც ახდენდნენ გარკვეული გასამრჯელოს ფასად.

მაინც ვინ ასრულებდა ამ პირველ საბანკო ოპერაციებს? ისტორიკოსების მოწმობით, ესენი იყვნენ როგორც ცალკეული პირები, ისე ზოგიერთი საეკლესიო დაწესებულება, რომელთა ხელშიც მნიშვნელოვანი ფულადი სახსრები იყო თაემოყრილი. ტაძრები ფასეულობათა შენახვის საიმედო ადგილი იყო. ქურდები პატივს ცემდნენ საკურთხეველს და არ ძარცვავდნენ მათ. ანაბრებმა, რომელთა ხელშეუხებლობაც რელიგიისადმი პატივისცემით იყო გარანტირებული, სახელი გაუთქვა ბერძნულ ტაძრებს (დელფის, დელოსის, სამოსის, ეფესის ტაძრებს), რომლებიც იმავდროულად თავისებურ საბანკო დაწესებულებებად გადაიქცნენ. არტემიდას ტაძარში, ეფესში, თავმოყრილი იყო მცირე აზიის სანაპიროდან მიღებული ანაბრები, აპოლონის ტაძარში კი დელფში, მოგროვილი იყო მთელი საბერძნეთის თავისუფალი ფულადი სახსრები.

პირველი ბანკირები მიხვდნენ, რომ უზარმაზარი ფულადი სიმდიდრის უმოძრაოდ შენახვა მწარმოებლური არ იყო, რადგან შესაძლებელი იყო მათი გამოყენება და საგრძნობი მოგების მიღება, თუკი ფულად სახსრებს გასცემდნენ დროებით სარგებლობაში, ანდა გახსნიდნენ დამოუკიდებელ სავაჭრო დაწესებულებებს და სახელოსნოებს. ამ დროს საწინდრად იყენებდნენ გემებს და სხვადასხვა საქონელს, ზოგ შემთხვევაში – სახლებს, ძვირფას ნივთებს და ადამიანებსაც კი (მონებს).

საბანკო სესხის გაცემას თან ახლდა დიდი პროცენტების გადახდევინება, რომელთა დონე წლიურ 36%-ს აღწევდა. მეტისმეტად ძვირი იყო რუსეთში გაცემული პირველი კრედიტებიც. იაროსლავ ბრძენის დროს ზღვრული განაკვეთი დაწესებული იყო არაუმეტეს 20%-ისა წლიურად. იგი შეიძლებოდა 40%-მდეც გაზრდილიყო სესხის მოკლე ვადით გაცემის დროს. მეტისმეტად მაღალი პროცენტისთვის სასჯელი იმ შემთხვევაში იყო გათვალისწინებული, თუ მისი ზომა წლიურ 60%-ს მიაღწევდა.

ძველი ბანკების საკრედიტო ოპერაციებთან ერთად თანდათან განვითარდა მეანაბრეთა მომსახურების ხაზით შესრულებული ანგარიშსწორებაც. ანგარიშსწორებას ახდენდნენ ე.წ. ტრანსფერიტის მეშვეობით, ე.ი. ფულადი სახსრები ერთი ცხრილიდან (ანგარიშიდან) მეორეზე გადაჰქონდათ. ყველ მეანაბრეს ბანკში ჰქონდა თავისი ცხრილი, რომელზეც მისივე სახელი იყო აღნიშნული. თუ კლიენტებს, როგორც ახლა უწოდებდნენ მათ, თავიანთი თავისუფალი ფული შესანახად ბანკში ჰქონდათ შეტანილი, მაშინ მათ უკვე აღარ ჭირდებოდათ ამა თუ იმ თანხის პირადად გადახდა. ყველა გადახდას მათ მაგიერად ახორციელებდა ის ბანკირი, რომელთანაც ინახებოდა ანაბარი და მეანაბრის სახელის შემცველი ცხრილი (თანამედროვე გაგებით-ანგარიში). ფულადი სახსრები ერთი მეანაბრის ცხრილიდან გადაჰქონდათ მეორის ცხრილში, რაც უნაღდო ანგარიშსწორების უმარტივესი ფორმა იყო. ამასთან, დამახასიათებელია ის, რომ თავდაპირველად აუცილებელი იყო კლიენტის პირადი ზეპირი განკარგულება ფულადი სახსრების გადარიცხვაზე, შემდეგ კი გაჩნდა წერილობითი ბრძანებები (თანამედროვე ჩეკების წინამორბედები), რომლებმაც გაამარტივა და დააჩქარა ურთიერთანგარიშსწორებები.

იმ სარგებლობას, რაც ბანკებს მოჰქონდა, არ შეეძლო არ მიეპყრო საქმიანი ადამიანების ყურადღება. ბანკების კლიენტურა თანდათანობით გაფართოვდა. თავის მხრივ, ბანკები შეუდგნენ კლიენტებს შორის ხელშეკრულებების შედგენის ხაზით რწმუნებულების სამუშაოთა შესრულებას, შუამავლობა დაიწყეს სავაჭრო გარიგებებში. ანგარიშსწორების გასამარტივებლად ძველი ბანკები საბანკო ბილეთებსაც (ჰუდუ) კი უშვებდნენ, რომელთა მიმოქცევა „სრულფასოვანი ფულის თანასწორად ხდებოდა. ერთ-ერთი ავტორის შეფასებით, 'სრულიად სარწმუნოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ ის გარემობა, რომ ძველი ბანკირები, თუმცა, არ ეწეოდნენ სათამასუქო ოპერაციებს, მაგრამ მაინც არსებობდა ბანკირის სახელზე შედგენილი საკრედიტო წერილები გადახდის შესრულების თხოვნით". (Бирман А.Б. История банков. Петроград, 1917. გვ. 7-8).

ყველაფერ ეს მაინც არ ადასტურებს იმ გავრცელებულ წარმოდგენას, რომ პირველი ბანკები კაპიტალიზმის მანუფაქტურული სტადიის პირობებში აღმოცენდა საბანკირო სახლების ფორმით.

ცხადია, უსამართლობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ძველად არსებული სასაქონლო-ფულადი მიმოქცევის ოპერაციები თითქოს ბანკის ფუნქციონირებას მოწმობდნენ. საკუთარი და სხვისი ფულადი სახსრების გამოთავისუფლებისა და დაგროვების პროცესი (ფულის მიღება შესანახად, როგორც ყველაზე უფრო ძველი საკრედიტო გარიგება) და მათი გაცემა დროებითი სარგებლობისათვის ახასიათებს ყველა ფორმის კრედიტს, მათ შორის პირად კრედიტსაც, რომელიც, ფულის გადახდის საშუალების ფუნქციის ჩამოყალიბების გვერდით გაჩნდა, ე.ი. საკრედიტო ურთიერთობათა ერთი მხარის – კრედიტორის – ბანკად გადაქცევამდე დიდი ხნით ადრე. კრედიტორისა და სესხის აღების არსებობა, ცხადია, სულაც არ ნიშნავს ბანკის აღმოცენებას. ეს მხოლოდ მისი წანამძღვარია.

მაინც რა პირობებში ხდება აშკარა კრედიტორის ბანკად გადაქცევის შესაძლებლობა? სად გადის ის მიჯნა, რომელიც კრედიტის პირად ფორმასა და, შემდეგ, მის მეწარმეურ ფორმასა და საბანკო კრედიტს შორის ძევს, როდესაც საკრედიტო ურთიერთობების ერთი მხარე გამოდის არა როგორც ცალკე კერძო პირი (მაგალითად, მეწარმე), არამედ როგორც საკრედიტო დაწესებულება?

ვიდრე ამ კითხვას ეუპასუხებთ, კიდევ ერთხელ მივმართოთ ბანკის განმარტებას. ეკონომიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში ბანკს ახასიათებენ როგორც მსხვილ საკრედიტო დაწესებულებას, მაშასადამე, საქმე ეხება საკრედიტო საქმიანობის განვითარების დონეს და იმ ოპერაციების ერთობლიობას, რომლებსაც კრედიტორი ასრულებს თავისი კლიენტების მომსახურების ხაზით. მეწარმე აღარ არის მეწარმე, როგორც კი მის მიერ შესრულებული საკრედიტო ოპერაციები (მთლიანობაში) სისტემად გადაიქცევა ხოლმე. თავისი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით კრედიტი ვეღარ აკმაყოფილებს მსესხებლის წმინდა სამომხმარებლო მოთხოვნილებებს და მას გასცემენ სამეურნეო ოპერაციების შესასრულებლად. საკრედიტო გარიგებათა სრულყოფასთან ერთად კრედიტორი საკუთარი კლიენტების განკარგულებით იწყებს საანგარიშსწორებო და სხვა ოპერაციების შესრულებას. მაშასადამე, ბანკი ფულადი მეურნეობის განვითარების ისეთი საფეხურია, როდესაც საკრედიტო, ფულადი და საანგარიშსწორებო ოპერაციების მთელმა ერთობლიობამ ერთიან ცენტრში მოიყარა თავი. ამიტომ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ პირველი ბანკები წარმოიქმნა კაპიტალიზმის მანუფაქტურულ სტადიამდე დიდი ხნით ადრე. სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში, საქონლური მიმოქცევის, ფულადი და საკრედიტო ურთიერთობების საკმაოდ გაცხოველებული განვითარების ეტაპზე. როგორც ისტორია ცხადყოფს, ამგვარი ურთიერთობები არსებობდა ჯერ კიდევ მონათმფლობელურ საზოგადოებაში.

ძველ რომში არსებობდა საბანკო და საკრედიტო სამართლის პირველადი ნორმები. ამ ნორმების შესაბამისად, ჩვენს ერამდე III საუკუნეში რომის ბანკირებს, რომლებიც გაცვლით საქმიანობაზე სპეციალიზებულნი, კუმულიარებს უწოდებდნენ. მათ უფლება აღარ ჰქონდათ საკრედიტო ოპერაციები შეესრულებინათ. არგენტარიებმა, რომლებიც საკრედიტო საქმეზე სპეციალიზებულნი, შუამავლობის საფუძველზე შესაძლებლობა მიიღეს გადახდების დროს სესხები მიეცათ თაიანთი კლიენტებისათვის. პირველი საბანკირო სახლები სინამდვილეში ემსახურებოდნენ არა მარტო (და არც იმდენად) სამომხმარებლო მოთხოვნილებებს. პირველი ბანკების საკრედიტო გარიგებათა დიაპაზონი საკმაოდ ფართო იყო. ისტორიკოსების ცნობით, ძველი ბაბილონის ბანკები არა მარტო კრედიტებს გასცემდნენ, არამედ ყიდულობდნენ და ყიდდნენ ნაკეთებს და სხვა ოპერაციებსაც ასრულებდნენ. (იხ. Эвелин Клеменель-Бандт. Путешествие в Древний Вавилон. М., Наука. 1979. გვ. 107).

ბანკის ნიშან-თვისებაა ისიც, რომ კრედიტი საფუძველშივე ფასიანი ხდება. სასესხო პროცენტი არა მარტო ფარავს ბანკირის სახლის დანახარჯებს, არამედ მსესხებლის მიერ დროებით სარგებლობაში მიღებული რესურსების მწარმოებლურად გამოყენებასაც განაპირობებს.

1.2. დისკუსია ბანკის არსის შესახებ

იმის მიუხედავად, რომ ბანკები უკვე საკმაოდ დიდი ხანია არსებობენ, ბანკის არსის შესახებ საკითხი კვლავაც საღისკუსიოა. გამოყოფენ შემდეგ ძირითად ასპექტებს (იხ. Деньги. кредит. банки: Учебник / под ред. О.И. Лаврушина. М., "Финансы и статистика", 1998. с. 281-285). ბანკი არის:

- ფულის საცავი (ჩვეულებრივი თვალსაზრისი);
- დაწესებულება, ორგანიზაცია (ყველაზე უფრო მასობრივი წარმოდგენა);
- ეკონომიკური მართვის ორგანო;
- საშუამავლო ორგანიზაცია;
- ბირჟის აგენტი;
- საკრედიტო საწარმო.

ბანკის არსის შესახებ თვალსაზრისთა ეს მრავალფეროვნება შეიძლება ორ უმნიშვნელოვანესზე დავიყვანოთ: ბანკი-დაწესებულება და ბანკი საწარმო. შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რა განსხვავებაა. დაწესებულებად მივიჩნეეთ ბანკს თუ საწარმოდ? ავტორთა აზრით. ამ პრობლემის დიდი მნიშნელობა ისაა, რომ იგი არამარტო თეორიულია, არამედ პრაქტიკულიც. იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ბანკის არსს თვით მასში მომუშავენი, მნიშნელოვანწილადაა დამოკიდებული ბანკის პოლიტიკა და კლიენტებთან ურთიერთდამოკიდებულება. თუ ბანკი დაწესებულებაა, მაშინ ბანკის თანამშრომელი ჩინოვნიკია, კლიენტი კი — მთხოვნელი. ამას შეესაბამება ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობათა ადმინისტრაციული ტიპი. თუ ბანკი საწარმოა, მაშინ ბანკის თანამშრომელი მწარმოებელია, გამყიდველია, ხოლო კლიენტი — მყიდველი. ესაა ურთიერთობათა სულ სხვა — პარტნიორული ტიპი, რომელიც საბაზრო მეურნეობას ახასიათებს.

აქედან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკაში ბანკი საწარმოა. ჩვენი აზრით, ამგვარი დასკვნა ნაადრევია. „საერთოდ ბანკის" არსის შესახებ საუბარი, ეტყობა, სულ მთლად კორექტული არაა. როგორც ცნობილია, თანამედროვე საბანკო სისტემაში არსებობს ორი ძირითადი ტიპის ბანკი, რომელთაც არსებითად განსხვავებული ფუნქციები აქვთ: ცენტრალური ბანკები და კომერციული ბანკები. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ. რომ ფუნქციები არსის გამოვლენაა, მაშინ ცხადი გახდება, რომ უფრო სწორია ვისაუბროთ ცენტრალური ბანკის არსზე და კომერციული ბანკის არსზე. ერთ განმარტებაში ამ ორი არსის გაერთიანების მცდელობა მარცხისთვისაა განწირული. გარდა ამისა, ორივე შემთხვევაში უნდა გავმიჯნოთ ეკონომიკური (ობიექტური) და იურიდიული ასპექტები.

ბანკის არსის პრობლემის ეკონომიკური ასპექტი. ამგვარად, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში მოქმედებს ორი, პრინციპულად განსხვავებული ტიპის ბანკები — ცენტრალური და კომერციული. როგორც საკრედიტო ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებათა ანალიზი გვიჩვენებს, ეს ბანკები სხვადასხვა დროს აღმოცენდა და ორდონიანი საბანკო სისტემის სხვადასხვა დონეებზე იმყოფებიან (ცენტრალური ბანკები — ზედა დონეზე, კომერციული ბანკები — ქვედაზე).

ცენტრალური ბანკი ტიპიური დაწესებულებაა. ამ წარმოდგენაში კარგად თავსდება მისი ძირითადი ფუნქციები — მარეგულირებელი, მაკონტროლებელი და საინფორმაციო-კვლევითი. კომერციულ ბანკებთან ცენტრალური ბანკის ურთიერთობები ადმინისტარციულ პრინციპებზეა აგებული, რაც წინააღმდეგობაში მაინც არ მოდის საბაზრო ეკონომიკის საფუძველთან. ცენტრალური ბანკი პრაქტიკულად კონტაქტში არ შედის საბანკო მომსახურების საბოლოო მომხმარებელთან.

ამგვარად, ცენტრალური ბანკი ფულად-საკრედიტო დაწესებულებაა, რომელიც ორდონიანი საბანკო სისტემის ზედა დონეზე იმყოფება და ასრულებს ქვეყნის საემისიო ცენტრის, „ბანკთა ბანკის", მთავრობის ბანკის, ქვეყნის მთავარი საანგარიშსწორებო ცენტრისა და ეკონომიკის მარეგულირებელი ორგანოს ამოცანებს.

სულ სხვა საქმეა კომერციული ბანკი. თავისი ძირითადი ფუნქციების (დროებითი თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირება, მოზიდული სახსრების განთავსება და კლიენტურის საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურება) შესრულებისას იგი ტიპიურ საწარმოდ გვევლინება. მისი შემოსაელები და თვით მომავალი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად ემსახურება იგი კლიენტებს. თუ რომელიმე კომერციული ბანკი საბაზრო ეკონომიკაში დაწესებულებასავით დაიწყებს მოქცევას, ამას კარგი არაფერი მოჰყვება.

აქედან გამომდინარე, კომერციული ბანკი შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ორდონიანი საბანკო სისტემის ქვედა საფეხურზე მყოფი ფულად-საკრედიტო საწარმო. იგი ფასიან (კომერციულ) საბანკო მომსახურებას უწევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სხვა კომერციულ ბანკებთან საბაზრო კონკურენციის პირობებში.

ბანკის წარმოშობის შესახებ ზემოთ განხილულ მოსაზრებებს უდავოდ აქვს არსებითი მნიშვნელობა. ისინი თითქოს გვაახლოებენ ბანკის არსის ახსნასთან, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი არაა. ბანკის არსი ჯერ კიდევ გამოცანად რჩება.

გამოთქმები „საკრედიტო ორგანიზაცია", „ბანკი", „არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაცია", „საბანკო სისტემა" და მათგან წარმოებული სიტყვათშეთანხმებები ყველასათვისაა ცნობილი. არადა, დასახელებული მოვლენებისთვის კარგი და მეცნიერულად გამართული განმარტებების მიცემა უბრალო საქმე არაა. როგორც წესი, იყენებენ არასაკმარისად მკაცრ განმარტებებს რომელთა მთავარი ნაკლი შემდეგში მდგომარეობს: მათგან შეუძლებელი ხდება იმის გაგება, თუ რაში მდგომარეობს საკრედიტო ორგანიზაციებისა და ბანკების საქმიანობის ძირეული თავისებურება, ე.ი. რა პრინციპული განსხვავებაა, ერთი მხრივ, ბანკებსა და სხვა სახის საკრედიტო ორგანიზაციებს, ხოლო, მეორე მხრივ, ბანკებსა და მეწარმეების სხვა ნებისმიერ (არასაკრედიტო) სუბიექტებს შორის.

იმის დასახასიათებლად, თუ რას წარმოადგენს ბანკი, ამოსავალია უფრო ფართო ცნება „საკრედიტო ორგანიზაცია". საჭიროა დავიწყოთ სწორედ მისგან და გამოვიყენოთ შემდეგი მსჯელობები.

ძალიან ახლოდან თუ შევხედავთ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები სამი ტიპის ურთიერთობებისგან შედგება: საქონელი უშუალოდ იცვლება სხვა საქონელზე (ს–ს); საქონელი ფულის მეშვეობით იცვლება სხვა საქონელზე (ს–ფ–ს); ფული უშუალოდ იცვლის თავის მფლობელს (ფ–ფ). სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა აქ წარმოდგენილი სტრუქტურიდან ჩანს, რომ მეორე შემთხვევაში საქონელი და ფული ახორციელებენ ურთიერთდაკავშირებულ შემხვედრ მოძრაობას, პირველ შემთხვევაში მოძრაობენ მხოლოდ პროდუქტები, მესამე შემთხვევაში კი – მხოლოდ ფული. ბოლო შემთხვევა იმ ეკონომიკური პროცესების არსს გამოხატავს, რომლებისაც საკუთრივ ფულად (ფინანსურ) ურთიერთობებს უწოდებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფულადი ურთიერთობები ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა ის ნაწილია, რომელიც აღნიშნავს ეკონომიკის სუბიექტებს შორის ურთიერთობებს ფულის, როგორც ასეთის, დამოუკიდებლად მოძრაობასთან დაკავშირებით.

პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ფულად ურთიერთობებში შედის შემდეგი მთავარი კონკრეტული ურთიერთობები: ბიუჯეტების ფორმირება და მისი სახსრების ხარჯვა; გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა (მიღება) ; ფულის გაცემა კრედიტში და მისი დაბრუნება. ამის შესაბამისად არსებობს ეკონომიკის ის სამი სფერო, რომლებშიც ფულად ურთიერთობათა მთავარი ფორმები რეალიზდება: ბიუჯეტი, გადასახადები, კრედიტი.

აქ საყურადღებოა შემდეგი: საკუთრივ ფულად ურთიერთობათა შემთხვევაში ფული (ფულის ნიშნები) ასრულებს დამოუკიდებელ მოძრაობას (საქონლის უშუალო შემთხვევაში მოძრაობის გარეშე), თუმცა, მათი ეს დამოკიდებულება შეფარდებითია. ფულს არ შეუძლია თავისით ბრუნვა არც დიდი, არც მცირე დროით. ფული რომ ფულად დარჩეს (იყოს საყოველთაო ეკვივალენტი, მიმოქცევის საშუალება, გადახდის საშუალება და ა.შ.), იგი თავისი მოძრაობისას რეგულარულად უნდა ხვდებოდეს საქონელს, ემსახურებოდეს მისი მიმოქცევის პროცესებს. ამის მიუხედავად, ფულმა გარკვეულ ფარგლებში დროდადრო უნდა შეასრულოს დამოუკიდებელი მოძრაობა. ამასთან, მისი ეს მოძრაობა ეკონომიკის კვლავწარმოების საერთო პროცესის აუცილებელი მომენტია (პირობაა): კვალავწარმოება ნორმალურად რომ წარიმართოს, ფული საჭირო მომენტში უნდა აღმოჩნდეს იქ, სადაც იგი აუცილებელია, და წავიდეს იქიდან, სადაც იგი მოცემულ დროს ზედმეტია. ამის გამო წარმოიქმნება განსაკუთრებული ეკონომიკური (საკუთრივ ფინანსური) პრობლემები, რომელთა ნაწილსაც საკრედიტო ორგანიზაციები წყვეტენ.

ამგვარად, ფულად ურთიერთობებს საბიუჯეტო, საგადასახადო და საკრედიტო სფეროებში აქვს საერთო გარეგანი ნიშან-თვისება, რომელიც მდგომარეობს ფულადი სახსრების (ფულადი ფონდების) შედარებით დამოუკიდებელ მოძრაობაში ფორმულით ფ – ფ. ამავე დროს, თავიანთი ეკონომიკური შინაარსით ფულად ურთიერთობათა ეს ჯგუფები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და მათი განვითარება განსაკუთრებულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. ეს გარემოება იმ განსაკუთრებული სამეურნეო სტრუქტურების წარმოშობისა და ფუნქციონირების საფუძვე-

ლია, რომლებიც ფულად ურთიერთობათა ამა თუ იმ ჯგუფის შესრულებაზე სპეციალდებიან.

ფულად ურთიერთობათა შიგნით არსებულ რომელ პრინციპულ განსხვავებაზეა საუბარი? საქმე ისაა, რომ აღნიშნული ურთიერთობები შეიძლება იყოს საბაზრო (ღირებულებითი როგორც ფორმით, ისე არსით, შინაგანი შედგენილობით) და არასაბაზრო (რომლებიც არ ასახავენ არც ყიდვა-გაყიდვას, არც რაიმე სხვა ისეთ ურთიერთობას, რომელიც სასაქონლო-ფულად კანონებს, ბაზრის კანონებს ეშორჩილება).

ფულადი ურთიერთობები საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროებში არასაბაზრო ურთიერთობებია. საზოგადების ისტორიული განვითარების პროცესში მათი რეალიზაცია სახელმწიფოს აღმოსარულებელი ხელისუფლების ორგანოების პრეროგატივაა.

საკრედიტო სფეროში ყოველთვის მოქმედებს ძალიან სფეციფიკური ბაზარი, მაგრამ, ამის მიუხედავად, მასზე:

„ყიდვა-გაყიდვის" საგნად („საქონლად") გეეელინება სხვისი ფულის დროებით გამოყენების უფლება (თითქოსდა „ფულის არენდა"). ის, რომ აქ ვაჭრობა (ყიდვა-გაყიდვა) არ ხდება ამ სიტყვის საყოველთაოდ მიღებული აზრით, მეტყველებს დაბრუნებადობის პრინციპი, რომელსაც გასესხებული ფული ექვემდებარება, ე.ი. ის ფაქტი, რომ ამ ბაზარზე ფული ასრულებს არამარტო პირდაპირ, არამედ უკუმოძრაობასაც;

- საქონლის „ფასად" გეეელინება პროცენტი (თითქოსდა „რენტა"), ე.ი. ფულის მოძრაობა საფასურის გადახდის საფუძველზე ხდება;
- აღნიშნული „საქონლით" თვით ვაჭრობას სამი ვარიანტი აქვს:

– სხვისი ფულის გამოყენების უფლების ყიდვა (შეძენა) დათქმული ვადით ან მოთხოვნამდე;

– გამყიდველის საკუთარი სახსრების გამოყენების უფლების გაყიდვა (განთავსება) მსესხებელზე გარკვეული ვადით:

– გამყიდველის მიერ მოზიდული სახსრების უფლების გადაყიდვა (განთავსება) მსესხებელზე გარკვეული ვადით.

ამ ბოლო სფეროში და მხოლოდ მასშია ფულადი ურთიერთობები საბაზრო ბუნების. ფულად ურთიერთობათა სწორედ აღნიშნული ნაწილია საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის სფერო, რომელსაც სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ: ფულის ბაზარი, სასესხო კაპიტალის ბაზარი, საფინანსო ბაზარი.

მკაცრი განსაზღვრებით, ეს ბაზარი მოიცავს ადგილობრივი ფულის ბაზარს და უცხოურ ვალუტათა ბაზარს. პრაქტიკაში მის საქმიანობაში რთავენ ძვირფასი ლითონების ბაზარსა და ფასიანი ქაღალდების ბაზარსაც. თითოეული დასახელებული ბაზარი, თავის მხრივ, შეგვიძლია დავყოთ უფრო ვიწრო ნაწილებად. მთლიანი ფულის (საფინანსო) ბაზრის და მისი ყველა სტრუქტურული ელემენტის ფუნქციონირება მოითხოვს გარკვეული „ტექნიკური" ინსტრუმენტარიუმის გამოყენებას. მასში იგულისხმება ყველა იმ ფინანსური მოთხოვნის (სავალო ვალდებულებების) ერთობლიობა, რომლებიც კონკრეტულ ქვეყანაშია მიმოქცეცაში დროის მოცემული მომენტში. ამ გარემოების გათვალისწინებით, ბაზრის სტრუქტურა შეიძლეი ტიპებით შეგვიძლია წარმოვადგინოთ: პირველადი ბაზარი – სავალო ვალდებულებათა წარმოშობა; მეორადი ბაზარი – უკვე ემიტირებული და განთავსებული სავალო ვალდებულებების გადაყიდვა. ოპერაციების მიხედვით განსახილველი ბაზარი შეგვიძლია დავყოთ შემდეგ რგოლებად, რომლებსაც, ჩვეულებრივ, სასესხო კაპიტალის ბაზრებს უწოდებენ: ერთ წელზე ნაკლები მოქმედების ვადის სავალო ვალდებულებების ბაზარი; ერთი წლით და მეტი ხნით მოქმედი სავალო ვალდებულებების მქონე კაპიტალების ბაზარი. ბაზრის შემდგენელი ნაწილების კლასიფიცირება ამა თუ იმ ჯგუფებად სხვა კრიტერიუმების მიხედვითაც შეიძლება.

შრომის დანაწილებისა და სამუშაო დროის ეკონომიის ეკონომიკურმა კანონებმა განაპირობეს ის ფაქტი, რომ საზოგადებაში ფულადი ურთიერთობათა სპეციფიკური ჯგუფების განხორ-

ციელებისათვის ისტორიულად გამოიყო განსაკუთრებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური სტრუქტურები, რომლებიც ამა თუ იმ ურთიერთობებზე დასპეციალობით მათ ყველაზე უფრო ეფექტიანად რეალიზებას აღწევენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიუჯეტი და გადასახადები თანდათანობით მოექცა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების ხელში. რაც შეეხება საბაზრო ფულად ურთიერთობებს, ისინი ძირითადად შეადგენენ ეკონომიკის საბაზრო სუბიექტების – ბანკებისა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების (ე.ი. სხვა საკრედიტო ორგანიზაციების, რომლებიც ბანკებს არ ეკუთვნის) საქმიანობის ტრადიციულ სფეროს. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ:

- საფონდო და საკალუტო ბირჟები;
- სადაზღვეო და საფინანსო კომპანიები;
- საინვესტიციო, საპენსიო და საქველმოქმედო ფონდები;
- საბროკერო, სადილერო, ლიზინგური და ფაქტორინგული ფირმები;
- საკრედიტო კავშირები, საზოგადოებები და ამხანაგობები; ურთიერთდახმარების სალაროები;
- ლომბარდები. (ამ ჩამონათვალის ცალკეული პუნქტები შეიძლება სადაოდ ჩაითვალოს).

ამგვარად, ბანკებისა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებს ეკონომიკისა და მეწარმეობის ყველა სხვა სუბიექტთან აერთიანებს და განასხვავებს კიდეც მათგან ერთი ნიშან-თვისება – მათი დასპეციალება საბაზრო ფულად ურთიერთობებზე (ოპერაციებზე). მაგრამ რა განსხვავებაა მათ შორის?

საბაზრო მეურნეობა მოიცავს წარმოების საშუალებათა ბაზარს, მოხმარების საგნების ბაზარს, მომსახურების ბაზარს, ფინანსების ბაზარს, სამუშაო ძალის ბაზარს და სხვა. ყველა ამ ბაზრის ძირითადი მოქმების პირებია მეურნე სუბიექტების ორი დიდი კლასი: 1.მწარმოებელი საწარმოები; 2. მეურნე ორგანიზაციები, რომლებიც არ გეგმლინებიას საწარმოებად. ერთსაც და მეორესაც აშკარად გამოხატული სპეციალიზაცია აქვთ.

საწარმოებს საფუძვლად უდევს დარგობრივი სპეციალიზაცია (მატერიალური წარმოების პროდუქტების მიხედვით). რაც შეეხება მიმოქცევის პროცესში მათ მონაწილეობას, იგი შეიძლება ან შემოიფარგლოს სბითუმო ბაზარზე მოქმედებებით (საკალდებულო კომპონენტი), ან თავისი პროდუქტით საცალო ვაჭრობამდეც მიაღწიოს საკუთარი ძალებით.

ყველა დანარჩენი მეურნე ორგანიზაცია თავის ძირითად საქმიანობას მიმოქცევის სფეროში ეწევა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არაფერს აწარმოებენ. და მაინც, მათი მთავარი ფუნქციაა მატერიალურ წარმოებაში შექმნილი დოვლათის საბოლოო მომხმარებლებამდე დაყვანის პირობების შექმნა, სასაქონლო გაცვლის პროცესის განშუალება. ეს მოითხოვს უამრავი მრავალფეროვანი კონკრეტული ამოცანის შესრულებას, ურომლისოდაც საზოგადოებრივ ეკონომიკას ფუნქციონირება არ შეუძლია. ამის გამო მიმოქცევის სფეროს ორგანიზაციები იძულებული არიან ფუნქციურად დასპეციალდნენ. ეს მთლიანად ეხება საკრედიტო ორგანიზაციებსაც. ისინი გარკვეული ზომით აგებენ პასუხს საზოგადოებრივი წარმოების და კვალაეწარმოების საფინანსო-საკრედიტო მხარის უზრუნველყოფაზე საბაზრო ხერხებით და ვალდებული არიან ამა თუ იმ სახით „გაიყონ მოვალეობები“ ერთმანეთს შორის. ამას მათ შემდეგი მიზეზები აიძულებს:

1) საბაზრო ფულადი ურთიერთობების მეტისმეტად ფართო ჩამონათვალი;

2) ნებისმიერი ცალკე აღებული ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობები (მატერიალური-ფინანსური, საკადრო, ორგანიზაციული, ტექნიკური და სხვა);

3) ზოგიერთი სახის საქმიანობის ჩატარების კანონმდებლობით შეზღუდვა, აგრეთვე, ის შეზღუდვები, რომლებსაც კონკურენციის ძალები უწესებენ ბაზრის მონაწილეებს;

4) ბანკებსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებს შორის თვიდანვე არსებული შინაარსობრივი განსხვავებები.

პირველი სამი მიზეზი საკმაოდ ნათელია და არა გვგონია აუცილებელი. საქმე ისაა, რომ არსებობს სულ მცირე ორი ნიშანი მაინც, რომლებიც ყოველგვარი არასაბანკო საკრედიტო

ორგანიზაციებისგან განასხვავებს ბანკებს და განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს მათ.

ლოგიკურად, ბანკები საფინანსო ბაზრის პირველადი, საწყისი რგოლია, მაშინ, როდესაც სხვა საკრედიტო ორგანიზაციები მეორადია და წარმოებული. სხვა საკრედიტო ორგანიზაციების მიმართ პირველადი რომ იყვნენ, ბანკები გარკვეული სახით უნდა თანამშრომლობდნენ მათთან, შედიოდნენ ეკონომიკურ და სხვა ურთიერთობებში. რომელია ის კავშირურთიერთობები, რომლებიც პირველადი რგოლის მდგომარეობაში აყენებს ბანკებს?

ესაა, ჯერ ერთი, ბანკებისა და მხოლოდ ბანკების (ცენტრალური ბანკით დაწყებული) უნარი, მიმოქცევაში გამოუშვას და იქიდან ამოიღოს ფული, ე.ი. ეკონომიკური ბრუნვა მოამარაგოს გადახდის საშუალებათა მეტ-ნაკლები რაოდენობით და ამით არეგულიროს მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა (გადახდის საშუალებათა ჩამოყალიბება, მათი გამოშვება მიმოქცევაში და მიმოქცევიდან ამოღება); მეორე, ფულის პირველადი ხასიათი მთელი იმ ფინანსური ინსტრუმენტარიუმის მიმართ, ფასიანი ქაღალდების ჩათვლით, რომელზედაც საწარმოები და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები მუშაობენ; მესამე, არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მომსახურება ბანკებში სხვა კლიენტების – იურიდიული და ფიზიკური პირების თანაბრად. ყოველივე ეს იმას იწვევს, რომ ძირითადად ბანკები აწესებენ სხვა საკრედიტო ორგანიზაციების მუშაობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეზღუდვებს ფულზე და მისგან წარმოებულ ინსტრუმენტებზე, მათი საქმიანობის ტექნოლოგიასაც კი.

ბანკები საფინანსო ბაზრის ძირითადი, მთავარი რგოლია, ე.ი. ბანკებს და მხოლოდ ბანკებს აქვთ თავიანთ საქმიანობაში საბაზრო ფულადი ურთიერთობების (ოპერაციების) სრული ნაკრების რეალიზების უნარი. ასე, რომ ბანკები, განსაზღვრების თანახმად, ისეთი საფინანსო ორგანიზაციებია, რომლებიც თავიანთ სფეროში საქმიანობის უნივერსალურობაზე არიან ორიენტირებული. მათგან განსხვავებით, სხვა დანარჩენი საკრედიტო ორგანიზაციები ყოველთვის ვიწროდ დასპეციალებული რჩებიან, ე.ი. ყოველი ასეთი ორგანიზაცია საფინანსო ბაზრის შეზღუდული რაოდენობის სეგმენტზე მუშაობს.

ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი ბანკი ყოველ მოცემულ მომენტში ასრულებს საფინანსო ბაზრისთვის დამახასიათებელი ოპერაციების მთელ გამას. საუბარია სხვა რამეზე – იმაზე, რომ ბანკს უფლება აქვს გააკეთოს ეს (არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებისგან განსხვავებით) და ვალდებულია მზად იყოს ამისთვის, თუკი ბაზრის პირობები იქნება ხელსაყრელი და/ან საჭირო იქნება კლიენტებისათვის. რეალურ სინამდვილეში ბანკები კომპრომისულ გადაწყვეტილებას ავნებენ ხოლმე: ზოგიერთ ოპერაციას ისე ახორციელებენ, როგორც თავიანთი სპეციალიზაციის საგანს, ე.ი. მუდმივად და შეძლებისდაგვარად ფართოდ (თანაც, ამგვარ ოპერაციათა ჩამონათვალი, უცვლელი არაა), ზოგიერთს – უფრო ნაკლებად (მხოლოდ იმისთვის, რომ მთლიანად არ მიატოვონ ეს ბაზარი, ან მხოლოდ ცალკეული კლიენტების მოთხოვნით), დანარჩენ ოპერაციებს კი საერთოდ არ ახორციელებენ, მაგრამ ემზადებიან ამისათვის ან მზად არიან ჩაერთონ მათ შესრულებაში აუცილებლობის ან ხელსაყრელი პირობების გაჩენის შემთხვევაში. ამასთან, გასათვალისწინებელია როგორც ეკონომიკური მიზანშეწონილობა და ამა თუ იმ ოპერაციების შესრულებისათვის ბანკების მზადყოფნის ზომა, ისე შესაბამის ბაზრებზე მომუშავე არასაკრედიტო ორგანიზაციების კონკურენტული შესაძლებლობები.

ამგვარად, განმარტების თანახმად, ბანკების უნივერსალური ხასიათის მქონე საფინანსო ინსტიტუტებია (შეუძლიათ იყვნენ ასეთები). მაგრამ არც ერთ არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციას არა აქვს უნივერსალობის თვისება.

ამასთან, ბანკების მრავალ ოპერაციას (საანგარიშსწორებო, საკრედიტო, საკასო, ფასიან ქაღალდებზე, მინდობით მართვის, ფასეულობათა შენახვის და სხვა) ასრულებენ და უნდა ასრულებდნენ კიდეც (თუ საჭიროა, სათანადო ნებართვის არსებობის პირობით) არამარტო ბანკები, არამედ სხვა საკრედიტო ორგანიზაციებიც, ხოლო გარკვეული ზომით – საწარმოებიც კი.

თუმცა, არებობს ისეთი ოპერაციები, რომლებიც ბანკებმა და მხოლოდ ბანკებმა უნდა შეასრულონ. ზემოაღნიშნული მათი საგანგებო პრეროგატივა ზოგადი სახით დასახელებული იყო როგორ გადახდის საშუალებთა ჩამოყალიბება, მათი გაშვება მიმქოცეაში და მიმოქცეიდან ამოღება. ამასთან, საყურადღებოა იმის გათვალისწინება, რომ გადახდის საშუალებათა მიმოქცევის უზრუნველყოფა ბანკების საქმიანობის განკერძოებულ მიმართულებას კი არ წარმოადგენს, არამედ გულისხმობს შინაგან განუყოფელ კავშირს სადეპოზიტო, საანგარიშსწორებო და საგადასახდელო, საკრედიტო, საკასო და სხვა ოპერაციებთან. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ბანკების აღნიშნული საგანგებო პრეროგატივა კონკრეტულად რეალიზდება შემდეგი ჯგუფების ოპერაციებში:

1. ფულის მიღება დეპოზიტებში (ანაბრებში) იურიდიული და ფიზიკური პირებისგან;

2. ფულადი კრედიტების გაცემა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე (ახალი საკრედიტო ფულის გაცემა);

3. ფულის, თამასუქების, საგადასახდელო და საანგარიშსწორებო დოკუმენტების ინკასაცია და ფიზიკური და იურიდიული პირების საკასო მომსახურება;

4. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა.

სწორედ ეს ჩამოთვლილი ოპერაციები განსაზღვრავს ბანკების თვით ბუნებას, რადგანაც მათი ჩატარება მოასწავებს მიმოქცეაში ფულის მასის შემცირებას ან გადიდებას.

აქ უნდა შევეხოთ ერთ მნიშნელოვან გარემოებასაც. ცნობილია, რომ თავიანთი კლიენტებისგან ფულის მიღებას და მათთვის სესხების მიცემას სხვა საკრედიტო ორგანიზაციებიც ეწევიან. მაგრამ საბანკო მომსახურებას ამ მხრივ თავისი სფეციფიკა აქვს. კერძოდ, ბანკების კლიენტებს სრული უფლება აქვთ განკარგონ მათ მიერ რიგ საბანკო ანგარიშებზე შეტანილი ფულადი სახსრები (გადაგზავნონ ფული, აღნიშნული ანგარიშებიდან გადაიხადონ თვიანთი ვალდებულებები და შენაძენის ღირებულება და ა.შ. – პირიქით, ნებისმიერი საბანკო-საკრედიტო ორგანიზაცია თვითონ გამოდის მიღებული ფულის განმკარგავის როლში. ამგვარად, მხოლოდ ბანკი ემსახურება იმ პირებს, რომლებიც თავიანთი ფულადი სახსრების არამარტო მესაკუთრეებად, არამედ განმკარგაეებადაც რჩებიან. საბანკო საქმეში ეს ფუნქცია საანგარიშსწორებო-საგადამხდელო მომსახურების სახელითაა ცნობილი. მაშასადამე, იმ ოპერაციების რიცხვს, რომლებსაც ბანკები და მხოლოდ ბანკები ახორციელებენ, შეგვიძლია დავამატოთ:

5. ფიზიკური და იურიდიული პიროების საბანკო ანგარიშების გახსნა და წარმოება;

6. ანგარიშსწორებისა და გადახდების განხორციელება ფიზკური და იურიდიული პირების დავალებით მათი საბანკო ანგარიშებიდან.

ამ ორი ჯგუფის ოპერაციები უშუალოდ არ მოქმედებენ მიმოქცეაში არსებული ფულის მასის მოცულობაზე, მაგრამ ისინიც ახდენენ ბანკების ბუნების კონსტიტუირებას.

გარდა ამისა, მხოლოდ ბანკებს შეუძლიათ:

7. ანაბრებში მოიზიდონ და თავიანთი სახელით განათავსონ ძვირფასი ლითონები;

8. გასცენ საბანკო გარანტიები.

ასეთია ის ყველაზე უფრო პრინციპული მახასიათებლები, რომლებიც ბანკების ეკონომიკურ „კოორდინატებს“ განსაზღვრავს. მაგრამ რეალური საბანკო პრაქტიკისათვის მხოლოდ ისინი საკმარისი არაა, ამასთან დაკავშირებით აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორაა ბანკი განსაზღვრული კანონმდებლობით, რა მიზნებს უნდა ისახავდეს, როგორი უნდა იყოს მისი ფუნქციონირების პირობები და ა.შ. ეს მომემტები სანიმუშოდ შემდეგი დებულებებით შეიძლება იყოს გადმოცემული:

ა) ბანკი (და ნებისმიერი საკრედიტო ორგანიზაცია) კომერციული ორგანიზაცია უნდა იყოს, ე.ი. ისეთი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის მიზანია მოგების მიღება და მონაწილეებს შორის მისი განაწილება;

ბ) ბანკი (და ნებისმიერი საკრედიტო ორგანიზაცია) ასეთად იქნება აღიარებული და მოქმედებისათვის უფლებამოსილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი დარეგისტრირებულია, როგორც იურიდიული პირი და გააჩნია ცენტრალური ბანკისგან მიღებული ლიცენზია;

გ) ბანკი (და ნებისმიერი საკრედიტო ორგანიზაცია) შეიძლება შექმნილი იყო სრამდენიმე პირის მიერ და ფუნქციონირებდეს:

– საკუთრების იმ ნებისმიერი ფორმის საფუძველზე, რომელიც ქვეყნის სამოქალაქო კოდექსშია მითითებული, იქნება ეს სახელმწიფო, მუნიციპალური თუ კერძო (ინდივიდუალური და/ან საერთო, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ან წილობრივი, ან ერთობლივი) ან საკუთრების სხვა ფორმის. საკუთრების „სხვა“ ფორმებს ეკუთვნის კოოპერატიული და შერეული. შერეული აღნიშნავს საკუთრების სხვადასხვა საბაზო ფორმების შეხამებას (მაგალითად, სახელმწიფოებრივ-კერძო საკუთრება);

– მხოლოდ სამეურნეო საზოგადოების ფორმით, ე.ი. ერთი რომელიმე ორგნიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შემდეგი ფორმებიდან: სააქციო საზოგადოება; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება;

დ) ბანკს (და ნებისმიერ საკრედიტო ორგანიზაციას) შეუძლია და ვალდებულია კიდეც სისტემატურად ასრულებდეს კანონით და მისი პერსონალური ლიცენზიით (ლიცენზიებით) გათვალისწინებულ საბანკო ოპერაციებს. ბანკების აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს ლიცენზიები მათთვის ნებადართული საბანკო ოპერაციების სტანდარტული ჩამონათვალით;

ე) ყოველი ბანკი (და მხოლოდ ბანკი) ვალდებულია თავისი კლიენტებისათვის ერთობლივად (ერთდროულად) ჩაატაროს, როგორ მინიმუმ, სამი ჯგუფის ოპერაციები: საბანკო ანგარიშების გახსნა და წარმოება; ფულადი სახსრების მოზიდვა ანაბრებში (დეპოზიტებში); მოზიდული და საკუთარი სახსრების განთავსება საკუთარი სახელითა და საკუთარი რისკით დაბრუნებადობის, ფასის გადახდის და ვადიანობის პირობით, ე.ი. ფულადი კრედიტების გაცემა;

ვ) ბანკებმა (და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებმა) საბანკო ოპერაციები უნდა ჩაატარონ ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი წესების, ფორმებისა და სტანდარტების შესაბამისად. გარდა ამისა, კანონით შეიძლება ნებადართული იყოს ამ მოთხოვნებიდან ზოგიერთი გამონაკლისი საკრედიტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშსწორებო საგადამხდელო ოპერაციების ჩატარების შემთხვევაში. აქ იგულისხმება ის, რომ ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი წესების უქონლობის შემთხვევაში, საკრედიტო ორგანიზაციებს შეუძლიათ ამ ოპერაციების შესრულება ერთმანეთს შორის მოლაპარაკებით, ხოლო თუკი ეს საერთაშორისო ოპერაციებია, მაშინ სახელმწიფო კანონებისა და საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებული წესების შესაბამისად;

ზ) არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებს, რომლებიც ცენტრალური ბანკის მიერაა ლიცენზირებული, შეუძლიათ და მოვალენი არიან ჩაატარონ კანონით და მათი პერსონალური ლიცენზიებით გათვალისწინებული ცალკეული საბანკო ოპერაციები („ე“ პუნქტში ჩამოთვლილი ცალკეული ოპერაციების ჩათვლით. მათთვის ნებადართული ოპერაციების ჩამონათვალი მკაცრად ინდივიდუალურია იმ ზომით, რა ზომითაც ეს ორგანიზაციები საქმიანობის სხვადასვა სახეებზეა ორიენტირებული). საკუთრივ საბანკო ოპერაციები (მაგალითად, ფულადი დაკრედიტება) ამ ორგანიზაციებისთვის არ ითვლება საქმიანობის ძირითად და რეგულარულ სახედ;

თ) ნებისმიერ ბანკს (და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციას, თუკი მისი ლიცენზია ამის გაკეთების უფლებას აძლევს მას) შეუძლია – თუ ეს საინტერესოა ბანკისთვის (საკრედიტო ორგანიზაციისათვის) და სჭირდება კლიენტს – ჩაატაროს კანონით „საკრედიტო ორგანიზაციების სხვა გარეგებებად“ წოდებული ფინანსური ოპერაციები. ამ ოპერაციების (გარიგებების) განხორციელება შეიძლება საკრედიტო ორგანიზაციების განსაკუთრებულ უფლებად ჩაითვალოს (იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ოპერაციების განხორციელება ეპიზოდურად ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს შეუძლია);

ი) ნებისმიერ ბანკს და ნებისმიერ არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციას, თავიანთი ლიცენზიების მიუხედავად (ე.ი. თუ მათ განვიხილავთ არა სპეციფიკურ საფინანსო ორგანიზაციად, არამედ, როგორც ჩვეულებრივ სამეწარმეო ერთეულად), უფლება აქვს ჩაატაროს ქვეყნის კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სამეურნეო ოპერაცია (გარიგება), გარდა იმ ოპერაციებისა (გარიგებებისა), რომლებიც აღნიშნავს საწარმოო, სავაჭრო და სადაზღვეო ოპერაციების მუდმივად შესრულებას.

საბანკო საქმიანობა (კლიენტისაკენ მიმართულ ნაწილში) შეგვიძლია შემდეგი ფუნდამენტური ცნებების მეშვეობით ავხსნათ:

საბანკო პროდუქტი – კონკრეტული საშუალება, რომლითაც ბანკი ეწევა ან მზადაა გასწიოს კლიენტისათვის საჭირო ესა თუ ის მომსახურება, ე.ი. იმ ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციული, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, საინფორმაციო, ფინანსური, იურიდიული და სხვა ქმედებების (პროცედურების) მოწესრიგებული, შინაგანად შეთანხმებული და, როგორ წესი, დოკუმენტურად გაფორმებული კომპლექსი, რომლებიც შეადგენენ კლიენტთან ბანკის (მისი კონკრეტული ქვედანაყოფების) თანამშრომლების ურთიერთქმედების მთლიანობით რეგლამენტს, კლიენტის მომსახურების ერთიან და დასრულებულ ტექნოლოგიას;

საბანკო ოპერაცია – ბანკის მუშაკთა თვით პრაქტიკული მოქმედებები (მოქმედებათა მოწესრიგებული, შეთანხმებული ერთობლიობა) კლიენტის მომსახურების (მის მიერ შეკვეთილი კონკრეტული მომსახურების გაწევის) პროცესში, საბანკო პროდუქტის პრაქტიკული განხორციელების ფორმა. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვით საბანკო პროდუქტი სხვა არაფერია, თუ არა საბანკო ტექნოლოგია, ე.ი. ბანკის თანამშრომელთა გარკვეული უნარი, რომელსაც შეიძლება იყენებდნენ, თუკი ეს სჭირდება კლიენტებს, ან არ იყენებდნენ და იგი „რეზერვში" რჩებოდეს;

საბანკო მომსახურება – საბანკო ოპერაციის შედეგი, ე.ი. საბანკო ოპერაციის (ბანკის თანამშრომელთა მიზანმიმართული შრომითი საქმიანობა) შედეგი ან სასარგებლო ეფექტი, რომელიც მდგომარეობს კლიენტის მიერ გაცხადებული მოთხოვნილების (კრედიტი, საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურება, გარანტიები, ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა და ა.შ.) დაკმაყოფილებაში.

1.3. ბანკის არსის ანალიზისათვის

საბანკო დაწესებულებათა საქმიანობა მრავალმხრივია. თანამედროვე საზოგადოებაში ბანკები ახორციელებენ სხვადასხვაგვარ ოპერაციებს. ისინი მარტო ფულად მიმოქცევას და საკრედიტო ურთიერთობებს როდი უკეთებენ ორგანიზებას. მათი მეშვეობით ხორციელდება სახალხო მეურნეობის დაფინანსება, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, ზოგ შემთხვევაში კი-საშუამავლო გარიგებები და ქონების მართვა. საკრედიტო დაწესებულებები იძლევიან კონსულტაციებს, მონაწილეობენ საკანონმდებლო და სახალხომეურნეობრივი პროგრამების განხილვაში, ასრულებენ სტატისტიკურ სამუშაოების, აქვთ თავიანთი დამხმარე საწარმოები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბანკის არსია არა სპეციფიკურობა, არამედ მრავალმხრივობა. მისი საქმიანობის სფეროში შედის ისეთი სახეობები, რომელთა შესრულება სხვა დაწესებულებებსაც შეუძლია.

ბანკის არსის ახსნას ორი – იურიდიული და ეკონომიკური – მხრიდან შეგვიძლია მივუდგეთ. პირველ შემთხვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ცნება „საბანკო ოპერაციები". მათ ჩამონათვალში შედის ის ოპერაციები, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ საბანკო საქმიანობას.

იურიდიული ასპექტის დიდ მნიშვნელობასთან ერთად ბანკის არსის პრობლემა ღიად რჩება. მისი არსის ახსნა არ არის მხოლოდ და მხოლოდ კანონთან ბანკის საქმიანობის მიმართება. ბანკის, როგორც ასეთის, არსს არც იურიდიული კანონი განსაზღვრავს და არც ის ოპერაციები,

რომელთა შესრულების ნებაც მას აქვს, არამედ საქმის ეკონომიკური მხარე, ბანკის ბუნება, რაც მას აძლევს საკანონმდებლო უფლებას, განახორციელოს შესაბამისი გარიგება. ბანკის არსის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია არ დაიკარგოს ისტორიული კანონზომიერებები, გათვალისწინებულ იქნეს ის მდგრადი, ტრადიციული გარიგებები, რაც ზემოთ იყო აღნიშნული (შენახვის ოპერაცია. ვალუტის გაცვლა, დაკრედიტება, ანგარიშსწორებები). მეორე მხრივ, გამოიყოს ამ ოპერაციებიდან ისინი, რომლებიც ეკონომიკურ კონიუნქტურას და საზოგადოების განვითარების გარკვეული ეტაპის თავისებურებებს მოაქვს. მთლიანად ბანკის არსის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მოვლენის შეცნობა მოითხოვს პასუხს არა იმ კითხვაზე, თუ რას აკეთებს იგი, რა ოპერაციებს ასრულებს ან ასრულებდა, არამედ იმაზე, თუ რა თვისებები აქვს მას, რაც გამოხატავს მის არსებით განსაზღვრულობას და განკერძოებულობას.

ბანკის არსის ანალიზი მოითხოვს არა იმ საკითხების შემთხვევითი ერთობლიობის ეტაპობრივად გამოკვლევას, რაც საბანკო საქმიანობას ახასიათებს, არამედ პასუხს იმ კონკრეტულ კითხვებზე, რომლებსაც მეთოდოლოგია აყენებს. ამ მოთხოვნათა შესრულების გარეშე საკითხი ბანკის არსის შესახებ კარგავს მიზნობრივ მიმართულებას; ანალიზს იმ სამუშაოთა სახეობების აღწერად აქცევს, რასაც ბანკი ასრულებს და რომლებიც, მათი მნიშვნელობის მიუხედავად, ნათელს არ ჰფენენ ცენტრალურ საკითხს ბანკის არსის შესახებ.

ბანკის არსის ანალიზის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი რიგი მეთოდოლოგიური მოთხოვნების დაცვას, რომლებიც შემდეგზე შეგვიძლია დავიყვანოთ:

1. არსის გაგება ძნელია იმ ოპერაციების განხილვის საფუძველზე, რომლებსაც ყოველი ბანკი ასრულებს თავისი ამა თუ იმ კლიენტის მიმართ. ამა თუ იმ მომენტში ბანკი შესაძლოა არ ასრულებდეს რომელიმე საბანკო ოპერაციას; ყოველ ცალკეულ კლიენტს უფლება აქვს ისარგებლოს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის მომსახურებით, მაგრამ კონკრეტული ბანკი ამით არ კარგავს თავის ფუნქციას. ანალიზის დროს უნდა მოვახდინოთ ცალკე აღებული რომელიმე ბანკის ოპერაციებისგან აბსტრაჰირება. ამ აზრით მისი არსი აბსტრაქტულია, იგი გამოხატავს ბანკის როგორც მთელის რეალური საქმიანობის ყოველმხრივ დახასიათებას. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ არსი განვიხილოთ მაკროდონეზე, მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში, კონკრეტული ბანკების რეალური საქმიანობის მთელი მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

2. ბანკის არსი ერთიანია მისი ტიპის მიუხედავად. იგი დამოკიდებული არა არის იმაზე, თუ რომელ ბანკს განვიხილავთ – კომერციულს თუ საემისიოს, სპეციალიზებულს თუ უნივერსალურს. კერძოს თუ სახელმწიფო ბანკს. საერთაშორისოს თუ ადგილობრივს. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრაქტიკაში ყველა ეს ბანკი ერთგვაროვანია. პირიქით. მათ თავ-თავიანთი თავისებურებები აქვთ, მაგრამ ყველა ეს თავისებურება ბანკების, როგორც მთელის, მრავალფეროვნებას ასახავს და სხვა არაფერს.

3. ბანკის არსი მოითხოვს მისი იმ თავისებურებებისა და სპეციფიკური ნიშან-თვისებების გამოაშკარავებას, რომლებიც სხვა ეკონომიკური ინსტიტუტებისგან გამოარჩევს მას. ამ აზრით ბანკი, უპირველეს ყოვლისა, ის საწარმოა, რომელიც განსაკუთრებულ. სპეციფიკურ პროდუქტს აწარმოებს. მაგრამ თვით სიტყვა „საწარმო" შინაარსის თვალსაზრისით ბევრს არაფერს გვეუბნება და ახსნა-განმარტებას მოითხოვს, რადგანაც ბანკი არც ფაბრიკაა, არც ქარხანა და არც სამშენებლო ორგანიზაცია. იგი მათგან მრავალი პრინციპული პოზიციით განსხვავდება. მაგალითად, სამრეწველო საწარმოსგან ბანკი იმით განსხვავდება, რომ მისი საქმიანობა ხორციელდება არა წარმოების, არამედ მიმოქცევის, გაცვლის სფეროში. ბანკი შუამავალია საქონელმწარმოებლებს შორის, უფრო გამყიდველია, ვიდრე მწარმოებელი.

ბანკი, როგორც სპეციფიკური საწარმო, ისეთ პროდუქტს აწარმოებს, რომელიც არსებითად განსხვავდება მატერიალური წარმოების სფეროს პროდუქტისგან. იგი აწარმოებს არა უბრალოდ საქონელს, არამედ განსაკუთრებული სახეობის საქონელს

ფულის, საგადამხდელო საშუალებების სახით. ფული კლავწარმოებითი კატეგორიაა; ბანკის, როგორც კლავწარმოების სუბიექტების მთელ მასაში გამოყოფილი ერთადერთი მონოპოლისტის, მიერ გამოშვებული ნაღდი ფული ემსახურება როგორც წარმოების, ისე განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროებს. ამ პროდუქტთან ერთად ბანკები მრავალგვარ მომსახურებასაც ეწევიან, რომლებიც უპირატესად ფულადი ხასიათის მქონეა.

მომსახურების სფეროში ბანკის ძირითადი პროდუქტია (სამრეწველო საწარმოსგან განსხვავებით) არა ნივთებისა და მოხმარების საგნების წარმოება, არამედ კრედიტის გაცემა. **საბანკო კრედიტის თავისებურება ისაა, რომ მას გასცემენ არა როგორც ფულის რაიმე თანხას, არამედ როგორც კაპიტალს.** ეს იმას ნიშნავს, რომ სესხად გაცემულმა ფულადმა სახსრებმა არა მარტო წრებრუნვა უნდა შეასრულოს მსესხებლის მეურნეობაში, არამედ თავის საწყის იურიდიულ წერტილს უნდა დაუბრუნდეს კიდეც სასეხო პროცენტის, როგორც ახლად შექმნილი ღირებულების ნაწილის სახით.

თუ ბანკი ძირითადად სხვისი ფულით მუშაობს, რომელიც დაბრუნების საწყისებზეა აკუმულირებული, საწარმო უმეტესწილად საკუთარი რესურსებით ახორციელებს თავის საქმიანობას.

სამრეწველო საწარმოსგან ბანკი ემიტირების ხასიათითაც განსხვავდება. იგი არა მარტო უშვებს აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებს, არამედ სხვა ემიტენტების ფასიანი ქაღალდების აღრიცხვისა და შენახვის ოპერაციებსაც ასრულებს.

ბანკი სავაჭრო, საშუამავლო საწარმო უფროა, ვიდრე სამრეწველო. ვაჭრობასთან ბანკის მსგავსება შემთხვევითი არაა. ბანკი მართლაც თითქოს „იძენს“ და „ჰყიდის“ რესურსებს, საქმიანობს გადანაწილების სფეროში, ხელს უწყობს საქონლის გაცვლას. მას ჰყავს თავისი „გამყიდველები“, აქვს საცავები, განსაკუთრებული „სასაქონლო მარაგი“. მისი საქმიანობა დიდადაა დამოკიდებული ბრუნვაზე.

სავაჭრო ორგანიზაცია, თავის მხრივ, იმით ჰგავს ბანკს, რომ მას ზოგიერთი საბანკო მომსახურების გაწევა შეუძლია. მაგალითად, ისე, როგორც ბანკს, მსხვილ სავაჭრო საწარმოსაც შეუძლია გასცეს ფულადი კაპიტალის მნიშვნელოვანი თანხები, თანაც უმეტესწილად იმუშაოს არა თავისი, არამედ ნასესხები კაპიტალით.

ბოლოს, როგორც ვაჭრობაში, აქაც ხშირად გვხდება ღირებულების შემხვედრი მოძრაობა. ბანკი ეწევა მომსახურებას, მისი საქონლის ღირებულება გადის მისგან და იმავდროულად მისი პროდუქტის მიმღებისგან შემოდის ამ საქონლის ეკვივალენტური საზღაური (მაგალითად, გაწეული საანგარიშსწორებო, საკასო, საკონსულტაციო და სხვა მომსახურების შესაბამისი საკომისიო გადასახადი).

ძირითადად ამით ამოიწურება ბანკსა და ვაჭრობის სფეროს შორის არსებული მსგავსება. სავაჭრო საწარმოსგან ბანკის ძირფესვიანი განსხვავება ბანკის საფუძველში მდგომარეობს. ბანკის საფუძველს, მის მთავარ თვისებას — საკრედიტო საქმეს უწოდებენ. ეს ის საქმეა, რომელიც საქმიანობის სხვა უამრავ სახეობათა შორის ისტორიულად დაუმკვიდრდა ბანკს როგორც მისი ფუძემდებლური საქმიანობა და რომლის მასშტაბებმაც განსაკუთრებული ორგანიზაცია მოითხოვა.

ასეთ პირობებში ბანკი წარმოგვიდგება არა როგორც სავაჭრო, არამედ როგორც განსაკუთრებული, სპეციფიკური საწარმო, რადგანაც:

— ვაჭრობის დროს გვხვდება ღირებულების შემხვედრი მოძრაობა, კრედიტის დროს კი ცალმხრივი (გასესხებული ღირებულება გადაეცემა მსესხებელს, რომელიც სესხს მხოლოდ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ აბრუნებს);

— ვაჭრობის დროს საქონელზე არსებული საკუთრება გამყიდველიდან მყიდველზე გადადის, კრედიტის დროს კი ეს არ ხდება (გასესხებული ღირებულება მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადადის მსესხებელთან);

— სავაჭრო გარიგებით იყიდება ის, რაც მფლობელს ეკუთვნის. კრედიტის დროს ეს ყოველთვის

არ ხდება (მაგალითად, ბანკი უფრო მეტად გასცემს იმას, რაც მას არ ეკუთვნის, იგი სხვისი ფულით ვაჭრობს);

– ვაჭრობის დროს გამყიდველი მყიდველისგან იღებს საქონლის ფასს; კრედიტის დროს კრედიტორი იღებს არა მარტო გაცემული სესხის თანხას, არამედ ნამატსაც სასესხო პროცენტის სახით.

ბანკის, როგორც საწარმოს გაგებას, მთელი მისი პირობითობის მიუხედავად (ჰგავს იგი სამრეწველო საწარმოს თუ განსხვავდება მისგან), მაინც აქვს არსებობის უფლება, რადგანაც უფრო მეტად ახასიათებს მისი საქმიანობის მწარმოებლურ ხასიათს.

4. ბანკის არსი მოითხოვს მისი სტრუქტურის ახსნას. ბანკის სტრუქტურა არ უნდა ავურიოთ ბანკის მართვის აპარატის სტრუქტურაში (ეს საკითხი ცალკე იქნება განხილული). ბანკის სტრუქტურად უნდა გავიგოთ მისი ისეთი აგებულება, რომელიც საშუალებას აძლევს მას ისე იმოქმედოს, როგორც სპეციფიკურმა საწარმომ (ინსტიტუტმა). ამ აზრით ბანკის აგებულება მოიცავს ოთხ სავალდებულო ბლოკს, რომელთა გარეშეც მას არ შეუძლია არსებობა და განვითარება.

პირველ ბლოკში შედის საბანკო კაპიტალი, როგორც ისეთი სპეციფიკური კაპიტალი, რომელიც გამოცალკევებულია სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალისგან, არსებობს უმეტესწილად სასესხო ფორმით და მხოლოდ მოძრაობაში იმყოფება.

მეორე ბლოკში შედის ისეთი საბანკო საქმიანობა, რომელიც განსხვავდება სხვა საწარმოების და ინსტიტუტების საქმიანობისგან თავისი პროდუქტის ხასიათით და რომელიც მის მთავარ საქმიანობად იქცა (იმ სხვა სუბიექტებისგან განსხვავებით, რომელთაც მხოლოდ ცალკეული საბანკო ოპერაციების შესრულება შეეძლოთ, რაც არ გამხდარა მათთვის მთავარი, ფუძემდებლური საქმიანობა).

მესამე ბლოკი შედგება იმ ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფისაგან, რომელთაც აქვთ სპეციფიკური ცოდნა საბანკო საქმის და ბანკის მართვის დარგში.

მეოთხე ბლოკს შეიძლება ვუწოდოთ საწარმოო ბლოკი, რადგანაც მასში შედის საბანკო ტექნიკა, შენობები, ნაგებობები, კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის საშუალებები, საშინაო და საგარეო ინფორმაცია, გარკვეული სახეობის საწარმოო მასალები. ბანკის სპეციფიკის, მისი საფუძვლისა და სტრუქტურის ანალიზის გათვალისწინებით ბანკები შეიძლება განვმარტოთ როგორც ისეთი საწარმო ან ისეთი საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, რომლის მთავარი ფუნქციებიც არის: დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაცია და მათი გაცემა კრედიტის სახით დროებით სარგებლობაში ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე; აწარმოებს ფულისა და ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა სახის ოპერაციებს, ფინანსურ მომსახურებას უწევს მთავრობას, საწარმოებს, მოქალაქეებსა და ერთმანეთს. ბანკები ინახავენ, ყიდულობენ და ყიდიან, ცვლიან ფულსა და ფასიან ქაღალდებს, აკონტროლებენ ფულადი სახსრების მოძრაობას, ფულისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევას, ეწევიან საგადამხდელო და საანგარიშსწორებო მომსახურებას.

ბანკის ფუნქციების განსაზღვრისას ერთ სირთულესთან გვაქვს საქმე: ბანკების, ისე, როგორც მათი ძირითადი კონკურენტების ფუნქციები, მუდმივად იცვლება. მართლაც ბევრი ფინანსური ინსტიტუტი, საბროკერო ფირმა, სადაზღვევო კომპანია და ა.შ. გაწეული მომსახურებით „ცდილობენ" მიუახლოვდნენ ბანკებს და პირიქით, ბანკები არასაბანკო კონკურენტებთან ბრძოლისას გვთავაზობენ უძრავი ქონების და ფასიანი ქაღალდების ოპერაციებთან დაკავშირებულ საბროკერო მომსახურებას, ასრულებენ სადაზღვევო ოპერაციებს და სხვ. სწორედ ამიტომ ბანკმა „შეიძინა" ახალი სახელწოდება: „საფინანსო უნივერმაღი".

1.4. საბანკო მონოპოლია

საბანკო მონოპოლია და ბანკების დამოკიდებულება ერთმანეთთან და გარე სამყაროსთან. კომერციული ბანკის ურთიერთდამოკიდებულებათა რეგულირება საბანკო კანონმდებლობის ძირეულ საკითხებს განეკუთვნება. იგი მოიცავს საბანკო მონოპოლიის, აგრეთვე, კლიენტებთან და ერთმანეთთან ბანკების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს.

მონოპოლია (მონო... + ბერძნ. poleo - ვყიდი) გამოხატავს ერთი პირის, ამხანაგობის ან სახელმწიფოს მიერ გარკვეული პროდუქტების მოპოვების, წარმოებისა და გაყიდვის უფლებას.

არსებობს ცნობილი თეორია, რომელიც მონოპოლიზაციის ხარისხზე დამოკიდებულებით ბაზარს ხუთ ძირითად სახეობად ყოფს: მონოპოლია, ნაწილობრივი მონოპოლია, ოლიგოპოლია, ნაწილობრივი ოლიგოპოლია და კონკურენცია. მონოპოლიზაციის სათანადო დონე შეიძლება გამომჟღავნდეს როგორც გამყიდველის, ისე მიმღების მხრიდან. რადგანაც მოცემული ფორმები ერთმანეთისგან იზოლირებული არაა, მთლიანობაში განასხვავებენ მათ 25 კომბინაციას. ნაწილობრივი მონოპოლია იმ შემთხვევაში წარმოიშობა, როდესაც ბაზარზე გამოდის არა ერთი გამყიდველი და მყიდველი, არამედ მრავალი. თუმცა, ერთ-ერთი მათგანი თავისი მწარმოებლურობითა და სამომხმარებლო ძალით იმდენად უსწრებს წინ ბაზრის დანარჩენ სუბიექტებს, რომ ყველა ისინი იმ ერთზე არიან ორიენტირებული. ამგვარი მონოპოლისტი შესაძლოა არ ითვალისწინებდეს ბაზრის სხვა მონაწილეთა პოზიციას.

ოლიგოპოლია (ბერძნ. oligos - ცოტა, უმნიშვნელო) როგორც მონოპოლიის სახეობა მაშინ ჩნდება, როდესაც პროდუქტის მოპოვების, წარმოების ან გაყიდვის უფლება მონაწილეთა მცირე რაოდენობას ეკუთვნის; ესაა თავისებური კოლექტიური მონოპოლია, რომელიც გაერთიანებისკენ მიიმსწრაფვის ბაზრის ერთობლიად დაუფლების მიზნით (თავისებური კარტელის ფორმით). ნაწილობრივი ოლიგოპოლია შუალედური საფეხურია კონკურენციასა და ოლიგოპოლიას შორის.

ჩვენს მიერ განხილული საბანკო საქმიანობის სახეებიდან აშკარად ჩანს ის გარემოება, რომ ცალკეული საბანკო ოპერაციების შესრულება მხოლოდ ბანკის მონოპოლია არ არის, რომ ბანკის მონოპოლიაა ის რაღაც ერთად, რისი გაკეთების უფლებაც სხვა სუბიექტებს არა აქვთ. ასეთი ცალკეული ოპერაციები კომერციულ ბანკს პრაქტიკულად არ გააჩნია. მხოლოდ ცენტრალური ბანკი ფლობს ასეთ მონოპოლიას: მის გარდა არავინ უშვებს მიმოქცევაში ნაღდ ფულს, მთლიანობაში არ ასრულებს ოპერაციებს ე.წ. საბრუნავ სალაროზე (ნაღდი ფულის გამოშვება, შენახვა და მიმოქცევიდან ამოღება). თანამედროვე გაგებით, საბანკო მონოპოლია არის:

- მხოლოდ ბანკის მიერ ერთდროულად სამი საბანკო ოპერაციის შესრულების (დეპოზიტები, კრედიტები, გადახდის საშუალებები) უფლება;
- გარკვეული საზღვრების დაწესება სხვა სუბიექტების მიერ საბანკო ოპერაციების შესრულებაზე.

მაინც რა საზღვრებს ადგენენ საბანკო ოპერაციების შესრულებაზე? თანამედროვე რედაქციით ამგვარი საზღვრები დაფიქსირებული არაა და ამიტომ ბაზრის ყველა მონაწილეს იმავე ოდენობითა აქვს ამა თუ იმ საბანკო ოპერაციის ჩატარების შესაძლებლობა, როგორც ბანკს. ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის არასწორად გამოყენებისთვის პასუხისმგებლობას არეგულირებს არა საბანკო კანონები, არამედ უფრო ზოგადი მოქმედების კანონები.

ბანკი მეურნეობის მხრიდან გამოვლენილი მოთხოვნების ნაყოფია. იგი ეკონომიკური ცხოვრების ცენტრშია მოქცეული და თავისი კლიენტების ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ბოლო წლებში სულ უფრო მკვიდრდება ბანკის როგორც პარტნიორის იდეოლოგია.

პარტნიორულ ურთიერთობებს გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. ესენია: 1) ნებაყოფლობითობა; 2) ურთიერთდაინტერესებულობა; 3) კომერციული ხასიათი. ტერიტორიული

მდებარეობის მიუხედავად, ყოველი კლიენტი თვითონ განსაზღვრავს. თუ რომელი ბანკის მომსახურებით ისარგებლებს იგი. აქ არ არსებობს რაიმე გაწერა ან ბანკზე იძულებით მიმაგრება. ეს თანაბრად ეხება ბანკსაც, რომელიც თვითონ ირჩევს თავის კლიენტს. არჩევანი მოკლევადიანიც შეიძლება იყოს და გრძელვადიანიც. ბევრი რამ დამოკიდებულია იმით ურთიერთდაინტერესებაზე, ერთჯერადად ჯობს ამა თუ იმ ბანკის მომსახურების გამოყენება და მუდმივად. პარტნიორთა „ლტოლვა" ერთმანეთისკენ კომერციულ საფუძველს ეყრდნობა. კლიენტი მზადაა გადაიხადოს იმ კრედიტისთვის, საანგარიშსწორებო ოპერაციებისა და სხვა მომსახურებისთვის, რომლებიც მოგებიანია მისთვის. ბანკი მზადაა გაყიდოს თავისი პროდუქტი და შესაბამისი ჯილდო მიიღოს ამისათვის. ამ დროს ბანკი კლიენტზე მუშაობს (იცავს ფილოსოფიას „ყველაფერი კლიენტისათვის") და ხელს უწყობს მისი წარმოების უწყვეტობას, მაღალ ხარისხს, კონკურენტუნარიანობას. კეთილწარმოებისთვის საკმარისი მოგების მიღებას. კლიენტის მიერ მოგების უზრუნველყოფით ბანკი თავის კომერციულ ინტერესსაც იკმაყოფილებს და ჯილდოს იღებს სასესხო პროცენტის ან კომისიის სახით.

საბანკო კანონმდებლობა ორი მხარის ინტერესებს იცავს და კლიენტისთვის უზრუნველყოფს:

- ბანკში ანგარიშის გახსნის უფლებას;
- ბანკისათვის გადახდის გადავადების მიღების უფლებას;
- გარკვეულ შემთხვევებში ზოგიერთი საბანკო ოპერაციის დამოუკიდებლად შესრულების შესაძლებლობას;
- ბანკის საბჭოში, ბანკების ასოციაციებში მონაწილეობის შესაძლებლობას;
- საბანკო საიდუმლოების დაცვას;
- მისი ანაბრების დაცვას.

ანგარიშის გახსნის უფლებას შეიძლება ჰქონდეს წმინდა დეკლარაციული ხასიათი, რადგან თუკი ბანკს არ სურს „ეჯახიროს" მცირე კლიენტს, იგი რაიმე საპატიო საბაბით მოახერხებს უარი უთხრას მას ამაზე. ამიტომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში კლიენტს უფლება აქვს მოსთხოვოს ცენტრალურ ბანკს იმ საკრედიტო დაწესებულების მითითება, სადაც მას აუცილებლად გაუხსნიან ანგარიშს (საფრანგეთში ანგარიშის გახსნა ფოსტითაც შეიძლება).

კლიენტისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არამარტო ამა თუ იმ საბანკო მომსახურებით სარგებლობის უფლებას, არამედ მის დაცვასაც ბანკის არაუფლებამოსილი მოქმედებებისგან საკრედიტო დახმარების შეწყვეტის შემთხვევაში.

გადახდის გადავადების უფლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია მსესხებლისათვის, რომელიც მის განვითარებას განსაზღვრავს. ცნობილია, რომ ბანკის კლიენტი შესაძლოა მთელ რიგ შემთხვევებში სიძნელეებს აწყდებოდეს კრედიტის დაბრუნებისას. ცხადია, საუბარია იმ ფინანსურ სიძნელეებზე, რომლებიც ობიექტურ გარემოებებს უკავშირდება და არა მისსავე ცუდად მუშაობას. იქ, სადაც დაქვეითებულია კლიენტის კრედიტუნარიანობა, სადაც მან არაერთხელ დაარღვია ბანკთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულება და სახელი შეირცხვინა, გადახდის გადავადება შეუძლებელია. კანონი ამ შემთხვევაში მხოლოდ იმ კლიენტს იცავს, რომელიც აკურატულად ასრულებს თავის მოვალეობებს. არსებითად, ამ შემთხვევაში კანონი ბლოკავს ბანკის იმ მოქმედებებს, რომლებიც მსესხებლის ფინანსურ შესაძლებლობათა დაქვეითებისკენ, ბანკირის მიერ კლიენტის „მოვუდვისკენაა" მიმართული.

ამგვარი საშიშროება ნამდვილად არსებობს. პრაქტიკულად მას ყველაზე შესამჩნევი გავლენა აქვს მცირე და საშუალო საწარმოებზე. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, საკრედიტო დახმარების შემცირება ან შეჩერება კლიენტის წერილობითი საფუძვლის შედეგად ხდება შესაძლებელი, თანაც თავისდროულად 30-დან 60 დღემდე (გაცემული კრედიტის სახეზე დამოკიდებულებით). დაკრედიტების შემცირების ან შეწყვეტის პირობების გადასინჯვის პროცე-

დურა, ჩვეულებრივ, დაფიქსირებულია წერილობით შეთანხმებაში. აქვე შესაძლებელია დაზუსტებული იყოს საკრედიტო დაწესებულების მატერიალური პასუხისმგებლობაც.

კლიენტის მიერ საბანკო ოპერაციების დამოუკიდებლად შესრულების შესაძლებლობის მიღების უფლება დიდხანს საკამათო იყო. ეჭვქვეშ აყენებდნენ კლიენტის მიერ ამ ოპერაციების შესრულების თვით შესაძლებლობას, ჯერ ერთი, შესაბამის სამეურნეო დონეზე და, მეორე, რისკის გაძლიერების გარეშე. კომპრომისს უმთავრესად იმის ხარჯზე მიაღწიეს, რომ საბანკო ოპერაციების ჩატარება მოითხოვს სათანადო ლიცენზიის მიღებას, რომელსაც მხოლოდ გარკვეული პირობების (მატერიალური, ტექნიკური, პროფესიული) დაცვისას გასცემენ. ეს მხოლოდ იმ მსხვილ კლიენტებს შეუძლიათ, რომლებსაც აქვთ ბანკების მოთხოვნების შესაფერისი სპეციალური ქვედანაყოფების გახსნის უნარი. რაც შეეხება რისკს, მიაჩნიათ, რომ საწარმოს მიერ დამატებითი (თავისი ძირითადი საქმიანობის გვერდით) საბანკო ოპერაციების შესრულების უკვე თვით ფაქტი მოწმობს დივერსიფიკაციას და, მაშასადამე, რისკის შემცირებას. ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მეორე წესი მოქმედებს: კლიენტის დამატებითი ბიზნესი (გარკვეული საბანკო ოპერაციების შესრულების ფორმით) არ უნდა სცდებოდეს მისი ძირითადი საქმიანობის მიმართ 10%-იან ზღურბლს.

ბანკის საბჭოში კლიენტის შესვლის შესაძლებლობას არეგულირებს ზოგადი დებულებები სააქციო საზოგადოების შესახებ. იურიდიული ნორმების თანახმად, ბანკის საბჭოში შედიან მისი ის დამფუძნებლები, რომლებსაც გარკვეული წილი აქვთ ბანკის საწესდებო კაპიტალში.

თავის მხრივ, აქციონერებს, სამწუხაროდ, ხშირად არა აქვთ მკაცრი იურიდიული ვალდებულებები, მაშინ, როდესაც თვით მათთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სააქციო ვალდებულებების შესრულებას. კანონი იცავს ბანკს, რადგან არეგულირებს მას შექმნის სტადიაზე და აყალიბებს დამფუძნებლების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კანონი, ასევე, უკრძალავს ბანკის დამფუძნებლებს, მისი მონაწილეების შემადგენლობიდან გამოვიდნენ ბანკის რეგისტრაციის დღიდან პირველი სამი წლის განმავლობაში.

მაკროდონეზე ბანკის კლიენტის ინტერესების უზრუნველყოფა შეიძლება საბანკო სექტორში მოღვაწე მსხვილი საწარმოების როგორც მეურნეობის აგენტების მონაწილეობით სხვადასხვა საბანკო ასოციაციაში. მთელი რიგი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან იქმნება სათათბირო საკონსულტაციო საბჭო, რომლის მონაწილეთა შორისაც შეიძლება იყვნენ სახალხომეურნეობრივი სექტორის გამოჩენილი პრაქტიკული მუშაკები.

ბანკთან კლიენტის ურთიერთობას დიდად განსაზღვრავს საბანკო კრედიტის (ანაბრის, კრედიტის და ა.შ.) გამოყენების შესაძლებლობის მრავალფეროვნება და ფულის ბაზრის ხელმისაწვდომობა.

ბანკის კლიენტ საწარმოებს საბანკო მომსახურებით სარგებლობის საკმაოდ ფართო შესაძლებლობები აქვთ. არსებობს უამრავი სახესხვაობის საბანკო კრედიტი. ამასთან, ხშირად მათ გასცემენ კლიენტის ადრინდელი ფინანსური „ბიოგრაფიის“ ანალიზის და არა მომავალი განვითარების (კლიენტურისა და ბაზრების რაოდენობა და ხარისხი) გათვალისწინებით; განვითარება ვერ ჰპოვა ე.წ. გლობალურმა სამეურნეო კრედიტმა.

ცხადია, ქვეყნის თანამედროვე სიტუაციაში (კრიზისი, ინფლაცია, სუსტი საკონტროლო დისციპლინა) სერიოზულად ძნელდება ნებისმიერი გლობალური ფორმა.

უფრო განვითარებულია ცალკეული სამეურნეო ოპერაციების მიზნობრივად დაკრედიტება. მაგრამ კანონი არათუ გაელენას უნდა ახდენდეს ახლანდელ მდგომარეობაზე, არამედ საბანკო პროდუქტის უფრო ფართოდ გამოყენების თეორიულ შესაძლებლობასაც უნდა იძლეოდეს. ცხადია, ამის გაკეთება შეიძლება არამარტო ეკონომიკური სტაბილიზაციის მეშვეობით, არამედ ისეთი იურიდიული სიახლეების შემოღებით, რომლებიც, კერძოდ, საკუთრებაზე მინდობილობის უფლების გადაცემის შესაძლებლობას იძლევა. ამ შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულების მომსახურების გარანტირებულობის წყალობით საწარმოები სერიოზულ მხარდაჭერას იღებენ თავიანთი

პროგრამების დაფინანსებაში. ევროპის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, საკუთრებაზე მინდობილობის უფლების გადაცემა შეიძლება განხორციელდეს უბრალო საანგარიშსწორებო ჩანაწერით ან ინფორმაციის საშუალებებით (მაგალითად, მაგნიტური ლენტით).

ფულის ბაზრის ხელმისაწვდომობას ისიც განსაზღვრავს, თუ რამდენადაა განვითარებული ქვეყანაში „ხანმოკლე" ფულის (კრედიტების მიღება 1-დან 10 დღემდე ვადით), აგრეთვე, ფასიანი ქაღალდების, მათ შორის - საწარმოთა ბონების ბაზარი, რომლებიც ბანკის კლიენტი საწარმოების საქმიანობის დაფინანსების შესაძლებლობას იძლევა.

კლიენტის ინტერესებს კანონმდებლობა საბანკო საიდუმლოების დაცვის მეშვეობითაც უზრუნველყოფს. ბანკები და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები ახდენენ თავიანთი კლიენტებისა და კორესპონდენტების ოპერაციების, ანგარიშებისა და ანაბრების შესახებ საიდუმლოს გარანტირებას. იურიდიული პირებისა და იმ მოქალაქეთა ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ მონაცემები, რომლებიც იურიდიულ პირად ჩამოყალიბების გარეშე ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას, გადაეცემა თვითონ მათ, სასამართლოებსა და საარბიტრაჟო სასამართლოებს (მოსამართლეებს), საგადასახადო სამსახურის ორგანოებს და საბაჟოს ორგანოებს მათი საქმიანობის შესახებ მიღებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

წინასწარი ძიების ორგანოებს კლიენტისა და მისი ოპერაციების შესახებ ინფორმაციას იმ საქმეებზე, რომლებიც მათთან იმყოფება წარმოებაში, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობისას აძლევენ.

საბანკო საიდუმლოს გათქმისათვის ცენტრალურ ბანკებს, კომერციულ ბანკებს, არასაბანკო საკრედიტო და საუდიტორო ორგანიზაციებს, მათი თანამდებობის პირებსა და თანამშრომლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, მათ შორის - მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

საბანკო კანონმდებლობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეანაბრის უფლებების დაცვას. კანონი ითვალისწინებს ანაბრების დაზღვევის სავალდებულო ფონდის შექმნას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბანკის მიერ მოსახლეობისგან მოზიდული სახსრების დაბრუნების გარანტირება.

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ანაბრების დაცვის სისტემას შემდეგი ფორმები შეიძლება ჰქონდეს:

- სახელმწიფო გამოდის მოსახლეობის მთელი ანაბრების გარანტად;
- გარანტად გამოდის ცენტრალური ბანკი, რომელიც კომერციული ბანკების სავალდებულო გადარიცხვებიდან ქმნის სპეციალურ რეზერვებს;
- გარანტად გამოდის ბანკების მთელი ერთობლიობა (ბანკებმა შესაძლოა შექმნან ფონდები (რეზერვები) სპეციალური შენატანების გადახდის მეშვეობით, დაფარონ გაკოტრებული საკრედიტო დაწესებულების ზარალი მომხდარი ფაქტის შესაბამისად და მოქმედი ბანკის კაპიტალისა და ოპერაციების მოცულობის გათვალისწინებით;
- ანაბრების დაცვის დამატებითი (ორმაგი) გარანტია მთელ საბანკო სისტემაში ცენტრალიზებული რეზერვების და ბანკების ჯგუფის, მაგალითად, იპოთეკური ბანკების, სპეციალური სარეზერვო ფონდების ფორმირების მეშვეობით.

ბანკებს უფლება აქვთ, ასევე, შექმნან ანაბრების ნებაყოფლობითი დაზღვევის ფონდები, რაც, აგრეთვე, უზრუნველყოფს ანაბრების დაცულობას, მათზე შემოსაელების გაცემის ჩათვლით.

კანონი გარკვეულწილად იცავს ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშებზე არსებულ ფულად და სხვა ფასეულობებს გაუმართლებელი ამოღებისაგან. დადგენილია, რომ სახსრების ამოღება მხოლოდ აღმასრულებელი დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს. ყადაღის დადება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, არბიტრაჟს ან ეს შეიძლება მოხდეს წინასწარი ძიების ორგანოს დადგენილებით, თანაც,სასამართლოს დადგენილების არსებობისას.

1.5. ბანკების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში

საქართველოში ფულად-საკრედიტო ურთიერთობების, მათი ორგანიზაციული სტრუქტურების, სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებების, მათ შორის ბანკების არსებობას საკმარისად დიდი ხნის ისტორია აქვს. მათი წინამორბედები ემბრიონების სახით საქართველოში ჩნდებიან ჯერ კიდევ ჩვენ წ.აღრიცხვამდე VI საუკუნეში (იხ. დ. კაპანაძე – ქართული ნუმიზმატიკა, 1950 წ. გვ. 25-40). შემდგომ საუკუნეებში ეს პროცესი გრძელდება, ღრმავდება და ჩქარდება. დავით აღმაშენებლის დროს ტარდება ფულის, ფინანსების და კრედიტის ფართო მასშტაბიანი რეფორმები, ხოლო XIII საუკუნეში უკვე არსებობდნენ და ფართო საკრედიტო ოპერაციებს ახორციელებდნენ სპეციალური საკრედიტო ორგანიზაციები (დღევანდელი გაგებით ბანკები), რომელთაც ორტაღი ეწოდებოდა. ისინი იძლეოდნენ კრედიტებს სხვადასხვა ქონების გირაოს ქვეშ ან მის გარეშე (იხ. ივ. ჯავახიშვილი – ქართული ერის ისტორია, თბ. 1941 წ. ტ. III, გვ. 66, 67).

შემდეგომ საუკუნეში, მიუხედავად ძნელბედობისა, საკრედიტო ურთიერთობები, მათი სხვადასხვა სტრუქტურული ფორმები (ზარაფებისა და მევახშეების ინსტიტუტები) ნელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდნენ საქართველოში. ფართოდ ვრცელდება საკრედიტო ურთიერთობების ისეთი დოკუმენტი, როგორიცაა თამასუქი, რაც სამართლის ობიექტიც კი ხდება (იხ. ვახტანგ VI. სამართლის წიგნი, თბ. 1955წ. მუხ. III. 147, 263 და სხვა).

XVIII საუკუნის საქართველოში უკვე არსებობენ ისეთი საკრედიტო ურთიერთობები, მათი ორგანიზაციული სტრუქტურები, ოპერაციები, რომლებიც დამახასიათებელია ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის. საქართველოს ფულის ნიშნები (ქართული თეთრი) გადის ქვეყნის გარეთ და ამიერკავკასიის სხვა რეგიონებშიც ხდება მათი მიმოქცევა. მათ კურსს, როგორც ეროვნული ეკონომიკის ინტერესების დაცვისა კავკასიის რეგიონში, სახელმწიფოებრიივ შორსმჭვრეტელობით ახორციელებს მეფე ერეკლე II (იხ. ნ. ქოიავა – ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბ. 1963 წ. გვ. 71).

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ (1801წ.) საქართველოში მოქმედი ეროვნული ფულად-საკრედიტო სტრუქტურები და მექანიზმები თანდათანობით კარგავენ თავის ფუნქციებს და მათ ადგილზე იწყება სხვადასხვა იმპერიული ფულად-საკრედიტო ურთიერთობებისა და საკრედიტო მექანიზმების დამკვიდრება. პირველი ასეთი იმპერიული საკრედიტო დაწესებულება დაარსებული იქნა 1810 წელს თბილისში „საქართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიოს" (Приказ общественного призрения) სახელწოდებით, რომელიც იღებდა ანაბრებს და იძლეოდა კრედიტებს (იხ. პ. გუგუშვილი – საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. II, თბ. 1956 წ. გვ. 245-380). 1849 წელს თბილისის აღნიშნული საგანგიო გადაკეთდა ამიერკავკასიის საგანგიოდ (Приказ -ად). 1866 წელს თბილისში გაიხსნა რუსეთის იმპერიის კომერციული ბანკი, რომელსაც ჰქონდა ფილიალები ბაქოში (გაიხსნა 1886 წ.), ბათუმში (1890 წ.), ერევანში (1895 წ.). აღნიშნული ბანკები მეტროპოლიაში არსებული ბანკების ფილიალები იყვნენ და საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაციას ემსახურებოდნენ. საქართველოსათვის, მისი ეკონომიკური და სულიერი აღორძინებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისსა (1975 წ.) და ქუთაისში (1876წ.) საადგილმამულო ბანკების დაარსებას, რომლებსაც შესაბამისად ილია ჭავჭავაძე და ბ. და ნ. ღოღობერიძეები ხელმძღვანელობდნენ. ორივე ბანკმა უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში საბანკო საქმის, საქონლეწარმოებისა და საქონელმიმოქცევის ცივილიზებული ფორმებით, მეთოდებითა და მასშტაბებით განვითარებისათვის. მოვლენათა ცენტრში მაინც თბილისის ბანკი იდგა (საადგილმამულო), რომელიც დაარსებულ იქნა დიდი ილიას ძალისხმევით და რომელსაც ილია მთელი 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ილიას ასეთი გატაცება ბანკით გასაგები იყო. ის შესანიშნავად გრძნობდა,

რომ იმპერიის მიერ გუბერნიებად და მაზრებად დაყოფილ, ეკონომიკურად ჩამორჩენილ, სოციალურად დაძაბუნებულ საქართველოში საქმის ცოდნით ამუშავებულ საადგილმამულო ბანკს შეეძლო შეესრულებინა უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის ამოცანები. პირველ რიგში ის უნდა ყოფილიყო ერთიანი საქართველოს ეკონომიკური სახლის მზიდი კონსტრუქცია, მისი კარკასი. მას თავის შიგნით და თავის გარშემო უნდა გაეერთიანებინა იმდროინდელი საქართველოს აქტიური სოციალური ძალები, ჩაება ისინი ქვეყნის სამსახურში, განევითარებინა საქართველოს ეკონომიკა, დაეფინანსებინა საერთო ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებანი და სხვები და სხვები. ილიამ აღნიშნული ყველა ამოცანა წარმატებით გადაწყვიტა, თბილისის საადგილმამულო ბანკი გადააქცია საერთო ქართული აზროვნებისა და საქმეების კეთების ცენტრად, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს არც დამოუკიდებელი საქართველო არსებობდა და არც მისი მართვის რომელიმე ერთიანი ეროვნული სტრუქტურა. ილიას ბანკი ფაქტიურად გადაიქცა ერთიანი საქართველოს ცენტრალურ ბანკად, რომელიც კრედიტებს იძლეოდა ეკონომიკის განვითარებაზე, აფინანსებდა სხვადასხვა ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებებს, ეწეოდა ქველმოქმედებებს, აყალიბებდა ეპოქის შესაბამის საერთო ქართულ მენტალიტეტს, საფუძველს უყრიდა მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მართვის სტრუქტურებს. ილია მიღწეულით არ დაკმაყოფილდა და არაერთი მცდელობის შემდეგ პეტერბურგიდან ნებართვა მიიღო ახალი „სივრცეების“ ათვისების შესახებ: 1881 წლიდან თბილისის საადგილმამულო ბანკს უფლება მიეცა თავისი საქმიანობა გაეცრცელებინა ქუთაისის, ერევნის, ბაქოს, ელიზავეტპოლის (დღევანდელი განჯის) გუბერნიებზე, სოხუმის სამხედრო ოლქზე, ხოლო 1891 წლიდან კი – ბათუმის რეგიონზეც.

ილია ჭავჭავაძის მიერ თბილისის საადგილმამულო ბანკის მოქმედების გაერცელებით ბაქოს, ერევნის, ელიზავეტპოლის, სოხუმის, ბათუმის გუბერნიებსა, ოლქებსა და რეგიონებზე გადაიდგა შორს გამიზნული ნაბიჯი საქართველოს მომავლისათვის – დაიწყო დომინირება იმ ეკონომიკური (და მაშასადამე პოლიტიკური, კულტურული, ეთნიკური და ა.შ.) მდგომარეობისა, რომელიც თბილისს და მთელ საქართველოს ოდითგანვე ეკავა ამიერკავკასიაში დავითის, თამარის, გიორგი ბრწყინვალეს, ერეკლე მეორის ეპოქებში (ლ.ქისტაური, შ.ქისტაური საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები. თბ., სამთავისი, 1997. გვ 11-12).

პირველი სახელმწიფო ბანკი საქართველოში დაარსდა 1920 წელს. მას შემდეგ, როცა 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ბანკის პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი ქართველი ბანკირი-ფინანსისტი იასონ ლორთქიფანიძე.

მიუხედავად თავისი არსებობის მცირე ხნისა, საქართველოს სახელმწიფო ბანკმა მოასწრო საქართველოსათვის ბევრი კარგი და სასარგებლო საქმეების გაკეთება: განახორციელა ფულის რეფორმა, მიმოქცევიდან ამოიღო ფულის არაქართული ნიშნები, გამოუშვა საკუთარი ფული, ქვეყანას შეუქმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვები და რესპუბლიკის ფულის ნიშნები აქცია ერთ-ერთ მტკიცე ვალუტად არამარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელი რუსეთის პოსტიმპერიულ ქვეყნებში. დაარეგულირა ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე, შეიმუშავა ფულის ახალი რეფორმის გატარების პროექტი და სხვა (იხ. დემოკრატიული საქართველოს ჯოფილი ფინანსთა მინისტრის ემიგრანტ კ. კანდელაკის ავტორობით 1960 წელს მიუნხენში ქართულად გამოცემული წიგნი „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი მეორე, გვ. 60-122).

1921 წლის 23 თებერვალს წითელი რუსეთის შეიარაღებული ძალები შემოიჭრნენ საქართველოში (თეორმა რუსეთმა იგივე აქცია 120 წლით ადრე გააკეთა საქართველოს მიმართ), დაამხო დემოკრატიული მთავრობა და საქართველოში დამყარა თავისი რეჟიმი. დამოუკიდებლობის დაკარგვამ სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა ქვეყნის ცენტრალურ ბანკს და მან არსებობა შეწყვიტა.

საქართველოში პირველი ცენტრალური ბანკი, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წელს გაიხსნა. ორი წლის შემდეგ იხსნება მეორე ბანკი. ეს ბანკები, როგორც ცნობილია, მცირე პერიოდის განმავლობაში ფუნქციონირებდნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა. მნიშვნელოვანი ღონისძ-

იებების გატარება შეძლეს. კერძოდ: განახორციელეს ფულადი რეფორმა, მიმოქცევიდან ამოიღეს არაქართული ფულის ნიშნები, ქვეყანაში შექმნეს მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვი. დამოუკიდებელი რესპუბლიკის ფულადი ნიშნები იქცა მტკიცე ვალუტად, პირველად მოხმარების საგნებზე მოხდა ფასების რეგულირება, შემუშავდა რეფორმის გატარების ახალი პერსპექტივები. რუსეთში ახალმა ხელისუფლებამ ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღეებიდან დაიწყო საკრედიტო სისტემის ნაციონალიზაცია, ხოლო რევოლუციის მეორე წელს დაწყებულმა სამოქალაქო ომმა მთლიანად გაანადგურა არსებული საბანკო სისტემა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დაისვა საკითხი ერთიანი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის შესახებ. აღნიშნული საკითხის რეალიზება ბოლშევიკებმა უშუალოდ რევოლუციის შემდეგ სცადეს, როდესაც 1918 წელს რევოლუციამდელი საბანკო სისტემის რესურსების ნაციონალიზაციის შედეგად შეიქმნა სახალხო ბანკი, მაგრამ იგი დღენაკლული აღმოჩნდა. ნეპის პერიოდში აღდგა საბაზრო ურთიერთობები, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა კომერციული და სხვა ფორმის კრედიტების საჭიროება. აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ ჯერ შეიქმნა სახელმწიფო ბანკი, ხოლო შემდეგ — სპეციალური ბანკების ქსელი, რომლებიც ფაქტობრივად, კომერციულ ბანკებს წარმოადგენდნენ.

საბჭოთა კავშირში 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ჩამოყალიბებამ შეზღუდა საბაზრო ურთიერთობების შემდეგომი განვითარება და, შესაბამისად, კომერციულ ბანკებს არსებობის საფუძველი მოუსპო. კომერციული ბანკები, რომლებიც სპეციალური ბანკების სახით არსებობდნენ, ოფიციალურად გარდაიქმნენ გრძელვადიან დაბანდებათა ბანკებად და ახლად აღმოცენებულ ფულად-საკრედიტო სისტემას სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო ბანკი.

განვითარების შემდგომ პერიოდში გრძელვადიან დაბანდებათა სპეციალური ბანკები არაერთხელ გარდაიქმნენ, მაგრამ საბანკო სისტემის ორგანიზაციაში არაფერი შეცვლილა და სახელმწიფო ბანკი დარჩა საემისიო და, პარალელურად, სახალხო მეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების ცენტრად, ხოლო სპეციბანკები დამხმარე, დამატებითი რგოლის ფუნქციებს ასრულებდნენ (გ. ხელაია. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. თბ., გამომცემლობა „ლამპარი", 1993, გვ. 62). 1919 წელს, ფულის გაუფასურებისა და ნატურალური მეურნეობის არსებობის პირობებში, აღარ იყო საჭირო საკრედიტო დაწესებულება. მოხდა ბანკების შერწყმა საფინანსო ორგანოებთან. საქართველოში 1921 წლის ოქტომბერში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღადგინეს სახელმწიფო ბანკი, რომელიც გახდა სახალხო მეურნეობის დაკრედიტებისა და ფულის მიმოქცევის სახალხო რეგულირების ცენტრი.

1930-1932 წლებში განხორციელდა საკრედიტო რეფორმა, რომლის მეშვეობითაც გაუქმდა კომერციული კრედიტი, შემოიღეს უნაღდო ანგარიშსწორების ახალი ფორმები. გაძლიერდა საბანკო კრედიტის ვადიანობისა და მიზნობრიობის პრინციპები, შეიქმნა სპეციალური ბანკები, რომლებიც გრძელვადიანი კაპიტალური დაბანდების განმახორციელებელ ბანკებს წარმოადგენდნენ.

რეფორმამ კიდევ უფრო განავითარა საკრედიტო სისტემის მკაცრი ადმინისტრაციულ-ცენტრალიზებული მართვა და სახელმწიფო ბანკი გახდა საკრედიტო საქმის სახელმწიფო მონოპოლისტური ორგანო, ე.ი. ჩამოყალიბდა საკრედიტო სისტემა მხოლოდ ერთი რგოლით, რომელიც პასუხობდა ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის მოთხოვნებს. საკრედიტო ურთიერთობებს ასრულებდა სამი ბანკი (სახლმწიფო ბანკი, მშენბანკი, საგარეო ვაჭრობის ბანკი) და შემნახველი სალაროები. სახელმწიფო ბანკი ახორციელებდა სახალხო მეურნეობის დარგების მოკლევადიან დაკრედიტებას, ხოლო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გასცემდა გრძელვადიან კრედიტებს. მშენბანკი აფინანსებდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგს გრძლევადიანი კრედიტებით, გარდა სოფლის მეურნეობისა. საგარეო ვაჭრობის ბანკის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენდა სავალუტო ოპერაციები და საერთაშორისო ანგარიშსწორება. მოსახლეობის თავისუფალ

ფულად სახსრებს იზიდავდა შემნახველი სალაროები. სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ობლიგაციების მომსახურებასაც იგი ახორციელებდა.

მოქმედი ბანკების მიერ შექმნილი რესურსები სესხების სახით ეძლეოდათ საწარმოებს, რომლებიც ამ თანხებს ხშირად უკან არ აბრუნებდნენ. ეს გარემოება ადრე თუ გვიან კრიზისულ სიტუაციას გამოიწვევდა. სწორედ 80-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდილი დეფიციტის დაფინანსება სახელმწიფო ბანკის საემისიო კრედიტებით ხდებოდა.

80-იან წლებში საქართველოში მოქმედებდა ხუთი დარგობრივი ტიპის სპეციალიზებული სახელმწიფო ბანკი: საექსპორტო ბანკი – ექსიმბანკი, სამრეწველო ბანკი – მრეწვმშენბანკი, სოფლის მეურნეობის ბანკი – აგრომრეწვბანკი, საბინაო და კომუნალური მეურნეობის მომსახურების ბანკი – ბინსოცბანკი და შემნახველი ბანკი.

ამ პერიოდში მოქმედი საბანკო სისტემის ძირითად ნაკლს წარმოადგენდ შემდეგი: პირველი – მონოპოლიზმი, საწარმოს არ ჰქონდა მომსახურე ბანკის ამორჩევის უფლება, მეორე – ფუნქციონირებდნენ მხოლოდ სპეციალიზებული ბანკები; მესამე – არ ხდებოდა თამასუქების მიმოქცევა; მეოთხე – ბანკები, თანხების დაუბრუნებლობის პირობებში ასრულებდნენ ოპერაციებს ერთი და იმავე მეურნეობის ხელახალი დაკრედიტებისათვის; და ბოლოს, მეხუთე – მოვალე საწარმოებისათვის სესხების ჩამოწერის სისტემის არსებობა.

1987 წელს გატარდა ეკონომიკური რეფორმა, რომელიც სრულ სამეურნეო ანგარიშიანობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლას გულისხმობდა. ცვლილებებმა, თავის მხრივ, საბანკო სისტემის სრული გარდაქმნა მოითხოვა.

სოციალისტური გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ბევრ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან ნებისმიერი ეკონომიკური წყობილება წარმოადგენს ეკონომიკური, პოლიტიკური და საერთაშორისო კავშირების რთულ სისტემას.

თუ ადრე საბანკო სისტემის მიზანი იყო სახელმწიფო გეგმური დავალებების შესრულება და ამ დავალებების შესაბამისად ფულადი ფონდების განაწილება, საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების აუცილებელ პირობებს წარმოადგენს: სტაბილური ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნა, საბანკო სისტემის ნორმალური ფუნქციონირება და საფინანსო მომსახურების ბაზარზე კონკურენტუნარიანი ურთიერთობების არსებობა.

90-იან წლებში საქართველომ კვლავ მოიპოვა (აღადგინა) დამოუკიდებლობა. ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაზე გადასვლამ და საბაზრო ურთიერთობების თანდათანობით ჩამოყალიბების პროცესმა შესაბამისი საბანკო სისტემის შექმნა მოითხოვა. საქართველოში საბანკო სისტემის გარდაქმნის პროცესი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა. მკვეთრად შემცირდა წარმოების მოცულობა და ფინანსურმა, ამასთან ერთად, პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ ხელი შეუწყო ტრადიციული საგარეო-ეკონომიკური კავშირების გართულებას. ქვეყანა ფაქტობრივად უმწეო იყო ფინანსური კრიზისის წინაშე პირისპირ აღმოჩნდა და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვეტილიყო. აღნიშნულ პირობებში დღის წესრიგში დადგა საქართველოში საბანკო სისტემის რეფორმის აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფდა საბანკო სისტემის მდგრადობას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში საქართველოს საბანკო სისტემის განვითარება სამ ძირითად ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე (1987-1991 წლები) – შეიქმნა საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი საბანკო საქმის ინსტიტუციონალური საფუძვლები (რ. კაკულია, თ. მურღულია, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო სისტემის ფორმირების შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-საკრედიტო პრობლემების საქართველოში. ტომი III. თბ., გამომცემლობა „ფინანსები“, 1999. გვ. 134). პირველი არასახელმწიფო ბანკი საქართველოში იყო კომერციული, რომელიც 1989 წლის დასაწყისში შეიქმნა 500 ათასი მანეთის საწესდებო ფონდით, ხოლო პირველი კოოპერატიული ბანკი – 1989 წლის იელისში ხუთი მილიონი მანეთის საწესდებო ფონდით. ეს ორივე ბანკი, ისე,

როგორც შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული რამდენიმე კომერციული ბანკი, ფაქტობრივად ექვემდებარებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკს. 1991 წლის აგვისტოში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იღებს კანონებს: „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“.

საქართველოს საბანკო სისტემის ტრანსფორმირების პროცესი 1991 წლიდან დაიწყო. შეიქმნა სათანადო საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა, ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც მონეტარული პოლიტიკის წარმმართველი და საბანკო სისტემის მარეგულირებელი ორგანო, მეორე მხრივ კი — კომერციული ბანკები.

1992 წლის ბოლოსათვის საქართველოში უკვე მოქმედებდა 34 კომერციული და 5 კოოპერატიული ბანკი, რომელთა საწესდებო ფონდი მთლიანად 376,8 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1993 წლისთვის რესპუბლიკაში სულ ფუნქციონირებდა 70-მდე კომერციული და კოოპერატიული ბანკი 15 ფილიალით, რომელთა საწესდებო ფონდის საერთო თანხა 733 მილიონ მანეთს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი უმთავრესად ხუთ ბანკზე მოდიოდა. ეს ბანკები იყო: „ივერთბანკი“, „კავკასიის ბანკი“, „საქართველო“, „იბერიაბანკი“, „მერკური“, რაც შეეხება დანარჩენ ბანკებს, მათი საწესდებო ფონდი იმდენად მცირე მოცულობის იყო, რომ გაელენას ვერ ახდენდა საკრედიტო ბაზრებზე (გ. ხელაია, ფულის მიმოქცევისა დაკრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი, თბ., გამომცემლობა „ლამპასი“, 1993. გვ.66).

1991 წლის 2 აგვისტოს მიღებული დოკუმენტის „საქართველოს რესპუბლიკის კანონი ეროვნული ბანკის შესახებ“ შესაბამისად ახლად ჩამოყალიბებულ საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა განეხორციელებინა ქვეყანაში ფულად-საკრედიტო რეგულირება. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო საკუთარი ფულის ნიშნები, საკრედიტო რესურსები, კონვერტირებადი ვალუტისა და ოქროს მარაგი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს არ სურდა გაენაწილებინა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის სახელმწიფო ბანკის მნიშვნელოვანი ოქროს მარაგიდან (სსრკ მსოფლიოში ოქროს ერთ-ერთ ძირითად მომპოვებლად ითვლებოდა) მათი კუთვნილი წილი (საბჭოთა კავშირის ეროვნულ შემოსავალში საქართველოს წილი 3%-ს შეადგენდა).

არსებული კავშირების რღვევის პირობებში ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა. საქართველომ დახმარებისათვის მიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდს.

90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში სწრაფად დაიწყო ზრდა კომერციული ბანკების რიცხვმა, რაც ამ დროისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკით, არასრულყოფილი კანონმდებლობით, ბანკების ლიცენზირების სუსტი ადმინისტრირებითა და, უმთავრესად, საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობით იყო განპირობებული.

1992-1995 წლებში მიმდინარეობს საბანკო რეფორმის მეორე ეტაპი.

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებში საბჭოთა კავშირისაგან მემკვიდრეობით მიღებული საბანკო სტრუქტურები (სახბანკი, შემნახველი ბანკი, მრეწვბანკი, ბინსოცბანკი, აგრობანკი) ბუტაფორული ქმნილებები უფრო იყვნენ, ვიდრე რეალურად არსებული საბანკო ინსტიტუტები.

აღნიშნული სიტუაციის გამოსწორება საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით შესაძლებელი იყო „რეზისტერის“ სისტემის გამოყენებით, რომლის მიხედვითაც საბანკო საქმის მოწყობა შემჭიდროვებულ ვადებში უნდა განხორციელებულიყო და მთავარი როლი ეროვნულ ბანკს ენიჭებოდა. ეროვნულმა ბანკმა ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება დაიწყო. სახელმწიფომ მოუმზადებლად მიმოქცევაში გამოუშვა ფულის სუროგატი — ეროვნული კუპონი.

1993 წელს კუპონის მოუმზადებლად შემოღების შედეგად მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მთავრობამ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად ეროვნული ბანკისგან 1 ტრილიონ 27 მლნ კუპონი მიიღო (ეს იყო სახელმწიფო შემოსავლების 63,7 %). 1994 წლის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად ეროვნული ბანკის 28362000 მლნ კუპონის ემისია იქნა გამოყენებული (შემოსავლების 42%). მოუმზადებელმა ფულადმა რეფორმამ, ლიბერალურმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ კუპონი, როგორც საგადამხდელო საშუალება, არარობად აქცია. საგადამხდელო ფუნქციას რამდენიმე უცხოური ვალუტა ასრულებდა, რამაც კიდევ უფრო გაართულა ქმედითი მონეტარული ღონისძიებების გატარება.

საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნა მიწოდებას აჭარბებდა, რასაც მრავალრიცხოვანი სუსტი ბანკების შექმნა მოჰყვა. ბანკების შემოსავლის ძირითადი წყარო იყო არაორგანიზებულ საფინანსო ბაზარზე მოკლევადიანი სპეკულაციური ოპერაციები.

საქართველოში დამოუკიდებელი საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პერიოდში, კერძოდ, 1992-1995 წლებში ყველაზე სამარცხვინო ფაქტად, ე.წ. „ჯიბის ბანკების" შექმნა იქნა მიჩნეული. ამ წლებში რეგისტრირებულმა 7 ბანკმა და 34 კომპანიამ ზარალი მიაყენა 62 ათას მეანაბრეს 31 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. ანაბრებზე შეტანილი მინიმალური თანხა შეადგენდა 4 აშშ დოლარს, მაქსიმალური კი – 300 ათას აშშ დოლარს. ამ თანხებზე საპროცენტო განაკვეთი თვეში 5-30%-ის ფარგლებში მერყეობდა1. (1. გაზეთი „ეკო დაიჯესტი": გაქცეული „ბანკირები" და მოტყუებული მეანაბრეები. 2000. №53.

ძირითადი მიზეზები, რამაც გამოიწვია ამგვარი სიტუაცია, იყო, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მხრიდან საბანკო სისტემის რეგულირების ინსტრუმენტების არარსებობა, ასევე ეროვნული ბანკის მხრიდან სუსტი საზედამხედველო პოლიტიკის გატარება. საბანკო დაწესებულების უმეტეს ნაწილს არ გააჩნდა შესაბამისი ლიცენზია. ამასთან არსებობდა საბანკო ოპერაციებზე ლიცენზირების მიღების გაადვილებული სისტემაც.

გარდა ამისა, საქართველოს საბანკო სისტემა მეტად მოუქნელი იყო და, ამდენად, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ ქვეყანას მრავალ პრობლემას უქმნიდა. მთავარია ის, რომ საბანკო სისტემამ ჯერ კიდევ ვერ იპოვა თავისი ადგილი ეკონომიკაში, ვერ განსაზღვრა თავისი, როგორც ეკონომიკური სუბიექტის როლი და საბანკო სისტემა ფაქტობრივად გამოიყენებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა მიერ მათი ვიწრო პარტიული და ეკონომიკური ინტერესებისათვის, რაც ძირგამომთხრელ ფაქტორად გვევლინებოდა საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის მიღწევაში (გ. გამსახურდია. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., გამომცემლობა „მერანი", 1995, გვ.167).

საბანკო სისტემის მოუქნელობა და უარყოფითი მხარე ნათლად გამოჩნდა იმ შედეგებიდან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ მათი საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების დროს (რ. ბასარია, ი. მესხია. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. თბ., გამომცემლობა „ფინანსები", 1996. გვ. 302). მხედველობაში გვაქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების წინა პერიოდი, როცა ბაზარზე ხელოვნურად გამოწვეულმა ნაღდი კუპონის დეფიციტმა მნიშვნელოვნად დასცა ჩვენი ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა.

1995 წლის დასაწყისში საქართველოში მოქმედებდა 229 კომერციული ბანკი.

საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაიწყო ბანკების ბუნებრივი გადარჩევის პროცესი და საბანკო სისტემის განვითარების მესამე ეტაპი, რომელიც დღემდე გრძელდება.

საბანკო სისტემის რეფორმის აღნიშნული ეტაპის განხორციელება დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების დახმარებით. რეფორმა, რომელიც 1995 წელს დაიწყო საბანკო სისტემის რეფორმის მესამე ეტაპის სახელწოდებით, ბანკების ლიცენზირებისა და ზედამხედველობის პროცესში დაშვებული შეცდომების

გამოსწორების საშუალებას იძლეოდა და საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი საბანკო საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების ეტაპობრივად დანერგვას უწყობდა ხელს.

1995 წელს წარმატებით განხორციელდა ახალი ფულადი რეფორმა, რის შედეგადაც ქვეყნის მონეტარულ და, აქედან გამომდინარე, საფინანსო-საკრედიტო სისტემაში ახალი ეტაპი დაიწყო.

1995 წლის დასაწყისში არსებული 229 ბანკიდან 1996 წელს მხოლოდ 101-მა გააგრძელა ფუნქციონირება. ლიცენზირებული ბანკების რაოდენობის ასეთი მკვეთრი შემცირება გამოწვეული იყო მათთვის დადგენილი საწესდებო კაპიტალისა და სხვა ეკონომიკური ნორმატივების შეუსრულებლობით.

1995 წლის ბოლოს კომერციულ ბანკებში აქტივების ოდენობა 121 მლნ. ლარს აღწევდა, რაც საბანკო სისტემის აქტივების 52%-ს უდრიდა.

1996 წლის 1 იანვრისათვის მოქმედი 101 კომერციული ბანკიდან წლის განმავლობაში ლიცენზიები გამოთხოვილ იქნა 40 ბანკიდან, მათ შორის თვითლიკვიდაცია მოახდინა 7-მა, ხოლო 18 გაერთიანდა სხვა ბანკებთან. აღსანიშნავია, რომ საბანკო ლიცენზიების გამოთხოვა შეეხო იმ ბანკებს, რომლებიც შეიქმნენ საბანკო სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტების დეფიციტის პირობებში.

1996 წლის ბოლოს საბანკო სისტემის აქტივების წილი 238 მლნ ლარს შეადგენდა, რაც 5,4 მლნ ლარით აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს. რაც შეეხება საბანკო სისტემის საწესდებო ფონდს, იგი 1996 წლის განმავლობაში 36,3 მლნ ლარით გაიზარდა და მისმა ოდენობამ წლის ბოლოს 80,5 მლნ ლარი შეადგინა.

ეროვნული ბანკის მხრიდან კაპიტალის ადეკვატურობამ და მინიმალურმა საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებმა, ასევე დანაკარგების და რეზერვების პრაქტიკის შემოღებამ ხელი შეუწყო კომერციული ბანკების როლის ამაღლებას საბანკო სისტემის განმტკიცებაში. პარალელურად, კომერციულმა ბანკებმა გარკვეული ღონისძიებები განახორციელეს თავიანთი აქტივების დივერსიფიკაციისათვის პრობლემური სესხების რეზერვების შექმნისა და ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით. 1996 წლის განმავლობაში ჩამოწრილ იქნა უიმედო სესხებით წარმოშობილი დავალიანება 13 მლნ ლარის ოდენობით, ასევე სესხებით სარგებლობისათვის დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი 6 მლნ ლარის ოდენობით, რამაც, თავის მხრივ, უზრუნველყო კომერციული ბანკების ბალანსის გაწმენდა, მათი მდგრადობისა და საიმედობის ამაღლება, საერთო ჯამში, საბანკო სისტემის განმტკიცება.

1997 წელს ეროვნულმა ბანკმა კვლავ გააგრძელა ბანკების გარდაქმნის მიზნით შემუშავებული სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელი ეკონომიკური ბერკეტების მეშვეობით.

მიმდინარეობდა არასაიმედო აქტივების მქონე ბანკების რესტრუქტურიზაცია. მათი ზრდის შეზღუდვით, აგრეთვე წარმოებდა იმ ბანკების დახურვა, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დადგენილი მინიმალური საწესდებო კაპიტალის შექმნა და ეკონომიკური ნორმატივების შესრულება.

1997 წლის განმავლობაში საბანკო სისტემის საწესდებო ფონდი 84 მლნ. ლარით გაიზარდა და 1998 წლის 1 იანვრისათვის მისმა ოდენობამ 164 მლნ ლარი შეადგინა.

კომერციული ბანკების საწესდებო ფონდის გაზრდამ ხელი შეუწყო მათ მიერ საშუამავლო ოპერაციების შესრულებას, რაც გამოიხატება მათი აქტივების ზრდით. საბანკო სისტემის აქტივები 1997 წლის დასაწყისთან შედარებით 103 მლნ ლარით გაიზარდა და 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 340,9 მლნ ლარი შეადგინა. საბანკო სისტემის აქტივების 50,7% მოდის ბანკების მიერ გაცემულ კრედიტებზე, რომლებმაც 1998 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 172,9 მლნ ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ბანკები უპირატესობას ანიჭებდნენ კრედიტების სავაჭრო ოპერაციებში დაბანდებას საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც წლის განმავლობაში მერყეობდა 70-დან 40 პროცენტამდე.

საკრედიტო დაბანდების 70% მოდიოდა სავაჭრო ოპერაციების დაკრედიტების მიზნით გაცემულ მაღალი რისკის მქონე კრედიტებზე, რომლებიც საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთით ხასიათდებოდა. შესაბამისად, საბანკო სისტემაში მაღალი იყო ბანკის სესხებით ვადაგადაცილებული დავალიანებისა და მათი უიმედოდ მიჩნევის გამო, რესურსების შესაძლო დანაკარგების რეზერვიდან ჩამოწერილი თანხები, რომლებმაც 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა, შესაბამისად, 15 მლნ ლარი და 18 მლნ ლარი.

საბანკო სისტემაში გარდაქმნის პროგრამის განხორციელებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ბანკების ლიკვიდობის მაჩვენებელი, აგრეთვე, გააფართოვა მოსახლეობისა და მეურნე სუბიექტების საბანკო სისტემისადმი ნდობა. ამის ნათელი მაგალითია დეპოზიტების ზრდის ტენდენცია. საბანკო სისტემაში დეპოზიტები 1996 წლის 1 იანვართან შედარებით წლის ბოლოსათვის 24,3 მლნ ლარით გაიზარდა და 82 მლნ ლარი შეადგინა. დეპოზიტების ზრდა განხორციელდა როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში.

1997 წლის დასაწყისთან შედარებით დეპოზიტების ზრდა წლის ბოლოსთვის მოხდა 51 მლნ ლარით, რომელთა ოდენობამაც წლის ბოლოს 133,2 მლნ ლარი შეადგინა. ამ პერიოდში დეპოზიტები გაიზარდა როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში შესაბამისად 12 მლნ ლარითა და 40 მლნ ლარის ეკვივალენტით.

ეროვნულმა ბანკმა საბანკო სისტემის მდგრადობისა და მისი საიმედოობის ამაღლების მიზნით 1998 წელს გაარძელა კომერციული ბანკების გარდაქმნის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

1998 წელს საბანკო ლიცენზია ჩამოერთვა ათ კომერციულ ბანკს, მათ შორის ცხრას — ეროვნული ბანკის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის.

ამავე პერიოდში მოხდა საბანკო სისტემის საწესდებო ფონდის ზრდა 20 მლნ ლარით და, შესაბამისად, იგი 1999 წლის დასაწყისში 116 მლნ ლარს შეადგენდა. აქტივების ზრდა ძირითადად განპირობებულია გაცემული კრედიტების, საკორესპონდენტო და ძირითადი საშუალებების ანგარიშებით. საბანკო სისტემის აქტივების 48% მოდის გაცემულ კრედიტებზე. ისევე, როგორც წინა წლებში, კომეციული ბანკები კრედიტებს გასცემდნენ ძირითადად სავაჭრო ოპერაციების დასაკრედიტებლად, რაც სხვა მიზეზებთან ერთად განპირობებული იყო საკრედიტო რესურსების მოზიდვის დაბალი მაჩვენებლითა და მოკლევადიანი დეპოზიტების შენახვით.

საქართველოში კომერციული ბანკების წარმოშობისა და განვითარების, საბანკო რეფორმის ჩატარების ეტაპების ანალიზი ცხადყოფს, რომ საბანკო სისტემაში ჩამოყალიბდა უამრავი დადებითი ტენდენცია, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. ფულის რაციონალური მიწოდების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ინფლაციური პროცესების მართვა; 2. შენარჩუნებულ იქნა სხვა ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა; 3. გარკვეული წარმატებებია მიღწეული ბანკების კონსოლიდაციისა და გამსხვილების საქმეში, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა მინიმალური საწესდებო კაპიტალის ეტაპობრივმა გაზრდამ; 4. სტაბილურმა გაცვლითმა კურსმა, საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის უმნიშვნელო ამაღლებამაც დადებითი ზეგავლენა მოახდინა დეპოზეტებისა და საკრედიტო დაბანდების ზრდაზე, ბანკების კაპიტალიზაციის მოცულობების გადიდებაზე. კერძოდ, 2000 წლის განმავლობაში საბანკო სისტემის მთლიანი აქტივები გაიზარდა 17%-ით და შეადგინა 723 მლნ ლარი. მთლიანი აქტივების ზრდა განაპირობა სისტემაში მთლიანი ვალდებულებების 20%-ითა და საწესდებო კაპიტალის 12%-ით ზრდამ, რაც 363 მლნ და 259 მლნ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების მთლიანი ვალდებულებების ზრდის 30% დეპოზიტების ზრდას უჭირავს (მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი, №7(17), საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2000, გვ.5); 5. დეპოზიტების ზრდის ტენდენცია ნასესხებ სახსრებთან შედარებით. აღნიშნული ტენდენციის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ კომერციული საქმი-

ანობისათვის საჭირო რესურსების ზრდა ხდება ქვეყანაში ფულადი მასის საბანკო არხებში მოქცევის მეშვეობით; 6. ეროვნული ბანკის მხრიდან მინიმალური საწესდებო კაპიტალის ეტაპობრივი ზრდისათვის მოთხოვნების გამკაცრება, მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე გლობალიზაციისა და კონსოლიდაციის პროცესების გათვალისწინებით.

საბანკო საქმიანობის განვლილი პერიოდის ანალიზმა დადებით ტენდენციებთან ერთად უარყოფითი მხარეებიც წარმოაჩინა, კერძოდ, ფისკალურ სფეროში არსებული პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ბანკების შემდგომ განვითარებას. მხედველობაში გვაქვს: 1. მოშლილი აღრიცხვიანობა; 2. მეწარმე სუბიექტების მიერ ნაღდი ანგარიშსწორებისათვის უპირატესობის მინიჭება; 3. საბანკო სერვისის შეზღუდული სპექტრი; 4. ჯურადღება არ ექცევა დეპოზიტებიდან მიღებულ შემოსავლებისა და ერთობლივი შიდა პროდუქტის ზრდას შორის ურთიერთკავშირს; 5. ახალი საბანკო ტექნოლოგიების, პროგრესული საბანკო პროდუქტების დანერგვის პროცესების ნელი ტემპით მიმდინარეობა, რაც, თავის მხრივ, აფერხებდა საბანკო სისტემის მომსახურების გაუმჯობესებასთან ერთად საქართველოს ეროვნული ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

1.6. ბანკი, როგორც საბანკო სისტემის ელემენტი

ბანკი საბანკო სისტემის ელემენტია. ეს იმას ნიშნავს, რომ:

1. მას უნდა ჰქონდეს ისეთი თანდაყოლილი თვისებები, რომლებიც ერთი მთლიანის ორგანულ ნაწილად არსებობის უფლებას მისცემს მას (უნდა ჰქონდეს ბანკის სტატუსი, საბანკო ოპერაციების შესრულების უფლების ლიცენზია), უნდა ფუნქციონირებდეს თამაშის საერთო წესების მიხედვით;

2. იგი უნდა საქმიანობდეს ზოგადი და სპეციფიკური კანონების, საზოგადოების იურიდიული ნორმების ფარგლებში;

3. უნდა ჰქონდეს თვითრეგულირების (გარემოზე რეაგირებისა და მასთან შეგუების), განვითარებისა და სრულყოფის უბანი;

4. უნდა ურთიერთმოქმედებდეს საბანკო სისტემის სხვა ელემენტებთან.

საბანკო სისტემაში ბანკების გარდა შედიან სხვა სპეციალური საფინანსო ინსტიტუტებიც, რომლებიც საბანკო ოპერაციებს კი ასრულებენ, მაგრამ ბანკის სტატუსი არა აქვთ, და სხვა დაწესებულებებიც, რომლებიც ქმნიან საბანკო ინფრასტრუქტურას და უზრუნველყოფენ ფულად-საკრედიტო ინსტიტუტების ცხოველქმედებას.

მართალია, ბანკის არსი ერთია, მაგრამ პრაქტიკაში მათი მრავალი სახეობა გვხდება (იხ. №1.1 სქემა). პირველ რიგში განასხვავებენ საემისიო და კომერციულ ბანკებს. ნაღდი ფულადი ნიშნების ემისიის ამოცანას ცენტრალური ბანკები წყვეტენ, რომელთა მუშაობის დაწერილებით აღწერას მეოთხე თავში შემოგთავაზებთ.

შესრულებული ოპერაციების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ უნივერსალურ და სპეციალიზებულ ბანკებს. უნივერსალურს ისეთი ბანკები ეკუთვნის, რომელთაც „ერთი ხელით" შეუძლიათ ფართო წრის მრავალფეროვანი ოპერაციებისა და მომსახურების შესრულება. მაგრამ უნივერსალურობას სხვა ელფერიც აქვს. „უნივერსალობა" აღნიშნავს საქმიანობის ისეთ ტიპს, რომელიც შეზღუდული არაა:

სახალხო მეურნეობის დარგებით;
მომსახურება გასაწევი კლიენტურის შემადგენლობით;
რაოდენობრივად;
- რეგიონების მიხედვით;

უნივერსალური ბანკი ესწრაფვის მრავალფეროვანი დარგების დაკრედიტებას, მაშინ როდესაც სპეციალიზებული ბანკი უფრო ხშირად აკრედიტებს ეკონომიკის რომელიმე დარგს (ქვედარგს) ან საწარმოთა ჯგუფს (ხე-ტყის, საავიაციო, საავტომობილო და მრეწველობის სხვა ქვედარგებს).

სქემა 1.1. კომერციული ბანკების სახეობა

ბანკის უნივერსალური ტიპი კიდევ უფრო შესამჩნევია კლიენტურის მომსახურებასთან დაკავშირებით. უნივერსალური ბანკებისათვის ჩვეულებრივია ასეთი შემთხვევები, როცა ისინი ემსახურებიან როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს. ამის საპირისპიროდ სპეციალუზებული ბანკი შესაძლოა კერძო პირების მომსახურებით იფარგლებოდეს.

უნივერსალური ბანკების მიერ შესრულებული ოპერაციების წრე, როგორც წესი, ძალიან ფართოა. აქ რაოდენობრივ ნიშან-თვისებად გვევლინება ნებადართული ოპერაციების ისეთი ჩამონათვალი, რომელშიც შედის ღია ბაზარზე განხორციელებული ოპერაციები. ამ ბაზარზე შეუძლია ბანკს იყოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სრულუფლებიანი მონაწილე და სხვა საწარმოების კაპიტალში დააბანდოს თავისი კაპიტალი. მაგალითად, ამერიკის მთელ რიგ სპეციალიზებულ კომერციულ ბანკებს, საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეუძლიათ ამ ოპერაციების შესრულება. ევროპის ქვეყნების უნივერსალურ ბანკებს, პირიქით, ასეთი ოპერაციების შესრულება შეუძლიათ.

უნივერსალური ბანკების საქმიანობა არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე რეგიონით. უნივერსალური ბანკი რეგიონებში სხვადასხვა რაიონში გეხდება. მას აქვს ფილიალები, მათ შორის – საზღვარგარეთ. სპეციალიზებული ბანკის საქმიანობას, პირიქით, ხშირად ლოკალური ხასიათი აქვს.

თანამედროვე საბანკო სტრუქტურებში ზოგჯერ ჭირს უნივერსალური და სპეციალიზებული ბანკების ერთმანეთისგან გარჩევა. მაგალითად, მსხვილი სპეციალიზებული იპოთეკური ბანკები ხშირად არ იფარგლებიან მხოლოდ ერთი რეგიონით. შესაძლოა, მათ ფილიალებიც ჰქონდეთ საზღვარგარეთ და თავიანთ კლიენტებს ასობით სახეობის მომსახურება გაუწიონ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომერციული ბანკების საქმიანობაში ხშირად შეიძლება შევნიშნოთ როგორც უნივერსალური, ისე სპეციალიზებული ბანკის ნიშან-თვისებები.

საკუთრების ტიპის მიხედვით ბანკებს ჰყოფენ სახელმწიფო, სააქციო, კოოპერაციულ, კერძო და შერეულ ბანკებად.

გარდამავალი პერიოდის პირობებში ბანკებზე საკუთრების სახელმწიფოებრივი ფორმა კვლავ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. მართალია, იმ მასშტაბებით არაა, როგორც მეურნეობრიობის განაწილებითი სისტემის დროს იყო და მხოლოდ სახელმწიფოს ჰქონდა ბანკის შექმნის მონოპოლიური უფლება, მაგრამ თანამედროვე პირობებში სახელმწიფო მთელი რიგი ბანკების კაპიტალში ინარჩუნებს თავის გარკვეულ წილს. სახელმწიფო საკუთრება არსებობს სხვა მოდიფიცირებული ფორმების ბაზაზე. საერთაშორისო პრაქტიკაში ბანკები სახელმწიფოს სრულუფლებიანი რწმუნებულებია (ეს შეიძლება აქციონერული ბანკებიც იყოს) ეკონომიკის დაფინანსების სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაში. კომერციული ბანკების აქციონერები შეიძლება სახელმწიფო საწარმოებიც იყოს, რის გამოც საკუთრების ეს ფორმა რეალურად შეიძლება არსებობდეს კომერციული ბანკების კაპიტალებში.

ეკონომიკური კრიზისისა და საბანკო სისტემის მოშლის პირობებში სახელმწიფო ცდილობს ბანკებზე თავისი გავლენის გაძლიერებას. სახელმწიფო რეგულირება იწვევს არა მარტო მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას და რეზერვირებისა და ლიკვიდობის ნორმატივების გადიდებას, არამედ საბანკო კაპიტალში სახელმწიფო საკუთრების მომტებულად მქონე სპეციალიზებული საკრედიტო ინსტიტუტების შექმნასაც. ასეთ ბანკებს მსოფლიო პრაქტიკაში ხშირად უწოდებენ განვითარების ბანკებს. მათი მეშვეობით სახელმწიფოს საშუალება ეძლევა განახორციელოს მიზნობრივი „წერტილოვანი“ ინვესტირება ეკონომიკის საწარმოო სექტორში.

საბაზრო მეურნეობის პირობებში კომერციულ ბანკზე საკუთრების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა აქციონერული ფორმა (საერთაშორისო ტერმინოლოგიით მას ხშირად კერძო ფორმას უწოდებენ, რადგანაც ბანკის კაპიტალის შექმნაში უმთავრესად კერძო საწარმოები და ცალკეული კერძო პირები მონაწილეობენ). 2002 წ. 1 იანვრის მონაცემებით საქართველოს კომერციული ბანკების მთლიან რაოდენობაში საჯაიო ბანკები ჭარბობდა, აქციონერული ფორმის რეუიმში კი მათი მცირე რაოდენობა მუშაობდა.

დაკისრებული დუნქციების მიხედვით განასხვავებენ ცენტრალურ, კომერციულ, საინვესტიციო, იპოთეკურ, ინოვაციურ და ა.შ. ბანკებს.

ინოვაციური ბანკი – ეს კომერციული ბანკია, რომელიც სპეციალიზებულია ინოვაციური პროექტების ე. ი. სხვადასხვა მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლის დაფინანსებასა და დაკრედიტებაზე. მათი ვადები, წესები და პირობები დგინდება დასაფინანსებელი სამუშაოების მასშტაბების, სტადიებისა და ხასიათის მიხედვით. გამოიყენება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი დაკრედიტება. შესაძლებელია ინვესტიციური დაფინანსებაც იმ კომპანიების აქციების შეძენის გზით, რომლებიც ამუშავებენ და ნერგავენ რაიმე მეცნიერულ-ტექნოლოგიურ იდეას, აგრეთვე დაკავებული არიან ობლიგაციების ხანგრძლივი ვადით გავრცელებით დასაფინანსებელი პროექტის განხორციელებით დაინტერესებულ პირებს შორის.

ინოვაციური ბანკი სხვა ბანკებისაგან გამოირჩევა შემდეგი თვისებურებებით: საკრედიტო დაბანდების უკან დაბრუნების მაღალი რისკით; არსებული განსხვავებით არა მხოლოდ ვადებში, არამედ სესხების მოცულობაში; მეანაბრის სახსრების დაცვის უზრუნველყოფისათვის დამატებითი გარანტიების აუცილებლობით. ეკონომიკის სტაბილიზაცია, კერძო სექტორში ინვესტიციური აქტიურობის ამაღლება, პრივატიზაციისა და მეწარმეობის განვითარება განაპირობებს ინოვაციური მიზნებისათვის კრედიტზე მოთხოვნის გაზრდას. თავის მხრივ, ეს პროცესი სტიმულს აძლევს ძირითადი კაპიტალის განახლებას და ხელს უწყობს მსოფლიო დონესთან შედარებით ტექნიკასა და ტექნოლოგიაში არსებული ჩამორჩენის დაძლევას.

იპოტეკური ბანკი – საკრედიტო დაწესებულებაა, რომელიც გასცემს იპოტეკურ კრედიტს და უშვებს უძრავი ქონების დაგირავებით უზრუნველყოფილ გირავნობის სიგელს. სესხის მიღების მიზნით ხდება უძრავი ქონების დაგირავება, უმთავრესად მიწისა და ნაგებობების იპოტეკური სესხის მიღების მიზნით. იპოთეკა გირაოს ისეთი სახეა, რომლის დროსაც დასაგირავებელი ქონება კი არ გადაეცემა კრედიტორს, არამედ რჩება მსესხებელს. იპოთეკის ქვეშ ასევე იგულისხმება გირავნობის სიგელის და იპოთეკური ბანკის კრედიტად აღებული სესხი.

საემისიო ბანკი – სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულება, ცენტრალური ბანკი, რომელსაც მინიჭებული აქვს საბანკო ბილეთების გამოშვების, ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და სავალუტო კურსის რეგულირებისა და კონტროლის, ოფიციალური ოქროს სავალუტო რეზერვის დაცვის მონოპოლიური უფლება.

საინვესტიციო ბანკი – სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტია, რომელიც ახდენს გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის მობილიზაციას და შემდეგ გასცემს მას ობლიგაციების ან სხვა სახის სასესხო ვალდებულებათა გამოშვებისა და გავრცელების გზით.

ცენტრალური ბანკი– სახელმწიფო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს ფულადი მიმოქცევის, ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების რეგულირებასა და კონტროლს.

კომერციული ბანკი – საბანკო დაწესებულება, რომელიც სპეციალიზებულია დეპოზიტების მიღებაზე, კრედიტების გაცემაზე, კლიენტების საანგარიშწორებო მომსახურეობაზე და ა.შ.

*ცენტრალური და კომერციული ბანკების საქმიანობას უფრო დაწვრილებით შევეხებით მომდევნო თავებში.)

საქმიანობის მასშტაბების მიხედვით გამოყოფენ ბანკების კონსორციუმებს, მსხვილ, საშუალო და მცირე ბანკებს.

ზოგიერთი ქვეყნის საკრედიტო ორგანიზაციების მთლიან რაოდენობაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უჭირავს ე.წ. მცირე კრედიტის დაწესებულებებს. მათ ეკუთვნის საკრედიტო კორპორაცია, ორმხრივი კრედიტის საზოგადოებები, გამსესხებელ-შემნახველი ბანკები, სამშენებლო-შემნახველი სალაროები და ა.შ. ასეთი ფულად-საკრედიტო ინსტიტუტების ღირსება ისაა, რომ მათ შესწევთ იმუშაონ პატარა საწარმოებთან, მხარი დაუჭირონ საშუალო და მცირე ბიზნესს, აგრეთვე, თავი მოუყარონ მცირე დანაზოგებს და ადგილობრივი საჭიროებისათვის მოახდინონ მათი მობილიზაცია.

მომსახურეობის სფეროს მიხედვით ბანკები შეგვიძლიათ დავყოთ რეგიონულ (ადგ-

ილობრივ), რეგიონთაშორისო, ეროვნულ და საერთაშორისო ბანკებად. რეგიონულია ის ბანკები, რომლებიც ძირითად ადგილობრივ და მოცემული რეგიონის კლიენტებს ემსახურებიან. მათ შეიძლება ის მუნიციპალური ბანკებიც მივაკუთვნოთ, რომლებიც გარკვეული რეგიონის (ქალაქის) მოთხოვნილებებს ემსახურებიან; ეროვნულია ისეთი ბანკები, რომლებიც ქვეყნის შიგნით საქმიანობენ და ძირითადად თავიანთი ქვეყნის კლიენტების მოთხოვნებს ემსახურებიან; საერთაშორისო ბანკები უპირატესად სხვა ქვეყნების კლიენტთა კავშირურთიერთობებს ემსახურებიან.

ფილიალების რაოდენობის მიხედვით ბანკები შეიძლება იყოს მრავალფილიალიანი და უფილიალო. ფილიალების რაოდენობის მატება ხდება როგორც მეთაური ბანკების ბაზაზე, რომლებიც თავიანთ ქსელს აფართოებენ, ისე მთელი რიგი დამოუკიდებელი ბანკების გადაქცევით უფრო ძლიერი საკრედიტო ინსტიტუტების ფილიალებად.

მომსახურებაგაწეული დარგების მიხედვით ბანკები იყოფა ისეთ ორგანიზაციებად, რომლებიც ან მრავალ დარგს ემსახურებიან, ან უპირატესად რომელიმე ერთ დარგს. საერთაშორისო პრაქტიკაში გვხდება სამრეწველო და სავაჭრო ბანკები, აგრეთვე, ისეთი ბანკები, რომლებიც მრეწველობის რომელიმე ქვედარგს ემსახურებიან.

საერთაშორისო პრაქტიკაში ბანკების კლასიფიკაციის სხვა კრიტერიუმებიც გვხდება. მაგალითად, აშშ-ში დადგენილია ორმაგი დაქვემდებარების სისტემა, გამოყოფილია იმ ბანკების ჯგუფი, რომლებიც ფედერალურ სარეზერვო სისტემას ეკუთვნის, და იმ ბანკებისა, რომლებსაც ცალკეული შტატები არეგულირებს; დაზღვევასთან მიმართების თვალსაზრისით, მოქმედებენ ისეთი ბანკები, რომელთა ანაბრები დაზღვეულია დეპოზიტების დაზღვევის ფედერალურ კორპორაციაში, და ისეთები, რომლებიც არაა იქ დაზღვეული.

ბანკები, როგორც საბანკო სისტემის ელემენტები, წარმატებით ვითარდება მხოლოდ მის სხვა ელემენტებთან და პირველ რიგში, საბანკო ინფრასტრუქტურასთან ურთიერთქმედებით. საბანკო ინფრასტრუქტურას უწოდებენ ელემენტების იმ ერთობლიობას, რომლებიც ბანკების ცხოველქმედებას უზრუნველყოფენ. განასხვავებენ საბანკო ინფრასტრუქტურის ორ ბლოკს – შიდას და გარეს. პირველი შიგნიდან უზრუნველყოფს ბანკის სტაბილურობას, მეორე კი განაპირობებს გარე სამყაროსთან მის ურთიერთქმედებას.

შიდა ინფრასტრუქტურის ელემენტებია:

ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს საკრედიტო დაწესებულებების სტატუსს, და მის მიერ შესრულებული ოპერაციების ჩამონათვალი;

ოპერაციების შესრულების შიდა წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ საკანონმდებლო აქტების შესრულებას და მეანაბრეებისა და ბანკების კლიენტების ინტერესების დაცვას, თვითონ ბანკის საკუთარი ინტერესების დაცვას და მთლიანად მეთოდურ უზრუნველყოფას;

- აღრიცხვის, ანგარიშგების, საანალიზო ბაზის მოწყობა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება და ბანკის საქმიანობის მართვა თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემების საფუძველზე;

ბანკის მართვის აპარატის სტუქტურა;

გარე საბანკო ინფრასტრუქტურის ბლოკს ეკუთვნის:

საინფორმაციო უზრუნველყოფა;

სამეცნიერო უზრუნველყოფა;

საკადრო უზრუნველყოფა;

საკანონმდებლო ბაზა.

საინფორმაციო უზრუნველყოფა საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი და განუყრელი ნაწილია. იგი აუცილებლად საჭიროა როგორც ბანკისთვის, ისე მისი კლიენტებისათვისაც. კონკურენციის პირობებში მომუშავე ბანკები ინფორმაციას აგროვებენ მთლიანად ეკონომიკის, მისი დარგების, ქვედარგებისა და ცალკეული საწარმოების ჯგუფების შესახებ. ბაზრის განვითარებაში გამოვლენილი ტენდენციების ანალიზის საფუძველზე ისინი კორექტირებას უკეთებენ თავიანთ ფულად-

საკრედიტო პოლიტიკას, ზღუდავენ ან აფართოვებენ ინვესტიციებს, მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობის მიხედვით გადაანაწილებენ კაპიტალებს. მაკროეკონომიკური ურთიერთობების შესახებ აუცილებელი ინფორმაცია, როგორც წესი, სტატისტიკურ კრებულებში, მრავალრიცხოვან ცნობარებში. სპეციალურ ოპერაციულ გამოცემებში და ბიულეტენებშია მოცემული (მათ შორის – ცენტრალური ბანკების გამოცემებში).

თავიანთი საქმიანობის პროცესში ბანკები აქტიურად იყენებენ მონაცემებს საწარმოების ეკონომიკის, მათი პროდუქტების განვითარებისა და ფინანსური მდგრადობის შესახებ. საწარმოების ბალანსისა და მათი ანგარიშების სხვა ფორმების გარდა ბანკები თავიანთი კლიენტების საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აგროვებენ პერიოდულ პრესაშიც, სარგებლობენ იმ სპეციალური სააგენტოების მომსახურებით, რომლებსაც კონფიდენციალური მასალები აქვთ მთლიანად საწარმოებისა და მათი ხელმძღვანელობის შესახებ. ზოგიერთ ქვეყანაში ბანკებს შესაძლებლობა აქვთ მიმართონ იმ სპეციალურ ფირმებს, რომლებიც საწარმოთა ეკონომიკას აანალიზებენ, და მათგან მიიღონ საჭირო ცნობები. მთელ რიგ შემთხვევებში კლიენტების კართოტეკას ცენტრალური ბანკები აწარმოებენ, რაც სესხის მოსურნე საწარმოს ოპერატიულად შეფასების შესაძლებლობას აძლევს კომერციულ ბანკებს. ზოგიერთი ქვეყნის ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებს უგზავნის ინფორმაციას იმ საწარმოთა შესახებ, რომლებიც საგადამხდელო დისციპლინას არღვევენ, აღებულ სესხებს უგვიანებენ ბანკებს და ა.შ.

ბაზრის შესახებ ინფორმაცია შესაძლოა ეხებოდეს არა მარტო კომერციული ბანკების კლიენტებს, არამედ თვითონ ბანკებსაც. სპეციალური სარეიტინგო სააგენტოები დროდადრო აქვეყნებენ მონაცემებს საკრედიტო დაწესებულებების საიმედოობის დონის შესახებ. მას ბანკებიც იყენებენ ერთმანეთთან ურთიერთობებისათვის, საწარმოებიც და ცალკეული მოქალაქეებიც, რომლებსაც სურთ სწორად შეირჩიონ ყველაზე საიმედო ბანკი.

ბაზრის პირობებში ბანკები თავიანთი რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს სამეცნიერო უზრუნველყოფის განვითარებას ახმარენ. პრაქტიკულად ყველა კომერციულ ბანკში მუშაობენ ანალიტიკოსები, რომლებიც ბაზარს სწავლობენ. მსხვილი ბანკები და ბანკთაშორისი გაერთიანებები სპეციალურ სამეცნიერო სტრუქტურებსაც აყალიბებენ (ანალიტიკურ ცენტრებს და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს). ბაზრის ანალიზი, ახალი საბანკო პროდუქტების დამუშავება, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება და საბანკო ოპერაციების შესრულების მექანიზმის სრულყოფა საშუალებას აძლევს ბანკებს, გაუძლონ საკონკურენციო ბრძოლას, თავიდან აიცილონ შეცდომები, გაზარდონ თავიანთი საქმიანობის საიმედოობა და ეფექტიანობა.

საბანკო ინფრასტრუქტურის არსებითი ბლოკია საკადრო უზრუნველყოფა. მთელი საბანკო საქმიანობის ეფექტიანობა პროფესიონალ სპეციალისტებზეა დამოკიდებული. არსებობს სპეციალური უმაღლესი სასწავლებლების, ფაკულტეტებისა თუ კოლეჯების მთელი ქსელები, რომლებიც საფინანსო-საბანკო პროფილის კადრებს ამზადებს; მრავალ ქვეყანაში იქმნებოდა საფინანსო-საბანკო სკოლები, სადაც სხვა დისციპლინებთან ერთად ასწავლიან ფინანსებს, საბანკო საქმეს და საბუღალტრო აღრიცხვას, მიმდინარეობს კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება სპეციალურ კომერციულ სკოლებში, კურსებზე. სასწავლო ცენტრებსა თუ მსხვილ ბანკებში.

თანამედროვე პირობებში, როცა საბანკო საქმიანობაში ძლიერდება ეკონომიკური რისკები, უფრო მწვავედ დგება საბანკო საქმის, ბანკებისა და მისი ქვედანაყოფების მართვის დარგში დიდი პროფესიული ცოდნის მქონე ეკონომიკური კადრების მომზადების საკითხი. კომერციულ ბანკებში მომუშავე ადამიანებმა ზოგჯერ არ იციან თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიები. ეს აფერხებს საბანკო სისტემის განვითარებას, იწვევს საკრედიტო პორტფელის მცდარ ჩამოყალიბებას, დაანაკარგებს ამა თუ იმ ოპერაციის შესრულების დროს.

საბანკო ინფრასტრუქტურის განსაკუთრებული ბლოკია საბანკო კანონმდებლობა. სხვა ბლოკებთან ერთად ისიც არსებით გავლენას ახდენს როგორც საბანკო სისტემის განვითარებაზე, ისე საწარმოებთან და მოსახლეობასთან მის ურთიერთობაზე.

მოკლე დასკვნები

1. ბანკების წარმოშობის შესახებ ისტორიულ და ეკონომიკურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი მიმდინარეობა თვლის, რომ ბანკები კაპიტალიზმის მანუფაქტურული სტადიის პირობებში აღმოცენდა. სპეციალისტთა მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ბანკები უფრო ადრეულ პერიოდში – ფეოდალიზმის დროს გაჩნდა. იმის მიუხედავად, რომ ბანკები დიდი ხანია არსებობენ, საკითხები ბანკის არსის შესახებ დღესაც სადისკუსიოა.

2. ბანკი არის

- ფულის საცავი;
- დაწესებულება, ორგანიზაცია;
- ეკონომიკური მართვის ორგანო;
- საშუამავლო ორგანიზაცია;
- ბირჟის აგენტი;
- საკრედიტო საწარმო.

ყველაზე უფრო ფართო წარმოდგენით ბანკი ორი უმნიშვნელოვანესი თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ: ბანკი დაწესებულება და ბანკი - საწარმო. იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ბანკის არსს თვით მასში მომუშავენი, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ბანკის პოლიტიკა და კლიენტებთან ურთიერთდამოკიდებულება. თუ ბანკი დაწესებულებაა, მაშინ ბანკის თანამშრომელი ჩინოვნიკია, კლიენტი კი – მთხოვნელი. ამ ურთიერთობას შეესაბამება ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობათა ადმინისტრაციული ტიპი. თუ ბანკი საწარმოა, მაშინ ბანკის თანამშრომელი მწარმოებელია, გამყიდველია, ხოლო კლიენტი – მყიდველი. ესაა ურთიერთობათა სულ სხვა – პარტნიორული ტიპი, რომელიც საბაზრო მეურნეობას ახასიათებს.

3. ბანკი როგორც სპეციფიკური საწარმო ისეთ პროდუქტს აწარმოებს, რომლიც არსებითად განსხვავდება მატერიალური წარმოების სფეროს პროდუქტისაგან. იგი აწარმოებს არა უბრალოდ საქონელს, არამედ განსაკუთრებული სახეობის საქონელს – ფულს, საგადამხდელო საშუალებების სახით. ბანკის, როგორც კვლავწარმოების სუბიექტების მთელ მასაში გამოყოფილი მონოპოლისტის, მიერ გამოშვებული ნაღდი ფული ემსახურება როგორც წარმოების ისე განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროებს. ამ პროდუქტებთან ერთად ბანკები მრავალგვარ მომსახურებასაც ეწევიან, რომლებიც უპირატესად ფულადი ხასიათის მქონეა.

4. ბანკის არსი მოითხოვს მისი სტრუქტურის ახსნას. ბანკის სტრუქტურის სქემა მოიცავს ოთხ საეალდებულო ბლოკს. პირველ ბლოკში შედის საბანკო კაპიტალი, რომელიც არსებობს უმეტესწილად სასესხო ფორმით და მხოლოდ მოძრაობაში იმყოფება. მეორე ბლოკში საბანკო საქმიანობა განსხვავდება სხვა საწარმოების და ინტიტუტების საქმიანობისაგან თავისი პროდუქტის ხასიათით; მესამე ბლოკი შედგება იმ ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფებისაგან, რომელთაც აქვთ სპეციფიკური ცოდნა საბანკო საქმის და ბანკის მართვის სფეროში. მეოთხე ბლოკს შეიძლება ეუწოდოთ საწარმო ბლოკი, რადგანაც მასში შედის საბანკო ტექნიკა, შენობები, ნაგებობები, საბანკო ინფორმაცია და ა.შ.

5. მუშაობის სპეციფიკის, მისი საფუძვლისა და სტრუქტურის ანალიზის გათვალისწინებით, ბანკები შეიძლება განვმარტოთ როგორც ისეთი საწარმო ან საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, რომლის მთავარი ფუნქციები არის: დროებით თავისუფალი

ფულადი სახსრების აკუმულაცია და მათი გაცემა კრედიტის სახით დროებით სარგებლობაში ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე. ბანკები აწარმოებენ ფულისა და ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა სახის ოპერაციებს, ფინანსურ მომსახურებას უწევენ მთავრობას, საწარმოებს, მოქალაქეებსა და ერთმანეთს. ბანკები ინახავენ, ყიდულობენ და ყიდიან, ცვლიან ფულსა და ფასიან ქაღალდებს, აკონტროლებენ ფულადი სახსრების მოძრაობას, ფულისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევას, ეწევიან საგადამხდელო და საანგარიშსწორებო მომსახურებას.

6. საერთაშორისო პრაქტიკაში ბანკების კლასიფიკაციის სხვადასხვა კრიტერიუმებით სარგებლობენ. ამჟამად კომერციული ბანკების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი ნიშნების მიხედვით: შესრულებული ოპერაციების ხასიათის; საკუთრების ტიპის; საქმიანობის მასშტაბების; მომსახურების სფეროს და დაკისრებული ფუნქციების მიხედვით. ასევე გამოყოფენ დარგობრივი სპეციალიზაციის ბანკებს ;

- კაპიტალის კუთვნილების;
- სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის;
- დამოუკიდებლობის ხარისხის;
- ფილიალების რაოდენობის მიხედვით.

7. ბანკები, როგორც საბანკო სისტემის ელემენტები, წარმატებით ვითარდება საბანკო ინფრასტრუქტურასთან ურთიერთქმედებით. საბანკო ინფრასტრუქტურას უწოდებენ ელემენტების იმ ერთობლიობას, რომლებიც ბანკების სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს. ინფრასტრუქტურის ორ ბლოკს გამოყოფენ: შიდა ინფრასტრუქტურის ელემენტებია: საკანონმდებლო ნორმები; ოპერაციების შესრულების შიდა წესები; აღრიცხვის, ანგარიშგების, საანალიზო ბაზის მოწყობა; მონაცემთა კომპიუტერული დამუშავება და ბანკის საქმიანობის მართვა თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემების საფუძველზე.

გარე საბანკო ინფრასტრუქტურის ბლოკს ეკუთვნის:

- საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- სამეცნიერო უზრუნველყოფა;
- საკადრო უზრუნველყოფა;
- საკანონმდებლო ბაზა.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

ანაბარი – კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები, რომლებზედაც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება და რომელისაც, როგორც წესი, ერიცხება პროცენტები.

ბანკი – ფრანგ. banque – საკრედიტო-საფინანსო დაწესებულება, ორგანიზაცია, რომლის მთავარი ფუნქციაც არის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაცია და მათი გაცემა კრედიტის სახით დროებით სარგებლობაში ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე;

ბანკირი – ფულადი კაპიტალის მენეჯერი და მესაკუთრე, რომელიც დასპეციალიზებულია საბანკო ოპერაციების წარმოებაში.

ბანკირთა სახლი – კერძო საბანკო დაწესებულებაა, რომელიც ეკუთვნის ცალკეულ ბანკის ან ბანკირთა ჯგუფს შეუზღუდავი პასუხისმგებლობის ამხანაგობის სახით.

ბანკის გარანტია – თავდებობა, რომელსაც თავის თავზე იღებს ბანკი-გარანტი კლიენტის ან სხვა პირის მიერ ფულადი ან სხვა ვალდებულებების შესრულებაზე; ამ ვალდებულებების

შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკი, რომელმაც გარანტია გასცა, პასუხისმგებელია მსესხებლის ვალზე იმ ოდენობით, რაც გარანტიითაა გათვალისწინებული.

ბირჟა – ორგანიზებული ბაზარი, სადაც ხდება ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, მასობრივი წარმოების, სტანდარტული ან ერთი სახის საქონლის ყიდვა-გაყიდვა; როგორც წესი, ბირჟას ჰყავს წევრთა ფიქსირებული შემადგენლობა და ეყრდნობა ვაჭრობის მკაცრ წესებს.

დეპოზიტი – 1. შესანახად შეტანილი ფულადი სახსრები ან ფასიანი ქაღალდები, საფინანსო-საკრედიტო, ადმინისტრაციულ და საბაჟო ორგანიზაციებში. 2. მოვალის მიერ სასამართლო დაწესებულებებში კრედიტორისათვის გადასაცემად შეტანილი ფულადი თანხა ან ფასიანი ქაღალდები. 3. კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში შესანახად შეტანილი ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები ან გადახდის სხვა საშუალებები.

ინოვაციური ბანკი – კომერციული ბანკი სპეციალიზებულია ინოვაციური პროექტების ე.ი. სხვადასხვა მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლის დაფინანსებასა და დაკრედიტებაზე, რომელთა ვადები, წესები და პირობები დგინდება დასაფინანსებელი სამუშაოების მასშტაბის, სტადიებისა და ხასიათის მიხედვით.

იპოტეკური ბანკი – საკრედიტო დაწესებულება, რომელიც გასცემს იპოტეკურ კრედიტს და უშვებს უძრავი ქონების დაგირავებით უზრუნველყოფილ გირავნობის სიგელს.

კლირინგული ბანკი – ბანკი, რომელიც საანგარიშსწორებო პალატის წევრია. მომსახურებას უწევს მასში გახსნილ ანგარიშებს (მატერიალური ფასეულობის მდგომარეობის უწყისების წარმოება, ფასიანი ქაღალდების მიღება-მიწოდება, ანგარიშსწორებისა და გაცემათა განხორციელება).

კომერციული ბანკი – ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოებს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.

საბანკო ტიპის არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები – ვიწრო სპეციალიზებული საკრედიტო დაწესებულებები, განსაკუთრებული ფორმის ორგანიზაციით, რომელიც აუცილებლად ახორციელებს ბანკების დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობის შემცველ. მაგრამ არასრული მოცულობის ერთ ან რამდენიმე ოპერაციას.

საემისიო ბანკი – სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულება, ცენტრალური ბანკი, რომელსაც მინიჭებული აქვს საბანკო ბილეთების გამოშვების, ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და სავალუტო კურსის რეგულირებისა და კონტროლის, ოქროს სავალუტო რეზერვის დაცვის მონოპოლიური უფლება.

საინვესტიციო ბანკი – სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტი, რომელიც ახდენს გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის მობილიზაციას და შემდეგ გასცემს მას ობლიგაციების ან სხვა სახის სასესხო ვალდებულებათა გამოშვებისა და გავრცელების გზით.

სპეციალიზებული კომერციული ბანკები – საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც თავისი პოლიტიკით შეიმუშავებენ და პრაქტიკაში ახორციელებენ საქმიანობის განსაზღვრულ პრიორიტეტებს.

უნივერსალური კომერციული ბანკები – საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ საბანკო საქმიანობის (ოპერაციებისა და გარიგებების) სრულ კომპლექსს.

?. . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1.როგორია ბანკების წარმოშობის ძირითადი ეტაპები საქართველოში? მოგვიყევით როდის და როგორ ჩამოაყალიბა ილია ჭავჭავაძემ ქართული სათავადაზნაურო ბანკი. დაასახელეთ აღნიშნული ბანკის ფუნქციები და როლი იმდროინდელი საქართველოსათვის.

2. ჩამოაყალიბეთ ბანკის თანამედროვე განმარტება.

3. რა თავისებურება ჰქონდა საბანკო სისტემას და მის განვითარებას საბჭოთა პერიოდში?

4. რაში მდგომარეობს XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში განხორციელებული საბანკო რეფორმა?

5. რა განსხვავება და მსგავსებაა ბანკსა და ვაჭრობის სფეროებს შორის?

6. რა იგულისხმება ბანკის სტრუქტურაში?

7. ჩამოაყალიბეთ კომერციული ბანკის ფუნქციები.

8. დაასახელეთ ბანკის სახეები:

ა) შესრულებული ოპერაციების ხასიათის მიხედვით;

ბ) საკუთრების ტიპის მიხედვით;

გ) საქმიანობის მასშტაბების მიხედვით;

დ) მომსახურეობის სფეროს მიხედვით;

ე) ფილიალების რაოდენობის მიხედვით;

ვ) ფილიალების სპეციალიზაციის მიხედვით;

ზ) ფუნქციონალური სპეციალიზაციის მიხედვით;

9. მოიძიეთ და ჩამოთვალეთ დღეისათვის სააქრთველოში არსებული კომერციული ბანკები.

10. ჩამოაყალიბეთ ბანკის აგებულების ოთხი სავალდებულო ბლოკი და დაასახელეთ მათი შემადგენლობა.

11. რა ნაკლოვანებების დასახელება შეგიძლიათ საქართველოს თანამედროვე საბანკო სისტემაში?

12. ახსენით ბანკის ამოცანები და როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

13. რა იყო საბჭოთა საბანკო სისტემის ძირითადი ნაკლი?

14. როგორია საბაზრო ეკონომიკის პერიოდში ბანკების ფუნქციონირების სავალდებულო პირობები?

რეკომენდებული ლიტერატურა:

ბასარია რ., მესხია ი. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. თბ., ფინანსები", 1996.

გამსახურდია გ. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ. „მერანი", 1995.

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

გუგუშვილი პ. ფულის ნიშნები და ფულის მიმოქცევა. საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფიები. ტ.II.1956, ტ.V.1962.

ვახტანგ VI. სამართლის წიგნი, თბ., 1955.

თელია ა. ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე. თბ., 1989.

კაკულია რ., შურღულია თ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო სისტემის ფორმირების შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. გარდამავა-

ლი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. ტ. III. თბ., „ფინანსები“, 1999.

კაპანაძე დ. ქართული ნუმიზმატიკა, 1950.

კოზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2001.

ქისტაური შ. ილია ჭავჭავაძე – დიდი ქართველი ბანკირი-ფინანსისტი. თბ., 1998.

ქოიავა ნ. კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი. ტ.I. თბ., 1956.

ქოიავა ნ. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. თბ., 1963.

ჩანტლაძე ვ. ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია. I და II ნაკვეთი. თბ., 1986.

ჩანტლაძე ვ. ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია. ფული, კრედიტი და ფინანსები საქართველოში. ნაწილი I და II. თბ., 1987.

ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საფინანსო ინჟინერია, კრედიტი. თბ., 1999.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

ხელაია გ. ფული, ბანკები და ბირჟები. თბ., 1996.

ეკონომიკური ლექსიკონი. ავტორთა კოლექტივი. პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით. თბ., 2001.

ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. თბ., „ლაშარი“, 1993.

ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. ტ.I. თბ., 1930.

ჯავახიშვილი ივ. ქართული ერის ისტორია, თბ., 1941.

მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი №7 (17). საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2000.

Балабанов И.Т. Банки и Банковское дело. Питер, 2003.

Банковское дело: Учебник - 2-е изд. Под ред. **О.И. Лаврушина.** - М.: Финансы и статистика, 2001.

Банковское дело. Словарь. American Bankers Association. Пер. с англ. М.: Инфра - М., 2001.

Банковское дело: стратегическое руководство. М.: Консалтбанкир, 2001.

Белоглазова Г.Н., Кроливецкая Л.П. Банковское дело. М.: ФиС, 2001.

Долан Э. Дж., Кемпбелл К.Д., Кемпбелл Р. Дж. Деньги, банковское дело и денежно-кредитная политика. М. - Л., 1991.

Жарковская Е.П. Арендс И.О. Банковское дело. Курс лекций М.: Омега - Л. 2003.

Коробова Г.Г. Банковское дело. Учебник. М.: Экономист, 2004.

Лобанова Т.Н. Банки: организация и персогал. Практическое пособие М.: БДЦ-Пресс, 2004.

Мод Д., Молино Ф. Private Banking: элитное обслуживание частного капитала. М.: Альпина Паблишер, 2003.

Основы банковскй деятельности (Банковское дело). Под.ред. **Тагирбекова К.Р.** - М.: "ИНФРА - М", изд. "Весь Мир", 2001. -720 с.

О банках и банковской деятельности. М. : Де-юре, 1993.

Palfreman David., Ford Philip. Elements of Banking. Pritman Publishing. London. 1996.

Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling Financial Services. Second Edition. IRWIN. Honewood. Boston. 1993.

Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

მეორე თავი. საკრედიტო სისტემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში

ტერმინები და ძირითადი ცნებები.
2.1. საკრედიტო სისტემა და მისი განვითარება ბაზარზე გადასვლის პერიოდში
2.2. საბანკო სისტემის ცნება
2.3. საბანკო სისტემის ორგანიზაციული სქემა
2.4. საბანკო სისტემის ინსტიტუციური სქემა
2.5. კომერციული ბანკების ასოციაცია
2.6. საქართველოს საბანკო სისტემის მდგომარეობა
2.7. საბანკო სისტემის განვითარება
მოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

კომერციული ბანკების ასოციაცია
საბანკო სისტემა
საბანკო სისტემის საბაზო ნიშნები
საბანკო სისტემის ინსტიტუტციონური სქემა
საბანკო ინფრასტრუქტურა
საბანკო სისტემის აგების იერარქიული პრინციპი
საბანკო სისტემის აგების ფუნქციურ-მარეგულირებელი პრინციპი
საკრედიტო სისტემა
საბანკო ზედამხედველობის უფლებამოსილება

2.1. საკრედიტო სისტემა და მისი განვითარება ბაზარზე გადასვლის პერიოდში

საკრედიტო სისტემის განხილვის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი ეყრდნობა იმ რთული ეკონომიკური ურთიერთობების რეალიზაციას, რომლებსაც განვითარების გრძელი ისტორიული გზა აქვთ გავლილი და ამჟამად შემაკავშირებელ როლს თამაშობენ მთელი ამ ურთიერთობების სტრუქტურაში.

განასხვავებენ საკრედიტო სისტემის ორ ცნებას: 1. საკრედიტო ურთიერთობების, დაკრედიტების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა (ფუნქციური ფორმა); 2. იმ საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების ერთობლიობა, რომლებიც თავს უყრიან თავისუფალ ფულად სახსრებს და სესხად გასცემენ მათ (ინსტიტუციური ფორმა).

პირველი ასპექტით საკრედიტო სისტემა წარმოდგენილია საბანკო, სამომხმარებლო, კომერციული, სახელმწიფო და საერთაშორისო კრედიტით. ყველა ამ სახეობის კრედიტისათვის დამახასიათებელია ურთიერთობათა სპეციფიკური ფორმები და დაკრედიტების საკუთარი მეთოდები. ამ ურთიერთობებს რეალიზებასა და ორგანიზებას უწევენ ის სპეციალიზებული დაწესებულებები,

რომლებიც მეორე (ინსტიტუციური) გაგებით აყალიბებენ საკრედიტო სისტემას. ამ სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურის წამყვანი რგოლია ბანკები. საკრედიტო სისტემა საბანკო სისტემაზე უფრო ფართო და ტევადი ცნებაა, რადგანაც საბანკო სისტემა მხოლოდ ქვეყანაში მოქმედი ბანკების ერთობლიობაა.

ბანკი კომერციული დაწესებულებაა, რომელიც იზიდავს იურიდიული და ფიზიკური პირების ფულად სახსრებს და თავისი სახელით განათავსებს მათ დაბრუნების, საზღაურისა და ვადიანობის პირობით, აგრეთვე ახორციელებს საანგარიშსწორებო, საკომისიო-საშუამავლო და სხვა ოპერაციებს.

საბანკო სისტემის განვითარება პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. აღმოსაელეთ ევროპის ქვეყნების სოციალისტური საბანკო სისტემები ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკის მქონე სახელმწიფო სტრუქტურების ნაწილი იყო, რომელთა მიზანი იყო სახელმწიფოს საგეგმო დავალებათა შესრულება და ფონდების განაწილება ამ დავალებების შესაბამისად. რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკას, მისი ფუნქციონირებისათვის საჭიროებულო პირობაა, რომ არსებობდეს:

სტაბილური საკალუტო ფულადი სისტემა;

ეფექტიანად ფუნქციონირებადი საბანკო ქსელი;

კონკურენტული ურთიერთობები საფინანსო მომსახურების ბაზარზე.

მაშასადამე, ბანკები ქმნიან იმ ეკონომიკური წყობის მთავარ კომპონენტს, რომელსაც საბაზრო მეურნეობას უწოდებენ. გასაკვირვი არაა, რომ საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლამ დააჩქარა საბანკო სისტემის განვითარება და ახალი საფინანსო ინფრასტრუქტურის ფორმირება. საბანკო სისტემის რეფორმირებამ დროის საგრძნობი პერიოდი გასტანა და ამჟამადაც გრძელდება.

XX საუკუნი 80-იანი წლების შუა ხანებამდე ჩვენში არსებობდა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებების სისტემა, რომელიც მეურნეობის მართვის საგეგმო-განაწილებით მოდელს იყო მორგებული. საბანკო მომსახურების და კონტროლის ძირითადი ბერკეტები მაშინდელი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ხელში იყო მოქცეული. გარდა ამისა, არსებობდა ორი სპეციალიზებული ბანკი: მშენბანკი, (კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების სრულიად საკავშირო ბანკი, იგი ახორციელებდა კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებასა და საწარმოთა გრძელვადიან დაკრედიტებას) და საგარეო ვაჭრობის ბანკი, რომელიც საგარეო ეკონომიკურ სფეროში ახორციელებდა საანგარიშსწორებო და საკრედიტო ოპერაციებს.

ქვეყნის თანამედროვე საბანკო სისტემამ 80-იანი წლების ბოლოდან დაიწყო ჩამოყალიბება, როდესაც მთავრობამ ფართო სამეურნეო დამოუკიდებლობა მიანიჭა საწარმოებს. შემოიღო ბაზრის ელემენტები, შეიმუშავა ისეთი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ინსტიტუციური გარდაქმნებისთვის იყო აუცილებელი და დააკანონა კოოპერატივების, სააქციო საზოგადოებების, ბირჟების და ა.შ. შექმნის უფლება. ამ ღონისძიებებმა და იმ ფორმებმა, რომლებითაც ისინი ხორციელდებოდა, განმსაზღვრელი როლი ითამაშეს მომავალში ეკონომიკის განვითარების მიზნებისა და მიმართულებების ფორმირებაში.

80-იანი წლების შუა პერიოდში, როდესაც მიმდინარეობდა ეკონომიკის უფრო დინამიკურად განვითარების გზების ძიება, არაერთხელ გამოელინდა საბანკო სისტემის რეორგანიზაციის მცდელობები. 1987 წელს გამოტანეს გადაწყვეტილება ქვეყანაში რადიკალური ეკონომიკური რეფორმის გატარების შესახებ, რომელსაც საფუძვლად უნდა დასდებოდა სრული სამეურნეო ანგარიში და თვითდაფინანსება. ამან, თავის მხრივ, მოითხოვა მთელი საბანკო სისტემის გადაკეთება. ჩატარებულ გარდაქმნათა შედეგად სახელმწიფო ბანკმა დაკარგა მონოპოლიური ფუნქციები და ჩამოშორდა კლიენტურასთან უშუალო საკრედიტო საქმიანობას. მას დაუმკვიდრეს მთელი საბანკო სისტემის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის როლი. შეიქმნა რამდენიმე სპეციალიზებული ბანკი.

რეფორმების პირველი პერიოდი ნაკლებად ეფექტიანი გამოდგა, რადგან მას ჰქონდა ადრინდელი ადმინისტრაციული, მონოპოლისტური ხასიათი და შენარჩუნებული იყო ერთიარუსიანი საბანკო სისტემა.

საბანკო რეფორმის მეორე პერიოდი მოიცავს 1988-1989 წლებს და მას მონოპოლიზმისგან თავის დაღწევა ახასიათებს, რადგანაც შეიქმნა პირველი კომერციული ბანკები საპაიო და კოოპერატიულ საწყისებზე. ახალმა საბანკო სისტემამ გზა გაუხსნა ახალი საკრედიტო სისტემის ფორმირების დაწყებას.

საბანკო რეფორმის მესამე ეტაპზე მიიღეს მთელი რიგი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები. მათი პროგრესულობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ დოკუმენტების მეშვეობით საბოლოოდ ჩამოყალიბდა ორიარუსიანი საბანკო სისტემა: პირველი იარუსი წარმოდგენილია სახელმწიფო ბანკით, მეორე კი — კომერციული ბანკებით.

1987 წლამდე საბანკო სისტემა სამ მონოპოლისტ ბანკს მოიცავდა: სსრკ სახელმწიფო ბანკს, მშენბანკს და საგარეო ვაჭრობის ბანკს. საბანკო სისტემაში წამყვანი ადგილი სახელმწიფო ბანკს ეჭირა. იგი იყო საემისიო ინსტიტუტი და, ამავე დროს მოკლევადიანი დაკრედიტების, მეურნეობის სალარო, საანგარიშსწორებო მომსახურების განხორციელების ცენტრი. საემისიო ფუნქციებისა და საანგარიშსწორებო-საკრედიტო მომსახურების ფუნქციების შეთავსება და ერთ ბანკზე მათი მონოპოლისტურად მიმაგრება სახელმწიფო მართვისა და კონტროლის ორგანოდ ხდიდა სახბანკს.

ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის პირობებში საკრედიტო ურთიერთობები ფორმალური ხასიათისა იყო. სახბანკს საკრედიტო რესურსებზე პრაქტიკულად შეუზღუდავი მონოპოლია ჰქონდა მოპოვებული. მის ანგარიშებზე ავტომატურად იყრიდა თავს მთელი თავისუფალი ფულადი სახსრები, რომლებიც საერთო-სახელმწიფო სასესხო ფონდს აყალიბებდნენ. ამ ფონდის სახსრები ცენტრალიზებულად ნაწილდებოდა დამტკიცებული საკრედიტო გეგმების შესაბამისად. ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებების როლი არსებითად დაყვანილი იყო კონკრეტულ მსესხებლებს შორის კრედიტების განაწილებაზე ინსტრუქციების შესაბამისად და გეგმით გათვალისწინებული მიზნებისთვის. საბანკო დაწესებულებები უშთაერესად ზემდგომი ორგანოების და არა კლიენტების წინაშე იყვნენ პასუხისმგებელნი.

ბაზარზე გადასვლის პირობებში ეკონომიკის მართვის დეცენტრალიზაციამ მოითხოვა საბანკო სისტემის როლის შეცვლა ეკონომიკის მართვის მექანიზმში. მისი რეორგანიზაცია 1987 წ. დაიწყო. გათვალისწინებული იყო საბანკო სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლა, ბანკების როლის ამაღლება, სახალხო მეურნეობის განვითარებაზე მათი გავლენის გაძლიერება, კრედიტის გარდაქმნა ქმედით ეკონომიკურ ბერკეტად.

რეორგანიზაციის პირველ ეტაპზე შეიქმნა სახელმწიფო ბანკების ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციის მოდელი მოიცავდა:

1. ორდონიანი საბანკო სისტემის შექმნას (ცენტრალური საემისიო ბანკი და სპეციალიზებული სახელმწიფო ბანკები, რომლებიც მეურნეობას ემსახურებიან);
2. სპეციალიზებული ბანკების გადაყვანას სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე;
3. საწარმოებთან საკრედიტო ურთიერთობების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას.
4. ქვეყნის საკრედიტო სისტემაში ცენტრალური ადგილი უნდა დაეკავებინა სახელმწიფო ბანკს. საწარმოებისა და ორგანიზაციების დაკრედიტების და მათ შორის ანგარიშსწორების ფუნქციები შესაბამის სპეციალიზებულ ბანკებს გადასცეს. ამგვარად, განზრახული იყო ბანკების საემისიო საქმიანობის გამიჯვნა მეურნეობის დაკრედიტების საქმიანობისგან. სახელმწიფო ბანკს დაეკისრა სპეციალიზებული ბანკების კოორდინატორის ფუნქციები და ყველა ბანკისთვის ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება. სხვა ბანკები დასპეციალდნენ სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მომსახურებაზე (სამრეწველო-სამშენებლო ბანკი, აგროსამრეწველო ბანკი, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოციალური განვითარების ბანკი) ან საქმიანობის ცალკეულ სახეობათა მომსახურებაზე (შრომითი დანაზოგებისა და მოსახლეობის დაკრედიტების ბანკი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკი).

გარდაქმნის მთავარი მოტივი იმისკენ სწრაფვა იყო, რომ ბანკები მეურნეობის ინტერესებისთვის მიეახლოებინათ. რეორგანიზაციამ გარკვეულად გააქტიურა საბანკო საქმიანობა, მაგრამ ვერ შეძლო ძირეულად შეეცვალა ვითარება, ვინაიდან არსებითად არ შეხებია ეკონომიკურ ურთიერთობებს. არ შეცვლილა პრინციპული საკრედიტო ურთიერთობები: გრძელდებოდა ნახევრადავტომატური რეჟიმით დაკრედიტება, შენარჩუნებული იყო საკრედიტო რესურსების განაწილების ადმინისტრაციული მეთოდი, არ გაუქმებულა საბანკო სისტემის მონოპოლიური სტრუქტურა, მოხდა მხოლოდ სპეციბანკების გავლენის სფეროების დანაწილება უწყებრივი პრინციპით, რაც შეუძლებელს ხდიდა მათ შორის კონკურენციას, ბანკების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმად არ ქცეულა სესხად გაცემული სახსრების მიზანშეწონილობა და ხელსაყრელობა.

ობიექტურად აუცილებელი გახდა საბანკო რეფორმების მეორე ეტაპი, რომელიც კრედიტის სფეროში არსებული ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის კომპლექსური რეკონსტრუქციისკენ იყო მიმართული. იგი 1988 წ. დაიწყო პირველი კომერციული ბანკების შექმნით, რომლებიც საბანკო სფეროში საბაზრო ურთიერთობებისა და სტრუქტურების ფორმირების ბაზად უნდა ქცეულიყვნენ. ასეთი ბაზრის შექმნა ნიშნავს ადმინისტრაციულ- ბრძანებლური ურთიერთობების შეცვლას უფრო ეფექტიანად გამოყენების სფეროებში ფინანსური რესურსების გადანაცვლების მოქნილი ეკონომიკური მეთოდებით.

რეფორმის ახალი ეტაპის დამახასიათებელი ნიშანი იყო ის გარემოება, რომ იგი ქვემოდან ინიციატივით დაიწყო. ამ ეტაპის ძირითადი ამოცანაა მკაფიოდ ორგანიზებული საბანკო სტრუქტურების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკურენციის განვითარებისა და ყაირათიანობის პირობებს ფინანსური რესურსების მოძრაობის სფეროში. ბანკები ეროვნულ მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა განვითარებისა და რეგულირების საყრდენი პუნქტები გახდა.

მეურნეობის მომსახურე ბანკების საქმიანობის კომერციული მიზანია მოგების მიღება, რაც აიძულებს მათ მოქნილობა გამოიჩინონ კლიენტებთან ურთიერთობებში და ყაირათიანობა — პასიური, აქტიური და საკომისიო-საშუამავლო ოპერაციების ჩატარებაში.

კომერციული ბანკები ფუნქციონირებენ კლიენტების, საკრედიტო რესურსების და მათი მომგებიანად დაბანდების სფეროს მოპოვებაში საქმიანი კონკურენციის განვითარების საფუძველზე, რაც ხელს უწყობს საბანკო მომსახურების გაფართოვებას და მისი ხარისხის ამაღლებას.

კომერციული სტატუსი მნიშვნელოვან დამოუკიდებლობას ანიჭებს ბანკს იმაში, რომ თვითონ განსაზღვროს დაკრედიტების მიზნები, პირობები და ვადები, საპროცენტო განაკვეთის დონე, განავითაროს საბანკო საქმიანობის ფორმები, გამოიყენოს მიღებული მოგება. განსაზღვროს თავისი მუშაკების შტატები და ხელფასის დონე, განიმტკიცოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გადაწყვიტოს სხვა საკითხები.

მეორე ეტაპზე ორი ამოცანა იყო გადასაწყვეტი: ერთი, ფულად-საკრედიტო რეგულირების ისეთი ახალი მექანიზმის შექმნა, რომელსაც შეუძლია ეკონომიკური მეთოდებით მოახდინოს გავლენა საზოგადოებრივი კვლავწარმოების მაკროეკონომიკურ პროპორციებზე, და, მეორე, იმ სფეროებში ფინანსური რესურსების თავისუფლად გადადინებისათვის პირობების შექმნა, სადაც მათი გამოყენება ყველაზე მეტ ეფექტს იძლევა.

საბაზრო ურთიერთობების ადეკვატური ფულად-საკრედიტო რეგულირების სისტემის შექმნის მიზნით შეიცვალა სახელმწიფო ბანკის სტატუსი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკაში. ბანკი გამოვიდა მთავრობის დაქვემდებარებიდან და ამ გზით მიიღო აუცილებელი ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

საბანკო რეფორმის პროცესში იცვლება არა მარტო ბანკების სტრუქტურა, არამედ მიმდინარეობს საკრედიტო ურთიერთობათა ხასიათის სიღრმისეული ცვლილება, მკვიდრდება საკრედიტო მუშაობის ახალი ფორმები. ამის შემდეგ პრაქტიკულად ჩამოყალიბებულია ორდონიანი საბანკო სისტემა: I დონე – საქართველოს ეროვნული ბანკი და II დონე – კომერციული ბანკები და ცალკეული საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები.

საქართველოს ეროვნული ბანკი ქვეყნის მთავარი ბანკია. იგი დამოუკიდებელია ხელისუფლების განმკარგულებელი და აღმასრულებელი ორგანოებისგან და ეკონომიკურად დამოუკიდებელი დაწესებულებაა. თავის ხარჯებს იგი თავისივე შემოსავლებიდან ფარავს.

ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანებია: ფულის მიმოქცევის რეგულირება, ეროვნული ვალუტის სიმტკიცის უზრუნველყოფა, ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, ანგარიშსწორებისა და სალაროს მომსახურების ორგანიზაცია, მეანაბრეთა და ბანკების ინტერესების დაცვა, კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობაზე მეთვალყურეობა, საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება. ეკონომიკის ფულად-საკრედიტო რეგულირებას ეროვნული ბანკი ახორციელებს იმით, რომ კომერციულ ბანკებს უწესებს მათ მიერ მოზიდული სახსრების აუცილებელი რეზერვირების ნორმებს, კრედიტებზე საარიცხო განაკვეთების დონეს, დაჰყავს ამ ბანკებამდე ეკონომიკური ნორმატივები. ეწევა ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებს. ეროვნული ბანკი ეწევა კომერციული ბანკების რეფინანსირებას, აძლევს მათ მოკლევადიან კრედიტებს და ამ გზით გამოდის უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის როლში.

საბანკო სისტემის მეორე დონე წარმოდგენილია, უპირველეს ყოვლისა, კომერციული ბანკების ფართო ქსელით, რომლებიც საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურებით უზრუნველყოფენ სამეურნეო ცხოვრების სუბიექტებს. მათთან ერთად ფუნქციონირებენ სპეციალური ბანკებიც. მათ მიეკუთვნება იპოტეკური ბანკები, რომლებიც დაკრედიტებას ახდენენ მიწის ნაკვეთის საწინდარით; საინვესტიციო ბანკები, რომლებიც ახორციელებენ კორპორაციული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან და განთავსებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს; ჩამოყალიბებას იწყებენ მუნიციპალური ბანკები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულება, არსებული დროებით თავისუფალი ფინანსური რესურსების გადანაწილება კრედიტის მეშვეობით მუნიციპალური საკუთრების ფარგლებში. სპეციალური ბანკების სისტემა არასრულყოფილების და აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის უქონლობის გამო ეს-ესაა იწყებს ჩამოყალიბებას.

საკრედიტო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საგარეო ეკონომიკურ ბანკს, რომელიც ქვეყნის საგარეო ვალის მომსახურე ბანკადაა გარდაქმნილი, აგრეთვე, რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, რომელიც სახელმწიფო და რეგიონული ხასიათის სამთავრობო მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლადაა სახელმწიფოს მიერ შექმნილი (შეღავათიანი კრედიტების გასაცემად, საბიუჯეტო რესურსების გამოყენებით).

საკრედიტო სისტემაში ინსტიტუციონური თვალსაზრისით შეგვიძლია გამოვყოთ, აგრეთვე, კავშირები, ასოციაციები, კონსორციუმები და ბანკების სხვა გაერთიანებები, რომლებსაც ბანკები ქმნიან თავიანთი საქმიანობის კოორდინაციისათვის, საკუთარი წევრების ინტერესების დაცვისა და ერთობლივი პროგრამების განხორციელებისთვის.

გარდა საბანკო დაწესებულებებისა, საკრედიტო სისტემის მეორე დონეში შედის, აგრეთვე, სპეციალური საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები. მათ საქმიანობაში, როგორც წესი, შეგვიძლია გამოვყოთ ერთი ან ორი საბანკო ოპერაცია, რომელთა შესრულებაზე ეროვნული ბანკის ლიცენზიის აღება საჭირო. მათ, ჩვეულებრივ, სპეციფიკური კლიენტურა ჰყავთ ხოლმე. ასეთ ინსტიტუტებს ეკუთვნის საკრედიტო კავშირები და კოოპერატივები, საფინანსო და სატრასტო კომპანიები, სადაზღვევო კომპანიები, კერძო საპენსიო ფონდები, გამსესხებელი შემნახველი ასოციაციები, საინვესტიციო ფონდები, ლომბარდები და სხვა დაწესებულებები. ისინი თავს უყრიან შოსახლეობისა და იურიდიული პირების სახსრებს, ახორციელებენ საწარმოებისა და მოქალაქეების დაკრედიტებას, შუამავლად გამოდიან ბანკთაშორისი კრედიტების ბაზარზე, ასრულებენ მინდობილობით ოპერაციებს.

აქტიურად ვითარდება, აგრეთვე, კომერციული და შიდასაფინანსო დაკრედიტება. მჭიდრო კავშირები მყარდება საკრედიტო სისტემის რგოლებსა და ფასიანი ქაღალდების ბაზარს შორის.

ამგვარად, ჩვენს ქვეყანაში თანდათანობით ყალიბდება იმავე პრინციპებზე აგებული საკრედიტო სისტემა, რომლებიც განვითარებული საბაზრო სისტემის მქონე ქვეყნებში მოქმედებს.

ამჟამად საკრედიტო სისტემაში ყველაზე თვალში საცემი მოვლენაა საბანკო კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. გამოიყოფა მსხვილი ბანკები, რომლებიც თავს უყრიან საბანკო სისტემის რესურსების, ოპერაციების და პერსონალის მნიშვნელოვან ხვედრით წილს. სასესხო კაპიტალების ბაზარზე ისინი თანდათანობით იმკვიდრებენ გაბატონებულ მდგომარეობას. მათი ზომები იზრდება მსხვილი კლიენტურის მომსახურების გაფართოების, ახალი მეანაბრეების მოზიდვისა და მაღალი მოგების მიღების ხარჯზე.

საბანკო საქმეში არსებული მძაფრი კონკურენცია იწვევს მცირე საკრედიტო დაწესებულებების შეერწყროებას. ეკონომიკური კრიზისის პირობებში მათ არ გააჩნიათ საკმარისი რეზერვები, არ ძალუძთ დეპოზიტების მიხედვით თავიანთი დავალიანებების დაფარვა და კოტრდებიან. წერილი დამოუკიდებელი ბანკების ლიკვიდაციის ძირითადი ფორმაა ერთი ბანკის აქციების შეძენა მეორის მიერ და პირველის გადაქცევა მის ფილიალად. ფილიალების ქსელის გაფართოების გზით ბანკები ახალ კლიენტურასა და კაპიტალს იძენენ. ამ პროცესს ხელს უწყობს ეროვნული ბანკის მოთხოვნების ამაღლება საწესდებო კაპიტალის მინიმალური სიდიდის მიმართ.

მსხვილ ბანკებში რესურსების მატებას ხელს უწყობს საკორესპონდენტო ურთიერთობების გაფართოება, ე.ი. ბანკებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობათა გაფართოება ოპერაციათა ურთიერთშესრულების მიზნით. საკორესპონდენტო ანგარიშებზე მსხვილი თანხები იყრის თავს.

განსაკუთრებით ძლიერია საბანკო კაპიტალის კონცენტრაცია ცალკეულ რეგიონებში, როდესაც რამდენიმე ბანკი რომელიმე ქალაქში უყრის თავს ოპერაციების უდიდეს ნაწილს.

ბანკების ზომების ზრდას, საკრედიტო ურთიერთობების გაფართოებას, სპეციალიზებული ინსტიტუტების გაჩენას თან ახლავს კონკურენციის გაძლიერება ამა თუ იმ სახეობის საკრედიტო დაწესებულებებს შორის. ამის მაგალითი შეიძლება იყოს მოსახლეობის ანაბრების მოზიდვისათვის გამართული ბრძოლა.

საკრედიტო-ფულადი ოპერაციების სახეობათა მკვეთრად გაფართოება, სასესხო კაპიტალებისა და ანგარიშების ბაზრის ინსტრუმენტების ზრდა, უახლესი ელექტრო და ტელეკომუნიკაციების გამოყენება აძლიერებს საკრედიტო სფეროში არსებულ პაექრობას,ყურადღების მიპყრობას კრედიტების გაცემის პირობებზე (ვადები, ზომები, დაფარვის პირობები), დამატებით მომსახურებაზე (საგადამხდელო დოკუმენტების ინკასაციის დროის გახანგრძლივება, სხვადასხვა საკითხზე კონსულტაციების გაწევა). ამის შედეგად ყალიბდება ოპერაციების უნივერსალიზაციის. მრავალპროფილიანი საკრედიტო ორგანიზაციების შექმნის და დამატებითი მომსახურების გაფართოების ტენდენცია.

საბანკო საქმეში გაჩაღებული კონკურენცია საერთაშორისო დონეს აღწევს. ძლიერდება ადგილობრივ საფინანსო ბაზარზე უცხოური ბანკების შემოღწევა მათი ფილიალებისა და წარმომადგენლობის გახსნისა თუ უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ბანკების შექმნის გზით.

2.2. საბანკო სისტემის ცნება

საბანკო სისტემა ამა თუ იმ ქვეყნის სპეციალიზირებული საკრედიტო დაწესებულებების ორგანიზაციის ფორმაა, რომელიც ისტორიულადაა ჩამოყალიბებული და კანონებითაა განმტკიცებული. ისევე, როგორც ფულადი და საფინანსო სისტემები, საბანკო სისტემაც ეროვნული ნიშან-თვისებების მატარებელია. მის ჩამოყალიბებასა და გარდაქმნაზე გავლენას ახდენს იმ ფაქტორების მთელი კომპლექსი, რომლებიც მოცემულ რეგიონს ახასიათებს: ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობები, კლიმატი, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, მისი საქმიანობა და დასაქმება, მეზობლებთან ურთიერთობა, სავაჭრო გზები და ა.შ.

საბანკო სისტემა ფუნქციონირებს იმ კანონებისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების ბაზაზე, რომელთა ერთობლიობით შექმნილი ინფრასტრუქტურა ამ სისტემას განამტკიცებს და არეგულირებს.

„საბანკო სისტემის“ ცნება ერთ-ერთი წამყვანი ცნებაა როგორც საბანკო საქმის, ისე მთლიანად ეკონომიკური სისტემის შესწავლის დროს. ეს იმითაა განპირობებული, რომ კომერციული ბანკები ეკონომიკაში იზოლირებულად კი არ ფუნქციონირებენ, არამედ ერთმანეთთან ურთიერთკავშირში და ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულებით. ეს ურთიერთკავშირი ელინდება ბანკთაშორისი ანგარიშსწორების განხორციელებაში, როცა კლიენტების დავალებით ბანკი გადახდებსა და ანგარიშსწორებებს ახორციელებს:

ა) ეროვნული ბანკის საანგარიშსწორებო ქსელის მეშვეობით;

ბ) კორესპონდენტი ბანკების მეშვეობით, რომლებიც ანგარიშსწორებას ახორციელებენ ერთმანეთს შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე;

გ) გარკვეული სახეობის ანგარიშსწორების წარმოებასა და გადახდების განხორციელებაზე უფლებამოსილი ბანკების მეშვეობით;

დ) კლირინგული ცენტრების (საანგარიშსწორებო ოპერაციების შემსრულებელი არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების) მეშვეობით.

ბანკების ურთიერთდამოკიდებულება ელინდება ბანკთაშორისი კრედიტების ბაზარზე აღებული სესხებით. ერთ-ერთი ბანკის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ორივე შემთხვევაში იწვევს მასთან პირდაპირ თუ გასაშუალებულად დაკავშირებულ სხვა ბანკების ფუნქციონირების სირთულეებს, ე.ი. ე.წ. „დომინოს პრინციპის“ გაჩენას.

ამგვარად, თანამედროვე პირობებში ბანკები წარმოადგენენ არა შემთხვევით ერთობლიობას, არამედ ნამდვილად საბანკო სისტემას, ე.ი. ერთი მთლიანის წარმომქმნელი ურთიერთობებისა და კავშირების მქონე ელემენტების სიმრავლეს. საბანკო სისტემის, ისე როგორც ნაერთოდ სისტემების, ძირითადი თავისებურებებია:

- აგების იერარქიულობა;

ამ ურთიერთობებისა და კავშირების არსებობა, რომლებიც სისტემაწარმოქმნელია, ე.ი. უზრუნველყოფენ მთლიანობის თვისებას;

- მისი ელემენტების, ურთიერთობებისა და კავშირების მოწესრიგებულობა;

- გარემოსთან ურთიერმოქმედება, რომლის პროცესშიც სისტემა თავის თვისებებს ავლენს და ქმნის;

- მართვის პროცესების არსებობა.


თუ გაეითვალისწინებთ იმას, რომ საბაზრო ტიპის საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი შედარებით ცოტა ხნის წინაა დაწყებული, საბანკო სისტემის ცალკეული ნიშნები შესაძლოა მკაფიოდ არ ვლინდებოდეს, მაგრამ თავს იჩენდნენ მთელი საბანკო სისტემის ფუნქციონირების დროს.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საბანკო სისტემა უფრო რთულია, ორგანიზაციულად უფრო მრავალფეროვანია და სამი რგოლისგან შედგება:

საბანკო სისტემა ურთიერთმოქმედებს არა მარტო საზოგადოების ეკონომიკასთან, არამედ გავლენას ახდენს მის სოციალურ ქვესისტემაზე, რაც თავს იჩენს ბანკის მუშაკის პროფესიის პრესტიჟულობაში, საქმიანი საბანკო სტილის ჩამოყალიბებაში, აგრეთვე იმაში, რომ სოციალური სფეროს დაწესებულებები ხელისუფლების ორგანოებს მეორე პლანზე გადასწევენ ხოლმე და დახმარებისთვის ბანკებს მიმართავენ.

საბანკო სისტემაში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ელინდება მართვის პროცესების არსებობა. ესაა, ერთი მხრივ, მართვის ის პროცესები, რომლებიც კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირებაში ცენტრალური ბანკის კანონით დადგენილ როლს უკავშირდება. მეორე მხრივ, სულ უფრო არსებითი ხდება საბანკო ასოციაციების მმართველობითი როლი, რომლებიც აქტიურად ერევიან კომერციული ბანკების, მათი ფილიალებისა და წარმომადგენლობის საქმიანობის კოორდინირებაში.

საბანკო სისტემა შეგვიძლია გარკვეულ მთლიანობად განვიხილოთ. ამასთან, მისი ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არაა დასრულებული და ამ პროცესის განვითარება მრავალ ფაქ-



ნახ. 2.1. საბანკო სისტემის სტრუქტურა

ტორზე იქნება დამოკიდებული, მათ შორის პირველ რიგში-სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ხასიათზე.

ბანკები საფინანსო ბაზრის ორგანიზაციული სტრუქტურებია, ისეთი საკრედიტო ორგანიზაციებია, რომელთა ამოცანასაც შეადგენს დროებით თავისუფალი სახსრების, ფიზიკური და იურიდიული პირების დანაზოგებისა და დაგროვილი თანხების მოზიდვის და აკუმულირებული რესურსების თავიანთი სახელით განთავსების ოპერაციების კომპლექსურად განხორციელება მათი კლიენტების დავალებების შესაბამისად. ამასთან, რესურსების განთავსებას ისინი ახდენენ დაბრუნების, ვადიანობისა და საზღაურის გადახდის საფუძველზე.

ბანკების ეს „თანდაყოლილი" ნიშან-თვისებები, არსებითად, განსაზღვრავენ იმ სამ ძირითად მიმართულებას, რომლებითაც ისტორიულად ყალიბდებოდა ბანკები. გარკვეული პირობებითობით ამ მიმართულებებს შეიძლება მიეკუთვნოთ (ქრონოლოგიურად) ტაძრების საქმიანობა მათთვის შესანახად გადაცემული დანაზოგების დაცვის უზრუნველსაყოფად, მევახშური კრედიტები, რომლებიც კომერციულ კრედიტებად გარდაისახა, და გადამცველი კანტორების (მერხების) „საანგარიშსწორებო" და სავალუტო საქმიანობა. სწორედ ამ უკანასკნელმა დაუმკვიდრა კიდეც სახელწოდება აღნიშნულ დაწესებულებებს.

ყოფით დონეზე „ბანკები" ყველაზე ხშირად გაიგივებულია ფულის საცავთან, მაგრამ ფართო მიდგომა მოითხოვს ამ ცნების ირგვლივ მრავალფეროვანი თვალსაზრისების შესწავლას. კერძოდ, ბანკებს განიხილავენ როგორც საშუამავლო ორგანიზაციას, საავჭრო საწარმოს, სამეურნეო სუბიექტს, დაწესებულებას, ორგანიზაციულ სტრუქტურას, საკუთრებას, ფლობას, საფინანსო ბაზრის სუბიექტს, მეთვალყურეობისა და რეგულირების ობიექტს. ბოლოს, ბანკები ისეთი სპეცი-

ფიკური ფუნქციების კომპლექსის მატარებლად გვევლინებიან, როგორიცაა განაწილება, გაკონტროლება, მიმოქცევის ხარჯების ეკონომია, მაგრამ პირველ რიგში ესაა სახსრების თავმოყრა და ფულის მიმოქცევის რეგულირების საშუამავლო ფუნქცია.

ბანკის, როგორც სისტემის მთელი ერთობლიობის განხილვა მოითხოვს მთელი რიგი პირობების დაცვას,რომლებიც თვით „სისტემის“ ცნების საბაზო პრინციპებს წარმოადგენს. მათ ეკუთვნით:

- სისავსე, ე.ი. იმ ელემენტების არსებობა, რომლებიც მთლიანობაში აყალიბებენ ერთობლიობას, შედარებით ჩაკეტილი კომპლექსი;

- სტრუქტურირება, ცალკეული ელემენტების დაჯგუფება სეგმენტებად მსგავსი საკლასიფიკაციო ნიშან-თვისებების მქონე დონეებად;

სისტემის მთლიანობა, როგორც ელემენტების არსებობა საკმარისი რაოდენობით, რომ შესაძლებელი იყოს ყველა საჭირო დონის, სეგმენტისა და ელემენტის სტაბილურად და ეფექტიანად ფუნქციონირება;

- ცალკეულ ელემენტებს შორს ურთიერთკავშირი და ურთიერთქმედება.

საბანკო სისტემა არაერთგვაროვანი ცნებაა. მისი განხილვა და სტრუქტურირება სხვადასხვა პოზიციიდან შეგვიძლია, მაგრამ პირველ რიგში ესაა ორგანიზაციული და ინსტიტუციური სქემა. გარდა ამისა, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მიდგომებს, რომლებიც სისტემის სტრუქტურირებას ახდენენ ფუნქციების, ურთიერთკავშირების, იერარქიის, აგრეთვე, სპეციალიზაციის (ორიენტაციის), კომპლექსურობის, რეალიზაციის სფეროების მიხედვით და ა.შ.

ინსტიტუციური სქემა მოიცავს იმ ცალკეული ელემენტების- ორგანიზაციული სტრუქტურების (დაწესებულებებისა და ორგანიზაციების) ერთობლიობას, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობენ საბანკო საქმიანობაში, მათ შემადგენლობას, ამოცანებს, ფუნქციებს და ოპერაციებს, სფეროებს, ურთიერთკავშირებსა და იერარქიას.

ორგანიზაციული სქემა აერთიანებს მოცემულ სახელმწიფოში მოქმედი კრედიტების იმ სახეობებსა და ფორმებს, რომლებშიც ბანკის ტიპის დაწესებულებები მონაწილეობენ. სქემის სტრუქტურირებას ახდენენ კრედიტის ფორმებისა და ბანკების მონაწილეობის ხასიათის მიხედვით.

2.3. საბანკო სისტემის ორგანიზაციული სქემა

საბანკო სისტემის ორგანიზაციულ სქემას დიდად განსაზღვრავს კრედიტის ის ფორმები, რომლებშიც საბანკო საქმიანობა რეალიზდება.

ბანკის ტიპის საკრედიტო ორგანიზაციების მონაწილეობა საბანკო კრედიტში, სადაც ისინი უნივერსალური შუამავლების როლს თამაშობენ, თავს უყრიან და ანაწილებენ საკრედიტო რესურსებს, ამ ფორმის განმსაზღვრელი, საკლასიფიკაციო ნიშან-თვისებაა. მასში რეალიზდება ყველა სახეობის გარიგებები, რომლებშიც ბანკების მონაწილეობაა გათვალისწინებული, კრედიტის საბანკო ფორმის თავისებურებაა არა საკუთარი, არამედ იმ მოზიდული და ნასესხები სახსრების უპირატესად გამოყენება საკრედიტო რესურსებად, რომლებიც დროებითაა გამოთავისუფლებული საკრედიტო მიმოქცევის პროცესში და რომლებიც კაპიტალად – ზრდად საკუთრებად გარდაიქმნება.

ზოგიერთი ფორმის კრედიტი გულისხმობს მათში საბანკო სისტემის ცალკეული ელემენტების, მაგალითად, ბანკის ტიპის საკრედიტო ორგანიზაციების შესახლო, მაგრამ არა აუცილებელ მონაწილეობას.

ზოგჯერ კომერციულ კრედიტს განიხილავენ როგორც სავაჭრო ორგანიზაციებისთვის მიცემულ ან სავაჭრო პროექტებზე გაცემულ კრედიტს, ე.ი. როგორც საბანკო კრედიტის სახესხვაობას, მაგრამ კლასიკური კომერციული კრედიტი სამეწარმეო სფეროშია მოქცეული და წარმოადგენს ერთი მეწარმის მიერ მეორისთვის პროდუქციის მიყიდვას, ფულის წინასწარ გადახდას ან ამ გადახდის გადავადებას. ამ ფორმის კრედიტის ყველაზე უფრო გავრცელებული დოკუმენტია კომერციული თამასუქი და ბანკები სწორედ თამასუქებით წარმოების ოპერაციებში მონაწილეობენ აქტიურად (თამასუქების

ცხრილი 2.1.

კრედიტის ძირითადი ფორმები

კრედიტის ფორმები, რომლებშიც საბანკო საქმიანობა რეალიზდება	საბანკო ტიპის დაწესებულებების მონაწილეობის ხასიათი
საბანკო	ბანკები-წამყვანი რგოლი, საკლასიფიკაციო ნიშანთვისება
სამომხმარებლო, კომერციული, სახელმწიფო, საერთაშორისო	ამ ფორმის კრედიტების რეალიზება სხვა არასაკრედიტო ორგანიზაციებსაც შეუძლიათ, მაგრამ ბანკები საკმაოდ ხშირად მონაწილეობენ მათში
კორპორაციული	ამ ფორმის კრედიტში ბანკს გამონაკლის შემთხვევებში შეუძლია ომნაწილეობა
მეგობრული, მეზობლური, ნათესაური, კოლეგიური, მეგახშური	ამ ფორმის კრედიტებში ბანკის მონაწილეობა ნახეერადკრიმინალური და კრიმინალური ხასიათისაა

აღრიცხვა, განაღდება, მათი ავალირება) და მკვიდრდებიან კომერციული კრედიტის სფეროში. გარდა ამისა, საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა ამცირებს კომერციულ კრედიტზე არსებულ მოთხოვნილებას და პირიქით.

სამომხმარებლო კრედიტის თავისებურებაა მისი არაკომერციული საწარმოო და მიზნობრივი მიზანდასახულობა და დაფარვის ადეკვატური ფულადი ნაკადების არარსებობა. ესაა საბოლოო მოხმარების სფეროში გადაცემული კრედიტები, რომელთაც ძირითადად იღებენ ფიზიკური პირები, მოსახლეობა (გარდა პირად სასაქონლო წარმოებაში განხორციელებული ინვესტიციებისა). მაგრამ სამომხმარებლო კრედიტის ობიექტები სამეწარმეო სფეროშიც შეიძლება იყოს (იმიჯური აქტივები, პერსონალის უზრუნველყოფა), საზოგადოებრივი, არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსებშიც (სოციალური პროექტები) და საბიუჯეტო სფეროშიც (მიმდინარე ხარჯების ბიუჯეტი). სამომხმარებლო კრედიტში კრედიტორებად გვევლინებიან სამეწარმეო სტრუქტურები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არასაბანკო პროფილის საკრედიტო ორგანიზაციები (ლომბარდები, გამქირავებლები). სამომხმარებლო კრედიტში აქტიურად მონაწილეობენ პრაქტიკულად ყველა დონის საბანკო სისტემის დაწესებულებებიც – კომერციული ბანკები და საკრედიტო კოოპერატივებიც, ცალკეულ შემთხვევებში კი – ცენტრალური ბანკებიც. ეს შესაძლოა მიზნობრივი კრედიტებიც იყოს (ბინისა და ავტომობილის შესაძენად, განათლების მისაღებად) და არამიზნობრივიც (გადაუდებელი საჭიროებებისთვის).

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების (სესხებისა და ვალდებულებების) შეძენით, აგრეთვე, სამთავრობო პროგრამების, საბიუჯეტო საწარმოებისა და ორგანიზაციების დაკრედიტებით ბანკები და საბანკო სისტემის სხვა ელემენტები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო კრედიტში. გარდა ამისა, სახელმწიფო კრედიტი ზოგიერთი ბანკის (რომლებიც უკვე ფუნქციონირებენ ან ახლაღა იქმნებიან) სპეციალიზაციის მიმართულებად გვევლინება. აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრალური ბანკის და შემნახველი ბანკის განსაკუთრებული სტატუსი სახელმწიფო კრედიტის ოპერაციებში მათ სავალდებულო

მონაწილეობას გულისხმობს.

საერთაშორისო კრედიტისთვის საკმაოდ ფართოდ შეიძლება იყენენ წარმოდგენილი როგორც კრედიტორები, ისე მსესხებლები – ოფიციალური სახელმწიფო ან საგანგებოდ შექმნილი ორგანიზაციებით დაწყებული და სამეწარმეო სტრუქტურებისა და პოლიტიკური პარტიებით დამთავრებული. მათ შორის ხშირად წამყვან როლს თამაშობენ ბანკები და საკრედიტო ორგანიზაციები, აგრეთვე, საერთაშორისო კრედიტის სპეციალიზებული სტრუქტურები (პირველ რიგში, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარებისა საერთაშორისო ბანკი და ა.შ.).

საბანკო სისტემის ორგანიზაციული სქემის ზოგიერთი დონისთვის ბანკის ტიპის საკრედიტო ორგანიზაციების მონაწილეობა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაშია შესაძლებელი.

კორპორაციული კრედიტი (წინათ მას სამეურნეობათშორის ან შიდადარგობრივ კრედიტს უწოდებენ) ახდენს საკრედიტო რესურსების გადადგილება-გადანაწილებას დარგს, კორპორაციებს, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ან სხვა ანალოგიური გაერთიანების შიგნით, მართვის სათანადო (დარგობრივი და სხვა) სტრუქტურების კონტროლქვეშ ან მისი გაკონტროლებით და პრინციპში არ გულისხმობს ბანკის ტიპის საკრედიტო ორგანიზაციების მონაწილეობას. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში თანამედროვე პირობებში არსებობს, ყველაზე სტაბილურად და ეფექტურად ფუნქციონირებს და კრიზისსაც წარმატებით უძლებს ორგანიზაციისა და საკუთრების განსაკუთრებული ფორმის მქონე ე.წ. „დარგის ბანკები“. რომლებიც დარგობრივი (კორპორაციული) იერარქიის დაქვემდებარებული რგოლები, და საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შემადგენლობაში არსებული ბანკებია. მათთვის კორპორაციული (შიდადარგობრივი) კრედიტები არა მარტო შესაძლებელია, არამედ სპეციალიზაციის პრიორიტეტული სფეროცაა.

მრავალფეროვანი ფორმის კრედიტებს შორის არსებობს და გარკვეულ სფეროშისაკმაოდ ფართოდაც იყენებენ ძველ არაკომერციულ კრედიტს, რომელსაც დღეს ნათესაურ, მეგობრულ, მეზობლურ, კოლეგიურ კრედიტს უწოდებენ. მას გარკვეულწილად არეგულირებს, ოღონდ საბანკო სამართლებრივი ინფრასტრუქტურის სფეროს გარეთ, სამოქალაქო კოდექსი. გარდა ამისა ისტორიულად ერთ-ერთი პირველია მევახშური კრედიტი. რომლის რეგულირებაც სისხლის სამართლის კოდექსით უნდა ხდებოდეს. ამ ფორმის კრედიტები არ ითვალისწინებს საკრედიტო რესურსების გარედან მოზიდვას კრედიტორების მიერ. აქ იყენებენ სესხების დოკუმენტირებისა და სტრუქტურირების, საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრის განსაკუთრებულ წესებს და კრედიტების დაბრუნების უზრუნველყოფის საკუთარ მეთოდებს. ყოველივე ეს პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ამ ფორმის კრედიტში ბანკების ან ბანკის ტიპის საკრედიტო დაწესებულებების მონაწილეობას. თუმცა, სბანკო სისტემის ორგანიზაციული სქემიდან მათი მთლიანად ამოღება არ შეიძლება, რადგან ზოგიერთ აქტიურ სბანკო ოპერაციას მათი ცალკეული დამახასიათებელი ნიშნები აქვს (კრედიტების გაცემა აქციონერებზე, პერსონალზე, ინსაიდერებზე. ისეთი საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც ბევრად აღემატება მოგების საშუალო ნორმას, შეღავათიანი კრედიტები და ა.შ).

2.4. საბანკო სისტემის ინსტიტუციური სქემა

სბანკო სისტემის ორგანიზაციული სქემისგან განსხვავებით ინსტიტუციური სქემის აგება უფრო მრავალფეროვანია როგორც ხალასიფიკაციო ნიშან-თვისებების, ისე სეგმენტების შემადგენლობის მიხედვით. ამიტომ პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს იმ ელემენტების შემადგენლობა, რომლებიც მთლიანობის პრინციპის შესაბამისად უნდა შედიოდნენ საბანკო სისტემაში, აგრეთვე, მათი საკლასიფიკაციო ნიშან-თვისებები, ამოცანები, ფუნქციები და ოპერაციები. ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ ის ძირითადი სტრუქტურები და ნიშან-თვისებები, რომლებიც საბანკო სისტემის ინსტიტუციურ სქემას განსაზღვრავენ.

1. ცენტრალური ბანკები – დამოუკიდებელი, მაგრამ სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საკრედიტო ორგანიზაციებია, რომელთა ძირითად ამოცანებს და ფუნქციებს შეადგენს:

ეროვნული ვალუტის სიმყარის უზრუნველყოფა და ინფლაციის მინიმიზაცია (ნაღდი ფულის ემისია და მისი მიმოქცევის ორგანიზება, ანგარიშსწორების სისტემის, წესის და ფორმების განსაზღვრა, ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება და გატარება, ფულის მიმოქცევის რეგულირება, სავალუტო რეგულირება და სავალუტო კონტროლი);

- საბანკო სისტემის ეფექტიანობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა (კომერციული ბანკების და საბანკო აუდიტის ორგანიზაციების სახელმწიფო რეგისტრაცია, ლიცენზიების გაცემა და უკან გამოწვევა, ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობა, საბულალტრო აღრიცხვის წესების დადგენა, არასამთავრობო ბანკების ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და განთავსების რეგისტრაცია, საბანკო ოპერაციები მთავრობის დავალებით).

ცენტრალური ბანკების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები შესაძლოა იყოს: უნიტარული ბანკი, მის კაპიტალში სახელმწიფოს 100%-იანი მონაწილეობით (რუსეთი); დამოუკიდებელი ბანკების სისტემა, რომლებიც ერთობლივად ასრულებენ ცენტრალური ბანკის ფუნქციებს (აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა – ფსს); სააქციო საზოგადოება, სახელმწიფოს მონაწილეობის სხვადასხვა წილით; ან ასოციაციის ტიპის გაერთიანება, როგორც სახელმწიფოს მონაწილეობით, ისე მის გარეშე.

2. საკრედიტო ორგანიზაციების რესტრუქტურიზაციის სააგენტოები (სორს), როგორც საბანკო ზედამხედველობის ორგანოების დემონოპოლიზებული დონის პარალელური სტრუქტურების წარმომადგენლები საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი სხვა ქვეყნებში (აშშ-დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია; კანადა-ფინანსური დაწესებულებების მეთვალყურეობის ბიურო; ბელგია-საბანკო კომისია; საფრანგეთი-ეროვნული საკრედიტო საბჭო, საკრედიტო დაწესებულებების კომიტეტი და საბანკო კომისია; იტალია-კრედიტებისა და დანაზოგების სამინისტრო-თაშორისო კომიტეტი და ა.შ.).

3. სახელმწიფოს (ცენტრალური ბანკის, მთავრობის, რეგიონული ხელისუფლების) კუთვნილ სააქციო კაპიტალში საკონტროლო პაკეტის მქონე ბანკები (საკრედიტო დაწესებულებები) საბანკო საქმიანობას, მართალია, საკმაოდ მკაცრი კონტროლის ქვეშ ახორციელებენ, მაგრამ დიდი სახელმწიფოებრივი გარანტიებიც აქვთ. რაც განსაზღვრავს კიდეც მათდამი ასევე დიდ ნდობას.

4. უნივერსალური კომერციული ბანკები (საბანკო დაწესებულებები), რომელთა ფორმირებას შეიძლება საფუძვლად ედოს ან მათი სიდიდე, ან მათი განსაკუთრებული სისტემაწარმომქმნელი როლი, ან მათ მიერ გენერალური ლიცენზიის ქონა. ამ ბანკების განმასხვავებელი ნიშანია საბანკო საქმიანობის მთელი კომპლექსის განხორციელება რესურსების მოზიდვისა და განთავსების, ანგარიშსწორებისა და ინვესტიციების, ვალუტაზე, ფასიან ქაღალდებზე და ძვირფას ლითონებზე ოპერაციების ჩატარების სფეროში, აგრეთვე დეპოზიტარული და საკონსულტაციო მომსახურება.

5. სპეციალიზებული კომერციული ბანკები ისეთი საკრედიტო დაწესებულებებია, რომლებიც საქმიანობის გარკვეულ პრიორიტეტებს აყალიბებენ თავიანთ პოლიტიკაში. ეს გულისხმობს მათ მიერ ჩატარებული ოპერაციებისა და გარიგებების გარკვეულად შეზღუდვას, მაგრამ ამავე დროს მაღალ ხარისხს, პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობას მათი წამყვანი მიმართულებების მიხედვით. ბანკის სპეციალიზაცია იდენტიფიცირდება მის სახელწოდებაში, პოლიტიკის პრიორიტეტებში ან სარეკლამო ლოზუნგში და მას სხვადასხვა საბაზო საკლასიფიკაციო ნიშნები შეიძლება ჰქონდეს.

6. არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებს (ბანკის ტიპის საკრედიტო დაწესებულებებს) რამდენიმე საკლასიფიკაციო ნიშანთვისება აქვთ:

ცხრილი.2.2.

სფერო	საკლასიფიკაციო ნიშან-თვისება
საბანკო ოპერაციები, რომლების ბანკის ნიშან-თვისებების ერთობლიობას შეადგენენ	აუცილებლად ასრულებენ ერთ ან რამოდენიმე ოპერაციას, მაგრამ სრული კომპლექსით არა
ტრადიციული საბანკო ოპერაციები	ოპერაციებს ასრულებენ ნებისმიერი ნაკრებითა) ნიშან-თვისების გათვალისწინებით – იხ. ქვემოთ
სხვა საბანკო ოპერაციები და მოშსახურება (გარიგებები)	ოპერაციებს ასრულებენ როგორც დამატებით (საბანკო ოპერაციების გარდა), ისე ძირითად კომპლექსთაც
ნორმატიული მოთხოვნები	უფრო მკაცრია, ვიდრე ბანკებისათვის

ამ ტიპის საკრედიტო ორგანიზაციებს ფორმირებისა და ფუნქციონირების განსხვავებული საფუძვლები აქვთ. განვიხილოთ ისინი უფრო დაწვრილებით:

ა) ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმაა (კოოპერაციულ საწყისებზე, როგორც წილობრივი მონაწილეობით, ისე საპაიო შენატანების გარეშე), როცა სპეციალიზირებული საკრედიტო რესურსები განთავსებულია ჩაკეტილ წრეში, ორგანიზაციის წევრებს შორის, და ყველაზე უფრო მყარ აქტივებში გარე ინვესტირება შეძლებისდაგვარად მინიმალურია. მეპაიეები შესაძლოა იყვნენ მოცემული ქალაქის მცხოვრებლები, ქარხნისა და საწარმოს მუშაკები, ადამიანები, რომლებიც პირადად იცნობენ ერთმანეთს და ა.შ. ასეთია საერო სალაროები, სასესხო კაპიტალები, სასესხო სალაროები, გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობები, საკრედიტო კავშირები და სხვა.

ბ) ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმა პროფესიულ სპეციალიზაციასთან კომპლექსში გულისხმობს მონაწილეთა არა მარტო შეზღუდულ წრეს, არამედ საკრედიტო დაწესებულების მიერ შესასრულებელი ოპერაციების მკაფიოდ შემოფარგლულ სფეროსაც. მათ ეკუთვნის სასოფლო (სათემო) ბანკები, როგორც წოდებრივ-პროფესიული საკრედიტო დაწესებულებები და საბანკო სფეროს განათლების, მედიცინის, საპენსიო ფონდების თანამედროვე საკრედიტო-სამომხმარებლო კოოპერატივები, სამშენებლო, გამსესხებელ-შემნახველი სალაროები და ა.შ.

გ) ვიწრო პროფესიული სპეციალიზაცია ერთი-ორი პოზიციით ზღუდავს საკრედიტო დაწესებულების მიერ ოპერაციების ჩატარების სფეროს. ასეთია მაგალითად, საანგარიშსწორებო (კლირინგული) ცენტრები, ლიზინგური ფირმები, სატრასტო კომპანიები. ფაქტორინგული ფირმები და სხვა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი განსხვავებებისა, საბანკო სისტემაში შემავალი საკრედიტო ორგანიზაციები ერთმანეთისგან განსხვავდება საკუთრების ფორმით (სახელმწიფო, კერძო, კოოპერაციული, შერეული), ამა თუ იმ ქვეყანაზე კაპიტალის მიკუთვნებით (ადგილობრივი, საზღვარგარეთული, ერთობლივი), ტერიტორიული ნიშნით (რეგიონული, რეგიონთაშორისი, ეროვნული, საზღვარგარეთული, საერთაშორისო), ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (საპაიო, აქციონერული), დამოუკიდებლობის ხარისხით (დამოუკიდებელი, შვილობილი, სატელიტი, უფლებამოსილი, კონსორციული), კაპიტალის სიდიდით და ა.შ.

საკრედიტო ორგანიზაციების ორგანიზაციული სტრუქტურები შეიძლება მოიცავდეს ცენტრალურ აპარატს (ოფისს), ავრეთვე, სხვადასხვა ფუნქციების, ოპერაციების და გადაცემული უფლებამოსილების მქონე განყოფილებებს, ფილიალებსა და წარმომადგენლობებს (მათ შორის-საზღვარგა-

არეთ), ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს, ბანკომატებს, ტერმინალებს, სასწავლებლებს, ჟურნალებს, გაზეთებს და ა.შ.

7. საკრედიტო ორგანიზაციების კომერციული გაერთიანებები (ჯგუფები და ჰოლდინგები) ან საკრედიტო ორგანიზაციების მონაწილეობით შექმნილი გაერთიანებები იქმნება მათ მონაწილეებს შორის ხელშეკრულების გაფორმების გზით, უფლებამოსილებათა დელეგირებით ან დაქვემდებარებული ორგანიზაციების კაპიტალში წამყვანი სტრუქტურის მონაწილეობის საფუძველზე. ასეთი გაერთიანებების მიზანი შეიძლება იყოს როგორც ერთობლივი ოპერაციების ჩატარება და ერთობლივი პროექტების განხორციელება მოგების მიღების, განვითარების, კონკურენტების განეიტრალებისა და რისკების მართვის მიზნით, ისე ვალდებულებებზე „თავის არიდებაც“ („ცარიელი ნაჭუჭის“ მეთოდი).

8. საზღვარგარეთის ბანკების ფილიალები და წარმომადგენლობები ქვეყნის საბანკო სისტემაში მოქმედებენ მკაცრი ზედამხედველობის ნორმატივებისა და კვოტების ჩარჩოებში და, ჩვეულებრივ, იფარგლებიან საზღვარგარეთული ფიზიკური და იურიდიული პირების მომსახურებით.

9. საბანკო ინფრასტუქტურა აერთიანებს იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს (გარეთა ბლოკი), რომლებიც პროფესიულად უზრუნველყოფენ ყველა დონის ნებისმიერი საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობას, მათ მიერ საბანკო ოპერაციებისა და გარიგებების შესრულებას. საბანკო ინფრასტუქტურის ამოცანებია:

საინფორმაციო უზრუნველყოფა (საბანკო ინფორმაციის სპეციალიზებული საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრები; სარეიტინგო სააგენტოები; სპეციალიზირებული გაზეთები, ჟურნალები, საინფორმაციო ბიულეტენები; კრედიტ-ბიუროები და ა.შ.);

სამეცნიერო, სამართლებრივი და მეთოდური უზრუნველყოფა (სამეცნიერო ცენტრები და ლაბორატორიები, სასწავლო დაწესებულებები);

საკადრო უზრუნველყოფა (საბანკო სპეციალიზაციის უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები, სასწავლო ცენტრები, კადრების შეგროვებისა და სწავლების ფორმები და სააგენტოები);

კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფა და კომუნიკაციები (კავშირგაბმულობის სპეციალიზებული, კომპიუტერული და კოსმოსური კავშირები და სხვა);

საქმიანობის, ეკონომიკური ინფორმაციის და ა.შ. უსაფრთხოების უზრუნველყოფა (საკრედიტო სფეროში და სპეციალური უსაფრთხოების სააგენტოები, ინფორმაციის ტექნიკური დაცვის ფირმები და სხვა).

ამავე მიმართულებით საქმიანობენ საკრედიტო ორგანიზაციების ის არაკომერციული კავშირები და ასოციაციები, რომლებიც წარმოადგენენ თაიანთი წევრების ინტერესებს, აკმაყოფილებენ მათ მეცნიერულ, პროფესიულ და საინფორმაციო ინტერესებს, აგითარებენ რეგიონთაშორის და საერთაშორისო კავშირებს.

გარდა ამისა, საკრედიტო ორგანიზაციების ანალოგიურ მოთხოვნილებებს უზრუნველყოფს — უმეტესად დამატებითი საქმიანობით ან ზოგჯერ ალტერნატიულ საფუძველზე — ბანკების შიდა სამსახურები (შიდა ბლოკი).

საბანკო სისტემის აგების ინსტიტუციური სქემა რამდენიმე პრინციპს ეყრდნობა:

- იერარქიული პრინციპი საბანკო სისტემაში გამოყოფს ცალკეულ სეგმენტებს-დონეებს არასტრუქტურული დაქვემდებარების ურთიერთობათა საფუძველზე. ზედა (მმართველი) იერარქიული დონე მოიცავს ცენტრალურ ბანკს და, შესაძლოა, დემონოპოლიზებული დონის პარალელური სტრუქტურების წარმომადგენელს (მაგალითად, რუსეთში-სორს-ს), ქვედა დონე კი ყველა ტიპის საკრედიტო დაწესებულებას და, გარკვეულად, კომერციული საბანკო გაერთიანებებსა და საბანკო ინფრასტრუქტურას.

- ფუნქციურ-მარეგულირებელი პრინციპი საბანკო სისტემას ყოფს ცალკეულ სეგმენტებად-ფენებად, რისი საფუძველიცაა მისი ელემენტებისთვის მინიჭებული ფუნქციები, მათ მიერ და საბანკო ზედამხედველობის უფლებამოსილებათა სიმკაცრე.
- ორგანიზაციულ-იერარქიული პრინციპი გულისხმობს საბანკო სისტემის ყველა მოქმედი ელემენტის მაქსიმალურად სრულად გამოყოფას, მათ შორის იმ ელემენტების, რომლებიც შიდა იერარქიაში შედის: ცენტრალური აპარატის, ტერიტორიული განყოფილებების, საველე დაწესებულებების, საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრების, სასწავლო დაწესებულებების, განყოფილებების, წარმომადგენლობების, საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრების, გაზეთებისა და ჟურნალების, გადამცველი პუნქტების, ბანკომატების და სხვა.
- დასასრულ აღსანიშნავია, რომ საბანკო სისტემის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტის საქმიანობაში, როგორც ორგანიზაციულ, ისე ინსტიტუციურ სქემაში, გარე სტრუქტურებიც აქტიურად მონაწილეობენ, თანაც ყველა იერარქიულ დონეზე, პირველ რიგში ესაა საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები, საგადასახადო სამსახურები, პროკურატურა, სასამართლოები, ნოტარიატი, შსს, სახანძრო, ეკოლოგიური და სანიტარული ინსპექციები და ა.შ., აგრეთვე საბანკო აუდიტის სტრუქტურები, ბანკების კლიენტებისა და მეანაბრეების საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციისა და რეკლამის საშუალებები და ა.შ.

2.5. კომერციული ბანკების ასოციაცია

საბაზრო ტიპის თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში ეროვნული საბანკო სისტემის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია ასოციაციების, როგორც თვითრეგულირებადი ორგანიზაციების როლისა და პოზიციების გაძლიერება. ისინი ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორის მეურნე სუბიექტების ინტერესებს გამოხატავენ, რადგანაც საშუალებას აძლევენ სახელმწიფო ხელისუფლების მრავალფეროვან ორგანოებს თავი გაითავისუფლონ ამ სუბიექტების საქმიანობის ცალკეული ელემენტების რეგულირებისა და კონტროლისაგან.

საბანკო ასოციაცია არაკომერციული საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომლის წევრებიც კომერციული ბანკებია. მათ ქმნიან საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებში თავიანთი ინტერესების დასაცავად, აგრეთვე, საკუთარი საქმიანობის კოორდინაციისა და სრულყოფის მიზნით. საბანკო ასოციაციებს განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვთ. მაგალითად, აშშ-სა და ინგლისში ისინი ჯერ კიდევ მე-19 ს. შექმნეს. ბანკების ასოციაციების საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ შეგვიძლია გამოვყოთ მათი საქმიანობის შემდეგი ძირითადი (სტრატეგიული) მიმართულებები:

1. ბანკების ინტერესების წარმოდგენა საკანონმდებლო ორგანიზაციებში ისეთი აქტების მიღებაზე ზემოქმედების მიზნით, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბანკებსა და მათ კლიენტებზე.
2. ურთიერთქმედება და ბანკების ინტერესების წარმოდგენა სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტებში – ბანკების საქმიანობის რეგულირების საკითხებზე გადაწყვეტილების გამოტანისას ზემოქმედების მოხდენის მიზნით.
3. ბანკების ინტერესების დაცვა სასამართლოებში.
4. ცენტრალურ ბანკთან და იმ სხვა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდროდ თანამშრომლობა, რომელთა ნორმატიული აქტები არსებითად მოქმედებენ კომერციული ბანკების საქმიანობაზე-საბანკო სექტორში არსებული რეალური მდგომარეობის გასათვალისწინებლად.
5. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან თანამშრომლობა-საბანკო სექტორის წარმომადგენელთა შეხედულებების დასაყვანად საქმიან წრეებამდე და მოქალაქეებამდე, საზოგადოებაში ნდობის მოსაპოვებლად.
6. სპეციალისტების პროფესიულ მომზადებაში აქტიურად მონაწილეობა.
7. ასოციაციის წევრი ბანკებისათვის სოციალიზებული მომსახურების გაწევა კომერციულ

საფუძველზე (მაგალითად, მომარაგება, მუშაობის პროექტები. საინფორმაციო მომსახურება, კონსალტინგი და სხვა).

მთელი რიგი ქვეყნების ასოციაციების პრაქტიკული საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბანკო სისტემისა და თვით ასოციაციების შექმნის ეროვნული და ისტორიული თავისებურებებიდან გამომდინარე შესაძლოა არსებითად იყოს განსხვავებული მათი ხელმძღვანელი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის მიმართულებები. ამ განსხვავებათა დიაპაზონი საკმაოდ ფართოა: „მიზნების პირამიდის" ზედა დონეზე ორიენტაციიდან (მაგალითად, გერმანიისა და საფრანგეთის ასოციაციებში) სტრატეგიული მიზნების მთელ კომპლექსზე ორიენტაციამდე (აშშ-ის ასოციაციები). ზოგჯერ ასოციაციები ქმნიან შვილობილ ორგანიზაციებს, რომლებიც საგამომცემლო და საინფორმაციო საქმიანობაზე სპეციალდებიან, ან პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების რეალიზაციით არიან დასაქმებული. ასეთია, მაგალითად, საბანკო საქმის ინსტიტუტები, რომლებიც შექმნილია ÀÁÀ-ს მიერ ან ევროპის ქვეყნების ბანკების მთელი რიგი ასოციაციების მიერ (ბელგია, ლუქსემბურგი). ასოციაციების საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისეთი ორგანიზაციების შექმნას, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ ეროვნული და რეგიონული საბანკო სისტემების ეფექტიანობაზე, წყვეტენ ბანკების საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს. ასეთ ორგანიზაციებს ეკუთვნის:

- კლირინგული საანგარიშსწორებო ცენტრები;
- ბანკებში კლიენტების სახსრების დაზღვევის ფონდები;
- კოლექტიური სარგებლობის პროცესინგული ცენტრები;
- საკრედიტო ბიუროები და ა.შ.

როგორც წესი, ასოციაციების როლი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ამგვარი ორგანიზაციების შექმნის პირველ ეტაპზე. მოგვიანებით ისინი ასოციაციებისგან იურიდიულად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი ხდებიან, ოღონდ ინარჩუნებენ სტრატეგიული პარტნიორების ურთიერთობებს.

საბანკო ასოციაციების საქმიანობის ორგანიზებაში ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მათი წევრი ბანკების თანამშრომელთა დიდი რაოდენობის ექსპერტებად მოწვევა მიმდინარე მუშაობაში. ამას შედეგად მოსდევს:

- ასოციაციების მიერ მომზადებული სახელმძღვანელო და ნორმატიული დოკუმენტების პროექტების, შენიშვნებისა და წინადადებების ხარისხის ამაღლება (ხელისუფლების ორგანოებისა და ცენტრალური ბანკის საკანონმდებლო აქტებზე).

ასოციაციების აღმასრულებელი ორგანოების შენახვაზე გაწეული ხარჯების არსებითად შემცირება.

რუსეთის ეროვნული საბანკო სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტიკაა რუსეთის ბანკების ასოციაცია (ÀÐÁ). გარდა ამისა, რუსეთის მრავალ რეგიონში მოქმედებს რეგიონული ასოციაციები, თანაც ზოგიერთი მათგანი იმაზე უფრო ადრეა შექმნილი, ვიდრე ÀÐÁ დაფუძნდებოდა. რეგიონული საბანკო ასოციაციების არსებობა რუსეთის საბანკო სისტემის ერთ-ერთი თავისებურებაა. მარტო აშშ-შია საბანკო გაერთიანებათა ამგვარი სტრუქტურა, რომელშიც რეგიონული საბანკო ასოციაციების მნიშვნელოვანი რაოდენობაა ჩართული იმავდროულად აქტიურად მოქმედ, დიდი ავტორიტეტის მქონე LBA-თან ერთად (LBA –ამერიკის ბანკირთა ეროვნული ასოციაცია). ეს განპირობებულია როგორც რუსეთის, ისე ამერიკის სახელმწიფო მოწყობის ფედერალური პრინციპებით, რაც ითვალისწინებს ხელისუფლების ყველა დონის ადგილობრივი ორგანოების საგრძნობ როლს რეგიონული ეკონომიკისა და ფინანსების ფუნქციონირების უზრუნველყოფაში და რეგიონული კომერციული ბანკებისა და მათი ფილიალების მონაწილეობას ამასთან დაკავშირებულ ამოცანების გადაჭრაში.

საქართველოს ბანკების ასოციაცია

მოკლე საინფორმაციო ცნობარი

„საქართველოს ბანკების ასოციაცია" (სბა) დაფუძნდა 1994 წელს საქართველოს წამყვანი

კომერციული ბანკების მიერ

- საქართველოს ბანკების ასოციაციის წევრი ბანკები

„საქართველოს ბანკების ასოციაციის“ წევრია საქართველოში მოქმედი 25 კომერციული ბანკიდან 23 ბანკი.

1. სს ბანკი „რესპუბლიკა“
ლიცენზირებულია 04.02.1992 წ., № 5
380079, ქ.თბილისი, გრ.აბაშიძის ქ.№2
ბანკის კოდი 220101 757
ტელ.- (995 32) 294 576
ფაქსი - (995 32) 227 566

2. სს კომერციული ბანკი „კავკასიონი“
ლიცენზირებულია 25.02.1992 წ., №10
380064, ქ.თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№41
ბანკის კოდი 220101 702
ტელ. - (995 32)951 444
ფაქსი - (995 32) 959 393

3. სს „ბანკი კრედიტი“
ლიცენზირებულია 11.05.1992 წ., № 28
380012, ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. №150
ბანკის კოდი 220101 703
ტელ. - (995 32) 964 483
ფაქსი - (995 32) 969 968

4. სს „ბანკი თეთრი“
ლიცენზირებულია 12.01.1993 წ., № 76
380007, ქ.თბილისი, ლერმონტოვის ქ. № 11/11
ბანკის კოდი 220101 812
ტელ. - (995 32) 933 824
ფაქტსი - (995 32) 998 365

5. სს „თიბისი ბანკი“
ლიცენზირებულია 20.01.1993 წ., № 85
380079, ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 11
ბანკის კოდი 220 101 819
ტელ. - (995 32) 220 661
ფაქსი (995 32) 220 406

6. სს „საქართველოს ბანკი“
ლიცენზირებულია 21.01.1993 წ., № 86
380008, ქ.თბილისი, პუშკინის ქ. №3
ბანკის კოდი 220 101 502
ტელ. - (995 32) 934 608
ფაქსი - 995 32) 444174

7. სს „საქართველოს საზღვაო ბანკი“
ლიცენზირებულია 29.01.1993 წ., №87
384517, ქ.ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №60
ბანკის კოდი 220501 817
ტელ. - (995 222) 7 6007

ფაქსი (995 222) 7 6001

- სბა-ას ახალი წევრები

ბოლო ხუთი წლის მანძილზე ასოციაციის წევრები გახდნენ:

- „საბერძნეთის კომერციული ბანკი (საქართველო)“ (1988 წელს);
- „ბაზის ბანკი“ (1998 წელს);
- „გამა“ ბანკი (1999 წელს);
- „თეთრი“ (2000 წელს);
- პროკრედიტბანკი (2003 წელს);
- ინვესტბანკი (2003წელს);
- თურქული ბანკი „ზირაათ ბანკის“ ფილიალი (2004 წელს).

- საქართველოს ბანკეის ასოციაციის იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსი

„საქართველოს ბანკების ასოციაცია“ იურიდიულ-სამართლებრივი ფორმით არის კავშირი, ხოლო თავისი სტატუსით წარმოადგენს არაკომერციულ, არამომგებიან და არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციას;

სბა თავის საქმიანობას ახორციელებს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და თავისი წესდების შესაბამისად.

სბა-ს საქმიანობის მიმართულებები მოიცავს:

- ბანკების უფლებებისა და ინტერესების დაცვას და მათი საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შექმნის ხელშეწყობას;
- მისი წევრი ბანკების პრესტიჟის მხარდაჭერას და მათი ხელმძღვანელობისა და სპეციალისტების კონტაქტების ორგანიზაციას;
- საბანკო სექტორის კვლევას, საბანკო სისტემის მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო და ანალიტიკური მასალების მომზადებას.
- საქართველოს ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების მენეჯერთა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ტრენინგის და საატესტაციო პროცესის ორგანიზებას, მეთოდოლოგიური, ტექნიკური, ტექნოლოგიური და ექსპერტული დახმარების გაწევას;
- თანამშრომლობის განვითარებას, საქართველოს საბანკო სექტორის ტექნიკური და ფინანსური დახმარების პროექტების ფარგლებში, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საბანკო პროფილის ასოციაციებთან და სასწავლო-საატესტატაციო ცენტრებთან.

2000 წლის 18 თებერვლის ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრების მიერ შეტანილ იქნა ცვლილებები წესდებაში, რომლის მიხედვითაც ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების (პრეზიდენტი, გამგეობა, სარევიზიო კომისია) არჩევა ადრინდელი 4 წლის ნაცვლად, განისაზღვრა 2 წლის ვადით.

სბა-ს წესდების შესაბამისად, კრებებს შორის პერიოდებში ასოციაციის მიმდინარე საქმიანობას წარმართავს, ასოციაციის დირექცია, ასოციაციის პრეზიდენტის სახით, მუდმივმოქმედ კომიტეტებთან ერთად.

სბა-ს პრეზიდენტია ზურაბ გვასალია, რომელიც ასოციაციის 2002 წლის 22 მარტის ყრილობაზე, ზედიზედ მეორედ იქნა არჩეული.

- სბა-ს წევრობის პრინციპები:

- სბა-ს წევრებად მიიღებიან იურიდიული პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ საქართველოში საბანკო საქმიანობის ლიცენზია;
- ასოციაციის წევრები არიან იურიდიული პირები, რომლებიც ცნობენ და ასრულებენ ასოციაციის წესდების მოთხოვნებს, ეთანხმებიან ასოციაციის მიზნებს, მონაწილეობენ მათ რეალიზაციაში, ეთანხმებიან ასოციაციის წევრობის შესახებ დებულებას და დადგენილი წესით იხდიან საწევრო შენატანებს;
- გადაწყვეტილებას კანდიდატის წევრად მიღებაზე ან გარიცხვაზე იღებს ასოციაციის გამგეო-

ბა. ამ წესდებისა და საერთო კრების მიერ დამტკიცებული ასოციაციის წევრობის შესახებ დებულების საფუძველზე;

• ასოციაციის დამფუძნებელი წევრებისა და შემდგომში გაწევრიანებული პირების უფლებამოვალეობანი ექვივალენტურია;

• ასოციაციის საწევრო გადასახადის ოდენობა და გადახდის ვადა დგინდება საერთო კრების მიერ.

• სბა-ს წევრს უფლება აქვს:

• დადგენილი წესით აირჩიოს და არჩეული იქნას კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში;

• მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის მუშაობაში, წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტისას კენჭისყრის დროს ისარგებლოს ხმის უფლებით;

• მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი (მათ შორის ფინანსური) ინფორმაცია და დოკუმენტები ასოციაციის საქმიანობის და სამომავლო გეგმების შესახებ;

• გამოხატოს თავისი პოზიცია ნებისმიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;

• ისარგებლოს ასოციაციის ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურებით, კონსულტაციებითა და რეკომენდაციებით;

• გამოიყენოს ასოციაციის წევრის სტატუსი საპრეზენტაციო და სარეკლამო მიზნით მხოლოდ ასოციაციის გამგეობის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში.

*სბა-ს წევრი ვალდებულია:

• მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციაში;

• დაიცვას ასოციაციის წესდების, დებულების და სხვა დოკუმენტების მოთხოვნები;

• დაიცვას ასოციაციის მიერ მიღებული პროფესიული ეთიკის წესები კავშირის სხვა წევრებთან და მესამე პირებთან მიმართებაში;

• დროულად გადაიხადოს ასოციაციის საწევრო და სხვა გადასახადები;

• სბა-ს წევრი ბანკების მხრიდან ასოციაციისადმი აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა დაუშვებელია. საფინანსო წლის განმავლობაში ასოციაციის წევრი ბანკების სავარაუდო შემცირების (შერწყმა-გაერთიანება, ლიკვიდაცია, ასოციაციის წევრობაზე უარის თქმა ან ასოციაციის წევრობიდან გარიცხვა) შემთხვევაში ასოციაციის დამტკიცებული ბიუჯეტი არ უნდა დაექვემდებაროს გადასინჯვას თუ ეს საერთო კრების მიერ არ იქნა დადგენილი და უნდა გადანაწილდეს დარჩენილ წევრებზე პროპორციულად.

* ასოციაციის მართვა

სბა-ს მმართველობითი ორგანოებია:

სბა-ს წევრთა საერთო კრება;

სბა-ს გამგეობა;

სბა-ს დირექცია;

სარევიზიო კომისია

სბა-ს წევრთა საერთო კრება

• საერთო კრება წარმოადგენს ასოციაციის უმაღლეს ორგანოს და მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც;

• საერთო კრება გადაწყვეტისუნარიანია და თუ მას ესწრება პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის სახით ასოციაციის წევრების 2/3-ზე მეტი;

• საერთო კრებაზე დღის წესრიგის საკითხების განხილვისას კენჭისყრის დროს ასოციაციის თითოეული წევრი ფლობს ერთ ხმას;

• კრების გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას ხმა მისცა დამსწრე წევრთა არანაკლებმა ნახევარმა;

• საერთო კრება ფარული კენჭისყრით, სიითი უბრალო უმრავლესობით 2 წლის ვადით,

ირჩევს ასოციაციის თავმჯდომარეს და გამგეობის წევრებს, ამავე ვადით ირჩევს სარევიზიო კომისიის წევრებს;

- საერთო კრება ამტკიცებს სბა-ს საქმიანობის სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს, წლიურ ბიუჯეტს, წლიურ ანგარიშს და ბალანსს;
- საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას საწევრო გადასახადის სიდიდისა და გადახდის პერიოდულობის შესახებ;
- საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის რეორგანიზაციის, საქმიანობის შეწყვეტისა და ლიკვიდაციის შესახებ.

სბა-ს გამგეობა

სბა-ს წესდების შესაბამისად, კრებებს შორის პერიოდებში წარმართავს ასოციაციის საქმიანობას წარმართავს გამგეობა, გამოდის ასოციაციის სტრატეგიის შემუშავების, საქმიანობის დაგეგმვისა და მის აღმასრულებელ სტრუქტურულ ერთეულებთან - ასოციაციის დირექციასთან და მუდმივმოქმედ კომიტეტებთან მთავარი კორდინატორის ფუნქციით. ამ სახის სტრუქტურის შემოღება და გამგეობის როლის გაფართოება ეყრდნობოდა საერთაშორისო პრაქტიკას, მით უმეტეს სბა-ს წესდებით, გამგეობას ენიჭება ასოციაციის საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის ორგანიზება, მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილი ამოცანების შესაბამისად.

- გამგეობა წარმოადგენს ასოციაციის მმართველ ორგანოს, რომელსაც 2 (ორი) წლის ვადით ირჩევს წევრთა საერთო კრება და რომელიც კრებებს შორის პერიოდში წარმართავს მის საქმიანობას. გამგეობის გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით;
- გამგეობა შედგება ცხრა წევრისაგან, სბა-ს პრეზიდენტისა და მისი წევრი რეა ბანკის წარმომადგენლისაგან;
- გამგეობა განსაზღვრავს მიმდინარე საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და პრიორიტეტებს, ამოცანებს, ამტკიცებს ასოციაციის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურას და მისი კომპეტენციის ფარგლების უფლებამოსილებას, ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორატს, ამტკიცებს ასოციაციის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი წლიური ბიუჯეტის პროექტს, მის საფუძველზე ადგენს საწევრო შესატანების ოდენობას და გადახდის ვადებს და წარუდგენს კრებას დასამტკიცებლად;
- გამგეობის სხდომები იმართება კვარტალში ერთხელ მაინც, გამგეობის რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეული იქნას, თუ ამას მოითხოვს გამგეობას თუნდაც ერთი წევრი მაინც. გამგეობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გამგეობის შვიდი წევრი მაინც.

სბა-ს სარევიზიო კომისია

- სარევიზიო კომისია წარმოადგენს სბა-ს, მისი ქვედანაყოფების, ფილიალების და წარმომადგენლობების საქმიანობის შიდა საფინანსო კონტროლის ორგანოს;
- სარევიზიო კომისიის ფორმირებას, უფლებამოსილებების ხანგრძლივობას, სარევიზიო კომისიის წევრების მიმართ დაკისრებულ მოთხოვნებს ადგენს და ამტკიცებს სბა-ს წევრთა საერთო კრება;
- სარევიზიო კომისიის წევრები აირჩევა წევრთა საერთო კრების მიერ, სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები ტარდება ცალკეული კანდიდატურის მიხედვით, იმავე ვადით, რა ვადითაც არჩეული არის გამგეობა;
- სარევიზიო კომისია შედგება ხუთი წევრისაგან;
- სარევიზიო კომისია ასოციაციის შიდა აუდიტორულ შემოწმების მასალებს წარუდგენს საერთო კრებას მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

სბა-ს დირექცია

- საქართველოს ბანკების ასოციაციის მიმდინარე საქმიანობას ახორციელებს ასოციაციის აღმასრულებელი აპარატი.

• ასოციაციის აღმასრულებელი აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ასოციაციის წესდებით და ასოციაციის აღმასრულებელი აპარატის შესახებ დებულებით.

• ასოციაციის აღმასრულებელ აპარატს ხელმძღვანელობს ასოციაციის პრეზიდენტი ასოციაციის გამგეობის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. იგი უფლებამოსილია ასოციაციის სახელით მინდობილობის გარეშე წარმოადგინოს ასოციაცია და განახორციელოს ასოციაციის სახელით საჭირო ღონისძიებები.

ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს და აპარატის წევრებს, აღმასრულებელი აპარატის სტრუქტურას და შტატს მათ უფლებამოსილებას და მუშაობის რეგლამენტს, ასოციაციის პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის გამგეობა ხმათა უბრალო უმრავლესობით.

• ასოციაციის პრეზიდენტი იმავდროულად წარმოადგენს გამგეობის თავმჯდომარეს;

• ასოციაციის პრეზიდენტად არ შეიძლება არჩეული იყოს ასოციაციის წევრი ბანკების მმართველობითი ორგანოების წარმომადგენელი პირი;

• სბა-ს პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს გამგეობის ერთ-ერთი წევრი.

სბა 2002 წლიდან, თავის საქმიანობას წარმართავდა 2002 წლის 22 მარტის ასოციაციის საერთო კრებაზე დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების ორწლიანი პროგრამის ფარგლებში - „2002-2003 წლების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების" საპროგრამო დოკუმენტის მიხედვით.

სბა 2003 წლიდან, „2002-2003 წლების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების" საპროგრამო დოკუმენტის შესაბამისად, ბანკებს სთავაზობდა თანამშრომლობის ახალ ფორმატს, რომელიც აგებულია „ყველადღიური დიალოგის" პრინციპზე.

ასოციაციასთან ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი კომიტეტები კერძოდ, იურიდიული, ეკონომიკური პოლიტიკის, საინფორმაციო პოლიტიკისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის, საბუღალტრო და საბანკო საანგარიშსწორებო სისტემისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტები. კომიტეტებს ხელმძღვანელობს კონკრეტული ბანკი, რომელსაც ამტკიცებს ასოციაციის გამგეობა. თითოეულ კომიტეტს ჰყავს თავმჯდომარე, ხოლო მისი წევრები წარმოდგენილი არიან ასოციაციის წევრი ბანკების წამყვანი ექსპერტებისაგან, ხოლო კომიტეტების საქმიანობის შიდა განაწესსა და მიმართულებებს ამტკიცებს გამგეობა. კომიტეტები თავის საქმიანობას ახორციელებენ მათი პროფილის მიხედვით. კომიტეტები თავიანთ სხდომებს მართავენ ასოციაციის ოფისში. მათ უშუალო კავშირი ექნებათ ასოციაციის დირექციასთან. თავისი პროფილის მიხედვით კომიტეტების საქმიანობაში, დასმული ამოცანებიდან გამომდინარე, გამოყენებულია კომიტეტების საქმიანობაში, დასმული ამოცანებიდან გამომდინარე, გამოყენებულია შესასრულებელ ამოცანათა ლოკალური და გაფართოებული ფორმატი, რომელიც გულისხმობს მათი საქმიანობის მჭიდრო კოორდინაციას. მომავალში გათვალისწინებულია კომიტეტების წარმომადგენლების დელეგირება საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებსა და კომისიებში, სბა-ს მხრიდან საკანონმდებლო ინიციატივების ან პარლამენტში გასატანი იმ საკითხების ლობირებისათვის, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად არიან დაკავშირებული საბანკო საქმესთან.

კომიტეტები თავის საქმიანობას ახორციელებენ შიდა დებულებების საფუძველზე, მათი პროფილის მიხედვით. კომიტეტები თავიანთ სხდომებს მართავენ ასოციაციის ოფისში.

* საქართველოს კომერციულ ბანკებში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა

სბა-ს მიერ განხორციელებული ღონისძიებებიდან უნდა გამოიყოს საქართველოს კომერციულ ბანკებში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (LAS) დანერგვის პროექტი საქართველოში ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის (TACIS) ეგიდით განხორციელდა. პროექტის კონტრაქტორი იყო ბრიტანული კომპანია - Development Partnerships UK Ltd.

საქართველოს ბანკების ასოციაცია, როგორც ბენეფიციარი პროექტში მონაწილეობას იღებდა ეროვნულ ბანკთან ერთად.

პროექტი გრძელდებოდა 25 თვის მანძილზე, 1999 წლის 18 თებერვლიდან 2001 წლის 20 თებერვლამდე.

საქართველოს კომერციულ ბანკებში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (LAS) დანერგვის პროექტი საბანკო-საფინანსო სექტორში განხორციელებული პროექტებიდან ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულად უნდა მიეიჩნიოთ.

პროექტის ფარგლებში წარმატებით შესრულდა დასახული ამოცანების ყველა ეტაპი - მეთოდოლოგიის დამუშავება, ანგარიშთა გეგმის დახვეწა, პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება და ადაპტირება.

2.6. საქართველოს საბანკო სისტემის მდგომარეობა

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების რაოდენობა 2002 წლის განმავლობაში შემცირდა 2 ერთეულით, „თბილკრედიტბანკისა" და სს „კომერციული ბანკი ლიბერტის" დახურვის შედეგად.

წლის ბოლოს საბანკო სისტემა წარმოდგენილი იყო 27 კომერციული ბანკით, რომლეთაგან 2 წარმოადგენდა აზერბაიჯანის და თურქეთის ბანკების ფილიალს.


საანგარიშო პერიოდში საბანკო სისტემის მთლიანი აქტივები გაიზარდა 27%-ით და 2002 წლის ბოლოს შეადგინა 1116 მლნ ლარი, რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილი საკრედიტო დაბანდება, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 32%-ით გაიზარდა და 588 მლნ ლარი შეადგენდა. აგრეთვე, გაიზარდა საიმედო წმინდა აქტივების წილი მთლიან აქტივებში და 84% შეადგინა, რაც აქტივების ხარისხის გაუმჯობესებაზე მიუთითებს. 2002 წლის განმავლობაში ეკონომიკის დაჯალიანება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 27%-ით გაიზარდა და 622 მლნ ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში კერძო სექტორისთვის მიცემული სესხები 4-ჯერ აჭარბებს სახელმწიფო სექტორისთვის მიცემულ სესხებს და მისი უმეტესი ნაწილი – 38% და 35% მოდიოდა შესაბამისად მრეწველობასა და ვაჭრობაზე. 2002 წლის განმავლობაში საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაცია არ შეცვლილა, ხარისხი კი გაუმჯობესდა. აღნიშნულის ერთ-ერთი მაჩვენებელია ვადაგადაცილებული სესხების მთლიან სესხებთან თანაფარდობა, რომელიც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 2-ჯერ შემცირდა და 4,6% შეადგინა.

ზრდა დაფიქსირდა აგრეთვე ბანკებში აკუმულირებულ სახსრებზე. კერძოდ, საბანკო სისტემაში არსებული ვალდებულებები გაიზარდა 31%-ით და შეადგინა 800 მლნ ლარი. საანგარიშო წელს ბანკების მიერ მოზიდული დეპოზიტები და მათ შორის ანაბრები გაიზარდა შესაბამისად 36 და 56 პროცენტით და თანხობრივად შეადგინა 575 და 265 მლნ ლარი.

2002 წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა საბანკო სისტემის მომგებიანობის ROA და ROE კოეფიციენტები და შესაბამისად 4,4 და 15 პროცენტი შეადგინა, რაც წმინდა მოგების ზრდის შედეგად იქნა მიღწეული. საანგარიშო წლის შედეგების მიხედვით საბანკო სისტემის წმინდა მოგებამ შეადგინა 43,4 მლნ ლარი, რაც 3-ჯერ აღემატება 2001 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. საბანკო სისტემის მომგებიანობის ზრდა ძირითადად განპირობებულია სესხებიდან საპროცენტო შემოსავლების 11%-იანი მატებითა და აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით გაწეული ხარჯების 67%-იანი შემცირებით. სესხებიდან საპროცენტო შემოსავლების ზრდა ძირითადად გამოიწვია საკრედიტო პორტფელის 29 პროცენტიანმა ზრდამ, ხოლო საბანკო სისტემაში აქტივების დარეზერვების ხარჯების შემცირება გამოწვეულია იმით, რომ 2001 წელს ბანკებმა ჩვეულებრივზე დიდი ოდენობის დარეზერვების ხარჯები გაწიეს, რაც განხორ-

კომერციული ბანკების სადეპოზიტო ლდებულებები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, 1996-2002 წწ.




ციელდა აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების დარეზერვების ახალი წესის შესაბამისად, მაშინ, როცა 2002 წლის აქტივების გაუფასურებისათვის გაწეული დარეზერვების ხარჯი განხორციელდა მეთოდოლოგიური ბაზის ცვლილების გარეშე.

საანგარიშო წელს კომერციულ ბანკებში ინვესტირებული უცხოური კაპიტალი წარმოდგენილი იყო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკით. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციით და სხვა საფინანსო ინსტიტუტების სახით. 2002 წელს მოქმედი კომერციული ბანკებიდან 9 ბანკის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 5 მლნ ლარს, 13 ბანკისა კი – 5-დან 10 მლნ ლარამდე, ხოლო სამი ბანკის – 10 მლნ და მეტ ლარს.

საქართველოს საბანკო სისტემის აქტივებისა და ვალდებულებების უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ კონცენტრირებულია უცხოურ ვალუტაში. კერძოდ, სისტემაში არსებული მთლიანი ვალდებულებების 87პროცენტი და მთლიანი აქტივების 66 პროცენტი უცხოური ვალუტითაა ფორმირებული, რაც ლარის, როგორც დაგროვების საშუალების, სისუსტეზე მეტყველებს.

საანგარიშო პერიოდში კლების ტენდენციით ხასიათდებოდა ბანკების სასესხო საპროცენტო განაკეთი. კერძოდ, კომერციული ბანკების მიერ უცხოური ვალუტით გაცემულ მოკლევადიან სესხებზე საშუალო შეწონილმა წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 7%-იანი კლება განიცადა და 25% შეადგინა. შედარებით მცირეა და 20%-ს შეადგენს გრძელვადიანი სესხების ანალოგიური მაჩვენებელი, რომელიც ძირითადად უცხოური საკრედიტო ხაზებით ფინანსდება. 2002 წლის განმავლობაში გრძელვადიანი კრედიტების მოცულობა 31%-ით გაიზარდა, ხოლო მათი წლიური საპროცენტო განაკეთი 1%-ით შემცირდა.


საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების სტრუქტურა 2002 წელს



ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე
დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები
ინვესტიციები სანესტებო კაპიტალში
სხვა ნმინდა აქტივები
ნმინდა სეაღები
ნაღდი ფულადი სახსრები
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით გაცემულ მოკლევადიან სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი საანგარიშო წელს 25%-ს შეადგენდა, ხოლო გრძელვადიანი სესხების ანალოგიური მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია – 16 პროცენტი. საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე უცხოური ვალუტით შეადგენს 10%-ს, ხოლო იგივე მაჩვენებელი დეპოზიტებზე ლარით მხოლოდ 6 პროცენტია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბანკები უპირატესობას ანიჭებენ დეპოზიტების უცხოური ვალუტით მოზიდვას. აღსანიშნავია, რომ სასესხო საპროცენტო განაკვეთი მცირდება ბანკების მიერ ეკონომიკის სექტორების დაკრედიტების ზრდის პარალელურად. რაც მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.


საბანკო სისტემის მთლიანი ვალდებულებების სტრუქტურა 2002 წელს



განაღდებული სანესტებო კაპიტალი
დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები
არასაბანკო დეპოზიტები
გაუნაწილებელი მოგება
კაპიტალის რეზერვები
ნასესხები სახსრები
სხვა ვალდებულებები
ბანკების დეპოზიტები/

საბანკო სისტემის აქტივების 78 პროცენტი და ვალდებულებების 84 პროცენტი კონცენტრირებულია 7 კომერციულ ბანკში, რომლებიც ფაქტობრივად „სისტემაშემქმნელი" ბანკები არიან და მათი ფინანსური მაჩვენებლების შედეგად არის განპირობებული საბანკო სისტემის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდის ტენდენციები. საბანკო სისტემის აქტივების 8 პროცენტი განთავსებულია მცირე ზომის 12 კომერციულ ბანკში, თითოეული ამ ბანკის აქტივების მოცულობა საბანკო სექტორის აქტივების 1%-ზე ნაკლებია. ასეთი ბანკების საქმიანობა არ გამოირჩევა აქტიურობით და ხასიათდება შედარებით მაღალი რისკიანობით. თუმცა მათი საბანკო ოპერაციების მასშტაბები და მომსახურების სპექტრი იმდენად უმნიშვნელოა სისტემისათვის, რომ მათი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, ასეთი ბანკები სერიოზულ ზეგავლენას ვერ მოახდენენ საბანკო სისტემის საერთო მდგომარეობაზე.

საბანკო სისტემის განვითარების გარკვეულ შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს ქვეყნის ფისკალურ პოლიტიკაში არსებული ნაკლოვანებები, მთლიანად ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე და ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი მასშტაბები.



2.7. საბანკო სისტემის განვითარება

საბანკო სისტემის განვითარების პროცესზე და, ამგვარად, მის როლზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში გავლენას ახდენს ფაქტორების მთელი ერთობლიობა, რომლებიც თვით საბანკო სისტემის მიმართ ან შიდა ფაქტორებია, ან გარე.

გარე ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ მაკროფაქტორები ანუ გარემოს ფაქტორები. ესაა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული ფაქტორების ალბათური ერთობლიობა, რომლებიც გარკვეული პირობითობით შეგვეიძლია დავყოთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ და ფორს-მაჟორულ ფაქტორებად.

ეკონომიკური ფაქტორების ერთობლიობა ასახავს ეკონომიკის მდგომარეობას, რომელიც გამოიხატება ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსივობით და მათი გატარების ხერხებით (ბანკების მონაწილეობით). ეკონომიკურ ფაქტორებს უნდა მივაკუთვნოთ ფედერალური ბიუჯეტის შესრულების პრინციპები, გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ხასიათი, დაბეგვრის ჩამოყალიბებული სისტემა, ეკონომიკური რეფორმის შედეგები, რომლებიც საბანკო სისტემის ზოგად პირობებს აყალიბებენ. მაგალითად, ეკონომიკურ ზრდას თან ახლავს მეურნე სუბიექტების რაოდენობისა და ეკონომიკური კავშირების მატება, რაც საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნის გაფართოებას იწვევს, როგორც საწარმოებისა და ორგანიზაციების, ისე მოსახლეობის მხრიდან.

კრიზისული განვითარების პირობებში შეინიშნება ამის საპირისპირო პროცესები, რომლებიც მთლიანობაში თრგუნავს საბანკო სისტემას, ართულებს ცალკეული ბანკების საქმიანობას, აქვეითებს მათ საიმედოობას და ლიკვიდობას. საბანკო სისტემის განვითარების შეფერხება შეუძლია ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მძიმე საგადასახადო წნეხი ბანკების მოგებაზე, საბანკო ოპერაციების განხორციელებისათვის საკმარისი რესურსების უქონლობა, მსხვილი და საშუალო საწარმოების დიდი ნაწილის წამგებიანობა, მოსახლეობის შემოსავლის დონის საერთო დაქვეითება.

პოლიტიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება ხელისუფლების ფედერალური, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების ის გადაწყვეტილებები, რომლებიც საბანკო სისტემის ობიექტების (ცენტრალური ბანკის, სხვა ბანკებისა და მათი ასოციაციების, აგრეთვე, საკრედიტო ორგანიზაციების) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ხასიათზე ახდენს გავლენას ესაა, პირველ რიგში:

1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრინციპები;
2. ბიუჯეტისა და მისი პროპორციების ფორმირების გამოცხადებული პრინციპები;
3. დაბეგვრის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები;
4. ეროვნული მეურნეობისა და მისი ცალკეული დარგების განვითარების პრაქტიკულად რეალიზებადი პრინციპები, მეწარმეობისადმი და საბანკო საქმიანობისადმი დამოკიდებულება, სახელმწიფოსა და ბიზნესის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

პოლიტიკური რისკის მიხედვით ქვეყნები რანგებადაა დაჯგუფებული. რაც უფრო მაღალია რანგის მაჩვენებელი, მით უფრო სტაბილურია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. პოლიტიკური რისკის მაღალი რეიტინგის მქონე ქვეყნების საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტები უმცირებენ ან მთლიანად უწყვეტენ საკრედიტო მხარდაჭერას. ასევე იქცევიან ის ცალკეული სახელმწიფოებიც, რომელთაც თავისუფალი ფულადი სახსრები აქვთ.

საბანკო სისტემის ფუნქციონირებაზე არსებით გავლენას ახდენს მთლიანად სამეურნეო საქმიანობის და, კერძოდ, ბანკების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ფორმები და მეთოდები. კანონმდებლობის აუცილებლობა, მისი შედარებითი კონსერვატორიულობა კარგ წანამძღვრებს უქმნის წარმოქმნილი პრობლემების სამართლებრივ რეგულირებას. ამასთან, კანონმდებლობა გავლენას ახდენს საბანკო სისტემის განვითარებაზე ამა თუ იმ საბანკო ოპერაციის ან გარიგების რეგულირების განსაკუთრებული წესებით, ნებას რთავს ან კრძალავს მათ. მაგალითად ზოგიერთ ქვეყანაში ბანკებს უკრძალავენ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული გარკვეული ოპერაციების შესრულებას, ან თავიანთი სახსრების დაბანდებას სხვა საწარმოთა კაპიტალებში. მთელ რიგ ქვეყნებში ბანკებს უფლება არა აქვთ გასწიონ დაზღვევა ან სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობა. ამა თუ იმ ქვეყანაში ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ განახორციელონ მეურნეობის მომსახურება, სხვაგან მათი ძირითადი ფუნქცია ემისიაა და ა.შ.

ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური ფაქტორები დიდწილად განსაზღვრავენ სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების კომპლექსს. სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორთა ჯგუფშია: მოსახლეობის უმრავლესობის დაჯერებულება მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების სისწორეში, საგადასახადო, საბაჟო და სავალუტო კანონმდებლობის სტაბილურობაში, მთლიანად ეკონომიკის და მისი ცალკეული დარგების განვითარების პერსპექტივებში. ყოველივე ზემოჩამოთვ-

ლილი მთლიანობაში აყალიბებს საბანკო სისტემისადმი ნდობის დონეს, საბანკო ოპერაციების განხორციელებისა და საბანკო მომსახურების გამოყენებისთვის მზადყოფნას. ამ შემთხვევაში საბანკო სისტემის მიმართ გაჩენილი ნდობა განსაზღვრავს მის მიერ ფუნქციების უფრო ეფექტიანად შესრულებას, კერძოდ, იგი გაცილებით სრულად უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების მოთხოვნილებების დაფინანსებას მოსახლეობის და უცხოელი ინვესტორების ფინანსური რესურსების მოზიდვის ხარჯზე.

ფორს-მაჟორული გარემოებები სტიქიურ უბედურებათა და წინასწარ განუჭვრეტი მოვლენების შედეგია, რომლებიც ჩაეარდნებს იწვევენ საგამხდელო სისტემებში. ისინი შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დავყოთ:

- ბუნებრივი (წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარიშხალი), რომლებიც ტექნიკურად ართულებენ საბანკო სისტემის ფუნქციონირებას;

- პოლიტიკური (საზღვრების ჩაკეტვა, სხვა სახელმწიფოსთან ეკონომიკურ ურთიერთობებზე საერთაშორისო შეზღუდვების შემოღება, სამხედრო კონფლიქტები), რომლებიც აუცილებლად იწვევენ ბანკებისა და მათი კლიენტების ურთიერთობების პირობების არსებითად გადასინჯვას;

- ეკონომიკური (სახელმწიფოს უარი მისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე, ანგარიშსწორების ან დაბეგვრის წესების შეცვლა, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა, ფინანსურ ბაზრებზე წარმოქმნილი კრიზისი), რომლებიც სამეურნეო საქმიანობის საერთო გაურკვევლობის გამო სირთულეებს უქმნიან ბანკებსა და მათ კლიენტებს. ამასთან, რაც არ უნდა დიდხანს მზადდებოდეს საგადასახადო, საბიუჯეტო თუ საანგარიშსწორებო რეფორმები, საბანკო სისტემაზე მათი გავლენის ფორს-მაჟორული ხასიათი არ იცვლება, რადგან ეკონომიკურ ურთიერთობათა ყველა ნიუანსის გამოცნობა ან რეგლამენტირება საერთოდ შეუძლებელია. მაგალითად, საბანკო სისტემის ფუნქციონირებას და ბანკების სპეციალისტების საქმიანობას ქვეყანაში უამრავი სირთულე შეუქმნა ბანკების გადასვლამ ანგარიშების ახალ გეგმაზე (1998 წ).

საბანკო სისტემის, როგორც ერთიანი მთელის ფუნქციონირების შედეგებზე მოქმედი შიდა ფაქტორები, ის ფაქტორებია, რომლებსაც თვით საბანკო სისტემის სუბიექტები-ცენტრალური ბანკი, კომერციული ბანკები და საბანკო ასოციაციები აყალიბებენ. შიდა ფაქტორები ემორჩილება საბანკო სისტემის სუბიექტების მხრიდან ზემოქმედებას და მათ შემდეგი ძირითადი მომენტები განსაზღვრავს:

- ცენტრალური ბანკის როლი და ავტორიტეტი საბანკო სისტემაში;
- ბანკების ხელმძღვანელთა კომპეტენცია და მუშაკთა კვალიფიკაცია;
- ბანკთაშორისი კონკურენციის დონე და ხასიათი;
- ბანკების მიერ თავიანთი როლის შეცნობა ეკონომიკაში და საბანკო სისტემის განვითარების მიზნების გააზრება;
- ჩამოყალიბებული საბანკო წესები და ჩვეულები.

საბანკო სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ამ სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მისი იმგვარი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც საბაზრო მექანიზმის ეფექტიანად ფუნქციონირებისთვისაა აუცილებელი, საფინანსო მომსახურების სპექტრის გაფართოება, ეკონომიკის რეალურ სექტორთან ჩატარებული ოპერაციების გაფართოება და ახალი საბანკო პროდუქტების დამუშავება.

• • • • • • • • • • • • • • ▶ მოკლე დასკვნები

1. საკრედიტო სისტემის ორ ცნებას განასხვავებენ:

ა. საკრედიტო ურთიერთობების, დაკრედიტების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა (ფუნქციური ფორმა); ბ. იმ საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების ერთობლიობა, რომლებიც თავს უყრიან თავისუფალ ფულად სახსრებს და სესხად გასცემენ მათ (ინტიტუციური ფორმა). საკრედიტო სისტემა წარმოადგენს სასესხო კაპიტალის ბაზრის ძირითად ელემენტს, საკრედიტო ურთიერთობებისა და ამ ურთიერთობებზე აგებული ინსტიტუტების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ფულადი დანაზოგების და სხვადასხვა არხებით მიღებული შემოსავლების აკუმულაციას და მათი კრედიტის სახით განთავსებას ფირმას, სახელმწიფოსა და მოსახლეობაში.

2. ნებისმიერი ქვეყნის საკრედიტო სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურა ხასიათდება საკრედიტო დაწესებულებათა მრავალფეროვნებით და იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ცენტრალური (ეროვნული) ბანკი, კომერციული ბანკები, სპეციალური საკრედიტო დაწესებულებები. პირველი დონე – საქართველოს ეროვნული ბანკი – ქვეყნის მთავარი ბანკია. იგი დამოუკიდებელია ხელისუფლების განმკარგულებელი და აღმასრულებელი ორგანოებისაგან და ეკონომიკურად დამოუკიდებელი დაწესებულებაა.

საბანკო სისტემის მეორე დონე წარმოდგენილია, უპირველეს ყოვლისა, კომერციული ბანკის ფართო ქსელით, რომლებიც საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურებას უწევენ სამეურნეო სუბიექტებს. ამავე დონეში შედის სპეციალური ბანკებიც: ჰიპოტეკური ბანკები; საინვესტიციო ბანკები; მუნიციპალური ბანკები; შემნახველი ბანკები; სპეციალიზებული დარგობრივი ბანკები.

3. საკრედიტო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საგარეო ეკონომიკურ ბანკს, რომელიც ქვეყნის საგარეო ვალის მომსახურე ბანკადაა გარდაქმნილი. ბევრ ქვეყანაში ფუნქციონირებს აგრეთვე რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელიც სახელმწიფო და რეგიონული ხასიათის სამთავრობო მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლადაა სახელმწიფოს მიერ შექმნილი.

4. საკრედიტო სისტემაში ინსტიტუციური თვალსაზრისით შეგვიძლია გამოვყოთ აგრეთვე კავშირები, ასოციაციები, კონსორციუმები და სხვა გაერთიანებები, რომლებსაც ბანკები ქმნიან თავიანთი საქმიანობის კოორდინაციის, საკუთარი წევრების ინტერესების დაცვისა და ერთობლივი პროგრამების განხორციელებისათვის. გარდა საბანკო დაწესებულებებისა, საკრედიტო სისტემის მეორე დონეში შედის სპეციალური საფინანსო-საკრედიტო კომპანიები, სადაზღვევო კომპანიები, კერძო საპენსიო ფონდები, საინვესტიციო ფონდები, ლომბარდები და სხვ.

5. საბანკო სისტემა სხვადასხვა სახის ურთიერთდაკავშირებული ბანკისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების ერთობლიობაა, რომლებიც ერთიანი საფინანსო – საკრედიტო მექანიზმის ჩარჩოებში მოქმედებენ. საბანკო სისტემის ინსტიტუციური სქემა მოიცავს იმ ცალკეული ელემენტების, ორგანიზაციული სტრუქტურების ერთობლიობას, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობენ საბანკო საქმიანობაში; აგრეთვე მათ შემადგენლობას, ამოცანებს, ფუნქციებს და ოპერაციებს, სფეროებს, ურთიერთკავშირსა და იერარქიას.

6. საბაზრო ტიპის თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია საბანკო ასოციაცია. ეს არის არაკომერციული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის წევრებიც კომერციული ბანკებია. მათ ქმნიან საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებში თავიანთი ინტერესების დასაცავად,

აგრეთვე საკუთარი საქმიანობის კოორდინაციისა და სრულყოფის მიზნით. გამოიყოფა საბანკო ასოციაციებისა და საქმიანობის შემდეგი ძირითადი (სტრატეგიული) მიმართულებები:

- ბანკების ინტერესების წარმოდგენა საკანონმდებლო ორგანიზაციებში;
- ურთიერთქმედება და ბანკების ინტერესების წარმოდგენა სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტებში;
- ბანკების ინტერესების დაცვა სასამართლოებში;
- ცენტრალურ ბანკთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან თანამშრომლობა;
- სპეციალისტების პროფესიულ მომზადებაში აქტიურად მონაწილეობა;
- ასოციაციის წევრი ბანკებისათვის სოციალიზებული მომსახურების გაწევა კომერციულ საფუძველზე.

7. საბანკო სისტემის განვითარების პროცესზე და მის როლზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში გავლენას ახდენს გარე (მაკრო ფაქტორები ანუ გარემოს) ფაქტორები. ესაა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული ფაქტორების ალბათური ერთობლიობა, რომლებიც გარკვეული პირობითობით შეგვიძლია დავყოთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ და ფორს-მაჟორულ ფაქტორებად.

საბანკო სისტემის, როგორც ერთიანი მთელის, ფუნქციონირების შედეგებზე მოქმედ შიდა ფაქტორებს თვით საბანკო სისტემის სუბიექტები – ცენტრალური ბანკი, კომერციული ბანკები და საბანკო ასოციაციები აყალიბებენ.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

კომერციული ბანკების ასოციაცია – არაკომერციული საზოგადოებრივი ნებაყოფლობითი გაერთიანებაა; მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ბანკების ინტერესების წარმოდგენა და დაცვა საკანონმდებლო ორგანოებში; ცენტრალურ ბანკთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობა; მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან თანამშრომლობა; აქტიური მონაწილეობა სპეციალისტების პროფესიულ მომზადებაში და ა.შ.

საბანკო სისტემა – სხვადასხვა სახის ურთიერთდაკავშირებული ბანკის და სხვა საკრედიტო დაწესებულებების ერთობლიობა, რომლებიც ერთიანი საფინანსო საკრედიტო მექანიზმის ჩარჩოებში მოქმედებენ. ორდონიან საბანკო სისტემაში პირველ დონეზე ცენტრალური ბანკი იმყოფება, ხოლო მეორეზე – კომერციული ბანკების და სხვა საანგარიშსწორებო-საკრედიტო დაწესებულებების ქსელი.

საკრედიტო სისტემა – ეყრდნობა რთული ეკონომიკური ურთიერთობების რეალიზაციას და იგი მოიცავს ორ ცნებას: ა) საკრედიტო ურთიერთობების, დაკრედიტების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა (ფუნქციური ფორმა) ; ბ) იმ საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების ერთობლიობა, რომლებიც თავს უყრიან თავისუფალ ფულად სახსრებს და სესხად გასცემენ მათ.

საბანკო სისტემის ინსტიტუციური სქემა მოიცავს იმ ცალკეული ელემენტების, ორგანიზაციური სტრუქტურების (დაწესებულებების და ორგანიზაციების) ერთობლიობას, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობენ საბანკო საქმიანობაში, აგრეთვე მათ შემადგენლობას, ამოცანებს, ფუნქციებს და ოპერაციებს, სფეროებს, ურთიერთკავშირსა და იერარქიას. საბანკო სისტემის აგების ინსტიტუციური სქემა რამდენიმე პრინციპს ეყრდნობა: იერარქიული, ფუნქციურ-

მარეგულირებელი, ორგანიზაციურ-იერარქიული.

საბანკო სისტემის საბაზო ნიშნები (პრინციპები) – მოიცავს: სისავსე, ე.ი. იმ ელემენტების არსებობა, რომლებიც მთლიანად აყალიბებენ ერთობლიობას, შედარებით ჩაკეტილ კომპლექსში; სტრუქტურირება ე.ი. მსგავსი საკლასიფიკაციო ნიშან-თვისებების მიხედვით ცალკეული ელემენტების დაჯგუფება სეგმენტებად; სისტემის მთლიანობა გულისხმობს მისი უზრუნველყოფისა და ფუნქციონირებისათვის ყველა აუცილებელი ელემენტების არსებობას; ურთიერთკავშირი გულისხმობს სისტემის ცალკეულ ელემენტებს შორის ურთიერთქმედებას და ურთიერთგანპირობებულობას, როგორც მისი არსებობისა და ფუნქციონირების აუცილებელ პირობას.

საბანკო სისტემის ორგანიზაციური სქემა – აერთიანებს მოცემულ სახელმწიფოში მოქმედი კრედიტების იმ სახეებსა და ფორმებს, რომლებშიც ბანკის ტიპის დაწესებულებები მონაწილეობენ. სქემის სტრუქტურირება ხდება კრედიტის ფორმებისა და ბანკების მონაწილეობის ხასიათის მიხედვით.

საბანკო ზედამხედველობის უფლებამოსილება – ანიჭებს ეროვნულ ბანკს სრულ უფლებამოსილებას ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობას. იგი მოიცავს ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებას, ნებისმიერი სახის შემოწმებასა და რეგულირებას. შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო დაწესებულებების დროებით ადმინისტრაციულ მართვასა და ლიკვიდაციას ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

საბანკო სისტემის აგების იერარქიული პრინციპი – საბანკო სისტემაში გამოყოფენ ცალკეულ სეგმენტებს – არასტრუქტურული დაქვემდებარების ნორმატიულად დაფიქსირებულ ურთიერთობებს. ზედა იერარქიული დონე მოიცავს ცენტრალურ ბანკს; შესაძლოა დემონოპოლიზებული დონის პარალელები. ქვედა დონე კი – ყველა ტიპის საკრედიტო დაწესებულებებს და გარკვეულწილად, კომერციულ საბანკო გაერთიანებებსა და საბანკო ინფრასტრუქტურას.

საბანკო სისტემის აგების ფუნქციურ-მარეგულირებელი პრინციპი –საბანკო სისტემას ყოფს ცალკეულ სეგმენტებად – ფენებად, რისი საფუძველიცაა მისი შემადგენელი ელემენტების ფუნქციები, მათ მიერ ჩატარებული ოპერაციების სპეციალიზაცია, ზედამხედველობის მოთხოვნების ხასიათი და საბანკო ზედამხედველობის უფლებამოსილებათა სიმკაცრე.

საბანკო ინფრასტრუქტურა – აერთიანებს იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც პროფესიულად უზრუნველყოფენ ყველა დონეს, ნებისმიერი საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობას, მათ მიერ საბანკო ოპერაციებისა და გარიგებების შესრულებას. საბანკო ინფრასტრუქტურის ამოცანებია: საინფორმაციო უზრუნველყოფა; სამეცნიერო, სამართლებრივი და მეთოდური უზრუნველყოფა; საკადრო უზრუნველყოფა; ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. ჩამოთვალეთ ის სისტემური თავისებურებანი, რომლებიც საბანკო სისტემას ახასიათებს.
2. განმარტეთ ორდონიანი და მრავალდონიანი საბანკო სისტემები. რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?
3. სისტემური თავისებურებებიდან ყველაზე მეტად რომელი ახასიათებს საქართველოს საბანკო სისტემას?

4. რაში ხედავთ კომერციული ბანკების ასოციაციების როლს თანამედროვე ეტაპზე?

5. როგორია კომერციული ბანკების ასოციაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები?

6. ფაქტორთა რომელი ძირითადი ჯგუფები მოქმედებენ საბანკო სისტემის განვითარებაზე?

7. როგორ მოქმედებს ბანკთაშორისი კონკურენცია საბანკო სისტემის განვითარებაზე? უნდა ხდებოდეს თუ არა კომერციული ბანკების საკონკურენციო ბრძოლის ფორმებისა და მეთოდები რეგულირება?

8. შეუძლიათ თუ არა საბანკო წესებსა და ჩვეულებებს არსებითი გავლენა იქონიონ საბანკო სისტემის განვითარებაზე?

9. დაახასიათეთ საბანკო სისტემის მდგომარეობა თქვენს რეგიონში.

10. დაახასიათეთ ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ის ღონისძიებები, რომლებიც საბანკო სისტემის ფუნქციონირების რისკის დონის შემცირებისკენაა მიმართული.

11. დაახასიათეთ საბანკო სისტემის წინაშე მდგომი ამოცანები მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით.

12. ჩამოაყალიბეთ როგორ ვითარდებოდა საბანკო სისტემა.

13. საბანკო კრედიტის რომელი ნიშან-თვისებაა საკლასიფიკაციო?

14. რა პირობებში შეუძლია ბანკებს კორპორაციული კრედიტის სქემის რეალიზება?

15. საბანკო სისტემის რომელი ელემენტი იმყოფება მისი იერარქიული დონეების გარეთ?

16. ასრულებს თუ არა ცენტრალური ბანკი სალიკვიდაციო კონტროლის უფლებამოსილებებს თანამედროვე საქართველოში?

17. სპეციალიზებულ კომერციულ ბანკებს ეკუთვნის თუ არა სახელმწიფოს კუთვნილ სააქციო კაპიტალში საკონტროლო პაკეტის მქონე ბანკები?

18. ახორციელებენ თუ არა საბანკო ინფრასტრუქტურის დაწესებულებები ბანკების საინფორმაციო მომსახურებას?

19. საბანკო ოპერაციების განხორციელება მარტო ბანკებს შეუძლია თუ მას საბანკო სისტემის ყველა საკრედიტო დაწესებულება აწარმოებს?

20. ვინ ასრულებს საბანკო სისტემის ეფექტიანობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის ამოცანებს?

21. საკრედიტო კავშირები და კოოპერატივები მხოლოდ თავიანთ მეპაიეებს აკრედიტებენ თუ ისინი სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებსაც აძლევენ კრედიტებს?

22. საბანკო სისტემაში შედიან თუ არა: ა) სპეციალიზებული საკრედიტო დაწესებულებები? ბ) მევახშეები? გ) საწარმოები, რომლებიც განვადებით ყიდიან საქონელს? პასუხი დაასაბუთეთ.

23. რომელი ფაქტორები მოქმედებს საბანკო სისტემის ფორმირებაზე და მის პარამეტრებზე: ა) რეგიონის ბუნებრივი და გეოლოგიური პირობები? ბ) კლიმატი? გ) მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა? დ) მრეწველობა და რეწვა?

24. რა სახეობის უზრუნველყოფას სთავაზობენ ბანკებს საბანკო ინფრასტრუქტურის დაწესებულებები: ა) სამეცნიეროს? ბ) ფინანსურს? გ) საინფორმაციოს? დ) საკადროს?

25. რომელ საბანკო ასოციაციებს იცნობთ? დაასახელეთ.

26. საბანკო სისტემის განვითარებაზე გავლენას ახდენს ფაქტორების ერთობლიობა: ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური, ფორს-მაჟორული. დაახასიათეთ თითოეული მათგანი.

რეკომენდებული ლიტერატურა

ბასარია რ., მესხია ი. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. თბ., 1996.

გამსახურდია გ. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 1995.

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

ეკონომიკური ლექსიკონი. ავტორთა კოლექტივი პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით. თბ., 2001.

კაკულია რ., მურღულია თ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო სისტემის ფორმირების შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. შრომები. ტ. III. თბ., 1999.

კოზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2001.

კომპტონი ერიკ ნ. კომერციული საბანკო სისტემის ახალი ჰორიზონტები. თბ., 1993.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ". საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. თბ., 2002.

საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ". საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. თბ., 2002.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2002 წლის წლიური ანგარიში. თბ., 2002.

ქოიავა ნ. სსრ კავშირის ფულის მიმოქცევა და კრედიტი. თბ., 1965.

ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საფინანსო ინჟინერია, კრედიტი. თბ., 1999.

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. თბ.. 1993.

Банковское дело. Авт. колл. под ред. **Ю.А. Бабичевой.** М. 1998.

Банковское дело. Авт. колл. под редакцией **Ю.Ю. Русанова.** Комплекс методических материалов для дистанционного обучения. М.. МБИ. 1999.

Деньги, кредит, банки. Авт. колл. под ред. **О.И. Лаврушина.** _ Учебник М., 1998.

Жуков Е. Ф. Банки и банковские операции: Учебник. М., 1997.

Коллесников В.И., Кроливецкая Л.П. Банковское дело. М., 1995.

Ресин В.И., Тагирбеков К.Р. Банк в системе экономических структур. М., Весь Мир. 1997.

Усоскин В.М. Современный коммерческий банк.Управление и операции. М.: Всё для вас. 1993.

Эдвин Дж. Долан. Деньги, Банки и денежно-кредитная политика. Пер. с англ-ого. М., СПБ. 1994.

მესამე თავი. საბანკო ბაზარი

ძირითადი ტერმინები და ცნებები
3.1. საფინანსო ბაზარი. არსი. სტრუქტურა. დახასიათება
3.2. საბანკო ბაზრის ცნება
3.2.1. საბანკო ბაზარი, როგორც საბანკო მომსახურების გასაღების ბაზარი
3.2.2. საბანკო, საფინანსო და ფულის ბაზრების თანაფარდობა
3.3. საბანკო ბაზრის მონაწილეები
3.3.1. კომერციული ბანკები: უნივერსალური და სპეციალიზებული
3.3.2. არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები
3.3.3. საბანკო ბაზრის არასაფინანსო მონაწილეები
3.4. საბანკო ბაზრის სტრუქტურა
3.4.1. დარგობრივი მიდგომა საბანკო ბაზრისადმი
3.4.2. საბანკო ბაზრის სტრუქტურა კლიენტთა ჯგუფების მიხედვით.
3.4.3. საბანკო ბაზრის სივრცობრივი სტრუქტურა
3.5. კონკურენცია საბანკო ბაზარზე
3.5.1. საბანკო კონკურენციის არსი, საბანკო კონკურენციის ფორმები
3.5.2. საბანკო კონკურენციის თავისებურებები
მოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტებები
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდირებული ლიტერატურა

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ბაზარი
ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები
ბაზრის ტენდენცია
ბაზრის მართვა
ბაზრის მონაწილენი
ბაზრის შესწავლა
ბანკთაშორისი კრედიტების ბაზარი
ინვესტიციის ბაზარი
ნაღდი ფულადი სახსრების ბაზარი
ოქროს ბაზარი
სავალუტო რეგულირების ფონდი
საერთაშორისო საფინანსო ცენტრები
ვალუტის ბაზარი
სასესხო კაპიტალის ბაზარი
ფინანსური ინსტრუმენტები
საფონდო ბაზარი
ფინანსური ბაზარი
ფულადი სახსრების ბაზარი

3.1. ფინანსური ბაზარი. არსი. სტრუქტურა. დახასიათება

ბანკების საქმიანობა ხორციელდება კონკრეტულ გარემოში, რომელიც განსაზღვრავს ბანკებსა და მის კლიენტებს, ბანკებსა და სახელმწიფოს, ბანკებსა და ეკონომიკურ ურთიერთობათა სხვა სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათსა და პირობებს. კომერციული ბანკები, როგორც საბაზრო მეურნეობის პროდუქტი, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფინანსური ბაზრებზე, როგორც მათი განუყოფელი მონაწილეები.

მკაცრად რეგულირებად გეგმიურ ეკონომიკაში ფინანსური ბაზარს ცალიდა ყველა სახის რესურსების ცენტრალიზებული განაწილება ფულადი რესურსების ჩათვლითა და მხოლოდ საერთაშორისო ფინანსური ბაზრებზე იყო სახელმწიფო იძულებული გამოსულიყო სამაზრო ურთიერთობების სუბიექტის რანგში. ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკურ თეორიაში წლების მანძილზე მუშავდებოდა ფინანსური ბაზრის ზოგადი თეორიის მხოლოდ ერთი განყოფილება საერთაშორისო. საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება არაერთი საფუძვლიანი შრომა, მიძღვნილი შრომის საერთაშორისო განაწილების, როგორც ფინანსური ბაზრების ცალკეული სეგმენტების ეფექტური ფუნქციონირების საფუძვლისადმი. ამასთან, შიგა საფინანსო ბაზრები გამოირჩევიან როგორც ქვეყნის ეროვნული და ეკონომიკური თავისებურებებით, ასევე სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მოწყობის დამახასიათებელი ნიშნებით განპირობებული მთელი რიგი თავისებურებებით. და მაინც, შიგა ფინანსური ბაზრის ცნება, უპირველეს ყოვლისა, მჭიდროდაა დაკავშირებული საბაზრო ეკონომიკის ისეთ კატეგორიებთან, როგორიცაა კაპიტალის მოძრაობა, კონკურენცია, სასაქონლო და ფულადი ბაზრების განვითარება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში შიგა ფინანსური ბაზარი, როგორც წესი, ასოცირდება ფულადი კაპიტალის მოძრაობასთან, რომელიც სასაქონლო ბაზართან ერთად წარმოქმნის ამა თუ იმ ქვეყნის საკუთრივ საბაზრო სივრცეს. ამასთანავე, ცალკე გამოიყოფა ფულადი ბაზარი, რომელიც მოიცავს ერთ წლამდე ვადით მიმოქცევაში მყოფ ფულად სახსრებს. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს ცნება მოიცავს საწარმოებისა და ორგანიზაციების საბრუნავ კაპიტალს, სახსრებს ბანკების ანგარიშებსა და დეპოზიტებზე, ასევე მოკლევადიანი (ვადა 1 წლამდე) ობლიგაციები და თამასუქები. ამასთან ერთად, გვხვდება ფულადი ბაზრის, როგორც სასესხო კაპიტალის ნაკადის ერთობლიობის, ან სპანკო სესხების ბაზრის დამახასიათებელი განსაზღვრებები. თუმცა, უფრო მართებულია კაპიტალის ამ ნაწილის, როგორც ფულადი ბაზრის ერთ-ერთი მდგენელის გამოყოფა.


ამრიგად, ფინანსური ბაზარი ფართო გაგებით ეს არის სხვადასხვაგვარი აქტივებისა და ვალდებულებების მოძრაობა. ფინანსური ბაზარი არის ფინანსური აქტივებითა და ინსტრუმენტებით ვაჭრობის ორგანიზებული და არაფორმალური სისტემა.

მთლიანობაში, ფინანსური ბაზარი შეიძლება განვმარტოთ, როგორც გლობალური ბაზრის შემადგენელი ნაწილი, რომელიც დამყარებულია მასში სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების ბრუნვაზე. ამ ინსტრუმენტების სტრუქტურა განისაზღვრება შემოსავლიანობისა და რისკის თანაფარდობით, რომლებიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მათ ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე: სახელმწიფოს ფულად და ფისკალურ პოლიტიკაზე, საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარების დონეზე, პოლიტიკურ სტაბილურობაზე.

ფინანსური ბაზრის სტრუქტურა კაპიტალის ბაზრის სხვა ელემენტებთან დამოკიდებულებაში ნაჩვენებია ნახ.3.1.

განვითარებული ქვეყნების ფინანსური ბაზრები წარმოადგენენ ეკონომიკის მდგომარეობის თავისებურ ინდიკატორებს. ყველა მაკროეკონომიკური ფაქტორი (სახელმწიფოს სტრუქტურული და ინვესტიციური პოლიტიკა, ცალკეული დარგების განვითარების დონე, დემოგრაფიული სიტუაცია, მსოფლიო ვაჭრობა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი) გავლენას ახდენს ფინანსური ბაზრის განვითარების მდგრადობასა და ტენდენციებზე. მათი მიმართულებისა და ტემპების შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს ფინანსური ბაზრის ცალკეულ მდგენელთა ფუნქციონირების შინაარსი და ფორმა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში სხვადასხვა ფულადი ნაკადები ერთიანდებიან ცალკეულ ფინანსური ბაზრებში: ვალუტის ბაზარი, ფულადი სახსრების ბაზარი, საფონდო ბაზარი, ინვესტიციის ბაზარი. ფულადი ბაზრის მონათესავე, ბაზრის მეორე კატეგორია ხასიათდება უნივერსალური თვისებების მქონე სხვადასხვაგვარი სასაქონლო-მატერიალური ღირებულებების მოძრაობით: ძვირფასი ლითონების ბაზარი, უძრავი ქონების ბაზარი, ლითონთა ბაზარი. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ იმ ფინანსური ბაზრებს, რომლებიც დაკავშირებულია ფულად-საკრედიტო ინსტიტუტების ფუნქციონირებასთან.



ნახ. 3.1. ფინანსური ბაზრის ადგილი და სტრუქტურა საბაზრო მექანიზმის ელემენტების ურთიერთმიმდებრის ზოგად სქემაში.

ყველა ეს ფინანსური ბაზარი შეიცავს თავისი განსაკუთრებული მახასიათებლების მქონე ინსტრუმენტების დიდ რაოდენობას (დეპოზიტები, ობლიგაციები, აქციები, თამასუქები, კორპორაციული ფასიანი ქაღალდები და ა.შ.), რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვისაუბროთ ცალკეულ დამოუკიდებელ სუბბაზრებზე.

თანამედროვე ფინანსური ბაზრები ყოველწლიურად სულ უფრო რთულდება და მუდმივად წარმოიქმნება ახალი ფინანსური ინსტრუმენტები. მათი გამოყენება ამჟამად წარმოუდგენელია

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გარეშე. მათი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე კავშირგაბმულობის ტექნიკურ საშუალებებს. ეს განპირობებულია იმით, რომ ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტში ინვესტიციების ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გადაწყვეტილებების მიღების ოპერატიულობაზე, რადგან სიტუაცია ბაზარზე ძალზე სწრაფად იცვლება. კომუნიკაციებისა და კომპიუტერების უახლესი სისტემების გამოყენების წყალობით, ინფორმაცია ელვის უსწრაფესად ვრცელდება. გადაწყვეტილებათა მიღებაში დიდ როლს ასრულებენ აგრეთვე კომპიუტერული მათემატიკური მოდელები, რომლებიც ამაღლებენ პროგნოზების ხარისხს და თავიდან გვაცილებენ რისკის საშიშროებას.

უკანასკნელ წლებში საქართველო იღწვის, რომ გადაიქცეს მსოფლიო საფინანსო თანამეგობრობის სრულუფლებიან წევრად. საქართველოს სახელმწიფომ და საწარმოებმა უნდა მონახონ კაპიტალის საერთაშორისო ბაზართან მისვლის გზები. მედლის მეორე მხარე კი იმაში მდგომარეობს, რომ ამჟამად საქართველოში საქონლის, კაპიტალის, შრომის ტექნოლოგიების ბაზრების მდგომარეობა დამოკიდებულია არა მხოლოდ საქართველოში განვითარებულ პროცესებზე, არამედ მსოფლიოს სხვა საფინანსო ბაზრების მდგომარეობაზე. საფინანსო ბაზრების ეროვნული საზღვრების გაფართოებას ხშირად მივყავართ ქვეყანაში რეალურად არსებული ეკონომიკური სიტუაციიდან მოწყვეტამდე. რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკის რეალური სექტორიდან შეიძლება გადასროლილ იქნეს სპეკულაციურ გარიგებათა სფეროში, რომელიც წარმოქმნის ერთ ან რამდენიმე მონოპოლურ ოპერატორზე, ან საფინანსო ბირჟაზე დაქვემდებარებულ დამოუკიდებელ სიერცეს. მსხვილი საფინანსო აფიორების შედეგად, რომლის დროსაც კაპიტალი გადაიქარება უფრო გამოცდილი მოთამაშეების ანგარიშებზე, როგორც წესი, ზარალდებიან მესამე სამყაროს ახალბედა ბაზრები.

ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიტუაციიდან, ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ტენდენციებიდან გამომდინარე, ფინანსური ბაზრების სტრუქტურა და საფინანსო ინსტრუმენტების ნაკრები შეიძლება შეიცვალოს. მდგრადობა საფინანსო ბაზრებზე აღემატება კომერციული ბანკების პასივების სასწრაფო და შემნახველ დეპოზიტებში კაპიტალის მოზიდვის გრძელვადიანი ინსტრუმენტების წილს.

ჩვენ განვიხილავთ იმ საფინანსო ბაზრებს, რომელთაც ყველაზე მეტი ხვედრითი წილი უკავიათ ფულადი ნაკადების მოცულობაში.


ინვესტიციის ბაზარი. **ინვესტიციის ბაზარი (Investment market) არის საინვესტიციო რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდების ფორმირებისა და საინვესტიციო საქონლის ყიდვა-გაყიდვის სფერო.** ინვესტიციის ბაზარი ემსახურება საინვესტიციო პოტენციალის მობილიზება-ორგანიზებას, საინვესტიციო საქონლის ფინანსურ, მატერიალურ და ინტელექტუალურ უზრუნველყოფას.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა ემყარება ინვესტიციებს. ინვესტიციის ბაზრის მექანიზმი მუშაობს იმდაგვარად, რომ, ერთი მხრივ, არსებობენ იურიდიული პირები, რომლებიც საჭიროებენ კაპიტალს, ეს არის სახელმწიფო, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები (ადმინისტრაციები, მუნიციპალიტეტები, პრეფექტურები), საწარმოები. მეორე მხრივ, მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს უჭნდებათ თავისუფალი სახსრები, რომელთა შენახვა და გამრავლებაც სურთ მათ. ინვესტიციის საბაზრო მექანიზმის მეშვეობით ხდება თავისუფალი სახსრების მფლობელი პირებიდან კაპიტალის გადენა ორგანიზაციებში, რომლებიც ბანკების, ბირჟების, საინვესტიციო კომპანიების და სხვადასხვა ფონდების შუამდგომლობით ახორციელებენ პროფესიულ საინვესტიციო საქმიანობას.

ეს, ერთი შეხედვით ქაოსური მოძრაობა, სინამდვილეში წარმოადგენს ასეულობით დარგსა და პროექტზე მოსახლეობის დანაზოგებისა და საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დაგროვილი კაპიტალის განაწილების ეფექტურ მექანიზმს. მოსახლეობიდან სახსრების მოზიდვით, ბანკები და

საფინანსო შუამავლები კონკურენტულ საფუძველზე გადასცემენ მათ სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტებს და საწარმოებს. სახსრების დაბანდებიდან მიღებული შემოსავლები გადაეცემა მოქალაქეებს და საფინანსო შუამავლებს.

ნახ.3.2. წარმოდგენილია საინვესტიციო პროცესში ფულადი ნაკადების ბრუნვა. ამასთან, ეკონომიკური მექანიზმი შეიძლება ორგანიზებულ იქნეს სხვადასხვაგვარად, მაგალითად, საწარმოს შეუძლია მიიღოს კრედიტი ბანკიდან, სადაც ინახავენ თავიანთ სახსრებს მოქალაქეები, ან საფინანსო შუამავლების მეშვეობით მიჰყიდოს აქციები და ობლიგაციები მოქალაქეებს, მოგროვილი სახსრები კი დააბანდოს წარმოებაში. მეორე ვარიანტი - საწარმო უშვებს ობლიგაციებს ან აქციებს და მიჰყიდის მას საპაიო საინვესტიციო ფონდს, რომელშიც დებანდებულია კერძო მეანაბრეთა სახსრები.



ნახ. 3.2. საკრედიტო დაწესებულებების ადგილი საინვესტიციო პროცესში

ინვესტორები და შუამავლები თავიანთ ურთიერთდამოკიდებულებებს განსაზღვრავენ იმისდა შესაბამისად, ვინ იღებს თავის თავზე ძირითად რისკს, ვის აქვს მეტი უფლება მოგების ძირითად ნაწილზე და ვის - ფიქსირებულ პროცენტზე.

კლასიკურ ვარიანტში ინვესტიციის ბაზარზე საკრედიტო ორგანიზაციები წარმოდგენილია საინვესტიციო ბანკებით, რომლებიც დღეისათვის არც არსებობენ საქართველოში. როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუტს, საინვესტიციო ბანკს შეუძლია ასევე ტრადიციული საბანკო ფუნქციების შესრულება. თუმცა, მისი მთავარი დანიშნულებაა გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტების განხორციელება, რითაც ბანკს უნდა ჰქონდეს საკმაოდ დიდი კაპიტალი.

ვალუტის ბაზარი. ვალუტის ბაზარი არის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ვალუტებისა და უცხოურ ვალუტებში გამოხატული საგადასახადო დოკუმენტების ჩეკების, თამასუქების, აკრედიტივების და ა.შ. ყიდვა-გაყიდვას. ეს პროცესი ხორციელდ-

ება ვალუტების გაცვლის ფორმით და მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე დადგენილი კურსის შესაბამისად. ვალუტის ბაზარი, როგორც ინსტიტუციური მექანიზმი, ბანკების ვალუტის ბირჟების, სავალუტო განყოფილებების, მსხვილი, პირველ ყოვლისა, ტრანსეროვნული კორპორაციების სპეციალიზებული საბროკერო ფირმების ერთობლიობაა. სავალუტო ოპერაციების ძირითად ნაწილს, ცენტრალური ბანკის ლიცენზიის საფუძველზე, ახორციელებენ სავალუტო ბანკები. როგორც წესი, ეს არის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი უმსხვილესი ბანკები, რომლებსაც მრავალ ქვეყანაში აქვთ საკუთარი განყოფილებები და ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ გარიგებებს ახორციელებენ მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

ვალუტის ბაზრის დანიშნულებაა სხვადასხვა ვალუტაში საერთაშორისო ანგარიშსწორების პრაქტიკული რეალიზაცია, სახელმწიფოს, ბანკების, სხვადასხვა კორპორაციების სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაცია, მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ვალუტის კურსის დადგენა, სავალუტო რისკის დაზღვევასთან დაკავშირებული ოპერაციების ჩატარება და სხვ.

ვალუტის ბაზარზე ანგარიშსწორება ხდება ნაღდი (დაუყოვნებელი). კომბინირებული და ვადიანი გადახდის ფორმით. სავალუტო ოპერაციებში ნაღდი ფორმით ანგარიშსწორება ცნობილია „სპოტის", ვადიანი გარიგება - „ფორვარდის", ხოლო კომბინირებული - „სეოპის" სახელწოდებით. გარდა ამისა, ვალუტის ბაზარზე სრულდება საარბიტრაჟო ოპერაციები, რომლებიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ვალუტის ბაზარზე ხდება ეროვნული ვალუტის გადაცვლა სხვა ქვეყნების ვალუტაზე ყიდვა-გაყიდვის გზით. უცხოური ვალუტის შესყიდვა აუცილებელია როგორც ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განსახორციელებლად, ისევე კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციების განსახორციელებლად. ეფექტურად მომუშავე ვალუტის ბაზარი ემსახურება შიგა და საერთაშორისო საგადასახდელო მიმოქცევას. ვალუტის ბაზარს არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი აკისრია მაღალი ინფლაციის პერიოდში ვალუტის კურსების შესაძლო ცვლილებების გამო რისკების დაზღვევის ხარჯზე ლიკვიდურობის შენარჩუნებაში.

ვალუტის ოპერაციების აუცილებლობის მთავარი მიზეზი დაკავშირებულია უნივერსალური საგადასახდელო სახსრების, როგორც ერთიანი საგადასახადო სახსრების არსებობა, რაც შესაძლებელს გახდიდა საგარეო ვაჭრობაში საერთაშორისო ანგარიშსწორების ჩატარებას. ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის ინვესტირებას, სახელმწიფოთაშორისო გადახდების განხორციელებას. ვალუტის ყიდვა და გაყიდვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ბანკების, ისე მათი კლიენტების მიერ ვალუტის კურსებს შორის სხვაობის მისაღებად.

სრული ფუნქციონირება ვალუტის ბაზარს შეუძლია მხოლოდ ვალუტის კონვერტირებადობის, ასევე მათი კურსის მოთხოვნასა და წინადადებაზე დამოკიდებულების პირობებში. უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა და წინადადება ყალიბდება ექსპორტიორების მიერ საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან მიღებული საავალუტო მოგების ხარჯზე, გარდა ამისა, იმპორტიორების მიერ ვალუტის ყიდვის ხარჯზე, რითაც ანგარიშს ასწორებენ საზღვარგარეთ შეძენილ საქონელსა და მომსახურებაზე.

ნაღდი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დინამიკა შეიძლება შეიცვალოს ისეთი ფაქტორების ზემოქმედებით, როგორიცაა სეზონური ცვალებადობა. ინფლაციური მოლოდინის მკვეთრი ზრდა, საქონლის შესყიდვა სასაქონლო დეფიციტის მოლოდინში.

გეოგრაფიულად სავალუტო ბაზრები იყოფა საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ ბაზრებად. საერთაშორისო ვალუტის ბაზარი წარმოდგენილია მსხვილი მსოფლიო ეკონომიკური და საფინანსო ცენტრებით, რომლებშიც თავმოყრილია ძირითადი საავალუტო ბირჟები და უმსხვილესი ბანკები. ეროვნული ბაზარი იზღუდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის ჩარჩოებით, სადაც ხორციელდება ვალუტის ოპერაციები.

ვალუტის ბაზარს დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების რეგულირებისათვის და ასრულებს ლარის კურსის სტაბილიზატორის როლს. სავალუტო რეზერვების შევსების ძირითად წყაროებს წარმოადგენენ რეზიდენტების საექსპორტო მოგების აუცილებელი მიყიდვა ეროვნული ბანკისათვის, საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ორგანიზაციებიდან საკრედიტო საშუალებების შეძენა, შიგა სავალუტო ბაზარზე ეროვნული ბანკის ოპერაციები, ასევე შემოსავლები საგარეო ბაზარზე სავალუტო რეზერვების საშუალებებიდან. საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, საკმარისად ითვლება რეზერვები, რომელთა მოცულობა არანაკლებია ქვეყნის სამთვიანი იმპორტის მოცულობაზე.

სავალუტო რეზერვის საშუალებები უზრუნველყოფენ ეროვნული ფულადი ერთეულის სტაბილურობას.

კაპიტალის ბაზარი (Capital market) კაპიტალზე მოთხოვნისა და მიწოდების ფორმირების სფერო, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების აკუმულაციასა და გადანაწილებას, ძირითადი კაპიტალის მოძრაობას, ხელს უწყობს მოგების (მოგება) მაქსიმიზაციასა და ეკონომიკაში პროპორციების შენარჩუნებას.

კაპიტალის ბაზარზე თავს იყრის სახელმწიფო და კერძო ფირმების ფულადი დანაზოგები, რომლებიც საკრედიტო საშუალებების სახით წარიმართება კელავწარმოების განვითარებისათვის ერთდროულად. კაპიტალი თავმოყრილია კრედიტორის ხელში ფასიანი ქაღალდების სახით.

კაპიტალის ბაზარი მოიცავს ფასიანი ქაღალდების ბაზარს, საშუალო და გრძელვადიანი კრედიტის ბაზარს, ვალუტის ბაზრის განმსაზღვრელ ნაწილს და ინვესტიციის (მათ შორის, უცხოურის) ბაზარს. კაპიტალის ბაზარზე ოპერაციების ძირითადი სახეებია: ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, საბანკო სესხის, კომერციული და იპოთეკური კრედიტის მიღება-გაცემა. კაპიტალის ბაზარზე გარიგების ძირითადი ინსტრუმენტებია: დეპოზიტური სერტიფიკატები, საბანკო აქცეპტი და ა.შ., ხოლო გარიგების კონტრაჰენტები - საფონდო ბირჟები, სადაზღვევო კომპანიები, საბროკერო და სადილერო კომპანიები, აუდიტორული ფირმები, კომერციული და საინვესტიციო ბანკები, საპენსიო და საინვესტიციო ფონდები და სხვ., რომლებიც საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების განშტოებულ ქსელს ქმნიან.

კაპიტალის ბაზარი სცილდება ცალკეული ქვეყნების საზღვრებს და მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. იგი დიდ როლს ასრულებს ახალი რეგიონული ეკონომიკური კომპლექსების შექმნაში, საგარეო ვაჭრობასა და საერთაშორისო ანგარიშსწორებაში. კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე კრედიტორისა და სესხის ამღების როლში ძირითადად გამოდიან მსხვილი ტრანსეროვნული ფირმები და ბანკები, სამთავრობო და მუნიციპალური ორგანოები, საერთაშორისო სავალუტო და საფინანსო ორგანიზაციები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების ეროვნული ბანკი).

კაპიტალის ბაზარზე ძირითადი მაჩვენებელია პროცენტის განაკვეთი. ამ უკანასკნელის სტრუქტურა მოიცავს დისკონტს, კრედიტზე პროცენტულ განაკვეთს, ბაზინის თამასუქს და სხვ.

– საქონლის ბაზარი (Commodity market) – მატერიალურ-ნივთობრივი პროდუქტების ყიდვა-გაყიდვის აქტების ერთობლიობა. საქონლის ბაზარი მოიცავს წარმოების საშუალებებისა (საწარმოს შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების, დანადგარების, ნედლეულის, სათბობისა და ა.შ.) და საბოლოო მოხმარების საგნების (როგორც ყოველდღიური, ისე ხანგრძლივი მოხმარების საგნების) ფართო სპექტრს და, შესაბამისად, იყოფა ცალკეულ, უფრო ვიწრო ბაზრებად. საბოლოო მოხმარების საგნების ბაზარზე მოთხოვნის კონცენტრაციის დონე გაცილებით დაბალია, ვიდრე წარმოების საშუალებების ბაზარზე. სამაგიეროდ, პირველი ხასიათდება უფრო მაღალი მოთხოვნის ელასტიკურობით. ამასთან, საბოლოო მოხმარების საგნების ბაზარზე საქონლის რეალიზაციას ნაკლები შუალედური რგოლი სჭირდება, ვიდრე წარმოების საშუალებების ბაზარზე.

საქონლის ბაზრის კონიუნქტურაზე აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ფასების დონე, ფულის მიმოქცევის მდგომარეობა, მოსახლეობის შემოსავლების დინამიკა, საბანკო პროცენტის დონე, დაკრედიტების რეჟიმი, დაბეგვრის ხასიათი, საინვესტიციო ბაზრის მდგომარეობა და სხვ. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საგარეო-ეკონომიკურ ფაქტორს: საბაჟო პოლიტიკის ლიბერალიზაცია და უცხოური ინვესტირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქონლის ბაზრის დეფიციტის დაძლევასა და ინფლაციის დონის დაქვეითებას.

— **ფასიანი ქაღალდების ბაზარი** — ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის სფერო, რომლის საშუალებითაც ხდება საწარმოთა დროებით თავისუფალი ფულადი სახსრებისა და მოსახლეობის დანაზოგების მობილიზაცია ეკონომიკაში ინვესტირებისათვის, იყოფა პირველად და მეორეულ ბაზრებად. პირველად ბაზარზე იყიდება ახალგამოშვებული, ემიტირებული ფასიანი ქაღალდები. როგორც წესი, ფირმა-ემიტენტი თავის ფასიან ქაღალდებს ავრცელებს ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების შუამავლობით ხელმოწერის საფუძველზე (ღია ტიპის აქციონერთა საზოგადოება) ან აქციონერ-დამფუძნებელთა შეზღუდული რაოდენობას შორის (დახურული ტიპის აქციონერთა საზოგადოება). ფასიანი ქაღალდების ემიტენტი შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი. ფასიანი ქაღალდების მეორეულ ბაზარზე ინვესტორები, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები და შუამავლები ვაჭრობენ იმ ფასიანი ქაღალდებით, რომლებიც ერთხელ უკვე გაყიდეს მათმა ემიტენტებმა. ინვესტორები არიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები და სახელმწიფო შუამავალთა ძირითადი კატეგორიებია ბროკერები, დილერები და მათი შესაბამისი ორგანიზაციები, აგრეთვე საკრედიტო ინსტიტუტები. მაგ., ანგლოამერიკულ სისტემაში, როგორც წესი, ბანკები განსაკუთრებული სახის (სადაზღვევო, საპენსიო) ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობენ. მეორეულ ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების გავლენით დგინდება ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასი (კურსი). მეორეული ბაზარი იყოფა საბირჟო და ბირჟისგარეშე (ფინანსური აქტივებით ვაჭრობა „დახლზე") ბაზრებად.

ქვეყნის საბირჟო სისტემა შეიძლება იყოს მონოცენტრული (ერთი მსხვილი ბირჟა. მაგ., დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში), პოლიცენტრული (რამდენიმე მსხვილი ბირჟა, მაგ., კანადაში, გერმანიაში, ავსტრალიაში), გარდამავალი (ერთი უმსხვილესი და რამდენიმე ნაკლებად მსხვილი ბირჟა, მაგ., აშშ-ში, იაპონიაში). ბირჟების რაოდენობის რეგლამენტირება ხდება სახელმწიფოს მიერ, ბირჟის გარე ბაზარზე ძირითადად მიმოიქცევა ის ფასიანი ქაღალდები, რომლის კოტირებაც საფონდო ბირჟაზე არ ხდება. მაგ., თითქმის ყველა ბანკის (ცენტრალურის გარდა) და სადაზღვევო კომპანიების აქციები ყველა სახელმწიფო და მუნიციპალური ობლიგაცია და სხვ. აქ ფასი ყალიბდება სახელშეკრულებო გზით: დილერის შემოსავალი დგინდება, როგორც ყიდვის და გაყიდვის ფასებს შორის სხვაობა. ბირჟის გარე ბაზარზე შესაძლებელია ბროკერისა და დილერის ფუნქციების შეთავსება. არსებობს სპეკულაციის ორი ძირითადი სახე „შორტ-გაყიდვა" და „შორტ-ყიდვა", აგრეთვე მოგების მიღების მრავალი ხერხი, რომლებიც უკავშირდება როგორც ფასების ცვალებადობას, ისე რისკის დაზღვევას (ჰეჯირება). სპეკულაცია ხელს უწყობს ფასების გათანაბრებასა და სტაბილიზაციას, უზრუნველყოფს ლიკვიდურობას. ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და მთლიანად მთელი ეკონომიკის მნიშვნელოვანი ინდიკატორია აქციების კურსის ინდექსები. არსებობს მრავალი სხვადასხვა სახის ინდექსი. მაგ., აშშ-ში ყველაზე ცნობილია დოუჯონსის ინდექსი.

ფულადი სახსრების ბაზარი. ფულადი სახსრების ბაზარი ასოცირებულია საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმდინარე საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ასევე მოკლევადიანი დაბანდებების განსახორციელებლად. ფულად ბაზარზე ძირითად ოპერატორებს წარმოადგენენ კომერციული ბანკები.

კომერციული ბანკების როლი ფულადი სახსრების ბაზარზე მდგომარეობს თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაციასა და მათ განთავსებაში სხვადასხვა საბანკო აქტივებში, ასევე

კლიენტებისათვის მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევა. ფულადი სახსრების ბაზრები წარმოდგენილია სუბბაზრების მრავალფეროვნებით, რომელთაგან ძირითადს წარმოადგენენ: საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებზე ფულადი საშუალებების ბაზარი, საგადასახდელო სისტემების ბაზარი.

საკრედიტო ბაზრის ძირითადი წილი უკავია საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გადაცემულ მოკლევადიან კრედიტებს, - ისინი შეადგენენ 80%. მათ შორის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი უკავია სესხებს ნახევარი წლიდან ერთ წლამდე (32%). სესხების მოკლევადიანი ხასიათი განისაზღვრება იმით, რომ ბანკების რესურსები ასევე ძალიბდება მოკლევადიანი დეპოზიტებითა და ანაბრებით. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ბანკებს ამჟამად არ ძალუძთ მოსახლეობიდან და საწარმოებიდან მიღებული სახსრების გრძელვადიან პროექტებში დაბანდება.

კრედიტების ბაზარი უკანასკნელ შვიდეგნაირადაა განაწილებული: საწარმოებისა და ორგანიზაციების კრედიტები - 70%, ბანკთაშორისი კრედიტები 18%, ხოლო გადავადებული კრედიტების წილი შეადგენს 12%-ს. საწარმოებისა და ორგანიზაციების კრედიტების ძირითადი წილი მოდის 180 დღიდან 1 წლამდე 30%. ბანკებისათვის გაცემული კრედიტის (ბანკთაშორისი კრედიტები) წილი საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე არ იცვლება და მერყეობს 18%-ის დონეზე. ბანკთაშორისი კრედიტების ბაზარი რეგულირდება საპროცენტო განაკვეთებით კრედიტების მოსაზიდად (MIBID), გამოცხადებული განაკვეთებით კრედიტების გადასაცემად (MIBOR), ფაქტობრივი განაკვეთების კრედიტების გადასაცემად (MIARCR). MIBID. MIBOR განაკვეთები დგინდება, როგორც საშუალო ბანკთაშორისი კრედიტების ბაზარზე ყველაზე მსხვილი ბანკების მიერ ყოველდღიურად გამოცხადებულ განაკვეთებს შორის.

ფიზიკური პირების დეპოზიტების და ანაბრების ბაზარი წარმოდგენილია საბანკო პროდუქტების მრავალგვარი სახეებით. 1998 წ. ყველა საშუალებათა ნახევარზე მეტი განთავსებული იყო ანგარიშებზე მოთხოვნამდე და სასწრაფო ანაბრებზე არამყარი ეკონომიკური მდგომარეობის პერიოდში. განსაკუთრებით პრობლემურია ანაბრები შედარებით მოკლე ვადებით ერთი თვიდან ნახევარ წლამდე. ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების უმეტესობა ამჟამად ან არალიკვიდურია, ან უზრუნველყოფს ლიკვიდურობას შემოსავლიანობის არსებითი დაქვეითების ხარჯზე.

ერთ-ერთი აქტიურად განვითარებადი ბაზარია ახალ საბანკო ტექნოლოგიებზე დამყარებული საგადასახდელო სისტემების ბაზარი. ბევრი ბანკი გვთავაზობს როგორც თავის საგადასახდელო სისტემებს, ასევე საერთაშორისოს, მაგალითად, ფართოდ გავრცელებული სისტემები VISA, Eurocard/Mastercard და სხვ.

ფინანსური ბაზრის განვითარება კრიზისის პერიოდში.Emerging market კატეგორიის ქვეყნების ფინანსური ბაზრები - განვითარებადი ბაზარი, ხშირად საერთაშორისო საფინანსო კრიზისების არენა ხდება, რაც გამოწვეულია განვითარებადი ქვეყნების ეროვნული ბაზრებიდან უცხოური ინვესტიციების ზვავური უკუდინებით.

ამგვარი კრიზისების ძირითადი ნიშნებია:

- ინვესტორთა ნდობის დაქვეითება ეროვნული სახელმწიფოებრივი და კორპორაციული საფინანსო ინსტრუმენტებისადმი, როგორც მათი ფასების მკვეთრი დაქვეითების შედეგი. როგორც პირველად, ასევე მეორად ბაზრებზე;

შიგა ვალის მომსახურების მკვეთრად მზარდი ღირებულება აიძულებს ქვეყნის საფინანსო ხელმძღვანელობას მოახდინოს თავისი სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია. ან, უარეს შემთხვევაში, გამოაცხადოს თავისი საგადასახდელო ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ, ანუ Default;

საინვესტიციო გარემოს გაუარესება აიძულებს უცხოელ ინვესტორებს ,,გაიტანონ" ქვეყნიდან თავიანთი დაბანდებანი. ეს იწვევს თავისუფალი ფულადი საშუალებების მნიშვნელოვანი მასის მკვეთრ მოდინებას სავალუტო ბაზრებზე ეროვნულ ვალუტაში, რასაც მივყეარტ ეროვნუ-

ლი ვალუტის მკვეთრ გაუფასურებამდე;

ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურების ძალით, ეროვნული საფინანსო ინსტიტუტები წამგებიანი ხდებიან;

ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების საფინანსო მდგომარეობის გაუარესება იწვევს ქვეყნის საბანკო სისტემის ლიკვიდურობის კრიზისს (ურთიერთგადაუხდელობის კრიზისი).

საფინანსო კრიზისის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები დამახასიათებელი იყო 1998 წლის კრიზისისათვის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ასევე აზიის მთელი რიგი ქვეყნების კრიზისისათვის.

ბანკებში ფინანსური სიძნელეების წარმოშობა განპირობებულია და განუყოფლადაა დაკავშირებული საფინანსო ბაზრებზე კრიზისული სიტუაციების განვითარებასთან, რამაც მიგვიყვანა მთლიანობაში საქართველოს საბანკო სისტემის ლიკვიდურობის დაკარგვამდე.

სისტემური ფინანსური კრიზისების შედეგად მოხდა მთლიანად საბანკო სისტემის პარალიზება, არაფერს ვამბობთ ბანკებზე, რომლებიც სახელმწიფო სავალო ვალდებულებების ბაზრის აქტიური მონაწილეები არიან, ასევე ბანკებზე, რომელთაც გააჩნდათ სავალუტო აქტივებისა და ვალდებულებების მნიშვნელოვანი წილი.

როგორც უკანასკნელი კრიზისის მოვლენებმა გვიჩვენეს, საკმაოდ დიდი დროის მანძილზე ბანკების მიერ აქტიური ოპერაციების განსახორციელებლად ყველაზე მიმზიდველი ტრადიციული საფინანსო ბაზრები ზარალიანი ხდებოდნენ, მკვეთრად მცირდებოდა გარიგებათა მოცულობა და მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდების რაოდენობა. ამ პირობებში იზრდება სახელმწიფოს როლი ბაზრის რეგულირებაში.

რა ასახვას პოულობს ფინანსური ბაზრების კრიზისი უშუალოდ საბანკო საქმიანობაზე? როგორც საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სისტემათწარმომქმნელი ელემენტი, ბანკი, ერთ-ერთი პირველი, გრძნობს კრიზისის ნეგატიურ შედეგებს, რაც შემდეგში გამოიხატება:

- არგადახდების კრიზისი, რაც გამოიხატება კონტრაგენტების წინაშე ვალდებულებათა არადროული შესრულებით;

ბანკის კლიენტთა გადახდისუუნარობას მივყავართ რესურსული ბაზის შემცირებასთან და, როგორც შედეგი, ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტების მკვეთრ შემცირებასთან;

ბანკთაშორისი დაკრედიტების ბაზარზე ფულადი საშუალებების სესხების შეუძლებლობა;

- როგორც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების არსებული პაკეტის, ასევე, მათი უზრუნველყოფის, რეფინანსირების შეუძლებლობა;

მეანაბრეებისა და იურიდიული პირების მკვეთრი უკუდენა ანაბრებისა და დეპოზიტების ვადამდე ამოღებით;

საბანკო სექტორში დაბანდებებისადმი უცხოელი ინვესტორების მხრიდან ინტერესის დაკარგვა:

საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესება;

საბანკო აქტივობის ზოგადი სტაგნაცია, საკრედიტო ორგანიზაციებისადმი სოციალური უნდობლობის მკვეთრი ზრდა და ა.შ.

კრიზისის პერიოდში საქართველოს ყველა ბაზარმა პრაქტიკულად სრულიად დაკარგა თავისი აქტუალობა და ინტერესი აქტიური ოპერაციების განხორციელების თვალსაზრისით. ერთადერთი ბაზარი, სადაც შესაძლებელი იყო გარიგებათა დიდი მოცულობებისა და ოპერაციების მოცულობების შენარჩუნება, სავალუტო ბაზარი დარჩა.

გამოვყოთ ძირითადი ფაქტორები, რომლებიც უახლოეს პერსპექტივაში განსაზღვრავენ საფინანსო ბაზრების განვითარების თავისებურებებს:

მოსახლეობაში თავისუფალი ფულადი საშუალებების და დანაზოგების მნიშვნელოვანი შემცირება მოსახლეობის რეალური შემოსავლების დონის მკვეთრი დაქვეითების, დანაზოგთა მნიშვნელოვანი ნაწილის გადაუდებელი საჭიროებებისაკენ მიმართვის აუცილებლობის, ასევე საფინანსო კრიზისის

გამწვავების პერიოდში დანაზოგთა დანაკარგების გამო;

უნდობლობა კომერციული ბანკებისადმი მრავალი მსხვილი კომერციული ბანკის მხრიდან მეანაბრეთა და კლიენტთა - იურიდიული პირების წინაშე თავიანთი ვალდებულებების შესრულებაზე მასობრივი უარის თქმის გამო. ბანკებისადმი უნდობლობას ამყარებს უნდობლობა სახელმწიფოსადმი, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო საფინანსო პირამიდის კრახთან, კუპონის კურსის დაცემის შედეგად დანაზოგის დაკარგვასთან;

- ნებისმიერი სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურებისადმი მოსახლეობის დიდი ნაწილის მწვავე უნდობლობის ძალა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის მიერ სახსრების აშშ დოლარებში დაბანდებას. ექსპერტების მონაცემებით, 1998 წლისათვის, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, მოსახლეობას ხელზე ჰქონდა 20-დან 40 მლრდ. დოლარამდე.

ამასთან, საბანკო სფეროს კრიზისმა მიგვიყვანა ზოგიერთ დადებით ტენდენციამდე, კერძოდ, მოშხმარებლისათვის საბანკო მომსახურების პარამეტრების პრიორიტეტულობაში მნიშვნელოვან ცვლილებამდე. საბანკო მომსახურების ბაზარზე როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირებისათვის საბანკო პროდუქტის ფასების პარამეტრების მნიშვნელობა მნიშვნელოვნად დაქვეითდა, თუმცა გამკაცრდა ბანკების მიერ შემოთავაზებული მოთხოვნები საფინანსო ინსტრუმენტების ლიკვიდურობისადმი.

საბანკო მომსახურების ბაზარზე პოსტკრიზისული სიტუაცია ხასიათდება ფინანსურად მყარ კლიენტებს შორის შესამჩნევად მზარდი კონკურენციით. მომსახურებაში კლიენტთა მოზიდვით ბანკები ხშირად პრაქტიკაში ნერგავენ ინდივიდუალურ მიდგომას დაკრედიტებაში (ვადები, საპროცენტო განაკვეთი, უზრუნველყოფა და ა.შ.), სატარიფო პოლიტიკაში (შეღავათიანი ან უფასო საანგარიშგებო-საკასო მომსახურება), საპროცენტო პოლიტიკაში (მოზიდულ რესურსებზე მაღალი გადახდა), რაც მნიშვნელოვანწილად ამაღლებს მომსახურების ხარისხს.

ფინანსური ბაზრებზე დამკვიდრებული სიტუაციის მეორე დადებითი თავისებურებაა რეგიონული ბანკების გაძლიერება, რომლებიც მნიშვნელოვნად აფართოებენ კლიენტთა ბაზას პრობლემური ბანკების კლიენტების ხარჯზე - კრიზისი ხელს უწყობს დედაქალაქის მსხვილი ბანკების რეგიონული ფილიალებიდან კლიენტთა გადენას რაიონული დაქვემდებარების საშუალო და წვრილ ბანკებში.

ნებისმიერი ბანკის სიმტკიცის უზრუნველყოფა დამოკიდებულია მთლიანად საბანკო სექტორში. ასევე ფულად ბაზარზე სიტუაციის სტაბილიზაციაზე, ქვეყნის არასტაბილური სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციით გამოწვეული გარე ფაქტორების გაელვენის მინიმიზაციაზე, ლიკვიდურობის შიგა რეზერვების მობილიზაციაზე.

3.2. საბანკო ბაზრის ცნება

თანამედროვე საბანკო სისტემის ერთ-ერთი ფუნდამენტური თავისებურებაა ის, რომ ეს საბაზრო სისტემა. მოცემულ პარაგრაფში ჩვენ განვიხილავთ, თუ რას წარმოადგენს საბანკო ბაზარი, როგორია მისი სუბიექტები და სტრუქტურა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბანკო კონკურენციის განვითარებას.

3.2.1. საბანკო ბაზარი, როგორც საბანკო მომსახურების გასაღების ბაზარი

აშკარაა, რომ ნებისმიერი სახის საბაზრო კონკურენციის სფეროს წარმოადგენს შესაბამისი ბაზარი. ამგვარად, საბანკო კონკურენციის სფეროს საბანკო ბაზარი წარმოადგენს, მაგრამ ჩნდება პრობლემა: რა უნდა მივიჩნიოთ საბანკო ბაზრად?

ამ კითხვაზე პასუხის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი დაიყვანება იმაზე, რომ საბანკო ბაზრად შეგვიძლია მივიჩნიოთ ნებისმიერი ბაზარი ბანკების მონაწილეობით. აქ შედის როგორც საბანკო

მომსახურების გასაღების ბაზრები, ისე საბანკო საქმიანობისთვის საჭირო რესურსების ბაზრებიც. თუმცა, ამ შემთხვევაში საბანკო ბაზარი ძალიან ფართო ხდება და მას უკიდურესად ბუნდოვანი საზღვრები აქვს. სინამდვილეში თანამედროვე კომერციული ბანკები ფუნქციონირებენ გამყიდველებისა და მყიდველების როლში პრაქტიკულად ყველა საბაზრო სექტორში. ეს მტკიცება უფრო დასაბუთებულად რომ გამოიყურებოდეს, საბაზრო სისტემა განვიხილოთ ყიდვა-გაყიდვის ობიექტების თვალსაზრისით. მასში შედის შემდეგი სექტორები:

1. წარმოების საშუალებებისა და საწარმოო მომსახურების ბაზარი. კომერციული ბანკები ამ ბაზარზე გამოდიან საწარმოებისთვის საბანკო მომსახურების მიმყიდველების როლში (საანგარიშსწორებო მომსახურება, ანგარიშების წარმოება, კორპორაციების ფინანსების მართვა), ფინანსური შუამავლების (საწარმოო ობიექტების დაკრედიტება) და საწარმოო რესურსების მყიდველთა (საოფისე მოწყობილობის შეძენა) როლში.

2. **მოხმარების საგნებისა და სამომხმარებლო მომსახურების ბაზარი.** აქ ბანკები გამოდიან როგორც ფინანსური შუამავლები (სესხების გაცემა სამომხმარებლო მიზნით) ზოგჯერ კი როგორც მყიდველებიც.

3. **შრომის ბაზარი.** იგი ბანკების საკადრო პოლიტიკის მიზნობრივი სფეროა, რომლებსაც დროდადრო უხდებათ თავიანთი პერსონალის განახლება ან შევსება და მყიდველებად გამოდიან ამ ბაზარზე.

4. **ინტელექტუალურ-საინფორმაციო პროდუქტის ბაზარი.** მასზე ბანკები შეიძლება მოქმედებდნენ როგორც საბანკო მომსახურების გამყიდველები (საბანკო კონსულტირება), ისე საწარმოო რესურსების მყიდველები (პროგრამული უზრუნველყოფა ეგმ-თვის).

5. **უძრავი ქონების ბაზარი.** აქ ბანკები ყველაზე უფრო ხშირად გამოდიან როგორც ფინანსური შუამავლები (იპოთეკური დაკრედიტება) და შედარებით იშვიათად როგორც მყიდველები (მიწის ნაკვეთებისა და საოფისე ნაგებობების) ან გამყიდველები (დაუბრუნებელი იპოთეკური კრედიტის გირაოს რეალიზაცია).

6. **ფინანსური ბაზრები.** ისინი იმ სფეროს წარმოადგენენ, სადაც ბანკები ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირებია:

ა) **სასესხო კაპიტალების ბაზარი.** ბანკები, ერთი მხრივ, თავიანთი მეანაბრეებისგან ყიდულობენ ფულის რესურსებზე არსებულ დროებით უფლებებს, ხოლო, მეორე მხრივ, გამყიდველებად გვეელინებიან სესხების გაცემის დროს;

ბ) **ფასიანი ქაღალდების ბაზარი.** კლიენტების დავალებათა შესრულებისას, აგრეთვე, საკუთარი ინიციატივითაც, ბანკები ახორციელებენ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას და მოქმედებით გამოდიან ხან გამყიდველების, ხან კი მყიდველების როლში;

გ) **ვალუტებისა და ძვირფასი ლითონების ბაზარი.** ამ ბაზარზე ბანკების როლი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მათი როლის ანალოგიურია.

საბანკო ბაზრის ასე გაფართოებული განმარტებისას გარკვეულწილად იკარგება საბანკო კონკურენციის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის თავისებურება, იგი ერთგვარად „ითქვიფება" საერთოდ საბაზრო კონკურენციის სახეობით ცნებაში.

ამიტომ **საბანკო ბაზარი** უნდა გავიგოთ როგორც მხოლოდ ის ბაზრები, რომლებიც სპეციფიკურად საბანკოა, სახელდობრ კი საბანკო მომსახურებისა და საბანკო პროდუქციის გასაღების ბაზრები. თუმცა, ასე ვიწროდ განმარტების დროსაც კი საბანკო ბაზარი წარმოადგენს ძალიან რთულ წარმონაქმნს, რომელსაც ერთობ ფართო საზღვრები აქვს და უამრავი ელემენტისაგან შედგება. ეს განსაზღვრავს საბაზრო სისტემის სტრუქტურული ელემენტების გამიჯვნის კრიტერიუმების სიმრავლეს. მკაცრად თუ ვიტყვით, უფრო სწორია ვისაუბროთ არა ერთ, არამედ მრავალ საბანკო ბაზარზე.

3.2.2. საბანკო, საფინანსო და ფულის ბაზრების თანაფარდობა

საბანკო ბაზრის არსისა და საზღვრების განხილვისას შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ მისი თანაფარდობა შინაარსით ახლოს მდგომ ისეთ კატეგორიებთან, როგორიც ფინანსური ბაზარი და ფულის ბაზარია.

ფინანსური ბაზარი ის ბაზარია, რომელზეც გარიგებები ხორციელდება ფინანსურ აქტივებზე, ე.ი. ნაღდი და უნაღდო ფორმის მქონე ფულზე და ფასიან ქაღალდებზე განსახორციელებელი გარიგებების ხასიათზე დამოკიდებულებით; მას ხშირად ყოფენ ორ ნაწილად: 1) ფულის ბაზარი და 2) კაპიტალის ბაზარი. ამგვარად, ფულის ბაზარი ფინანსური ბაზრის ის სეგმენტია, რომელზეც მოკლევადიანი გარიგებები ხორციელდება (მაგალითად, გარიგებები ისეთ ფასიან ქაღალდებზე, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელიწადს არ აღემატება). კაპიტალის ბაზარი აერთიანებს გარიგებებს გრძელვადიან აქტივებზე (ე.ი. ერთ წელიწადზე მეტი ვადით დადებულ გარიგებებზე). თუმცა, ამ ორ ბაზარს შორის მკაცრი საზღვარი არ არსებობს თუნდაც იმიტომ, რომ ობლიგაციებს დაფარვის სრულიად სხვადასხვა ვადები აქვთ.

აქტივების კონკრეტული სახის შესაბამისად ფინანსური ბაზარი სამ სექტორად შეგვიძლია დავყოთ: 1) საკრედიტო ბაზარი, 2) ფასიანი ქაღალდების ბაზარი და 3) სავალუტო ბაზარი. **საკრედიტო ბაზარი** აერთიანებს გარიგებებს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მფლობელებსა და მათ მსესხებლებს შორის, რომელთა როლის შესრულება შეუძლიათ კერძო პირებს, საწარმოო და არასაწარმოო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს და სახელმწიფოს. ლიტერატურაში საკრედიტო ბაზარს ყოფენ სესხ-დეპოზიტების ბაზრად (გარიგებები საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებსა და მათ მეანაბრეებს შორის), ბანკთაშორისი კრედიტების ბაზრად (გარიგებები ცალკეულ კომერციულ ბანკებს შორის), მწარმოებლური კრედიტის ბაზრად (სესხები საწარმოო ხასიათის ხარჯების განხორციელებაზე), კომერციული კრედიტის ბაზრად (გაყიდული საქონლისთვის გადასახადის გადავადების ფორმის სესხები). სამომხმარებლო კრედიტის ბაზრად (მოქალაქეებზე გაცემული სესხები მათ მიერ შეძენილ სამომხმარებლო ფასეულობათა გასასტუმრებლად). **ფასიანი ქაღალდების ბაზარი** წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ემიტენტებს, სხვადასხვა სახის საფონდო შუამავლებსა და საბოლოო ინვესტორებს შორის გარიგებათა დადების სფეროს. სავალუტო ბაზარზე ხორციელდება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გარიგებები.

ჩატარებულ გარიგებათა ხასიათზე დამოკიდებულებით საფინანსო ბაზრის სტრუქტურირების კიდევ ერთი ვარიანტია მისი დაყოფა: ა) საკუთრების ტიტულების ბაზრად და ბ) სავალო ვალდებულებათა ბაზრად. საკუთრების ტიტულების ბაზარზე აქციები მიმოიქცევა, სავალო ვალდებულებათა ბაზარზე კი ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივები, როგორც ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების, ოპციონების და ა.შ.) სახით, ისე სხვა ფორმითაც (მაგალითად, მოვალის ვალდებულება კომერციული ბანკის წინაშე).

ადვილად დასანახია, რომ კომერციული ბანკები ახორციელებენ ყველაზე აქტიურ საქმიანობას ფინანსური ბაზრის ყველა ჩამოთვლილ სეგმენტში: შუამავლებად გამოდიან კრედიტში (როგორც მოკლევადიანში, ისე გრძელვადიანში), უშვებენ საკუთარ ფასიან ქაღალდებს (როგორც აქციებს, ისე სავალო ვალდებულებებსაც), ოპერაციებს ეწევიან სხვა ემიტენტების ფასიან ქაღალდებზე და უცხოურ ვალუტაზე. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „საბანკო ბაზრისა“ და „საფინანსო ბაზრის“ ცნებები ბევრ რამეში ერთმანეთს ემთხვევა.

ამავე დროს, ისინი მაინც არაა ერთმანეთის სრული სინონიმები. საქმე ისაა, რომ ბანკებს უფლება აქვთ განახორციელონ დიდძალი, მაგრამ არა ყველა ფინანსური გარიგება. მაგალითად, რუსეთში ბანკებს ეკრძალება სადაზღვევო ოპერაციების განხორციელება, ხოლო აშშ-ში კომერ-

ციულ ბანკებს უფლება არა აქვთ ფასიან ქაღალდებზე აწარმოონ ოპერაციები (ეს ამერიკის საინვესტიციო ბანკების პრივილეგიაა). ამ ფაქტის უფრო მკაფიოდ ასახვის მიზნით ბანკის სტრუქტურირების უკვე მოყვანილ სამ ვარიანტს, რომლებშიც საფუძვლად ყიდვა-გაყიდვის ობიექტების თავისებურებები იყო ალებული, ემატება კიდევ ერთი, რომელშიც ბაზრის სეგმენტაციის კრიტერიუმად გამოყენებულია საფინანსო ბაზრის ძირითადი სუბიექტები (ამ ობიექტების მიმწოდებლები).

ძირითად სუბიექტებზე დამოკიდებულებით შეგვიძლია გამოვყოთ ფინანსური ბაზრის (და ფულის ბაზრის როგორც მისი სეგმენტის) ისეთი სეგმენტები, როგორიცაა საბანკო ბაზარი, სადაზღვევო ბაზარი, საპენსიო ბაზარი, სატრასტო ბაზარი და ა.შ. ამ დროს უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ ჩამოთვლილი ბაზრები არ გვევლინებიან ცალკეულ სეგმენტებად; ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს და მათი საზღვრები იკვეთება. მაგალითად, სადაზღვევო ბაზარზე ბანკები მკვიდრდებიან სავალუტო და საკრედიტო რისკების დაზღვევის მათთვის ნებადართული ოპერაციების განხორციელების დროს, ხოლო საბანკო ბაზარზე სადაზღვევო კომპანიები მკვიდრდებიან, მაგალითად, დაგროვების დაზღვევის პოლისების შეთავაზებით. მაგრამ დასახელებული სეგმენტები მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმ აზრით, რომ **საბანკო ბაზრის ძირითად სუბიექტებად** (ლიდერებად, ძირითად მოქმედ პირებად) ყოველთვის გვევლინებიან ბანკები, სადაზღვევო ბაზრის სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ბაზრის საპენსიო ფონდები და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **საბანკო ბაზარი შეგვიძლია მივიჩნიოთ საფინანსო (და ფულის) ბაზრის თავისებურ სეგმენტად, რომელზეც მთავარ მოქმედ პირებად ბანკები გვევლინებიან.** ამავე დროს, მთლად სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ საბანკო ბაზარი უბრალოდ უფრო ვიწრო ცნებაა. ზოგ შემთხვევებში (როდესაც საუბარია არაფინანსურ მომსახურებაზე, როგორიცაა ინფორმაციის მიწოდება, სეიფების გადაცემა არენდით, მარკეტინგული მომსახურების გაწევა და ა.შ.), საბანკო მომსახურების გასაღების ბაზარი შეიძლება გამოვიდეს საფინანსო (და ფულის) ბაზრის ტრადიციული გაგების საზღვრებიდან.

ამგვარად, საბანკო ბაზარი სხვადასხვა თვალსაზრისით შეგვიძლია გავნიხილოთ როგორც უფრო ვიწრო წარმონაქმნიც, ვიდრე ფინანსური და ფულის ბაზრებია, და უფრო ფართოდაც. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ერთი მხრივ, საბანკო ბაზრის, ხოლო, მეორე მხრივ, ფინანსური და ფულის ბაზრების ცნებები სხვადასხვა სიბრტყეებშია მოქცეული და მათი არევა არ შეიძლება.

3.3. საბანკო ბაზრის მონაწილეები

3.3.1. კომერციული ბანკები: უნივერსალური და სპეციალიზებული

საბანკო ბაზარზე ძირითადი კონკურენცია იწლება კომერციულ ბანკებს შორის ანუ იმ საბანკო ინსტიტუტებს შორის, რომლებიც ორდონიანი საბანკო სისტემის მეორე, ქვედა „სართულზე" იმყოფებიან და საბანკო მომსახურებას (მთლიანს ან მის რომელიმე ნაწილს) უწევენ კლიენტურას. ცენტრალური ბანკები არ უნდა ჩაებან ბანკების კლიენტების მომსახურებისთვის გამართულ უშუალო კონკურენციაში.

საბანკო ბაზრის მოწინავე სუბიექტების ამ ძირითადი ჯგუფის შიგნით ტრადიციულად გამოყოფენ უნივერსალური და სპეციალიზებული ბანკების ქვეჯგუფებს.

უნივერსალური ბანკი ახორციელებს ყველა ან თითქმის ყველა სახის საბანკო მომსახურებას, ემსახურება სრულიად სხვადასხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე, მოსახლეობას.

სპეციალიზებული (სპეციალური) ბანკი, პირიქით, თავის საქმიანობას თავს უყრის ერთი ან მცირე რაოდენობის მომსახურებაზე:

- შემნახველი ბანკები მომსახურებას (ძირითადად, სადეპოზიტოს) უწევენ მოსახლეობას;
- საშენებლო-შემნახველი ბანკები აფინანსებენ ინდივიდუალური ბინების შეძენას კრედიტისა და შეანაბრეთა საკუთარი დანაგროვების კომბინირების მეშვეობით;
- იპოთეკური ბანკები კრედიტებს გასცემენ უძრავი ქონების საწინდრით და ახდენენ საგირაო ფურცლების (იპოთეკების) ემისიას;
- საინვესტიციო ბანკები შუამავლებად გამოდიან ფასიანი ქაღალდების ბაზარზე;
- საქმიანი ბანკები ამუშავებენ საინვესტიციო პროექტებს;
- კლირინგული ბანკები კონცენტრირებულია მეურნეობაში ანგარიშსწორების ორგანიზაციაზე და ა.შ.

წინათ უნივერსალურ და სპეციალიზებულ ბანკებს შორის მკაფიო ზღვარი არსებობდა. ჯერ ერთი, ეს იმას უკავშირდებოდა, რომ მთელ რიგ ოპერაციებზე საკანონმდებლო შეზღუდვებს აწესებდნენ. მაგალითად, ამგვარი შეზღუდვები ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე 1930-იანი წლების დასაწყისში შემოიღეს დიდ ბრიტანეთში როგორც ბანკების მრავალრიცხოვან კრახზე რეაქცია 1929-1932 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდში. მეორეც, ცალკეული სპეციალიზებული ოპერაციებიდან ბანკების მიერ მიღებული მოგება ზოგჯერ იმდენად დიდი იყო, რომ სხვა სფეროებში საქმიანობა სრულიად არასავალდებულო ხდებოდა მათთვის.

ამის შედეგად გვერდიგვერდ არსებობდნენ უნივერსალური და სპეციალიზებული ბანკები. ამასთან, ზოგიერთი ქვეყნის საბანკო სისტემაში ჭარბობდა ერთი ტიპის, სხვებში კი მეორე ტიპის ბანკები. მაგალითად, უნივერსალური ბანკები ტრადიციულად იყო გაბატონებული შვეიცარიაში, გერმანიასა და ავსტრიაში. სპეციალიზებული ბანკების სიჭარბე ახასიათებდა დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, აშშ-ს, იტალიასა და იაპონიას.

ბოლო ხანს მრავალ ქვეყანაში საბანკო კონკურენციის გაძლიერების პირობებში სულ უფრო ვლინდება საბანკო საქმიანობის უნივერსალიზაციის ტენდენცია. უნივერსალურ და სპეციალიზებულ ბანკებს შორის განსხვავებანი სულ უფრო ბუნდოვანი ხდება, უცხოეთის მრავალი კომერციული ბანკი კი დღეს ერთგვარ „საბანკო სუპერმარკეტად“ გადაიქცა, სადაც სრულიად განსხვავებული საბანკო მომსახურების მიღება შეიძლება. ამის მიზეზი იგივეა, რაც მატერიალური წარმოების დარგებში მომხდარი დივერსიფიკაციისა: უნივერსალური ბანკი სპეციალიზებულზე უკეთაა დაცული კომერციული რისკისაგან, მას უფრო მოქნილად შეუძლია რეაგირება კონიუნქტურის ცვლილებაზე, აქედან გამომდინარე კი, უფრო კონკურენტუნარიანია.

3.3.2. არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბანკო ბაზარზე გამოსული გამყიდველების შემადგენლობა მარტო კომერციული ბანკებით არ ამოიწურება. 1980-იანი წლების დასაწყისში კომპანია „ვიზა ინტერნეიშნლის“ (Visa International) პრეზიდენტმა განაცხადა კიდეც: „მომავალში ბანკები აღარ იქნებიან ფულის მიმოქცევის ცენტრში. მათ ადგილს სხვა საწარმოები დაიჭერენ“. კონკურენტების სხვა ორი (და თანაც უაღრესად აქტიური) ჯგუფია არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები და არასაფინანსო საწარმოები.

არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები ისეთი დაწესებულებებია, რომლებიც ფორმალურად არ წარმოადგენენ ბანკებს (არა აქვთ საბანკო ლიცენზია), მაგრამ მათი ძირითადი საქმიანობა ფინანსური მომსახურების გაწევას და ისეთი ოპერაციების განხორციელებას უკავშირდება, რომლებიც ბევრი რამით საბანკო ოპერაციების ანალოგიურია. ამიტომ ინგლისურენოვან ეკონომიკურ ლიტერატურაში არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებს Near-bank-ებს უწოდებენ, რაც ბანკებთან ახლოს მდგომ დაწესებულებებს ნიშნავს. მაგალითად, დაკრედიტების სფეროში კომერციულ ბანკებს გარკვეულ კონკურენციას შეიძლება უწევდნენ საკრედიტო კოოპერატივები, ლომბარდები, სალიზინგო და ფაქტორინგული კომპანიები და სხვა დაწესებულებები.

საკრედიტო კოოპერატივებს საწარმოები ან კერძო პირები ქმნიან საპაიო საფუძველზე მათი მეპაიე წევრების საწარმოო და სამომხმარებლო საჭიროებათა დაკრედიტების მიზნით. ასეთი დაწესებულებების აღმოცენება XIX საუკუნის შუა პერიოდში დაიწყო ევროპაში წვრილი სასაქონლო წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით და ყველაზე ფართოდ გავრცელდა გერმანიასა (ქალაქისა და სოფლის საკრედიტო ამხანაგობების სახით) და რუსეთში (ურთიერთკრედიტის საზოგადოებებისა თუ სასესხო და გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობების ფორმით).

სადღეისოდ 80 ქვეყანაზე მეტი დაფარულია საკრედიტო კოოპერატივების ქსელით. ისინი მომსახურების ფართო სპექტრს უწევენ თავიანთ კლიენტებს. საკუთარ წევრებს უხსნიან დასაგროვებელ, საპენსიო და სხვა ანგარიშებს, აძლევენ გრძელვადიან სესხებს და საკრედიტო ბაზებს უხსნიან სახლისა და ავტომანქანის შესაძენად, სწავლის ფასის გადასახდელად, მონაწილეობენ ჩეკებისა და თამასუქების მიმოქცევაში, ფინანსურ კონსულტაციებს უწევენ თავიანთ მეპაიეებს და წარმართავენ მათ საფინანსო-სამართლებრივ სწავლებას. ორგანიზაციულ საქმიანობაზე გაწეული მინიმალური ხარჯებისა და კაპიტალის მაქსიმალური ბრუნვის წყალობით საკრედიტო კოოპერატივები კონკურენციას უწევენ კომერციულ ბანკებს კერძო პირების მომსახურებაში. კრედიტების საპროცენტო განაკვეთი აქ, როგორც წესი, საგრძნობლად უფრო დაბალია, ვიდრე ბანკებში.

ახალი ათასწლეულის დასაწყისში რუსეთი აღმოჩნდა მსოფლიოს ლიდერი საკრედიტო კოოპერატივების რაოდენობით და ერთ-ერთი პირველი ქვეყანა - მათში გაერთიანებული წევრების რაოდენობით. საბჭოთა პერიოდში საქართველოში საკრედიტო კოოპერაცია არსებობდა ძირითადად საწარმოებში და ორგანიზაციებში შექმნილი ურთიერთდახმარების სალაროების სახით. საკრედიტო კოოპერატივების შექმნა აქ განახლდა ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების განვითარების დაწყებასთან ერთად. იურიდიულად გაფორმებული და მოქმედი ერთ-ერთი პირველი საკრედიტო კოოპერატივი იყო მომხმარებელთა საკრედიტო კავშირები. თუმცა. მთლიანად საბანკო ბაზარზე კოოპერატივები ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ რამდენადმე შესამჩნევ როლს.

ლომბარდები. ლომბარდები ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი სახის საკრედიტო დაწესებულებებია. მიჩნეულია, რომ პირველი ლომბარდი XV საუკუნეში საფრანგეთში დააარსეს ლომბარდიიდან ჩამოსულმა მევახშეებმა. ტრადიციულად ლომბარდები ახდენდნენ ფიზიკური პირების დაკრედიტებას პირადი ქონების (ძვირფასი ლითონების ნაკეთობები, ხელოვნების ნიმუშები და ანტიკვარიატი, ავტომობილები და ა.შ.) დაგირავებით. ამასთან ერთად, საქართველოში ლომბარდების შექმნის ერთ-ერთი მიზანი, საწინდრით სესხის გაცემის გარდა, იყო პირადი მოხმარებისა და საოჯახო საგნების შენახვის შესაძლებლობის მიცემა მოსახლეობისათვის.

ამჟამად ლომბარდებს (ზოგჯერ მათ საგირავნო ან საკრედიტო-საგირავნო კომპანიებს უწოდებენ) მრავალი კომერციული კომპანია ქმნის თავისი საქმიანობის დივერსიფიკაციის ფარგლებში და ამ დროს სარგებლობს იმით, რომ ადგილობრივი ბანკები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სამომხმარებლო დაკრედიტებას. ამასთან, თუ დაკრედიტების სფეროში ლომბარდებს ბანკებისთვის კონკურენციის გაწევა შეუძლიათ მეტი მობილურობის ხარჯზე და წვრილი მსესხებლებისთვის მომსახურების გაწევით, სამაგიეროდ ისინი სერიოზულად ჩამორჩებიან გირაოს შენახვის საიმედოობის დონით. ახლად შექმნილ მრავალ ლომბარდს, სამწუხაროდ, სათანადოდ აღჭურვილი საცავები არა აქვს ფასეულობების შესანახად და არც შესაფერისი დაცვა ჰყავთ საამისოდ.

სალიზინგო კომპანიები. 1950-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში, ხოლო 60-იანი წლებიდან ევროპაში გაჩნდა ახალი სახის სამეწარმეო საქმიანობა ლიზინგი. სალიზინგო კომპანიებმა დაიწყოს მანქანების, მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა და ამ ქონების 5-8 წლით და მეტი ხნით არენდით გადაცემა არენდატორ ფირმებზე, რომლებიც თანდათანობით ფარავდნენ დაგალიანებას ქონების გამოყენების შესაბამისად. 80-იანი წლების დასაწყისისთვის ლიზინგი უკვე ფართოდ იყო გავრცელებული. დასავლელი ეკონომისტების შეფასებით, დასავლე-

თის ქვეყნებში ლიზინგის ხარჯზე იფარება ძირითად კაპიტალში ინვესტირებისთვის საჭირო სახსრებზე არსებული ყოველწლიური მოთხოვნილებების 6-20%. რადგანაც ლიზინგი არსებითად ირიბი დაკრედიტების სახესხვაობაა (საქონლური ფორმის კრედიტია), ამიტომ იგი საბანკო დაწესებულებების განსაკუთრებული ყურადღების სფეროში მოექცა და ამჟამად სალიზინგო ოპერაციებს ახორციელებენ არა მარტო სპეციალიზებული კომპანიები, არამედ კომერციული ბანკებიც.

ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი სალიზინგო კომპანია 1990 წელს გაფორმდა (Евролизинг ГмбХ). სიმბოლურია, რომ მის ძირითად დამფუძნებლებს შორის ბანკები იყო. მას შემდეგ მრავალი სალიზინგო კომპანია შეიქმნა, ხოლო ლიზინგს ხელი მოჰკიდეს კომერციულმა ბანკებმაც როგორც უშუალოდ, ისე სპეციალიზებული შვილობილი ფირმების დაფუძნების გზით. თუმცა, ჩვენს ქვეყანაში ლიზინგი მთლიანობაში ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტადაა განვითარებული.

ფაქტორინგული კომპანიები. სხვა ფორმის ირიბი დაკრედიტება, რომელსაც ბანკებიც მიმართავენ და Near-bank-ებიც, არის ფაქტორინგი. იგი იმაში გამოიხატება, რომ ფინანსური დაწესებულება მიმწოდებლისგან იძენს საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის გამო წარმოქმნილი მოთხოვნის უფლებას და თავის თავზე იღებს ასეთი მოთხოვნების შესრულებისა და შემდგომში მათი ინკასაციის რისკებს. თავდაპირველად (XVI-XVII საუკუნეებში) ფაქტორინგი ჩამოყალიბდა როგორც წმინდა საქონლური ხასიათის ოპერაცია და მას მხოლოდ სპეციალიზებული შუამავლები ახორციელებდნენ. მხოლოდ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელდა ფინანსური ფაქტორინგი, რომელიც ბანკებმაც აითვისეს. მსოფლიოში ფაქტორინგული კომპანიების ბრუნვა თანდათან მატულობს. მათი მეტი წილი ოთხ ჯგუფშია გაერთიანებული, რომელთაგან ერთ-ერთში უკვე რუსეთის ორი ბანკი შევიდა. ფაქტორინგი, ისევე, როგორც ლიზინგი, საქართველოში ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული და მას ძირითადად კომერციული ბანკები ეწევიან.

ფორფეიტინგული კომპანიები. ექსპორტიორ ფირმებს კომერციული ბანკები უწევენ ისეთი ფორმის ირიბ დაკრედიტებას, როგორიცაა ფორფეიტინგი (ფორფეიტირება). ესაა ექსპორტის დაკრედიტება კომერციული თამასუქებისა და საგარეო-სავაჭრო გარიგებების დროს წარმოქმნილი სხვა სავალო ვალდებულებების შეძენის გზით მყიდველზე მათი გადაყვანის გარეშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფორფეიტინგი წარმოადგენს სამეწარმეო კომერციული კრედიტის საბანკო კრედიტად ტრანსფორმირების ფორმას. ლიზინგისა და ფორფეიტინგისგან განსხვავებით, რომლებსაც თავდაპირველად სპეციალიზებული კომპანიები ახორციელებდნენ, ფორფეიტინგს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მისი გაჩენის მომენტიდან, კომერციული ბანკები ახორციელებდნენ და სპეციალიზებული ფორფეიტინგული კომპანიების გაჩენა მხოლოდ ამ ოპერაციების მოცულობის ზრდას მოჰყვა. ფორფეიტინგულ მომსახურებას კომერციული ბანკები ეწევიან.

განაღდებითი სათამასუქო კანტორები. ეკონომიკაში, განსაკუთრებით არგადახდათა კრიზისის პირობებში, დიდი მნიშვნელობა აქვს თამასუქების მიმოქცევის სწორად ორგანიზებას, კერძოდ, თამასუქების განაღდების სისტემის ორგანიზებას. ბანკებთან ერთად ასეთ მომსახურებას ეწევიან სპეციალიზებული ორგანიზაციებიც - დისკონტის (სააქციპტო) სახლები, განაღდებითი სათამასუქო კანტორები და სხვა. მაგალითად, რუსეთში თამასუქების მიმოქცევის ორგანიზაცია შეადგენს სააქციპტო სახლის ЕЭС-ის საქმიანობის საგანს. მის მიერ შექმნილია განაღდებითი სათამასუქო კანტორების ქსელი, რომელთა საქმიანობა რეგიონებში ფინანსური სტაბილურობის განმტკიცებისკენაა მიმართული.

არასახელმწიფო საპენსიო ფონდები. დაკრედიტება ის ერთადერთი სფერო არაა, სადაც კომერციული ბანკები კონკურენციას აწყდებიან ნეარ-ბანკ-ების მხრიდან. კერძოდ, კლიენტების დროებით თავისუფალი სახსრების მოსაზიდად გამართულ კონკურენციაში ერთვებიან არასახელმწიფო საპენსიო ფონდები, რომლებიც ნებაყოფლობით დამატებით საპენსიო უზრუნველყოფას

ახდენენ სამუშაოს დამკვეთთა და მოქალაქეთა შენატანების ხარჯზე. ასეთი ფონდების აქტიურად შექმნა ერთგვარად ამცირებს ანაბრების შემოსვლას კომერციულ ბანკებში.

სადაზღვევო კომპანიები თავიანთ კლიენტებს სთავაზობენ დაზღვევის ხელშეკრულებებს, რომელთა ნაწილს, არსებითად, საბანკო ანაბრების სუბსტიტუტებად განიხილავენ. ჩვენში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო დაზღვევის დაწესებულებები ახდენდნენ ბავშვების დაზღვევას, ქორწინების დაზღვევას ან დამატებითი პენსიის დაზღვევას. რეფორმების პერიოდში სადაზღვევო კომპანიებმა გააფართოვეს თავიანთი მომსახურების სფერო. მაგალითად, პოტენციურ კლიენტებს სთავაზობენ დაზღვევის უვადო სერტიფიკატს, რომლის დანიშნულებაა უბედური შემთხვევებისგან ინდივიდუალური, ოჯახური და კოლექტიური დაზღვევა მთელი სიცოცხლის მანძილზე. კლიენტს ნებისმიერ მომენტში შეუძლია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაუბრუნოს პოლისი კომპანიას და მიიღოს იმ ოდენობით მომატებული თანხა, რომელიც ზუსტად ანაზღაურებს ინფლაციით გამოწვეულ დანაკარგებს. ამ მაგალითში სადაზღვევო კომპანია, არსებითად, სთავაზობს კლიენტებს ონკოლური მომსახურების ანალოგს, თუმცა, შეფარული ფორმით. ამასთან, ზოგიერთები ღიად ებმებიან ბანკებთან კონკურენციაში და რეკლამას უწევენ დაბრუნებით სიცოცხლის დაზღვევას, შენახვა-დაგროვებით დაზღვევას, ინფლაციისგან დაზღვევას.

გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, გერმანიაში) სადაზღვევო კომპანიები ახდენენ სამრეწველო და სავაჭრო ფირმების გრძელვადიან დაკრედიტებას. ისეთი სპეციალიზებული სადაზღვევო კომპანიებიც არსებობს, რომლებიც გარანტიების გაცემის საბანკო მომსახურებასაც კი ეწევიან.

სადაზღვევო ბაზარს კომერციული ბანკებიც არ ტოვებენ უყურადღებოდ. ბოლო წლების მანძილზე აშშ-ში აღინიშნა კომერციული ბანკების ინტერესის ზრდა სადაზღვევო საქმიანობაში მონაწილეობის მიმართ. კლიენტურის გაფართოებისკენ სწრაფვის პირობებში ბევრმა მსხვილმა ბანკმა აქტიურად შეიმუშავა One-stop-shopping კონცეფცია, ე.ი. კლიენტის ყველა ფინანსური საჭიროების დაკმაყოფილება, დაზღვევის ჩათვლით, ერთ ადგილზე. თუმცა, სადაზღვევო საქმიანობაში ბანკების სრულუფლებიან წევრად ჩართვას მრავალი საკანონმდებლო წინააღმდეგობა ახლავს თან. მაგალითად, ფედერალურ დონეზე მოქმედი განასენ-ჟერმენის აქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ აშშ-ის ბანკებს არ შეუძლიათ სადაზღვევო საქმიანობაში მონაწილეობა, რადგანაც ეს არაა მათი ბუნებისთვის „დამახასიათებელი", მხოლოდ ერთ - სამხრეთ დაკოტის შტატში კანონმდებლობა ღიად ანიჭებს აქ რეგისტრირებულ ბანკებს სადაზღვევო საქმიანობის უფლებას. ამის მიუხედავად, მრავალმა ბანკმა მოახერხა საჭირო ფონდების პოვნა კანონმდებლობაში (პირველეს ყოვლისა, შტატების დონეზე) და ამჟამად აქტიურად ახორციელებს სადაზღვევო პროდუქტების მთელი კომპლექტის რეალიზებას.

რიელტორული ფირმები. ასეთი სურათი გარკვეულწილად შეინიშნება რიელტორულ ფირმებთან კომერციული ბანკების დამოკიდებულებაშიც. ერთი მხრივ, უთუოდ ქონებაში ინვესტიციები, რომლებიც პროფესიონალი რიელტორების შუამავლობით ხორციელდება, შეიძლება განვიხილოთ როგორც სხვა სახის ინვესტიციების, მათ შორის საბანკო ანაბრების, სუბინსტიტუტები; მეორე მხრივ, თვითონ ბანკებსაც შეუძლიათ უძრავი ქონების ბაზარზე შეღწევა. როგორც ექსპერტები მიუთითებენ, ზოგიერთი ქვეყნის უძრავი ქონების ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვალში საცემი მოვლენა ხდება მის ოპერაციებში კომერციული ბანკების აქტიურად მონაწილეობა (მაშინ, როდესაც ამ ბაზარზე ბანკების მონაწილეობა ადრე შემოფარგლული იყო თითქმის მხოლოდ ერთჯერადი მოქმედებებით, მაგალითად, ოფისის ან საკუთარი თანამშრომლებისთვის ბინის შეძენით და ა.შ.). ეს იმის ბუნებრივი შედეგია, რომ მრავალ ბანკს უკვე აქვს მნიშვნელოვანი მოცულობის თავისუფალი ფული, რომელიც მომგებიან ოპერაციებში დაბანდებას მოითხოვს. არადა, უძრავი ქონება ფულის განთავსების ტრადიციულად ყველაზე უფრო მიმზიდველი ობიექტია. უძრავი ქონების ბაზარზე საბანკო კაპიტალის მოსალოდნელი ფართომასშტაბიანი „შეჭრა"

ელინდება, კერძოდ, საიმედო რიელტორებისთვის მსხვილი კრედიტების გამოყოფაში.

საფიქრებელია, რომ საინვესტიციო მომსახურების ბაზარზე ბანკებთან მოპაექრე არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენენ საფონდო ბაზრის მრავალფეროვანი ინსტიტუტები - ემიტენტები, ინვესტორები და საინვესტიციო ინსტიტუტები.

ფასიანი ქაღალდების ემიტენტები. იურიდიული და ფიზიკური პირების სახსრების მოზიდვაში კომერციული ბანკების კონკურენტად თეორიულად შეგვიძლია განვიხილოთ ფასიანი ქაღალდების ნებისმიერი ემიტენტი, რადგანაც იგი ზრდის საინვესტიციო შესაძლებლობათა მიწოდებას ბაზარზე, რომელსაც ჩვენ საბანკოს ვუწოდებთ. მაგრამ ეს ძირითადად ეხება საკალო ვალდებულებათა (ობლიგაციების, თამასუქების და ა.შ.) ემიტენტებს, მაშინ, როდესაც საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ აქციების გამოშვება არამარტო მიწოდებას, არამედ მოთხოვნასაც ზრდის საბანკო ბაზარზე, კერძოდ, მოთხოვნას ბანკების საემისიო მომსახურებაზე (გარეშე ემიტენტების ფასიანი ქაღალდების ემისიისა და განთავსების ორგანიზაცია პირველად ბაზარზე). გარდა ამისა, აქციათა ემიტენტების სიჭარბე აუცილებელი წინაპირობაა საფონდო ფასეულობათა შეძენისა და რეალიზაციის საქმეში ბანკების მიერ კლიენტებისთვის საშუამავლო მომსახურების გაწევისათვის.

ამასთან დაკავშირებით ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კომერციული ბანკების ძირითადი კონკურენცია ჩაღდება არა იმდენად ემიტენტებთან, რამდენადაც ინსტიტუციონურ ინვესტორებთან და ინსტიტუციონურ ინსტიტუტებთან. სპეციალისტთა აზრით, განვითარებულ ქვეყნებში ფასიანი ქაღალდების ბაზარი მწვავეკონკურენტული ბაზარია, რომელზეც ახლო და შორეულ პერსპექტივაშიც მძაფრი კონკურენცია იქნება ბანკებსა და არასაბანკო ინვესტიციურ ინსტიტუტებს შორის.

ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციურ ინსტიტუტად შეიძლება გამოვიდეს ისეთი იურიდიული პირი, რომელიც კანონით ნებადართული ნებისმიერი ფორმით იქმნება და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შუამავლის (ფინანსური ბროკერის), საინვესტიციო კონსულტანტის, საინვესტიციო კომპანიის ან საინვესტიციო ფონდის როლს თამაშობს.

ფინანსური ბროკერები და საინვესტიციო კონსულტანტები. ფინანსური ბროკერები შუამავლის (აგენტის) ფუნქციებს ასრულებენ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაში, რაც ხორციელდება კლიენტის ხარჯზე და მისივე დავალებით კომისიის ან დავალების შეთანხმების საფუძველზე. სახელმწიფო ქონების ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის პერიოდში მრავალი ფინანსური ბროკერი მუშაობას ეწეოდა ინვესტორების ფართო წრესთან „საფონდო მაღაზიების“ პრინციპით. საინვესტიციო კონსულტანტის საქმიანობა შემოიფარგლება ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და მიმოქცევაში საკონსულტაციო მომსახურების გაწევით.

რადგანაც კანონმდებლობის მიხედვით საინვესტიციო ინსტიტუტები ფასიან ქაღალდებზე თავიანთ საქმიანობას, როგორც განსაკუთრებულს, ისე უნდა ეწეოდნენ, ამიტომ დასახელებული ორივე ტიპის ინვესტიციური ინვესტორი ერთი სახის მომსახურებაში ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და მიმოქცევაში გვეელინება მეტოქეებად.

საინვესტიციო კომპანიები. რამდენადმე უფრო ფართოა საინვესტიციო კომპანიების საქმიანობის სფერო (და, შესაბამისად, საბანკო კონკურენციაში მათი მონაწილეობის დონე). მასში შედის ფასიანი ქაღალდების გამოშვების ორგანიზაცია და მათ განთავსებაზე გარანტიების გაცემა მესამე პირების სასარგებლოდ; სახსრების დაბანდება ფასიან ქაღალდებში; ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა საკუთარი სახელითა და საკუთარი ხარჯით, მათ შორის ფასიანი ქაღალდების კოტირების გზით (გარკვეულ ფასიან ქაღალდებზე „გამყიდველის ფასისა“ და „მყიდველის ფასის“ გამოცხადება, რომლებითაც მათი ყიდვა-გაყიდვის ვალდებულებას კისრულობს საინვესტიციო კომპანია).

საინვესტიციო ფონდები. ეს ისეთი ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც საკუთარი აქციების ემისიის გზით თავს უყრის წვრილი ინვესტორების სახსრებს და უზრუნველყოფს თავისი სახელით მათ დაბანდებას სხვა ემიტენტების ფასიან ქაღალდებში, აგრეთვე საბანკო ანგარიშებში და

ანაბრებში.

დასავლეთში ამგვარი ინსტიტუტები, რომლებსაც ურთიერთინვესტირების ფონდებს ან ურთიერთფონდებს უწოდებენ (Mutual funds), აშშ-ში გაჩნდა 1924 წელს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საინვესტიციო ფონდები გადაიქცნენ ყველაზე უფრო დინამიკურად განვითარებად ფინანსურ ინსტიტუტებად. აქტივების თანხით ახლა ისინი მესამე ადგილს იკავებენ აშშ-ის ინსტიტუციურ ინვესტორებს შორის კორპორაციების საპენსიო ფონდებისა და სადაზღვეო კომპანიების შემდეგ, მაგრამ უსწრებენ ბანკების სატრასტო დეპარტამენტებს.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში „საინვესტიციო ფონდისა" და „საინვესტიციო კომპანიის" ცნებები თითქმის სინონიმებია. განსხვავება ისაა, რომ საინვესტიციო კომპანიებს შეუძლიათ ჰქონდეთ რამდენიმე საინვესტიციო ფონდი, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ერთობლიობაა („ინვესტიციების პორტფელებია") და რომლებსაც მენეჯერთა ცალკეული გუნდები მართავენ.

საინვესტიციო ფონდების საქმიანობა ერთდროულად რამდენიმე კრიტერიუმს უნდა შეესაბამებოდეს:

1. ფონდი ისეთ საქმიანობას ახორციელებს, რომელიც მდგომარეობს სახსრების მოზიდვაში საკუთარი აქციების ემისიის ხარჯზე, საკუთარი სახსრების ინვესტირებაში სხვა ემიტენტების ფასიან ქაღალდებში და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში.

2. ფონდი ფლობს საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს, რომელთა ღირებულება მისი აქტივების მთლიანი ღირებულების არანაკლებ 30%-ია ერთი კალენდარული წლის ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

სარისკო დაფინანსების კომპანიები. საინვესტიციო ფონდების ერთგვარი სახესხვაობაა სარისკო დაფინანსების კომპანიები(ფონდები) - წილობრივი მონაწილეობის საზოგადოებები და ვენჩურული ფირმები. წილობრივი მონაწილეობის საზოგადოებები, კერძოდ, გერმანიაშია განვითარებული. ისინი საკუთარ შეზღუდული დროით აძლევენ საკუთარი ემისიის უფლების არმქონე წვრილ და საშუალო საწარმოებს და ამას წილობრივი მონაწილეობის ფორმა აქვს. ამ დროს კაპიტალის „მიმღების" როლში გამოდიან მხოლოდ და მხოლოდ სტაბილური ზრდითა და მაღალი შემოსავლებით გამორჩეული საწარმოები. ამისგან განსხვავებით, ვენჩურული ფირმები აფინანსებენ ზრდის კარგი პერსპექტივების მქონე ახალგაზრდა ინოვაციურ საწარმოებს. თუმცა, ამ ორიენ შემთხვევაში დაფინანსება ხორციელდება მიზნობრივი ფონდიდან, რომლის სახსრებსაც აყალიბებს ფასიანი ქაღალდების განთავსება ინსტიტუციურ და კერძო ინვესტორებს შორის. ეს კომპანიები შეგვიძლია ბანკების კონკურენტებადაც განვიხილოთ საკრედიტო მომსახურების კუთხით.

საფინანსო კომპანიები. საინვესტიციო ინსტიტუტების ჩამოთვლილი ტიპების გარდა განვითარებულ ქვეყნებში საფონდო ბაზარზე ერთგვარად გავრცელდნენ ე.წ. საფინანსო კომპანიები, თუმცა, მათი საწესდებო საქმიანობისა უფრო დეტალურად გაცნობა იმას მოწმობს, რომ ისინი პრაქტიკულად არაფრით განსხვავდებიან საინვესტიციო კომპანიებისგან. საზღვარგარეთის პრაქტიკაში საფინანსო კომპანიად მიიჩნევენ ისეთ კორპორაციას, რომელიც აფინანსებს რაიმე კრიტერიუმით შერჩეულ სხვა კორპორაციათა ვიწრო წრეს და არ ახორციელებს დაბანდებათა ისეთ დივერსიფიკაციას, როგორც საინვესტიციო კომპანიებს და სხვა მსგავს სტრუქტურებს ახასიათებს. ჰოლდინგური კომპანიებისგან განსხვავებით, საფინანსო და საინვესტიციო კომპანიებს, როგორც წესი, არა აქვთ მათ მიერ დაფინანსებული კორპორაციების აქციათა საკონტროლო პაკეტები.

ამავე დროს, ფინანსური ბაზრის სპეციფიკურ ნიშნად იქცა ის, რომ მთელი რიგი საინვესტიციო და საფინანსო კომპანიების საქმიანობა გამოდიოდა კანონით ნებადართული ფარგლებიდან და მოიცავდა (ზოგჯერ შენიღბული სახით) ანაბრების მიღებას, კრედიტების გაცემას და სხვა სახის ისეთ საქმიანობას, რომელთა შესრულება საბანკო ლიცენზიის ქონას მოითხოვს. ამასთან ერთად,

საფინანსო კომპანიების, საკრედიტო-შემნახველი სააგენტოებისა და სხვა მსგავსი ფირნიშით საფინანსო მომსახურების ბაზარზე მოქმედებდნენ მრავალრიცხოვანი საზოგადოებები და ამხანაგობები, რომელთაც საერთოდ არ გააჩნდათ რაიმე ლიცენზია.

დილინგური ცენტრები. ახალი ახის საინვესტიციო მომსახურება სავალუტო დილინგი კლიენტისათვის უშუალოდ ხელმისაწვდომს ხდის საერთაშორისო ფინანსური ბაზრებს და შესაძლებლობას აძლევს მას, თავისი ხარჯით ჩაატაროს ვალუტის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა აქტივების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები. საზღვარგარეთ არსებობს მთელი რიგი საბროკერო სახლები და საფინანსო კომპანიები, რომლებიც უკვე მრავალი ათეული წელია ეწევიან დილინგურ ოპერაციებს. ამ და სხვა კომპანიების მონაწილეობით პოსტსაბჭოთა სივრცეში მთელი რიგი დილინგური ცენტრებია შექმნილი. ამასთან, ბანკირები გამოთქვამენ იმის რწმენას, რომ დილინგის ოპერაციების ჩატარებაში კონკურენტული უპირატესობები მათ მხარეს იქნება, რადგან ბანკები არამარტო უფრო ხელსაყრელ პირობებს სთავაზობენ კლიენტებს, არამედ სახსრების დაცვის გარანტიებსაც.

კლირინგული პალატები. საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურების ბაზარზე ბოლო დროს აქტიურად დაიწყეს გაჩენა კლირინგულმა პალატებმა. ისინი ძირითადად იქმნება ბანკთაშორისი კოოპერაციის საფუძველზე და მისი მონაწილე ბანკებისთვის წარმოადგენს თავისებურ მიმწოდებლებს. რადგანაც ასეთი პალატები უზრუნველყოფენ უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზაციის სფეროში ბანკების შესაძლებლობათა გაფართოებას და ავსებენ ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო-სალარო ცენტრების სისტემას. ამავე დროს, იურიდიულად დამოუკიდებელი კლირინგული ცენტრები შეგვიძლია განვიხილოთ როგორც საკუთარი საანგარიშსწორებო-კლირინგული სისტემის მქონე კომერციული ბანკების და იმ ბანკების კონკურენტები, რომლებიც პირდაპირ საკორესპონდენტო ურთიერთობებზე ამახვილებენ ყურადღებას.

პლასტიკური ბარათების ემიტენტები. არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტებთან ბანკების კონკურენცია ფინანსური ბიზნესის ისეთ სწრაფად განვითარებად დარგშიც შეიმჩნევა, როგორიცაა პლასტიკური (საკრედიტო, დებეტური და დისკონტური) ბარათების გამოშვება და მომსახურება. ბარათების ემისიას თავდაპირველად ახდენდნენ საკრედიტო ბარათების კომპანიები („ამერიქენ ექსპრესი", „დეინერს ქლაბი", „ქართ ბლანში") და დისკონტური კომპანიები (მაგალითად. IARA. ETN. Countdown. Moscow Times). ამ კომპანიების წარმატებამ იმას შეუწყო ხელი, რომ მოგვიანებით პლასტიკური ბარათების გამოშვება დაიწყეს არასაფინანსო საწარმოებმა (სატელეფონო კომპანიებმა, სუპერმარკეტების ქსელების, ოტელებისა და ბენზინგასამართი სადგურების მფლობელებმა და ა.შ.) და ბანკებმა.

აღსანიშნავია, რომ პლასტიკური ბარათების საბანკო სისტემები, როგორც წესი, იქმნება ბანკთაშორისი კოოპერაციის საფუძველზე. პლასტიკური ბარათების საკუთარი სისტემის შექმნა, პრინციპში, ცალკეულ ბანკებსაც შეუძლიათ. თუმცა, საკუთარი ბარათების გამოშვება მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალურ დაბანდებებს მათი მომსახურე ინფრასტრუქტურის შექმნაში. ამიტომ პრაქტიკაში მხოლოდ რამდენიმე კომერციული ბანკი უშვებს საკუთარ პლასტიკურ ბარათებს, ხოლო მათი უმრავლესობა თავიანთ კლიენტებს სთავაზობს პლასტიკური ბარათების ისეთი მსხვილი სისტემების ბარათებს, რომელთაც სათაეში უდგანან საბანკო ბარათების ეროვნული ან საერთაშორისო ასოციაციები (ვიზა, მასთერ ქარდ, ეუროპეი, СТБ Кард, Юнион Кард და სხვები). ამასთან, ერთ ბანკს შეუძლია რამდენიმე სხვადასხვა სისტემის ბარათების ემიტირება და მათი პარტნიორის (წარმომადგენლის) როლის თამაში.

ამგვარად, პლასტიკური ბარათების ემიტენტების გარემოში თითქოს ორდონიანი კონკურენცია არსებობს: პლასტიკური ბარათების „საბანკო" და „არასაბანკო" სისტემებს შორის და იმ კომერციულ ბანკებს შორის, რომლებიც მათი წარმომადგენლების როლში გამოდიან.

საგზაო ჩეკების ემიტენტები. ანალოგიური ვითარებაა საგზაო ჩეკების ემისიისა და მიმოქცევის სფეროში. საგზაო ჩეკი (Traveller's chegue) ისეთი საგადასახადო დოკუმენტია, რომელსაც ძირითადად არასავაჭრო ხასიათის საერთაშორისო (სხვა სიტყვებით საბაჟო) ანგარიშსწორებისთვის იყენებენ. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, კანადა) საგზაო ჩეკებს შიდა ანგარიშსწორებებშიც იყენებენ საქონლისა და მომსახურების უნაღდო წესით გასტუმრებისათვის. საგზაო ჩეკების ემიტენტები ბანკების გარდა შეიძლება იყოს სხვა საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებიც, ტურისტული ორგანიზაციები, რომლებიც, ისევე, როგორც პლასტიკური ბარათების შემთხვევაში, საგზაო ბარათების სპეციალიზებულ კომპანიებად გადაიქცნენ (თომას კუკი, ამერიქენ ექსპრესი და სხვა). საგზაო ჩეკების ბაზარზე მიმდინარეობს მძაფრი საკონკურენციო ბრძოლა, იქმნება ემიტენტების გაერთიანებები და ასოციაციები, რომლებიც სტანდარტიზებულ საგზაო ჩეკებს უშვებენ (მაგალითად, ვიზა, მასთერ ქარდი). რუსეთში საგზაო ჩეკების მომსახურებას ზოგიერთი კომერციული ბანკი ახორციელებს.

სატრასტო კომპანიები. სატრასტო მომსახურებაც ის სფეროა, სადაც კომერციული ბანკები კონკურენციას აწყდებიან Near-bank-ების მხრიდან. მაგალითად. აშშ-ში აქციების ინდივიდუალური პაკეტების და კორპორაციების საკუთრების მართვის რეგულარული ოპერაციების განვითარების დასაწყისში, XIX საუკუნეში, მათ სადაზღვევო კომპანიები ახორციელბდნენ. მინდობით საკუთრების მართვაზე პირველი ჩარტერი (ნებართვა) 1822 წელს მისცეს ქონების დაზღვევის ნიუ-იორკის კომპანიას, მეორე კი 1830 წელს ფილადელფიის დაზღვევის კომპანიას. XIX საუკუნის შუა წლებიდან იწყება სპეციალიზებული სატრასტო კომპანიების განვითარებაც, რომლებიც საკუთრების მართვას ახდენდნენ მინდობით, როგორც ძირითად საქმიანობას.

ტრანსფერ-აგენტები, დეპოზიტარიუმები, რეგისტრატორები. ტრანსფერ-სააგენტო და სადეპოზიტო მომსახურების ნაწილში ბანკებს კონკურენციას უწევენ საინვესტიციო ინსტიტუტები (კერძოდ, საინვესტიციო კომპანიები) და სპეციალიზებული ტრანსფერ-აგენტები და დეპოზიტარიუმები იურიდიული პირები, რომლებიც ოპერაციებს ასრულებენ ფასიან ქაღალდებზე, ახდენენ მათი მოძრაობის აღრიცხვას და სხვა ფუნქციებსაც ასრულებენ ემიტენტთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად. გარდა ამისა, სააგენტო მომსახურების დარგში საქმიანობენ დამოუკიდებელი რეგისტრატორები-ფირმები, რომელთა მოვალეობებში შედის ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რეესტრის წარმოება.

ზოგიერთ ქვეყანაში ტრასტის სამართლებრივი საფუძველი დღემდე არ არსებობს. თუმცა, ხშირად ფულადი სახსრების სატრასტო მართვის სახელის უკან ხშირად იმალება ჩვეულებრივი სადეპოზიტო მომსახურება, რისი მიზანიცაა დეპოზიტების მიღების ოპერაციებზე საბანკო ლიცენზიის ქონის მოთხოვნის გვერდის ავლა. ზოგიერთი საინვესტიციო კომპანია და საინვესტიციო კონსულტანტი კლიენტებს სთავაზობს ფასიანი ქაღალდების ემისიის პროსპექტების მომზადების მომსახურებას.

სავარაუდოდ, სატრასტო მომსახურების ყველაზე ათვისებული სახე სადეპოზიტო და ტრანსფერ-სააგენტო მომსახურებაა. მრავალი საინვესტიციო კომპანია ადგენს აქციონერთა რეესტრს, რეგისტრაციას უკეთებს ფასიან ქაღალდებზე მომხდარ გარიგებებს, დაარიცხავს სააქციო საზოგადოებათა აქციებს დივიდენდებს და ა.შ. ამავე დროს, სპეციალისტთა აზრით, დეპოზიტარიუმის ფუნქციების შესრულებას ყველაზე კარგად შეესაბამებიან კომერციული ბანკები. მათ, პირველ რიგში, ყველაზე მეტი გამოცდილება აქვთ ფასიან ქაღალდებზე გარიგებებში, გააჩნიათ სათანადო სახსრები და ჰყავთ კადრები სადეპოზიტო ოპერაციების აღრიცხვისა და კონტროლისათვის. გარდა ამისა, ბანკები უზრუნველყოფენ ნაღდი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა დოკუმენტაციის უსაფრთხოდ შენახვას.

3.3.3. საბანკო ბაზრის არასაფინანსო მონაწილეები

საბანკო კონკურენციის „არასაბანკო" მონაწილეთა მეორე ჯგუფი, არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების გარდა, არის არასაფინანსო საწარმოები და ორგანიზაციები, ანუ, როგორც მათ ზოგჯერ უწოდებენ, არასაბანკო ბანკები (Nonbank banks) სავაჭრო სახლები, სამრეწველო საწარმოები, ფოსტა და ა.შ.

ამ კუთხით ყველაზე უფრო დამახასიათებელია ამერიკის კონცერნ Sears, Roebak & Co-ის ნიმუში. მსოფლიოს ეს უმსხვილესი სავაჭრო კომპანია უკვე მრავალი წლის მანძილზე ყიდის არამარტო საქონელს, არამედ მომსახურებასაც. 1988 წელს მომსახურებაზე მოდიოდა მისი მთლიანი ბრუნვის ნახევარზე მეტი. საცალო ვაჭრობის მაღაზიების გარდა მას ეკუთვნის, აგრეთვე, სადაზღვევო ჯგუფი „ულსტეით ინშურანსი", საბროკერო სახლი „დინ ვიტერი", კალიფორნიაში მდებარე ბანკი და დიდი გამსესხებელ-შემნახველი ასოციაცია. ამ კომპანიამ შექმნა ელექტრონულ ანგარიშსწორებათა სისტემა, რომელსაც 800 ფილიალი აქვს მთელს ამერიკაში. საკრედიტო ბარათების მფლობელ 30 მლნ. კლიენტს ნაღდი ფულის მიღება და სხვა მომსახურებით სარგებლობა შეუძლია 4 ათასი ავტომატური ტერმინალის მეშვეობით. საფიქრებელია. რომ კონცერნი Sears მალე და დიდი ძალისხმევის გარეშე გადაიქცევა აშშ-ის უმსხვილეს ბანკად. ამჟამად ბანკირთა 43% ამ კონცერნს თავის ძირითად კონკურენტად მიიჩნევს.

ევროპაში ამგვარ პოლიტიკას ატარებს გერმანიის სავაჭრო სახლი Quelle („წყარო"). არც ისე დიდი ხნის წინათ კომპანია Noris-Bank-ის უკვე არსებულ პორტფელს დაემატა „სამომხმარებლო ბანკი" (Verbraucherbank). იგი აღჭურვილია ყველაზე თანამედროვე ავტომატიზებული მოწყობილობით, რომელიც მოსახლეობის მომსახურებაზეა ორიენტირებული. მისი 650 ათასი კლიენტიდან მრავალს შესაძლებლობა აქვს ჩაატაროს სტანდარტიზებული საანგარიშსწორებო ოპერაციები, 1986 წლიდან კი - გარიგებებიც ფასიან ქაღალდებზე.

ქვეყანაში საწარმოო და სავაჭრო-კომერციული ფირმებიც ცდილობენ საბანკო ბაზარზე გასვლას. ამას ისინი ახორციელებენ როგორც კანონიერი (თამასუქების გამოშვება, შეილობილი საფინანსო ინსტიტუტების შექმნა), ისე უკანონო თუ არც მთლიანად კანონიერი გზით (ანაბრების უშუალოდ მიღება მოსახლეობისგან). ზოგჯერ ეს მისწრაფება აისახება ამგვარი ფირმების დასახელებაშიაც (სავაჭრო-საფინანსო კომპანია, სამრეწველო-საფინანსო კორპორაცია).

კომერციულ ბანკებს გარკვეული კონკურენცია შეუძლიათ გაუწიონ საფოსტო დაწესებულებებმა, რომლებიც მრავალ ქვეყანაში იღებენ და გასცემენ ანაბრებს, გადარიცხავენ ფულად სახსრებს და ასრულებენ ზოგიერთ სხვა საბანკო ოპერაციას. ამ დაწესებულებათა უდავო უპირატესობაა მათი ხელმისაწვდომობა: ფოსტას, როგორც წესი, განყოფილებათა ხშირი ქსელი აქვს, რომელიც მთელ ქვეყანას მოიცავს. და მოსახლეობისათვის ხელსაყრელ რეჟიმში მუშაობს.

მინდობით მართვის სფეროში ბანკები მეტოქეობენ ასეთ არაბანკებთან, როგორიცაა ნოტარიული კანტორები და იურიდიული კომპანიები. გარდა ამისა, კომერციული ბანკები არასაფინანსო კომპანიების მნიშვნელოვან კონკურენციას აწყდებიან იმ დარგებში, რომლებიც „ოდითგანვე საბანკო" არაა (სანოტარო მომსახურება, სარეკლამო საქმე და სხვა).

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ საბანკო ბაზარზე არაბანკების აქტიურად შეღწევის შედეგი გახდა ფინანსური კონგლომერატების სწრაფად განვითარება. აშშ-ში მათ დამფუძნებლებად 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში იქცნენ ფირმები „მერილ ლინჩი" (საინვესტიციო ბიზნესი), „ამერიქან ექსპრესი" (საკრედიტო ბარათები), „პრუდენშლ" (დაზღვევა), „სიტიკორპორეიშნ" (ჰოლდინგური კომპანია). ამერიკელი ფინანსისტის გ.კაუფმანის აზრით, საფინანსო სუპერმარკეტი, რომელსაც ყველაზე უფრო მეტად უახლოვდება „მერილ ლინჩი", შესაძლოა მომავლის საფინანსო ინსტიტუტის პროტოტიპი იყოს.

3.4. საბანკო ბაზრის სტრუქტურა

საბანკო ბაზრის სტრუქტურირების ძირითადი კრიტერიუმებია:

- ყიდვა-გაყიდვის ობიექტი (საქონელი);
- მომხმარებელთა მიზნობრივი ჯგუფები;
- სიერცობრივი ნიშან-თვისება.

ცალ-ცალკე განვიხილოთ საბანკო ბაზრის სტრუქტურის დასახელებული ძირითადი მიდგომები.

3.4.1. დარგობრივი მიდგომა საბანკო ბაზრისადმი

ყველაზე უფრო გავრცელებულია საბანკო ბაზრის სტრუქტურირება საქონლის (პროდუქტის) ნიშნით, ე.ი. გაწეული მომსახურების სახეობის მიხედვით. საბანკო ბაზრის სასაქონლო სტრუქტურაში შეგვიძლია გამოვყოთ:

- საკრედიტო მომსახურების ბაზარი;
- საინვესტიციო მომსახურების ბაზარი;
- საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურების ბაზარი;
- სატრასტო მომსახურების ბაზარი;
- საკონსულტაციო მომსახურების ბაზარი;
- სხვა ბაზრები.

მაგრამ სასაქონლო ნიშნით საბანკო ბაზრის დაყოფა ამით არ მთავრდება. ყოველი ჩამოთვლილი ბაზარი, თავის მხრივ, შედგება ცალკეულ მომსახურებათა ბაზრებისგან ანუ საბანკო დარგებისგან.

საბანკო დარგების შემადგენლობის საკითხი ეკონომიკური თეორიის პრაქტიკულად გამოუკვლეველი საკითხების რიგს განეკუთვნება. მაშინ, როდესაც მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და საწარმოო სფეროს სხვა სექტორებში მიღებული იყო ათეულობით დარგისა და ქვედარგის გამოყოფა, საბანკო საქმიანობის შესახებ, ჩვეულებრივ, ისე საუბრობდნენ, როგორც ერთ დარგზე. ეტყობა, ეს უკავშირდებოდა ეკონომიკის არამწარმოებლურ სფეროზე საბანკო სექტორის მიკუთვნების მრავალწლიან პრაქტიკას.

მაგრამ საბანკო საქმე ცალკე (ერთ, ერთგვაროვან) დარგად უნდა მიეიჩნიოთ, თუ იგი დარგების გარკვეულ „ნაკრებს" წარმოადგენს? თუ იქიდან გამოვალთ, რომ დარგები ისეთ საწარმოთა ჯგუფია, რომლებიც მსგავს ან ურთიერთშემცველელ საქონელს ან მომსახურებას აწარმოებენ და უშუალოდ ეცილებიან ერთმანეთს, მაშინ საბანკო ბაზარი, რომელზეც უამრავ სხვადასხვაგვარ მომსახურებას ყიდიან, არაფრით არ შეიძლება ერთიან დარგად ვაღიაროთ. სინამდვილეში, მოსახლეობის დეპოზიტების მოზიდვასა და მრავალეროვნულ კომპანიებზე სესხების გაცემას არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო. ბნელია ვიპოვოთ მომსახურების ამაზე უფრო განსხვავებული სახეობები. ამგვარად, საბანკო საქმე ერთი დარგი კი არა, დარგების ერთობლიობა უფროა, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელ ანალიზს მოითხოვს.

მაინც, როგორ გამოიყურება ეკონომიკის საბანკო-საფინანსო სფეროს დარგობრივი შემადგენლობა? შეგვიძლია დავასახელოთ საბანკო მომსახურების გასაღების ექვსი ბაზარი და მათში გამოვყოთ მთელი რიგი ქვედარგები, როგორც ეს 3.1. ცხრილშია მოცემული.

3.4.2. საბანკო ბაზრის სტრუქტურა კლიენტთა ჯგუფების მიხედვით

საბანკო ბაზრის სტრუქტურირების შემდეგი კრიტერიუმია საბანკო მომსახურების მომხმარებელთა (ბანკების ფაქტიური და პოტენციური კლიენტების) ჯგუფები. კლიენტთა ჯგუფების მიხედვით საბანკო ბაზრის სეგმენტაციის საფუძველია სრულიად განსხვავებული ნიშან-თვისებები: სამართლებრივი, ეკონომიკური, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ქცევითი და ა.შ.

ცხრილი 3.1.

გასაღების საბანკო ბაზრები და საბანკო დარგები

გასაღების საბანკო ბაზრები	საბანკო დარგები	საბანკო ქვედარგები
საკრედიტო მომსახურების ბაზარი	• დაკრედიტება • ირიბი დაკრედიტება • საშემნახველო საქმე	• კომერციული დაკრედიტება • სამომხმარებლო დაკრედიტება • სალიზინგო ბიზნესი • ფაქტორინგული ბიზნესი • ფორფეიტინგული ბიზნესი • განაღდებით-სათამასუქო ბიზნესი • საგარანტიო ბიზნესი
საინვესტიციო მომსახურების ბაზარი	• საინვესტიციო შუამავლობა • სააქციო ბანკის საინვესტიციო საქმიანობა	• ანაბრები მოთხოვნამდე • საშემნახველო ანაბრები • ვადიანი დეპოზიტები • საინვესტიციო შუამავლობა საფონდო ბაზარზე • საინვესტიციო შუამავლობა ძვირფასი ლითონებისა და მატერიალურ ღირებულებათა ბაზარზე • საინვესტიციო საქმიანობა უძრავი ქონების ბაზარზე • სადილინგო ბიზნესი
საანგარიშსწორებო საკასო მომსახურების ბაზარი	• საკასო მომსახურება • პლასტიკური ბარათების გამოშვება და მომსახურება • სავალუტო მომსახურება	• საკრედიტო ბარათები • დებეტური ბარათები • დისკონტური ბარათები • ქონების მართვა მინდობით
სატრასტო მომსახურების ბაზარი	• მინდობით მართვა • სააგენტო მომსახურება	• სამმართველო მომსახურება • საემისიო შუამავლობა • სადეპოზიტო და ტრანსფერ-სააგენტო მომსახურება
საკონსულტაციო მომსახურების ბაზარი	• საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურება • ფასეულობათა	• აუდიტორული მომსახურება • სამართლებრივი კონსულტირება • სამმართველო და საფინანსო კონსულტირება • საინფორმაციო მომსახურება • საგანმანათლებლო მომსახურება
სხვა ბაზრები	შენახვა, დაცვა და ტრანსპორტირება • სარეკლამო საქმე • დაზღვევა • სანოტარო მომსახურება • საბანკო ტექნოლოგიების შემუშავება	

კლიენტების იურიდიულ სტატუსზე დამოკიდებულებით ბაზრის სეგმენტაცია გულისხმობს საბანკო მომსახურების ბაზრების გამოყოფას. საწარმოებისათვის (იურიდიული პირებისათვის) და მოსახლეობისათვის (ფიზიკური პირებისათვის); ამერიკის პრაქტიკაში ამ ორმა ბაზარმა შეიძინა, შესაბამისად, საბითუმო და საცალო საბანკო ბაზრების სახელწოდება.

თავის მხრივ, შესაძლებელია ამ კლასიფიკაციის დეტალიზება. მაგალითად, დასავლეთ ევროპის მრავალი საკრედიტო ინსტიტუტი გამოყოფს კლიენტთა ასეთ ჯგუფებს:

- მოსახლეობა (ოჯახური მეურნეობები);

- საწარმოები;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- ფიზიკური ინსტიტუტები.

უფრო წვრილ სეგმენტებად ამ ბაზრების დაყოფა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა მიზნებს ისახავენ საბანკო დაწესებულებები. კერძოდ, შესაძლოა საჭირო გახდეს კერძო კლიენტების ბაზრის სეგმენტაცია დემოგრაფიული (ასაკობრივი) ნიშნის მიხედვით:

- ახალგაზრდობა (16-22 წელი);
- ახალგაზრდები, რომლებმაც ახლახან შექმნეს ოჯახი (25-39 წელი);
- „სტაჟიანი“ ოჯახები (25-45 წელი);
- „მომწიფებული ასაკის“ მქონე პირები (40-55 წელი);
- პირები, რომლებიც პენსიაზე გასასვლელად ემზადებიან (55 წელი და მეტი).

3.2. ცხრილში მოყვანილია თითოეული ამ ჯგუფის ის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც აყალიბებს საბანკო მომსახურებაზე მათი წარმომადგენლების მოთხოვნას.

ცხრილი 3.2.

მოსახლეობის საბანკო ბაზრის სეგმენტაცია ასაკობრივი ნიშნით (დასავლეთის ქვეყნების მაგალითზე)

კლიენტთა ჯგუფები	დამახასიათებელი ნიშნები
ახალგაზრდობა (16-22 წელი)	სტუდენტები; პირები, რომლებსაც პირველად ღებულობენ სამუშაოზე; უფრო მეტი ასაკის ხალხი, რომლებიც დასაქორწინებლად ემზადება
ახალგაზრდები, რომლებმაც ახლახან შექმნეს ოჯახი (25-30 წელი)	ადამიანები, რომლებმაც ახლახან იყიდეს სახლი და ხანგრძლივი სარგებლობის სამომხმარებლო საქონელი
„სტაჟიანი“ ოჯახები (25-45 წელი)	ადამიანები, რომლებმაც შეიქმნეს კარიერა, მაგრამ ფინანსურ მოქმედებათა თავისუფლება შეზღუდული აქვთ. უახლოესი ამოცანები - საბინაო პირობების გაუმჯობესება, ოჯახის ფინანსური დაცვის უზრუნველყოფა, შვილებისთვის განათლების მიცემა
„მომწიფებული ასაკის“ მქონე პირები (40-55 წელი)	ამ კატეგორიის ხალხში შესამჩნევია შემოსავლის ზრდა ფინანსურ ვალდებულებათა შემცირების ფონზე. მნიშვნელოვანი მიზანია საპენსიო უზრუნველყოფის დაგეგმვა
პირები, რომლებიც პენსიაზე გასასვლელად ემზადებიან (55 წელი და მეტი)	ადამიანებს დაგროვილი აქვთ კაპიტალი და ცდილობენ უზრუნველყონ მისი დაცვა და ნამდვილად მყარი ზრდა.

წყარო: Усоскин В.М. Современный коммерческий банк: управление и операции. М. Всё для вас.,1993.с.307.

ცხრილი 3.3.

საწარმოთა საბანკო ბაზრის სეგმენტაცია საეაჭრო ბრუნვისა სიდიდისა და საქმიანობის სფეროების მიხედვით

კლიენტთა ჯგუფი	დამახასიათებელი ნიშნები
1	2
წვრილი ფირმები	შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების მქონე ოჯახური საწარმოები; ადმინისტრაციული აპარატის უქონლობა, მინიმალური დაგეგმვა; საქმიანობის სფერო ტერიტორიულად შეზღუდულია. კომერციული წარმატება უკავშირდება 1-2 მთავარი პირის პოლიტიკას. ფინანსური ექსპერტიზა შეზღუდულია ბანკის ან დილერმირებული ბუღალტრების რჩევებით.
საშუალო ფირმები: მომსახურების სფერო	მომუშავეთა დიდი რაოდენობა, დაფინანსების გრძელვადიანყაროებზე მოთხოვნილება ოპერაციების გასაფართოებლად
საცალო ვაჭრობა	მომუშავეთა დიდი რაოდენობა. საბუღალტრო და საალრიცხვო საქმის, აგრეთვე, ნაღდ ფულზე ჩატარებული ოპერაციების დიდი მოცულობა
გადამმუშავებელი მრეწველობა	დაფინანსების პრობლემები. მოთხოვნილება შენობებზე
მსხვილი ფირმები: მომსახურების და საცალო ვაჭრობის სფერო	ორიენტაცია ექსპანსიასა და ბაზრის დაპყრობაზე. რეალიზაციითა და ადმინისტრაციული კონტროლით დასაქმებული მრავალრიცხოვანი პერსონალის მქონე ფილიალების ფართო ქსელი.
გადამმუშავებელი მრეწველობა	შენობებსა და მოწყობილობაში კაპიტალურ დაბანდებებზე დიდი მოთხოვნილება. ახალი პროდუქტების შემოღების სურვილი, რაც აუცილებელს ხდის სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მუდმივი სწრაფვა ახალი ბაზრების დაპყრობისკენ, განსაკუთრებით - საზღვარგარეთ.
სოფლის მეურნეობა	წარმოების სპეციალიზაციის მაღალი დონე. ნაღდ სახსრებთან დაკავშირებული სეზონური პრობლემები, კაპიტალის შედარებით დაბალი უკუგება

საწარმოების (საქმიანი ფირმების) ბაზრის სეგმენტირება შესაძლებელია მათი სიდიდის ნიშნით (ამისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ გაყიდვათა მოცულობის, მომუშავეთა რაოდენობის და სხვა კრიტერიუმები). მაგალითად, დიდ ბრიტანეთში საწარმოებს ბრუნვის სიდიდის მიხედვით 3 ჯგუფად ყოფენ: წვრილი ფირმები (0,5 მლნ. გირვანქა სტერლინგამდე); საშუალო ფირმები (0,5-4,9 მლნ.) და მსხვილი ფირმები (5 მლნ.-ზე მეტი)[1]. სეგმენტაციის მეორე მნიშვნელოვანი ნიშანია ფირმის სამეწარმეო საქმიანობის ხასიათი (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მომსახურების სფერო და ა.შ.). 3.3 ცხრილში მოყვანილია ამ ორი ნიშნით გამოყოფილი ჯგუფის დამახასიათებელი ნიშნები (ასევე დასავლეთის ქვეყნების შესაბამისად).

წყარო: Усоскин В.М. Современный коммерческий банк: управление и операции. с.310.

3.4.3. საბანკო ბაზრის სივრცობრივი სტრუქტურა

საბანკო ბაზრის სტრუქტურირების კიდევ ერთი კრიტერიუმია სივრცობრივი ნიშანი. ამ ნიშნის მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ სექტორები:

- **ლოკალური (ადგილობრივი) საბანკო ბაზარი.** ასეთი ბაზარი შესაძლოა ჩამოყალიბებული იყოს ქალაქის, სოფლისა და რეგიონის ფარგლებში;
- **ეროვნული (შიდა) საბანკო ბაზარი.** იგი ყალიბდება ცალკეული ქვეყნის ფარგლებში;
- **საერთაშორისო საბანკო ბაზარი.** აქ ორი ქვედონე შეგვიძლია გამოვყოთ: მსოფლიო ბაზარი და ქვეყანათშორისი გაერთიანებების (მაგალითად, ევროკავშირის) ბაზარი.

აღსანიშნავია, რომ საბანკო ბაზრის სივრცობრივი სტრუქტურა შეიძლება არ ემთხვეოდეს ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას (ამიტომაც ეუწოდებთ მას არა ტერიტორიულ ან გეოგრაფიულ, არამედ სწორედ სივრცობრივ სტრუქტურას). ზოგიერთ ქვეყანაში (აუცილებელი არაა, იგი პატარა იყოს ტერიტორიითა და მოსახლეობით) ლოკალური ბაზრები შეიძლება ან არც არსებობდეს, ან მათ ბუნდოვანი საზღვრები ჰქონდეს, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში საბანკო კონკურენცია დიდწილად ლოკალურ ბაზრებზე მიმდინარეობს. ეს დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეზე, მისი რეგიონების ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხზე, ბანკების კლიენტთა ამა თუ იმ ჯგუფის შესაძლებლობებზე და სხვა.

საქმე ისაა, რომ ბაზრის საზღვრებს განსაზღვრავენ შესაბამის ტერიტორიებზე მყიდველის მიერ საქონლის (ამ შემთხვევაში - საბანკო მომსახურების) შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობიდან და მათ საზღვრებს გარეთ ამ შესაძლებლობის უქონლობიდან გამომდინარე. დასავლეთში ტელეკომუნიკაციების თანამედროვე საშუალებათა განვითარების მაღალი დონე ბანკის კლიენტებს (უპირველეს ყოვლისა ფირმებს) საშუალებას აძლევს ისარგებლონ იმ საფინანსო ინსტიტუტების მომსახურებით, რომლებიც ზოგჯერ ათასობით კილომეტრითაა დაშორებული მათგან. ამაზე მოთხოვნილება შეიძლება წარმოიქმნას ქვეყნის ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესების შედეგად (ამის ნიმუშია ევროკავშირი). ამისგან განსხვავებით, საქართველოში სუსტადაა განვითარებული ტელეკომუნიკაციები და ქვეყანა საბაზრო ეკონომიკისა და მისი ადეკვატური საბანკო სისტემის ფორმირების მხოლოდ საწყის ეტაპზეა, რაც განაპირობებს მისი საბანკო ბაზრების აშკარად გამოხატულ ლოკალურ ხასიათს.

3.5. კონკურენცია საბანკო ბაზარზე

3.5.1. საბანკო კონკურენციის არსი

რა არის კონკურენცია?

ეტიმოლოგიურად ტერმინი „კონკურენცია“ მომდინარეობს ლათინური „concurrentia“-დან, რაც შეჯახებასა და შეჯიბრებას ნიშნავს. ამიტომ ყველაზე ზოგადი აზრით კონკურენცია ასე შეგვიძლია განვმარტოთ: **კონკურენცია არის შეჯიბრი, რომლის მსვლელობაშიც მოპაექრე მხარეები დაინტერესებული არიან ერთი და იმავე მიზნის მიღწევით, ცდილობენ აჯობონ, გაუსწრონ თავიანთ მოწინააღმდეგეს.** კონკურენციის (შეჯიბრების, დაპირისპირების) ელემენტები გარემომცველი სამყაროს თითქმის ყველა სფეროში შეგვიძლია ვიპოვოთ: ბუნებაში, სპორტში, პოლიტიკაში, სულიერ სფეროში. ეკონომიკაში საკონკურენციო ბრძოლა ეკონომიკური ანუ საბაზრო კონკურენციის ფორმით გამოდის.

საბაზრო კონკურენცია. საბაზრო კონკურენციის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა კონკურენციის

1. თუმცა წრვილ და მსხვილ საწარმოებს შორის არსებული საზღვრები ერთობ პირობითია: ერთი და იგივე ფირმა ერთი ბანკისათვის შესაძლოა წვრილი იყოს, მეორისთვის კი - მსხვილი.)

შინაარსი მისი სუბიექტების პაექრობაში ანუ შეჯიბრში მდგომარეობს. ამასთან, პაექრობის ხასიათსა და ინტენსივობას განსაზღვრავს ბაზრის სტრუქტურა (კონკურენტების რაოდენობა, შესასვლელი და გამოსასვლელი ბარიერების სიმაღლე და ა.შ.).

საბაზრო კონკურენციის ობიექტია კონკურენტი სუბიექტების ეკონომიკური სარგებელი. გამყიდველებისთვის იგი გამოიხატება საქონლის გაყიდვიდან მაქსიმალური მოგების მიღებაში, მყიდველებისათვის კი — მაქსიმალური სარგებლიანობის შეძენაში საქონლის ყიდვის დროს.

საბაზრო კონკურენციის სუბიექტებად გვევლინებიან ყიდვა-გაყიდვის საბაზრო ურთიერთობათა მონაწილეები — გამყიდველები და მყიდველები. მათ შორის კონკურენცია წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტის გამო, რასაც მოთხოვნილებათა (კონკურენციის ობიექტთა) ერთიანობა განაპირობებს. რადგან კონკურენციის ობიექტები გამყიდველთათვის სხვაა და მყიდველთათვის — სხვა, ამიტომ საკონკურენციო ბრძოლა შესაძლებელია ან მარტო გამყიდველებს, ან მარტო მყიდველებს შორის (ე.ი. ბაზრის იმ სუბიექტებს შორის, რომლებიც „დახლის ერთ მხარეს“ იმყოფებიან) და არა გამყიდველებსა და მყიდველებს შორის.

ამგვარად საბაზრო კონკურენცია შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ბაზრის იმ სუბიექტების (გამყიდველების ან მყიდველების) მეტოქება, რომლებიც ერთი და იმავე მიზნის მიღწევით არიან დაინტერესებული (საქონლის გაყიდვა ან ყიდვა მაქსიმალური სარგებლით). საბაზრო კონკურენციას შემდეგი ნიშნები ახასიათებს:

- მყიდველებისათვის (გამყიდველებისათვის) არჩევანის გაკეთების ალტერნატიული შესაძლებლობების მქონე ბაზრების არსებობა;
- იმ მყიდველების (გამყიდველების) მეტი ან ნაკლები რაოდენობის არსებობა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან და საბაზრო პოლიტიკის ამ თუ იმ ინსტრუმენტებს იყენებენ;
- ერთი წყება კონკურენტების მიერ ამ ინსტრუმენტების, სხვა კონკურენტების მიერ კი — საასუხო ღონისძიებების მონაცვლეობით გამოყენება.

საბანკო კონკურენცია საბაზრო კონკურენციის ერთ-ერთი სახესხვაობაა. მის სპეციფიკას მრავალი მომენტი განსაზღვრავს, მაგრამ მათგან მთავარია ორი: პირველი, საბანკო კონკურენციაში მონაწილე სუბიექტები; მეორე, ის გარემო, რომელშიც საბანკო კონკურენცია ხორციელდება.

ვინ გვევლინება საბანკო კონკურენციის სუბიექტებად? თუ განსამარტი ცნებების პირდაპირ მნიშვნელობას გავყვებით, მაშინ საბანკო კონკურენცია უნდა ვუწოდოთ იმ ურთიერთობებს, რომლებიც მხოლოდ კომერციულ ბანკებს შორის ყალიბდება. მაგრამ როგორც უკვე დავრწმუნდით, ეს არ იქნებოდა სწორი; ყოველ ცალკე აღებულ კომერციულ ბანკს საქმე აქვს საბანკო მომსახურების გამყიდველი კონკურენტების უაღრესად არაერთგვაროვან მასასთან, რომელთა ერთ ჯგუფსაც კომერციული ბანკები შეადგენენ. მაგალითად, თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვისა და კრედიტების გაცემის პროცესში ამერიკის კომერციული ბანკი მნიშვნელოვან ზეწოლას განიცდის შემნახველ-გამსესხებელი ასოციაციებისა და საკრედიტო კავშირების მხრიდან, რომლებიც ფორმალურად ბანკებს არ წარმოადგენენ, მაგრამ არსებითად ზუსტად იმავე მომსახურებას სთავაზობენ ბაზარს. ამის მსგავსად, რუსეთის კომერციული ბანკები მოსახლეობის სახსრებისთვის ბრძოლაში თანამედროვე ეტაპზე სერიოზულ კონკურენციას აწყდებიან მრავალრიცხოვანი საინვესტიციო ინსტიტუტების, სავალო ვალდებულებების მრავალგვარი ემიტენტების და სხვათა სახით.

ამგვარად, საბანკო კონკურენციის სუბიექტებად გვევლინებიან არამარტო თვითონ ბანკები, არამედ საბანკო ბაზრის მონაწილე ყველა სხვა საფინანსო და არასაფინანსო დაწესებულებები. აქედან გამომდინარე, საბანკო კონკურენცია შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც საბანკო ბაზრის სუბიექტების მეტოქეობის დინამიკური პროცესი, რომლის მსვლელობაშიც ისინი ცდილობენ მყარი მდგომარეობის მიღწევას ამ ბაზარზე. თუმცა, ეს განმარტება ცოტა რამეს თუ გვეუბნება საბანკო კონკურენციის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებზე. საბანკო კონკურენციის როგორც ეკონომიკური მოვლენის თავისებურებებსაც მისი სფერო განსზღვრავს.

3.5.2. საბანკო კონკურენციის ფორმები

საბანკო კონკურენციის თავისებურებათა შესწავლის მომდევნო ეტაპია მისი ფორმების განხილვა. საბანკო კონკურენციის ფორმებია:

1) გამყიდველთა კონკურენცია და მყიდველთა კონკურენცია;
2) ინდივიდუალური და ჯგუფური კონკურენცია;
3) შიდადარგობრივი და დარგთაშორისი კონკურენცია;
4) ფასისმიერი და არაფასისმიერი კონკურენცია;
5) სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენცია.

გამყიდველთა კონკურენცია და მყიდველთა კონკურენცია. კონკურენციის განმარტების თანახმად, მოპაექრე მხარეები ერთდროულად უნდა იყვნენ დაინტერესებული ერთი და იმავე მიზნის მიღწევით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უშუალო კონკურენტები ყოველთვის დახლის ერთ მხარეს იმყოფებიან — ეს ან გამყიდველებია, ან მყიდველები. ამგვარად, საბანკო კონკურენციაში მონაწილე საბაზრო სუბიექტზე დამოკიდებულებით შეგვიძლია გამოვყოთ: 1) საბანკო მომსახურების გამყიდველთა კონკურენცია და 2) საბანკო მომსახურების მყიდველთა კონკურენცია.

გამყიდველთა კონკურენცია ბაზარზე საქონლის ფასებისა და მიწოდების მოცულობათა დაწესების სფეროში გამყიდველებს შორის იმ ურთიერთობათა ტიპია, რომელიც ვლინდება მათ მეტოქეობაში საქონლის (ამ შემთხვევაში — საბანკო მომსახურების) გასაღების ყველაზე უფრო მომგებიანი პირობების მოსაპოვებლად და ამ ნიადაგზე მაქსიმალური მოგების მისაღებად.

მყიდველთა კონკურენცია ბაზარზე ფასებისა და მოთხოვნის მოცულობის ჩამოყალიბების მხრივ მყიდველებს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა ის ტიპია, რომლებიც ვლინდება მათ შორის შეჯიბრში საჭირო საქონლისა და მისი შეძენის ყველაზე ხელსაყრელი პირობების მოსაპოვებლად.

ეს ორივე ფორმა შესაძლოა გვერდიგვერდ თანაარსებობდეს და გარკვეული შეხამებით არსებობდეს. მათ თანაფარდობას ყოველ კონკრეტულ ბაზარზე განსაზღვრავს გამყიდველთა და მყიდველთა საბაზრო ძალა. მაგალითად, გამყიდველთა ბაზარზე, სადაც მათ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალა გააჩნიათ და გარკვეულწილად შეუძლიათ თავიანთ პირობებს კარნახობდნენ მყიდველებს (ბაზრის გაუჯერებლობის, მისი მონოპოლიზების და სხვათა გამო), ჭარბობს მყიდველთა კონკურენცია. პირიქით, მყიდველთა ბაზარზე, სადაც მათ გამყიდველებზე მეტი საბაზრო ძალა აქვთ (ბაზრის გაჯერებისა და სხვა ფაქტორების გაელენით), ძირითად ფორმად გამყიდველთა კონკურენცია გვეელინება.

როგორი ვითარებაა საბანკო ბაზარზე? გამყიდველის ბაზარია იგი თუ მყიდველის? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია, რადგან ერთი მხრივ, საბანკო ბაზარი არ წარმოადგენს რაღაც ერთიანსა და განუყოფელს და იგი უამრავი კერძო ბაზრისგან (საბანკო დარგებისგან) შედგება. მეორე მხრივ, ნებისმიერ ბანკი შეიძლება ამ ბაზარზე მოგეელინოს როგორც გამყიდველის, ისე მყიდველის როლში. ამის ცოდნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ქვეყნის საბანკო ბაზარზე შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

მაგალითად, ხანგრძლივი დროის მანძილზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკის საბანკო სექტორს ახასიათებდა გამყიდველების — უკიდურესად შეზღუდული რაოდენობის სახელმწიფო ბანკების — დიქტატი (ასეთი ვითარება ახასიათებს მბრძანებლური ტიპის ყველა ეკონომიკას). საბაზრო გარდაქმნათა პირველ წლებშიც საბანკო ბაზრის ანალიზისას ყველაზე მეტად შეინიშნებოდა საბანკო მომსახურების მყიდველთა კონკურენცია. ამის ტიპიური მაგალითი იყო საკრედიტო ბაზარი: კრედიტებზე მოთხოვნა სტაბილურად უსწრებდა მათ მიწოდებას, საპროცენტო განაკეთები კი განუხრელად მატულობდა. რაც შეეხება კონკურენციას საკრედიტო ინსტიტუტებს შორის, იგი მხოლოდ დეპოზიტების ბაზარზე იყო შესამჩნევი. ამიტომ კომერციული

(განსაკუთრებით კი – მსხვილი) ბანკების ხელმძღვანელები ჯეროვნად არ აფასებდნენ კონკურენციას. თუმცა, როგორც ცხოვრებამ აჩვენა, ასეთი წარმოდგენა სწორი არ იყო. ჯერ ერთი, საკრედიტო რესურსებზე ჭარბი მოთხოვნა მუდმივი არ შეიძლებოდა ყოფილიყო და საკრედიტო ბაზარზე შექმნილი კონიუნქტურა 1994-1995 წლებში არსებითად შეიცვალა. მეორე, როგორც უკვე ვაჩვენეთ, საბანკო ბაზარი და სასესხო კაპიტალების ბაზარი ერთი და იგივე არაა. საბანკო მომსახურების მომხმარებელთა გაანალიზი საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ, უკვე დღეს არსებულ გამყიდველთა კონკურენციაზე ისეთ დარგებში, როგორიცაა საშემნახველო საქმე, საინვესტიციო შუამავლობა, პლასტიკური ბარათების გამოშვება და მომსახურება. მყიდელთა კონკურენციაზე საუბარი, როგორც ჩანს, შესაძლებელია საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურებასთან და ახლო წარსულში – დაკრედიტებასთან დაკავშირებით. დანარჩენი დარგები ან არასაკმარისადაა განვითარებული, ან მოთხოვნისა და მიწოდების დახლოებითი შესაბამისობით ხასიათდება.

როგორც ცნობილია, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში მყიდველთა კონკურენციის მნიშვნელობა არც ისე დიდია. რადგან, საბაზრო ეკონომიკის ჩვეულებრივი მდგომარეობაა მყიდველთა ბაზარი, როდესაც ერთმანეთის მეტოქეები არიან საქონლისა და მომსახურების გამყიდველები. რაც შეეხება ფინანსურ ბაზარს, იგი ეკონომიკაში საბაზრო გარდაქმნათა ავანგარდში იმყოფება. ბანკების ხელმძღვანელები უკვე დღეს სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ საკუთარი საკონკურენციო სტრატეგიის გამომუშავებაზე, მარკეტინგული ინსტრუმენტარიუმის ათვისებაზე, საბანკო სტრუქტურის შესაძლო გადაკეთებასა და პერსონალის გადამზადებაზე.

ინდივიდუალური და ჯგუფური კონკურენცია. მართალია, საკონკურენციო ბრძოლა მეტოქეობას გულისხმობს, მაგრამ სწორი არ იქნებოდა ამ მეტოქეობისას წარმოქმნილი ურთიერთობების დაყვანა კონკურენციის სუბიექტების „ურთიერთჩამოშორებაზე". კონკურენციის კანონზომიერებას წარმოადგენს მის ცალკეულ სუბიექტებს შორის „ურთიერთმიზიდვის" ურთიერთობათა განვითარებაც ერთობლიობა საქმიანობის, ამა თუ იმ სახის გაერთიანებების (ასოციაციების, კავშირების და ა.შ.) ჩამოყალიბების, ორგანიზაციული შერწყმის ფორმით და კოოპერაციისა და კონკურენციის სხვა ფორმებით.

საბანკო კონკურენციის სუბიექტების კონცენტრაციის ხარისხზე დამოკიდებულებით შეგვეძლია გამოვყოთ: 1) ინდივიდუალური კონკურენცია და 2) ჯგუფური კონკურენცია.

ინდივიდუალური საბანკო კონკურენცია მაშინ ვითარდება, როდესაც კონკურენტებად გვევლინებიან ცალკეული საკრედიტო ინსტიტუტები. ჯგუფური საბანკო კონკურენციის დროს ერთმანეთს უპირისპირდებიან საკრედიტო ინსტიტუტების გაერთიანებები, რომლებიც „ასოცირებული" კონკურენტების როლში გამოდიან.

ამგვარად, ჯგუფური კონკურენცია ინდივიდუალურის შედეგია. მაგრამ ნიშნავს თუ არა ჯგუფური კონკურენციის არსებობა იმას, რომ ერთი ჯგუფის წევრები კონკურენციას არ უწევენ ერთმანეთს? ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, ჯგუფური კონკურენცია მაშინ ჩნდება, როდესაც ამა თუ იმ დარგში საწარმოების ნაწილი ერთიანდება დანარჩენების წინააღმდეგ ერთობლივად სამოქმედოდ, თანაც, ჯგუფური კონკურენციის არსი ისაა, რომ ერთიანდებიან ერთი დარგის არაკონკურენტი საწარმოები. ჯგუფური კონკურენციის ასე ვიწროდ გაგების საპირისპიროა მისი ფართოდ გაგება, რომლის მიხედვითაც გაერთიანებული საწარმოები შესაძლოა ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ, მათი ერთობლივი საქმიანობა კი ისეთი სპეციალური ამოცანების შესრულებით შემოიფარგლება, რომელთა გადაჭრის კოორდინირება თითქოსდა კონკურენციის „საზღვრებს გარეთ" ხდება.

სხვა ეკონომისტთა აზრით, რომლებიც ერთმანეთისგან განასხვავებენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ საკონკურენციო პოლიტიკას, ჯგუფური კონკურენცია ვრცელდება კოლექტიური საკონკურენციო პოლიტიკის სფეროზე. დასმულ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე. თუ რა მიზნით და რა პრინციპით ჩამოყალიბდა კონკურენტთა ჯგუფები.

საბანკო ბაზრის ინსტიტუტების გაერთიანებათა ფორმები. საფინანსო-საკრედიტო ინ-

სტიტუტების და საბანკო კონკურენციის სხვა სუბიექტების სამეწარმეო ძალისხმევის გაერთიანების ძირითადი ფორმები შემდეგია:

- გაერთიანებები (კავშირები, ასოციაციები), რომლებიც მოგების უშუალოდ მიღებას არ ისახავენ მიზნად;
- მუდმივად მოქმედი ერთობლივი საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები;
- საბანკო ბაზრის მონაწილეთა დროებითი გაერთიანებები (სინდიკატები, კონსორციუმები);
- გაერთიანებები, რომლებიც მოიცავენ არასაფინანსო სტრუქტურებს (საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები, ჰოლდინგები).

საბანკო ინსტიტუტების არაკომერციული კავშირები და ასოციაციები. სამეწარმეო საქმიანობის გაერთიანების ყველაზე გავრცელებული ხერხი, მისი სიმარტივის გამო, არაკომერციული კავშირებისა და ასოციაციების ჩამოყალიბებაა. ხშირად ასოციაციები იქმნება კლანურ-პროფესიული ნიშნით, რაც გულისხმობს მის მონაწილეთა შორის „ნათესაურ ურთიერთობებს", ე.ი. საქმიანობის მიზნებისა და ძირითადი სახეების მსგავსებას, საერთო დამფუძნებლების არსებობას და ა.შ. ამ ტიპის გაერთიანებათა ჯგუფური კონკურენციის მქონე საბანკო ბაზრის ნიმუშია გერმანიის ბაზარი, სადაც შეთანხმებული საბაზრო პოლიტიკის გამტარებელ ორ „ასოცირებულ კონკურენტად" გამოდიან შემნახველ სალაროებისა და საკრედიტო ამხანაგობების საერთო-ეროვნული გაერთიანებები. როგორც გერმანულ ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნავენ. საბანკო კონკურენციის ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია ის. რომ მის სუბიექტებს სხვადასხვა მიზნები აქვთ; ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. ერთი მხრივ, კერძო საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც მოგების მიღებას ესწრაფვიან, ხოლო მეორე მხრივ, საკრედიტო ამხანაგობები და სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც ეკონომიკის განვითარებაზე არიან ორიენტირებული.

1991-1992 წლებიდან დაწყებული, რუსეთშიც აღმოცენდა კომერციული ბანკების და საბანკო ბაზრის სხვა მონაწილეთა მთელი რიგი ასოციაციები. მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია ბანკებს შორის კონსოლიდაციისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა, პარტნიორობის განვითარება, ბანკების საქმიანობის სამართლებრივი და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფაში ხელშეწყობა, მათი პროფესიული ინტერესების დაცვა ხელისუფლების ორგანოების წინაშე და საკანონმდებლო ინიციატივის რეალიზაცია, კადრების მომზადებაში ხელშეწყობა და ა.შ. კლანურ-პროფესიული ნიშნით გაერთიანების ნიმუშებია რუსეთის ბანკების ასოციაცია АРБ (კომერციული ბანკების უმსხვილესი საერთოეროვნული გაერთიანება), სამრეწველო-სამშენებლო ბანკების ასოციაცია და სხვები. საბანკო ბაზრის მონაწილეთა გაერთიანებას პროფესიულთან ერთად ტერიტორიული ნიშანიც შეიძლება ედოს საფუძვლად. ტერიტორიულ გაერთიანებას ეკუთვნის მოსკოვის საბანკო კავშირი, საბანკო კავშირი Большая Волга. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ბანკების ასოციაცია, აგრეთვე, ბანკთაშორისი გაერთიანებები და კავშირები – ბანკთაშორისი გაერთიანება Дело და სხვები.

ბოლო ხანს შეინიშნება მსხვილი ბანკების ბანკთაშორისი გაერთიანებების შექმნა სიდიდისა და საიმედოობის ნიშნის მიხედვით. მაგალითად, საშუალო ბანკების ჯგუფმა ხელი მოაწერა შეთანხმებას ლიკვიდობის შესანარჩუნებლად ერთობლივი მოქმედების შესახებ, რომლის მიზანია ურთიერთდაკრედიტება და მართვის სტრუქტურებში საშუალო ჯგუფის ბანკების ინტერესების ლობირება. ეს იმას ნიშნავს, რომ საბანკო სისტემაში ყალიბდება ბანკთა ტიპების ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან მოწყვეტით განვითარების რეჟიმი. სპეციალისტთა აზრით, მომავალშიც გაგრძელდება „კლუბების" შექმნის ამჟამინდელი ტენდენცია, რომლებშიც საიმედოობის ერთნაირი დონის მქონე ბანკები ერთიანდებიან და არ თანამშრომლობენ უფრო ნაკლებად საიმედო ბანკებთან. თუმცა, მაკონსოლიდირებელი საფუძვლის მიუხედავად, არცერთი სახის ასოციაცია არ გულისხმობს მის მონაწილეთა ყოველგვარი საქმიანობის კოორდინაციას ან შერწყმას. ანუ მათ შორის შესაძლოა შენარჩუნდეს ინდივიდუალური კონკურენცია.

ერთობლივი საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები. საბანკო ბაზრის მონაწილეთა

სამეწარმეო ძალისხმევის გაერთიანების სხვა ხერხთა მუდმივად მოქმედი ერთობლივი საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების ორგანიზება, რომლებიც კომერციულა საფუძველზე ფუნქციონირებენ, ე.ი. მოგების მიღებას ისახავენ მიზნად.

ამგვარი საბანკო კოოპერაციის ნიმუშია გერმანიის Dreden Bank-ის თანამშრომლობა სხვა ქვეყნის ბანკებთან. თანამშრომლობამ განსაკუთრებული გაქანება შეიძინა 1992 წელს: გერმანელებმა თავიანთი კაღრებით გააძლიერეს პორტუგალიის, საბრძნეთის, ბელგიის და ჰოლანდიის წარმომადგენლობები, სპეციალურმა ტექნიკურმა ჯგუფებმა მუშაობა დაიწყეს გადახდების სისტემის უნიფიკაციაზე, რისკების მართვისადმი და მონაცემების დამუშავების ტექნოლოგიისადმი ერთგვაროვანი მიდგომების გამომუშავებაზე, ერთგვაროვანი ანგარიშგების მიღებაზე. 1993 წელს სანკტ-პეტერბურგში გაიხსნა ერთობლიეი ბანკი "БНП - Дрезден Банк (Россия)" , რომელიც 100%-იანი უცხოური კაპიტალის მქონე პირველი ბანკი იყო რუსეთში. ასეთი ერთობლივი საწარმო დღეს ბეერია შექმნილი, მათ შორის – რუსეთის ბანკებთან ერთად.

რადგანაც ერთობლივი საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების დამფუძნებლები დაინტერესებული არიან ერთმანეთის საქმიანობის წარმატებითა და ფინანსური სტაბილურობით, ამიტომ მათ შორის ინდივიდუალური კონკურენცია გამორიცხულია.

ბანკების კონსურციუმები. საბანკო ბაზრის მონაწილეთა კოოპერაციის მესამე ფორმაა საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების კონსორციუმები.

ბანკების კონსორციუმი (სინდიკატი, პული) წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მსხვილი ბანკის (კონსორციუმის მეთაურის) მიერ დროებით ორგანიზებულ ბანკთა ჯგუფს, რომლის მიზანია საკრედიტო, საგარანტიო და სხვა საბანკო ოპერაციების ერთობლივად ჩატარება.

ამგვარი გაერთიანებები საბანკო ბაზრის საფონდო სექტორშია გავრცელებული. დროებით გაერთიანებათა ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ Глория-Банк-ის მმართველობის ქვეშ მყოფი ჩეკების სინდიკატი, საფონდო-საბირჟო სინდიკატი (ФЭС), ყოფილი სსრკ-ის საგარეო ვალის მომსახურე სინდიკატი და სხვები.

საქმიანობის კომერციული ხასიათი ერთობლივ საწარმოებთან ანათესავებს სინდიკატებსა და კონსორციუმებს. მაგრამ მათ მიერ შესრულებული ამოცანების წრე (აქედან გამომდინარე კი – მონაწილეთა ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერესების გადაკვეთის ველი), როგორც წესი, საკმაოდ ვიწროა, რაც არაკომერციულ ასოციაციებთან აახლოებს ამ გაერთიანებებს. ამით კონსორციუმები და სინდიკატები, რომლებიც ჯგუფური კონკურენციის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენენ, არ გამორიცხავენ მათ მონაწილეებს შორის ინდივიდუალურ კონკურენციას.

საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები და ჰოლდინგები. საბანკო ბაზარზე ჯგუფური კონკურენციის უკანასკნელი ორგანიზაციული ფორმაა საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები და ჰოლდინგები.

საფინანსო-სამრეწველო ჯგუფად მიიჩნევენ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, საკრედიტო-საფინანსო და საინვესტიციო ინსტიტუტების დარეგისტრირებულ ჯგუფს, რომლის ჩამოყალიბების მიზანია მის მონაწილეთა მატერიალური და ფინანსური რესურსების გაერთიანება კონკურენტუნარიანობისა და წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად, რაციონალური ტექნოლოგიური და კოოპერაციული კავშირების შესაქმნელად, საექსპორტო პოტენციალის გასაღიდებლად, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, თავდაცვის საწარმოთა კონვერსიისათვის და ინვესტიციების მოსაზიდად.

გამწვავებული კონკურენცია, წმინდა სპეკულაციის შესაძლებლობათა კლება, საპროცენტო განაკეთების შემცირება საკრედიტო ბაზარზე და ამ ბაზრის არასტაბილურობა, რაც პერიოდულ საბანკო კრიზისებში იჩენს თავს – ყოველივე ეს აიძულებს ყველაზე შორსმჭვრეტელ ბროკერებს, იფიქრონ საიმედო ინვესტიციებზე, თავიანთი კაპიტალების გადატანაზე მრეწველობაში. სადღეისოდ არსებობს საბანკო და სამრეწველო კაპიტალის არაფორმალური შეზრდის მრავალფეროვანი ვარიანტები (თანაც, როგორც წესი, ბანკების ინიციატივით ან მათი აქტიური მონაწილეობით).

ახალი ბანკები იქმნება და მუშაობს, როგორც წესი, რომელიმე საფინანსო ჯგუფთან მჭიდრო კონტაქტით. არასრულყოფილი კანონმდებლობის პირობებში რუსეთში საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ორგანიზების ერთგვარი ალტერნატივა ჰოლდინგების შექმნაა.

ჰოლდინგური საბანკო კომპანია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც ფლობს იურიდიულად დამოუკიდებელი ბანკებისა და არასაბანკო ფირმების აქციათა საკონტროლო პაკეტებს მათ ოპერაციებზე კონტროლის დაწესების მიზნით. ისინი განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული აშშ-ში, სადაც მსხვილი ბანკები ჰოლდინგური კომპანიების მეშვეობით ერცელ რეგიონებში ქმნიან საბანკო დაწესებულებათა სისტემებს, რომლებსაც ცენტრიდან მართავენ და რომლებიც გაყოფილებებს ცელიან.

არსებობს საბანკო ჰოლდინგების ორი ძირითადი სახე: მრავალბანკიანი (რომლებიც ორ და მეტ ბანკს აკონტროლებენ) და ერთბანკიანი. უმსხვილეს საბანკო ჰოლდინგს მიეკუთვნება ამერიკის კომპანია „სითიკორპი", რომლის ძირითადი აქციები „სითიბენქს" ეკუთვნის.

რუსეთში ჰოლდინგების შექმნის პროცესი ორი ძირითადი ხერხით მიმდინარეობდა – „ზემოდან" და ქვემოდან". „ზემოდან" ხდებოდა ყოფილი დარგობრივი უწყებებისა და საწარმოთა გაერთიანებების გარდაქმნა ჰოლდინგურ კომპანიებად. ამ სქემით 1993 წელს შეიქმნა ათამდე ჰოლდინგური კომპანია (Газпром, Лукойл და სხვები), თუმცა, ამ პროცესს ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც საწარმოების თავდაპირველ პრივატიზებას ითხოვდა.

„ქვემოდან" მიმდინარეობდა პრივატიზებული და ახლად შექმნილი საწარმოების – ჰოლდინგების – შექმნა ახალი მეწარმეების მიერ. მრავალი კომერციული ბანკი თავისი ეკონომიკური მდგრადობის ასამაღლებლად ქმნიდა ერთგვარ „დამცავ ზოლებს", რომლებიც მოიცავდა საქმიანობით მათთან მუდმივად დაკავშირებული საწარმოებისა და ფირმების კომპლექსებს. უმრავლეს შემთხვევაში ჯგუფური კონკურენცია იმას არ მოასწავებს, რომ ერთ ჯგუფში შემავალ ინსტიტუტებს შორის არავითარი კონკურენცია არ იქნება. ერთ ბაზარზე მოქმედი საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები აუცილებელად უწევენ კონკურენციას ერთმანეთს იმის მიუხედავად. ერთ ჯგუფს ეკუთვნიან ისინი თუ არა.

შიდადარგობრივი და დარგთაშორისი კონკურენცია.


კონკურენციის სუბიექტების დარგობრივ კუთვნილებაზე დამოკიდებულებით განასხვავებენ: 1) შიდადარგობრივ კონკურენციას და 2) დარგთაშორის კონკურენციას (ნახ. 3.3.).

რადგანაც ადრე უკვე დავამტკიცეთ, რომ საბანკო საქმე ეკონომიკის ცალკეული დარგი კი არა, მისი ის სფეროა, რომელიც ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებულ უამრავ დარგს მოიცავს, აშკარაა, რომ საბანკო კონკურენციის ფორმების ამ კლასიფიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს.

შიდადარგობრივი კონკურენცია არის კონკურენცია ერთი დარგის წარმომადგენლებს შორის, რომელთა მიერ წარმოებული ანალოგიური საქონელი და მომსახურება ერთსა და იმავე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მაგრამ განსხვავდება ფასით, ხარისხითა და ასორტიმენტით. იგი ორი ძირითადი სახით შეიძლება ხორციელდებოდეს: ა) საგნობრივი და ბ) სახეობითი კონკურენცია.

საგნობრივი კონკურენცია იმ ფირმებს შორის ხორციელდება, რომელთა მიერ გამოშვებული იდენტური საქონელი მხოლოდ დამზადების ხარისხით განსხვავდება ან არც განსხვავდება ერთმანეთისგან. ასეთი რამ ახასიათებს სამომხმარებლო საქონლის მწარმოებელი დარგების უმრავლესობას.

სახეობითი კონკურენცია იმ საწარმოებს შორის ხორციელდება, რომელთა მიერ გამოშვებული საქონელი ერთი სახისაა (ე.ი. ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება), მაგრამ განსხვავდება არსებითი მნიშვნელობის მქონე რაიმე პარამეტრით. ამის მაგალითია ერთი კლასის ავტომობილები, რომელთაც განსხვავებული სიმძლავრის ძრავა აქვთ. სახეობითი კონკურენცია ნაკლებად ინტენსიურია, ვიდრე საგნობრივი.



ნახ. 3.3. კონკურენციის ფორმები სუბიექტების დარგობრივ კუთვნილებაზე დამოკიდებულებით

ასეთი დაყოფა საბანკო საქმისათვისაც მისაღებია, ოღონდ გარკვეული შეზღუდვებით. საგნობრივი საბანკო კონკურენცია შესაძლებელია ე.წ. მასობრივი ასორტიმენტის მომსახურების გაწევისას, რომელიც სტანდარტიზებული და ერთგვაროვანია. მაგალითად, ამჟამად პრაქტიკულად ყველა კომერციული ბანკი მოსახლეობისგან იღებს ანაბრებს მოთხოვნამდე. ამ სტანდარტიზებულ მომსახურებას სხვადასხვა ბანკებში მხოლოდ ფასები განასხვავებს ერთმანეთისგან (საპროცენტო განაკვეთების სიდიდე სხვადასხვაა).

მაგრამ ყველა საბანკო მომსახურება სტანდარტიზებული არაა. ბევრ მათგანს ინდივიდუალური ხასიათი აქვს და კონკრეტული კლიენტის ფინანსური პრობლემების გადაჭრაზეა ორიენტირებული. ამის კლასიკური მაგალითია საწარმოთა დაკრედიტება, სადაც ყველა შემთხვევაში პირობებს საკრედიტო შეთანხმება განსაზღვრავს. აქ ელინდება სახეობითი კონკურენცია. უფრო მეტიც, საბანკო საქმის და მთლიანად ეკონომიკის განვითარებასთან ერთად მასობრივი ასორტიმენტის მომსახურებამაც კი შეიძლება დაკარგოს თავისი ერთგვაროვნება. მაგალითად, სხვადასხვა ბანკის მიერ გაწეული ერთნაირი მომსახურება ხშირად მისი მომხმარებლების თვალში იძენს განმასხვავებელ ნიშნებს, რაც ბანკის ფორმირებად იმიჯს უკავშირდება (ჩნდება საქონლის დიფერენციის ეფექტი). ბუნებრივია, რომ სხვა თანაბარ პირობებში მეანაბრე წავა იმ ბანკში, რომელიც მას მიაჩნია უფრო სოლიდურად, უფრო საიმედოდ და ა.შ.

ამგვარად, შიდადარგობრივი კონკურენცია საბანკო საქმეში ძირითადად სახეობითი კონკურენციის სახით ხორციელდება. კონკურენტული სტრატეგიის თვალსაზრისით ეს იმას ნიშნავს, რომ არსებული სახის ფარგლებში ახალი ასორტიმენტული ერთეულების დამუშავება ჯერ კიდევ არ უზრუნველყოფს კონკურენტულ უპირატესობას, თუკი მას მომხმარებლის მიერ უპირატესობის მინიჭების ფორმირების ღონისძიებები არ უმაგრებს ზურგს.

დარგთაშორისი კონკურენცია სხვადასხვა საბანკო დარგების წარმომადგენლებს შორის გაჩაღებული კონკურენციაა. მისი ფორმები შეიძლება იყოს: 1) კონკურენცია კაპიტალის გადადინების მეშვეობით ან 2) ფუნქციური კონკურენცია (კონკურენცია სუბსტიტუტებით).

კონკურენცია კაპიტალის გადადინების მეშვეობით წარმოიქმნება საწარმოს მიერ თავისი საქმიანობის პროფილის შეცვლის ან მისი დივერსიფიკაციის დროს. მას განაპირობებს კონიუნქტურისა და მოგების ნორმის განსხვავებულობა სხვადასხვა დარგებში.

კაპიტალის გადადინებას იდეალში შეეძლო გამოეწვია მოგების ნორმის გათანაბრება ყველა დარგში. მაგრამ პრაქტიკაში კაპიტალის გადადინებას ხელს უშლის ის წინააღმდეგობები, რომლებსაც ეკონომიკურ ლიტერატურაში შესვლისა და გამოსვლის ბარიერებს უწოდებენ. კაპიტალის გადადინებას იყენებენ გარედან (ე.ი. ეკონომიკის არასაბანკო სექტორებიდან) ბანკების ბაზარზე

შესასვლელად, აგრეთვე, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების მცდელობისას, მართვის ახალ დარგებში მოიპოვონ ადგილი. მაგრამ თუ გავისთვალისწინებთ, რომ საბანკო ბაზრის ინსტიტუტების დიდი ნაწილი ერთდროულად მოქმედებს რამდენიმე (უნივერსალური კომერციული ბანკები კი – ყველა) საბანკო დარგში, კაპიტალის გადადინება აქ ყველაზე უფრო ხშირად გამოდის დარგებს შორის მისი გადანაწილების ფორმით (პორტფელის სტრუქტურის ცვლილება).

კაპიტალის გადადინების მეშვეობით კონკურენციისგან განსხვავებით ფუნქციური კონკურენცია არ ითვალისწინებს სხვა დარგში გადასვლას. იგი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა დარგის საწარმოების მიერ წარმოებულ სრულიად განსხვავებულ საქონელს მომხმარებელი შესაძლოა ერთნაირი მიზნით იყენებდეს და ისინი ურთიერთშემცვლელი (სუბსტიტუტ-საქონელი) იყოს.

მაგალითად, ციგურების მწარმოებლის კონკურენტი თხილამურების მწარმოებელიც შეიძლება იყოს – იმდენად, რამდენადაც ეს ორი სახის ზამთრის სპორტი მომხმარებლისთვის ურთიერთშემცვლელია. ასეთივეა კვების მრავალი პროდუქტიც. სუბსტიტუტების არსებობა იშვიათად აფართოებს ბაზრის საზღვრებს და იწვევს დარგთაშორისი კონკურენციის გამწვავებას, ამიტომ საკონკურენციო სტრატეგიის შემუშავების დროს მეწარმისათვის ყველაზე უფრო მიმზიდველია ის დარგები, რომელთა პროდუქციას კარგი და ახლოს მდგომი შემცვლელი არ გააჩნია.

მრავალი საბანკო მომსახურება ერთმანეთის სუბსტიტუტია. მაგრამ იმის გამო, რომ კომერციული ბანკების უმრავლესობა ამჟამად უნივერსალურია (მრავალდარგობრივი დივერსიფიცირებული სამეწარმეო სტრუქტურაა), ამიტომ ფუნქციული საბანკო კონკურენცია აშკარა სახით მხოლოდ იქ არსებობს, სადაც ერთმანეთს სპეციალიზებული საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები უპირისპირდებიან. მაგალითად, არასაბანკო საინვესტიციო ინსტიტუტები ბანკებთან კონკურენციაში ებმებიან არამარტო საინვესტიციო მომსახურების (შიდადარგობრივი სახეობითი კონკურენცია), არამედ სადეპოზიტო მომსახურების (დარგთაშორისი ფუნქციური კონკურენცია) ხაზითაც.

რუსეთში საბანკო კონკურენცია თავდაპირველად ძირითადად შიდადარგობრივი ხასიათის იყო. მაგრამ ბოლო დროს აქ აქტიურად ვითარდება არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტები (საინვესტიციო კომპანიები, საპენსიო ფონდები და ა.შ.), რომლებიც საბანკო ბაზრებზე იკიდებენ ფეხს. საფინანსო ოპერაციების მიმართ ინტერესს ავლენენ არასაფინანსო საწარმოებიც (მაგალითად, სავაჭრო ფირმები), რომლებიც აქტიურად უშვებენ ობლიგაციებსა და თამასუქებს, აგრეთვე, სარგებლობენ ბუნდოვანი კანონმდებლობით და ღიად ეწევიან ისეთ საბანკო მომსახურებას, როგორიცაა ანაბრების მიღება და კრედიტების გაცემა. ამგვარად, მიმდინარეობს კაპიტალის გადადინება საბანკო სექტორში.

ფასისმიერი და არაფასისმიერი კონკურენცია


კონკურენციის გამოყენებულ მეთოდებზე დამოკიდებულებით განასხვავებენ: 1) ფასისმიერ და 2) არაფასისმიერ კონკურენციას (ნახ. 3.4.)

ფასისმიერი კონკურენცია ხორციელდება შემოთავაზებულ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ცვლილების (როგორც წესი, დაწევის) გზით.

ფასებით მანიპულირება კონკურენციის ყველაზე უფრო ძველი მეთოდია და ყველაზე იოლია ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით. მაგრამ აქაც არსებობს ნიუანსები. ეკონომიკაში ფასისმიერი კონკურენცია შესაძლოა იყოს: 1) ღია (პირდაპირი) და 2) ფარული.

ღია ფასისმიერი კონკურენციის დროს მომხმარებლებს ფართოდ ატყობინებენ თავიანთ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების დაკლების შესახებ (აწყობენ სეზონურ დაყიდვას, ფასების დაკლების აქციებს, გაზეთებსა და ჟურნალებში ათავსებენ შეღავათების მისაღებ კუპონებს და ა.შ.).

ფარული ფასისმიერი კონკურენციის დროს ფირმები უშვებენ არსებითად გაუმჯობებებული სამომხმარებლო თვისებების მქონე ახალ საქონელს, ფასს კი არაპროპორციულად მცირედ უმატებენ. ეკონომიკის საბანკო სექტორში ფასისმიერი კონკურენციის თავისებურებაა საქონლის (საბანკო მომსახურების) სახმარ ღირებულებასა და მის ფასს შორის მკაფიო ურთიერთკავშირის არარსებობა. ამის გამო ღია და ფარულ ფასისმიერ კონკურენციას შორის ზღვარი მკვეთრი არაა



ნახ. 3.4. კონკურენციის ფორმები გამოყენებულ მეთოდებზე დამოკიდებულებით.

და ის ფარგლებიც საკმაოდ გაჭიმულია, რომლებშიც ბანკს საპროცენტო განაკვეთებით. საკომისიო ჯილდოს დონითა და მომსახურების ტარიფებით მნიშვნელოვანი მანევრირების საშუალება აქვს. ამავე დროს, საბანკო მომსახურების მომხმარებლებს, განსაკუთრებით თუკი ისინი ბანკის მუდმივი კლიენტები არიან, მოლაპარაკებათა პროცესში შეუძლიათ გავლენა იქონიონ ფასზე და არსებით შეღავათებს მიაღწიონ.

თუმცა, ფასისმიერ კონკურენციას გარკვეული საზღვრები აქვს. უფრო მეტიც, უცხოელი ეკონომისტების შეფასებით, საბანკო საქმეში, ისე, როგორც ეკონომიკის არცერთ სხვა სფეროში, მოქმედებს ენდოგენური და ეგზოგენური ძალები, რომლებიც ავიწროებენ ფასისმიერი კონკურენციის შესაძლებლობებს.

ჯერ ერთი, საპროცენტო განაკვეთები შესაძლოა სახელმწიფო ზემოქმედებით შეიცვალოს – როგორც პირდაპირი შეზღუდვით (მინიმალური და მაქსიმალური განაკვეთების დაწესება, მსესხებელთა გარკვეული კატეგორიებისთვის სახელმწიფოს მიერ დოტირებულ შეღავათიან კრედიტებზე განაკვეთების ფიქსირება, ცენტრალური ბანკის კრედიტების ხარჯზე გასაცემ სესხებზე ზღვრული მარაჟის დადგენა და სხვა), ისე ირიბი რეგულირებით (მაგალითად, სააღრიცხვო პოლიტიკის ღონისძიებათა გამოყენებით, რეფინანსირებაზე ანუ ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის მიცემულ სესხებზე განაკვეთების ცვლილებით).

მეორე, საბანკო საქმეში ფასისმიერი კონკურენციის შეზღუდულობა იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს პროცენტის ისეთი ზღვარი, რომლის ქვემოთაც ბანკი მოგებას ვეღარ მიიღებს. ამის უფლებას ყოველთვის და ყველა ბანკი ვერ მისცემს თავის თავს. ამიტომ დასაველეთის თანამედროვე ბანკები ცდილობენ კონკურენცია არ გამართონ საბანკო მომსახურებაზე ფასების დაწესების სფეროში და აღწევენ მაღალი ტარიფებისა და საპროცენტო განაკვეთების შენარჩუნებას.

მესამე, ფასების შემცირება ყოველთვის არ იძლევა სამომხმარებლო მოთხოვნის გადიდების გარანტიას. პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში ამან შესაძლოა დაფრთხოს მყიდველი და უნდობლობა აღძრას მასში. მაგალითად, მოსახლეობის ეკონომიკური კულტურის ზრდასთან ერთად ადამიანები უკეთ აცნობიერებენ იმას, რომ დეპოზიტზე ფულადი სახსრების მოთავსებისთვის საკრედიტო ინსტიტუტის შერჩევის დროს საკმარისი არაა მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის დონით ხელმძღვანელობა: ხშირად მაღალ განაკვეთებს აწესებენ „ჩასაძირად განწირულ“ ბანკები, რომლებიც ცდილობენ ნებისმიერ ფასად მოიზიდონ დამატებითი ფინანსური რესურსები. გარდა ამისა, მომხმარებელთა ზოგიერთმა (ელიტარულმა) ფენებმა, პრესტიჟის მოსაზრებებიდან გამომდინარე, შესაძლოა ორიენტაცია აიღონ „პრესტიჟული“ ბანკების უფრო ძვირი მომსახურების შეძენაზე. ყოველივე ეს იმას იწვევს, რომ საბანკო კონკურენცია სულ უფრო მეტად იძენს არაფასისმიერ ხასიათს.

არაფასისმიერი კონკურენცია ეყრდნობა საქონლის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებას და პროდუქტის დიფერენციაციას, სტიმულირების ღონისძიებების ჩათვლით. კონკურენციის არაფასისმიერი მეთოდების გამოყენების მიზანია მომხმარებლის მიერ უპირატესობის მინიჭების მყარად ფორმირება.

საბანკო საქმის თავისებურებაა ის ფაქტი, რომ ბანკის ძირითადი საქონელი – კრედიტი – თავისთავად პრაქტიკულად არ ექვემდებარება დიფერენციაციას, დანარჩენი საბანკო მომსახურების გაწევა კი ადვილია კონკურენტებისთვის (საბანკო მომსახურებაზე არ ვრცელდება საპატენტო დაცვა). ამის გამო ბანკების უმრავლესობა მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი მომსახურების კომპლექსს სთავაზობს მომხმარებელს. ამავე დროს, ბანკს შეუძლია თავისი მომსახურების დიფერენცირება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზით. ხარისხის მაღალ როლს განაპირობებს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების რენტაბელობასთან მისი უშუალო ურთიერთკავშირი: ხარისხის გაუმჯობესება იზიდავს კლიენტებს და ხელს უწყობს რეალიზებული საბანკო მომსახურების მოცულობის გადიდებას, რაც მოგების ზრდასა და საშუალო დანახარჯების შემცირებაში ელინდება. ამერიკელი ეკონომისტების მონაცემებით, კეთილგანწყობით და კვალიფიციურად გაწეული მომსახურება მრავალი მომხმარებლის მიერ ბანკის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმია.

ამასთან დაკავშირებით, არაფასისმიერი საბანკო კონკურენციის ძირითადი იარაღია საბანკო მომსახურების ხარისხი, მისი კრიტერიუმების განსაზღვრის პრობლემა კი ამჟამად საბანკო თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემაა. ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ დაწვრილებითაა გამოკვლეული საწარმოო დარგებში ხარისხის კრიტერიუმები. ეკონომისტების უმრავლესობას ერთნაირი აზრი აქვს იმაზე. რომ პროდუქციის ხარისხის მახასიათებლები შეიძლება იყოს მისი საიმედოობა, ხანგრძლივობა, უსაფრთხოობა, სასარგებლო ეფექტი, მოხმარების დანახარჯები, იერი, სერვისული მომსახურება და სხვა.

რაც შეეხება საბანკო მომსახურების ხარისხის კრიტერიუმებს, აქ გაცილებით რთულადაა საქმე. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის განვითარებული სამრეწველო ქვეყნების საბანკო წრეებში ხარისხის პრობლემების დიდი მნიშვნელობა საყოველთაოდაა აღიარებული, დღემდე მაინც არაა ერთიანობა იმ საკითხებში, თუ როგორ უნდა ესმოდეთ საბანკო მომსახურების ხარისხი. მაგალითად, ამერიკის ეკონომიკურ ლიტერატურაში მრავალი წლის მანძილზე საბანკო მომსახურების ხარისხი გაიგივებული იყო თავაზიან მომსახურებასთან (courtesy), მაგრამ ამ პრობლემისადმი ყურადღების ზრდასთან ერთად გამოჩნდა ახალი მიდგომებიც ხარისხის განსაზღვრის მიმართ. მაგალითად, ზოგიერთ ეკონომისტს მიაჩნია, რომ ხარისხი განისაზღვრება საბანკო მომსახურების შესაბამისობით მომხმარებელთა მოთხოვნილებებთან (contormance to requirements).

საბანკო საქმეში ხარისხის საკითხზე სხვადასხვა თვალსაზრისის არსებობა გასაკვირი არაა: რადგანაც საბანკო მომსახურების (ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მომსახურების) განმარტება ამოუწურავია, ამიტომ მათი ხარისხი გარკვეულწილად სუბიექტურ კატეგორიას წარმოადგენს. საბანკო მომსახურების ხარისხის კვლევისას მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური მიდგომაა ამ პრობლემის ორი ასპექტის და, შესაბამისად, ხარისხის კრიტერიუმების ორი სისტემის გამოყოფა: ბანკის პოზიციიდან და კლიენტის პოზიციიდან.


სპეციალისტთა აზრით, თვითონ ბანკისათვის მუშაობის ხარისხობრივ დონეს განსაზღვრავს შიდა სამუშაო პროცესების სისწრაფე, შეცდომების გასწორებაზე გაწეული დანახარჯების დონე, სამუშაო პროცესების ეფექტიანობა, მუშაკთა მოტივაციის დონე, შრომის ნაყოფიერება, საკრედიტო რისკის დონე და სხვა, რომლებიც უნდა შეუდარდეს საბანკო მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების დონეს. კლიენტის თვალსაზრისით, საბანკო მომსახურების ხარისხის კრიტერიუმებია მომსახურების სისწრაფე, ოპერაციების განხორციელების ვადიანობა, შეცდომებისა და უზუსტობათა არსებობა, ბანკის მუშაობის საათები, კონსულტაციების ხარისხი (სილრმე, აქტიური და

პასიური ხასიათი), ბანკთან ერთიერთობათა პიროვნული მხარე და სხვა; საბანკო მომსახურების ხარისხის დონეს კლიენტები უდარებენ მის ფასს.

აშკარაა, რომ ბანკი თავის საქმიანობაში უნდა ითვალისწინებდეს ორივე ჯგუფის კრიტერიუმებს (ამასთან, სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურებისთვის კრიტერიუმების ნაკრები სხვადასხვა იქნება). თუმცა, საბანკო კონკურენციის გაძლიერების პირობებში წამყვან მნიშვნელობას იძენს ბანკის კლიენტთა თვალსაზრისი. ეს გარემოება აისახა საბანკო მომსახურების აღსაქმელი ხარისხის კონცეფციაში (perceived service quality). მისი არსი ისაა, რომ ხარისხი განისაზღვრება არა უბრალოდ ამა თუ იმ საბანკო მომსახურების თვისებათა ერთობლიობით, არამედ, ერთი მხრივ, ამ თვისებების, ხოლო, მეორე მხრივ, მომხმარებელთა მოლოდინის შეპირისპირებით. საბანკო მომსახურების მახასიათებლების შესაბამისობით კლიენტების მოთხოვნებთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბანკის მენეჯერებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია მათი მომხმარებლებისათვის.

დღეს საბანკო კონკურენციის ძირითადი მეთოდებია ფასისმიერი მეთოდები, რაც გასაკვირი არცაა ბაზრის ჩამოყალიბების ეტაპისთვის. და მაინც, იქაც შეინიშნება გარკვეული წინსვლა. მაგალითად, ცენტრალური ბანკის საღრიცხვო პროცენტის შემცირება არსებითად ზღუდავს კომერციული ბანკების მანევრის თავისუფლებას მათი დეპოზიტური განაკვეთების მიმართ. ამან და ზოგიერთმა სხვა მიზეზმა განაპირობა ბანკების ასორტიმენტული პოლიტიკის გააქტიურება („კლიენტი-ბანკის" სისტემის დანერგვა, პლასტიკური ბარათების ემისია და ა.შ.), გააძლიერა სარეკლამო საქმიანობის საიმიჯო ორიენტაცია. ეს კი უკვე მეტყველებს არაფასისმიერი კონკურენციის განვითარებაზე.

სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენცია. ბაზრის მონოპოლიზაციის ხარისხზე და, აქედან გამომდინარე, კონკურენციის თავისუფლებაზე დამოკიდებულებით განასხვავებენ: 1) სრულყოფილ და 2) არასრულყოფილ კონკურენციას (ნახ 3.5.).



ნახ.3.5. კონკურენციის ფორმები ბაზრის მონოპოლიზაციის დონეზე დამოკიდებულებით

სრულყოფილი კონკურენცია ყოველმხრივ შეუზღუდავი კონკურენციაა, რომელიც ისეთ პირობებში ყალიბდება, როცა ბაზარზე მოქმედებს იდენტური (სტანდარტიზებული, ერთგვაროვანი) საქონლის გამყიდველი ძალიან ბევრი წვრილი ფირმა. კონკურენციის თვალსაზრისით ისინი თანაბარ პირობებში იმყოფებიან და უპირატესად ფასისმიერი მეთოდებით ეწევიან კონკურენციას.

მისი ძირითადი ნიშან-თვისებებია:

- მონაწილეთა ძალიან დიდი რაოდენობა (ეს შეიძლება იყოს ასობით და ათასობით დამოუკიდებელი ფირმა);
- სტანდარტიზებული (ერთგვაროვანი) პროდუქცია, რის გამოც მოცემული ფასის დროს მყიდველისთვის სულ ერთია, რომელი გამყიდველისგან შეიძენს პროდუქტს (სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე ყველა გამყიდველის საქონელს მყიდველი ზუსტ ანალოგებად განიხილავს);
- პროდუქციის სტანდარტიზაციის გამო არ არსებობს არაფასისმიერი კონკურენციის საფუძვე-

ლი, ე.ი. კონკურენციისა პროდუქციის ხარისხში, რეკლამასა თუ გასაღების სტიმულირებაში არსებულ განსხვავებათა ბაზაზე. კონკურენციას ფასისმიერი ხასიათი აქვს;

- ახალ ფირმებს თავისუფლად შეუძლიათ დარგში შესვლა, უკვე არსებულ ფირმებს კი – იქიდან გამოსვლა, ე.ი. შესვლა-გამოსვლის ბარიერები დაბალია და ადვილად გადასალახავი;
- თითოეული ფირმა ამზადებს (იძენს) წარმოების მთლიანი მოცულობის იმდენად მცირე ნაწილს, რომ მისი ინდივიდუალური მიწოდების (მოთხოვნის) გადიდება ან შემცირება საგრძნობ გავლენას ვერ ახდენს მთლიან მიწოდებაზე (მოთხოვნაზე), აქედან გამომდინარე კი – პროდუქტის ფასზე. ცალკეული კონკურენტი მწარმოებელი (მყიდველი) გამოდის როგორც ფრაის-თეიქერი (Price-taker), ე.ი. ფასს დათანხმებული.

რეალურ ცხოვრებაში სრულყოფილი კონკურენცია საკმაოდ იშვიათად გვხვდება. ამ მოდელს მეტ-ნაკლებად უახლოვდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზრები, განვითარებული სავალუტო ბაზარი და ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული მეორადი ბაზარი (საფონდო ბირჟა). ბაზრების (მათ შორის საბანკო ბაზრების) უმრავლესობაზე არასრულყოფილი კონკურენციაა გაბატონებული.

შეზღუდული კონკურენცია არასურყოფილია იმის გამო, რომ საბაზრო ურთიერთობათა ერთ ან რამდენიმე სუბიექტს გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ბაზარზე და ამით ერთგვარად „კონკურენციის გარეშეა“ დარჩენილი; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს კონკურენციის პირობების უთანაბრობა.

განასხვავებენ სამი სახის საბაზრო სტრუქტურებს, რომელთაც ახასიათებთ არასრულყოფილი კონკურენცია: ა) მონოპოლისტური კონკურენცია; ბ) ოლიგოპოლია და გ) წმინდა მონოპოლია.

მონოპოლიურია დიფერენცირებული პროდუქციის იმ მრავალრიცხოვან გამყიდველებს შორის არსებული კონკურენცია, რომელთაგან თითოეულს კვაზიმონოპოლიური მდგომარეობა უჭირავს კერძო საბაზრო სექტორში (სეგმენტში) და ძირითად ყურადღებას არაფასისმიერ კონკურენციას უთმობს. მისი ძირითადი ნიშან-თვისებები შემდეგია:

1. ფირმების შედარებით დიდი რაოდენობა. სრულყოფილი კონკურენციისაგან განსხვავებით, მონოპოლისტურ კონკურენციას არ სჭირდება ასობით და ათასობით ფირმების არსებობა. საკმარისია მათი შედარებით მცირე რაოდენობა, ვთქვათ 25, 35, 60 ან 70.

2. საქონლის დიფერენციაცია. ამის შედეგად აქ ყოველი ფირმა გამოდის როგორც კვაზიმონოპოლია, რასაც განაპირობებს მომხმარებლის უკვე ჩამოყალიბებული უპირატესობის მიცემა (მჯობინება) და ფირმების განსაკუთრებული უფლება თავის საეჭრო მარკაზე. (მაგალითად, ცნობილი ფირმა Adidas აბსოლუტური მონოპოლისტი არაა მთლიანად სპორტული საქონლის ბაზარზე, მაგრამ მონოპოლია აქვს Adidas-ის საეჭრო მარკაზე, რასაც დიდი მოგება მოაქვს ფირმისათვის.)

3. საქონლის დიფერენციაციის შედეგი ისაა, რომ ძირითადი ყურადღება არაფასისმიერ კონკურენციას ეთმობა.

4. მონოპოლისტური კონკურენციის მქონე დარგებში შესვლა შედარებით ადვილია. ის, რომ მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში მწარმოებლები, ჩვეულებრივ, მცირე ფირმებია როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი გამოხატულებით, იმას გულისხმობს. რომ წარმოების მასშტაბებზე მიღებული ეკონომია და საჭირო მინიმალური კაპიტალი დიდი არაა. ამავე დროს, სრულყოფილ კონკურენციასთან შედარებით შესაძლოა არსებობდეს ზოგიერთი დამატებითი ფინანსური ბარიერი. ამას წარმოშობს კონკურენტების პროდუქტისგან განსხვავებული პროდუქტის მიღების შესაძლებლობა და ამ პროდუქტის რეკლამირების საჭიროება.

5. ფირმებს გააჩნიათ ფასზე ზემოქმედების შეზღუდული შესაძლებლობა თავისი დიფერენცირებული პროდუქტის ბაზარზე (და არა მთელ ბაზარზე) კვაზიმონოპოლიური მდგომარეობის გამო. მაგრამ აქ, ისევე, როგორც სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, გამორიცხულია ფირმებს შორის მორიგება.

ოლიგოპოლია იმ პირობებში არსებობს, როცა დარგობრივ ბაზარზე მოქმედებენ შედარებით მცირე რაოდენობის ისეთი გამყიდველები (მაგრამ არა ერთი), რომელთაც თავიანთი საბაზრო პოლიტიკის შეთანხმების შესაძლებლობა აქვთ. ოლიგოპოლიის ძირითადი ნიშნებია:

- ბაზარზე ფირმების შედარებით მცირე რაოდენობა. ოლიგოპოლიის კერძო შემთხვევას, როდესაც ბაზარზე ორი ფირმა მოქმედებს, დუოპოლიას უწოდებენ. (იმის ზუსტად განსაზღვრა. თუ რამდენს შეადგენს ფირმების ეს „შედარებით მცირე რაოდენობა", ძალიან ძნელია. ოლიგოპოლიის საბაზრო მოდელი მოიცავს დიდ არეს, რომელიც წმინდა მონოპოლიასა და მონოპოლისტურ კონკურენციას შორის დიაპაზონშია განფენილი. ოლიგოპოლიის კლასიკური მაგალითია აშშ-ის საავტომობილო კომპანიების „დიდი სამეული" („ჯენერალ მოტორსი", „ფორდი" და „კრაისლერი"). მაგრამ ოლიგოპოლიას წარმადგენს ის 10 თუ 15 ბენზინგასამართი სადგურიც, რომლებსაც დაახლოებით ერთნაირი წილები აქვთ საშუალო სიდიდის ქალაქში).
- გასაყიდი საქონელი შეიძლება იყოს როგორ ერთგვაროვანი (სტანდარტიზებული), ისე მარავალფეროვანი (დიფერენცირებული). ამაზე დამოკიდებულებით განასხვავებენ ორი ტიპის ოლიგოპოლიას. საბაზო დარგებში, რომელთა საწარმოებს დიდი ზომები აქვთ, ხოლო პროდუქცია ერთგვაროვანია, ადგილი აქვს ერთვაროვან ოლიგოპოლიას. ასეთია ფოლადის, თუთიის, სპილენძის, ალუმინის, ტყვიის, ცემენტის, ტექნიკური სპირტის და ა.შ. წარმოება, რომლებიც ფიზიკური აზრით ერთგვაროვანი პროდუქტებია. დიფერენცირებული ოლიგოპოლია იმ დარგებში გვხვდება, რომლებიც აწარმოებენ სამომხმარებლო საქონელსა და მრავალი სახის მომსახურებას საბანკო მომსახურების ჩათვლით.
- იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორი ხასიათი აქვს პროდუქციას (დიფერენცირებული თუ ერთგვაროვანი), მეტად ან ნაკლებადაა გაურცელებული არაფასისმიერი კონკურენცია.
- შესვლის მაღალი ბარიერები. ოლიგოპოლიურ ბაზარზე, ერთი მხრივ, ძნელია შესვლა უკვე არსებული. როგორც წესი, მსხვილი ფირმების მაღალი კონკურენტუნარიანობისა და მათგან შესაძლო წინააღმდეგობების გამო. მეორე მხრივ, ოლიგოპოლია პრინციპში იმ დარგებში ჩნდება, სადაც შესვლის ბარიერები მნიშვნელოვნად მაღლია.
- ამა თუ იმ დონით შესაძლებელია ფასების კონტროლი ოლიგოპოლისტების მხრიდან. ოლიგოპოლიის პირობებში ბაზრის სუბიექტებს სხვდასხვაგვარად შეუძლიათ მოიქცნენ: ა) არ გაითვალისწინონ კონკურენტების ქცევა (როგორც სრულყოფილი კონკურენციის დროს); ბ) სცადონ სხვა მწარმოებელთა ქცევის განჭვრეტა; გ) მოურგიდნენ სხვა მწარმოებელებს. ბოლო, მესამე შემთხვევაში შეიძლება წარმოიქმნას ფასზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესაძლებლობა. ოლიგოპოლიური ბაზრის მონაწილეთა საბაზრო ქცევის ხასიათზე დამოკიდებულებით განასხვავებენ ფარულ ოლიგოპოლიას და დომინირების ოლიგოპოლიას. ფარული ოლიგოპოლია იმ ვითარებაში ჩნდება, როდესაც ოლიგოპოლისტებს მთლიანად შეუძლიათ მორიგება, ან როცა ისინი ითვალისწინებენ თავიანთ ურთიერთდამოკიდებულებას. დომინირების ოლიგოპოლია იმ ბაზარზე იჩენს თავს, სადაც უმსხვილესი ფირმა კონტროლს უწევს გასაღების დარგობრივი მოცულობის 60-80%-ს. ამ შემთხვევაში იგი გარიგებას კი არ ახდენს დანარჩენ მონაწილეებთან, არამედ ბაზრის ნაწილს უთმობს მათ და შემდეგ ისე იქცევა ბაზრის გაკონტროლებულ 60-80%-ზე, როგორც მონოპოლისტი.

წმინდა მონოპოლია იმას ნიშნავს, რომ დარგში არის მხოლოდ ერთი გამყიდველი, რომელიც მთლიანად აკონტროლებს მიწოდების მოცულობას და საქონლის ფასს, რომელსაც ახლოს მდგომი სუბსტიტუტები არ გააჩნია.

მონოპოლიის ნიშნები შემდეგია:

1. მოცემული სახის საქონლის ერთადერთი გამყიდველის არსებობა ბაზარზე. მაგალითად, უმრავლეს ქალაქებში საზოგადოებრივი მოხმარების საწარმოები (გაზი, წყალგაყვანილობა, ელექტროობა, ტელეფონი) მონოპოლისტებია. არსებობდ ასეთი ვითარება იყო მრავალი ათწლეულის მანძილზე საბჭოთა საბანკო სისტემაში. მართალია, ფორმალურად ბანკები მუდამ რამდენიმე იყო, მაგრამ, ყველ

ერთი, ყველა ისინი სახელმწიფოს ეკუთვნოდა; მეორე, საქმიანობის სფეროები მათ დარგობრივი ნიშნით ჰქონდათ დაყოფილი; მესამე, მათ ჰქონდათ განსაკუთრებული უფლება გარკვეული სახის საქმიანობაზე (საბანკო საქმის სახელმწიფო მონოპოლია, სახელმწიფო საალუტო მონოპოლია).

2. პროდუქციის უნიკალურობა, კარგი ან ახლოს მდგომი შემცვლელების არარსებობა. მყიდველის თვალსაზრისით ეს ნიშნავს მონოპოლისტი ფირმის საქონლის შეძენის გამართლებული ალტერნატივის უქონლობას. მან ამ მონოპოლისტისგან უნდა შეიძინოს საქონელი, ან დაჯერდეს მის არქონას.

3. აქ კონკურენცია განმარტებისამებრ არ არსებობს. ერთადერთ გამყიდველს კონკურენტები არა ჰყავს, მისი პროდუქცია უნიკალურია და პრინციპში რეკლამაც კი არ ჭირდება. თუმცა, ნიშნავს თუა არა ეს იმას, რომ რომელიმე ბაზრის მონოპოლიზების შემდეგ ფირმას შეუძლია „მშვიდად იძინოს"? როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მონოპოლისტიც შეიძლება წააწყდეს კონკურენციის ერთგვარ გამოვლინებას. ეს შესაძლოა იყოს:

ა) პოტენციური კონკურენცია, ე.ი. დარგში ახალი მწარმოებლების გაჩენის შესაძლებლობა. ამ შესაძლებლობის გამორიცხვა არ შეიძლება შესვლის მაღალი ბარიერების დროსაც კი. გადაულახავია მხოლოდ შესვლის იურიდიული ბარიერები. ამ დროს რაც უფრო მაღალია მოქმედი ფირმის მონოპოლიური მოგება, მით უფრო ძლიერია პოტენციური კონკურენციის საფრთხე;

ბ) სიახლეთა კონკურენცია, ე.ი. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საქონლის სამომხმარებლო თვისებების სრულყოფა. ამ სახის კონკურენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს იმ პირობებში, როცა მუდმივად ხდება საქონლის ასორტიმენტის განახლება, კარგად ჩანს საქონლის სიცოცხლის ციკლის შემცირების ტენდენცია. ამის გამო მონოპოლისტს არ შეუძლია უსაფრთხოდ გრძნობდეს თავს, რადგანაც კონკურენციის საფრთხე სრულიად მოულოდნელი მხრიდან შეიძლება გაჩნდეს. ამიტომ იგი ისევე უნდა ზრუნავდეს საქონლის ხარისხის სრულყოფაზე, როგორც მისი წარმოების ახალი, უფრო ეკონომიური ხერხების დანერგვაზე და ფასების დაწევაზე;

გ) კონკურენცია შემცველი საქონლის მხრიდან. შემცველის როლში ის საქონელიც კი შეიძლება მოგვევლინოს, რომელიც ერთი შეხედვით ძალიან შორს დგას შესაცვლელი საქონლისგან. მაგალითად, ბრილიანტების გამყიდველ მონოპოლისტს შესაძლოა არც თუ ისე მსხვილმა ტურისტულმა ფირმამ გაუწიოს კონკურენცია. ტურისტული ფირმის სარეკლამო კამპანიის შედეგად ბრილიანტების პოტენციური მყიდველების ნაწილმა შეიძლება ტურისტულ მოგზაურობაზე გადაწყვიტოს ფულის დახარჯვა;

დ) კონკურენცია იმპორტულ საქონელთან. ყოველი ქვეყნის შიდა ბაზარს ახასიათებს კარგახსნილობის ესა თუ ის დონე მასზე საზღვარგარეთული საქონლის გამოტანის შესაძლებლობის თვალსაზრისით. ცხადია, რომ თავისუფალი საგარეო ვაჭრობის პირობებში ის ფირმა, რომელსაც ერთი (ან თუნდაც რამდენიმე) ქვეყნის მასშტაბით აქვს წარმოება მონოპოლიზებული, მაინც ვერ იქნება კონკურენციისგან დაცული და ვერ მიაღწევს ბაზრის აბსოლუტურად გაკონტროლებას;

4. მონოპოლიურ ბაზარზე შესვლა ძალიან გაძნელებული ან დაბლოკილიც კია. მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქაც შესვლის ბარიერები ყოველთვის გადაულახავი არაა. ბარიერების ხასიათზე და სიმაღლეზე დამოკიდებულებით განასხვავებენ სამი სახის მონოპოლიას: დახურულ, ბუნებრივ და ღია მონოპოლიას. დახურულია კონკურენციის იურიდიული აკრძალვით (მაგალითად, რეგისტრირებული პატენტებით) დაცული მონოპოლია. ბუნებრივი მონოპოლია იმ დარგში ჩნდება, რომელშიც გრძელვადიანი საშუალო დანახარჯები მინიმალურია მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელ ბაზარს მხოლოდ ერთი ფირმა ემსახურება; ამგვარად, მას საფუძვლად უდევს ეკონომია წარმოების მასშტაბებზე. ღია მონოპოლია ისეთი მონოპოლიაა, რომლის დროსაც ერთი ფირმა რაღაც დროით მაინც ხდება საქონლის ერთადერთი გამყიდველი, მაგრამ არა აქვს სპეციალური დაცვა კონკურენციისგან. ასეთია ის ფირმები, რომლებიც პირველები გამოვიდნენ ბაზარზე ახალი პროდუქციით. თუმცა,

მოგეანებით ბაზარზე მათი კონკურენტებიც შეიძლება გამოჩნდნენ.

5. ფასების მნიშვნელოვნად გაკონტროლება. მონოპოლისტი მოქმედებს არა როგორც „ფასზე დათანხმებული", არამედ როგორც „ფასის ამრჩევი" (პრიცე-სეარცჰერ). ამის მიზეზი აშკარაა: იგი უშვებს და, ცხადია, აკონტროლებს მიწოდების მთელ მოცულობას.

თანამედროვე პირობებში დასავლეთის საბანკო ბაზრები დიფერენცირებული ოლიგოპოლიის მოდელისკენ მიისწრაფიან. აღსანიშნავია, რომ დასავლელი სპეციალისტების აზრით, ამგვარი საბაზრო სტრუქტურა საუკეთესოა ჯანსაღი კონკურენციის თვალსაზრისით.

3.5.3. საბანკო კონკურენციის თავისებურებები

საბანკო კონკურენციის აღმოცენება. საბანკო კონკურენციის გაჩენა, ზუსტად ისევე, როგორც საკრედიტო ურთიერთობებისა და საბანკო სისტემის აღმოცენება, კანონზომიერი პროცესია.

როდის გაჩნდა საბანკო კონკურენცია? მართალია, კონკურენტული ქცევის ზოგიერთი ნიშანი შეიძლება ეუპოოთ შუა საუკუნეების ყველაზე პირველ ბანკებს და საკრედიტო ინსტიტუტების ძველ პირველსახეებსაც კი, მაგრამ რეალური საბანკო კონკურენციის შესახებ საუბარი XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე ნაადრევია. ერთი მხრივ, ეს განპირობებულია ეკონომიკური მიზეზებით: ბანკები შედარებით ცოტა იყო, ბაზარი არ იყო გაჯერებული და ასეთ პირობებში არსებობდა საკუთარი საქმის გაფართოების შესაძლებლობა „ყოლეგების" ინტერესების შეულახავად. მეორე მხრივ, საბანკო კონკურენციის განუვითარებლობა უკავშირდება ბანკირთა სპეციფიკურ სამეწარმეო ეთიკას. რომლის თანახმადაც საბანკო საქმეს აღიქვამდნენ ჩვეულებრივი კომერციისგან, საქონლით ვაჭრობისგან პრინციპულად განსხვავებულ საქმედ. „Banking is a profession, not a trade" („საბანკო საქმე პროფესიაა და არა ვაჭრობა"), – ამბობდნენ ინგლისელები.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ბრიტანეთის საბანკო წრეებში უსინდისოდად მიაჩნდათ ერთმანეთისთვის კლიენტების წართმევა, უფრო მეტიც, თუ კლიენტი სხვა ბანკიდან გადმოვიდოდა საკუთარი ნებით, მას ანგარიშს არ უხსნიდნენ ამ ბანკთან წინასწარ მოთათბირების გარეშე. რაც შეეხება ახალი ბანკების ან მათი ფილიალების ადგილსამყოფელის შერჩევას, ეს იმ ანგარიშით კეთდებოდა, რომ ისინი არ მოხვედრილიყვნენ უკვე არსებული ბანკების საქმიანობის სფეროში.

მაგრამ XXI საუკუნის მოჯანზე ვითარება შეიცვალა და ბანკებს დაუდგათ კონკურენციის, „კლიენტებზე ხდირობის" ეპოქა. თუ ადრე კლიენტი თვითონ უნდა წასულიყო ბანკში ანგარიშის გასახსნელად, ახლა ბანკებმა კლიენტებს (უპირველეს ყოვლისა – მეწარმეებს) დაუწყეს მომსახურების შეთავაზება პირდაპირ „ბინაზე". ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იმაში, თუ ვინ შესთავაზებდა ყველაზე ხელსაყრელ პირობებს. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომელიც 1902 წელს აღნიშნა საბანკო ინსტიტუტის (Institute of Bankers. didi britaneTi) პრეზიდენტმა: ბანკები კონკურენციაში ჩაერთვნენ ისეთი გარიგებების გამოც კი. რომლებიც საბოლოოდ წამგებიანი შეიძლება ყოფილიყო. ამით იმ წუთიერ სარგებელს მსხვერპლად სწირავენ სტრატეგიულ კონკურენტულ უპირატესობებს.

საბანკო კონკურენცია XX საუკუნეში. XX საუკუნეში ევროპის საბანკო საქმემ ორი ღრმა სტრუქტურული ცვლილება განიცადა, რომლებიც კონკურენტულ ვითარებაშიც აისახა. პირველი მსოფლიო ომის წინ დასავლეთ ევროპის მსხვილი კერძო ბანკების ოპერაციების საფუძველს შეადგენდა მრეწველობის დაკრედიტება და ფასიან ქაღალდებზე გარიგებები. წვრილ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ძირითადად საკრედიტო ამხანაგობები ემსახურებოდნენ. შემხვეული სალაროები იფარგლებოდნენ მხოლოდ საშემხვეულო ოპერაციებით და მოზიდული დანაზოგების გამოყენებით გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის. უნაღდო ანგარიშები ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებული. ამგვარად, საკრედიტო ინსტიტუტების ყოველ ჯგუფს ჰქონდა გაელენის პრიორიტეტული სფერო, „სხვის" სფეროში ჩარევა კი შედარებით

იშვიათად ხდებოდა. და თუკი მსხვილი ბანკები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს, შემნახველი სალაროები, მაგალითად, სერიოზულ კონკურენტებად არ განიხილებოდა.

საბანკო საქმის პირველი მსხვილი სტრუქტურული გარდაქმნა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა საბანკო საქმეში რაციონალიზაციის ტალღასთან დაკავშირებით. იგი უნაღდო ბრუნვის უაღრესად ძლიერმა გაფართოებამ გამოიწვია. სწორედ ამ პერიოდში დასავლეთის კომერციულ ბანკებში შემოვიდა პერფობარათებზე მომუშავე წარმოება კლიენტების მიერ. ამის წყალობით ბანკებმა მოიცვეს კლიენტურის ახალ-ახალი წრეები, რაც ეკონომიკის საბანკო სექტორში კონცენტრაციის გაძლიერების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. მსხვილმა ბანკებმა შთანთქეს მრავალრიცხოვანი წვრილი კერძო და პროვინციული ბანკები. თავის მხრივ, მსხვილ ბანკებს შორისაც მოხდა არაერთი შერწყმა. მაგალითად, თუ გერმანიაში ფილიალების განშტოებული ქსელის მქონე ათი მსხვილი ბანკი იყო, 1931 წელს იქ მხოლოდ სამი დარჩა.

საბანკო საქმის მეორე მსხვილი სტრუქტურული გარდაქმნა დასავლეთ ევროპაში დაიწყო 1960-იან წლებში, როდესაც ყველა საკრედიტო ინსტიტუტის რესურსების პირველხარისხოვან წყაროდ იქცა მოსახლეობის საშემნახველო ანაბრები. ამ პერიოდში მოხდა ბანკების მასობრივი ოპერაციების გაფართოება.

მსხვილი კომერციული ბანკები აქამდე მხოლოდ საწარმოებსა და შემოსავლების მაღალი დონის მქონე კერძო პირებს ემსახურებოდნენ. მოსახლეობის ფართო მასებს არსებითად მხოლოდ შემნახველ სალაროებზე მიუწვდებოდათ ხელი. ვითარება მკვეთრად შეიცვალა მოსახლეობის ფართო მასების შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებით და მათ ბანკების პერსპექტიული კლიენტების მდგომარეობას მიაღწიეს. ამას ხელფასის უნაღდოდ გაცემის შემოღებამაც შეუწყო ხელი. ასეთ ვითარებაში ყველაზე მეტად მოიგეს, რა თქმა უნდა. შემნახველმა სალაროებმა, რომლებსაც საუკეთესო კავშირები ჰქონდათ „უბრალო ხალხთან". მაგრამ მათთან ერთად მსხვილმა ბანკებმაც მოინდომეს თავიანთი წილი დამატებითი კლიენტურის მოპოვება და მოსახლეობას დაუწყეს ანგარიშების გახსნა.

ამ პირველი ნაბიჯის შემდეგ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანგარიშების მილიონობით მფლობელის გადაქცევას ბანკების ნამდვილ კლიენტებად. ამას იმით მიაღწიეს, რომ მათ დაეხმარნენ უნაღდო ანგარიშების ფორმების ათვისებაში, პირველ რიგში — სამომხმარებლო კრედიტების ასორტიმენტის გაფართოების ხარჯზე. შემდეგ, კერძო კლიენტების მოზიდვისა და შენარჩუნებისათვის დაინერგა მრავალფეროვანი საშემნახველო გეგმები. გარდა ამისა, კომერციულმა ბანკებმა და ბანკების ჯგუფებმა დაიწყეს საინვესტიციო კომპანიების შექმნა, რომლებიც უმნიშვნელო მოცულობის დანაზოგების დროსაც კი იძლეოდნენ ფასიან ქაღალდებში მათი დაბანდების შესაძლებლობას. ფაქტობრივად, ბანკებმა სერიოზულად პირველად მიმართეს მარკეტინგს.

ყველა საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტის მასობრივი ოპერაციების გაფართოებამ წაშალა ბანკების სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებანი, გამოიწვია საბანკო საქმიანობის უნივერსალიზაცია და ამის შედეგად გაამძაფრა საბანკო კონკურენცია.

60-იან წლებში დაიწყო კიდევ ერთი პროცესი, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამწვავა ევროპის საბანკო ბაზრებზე არსებული კონკურენციული ვითარება — კომერციული ბანკების სახელმწიფო რეგულირების ლიბერალიზება; 80-იან წლებს ახასიათებს კონკურენციის კიდევ უფრო გამწვავება. ფასების მიმართ კლიენტების მგრძნობიარობის ზრდამ განვითარებულ ქვეყნებში გამოიწვია კრედიტებსა და ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის მარჟის შემცირება. საბანკო საქმიანობის შრომის ანაზღაურებასა და მატერიალურ უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯების გადიდებასთან ერთად ამან კიდევ უფრო დასცა ფასისმიერი კონკურენციის შესაძლებლობები. საბანკო მომსახურების გასაღების შიდა ბაზრები, განსაკუთრებით — დასავლეთ ევროპაში, არსებითად ამოწურული აღმოჩნდა, რასაც ამძიმებდა მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის ტემპების კლება და

საკრედიტო რისკების მომატება.

გარდა ამისა, თანამედროვე საბანკო კონკურენციას ახასიათებს გლობალიზაციის ტენდენცია. იგი გამომდინარეობს საფინანსო ბაზრების ინტერნაციონალიზაციის უფრო ზოგადი კანონზომიერებიდან, რომელიც XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში გააქტიურდა და ვლინდება ქვეყნების შორის სასესხო კაპიტალის გადიდების სულ უფრო მზარდ მოცულობებში. 90-იან წლებში ამ პროცესს სამი თავისებურება ახასიათებდა:

ჯერ ერთი, თუ 70-80-იან წლებში ინტერნაციონალიზაციის პროცესი უპირატესად მოიცავდა საბაზრო ეკონომიკის მქონე განვითარებულ ქვეყნებს, 90-იან წლებში იგი განვითარებად ქვეყნებზეც გაერცელდა, პირველ რიგში კი – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოებზე;

მეორე, მრავალმა განვითარებადმა ქვეყანამ განელო ეროვნული საფინანსო ბაზრების ფორმირების პირველი ეტაპი და შეუდგა მეორე ეტაპს – ამ ბაზრების საქმიანობის ლიბერალიზაციას, რამაც უზრუნველყო მათი აქტიური ინტეგრაცია საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობების სისტემაში;

მესამე, საფინანსო ბაზრების ინტერნაციონალიზაციის პროცესში (განსაკუთრებით – განვითარებად ქვეყნებში) სულ უფრო მზარდ როლს თამაშობდა კერძო კაპიტალი – კერძო პირდაპირი და საპორტფელო ინვესტიციები, უცხოური კომპანიების საბანკო საქმიანობა ეროვნულ საფინანსო ბაზრებზე, უცხოური კომერციული ბანკების კრედიტები.

ასეთ პირობებში დასავლეთის ბანკებმა ინტერესი გამოავლინეს გასაღების ახალი ბაზრების მიმართ, უპირველეს ყოვლისა – აღმოსავლეთ ევროპაში. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საბანკო კონკურენციას შემდეგი ძირითადი ტენდენციები აქვს:

- საბანკო საქმიანობის უნივერსალიზაცია, საფინანსო კონგლომერატების ჩამოყალიბება;
- არასაბანკო სტრუქტურების ფართო მასშტაბით შეჭრა საბანკო ბაზარზე;
- საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის რეგიონული და ეროვნული სფეროების გაფართოება, საბანკო კონკურენციის გლობალიზაცია;
- არაფასისმიერი კონკურენციის მნიშვნელობის მუდმივად ზრდა;
- კონკურენციის სახელმწიფოებრივი რეგულირების ლიბერალიზაცია.

ყველა დასახელებული ტენდენციის ერთობლივად მოქმედების შედეგია საბანკო კონკურენციის ინტენსიობის გაძლიერება.

მოკლე დასკვნები

1. ბანკების საქმიანობა ხორციელდება კონკრეტულ გარემოში, რომელიც განსაზღვრავს ბანკებსა და მის კლიენტებს, ბანკებსა და ეკონომიკურ ურთიერთობათა სხვა სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათსა და პირობებს. კომერციული ბანკები, როგორც საბაზრო მეურნეობის პროდუქტი, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საფინანსო ბაზრებზე, როგორც მათი განუყოფელი მონაწილეები.

2. ფინანსური ბაზარი, ფართო გაგებით, არის სხვადასხვაგვარი აქტივებისა და ვალდებულებების მოძრაობა. იგი ფინანსური აქტივებითა და ინსტრუმენტებით ვაჭრობის ორგანიზებულ და არაფორმალურ სისტემას წარმოადგენს. ცალკეულ ფინანსური ბაზრებში სხვადასხვა ფულადი ნაკადები ერთიანდებიან: სავალუტო ბაზარი, ფულადი სახსრების ბაზარი, ინვესტიციების ბაზარი და სხვ.

3. საბანკო ბაზარი უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ ის ბაზრები, რომლებიც სპეციფიკურად საბანკოა, სახელდობრ კი – საბანკო მომსახურების გასაღების ბაზრები. თუმცა ასე ვიწროდ განმარტების დროსაც კი საბანკო ბაზარი წარმოადგენს ძალიან რთულ წარმონაქმნს, რომელსაც ერთობ ფართო საზღვრები აქვს და უამრავი

ელემენტისაგან შედგება. საბანკო ბაზარი წარმოადგენს საბანკო მომსახურების ბაზრების ერთობლიობას, რომელიც შეგვიძლია საბანკო დარგების სისტემად წარმოვადგინოთ.

4. საბანკო ბაზარზე ძირითადი კონკურენცია იშლება კომერციულ ბანკებს შორის ანუ იმ საბანკო ინსტიტუტებს შორის, რომლებიც ორდონიან საბანკო სისტემის მეორე, ქვედა საფეხურზე იმყოფებიან და საბანკო მომსახურებას უწევენ კლიენტურას. ცენტრალური ბანკები არ უნდა ჩაებან ბანკების კლიენტებისათვის გამართულ უშუალო კონკურენციაში. საბანკო ბაზრის მოპაექრე სუბიექტების ამ ძირითადი ჯგუფის შიგნით ტრადიციულად გამოყოფენ უნივერსალური და სპეციალიზებული ბანკების ქვეჯგუფებს. საბანკო ბაზრის კონკურენტი ჯგუფებია აგრეთვე არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები და არასაფინანსო საწარმოები და ორგანიზაციები, ანუ, როგორც მათ ზოგჯერ უწოდებენ, არასაბანკო ბანკები.

5. საბანკო ბაზრის სტრუქტურირება ხდება საქონლის (პროდუქტის) ნიშნით ე.ი. გაწეული მომსახურების სახეობის მიხედვით. მომსახურების ბაზარი, საინვესტიციო მომსახურების ბაზარი, საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურების ბაზარი, სატრასტო მომსახურების ბაზარი, საკონსულტაციო მომსახურების ბაზარი, სხვა ბაზრები.

საბანკო ბაზრის სტრუქტურირების შემდეგი კრიტერიუმია საბანკო მომსახურების მომხმარებელთა ჯგუფები, რომლის სეგმენტაციის საფუძველია: სამართლებრივი, ეკონომიკური, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ქცევითი და ა.შ. ნიშან-თვისებები; აგრეთვე სივრცობრივი ნიშანი (ლოკალური, ეროვნული და საერთაშორისო).

6. საბაზრო კონკურენციის შინაარსი მისი სუბიექტების პაექრობაში ანუ შეჯიბრებაში მდგომარეობს. საბაზრო კონკურენციის ობიექტია კონკურენტი სუბიექტების ეკონომიკური სარგებელი. გამყიდველისათვის (ბანკისათვის) იგი გამოიხატება საქონლის გაყიდვიდან მაქსიმალური მოგების მიღებაში, მყიდველისათვის კი – მაქსიმალური სარგებლიანობის შეძენაში საქონლის ყიდვის დროს. საბანკო კონკურენციის სუბიექტად გვევლინებიან არამარტო თვითონ ბანკები, არამედ საბანკო ბაზრის მონაწილე ყველა სხვა საფინანსო და არასაფინანსო დაწესებულებები. აქედან გამომდინარე, საბანკო კონკურენცია შეგვეძლია განვმარტოთ, როგორც საბანკო ბაზრის სუბიექტების მეტოქეობის დინამიკური პროცესი, რომლის მსვლელობაშიც ისინი ცდილობენ მყარი მდგომარეობის მიღწევას ამ ბაზარზე.

7. საბანკო კონკურენციის ძირითადი ფორმებია: გამყიდველთა და მყიდველთა კონკურენცია; ინდივიდუალური და ჯგუფური კონკურენცია, შიდადარგობრივი და დარგთაშორისი კონკურენცია; ფასისმიერი და არაფასისმიერი კონკურენცია; სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენცია.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტებები

ბაზარი – საბაზრო ეკონომიკაში აღწარმოების მთელი პროცესის მომცველი ფენომენი, ეკონომიკური სივრცე, სადაც თვითრეგულირების მექანიზმის საფუძველზე ყალიბდება ურთიერთობა საქონლისა და მომსახურების მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. ბაზარი გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. მისთვის დამახასიათებელია: 1. საკუთრების პლურალიზმი და მეურნეობის მრავალფეროვნება; 2. მწარმოებელთა დამოუკიდებლობა და მათი ეკონომიკური პასუხისმგებლობა; 3. მეწარმეობაში რეგლამენტაციის არქონა, რაციონალიზმი კონტრაპენტის არჩევაში და სხვ. საბაზრო კონკურენციის მონაწილის მამოძრავებელი სუბიექტური მიზანი მაქსიმალური მოგების მიღება ბაზრის „უხილავი ხელით“, საბოლოო ანგარიშით ზეგაელენას

ახდენს საზოგადოებრივ ინტერესებზე და აყალიბებს ობიექტურ კანონზომიერებებს, რომლებიც გამოხატულებას ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში პოვებს.

ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები – ფინანსების, მომსახურების სახეების მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება კლიენტების მიერ შესაბამის ტერიტორიებზე საბანკო და საფინანსო მომსახურების ეკონომიკური შესაძლებლობებით.

ბაზრის ტენდენცია – მომსახურების, მათზე ფასების განვითარების და მოძრაობის ძირითადი მიმართულებები

ბაზრის მართვა – ბაზარზე სახელმწიფოს რეგულირებადი ზემოქმედება, რომელიც ძირითადად ხორციელდება გადასახადების, სააღრიცხვო განაკვეთების, რეზერვირების ნორმირების საშუალებით.

ბაზრის მონაწილენი – პირები, რომლებიც საფინანსო ბაზარზე თავისი კლიენტების სახელით ყიდიან და/ან ყიდულობენ, ან უწევენ მომსახურეობას თავიანთი ანგარიშით.

ბაზრის შესწავლა – ბაზრების მდგომარეობის მათი სტრუქტურის, მოცულობის და თავისებურებების შესახებ მიზანდასახული ინფორმაციის მიღება.

ბანკთაშორისი კრედიტების ბაზარი – სასესხო კაპიტალების ბაზრის ნაწილი, სადაც საკრედიტო დაწესებულებების დროებით თავისუფალი ფულადი რესურსები მოიზიდება და განთავსდება უპირატესად ბანკთაშორისი დეპოზიტების სახით მოკლე ვადებით.

ინვესტიციის ბაზარი – დასავლურ ლიტერატურაში ინვესტიციის ბაზარს უწოდებენ, ერთი მხრივ, ინვესტორებს, ხოლო, მეორე მხრივ, ინვესტორებსა და ინვესტიციების საბოლოო რეციპიენტებს შორის აქტივების (უპირატესად ფინანსური აქტივებით) ვაჭრობის ორგანიზაციის სისტემას. ინვესტიციის ბაზარი აერთიანებს სასესხო კაპიტალის ბანკებს, საფინანსო ბაზრებს, აგრეთვე ზოგიერთი რეალური აქტივის (მაგალითად ძვირფასი ლითონების და ქვების, ანტიკვარიატის, უძრავი ქონების) ბაზრებს, რომლებიც იყოფა დაბანდებათა ხანგრძლივობის პრინციპებისა და ორგანიზაციის დონის მიხედვით. ინვესტიციის ბაზარს ხშირად განმარტავენ როგორც გრძელვადიანი კაპიტალის ბაზას „Capital market"-ს. თავის მხრივ ამ ტერმინს ხშირად ხმარობენ საკუთრების ბაზრის - „Eguity market"-ის ცნების სინონიმად, რომელიც უპირველეს ყოვლისა, აქციების ბაზარს მოიცავს.

ნაღდი ფულადი სახსრების ბაზარი – ბაზარი, სადაც ხდება გარიგებების შესრულება მათი დადებიდან არაუგვიანეს ორი დღისა.

ოქროს ბაზარი – საკრედიტო ორგანიზაციების და განსაკუთრებული ცენტრებული ერთობლიობა, სადაც წარმოებს ოქროთი რეგულარული ყიდვა-გაყიდვა. აქ ხდება ბანკების და სპეციალიზებული ორგანოების მიერ ოქროთი ვაჭრობა, მისი გასუფთავება და სლიტკების დამზადება. ოქროს საერთაშორისო მთავარი ბაზრებია - ლონდონი და ციურიხი. ამ ბაზრებზე ოქროს ფასი მსოფლიო ფასებად ითვლება.

სავალუტო რეგულირების ფონდი – უცხოურ და ნაციონალურ ვალუტაში სახსრები, რომლებიც გამიზნულია სავალუტო ინტერვენციების დახმარებით სავალუტო კურსების რეგულირებისათვის.

საერთაშორისო საფინანსო ცენტრები – სასესხო კაპიტალების საერთაშორისო ბაზრის ცენტრები. განვითარებულ ქვეყნებში - ნიუ-იორკის, ტოკიოს, ლონდონის, პარიზის, ფრანკფურტ-მაინის, ციურიხის, ლუქსემბურგის; განვითარებადში ჰონკონგის, სინგაპურის, ბაზრეინის და სხვ. ამგვარი ცენტრებისათვის დამახასიათებელია ბანკების და სხვა ფინანსურ საკრედიტო ცენტრების მაღალი კონცენტრაცია, ფინანსურ-საკრედიტო ოპერაციებისათვის ლიბერალური საგადასახადო და სავალუტო რეჟიმი, კომპიუტერული კავშირების მძლავრი სისტემები.

სავალუტო ბაზარი - საკრედიტო ორგანიზაციების და ოფიციალური ცენტრების ერთობლობა, სადაც თავმოყრილია (ხდება) ვალუტის ყიდვა-გაყიდვა მოთხოვნა-მიწოდების საფუძ-

ველზე. სავალუტო ბაზარი, როგორც ინსტიტუციური მექანიზმი, ბანკების, ვალუტის ბირჟების, სავალუტო განყოფილებების, მსხვილი, პირველ ყოვლისა, ტრანსეროვნული კორპორაციების სპეციალიზებული საბროკერო ფირმების ერთობლიობაა.

სასესხო კაპიტალების ბაზარი – ფინანსური ბაზრის ნაწილი, სადაც ფორმირდება მოთხოვნა და მიწოდება საშუალო და გრძელვადიან სასესხო კაპიტალზე.

საფინანსო ინსტრუმენტები – ბაზარზე მიმოქცევადი ფინანსური ვალდებულებები და უფლებები დოკუმენტალურ ფორმაში. მათ შეიძლება მიეკუთვნოთ: ფასიანი ქაღალდები, ფულადი ვალდებულებები, ვალუტა, ფიუჩერსები, ოპციონები და ა.შ.

საფონდო ბაზარი – ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილი; იქმნება დილერების ნაციონალური ასოციაციის წევრების მიერ. ფასიან ქაღალდების ოპერაციებთან დაკავშირებით. ფასიანი ქაღალდების პირველადი და მეორადი განლაგების (მოთავსების) მიზნით.

ფინანსური ბაზარი – მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების, ინვესტიციების, ფასიანი ქაღალდების, ანაბრების და ა.შ. ერთობლიობა. ფინანსური ბაზარი მოიცავს კაპიტალების ბაზარს (საშუალო და გრძელვადიანი კრედიტები, ფასიანი ქაღალდები), ფულად ბაზარს (მოკლევადიანი კრედიტები, ფასიანი ქაღალდები) და სავალუტო ბაზარს.

ფულადი სახსრების ბაზარი – ფინანსური ბაზრის ნაწილი, სადაც ხორციელდება ძირითადად მოკლევადიანი სადეპოზიტო-სასესხო ოპერაციები, იგი პირველყოვლისა ემსახურება ფირმების, დაწესებულებების, სახელმწიფოს და კერძო პირების ბანკების, მოკლევადიანი რესურსების საბრუნავი კაპიტალის მოძრაობას.

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. განსხვავდებიან თუ არა განმარტებები: „ფინანსური ბაზარი“ და „ფულადი ბაზარი“?
2. რომელი სუბბაზრებისაგან შედგება ფინანსური ბაზარი?
3. რა შედის ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტებში?
4. დაახასიათეთ ინვესტიციების ბაზარი
5. რა გავლენას ახდენს სავალუტო ბაზარი ეკონომიკაზე?
6. როგორ ფუნქციონირებს უნაღდო სავალუტო ბაზარი?
7. რა შედის ფულადი სახსრების ბაზრის შემადგენლობაში?
8. რა თავისებურებებით ხასიათდება ფინანსური ბაზრების ფუნქციონირება ეკონომიკური კრიზისების პერიოდში?
9. რა არის საბანკო ბაზარი?
10. კრიტიკულად შეაფასეთ გამონათქვამი: „საბანკო კონკურენცია ბანკებს შორის გამართული კონკურენციაა“
11. გააანალიზეთ შემდეგი მტკიცებები: 1. საბანკო კონკურენცია სიკეთეა. 2. საბანკო კონკურენცია ბოროტებაა. 3. საბანკო კონკურენცია თითქმის არ არის. 4. საბანკო კონკურენცია წარმატებით ვითარდება.

დაასაბუთეთ თითოეული მათგანი.

12. ერთნაირად აფასებენ თუ არა კონკურენციის როლსა და მნიშვნელობას ცალკეული საბანკო ინსტიტუტები და სახელმწიფო?
13. რა არის საბანკო ბაზრისადმი დარგობრივი მიდგომის არსი? როგორია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა?

14. არსებობდა თუ არა ბანკებს შორის კონკურენტული ურთიერთობები ჩვენი ეკონომიკის განვითარების საბჭოთა პერიოდში? რატომ?

15. შესაძლებელია თუ არა კონკურენტულ ურთიერთობათა არსებობა ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში?

16. როგორია კონკურენციის ძირითადი ფორმები? დაახასიათეთ თითოეული ფორმა ცხოვრებიდან აღებული მაგალითებით.

რეკომენდირებული ლიტერატურა

ასათიანი რ. ეკონომიკსი. განმარტებითი ლექსიკონი, თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე". 2003.

ეკონომიკური ლექსიკონი. ავტ. კოლექტივი პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით. თბ., თსუ გამომცემლობა, 2001.

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

ვერნონი რ. სახელმძღვანელო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. ჟურნ. „ეკონომიკური რეფორმები დღეს", №12, 1999. გვ.14-17.

კაკულია მ. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბ., „ფინანსები", 2001.

კოჭლანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., თსუ გამომცემლობა, 2001.

მესხია ი. ფინანსური სტაბილიზაციის საგარეო და საშინაო ფაქტორები საქართველოში. „შრომები". საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2000.

პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკის გაჯანსაღებისა და ნორმალიზაციისათვის საქართველოში. თბ., „ფინანსები", 2000.

პაპავა ვლ. საბაზრო თანასწორობის დოქტრინა, თბ., 1999.

ქოქიაური ლ. ინვესტიციის ბაზარი: თეორია, პოლიტიკა, პრაქტიკა. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2002.

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები. თ.ბ, 1993.

ხელაია გ. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები, თბ., 1994.

Банковский портфель. т. 1. М., Соминтех,1994.

Банковское дело. Под редакцией проф. **А.М. Тавасиева.** М., ЮНИТИ, 2001.

Деньги. Банки. Валюта. М., АО ДИС, 1994.

Денежная реформа в посткоммунистических странах. Пер. с нем. М., Международные отношения. 1996.

Международные валютно-кредитные отношения. Под. ред. **Л.М. Красовиной,** М., финансы и статистика. 1994.

Основы банковской деятельности (Банковское дело). Учебное пособие. Под.ред. проф. **Тагирбекова К.Р.** М., Издательский дом "ИНФРА-М", 2001.

Рынок ценных бумаг и его финансовые институты: Учебное пособие. Под.ред. **В.С. Торкановского,** Спб., АО "Комплекс", 1994.

Palfreman David., Ford Philip. Elements of Banking. Pritman Publishing. London. 1996.

Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling Financial Services. Second Edition. IRWIN. Honewood. Boston. 1993.

Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

მეოთხე თავი. ცენტრალური ბანკები

ტერმინები და ძირითადი ცნებები
4.1. ცენტრალური ბანკის წარმოშობა
4.2. ცენტრალური ბანკის დამოუკიდებელი სტატუსის შესახებ
4.3. ცენტრალური ბანკის ადგილი ეკონომიკაში
4.4. საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა
4.5. ეროვნული ბანკის მმართველობა
4.6. ცენტრალური ბანკის ფუნქციები
4.7. საემისიო საქმიანობის რეგულირება
4.8. ფულის მასა და მისი შეფასების მეთოდები
4.9. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა
4.9.1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნები და ძირითადი შედეგები
4.9.2. ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები
მოკლე დასკვნები
ტერმინების და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

ადგილობრივი ბიუჯეტი
აჟიო
აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემა
ბანკის სალაროს ბრუნვის პროგნოზი
ბანკის საწესდებო კაპიტალი
ბანკნოტი
ბიუჯეტი
ბიუჯეტის დეფიციტი
ემისია
ემიტირება
ემიტენტი
ეროვნული ანგარიშები
ეროვნული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა
ეროვნული ბანკის სარეზერვო ფონდი
ეროვნული ბანკის წმინდა შემოსავალი
ვალუტა
„იაფი“ ფული
ინფლაცია
იპოტეკა
კომერციული ბანკის რეზერვები
კონვერტირება
ლიკვიდური სახსრები
მონეტარიზაციის კოეფიციენტი
ნაღდი სახსრების კოეფიციენტი
რწმუნებული ბანკები
საბანკო რეზერვები
საგადასახდელო ბალანსი
საგარეო ვალი
საგარეო სახელმწიფო ვალის მომსახურება
საკრედიტო ფული
სარეზერვო პასივები
სარეზერვო ფონდები
საქართველოს ეროვნული ბანკი
სახელმწიფო ბიუჯეტი
ტარგეტირება
ფედერალური ბიუჯეტი
ფულად-საკრედიტო პოლიტიკა
ფულადი ბაზა

ფულადი სისტემა
ფული M1
ფული M2
ფული M3
ფული M4
ფულის აგრეგატი
ფულის ბაზრის ერთობლივი ფონდები
ფულის მასა
ფულის მასა მიმოქცევაში
ფულის მიწოდების და მოთხოვნის ფუნქცია
ქაღალდის ფული
ცენტრალური ბანკის ფუნქციები
„ძვირი“ ფული
წმინდა საოპერაციო მოგება/ზარალი

4.1. ცენტრალური ბანკის წარმოშობა

ყოველი განვითარებული სახელმწიფოს ფინანსური სისტემის წამყვანი ელემენტი დღეს არის ცენტრალური ბანკი, რომელიც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ოფიციალურ გამტარებლად გვევლინება. თავის მხრივ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საბიუჯეტო პოლიტიკასთან ერთად, ეკონომიკის მთელი სახელმწიფო რეგულირების საფუძველს შეადგენს. ამიტომ ცენტრალური ბანკის ეფექტიანად ფუნქციონირება საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანად ფუნქციონირების ერთ-ერთი პირობაა.

პირველი ცენტრალური ბანკი 300 წელზე მეტი ხნის წინათ გაჩნდა.

ცენტრალური ბანკების ისტორიიდან. ბაზრის სტიქიური განვითარებისა და ნამდვილი ფულის (ოქროსა და ვერცხლის) სტიქიური მიმოქცევის ეპოქაში ბანკები უპირატესად სავაჭრო ოპერაციების განხორციელების უბრალო შუამავლების როლში გამოდიოდნენ. მაგრამ მაშინაც ზოგი მათგანი გამოირჩეოდა მათი რიცხვიდან როგორც უფრო მსხვილი, ან ხელისუფლების საჭიროებათა მომსახურე ბანკი. მრავალი საუკუნის მანძილზე მსგავს როლს ასრულებდნენ ცნობილი, საკმაოდ დიდი ქონების მქონე და სანდო ბანკირები (სბანკო სახლები). თუმცა მთლიანობაში იმ ისტორიულ პირობებში (წმინდა სპეციფიკური განვითარება პლიუს ის, რომ სახელმწიფო შორს იდგა ეკონომიკისაგან) ბანკები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან სიდიდით და არა სპეციალიზაციით. მთავრობასთან სიახლოვეც კი არ აქცევდა რომელიმე ბანკს ცენტრალურ ბანკად მისი თანამედროვე გაგებით.

ცენტრალური ბანკის იდეა ჩაისახა შედარებით განვითარებულ კაპიტალისტურ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, როცა მასზე წარმოიშვა ისტორიული და ეკონომიკური მოთხოვნილება, სწორედ მაშინ, როცა ნათელი გახდა, რომ ბაზრის შემდგომ განვითარებას საერთოდ, კერძოდ კი, ცენტრალური ბანკის ფინანსური ბაზრის, როგორც სახელმწიფო (საზოგადოებრივად ორგანიზებული) მართვისა და ზედამხედველობის ერთ-ერთი ორგანოს გარეშე, შესაძლოა მნიშვნელოვანი ძვრები და გაუმართლებელი ზარალი მოჰყვეს.

დასავლეთის ქვეყნების უმეტესობაში ცენტრალური ბანკის ფუნქციას ასრულებდნენ გარკვეული ბანკები XIX ს-ის შუახანებიდან XX ს.-ის დასაწყისამდე. ასე, მაგალითად, საფრანგეთის ბანკი 1874 წლიდან, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა 1913 წლიდან. რუსეთის სახელმწიფო (ცენტრალური) ბანკი დაფუძნდა 1860 წ. თუმცა პირველი ცენტრალური ბანკები ბევრად ადრე წარმოიქმნენ: შვედეთის რისკბანკი – 1668 წ, ინგლისის ბანკი – 1694 წელს, ფინეთის ბანკი – 1811წ.

ისტორიული თვალთახედვით, სულ ახლახან დაფუძნდა თურქეთის ცენტრალური ბანკი; ეს მოხდა მხოლოდ 1930 წ. ჩინეთის სახალხო ბანკი შეიქმნა 1948 წ., თუმცა ცენტრალური ბანკის ფუნქციები მას მიენიჭა მხოლოდ 1983 წელს.

ბანკების საერთო რიცხვიდან რომელიმეს გამოყოფა ცენტრალური როლის შესასრულებლად ნიშნავდა შესაბამის ქვეყანაში ორდონიანი სბანკო სისტემის ჩამოყალიბების დაწყებას, რომლის ზედა დონეს იკავებს ცენტრალური ბანკი. თავის მხრივ, ბანკების ორდონიანი სისტემის შექმნის

აუცილებლობა განპირობებული იყო საბაზრო ურთიერთობათა წინააღმდეგობრიობით: ერთი მხრივ, ისინი მოითხოვენ მეწარმეობის და კერძო ფინანსური სახსრების ფლობის თავისუფლებას, რისი უზრუნველყოფაც ხდება ქვედა დონის ელემენტებით – კომერციული ბანკებითა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებით; მეორე მხრივ, მითითებული ურთიერთობები უნდა დარეგულირდეს (განხორციელდეს მიზანმიმართული ზემოქმედება და კონტროლი). ეს გარემოება კი მოითხოვს განსაკუთრებული ინსტიტუტის შემოღებას ცენტრალური ბანკის სახით.

ასე თუ ისე, ისტორიამ დაადასტურა, რომ ცენტრალიზაცია და საზოგადოებრივად ორგანიზებული კონტროლი წარმოადგენენ საბანკო სისტემის ეფექტურობის აუცილებელ წანამძღვრებს. საბანკო საქმის განსაკუთრებულად დეცენტრალიზებულ არსებობასა და განვითარებას, რომელიც თავის დროზე ყველა ქვეყანაში მოხდა, დამატებითი უწესრიგობა შეჰქონდა უიმისოდაც სტიქიურ ეკონომიკაში ქაღალდის ფულის არაერთგვაროვნების, ცუდი რეგულირებისა და ეკონომიკის მოთხოვნების შეუსაბამო ფულადი მოთხოვნების გამო. ფულადი და საკრედიტო ურთიერთობების რეგულირების ფუნქციების მქონე ცენტრალური ბანკების შექმნა წარმოადგენდა მნიშვნელოვან ისტორიულ აღმოჩენას, რაც შესაძლებელს ხდიდა ბაზრის სტიქიის ალაგმვას ამ სპეციფიკურ სფეროში კერძო მეწარმეობის შედარებითი თავისუფლების დაცვით.

თავდაპირველად ტერმინი „ცენტრალური ბანკი" გულისხმობდა ყველაზე მსხვილ ბანკს საკრედიტო სისტემის ცენტრში. შემდეგში ამგვარმა ბანკებმა მოახდინეს ზოგიერთი სპეციფიკური ფუნქციების მონოპოლიზება, ხოლო განსაზღვრულ ეტაპზე ხელისუფლებამ მოახდინა მათი ნაციონალიზება (სააქციო სტატუსი, ამასთან, შეიძლება შენარჩუნებული იყოს). უმეტეს შემთხვევებში ცენტრალური ბანკის კაპიტალი მთლიანად ეკუთვნის სახელმწიფოს. მაგრამ, როგორც ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, მას შეიძლება ჰყავდეს სხვა აქციონერებიც – კომერციული ბანკები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები. ცენტრალური ბანკები კომერციულ ბანკებთან შედარებით უფრო მოკრძალებულია თავისი კაპიტალისა და ბალანსის მასშტაბებით. ხოლო მათი ფუნქციები და საბანკო სისტემაზე ზემოქმედების მეთოდები მუდმივად მოდიფიცირდება. ამასთან, დასახელებული ბანკების არსი პრინციპში უცვლელია და მდგომარეობს ქვეყანაში ბანკების მეშვეობით ფულადი და საკრედიტო ნაკადების რეგულირების გზით სახელმწიფოს, საზოგადოებასა და ეკონომიკას შორის შუამავლობაში. რა კონკრეტული ფუნქციაც არ უნდა დააკისრო ცენტრალურ ბანკს, ის ყოველთვის დარჩება ეკონომიკის ფულადი კომპონენტების მარეგულირებლად და მის საქმიანობაში შერწყმულია სახელმწიფო უწყებისა და ბანკების ინტერესები.

ცენტრალური ბანკები პირველად წარმოიშვა, კომერციული ბანკების სახით, რომლებსაც ჰქონდათ ემისიის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ პირველ საემისიო ბანკად მიიჩნევენ 1694 წ. შექმნილ ინგლისის ბანკს, რადგანაც პირველად მან დაიწყო ბანკნოტების გამოშვება და კომერციული თამასუქების აღრიცხვა.

ცენტრალური ბანკების ყველგან გავრცელება და მათ მიერ თანამედროვე მნიშვნელობის შეძენა მხოლოდ XX საუკუნეში მოხდა. საერთაშორისო საფინანსო კონფერენციაზე, რომელიც ბრიუსელში ჩატარდა 1920 წელს, აღნიშნეს: „იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს ცენტრალური საემისიო ბანკი, უნდა შეიქმნას". უფრო მეტიც: „ბანკები, განსაკუთრებით საემისიო ბანკი, უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკური ზეწოლისაგან, ისინი გონივრული ფინანსების პრინციპზე უნდა იმართებოდეს".

თავდაპირველად ზედა დონის ბანკებს საემისიო ბანკებს უწოდებდნენ და მათ ქმნიდნენ როგორც განსაკუთრებული უფლებემოსილებით აღჭურვილ სააქციო კომპანიებს. „ცენტრალურ ბანკს" უწოდებდნენ იმ ყველაზე მსხვილ ბანკს, რომელიც საბანკო სისტემის ცენტრში იმყოფებოდა. შემდეგ ამგვარი ბანკები თანდათანობით ახდენდნენ ზოგიერთი სპეციფიკური ფუნქციის მონოპოლიზებას და განვითარების გარკვეულ ეტაპზე სახელმწიფოები ახორციელებდნენ მათ ნაციონალიზებას. ამასთან ცენტრალური ბანკების სააქციო სტატუსი ზოგიერთ ქვეყანაში შენარჩუნებულია.

მაგალითად იტალიის ბანკის კაპიტალი ბანკებს და სადაზღვეო კომპანიებს ეკუთვნის, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის კაპიტალი კი – ამ სისტემის წევრ ბანკებს.

ცენტრალურ ბანკებს შესაძლოა ჰქონდეს კაპიტალის საკუთრების შერეული ფორმა, როცა მათი კაპიტალის ნაწილი სახელმწიფოს ეკუთვნის, ნაწილი კი იურიდიული და/ან ფიზიკური პირების ხელშია. მაგალითად, იაპონიის ბანკის კაპიტალის 55% სახელმწიფოს ეკუთვნის, 45% კი კერძო პირებს; ავსტრალიაში კაპიტალის 50% სახელმწიფოს ეკუთვნის, 50% კი რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების საკუთრებაა.

უმრავლეს შემთხვევაში ცენტრალური ბანკის კაპიტალი მთლიანად სახელმწიფოს ეკუთვნის (ინგლისი, საფრანგეთი, დანია, რუსეთი, საქართველო და სხვა).

გამოყენენ რა კომერციულ ბანკების კაპიტალის მნიშვნელოვანი ზომითა და ჩატარებული ოპერაციების დიდი მოცულობით, ცენტრალურმა ბანკებმა დაკარგეს თავიანთი პოტენცია და ამ სფეროში ლიდერობა კომერციულ ბანკებს დაუთმეს. მათმა ფუნქციებმა და საფინანსო სისტემაზე ზემოქმედების მეთოდებმა მოდიფიცირება განიცადა, ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის მდგომარეობაზე გავლენის ხარისხი კი განუზომლად გაიზარდა. ამასთან ფულად-საკრედიტო სისტემის ფორმირებაზე ცენტრალური ბანკის გავლენის ხარისხი ამა თუ იმ ქვეყანაში არაერთგვაროვანია და თავისუფლების იმ ხარისხზეა დამოკიდებული, რომელიც ცენტრალურ ბანკს და მის ხელმძღვანელობას გააჩნია.

ცენტრალური ბანკის მმართველს პოსტზე ნიშნავს მონარქი, პრეზიდენტი ან პარლამენტი. თავისი კანდიდატურის გაყვანა მთავრობასაც შეუძლია, ამ შემთხვევაში მთავრობა საპარლამენტო უმრავლესობას უნდა ეყრდნობოდეს. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა და მრავალ ქვეყანაში სწორედ მთავრობა სთავაზობს პარლამენტს ოფიციალურად ცენტრალური ბანკის მეთაურს.

ცენტრალური ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობის თანამდებობაზე ყოფნის დრო ან საერთოდ არაა შეზღუდული (დანია, ნორვეგია, ფინეთი), ანდა ეს დრო საკმაოდ დიდია – 7 წელი კანადაში, ავსტრალიასა და ნორვეგიაში, 8 – გერმანიაში.

სახელმწიფო ორგანოებზე ყველაზე უფრო მეტადაა დამოკიდებული საფრანგეთისა და იტალიის ცენტრალური ბანკები, სადაც ამ ბანკების საქმიანობაში ჩარევის უფლება მთავრობას კანონმდებლობით აქვს განმტკიცებული. დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, შვედეთისა და ნიდერლანდების კანონმდებლობაში მკაფიოდაა დადგენილი სახელმწიფო ორგანოების უფლება გააუქმონ ცენტრალური ბანკების გადაწყვეტილებები, აგრეთვე, მითითებები მისცენ მათ. ყველაზე უფრო დამოუკიდებელია გერმანიისა და შვედეთის ბანკები. ამ ქვეყნების კანონმდებლობაში არ არსებობს ისეთი ნორმები, რომლებიც ცენტრალური ბანკის მიერ გატარებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ჩარევის უფლებას მისცემდა მთავრობას. ამგვარად, ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის დონე შემდეგნაირად შეგვეძლია დავახასიათოთ: ინგლისის ბანკს შუალედური ადგილი უჭირავს გერმანიის ბუნდესბანკსა (მაქსიმალურად გავლენიანი და დამოუკიდებელი დაწესებულება) და საფრანგეთის ბანკს (მთავრობაზე მთლიანად დამოკიდებული დაწესებულება) შორის. ფინეთის ცენტრალური ბანკი ტრადიციულად საკანონმდებლო ხელისუფლებასაა მიბმული, გავლენიანი როლი აქვს და უმაღლეს სახელმწიფო მოღვაწეთა მომწოდებლად გამოდის. იტალიაში ცენტრალური ბანკის როლი მაღლდება მისი ხელმძღვანელობის ხარჯზე მთავრობის გამუდმებულად ცვლის პირობებში.

რადგანაც მთავრობა, უპირველეს ყოვლისა, მოკლე და საშუალო ვადიან მიზნებზე ზრუნავს (მომდევნო არჩევნებზე გამარჯვება, ამომრჩეველთა აზრი და ა.შ.), ამიტომ შესაძლოა მისი საქმიანობა წინააღმდეგობაში მოექცეს სახელმწიფოს გრძელვადიან ინტერესებთან. ასეთ პირობებში დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი ეკონომიკური განვითარების სტაბილურობას უზრუნველყოფს. ამავე დროს ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობასაც თავისი საზღვრები აქვს. ეს იმით აიხსნება, რომ ცენტრალურ ბანკსა და მთავრობას შორის არ შეიძლება არსებობდეს პრინციპული

წინააღმდეგობები, რადგანაც მაშინ ეკონომიკური პოლიტიკა არაეფექტიანი იქნებოდა.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ფინანსებისა და საბანკო სისტემის მკაფიოდ გამიჯვნას, ე.ი. ცენტრალური ბანკის სახსრების გამოყენებაში მთავრობის შესაძლებლობათა შეზღუდვას. ბევრ ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს მთავრობის პირდაპირი დაკრედიტება (აშშ, კანადა, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, შვეიცარია) ან ეს შეზღუდულია კანონმდებლობით (გერმანია, საფრანგეთი, ნიდერლანდები). ავსტრიის ეროვნული ბანკის შესახებ კანონში (1984 წ.) ჩაწერილია, რომ ხელისუფლების ორგანოებს ცენტრალური ბანკის სახსრების სესხად აღება შეუძლიათ მხოლოდ ოქროთი ან უცხოური ვალუტით ასპროცენტიანი უზრუნველყოფისას. ერთადერთი გამონაკლისია მოკლევადიანი სახაზინო სერტიფიკატების ალრიცხვა მთავრობისათვის დახმარების გასაწევად ნაღდი რესურსების სამმართველოში, თანაც მხოლოდ ფინანსთა მინისტრის საგანგებო თხოვნით გადასახადების ან ბიუჯეტის შემოსავლების 5%-ის ფარგლებში.

ცენტრალური ბანკის ბალანსში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შედარებით მაღალი ხვედრითი წილი არ მოასწავებს ცენტრალური ბანკის მონაწილეობას სახელმწიფო ვალის მომსახურებაში, რადგან ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა ძირითადად სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების დროს ხდება. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ყურადღებას ამახვილებენ ინგლისის ბანკის ოპერაციებში კომერციული თამასუქების გამოყენებაზე, როგორც საბანკო ემისიის უზრუნველყოფის საფუძველზე.

სახელმწიფო ვალი შეიძლება იყოს ცენტრალური ბანკის, კერძო სექტორის (კომპანიებისა და საწარმოების) ან მოსახლეობის ხელში. მასთან ცენტრალური ბანკი, როგორც წესი, გადამწყვეტ როლს თამაშობს, რადგანაც შესაბამისი სახსრები არა აქვს.

მთავრობა დაინტერესებულია სახელმწიფო სახსრების განთავსებით ცენტრალურ ბანკში. რათა ნეგატიურად არ იმოქმედოს საბანკო სისტემის ლიკვიდობაზე, სასესხო რესურსების გარეშე არ დატოვოს კერძო სექტორი, არ ასწიოს საპროცენტო განაკვეთები. მაგრამ, მეორე მხრივ, საკმარისად დიდი სახელმწიფო ვალის შემთხვევაში ეკონომიკის ლიკვიდობა გაშუალებულად იცვლება და მეტისმეტ სესხებს შეუძლია სტრუქტურული დისბალანსი გამოიწვიოს. კაპიტალების ეროვნული ბაზრების სივიწროვის დროს ან ტაქტიკური მიზნებით სესხის აღება საზღვარგარეთ შეიძლება მოხდეს.

4.2. ცენტრალური ბანკის დამოუკიდებელი სტატუსის შესახებ

მსოფლიო საბანკო მეცნიერებასა და პრაქტიკაში, აგრეთვე, პოლიტიკურ წრეებშიც დიდ ინტერესს იჩენენ ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის პრობლემისადმი. ამგვარი ინტერესის მიზეზი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა, მაგრამ არის საერთოც – ცენტრალური ბანკისთვის სახელმწიფო სახელისუფლებო სტრუქტურებსა და თავად საბანკო სისტემაში ცენტრალური ბანკებისათვის ისეთი ადგილის მიჩენა და შესაბამისად ისეთი უფლებების მინიჭება, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს უფრო ეფექტურად შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქციები და ამოცანები, თითოეულ ქვეყანაში და მთლიანად მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით.

ასხვავებენ ერთსაფეხურიან და ორსაფეხურიან საბანკო სისტემას. ერთსაფეხურიან საბანკო სისტემას ახასიათებს ბანკებს შორის ჰორიზონტალური კავშირი. ამასთან ყველა ბანკი. ცენტრალური ბანკის ჩათვლით, ერთ იერარქიულ საფეხურზე იმყოფება და ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებს. საბანკო სისტემის აგების ასეთი პრინციპი დამახასიათებელია სუსტად განვითარებული ეკონომიკური სტრუქტურების ქვეყნებისათვის, ასევე, სოციალისტური, ტოტალიტარული, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მმართველობის მქონე ქვეყნებისათვის.

ორსაფეხურიან საბანკო სისტემას ახასიათებს ბანკებს შორის როგორც ჰორიზონტალური,

ასევე ვერტიკალური კავშირი. ვერტიკალური კავშირი არსებობს ცენტრალურ ბანკს, როგორც ხელმძღვანელ და მმართველ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის, ხოლო ჰორიზონტალური კავშირი – თვით კომერციულ ბანკებს შორის.

ორსაფუხურიან საბანკო სისტემაში ცენტრალური ბანკი, როგორც სახელმწიფო აგენტი, ახორციელებს საბანკო დაწესებულებების მართვას, ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ: პირველი – კომერციული ბანკი უნდა იყოს საბანკო სისტემის ნაწილი (ჰქონდეს ბანკის სტატუსი, ლიცენზია საბანკო ოპერაციების წარმოებაზე); მეორე – თავისი ფუნქციები განახორციელოს საერთო და სპეციფიკური კანონებიდან და საზოგადოების იურიდიული ნორმებიდან გამომდინარე; მესამე – ურთიერთკავშირი დაამყაროს საბანკო სისტემის სხვა ელემენტებთან; მეოთხე – ჰქონდეს თვითრეგულირების (რეგულირებისა და გარესამყაროსთან შერწყმის) განვითარებისა და სრულყოფის უნარი; მეხუთე – თავის მხრივ, ეროვნული ბანკის მიერ საბანკო საქმის მართვა და რეგულირება მიმართულ იქნეს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისაკენ დესტაბილიზაციის ტენდენციების განეიტრალების საფუძველზე (კოზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2001, გვ. 52.)

საერთო ბანკების რიცხვიდან ერთ-ერთისათვის ცენტრალური ბანკის სტატუსის მინიჭება ნიშნავდა სწორედ ქვეყანაში ორდონიანი საბანკო სისტემის ფორმირების დაწყებას, რომლის ზედა დონეზე განლაგდება ცენტრალური ბანკი. თავის მხრივ, ორდონიანი საბანკო სისტემა წინააღმდეგობრივია თავისი ბუნებით: ერთი მხრივ, აღნიშნული დამოკიდებულება საჭიროებს რეაგირებას (განახორციელოს მიზანმიმართული ზემოქმედება და კონტროლი), მოითხოვს განსაკუთრებულ ინსტიტუტს ცენტრალური ბანკის სახით.

თანაც უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკები ფუნქციონირებენ ისეთ გარემოში, სადაც ხდება, ერთი მხრივ, ეროვნული ბანკის, როგორც სახელმწიფო აგენტის მიერ მათი საქმიანობის რეგულირება და, მეორე მხრივ, არსებობს კონკურენცია სპეციალიზებული არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტების მხრიდან.

დამოუკიდებლობის ხარისხის მიხედვით ბანკები ლიტერატურაში კლასიფიცირდება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, რომელთა შორის გამოყოფენ:

– სახელმწიფოს მონაწილეობა ცენტრალური ბანკის კაპიტალსა და მისი მოგების განაწილებაში;

– კანონმდებლობაში ცენტრალური ბანკის ფუნქციების (მიზნების) და ამოცანების, მათი გადაწყვეტისათვის გამოყენებული ინსტრუმენტარიის ასახვის ხარისხი;

– ბანკის ხელმძღვანელობის დანიშვნის (არჩევის) პროცედურა;

– სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ცენტრალური ბანკის საქმიანობაზე კონტროლის ფორმები და მეთოდები;

– სახელმწიფოს (ხელისუფლებას აღმასრულებელი ორგანოების) ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში მონაწილეობის უფლება;

– ცენტრალური ბანკის უფლება ან მოვალეობა პირდაპირ ან ირიბად დააფინანსოს სახელმწიფო ხარჯები.

ამ და სხვა კრიტერიუმების შესაბამისად სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის სტატუსი და ხარისხი (კანონებით დეკლარირებული და რეალური) სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა, ამასთან, ასეთი განსხვავებები, როგორც წესი. დასაბუთებული და გასაგებია, პასუხობს შესაბამისი ქვეყნების ტრადიციებს და მიმდინარე ვითარებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ საკითხში არ უნდა ვეძებოთ უნივერსალური სტანდარტები, რომელიც მოერგება ყველა (ბევრ) ქვეყანას.

ასე, მაგალითად, კაპიტალზე საკუთრების მიხედვით ცენტრალური ბანკები შესაძლოა იყოს მთლიანად სახელმწიფო (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში. კანადაში, რუსეთში); სააქციო (აშშ); შერეული, როცა სახელმწიფოს ეკუთვნის კაპიტალის მხოლოდ

ნაწილი (იაპონიასა და ბელგიაში). ყოველგვარი მცდელობა დავყოთ ეს ვარიანტები „სწორად“ და „არასწორად“, „კარგად“ და „ცუდად“ – უსაფუძვლოა. ყოველი ქვეყნისათვის „სწორი“ იქნება ის ვარიანტი, რომელიც მოერგება მას, პასუხობს მის ტრადიციებს და პირობებს (ამასთან, სხვა ქვეყნის მიერ მისი გამოყენება შეიძლება აღქმულ იქნეს „არასწორად“).

ნებისმიერ შემთხვევაში ცენტრალურ ბანკსა და სახელმწიფოს (მთავრობას) შორის აუცილებელია მჭიდრო კავშირი იმდენად, რამდენადაც ისინი მოქმედებენ ერთ ეკონომიკურ სივრცეში და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა წარმატებით ვერ განხორციელდება ცენტრალური ბანკის საფინანსო პოლიტიკასთან შეთანხმების გარეშე. უფრო მეტიც, გრძელვადიან ჭრილში ცენტრალური ბანკის პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს მთავრობის მაკროეკონომიკური კურსის პრიორიტეტებს.

ამრიგად, ერთი მხრივ, ცენტრალური ბანკი და მთავრობა თავიანთი საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე განწირულია მჭიდრო თანამშრომლობისათვის, თავიანთი პოლიტიკის და პრაქტიკული საქმიანობის ურთიერთშეთანხმებულობისათვის. მეორე მხრივ, მჭიდრო კავშირის არსებობა არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეუზღუდავად შეუძლია გავლენა იქონიოს ცენტრალური ბანკის პოლიტიკაზე, უკარნახოს მას რაიმე პოლიტიკა. ამ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი დაკარგავს დამოუკიდებლობას და ვერ შეძლებს მასზე დაკისრებული სპეციფიკური ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებას. ამრიგად, ცენტრალურ ბანკს ეფექტური საქმიანობისათვის აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ნებისმიერ შემთხვევაში სჭირდება სათანადო დამოუკიდებლობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ ცენტრალური ბანკის რესურსების ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გამოყენების შესაძლებლობის შეზღუდვისათვის, მთავრობის მიერ სტრატეგიული, გრძელვადიანი მიზნების საზიანოდ მოკლევადიანი სამეურნეო-პოლიტიკური მიზნებისათვის უპირატესობის მინიჭების პროცესის დასამუხრუჭებლად. პროფესიული თვალსაზრისით. აქ მნიშვნელოვანია ნათელი მოეფინოს იმას, რა საკითხებში და რა ზღვრამდეა ცენტრალური ბანკი ჭეშმარიტად დამოუკიდებელი (არ შეიძლება არ იყოს დამოუკიდებელი), და რა საკითხებში იქნებოდა მისი დამოუკიდებლობა არასასურველი ან, უბრალოდ, უადგილო.

შეიძლება თუ არა დაფიქსირდეს ის „ზღურბლი“, რომლის ქვეითაც ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა არ უნდა დაეშვას? როგორც ჩანს, უნდა დავეთანხმოთ ფედერალური სარეზერვო სისტემის, ანუ აშშ-ის ცენტრალური ბანკის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს, ა.ს. ბლინდერს, რომელიც, განმარტავს რა ცნებას „ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა“, გამოყოფს მის შემდეგ მინიმალურად აუცილებელ პარამეტრებს:

– პოლიტიკური და სახელმწიფო სტრუქტურების, პირველ რიგში კი ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოების მიერ განსაზღვრული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების მიღწევის გზებისა და ინსტრუმენტების (მექანიზმების) შერჩევის თავისუფლება, რაც ვარაუდობს. ერთი მხრივ, ცენტრალური ბანკის წინაშე შემუშავებული მიზნების დაყენებას, მეორე მხრივ კი – შემუშავებული წესების შესაბამისად საკმაოდ ხანგრძლივი დროის მონაკვეთზე მოქმედების შესაძლებლობას (ამა თუ იმ საფინანსო პოლიტიკის გავლენა საწარმოო საქმიანობის მაჩვენებლებსა და თვით ფინანსების მდგომარეობაზე ვლინდება გარკვეული დროის შემდეგ);

– ცენტრალური ბანკის კომპეტენციას მიკუთვნებული პრობლემების სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გადაწყვეტის შეზღუდვა.

– ფინანსური ბაზრებიდან, უფრო სწორედ, ფინანსური ბაზრების ინდიკატორების კონიუნქტურული ცვლილებების გავლენისაგან, ცენტრალური ბანკის გონივრულად დასაშვები დამოუკიდებლობა. ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელები ხშირად ვერ უძლებენ ცდუნებას „მისდიონ ბაზარს“, თუმცა ეს პრაქტიკულად არასდროს არ ამართლებს და ქმნის ახალ პრობლემებს.

თუმცა გარკვეულ საკითხებზე ცენტრალური ბანკის არსებითი დამოუკიდებლობის ზემოთ ხსენებული ხერხი უნივერსალური კონსტანტა როდია. ყოველ ქვეყანაში იგი ინდივიდუალური და ცვალებადია და ყალიბდება მთელ რიგ სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურიერთდამოკიდე-

ბულების პროცესში. აქ პრინციპულად მნიშვნელოვანია ის, რომ კანონმდებლობით იყოს განმტკიცებული ერთი მხრივ, ცენტრალური ბანკის მიმართ ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილებანი და, მეორე მხრივ, უკანასკნელის უფლება – ჰქონდეს საკუთარი აზრი განსაზღვრულ საკითხთა წრის გარშემო, ასევე უფლება – კანონიერი გზით ამ მოსაზრების დაცვისა. ასე, მაგალითად, აშშ-ში არც პრეზიდენტს, არც უმაღლეს სასამართლოს არა აქვს უფლება შეცვალოს ფედერალური სარეზერვო სისტემის ღია ბაზარზე ოპერაციების კომიტეტის გადაწყვეტილება. მსგავსი მექანიზმები, იქ, სადაც მათ ადგილი აქვთ, უზრუნველყოფენ ცენტრალური ბანკების იმუნიტეტს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის წინააღმდეგ. ამგვარი დამცავი მექანიზმის გარეშე ცენტრალურ ბანკებს არ ექნებათ რეალური დამოუკიდებლობა. მათი საქმიანობა არ უნდა გადაისინჯოს მანამ, სანამ არ იქნება მიღებული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ლიტერატურაში წარმოდგენილი იყო უცხოელ სპეციალისტთა მოსაზრება, რომლებიც თვლიან, რომ არსებობს ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის სამი მოდელი: პროცედურული (აშშ-ში), ინსტრუმენტული (დიდ ბრიტანეთსა და სკანდინავიის ქვეყნებში); ნორმატიული (გერმანიაში).

თვლიან, რომ პროცედურული მოდელი დაფუძნებულია ცენტრალური ბანკის (ფედერალური სარეზერვო სისტემის) გადაწყვეტილებათა განხილვის პროცედურების ერთობლიობაზე СМИ-ში მხარეთა მონაწილეობით, რომლის წყალობითაც ჩნდება ნდობა ფედერალური სარეზერვო სისტემისადმი, რაც მის მიერ გამოიყენება კონგრესთან და საზოგადოებრივ აზრთან ურთიერთქმედებაში. იგი თავად განსაზღვრავს თავისი პოლიტიკის მიზნებსა და ინსტრუმენტებს და პასუხს აგებს დასახული მიზნების მისაღწევად. ფსს-ს ქმედება და მისი დამოუკიდებლობა პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, კონგრესთან და სხვასთან არ დაიყვანება „მეპატრონესა“ და „შემსრულებელს“ შორის ურთიერთობის მოდელამდე, არამედ აიგება ურთიერთქმედების მოდელით. СМИ-ს წყალობით აშშ-ის საზოგადოებრივი აზრი ფაქტობრივად მონაწილეობს ფსს-ის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ინსტრუმენტალური მოდელი ჰგავს „მეპატრონესა“ და „შემსრულებელს“ შორის დამოკიდებულების მოდელს. მთავრობა განსაზღვრავს ცენტრალური ბანკის საქმიანობის საბოლოო მიზანს, ეს უკანასკნელი კი თავად განსაზღვრავს მისი მიღწევის საშუალებებს.

ნორმატიული მოდელი დაფუძნებულია იმაზე, რომ ცენტრალური ბანკი წარმოადგენს ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკის რეგულირების წესის ორგანულ ნაწილს. იგი გვევლინება სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ეროვნული სისტემის ცენტრალურ ინსტიტუტად, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ფულის ერთეულის სტაბილურობას.

გვეჩვენება, რომ ეს არის სიტუაციის საგრძნობი გამარტივება. სინამდვილეში ყოველიე ეს, რაზედაც აქაა საუბარი (ყოველ თითქოს დამოუკიდებელ „მოდელზე“), ამა თუ იმ ზომით შეიძლება მივაკუთვნოთ სხვა „მოდელებს“.

დამოუკიდებლობის სტატუსის დონის მნიშვნელოვან მაჩვენებლად და ამავე დროულად, საზოგადოების ინტერესებისათვის ცენტრალური ბანკის მთავრობასთან ერთობლივი ეფექტური მუშაობის პირობად ითვლება მის საქმიანობაზე კონტროლის გამოყენებული ხერხები. ხშირ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი ანგარიშვალდებულია უშუალოდ პარლამენტის ან ამ უკანასკნელის მიერ შექმნილი სპეციალური საბანკო კომისიის წინაშე.

ასე, მაგალითად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ძირითადად გამოიყენება სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან კონტროლის შემდეგი ფორმები:

1) კანონმდებლობაში ფიქსირდება, რომ ბანკი მოქმედებს კანონის ფარგლებში, საზოგადოების, ეკონომიკისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

2) ცენტრალური ბანკი იღებს ვალდებულებას მოახდინოს სახელმწიფო ორგანოებისა და

საზოგადოების რეგულარული ინფორმირება თავის საფინანსო მდგომარეობაზე, ქვეყანაში ფულის, კრედიტის, უხცოური ვალუტის, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, სამამულო და უცხოური კაპიტალის და ა.შ. ბრუნვის მდგომარეობაზე. ის ვალდებულია ამ საკითხებზე შეიმუშაოს პროგნოზები, ასევე, თავისი პოლიტიკის მიმართულებები და პრინციპები, გასცეს მათზე შესაბამისი ინფორმაცია პარლამენტში, მთავრობაში და მეტწილად – ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში პუბლიკაციებისათვის.

3) მაღალი პროფესიული და კვალიფიკაციური მოთხოვნები წაეყენება ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელ და სხვა მუშაკებს; გარდა ამისა, ისინი არ შეიძლება იყვნენ პარტიის წევრები, კომერციული ორგანიზაციების მონაწილეები. მთელ რიგ ქვეყნებში ცენტრალური ბანკების მთავარი ხელმძღვანელები თანამდებობის დაკავებისას ვალდებული არიან დადონ ფიცი ქვეყნის კანონისა და ინტერესებისადმი ერთგულებაზე. ყველა დონის ზემდგომი ხელმძღვანელობა. შიგა აუდიტის ორგანოები, ცალკეულ შემთხვევებში კი საბანკო ზედამხედველობის ორგანოებიც იქმნება მთლიანად ან მეტწილად პარლამენტის, ქვეყნის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მთავრობის მონაწილეობით, კანონით დადგენილი ვადით.

4.3. ცენტრალური ბანკის ადგილი ეკონომიკაში

ქვეყნის ცენტრალური ბანკი იმ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი გამტარებელია, რომელიც ფულის მიმოქცევის სტაბილიზაციისკენაა მიმართული. საბაზრო ეკონომიკაში მისი პირველადი მოვალეობაა ფულის ღირებულებისა და მყიდველუნარიანობის დაცვა და ფინანსური ბაზრების ფუნქციონირების ნორმალური პირობების შექმნა.

ცენტრალური ბანკების გაჩენა უკავშირდება ქვეყანაში საბანკო ემისიის ცენტრალიზაციის და ფულის მიმოქცევის ორგანიზაციის აუცილებლობას, მთელი სახალხო მეურნეობის ფარგლებში საკრედიტო პოლიტიკის გატარების და ფულად ანგარიშსწორებათა სისტემის ფუნქციონირების საჭიროებას, აგრეთვე, ეროვნული ვალუტების სიმყარის დაცვისა და უზრუნველყოფის აუცილებლობას.

ამის შესაბამისად ცენტრალური ბანკი მუდმივად ეძებს მართვის ოპტიმალურ მეთოდებს და ინსტრუმენტებს, ერთმანეთს უხამებს კომერციული ბანკების და სხვა საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობის რეგულირების როგორც პირდაპირ ადმინისტრაციულ. ისე ირიბ მეთოდებს. ცენტრალური ბანკი არეგულირებს ერთობლივ ფულად მასას, რომლის დინამიკაზეცაა დამოკიდებული ერთობლივი გადახდისუნარიანი მოთხოვნის სხვადასხვა კომპონენტის ცვლილება. იგი ავითარებს და განამტკიცებს ქვეყნის საბანკო სისტემას, ეფექტიანად ზემოქმედებებს საბანკო ინსტიტუტების, პირველ რიგში კი კომერციული ბანკების, სამეურნეო აქტივობასა და საქმიანობაზე. ამ სისტემის მეშვეობით ცენტრალური ბანკი უზრუნველყოფს ანგარიშსწორებათა სისტემის ეფექტიანად და შეუფერხებლად ფუნქციონირებას. იგი აყალიბებს მართვის ვერტიკალური სისტემის მქონე ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას.

ცენტრალური ბანკის სისტემაში შედის ცენტრალური აპარატი, ტერიტორიული დაწესებულებები, საანგარიშსწორებო-სალარო ცენტრები, გამომთველელი ცენტრები, საველე დაწესებულებები და სხვა საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები უსაფრთხოების ქვედანაყოფების ჩათვლით. სწორედ ამ სისტემის მეშვეობით ახორციელებს ცენტრალური ბანკი თავის საქმიანობას და ასრულებს მასზე კანონით დაკისრებულ ფუნქციებს.

ცენტრალური ბანკის როლი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში იზრდება ქვეყნის განვითარებასთან ერთად, რადგან ამ განვითარების რეგულირებას სწორედ ფულითა და ფულად-საკრედიტო სისტემის მეშვეობით ახორციელებენ. ცენტრალური ბანკი, არსებითად, წარმართავს საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებას, უზრუნველყოფს ქვეყანაში მის მიერ შექმნილი ფულადი სისტემის

ფუნქციონირების აუცილებელ პირობებს. ცენტრალური ბანკის როლი ყველაზე სრულად ვლინდება ეროვნული ფულადი სისტემის ყოველ შემადგენელი ელემენტის მუშაობის იმ უზრუნველმყოფი ფუნქციების შესრულების დროს, რომელთა რეალიზებასაც იგი ვალუტის ეროვნული ერთეულის მეშვეობით ახდენს.

ეროვნული ვალუტის ერთეულის კურსი ქვეყნის ეკონომიკურ მექანიზმში მრავალფეროვანია, რადგან მისი ცვლილების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ეკონომიკის მდგომარეობაზე, მის ღირებულებით პროპორციებზე და შეუთანხმებლობაზე, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობაზე, კაპიტალის საერთაშორისო მოდინების გადანაწილებაზე. ამგვარი რამ ჩვეულია ეროვნული ვალუტისთვის ფულის იმ ევოლუციის გამო, რომელმაც უზრუნველყო საქონელ-ფულის (ოქროს) გადაქცევა საკრედიტო ფულად. საკრედიტო ფული კი ფულადი კაპიტალის გამოვლინის ფორმაა და იგი არა მარტო ემსახურება საქონლისა და კაპიტალის მიმოქცევას, არამედ კაპიტალიეთ იქცევა კიდეც.

მთლიანად სახელმწიფოსათვის ფულს იყენებენ როგორც კრიზისის, ინფლაციისა და ნეგატიური საგარეო ზემოქმედებისგან ეროვნული ეკონომიკის დამცავ ფაქტორს.

4.4. საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა

საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში – „ეროვნული ბანკი") არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვეულებს. მას უფლება აქვს დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები, შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება და ფლობდეს და განკარგავდეს მას, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი მონეტარული და საზედამხედველო ფუნქციები. ეროვნული ბანკის ქონება საქართველოს საკუთრებაა. ეროვნულ ბანკს აფუძნებს საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ მის საქმიანობაში, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია ეკონომიკურად და ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლით. ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს საქართველოს მთავრობის ვალდებულებებისათვის, ისევე, როგორც საქართველო მთავრობა პასუხს არ აგებს ეროვნული ბანკის ვალდებულებებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეროვნული ბანკი ან მთავრობა თვითონ კისრულობს ასეთ ვალდებულებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი, მისი აქტივები, ქონება და შემოსავალი, აგრეთვე მისი საქმიანობა და ოპერაციები თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადის, გადასახდელისა და მოსაკრებლისაგან (მათ შორის სახელმწიფო ბაჟისაგან).

ეროვნული ბანკი საქართველოს წარმომადგენს საერთაშორისო თათბირზე, ყველა საბჭოსა და ორგანიზაციაში, რომლებიც დასაქმებული არიან ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საკითხებით, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისათვის ლიცენზიების გაცემის და მათი საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების საკითხებით, აგრეთვე ეროვნული ბანკის კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხებით.

ეროვნულ ბანკს შეუძლია საბანკო მომსახურება გაუწიოს სხვა ქვეყნების მთავრობებს, ცენ-

ტრალურ ბანკებსა და ფულად-საკრედიტო ორგანოებს, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთა წევრიც არის თვითონ ან საქართველო.

ეროვნულ ბანკს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში, რომელთა მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის გზით ხელი შეუწყონ ფულად საკრედიტო სფეროში ეკონომიკურ სტაბილურობას.

როგორც საქართველოს წარმომადგენელს, ეროვნულ ბანკს შეუძლია იკისროს ვალდებულებანი და განახორციელოს საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებული ოპერაციები.

ცენტრალური ბანკის ანგარიშვალდებულება გამოიხატება:

– ბანკის ხელმძღვანელობის – მისი თავმჯდომარისა და დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნის (არჩევის) პროცედურაში;

– ანგარიშგებისა და ბანკის საქმიანობის შესახებ საპარლამენტო მოსმენის (მისი წარმომადგენლების მონაწილეობით) ჩატარების პროცედურაში;

– იმ წესებში, რომლებშიც დათქმულია ხელისუფლების ჩაურევლობის დონე, ბანკის საქმიანობაში მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელების დროს.

ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა პირველ რიგში იმაში ვლინდება, რომ იგი არ შედის სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების სტრუქტურაში და გამოდის როგორც საგანგებო ინსტიტუტი, რომელსაც გააჩნია ფულის ემისიისა და მიმოქცევის ორგანიზაციის განსაკუთრებული უფლება.

ცენტრალურ ბანკს იურიდიული დამოუკიდებლობა აქვს იმ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებში, რომელიც მიმართულია ფულის მიმოქცევის სტაბილურობის შენარჩუნებისკენ და საგადასახდელო ბალანსის დაბალანსებისკენ.

ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ფინანსებისა და ბანკის რესურსების გამიჯვნის აუცილებლობასთან დაკავშირებით. როდესაც მთავრობას არ ყოფნის სახელმწიფო ფინანსები, ჩნდება საშიშია და საგარეო სახელმწიფო ვალი. ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს მან ამ ვალის დაფარვაში, რა ზომით უნდა მოხდეს ემისია მთავრობის დასაკრედიტებლად პირდაპირი გზით, რომელი ტიპის ფულის რეფორმა-დევალვაცია.დენომინაცია-დაეხმარება მთავრობას მისი ამოცანების გადაწყვეტაში. სწორედ ამაში ვლინდება ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის პრინციპი.

თუ ცენტრალური ბანკი ამ პრობლემების მოგვარებაში უპირატესობას ანიჭებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, მაშინ მთავრობა ამ ამოცანებს წყვეტს საბიუჯეტო მეთოდებით-გადასახადებით, საამორტიზაციო პოლიტიკით და სახელმწიფო ინვესტიციებით. სახელმწიფო ვალის მომსახურების პროცესში ცენტრალური ბანკი არა მარტო მხარს უნდა უჭერდეს მთავრობას, არამედ აკონტროლებდეს კიდეც დამოუკიდებლობას და საბანკო სისტემის ლიკვიდობის შენარჩუნებაზეც ზრუნავდეს. ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის პრინციპის გამოვლენაა ბიუჯეტის სალარო შესრულების ფუნქციების სახელმწიფო ხაზინისთვის გადაცემაც. ნაღდი ფული რჩება ცალკეულ ბანკებში, ხაზინას კი გაეცემა საალრიცხვო ოპერაციების და უნაღდო ანგარიშსწორების წარმოების ფუნქციები (ამ სახსრების ოპერაციული მართვის, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე ან საბიუჯეტო სახსრებით მოსარგებლე და კრედიტების მთავარი განკარგულებების ანგარიშებზეა მოთავსებული).

ცენტრალური ბანკი იურიდიული პირია და სამოქალაქო სამართლის სუბიექტად გვევლინება. მისი საწესდებო კაპიტალი და სხვა ქონება სახელმწიფო საკუთრებაა. ცენტრალური ბანკის ქონების ფლობის, გამოყენებისა და განკარგვის უფლებამოსილებას თვითონ ბანკი ახორციელებს, იკრძალება ბანკის ქონების ამოღება ან ვალდებულებებით მისი დამძიმება მისივე თანხმობის

გარეშე. ცენტრალური ბანკის ფინანსური დამოუკიდებლობა იმაშიც გამოიხატება, რომ ხარჯებს ბანკი საკუთარი შემოსავლებით ისტუმრებს, რომლებიც არ რეგისტრირდება საგადასახადო ორგანოებში.

სახელმწიფო პასუხს არ აგებს ბანკის ვალდებულებებზე, ისევე, როგორც ცენტრალური ბანკი არ აგებს პასუხს სახელმწიფოს ვალდებულებებზე, თუ კი თვითონ არ იღებს ასეთ ვალდებულებას. კანონის თანახმად, სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებს, სახელმწიფო სუბიექტების ხელისუფლების ორგანოებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ ცენტრალური ბანკის საქმიანობაში. ამგვარი ჩარევის შემთხვევაში ბანკი ატყობინებს პარლამენტს და პრეზიდენტს და მას უფლება აქვს სასამართლო წესით დაიცვას თავისი სტატუსი და უფლებამოსილებანი.

ცენტრალური ბანკის შესახებ მიღებული კანონის თანახმად, მისი ორგანიზაციის პრინციპები ასეთია:

- ავტონომიური ფორმირების ეროვნული ბანკები ცენტრალური ბანკის ტერიტორიული დაწესებულებებია და უფლება არა აქვთ მიიღონ ნორმატიული ხასიათის მქონე გადაწყვეტილებები ან გასცენ გარანტიები და თავდებობები, სათამასუქო და სხვა ვალდებულებები დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე;

ცენტრალური ბანკის ტერიტორიული დაწესებულებების ამოცანებსა და ფუნქციებს განსაზღვრავს დებულება ცენტრალური ბანკის ტერიტორიულ დაწესებულებების შესახებ, რომელსაც დირექტორთა საბჭო ამტკიცებს;

- ცენტრალური ბანკის ლიკვიდირება შეიძლება მხოლოდ შესაბამისი კანონის მიღების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს კიდეც მისი ქონების გამოყენების წესს.

ცენტრალური ბანკის და მისი ტერიტორიული ქვედანაყოფების სტრუქტურა იცვლება და შესაბამობაში მოდის მისი საქმიანობის პირობებთან და ეკონომიკაში საბანკო სისტემის როლთან.

საქართველოში ცენტრალური ბანკის სანიმუშო ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურა ასეთია (ნახ.4.1.):


ამ სტრუქტურის მიზანია უზრუნველყოს ცენტრალური ბანკის და მთელი საბანკო სისტემის მუშაობაში წამოყენებული საკანონმდებლო ინიციატივების ეფექტიანად რეალიზება, დააჩქაროს გადაწყვეტილებების მიღება და ამაღლოს მათი დასაბუთების დონე, განამტკიცოს ცენტრალურ ბანკს, სახელმწიფო მართვის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებსა და, ავრეთვე, ტერიტორიული მართვის ორგანოების შორის ურთიერთქმედების უკვე არსებული არხები და შექმნას ახალი არხები.

4.5. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ეროვნული ბანკი ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემაა. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს დაქვემდებარეული ორგანიზაციების ჩამოყალიბების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესებს.

ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო ცხრა წევრის შემადგენლობით. ეროვნული ბანკის საბჭო შეიმუშავებს საქართველოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას და ზედამხედველობას უწევს მის განხორციელებას ამ კანონის მე-2 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები არიან საქართველოს მოქალაქეები, ცნობილნი პატიოსნებით და აღიარებულნი პროფესიონალიზმით საბანკო, ფულად-საკრედიტო და საფინანსო საქმიანობის სფეროში.

ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარეა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში, საბჭოს თავმჯდომარის გარდა, შედიან ეროვნული ბანკის სამი ვიცე-პრეზიდენტი და ხუთი სხვა წევრი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს საქართველოს პრეზიდენ-



ნახ.4.1. ეროვნული ბანკის ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურა

ტის წარდგინებით შვიდი წლის ვადით, პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის გადაყენება საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის შესაბამისად შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით.

დასაშვებია საბჭოს წევრების ხელახალი არჩევა. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის მაგივრად აირჩევა ახალი წევრი.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებს – ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით, ბანკის საბჭოს წევრთაგან ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გათავისუფლდება, თუ იგი:

ა) საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის შესაბამისად გადაყენებულია ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობიდან.

ბ) დაკარგა საბჭოს წევრის თანამდებობის დაკავების უფლება ამ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად;

გ) დაუშვა სერიოზული სამსახურებრივი გადაცდომა, რითაც ზარალი მიაყენა ეროვნულ ბანკს;

ე) გახდა ვალაუვალი ან გამოცხადებული გაკოტრებულად და არ არის რეაბილიტირებული.

ანალოგიური წესით ხდება ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტების თანამდებობიდან გათავისუფლება.

ეროვნული ბანკის საბჭო უმაღლეს ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას უწევს ეროვნული ბანკის მთელ საქმიანობას.

თავისი ფუნქციების შესრულებისას ეროვნული ბანკის საბჭომ პერიოდულად უნდა შეაფასოს ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა და ეკონომიკური ვითარება. ამ მიზნით ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა სულ ცოტა კვარტალში ერთხელ მოახსენებს საბჭოს ეროვნული ბანკის საქმიანობის, მის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელების, საბანკო სისტემისა და ეროვნული ფულის ერთეულის სიმყარის. საფინანსო, სავალუტო და კაპიტალის ბაზრების მდგომარეობის თაობაზე.

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

ა) განსაზღვროს ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა, მათ შორის ეროვნული ბანკის ლიმიტები ღია ბაზრის ოპერაციებზე, საპროცენტო განაკეთები ეროვნული ბანკის სააღრიცხვო და სასესხო ოპერაციების მიხედვით, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ ეროვნულ ბანკში შესანახი სავალდებულო რეზერვების მოცულობა.

ბ) დაადგინოს სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის განსაზღვის წესი;

გ) დამტკიცოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტი;

დ) წარადგინოს წინადადებები ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალის მოცულობაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

ე) განიხილოს, დამტკიცოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ეროვნული ბანკის წლიური მოხსენებები და საფინანსო ანგარიშგებანი.

ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს პირი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის ან მთავრობის წევრის თანამდებობა უკავია.

ეროვნული ბანკის საბჭოს ნებისმიერი წევრი შეიძლება გადადგეს თანამდებობიდან, თუ ამის შესახებ წერილობით მიმართავს პარლამენტის თავმჯდომარეს საკარაუდო გადადგომამდე არაუგვიანეს ორი თვით ადრე.

ნებისმიერი ვაკანსია ეროვნული ბანკის საბჭოში უნდა შეივსოს ეროვნული ბანკის საბჭოს ახალი წევრის დანიშვნით, ეროვნული ბანკის საბჭოს შესაცვლელი წევრის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომას წარმართავს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნისას – ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ბრძანებით პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს.

ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომები იმართება ისეთი სიხშირით, როგორც ამას ეროვნული ბანკის საქმის ვითარება მოითხოვს, მაგრამ კვარტალში სამჯერ მაინც.

ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომას, როგორც წესი, იწვევს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ან მისი შემცვლელი ვიცე-პრეზიდენტი. სხდომის მოწვევა შეიძლება აგრეთვე, ნებისმიერ დროს ეროვნული ბანკის საბჭოს სამი წევრის ან ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს – ორი წევრის წერილობითი მოთხოვნით.

ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომის მოწვევისას ეროვნული ბანკის საბჭოს ყველა წევრს უნდა აცნობონ, დანიშნული სხდომის დღემდე არაუგვიანეს 5 დღისა, სხდომის ჩატარების ადგილი, დღის წესრიგი სათანადო მასალებითურთ. საგანგებო შემთხვევაში ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომა შეიძლება მოიწვიონ უფრო სასწრაფო წესით.

ეროვნული ბანკის საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი, რომლეთაგან ერთი უნდა იყოს თვით პრეზიდენტი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

ქვორუმის შესახებ ამ პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ეროვნული ბანკის საბჭოს არცერთი

მოქმედება და გადაწყვეტილება არ შეიძლება ცნონ ბათილად მხოლოდ იმ საბაბით, რომ ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში ერთი ან რამდენიმე ვაკანსიაა.

გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ეროვნული ბანკის საბჭოს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმის უფლება აქვს მხოლოდ დამსწრე წევრს.

ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია პრეზიდენტის ან, მისი არყოფნისას, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ხმა.

იმ პირთა მოქმედება, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის ან ეროვნული ბანკის საბჭოს სხვა წევრთა მოვალეობას, კანონიერად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ გამოვლინდა რაიმე დარღვევები მათი დანიშვნის შემდეგ /თანამდებობრივი ან პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისობის კრიტერიუმების დაუცველობა/.

ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომა კონფიდენციალურია. ეროვნული ბანკის საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თავისი მუშაობის ყველა ან რამდენიმე შედეგის საჯაროდ გამოცხადების შესახებ.

ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომის მუშაობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და ეროვნული ბანკის საბჭოს მდივანი.

ეროვნული ბანკის საბჭოს მდივანს ამტკიცებს პრეზიდენტი ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი მუშაკების რიგიდან. იგი არ უნდა შედიოდეს ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში.

ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილებას ხელს აწერს ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის მომენტში და შემდეგ, ყოველწლიურად თავისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ეროვნული ბანკის საბჭოს წევრმა ეროვნული ბანკის საბჭოს პერიოდულად უნდა წარუდგინოს ამომწურავი ინფორმაცია საკუთარი კომერციული ინტერესების და თავისი ოჯახის ინტერესების შესახებ. ამგვარი განცხადება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ მიღებულ დირექტივებს, ამასთან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრს და მისი ოჯახის წევრებს უფლება არ აქვთ იყვნენ ბანკების ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების დამფუძნებლები, მეპაიეები ან აქციონერები.

ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომაზე ნებისმიერი საკითხის გატანის დროს, რომელიც დაკავშირებულია ასეთ ინტერესებთან, ეროვნული ბანკის საბჭოს დაინტერესებული წევრი ვალდებულია განხილვის დასაწყისში წარმოადგინოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი ინტერესების შესახებ. ეროვნული ბანკის საბჭოს ასეთი წევრი არ მონაწილეობს განხილვაში და მოცემულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში, მისი დასწრება მხედველობაში არ მიიღება ქვორუმის განსაზღვრისას.

პრეზიდენტი ეროვნული ბანკის დირექტორ-განმკარგულებელია და პასუხისმგებელია ბანკის მიმდინარე საქმიანობაზე. პრეზიდენტის არყოფნის დროს ეროვნული ბანკის დირექტორ-განმკარგულებლის ფუნქციას ასრულებს მისი მოვალეობის შემსრულებელი ვიცე-პრეზიდენტი ან ის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ბოლოს ასრულებს ამ ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას.

4.6. ცენტრალური ბანკის ფუნქციები და ამოცანები

მრავალი ქვეყნის ცენტრალური ბანკების არსებობის ხანგრძლივმა გამოცდილებამ საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა მისი ფუნქციები და ამოცანები; თუმცა მათ განმარტებაში დღემდე ტერმინთა შეუთანხმებლობით განპირობებული სხვადასხვაობას აქვს ადგილი.

ჩვენს საბანკო კანონებში და ნაწილობრივ ეკონომიკურ ლიტერატურაშიც, ნაცვლად „ფუნქციისა", წერენ „ამოცანებს" და პირიქით, რაც ერთგვარ გაურკვეველობას იწვევს. სინამდვილეში ფუნქციების ქვეშ უნდა გავიგოთ ობიექტურად განპირობებული მუდმივი ამოცანები, რაც ცენტრალურმა ბანკმა უნდა განახორციელოს; ხოლო ამოცანების ქვეშ იგ-

ულისხმება კონკრეტული პრობლემების ნაკრები, რომელთა გადაწყვეტა მთლიანობაში ნიშნავს მითითებული მიზნობრივი ფუნქციების შესრულებას. პირველი ე.ი. ამოცანა პასუხობს კითხვაზე „რისთვის კეთდება?“, ხოლო მეორენი ე.ი. ფუნქციები — „სახელდობრ რა კეთდება?“

საერთოდ, ცენტრალური ბანკის ფუნქციები საკმაოდ მუდმივია მრავალი ათწლეულის მანძილზე. ესაა:

- საემისიო ბანკი, რომელზეც ფულის ემისიის მონოპოლიაა მიმაგრებული;
- მთავრობის ბანკი: ბიუჯეტის შესრულება და სახელმწიფო ვალის მართვა;
- ბანკთა ბანკი: საანგარიშსწორებო ცენტრი, საბოლოო ინსტანციის კრედიტორი;
- ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის გამტარებელი;
- ბანკებისა და საფინანსო ბაზრებზე მეთვალყურეობის ორგანო.

ამავე დროს, საემისიო მონოპოლიისა და საანგარიშსწორებო ცენტრის ფუნქციის მნიშვნელობა სულ უფრო ქვეითდება ფულის მიმოქცევის მოდიფიკაციასთან და ფულის ელექტრონული სისტემების დანერგვასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, ბანკებზე მეთვალყურეობა სპეციალურ ორგანოებს შეიძლება დაეკისროს და არა ცენტრალურ ბანკს. ამიტომ წამყვანი რჩება სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების ფუნქცია, თანაც ეკონომიკური პროცესების ახლებურად გაგება კანონზომიერად განაპირობებს სტაბილიზაციაზე ორიენტაციის საერთო ეკონომიკურ პოლიტიკასთან სულ უფრო მჭიდრო კავშირში.

ამრიგად, ცენტრალურ ბანკს უამრავი ფუნქციის შესრულება ევალება, რომელთაგან ძირითადია შემდეგი:

- ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება და გატარება, მთავრობასთან ურთიერთმოქმედებით, ეროვნული ვალუტის სიმტკიცის დაცვისა და უზრუნველყოფის მიზნით;
- ნაღდი ფულის ემისიის მონოპოლიურად განხორციელება და მისი მიმოქცევის ორგანიზაცია;
- უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის როლის თამაში საკრედიტო ორგანიზაციებისთვის და რეფინანსირების სისტემის ორგანიზება;
- ქვეყანაში ანგარიშსწორების განხორციელების წესების დადგენა;

საბანკო ოპერაციების, საბუღალტრო აღრიცხვის და ანგარიშსწორების წესების დადგენა საბანკო სისტემისათვის;

საკრედიტო ორგანიზაციების სახელმწიფო რეგისტრაცია, საკრედიტო ორგანიზაციების და მათი აუდიტის ჩამტარებელი ორგანიზაციების ლიცენზიები და მათი გამოწვევა;

საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაზე ზედამხედველობა;

- საკრედიტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ფასიანი ქაღალდების ემისიის რეგისტრაცია კანონის შესაბამისად;
- ყოველგვარი საბანკო ოპერაციების განხორციელება დამოუკიდებლად ან მთავრობის დავალებით, რომლებიც აუცილებელია მისი ძირითადი ამოცანების შესასრულებლად;

საავალუტო რეგულირების განხორციელება, უცხოური ვალუტის ყიდვა და გაყიდვის ოპერაციების ჩათვლით;

- სხვა სახელმწიფოებთან ანგარიშსწორების განხორციელების წესით დადგენა;

საავალუტო კონტროლის ორგანიზება და განხორციელება როგორც დამოუკიდებლად, ისე უფლებამოსილი ბანკების მეშვეობით, კანონმდებლობის შესაბამისად;

- ქვეყნის საგადასახადო ბალანსის პროგნოზის შემუშავებაში მონაწილეობა და ამ ბალანსის შედგენის ორგანიზება;
- ეკონომიკის მდგომარეობის ანალიზი და პროგნოზირება მთლიანად და რეგიონების მიხედვით, პირველ რიგში კი, ფულად-საკრედიტო, საავალუტო-საფინანსო და ფასებთან დაკავშირებული

ურთიერთობების ანალიზი და პროგნოზირება; შესაბამისი მასალებისა და სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება, აგრეთვე სხვა ფუნქციების შესრულება კანონების შესაბამისად.

ამ ფუნქციების რეალიზაცია ეყრდობა:

- გონივრული და თანმიმდევრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებას;
- ბანკების ეფექტიანად ფუნქციონირების სტიმულირებას;

ეკონომიკური რეგულირების სისტემის განვითარებას, რომელიც მოიცავს სამეურნეო კანონმდებლობას, აღრიცხვისა და ანგარიშების სფეროში აღიარებულ საერთაშორისო ნორმებს და დამოუკიდებელი აუდიტის სისტემას;

საბანკო სისტემის მდგრადობის დამცავი მექანიზმების გამოყენებას, აგრეთვე, ბანკებში წარმოქმნილი ისეთი პრობლემების ეფექტიანად მოგვარებას, როგორიცაა გაკოტრებული ბანკების რეაბილიტაცია და ბაზრიდან მათი გამოყვანა. საბაზრო ეკონომიკაში გაკოტრება გარდაუვალია, რადგანაც ეს მეურნე სუბიექტის მიერ აღებული რისკების თანმდევი ელემენტია.

ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება, საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების, აგრეთვე ფინანსურ-საკრედიტო სისტემის ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის და საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საქართველოს პარლამენტის მიერ განსზღვრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, რომელიც ორიენტირებულია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაზე, ეროვნული ბანკის ფუნქციებია:

ა) შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა.

ბ) განახორციელოს კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის ზედამხედველობა მათი ლიცენზირების, რეგულირებისა და შემოწმების მეშვეობით, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმში მართვა და ლიკვიდაცია.

გ) ფლობდეს, ინახავდეს და განკარგავდეს ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს.

დ) იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი, მრჩეველი და ფისკალური აგენტი;

ე) უზრუნველყოფდეს საგადასახადო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას;

ვ) ხელს უწყობდეს საიმედო და მდგრადი ფინანსურ-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას.

ზ) კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისათვის დააწესოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბუღალტრული ანგარიშგების წესები და პროცედურები.

ცენტრალური ბანკის მთელი ეს მრავალეფექტიანი ფუნქციები ხუთ ძირითად ამოცანაზე შეგვიძლია დავიყვანოთ. ცენტრალური ბანკის დანიშნულებაა, იყოს:

– ქვეყნის საემისიო ცენტრი, ე.ი. იგი მონოპოლიურად ახორციელებს ბანკნოტების ემისიას. რაც უფრო მეტია ქვეყანაში ნაღდი ფულის მიმოქცევის ხვედრითი წილი. მით უფრო დიდია ბანკნოტების ემისიის მნიშვნელობა;

– „ბანკთა ბანკი", რადგანაც ორდონიანი საბანკო სისტემის დროს მისი მთავარი კლიენტურაა კომერციული ბანკები, რომლებიც მეწარმეებთან და მოსახლეობასთან მუშაობენ. ცენტრალური ბანკი ინახავს კომერციული ბანკების თავისუფალ ნაღდ ფულს, ე.ი. მათ საკასო რეზერვებს, რომელთა სიდიდესაც კანონი ადგენს, საკრედიტო მხარდაჭერას აღმოუჩენს მათ და ახორციელებს კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობას;

– „მთავრობის ბანკირი". იგი მთავრობის სახელით მართავს საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალს , ე.ი. განათავსებს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს, ფარავს და ასრულებს სხვა ოპერაციებს მათზე. კრედიტს აძლევს სახელმწიფოს და საანგარიშსწორებო ოპერაციებს ასრულებს მისთვის, იცავს ოქროსავალუტო რეზერვებს და ეწევა მათი მატების პოლიტიკას;

– ეკონომიკის რეგულირების ორგანო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების მეშვეობით.
– ბანკებსა და ფინანსურ ბაზრებზე მეთვალყურეობის ორგანო.

4.7. ცენტრალური ბანკების ფულადი და საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები

იმისათვის, რომ ცენტრალურმა ბანკმა უკეთ შეასრულოს თავისი ფუნქციები და ამოცანები, კერძოდ, ცხოვრებაში გაატაროს შემუშავებული (ხშირად მთავრობასთან ერთად) ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მას ესაჭიროება არა მხოლოდ პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებანი, არამედ გარკვეული ინსტრუმენტებიც (მეთოდები, საშუალებები, ხერხები, ტექნოლოგიები). ამგვარ ინსტრუმენტთა რიცხვს მიაკუთვნებენ:

– ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებს ღია ბაზარზე (მეტწილად სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით);
– სავალუტო ოპერაციებს;
– ტარგეტირებას (ფულის მასის მაჩვენებლების ზრდის მიზნობრივი ორიენტირების დადგენა);
– რეფინანსირების განაკვეთს და სხვა საპროცენტო განაკვეთებს, რომელთა მიხედვითაც ცენტრალური ბანკი გასცემს კრედიტებს კომერციულ ბანკებზე;
– კომერციული ბანკების მიერ ცენტრალურ ბანკში მოზიდული სახსრების ნაწილის სავალდებულო რეზერვირების (დეპონირების) ნორმებს;
– ბანკების საქმიანობის სავალდებულო ეკონომიკურ ნორმატივებს;
– პირდაპირ რაოდენობრივ შეზღუდვებს (საპროცენტო განაკვეთების ზღვრების დადგენა და მათი პერიოდული „გაყინვა", დაკრედიტების მოცულობის პირდაპირი შეზღუდვა, წარმოების გარკვეული სახეების სტიმულირებისა და შენარჩუნებისათვის კრედიტის კონკრეტული სახეების რეგულირება).

ჩამოთვლილი ინსტრუმენტების სხვადასხვაგვარი კომბინაციები ცენტრალურ ბანკს აძლევს შესაძლებლობას ამა თუ იმ ეტაპზე სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის შესაბამისად გაატაროს „ძვირი" და „იაფი" ფულის პოლიტიკა, მხედველობაში გვაქვს შესაბამისი პოლიტიკის მეშვეობით ეკონომიკური პროცესის მონაწილეთა ქმედითი აქტიურობის დაქვეითება ან ამაღლება. ამასთან, გადამწყვეტია ბანკების კრედიტუნარიანობაზე ზემოქმედება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ინსტრუმენტი ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შინაგანად არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და გამოიყენება სახელმწიფოს საბიუჯეტო, საგადასახადო, სტრუქტურულ, საინვესტიციო პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირში და ეყრდნობა კარგად დამუშავებულ კანონმდებლობას.

ძნელი არაა შევნიშნოთ, რომ მითითებული ინსტრუმენტები გამოიყენება ცენტრალური ბანკის მიერ მისი პირველი მიზნობრივი ფუნქციის შესასრულებლად, რომლის მოკლე ინტერპრეტაცია შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც ქვეყანაში ფულის მიმოქცევის რეგულირების ფუნქცია.

ინსტრუმენტარიის საკითხი, რაც საჭიროა ცენტრალური ბანკის მიერ მისი მეორე მიზნობრივი ფუნქციის შესასრულებლად – თავად საბანკო სისტემის ეფექტური განვითარების უზრუნველსაყოფად, უნდა დაისვას ცალკე. დასაწყისისათვის კი საკმარისია იმის კონსტატირება, რომ დასახელებული ორი ძირითადი ფუნქციიდან ყოველი მათგანი მოითხოვს საკუთარ, სრულიად განსხვავებულ ინსტრუმენტთა ნაკრებს. თუ ცენტრალურ ბანკს გააჩნია მხოლოდ ფულადი და საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები, პირობითად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჰქონია სავალდებულო ინსტრუმენტთა მხოლოდ ნახევარი.

ცენტრალური ბანკის პოლიტიკა მისი ძირითადი ფუნქციების განხორციელებაში ერთმანეთს უხამებს მთავრობის პოლიტიკის ინტერესებს, რომელიც მიმართულია უპირველესყოველისა ეკონომიკის აღმავლობისკენ, მეწარმეობის ინტერესებს, რომლებიც მიმართულია საინვესტიციო შესაძლებლო-

ბათა სტიმულირებისკენ, პროფკავშირების ინტერესებს, რომლებიც განპირობებულია უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების გაფართოებისკენ სწრაფვით, და, პირველ რიგში, საკუთარ ინტერესებს-საფინანსო სისტემის მდგრადობის ამაღლებას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების სფეროში ცენტრალური ბანკისა და მთავრობის ურთიერთდამოკიდებულება, ჩვეულებრივ, დაიყვანება ე.წ. „საფინანსო კონსტიტუციაზე", ე.ი. სახელმწიფო ბიუჯეტთან დამოკიდებულების დამკვიდრებულ პრინციპებზე. მთავრობისთვის ძირითადი საკითხებია ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის და საგარეო და საშინაო ვალების გასტუმრების პრობლემები, რასაც ხშირად წყვეტენ ფულის ემისიის დახმარებით.

ნაღდი ფულის მიმოქცევა ნაღდი ფულის მოძრაობაა სამეურნეო ბრუნვაში, რომელიც სხვადასხვაგვარი ფულის მეშვეობით ხორციელდება: ბანკნოტების, ლითონის მონეტების, აგრეთვე, სხვა საკრედიტო ინსტრუმენტების-თამასუქების, საბანკო თამასუქების, ჩეკების, საკრედიტო ბარათების საშუალებით. ხშირად ნაღდ ფულს უწოდებენ მხოლოდ მონეტებს და ბანკნოტებს, არადა, ნაღდ მიმოქცევაში ყველა ჩამოთვლილი სახეობის ფული შეგვიძლია გამოვიყენოთ. თუმცა, ნაღდი ფულის საფუძველს უდავოდ შეადგენს ბანკნოტები და ხურდა (წვრილი) ფული.

ბანკნოტების ემისია ცენტრალური ბანკის პრეროგატივაა. მის წინაშე ყოველთვის დგას ის ამოცანები, რომ მან უნდა განსაზღვროს ბანკნოტების გამოშვების რაოდენობრივი ზომა, შეაფასოს ფულის ერთეულის მიმოქცევის სიჩქარე და აირჩიოს ამ მიმოქცევის რეგულირების მეთოდები.

ბანკნოტების ემისიაზე თითქმის ყველა ქვეყანაში ცენტრალური ბანკისთვის მინიჭებული მონოპოლია საშუალებს აძლევს თავის შემადგენლობაში გამოყოს ისეთი სპეციალური ქვედანაყოფი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საემისიო-სალარო სამუშაოს: ფულის ბეჭდვა, დიზაინი ამ მისი გაფორმება და გაყალბებისგან მისი დაცვის ხერხების შემუშავება. ბანკნოტებს საგანგებო ქაღალდზე ბეჭდავენ და მათ მკაცრად განსაზღვრული ღირებულება აქვთ. განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში ცენტრალური ბანკების საემისიო მონოპოლიის მნიშვნელობა რამდენადმე შესუსტებულია, რადგანაც ფულის მასაში ნაღდი ფულის ხვედრითი წილი დაბალია (10%-ზე ნაკლები), მაგრამ ბანკნოტების ემისია იქაც კვლავ აუცილებელია საცალო ვაჭრობაში გადახდებისა და საკრედიტო სისტემის ლიკვიდობის უზრუნველყოფისთვის. საქართველოში ემისიის მნიშვნელობა უფრო დიდია, რადგანაც ნაღდი ფულის ხვედრითი წილი ფულის ბაზის მთლიანი მოცულობის დაახლოებით 80%-ს შეადგენს.

ბანკნოტების ემიტირება ცენტრალურ ბანკში ხდება და ისინი, როგორც წესი, უზრუნველყოფილია მისი იმ აქტივების ფორმით, რომლის ძირითადი მუხლებია ოფიციალური ოქროსავალუტო რეზერვები, სახელმწიფო და სხვა ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე, საბანკო ინსტიტუტებისთვის მიცემული ის კრედიტები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების საწინდრითაა გაცემული.

ბანკნოტების ემისიას წინ უსწრებს დეპოზიტების ემისია, რადგან თავის საკრედიტო დაბანდებებს ცენტრალური ბანკი ზრდის მთავრობისათვის (სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად) და კომერციული ბანკებისთვის სესხების მიცემის გზით. სწორედ ანგარიშებზე, ე.ი. დეპოზიტებზე არსებული ნაშთების ამაღლებით ახორციელებს ბანკი დეპოზიტების ემისიას. სხვა საკრედიტო ინსტიტუტებისგან ცენტრალურ ბანკს განასხვავებს ის, რომ იგი თვითონ (ემისიის მეშვეობით) იქმნის დაკრედიტების რესურსებს. კომერციულ ბანკებს ამგვარი შესაძლებლობები უკიდურესად შეზღუდულად აქვთ. უნაღდო გადახდების განხორციელება, კრედიტების გაცემა და ნაღდი ფულის მიღება მათ მხოლოდ იმ სახსრების ნაშთების ფარგლებში შეუძლიათ, რომლებიც ამ ბანკებს გააჩნია ცენტრალურ ბანკში გახსნილ თაიანთ ანგარიშსწორების ანგარიშზე. მაგრამ ზოგჯერ კომერციული ბანკებიც მონაწილეობენ დეპოზიტების შექმნაში ან ზრდიან თავიანთ ანგარიშებზე არსებულ უნაღდო ფულს, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა ფორმის საკრედიტო ოპერაციებს, ფულადი გზავნილების სისტემებს და ფულის მიმოქცევის დაჩქარებას. ესაა ე.წ. საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკატორული ეფექტი.

თავისი ბუნების გამო საბანკო საქმე უამრავი რისკის გაწევას უკავშირდება;

- საკრედიტო რისკის;
- საბაზრო რისკის, რომელიც ვალუტის კურსზეა დამოკიდებული;

საპროცენტო რისკის, რომელიც, თავის მხრივ, საპროცენტო განაკვეთების არახელსაყრელ ცვლილებებს უკავშირდება;

- სამართლებრივი რისკის და ა.შ.

ისინი ყოველთვის ზრდიან ლიკვიდობის რისკს. ამიტომ კომერციული ბანკების დეპოზიტური ემისია ყოველთვის აძლიერებს რისკებს და გაკოტრებას იწვევს. ეს იციან კომერციულმა ბანკებმა და ამიტომაც არ ცდილობენ მის გაფართოებას.

კომერციულ ბანკებში დეპოზიტების ემისიასაც ცენტრალური ბანკი არეგულირებს როგორც პირდაპირი, ისე ირიბი მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი მეთოდია ყველა ბანკისთვის ემისიის სიდიდის განსაზღვრა დაკრედიტების ლიმიტებით, რომელსაც ბანკი უდგენდა მათ მათივე განსაცხადების საფუძველზე. ირიბი მეთოდია ცენტრალურ ბანკში საკორესპონდენტო ანგარიშების მქონე კომერციულ ბანკში ემისიის შეზღუდვა, ერთი მხრივ, ამ ანგარიშებზე არსებული სახსრების ფაქტობრივი ნაშთების ზომით და, მეორე მხრივ, ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული ლიკვიდობის კოეფიციენტებით და სარეზერვო მოთხოვნების ნორმატივებით.

ამ კომერციულ ბანკებს, რომლებიც თავიანთ ანგარიშსწორებას საფილიალთაშორისო სისტემის მეშვეობით ახორციელებენ, უწესებენ მოზიდული სახსრების ხარჯზე გაწეულ საკრედიტო დაბანდებათა მოცულობას, მათ შორის ცენტრალიზებული რესურსების სიდიდეს (პირდაპირი მეთოდი). ამასთან, როგორც მიმოქცევაში ნაღდი ფულის გამოშვების ლიმიტები, ისე უნაღდო სადეპოზიტო ემისიის შეზღუდვები დაწესებულია ძირითად მაკროეკონომიკურ და იმ სხვა ფაქტორებთან დაუკავშირებლად, რომლებიც ფულის მასაზე ახდენენ გავლენას.

4.8. საემისიო საქმიანობის რეგულირება

ცენტრალური ბანკის საემისიო ფუნქციების რეალიზება დიდხანს ხდებოდა საკასო და საკრედიტო ბალანსების სისტემის მეშვეობით. 1991 წელს გადავიდნენ საკასო ბრუნვის, ანუ საკასო ბალანსის ანგარიშების შედგენაზე, რომელთა ძირითადი მიზანია მთლიანად ქვეყანაში, მ.ს რეგიონებში და ბანკების დაწესებულებებში ნაღდ ფულზე არსებული მოთხოვნილების განსაზღვრა. სალაროს ბრუნვების პროგნოზები ასახავს ბანკების სალაროებიდან ნაღდი ფულის შემოსელის მოცულობას და წყაროებს, აგრეთვე, ფულის ემისიის და მიმოქცევიდან ფულის ამოღების ზომებს ტერიტორიების მიხედვით.

თუ ხარჯები აჭარბებს შემოსავალს, ეს ნიშნავს ფულის გაშვებას მიმოქცევაში, ხოლო თუ შემოსელა აღემატება ხარჯებს, მაშინ ეს ნიშნავს ფულის ამოღებას მიმოქცევიდან.

გავშიფროთ სალაროს ბრუნვის შემოსავლისა და ხარჯვის ნაწილები.

1. ნავაჭრო ამონაგები. ამ მუხლში ნაჩვენებია ის ნაღდი ფული, რომელსაც სავაჭრო ორგანიზაციები აბარებენ ბანკებს. ეს მთელი ნავაჭრი კი არაა, არამედ მისი მხოლოს ნაწილია, რადგან სავაჭრო ორგანიზაციები საქონლის ნაწილს უნაღდო ანგარიშსწორებით ყიდიან, ნაწილს კი-კრედიტით. გარდა ამისა, ნავაჭრის თანხას ნაწილობრივ იყენებენ ვაჭრობის მუშაკთა ხელფასის გასასტუმრებლად, ხოლო მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ნაღდ ანგარიშზე საქონლის შეძენას ხმარდება. ნაღდი ფულადი ნავაჭრის გამოუყენებელ ნაშთს ბანკში ორგანიზაციის ანგარიშსწორების ანგარიშზე რიცხავენ.

2. მოშსახურებისგან მიღებული შემოსულობანი. ამ მუხლში აღრიცხავენ ნაღდ შემოსულობებს ტრანსპორტიდან, კომუნალური საწარმოებიდან, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და გასართობი საწარმოებიდან. აქაც შემოსავლები მცირდება უნაღდო შემოსულობებისა და ხელ-

საკასო ბრუნვების პროგნოზის გამსხვილებული სქემა

შემოსვლა	ხარჯი
1. საეჭრო ამონაგების შემოსვლა	1. ხელფასის გასტუმრება, სოციალური ხასიათის მისაცემლების, სტიპენდიების, პენსიების, შემწეობების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა
2. უცხოური ვალუტის მიყიდვიდან მიღებული შემოსულობანი	2. მოქალაქეთა ანაბრების ანგარიშებიდან გაცემული სახსრები
3. მოსახლეობისთვის უცხოური ვალუტის მიყიდვიდან მიღებული შემოსულობანი	3. მოსახლეობიდან უცხოური ვალუტის ყიდვაზე გაცემული სახსრები
4. სხვა შემოსულობანი	4. სხვა ხარჯები
5. სულ შემოსვლა	5. სულ ხარჯი

ფასზე გაწეული ხარჯების გამო.

3. გადასახადებით და მოსაკრებლებით მიღებული შემოსულობები. ამ მუხლით შემოსულობებს აღრიცხავენ საგადასახადო ინსპექციის მიერ იმ ყოველგვარი გადასახადისა და ჯარიმის შესახებ შედგენილი მონაცემების საფუძველზე, რომლებსაც ნაღდი ფულით იხდიან ხოლმე.

4. სადაზღვევო გადასახადებიდან და სადაზღვევო ანაზღაურების გადახდიდან მიღებული შემოსულობები. სადაზღვევო შენატანები შემდეგ სახეობებადაა დაყოფილი: ა) ჭონების დაზღვევა; ბ) ნაგებობათა დაზღვევა; გ) ავტოტრანსპორტის დაზღვევა; დ) პირადი დაზღვევა.

5. კაეშირგაბმულობის საწარმოების ოპერაციებიდან მიღებული შემოსულობები. ამ მუხლის მიხედვით მიღებული შემოსულებები და მისაცემლები ორ ნაწილად იყოფა: პირველი, სახსრების შემოსვლა და ხარჯვა წმინდა საფოსტო ოპერაციების მიხედვით და, მეორე, მოქალაქეებისა და საწარმოების ფულადი სახსრების გაგზავნის საფოსტო მომსახურება.

6. შემნახველი ბანკის ოპერაციები. შემოსულობები: ა) მოსახლეობის ანაბრების მიღება; ბ) ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან; გ) აკრედიტივების გახსნიდან; დ) მოქალაქეთა ფულის გადაგზავნიდან; ე) საწარმოთა ფულის გადაგზავნიდან (ნავაჭრი); ვ) სხვა შემოსულებები-გადასახადები, მოსაკრებლები, საბინაო-კომუნალური მეურნეობიდან მიღებული შემოსულობები და ა.შ. გასაცემი თანხები; ა) მოსახლეობის ანაბრების გაცემა; ფასიანი ქაღალდების დაფარვა და მათზე პროცენტების გასტუმრება; ბ) პენსიები და შემწეობები; გ) აკრედიტივების თანხების გაცემა; დ) მოქალაქეთა გზავნილებების გაცემა; ე) შემნახველი ბანკის მუშაკთა ხელფასი.

7. ოპერაციები სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ანგარიშების მიხედვით. შემოსვლა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები; ხარჯვა: ა) ხელფასი, შემწეობა და პენსია; ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვა მოსახლეობისგან.

8. ვალუტაზე ჩატარებული ოპერაციები. შემოსვლა: მოსახლეობისთვის ვალუტის მიყიდვიდან მიღებული ამონაგები; ხარჯვა: ვალუტის შეძენაზე მოსახლეობის მიერ დახარჯული სახსრები.

კომერციული ბანკების სალაროთი მომსახურების განხორციელებისათვის ცენტრალური ბანკის ტერიტორიულ მთავარ სამმართველოებთან იქმნება საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრები, რომლებიც აყალიბებენ ფულის მიღებისა და გაცემის საბრუნავ სალაროს. თუ კომერციული ბანკის ნაღდი ფულის შემოსულებები საკმარისი არაა მოსალოდნელი ხარჯების დასაფარავად, მაშინ კომერციულ ბანკს შეუძლია ამ ცენტრში შეიძინოს საჭირო რაოდენობის ფული. ცენტრს საამისოდ გააჩნია ბანკნოტებისა და მონეტების სარეზერვო ფონდები. საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრი სარეზერვო ფონდებიდან მაშინ გადაგზავნის ბანკნოტებს სალაროებში, თუ კომერციული ბანკების მიერ ნაღდი ფულის შეძენაზე გაკეთებული განაცხადებები აღემატება ცენტრის სალაროების შესაძლებლობებს.

ფულის ბანკნოტებისა და მონეტების სარეზერვო ფონდები ცენტრალური ბანკის საცავებში მოთავსებული იმ ბანკნოტებისა და მონეტების მარაგებია, რომლებიც მიმოქცევაში არაა გაშვებული და რეგულირების საჭიროებებს ემსახურება. მათ ხარჯზე ცენტრალური ბანკი ოპერატიულად განაახლებს მიმოქცევაში მყოფი ნაღდი ფულის მასას, ინარჩუნებს კუპიურების სათანადო შემადგენლობას და ამცირებს ქვეყნის ტერიტორიაზე ნაღდი ფულის გადატანისა და შენახვის ხარჯებს.

როგორც ზემოთაც ითქვა, ნაღდი ფულის მიმოქცევა განვითარებულ ქვეყნებში უმნიშვნელ როლს თამაშობს ფულის მთლიან მიმოქცევაში და მას ძირითადად მოსახლეობა იყენებს იმისათვის, რომ თავისი ფულადი შემოსავლები საგადასახადო სამსახურების კონტროლს მოარიდოს. ჩვენთან ვითარება სულ სხვაგვარია, რის გამოც გაცილებით დიდია ეროვნული ბანკის საემისიო საქმიანობის რეგულირების მნიშვნელობა.

4.9. ფულის მასა და მისი შეფასების მეთოდები

არსებობს განსხვავებული მიდგომები მიმოქცევაში საჭირო ფულის მასის განსაზღვრის მიმართ, თანაც ისინი განსხვავებულია არა მარტო სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ თვით ერთი ქვეყნის ფარგლებშიც კი. ამის მიუხედავად, ყველა ეს მიდგომა ფულის აგრეგატების განსაზღვრას ეყრდნობა, თუმცა მათი შემადგენლობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა.

ფულის აგრეგატი საბანკო ანგარიშების დაჯგუფებაა ამ ანგარიშებზე მოთავსებული სახსრების ნაღდ ფულად გადაქცევის სიჩქარის მიხედვით. რაც უფრო სწრაფად გადაიქცევა ეს სახსრები ნაღდ ფულად, მით უფრო ლიკვიდურადაა მიჩნეული მოცემული აგრეგატი.

ყველა ქვეყნის საფინანსო სტატისტიკაში ფულის აგრეგატებს ერთნაირად აღნიშნავენ (M1, M2, M3 და სხვა), მაგრამ მათი ხარისხობრივი შედგენილობა სხვადასხვაა. ამიტომ ამა თუ იმ აგრეგატის დინამიკის შედარების დროს პარალელის გაყვება აშშ-თან ან საფრანგეთთან მართლზომიერი არაა, რადგანაც სხვადასხვა ქვეყანაში ტრადიციულად ჩამოყალიბდა სხვადასხვა შეხედულება ფულზე (განსაკუთრებით-საკრედიტო ფულზე), სხვადასხვა თანაფარდობა ფულის მოლიანი ბრუნვის ნაღდ და უნაღდო კომპონენტებს შორის, ფულსა და ფინანსურ აქტივებს შორის, აგრეთვე, ცენტრალური ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო სისტემის რეგულირების განსხვავებული მეთოდები. ყოველივე ამის მიუხედავად სხვადასხვა ქვეყნის ეს აგრეგატები ერთმანეთთან დაახლოებისკენ მიისწრაფიან, რადგანაც ბოლო წლებში შეიმჩნევა საფინანსო ბაზრების უნივერსალიზაციის ტენდენცია.

ფულის აგრეგატების მიხედვით ფულის მასის გაანგარიშების კლასიკური ვარიანტია აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ მიღებული კლასიფიკაცია.

აშშ-ში ფულის ოთხი აგრეგატი გამოიყენება ესენია: M1, M2, M3 და L.

ფულის პირველი აგრეგატი M1 ნაღდ ფულთან ერთად მოიცავს მაღალი ლიკვიდობის მქონე ინსტრუმენტებს, რის გამოც იგი მიმოქცევაში გადახდის საშუალებად გამოიყენება. ნაღდ ფულზე მეტად, განსაკუთრებით კი მსხვილი გარიგებისას, გადახდის საშუალებად გამოიყენება ტრანსაქციური დეპოზიტები. ამ ინსტრუმენტებში მოიაზრება ისეთი ანაბრები, საიდანაც ჩეკებითა და ფულად-ელექტრონული გადარიცხვებით შეიძლება გაიცეს გარიგების შესაბამისი, მეორე მხარისათვის განკუთვნილი თანხები. ესაა მიმდინარე ანგარიშები (გამოიყენება ჩეკებითა და ელექტრონული გადარიცხვებით ამგარიშსწორებისათვის, პროცენტის დაურიცხავად) და სხვა საჩეკო, მოთხოვნამდე დეპოზიტები (მიმდინარე ანგარიშებისაგან განსხვავებით მათ პროცენტი დაერიცხება). მაშასადამე, ფულის აგრეგატი

M1= ნაღდი ფული (ფული მიმქოცეაში) +ტრანსაქციური დეპოზიტები (საჩეკო ანგარიშები და დეპოზიტები ელექტრონული გადარიცხვებისათვის).

აშშ-ის საფინანსო ბაზრებზე იყენებენ ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა ლიკვიდობა მაღალია და ფულზე არანაკლები მნიშვნელობის დაგროვების საშუალებას წარმოადგენს. დაგროვების ამგვარ ლიკვიდურ საშუალებებს მიაკუთვნებენ: ფულის ბაზრის ზიარ (ერთობლივ) ფონდებს, ფულის ბაზრის დეპოზიტურ ანგარიშებს, შემნახველ ანაბრებს, ვადიან ანაბრებს, ერთდღიან შეთანხმებებს უკან გამოსყიდვის პირობით და ერთდღიან სესხებს ევროდოლარებში. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი:

- ფულის ბაზრის ერთობლივ ფონდებად იწოდება დამოუკიდებელი ფინანსური შუამავლები, რომელიც მოსახლეობას მიჰყიდის საკუთრების დამადასტურებელ სერტიფიკატებს, ხოლო განხორციელებული ოპერაციიდან მიღებულ თანხებს იყენებს თითქმის ფიქსირებულ-პროცენტიანი, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების შესასყიდად. გაწეული მომსახურებისათვის, უმნიშვნელო გადასახადის გამოკლებით, ამ ფასიან ქაღალდებს ძალიან მყარი ნომინალური ღირებულება გააჩნია, ფონდები უზრუნველყოფენ საკუთრების დამადასტურებელი ერთი სერტიფიკატის ღირებულების მუდმივობას.

საფინანსო ბაზრის ერთობლივი ფონდები თავიანთ აქციონერებს შეზღუდული მოცულობის თანხის საჩეკო ანგარიშსწორებისა და ელექტრონური გადარიცხვების გამოყენების შესაძლებლობას უტოვებს, მაგრამ, პრაქტიკულად, ასეთი ფონდები ამ სახის ანგარისწორებისათვის ტრანსაქციურ დეპოზიტებთან შედარებით იშვიათად გამოიყენება.

- ფულის ბაზრის დეპოზიტური ანგარიშები დეპოზიტურ ინსტიტუტებში გახსნილი, პროცენტის შემომტანი დეპოზიტებია. ბაზრის სხვა საპროცენტო ნორმების ცვლილებების გათვალისწინებით, ამ ანგარიშზე გასაცემი პროცენტის კორექტირება ყოველკვირეული პროცედურაა. თითოეული სადეპოზიტო ორგანიზაცია თავად განსაზღვრავს ფულის ბაზრის დეპოზიტურ ანგარიშებზე გასაცემი პროცენტის სიდიდეს. ამიტომ სხვადასხვა დეპოზიტურ ორგანიზაციას ეს პროცენტი განსხვავებული შეიძლება ჰქონდეს. ანგარიშიდან თანხის მოხსნა შესაძლებელია ნებისმიერ დროს ყოველგვარი დაჯარიმების გარეშე. ფულის ბაზრის დეპოზიტური ანგარიშების ანაბრები, ფულის ბაზრის ერთობლივი ფონდისაგან განსხვავებით, დაზღვეულია ფედერალური სადაზღვეო კორპორაციის მიერ.

დეპოზიტური ორგანიზაციების მიერ ფედერალურ სარეზერვო ფონდში შესატანი აუცილებელი რეზერვები მხოლოდ კორპორაციების კუთვნილი ფულის ბაზრის დეპოზიტური ანგარიშებისათვის იქმნება. ფიზიკური პირების ასეთი ანგარიშები აუცილებელი რეზერვისაგან თავისუფლდება.

თუ 1982 წელს (დეპოზიტური ანგარიშების დაწესების წელს) აშშ-ის ფულის ბაზრის დეპოზიტურ ანგარიშებზე აღირიცხებოდა 43,2 მლრდ აშშ დოლარი, უკვე 1986 წელს 570,2 მლრდ აშშ დოლარი გახდა, ანუ ხუთ წელიწადში ეს ანგარიშები 13,2-ჯერ გაიზარდა.

- შემნახველი ინსტიტუტები ხსნიან შემნახველ ანაბრებს, რომელიც, თავის მხრივ,

პროცენტის შემომტანია. ამ ანაბრიდან ფულის გამოტანა დასაშვებია ნებისმიერ დროს და ნებისმიერი რაოდენობით. ანგარიშის მფლობელს ეძლევა შემნახველი წიგნაკი, რომელშიც დაწვრილებით აღინიშნება ანგარიშზე ფულის შეტანისა თუ გატანის ყველა ოპერაცია. შემნახველი ანგარიშის გახსნა შესაძლებელია შემნახველი წიგნაკის გარეშეც. ასეთ შემთხვევაში მეანაბრეს, სურვილისამებრ, შეუძლია მიიღოს სრული ამონაწერი მისი ანგარიშის მდგომარეობის შესახებ. ამონაწერის მიღება ფოსტითაც შეიძლება.

შემნახველი ანაბრიდან დაუშვებელია საჩეკო ანგარიშსწორება. სამაგიეროდ, საბანკო ავტომატებისა და პლასტიკური ბარათების გამოყენებამ გაზარდა ამ ანგარიშების ლიკვიდობა, რადგან მასზე არსებული თანხები ხელმისაწვდომი გახდა დღე-ღამის ნებისმიერი მომენტისათვის. გაჩნდა სადებეტო და საკრედიტო ბარათები.

● ვადიანი ანაბრები დეპოზიტურ ინსტიტუტებში გარკვეული ვადით გახსნილი, პროცენტის სახით სარგებლის შემომტანი ანგარიშებია. მათგან თანხის მოხსნა დასაშვებია წინასწარ განსაზღვრული ვადის ბოლოს ყოველგვარი ჯარიმის გარეშე. თუ ვადიანი ანაბარი დიდი მოცულობის არ არის (აშშ-ში < 100000 დოლარზე), მეანაბრეს შეუძლია დეპოზიტზე არსებული თანხის შეთანხმებულ ვადაზე ადრე მოხსნა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას შესაბამისი, თუმცა მცირე ჯარიმის გადახდა მოუწევს. იმის გათვალისწინებით, რომ ვადიანი ანაბრების პროცენტული შემოსავალი მეტია შემნახველი ანაბრების ანალოგიურ შემოსავალზე (სხვა თანაბარ პირობებში), ვადიანი ანაბრებიც საკმაოდ ლიკვიდური დაგროვების საშუალებად მიიჩნევა.

● ერთდღიანი შეთანხმებები უკან გამოსყიდვის პირობით ხელშეკრულებით გაფორმებული აქტივებია, რომლის მიხედვითაც ერთი პირი (ბანკი, ფირმა, კერძო პირი) მეორისაგან ერთი დღით შეიძენს ფასიან ქაღალდებს იმ პირობით, რომ მეორე დღეს უკან მიჰყიდის მეტ ფასში. ფასთა სხვაობა ერთი დღით გამოყენებული თანხისათვის მიღებული სარგებლის ეკვივალენტურია. აშშ-ში ეს აქტივები შემოსაზღვრულია ქვედა დონით (≥100000 დოლარზე).

ერთდღიან შეთანხმებებს უკან გამოსყიდვის პირობით მეტწილად მსხვილი ფირმები და საფინანსო შუამავლები იყენებენ. მაგალითად, ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების მსხვილი კორპორაციისათვის მიყიდვისას მიღებული თანხა დეპოზიტზე ირიცხება. მეორე დღეს დასაბრუნებელი ეს ვალდებულება თავისუფალია მოთხოვნამდე და „ნაუ“ ანგარიშებზე გასაცემი პროცენტის სახელმწიფო შეზღუდვისაგან, დეპოზიტებზე დაწესებული აიცილებელი რეზერვისა და დეპოზიტების დაზღვევის მოთხოვნისაგან.

ერთდღიანი შეთანხმებების დადებისას უკან გამოსყიდვის პირობით ბანკი თავის საბალანსო ანგარიშში არ აღნიშნავს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობის ღირებულების შემცირებას. ასევე ხელშეკრულების მეორე მხარეც არ აფიქსირებს თავის საბალანსო ანგარიშში ფასიანი ქაღალდების ზრდას. აღნიშნულ პროცესში ფასიანი ქაღალდები მიიჩნევა საგირავნო უზრუნველყოფად, რის გამოც პროცესში მონაწილე ეკონომიკურ სუბიექტებს ერთდღიანი შეთანხმებები უკან გამოსყიდვის პირობით უფრო საიმედოდ მიაჩნიათ, ვიდრე ზოგიერთი სხვა სახის ლიკვიდური აქტივი.

● ერთდღიანი სესხები ევროდოლარებში. მსოფლიოში არსებობს საბანკო დაწესებულებები, რომლებიც თავს „ევროდოლარულ საბანკო სფეროს“ მიაკუთვნებენ. ისინი კლიენტებს სთავაზობენ დოლარებში დენომინირებული დეპოზიტების გახსნას, საიდანაც დოლარებშივე გასცემენ თანხებს. ევროდოლარული სფეროს ბანკების ძირითადი კლიენტებია სხვადასხვა ქვეყნის კომერციული და ცენტრალური ბანკები. ამ ბანკების ძირითადი მსესხებლები არიან მსხვილი კორპორაციები, მთავრობები და ბანკები, რომელთაც უჩნდებათ დოლარის საჭიროება და, შესაბამისად, მას ევროდოლარული ბონების დოლარებში დენომინირებული ფონდებიდან იღებენ. აშშ-ის ფარგლებს გარეთ და მსოფლიოს მასშტაბით ევროდოლარული საბანკო სფეროს წარმოქმნა გამოწვეული აშშ დოლარის მიერ საერთაშორისო ფულის ფუნქციის შეძენით.

ევროდოლარული ბანკები დოლარების მარაგს აშშ-ის ბანკებთან ერთად ქმნიან. ამას თავისი მიზეზები გააჩნია. კერძოდ: რადგან ევროდოლარული ბანკებიდან სესხი დოლარებში გაიცემა, ამერიკულ ბანკებს ხელს აძლევთ ამ გზით საკუთარი კლიენტების ქვეყნის ფარგლებს გარეთ მომსახურება. ამასთან, ევროდოლარულ ბანკს შეუძლია მიიღოს საპროცენტო სარგებელი ამერიკული ბანკისაგან, თუ ამ უკანასკნელს კლიენტისათვის სესხს მისცემს. სესხს, რომელსაც აშშ-ის ბანკი ევროდოლარული ბანკისაგან იღებს, ევროდოლარული სესხი ჰქვია. ასეთ ოპერაციებს მხოლოდ აშშ-ის უმსხვილესი ბანკები აწარმოებენ, რადგან მათი გარიგებების უმეტესობა 10 მლნ დოლარის ან უფრო მეტი მოცულობისაა.

● ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ექსი ინსტრუმენტი დაგროვების უნარითა და საკმაოდ მაღალი ლიკვიდობით გამოირჩევა. მათი ფულის პირველ აგრეგატთან ერთობლიობით მიიღება ფულის აგრეგატი M2. ამ უკანასკნელის ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

M2 = M1+ფულის ბაზრის ერთობლივი ფონდები+ფულის ბაზრის დეპოზიტური ანგარიშები+შემნახველი ანაბრები+ვადიანი ანაბრები+ +ერთდღიანი შეთანხმებები უკან გამოსყიდვის პირობით+ +ერთდღიანი სესხები ევროდოლარებში.

აშშ-ის 1 და 2 ფულის აგრეგატები
(1990 წლის 1 იანვარი)

M1 და M2 აგრეგატები პარამეტრებთან ერთად	რაოდენობა (მლრდ დოლარი)
ნაღდი ფული	232
ტრანსაქციური დეპოზიტები	563
მათ შორის	
მიმდინარე ანაბრები	277
სხვა საჩეკო დეპოზიტები	285
*სულ **M1:***	*795*
ფულის ბაზრის ერთობლივი ფონდები	
ფულის ბაზრის დეპოზიტური ანგარიშები	318
შემნახველი ანაბრები	485
ვადიანი ანაბრები	410
ერთდღიანი შეთანხმებების უკან გამოსყიდვის პირობით	1143
ერთდღიანი სესხები დოლარებში და სხვ	64
*სულ **M2:***	17
	3832

წარმოდგენილ ცხრილში ასახულია M1 და M2 ფულის აგრეგატების მონაცემები აშშ-ში 1990 წლის 1 იანვრისათვის.(Долан Э. Деньги. банки и денежно-кредитная политика. - СПб: Санкт-Петербург: Оркестр. 1994. с.31.)

ცხრილიდან კარგად ჩანს,თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ფულის მიმოქცევაში M2 აგრეგა-

ტის ადგილი, თუნდაც მაღალლიკვიდური M1-ის გამოკლებით.

არსებობს ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც M1-სა და M2-ში შემავალ ინსტრუმენტებთან შედარებით დაბალლიკვიდურია, მაგრამ გააჩნია დაგროვების ფუნქცია. მათ რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, დეპოზიტური სერტიფიკატები, ვადიანი შეთანხმებები გამოსყიდვის პირობით, ვადიანი სესხები ევროდოლარებში და სხვადასხვა ინსტიტუტების კუთვნილი ფულის ბაზრის ერთობლივი ფონდების საკუთრების დამადასტურებელი სერტიფიკატები.

• დეპოზიტური სერტიფიკატები (დს) დადგენილი ქვედა ზღვრული ოდენობის მქონე (აშშ-ში ≥ 100000დოლარისა) მსხვილი, ვადიანი დეპოზიტებია. მისი გახსნისას ბანკი და მეანაბრე თანხმდებიან ყოველი დეპოზიტური სერტიფიკატისათვის გადასახდელ პროცენტსა და ვადაზე. ჩვეულებრივ, ეს ვადა ექვს თვეს არ აღემატება. ამიტომ მათ მოკლევადიან დეპოზიტებს მიაკუთვნებენ. დეპოზიტური სერტიფიკატისადმი ინტერესს იჩენენ კორპორაციები, ბანკები, ფულის ბაზრის ერთობლივი ფონდები, საპენსიო ფონდები. შტატების მთავრობები, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები და საკრედიტო კავშირები, დიდი საინვესტიციო რესურსების მქონე ორგანიზაციები.

დეპოზიტური სეტიფიკატები მსხვილი დეპოზიტების ნაირსახეობაა. ამ უკანასკნელის მფლობელზე გაიცემა სპეციალური სერტიფიკატი, რომლის გაყიდვა შესაძლებელია ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე მისი გადახდის ვადის გასვლამდე. ბაზარზე დეპოზიტური სერტიფიკატების ყიდვა-გაყიდვის ფასი უმნიშვნელოდ განსხვავდება მასზე აღნიშნული ნომინალური ღირებულებისაგან. ამ უკანასკნელის ტოლი თანხის მიღება დეპოზიტური ანგარიშის ვადის გასვლისას შეუძლია მის წარმომდგენს ემიტენტ ბანკში.

ვადიანი შეთანხმებები გამოსყიდვის პირობით ოცდაოთხ საათზე მეტი ვადის მქონე შეთანხმებებია ფასიანი ქაღალდების გაყიდვა-გამოსყიდვით.

• ვადიანი სესხები ევროდოლარებში ერთდღიანი ანალოგიური სესხებისაგან განსხვავდება გასესხების ოცდაოთხ საათზე მეტი ვადიანობით.

• თუ ზემოაღნიშნულ სამ ფინანსურ ინსტრუმენტს დავუმატებთ ფულის ბაზარზე სხვადასხვა ინსტიტუტების კუთვნილ ერთობლივი ფონდების საკუთრების დამადასტურებელ სერტიფიკატებს, მივიღებთ ფულის M3 აგრეგატს, რომლის ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

M3 = M2 + დს + ვადიანი შეთანხმებები გამოსყიდვის პირობით + +ვადიანი სესხები ევროდოლარებში + სხვადასხვა ინსტიტუტების კუთვნილი ფულის ბაზრის ერთობლივი ფონდების საკუთრების დამადასტურებელი სეტიფიკატები.

• არსებობს ფულის კიდევ ერთი აგრეგატი L, რომელიც M3-თან ერთად შეიცავს სამ საკმაოდ ლიკვიდურ აქტივს: საბანკო აქცეფტებს, კომერციულ ფასიან ქაღალდებს, აშშ-ის ხაზინის მოკლევადიან ფასიან ქაღალდებსა და ობლიგაციებს.

L = M3 +საბანკო აქცეპტები+კომერციული ფასიანი ქაღალდები+ +აშშ-ის ხაზინის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები და ობლიგაციები.

L საბანკო აქცეპტი არის ბანკის დასტური თამასუქსა ან ჩეკზე, რომ იგი კისრულობს ფასიანი ქაღალდის განაღდებას. ბანკის ფინანსური რეპუტაცია განსაზღვრავს აქცეპტის საიმედოობას.

• კომერციული ფასიანი ქაღალდები საფინანსო და სამრეწველო კორპორაციების მიერ გამოშვებული მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდებია. მათი დაფარვის ვადა ნაკლები ან ტოლია სამოცი დღისა. კორპორაციების მიერ კომერციული ფასიანი ქაღალდების გამოშვება იმითაა გამოწვეული, რომ მყიდველებისაგან კომერციული ფასიანი ქაღალდებით მიღებული სესხის საპროცენტო განაკვეთი ნაკლებია კომერციული ბანკებიდან აღებული სესხის საპროცენტო განაკვეთზე. ამ ფასიანი ქაღალდების ლიკვიდობაც ემიტენტისადმი ნდობაზეა დამოკიდებული.

● ხაზინის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები ფედერალური მთავრობის ერთ წლამდე ვადის მქონე თამასუქებია. ფედერალური მთავრობის ფასიანი ქაღალდები მყიდველებში დიდი ნდობით სარგებლობს.

აშშ-ის ფულის აგრეგატების „სპექტრალური სტრუქტურა" საინტერესოა რამდენიმე თვალსაზრისით. კერძოდ:

● წარმოდგენას გვიქმნის „სპექტრალური ხაზების" (აგრეგატების შემადგენელი პარამეტრების – ფინანსური ინსტრუმენტების) შესახებ;

● გვარკვევს აგრეგატული „სპექტრის" აგების პრინციპში (აგებულია დაგროვების უნარის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით);

● გვეხმარება ფულის ქართული აგრეგატების „სპექტრალური სტრუქტურის" ძირითადი პრინციპების დადგენაში;

● გვარკვევს, რამდენად არის შესაძლებელი ფულის ქართული აგრეგატების სხვაგვარ სტრუქტურაზე გადასვლა;

● საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ, ამერიკული „სპექტრალური ხაზების" ქართულ ფინანსურ ბაზარზე გამოყენებისა და დანერგვის შესაძლებლობა.

● რაც შეეხება საქართველოს რეალობას ამ თვალსაზრისით, ეროვნული ვალუტის აგრეგატები შექმნილია ფულის ძირითადი ფუნქციების შედარებით ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინების პრინციპით: ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში წარმოადგენს M1 ფულის აგრეგატს, ბანკებში დეპოზიტებზე რიცხული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში პლუს M1-M2-ს, ბანკების დეპოზიტებს უცხოურ ვალუტაში პლუს M2-M3-ს, ე.ი.

$$M1+D=M3,$$

სადაც, D ბანკების დეპოზიტების საერთო მოცულობაა.

დეპოზიტების დიფერენცირება დეპოზიტებად ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში იმის გათვალისწინებით, რომ პირველის მოცულობა გაცილებით ნაკლებია მეორესთან შედარებით, გამოწვეულია ლარისადმი, როგორც დაგროვების საშუალებისადმი ნდობის შედარებით დაბალი დონით და მაღალი რისკით. აღნიშნული განსაკუთრებით საგრძნობია საშუალო და გრძელვადიანი პერიოდის დეპოზიტების ან/და თანხის დიდი მოცულობის შემთხვევაში. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ზოლოვანი სპექტრისმაგვარი ქართული ფულის აგრეგატების გამოყენება გამართლებულიც შეიძლება იყოს, თუ აქცენტს ლარის მხოლოდ დაგროვების ფუნქციაზე გავაკეთებთ (სპ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ბიულეტენები. №6. 2002. გვ.5.).

მაგრამ ნებისმიერი ფული, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს გაცვლის საშუალებას. განსაკუთრებით ოფიციალური ანგარიშსწორების დროს, კონკრეტულად კი საბანკო სისტემაში, და ის ამ ფუნქციას სხვა დანარჩენი ფუნქციების დაკარგვის შემდეგ კარგავს. ამიტომ ვფიქრობთ, ბანკებში გახსნილი მიმდინარე ანგარიშებისა და მოთხოვნამდე დეპოზიტების ლიკვიდობის გათანაბრება ვადიან დეპოზიტებთან ფულის მიმოქცევაში მათი როლის დაკნინებად შეიძლება მივიჩნიოთ, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბანკებში მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე დეპოზიტები ლარებსა და დოლარებში, ისევე როგორც ვადიანი დეპოზიტები, ცალკე აღირიცხება (სპ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ბიულეტენები. №6. 2002. გვ.5.). მაგალითად, 2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მდგომარეობით, კომერციული ბანკების სადეპოზიტო ვალდებულებების მოცულობა მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში 45335 მლნ ლარი იყო, ხოლო უცხოურ ვალუტაში – 184663 მლნ ლარი. სულ მიმდინარე ანგარიშებზე იყო 229998 მლნ ლარი. იმავე პერიოდისათვის ნაღდი ფული მიმოქცევაში 3657 მლნ ლარს შეადგენდა, ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული კი 3489 მლნ ლარს (სპ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ბიულეტენები. №7. 2002. გვ.4.). მიმდინარე ანგარიშების საერთო თანხა ამ ნაღდი ფულის 65,92%-ს შეადგენს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ასეთი დიდი

მოცულობის მობილური თანხის ნაკლებად ლიკვიდურ ვადიან ანაბრებთან გათანაბრება სრულფასოვან წარმოდგენას ვერ შექმნის მიმოქცევაში გამოყენებული ფულის მასის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეფიქრობთ, რომ ფართო ფულის პირველი აგრეგატი უნდა შეიცავდეს როგორც ბანკებს გარეთ არსებულ ნაღდ ფულს, ასევე ბანკებში მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშებზე არსებულ ფულსაც როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში. ე.ი. M1 უნდა შედგებოდეს: ბანებს გარეთ არსებულ ნაღდ ფულს პლუს ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე რიცხული თანხა.

რადგან ბოლო წლებში საქართველოს საბანკო ქსელში აქტიურად გამოიყენება ფულის ელექტრონული გადარიცხვების სისტემა, საკარაუდოა, რომ ახლო მომავალში საჭირო გახდება იმ ანაბრების გათვალისწინებაც, საიდანაც დასაშვები იქნება ეს გადარიცხვები. ამჟამად საქართველოდან გადარიცხული და საზღვარგარეთიდან გადმორიცხული თანხების საერთო მოცულობა თვეში 10 მლნ ლარის ფარგლებშია (სებ-ის საზოგადებასთან ურთიერთობის სამმართველოს ბიულეტენები. №7. 2002. გვ.4.). საჩეკო ანგარიშებთან ერთად, ზემოთ ჩამოთვლილი შეკავებს ფულის ლიკვიდური ინსტრუმენტების არსენალს M1-ში და შესაძლებელს გახდის საფინანსო ბაზარზე მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ადეკვატურ აღწერას.

რაც შეეხება M2 და M3 ფართო ფულის შესაკებს ფინანსურ ინსტრუმენტებს, ალბათ, ურიგო არ იქნება, თუ სპეციალისტების ყურადღება შეჩერდება შემნახველ ანაბრებზე, რეპო ოპერაციებზე, ლომბარდულ კრედიტებზე, საკრედიტო აუქციონებსა და ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების ჭარბი რეზერვების ვაჭრობაზე. აღნიშნული სრულყოფს და უფრო მომცველს გახდის საფინანსო ბაზარზე ფულის მასისა და მონეტარული კოეფიციენტების აღწერასა და, შესაბამისად, შესწავლას.

ბრუნვაში გაშვებული ფულის უკმარისობა იწვევს გადაუხდელობას და ეკონომიკაში არსებულ სხვა უარყოფით შედეგებს. ამიტომ ზოგიერთი ეკონომისტი საჭიროდ თელის ფულის მასის გაზრდას. ამასთან, მონეტარისტებს მიაჩნიათ, რომ ფულის მასა მუდმივი სიჩქარით უნდა იცვლებოდეს და იგი მშპ-ის ზრდას უნდა შეესაბამებოდეს.

ფულის ერთობლივი ბრუნვის ოპერატიულად მართვისთვის ცენტრალური ბანკი იყენებს შესაბამის ეკონომიკურ-მათემატიკურ აპარატს, რომლის მეშვეობითაც ოპერატიულად აანალიზებენ სამეურნეო კონიუნქტურის მდგომარეობას გარკვეული თარიღისთვის ან გარკვეული ვადისთვის. მიღებული მონაცემების საფუძველზე აფასებენ ფუნქციურ კავშირს ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ძირითად საპროგნოზო მაჩვენებლებს შორის. ერთი სიტყვით, ცენტრალურ ბანკს შეუძლია განახორციელოს მთელი ფულის ოპტიმალურად ბრუნვის ძიება ოპერატიული და ხელმისაწვდომი ხერხით.

მთელი ფულის ბრუნვის მდგომარეობის შეფასებისა და მართვისთვის იყენებენ ფაქტორული ანალიზის მეთოდებს, რომლებიც ეყრდნობა ფულის მასის ძირითადი აგრეგატების ფუნქციურ დამოკიდებულებას მთელ რიგ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რომლის საფუძველზეც ხდება დეპოზიტების და ფულის ემისიის პროცესების მოდელირება. ერთ-ერთი ასეთი მოდელია ფულის ბაზრის მოდელი, რომელიც წარმოდგენილია მოთხოვნის ფუნქციით, მიწოდების ფუნქციით და წონასწორობის პირობით. მიმოქცევაში საჭირო ფულის რაოდენობას მათემატიკურად გამოსახავენ ფუნქციურ დამოკიდებულებათა შემდეგი სისტემით:

$Ä_ç=f(X_1, X_2,\ldots X_n)$ – ფულზე მოთხოვნის ფუნქცია;

$Ä_ì=f(Y_1, Y_2,\ldots Y_n)$ – ფულის მიწოდების ფუნქცია;

$Ä_ç=Ä_ì$ – ფულის ბაზრის წონასწორობის პირობა, სადა $Ä_ç$ – ფულზე გამოვლენილი ერთობლივი მიწოდება, $X_1,\ldots X_n$ – ფულზე მოთხოვნის განმაპირობებელი ცვლადი ფაქტორები, $Y_1,\ldots Y_n$ – ფულის მიწოდების განმსაზღვრელი ცვლადი ფაქტორები.

ამ სისტემაში წონასწორობის წერტილია მოთხოვნის და მიწოდების ფუნქციების გადაკვეთა. ფულის ბაზარი მაშინ იმყოფება წონასწორობაში, როცა ფულის მიწოდება მასზე არსებულ

მოთხოვნას შეესაბამება.

ეკონომიკურ-მათემატიკური აპარატის შემუშავების დროს ცენტრალური ბანკის ამოცანაა მითითებული ფაქტორების (X და Y) სწორად შერჩევა, ფულის მოწოდებასა და მოთხოვნაზე ცვლადების გაელენის ხარისხის გამოელენა, აგრეთვე, ფულის ბაზრის წონასწორობის თვისებრივი და რაოდენობრივი პარამეტრების მიმდინარე განსაზღვრა და პროგნოზირება.

ფულისა და დეპოზიტების ძირითადი პარამეტრების პროგნოზი ეფუძნება რეგრესის განტოლებებს, რომელთა კოეფიციენტებიც რაოდენობრივად განსაზღვრავენ, თუ როგორ მოქმედებს ყოველი დამოუკიდებელი ცვლადის შეცვლა ფულის მასის სტრუქტურასა და მოცულობაზე. განტოლებაში გამოყენებული ფაქტორების ნაკრები შეიძლება შეიცვალოს ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კონკრეტულ ამოცანების შესაბამისად და ამა თუ იმ თეორიულ მოდელს დაეყრდნოს. მაგალითად, ფულად სახსრებზე სამეურნეო ბრუნვის მოთხოვნას ახასიათებს იურიდიული და ფიზიკური პირების მხრიდან, მათ შორის-ბანკების მხრიდან გამოვლენილი მოთხოვნა და იგი ობიექტურადაა დამოკიდებული ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი-X_1; ქეყანაში ფასების დონე-X_2; დეპოზიტებზე და ფასიან ქაღალდებზე დადგენილი საპროცენტო განაკეთი-X_3; ფულის ბრუნვის სიჩქარე (ან იმ საქონლისა და მომსახურების ბრუნვადობა, რომლებზეც ეს სიჩქარეა დამოკიდებული)-X_4; შრომის ნაყოფიერების, ეფექტიანობისა და ინტენსიფიკაციის მაჩვენებლები-X_5; საკრედიტო, საგალუტო და სამეურნეო რისკები-X_6, აგრეთვე სხვა ფაქტორებზე, რომელთა პარამეტრები ეკონომიკის მდგრადობას და კონიუქტურის მდგომარეობას ახასიათებენ.

ეკონომიკურ სივრცეში ფულის ყველა კომპონენტის ერთობლივ მოცულობას, ე.ი. ფულის ბრუნვის ფაქტობრივ ტევადობას ახასიათებს ფულის მიწოდება, რომელსაც აყალიბებს შემდეგი ფაქტორების ზემოქმედება: მოსახლეობის ფულადი შემოსავლების დონე (Y_1); სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი (Y_2); ცენტრალური ბანკის სარეზერვო ანგარიშებზე რიცხული სახსრები (Y_3); აგრეთვე, მთელი რიგი ინსტიტუციური ფაქტორები (საბანკო სისტემის სტრუქტურა, ნაღდი და უნაღდო ბრუნვის თანაფარდობა, საბანკო საქმის ავტომატიზაციის დონე და ა.შ.), საგარეო ფაქტორები (მთლიან საზოგადოებრივ პროდუქტში იმპორტის ხვედრითი წილი) და სხვა სპეციფიკური ფაქტორები, რომელთა მოქმედება ეკონომიკური განვითარების დისპროპორციებს უკავშირდება (Y_4, Y_5 და ა.შ.).

ამგვარად, ფულზე მოთხოვნას აყალიბებს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესრულებულ გადახდათა ფულადი შემოსულობანი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის შექმნის პროცესში, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას კი საკრედიტო-ფულადი ემისიის მეშვეობით ახდენენ.

4.10. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და საგალუტო პოლიტიკა

4.10.1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნები და ძირითადი შედეგები

საქართველოს ეროვნული ბანკი მთლიანად პასუხისმგებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისათვის, გარდა ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

თუ საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციის შემდეგ საქართველოს პარლამენტი ან საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არ შეესაბამება ამ კანონით აღნიშნულ ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის უმთავრეს ამოცანას, ან ხელს არ უწყობს მის შესრულებას, საქართველოს პარლამენტს ან საქართველოს პრეზიდენტს შეუძლიათ დააყენონ ფულად-საკრედიტო

პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის საკითხი, რის შემდეგაც ეროვნულ ბანკთან კონსულტაციებით განისაზღვრება ეროვნული ბანკის მიერ განსახორციელებლად ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის საჭიროება. თუ პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ეროვნულმა ბანკმა თავისი სტაბილურობის უზრუნველყოფის ინტერესების შესაბამისად უნდა შეცვალოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მაშინ ეროვნული ბანკი დაუყოვნებლივ შეუდგება შეცვლილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას და განახორციელებს მას პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში. პარლამენტის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ცვლილებების ხასიათი, აგრეთვე პრინციპული მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ მისი შეცვლის საჭიროებას, გადაწყვეტილების მოქმედების ვადის აღნიშვნით, იმ პირობის მითითებით, რომ მას პარლამენტი არ გააუქმებს ან არ შეცვლის.

თუ ეროვნული ბანკი არ დაეთანხმა პარლამენტის გადაწყვეტილებას, ავტომატურად დგება ეროვნული ბანკის საბჭოს ვადამდე გადარჩევის საკითხი.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას ეროვნული ბანკი უფლებამოსილია აწარმოოს ოპერაციები ღია ბაზარზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისა და ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ჩვეულებრივი შეძენის ან გაყიდვის გზით (სპოტური და ფორვარდული ოპერაციებით), ან შემდგომში გამოსყიდვის შეთანხმების გზით. ამ მიზნით სხვა ფასიანი ქაღალდების გამოყენება აკრძალულია.

ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებისას ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ყველა კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისათვის აწესებს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს, რომლებიც განისაზღვრება მოზიდულ სახსრებთან პროცენტული თანაფარდობით და ექვემდებარება ეროვნულ ბანკში სავალდებულო შენახვას.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ოდენობისა და მისი გაანგარიშების წესს ეროვნული ბანკი ადგენს ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური ვითარების შესაბამისად.

ეროვნულ ბანკს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების თანხაზე პროცენტების გადახდის შესახებ. ეროვნულ ბანკში არსებულ თავისუფალ რეზერვებზე პროცენტები არ წესდება.

ქვეყნის ეკონომიკის საშინაო და საგარეო სექტორებში ჩამოყალიბებული ტენდენციების გათვალისწინებით ბოლო წლებში საქართველოს ეროვნული ბანკი თავის საქმიანობას წარმართავდა „საქართველოს 2001 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, რომელიც ეყრდნობოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებულ საფინანსო პროგრამას.

ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა უმთავრეს ამოცანად ისახავდა ფასების სტაბილურობისა და ლარის გაცვლითი კურსის ოპტიმალური დინამიკის უზრუნველყოფას, რომელიც წაახალისებდა ეკონომიკურ აქტიურობას ქვეყანაში და ხელს შეუწყობდა ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო ბაზრებზე.ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ხორცილედებოდა მსოფლიო ეკონომიკური გარემოსა და ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე. მხედველობაში მიიღებოდა როგორც საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ სახელმწიფოებში ჩამოყალიბებული ტენდენციები, ისე ქვეყანაში შექმნილი ფისკალური, მონეტარული და სოციალური ფონი, ადგილობრივი სამომხმარებლო, სავალუტო და საფინანსო ბაზრების მდგომარეობა, სამომხმარებლო კალათისა და მონეტარული გადაცემის მექანიზმის თავისებურებანი და სხვ., ანუ ყველა ის ფაქტორი, რომელიც ინფლაციური მოლოდინის ფორმირებასა და ეროვნული ვალუტისადმი საზოგადოების განწყობას განაპირობებს.

საქართველოში, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობის მსგავსად, სადაც მაღალია დოლარიზაციის დონე, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია მონეტარული რეგულირების ინსტრუმენტები. ფულის მიწოდების ცვლილება ფასების დონეს გაცვლითი კურსის მეშვეობით გადაეცემა. ჭარბი ემისია უპირველეს ყოვლისა, სავალუტო ბაზარზე პოულობს ასახვას ვალუტის გაზრდილი მოთხოვნის და, შესაბამისად, ლარის გაუფასურების სახით, რაც შემდგომ საქონლისა და მომსახურების ფასებს ზრდის. მოსახლეობა და ეკონომიკური სუბიექტები ეროვნული ვალუტის კურსს ფინანსური სტაბილურობის ძირითად ინდიკატორად აღიქვამენ, ვინაიდან იგი დაკვირვებადი და ადვილად გასაგებია. გაცვლითი კურსის საგრძნობი რყევები და მოულოდნელი გაუფასურება რისკის მატებასთან ასოცირდება, რაც აღვივებს ინფლაციურ მოლოდინს და აფერხებს ეკონომიკურ აქტივობას. ასეთ ვითარებაში მკვეთრმა დევალვაციამ შესაძლოა ინფლაციური სპირალი წარმოშვას, პროცესები უმართავი გახადოს და ქვეყანა სავალუტო კრიზისამდე მიიყვანოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2001 წელს ფულის მასის ზრდა ხორციელდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული პროგრამის გათვალისწინებით, ისე, რომ მონეტარიზაციის თანდათანობით მატებასთან ერთად მიღწეულიყო ფასების სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდისათვის ხელსაყრელი სავალუტო პარიტეტი. შედეგად, გაგრძელდა ინფლაციის კლების ტენდენცია, რომელიც 1998 წლის სავალუტო კრიზისის შემდეგ ჩამოყალიბდა. თუ 1999-2000 წლებში სამომხმარებლო ფასების ინდექსი შესაბამისად 10,9 და 4,6 პროცენტით გაიზარდა, 2001 წელს ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 3,4 პროცენტი შეადგინა.

გლობალურმა ეკონომიკურმა რეცესიამ და თურქეთის კრიზისმა საგრძნობლად შეამცირა საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციის მოთხოვნა და ხელი შეუწყო გაიაფებული თურქული იმპორტით ადგილობრივი სამომხმარებლო საქონლის ჩანაცვლებას. ასეთ ვითარებაში ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ლარის რეალური გაცვლითი კურსის დაცვამ გაუმართლებელი გამყარებისაგან, რაც ინფლაციის დაბალი დონის პირობებში ნომინალური კურსის რამდენიმე გაუფასურებას საჭიროებდა. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში აშშ დოლარის მიმართ ლარის საშუალო გაცვლითი კურსი დაახლოებით 4-4,5 პროცენტით გაუფასურდა. მაგრამ შემდგომ, როცა სეზონური ფაქტორების გავლენით, კვლავ იმატა უცხოური ვალუტის მიწოდებამ, სწორედ ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი ამოცანებიდან, აგრეთვე ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების შევსების აუცილებლობიდან გამომდინარე ეროვნული ბანკი მიზანმიმართულად ახორციელებდა ვალუტის შესყიდვას და არ აძლევდა ლარის კურსს ზედმეტად გამყარების საშუალებას.

სავალუტო ბაზარზე სებ-ის ინტერვენციები უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ფულის არაინფლაციური მიწოდების თვალსაზრისითაც, რადგან ბიუჯეტის ემისიური დაკრედიტებისაგან განსხვავებით მიმოქცევაში ამ გზით გაშვებული ლიკვიდობა სრულად არის გამაგრებული შესაბამისი მოცულობის მყარი აქტივებით. 2001 წელი განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ ეს იყო პირველი წელი საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, როცა ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიმართ მთავრობის სასესხო დავალიანება არათუ გაიზარდა, არამედ შემცირდა კიდეც და სარეზერვო ფულის მატება მთლიანად ეროვნული ბანკის საერთაშორისო აქტივების ზრდის შედეგად მოხდა. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პროცესში კრიტიკული როლი დონორი ორგანიზაციებიდან მიღებულმა ფინანსურმა დახმარებამ შეასრულა.

4.10.2. ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებს საანგარიშო პერიოდში სავალდებულო რეზერვების მოთხოვნა, ეროვნული ბანკის მიერ მთავრობის დაკრედიტება და სავალუტო ინტერვენციები წარმოადგენდა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებაში კვლავ მცირე

იყო ღია ბაზრის ოპერაციების როლი, რომლებიც რეპო ოპერაციებით იყო წარმოდგენილი და საბანკო სისტემიდან ლიკვიდობის მოკლევადიან ამოღებას ითვალისწინებდა. ამასთან, 2001 წელთან შედარებით შემცირდა საკრედიტო რესურსების აუქციონის გამოყენება. 2002 წელს ეს ინსტრუმენტი პრაქტიკულად არ ასრულებდა ფულად-საკრედიტო რეგულირების ბერკეტის ფუნქციას.

არსებული მონეტარული ფონის და საერთო ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით საანგარიშო პერიოდში ეროვნულმა ბანკმა მიზანშეუწონლად მიიჩნია კომერციული ბანკებისათვის სავალდებულო რეზერვების ნორმის შემცირება. მისი განაკვეთი მოზიდული სახსრების 14%-ის დონეზე შენარჩუნდა. საქართველოში სავალდებულო რეზერვირების მოთხოვნა არ განსხვავდება მოზიდული სახსრების ვადიანობის ან სავალუტო სტრუქტურის მიხედვით. საანგარიშო პერიოდში რეზერვირების მოცულობა 18 მლნ ლარით გაიზარდა და 72,2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 36%-იან მატებას ნიშნავს წინა წლის დეკემბერთან შედარებით. 2001 წლის ანალოგიურმა მაჩვენებლებმა 14,3 მლნ ლარი, ანუ 37%-იანი ზრდა შეადგინა. სავალდებულო რზერვირების ინფლაციური გაუფასურებისაგან დაცვის მიზნით ეროვნული ბანკი 2002 წელსაც არიცხავდა პროცენტებს რეზერვების თანხას, თუმცა საპროცენტო განაკვეთი 6%-დან 4,5%-მდე შემცირდა. წლის განმავლობაში კომერციული ბანკებისათვის გადახდილი პროცენტის თანხამ 2,6 მლნ ლარი შეადგინა (2 მლნ ლარი 2001 წელს).

ეროვნული ბანკის მიერ მთავრობის დაკრედიტება საანგარიშო წელს მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო. მის საერთო მოცულობაში გაიზარდა მოკლევადიანი, არა უმეტეს ერთი თვის ვადით გაცემული კრედიტების ხვედრითი წილი, რომლებიც თვის მანძილზე საგადასახადო შემოსავლების არათანაბარი ამოღების პირობებში ბიუჯეტის ფულადი ნაკადების დაბალანსების წყაროს წარმოადგენდა. ერთ თვეზე მეტი ვადიანობის მოკლევადიანი კრედიტები, რომელთა მოცულობამაც 39,5 მლნ ლარი შეადგინა, საგარეო დაფინანსების დაგვიანების შემთხვევაში ამ უკანასკნელის მიღებამდე ვადით გაიცემოდა. გარდა ამისა გაიცა გრძელვადიანი სესხებიც, ხუთი წლის ვადით, 23,1 მლნ ლარის ოდენობით, რომლებიც უმეტესწილად საგარეო ვალების მომსახურებას მოხმარდა. ყველა ვადიანობის სესხების სარგებელი წლიურ 9 პროცენტს შეადგენდა. წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს მთლიანად მიეცა 226.6 მლნ ლარის სესხი, რაც 110 მლნ ლარით აღემატება 2001 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. აღნიშნული სესხებიდან საანგარიშო პერიოდის ბოლომდე დაიფარა 203, 5 მლნ ლარის სასესხო დავალიანება. გარდა ამისა, განხორციელდა 1998 წელს გაცემული კრედიტის ნაწილის დაფარვა 18,6 მლნ ლარის ოდენობით. მთავრობის დეპოზიტების მაჩვენებლის კლების ფონზე (7,3 მლნ ლარით) წლის ბოლოსათვის მთავრობის წმინდა დავალიანება 16,8 მლნ ლარით გაიზარდა და 756 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 9,5 მლნ ლარი მთავრობის წმინდა დაკრედიტების მოცულობაა, 5 მლნ ლარის ოდენობის მთავრობის სახაზინო ვალდებულებების ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ მთავრობის დავალიანების არსებული სიდიდე, მისი თანდათანობით დაფარვის შემთხვევაში, კაპიტალის სტერილიზაციისათვის სერიოზული რესურსია.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ქმედით ინსტრუმენტს, საქართველოს ფინანსური ბაზრის სპეციფიკის გამო, არასტერილური სავალუტო ინტერვენციები წარმოადგენდა. 2002 წლის განმავლობაში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიებზე შესყიდული უცხოური ვალუტის ხარჯზე ფულის მიწოდება დაახლოებით 89 მლნ ლარით გაიზარდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც წინა წლებში, ეროვნული ბანკი არ ახორციელებდა ინტერვენციებს აშშ დოლარის მიმართ, რის გამოც ეს ინსტრუმენტი ფულად მასაზე გავლენას მხოლოდ ზრდის მიმართულებით ახდენდა. ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციები ერთდროულად სხვა მნიშვნელოვან მიზნებსაც ემსახურებოდა, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებასა და საერთაშორისო რეზერვების აკუმულირებას.

2002 წელს ეროვნული ბანკის ღია ბაზრის ოპერაციები რეპო გარიგებებით შემოიფარგლებოდა. რეპო ოპერაციების მოცულობამ წლის განმავლობაში 2,3 მლნ ლარი შეადგინა, თუმცა ამ პერიოდში მხოლოდ ხუთი გარიგება დაფიქსირდა, რომელთა საშუალო საპროცენტო განაკვეთმა 35% შეადგინა. წინა წლებთან შედარებით რეპო ოპერაციების მოცულობა შემცირდა. რასაც ობიექტური მიზეზები განაპირობებდა: დროულად ვერ მოხერხდა ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების მიღწევა სახაზინო ვალდებულებების პირდაპირი შესყიდვის თაობაზე, რის გამოც სახაზინო ვალდებულებების პორტფელის ფორმირება, წლის ბოლოს – ოქტომბერ-დეკემბერში მოხდა. მთლიანად წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა უშუალოდ ფინანსთა სამინისტროსაგან შეიძინა 5,5 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, საიდანაც წლის ბოლომდე დაიფარა 0,5 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულებები. დროის შედარებით მცირე მონაკვეთში ეროვნულ ბანკს არ მიეცა ღია ბაზრის ოპერაციების მოცულობის გაზრდის საშუალება.

რაც შეეხება უკურეპო ოპერაციებს, იმ კომერციულ ბანკებს, რომლებიც სახაზინო ვალდებულებების შედარებით დიდ პორტფელს ფლობენ, ძირითადად ჭარბი ლიკვიდურობა ჰქონდათ და მათი მხრიდან მოთხოვნა სახაზინო ვალდებულებებით უზრუნველყოფილ მოკლევადიან რესურსზე მნიშვნელოვნად დაბალი იყო. ამასთან, ემიტირებული სახაზინო ვალდებულებების საშუალო ვადიანობა იმდენად მცირე იყო (56-58 დღე), რომ ინვესტორებს არ გასჩენიათ მათ დაფარებამდე რეპო ოპერაციების შესრულების აუცილებლობა. სავარაუდოა, რომ სახაზინო ვალდებულებების ვადიანობის ზრდასთან ერთად მოიმატებს ინვესტორთა დაინტერესება ამ ინსტრუმენტის მიმართ.

საანგარიშო პერიოდში ეროვნული ბანკი ნაკლებად იყენებდა ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონს, როგორც საბანკო სისტემიდან ლიკვიდობის ამოღების ინსტრუმენტს. ეროვნული ბანკის მონაწილეობით მხოლოდ ორი გარიგება შედგა 30-დღიან რესურსებზე. რომელთა საერთო მოცულობამ 610 ათასი ლარი შეადგინა. ანალოგიური მაჩვენებელი 2001 წელს 8,7 მლნ ლარს უტოლდებოდა.

2002 წელს ეროვნული ბანკის მიერ სახაზინო ვალდებულებების უზრუნველყოფით გაიცა ორი ლომბარდული სესხი, რომელთა ჯამურმა მოცულობამ 1,3 მლნ ლარი შეადგინა. ამ ინსტრუმენტის გამოყენების შემცირება სახაზინო ვალდებულებების მეორად ბაზარზე გარიგებათა მოცულობის ზრდამ განაპირობა, რის ფონზეც კომერციულ ბანკებს ლომბარდულ სესხებთან შედარებით ლიკვიდობის მართვის უკეთესი საშუალება მიეცათ.

კომერციულ ბანკებთან განხორციელებული ოპერაციების შედეგად ბანკებით წმინდა დავალიანება საანგარიშო პერიოდში ეროვნული ბანკის მიმართ შემცირდა 0,7 მლნ ლარით და წლის ბოლოს 13,5 ათასი ლარით განისაზღვრა.

• • • • • • • • • • • • • • ▶ მოკლე დასკვნები

1. ყოველი განვითარებული საბელმწიფოს საფინანსო სისტემის წამყვანი ელემენტი არის ცენტრალური ბანკი. იგი არის სახელმწიფო დაწესებულება, ქვეყნის მთავარი სახელმწიფო ბანკი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული უფლებები; მოწოდებულია დაარეგულიროს ფულის მიმოქცევა ქვეყანაში, განაბორციელის ფულის ემისია, დაარეგულიროს კრედიტი და სავალუტო კურსი, გააკონტროლოს კომერციული ბანკების საქმიანობა, შეინახოს ფულადი სახსრები და ოქროს რეზერვები. ცეტრალურ ბანკს უწოდებენ „ბანკთა ბანკს".

2.ცენტრალური (ეროვნული) ბანკი ურთიერთკავშირშია საფინანსო სისტემის ყველა ელემენტთან და ასრულებს მთლიანად სისტემის მთავარი კოორდინატორის როლს, რომელიც ვალდებულია გაითვალისწინოს როგორც სახელმწიფო ინტერესები, ასევე

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნები: თავის მხრივ, ფინანსური ბაზრის მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმ ნაბიჯებს, რომლებსაც დგამს ეროვნული ბანკი, რათა შეინარჩუნოს საბანკო სისტემის სტაბილურობა.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებს.

4. ეროვნული ბანკი ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემაა. მისი უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო 9 წევრის შემადგენლობით. საბჭოს თავმჯდომარეა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. იგი ეროვნული ბანკის დირექტორ-განმკარგულებელია და პასუხისმგებელია ბანკის მიმდინარე საქმიანობაზე. მას ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებს – ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით, ბანკის საბჭოს წევრთაგან ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. ეროვნული ბანკის საბჭო უმაღლეს ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას უწევს ბანკის მთელ საქმიანობას.

5. ცენტრალური ბანკის ფუნქციები საკმაოდ მუდმივია მრავალი ათასწლეულის მანძილზე. ესაა: საემისიო ბანკი, რომელზეც ფულის ემისიის მონოპოლიაა მიმაგრებული; მთავრობის ბანკი: ბიუჯეტის შესრულება და სახელმწიფოს ვალის მართვა; ბანკთაბანკი: საანგარიშსწორებო ცენტრი, საბოლოო ინსტანციის კრედიტორი; ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის გამტარებელი; ბანკებისა და საფინანსო ბაზრებზე მეთვალყურეობის ორგანო. ცენტრალურ ბანკებს დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად ესაჭიროება გარკვეული ინსტრუმენტები, კერძოდ: ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები ღია ბაზარზე; სავალუტო ოპერაციები; ტრანსგეტირება; რეფინანსირების და სხვა საპროცენტო განაკვეთები; სავალდებულო რეზერვირების ნორმები; ბანკის საქმიანობის სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივები; პირდაპირი რაოდენობრივი შეზღუდვები.

6. საფინანსო ბაზრებზე მიმოქცევაში საჭირო ფულის მასის განსაზღვრისათვის გამოიყენება ფულის აგრეგატები. იგი საბანკო ანგარიშების დაჯგუფებაა ამ ანგარიშებზე მოთავსებული სახსრების ნაღდ ფულად გადაქცევის სიჩქარის მიხედვით. საფინანსო ბაზრებზე იყენებენ ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა ლიკვიდობა მაღალია და ფულზე არანაკლები მნიშვნელობის დაგროვების საშუალებას წარმოადგენს. დაგროვების ამგვარ ლიკვიდურ საშუალებებს მიაკუთვნებენ: ფულის ბაზრის ზიარ (ერთობლივ) ფონდებს, ფულის ბაზრის დეპოზიტურ ანგარიშებს; შემნახველ ანაბრებს; ერთდღიან შეთანხმებებს უკან გამოსყიდვის პირობით და ერთდღიანი სესხებს ევროდოლარებში.

7. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ორგანული ნაწილია. იგი წარმოადგენს საკრედიტო რესურსების მობილიზაცია-გამოყენების, ნაღდი ფულის მიმოქცევაში გაშვებისა და მისი შეუფერხებელი მიმოქცევის უზრუნველსაყოფად ხელისუფლების მიერ დასახულ და განხორციელებულ ღონისძიებათა სისტემას. საქართველოს ეროვნული ბანკი მთლიანად პასუხისმგებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისათვის, რომლის ძირითადი მიზანია ეროვნული ეკონომიკისადმი ფინანსური მხარდაჭერა, წარმოების ზრდის ტემპების მიღწევა, სრული დასაქმებისა და ინფლანციის მინიმალური დონის შენარჩუნება, ფასების სტაბილურობა.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

ადგილობრივი ბიუჯეტი — ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, მუნიციპალური წარმონაქმნის ბიუჯეტი, რომელსაც ადგენენ, ამტკიცებენ და არასრულებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

აჟიო — 1. ქაღალდის ფულში გამოხატული ოქროს საბაზრო ფასის ზრდა ქაღალდის ფულის რაოდენობასთან შედარებით. 2. ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი ნიშნების საბირჟო (საბაზრო) კურსის აწევა, მათ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით. ანგარიშობენ პროცენტობით.

აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემა — 12 ფედერალური სარეზერვო ბანკის გაერთიანება, რომელიც მთლიანობაში ასრულებს აშშ-ის ცენტრალური ბანკის ფუნქციებს, აგრეთვე კომერციული ბანკები, რომლებიც ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრები არიან. იგი დაარსებულია 1913 წელს. ფედერალური სარეზერვო ბანკები ახორციელებენ ბანკნოტების ემისიას, ფედერალური ბიუჯეტის სალაროს მომსახურებას. სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას, კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირებასა და ზედამხედველობას, ოპერაციებს ატარებენ მსოფლიო სავალუტო ბაზარზე.

ბანკის სალაროს ბრუნვის პროგნოზი — ბანკების სალაროებში შემოსული ნაღდი ფულის წყაროების, მოცულობისა და ბანკების სალაროებიდან ნაღდი ფულის გაცემის მიმართულების, აგრეთვე, ფულის ემისიისა და მიმოქცევიდან ფულის ამოღების მოცულობის ამსახველი დოკუმენტი.

ბანკის საწესდებო კაპიტალი — ბანკის საკუთარი სახსრების წყაროების თანხა. საწესდებო კაპიტალის თანხა არ ექვემდებარება გადაცემას და არ შეიძლება გამოყენებული იქნეს უზრუნველყოფის სახით. საქართველოს ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალი იქმნება გადაფასების რეზერვებში გადარიცხვების შემდეგ დარჩენილი წმინდა შემოსავლიდან 25 პროცენტიანი ანარიცხების ხარჯზე. ამასთან ანარიცხები საწესდებო კაპიტალში წყდება მისი მოცულობის დადგენილ ოდენობამდე მიღწევისთანავე.

ბანკნოტი — საბანკო ბილეთი, საკრედიტო ფულის უმაღლესი ფორმა, რომელსაც მიმოქცებაში უშვებენ საემისიო ბანკები. ბანკირის თამასუქი, რომლის წარმდგენსაც ნებისმიერ დროს შეუძლია ფულის მიღება.

ბიუჯეტი — სახელმწიფო, საწარმოს (ფირმის), საოჯახო მეურნეობისა და ა.შ. შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხა დროის გარკვეულ პერიოდში, ჩვეულებრივ, ერთი წლის განმავლობაში. არსებობს აგრეთვე ბიუჯეტიც, რომელიც გამოხატავს არსებულ და დახარჯულ დროთა თანაფარდობას.

ბიუჯეტის დეფიციტი — სიტუაცია, როცა სახელმწიფო ხარჯები სჭარბობს საშემოსავლო სტატიების მიხედვით ბიუჯეტის შემოსავლებს განსაზღვრული დროის (კვარტალის, წლის) განმავლობაში, ანუ სახელმწიფოს მხრივ დამატებითი შინაგანი მოთხოვნა.

ემისია — მიმოქცევაში საბანკო და სახაზინო ბილეთების. ქაღალდის ფულისა და ფასიანი ქაღალდების გამოშვება. ემისიის შედეგად მიღებული სახელმწიფო შემოსავლები განისაზღვრება ამ ფულის მსყიდველობითი უნარისა და მის გამოშვებაზე გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობით. ფასიანი ქაღალდების ემისია შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო სესხის ობლიგაციების, ისე კერძო კომპანიების მიერ აქციებისა და ობლიგაციების გამოშვება.

ემიტირება — ფულისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გაშვება, ემისიის განხორციელება.

ემიტენტი — იურიდიული პირი ან სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახორციელებს ემისიას.

ეროვნული ანგარიშები — ანგარიშებისა და საბალანსო ცხრილების სისტემა, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების რაოდენობრივ აღწერას გარკვეულ მონაკვეთში. მაკროეკონომიკურ ანალიზში გამოიყენება კრებსითი ეროვნული ანგარიშები, რომლებიც გამოხატავენ მთლიანი ეროვნული პროდუქციის შექმნის, ეროვნული შემოსავლის კაპიტალწარმოქმნის განაწილებისა

და გამოყენების პროცესს, მოცემული ქვეყნის ეკონომიკური აგენტის მიერ სხვა სახელმწიფოებთან განხორციელებულ ოპერაციებს.

ეროვნული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა – საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრული მისი სტატუსი, ამოცანები, ფუნქციები, უფლებამოსილებანი და საქმიანობის ორგანიზაციის პრინციპები.

ეროვნული ბანკის სარეზერვო ფონდი – იქმნება საწესდებო კაპიტალში ანარიცხების განხორციელების შემდეგ. სარეზერვო ფონდში ყოველ საფინანსო წლის ბოლოს უნდა გადაირიცხოს წლის წმინდა შემოსავლის დარჩენილი ნაწილის არაუმეტეს 50 პროცენტის ტოლი თანხა. ვიდრე სარეზერვო ფონდის თანხა გაუთანაბრდება განაღდებული კაპიტალის ოდენობას. ეროვნული ბანკის საბჭოს ნებართვით რომელიმე წლის სარეზერვო ფონდში გადასარიცხი თანხა შეიძლება გაიზარდოს 50 პროცენტზე მეტი ოდენობით. სარეზერვო ფონდის საერთო თანხა მისი ნებართვით შეიძლება იყოს ეროვნული ბანკის განაღდებულ კაპიტალზე მეტი ოდენობის. სარეზერვო ფონდის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ეროვნული ბანკის ზარალის დასაფარავად.

ეროვნული ბანკის წმინდა შემოსავალი – გამოიანგარიშება როგორც წმინდა საოპერაციო მოგების ან ზარალის და გადაფასების შედეგად მიღებული არარეალიზებული წმინდა მოგების ან ზარალის ჯამი.

ვალუტა – ქვეყნის ფულადი ერთეული, რომელიც მონაწილებს საერთაშორისო ეკონომიკურ გაცვლაში და დაკავშირებულია ყოველგვარ ფულად ანგარიშსწორებასთან საერთაშორისო ურთიერთობაში. ვალუტას მიეკუთვნება, აგრეთვე, საერთაშორისო საანგარიშსწორებო ფულადი ერთეულები, რომლებიც ემიტირებულია სამთავრობათაშორისო სავალუტო საფინანსო ორგანიზაციების მიერ. საერთაშორისო სავალუტო ბრუნვაში უპირატესად მონაწილეობს სულ რამდენიმე თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, რომლებსაც ამჟამად საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიაკუთვნებს აშშ-ის დოლარს, ევროს, ინგლისურ გირვანქა სტერლინგს და იაპონურ იენს.

„იაფი" ფული – საბანკო კრედიტის გაიაფება ცენტრალური ბანკის მიერ შემდეგი ღონისძიებების გატარების შედეგად: განაღდების განაკვეთის შემცირებით (პროცენტისა, რომლის მიხედვითაც ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებს აძლევს სესხს), იმ სავალდებულო რეზერვების ნორმების შემცირებით, რომელსაც კომერციული ბანკები ცენტრალურ ბანკებში, ცენტრალური ბანკების მიერ კომერციული ბანკებისაგან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვით, უნდა ინახავდნენ. ყოველივე ამის შედეგად ბანკების თავისუფალი ფულადი რესურსები იზრდება და მათ მიერ იაფი კრედიტების გაცემისათვის შეთავაზებანი პირობები იქმნება.

ინფლაცია – მიმოქცევის არხებში ჭარბი ქაღალდის ფულისა და დაუბურდავებელი ბანკნოტების დაგროვება, რაც იწვევს მათ გაუფასურებასა და ფასების საერთო დონის ზრდას. ამ პროცესს თან ახლავს ოქროზე ლაჟის და ქაღალდის ფულზე დიზაჟიოს წარმოშობა, უცხოური ვალუტის კურსის ზრდა და იმ ქვეყნის ვალუტის კურსის დაცემა, სადაც ინფლაციაა. ინფლაციის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორებია: 1.დისპროპორციის წარმოშობა ფულად და სასაქონლო მასას შორის. ფულადი მასის დაუსაქონლება; 2. მოხმარების საგნების ჩამორჩენა მოსახლეობის მოთხოვნასთან. მოთხოვნა წინ უსწრებს მიწოდებას. ამის გამო წარმოიქმნება ფულადი სახსრების სიჭარბე, საქონლის დეფიციტი, რაც ხელს უწყობს ფასების ზრდას. 3. ბაზარზე ისეთი საქონლის მიწოდება, რომელზეც მოთხოვნა არ არის. ეს გარემოება ფარულად განაპირობებს ფულის გაუფასურებას. ინფლაციის შემდეგ სახეებს განიხილავენ: ზომიერი, მხტუნავი, (ჰალოპირებული) და ჰიპერინფლაცია, გაუთვალისწინებელი, დაჩქარებული, საიმპორტო, ფარული (ჩახშობილი), ქრონიკული ინფლაცია.

იპოთეკა – სესხი, გაცემული უძრავი ქონების გირაოთი, დაგირავებული ქონება, რომელიც უზრუნველყოფს ამ სესხს, არ გადაეცმა კრედიტორს და მეკალის ხელში რჩება.

კომერციული ბანკის რეზერვები – 1.ოპერატიულად მისაწვდომი აქტივები მეანაბრეების

მიერ საკმაოდ დიდი საგადასახო მოთხოვნილების მოულოდნელად წარდგენის შემთხვევაში; 2. სავალდებულო კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო ინსტიტუტების სახსრები, რომლებსაც ისინი ვალდებულნი არიან ინახავდნენ ცენტრალურ ბანკში ზოგიერთი თავიანთი ოპერაციის უზრუნველსაყოფად სავალდებულო რეზერვების ნორმების შესაბამისად. სავალდებულო საბანკო რეზერვების სიდიდე და სტრუქტურა სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირი არ არის და პერიოდულად იცვლება კონიუნქტურის გავლენითა და საბანკო პრაქტიკის გათვალისწინებით.

კონვერტირებადობა – ეროვნული ვალუტის უნარი, თავისუფლად გაიცვალოს უცხოურ ვალუტაზე ყველა სახის ოპერაციის დროს და ნებისმიერი ფორმით. ვალუტის კონვერტირებადობის ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე, მისი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბებზე, შიდა ფულადი მიმოქცევის მდგრადობაზე, ეროვნული ბაზრის განვითარების დონეზე და სხვ.

ლიკვიდური სახსრები – ნაღდი ფულადი სახსრები, ბანკში მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი, ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები, საბრუნავი კაპიტალის ელემენტები და სხვ., რომელთა გამოყენებაც შეიძლება სესხის აღებისას ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.

მონეტარიზაციის კოეფიციენტი – განისაზღვრება M2 ფულის დამოკიდებულებით ერთობლივ პროდუქტთან და ახასიათებს ფულადი ბრუნვის შედარებითი უზრუნველყოფა საგადამხდელო საშუალებებით.

ნაღდი სახსრების კოეფიციენტი – განისაზღვრება ნაღდი ფულადი მასის გაყოფით M2 ფულის აგრეგატზე. იგი განსაზღვავს ნაღდი ფულის წილს ფულად ბრუნვაში.

რწმუნებული ბანკები – კომერციული ბანკები და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, რომლებსაც აქვთ მთავრობის ორგანოების ნებართვა საბანკო ოპერაციების ჩატარების თაობაზე ამავე ორგანოების დავალების შესაბამისად, აგრეთვე, საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებში მთავრობის ინტერესების წარდგენის უფლება.

საბანკო რეზერვები – მოიცავს ნაღდ ფულს, რომელიც ბანკში ინახება, აგრეთვე ცენტრალურ ბანკში შეტანილ დეპოზიტებს.

საგდასახდელო ბალანსი – თანაფარდობა ქვეყნის მიერ საზღვარგარეთიდან მიღებულ ფულად შემოსავლებსა და სხვა ქვეყნებისათვის გადახდილ გადასახდელებს შორის დროის გარკვეულ მონაკვეთში. არსებობს აქტიური და პასიური საგდასახდელო ბალანსები. ტერმინი „საბაზრო საგდასახდელო ბალანსი" გამოხატავს მიმდინარე თანაფარდობას გადასახდელების ორ ნაკადს შორის ქვეყანაში შემოსულ და მისგან გასულ ნაკადებს შორის. ტერმინი „საანგარიშსწორებო საგდასახდელო ბალანსი" – სტატისტიკური ანგარიშგება. იგი აღრიცხავს ეკონომიკური ოპერაციების ერთობლიობას ეროვნულ ეკონომიკასა და დანარჩენ სამყაროს შორის დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანუ ასახავს საქონლის, მომსახურების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მოძრაობას ეროვნულ ეკონომიკასა და საზღვარგარეთს შორის. საგადასახდელო ბალანსი არეგისტრირებს ოპერაციებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. სტრუქტურულად ბალანსი შედგება სამი ძირითადი ანგარიშისაგან. ესენია: მიმდინარე ანგარიში, კაპიტალის ანგარიში და ფინანსური ამგარიში. მიმდინარე ანგარიში მოიცავს სავაჭრო ბალანსს და მიმდინარე ტრანსფერებს. კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში მოიცავს: კაპიტალურ ტრანსფერებს, პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს და სხვა ინვესტიციებს.

საგარეო ვალი – საგარეო დავალიანება – ქვეყნის შეჯამებული ფულადი ვალდებულებები გამოხატული ფულადი თანხით, რომელიც ექვემდებარება საგარეო კრედიტორებისათვის დაბრუნებას განსაზღვრული თარიღისათვის ე.ი. ქვეყნის საერთო დავალიანება საგარეო სესხებისა და მათზე გადაუხდელი პროცენტების სახით.

საგარეო ვალის მომსახურება – მოვალე სახელმწიფოს მიერ კრედიტორი სახელმწიფოს-

ათვის ფულადი გადასახადების გადახდა მიღებული კრედიტის დასაფარავად და ვალზე პროცენტის გადასახდელად.

საგარეო სახელმწიფო ვალი – არის სახელმწიფოს ერთობლივი დავალიანება საერთაშორისო ბანკების, სხვა ქვეყნების მთავრობების, უცხოეთის კერძო ბანკების მიმართ. განასხვავებენ მოცემული წლის მიმდინარე საგარეო ვალს, რომელიც უნდა დაბრუნდეს მიმდინარე წელს და საერთოსახელმწიფო საგარეო ვალს (დაგროვებული),რომელიც მიმდინარე და შემდგომ წლებში უნდა დაბრუნდეს.

საკრედიტო ფული – საემისიო ბანკების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, რომელიც შეიცავს განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულებებს. მისი სახეებია: თამასუქი, ბანკნოტი, საბანკო ჩეკი, ობლიგაცია, აქცია და სხვ.

სარეზერვო პასივები – ვალდებულებათა სახით განსაზღვრული პასივები, რომელთა მიხედვითაც დაცული უნდა იყოს რეზერვები ეროვნული ბანკის მარეგლამენტირებელი დებულებით.

სარეზერვო ფონდები – ცენტრალური ბანკის საცავებში მოთავსებული იმ ბანკნოტებისა და მონეტების მარაგებია, რომლებიც მიმოქცევაში არაა გაშვებული და ფულის რეგულირების საჭიროებებს ემსახურება. მათ ხარჯზე ცენტრალური ბანკი ოპერატიულად განაახლებს მიმოქცევაში მყოფი ნაღდი ფულის მასას, ინარჩუნებს კუპიურების სათანადო შემადგენლობას და ამცირებს ქვეყნის ტერიტორიაზე ნაღდი ფულის გადატანისა და შენახვის ხარჯებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი – არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება, საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის და საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

სახელმწიფო ბიუჯეტი – სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსი. მასში ნაჩვენებია სახელმწიფო შემოსავლების წყაროები და სახსრების ხარჯვითი არხები. სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის რეგულირების მთავარი ინსტრუმენტია. იგი ასრულებს ალოკაციურ, გამანაწილებელ და სტაბილიზაციურ ფუნქციებს და შედგება შესაბამისი განყოფილებებისაგან.

ტარგეტირება – ფულადი სისტემის მიზნობრივი ორიენტირების დადგენა, ფულის მასის ნამატის რეგულირება, რასაც თავის პოლიტიკაში იყენებენ ცენტრალური ბანკები.

ფედერალური ბიუჯეტი – საერთო-სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი ფედერაციული სახელმწიფო წყობილების ქვეყნებში (აშშ, გფრ, შვეიცარია და სხვ.)

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა – ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული კურსი და განხორციელებული ღონისძიებები ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სფეროში, მიმართული ეკონომიკის მყარი, ეფექტიანი უზრუნველყოფისაკენ, ფულადი სისტემის სათანადო მდგომარეობაში არსებობისაკენ. ასეთი პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: ოპერაციები ღია ბაზარზე, განაღდების პოლიტიკა, აუცილებელი მინიმალური რეზერვების არსებობა.

ფულადი ბაზა – ნაღდი ფულის რაოდენობა მიმოქცევაში, რომელიც მოიცავს საწარმოთა არსებულ ფულს პლუს კომერციული ბანკების რეზერვები ცენტრალურ ბანკში.

ფულადი სისტემა – სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქვეყნის ფულადი მიმოქცევის ორგანიზაციის ფორმა. სახელმწიფო განსაზღვრავს ფულად ერთეულს, ფასების მასშტაბს, მიმოქცევაში ფულადი ნიშნების სახეებს და მათი ემისიის წესს, ფულის უზრუნველყოფის ხასიათს, უნაღდო საგადასახადო ბრუნვის ფორმებს, ეროვნული ვალუტის კურსს.

ფული$_1$ (M1) „ფული ვიწრო გაგებით"– ფულადი აგრეგატი, რომელშიც შედის მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული პლუს ანაბრები მოკითხვამდე, საგზაო ჩეკები და სხვა ანგარიშები; ფულის

ის ერთობლივი რაოდენობა, რომელიც გამოიყენება მიმოქცევის საშუალებად და მომსახურებას უწევს მიმდინარე საგადასახადო ბრუნვას.

ფული$_2$ (M2) – ფულადი აგრეგატი, რომელშიც შედის M პლუს წვრილი ანაბრები (არასაჩეკო შემნახველი და წვრილი ვადიანი დეპოზიტები).

ფული$_3$ (M3) – „ფული ფართო გაგებით"– ფულადი აგრეგატი, რომელშიც შედის M2 პლუს (მსხვილი ვადიანი ანაბრები, აგრეთვე ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები, სერთიფიკატები, სახაზინო ვალდებულებები) და საბიუჯეტო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშებზე არსებული თანხა, ბიუჯეტის (სახელმწიფო და ადგილობრივი) სახსრები; კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრები.

ფული$_4$ (M4) – ერთობლივ ფულად მასას – M3-ს პლუს ბანკებში შენახული არაფულადი ლიკვიდური სახსრები.

ფულის აგრეგატი – საბანკო ანგარიშების დაჯგუფებაა ამ ანგარიშებზე მოთავსებული სახსრების ნაღდ ფულად გადაქცევის სიჩქარის მიხედვით, რაც უფრო სწრაფად გადაიქცევა ეს სახსრები ნაღდ ფულად, მით უფრო ლიკვიდურადაა მიჩნეული მოცემული აგრეგატი.

ფულის ბაზრის ერთობლივი ფონდები – დამოუკიდებელი ფინანსური შუამავლები, რომელიც მოსახლეობას მიჰყიდის საკუთრების დამადასტურებელ სერთიფიკატებს, ხოლო განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ თანხებს იყენებენ ფიქსირებულ-პროცენტიანი, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების შესაძენად.

ფულის მასა – მიმოქცევაში გაშვებული ფულის სრული მოცულობა, ნაღდი ფულის, ანგარიშებზე შენახული ჩეკების, საწარმოებისა და მოსახლეობის ფულადი სახსრების ჩათვლით, უცილობლად გადასახდელი ფულადი ვალდებულება.

ფულის მასა მიმოქცევაში – განსაზღვრულ პერიოდში, განსაზღვრული თარიღისათვის მოძრაობაში, მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა.

ფულის მიწოდების და მოთხოვნის ფუნქცია – ფულადი ბაზრის მათემატიკური მოდელი, რომელიც გამოიყენება ერთობლივი ფულის მასის რეგულირებისათვის, და რომელიც ხორციელდება ფულის მოწოდების და მოთხოვნის განმსაზღვრელი ფაქტორების ზეგავლენით. ფულზე მოთხოვნა ფორმირდება ერთობლივი პროდუქტის შექმნის პროცესში ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი შემოსავლებისა და გადახდების საფუძველზე; და დაკმაყოფილდება ფულად-საკრედიტო ემისიის საშუალებით.

ქაღალდის ფული – სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფულადი ნიშანი, დეკრეტული ფული, რომლის გარანტი თვით სახელმწიფოა. იგი როგორც წესი, ქვეყნებში არსებული ნაღდი ფულის 90-95%-ს შეადგენს. იბეჭდება სპეციალურ ქაღალდზე და დაცულია გაყალბებისგან.

ცენტრალური ბანკის ფუნქციები – ქვეყნის მთავარი ბანკისათვის „ბანკთა ბანკის". მთავრობის ბანკირისათვის კანონით მინიჭებული უფლება: ფულის ნიშნების ემისიაზე, კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირებაზე. მისი ძირითადი ფუნქციაა, აგრეთვე: ფულის მიმოქცევის მოწესრიგება, ბიუჯეტის მართვა, სახელმწიფოს ფულად-სავალუტო რეზერვების შენახვა კომერციული ბანკებისა და მთავრობის დაკრედიტება და ანგარიშების წარმოება, ფულის მიმოქცევის რეგულირება, საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობის გაკონტროლება.

„ძვირი" ფული – საკრედიტო ფულის გაძვირება კრედიტის განაკვეთის გაზრდით ცენტრალური ბანკების მხრიე, რომლებიც სესხს აძლევენ კომერციულ ბანკებს, კომერციული ბანკების აუცილებელი რეზერვების ნორმების ზრდით, მათ მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სარგებლიანი გაყიდვით.

წმინდა საოპერაციო მოგება ან ზარალი – მიიღება საანგარიშსწორებო წლის შემოსავლის თანხიდან ძირითადი საქმიანობის წარმართვისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების გამოქვითვისა და რეზერვების იმ ფონდებში გადარიცხვის შემდეგ, რომლებიც გამოიყენება: ა) ვადაგადაცილე-

ბული და საეჭვო სესხების დასაფარავად, ძირითადი საშუალებების სრული აღდგენისათვის, თანამშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისა და დაზღვევისათვის; ბ) ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების შესაძლო დანაკარგების დაფარვისათვის.

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. რატომაა ცენტრალური ბანკი ნებისმიერი საბანკო სისტემის ცენტრალური ბანკი?

2. როგორ წყდება ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის საკითხი თანამედროვე ეტაპზე?

3. ყოველთვის სახელმწიფოს ეკუთვნის თუ არა ცენტრალური ბანკის კაპიტალი?

4. ჩამოთვალეთ ცენტრალური ბანკის ფუნქციები; თანამედროვე პირობებში ერთნაირად მნიშვნელოვანია თუ არა ყველა ფუნქცია?

5. ჩამოთვალეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციები.

6. დაახასიათეთ საქართველოს ეროვნული ბანკის სტრუქტურა.

7. დაასახელეთ ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითადი მეთოდები.

8. ჩამოთვალეთ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული საბანკო მეთვალყურეობის ღონისძიებები.

9. ჩამოთვალეთ ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დაწესებული ნორმატივები. ნორმატივების დაწესება კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების ეკონომიკურ მეთოდად ითვლება თუ ადმინისტრაციულ მეთოდად? რატომ?

10. როგორია ცენტრალური ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა?

11. დაახასიათეთ საკრედიტო ორგანიზაციების რესტრუქტურიზაციის სააგენტოს როლი.

12. ჩამოთვალეთ ცენტრალური ბანკის ძირითადი ფუნქციები.

13. დაასახელეთ მიმოქცევაში ფულის მასის განსაზღვრის აუცილებლობის პრინციპები.

14. რას წარმოადგენს მონეტიზაციის კოეფიციენტი, როგორ განისაზღვრება და რას ახასიათებს იგი?

რეკომენდებული ლიტერატურა

ასათიანი რ. ეკონომიკსი. განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 2003.

ასათიანი რ. ფული და ფულადი სისტემები. თბ., 1996.

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

ეკონომიკური ლექსიკონი. ავტ. კოლ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით. თბ., 2001.

კაკულია რ., ხელაია გ., ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2000 წ.

საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. თბ., 2002.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2001 წლის წლიური ანგარიში, თბ., 2001.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2002 წლის წლიური ანგარიში, თბ., 2002.

სალია რ. ფულის აგრეგატები და ფართო ფული. ჟურნ. ბანკი №5, 2002, გვ. 59-62.

ქისტაური ლ. ეროვნული ბანკი. თბ., 1996.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. თბ., 1993.

ხელაია გ. ფული, ბანკები და ბირჟები. თბ., 1996.

ხელაია გ. ინფლაცია, როგორ ვუმკურნალოთ? თბ., 1994.

Банки и банковское дело. Авт. колл. под. ред. **И.Т. Балабанова.**

Долан Э. Дж., Кембелл К.Д. Кембелл Р. Дж. Деньги, банковское дело и денежно-кредитная политика. Пер. с англ., С-ПБ. 1994.

Миллер Р.Л., Ван Хуз Д.Д. Современные деньги и банковское дело. М.,2000.

Маркова О.М., Сахарова Л.С., Сидоров В.Н. Коммерческие банки и их операции. М., 1995.

Банковское дело. Авт. колл. под ред. **В.И. Коллесникова, Л.П.Кроливецкой.** М., 2000.

Львов Ю.И. Банки и финансовый рынок. СПБ. Санкт-Петербург. 1995.

Palfreman David., Ford Philip. Elements of Banking. Pritman Publishing. London. 1996.

Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling Financial Services. Second Edition. IRWIN. Honewood. Boston. 1993.

Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

მეხუთე თავი. კომერციული ბანკები

ტერმინები და ძირითადი ცნებები
5.1. კომერციული ბანკის ცნება
5.2. კომერციული ბანკის საქმიანობის პრინციპები
5.3. საბანკო ოპერაციები და მომსახურება
5.4. კომერციული ბანკების ფუნქციები
5.5. ტიპიური კომერციული ბანკების ორგანიზაციულ-ფუნქციური სტრუქტურა
5.6. კომერციული ბანკების ხელმძღვანელი ორგანოები
მოკლე დასკვნები –
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდირებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

ანგარიშის მფლობელი ბანკი
არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება
ბანკის ადმინისტრატორი
ბანკის ფილიალი
ბანკთან დაკავშირებული პირები
გაცხადებული საწესდებო კაპიტალი
განაღდებული საწესდებო კა- პიტალი
ერთობლივად მოქმედი პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი
„პირი“
საინვესტიციო ფონდები
საფინანსო სისტემა
საზედამხედველო კაპიტალი
სააქციო კაპიტალი
სათაო დაწესებულება
სასესხო ვალდებულება
„ფასიანი“ საბანკო საქმიანობა
ფაქტორინგი
ფიდუციალური ოპერაცია
ფიუჩერსული გარიგება
ფიუჩერსული ოპერაციები
ფიუჩერსული კონტრაქტი
ფორფეიტინგი
ფორფეიტორი
ფორფეტირება

5.1. კომერციული ბანკის ცნება

ტერმინი „კომერციული ბანკი“ საბანკო საქმის განვითარების ადრეულ ეტაპზე იშვა, როცა ბანკი ძირითადად ვაჭრობას (commerce), საქონელგაცვლის ოპერაციებს და გადახდებს ემსახურებოდა. მისი ძირითადი კლიენტურა ვაჭრები იყვნენ (აქედან მოდის სახელწოდება „კომერციული ბანკი“). ბანკები აკრედიტებდნენ საქონლის მიმოქცევასთან დაკავშირებულ ტრანსპორტირებას, შენახვასა და სხვა ოპერაციებს.

სამრეწველო წარმოების განვითარების კვალობაზე გაჩნდა საწარმოო ციკლის მოკლევადიანი დაკრედიტების ოპერაციები: სესხების გაცემა საბრუნავი კაპიტალის შესავსებად, ნედლეულისა და მზა ნაკეთობათა მარაგების შესაქმნელად, ხელფასის გასაცემად და ა.შ. კრედიტის ვადები თანდათანობით ხანგრძლივდებოდა. საბანკო რესურსების ნაწილის გამოყენება კი დაიწყეს ძირითად

კაპიტალში დაბანდების განხორციელებისათვის, ფასიანი ქაღალდების შესაძენად და ა.შ. ამრიგად ბანკის დასახელებაში გამოყენებულმა ტერმინმა „კომერციული“ თავდაპირველი აზრი დაკარგა. დღეს იგი აღნიშნავს ბანკის „საქმიან“ ხასიათს, ყოველნაირი სამეურნეო აგენტების მომსახურეობაზე ორიენტაციის აღებას მათი საქმიანობის მიუხედავად.

თანამედროვე კომერციული ბანკი არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია ფულადი სახსრების მოზიდვისათვის და საკუთარი სახელით მათი განთავსებისათვის დაბრუნების, საზღაურის გადახდისა და ვადიანობის პირობებით. ბანკის ძირითადი დანიშნულებაა კრედიტორებიდან მსესხებლებისკენ და გამყიდველებიდან მყიდველებისკენ ფულადი სახსრების გადაადგილებაში შუამავლობა.

გარდა ბანკებისა, ფულადი სახსრების გადაადგილებას ბაზრებზე სხვა საფინანსო დაწესებულებებიც ახორციელებენ. ესაა საინვესტიციო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, ბირჟები, საბროკერო და სადილერო ფირმები და სხვა. მაგრამ ბანკებს, როგორც საფინანსო სისტემის სუბიექტებს, ორი ისეთი არსებითი ნიშანი აქვთ, რომლებიც მათ ყველა დანარჩენი სუბიექტებისაგან გამოარჩევენ.

ჯერ ერთი, ბანკებს ახასიათებს სავალო ვალდებულებებით ორმაგი გაცვლა: ისინი განათავსებენ თავიანთ საკუთარ სავალო ვალდებულებებს (დეპოზიტურ და შემნახველ სერტიფიკატებს, ობლიგაციებს, თამასუქებს), ამ გზით მობილიზებულ სახსრებს კი განათავსებენ სხვების მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებსა და საკრედიტო ვალდებულებებში.

მეორე, ბანკებს, სხვებისგან განსხვავებით, შეუძლიათ ფიქსირებულთანხიანი უპირობო ვალდებულებების თავის თავზე აღება იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე. ამით გამოირჩევიან ბანკები ნაირგვარი საინვესტიციო ფონდებისაგან, რომლებიც მათი აქტივებისა და პასივების ღირებულების შეცვლასთან დაკავშირებულ ყველა რისკს თავიანთ აქციონერებს შორის ყოფენ.

თუ საბანკო კანონმდებლობით ვიმსჯელებთ, ბანკი ყველა დანარჩენი ფინანსური შუამავლისაგან იმით განსხვავდება, რომ მას და მხოლოდ მას აქვს უფლება განახორციელოს საქმიანობის მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი სახეობანი:

1. ფიზიკური და იურიდიული პირების ფინანსური სახსრების განთავსება დაბრუნების, საზღაურისა და ვადიანობის პირობით.

2. ფიზიკური და იურიდიული პირების საბანკო ანგარიშების გახსნა და წარმოება.

კომერციული ბანკებისათვის ნებადართულია საქმიანობის მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი სახეობანი:

– პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;

– სესხების გაცემა სამომხმარებლო, საჰიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგისტრის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტის გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;

– საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების, ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერთიფიკატების ჩათვლით, ფასიანი ქაღალდების, ფიუჩერსებისა და ოფციონების, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;

– ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);

– საშუამავლო მომსახურება ფინანსურ ბაზარზე;

– კლიენტების დავალებით ნდობითი (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;

– ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;
– საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;
– ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება.

ბანკების მიერ მხოლოდ გაწეული მომსახურეობის მრავალფეროვნებით არ აიხსნება მათი როლი თანამედროვე ეკონომიკაში. ბანკების საგანგებო როლი უპირველეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ მათ შეუძლიათ:

საგადამხდელო საშუალებების წარმოება;
მათი გაშვება მიმოქცევაში;
- მიმოქცევიდან მათი ამოღების განხორციელება.

ბანკები ახალ ფულს ქმნიან კრედიტების სახით. მიმოქცევაში მისი გაშვება ხორციელდება კლიენტის ანგარიშზე საკრედიტო ფულის თანხის ჩაწერით. მიმოქცევიდან ამოღება ხორციელდება მსესხებლის მიერ კრედიტის დაფარვის პროცესში. ამგვარად, ბანკებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ ეკონომიკის დარგებისა და სფეროების განვითარებაზე ამ განვითარების დაკრედიტების გზით.

გარდა ამისა, საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში ბანკების როლის ამაღლება უკავშირდება ფულის ნივთობრივი ფორმის შეცვლას, კერძოდ-კი უნაღდო სახსრებისა და ანგარიშსწორების ფართოდ გამოყენებას.

5.2. კომერციული ბანკების საქმიანობის პრინციპები

იმ საფუძვლების ერთობლიობას, რომლებსაც მეურნეობრიობის სუბიექტები ხელმძღვანელობენ თავიანთი საქმიანობის პროცესში, პრინციპებს უწოდებენ.

კომერციული ბანკების საქმიანობის პირველი და ფუძემდებლური პრინციპია რეალურად არსებული რესურსების ფარგლებში მუშაობა. ეს იმას ნიშნავს, რომ კომერციულმა ბანკმა თავის რესურსებს, საკრედიტო დაბანდებებსა და სხვა აქტივებს შორის მხოლოდ რაოდენობრივი თანაფარდობა კი არ უნდა უზრუნველყოს, არამედ უნდა მიაღწიოს საბანკო აქტივების ხასიათის შესაბამისობას მის მიერ მობილიზებული რესურსების სპეციფიკასთან. ეს, უპირველს ყოვლისა, ვადებს ეხება. მაგალითად, თუ ბანკი სახსრებს უმთავრესად მოკლე ვადით იზიდავს, მათ კი უპირატესად გრძელვადიან სესხებში ათავსებს, მაშინ მის მიერ ვალდებულებებზე პასუხის გაცემის უნარს (ლიკვიდობას) საფრთხე ემუქრება.

ის მეორე უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელსაც კომერციული ბანკების საქმიანობა ეყრდნობა, არის ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რომელიც თავისი საქმიანობის შედეგებისთვის ბანკის ეკონომიკურ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს. ეკონომიკურ დამოუკიდებლობად მიჩნეულია:

- ბანკის საკუთარი რესურსებისა და მოზიდული სახსრების განკარგვის თავისუფლება;
კლიენტებისა და მეანაბრეების თავისუფლად შერჩევა;
- ბანკის შემოსავლების თავისუფლად განკარგვა.

კანონმდებლობა ყველა კომერციულ ბანკს ანიჭებს ეკონომიკურ თავისუფლებას ფონდებისა და შემოსავლების განკარგვაში. გადასახადების გადახდის შემდეგ ბანკის განკარგულებაში დარჩენილი მოგება აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად განაწილდება. კრება ადგენს ბანკის ამა თუ იმ ფონდში გადასარიცხი თანხის ნორმასა და ზომებს, აგრეთვე ამტკიცებს დივიდენდების ზომებს.

თავის ვალდებულებებზე კომერციული ბანკი პასუხს აგებს მთელი მისი კუთვნილი სახსრებითა და იმ ქონებით, რომელსაც შეიძლება დაედოს სასჯელი. ოპერაციებთან დაკავშირებულ ყველა კომერციულ რისკს ბანკი თავის თავზე იღებს.

მესამე პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ კომერციული ბანკის ურთიერთდამოკიდებულება თავის კლიენტებთან ისე აიგება, როგორც ჩვეულებრივი საბაზრო ურთიერთობები. სესხების გაცემის დროს კომერციული ბანკი გამოდის უპირველეს ყოვლისა, მომგებიანობის, რისკისა და ლიკვიდობის საბაზრო კრიტერიუმებიდან.

კომერციული ბანკის მუშაობის მეოთხე პრინციპი ისაა, რომ მისი საქმიანობის რეგულირება სახელმწიფოს მხოლოდ ირიბი ეკონომიკური მეთოდებით შეუძლია, და არა პირდაპირი ბრძანებებით, ე.ი. ოპერატიულ საქმიანობაში ჩაურევლად.

საერთოდ, საბანკო საქმიანობა ხორციელდება კანონმდებლობის დასაბუთებული ადმინისტრაციული და სააღრიცხვო პროცედურების, საბანკო ლიცენზიებზე თანდართული პირობებისა და შეზღუდვების, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული დადგენილებების, წესების და ინსტრუქციების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ამა თუ იმ მიმართულებების საბანკო საქმიანობის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესი, ბანკები მოქმედებენ საერთაშორისო ნორმებისა და ჩვევების შესაბამისად.

საბანკო მომსახურების თაობაზე კლიენტსა და ბანკს შორის ურთიერთობის პირობები რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე. ფულადი გადარიცხვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისას, ბანკი ვალდებულია კლიენტს გადაუხადოს დაგვიანებული თანხის არა ნაკლებ 0,5 პროცენტისა, ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე.

კომერციული ბანკები ინარჩუნებენ კაპიტალისა და ლიკვიდური რესურსების სათანადო დონეს და ახდენენ თავიანთი აქტივების დივერსიფიკაციას დანაკარგების რისკის გათვალისწინებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად.

კომერციული ბანკების არსის განსაზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ არა მხოლოდ იმ ფუნქციების განმარტებით, რომლებსაც ისინი ახორციელებენ ფულადი რესურსებით ოპერირებისას ცალკეულ ეტაპზე, არამედ უნდა დავადგინოთ მათი ერთიანი კომპლექსური ნიშნები. ამ მიზნით განვიხილოთ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში არსებული კომერციული ბანკების სახეობა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედი კომერციული ბანკების კლასიფიკაციის გაცნობა საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ ბანკები სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით.

5.3. საბანკო ოპერაციები და მომსახურება

უკვე XX ს. ბოლოს კომერციულ ბანკებს შეეძლოთ კლიენტებისათვის შეეთავაზებინათ 200 სახეობის სხვადასხვა საბანკო პროდუქტი და მომსახურება. ოპერაციების ფართო დივერსიფიკაცია საშუალებას აძლევს ბანკებს კლიენტები შეინარჩუნონ და რენტაბელური დარჩნენ მეტად არახელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურის დროსაც კი. მაგრამ კონკრეტული საბანკო დაწესებულების პრაქტიკაში ყოველდღიურად ყველა საბანკო ოპერაციას როდი იყენებდნენ (მაგალითად, საერთაშორისო ანგარიშსწორების შესრულებას ან სატრასტო ოპერაციებს).

ვალუტის გაცვლა. ისტორია ადასტურებს, რომ ბანკების მიერ გაწეული ერთ-ერთი პირველი მომსახურება ვალუტის გაცვლის ოპერაციები იყო. ბანკების ამჟამინდელ საქმიანობაში ამ ოპერაციებს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, როდესაც მეურნეობის სუბიექტების ეკონომიკური კავშირები განუწყვეტლივ ფართოვდება და ხდება მათი გლობალიზება.

კომერციული თამასუქების აღრიცხვა და საწარმოებისათვის კრედიტების მიცემა. ჯერ კიდევ ძველ დროში ბანკირებმა დაიწყეს კომერციული თამასუქების აღრიცხვა. მით ისინი იმ ადგილობრივ მოვაჭრეებს აძლევდნენ სესხებს, რომლებიც თავიანთ მყიდველთა სავალო ვალდებულებების მიყიდვას ახდენდნენ ბანკზე სახსრების უსწრაფესად მობილიზების მიზნით. კომერციული თამასუქების აღრიცხვიდან უკვე არც ისე შორს იყო საქმიანი საწარმოების პირდაპირი დაკრედიტება.

კრედიტში შუამდგომლობა კომერციული ბანკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად იქცა. ეს შუამდგომლობა ხორციელდება იურიდიული პირების ფულადი ფონდების და ფიზიკური პირების ფულადი შემოსავლების წრებრუნვის პროცესში დროებით გამოთავისუფლებული ფულადი სახსრების გადანაწილების გზით. რესურსების გადანაწილების მთავარ კრიტერიუმად გამოდის მსესხებლის მიერ მისი გამოყენების მომგებიანობა.

რესურსების გადანაწილება ხორციელდება სამეურნეო კავშირურთიერთობების პორიზონტალის გასწვრივ – კრედიტორიდან მსესხებლისკენ. საზღაურს გაცემული და მიღებული სახსრებისათვის აყალიბებს სასესხო სახსრების მიწოდება და მოთხოვნა. ამის შედეგად მიიღწევა ფინანსური რესურსების თავისუფლად გადაადგილება მეურნეობაში, რაც საბაზრო ტიპის ურთიერთობებს შეესაბამება.

კრედიტორებიდან მსესხებლისკენ ფულად სახსრებს ბანკების შუამდგომლობის გარეშეც შეუძლიათ გადანაცვლება, მაგრამ ამ დროს მკვეთრად მატულობს გასესხებული ფულადი სახსრების დაკარგვის რისკი. ეს იმიტომ ხდება, რომ კრედიტორებმა და ფულის მსესხებლებმა არაფერი იციან ერთმანეთის გადახდისუნარიანობის შესახებ. ფულადი სახსრების მიწოდების ზომა და ვადები კი არ ემთხვევა მათზე წარდგენილი მოთხოვნის ზომასა და ვადებს.

კომერციული ბანკები იზიდავენ სახსრებს, რომელთა გასესხება შესაძლებელია მსესხებელთა მოთხოვნილებების შესაბამისად, და თავიანთი აქტივების ფართო დივერსიფიკაციის საფუძველზე ამცირებენ ბანკში შეტანილი ფულის მფლობელთა ერთობლივ რისკებს.

ფულადი სახსრების დაგროვების და დაზოგვის სტიმულები ყალიბდება კომერციული ბანკების მოქნილი სადეპოზიტო პოლიტიკის საფუძველზე. ანაბრებზე გაცემული მაღალი პროცენტების გარდა ბანკის კრედიტორებისათვის აუცილებელია დაგროვილი რესურსების ბანკში მოთავსების საიმედოობის გარანტიები.

ეკონომიკის წარმატებით განვითარებისათვის კომერციული ბანკების საშუამავლო ფუნქციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ თავიანთი საქმიანობის პროცესში ისინი ამცირებენ რისკისა და ეკონომიკურ სისტემაში არსებული გაურკვევლობის ხარისხს. მას ისინი აღწევენ თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირებით და მძლავრ საინვესტიციო რესურსად მათი გარდაქმნით.

დანაზოგის ანაბრები. სესხების გაცემა იმდენად მომგებიანი საქმე გამოდგა, რომ ბანკებმა დამატებითი სახსრების მობილიზების ხერხების ძიება დაიწყეს. ერთ-ერთი პირველი ასეთი ხერხი გახდა დანაზოგის ანაბრები, რომლებსაც ბანკები პროცენტით იღებენ. ამით ბანკი საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ფუნქციასაც ასრულებს – სტიმულს აძლევს კრედიტში შუამდგომლობას, რასაც იგი ახორციელებს იურიდიული პირების ფულადი ფონდებისა და ფიზიკური პირების შემოსავლების გადანაწილების გზით.

ფასეულობათა შენახვა. შუა საუკუნეებში ბანკებმა ხელი მოკიდეს თავიანთი კლიენტების ოქროს, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფასეულობათა შენახვას საკუთარ საიმედო საცავებში. ამჟამად ბანკებში ფასეულობათა უსაფრთხოდ შენახვის საქმეს ეწევიან საცავების არენდის განყოფილებები, სადაც კლიენტების ფასეულობები მანამდეა ჩაკეტილი, ვიდრე მათ თავიანთ საკუთრებასთან მისვლა არ მოუნდებათ.

საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურება. ბანკი თავის თავზე იღებს გადასახადების ინკასირებას და კლიენტის ოპერაციების მიხედვით გადახდების განხორციელებას, აგრეთვე, ახდენს ჭარბი ნაღდი ფულის ინვესტირებას მოკლევადიან ფასიან ქაღალდებსა და კრედიტებში.

ფინანსების საკითხში კონსულტირება. იმ ბანკებს, სადაც გამოცდილი ფინანსისტები მუშაობენ, შეუძლიათ კვალიფიციური რჩევის მიცემა, განსაკუთრებით თუ დგას კრედიტის, დანაზოგის ოპტიმალურად გამოყენების და სახსრების ხელსაყრელად ინვესტირების საკითხები.

მოწყობილობის ლიზინგი. ბანკს შეუძლია შესთავაზოს თავის კლიენტს მოწყობილობის

შეძენა სალიზინგო შეთანხმების საშუალებით, რომლითაც ბანკი ყიდულობს მოწყობილობას და არენდით გადასცემს მას კლიენტს. დადებული ხელშეკრულების შესაბამისად კლიენტი ვალდებულია შეიტანოს სალიზინგო გადასახდელები, რომლებიც საბოლოო ჯამში მთლიანად ფარავენ ბანკის მიერ შესყიდული და არენდით გადაცემული მოწყობილობის ღირებულებას.

ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით განვითარებას პოულობს ბანკების შუამავლობა ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებში. ბანკებს უფლება აქვთ მოგვევლინონ ისეთი დაწესებულებების როლში, როგორიცაა:

საინვესტიციო ინსტიტუტები, რომლებსაც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შუამავლის საქმიანობა შეუძლიათ გასწიონ;

ინვესტიციების საკითხში კონსულტანტი;

საინვესტიციო კომპანია;

საინვესტიციო ფონდი.

საფინანსო ბროკერის როლის შესრულების დროს ბანკები საშუამავლო ფუნქციებს ასრულებენ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაში. ეს ხორციელდება კლიენტის დავალებით და მისსავე ხარჯზე, რაც საკომისიო ხელშეკრულების ან დავალების საფუძველზე ხდება.

როგორც საინვესტიციო კონსულტანტი, ბანკი საკონსულტაციო მომსახურებას უწევს თავის კლიენტებს ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის სფეროში.

თუ ბანკი თავის თავზე იღებს საინვესტიციო კომპანიის როლს, მაშინ იგი შემდეგ საქმიანობას ეწევა:

ფასიანი ქაღალდების გამოშვების ორგანიზაცია და მათ განთავსებაზე გარანტიების გაცემა მესამე პირის სასარგებლოდ;

ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა თავისი სახელით და თავისივე ხარჯით, მათ შორის ფასიანი ქაღალდების კოტირების გზით, ე.ი. როცა იგი აცხადებს გარკვეულ ქაღალდებზე „გამყიდველის ფასს“ და „მყიდველის ფასს“ და ვალდებულებას კისრულობს ამ ფასებით გაყიდოს და შეიძინოს ისინი.


ბანკი საინვესტიციო ფონდის როლში მაშინ გამოდის, როცა თავის რესურსებს თავისივე სახელით ათაესებს ფასიან ქაღალდებში. ამ შემთხვევაში განთავსებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და შეძენილი ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების ცვლილებით მიღებული მთელი შემოსავალი და წაგება ბანკის ფინანსურ შედეგს მიეწერება.

საინვესტიციო ფონდის როლის შესრულების აუცილებელი პირობაა ბანკის შტატში ფასიან ქაღალდებთან მომუშავე და ისეთი კვალიფიკაციური ატესტატის მქონე სპეციალისტების არსებობა, რომელთაც მოქალაქეთა სახსრების მოზიდვის ოპერაციების შესრულების უფლება აქვთ.

სატრასტო მომსახურება. გარკვეული საზღაურის ფასად ბანკს შეუძლია მართოს ფირმებისა და კერძო პირების ფინანსური საქმეები და საკუთრება. საკუთრების მართვის ფუნქცია მინდობილობით ანუ სატრასტო მომსახურების ოპერაციის სახელითაა ცნობილი. სატრასტო განყოფილების მეშვეობით ბანკები მართავენ თაეიანთი კლიენტების ფასიანი ქაღალდების გამომშვებ კომპანიებს, ასრულებენ ანდერძით დანიშნულ მზრუნველის როლს.

მთლიანობაში კომერციული ბანკის ოპერაციებისა და მომსახურების კლასიფიკაცია საკმაოდ რთულია. საბანკო საქმის თანამედროვე თეორიაში არსებობს სქემა, რომელიც 5.1. ნახაზზეა წარმოდგენილი.

პასიური ოპერაციები იმ ოპერაციების ერთობლიობაა, რომლებიც უზრუნველყოფენ კომერციული ბანკის რესურსების ფორმირებას. კომერციული ბანკის რესურსები შეიძლება ჩამოყალიბდეს საკუთარი და მოზიდული სახსრების ხარჯზე. კომერციული ბანკის საკუთარ რესურსებს ეკუთვნის:



ნახ. 5.1. კომერციული ბანკის ოპერაციების კლასიფიკაცია.

ა) საწესდებო კაპიტალი;

ბ) სარეზერვო და სპეციალური ფონდები;

გ) სესხებსა და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციებიდან შესაძლო დანაკარგების დაფარვისათვის აუცილებელი რეზერვები;

დ) გაუნაწილებელი მოგება.

ბანკის საწესდებო კაპიტალს აყალიბებენ მონაწილეთა საკუთარი სახსრების ხარჯზე და იგი ბანკის ლიკვიდობის უზრუნველყოფას ემსახურება. მინიმალური საწესდებო ფონდის სიდიდეს და მისი გაანგარიშების წესს ქვეყნის ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს.

სარეზერვო ფონდს აყალიბებს მოგებიდან თანხების გადარიცხვის ხარჯზე და იგი ბანკის ძირითადი საქმიანობის დროს წარმოქმნილი ზარალის დაფარვას ემსახურება. ამ ფონდის მინიმალური სიდიდე საწესდებო კაპიტალის სიდიდის 15%-ია.

კომერციულ ბანკებს შეუძლიათ სპეციალური ფონდების ჩამოყალიბება: ეკონომიკური სტიმულირების, ძირითადი ფონდების ცვეთისა და საწარმოო დანიშნულების ფონდების.

აუცილებელი რეზერვების ჩამოყალიბება საკანონმდებლოა და მას გაწეული საბანკო მომსახურების თვითღირებულებაში რთავენ. ცალკეულ შემთხვევებში აუცილებელი რეზერვები სახსრების ხარჯზე იქმნება. სადაზღვევო რეზერვებს ქმნიან ფასიან ქაღალდებში შესრულებულ დაბანდებათა შესაძლო გაუფასურებისა და გაცემულ კრედიტებზე მიღებული დანაკარგების შემთხვევისათვის.

გაუნაწილებელი მოგება მოგების ის ნაწილია, რომელიც რჩება ბიუჯეტში თანხის გადახდის სარეზერვო კაპიტალში და სპეციალურ ფონდში ფულის გადარიცხვის და დივიდენდების გაცემის შემდეგ. ბანკის საკუთარ რესურსებს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს სიმტკიცისა და ლიკვიდობის შესანარჩუნებლად.

არანაკლებ როლს თამაშობენ მოზიდული სახსრებიც. ფინანსური რესურსების ბაზარზე იურიდიული და ფიზიკური პირების დროებით თავისუფალი სახსრების მობილიზებით კომერციული ბანკები აკმაყოფილებენ ეკონომიკის მოთხოვნილებებს დამატებით საბრუნავ და საინვესტიციო სახსრებზე.

მოზიდული სახსრების ფორმირება შემდეგი საბანკო ოპერაციების მეშვეობით ხდება:

- კრედიტებისა და სესხების მოზიდვა, რომელთა მიღება სხვა იურიდიული პირებისგან ხდება;
- დეპოზიტური ოპერაციები;

დეპოზიტურია ისეთი ოპერაციები, რომლებითაც ბანკები იურიდიული და ფიზიკური პირების ფულად სესხებს იზიდავენ ანაბრებზე გარკვეული ვადით ან მოთხოვნამდე. დეპოზიტური ოპერაციების ობიექტებია დეპოზიტები ანუ ფულადი სახსრების თანხები, რომლებიც დეპოზიტური ოპერაციების სუბიექტებს შეაქვთ ბანკში. ისინი გარკვეული დროის განმავლობაში ინახება ბანკის ანგარიშებზე საბანკო ოპერაციების განხორციელების მოქმედი წესის თანახმად. ეკონომიკური შინაარსის მიხედვით დეპოზიტებს სამ ჯგუფად ყოფენ:

ვადიანი დეპოზიტები მათ სახესხვაობასთან-დეპოზიტურ სერტიფიკატებთან ერთად;
- დეპოზიტები მოთხოვნამდე;
მოსახლეობის დანაზოგების ანაბრები.

შესაძლებელია თითოეული ამ ჯგუფის კლასიფიცირება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ვადიანი დეპოზიტები შეიძლება იყოს 3 თვემდე, 3-დან 6 თვემდე, 6-დან 9 თვემდე, 9-დან 12 თვემდე, 12 თვეზე მეტი ვადით და ა.შ.

მოთხოვნამდე დეპოზიტებს აჯგუფებენ ანგარიშებზე დაცული სახსრების ხასიათისა და კუთვნილების მიხედვით. ეს შესაძლოა იყოს:

საკუთრების ამა თუ იმ ფორმის მქონე საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საანგარიშსწორებო, მიმდინარე და საბიუჯეტო ანგარიშებზე მყოფი სახსრები;

მიზნობრივი ეკონომიკური დანიშნულებით განსხვავებული ფონდების შენახვის სპეციალურ ანგარიშებზე რიცხული სახსრები;
- საწარმოების სპეციალური სახსრები, რომლებიც კაპიტალური დაბანდებებისათვისაა გამიზნული;
საწარმოებისა და ორგანიზაციების ანგარიშსწორების ანგარიშებზე მყოფი სახსრები;
სხვა ბანკებთან ანგარიშსწორების საკორესპონდენტო ანგარიშებზე მოთავსებული სახსრები;
- ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრები და ა.შ.

მოსახლეობის დანაზოგების ანაბრებს მათი შენახვის თავისებურებებიდან გამომდინარე ყოფენ:

ვადიან ან დამატებითი შენატანის მქონე ვადიან ანაბრებად;

მიმდინარე, მოთხოვნამდე დაცულ და წარმომდგენზე გასაცემ ანაბრებად, შემნახველ სერტიფიკატებად, საკრედიტო და სხვა სახეობის პლასტიკურ ბარათებად და ა.შ.

ბანკის დეპოზიტური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა იურიდიული და ფიზიკური პირების ვადიანი ანაბრების შენახვის ოპტიმალური განსაზღვრა. ვადები უნდა შეესაბამებოდეს იმ კრედიტების ბრუნვის ვადებს, რომლის გაცემაზეც ვადიანი დეპოზიტები შეიძლება იყოს მიმართული.

საკორესპონდენტო ანგარიშები კორესპონდენტი ბანკების (ე.ი. იმ ბანკების, რომლებსაც სახელშეკრულებო ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან) მოთხოვნამდე დაცული ანგარიშებია.

ბანკების მიერ მოზიდული სახსრების ფორმების არადეპოზიტურ წყაროებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ბანკთაშორის კრედიტებს და ცენტრალური ბანკის მიერ მეორისთვის მიცემულ კრედიტებს. **ბანკთაშორისი კრედიტი** ერთი კომერციული ბანკის მიერ მეორისთვის მიცემული კრედიტია. მისი ყიდვა-გაყიდვა ბანკთაშორის ბაზარზე ხდება. ბანკთაშორისი კრედიტი სასესხო კაპიტალების ბაზრის ნაწილია, სადაც საკრედიტო ორგანიზაციების დროებით თავისუფალ ფულად რესურსებს ბანკები იზიდავენ და გარკვეული ვადით განათავსებენ ბანკთაშორისი დეპოზიტების ფორმით. საერთაშორისო პრაქტიკაში ყველაზე მეტადაა გავრცელებული თვენახევრიდან ექვს თვემდე ვადის მქონე დეპოზიტები, ზღვრული ვადა კი ერთი დღიდან რამდენიმე წელიწადია. ბანკთაშორისი ბაზრის სახსრების სესხით ამღები ბანკები იყენებენ არა მარტო თავიანთი აქტიური ოპერაციების დასაფარავად, არამედ ბანკების ლიკვიდობის დასაფარავადაც.

ბანკთაშორისი კრედიტების ყიდვა-გაყიდვა შესაძლებელია თავისუფალ ბაზარზე დადებული გარიგებების ფორმით, აგრეთვე, „დახურულ“ ბაზარზე მომხდარი გარიგებების ფორმით, სადაც კრედიტებს ერთმანეთს აძლევენ ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობის მქონე ბანკები. ამ დროს კრედიტების გაცემის პირობებიც ერთმანეთის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

აქტიური ოპერაციები ბანკის საკუთარი და მოზიდული სახსრების განთავსებაა მოგების მიზნით; ბანკის აქტიური ოპერაციების ხარისხიანად განხორციელებაზეა დამოკიდებული ბანკის ლიკვიდობა, შემოსავლიანობა, აქედან გამომდინარე კი – ფინანსური საიმედოობა და, მთლიანად, მისი მდგრადობა. ბანკის აქტიური ოპერაციები მათი ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე იყოფა:

საკრედიტო (სასესხო) ოპერაციებად;
საინვესტიციო ოპერაციებად;
საგარანტიო ოპერაციებად;
- ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებად.

აქტიური ოპერაციების საფუძველია საკრედიტო ოპერაციები. ისინი ყველაზე უფრო სარისკო და, აქედან გამომდინარე, ყველაზე უფრო შემოსაელიანი ოპერაციებია. კრედიტის გაცემისას ბანკი პოტენციური მსესხებლისგან ითხოვს იმ დოკუმენტების კომპლექტს, რომლებიც კრედიტის მატერიალურ უზრუნველყოფას და სესხის ამღების იურიდიულ უფლებამოსილებას ახასიათებს. ესაა:

1. სადამფუძნებლო დოკუმენტები;
2. ბიზნეს-გეგმა (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება), რომლის საფუძველიც განისაზღვრება სესხის დაბრუნების და დანახარჯების გამოყიდვის ვადით;
3. კონტრაქტი (ან მისი ასლი), რომელიც აფიქსირებს კრედიტის აღების მიზანს;
4. ბუღალტრული ბალანსი და მისი ზოგიერთი დანართი;
5. სხვა ბანკებთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებები;
6. საწინდრის ან თავდებობის ხელშეკრულება;
7. ვადიანი ვალდებულება – სესხების დაბრუნებაზე საკრედიტო ხელშეკრულება დადგენილი ვადების თანახმად;
8. განცხადება სესხის მიღებაზე კრედიტის თანხის, ვადის და მიზნის მითითებით.

იმის მიხედვით, თუ რომელ ნიშანს ვიყენებთ, ბანკის მიერ გაცემული კრედიტები შეიძლება იყოს მოკლე-, საშუალო-, ან გრძელვადიანი, საწინდრიანი, გარანტირებული, დაზღვეული ან არაუზრუნველყოფილი, ერთბაშად ან ნაწილ-ნაწილი დასაფარავი და ა.შ.

ბანკის საინვესტიციო ოპერაციები არის ფასიან ქაღალდებში ან არასაბანკო სტრუქტურების პაიში ბანკის საკუთარი სახსრების ინვესტირების ოპერაციები, რომლის მიზანია ერთობლივი სამეურნეო-საფინანსო და კომერციული საქმიანობა, აგრეთვე, სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში განთავსება ვადიანი ანაბრების სახით. ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები ისეთ ფასიან ქაღალდებზე წარმოებული ოპერაციებია, რომელთა კოტირებაც საფინანსო ბირჟაზე ხდება. აქ შედის თამასუქებთან დაკავშირებული ოპერაციები, (თამასუქების შენახვის და აუქციონზე მათი გაყიდვის).

საგარანტიო ოპერაციებია ბანკის მიერ მესამე პირისათვის (თავდების) გაცემის ოპერაციები გარკვეული პირობების დადგომისას მესამე პირისათვის კლიენტის ვალის გასტუმრებაზე.

საკომისიოა ისეთი ოპერაციები, რომლებსაც ბანკი ასრულებს თავისი კლიენტების დავალებით და ამისათვის საზღაურს ახდევინებს მათ საკომისიოების სახით. ამ ოპერაციების რაოდენობა განუწყვეტლივ მატულობს, არადა მათ განხორციელებაზე ბანკს არ უხდება საკუთარი ან მოზიდული სახსრების მოცდენა. ძირითადი საკომისიო ოპერაციებია:

1) საანგარიშსწორებო-საკასო ოპერაციები, რომლებიც უკავშირდება ანგარიშების წარმოებას ეროვნული ან უცხოური ვალუტით, კლიენტის ანგარიშსწორებისა და ფულის გადახდის განხორციელებას, აგრეთვე, მისთვის გადარიცხული სახსრების მიღებას და ჩარიცხვას ანგარიშზე უნაღდო ფორმით, ანგარიშიდან ნაღდი ფულის გაცემას, ანგარიშზე მის შეტანას, შენახვას და გადატანას. მათ აფორმებენ სალაროთი მომსახურების შესახებ დადებული შესაბამისი ხელშეკრულებით.

2) სატრასტო ოპერაციები, რომლებიც შემდეგი მომსახურეობით შეიძლება იყოს წარმოდგენილი: ცალკეული ფასიანი ქაღალდების და მათი პორტფელების გადაცემა მინდობით სამართავად; ფასიანი ქაღალდების მომსახურებასთან დაკავშირებული საგადამხდელო ფუნქციები; საპენსიო და საინვესტიციო ფონდების აქტივების მართვა და ა.შ.

3) უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები, რომლებიც უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ტრადიციულ ოპერაციებთან ერთად მოიცავს: ფულადი აკრედიტივების გადახდა და წარდგენა, საზღვარგარეთის ბანკების საგზაო ჩეკების ყიდვა და განაღდება, პლასტიკური ბარათების გამოშვება და მომსახურება, საერთაშორისო ანგარიშსწორებათა განხორციელება.

4) საინფორმაციო მომსახურება, როცა ბანკები გარკვეული საზღაურის ფასად თავიანთ კლიენტებს აწვდიან როგორც კომერციული, ისევე არაკომერციული ხასიათის ინფორმაციას.

კომერციული ბანკები, როგორც ფინანსური ბაზრის უმნიშვნელოვანესი რგოლი, დიდ როლს თამაშობს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო საბანკო საქმიანობაში მიმდინარე ცვლილებებს, შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ ეს როლი ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვასთან ერთად ზრდის ტენდენციებით ხასიათდება.

ბანკების მიერ მიწოდებული ახალი სახის მომსახურებას მიეკუთვნება: სადაზღვეო პოლისებისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები, სადაზღვეო სააგენტოების მართვა, ფასიანი ქაღალდებისა და ურთიერთფონდების ინვესტიციების მართვა, საკონსულტაციო მომსახურება (დაბეგვრის, კერძო და კორპორაციული ფინანსური დაგეგმვის, საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით), ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის კრედიტების გამოყოფა და ა.შ.

5.4. კომერციული ბანკების ფუნქციები


კომერციული ბანკები ასრულებენ შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

1) დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია და მისი გადაქცევა კაპიტალად;
2) საწარმოთა, სახელმწიფოსა და მოსახლეობის დაკრედიტება;
3) მიმოქცევის საკრედიტო საშუალებების (საკრედიტო ფულის) გამოშვება;
4) მეურნეობაში ანგარიშსწორებისა და გადახდების განხორციელება;
5) საემისიო-დამფუძნებელი საქმიანობა;
6) კონსულტირება, ეკონომიკური და ფინანსური ინფორმაციის მიწოდება.
7) საბროკერო ფუნქცია;
8) სადაზღვეო ფუნქცია;
9) საინვესტიციო დაგეგმვის ფუნქცია და ა.შ. იხ. ნახ. 5.2.

თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციისა და კაპიტალად მისი გადაქცევის ფუნქციის შესრულებისას ბანკები ახორციელებენ ფულადი სახსრებისა და დანაზოგების აკუმულირებას ანაბრების სახით. მეანაბრე იღებს გასამრჯელოს პროცენტის ან ბანკის მიერ გაწეული მომსახურების სახით. ანაბრებზე კონცენტრირებული დანაზოგები იქცევა სასესხო კაპიტალად, რასაც იყენებს ბანკი საწარმოებსა და მეწარმეებისათვის კრედიტის გასაცემად. კრედიტის გამოყენება უზრუნველყოფს მთლიანობაში ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას. მსესხებლები სახსრებს დებენ წარმოების გაფართოებაში, უძრავი ქონებისა და სამომხმარებლო საქონლის შესყიდვაში. ამის შედეგად, ბანკების მეშვეობით დანაზოგები იქცევა კაპიტალად.

ბანკების საკრედიტო შესაძლებლობები დამოკიდებულია მოსახლეობის ფულადი სახსრების დაგროვებასა და საწარმოთა საკუთრი ფულადი სახსრების გადიდებაზე. განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში ამ სახსრების მუდმივი ზრდა და საწარმოთა მხრიდან საკრედიტო რესურსების მოთხოვნები ქმნიან პირობებს დაკრედიტების გაფართოებისათვის.

უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს საწარმოთა, სახელმწიფოსა და მოსახლეობის დაკრედიტების ფუნქციას. თავისუფალი ფულადი კაპიტალის მფლობელთა მიერ ამ კაპიტალის მსესხებელთათვის პირდაპირი გაცემა სესხად პრაქტიკულად სამეურნეო ცხოვრებაში გაძნელებულია.



ნახ.5.2. თანამედროვე ბანკის ძირითადი ფუნქციები

ბანკი იღებს რა სახსრებს საბოლოო კრედიტორთაგან და გადასცემს მათ საბოლოო მსესხებლებს, გამოდის ფინანსური შუამავლის როლში.

კომერციული ბანკების ოპერაციებზე ცენტრალური ბანკებისა და სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებისა და კონტროლის შესუსტება (მაგ., აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში – მეტად, გერმანიასა და შვეიცარიაში – ნაკლებად) ახდენს საკრედიტო ურთიერთობების ლიბერალიზაციას, აქცევს კრედიტს ადვილად მისაწვდომად და ფულადი სახსრების მიღების საიმედო წყაროდ.

ბანკის კრედიტების ხარჯზე ხორციელდება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის დაფინანსება, წარმოების გაფართოება. კომერციული ბანკები გასცემენ კრედიტს მომხმარებლებზე ხანგრძლივი მოხმარების საქონლის შესაძენად, რითაც ხელს უწყობენ ცხოვრების დონის ზრდას. იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო ხარჯები ყოველთვის არ იფარება შემოსავლებით, ბანკები აკრედიტებენ მთავრობის საფინანსო საქმიანობას, მაგრამ, როგორც წესი, არაპირდაპირი დაკრედიტების გზით.

უკანასკნელ წლებში გაიზარდა მოთხოვნილება კრედიტზე. საწარმოებს ესაჭიროებათ დამატებითი ფულადი სახსრები კაპიტალის განახლებისა და საწარმოო სიმძლავრეთა გაფართოებისათვის. საწარმოთა მხრიდან მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ბანკები შეიმუშავებენ დაკრედიტების ახალ ფორმებს, სრულყოფენ მის მექანიზმს.

განვითარებული სამრეწველო ქვეყნების ეკონომიკაში შეინიშნება ბანკებისადმი საწარმოთა დავალიანების გადიდების ტენდენცია. მაგ., 1998 წ., საფრანგეთში სამრეწველო საწარმოთა დავალიანების შეფარდებამ მის საკუთარ სახსრებთან შეადგინა 200 %, აშშ-ში – 70%. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის შეფასებით, აშშ-ის, კანადის, დიდი ბრიტანეთის საწარ-

მოებს გააჩნიათ ზომიერი დავალიანება ბანკებისადმი იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის ფირმებისაგან განსხვავებით.

კომერციული ბანკების როლი დაკრედიტების ფუნქციის განხორციელებისას უნდა განვიხილოთ იმ საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის შეფასების პოზიციიდან, რომელიც უარესდება დავალიანების ზრდის კვალდაკვალ. აუცილებელია დაკრედიტების მნიშვნელობის შეფასება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის. მიუმართოთ საფრანგეთის გამოცდილებას, რომელიც გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია საფრანგეთის საწარმოთა დავალიანების ზრდის მიზეზების გაანალიზება. ვალის გადიდება შეტწყილად გამოწვეული იყო საწარმოთა მოდერნიზაციით, ტექნიკური გადაიარაღებით, რაც ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საწინდარია. ამრიგად, საფრანგეთის კომერციული ბანკების საქმიანობა დაკრედიტების სფეროში დადებით გავლენას ახდენს როგორც ცალკეულ საწარმოთა, ასევე მთლიანად ქვეყნის ეფექტურ განვითარებაზე.

იგივეს ჯერ-ჯერობით ვერ ვიტყვით ჩვენი ქვეყნის კომერციულ ბანკებზე, რომელთა საქმიანობა საწარმოთა დაკრედიტების კუთხით არასაკმარისად ეფექტურად მოქმედებს სტრუქტურულ და საინვესტიციო პოლიტიკაზე. მრავალი კომერციული ბანკის საქმიანობაში დაკრედიტებას უმნიშვნელო ადგილი უკავია. საკრედიტო ოპერაციების წილი საქართველოს კომერციული ბანკების ნაკრები ბალანსის აქტივებში 1.01. 02 წლისათვის შეადგენდა 22%-ს. გარდა ამისა, 2002 წ. შეინიშნებოდა კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის შესუსტება, რაზედაც მეტყველებს მოთხოვნამდე დეპოზიტებისა და გაცემული კრედიტების თანაფარდობა. თუ აღნიშნული მაჩვენებელი აღემატება 75%-ს, ბანკის საკრედიტო პოლიტიკა აგრესიულად ფასდება, თუ ის 65%-ზე დაბალია — ინერტიულად. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 1.01.2001 წლისათვის შეადგენდა 65%-ს, 1.01.2003 წლისათვის ის დაეცა 57%-მდე. კომერციული ბანკების საქმიანობაში დაკრედიტების თავისებური სრულყოფის აუცილებლობა მოითხოვს რესურსების მიმართვას ინვესტიციური მიზნების, საბანკო პრაქტიკაში დაკრედიტების ახალი ფორმების დანერგვისაკენ.

საკრედიტო ფულის გამოშვება სპეციფიკური ფუნქციაა, რაც განასხვავებს კომერციულ ბანკებს სხვა საფინანსო ინსტიტუტებისაგან.

ფულადი ემისიის თანამედროვე მექანიზმი დაკავშირებულია ორ ცნებასთან: საბანკნოტო და დეპოზიტურ ემისიებთან. შესაბამისად, ფულადი მასა გამოდის ნაღდი (საბანკო ბილეთები და დასახურდავებელი მონეტა) და უნაღდო (ფულადი სახსრები კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების ანგარიშებსა და დეპოზიტებზე) ფორმით.

ნაღდი ფულის წილი განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში შეადგენს დაახლოებით 10%-ს, ამასთან, შეინიშნება მისი თანდათანობითი შემცირება. საბანკნოტო ემისიას ახორციელებს საემისიო ბანკი (ცენტრალური), რომელსაც გააჩნია ფულის გამოშვების მონოპოლიური უფლება.

ფულის ბრუნვის სტრუქტურაში სჭარბობს უნაღდო ბრუნვა, ხოლო ფულის ძირითად ემიტენტებს წარმოადგენენ არა ცენტრალური, არამედ კორეციული ბანკები.

კომერციული ბანკები ახორციელებენ სადეპოზიტო ემისიას — მიმოქცევის საკრედიტო ინსტრუმენტების გამოშვებას ბანკების მიერ ანაბრების (დეპოზიტების) შექმნის საფუძველზე, რომლებიც იქმნება კლიენტისათვის სესხის გაცემის შედეგად. ფულის მასა იზრდება, როცა ბანკები გასცემენ სესხებს კლიენტებზე და მცირდება, როცა ხდება ბანკებისაგან მიღებული სესხების დაბრუნება.

კლიენტისათვის გაცემული სესხი ირიცხება ბანკში მის ანგარიშზე ანუ ბანკი ქმნის დეპოზიტს (ანაბარი მოთხოვნამდე). ამასთან, იზრდება ბანკის საკალო ვალდებულებები. დეპოზიტის მფლობელს შეუძლია მიიღოს ბანკში ნაღდი ფული ანაბრის ოდენობით, ამრიგად, ბანკები ქმნიან ფულს კლიენტის მოთხოვნის საპირისპიროდ და ხდება მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გადიდება. საბანკო კრედიტზე მოთხოვნის არსებობისას თანამედროვე საემისიო მექანიზმი შესაძლებელს

ხდის ფულადი ემისიის გაფართოებას, რაც დასტურდება განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში ფულის მასის ზრდით. საბანკო კრედიტი გახდა ამ ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ამასთანავე, ეკონომიკა საჭიროებს ფულის აუცილებელ, მაგრამ არა ჭარბ რაოდენობას, ამიტომაც კომერციული ბანკები სახელმწიფოს მიერ ცენტრალური ბანკის სახით შეზღუდვებით ფუნქციონირებენ. ეს შეზღუდვები არეგულირებენ დაკრედიტების პროცესს და, აქედან გამომდინარე, ფულის შექმნის პროცესს და ამ პროცესზე კონტროლის განხორციელებას.

ზოგიერთ ქვეყანაში ეკონომიკის გარადქმნის პერიოდში სადეპოზიტო ემისიის რეგულირება მწვავე პრობლემად იქცა. მაგალითად, რუსეთში ფულის მიმოქცევის არასტაბილურობამ, ინფლაციამ მნიშვნელოვანწილად მოითხოვა ცენტრალური ბანკისაგან კომერციული ბანკებისათვის საკრედიტო რესურსების შეთავაზების პოლიტიკის გატარება. კომერციული ბანკების მიერ ფულის მასის გადიდების შესაძლებლობის შემზღუდველებად გვეკლინება, პირველ რიგში, სარეზერვო მოთხოვნები და კომერციული ბანკების დაკრედიტებისას ცბ-ის საპროცენტო განაკვეთის დონე. ცბ-ში კომერციული ბანკების სარეზერვო ანგარიშზე სახსრების შენახვის ვადა ძალზე მაღალია და 1994 წ. შეადგენდა მოთხოვნამდე ანაბრების 20%-ს და ვადადამდგარი ანაბრების 15%-ს. ცბ-ის განაკვეთი 1994 წ. ორიენტირებული იყო ბანკთაშორისი კრედიტების საბაზრო განაკვეთებზე და მაღალი რჩებოდა. გარდა ამისა, ცბ-მა 1993 წ. დააწესა ლიმიტი ცენტრალიზებული კრედიტების ზრდაზე და ძირითადად მიმართავს მათ სახალხო მეურნეობის პრიორიტეტულ დარგებზე.

განვითარებული სამრეწველო ქვეყნისათვის ტრადიციული ცენტრალური ბანკის ოპერაციები ღია ბაზარზე განვითარდა საქართველოშიც. ფულის მასის ზრდაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ცბ-ის მიერ მთავრობისათვის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გაცემული კრედიტები, რაც ბადებს მისი დაფარვის ალტერნატიული წყაროების მოძებნის აუცილებლობას. ცბ შეუდგა ღია ბაზარზე ოპერაციების განხორციელებას, რომლებიც კომერციული ბანკებისათვის ფასიანი ქაღალდების მიყიდვისა და მათგან ყიდვის გზით შესაძლებელს ხდის კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსების რეგულირებას. ასე, მაგალითად, 1993 წ. 18 მაისს მოსკოვის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ჩატარებულ იქნა აუქციონი 3 თვემდე ვადის მქონე სახელმწიფო მოკლევადიანი ობლიგაციების პირველი გამოშვების გავრცელებისათვის. სახელმწიფო მოკლევადიანი ობლიგაციები, რომლებიცდროულად იფარება რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროს მიერ, მაღალშემოსავლიანია, რაც ამაღლებს ამ ფასიანი ქაღალდების მნიშვნელობასა და საიმედოობას და უზრუნველყოფს სმო ბაზრის შემდეგომ განვითარებას. ამრიგად, გაჩნდა მომდინარე საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსების ახალი წყარო სახელმწიფო მოკლევადიანი ობლიგაციების ემისიის სახით, ასევე დაკრედიტების პროცესის დასარეგულირებლად ღია ბაზარზე ცბ-ის ოპერაციების გამოყენების შესაძლებლობა.

კომერციული ბანკების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა **საანგარიშსწორებო-საგადასახდელო მექანიზმის უზრუნველყოფა.** საწარმოთა შორის ანგარიშსწორების უმეტესი ნაწილი ხორციელდება უნაღდო გზით: ბანკები, როგორც გადახდებში შუამავლები, თავიანთი კლიენტებისათვის ასრულებენ ანგარიშსწორებისა და გადახდების გატარებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს. დადგენილ ვადებში ყოველი საგადასახდელო დოკუმენტის გატარების აუცილებლობა, ანგარიშსწორებათა უწყვეტობა და მათი დაჩქარება ბანკებისაგან მოითხოვს ანგარიშსწორების ორგანიზაციის მეთოდოლოგიის შემუშავებას მათი შემდგომი სრულყოფისა და შესაბამისი კონტროლის განხორციელებისათვის.

განვითარებული საბანკო ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებში ანგარიშსწორებათა სისტემის ეფექტური ფუნქციონირება ეყრდნობა საანგარიშსწორებო ოპერაციათა ტექნოლოგიების მუდმივ გაუმჯობესებას, საწარმოთა და კერძო პირთა მისწრაფებას – უფრო სარგებლიანად გამოიყენონ თავიანთი სახსრები. ამ ქვეყნებში თანაარსებობს რამდენიმე საანგარიშსწორებო სისტემა, მაგალითად, მსხვილი კომერციული ბანკების, მათი კლიენტებისა და განყოფილებების საანგარიშსწორე-

ბო სისტემები (ე.წ. კლირინგული ბანკები), რომლებშიც შესაძლოა შევიდეს სხვა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებები. ეს ბანკები, როგორც წესი, აწარმოებენ ქვეყანაში საგადასახდელო დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილის კლირინგულ ჩათვლას. ჟიროსისტემები – ეს არის ანგარიშსწორების მონაწილე ბანკების მიერ შექმნილი საკუთრივ საზოგადოებები სახელწმიფოთა ცენტრალური ბანკების ჩათვლით. ანგარიშსწორებათა სისტემაში მთავარ როლს ასრულებენ ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო-საბანკო ცენტრები.

ანგარიშსწორება ხორციელდება ასევე ბანკ-კორესპონდენტთა ქსელის მეშვეობით, მაშინ როცა ბანკები ამყარებენ ურთიერთსაკორესპონდენტო ურთიერთობებს.

ანგარიშსწორებათა დაჩქარების, დანახარჯების შემცირებისა და ოპერაციათა საიმედოობის ამაღლებისათვის ინერგება ანგარიშსწორების ელექტრონული სისტემები.

საემისიო-დამფუძნებელ ფუნქციას კომერციული ბანკები ახორციელებენ ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების) გამოშვებისა და გავრცელების გზით. ამ ფუნქციის შესრულებისას ბანკები საწარმოო მიზნებისათვის დანაზოგის მიმართვას უზრუნველყოფს. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ავსებს საბანკო კრედიტის სისტემას და ურთიერთქმედებს მასთან. მაგ,. კომერციული ბანკები ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლებს (დამფუძნებელ კომპანიებს) სთავაზობენ სესხებს ახალი გამოშვების ფასიანი ქაღალდების გამოსაწერად, ეს უკანასკნელნი კი ჰყიდიან ფასიან ქაღალდებს ბანკებზე ცალობით გასაყიდად. თუ დამფუძნებელი კომპანია, რომლის სახელზეცაა რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდები, თავად ჰყიდის მას, მაშინ ბანკს შეუძლია უზრუნველყოს ხელმომწერები გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით. როგორც წესი, ამ დროს ბანკი ორგანიზაციას უწევს კონსორციუმს ფასიანი ქაღალდების გავრცელებაზე. მსხვილი კომპანიების მიერ გამოშვებულ მნიშვნელოვან თანხაზე ვალდებულებები ბანკის მიერ შეიძლება გაერცელებულ იქნას კლიენტთათვის (ძირითადად ინსტიტუციონალურ ინვესტორთათვის) მათი მიყიდვის და არა საფონდო ბირჟაზე თავისუფალი გაყიდვის გზით.

ეკონომიკური სიტუაციის მუდმივი კონტროლირების შესაძლებლობის მქონე კომერციული ბანკები კლიენტებს უწევენ კონსულტაციებს პრობლემათა ფართო წრის გარშემო (გაერთიანების, ახალ ინვესტიციათა და საწარმოთა რეგისტრაციის, წლიური ანგარიშგების შედგენის გარშემო). ამჟამად იზრდება ბანკების როლი კლიენტთათვის ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდების საქმეში.

საერთაშორისო ბაზრებზე კლიენტთა საქმიანობის გაფართოებამ ბანკებს უბიძგა საკონსულტაციო ხასიათის მომსახურებისათვის მეტი ყურადღების დათმობისაკენ კლიენტისათვის საინტერესო ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ დაწვრილებითი საფინანსო-ეკონომიკური ანგარიშების, პოტენციური პარტნიორების მოძებნის, იურიდიული ხასიათის ინფორმაციის მიწოდების ჩათვლით და ა.შ. 80-იან წლებში განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში დაიწყო საზღვარგარეთ ე.წ. „კომპლექსური მომსახურების" წარმომადგენლობებისა და ფილიალების შექმნა (ჩვეულებრივი საკორესპონდენტო ურთიერთობების ქსელის გარდა). საბანკო საქმიანობის მოცემულ სფეროში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ გერმანული ბანკები, რომლებმაც საზღვარგარეთ ბოლო ათწლეულში 50-ზე მეტი ფილიალი და წარმომადგენლობა გახსნეს.

თანამედროვე ეტაპზე კომერციული ბანკების საქმიანობაში შეინიშნება უნივერსალიზაციის ტენდენცია, რაც კონკურენციის გავლენით აიხსნება. საბანკო საქმიანობის ეფექტურობის ასამაღლებლად განვითარებული სამრეწველო ქვეყნების საბანკო კანონმდებლობა ასტიმულირებს კონკურენციას, რითაც თანაბარ პირობებს უქმნის სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებებს. აღნიშნული ტენდენციის ფარგლებში (პარალელურად სპეციალიზაციის შენარჩუნებისა და განვითარებისას) იცვლება კლიენტებთან ბანკების ურთიერთდამოკიდებულების კონცეფცია, იქმნება საბანკო საქმის განვითარების პრინციპულად ახალი მიმართულებები. ეს გამოიხატება არა მხოლოდ კლიენტთათვის შეთავაზებული მომსახურების რიცხვის ზრდაში, არამედ ოპერაციათა სტრუქტურის თვისებრივ ცვლილებაში, სესხის შემნახველი ოპერაციების ხვედრითი წილის შემცირებასა და

ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების მოცულობის ზრდაში.

უკანასკნელ დროს საბანკო პრაქტიკაში გაჩნდა დაზღვევასთან დაკავშირებული ოპერაციები: კლიენტთათვის დავალიანების დაფარვის გარანტიის მიცემა, ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევის დროს ანაბრის თანხის გადიდება. ფულადი სახსრების მობილიზება მოსახლეობისათვის სადაზღვევო პოლისების მიყიდვის გზით. ბანკები იძენენ უკვე შექმნილ სადაზღვევო კომპანიებს, რაც მომგებიანია როგორც სტაბილურად მომგებიანი სადაზღვევო კომპანიების მიმღები ბანკებისათვის, ასევე სადაზღვევო კომპანიებისთვისაც, რომელთაც ეძლევათ საკუთარი ქვეყნისა და საზღვარგარეთის საბანკო ფილიალების და განყოფილებების ფართო ქსელის გამოყენების შესაძლებლობა.

ამრიგად, თანამედროვე პირობებში გრძელდება კომერციული ბანკების ფუნქციათა გაფართოების ტენდენციები. კომერციული ბანკები საბანკო ლიკვიდურობის, შემოსავლების მიღების, ბაზარზე პოზიციების დაკავებისათვის ავითარებენ ბანკებისათვის წინათ არადამახასიათებელ ოპერაციებსა და მომსახურებას.

კომერციული ბანკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა საწარმოო კაპიტალისა და კერძო პირების ფულადი შემოსავლების ბრუნვის პროცესში დროებით გამოთავისუფლებული ფულადი სახსრების გადანაწილების გზით განხორციელებული შუამავლობა კრედიტში. კომერციული ბანკების შუამავლო ფუნქციის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ რესურსების გადანაწილების მთავარი კრიტერიუმია მსესხებლის მიერ მათი გამოყენების მომგებიანობა. რესურსთა გადანაწილება ხორციელდება კრედიტორიდან მსესხებლამდე ბანკების შუამავლობით შუალედური რგოლების მონაწილეობის გარეშე (ზემდგომი საბანკო სტრუქტურის სახით), გადახდისა და დაბრუნების პირობით. გაცემული და მიღებული სესხები იქმნება სასესხო სახსრების მოთხოვნილების და წინადადების გაელენით. ამის შედეგად მიიღწევა ურთიერთობათა საბაზრო ტიპის შესაბამის მეურნეობებში საფინანსო რესურსების თავისუფალი გადაადგილება.

კომერციული ბანკების შუამავლო ფუნქციის მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის წარმატებით განვითარების საქმეში იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თავიანთი საქმიანობით ამცირებენ ეკონომიკურ სისტემაში რისკისა და გაურკვეველობის ხარისხს. ფულადი სახსრები კრედიტორებიდან მსესხებლებამდე შეიძლება გადაადგილდეს ბანკების შუამავლობის გარეშეც, თუმცა, ამ შემთხვევაში მკვეთრად იზრდება სესხად გაცემული ფულადი სახსრების დაკარგვის რისკი და იზრდება საერთო დანახარჯებიც მათი გადაადგილებისათვის, რადგან კრედიტორები და მსესხებლები არ იცნობენ ერთმანეთის გადახდისუნარიანობას, ხოლო ფულადი სახსრების ოდენობა და შეთავაზების ვადები არ ემთხვევა მათზე მოთხოვნილების ოდენობასა და ვადებს. კომერციული ბანკები მოიზიდავენ სახსრებს, რომლებიც შეიძლება გაიცეს სესხად, მსესხებელთა მოთხოვნილების შესაბამისად და თავიანთი აქტივობის ფართო დივერსიფიკაციის საფუძველზე ამცირებენ საბანკო ანგარიშების მფლობელთა თანხების ერთობლივ რისკს.

კომერციული ბანკების მეორე მნიშვნელოვანი ფუნქციაა მეურნეობაში დანაზოგების სტიმულირება. ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელება უნდა ეყრდნობოდეს მეურნეობის შიგა დანაზოგების გამოყენებას. ისინი, და არა უცხოური ინვესტიციები, უნდა შეადგენდნენ ეკონომიკის რეფორმირებისათვის აუცილებელი სახსრების ძირითად ნაწილს. ამასთანავე, მისი წინანდელი განვითარება არ უქმნიდა უშუალოდ მწარმოებლებსა და სამეურნეო ცხოვრების სხვა სუბიექტებს, მოსახლეობის ჩათვლით, საკმაო სტიმულს რესურსების შენახვისა და დაგროვებისათვის. საწარმოთათვის მიღებული შემოსავლების განაწილების პროპორცია მოსახმარ და დასაგროვებელ ნაწილებს შორის დგინდებოდა დირექტორული დაგეგმვით. მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონის შემთხვევაში მისი მიდრეკილებაც დაგროვებისაკენ დაბალ დონეზე რჩებოდა, ხოლო სამომხმარებლო ბაზრის დაუბალანსებულობამ ეს დონე მინიმალურ ნიშნულამდე მიიყვანა.

კომერციული ბანკები უნდა ახდენდნენ არა მხოლოდ მეურნეობაში არსებული დანაზოგების მაქსიმალურ მობილიზებას, არამედ უნდა ქმნიდნენ ეფექტურ სტიმულს სახსრების დაგროვებისათვის მიმდინარე მოხმარების შეზღუდვის საფუძველზე. ფულადი სახსრების დაგროვებისა და დაზოგვის სტიმული იქმნება კომერციული ბანკების მოქნილი სადეპოზიტო პოლიტიკის საფუძველზე. ანაბრებისათვის გადახდილი მაღალი პროცენტის გარდა, ბანკის კრედიტორებს ესაჭიროებათ დაგროვილი რესურსების ბანკში განთავსების საიმედოობის მაღალი გარანტიები. გარანტიების შექმნას ზოგიერთ ქვეყანაში მოემსახურება ანაბრების საყალდებულო დაზღვევის ფედერალური ფონდი, რომელიც გათვალისწინებულია „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ კანონში.

დეპოზიტების დაზღვევასთან ერთად მეანაბრეთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კომერციული ბანკების საქმიანობისა და გარანტიების შესახებ ინფორმაციის მისაწვდომობას. კრედიტორმა თავისი სახსრების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას უნდა მიიღოს საკმაო ინფორმაცია ბანკის საფინანსო მდგომარეობის შესახებ, რათა თავად შეაფასოს მომავალ დაბანდებათა რისკი.

ჩვენს ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობის გამო ანაბრები მთლიანად გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იქნება ეკონომიკურ გარდაქმნების განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების მობილიზაციის უპირატესი ფორმა. ბანკების ამოცანაა — შექმნან სახსრების მოზიდვის ისეთი ფორმები, რომლებიც რეალურად დაინტერესებენ კლიენტებს რესურსების დაგროვებით და ჩამოუყალიბებენ მათ დაზოგვის ჩვევას, რაც განსაზღვრავს ბაზრის კანონებით განვითარებადი ეკონომიკის საინვესტიციო შესაძლებლობებს.

ბანკების მესამე ფუნქცია — ცალკეულ დამოუკიდებელ სუბიექტებს შორის გადახდების შუამავლობა — ახალ მნიშვნელობას იძენს ბაზარზე გადასვლისას. საერთო-სახალხო საკუთრებაზე სახელმწიფო მონოპოლიის პირობებში ყველა ანგარიშსწორება ამ საკუთრების სუბიექტებს შორის ხორციელდება ერთიანი ცენტრალური ბანკის მეშვეობით. შესაბამისად, ანგარიშსწორებათა ფორმები, გადახდის წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის ზომები გათვლილია ყველა ანგარიშსწორების ერთ ბანკში თავმოყრაზე. ამ სისტემის დროს გადახდების განხორციელების გარანტად გამოდის სახელმწიფო. ის თავის თავზე იღებს ყველა შესაძლო რისკს, რომლებიც ძალიან უმნიშვნელო იყო. დამოუკიდებელი კომერციული ბანკების სისტემის შექმნამ მიგვიყვანა ანგარიშსწორების სისტემის ლიკვიდაციამდე და რისკების ამაღლებამდე, რაც თავის თავზე უნდა აიღოს კომერციულმა ბანკმა. ანგარიშსწორების სისტემის ლიკვიდაცია МФО ანგარიშების გამოყენებით და საკორესპონდენტო ანგარიშებით ბანკებს შორის ანგარიშსწორებაზე გადასვლაც ამაღლებს რისკებს, რამდენადაც ანგარიშსწორება ხორციელდება არა ერთი ბანკის ფილიალებს შორის, არამედ დამოუკიდებელ კომერციულ ბანკებს შორის. ამ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბანკების პასუხისმგებლობა. გადახდის განსახორციელებლად თავიანთ კლიენტთა დავალებების დროული და სრული შესრულებისათვის.

საბაზრო ეკონომიკის მქონე ყველა ქვეყანაში კომერციულ ბანკებს უკავიათ წამყვანი ადგილი ეკონომიკის საგადახდო მექანიზმში. დიდია კომერციული ბანკების როლი სახალხო მეურნეობასა და ქვეყანაში ანგარიშსწორების უზრუნველყოფაში. მაგრამ მეურნეობრიობის ახალმა პირობებმა მოითხოვა მთლიანად საგადახდო მექანიზმის რეფორმირება, რაც შემკვიდრეობით მიიღო ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან.

საფონდო ბაზრის ფორმირებასთან დაკავშირებით ვითარდება კომერციული ბანკების ისეთი ფუნქციაც, როგორიცაა შუამავლობა ფასიანი ქაღალდების ოპერაციებში. ზოგიერთი განვითარებული ქვეყნისგან განსხვავებით, (მაგ., აშშ) ჩვენი კომერციული ბანკების საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არ არის შეზღუდული. მათ შეუძლიათ აწარმოონ სხვადასხვაგვარი ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით.

ბანკის მხრიდან საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე ლიცენზიის არსებობის შემთხვევაში

ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს ფასიანი ქაღალდების გამოშება, შესყიდვა, გაყიდვა, აღრიცხვა, შენახვა და სხვა ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, რომლებიც ასრულებენ საგადახდო დოკუმენტის ფუნქციას; ფასიანი ქაღალდებით, რომლებიც ადასტურებენ სახსრების მოზიდვას საბანკო ანგარიშებზე და ანაბრებზე; სხვა ფასიანი ქაღალდებით, რომლებზედაც ოპერაციები არ საჭიროებენ სპეციალურ ლიცენზიას. ბანკები უფლებამოსილი არიან განახორციელონ ამ ფასიანი ქაღალდების მინდობილობით მართვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ხელშეკრულების საფუძველზე.

ბანკი უწევს საკონსულტაციო მომსახურებას თავის კლიენტებს ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და ბრუნვასთან დაკავშირებით. ბანკს შეუძლია გაავრცელოს თავისი რესურსები ფასიანი ქაღალდებით თავის სახელზე, მაშინ ასეთ გავრცელებასთან დაკავშირებული ყველა რისკი, შეძენილი ფასიანი ქაღალდების საბაზრო შეფასების ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ზარალი ეკუთვნის ბანკის აქციონერებს.

5.5. ტიპიური კომერციული ბანკის ორგანიზაციულ-ფუნქციური აგებულება

ბანკების ფუნქციური სტრუქტურების განვითარებაში გამოვლინდა მათი ადაპტირების, მორგებისა და მოქნილობის, ფინანსური ბაზრის მოთხოვნილებებსა და მიმდინარე ცვლილებებზე რეაგირების უნარი. მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ორგანიზაციული პრინციპებიდან საბაზრო პრინციპებზე გადასვლამ მოითხოვა ისეთი მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურების გამოყენება, რომლებიც ეყრდნობა შრომის დანაწილებას ფუნქციურ-საწარმოო პრინციპის მიხედვით.

საკრედიტო ორგანიზაცია იურიდიული პირია და უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს და დაადგინოს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში. ამასთან, არსებობს საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების ქვედანაყოფებისა და ორგანოების ნორმატულად დადგენილი ჩამონათვალი. მათი ჩართვა ბანკების ორგანიზაციულ სტრუქტურაში სავალდებულო პირობაა, რომლის დარღვეულსაც მოსდევს ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციები ცენტრალური ბანკის და სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან.

კომერციული ბანკების სტრუქტურულ-ფუნქციურ აგებულებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის ამოცანები, რომლებსაც წყვეტს ბანკი, მისი განვითარების წინა ისტორია და სხვა ინდივიდუალური თავისებურებები. ამიტომ მოგვყავს მხოლოდ ის ტიპიური სტრუქტურულ-ფუნქციური ელემენტები, რომლებიც ბანკების უმრავლესობისათვისაა ჩვეული. კომერციული ბანკის ორგანიზაციულ-ფუნქციური სტრუქტურა ჩვეულებრივ, მოიცავს:

- ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს;
- ბანკის დირექტორატს და მის სამდივნოს;

  ბანკის საქმეთა მმართველობას;

- სამართლებრივი საკითხების სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სამმართველო ან განყოფილება);
- დაკრედიტების-დაფინანსების სამმართველოს საკრედიტო ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განყოფილებას;
- საფონდო ცენტრს;

  ერთი ან რამდენიმე საოპერაციო სამმართველოს, სადაც შედის საანგარიშსწორებო ოპერაციების განყოფილება; მოსახლეობის მომსახურების ქვედანაყოფები, საოპერაციო სალარო, ინკასოს ჯგუფი;

- საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს, სადაც შედის ანგარიშგებისა და ეკონომიკური ანალიზის, მატერიალური აღრიცხვის, გაანგარიშებათა ქვედანაყოფები;

- საკორესპონდენტო ურთიერთობებისა და სავალუტო ოპერაციების სამმართველოს, რომელშიც შედის ფილიალთაშორისი ანგარიშსწორების (ფილიალების არსებობის შემთხვევაში), საბანკო ინფორმაციის დამუშავების ქვეგანაყოფები;

- ანგარიშსწორების ცენტრს ან საბანკო ტექნოლოგიების ავტომატიზაციის თანხლების სამმართველოს, რომელშიც შედის გამომთვლელი ტექნიკისა და კავშირგაბმულობის საინფორმაციო უსაფრთხოებისა და სისტემური ადმინისტრირების საშუალებებისა და სისტემების თანხლების ქვედანაყოფები;

- პლასტიკური ბარათების სამმართველოს, რომელშიც შედის პროცესინგის მხარდაჭერის ჯგუფი;

ფულის მიმოქცევის სამმართველოს, რომელშიც შედის სალაროს ოპერაციების, ინკასოს. ტექნიკური უზრუნველყოფის ქვედანაყოფები;

დეპოზიტარიუმს;

კადრების განყოფილებას;

უსაფრთხოების სამსახურს, რომელშიც შედის საშვთა ბიურო;

სამეურნეო სამმართველოს;

გარაჟს, ფილიალებს და ბანკის განყოფილებებს.

გარდა ამისა, ბანკის ზოგიერთი ფუნქციური მიმართულების გასაძლიერებლად მის სტრუქტურაში შეიძლება იყოს შემდეგი ქვედანაყოფები:

ეკონომიკური ანალიზის, შიდა კონტროლის, კოორდინაციისა და საბანკო საქმიანობის გაუმჯობესების სამმართველო;

საბანკო საქმის სპეციალისტთა პროფესიული მომზადების ცენტრი;

საბანკო ინფორმაციის დამუშავების სისტემების განვითარებისა და სრულყოფის განყოფილება.

როგორც ვთქვით, ესაა კომერციული ბანკის შესაძლო ორგანიზაციულ-ფუნქციური აგებულების მხოლოდ ნიმუში. ახლა განვიხილოთ ბანკის ძირითადი ფუნქციების თვალსაზრისით ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო სტრუქტურული ელემენტები.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ბანკის მართვის ორგანოა და ახორციელებს მისი საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას დამფუძნებულთა კრებებს შორის პერიოდში. თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ბანკის საბჭო ხელმძღვანელობს საბჭოს შესახებ სპეციალური დადგენილებით, რომელიც შემუშავებულია „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ კანონისა და ბანკის წესდების შესაბამისად.

ბანკის უშუალო აღმასრულებელი ორგანოა ბანკის გამგეობა, რომელსაც გამგეობის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები მეთაურობენ. გამგეობის შემადგენლობაში შედიან ბანკის ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები. გამგეობის და მისი წევრების მუშაობას სპეციალური დებულებები უწევენ რეგლამენტაციას.

ბანკის საქმეთა მმართველობა თავისებული შტაბია, რომელიც არეგულირებს და აკონტროლებს ყველა დოკუმენტის მოძრაობას და მათ შესრულებას. იგი ორგანიზებას უკეთებს ბანკის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა უშუალოდ შესრულებას; ბრძანებებისა და განკარგულებების მომზადებას, დაყვანას და შესრულების კონტროლს. სტრუქტურული ორგანიზაციის მთელ რიგ ვარიანტებში საქმეთა მმართველობა მოიცავს აგრეთვე კანცელარიას, სამდივნოს, კადრების განყოფილებას და სხვა.

სამართლებრივი საკითხების სამმართველო თავის საქმიანობას ახორციელებს ბანკის ფინანსური მდგომარეობის განსამტკიცებლად სამმართლებრივი საშუალებების გამოყენების მიმართულებით, იცავს ბანკის უფლებებს და ინტერესებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოებთან, კლიენტებთან, სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობებში; სამართლებრივ დახმარებას უწევს ბანკის საბჭოს და გამგეობას.

ზოგიერთ ბანკის საქმეთა სამმართველოს ფუნქციები შეთავსებულია სამართლებრივი უზრუნველყოფის სტრუქტურული ქვედანაყოფის ფუნქციებთან. ასეთ შემთხვევაში ქვედანაყოფს ადმინისტრაციულ-სამართლებრივს უწოდებენ.

ბანკის მუშაობის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია მისი საკრედიტო საქმიანობა. ამ მუშაობაში მთავარი როლი ეკუთვნის დაკრედიტების და დაფინანსების სამმართველოს და იგი ორგანულად უკავშირდება ბანკის სხვა ქვედანაყოფებს-სამართლებრივი საკითხების, საბუღალტრო აღრიცხვის და სხვა სამმართველოების საქმიანობასთან.

საფონდო ცენტრის ამოცანაა მოგების მიღება ფასიან ქაღალდებზე, უძრავ ქონებაზე, ძვირფას ლითონებსა და ქვებზე განხორციელებული ოპერაციებიდან. იგი ახდენს ბანკის ინტერესების რეალიზაციას ფასიანი ქაღალდებისა და ვალუტის ბაზარზე.

ბუღალტერია ახორციელებს საბუღალტრო აღრიცხვას (აღრიცხვას დოკუმენტების საფუძველზე), რომელშიც განუწყვეტლივ ასახავს ბანკის ყველა ოპერაციას ფულადი ფორმით. იგი ამ დროს იყენებს ბუღალტრულ ბალანსს, დოკუმენტაციასა და ანგარიშებს. საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების მიხედვით ბუღალტერია ადგენს საბუღალტრო ანგარიშგებას იმ მაჩვენებლების სისტემით, რომლებიც ახასიათებენ ბანკის სახსრების მდგომარეობას და საფინანსო საქმიანობას გარკვეული პერიოდისთვის.

ბანკის საოპერაციო სამმართველო ახორციელებს კლიენტთა კომპლექსურ საანგარიშსწორებოსალარო მომსახურებას, საკრედიტო, სალარო და სხვა ფულად ოპერაციებს. იგი ყოველდღიურად ადგენს საბუღალტრო ანგარიშგების პირველადი დოკუმენტების მონაცემებისა და ელექტრონული ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და დადგენილი წესით გადასცემს მას ბანკის სათანადო ქვედანაყოფებს. საოპერაციო სამმართველო ახორციელებს კლიენტების ანგარიშსწორების, მიმდინარე და სხვა ანგარიშების გახსნას, ანგარიშებზე პროცენტების დარიცხვას.

საკორესპონდენტო ურთიერთობების, ფილიალთაშორისი და ბანკთაშორისი ანგარიშსწორების და საგალუტო ოპერაციების ფუნქციები ბანკში ორგანიზაციულად შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა სტრუქტურით, თანაც ეს ფუნქციები დანაწილებული იყოს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის.

ანალოგიურადვე, ბანკის სტრუქტურაში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს საგალუტო ოპერაციების სამმართველო, როგორც ცალკე სტრუქტურული ქვედანაყოფი.

საფილიალთაშორისო და ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ამოცანების მთლიანი ციკლის შესრულების მიზნით (ორგტექნიკის მომსახურების, საინფორმაციო კომუნიკაციების, პროგრამული უზრუნველყოფის, ახალი მომსახურების დამუშავებისა და დანერგვის ჩათვლით) ბანკში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სპეციალური ქვედანაყოფი-საანგარიშსწორებო ცენტრი.

საანგარიშსწორებო ცენტრის სტრუქტურაში (ან ცალკე) შესაძლოა წარმოდგენილი იყოს საბანკო ტექნოლოგიების ავტომატიზაციის სპეციალური ქვედანაყოფი. მისი ამოცანაა პროგრამული საბანკო პროდუქტების შერჩევითი დამუშავება, მიღება, მიზნის დასახვა და ექსპლუატაცია, რაც ბანკის საინფორმაციო სისტემების განვითარების გეგმის შესაბამისად ხორციელდება.

ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციური მიმართულებაა ამ საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, შიდა კონტროლი, კოორდინაცია და სრულყოფა. ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, ამ ფუნქციების განხორციელებაც ბანკის სტრუქტურაში სხვადასხვაგვარად შეიძლება.

ბანკის ფულის მიმოქცევის სამმართველო ახორციელებს: სალაროს ყოველდღიურად შეჯამებას ბანკის ყველა ქვედანაყოფის მიხედვით და მის ყოველდღიურად შემოწმებას; ქვედანაყოფებისგან განაცხადების ყოველდღიურად მიღებას საოპერაციო სალაროების გასაძლიერებლად; ბრუნვის ფიქსაციას და აღრიცხვას ყოველდღიურად და ყოველი სალაროს მიხედვით; სალარო დოკუმენტების გაფორმებას და შეტანას ფილიალების მიხედვით; ბანკების ფილიალების სალაროების ლიმიტს გადაშორებული ნაშთების მონაცემების აღრიცხვას; ბანკნოტებით შესრულებული

გადახდების დოკუმენტების გაფორმებას და შეტანას, აგრეთვე, ბანკში ფულის მიმოქცევის რეალიზაციის სხვა ოპერაციებს.

დეპოზიტარიუმი ბანკის სპეციალური სტრუქტურაა, რომელიც უზრუნველყოფს ფასეულობათა, მათ შორის კრედიტის უზრუნველმყოფ ფასეულობათა მიღებას და შენახვას.

ბანკის საფინანსო-კომერციული საქმიანობის უსაფრთხოების, მისი ქვედანაყოფებისა და ფილიალების ფუნქციონირების საიმედოობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსს ახორციელებს ბანკის უსაფრთხოების სპეციალური სამმართველო.

კომერციული ბანკების ორგანიზაციული აგებულება შეესაბამება სააქციო საზოგადოების მართვის საყოველთაოდ მიღებულ სქემას (იხ. ნახ. 5.3).

5.6. კომერციული ბანკის ხელმძღვანელი ორგანოები

სააქციო კომერციული ბანკის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ტარდებოდეს. მასში მონაწილეობენ ბანკის აქციონერები ან მათი წარმომადგენლები მინდობილობის საფუძველზე. საერთო კრება უფლებამოსილია გადაწყვიტოს მის განსახილველად გამოტანილი საკითხები, თუ მისი მონაწილეები უზრუნველყოფენ აუცილებელ ფორმებს.

კომერციული ბანკის ხელმძღვანელ ორგანოთა ფორმირება და ფუნქციონირება ხორციელდება „მეწარმის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. იგი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს და სარევიზიო კომისიას. გარდა ამისა, კრების და მხოლოდ კრების კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

- წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
  რეორგანიზაცია;
  ადმინისტრაციული ორგანოს ჩამოყალიბება;
  დირექტორატის რაოდენობრივი შემადგენლობის განსაზღვრა;
  აუდიტორის დამტკიცება და სხვა.

არ შეიძლება ამ საკითხების გადაცემა ბანკის საბჭოს გადასაწყვეტად.

ბანკის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს ბანკის საბჭო. იგი შედგება სულ მცირე 3 და არაუმეტეს 21 წევრისაგან, ამასთან, წევრთა რაოდენობა კენტი უნდა იყოს. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველს წევრს აქციონერთა საერთო კრება ირჩევს 4 წლის ვადით. ბანკის საბჭო:


- განსაზღვრავს ბანკის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს;
- იხილავს ბანკის საკრედიტო და სხვა გეგმების პროექტებს;
  ამტკიცებს ბანკის შემოსავლების, გასავლების და მოგების გეგმებს;
  იხილავს ბანკის ფილიალების გახსნისა და დახურვის საკითხებს;
  აყალიბებს ბანკის გამგეობის შემადგენლობას;
  აკონტროლებს ბანკის გამგეობის მუშაობას და სხვა.

ასევე სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს:

ა) ახალი სახის საბანკო საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა.

ბ) საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;

გ) ბანკის მიერ საკრედიტო რესურსებზე და დეპოზიტებზე გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთის ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება;



ნახ. 5.3. კომერციული ბანკის სანიმუშო ორგანიზაციული სტრუქტურა

დ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომერციული ბანკის მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები კომერციული ბანკის საქმეებს უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად, ბანკზე უნდა ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი კეთილსინდისიერი და ყოველ მოაზროვნე პირი და უნდა მოქმედებდეს ბანკის სტაბილურობის ინტერესების შესაბამისად. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობებს, წარმოქმნილი ზიანი-

სათვის სოლიდურად აგებენ პასუხს ბანკის წინაშე. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს კომერციული ბანკის ინტერესებს. ისინი ვალდებულნი უნდა მიუდგნენ გონივრულად და დამოუკიდებლად, უზრუნველყონ კომპეტენტური დირექტორების შერჩევა და შენარჩუნება, კომერციული ბანკის საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრა და ბანკის დირექტორატისათვის სახელმძღვანელოდ საბანკო საქმიანობის პოლიტიკის წერილობითი ჩამოყალიბება.

კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან მის წევრებს აქციონერთა საერთაო კრების თანხმობის გარეშე არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების დელეგირება.

კომერციული ბანკის მიმდინარე საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას დირექტორატი ეწევა. იგი პასუხისმგებელია აქციონერთა საერთო კრებისა და ბანკის საბჭოს წინაშე ბანკის საქმეების მართვასა და მისი ფუნქციების შესრულებაზე. დირექტორატი შედგება 3 დირექტორისაგან მაინც, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო არა უმეტეს 4 წლის ვადით. კომერციული ბანკის დირექტორატს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში აქვს თავისი უფლებამოსილების სხვებისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ დელეგირების უფლება.

ბანკის გამგეობის სხდომები რეგულარულად ტარდება. გადაწყვეტილებებს იღებენ ხმათა უმრავლესობით. თანაბარი ხმების შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. გამგეობის გადაწყვეტილებები ფორმდება მისი თავმჯდომარის ბრძანების ფორმით. **ბანკის გამგეობასთან** იქმნება **საკრედიტო კომიტეტი.** საკრედიტო კომიტეტის ფუნქციებში შედის:

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის, მოზიდული სახსრების სტრუქტურის და მათი განთავსების დამუშავება;

სახსრების გაცემაზე დასკვნების მომზადება;


ინვესტირებასთან და სატრასტო ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

აქციონერთა საერთო კრება ირჩევს **სარევიზიო კომისიას.** მისი საქმიანობის წესს განსაზღვრავს საზოგადოების შიდა დოკუმენტები და ამტკიცებს ბანკის მესაკუთრეთა საერთო კრება. სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება ბანკის საბჭოს და ბანკის გამგეობის წევრების არჩევა. ბანკის გამგეობა სარევიზიო კომისიას გადასცემს რევიზიის ჩატარებისთვის აუცილებელ მასალებს. სარევიზიო კომისია პასუხისმგებელია აქციონერთა საერთო კრების წინაშე.

კომერციული ბანკის მუშაობის საჯაროობისა და მათი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით პრესაში უნდა ქვეყნდებოდეს ბანკების წლიური ბალანსები, რომლებიც აქციონერთა საერთო კრების მიერაა დამტკიცებული, აგრეთვე, ანგარიში მოგებისა და წაგების შესახებ (რომლის უტყუარობასაც აუდიტორული ორგანიზაცია ადასტურებს).

იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ოპერატიული საკრედიტო საანგარიშსწორებო მომსახურების მიზნით, რომლებიც მოცემული ბანკის კლიენტებია და ტერიტორიულადაა დაშორებული მისი მდებარეობის ადგილს, კომერციულ ბანკს შეუძლია გახსნას ფილიალები და წარმომადგენლობები. ბანკის ფილიალები, წარმომადგენლობა და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული წესით და პირობებით.

ბანკის ფილიალად ითვლება ცალკე **სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ბანკის მდებარეობის ადგილზე არაა მოთავსებული და ასრულებს ამ ბანკის ყველა ფუნქციას ან მათ ნაწილს.** ფილიალი იურიდიული პირი არაა და ახორციელებს მეთაური ბანკის მიერ მისთვის დელეგირებულ ოპერაციებს ცენტრალური ბანკის ლიცენზიით გათვალისწინებულ ფარგლებში. ფილიალი დებს ხელშეკრულებებს და ეწევა სხვა სამეურნეო საქმიანობას მისი შექმნილი კომერციული ბანკის სახელით (ნახ. 5.4).



ნახ. 5.4. კომერციული ბანკის ფილიალის მართვის სანიმუშო ორგანიზაციული სტრუქტურა

წარმომადგენლობა კომერციული ბანკის განცალკევებული ქვედანაყოფია, რომელიც მოთავსებული არაა ბანკის მდებარეობის ადგილზე, არა აქვს იურიდიული პირის უფლებები და დამოუკიდებელი ბალანსი. მას ქმნიან ბანკის წარმომადგენლობითი ფუნქციების უზრუნველსაყოფად, გარიგებების დასადებად და სხვა კანონიერ მოქმედებათა შესასრულებლად. წარმომადგენლობა არ ეწევა კლიენტების საანგარიშსწორებო-საკრედიტო მომსახურეობას. სამეურნეო ანგარიშსწორებათა განსახორციელებლად მას უხსნიან მიმდინარე ანგარიშს.

• • • • • • • • • • • • • • ▶ მოკლე დასკვნები

1. კომერციული ბანკი არის ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია ფულადი სახსრების მოზიდვისათვის და საკუთარი სახელით მათი განთავსებისათვის დაბრუნების, საზღაურის გადახდისა და ვადიანობის პირობებით. მისი მთავარი დანიშნულებაა კრედიტორებიდან მსესხებლისაკენ და გამყიდველებიდან მყიდველებისაკენ ფულადი სახსრების გადაადგილებაში შუამავლობა. იგი სპეციალიზებულია დეპოზიტების მიღებაზე, მოკლევადიანი კრედიტებისა და კლიენტების საანგარიშსწორებო მომსახურებაზე.

2. კომერციული ბანკების საქმიანობის პრინციპები იმ საფუძვლების ერთობლიობაა, რომლებსაც მეურნეობრიობის სუბიექტები ხელმძღვანელობენ თავიანთი საქმიანობის პროცესში. პრინციპები შემდეგია: რეალურად არსებული რესურსების ფარგლებში მუშაობა; ეკონომიკური დამოუკიდებლობა; საქმიანობის რეგულირება სახელმწიფოს მხოლოდ ირიბი ეკონომიკური მეთოდებით; კლიენტებთან ურთიერთობის აგება ჩვეულებრივი საბაზრო ურთიერთობებით. სესხების გაცემის დროს ბანკი გამოდის უპირველეს ყოვლისა, მომგებიანობის, რისკისა და ლიკვიდობის საბაზრო კრიტერიუმებიდან.

3. საბანკო ოპერაციები და მომსახურება ჯგუფდება პასიური, აქტიური და საკომისიო ოპერაციებად. საბანკო ოპერაციებიდან გამოვყოფდით: ვალუტის გაცვლა; კომერციული თამასუქების აღრიცხვა და საწარმოებისათვის კრედიტების მიცემა; კრედიტში შუამავლობა; საშუამავლო ფუნქცია; დანაზოგის ანაბრები; ფასეულობათა შენახვა; საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურება; მოწყობილობის ლიზინგი; ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა; საინვესტიციო კონსულტანტი; სატრასტო მომსახურება; ბანკის საინვესტიციო ოპერაციები; ბანკთაშორისი კრედიტების ყიდვა-გაყიდვა; საგარანტიო ოპერაციები; საკომისიო ოპერაციები.

4. კომერციული ბანკები ასრულებენ შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია და მისი გადაქცევა კაპიტალად; საწარმოთა, სახელმწიფოსა და მოსახლეობის დაკრედიტება; მიმოქცევის საკრედიტო საშუალებების (საკრედიტო ფულის) გამოშვება; ანგარიშსწორებისა და გადახდების განხორციელება; საემისიო-სადამფუძნებლო საქმიანობა; კონსულტირება, ეკონომიკური და ფინანსური ინფორმაციის მიწოდება; საბროკერო ფუნქცია; სადაზღვევო ფუნქცია; საინვესტიციო დაგეგმვის ფუნქცია; საბანკო ინვესტორის ანუ ანდერაიტერის ფუნქცია; ნაღდი ფულადი ნაკადების მართვის ფუნქცია; სატრასტო ფუნქცია.

5. კომერციული ბანკის ორგანიზაციულ-ფუნქციური სტრუქტურა მოიცავს: ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, ბანკის დირექორატს და მის სამდივნოს, ბანკის საქმეთა მმართველობას, სამართლებრივი საკითხების სტრუქტურულ ქვედანაყოფს, დაკრედიტება-დაფინანსების სამმართველოს, საკრედიტო ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განყოფილებას, საოპერაციო სამმართველოს, ანგარიშსწორების ცენტრს, ფულის მიმოქცევის სამმართველოს, დეპოზიტარიუმს, კადრების განყოფილებას, უსაფრთხოების სამსახურს, სამეურნეო სამართველოს და ა.შ.

6. სააქციო კომერციული ბანკის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. მასში მონაწილეობენ ბანკის აქციონერები ან მათი წარმომადგენლები მინდობილობის საფუძველზე. ბანკის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს ბანკის საბჭო. იგი განსაზღვრავს ბანკის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას, იხილავს ბანკის საკრედიტო და სხვა გეგმების პროექტებს, ამტკიცებს ბანკის შემოსავლების, გასავლების და მოგების გეგმებს, იხილავს ბანკის ფილიალების გახსნისა და დახურვის საკითხებს, აყალიბებს ბანკის გამგეობის შემადგენლობას და აკონტროლებს მის მუშაობას და ა შ.

7. ბანკის ფილიალები, წარმომადგენლობა და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. ბანკის ფილიალად ითვლება ცალკე სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც სათაო ბანკის მდებარეობის ადგილზე არაა მოთავსებული და ასრულებს ამ ბანკის ყველა ფუნქციას ან მათ ნაწილს. ფილიალი იურიდიული პირი არაა და ახორციელებს მეთაური ბანკის მიერ მისთვის დელეგირებულ ოპერაციებს ცენტრალური ბანკის ლიცენზიით გათვალისწინებულ ფარგლებში. ფილიალი დებს ხელშეკრულებებს და ეწევა სხვა სამეურნეო საქმიანობას მისი შექმნილი კომერციული ბანკის სახელით.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

ანგარიშის მფლობელი ბანკი – ნებისმიერი ბანკი, რომელსაც ანგარიში აქვს გახსნილი ეროვნული ბანკის დავთრებში.

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – იურიდიული პირი, რომელიც არ წარმოადგენს კომერციულ ბანკს და უფლებამოსილია მიიღოს დეპოზიტები და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოოს კანონმდებლობით განსაზღვრული საბანკო საქმიანობის ნაწილი, გარდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ ლიცენზირებული პირისა.

ბანკის ადმინისტრატორი – ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის (გამგეობის ან სარევიზიო კომისიის წევრი. აგრეთვე პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან ერთ ან მეტ პირთან ერთად უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები ბანკის სახელით.

ბანკის ფილიალი – ბანკის ქვედანაყოფი, სადაც უშუალოდ ხორციელდება საბანკო საქმიანობა ან მისი ნაწილი.

ბანკთან დაკავშირებული პირები – ბანკის ადმინისტრაციული მუშაკები და პარტნიორები (აქციონერები), მათთან ცოლქმრული, ახლონათესაური კავშირის მქონე ან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირები.

გაცხადებული საწესდებო კაპიტალი – საზოგადოების აქციონერთა მიერ დათქმული და წესდებით გათვალისწინებული საწესდებო კაპიტალი.

განაღდებული საწესდებო კაპიტალი – გაცხადებული საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შეესებული ნაწილი.

დახურული ტიპის საინვესტიციო ფონდი – უშვებს აქციებს ერთჯერადად მნიშვნელოვანი ოდენობით. ახალი მყიდველი იძულებულია ეს აქციები შეიძინოს ძველი მფლობელისაგან საბაზრო ფასის მიხედვით.

ერთობლივად მოქმედი პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი – ახლო ნათესაურ კავშირში მყოფ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი ან პარტნიორები (აქციონერები), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, ბანკის გარდა, სხვა კომერციული ინტერესებით.

„პირი“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

საინვესტიციო ფონდები – საინვესტიციო ინსტიტუტი აქციონერული საზოგადოების ფორმით, რომლის რესურსები საკუთარი ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მათი გაყიდვის გზით, წერილ ინვესტორებზე მოსახლეობის ფართო ფენების დანაზოგების მოზიდვის მიზნით ყალიბდება. სახსრები ჩაიდება ინვესტორის სახელზე სახელმწიფოს, სხვა კომპანიების ფასიან ქაღალდებში, საბანკო ანაბრებში.

საფინანსო სისტემა – კანონების, წესების, ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს საფინანსო საქმიანობასა და ურთიერთობებს (ფულადი სისტემა, საფინანსო დაწესებულებების სისტემა).

საზედამხედველო კაპიტალი – კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების (ზარალის) განეიტრალებისა და სხვადასხვა სახის რისკისაგან დასაცავად.

სააქციო კაპიტალი – კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის.

სასესხო ვალებულება – ფასიანი ქაღალდი ან სხვა რაიმე სავალო ინსტრუმენტი ან დოკუმენტი, რომელიც ფულადი სახსრების პროცენტით ან უპროცენტოდ მიღებ-გაცემის უფლებას ან ვალდებულებას ადასტურებს.

სათაო დაწესებულება (სათაო ორგანიზაცია) – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი.

„ფასიანი“ საბანკო საქმიანობა – საბანკო სისტემის ტიპი, რომელშიც ბანკები გაერთიანებული არიან მონაწილეობის სისტემითა (საკონტროლო პაკეტებით) და დირექტორატების გადახლართვით.

ფაქტორინგი – ფინანსური მომსახურების სახეობა, რომელსაც კომერციული ბანკები, მათი შვილობილი ფაქტორ-ფირმები წერილ და საშუალო ფირმებს (კლიენტებს) უწევენ. მომსახურების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტორ-ფირმა კლიენტისაგან იღებს ვალების ამოღების უფლებას და ნაწილობრივ უნაღდებს თავის კლიენტებს მოვალეებისადმი მოთხოვნებს ე.ი. უკან აბრუნებს ვალს 70-დან 90%-მდე ოდენობით. ვალის დანარჩენი ნაწილი პროცენტის გამოკლებით უკან უბრუნდება კლიენტებს მოვალის მიერ მთელი ვალის დაფარვის შემდეგ. ყოველივე ამის შედეგად ფაქტორ-ფირმის კლიენტი შესაძლებლობას იღებს სწრაფად დაიბრუნოს ვალი, რისთვისაც იგი ფაქტორ-ფირმას განსაზღვრული ოდენობის პროცენტს უხდის. ფაქტორინგის განხორციელებისას კლიენტი ფაქტორ-ფირმას მოვალისაგან ვალის ამოღების უფლებას აძლევს. ფაქტორინგი წარმოიშვა XVI-XVII საუკუნეებში, როგორც მოვაჭრე შუამავლების ოპერაცია, ხოლო შემდეგ მან დაკრედიტების ფორმა შეიძინა.

ფიდუციარული ოპერაცია – ნდობითი ოპერაცია, რომელსაც ბანკი ან სატრასტო კომპანია აწარმოებს თავისი სახელით, მაგრამ კლიენტის დავალებით და მის ხარჯზე (როგორც წესი, ინვესტიციების სამართავად). მთელ რისკს კლიენტი იღებს, თავის თავზე, ხოლო ბანკი – საკომისიოს).

ფიუჩერსული გარიგება – გარიგების სახე, საქონლის ან საფონდო ბირჟაზე, გულისხმობს საქონლის, ოქროს, ვალუტის ან ფასიანი ქაღალდების წინასწარ შესყიდვას. ფიუჩერსული გარიგების პირობა ითვალისწინებს საქონლის (ფასიანი ქაღალდის) რეალიზაციას კონტრაქტში მითითებული ფასით გარიგების დადებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. გარიგების შესრულებამდე მყიდველს მცირე ოდენობის საგარანტიო თანხა შეაქვს. უფრო ხშირად, ფიუჩერსული გარიგება იდება საქონლის არა საბოლოოდ ყიდვისა და გაყიდვის მიზნით, არამედ ნაღდი საქონლით მომავალი გარიგების დაზღვევის (ხარჯების) ან საქონლის შემდგომი გადაყიდვის ხარჯზე მოგების მიღების მიზნით. ფიუჩერსული ასევე შეიძლება ეწოდოს გარიგებებს ჯერ კიდევ დაუმზადებელი საქონლის ნიმუშების მიხედვით.

ფიუჩერსული კონტრაქტი – შეთანხმება, რომ საქონელი მიწოდებულ, გაყიდულ იქნას, ან მიღებულ იქნას მიწოდება (საქონლის ყიდვა განსაზღვრული რაოდენობით და ფასით, რომელიც დათქმულია კონტრაქტის დადების დროს, მომავალში, კონტრაქტში აღნიშნულ ვადაში). ფიუჩერსული კონტრაქტები გაიყიდება და იყიდება ბაზარზე, როგორ ფასიანი ქაღალდები.

ფორფეიტინგი – საგარეო ვაჭრობის (ექსპორტის) დაკრედიტება მსხვილი ბანკების ან საფინანსო კომპანიების მიერ ექსპორტიორისაგან გასაპირებელი თამასუქის ან სხვა საგადასახადო ვალდებულებების ყიდვის გზით რეგრესის უფლების გარეშე. ე.ი. თამასუქის მყიდველი თავის თავზე იღებს საკრედიტო რისკს (გადაუხდელობის მთელ რისკს) და არ შეუძლია პრეტენზია წარუდგინოს თამასუქის ადრინდელ მფლობელს.

ფორფეიტორი – ბანკი ან საფინანსო კომპანია, რომელიც ექსპორტიორისაგან ყიდულობს გადასაპირებელ თამასუქს გარკვეული დისკონტით.

ფორფეტირება – ნედლეულის, ოქროს, საფინანსო და საკრედიტო ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის სწრაფი გარიგებები ბირჟებზე, გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფასით, ოპერაციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულებით. გარიგების შესრულებამდე გარანტიის სახით შეიტანება გარკვეული თანხა.

ფრა – კონტრაქტი ბანკსა და ფირმას შორის, რომელიც განსაზღვრული ოდენობის თანხაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში უცვლელი პროცენტული განაკვეთის გარანტიას იძლევა.

ღია ტიპის საინვესტიციო აქციონერული საზოგადოების ფონდი – უშვებს აქციებს განსაზღვრული პროპორციებით, რომლებიც თავისუფლად მიეყიდებათ ახალ მყიდველებს, რაც ახალი ინვესტიციებისათვის ფულადი კაპიტალის მუდმივი ზრდის საშუალებას იძლევა.

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. დაახასიათეთ ბანკების როგორც საბაზრო ეკონომიკის დამოუკიდებელი სუბიექტების ჩამოყალიბების ეტაპები.
2. რით განსხვავდება ბანკი სხვა ფინანსური შუამავლებისგან?
3. ჩამოთვალეთ ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ კომერციული ბანკების როლს საბაზრო ეკონომიკაში.
4. თქვენი აზრით, რომელი ფაქტორია ყველაზე არსებითი? რატომ?
5. უნაღდო ანგარიშსწორების რომელ ძირითად ფორმებს იყენებენ პრაქტიკაში?
6. ჩამოთვალეთ კომერციული ბანკების საქმიანობის ფუძემდებლური პრინციპები.
7. რას ნიშნავს კომერციული ბანკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრინციპი?
8. ეწინააღმდეგება თუ არა „კლიენტთან ბანკის საბაზრო ურთიერთობის“ პრინციპი ბანკის მონაწილეობას საქველმოქმედო პროგრამებში?
9. მოიყვანეთ ირიბი ეკონომიკური მეთოდებით კომერციული ბანკების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მაგალითები.
10. რომელია ტრადიციული საბანკო ოპერაციები და მომსახურება? რატომ?
11. რომელი საბანკო ოპერაციები და მომსახურება გაჩნდა შედარებით გვიან?
12. მოკლედ დაახასიათეთ ფასიან ქაღალდებზე შესრულებილი ოპერაციების არსი.
13. რა განსხვავებაა სატრასტო ოპერაციებსა და ფინანსურ კონსულტირებას შორის?
14. რა და რა ორგანიზაციულ-სამმართლებრივი ფორმები შეიძლება ჰქონდეს ბანკს?
15. როგორია კომერციული ბანკის რეგისტრაციის პროცედურა?
16. ჩამოთვალეთ კომერციული ბანკების ნებადართული საქმიანობის სახეობანი.
17. რა ევალებათ კომერციული ბანკის დირექტორებს?
18. დაახასიათეთ სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის წესი, ფუნქციები, მისი წევრების უფლებამოსილებანი.
19. რომელია მართვის უმაღლესი ორგანო სააქციო კომერციულ ბანკში?
20. რომელი ორგანო ახორციელებს კომერციული ბანკის საერთო ხელმძღვანელობას?
21. ვინ ნიშნავს ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს? როგორია ბანკის გამგეობის ფუნქციები?
22. რომელი ორგანო განსაზღვრავს საკრედიტო პოლიტიკას კომერციულ ბანკში?
23. რით განსხვავდება კომერციული ბანკის ფილიალის საქმიანობა ბანკის წარმომადგენლობის საქმიანობისგან?
24. ჩამოაყალიბეთ კომერციული ბანკების კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით.
25. ჩამოაყალიბეთ კომერციული ბანკების ძირითადი ფუნქციები.
26. თუ იცნობთ კომერციული ბანკების ახალი მომსახურების სახეებს და ახალ საბანკო პროდუქტებს, დაასახელეთ.

რეკომენდებული ლიტერატურა

გოგობია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

კოჭზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2001.

კაკულია რ., ხელაია გ. ფულის მიმოქცეისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2002.

კომპტონი ერიკ ნ. კომერციული საბანკო სისტემის ახალი პორიზონტები. თარგმნ. ინგლისურიდან. თბ., 1993.

მანაგაძე ი. საქართველოს საბანკო სისტემა XXI საუკუნის მიჯნაზე. „ბანკი" თბ., 2000, №1 გვ. 3-8.

საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიშები. 1996, 1997, 1998, 1999, 2000. 2001, 2002 წლების.

საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. თბ.,2002.

საქართველოს საბანკო სისტემის რეტროსპექტული მიმოხილვა 1994-1999 წლებში. თბ., 2000, გვ.24-48.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

ქოიავა ნ. სსრ კავშირის ფულის მიმოქცევა და კრედიტი. თბ., 1965.

ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 1996.

შათირიშვილი ჯ. საბანკო რეფორმის სრულყოფის აქტუალური საკითხები. ჟურნ. „მაცნე", თბ., 1997, ტ. V. №3 და №4. გვ. 29-41.

ხელაია გ. ფული. ბანკები და ბირჟები. თბ., 1996.

ხელაია გ., ბეჟიტაშვილი დ. კომერციული საბანკო სისტემის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. თბ., 1999, ტ.III, გვ.137-144.

Банки и банковское дело. Авт. колл. под. ред. **И.Т. Балабанова.**Питер. 2003.

Банковское дело. Авт. колл. под ред. **В.И. Колесникова, Л.П.Кроливецкой.** М.. 2000.

Долан Э. Дж., Кембелл К.Д. Кембелл Р. Дж. Деньги, банковское дело и денежно-кредитная политика, пер с англ.-ого. С-ПБ, 1994.

Львов Ю.И. Банки и финансовый рынок. СПБ. Санкт-Петербург. 1995.

Миллер Р.Л., Ван Хуз Д.Д. Современные деньги и банковское дело. М.,2000.

Маркова О.М., Сахарова Л.С., Сидоров В.Н. Коммерческие банки и их операции. М., 1995.

Palfreman David., Ford Philip. Elements of Banking. Pritman Publishing. London. 1996.

Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling Financial Services. Second Edition. IRWIN. Honewood. Boston. 1993.

Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

მეორე განყოფილება
კომერციული ბანკების საქმიანობის საერთო საკითხები

მეექვსე თავი. საბანკო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

ტერმინები და ძირითადი ცნებები
6.1. მოკლედ – საბანკო სამართლის შესახებ
6.1. თანამედროვე ბანკის საქმიანობის საკანონმდებლო საფუძვლები
6.2. კომერციული ბანკების კანონმდებლობის სტრუქტურა
6.4. საქართველოს საბანკო სისტემის სამართლებრივი ბაზის განვითარება- ქრონოლოგია
6.5. ბანკებსა და საბანკო საქმიანობაზე ზედამხედველობის ბაზელის სტანდარტები
6.6. ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობის საზღვარგარეთული გამოცდილებიდან
6.7. ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების სამართლებრივი რეგულირებისა და ზედამხედველობის ღონისძიებათა სისტემა 2000-2002 წლებში
6.8. ბანკებისა და საბანკო საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში
შოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდირებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

ადმინისტრაციული აქტი
ანაბარი
არალიკვიდური ბანკი
არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი
აქტივები
ბალანსი
გადახდისუნარიანობა
გადახდისუუნარო არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება
გადახდისუუნარო ბანკი
გაკოტრების საფუძველი
გაკოტრების სუბიექტი
განაღდებული საწესდებო კაპიტალი
გაცხადებული საწესდებო კაპიტალი
დივიდენდი
დროებითი ადმინისტრატორი
დროებითი ადმინისტრაცია
ვადაგადაცილებული სესხი
ვალდებულება
ზედამხედველობის განხორციელება ინსტიტუციური
კაპიტალი
კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები
ლიკვიდატორი

ლიკვიდაცია
ლიკვიდობა
ლიკვიდობის რისკი
მთლიანი კაპიტალი
ნებაყოფლობითი ღონისძიებები
პარტნიორი
პრობლემური ბანკი
რეაბილიტაცია
რესტრუქტურიზაცია
საბაზრო რისკი
საბანკო ზედამხედველობა
საბანკო მონოპოლია
საგალდებულო ღონისძიებები
საზედამხედველო კაპიტალი
საკრედიტო რისკი
საკუთარი კაპიტალი
საოპერაციო საქმიანობა
საპროცენტო განაკვეთის რისკი
საფინანსო საქმიანობა
უფლებამოსილი საზედამხედველო სამსახური
ფინანსური ანგარიშგება
წერილობითი ფორმა
ხელმძღვანელი
ჯარიმა

6.1. მოკლედ საბანკო სამართლის შესახებ

საბანკო სამართალი როგორც სამართლის კომპლექსური დარგი. იურიდიულ მეცნიერებაში განასხვავებენ სამართლის დარგების ორ ჯგუფს: ძირითადს და კომპლექსურს.

სამართლის ძირითად (პირველად, საბაზო) დარგებს ეკუთვნის საკონსტიტუციო, სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული და საპროცესო სამართალი. სამართლის ყველა ამ დარგს აქვს საგნობრივი ერთიანობა, მათ შემადგენლობაში არ შედის სამართლის სხვა დარგების ნორმები. ისინი „თვითსაკმარისია“ და ამ აზრით ჩაკეტილი), ყოველ მათგანს ახასიათებს შესაბამისი ჯგუფის საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების განსაკუთრებული მეთოდი.

სამართლის კომპლექსურ დარგებს არა აქვთ ასეთი ერთმნიშვნელოვნად მარტივი მახასიათებლები და ამ აზრით უფრო რთული. ინტეგრატიული მოვლენებია: მათში, ჩვეულებრივ, საუბარია საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვაგვარი (მაგრამ იმავე დროს ერთმანეთთან დაკავშირებული, სინამდვილეში უერთმანეთოდ განუხორციელებული) ჯგუფების რეგულირებაზე და, შესაბამისად, რეგულირების ისეთი ნორმებისა და მეთოდების არსებობაზე, რომლებიც სამართლის სხვა (ძირითადი) დარგებიდანაა „მოხმობილი“. მაგრამ სამართლის კომპლექსური დარგი (ცხადია, თუ ვითვალისწინებთ არა კაბინეტებში გამონაგონს, არამედ რეალურად მომუშავე მექანიზმს) სამართლის ამა თუ იმ ძირითადი დარგიდან ამოღებული ნორმების მექანიკური გაერთიანება კი არაა, არამედ თვისებრივად ახალი და თავისებურად სრულყოფილი იურიდიული მოვლენა.

ასეთი მთლიანობითობა სულ ცოტა ორი გარემოებით მიიღწევა: ჯერ ერთი, ურთიერთობათა იმ ჯგუფების შიდა ურთიერთმოთხოვნილებით, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება დარგზე მიკუთვნების თვალსაზრისით, მეორე, იმით, რომ კომპლექსური დარგი, თუკი ამგვარი რამ საერთოდ არსებობს, „თავისი კომპეტენციის სფეროში“ ყოველთვის მოიცავს რაღაც სპეციფიკურ საგნობრივ ბირთვს, ე.ი. მართლაც კომპლექსურ ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელთა მიკუთვნება არ შეიძლება სამართლის არცერთ დარგზე, აგრეთვე, იმ კონკრეტული სამართლებრივი ნორმების გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც მხოლოდ ამ კონკრეტულ დარგს ახასიათებს (სამართლის ძირითადი დარგებიდან აღებული ნორმების გარდა და მათთან ერთად).

საბანკო სამართლის დახასიათება სამართლის სპეციფიკურ (კომპლექსურ) დარგად იმას ნიშნავს, რომ:

1) არსებობს სახალხო მეურნეობის საბანკო დარგის, ყოველგვარი საბანკო საქმის ცალკე, მიზანმიმართული სამართლებრივი რეგულირების საზოგადოებრივი მოთხოვნილება;

2) არსებობს სამართლებრივი რეგულირების დამოუკიდებელი საგანი იმ მკაფიოდ იდენტი-

ფიცირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სახით, რომლებიც საბანკო საქმეს უკავშირდება.

ეს საგანი წარმოადგენს ბევრი რამით უნიკალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც შემდეგ პროცესებში შეინიშნება:

ა) ბანკების (სხვა საკრედიტო ორგანიზაციების) წარმოქმნა, ფუნქციონირება, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია მათი შიდა (შიდასაბანკო) ურთიერთობების ჩათვლით;

ბ) ბანკების ურთიერთმოქმედება კლიენტურასთან;

გ) ბანკების ურთიერთმოქმედება ერთმანეთთან და სხვა კომერციულ ორგანიზაციებთან როგორც კომერციული (ბანკების ჯგუფებისა და სხვა გაერთიანებების ფარგლებში), ისე არაკომერციული (ბანკების ასოციაციებისა და კავშირების ფარგლებში) მიზნებით;

დ) ბანკების ეროვნული სისტემის აგება, ფუნქციონირება და განვითარება;

ე) საბანკო საქმიანობის რეგულირება (მართვა), მათ შორის როგორც ყოველი ცალკეული ბანკის საქმიანობისა ქვეყნის შიგნით და მის გარეთ, ისე მთლიანად საბანკო სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების მექანიზმების ჩათვლით ცენტრალური ბანკისა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოების მხრიდან.

ურთიერთობათა მთელი დასახელებული ერთობლიობა ობიექტური საბანკო ურთიერთობებია (საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობებია).

3) საბანკო ურთიერთობათა განსაკუთრებული სპეციფიკურობის გამო არსებობს მათი სამართლებრივი რეგულირების განსაკუთრებული მეთოდის აუცილებლობა (პირველადი მეთოდების სამოქალაქო-სამართლებრიეისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრიეის გარდა);

4) არსებობს საბანკო ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლის სპეციალური წყაროების აუცილებლობა. ეს აუცილებლობა გარკვეულწილად რეალიზებულია — საბანკო სამართლის მთელი რიგი პრინციპები განმტკიცებულია კონსტიტუციაში, ოფიციალურადაა შემოღებული „საბანკო კანონმდებლობის" ცნება და მიღებულია რამდენიმე სპეციალური საბანკო კანონი;

5) არსებობსეთი სპეციფიკური ცნებების (კატეგორიების) მთელი ერთობლიობა, რომლებიც სამართლის მხოლოდ ამ დარგს ახასიათებს.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ ასეთი დასკვნა: საბანკო სამართალი, როგორც სამართლის კომპლექსური დარგი არის საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ აქტებში მოცემული სამართლებრივი ნორმების (მითითებების) ერთობლიობა, რომლებიც რეგლამენტირებას უწევენ საბანკო ურთიერთობათა სისტემას (იმ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც საბანკო საქმიანობას უკავშირდება). იგი მოიცავს საკუთრივ საბანკო, სხვა კანონებისა და სამართლებრივი აქტების ნორმებს. ამის შესაბამისად ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ საბანკო კანონმდებლობა და საბანკო სამართლის კანონქვემდებარე ნაწილი.

საბანკო სამართალურთიერთობათა სპეციფიკა. საბანკო სამართალურთიერთობები ის საბანკო ურთიერთობებია, რომლებსაც სამართლის ნორმები არეგულირებენ და მისი მონაწილეები ასრულებენ, მათ აქვთ თავისებურებები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია შემდეგი:

ა) საბანკო სამართალურთიერთობები წარმოიშობა მხოლოდ საბანკო საქმიანობის მსვლელობაში, რომელიც მოიცავს ურთიერთობათა სულ მცირე ორ, პრინციპულად განსხვავებულ ჯგუფს: რომლებიც მხოლოდ ბანკებს (აგრეთვე, მხოლოდ ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებს) ახასიათებს და რომლებიც საერთოა ბანკებისა და ნებისმიერი სხვა (არასაკრედიტო) სამეურნეო სუბიექტისათვის;

ბ) ამის შესაბამისად დასახელებულ ურთიერთობათა ერთ ნაწილს არეგულირებს სპეციალური საბანკო სამართალი (სპეციალური საბანკო კანონმდებლობის ნორმები და „დარგობრივი" კანონქვემდებარე აქტების ნორმები), რომელიც არცერთ სხვა ურთიერთობაზე არ ვრცელდება. მათ მეორე ნაწილს არეგულირებს სამართლის სხვა, პირველადი დარგები (სამოქალაქო,

ადმინისტრაციული, სხვა კანონმდებლობა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც ყველაფერზე ერცელდება, მათ შორის ბანკებზე და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებზე).

ეს იმას ნიშნავს, რომ საბანკო სამართალს, მთლიანად, და საბანკო კანონმდებლობას, კერძოდ, შეიძლება ჰქონდეს ორი მართლზომიერი განმარტება: ვიწრო, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, როგორც ის სამართალი (კანონმდებლობა), რომელმაც უნდა არეგულიროს მხოლოდ და მხოლოდ ბანკებისათვის (საკრედიტო ორგანიზაციებისათვის) დამახასიათებელი ურთიერთობები; ფართო გაგებით- როგორც სამართალი (კანონმდებლობა), რომელიც არეგულირებს ბანკების (საკრედიტო ორგანიზაციების) საქმიანობის ყველა მხარეს, მათ ყველა სპეციფიკურსა თუ საერთო (არასპეციფიკურ) ურთიერთობას. რეალურ ცხორებაში პირველი საკმარისი არაა, სამაგიეროდ იგი შედის მეორეში როგორც მისი ბირთვი;

გ) ბანკების სამართალურთიერთობებს ერთდროულად აქვს საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხასიათი;

დ) ესაა ურთიერთობები, უპირატესად, ფულის საბაზრო (პირდაპირი, დაბრუნებითი და ფასიანი) მოძრაობის გამო, ფასიანი ქაღალდებისა და სავალუტო ფასეულობების მოძრაობის. აგრეთვე, ისეთი ინფორმაციის გამო, რომელიც საბანკო საიდუმლოებაა;

ე) განხილულ ურთიერთობათა ერთ-ერთ მხარედ მაინც ბანკი გამოდის. ცენტრალური ბანკი ამ ურთიერთობათა მხარედ მაშინაც გამოდის, როცა იგი საბანკო ოპერაციებს (გარიგებებს) ასრულებს, და მაშინაც, როცა თავის უფლებამოსილებათა ფარგლებში მმართველობით ზემოქმედებას ეწევა ბანკების საქმიანობაზე.

საბანკო სამართლის პრინციპები. საბანკო სამართალი რეალიზდება და ვითარდება ორი ტიპის პრინციპებით განსაზღვრულ ფარგლებში: მთელი სამეწარმეო საქმიანობისათვის საერთო პრინციპებით და სახელდობრ საბანკო საქმიანობისათვის დამახასიათებელი პრინციპებით.

საერთო ტიპის პრინციპებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ საბანკო სამართლის საერთო საწყისები, რომლებიც განსაზღვრავენ საბანკო საქმიანობის, როგორც მეწარმეობის სახის სუბიექტების კონსტიტუციურ სტატუსს:

- საკუთრების დაცვის პრინციპი;
- საბანკო საქმიანობის რეგლამენტირებული (შეზღუდული) თავისუფლების პრინციპი;
- კონკურენციის წახალისებისა და მონოპოლიზაციის შეზღუდვის (აკრძალვის) პრინციპი;
- ქვეყნის მასშტაბით ერთიანი ეკონომიკური და სამართლებრივი სივრცის ფარგლებში საბანკო საქმიანობის წარმართვის პრინციპი;
- საბანკო სამართლის ყველა სუბიექტის ინტერესთა პარიტეტის პრინციპი (ამ სამართალში კერძო და საჯარო საწყისების პარიტეტის ჩათვლით).

საბანკო საქმიანობისთვის სპეციფიკურ პრინციპებს შემდეგ ქვეჯგუფებად ყოფენ:

საბანკო სისტემის აგებისა და განვითარების პრინციპები:

- საბანკო სისტემის ორდონიანი აგების პრინციპი;
- ცენტრალური ბანკის (მისი ტერიტორიული დაწესებულებების) ორგანიზაციული აგების პრინციპი ეკონომიკური რაიონების მიხედვით;
- საბანკო სისტემის ზედა დონის პოლისუბიექტურობის პრინციპი. ამ დონეზე ორი და მეტი სუბიექტი შეიძლება იყოს.
- სხვა სახელმწიფო ორგანოებისგან ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის პრინციპი კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში;

საბანკო საქმიანობის განხორციელების პრინციპები:

- ცენტრალური ბანკის პასუხისმგებლობის პრინციპი მასზე კანონმდებლობით მიმაგრებული ფუნქციებისა და ამოცანებისთვის;

• ცენტრალური ბანკის მიერ ნაღდი ფულის მონოპოლიურად გამოშვების და მისი მიმოქცევის ორგანიზაციის პრინციპი;

• საბანკო სისტემის სახელმწიფო მართვისა და მისი თვითმმართველობის შეხამების პრინციპი;

• ბანკების ოპერატიულ საქმიანობაში ხელისუფლების ორგანოების ჩაურევლობის პრინციპი;

• ბანკების საქმიანობის რეგულირების ნებადამრთავი ხასიათის დაძლევის პრინციპი; უკიდურეს ვარიანტში ეს ასე ჟღერს: „კრძალულია ყველაფერი, რაც ნებადართული არაა“;

• ბანკების, როგორც იურიდიული პირების, განსაკუთრებული სამართალუნარიანობის დაძლევის პრინციპი; მისი ფორმულირება ასეც შეიძლება: საერთო, სპეციალური და განსაკუთრებული სამართალუნარიანობის შეზამების პრინციპი.

• საბანკო საიდუმლოების დაცვის პრინციპი.

საბანკო სამართლის სტრუქტურა. საბანკო სამართლის შემადგენელი ნორმების სტრუქტურირება სხვადასხვა კრიტერიუმის შესაბამისად შემდეგ ელემენტებად (ნაწილებად) შეიძლება:

საკანონმდებლო ნორმები და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების ნორმები;

ზოგადი ნორმები (საბანკო სამართლის ზოგადი ნაწილი) და კერძო ნორმები (საბანკო სამართლის განსაკუთრებული ნაწილი). პირველი რეგლამენტაციას უწევს საბანკო ურთიერთობების ყველაზე უფრო ზოგად, მნიშვნელოვან და ფუძემდებლურ პარამეტრებს, მეორეს ვიწრო მიზნობრივი დანიშნულება აქვს, რადგან რეგულირებას უწევს საბანკო საქმიანობის ან საბანკო ურთიერთობათა ცალკეულ მიმართულებებს (როგორიცაა, მაგალითად, რესურსების მოზიდვის, მათი განთავსების ოპერაციები, ბანკების დაბეგვრა და სხვა).

შემადგენელ ნაწილებად საბანკო სამართლის სტრუქტურირების თავისებური ვარიანტია მისი სხვადასხვა წყაროს გამოყოფაც.

საბანკო სამართლის ენად მიღებულია საბანკო სამართლის ინსტიტუტები- ძირითადი ცნებები და ტერმინები, რომლებიც გამოხატავენ მათ შესაბამის სამართლის ნორმებს — ისეთებს, როგორიცაა „საკრედიტო ორგანიზაცია“, „ბანკი, საბანკო ანგარიში“, „საბანკო ანაბარი“, „კრედიტი“, „საბანკო საიდუმლო“ და ა.შ.

საბანკო სისტემის მართვის საკანონმდებლო ბაზა და ინსტრუმენტები. სპეციალური საბანკო კანონების „მმართველური“ თავისებურების შესახებ. როგორც ცნობილია, პროფესიული ხედვა არის განსახილველი სავნის დიფერენცირებულად განჭვრეტა. საბანკო საქმიანობის მართვა სხვადასხვა ნაწილებს (ასპექტებს) მოიცავს, რომელთა ერთმანეთისგან გარჩევის გარეშე ამ სფეროში მართვის პრობლემა პროფესიულად ვერ გაშუქდება.

გავიხსენოთ, რომ მასში იგულისხმება: ა) მთელი საბანკო სისტემისა და მისი ცალკეული ნაწილების მართვა ცენტრალური ბანკისა და საბანკო სფეროს ცენტრალიზებულად მართვის სხვა ორგანოების მიერ; ბ) კომერციული ბანკების (სხვა საკრედიტო ორგანიზაციების) მიერ თავის თავის მართვა. პირველი ნაწილი, თავის მხრივ, მოიცავს: 1. ქვეყნის მთელი საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიულ მართვას; 2. ყველა ბანკის და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების მიმდინარე ფუნქციონირებისა და განვითარების მართვას (მათ საოპერაციო საქმიანობაში ჩაურევლად); 3)ცალკეული საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის ოპერატიულ მართვას (განსაკუთრებულ შემთხვევებში).

ცხადია, შეგვიძლია დავასკვნათ: ქვეყნის სპეციალური საბანკო კანონმდებლობა არ შეიცავს ნორმათა ისეთ გაზრებულ, მთლიანობით სისტემას, რომელიც მიზანმიმართულად მიეძღვნებოდა საბანკო სისტემის განვითარების მართვის პრობლემატიკას; იმ ცალკეულ ნორმებს, რომლებიც შეგვიძლია პირდაპირ ან ირიბად მივაკუთვნოთ აღნიშნულ პრობლემატიკას და რომლებიც ცენტრალური ბანკის შესახებ კანონშია მოყვანილი უფრო მეტად შემთხვევითი სახე აქვთ, რადგანაც, ეტყობა, მისი დამუშავების დროს სპეციალურად არ დამდგარა ცენტრალური ბანკის საქმიანობის რეგლამენტაციის ამოცანა, ანუ ისეთი ბანკისა, რომელიც ეროვნული საბანკო

სისტემის მომავალზე აგებს პასუხს.

საბანკო სისტემის მართვის შესაძლო ინსტრუმენტები. არც სპეციალურ საბანკო კანონმდებლობაში, არც ცენტრალური ბანკის მუშაობის პრაქტიკაში არაა მართვის რაიმე ისეთი ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებაც ბანკს შეეძლო ქვეყნის საბანკო სისტემის შემდგომი ფორმირების პროცესში.

საბანკო სისტემის მართვის რა ინსტრუმენტების გამოყენება შეიძლებოდა ჩვენს პირობებში?

ჯერ ერთი, ესაა საბანკო სისტემის განვითარების კონცეფცია, რომელსაც კონკრეტული გეგმები და პროგრამები უმაგრებს ზურგს. ასეთ გეგმებს (პროგრამებს) ორი სტატუსი (მასშტაბი) შეიძლება ჰქონდეს: რომლებსაც მნიშვნელობა აქვს მთელი საბანკო სისტემისათვის, მისი ყველა რგოლისა და მონაწილისათვის და იმავდროულად ყველა იმათთვის, ვინც ბანკების მომსახურებით სარგებლობს; რომლებიც საბანკო სისტემის განვითარების შედარებით ლოკალური (ვთქვათ, რეგიონული) პრობლემების გადაწყვეტაზეა ორიენტირებული.

სპეციალური დოკუმენტის სახით საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგია, რომელიც სისტემის განვითარების კრიტერიუმებსა და შეფასებებს შეიცავს, პრაქტიკულად არცერთ ქვეყანაში არ არსებობს. ამიტომ, ზოგიერთი მოსაზრებით, მნიშვნელობა აქვს არა ამგვარი დოკუმენტის შექმნას, არამედ საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებებისა და საბოლოო მიზნის სწორად განსაზღვრას. თუმცა „თუ არსებობს განვითარების მიმართულებები, მიზნები და მათი მიღწევის ძირითადი ხერხები, რა უშლის ხელს მათთვის ერთიანი საგეგმო დოკუმენტის ფორმის მიცემას საბაზრო ეკონომიკის პირობებში?

მეორე, ეს შეიძლება იყო საგანგებო კანონი ქვეყანაში საბანკო საქმიანობის მართვის შესახებ. ამასთან, ცენტრალური ბანკის შესახებ კანონში აცილებელია იმ ცვლილებების შეტანა, რომლებიც დააკონკრეტებდა მასში შესულ „მმართველურ“ ნორმებს;

მესამე, აღნიშნული მიზნის მიღწევა მოითხოვს ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების სახეობითი მრავალფეროვნების შექმნასა და განვითარებას. ამის შესაბამისად უნდა მოხდეს ცენტრალური ბანკის მიდგომების დიფერენცირებაც ბანკებისა და სხვადასხვაგვარი საკრედიტო ორგანიზაციების მიმართ. ეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაკეთდეს მათთვის დაწესებული ეკონომიკური ნორმატივებისა და მნიშვნელობების მიმართ. შესწავლილ უნდა იქნეს და შეიძლებოდეს ამ ნორმატივების გამოყენება მიზანმიმართული მართვის ინსტრუმენტებად. მათი მეშვეობით ხდება ზოგიერთი საბანკო პროცესის სტიმულირება და სხვა პროცესების დესტიმულირება;

ამავე დროს, ნორმატივების ნაწილში უნდა ვლინდებოდეს ცენტრალური ბანკის თვალსაზრისით მინიმალურად აუცილებელი მოთხოვნები საბანკო საქმიანობის მართვის ორგანიზაციის მიმართ (სავალდებულო თუ სარეკომენდაციო). მათ მკაფიოდ უნდა ჰქონდეთ შემოფარგლული, კერძოდ, შესაძლო მმართველურ გადაწყვეტილებათა ის დერეფანი, რომელთა დამოუკიდებლად მიღების უფლებაც აქვს ბანკებს;

მეოთხე, აუცილებელი და შესაძლებელია ის მიზანმიმართული და მუდმივი ძალისხმევა, რომელიც ყველა ბანკისათვის თანაბარი და სამართლიანი სამუშაო პირობების და კონკურენციის შექმნისკენ იქნება მიმართული ქვეყნის მთელ ეკონომიკურ, სამართლებრივ და ფინანსურ სივრცეზე და არა რაღაც ხერხით გამოცალკევებული ჯგუფების „წილებზე“ (ეს სისტემის დეზინტეგრაციას გამოიწვევდა). ამასთან ერთად, ბანკებს ჭირდებათ ის ქმედითი მექანიზმები, რომლებითაც ისინი წინ აღუდგებიან ფედერალური და რეგიონული ორგანოების ჩარევას მათს საქმიანობაში;

მეხუთე, ცენტრალური ბანკი ღია ორგანიზაცია უნდა იყოს ბანკებისა და მათი ასოციაციებისთვის (კანონის შესაბამისად).

ცხადია, გაჩნდება სხვა ინსტრუმენტებიც, რომლებიც სპეციალისტების მიერ პრაქტიკით იქნება ნაკარნახევი. ამჯერად დიდი მნიშვნელობა აქვს თვით პრობლემის გაცნობიერებას და ადეკვატურ გადაწყვეტილებათა ძიების დაწყებას.

6.2. თანამედროვე ბანკის საქმიანობის საკანონმდებლო საფუძვლები

ბანკის საქმიანობა მოიცავს მის მიერ შესრულებულ ოპერაციებს და გაწეულ მომსახურებას, რომლებსაც გარკვეული თავისებურებები აქვთ. ისინი რამდენიმეა.

ჯერ ერთი, რამდენედაც ბანკი ფულად-საკრედიტო ინსტიტუტია, იგი უმეტესწილად ფულადი ფორმით ასრულებს ოპერაციებს და ეწევა მომსახურებას.

მეორე, ეს ოპერაციები და მომსახურება კომერციული ხასიათისაა. ყველაზე ხშირად ბანკი თავისი მუშაობის შესრულებისთვის იღებს გარკვეულ ჯილდოს (სასესხო პროცენტის, კომისიის, სხვა პირდაპირი და ირიბი ფორმით).

მესამე, ბანკის ოპერაციები და მომსახურება ნებაყოფლობით საფუძველზე აღმოცენდება. ბანკი და მისი კლიენტი თვითონ ირჩევენ ერთმანეთს და ამ დროს საკუთარ ინტერესებს ეყრდნობიან. კლიენტს უფლება აქვს, ნებისმიერ ბანკში გახსნას ანგარიში, ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბანკი ვალდებულია სხვა მომსახურება გაუწიოს მას (მათ შორის-კრედიტების მიცემა).

მეოთხე, ოპერაციები და მომსახურება შეგვიძლია დავყოთ საბანკო, არასაბანკო და დამატებით სახეობებად.

საბანკო და არასაბანკო ოპერაციების გამოყოფას საფუძვლად უდევს ბანკის არსის გაგება, მისი განსხვავებულობა სპეციალური საფინანსო ორგანიზაციებისგან, რომლებსაც „არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებს" უწოდებენ. რაც შეეხება საკუთრივ ბანკს, საბანკო კანონმდებლობის თანახმად, დაწესებულება მხოლოდ მაშინ ხდება ბანკი, თუ იგი ასრულებს მისი არსიდან გამომდინარე სამ ოპერაციას: 1) დეპოზიტურ ოპერაციას; 2) საკრედიტო ოპერაციას; 3) საანგარიშსწორებო ოპერაციას. სწორედ მათ მიიღეს წმინდა საბანკო ოპერაციების სახელწოდება.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამა თუ იმ იურიდიული პირისათვის საკმარისია ამ ოპერაციებიდან ერთ-ერთის შესრულება ბანკის სტატუსის მისაღებად. კანონის თანახმად, ბანკად ითვლება ისეთი დაწესებულება, რომელიც ერთდროულად ასრულებს ამ სამივე ოპერაციას. მნიშვნელოვანია ერთი გარემოებაც. იგი უკავშირდება ამა თუ იმ საბანკო ოპერაციის შესრულებაზე იურიდიული უფლების მიღებას. აქ შესაძლებელია რამდენიმე მიდგომა:

- არცერთ იურიდიულ პირს კანონი არ უკრძალავს საკრედიტო საქმიანობას;
- კანონი ავალდებულებს საბანკო ოპერაციების შესრულების მოსურნე იურიდიულ პირს. აიღოს შესაბამისი სახელმწიფო ლიცენზია. ამ შემთხვევაში კანონი შერჩევით მოქმედებს-ლიცენზიას მხოლოდ იმას აძლევენ, ვისაც გააჩნია შესაბამისი მატერიალური პირობები და პროფესიული ჩვევები.

საბანკო კანონმდებლობა სხვა იურიდიულ პირებს არ უკრძალავს საბანკო ოპერაციების შესრულებას, რის გამოც მიიჩნევენ, რომ ეს ოპერაციები მარტო ბანკის მონოპოლია არაა. რომელიმე ერთი საბანკო ოპერაციის შესრულების მოსურნე საკრედიტო ორგანიზაციას, კანონი ავალდებულებს სათანადო ლიცენზია აიღოს ცენტრალურ ბანკში და მასვე წარუდგინოს შესაბამისი ანგარიშგება. ამასთან, ცენტრალური ბანკი აკონტროლებს კიდეც საკრედიტო ორგანიზაციას.

მიღებულია, რომ ბანკის მიერ შესრულებულ ოპერაციებს და გაწეულ მომსახურებას საბანკო პროდუქტი უწოდონ. მეზუთე თავისებურება ისაა, რომ ეს პროდუქტი მწარმოებლური ხასიათის მქონეა.

დავიწყოთ დეპოზიტური ოპერაციებიდან, ე.ი. ბანკში ფულადი სახსრების მოთავსებიდან. კანონის თანახმად, ანაბარი არის მოცემული ქვეყნის ეროვნული ვალუტით ან უცხოური ვალუტით გამოხატული ფულადი სახსრები, რომლებსაც მოქალაქეები ათავსებენ შენახვისა და მოგების მიღების მიზნით. აქედან გამომდინარეობს, რომ:

ა) ანაბარი ბანკის სრულუფლებიანი პარტნიორების მიერ მისთვის გადაცემული ფულადი სახსრების გარკვეული თანხაა;

ბ) ანაბრები შეაქვთ მხოლოდ ფიზიკურ პირებს (ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში-იურიდიულ პირებსაც);

გ) ანგარიში განაპირობებს ბანკსა და სხვა სუბიექტებს შორის განსაკუთრებულ ხელშეკრულების დადებას;

დ) ანაბარი წარმოადგენს კლიენტების სახსრების სესხად მიღებას ბანკისმიერ, რომელიც ამ შემთხვევაში მსესხებლის როლში გამოდის;

ე) ანაბარი მოზიდული სესხების ნაწილია, რომელთა მთლიანი მოცულობა ცენტრალური ბანკის ნორმებითაა ლიმიტირებული;

ვ) ანაბარს ის ბანკი იღებს, რომლის რეგისტრაციიდან ორ წელზე მეტია გასული;

ზ) ანაბრის გამოყენება ბანკს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ, ღონდ შენახვისა და დაბრუნების გარანტიით;

თ) ანაბარი აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს კრედიტორს პირველი მოთხოვნისთანავე ან გარკვეული ვადის შემდეგ. სახელმწიფო უზრუნველყოფს მხოლოდ იმ ბანკების მიერ ანაბრების შენახვისა და დაბრუნების გარანტიას, რომელთა საწესდებო კაპიტალი აქციების (წილების) 50%-ითაა ფორმირებული სახელმწიფოს მიერ.

ი) ანაბარი ყალიბდება უპირატესად საზღაურის გადახდის საფუძველზე.

აქედან გამომდინარე ძნელი არაა შევნიშნოთ, რომ ბანკში ფასეულობების მოთავსება ყოველთვის არაა დეპოზიტური ოპერაცია. დეპოზიტების რიგში არ ხვდება ის ფულადი სახსრები, რომლებიც კლიენტის ანგარიშზე უძრაველ დევს. ამ რესურსებზე წარმოებული ოპერაციები საანგარიშსწორებო ოპერაციების ჯგუფში შედის და სახსრების ყოველი ცალკეული თანხის გადადგილებაზე საჭირო აღარაა სპეციალური შეთანხმება. სხვაგვარ ოპერაციებს ეკუთვნის შესანახად ფასეულობების მოთავსებაც (ხელოვნების ნიმუშები, ძვირფასეულობა, ძვირადღირებული ნივთები და საბუთები). დეპოზიტური არაა ბანკში ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების, თამასუქების) შენახვის ოპერაციაც.

ზოგჯერ ბანკები მხოლოდ გარკვეული მინიმუმის მქონე თანხებს იღებენ ანაბრად. მაგალითად, რუსეთში ძლიერი ინფლაციის გამო ეს მინიმუმი შეზღუდული არაა კანონმდებლობით ან ცენტრალური ბანკის შესაბამისი ინსტრუქციებით. ზოგიერთ ქვეყანაში ანაბრებს იღებენ ფულის ნიშნების ნებისმიერი გარკვეული თანხიდან. იურიდიულად გაფორმების თვალსაზრისით აქ რაიმე კანონზომიერება არ არსებობს: მინიმალურ თანხას შესაძლოა განსაზღვრავდეს ესა თუ ის საბანკო კანონი, ცენტრალური ბანკის ინსტრუქცია (დეკრეტი, ბრძანება) ან, ამა თუ იმ კომერციული ბანკის შესაბამისი შიდა განკარგულება.

ევროპის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, მეანაბრეთა ჯგუფში შეიძლება არ მოხვდეს კონკრეტული ფიზიკური ან იურიდიული პირი. ცხადია, გარკვეული კატეგორიის პირებისგან ანაბრების მიღებაზე პირდაპირი აკრძალვა არ არსებობს. ბანკის მეანაბრე შეიძლება იყოს გარკვეულ ასაკს მიღწეული ყველა პირი. თეორიულად, კანონის თანახმად, მეანაბრეების რიცხვში შესაძლოა არ მოხვდნენ ის პირები, რომლებიც ფაქტობრივად დამოუკიდებლები კი არიან, მაგრამ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ ბანკთან; სავსებით საპირისპირო მხარედ არ გვევლინებიან (იხ. ანაბრის პირველი თვისება). გამონაკლისი შესაძლოა იყოს ის ანაბრები, რომელთა გამოყენების უფლებაც დეპოზიტორ ბანკს არა აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ კრძალავს ანაბრის შექმნას, რეალურ ცხოვრებაში ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის ბანკებს ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა, უარი უთხრან ამა თუ იმ სუბიექტს დეპოზიტზე ფულის მიღებაზე. და ეს, ალბად, არ უნდა განვიხილოთ დისკრიმინაციად ან დემოკრატიული საფუძვლების დარღვევად. გავიხსენოთ, რომ საბანკო ოპერაციების და მომსახურების ერთ-ერთი თავისებურება მათი წარმოქმნის ნებაყოფლობითობაა და თუ ბანკს არ სურს ფართოდ მიჰყოს ხელი დეპოზიტურ ოპერაციებს, მაშინ ის ამას არც იზამს. თუ, ამასთან ერთად,

შესაბამის კლიენტთან შეთანხმების გაფორმება ლახავს ბანკის პრესტიჟს ან მის კომერციულ ინტერესს, მაშინ ამა თუ იმ კლიენტისგან ანაბრის მიღებაზე საუბარიც კი ზედმეტია.

ბანკის მიერ შესრულებულ დეპოზიტურ ოპერაციას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ბანკი ანაბრებად უყრის თავს ფულს და მოძრაობის იმპულსს აძლევს მას. მოსახლეობის ხელში „უმოქმედო" ფული მოქმედებას იწყებს ბანკის ხელში. უქმად დებული სახსრების აკუმულაცია უზარმაზარ კაპიტალს უყრის თავს, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებაში დამატებითი შემოსავალი იქმნება.

მწარმოებლურია საანგარიშსწორებო ოპერაციები. ბანკში ანგარიშის გახსნა ყველას შეუძლია, მაგრამ უმრავი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ არ სურს კლიენტს ანგარიშსწორების ოპერაციების განხორციელება მოცემული ბანკის მეშვეობით. ბანკიც ყოველთვის ახდენს თავისი კლიენტის შეფასებას-როგორია მისი რეპუტაცია, მოგებას მოუტანს იგი ბანკს თუ საზრუნავს გაუჩენს მას. შემთხვევითი არაა ის, რომ საბოლოოდ ამას მოპყვა დასპეციალება: ზოგი მხოლოდ მსხვილ კლიენტებთან მუშაობს, ზოგი-წვრილთან და სარგებელს ნახულობს ამაში.

როდესაც ბანკი შუამავალია ფულის გადახდაში, ამ დროს იგი აჩქარებს სამეურნეო გარიგებების დამთავრებას, წარმებისა და მიმოქცევის პროცესს. უპირატესად უნაღდო ფორმით გადარიცხვების გამო ბანკები ხელს უწყობენ ნაღდი ფულის ეკონომიას, ამცირებენ მათი წარმოების ტრანსპორტირებისა და შენახვისთვის საჭირო ხარჯებს.

კლასიკური საბანკო ოპერაციაა საკრედიტო ოპერაცია. ეს ოპერაცია იმით ხასიათდება, რომ იგი უზრუნველყოფილია უმრავი ან მოძრავი ქონების საწინდრით. ბანკს უფლება აქვს ვადაზე ადრე დაიბრუნოს გაცემული კრედიტები და მათზე დარიცხული პროცენტები, აგრეთვე, განცხადებით მიმართოს საარბიტრაჟო სასამართლოს იმ მოვალეების საქმის წარმოების აღძრის ან გაკოტრების შესახებ, რომლებიც არ ასრულებენ დავალიანების დაფარვის ვალდებულებებს. სამწუხაროდ, უფრო დაწვრილებითი მარეგულირებელი ნორმები კანონში არაა. არადა, საკრედიტო ოპერაციებს ხშირად აკუთვნებენ ანაბრებს, სესხს, გარანტიებს, თავდებობას და ა.შ.

საკრედიტო ოპერაციას (ისე, როგორც სადეპოზიტო და საანგარიშსწორებო ოპერაციებს) უზარმაზარი მწარმოებლური ძალა აქვს. კრედიტი, როგორც ფულის თანხა ბრუნავს არა უბრალოდ როგორც ფული, არამედ როგორც კაპიტალი. ეს ნიშნავსიმას, რომ სესხმა მსესხებლის მეურნეობაში აუცილებლად უნდა წარმოქმნას ახალი ღირებულება – მოგება, რომლის ნაწილსაც კრედიტორს უთმობენ. საკრედიტო ოპერაცია ხელს უწყობს პროდუქტის წარმოებისა და მიმოქცევის უწყვეტობასა და დაჩქარებას.

თანამედროვე ბანკის საქმიანობა არ შემოიფარგლება ზემოთ ჩამოთვლილი ტრადიციული ოპერაციებით. ბანკი სხვა ოპერაციებსაც ასრულებს და ესაა:

1. კლიენტების სალაროთი მომსახურება;
2. ფულადი სახსრების, თამასუქების, საგადამხდელო და საანგარიშსწორებო დოკუმენტების ინკასაცია;
3. ძვირფასი ლითონების მიღება ანაბრებში და მათი განთავსება;
4. უცხოური ვალუტის ყიდვა ან გაყიდვა (ნაღდი ან უნაღდო ფორმით);
5. საბანკო გარანტიების გაცემა.

ამ ხუთმა ოპერაციამ, სადეპოზიტო, საანგარიშსწორებო და საკრედიტო ოპერაციებთან ერთად, მიიღო საბანკო სტატუსი. მათი შესრულება, კანონის თანახმად მხოლოდ ბანკებს შეუძლიათ. არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებს უფლება დაუტოვეს:

- განახორციელონ კლირინგული ოპერაციები;
- მოახდინონ ფულადი სახსრების ინკასაცია;
  შეასრულონ ვალუტის გაცვლის ოპერაციები;
- მართონ კლიენტთა ფულადი სახსრები.

კანონი ბანკებს აძლევს ფასიანი ქაღალდების განთავსების, გამოწერის, ყიდვის, გაყიდვის, აღრიცხვისა და შენახვის ნებას. ამ ოპერაციებს არა აქვთ საბანკო ოპერაციების სტატუსი. ასეთია, აგრეთვე:

1) მესამე პირთა მიერ იმ თავდებობების გაცემა, რომლებიც ითვალისწინებენ ვალდებულებათა შესრულებას ფულადი ფორმით;

2) მესამე პირთაგან იმ მოთხოვნის უფლების შეძენა, რომლებიც ვალდებულებების შესრულებას ითვალისწინებენ ფულადი ფორმით;

3) ფულადი სახსრების და სხვა ქონების მინდობით მართვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით;

4) ძვირფას ლითონებზე და ქვებზე განხორციელებული ოპერაციები;

5) სპეციალური ნაგებობების ან სეიფებში შესანახად მოთავსებული საბუთებისა და ფასეულობების არენდით გადაცემა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის;

6) ლიზინგური ოპერაციები;

7) საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურების გაწევა.

ეს ოპერაციები და გარიგებები საქმიანობის ერთგვარ დამატებით სახეობებს შეადგენენ, რომელთა შესრულების უფლებაც ბანკებს აქვთ. კანონი საქმიანობის იმ სახეობებსაც ადგენს, რომელთა შესრულებაც ბანკებს აკრძალული აქვთ. ესაა საწარმოო, სავაჭრო და სადაზღვევო საქმიანობა. ასეთ აკრძალვას მრავალ ქვეყანაში მიმართავენ. გამოდის, რომ ბაზრის ყველა მონაწილეს პრაქტიკულად ყველა საბანკო ოპერაციის შესრულება შეუძლია (საჭიროა მხოლოდ ლიცენზიის ქონა); თანაც, საბანკო ოპერაციები მარტო ბანკების მონოპოლია არაა და მისი შესრულება შეუძლიათ მრეწველებსაც, მოვაჭრეებსაც და მზღვეველებსაც. ხომ არ არის ეს ბანკების როგორც ბაზრის სრულუფლებიანი სუბიექტების დისკრიმინაცია? ეს ვითარება იმას უკავშირდება, რომ რაკი ბანკები მნიშვნელოვან ფინანსურ შესაძლებლობებს ფლობენ, ისინი თითქოს შეძლებენ „არასაბანკო" ბიზნესის შესაბამისი სახეობის მონოპოლიზებას და ამით ზიანს მიაყენებენ საქონლისა და მომსახურების ამა თუ იმ სექტორში არსებულ ჯანსაღ კონკურენციას.

რა რეცეპტებს გვთავაზობს პრაქტიკა? ისინი რამდენიმეა.

- უპირველეს ყოვლისა, გვთავაზობენ ბანკებისა და სხვა საწარმოო-ორგანიზაციების უფლებათა გათანაბრებას და ამ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საბანკო საქმიანობის წარმოების აკრძალვას, ე.ი. საბანკო ოპერაციების გადაქცევას მარტოოდენ ბანკების მონოპოლიად. ცნობილია, რომ ბოლო ოც წელიწადში ბანკების ბაზარი გაჯერებულია იმ ახალი სუბიექტების გამოჩენით, რომლებიც საბანკო პროდუქტებს ქმნიან, ამან კი მნიშვნელოვნად შეამცირა ბანკების მოგება. თუ აიკრძალებოდა ამ სუბიექტების მიერ საბანკო ოპერაციების შესრულება. მაშინ კანონი ყველას ადრინდელ პოზიციებზე დაბრუნებდა, რაც არარეალურად გვეჩვენება. ეს შეაფერხებდა კონკურენციას, რომელსაც მრავალი დადებითი მხარე აქვს;

შემდეგ, ბანკების საქმიანობა კი არ უნდა შეიძღუდოს, მათ უნდა მიეცეთ სამრეწველო, სავაჭრო და სადაზღვევო ოპერაციების წარმოების უფლება. ძნელი წარმოსადგენია, რას დაემგსგაესება მაშინ ბანკი, დარჩება თუ არა იგი მართლა ბანკად ამ სიტყვის ჭეშმარიტი აზრით;

მესამე ვარიანტი: ბანკებს მიეცეთ არასაბანკო ოპერაციების შეზღუდულად განხორციელების შესაძლებლობა. ამ გზას უკვე დაადგნენ ზოგიერთ ქვეყანაში. მაგალითად, საფრანგეთში მიღწეულია შეთანხმება სადაზღვევო ფირმებთან ტურიზმის მომსახურების სფეროში; საბანკო კანონი ბანკების საქმიანობაში ამკვიდრებს მისი, როგორც სრულფასოვანი მზღვეველის კანონიერებას. თუმცა მან ამისთვის უნდა აიღოს ტურისტულ ფირმებთან თანამშრომლობის და ტურისტების დაზღვევის ნებართვა. კანონი, ასევე, შესაძლებლობას აძლევს ბანკს მოახდინოს მოგზაურობებისათვის საჭირო საქონლის წარმოების სუბსიდირება, მის აგენტებს კი – უკვე წარმოებული საქონლის და მომსახურების მიყიდვა მოგზაურობის მოყვარულებზე. ცხადია, ამგვარი სამე-

წარმეო საქმიანობის უფლების მიღების შემდეგაც ბანკი ემორჩილება საბანკო საქმიანობის რეგლამენტაციის საერთო მოთხოვნებს. და კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება. კანონმდებლობით ამ არასაბანკო საქმიანობის მინიმუმ ორი შეზღუდვა მაინც გაითვალისწინეს. ჯერ ერთი, ბანკებმა ზიანი არ უნდა მიაყენონ საქონლისა და მომსახურების მოცემულ უბანზე არსებულ ჯანსაღ კონკურენციას, რის გამოც ისინი მთლიანად ემორჩილებიან კონკურენციის შესახებ საყოველთაოდ მიღებულ კანონმდებლობას. მეორეც, დამატებითი საბანკო მომსახურება თავისი ხასიათით სწორედ დამატებითი, ძირითადი ბიზნესის მკაცრად შეზღუდული ნაწილი უნდა მოიცავდეს (საფრანგეთში მოქმედმა საბანკო საქმიანობის რეგლამენტაციის კომიტეტმა ბანკების დამატებით საქმიანობას 10%-იანი ზღვარი დაუწესა).

თანამედროვე ბანკების საქმიანობა მარტო იმით კი არ განსხვავდება ერთმანეთისგან, აკრძალული აქვთ თუ არა მათ დამატებითი არასაბანკო ოპერაციები, არამედ იმითაც, თუ რა ზომით შეუძლიათ მათ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობა, რა ზომით აქვთ მათ დართული საწარმოების კაპიტალში მონაწილეობის ნება. ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ კანონი, უპირველეს ყოლისა, იქიდან გამოდის, რომ ბანკი ფასიანი ქაღალდების ბაზრის სრულუფლებიანი მონაწილეა და შეუძლია გამოუშვას საკუთარი ფასიანი ქაღალდები, გაყიდოს ისინი და ა.შ. მაგრამ ისევე, როგორც საეალუტო ოპერაციების განხორციელების დროს, მან ლიცენზია უნდა მიიღოს.

ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, აშშ-ის კანონმდებლობით, ბანკებს ეკრძალებათ ფასიან ქაღალდებზე გარკვეული ოპერაციების შესრულება. ასეთი აკრძალვა რეაქცია იყო XX ს. 30-იანი წლების კრიზისზე, როდესაც ბანკების გაკოტრებამ (მათ შორის სარისკო ოპერაციების შესრულების გამოც) გააძლიერა ეკონომიკური კრიზისი და საწარმოების გაკოტრება. ბანკებს ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების შესრულების ნებას რთავს ევროპული, უფრო სწორად, გერმანულ-რომაული სამართალი და ამ გზით შეიძლება წავიდეს საქართველოც.

მთელი რიგი ქვეყნების საბანკო კანონმდებლობა ერთსულოვანი არაა იმაშიც, თუ როგორ უნდა ხდებოდეს საწარმოთა სამეწარმეო საქმიანობაში ბანკის მონაწილეობის რეგლამენტაცია, მათ ძირითად ფონდებში ე.წ. მონაწილეობის რეჟიმის მეშვეობით.

აქ მიდგომები სულ სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს – მთლიანი აკრძალვიდან (აშშ) – სრულ ნებართვამდე (გერმანია).

საფრანგეთში თავდაპირველად ყველაზე მეტი შეზღუდვა დაწესდა კომერციული ბანკებისთვის, მაშინ როდესაც შემნახველ ბანკებს შეეძლოთ გამოეყენებინათ კაპიტალის მხოლოდ 20%. შემდგომში ასეთი აკრძალვა მცირეეფექტიანი გამოდგა: ჯერ ერთი, 20%-იანი ზღვარი, ცხადია, მთლიანად არ უზრუნველყოფდა მეანაბრეთა უსაფრთხოებას, რაც შემნახველი ბანკების ძირითადი ამოცანაა, მეორეც, საწარმოთა ბიზნესში უფრო აქტიურად მონაწილეობის მოსურნე შემნახველ ბანკებს ამის გაკეთება მაშინაც შეეძლოთ, თუ ისინი კომერციული ბანკის საქმიანობის კონტროლის უფლებას შეიძენდნენ. ამის გათვალისწინებით საფრანგეთის საბანკო კანონმა დაადგინა, რომ: 1) ბანკის მონაწილეობის წილი არ შეიძლება აჭარბებდეს ინვესტირებადი საწარმოს ძირითადი ფონდების 15%-ს; 2) ყველა მონაწილეს ინვესტიციების საერთო სიდიდე არ შეიძლება საწარმოს ძირითადი ფონდების 60%-ზე უფრო მაღალი იყოს; 3) ინვესტირებად საწარმოში თითოეული ინვესტორის წილი არ უნდა აჭარბებდეს 1%-ს (რადგანაც მიიჩნევენ, რომ ძირითად ფონდებში 20%-იან მონაწილეობაზე უფრო მაღალი წილის შემთხვევაში ინვესტორს ეძლევა მთლიანად საწარმოს ეკონომიკაზე არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა).

6.3. კომერციული ბანკების კანონმდებლობის სტრუქტურა

გარკვეული ფორმაციის ფარგლებში საბანკო კანონმდებლობა ევოლუციური გზით ვითარდებოდა. აქ უზარმაზარი გავლენა ყოველთვის სამეურნეო მოთხოვნებს ჰქონდა. ცენტრალური ბანკების საქმიანობა ისეთი კანონების შექმნას მოითხოვდა, რომლებიც მათ ამოცანებს და სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავდა. ფულის მიმოქცევის განსაკუთრებულმა როლმა ცენტრალური ბანკის, როგორც საემისიო ინსტიტუტის საკანონმდებლო განმტკიცება მოითხოვა, რომლის მთავარი (ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით კი-ერთადერთი) ამოცანა სტაბილური ფულადი ერთეულის უზრუნველყოფაა. იქ, სადაც სამეურნეო მშენებლობაში განსაკუთრებული ძალისხმევა იყო საჭირო და შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტები არ არსებობდა, კანონმდებლები მათ ქმნიდნენ საკრედიტო დაწესებულებების სახით, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საქმიანი აქტივობის შესაბამისი სფეროს დაფინანსებას. უძრავი ქონების ბაზრის განვითარებამ, მაგალითად, გამოიწვია იპოთეკური ბანკების ჩამოყალიბება; ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის გაჩენა ბადებდა სხვადასხვაგვარი სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და საგარეო-სავაჭრო ბანკების შექმნის იდეას. ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში წარმატებით ფუნქციონირებენ საფოსტო ბანკები. საფრანგეთის საბანკო სისტემაში 1913 წლის კანონით ფუნქციონირებს საკრედიტო დაწესებულება „საზღვაო ურთიერთკრედიტი", გერმანიაში საკმაოდ წარმატებით ვითარდება ნაირგვარი კოოპერაციული ბანკები, რუსეთში კი XX ს. დასაწყისში მოქმედებდა მცირე კრედიტის დაწესებულებები, რომლებიც მცირე მეწარმეთა ეკონომიკურ განვითარებას უწყობდნენ ხელს. მთელი რიგი ქვეყნების საბანკო სისტემის სტრუქტურაში შესამჩნევი ადგილი უჭირავთ მუნიციპალურ (საქალაქო) ბანკებს, რომლებიც საქალაქო, კომუნალური მეურნეობის განვითარებას უჭერენ მხარს.

საბანკო კანონმდებლობა პირობითად სამ იარუსად შეგვიძლია დავყოთ. პირველი იარუსი ორ ბლოკს მოიცავს-ცენტრალური (საემისიო) ბანკის შესახებ კანონებს და ცალკეული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელ კანონებს. გერმანიაში, მაგალითად. ბუნდესბანკის, როგორც ცენტრალური ბანკის შესახებ კანონთან ერთად მოქმედებენ ისეთი კანონებიც, რომლებიც შემნახველი და იპოთეკური ბანკების საქმიანობას არეგულირებენ. კანონების ამ ბლოკს შეგვიძლია ინსტიტუციური ეწოდოთ, რადგანაც იგი ცალკეულ საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობას არეგულირებს.

საბანკო კანონების მეორე ბლოკი აერთიანებს კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებს. ასეთი კანონები, როგორც წესი, რამდენიმეა. ეს შესაძლოა იყოს ცალკეული კანონები, რომლებიც არეგულირებენ საკრედიტო და საჯალუტო ოპერაციებს, თამასუქების მიმოქცევას, ბანკების გაკოტრების ან გადახდის დროს გამოსაყენებელ წესებს და ა.შ.

მოცემული იარუსის კანონების პირველ და მეორე ბლოკებს ის კანონები ქმნის, რომლებიც უშუალოდ არეგულირებს როგორც მთლიანად ბანკების საქმიანობას, ისე მათი ცალკეული ოპერაციების ჩატარებას.

საბანკო კანონმდებლობის სისტემაის მეორე იარუსი მოიცავს იმ კანონებს, რომლებიც არეგულირებენ საბანკო საქმიანობის სფეროში პარალელურად მოქმედ ინსტიტუტებს: ბირჟის შესახებ, აქციებისა და ფასიანი ქაღალდების შესახებ, იპოტეკის შესახებ, ტრასტებისა და სატრასტო ოპერაციების შესახებ, რომელთა ცალკეული დებულებები ბანკებსაც პირდაპირ ეხება. კანონების ამ ჯგუფს ის კანონებიც შეიძლება მივაკუთვნოთ, რომლებიც საფინანსო-სამრეწველო კომპანიების, საინვესტიციო ფონდების და სხვათა საქმიანობას არეგულირებენ.

მესამე იარუსს ეკუთვნის საყოველთაო მოქმედების კანონები. ესაა, პირველ რიგში. კონსტიტუცია როგორც ქვეყნის მთავარი კანონი, სამოქალაქო კოდექსი, სამეურნეო სამართალი და ა.შ. ამ კანონების დებულებებს ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ ბანკისათვის, განსაზღვრავენ მისი საქმიანობის იდეოლოგიას, ეროვნულ მეურნეობაში საკრედიტო დაწესებულებების ადგილს.

საბანკო საქმიანობის მარეგულირებელ კანონებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ბანკებისათვის, რადგანაც განსაზღვრავენ მათი ფუნქციონირების საკანონმდებლო ნორმებს, ე.წ. „დერეფნებს“, ნებადართული და აკრძალული ოპერაციების წრეს, ლიცენზირების, პასუხისმგებლობისა და კონტროლის წესს. საბანკო კანონები თავისთავად კი არ მოქმედებენ, არამედ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებზე ერთგვარ გალენას ახდენენ. ამდენად ისინი უფრო ზოგადი ხასიათის კანონებს ეყრდნობიან, რის გამოც ბანკების საქმიანობა მოწესრიგებულ ხასიათს იძენს, რომელიც მთლიანად მოქმედ სისტემას ითვალისწინებს. აქ, კერძოდ დიდი მნიშვნელოვნება აქვს იმას, თუ რამდენად კორესპონდირდება ცენტრალური (საემისიო) ბანკის მარეგულირებელი კანონი სხვა ბანკების, უპირველეს ყოვლისა, კომერციული საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის მარეგულირებელ კანონებთან. ამასთან, კომერციული ბანკები იმით არიან დაინტერესებული, რომ ცენტრალური ბანკის შესახებ კანონი ყველაზე სრული იყოს და ადგილს ტოვებდეს სუბიექტური გადაწყვეტილებებისათვის.

ისინი არანაკლებ მნიშვნელოვანია ბანკის კლიენტებისათვის. საბანკო კანონები თამაშის წესებს ადგენენ ფულად სფეროში. იმაზე, თუ რამდენად სრული და სრულყოფილია ეს კანონები, დამოკიდებულია იურიდიული და ფიზიკური პირების ეკონომიკური შედეგები. აქ გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება, უპირველეს ყოვლისა კი ის, რომ კლიენტებთან ბანკის ურთიერთობები პირდაპირი ხასიათისაა, ანუ შუამავლების გარეშე მიმდინარეობს; ისინი ეხება მეტად მწვავე მატერიას – ფულს, კრედიტს, ნაღდ და უნაღდო ანგარიშსწორებას; ეს ურთიერთობები უაღრესად სპეციფიკურია საბანკო აღრიცხვის და, მთლიანად, საბანკო ტექნოლოგიის თავისებურებათა გამო.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საკუთრივ საბანკო კანონების გარდა საბანკო კანონმდებლობის სტრუქტურაში გვხდება ცენტრალური ბანკის ნაირგვარი ინსტრუქციები, დებულებები, განკარგულებები და განმარტებები, რომლებსაც, ასევე უნდა იცნობდეს და იყენებდეს კლიენტი. იგი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ კომერციული ბანკის ესა თუ ის მოთხოვნა ფანტაზიის ნაყოფი კი არაა, არამედ მას გარკვეული იურიდიული საფუძველი აქვს. მაგრამ საბანკო კანონებს მარტო მათთვის არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ბანკები დიდ როლს თამაშობენ ეროვნულ მეურნეობაში რესურსების გადანაწილებაში, თავს უყრიან უზარმაზარ ფულად კაპიტალს, დიდძალ თანხებს გასცემენ მიმდინარე ოპერაციების ჩასატარებლად და გრძელვადიან კაპიტალდაბანდებათა განსახორციელებლად, უნარი შესწევთ დააჩქარონ ან შეანელონ ეკონომიკური განვითარების ტემპები; მაგრამ დიდი სიფრთხილის მიუხედავად ბანკებს შეუძლიათ გამოიწვიონ საქონლის ჭარბწარმოება, ხელი შეუწყონ კრიზისული ვითარების გაჩენას. კრახს ბანკებიც განიცდიან. მათი გაკოტრების შესაძლებლობა დამტკიცებულია როგორც ისტორიული გამოცდილებით, ისე თანამედროვე პრაქტიკითაც. კოტრდებიან როგორც მსხვილი, ისე წვრილი ბანკები. თუ გავითვალისწინებთ, რომ საკრედიტო ორგანიზაციები საკუთარი კი არა, სხვისი, მათ შორის კერძო პირების მიერ დაზოგილი ფულით საქმიანობენ, მაშინ ცხადი გახდება, რომ ამას არასასურველი სოციალური შედეგების მოტანა შეუძლია. ჩვენი უახლესი ისტორიიდან ყველასთვის კარგადაა ცნობილი მოქალაქეთა მოთხოვნები მათ მიერ ბანკებში ანგარიშებზე მოთავსებული სახსრების უკან დაბრუნების შესახებ.

სახელმწიფოს არასდროს აძლევს ხელს ბანკების გაკოტრება, რადგან ეს იწვევს ფინანსური დაბმარების შეკვეცას, ეკონომიკური ბრუნვის შენელებას, უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ რიტმზე. სამეურნეო სტაბილურობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ყოველთვის ესწრაფვოდა ბანკების საქმიანობის რეგლამენტაციას, ცდილობდა მთლიანად ეკონომიკის განვითარების ინტერესებისათვის დაექვემდებარებინა მათი საქმიანობა, ბიძგი მიეცა იმ ბანკების და ახალი საკრედიტო ორგანიზაციების გაერთიანებისათვის, რომლებიც დარგებისა და რეგიონების განვითარების სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებას შეძლებდნენ. სახელმწიფო ყოველთვის იყო დაინტერესებული კაპიტალის კონცენტრაციით, მრეწველობის, ვაჭრობისა და მეწარმეობის გაცხოველებით.

სადაც ბანკებს პირველხარისხოვანი როლი ენიჭებოდა. საბანკო სექტორისათვის განკუთვნილი კანონები საჭიროა იმ იურიდიულ ნორმებს შეიცავდნენ, რომლებიც, ერთი მხრივ, ბანკების გააქტიურებას შეუწყობენ ხელს, მეორე მხრივ, შეზღუდავენ ბანკებს იქ, სადაც ეს ხელს შეუშლის სახელმწიფოს საერთო ეკონომიკურ რეგულირებაში.

სახელმწიფო ყოველთვის იძულებული იყო დაებალანსებინა ბანკების დაქვემდებარება და დამოუკიდებლობა, აქტივობა და ლიკვიდობა, საქმიანობის რეგლამენტაცია და ბანკებს შორის ნორმალური კონკურენცია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მრავალი მიზეზების გამო, სახელმწიფო ყოველთვის ცდილობდა „ემეგობრა" ბანკებთან, მაგრამ არც იმათ „მორჯულებაზე" ამბობდა უარს, ვინც, მისი აზრით, მეტისმეტი დამოუკიდებლობისკენ ისწრაფოდა. სამწუხაროდ, საბანკო კანონებში ყოველთვის საკმარისად იყო ის, რომ ერთიც მომხდარიყო და მეორეც.

საბანკო კანონმდებლობა სხვადასხვა სუბიექტის-ბანკების, მათი კლიენტებისა და სახელმწიფოს-ინტერესების გარკვეულ კონსესუსს მოიცავს. მსოფლიო გამოცდილების პოზიციით, ეს კანონმდებლობა, მართალია, ერთგვარი სტაბილურობით გამოირჩევა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გაელენით იგი შეიძლება შეიცვალოს და უნდა იცვლებოდეს კიდეც.

6.4. საქართველოს საბანკო სისტემის სამართლებრივი ბაზის განვითარება ქრონოლოგია

ბანკის მიმდინარე საქმიანობისა და ფუნქციონირებისათვის საქართველოში შექმნილია მტკიცე საკანონმდებლო ბაზა. იგი ძირითადად ფიქსირებულია კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" და კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ".

ქვეყნის საბანკო სისტემის მატერიალურ (ლიკვიდური) და სამართლებრივ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრაეს ეროვნული ბანკის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება. ამიტომ, შეიქმნა რა საქართველოს ეროვნული ბანკი, იმავე პერიოდში მოხდა მისი სტატუსის, უფლებების, ფუნქციების, ოპერაციების სათანადო სამართლებრივი ბაზით უზრუნველყოფა. საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის აგვისტოს მიღებულ იქნა „კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ". გარკვეული მიზეზების გამო ვერც ამ კანონმა, და ვერც ამავე პერიოდში მიღებულმა სხვა კანონებმა: „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ" და „საქართველოს რესპუბლიკაში საბანკო სისტემისა და საბანკო საქმიანობის შესახებ", ვერ იმუშავეს (ლ.ქისტაური, შ.ქისტაური. საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები. თბ., 1997, გვ.302.).

1993 წლიდან მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება დაიწყო ქვეყანაში ცივილიზებული საბანკო კანონების მისაღებად, ამ მხრივ აღსანიშნავია 1993 წლის 29 ნოემბრის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ფულად-საკრედიტო რეგულირების ზოგიერთი საგანგებო ღონისძიების შესახებ". მასში გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები და ეროვნული ბანკის ახალი ხელმძღვანელობის წინადადებები.

იმისათვის, რომ კომერციული ბანკები დაზღვეული ყოფილიყვნენ არახელსაყრელი შედეგებისაგან, ეროვნულმა ბანკმა 1994 წლის 25 მაისს გამოსცა სპეციალური დადგენილება, რომლის მიხედვით კომერციულ ბანკებს გაეზარდათ როგორც სავალდებულო რეზერვების ნორმები, ისე საწესდებო ფონდების პარამეტრები (იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის 1994 წლის 25 მაისის №12 ბრძანების №1, №2, №3 და №4 დანართები.).

საქართველოს საბანკო სისტემის, მათ შორის ეროვნული ბანკის და კომერციული ბანკის შემდგომი განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა 1994 წლის 14 აგვისტოს მიღებულ დადგენილებას „საქართველოს საბანკო სისტემის სრულყოფის შესახებ", რომლის შესაბამისად მოხდა ქვეყნის ოთხი სახელმწიფო კომერციული ბანკის - „ინდუსტრია ბანკის", „ბინსოცბანკის", „აგრობანკის" და „ექსიმ ბანკის" სააქციო კომერციულ ბანკებად გარდაქმნა.

ამით დასრულდა ორდონიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი (ეროვნული ბანკი კომერციული ბანკები), მაგრამ მისი სრული რეჟიმით ამუშავება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან მათ არ გააჩნდათ შესაბამისი სამართლებრივი ბაზა.

დაიწყო ინტენსიური მოსამზადებელი სამუშაოები სამართლებრივი ნორმატიული აქტების მიღების მიმართულებით. მარტო 1995 წელს ეროვნული ბანკის მიერ იქ მიღებული იქნა 72 მარეგლამენტირებელი ნორმატიული აქტი, რომელიც ეხებოდა საქართველოს საბანკო სისტემის, მისი ცალკეული სტრუქტურების, ქვესტრუქტურების, მათი შემადგენელი ინსტიტუტების სტატუსს, საქმიანობას, ოპერაციებს და ა.შ. (იხ. გაზ. „ბანკი - PLUS", 1996, 12 მაისი, №12 (45)).

1995 წ. 23 ივნისს ეროვნული ბანკის კონსტიტუციური სტატუსის და უფლებების საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა მიიღო „კანონი ეროვნული ბანკის შესახებ". იგი შედგენილი იქნა მაღალგანვითარებადი ქვეყნების საბანკო კანონმდებლობის, საგალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის რეკომენდაციების საფუძველზე);

საქართველოს კომერციული ბანკების თანამედროვე მოდელებად ფორმირებასა და ფუნქციონირებაში ახალი ეტაპი იწყება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის მიერ 1996 წლის 23 თებერვალს კანონის მიღებით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" აღნიშნულმა კანონმა, რომელიც მომზადებული იყო საქართველოს საბანკო სისტემის პროფესიონალი მუშაკების მიერ ბანკის მსოფლიოს წამყვანი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, ქვეყნის საბანკო სისტემას დასრულებული და ცივილიზებული სახე მისცა.

კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო საქმიანობაში ანტიმონოპოლიურ კურსს ახორციელებს პარლამენტის მიერ 1996 წ. 25 ივნისს მიღებული კანონით: „საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ". იგი განსაზღვრავს ამ სფეროში საბანკო საქმიანობაში დასაშვებ პარამეტრებს, შესაბამის კრიტერიუმებს და ზემოქმედების ზომებს.

კომერციული ბანკების მძლავრ საკრედიტო ინსტიტუტებად გადაქცევის და დადგენილი პარამეტრებიდან მათი შესაძლო გადაცდომების, დარღვევების თავიდან აცილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს აუდიტი, რომელიც ვალდებულია (კანონით კომერციული ბანკების შესახებ) მოიწვიოს თვითეულმა ბანკმა, შემდეგ კი აუდიტორული შემოწმების შედეგები და წინა წლის ბალანსი გამოაქვეყნოს პრესაში.

6.5. ბანკებსა და საბანკო საქმიანობაზე ზედამხედველობის ბაზელის სტანდარტები

კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობის სტანდარტებს (სარეკომენდაციოს, მაგრამ ფორმალურად არასავალდებულოს) შეიცავს საბანკო რეგულირების ბაზელის კომიტეტის მიერ 1997 წ. გამოქვეყნებული წერილი „საბანკო საქმიანობაზე ეფექტიანი ზედამხედველობის საბაზო პრინციპები" (აქ მოვიყვანთ დოკუმენტის ის მონაკვეთი, რომელიც მოქმედ ბანკებს ეხება).

I განყოფილება. შესავალი.

საბაზო პრინციპების შემუშავებისას მისი შემდგენლები შემდეგ წანამძღვრებს ეყრდნობოდნენ:

- ზედამხედველობის ძირითადი მიზანია საფინანსო სისტემაში სტაბილურობისა და ნდობის ატმოსფეროს შენარჩუნება, რაც მეანაბრეებისა და სხვა კრედიტორების დანაკარგების რისკის მინიმიზაციას განაპირობებს;
- ზედამხედველობის ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ საბაზრო დისციპლინის მხარდაჭერას კვალიფიციური კორპორაციული ხელმძღვანელობის წახალისების, საბაზრო კარგახსნილობისა და კონტროლის სტიმულირების გზით;

- თავიანთი ფუნქციების წარმატებით განხორციელებისათვის ზედამხედველობის ორგანოებს უნდა გააჩნდეთ ოპერატიული დამოუკიდებლობა და ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობა როგორც დაკვირვების, ისე ადგილებზე შემოწმების ჩატარების გზით, აგრეთვე, თავიანთი გადაწყვეტილებებისათვის სავალდებულო ხასიათის მიცემის უფლებამოსილება;
- ზედამხედველობის ორგანოებს კარგად უნდა ესმოდეთ საბანკო საქმიანობის არსი და შეძლებისდაგვარად აღწევდნენ იმას, რომ ბანკები კვალიფიციურად მართავდნენ მათ მიერ ნაკისრ რისკებს;
- ეფექტიანი ზედამხედველობა იმას მოითხოვს, რომ ცალკეული ბანკების მიერ ნაკისრი რისკების სიდიდე და ხასიათი ფასდებოდეს, ზედამხედველობის ხასიათი კი ამ შეფასებებს უნდა შეესაბამებოდეს;
- ზედამხედველობის ორგანოები დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ ბანკს გააჩნია მის მიერ ნაკისრი რისკების შესაბამისი რესურსები, კერძოდ, საკმარისი კაპიტალი, კვალიფიციური ხელმძღვანელობა, კონტროლისა და აღრიცხვის ეფექტიანი სისტემები.
- აუცილებელია ზედამხედველობის ორგანოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა. ზედამხედველობა ხელს უნდა უწყობდეს ეფექტიანი და კონკურენტული საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც უპასუხებს საზოგადოების მოთხოვნილებებს მისთვის ხელმისაწვდომ და კვალიფიციურ საფინანსო მომსახურებაზე.

ზედამხედველობას არ შეუძლია და იგი არც უნდა იძლეოდეს იმის გარანტიას, რომ ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ბანკი არ გაკოტრდება.

არსებობს ინფრასტრუქტურის გარკვეული ელემენტები, რომლებიც ზედამხედველობის ეფექტიანობას უწყობენ ხელს. სადაც ეს ელემენტები არაა, იქ ზედამხედველობის ორგანოები უნდა ცდილობდნენ, მათი შექმნის აუცილებლობაში დაარწმუნონ მთავრობა. ამასთან, მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ასეთი ელემენტების შემუშავებაში.

საბაზო პრინციპები საფუძველს უქმნის ზედამხედველობის ჯეროვანი სისტემის შექმნას. აუცილებელია ამ პრინციპების დამკვიდრებაზე მოქმედი ლოკალური თავისებურებების გათვალისწინება. მოყვანილი სტანდარტები მინიმალურად აუცილებელია და გარკვეულ სიტუაციებში შესაძლოა საკმარისი არ იყოს. ყოველმა ქვეყანამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა ზომით უნდა შეიესოს ეს პრინციპები სხვა მოთხოვნებით. საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია დინამიკურია თავისი ბუნებით და ბაზრის ცვლილებებზე რეაგირებისთვისაა მოწოდებული. ზედამხედველობის ორგანოები მზად უნდა იყვნენ საიმისოდ, რომ მათ პერიოდულად მოუწევთ ზედამხედველობის პოლიტიკისა და პრაქტიკის გადასინჯვა ახალი ტენდენციების ან მოვლენების შესაბამისად. ამისთვის საჭიროა მოქნილი საკანონმდებლო ბაზა.

II განყოფილება. ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები

საბანკო ზედამხედველობა ფინანსური სტაბილურობის უზრუნველმყოფი მექანიზმების უფრო ფართო წრის შემადგენელი ნაწილია. ასეთ მექანიზმებს ეკუთვნის: 1) რაციონალური და გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკა; 2) განვითარებული საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა; 3) მაღალი საბაზრო დისციპლინა; 4) საბანკო სფეროში პრობლემების მოგვარების მეთოდები; 5) სისტემური დაცვის საკმარისი დონის უზრუნველმყოფი მექანიზმები (ანუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების სისტემა).

პრინციპი 1. ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემა მოითხოვს, რომ საბანკო საქმიანობის ზედამხედველობის შემსრულებელ ყოველ ორგანოს ჰქონდეს მკაფიოდ ფორმულირებული ამოცანები და ვალდებულებები. ყოველ ასეთ ორგანოს უნდა გააჩნდეს ოპერატიული დამოუკიდებლობა და შესაბამისი მატერიალური ბაზა. აუცილებელია, ასევე, ზედამხედველობის ადეკვატური იურიდიული ბაზა, რომელიც მოიცავს საბანკო საქმიანობის და მისი ზედამხედველობის განხორციელე-

ბაზე ნებართვის მიღების პროცედურის რეგულირებას, კანონმდებლობის მოთხოვნებთან საზედამხედველო ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობის გამოვლენის უფლებამოსილებას, აგრეთვე, ბანკების უსაფრთხოებისა და მდგრადობის ასპექტებს, ზედამხედველობის სუბიექტების სამართლებრივ დაცვას. ასევე, აუცილებელია ზედამხედველ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის და ამ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ამ პრინციპის განსახორციელებლად საჭიროა:

- მკაფიოდ ფორმულირებული, მიღწევადი და ერთმანეთთან თავსებადი ამოცანები და მოვალეობები, რომლებიც თითოეული ზედამხედველი ორგანოსთვისაა განსაზღვრული კანონმდებლობით, ოპერატიული დამოუკიდებლობის საკმარისი დონის პირობებში;
- ისეთი პირობებით გადაცემული შესაბამისი რესურსები (ადამიანთა, ფინანსური და ტექნოლოგიური), რომლებიც ეჭქვეშ აყენებს ზედამხედველი ორგანოს ავტონომიურობას, მთლიანობასა და დამოუკიდებლობას;
- იმ მინიმალური მოთხოვნების განმსაზღვრელი საბანკო კანონმდებლობა, რომლებსაც ბანკები უნდა აკმაყოფილებდნენ; იგი საბანკო ზედამხედველობის ორგანოებს იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული წესით დააწესონ პრუდენციული წესები დასახული მიზნების მისაღწევად, აგრეთვე, მიმართონ ბანკის მდგომარეობის ხარისხის ანალიზს; აძლევს ინფორმაციის შეგროვებისა და მისი დამოუკიდებლად შემოწმების უფლებამოსილებას; აძლევს, აგრეთვე, სასჯელის გამოყენების უფლებას იმ შემთხვევაში, როცა პრუდენციული მოთხოვნები ირღვევა;
- ზედამხედველობის პროცესში შესრულებული კეთილსინდისიერი მოქმედებებისთვის პერსონალური ან სოლიდური პასუხისმგებლობის დაცვა (ჩვეულებრივ – საკანონმდებლო);
- ზედამხედველ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის სისტემა.

IV ბანყოფილება. მიმდინარე საბანკო ზედამხედველობის საგანი

A. საბანკო ოპერაციების რისკები. საბანკო საქმიანობა უკავშირდება რისკებს, რომლებსაც მრავალი გარემოება წარმოშობს. ზედამხედველ ორგანოებს უნდა ესმოდეთ რისკების არსი და თვალყური ადევნონ იმას, რომ ბანკები სწორად აფასებდნენ და შეეძლოთ მათი მართვა.

B. პრუდენციული ნორმების და წესების შემუშავება და განხორციელება. საბანკო საქმის რისკებს უნდა ავლენდნენ, აკვირდებოდნენ და აკონტროლებენ, ამაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია ზედამხედველ ორგანოებს. მათი მიზანია იმ რისკების დონის შეზღუდვა, რომლებსაც დაუსაბუთებლად იღებენ ბანკები თავიანთ თავზე. ეს მოთხოვნები არ უნდა განსაზღვრავდეს ბანკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებს. მათი დანიშნულებაა ისეთი პრუდენციული სტანდარტების დაწესება, რომლებიც საბანკო ოპერაციების ჯეროვნად ჩატარებას უზრუნველყოფენ. თავისი ბუნებით დინამიკური საბანკო საქმე მოითხოვს თავისი პრუდენციული მოთხოვნების პერიოდულად გადასინჯვას ზედამხედველი ორგანოების მიერ და რეალურ სიტუაციასთან არსებული ნორმების შესაბამისობის ხარისხის შეფასებას მათ მიერ, აგრეთვე, ახალი ნორმატივების შემუშავების აუცილებლობას.

1. კაპიტალის საკმარისობა.

პრინციპი 6. ზედამხედველობის ორგანოები უნდა განსაზღვრავდნენ ყველა ბანკის კაპიტალების შესაბამისობას საკმარისობის შესახებ მოთხოვნებთან. ეს მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს ბანკის მიერ თავის თავზე აღებული რისკების დონეს; აგრეთვე, განსაზღვრავდნენ კაპიტალის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებს, შესაძლო დანაკარგების გადაფარვის უნარის მხედველობაში მიღებით.

2. საკრედიტო რისკების მართვა. სტანდარტული დაკრედიტება და კრედიტების მონიტორინგი.

პრინციპი 7. ზედამხედველობის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია ბანკის იმ პოლიტიკის, პრაქტიკისა და გამოყენებული პროცედურების დამოუკიდებლად შეფასება, რომლებიც ინვესტიციების განთავსებასა და დაკრედიტებას, აგრეთვე, სესხებისა და ინვესტიციების პორტფელების მიმდინარე მართვას უკავშირდება.

ზედამხედველობის ორგანოები დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ დაკრედიტებისა და ინვესტირებისადმი მიდგომა ბანკში ობიექტური და რაციონალურია. ბანკის საკრედიტო ოპერაციების მართვის განუყოფელი ელემენტია დაკრედიტების გონივრული, წერილობით გაფორმებული მეთოდიკის და კრედიტის გაცემაზე ადმინისტრაციული თანხმობის მიღების დოკუმენტაციის შესაბამისი პროცედურების არსებობა. დაკრედიტება და ინვესტირება უნდა ეყრდნობოდეს გარანტიების იმ პრუდენციულ სტანდარტებს, რომლებსაც უნდა იწონებდეს ბანკის საბჭო და დაჰყავდეს ისინი დაკრედიტებაზე მომუშავე ყველა თანამშრომლამდე. ზედამხედველი ორგანოსთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმაში დარწმუნებას, რომ ბანკი კრედიტების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ინტერესების კონფლიქტისა და მესამე პირების მხრიდან ზეწოლის უქონლად.

ბანკებს უნდა ჰქონდეთ საკრედიტო ურთიერთობების მონიტორინგის კარგად აწყობილი სისტემა მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგის ჩათვლით. ნებისმიერი მმართველობითი საინფორმაციო სისტემის უმთავრესი ელემენტი უნდა იყოს ბანკის საკრედიტო პორტფელის მდგომარეობის შესახებ აუცილებელი ცნობების შემცველი მონაცემების ბაზა იმ ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც შიდა რეიტინგს და კრედიტების კლასიფიკაციის სისტემას ასახავს.

აქტივების ხარისხის, აგრეთვე, საეჭვო დავალიანების დაფარვისათვის უზრუნველყოფის საკმარისობის შეფასება.

პრინციპი 8. ზედამხედველობის ორგანოები დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ ბანკებს შემუშავებული აქვთ და იცავენ აქტივების ხარისხს, აგრეთვე, საეჭვო დავალიანების დაფარვისათვის ბანკში არსებული ფონდებისა და რეზერვების საკმარისობის შეფასების ადეკვატურ პროცედურებს, პრაქტიკულ ღონისძიებებსა და პოლიტიკას.

ზედამხედველმა ორგანოებმა უნდა შეაფასონ ბანკის პოლიტიკა ცალკეული კრედიტების დროდადრო გადასინჯვის, აქტივების კლასიფიკაციისა და რეზერვების შექმნის სფეროში. ისინი უნდა რწმუნდებოდნენ იმაში, რომ ხდება ამ პოლიტიკის რეგულარულად გადასინჯვა და თანმიმდევრული პრაქტიკული განხორციელება. ზედამხედველი ორგანოები უნდა ზრუნავდნენ იმაზე, რომ ბანკებს გააჩნიათ პრობლემურ კრედიტებზე მეთვალყურეობისა და ვადაგადაცილებული კრედიტების დაბრუნების მექანიზმი. თუ ბანკის პრობლემური კრედიტების მოცულობა ზედამხედველი ორგანოების წარმომადგენელთა შეშფოთებას იწვევს, მაშინ მათ შეუძლიათ მოთხოვონ ბანკს დაკრედიტების პროცედურების გაუმჯობესება და კრედიტების გაცემის სტანდარტების შემოღება.

თუ კრედიტი უზრუნველყოფილია გარანტიით ან დაფარვით, მაშინ ბანკს უნდა გააჩნდეს ამ გარანტიების საიმედოობისა და დაფარვის ღირებულების მუდმივად შეფასების მექანიზმი. ზედამხედველი ორგანოები თვალყურს უნდა ადევნებდნენ იმასაც, რომ ბანკები სწორად რეაგირებდნენ და საკმარის კაპიტალს გამოყოფდნენ ბალანსგარეშე რისკების დასაფარავად.

რისკების და მათი მსხვილი პოზიციების კონცენტრაცია.

პრინციპი 9. ზედამხედველმა ორგანოებმა უნდა შეამოწმონ ბანკებში მართვის იმ საინფორმაციო სისტემების არსებობა, რომლებიც რისკების კონცენტრაციის იდენტიფიცირების საშუალებას აძლევს ხელმძღვანელობას. ზედამხედველმა ორგანოებმა უნდა დააწესონ ის დასაშვები საზღვრები, რომლებიც ზღუდავენ ცალკეული მსესხებლების ან ერთმანეთთან დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფების დაკრედიტებიდან პოტენციური დანაკარგების მიღების რისკს.

კრედიტების გაცემა პირების დაკრედიტებასთან დაკავშირებულ პირებზე.

პრინციპი 10. აფილირებული პირების დაკრედიტებასთან დაკავშირებული ბოროტმოქმედების თაობიდან აცილების მიზნით, ზედამხედველმა ორგანომ უნდა მოითხოვოს, რომ ბანკები ასეთ ორგანიზაციებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს კრედიტებს აძლევდნენ ყველასათვის ერთნაირი პირობებით, აგრეთვე, ყურადღებით აკვირდებოდეს ამ დაკრედიტებას, რისკების კონტროლისა და მათი მინიმიზაციის სხვა ღონისძიებების გამოყენებას.

ქვეყანასთან დაკავშირებული და ტრანსფერტული რისკები.

პრინციპი 11. ზედამხედველი ორგანოები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ ბანკების პოლიტიკა და პროცედურები ადეკვატურია და იძლევა ქვეყანასთან დაკავშირებული და ტრანსფერტული რისკების იდენტიფიცირების, მათზე დაკვირვებისა და კონტროლის საშუალებას საერთაშორისო სასესხო და საინვესტიციო ოპერაციების ჩატარების მსვლელობაში და რომ ბანკები ითვალისწინებენ ამ რისკების დაფარვის რეზერვებს.

3. საბაზრო რისკების მართვა.

პრინციპი 12. ზედამხედველი ორგანოები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ ბანკებს გააჩნიათ საბაზრო ფასებისა და კონტირებების რყევასთან დაკავშირებული რისკების ეფექტიანი კონტროლის, თვალყურის დევნებისა და საკმაოდ ზუსტად შეფასების მექანიზმები. ზედამხედველ ორგანოებს უნდა გააჩნდეთ აუცილებლობის შემთხვევაში საბაზრო რისკის დასაფარავი კაპიტალისადმი მოთხოვნების და/ან ლიმიტების დაწესების უფლებამოსილებანი.

4. სხვა რისკების მართვა.

პრინციპი 13. ზედამხედველი ორგანოები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ ბანკს შემუშავებული აქვს რისკების მართვის ისეთი ყოვლისმომცველი პროცესი (გამგეობის მხრიდან ზედამხედველობის ჩათვლით), რომელიც სხვა სახის რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, თვალყურის დევნებისა და კონტროლის საშუალებასაც იძლევა, და რომ მას გააჩნია კაპიტალი ამ რისკების დასაფარავად.

(2) ლიკვიდობის მართვა.

ლიკვიდობის მართვის მიზანი ისაა, რომ ბანკმა უზრუნველყოს მისი ყველა ვალდებულების შესრულება. ლიკვიდობის მართვის ჯეროვანი პოლიტიკის მნიშვნელობანი ელემენტებია მმართველობითი ინფორმაციის აწყობილი სისტემები; ლიკვიდობის ცენტრალიზებული კონტროლი; ფონდირების წყაროების დივერსიფიკაცია და გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევისთვის განხორციელებული დაგეგმვა.

(3) ოპერაციული რისკი.

ზედამხედველი ორგანოები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ ბანკის ხელმძღვანელობას გააჩნია შიდა კონტროლისა და აუდიტის ეფექტიანი სისტემა, აგრეთვე იმაში, რომ მას შემუშავებული აქვს ოპერაციული რისკის მართვისა და მისი მინიმიზაციის პოლიტიკა. ზედამხედველი ორგანოები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ ბანკს აქვს მწყობრიდან გამოსული ყველა სისტემის აღდგენის დასაბუთებული გეგმები და ექსტრენულ სიტუაციაში სარეზერვო ტენოლოგიური მოწყობილობების გამოყენების შესაძლებლობა.

5. შიდა კონტროლი

პრინციპი 14. ზედამხედველი ორგანოები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ ბანკებს აქვთ შიდა კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც მათი ოპერაციების ხასიათსა და მასშტაბებს შეესაბამება.

პრინციპი 15. ზედამხედველი ორგანოები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ ბანკები მიმართავენ ადეკვატურ პოლიტიკას, პრაქტიკასა და პროცედურებს, კლიენტების შემოწმების დადგენილი წესების ჩათვლით, რომლებიც ხელს უწყობენ საფინანსო სექტორში ეთიკური და პროფესიული სტანდარტების ამაღლებას და ხელს უშლიან ბანკის განზრახ ან უნებლიედ გამოყენებას დამნაშავე ელემენტების მიერ. შიდა კონტროლის მიზანია იმაში დარწმუნება, რომ ბანკში საქმეები რაციონალურად მიდის, საჭირო წინდახედულობითა და ბანკის საბჭოს მიერ შემუშავებული

პოლიტიკისა და სტრატეგიის შესაბამისად; ოპერაციები ჩატარდება მხოლოდ სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ; აქტივები და ვალდებულებები კონტროლირდება; ბუღალტრული ანგარიშგება და სხვა დოკუმენტები შეიცავს სრულ, ზუსტ და დროულ ინფორმაციას, ბანკის ხელმძღვანელობას კი აქვს ბანკის მიერ აღებული რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვის უნარი.

შეიძლება გამოიყოს ოთხი საკონტროლო სფერო: ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის განაწილება, უფლებამოსილებათა შეზღუდვა კრედიტების გაცემის ნებართვაზე და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურებზე; ბუღალტრული აღრიცხვა; „ოთხი თვალის" პრინციპი (ფუნქციების გამიჯვნა, ჯვარედინი შემოწმებები, ორმაგი ხელმოწერა და ა.შ.); აქტივებისა და ინვესტიციების უშუალო კონტროლი.

კონტროლის ამ სახეობებს უნდა ავსებდეს ეფექტიანი აუდიტი, რომლესაც შეუძლია დამოუკიდებლად შეაფასოს ორგანიზაციის შიგნით კონტროლის სისტემების საკმარისობა. ოპერაციული ეფექტიანობა და საიმედოობა. მაშასადამე, შიდა აუდიტორს უნდა ჰქონდეს სათანადო სტატუსი და ანგარიშვალდებულება ბანკში, რამაც მისი დამოუკიდებლობა უნდა უზრუნველყოს. გარე აუდიტი ხელს უნდა უწყობდეს ამ პროცესის ეფექტიან კონტროლს. ზედამხედველ ორგანოებს უნდა აკმაყოფილებდეს ის გარემოება, რომ ბანკი ატარებს ეფექტიან პოლიტიკას, ხოლო მისი ხელმძღვანელობა მაკორექტირებელ ადეკვატურ ზომებს მიმართავს აუდიტორების მიერ გამოვლენილი სუსტი შიდა კონტროლის შემთხვევაში.

რადგანაც ბანკის საქმიანობას მრავალრიცხოვანი კანონები და წესები არეგულირებს, მათ უნდა გააჩნდეთ ამ კანონებისა და წესების დამცავი ადეკვატური პოლიტიკა და შესაბამისი პროცედურები.

ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობა და მათი რეპუტაცია შეიძლება შელახოს კრიმინალურ ელემენტებთან მათმა (თუნდაც უნებლიე) კავშირმა. ამიტომ ზედამხედველი ორგანოები თვალყურს უნდა ადევნებდნენ იმას, რომ ბანკები მიმართავდნენ სათანადო პროცედურებს, თავიანთი კლიენტების შესწავლის მკაცრი პოლიტიკის ჩათვლით, აგრეთვე, ხელს უწყობდნენ საფინანსო სექტორში მაღალი ეთიკური და პროფესიული სტანდარტების მიღწევას.

C. მიმდინარე საბანკო ზედამხედველობის მეთოდები

პრინციპი 16. ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემა უნდა მოიცავდეს იმ ზედამხედველობის ფორმებს, რომლებსაც ახორციელებენ როგორც უშუალოდ ადგილებზე, ისე გარედან დაკვირვების მეთოდების გამოყენებით.

პრინციპი 17. ზედამხედველი ორგანოები რეგულარულ კონტაქტებს უნდა ინარჩუნებდნენ ბანკის ხელმძღვანელობასთან და კარგად იცნობდნენ ამ ბანკის მიერ განხორციელებული ოპერაციების არსს.

პრინციპი 18. ზედამხედველი ორგანოები საჭიროა ფლობდნენ ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ საფუძველზე ბანკებისგან დარწმუნების, ანალიზისა და შეფასების საშუალებებს.

პრინციპი 19. ზედამხედველ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ საზედამხედველო ინფორმაციის დამოუკიდებლად შეფასების საშუალებები ადგილებზე შემოწმების გზით ან გარე აუდიტორების მეშვეობით.

პრინციპი 20. ზედამხედველობის მნიშვნელოვანი ელემენტებია მისი ორგანოს უნარი, კონსოლიდირებულ საფუძველზე გაუწიოს ზედამხედველობა ბანკების ჯგუფს.

პრობლემების წამოჭრის შემთხვევაში ბანკები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ შეუძლიათ ენდონ ზედამხედველ ორგანოს, კონსულტაცია მიიღონ მისგან და მასთან ერთად კონსტრუქციულად და კონფიდენციალურად განიხილონ ეს პრობლემები. ბანკებს შეგნებული უნდა ჰქონდეთ თავიანთი მოვალეობა, თავისდროულად მიაწოდონ ინფორმაცია ზედამხედველ ორგანოს მათ საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საქმეების შესახებ.

D. მოთხოვნები ბანკებისადმი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესახებ

პრინციპი 21. ზედამხედველ ორგანოს უნდა აკმაყოფილებდეს იმაში დარწმუნება, რომ ბანკი ეწევა სავალდებულო ანგარიშგებას თანმიმდევრულად გატარებული საბუღალტრო პოლიტიკისა და პრაქტიკის საფუძველზე. ეს საშუალებას აძლევს ზედამხედველ ორგანოს, სარწმუნო ინფორმაცია მიიღოს ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ ჩატარებული ოპერაციების მომგებიანობის შესახებ.

იგი უნდა დარწმუნდეს იმაშიც, რომ ბანკი რეგულარულად აქვეყნებს თავისი მდგომარეობის ადეკვატურად ამსახველ ფინანსურ ანგარიშგებას.

V. განყოფილება. ზედამხედველობის ორგანოების უფლებამოსილებანი

პრინციპი 22. ზედამხედველ ორგანოებს ადეკვატური შესაძლებლობები უნდა ჰქონდეთ იმ ბანკებში თავისდროული მაკორექტირებელი ზომების გასატარებლად, რომლებიც არ იცავენ დადგენილ პრუდენციულ მოთხოვნებს, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, რომცა ბანკები არღვევენ საბანკო რეგულირების წესებს ან საფრთხე ექმნება მეანაბრეთა ინტერესებს.

A. მაკორექტირებელი ღონისძიებები.

იმ შემთხვევაში, თუ გამოვლენილი პრობლემა შედარებით პატარაა, მაშინ ზედამხედველი ორგანო შეიძლება შემოიფარგლოს არაოფიციალური ჩარევით (მაგალითად ბანკის ხელმძღვანელობასთან უბრალო, ზეპირი ან წერილობითი, კონტაქტით). სხვა შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ოფიციალური მოქმედებები. ასეთ მაკორექტირებელ ღონისძიებებს მაშინ აქვთ წარმატების მეტი შანსი, როდესაც ისინი თვითონ ბანკის მიერ შემუშავებული ფინანსური გაჯანსაღების კომპლექსური პროგრამის ნაწილია. თუ არ ხერხდება ბანკის ხელმძღვანელობასთან თანხმობის მიღწევა, ამან არ უნდა შეაფერხოს ზედამხედველი ორგანო, რომ მან აუცილებელი მაკორექტირებელი მოქმედებები მოსთხოვოს ბანკს.

ზედამხედველ ორგანოს უნდა ჰქონდეს ბანკის არამარტო მიმდინარე საქმიანობის შეზღუდვის, არამედ მის მიერ ახალი სახის ოპერაციების ჩატარებისა და კაპიტალდაბანდებებისათვის ხელის შეშლის უფლებამოსილება. მას უნდა ჰქონდეს, აგრეთვე, დივიდენდების ან სხვა შემოსავლების გაცემის შეზღუდვის ან შეჩერების, აქტივების გადაგზავნის და ბანკის მიერ თავისი საკუთარი აქციების შესყიდვის შეზღუდვის უფლება. ზედამხედველ ორგანოს უნდა გააჩნდეს მმართველური პრობლემის მოგვარების ეფექტიანი საშუალებები, მათ შორის ბანკების მფლობელების, დირექტორებისა და მენეჯერების შეცვლის გაკონტროლების, მათი უფლებამოსილების შეზღუდვის, აუცილებლობის შემთხვევაში კი – ცალკეული პირებისთვის საბანკო საქმიანობაში მონაწილეობის აკრძალვის უფლება. უკიდურეს შემთხვევებში ზედამხედველ ორგანოს შეუძლია ბანკში გარე მმართველობის შემოღება.

საყურადღებოა, რომ ასეთ ღონისძიებებს ბანკის საბჭოს მეშვეობით უნდა ახორციელებდნენ.

განყოფილება VI. საერთაშორისო საბანკო ოპერაციები

A. ბანკის ადგილსამყოფელი ქვეყნის ზედამხედველობის ორგანოების მოვალეობები

პრინციპი 23. ზედამხედველი ორგანოები უნდა ახორციელებდნენ ზედამხედველობას კონსოლიდირებულ საფუძველზე, ადეკვატურ მონიტორინგს და პრუდენციულ ზომებს მიმართავდნენ იმ საბანკო ოპერაციების ყველა ასპექტის მიმართ, რომლებსაც მათი ქვეყნის ბანკები საერთაშორისო მასშტაბით ატარებენ, უპირველეს ყოვლისა, ფილიალების, ერთობლივი საწარმოებისა და შვილობილი განყოფილებების მეშვეობით.

პრინციპი 24. კონსოლიდირებულ საფუძველზე ზედამხედველობის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია კონტაქტების დამყარება და ინფორმაციის გაცვლა ზედამხედველობის საქმეში მონაწილე სხვა ორგანოებთან, პირველ რიგში – მიმღები ქვეყნის ზედამხედველობის ორგანოებთან.

B. მიმღები ქვეყნის ზედამხედველობის ორგანოების მოვალეობები

პრინციპი 25. ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა მოითხოვონ, რომ მათ ქვეყანაში მიმდინარე საზღვარგარეთული ბანკების ოპერაციები იმავე მაღალ სტანდარტებს შეესაბამებოდეს,

როგორც ეს ეროვნული ბანკებისთვისაა დაწესებული. მათ უნდა ჰქონდეთ ამ ბანკების შესახებ სათანადო ინფორმაციის გაცვლის უფლებამოსილება სათაო ბანკების ადგილმდებარეობის ქვეყნის ზედამხედველობის ორგანოებთან. ესაუცილებელია ბანკებზე ზედამხედველობისათვის კონსოლიდირებულ საფუძველზე.

6.6. ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობის საზღვარგარეთული გამოცდილებიდან

მოკლედ განვიხილოთ, თუ როგორ წარმოებს დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში საბანკო საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებზე ზედამხედველობა. ბანკის ხელმძღვანელობის ან მის მიერ გასატარებელი პოლიტიკის მოულოდნელი შეცვლის, ასევე დამნაშავე ელემენტების ან შელახული რეპუტაციის პირთა ხელში მისი გადასვლის თავიდან აცილების მიზნით საზედამხედველო ორგანოებს მინიჭებული აქვთ ამგვარ ცვლილებებზე ვეტოს უფლება. ჩვეულებისამებრ, აუცილებელია ზედამხედველობის ორგანოებისათვის წინასწარი შეტყობინება ან ბანკების კონტროლის, საკუთრების და მართვის სფეროში სავარაუდო ცვლილებების დამტკიცება უმაღლესი ხელმძღვანელი რგოლის ან აუდიტორთა დანიშვნის ჩათვლით. ასე, მაგალითად, გერმანიაში, ბანკები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ საკრედიტო ორგანიზაციებზე ზედამხედველობის ფედერალურ უწყებას შემდეგი ცვლილებების შესახებ:

- საკადრო და ორგანიზაციული (მმართველთა, სამეთვალყურეო და დირექტორთა, საბჭოების წევრთა დანიშვნა-განთავისუფლება, ბანკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, მისი სახელწოდებისა და დაფუძნების ხელშეკრულების შეცვლა, ფილიალის ან წარმომადგენლობის გახსნა ან დახურვა, საფინანსო ან სხვა ჯგუფში შესვლის გადაწყვეტილება);
- ეკონომიკური ცვლილებების შესახებ (წილის შესყიდვა სხვა დაწესებულებაში, რაც მისი კაპიტალის 5%-ზე მეტს შეადგენს, ბანკის საკუთარი კაპიტალის 25%-ზე მეტი ოდენობის ზარალი, ოპერაციათა შეწყვეტა, საბანკო საქმიანობასთან დაუკავშირებელი საქმიანობის დაწყება ან შეწყვეტა, ბანკის მმართველთა სახელზე სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში მონაწილეობის უფლების შეძენა ან მონაწილეობის წილის შეცვლა).

ბანკების ფილიალების და განყოფილებების შექმნაზე კონტროლი სუსტი ბანკების გაფართოების ერთგვარი აღმკვეთი საშუალებაა. გარდა ამისა, ბანკების საზღვარგარეთული ფილიალების საქმიანობაზე კონტროლი შესაძლებელს ხდის არ დაუშვას საზღვარგარეთ თანხის გაღინება და ზღუდავს ბანკების შესაძლებლობებს გეერდი აუარონ სავალუტო ოპერაციების გატარების დადგენილ წესს. მაგალითად, იტალიაში, მიუხედავად იმისა, რომ ახალი ფილიალების გასახსნელად აუცილებელი არაა იტალიისცენტრალური ბანკის წინასწარი თანხმობა, საზედამხედველო ორგანოებს შეუძლიათ არ დაუშვან საკრედიტო ორგანიზაციების ფილიალთა ქსელის გაფართოება, თუკი, მათი აზრით, ბანკს არ გააჩნია აუცილებელი რესურსები და შესაბამისი კადრები. ნიდერლანდებში ბანკის შექმნაზე ლიცენზიის გაცემა ნიშნავს ნებართვასაც ქვეყანაში ფილიალების გახსნაზე, მაგრამ საზღვარგარეთ ფილიალის ან შვილობილი ორგანიზაციის დაფუძნებისათვის აუცილებელია სპეციალური ნებართვა.

ზედამხედველობის მექანიზმების ცენტრალურ რგოლს ბევრ ქვეყანაში წარმოადგენს დოკუმენტალური (დისტანციური) ზედამხედველობა, რომლის ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ მუდმივი ან რეგულარული კონტროლის გზით გამოააშკარაოს ბანკის პრობლემები მათი წარმოშობის ადრეულ სტადიაზე. გადაუჭრელ საკითხთა გამწვავებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი გადახდისუუნარობა და ბანკროტობა. ბანკი ვეღარ მიიღებს ზომებს გამოვლენილ ნეგატიურ მოვლენათა და ტენდენციათა დასაძლევად.

არსებობს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები, რომელთა დაცვა მოწოდებულია ობიექტურად ასახოს ბანკების საქმიანობა. ამასთან, ბანკის მდგომარეობის

შესახებ პირველადი ინფორმაციის მიღების პროცესს ყოველ ქვეყანაში გააჩნია თავისებურებები.

მაგალითად, ინგლისში საზედამხედველო ორგანოები ბანკებიდან იღებენ წლიურ ბალანსებს, აუდიტორების მიერ დამოწმების გარეშე. ასევე ანგარიშებს ცალკეული ოპერაციების შესახებ მათი დასრულებისთანავე. გერმანიაში მიმდინარე კონტროლი წარმოებს გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობის, სარისკო აქტივების, ინსაიდერთა კრედიტების და ა.შ. შესახებ ბანკების ყოველთვიურ ანგარიშების საფუძველზე. წლის შედეგებით ხდება წლიური ბალანსისა და მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშის შედგენა. გარდა ამისა, საკრედიტო ორგანიზაციებზე ზედამხედველობის ფედერალურმა უწყებამ შეიძლება გამოითხოვოს ბანკიდან ნებისმიერი ინფორმაცია, საბუღალტრო წიგნებისა და დოკუმენტაციის ჩათვლით. იტალიაში ბანკები საზედამხედველო ორგანოებში გზავნიან ყოველთვიურად შემცირებულ ბალანსს, ყოველკვარტალურად - ანგარიშს დეპოზიტებისა და კრედიტების შესახებ, წელიწადში ერთჯერ წლიურ ბალანსს და მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშს. ნიდერლანდებში ბანკები ყოველთვიურ ანგარიშს ადგენენ მათი გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობის, ქვეყნების მიხედვით დავალიანების, გახსნილი სავალუტო პოზიციის, გადავადებული კრედიტების და სარეზერვო ანარიცხების შესახებ. საზედამხედველო ორგანოები ღებულობენ გარე აუდიტორების მიერ შემოწმებული ბანკების გამოქვეყნებულ ანგარიშებს. საფრანგეთში გარე აუდიტორების მიერ დაუმოწმებელ ბანკის ანგარიშების წარდგენა ხდება დისკეტებით, კვარტალში ერთჯერ. ძირითადი ანგარიშგება ხდება ნახევარ წელიწადში ერთჯერ (ბალანსი, ანგარიში მოგება-ზარალის შესახებ, გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი და ა.შ.). შეკეცილი ბალანსები იგზავნება ყოველთვიურად, რეგულარულად გაიცემა ცნობები მსხვილი კრედიტების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში ანგარიშგების მონაცემები იესება ანკეტური მონაცემებით (მაგალითად, საეჭვო კრედიტების საერთო ჯამის, შექმნილი სარეზერვო ფონდების შესახებ). აშშ-ში ბანკები ყოველკვარტალურად ადგენენ სრულ ინფორმაციას თავიანთი ფინანსური მდგომარეობისა და შემოსავლების შესახებ.

დაწვრილებით შევჩერდეთ საფრანგეთის გამოცდილებაზე. ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობის მთავარი ამოცანა აქ მდგომარეობს სისტემური საბანკო კრიზისის აღკვეთაში. მოქმედებს კონტროლის გაშლილი სისტემა, რომლის ძირითადი პრინციპებია:

- ორმაგი ზედამხედველობა ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროსა (სახაზინო მმართველობიდან) და საფრანგეთის ცენტრალურ ბანკის მხრიდან;
- კონტროლის კონკრეტული მიმართულებების, წესებისა და ფუნქციების შემუშავება ოთხი ორგანოს მიერ: 1) ეროვნული საკრედიტო კავშირის; 2) საბანკო რეგულირების კომიტეტის; 3) საკრედიტო დაწესებულებათა კომიტეტის; 4) საბანკო კომისიის მიერ.
- ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების სავალდებულო მონაწილეობა პროფესიულ გაერთიანებებში - საფრანგეთის ბანკების ასოციაციაში, საფრანგეთის საფინანსო საზოგადოებათა ასოციაციაში, სპეციალიზირებული საფინანსო ინსტიტუტების გაერთიანებაში და სხვ., რომელთა ცენტრალური ორგანოები შუამავლების როლში გამოდიან საზედამხედველო ორგანოებსა და საკრედიტო ორგანიზაციებს შორის.

საფრანგეთის ბანკების საქმიანობაზე გარედან კონტროლის ძირითადი მიმართულებები შემდეგია:

- ბანკის საქმიანობისათვის წინასწარი ნებართვის გაცემა;
- მუდმივი ზედამხედველობა საბანკო კომისიის მხრიდან;
- ყოველი ბანკის ვალდებულება ჰყავდეს უკიდურეს შემთხვევაში ერთი რევიზორი მაინც.
- კაპიტალის, ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის, რისკების განაწილებისა და შეზღუდვის და ა.შ. მინიმალური ოდენობის ნორმატივების დაცვის აუცილებლობა;
- საგადასახადო ორგანოების ინფორმირება გადასახადების გადახდის, კლიენტთა ანგარიშების გახსნისა და დახურვის შესახებ; სამაჟო ორგანოების ინფორმირება სავალუტო ოპერაციების შესახებ.

ბანკების საქმიანობის რეგულირების ძირითადი მიზნებია:

- კონკურენციის პირობების ჰარმონიზაცია;
- საკრედიტო ორგანიზაციების მოდერნიზაცია და შეცვლილი პირობებისადმი რეგულირების წესების დროული ადაპტაცია;
- ბანკების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კლიენტებთან ურთიერთობის გაუმჯობესება, მ.შ. მათი ინტერესების დაცვა.

ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ორგანოდან ყოველი მათგანი ასრულებს 1984 წ. ბანკების შესახებ კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს.

ნაციონალური საკრედიტო საბჭო შედგება 51 წევრისაგან (4-ს წარმოადგენს სახელმწიფო მოხელეს, 8 — ირჩევა, 10 — ეკონომიკის დარგებს წარმოადგენს, 10 — პროფკავშირს, 13 — საკრედიტო ორგანიზაციებს, 6 — პერსონალურად მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტია). საბჭო ასრულებს საკონსულტაციო ფუნქციებს ფულადი და საგალუტო პოლიტიკის შემუშავებისას, ნაციონალური საფინანსო სისტემის ფუნქციონირების ძირითადი პირობების განსაზღვრისას; მონაწილეობს საკრედიტო-საფინანსო სფეროზე კანონპროექტების შემუშავებაში.

საბანკო რეგულირების კომიტეტს მეთაურობს ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი. მისი მოადგილეა საფრანგეთის ბანკის მმართველი. კომიტეტის შემადგენლობაში შედის საფრანგეთის ბანკებისა და პროფკავშირების ასოციაციის თითო წარმომადგენელი და ორი პერსონალურად მოწვეული სპეციალისტი. კომიტეტი ადგენს ბანკების საქმიანობის წესებსა და ნორმებს შემდეგ სფეროებში: ბანკის საწესდებო კაპიტალის ოდენობა და სტრუქტურა; საბანკო განყოფილებების და წარმომადგენლობების შექმნის წესები; სხვა ბანკების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალში მონაწილეობის პირობები; კონკურენციისა და კლიენტთა მომსახურების პირობები და წესები; მართვის წესები და სტანდარტები; აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები; კრედიტების გაცემის ინსტრუმენტები და წესები. კომიტეტის გადაწყვეტილებები ფორმდება ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროს დადგენილებების (განკარგულებების) სახით.

საკრედიტო დაწესებულებათა კომიტეტში შედის ექსი წევრი და მას მეთაურობს საფრანგეთის ბანკის მმართველი. მასში შედის ხაზინის დირექტორი და საბანკო სამფაროს ოთხი წარმომადგენელი. კომიტეტი გასცემს ნებართვას ბანკის შექმნაზე ან მისი სტრუქტურის შეცვლაზე, საბანკო ოპერაციების წარმოებაზე, ასევე იღებს გადაწყვეტილებებს საბანკო კანონმდებლობის გამოყენების ცალკეულ საკითხებზე.

ბანკების შექმნის შესახებ განაცხადების განხილვისას კომიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით: არ წაახალისოს ისეთი საკრედიტო ორგანიზაციების შექმნა, რომელთა კაპიტალი ერთი ფიზიკური პირის ხელშია; ჩაითვალოს, რომ საკონტროლო პაკეტის მფლობელ ერთ ან რამდენიმე აქციონერს უნდა გააჩნდეს გამოცდილება საფინანსო ან საბანკო საქმიანობის დარგში; ყურადღებით მოეპყრან სააქციო საზოგადოების სტრუქტურას, რათა არ დაუშვან აქციათა ზედმეტი გაბნევა ან ორ აქციონერს შორის წილის თანაბრად განაწილება; მკაცრად გააკონტროლოს საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობა, რომელთა მონაწილეები არიან არასაბანკო ინსტიტუტები (ამ უკანასკნელთ, თუ მათ გააჩნიათ საკონტროლო პაკეტი, მოეთხოვებათ ბანკის კაპიტალში მათი მონაწილეობის გრძელვადიანი ხასიათის დამადასტურებელი წერილი).

საბანკო საქმიანობაზე ნებართვა კომიტეტის მიერ გაიცემა შემდეგი პირობით: საკრედიტო ორგანიზაციათა უმრავლესობას უნდა გააჩნდეს კაპიტალი, არანაკლებ 35 მლნ. ფრანკისა; ზოგიერთი საფინანსო კომპანიისა და მუნიციპალური კრედიტის სალაროსათვის დაშვებულია კაპიტალი 15 და 7,5 მლნ. ფრანკის ოდენობით; საბანკო საქმიანობა მოიცავს ოპერაციათა ტექნიკურ და საფინანსო საშუალებების ჩამონათვალს, ასევე ბანკის ძირითად მონაწილეთა და ხელმძღვანელთა თვისებრივ მახასიათებლებს.

საბანკო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს საფრანგეთის ბანკის მმართველი, შედგება ხაზინის დირექტორის, სახელმწიფო საბჭოს წევრის, საკასაციო სასამართლოს წევრისა და ორი

სპეციალურად მოწვეული სპეციალისტისაგან. საბანკო კომისია ბანკების საქმიანობის ყოველდღიური კონტროლის განმახორციელებელი მთავარი ორგანოა, რომელიც „საბროკერო“ ფუნქციებს ასრულებს, თვალყურს ადევნებს სამართლებრივი ნორმების დაცვას; სწავლობს საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის პირობებს და ფინანსურ მდგომარეობას, მათი მომსახურების ხარისხს; რეგულარულად იღებს ანგარიშებს ბანკებიდან, რომელთა საფუძველზე ნიშნავს ინსპექციებს და შეხვედრებს ბანკების ხელმძღვანელებთან. შემოწმების შედეგებით საბანკო კომისია აფასებს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას, აძლევს რეკომენდაციებს ბანკის რისკების მართვის ხარისხის ასამაღლებლად. თუ საბანკო კომისია ჩათვლის ბანკის მდგომარეობას არადამაკმაყოფილებლად, შეიძლება დაინიშნოს „ლიკვიდატორი“ ბანკის ვალაუვალობის (ბანკროტობის) შესახებ სასამართლო პროცედურის დაწყებამდე.

საბანკო კომისია დამოუკიდებელი ინსტიტუტია, რომელიც იმყოფება სახელმწიფო სამსახურში და არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, მაგრამ გააჩნია განსაზღვრული იურიდიული უფლებამოსილებანი. საბანკო კომისიის შემადგენლობაში ფუნქციონირებს გენერალური სამდივნო, რომელიც ამზადებს დოკუმენტებს გადაწყვეტილებების და დირექტივების მისაღებად. კანონმა საბანკო კომისიას მიანიჭა ადმინისტრაციული და იურიდიული უფლებამოსილებანი. თავისი ადმინისტრაციული უფლებამოსილებების ფარგლებში საბანკო კომისიას შეუძლია: მოითხოვოს ბანკის ხელმძღვანელებისაგან „საქმიანი ეთიკის“ წესების დაცვა; გაუგზავნოს ბანკის ხელმძღვანელობას განაწესი აუცილებელი ზომების მისაღებად; დაიწყოს „დისციპლინარული პროცედურა“ ბანკების ხელმძღვანელებთან მიმართებაში (ამ შემთხვევაში საბანკო კომისიას შეუძლია გამოიყენოს თავისი იურიდიული უფლებამოსილებანი). თავისი იურიდიული უფლებამოსილებების ფარგლებში საბანკო კომისიას შეუძლია დამრღვევების მიმართ გაატაროს შემდეგი სანქციები: გაფრთხილება და გაკიცხვა; ზოგიერთი ოპერაციების აკრძალვა ან შეზღუდვა; ბანკის ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელის დროებითი ჩამოცილება ან გასაჩივრება; ლიცენზიის ჩამორთმევა; ფულადი ჯარიმები. რომელთა ოდენობა შეიძლება აღწევდეს ბანკის მინიმალური კაპიტალის ჯამს.

საბანკო კომისია ასრულებს მაკონტროლებელ ფუნქციებს შემდეგი ფორმებით: 1. ბანკის საქმიანობაზე ინდივიდუალური კონტროლით მათ მიერ საბანკო კომისიის სამდივნოში წარდგენილი დოკუმენტების (ანგარიშების) საფუძველზე; 2. ადგილებზე შემოწმების ჩატარებით; 3. ქვეყნის საფინანსო სექტორში არსებულ სიტუაციაზე საერთო კონტროლით, მისი რენტაბელობის ანალიზით და რეგულირების დარგში ცვლილებებზე ადაპტირების უნარით. შესაბამისი მიმოხილვები ქვეყნდება ყოველწლიურად. ამასთან, საბანკო კომისია იცავს ფუნდამენტურ პრინციპებს: ა) საკრედიტო ორგანიზაციის შიგა მართვაში ჩაურევლობას; ბ) ბანკის საქმიანობის შედეგებით კონტროლს. მოკლედ, უკანასკნელ წლებში საბანკო კომისიის სტატუსსა და ფუნქციებზე წარმოებს დებატები.

ბანკებზე ზედამხედველობა: პრინციპები, ტექნოლოგიები, პრობლემები. მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება დასახელდეს საბანკო ზედამხედველობის შემდეგი პრინციპები:

1. **უნივერსალობა და სავალდებულობა.** ზედამხედველობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს ქვეყნის ტერიტორიაზე მომუშავე ყველა საკრედიტო ორგანიზაცია გამონაკლისის გარეშე, თანაც ზედამხედველობაზე თანხმობა და საზედამხედველო ორგანოთა მოთხოვნების შესრულება უნდა იყოს აუცილებელი პირობა არა მხოლოდ საბანკო ლიცენზიის მისაღებად, არამედ საბანკო ოპერაციების შესასრულებლად. ზოგიერთი ქვეყნის ბანკი არ გასცემს ლიცენზიას და არ უწევს ზედამხედველობას არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებს.

2. **ცენტრალური ბანკებისათვის (და/ან სხვა ორგანოებისათვის) კანონმდებლობით საზედამხედველო ფუნქციების მინიჭება ყველა ბანკისათვის (საკრედიტო ორგანიზაციისათვის) სავალდებულო შესაბამისი ნორმატიული აქტების გამოცემის უფლებით.**

3. ზედამხედველობის ორგანოების მოთხოვნათა ერთობლიობა. საქმიანობის (ოპერაციების) განმახორციელებელ ყველა საკრედიტო ორგანიზაციისადმი წაყენებული უნდა იქნეს ერთნაირი მოთხოვნები. აქ კი, სადაც მოთხოვნები შეიძლება და/ან დიფერენცირებულია, გამოყენებული უნდა იქნეს დიფერენციაციის გამოკვეთილი და სტაბილური წესები.

4. ზედამხედველობის ორგანოების კანონიერი მოთხოვნების სავალდებულობა.

5. რაოდენობრივი და ხარისხობრივი კონტროლის ერთიანობა. აუცილებელია თვალყურის დევნება არა მხოლოდ საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ამა თუ იმ წესის, ნორმატივის, მოთხოვნის, მითითების ფორმალურ დაცვაზე, არამედ მათი განვითარების ხარისხობრივ (ეკონომიკურ და ფინანსურ) მახასიათებლებზე, რაც მოითხოვს კარგ მონიტორინგს (კონკრეტული საკრედიტო ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობის მაჩვენებლების დინამიკაზე კონტროლი) და არანაკლებ ხარისხიან ინდივიდუალურ ანალიტიკურ მუშაობას.

6. პრევენციული და შემდგომი კონტროლის შერწყმა. პრევენციული კონტროლი უნდა გავიგოთ როგორც წინასწარი (ჯერ კიდევ ბანკის შექმნის სტადიაზე) და როგორც პროფილაქტიკური („შორსმჭვრეტელური"), რომლებიც ხელს უშლიან ფუნქციონირებადი ბანკების საქმიანობაში ნეგატიური მოვლენებისა და ტენდენციების წარმოშობასა და დაგროვებას.

ამასთან, კარგად უნდა გვესმოდეს ისიც, რომ თუ ზედამხედველობა აკლენს მნიშვნელოვან პრობლემებს მისი განვითარების ადრეულ სტადიაზე – როცა „ჯერაც არაფერი მომხდარა", მაშინ შესაბამისი ბანკისადმი ზემოქმედების მარეგულირებელი ზომების მიღების საფუძვლად შეიძლება ვაღიაროთ თავად სარისკო საქმიანობა და არა მხოლოდ ბალანსის სტრუქტურის ფორმალური თანაფარდობის ფაქტობრივად შემდგარი დარღვევა, რომელიც, საბოლოოდ, ასახვას პოვებს საბანკო საქმიანობის სავალდებულო ნორმატივებში. ამისთვის მზად უნდა ვიყოთ, მ.შ. ფსიქოლოგიურადაც, როგორც საზედამხედველო ორგანოების, ასევე ბანკების მუშაკებიც.

7. ზედამხედველობის დისტანციური (დოკუმენტარული) და „საკონტაქტო" (ადგილებზე შემოწმების) ხერხების შერწყმა. ზედამხედველობა მხოლოდ დოკუმენტალური შემოწმებების ფორმით (დოკუმენტების დისტანციური ანალიზი) სრულად არ ამართლებს.

8. კონტროლის პროფესიონალიზმი. ზედამხედველობის ეფექტური წარმოებისათვის კარგად უნდა გავიგოთ ბანკების ბიზნესის ხასიათი, თავისუფლად ერკვეოდეთ მის ტენდენციებში და ამის საფუძველზე გაანალიზდეს ბანკის მიერ გასატარებელი ოპერაციები.

9. კონტროლის ადეკვატურობა. ოპერაციათა მცირე რაოდენობის პატარა ბანკები ობიექტურად მოითხოვენ მხოლოდ ტექნოლოგიურ ზედამხედველობას, მაშინ როცა მსხვილი და საშუალო ბანკები მოითხოვენ სილრმისეულ ანალიზს.

10. ზედამხედველობის კონსტრუქციული ხასიათი. საზედამხედველო ორგანოების მთავარი ამოცანაა ბანკის შრომისუნარიანობის შენარჩუნების ხელშეწყობა, შესაძლო სიძნელეთა მიზეზების ადრეული გამოვლენა და მისი დაძლევისათვის დახმარების აღმოჩენა. ცენტრალური ბანკი არ უნდა გამოდიოდეს ზედამხედველის როლში.

ამ გაგებით საზედამხედველო ორგანოებმა „საპროკურორო" ფუნქციებთან ერთად (მცირეოდენი დარღვევა და – მაშინათვე მკაცრი გაფრთხილება, ჯარიმა ან ჯარიმით დაშინება) თავის თავზე უნდა აიღონ მეთოდოლოგიური და მეთოდური საბანკო სისტემის განვითარების საკონსულტაციო ცენტრების ფუნქციები. ყოველი შემთხვევისათვის, ბანკები ობიექტურად დაინტერესებული არიან ცენტრალური ბანკის მხრიდან მეთოდური დახმარებით (ამასთან, შეიძლება წარმოიშვას ისეთი პრობლემები, როგორიცაა ცენტრალური ბანკის თანამშრომელთა სამუშაო დატვირთვის დონე, კონსულტირების პროცედურები და, შესაძლოა, ასეთი მომსახურების ანაზღაურება).

11. კონტროლის კონსოლიდირებული ხასიათი. ბანკზე კონტროლი უნდა წარმოებდეს ყველა მისი ქვედანაყოფის, შვილობილი და დამოუკიდებელი ორგანიზაციის (ფილიალის, განყოფილების) ოპერაციათა აღრიცხვის საფუძველზე.

12. სახელმწიფო, დამოუკიდებელი აუდიტორული (საგარეო), საზოგადოებრივი და შიგა კონტროლის შერწყმა.

13. მონაცემთა საიმედოობა და სრული პასუხისმგებლობა მის ხარისხსა და კონფიდენციალობაზე. ბანკები, რომლებიც თავისი რეალური ფინანსური მდგომარეობის კამუფლირებისათვის ნებისმიერ დარღვევაზე მიდიოდნენ, კრიზისის შედეგად პირველები კოტრდებოდნენ. იქ, სადაც რისკების მართვა და ზედამხედველობა დაფუძნებულია არასწორ საწყის ინფორმაციაზე. პრობლემები ილექება, მრავლდება, რამდენადაც კრიზისის გაელენას ავსებს არასწორად გაგებული და ამის გამო გადაუჭრელი პრობლემები.

14. გამჭვირვალობა. ფართო საზოგადოებრიობისათვის ზედამხედველობა ითვალისწინებს ორი მთავარი ინსტრუმენტის გამოყენებას ბანკებიდან საანგარიშგებო დოკუმენტაციის მიღება და მისი დისტანციური ანალიზი; ბანკების შემოწმების ადგილებზე ისინი განხილული უნდა იქნეს ცალკე.

ჩვენს ქეყანაში ბანკების საქმიანობაზე დოკუმენტარული ზედამხედველობა უკანასკნელ წლებში გარკვეულწილად განვითარდა. ამასთანავე, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ბანკის ხელმძღვანელობას იმ ნაწილში, რომ ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი ზედამხედველობის დარგში არსებული ნაკლოვანებები იყო.

ამგვარ ნაკლოვანებებში ძირეული იყო (და რჩება კიდეც) ცენტრალური ბანკის მხრიდან ზედამხედველობის ფორმალური ხასიათი, როცა მთავარი იყო ანგარიშგების დროული მიღება-ჩაბარება. საქმისათვის უფრო მნიშვნელოვანია მეორე მხარე, სახელდობრ კი ის, რომ ბანკმა, მაგალითად, გასწია მისი ფინანსური მდგომარეობის არაადეკვატური რისკი, არაერის არ აინტერესებს; კეთდებოდა სალაროს კვანძების, გაცვლის პუნქტების ძირეული შემოწმებები, თუმცა ბანკის მდგომარეობის რეალური შეფასება უფრო მნიშვნელოვანია. ნორმატიეების შეფასება დაიყვანებოდა სავალდებულო რეზერვების ჩამონათვალის სისრულის შემოწმებამდე, მაშინ როცა უფრო მნიშვნელოვანია ბანკების ანგარიშების შემოწმება პრუდენციალური ნორმატიეების გამოთვლის სისწორისა და საიმედოობის თვალსაზრისით.

ერთი სიტყვით, საზედამხედველო ორგანოები წმინდა ფორმალური, რიტუალური მოქმედებებიდან უნდა გადავიდნენ მთლიანობაში, ბანკის ფინანსური მდგომარეობის და მისი რისკების რეალურ შეფასებაზე, მ.შ. ადგილებზე დოკუმენტალური ზედამხედველობის და შემოწმებების საფუძველზე. მხედველობაში გვაქვს ფორმალური მოთხოვნების დაცვიდან გონივრული განსჯის პრინციპზე გადასვლა. ეს უკიდურესად რთული პროცესია და იგი მტკივნეულად წარიმართება, თუმცა გონიერული ალტერნატივა მას არ გააჩნია.

აუცილებელია უარის თქმა დასაელური ნიმუშებიდან გადმოღებული სავალდებულო ნორმატიეების სრულ და ადეკვატურ ინფორმაციულობაზე. დაუშვებელია მათი ბრმად მინდობა. სინამდვილეში გამოდის, რომ საერთო სიტუაციის მორიგი გამწვავებისას, ბანკების საიმედო და შემოსავლიანი აქტივები მაშინათვე იქცევიან „არალიკვიდურ" აქტივებად. ამ გაგებით, ძნელია ჩვენს ქეყანაში რეგულირების მათემატიკური მოდელების აგება. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ყოველი ბანკი ჩვენთან არსებითად ინდივიდუალურია. დასაელეთში მიღებული გაშუალებული რისკების სტატისტიკური პაკეტები, ჰეჯირების სხვადასხვაგვარი მექანიზმები და სხვა ზომები აქ ძნელად რეალიზებადია. დასაელეთის ქეყნებში ბანკების უმრავლესობის კაპიტალიზაციის, სახელმწიფოებრივი გარანტიების სხვა დონეა, ათეული წლების მანძილზე გაშალაშინებული სამართლებრივი მექანიზმია. ჩვენთან, ამის სანაცვლოდ, არსებობს მხოლოდ რისკები, ამასთანავე მათი ხასიათი მუდმივად იცვლება, ამ პირობებში, კონკრეტულ ბანკში სიტუაციის რეალურად შედარება შეიძლება მხოლოდ ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე.

აი, რატომ დგას ასე მწვავედ ზედამხედველობის მეთოდიკის სრულყოფის პრობლემა. უკანასკნელ დროს ზოგიერთ ქეყნის ბანკებში შემოიღეს კონსოლიდირებული ანგარიშგება, გამოიცა

სხვა აუცილებელი ნორმატიული დოკუმენტები. მაგრამ დღემდე სათანადო დონეზე არაა გადაწყვეტილი ზედამხედველობისათვის უმთავრესი მეთოდური პრობლემა – როგორც საზედამხედველო ორგანოების, ასევე თავად ბანკების მიერ საბანკო საქმიანობის რისკების (საბაზრო, საპროცენტო, არალიკვიდურობის და სხვა სახეობების) ადეკვატური შეფასების საკითხი, რომლის გარეშე(ც) შეუძლებელია რისკების კონტროლის საიმედო მექანიზმის შექმნა.

ზედამხედველობის მიზნებისათვის ცენტრალური ბანკი მოითხოვს ვებერთელა ანგარიშგების წარდგენას, რომლისა მნიშვნელოვანი ნაწილი, საერთოდ, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზედამხედველო ქვედანაყოფების მიერ. ამასთან, ანგარიშგების შედგენა ბანკებს ძვირი უჯდებათ. ამასთანავე, როგორც მაჩვენებლები, ასევე ანგარიშგების მოცულობა არასტაბილურია, მათში მუდმივად შედის ცვლილებები, ხშირად უკანა რიცხვითაც.

ამრიგად, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, ზედამხედველობის მიზნით გამოყენებული ეკონომიკური ნორმატივების ჩამონათვალის გადახედვა (მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, ის, რომ სხვადასხვა ქვეყნებისათვის ბანკების ეს ჩამონათვალი შეიძლება სხვადასხვა იყოს); მეორე, დაზუსტდეს მითითებული ნორმატივების მნიშვნელობა, მ.შ. მათი დიფერენციაციის გზით.

6.7. ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების სამართლებრივი რეგულირებისა და ზედამხედველობის ღონისძიებათა სისტემა 2000-2002 წლებში

2001 წელს განხორციელდა შრომატევადი სამუშაოები საბანკო სფეროში ახალი სამართლებრივი ბაზის შექმნისა და საბანკო კანონმდებლობის სრულყოფის მიმართულებით.

ამ მიზნით სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ იქნა „საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანულ კანონში", „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონში", „სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონში" და „ცეცხლსასროლი იარაღის კანონში" შესატანი ცვლილებებისა და დამატებების კანონპროექტები, რომლებიც პარლამენტმა დაამტკიცა 2000 წლის 23 ოქტომბერს. ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, უმოკლეს ვადაში მომზადებულ იქნა აგრეთვე კანონპროექტი „საკრედიტო კავშირების შესახებ", რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომაზე განხილვის შემდეგ, 2001 წლის 31 დეკემბერს წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

ცვლილებებისა და დამატებების შემუშავების საჭიროება განაპირობა განვლილ პერიოდში საბანკო კანონმდებლობაში გამოვლენილმა ნაკლოვანებებმა, აგრეთვე მისი სხვა კანონებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საერთაშორისო საბანკო პრაქტიკასთან დაახლოების აუცილებლობამ. ამას გარდა, კანონის მუხლების სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციის გამოსარიცხად საჭირო იყო ტერმინთა განმარტებების დაზუსტება.

საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანულ კანონში შევიდა ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უფრო მკაფიოდ გამოხატავენ საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოსა და სავალუტო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში. მნიშვნელოვნად დაიხვეწა ეროვნული ბანკის წმინდა მოგების გამოანგარიშებისა და განაწილების პროცედურები, დაკონკრეტდა ეროვნული ბანკის საქმიანობა ფულის ემისიის სფეროში. ცვლილებების შედეგად მეტი მოქნილობა და ოპერატიულობა მიენიჭა ეროვნული ბანკის საქმიანობას საბანკო და სავალუტო რეგულირების ნაწილში, უფრო დაცული გახდა ეროვნული ბანკის სახსრები არაკეთილსინდისიერი მსესხებლებისაგან. მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ ეროვნული ბანკის ზედამხედველობისა და რეგულირების სფეროში მოექცნენ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მიზნად ისახავდა საქართველოში საბანკო სისტემის დინამიური განვითარების ხელშეწყობას.

ამ წლის რიგი ცვლილებები შეეხო კომერციული ბანკების ლიცენზირების ნაწილს. დაიხვეწა კომერციული ბანკების აუდიტთან დაკავშირებული საკითხები, დაკონკრეტდა ბანკების მიმართ სანქციების გამოყენების საფუძველი, ასევე დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი. შეიცვალა მიდგომა კომერციული ბანკების ლიკვიდაციის მიმართ და მის საფუძველად საბანკო საქმიანობაზე ლიცენზიის გაუქმება იქცა ძირითადი. დაკონკრეტდა და მხოლოდ კომერციული ბანკებით შემოიფარგლა ამ კანონის რეგულირების ქვეშ მყოფი სუბიექტები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მხოლოდ 2001 წელს მომზადდა 54 მარეგლამენტირებელი დოკუმენტი, რომელთაგან 13 ნორმატიული დოკუმენტი რეგისტრირებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე ჩამოყალიბებული საბანკო კანონმდებლობა და მიღებული ნორმატიული აქტები ქვეყანაში საბანკო სისტემის სტაბილური განვითარების ერთერთი უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორია.

2002 წელს გრძელდებოდა მუშაობა საბანკო სფეროში ახალი საიმედო სამართლებრივი ბაზის ფორმირების, საბანკო კანონმდებლობის სრულყოფისა და მისი ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2001 წლის 3 დეკემბრის № 288 ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მომზადა და იმავე წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტს წარუდგინა „კონსპექტი საკრედიტო კავშირების შესახებ. საქართველოს პარლამენტის მიერ 2002 წლის 4 ივლისს „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ" საქართველოს კანონის მიღების შემდეგ შემუშავდა აღნიშნული დოკუმენტის კანონქვემდებარე 7 ნორმატიული აქტი.

სავალუტო ფონდის რეკომენდაციის შესაბამისად მომზადდა კანონპროექტი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ", კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც შეეხებოდა კომერციული ბანკების დირექტორთა შესაფერისობის კრიტერიუმებს. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2002 წლის 4 ივლისს. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 16 სექტემბრის № 234 ბრძანებით დამტკიცდა ზემოხსენებული ცვლილებების საფუძველზე მომზადებული დებულება „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ". აღნიშნული დებულებით გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომლებზეც უნდა გავრცელდეს შესაფერისობის კრიტერიუმები. კერძოდ, კომერციული ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრებს დაემატა ფილიალების დირექტორები, მთავარი ბუღალტრები და მათი მოადგილეები.

2002 წელს ეროვნული ბანკის საბჭოს 20 სექტემბრის № 49 დადგენილებით დამტკიცდა დებულება „სამანსიორო მონეტების მოჭრის, მათი მიმოქცევაში გაშვებისა და რეალიზაციის შესახებ". ამავე წელს შეტანილ იქნა ცვლილებები „საკრედიტო დაწესებულებებში სალაროს ოპერაციების წარმოების წესების შესახებ" ეროვნული ბანკის 1998 წლის 24 ივლისის № 66ა პრძანებით დამტკიცებულ დებულებაში. ეს ცვლილებები სხვა საკითხების დარეგულირებასთან ერთად ითვალისწინებს კომერციულ საბანკო სისტემაში ნაღდი ფულით უკანონო ოპერაციების განხორციელების აღბათობის შემცირების მიზნით სალაროს მიდა ოპერაციების წარმოებისას მკაცრი აღრიცხვის მექანიზმების დანერგვას, ნაღდი ფულადი ფასეულობის ინკასაციისა და ობიექტების დაცვის სრულყოფის და ა.შ. აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტის საფუძველზე დაიწყო ნაღდი ფულადი ფასეულობის გადაზიდვების ოპერაციებით დაკავებულ ინკასატორთა სწავლება ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული პროგრამისა და საგამოცდო ტესტების შესაბამისად, რაც ხელშემწყობ პირობებს შექმნის ფასეულობის გადაადგილების პროცესის უსაფრთხოების განმტკიცებისათვის.

ბოლო პერიოდში საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი პასუხისმგებელი მუშაკების მონაწილეო-

ბით მოემზადდა „საქართველოს საბაჟო საზღვარზე ფულის ნაშენების შემოტანა-გატანის წესების“ პროექტი, რომელიც ამჟამად განხილვის სტადიაშია როგორც ეროვნული ბანკის სათანადო სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ისე ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში.

გარდა ამისა, მომზადდა და იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში გატარდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შემდეგი ბრძანებები:

– „საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის დებულების დამტკიცების შესახებ“;

– „საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემაში ნაღდი ფულის მიღება-გაცემის რეჟიმის განსაზღვრისა და შესაბამის ანგარიშებზე დაუთვლელად ჩარიცხული ფულადი სახსრების კონტროლის მექანიზმის შემოღების შესახებ“;

– „საქართველოს ეროვნული ბანკის არასახელმწიფო საპენსიო სქემის წესების დამტკიცების შესახებ“;

– „მოვალის აქტივების აუქციონზე რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“;

– „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ“;

– „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ და სხვ.

აღნიშნული ნორმატიული აქტების პრაქტიკული გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყანაში საბანკო სისტემის სტაბილურობასა და მისდამი ნდობის განმტკიცებას.

6.8. ბანკებისა და საბანკო საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ქვეყანაზე სერიოზული ფაქტორი, რომელიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს კომერციული ბანკების მდგრადობაზე, არის ჩვენს ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზის განუვითარებლობა და მიღებული კანონების პრაქტიკულად ამოქმედების მექანიზმების არარსებობა. კერძოდ, ეს ეხება სავადასახადო კანონმდებლობას, გაკოტრების შესახებ კანონს, ანტიმონოპოლიურ და სხვა საკანონმდებლო აქტებს.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საფინანსო სფეროს რეგულირების ახალი ნორმატიული აქტების მიღების თვალსაზრისით. აღსანიშნავია ბანკების საქმიანობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი კანონები, როგორიცაა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მნიშვნელოვანი ცვლილებები ბანკების საქმიანობის მარეგულირებელ კანონებში (კანონი კომერციული ბანკების შესახებ, ეროვნული ბანკის შესახებ), ასევე ქვეყანაში საფინანსო ბაზრის განვითარების თვალსაზრისით მიღებული კანონები ფასიანი ქაღალდების ბაზრის, საფონდო ბირჟის შესახებ და სხვა.

მიუხედავად ამისა, ბანკების ეფექტურ ფუნქციონირებას ხელს უშლის ისეთი ნორმატიული აქტების არარსებობა, როგორიცაა იპოთეკის მარეგულირებელი კანონი. საბანკო საქმიანობაში იპოთეკის გამოყენებას კი ხელს უშლის უძრავ ქონებაზე უფლებების რეგისტრაციის კანონის არარსებობა, ძირის კანონმდებლობის არასრული მდგომარეობა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გარანტია ვერ უზრუნველყოფს გარანტიის მფლობელის უფლებებს, რადგან მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობით, გარანტიის მოქმედებამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფოს, საგადასახადო სამსახურისა და სხვა ორგანოების მოთხოვნები და მხოლოდ ამის შემდეგ გარანტიის მფლობელის მოთხოვნები, რაც, წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, ზღუდავს ამ დოკუმენტის მოქმედების სფეროს.

საკანონმდებლო აქტების ნაკლოვანებებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სხვადასხვა აქტში არსებული ურთიერთგამომრიცხავი დებულებებიც. ეს უმეტესწილად ეხება საგადასახადო კანონმდებლობას. გარდა ამისა, მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობაში განზოგადებუ-

ლი არ არის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც საგადასახადო სამსახურს საშუალებას აძლევს ეს გაურკვეველობა თავის სასარგებლოდ, გადასახადის გადამხდელის ინტერესების საზიანოდ გამოიყენოს.

სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების სამეურნეო სუბიექტების საიმედო ფუნქციონირებაზე არასრულყოფილი ზემოქმედების ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი ცვალებადობა, მაშინ, როდესაც მსოფლიო პრაქტიკაში საგადასახადო სისტემის სტაბილურობა მიჩნეულია საინვესტიციო აქტივობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად.

მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების პროექტები მიმართულია ისეთი საბანკო სისტემის შექმნისაკენ, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს ეკონომიკის ფინანსური მხარდაჭერა. აღნიშნული პროექტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ამ პროცესში ეროვნული ბანკის მარეგულირებელი როლის ზრდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტების განხორციელებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბანკო ჰოლდინგური კომპანიების, იპოთეკისა და საპოთეკო საქმიანობის. სამომხმარებლო კრედიტების, ბანკების გაკოტრების, საფინანსო კომპანიებისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფის შესახებ კანონების რეალობასთან კავშირში მიღება. გატარებული ღონისძიებები საბოლოო ჯამში, განაპირობებს მათი ამოქმედების მექანიზმების შეჭუშაებაში ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების არსებობის აღმოფხვრას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სისტემა თანამედროვე ეტაპზე ფაქტობრივად ჩამოყალიბების პროცესშია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დამუშაების პროცესში მყოფი საკანონმდებლო რეგულირების ბაზამ ორი მთავარი მიზანი უნდა დაისახოს: პირველი მოსახლეობის, ბანკის კლიენტურის გარანტიების სისტემის შექმნით ბანკებისადმი ნდობის აღდგენა და მეორე საბანკო სისტემის კონტროლის გაძლიერებით მისი მდგრადობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა.

ამ მიზნების მისაღწევად, ბანკების, მოსახლეობის, სახელმწიფო ინტერესებისა და, საერთოდ, მთელი ეკონომიკური ინტერესების სისტემაში ჯერ კიდევ არსებული წინააღმდეგობების თანდათანობით აღმოფხვრისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა, ეროვნული ბანკის ორგანული კანონის საფუძველზე შექმნილი ეროვნული ბანკის მმართველთა საბჭოს თითოეული წევრის კონკრეტული მოვალეობებისა და უფლებების განსაზღვრა, მათი საქმიანობის ეროვნული ეკონომიკის ფულადი რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემებთან უფრო მეტად, უშუალოდ დაკავშირება.

ამასთანავე, ჩვენი აზრით, ქვეყნის საბანკო სისტემის ფუნქციონირების პრობლემების ანალიზის საფუძველზე, აუცილებლობა ერთიანი საბანკო კოდექსის მიღებისა, რომელიც გააერთიანებს საბანკო სისტემის ყველა საკანონმდებლო ნორმებს. კერძოდ, საბანკო სისტემის სტრუქტურის, ხელისუფლების ორგანოების უფლების, ფულად-საკრედიტო სისტემის სტაბილურობის გარანტიის და საბანკო ოპერაციების მარეგულირებელ იურიდიულ-სამართლებრივ ნორმატიულ აქტებსა და წესებს.

მოკლე დასკვნები

1. საბანკო სამართალურთიერთობები ის საბანკო ურთიერთობებია, რომლებსაც სამართლის ნორმები არეგულირებენ და მისი მონაწილეები ასრულებენ. საბანკო სამართლის ნორმების სტრუქტურა სხვადასხვა კრიტერიუმების შესაბამისად ასეთია: საკანონმდებლო ნორმები და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტიების ნორმები;

დანართი 7.1.
დამტკიცებულია
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
1998 წლის 10 სექტემბერის №84 ბრძანებით

საბანკო დაწესებულებების ლიცენზირების წესები

I. ზოგადი დებულებანი

1. აღნიშნული წესები განსაზღვრავს საბანკო დაწესებულებების (შემდგომში კომერციული ბანკი) და უცხოური ბანკების ფილიალების ლიცენზირების წესებს.

2. ეს წესები შემუშავებულია „მეწარმეთა შესახებ", „საქართველოს ეროვნული ბანკის", ორგანული კანონის, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონების საფუძველზე.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო ლიცენზიებს გასცემს მხოლოდ დადგენილი წესით რეგისტრირებულ იმ იურიდიულ პირებზე, რომელთა განცხადებული და განაღდებული კაპიტალის ოდენობა, დაკანონებული სასამსახურო ფართი, ბანკის ადმინისტრაციისა და მმართველობის მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე, წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმა და შინაგანაწესი შეესაბამება აღნიშნული წესებით გათვალისწინებულ და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შეფასებათა კრიტერიუმებს და საქმიანობას.

4. ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის თანახმად კომერციულ ბანკებს უფლება ეძლევათ აწარმოონ საბანკო ოპერაციები როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

2. საწესდებო ფონდი და პარტნიორები

1. კომერციული ბანკის პარტნიორები შეიძლება იყვნენ როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა მონაწილეობა არ იკრძალება მოქმედი კანონმდებლობით;

2. ახლად შექმნილი, ასევე მოქმედი კომერციული ბანკებისათვის საწესდებო ფონდის სიდიდეს, მისი შეტანის ფორმასა და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი ნორმატიული აქტი.

3. კომერციული ბანკის საწესდებო ფონდი შეიძლება შეიტანოს როგორც ფულადი შენატანებით აგრეთვე, მატერიალური აქტივებით (ქონება). საწესდებო ფონდში შესატან მატერიალურ აქტივებს აფასებს დამოუკიდებელი აუდიტორი, რომელიც ინიშნება საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" შესაბამისად;

4. ახლად შექმნილი კომერციული ბანკის საწესდებო ფონდის აკუმულირება ხდება საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ დროებით ანგარიშზე, შესაბამისად აღნიშნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის განცხადებისა და პარტნიორთა (აქციონერთა) საერთო კრების ოქმის (ნოტარიულად დამოწმებული ასლი) წარმოდგენის შემდეგ. საბანკო ოპერაციების ლიცენზიის ლეგალიზაციის შემთხვევაში ნაშთი გადაირიცხება ეროვნულ ბანკში, მისთვის ვახსნილ საკორესპონდენტო ანგარიშზე, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში კი, იგი დაუბრუნდება პარტნიორებს იმავე ოდენობით, რა ოდენობითაც იქნა შეტანილი.

3. შუამდგომლობა საბანკო ლიცენზიის მისაღებად

1. საბანკო ლიცენზიის მისაღებად წარმოდგენილ შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ბანკის რეგისტრაციის შესახებ სასამართლო დადგენილების ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ბ) ბანკის ნოტარიულად დამოწმებული წესდება;

გ) დამფუძნებელთა კრების ოქმი, რომელიც უნდა მოიცავდეს: ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, სარევიზიო კომისიისა და დირექტორატის (გამგეობა) არსებობას; მთ.ბუღალტრის დანიშვნას; ბანკის პარტნიორებს (აქციონერები) შორის საწესდებო ფონდის წილობრივ გადანაწილებას, თანხობრივ და პროცენტულ გამოხატულებაში;

2. ბანკის თითოეულ რეზიდენტ პარტნიორზე (აქციონერი) წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ფიზიკური პირებზე: სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა ან პროფესია; შრომის წიგნაკის ამონაწერი დამოწმებული ბოლო სამუშაო ადგილიდან;

ბ) იურიდიულ პირებზე: სარეგისტრაციო დოკუმენტების ნოტარიალურად დამოწმებული ასლები: წლიური და ბოლო პერიოდის ბალანსი დამოწმებული საგადასახადო სამსახურის მიერ და ასევე სამსახურის ცნობა იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ორგანიზაციას ბიუჯეტისადმი დავალიანება არ ერიცხება; აუდიტორული ორგანიზაციის დასკვნა მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ; მომსახურე ბანკიდან ცნობა ანგარიშის არსებობის შესახებ და საგადასახადო დავალების ასლი საწესდებო ფონდში შეტანილ თანხაზე;

3. ბანკის არარეზიდენტ პარტნიორებზე (აქციონერი) წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) საპასპორტო მონაცემები დამოწმებული შესაბამისი საელჩოს მიერ, საგადასახადო დეკლარაცია;

ბ) იურიდიულ პირებზე: სარეგისტრაციო დოკუმენტები, აუდიტორული ორგანიზაციის დასკვნა მის ფინანსურ მდგომარეობაზე: უფლებამოსილი ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორიატის) გადაწყვეტილება ბანკის საწესდებო ფონდში მონაწილეობის შესახებ; იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირი კომერციული ბანკია, მაშინ

Батракова Л.Г Экономический анализ деятельности коммерческого банка. Учебник. М.: Лотос, 2003ю

Вульфел Чарлз Дж. Энциклопедия банковского дела и финансов. М.: Корпорация Федоров, 2001.

Гамза В.А. Ткачук Ц.Б. Безопасность коммерческого банка. М.: Издательство Шумилова И.И., 2000.

Жарковская Е.П. Банковское дело. М.: Омега - Л, 2004.

Козлова И.К., Куприянина Т.А. и др. Анализ деятельности банков. М.: Высшая школа, 2003.

Коробова Г.Г. Банковское дело. М.: Экономист, 2004.

Ларионова И.В. Реорганизация коммерческих банков. М.: Финансы и статистика. 2002.

Масленченкова Ю.С. технология и организация работы банка: теория и практика . _ м. ДеКА, 1998.

Масленников Ю.С. Экономика банка. Разработка по управлению финансовой деятельности банка. М.: БДЦ-Пресс, 2002.

Международный опыт реструктуризации банковских систем. _ М., 1998.

Мод Д., Молино Ф. Private Banking: элитное обслуживание частного капитала. М.: Альпина Паблишер, 2003.

Тосунян Г.А. Государственное управление в области финансов и кредита. _ М. Дело, 1997.

Щербакова Г.Н. Банковские системы развитых стран. М.: Экзамен, 2002.

Palfreman David., Ford Philip. Elements of Banking. Pritman Publishing. London. 1996.

Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling Financial Services. Second Edition. IRWIN. Honewood. Boston. 1993.

Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

22. ჩამოთვალეთ ბანკის სანაციის გეგმის ძირითადი პომენტები და შემადგენელი ნაწილები.

23. განმარტეთ საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაცია, ჩამოაყალიბეთ მისი მიზანი.

24. როგორ გესმით რესტრუქტურიზაციის პროცესის რეალური შინაარსი, დაასახელეთ მის წინაშე მდგომი ამოცანები.

25. რესტრუქტურიზაციის ეფექტიანი პროგრამის რა ძირითად პუნქტებს იცნობთ?

26. მოიტანეთ საზღვარგარეთის რამოდენიმე ქვეყნის საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის გამოცდილების მაგალითი.

27. ცენტრალურ ბანკს რა შემთხვევაში შეუძლია ბანკის ლიცენზიის გამოწვევა. დაასახელეთ ძირითადი ეტაპები.

28. რას ნიშნავს ბანკის გაკოტრება? ჩამოთვალეთ გაკოტრების ძირითადი ნიშნები.

29. ჩამოაყალიბეთ ბანკის ლიკვიდაციის პროცედურის ძირითადი ეტაპები.

30. რა არის ბანკის მუალედური სალიკვიდაციო ბალანსი?

31. რაში მდგომარეობს კომერციული ბანკის განვითარების სტრატეგიის ძირითადი სტანდარტები?

რეკომენდირებული ლიტერატურა

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ". თბ., საქართველოს ეროვნული ბანკი, 2002.

საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ". თბ.; საქართველოს ეროვნული ბანკი, 2002.

ასათიანი რ. ეკონომიკსი. განმარტებითი ლექსიკონი. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2003.

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. თბ., საქართველოს ეროვნული ბანკი, 1999.

ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საფინანსო ინჟინერია, კრედიტი. თბ., 1999.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

Балабанов И.Т. Банки и банковское дело. Питер, 2003.

Банковское дело: Авт. коллектив. под ред. **О.И. Семибратова.** М.: ИЦ Академия, 2003.

Банковское дело. Учебное пособие. Под ред. **Белоглазова Г.Н., Кроливецкая Л.П.** Питер, 2004.

Банковское дело. Учебник. Под ред. **О.И. Лаврушина.** М., Ф и С, 2003.

Банковское дело. Учебник. Под ред. **Белоглазова Г.Н., Кроливецкая Л.П.** М., Ф и С, 2003.

Банковское дело. Словарь: пер. с англ. М.: ИНФРА-М, 2002.

Банковское дело: Управление и технологии. Учеб. пособие. Под ред. **А.М. Тавасиева.** - М.: ЮНИТИ-ДАНА, 2001.

შვილობილი ორგანიზაცია (არაპირითადი საწარმო) იურიდიული პირი, რომელშიც სათავაო ორგანიზაცია ფლობს პაის (სმისუფლებიანი აქციების, წილის) ორმოცდაათ ან მეტ პროცენტს;

შეღავათიანი პირობა გაცემული კრედიტის ან სხვა სახის ფინანსური მომსახურების გაგრძელების ნებისმიერი ვადა ან პირობა, რომელიც ბანკის ადმინისტრატორის, მონათესავე საწარმოს ან დაკავშირებული პირისთვის გაჩილებით ხელსაყრელია, ვიდრე ის ვადა და პირობა, რომელიც მსგავს სიტუაციაში შეიძლება შესთავაზონ ან რომელზეც შეიძლება უარი უთხრან ისეთ პარს, რომლების არ წარმადგენენ ზემოხსენებულ პირებს;

კონტროლი სსკის პოლიტიკასე ან ბიზნესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ცალკე თუ სხვებთან ერთად, ხმის მქონე აქციების გამოყენებით თუ ნებისმიერი სხვა გზით ძლიერი ზეგავლენის მოხდენა.

?. . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. დაასახელეთ კომერციული ბანკების შექმნის პროცესის მარეგულირებელი და ფუძემდებლური ნორმები.

2. რა ეტაპებს მოიცავს ბანკის შექმნის პროცედურა?

3. როგორ ხდება ბანკის შექმნის ძირითადი დოკუმენტების მომზადება. დაასახელეთ ეს დოკუმენტები.

4. ვინ შეიძლება იყოს ბანკის დამფუძნებლები?

5. რა დოკუმენტებია საჭირო ბანკის ლიცენზიის მისაღებად?

6. რა არის ბანკის ლიცენზია და რა შემთხვევაში გაიცემა იგი კომერციულ ბანკებზე.

7. გაიცემა თუ არა საბანკო საქმიანობის ლიცენზია უცხოეთის ბანკის ფილიალზე და რა შემთხვევაში.

8. ჩამოაყალიბეთ ახლად შექმნილი ბანკის სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზიის მიღების წესი.

9. ჩამოაყალიბეთ ბანკების განყოფილებების (ფილიალების) გახსნისა და დახურვის წესები.

10. რას ნიშნავს ბანკების რეორგანიზაცია.

11. დაასახელეთ პრობლემური ბანკების ნიშნები.

12. რას ნიშნავს ბანკების შეერთება და შერწყმა? განმარტეთ.

13. რა არის ბანკების რეორგანიზაციის პროცესის საერთო პროცედურული მახასიათებლები.

14. ჩამოთვალეთ ბანკების შერწყმის ან მიერთების ძირითადი სტადიები.

15. როგორ გესმით მსოფლიოში უმსხვილესი ბანკების ინტეგრაცია.

16. რას ნიშნავს ბანკების რეორგანიზაციის ფორმები: დაყოფა, გამოყოფა და გარდაქმნა?

17. დაასახელეთ ბანკის გაკოტრების თავიდან აჩილების ღონისძიებები.

18. რა ფორმით შეიძლება ფინანსური დახმარების გაწევა ბანკისათვის?

19. რას გულისხმობს ბანკის აქტივების სტრუქტურის ცელილება?

20. რას ითვალისწინებს ბანკის პასივების სტრუქტურის შეცელა?

21. დაასახელეთ ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცელის გზები და ხერხები.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

ადმინისტრატორი — ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის (გამგეობის) ან სარევიზიო კომისიის წევრი. ავრეთვე პირი, რომელიც დამოუკიდებლად, ან ერთ ან მეტ პირთან ერთად უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები ბანკის სახელით;

გადახდისუუნარო ბანკი ბანკი, რომლის აქტივები ვეღარ ფარავენ მისსავე ვალდებულებებს.

გაკოტრება ფინანსური კრახი, რაც დადგენილია სასამართლოს მიერ. გაკოტრების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან ბანკი კარგავს თავისი ქონების განკარგვის უფლებას.

დაკავშირებული პირები პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობას შეუძლია უშუალო ზეგავლენის მოხდენა, მათ შორის გარიგებების პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე;

პირი ფიზიკური ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით;

კონტროლი კომერციული ბანკის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საქმიანობაზე და ამ საქმიანობიდან გამომდინარე გადაწყვეტილებებზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უშუალოდ თუ სხვებთან ერთად, ხმის უფლების მქონე აქციების (წილის, პაის) გამოყენებით თუ სხვა გზით ზეგავლენის მოხდენა.

მაკონტროლებელი პირი კონტროლის განმახორციელებელი პირი;

მონათესავე საწარმო იურიდიული პირის შვილობილი და კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო, აგრეთვე მისი მაკონტროლებელი პირები და მათი შვილობილი და კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები.

პრობლემური ბანკები ბანკები, რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს შეფასებით დგანან ლიცენზიის გაუქმების საშიშროების წინაშე შემდეგ მიზეზთა გამო: კომერციულ ბანკს აღარა აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფულადი სახსრებით ფორმირებული საწესდებო კაპიტალის ან საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა ან მან დაკარგა კრედიტორების ნდობა მათ წინაშე თავისი ვალდებულებების შესრულების ნაწილში და აღარ შეუძლია მისთვის მინდობილი აქტივების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ან კომერციული ბანკი ეწევა ან ეწეოდა ბანკის ფინანსური მდგომარეობისათვის საფრთხის შემქმნელ ან არაჯანსაღ საბანკო პრაქტიკას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს მის დეპოზიტარებს, ანდა კომერციული ბანკი გადახდისუუნაროა; გადახდისუუნარო ბანკი ბანკი, რომლის აქტივები მოცემულ მომენტში ვერ ფარავს მის ვალდებულებებს; პრობლემური ბანკის საკითხის გადაწყვეტა - ანალიზის საფუძველზე ალტერნატივების შესწავლა, დადგენა და შესაბამისი პრინციპის დაცვით უკეთესი გადაწყვეტილების მიღება და განსხორციელება; უმცირესი დანახარჯით გადაწყვეტა - პრინციპი, რომელსაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი დაფუძნებულია ბანკისადმი კანონიერი მოთხოვნის მქონე პირის შესაძლო გასაწევი ხარჯი (ზარალის) მინიმიზაციის მისაღწევად.

საბაზრო ღირებულება თავისუფალი საბაზრო ფასი, რომელიც ყალიბდება ბაზარზე იდენტური საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედებისას და საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) შესაბამის ბაზარზე იმ პირებს შორის დადებული გარიგების საფუძველზე, რომლებიც არ არიან ურთიერთდამოკიდებული პირები;

ხასიათის ოფიციალური დოკუმენტის ფორმით გაცემული ნებართვაა, რომელიც დადგენილი ფორმის რეკვიზიტების დაცვით ადასტურებს მასში მითითებული საბანკო და სხვა ოპერაციების (გარიგებების) ჩატარების უფლების მინიჭებას ბანკისათვის.

4. საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო საქმიანობის ლიცენზიებს გასცემს მხოლოდ დადგენილი წესით რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე; მათი განაღდებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა, საბანკო საქმიანობისათვის დაკავებული ყართობი, კომერციული ბანკის დირექტორების მუშაობის გამოცდილება და კვალიფიკაცია, აგრეთვე წარმოდგენილი ბიზნეს გეგმა შეესაბამება ეროვნული ბანკის მიერ წინასწარ დადგენილ შეფასებათა კრიტერიუმებს და საქმიანობას;

5. ბანკის საქმიანობაში გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად ეროვნული ბანკის მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დარღვევები ან ბანკის მიერ გატარებული ოპერაციები რეალურ საფრთხეს უქმნიან კრედიტორთა და მეანაბრეთა ინტერესებს, ცენტრალური ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს კომერციული ბანკისაგან: 1. დაიწყოს ფინანსური გაჯანსაღებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა განხორციელება; 2. შეიცვალოს ხელმძღვანელობა; 3. ჩატარდეს რეორგანიზაცია;

თავის მხრივ, შერწყმის ან მიერთების სახით ბანკების რეორგანიზაციის შემდეგი ძირითადი ეტაპები გამოიყოფა:

1) შერწყმის ან მიერთების შესახებ ხელშეკრულების მომზადება;

2) ცენტრალური ბანკის ტერიტორიული დაწესებულებებისთვის შეტყობინების გაგზავნა მოსალოდნელი შერწყმის ან მიერთების შესახებ;

3) ტერიტორიული დაწესებულებებისა და სარეორგანიზაციო ბანკების წარმომადგენლების სამუშაო ოთახების ჩატარება;

4) სარეორგანიზაციო ბანკების მონაწილეთა საერთო კრებების ჩატარება;

5) სარეორგანიზაციო ბანკების კრედიტორებისთვის შეტყობინების გაგზავნა რეორგანიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ;

6) სარეორგანიზაციო ბანკების მონაწილეთა ერთობლივი საერთო კრების ჩატარება;

7) ბანკების რეორგანიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტების წარდგენა ცენტრალური ბანკის ტერიტორიულ დაწესებულებაში.

6. ბანკების ფინანსური გაჯანსაღების პროცესი მრავალმხრივია და იგი მოიცავს: ა). ბანკისათვის ფინანსური დახმარების გაწევა მისი დამფუძნებლების (მონაწილეების) და სხვა პირების მხრიდან; ბ). ბანკის აქტივებისა და პასივების შეცვლა; გ). ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლა; დ). კანონის შესაბამისად განხორციელებული სხვა ღონისძიებები.

7. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში ხდება ბანკის ლიკვიდაცია. ლიკვიდატორის ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული პირი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

ცენტრალური ბანკის მიერ ინიშნება სალიკვიდაციოდ დროებითი ადმინისტრაცია, რომელზეც გადადის კომერციული ბანკის ყველა ორგანოს (მათ შორის აქციონერთა საერთო კრებისა და ადმინისტრატორების) სრული უფლებამოსილება.

ბანკის ტერიტორიულ დაწესებულებას. ეს უნდა მოხდეს საკონკურსო წარმოების ან იძულებითი ლიკვიდაციის დასრულების შესახებ ანგარიშის განხილვიდან (საარბიტრაჟო სასამართლოში) არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

ბანკის ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის დროს, აგრეთვე, ლიკვიდატორის დანიშვნის გარეშე მისი იძულებითი ლიკვიდაციის დროს სალიკვიდაციო კომისიის (ლიკვიდატორის) ხარჯებს სალიკვიდაციო ორგანიზაციის სახსრებიდან ისტუმრებენ მისი მონაწილეების მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

ბანკის იძულებითი ლიკვიდაციის ისეთ შემთხვევაში, როდესაც საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით ინიშნება ლიკვიდატორი ან საკონკურსო მმართველი (ბანკის კოტრად გამოცხადებისას), საკონკურსო მმართველს (ლიკვიდატორს) რეკომენდაციას აძლევენ, შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა კრედიტორების კომიტეტთან შეთანხმებით. ხარჯთაღრიცხვაში შეაქვთ სასამართლო ხარჯები, საკონკურსო მმართველის გასაშრჯელი, ორგანიზაციის მიმდინარე კომუნალური და საექსპლუატაციო ხარჯები და საკონკურსო წარმოების სხვა დანახარჯები. საკონკურსო წარმოების ხარჯებს საკონკურსო მასიდან ისტუმრებენ მათი წარმოშობის კვალობაზე.

ბანკის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ცენტრალური ბანკი ორ ჩანაწერს აკეთებს საკრედიტო ორგანიზაციების სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის წიგნში: პირველად - ბანკის კოტრად ცნობის შესახებ და მის მიმართ საკონკურსო წარმოების გახსნის შესახებ და, შეორედ (საკონკურსო წარმოების დასრულების შესახებ საარბიტრაჟო სასამართლოს განჩინების საფუძველზე) ბანკის ლიკვიდაციის შესახებ. ამით ჩაითვლება, რომ ბანკის ლიკვიდაცია დასრულებულია, ბანკმა კი არსებობა შეწყვიტა როგორც იურიდიულმა პირმა. ამის შემდეგ საჭიროა მის დოკუმენტებზე ზრუნვა, რომელთა ერთი ნაწილის შენახვა სავალდებულოა (სასურველია) სალიკვიდაციო პროცედურების დასრულების შემდეგაც.

სალიკვიდაციო პროცედურების დაწყება მრავალი მიზეზით ჭიანურდება: ა) კრედიტორებს არა აქვთ ბანკების უსახსრობის შესახებ სარჩელის აღძერის ინტერესი, ბანკების მონაწილეებს კი ლიკვიდაციის საქმეზე ხელის მოკიდების სურვილი; ბ) სასაართლო ორგანოები არ განიხილავენ მსგავს საქმეებს მოუცლელობის გამო; გ) არ არსებობს ბანკების უსახსრობის განსაზღვრის მკაფიო მეთოდიკა; დ) არ არსებობს ბანკების ლიცენზიის გაუქმების მომენტიდან სალიკვიდაციო კომისიის შექმნამდე მათი ფუნქციონირების გაგრძელებისთვის საჭირო სახსრები.

• • • • • • • • • • • • • • ▶ მოკლე დასკვნები

1. კომერციული ბანკების შექმნის პროცესის მარეგულირებელი ნორმები მოცემულია კანონებში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, აგრეთვე ეროვნული ბანკის მთელ რიგ მარეგლამენტირებელ დოკუმენტებში.

2. ბანკის შექმნის პროცედურა სამ ძირითად ეტაპს მოიცავს: I. მოსამზადებელი მუშაობის ეტაპი; II. იურიდიულ პირად ბანკის სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის ეტაპი; III. ლიცენზიის (საბანკო ოპერაციების ჩატარების უფლების) მიღების ეტაპი.

3. ლიცენზია გარკვეული შინაარსის განსაკუთრებული სახის ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც დადგენილი ფორმის რეკვიზიტების დაცვით ადასტურებს ლიცენზიატის უფლებას გარკვეული სახის საქმიანობის წარმართვაზე. ლიცენზია სპეციალური ნებართვაა.

საბანკო ლიცენზია საბანკო საქმიანობაზე ცენტრალური ბანკის მიერ უვადო

და საკრედიტო დავალიანების შესახებ. ამისაგან განსხვავებით თ, სალიკვიდაციო ბალანსი არის კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ შედგენილი ბალანსი. იგი ასახავს ლიკვიდაციის განმახორციელებელი ორგანოს საქმიანობის შედეგებს.

იმ შემთხვევაში, თუ ბალანსი არ შეესაბამება მის მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ან ლიკვიდაციის განმახორციელებელ ორგანოს არ წარმოუდგენია მისი შეთანხმებისთვის საჭირო ყველა საბუთი, მაშინ ცენტრალური ბანკი უკან აბრუნებს მას გადასამუშავებლად და მიუთითებს ამის მიზეზებს. ამ დაწესებულებაში სელსეროდ გაგზავნილი საბუთები ახლადშემოსულად ითვლება.

შუალედურ სალიკვიდაციო ბალანსს ადგენენ კრედიტორების მოთხოვნების რეესტრის (წუსხის) დახურვის თარიღისთვის. მისი შესაფასი ნაშთები მოჰყავთ ბანკის ლიცენზიის უკან გაწვევის თარიღისთვის არსებული ბალანსის მონაცემების მიხედვით; საბოლოო ნაშთები უნდა შეიცავდეს მონაცემებს საწესდებო კაპიტალზე, ფონდებზე, ქონებაზე, კრედიტორების მოთხოვნებზე, ბანკის იმ ვალდებულებებზე, რომელთა შესაბამისი მოთხოვნები ჯერ არ განუცხადებიათ, საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე.

ლიკვიდაციის განმახორციელებელმა ორგანომ უნდა ჩაატაროს ბანკის ქონების ინვენტარიზაცია და შეფასება. ეს ქონება შუალედურ ბალანსში შეაქვთ შესაბამისი აქტებისა და ოქმების საფუძველზე.

კლირინგულ ანგარიშსწორებებში ბანკის მონაწილეობის შემთხვევაში უნდა გაუქმდეს სანგარიშსწორებო არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება. ასეთ ორგანიზაციაში გახსნილ ანგარიშზე არსებული სახსრების ნაშთები ლიკვიდაციის განმახორციელებელი ორგანოს საკორესპონდენტო ანგარიშზე უნდა ჩაირიცხოს.

ბანკის ნებაყოფლობითი, ან მისი იძულებითი ლიკვიდაციის დროს გაკოტრების ნიშნების უქონლად, ბანკის ქონების ღირებულება საკმარისი უნდა იყოს კრედიტორებისი ყველა გაცხადებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

სალიკვიდაციო ბანკის კრედიტორებთან ანგარიშსწორების დასრულების შემდეგ დგება სალიკვიდაციო ბალანსი. ამ მომენტამდე ამოღებული და რეალიზებული უნდა იყოს ბანკის ის მთელი ქონება, რომელიც საკონკურსო მასას შეადგენს. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ეს ქონება უნდა ჩამოწერონ და მიაწერონ საქმიანობის შედეგებს. ამას ასრულებს ლიკვიდაციის განმახორციელებელი ორგანო ბანკის მონაწილეებთან შეთანხმებით, ან საკონკურსო მმართველი (ლიკვიდატორი) კრედიტორების კრებასთან (კომიტეტთან) შეთანხმებით.

გადასხვისებისათვის არარეალური კრედიტული დავალიანების ჩამოწერა სათანადო ინსტრუქციის შესაბამისად ხდება. იმავდროულად ახორციელებენ შესაბამისი ვადაგადაცილებული პროცენტების ჩამოწერასაც (საქმიანობის შედეგებზე მიკუთვნებლად).

სალიკვიდაციო ბალანსის შედგენის დროს აუცილებლად ითვალისწინებენ შემდეგს:

1. ბალანსის შემავალი დებეტური და კრედიტული ნაშთები უნდა შეესაბამებოდეს შუალედური ბალანსის გამომავალ დებეტურ და კრედიტულ ნაშთებს. სალიკვიდაციო ბალანსის დებეტური და კრედიტული ბრუნვები უნდა ასახავდეს ლიკვიდაციის განმახორციელებელი ორგანოს მიერ გაწეულ მუშაობას ბანკის ქონების ამოღებისა და/ან რეალიზაციის და მისი კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების საქმეში.

2. კრედიტორების დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები ასახება სალიკვიდაციო ბალანსში იმ ანგარიშებზე, რომლებზეც ისინი შუალედურ ბალანსში იყო აღრიცხული. შუალედურ ბალანსში აღურიცხავი ბანკის ის ვალდებულებები, რომლებზეც მოთხოვნები რეესტრის დახურვის შემდეგ იქნა გაცხადებული და აღიარებული, შეაქვთ სალიკვიდაციო ბალანსში.

სალიკვიდაციო ბალანსს სხვა საბუთებთან ერთად ერთვის ოქმი ბანკის მონაწილეების მიერ ბალანსისა და მისი დანართების დამტკიცების შესახებ. საკონკურსო მმართველის (ლიკვიდატორის) მიერ ხელმოწერილ სალიკვიდაციო ბალანსს შესათანხმებლად წარუდგენენ ცენტრალური

შესახებ, აგრეთვე, მისი კრედიტორებისთვის ამის შეტყობინების ხარჯებს; ისტუმრებენ საკონკურსო წარმოების მიმდინარეობის სხვა ხარჯებს.

საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ ლიკვიდატორის დანიშვნით ბანკის იძულებითი ლიკვიდაციისას ლიკვიდატორი ბანკის ლიკვიდაციას ახდენს კანონით დადგენილი წესით, თუკი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

თუკი ბანკს კოტრად აცხადებს საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, მაშინ მის ლიკვიდაციას საკონკურსო წარმოების წესით მოახდენს საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დანიშნული საკონკურსო მმართველი.

სალიკვიდაციო კომისიის (ლიკვიდატორის) მოვალეობებია: 1. ბანკის ლიკვიდაციის შესახებ განცხადების მოთავსება პრესაში, კრედიტორების მიერ მოთხოვნების წამოყენების წესი და ვადა; 2. კომისიის ქვედანაყოფების შექმნა ფილიალების ადგილსამყოფელის მიხედვით; 3. ბანკის კრედიტორების გამოვლენა და მათი ინფორმირება ბანკის ლიკვიდაციის შესახებ; 4. არსებული ქონების დაცვის ღონისძიებების გატარება; 5. დებიტორული დავალიანების გამოვლენა და გადახდევინება; 6. ვადაგადაცილებული კრედიტების და მესამე პირების სხვა ფორმის ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებით დაგროვებული ქონების რეალიზაციის ზომების მიღება; 7. ნაღდი ქონების შეფასება, აქტივებისა და პასივების ნუსხის შედგენა; 8. კრედიტორების მოთხოვნების განხილვა; 9. შუალედური სალიკვიდაციო ბალანსის შედგენა; 10. ფულის უკმარისობის შემთხვევაში ბანკის ქონების საჯაროდ გაყიდვა აუქციონით - კრედიტორების აღიარებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; 11. ბანკის კრედიტორებისათვის ფულის გადახდა მათი აღიარებული დავალიანების შესაბამისად; 12. კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ქონების გადაცემა იმ მონაწილეებისათვის, რომლებსაც ვალდებულებითი უფლებები აქვთ ორგანიზაციის ქონებაზე; 13. ანგარიშგებისა და სალიკვიდაციო ბალანსის შედგენა და მისი გადაცემა ჯერ საოლიკვიდაციო ბანკის მონაწილეების მიერ დასამტკიცებლად, შემდეგ კი ცენტრალურ ბანკში შესათანხმებლად.

ორგანიზაციის ლიკვიდაციაში ძალიან დიდი როლი აქვს მასზე პასუხისმგებელ პირს. აქედან გამომდინარე: ა) თუკი საარბიტრაჟო მმართველი (სათანადოდ) ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ცენტრალურ ბანკს უფლება აქვს გააუქმოს მასზე გაცემული საკვალიფიკაციო ატესტატი; ბ) თუკი ჩამოერთმა საარბიტრაჟო მმართველის მიზეზით ორგანიზაციას ზარალი მოუვიდა, მას შეიძლება დაეკისროს საარბიტრაჟო მმართველის ლიცენზია.

საკონკურსო მმართველი მოვალის ძირითად ანგარიშად უნდა იყენებდეს კოტრი ბანკის მსოლოდ საკორესპონდენტო ანგარიშს, რომელიც ცენტრალური ბანკის დაწესებულებაშია გახსნილი. ცენტრალურ ბანკში ის საბუთების წარდგენიდან 10 დღის განმავლობაში, რომლებიც საკონკურსო მმართველის მიერ ხსნებული ანგარიშით სარგებლობის უფლებას ადასტურებენ, ამ ანგარიშზე გადაირიცხება სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში გახსნილ საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული სახსრები და ბანკის სხვა სახსრები, მათ შორის - სავალდებულო რეზერვების თანხა, რომელი მის მიერ ცენტრალურ ბანკშია დეპონირებული.

7.4.4. ბანკის შუალედური სალიკვიდაციო ბალანსი

კრედიტორების მოთხოვნათა რეესტრის შედგენის შემდეგ, საკონკურსო წარმოების გახსნიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში, საკონკურსო მმართველი მოვალეა შეადგინოს შუალედური სალიკვიდაციო ბალანსი. ესაა სალიკვიდაციო ბანკის ბალანსი, რომელსაც მისი ლიკვიდაციის გამახორციელებელი ორგანოს მიერ დაწესებული ვადის შემდეგ ადგენენ კრედიტორების მოთხოვნების გამოვლენისა და ამ მოთხოვნების რეესტრის შედგენის მიზნით. იგი შეიცავს მონაცემებს სალიკვიდაციო ბანკის ქონების შემადგენლობისა

მოვალის კოტრად ცნობის შესახებ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება მოასწავებს ამ მოვალის მიმართ საკონკურსო წარმოების გახსნის გადაწყვეტილებას. მისი ვადა, როგორც წესი, არ აღემატება 1 წელს. ამასთან, საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია ეს ვადა 6 თვით და მეტი ხნით გაგრძელოს.

მოვალის კოტრად ცნობისა და საკონკურსო წარმოების გახსნის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან: 1) შეჩერებულად ითვლება ყველა ფულადი ვალდებულების და ვადაგადაცილებული გადახდების შესრულების ვადა; 2) წყდება პირგასამტეხლოების (ჯარიმების, პენიების), პროცენტებისა და სხვა ფინანსური სანქციების დარიცხვა მოვალის ყველა სახის დავალიანებაზე; 3) მოვალის ფინანსური დღემარეობის შესახებ ცნობები კარგავენ კონფიდენციალურ და კომერციული საიდუმლოს სახეს; 4) უქმდება მოვალის ქონებაზე ადრე დადებული ყადაღა და მისი განკარგვის სხვა შეზღუდვები. იკრძალება ახალი ყადაღის დადება და სხვა შეზღუდვები;

საკონკურსო მმართველი არის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დანიშნული პირი კონკურსის ბატარებისთვის და ამასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების შესრულებისათვის. კონკურსით არეული მმართველი მოქმედებს საკონკურსო წარმოების დასრულებამდე. დანიშვნის მომენტიდან მის ხელში გადადის მოვალის საქმეთა მართვის ყველა უფლებამოსილება, მათ შორის ვალის ქონების განკარგვა.

საკონკურსო მმართველი: ა) იბარებს მოვალის ქონებას, ანდენს მის ინვენტარიზაციას და შეფასებას, იღებს მისი დაცვის ზომებს) ბ) ანალიზებს მოვალის ფინანსურ მდგომარეობას; გ) გადახდის მოთხოვნებს წარუდგენს იმ მესამე პირებს, რომლებსაც დავალიანება აქვთ მოვალის წინაშე; დ) მოვალის მუშაკებს ატყობინებს მათი მოსალოდნელი დათხოვნის შესახებ; ე) უარს ამბობს კრედიტორების მიერ მოვალისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე და მოვალის ხელშეკრულებების შესრულებაზე; 3) მიმართავს მოვალის ქონების ძიძიების, გამოველენისა და მესამე პირების ხელში მყოფი ქონების დაბრუნების ზომებს; ზ) შესანახად გადასცემს მოვალის აუჩილებლად შესანახავ დოკუმენტებს.

საკონკურსო მმართველი მოვალეა თაყის საქმიანობაში იყენებდეს მოვალის მხოლოდ 1 ანგარიშს ბანკში ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში (მოვალის ძირითადი ანგარიში). მოვალის სხვა ანგარიშები მათი აღმირენისთანავე უნდა დაიხუროს. მათგან დარჩენილი ნაშთები უნდა გადაირიცხოს მოვალის ძირითად ანგარიშზე. ამავე ანგარიშზე ირიცხება საკონკურსო წარმოების მსვლელობაში შემოსული ფულიც. მოვალის ძირითადი ანგარიშიდან ისტუმრებენ კრედიტორებსა და ხარჯებს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. რიგგარეშე ფარავენ სასამართლო ხარჯებს, საარბიტრაჟო მმართველების გასამრჯელოს, მოვალის მიმდინარე კომუნალურ და საექსპლუატაციო გადასახდელებს, აკმაყოფილებენ კრედიტორების მოთხოვნებს მოვალის იმ ვალდებულებებზე, რომლებიც მეთვალყურეობის, გარე მართვისა და საკონკურსო წარმოების მსვლელობაში წარმოიშობა.

2. კრედიტორების მოთხოვნების შემდეგი რიგითობით აკმაყოფილებენ:

პირველი – იმ მოქალაქეთა მოთხოვნები, რომელთა წინაშე მოვალე პასუხისმგებელია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის გამო;

მეორე – შრომითი ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მოსუშაე პირების შრომის ანაზღაურება და მათთვის შემწეობის მიცემა;

მესამე – კრედიტორების მოთხოვნები მოვალის ქონების გირაოთი უზრუნველყოფილ ვალდებულებებზე;

მეოთხე – საგალდებულო გადახდები ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო ფონდებში;

მეხუთე – სხვა კრედიტორების მოთხოვნები.

ამ ანგარიშიდან: იხდიან საკონკურსო მმართველის გასამრჯელოს; მიმდინარე კომუნალურ და საექსპლუატაციო გადასახდელებს; პუბლიკაცია განცხადებებს მოვალის კოტრად ცნობის

უკავშირდება ბანკის იმ სხვა ქონების განკარგვას, რომელთა საბალანსო ღირებულება მისი აქტივების 1%-ს აღემატება, მათ შორის - სესხებისა და კრედიტების მიღება-გაცემას, გარანტიებისა და თავდებობების გაცემას, მოთხოვნის უფლებათა დათმობას, ვალის გადატანასა და პატიებას, ნოვაციებს, პირგასამტეხლოს, მინდობით მართვას.

გ) ბანკის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში დროებითი ადმინისტრაცია: ახორციელებს ამ ორგანოების უფლებამოსილებებს; ამუშავებს ბანკის ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებებს, ახორციელებს და აკონტროლებს მათ შესრულებას; მიმართავს იმ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბანკის ქონებისა და დოკუმენტაციის დაცულობას; აკლენს ბანკის კრედიტორებს და ადგენს მათი ფულადი მოთხოვნების ოდენობას; ქმნის ბანკის წინაშე არსებული დავალიანების გადახდევინების ზომებს; ცენტრალურ ბანკს მიმართავს შუამდგომლობით ბანკის კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე მორატორიუმის შემოღების შესახებ.

ამ დროს დროებითი ადმინისტრაცია: ეცნობა საჭირო ინფორმაციას ბანკის საქმიანობის შესახებ; ბანკის სახელით სარჩელებს აღძრავს სასამართლოებში; თავის წარმომადგენლებს ნიშნავს ბანკის ფილიალებში; ათანხმებს ბანკის საბჭოსა და საერთო კრების გადაწყვეტილებებს; უფლება აქვს გადააყენოს ბანკის აღმასრულებელი ორგანოების წევრები (დაითხოვოს ისინი) და შეუნახოს ხელფასის მიცემა.

დ) ბანკის საბჭოს და მისი მონაწილეების საერთო კრების თანხმობით დადოს გარიგებები: რომლებიც უკავშირდება ბანკის უძრავი ქონების გადაცემას უკვე ხსენებული ფორმით; ბანკის იმ სხვა ქონების განკარგვას, რომლის საბალანსო ღირებულება მისი აქტივების 5%-ს აღემატება.

ბანკის საბჭოს ან მისი მონაწილეების საერთო კრებას შეუძლია უფლებამოსილება გაუგარძელოს დროებით ადმინისტრაციას ბანკის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით.

ე) ბანკის აღმასრულებელი ორგანოები მათი უფლებამოსილებების შეჩერების შემთხვევაში მოვალენი არიან დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნიდან არაუგვიანეს მეორე დღისა გადასცენ მას ბანკის ბეჭედი და შტამპი, ხოლო ამ ადმინისტრაციასთან შეთანხმებულ ვადებში - ბუღალტრული და სხვა დოკუმენტაცია, ბანკის მატერიალური და სხვა ფასეულობები.

დროებითი ადმინისტრაცია ანგარიშვალდებულია ცენტრალური ბანკის წინაშე. მისი საქმიანობის შეწყვეტაზე ცენტრალური ბანკი გადაწყვეტილებას იღებს მაშინ: 1. თუ აღკვეთილია ის ძიზეზები, რომლებიც მისი დანიშვნის საფუძველი გახდა; 2. თუ საქმე გადაეცა საარბიტრაჟო მმართველს) 3. კანონითა და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

დროებითი ადმინისტრაციის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ: ბანკის ხელმძღვანელი, საბჭოში, გამგეობასა და დირექციაში შემავალი პირები, მთავარი ბუღალტერი, სარევიზიო სამსახურის უფროსი და ბანკის შიდა კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელი; ბანკის ძირითადი და შეილობილი საზოგადოების (იურიდიული პირის) იგივე ხელმძღვანელები; ხსენებულ პირთა ახლო ნათესავები; ბანკის კრედიტორები (მათ შორის - მეანაბრეები); ბანკის წინაშე დავალიანების მქონე პირები; ნასამართლობის მქონე პირები; ბოლო ერთი წლის მანძილზე ფინანსებისა და ვაჭრობის დარგში აღმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირები; პირები, რომლებთანაც ბოლო 2 წლის მანძილზე შრომითი ხელშეკრულება (კონტრაქტი) დაარღვია აღმინისტრაციის ამ კანონმდებლობის შესაბამისად; პირები, რომელთა მიზეზითაც ბანკს მოუხდა კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების დარღვევა.

დროებითი აღმინისტრაციის მუშაობის პერიოდში ბანკი წარადგენს ყოველთვიურ, კვარტალურ, წლიურ და სხვა ანგარიშგებასა და ინფორმაციას ცენტრალური ბანკის მოთხოვნის შესაბამისად. მათ ხელს აწერს: ა) ბანკის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებათა შეზღუდვის დროს - ბანკის ხელმძღვანელი და მთავარი ბუღალტერი; მისი უფლებამოსილებათა შეჩერების დროს - დროებითი აღმინისტრაციის ხელმძღვანელი ან მისი ის წევრი, რომელიც მთავარი ბუღალტრის საშუალოს საქმიანობას კურირებს.

2. თუკი კრედიტორების პირველ კრებას არ მიუღია გადაწყვეტილება გარე მართვის შემოღების შესახებ, ან სამშვიდობო შეთანხმების დადების შესახებ, ან აქედან რომელიმე გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში არ წარუდგენია საარბიტრაჟო სასამართლოში, მაშინ გაკოტრების ნიშნების არსებობაში დარწმუნებული საარბიტრაჟო სასამართლო ილებს გადაწყვეტილებას კონკურსის გამოცხადების შესახებ.

3. კრედიტორების პირველ კრებას კიდეც რომ მიეღო გადაწყვეტილება მოვალის კოტრად ცნობისა და სკონკურსის გამოცხადების შესახებ შუამავლობით მიმართვის თაობაზე ან კრების არცერთი გადაწყვეტილება არ წარედგინა საარბიტრაჟო სასამართლოში, ამ უკანასკნელს უფლება აქვს გამოიტანოს განჩინება გარე მართვის შემოღების შესახებ შემდეგ შემთხვევებში: როდესაც ეჭვს იწვევს კრების მიღებული გადაწყვეტილება· კრედიტორების უმრავლესობისა და მოვალის გადახდის-უნარიანობის აღდგენის რეალური შესაძლებლობის შესახებ; როცა კრების ჩატარების შემდეგ გაჩნდა ეჭვი, რომ მოვალის გადახდისუნარიანობა შესაძლებელია აღდგეს; კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

4. მეთვალყურეობა წყდება საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მოვალის კოტრად ცნობისა და საკონკურსო წარმოების გახსნის ან გარე მართვის შემოღების, მომენტიდან. დროებითი მმართველი აგრძელებს თავისი მოვალეობების შესრულებას გარე მმართველის ან საკონკურსო მმართველის დანიშვნის მომენტამდე.

დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის საფუძველი და მოქმედების ვადა.

1. დროებითი ადმინისტრაცია ბანკის მართვის სპეციალური ორგანოა და მას ცენტრალური ბანკი ნიშნავს.

2. დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების პერიოდში ბანკის აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილებანი შესაძლოა შეიზღუდოს ან შეჩერდეს.

3. ცენტრალურ ბანკს უფლება აქვს დანიშნოს დროებითი ადმინისტრაცია, თუკი: ა) ბანკი ვერ აკმაყოფილებს ფულად მოთხოვნებს და/ან ვერ ასრულებს სავალდებულო გადახდებს სახსრების უქონლობის ან უმარისობის გამო; ბ) 30%-ზე მეტი სიდიდით ამცირებს საკუთარ კაპიტალს მის მაქსიმალურ სიდიდესთან შედარებით და თანაც არღვევს თუნდაც ერთ ეკონომიკურ ნორმატივს; გ) ბოლო თვის მანძილზე 20%-ზე მეტით არღვევს მიმდინარე ლიკვიდობის ნორმატივს; დ) დადგენილ ვადაში არ ასრულებს ცენტრალური ბანკის მოთხოვნას ხელმძღვანელის შეცვლის, ფინანსური გაჯანსაღების ან რეორგანიზაციის შესახებ; ე) არსებობს ბანკის ლიცენზიის გაწყვეტის საფუძველი.

4. დროებითი ადმინისტრაცია ინიშნება არაუმეტეს 6 თვის ვადით. ბანკის ლიცენზიის უკან გაწვევის შემდეგ ცენტრალურ ბანკს უფლება აქვს 6 თვეზე მეტი ხნით გააგრძელოს ეს ვადა, ოღონდ იმ ორგანოების ჩამოყალიბებამდე, რომლებიც ჩაატარებენ ბანკის რეორგანიზაციას ან ლიკვიდაციას, მათ შორის დროებითი მმართველის დანიშვნამდე. დროებითი ადმინისტრაციის საქმიანობის მთლიანმა ვადამ არ შეიძლება გადააჭარბოს 18 თვეს.

დროებითი ადმინისტრაციის ფუნქციებია:

ა) ბანკის აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილებათა შეზღუდვისას: მისი ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების შემუშავებაში მონაწილეობა და ამ ღონისძიებათა განხორციელების კონტროლი; ბანკის ქონების განკარგვის კონტროლი; ცენტრალური ბანკის წინაშე შუამდგომლობა ბანკის მართვის ორგანოების უფლებამოსილებათა შეჩერების შესახებ, თუკი ისინი ეწინააღმდეგებიან დროებითი ადმინისტრაციის მუშაობას ან თუკი ეს აუცილებელია ბანკის გაკოტრების თავიდან ასაცილებლად.

ბ) ბანკის მართვის ორგანოებს მხოლოდ დროებითი ადმინისტრაციის თანხმობით აქვთ უფლება, დადონ გარიგებები: რომლებიც უკავშირდება ბანკის ქონების გადაცემას არენდით, გირავნობის წილის სახით მის შეტანას მესამე პირების საწესდებო კაპიტალებში და ა.შ.; რომლებიც

მხოლოდ ისეთი გარიგებები, რომლებიც უკავშირდება:

- უძრავი ქონების გადაცემას არენდით, გირაოთი, მისი როგორც წილის შეტანას სამეურნეო საზოგადოებებისა და ამხანაგობების საწესდებო კაპიტალებში ან ამ ქონების სხვაგვარად განკარგვას;
- მოვალის იმ სხვა ქონების განკარგვას, რომლის საბალანსო ღირებულება მოვალის აქტივების 10%-ზე მეტია;
- სესხების (კრედიტების) მიღებასა და გაცემას, თავდებობათა და გარანტიების გაცემას, მოთხოვნათა უფლების დათმობას, აგრეთვე, მოვალის ქონების მინდობით მართვის დაწესებას;

3. მოვალის მართვის ორგანოებს უფლება არა აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება: რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციაზე; იურიდიული პირების შექმნაზე; ფილიალებისა და წარმომადგენლობების შექმნაზე; დივიდენდების გადახდაზე; ობლიგაციებისა და სხვა საემისიო ფასიანი ქაღალდების განთავსებაზე; მოვალე იურიდიული პირის მონაწილეთა შემადგენლობიდან გამოსვლაზე; აქციონერებისგან ადრე გამოშვებული აქციების შეძენაზე.

4. საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს მოვალის ხელმძღვანელი, თუკი იგი სათანადო ზომებს არ მიმართავს მოვალე ბანკის ქონების შესანახად, ხელს უშლის დროებით მმართველს მუშაობაში, კანონმდებლობის სხვაგვარად დარღვევის უფლებას აძლევს თავს. ამ შემთხვევაში მოვალის ხელმძღვანელის მოვალეობათა შესრულება დროებით მმართველს ეკისრება.

5. მეთვალყურეობის მემოლების მომენტიდან ქონების დაყადაღება და მოვალის სხვა შეზღუდვების განსორციელება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ გაკოტრების შესახებ პროცესის ფარგლებში.

დროებით მმართველს ნიშნავს საარბიტრაჟო სასამართლო. იგი მოქმედებს: ა) გარე მართვის შემოღებამდე და გარე მმართველის დანიშვნამდე; ბ) მოვალის კოტრად ცნობამდე და მმართველის დანიშვნამდე; კონკურსის წესით ახალი მოვალის კოტრად ცნობაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

დროებით მმართველს უფლება აქვს:

- საარბიტრაჟო სასამართლოს თავისი სახელით წარუდგინოს მოთხოვნა იმ გარიგებათა ბათილად ცნობის შესახებ, რომლებიც მოთხოვნათა დარღვევით დადო ან შეასრულა მოვალემ;
- საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით თანამდებობიდან მოვალის ხელმძღვანელის გადაყენების შესახებ;
- მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტები მოვალის საქმიანობასთან დაკავშირებით.

დროებითი მმართველი ვალდებულია:

- მიიღოს მოვალის ქონების დაცულობის უზრუნველმყოფი ზომები;
- გაანალიზოს მოვალის ფინანსური მდგომარეობა;
- დადგინოს მოვალის ფიქტიური და/ან განზრახ გაკოტრების ნიშნები;
- დადგინოს მოვალის კრედიტორები და განსაზღვროს მათი მოთხოვნები; კრედიტორებს აცნობოს გაკოტრების შესახებ საქმის აღძრა;
- მოიწვიოს კრედიტორების პირველი კრება.

მეთვალყურეობის დასრულების შემდეგ დროებითი მმართველი საარბიტრაჟო სასამართლოში წარადგენს ანგარიშგებას თავისი საქმიანობის შესახებ, მონაცემებს მოვალის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და წინადადებებს ბანკის გადახდისუნარიანობის აღდგენის შესაძლებლობა-შეუძლებლობის შესახებ.

მეთვალყურეობის დასრულება.

1. საარბიტრაჟო სასამართლო კრედიტორების პირველი კრების გადაწყვეტილების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, კოტრად ცნოს მოვალე და გახსნას საკონკურსო წარმოება, ან გააჩაქვს განხილება გარე მართვის შემოღების შესახებ, ან აუტკიცებს სამშვიდობო შეთანხმებას.

ცხრილი 7.2

ბანკის გაკოტრების შესახებ საქმეში ეროვნული პირთა შეეხებული

	პირველი ვარიანტი	მეორე ვარიანტი
გაკოტრების შესახებ საქმეში მონაწილე პირები	მოვალე; საარბიტრაჟო მმართველი; საკონკურსო კრედიტორები; საჯადასახადო და სხვა ორგანოები; პროკურორი; გაკოტრებისა და ფინანსური გაჯანსაღების საქმეთა სახელმწიფო ორგანო; სხვა პირები (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში)	• კანონით გათვალისწინებული პირები; • ცენტრალური ბანკი
გაკოტრების საქმეზე საარბიტრაჟო პროცესში მონაწილე პირები	მოვალის მუშაკების წარმომადგენელი; მოვალის (უნიტარული სანარმოს) ქონების მესაკუთრის წარმომადგენელი; სხვა პირები (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში)	კანონით გათვალისწინებული პირები; ცენტრალური ბანკი

• გარე მართვა (სასამართლო სანაცია). ამ პროცედურის მიზანია მოვალის გადახდისუნარიანობის აღდგენა (გულისხმობს მოვალის მართვის უფლების გადაცემას გარე მმართველისათვის);

• საკონკურსო წარმოება. ამ პროცედურის მიზანია გასაუქმებელი მოვალის კრედიტორების მოთხოვნათა თანაზომიერად დაკმაყოფილება (გულისხმობს საარბიტრაჟო მმართველს, ლიკვიდატორის დანიშვნას);

• სამშვიდობო შეთანხმება. ესაა კრედიტორების კომიტეტსა და მოვალეს შორის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დამტკიცებული შეთანხმება, რომელიც შეიცავს დებულებებს მოვალის ვალდებულებათა ოდენობის, მაიი შესრულების წესისა და ვადების შესახებ და/ან ამა თუ იმ კანონიერი ხერხით ამ ვალდებულებათა შეწყვეტის შესახებ. ამით ეს პირობები იმის საფუძველი ხდება, რომ: მეთვალყურეობის ან გარე მართვის ეტაპებზე წყდება გაკოტრების შესახებ საქმის წარმოება; საკონკურსო წარმოების ეტაპზე არ სრულდება გადაწყვეტილება მოვალის კოტრად ცნობისა და საკონკურსო წარმოების გახსნის შესახებ.

7.4.3. ბანკის ლიკვიდაციის პროცედურები

საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც იღებს განცხადებას ბანკის კოტრად ცნობის შესახებ, მიუთითებს ბანკში მეთვალყურეობის პროცედურის შემოღებაზე და დროებითი მმართველის, ანუ იმ პირის დანიშვნაზე, რომელსაც ეს მეთვალყურეობა დაეევალება. მეთვალყურეობის შემოღების შედეგები ასეთია:

1. მეთვალყურეობის შემოღება არ გეევლინება მოვალე ბანკის ხელმძღვანელის ან მისი მართვის ორგანოების აუჩილებლად გადაყენების საფუძვლად. მათ შეუძლიათ გააგრძელონ თაიანთ უფლებამოსილებათა შესრულება, თუმცა, შეზღუდულად.

2. მოვალის მართვის ორგანოებს დროებით მმართველთან შეთანხმებით შეუძლიათ მოახდინონ

როდესაც საარბიტრაჟო სასამართლოში შედის განცხადება ბანკის კოტრად ცნობის შესახებ, მოსამართლე, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალურ ბანკს სთავაზობს ან ბანკის ლიცენზიის გამოწვევის მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნის წარმოდგენას, ან, თუკი ლიცენზია უკვე გამოწვეულია, შესაბამისი ბრძანების ასლის წარმოდგენას. ასეთ წინადადებას ცენტრალური ბანკი ერთი თვის ვადაში უნდა გამოეხმაუროს. საარბიტრაჟო სასამართლოში ამ ბრძანების ასლის შემოსვლა არის გაკოტრების შესახებ საქმის წარმოების აღძრის საფუძველი. თუკი ცენტრალურმა ბანკმა წარმოადგინა დასკვნა ბანკის ლიცენზიის უკან გამოწვევის მიზანშეწონილობის შესახებ, მაშინ ბანკის კოტრად გამოცხადების შესახებ განცხადება უკან უბრუნდება განმცხადებელს.

საარბიტრაჟო სასამართლოში განცხადების შეტანა ცენტრალურ ბანკსაც შეუძლია. მაგალითად, თუ ლიცენზიის გამოწვევის მიზეზი გახდა ბანკის არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა და მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა, მაშინ ტერიტორიული დაწესებულება ლიცენზიის გამოწვევიდან ერთ დღეში მიმართავს საარბიტრაჟო სასამართლოს განცხადებით ბანკის კოტრად გამოცხადების შესახებ და მაშინვე სთავაზობს საარბიტრაჟო მმართველის კანდიდატურასაც.

ბანკის გაკოტრებაზე საქმის აღძერისას საარბიტრაჟო სასამართლო ითვალისწინებს კანონმდებლობის შემდეგ ნორმებს:

ცხრილი 7.1

ბანკის გაკოტრების ნიშნები და მასზე საქმის აღძერის პირობები

	პირველი ვარიანტი	მეორე ვარიანტი
გაკოტრების ნიშნები	იურიდიული პირი მიჩნეულია უუნაროდ დაკმაყოფილოს კრედიტორების ფულადი მოთხოვნები და/ან შეასრულოს სავალდებულო გადახდები, თუ შესაბამისი ვალდებულებები და/ან მოვალეობები არ შესრულებულა მათი ვადის დადგომიდან სამი თვის განმავლობაში	საკრედიტო ორგანიზაცია მიჩნეულია უუნაროდ, დაკმაყოფილოს კრედიტორების ფულადი მოთხოვნები და/ან შეასრულოს სავალდებულო გადახდები, თუ შესაბამისი მოვალეობები არ შესრულებულა მათი ვადის დადგომიდან ერთი თვის განმავლობაში
გაკოტრების შესახებ საქმის განხილვა	გაკოტრების შესახებ საქმე შეიძლება აღიძრას, თუ მოვალის (იურიდიული პირის) მიმართ მოთხოვნები მთლიანობაში შეადგენს არანაკლებ ხთანხას[1] და თუ კანონით სხვა რამ არაა გათვალისწინებული	გაკოტრების შესახებ საქმე შეიძლება აღიძრას, თუ საკრედიტო ორგანიზაციის მიმართ მოთხოვნები მთლიანობაში შეადგენს არანაკლებ ხთანხას და თუ ეს მოთხოვნები არ სრულდება მათი ვადის დადგომიდან ერთი თვის განმავლობაში.

მოვალე იურიდიული პირის გაკოტრების შესახებ საქმის განხილვის დროს მიმართავენ გაკოტრების შემდეგ პროცედურებს:

- მეთვალყურეობას. ესაა მოვალის ქონების დაცულობის უზრუნველყოფისა და მისი ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარების პროცედურა (გულისხმობს დროებითი მმართველის დანიშვნას);

1. შენიშვნა სხვადასხვა ქვეყანაში აღნიშნული თანხები სხვადასხვაა.

7.4.2. ბანკის გაკოტრებულად ცნობის წესი

„უსახსრობასა" და „გაკოტრებას" სინონიმებად განიხილავენ და მათ „გადახდისუუნარობასთან" აიგივებენ. განმარტების თანასმად, უსახსრობა (გაკოტრება) არის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ აღიარებული ან მოვალის მიერ გამოცხადებული უუნარობა, სრული მოცულობით დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნები ფულად ვალდებულებათან დაკავშირებით და/ან შეასრულოს სავალდებულო გადახდათა მოვალეობები.

გადახდისუუნარობის მუდმივი და ხანგრძლივი მდგომარეობა შეიძლება აბსოლუტურ გადახდისუუნარობაში გადაიზარდოს, რომლის დროსაც ორგანიზაციას (საწარმოს) აღარ შეუძლია თავისი გადახდისუნარიანობის აღდგენა და საქმიანობის გაგრძელება შეუძლებელი და მიზანშეუწონელი ხდება. ასეთი ორგანიზაცია გაკოტრებულად ცხადდება და იგი უნდა დაიხუროს და გაიყიდოს კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით. ამგვარად, ეკონომიკური თვალსაზრისით, გაკოტრება არის გადახდისუუნარო ორგანიზაციის ლიკვიდაციისა და მისი ქონების გაყიდვის პროცედურა. ამ აზრით, ორგანიზაციის გაკოტრება მისი გადახდისუუნარობის (უსახსრობის) კერძო შემთხვევად გვევლინება.

გაკოტრების პროცედურები 2 სახეობად შეგვიძლია დავყოთ: სასამართლო და არასასამართლო. არასასამართლო პროცედურები, თავის მხრივ, იყოფა სასამართლომდელ სანაციად (ფინანსურ გაჯანსაღებად) და გაკოტრების ნებაყოფლობით გამოცხადებად. თუმცა, სანაცია არაფერით არ „უსდება" გაკოტრების განმარტებას.

გაკოტრების მანიშნებელია საკრედიტო დავალიანების ვადის გადაჭრილება 3 თვეზე მეტი ხნით. ამასთან. უნდა გავითვალისწინოთ ფულად ვალდებულებათა სიდიდე და მოვალის მიერ გადასახდელი სესხისა და მისი პროცენტების თანხები, აგრეთვე, სავალდებულო გადახდათა ოდენობა. საბოლოოდ, ითვალისწინებენ არა ვადაგადაჭრილებული საკრედიტო დავალიანების თანხას, არამედ საკრედიტო დავალიანების თანხას მთლიანად, რომელიც ინსტრუქციით დადგენილ ნორმაზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამავე დროს, სასამართლო განცხადებას მოვალის (იურიდიული პირის) გაკოტრებულად ცნობის შესახებ მხოლოდ მაშინ მიიღებს, თუკი მის მიმართ მთლიანი მოთხოვნები დადგენილ თანხაზე ნაკლები არაა და ისინი არ იფარებოდა 3 თვის განმავლობაში.

გაკოტრების შესახებ საქმის განსილვა შეუძლია მხოლოდ საარბიტრაჟო სასამართლოს (მისი გადაცემა სამედიატორო სასამართლოში არ შეიძლება), ოღონდ არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მასში შემოსული განსაკუთრებული განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შუამდგომლობა გარკვეული მოვალის კოტრად გამოცხადების შესახებ. განცხადების შეტანის უფლება აქვთ საკონკურსო კრედიტორებს: ა) ფულად ვალდებულებათა შეუსრულებლობასთან დაკავშირებით - თვითონ მოვალეს, კრედიტორს და პროკურორს; ბ) სავალდებულო გადახდათა შეუსრულებლობასთან დაკავშირებით მოვალეს, პროკურორს, საგადასახადო და კანონით უფლებამოსილ სხვა ორგანოებს. თუმცა, არსებობს ამისგან განსხვავებული წესიც, რომლის თანახმადაც განცხადების შეტანის უფლება აქვთ: 1. თვითონ მოვალე ბანკს; განცხადების ასლი უნდა გაეგზავნოს ცენტრალურ ბანკს; 2. ბანკის კრედიტორებს იმ მოქალაქეების ჩათვლით, რომლებსაც მოთხოვნის უფლება აქვთ საბანკო ანგარიშის ნებისმიერი ხელშეკრულების მიხედვით; 3. ცენტრალურ ბანკს; 4. პროკურორს; 5. საგადასახადო ან სხვა უფლებამოსილ ორგანოს (ბიუჯეტებში ან არასაბიუჯეტო ფონდებში საკალდებულო გადახდების შეუსრულებლობის მიმართ). ჩამოთვლილ პირებს (გარდა ცენტრალური ბანკისა) უფლება აქვთ ცენტრალურ ბანკს გაუგზავნონ განცხადება ბანკის ლიცენზიის უკან გამოწვევის შესახებ, თუკი ისინი დააღასტურებენ, რომ ბანკში აღმოჩენილია გაკოტრების ნიშნები. თუ ორი თვის განმავლობაში მიღებული არაა ცენტრალური ბანკის პასუხი, აღნიშნულ პირებს შეუძლიათ განცხადებით მიმართონ უშუალოდ საარბიტრაჟო სასამართლოს. განცხადებათა ასლებს ისინი უგზავნიან ცენტრალურ ბანკს და იმ ბანკს, რომლის ბედსაც ეხება საქმე.

დანიშნის შესახებ; ბ) საარბიტრაჟო სასამართლოს აქტი ლიცენზიის გამოწვევის თაობაზე ცენტრალური ბანკის ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ; გ) ბანკის სალიკვიდაციო კომისიის შემადგენლობის შეთანხმება ტერიტორიული დაწესებულების მიერ; დ) ლიცენზიის გამოწვევის შესახებ საკუთარი ბრძანების შეჩერება ცენტრალური ბანკის მიერ; ე) ცენტრალური ბანკის ბრძანება დაკისრებული მოვალეობების შესრულებისგან უფლებამოსილი წარმომადგენლის ვადამდე გათავისუფლების შესახებ.

4. უფლებამოსილი წარმომადგენლის მოვალეობებია: ა) ბანკის მართვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლი; ბ) ბანკის ქონების დაცულობის კონტროლი; გ) ბანკის (მისი ფილიალის) ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მისი წარდგენა ცენტრალურ ბანკში; დ) ოპერატიული კავშირის უზრუნველყოფა ცენტრალურ ბანკთან და მოცემულ ბანკში დანიშნულ სხვა წარმომადგენლებთან; ე) ცენტრალური ბანკისა და მისი ტერიტორიული ბანკის (მისი ფილიალის) საქმიანობაში მომხდარ დარღვევებზე; ვ) საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიშგება სანაციის დეპარტამენტში; ზ) კომერციული და საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა.

5. უფლებამოსილი წარმომადგენლის უფლებებია:

ა) გაეცნოს ბანკის ნებისმიერ დოკუმენტს;

ბ) ბანკის, მისი ფილიალებისა და ქვედანაყოფებისგან მიიღოს ნებისმიერი ცნობა და განმარტება;

გ) ბანკის მონაწილეებს, კრედიტორებსა და მეანაბრეებს მოთხოვოს ყველა საჭირო ინფორმაცია;

დ) დოკუმენტების, ფულისა და ფასეულობათა დაკარგვის საფრთხის შემთხვევაში დალუქოს ბანკის (მისი ფილიალების) შენობები, გაარკვიოს მათი შენახვის ადგილი და პირობები;

ე) გამოიყენოს ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები, გამოიტანოს და შეიტანოს ისინი ბანკის (ფილიალების) შენობაში;

ვ) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს ბანკის ვამგეობისა და საბჭოს სხდომებში, მისი მონაწილეებისა და კრედიტორების კრებებსა და სხვა თათბირებში, გაეცნოს მათ ოქმებსა და გადაწყვეტილებებს;

ზ) დაუბრკოლებლად შეივიდეს ბანკის (ფილიალების) შენობებში, მისი თანამშრომლების თანხლებით კი დოკუმენტებისა და ფულის შენახვის ადგილებში;

6. ბანკი ყოველდღიურად აწვდის უფლებამოსილ წარმომადგენელს ინფორმაციას დებიტორული დავალიანების მიღებისა და გადახდევინების შესახებ (აღრე გაცემული კრედიტების დაფარვისა და ავანსური გადახდების დაბრუნების ჩათვლით), აგრეთვე, წინათ ჩატარებული ოპერაციებიდან შემოსაელების მიღების შესახებ;

7. ბანკმა ყველა პირობა უნდა შეუქმნას უფლებამოსილ წარმომადგენელს მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის. ამის საპირისპირო თითოეული ფაქტი უნდა გაფორმდეს დადგენილი სახის აქტით.

ლიცენზია ჩამორთმეულმა ბანკმა, რომელიც ჯერ კიდევ არ გაუქმებულა, განსაკუთრებული წესით უნდა გააგრძელოს ანგარიშგება. კერძოდ, საანგარიშგებო თარიღის მომდევნო თვის მეათხე სამუშაო დღეს ასეთი ბანკები ტერიტორიულ დაწესებულებას უგზავნიან:

ყოველთვიურად - ბრუნვის უწყისის ფორმის ბალანსს თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით;

ყოველკვარტალურად ბალანსს და ანგარიშგებას მოვებისა და ზარალის შესახებ.

ანგარიშგების სარწმუნოობაზე პასუხს აგებენ ლიცენზიანაწორთმეული ბანკის ხელმძღვანელი და მთავარი ბუღალტერი, სალიკვიდაციო კომისიის შექმნის ან საკონკურსო მმართველის (ლიკვიდატორის) დანიშნის შემდეგ კი ამ კომისიის ხელმძღვანელი.

ძალა მიიღეს ბანკის ლიცენზიის უკან გამოწვევამდე.

5. არასაბალანსო ანგარიშების შესაბამისი კარტოთეკიდან საგადასახდელო დოკუმენტების დაბრუნება მათი გაწვევის შესახებ გადამხდელების განცხადებების საფუძველზე;

6. ფასიანი ქაღალდებისა და იმ სხვა ქონების დაბრუნება, რომელიც შენახვისა და/ან განაღდების, აგრეთვე, მინდობით მართვის ან სხვა ხელშეკრულების თანახმად აქვს ბანკს მიღებული და ეს ხელშეკრულებები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ბანკის საქმიანობას უკავშირდება.

ლიცენზიის გაწვევის მომენტიდან სალიკვიდაციო კომისიის შექმნამდე ან საკონკურსო მმართველის (ლიკვიდატორის) დანიშვნამდე აკრძალულია გარიგებების დადება და გარიგებებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

1. შრომითი ხელშეკრულებით ან კონტრაქტით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება და დახმარების მიცემა მათი დათხოვნის შემთხვევაში;

2. კომუნალური მომსახურების, დაცვის, არენდის, კავშირგაბმულობის და ბანკის საქმიანობრივი საგებობების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული გადასახადების გადახდა, განცალკევებით არსებული ქვედანაყოფების საგებობების ჩათვლით;

3. რეესტრის მფლობელთა, დეპოზიტარიუმების და სხვა პირების მიერ გაწეული იმ მომსახურების გასტუმრება, რომელიც შენახვისა და/ან განაღდებისათვის ბანკის მიერ ადრე მიღებული ფასიანი ქაღალდების დეპონენტებისთვის დაბრუნებას უკავშირდება;

4. ბანკის სარჩელთან დაკავშირებული სასელწიფო ბაჟის გადახდა.

აქ ჩამოთვლილი ხარჯები სორციელდება ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან, რომელიც ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო ქსელის ერთ-ერთ ქვედანაყოფშია გახსნილი. იგი უნდა შეესაბამებოდეს სარჯების იმ ნუსხას, რომელიც ბანკის მონაწილეების მიერაა დამტკიცებული და ტერიტორიულ დაწესებულებასთან ან ცენტრალური ბანკის უფლებამოსილ წარმომადგენელთანაა შეთანხმებული.

ბანკიდან ლიცენზიის გამოწვევის შესახებ ბრძანების მიღებისთანავე ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრი, სხვა ბანკები და საკრედიტო ორგანიზაციები წყვეტენ ამ ბანკისა და მისი ფილიალების ყველა ანგარიშზე შემოსაველ-გასაველის ოპერაციებს (ზემოაღნიშნული ცალკეული ოპერაციების და ნაღდ ფულზე ოპერაციების გარდა, რომლებიც საერთო წესიდან ტექნოლოგიური გამონაკლისია). წყდება ბანკისა და მისი ფილიალების კლიენტების ანგარიშებით მიმდინარე ყველა ოპერაციაც.

ლიცენზიის გაწვევის შესახებ ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა ბანკისა და მისი ფილიალების სალაროებში არსებული ნაღდი ფული მთლიანად უნდა იქნეს ამოღებული ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო ცენტრში ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე ამ ფულის ჩარიცხვის მიზნით. არსებული უცხოური ვალუტა უნდა გადაირიცხოს იმ ანგარიშზე, რომელიც ადრე იყო გახსნილი ვალუტაზე მუშაობის უფლების მქონე ერთ-ერთ ბანკში.

ცენტრალური ბანკის უფლებამოსილ წარმომადგენელთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი ძირითადი ნორმები:

1. მისი დანიშვნა ხდება ცენტრალური ბანკის ინიციატივით. უფლებამოსილი წარმომადგენლის დანიშვნის მიზანია ბანკის კრედიტორების (მათ შორის - მეანაბრეების) უფლებათა დაცვა.

2. უფლებამოსილი წარმომადგენელი არის ცენტრალური ბანკის თანამშრომელი, აქვს უმაღლესი ეკონომიკური ან იურიდიული განათლება, სპეციალური ცოდნა და საკრედიტო ორგანიზაციების კონტროლის გამოცდილება და არაა ბანკის ან მისი კრედიტორების მიმართ დაინტერესებული პირი.

3. უფლებამოსილი წარმომადგენლის საქმიანობის შეწყვეტის საფუძველია:

ა) საარბიტრაჟო სასამართლოს აქტი ბანკში ლიკვიდატორის ან საარბიტრაჟო მმართველის

დება დასკვნა. დასკვნას თან ერთვის ბანკის შუამდგომლობა თავისი დანართებით, ბანკის ბოლო საინსპექციო და აუდიტორული შემოწმებების აქტების ასლები, აგრეთვე, მისი სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლები.

5. ბანკის შუამდგომლობას მისი ლიცენზიის გაუქმების შესახებ დადგენილი წესით განიხილავს ცენტრალური ბანკი. მას შეუძლია არ დააკმაყოფილოს ეს შუამდგომლობა, თუკი:

• ლიკვიდაციის წესით ბანკის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მონაწილეებმა კანონის დარღვევით მიიღეს;

• აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია კრედიტორების მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი ქონების ღირებულების უკმარისობისას;

• არსებობს ბანკიდან ლიცენზიის უკან გაწვევის საფუძველი.

7. ბანკის ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება ცენტრალური ბანკის ბრძანებით.

8. ამ ბრძანების გამოცემამდე ცენტრალური ბანკი ათანხმებს ბანკის სალიკვიდაციო კომისიის შემადგენლობას.

9. იმ ბანკის ლიკვიდირება, რომელსაც ლიცენზია გაუუქმეს, ხდება კანონისა და დებულებების მოთხოვნების დაცვით.

ბანკის რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერის გაუქმების შესახებ ცნობა უნდა გამოქვეყნდეს ცენტრალური ბანკის ოფიციალურ გამოცემაში, საკრედიტო ორგანიზაციების სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის წიგნში ცვლილების შეტანიდან ერთი თვის ვადაში.

გამოწვევის წესით ბანკისათვის ლიცენზიის ჩამორთმევის შემთხვევაში:

1) შეჩერებულად ითვლება ბანკის ვალდებულებათა შესრულების ვადა;

2) წყდება პროცენტების დარიცხვა, აგრეთვე, ჯარიმების და სხვა ფინანსური სანქციების დარიცხვა ბანკის ვალდებულებებთან დაკავშირებით;

3) ჩერდება სააღმსრულებლო დოკუმენტების აღსრულება ქონებით ზღვევინებაზე;

4) სალიკვიდაციო კომისიის შექმნამდე (ლიკვიდატორის დანიშვნამდე) ან საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ საკონკურსო მმართველის დანიშვნამდე იკრძალება ბანკის გარიგებების დადება და გარიგებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება.

5) ცენტრალური ბანკის მიერ დეპონირებული სავალდებულო რეზერვების სახსრები გადაირიცხება სალიკვიდაციო კომისიის (ლიკვიდატორის) ან საკონკურსო მმართველის ანგარიშზე და გამოიყენება კანონით დადგენილი წესით;

6) კრედიტორების (მათ შორის მეანაბრეების) ინტერესების დაცვის მიზნით ცენტრალურ ბანკს უფლება აქვს ლიცენზიაჩამორთმეულ ბანკში დანიშნოს თავისი უფლებამოსილი წარმომადგენელი. მისი საქმიანობის პერიოდში ბანკს უფლება აქვს მხოლოდ ამ წარმომადგენელთან შეთანხმებით განახორციელოს კანონით მისთვის ნებადართული გარიგებები. სალიკვიდაციო კომისიის შექმნის (ლიკვიდატორის დანიშვნის) ან საარბიტრაჟო მმართველის დანიშვნის მომენტიდან წყდება ცენტრალური ბანკის წარმომადგენლის საქმიანობა.

ლიცენზიის გამოწვევიდან სალიკვიდაციო კომისიის შექმნამდე ან საკონკურსო მმართველის (ლიკვიდატორის) დანიშვნამდე პერიოდში ბანკსა და მის ფილიალებს შეუძლიათ და ევალებათ ცენტრალური ბანკის უფლებამოსილი წარმომადგენლის ზედამხედველობით განახორციელონ შემდეგი ოპერაციები:

1. დებიტორული დავალიანების გადახდევინება და მიღება;

2. ფულადი შემოსაელების მიღება წინათ ჩატარებული ოპერაციებიდან და გარიგებებიდან;

3. ბანკის (ფილიალის) საკორესპონდენტო ანგარიშზე (სუბანგარიშზე) შეცდომით გადარიცხული ფულის დაბრუნება;

4. ფულის გადახდა იმ სააღსრულებლო დოკუმენტების შესაბამისად, რომლებმაც კანონიერი

ა) ლიცენზიის გამოწვევისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ცენტრალური ბანკის ბრძანების პროექტს ბანკის ლიცენზიის გამოწვევის შესახებ;

ბ) ასეთი საფუძვლის უქონლობის შემთხვევაში - დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის გასაგზავნი წერილის პროექტს შუამდგომლობის განხილვის შეწყვეტის შესახებ.

ლიცენზიის უკან გამოწვევის შესახებ ბრძანების პროექტს ათანხმებენ ცენტრალური ბანკის ლიცენზირების, ზედამხედველობის, ინსპექტირების, იურიდიულ, კრებსით-ეკონომიკურ და სხვა დეპარტამენტებთან და ქვედანაყოფებთან.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გამოწვევის შესახებ გამოაქვს კომიტეტს. ამის საფუძველზე ცენტრალური ბანკი გაისცემს ბრძანებას ლიცენზიის გამოწვევის შესახებ, რომელსაც ცენტრალური ბანკის თავმჯდომარე ან მისი პირველი მოადგილე აწერს ხელს.

მესამე ეტაპი. ამ ეტაპზე ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილება დაჰყავთ ყველა დაინტერესებულ მსარემდე. ცენტრალური ბანკის ადმინისტრაციული დეპარტამენტი ბრძანების რეგისტრირების დღეს მის ასლს ხელწერილით გადასცემს ლიცენზირების დეპარტამენტს, რათა მან შესაბამისი ჩანაწერი შეიტანოს საკრედიტო ორგანიზაციების სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის წიგნში. სულმოწერილი ბრძანება ეგზავნება ცენტრალური ბანკის ტერიტორიულ დაწესებულებებს, რომელებსაც მისი შინაარსი დაჰყავთ ქვესაუწყებო ტერიტორიებზე მყოფ ყველა საკრედიტო ორგანიზაციამდე.

ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება იმ ბანკის ლიცენზიის გაუქმების შესახებ, რომელიც თავის საქმიანობას წყვეტს მისი მონაწილეების გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ დროს შესაბამისი შუამდგომლობა ცენტრალურ ბანკს თვითონ ბანკმა უნდა წარუდგინოს, ხოლო სათანადო პრაქტიკული საკითხები ასე წყდება:

1. ბანკის მონაწილეები, რომლებიც დადგენილი წესით იღებენ გადაწყვეტილებას მისი საქმიანობის შეწყვეტისა და ლიკვიდაციის შესახებ, ვალდებული არიან ამ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ცენტრალურ ბანკს გაუგზავნონ ამის შესახებ წერილობითი შეტყობინება და შუამდგომლობა ლიცენზიის გაუქმების შესახებ.

თუკი ბანკი ამ დროს განთავისებს ემისიურ ფასიან ქაღალდებს და ემისიის შედეგები ჯერ კიდევ არაა დარეგისტრირებული, მაშინ საჭიროა, აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღება ამ განთავისების შეჩერებისა და გამოშვების არშემდგარად ცნობის შესახებ; ბანკი ვალდებულია შეაჩეროს ემისია, ამის შესახებ კი აცნობოს ყველა იმ პირს, ვინც უკვე შეიძინა აღნიშნული ქაღალდები ან მათი პოტენციური მყიდველია. ბანკი ვალდებულია 5 სამუშაო დღის განმავლობაში წარუდგინოს ფასიანი ქაღალდების გამოშვების სარეგისტრაციო ორგანოს მონაწილეთა იმ საერთო კრების ოქმი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ფასიანი ქაღალდების განთავისების შეჩერებისა და მათი გამოშვების არშემდგარად ცნობის შესახებ.

2. შუამდგომლობას ადგენენ დაწესებული ფორმით და მას ურთავენ:

- მონაწილეთა იმ კრების ოქმს, რომელმაც გადაწყვეტილება მიიღო;
- მონაცემებს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შესახებ;
- ბანკის ბალანსს გადაწყვეტილების მიღების თარიღისთვის;
- კრედიტორების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებისთვის საჭირო ქონების ღირებულების საკმარისობის შეფასებას;
- კორესპონდენტი ბანკების სიას გადაწყვეტილების მიღების თარიღისთვის.

3. ბანკის შუამდგომლობის მიღების შემდეგ ცენტრალური ბანკი 10 სამუშაო დღის მანძილზე განიხილავს მას და დადგენილი წესით ამზადებს დასკვნას. თუ დოკუმენტს გადამუშავება ჭირდება, მას უკან უბრუნებენ ბანკს ამის მიზეზის ჩვენებით (მას თან ერთვის მითითებები გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის შესახებ).

4. შუამდგომლობის დადებითად განხილვისას ცენტრალურ ბანკში (სანაციის დეპარტამენტში)

6. თუკი ბანკს აღარ შესწევს კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების და/ან საგადასახადო და სხვა სავალდებულო გადახდების განხორციელების უნარი მათი შესრულების ვადის დადგომიდან 1 თვის განმავლობაში.

7. თუკი ბანკი წლის მანძილზე დანაშაულებრივად მრავალგზის არ ასრულებდა სასამართლოებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების საღმსრულებლო დოკუმენტებში მოცემულ მოთხოვნებს მისი კლიენტების ანგარიშებიდან ფულის ამოღების შესახებ, თუმცა, ფული ამ ანგარიშებზე ირიცხებოდა;

8. თუკი ბანკი წყვეტს თავის საქმიანობას მისი მონაწილეების იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც კანონის შესაბამისად და ცენტრალური ბანკის მიერ დაღვენილი წესითაა მიღებული.

ლიცენზიის გაძოწვევის წესი 3 ეტაპს ითვალისწინებს.

პირველი ეტაპი. ყოველი კონკრეტული ბანკიდან ლიცენზიის გაძოწვევა ინიციირებული ურდა იყოს. ამის გაკეთება ცენტრალურ ბანკში სათანადო შუამდგომლობის გაგზავნის მეშვეობით შეუძლიათ: 1) ცენტრალური ბანკის შესაბამის განყოფილებას; 2) ბანკის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს; 3) მთავარი ბანკის ცენტრალური აპარატის იმ ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის მიერ დამტკიცებულ საგანგებო ნუსხაშია შეტანილი.

თუკი დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შუამდგომლობა ბანკის ლიცენზიის გამოწვევის შესახებ მთავარი ბანკის შესაბამის განყოფილებაშია შეტანილი, მაშინ ეს დაწესებულება ვალდებულია მთავარ ბანკს გადაუგზავნოს იგი და თან დაურთოს თავისი დასკვნა შუამდგომლობის დასაბუთება-დაუსაბუთებლობის შესახებ.

აღნიშნულ შუამდგომლობას ვიზას ადებს იურიდიული სამსახური და მას ხელს დაწესებულების ხელმძღვანელი აწერს.

მეორე ეტაპი. ბანკის ლიცენზიის უკან გაწვევის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ცენტრალური ბანკის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტმა. ამ კომიტეტის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე წინასწარ განიხილავს შუამდგომლობას და სანაციის ორგანიზების დეპარტამენტში გზავნის მას საჭირო მასალების მოსამზადებლად. შუამდგომლობის მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში სანაციის დეპარტამენტი ამის შესახებ ატყობინებს პრუდენციული ზედამხედველობისა და ლიცენზირების დეპარტამენტებს, სოლო ეს უკანასკნელი სანაციის დეპარტამენტს აწვდის მთელ აუცილებელ ინფორმაციას ბანკის შესახებ. შუამავლობის ირგვლივ მასალების მომზადებისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა არ უნდა აჭარბებდეს 2 თვეს.

ლიცენზიის გაწვევის ინიციატორებს უფლება აქვთ კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტამდე წერილობით წარადგინონ წინადადებები შუამდგომლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ, სოლო აუცილებლობის შემთხვევაში მისი განხილვის შეწყვეტის შესახებაც კი. სანაციის დეპარტამენტი ვალდებულია განიხილოს ეს წინადადებები და მათზე გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში აუწყოს ამის შესახებ ავტორებს. კომიტეტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს საკუთარი ინიციატივითა და სანაციის დეპარტამენტის ან ლიცენზიის უკან გაწვევის ინიციატორს წარდგინებით უფლება აქვთ შეწყვიტონ შუამდგომლობის განხილვა, თუკი: 1) არ არსებობს ლიცენზიის უკან გაწვევისათვის საკმარისი მიზეზები; 2) ბანკი ატარებს ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებებს; 3) ბანკი ახდენს რეორგანიზაციას.

თუ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო საქმე შეწერებული არაა, მაშინ სანაციის დეპარტამენტი ამოწმებს შუამდგომლობის დასაბუთებულობას (ამ დროს მას უფლება აქვს დამატებითი ინფორმაცია მოსთხოვოს ცენტრალური ბანკის ქვედანაყოფებს და დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს) და ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს, რომელსაც ათანხმებს ცენტრალური ბანკის სხვა ქვედანაყოფებთან. შუამდგომლობისა და დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე სანაციის დეპარტამენტი ამზადებს:

ბა გამოიწვიოს შეცდომები რისკებისა და ლიკვიდობის მართვაში. როცა ამ საკითხებს უგულვებელყოფენ ბანკების მენეჯერები და ზედამხედველობის ორგანოები, ამას შედეგად მოსდევს პრობლემური აქტივები და პრობლემური ბანკები. სწორედ ეს მოხდა აშშ-ში 1970-80-იან წლებში. ბანკები ძალიან ბევრი იყო და მათ უზარმაზარი ისეთი კრედიტები გასცეს, რომელთა გაცემა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. თავი იჩინა ბანკების მიერ მსესხებელთა შერჩევის, გადახდათა შემოსვლის და მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის კონტროლის სუსტმა ორგანიზაციამ, აგრეთვე, სუსტმა ზედამხედველობამ.

7.4. კომერციული ბანკების ლიკვიდაცია

7.4.1. სიცოცხლისუნარო ბანკის ლიკვიდაცია: ამოსავალი დებულებები

კანონმდებლობა აღიარებს ბანკების ლიკვიდაციის ერთადერთ გზას – ლიცენზიების ჩამორთმევას ფინანსური უსახსრობის გამო. საარბიტრაჟო სასამართლოს მეშვეობით ეს ნიშნავს იძულებით ლიკვიდაციას. საარბიტრაჟო სასამართლოზე ბანკის ლიკვიდაციის მოთხოვნით მიმართვა შესაძლოა იმ შემთხვევაშიც გახდეს საჭირო, თუ მისი ლიცენზია გააუქმეს ან გამოიწვიეს ფინანსური მდგომარეობისგან დამოუკიდებლად (როგორც წესი, საკანონმდებლო ნორმებისა, ცენტრალური ბანკის მოთხოვნებისა და მითითებების უხეში დარღვევის გამო), მაგრამ ლიცენზიის გაუქმებიდან ან მისი გამოწვევიდან ერთი თვის განმავლობაში ბანკში შექმნილი არაა სალიკვიდაციო კომისია (დანიშნული არაა ლიკვიდატორი) ან რეალურად არ ტარდება ლიკვიდაციის პროცედურა.

ლიცენზიის გამოწვევა უნდა გავიგოთ რეგულირებად ბანკზე ზემოქმედების უკიდურესი და უკანასკნელი ზომა. მას იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიმართავენ, რომლებიც რეალურ საფრთხეს უქმნიან თვითონ ბანკს, მის მონაწილეებს, კრედიტორებსა და მეანაბრეებს. ეს შემთხვევებია:

- ბანკის უეჭველი ფინანსური გაჭირვება დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე;
- მის მიერ კანონების, აგრეთვე, ცენტრალური ბანკის მოთხოვნებისა და მითითებების სისტემატურად ან ხშირად დარღვევა.

შესაძლებელია ბანკების ლიცენზიების გაუქმების შემთხვევებიც. ისინი უკავშირდება, ჯერ ერთი, ბანკის საქმიანობის შეწყვეტას მისი მონაწილეების ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებით და, მეორე, ისეთ სარეორგანიზაციო პროცედურებს, როგორიცაა შერწყმა, მიერთება, ბანკების დაყოფა და გარდაქმნა.

ბანკის ლიცენზიის გამოწვევა ცენტრალურ ბანკს შემდეგ შემთხვევებში შეუძლია (თითოეული ეს შემთხვევა ამგვარი გადაწყვეტილების მიღების საკმარისი საფუძველია):

1. თუკი დადგენილია იმ ცნობების არასარწმუნოობა, რომელთა საფუძველზეც ლიცენზიის გაცემა მოხდა;
2. თუკი ბანკმა ლიცენზიის გაცემის დღიდან 1 წელზე მეტი ხნით შეაყოვნა ამ ლიცენზიით გათვალისწინებული ოპერაციების ჩატარების დაწყება;
3. თუკი დადგინდა ბანკის საანგარიშგებო ინფორმაციების არასარწმუნოობა და მან 15 დღეზე მეტი ხნით დააყოვნა აუჩილებელი ფაქტობრივი ანგარიშგების წარდგენა;
4. თუკი ბანკმა თუნდაც ერთხელ ჩაატარა ისეთი ოპერაცია, რომელსაც მისი ლიცენზია არ ითვალისწინებდა;
5. თუკი ბანკი არ ასრულებს საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი კანონებისა და ცენტრალური ბანკის ნორმატიული აქტების მოთხოვნებს და თუ ამასთან დაკავშირებით ბანკის მიმართ წლის მანძილზე არაერთხელ მიმართეს კანონით გათვალისწინებულ ზემოქმედების ღონისძიებებს;

ორციელდა და მაშინაც თუკი აქციონერები მზად იყვნენ, დამატებით შეეტანათ მნიშვნელოვანი სახსრები კაპიტალში, ხოლო კრედიტორები თანახმა, ბანკთან ერთად გამოეძებნათ კომპრომისული გადაწყვეტა მათ წინაშე არსებული ვალდებულებების დისკონტირებასთან ან გადავადებასთან დაკავშირებით. ამასთან, მათ მთლიანობაში უნდა მიეღოთ რესტრუქტურიზაციის გეგმა. მთელი ისტორიის მანძილზე აშშ-ში მოახდინეს მხოლოდ რამდენიმე ბანკის რესტრუქტურიზება.

არსებობის ექვსი წლის მანძილზე სატრასტო კომპანიამ საშუალებით მიიღო და ლიკვიდაცია გაუკეთა 747 გადახდისუუნარო გამსესხებელ-შემნახველ კორპორაციას (ასეთ ორგანიზაციათა დახლოებით 40%). კორპორაცია, ჩვეულებრივ, ახერხებდა ეპოვა წელმაგარი და სამართავად კარგი ბანკი, რომელიც თავის თავზე იღებდა გაკოტრებული ორგანიზაციების ანაბრებზე არსებულ ვალდებულებებს. FIRREA-ს კანონის თანახმად, კორპორაცია იმავე კანონისა და დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის ნორმატივების თანახმად მეანაბრეს უხდიდა მისი ანაბრის გარანტირებულ ნაწილს (100 ათას დოლარამდე). სადეპოზიტო ანგარიშზე საშუალო ნაშთმა გაკოტრებულ ორგანიზაციებში დაახლოებით 7500 დოლარს მიაღწია, მათი მესაბრეების მთლიანმა რაოდენობამ კი 25 მლნ. კაცს გადააჭარბა. ამ ორგანიზაციების აქტივების ჯამურმა საბალანსო ღირებულებამ 451 მლრდ. დოლარი შეადგინა. სახსრების დაბრუნების სატრასტო კორპორაციის საქმიანობის დასრულების მომენტისთვის, 1995 წლის დეკემბერში, ამ აქტივების 95%-ზე მეტი თავდაპირველი საბალანსო ღირებულების 87%-ის ტოლი ფასით გაიყიდა. ანუ კორპორაციამ შეძლო ყოველ დოლარზე 87 ცენტის დაბრუნება.

RTC-მა შეიმუშავა და დანერგა ბანკების აქტივების მარკეტინგისა და რეალიზაციის სპეციალური მეთოდები, რომელთაგან მრავალი ფართოდ გამოიყენეს სხვა ქვეყნებში. მათ შორის აღსანიშნავია:

- პულებად გაერთიანებული კომერციული სესხების სეკიურიტიზაცია (მიმოქცევაში ფასიანი ქაღალდების გამოშვება უზრუნველყოფით);
- კრედიტებზე მოთხოვნის უფლებათა ბითუმად მიყიდვა მსხვილ საბროკერო კორპორაციებზე;
- ღია აუქციონის ჩატარება რეგიონებში;
- ფედერალურ დონეზე ღია ტენდერების ჩატარების ორგანიზება;
- აუქციონებისა და ტენდერების ჩატარება უცხოელი ინვესტორების მონაწილეობით;
- უძრავი ქონების რეალიზაცია გამყიდველის მიერ გარიგების დაფინანსების სქემით;
- RTC-ის სელმძღვანელობა კარგად სვდებოდა, რომ ამ კორპორაციის მისია ძნელად შესასრულებელი იქნებოდა სწორად დაგეგმილი სტრატეგიის, მკაფიოდ შემუშავებული მეთოდიკებისა და პროცედურების უქონლად, ასევე, მკაცრი კონტროლის გარეშე. ეს ყველაფერი შეიმუშავეს და დაამტკიცეს კიდეც. ყველაზე დიდი სირთულე იყო აქტივების გაყიდვის, სესხების დაფარვის ან რესტრუქტურიზაციის პირობების შეთანხმება, აგრეთვე, უფლებამოსილებებისა და RTC-ის სახსრების ხარჯვის ლიმიტების დამტკიცება.

გამოსავალი იპოვეს გადაწყვეტილებათა მიღების ლიმიტების დაწესებისა და უფლებამოსილებათა ფართოდ განაწილების გზით. მაგალითად, რიგით მოლარესაც იყო გადაქცეული უძრავი ქონების იმ ობიექტის გაყიდვის პირობების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლების დელეგირება რომელიმე თანამშრომელზე, რომლის შეფასებითი ღირებულება 500 ათ. დოლარს არ აღემატებოდა. იმავე თანამშრომელს შეეძლო დამატებითი უფლებების მოპოვება იგივე ოდენობის თანხის სესხების რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში. თანამშრომლებისათვის უფლებამოსილებათა გადაცემის პროცედურები ითვალისწინებდა მათ მიერ ერცელი დასაბუთების მომზადებას ყოველ აქტივზე.

როგორც წესი, საბანკო პრობლემების ძირითადი მიზეზია ცუდი მენეჯმენტი. ჯეროვანი შიდა კონტროლის დაწესების და პროცედურების შეცვლის უუნარობას ბანკი საბოლოოდ პრობლემების გაძწვავებამდე და გაკოტრებამდე მიიყვანს. არაპროფესიულმა მენეჯმენტმა შეიძლე-

ამ დროს ზედამხედველობის ორგანოებმა გააუქმეს მათ მიერ მოზიდულ სახსრებზე ბანკებისთვის დაწესებული საპროცენტო განაკვეთების შეზღუდვები. ამის შედეგად ბანკებს უფლება მიეცათ, ნებისმიერი პროცენტები გადაეხადათ მეანაბრეებისათვის (მაგრამ არა საბაზრო განაკვეთებს ზემოთ). ამიტომ 80-იან წლებში ანაბრების განაკვეთები წლიურ 20%-ს გადაშორდა. ბუნებრივია, რენტაბელობის შესანარჩუნებლად ბანკებს უხდებოდა კრედიტების გაცემა კიდევ უფრო მაღალი პროცენტით (25% და მეტი).

ამავე დროს მკვეთრად მატულობდა ფასები, განსაკუთრებით - უძრავი ქონების (უმთავრესად, ნავთობის შიდა ფასების გაძვირების გამო). იმავდროულად შეზღუდვები მოუხსნეს გამსესხებელ-შემნახველ ასოციაციებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ვენჩურული პროექტების დაფინანსებისა და სპეკულაციური კომერციული ოპერაციების განხორციელებაზე (აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე). შემდეგ კომერციულ ბანკებს ისევ დართეს, კრედიტები გაეცათ რეკონსტრუქციის პროექტებზე და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სხვა სარისკო ოპერაციებზე (მთავრობა სტიმულს აძლევდა ასეთ ოპერაციებს) როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. ამასთან, ასეთი კრედიტების უზრუნველსაყოფად ბანკები ძალიან მაღალი პროცენტებით იზიდავდნენ დეპოზიტებს. 80-იანი წლების ბოლოს ათასობით ასეთი კრედიტის დაბრუნება შეუძლებელი გახდა ძალიან მაღალი პროცენტებისა და მსესხებელთა ოპერაციების სპეკულაციური ხასიათის ფართოდ გავრცელების გამო. კომპანიებისა და კერძო პირთა გაკოტრების მასშტაბებმა იმ წლებში ყველა მანამდელი რეკორდი მოხსნა.

საბოლოოდ, ნავთობისა და უძრავი ქონების ფასები მნიშვნელოვნად გაიაფდა. საბანკო მენეჯმენტის დაბალი დონისა და დარეგულირების პირობებში ამან იმდენად შეამცირა ასობით გამსესხებელ-შემნახველი ასოციაციისა და კომერციული ბანკის დაფინანსების სახსრები, რომ ამ საკრედიტო ორგანიზაციებმა ძველ დეპოზიტებზე გადასახდელებისათვის დაიწყეს კიდევ უფრო მაღალი განაკვეთებით მოზიდული დეპოზიტების გამოყენება და, თანაც, განაგრძობდნენ სარისკო კრედიტების გაცემას. 1988 წლის ბოლოს ორიოდ ხსენებული კორპორაცია გაკოტრების ზღვარს მიუახლოვდა, რადგანაც იძულებული გახდნენ, მათ თავიანთი რესურსები გადახდისუუნარო ბანკებისა და ასოციაციების მეანაბრეებისთვის მიეცათ სადაზღვევო გადასახდელების სახით. კონგრესი კვლავ იძულებული გახდა, სასწრაფოდ გაეტარებინა საბანკო რეფორმა.

ასეთ პირობებში კონგრესმა მალევე მიიღო კანონი საფინანსო დაწესებულებების ვალდებულებების რეფორმირების, აღდგენისა და იძულებით გადახდევინების შესახებ (FIRREA). 1989 წელს ხელმოწერილი ეს კანონი ყველა იმ კანონებზე უფრო მეტად ყოვლისმომცველი საბანკო კანონი იყო, რომელიც კი მანამდე მიუღიათ აშშ-ში. მის სარეალიზაციოდ და მასთან შესაბამისად შეიქმნა სახსრების დაბრუნების სატრასტო კორპორაცია (ღთჩ), რომელსაც შემდეგი ამოცანები უნდა გადაეწყვიტა:

- მრავალრიცხოვანი გაკოტრებული გამსესხებელ-შემნახველი ასოციაციების ლიკვიდირება;
- სახსრების მაქსიმალურად დაბრუნების უზრუნველყოფა და გადამხდელთა ზარალის მაქსიმალური შემცირება;
- კრიზისის შედეგების შენელება უძრავი ქონებისა და საფინანსო ბაზრებისათვის;
- დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე მოქალაქეებისათვის ბინის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

კონგრესმა არ დაამტკიცა საკანონმდებლო აქტის ის განყოფილებები, რომლებიც პრობლემური საკრედიტო ორგანიზაციების აქციონერთათვის ფინანსურ დახმარებას ითვალისწინებდა, და ამით არ დაუშვა ამ ორგანიზაციების მასობრივად რესტრუქტურიზაცია. ამგვარად, სატრასტო კორპორაციამ ძირითადად დაიწყო სალიკვიდაციო უწყების და არა რესტრუქტურიზაციის სააგენტოს ფუნქციების შესრულება.

აშშ-ის ცალკეული ბანკების რესტრუქტურიზაცია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში განხ-

სისტემის ორგანიზების, მართვისა და გარდაქმნის საშუალებას მისცემდა მათ, აგრეთვე, ბანკების რეფინანსირების წყაროების სიმცირე და თვითგაკვანსაღებაში მათი შესაძლებლობები და მზადყოფნა.

კიდევ უფრო საშიში ისაა, რომ რუსეთის ბანკი წინათაც და ახლაც პრობლემურ ბანკებთან მუშაობის ხერხებს შორის პირველ ადგილზე მათ ლიკვიდაციას აყენებს.

ამასთან, ლიცენზიაჩამორთმეული ბანკების ლიკვიდაცია არამარტო გაუმართლებლად ნელა, არამედ სხვა სახის დიდი დანახარჯებითაც მიმდინარეობს. (APB) ასოციაციაში მიაჩნიათ, რომ რუსეთის ბანკს უკვე დიდი ხანია შეეძლო ნამდვილად მხარდასაჭერი ბანკების განსაზღვრა, მათი გაჯანსაღების პროგრამების განხილვა და ამ პროგრამების განხორციელებისთვის ხელშეწყობა. საკმარისი დრო გავიდა სიცოცხლისუუნარო ბანკების ჩამოსაშორებლად, მაგრამ ეს არ გაკეთდა. ლიცენზიები საბანკო სისტემის საკრედიტო ორგანიზაციების 40%-ს დაკარგა, რეგისტრაციის წვდენიდან კი მათი მხოლოდ 3/5 ამოშალეს. სალიკვიდაციო პროცედურების საშუალო ვადა 2-3 წელიწადია. ამასთან, საკონკურსო მართვის ორგანიზებასა და მიმდინარე ხარჯებს სმარდება საკონკურსო მასის თითქმის ნახევარი, რომელიც ბანკების უმრავლესობასთვის შემოფარგლულია საკალდებულო რეზერვების ანგარიშებზე არსებული სახსრებითა და ლიკვიდური აქტივების ნაშთებით, ისინი კი ბანკის ლიკვიდაციის მოსენტისათვის ვეღარ კიდევ არ იყო „გამოტანილი" მისგან. ასეთ ვითარებაში ბანკის კრედიტორები სამ უდამოდ კარგავენ თავიანთ ფულს. გამოდის, რომ ბანკის ლიკვიდაციისას ყველა დაინტერესებული მონაწილიდან მხოლოდ ისინი ივგებენ, ვინც უშუალოდ ატარებს ლიკვიდაციისა და გაკოტრების პროცედურას.

ბოლოს, აღსანიშნავია, რომ რუსეთის ბანკმა პრაქტიკულად უარი თქვა ბანკებისთვის საკრედიტო დახმარების გაწევაზე სტაბილიზაციის ღონისძიებათა გატარების მიზნით. ქვეყნის საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის პრაქტიკული პრობლემებისგან სახელმწიფომაც შორს დაიჭირა თავი. ყოველივე ამის შედეგად საზოგადოება უფრო მეტ ზარალს განიცდის, ვიდრე ეს რუსეთის ბანკისგან და მთავრობისგან სხვაგვარი დამოკიდებულების შემთხვევაში იქნებოდა.

რუსეთში მიმდინარე საბანკო სისტემის გარდაქმნის პროცესს ხშირად უწოდებენ „დუნედ მიმდინარე რესტრუქტურიზაციას". მართლაც, ფაქტიურად იგი დაეწანილია დროის ახალ მოთხოვნებთან ბანკების ინდივიდუალურად და სტიქიურად „მორგებაზე". ეს იმის საშიშროებას ამენს, რომ ამგვარი რესტრუქტურიზაციის შემდეგ ძირითადად ადრინდელი საბანკო სისტემა აღსდგება იმავე სუსტი მხარეებითა და მანკიერებებით.

აშშ-ში საბანკო კრიზისების დაძლევის გამოცდილება. აშშ-ის ეკონომიკამ არაერთხელ განიცადა საბანკო პრობლემები. ერთ-ერთი მათგანი წარმოიშვა 1929-1933 წლების დიდი დეპრესიის პერიოდში. მაშინ ათასობით საბანკო ანაბარი გაუფასურდა ბანკების არაეფექტიანი ოპერაციების, გაცემული სესხების დაუბრუნებლობისა და, რაც მთავარია, ეკონომიკის საერთო დაქვეითების გამო. იმ წლებში ასობით ბანკი დახურეს და უძრავი ქონების ათასობით ობიექტის კონფისკაცია მოახდინეს სესხების დაუბრუნებლობასთან დაკავშირებით. აშშ-ის კონგრესმა მიიღო კანონები დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის დაფუძნების, აგრეთვე, სესხებისა და დანაზოგების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის დაფუძნების შესახებ. ორივე მათგანის მოვალეობებში დაზღვევის გარდა შედიოდა აშშ-ის მრავალრიცხოვან საფინანსო დაწესებულებათა გამოკვლევა საბანკო კანონმდებლობისა და საბანკო ოპერაციების დაწესებული პროცედურებისა და რეგლამენტების დარღვევის გამოვლენის მიზნით. შექმნილი სისტემა ეფექტიანად მოქმედებდა მრავალი წლის მანძილზე.

1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის საბანკო ინდუსტრია კიდევ ერთმა ფინანსურმა კატასტროფამ შეარყია. ანალიტიკოსების აზრით, ამის მიზეზი გახდა საეჭვო სესხების გაცემის მანკიერი პრაქტიკა, აგრეთვე, მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობის გაუმჭვირვალობა. მაშინ ასეთი ორგანოები იყო საეალუტო კონტროლის სამმართველო, ზემოაღნიშნული კორპორაციები და ფედერალური საზერეო სისტემის დაწესებულებები. სწორედ

5. ბანკების შერჩეული წრის მიმართ დროებით შემოიღეს მათი საქმიანობის რეგულირების სპეციალური ნორმები, რომლებშიც შედიოდა: ეკონომიკური ნორმატივების აბსოლუტურ სიდიდეთა გაანგარიშების წესი, ზოგიერთი ნორმატივის გაანგარიშების წესის ცვლილება, ზემოქმედების ღონისძიებათა მოქმედების წესი. ამან საშუალება მისცა კრიზისით დაზარალებულ, მაგრამ კარგი პერსპექტივების მქონე ბანკებს, რისკების ალების დროს დაყრდნობოდნენ მათი კაპიტალის იმ ოდენობას, რომელიც ბანკებს ჰქონდათ 1998 წლის 1 აგვისტომდე, ანუ რუბლის სავალუტო კურსის მკვეთრად შეცვლამდე.

6. შემცირდა ღია სავალუტო პოზიციების ლიმიტი, გამკაცრდა ლიკვიდობის ნორმატივების გაანგარიშების წესი.

7. 10-ჯერ შემცირდა სარეგისტრაციო მოსაკრებლისა და ფილიალის გახსნის მოსაკრებლის სიდიდე.

8. მოიხსნა საკრედიტო ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალში შენატანებისთვის უცხოური ვალუტით გადახდაზე დაწესებული აკრძალვა.

9. შემოიღეს მოთხოვნები ბალანსგარეშე ოპერაციებიდან და ვადიანი გარიგებებიდან წარმოქმნილი საკრედიტო რისკების აღრიცხვის მიმართ. ზედამხედველობა დაუწესეს კონსოლიდირებულ საფუძველზე მოქმედი საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობას. შეიმუშავეს ბანკებში საბაზრო რისკების გათვალისწინების წესი.

10. გაგრძელდა წინა წლებში დაწყებული იმ ბანკების ლიცენზიების აქტიურად გამოწვევა, რომლებიც არღვევდნენ კანონმდებლობას, ჰქონდათ არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა, არ გააჩნდათ განვითარების პერსპექტივები.

ამავე დროს, რუსეთის ბანკმა და მთავრობამ შეიმუშავეს გრძელვადიანი ღონისძიებებიც საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის მთავარი ამოცანების გადასაწყვეტად. მათგან შეგვიძლია გამოვყოთ;

- იმ საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში მონაწილეობა, რომლებიც საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის წარმატებისათვისაა აუცილებელი;
- აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობა რეგიონებში საბანკო საქმიანობის ნორმალიზებაში მათი შესაძლო მონაწილეობის განსაზღვრის მიზნით;
- საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის სააგენტოს (APKO) შექმნაში მონაწილეობა და მასთან ცენტრალური ბანკის თანამშრომლობა ცალკეული ბანკების რესტრუქტურიზაციის საკითხებში;
- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შექმნა ბანკების რეკაპიტალიზაციისთვის.

ბანკების მიერ საკუთარი კაპიტალის გადიდების შესაძლებლობათა გაფართოების მიზნით:

- მოიხსნა აკრძალვა ბანკების საწესდებო კაპიტალში შენატანების გადახდაზე და სუბორდინირებული სესხების მიღებაზე უცხოური ვალუტით;
- შეცვალეს მიდგომები ბანკების საკუთარი კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნების მიმართ. ეს მოთხოვნები ძალაში დარჩა ახლადშექმნილი ბანკებისთვის და გაუქმდა მოქმედი ბანკებისათვის.
- შემოიღეს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ბანკების საწესდებო კაპიტალების გადახდის წესი.

უკვე 1999 წლის ბოლოს რუსეთის ბანკმა გამოაცხადა საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის პირველი ეტაპის დასრულება, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ სისტემამ აღადგინა მომსახურების საბაზო კომპლექსის გაწევის უნარი, შენარჩუნებულ იქნა ბანკების სიცოცხლისუნარიანი ბირთვი.

რუსეთში რესტრუქტურიზაციის პროცესს ერთგვარი ნაკლოვანებები ახასიათებს. აღვნიშნავთ ზოგიერთ მათგანს: რუსეთის ბანკმა და APKO-მ ერთგვარად გადაჭარბებით შეაფასეს ისეთი საკმაოდ ეფექტიანი ინსტრუმენტარიუმის ფორმირების შესაძლებლობები, რომელიც საბანკო

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ. ღონისძიებათა კომპლექსი. საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაცია 2 ეტაპად მიმდინარეობდა. პირველ ეტაპზე (1992-1995 წლები) სახელმწიფო მნიშვნელოვან ფულს რიცხავდა პრობლემურ, პირველ რიგში კი მსხვილ ბანკებში. იმავდროულად მიმდინარეობდა ბანკების აქტივების წმენდა სახელმწიფო ობლიგაციებზე „ცუდი“ კრედიტების გადაცვლის გზით. აქტიურად იყენებდნენ სახელმწიფო გარანტიებს. ცენტრალიზებული რესტრუქტურიზაციისათვის ცდილობდნენ გამოეყენებინათ სპეციალური სტრუქტურა უნგრეთის კაპიტალდაბანდებათა და განვითარების ბანკი. მაგრამ 1995 წლისათვის ბანკები კვლავ აღმოჩნდნენ კრიტიკულ მდგომარეობაში.

მეორე ეტაპზე (1995-1997 წლები) რესტრუქტურიზაციისადმი მიდგომა შეიცვალა. სახელმწიფო სახსრებს იყენებდნენ მხოლოდ იმ მსხვილი სახელმწიფო ბანკების მხარდასაჭერად, რომლებსაც პრივატიზებას უპირებდნენ. რესტრუქტურიზაციამ ისინი მიმზიდველი გახადა დასავლელი ინვესტორებისათვის.

შედეგები. პირველი ეტაპის შედეგად სახელმწიფოს წილი ბანკების კაპიტალში 1991 წლის 41,1%-დან 69%-მდე გადიდდა 1994 წელს. მეორე ეტაპის შედეგი იყო ქვეყნის საბანკო სისტემაში უცხოური კაპიტალის ხვედრითი წილის გადიდება 1997 წლისთვის 60%-მდე (1996 წელს - 48%, 1995 წელს 35, 1991-1994 წლებში 12-15%) და სახელმწიფო საკუთრების ხვედრითი წილის შემცირება 20,66%-მდე. „ცუდი“ ვალების ხვედრითი წილი ვალების მთლიან თანხაში 1993-1997 წლებში 13,2-დან 1,2%-მდე შემცირდა. არ ყოფილა ანაბრების გაყიდვის ან შეანარეთათვის ფულის დაბრუნებაზე უარის თქმის შემთხვევები.

ღირებულება. უნგრეთის საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციაზე გაწეულმა ხარჯებმა, სხვადასხვა შეფასებით, მისი მშპ-ის 12-დან 18%-მდე შეადგინა.

რუსეთში მიმდინარე რესტრუქტურიზაციის შეფასება. რუსეთის საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის აუცილებლობა ჯერ კიდევ 1990-იანი წლების შუა პერიოდში გახდა აშკარა. შესაბამისი პრაქტიკული ღონისძიებები იქ 1998 წლის აგვისტოდან დაიწყეს, რომლებსაც თავდაპირველად ოპერატიული ანტიკრიზისული მართვის ხასიათი ჰქონდა. ამასთან, რესტრუქტურიზაციის პროგრამის პირველ ვარიანტებში აქცენტი უმსხვილესი მრავალპროფილიანი („სისტემაწარმომქმნელი“), რეგიონთაშორისი ბანკების გადარჩენაზე კეთდებოდა, მაგრამ შემდეგ გადაწყდა ძალისხმევის თავმოყრა საშუალო და მცირე ბანკებზე.

ოპერატიული ანტიკრიზისული ღონისძიებები. 1998 წლის ბოლოს და 1999 წლის დასაწყისში რუსეთის ბანკმა (ცენტრალური ბანკი) ქვეყნის მთავრობასთან ერთად ოპერატიული ღონისძიებები გაატარა საბანკო სისტემის გარდაქმნისათვის:

1. საგადასახადო სისტემის აღსადგენად ჩატარდა სამი მრავალმხრივი ბანკთაშორისი კლირინგი, რომელმაც 30 მლრდ. რუბლის გატარება გახადა შესაძლებელი, მათ შორის - ბიუჯეტებში. მრავალ რეგიონში ამან შესაძლებლობა მისცა ბანკებს, მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლებულიყვნენ არგადახდების ტვირთისაგან და გაუნაღდებელი ანგარიშების კარტოთეკებისგან.

2. გადაწყდა ფიზიკური პირების წინაშე მთელი რიგი ბანკების ვალდებულებათა გადატანა რუსეთის შემნახველ ბანკში.

3. ბანკების ლიკვიდობის მხარდასაჭერად 1998 წლის სექტემბრიდან გამოიყენეს ბანკების რეფინანსირების მექანიზმი: 80 ბანკზე გაიცა ლომბარდული კრედიტები; 34-ზე - ოვერნაიტი, 15-ზე კი 1 წლამდე კრედიტები; შეიცვალა სავალდებულო რეზერვების ნორმატივები (ერთიანი 5%-იანი ნორმატივი). ბანკებს მისცეს სავალდებულო რეზერვების რიგგარეშე რეგულირების უფლება.

4. ცვლილებები მოხდა ბანკებისთვის წაყენებულ მოთხოვნებში. ცენტრალურმა ბანკმა 2 წლით გადაავადა ბანკების საკუთარი კაპიტალის მინიმალური ნორმატივის შეუსრულებლობისთვის ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენება.

უფრო საიმედო ბანკებს. ამ დროს გამოიყენეს დიფერენცირებული მიდგომა. ბანკები რამდენიმე ჯგუფად დაჰყვეს:

I ჯგუფი კლიენტების ჩამოშორების გამო ლიკვიდობის დროებითი პრობლემების მქონე საშუალო და მსხვილი ბანკები. მათ ძლევდნენ მექსიკის ცენტრალური ბანკისა და Banco de la nacion Argentina-ს კრედიტებს;

II ჯგუფი წვრილი ბანკები, რომლებიც უნდა შერწყმოდნენ მსხვილ, შედარებით ჯანსაღ ბანკებს ან შთანთქმული ყოფილიყვნენ მათ მიერ;

III ჯგუფი გაკოტრების პირას მყოფი წვრილი ბანკები. ამ ბანკებში შეაჩერეს ოპერაციები და განზრახული იყო მათი სანაცია, გაყიდვა ან ლიკვიდაცია;

IV ჯგუფი არგენტინის პროვინციების ადმინისტრაციების კუთვნილი 12-15 სახელმწიფო ბანკი, რომელთა პრივატიზაციაც უნდა მოესდინათ.

„ცუდი" ვალების გამოსყიდვას ეწეოდა არა სახელმწიფო სააგენტო, არამედ ხუთი უმსხვილესი კომერციული ბანკი, რომლებმაც 1995 წლის იანვარში ცენტრალურ ბანკთან შეთანხმებით შექმნეს სპეციალური სატრასტო ფონდი. გაწეული დანახარჯების საკომპენსაციოდ ამ ბანკებს შეუმცირეს სარეზერვო მოთხოვნების ნორმატივი.

შედეგები. ანტიკრიზისული ღონისძიებების კომპლექსმა არგენტინაში ერთ წელიწადში უზრუნველყო საბანკო სისტემის სტაბილიზაცია. თუმცა, ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ გაძლიერდა უცხოური ბანკების პოზიციები. ქვეყნის საბანკო სისტემის ჯამურ აქტივებში მათმა ხვედრითმა წილმა 42%-ს მიაღწია.

ღირებულება. არგენტინის საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციაზე გაწეულმა დანახარჯებმა, სხვადასხვა შეფასებით, ქვეყნის მშპ-ის 2,5 3,5% შეადგინა.

სკანდინავიის ქვეყნები. ღონისძიებათა კომპლექსი. კრიზისის წარმოშობის მიზეზების განსხვავებულობის მიუხედავად, სკანდინავიის ყველა ქვეყანაში საბანკო სისტემების რესტრუქტურიზაციის კონცეფციებს საფუძვლად ედო სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პრაქტიკულად ერთიანი პირობები და პრინციპები. მათ ეკუთვნის:

- სპეციალური სახელმწიფო ორგანოს შექმნა საბანკო სისტემის კრიზისის დასაძლევად და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გასაწევად შუამავალი სააგენტოების გვერდის აქლით;
- პრუდენციული საბანკო ზედამხედველობის როლის გაძლიერება და მისი განხორციელებისათვის სპეციალური ორგანოს გამოყოფა;
- დეპოზიტების დაზღვევა როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიმართ ერთიანი მიდგომის პრინციპით („ვინმე არ უნდა დაზარალდეს");
- ყველა ბანკისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის აღმოჩენის ერთიანი პრინციპები და პირობები და ინფორმაციის სრული გამჭირვალობა მთელი საზოგადოებისათვის;
- ბანკების მდგომარეობის შეფასების და მათთვის სახელმწიფო მხარდაჭერის საჭიროების გამოვლენის ერთიანი მეთოდიკა. ეს მხარდაჭერა შერწყმულია იმ ბანკების მფლობელებისა და ხელმძღვანელების მიმართ „არაპოპულარული" ღონისძიებების გამოყენებასთან, რომლებსაც ასეთ მხარდაჭერას უწევდნენ. ესაა, კერძოდ, ისეთი სანქციები, როგორიცაა მატერიალური ზარალის ანაზღაურება ბანკების დამნაშავე ხელმძღვანელთა პირადი ქონების ხარჯზე, საწესდებო კაპიტალის გადაფასება საკუთარი სახსრების მთლიანად დაკარგვამდე (ეს ღონისძიება ნორვეგიაში იძულების წესით ხდებოდა) და ა.შ.

ამ ქვეყნების საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის პროგრამები პრაქტიკულად ხორციელდებოდა პასუხისმგებლობისა და სტიმულების ოპტიმალურად შეხამებით ყველა დონეზე. მფლობელების, ცალკეული ბანკების მართვის ორგანოებისა და მთელი სისტემის მარეგულირებელი ორგანოების ჩათვლით.

ღირებულება. დანახარჯებმა შუკლეთში შეადგინა მშპ-ის 4,3%, ფინეთში კი

სათვის ჩილეს ცენტრალურ ბანკში გადაცემული ვალების სიდიდემ 3-ჯერ გადააჭარბა პრობლემური ბანკების მთლიან კაპიტალს და 6 მლრდ. დოლარი (მშპ-ის 25%) შეადგინა. გამოსყიდული კრედიტების დაახლოებით 60% ცენტრალურმა ბანკმა თავის ობლიგაციებზე გადაცვალა.

ქვეყნის მთელ რიგ სისტემაწარმომქმნელ ბანკებში შემოიღეს პირდაპირი სახელმწიფოებრივი კონტროლი.

სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოქცეული ბანკების რეკაპიტალიზაციას მათი აქციების დამატებითი ემისიის გზით ახორციელებდნენ, რომელთა განთავსება წვრილ და საშუალო ინვესტორებს შორის ხდებოდა. ამ პროგრამაზე უშუალოდ მუშაობდა განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო კორპორაცია (CORFO).

შედეგები. გატარებული ღონისძიებების შედეგად ბანკებმა პრაქტიკულად ძთლიანად შეასრულეს თავიანთი ვალდებულებები ფიზიკური და იურიდიული პირების ანაბრების (დეპოზიტების) ნაწილში. მართალია, ეროვნული კერძო ბანკების რაოდენობა 22-დან 15-მდე შეცირდა, მაგრამ ამ დროს ძოხერხდა ყველა უმსხვილესი ბანკის შენარჩუნება და უკვე 1987 წლისთვის მათი ნორმალური მუშაობის აღდგენა. 1996 წლის შემდეგ ჩილეს არცერთი კომერციული ბანკი აღარ მიუწვევიათ კონკურენტუნარო ბანკად.

ღირებულება. ჩილეს საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციაზე გაწეულმა ხარჯებმა 1980-იანი წლების ბოლოსათვის, სხვადასხვა შეფასებით, ქვეყნის მშპ-ის 30-დან 40%-მდე შეადგინა.

მექსიკა. ღონისძიებათა კომპლექსი. მექსიკაში საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაცია 1995 წელს დაიწყო ეროვნული ფულადი ერთეულის დევალვაციისა და ქვეყანაში ფინანსური პანიკის დესტაბილიზაციის იმ გაძლიერების შემდეგ, რომელიც დევალვაციას მოჰყვა თან. მექსიკის ბანკის (ქვეყნის მთავარი ბანკის) ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო სპეციალური სანგარიშსწორებო ერთეულის UDI-ს (unidades de inversion) შემოღება, რომელიც ინდექსირებული იყო ფასების დონესთან. ბანკების მთელი აქტივები გადაიანგარიშეს მისი გამოყენებით, რაცა თავიდან აეცილებინათ ბანკების საკრედიტო პორტფელების გაუფასურება.

ბანკების რესტრუქტურიზაციაზე მოშუშავე ძირითადი ორგანო იყო დანაზოგების დაცვის საბანკო ფონდი (FOBAPROA). სანაციის პროცესში მან ბანკებისგან გამოისყიდა ფასიანი ქაღალდები, ბანკებმა კი მოახდინეს მიღებული სახსრების დეპონირება მექსიკის ბანკში. ამ ქაღალდების გამისასყიდად ბანკებს 5 წელი მისცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში განზრახული იყო მათი კონვერტირება ამ ბანკების აქციებში და ბაზარზე რეალიზება.

ეროვნული ბანკების საგარეო ვალების პრობლემის გადასაწყვეტად ცენტრალური ბანკი მოკლევადიან სავალუტო კრედიტებს აძლევდა ამ ბანკებიდან იმათ, ვისაც გადაჭრილებული ჰქონდა ამ ვალდებულებათა გადახდა. იმავდროულად FOBAPROA-ს გამოისყიდა კომერციული ბანკების საეჭვო აქტივები. ამასთან, აქციონერები, თავის მხრივ, ვალდებული იყვნენ ბანკის კაპიტალში შეეტანათ FOBAPROA-ს მიერ გამოყოფილი სახსრების ნახევრის ტოლი თანხები. ამ ოპერაციიდან მიღებული სახსრები ბანკებს უნდა შეეტანათ 10-წლიან სახელმწიფო ობლიგაციებში.

პრობლეურ ბანკებში შემოიღეს გარედან მართვა. ზოგ შემთხვევებში მათ აქციებს უცხოეთის ბანკებს გადასცემდნენ. იმავე დროს დასმარება გაუწიეს ბანკების მოვალეებს - მოახდინეს მათი დავალიანების რესტრუქტურიზება.

შედეგები. რესტრუქტურიზაციის შედეგად მექსიკამ მოახერხა ეროვნული საბანკო სისტემის სგრეულის თავიდან აჩილება. მოსახლეობის ანაბრები პრაქტიკულად არ დაზარალებულა. შეინარჩუნეს უცხოელი ინვესტორების ნდობა ქვეყნის ბანკებისადმი.

ღირებულება. მექსიკის საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაცია 60-65 მლრდ. დოლარი დაჯდა (ეროვნული მშპ-ის დაახლოებით 14,5%).

არგენტინა. ღონისძიებათა კომპლექსი. არგენტინაში საბანკო კრიზისის პრობლემების მოსაგვარებლად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები პირველ რიგში მხარს უჭერდნენ

ბანკების რესტრუქტურიზაციის პროცესში უპირატესობით ნაკლებად იყენებენ სპეციალურ საგადასახადო პრივილეგიებს. ამის მიუხედავად, ბრაზილიამ საგადასახადო სტიმულები გამოიყენა შერწყმის წასახალისებლად: შთანთქმულ ბანკს შეეძლო გამოექვითა უმოქმედო კრედიტების ღირებულება, მშთანთქმელი ბანკი კი იღებდა კრედიტებს აქციათა პაკეტის შეძენის ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ტოლი ოდენობით. ზოგიერთი ქვეყანა საგადასახადო სტიმულებს იყენებს იმ აქციებისა და ობლიგაციებისათვის, რომლებსაც რესტრუქტურიზაციის პროგრამის რეალიზაციის მსვლელობაში უშვებენ.

საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის პირობებში რეგულირებისა და ზედამხედველობის წესებს ერთგვარად არბილებენ. ამის კომპენსირებას ახდენენ რეგულირებისა და ზედამხედველობის ისეთი საშუალოვადიანი სისტემის შექმნით (კრიზისის პერიოდში), რომელიც უფრო ადეკვატურად ითვალისწინებს საბანკო საქმიანობის რისკებს.

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ბანკების გადასარჩენად სახელმწიფოს მხრიდან ჩადენილ მოქმედებებს შეუძლია ხელი შეუწყოს ბანკების პასუხისმგებლობის გრძნობის შესუსტებას. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დახმარების პირობები არ იწვევდეს მომავალში ბანკების უპასუხისმგებლო ქცევის წახალისებას.

ბანკების მონაწილეებს ყოველთვის არ აკისრებენ პასუხისმგებლობას, მაგალითად, იმ კრედიტებისაგან მიღებული ზარალის შემთხვევაში, რომლებსაც ბანკები მთავრობის მითითებით გასცემდნენ. აუჩქარებელია, ასევე, პასუხისმგებლობის ზომის რანჟირებაც, რადგანაც მონაწილეებს შესაძლოა არ ჰქონდეთ საკრედიტო ორგანიზაციაში პრობლემების აღმოჩენის შესაძლებლობა ამ ორგანიზაციის ანგარიშგების გაუმჭვირვალობისა და დახლართულობის ან სხვა მიზეზების გამო.

საბანკო სისტემების რესტრუქტურიზაციის მსვლელობაში ქვეყნების უმრავლესობაში შექმნეს სპეციალიზებული ინსტიტუტები, რომლებსაც დააკისრეს ამ პროცესის მართვის ამოცანები.

მრავალი ქვეყნის მთავრობა და ცენტრალური ბანკი სხვადასხვა ხერხით ეწეოდა საბანკო კრიზისების გადალახვას და საკუთარი საბანკო სისტემის რესტრუქტურირებას. პრაქტიკამ აჩვენა, რომ არც რესტრუქტურიზაციის იდეალური ფორმა არსებობს და არც საბანკო სექტორში ვითარების ნორმალიზების უნივერსალური სტრატეგია. ხშირ შემთხვევებში ამის მიუხედავად, შეგვიძლია გამოვყოთ იმ წარმატებული პროგრამების საერთო ნიშნებიც, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნებში განხორციელდა:

- პრობლემის მასშტაბების უსწრაფესად განსაზღვრა, მისი აღიარება სახელმწიფო დონეზე და პრობლემის მოგვარებისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების გამოსაყოფად ხელისუფლების მზადყოფნა;
- პრობლემის არსის ადეკვატური, გამჭვირვალე ღონისძიებების მიღება, პრობლემური ბანკებისგან „ცუდი" აქტივების მოშორება;
- რესტრუქტურიზაციის კომპლექსური, გამჭვირვალე, ოპერატიული პროგრამის შემუშავება, მისი ზუსტად და თანმიმდევრულად განხორციელება;
- საბანკო ზედამხედველობის პროცედურების სრულყოფა.

7.3.4. საბანკო სისტემების რესტრუქტურიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილებიდან შორეული საზღვარგარეთის ქვეყნები

ჩილე. ღონისძიებათა კომპლექსი. ჩილეს საბანკო სისტემის მასშტაბური რესტრუქტურიზაცია დაიწყო 1984 წლიდან, როდესაც ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა დაიწყო სასტაბილიზაციო კრედიტების გაცემა ბანკების ლიკვიდობის მხარდასაჭერად და მათი უიმედო კრედიტების გამოსყიდვა ან ბანკების არამომუშავე აქტივების გადაცემა ლიკვიდურზე. ბანკების ვალების გადაფორმება იმგვარად ხდებოდა, რომ კრედიტორები აქციონერები ხდებოდნენ.

სახელმწიფო კერძო ბანკების საგარეო ვალების გარანტად გამოვიდა. 1985 წლის ბოლო-

მასშტაბები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან). კრიზისის მიზეზები ზოგჯერ ერთნაირი, ზოგჯერ სპეციფიკური იყო, მაგრამ მისი დაძლევის ფორმები ბევრ რამეში ყველგან ემთხვეოდა ერთმანეთს: სასტაბილიზაციო დაკრედიტება, ბანკების საკუთარი კაპიტალის შევსება, მათი აქტივების გამოსყიდვა (ვადაგადაჩილებული ვალების ჩათვლით) და სხვა. როგორც წესი, ძირითადი ფინანსური ტვირთი აწვებოდა სახელმწიფოს ან უშუალოდ, ან რესტრუქტურიზაციისათვის მის მიერ სავანგებოდ შექმნილი სააგენტოების საქმიანობის დაფინანსების გზით.

საბანკო საქმის რესტრუქტურიზაციის დარგში პიონერად იქცა აშშ, სადაც 1929-1933 წლების კრიზისის გაჯანსაღების შეიქმნა გარანტირებული ანაბრების სისტემა და ამ სისტემის მართვის სპეციალური ინსტიტუტი (რომელსაც იმავდროულად დაეკისრა რესტრუქტურიზაციაზე მუშაობა) - დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია.

საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის მომდევნო ეტაპი უკავშირდება ბოლო 20 წელიწადში სხვადასხვა ქვეყნებში მოხდარ სრულიად განსხვავებულ საბანკო კრიზისების სერიას.

1980-1991 წლებში აშშ-ში არსებობა შეწყვიტა 1300 ბანკმა და 1400 გამსესხებელ-შემნახველმა ასოციაციამ. სხვადასხვა შეფასებით, საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაცია 300-500 მლრდ დოლარი (მშპ-ის 5%) დაჯდა. 1995 წ. საბანკო კრიზისი მოხდა იაპონიაში, 1994-1995 წლებში - საფრანგეთში, 1989-1990 წლებში ავსტრალიაში, 1987-1989 წლებში - ნორვეგიაში, 1991 წელს შვედეთში, 1991-1993 წლებში - ფინეთში, 1980-1982, 1990-1991 და 1995 წლებში - არგენტინაში, 1990, 1994-1995 წლებში - ბრაზილიაში, 1981-1982, 1990-1991 და 1995 წლებში მექსიკაში, 1982-1984 წლებში ჩილეში, 1994-1995 წლებში - ინდოეთში, 1994 წელს ინდონეზიაში, 1985-1988 წლებში მალაიზიაში, 1981-1987 წლებში ფილიპინებზე, 1991-1995 წლებში უნგრეთში, 1990-იან წლებში პოლონეთში, ბულგარეთში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, და სხვა. ზოგიერთ ქვეყანაში სისტემური კრიზისები პერიოდულად მეორდება. ცალკეულმა ქვეყნებმა შეძლეს თავი აერიდებინათ სისტემური საბაზრო კრიზისებისგან მათგან დაზღვევის სისტემის არსებობის წყალობით, უპირველეს ყოვლისა, ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების ხარჯზე.

საბანკო სისტემების რესტრუქტურიზაციის ფასი ძალიან განსხვავებულია: ეშპ-ის 5% აშშ-ში, 10% - უნგრეთსა და ბრაზილიაში, 40%-ზე მეტი - ჩილეში და 55% არგენტინაში.

კრიზისულ სიტუაციაში ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ. ვარკეული დახმარება გაუწიონ პრობლემურ ბანკებს, განსაკუთრებით მათი მიმდინარე ლიკვიდობის დარღვევის შემთხვევებში. ყველაზეხანდაზმული ობლიგაციები შეისყიდა ბანკებისგან. ცენტრალური ბანკის მიერ გრძელვადიანი კრედიტის გაცემა ზოგჯერ დამოკიდებულია ბანკების მიერ ვიღაცების გაუპროცენტების კომპლექსური გაცვლების შედგენა-გადაცემაზე (დასაბუთებული ღონისძიებების ნუსხა და მოსალოდნელი შედეგები).

საგალდებულო რეზერვების დონის შემცირება (ან და მათზე საპროცენტო გადახადების გადიდება) ბანკებისთვის დახმარების გაწევის კიდევ ერთი ხერხია. ბრაზილიამ, მაგალითად, მოთხოვნამდე ანაბრების საგალდებულო რეზერვების ნაწილი გამოათავისუფლა იმ ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ვადიანი დეპოზიტების სერტიფიკატების შეძენის დასაფინანსებლად, რომლებიც ბანკების რესტრუქტურიზაციის პროგრამით მუშაობდნენ.

გაუწევს იგი მომსახურებას. რეალური ეკონომიკის კონკრეტული მოთხოვნილებები და შესაძლებლობები იმის განმსაზღვრელი მთავარი კრიტერიუმია, თუ როგორი უნდა იყოს საბანკო სისტემა. რეალური სექტორის პრობლემების მოგვარება სახელმწიფოს სათანადო ეკონომიკურ პოლიტიკას მოითხოვს. ნებისმიერ შემთხვევაში რეალურ სექტორსაც და საბანკო სისტემასაც ესაჭიროება მკაფიო ორიენტირები, რომლებიც თვითონვე გეეელინებიან განვითარების დამატებით სტიმულებად.

4. საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციას წინ უნდა უსწრებდეს ფულად და საკრედიტო ურთიერთობათა გაჯანსაღება. აქ წამყვან როლს ფულად ურთიერთობათა გაჯანსაღება თამაშობს (კერძოდ, ბარტერის და სხვა არაფულადი „გადახდების" აღკვეთა ეკონომიკაში). ეს მოითხოვს ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების სტიმულირების ქმედითი ღონისძიებების გატარებას, რადგანაც არაინვესტიციური გზით შეუძლებელია ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა.

5. საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაცია ასევე შეუძლებელია საკადრო რევოლუციის გარეშე. მოკლევადიანი ფინანსური სპეკულაციების სპეციალისტებმა ან თანამედროვე მიმართულებები უნდა აითვისონ, ან იმ პროფესიონალებს დაუთმონ ადგილი, რომლებსაც რეალურ სექტორთან შეუძლიათ მუშაობა; ცოდნა და უნარი გააჩნიათ საინვესტიციო და საწარმოო რისკების შეფასებისა და მეთვალყურეობის ნაწილში.

6. საბანკო სექტორის რესტრუქტურიზაცია საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის მნიშვნელოვან კორექტირებას მოითხოვს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე წამყვანი საკითხი საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით, რომლებზე ჯერ კიდევ არაა გაცემული დამაკმაყოფილებელი პასუხი.

ა) რა იყო იმ მდგომარეობის მთავარი მიზეზი, რომელშიც ბანკები აღმოჩნდნენ? საფიქრებელია, რომ უნდა გაკეთდეს არჩევანი რეალური ეკონომიკის მდგომარეობასა და თვით ბანკების საქმიანობის თავისებურებებს შორის. ალბათ, ძალთებული არაა ორი მიზეზის ერთმანეთთან ასე დაპირისპირება ჩვენს კონკრეტულ პირობებში.

ბ) რა უნდა იქცეს რესტრუქტურიზაციის პროცესის მთავარ შინაარსად (უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად)? ამ ცენტრალურ საკითხზე ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელებიც კი სხვადასხვა პასუხებს იძლევიან. არსებობს ერთმანეთთან შეუთანხმებელი ასეთი ვარიანტები: 1. იმ პრობლემური ბანკების ფინანსური გაჯანსაღება, რომლებიც ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობასა და განვითარების პერსპექტივებს; 2. ბანკების კაპიტალიზაციის დონის ამაღლება; 3. ფულად ურთიერთობათა გაჯანსაღება; 4. არა იმდენად ბანკების, რამდენადაც ფულად-საკრედიტო ურთიერთობების გაჯანსაღება; 5. თვისობრივად ახალი საბანკო სისტემის შექმნა.

გ) როგორი უნდა იყოს იმ საბანკო სისტემის სტრუქტურა, რომლის ჩამოყალიბებაც მიზანშეწონილია? ეს პრინციპული საკითხია. აქ აუცილებელია აბსოლუტური სიცხადე იმასთან დაკავშირებით, ოპერაციები სრული „ასორტიმენტი" უნდა ჰქონდეთ ბანკებს თუ სხვა რომელიმე ვარიანტიც არის მისაღები.

დ) როგორი უნდა იყოს საბანკო სისტემის აღდგენისა და განვითარების კონცეფცია? კერძოდ, დღემდე საკამათო რჩება (უფრო პრაქტიკაში, ვიდრე თეორიაში) ასეთი საკითხი: ბანკების გაჯანსაღების მთავარ მიმართულებად გაკოტრების ჩატარება უნდა მივიჩნიოთ თუ მათი რეორგანიზაცია და სანაცია, რომელიც მოიცავს ყოველმხრივ ფინანსურ და სხვაგვარ მხარდაჭერასა და სტრუქტურულ გარდაქმნას?

საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილება, ბანკების რესტრუქტურიზაცია უნიკალური პრობლემა არაა. ბოლო 20 წლის განმავლობაში საბანკო კრიზისი თითქმის 70 ქვეყანაში აღინიშნა. წონასწორობის აღდგენის პროცესი ყველგან მტკივნეულად მიმდინარეობდა და მასში ყველგან მონაწილეობდა სახელმწიფო (თუმცა, ამ მონაწილეობის

წლებში). მთელი რიგი ექსპერტების შეფასებით, აქედან საუკეთესო გამოსავალია პრობლემური ბანკის შერწყმა ჯანსაღ ბანკთან. თუმცა, ეს საკმაოდ საკამათო რეკომენდაციაა.

ლიკვიდაციის მინიმიზაციის პრინციპი მოითხოვს, რომ პრობლემური ბანკების რესტრუქტურიზაციისა და ფინანსური გაჯანსაღების პროცესში პრიორიტეტი ენიჭებოდეს რეორგანიზაციისა და მხარდაჭერის და არა გაკოტრების ღონისძიებებს.

რესტრუქტურიზაციის ჩატარებაზე ხარჯების სამართლიანად განაწილების პრინციპი იმას გულისხმობს, რომ ბანკების გაჯანსაღების დანახარჯების დასაბუთებულ ნაწილს ის უნდა ანაზღაურებდეს, ვინც შეგნებულად ღებულობს ამ ბანკების საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს, ვინც მათ ზარალზეა პასუხისმგებელი და ვინც მოგებას ნახულობს რესტრუქტურიზაციის შედეგად. ბანკების ვალდებულებების გადახდის უუნარო მენეჯერებისა და მესაკუთრეების ეკონომიკური პასუხისმგებლობა შესაძლებელია გამოისატოს, მაგალითად, მათი კუთვნილი საბანკო კაპიტალის ადეკვატურად შემცირებით, რესტრუქტურიზაციის პროცესში მათი მონაწილეობით ბანკების კაპიტალში დამატებითი შენატანების გზით. ზარალის ნაწილი შეიძლება მესაკუთრეების სარჯ'ზეც დაიფაროს.

სტრატეგიული მიდგომის პრინციპი იმ სტრატეგიული საკითხის გარკვევას გულისხმობს, თუ როგორი საბანკო სისტემის მიღება სურს საზოგადოებას რესტრუქტურიზაციის შემდეგ (იმ პირობით, რომ იგი უნდა შეესაბამებოდეს ახალ ეტაპზე ბანკების წინაშე დასმულ ახალ მიზნებსა და ფუნქციებს). მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეირჩეს მიღებული სტრატეგიის შესაბამისი და ერთმანეთს შორის შეთანხმებული ის ღონისძიებები, რომლებიც ცალკეული ბანკებისა და მთლიანად მათი სისტემის სანაციისათვის შეიძლება იყოს რეკომენდებული.

კომპლექსური მიდგომის პრინციპი იმას ნიშნავს, რომ პროგრამით განსაზღვრულ ღონისძიებათა სისტემა მთლიანად უნდა შესრულდეს. დაუშვებელია, რომ რესტრუქტურიზაციის პროცესის მთელი შინაარსი მის ცალკეულ შემადგენელ ნაწილებზე იყოს დაყვანილი (მაგალითად, ყველაფერი არ შემოიფარგლოს მხოლოდ დროის რომელიმე მონაკვეთში გამოელენილი ფინანსური სიძნელეების დაძლევით).

შეგვიძლია დავასახელოთ რესტრუქტურიზაციის ჩატარების ისეთი პრინციპებიც, როგორიცაა მასთან დაკავშირებული დანახარჯების განაწილების გამჭვირვალობა (საჯაროობა), იმ ბანკებზე ზედამხედველობის გაძლიერება, რომლებსაც სახელმწიფო უჭერს მხარს, ცვლილებად ვითარებასთან ბანკების დამოუკიდებლად შეგუების წახალისება (აღმინისტრაციული ღონისძიებებით დაუბრკოლებლობა) და სხვა.

დიდი მნიშვნელობა აქვს რესტრუქტურიზაციის პირობებს, რომლებსაც შეგვიძლია მივაკუთვნოთ:

1. საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის წარმატება პირდაპირაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მკაფიოდ და საქმის ცოდნითაა ფორმულირებული გრძელვადიანი ამოცანები, სამრეწველო, სტრუქტურული და ფინანსური პოლიტიკა.

2. საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის წარმატებისათვის ყველაზე უფრო აუცილებელია მისი აღდგენისა და შემდგომი განვითარების ისეთი კონცეფცია, რომელიც ეკონომიკური ზრდის ამოცანების შესაბამისი იქნება. ეს კონცეფცია შესაძლოა ორიენტირებული იყოს ოპერატიული ხასიათის ამოცანების შესრულებაზე (გადახდის მექანიზმის აღდგენა, სხვა გადაუდებელ პრობლემათა მოგვარება) და უფრო გრძელვადიან ისეთ ამოცანებზე, რომელთა გადაჭრა განვითარების თვისებრივად ახალ დონეზე საბანკო სისტემის გადასვლის მომასწავებელი იქნება.

3. რეალური არაა საბანკო სისტემის რესტრუქტურირების მცდელობა იმ გარემოს რეფორმირებიდან ან რესტრუქტურირებიდან მოწყვეტით, რომელშიც ბანკი ფუნქციონირებს. ეს მოთხოვნა პირველ რიგში ეხება ეკონომიკის რეალურ სექტორს და მის მოქმედ საწარმოებს. საბანკო სისტემა ერთგვარ ზედნაშენად გვეელინება, და მისი წარმატებით რესტრუქტურირება იმის ცოდნით შეიძლება, თუ როგორია ბაზარი, ე.ი. როგორ ეკონომიკას

2. კომერციული ბანკების უადგილებულ დაკალიანებაზე მუშაობის პროგრამის შედგენა და განხორციელება.

იგულისხმება, რომ რესტრუქტურიზაციაზე მომუშავე სპეციალური სახელმწიფო ორგანო ბანკებისგან გამოისყიდის მათ „ცუდ ფულს".

3. ბანკების რეკაპიტალიზაციის განხორციელებაში იგულისხმება, რომ იგივე ან სხვა სახელმწიფო ორგანო დროებით შევიდეს ბანკების კაპიტალში, გაზარდოს ეს კაპიტალი და ბანკების საკრედიტო პოტენციალი, შემდეგ კი გაყიდოს თავისი წილი ბანკების კაპიტალში.

4. კომერციულ ბანკებში მოსახლეობის ანაბრების გარანტირების შესახებ კანონის დროულად მიღება.

5. თანაბარი პირობების შექმნა ყველა ბანკის კონკურენციისა და განვითარებისათვის. უარი უნდა ვთქვათ ყოველგვარ „საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე", „სისტემაწარმომქმნელ" და ეინმესთან ასე თუ ისე „დაახლოებულ" სხვა ბანკებზე, რომლებსაც არასაბაზრო ხასიათი აქვთ.

6. საბანკო სისტემაში სახელმწიფოსა და სახელმწიფო ბანკების როლის მკაფიოდ ფორმულირება.

7. რეგიონული საბაზრო კომერციული ბანკების საგანგებო მხარდაჭერის განხორციელება.

8. ბანკების განვითარების ინფრასტრუქტურის და მათი ფუნქციონირების ეფექტიანი მექანიზმების შექმნა.

9. კომერციული ბანკების დაბეგვრის სისტემის შეცვლა.

10. ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების რეფინანსირების ღონისძიებათა შემუშავება და რეალიზება.

11. იპოთეკური დაკრედიტების განვითარების საკანონმდებლო და ორგანიზაციული ღონისძიებების პაკეტის შექმნა და რეალიზება.

12. საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე კომერციული ბანკების გადასვლის დაჩქარება.

რესტრუქტურიზაცია: პრინციპები და პირობები. საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის პროცესის სავალდებულო პრინციპებად (ძირითად წესებად) შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი:

სოლიდური პასუხისმგებლობის პრინციპი. მისი არსი ისაა, რომ აღნიშნულ პროცესში აუილებლად მონაწილეობენ (მათ შორის საკუთარი სახსრებით) და თავიანთი ძალისხმევის კოორდინირებას ახდენენ თვითონ ბანკებიც (უპირველეს ყოვლისა, მესაკუთრეები), მათი კრედიტორებიც და სახელმწიფოც. სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია საბანკო სისტემის რესტრუქტურირება. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ უკიდურესად შეზღუდული რესურსების მქონე სახელმწიფო ვერ შეძლებს ყველა შეუსაბამისი ბანკის მხარდაჭერას. მაშასადამე, ბანკებმა პირველ რიგში დამოუკიდებლად უნდა სცადონ თავიანთი პრობლემლების გადაჭრა და სათანადო პოზიციაზე უნდა დადგნენ როგორც გასაჯანსაღებელი ბანკების ხელმძღვანელები, ისე მათი კრედიტორებიც.

დანახარჯებისა და დანაკარგების მინიმიზების პრინციპი. იგი გვეუბნება, რომ რესტრუქტურიზაციის განხორციელების დროს პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ ღონისძიებებს, რომლებიც კრიზისიდან გამოსვლის შესაძლებლობას იძლევა ბიუჯეტის ნაკლები დანახარჯებით (საზოგადოებისათვის ფინანსური დანაკარგები) და საბანკო სისტემისა და ბანკების კლიენტების მხრიდან ნაკლები დანაკარგებით.

პრობლემური ბანკების ლიკვიდაცია ყველაზე ნაკლებად ხარჯიანი, მაგრამ სოციალურად ყველაზე უფრო რთული გზაა. აქ განსაკუთრებით აწონილ-დაწონილი მიდგომაა საჭირო სალიკვიდაციო ბანკების მეანაბრეების პრობლემის მიმართ. გადახდისუუნარო ბანკების მოუფიქრებელ ლიკვიდაციას თავისთავად შეუძლია გააძლიეროს კრიზისი (ინდონეზიის მაგალითი 1997-1998

• ბანკების საქმიანობის ახალი წესების და ამ საქმიანობის რეგულირების უფრო სრულყოფილი წესებისა და ინსტრუმენტების შექმნა;

• პირობების, მექანიზმებისა და სტიმულების შექმნა ბანკების შემოსაბრუნებლად წარმოების მსარეს, ეკონომიკის კლავწარმოებით პროცესებში მათ სრულფასოვნად ჩასართველად, საინვესტიციო ამოცანების გადაჭრაში ბანკების მოუქნელობის დაძლევა;

• ბანკებს შორის ნდობის აღდგენა;

• საბანკო სისტემის მიმართ ნდობის აღდგენა, მათ შორის მოსახლეობაში სტიმულების გაჩენა, საბანკო ანგარიშებზე გადაიტანონ თავიანთი დანაზოგები;

• ბანკების მენეჯერების საქმიანობის პასუხისმგებლობისა და ეფექტიანობის ამაღლების სტიმულების შექმნა;

• აშკარად სიცოცხლისუნარო ბანკების ცივილიზებულად დახურვა და იმავე დროს მათი ლიკვიდაციის მექანიზმების სრულყოფა.

არაერთხელ გამოთქმულა აზრი იმის თაობაზე, რომ საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის მთავარი ამოცანა ბანკების რეკაპიტალიზაციაა (დაკარგული კაპიტალის აღდგენა და მისი შემდგომი მატება), მაგრამ ეს მთლად სწორი არაა. დღემდე ყველაზე მწვავე პრობლემად ის რჩება, რომ კაპიტალის დაბანდების შემოსაველიან და საიმედო მიმართულებათა სპექტრია ძალიან ვიწრო.

ზოგიერთი ბანკირი დაჟინებით გვთავაზობს რესტრუქტურიზაციის იმგვარ გაგებას და საბანკო სისტემის რადიკალურად გარდაქმნის ისეთ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომელთა არსი საბოლოოდ დაიყვანებოდა გაკოტრებამდე მისული ბანკების გადაჯგუფებაზე სპეციალიზაციის პრინციპის მისედვით (ქვეყნის მასშტაბით მოშუშავე სპეციალიზებული ბანკები, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების ან მსხვილ საწარმოთა ჯგუფების უფლებამოსილი ბანკები, რეგიონული ბანკები). ამ დროს იგულისხმებოდა, რომ ახალი, „სისტემაწარმომქმნელი“ ბანკების ჯგუფები სათანადო სახელისუფლებო სტრუქტურების ან საწარმოთა ჯგუფების მკაცრ კონტროლს დაექვემდებარებოდა, სამაგიეროდ კი ბიუჯეტის ფულზე მუშაობის შესაძლებლობას მიიღებდა. ცალკეულ ბანკირთა ეს წინადადებები არაფრით არ უკავშირდებოდა მთლიანად საბანკო სისტემის აღდგენის ამოცანებს.

საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის ძირითადი ამოცანები ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

• ცალკეული პრობლემური ბანკების სანაციიდან ჯანსაღი საბაზრო საბანკო სისტემის შექმნის პოლიტიკაზე გადასვლა, საბანკო სისტემის სტრუქტურული რეფორმის ჩატარება;

• ბანკების მთლიანი კაპიტალის გადიდება და საბანკო სისტემის შევსება გრძელვადიანი რესურსებით;

• საბაზრო კომერციული ბანკების ხარისხის ზრდის სტიმულირების პირობების შექმნა, მათ შორის რეგიონებში.

რესტრუქტურიზაციის პროგრამის მიზანი უნდა იყოს: საბანკო სისტემაში ტექნოლოგიური საბაზრო კომერციული ბანკების ისეთი ფენის შექმნა, რომელიც საბაზრო პოლიტიკას ატარებს და ძირითად შემოსავლებს საკრედიტო ოპერაციებიდან ღებულობს. საფიქრებელია, რომ 2-3 წლიანი პროგრამის ფარგლებში საბანკო სისტემაში ასეთი ბანკების კაპიტალის ხვედრითმა წილმა 30-40%-ს მიაღწიოს, საბანკო სისტემის მთლიან საკრედიტო პორტფელში კრედიტების წილმა კი - 30%-ს. საბანკო სისტემის მთლიან მოგებაში დაკრედიტებიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი 6%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ასეთი ჯანსაღი ბანკების ნახევარი მაინც რეგიონებში უნდა ფუნქციონირებდეს.

საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის ეფექტიანი პროგრამის განხორციელებისათვის, პირველყოველისა, საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. საბანკო სისტემის განვითარების კონცეფციის შემუშავება და მისი სახელმძღვანელოდ ძალა 2-3 წლით ადრე.

ბუნებრივი („ჩვეულებრივი") განვითარების კანონზომიერებათა საფუძველზე გამკლავება. ბოლოს, რესტრუქტურიზაციის (კერძოდ, ფინანსური გაჯანსაღების აუცილებლობის გამოვლენის) თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ პრაქტიკულად უკლებლივ ყველა ბანკი. ამ დროს რესტრუქტურიზაციას როგორც სანაციის პროცესს, ეტყობა, თავისი საკუთარი ინსტრუმენტარიუმი უნდა ჰქონდეს, რომელიც მარტო ჩვეულებრივი პრუდენციული საბანკო ზედამხედველობის ინსტრუმენტებით არ იქნება შემოფარგლული.

ყოველივე ზემოთქმულიდან უკვე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის პროცესის საერთო მიზანი - მისი აღდგენა და მოძრაობის თვისებრივად ახალ ისეთ ტრაექტორიაზე გაყვანა, რომელზეც იგი კვლავ იძენს პროგრესულად განვითარების ადრე დაკარგულ პოტენციალს, კვლავ ეკონომიკის ცვალებადი რეალური სექტორის მოთხოვნილებათა ადეკვატური ხდება.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ შემდეგ პრინციპულ მოთხოვნებს განსახილველი პროცესის შინაარსის მიმართ:

- რესტრუქტურიზაციის მიმართულებით ნ ჩვეული მუშაობა მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი და შედეგიანი, თუკი მარტო საბანკო კრიზისის მიზეზებს კი არ გავითვალისწინებთ, არამედ ეკონომიკურ ურთიერთობათა იმ ძირეულ მანკიერებებსაც განვსაზღვრავთ, რომლებიც პრინციპში სიცოცხლისუნარიანობის ხდიან საბანკო სისტემას მოცემულ ეტაპზე;

საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაცია, რომელიც, ფაქტიურად, ადრინდელი სახით მის რეანიმაციას უნდა მოასწავებდეს, არც თვით სისტემის, არც ქვეყნის მთელი ეკონომიკის არცერთ სერიოზულ პრობლემას არ წყვეტს;

- რესტრუქტურიზაციის პროცესის დაწყებამდე აუცილებელია არამარტო ტაქტიკური ღონისძიებების შემუშავება, არამედ სტრატეგიული ამოცანების დასმაც: რესტრუქტურიზაციის შედეგად მივიღოთ საბანკო სისტემის იმგვარი სტრუქტურა, რომელიც ახალ ეტაპზე ბანკების წინაშე აღმოცენებული მიზნებისა და ფუნქციების შესაფერისი იქნება;

საბანკო სისტემის რეფორმირების ღონისძიებების შემუშავების დროს მკაფიოდ უნდა განესაზღროთ იმ ამოცანების წრე, რომლებიც რეფორმირების პროცესში უნდა გადაეჭრათ განახლებულ საბანკო სისტემის მეშვეობით, და უნდა დავადგინოთ ამ ღონისძიებათა ფასი;

- ეფექტიანი რესტრუქტურიზაცია მოითხოვს პრობლემისადმი კომპლექსურად მიდგომას. მსოფლიო პრაქტიკამ გამოიმუშავა საბანკო კრიზისების დაძლევისკენ მიმართული პრინციპები და მიდგომები, რომელთა აპრობაციამაც აჩვენა მათი საკმარისი ეფექტიანობა. არაპროფესიული და საერთოდ მიზანშეუწონელია ზოგიერთი პრინციპის გამოყენება და სხვების უგულვებელყოფა;

კრიზისიდან გამოსვლა არ შეიძლება იყოს სწრაფი, ადვილი და იაფი.

ზემოაღნიშნული ზოგადი მიზანი, თავის მხრივ, შეგვიძლია თანამედროვე საქართველოს პირობების შესაბამისად დავაკონკრეტოთ იმ ამოცანების ნუსხად, რომლებზე მუშაობამაც უნდა შეადგინოს სწორედ რესტრუქტურიზაციის პროცესის რეალური შინაარსი:

- საბანკო კრიზისის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა, თვით საბანკო სფეროში და რეალურ სექტორთან მის ურთიერთობებში დაგროვილ წინააღმდეგობათა დაძლევა;
- იმ პრობლემური ბანკების ფინანსურად გაჯანსაღება, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ სიცოცხლისუნარიანობა და განვითარების პერსპექტივები, მათ შორის სახელმწიფო დახმარების გაწევა იმ ბანკებისთვის, რომლებსაც ამ დახმარების ეფექტიანად გამოყენების უნარი აქვთ;
- მეურნე სუბიექტების მხრიდან საბანკო მომსახურებაზე (გადახდები და მოკლევადიანი დაკრედიტება) გამოვლენილი საბაზო მიმდინარე მოთხოვნილებების საიმედოდ დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;
- ბანკების და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების ახალი, უფრო სრულყოფილი სტრუქტურის ჩამოყალიბება (საკუთრების ფორმების, ზომების, რეგიონული განაწილების და ა.შ. მიხედვით);

ციელებისაკენ. ეს განმარტება საჭირო წარმოდგენას არ გვაძლევს განსახილველ მოვლენაზე, რადგანაც, ჯერ ერთი, აქ საუბარია მხოლოდ ცალკე აღებულ საკრედიტო ორგანიზაციაზე და არა საბანკო სისტემაზე როგორც ასეთზე, მეორე, მას მეტისმეტად ტექნიკური ხასიათი აქვს და რესტრუქტურიზაციის პროცესის არსსა და შინაარსს იმ ღონისძიებებში ურევს, რომლებიც შეიძლება (ან უნდა) განხორციელდეს ამ პროცესში.

ამგვარად, რესტრუქტურიზაციის ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს, თუმცა, უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ რესტრუქტურიზაცია უნდა გვესმოდეს როგორც მთლიანად საბანკო სისტემის სანაცია (გაჯანსაღება) და ამ გზით მისი გამოყვანა კრიზისის ფაზიდან, მისი დაბრუნება კარგი შრომისუნარიანობის მდგომარეობაში. ზოგჯერ „საბანკო სისტემის სტაბილიზაციის" ტერმინსაც იყენებენ, მაგრამ იგი ნაკლებად შესაფერისად გვეჩვენება. საქმე ისაა, რომ სტაბილიზაციის ძიღწევა სხვადასხვაგვარად შეიძლება, მათ შორის მთელი სისტემის ერთბაშად ან ნაწილ-ნაწილ ლიკვიდაციის გზით. არსებობს ისეთი თვალსაზრისიც, რომლის თანახმადაც რესტრუქტურიზაცია ესმით ბანკის იმ ფინანსურ სიძნელეთა გადალახვის პროცესად, რომლებიც კრიზისის პერიოდში ჩნდება თავს. ეს თვალსაზრისი მთლად მცდარი თუ არა, შეზღუდული მაინც არის.

თუ საქმის არსზე ვიფიქრებთ და არა დეფინიციებზე, მაშინ საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციაში როგორც პროცესში, საზოგადოდ, უნდა ვიგულისხმოთ გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების მთელი ერთობლიობა. მისი მთავარი ელემენტებია:

- საბანკო სისტემის ფუნქციონირების მდგომარეობასა და პერსპექტივებზე გარედან მოქმედი არასასიკეთო მაკროეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ზოგადი ფაქტორების ნეგატიური გავლენის აღმოფხვრა და მინიმიზაცია;
- საკრედიტო ორგანიზაციების მთლიანობის სისტემური ორგანიზაციის (სტრუქტურა, სახეები, ტიპები) გაუმჯობესება; მათ შორის ეფექტიანი და ცივილიზებული კონკურენციის პირობების შექმნა;
- საკრედიტო ორგანიზაციებსა და მათ კლიენტებს შორის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის სამართლებრივი ბაზისა და ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების გაუმჯობესება;
- მთელი საბანკო სისტემის და მისი ცალკეული ელემენტების მართვის ხასიათის ამაღლება;
- ცალკეული ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების ფინანსური გაჯანსაღება;
- სიცოცხლისუნარო საკრედიტო ორგანიზაციების ეფექტიანი (საზოგადოებისთვის მინიმალური დანახარჯებით) ლიკვიდაცია.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ასეთი განმარტება: საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაცია მისი გლობალური სანაციის (გაუმჯობესების) მართვადი პროცესია, რომელსაც ხელს უწყობს სამრეწველო, ფულის, საგადასახადო, საბიუჯეტო და საინფორმაციო პოლიტიკაში, აგრეთვე, თვით კომერციული ბანკების პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები, და რომელიც ეფექტიანი, საიმედო, დინამიკურად განვითარებადი და სახალხო მეურნეობის თანამედროვე მოთხოვნილებების ადეკვატური საბანკო სისტემის ფორმირებისკენაა მიმართული.

ამ განმარტების თანახმად, ეფექტიანი, სტაბილური და ჯანსაღი საბანკო სისტემის რესტრუქტურირება საჭირო არაა (თუმცა, შესაძლებელია მისი გაუმჯობესება ან რეფორმირება). ასე, რომ რესტრუქტურიზაცია მკურნალობაა (იმის გაჯანსაღება, რაც არაჯანსაღია), ე.ი. რესტრუქტურიზაცია შეიძლება გავიგოთ და კიდეც უნდა გავიგოთ როგორც ისეთი პროცესი, რომლის შედეგადაც კონკრეტული ქვეყნის საბანკო სისტემა განვითარების თვისებრივად ახალ დონეზე უნდა ავიდეს. ისიც აშკარაა, რომ რესტრუქტურიზაცია ყოველთვის ისეთი სისტემის მკურნალობაა, რომელიც კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ამა თუ იმ გარემოების გამო ალარ შეუძლია საკუთარი ძალებით იქიდან გამოსვლა, თავის დაავადებასთან დამოუკიდებლად, თავისი

გამოსყიდვის პროგრამა. ახალ მფლობელებს ბანკებს მხოლოდ „საეჭვო“ კრედიტების გამოსყიდვის შემდეგ გადასცემდნენ. ატარებდნენ მსესხებელთა ცალკეული ჯგუფების სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, მცირე და საშუალო ბიზნესის, იპოთეკური კრედიტების მიმღებთა ვალების რესტრუქტურიზაციის მასშტაბურ ღონისძიებებს (ხარჯები სხვადასხვა პროპორციებით ნაწილდებოდა ბიუჯეტსა და ბანკებს შორის).

არგენტინაში ყურადღება გაამახვილეს რეორგანიზაციის (შერწყმის) პროცესებზე. ბანკების კაპიტალიზაციის ფონდის რესურსები ჩამოაყალიბეს სარეზერვო მოთხოვნების დონის გადიდების, შიდა ბაზარზე სახელმწიფო ობლიგაციების განთავსების და მსოფლიო ბანკის კრედიტის ხარჯზე. სახსრებს იყენებდნენ არა იმდენად პრობლემური ბანკების დასაკრედიტებლად, რამდენადაც მათი აქციების შესაძენად, რეორგანიზაციის სხვადასხვა ფორმების განხორციელებაში ფინანსური და ტექნიკური დახმარების აღმოსაჩენად ბანკების გარანტიების სანაცვლოდ (მათი აქციების ჩათვლით). ძირითადი ამოცანები ეკისრებოდათ ბანკების ახალ მესაკუთრეებს. ამგვარმა მიდგომამ უზრუნველყო სახელმწიფოს მცირე დანახარჯები (მშპ-ის 0,3%).

გამოვლენილია სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებიც. ჯერ ერთი, სანაციის გეგმა კიდეც რომ მიიღონ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბანკი მას შეასრულებს. მეორე, დროებითი ადმინისტრაციების ძალისხმევა ხშირ შემთხვევებში არ იძლევა დადებით შედეგებს (ხშირად მაინც ხდება ასეთი ბანკებიდან ლიცენზიების გამოწვევა), ან მათი შემოღება ძალიან დაგვიანებული და ამიტომაც გაუმართლებელია; მესამე, საეალდებულო სანაციის ობიექტებად განიხილავენ ისეთ ბანკებს, რომელთა ზარალის და რესურსების დეფიციტის სიდიდე აძნელებს ინვესტორების გამოძებნას მათი გაჯანსაღებისთვის; მეოთხე, უფრო გულდასმითაა დასამუშავებელი სანაციის მეთოდური საფუძვლები. მას ინსტრუმენტების საკუთარი ნაკრები უნდა ჰქონდეს და მარტო პრუდენციული ზედამხედველობის ნორმებს არ უნდა ეფუძნებოდეს. ზედამხედველობა ყურადღებას არ აქცევს სანაციისთვის საინტერესო მთელ რიგ პროცესებს (კერძოდ, კლიენტების ანგარიშსწორების ანგარიშებისა და ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშის მიხედვით ბრუნვების დინამიკას). ეტყობა, სანაციამ ერთმანეთს უნდა შეუხამოს, მინიმუმ, დისტანციული (პრუდენციული) და კონტაქტური ზედამხედველობის ნორმები, ხოლო, მაქსიმუმ, საერთოდ არ ჰქონდეს შეზღუდული ზედამხედველობის ინსტრუმენტარიუმი. ბოლოს, ბეზუთე, მწვავე პრობლემად რჩება ბანკებისა და ცენტრალური ბანკის ინტერესების დაპირისპირება. ხშირად თვითონ ბანკები არ არიან სანაციით დაინტერესებული, ცენტრალური ბანკი კი უფრო მეტად უნდა ცდილობდეს, თავისი მოქმედებით არ აუნოს ბანკებს.

7.3.3. საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის ეკონომიკური შინაარსი

რესტრუქტურიზაცია: ცნება, მიზანი და შინაარსი. ტერმინი „რესტრუქტურიზაცია“ ლათინური წარმოშობისაა და რაიმე ობიექტის ან სისტემის სტრუქტურის, ე.ი. მისი ფორმისა და აგებულების („მორფოლოგიის“) შეცვლა-გაუმჯობესებას ნიშნავს. მნიშვნელოვანწილად იგი გულისხმობს მისი ფუნქციონირების მიმართულების უცვლელობას. ეკონომიკურ ტექსტებში რესტრუქტურიზაციას ფართო პლანით ყველაზე ხშირად იყენებენ ვალების, მათ შორის საგარეო ვალების, გადახდებისა და საგადასახდელო (სავაჭრო) ბალანსის, ეკონომიკის კორპორაციული სექტორისა და ცალკეული საწარმოების, მოკლიანად საბანკო სისტემისა და ცალკეული ბანკების (სხვა საკრედიტო ორგანიზაციების) მიმართ.

საბანკო კანონმდებლობაში „რესტრუქტურიზაცია“ ამგვარადაა განმარტებული: საკრედიტო ორგანიზაციის რესტრუქტურიზაცია იმ ღონისძიებათა კომპლექსია, რომლებიც მიმართულია ამ ორგანიზაციის ფინანსური რყევის აღმოფხვრისა და მისი გადახდისუნარიანობის აღდგენისაკენ ან ამ ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცედურების განხორ-

სხვა ორგანოების როლს პრობლემურ ბანკებთან თანამშრომლობის საკითხებში. იგულისხმება, ერთი მხრივ, ასეთი ბანკების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა (ანაბრებსა და დეპოზიტებზე სახელმწიფოებრივი გარანტიების მიცემა, რეზერვირების ნორმის შემცირება და ზოგიერთ ბანკში პირდაპირი ფინანსური „გადასხმების" განხორციელებაც კი), ხოლო, მეორე მხრივ, გადამჭრელი ზომები თავიანთ მდგომარეობაზე და კრიზისიდან გამოსვლაზე თვით ბანკებისა და მათი მეკუთვნილების პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით (თავიანთი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმირების წესის შეცვლა, რისკების ძართვის უფრო მკაცრი და ქმედითი ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნების წაყენება ბანკებისათვის, სანაციის ყველა ეტაპის მკაცრი კონტროლი, კრიზისული ბანკების შეპატრონებებისა და უმაღლესი მენეჯერების იძულება, საკუთარი სახსრებით მიიღონ მონაწილეობა თავიანთი ბანკების გაჯანსაღებაში და ა.შ.).

მაგალითად, არგენტინაში ცენტრალურ ბანკს უფლება აქვს ბანკის საქმიანობაში სერიოზული დარღვევების არსებობის შემთხვევაში მასში დანიშნოს დროებითი ადმინისტრაცია კრიზისიდან ბანკის გამოყვანის მიზნით. თავის მხრივ, ბანკი ვალდებულია წარმოადგინოს ფინანსური გაჯანსაღების დეტალური გეგმა. ვენესუელაში, კოლუმბიაში, მექსიკასა და იამაიკაში პრობლემურ ბანკებს უწესებენ სპეციალური სახელმწიფოებრივი ორგანოების ადმინისტრაციულ კონტროლს. ასეთ ორგანოებს ქმნიან დეპოზიტების გარანტირების შემღუდვის შემდეგ და ისინი პასუხს აგებენ გასაჭირში მყოფი ბანკების მეანაბრეთათვის დანაკარგების ანაზღაურებაზე.

ბოლო წლებში გაჯანსაღების ზომები თვისებრივად შეიცვალა. ხანგრძლივი დროის მანძილზე მხარდაჭერის ძირითად მეთოდად რჩებოდა შეღავათიანი გრძელვადიანი კრედიტების გაცემა. მსხვილი ბანკების მიმართ ჭარბობდა სახელმწიფოებრივი რესურსების შეუღწუდავად გადაცემის პოლიტიკა. ხშირად ცალკეული ბანკების საქმიანობას მცირე დროით აჩერებდნენ, რათა არ მომხდარიყო საბანკო სისტემის მიმართ ნდობის დაქვეითება. ახლა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს მიაკუთვნებენ: 1) პრობლემური ბანკების კაპიტალის შევსებას („არასასიკეთო" აქტივების გამოსყიდვას); 2) იმ ზომებს, რომლებიც ბანკების მსხვილი კლიენტების გადახდისუნარიანობის გაუმჯობესებას იწვევენ (განვითარების სახელმწიფოებრივი ბანკების მიერ გაცემული კრედიტები, მათ შორის - შეღავათიანი; გარანტიები; დამატებითი ემისიისა და აქციების განთავსების ორგანიზებაში დახმარება); 3) ბანკების შერწყმის სტიმულირება.

ბანკების გაჯანსაღების ტაქტიკაში არსებული განსხვავებები საკმაოდ სერიოზული შეიძლება იყოს. მაგალითად, ვენესუელაში საბანკო სისტემის გადასარჩენად შექმნეს სავანგებო საფონდო საბჭო ფინანსთა მინისტრის მეთაურობით. მასში შეიდნენ ცენტრალური ბანკისა და დეპოზიტების გარანტიების ფონდის პრეზიდენტები და გენერალური ინსპექციის სუპერინდენტანტი, რომელსაც მიანიჭეს ბანკების ხელმძღვანელობის შეცვლისა და ლიცენზიის გამოწვევის უფლებამოსილება. კონტროლზე აყვანილი ბანკების აქტივების ხვედრითი წილი ქვეყნის მთელი საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების 70%-ს აღწევდა. გაჯანსაღების სახსრების მთავარ წყაროდ ცენტრალური ბანკის კრედიტები იქცა.

მექსიკაში გამოიყენეს კომპლექსური მიდგომა და განასორციელეს როგორც ბანკების, ისე მათი მოვალეების დახმარების პროგრამები. აქ სრულდებოდა ბანკების კაპიტალიზაციის დროებითი პროგრამა, რომლის ხონაწილე ბანკების მიერ ემიტირებული კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების დეპონირება ხდებოდა მექსიკის ცენტრალური ბანკის ბაღანსგარეშე ანგარიშზე. ბანკები სახსრებს იღებდნენ დანაზოგების დაცვის ფონდის მეშვეობით. თუკი ბანკი დაარღვევდა თავის ვალდებულებებს, მაშინ მოხდებოდა მისი ფასიანი ქაღალდების აქციებში კონვენტირება და გაყიდვა. კაპიტალისა და აქტივების თანაფარდობა არ უნდა ყოფილიყო 9%-ზე ნაკლები. ნებადართული იყო კრედიტების ვადამდე დაფარვა, მაგრამ მათ დაბრუნებამდე იკრძალებოდა აქციების დამატებითი ემისია და დივიდენდების გადახდა.

მოქმედება დანაზოგების დაცვის ფონდის მიერ ბანკებისგან ვადაგადაჩილებული კრედიტების

ბანკის სანაცია მსჯელობაზე კონტროლის დაწესებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შემდეგ მომენტებს:

1. ცენტრალური ბანკის ტერიტორიული დაწესებულება სპეციალურად აკონტროლებს ბანკის საქმიანობას მისთვის სანაციის შესახებ მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან ან ბანკის მართვის ორგანოების მიერ. სანაციის დამოუკიდებლად ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან. ეს, კერძოდ, იმას ნიშნავს, რომ:

- სანაციის გეგმასთან დაკავშირებით დასკვნის მომზადებამდე დარჩენილ პერიოდში ცენტრალური ბანკი კონტროლს უწესებს ბანკის ფინანსური მდგომარეობის ცვლილებას თვით ბანკის მიერ წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე;
- ჩვეულებრივი ანგარიშების გარდა, ბანკი ცენტრალურ ბანკში ყოველდღიურად იწყებს ბრუნვის უწყისის და ბალანსგარეშე ანგარიშების კარტოთეკებზე ანგარიშების წარდგენას;
- ცენტრალურ ბანკს უფლება აქვს ბანკის ფინანსური მდგომარეობის ცვლილების ანალიზისათვის მოითხოვოს ანგარიშგების ცალკეული ფორმების ყოველდღიურად წარდგენა.

2. იმ დასკვნის მომზადების მომენტიდან, რომელიც აღიარებს სანაციის გეგმის რეალურობას (ან მის გადამუშავებას მოითხოვს), ცენტრალური ბანკი იწყებს სანაციის მსჯელობის გაკონტროლებას, კერძოდ, აკონტროლებს გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების კალენდარული ვადების დაცვას და მათი რეალიზაციით დაგეგმილი შედეგების მიღწევას. გეგმის შესრულების მსჯელობას (ცალკეული ღონისძიებების შედეგებს) აფასებენ იმ რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების საფუძველზე, რომლებიც ასახავენ გამოყენებული ღონისძიებების გატარების შედეგად ბანკის საქმიანობის ყოველთვიური ორიენტირების შესრულებისა თუ შეუსრულებლობის დონეს.

3. სანაციის შესახებ მოთხოვნის წაყენების მომენტიდან ბანკი ვალდებულია ცენტრალურ ბანკს წარუდგინოს:

- ყოველკვირეულად დაწესებული ფორმისა და ვადების ანგარიშგება. ცბ-ს უფლება აქვს ბანკს დაუწესოს ამ ანგარიშგების წარდგენის ინდივიდუალური ვადები;
- ყოველთვიურად - ანგარიშგება სანაციის გეგმის შესრულების შესახებ. მისი ვადაა არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა. ანგარიშგებამ უნდა მოიცვას:
- ანგარიშგება ვადების დაცვის შესახებ და იმ ღონისძიებების გატარებით დაგეგმილი ეფექტის მიღწევის შესახებ, რომელთა რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდში იყო განზრახული (ანგარიშგებას თან უნდა ერთვოდეს გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები);
- ბანკის საანგარიშსწორებო ბალანსი საანგარიშსწორებო პერიოდში აქტივებისა და პასივების სიდიდეთა დინამიკის ჩვენებით და განმარტებითი ბარათით, რომელშიც ბალანსის კორექტირებათა გაშიფრაა მოცემული.

4. სანაციის მსჯელობის კონტროლის პერიოდში ცენტრალური ბანკი აუჩილებლობის შემთხვევაში ახდენს ბანკის საქმიანობის არაგეგმურ შემოწმებას.

5. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ცბ-მ უნდა მოამზადოს დასკვნა ბანკის სანაციის გეგმის შესრულების შესახებ. თუკი გასაჯანსაღებელი ბანკის ფინანსური მდგომარეობა უარესდება ან სანაციის გეგმა სრულდება არასრულად და ვადების დარღვევით, მაშინ ცბ-ს უფლება აქვს ბანკს წარუდგინოს მოთხოვნა ამ გეგმის უპირობოდ შესრულებაზე ან მის გადამუშავებაზე.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მწვავე კრიზისების დროს სახელმწიფოები საგანგებო ზომებს მიმართავენ და დახმარების გაწევის სპეციალურ პროგრამებს ამუშავებენ გაჭირვებაში ჩავარდნილი ბანკებისათვის. ხშირად პრობლემებს კომპლექსურადაც უდგებიან. კომპლექსში აუჩილებლად შედის ის ზომები, რომლებიც აფარებენ ცენტრალური ბანკებისა და სახელმწიფოს

დასკვნა მისი გადამუშავების აუცილებლობის შესახებ.

5. გეგმის განხილვის შედეგების მიხედვით ტერიტორიულ დაწესებულებას უფლება აქვს მოაშზადოს უარყოფითი დასკვნა და არარეალურად ჩაეთვალოს იგი. ასეთ შემთხვევაში მზადება ან ბანკის რეორგანიზაციის შესახებ მოთხოვნა, ან, თუკი არსებობს საკმარისი საფუძველი, შუამდგომლობა ბანკის ლიცენზიის გამოწვევაზე.

6. თუკი ბანკის სანაციის გეგმის განხილვის პერიოდში ცენტრალურ ბანკში შეიდა საარბიტრაჟო სასამართლოს ან შესაბამის პირთა მოთხოვნა ბანკის ლიცენზიის გამოწვევაზე, მაშინ:

გეგმის არარეალურად მიჩნევის შემთხვევაში ტერიტორიული დაწესებულება ვალდებულია მოაშზადოს შუამდგომლობა ბანკის ლიცენზიის გამოწვევის შესახებ. არ შეიძლება გეგმის ვაჭრობა გადასამუშავებლად.

ცენტრალური ბანკის სპეციალისტებმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადგინონ ბანკის რეალური ფინანსური მდგომარეობა, შემდეგ შეაფასონ სანაციის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა რეალურობა და ამ საფუძველზე განსაზღვრონ ბანკის გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის აღდგენის შესაძლებლობები.

ბანკის რეალური ფინანსური მდგომარეობის დადგენა იწყება იმის გამოკვლევით, აქვს თუ არა მას საკუთარი კაპიტალისა და ლიკვიდური აქტივების უკმარისობა და რაოდენობით. ამისათვის ბანკის საქმიანობის მარეგულირებლებს გარკვეული თანმიმდევრობით აჯგუფებენ. იქმნება ე.წ. საანგარიშსწორებო ბალანსი, რომელიც მისი აქტივებისა და პასიების შეფასების შედეგების ადეკვატურად ასახვის საშუალებას იძლევა.

საკუთარი კაპიტალის უკმარისობის განსაზღვრისათვის, პირველ რიგში, ანგარიშობენ აქტივების დანაკარგების (გაუფასურების) დაფარვისთვის აუცილებელ თანხას, ადგენენ ვალდებულებათა იმ თანხას, რომელიც გათვალისწინებული არ იყო ბალანსში, ავრეთვე, იმ არასაბალანსო ვალდებულებათა თანხას (გარანტიები, თავდებობა), რომელთა გადახდის მომენტი დამდგარია, მაგრამ იგი ვერ განხორციელდა ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრების უქონლობის გამო. თუკი გამოვლინდება, რომ აქტივის საანგარიშო ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ საანგარიშსწორებო ბალანსში ამ აქტივის ღირებულებას და ბანკის მოგების თანხას სხვაობის თანხით შეამცირებენ და პირიქით. ამგვარადვე იქცევიან გაუფასურებული, მაგრამ ბალანსში გათვალისწინებული ვალდებულებების შემთხვევაში, ავრეთვე, ბანკის შეუსრულებელ ბალანსგარეშე ვალდებულებებთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, კაპიტალის ნაკლებობა განისაზღვრება როგორც ეკონომიკური ნორმატივების შესრულებისთვის მინიმალურად აუცილებელი საკუთარი კაპიტალის სიდიდესა და ბანკში ფაქტიურად არსებული საკუთარი კაპიტალის სიდიდეს შორის სხვაობა (ორივე სიდიდე საანგარიშსწორებო ბალანსიდანაა).

იმ ღონისძიებათა რეალურობის შეფასების დროს, რომლებიც ბანკის ოპერაციების შემოსავლიანობის ამაღლებას ითვალისწინებენ, ყურადღებით იქნება შესწავლილი, თუ რა ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობები გააჩნია ბანკს შემოსავლიანი ოპერაციების განვითარებისათვის და იძლევა თუ არა ბაზარზე არსებული ვითარება ამის გაკეთების საშუალებას.

გეგმაში ჩართულ ყველა გამაჯანსაღებელ ღონისძიებას ჯერ ცალ-ცალკე აფასებენ, შემდეგ კი - კომპლექსურად. ამ საფუძველზე ანგარიშობენ ბანკის საქმიანობის საორიენტაციო მაჩვენებლებს სანაციის ჩატარების პერიოდისათვის, რომელსაც შემდეგ უდარებენ სანაციის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს.

სანაციის გეგმის შეფასების შედეგებზე დამოკიდებულებით ცენტრალური ბანკის შესაბამისმა განყოფილებამ უნდა გამოიტანოს საბოლოო დასკვნა და მიიღოს გადაწყვეტილება ან ბანკის სანაციის გაგრძელების შესახებ, ან მის მიმართ საზედამხედველო რეაგირების ღონისძიებათა გამოყენების შესახებ.

ნაწილი 2. ბანკის გაჯანსაღების ღონისძიებები

ამ ღონისძიებების ძირითადი და, არსებითად, ერთადერთი მიზანია ბანკის საკუთარი კაპიტალის აღდგენა იმ სიდიდემდე, რომლის დროსაც შესრულდება სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივები, და ამ გზით ბანკი ნორმალური და შეუფერხებელი მუშაობის რეჟიმს დაუბრუნდება. აქ კონკრეტულად უნდა აისახოს ისეთი საკითხები, როგორიცაა:

1) ბანკის ფინანსურ გაჯანსაღებაში აქციონერების (მეპაიეების) და მესამე პირთა მონაწილეობის ხერხები, ზომა და პირობები;

2) დანახარჯების შემცირების გზები და საერთო შემცირების ანალიზი;

3) დამატებითი შემოსავლების მიღების წყაროები (ბიზნესის განვითარების გზები);

4) ქონებისა და სხვა აქტივების რეალიზაციის შესაძლებლობები და მეთოდები;

5) სხვა ღონისძიებები.

აუცილებლად უნდა დაინიშნონ პასუხისმგებელი შემსრულებლები, დადგინდეს ყველა ღონისძიების შესრულების კალენდარული ვადები და ეტაპები, განისაზღვროს შემოსავლიანობა, რომელიც ამ ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს.

ნაწილი 3. სანაციის შედეგები

ბანკის ფინანსური გაჯანსაღების შედეგებად გვევლინება ის საორიენტაციო მაჩვენებლები, რომლებსაც გეგმავენ: ა) სანაციის პერიოდში ყოველი კვარტლის ბოლოს; ბ) სანაციის დასრულების მომენტისათვის. იგულისხმება ის მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ:

- სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივების შესრულების დინამიკას;
- ბანკის საკუთარი კაპიტალის მოცულობის ცვლილებას;
- ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე სახსრების უქონლობის გამო დროულად ვერგადახდილი თანხების სიდიდის ცვლილებას.

სანაციის ხარისხიანი გეგმის შემუშავება ადვილი არაა. ბანკის სპეციალისტებს ამ საქმეში არსებითი დახმარება შეიძლება გაუწიოს იმ დოკუმენტების კარგად ცოდნამ.

ცენტრალურ ბანკში კომერციული ბანკის მიერ წარდგენილი სანაციის გეგმის განხილვა რთული პროცედურაა და შემდეგი მომენტებისგან შედგება:

1. თუკი ბანკის მიერ წარდგენილი დოკუმენტების პაკეტი არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ცენტრალურ ბანკს უფლება აქვს დაავალოს ბანკს ამ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მისი მოყვანა. ი გეგმის წარდგენის თარიღად ითვლება ამ დაწესებულების მიერ მისი მიღების თარიღი. თუკი ცენტრალური ბანკი ამ ხოლოდ აუდიტორული დასკვნის წარდგენას, მაშინ გეგმას ამ დასკვნის გარეშე არ მიიღებენ.

2. გეგმის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში იგი უნდა განიხილოს ცბ-მ და მოამზადოს მოტივირებული დასკვნა. დასკვნა აუცილებლად უნდა შეიცავდეს ან გეგმის აღიარებას, ან მისი გადამუშავების მოთხოვნას, ან მისი არარეალურობის მითითებას. ტერიტორიული დაწესებულების დასკვნა გეგმასთან ერთად ეგზავნება ქვეყნის მთავარი ბანკის ცენტრალურ აპარატს (სანაციის დეპარტამენტს).

3. გეგმის თაობაზე მთლიანობაში დადებითი დასკვნის მომზადებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში ცბ-მ ბანკს დადგენილი ფორმით უნდა გაუგზავნოს მოთხოვნა გეგმის განხორციელების დაწყების შესახებ.

4. გადასამუშავებლად გეგმის გაგზავნა დაშვებულია მხოლოდ იმ პირობით, თუ წინასწარი შეფასებით ბანკს აქვს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის აღდგენის ან იმ მიზეზების აღკვეთის რეალური შესაძლებლობები, რომლებიც სანაციის აუცილებლობას იწვევენ. ასეთ შემთხვევაში უფლება აქვს ცენტრალურ ბანკს დააწესოს შუამდგომლობა დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის და ბანკის მართვის ორგანოებისა უფლებამოსილებათა შეზღუდვის ან შეჩერების შესახებ. შუამდგომლობას თან ერთვის სანაციის გეგმა და ტერიტორიული დაწესებულების

ება პასივების მთლიან სტრუქტურაში;

3. საშუალო და გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილის გადიდება პასივების მთლიან სტრუქტურაში;

4. სხვა ღონისძიებები.

კანონის შესაბამისად, ბანკი ვალდებულია საკუთარი კაპიტალის სიდიდემდე შეამციროს თავისი საწესდებო კაპიტალი, თუ საკუთარი კაპიტალი საწესდებო კაპიტალზე ნაკლები აღმოჩნდება.

ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლის გზები და ხერხებია:

1. თანამშრომელთა შემადგენლობისა და რაოდენობის შეცვლა;

2. ცალკე არსებული და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების სტრუქტურის შეცვლა, შემცირება და გაუქმება;

3. სხვა გზები და ხერხები.

ბანკი და მისი დამფუძნებლები ვალდებული არიან საკუთარი ინიციატივით მიიღონ მისი ფინანსური გაჯანსაღებისთვის საჭირო თავისდროული ზომები. შესაბამისი საფუძვლების გაჩენის შემთხვევაში ცენტრალური ბანკს, თავის მხრივ, უფლება აქვს მოითხოვოს ბანკს გამაჯანსაღებელი ზომების გატარების დაწყება; იგი გააკონტროლებს კიდეც ამ ზომების განხორციელებას. ბანკის ინიციატივა უნდა გამოიხატებოდეს, პირველ რიგში, იმით, რომ ბანკის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელმა სათანადო საფუძვლების წარმოშობიდან 10 დღის განმავლობაში ბანკის მართვის უმაღლეს ორგანოებს მიმართოს შუამდგომლობით ბანკის სანაციისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელების შესახებ. მან იმავდროულად უნდა შესთავაზოს შესაბამისი ზომები, მეთოდები და მათი გატარების ვადები, 3 დღის განმავლობაში შეატყობინოს ცენტრალური ბანკს შუამდგომლობის გაგზავნის შესახებ.

ბანკის მართვის ორგანოების მიერ ფინანსურ გაჯანსაღებაზე გადაწყვეტილების გამოტანიდან არაუგვიანეს 20 დღისა, ბანკი ვალდებულია შეიმუშაოს და ცენტრალური ბანკს წარუდგინოს სანაციის გეგმა. ეს დაწესებულება ვალდებულია აკონტროლოს ბანკის მიერ სანაციის ღონისძიებების დამოუკიდებლად გატარება.

თუნდაც ერთი საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ცენტრალური ბანკს უფლება აქვს, ბანკს გაუგზავნოს მოთხოვნა სანაციის ღონისძიებების განხორციელების შესახებ, თუკი:

1) დაწესებულ ვადაში ცენტრალურ ბანკში გაგზავნილი არაა ცნობა ბანკის მიერ ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დამოუკიდებლად მიღების შესახებ;

2) ცენტრალურ ბანკში შემოსულია ბანკის ხელმძღვანელის ზემოაღნიშნული შუამდგომლობა;

3) ცენტრალურ ბანკში შემოსულია განცხადებები ბანკის ლიცენზიის გაწვევისა და გაკოტრებულად მისი აღიარების შესახებ, ე.ი. ბანკი ნამდვილად საჭიროებს სანაციას.

7.3.2. ბანკის ფინანსური გაჯანსაღების გეგმა

საკრედიტო ორგანიზაციების სანაციის გეგმის შედგენის მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად, ეს ვეგმა სამი ნაწილისგან უნდა შედგებოდეს:

ნაწილი 1. ბანკში არსებული ვითარების შეფასება

დოკუმენტის ეს ნაწილი არაპროპორციულად ვრცელია და მან უნდა მოიცვას ერთობ მრავალფეროვანი ინფორმაცია ბანკის შესახებ: ზოგადი ცნობები; ზოგადი ინფორმაცია ბანკის სტატუსის, მისი მონაწილეებისა და კაპიტალის შესახებ; მართვის ორგანოების სტრუქტურის აღწერა და ბანკის აღმასრულებელი ორგანოების წევრების დახასიათება; ბანკის კადრების დახასიათება; ცნობები ბანკის აუდიტორის შესახებ; რეგიონის ეკონომიკაში ბანკის როლისა და მნიშვნელობის ანალიზი; ბანკში ფინანსური პროცედურების წარმოქმნის მიზეზები და მისი განვითარების დინამიკა; ვრცელი ინფორმაცია ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი და იმავე მიზეზიდან გამომდინარე, ცენტრალური ბანკი თავისი შეხედულებისამებრ მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ დასახელებული სამი ღონისძიებიდან რომელს მიმართოს მან იმ ბანკის მიმართ, რომელსაც, მისი აზრით, მომეტებული ყურადღება ესაჭიროება.

მაგრამ აქ მაინც არსებობს განსხვავება. კერძოდ, ბანკის რეორგანიზაციის მოთხოვნა ჩნდება იმ შემთხვევებში, როდესაც: 1) თავის საკორესპონდენტო ანგარიშებზე სახსრების უქონლობის გამო ბანკი ვერ აკმაყოფილებს ცალკეული კრედიტორების ფულად მოთხოვნებს და/ან 7 დღეზე მეტი ხნით აგვიანებს სავალდებულო გადახდებს; 2) ბოლო 12 თვის მანძილზე არსებულ მაქსიმუმთან შედარებით 30%-ზე მეტად ამცირებს საკუთარ კაპიტალს და არღვევს თუნდაც ერთ სავალდებულო ეკონომიკურ ნორმატივს; 3) ბოლო თვის განმავლობაში 20%-ზე მეტად არღვევს მიმდინარე ლიკვიდობის ნორმატივს. ბანკის ფინანსური გაჯანსაღების საფუძველი შესაძლოა გახდეს როგორც გაკოტრების თავიდან აცილებისათვის გასატარებელი ყველა ღონისძიება, ისე ის დარღვევები, რომლებისთვისაც ბანკებს სანქციებს უწესებენ. გარდა ამისა, ცენტრალურ ბანკს აქვს საკრედიტო ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრისა და გაჯანსაღების კრიტერიუმები.

ბანკის ფინანსური გაჯანსაღების პროცესის შინაარსი ძალიან ფართოდ შეგვიძლია გავიგოთ. ამ პროცესმა შეიძლება მოიცვას:

1) ბანკისთვის ფინანსური დახმარების გაწევა მისი დამფუძნებლების (მონაწილეობის) და სხვა პირების მხრიდან;

2) ბანკის აქტივებისა და პასივების სტრუქტურის შეცვლა;

3) ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლა;

4) კანონის შესაბამისად განხორციელებული სხვა ღონისძიებები

ბანკისთვის ფინანსური დახმარების გაწევა შემდეგი ფორმებით შეიძლება:

1. ბანკში დეპოზიტზე ფულის განთავსება არანაკლებ 6 თვის ვადით და ზომიერი პროცენტით;

2. ბანკის მიერ აღებულ კრედიტებზე თავდებობის (გარანტიების) მიცემა;

3. ბანკის მიერ გადასახდელ თანხებზე განვადების ან გადავადების გამოყენება;

4. ბანკის ვალის გაგზავნა (მისი კრედიტორების თანხმობით);

5. ბანკის მოგების დივიდენდებისთვის გამოყენებაზე უარის თქმა და მისი გამოყენება ფინანსური გაჯანსაღებისთვის;

6. ბანკის საწესდებო კაპიტალში დამატებითი თანხების შეტანა;

7. ბანკისთვის ვალის პატიება;

8. ნოვაცია და ის სხვა ფორმები, რომლებიც ხელს უწყობენ ბანკის ფინანსური გაჯანსაღების აუცილებლობის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას.

ბანკის აქტივების სტრუქტურის ცვლილება შეიძლება ითვალისწინებდეს:

1. მისი საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეცვლას არალიკვიდური აქტივების ლიკვიდურით შეცვლის ჩათვლით;

2. ვადის მიხედვით აქტივების სტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანას ვალდებულებათა ვადებთან, რაც მათ შესრულებას უზრუნველყოფს;

3. დანახარჯების შემცირებას, მათ შორის ბანკის მართვაზე და მისი ვალის მომსახურებაზე;

4. არაშემოსავლიანი და სხვა ისეთი აქტივების გაყიდვას, რომელთა გაყიდვაც ხელს არ შეუშლის საბანკო ოპერაციების შესრულებას;

5. აქტივების სტრუქტურის შეცვლის სხვა ღონისძიებებს.

ბანკის პასივების სტრუქტურის შეცვლამ შეიძლება მოიცვას:

1. საკუთარი კაპიტალის გადიდება;

2. მიმდინარე და მოკლევადიანი ვალდებულებების სიდიდისა და/ან ხვედრითი წილის შემცირ-

7.2.4. ბანკების რეორგანიზაციის სხვა ფორმები

ბანკების მიერთებისა და შერწყმის გარდა, კანონი აღიარებს მათი რეორგანიზაციის ისეთ ფორმებსაც, როგორიცაა დაყოფა, გამოყოფა და გარდაქმნა.

ბანკის დაყოფა წარმოადგენს: ა) სამართლებრივი თვალსაზრისით მისი ყველა უფლებისა და ვალდებულების გადასვლას მის ნაცვლად წარმოქმნილ ორ ან მეტ ბანკში; ბ) ორგანიზაციულ-ეკონომიკური თვალსაზრისით - ადრინდელი ბანკის საქმიანობის შეწყვეტას, მისი ლიცენზიის გაუქმებას და მისი რეგისტრაციის აქტის ლიკვიდაციას, ხოლო მის ნაცვლად ორი ან მეტი ბანკის წარმოქმნას, რომელთაგან თითოეულმა უნდა გაიაროს სახელმწიფოებრივი რეგისტრაცია და აიღოს ლიცენზია.

ბანკისგან ბანკის გამოყოფა არის: ა) სამართლებრივი თვალსაზრისით მოცემული ბანკის ბაზაზე აღმოცენებულ ერთ ან რამდენიმე ახალ ბანკზე იმ უფლებებისა და მოვალეობების გადასვლა, რომლებიც ჰქონდა და ახლაც აქვს ამ ბანკს; ბ) ორგანიზაციულ-ეკონომიკური თვალსაზრისით ადრინდელი ბანკის გვერდით კიდევ ერთი ან რამდენიმე ახალი ბანკის გაჩენა, რომლებსაც რეგისტრაციისა და ლიცენზირების პროცედურა უნდა გაიარონ. სარეორგანიზაციო ბანკის სადამფუძნებლო დოკუმენტებში შეაქვთ შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მისი კაპიტალის სიდიდის შემცირებას უკავშირდება.

ბანკის გარდაქმნა ნიშნავს: ა) სამართლებრივი თვალსაზრისით მისი ყველა უფლებისა და მოვალეობის გადაცემას სხვა ბანკზე (ან სხვა სახის იურიდიულ პირზე) ბანკის მიერ საკუთარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის გამო; ბ) ორგანიზაციულ-ეკონომიკური თვალსაზრისით - 1) ადრინდელი ბანკის შენარჩუნებას მისთვის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (შპს -აქციონერულ ბანკად და პირიქით), სელახალ რეგისტრაციას და ადრე აღებული ლიცენზიის შეცვლას მისი ტოლფასი ლიცენზიით ან 2) ბანკის ნაცვლად არასაბანკო ორგანიზაციის წარმოქმნას (შპს-ის ფორმით მოქმედი ბანკის ნაცვლად საწარმოო კოოპერატივი, სააქციო საზოგადოების ფორმის ბანკის ნაცვლად კი საწარმოო კოოპერატივი ან არაკომერციული ორგანიზაცია).

ეკონომიკური (ფინანსური) თვალსაზრისით ბანკების დაყოფა და გამოყოფა საბანკო კაპიტალების დაწურილერთეულებად (დეცენტრალიზაციად ან დეკონცენტრაციად) გვეელინება. ბანკის გარდაქმნა ამ მხრივ ნეიტრალური პროცესია.

დაყოფა და გამოყოფა როგორც ბანკების რეორგანიზაციის ფორმა ჩვენს პრაქტიკაში არ გვხვდება და ჩვენი ბანკების ინტერესს არ იწვევს. გარკვეულ ინტერესს შეიცავს გარდაქმნა როგორც რეორგანიზაციის ,,კანონიერი'' ფორმა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი ჩნდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის აუცილებლობა ან თუნდაც სურვილი. ღია სააქციო საზოგადოების ფორმის მქონე ბანკის დახურულად გარდაქმნა და პირიქით რეორგანიზაციად არ ითვლება.

7.3. კომერციული ბანკების სანაცია

7.3.1. კომერციული ბანკების სანაციის აუცილებლობის კრიტერიუმები

არსებობს ასე თუ ისე თანაბარი ძალის სამი ღონისძიება, რომლებმაც ბანკის გაკოტრება უნდა აგვაცილოს თავიდან: ბანკის ფინანსური გაჯანსაღება; ბანკში დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნა; ბანკის რეორგანიზაცია. ამ არადიფერენცირებული მიდგომის შესაბამისად, ის კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომელთა არსებობის შემთხვევაშიც აუცილებლად ჩაითვლება ბანკის ფინანსური გაჯანსაღება (სანაცია), პრინციპში იგივეა, რაც იმ შემთხვევებში, როცა მასში შეიძლება გაიგზავნოს დროებითი ადმინისტრაცია, ან როცა მას შეიძლება რეორგანიზება მოეთხოვოს.

დასაელეთის წამყვანმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს შერწყმის მართვის ტექნოლოგია, რომელიც რეა თანმიმდევრულ ნაბიჯს მოიცავს და რომლის არსია წარმატების მიღწევა სტრატეგიული ხასიათის სპეციალური ღონისძიებების გატარების გზით. პირველი ნაბიჯია საკუთარი ეკონომიკური ვითარების შეფასება და შესაძენი ბანკის მდგომარეობის ნათელი სურათის მიღება; მეორე იდეალური მიზნობრივი ბაზრის ძირითადი ნიშნების განსაზღვრა; მესამე შეძენის ფასისა და პირობების მისაღები დიაპაზონის დადგენა; მეოთხე მოლაპარაკებების და საინფორმაციო სისტემების ანალიზის დაწყება; მეხუთე - შერწყმის შესახებ პრინციპული შეთანხმების მიღწევა და მისი ერთობლივი სტრატეგიისა და ორგანიზაციული გეგმის შემუშავება; მეექვსე, შერწყმის პროცესის შუალედური შეფასებები: მეშვიდე, წამყვანი სინერგიზმების განსაზღვრა; მერვე ინტეგრაციის იდეალური დონის განსაზღვრა.

ცალკე გამოყოფენ იმ პრობლემებს, რომლებიც ასევე აუცილებლად უნდა გადაწყდეს გაერთიანების პროცესში: ა) საინფორმაციო სისტემები; ბ) კონტროლი; გ) პერსონალის მართვა.

ბანკების შერწყმისა და შთანთქმის დროს არ არსებობს წარმატების „დაპატენტებული რეცეპტები", მაგრამ საზღვარგარეთ შემუშავებული აქვთ „ოქროს" წესები, რომლებიც ერთგვარად განსხვავდებიან ზემოთ მოყვანილი ნაბიჯებისგან:

წესი № 1 ვაჩვენოთ ხელმძღვანელობის ძალა;
წესი № 2 ოპტიმალურად ვმართოთ პროცესი;
წესი № 3 აქტიურად ვიმუშაოთ და ვითანამშრომლოთ პერსონალთან;
წესი № 4 გამოვიყენოთ სრულყოფილი და ეფექტიანი მენეჯმენტი;
წესი № 5 არავითარი კომპრომისი საინფორმაციო სისტემის შერჩევაში.

ცალკე უნდა შევჩერდეთ მარეგულირებელი ორგანოების დამოკიდებულებაზე ბანკების გაერთიანების მიმართ.

მსოფლიო გამოცდილება არ ადასტურებს იმასთან დაკავშირებულ ილუზიას, რომ ბანკების შეერთებისა და შერწყმის პროცესების ეფექტიანობას თვითონ ბაზრები არეგულირებენ ავტომატურად. ამ პროცესებს შეგნებული რეგულირება ესაჭიროება, პირველ რიგში, ცენტრალური ბანკების მხრიდან. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ცენტრალური ბანკები არ ახდენდნენ აღნიშნული პროცესების სტიმულირებას ხელოვნურად - სტიქიური საბაზრო ტენდენციების საფუძველზე, და ამით დამატებით წინააღმდეგობრიობას არ ანიჭებდნენ მათ, არ აკისრებდნენ ამ პროცესებისათვის უჩვეულო ფუნქციებს.

შეიძლება ითქვას, რომ საბანკო რეგულირების ადგილობრივი გამოცდილება წარუმატებელია. ყოველ შემთხვევაში, 1990-იანი წლების ბოლომდე ცენტრალური ბანკის შესაბამის საქმიანობას საფუძვლად ედო საეჭვო ღირებულების ორი პოსტულატი. ჯერ ერთი, რეორგანიზაციას ჩვენთან, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, განმარტავდნენ ძირითადად არა როგორც ბანკების პრობლემის მოგვარების შემოქმედებით საშუალებას, არამედ როგორც თვით პრობლემური ბანკების ლიკვიდაციის „გილიოტინურ" მეთოდს). მეორე, ამ მეთოდის მეშვეობით მარეგულირებელი ორგანოები ცდილობდნენ საფინანსო ბაზრის სტაბილიზებას, რაც პრაქტიკულად ნიშნავდა, ერთი მხრივ, ახალი საბანკო სტრუქტურების წარმოქმნის ადმინისტრაციულ აკრძალვას და მათი რაოდენობის საერთო შეზღუდვას, ხოლო, მეორე მხრივ, საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციის სპონტანური საბაზრო ტენდენციების წახალისებას, ე.ი. მსხვილი ბანკების გამსხვილების მხარდაჭერას წვრილი და საშუალო ბანკების ხარჯზე. ფაქტიურად იზღუდებოდა კონკურენცია მცდარად გაგებული სტაბილიზაციის გულისთვის. ამ დროს უკანა პლანზე გადაიწია საბანკო სისტემის უსაფრთხოების მოთხოვნებმა.

ახალი ბანკი. ამასთან, პირად ანგარიშებზე არსებული კრედიტული ნაშთები გადააქვთ ადრე შერჩეული სატრანზიტო ანგარიშის კრედიტში, დებეტური კი - დებეტში.

გასაერთიანებელი ბანკების ბალანსების პირად ანგარიშებზე არსებული ნაშთები უნდა აეღოთ ასალი ბანკის ბალანსზე (შერწყმა) ან სათაო ბანკის ბალანსზე (მიერთება). ამას ადრე შერჩეული სატრანზიტო ანგარიშის მეშვეობითაც აკეთებდნენ. ბალანსში უნდა აისახოს საპაიო ბანკების საპაიო შენატანების კონვერტაცია ახალი ბანკის აქციებში ან, პირიქით, გასაერთიანებელი ბანკების აქციებისა - ახალი ბანკის საპაიო თანხებში. თუკი ასოციაციის ბანკს აქვს დამოუკიდებელი ბალანსის მქონე ფილიალები ან სხვა განკარგულებული ქვედანაყოფები, მაშინ პირველ ეტაპზე მათი ბალანსები ყოველ ბანკში უერთდება შესაბამისი სათაო კანტორის ბალანსს, მეორე ეტაპზე კი გასაერთიანებელი ბანკების კრებსითი ბალანსები ერთიან კრებსით ბალანსად ყალიბდება.

მეცხრე ეტაპზე ერთობლიური კრებიდან 30 დღის შემდეგ (ან მანამდეც), ოღონდ აუდიტორული ფირმიდან ზემოაღნიშნული ანგარიშგების მიღების შემდეგ) კრების მიერ უფლებამოსილი ორგანო მთავარ სამმართველოში გზავნის შერწყმის ან მიერთების დოკუმენტებს.

შეათე ეტაპზე ხდება გაერთიანებული ბანკის რეგისტრაციის შესახებ დროებითი მოწმობის მიღება და წესდების შეთანხმება ცენტრალურ ბანკთან, რომელთა საფუძველზეც გაერთიანებული ბანკი ცენტრალური ბანკის დაწესებულებაში ხსნის საკორესპონდენტო ანგარიშს და სუბანგარიშებს ფილიალებისთვის (თუკი ისინი იქნება). ამის შემდეგ იგი ატყობინებს თავის ყველა კრედიტორს, კლიენტსა და კონტრაჰენტს მათ რეკვიზიტებს. აღნიშნული ანგარიშებით ოპერაციები იწყება რეგისტრაციის შესახებ მუდმივი მოწმობისა და ლიცენზიის მიღების შემდეგ.

1990-იან წლებში მსოფლიოში ძალიან იყო მოდაში უმსხვილესი ბანკების ინტეგრაცია. ამ პერიოდში განუწყვეტლივ მატულობდა მსხვილი ბანკების შერწყმათა რაოდენობა აშშ-ში, ევროპაში კი ამ პროცესმა თავის პიკს 1995 წ. მიაღწია. თუმცა, დასავლეთშიც ბევრმა მაშინვე ვერ გააცნობიერა, რომ შერწყმა და შთანთქმა ყველაზე უფრო რთული მმართველობითი პრობლემების რიგს განეკუთვნება, რომელთა წარმატება მხოლოდ ხელმძღვანელთა პროფესიონალიზმის დონეზეა დამოკიდებული.

დასავლეთში განხორციელებული შერწყმის წარმატების სტატისტიკა, მეტი რომ არ ეთქვათ, სიფხიზლისკენ გვიბიძგებს. არსებული მონაცემების მისედვით, შერწყმათა თითქმის 60% ვერ ამართლებს მათზე გაწეულ ხარჯებს. გაერთიანებიდან 3 წლის შემდეგ მონაწილე კომპანიები თავიანთი აქციონერების 16-დან 40%-ს კარგავენ. ევროპის ქვეყნებში 1990-იან წლებში მომხდარი 300 უმსხვილესი შერწყმის გამოკვლევამ აჩვენა, რომ სამ წელიწადში მათში გაერთიანებული ორგანიზაციების 57%-ის განვითარება ფერხდება და ისინი კლავე იყოფიან. ამ დროს გამოვლინდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: წარუმატებელ შერწყმათა მონაწილე კომპანიების ხელმძღვანელთა დიდი უმრავლესობა (85%) ამის უმთავრეს მიზეზად ასახელებს მართვის სისტემების განსხვავებულობას.

პრობლემაა ისიც, თუ რა უნდა მივიჩნიოთ წარმატებად. დასავლეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ხშირად შერწყმის შედეგია რეიტინგის ამაღლება, ხარჯების ეკონომია და მოგების ზრდა. მაგრამ პრობლემის არსი ისაა, რომ, ვერ ერთი, მოკლევადიანი სარფის მიღება არ ხდებოდეს გრძელვადიანი პერსპექტივის საზიანოდ, ხოლო, მეორე, ძირი არ ვედებოდეს იმის მიღწევა, რასაც წარმატებას ეუწოდებთ. მაგალითად, 1990-1995 წლებში აშშ-ში შერწყმული ბანკების ზრდა (დაბევრამდე) სამუალოდ 2-3%-ით გაიზარდა. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ამ შედეგის მიღება ხომ არ შეიძლებოდა უფრო იაფი სხვა გზით? ამერიკის საკონსულტაციო ფირმა „FMCG-Capital-Strategies" იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წარუმატებლობის მთავარი მიზეზია გაერთიანებით მიღებული პოზიტიური შედეგების გადაჭარბებით შეფასება და პირიქით უარყოფითი ეფექტების ვერგანჭვრეტა.

ჰორიზონტალური და ვერტიკალური თანამშრომლობის მიღწევა. მართვის სისტემის დახვეწაში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია „team building"-ის ტიპის (სიტყვასიტყვით გუნდის შედგენა) სპეციალურ ბიზნეს-ტრენინგებს.

კიდევ ერთ წელს გრძელდება შემდგომი განვითარების ფორსირების სტადია. ამ ეტაპზე ახალი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წინაშე დგება ორი კითხვა: რამდენად წარმატებულად განხორციელდა შერწყმის სტრატეგიული მიზნები? რა ნაბიჯების გადადგმაა საჭირო შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად? შერწყმის შტაბი უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით განაგრძობს მუშაობას, რომლის არსია შერწყმის შედეგებზე დაკვირვება ცალკეული მენეჯერების და გუნდების, მთლიანად ახალი ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურისა და ძალთა სისტემის საქმიანობის დონეზე. ამ მუშაობის შედეგია შერწყმის მიზნების რეალიზაციის შეფასება, წარმატება-წარუმატებლობის ფაქტორთა მთელი ერთობლიობის კრიტიკული ანალიზი და, რაც მთავარია, შემდგომი განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

მეორე მიდგომა. რეკომენდებულია პროცესის 10 ეტაპის გავლა.

პირველ ეტაპზე გასაერთიანებელმა ბანკებმა უნდა გაარკვიონ; შერწყმა ხდება თუ მიერთება, რომელი ბანკი ხდება სათაო და რომელი ფილიალი; რა უფლებები ექნებათ აქციონერებს გაერთიანებულ ბანკში; რა უფლებები ექნებათ ფილიალებად გარდაქმნილ ბანკებს და ა.შ. ყველა ამგვარი მომენტი უნდა აისახოს ხელშეკრულებაში გაერთიანების (შერწყმის ან მიერთების) შესახებ.

მეორე ეტაპზე ყოველი ბანკის საბჭო (სხვა უფლებამოსილი ორგანო) ატყობინებს ცენტრალური ბანკის მთავარ სამმართველოს რეორგანიზების განზრახვას და ამ შეტყობინებას თან ურთავს დებულებით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

მესამე ეტაპზე მთავარი სამმართველო შეტყობინების მიღებიდან მაქსიმუმ 7 სამუშაო დღეში სარეორგანიზაციო ბანკებს უგზავნის ინფორმაციას სამუშაო თათბირის მოწვევის შესახებ.

მეოთხე ეტაპზე მთავარ სამმართველოში მემოსული შეტყობინებიდან მაქსიმუმ 3 კვირის ვადაში იმართება ზემოხსენებული კრება.

მეხუთე ეტაპზე აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან 30 (ან მეტი) დღის გავლის შემდეგ უნდა ჩატარდეს ყველა ბანკის მონაწილეთა საერთო კრებები, რომლებმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები რეორგანიზაციის შესახებ შერწყმის ან მიერთების ფორმით. უნდა გაფორმდეს შესაბამისი ოქმები და გაიგზავნოს ცენტრალური ბანკის მთავარ სამმართველოში.

მეექვსე ეტაპზე ხსენებული გადაწყვეტილებების მიღებიდან მაქსიმუმ 30 დღის განმავლობაში თითოეულმა ბანკმა ამის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს თავის ყველა კრედიტორს.

მეშვიდე ეტაპზე ბანკებს უკვე უფლება აქვთ და ვალდებულიც არიან ჩაატარონ მონაწილეთა ერთობლივი საერთო კრება, რომლის შედეგების მიხედვით დგება აუწილებელი ოქმი.

მერვე ეტაპზე ერთობლივი საერთო კრების ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში ბანკებმა აუდიტორული შემოწმება უნდა ჩაუტარონ ბალანსების მოგება-წაგების ანგარიშგების და შეერთებული ბანკის კრებითი ბალანსის სარწმუნოობას, რაც შეაფასებს რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ოპერაციების შესაბამისობას კანონმდებლობასთან და ბანკების აქციების კონვერტაციის პირობებს. უნდა გაანალიზდეს, ასევე, საქმიანობის პრუდენციული ნორმების შესრულების შესაძლებლობა გაერთიანებული ბანკის მიერ (მისი კრებითი ბალანსის საფუძველზე).

პრინციპული მნიშვნელობის მქონე საკითხია ბალანსების გაერთიანების მეთოდიკა. ჯერ კიდევ ბანკების შერწყმამდე საჭიროა გასაერთიანებელი ბანკების საალრიცხვო პოლიტიკათა ადაპტირება და რომელიმე ტრანზიტული ანგარიშის შერჩევა მათი ბალანსების დაბუღვისა და სახსრების მიღებისათვის. უნდა დაიხუროს იმ ბანკების ბალანსები, რომლებიც სათაო ბანკს უერთდება, ან დაიხუროს ყველა ბანკის ბალანსი, თუკი ხდება შერწყმა და იქმნება სრულიად

არსებობს ამა თუ იმ ეტაპებად ბანკების რეორგანიზაციის პროცესის დაყოფის სხვა მიდგომებიც, რომლებიც გვეხმარება უფრო ღრმად და უკეთ გავიგოთ განსახილველი მოვლენის შინაარსი.

პირველი მიდგომა უფრო მეტად ეხება ბანკების შერწყმის ვარიანტს და ამას უმთავრესად განსინჯავს ინიციატორი ბანკის პოზიციებიდან. აქ გამოყოფენ 4 ძირითად სტადიას.

წინასწარი დაგეგმვის სტადია („წინა 100 დღე"). მას შემდეგ, რაც მიღებულია პრინციპული გადაწყვეტილება შერწყმის მიზანშეწონილობის შესახებ, ხელმძღვანელობამ უნდა ჩამოაყალიბოს პროცესის მომზადებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი სპეციალური სამუშაო ჯგუფი ან გუნდი. მას'ში უნდა შეიდნენ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები, მათ შორის აუცილებლად - ორგანიზაციული ქცევის სფეროს ექსპერტი. ყველაზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს შერწყმის კოორდინატორის პიროვნებას. მას უნდა ჰქონდეს კოლეგების ფართო წრესთან, შერწყმა'ში პარტნიორების წარმომადგენლებთან და ორივე ორგანიზაციის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობის უნარი. მისი ამოცანაა ინტეგრაციის გეგმის შემუშავება, შემდეგ'ში კი - მასზე მიღებული ინფორმაციის ოპერატიული ანალიზი, გუნდის შიგნით მოვალეობების განაწილება და თითოეული წამყვანი მიმართულების კონტროლი.

შერწყმის შესახებ საბოლოო შეთანხმების ხელმოწერამდე ბუ'ში ჯგუფს უწევს ორგანიზაციულ-საკადრო ხასიათის მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტა და, უპირველეს ყოვლისა, პერსონალისთვის მომავალი გარდაქმნების შესახებ ინფორმაციის მიწოდების სისტემის შემუშავება. მეორე ამოცანაა შერწყმაში პარტნიორი ბანკის სპეციალისტების პროფესიულ-საქმიანი პოტენციალის და კორპორაციული კულტურის შესწავლა. საჭიროა მიღებული ინფორმაციის შედარება საკუთარი ბანკის კორპორაციულ კულტურასთან. მაგალითად, შესაძლოა არსებითი განსხვავებები არსებობდეს ხელმძღვანელობის სტილში, მმართველურ გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმში, ანგარიშგებისა და კონტროლის სისტემაში, შიდასაბანკო ტრადიციებსა და ღირებულებებში. ასევე აუჩილებელია კადრების მოსალოდნელ გადაადგილებასთან დაკავშირებული საკითხების წინასწარ მოგვარება და სამსახურებისა და ქვედანაყოფების: რეორგანიზაციის გეგმის შემუშავება. ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო მასშტაბურად ვლინდება შერწყმის შემთხვევაში, რომელიც გულისხმობს ერთი და იმავე პროფილის ბანკების გაერთიანებას და ამიტომ განმეორებადი ფუნქციებისა და თანამდებობების გაუქმებას.

საკუთრივ შერწყმა („შემდეგი 100 დღე"). ხელშეკრულების დადების შემდეგ იწყება ყველაზე რთული სამუშაო. ერთი შეხედვით უფრო დასაბუთებულად გვეჩვენება მონაწილე ბანკების თანდათანობით გაერთიანება. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს: რაც უფრო დიდხანს ჭიანურდება გარდამავალი პერიოდი, მით მეტია წარმოქმნილი პრობლემები. მათგან მთავარია გარდაქმნების საერთო დინამიკურობისა და ტემპის დაქვეითება, პროდუქტიულობის დაკარგვა. ამიტომ შერწყმის შტაბმა უნდა „გადასდოს კალენდარი და ხელში აიღოს წამზომი". ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ განცალკევებული პირველი სამი თვე მთელი კომპანიის ჩატარებისათვის გადამწყვეტი პერიოდია.

კორპორაციათშორისი ინტეგრაცია უმაღლესი დონის „კონფლიქტოგენური" პროცესია. უნდა ვალიაროთ ადამიანებში შესაბამისი განცდების არსებობა და შეიმუშაოთ მუშაობის პრიდუქტიულობაზე მათი გავლენის აღკვეთის პროცედურები. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლია ინტეგრაციის პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფისა და მხარდაჭერის სისტემას, რომელიც „უკუკავშირის" რეჟიმში უნდა მუშაობდეს. ადამიანები მიმდინარე გარდაქმნების მოკავშირეები და შეგნებული მონაწილეები უნდა გახდნენ.

დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობს „განსხვავებათა გამოთანაბრების" სტადია. ამ ეტაპზე მთავარი ამოცანაა კორპორაციათა განახლებული გუნდების ფუნქციონირების შეთანხმებულობისა და პროდუქტიულობის უზრუნველყოფა გამგეობის, ცალკეული საქმისურებისა და განყოფილებების დონეზე, ქვედანაყოფებისა და დონეების სპეციალისტთა

დე); სარეორგანიზაციო ბანკების იმ მონაწილეთა სიის შედგენის თარიღი, რომლებსაც ახალი ბანკის მონაწილეთა ერთობლივ საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება აქვთ; ახალი ბანკის ფილიალების გახსნა სარეორგანიზაციო ბანკების საფუძველზე.

მეორე სტადიაზე უფლებამოსილი პირი საერთო კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს 30 დღისა ატყობინებს ცენტრალური ბანკის შესაბამის განყოფილებას მოსალოდნელი რეორგანიზაციისა და ახალი ბანკის საჯარაუდო აღგილმდებარეობის შესახებ, აგრეთვე, მონაწილეთა საერთო კრების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ. შეტყობინებას თან უნდა ახლდეს: შერწყმის ან მიერთების შესახებ ხელშეკრულების პროექტი; ახალი ბანკის ბიზნეს-გეგმის პროექტი; მომავალი ბანკის მიერ საქმიანობის განულენციური ნორმების დაცვის შესაძლებლობის დასაბუთება, მართვისა და შიდა კონტროლის სტრუქტურა, ინფორმაცია ბანკის მომავალი ხელმძღვანელების შესახებ, სარეორგანიზაციო ბანკების აქტივებისა და პასივების ღირებულების შეფასება; გადაცემის აქტების პროექტები; წესდების პროექტი (შერწყმისას) ან ახალი ბანკის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი (მიერთებისას); ახალი ბანკის კრებსითი ბალანსის პროექტი ბოლო საანგარიშგებო თარიღისათვის ურთიერთვალდებულებებისა და ბანკების კაპიტალში ურთიერთმონაწილეების გაშიფვრით, აგრეთვე, ეკონომიკური ნორმატივების გაანგარიშება.

მესამე სტადიაზე ცენტრალური ბანკის შესაბამისი განყოფილება ბანკების მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ შეტყობინებისა და თანდართული დოკუმენტების მიღებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღეში ნიშნავს ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელთა სამუშაო თათბირს, რომელიც ტარდება ბანკების რეორგანიზაციის შესახებ შეტყობინების მიღების მომენტიდან არაუგვიანეს სამ კვირაში. მასზე განიხილება რეორგანიზაციის მიზნები, ხერხები და მიღწევის ვადები.

მეოთხე სტადიაზე ჩატარებული თითოეული ბანკის მონაწილეთა კრების ოქმში, რომელიც ტერიტორიულ დაწესებულებაში იგზავნება, განსაზღვრული უნდა იყოს შემდეგი საკითხები: შერწყმის ან მიერთების შესახებ გადაწყვეტილების მიღების; მასზე ხელშეკრულების დამტკიცების და გადაცემის აქტის დამტკიცების; აუდიტორული ფირმის (აუდიტორის) დამტკიცების; ბანკის იმ წარმომადგენელთა გამოყოფის შესახებ, რომლებიც უფლებამოსილი არიან ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას შერწყმაზე ან მიერთებაზე; ახალი ბანკის წესდების პროექტის (შერწყმისას) მოწონების ან წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების (მიერთებისას); ბანკის მონაწილეთა ერთობლივი საერთო კრების ჩატარების რეგლამენტის პროექტის მოწონების შესახებ.

მეხუთე სტადიაზე რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში ყოველი ბანკი ვალდებულია წერილობით აცნობოს ამის შესახებ თავის კრედიტორებს.

მეექვსე სტადიაზე ჩატარებული კრების ოქმში, რომელიც ცენტრალური ბანკის ტერიტორიულ დაწესებულებას ეგზავნება, ასახული უნდა იყოს შემდეგი საკითხები: ერთობლივი კრების ჩატარების რეგლამენტის დამტკიცების; სადამფუძნებლო დოკუმენტების (შერწყმისას) ან ახალი ბანკის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების ტექსტების (მიერთებისას) დამტკიცების; ახალი ბანკის საბჭოს არჩევის (თუკი ამგვარი ორგანოს ჩამოყალიბებას სადამფუძნებლო დოკუმენტები ითხოვს); ახალი ბანკის ერთპიროვნული და კოლეგიური აღმასრულებელი ორგანოების არჩევის (თუკი კანონმდებლობა ან სადამფუძნებლო დოკუმენტები სხვა რამეს არ ითვალისწინებენ); ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღების და ამ გამოშვებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამტკიცების ბანკის კრებსითი ბალანსის დამტკიცების შესახებ.

მეშვიდე სტადიაზე ცენტრალური ბანკის შესაბამისი ტერიტორიული დაწესებულება ბანკების ერთობლივი საერთო კრების მიერ უფლებამოსილ პირებს გადასცემს მათგან აუცილებელი დოკუმენტების მიღების დასტურს.

ბანკების რეორგანიზაციის პროცესების საერთო პროცედურულ მახასიათებლებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ შემდეგი დებულებები.

1. თუკი რეორგანიზაცია გულისხმობს ახალი ბანკის შექმნას, მაშინ ცენტრალური ბანკი განისილავს მისთვის ახალი ლიცენზიის მიცემის საკითხს. ამ დროს იგი მხედველობაში იღებს იმ ლიცენზიებს, რომელთა საფუძველზეც რეორგანიზებული ბანკები მოქმედებდნენ. ახალ ბანკს არ უკენებენ ახლად შექმნილი ბანკებისთვის ჩვეულ მოთხოვნებს საწესდებო კაპიტალის სიდიდესთან დაკავშირებით.

2. თუკი ახალი ბანკის მონაწილეები ხდებიან რეორგანიზებული ბანკების ძველი მონაწილეები და საწესდებო კაპიტალში მათი შენატანები აბსოლუტური ვალორტულებით არ იცვლება ან კლებულობს, მაშინ ცენტრალური ბანკი დამატებით არ მოითხოვს, მართლზომიერად იყო თუ არა გადახდილი ეს შენატანები.

3. ახალი ბანკის სახელმწიფოებრივი რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტები ცენტრალური ბანკის შესაბამის განყოფილებაში შეიტანეთ, როგორც წესი, ბანკის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში. ამ დროს მოსალოდნელი გაცხადებული საწესდებო კაპიტალის სიდიდის 0,01%-ს შეადგენს.

4. ახალი ბანკის შიდა ქვედანაყოფებად იმ შიდა სტრუქტურული ქვედანაყოფების (სალაროს კასრებს გარეთ მყოფი საოპერაციო სალაროების, გადამცველი პუნქტების, დამატებითი ოფისების) ხელახალი რეგისტრაცია, რომლებიც რეორგანიზებული ბანკების სათაო ბანკის განთავსების ადგილებში არ მდებარეობენ, ხორციელდება ბანკის განცხადების შესაბამისად და ცენტრალურ ბანკში ადრე წარდგენილი დოკუმენტების ხელახლა გაგზავნის გარეშე.

5. სარეორგანიზაციო ბანკებს რეკომენდაცია ეძლევათ, დანიშნონ აუდიტორული ფირმა (აუდიტორი), რომელსაც, კერძოდ, შეუძლია მოამზადოს ანგარიშგება ბანკების მოგებისა და ზარალის შესახებ. დასკვნა საქმიანობის პრუდენციული ნორმების შესრულების შესაძლებლობის შესახებ და ბანკებში ჩატარებული რეორგანიზაციის პროცედურების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

6. ინფორმაცია ბანკების რეორგანიზაციის შესახებ ქვეყნდება ჟურნალ „ბანკში" და პერიოდულ პრესაში.

რეორგანიზაციის ეტაპები: შინაარსი და შეფასება. არსებობს შერწყმის ან მიერთების სახით ბანკების რეორგანიზაციის შემდეგი ძირითადი სტადიები:

1) შერწყმის ან მიერთების შესახებ ხელშეკრულების მომზადება;

2) ცენტრალური ბანკის დაწესებულებებისთვის შეტყობინების გაგზავნა მოსალოდნელი შერწყმის ან მიერთების შესახებ;

3) სათაო დაწესებულებებისა და სარეორგანიზაციო ბანკების წარმომადგენლების სამუშაო თათბირის ჩატარება;

4) სარეორგანიზაციო ბანკების მონაწილეთა საერთო კრებების ჩატარება;

5) სარეორგანიზაციო ბანკების კრედიტორებისთვის შეტყობინების გაგზავნა რეორგანიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ;

6) სარეორგანიზაციო ბანკების მონაწილეთა ერთობლივი საერთო კრების ჩატარება;

7) ბანკების რეორგანიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტების წარდგენა ცენტრალური ბანკის დაწესებულებაში.

პირველ სტადიაზე უნდა გადაწყდეს: შერწყმის ან მიერთების წესი და პირობები; თითოეული ბანკის საწესდებო კაპიტალის წილების ახალი ბანკის საწესდებო კაპიტალის წილში კონვერტაციის წესი; სარეორგანიზაციო ბანკების კაპიტალის წილების მფლობელთა უფლებები; იმ ახალ ვალდებულებათა წარმოშობის წესი, რომელთა მონაწილეები სარეორგანიზაციო ბანკები შეიძლება გახდნენ ახალი ბანკის შექმნამდე (წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეთანხმებამ-

7.2.2. ბანკების რეორგანიზაციის აუცილებლობის კრიტერიუმები

პრობლემურ ბანკებს ეკუთვნის ის ბანკები, რომლებსაც ერთ-ერთი ნიშანი მაინც აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი ნიშნებიდან:

- არსებობს თუნდაც ერთი საფუძველი იმ.თ.კან, რომლებიც მითითებულია კანონში „საკრედიტო ორგანიზაციების ვალაუვალობის (გაკოტრების) შესახებ“)
- არსებობს ბუღალტრული აღრიცხვის წესების დარღვევისა და არასარწმუნო ანგარიშგების წარდგენის თუნდაც ერთი გამოუსწორებელი ფაქტი;
- უზრუნველყოფილი არაა ბანკის საქმიანობის შესახებ კანონმდებლობით ან ფინანსური დებულებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება ან ნებადართულია იმგვარი ქმედება (გარდა არასარწმუნო ანგარიშგების მიწოდებისა), რომელიც სარწმუნო ინფორმაციის მიღებაში უშლის ხელს საბანკო ზედამხედველობის ორგანოებს, აგრეთვე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს;
- სისტემატურად (ბოლო 12 თვის განმავლობაში 2-ჯერ და უფრო ხშირად) არ სრულდება ცენტრალური ბანკის ტერიტორიული დაწესებულების მოთხოვნები და/ან თავის თავზე აღებული ვალდებულებები არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე;
- არ სრულდება საკუთარი კაპიტალის საკმარისობის ნორმატივები (ამასთან H1 მაჩვენებლის მნიშვნელობა 5%-ზე ნაკლები არაა) და/ან მყისიერი (H2) და/ან მიმდინარე (H3) ლიკვიდობის მაჩვენებლები;
- დარღვეულია სავალდებულო რეზერვირების წესი 3 სამუშაო დღეზე მეტი ვადით ან სავალდებულო რეზერვების ზომა 2-ჯერ ან.ლო 3 თვის მანძილზე;
- წარდგენილი არაა ერთი საანგარიშო თარიღისთვის ანგარიშსწორების მოთხოვნილი ფორმები, აგრეთვე, სავალდებულო რეზერვების სიდიდის გაანგარიშება ან ეს გაანგარიშება 5 დღეზე მეტი ხნის დაგვიანებითაა წარდგენილი;
- დაკმაყოფილებული არაა ცალკეული კრედიტორების ფულადი მოთხოვნები ან ერთი თვისა და მეტი ხნის განმავლობაში არ სრულდება ვალდებულებათა გადახდები და სხვა.

7.2.3. ბანკების შეერთება და შერწყმა. პროცედურები და პრობლემები

სამართლებრივი თვალსაზრისით, ორი ან მეტი იურიდიული პირის შერწყმა წარმოადგენს მათ შორის იმგვარ ურთიერთდამოკიდებულებათა პროცესს, რომლის შედეგადაც თითოეული მათგანის უფლებები და მოვალეობები ახლად შექმნილ იურიდიულ პირს გადაეცემა. ორგანიზაციულ-ეკონომიკური თვალსაზრისით და საბანკო სექტორთან დაკავშირებით ეს მოასწავებს ახალი ბანკის გაჩენას ადრე დარეგისტრირებული და ლიცენზირებული ორი ან მეტი ბანკის ნაცვლად, რომელთა ლიცენზიებსაც შერწყმის მსვლელობაში აუქმებენ. ახალმა ბანკმა უნდა გაიაროს სახელმწიფოებრივი რეგისტრაცია და ლიცენზირება.

ამისგან განსხვავებით, ერთი ან რამდენიმე იურიდიული პირის სხვა იურიდიულ პირთან მიერთება აღნიშნავს: სამართლებრივი თვალსაზრისით პირველთა უფლებებისა და მოვალეობების გადაცემას მეორისთვის; ორგანიზაციულ-ეკონომიკური თვალსაზრისითა და საბანკო სექტორთან დაკავშირებით - მისაერთებელი ბანკის ლიცენზიის გაუქმებას და მისი, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის, ლიკვიდაციას და. იმავდროულად, შემოერთებული ბანკის ხელახალ რეგისტრაციას (მის წესდებაში შეაქვთ ცვლილებები და დამატებები), მისთვის ახალი ლიცენზიის გაფორმებას ან ადრინდელის შენარჩუნებას.

ეკონომიკური (ფინანსური) თვალსაზრისით, ბანკების შერწყმისა და მიერთების არსი ერთი და იგივეა — ბანკების გაშსვილება საბანკო კაპიტალების ცენტრალიზაციის ფორმით (ამ პროცესს ხშირად კაპიტალის კონცენტრაციას უწოდებენ, მაგრამ ეს ტერმინის არასწორად ხმარებაა).

აქედან გამომდინარე, ნორმატიულ დოკუმენტებში შეიქმნა რეალური საბანკო პრაქტიკისათვის რეორგანიზაციული პროცესების დანიშნულებისა და არსის შეზღუდული და ამიტომაც არასაკმარისი გაგების არაპროდუქტიული ტრადიცია. რა თქმა უნდა, „აეაღმყოფ" ბანკებს სიტუაციის გამოსწორების მიზნით შეუძლიათ გამოიყენონ გაერთიანება, შეერთება და რეორგანიზაციის სხვა ფორმები. ამასთანავე, ყოველთვის ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა გატარებულ ზომებს თუნდაც მცირეოდენი პოზიტიური ეფექტის მოცემა. თუმცა აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ რეორგანიზაციის დასახელებული ფორმები შეიძლება საინტერესო იყოს მხოლოდ პრობლემური ბანკებისათვის (როგორ შეუძლია, მაგალითად, აეაღმყოფს მიერთება ჯანსაღთან, თუ ეს უკანასკნელი ამაში აზრს ვერ ხედავს). არ გამომდინარეობს ისიც, თითქოს რეორგანიზაცია შემოიფარგლება გაერთიანებით, შეერთებით ან სხვა რომელიმე ფორმით. ამრიგად, რეორგანიზაციული პროცესები აუჩქარებელია ასევე ნებისმიერი ნორმალურად ფუნქციონირებადი ბანკისათვის, მაგრამ არა „მაშველი" ზომების სახით, არამედ როგორც მისი სტაბილური განვითარების სტრატეგიის ელემენტი. შესაბამისად, საბანკო საქმეში რეორგანიზაციის მიმართულებები და ფორმები ბევრად შეტია, ვიდრე იგი მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნების ბანკების კანონებსა და ნორმატიულ აქტებში.

უფრო მეტიც, გაერთიანება და სხვა „კანონიერი" ფორმები საკმაოდ იშვიათი, თითქმის ეგზოტიკური მოვლენაა, მაშინ როცა რეორგანიზაციის სხვა ფორმებს ბანკები მიმართავენ რეგულარულად. სწორედ ეს ფორმებია უფრო მნიშვნელოვანი მათ ყოველდღიურ საქმიანობაში. და იმდენად, რამდენადაც პრობლემატიკა არაა „დახურული" ცენტრობანკის არც კანონებით, არც ინსტრუქციებითა და არც მეთოდური რეკომენდაციებით, ამიტომაც ბანკებს უწევთ შესაბამისი საკითხების გადაწყვეტა საქმის თავისებური გაგებით და საკუთარი გამოცდილებით, რაც ყოველთვის როდია ეფექტური.

ტიპური რეორგანიზაციული პრობლემები, რომლებიც მუდმივად უნდა გადაწყვიტონ ბანკებმა, შემდეგია:

- საორგანიზაციო სტრუქტურების ცვლილება (ახალი სამსახურების და განკერძოებული სტრუქტურული ქვედანაყოფების გახსნა ფილიალების ჩათვლით, ადრინდელი სამსახურების და ქვედანაყოფების ნაწილის შემცირება და ლიკვიდაცია, თანამშრომელთა და ხელმძღვანელთა შემადგენლობისა და რიცხოვნობის განახლება);
- მონაწილეთა შემადგენლობის ცვლილება, იშვიათად - ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა;
- ამა თუ იმ საბანკო ჯგუფებსა და პულებში შესვლა (მ.შ.არაფორმალურში), ჰოლდინგები, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები და ა.შ. სტრუქტურები და გამოსვლა მათგან;
- არსებული ბიზნეს-პროცესების, კლიენტთა მომსახურების ტექნოლოგიურ მოწყობის, მთლიანად მენეჯმენტის ცვლილება („რადიკალობის" ზრდის მიხედვით: გაუმჯობესება, გარდაქმნა, რეინჟინირინგი).

ჩამოთვლილი და მათი მსგავსი ამოცანების ფონზე რეორგანიზაციის „კანონიერი" ფორმების პრობლემები არსებითიც კი ჩანს (ცალკეული ბანკებისათვის), მაგრამ მაინც ეპიზოდური ხასიათი აქვს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1997-1998 წლებში შეინიშნებოდა ბანკების სწრაფვა გაერთიანებისა და შეერთებებისაკენ. აღნიშნულმა ვარემოებამ სამწუხარო ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა უმსხვილესი ბანკების კიდევ უფრო გამსხვილების პოლიტიკა მცირე და საშუალო ბანკების ხარჯზე.

თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამჟერად პრობლემამ დაკარგა პრაქტიკული ინტერესი. ეკონომიკაში რჩება ასეულობით ბანკი, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ გაჯანსაღებას. გაერთიანება, შეერთება და რეორგანიზაციის სხვა ფორმები, რომლებშიც, როგორც უკვე იყო ნაჩვენები. სხვადასხვა ინტერესით მონაწილეობენ არა მხოლოდ პრობლემური, არამედ სრულიად საიმედო ბანკები, ამა თუ იმ ზომით გამოყენებული იქნება ყოველთვის. ამის გაკეთება კი საჭიროა ამჟამინდელი პროცესების არსის სრული გაგებით.

საფრთხეს უქმნიან კრედიტორთა და მეანაბრეთა ინტერესებს, ცენტრალური ბანკი უფლებამოსილია დასჯის სხვა ზომებთან ერთად მოითხოვოს ბანკისაგან, რომ მასში: ა) დაიწყოს საფინანსო გაჯანსაღებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა განხორციელება; ბ) შეიცვალოს ხელმძღვანელები; გ) ჩატარდეს რეორგანიზაცია. რას ნიშნავს ეს უკანასკნელი, არ არის განმარტებული (როგორც ჩანს, გაერთიანება, შეერთება ან რაღაც ამგვარი), თუმცა ნათელია, რომ აღნიშნული კანონი არ აიგივებს და არ ურევს ,,საფინანსო გაჯანსაღებას" ,,რეორგანიზაციასთან".

ბანკების ვალაუუალობის (ბანკროტობის) თაობიდან აჩილების გასატარებელ ზომებს მიეკუთვნება:

1) ბანკის ფინანსური გაჯანსაღება (თუმცა გასაგებია, რომ თუ ბანკი საჭიროებს ფინანსურ გაჯანსაღებას, იგი მეტ-ნაკლებად რეალურად უკვე ფინანსურად ვალაუუალია და, აქედან გამომდინარე, საუბარი უნდა იყოს არა ვალაუუალობის თაობიდან აჩილებაზე, არამედ შეძლებულობის დადგენაზე);

2) ბანკში დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნა;

3) ბანკის რეორგანიზაცია.ამასთან კანონი აღიარებს რეორგანიზაციის მხოლოდ 2 ფორმას გაერთიანებას ან შეერთებას.

ბანკი, მისი მონაწილეები და ცენტრალური ბანკი ვალდებულებას იღებენ მიმართონ დასახელებულ ზომებს კანონით მითითებულ შემთხვევებში, სახელდობრ, როცა ბანკმა:

- უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში არაერთხელ ვერ დააკმაყოფილა ცალკეულ კრედიტორთა ფულადი მოთხოვნები და/ან ვერ შეასრულა საველდებულო გადახდები შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან 3 დღემდე ვადაში, საკორესპონდენტო ანგარიშებზე სახსრების არარსებობის ან არასაკმარისობის გამო;
- იგივე მიზეზით ვერ დააკმაყოფილა ცალკეულ კრედიტორთა მოთხოვნები და/ან ვერ შეასრულა საველდებულო გადახდები. მათი დაკმაყოფილების და/ან შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან 3 დღემდე ვადაში;
- დაუშვა საკუთარი კაპიტალის აბსოლუტური შემცირება 20%-ზე მეტით მის მაქსიმალურ სიდიდესთან შედარებით, რასაც უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მიაღწია. ამავდროულად დაარღვია ერთ-ერთი საველდებულო ნორმატივთაგანი;
- არღვევს საკუთარი კაპიტალის საკმარისობის ნორმატივს;
- არღვევს მიმდინარე ლიკვიდურობის ნორმატივს უკანასკნელი თვის განმავლობაში 10%-ზე ზევით.

ბანკები, რომელთათვისაც ამგვარი ზომების რეალიზაცია აუჩილებლობად იქცა, ცენტრალური ბანკის კლასიფიკაციით მიეკუთვნება პრობლემური ბანკების კატეგორიას, ანუ, უკეთეს შემთხვევაში მე-3 ჯგუფს - ,,სერიოზული ფინანსური სიძნელეების მქონე" ბანკებს, უარეს შემთხვევაში კი მე-4 ჯგუფს, რომელთაც მიეკუთვნება ,,კრიტიკულ ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი" ბანკები.

ამრიგად, ჯერ ერთი, ბანკების რეორგანიზაციის გაგება წინააღმდეგობრივია: ზოგიერთ შემთხვევაში - დასჯის ღონისძიებაა, სხვა შემთხვევაში მათ მიერ თავიანთი პრობლემის გადაწყვეტის ზომა. მეორე, სხვადასხვა კანონში რეორგანიზაციის ფორმების ჩამონათვალი სხვადასხვაა. მესამე, სხვადასხვა კანონში რეორგანიზაციის პირობები (საფუძველი) სხვადასხვაა. მეოთხე, თუმცა რეორგანიზაცია ფორმალურად განისილება როგორც ერთგვარი დამოუკიდებელი პროცესი, სინამდვილეში იგი კანონებში ფიგურირებს როგორც ფინანსური გაჯანსაღების ერთ-ერთ ზომათაგანი მეტნაკლებად ცუდ მდგომარეობაში მყოფი ბანკებისათვის. ამასთან, რეორგანიზაციის მოცემულ მახასიათებელში შეინიშნება როგორც ფინანსური ვალაუუალობის (ან მისი გაღრმავების) თავიდან აჩილების, ასევე ბანკების გაჯანსაღისუნარიანობის აღდგენის მოტივები. და, რაც მთავარია, მეზუთე, ოფიციალურ დოკუმენტებში რეორგანიზაცია ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს იმას, თუ რა სჭირდება მხოლოდ პრობლემურ ბანკებს.

2) ბანკის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

ბანკის წარმომადგენლობის გახსნა და დახურვა. თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე წარმომადგენლობის გახსნის შესახებ ბანკმა 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს ცენტრალური ბანკის ტერიტორიულ ზედამხედველ დაწესებულებას და დაწესებულებას წარმომადგენლობის გახსნის ადგილის მიხედვით. ამას თან უნდა ერთოდეს სათანადოდ დამოწმებული დებულება წარმომადგენლობის შესახებ. თუკი ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება მისი დახურვის შესახებ, იგი მიმდინარე ანგარიშის დახურვიდან 10 დღის ვადაში აცნობებს ამას აღნიშნულ ტერიტორიულ დაწესებულებებს.

სალაროს კუთვნის გარეთ მყოფი საოპერაციო სალაროს გახსნა და დახურვა. ამჯერად რაც ხორციელდება მარეგის იმ ორგანოს (იმ სულმძღვანელის) გადაწყვეტილებით, რომელსაც ამის უფლებას წესდება აძლევს. საოპერაციო სალაროს გახსნის შესახებ შეტყობინება უნდა გაეგზავნოს ცენტრალური ბანკის სათანადო ტერიტორიულ დაწესებულებას, რის შემდეგაც 2 კვირის განმავლობაში იგი ამოწმებს საოპერაციო სალაროს ოტექნიკურად გამაგრებას და მოწყობილობას და ბანკს (მის ფილიალს) უგზავნის დასკვნას ოპერაციების ჩატარების დაწყების შესაძლებლობის შესახებ.

თუ ბანკმა (ფილიალმა) გადაწყვიტა საოპერაციო სალაროს დახურვა, ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღეში მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს ცენტრალურ ბანკს.

გადამცველი პუნქტების გახსნა და დახურვა. გადამცველი პუნქტის გახსნა ბანკის ბრძანების საფუძველზე ხდება. ამ ბრძანების წინ უძღვის სერიოზული მოსამზადებელი სამუშაო, რადგან გადამცველმა პუნქტმა ვალუტის გაცვლის ოპერაციები პრანების გამოცემიდან მეორე დღეს უნდა დაიწყოს. პუნქტის მუშაობის დაწყებასთან ერთად ბანკმა ცენტრალური ბანკის ტერიტორიულ დაწესებულებას უნდა გაუგზავნოს თხოვნა აღნიშნული პუნქტის დარეგისტრირების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი გადამცველი პუნქტი არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს, ბანკი უარს იღებს მის რეგისტრაციაზე. უარის მიღების დღესვე ბანკი ვალდებულია შეწყვიტოს ამ პუნქტში ვალუტის გაცვლის ოპერაციები.

თუკი ბანკი 30 დღის განმავლობაში არც რეგისტრაციის მოწმობას მიიღებს და არც უარს, ამის შესახებ მან 5 სამუშაო დღის მანძილზე წერილობით უნდა აცნობოს ცენტრალური ბანკის ტერიტორიულ დაწესებულებას და შესაბამის დეპარტამენტს. ამასთან, ბანკს შეუძლია მოითხოვოს რამდენიმე გადამცველი პუნქტის რეგისტრაცია.

7.2. კომერციული ბანკების რეორგანიზაცია

7.2.1. კომერციული ბანკების რეორგანიზაციის ცნება

საერთოდ იურიდიული პირის და კერძოდ, ბანკის რეორგანიზაციის ზოგადი ცნება არ არის მოცემული არცერთ ოფიციალურ დოკუმენტში. სამოქალაქო კოდექსი, შემდგომ კი საბანკო კანონები და ნორმატიული აქტები, რომლებშიც ასე თუ ისე წარმოჩენრება ეს პრობლემა, იწყებენ პირდაპირ რეორგანიზაციის ფორმების ჩამოთვლით ისე, როგორც ეს ესმოდათ სამოქალაქო კოდექსის და სხვა ნორმატიული დოკუმენტების შემდგენლებს.

მხედველობაში გვაქვს ისეთი ფორმები, როგორიცაა გაერთიანება, შეერთება, დაყოფა, გამოყოფა და გარდაქმნა. ამასთან, კანონებში საკითხი რეორგანიზაციის ჩამოთვლილი პირობების ძირნის და საბანკო სექტორში გამოყენების პირობების შესახებ პირდაპირ არ ისმის. ამისდა მიუხედავად ისინი მიანიშნებენ მისკენ ერთგვარ მიდგომაზე.

ასე მაგალითად, კანონში „ცენტრალური ბანკის შესახებ“ ტერმინი „რეორგანიზაცია“ გამოყენებულია მხოლოდ ერთჯერ, სახელდობრ ნათქვამია, რომ დაფუძნილ ვადაში ბანკის საქმიანობაში გამოყენებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში, როცა ეს დარღვევები ან ბანკის მიერ გატარებული ოპერაციები რეალურ

ზსენებული დასკვნის მიღების შემდეგ ღიცენზირების დეპარტამენტი 10 სამუშაო დღის განმავლობაში აკუთვნებს ახალ ფილიალს რიგით ნომერს, მის შესახებ მონაცემები შეაქვს საკრედიტო ორგანიზაციების სახელმწიფო რეგისტრაციის წიგნში და ამის შესახებ ატყობინებს ბანკსა და თავის ტერიტორიულ დაწესებულებებს. ამის შემდეგ ფილიალს უფლება აქვს შეუდგეს საქმიანობას.

ფილიალის დახურვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბანკის მართვის უფლებამოსილი ორგანო. ეს შემდეგი სქემით წარმოდგება:

1) გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში ბანკი წერილობით ატყობინებს ამას ფილიალის ყველა ცნობილ კრედიტორს და აცნობებს ბანკის (მისი სხვა ფილიალის) იმ კორესპონდენტო ანგარიშის (სუბანგარიშის) ნომერს, რომელზეც შესაბამის ანგარიშებზე მყოფი სახსრების ნაშთები იქნება გადარიცხული;

2) აქედან 10 დღის განმავლობაში მთავარი კანტორის ან თავისი სხვა ქვედანაყოფის ბალანსზე ფილიალის აქტივებისა და პასივების გადაცემის შემდეგ იგი ამის შესახებ აცნობებს მის მოსამსახურე ტერიტორიულ განყოფილებას, რასაც ურთავს ფილიალის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების ასლს და გადაცემის აქტს;

3) ცენტრალური ბანკის ტერიტორიული დაწესებულება აღნიშნული დოკუმენტების მიღებიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს მათ და თავის დასკვნას გზავნის ცენტრალური ბანკის მთავარ აპარატში. ეს უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში:

- საკრედიტო ორგანიზაციების რეგისტრაციის წიგნში ჩანაწერს აკეთებს ფილიალის დახურვის შესახებ (რომლის თარიღი ფილიალის დახურვის თარიღად ითვლება);
- ტელეგრაფით ატყობინებს თავის ყველა ტერიტორიულ დაწესებულებას შესაბამის ინფორმაციას (ასინი ვალდებული არიან 3 დღის ვადაში გადასცენ ეს ინფორმაცია მათ ქვესაწყებო ტერიტორიაზე მოთავსებულ ყველა საკრედიტო ორგანიზაციას) და იმ ბანკს, რომელიც ფილიალს ხურავს. თუკი ამ უკანასკნელის ბაზაზე დამატებითი ოფისის გახსნაა განზრახული, მაშინ სატელეგრაფო შეტყობინებაში ეს ინფორმაციაც უნდა იყოს ჩართული.

ბანკების ფილიალების გახსნა და დახურვა საზღვარგარეთ. საზღვარგარეთული ფილიალი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე ქვედანაყოფია, რომელსაც უფლება აქვს ოპერაციები ჩაატაროს მისი შემქმნელი ბანკის სახელით. იგი არაა იურიდიული პირი, არა აქვს საწესდებო კაპიტალი, მაგრამ შეუძლია ჰქონდეს ქონება, მათ შორის ფულადი სახსრები, იმ ვადითა და მიზნებით, როგორც ამას ბანკი განსაზღვრავს.

საზღვარგარეთული ფილიალების შექმნა შეუძლიათ მხოლოდ გენერალური ლიცენზიების მქონე ბანკებს, რისთვისაც ცენტრალური ბანკის თანხმობაა საჭირო. ასეთი ფილიალის გახსნის მოსურნე ბანკს ლიცენზია უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 წლისა; მისი საკუთარი კაპიტალი ნაკლები არ უნდა იყოს და ა.შ. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ცენტრალური ბანკის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტი, რომელიც ნებართვის მოქმედების ვადასაც განსაზღვრავს. თუკი ფილიალს ქონებას გამოუყოფენ, მაშინ ბანკი ვალდებულია ქონების გადაცემის (ფულის გადაგზავნის) გაფორმების დღიდან 5 დღეში აუწყოს ეს მის მომსახურე ტერიტორიულ განყოფილებას, რასაც თან უნდა ახლდეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებული ასლები და საგადასახადო ორგანოსთვის გაგზავნილი შეტყობინების ასლი.

ოფშორულ ზონაში ფილიალის შექმნა ითანხმებული უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის საბანკო ზედამხედველობის ორგანოსთან.

ბანკის საზღვარგარეთული ფილიალი შეიძლება დაიხუროს:

1) ბანკის მართვის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით: ა) მისივე გადაწყვეტილებით; ბ) ცენტრალური ბანკის წინადადებით; გ) ადგილსამყოფელი ქვეყნის საბანკო ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნით;

ყობინების მომენტიდან. შეტყობინება მოიცავს ფილიალის ან წარმომადგენლობის მისამართს, მის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს, ცნობებს ხელმძღვანელების შესახებ, დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბებსა და ხასიათს, აგრეთვე, ბეჭდის ანაბეჭდის და ხელმძღვანელთა ხელმოწერის ნიმუშებს.

ფილიალების გახსნისთვის ბანკი იხდის მოსაკრებელს, რომლის სიდიდესაც ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს. ეს არ ვრცელდება იმ ბანკებზე, რომლებიც რეორგანიზაციის შედეგად იქმნება.

დამატებითი ოფისი (კანტორა) ბანკის ან მისი ფილიალის ისეთი განცალკევებული ქვედანაყოფია, რომელსაც მისი შექმნელი ბანკის სახელით შეუძლია ლიცენზიით ნებადართული ყველა ან ზოგიერთი ოპერაციის (გარიგების) განხორციელება. დამატებით ოფისს არა აქვს ცალკე ბალანსი და არ შეუძლია ოპერაციების ჩასატარებლად თვითონ გახსნას ანგარიშები. დამატებითი ოფისების რაოდენობა შეზღუდული არაა.

დამატებითი ოფისები შეიძლება განლაგებული იყოს მხოლოდ იმ დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე, სადაც ბანკი ან მისი ფილიალია მოთავსებული; თუკი დამატებითი ოფისი გასწევს კლიენტთა საკასო მომსახურებას, მაშინ მის მიერ დაკავებული შენობა უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური მოწყობილობისა და საკასო კვანძის გამავრების ნაწილში წაყენებულ მოთხოვნებს. დამატებითი ოფისების ხელმძღვანელებს არ ეხებათ შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მათი დანიშვნა ბანკის მიდა საკადრო საკითხია.

დამატებითი ოფისის მიერ ჩატარებული ყველა ოპერაცია ყოველდღიურად უნდა აისახოს ბანკის ბალანსის ანგარიშებში მათი გატარების დღით ან მომდევნო საოპერაციო დღის დილით (თუკი დამატებითი ოფისი ეწევა ინკასირებას და ინახავს ნაღდ ფულს).

ფილიალის გახსნა და დახურვა ქვეყნის ტერიტორიაზე. თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ფილიალის გახსნის დროს ბანკი ვალდებულია: დაიცვას კანონებისა და ცენტრალური ბანკის ნორმატიული აქტების მოთხოვნები; იყოს ფინანსურად მდგრადი ბოლო 6 თვის მანძილზე; გააჩნდეს ფილიალის გახსნისთვის შესაფერისი შენობა; შესათანხმებლად წარადგინოს ხელმძღვანელებისა და მთავარი ბუღალტრის ისეთი კანდიდატურები, რომლებიც შეესაბამებიან საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ფილიალს უნდა ჰქონდეს ბეჭედი, რომელზეც ბანკის საფირმო დასახელებისა და მისი ადგილსამყოფელის გარდა აღნიშნული უნდა იყოს ფილიალის დასახელება და მისი ადგილსამყოფელი.

ფილიალის გახსნის შესახებ ბანკი დადგენილი ნიმუშის შეტყობინებას უგზავნის ცენტრალური ბანკის სათანადო ტერიტორიულ დაწესებულებას და ტერიტორიულ ზედამხედველობის ორგანოს, ან მხოლოდ ამ უკანასკნელს. შეტყობინებას თან უნდა ერთვოდეს: დებულება ფილიალის შესახებ (მხოლოდ შესაბამის ზედამხედველობის ორგანოში, ოღონდ 4 ეგზემპლარად); ფილიალის ხელმძღვანელებისა და მთავარი ბუღალტრის კანდიდატების ანკეტები (ორ-ორი ეგზემპლარი) და მათი დიპლომების (ან შემცვლელი დოკუმენტების) ასლები, რომლებიც დამოწმებულია ბანკის მიერ (ცენტრალური ბანკის სათანადო ტერიტორიულ დაწესებულებაში); კანდიდატების ავტობიოგრაფიები (ორ-ორი ეგზემპლარი); გადასახდელი დოკუმენტის ასლი ფილიალის გახსნაზე მოსაკრებლის გადახდის შესახებ.

ცენტრალური ბანკის ტერიტორიული განყოფილება 2 კვირის ვადაში: განიხილავს მიღებულ დოკუმენტებს; აიანხმებს კანდიდატურებს; გაცხადებს დასკვნა შესაბამის შენობაზე; თავის დასკვნას უგზავნის ზედამხედველობის ტერიტორიულ ორგანოს; შეთანხმების ალნიშვნის მქონე თითო ანკეტას უგზავნის ფილიალის გამხსნელ ბანკს. თუკი გამოვლინდება კანონმდებლობისა და ნორმატივების დარღვევა ბანკის მხრიდან, იგი აფრთხილებს ბანკს ამგვარ დარღვევათა აღმოფხვრის თაობაზე.

ბაში აფორმებს საჭირო დუბლიკატს. დუბლიკატში მითითებული უნდა იყოს დაკარგული დოკუმენტის ყველა რეკვიზიტი, ე.ი. მისი ნომერი და თარიღი, ხელმომწერის ვინაობა და თანამდებობა, აგრეთვე, დუბლიკატის ხელმოწერის თარიღი, ხელმომწერის ვინაობა და თანამდებობა. ზედა მარჯვენა კუთხეში კეთდება აღნიშვნა „დუბლიკატი“. დოკუმენტს ადასტურებენ ცენტრალური ბანკის გერბიანი ბეჭდით.

ცენტრალური ბანკის ტერიტორიული განყოფილება დოკუმენტის დუბლიკატს ბანკს გადასცემს ცენტრალურ ბანკიდან მიღების მომენტიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში. ბანკისთვის მისი გადაცემის პროცედურა დედნის გადაცემის ანალოგიურია. ბანკის იურიდიულ საქმეში იგზავნება ცნობა შესაბამისი დუბლიკატის გაცემის შესახებ.

ბანკის სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ქაღალდზე კეთდება იურიდიულ საქმეში მყოფი დოკუმენტიდან (ინახება ცენტრალური ბანკის ტერიტორიულ დაწესებულებაში). ასლის ნოტარიულად დამოწმებისთვის ბანკს შეუძლია ტერიტორიული დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობის მიღების შემდეგ მიმართოს ნოტარიუსს, რომელიც ამ დაწესებულების შენობაში მისი თანამშრომლების თანდასწრებით ნოტარიულად ამოწმებს დოკუმენტის ასლს. შემდეგ ბანკის იურიდიულ საქმეში იგზავნება ცნობა მისთვის დოკუმენტის ასლის გაცემის შესახებ, ცენტრალური ბანკის მთავარ აპარატში კი ინფორმაცია ამის შესახებ.

7.1.4. ბანკების განყოფილებების (ფილიალების) გახსნისა და დახურვის წესები

ბანკს შეუძლია გახსნას (დახუროს) ორი კლასის სტრუქტურული ქვედანაყოფები:

ა) სათაო კანტორიდან ტერიტორიულად ცალკე მყოფი გარე ქვედანაყოფები: ფილიალები და წარმომადგენლობები;

ბ) სათაო კანტორიდან ან ფილიალიდან ტერიტორიულად ცალკე მყოფი ქვედანაყოფები: ბანკის (ფილიალის) სალაროს კვანძის გარეთ მყოფი სალაროსაოპერაციო სალაროები; გადამცველი პუნქტები; დამატებითი ოფისები.

ბანკის ფილიალი გამოცალკევებული ქვედანაყოფია, რომელსაც მისი შექმნელი ბანკის სახელით შეუძლია ლიცენზიით ნებადართული ყველა ან ზოგიერთი ოპერაციის (გარიგების) განხორციელება. ფილიალების რაოდენობა ფორმალურად შეზღუდული არაა, ისევე, როგორც მათი ოპერაციების ფარდობითი მოცულობები. თუკი ბანკი მიზანშეწონილად ჩათვლის, მას შეუძლია მისი საქმიანობის მნიშვნელოვან, გადამწყვეტ ნაწილს ან მთელ საქმიანობას თავი მოუყაროს არა სათაო კანტორაში, არამედ ერთ ან რამდენიმე ფილიალში.

კანონებისა და ნორმატიული აქტების დარღვევის შემთხვევაში ბანკს შეიძლება ერთი წლით ჩამოართვან ფილიალების გახსნის უფლება.

ბანკის წარმომადგენლობა მისი ისეთი გამოცალკევებული ქვედანაყოფია, რომელსაც უფლება აქვს გარკვეულ ტერიტორიაზე წარმოადგინოს და დაიცვას ამ ბანკის ინტერესები. ბანკის წარმომადგენლობას უფლება არა აქვს ჩაატაროს საბანკო ოპერაციები. წარმომადგენლობათა რაოდენობა ლიმიტირებული არაა.

ბანკის ფილიალები და წარმომადგენლობები

- იქმნება (უქმდება) ბანკის მართვის იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელსაც წესდება აძლევს ამის უფლებას. წესდებაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საჭირო გადაწყვეტილებას იღებს ბანკის მოსაწილეთა მორიგი (წლიური) საერთო კრება;
- არაა იურიდიული პირები და მოქმედებენ მათი შემქმნელი ბანკების მიერ დამტკიცებული დებულებების საფუძველზე. მათ ხელმძღვანელებს ნიშნავს ბანკის ხელმძღვანელი, ხოლო ისინი მოქმედებენ მათთვის მინიჭებულ რწმუნებათა საფუძველზე.

ბანკების ფილიალები და წარმომადგენლობები იხსნება ცენტრალური ბანკისათვის ამის შეტ-

დღიდან არანაკლებ 2 წელია გასული და მას აქვს II სახის ლიცენზია, ან შეიძლება გაიცეს მასთან ერთად;

VI გენერალური ლიცენზია. მისი მიმღები ბანკის რეგისტრაციის დღიდან არანაკლებ 2 წელი უნდა იყოს გასული და თანაც მას უკვე მიღებული უნდა ჰქონდეს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ლიცენზია. გარდა ამისა, ბანკი უნდა ასრულებდეს ცენტრალური ბანკის მოთხოვნას საკუთარი კაპიტალის მოცულობაზე. III სახის ლიცენზიის არსებობა არაა გენერალური ლიცენზიის მიღების სავალდებულო პირობა.

გენერალური ლიცენზიის მიღების მოსურნე ბანკის საკუთარი კაპიტალი ნაკლები არ უნდა იყოს ინსტრუქციით გათვალისწინებულ თანხაზე.

ბანკისთვის გენერალური ლიცენზიის მიცემის საკითხის განსილვის დროს მასში ტარდება კომპლექსური საინსპექციო შემოწმება ან გაითვალისწინება საინსპექციო შემოწმების შედეგები, თუკი იგი გენერალური ლიცენზიის გაცემის შესახებ შუამდგომლობის წარმოდგენამდე არაუადრეს 3 თვეში იყო დასრულებული.

გენერალური ლიცენზიის მიმღებ ბანკს უფლება აქვს (I-V ლიცენზიებით მიღებული უფლების დამატებითი) დადგენილი წესით შექმნას ფილიალები საზღვარგარეთ ან შეიძინოს წილები არარეზიდენტი საკრედიტო ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალში.

დამატებითი ლიცენზიის მიღება. საქმიანობის გაფართოების უფლების მომცემი ლიცენზიის მისაღებად ბანკმა ცენტრალური ბანკის შესაბამის სამეთვალყურეო ტერიტორიულ დაწესებულებას უნდა წარუდგინოს:

- შუამდგომლობა (ბანკის ბიზნეს-გეგმით ან მისი დამატებებით), რომელსაც ხელს აწერს საჭოს თავმჯდომარე ან სხვა უფლებამოსილი პირი;
- აუდიტორული ორგანიზაციის მიერ დამოწმებული გამოქვეყნებული წლიური ანგარიში და იმ წლის აუდიტორული დასკვნა, რომელიც წინ უსწრებს ლიცენზიის მიღებაზე მიმართვას (თუკი ისინი უკვე წარდგენილი არ იყო ცენტრალური ბანკის ტერიტორიულ დაწესებულებაში);
- ბალანსი და ეკონომიკური ნორმატივების გაანგარიშება ბოლო საანგარიშგებო წლისათვის.

ცენტრალური ბანკის ტერიტორიული განყოფილება აშუადებს დადგენილი ნიშუშის დასკვნას ბანკისთვის „გაფართოების“ ლიცენზიის მიცემის შესაძლებლობის შესახებ. ამ დასკვნას ბანკიდან მიღებული დოკუმენტების კომპლექტთან ერთად გზაუნიან ცენტრალური ბანკის მთავარ ბანკში (ლიცენზირების დეპარტამენტში).

მიღებული დოკუმენტების საფუძველზე ცენტრალური ბანკი გამოიტანს გადაწყვეტილებას ბანკის მიერ მოთხოვნილი ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობის შესახებ. თუკი გადაწყვეტილება დადებითია, მაშინ ცენტრალური ბანკი თავის ტერიტორიულ დაწესებულებას უგზავნის საჭირო ლიცენზიის ორ ეგზემპლარს. იგი თავის მხრივ, ერთ ეთანას გადასცემს ბანკის საბჭოს თავმჯდომარეს ან სხვა რომელიმე უფლებამოსილ პირს, რომელიც წერილობით ადასტურებს ლიცენზიის მიღებას.

თუკი ბანკმა დაკარგა სადამფუძნებლო დოკუმენტები, სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობა ან ლიცენზია, ან სხვა რაიმე მიზეზით დარჩა მათ გარეშე, შეუძლია მიიღოს მათი დუბლიკატები (ასლები).

ცენტრალური ბანკი მხოლოდ იმ დოკუმენტების დუბლიკატებს გასცემს, რომლებიც ადრე თვითონ მის მიერ იყო გაცემული, ე.ი. სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზიების დუბლიკატებს. დუბლიკატების (ასლების) მისაღებად ბანკმა უნდა მიმართოს შესაბამის განყოფილებას განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს დოკუმენტების დაკარგვის მიზეზები, აგრეთვე, წარადგინოს შინაგან საქმეთა ორგანოებში აღებული ცნობა, რომელიც დაადასტურებს დოკუმენტების დაკარგვის ფაქტს.

დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ცენტრალური ბანკი 10 სამუშაო დღის განმავლო-

ასე, რომ ლიცენზია არის ლიცენზირებაზე უფლებამოსილი ორგანოების ნებართვა გარკვეული შინაარსის ოფიციალური დოკუმენტის სახით, რომელიც დადგენილი ფორმის (რეკვიზიტების) დაცვით ადასტურებს ლიცენზიატის უფლებას, განახორციელოს მათში მითითებული სახის საქმიანობა გარკვეული ვადის განმავლობაში ან ვადის შეუზღუდავად, აგრეთვე, განსაზღვრავს ამ სახის საქმიანობის განხორციელების პირობებს.

ამ საბაზო განმარტების გამოყენებით შეგვიძლია საბანკო ლიცენზია ასე განვსაზღვროთ:

საბანკო ლიცენზია საბანკო საქმიანობაზე ცენტრალური ბანკის მიერ უეადო ხასიათის ოფიციალური დოკუმენტის ფორმით გაცემული ნებართვაა, რომელიც დადგენილი ფორმის (რეკვიზიტების) დაცვით ადასტურებს მასში მითითებული საბანკო და სხვა ოპერაციების (გარიგებების) ჩატარების უფლების მინიჭებას ბანკისათვის.

ახლად შექმნილი ბანკის ლიცენზიები. ახლად შექმნილ ბანკზე შესაძლებელია 3 სახის ლიცენზიის გაცემა:

I. ლიცენზია საბანკო ოპერაციების ჩატარებაზე ეროვნული ვალუტით (ფიზიკური პირებისგან ფულის მიღების უფლების გარეშე);

II. ლიცენზია საბანკო ოპერაციების ჩატარებაზე ეროვნული და უცხოური ვალუტით (ფიზიკური პირებისგან ფულის მიღების უფლების გარეშე). ამ ლიცენზიის მქონე ბანკს საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარების უფლება აქვს შეუზღუდავი რაოდენობის უცხოურ ბანკებთან);

III. ლიცენზია ძვირფასი ლითონების ანაბრებში ძიებასა და მათ განთავსებაზე. იგი შეიძლება ბანკს მიეცეს II სახის ლიცენზიასთან ერთად.

იმ ბანკის ლიცენზია, რომელიც აფართოებს თავის საქმიანობას. თავისი საქმიანობის გაფართოების მოსურნე ბანკმა უნდა აიღოს დამატებითი ლიცენზიები, რისთვისაც მისთვის აუცილებელია:

1) ფინანსურად მდგრადი იყოს ბოლო 6 თვის განმავლობაში;

2) ასრულებდეს ცენტრალური ბანკის სარეზერვო მოთხოვნებს;

3) არ ჰქონდეს ბიუჯეტებისა და არასაბიუჯეტო ფონდების ვალები;

4) ჰქონდეს ადეკვატური ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის შიდა კონტროლის სამსახური;

5) ჰყავდეს ცენტრალური ბანკის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაფერისი თანამშრომლები;

6) იცავდეს ტექნიკურ მოთხოვნებს, მათ შორის საბანკო ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო მოწყობილობის მიმართ.

თუ ეს პირობები დაცულია, მაშინ მოქმედ ბანკზე შეიძლება გაიცეს მისი საქმიანობის გაფართოების შემდეგი სახის ლიცენზიები:

II ეროვნული და უცხოური ვალუტით ოპერაციების ჩატარებაზე (თუკი აქამდე ბანკს მხოლოდ I სახის ლიცენზია ჰქონდა).

III ძვირფას ლითონებთან მუშაობაზე (თუკი ბანკს აქამდე არ მიუღია ასეთი ლიცენზია ცალკე ან II სახის ლიცენზიასთან ერთად. ისევე, როგორც ახლად შექმნილი ბანკის შემთხვევაში, ეს ლიცენზია მოქმედ ბანკზე შეიძლება გაიცეს II სახის ლიცენზიის მიღების შემდეგ ან მასთან ერთად;

IV ლიცენზია ანაბრებში ფულის (ეროვნული ვალუტის) მოზიდვაზე ფიზიკური პირებისგან. ასეთი ლიცენზია იმ ბანკზე შეიძლება გაიცეს, რომლის რეგისტრაციის დღიდან არანაკლებ 2 წელია გასული;

V ლიცენზია ანაბრებში ეროვნული და უცხოური ვალუტის მოზიდვაზე ფიზიკური პირებისგან. ეს ლიცენზია იმ ბანკზე შეიძლება გაიცეს, რომლის რეგისტრაციის

რულისა და მართლზომიერების დამადასტურებელ დოკუმენტებს:

- ბოლო საანგარიშგებო თარიღისთვის შედგენილ ბალანსებს ზედამხედველობის ორგანოების მიერ გაეთებული აღნიშვნით;
- საწესდებო კაპიტალში სახსრების შეტანის თარიღისთვის შედგენილ ბალანსებს, რომლებიც დასტურებენ საკუთარი სახსრების ქონას დამფუძნებლების მიერ;
- საგადასახდელო დავალებას შესრულების აღნიშვნით;
- ბანკის ბალანსზე დამფუძნებლის შენობის (ნაგებობის) მიღება-ჩაბარების აქტს;
- იმ შენობაზე (ნაგებობაზე) ბანკის საკუთრების უფლების შესახებ მოწმობის ნოტარიულად დადასტურებულ ასლს, რომელიც დამფუძნებელმა გადასცა ბანკს საწესდებო კაპიტალში თავისი წილის გადახდის სახით.

■ შპს-ის ფორმით შექმნილი ბანკიდან მიღებული ამ დოკუმენტების საფუძველზე ცენტრალური ბანკის ტერიტორიული დაწესებულება (მისი ის ქვედანაყოფი, რომელიც ლიცენზირების საკითხებს განაგებს) მათი მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში უგზავნის ცენტრალური ბანკის მთავარ აპარატს დასკვნას საწესდებო კაპიტალის გადახდის მართლზომიერების შესახებ.

■ სააქციო საზოგადოების ფორმით შექმნილი ბანკი ცენტრალურ ბანკს ერთი თვის ვადაში უგზავნის დოკუმენტებს აქციების პირველი გამოშვების შედეგების შესახებ ანგარიშგების რეგისტრაციისათვის. წინა შემთხვევის ანალოგიური დოკუმენტების საფუძველზე ცენტრალური ბანკი (მისი ის ქვედანაყოფი, რომელიც ლიცენზირების საკითხებს განაგებს) მათი მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში ამოწმებს საწესდებო კაპიტალის გადახდის მართლზომიერებას და აქციების გამოშვების შედეგების შესახებ ანგარიშგების რეგისტრირების შესაძლებლობის შესახებ თავის დასკვნას უგზავნის ცენტრალური ბანკის სათანადო დეპარტამენტს.

7.1.3. ახლად შექმნილი და მოქმედი ბანკის ლიცენზირების წესები

ლიცენზია როგორც განსაკუთრებული სახის დოკუმენტი. ლიცენზია დოკუმენტია. მას გასცემენ არ იღებენ. ამავე დროს, ლიცენზია ოფიციალური დოკუმენტია, რომელსაც აფორმებენ ტიპოგრაფიული კლიშეს შემცველ, საგანგებო ხარისხისა და ნიშნების მქონე სპეციალურ ქაღალდზე - ბლანკზე. ლიცენზია იმიტომაცაა ოფიციალური დოკუმენტი, რომ:

- მას გასცემენ მხოლოდ და მხოლოდ ის ორგანოები, რომლებსაც სალიცენზიო საქმიანობის უფლებამოსილება სახელმწიფოსგან აქვთ მინიჭებული.
- გათვალისწინებულია მისი გაცემის, გაფორმების, ბეჭდების შეერებისა და გაწევის განსაკუთრებული წესი;
- შეძლებულია ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების დაცვის განსაკუთრებული კონტროლი უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან;
- გათვალისწინებულია გაცემული, დარეგისტრირებული, შეერებული და გაუქმებული ლიცენზიის აღრიცხვის განსაკუთრებული წესი;
- გათვალისწინებულია სალიცენზიო საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოების ხელმძღვანელებისა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ამ საქმიანობის წარმართვის წესის დარღვევისათვის ან არასათანადოდ აღსრულებისთვის.

პირველი ორი თვისების განზოგადებით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ლიცენზიის ამგვარი განმარტება: ლიცენზია გარკვეული შინაარსის მქონე ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც დადგენილი ფორმის რეკვიზიტების დაცვით ადასტურებს ლიცენზიატის უფლებას გარკვეული სახის საქმიანობის წარმართვაზე.

ლიცენზია სპეციალური ნებართვაა. თუ ცნება „ოფიციალური დოკუმენტი“ ფორმის თვალსაზრისით ახასიათებს ლიცენზიას, „სპეციალური ნებართვა“ მის შინაარსს გულისხმობს.

ბანკის ცენტრალურ აპარატში განიხილავენ მიღებულ დოკუმენტებს და იღებენ გადაწყვეტილებას ბანკის რეგისტრაციის შესაძლებლობის შესახებ. თუკი ცენტრალური ბანკი იღებს დადებით გადაწყვეტილებას და ხელს აწერს მოწმობას ბანკის რეგისტრაციის შესახებ, მაშინ შესაბამისი დეპარტამენტი არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა:

- წარმოდგენილი სადამფუძნებლო დოკუმენტების ყველა ეგზემპლარის სატიტულო ფურცელზე სკამს შტამპს ბანკის სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღითა და ნომრით;
- ბანკის რეგისტრაციის მონაცემები შეაქვს საკრედიტო ორგანიზაციების სახელმწიფო რეგისტრაციის წიგნში;
- დამფუძნებლებს უგზავნის შეტყობინებას ბანკის რეგისტრაციის შესახებ, ხოლო თავის შესაბამის ტერიტორიულ დაწესებულებას ბანკის რეგისტრაციის შესახებ მოწმობის და მისი სადამფუძნებლო დოკუმენტების ორ-ორ ეგზემპლარს.
- სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან ბანკი იღებს იურიდიული პირის სტატუსს. მას უკვე არა აქვს საბანკო ოპერაციების ჩატარების უფლება; ასევე, არ შეუძლია დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალში უკვე შეტანილი სახსრების გამოყენება.

ცენტრალური ბანკი თავის მხრივ:

- დამფუძნებლებს უგზავნის შეტყობინებას შემდგარი რეგისტრაციის შესახებ, რომელშიც მიუთითებს ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო ცენტრში მისთვის გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშის რეკვიზიტებს ახლა უკვე ბანკის მთელი საწესდებო კაპიტალის გადასახდელად. ეს გადახდა უნდა დასრულდეს შეტყობინების მიღების მომენტიდან 1 თვის ვადაში. საწესდებო კაპიტალის გადაუხდელობა ან არასრულად გადახდა ბანკის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია;
- ახალი ბანკის რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეაქვს იმ საკრედიტო ორგანიზაციების რეესტრში, რომლებიც მის ქვესაუწყებო ტერიტორიაზე იმყოფება;
- ანკეტების თითო ეგზემპლარს აძლევს ბანკის საბჭოს თავმჯდომარეს ან სხვა უფლებამოსილ პირს თანხმობის შესახებ აღნიშვნით, აგრეთვე, ბანკის სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობის და მისი სადამფუძნებლო დოკუმენტების თითო ეგზემპლარს, რის მიღებასაც წერილობით ადასტურებენ აღნიშნული პირები.

ბანკის რეგისტრაციასა და შესაბამისი ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის მიზეზები შეიძლება იყოს:

1) აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა და მთავარი ბუღალტრის კანდიდატების შეუსაბამობა კვალიფიკაციის მოთხოვნებთან;

2) დამფუძნებელთა არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა ან მათ მიერ ბიუჯეტების წინაშე არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ბოლო 3 წლის მანძილზე;

3) რეგისტრაციისა და ლიცენზიის მიღებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შეუსაბამობა კანონის მოთხოვნებთან.

რეგისტრაციისა და ლიცენზიის მიღებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შეუსაბამობა კანონის მოთხოვნებთან. რეგისტრაციაზე და ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას დამფუძნებელებს წერილობით ატყობინებენ და იგი მოტივირებული უნდა იყოს.

ლიცენზიის მიღება. რეგისტრაციის შემდეგ ლიცენზიის მიღების მთავარი პირობაა საწესდებო კაპიტალის ერთ თვეში ჩამოყალიბება 100%-ით და ამ ფაქტის დოკუმენტურად დადასტურება. აქედან 3 დღეში ცენტრალური ბანკი საკრედიტო ორგანიზაციაზე გასცემს საბანკო ოპერაციების განხორციელების ლიცენზიას.

საწესდებო კაპიტალის მთლიანად ფორმირების ფაქტის დადასტურება ამ წესით ხდება:

- ბანკის მონაცემების თანახმად მისი საწესდებო კაპიტალის მთლიანად გადახდიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში იგი ცენტრალური ბანკის დაწესებულებას უგზავნის ამ გადახდის სის-

ფულებლო დოკუმენტების ხელმოწერის მომენტიდან 1 თვეში და მათთვის თანმხლები წერილის დართვას.

გარდა ამისა, საჭიროა ინსტრუქციით გათვალისწინებული შემდეგი დებულებების დაცვა:

• ყველა აღნიშნული დოკუმენტი ბარდება 2 ეგზემპლარად (გამონაკლისია კანდიდატების ანკეტები 3 ეგზემპლარად და შპს-ის ფორმით შექმნილი ბანკის დაფუძნების ხელშეკრულება - 4 ეგზემპლარად);

• განცხადება რეგისტრაციის და ლიცენზიის გაცემის შესახებ უნდა იწერებოდეს ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის სახელზე და მოიცავდეს ბანკის ბიზნეს-გეგმას. ბიზნეს-გეგმა ისე უნდა შედგეს, რომ ცენტრალურ ბანკს შეეძლოს შეაფასოს: ა) შეესაბამება თუ არა შესაქმნელი ორგანიზაცია ბანკებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს; ბ) შეძლებს თუ ვერა ბანკი ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას და საქმიანობის პრუდენციული ნორმების შესრულებას; გ) არის თუ არა ბანკის მართვის ორგანოები მოსალოდნელი რისკების ადეკვატური;

• დამფუძნებლებმა უნდა წარადგინონ იმის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ ერთ-ერთ მაიჯანს მაინც აქვს საკუთრების უფლება შენობაზე, რომელშიც განთავსდება ბანკი, და არანაკლებ (სუბარენდით) მისი გადაცემის ვალდებულება ბანკის რეგისტრაციის შემთხვევაში (თუკი ამგვარი შენობა არ შეაქვთ ბანკის საწესდებო კაპიტალში);

• ბანკის მოსალოდნელი რეგისტრაციისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელია საკუთარი სახსრების ხარჯზე დამფუძნებლების მიერ ბიუჯეტში მოთხოვნილი თანხის გადარიცხვის დავალების ასლი;

• დამფუძნებელი იურიდიული პირების სასელმწიფო რეგისტრაციის მოწმობათა ასლები ნოტარიულად უნდა იყოს დამოწმებული, მათი ფინანსური ანგარიშგების სარწმუნოობის შესახებ აუდიტორთა დასკვნები (ბალანსებისა და მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშვების დართვით) წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის ბოლო 3 წლისათვის;

• წარმოდგენილი უნდა იყოს, აგრეთვე, დამფუძნებელთა სია (ქაღალდზე და ელექტრონული სახით).

კანონი მოითხოვს, რომ დამფუძნებელმა ფიზიკურმა პირებმა წარმოადგინონ დეკლარაციები თავიანთი შემოსავლების შესახებ, დამოწმებული სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიერ.

რეგისტრაციის წესი. ახლად შექმნილი ბანკის სასელმწიფო რეგისტრაციის წესი კანონში ერთიან ლაკონურადაა მოცემული. აქ არის მხოლოდ ორი ნორმა, რომელთაგან არსებითია მეორე: ქვეყნის ცენტრალური ბანკი დამფუძნებლებისგან ახალი ბანკის რეგისტრაციისა და ლიცენზირებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის მიღების შემდეგ ვალდებულია მათზე გასცეს ამ მიღების წარილობითი დასტური (ცნობა); ცენტრალური ბანკი ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ახალი ბანკის რეგისტრაციისა და მასზე ლიცენზიის გაცემის გადაწყვეტილება 6 თვეზე საკლებ ვადაში.

რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციაში საყურადღებოა შემდეგი პუნქტები:

• ცენტრალურ ბანკში დოკუმენტების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მათი შემოსულის თარიღიდან 4 თვეს;

• თუ წარმოდგენილი დოკუმენტების მიმართ გაჩნდა შენიშვნები ან ისინი სრული არაა, ეს დოკუმენტები დამფუძნებლებს უბრუნდება წერილობითი დასკვნით. შესწორებული და ხელმეორედ წარმოდგენილი დოკუმენტები ახალშემოსულად ითვლება;

აღნიშნულ დასკვნას თან ერთვის დამფუძნებლების მიერ წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტების ღლნები: განცხადება ბიზნეს-გეგმასთან ერთად; დაფუძნების ხელშეკრულება (თუკი მას ითხოვს კანონი); ბანკის წესდება (ძალას იძენს ბანკის რეგისტრაციის შესახებ ცენტრალური ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან); დამფუძნებელთა საერთო კრების ოქმი; ბანკის დამფუძნებელთა სია; ხელმძღვანელებისა და მთავარი ბუღალტრის შეთანხმებული კანდიდატების ანკეტები.

წესდების დამტკიცების შესახებ; 3) ბანკის დასახელების (სრული და შემოკლებული) დამტკიცების შესახებ; 4) ბანკის საბჭოს და მისი თავმჯდომარის არჩევის შესახებ; 5) ბანკის ბიზნეს-გეგმის დამტკიცების შესახებ და სხვა.

კრებას შეუძლია დაავალოს მის მიერ არჩეულ ბანკის ხელმძღვანელობას და სამუშაო ჯგუფს, ბოლო ცვლილებები შეიტანონ სადამფუძნებლო დოკუმენტებში. ამის პარალელურად მზადდება დანარჩენი დოკუმენტები.

დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესდება ამ ეტაპზე უნდა მიეიჩნიოთ წესდების პროექტად, ვიდრე დოკუმენტები შესაბამის რეგისტრაციას არ გაიცლის. მას ტიპიური ფორმით ადგენენ, სადაც შესაქმნელი ბანკის თავისებურებებსაც ითვალისწინებენ. წესდებამ უნდა მოიცვას: 1) ბანკის საფირმო დასახელება; 2) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითება; 3) მართვის ორგანოების და ცალკე ქვედანაყოფების ადგილსამყოფელის შესახებ ცნობები; 4) განსახორციელებელი საბანკო ოპერაციებისა და გარიგებების ჩამონათვალი; 5) ცნობები საწესდებო კაპიტალის ზომაზე; 6) ცნობები მართვისა და შიდა კონტროლის ორგანოებზე, მათი ჩამოყალიბების წესსა და უფლებამოსილებებზე და ა.შ.

მეტად მნიშვნელოვანია დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილება ბანკის ხელმძღვანელებისა და მთავარი ბუღალტრის კანდიდატურების დამტკიცების შესახებ. მათ მხარს უნდა უჭერდეს ქვეყნის ცენტრალური ბანკი ახალი ბანკის რეგისტრაციის პროცესში. ამ კანდიდატურებს მოეთხოვებათ უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება და საბანკო ოპერაციების შემსრულებელი საკრედიტო ორგანიზაციის განყოფილების ან სხვა ქვედანაყოფის ხელმძღვანელად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება (სპეციალური განათლების არქონისას 2 წლის), აგრეთვე, ნასამართლობის უქონლობა. საგულისხმოა, რომ ბანკების ხელმძღვანელთა მიმართ ნორმები საკმაოდ მკაცრია, მაგრამ სათანადო ეფექტს ისინი მაინც ხშირად ვერ იძლევიან.

7.1.2. ბანკის რეგისტრაცია და ლიცენზირება: ნორმატიული მოთხოვნები და პროცედურები

ბანკის რეგისტრაციისა და ლიცენზიის მიღებისათვის აუცილებელია შემდეგი დოკუმენტები:

1) განცხადება რეგისტრაციისა და საბანკო ლიცენზიის გაცემის თხოვნით;

2) დაფუძნების ხელშეკრულება (როდესაც ბანკის ხელმოწერას ითვალისწინებს კანონი);

3) წესდება;

4) დამფუძნებელთა კრების ოქმი, რომელიც აუცილებლად მოიცავს გადაწყვეტილებას წესდების მიღების შესახებ და ხელმძღვანელებისა და მთავარი ბუღალტრის კანდიდატურების დამტკიცების შესახებ; დამტკიცებული ბიზნეს-გეგმა;

5) სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი მოწმობა;

6) სახელმწიფო იურიდიული პირების სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობათა ასლები, აუდიტორის დასკვნები მათი ანგარიშგების სარწმუნოობაზე, აგრეთვე, ზედამხედველობის ორგანოების ცნობები ამ პირების მიერ ბოლო სამ წელიწადში ბიუჯეტის წინაშე არსებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ;

7) ზედამხედველობის ორგანოების მიერ დამოწმებული დეკლარაციები დამფუძნებელი ფიზიკური პირების შემოსავლების შესახებ, რომლებიც ადასტურებენ ბანკის საწესდებო კაპიტალში შეტანილი სახსრების წარმომობას;

8) ბანკის აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა და მთავარი ბუღალტრის კანდიდატების სათანადოდ შევსებული ანკეტები.

ჩამოთვლილი და ზოგიერთი სხვა დოკუმენტი ორ ეგზემპლარად უნდა ჩაბარდეს ქვეყნის მთავარი ბანკის შესაბამის განყოფილებას მისი ხელმძღვანელის სახელზე. მათი ჩაბარების ვადას კანონი არ ითვალისწინებს, მაგრამ ინსტრუქცია შეიძლება მოითხოვდეს ამის გაკეთებას სადამ-

რიშის ნომერს საანგარიშსწორებო ცენტში). დამფუძნებელი იურიდიული პირების წარმომადგენელთა ხელმოწერებს ბეჭდით უნდა ადასტურებდნენ შესაბამისი იურიდიული პირები. ფიზიკური პირების ხელმოწერებს ადასტურებს ნოტარიუსი; იგი ადასტურებს მთელ დოკუმენტებსაც.

ბანკის შექმნის დროს (ისევე, როგორც მისი მონაწილეების რაოდენობის გადიდების შემთხვევაში) მისი დაფუძნების ხელშეკრულების შეთანხმება იმავე წესით ხდება, როგორც ბანკის წესდების. ამ დროს დაფუძნების ხელშეკრულების ატიტულო ფურცელზე შეიძლება არ მიუთითოს ბანკის საფირმო (სრული ოფიციალური) და შემოკლებული დასახელება.

თუკი თავად დამფუძნებელთა შენატანები ფარავს მათ მიერ გაცხადებული საწესდებო კაპიტალის მხოლოდ ნაწილს, მაშინ ხელშეკრულებაში დათქმულია ის პირობები, რომელთა მიხედვითაც ბანკის სხვა მონაწილეები უნდა მოიზიდონ. ამ შემთხვევაში ხელშეკრულებას ემატება ხელმოწერის ფურცლები, რომლებშიც მონაწილეები იუწყებიან თავიანთ გადაწყვეტილებებს სრული წილის შეტანის შესახებ გარკვეული დროის მანძილზე. მაგრამ საქციო საზოგადოების დაფუძნების დროს მთელი საქციო კაპიტალი მაშინვე უნდა განაწილდეს დამფუძნებლებს შორის. თუკი ბანკი იქნება ღია საქციო საზოგადოების ფორმით, მაშინ მის დამფუძნებლებს მოუწევთ ბანკის აქციების პირველი გამოშვების ემისიის პროსპექტის დარეგისტრირება სათანადო წესით.

დაფუძნების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო ცენტრი დამფუძნებლებს უხსნის დროებით ანგარიშსწორების ანგარიშს, რომელზეც მათ დამფუძნებლებს კრებამდე შეაქვთ საწესდებო კაპიტალის საკუთარი წილების ნომინალური ღირებულების არანაკლებ 10%. ანგარიშის გახსნის საფუძველია დაფუძნების ხელშეკრულება (ხელშეკრულება ბანკის შექმნის შესახებ), ხოლო მასზე სასრისების გადარიცხვის საფუძველი ხელმოწერის ფურცლები. ყოველმა დამფუძნებელმა ფული დამოუკიდებლად უნდა შეიტანოს.

დაფუძნების ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს სხვა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსაც. მაგალითად, საწესდებო კაპიტალი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ შეიქმნას უცხოური ვალუტის ხარჯზე. ამ შემთხვევაში ხელშეკრულებაში უნდა მიუთითონ, თუ რომელ ვალუტებს მიიღებენ კაპიტალის ღირებულების გადასახდელად.

ზუსტად უნდა იყოს დაცული მოთხოვნები საწესდებო კაპიტალში არაფულადი ფორმის მქონე შენატანებთან დაკავშირებითაც. მაგალითად, არაფულადი აქტივები შეიძლება იყოს: ა) სახელმწიფო სესხის ობლიგაციები; ბ) მატერიალური აქტივები (შენობა-ნაგებობები, რომლებშიც ბანკი განთავსდება). საწესდებო კაპიტალის არაფულადი ნაწილის ნორმატივი (ზედა ზღვრული ზომა) შეადგენს 20%-ს. შემდგომში ეს წილი 10%-მდე უნდა შემცირდეს.

სპეციალური მოთხოვნები აქვს იმ შენობას, რომელშიც ბანკი უნდა განთავსდეს. ჯერ ერთი, ეს მოთხოვნა ეხება შენობის კუთვნილებას. იგი შეიძლება დამფუძნებლებმა საკუთრებაში გადასცენ ბანკს საწესდებო კაპიტალში წილის გადახდის სახით ან გადასცენ არენდით (სუბარენდით). არენდით შენობის აღება იმ პირისაგანაც შეიძლება, რომელიც მისი დამფუძნებელი არაა. ამასთან, ბანკის შენობას (ნაგებობას) უნდა ჰქონდეს სამაგრო დამცავ-სახანძრო და სიგნალიზაცია, სალაროს ოპერაციების ჩატარებისათვის კი სალაროს კვანძი, რომელიც ტექნიკურად იქნება გამაგრებული განსაკუთრებული მოთხოვნების შესაბამისად.

ბოლოს, საქმის ცოდნით უნდა იყოს მოგვარებული ბანკში საკუთრების სტრუქტურის საკითხები. აქ წამოყენებულ მოთხოვნებს ერთგვარი ანტიმონოპოლიური ხასიათი უნდა ჰქონდეს. მაგალითად, საწესდებო კაპიტალის წილების 5%-ზე მეტის შეძენის შემთხვევაში იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ამის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს ქვეყნის მთავარ ბანკს, 20%-ზე მეტის შემთხვევაში კი წინასწარ მიიღოს ამის თანხმობა.

შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯია დამფუძნებელი კრების ჩატარება. მისი შემადგენელი დოკუმენტი - ოქმი მთელ რიგ სავალდებულო გადაწყვეტილებებს უნდა შეიცავდეს: 1) ბანკის შექმნის შესახებ (გადაწყვეტილება აუჩქარებლად ერთხმად უნდა იყოს მიღებული); 2) ბანკის

■ ბანკის ყველა დამფუძნებელი, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები უნდა ეთანხმებოდნენ მის სტრატეგიას და აქტიურად უწყობდნენ ხელს ამ სტრატეგიის განხორციელებას.

ზარისხობრივი მოთხოვნების მეორე ქვეჯგუფი აგრძელებს პირველს და, კერძოდ, შემდეგ დებულებებს შეიძლება მოიცავდეს:

■ აუცილებელია, რომ ბანკის ყველა დამფუძნებელი (მონაწილე) იყოს მისი კლიენტების რიცხვში. სასურველია, ასევე, რომ ბანკის კლიენტები გახდნენ დამფუძნებელთა (მონაწილეთა) კონტრაჰენტები სამეურნეო კავშირების ხაზით;

■ არცერთი დამფუძნებელი (მონაწილე) არ უნდა სარგებლობდეს რაიმე ისეთი განსაკუთრებული უფლებით თუ შეღავათით, რომელსაც ბანკის დაზარალება შეუძლია, ბანკის მესაკუთრეთა საბჭო კი არ უნდა ერეოდეს მის ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობაში და არ ცდილობდეს გამგეობის შეცვლას თავისი თავით.

ის ერთადერთი საკითხი, რომელზეც სპეციალურად ფიქრი არ უწევთ დამფუძნებლებს, არის შესაქმნელი ბანკის საწესდებო კაპიტალის მინიმალურად აუცილებელი სიდიდის საკითხი. საბანკო მომსახურების ბაზარზე შესასვლელი ბარიერის სიდიდეს ქვეყნის ცენტრალური ბანკი ადგენს.

ბანკის დამფუძნებელთა შერჩევის, საჭირო დოკუმენტების მომზადების სამუშაოები და თვით რეგისტრაცია მიზანშეწონილია დაეკისროს 3-5 კაციან საორგანიზაციო ჯგუფს.

ძირითადი დოკუმენტების მომზადება. მას შემდეგ, რაც განისაზღვრება დამფუძნებელთა შემადგენლობა და ისინი შეთანხმდებიან ზემოაღნიშნულ პრინციპულ საკითხებში, სამუშაო ჯგუფმა დამფუძნებელ-ინიციატორთა ხელმძღვანელობით ძალისხმევის კონცენტრაცია უნდა მოახდინოს მომავალი ბანკის რეგისტრაციისა და ლიცენზირებისათვის საჭირო დოკუმენტების პაკეტის მომზადებაზე. ძირითად საბუთებად ითვლება შესაქმნელი საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტები.

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შპს-ის სადამფუძნებლო დოკუმენტებიც დაფუძნების ხელშეკრულება და წესდება არის (ან მარტო წესდება, თუკი შპს-ს ქმნის ერთი პირი). სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტია წესდება; სააქციო საზოგადოების დამფუძნებლებმა ერთმანეთსაც უნდა დაუდონ ხელშეკრულება ასისი შექმნის შესახებ.

შპს-ის ფორმის ბანკის დაფუძნების ხელშეკრულებაში (სააქციო საზოგადოების ფორმის ბანკის შექმნის შესახებ ხელშეკრულებაში) უნდა განისაზღვროს:

- დამფუძნებელთა ვალდებულება ბანკის შექმნაზე;
- მის შექმნაში ერთობლივი საქმიანობის წესი;
- ბანკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
- დამფუძნებელთა შემადგენლობა, ბანკისათვის თავიანთი ქონების გადაცემის და ბანკის საქმიანობაში მონაწილეობის პირობები;
- საწესდებო კაპიტალის ზომა და მასში თითოეული დამფუძნებლის წილი;
- შენატანების სიდიდე და შემადგენლობა, საწესდებო კაპიტალში მათი შეტანის წესი და ვადები, დამფუძნებელთა პასუხისმგებლობა მოცემული ვალდებულების დარღვევისათვის;
- მონაცემები ბანკის მართვის ორგანოების შემადგენლობასა და კომპეტენციაზე და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესზე;
- დამფუძნებლებს შორის მოგების განაწილების და ზარალის დაფარვის პირობები და წესი;
- დამფუძნებლების (მონაწილეების) გამოყოფა ორგანიზაციის შემადგენლობიდან (შპს-თვის);
- ხელშეკრულების საკითხებზე წარმოქმნილი დავების განხილვის წესი და ადგილი, დამფუძნებლებს შორის ურთიერთობათა მარეგულირებელი სხვა საკითხები.

დაფუძნების ხელშეკრულებას ყველა დამფუძნებელი უნდა აწერდეს ხელს. ამ დროს მიუთითებენ ადგილმდებარეობას, საფოსტო მისამართს და ბანკის რეკვიზიტებს (თუკი დამფუძნებელია საკრედიტო ორგანიზაცია — მაშინ ბანკის საიდენტიფიკაციო კოდს და საკორესპონდენტო ანგა-

ფიზიკურ) პირებთან დაიწყება მოლაპარაკებები დამფუძნებელთა (მონაწილეთა) რიგებში მათი ჩართვის შესახებ. ისეთ პირობებში, როდესაც საქმეებში უპასუხისმგებლობა თითქმის კარგი ტონის მანიშნებლადაა გადაქცეული, თაღლითობამ, კორუფციამ და კრიმინალმა კი საზოგადოების პრაქტიკულად ყველა ფენა მოიცვა, მრავალი მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ორგანოს ჩათვლით, ბანკის მონაწილეების ხარისხსა და შემადგენლობის მიმართ მომეტებული ყურადღება მით უფრო აუცილებელია.

დამფუძნებლების (მონაწილეების) მიმართ წაყენებული მოთხოვნები 3 ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: საერთო, რაოდენობრივი და ხარისხობრივი.

ზოგიერთი საერთო მოთხოვნა ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

- ბანკის დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ ის პირები (იურიდიული დაფიზიკური), საკრედიტო ორგანიზაციებში რომელთა მონაწილეობასაც არ კრძალავს კანონმდებლობა;
- ბიუჯეტის წინაშე დავალიანების მქონე იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს დამფუძნებელი;
- დამფუძნებლებს არა აქვთ ბანკის მონაწილეების შემადგენლობიდან გამოსვლის (ე.ი.ბანკის საწესდებო კაპიტალიდან თავისი წილის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოტანის) უფლება მისი რეგისტრაციის დღიდან პირველი სამი წლის განმავლობაში.

რაოდენობრივს ეკუთვნის ის მოთხოვნები, რომლებიც დამფუძნებლების მთლიან რაოდენობას და საწესდებო კაპიტალში მათ წილებს ეხება. ნებისმიერი რაოდენობა დიდი არ უნდა იყოს, თავიდან არაუმეტეს 5-6 კაცისა, შემდგომში კი, თუკი კაპიტალის გადიდება გახდება საჭირო 30 კაცამდე (ააქციო საზოგადოებებისათვის ეს რაოდენობა შეზღუდული არაა, შპს-თვის კი დადგენილი ზღვარია 50 კაცი). ამ დროს სასურველია, რომ თითოეული მათგანის ხელმისაწვდომი წილი საწესდებო კაპიტალში დიდი არ იყოს (მონაწილეთა წრის მომდევნო გაფართოების შემთხვევაში 15-10%-ზე ნაკლები) და ძლიერ არ განსხვავდებოდეს ნებისმიერი დამფუძნებლების ან მონაწილეების წილებისგან (ზოგან ეს შეზღუდვები შესაძლოა გათვალისწინებული არც იყოს).

რაც შეეხება ხარისხობრივ მოთხოვნებს, ისინი რამდენიმე ქვეჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:

- ყველა დამფუძნებელი უნდა იყოს ფინანსურად მდგრადი, ჰქონდეს ბანკის საწესდებო კაპიტალში შეტანისთვის საკმარისი საკუთარი სახსრები, ასრულებდეს ბიუჯეტის წინაშე არსებულ ყველა ვალდებულებას. იურიდიული პირებისთვის სათანადო მონაცემები დადასტურებული უნდა იყოს არანაკლებ ბოლო სამი წლის ბალანსებითა და სხვა საანგარიშგებო დოკუმენტებით. თუკი დამფუძნებელია საკრედიტო ორგანიზაცია, მაშინ იგი ფინანსურად მდგრადი უნდა იყოს ბოლო 6 თვის მანძილზე, რომლებიც წინ უსწრებს სარეგისტრაციოდ დოკუმენტების ჩაბარებისა და ლიცენზიის აღების თარიღს, ხოლო არასაკრედიტო იურიდიული პირის შემთხვევაში იმავე 6 თვის მანძილზე მას უნდა ჰქონდეს მოგება და თავისდროულად ასრულებდეს კრედიტორების წინაშე არსებულ ვალდებულებებს;
- ყველა დამფუძნებელი უნდა იმსახურებდეს სრულ ნდობას და გამოირჩეოდეს საქმეებში პასუხისმგებლობით, ე.ი. უნარითა და ქედმაღლობით, თავის ვალდებულებათა დროულად, ხარისხიანად და სრულად შესრულების სურვილით;
- ყველა დამფუძნებლის საკუთარი სახსრები „სუფთა“ უნდა იყოს;
- სასურველია, რომ დამფუძნებელი იურიდიული პირები ეკონომიკის სხვადასხვა დარგისა და სექტორის წარმომადგენლები იყვნენ, საფინანსო ბაზრის სექტორის (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ.) ჩათვლით. აქ უპირატესობა უნდა ენიჭებოდეთ პერსპექტიული დარგებისა და სექტორების წარმომადგენლებს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს რომელიმე ერთი დარგის წარმომადგენელთა სიჭარბეს დამფუძნებელთა შორის;

7.1. კომერციული ბანკების შექმნა

7.1.1. კომერციული ბანკების შექმნის კონცეფცია და ეტაპები

საქართველოში ბანკების შექმნის პროცესი, შეიძლება ითქვას, დასრულებულია, მაგრამ ბანკების შექმნის პრობლემა კვლავაც აქტუალურად უნდა მიეჩნიოთ. ჯერ ერთი, ბანკები იქმნება და მომავალშიც შეიქმნება, ხოლო მეორე, ახალი ბანკის დაფუძნების პროცესში მრავალი ისეთი საკითხის მოგვარება ხდება სოლმე საჭირო, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც მისი, ისე უკვე მოქმედი ბანკების ეფექტიანად მუშაობის მუდმივი ორგანიზებისათვის.

კომერციული ბანკების შექმნის პროცესის მარეგულირებელი ფუძემდებლური ნორმები მოცემულია საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" და საქართველოს კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ". ბანკების შექმნისა და რეორგანიზების საკითხები მოცემულია, აგრეთვე, ეროვნული ბანკის მთელ რიგ მარეგლამენტირებელ დებულებებში.

რითი დავიწყოთ? ბანკის ორგანიზება გარკვეულით უფრო მეტ შრომასა და ჩვევებს მოითხოვს, ვიდრე ნებისმიერი სხვა კომერციული ორგანიზაციის შექმნა. ეს აიხსნება როგორც საბანკო საქმის სპეციფიკით, ისე ახალი ბანკის რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტების მრავალსაფეხურიანი გაცვლით ცენტრალურ ბანკსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში.

ბანკის შექმნის პროცედურა სამ ძირითად ეტაპს მოიცავს:

I მოსამზადებელი მუშაობის ეტაპი;

II - იურიდიულ პირად ბანკის სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის ეტაპი;

III ლიცენზიის (საბანკო ოპერაციების ჩატარების უფლების) მიღების ეტაპი.

ბოლო ორი ეტაპი მოითხოვს ორსაფეხურიანი პროცედურის გავლას: ბანკის შექმნისათვის მომზადებული დოკუმენტების განხილვა და შეთანხმება ტერიტორიულ დაწესებულებაში - ცენტრალური ბანკის მთავარ სამმართველოში - მომავალი ბანკის (მისი სათაო კანტორის) განზრახული ადგილსამყოფელის მიხედვით და მთავარი სამმართველოს დასკვნის მქონე იმავე დოკუმენტების განხილვა ცენტრალური ბანკის მთავარ აპარატში.

ფორმალურად, ბანკების შექმნაში პირველი იურიდიული ნაბიჯია ინიციატორების (დამფუძნებლების) მიერ სადამფუძნებლო ხელშეკრულების ხელმოწერა. სინამდვილეში, ცხადია, ყველაფერი გარკვეულით უფრო ადრე იწყება და ამ ხელშეკრულების ხელმოწერა მნიშვნელოვანი წინასწარი სამუშაოს შედეგს აღნიშნავს.

მოსამზადებელი სამუშაოს ცენტრში ბანკის შექმნის კონცეფციის შემუშავება უნდა იდგეს. მისი შინაარსი საკმაოდ თავისუფლად შეიძლება იყოს გადმოცემული, მაგრამ მასში ასახული უნდა იყოს ის შემდეგი პრინციპული მომენტები, რომლებზეც ინიციატორებს ერთიანი აზრი უნდა ჰქონდეთ ჩამოყალიბებული:

ა) ბანკის მომავალი საქმიანობის მისია და სტრატეგია;

ბ) საწესდებო კაპიტალის ზომები და სტრუქტურა, დამფუძნებლებისა და სხვა მონაწილეებისათვის წაყენებული მოთხოვნები;

გ) საქმიანობის მიზნები, სფერო და ძირითადი მიმართულებები, კლიენტთა ბაზა;

დ) ორგანიზაციული სტრუქტურა. მართვის ორგანოები და მათი უფლებამოსილებანი, მართვის ორგანიზაციისათვის წაყენებული ძირითადი მოთხოვნები.

ბანკის ფორმირება ფაქტიურად იწყება მისი იმ დამფუძნებლების საგულდაგულოდ შერჩევით, რომლებიც ასეთი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისათვის არიან მზად. განსაკუთრებულად უნდა აკარიდოთ თავი მათ რიცხვში შემთხვევითი პირების მოხვედრას. ბანკის პოტენციური დამფუძნებლებისათვის (მონაწილეებისათვის) წაყენებული მოთხოვნები მისი საპროექტო სტრატეგიიდან უნდა გამომდინარეობდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბანკის მომავალი საქმიანობის სტრატეგიის ძირითადი ელემენტები მთავარ ხაზებში მაინც უნდა იყოს ჩამოყალიბებული თანამოაზრეების მისი შექმნის ინიციატორების მიერ მანამ, ვიდრე ამა თუ იმ (იურიდიულ და

მეშვიდე თავი. კომერციული ბანკების შექმნა, რეორგანიზაცია, სანაცია და ლიკვიდაცია

ტერმინები და ძირითადი ცნებები

7.1. კომერციული ბანკების შექმნა

7.1.1. კომერციული ბანკების შექმნის კონცეფცია და ეტაპები

7.1.2. ბანკის რეგისტრაცია და ლიცენზირება: ნორმატიული მოთხოვნები და პროცედურები

7.1.3. ახლად შექმნილი და მოქმედი ბანკების ლიცენზირების წესები

7.1.4. ბანკების განყოფილებების (ფილიალების) გახსნისა და დახურვის წესები.

7.2. კომერციული ბანკების რეორგანიზაცია

7.2.1. ბანკების რეორგანიზაციის ცნება

7.2.2. ბანკების რეორგანიზაციის აუცილებლობის კრიტერიუმები

7.2.3. ბანკების რეორგანიზაციის სხვა ფორმები

7.3. კომერციული ბანკების სანაცია

7.3.1. კომერციული ბანკების სანაციის აუცილებლობის კრიტერიუმები

7.3.2. ბანკის ფინანსური გაჯანსაღების ფინანსური გეგმა

7.3.3. ბანკების რესტრუქტურიზაცის ეკონომიკური შინაარსი

7.3.4. საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილებიდან

7.4. კომერციული ბანკების ლიკვიდაცია

7.4.1. სიცოცხლისუნარო ბანკის ლიკვიდაცია: ამოსავალი დებულებები

7.4.2. ბანკის ბანკროტად ცნობის წესი

7.4.3. ბანკის ლიკვიდაციის პროცედურები

7.4.4. ბანკის შუალედური სალიკვიდაციო ბალანსი

მოკლე დასკვნები

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

რეკომენდირებული ლიტერატურა

დანართები

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ადმინისტრატორი
გადახდისუუნარო ბანკი
გაკოტრება
დაკავშირებული პირები
კონტროლი
მოლიანი კაპიტალი
მაკონტროლებელი პირი
მონათესავე საწარმო
პირი
პრობლემური ბანკები
სანაცია
საბაზრო ღირებულება
შვილობილი ორგანიზაცია
შეღავათიანი პირობა (პირობები)

257 ბრძანება.

დებულება „საკრედიტო კავშირების მიმართ კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის შესახებ", საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 8 ოქტომბრის №258 ბრძანება.

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საკრედიტო კავშირების გადახდისუუნარო და გაკოტრებულად გამოცხადების წესი. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 16 ოქტომბრის № 26 ბრძანება.

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირებისა და მათი საქმიანობის ზედამხედველობის წესი. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 18 ოქტომბრის № 269 ბრძანება.

გამსახურდია გ. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., „მერიდიანი", 1995.

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., თსუ, 2001.

ქისტაური ლ., ქისტაური შ. საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები. თბ., „სამთავისი", 1997.

ქისტაური ლ. ეროვნული ბანკის ობიექტურად მკაცრი საზედამხედველო პოლიტიკა მოულოდნელი პროცესებისაგან იცავს საბანკო სისტემას. გაზ. „ბანკები და ფინანსები". №17, 1999წ.

ქისტაური შ. „ფულის, კრედიტისა და სარგებლის (პროცენტის) თეორიები". თბ., 1992.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

Palfreman David., Ford Philip. Elements of Banking. Pritman Publishing. London. 1996.

Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling Financial Services. Second Edition. IRWIN. Honewood. Boston. 1993.

Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl. 1997.

„მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დეკადურად გამოანგარიშების და გადახდის წესი“.

საქართველოს ეროვნული ბანკის დებულება „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ლომბარდული კრედიტების გაცემისა და დაფარვის“ შესახებ დებულება, 1997 წლის 14 აგვისტო (ცვლილებები შეტანილია 1997 წლის 28 ნოემბერს № 68 ბრძანებით).

საქართველოს ეროვნული ბანკის № 118 ბრძანებულება „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის“ დამტკიცების შესახებ 1998 წლის 3 დეკემბერი (ცვლილებები შეტანილია 1999 წლის 27 სექტემბრის № 242 ბრძანებით).

საქართველოს ეროვნული ბანკის № 25 ბრძანებულება „საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალის (ფონდის) ფულად ფორმაში მინიმალური ოდენობის ზრდის განრიგის განსაზღვრის შესახებ“ 1995 წლის 29 მაისი (ცვლილებები შეტანილია 1997 წლის 31 იანვრის № 5, 1998 წლის 1 ივლისის № 78 და 1999 წლის 25 მაისის №124 ბრძანებებით).

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1998 წლის 28 დეკემბრის № 127 ბრძანება „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელოს“ დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2000 წლის 9 აგვისტოს 227 ბრძანება „CAMEL“-ის“ სისტემის გარესაბანკო ზედამხედველობისა და ანალიზის კვარტალურად განხორციელების შესახებ“.

საქართველოს კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, საბანკო კანონმდებლობა. საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემა, თბილისი, 1998.

საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საბანკო კანონმდებლობა. საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემა, თბილისი, 1998.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბილისი, გამოცემლობა „სამართალი“. 1997.

საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, „პასუხისმგებლობა სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით)“, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2000.

საქართველოს კანონი „სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ“, „პასუხისმგებლობა სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით)“, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2000.

საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, „პასუხისმგებლობა სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით)“, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2000.

კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო, თბ., 1999.

კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის ღონისძიებათა სისტემა (სახელმძღვანელო ინსტრუქცია საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს თანამშრომლებისათვის) საქართველოს ეროვნული ბანკის 2000 წ. 1 სექტემბრის № 263 ბრძანება.

საქართველოს ეროვნული ბანკის როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის მიერ კომერციული ბანკებისათვის სესხის მიცემის წესი. საქართველოს ეროვნული ბანკის 2001 წლის 13 ივნისის № 148 ბრძანება.

საქართველოს საგადამხდელო სისტემები და მათი განვითარების ძირითადი მიმართულებები (კონცეფცია). საქართველოს საგადამხდელო სისტემების მართვის ეროვნული კომიტეტის 2002 წლის 5 დეკემბრის № 3 ოქმი.

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საკრედიტო კავშირების მიმართ სანქციების გამოყენების წესი. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 8 ოქტომბრის №

კანონის ძირითადი მუხლები.

9. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ „საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის ძირითადი მუხლები.

10. როდის მიიღეს და რა ძირითადი სტანდარტებისაგან შედგება ბანკებსა და საბანკო საქმიანობაზე ზედამხედველობის ბაზელის სტანდარტები?

11. ჩამოთვალეთ რამოდენიმე მაგალითი ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობის საზღვარგარეთული გამოცდილებიდან.

12. თქვენი აზრით, როგორია ბანკებისა და საბანკო საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში?

რეკომენდებული ლიტერატურა

საქართველოს კონსტიტუცია. 1995 წ. 24 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ფულად-საკრედიტო რეგულირების ზოგიერთი საგანგებო ღონისძიებების შესახებ. 1993 წლის 29 ნოემბრის № 240 ბრძ.

საქართველოს ეროვნული ბანკის 1994 წლის 25 მაისის № 12 ბრძანების №1, №2, №3, №4 დანართები.

საქართველოს კანონი ეროვნული ბანკის შესახებ. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. თბ., 2003.

საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. თბ., 2003.

საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, 1996 წ. 28 ივნისი.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2001 წლის წლიური ანგარიში, თბ., 2001.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2002 წლის ანგარიში, თბ., 2002.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., გამომც. „სამართალი“, 1997.

საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის მიერ კომერციული ბანკებისათვის სესხის მიცემის წესი. თბ., საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება № 148, 2001 წ. 13 ივნისი.

საქართველოს საგადამხდელო სისტემები და მათი განვითარების ძირითადი მიმართულებები (კონცეფცია). საქართველოს საგადამხდელო სისტემების მართვის ეროვნული კომიტეტის 2002 წ. 5 დეკემბრის № 3 ოქმით.

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საკრედიტო კავშირების მიმართ სანქციების გამოყენების წესი. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 8 ოქტომბრის № 257 ბრძანება;

- დებულება კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 16 სექტემბრის № 294 ბრძანება.

CAMEL-ის სისტემით გარესაბანკო ზედამხედველობისა და ანალიზის დასკვნის სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2000 წლის 9 აგვისტოს № 227 ბრძანება.

საქართველოს ეროვნული ბანკის დებულება „საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონის შესახებ“, 1995 წელი, (ცვლილებები შეტანილია 1997 წლის 4 სექტემბრის № 46 და № 55 ბრძანებით).

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება № 27, 1998 წლის 15 ნოემბერი,

წარმართვის ხერხებს.

საბაზრო რისკი — ისეთი რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს საბაზრო ფასების ცვლილების შედეგად.

სავალდებულო ღონისძიებები — საბანკო ლიცენზიების მქონე ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე საქართველოს საბანკო კანონმდებლობით ბანკის მიმართ გამოსაყენებელი ზომები და სანქციები.

საზედამხედველო კაპიტალი — კაპიტალის სხვაობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების, ზარალის განეიტრალებისა და საკრედიტო, საპროცენტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკებისგან დასაცავად.

საკრედიტო რისკი — ისეთი რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას.

საკუთარი კაპიტალი — არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

საოპერაციო საქმიანობა — საკრედიტო კავშირის ძირითადი შემოსავლების მომტანი და სხვა საქმიანობა, რომლებიც არ არის დაკავშირებული ინვესტიციებთან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი — ისეთი რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიძლება მერყეობდეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.

საფინანსო საქმიანობა — რომლის შედეგადაც რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების კაპიტალი.

უფლებამოსილი საზედამხედველო სამსახური — არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭო და საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველო.

ფინანსური ანგარიშგება — საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი.

წერილობითი ფორმა — კომუნიკაციის ნაბეჭდი ან ლითოგრაფიული ფორმა;

ხელმძღვანელი — არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მართვის უფლების მქონე პირი.

ჯარიმა — საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შეუსრულებლობის ან დარღვევისათვის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისათვის, ასევე მისი ხელმძღვანელებისათვის დადგენილი ოდენობით ფულადი თანხის გადახდის დაკისრება;

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. დარგობრივი სამართლის რა საკითხებს განიხილავენ? ჩამოაყალიბეთ ორივე: დარგების ძირითადი და კომპლექსური სამართლის განმარტება და ძირითადი ნიშნები.
2. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ საბანკო სამართლის პრინციპები.
3. რა თავისებურებებით ხასიათდება საბანკო სამართალი?
4. როგორია საბანკო სამართლის სტრუქტურა საქართველოში და საერთოდ?
5. ჩამოაყალიბეთ საქართველოს საბანკო სამართლის წყაროები.
6. რა არის საბანკო სისტემის მართვის შესაძლო ინსტრუმენტები საქართველოში?
7. ჩამოთვალეთ საქართველოს საბანკო სამართლის განვითარების ძირითადი ეტაპები.
8. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“

ვადაგადაცილებული სესხი – სესხი, რომლის ძირითადი თანხის (მისი ნაწილის) ან პროცენტის განვადებით გათვალისწინებული თანხის გადახდა არ მოხდა მასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ვადაში.

ვალდებულება – დაწესებულების მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო საქმიანობის შედეგად და რომლის შესრულებაც გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განიეთებული რესურსების გასვლას საწარმოდან.

ზედამხედველობის განხორციელება – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საქმიანობისადმი საქართველოს ეროვნული ბანკის მეთვალყურეობა დოკუმენტური შემოწმებისა და ადგილზე ინსპექტირების გზით.

კაპიტალი – დაწესებულების ,,წმინდა'' ღირებულებისა და საკუთრების განმსაზღვრელი ფულადი სახსრები, რომლებიც გამოითვლება აქტივების მეტობით ვალდებულებებთან შედარებით.

კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები – მოიცავს საკრედიტო კავშირების რეგულირების მიზნით განაღდებული საწესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას, ასევე საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების განეიტრალების და მიმდინარე ოპერაციების უზრუნველყოფისათვის მთლიანი კაპიტალის და მისი ადეკვატური კოეფიციენტების განსაზღვრის წესებს.

ლიკვიდატორი – ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო საკრედიტო დაწესებულების გაკოტრების საქმის საწარმოებლად დანიშნული პირი.

ლიკვიდაცია – არასაბანკო საკრედიტო დაწესებულების ლიკვიდაცია გაკოტრების საქმის წარმოების შედეგად.

ლიკვიდობა – საკმარისი სახსრების არსებობა ანგარიშებიდან თანხების მოსახსნელად და სხვა ფინანსური ვალდებულებების თავის დროზე დასაფარავად.

ლიკვიდობის რისკი – ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებების დასაფარავად ფულადი სახსრების მიღებასთან დაკავშირებით დაწესებულებაში წარმოშობილი რისკი.

მთლიანი კაპიტალი – განაღდებული საწესდებო კაპიტალის, დამატებითი ფულადი შენატანების, შემოწირულობების, საერთო რეზერვის, გასული წლის გაუნაწილებელი მოგებისა და სამეურნეო წლის მოგების ერთობლიობა.

ნებაყოფლობითი ღონისძიებები – ბანკის მენეჯმენტის კეთილი ნება, ადგილზე შემოწმების ან გარე საბანკო ზედამხედველობის ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზებისა და პრობლემების აღმოსაფხვრელად ღონისძიებების შემუშავებისა და მის კონკრეტულ ვადებში პრაქტიკულად რეალიზაციის მიზნით ვალდებულებების აღება, რომელიც საფუძვლად ედება ბანკის დათქმულ დრომდე ფუნქციონირებას.

პარტნიორი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების წევრი, რომელსაც აქვს დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები მის მიმართ.

პრობლემური ბანკი – ბანკი რომელსაც აქვს პრობლემები კაპიტალის, აქტივების, მოგებისა და ლიკვიდურობის ცალკეულ ან ერთდროულად ყველა სფეროში. ბანკის მართვისა და საბანკო ოპერაციების წარმოების დონე დაბალია და მოითხოვს საბანკო პოლიტიკის, პროცედურებისა და მართვის სტრუქტურის მნიშვნელოვან ცვლილებებს. პრობლემურ ბანკებს აქვთ CAMEI-ის III (ნაკლებადდეკვატური) ან უფრო დაბალი (არაადეკვატური, კრიტიკული) კომპოზიტური რეიტინგი. III კატეგორიის ბანკი პრობლემური ბანკია, IV კატეგორიის ბანკს აქვს სერიოზული პრობლემები, V კატეგორიის ბანკი კი ისეთი ბანკია, რომლის გაკოტრებაც უკვე მოსალოდნელია.

რეაბილიტაცია – ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ფინანსური სიძნელეების დაძლევას, ლიკვიდურობის აღდგენას და ლიკვიდაციის თავიდან აცილებას.

რესტრუქტურიზაცია – დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი და კონტროლირებადი პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის საქმიანობის სფეროს ან საქმიანობის

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

ადმინისტრაციული აქტი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გაკოტრების გამოცხადების თაობაზე ადმინისტრაციული აქტების გამოქვეყნებისთანავე სათანადო ღონისძიებების ამოქმედება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.

ანაბარი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების პარტნიორის (წევრის) მიერ შეტანილი ფულადი თანხა, რომლის საკუთრების უფლებას იძენს დაწესებულება და რომელსაც, როგორც წესი, ერიცხება პროცენტი.

არალიკვიდური ბანკი – ბანკი, რომელიც ლიკვიდური აქტივებისა და ფულადი სახსრების ხარჯზე ვერ ახერხებს გაისტუმროს თავისი მიმდინარე ვალდებულებები ანაბრების ჩათვლით.

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება საკრედიტო კავშირი – კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული საწარმო, რომელიც მხოლოდ თავისი წევრებისაგან იღებს ანაბრებს, აძლევს მათ სესხს, ახორციელებს „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საკრედიტო კავშირების შესახებ“ კანონით ნებადართულ სხვა საბანკო საქმიანობას და რომლის უმთავრესი მიზანი არ არის მოგების მიღება.

აქტივები – დაწესებულებების განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსულის სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც დაწესებულება მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

ბალანსი – ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, გამოხატული ფულადი ფორმით, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ მოვლენას მისი მხარეების შედარების ან დაპირისპირების გზით. ბანკის ბალანსი ბუღალტრული ანგარიშგების ძირითადი ფორმაა, რომელშიც აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი, გრძელვადიანი ან ლიკვიდობის მიხედვით.

გადახდისუნარიანობა – ფულადი სახსრების არსებობა უფრო ხანგრძლივი პერიოდის ფინანსური ვალდებულებების დროულად შესასრულებლად;

გადახდისუუნარო არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება გადახდისუუნაროა, როდესაც მას არ შეუძლია შეასრულოს ვადადამდგარი გადახდის ვალდებულებები.

გადახდისუუნარო ბანკი – ბანკი, რომლის ვალდებულებები აღემატება მისსავე აქტივებს.

გაკოტრების საფუძველი – გაკოტრების საქმის გახსნის მომენტისათვის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გადახდისუუნარობა.

გაკოტრების სუბიექტი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, რომლის მიმართაც გამოიყენება გაკოტრების საქმის წარმოება.

გაცხადებული საწესდებო კაპიტალი – დაწესებულებების დაფუძნებისათვის აუცილებელი და მისი წესდებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის შეტანასაც პარტნიორები წესდებით კისრულობენ და რომლის ოდენობაც ყოველთვის შეადგენს პაის ნომინალური ღირებულების ჯამს.

დივიდენდი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საერთო კრების მიერ დადგენილი პროცენტის შესაბამისად მოგების განაწილება დაწესებულებების პარტნიორებს (წევრებს) შორის, კაპიტალში მათ მიერ სრულიად ინვესტირებული წილის პროპორციულად.

დროებითი ადმინისტრატორი – ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებაში დროებით ადმინისტრაციული რეჟიმის განსახორციელებლად დანიშნული პირი.

დროებითი ადმინისტრაცია – ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების განსაკუთრებული მუშაობის რეჟიმი, რომელიც მიმართულია დაწესებულების ფინანსური სიძნელეების, მათ შორის გადახდისუუნარიანობის აღმოსაფხვრელად.

ზოგადი ნორმები (საბანკო სამართლის ზოგადი ნაწილი) და კერძო ნორმები (საბანკო სამართლის განსაკუთრებული ნაწილი).

2. საბანკო კანონმდებლობა პირობითად სამ იარუსად შეგვიძლია დავყოთ. პირველი იარუსი ორ ჯგუფს მოიცავს: ცენტრალური ბანკის შესახებ კანონებს და ცალკეული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელ კანონებს. მეორე ბლოკი აერთიანებს კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებს. საბანკო კანონმდებლობის სისტემის მეორე იარუსია ის კანონები, რომლებიც არეგულირებენ საბანკო საქმიანობის სფეროში პარალელურად მოქმედ ინსტიტუტებს. მესამე იარუსს ეკუთვნის საყოველთაო მოქმედების კანონები.

3. ბანკის მიმდინარე საქმიანობისა და ფუნქციონირებისათვის საქართველოში შექმნილია მტკიცე საკანონმდებლო ბაზა. იგი ძირითადად ფიქსირებულია კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ და კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. კომერციული ბანკების მძლავრ საკრედიტო ინსტიტუტებად გადაქცევის და დადგენილი პარამეტრებიდან მათი შესაძლო გადაცდომების, დარღვევების თავიდან აცილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს აუდიტი, რომელიც ვალდებულია მოიწვიოს თითოეულმა ბანკმა, შემდეგ კი აუდიტორული შემოწმების შედეგები და წინა წლის ბალანსი გამოაქვეყნოს პრესაში.

4. კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი და ფუნქციაა უზრუნველყოს სტაბილურ ბაზარზე დამყარებული ფინანსური სისტემის ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის და სათანადო ფუნქციონირების საფუძვლები. ამ მიზნების განხორციელებისათვის ბანკს უნდა გააჩნდეს დროული და ზუსტი ინფორმაცია საბანკო დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მიღებული ინფორმაციის ადეკვატურობისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად და საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც საბანკო სექტორის პრუდენციალური შემმოწმებლის ფუნქციის შესასრულებლად შექმნილია ადგილზე ინსპექტირების სახელმძღვანელო, რომელშიც განხილულია საკითხები საბანკო დაწესებულებების ინსპექტირების პროგრამის და მეთოდოლოგიის შესახებ.

5. კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობის სტანდარტებს შეიცავს საბანკო რეგულირების ბაზელის კომიტეტის მიერ 1997 წელს მიღებული შეთანხმება „საბანკო საქმიანობაზე ეფექტიანი ზედამხედველობის საბაზო პრინციპები“.

6. საბაზო პრინციპები საფუძველს უქმნის ზედამხედველობის ჯეროვანი სისტემის შექმნას. აუცილებელია ამ პრინციპების დამკვიდრებაზე მოქმედი ლოკალური თავისებურებების გათვალისწინება. ბაზელის სტანდარტები მინიმალურად აუცილებელია და გარკვეულ სიტუაციებში შესაძლოა საკმარისი არ იყოს. ყოველმა ქვეყანამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა ზომით უნდა შეივსოს ეს პრინციპები სხვა მოთხოვნებით. საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია დინამიკურია თავისი ბუნებით და რეაგირებს ბაზრის ცვლილებებზე.

7. ბანკების გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება გამოვყოთ საბანკო ზედამხედველობის შემდეგი პრინციპები: უნივერსალობა და სავალდებულობა, ზედამხედველობის ორგანოების მოთხოვნათა ერთობლიობა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კონტროლის ერთობლიობა, პრევენციული და შემდგომი კონტროლის შერწყმა, კონტროლის პროფესიონალიზმი, კონტროლის ადეკვატურობა, ზედამხედველობის კონსტრუქციული ხასიათი, მონაცემთა საიმედოობა და სრული პასუხისმგებლობა მის ხარისხსა და კონფიდენციალობაზე, საჯაროობაზე და ა.შ.

აუცილებელია იმ ქვეყნის ცენტრალური ბანკის სარეკომენდაციო წერილი, რომლის ტერიტორიაზეც ბანკი არის რეგისტრირებული;

ვ) ყველა დოკუმენტი წარმოდგენილ უნდა იქნას ლეგალიზებული სახით;

4. კომერციული ბანკის საერთო ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) ბანკის შინაგანაწესი, დამტკიცებული წესდების შესაბამისად;

ბ) დირექტორატის (გამგეობა) წევრებისა და მიმბულალტრის შრომის წიგნაკის ამონაწერები და სარეკომენდაციო წერილები დამოწმებული ბოლო სამუშაო ადგილებიდან, კადრების აღრიცხვის ფურცლები და დიპლომის ასლები. კომერციული ბანკის დირექტორატის (გამგეობა) თავმჯდომარედ და მიმბულალტრად რეგიონე წესი ამოწმებიან პირები, რომელთაც გააჩნიათ ბოლო სამი წლის მანძილზე საბანკო-საფინანსო სისტემაში ხელმძღვანელი თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება და შეუგასდებიან დადებითად ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

5. ბანკის ბიზნეს-გეგმა. დამოწმებული დირექტორატის (გამგეობა) მიერ. უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

ა) საფინანსო ოპერაციები და ძირითადი აქტივები: ძირითადი საფინანსო ოპერაციები და საბანკო პროდუქტი, რომელსაც სთავაზობს ბანკი კლიენტურას;

ბ) აქტივებისა და ვალდებულებების დაახლოებითი სტრუქტურა: მოსალოდნელი აქტივ-პასივის სტრუქტურა პირველი 2 წლის განმავლობაში; ბანკის მთლიანი კაპიტალის ადექვატურობა და მისი დაცვა; ლიკვიდურობის უზრუნველყოფის სტრუქტურა; დაკრედიტებისა და ინვესტირების პოლიტიკა და პროცედურა;

ვ) მოგება-ზარალის გაანგარიშების გეგმა: შემოსავალ-გასაელის გეგმა დაფუძნებული ბაზრის ანალიზზე მაინც 2 წელზე გაანგარიშებით; მოგების განაწილების პროექტი, ხარჯების სტრუქტურა;

6. წარმოდგენილ უნდა იქნეს ცნობა ბანკის განაღდებული საწესდებო კაპიტალის შესახებ და ეროვნული ბანკის საკრედიტო ოპერაციების, ფასიანი ქაღალდების დაცვისა და სეცეგადაზიდვის სამმართველოს მიერ გაცემული სალარის კასრის პასპორტი.

7. ზემოაღნიშნული საბუთების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ ეროვნული ბანკი არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და წერილობით აცნობებს პასუხს განმცხადებელს.

4. უცხოური კომერციული ბანკის ფილიალის ლიცენზირება

1. უცხოური კომერციული ბანკის ფილიალზე საბანკო ლიცენზია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავად ბანკი სათავო დაწესებულების ადგილსამყოფელ ქვეყანაში უფლებამოსილია მოიზიდოს ფულადი ანაბრები ან გადახდის სხვა საშუალებები, ასეთ შემთხვევაში საბანკო ლიცენზია გაიცემა მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკსა და უცხო სახელმწიფოს იმ კომპეტენტურ ორგანოთა შორის კონსულტაციების გამართვის შემდეგ. რომლებიც ახორციელებენ შესაბამისი ბანკის ლიცენზირებასა და ზედამხედველობას.

2. უცხოური ბანკის ფილიალის ლიცენზიის მისაღებ განაცხადს თან უნდა ერთოდეს;

ა) ფილიალის რეგისტრაციის შესახებ სასამართლო დადგენილების ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ბ) ფილიალის საქმიანობის მოკლე აღწერილობის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;

გ) სათავო ბანკის სარეგისტრაციო დოკუმენტები;

დ) ბანკის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება ფილიალის გახსნის შესახებ;

ე) იმ ქვეყნის ცენტრალური ბანკის სარეკომენდაციო წერილი სადაც განთავსებულია სათავო ბანკი.

ვ) აუდიტორული ორგანიზაციის ბოლო პერიოდის დასკვნა სათავო ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ზ) სათავო ბანკის წერილი იმის შესახებ, რომ იგი იღებს სრულ ეურიდიულ და ფინანსურ ვალდებულებას აღნიშნული ფილიალის საქმიანობასა და შედეგებზე;

თ) სათავო ბანკის მიერ ფილიალისათვის გამოყოფილი ხელუხლებელი რესურსის მინიმალური ოდენობა უნდა იყოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დადგენილი საწესდებო ფონდის ადექვატური.

ი) უფლებამოსილი ორგანოს მიერ დირექტორატის (გამგეობის) წევრების არჩევის ოქმი და ფილიალის საერთო ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს: დირექტორატის (გამგეობის) წევრების შრომის წიგნაკის ამონაწერი და სარეკომენდაციო წერილი დამოწმებული ბოლო სამუშაო ადგილიდან, კადრების აღრიცხვის ფურცელი და დიპლომის ასლი.

კ) იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორატის წევრი არარეზიდენტია, წარმოდგენილ უნდა იქნას სარეკომენდაციო წერილი დამოწმებული ბოლო სამუშაო ადგილიდან, ინფორმაცია საშსახურებრივი გამოცდილების შესახებ და აუტობიოგრაფია; უცხოური კომერციული ბანკის ფილიალის დირექტორატის (გამგეობის) თავმჯდომარე და მიმბულალტერი უნდა აკმაყოფილებდეს მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

ლ) ფილიალის შინაგანაწესი, დამტკიცებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ;

მ) ფილიალის ბიზნეს-გეგმა, რომელშიც 3.5 პუნქტში არსებულ ასპექტებთან ერთად აღნიშნული უნდა იყოს ფილიალის საქმიანობის სახეობა და მისი გახსნის აუცილებლობის ეკონომიკური დასაბუთება;

ნ) ეროვნული ბანკის სალაროს ოპერაციების, ფასეულობის დაცვისა და სეცეგადაზიდვის სამმართველოს მიერ

გაცემული სალარიო კვანძის პასპორტი.

3. ზემოაღნიშნული საბუთების სრულყოფილად წარმოდგენის შემდგომ ეროვნული ბანკი არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და წერილობით აცნობებს პასუხს განმცხადებელს.

4. ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე კანონის მოთხოვნათა დაცვით;

5. უცხოური კომერციული ბანკის ფილიალი, როგორც სხვა ყველა კომერციული ბანკი, ვალდებულია დაიცვას ეროვნული ბანკის მოთხოვნები და ნორმატივები;

5. კომერციული ბანკების შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და გაყოფა

1. კომერციული ბანკების გაერთიანება შეიძლება მოხდეს ორი ან რამოდენიმე ბანკის მიერ ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობის საფუძველზე;

2. გაერთიანებისას კომერციული ბანკები კარგავენ თავიანთ იურიდიულ და ფინანსურ დამოუკიდებლობას და წარმოიქმნება ერთი ახალი დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებული საზოგადოებების უფლებამონაცვლეს;

3. აღნიშნული თანხმობის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ბანკს განცხადებასთან ერთად უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) შესაბამისი კომერციული ბანკების პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება გაერთიანების შესახებ;

ბ) კომერციული ბანკების სარევიზიო კომისიის აქტები ბოლო პერიოდისათვის;

გ) ბანკების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი ახალი ბანკის ბალანსის პროექტი;

დ) მომავალი კომერციული ბანკის ბიზნეს-გეგმა და გაერთიანების ეკონომიკური დასაბუთება;

ე) ბანკის შინაგანაწესი (დამოწმებული წესდების შესაბამისად);

4. აღნიშნული დოკუმენტების განხილვის შემდგომ არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა ეროვნული ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას და წერილობით აცნობებს კომერციულ ბანკებს.

5. თუ კომერციული ბანკების შერწყმა დადებითად იქნა შეფასებული, მაშინ დამატებით, ბანკის ლიცენზირებისათვის საჭიროა წარმოდგენილ იქნას მე-3 მუხლის 1; 2; 3; 4; 6 პუნქტებით გათვალისწინებული საბუთები და შესაბამის კომერციულ ბანკებზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ადრე გაცემული ყველა საბანკო ლიცენზია;

6. აღნიშნული დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ საქართველოს ეროვნული ბანკი ახალ შექმნილ კომერციულ ბანკზე გასცემს საბანკო ლიცენზიას;

7. გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ ბანკზე, არ ვრცელდება „საქართველოს კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალის (ფონდის) მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1998 წლის 9 ივლისის № 62 ბრძანების 1 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები;

8. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ერთი კომერციული ბანკის მიერ მეორე კომერციული ბანკის მიერთება მაშინ ეროვნულ ბანკის თანხმობის მისაღებად განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) ბანკების საერთო კრების გადაწყვეტილება აღნიშნულზე;

ბ) ბიზნეს-გეგმა, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტების (ბალანსები, ანგარიშგებანი) პროექტებს ერთი ბანკის მიერთებისას მეორეზე.

9. ბანკების მიერთების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის შესაბამისი განკარგულებით მიერთებული კომერციული ბანკის საბანკო ლიცენზია ჩაითვლება გაუქმებულად, ხოლო იმ კომერციული ბანკის საბანკო ლიცენზია, რომელმაც მიიერთა მეორე უცვლელი რჩება.

10. არ დაიშვება CAMEL-ის კომპოზიტური რეიტინგის მეოთხე და მეხუთე კატეგორიების კომერციული ბანკების მიერ სხვა კომერციული ბანკების ან მათი ფილიალების შერწყმა (მიერთება);

11. კომერციული ბანკის გაყოფა ორ ან რამოდენიმე ბანკად განიხილება როგორც ახალი კომერციული ბანკების წარმოქმნა და შესაბამისად მათი ლიცენზირება უნდა მოხდეს არსებული წესების თანახმად.

12. ბანკების შერწყმის, მიერთების ან გაყოფის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ეროვნული ბანკი გაავრცელებს შესაბამის განკარგულებას. (მომქმედი კომერციული ბანკების მენეჯმენტის ყველა ცვლილება უნდა აცხადებდეს მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს).

დამტკიცებულია
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
1998 წლის 30 ნოემბრის №116 ბრძანებით

საბანკო დაწესებულებების მიერ ფილიალების გახსნისა და ფუნქციონირების წესები

მუხლი 1.

1. აღნიშნული წესები განსაზღვრავს საბანკო დაწესებულების (შემდგომში კომერციული ბანკი) ფილიალების გახსნის წესებს.

2. ეს წესები შემუშავებულია „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ", „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონების საფუძველზე.

3. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკს აქვს უფლება გახსნას ფილიალები ეროვნული ბანკის თანხმობით, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ასევე მის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 2.

1. კომერციული ბანკის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ფილიალის გახსნისათვის ეროვნულ ბანკში წარდგენილ განაცხადს თან უნდა ახლდეს შემდეგი საბუთები:

ა) ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება ფილიალის შექმნაზე;

ბ) ფილიალის ბიზნეს-გეგმა, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ფილიალის გახსნის აუცილებლობის ეკონომიკური დასაბუთება, აგრეთვე სათაო ბანკის მიერ მასზე დაკისრებული უფლება და მოვალეობა.

2. აღნიშნული საბუთების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ, საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს ფილიალის გახსნის საკითხს და არა უგვიანეს ერთი თვისა აცნობებს განმცხადებელ კომერციულ ბანკს გადაწყვეტილების შესახებ.

3. თუ ბანკის ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია და არ აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის რეგულირების წესების მოთხოვნებს, მაშინ ბანკს არ მიეცემა ფილიალის გახსნაზე თანხმობა.

4. ფილიალის გახსნაზე ეროვნული ბანკის თანხმობის მიღების შემდეგ, კომერციული ბანკი ვალდებულია, ეროვნულ ბანკს ერთი თვის ვადაში წარუდგინოს შემდეგი საბუთები:

ა) ფილიალის რეგისტრაციის შესახებ სასამართლო დადგენილებისა და საქმიანობის მოკლე აღწერილობის ნოტარიალურად დამოწმებული ასლები;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება ფილიალის მმართველის და მოადგილე პუღალტრისა და სალაროს ადგილის დანიშვნის შესახებ;

გ) ეროვნული ბანკის სალაროს ოპერაციების, ფასეულობის დაცვისა და სპეცგადაზიდვების სამმართველოს მიერ გაცემული დასკვნა სალაროს კვანძის მოწყობის შესახებ.

5. დადგენილ ვადაში საბუთების სრულყოფილად წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი წერილობით აცნობებს კომერციულ ბანკს ფილიალის გახსნაზე მის მიერ ადრე გაცემული თანხმობის ანულირების შესახებ.

დანართი 7.3.

დამტკიცებულია
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
2001 წლის 4 მაისის №116 ბრძანებით

ინტერესთა კონფლიქტის და ბანკის ადმინისტრატორებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს შორის ოპერაციების განხორციელების დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საბანკო ინსტიტუტების კარგი მართვისათვის ამ დაწესებულებების ადმინისტრატორებმა თავიდან უნდა აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი და საბანკო საქმიანობაში არ დაუშვან საკუთარი ინტერესების ბანკის ინტერესებზე მაღლა დაყენება ან თანამდებობრივი უფლებების ბოროტად გამოყენება, რადგან ბანკირებს აკისრიათ განსაკუთრებული, ნდობაზე დაფუძნებული პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს მათდამი რწმუნებული ბანკების მიმართ ყურადღებას, გულმოდგინებას, გონიერულ წინდახედულობას, დამოუკიდებლობასა და ერთგულებას. ასეთი ვალდებულებები მათ ეკისრებათ იმ მეანაბრეთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, რომელთაც თავიანთი თანხები ამ ბანკებს მიანდეს.

2. ნდობაზე დაფუძნებული პასუხისმგებლობა მოითხოვს ბანკების ადმინისტრატორების მიერ თავიანთ პირად და ფინანსურ, აგრეთვე ანაბრების არმქონე კრედიტორებისა და აქციონერების ინტერესებზე მაღლა თავიანთი მეანაბრეების ინტერესების დაყენებას.

3. ამ მიზნით ბანკების ადმინისტრატორებმა თავიდან უნდა აიცილონ ნებისმიერი არამართებული მოქმედება, რადგან ქვეყნის საბანკო სისტემისადმი ფართო საზოგადოებრიობის ნდობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და იგი ჯანსაღი, სტაბილური და კონკურენტუნარიანი საბანკო სისტემის შექმნის საწინდარია.

4. ბანკის ნებისმიერი ადმინისტრატორის მიერ მისივე ნდობის პასუხისმგებლობის დარღვევა, საბოლოოდ, იწვევს რაღაც ამ ბანკის გადახდისუუნარობას, ისე მისი ადმინისტრატორის გაუმართლებელ გამდიდრებას. ასეთ შემთხვევებში, მაგ. მიმართ ზომების მიღების მიზნით საქმე უნდა გადაეცეს შესაბამის ორგანოებს.

5. ბანკის ნებისმიერი ადმინისტრატორის მიერ მისივე ნდობითი პასუხისმგებლობის დარღვევა განსაკუთრებით საზიანოა საბანკო სისტემისათვის, რადგან ამან შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს საბანკო სისტემას და გააჩაბლოს მეანაბრეები, რომელთა ინტერესების დაცვაც ბანკის ადმინისტრატორებმა თავიანთ თავზე აიღეს. ასეთმა შეხედულებამ შეიძლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უარყოფითი გაელენა იქონიოს მთლიანად ქვეყნის ფინანსურ სექტორზე.

6. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების და მხოლოდ პირადი ინტერესების დაცვისა და თანამდებობრივი უფლებების ბოროტად გამოყენების პრაქტიკის, აგრეთვე ბანკის ადმინისტრატორთა მიერ ნდობითი ვალდებულებების სხვაგვარი დარღვევების აღკვეთის მიზნით, თითოეულმა კომერციულმა ბანკმა თავისი შინაგანაწესით ან ქცევის კოდექსით (რომელიც დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ), დოკუმენტური სახით უნდა შეიმუშაოს ბანკის ადმინისტრატორთა საქმიანობასთან დაკავშირებულის სტრატეგიული მიმართულებები და პროცედურები. ამგვარი სტრატეგია და პროცედურების შექმნა დაიცავს და ხელს შეუწყობს ბანკის საქმიანობის სწორად წარმართვას, ინტერესთა კონფლიქტის, ასევე არასწორი მოქმედებების დადგენასა და აღმოფხვრას.

7. ამ დებულების მიზანია ინტერესთა კონფლიქტის საკითხების დარეგულირება, რომლის მიღწევაც შესაძლებელია თითოეული ბანკისა და მათთან ადმინისტრატორებისათვის სპეციალური წესების დადგენით და მათი რეალიზაციით.

მუხლი 3. აკრძალვები და შეზღუდვები

1. ბანკს ეკრძალება შეღავათიანი პირობებით მისი ნებისმიერი ადმინისტრატორისათვის, მონათესავე საწარმოს ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირისათვის სესხის მიცემა, ან ნებისმიერი ფინანსური მომსახურების გაწევა კრედიტის სახეობის, საპროცენტო განაკვეთის, დაფარვის ვადის, უზრუნველყოფის საშუალების ღირებულების ან რაიმე სხვა ფაქტორების მიუხედავად. ბანკმა მისი რომელიმე ადმინისტრატორისათვის, მონათესავე საწარმოს ან ნებისმიერი მათთან დაკავშირებული პირისათვის სესხის მიცემა ან ფინანსური მომსახურება უნდა განახორციელოს იგივე საფუძველზე და იგივენაირად, როგორც ამას მოახდენდა იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი (მიმღები) არ იქნებოდა ბანკის ადმინისტრატორი, მონათესავე საწარმო ან მათთან დაკავშირებული პირი.

2 ბანკს ნებისმიერ დროს ეკრძალება სესხის ან სხვა ვალდებულებების მიცემა მისი რომელიმე ადმინისტრატორისათვის, მონათესავე საწარმოს ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი პირისათვის, თუ ასეთი პირისათვის მიცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა ბანკის მთლიანი კაპიტალის 5%-ს აღემატება.

3 ბანკს ნებისმიერ დროს ეკრძალება სესხის ან სხვა ვალდებულებების მიცემა მისი ადმინისტრატორებისათვის, მონათესავე საწარმოს ან მათთან დაკავშირებული პირებისათვის, თუ ასეთი პირებისათვის მიცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა ბანკის მთლიანი კაპიტალის 25%-ს აღემატება.

4. ბანკს ნებისმიერ დროს ეკრძალება სესხის მიცემა მისი რომელიმე ადმინისტრატორისათვის, მონათესავე საწარმოს ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი პირისათვის, თუ თითოეული ასეთი სესხისათვის მიღებული უზრუნველყოფის საშუალების საბაზრო ღირებულება მისაცემი სესხის მთლიანი თანხის 110%-ზე ნაკლებია.

5. იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფა წარმოადგენს უძრავ ან მოძრავ ქონებას, მათი რეგისტრაცია და დოკუმენტაცია ისე უნდა იყოს გაფორმებული, რომ იძლეოდნენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამ ქონების რეალიზაციის ან დასაკუთრების საშუალებას.

6. ბანკმა არ უნდა აწარმოოს არანაირი ოპერაცია მის რომელიმე ადმინისტრატორთან, მონათესავე საწარმოსა ან მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირთან, თუ ეს ოპერაცია არ იქნება დამტკიცებული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე.

7. არცერთმა ადმინისტრატორმა და ბანკთან ან ადმინიტრატორთან დაკავშირებული პირმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერ ასეთ ოპერაციასთან დაკავშირებით გამართულ განხილვაში, თუ მას აქვდან რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი სარგებელი ელის. ასევე, არცერთი ასეთი ადმინისტრატორი ან პირი არ უნდა აკონტროლებდეს ამგვარი ოპერაციებთან დაკავშირებით რამენაირი ზეგავლენა მოახდინოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

8. სამეთვალყურეო საბჭოზე ნებისმიერი ასეთი საკითხის გატანის დროს საბჭოს დაინტერესებული წევრი ვალდებულია განხილვის სტადიაში წარმოადგინოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი ინტერესების შესახებ. საბჭოს ასეთი წევრი არ მონაწილეობს მოცემული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, მისი დასწრება მხედველობაში არ მიიღება კრების კვორუმის განსაზღვრისას.

9. როდესაც სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ოპერაციას ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების შესაბამისად, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე აუცილებლად უნდა წარედგინოს ამომწურავი ინფორმაცია ასეთი ოპერაციის ნებისმიერ საკითხზე.

10. იმ შემთხვევაში, თუ ოპერაცია, რომელიც ასეთ სხდომაზე უნდა დამტკიცდეს, დაკავშირებულია მიცემული სესხის პირობების ცვლილებასთან ან სხვა სახის საკრედიტო ვალდებულებასთან, მაშინ ამომწურავ ინფორმაციაში, რაც მინიმუმ, უნდა შეეძლოს ძირითადი თანხის ოდენობა, საპროცენტო განაკვეთი და დაფარვის ვადა, რაზეც თან უნდა ახლდეს დეტალური საკრედიტო და ფინანსური ინფორმაცია როგორც მსესხებლის, ისე გარანტიის მიმღების შესახებ, მათ შორის შეხედულება მათ მიერ სესხის ვადებში გადახდისუნარიანობის შესახებაც. ეს ინფორმაცია დაცული უნდა იქნეს ბანკის კრედიტების მარიგის შესახებ მიმდინარე დოკუმენტებში და პოთხოვნისთანავე ხელისაწვდომი უნდა იყოს ეროვნული ბანკის ინსპექტორებისათვის.

11. ამომწურავ ინფორმაციაში უნდა შეიძლეს ამგვარი სესხის ან საკრედიტო ვალდებულებისათვის შეთავაზებული

უზრუნველყოფის საშუალების მიმდინარე საბაზრო ღირებულების შეფასება, ასევე უზრუნველყოფის საშუალების შესაძლო ფასი სესხის საბოლოოდ შეთანხმებულ ვადაში დაფარვამდე. შეფასებას ხელს უნდა აწერდეს ლიცენზირებული დამოუკიდებელი აუდიტორი, რომელიც არ იქნება ბანკის თანამშრომელი, ან სავარაუდოდ სესხის ამღებთან დაკავშირებული პირი. შეფასების შესახებ შენედულება დაცული უნდა იქნეს ბანკის კრედიტების მართვის შესახებ მიმდინარე დოკუმენტებში და მოთხოვნისთანავე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეროვნული ბანკის ინსპექტორებისათვის. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია სათანადოდ უნდა გაფორმდეს სხდომის ოქმებში, იმის მიუხედავად, მოხდება თუ არა ოპერაციის დამტკიცება. ეს ოქმები მოთხოვნისთანავე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეროვნული ბანკის ინსპექტორებისათვის.

12. ბანკს ეკრძალება მისი რომელიმე ადმინისტრატორისაგან, მონათესავე საწარმოს ან დაკავშირებული პირისაგან ისეთი აქტივის შეძენა, რომლის ხარისხიც შეძენის მომენტისათვის არ შეესაბამება „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესით“ განსაზღვრულ „სტანდარტულ“ კატეგორიას.

13. ბანკის ადმინისტრატორს ეკრძალება ბანკისაგან, ნებისმიერი მონათესავე საწარმოსაგან (საწარმოსათვის) ისეთი ანაზღაურების მიღება (გაცემა), რომელიც აღემატება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ან რომელიც აჭარბებს იგივე მოცულობის აქტივების და მოვების მაჩვენებლების მქონე ბანკის მიერ ანალოგიური ტიპის მომსახურებისთვის არსებულ საბაზრო ფასს.

14. თუ ეროვნული ბანკის ბოლო შემოწმების თანახმად ბანკი უკვე არის ან პოტენციურად, უახლოეს მომავალში, შეიძლება იქცეს პრობლემურ ბანკად, მისმა ადმინისტრატორებმა პირდაპირ ან არაპირდაპირ არ უნდა გასცენ ფულადი სახსრები რაიმე ტიპის პრემიის ან ჯილდოს სახით, მანამ, სანამ ეროვნული ბანკის შეფასებით ბანკი აღარ ჩაითვლება ფაქტობრივ ან პოტენციურ პრობლემურ ბანკად.

15. ბანკის აქციონერებმა (წილის მფლობელებმა) ბანკისაგან უნდა მიიღონ შემოსავლები სათანადოდ გაცხადებული და წმინდა მოგებიდან კანონიერად გადახდილი დივიდენდების სახით ბანკის საწესდებო კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების (წილის) გათვალისწინებით.

16. ამ მუხლში ჩამოყალიბებული ყველა აკრძალვა და შეზღუდვა, რომელიც განსაზღვრულია ბანკებისათვის, ასევე ვრცელდება ნებისმიერი იმ ადმინისტრატორის, მონათესავე საწარმოს ან დაკავშირებული პირის მიმართ, რომლებიც ბანკთან აკრძალულ ოპერაციებში იქნებიან ჩართული.

მუხლი 4. ეროვნული ბანკის უფლება

1. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ზომები ამ დებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული თითოეული აკრძალვის და შეზღუდვის გაუთვალისწინებლობის გამო კანონმდებლობით განსაზღვრული სანქციებისა და ფულადი ჯარიმების გამოყენებით იმ ბანკების მიმართ, რომელთაც დაარღვიეს ამ დებულების მოთხოვნები;

ბ) მოითხოვოს ბანკის იმ ადმინისტრატორის ან თანამშრომლის გათავისუფლება სამეთვალყურეო ან დირექტორთა საბჭოდან, რომელმაც ეროვნული ბანკის დასაბუთებული შენედულებით დაარღვია ეს დებულება.

2. თუ ეროვნული ბანკი ჩათვლის, რომ ამ მუხლში აღწერილი ნებისმიერი მოთხოვნა არ განხორციელდა, ან დროისა და გარემოებების გამო სამომავლოდაც არ მოყვება შედეგი, ასეთ შემთხვევაში ეროვნულ ბანკს შეუძლია გაატარის არსებული ვითარებისთვის საჭირო ისეთი ადმინისტრაციული და მაკორექტირებელი ღონისძიებები, რეკომენდაცია: დამრღვევი ბანკის საბანკო ლიცენზიის გაუქმება ან საჭიროების შემთხვევაში, სისხლის სამართლის დანაშაულზე საქმის აღსაძვრელად მასალების შესაბამისი ორგანოებისათვის გადაცემა.

საქართველოს ეროვნული ბანკი

პრობლემური ბანკების საკითხის გადაწყვეტის ანალიტიკური საფუძვლები

1. შესავალი

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია საბანკო სისტემის ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის და მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს კომერციული ბანკების ლიცენზირებისა და ზედამხედველობის, აგრეთვე მათი დროებითი ადმინისტრირების და ლიკვიდაციის უფლებამოსილება. შესაბამისად, ეროვნულ ბანკს ეკისრება აგრეთვე პასუხისმგებლობა იმ ბანკების საკითხის გადაწყვეტისთვისაც, რომლებსაც გადახდისუუნარობის ან სხვა მიზეზების გამო უნდა გაუუქმდეთ ლიცენზია.

ასეთ შემთხვევაში საზოგადოებას აინტერესებს და ამავე დროს უფლება აქვს იცოდეს, სათანადოდ ასრულებს თუ არა საქართველოს ეროვნული ბანკი თავის საქმეს, რომელსაც რომელიმე კომერციული ბანკი კონტროლებს. კომერციულმა ბანკებმა კი უნდა დაინახონ და დარწმუნებული იყვნენ, რომ ეროვნული ბანკი გამოიყენებს მისთვის მინიჭებულ ფართო უფლებამოსილებას მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში და მიმართავს შესაბამის მოქმედებებს მხოლოდ გარკვეული ბანკების მიმართ. ამ საკითხებზე მსჯელობისას მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ საზოგადოებას აქონდეს ამომწურავი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ღონეს ხმარობს ქვეყნის ცენტრალური ბანკი გადახდისუუნარო ბანკების პრობლემების მოსაგვარებლად. როგორია მისი მეთოდები, მიდგომები და რა რაციონალურ მოსაზრებებს ეყრდნობა შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისას.

მოცემული საკითხი პირდაპირ არის დაკავშირებული საბანკო სისტემის უსაფრთხო ფუნქციონირებასა და სტაბილურობასთან. ამიტომ სწორი, გონივრული პოლიტიკის გატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის საბანკო სისტემისადმი ნდობის ამაღლებას, რაც ეროვნული ბანკის უპირველესი ამოცანაა. პროცესის გამჭვირვალობა უფრო რეალურს გახდის ამ ამოცანის შესრულებას.

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკას პრობლემური ბანკების საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

2. იურიდიული უფლებამოსილება

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი ბანკის მიმართ გასატარებელი ღონისძიებების იურიდიული საფუძველია საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" და ამ კანონების საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული წესები და დებულებები.

3. ძირითადი მიზნები, ამოცანები და მიდგომები

მოსახლეობის სურვილი შეიტანონ დანაზოგი ბანკში ქვეყნის განვითარების წამყვანი ელემენტია. ნდობა საბანკო სისტემისადმი განსაკუთრებული საფრთხის წინაშე დგება, თუ ბანკების გაკოტრების შემთხვევაში დეპოზიტორები სერიოზულ დანაკარგებს განიცდიან, რაც ფინანსური შუამავლების განვითარების შემფერხებელი ფაქტორია. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიზანია, შექმნას პრობლემური ბანკების საკითხის გადაწყვეტის ისეთი მოდელი, რომელიც გასაგები იქნება საზოგადოებისათვის, ნაილად დაანახვებს მას, თუ ვისი ინტერესები იქნება დაცული ბანკის გაკოტრების შემთხვევაში. რა ფორმით და რა მოცულობით. აღნიშნული მისაღწევად ისახავს საბანკო სისტემისადმი ნდობის ამაღლებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიზანს ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში წარმოადგენს ბანკის კრედიტორების ინტერესების დაცვა მათი დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანის პრინციპიდან გამომდინარე. კრედიტორების ინტერესების დაცვა ხორციელდება ბანკის ლიკვიდაციის პროცესში კანონიერი მოთხოვნებისათვის პრიორიტეტების დადგენით. აღნიშნული პრიორიტეტები დადგენილია და გარანტირებულია საქართველოს კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ".

ბანკის ლიკვიდაციის დროს მოთხოვნები,რომლებიც საყუძველია გირაო და იპოთეკა,დაკმაყოფილდება შესაბამისი ქონების ბაზრობების თანამად (გირაოს და იპოთეკის ღირებულების ფარგლებში), ხოლო ყველა სხვა კანონიერი მოთხოვნა უნდა დაიყოფოს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკი და სხვა კრედიტორები, რომელთა მიმართ კომერციულ ბანკს წარმოეშვა ვალდებულება საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ;

ბ) ფიზიკურ პირთა ანაბრები დაუბეგრავი მინიმუმის ასმაგი ოდენობის ფარგლებში;

გ) ფიზიკურ პირთა ანაბრები, რომლებიც არ არის გადახდილი „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

დ) სხვა ნებისმიერი სახის დეპოზიტი;

ე) დანარჩენი მოთხოვნები ბანკის მიმართ;

ვ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაწეული აუცილებელი და მიზნობრივი ხარჯები.

თუ არსებული თანხა საკმარისი არ არის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში აღნიშნული მოთხოვნების სრულად დაფარებისათვის, მაშინ ყველა შესაბამისი მოთხოვნა უნდა დაიფაროს თანაბარი პროპორციით.

4. გადაწყვეტის ანალიტიკური საფუძველი და ალტერნატივების შეფასება

საქართველოს ეროვნული ბანკი გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს უმცირესი ღირებულების ანალიზს და ეყრდნობა გადაწყვეტილების უმცირესი ღირებულების პრინციპს.

პირველ რიგში, არჩეული პრიორიტეტიდან გამომდინარე, დგინდება მოსახლეობის ანაბრებზე ხარჯების ღირებულება. რომელიც გამოითვლება აქტივების სბალანსო და სბაზრო ღირებულებებს შორის განსხვავების თანხიდან გამომდინარე.

აღნიშნული ხარჯების შეფასება კრედიტორებს ცალკეული კატეგორიისათვის ხდება ე.წ. პირდაპირი ლიკვიდაციის ღირებულების დადგენით.

პროპორციული განაწილების პრინციპის შემთხვევაში ყველა კატეგორიის კრედიტორის მოთხოვნა კმაყოფილდება პროპორციის ბაზისის მაჩვენებლიდან გამომდინარე.

მას შემდეგ, რაც დადგინდება პირდაპირი ლიკვიდაციის ღირებულება ცალკეული კატეგორიის კრედიტორებისათვის, ხდება ასეთივე ღირებულების დადგენა ალტერნატიული გადაწყვეტილებების ცალკეული შემთხვევებისათვის, ანუ ფასდება ალტერნატიული გადაწყვეტის ღირებულება. აღნიშნული გადაწყვეტილების ღირებულებებს შორის განსხვავება არის სწორედ საფუძველი საბოლოო გადაწყვეტის ვარიანტის მიღებისათვის, ანუ, თუ პირდაპირი ლიკვიდაციის ღირებულება მეტია ალტერნატიული გადაწყვეტის ღირებულებაზე, ხდება ამ უკანასკნელის არჩევა. ალტერნატიულ ვარიანტებად შეიძლება განხილულ იქნეს:

- ბანკის გაყიდვა დასმარების გარეშე;
- იძულებითი შერწყმა;
- რესტრუქტურიზაცია და შემდგომი გაყიდვა;
- აქტივების მიყიდვა და ვალდებულებების გადაცემა მესამე მხარისათვის;
- ვალდებულებების აღება მესამე მხარის მიერ;
- ვალდებულებების გადახდა მესამე მხარის მიერ;
- სხვა ალტერნატივები კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

კრედიტორებისათვის დანახარჯების უმცირესობის პრინციპიდან გამომდინარე, აირჩევა შესაბამისი ალტერნატივა და ხდება მისი განხორციელება ან ხდება ბანკის პირდაპირი ლიკვიდაცია.

მოცემული ალტერნატივების, აგრეთვე ლიკვიდაციის განხორციელების პირობები და პროცედურები რეგულირდება ეროვნული ბანკის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტებით.

5. პრობლემური ბანკების საკითხის გადაწყვეტის ორგანიზაციული საკითხები

პრობლემური ბანკების საკითხის გადაწყვეტისათვის ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს.

სამმართველო პასუხისმგებელია შესაძლო გადაწყვეტის სტრატეგიის განსაზღვრისათვის, თითოეული ასეთი სტრატეგიისათვის მეანაბრეთა ხარჯების ღირებულების შეფასებისა და პირდაპირი ლიკვიდაციის ხარჯის ღირებულებასთან შედარებისათვის, ბანკის გაყიდვის (პრივატიზების) სტრატეგიის განსაზღვრისა და საბოლოო შედეგის განჭვრეტისათვის. ანუ საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველო შეისწავლის ყველა ალტერნატიის ღირებულებას, არჩევს მათ შორის უმცირესი დანახარჯის ვარიანტს და ამზადებს შესაბამის წინადადებათა პაკეტს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობისათვის.

სამმართველოს ამოცანაა პრობლემური ბანკების მდგომარეობის ანალიზი, ბანკების სპეციალური ზედამხედველობისა და რეგულირების უზრუნველყოფა, ზემოქმედების ღონისძიებების განსაზღვრა, გატარება, მონიტორინგი, ბანკების დროებითი ადმინისტრირების პროცესის მართვა და ლიკვიდაციის განხორციელება. სამმართველო აგრეთვე

განაზღვრავს, ადგენს და რეკომენდაციას იძლევა საქართველოს ეროვნული ბანკის სესხების გაცემაზე თუ სხვა დახმარების გაწევაზე ბანკების მიმართ. ასეთ დახმარება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ, თუ:

ა) დახმარების შედეგად წარმოიქმნება ეკონომიკურად ღირებული საბანკო ინსტიტუტი დროის გარკვეულ პერიოდში;

ბ) აღიშნულის შედეგად ლიკვიდაციის ხარჯი ეროვნული ბანკისათვის უფრო მცირე იქნება.

დახმარება შეიძლება გაეწიოს ბანკს, რომელიც არ პასუხობს ამ მოთხოვნებს, მაგრამ აუცილებელია საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

გადაწყვეტილება ბანკის პრობლემურ ბანკად ცნობის შესახებ

ბანკის მიმართვა პრობლემურ ბანკად ცნება: საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს ინსპექტირების განაყოფილების მიერ ადგილზე შემოწმების მასალებიდან გამომდინარე და დოკუმენტური ზედამხედველობის განაყოფილების მიერ შესაბამისი ანგარიშგებების ანალიზის საფუძველზე.

სპეციალური ზედამხედველობა

მას შემდეგ, რაც საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველო დადგენს, რომ ბანკი უნდა ჩაითვალოს პრობლემურად, ბანკი ექვემდებარება ზედამხედველობის სპეციალურ (საგანგებო) რეჟიმს. საგანგებო რეჟიმი გულისხმობს ანგარიშგების განსაკუთრებულ რეჟიმში მოქცევას - პერიოდულ ანგარიშგებასთან ერთად განისაზღვრება დამატებითი ინფორმაციის და დოკუმენტაციის ჩამონათვალი, მათი შინაარსი და ფორმები, ტარდება ფეხანსური და საგარეო მდგომარეობის დეტალური ანალიზი. განსაკუთრებული რეჟიმის შემთხვევაში ქმნება ეროვნული ბანკის თანამშრომლებისა ვიზიტები ბანკში, გამოითხოვება თანამშრომელი ადგილზე ინფორმაციის და დოკუმენტაციის ანალიზის დ დასჯერების და მოითხოვილი მოქმედებების ბანკის მხრიდან გატარების მონიტორინგის მიზნით.

- ანალიზის საფუძველზე დგინდება (ფასდება) ბანკში დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის აუცილებლობა;
- თუ მისაღებია, ბანკში ინიშნება დროებითი ადმინისტრატორი;
- ხდება ბანკის აქტივების სალიკვიდაციო ღირებულების ანალიზი;
- დგინდება ეროვნული ბანკისა და ბანკის კრედიტორების სარგებლი, რომლებსაც ისინი გასწევენ ბანკის ლიკვიდაციის პასუხისგებაში;
- განისაზღვრება ბანკის ლიკვიდაციის ალტერნატივები.

სებ-ისა და კრედიტორებისათვის დანახარჯების უმცირესობის პრინციპიდან გამომდინარე, აირჩევა შესაბამისი ალტერნატივა და ხდება მისი განხორციელება ანდა ბანკის ლიკვიდაცია.

სპეციალური ზედამხედველობის კომისია

პრობლემურ ბანკებთან დაკავშირებით მომზადებულ საკითხებს განიხილავს სპეციალური ზედამხედველობის კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედიან: საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროსი, მისი მოადგილეები, ინსპექტირების. დოკუმენტური ზედამხედველობისა და პრობლემური ბანკების განყოფილებების უფროსები.

კომისია განიხილავს მომზადებულ ანალიტიკურ მასალას და ანტკეტას (იწორებს) შემთავაზებულ სტრატეგიას. მას შემდეგ, რაც კომისია მოიწონებს ანალიზს და სტრატეგიას, განყოფილება აშზადებს შესაბამის ოფიციალურ წინადადებას ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად. ოფიციალური წინადადება უნდა იყოს ამომწურავი და შეიცავდეს უკანასკნელი დასკვნების ანალიზს.

წინადადებაში მოცემული უნდა იყოს:

- ბანკის პრობლემების აღწერა;
- პირდაპირი ლიკვიდაციის ღირებულების ანალიზი;
- ალტერნატივების მიმოხილვა, თითოეულ შემთხვევაში ცალკეული კრედიტორების ხარჯების ანალიზის გათვალისწინებით;
- ბანკის დაინტერესების გამოვლენის არსებობა და
- პრობლემური ბანკის საკითხის გადაწყვეტის კონკრეტული რეკომენდაცია.

მას შემდეგ, რაც ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა მიიღებს გადაწყვეტილებას წარდგენილი რეკომენდაციის მიწონების თაობაზე, ხდება ამის შესაბამისად განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება.

წესი (სტანდარტი)

,,კომერციული ბანკის განვითარების სტრატეგია"

1. ბანკი უნდა იწყებოდეს მისი განვითარების (აღმოცენება, დამკვიდრება, ფუნქციონირება, თავის გადარჩენა) სტრატეგიით, რომელიც გააზრებული, ხარისხიანი (მისი საქმიანობის პირობების ადეკვატური), ინდივიდუალური და მოქნილი უნდა იყოს.

ხარისხიანი სტრატეგიის შემუშავება და მისი თანმიმდევრულად განხორციელება ყოველი კომერციული ბანკის დამკვიდრებისა და მდგრადი განვითარების (თავის გადარჩენის) უმთავრესი პრობლემაა.

ბანკში განვითარების საკუთარი სტრატეგიის უქონლობა ან მისი ფორმალურად არსებობა მასში დაგეგმვის უქონლობას (იმის გათვალისწინებით, რომ ბანკის მართვა უნდა მოიცავდეს შემდეგ თანმიმდევრულ რგოლებს: ანალიზი დაგეგმვა ოპერატიული მართვა კონტროლი) და, მაშასადამე, ფორმალური ნიშნებითაც კი არასრულფასოვან მართვას ნიშნავს.

2. განვითარების ხარისხიანი სტრატეგიის ქონა თავისთავად არ უზრუნველყოფს ბანკის წარმატებას. ამასთან, მისი უქონლობა წარუმატებლობას უქადის ბანკს, განსაკუთრებით საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

3. ბანკის განვითარების ხარისხიანი სტრატეგია, თუკი მას რეალურად იყენებენ:

- ხელს უწყობს ბანკის ძალისხმევის მკაცრ და გააზრებულ კოორდინაციას;
- უზრუნველყოფს ბანკის საერთო პრიორიტეტებისა და მათი მიღწევის საშუალებების ერთიანობას, საჭირო „ღერძით" აღჭურავს ბანკის საქმიანობას;
- მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკის ხელმძღვანელობის მიერ არასწორ ან ერთმანეთთან შეუთანხმებელ მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების რისკს;
- მკაფიო ბაზად გვევლინება გადაწყვეტილებების მიღების და ორგანიზაციის საქმიანობის წარმატებით მიმდინარეობის კონტროლისა და შეფასების შემდგომი პროცესებისთვის;
- წარმოადგენს ბანკში მენეჯმენტის დაყენების ხარისხის და მისი საქმიანობის საბოლოო შედეგების კრიტერიუმს.

4. თავს უნდა ვარიდებდეთ სტრატეგიის განვითარებისა და მისი დამუშავების პრობლემასთან დაკავშირებულ იმ უხეშ ნაკლოვანებებს, რომლებიც ბანკების პრაქტიკაშია გამოვლენილი. მათგან ძირითადია შემდეგი:

1) სტრატეგიის, როგორც ასეთის, უქონლობა, მათ შორის - მისი დამუშავების საჭიროების უგულებელყოფის გამო;

2) გამოცხადებული სტრატეგიის ფრაგმენტული, არაკომპლექსური ხასიათი;

3) სტრატეგიის შემადგენელ ელემენტებს შორის სათანადო კავშირისა და შინაგანი შეთანხმებულობის არარსებობა;

4) ბანკის განვითარების სტატუსის პრეტენზიის მქონე ერთიან დოკუმენტში სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა ხარისხის და ღრმეკერად სხვადასხვა დონის მქონე ელემენტების შეტანა თანაბარი უფლებებით.

5. ბანკის განვითარების (გადარჩენის) საკუთარი ხარისხიანი სტრატეგიის შემუშავების საჭიროება მით მეტია, რაც უფრო ცუდადაა მისი საქმე (ვიდრე ჯერ კიდევ არსებობს გადარჩენის და დამოუკიდებელ ბანკად ფუნქციონირების შანსები).

6. საკუთარი (შინაარსით განსხვავებული) სტრატეგია ჭირდება მდგრადი განვითარების მქონე მტკიცე ბანკსაც. მკაფიო სტრატეგიის განსაზღვრა (მისი დაზუსტება) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, თუკი ბანკი: ა) იზრდება და ფართოვდება; ბ) იწყებს საქმიანობის მისთვის ახალ სფეროებში; გ) განიცდის სულ უფრო ძლიერი კონკურენციის გავლენას.

7. ბანკის განვითარების სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს და შინაგანად იყოს შეთანხმებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიასთან და/ან რეგიონის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიასთან, თუკი

ასეთები არსებობს. თუ ასეთი სტრატეგიები არ არსებობს, ბანკს მაინც უნდა ჰქონდეს საკუთარი სტრატეგია.

8. ყოველი საგეგმო პერიოდისთვის ბანკს შეუძლია მხოლოდ ერთი სტრატეგია ჰქონდეს. სტრატეგიის ფორმირების თავდაპირველ ეტაპზე შესაძლებელია სტრატეგიის პროექტის რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტის განხილვა, რომლებიც, ამასთან, ერთსა და იმავე წამყვან იდეებს უნდა ეყრდნობოდნენ.

9. ბანკის განვითარების სტრატეგიის შემუშავების (დაზუსტების, განახლების) ინიციირებას აუცილებლად უნდა ახდენდეს ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობა: ა) ან გამგეობის თავმჯდომარის სახით; ბ) ან გამგეობის სახით; გ) ან საბჭოს სახით; დ) ან საბჭოსა და გამგეობის სახით (ვარიანტები). ასეთმა ინიციატივამ უნდა მოიცვას:

1) სტრატეგიის (მისი განახლებული ვარიანტის) წამყვანი იდეების ფორმულირება;

2) სტრატეგიის (ისევ განახლებული ვარიანტის) შემუშავების სამუშაოს ორგანიზაცია.

10. ბანკის განვითარების სტრატეგიის ფორმირების გარკვეული ადგილი უჭირავს მისი მართვის ძველ პროცესში (ე.ი. „ანალიზი - დაგეგმვა - ოპერატიული მართვა - კონტროლის" ციკლში): იწყება ანალიზის ეტაპზე, ეყრდნობა მის შედეგებს და უმეტესწილად შეადგენს დაგეგმვის შუალედს.

11. ბანკის განვითარების სტრატეგიის შემუშავება მიზანშეწონილია მთლიანად ბანკის მართვის ყველა ობიექტის (ბანკის საქმიანობის დამახასიათებელი ყველა პროცესის ან მათი ნაწილების, მისი ყველა შიდა და საგარეო ურთიერთობის) მიმართ ან სხვადასხვა კომბინაციებით.

სიტუაციის საკუთარი შეფასებების (მათ შორის ბანკის შიგნით), თავისი სუსტი და ძლიერი მხარეების, ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ყოველ ბანკს შეუძლია ბანკის მართვის მთელი მრავალფეროვანი ობიექტებიდან გამოყოს ისეთები, რომელთა მიმართაც სტრატეგიის შემუშავება (დაზუსტება) დროის მოცემულ მომენტში უფრო აქტუალურად მიაჩნიათ მის ხელმძღვანელობასა და სპეციალისტებს. აუცილებელია ის ფინანსური და სხვა დანახარჯების გათვალისწინება, რომლებიც განზრახულ გარდაქმნებს უკავშირდება.

12. არსებული რეალობიდან გამომდინარე, კომერციული ბანკების განვითარების სტრატეგია სხვადასხვა ვადით შეიძლება შეიქმნას. მაგრამ არანაკლებ ნასურვარი წელია (ეს სტრატეგია შეიძლება გრძელვადიანი არც იყოს მიხედვით სტანდარტების მიხედვით).

დროის ის პერიოდის ხანგრძლივობა, რომლისთვისაც ბანკი აყალიბებს თავის სტრატეგიას, დამოკიდებულია მისი ანალიტიკოსებისა და ხელმძღვანელების მიერ ქვეყნის და/ან რეგიონის ეკონომიკური ვითარების, საბანკო მომსახურების ბაზარზე და თვით ბანკში მოსალოდნელი სიტუაციის პროგნოზირების შესაძლებლობებზე.

13. ბანკის ხელმძღვანელობის მიერ ფორმულირებული წამყვანი იდეების საფუძველზე დაყრდნობით ბანკის განვითარების სტრატეგიის პროექტს უნდა აშზადებდნენ (ვარიანტები მიღებულია უპირატესობათა ზრდის მიხედვით):

ა) გარედან მოწვეული დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფი (თუკი ბანკში არ არიან საჭირო პროფილისა და დონის სპეციალისტები);

ბ) ბანკის სპეციალისტები გარედან მოწვეულ ექსპერტებთან ერთად;

გ) ბანკის სპეციალურ სტრუქტურულ ქვედანაყოფში მყოფი სპეციალისტები (ამ ქვედანაყოფების შესაძლო დასახელებებია: განვითარების სამმართველო/განყოფილება; დაგეგმვის სამმართველო/განყოფილება; განვითარების სტრატეგიის სამმართველო/განყოფილება; სტრატეგიული/პერსპექტიული დაგეგმვის სამმართველო/განყოფილება და ა.შ.).

14. ბანკის განვითარების სტრატეგიის პროექტის მომზადება უნდა მჭიდროდ ბანკის ხელმძღვანელების მიერ ფორმულირებული წამყვანი იდეების თანმიმდევრული (საჭიროების შემთხვევაში - იტერატიული) გაძლიერებასა და დაზუსტებაში. მათ დეტალიზებაში რეალიზაციის შესაძლებლობებისა და მექანიზმების თვალსაზრისით. შინაგან შეთანხმებაში. ამ დროს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მისი თანამშრომლების ყველა ახრისა და წინადადების მაქსიმალურად სრულად გათვალისწინებას. ეს მოითხოვს ბანკის პერსონალის მიერ სტრატეგიის იმ თავდაპირველი ვარიანტის გაცნობას, რომელიც გარედან მოწვეული სპეციალისტების ან განვითარების საკუთარი სამმართველოს (განყოფილების) მიერ იყო მომზადებული.

15. ბანკის განვითარების სტრატეგია უნდა გაფორმდეს ერთიანი დოკუმენტის სახით და დამტკიცდეს გადაწყვეტილების განსაკუთრებული რეგლამენტის შესაბამისად (ვარიანტები): ა) გამგეობის; ბ) საბჭოს; გ) გამგეობისა და საბჭოს.

განვითარების სტრატეგიის შინაარსსა და რეალიზაციაზე პასუხს აგებს ბანკის მართვის ის ორგანო, რომელიც ამ სტრატეგიას ამტკიცებს.

16.1. განვითარების სრული სტრატეგია როგორც ერთიანი დასრულებული და სამუშაო დოკუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ განყოფილებებს ანუ ნაწილებს: I. ბანკის განვითარების კონცეფცია; II. ბანკის მიზნების სისტემა; III. ბანკის მართვის სტრატეგია: ბანკის პოლიტიკა, პრაქტიკულ ღონისძიებათა სისტემა.

16.2. პირველ ეტაპზე საჭიროა ბანკის განვითარების კონცეფციის მისიის განსაზღვრა და ფორმულირება. ბანკის კონცეფცია არის ბანკის მიერ აღიარებული საერთო ფილოსოფია ან იდეოლოგია, ის, რაც მას უნდა, რომ იყოს მომავალში, რისკენაც იგი საბოლოო ჯამში მისწრაფების (ამატომ კონკრეტული ვადები აქ შეიძლება უნეყონ ან არც უნეყონ), ე.ი. ესაა ქვეყნის (რეგიონის) ეკონომიკასა და საზოგადოებაში მისი პერსპექტიული ადგილმდებარეობისა და აღგილის ის მოდელი, რომელიც ბანკის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს აქვთ წარმოდგენილი.

მნიშვნელოვანი სიძნელეების მქონე ბანკებისთვის თავიანთი განვითარების კონცეფციის განსაზღვრა თავის გადარჩენის, მომავალში ბანკად დარჩენის შესაძლებლობათა გამოძებნის პრობლემაზე დაიყვანება.

16.3. მეორე ეტაპზე უნდა განისაზღვროს და მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, უპირველეს ყოვლისა, ბანკის საქმიანობის ხარისხობრივი (ვერ კიდევ რაოდენობრივად გაუზომავი) და უმნიშვნელოვანესი რაოდენობრივი მისნობრივი ორიენტირები კონკრეტული საშეგმო პერიოდისათვის (ნახევარი წელი, ერთი წელი და ა.შ.) ბანკის მართვის გამსვლელებული ობიექტების მიმართ.

აღნიშნული მიზნები უნდა შეესაბამებოდეს ბანკის კონცეფციას და იყოს კონკრეტული, რეალური (მიღწევადი) და ურთიერთშეზარდაჭერილი.

16.4. ბანკის განვითარების კონცეფცია და მისი საქმიანობის ხარისხობრივი მიზნები ის ფარგლებია, რომლებშიც ყველა შემდეგი მმართველურ გადაწყვეტილებას უნდა იღებდნენ.

16.5. „კონცეფცია" და „საქმიანობის მიზნები" დოკუმენტის ერთ თავში შეიძლება გაერთიანდეს.

16.6. მესამე ეტაპზე საჭიროა ბანკის პოლიტიკის ფორმულირება კონკრეტული საშეგმო პერიოდისთვის ბანკის საქმიანობის სხვადასხვა ობიექტების მიმართ.

ბანკის პოლიტიკა არის მისი საქმიანობის მიზნები, რომლებსაც დაზუსტებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი გამოხატულება აქვს მიღებული და მთლიანად ბანკისა და/ან მისი ცალკეული ქვედანაყოფების წარმატებული საქმიანობის გეგმებად და კრიტერიუმებადაა ქცეული.

ბანკის პოლიტიკა ყოველთვის არსებობს როგორც პოლიტიკების (გეგმების, პროექტების, პროგრამების) მთელი სისტემა. ბანკის გეგმებს იმავე მოთხოვნებს უყენებენ, რასაც მისი საქმიანობის მიზნებს. გარდა ამისა, ისინი:

- უნდა შეესაბამებოდეს ბანკის მიზნებსა და კონცეფციას;
- მოწყვეტილი არ იყოს არსებულ შესაძლებლობებს და შეზავრებული იყოს რესურსებითა და კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებებით;
- მოიცავდეს დასაშვები რისკების ტიპებისა და დონის განსაზღვრას;
- შეიცავდეს მოსალოდნელი შედეგების აღწერას.

ბანკის გეგმები მისი ქვედანაყოფების გეგმებად უნდა იქცეოდეს (და არ უნდა ყალიბდებოდეს მათგან).

16.7. ბოლო, მეოთხე ეტაპზე უნდა განისაზღვროს იმ პრაქტიკული ღონისძიებების კომპლექსები (ეკონომიკური, ფინანსური, იურიდიული, ორგანიზაციული, ტექნიკური, ტექნოლოგიური, საკადრო და სხვა ღონისძიებების), რომლებსაც შესწყვეთ ბანკის თითოეული პიელიტიკის (ყოველი გეგმის) საჭირო ვადებში რეალიზების უნარი.

16.8. ამ ოთხი ეტაპიდან თითოეულზე შესაძლებელია საბოლოო ფორმულირებებთან და მოცულობებთან ოპერატიული მისაახლების მეთოდის გამოყენება.

17. ბანკის განვითარების დამტკიცებული სტრატეგია უნდა ეცნობოს (ნაწილობრივ ან მთლიანად) ბანკის ფუნქციური ქვედანაყოფების ყველა თანამშრომელს: 1) წერილობითი დოკუმენტის სახით; 2) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების მეშვეობით.

18. თავისი განვითარების ახალი (დაზუსტებული) ინფორმაციის შესახებ ბანკმა უნდა აცნობოს საზოგადოებას, ბანკის მეწილეებსა და კლიენტებს. შესაძლებელია დოკუმენტის ორი ვარიანტის მომზადება - სამსახურებრივი სარგებლობისთვის და გარეშე მოხმარებლებისათვის.

19. ბანკის განვითარების დამტკიცებულ სტრატეგიაზე მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა. მისი

მიზნებია:

ა) მისი შენარჩუნება აქტუალურ მდგომარეობაში;

ბ). მისი რეალიზაციის მიმდინარეობაზე თვალყურის დევნება, მათ შორის მიღებულის ტრატეგიის პრინციპულ დებულებებთან ბანკის კონკრეტული გეგმების (პროგრამების), ბანკის ხელმძღვანელობის მიერ ახლად მიღებული ნორმატიული ხასიათის დოკუმენტების, ოპერატიული ხასიათის მმართველურ გადაწყვეტილებათა შესაბამისობის ნაწილში.

20. ბანკი პერიოდულად უნდა უბრუნდებოდეს განვითარების საკუთარ სტრატეგიას მისი რეალიზაციის მსვლელობის ანალიზისა და, შესაძლოა, მასში საჭირო კორექტივების შეტანის თვალსაზრისით.

ბანკის განვითარების სტრატეგიის ან მისი ცალკეული ელემენტების გადასინჯვის (დაზუსტების) აუცილებლობაზე შეიძლება მოწმობდეს:

- ბანკის გეგმების (პროგრამების) რეალიზაციაში არსებული სერიოზული სიძნელეები და შეფერხებები;
- დოკუმენტში მრავალრიცხოვანი გაპრანკლისებისა და შესწორებების შეტანის აშკარა საჭიროება;
- იმ გარემოს პარამეტრების შეცვლა, რომელშიც ბანკს უხდება მოქმედება.

21. როგორც ბანკის განვითარების სტრატეგიის პროექტის მომზადება, ისე მასზე მიღები შემდგომი მიმდინარე მუშაობა შეიძლება დაეკისროს ერთ სპეციალურ ქვედანაყოფს, რომელიც მოქმედებს როგორც: ა) გამგეობის თავჯდომარესთან; ბ) გამგეობასთან; გ) ბანკის საბჭოსთან; დ) ბანკის საბჭოსთან და გამგეობასთან არსებული მუშა ორგანო.

მოცემული ქვედანაყოფის (მას არ უნდა ჰქონდეს განკარგულების გაცემის უფლებამოსილება) ფუნქციები შეიძლება და აუცილებელია ერცელდებოდეს:

1) ანალიზზე:

- სისტემური ანალიზის ჩატარება (იმ სიღრმისეული ფაქტორების კვლევა, რომლებიც თვალსაწიერ პერსპექტივაში განსაზღვრავენ ბანკის მომავალს), რომლის შედეგები პრინციპის სახით საფუძვლად უნდა დაედოს ბანკის განვითარების სტრატეგიის პროექტს;
- ბანკის სტრატეგიის რეალიზაციის მიმდინარეობის ანალიზი და შეფასება;
- ბანკისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა საჭირო მონაცემებითა და დასკვნებით;

2) დაგეგმვაზე:

- ბანკის განვითარების სტრატეგიის პროექტის მომზადება;
- ბანკის განვითარების სტრატეგიის შენარჩუნება აქტუალურ მდგომარეობაში (მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წინადადებათა მომზადება);

3) რეგულირებაზე (ოპერატიულ მართვაზე):

- ბანკის ყველა სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების ორგანიზაცია;
- იმ ვადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება, რომელთა ადრესატებიც ბანკის გეგმების (პროგრამების) შესრულებლები არიან;
- პრინციპული ხასიათის იმ დოკუმენტების შემოწმება, რომლებსაც ბანკის ხელმძღვანელობის მიერ ხელმოსაწერად აწყობენ;
- ბანკის მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფისკენ მიმართული წინადადებების მომზადება (სტრუქტურები, უფლებამოსილებები, რეგლამენტები და ა.შ.);

4) კონტროლზე:

- ბანკის განვითარების სტრატეგიის შესრულების კონტროლი და შეფასება.

მერვე თავი. კომერციული ბანკის რესურსები და მისი კაპიტალური ბაზა

ტერმინები და ძირითადი ცნებები
8.1. კომერციული ბანკის რესურსები: მათი სტრუქტურა და დახასიათება
8.2. ბანკის აქციონერული კაპიტალის არსი
8.3. საქართველოს კომერციული ბანკების კაპიტალი და მისი ხარისხის განსაზღვრის შეფოდიკა
8.4. საბანკო კაპიტალის სახეები
8.5. საბანკო კაპიტალის ფუნქციები
8.6. რამდენი კაპიტალი ესაჭიროება ბანკს?
8.7. ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობის შეფასება
8.8. დამატებითი კაპიტალის მოზიდვის მიმდინარე ტენდენციები
8.9. კომერციული ბანკის მოზიდული სახსრები
მოკლე დასკვნები
ტერმინების და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

ბაზელის შეთანხმება
ბანკის „კაპიტალის საკმარისობა“
ბანკის საკუთარი ბრუტო-კაპიტალი
ბანკის საკუთარი სასესრები
ბანკის საკუთარი კაპიტალი
ბანკის კაპიტალის ფუნქციები
ბანკის აქციები
გადასდისუნარიანობა
დადასტურებული ჩეკების ანგარიშები
დიურაცია
ევროდოლარები
კაპიტალური ნოტები
კონვერტირებადი ობლიგაცია
კონვერსია
კონიუნქტურა
კუკის კოეფიციენტი
NOW (ნაუ) ანგარიშები
ობლიგაცია
პრივილეგირებული აქციები
„რეპო“
რესტრიქცია
საბაზრო რისკი აქციების მიმართ
საბანკო კაპიტალი
საბანკო რესურსები
საკუთარი კაპიტალი
ტრატა
ფასიანი ქაღალდები ბაზარი
შეილობილი კომპანია

8.1. კომერციული ბანკის რესურსები: მათი სტრუქტურა და დახასიათება

კომერციული ბანკები, ისე როგორც სამეურნეო ურთიერთობების ყოველი სუბიექტი, თავიანთი კომერციული და სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფისათვის უნდა ფლობდნენ ფულადი რესურსების გარკვეულ თანხას, ე.ი. რესურსებს. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში რესურსების ფორმირების პრობლემას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ეკონომიკის საბაზრო მოდელზე გადასვლასთან, საბანკო საქმეზე სახელმწიფოს მონოპოლის ლიკვიდაციასთან და ორდონიანი საბანკო სისტემის აგებასთან დაკავშირებით საბანკო რესურსების ხასიათი არსებით ცვლილებებს განიცდის. ეს იმით აიხსნება, რომ, ჯერ ერთი, მნიშვნელოვნად შეიკვეცა საბანკო რესურსების საერთო-სახელმწიფოებრივი ფონდი, მისი ფუნქციონირების სფერო კი საბანკო სისტემის პირველ რგოლში-ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკშია თავმოყრილი. მეორე, საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე საწარმოებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბება დროებით თავისუფალი სახსრების ახალი მესაკუთრეების აღმოცენებას ნიშნავს, რომლებიც დამოუკიდებლად განსაზღვრავენ ფულადი სახსრების შენახვის ადგილსა და ხერხს, რაც ხელს უწყობს ფულად ურთიერთობათა სისტემაში ორგანულად შემავალი საკრედიტო რესურსების ბაზრის შექმნას.

გარდა ამისა, ბანკების საქმიანობის მასშტაბები, რასაც მათი აქტიური ოპერაციების ობიექტი განსაზღვრავს, მათ ხელთ არსებული რესურსების და, განსაკუთრებით, მოზიდული რესურსების მოცულობის ერთობლიობაზეა დამოკიდებული. ეს მდგომარეობა ამწვავებს რესურსების მოზიდვისათვის ბანკებს შორის გამართულ საკონკურენციო ბრძოლას.

საკრედიტო რესურსების ბაზართან ერთად ფუნქციონირებას იწყებს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, სადაც ბანკები გამოდიან საკუთარი ფასიანი ქაღალდების გამყიდველებად ან სახელმწიფო, ან კორპორაციული ფასიანი ქაღალდების მყიდველებად. სადაზღვეო, საფინანსო და სხვა საკრედიტო დაწესებულებების არსებობა აქტიურებს საკრედიტო რესურსების ბაზარზე გამართულ საკონკურენციო ბრძოლას და ამწვავებს ბანკების მიერ დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაციის პრობლემას.

კომერციული ბანკების რესურსები ანუ „საბანკო რესურსები“ საკუთარი და მოზიდული სახსრების ერთობლიობაა, რომელსაც ბანკები ფლობენ და იყენებენ აქტიური ოპერაციების განსახორციელებლად.

საერთოდ, ბანკების რესურსები ყალიბდება ბანკების მიერ პასიური ოპერაციების ჩატარების შედეგად და აისახება ბანკის ბალანსის პასივში. ბანკის რესურსებს ეკუთვნის ბანკების საკუთარი სახსრები, ნასესხები და მოზიდული სახსრები, რომელთა ერთობლიობას იყენებენ ბანკის მიერ აქტიური ოპერაციების ჩასატარებლად, ე.ი. მობილიზებული სახსრების განსათავისებლად შემოსავლის მიღების მიზნით. პასიური და აქტიური ოპერაციები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული: პასივების სტრუქტურა და ხასიათი დიდად განსაზღვრავს ბანკის მიერ აქტიური ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობებს, ამავე დროს, დაკრედიტების სფეროში ბანკის პოლიტიკის ცვლილებას არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია რესურსების ხასიათზე.

ბანკების რესურსების ფორმირების ძირითადი წყარო ბანკის კლიენტების ანაბრებია, მაგრამ სხვაა კაპიტალის მოზიდვისთვის აუცილებელია შესაბამისი საკუთარი კაპიტალის ჩვენება კრედიტორების იმაში დასარწმუნებლად, რომ კრიტიკულ მომენტში მათ შეუძლიათ ამ კაპიტალის იმედი ჰქონდეთ.

კომერციული ბანკის მთელი რესურსები ჩამოყალიბების ხერხის მიხედვით იყოფა საკუთარ და ნასესხებ (მოზიდულ) სახსრებად.

კომერციული ბანკების რესურსების ძირითადი წყაროა მოზიდული სახსრები, რომლებიც

ძირითადი საბანკო რესურსების 70-80%-ის შეადგენს. ბანკების საკუთარი სახსრების წილად 22-დან 30%-მდე მოდის, რაც მოლიანობაში პასუხობს მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში ჩამოყალიბებულ სტრუქტურას. ბანკების საკუთარი სახსრების შემადგენლობაში ძირითადი წილი მოდის სხვადასხვა ფონდებზე. საკუთარი სახსრების მეორე ნაწილია მიმდინარე წლის მოგება.

კომერციული ბანკების მოზიდული სახსრების სტრუქტურისთვის დამახასიათებელია საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე შენახული სახსრების მაღალი ხვედრითი წილი, რომლებიც ითხოვებამდე შენახულ დეპოზიტებს შეადგენს. რესურსების ამ კატეგორიის ხვედრითი წილი 64,3%-ს იკავებს. ვადიანი დეპოზიტების წილად სულ რაღაც 23,5%-ია, მათგან კომერციული სტრუქტურების დეპოზიტზე და მოსახლეობის ანაბრებზე – 5%, ბანკებისა – 18%-ზე ოდნავ მეტი.

საბანკო რესურსების სტრუქტურა ცალკეული კომერციული ბანკების მიხედვით დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. რაც მათი ინდივიდუალური თავისებურებებით აიხსნება.

8.2. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ

საბანკო რესურსების განსაკუთრებულ ფორმას – საკუთარ საშუალებებს (მილიანი კაპიტალი) აქვს ძალიან განსაზღვრული საქართველოში-უფლებრივი საფუძველი, იგი განვითარების ფინანსურ ბაზასაც წარმოადგენს. საკუთარი სახსრები შესაძლებლობას იძლევა, ერთი მხრივ, შეანარჩუნოს და კრედიტორთა კომპენსაციური გადახდები განხორციელდეს ბანკის ზარალიანობისა და გაკოტრების შემთხვევაში და, მეორე მხრივ, დასახული ამოცანებიდან გამომდინარე ხელი შეუწყოს ბანკების მიერ განსახორციელებელი ოპერაციების უზრუნველყოფას.

ბანკების საკუთარი (მთლიანი) კაპიტალის შემადგენლობაში გაერთიანებულ: საწესდებო, სარეზერვო და სხვა სპეციალურ ფონდებს, ასევე წლის განმავლობაში გაუნაწილებელ მოგებას. ბანკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, საწესდებო კაპიტალი ყალიბდება მის წილობრივ ფასიკურ და იურიდიულ პირთა შენატანებისაგან და ემსახურება მათი ვალდებულებების უზრუნველყოფას. რაც შეეხება სარეზერვო ფონდს, იგი გამოიყენება ბანკის მიერ განხორციელებული ოპერაციების დროს შესაძლებელი ზარალის პირობებში. მისი სიდიდე საწესდებო ფონდთან პროცენტული თანაფარდობით განისაზღვრება, ხოლო ფორმირების წყაროდ მოგებიდან ანარიცხები გვევლინება.

ბანკის საკუთარი სახსრების სტრუქტურა არაერთგვაროვანია თავისებური შედგენილობის მიხედვით და იგი იცვლება წლის განმავლობაში. საკუთარი სახსრების სიდიდეზე გაელენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: აქტივების ხარისხი, საკუთარი მოვების გამოყენების მიმართულებები, ბანკის კაპიტალური ბაზის მდგრადობის უზრუნველსაყოფად გატარებული პოლიტიკა.

სანიმუშოდ მოყვანილი მონაცემები (ცხ. 8.1) გვიჩვენებს, რომ ბანკის საკუთარი სახსრები შედგება სხვადასხვა ფონდებისგან, რომლებსაც თავიანთი მიზნობრივი დანიშნულება და ფორმირების საკუთარი წყაროები აქვთ.

საბანკო საქმის ორგანიზაციის საწყისი წერტილი ბანკის საწესდებო კაპიტალია. საწესდებო კაპიტალის ჩამოყალიბება სხვადასხვაგვარად ხდება და ეს ბანკის ორგანიზაციის ფორმაზეა დამოკიდებული. თუ ბანკი იქმნება როგორც სააქციო საზოგადოება, მაშინ საწესდებო ფონდი ყალიბდება აქციების ნომინალური ღირებულების თანხით. მათ აერცელებენ ან პირველ სელშოწერის გზით (ღია სააქციო საზოგადოებად ბანკის ჩამოყალიბების შემთხვევაში), ან ყველა აქციის გაერცელებით დამფუძნებლებს შორის. საწესდებო ფონდში მათი წილის ზომის შესაბამისად (დახურული სააქციო საზოგადოების შექმნის შემთხვევაში).

თუ ბანკი შექმნილია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მაშინ მას აქვს წილებად დაყოფილი საწესდებო ფონდი, რომლის ზომასაც სადამფუძნებლო დოკუმენტები გან-

ცხრილი 8.1.

ბანკის საკუთარი სახსრების შედგენილობა

მაჩვენებლები	2001 წ. იენისისთვის	2001 წ. ივლისისთვის	ცვლილების ტემპები
1. საწესდებო კაპიტალი	22,8	23,6	100,0
2. დამატებული კაპიტალი	2,1	1,3	
ქონების ღირებულების ზრდა გადაფასების დროს	0,9	0,1	16,1
საემისიო შემოსავალი	1,2	1,2	100,0
უსასყიდლოდ გაცემული ქონების ღირებულება		-	
3.ბანკის ფონდები	51,0	70,0	137,3
სარეზერვო კაპიტალი	5,7	7,7	130,7
სპეციალური დანიშნულების ფონდები			
დაგროვების ფონდები	30,1	30,9	100,0
	15,2	28,5	175,0
სხვა ფონდები		2,7	
სულ (სტრ.1+სტრ.2+სტრ.3)	75,9	94,9	120,9
მოგება	16,9	(6,2)	
ძირითადი სახსრების ამორტიზაცია			
რეზერვები	1,3	1,7	100,8
		0,2	
კრედიტის დანაკარგებზე	34	6,9	197,4
ფასიანი ქაღალდების გაუფასურება	2,5	2,5	96,2
სულ	100,0	100,0	96,7

საზღვრეს. ამასთან, ბანკის მონაწილეები მის ვალდებულებებზე პასუხს თავიანთი წილის ფარგლებში აგებენ.

კომერციული ბანკის არც ერთ აქციონერს ან ერთობლივად მოქმედ აქციონერთა ჯგუფს არ აქვს უფლება ფლობდეს და განკარგავდეს წილის იმ ოდენობას, რომელიც აღემატება კომერციული ბანკის განცხადებული თუ განაღდებული საწესდებო კაპიტალის 25 პროცენტს. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაუშვას გამონაკლისი ამ წესიდან მხოლოდ წილის ისეთი მფლობელისათვის, რომელსაც აქვს საბანკო საქმიანობის ლიცენზია და თავად წარმოადგენს ბანკს.

კომერციული ბანკი უფლებამოსილია:

ა) ფლობდეს იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის წილის არა უმეტეს 20 პროცენტს, თუ ბანკის წილი არ აღემატება თვით ამ ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს;

ბ) შეუზღუდავი ოდენობით ფლობდეს წილს გარკვეულ საქმიანობაში, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ საბანკო საქმიანობასთან. საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობითი ნებარ-

თვის გარეშე ეს წილი არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვით შექმნას და შეიძინოს შვილობილი საწარმოები, რომლებიც ეწევიან სხვა სახის საქმიანობას. ნებართვაში თითოეული შვილობილი საწარმოს მიხედვით დათქმული უნდა იყოს საქმიანობის სახეობა, რომლის შესრულებაც მას შეუძლია. ამ შემთხვევაში შვილობილი საწარმოების საქმიანობა შეზღუდულია ნებართვაში დაშვებული საქმიანობის სახეობით;

დ) შიძლოს წილი მის მიერ გაცემული კრედიტის თანხის ასანაზღაურებლად. ასეთ შემთხვევაში, თუ დარღვეულ იქნა ამ მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტის მოთხოვნები, იგი ვალდებულია გაასვისოს ნაშეტი წილი ამ უფლების შეძენიდან არა უგვიანეს 6 თვისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეროვნულ ბანკს შეუძლია გააგრძელოს აღნიშნული ვადა;

ე) შექმნას ან შეიძინოს შვილობილი საწარმოები — საბროკერო კომპანიები, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საბროკერო კომპანიის საქმიანობაში და ფლობდეს მასში წილს შეუზღუდავი ოდენობით, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე ეს წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს. წილის ერთობლივი ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს კომერციული ბანკის სააქციო კაპიტალის 50 პროცენტს.

კომერციული ბანკის აქციების 5 პროცენტზე მეტი წილის შეძენის, ან ასეთი წილის შესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში, ამ ოდენობის წილის მფლობელი პირი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 15 დღისა, წერილობით აცნობოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას და საქართველოს ეროვნულ ბანკს, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში კომერციული ბანკის აქციების 5 პროცენტის ან მეტი წილის მფლობელი პირი კარგავს ხმის უფლებას კომერციული ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე.

ბანკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად მისი საწესდებო ფონდი მთლიანად მისიენ მონაწილეების — იურიდიული და ფიზიკური პირების ანაბრების ხარჯზე ფალიბდება და მათი ვალდებულებების უზრუნველყოფას ემსახურება. იგი მხოლოდ ბანკის მონაწილეების საკუთარი სახსრების ხარჯზე შეიძლება შეიქმნას. საწესდებო ფონდის შექმნა მოზიდული სახსრების ხარჯზე ნებადართული არაა. ბანკის შექმნის დროს საწესდებო ფონდი მხოლოდ ფულადი სახსრების და მატერიალური აქტივების ხარჯზე შეიძლება ჩამოყალიბდეს.

ბანკის საწესდებო ფონდის გადიდებაც მისი ორგანიზაციის ფორმის შესაბამისად ხდება. სააქციო საზოგადოებებად შექმნილ კომერციულ ბანკებს საწესდებო კაპიტალის გასადიდებლად შეუძლიათ გამოუშვან დამატებითი რაოდენობის აქციები და იურიდიულ პირებსა და მოსახლეობას შორის გაავრცელონ ისინი. დამატებითი სახსრების მოსაზიდად ასეთ ბანკებს მინიჭებული აქვთ თავიანთი საკალო ვალდებულებების — ობლიგაციების გამოშვების უფლება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ტიპად ორგანიზებულ ბანკებს თავიანთი საწესდებო კაპიტალის ზომის გადიდება შეუძლიათ ან დამატებითი მონაწილეების მოზიდვით, რომლებსაც თავთავიანთი წილი შემოაქვთ საწესდებო ფონდში, ან ბანკის თითოეული თავდაპირველი მონაწილის წილის გადიდებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს პერიოდულად განუსაზღვრავს რეზერვებს, გაანალდებული საწესდებო კაპიტალის და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას და მათი შექმნის წესებს. კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ საწესდებო კაპიტალის შევსება არაფულადი ფორმით.

არც ერთ კომერციულ ბანკს არა აქვს უფლება შეამციროს თავისი საწესდებო კაპიტალი აქციების უკუგამოსყიდვით ან შეამციროს საზედამხედველო კაპიტალის რეზერვების გამოყენებით საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობისა და საწესდებო კაპიტალის ცვლილებების შესახებ წესებში სათანადო შესწორებების შეუტანლად.

საზღვარგარეთ ახლად რეგისტრირებული კომერციული ბანკების საწესდებო ფონდის მინიმალური ზომა 1998 წ. 1 ივლისისთვის დადგენილია 5 მლნ. ეკიუს ოდენობით. იმ ახლადშექმნილი საკრედიტო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც შეზღუდული წრის ოპერაციებს ასრულებენ, საწესდებო ფონდის მინიმალური ზომა 1,250 მლნ. ეკიუს შეადგენს. გამოცხადებული საწესდებო ფონდის გადახდა მთლიანად უნდა მოხდეს სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

ბანკის ყოველი მონაწილე (აქციონერი) საწესდებო ფონდში მისი წვლილის პროპორციულად ყოველწლიურად იღებს ბანკის მოგების ნაწილს დივიდენდების სახით. დივიდენდების ზომას, მათი დარიცხვის წესს და რიგითობას განსაზღვრავს აქციების სახეობა და მათი გამოშვების პირობები (ჩვეულებრივია ეს აქციები თუ პრივილეგირებული, ხდება თუ არა მათი შემოსავლის ღონის კორექტირება მოგების დონეზე დამოკიდებულებით და ა.შ.).

თუ ბანკის განკარგულებაში შემოსული მოგება საკმარისი არაა, მაშინ პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების დარიცხვა სარეზერვო ფონდის ხარჯზე ხდება. იმ აქციონერებს, რომელთა ანგარიშსწორების ანგარიშებიც ამავე ბანკშია გახსნილი, დივიდენდების დარიცხვის დროს ფულად სახსრებს შესაძლოა უშუალოდ ამ ანგარიშებზე ურიცხავდნენ.

საბანკო პრაქტიკაში ერთმანეთისგან განასხვავებენ საკუთარ ნეტო- და ბრუტო-კაპიტალებს. საკუთარი ბრუტო-კაპიტალი ბანკის ყველა ფონდის და ბალანსის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების ჯამია. საკუთარი ნეტო-კაპიტალი მიიღება ბრუტო-კაპიტალისგან, რომელსაც აკლდება საკუთარ წყაროებზე გაწეული კაპიტალური ხასიათის ხარჯები, დაშვებული და პერსპექტიული ზარალი, გამოსყიდული საკუთარი აქციები და 30 დღეზე მეტი ხანგრძლივობის მქონე დებიტორული დავალიანება. ამგვარად, ნეტო-კაპიტალი ახასიათებს ბანკის ფაქტობრივად არსებულ საკუთარი სახსრების სიდიდეს.

ყველა კომერციული ბანკი დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარი სახსრების სიდიდეს, რაც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

ჯერ ერთი, ცენტრალური ბანკის შესახებ კანონის შესაბამისად, საკუთარი სახსრების სიდიდეს განსაზღვრავს ბანკის აქტიური ოპერაციების ზღვრული სიდიდე. ამიტომ გარკვეული წრის კლიენტებზე ორიენტირებულ ბანკებს (დარგობრივი ბანკები, დარგათაშორისი გაერთიანებების ბანკები, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ბანკები) ისეთი ოდენობის საკუთარი სახსრები უნდა ჰქონდეთ, რომ დაწესებული ნორმატივების დარღვევის გარეშე შეეძლოთ ნასესხებ სახსრებზე თავიანთი მუდმივი კლიენტების ყველა დასაბუთებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მეორე, ბანკისათვის აუცილებელი საკუთარი სახსრების ზომა მისი კლიენტების სპეციფიკაციაზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუ კლიენტებს შორის მსხვილი, კრედიტტუვადი საწარმოები ჭარბობს, მაშინ უფრო მეტი ოდენობის საკუთარი სახსრებია საჭირო, რადგან ამ შემთხვევაში დიდია ერთ მსესხებელზე მოსალოდნელი საბანკო რისკი.

მესამე, კომერციული ბანკების საკუთარი სახსრები მათი აქტიური ოპერაციების ხასიათზეა დამოკიდებული. უფრო მეტად დიდი რისკის მქონე ოპერაციებზე ორიენტაცია ბანკებისგან მოითხოვს საკუთარი სახსრების შედარებით უფრო მეტი რაოდენობის ქონას. ეს, კერძოდ, ინოვაციურ ბანკებსაც ეხება. ამის საპირისპიროდ, თუ ბანკის საკრედიტო პორტფელში მინიმალური რისკის მქონე სესხები ჭარბობს, მაშინ მას საკუთარი სახსრების ერთგვარად შემცირება შეუძლია.

აქტიური ოპერაციების ხასიათზე დამოკიდებულებითაა საკუთარი კაპიტალის მოცულობის განსაზღვრისთვის ბანკებს ერთგვარ ორიენტირს აძლევს ცენტრალური ბანკების მიერ დაწესებული ნორმატივები ბანკის კაპიტალსა და რისკის დონით განსხვავებულ მის აქტივებს შორის.

საკუთარი სახსრების მოცულობის საკითხის გადაწყვეტის დროს ბანკები ითვალისწინებენ იმას, რომ ეს სახსრები თავისთავად არ განსაზღვრავენ მიღებული მოგების ზომას. ისინი მხოლოდ იმის შესაძლებლობას აძლევენ ბანკებს, რომ მათ შეირჩიონ ამა თუ ინ სახეობის

ოპერაციები, ორიენტაცია აილონ კლიენტთა გარკვეული წრის მომსახურებაზე და ა.შ.

მეოთხე, ბანკისთვის აუცილებელი საკუთარი სახსრების ზომა დამოკიდებულია საკრედიტო რესურსების ბაზრის განვითარებაზე და ცენტრალური ბანკის მიერ გატარებულ საკრედიტო პოლიტიკაზე. განვითარებული ბაზრის დროს ცენტრალური ბანკის პოლიტიკის ლიბერალიზაცია უადვილებს კომერციულ ბანკს საკრედიტო რესურსების მოპოვებას და აკლირებს მისთვის აუცილებელი საკუთარი სახსრების ღირებულ. არასაკმარისად განვითარებული საფინანსო ბაზარი და მკაცრი საკრედიტო პოლიტიკა საკუთარი სახსრების მუდმივად მატების აუცილებლობას განაპირობებს.

საკუთარი სახსრების ზომის გასადიდებლად ბანკი ორ მეთოდს იყენებს: მოგების დაგროვებას ან გამოშვებული აქციების რაოდენობის (ბანკის მეპაიეების რაოდენობის) გაზრდას. მოგების დაგროვება მიმდინარეობს ბანკის სარეზერვო და სხვა ფონდების დამყარებულად შექმნის ფორმით და შემდგომში მათი კაპიტალიზაციით. წლის დამთავრების შემდეგ შესაძლებელია მოგების ნაწილის პირდაპირ კაპიტალიზაციაც. ეს მეთოდი ყველაზე უფრო იაფია და არ მოითხოვს აქციების განაკვესებასთან ან ახალი მეპაიეების მოზიდვასთან დაკავშირებულ დამატებით დანახარჯებს. მაგრამ მოგების დაგროვება მოასწავებს მიმდინარე წელს აქციონერებისათვის მისაცემი დივიდენდების შემცირებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბაზარზე ბანკის მიერ მოპოვებული პოზიციების შერყევა.

კომერციული ბანკები უფრო მეტად მიმდინარე დივიდენდების პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას, ვიდრე მოგების ზრდის გრძელვადიან პერსპექტივაზე. ამიტომ საკუთარი სახსრების მოცულობის გადიდებას ისინი ამჯობინებენ ახალი აქციების გამოშვების ან ახალი მეპაიეების მოზიდვის ხარჯზე.

საწესდებო კაპიტალი ქმნის ბანკის არსებობის ეკონომიკურ საფუძველს და მისი იურიდიული პირის სამოყალიების აუცილებელი პირობაა. მისი სიდიდე რეგლამენტირებულია ცენტრალური ბანკების საკანონმდებლო აქტებით. უფრო მეტიც, იგი ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შეთანხმების საგანია, რომლის რეგლამენტითაც ამ ფონდის მინიმალური სიდიდე 1989 წ. 5 მლნ. ეკიუს შეადგენდა.

სარეზერვო კაპიტალი წმინდა მოგებისგან (დაბეგვრის შემდეგ) იქმნება საწესდებო კაპიტალის გადახდილი თანხის არანაკლებ 15%-ის ოდენობით. იგი განკუთვნილია ბანკის საქმიანობაში გაუთვალისწინებელი დანაკარგების დასაფარავად და მისი ფუნქციონირების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ამ ფონდს სავალდებულო წესით ქმნის ყველა ბანკი „სააქციო საზოგადოებისა“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ კანონების შესაბამისად.

ფონდების მეორე ჯგუფი ყალიბდება როგორც ბანკის განკარგულებაში დარჩენილი წმინდა მოგების განაწილების შედეგი (სპეციალური დანიშნულების ფონდები) და ასახავს წმინდა მოგების გამოყენებას გარკვეული მიზნებისათვის (დაგროვების ფონდები).

ფონდების მესამე ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც საერთო სახელწოდებაა „დამატებული კაპიტალი“, შედის:

აქციების მფლობელზე ამ აქციების ნომინალურ ღირებულებაზე უფრო ძვირად მიყიდვიდან მიღებული სახსრები, „საემისიო შემოსავალი“. ეს სახსრები ადიდებს ბანკის თავდაპრველ ღირებულებას და მის სტაბილურ ნაწილს;

წონების ღირებულების ის ნაზრდი, რომელიც ყალიბდება ძირითადი ფონდების გადაფასების შედეგად. ამ ფონდის არსებობა და მისი სიდიდე ქვეყანაში ინფლაციის დონის ასახვად გვევლინება და არ წარმოადგენს ბანკის საქმიანობის ხარისხობრივ მაჩვენებელს. თავისი ეკონომიკური არსით და სახსრების გამოყენების ხასიათით ეს ფონდი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ფიქსირებული აქტივების (ძირითადი კაპიტალის) გაუფასურების შემთხვევისთვის შექმნილი რეზერვი;

- უხასყიდლოდ მიღებული ქონების ღირებულება. ამ ფონდის სახსრების მოცულობა გვიჩვენებს ბანკის მატერიალური აქტივების ზრდის წყაროს, გამოყენების წესები კი (შესაძლო ზარალის

დასაფარავად) საშუალების გვაძლევს სარეზერვო ფონდების ჯგუფს მივაკუთვნოთ იგი.

ფონდების მეოთხე ჯგუფს ქმნიან ცალკეული საბანკო ოპერაციების მიხედვით გაჩენილი რისკების დაფარვის და ამ გზით ბანკების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით. ასე, რომ ზარალის დაფარვა დაგროვილი რეზერვების ხარჯზე ხდება. მათ ეკუთვნით სესხების, ფასიანი ქაღალდების და ბანკის სხვა აქტივებისგან მიღებული დანაკარგების შემთხვევისათვის შექმნილი რეზერვები. მათი სიღიდე მიუთითებს, ერთი მხრივ, ბანკის აქტივების თავისებურ სტრუქტურაზე; მეორე მხრივ კი – ბანკის სიმტკიცის მარაგზე, განსაკუთრებით, წმინდა მოგებიდან შექმნილი სარეზერვო ფონდების ნაწილში (მაგალითად, პირველი ჯგუფის სესხების მიხედვით შესაძლო დანაკარგებისათვის შექმნილი რეზერვები). მეორე, ნაწილობრივ მესამე და მეოთხე ჯგუფის ფონდების სახსრები ძალიან მოძრავია მათი მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად, რაც გვანაც მათ იყენებენ ბანკების საკუთარი ტექნიკური ბაზის განვითარებასთან დაკავშირებული მიმდინარე ხარჯების ან კაპიტალური დაბანდებების უზრუნველსაყოფად (მაგალითად, პრემიების გაცემა, მოწყობილობის შეძენა, დაწესებული ლიმიტის ზევით განხორციელებული დანახარჯების დაფარვა, საქველმოქმედო დახმარების გაწევა და ა.შ.). ამგვარად, ამ ფონდების სახსრების გამოყენება ბანკის ქონების კლებას უკავშირდება. ამიტომ არ შეიძლება ასეთი ან მისი ანალოგიური ფონდების სახსრების ბანკში დატოვება და სხვა მიზნებისთვის მათი გამოყენება, ე.ი. მათი მიჩნევა ბანკის კაპიტალად.

8.3. საქართველოს კომერციული ბანკების კაპიტალი და მისი ხარისხის განსაზღვრის ეტაპები

საერთოდ ბანკის კაპიტალი წარმოადგენს საბანკო საქმიანობის განხორციელების და მისი სტაბილური ზრდის, ბანკის საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად ბაზას. ბანკის კაპიტალის მიზანია უზრუნველყოს საბანკო საქმიანობის წარმოება, გააძლიეროს ბანკის ოპერაციების გაფართოების შესაძლებლობები, როგორც მიმდინარე ეტაპზე, ისე მომავალში. ამასთან, იგი უნდა იძლეოდეს მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების და ზარალის განეიტრალების საშუალებას.

ბანკის კაპიტალის დანიშნულებაა უზრუნველყოს მეანაბრეთა და კრედიტორთა ინტერესების მაქსიმალური დაცვა და საბანკო სისტემაში შესაძლო ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანა. რაიმე ბანკის გაკოტრების შედეგებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური პროცესები არ გავრცელდეს სხვა ბანკებზე, არ მიიღოს სისტემური ხასიათი და თავიდან იქნას აცილებული საბანკო სისტემის კრიზისი. ძალზე ღნიშვნელოვანია, რომ ბანკის კაპიტალის მოცულობა იყოს დამაკმაყოფილებელი განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა იგი განიცდის ცუდი ეკონომიკური პირობებიას და/ან არაკომპეტენტური მენეჯმენტით გამოწვეულ სიძნელეებს.

კაპიტალის სიდიდე განსაზღვრავს ბანკის გადახდისუნარიანობას. ამიტომ ბანკმა აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი და თავი აარიდოს ისეთ საბანკო ოპერაციებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კაპიტალის შემცირება და, შესაბამისად, უარყოფითი (ნეგატიური) კაპიტალის ან გადახდისუნარობის წარმოქმნის შესაძლებლობა. გადახდისუნარიანი ბანკი ზრდის მოსახლეობის ნდობას ბანკისა და საბანკო სისტემისადმი. ასეთი ბანკი არწმუნებს კლიენტებს იმაში, რომ მას შეუძლია გაანაღდოს თავისი ვალდებულებები და უზრუნველყოს საბანკო მომსახურება. მაშინ, როდესაც გადახდისუუნარო ბანკები ახდენენ საბანკო ინდუსტრიის დესტაბილიზაციას და ძირს უთხრიან მოსახლეობის ნდობას და რწმენას საბანკო სისტემისადმი.

საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების თანახმად კაპიტალი მოიცავს: ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების ნომინალურ და ნომინალზედა ღირებულებას, გაუნაწილებელ მოგებას, კაპიტალის რეზერვების ანგარიშებს და გადაფასების ან-

გარიშების (პიპერინფლაციის პირობებში). წინდა საბუღალტრო თვალსაზრისით, კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის.

საბანკო რეგულირების ორგანოების მიერ შეუშავებული სტანდარტების მიხედვით გამოანგარიშებული კაპიტალის მოცულობა გამოიყენება ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმებისას და იმ საბალანსო ანგარიშების დადგენისათვის, რომლებიც წარმოადგენენ არსებული რისკის განეიტრალებისა და საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის აუცილებელი რესურსების წყაროს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საბანკო რეგულირების მიზნებისათვის შეიმუშავა კაპიტალის განსაზღვრა, რომელშიც გამოყენებულია კაპიტალის საბალანსო ანგარიშები. ამასთან კაპიტალის ანგარიშები ნაწილდება ორ ჯგუფად: პირველადი და მეორადი კაპიტალის ანგარიშებად. ანგარიშების ასეთი დაჯგუფება იძლევა საშუალებას, გაანალიზდეს და შეფასდეს ის რესურსები, რომლებიც გამოიყენება არსებული და მომავალი საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის.

ეროვნული ბანკის მიერ პირველადი და მეორადი კაპიტალის განსაზღვის სქემა ასეთია:

პირველადი კაპიტალი:

- სვეულებრივი აქციების რეალიზაციიდან მიღებული კაპიტალი
- აქციების ნომინალურ ღირებულებაზე ზევით გადახდილი თანხები
- გაუნაწილებელი მოგება

  მინუს მატერიალური აქტივების გადაფასება ასახული საწესდებო კაპიტალის ანგარიშზე

  მინუს გამოსყიდული აქციები

  მინუს არამატერიალური აქტივები
- მილიანი პირველადი კაპიტალი

მეორადი კაპიტალი (არ უნდა აღემატებოდეს პირველადი კაპიტალის 50%-ს):

- პრიორიტეტირებული აქციების რეალიზაციიდან მიღებული კაპიტალი
- კაპიტალის რეზერვები
- საომედო სესხების დანაკარგების რეზერვი
- სუბორდინირებული სესხი (არაუმეტეს პირველადი კაპიტალის 25 %)
- მილიანი მეორადი კაპიტალი

მილიანი კაპიტალი დაქვითვამდე

მინუს ინვესტიციები რეზიდენტი ბანკების საწესდებო კაპიტალში

მინუს არაკონსოლიდირებული ინვესტიციები შვილობილი ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალში.

წმილიანი კაპიტალი:

კაპიტალის განსაზღვრა, კაპიტალის პოლიტიკის შეფასება, დივიდენდების პოლიტიკის შეფასება. კაპიტალის ანგარიშების განსაზღვრა, მისი ანგარიშების სისწორის განსაზღვრა, ადეკვატურობის შეფასება, კომერციული ბანკებისათვის დადგენილი წესებისა და კანონების დაცვის შეფასება და ა.შ., საჭიროა კაპიტალის რეიტინგის განსაზღვრისათვის.

მოკლედ დავახასიათოთ თითოეული ეს ნიშანი.

კაპიტალის პოლიტიკა უნდა იყოს სრული და გვიჩვენებდეს ბანკის მიზნებს. ითვალისწინებდეს კაპიტალის მოცულობის რეალურ ზედა და ქვედა ზღვრებს. იგი არ უნდა მოდიოდეს კონფლიქტში ბანკისათვის სავალდებულო სხვა დოკუმენტებთან. ბანკის კაპიტალის პოლიტიკის მიზანია. უზრუნველყოს ბანკის მენეჯმენტი აუცილებელი რეკომენდაციებით და უწევნოს მას მოქმედების მიმართულება კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველყოფის საკითხში. კაპიტალის პოლიტიკა უნდა აკმაყოფილებდეს თაყის დანიშნულებას, როგორც კაპიტალის მართვის ინსტრუმენტი.

კაპიტალის პოლიტიკას საყოველთაოდ მიღებული საბანკო პრაქტიკის თანახმად, შეიმუშავებს ბანკის მენეჯმენტი. იგი რეგულარულად იხილება და მტკიცდება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. კაპიტალის პოლიტიკა არის დოკუმენტი, რომელიც წარმოაჩენს ბანკის

სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის ფილოსოფიას და მიზნებს ბანკის კაპიტალთან მიმართებაში; აქვე განისაზღვრება კაპიტალის მაქსიმალური და მინიმალური დონეები; კეთდება შესაძლო გზებისა და ალტერნატიული რესურსების წყაროების ჩამონათვალი იმ შემთხვევისათვის, თუ კაპიტალის დონე დაიწევს დადგენილ ზღვარზე დაბლა და/ან შეიქმნება რაიმე ფინანსური სიძნელეები; დგინდება კაპიტალის მოცულობის სასურველი ზრდის ტემპი და გაუნაწილებელი წმინდა მოგების ოდენობა.

დივიდენდების პოლიტიკის შეფასება. ნორმალური საბანკო პრაქტიკა მოითხოვს, რომ ბანკის მენეჯმენტმა შეიმუშაოს დივიდენდების ისეთი პოლიტიკა, რომელიც რეგულარულად გადამოწმდება და დამტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. საერთოდ, მოგება, რომელიც წარმოდგენს ბანკის კაპიტალის გაზრდის ძირითად საშუალებას, გაედინება ბანკიდან დივიდენდების გამოცსადების ან გადახდის შემთხვევაში. დივიდენდების პოლიტიკამ ცხადად უნდა უჩვენოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერებს, თუ როგორ პირობებშია მისაღები დივიდენდების გადახდა. საჭიროა შეფასდეს დივიდენდების პოლიტიკის ადეკვატურობა, კერძოდ: დივიდენდების პოლიტიკაში ნათლად უნდა იყოს გამოხატული დივიდენდის გადახდისა და/ან გამოცსადების მიზნები; დეტალიზებული დივიდენდების მაქსიმალური და მინიმალური ოდენობა; გათვალისწინებული უნდა იყოს, პოლიტიკიდან გადახვევის შემთხვევისათვის, სპეციალური პროცედურები და თანხმობის მიღება.

კაპიტალის ანგარიშების სისწორე. მიუხედავად იმისა, რომ ბანკის ანგარიშები მოწმდება სანდო და სოლიდური რეპუტაციის მქონე აუდიტორული ფირმის მიერ, აქ ყურადღება ექცევა მენეჯმენტის მიერ მოწოდებული რიცხვითი მონაცემების სისწორეს.

მზადდება სწორი ინფორმაცია ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რაც შემდგომ გამოიყენება კაპიტალის კოეფიციენტის გაანგარიშებისას, აგრეთვე, კეთდება დიაგრამა, რომელიც გამოხატავს აქციონერთა კაპიტალის ზრდას. კაპიტალის რიცხვითი მონაცემები დროის ყოველი პერიოდისათვის უდარდება ბანკის ბალანსს.

კაპიტალის ადეკვატურობის შეფასება. კაპიტალის ადეკვატურობა განისაზღვრება კაპიტალის დონისა და ბანკის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით; გარდა ამისა, ითვალისწინებენ პრობლემური და უზარისხო აქტივებისა და ბალანსგარეშე საქმიანობის ბუნებას, სიდიდესა და მიმართულებას; ბანკის ბალანსის შემადგენლობას; ბანკის არსებულ და დაგეგმილ ზრდას და ბანკის მენეჯმენტის სისწორეს. აქვე საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს: ბანკის წმინდა შეძოსავლის სიდიდე ანუ ბანკის უნარი მიიღოს და შეინარჩუნოს საკმარისი მოცულობის წმინდა მოგება, დივიდენდების გაცემის გონივრულობა; მენეჯმენტის უნარი, დამკვიდრდეს ფინანსურ ბაზარზე და მოიპოვოს ფინანსური დახმარების სხვა წყაროები; მენეჯმენტის სტრატეგია კაპიტალის შენარჩუნების ან ზრდის საკითხებში; მხედველობაში მიიღება, აგრეთვე, ბანკის ადგილმდებარეობა და არსებული კონკურენცია.

კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებისას გამოითვლება კაპიტალის და აქტივების ზრდის ტემპი, განიხილება ნებისმიერი პროცენტული თანაფარდობა, როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთმანეთთან ურთიერთკავშირში. ე.ი. იზრდება თუ არა კაპიტალი აქტივებთან შედარებით. ზრდის ტემპი გამოითვლება შემდეგი წესით: მთლიან მონაცემებს მიმდინარე კვარტლის ბოლოსათვის გამოაკლდება წინა წლის იმავე კვარტლის მთლიანი მონაცემები და გაიყოფა სხვაობაზე წინა წლის იმავე კვარტლის მონაცემებზე.

$$((X_1-X_2)/X_2)X100,$$

სადაც X_1 წარმოადგენს 200X წლის მიმდინარე კვარტლის მონაცემებს, X_2 კი – 200X-1 წლის იმავე კვარტლის მონაცემებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონისა და წესების

დაცვას, ამისათვის ბანკში გამოითვლება კაპიტალის მარეგულირებელი შემდეგი კოეფიციენტები: (კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 1999, გვ.9.)

ა) პირველადი კაპიტალი შეფარდებული რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან X 100 ≥ 12%;

ბ) მთლიანი კაპიტალი შეფარდებული რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან X100≥15%.

ბანკი აუცილებლად უნდა იცავდეს საწესდებო კაპიტალის მიმართ სავალდებულო მოცულობის შეზღუდვის გრაფიკს:

1998 წლის 31 დეკემბერი	1 000 000 ლარი
1999 წლის 30 ივნისი	2 000 000 ლარი
1999 წლის 31 დეკემბერი	3 000 000 ლარი
2000 წლის 30 ივნისი	4 000 000 ლარი
2000 წლის 31 დეკემბერი	5 000 000 ლარი

მას შემდეგ, რაც ბანკში მოხდება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ანალიზი, დადგინდება საერთო რეიტინგი ბანკის კაპიტალისათვის (კომერციულ ბანკებში წარმოებს აგრეთვე, საკრედიტო პორტფელის ხარისხის დადგენაც, რომლის შესახებ საკრედიტო ოპერაციების განხილვის დროს შეიმოგთავაზებთ).

საინტერესოა მოვიყვანოთ კაპიტალის რეიტინგის ცხრილი და განსაზღვრის წესები:

ა) თუ დადგენილია, რომ ბანკის კაპიტალის რეიტინგია 1, ეს ნიშნავს, რომ ბანკის კაპიტალის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია;

ბ) თუ ბანკის რეიტინგია 2, ეს მიუთითებს , რომ მიუხედავად ბანკის კაპიტალის საერთო დამაკმაყოფილებელი მდგომარეობისა, არსებობს შეშფოთების გარკვეული მიზეზები, რომელთა შესახებ ეცნობება ბანკის მენეჯმენტს;

გ) თუ ბანკის კაპიტალს მიენიჭა რეიტინგი 3, ეს უკვე ნიშნავს, რომ ბანკის კაპიტლის საერთო მდგომარეობა ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, არსებობს კაპიტალთან დაკავშირებული შეშფოთების მიზეზები, რომელთა შესახებ, ასევე შეტყობინება გადაეცემა ბანკის მენეჯმენტს;

დ) თუ ბანკის რეიტინგი განისაზღვრა როგორც 4, ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკის კაპიტალის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კაპიტალის დონე არ არის ადეკვატური ბანკის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობისა და მიმდინარე ფინანსური ოპერაციების უზრუნველსაყოფად. ბანკის მენეჯმენტს ამ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოეთხოვება გამოსასწორებელი ზომების მიღება;

ე) თუ ბანკის კაპიტალის რეიტინგი განისაზღვრა როგორც 5, ეს ნიშნავს, რომ კაპიტალის საერთო მდგომარეობა კრიტიკულია.

8.4. საბანკო კაპიტალის სახეები

ცხრილი 8.2.

კაპიტალის მთლიანი რეიტინგი		
რეიტინგი	პირველადი კაპიტალი/ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	მთლიანი კაპიტალი/ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები
დამაკმაყოფილებელი \1	>15%	>18%
ადეკვატური \2	12% – 15%	15% – 18%
ნაკლებადადეკვატური \3	10% – 12%	12% – 15%
არაადეკვატური \4	7% – 10%	9% – 12%
კრიტიკული \5	<7%	<9%

არსებობს რამდენიმე სახის საბანკო კაპიტალი:

1. ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი. მისი ღირებულება იზომება ბანკის მიერ გამოშვებული იმ ჩვეულებრივი აქციების ნომინალური ღირებულებით, რომელთა შემოსავალი ცვალებადია და დამოკიდებულია ბანკის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებაზე დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებით.

2. პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი. იგი იზომება იმ ნებისმიერი გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულებით, რომლებზეც არსებობს შემოსავლის ფიქსირებული განაკვეთის (დივიდენდის განაკვეთის) გაცემის დაპირება; პრივილეგირებული აქციები შეიძლება იყოს როგორც უვადო, ისე დაფარვის შეზღუდული ვადის მქონე.

3. ნამატი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას აქციონერის მიერ ყოველ აქციაში გადახდილ ფასსა და აქციის ნომინალურ ღირებულებას შორის.

4. გაუნაწილებელი მოგება. იგი ის წმინდა მოგებაა, რომელიც ბანკმა დაიტოვა საინვესტიციო მიზნებით და არ გასცა დივიდენდებად.

5. რეზერვები. ეს ის სახსრებია, რომლებსაც ბანკი იტოვებს ისეთი გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის, როგორიცაა სასამართლო წესით ამოღებული სახსრების გადახდა; აგრეთვე, ჯერ კიდევ გამოუცხადებელი დივიდენდების გასასტუმრებლად გამოყენებული რეზერვები; მიმოქცევიდან აქციების ამოსაღებად (მომავალში) ან ვალდებულებათა დასაფარავად გამოყენებული სახსრები.

6. სუბორდინირებული ვალდებულებები. ესაა იმ საგარეო ინვესტორების მიერ დაბანდებული გრძელვადიანი სასესხო კაპიტალი, რომელთა წინაშე ბანკის ვალდებულებები მნიშვნელობის მხრივ მეორე ადგილზეა მეანაბრეებთან შედარებით, მაგრამ პირველია აქციონერებთან შედარებით. ასეთი სავალო ვალდებულებები შესაძლოა კონვერტირებული იყოს, ე.ი. მომავალში გაიცვალოს ბანკის აქციებზე.

7. ბანკის კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიების აქციათა არასაკონტროლო პაკეტი, რომლის ხარჯზეც ბანკს წილი აქვს სხვა დარგების საწარმოებში.

8. აქციების გაყიდვის ხარჯზე დაფარული ფასიანი ქაღალდები. ეს ისეთი სავალო ვალდებულებებია, რომელთა დაფარვა მხოლოდ აქციების გაყიდვის მეშვეობით ხდება.

ბანკო კაპიტალის სხვადასხვა წყაროს შედარებითი მნიშვნელობა. ცხრილი 8.3 გვიჩვენებს, რომ საბანკო კაპიტალის ზემოჩამოთვლილი წყაროები არავითარ შემთხვევაში არაა თანაბარი მნიშვნელობის. გაუნაწილებელი მოგება და სავალდებულო რეზერვები დოლარული ღირებულებით ნებისმიერ სხვა წყაროს ჭარბობს და მთლიანი კაპიტალის 40%-ს აღემატება. ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების გაყიდვიდან მიღებული ნამატი საბანკო კაპიტალის დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს, დანარჩენი კაპიტალის დიდი ნაწილის მოზიდვა კი ნომინალური ღირებულებით შეფასებული ჩვეულებრივი აქციების გაყიდვის ხარჯზე ხდება.

პრივილეგირებული აქციები შედარებით არაარსებითი წყაროა და საბანკო კაპიტალის 1%-ზე ნაკლებს შეადგენს, თუმცა, შედარებით ნსზვილ ბანკებსა და პოლდინგურ საბანკო კომპანიებში ბოლო დროს მათი მნიშვნელობა გაიზარდა. ბანკების პრივილეგირებულ აქციებს ხშირად მცურავი საპროცენტო განაკვეთები აქვს და ბანკები მათ მაშინ უშვებენ ან ფარავენ, როცა ეს მათთვისაა მომგებიანი.

ამასთან, ბანკების პრივილეგირებულმა აქციებმა ვერ მოიპოვა მრავალი ინვესტორის ნდობა. ამის მიზეზად, ნაწილობრივ, იქცა 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის უიღბლო გამოცდილება, როცა ბანკები გაჭირვების გამო ყიდდნენ პრივილეგირებულ აქციებს, რომ როგორმე შეენარჩუნებინათ არსებობა. ამიტომ პრივილეგირებული აქციები ინვესტორთა თვალში საბანკო სისტემის ფინანსურ კრიზისთან იყო გაიგივებული.

სუბორდინირებული ფასიანი ქაღალდები და ვალდებულებები საბანკო კაპიტალის შედარებით მცირე ნაწილია, მაგრამ ბანკებისთვის ისინი გრძელვადიანი დაფინანსების სულ უფრო მნიშვნელოვანი წყარო ხდება.

ცხრილი 8.3.

აშშ-ის სახელმწიფოს მიერ დაზღვეული კომერციული ბანკების ძირითადი კაპიტალი

საბანკო კაპიტალის ფორმები	მოცულობა, მლრდ. დოლ.	წილობრივი სასესხო და საკუთარი კაპიტალში%
გრძელვადიანი სასესხო კაპიტალი: სუბორდინირებული ფასიანი ქაღალდები და ვალდებულებები	17,7	7,9
საკუთარი კაპიტალი: ჩვეულებრივი აქციები ნომინალური ღირებულებით	30,5	13,6
უვადო პრივილეგირებული აქციები ნომინალური ღირებულებით	1,6	0,7
ნამატი	77,1	34,4
გაუნაწილებელი მოგება და კაპიტალის რეზერვები	97,6	43,6
შესწორებები უცხოური ვალუტიდან გადაანგარიშების მიხედვით	(0,4)	(0,2)
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	206,4	92,1
მთელი გრძელვადიანი სასესხო და საკუთარი კაპიტალი	224,1	100,0

მარეგულირებელი კანონები მოითხოვენ, რომ ხდებოდეს ასეთი ფასიანი ქაღალდების დომინირება ბანკის ვალდებულებებით ჩვეულებრივი კრედიტორების წინაშე. მეანაბრეების ჩათვლით. ამკვარად,თუ ბანკი იხურება და ხდება მისი აქტივების ლიკვიდირება, მაშინ პირველადი მეანაბრეები იღებენ კომპენსაციას. რიგით მეორე კი სუბორდინირებული ფასიანი ქაღალდების მფლობელები არიან. თუმცა, ეს კრედიტორები წინ უსწრებენ ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების მფლობელებს ბანკის შემოსავლებისა და აქტივების მხრივ.

ჰოლდინგურმა საბანკო კომპანიებმა ბოლო წლებში მნიშვნელოვანი რაოდენობის სუბორდინირებული ვალდებულებები გამოუშვეს (განსაკუთრებით, მსხვილი ინსტიტუტციური მყიდველებისათვის – საპენსიო ფონდებისა დასადაზღვეო კომპანიებისათვის). ამგვარი ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა ზოგჯერ გამოშვებიდან მოკლე ვადაში შეიძლება, მათზე კი ან ფიქსირებული პროცენტია დადგენილი, ან მცურავი (ხშირად იგი ტოლია სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე ან მოკლევადიან ევროფოლარულ დეპოზიტებზე არსებულ პროცენტებს). იშვიათად ხდებოდა ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება ნულოვანი კუპონით ისეთ უპროცენტო ვალდებულებებად, რომლებიც ნომინალის მიმართ შეღავათით იყიდებოდა. ამ დროს ინვესტორების შემოსავალს განსაზღვრავს მხოლოდ საკურსო ღირებულების მომატება მომავალში. მაგალითად, 1982 წ. „ჩეიზ მანჰეტენ კორპორეიშენმა" გამოუშვა ნულოვანკუპონიანი ფასიანი ქაღალდები 10-წლიანი დაფარვის ვადით, 175 მლნ. დოლ. მთლიანი ნომინალური ღირებულებით. ობიგაციები

წყარო: Federal Deposit Insurance Corporation. Statistic on Banking. 1989.

გაიყიდა 44 მლნ. დოლ. მთლიანი საბაზრო ღირებულებით იმ გარანტთა (ანდერსაიტერთა) ჯგუფის მეშვეობით, რომელთაც „ლემან ბრაზერსი", „მერილ ლინჩი" და „სალომონ ბრაზერსი" უდგანან სათავეში. ეს ვალდებულებები მყიდველებს დაფარვის ვადის ბოლომდე რომ შეენარჩუნებინათ, ყოველწლიურად ისინი 14, 25% შემოსავალს მიიღებდნენ.

სუბორდინირებულ ვალდებულებათა ერთ-ერთი უპირატესობა რეგულირების თვალსაზრისით არის ის, რომ ისინი უზრუნველყოფენ ერთგვარ საბაზრო დისციპლინას ბაზრების მხრიდან. რადგან ბანკები სახელმწიფო დაზღვევით ვერ ფარავენ ანაბრებით დომინირებულ ანაბრებს, ამიტომ ის პირები, რომლებიც ასეთ ვალდებულებებში ახდენენ ინვესტირებას, მეტ შემოსავლიანობას მოითხოვენ მათგან გაზრდილი რისკის გამო. ამგვარი სავალო ფასიანი ქაღალდების მფლობელები მეანაბრეებზე უფრო მგრძნობიარენი არიან რისკის მიმართ, რის გამოც, ისინი უფრო ყურადღებით დააკვირდებიან ბანკის ქცევას. ეს ამცირებს გაკოტრების ალბათობას.

მკაცრად თუ ვიტყვით, სუბორდინირებული ფასიანი ქაღალდებისა და ვალდებულებების წარმატებულად გამოშვება მხოლოდ იმ საშუალო და მსხვილ ბანკებს, აგრეთვე ჰოლდინგურ საბანკო კომპანიებს შეუძლიათ, რომელთა კრედიტუნარიანობისაც სჯერათ ინვესტორებს. უფრო მცირე ზომის საბანკო დაწესებულებებს ძირითადად უნდა ჰქონდეთ მომალელისათვის კაპიტალის დაგროვების დროს მოგების ზრდის იმედი, თანაც, არამარტო მათი კრედიტუნარიანობის დაბალი დონის გამო, არამედ იმის გამოც, რომ მცირე ზომით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები და ვალდებულებები ცუდად რეალიზდება ღია ბაზარზე. ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე დასპეციალებული მრავალი დილერი უარს ამბობს წვრილ ბანკებთან საქმის დაჭერაზე დიდი ხარჯებისა და რისკის გამო.

ბანკის კაპიტალის სიდიდის გაზომვა. იმ გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ რა ოდენობის კაპიტალი უნდა ჰქონდეს ბანკს, უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ იზომება იგი. სამწუხაროდ, ამჟამად კაპიტალის სიდიდის შეფასების არაერთ განსხვავებულ ხერხს იყენებენ და კლიენტებისა და მარეგულირებელი დაწესებულებებისათვის შემცველი ინფორმაცია ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა.

კაპიტალი „ბუღალტერიის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების" მიხედვით. კაპიტალის შეფასება შეიძლება მისი საბალანსო ღირებულების მიხედვით (საბუღალტრო ტერმინოლოგიით — „ბუღალტერიის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების" მიხედვით). ამ შემთხვევაში ბანკის აქტივებისა და პასიების უმრავლესობას აფასებენ გამოშვების მომენტში. დროდადრო, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება საპროცენტო განაკვეთები, ხოლო ზოგიერთ კრედიტსა თუ ფასიან ქაღალდზე ვალდებულებები არ სრულდება, ბანკის აქტივებისა და პასიების ნამდვილი ღირებულება გადაიხდება მათი თავდაპირველი საბალანსო ღირებულებებისაგან. ამის მიუხედავად, ბანკის მრავალი მმართველისათვის ნამდვილი საზომია სწორედ საბალანსო და არა საბაზრო ღირებულება:

ბანკის კაპიტალის საბალანსო ღირებულება („ბუღალტერიის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების") = ბანკის აქტივების საბალანსო ღირებულება − ბანკის პასიების საბალანსო ღირებულება.

მაგრამ იმ პერიოდებში, როდესაც ბანკის კრედიტები და ფასიანი ქაღალდები თავიანთ ღირებულებას იცვლიან, კაპიტალის საბალანსო ღირებულება მიმდინარე რისკისგან დასაცავად კაპიტალის საკმარისობის ცუდი ინდიკატორია.

კაპიტალი ბუღალტერიის რეგულირებადი პრინციპების მიხედვით. ბანკის კაპიტალის არცთუ საუკეთესო, მაგრამ საბალანსო ღირებულების ალტერნეტიული საზომია რეგულირებადი კაპიტალის სიდიდე (კაპიტალი „ბუღალტერიის რეგულირებადი პრინციპების მიხედვით"). მრავა-

ლი წლის მანძილზე, როდესაც ცდილობდნენ ბანკების სახე სინამდვილეში არსებულზე უფრო საიმედო გამოეჩინათ გარეშე დამკვირვებელთა თვალში, ზოგიერთმა მარეგულირებელმა ინსტანციამ დაიწყო ბანკის კაპიტალის შემდეგნაირად განსაზღვრა:

ბანკის კაპიტალი = „ბუღალტერიის მარეგულირებელი პრინციპებით“	აქციონეთა კაპიტალი + (ე.ი. ჩვეულებრივი აქციები, გაუნაწილებელი მოგება და რეზერვები)	უპირატესი პრივილეგირებული აქციები	კრედიტებისა და არანაკისაგან მიღებული დანაკარგების საკომპენსაციო რეზერვები	სუბორდინირებული ვალდებულებები, რომლებიც შემდგომში ჩვეულებრივ აქციებში კონვერტირდება	სხვადასხვა (კონსოლიდირებული შეილობილი კომპანიების აქციათა არაკონტროლირებადი პაკეტის და საქციო სერტიფიკატების ჩათვლით).

ბევრს შესაძლოა ძალიან უცნაურად მოეჩვენოს, რომ ბანკის საიმედოობით დაინტერესებული მარეგულირებელი ინსტანციები კაპიტალის განსაზღვრაში რთავენ სავალო ვალდებულებებს, შეილობილ კომპანიებში ბანკის წილებს და უიღბლო კრედიტების საკომპენსაციო რეზერვებს, შემდეგ კი ამბობენ, რომ ბანკები ფინანსურად იმაზე უფრო ძლიერები არიან, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ჩვენ აქ მართლაც ძალიან ახლოს ვართ საზოგადოების მოტყუებასთან დიდი მასშტაბებით.

კაპიტალი საბაზრო ღირებულებით. მათთვის, ვინც საბანკო სისტემას სწავლობს, და ინვესტორებისთვისაც (მეანაბრეთა ჩათვლით), რომლებიც საბანკო ვალდებულებებს იძენენ, ბევრად უფრო სასარგებლოა კაპიტალის გაზომვა საბაზრო ღირებულებით:

$$\text{ბანკის კაპიტალის საბაზრო ღირებულება} = \text{ბანკის აქტივების საბაზრო ღირებულება} - \text{ბანკის პასივების საბაზრო ღირებულება.}$$

ბანკებს ყოველდღე შეუძლიათ დაახლოებით შეაფასონ თავიანთი კაპიტალის საბაზრო ღირებულება, ფორმულით:

$$\text{ბანკის კაპიტალის საბაზრო ღირებულება} = \text{გამოშვებული აქციების მიმდინარე საკურსო ღირებულება} \times \text{გამოშვებული აქციების რაოდენობა}$$

აშკარაა, რომ ბანკის კაპიტალის გაზომვა საბაზრო ღირებულების მიხედვით უფრო დინამიკურად აფასებს იმ კაპიტალის სიდიდეს, რომელიც მსხვილ ბანკებს ყოველდღიურადაც კი ეცვლებათ. წერილი ბანკების კაპიტალის საბაზრო ღირებულების გაზომვა უფრო ძნელია, რადგან მათი აქტივებით ვაჭრობის სიდიდე საკმარისი არაა ნამდვილი საბაზრო ფასის დასადგენად. ეს ზღუდავს საბაზრო ღირებულების გამოყენებას დარგის ყველაზე უფრო წერილი ბანკების კაპიტალის სიდიდის გასაზომად. მაგრამ კაპიტალის საბაზრო ღირებულება კარგად ასახავს გაკოტრების რისკისგან თითოეული ბანკის დაცულობას. როდესაც ბანკის კაპიტალს მისი ჭეშმარიტი საბაზრო ღირებულებით ზომავენ, მეანაბრეებს მეტი შესაძლებლობა აქვთ ბანკის იმ სახსრების საკმარისობის შესაფასებლად, რომელიც დაბანდებული ფულის დასაბრუნებლადაა საჭირო. მაშასადამე, მათ შეუძლიათ უფრო რაციონალური გადაწყვეტილება მიიღონ იმის თაობაზე, თუ რომელ ბანკში უნდა მოათავსონ თავიანთი ფული.

მიუხედავად ამისა, ბანკის კაპიტალის შეფასება „ბუღალტერიის რეგულირებადი პრინციპების მიხედვით“ კვლავაც ახდენს გავლენას ბანკის მუშაკებზე და მარეგულირებელ ინსტიტუტებზე. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ, თუ რომელი არგუმენტები მოჰყავთ ბანკის კაპიტალის რეგულირების სასარგებლოდ და ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის რომელ ინდიკატორებზე იღებენ ორიენტაციას მარეგულირებელი ინსტიტუტები ბანკის საიმედოობისა და ფინანსური სიმტკიცის შეფასებისას.

8.5. საბანკო კაპიტალის ფუნქციები

საბანკო საქმის თეორია ერთმანეთისგან განასხვავებს ბანკის „საკუთარი სახსრების“ და ბანკის „საკუთარი კაპიტალის“ ცნებებს. „ბანკის საკუთარი სახსრები“ უფრო ზოგადია და მოიცავს ბანკის საქმიანობის პროცესში ჩამოყალიბებულ მთელ პასიებს: ბანკის საწესდებო, სარეზერვო და სხვა ფონდებს, ბანკის მიერ შექმნილ მთელ რეზერვებს, აგრეთვე, წინა წლების გაუნაწილებელ მოგებას და მიმდინარე წლის მოგებას. ბანკის საკუთარი კაპიტალი გაანგარიშების გზით მიღებული სიდიდეა. იგი მოიცავს საკუთარი სახსრების (ზოგჯერ მოზიდული სახსრებსაც) იმ მუხლებს, რომლებსაც ეკონომიკური აზრით ბანკის კაპიტალის ფუნქციის შესრულება შეუძლიათ. საკუთარი სახსრების ძირითადი ელემენტები, ე.ი. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ფუძემდებლური ფონდები და შიდა წყაროების სარჯზე ბანკის საქმიანობას მხარდაჭერის მიზნით ჩამოყალიბებული რეზერვები ბანკის კაპიტალში შედიან მაშინ, თუ ისინი პასუხობენ შემდეგ პრინციპებს:

სტაბილურობა;

სუბორდინაცია კრედიტორების უფლებების მიმართ;

შემოსავლების ფიქსირებულად დარიცხვის არარსებობა.

ბანკის საკუთარ კაპიტალად უნდა ჩავთვალოთ სპეციალურად შექმნილი ის ფონდები და რეზერვები, რომელთა დანიშნულებაა ბანკის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და შესაძლო ზარალის დაფარვა, რომლებიც ბანკის განკარგულებაშია მისი ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში. ბანკის კაპიტალი მოიცავს საწესდებო და სარეზერვო კაპიტალს, იმ სხვა ფონდებს, რომლებსაც გამოყენების ვადა არ გააჩნიათ, სადამფუძნებლო მოგებას (საემისიო შედეგს), მიმდინარე და გასული წლების გაუნაწილებელ მოგებას, რომელიც ბანკის განკარგულებაშია დარჩენილი და აუდიტორების მიერაა დადასტურებული, აგრეთვე, სხვადასხვა რისკის დასაფარავად შექმნილ რეზერვებს. ეს კაპიტალი მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ასრულებს ბანკის საქმიანობაში.

საბანკო კაპიტალის მიერ შესრულებული ფუნქციები ლიტერატურაში არაერთმნიშვნელოვნადაა განმარტებული. გამოყოფენ შემდეგ ძირითად ფუნქციებს: დაცვით, ოპერატიულ და მარეგულირებელ ფუნქციებს. რადგან ბანკის აქტივების ძირითადი ნაწილს მეანაბრეები აფინანსებენ, ამიტომ თანხით ძალიან შეზღუდული საკუთარი კაპიტალის მთავარი ფუნქციაა მეანაბრეთა ინტერესების დაცვა. გარდა ამისა, ბანკის კაპიტალი ამცირებს ბანკის აქციონერების რისკს. დაცვითი ფუნქცია ნიშნავს იმის შესაძლებლობას, რომ ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში მეანაბრეებს გადაუხდიან კომპენსაციას, აგრეთვე, ბანკის გადახდისუნარიანობის შენარჩუნებას აქტივებზე რეზერვის შექმნის გზით, რაც ფუნქციონირების საშუალებას აძლევს ბანკს ზარალის გაჩენის საშიშროების მიუხედავად. თუმცა, ამავე დროს, იგულისხმება, რომ ზარალის დიდი ნაწილი დაიფარება არა კაპიტალის სარჯზე, არამედ ბანკის მიმდინარე შემოსავლების სარჯზე. კაპიტალი გაკოტრებისაგან დამცავი „შავი დღის ფულია“ და ახდენს მიმდინარე დანაკარგების კომპენსირებას წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებამდე ბანკის მმართველების მიერ. სხვა საწარმოების უმრავლესობისგან განსხვავებით, კომერციული ბანკის გადახდისუნარიანობის შენარჩუნებას საკუთარი კაპიტალის მხოლოდ ერთი ნაწილით უზრუნველყოფენ. როგორც წესი,

ბანკი გადახდისუნარიანად ითვლება მანამ, ვიდრე ხელუხლებელი რჩება სააქციო კაპიტალი, ე.ი. ვიდრე აქტივების ღირებულება ნაკლები არაა ბანკის მიერ გამოშვებულ ვალდებულებათა (არაუზრუნველყოფილის გამოკლებით) და მისი აქციონერული კაპიტალის თანხაზე.

კაპიტალი დამცავი „ბალიშის" როლს თამაშობს და საშუალებს აძლევს ბანკს, თავისი ოპერაციები გააგრძელოს გაუთვალისწინებელი მსხვილი დანაკარგების შემთხვევაში. ასეთი ხარჯების დასაფინანსებლად არსებობს ნაირგვარი სარეზერვო ფონდები, რომლებიც საკუთარ კაპიტალში შედის, სესხებზე კლიენტების მხრიდან მასობრივი არგადახდებისას კი ზარალის დასაფარავად შესაძლოა საჭირო აქციონერული კაპიტალის ერთი ნაწილის გამოყენება.

საბანკო კაპიტალის ოპერატიულ ფუნქციას მეორხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს დაცვით ფუნქციასთან შედარებით. იგი მოიცავს საკუთარი სახსრების ასიგნებას მიწის, შენობების და მოწყობილობის შესაძენად, აგრეთვე, ფინანსური რეზერვის შექმნას გაუთვალისწინებელი ზარალის შემთხვევისთვის. ფინანსური რესურსების ეს წყარო შეუცვლელია ბანკის საქმიანობის საწყის ეტაპებზე, როცა მისი დამფუძნებელები პირველ რიგში მთელ რიგ დანახარჯებს ახორციელებენ. ბანკის განვითარების მომდევნო ეტაპებზე საკუთარი კაპიტალის მნიშვნელობა ნაკლები არაა. ამ სახსრების ერთ ნაწილს ათავსებენ გრძელვადიან აქტივებში და იყენებენ ამა თუ იმ რეზერვის შექმნისათვის. მართალია, ოპერაციების გაფართოებაზე გაწეული ხარჯების დაფარვის ძირითადი წყარო დაგროვილი მოგებაა, მაგრამ სტრუქტურული ხასიათის ღონისძიებების გატარების დროს (ფილიალების შექმნა, შერწყმა) ბანკები ხშირად მიმართავენ ხოლმე აქციების ან გრძელვადიანი სესხების გამოშვებას.

კაპიტალის მარეგულირებელი ფუნქციის შესრულება უკავშირდება საზოგადოების განსაკუთრებულ დაინტერესებას ბანკების წარმატებულად ფუნქციონირებით. ბანკის კაპიტალის მაჩვენებლის მეშვეობით სახელმწიფო ორგანოები ახდენენ ბანკების საქმიანობის შეფასებასა და კონტროლს. ბანკის საკუთარი კაპიტალის შესახებ არსებული წესები, როგორც წესი, მოიცავენ მოთხოვნებს მისი მინიმალური ზომის მიმართ, აქტივების მიმართ შეზღუდვებს და სხვა ბანკების აქტივების შეძენის პირობებს. ცენტრალური ბანკების მიერ დაწესებული ნორმატივები ძირითადად ბანკის საკუთარი კაპიტალის ზომიდან გამომდინარეობენ. ფუნქციების განხილული კლასიფიკაციის ფარგლებში მარეგულირებელ ფუნქციას მიაკუთვნებენ სასესხო და საინვესტიციო ოპერაციების შეზღუდვის მიზნით კაპიტალის გამოყენებასაც (იმ ზომით, რომლითაც ბანკის სესხები და ინვესტიციები არსებული საკუთარი კაპიტალითაა შეზღუდული).

კომერციული ბანკის ძირითადი კაპიტალი რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში და მისი გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის ხანგრძლივად უზრუნველყოფაში. ჯერ ერთი, კაპიტალი გაკოტრებისგან დამცავი „შავი დღის" ფულია და ახდენს მიმდინარე დანაკარგების კომპენსირებას წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებამდე მმართველების მიერ.

მეორე, კაპიტალი უზრუნველყოფს იმ სახსრებს, რომლებიც აუცილებელია ბანკის შექმნის, ორგანიზებისა და ფუნქციონირებისათვის დეპოზიტების საკმარისი რაოდენობის მოზიდვამდე. ასალ ბანკს სასრები ესაჭიროება გახსნის დღემდეც – მიწის მისაღებად, ნაგებობათა აშენებისა თუ არენდისათვის, მოწყობილობის დადგმისათვის, პერსონალის დაქირავებისთვის.

მესამე, კაპიტალი ხელს უწყობს ბანკის მიმართ კლიენტების ნდობის შენარჩუნებას და თავის ფინანსურ ძალაში არწმუნებს კლიენტებს. კაპიტალი საკმარისად დიდი უნდა იყოს იმისათვის, რომ მსესხებლები დარწმუნდნენ ბანკის მიერ კრედიტებზე მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარში მაშინაც კი, როდესაც ეკონომიკა დაქვეითებას განიცდის.

მეოთხე, კაპიტალი უზრუნველყოფს ორგანიზაციული ზრდის, ახალი მომსახურებისა და პროგრამების შემუშავების, ახალი მოწყობილობისთვის საჭირო სახსრებს. ზრდის პერიოდში ბანკს დამატებითი კაპიტალი ესაჭიროება მხარდასაჭერად და იმ რისკისაგან დასაცავად, რომელ-

იც ახალი მომსახურების გაწევას და ახალი სიმძლავრეების მშენებლობას უკავშირდება. ბანკების უმრავლესობა საბოლოოდ გაცილებით აჭარბებს იმ სიმძლავრეებს, რითაც მათ დაიწყეს. დამატებითი კაპიტალის მოზიდვა მეტი ფართობის დაკავებისა და ფილიალებისათვის ახალი ოფისების აშენების შესაძლებლობას აძლევს ბანკს, რათა მან ფეხი აუწყოს საბაზრო სივრცის გაფართოებას და მომსახურებით უზრუნველყოს კლიენტები.

ბოლოს, კაპიტალი ბანკის ზრდის იმ რეგულატორად გვეელინება, რომელსაც გრძელვადიანი პერსპექტივის დროს შესაბამისობაში მოჰყავს ზრდა და სიცოცხლისუნარიანობა. რადგანაც მარეგულირებელი ინსტიტუტებიცა და საფინანსო ბაზრებიც იმას მოითხოვენ, რომ ბანკის კრედიტები და სხვა სარისკო აქტივები დაახლოებით იმავე ტემპით იზრდებოდეს, როგორც კაპიტალი, ამიტომ დანაკარგების საკომპენსაციოდ „შავი დღისათვის გადანახული ფული“ იზრდება ინსტიტუციური რისკის ზრდასთან ერთად. ის ბანკი, რომელიც მეტისმეტად სწრაფად აფართოებს თავის კრედიტებსა და დეპოზიტებს, სიგნალების მიღებას იწყებს ბაზრისგან და მარეგულირებელი ინსტანციებისგან იმის შესახებ, რომ მისი ზრდა უნდა შენელდეს ან დამატებითი კაპიტალის მოზიდვა უნდა მოხდეს. შესაბამისი ინსტიტუტების მიერ კაპიტალის მდგომარეობის რეგულირება იმ რისკის ხარისხის შეზღუდვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა, რომელიც ბანკს შეიძლება დაემუქროს. ამ გზით ხდება კლიენტების ნდობის შენარჩუნება და მსხვილი დანაკარგებისგან დეპოზიტების დაზღვევის სახელმწიფო სისტემის დაცვა.

ცალკე გამოვყოთ ბანკის საწესდებო კაპიტალის ფუნქციები. ბანკის საწესდებო კაპიტალი (როგორც უშუალოდ, ისე მისი საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში) მთელ რიგ მეტად მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს:

1. ბანკის მუშაობის საწყის ეტაპზე იგი იმ აუცილებელი თავდაპირველი სასტარტო სახსრების როლში გამოდის, ურომლისოდაც ბანკი უბრალოდ ვერ შეძლებს მუშაობის დაწყებას (მიწის, შენობისა და მოწყობილობის შეძენა, პერსონალის დაქირავება და ა.შ.)

2. კაპიტალის როლი დიდია საბანკო ოპერაციების გაშლა-გაფართოების მომდევნო ეტაპებზეც. ზრდის პერიოდში ბანკს დამატებითი კაპიტალი სჭირდება ახალ სიმძლავრეთა შესაქმნელად. სწორედ ამ მიზნით ბანკები არც თუ იშვიათად მიმართავენ ხოლმე ახალი მონაწილეების – აქციონერების ან მეპაიეების მოზიდვას, ე.ი. საკუთარი საწესდებო კაპიტალის გადიდებას.

3. კაპიტალი ბანკის საქმიანობის რეგულატორი, მათ შორის – მისი ოპერაციების მოცულობისა და შესაბამისი რისკების გაუმართლებლად სწრაფად ზრდის შეზღუდავია. ზედამხედველობის ორგანოები გარკვეულ მოთხოვნებს აწესებენ კაპიტალის ნაწილში და ამით ეკონომიკური ქცევის იმგვარ ნორმებს ამკვიდრებენ, რომლებმაც ფინანსური რყევებისა და მეტისმეტი რისკებისგან უნდა დაიცვას ბანკი.

4. სოლიდური კაპიტალის არსებობა აყალიბებს და განამტკიცებს ბანკისადმი კლიენტების ნდობას. თუმცა, ეს ფუნქცია ზედმეტად სწორსაზოგადოდ არ უნდა აღვიქვათ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მსხვილი კაპიტალის მქონე ბანკები შესაძლოა ყველაზე უფრო საიმედოდ გამოდგეს და ყველაზე ნაკლებად მდგრადიც. მათ შეიძლება თავიანთი მოქმედებით არამარტო საკუთარი თავის, არამედ სართოდ ბანკების, როგორც ასეთის, რწმენა დაუკარგონ კლიენტებს. სხვა სიტყვებით რომ ეთქვათ, ბანკს შეიძლება ჰქონდეს დიდი „ბუღალტრული“ კაპიტალი და ამავე დროს თავის ვალდებულებებს ვერ ასრულებდეს კრედიტორების წინაშე. მაგრამ თუ ბანკში საქმის ცოდნით ეწევიან მართვას, მაშინ რაც უფრო მეტია ისეთი სტაბილური რესურსი, როგორიც საწესდებო კაპიტალია, მით უფრო მდგრადი იქნება ბანკი.

ამასთან დაკავშირებით, შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ დიდი კაპიტალი, სხვა თანაბარ პირობებში, უადვილებს ბანკს ფინანსური ბაზრების ხელმისაწვდომობას და ამით იცავს მას ლიკვიდობის იმ პრობლემებისაგან, რომლებსაც მოზიდული სახსრების დაუგეგმავი გადინება განაპირობებს.

5. კაპიტალი თამაშობს ამორტიზატორის როლს, რომელმაც უნდა გადაფაროს მიმდინარე

დანაკარგებით მიღებული ზარალი. ეს საშუალებას აძლევს ბანკს, გააგრძელოს ოპერაციები შედარებით მსხვილი ოდენობის გაუთვალისწინებელი დანაკარგების ან მეტისმეტად დიდი სარჯების გაწევის შემთხვევაშიც კი. ამგვარი დანახარჯების დასაფინანსებლად ბანკს, მართალია, სარეზერვო ფონდები უნდა ჰქონდეს, მაგრამ არახელსაყრელი გარემოებებისას (მაგალითად, კლიენტების მასობრივი არგადახდებისას) დანაკარგები შესაძლოა იმდენად გაიზარდოს, რომ ზარალის დასაფარავად საწესდებო კაპიტალის ნაწილის გამოყენება გახდეს საჭირო. სწორედ იგი გეველინება იმ ბოლო ბუფერად, რომელმაც მიმდინარე ზარალი უნდა გადაფაროს მანამ, ვიდრე ბანკის ხელმძღვანელობა შეძლებს მოშწიფებული პრობლემების გადაწყვეტას.

თუ ვაღიარებთ, რომ საბანკო კაპიტალის ძირითადი მიზანი რისკის შემცირებაა, მაშინ სხვა წყაროები აქცენტს შემდეგ ფუნქციებზე აკეთებენ:

კაპიტალი ის ბუფერია, რომელსაც შესწევს წაგების გადაყარვის და გადახდისუნარიანობის შენარჩუნების უნარი;

- კაპიტალი უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების ბაზრებში შეღწევას და ლიკვიდურობის პრობლემებისგან იცავს ბანკებს;

კაპიტალი აკავებს რისკის ზრდას და ზღუდავს მას.

კაპიტალის ყველა ეს ფუნქცია ხელს უწყობს რისკის შემცირებას. ამგვარი მიდგომა დიდად პრაქტიკულია და მორგებულია კომერციული ბანკის მართვის მიზნებს.

კაპიტალის როგორც სესხებზე ზარალის საწინააღმდეგო ბუფერის როლი აშკარად ვლინდება მაშინ, თუ მას ფულადი სახსრების მოძრაობის კონტექსტში განვიხილავთ. თუ ბანკის კლიენტები შეწყვეტენ სესხებზე თავიანთი ვალდებულებების შესრულებას, მაშინ ელვისებურად შემცირდება პროცენტებისა და ძირითადი გადასახდელების სახით შემოსული სახსრების ნაკადი. სახსრების გაღინება არ შეიცვლება. ბანკი გადახდისუნარიანი დარჩება მანამ, ვიდრე მოდინების თანხა ჭარბობს გადინებას. აქ კაპიტალი ბუფერად გეველინება, რადგან ის ამცირებს იძულებით გადინებას, თუ ბანკს გადახდა არ შეუძლია, მას შეუძლია გადახდის აქციებზე დივიდენდების გაცემა. პირიქით, საბანკო დაუალიანებაზე პროცენტების გადახდა საკმაოდ ძვირია. საკმარისი კაპიტალის მქონე ბანკები უშვებენ ახალ ვალდებულებებს ან აქციებს, რათა დაკარგული ნაკადები ახლით შეცვალონ და მოიგონ დრო, ვიდრე არ გადაწყდება აქტივებთან დაკავშირებული პრობლემები. ამკვარად, რაც უფრო მეტია საბანკო კაპიტალი, მით უფრო მეტი აქტივი შეიძლება აღმოჩნდეს გადაუხდელი იქამდე, სანამ ბანკი გადახდისუუნარო გახდება, და მით ნაკლები იქნება ბანკის რისკი.

ადეკვატური საბანკო კაპიტალი ამცირებს საოპერაციო პრობლემებს საფინანსო ბაზრებში თავისუფლად შეღწევის უზრუნველყოფით. კაპიტალი იმის შესაძლებლობას აძლევს ბანკს, რომ ტრადიციული წყაროებიდან გაიღოს სესხები ჩვეულებრივი განაკეთებით. დიდი საკუთარი კაპიტალი უზრუნველყოფს ბანკის სტაბილურ რეპუტაციას, მათ მიმართ მეანაბრეების რწმენას.

კაპიტალი აჩერებს რისკის ზრდას და ამცირებს კიდეც მას, ახალი აქტივების შეზღუდვით. ეს ფუნქცია მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფო ორგანოების მიერ აქტივების მიმართ დაწესებულ კაპიტალის ნორმატივს. მაგალითად, თუ ბანკები გადაწყვეტენ სესხების მოცულობის გაფართოებას ან სხვა აქტივების შეძენას, მათ ზრდა უნდა შეინარჩუნონ აქციონერული კაპიტალის დამატებითი დაფინანსების მეშვეობით. ეს თავიდან აგვაცილებს აქტივების სპეკულაციურ ზრდას, რადგანაც ბანკები მუდამ ვალდებული არიან აქტივები წარმატებით მართონ, თანაც შესაძლებლობათა საზღვრებში.

საბანკო კაპიტალის დასახელებული ფუნქციები გვიჩვენებს, რომ საკუთარი კაპიტალი – ბანკის კომერციული საქმიანობის საფუძველია. იგი უზრუნველყოფს ბანკის დამოუკიდებლობას და ქმნის მისი ფინანსური სიმტკიცის გარანტიას.

8.6. რამდენი კაპიტალი ესაჭიროება ბანკს?

ბანკისთვის აუცილებელი კაპიტალის მოცულობის განსაზღვრა ერთ-ერთი ყველაზე უფრო საკამათო საკითხს წარმოადგენს საბანკო საქმის თეორიაში. ფართო დისკუსია ყოველთვის უკავშირდებოდა შემდეგ პრობლემებს: ვინ უნდა დაუდგინოს კაპიტალის სატანდარტები ბანკს – ბაზარმა თუ მარეგულირებელმა ინსტანციებმა? როგორაა საბანკო კაპიტალის გონივრული სიდიდე.

მარეგულირებელი მიდგომა აუცილებელი კაპიტალის შეფასებისადმი. კაპიტალის რეგულირების მიზნები. ბანკები კაპიტალის სიდიდეს მკაცრად არეგულირებენ უკვე ათწლეულების მანძილზე. ბანკებმა უნდა უზრუნველყონ რეგისტრაციისათვის მინიმალურად აუცილებელი საწესდებო კაპიტალის ზომა და, ყოველ შემთხვევაში, შეინარჩუნონ იგი თავიანთი საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში. მარეგულირებელი ორგანოები განსაზღვრავენ, აგრეთვე, კაპიტალის მისაღებ სახეებს. საბანკო კაპიტალის სიდიდის რეგულირების ძირითადი მიზნებია:

1. ბანკის გაკოტრების რისკის შეზღუდვა.
2. მათდამი საზოგადოების ნდობის შენარჩუნება.
3. ფედერალური მთავრობის იმ დანახარჯების შეზღუდვა, რომლებიც ბანკების დაზღვევას უკავშირდება.

სავარაუდოდ რეგულირებისათვის ბანკს არ შეუძლია ერთდროულად გადაჭრას ეს სამი ამოცანა, რადგანაც მას არ შეუძლია სწორედ შეაფასოს გაკოტრების გაელენა საბანკო სისტემის სტაბილურობაზე, აგრეთვე, განსაზღვროს ფედერალური სადაზღვეო ფონდის ის ხარჯები, რომლებიც გაკოტრებას უკავშირდება.

ბანკები მოკლევადიან ვალდებულებათა (განსაკუთრებით – მოთხოვნამდე ანაბრების) მქონე ის ერთადერთი დაწესებულებაა, რომლებიც დაუყოვნებლივ შეიძლება „დაიცალოს“ კლიენტების მხრიდან ნდობის დაკარგვის შემთხვევაში. მხოლოდ მათ მცირე რაოდენობას აქვთ საკუთარი საკრედიტო პორტფელის მაშინვე ლიკვიდირების შესაძლებლობა ანაბრების მასობრივად გატანის საფრთხის დროს. გარდა ამისა, ცალკეული ბანკების მმართველები არ ითვალისწინებენ თავიანთი რისკის შესაძლო გაელენას სხვა ბანკების კლიენტებზე.

მსხვილი ბანკების გაკოტრება განსაკუთრებულ პრობლემად გვევლინება. ეს მოვლენა ყოველთვის იქცევს პრესის ყურადღებას და იწვევს მეანაბრეთა დაეჭვებას ბანკების სიმტკიცეში. გარდა ამისა, უმსხვილეს ბანკებს, ჩვეულებრივ, არადეპოზიტურ ვალდებულებათა და მსხვილი ანაბრების დიდი წილი აქვთ, რომლებიც ადეკვატურად არ იფარება დაზღვევის ხარჯზე. მსხვილი ბანკის გაკოტრებას გაცილებით მეტი გაელენის მოხდენა შეუძლია დეპოზიტების დაზღვევის სახელმწიფო ფონდზე, ვიდრე დიდი რაოდენობის წვრილ ბანკებს.

დეპოზიტების სახელმწიფო დაზღვევის ერთ-ერთი არაკეთილსასურველი მხარეა ის, რომ იგი აქეთებს მეანაბრეთა სიფხიზლის სორმალურ დონეს ბანკების საიმედოობისა და რისკების მიმართ. მეანაბრეთა უმრავლესობა მთლიანად დაცულად გრძნობს თავს და არ აფასებს ბანკის მოსალოდნელ რისკს, არ „სჯის“ იმ ბანკებს, რომლებიც მეტისმეტად რისკავენ, და უფრო საიმედო ბანკში არ გადააქვთ თავისი სახსრები. დეპოზიტების სახელმწიფო დაზღვევის პროგრამები იმისკენ უბიძგებენ ბანკებს, რომ შეამცირონ კაპიტალის სიდიდის თანაფარდობა ანაბრების თანხასთან. ეს მეტი რისკით ემუქრება სახელმწიფო დაზღვევის ფონდებს.

გამოკვლევის შედეგები. ბოლო წლებში მრავალი გამოკვლევა ჩატარდა იმ საკითხის გასარკვევად, თუ რა უფრო მეტ გავლენას ახდენს ბანკის მიერ აღებულ რისკზე – კონკურენტული ბაზარი თუ მარეგულირებელი დაწესებულებები და რაუფრო მეტად განსაზღვრავს ბანკების მიერ გადაწყვეტილების მიღებას აუცილებელი კაპიტალის სიდიდეზე. ამ გამოკვლევათა შედეგები განსხვავებული აღმოჩნდა, მაგრამ მათი უმრავლესობა იმაზე მეტყველებს, რომ არა მარეგულირებელი დაწესებულებები, არამედ კერძო ბაზარია ის მხარე, რომელსაც მეტი ეფექტი

აქვს ბანკის კაპიტალის სიდიდისა და ტიპების განსაზღვრა-შერჩევაში. ამის მიუხედავად, 1980-იან წლებში და 90-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფო რეგულირება ბაზრის მხრიდან რეგულირებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი გახდა. ეს განაპირობა კაპიტალის რეგულირების გამკაცრებამ და მოთხოვნების შემოღებამ კაპიტალის მინიმალურ დონეზე.

სხვადასხვა დონის საბანკო რისკზე საფინანსო ბაზრები, ჩვეულებრივ, პასუხობენ უფრო სარისკო ბანკებს ვალდებულებათა და სააქციო კაპიტალის ღირებულების შემცირებით. მაგრამ არ შეიძლება ბაზრის მომწესრიგებელი ზემოქმედების იმედად ვიყოთ წერილი და საშუალო სიდიდის ბანკებთან დაკავშირებით, რომელთა ფასიანი ქაღალდებიც აქტიურ მიმოქცევაში არაა ჩართული ღია ბაზარზე. ნათელი არა არის ისიც, საკმაოდ დიდია თუ არა დაბალი ხარისხის ფასიანი ქაღალდებისათვის ბაზრის მიერ დაწესებული საბაზრო პრემიები იმისათვის, რათა მოხდეს ბანკის დისციპლინირება მის მიერ აღებული რისკის მიმართ. გარდა ამისა, ბაზარი ეფექტურად იყენებს არსებულ ინფორმაციას, მაგრამ ბანკის რისკის ჭეშმარიტი დონის შესაფასებლად ყველაზე უფრო საჭირო ინფორმაცია დაფარულია ბანკისთვის და მხოლოდ მაკონტროლებელი დაწესებულებებისათვის ხდება ცნობილი.

მართლა მჭიდროდაა დაკავშირებული ბანკის აქტივების მიმართ კაპიტალის თანაფარდობა მისი გაკოტრების ალბათობასთან? გამოკვლევების უმრავლესობამ ასეთი მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი არ დაადასტურა. ბევრი სპეციალისტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კაპიტალის გადიდება არ იწვევს გაკოტრების რისკის არსებითად შემცირებას. ბანკების უმრავლესობა მაინც გაკოტრდებოდა, მათი კაპიტალი ორჯერ ან სამჯერ მეტიც რომ ყოფილიყო. არამც და არამც განმსაზღვრელი არაა ის, რომ კაპიტალის სიდიდის სავალდებულო მინიმუმის შემოღება შეამცირებს საბანკო რისკის დონეს. როგორც შენიშნავენ, იმ ბანკებს, რომლებსაც უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებდნენ კაპიტალის სიდიდის მხრივ, უფრო მეტი რისკის აღება შეუძლიათ საქმიანობის სხვა ასპექტებში, რათა თავიდან აიცილონ მომგებიანობის კლება.

კაპიტალის რეგულირების ალტერნატიული შესაძლებლობები. საბანკო კაპიტალის სიდიდის რეგულირება ამჟამად იმყოფება გარდამავალ მდგომარეობაში, რადგანაც მარეგულირებელი ორგანოები ახალი სისტემაზე გადადიან. იგი მოიცავს წამყვანი სამრეწველო ქვეყნების ყველა ბანკს და აწესებს იმ მინიმალურ ზღვარს, რომლის ქვემოთაც არ შეიძლება ბანკის აქტივებთან მისი კაპიტალის თანაფარდობის დაშვება.

ყველა ბანკისათვის მინიმალური დონის დაწესების იდეამ ცხოვრებაში გატარება 1981 წლის დეკემბრიდან დაიწყო. მანამდე ფედერალური და შტატების დონის მარეგულირებელი ინსტიტუტები კაპიტალის საკმარისობის საკითხის გადასაჭრელად იყენებდნენ სუბიექტურ მიდგომას, რომელიც ეყრდნობოდა შედარებას ბანკების შერჩეულ ჯგუფებთან. კაპიტალის ადეკვატურობის შესაფასებლად კაპიტალის განსხვავებულ მაჩვენებლებს იყენებდნენ:

ერთობლივი კაპიტალი/მთელი დეპოზიტები;

ერთობლივი კაპიტალი/მთელი აქტივები;

ერთობლივი კაპიტალი/მთელი სარისკო აქტივები,

სადაც სარისკო აქტივები მოიცავს ბანკის მთელი აქტივების თანხას, ნაღდი ფულისა და ფედერალური მთავრობის ფასიანი ქაღალდების გარდა (რომლებიც ხარისხის მიხედვით ურისკო ქაღალდებად განიხილება). ყოველი მარეგულირებელი დაწესებულება იყენებდა სტრუქტურულ ანალიზსაც (ბანკის კაპიტალის სიდიდის მაჩვენებლების შედარებას შერჩეული ბანკის მაჩვენებლებთან დროის მოცემულ მომენტში) და დინამიკურ ანალიზსაც (კაპიტალის სიდიდის მაჩვენებლებში დროში მომხდარ ცვლილებებზე დაკვირვებას იმის გამოსავლენად, მატულობს თუ კლებულობს კაპიტალის ადეკვატურობა). ბანკის მაჩვენებლებთან ბანკის კაპიტალის სიდიდის მაჩვენებლების შედარების დროს გაჩენილი პრობლემა იმაშია, რომ პირველთაგანის მაჩვენებლების გაუარესება იწვევს მთელი დარგის კაპიტალის არაადეკვატურობას. რეალურად, ამერიკის ბანკების კაპიტალ-

ის სიდიდის მაჩვენებლები 1930-80-იან წლებში თითქმის მუდმივად უარესდებოდა, კერძოდ, დეპოზიტების სახელმწიფო დაზღვევის გამო, რომელიც ასუსტებდა კერძო ინვესტორების სურვილს შეემოწმებინათ და გაეკონტროლებინათ ბანკის მიერ ნაკისრი რისკის დონე.

ცხადია, ის სტრატეგია, რომელიც ყველა ბანკისათვის კაპიტალის ერთიანი მინიმალური სტანდარტის დაწესებას უკავშირდება, უფრო ადვილია მარეგულირებელი ინსტანციებისათვის (მართვის პრაქტიკაში). იგი შერჩეულ ჯგუფთან შედარების ნაკლსაც გვაშორებს თავიდან, რადგანაც რაღაც დროის განმავლობაში დაბალ დონეზე დარჩენის უფლებას არ აძლევს კაპიტალის მაჩვენებლებს (იმ პირობით, რომ მარეგულირებელი დაწესებულებები მართლა დაიცავენ დაწესებულ მინიმალურ სტანდარტს). მაგრამ კაპიტალის ადეკვატური სიდიდის შენარჩუნებისადმი ამ უბრალო მინიმალური სტანდარტის სისტემამ შეიძლება დააჩქაროს მენაბრეების მიერ დეპოზიტების მასობრივად გატანის პროცესები, თუმცა, ბანკები რომლებიც დეპოზიტებს კარგავენ, შესაძლოა სრულიად მტკიცე რჩებოდნენ. როგორ შეიძლება ამგვარი რამ ხდებოდეს? როდესაც კლიენტები ხედავენ, რომ ბანკის კაპიტალის სიდიდე დასაშვებ მინიმალურ დონეზე დაბლა დაეშვა, მაშინ ყველაზე მსხვილი და დაზღვევის უქონელი მეანაბრე თავისი დეპოზიტების ლიკვიდირებას იწყებს, თუნდაც ბანკის კაპიტალიზაციის ხარისხი ჯერ კიდევ ადეკვატური რჩებოდეს.

მეორე პრობლემაა კლიენტების მიერ იმის გაგების სირთულე, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში ცალკეული ბანკების კაპიტალის მახასიათებელი კონკრეტული მაჩვენებელი. მაგალითად, თუკი ყველა ბანკს გააჩნია მინიმალურად საჭიროებულზე არანაკლები კაპიტალი, ეს შეიძლება ნიშნავდეს ყველა ბანკის თანაბარ სიმედოვნებას, რაც ცხადია, სწორი არაა. გარდა ამისა, როგორ შეგვიძლია კაპიტალის მინიმალური სტანდარტის სისტემაში გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ კონკრეტული ბანკის მთელ აქტივებთან მისი კაპიტალის თანაფარდობა ყველაზე არსებითადაა დამოკიდებული ბანკის სიდიდეზე? მაგალითად, 1991 წელს აშშ-ის უმსხვილეს ბანკებს (რომელთა აქტივების მინიმალური ოდენობა 10 მლრდ. დოლარი იყო), აქტივებთან სააქციო კაპიტალის თანაფარდობა 5,44%-ის ტოლი ჰქონდათ. ამავე დროს, ყველაზე წვრილი ბანკების (100 ლნ. დოლარზე ნაკლები აქტივებით) იგივე მაჩვენებელი 9,11% იყო. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უმსხვილეს ბანკებს კაპიტალიზაციის არაადეკვატური დონე აქვთ? იქნებ, ეს იმას ნიშნავს, რომ წვრილ ბანკებს აქვთ ჭარბი კაპიტალი? წვრილი ბანკები მსხვილ ბანკებზე გაცილებით უფრო საიმედოა? აშკარაა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა იმ სხვა ფაქტების გაუანალიზებლად, რომლებიც ყოველი ცალკეული ბანკის კონკრეტულ პირობებს (მომგებიანობა და მართვის ხარისხი) ეხება. ან იმ ბაზრის პირობებს ახასიათებს, რომლებზეც ყოველი კონკრეტული ბანკი მოქმედებს (მკაცრი და სტაბილურია ისინი, თუ სუსტი და გაუარესების მქონე).

ექსპერტული შიდგომა. ბანკის კაპიტალის სტრუქტურის დინამიკამ შეიძლება არასწორი ორიენტირები მოგვცეს რეგულირებისათვის (მაგალითად, იგი ვერ ასახავს ბანკის აქტივებისა და დეპოზიტების ხარისხსა და სტაბილურობის ან საბაზრო პირობების ცვლილებებს). ამიტომ ბანკის კაპიტალის სიდიდის ადეკვატურობის შეფასების დროს მარეგულირებელი დაწესებულებები საექსპერტო დასკვნებსაც იყენებენ. ეს გულისხმობს ყოველი ბანკის შესწავლას ბაზრის პირობების კონტექსტში და მისი გარემომცველი და შიდა პირობების ზოგიერთი განზომილების გათვალისწინებით. ბანკის კაპიტალის სიდიდის ადეკვატურობის საექსპერტო შეფასებისათვის შემდეგ მახასიათებლებს იყენებს:

1. მართვის ხარისხი
2. აქტივების ლიკვიდობის დონე.
3. მომგებიანობის დინამიკა.
4. საკუთრების ხარისხი.
5. დასაქმების ხარჯები.

6. ოპერაციების ჩატარების სარისხი.
7. დეპოზიტების რაოდენობის დინამიკა.
8. ადგილობრივი პირობები.

არასაკმარისი კაპიტალის მქონედ ისეთი ბანკებიც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომლებიც მინიმალური სტანდარტის პირობას კი აკმაყოფილებენ, მაგრამ ან სუსტი შიდა სტრუქტურა აქვთ, ან ისეთი ბაზრის პირობებში უსდებათ საქმიანობა, რომელიც მეტი მოცულობის კაპიტალს ითხოვს. ასეთ ბანკებს შეიძლება მოთხოვონ კაპიტალის გადიდების გეგმის შემუშავება.

კაპიტალის მინიმალური სიდიდის მიმართ მოთხოვნების შემოღება. ვინაიდან ბანკის კაპიტალის სიდიდის ადეკვატურობა მისი საკუთარი შიდა და გარე მდგომარეობით ფასდება, ბოლოდროინდელი გაკოტრებებით ამერიკის ბანკების შეშფოთებამ აშშ-ის მარეგულირებელ დაწესებულებებს უბიძგა, დაეწესებინათ კაპიტალის სიდიდის მიმართ ყველა ბანკისათვის მინიმალური მოთხოვნები მათი საკუთარი შიდა და ბაზრის სიტუაციისგან დამოუკიდებლად. ეს მინიმალური სტანდარტები კონგრესმა დაამტკიცა კანონით საერთაშორისო დაკრედიტებისა და ზედამხედველობის შესახებ (1983წ.). მასში აღნიშნულია, რომ ყოველი შესაბამისი საბანკო სააგენტო ვალდებულია საბანკო დაწესებულებებს დაავალოს, რომ მათ მიაღწიონ და დაიცვან კაპიტალის ადეკვატური სიდიდე მისი მინიმალური დონის დაწესების გზით.

ამ კანონის ცენტრალური პუნქტი იყო პირველადი კაპიტალის კონცეფცია. ფულის ძიმიქციეის კონტროლიორმა და ფედერალურმა სარეზერვო სისტემებმა, რომლებიც სახელმწიფო ბანკებს და შტატების მიერ შექმნილ ბანკებს უწესებენ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, პირველადი კაპიტალი ასე განსაზღვრეს: ჩვეულებრივი აქციები, უვადო პრივილეგირებული აქციები, ნამატი, გაუწონასწორებელი მოგება, კაპიტალის სავალდებულო რეზერვები, აქციებში კონვერტირებადი სავალო ვალდებულებები, სესხებისა და არენდისაგან მიღებული დანაკარგების საკომპენსაციო რეზერვები, კონსოლიდირებული შეილობილი კომპანიების აქციების არასაკონტროლო პაკეტი, იმ ფასიანი ქაღალდების გამოვლინებით, რომლებსაც აქციების გაყიდვის და არამატერიალური აქტივების ხარჯზე ფარავენ. პირველადი კაპიტალის ეს კომპონენტები ბანკების კაპიტალის შედარებით მუდმივი წყაროებია. კაპიტალის ნაკლებად მუდმივი ფორმები მეორადი კაპიტალის ჯგუფში გაერთიანეს, რომელშიც ჩართეს ვადიანი პრივილეგირებული აქციები, სუბორდინირებული ფასიანი ქაღალდები და ვალდებულებები, აგრეთვე, აქციებში კონვერტაციისთვის სავალდებულო ის სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც პირველად კაპიტალად არ იყო აღრიცხული. ასეთ შემთხვევაში ბანკის მთლიანი კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს როგორც პირველადი და მეორადი კაპიტალების ჯამი.

ფედერალურმა საბანკო სააგენტოებმა მთელ აქტივებთან პირველადი კაპიტალის მინიმალური შეფარდება 5.5%-ის დონეზე დააწესეს, მთელ აქტივებთან მთლიანი კაპიტალის შეფარდება კი 6%-ის დონეზე. ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ გამოაცხადა, აგრეთვე, კაპიტალის ახალი სტანდარტები პოლდინგური საბანკო კომპანიებისთვის, რომლებიც კომერციული ბანკებისთვის გაპოყენებულ მოთხოვნებს ემთხვეოდა. ფედერალური საბანკო სააგენტოები დაჟინებით მოითხოვდნენ იმას, რომ თუკი ბანკის კაპიტალის სიდიდე სავალდებულო მინიმუმზე დაბალა ეშვება, მან შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში უნდა წარადგინოს დეფიციტის აღმოფხვრის გეგმა. ამის შემდეგ საქმა საბანკო სააგენტომ დაადგინა „საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობის სტანდარტი", რომლის მიხედვითაც ამერიკის ყველა ბანკმა ივალდებულა, ჰქონოდა მინიმუმ 3 დოლარი საკუთარი კაპიტალი აქტივების ყოველ 100 დოლარზე. ბანკების უმრავლესობა ვალდებულებას იღებდა, ჰქონოდა დაახლოებით 5 დოლარი სააქციო კაპიტალი აქტივების ყოველ 100 დოლარზე.

ბაზელის შეთანხმება კაპიტალის საერთაშორისო სტანდარტებზე. 1987 წელს აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელთა საბჭომ და სხვა 11 წამყვანი სამრეწველო

ქვეყნის (ბელგიის, კანადის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, ნიდერლანდების, შვედეთის, შვეიცარიის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიისა და ლუქსემბურგის) წარმომადგენლებმა განაცხადეს კაპიტალის ახალ სტანდარტებზე წინასწარი შეთანხმების მიღწევის შესახებ. მას ხშირად უწოდებენ ბაზელის შეთანხმებას, რომელიც ერთსაირად უნდა გამოეყენებინათ ჩამოთვლილი ქვეყნების იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა საბანკო დაწესებულებების მიმართ. ფორმალურად 1988 წლის იულისში მოწონებული ეს ახალი სტანდარტები მიზნად ისახავდა: წამყვანი ბანკების მიერ თაყიანთი კაპიტალის პოზიციების განმტკიცების სტიმულირებას: ამ ქვეყნების მარეგულირებელ წესებში არსებული შეუსაბამობების შემცირებას; იმ ბალანსგარეშე ვალდებულებებთან დაკავშირებული რისკის აღრიცხვას, რომელთა ფართოდ გამოყენებაც ბოლო წლებში დაიწყეს ბანკებმა. ბანკის კაპიტალისათვის დაწესებული ახალი მოთხოვნები სამოქმედოდ თანდათან უნდა შემოეღოთ 1992 წლის 31 დეკემბრამდე. ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭომ გამოაცხადა, რომ ახალ პრინციპებს ცოტაოდენი მოდიფიკაციებით გამოიყენებდნენ ამ სისტემის წევრი და შტატების მიერ შექმნილი რეგულარულად კონტროლირებადი ბანკების, აგრეთვე, კონსოლიდირებულ საფუძველზე შექმნილი ჰოლდინგური საბანკო კომპანიების მიმართ.

ახალ საერთაშორისო შეთანხმებაში ბანკის კაპიტალის წყაროები ორ კლასადაა დაყოფილი:

პირველი (ძირითადი) კლასის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს, ნამატს, გაუნაწილებელ მოგებას, ისეთ უვადო პრივილეგირებულ აქციებს, რომლებიც არ ითვალისწინებენ დივიდენდების დაგროვებას, აგრეთვე, კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიების აქციათა არასაკონტროლო პაკეტს მინუს არახელშესახები და არამატერიალური ძირითადი კაპიტალი (ბანკებს ნება დართეს თავიანთ ბალანსებში აესახათ არახელშესახები ძირითადი კაპიტალი, რომელიც წარმოიშობა ბანკების ან არასაბანკო ფირმების აქციების გაყიდვის დროს ნაღდ ფულზე.).

მეორე (დამატებითი) კლასის კაპიტალი მოიცავს სესხებიდან და არენდიდან მიღებულ დასაშვებ დანაკარგებს, აგრეთვე, სუბორდინირებულ სავალო ინსტრუმენტებს, მათ შორის – აქციებით უზრუნველყოფილს. (კაპიტალის ახალი საერთაშორისო სტანდარტები იმის ნებას იძლევიან, რომ დაფარვის 5 წლის თავდაპირველი საშუალო ვადის მქონე სუბორდინირებული სავალო ვალდებულებები აუცილებელი დამატებითი კაპიტალის წყაროდ ითვლებოდეს. ამასთან, არცერთი ფორმის დამატებით კაპიტალს არ შეუძლია გადააჭარბოს ძირითადი კაპიტალის 50%-ს. 1992 წლის შემდეგ დამატებითი კაპიტალის ნაწილად ითვლება კრედიტებისგან და არენდისგან მიღებული დანაკარგების დაფარვისთვის გამოყოფილი დასაშვები რეზერვებიც იმ პირობით, თუ ისინი საერთო (არაგანსაკუთრებული) რეზერვებია და აჭარბებენ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 25%-ს. მეორე კლასის კაპიტალის კომპონენტებს დამოუკიდებლად არეგულირებენ ბაზელის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები. ამასთან, ამ კაპიტალმა არ უნდა გადააჭარბოს პირველი კლასის კაპიტალს.).

შეთანხმებული ახალი მოთხოვნები კაპიტალის მიმართ, რომლებიც 1992 წ. 31 დეკემბრამდე უნდა ამოქმედებულიყო, ასეთი იყო:

1. პირველი (ძირითადი) კლასის კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან 4%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს

2. მთლიანი კაპიტალის (ე.ი. პირველი და მეორე კლასების კაპიტალის ჯამის) თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ მთელ აქტივებთან ნაკლები არ უნდა იყოს 8%-ზე.

ბანკის ბალანსზე და ბალანსგარეშე ანგარიშებზე არსებული აქტივების ყოველ ერთეულს ამრავლებენ რისკის წონით კოეფიციენტზე, რომელიც საკრედიტო რისკის დამუშავების ალბათობის გათვალისწინებას ემსახურება. ბალანსგარეშე აქტივების ყველაზე უფრო მკაცრად კონ-

ტროლირებადი ელემენტებიდან შეიძლება გამოვყოთ სარეზერვო აკრედიტივები, რომლებსაც საერთო ხასიათის ვალდებულებათა, ფედერალური და ადგილობრივი მთავრობების ობლიგაციების და ფირმების ფასიანი ქაღალდების გამოსასყიდად უშვებენ ბანკები, აგრეთვე, კანონით აუცილებელი გრძელვადიანი ვალდებულებები კერძო კორპორაციული კლიენტების მიმართ.

მოვიყვანოთ ბანკის კაპიტალის მინიმალურად საჭირო დონის გაანგარიშების მაგალითი ახალი საერთაშორისო სტანდარტების მისედვით. დავუშვათ, შტატის მიერ შექმნილი და ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრი ბანკის მთლიანი კაპიტალია 6 ათასი დოლარი, მთელი აქტივების სიდიდე კი – 100 ათასი დოლარი. მისი საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშები ასეთია (დოლარებით):

საბალანსო ანგარიშები (აქტივები)

სალაროს ნაღდი სასრები	5 000
აშშ-ის ხაზინის ობლიგაციები	20 000
დეპოზიტური ბალანსები ამერიკის ბანკებში	5 000
საყოფაცხოვრებო ქონების პირველ რიგში დაყადაღების უფლებით გარანტირებული სესხები	5 000
კერძო კორპორაციებზე გაცემული სესხები	65 000
მთლიანი საბალანსო აქტივები	100 000

ბალანსგარეშე ანგარიშები

სარეზერვო აკრედიტივები მუნიციპალურ მთავრობათა საერთო ხასიათის სავალო ვალდებულებების გამოსასყიდად	10 000
კანონით აუცილებელი გრძელვადიანი ვალდებულებები კერძო კორპორაციების მიმართ	20 000
მთლიანი ბალანსგარეშე ანგარიშები	30 000

ამ ბანკისთვის მთლიანი კაპიტალის შეფარდება მთელ აქტივებთან ტოლია

6 000 ÷ 100 000 = 6%.

მაგრამ კაპიტალის ახალი საერთაშორისო სტანდარტები ეყრდნობა რისკის მიხედვით შეწონილ და არა მთლიან აქტივებს. რომ გამოვთვალოთ წარმოდგენილი ბანკის რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების სიდიდე, ჩვენ შემდეგნაირად ვმოქმედებთ:

1. ვანგარიშობთ ბალანსგარეშე ანგარიშების ყოველი ელემენტის საკრედიტო ეკვივალენტს. ბალანსგარეშე ანგარიშების ყოველი ელემენტი გადაგვყავს ბანკისთვის ტოლი რისკის მქონე პირდაპირი აქტივების ეკვივალენტურ მოცულობაში.

ბალანსგარეშე ანგარიშები	ნომინალური ღირებულება	გადასაყვანი ფაქტორი	საკრედიტო ეკვივალენტი
სარეზერვო აკრედიტივები, რომლებიც ბანკის			

მიერაა გამოშვებული მუნიციპალური მთავრობების
ობლიგაციებისა და პირდაპირი კრედიტების სხვა
შემცვლელთა გამოსასყიდად, რეგრესის ან
გამოსყიდვის უფლების მქონე აქტივების გასაყიდად,
აგრეთვე, ფორვარდული აქტივების შესაძენად 10 000X 1,0= 10 000

გრძელვადიანი საკრედიტო ვალდებულებები
კერძო კორპორაციების მიმართ 20 000 X 0,5 = 10 000

2. ბალანსის თითოეულ ელემენტს და ყველა ბალანსგარეშე ელემენტის საკრედიტო ეკვივალენტებს ვამრავლებთ მარეგულირებელი ინსტანციების მიერ განსაზღვრულ რისკის შესაბამის კოეფიციენტებზე. ბანკის აქტივების პორტფელის სხვადასხვა ელემენტისთვის იყენებენ შემდეგ წონებს: 0% — სალაროს ნაღდი სახსრებისთვის, ყოველგვარი წინასწარი პირობის უქონლად დასაფარავი საკრედიტო ვალდებულებებისა და ფედერალური მთავრობის ფასიანი ქაღალდებისათვის; 20% — სხვა ბანკებში არსებული დეპოზიტებისთვის, ფედერალური სააგენტოების ფასიანი ქაღალდებისა და მოკლევადიანი თვითლიკვიდირებადი კომერციული ვალდებულებებისათვის; 50% — საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხებისათვის, გირავნობის სიგელებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდებისათვის, შტატებისა და ადგილობრივი მთავრობების შემოსაველიანი ობლიგაციებისათვის, საემისიო სისტემებისა და ერთ წელზე მეტი დაფარვის ვადის მქონე საკრედიტო ვალდებულებებისათვის; 100% — კრედიტებისა და საკრედიტო ვალდებულებებისათვის კორპორაციების მიმართ, კერძო სექტორის ყველა სხვა ვალდებულებებისათვის, ბანკის უძრავი ქონებისათვის, სხვა ძირითადი კაპიტალისა და უძრავ ქონებაში განხორციელებული ინვესტიციებისათვის.

რისკის 0%-იანი წონითი კატეგორია
სალაროს ნაღდი სახსრები 5 000
აშშ-ის ხაზინის ობლიგაციები 20 000
25 000 X 0 = 0

რისკის 20%-იანი წონითი კატეგორია
აშშ-ის სხვა ბანკებში არსებული ბალანსები 5 000
მუნიციპალური მთავრობების ობლიგაციების
გამოსასყიდად გამოშვებული სარეზერვო
აკრედიტივების საკრედიტო ეკვივალენტები 10 000
5 000 X 0,20 = 3 000

რისკის 50%-იანი წონითი კატეგორია
საყოფაცხოვრებო საკუთრების დაყადაღების
შემთხვევაში პირველადი უფლებით
გარანტირებული სესხები 5 000X0,5=2500

რისკის 100%-იანი წონითი კატეგორია
კერძო კორპორაციებზე გაცემული კრედიტები 65 000
კერძო კორპორაციების მიმართ გრძელვადიან 10 000
ვალდებულებათა საკრედიტო ეკვივალენტები ———X1,0 =75 000
75 000

რისკის მიხედვით შეწონილი ბანკის
მთელი აქტივები 80 500

რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან ბანკის მთლიანი კაპიტალის შეფარდება ტოლი იქნება:

მთლიანი კაპიტალი + რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები =
= 6 000 : 80 500 = 7, 45%.

შევნიშნოთ, რომ მიღებული ფარდობა 7,45% აღემატება პირველი კლასის კაპიტალისთვის აუცილებელ მინიმუმს 4%-ს, მაგრამ ჩამორჩება მთლიანი (პირველი და მეორე კლასების) კაპიტალისთვის დაწესებულ 8%-იან სტანდარტს. ამგვარად, ამ ბანკმა დამატებითი კაპიტალი უნდა მოიზიდოს კაპიტალის ახალი საერთაშორისო სტანდარტების დასაცავად.

ეს საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც მთლიანად შემოიღეს სამოქმედოდ 1993 წელს, როგორ მოელიან, მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს საფინანსო სისტემაში და განსაკუთრებით – კრედიტებისა და ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულებაში. ცვლილებები შესაძლოა გამოიწვიოს რისკის სხვადასხვა წონითი კოეფიციენტების გამოყენებამ განსხვავებული სახის აქტივების მიმართ (ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად). რისკის მაღალი დონის შემონე აქტივების – კორპორაციებისთვის მიცემული კრედიტების და საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხების – ყოველი დოლარი თავისი უზრუნველყოფისათვის ბანკის კაპიტალის მეტ პრიპორციას მოითხოვს, ვიდრე რისკის დაბალი დონის მქონე აქტივების, ეთქვათ, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, დოლარი. ბანკები, რომლებიც კაპიტალური დანახარჯების მინიმიზებას ამჯობინებენ, შესაბამისად, კორპორაციებისთვის მიცემული კრედიტებიდან და საბინაო მშენებლობაზე გაცემული სესხებიდან სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე გადაერთვებიან. უცხოეთის, მაგალითად, გერმანიის ან იაპონიის ბევრ ბანკს დიდძალი კორპორაციული აქციები და ობლიგაციები აქვთ, რომლებიც უხვად შეუძლიათ გამოიტანონ მსოფლიო ბაზრებზე და დასცენ ამ ფასიანი ქაღალდების კურსები.

კაპიტალის ახალი საერთაშორისო სტანდარტების სხვა შედეგია ბინების ინდივიდუალური მფლველებისა და ფირმებისათვის მიცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვნად აწევის შესაძლებლობა, რადგან ბანკები ცდილობენ ამ სახის კრედიტებთან დაკაშირებული კაპიტალის მიმართ არსებული მკაცრი მოთხოვნების კომპენსირებას. მაგრამ ფედერალური სააგენტოების ფასიან ქაღალდებს უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთები და უფრო მაღალი კურსი ექნებათ, რადგანაც ისინი კაპიტალის მიმართ ნულოვან ან მინიმალურ მოთხოვნებს უკავშირდება. ეკონომიკის საქმიანი სექტორისათვის მიცემულ კრედიტებზე არსებულ უფრო მაღალ პროცენტებს შეუძლია იმის სტიმული მისცეს კორპორაციებს, რომ სახსრების მოსაზიდად ღია ბაზარს მიმართონ და არა – თავიანთ ბანკებს. ამით ისინი დაეხმარებიან კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრის გაფართოებას და საქმიანი სექტორის აქტიურ კრედიტორებად დიდი რაოდენობით ისეთი ახალი ინვესტორების მოზიდვას, როგორიცაა საპენსიო ფონდები და ურთიერთფონდები. ახალმა წესებმა სტიმული უნდა მისცეს, აგრეთვე, კრედიტების უფრო აქტიურად გაყიდვას და სეკიურიტიზაციას, როგორც ბანკის სახსრების მნიშვნელოვან წყაროს.

8.7. ბანკის საკუთარი კაპიტალის საქმარისობის შეფასება

ბანკის კაპიტალის საკმარისობის განსაზღვრის პრობლემა სანერძლივი პერიოდის განმავლობაში რჩება ბანკებსა და მარეგულირებელ ორგანოებს შორის მეცნიერული კვლევისა და დავის საგნად. ბანკები ამჯობინებენ მინიმალური კაპიტალით გაართვან საქმეს თავი, რათა მაღლა ასწიონ მომგებიანობისა და აქტივების ზრდის მაჩვენებლები; ბანკების მაკონტროლებლები მოითხოვენ დიდ კაპიტალს გაკოტრების რისკის შესამცირებლად. ამავე დროს, არსებობს მოსაზრება, რომ გაკოტრებას ცუდად მართვა იწვევს, და რომ კარგად მართვის პირობებში ბანკებს კაპიტალის მცირე ნორმებითაც შეუძლიათ არსებობა.

ტერმინი „კაპიტალის საკმარისობა“ გამოხატავს ბანკის საიმედოობის ზოგად შეფასებას, მასზე რისკის დაშუქრების დონეს. კაპიტალის, როგორც ზარალის საწინააღმდეგო ბუფერის მოაზრება განაპირობებს კაპიტალის სიდიდესა და ბანკზე რისკის დაშუქრების ძალას შორის უკუდამოკიდებულებას. აქედან გამომდინარეობს საკმარისობის ძირითადი პრინციპი: საკუთარი კაპიტალის ზომა უნდა შეესაბამებოდეს აქტივების ზომას მათი რისკის ხარისხის გათვალისწინებით. ამაცე დროს, კომერციული ბანკები საქმიანობაში ყოველთვის ითვალისწინებენ იმას, რომ ბანკის მეტისმეტი „კაპიტალიზაცია“, აქციების ჭარბი რაოდენობით გამოშვება (საკუთარ სახსრებზე არსებულ ოპტიმალურ მოთხოვნასთან შედარებით) სიკეთის მომტანი არაა მათთვის. ეს უარყოფითად მოქმედებს ბანკის საქმიანობის შედეგებზე. ფულადი რესურსების მობილიზება აქციების გამოშვების გზით დაფინანსების ძვირი და ბანკისთვის არასასურველი ხერხია გარედან სახსრების მოზიდვასთან შედარებით. ამიტომ, ერთი მხრივ, ბანკის ხელმძღვანელობა, მეორე მხრივ კი ბანკის ზედამხედველი ორგანოები ცდილობენ ოპტიმალურ თანაფრდობას მიაგნონ კაპიტალის სიდიდესა და კომერციული ბანკების საქმიანობის სხვა პარამეტრებს შორის.

ბანკის რესურსებში კაპიტალის დაწეული ხვედრითი წილი კრიტიკის ობიექტია. საუბარი ეხება ბანკის და მისი მეანაბრეების (ან დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემთხვევაში – სახელმწიფოს) პასუხისმგებლობის არაშესადარისობას. ბანკის პასუხისმგებლობის ზომა მისი კაპიტალითაა შეზღუდული. მეანაბრეები და სხვა კრედიტორები იმ სახსრების გაცილებით მეტი მოცულობებით მიდიან რისკზე, რომლებიც საბანკო კაპიტალის გადიდების მოთხოვნას განაპირობებენ:

ა) ბანკების აქტივების საბაზრო ღირებულება უფრო მეტად ცვალებადია, ვიდრე საპრეწველო საწარმოების. იგი იცვლება საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან და მსესხებელთა კრედიტუნარიანობის გაუარესებასთან ერთად;

ბ) ბანკი უფრო მეტად მოკლევადიანი დავალიანების არამუდმივ წყაროებზე ამყარებს იმედს, რომელთაგან ბევრის ამოღება შეიძლება მოთხოვნით. ამიტომ პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცხოვრების ნებისმიერ მოვლენას შეუძლია ბიძგი მისცეს ბანკის რესურსების მასობრივად გადინებას. ცნობილია, რომ საუკუნეთა მიჯნაზე აქტივების მიმართ კაპიტალის ფარდობა ბანკებისთვის დაახლოებით 20%-ს შეადგენდა, დღეს კი იგი მხოლოდ 8%-ს უახლოვდება. ესე იგი საბანკო სისტემის გადახდისუნარიანობის რისკი დროთა განმავლობაში გაიზარდა, რადგანაც აქტივების ხარისხი იმდენად არ გაუმჯობესებულა, რომ ამას კაპიტალის ნაკლები ხვედრითი წილის კომპენსირება მოეხდინა.

ის ფაქტი, რომ ბანკების კაპიტალის ადეკვატურობა კონკრეტული კომერციული ბანკისა და, მთლიანად, საბანკო სისტემისადმი საზოგადოების ნდობას განაპირობებს, იმ მაჩვენებელთა რიგში ათავსებს მას, რომლებსაც სახელმწიფო აკონტროლებს ცენტრალური ბანკის ხელით. ერთობლიები კაპიტალის საკმარისი დონის შენარჩუნება საბანკო სისტემის სტაბილურობის ერთ-ერთი პირობაა.

იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ როგორი ზომის კაპიტალს უნდა ფლობდეს ბანკი ან მთლიანად საბანკო სისტემა, ძნელია, მაგრამ ივი საკმარისი უნდა იყოს უკვე განხილული ფუნქციების შესასრულებლად და მეანაბრეების და მაკონტროლებელი ორგანოების ნდობის მოსაპოვებლად. აუცილებლად საჭირო კაპიტალის თანხა იმ რისკზეა დამოკიდებული, რომელსაც ბანკი კისრულობს. მაგალითად, თუ ბანკის მიერ გაცემულ სესხებს დიდი რისკი ემუქრება, მაშინ უფრო მეტი კაპიტალური ფონდებია საჭირო. აუცილებელი კაპიტალის მოცულობის განსაზღვრის დროს ბანკი ალტერნატივის წინაშე დგება: რისკის მომატების შესაფერისად გაადიდოს თავისი კაპიტალი თუ ისეთ აქტივებში დააბანდოს სახსრები, რომლებსაც დიდი რისკი არ ემუქრება. ამგვარად, ის გარემოება ადეკვატურია ბანკის კაპიტალი თუ არა, – დამოკიდებულია მისი აქტივების

სარისკზე, მართვის სარისკზე, საქმიანობის სფეროში გატარებულ პოლიტიკაზე და ბანკის მიერ ნაკისრი რისკების ჯამზე.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში კომერციული ბანკები და საზოგადოება ცდილობდნენ შეეშუშავებინათ ისეთი ნორმატივები, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა ბანკის ან მთელი საბანკო სისტემის კაპიტალის საკმარისობის შემოწმების დროს. ამისათვის გამოყენებული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაჩვენებელია კაპიტალის შეფარდება დეპოზიტების თანხასთან. მას აშშ-ში ფულის მიმოქცევის კონტროლიორის სამსახური იყენებდა ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში. არსებული დეპოზიტების თანხა 10%-ით უნდა ყოფილიყო დაფარული კაპიტალის ხარჯზე. ანარიცხების მასშტაბირებად გადინების დაწყების შემთხვევაში ბანკს შეუძლია საკუთარი სახსრებით გაასტუმროს მაღი შეთვალი ნაწილი. ეს მაჩვენებელი საკმაოდ მარტივია და მის საფუძველზე ადვილად შეგვიძლია ბანკების ერთმანეთთან შეჯერება, რაც დღემდე უნარჩუნებს მას პოპულარობას ბანკების საფინანსო სამსახურებში.

XX ს. 40-იან წლებში ეს მაჩვენებელი შეცვალა კაპიტალის შეფარდებამ მთლიან აქტივებთან. მაისინიათ, რომ სწორედ ბანკების აქტივების შედგენილობა და ხარისხია ბანკების გაკოტრების მიზეზი. ამ მაჩვენებლის მიზანშეწონილობას განაპირობებდა დასავლეთის ბანკების ბალანსში ზარალის ასახვა აქტივების მთლიანი სიდიდის შემცირების სახით. ეს მაჩვენებელი იმაზე მიუთითებდა, თუ როგორი ზარალი შეიძლებოდა მოსლოდა ბანკს მეანაბრეების დაუზარალებლად. მისი სიდიდე 8%-ს აღწევდა. ამ მაჩვენებლის სრულყოფამ მოიტანა ახალი კოეფიციენტი კაპიტალის შეფარდება რისკის აქტივებთან, რომელიც გეთავაზობს აქტივების მოცულობის სიდიდის ობიექტურად შეფასებას. ეს კოეფიციენტი განსაზღვრავს ერთობლივი კაპიტალის შეფარდებას იმ აქტივებთან, რომლებიც ზარალის შესაძლებლობას ატარებენ (რომელიმე რისკიანი აქტივისგან ან რისკიანი აქტივების კატეგორიიდან მოსალოდნელი ზარალის განსაზღვრის მცდელობის გარეშე). შემოთავაზებული იყო, აგრეთვე, ჭარბი კაპიტალის საფუძველზე აგებული კოეფიციენტები (მთლიანი კაპიტალი უბრალო აქციების ღირებულების გამოკლებით), რადგან პირველ რიგში ის ხმარდება ზარალის დაფარვას, და სხვა მაჩვენებლებს.

საბანკო კაპიტალის შეფასების მეთოდოლოგიის საკითხი 80-იანი წლების მეორე ნახევარში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (მაგალითად, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის) განსილვის საგანი გახდა. მისი მიზანი იყო კაპიტალის საკმარისობის საერთო კრიტერიუმების შემუშავება ყველა ბანკისთვის, მათი ადგილსამყოფელი ქვეყნის მიუხედავად. 1988 წ. ბაზელის საბანკო რეგულირების კომიტეტის ეგიდით დაიდო „შეთანხმება კაპიტალის გაანგარიშების საერთაშორისო უნიფიკაციის და კაპიტალის სტანდარტების შესახებ“, რომელმაც პრაქტიკაში შემოიტანა „კუკის კოეფიციენტის“ სახელით ცნობილი კოეფიციენტი. იგი ძალაში შევიდა 1993 წ. და ამჟამად მას საბაზო ორიენტირად იყენებენ მრავალი ქვეყნის ცენტრალური ბანკები. ამ ნორმატივის თავისებურება ისაა, რომ იგი მხოლოდ საერთაშორისო ბანკებზე ვრცელდება, ე.ი. ისეთებზე, რომლებსაც ფილიალები, შვილობილი ან ერთობლივი ბანკები აქვთ სხვადასხვა ქვეყნებში.

კუკის კოეფიციენტი ადგენს მინიმალურ თანაფარდობას ბანკის კაპიტალსა და მის საბალანსო და საბალანსგარეშე აქტივებს შორის, რომლებიც შეწონილია რისკის ხარისხის მიხედვით, ცალკეულ ქვეყნებში განსხვავებული ნორმების შესაბამისად. ამ დროს დაცული უნდა იყოს გარკვეული ლოკა. კოეფიციენტი დადგენილია 8%-ის დონეზე, ამასთან ძირითად კაპიტალზე უნდა მოდიოდეს ამ სიდიდის ნახევარი მაინც. საკუთარი კაპიტალი ორ ელემენტს მოიცავს: მთავარ კაპიტალს და დამატებით კაპიტალს. მათი საკმარისობის შესაფასებლად შერჩეულია აქტივების და ბალანსგარეშე ვალდებულებების შეწონვა (და არა ბალანსის მთლიანი თანხის გამოყენება). ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ბალანსგარეშე ოპერაციების ჩართვას და სტიმულს აძლევს დაბალი რისკის მქონე აქტივებში სახსრების დაბანდებებს.

არსებითად, ბაზელის შეთანხმებამ მოახდინა საკრედიტო და ქვეყანასთან დაკავშირებული რისკის სტანდარტიზება. საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებული და საბაზრო რისკები ამ მეთოდიკის ფარგლებში 1997 წლამდე არ რეგულირდებოდა.

ამჟამად ბაზელის კომიტეტის მიერ დამუშავებულია კაპიტალის საკმარისობის ნორმატივის გაანგარიშების რეკომენდაციები საპროცენტო და საბაზრო რისკების გათვალისწინებით.

რისკის შეფასებაზე დამოკიდებულებით მიმდინარეობს აქტივების შეწონვა. ყველაზე მეტ სირთულეებს იწვევს ბალანსის გარეთ აღრიცხული ოპერაციების შეფასება. ამას იწვევს ყველა ქვეყანაში მათი მრავალფეროვნება და ზოგჯერ უმნიშვნელო მოცულობა. ყოველ ქვეყანას გარკვეული თავისუფლება აქვს მიღებული რისკების ინტერპრეტაციაში და ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების გამოყენებაში. ამასთან, ეს რეკომენდაციები აიძულებენ მათ, მოახდინონ ყველა ბალანსგარეშე ვალდებულების კონვერსია ეკვივალენტურ საკრედიტო რისკად სპეციალური საკონვერსიო კოეფიციენტის გამოყენებით. მიღებული შედეგები შემდეგ ისევ შეიწონება, როგორც საბალანსო ოპერაციების შემთხვევაში. ეს საშუალებას აძლევს მრავალ ბანკს, გამოიყენოს ბალანსის გარეთ რისკიანი აქტივების გამოტანის პრაქტიკა ახალი საფინანსო ინსტრუმენტების დანერგვის მეშვეობით. ამგვარად, ბანკის ყველა აქტივისთვის ტარდება მთლიანი რისკის ერთგვაროვნად შეფასება. ბაზელის სისტემა სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს. მაგალითად, ევროკავშირის ფარგლებში მოქმედებს კუკის კოეფიციენტის ანალოგიური მაჩვენებელი – გადახდისუნარიანობის ერთიანი კოეფიციენტი, ოღონდ იგი ვრცელდება არა მარტო მსხვილ საერთაშორისო ბანკებზე, არამედ საკრედიტო ინსტიტუტების მთელ სისტემაზე.

საკუთარი კაპიტალის საკმარისობისადმი ერთიანი მიდგომის გამომუშავებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საბანკო სისტემისთვის. ამჟამად ჩვენი ქვეყნის კომერციული ბანკები სულ უფრო მზარდი არასელსაყრელი კონიუნქტურის პირობებში მუშაობენ. საკუთრებისა და ბანკების დაბურვის სიხშირე და დეპოზიტების დაზღვევის ცენტრალიზებული სისტემის უქონლობა მოითხოვს გულდასმით ანალიზს და სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარებას კომერციული ბანკების კაპიტალის საკმარისობის დონის გამოსარკვევად.

ბაზელის შეთანხმების შესაბამისად ბანკის კაპიტალი იყოფა 1-ლი დონის კაპიტალად და მე-2 დონის კაპიტალად.

1-ლი (ძირითადი) დონის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს, გაუნაწილებელ მოგებას, დივიდენდების გაუთვალისწინებელ დაგროვებას, უვადო პრივილეგირებულ აქციებს, აგრეთვე, კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიების აქციების არასაკონტროლო პაკეტს მინუს არახელშესახები (არამატერიალური) ძირითადი კაპიტალი.

ბანკებს უფლება აქვთ ბალანსებში ასახონ ის არახელშესახები ძირითადი კაპიტალი, რომელიც ნაღდი ფულით ბანკის ან არასაბანკო ფირმის შესყიდვის დროს ჩნდება. ახალი საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს, რომ ბანკის ძირითადი კაპიტალის საჭირო მინიმალური კაპიტალის განსაზღვრის დროს მისი არახელშესახები კაპიტალი უნდა გამოირიცხოს მთლიანი კაპიტალიდან.

მე-2 კაპიტალი (დამატებითი) მოიცავს რეზერვების აქტიური ოპერაციებიდან მიღებულ საერთო დანაკარგებს, სესხებიდან მიღებული ზარალის დაფარვას, აგრეთვე აკუმულაციურ ვადიან პრივილეგირებულ აქციებს და სუბორდინირებულ ვალს.

ახალი საერთაშორისო კაპიტალური სტანდარტები უშვებს, რომ ის სუბორდინირებული სავალო ვალდებულებები, რომელთა დაფარვის საშუალო ვადა 5 წელია, აუცილებელი დამატებითი კაპიტალის წყაროდ ჩაითვალოს.

მაგრამ არცერთი ფორმის მიხედვით დამატებითი კაპიტალი არ შეიძლება შეადგენდეს ძირითადი კაპიტალის 50%-ზე მეტს. 1992 წ. შემდეგ კრედიტებიდან და არენდიდან გამოწვეული ზარალის დაფარვაზე დაშვებული რეზერვები, ასევე, შეიძლება ჩაითვალოს დამატებითი კაპი-

ტალის ნაწილად იმ პირობით, რომ ისინი საერთო (და არა განსაკუთრებული) რეზერვებია და შეადგენენ რისკის მიხედვით შეწონილი საბანკო აქტივების არა უმეტეს 1,25%-ს.

მე-2 დონის კაპიტალის კომპონენტების დამოუკიდებლად აკუმულირება ხდება ბაზელის შეთანხმების ხელმომწერი მხარეების მიერ; ამასთან მე-2 დონის კაპიტალი არ შეიძლება აჭარბებდეს 1-ლი დონის კაპიტალის 100%-ს.

მე-2 დონის კაპიტალში შემავალი რეზერვები, რომლებიც სესხების არ დაბრუნების შემთხვევისთვისაა შექმნილი, 1992 წლიდან შეზღუდულია რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1,25%-ით. რაც შეეხება მეორადი ვალების და იმ საშუალო ვადიანი პრივილიგირებული აქციების ჯამურ სიდიდეს, რომელიც ამორტიზაციას ექვემდებარება მათი დაფარვის ვადის დადგომისას, იგი არ შეიძლება აჭარბებდეს 1-ლი დონის კაპიტალის 50%-ს. მე-2 დონის კაპიტალის სხვა კომპონენტები შეუზღუდავია, დადგენილი ნორმატივების საზღვრებს გაცდენილი ყველა თანხა კი დაშვებულია, მაგრამ კაპიტალად არ ირიცხება.

ბაზელის კომიტეტის მიერ შემოთავაზებულ რეკომენდაციებს მთელი რიგი უპირატესობები აქვს, კერძოდ, იგი ხელს უწყობს ბანკის ურისკო საქმიანობის წილის გადიდებას, სტიმულს აძლევს სახელმწიფოს შეამციროს ბანკების საქმიანობის რეგლამენტაცია, იძლევა სხვადასხვა ქვეყნის საბანკო სისტემების შედარების შესაძლებლობას და ა.შ. ამავე დროს, მას მთელი რიგი ნაკლოვანებებიც აქვს, რომელთაგან მთავარია: არასაკმარისი სიზუსტე დონეების მიხედვით, კაპიტალის შემადგენელი ელემენტების განსაზღვრის დრო, აქტივების არასაკმარისად დაწვრილებითი დიფერენცირება რისკის ხარისხის მიხედვით; საბაზრო და საპროცენტო რისკებზე კაპიტალის მოცულობის დამოკიდებულების არარსებობა და სხვა.

საბაზრო და საპროცენტო რისკების გათვალისწინებით ბანკის კაპიტალის საკმარისობის გაანგარიშების დაზუსტების მიზნით 1997 წ. მიიღეს კაპიტალის დონის მიმართ მოთხოვნების შესწორებების შესახებ შეთანხმება. საბანკო საზედამხედველო ორგანოების მიერ დადგენილ ვადებში ბანკები ვალდებული არიან გაზომონ და ჩაატარონ კაპიტალიდან ანარიცხები და მოახდინონ მისი კორექტირება საბაზრო რისკით საკრედიტო რისკებთან ერთად (საბაზრო რისკი არის საბალანსო და ბალანს გარეთა პოზიციების მიხედვით ზარალის წარმოქმნის რისკი, რასაც საბაზრო ფასების ცვლილება იწვევს).

ეს მოთხოვნა შემდეგი სახის რისკებზე ვრცელდება:

იმ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკები, რომლებიც საპროცენტო განაკვეთებზეა დაფუძნებული, და ოპერაციების პორტფელში მოთავსებულ საწილო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკები;

სავალუტო და სასაქონლო რისკები (ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა) ბანკის ყველა ოპერაციის მიხედვით.

საბაზრო რისკის დასაფარავად უპირველეს ყოვლისა 1-ლი და მე-2 დონის კაპიტალის გამოყენება შეიძლება. ცენტრალური ბანკის შეზღუდულებებისამებრ ბანკებს შეუძლიათ მე-3 დონის კაპიტალის გამოყენება, რომელიც შედგება მოკლევადიანი სუბორდინირებული ვალისგან (არანაკლებ ორი წლისა), შემდეგი პირობების გათვალისწინებით;

- მე-3 დონის კაპიტალის გამოყენება ბანკებს შეუძლიათ მხოლოდ რისკის წარმოშობის დროს;
- საბაზრო რისკის წარმოშობის დროს გამოსაყენებელი მე-3 დონის კაპიტალი უნდა შეადგენდეს 1-ლი დონის კაპიტალის 250%-ზე ნაკლებს.

მე-3 დონის კაპიტალად შეიძლება გამოვიყენოთ მოკლევადიანი სუბორდინირებული ვალი. იგი კაპიტალად მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება, თუ საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ბანკის მუდმივ კაპიტალად გადაიქცეს და ზარალის დასაფარავად იქნას გამოყენებული მისი გადახდისუუნარობის შემთხვევაში.

ბანკის კაპიტალის საკმარისი ნორმატივის გაანგარიშება შემდეგი თანმიმდევრობით ხდება:

თავდაპირველად განსაზღვრავენ კაპიტალის აბსოლუტურ სიდიდეს; შემდეგ ანგარიშობენ რისკის ხარისხის მიხედვით შეწონილი აქტივების თანხას და ბანკის მიერ შექმნილ რეზერვებს აქტიური ოპერაციების მიხედვით შესაძლო დანაკარგების დასაფარავად.

ამგვარად, ბანკის კაპიტალის საკმარისობის ნორმატივი შემდეგი ფორმულით შეიძლება გაიანგარიშოთ:

$$H_1 = \frac{K}{A_p - P_u - P_k - P_a + KPB + KPC + PP} \times 100\%$$

სადაც, K ბანკის კაპიტალის გაანგარიშებული თანხაა;

A_p რისკის გათვალისწინებით შეწონილი აქტივების თანხა;

P_u ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შემთხვევისთვის შექმნილი რეზერვების თანხა;

P_k მეორე მეთხე ჯგუფის რისკის მქონე სესხებზე შესაძლო დანაკარგების დასაფარავად შექმნილი რეზერვების თანხა, რომელსაც აკლდება კრედიტებზე შესაძლო დანაკარგებისთვის შექმნილი რეზერვის გაანგარიშებულ და ნამდვილ თანხებს შორის არსებული სხვაობა;

P_A სხვა აქტივებზე და დებიტორებთან ანგარიშსწორებაზე მიღებული შესაძლო დანაკარგების დასაფარავად შექმნილი რეზერვის თანხა;

KPB იმ ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის ზომა, რომლებიც არასაბალანსო ანგარიშებზეა ასახული;

KPC ვალიანი გარიგებების საკრედიტო რისკის სიდიდე;

PP საბაზრო რისკი სიდიდე.

5 მლნ. ევროზე ნაკლები კაპიტალის მქონე ბანკებისათვის H_1 ნორმატივი დაწესებულია 11%-ის, უფრო მეტის მქონეთათვის კი – 10%-ის ოდენობით.

8.8. დამატებითი კაპიტალის მოზიდვის მიმდინარე ტენდენციები

ბოლო წლებში მთელი მსოფლიოს ბანკებს სულ უფრო მეტად ესაჭიროებათ დამატებითი კაპიტალის მოზიდვა ზრდის მხარდასაჭერად და მეანაბრეებისათვის რისკის დონის შესამცირებლად. დამატებით კაპიტალზე მოთხოვნილების მატება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, რომლებიც ესება როგორც სახელმწიფოებრივ რეგულირებას, ისე კონკურენტულ ბაზარს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ინფლაცია, რადგან აქტივებისა და პასიების ზრდასთან ერთად იგი ამცირებს მის საკუთარ კაპიტალს. სხვა ფაქტორად გვეელინება ეკონომიკის მერყეევა ხასიათი. იგი იმ დიდ რისკს იწვევს, რომელიც ბანკის შემოსავლების სტაბილურობას უკავშირდება. გარდა ამისა, მოგების – კაპიტალის სტაბილურად ზრდის ამ მთავარი წყაროს – შემცირებას იწვევს მზარდი ხარჯები, განსაკუთრებით, დეპოზიტებზე პროცენტების გადახდა, რომლებსაც უკვე ეელარ არეგულირებენ. ბოლოს, ამჟამად მრავალი ინვესტორი კაპიტალის ბაზარზე ბანკებს მიიჩნევს ყველაზე სარისკო დაწესებულებებად. ამის მიზეზია დერეგულირების ეფექტი და ენერგომატარებლებისა და უძრავ ქონებაზე ფასების ჩამოყალიბების არასასიეთო დინამიკა. ეს ინვესტორები სულ უფრო დაჟინებით მოითხოვენ ბანკებისგან იმას, რომ მათ მეტი ყურადღება მიაქციონ საკუთარი კაპიტალის და უხალისოდ იძენენ ფასიან ქაღალდებს ან შეაქეთ ანაბრები კაპიტალიზაციის დაბალი დონის მქონე ბანკებში.

აშშ-ში ბანკების მარეგულირებელმა დაწესებულებებმა იმის მოითხოვეს ბანკებისაგან, რომ მეტი ყურადღება დაუთმონ თავიანთ კაპიტალს ახალი მომსახურების, ახალი ფილიალებისა და შეილობილი ფირმების შექმნამდე ან შეძენამდე. კაპიტალიზაციის მაღალი დონის მქონე ბანკები

ახალ სფეროებში დაუშვეს და მათ შეძლეს თავიანთი გავლენის გავრცელება უფრო მეტ შტატზე. სუსტი კაპიტალის მქონე ბანკები უფრო ძკაცრ მარეგულირებელ ზემოქმედებას განიცდიან და მათ ძლიერ უზღუდავენ საქმიანობას კაპიტალის მდგომარეობის გამოსწორებამდე. ამგვარ „რეგულირებას კაპიტალის მიხედვით“ საფუძვლად უდევს ის ვარაუდი, რომ იგი შეამცირებს გაკოტრების ალბათობას და ზედმეტ რისკს, რადგან ბანკის მფლობელები იძულებული იქნებიან, მეტი სახსრები დაბანდონ თავიანთი პასუხისმგებლობით. ამის შედეგად, რაც უფრო მეტი კაპიტალი გაუმაგრებს ზურგს ბანკის საქმიანობას, მით მეტი აქციონერები მიაქცევენ ყურადღებას საბანკო ოპერაციების ხარისხის კონტროლს. მაგრამ მარეგულირებელ ორგანოებს არ შეუძლიათ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე წაუყენონ მოთხოვნები ბანკებს. მეტისმეტი მოთხოვნები კაპიტალის მოცულობის მიმართ მხოლოდ შეამცირებს ბანკების მიერ იმ კრედიტების გაცემის უნარს, რომელიც ეკონომიკური ზრდის მსარდასაჭერადაა აუცილებელი.

დამატებით კაპიტალზე გაჩენილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დაგეგმვა. კომერციული ბანკები სულ უფრო მეტ ზეწოლას განიცდიან თავიანთი კაპიტალის მოცულობის გადიდების მსრივ, რის გამოც ისინი სულ უფრო მეტად გრძნობენ დამატებით კაპიტალზე გაჩენილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გრძელვადიანი დაგეგმვის აუცილებელობას. ამჟამად ასეთი დაგეგმვის მრავალ ხერხს იყენებენ, მაგრამ მათი უმრავლესობა შემდეგ ოთხ ძირითად ეტაპს მოიცავს:

პირველი ეტაპი. ბანკის საერთო ფინანსური გეგმის შემუშავება. ბანკის მმართველმა და დირექტორთა საბჭომ უნდა გადაწყვიტონ, თუ რა ტიპის ბანკი სურთ. ამისთვის მათ პასუხი უნდა გასცენ შემდეგ მთავარ კითხვებს: რამდენად დიდი უნდა იყოს ბანკი? როგორი მომგებიანობა უნდა ქონდეს ბანკს გრძელვადინ პერსპექტივაში?

ყველა ბანკს სულ უფრო მეტად უხდება თავისი კაპიტალის სიდიდის დაგეგმვა იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ რომელი მომსახურების გაწევას აპირებენ ისინი მომავალში. აშშ-სა და სხვა ქვეყნებში საბანკო საქმიანობის დერეგულირებამ შესაძლებელი გახადა ახალი მომსახურების შეთავაზება ფასიან ქაღალდებზე წარმოებულ ოპერაციებში, დაზღვევასა და სხვა სფეროებში. ბანკმა უნდა განსაზღვროს, თუ რომელი მათგანი ადიდებს მისი რისკის, განსაკუთრებით – მოგების რყევისა და გაკოტრების რისკების ალბათობას. ზოგიერთი ახალი მომსახურება ამცირებს რისკს და, ამდენად. კაპიტალზე არსებულ მოთხოვნილებას, სხვები კი პირიქით, ზრდის მათ. ბანკის მართვის ხარისხს განსაზღვრავს ფაქტორი, მართლა შეუძლია თუ არა თავისი რისკის ალბათობის შემცირება ახალი მომსახურების შემოღებით და ამ გზით და აქედან გამომდინარე, ხდება თუ არა კაპიტალზე არსებული მოთხოვნილების შემცირებაც.

დამატებითი კაპიტალის მოზიდვაზე ბანკში გაჩენილი მოთხოვნილებების დაგეგმვის პირველი ეტაპი მოიცავს საავარაუდო ფინანსური ბალანსების შედგენას, შესაძლო შედეგების ანალიზს და კაპიტალზე მოთხოვნილებების წინასწარ დაპროექტებას იმ ვარაუდით, რომ არ მოხდება რაიმე ცვლილებები საბანკო ოპერაციების ჩატარებასა და ბანკის პოლიტიკაში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მმართველები მზად იყვნენ ბანკის საქმიანობის შესაძლო შედეგების ფართო სპექტრისათვის, რადგანაც გრძელვადიანი კაპიტალი ყველაზე ძვირია ბანკის სახსრების ყველა წყაროს შორის. გარდა ამისა, არცერთ ბანკს არ სურს მარეგულირებელი ორგანოების ზეწოლის ქვეშ მოქცევა კაპიტალის გადიდების აუცილებლობის მსრივ.

მეორე ეტაპი. კაპიტალის იმ სიდიდის განსაზღვრა, რომელიც აუცილებელია ბანკისათვის მისი მიზნების, განზრახული ახალი მომსახურების, რისკის ალბათობის და სახელმწიფო რეგულირების პირობების გათვალისწინებით. ბანკებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ კაპიტალთან დაკავშირებით ისინი ორი სახის წინააღმდეგობას აწყდებიან. ერთს ბანკების მარეგულირებელი დაწესებულებები აწესებენ, მეორეს კი –კაპიტალის ბაზარზე მოქმედი ინვესტორები. ბაზრის თვალსაზრისით მეტისმეტად დიდი მოცულობის სააქციო კაპიტა-

ლი ამცირებს ნასესხები სახსრების ეფექტიანობას და შემდეგში მათი ინვესტირების მომგებიანობას. ეს ამცირებს ბანკის პოტენციურ მოგებას და დაბალა სცემს მისი აქტიევების საკურსო ღირებულებას, რადგან ინვესტორები ბანკის უფრო დაბალ მომგებიანობას მოელიან მომავალში. რისკის ალბათობის მიმართ მეტისმეტად მცირე სააქციო კაპიტალმა ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შექმნას კაპიტალის ბაზრის ინვესტორებს შორის, რომ ბანკის მომგებიანობა ნაკლებად სტაბილური ხდება და როცა მისმა უმსხვილესმა მეანაბრეებმა შესაძლოა თავიანთი სახსრები დაკარგონ. ამ შემთხვევაში ბანკის აქციების საკურსო ღირებულება დაცემას იწყებს, მეანაბრეებმა და სხვა კრედიტორებმა კი შეიძლება დაბანდებულ სახსრებზე უფრო მაღალი შემოსავლების მოთხოვნა დაიწყონ.

მესამე ეტაპი. იმ კაპიტალის სიდიდის განსაზღვრა, რომლის მოზიდვაც შიდა წყაროს – გაუნაწილებელი მოგების – ხარჯზე შეიძლება. ბანკმა უნდა გადაწყვიტოს, თუ მომდინარე მოგების რა ნაწილს გადაუხდის იგი თავის აქციონერებს დივიდენდების სახით, რა წილს დაიტოვებს გაუნაწილებლად იმ მიზნით, რათა უზრუნველყოს ზრდა და დააკმაყოფილოს მარეგულირებელი დაწესებულებების მხრიდან კაპიტალის შეზღუდვის მოთხოვნები. ბანკმა უნდა მოახდინოს მოგების ზრდის პროგნოზირება იმის გასაგებად, შეუძლია თუ არა ამ ზრდას კაპიტალზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება მთლიანად ან თუნდაც მნიშვნელოვანწილად.

მეოთხე ეტაპი. ბანკის მოთხოვნილებებისა და მიზნების ყველაზე უფრო შესაბამისი კაპიტალის წყაროების შეფასება და შერჩევა. კაპიტალის „საუკეთესო" წყაროს შერჩევა რამდენიმე ასპექტს მოიცავს: საბაზრო პირობებს (აუცილებელია თუ არა ახალი აქტიევების ან სავალო ვალდებულებების ემისია), არსებული აქციონერების უფლებებსა და ინტერესებს, აგრეთვე, ბანკის მომავალ მომგებიანობასთან დაკავშირებით გაკეთებული პროგნოზების სამართლიანობის ხარისხს. ამჟამად ბანკების უმრავლესობა იყენებს გრძელვადიანი კაპიტალის მოზიდვის რამდენიმე მეთოდს. ესენია: აქციების გაყიდვა, კაპიტალზე სასესხო ვალდებულებათა ემისია, აქტიევების გაყიდვა, ოფისების არენდა, აგრეთვე, მოგების ზრდის დაჩქარება. კაპიტალის არსებული წყაროები ორ კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ: 1) სახსრების შიდა წყაროები; 2) გარე წყაროები. დეტალურად განვიხილოთ კაპიტალის ეს ალტერნატიული განზოგადებული წყაროები.

კაპიტალის მოზიდვა შიდა წყაროების ხარჯზე. ბანკის კაპიტალის ძირითადი წყარო ყოველთვის იყო ის მოგება, რომელსაც აქციონერებს კი არ უხდიდნენ, არამედ გაუნაწილებლად იტოვებდნენ. კაპიტალის მოზიდვის ამ ხერხის უპირატესობაა ღია ბაზრის სახსრებისგან დამოუკიდებლობა და ამ გზით დანახარჯების გამორიცხვა სესხების განთავსებაზე. შიდა წყაროების ხარჯზე კაპიტალის მოზიდვა არამარტო უფრო იაფია, არამედ არსებული აქციონერების მიერ კონტრილის დაკარგვის საფრთხესაც არ შეიცავს, ე.ი. გამორიცხავს როგორ საკუთრებაში მათი წილის შესუსტებას, ისე მათი აქციების შემოსავლიანობის დაქვეითებასაც. მაგალითად, თუ ბანკი დაფინანსირების წყაროდ აქციების გაყიდვას ირჩევს, მაშინ აქციების ნაწილი შესაძლოა ახალ აქციონერებს მიეყიდოს, რითაც ბანკის მომავალი მოგების წილზე და მისი პოლიტიკის განსაზღვრაზე უფლებას მოიპოვებენ.

კაპიტალის შიდა მოზიდვის ნაკლი ისაა, რომ ასეთი კაპიტალი მთლიანად იბეგრება ფედერალური გადასახადებით და იმ საპროცენტო განაკვეთებისა და ეკონომიკური პირობების მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, რომელთა პირდაპირ მართვის შესაძლებლობაც ბანკს არა აქვს. ისტორიული სტანდარტებით თუ შევხედავთ, ბანკების მოგების ზრდის ტემპი შენელებულია. ეს სულ უფრო მეტი რაოდენობის ბანკებს აიძულებს – შიდა წყაროების ხარჯზე მოზიდული კაპიტალის შესავსებად კაპიტალის გარე წყაროები – აქციებისა და სუბორდინირებული ვალდებულებების ემისიაც გამოიყენონ.

დივიდენდების პოლიტიკა. დამატებით კაპიტალზე გაჩენილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში წმინდა მოგების მატებაზე დაყრდნობა ნიშნავს გადაწყვეტილების იმაზე კონცენტრირებას, თუ

მიმდინარე მოგების რა ნაწილი უნდა დარჩეს გაუნაწილებელი და რამდენი მიეცეს აქციონერებს დივიდენდების სახით. ასე, რომ დირექტორთა საბჭომ და მმართველებმა უნდა განსაზღვრონ დაკავებული მოგების (მიმდინარე გაუნაწილებელი მოგება, გაყოფილი დაბეგვრის შემდეგ დარჩენილ მიმდინარე წმინდა მოგებაზე) ის ნაწილი, რომლის საფუძველზეც შემდეგ გამოითვლება დივიდენდების წილი (მიმდინარე დივიდენდები, გაყოფილი მიმდინარე წმინდა მოგებაზე).

დაკავებული მოგების სიდიდეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბანკის მართვისათვის. მისი დაწესება ძალიან დაბალ დონეზე (ე.ი. როცა დივიდენდების წილი ძალიან მაღალია) კაპიტალის შიდა წყაროების უფრო ნელა ზრდას იწვევს, რითაც ადიდებს გაკოტრების რისკს და ამუხრუჭებს შემოსავლის მომტანი აქტივების მოცულობის ზრდებას. დაკავების მეტისმეტად მაღალმა წილმა (ე.ი. როცა დივიდენდების წილი ძალიან დაბალია) შეიძლება გამოიწვიოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის სიდიდის შემცირება. სხვა თანაბარ პირობებში ეს დასცემს ბანკის აქციების საბაზრო საკურსო ღირებულებას. ბანკის ოპტიმალური სადივიდენდო პოლიტიკა ისაა, რომელიც აქციონერთა ინვესტიციების საბაზრო ღირებულების მაქსიმიზირებას განაპირობებს. ბანკი ახალ აქციონერებს მოიზიდავს და ძველებს შეინარჩუნებს იმ შემთხვევაში, თუკი სააქციო კაპიტალის შემოსავლიანობა რისკის იმავე დონის სხვა ინვესტიციების შემოსავლიანობაზე ნაკლები მაინც არ იქნება. ბოლოდროინდელი გამოკვლევის მონაცემების თანხმად, დივიდენდების წილი აშშ-ის ბანკებში მაღლდება, რადგან მოგების დაბალი ტემპით ზრდის კომპენსირებას ბანკები ცდილობდნენ აქციონერებისათვის მეტი შემოსავლის გადახდით მათ მიერ დაბანდებულ ყოველ დოლარზე. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამერიკის ბანკების დივიდენდებმა, საშუალოდ, დარგში შეადგინა მიმდინარე მოგების 80%. ეტყობა, ამაში გამოისატა ბანკების მცდელობა, რომ მსარდაჭერის პირობა მიეღოთ თავიანთი აქციონერებისაგან (მაშინ, როდესაც სააქციო კაპიტალის შემოსაელიანობა დარგში ეცემა) და, აგრეთვე, იქითკენ სწრაფვა, რომ რისკის მეტი წილი დაზღვევის ფედერალურ ფონდებზე გადაეტანათ. სამწუხაროდ, ამ პრაქტიკამ დაასუსტა მრავალი ბანკის კაპიტალის პოზიციები და აიძულა ისინი, კაპიტალის გარე წყაროების იმედად უფრო ყოფილიყვენენ, ვიდრე შიდა წყაროებისა.

ბანკებისათვის ყველაზე მნიშველობანი ამოცანაა სტაბილური სადივიდენდო პოლიტიკის შეხუშავება. თუკი ბანკი შედარებით სტაბილურ დონეზე ინარჩუნებს დივიდენდების წილს, მაშინ ინვესტორების საკმაოდ სტაბილურ შემოსავლებად განიხილავენ დივიდენდებს და ბანკი მათ თვალში უფრო მიმზიდველი ჩანს. გამოკვლევები აჩვენებს, რომ ბანკის აქციების საკურსო ღირებულებები ყველაზე ხშირად ეცემა (ჩვეულებრივ, ერთი კვირის ვადაში) დივიდენდების გადახდის შემცირების გამოცხადების შემდეგ. ეს არამარტო იმედს უკარგავს არსებულ აქციონერებს, არამედ, ბანკის აქციების პოტენციურ მყიდველებსაც ართმევს სტიმულს. ამით მომავალში კიდევ უფრო ძნელი ხდება დამატებითი კაპიტალის მოზიდვა.

რამდენად ჩქარა უნდა იზრდებოდეს შიდა წყაროების ხარჯზე მოზიდული კაპიტალი? მოგების დაკავებისა და დივიდენდების გაცემის შესაფერისი წილების შესახებ მმართველური გადაწყვეტილების გამოტანაზე მოქმედი წამყვანი ფაქტორი ბანკში ისაა, თუ თავისი აქტივების (განსაკუთრებით — კრედიტების) რა სიჩქარით ზრდის უფლება შეუძლია მისცეს ბანკმა თავს, რომ მეტისმეტად არ შემცირდეს საკუთარი კაპიტალის სიდიდის შეფარდება აქტივების თანხასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად სწრაფად უნდა იზრდებოდეს ბანკის მოგება, რათა უცვლელი დარჩეს საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა აქტივებთან, თუკი ბანკი აგრძელებს თავისი აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდას მუდმივი განაკვეთით?

ბანკის მმართველებსა და დირექტორთა საბჭოს ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში შემდეგი ფორმულა ეხმარება:

შიდა კაპიტალის ანუ გაუნაწილებელი მოგების ზრდის ტემპი +
+სააქციო კაპიტალი = მოგება საკუთარ კაპიტალზე X დაკავების წილი =

$$= \frac{\text{წმინდა მოგება დაბეგვრის შემდეგ}}{\text{სააქციო კაპიტალი}} \times \frac{\text{გაუნაწილებელი მოგება}}{\text{წმინდა მოგება დაბეგვრის შემდეგ}} \quad (1)$$

შეფარდებას „მოგება + საკუთარი კაპიტალი" ვანგარიშობთ ფორმულით:
მოგება საკუთარ კაპიტალზე = მომგებიანობა X აქტივების გამოყენების კოეფიციენტი X
X სააქციო კაპიტალის მულტიპლიკატორი.(2)

შემდეგ, სწორია ასეთი მტკიცება:

$$\text{შიდა კაპიტალის ანუ გაუნაწილებელი მოგების ზრდის ტემპი} = \text{აქტივების გამოყენების კოეფიციენტი} \times \text{სააქციო კაპიტალის მულტიპლიკატორი} \times \text{წმინდა მოგება დაბეგვრის შემდეგ} \quad (3)$$

$$\frac{\text{გაუნაწილებელი მოგება}}{\text{სააქციო კაპიტალი}} = \frac{\text{წმინდა მოგება დაბეგვრის შემდეგ}}{\text{მიმდინარე შემოსაველები}} \times$$

$$\times \frac{\text{მიმდინარე შემოსაველები}}{\text{მთელი აქტივები}} \times \frac{\text{მთელი აქტივები}}{\text{სააქციო კაპიტალი}} \times$$

$$\times \frac{\text{გაუნაწილებელი მოგება}}{\text{წმინდა მოგება დაბეგვრის შემდეგ.}} \quad (4)$$

ეს ფორმულა გვიჩვენებს, რომ თუკი აუცილებელია შიდა წყაროების ხარჯზე მოზიდული კაპიტალის მოცულობის გადიდება, მაშინ უნდა გაზარდოთ ან წმინდა მოგება (მომგებიანობის, აქტივების გამოყენების კოეფიციენტისა და/ან სააქციო კაპიტალის მულტიპლიკატორის მნიშვნელობათა მატების მეშვეობით), ან დაკავების წილი, ან ორივე ერთად. იმისათვის, რომ ვაჩვენოთ ამ ფორმულის გამოყენება, დავუშვათ, რომ მიმდინარე წელს საკუთარ კაპიტალზე მოგების საპროგნოზო მნიშვნელობა 10%-ია, აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების დაგეგმილი წილი კი – ბანკის წმინდა მოგების 50%. რა სიჩქარით უნდა იზრდებოდეს ბანკის აქტივები, რომ აქტივებთან მისი კაპიტალის მიმდინარე თანაფარდობა არ შემცირდეს? (1) ნტოლობის თანახმად, მივიღებთ:

შიდა კაპიტალის ან გაუნაწილებელი მოგების ზრდის ტემპი +
+ მოგება საკუთარ კაპიტალზე X დაკავების წილი = 0,1 X 0,5 = 5%.

ამრიგად, ჩვენი დაშვების პირობებში ბანკის აქტივების ზრდა არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს.

სხვა შემთხვევაში ბანკის აქტივებთან მისი კაპიტალის თანაფარდობა ვარდნას დაიწყებს და თუ იგი საკმაოდ ძლიერ დაეცემა, მაშინ მარეგულირებელი ინსტანციები მას სააქციო კაპიტალის გაძიდებას მოსთხოვენ.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი. დაეუშვათ, რომ აქტივების საპროგნოზო ზრდა მიმდინარე წლისათვის 10%-ია. რა ალტერნატივები აქვს ბანკს, თუ არ უნდა, რომ დაირღვეს მის კაპიტალსა და აქტივებს შორის არსებული თანაფარდობა? გამოვიყენოთ ტერმინები: მოგებიანობა, რომელიც იზომება საკუთარ კაპიტალზე მოგების კოეფიციენტით, და დაკავების წილი. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მოცემული ფორმულა მრავალ განსხვავებულ შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, თუკი ბანკის მმართველებს შეუძლიათ 20%-იანი მოგებიანობის უზრუნველყოფა, მაშინ შესაძლებელია წმინდა მოგების 50%-ის გადახდა დივიდენდების ფორმით, დანარჩენი 50%-ისა კი დაკავება. ბანკის აქტივებისა და კაპიტალის თანაფარდობა ამ დროს მუდმივი დარჩება. მაგრამ თუ საკუთარ კაპიტალზე მოგება 10% იქნება, მაშინ ბანკი იძულებული იქნება დაიტოვოს მთელი თავისი მიმდინარე მოგება. ცხადია ასევე, რომ, თუ საკუთარ კაპიტალზე მოგება 10%-ს ქვემოთ ეცემა, ბანკის კაპიტალსა და მის აქტივებს შორის თანაფარდობაც უნდა შემცირდეს, თუნდაც ბანკი მთელ თავის მოგებას ინარჩუნებდეს. ამ შემთხვევაში მარეგულირებელი ინსტანციები ბანკს მოსთხოვენ გარე წყაროებიდან მეტი მოცულობის კაპიტალის მოზიდვას საკუთარი კაპიტალის დაბალი დონის საკომპენსაციოდ.

მაგალითი. თუ ბანკის აქტივების მოსალოდნელი ზრდა მიმდინარე წლისათვის 10%-ის ტოლია, მაშინ როგორი შეიძლება იყოს საკუთარ კაპიტალზე მოგების და დაკავების წილის კომბინაციები, რომ ბანკის კაპიტალისა და მისი აქტივების თანაფარდობა მუდმივი რჩებოდეს?

აქტივების ზრდა	პროგნოზული	=	მოგება საკუთარ კაპიტალზე	X	დაკავების წილი:
	0,1	=	0,2	X	0,5
	0,1	=	0,5	X	0,67
	0,1	=	0,1	X	1,0

კაპიტალის მოზიდვა გარე წყაროების ხარჯზე. თუ ბანკი იძულებულია, გარე წყაროებიდან მოიზიდოს კაპიტალი, მას ამისათვის რამდენიმე ალტერნატიული ხერხი აქვს: 1) ჩვეულებრივი აქციების გაყიდვა; 2) პრივილეგირებული აქციების გაყიდვა; 3) კაპიტალის სავალო ვალდებულებების ემისია; 4) აქტივების გაყიდვა; 5) ზოგიერთი სახის ძირითადი ფონდების, კერძოდ, ბანკის კუთვნილი შენობების გაყიდვა. ბანკის მიერ რომელიმე მათგანის შერჩევა უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ეფექტს მოახდენს ეს აქციონერების შემოსავლებზე (ჩვეულებრივ, აქციიდან მიღებულ მოგებაზე). ბანკის მიერ გასათვალისწინებელი სხვა წამყვანი ფაქტორებია: მასზე დამუქრებული რისკი, აქციონერების მიერ განხორციელებულ კონტროლზე გავლენა, გაყიდული აქტივებისა და ვალდებულებების ბაზრის მდგომარეობა, აგრეთვე, რეგულირების ესა თუ ის ასპექტი.

- კაპიტალის სახსრების თითოეულ წყაროსთან დაკავშირებული ფარდობითი დანახარჯები (გადახდილი პროცენტების, ფასიანი ქაღალდების განთავსების ხარჯების და საკომისიო გადასახდელების, აგრეთვე, ინსპექციის ხარჯების ჩათვლით).
- გავლენა სააქციო კაპიტალის შემოსავლიანობაზე, რომელიც ერთ აქციაზე მოგებით იზომება.
- არსებული და პოტენციული აქციონერების გავლენა საკუთრებაზე და ბანკის საქმიანობის კონტროლი.

- კაპიტალის ყოველ წყაროსთან დაკავშირებული შეფარდებითი რისკი.
- ბანკს დამუქრებული საერთო რისკი (გამოხატული ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა მთელი გაცემული კრედიტების თანაფარდობა ან ბანკის აქტივებთან, ან დეპოზიტებთან, ან კაპიტალთან).
- კაპიტალების იმ ბაზრების ძალა ან სისუსტე, რომლებზეც კაპიტალის ახალი სახსრების მოზიდვა შეიძლება ძოხდეს.
- ბანკის კაპიტალის როგორც მოცულობის, ისე სტრუქტურის მარეგულირებელი დებულებები.

ჩვეულებრივი აქციების გაყიდვა. ჩვეულებრივი აქციების ემისია, საერთოდ, გარე კაპიტალის მოზიდვის ყველაზე უფრო ძვირი ხერხია. ამას განაპირობებს გამოშვებული აქციების განთავსების დიდი ხარჯები და ის მაღალი რისკი, რომელიც აქციონერთა შემოსავლებს უკავშირდება (საბაზრო ვალდებულებების მფლობელების შემოსავლებთან შედარებით). როდესაც აქციონერები ვერ შეძლებენ მთელი ახალი აქციების გამოსყიდვას, მაშინ ეს აქციები შეამცირებენ ბანკზე კონტროლს და ერთ აქციაზე მოგებას, თუკი ახლად მოზიდული სახსრების შემოსავალი არ გადაამეტებს ახალი ფასიანი ქაღალდების ემისიის ხარჯებს. გარდა ამისა, გამოშვებული აქციები ამცირებენ იმ ნასესხები სახსრების წილს, რომლებსაც ბანკი შეიძლება იყენებდეს. ამ ბოლო ფაქტის საკომპენსაციო უპირატესობა ისაა, რომ აქციების მეტი რაოდენობა აფართოებს მომავალში ბანკის მიერ ნასესხები სახსრების მოზიდვის შესაძლებლობებს.

პრივილეგირებული აქციების გაყიდვა. პრივილეგირებული აქციების გაყიდვა, ჩვეულებრივი აქციების გაყიდვის მსგავსად, ბანკის კაპიტალის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძვირი წყაროა. რადგანაც პრივილეგირებულ აქციონერებს პირველადი უფლება აქვთ ბანკის მოგებაზე, ამიტომ ჩვეულებრივი აქციების მფლობელებზე გაცემული დივიდენდები შესაძლოა შემცირდეს პრივილეგირებული აქციების გამოშვების შემდეგ. მაგრამ საყალო ვალდებულებების მიმართ პრივილეგირებული აქციების უპირატესობაა მათი მეტი მოქნილობა (რადგანაც დივიდენდები საყალდებულო გადასახდლები არაა) და ის, რომ ისინი აფართოებენ მომავალში ბანკის მიერ სასესხო სახსრების მოზიდვის შესაძლებლობებს.

სუბორდინირებული ვალდებულებებისა და ფასიანი ქაღალდების გამოშვება. სუბორდინირებული საყალო ვალდებულებების უპირატესობაა ნასესხები სახსრების გამოყენების წილის გაფართოება. იგი ზრდის ერთ აქციაზე მიღებულ მოგებას, თუკი ნასესხები სახსრების მიერ მოტანილი შემოსავალი აჭარბებს გასაცემ საპროცენტო გადასახდელებს. გარდა ამისა, საბაზრო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტები არ იბეგრება. თუმცა, ახალი საბაზრო ვალდებულებები ადიდებს გაკოტრების რისკს და მოგების სტაბილურობის რისკს, რამაც შესაძლოა მომაყლში გააძნელოს აქციების დაყიდვა.

აქტივების გაყიდვა და უძრავი ქონების არენდა. თავიანთი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით ზოგჯერ ბანკები მთლიანად ან ნაწილობრივ ყიდიან თავიანთ ოფისებს, შემდეგ კი ახალი მეპატრონეებისგან არენდით იღებენ მათ. ამგვარი გარიგება, ჩვეულებრივ, წარმოშობს მნიშვნელოვანი ნაღდი სახსრების ნაკადს, რომლებიც მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით რეინვესტირდება. გარდა ამისა, ხდება საკუთარი კაპიტალის არსებითი მატება, რაც აძლიერებს ბანკის კაპიტალის პოზიციას. ამ ტიპის გარიგებები ყველაზე წარმატებულია მაშინ, როცა ინფლაცია და ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად ზრდის ქონების მიმდინარე ღირებულებას ბანკის ბალანსში ასახულ თავდაპირველ ღირებულებასთან შედარებით. როდესაც შესაძლებელია კომერციული უძრავი ქონების დაჩქარებული ამორტიზაცია (მაგალითად, 1981 წ. კანონით ეკონომიკური აღორძინების შესახებ ნებადართული იყო კომერციული უძრავი ქონების სრული ამორტიზაცია 15 წლის განმავლობაში წინა წლების 30-წლიან პერიოდთან შედარებით), მაშინ ყველაზე უფრო ძლიერია ბანკის საკუთრების გაყიდვისა და შემდეგ მისი არენდით აღების

ეკონომიკური სტიმულები. ამასთან, ამგვარი ოპერაციების მიმზიდველობა მნიშვნელოვნად დააქვეითა 1986 წლის კანონმა საგადასახადო რეფორმის შესახებ. მან 27 წლამდე გაზარდა მეტი წილი უძრავი ქონების სრული ამორტიზაციის პერიოდი და ამით აიძულა ბანკები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებები უფრო მეტად ეკონომიკურ პოზიციებიდან შეეფასებინათ და არა საგადასახადო უპირატესობებით.

ბოლო წლებში მრავალი ბანკი კაპიტალისა და აქტივების თანაფარდობის გასაუმჯობესებლად იყენებდა თავისი აქტივების გაყიდვას. გარდა ამისა, ისინი ზოგჯერ ანელებდნენ უფრო სარისკო აქტივების ზრდას და ახდენდნენ თავიანთი აქტივების გადანაწილებას სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე და ნაკლები რისკის მქონე სხვა ინვესტიციებზე აქცენტის გადატანით. ეს ამცირებდა რისკის ბიზედით შეწონილი აქტივების მოცულობას. ამავე სტრატეგიას უკავშირდება სარეზერვო კრედიტების ამოღება პრაქტიკიდან, რაც თავიდან გვაცილებს აქტივებთან და კაპიტალთან დაკავშირებულ შეზღუდვებს კლიენტების მიერ ალტერნატიული (ბანკის გარეთ) წყაროების გამოყენები დროს. მაგალითად, „სითიკორპმა“ და „მელონ ბენკმა“ 1991 წელს შეთანხმება დადეს „მერილ ლინჩთან“, რომლითაც ამ უკანასკნელს კომერციული ქაღალდები უნდა გამოეშვა კორპორაციული მსესხებლების არჩეული ჯგუფის მიერ საბანკო კრედიტების დასაფინანსებლად. გარიგების მონაწილე ბანკებს თავიანთი კრედიტების 20% უნდა გამოეყენებინათ მსესხებელთა მხრიდან არგადახდის რისკისგან თავის დასაცავად. ამავე დროს, მათ შეეძლოთ მოგების მიღება კრედიტებზე პროცენტის განაკვეთსა და კომერციული ქაღალდების განაკვეთს შორის არსებული სხვაობის ხარჯზე.

ერთ-ერთი ბოლო სიახლე, რომელსაც ბონუსურ ემისიას უწოდებენ, იმას ითვალისწინებს, რომ როდესაც ბანკის აქტივების (კერძოდ, შესობების) საბაზრო ღირებულება მატულობს მათ საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, ბანკი კარგავს მათი გაყიდვის სტიმულს. ბონუსური ემისია მოითხოვს, რომ ბანკის აქტივების შერჩეული ჯგუფის საბაზრო და საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობის დასაფარავად იქმნება რეზერვები ღირებულების გადაფასებისათვის. შემდეგ ხდება რეზერვების კაპიტალიზაცია ბანკის აქციონერებს შორის აქციების უფასოდ განთავსების სახით. ახალი აქციები ადიდებენ სააქციო კაპიტალს, მაგრამ არ იწვევენ საკუთრების დაფანტვას და არ ამცირებენ მანამდე გამოშვებული აქციების ღირებულებას.

აქციების გადაცვლა სავალო ფასიან ქაღალდებზე. ბოლო წლებში მრავალი საბანკო დაწესებულება (განსაკუთრებით – ჰოლდინგური საბანკო კომპანიები) თავის პრაქტიკაში იყენებდა „აქცია-სავალო ვალდებულებების“ ტიპის გაცვლით ოპერაციებს. მაგალითად, ბანკს თავის ბალანსზე აქვს 2 მლნ დოლარი, რომელიც დაბანდებულია წლიური 8%-ით გამოშვებულ სუბორდინირებულ სავალო ვალდებულებებში. ჩვეულებრივ პრაქტიკის მიხედვით, ამ ვალდებულებების ჩაწერა ხდება მათი საემისიო (ნომინალური) ღირებულებით. თუ, ვთქვათ, საპროცენტო განაკვეთები 10%-მდე გაიზრდება, მაშინ ასეთ ვალდებულებათა საბაზრო ღირებულება 1 მლნ დოლარამდე შეიძლება შემცირდეს. 1 მლნ დოლარის ჯამური მოცულობის მქონე ახალი აქციების გაყიდვის და შემდგომში თავისი ვალდებულებების მიმდინარე საბაზრო ღირებულებით გაჭოსყიდვის შედეგად ბანკს შეუძლია 2 მლნ დოლარის ვალის ჩამოწერა ბალანსიდან. რეგულირების თვალსაზრისით ბანკი აძლიერებს თავის კაპიტალს და ზოგავს დაფარულ ვალდებულებებზე პროცენტებისთვის საჭირო მომავალ ხარჯებს. გარდა ამისა, სავალო ემისიების უმრავლესობას ზურგს უნდა უმაგრებდეს დაფარვის ფონდი, რომელშიც ყოველწლიურად უნდა ირიცხებოდეს გამოშვებულ ვალდებულებათა გამოსყიდვისათვის საჭირო პროცენტული გადასახდელები. „აქცია – სავალო ვალდებულებების“ ტიპის გაცვლითი ოპერაციის დასრულების შემდეგ ნაღდი სახსრების ეს რეზერვები საჭირო აღარ არის.

გარე წყაროების ხარჯზე კაპიტალის მოზიდვის საუკეთესო ხერხის შერჩევა. გარე კაპიტალის მოზიდვის ხერხის შერჩევა უნდა ხდებოდეს არსებული ალტერნატივების ღრმა

ფინანსური ანალიზისა და ერთი აქციის მოგების ზომაზე მეტი პოტენციური გავლენის შესწავლის საფუძველზე. 8.4 ცხრილში წარმოდგენილია ჰიპოთეზური ბანკი, რომელსაც 20 მლნ დოლარის მოზიდვა ესაჭიროება გარე წყაროებიდან. თავდაპირველად ბანკს მიმოქცევაში აქვს 4 მლნ ნომინალური ღირებულების 8 მლნ დოლარის ჩვეულებრივი აქციები და დაახლოებით 1 მლრდ დოლარის მთლიანი აქტივები, 60 მლნ დოლარის ოდენობის სააქციო კაპიტალით. თუკი ბანკი შეძლებს დაახლოებით 100 მლნ დოლარის მთლიანი შემოსავლების მიღებას და მიმდინარე ხარჯებს არაუმეტეს 80 მლნ. დოლარის დონეზე შეინარჩუნებს, მაშინ მას დაბეგვრის შემდეგ 10,8 მლნ დოლარი მოგება ექნება.

თუკი მენეჯერები გადაწყვეტენ საჭირო 20 მლნ დოლარის მოზიდვას 10 დოლარი ნომინალური ღირებულების მქონე 2 მლნ ახალი აქციის გამოშვების ხარჯზე, მაშინ ჩვეულებრივი

ცხრილი 8.4

გარე წყაროებიდან საბანკო კაპიტალის მოზიდვის ეთოდები

შემოსავლების ან ხარჯები მუხლები	10 დოლ ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივი აქციების გაყიდვა	20 დოლ. ნომინალური ღირებულების და 8%-იანი შემოსავლანომის პრივილეგირებული აქციების გაყიდვა	10%-იანი კუპონური განაკვეთიანი კაპიტალის სავალო ვალდებულებების გაყიდვა
შეფასებითი შემოსავლები	100 მლნ	100 მლნ	100 მლნ
შეფასებითი მიმდინარე ხარჯები	80	80	80
წმინდა შემოსავლები	20	20	20
გადახდილი პროცენტები კაპიტალის სავალო ვალდებულებებზე			2
შეფასებითი წმინდა მოგება დაბეგვრამდე	20	20	18
მოგების გადასახადის შეფასებითი თანხა (34%-იანი განაკვეთით)	6,8	6,8	6,1
შეფასებითი წმინდა მოგება დაბეგვრის შემდეგ	13,2	13,2	11,9
დივიდენდები პრივილეგირებულ აქციებზე		1,6	
ჩვეულებრივი აქციების მფლობელებთან დარჩენილი წმინდა მოგება	13,2 მლნ	11,6 მლნ	11,9 მლნ
მოგება 1 ჩვეულებრივ აქციაზე გაანგარიშებით	1,32	1,45	1,49
სულ აქციები	10 მლნ	8 მლნ	8 მლნ

შენიშვნა: ბანკს თავდაპირველად მიმოქცევაში აქვს 4 დოლ. ნომინალური ღირებულების მქონე 8 მლნ ჩვეულებრივი აქცია.

აქციების მფლობელებს 1 აქციაზე ექნებათ 1,32 დოლარი შემოსავალი.

არის თუ არა ასალი აქციების ემისია საუკეთესო ალტერნატივა ბანკისათვის? არა, თუკი მისი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია ერთ აქციაზე გაანგარიშებით. მაგალითად, მენეჯერებს შეეძლოთ გადაეწყვიტათ 8% დივიდენდის განაკვეთის და 20 დოლარი ნომინალური ღირებულების მქონე პრივილეგირებული აქციების გამოშვება. თუ დირექტორთა საბჭო გამოაცხადებს ამ პრივილეგირებული აქციების წლიურ დივიდენდს, მაშინ ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს მოგებიდან გადაასდევინებენ 1,6 მლნ დოლარს (20 მლნ X 0,08). ამის შედეგად მთლიანი მოგება 8 მლნ ჩვეულებრივ აქციებზე 11,6 მლნ დოლარს შეადგენს, რაც შეესაბამება ერთ აქციაზე 1.45 დოლარის ოდენობის დივიდენდს. ამდენად, პრივილეგირებული აქციების გამოშვება ერთ აქციაზე 0,13 დოლარის დამატებით შემოსავალს აძლევს ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს.

გარდა ამისა, მენეჯერებს შეეძლოთ გაეყიდათ 20 მლნ დოლარის სუბორდინირებული სავალო ვალდებულებები 10% კუპონური განაკვეთით. მაშინ ბანკი ამ ფასიან ქაღალდებზე პროცენტების სახით ყოველწლიურად გადაიხდის 2 მლნ დოლარს. ამის გამო ბანკის განკარგულებაში დარჩება 12 მლნ დოლარი. 8 მლნ ჩვეულებრივ აქციაზე განაწილების შემდეგ, ეს ყოველ აქციაზე 1,49 დოლარ შემოსავალს მოიტანს. აშკარაა, რომ დამატებითი კაპიტალის მოზიდვის ამ სამი ალტერნატიული ხერხიდან საუკეთესო არის კაპიტალური სავალო ვალდებულებების ემისია. გარდა ამისა, ეს ვალდებულებები არავითარ ხმის უფლებას არ უკავშირდება, რის გამოც აქციონერები ინარჩუნებენ თავიანთ კონტროლს ბანკზე.

8.9. ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲝᲖᲘᲓᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘ

საბანკო რესურსების მთლიან თანხაში მოზიდულ სახსრებს წამყვანი ადგილი უჭირავს. ბანკებში მათი ხვედრითი წილი 75% და მეტია ხოლმე. საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად მოზიდული სახსრების სტრუქტურამ არსებითი ცვლილებები განიცადა, რაც ფიზიკური და იურიდიული პირების დროებით თავისუფალი სახსრების აკუმულაციის ახალი, არატრადიციული ხერხების გაჩენამ განაპირობა.

მსოფლიოს საბანკო სისტემაში მთელი მოზიდული რესურსები მათი აკუმულაციის ხერხის მიხედვით ამგვარად ჯგუფდება:

დეპოზიტები;

არადეპოზიტური მოზიდული სახსრები.

კომერციული ბანკების მოზიდული სახსრების ძირითად ნაწილს შეადგენს დეპოზიტები, ე.ი. ბანკის კლიენტების – კერძო და იურიდიული პირების (საწარმოების, სააქციო საზოგადოებების, ამხანაგობების) მიერ გარკვეულ ანგარიშებზე შეტანილი ფულადი სახსრები, რომლებსაც ისინი იყენებენ ანგარიშის რეჟიმისა და საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად.

არადეპოზიტური სახსრები ის სახსრებია, რომლებსაც ბანკი იღებს სესხის სახით ან ფულის ბაზარზე თავისი სავალო ვალდებულებების გაყიდვის გზით. საბანკო რესურსების არადეპოზიტური წყაროები დეპოზიტებისაგან იმით განსხვავდება: ჯერ ერთი, მათ არაპერსონალური ხასიათი აქვთ, ე.ი. ბანკის კონკრეტულ კლიენტს კი არ უკავშირდება, არამედ მას ბაზარზე იძენენ საკონკურენტო საფუძველზე, მეორეც ამ სახსრების მოზიდვის ინიციატივა თვითონ ბანკს ეკუთვნის.

არადეპოზიტურ მოზიდულ სახსრებს უმეტესად მსხვილი ბანკები იყენებენ. ბანკები მათ დიდი ოპერაციებით იძენენ და საბითუმო ოპერაციებად მიიჩნევენ.

თანამედროვე საბანკო პრაქტიკას დეპოზიტებისა და დეპოზიტური ანგარიშების დიდი მრავალფეროვნება ახასიათებს. ამას განაპირობებს ბანკების მისწრაფება, დიდი კონკურენციის და

სეგმენტირების ბაზრის არსებობის პირობებში რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილონ კლიენტების სხვადასხვა ჯგუფების მოთხოვნები საბანკო მომსახურეობაზე და საბანკო ანგარიშებზე მოიზიდონ მათი დანაზოგები და თავისუფალი ფულადი კაპიტალი.

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით დეპოზიტები ასე შეგვიძლია დავყოთ:

ვადიანი დეპოზიტები;

დეპოზიტები მოთხოვნამდე, საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე სახსრების ნაშთების ჩათვლით;

საშემნახველო ანაბრები;

- ფასიანი ქაღალდები.

დეპოზიტების კლასიფიკაცია სხვა ნიშნებითაც შეგვიძლია, მაგალითად, ვადების მიხედვით, შეანაბრეთა სახეების, სახსრების შეტანისა და გამოტანის პირობების, გასაცემი პროცენტების, ბანკის აქტიურ ოპერაციებზე შეღავათების მიღების შესაძლებლობების მიღების მიხედვით და სხვა.

მოთხოვნამდე შემოტანილი დეპოზიტები წარმოდგენილია იმ ანგარიშებით, რომლებიდანაც ნაღდი ფულის მიღება მათ მფლობელებს შეუძლიათ პირველი მოთხოვნისთანავე, ფულადი და საანგარიშსწორებო დოკუმენტების გამოწერის გზით. მოთხოვნამდე შენახულ დეპოზიტებს აკუთვნებენ:

- სახელმწიფო და საქციო საწარმოების, მცირე კომერციული სტრუქტურების ანგარიშსწორებისა და მიმდინარე ანგარიშებზე შენახულ სახსრებს;

- ამა თუ იმ დანიშნულების მქონე ფონდების სახსრებს მათი ხარჯვის პერიოდში;

ანგარიშსწორებაში მყოფ სახსრებს;

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებს და ადგილობრივი ბიუჯეტების ანგარიშებზე არსებულ სახსრებს;

სხვა ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებულ სახსრების ნაშთს;

მოთხოვნამდე შენახულ დეპოზიტებს.

მოთხოვნამდე დაცული დეპოზიტური სახსრების უპირატესობა მათი მფლობელობისთვის ამ სახსრების მაღალი ლიკვიდობაა. ამ ანგარიშებზე ფული შეაქვთ და გააქვთ სამეურნეო და სხვა ოპერაციების განხორციელების კვალობაზე, რომლებიც ფულადი გამოხატულებით აისახება ანგარიშებში. ძირითადი ნაკლია პროცენტის უქონლობა ან ძალიან დაბალი პროცენტი. ამგვარად, მოთხოვნამდე შეტანილი დეპოზიტური ანგარიშის თავისებურებები შემდეგნაირად შეგვიძლია დავახასიათოთ;

ფულის შეტანა და გატანა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ხორციელდება ნებისმიერ დროს;

ანგარიშის მფლობელი საკომისიოს უხდის ბანკს ანგარიშით სარგებლობისათვის (მტკიცე ყოველთვიური განაკვეთის ან ანგარიშზე დებეტური ბრუნვის მიხედვით პროცენტის სახით);

- ფულადი სახსრების შენახვისათვის ბანკი იხდის დაბალ პროცენტს ან საერთოდ არ იხდის მას;

მოკითხვამდე მიღებულ დეპოზიტებზე ბანკი უფრო მაღალ ნორმებს გადარიცხავს ცენტრალური ბანკის სავალდებულო რეზერვების ფონდში.

.მსოფლიოს საბანკო პრაქტიკაში ჩვეულებრივ ანგარიშებთან ერთად ფართოდ გავრცელდა ე.წ. NOW (ნაუ) – ანგარიშები და დადასტურებული ჩეკები (აშშ).

NOW –ანგარიშები მოთხოვნამდე არსებული ისეთი დეპოზიტური ანგარიშებია, რომლებზეც საანგარიშსწორებო დოკუმენტების გამოწერა შეიძლება მესამე პირის სასარგებლოდ. ეს ანგარიშები ლიკვიდობის პრინციპს აერთიანებენ შემოსავლების მიღების შესაძლებლობასთან (პროცენტის სახით), ამ ანგარიშებს უხსნიან მხოლოდ კერძო პირებს და მოგების არმქონე ფირმებს.

დადასტურებული ჩეკების ანგარიშები მოთხოვნამდე შენახული ისეთი დეპოზიტური ანგარიშებია, რომლებზეც მოთავსებული ფულადი სახსრები დადასტურებული ჩეკების გასანაღდებლადაა განკუთვნილი. დადასტურებული ჩეკი, რომელზეც ბანკი საგანგებო აღნიშვნას აკეთებს მისი განაღდებისთვის სახსრების არსებობის შესახებ (ადრე მას ჩვენში „ბანკის მიერ აქცეპტებულ საანგარიშსწორებო ჩეკს“ უწოდებდნენ). ამჟამად ამ ანგარიშების ანალოგად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ანგარიშები, რომლებიც ინახავენ ლიმიტირებულ საჩეკო წიგნაკებიდან მიღებული ჩეკების გასანაღდებელ ფულს).

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მოთხოვნამდე შენახულ დეპოზიტებზე მოლის მოზიდული რესურსების მთელი თანხის დაახლოებით 30%.

ვადიანი დეპოზიტები და შემნახველი ანაბრები დეპოზიტური რესურსების ყველაზე უფრო მდგრადი ნაწილია. ვადიანი დეპოზიტები ფიქსირებული ვადით ბანკში შეტანილი ფულადი სახსრებია. მიღებულია მათი დაყოფა:

საკუთრივ ვადიანი დეპოზიტები;

დეპოზიტები სახსრების გატანის შესახებ წინასწარ შეტყობინებით.

დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის ბანკებში საკუთრივ ვადიანი დეპოზიტების წილად მოდიოდა მოღიანად მოზიდული სახსრების 30% (1996 წ.).

საკუთრივ ვადიანი დეპოზიტები სახსრების შენახვის ვადის მიხედვით იყოფა შემდეგი ვადების მქონე დეპოზიტებად:

30 დღემდე;

31-დან 90 დღემდე;

91-დან 180 დღემდე;

180-დან 360 დღემდე;

360 დღეზე მეტი ვადით.

გატანის შესახებ წინასწარი შეტყობინების მქონე ვადიან ანაბრებზე მეანაბრისგან ითხოვენ სპეციალურ განაცხადს სახსრების მოხსნაზე. მასში შეტანის ვადები წინასწარაა შეთანხმებული და მათზეა დამოკიდებული დეპოზიტზე გასაცემი პროცენტის სიდიდე. სახსრების გატანის შესახებ განაცხადის შეტანის ვადა დეპოზიტური ანაბრის შენახვის ვადაზეა დამოკიდებული და 7 დღიდან რამდენიმე თვემდე მერყეობს. ასეთი დეპოზიტის ნიმუშია ფულადი სახსრების გახარჯვის გრაფიკის მქონე დეპოზიტი.

ამგვარად, ვადიან ანაბარს (დეპოზიტს) აქვს ზუსტად განსაზღვრული ვადა. მასზე იხდიან, როგორც წესი, ფიქსირებულ პროცენტს და შემოღებული აქვთ შეზღუდვები ანაბრის ვადამდე გატანაზე. დათქმულ ვადაზე ადრე ანაბრის გატანის შემთხვევაში ბანკი კლიენტს აჯარიმებს თანხით, რომელიც დეპოზიტის სიდიდეზე და მისი შენახვის ვადაზეა დამოკიდებული.

ვადიანი ანაბრებისა და დეპოზიტებისთვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი თავისებურებებია:

შეიძლება მათი გამოყენება ანგარიშსწორებისათვის და ამიტომ მათზე არ გამოსწერენ საანგარიშსწორებო დოკუმენტებს;

ასეთ ანგარიშებზე მოთავსებული სახსრები ნელა ბრუნავს;

- მათზე იხდიან ფიქსირებულ პროცენტს; საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალურ დონეს გარკვეულ პერიოდში შესაძლოა ცენტრალური ბანკი აწესებდეს;

დაწესებულია მოთხოვნა, რომ მეანაბრემ წინასწარ აცნობოს ბანკს ფულის გატანის შესახებ;

- დაჟგენილია მოთხოვნა, რომ მეანაბრემ წინასწარ აცნობოს ბანკს ფულის გატანის შესახებ;

დაჟგენილია აუცილებელი რეზერვების უფრო დაბალი ნორმა.

შემნახველ ანგარიშებს ფიქსირებული ვადა არა აქვთ. პერსონალური დეპოზიტური ანაბრების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობაა წიგნაკიანი საშემნახველო ანაბარი, რომელსაც ახასიათებს:

- ფულადი სახსრების შენახვის ფიქსირებული ვადის უქონლობა;
საჭირო არაა გაფრთხილება სახსრების გატანაზე;

ანგარიშზე ფულის შეტანა-გატანის დროს წარადგენენ შემნახველ წიგნაკს, რომელშიც სახსრების მოძრაობა აისახება.

ჩვენთან საშემნახველო ანგარიშებს მხოლოდ ფიზიკურ პირებს უხსნიან. საზღვარგარეთ ამ ანგარიშებს უხსნიან, აგრეთვე არაკომერციულ ორგანიზაციებს და საქმიან ფირმებს. საშემნახველო ანგარიშების მიხედვით გადახდილი პროცენტები, ჩვეულებრივ, უფრო დაბალია, ვიდრე ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები.

არსებობს ფიზიკური პირებისთვის განსხვავებული საშემნახველო ანაბრების განსხვავებული სახეები: ვადიანი; დამატებითი შენატანებით; მოძგებიანი; ფულად-ნივთობრივი მომგებიანი; მიზნობრიული; მიმდინარე; სესხების გატანის შესახებ წინასწარ შეტყობინებით და სხვა. საშემნახველო ანაბრებს ბანკებისთვის ის ძნიშვნელობა აქვთ, რომ მათი მეშვეობით მობილიზდება მოსახლეობის გამოუყენებელი შემოსავლები და ისინი საწარმოო კაპიტალად გარდაიქმნება.

ვადიანი საშემნახველო ანაბრები: მათ უწესებენ ან ფიქსირებულ ვადას, ან იმ ვადას, რომლის განმავლობაშიც ანაბრის გატანა არ შეიძლება. ვადიან ანაბრებზე ბანკი იხდის ყველაზე მაღალ პროცენტს საშემნახველო ანაბრების სხვა სახეებთან შედარებით.

საშემნახველო ანაბრები დამატებითი შენატანით. ამ ანგარიშზე რეგულარად შეაქვთ ფულის წინასწარ დათქმული თანხა და დაგროვილ დანაზოგებს გარკვეული თარიღისთვის გასცემენ (სრულწლოვანების მომენტისთვის, საახალწლოდ და ა.შ).

მიმდინარე საშემნეხველო ანაბრები უშვებს სახსრების თავისუფლად შეტანა-გატანას და მათ ძირითადად იყენებენ ხელფასისთვის, პენსიისთვის, რეგულარული გადასახადების გასტუმრებისთვის. ამ ანაბრებზე მინიმალური საპროცენტო განაკეთია დაწესებული. დასაელეიის პრაქტიკის მიხედვით, ეს ანგარიშები შესაძლოა ნაშთის ავტომატურად შევსებისათვის გახსნილ ვადიან ანაბარზე იყოს „მიბმული“ (იმ შემთხვევისათვის, თუ ამ ანგარიშის მიხედვით ანგარიშსწორებისთვის სახსრები საკმარისი არაა).

ამერიკის ბანკების პრაქტიკაში 1982 წლიდან გამოჩნდა ფულის ბაზრის დეპოზიტური ანგარიშები, რომლებიც საშემნახველო ანგარიშების კატეგორიას მიაკუთვნეს, მათი თავისებურებებია:

პროცენტის განაკეთი ყოველ კვირას იცვლება ფულის ბაზრის სხვა ინსტრუმენტების განაკეთების ცვლილებაზე დამოკიდებულებით;

ანაბრის ვადა დათქმული არაა, მაგრამ ბანკებს შეუძლიათ 7 დღით ადრე მოითხოვონ შეტყობინება თანხის გატანაზე;

ანგარიშებს აზღვევს დეპოზიტური დაზღვევის ფედერალური კორპორაცია;

- ანგარიშის მფლობელს უფლება აქვს თვეში არა უმეტეს 6-ჯერ გადაიტანოს ანგარიშიდან თანხა მესამე პირებისთვის გადახდის განსახორციელებლად;

შეუზღუდავია სახსრების მოხსნა ფოსტით ან ბანკში ანგარიშის ფლობელის პირადად გამოცხადებით.

მოსახლეობის ფულადი ანაბრების, როგორც მოკლევადიანი დაკრედიტების რესერსების სიმტკიცის შესაფასებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა ანაბრის შენახვის საშუალო ვადა და შემოსული სახსრების უმოძრაოდ დების დონე. ფულადი სახსრების შენახვის საშუალო ვადა შეიძლება შემდეგი ფორმულით ვიანგარიშოთ:

$$C_д = \frac{O_{ср}}{B} \text{ --------- } Д$$

სადაც, $C_д$ შენახვის საშუალო ვადაა დღეებით;
$O_{ср}$ – ანაბრების საშუალო ნაშთი;
В – ანაბრების გაცემის ბრუნვა;
Ä – დღეების რაოდენობა პერიოდში
ანაბრებზე შემოტანილითანხების შენახვის საშუალო ვადას ასე ანგარიშობენ:

$$У_{п} = \frac{O_к O_н}{П} 100\%$$

სადაც, $Y_{ი}$ – ანაბრებში არსებული სახსრების უმოძრაოდ დების დონეა %-ობით;
$O_к$ – ანაბრების ნაშთი წლის ბოლოს;
$O_н$ – ანაბრების ნაშთი წლის დასაწყისში;
Ï – ანაბრებზე შემოტანილი თანხა.

ვადიანი დეპოზიტების და საშემნახველო ანაბრების სანესხვაობად ითვლება დეპოზიტური და საშემნახველო სერტიფიკატები. ასეთი სერტიფიკატი ემიტენტი ბანკის წერილობითი დასტურია ფულადი სახსრების ანაბრის შესახებ, რომელიც ადასტურებს მეანაბრის ან მისი სამართალმემკვიდრის ფულადი სახსრების და მასზე დარიცხული პროცენტების მიღების უფლებას დაწესებული ვადის ამოწურვის შემდეგ. სერტიფიკატები შესაძლოა იყოს სახელობითი, წარმომდგენზე გაცემული, გადაეცეს სხვას ან გაიყიდოს. არ შეიძლება მათი გამოყენება გაყიდული საქონლის ან გაწეული მომსახურეობის ღირებულების გადახდისათვის ან ანგარიშსწორებისათვის.

დეპოზიტური სერტიფიკატები დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და მათ იურიდიული პირები იძენენ. მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში ცნობილია ორგვარი დეპოზიტური სერტიფიკატები. მიმოქცევაში გაშვების გარეშე დეპოზიტური სერტიფიკატები მეანაბრესთან ინახება და ვადის გასვლის შემდეგ სწორედ იგი წარუდგენს მას ბანკს. გადასაცემი (მიმოქცევადი) დეპოზიტური სერტიფიკატები შესაძლებელია გადაეცეს სხვა პირს მეორად ბაზარზე მათი ყიდვა-გაყიდვის გზით. დასავლეთის პრაქტიკაში გადასაცემ დეპოზიტურ სერტიფიკატებს 14 დღიდან 18 თვემდე ვადით უშვებენ.

საშემნახველო სერტიფიკატები განკუთვნილია ფიზიკურ პირებზე მისაყიდად. ვადიანი საშემნახველო სერთიფიკატების მიმოქცევის ვადამ შეიძლება გადააჭარბოს ერთ წელს და სამ წლამდე პერიოდს შეადგენს, თუ მათი გამოშვების პირობები ცენტრალურ ბანკთანაა შეთანხმებული. თუ სერტიფიკატული დეპოზიტის ან ანაბრის მიღების ვადა გადაცილებულია, მაშინ ასეთი სერტიფიკატი მოთხოვნამდე შესახულ დოკუმენტად გადაიქცევა. ბანკი ვალდებულია მასში მითითებული თანხა მფლობელის პირველი მოთხოვნისთანავე გადაიხადოს. საშემნახველო სერტიფიკატების გადაცემა მხოლოდ ფიზიკურ პირებზეა ნებადართული.

შესაძლებელია ვადიანი დეპოზიტური და საშემნახველო სერტიფიკატების ვადაზე ადრე წარდგენა გასანაღდებლად, თუ ეს სერთიფიკატის ყიდვის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში ბანკი პროცენტებს ისდის სახსრების სარგებლობის ფაქტობრივი დროის მიხედვით: ამ ფორმით რესურსების აკუმულაციის უპირატესობა ბანკისათვის ისაა, რომ ბანკის განკარგულებაში მსხვილი თანხები შემოდის მკაცრად დადგენილი დროით და ამგვარად, ისინი ზრდიან ყველაზე უფრო სტაბილური საკრედიტო რესურსების ნაწილს.

საკრედიტო რესურსების მობილიზაციის ახალი ფორმაა საბანკო თამასუქები. ბანკები მხოლოდ უბრალო თამასუქებს უშვებენ. საბანკო თამასუქების უპირატესობა ისაა, რომ შესაძლებელია მათი გამოყენება: შეძენილი საქონლისა და გაწეული მომსახურეობის ანგარიშსწორებისათვის; სესხის მიღების დროს – საწინდრად ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ; აქცია საკმაოდ მაღალი ლიკვიდობა და საპროცენტო განაკვეთი; შეზღუდული არაა მათი გადაცე-

მა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის; აქვთ სხვადასხვა ვადა.

ცალკეული კომერციული ბანკები უშვებენ სავალუტო თამასუქებს, რაც აფართოებს უცხოური ვალუტით საკრედიტო რესურსების აკუმულირების შესაძლებლობას.

ამგვარად, კომერციული ბანკების აქტიური ოპერაციების დაფინანსების ძირითადი წყაროა მოზიდული სახსრები, რაც კომერციული ბანკებისაგან მოითხოვს აქტიური დეპოზიტური პოლიტიკის გატარებას და დეპოზიტური ოპერაციების გაფართოებას. დეპოზიტური ოპერაციების ორგანიზაციის დროს კომერციულმა ბანკმა უნდა დაიცვას ბალანსის ლიკვიდურობის პირობები და გაითვალისწინონ შემდეგი მოთხოვნები:

- დეპოზიტური რესურსების თანხები და ვადები შეთანხმებული უნდა იყოს დასაფინანსებელ აქტიურ ოპერაციებთან, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ არასტაბილური ეკონომიკისა და ინფლაციის მაღალი დონის პირობებში;

დეპოზიტური ოპერაციები ხელს უნდა უწყობდეს მოგების მაქსიმიზაციას ან ქმნიდეს მომაჯალში მოგების მიღების პირობებს;

დეპოზიტური ოპერაციების ორგანიზაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს ფიქსირებული ვადების მქონე საშემნახველო ანაბრებისა და ვადიან დეპოზიტებზე სახსრების მოზიდვას;

ბანკი ხელს უნდა უწყობდეს დეპოზიტური ოპერაციების მრავალფეროვნებას, დამატებით მომსახურეობას ან შეღავათებს სთავაზობდეს კლიენტებს დეპოზიტორების წრის გასაფართოებლად.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში ფართოდ ვრცელდება რესურსების მოზიდვის არადეპოზიტური წყაროები. მისი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია;

სესხების მიღება ბანკთაშორის ბაზარზე;

შეთანხმება ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე უკან გამოსყიდვით (ოპერაცია „რეპო“);

თამასუქების აღრიცხვა და სესხების მიღება ცენტრალურ ბანკებში;

ბანკის აქცეპტების გაყიდვა;

კაპიტალური ნოტისა და ობლიგაციების გამოშვება;

კომერციული ქაღალდების გამოშვება.

ამ ოპერაციების ძირითადი მიზანია ბანკის ლიკვიდური პოზიციის გაუმჯობესება.

სესხების მიღება ბანკთაშორის ბაზარზე. აშშ-ის საბანკო პრაქტიკაში ამ ბაზარმა ფედერალური სარეზერვო ფონდების სახელწოდება შეიძინა. ეს ფონდები კომერციული ბანკების დეპოზიტური სახსრებია, რომლებიც ცენტრალურ ბანკში ან ფედერალურ სარეზერვო ბანკებში ინახება სარეზერვო ანგარიშზე. ის კომერციული ბანკები, რომლებსაც სარეზერვო ანგარიშზე ჭარბი სახსრები აქვთ სავალდებულო მინიმუმთან შედარებით, სესხად იძლევიან მათ ხანმოკლე დროით. ეს დამატებით მოგებას აძლევს მათ, მსესხებელი ბანკი კი ამით ლიკვიდობის მაჩვენებელს იუმჯობესებს.

XX ს. 60-იან წლებამდე ფედერალური ფონდებს უმთავრესად იძენდნენ სარეზერვო ანგარიშზე მყოფი სახრების შესავსებად, რადგანაც მათზე დაწესებული საპროცენტო განაკვეთები ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო განაკვეთზე უფრო დაბალი იყო. მომდევნო წლებში საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა და სააღრიცხვო განაკვეთს გადააჭარბა.

ფედერალური სარეზერვო სისტემა (ფსს). ფედერალურ ფონდებთან დაკავშირებული ოპერაციების უმრავლესობა ძალიან მცირე ვადით – ერთი სამუშაო დღით ხორციელდება. ამავე დროს, გარიგებათა ნაწილს უფრო ხანგრძლივი დროით – 30-დან 90 დღემდე ვადით დებენ და მათ ვადიან გარიგებებს უწოდებენ. რადგანაც ფედერალური ფონდების ყიდვისას სახსრების რეზერვირება საჭირო არაა, ამიტომ ბანკებს შეუძლიათ იმაზე მეტი პროცენტი გადაიხადონ, ვიდრე დეპოზიტური სერტიფიკატების შემთხვევაში.

დიდ ბრიტანეთში ბანკთაშორისი კრედიტების ბაზარი ფართოდ გავრცელდა 1971 წლიდან, რიცა მკვეთრად ამაღლდა სავალდებულო რეზერვების ნორმები.

შეთანხმება ფასიანი ქაღალდების ყიდვის შესახებ უკან გამოსყიდვით („რეპო“) ფასიანი ქაღალდებით (უფრო ხშირად სახაზინო ვალდებულებებით) უზრუნველყოფილი მოკლევადიანი სესხის სახეობაა, როდესაც უზრუნველყოფის განკარგვის უფლება კრედიტორზე გადადის. ამ გარიგების აუცილებელი პირობაა მსესხებლის ვალდებულება, გამოისყიდოს ფასიანი ქაღალდები მოლაპარაკებულ დროს და წინასწარ დადგენილი ფასით. ამავე დროს, უზრუნველყოფის როლში არსებულ ფასიან ქაღალდებს აფასებენ საწინდარის მარჟით საბაზრო ფასის 1-დან 3%-მდე.

თამასუქების აღრიცხვა და სესხის მიღება ცენტრალური ბანკიდან. დამატებითი სესხების მოზიდვის ამ სერხს უფრო ხშირად ის კომერციული ბანკები იყენებენ, რომლებიც რესურსების სეზონურ რყევას განიცდიან, ან რომლებსაც საგანგებო ვითარება ექმნებათ. ამ დროს ცენტრალური ბანკი თვალ-ყურს ადევნებს იმას, რომ ამგვარი სესხები მუდმივ წყაროდ არ გადაიქცეს. ასეთი სესხების მიღების შემთხვევაში კომერციული ბანკები უზრუნველყოფას გასცემენ სახაზინო ფასიანი ქაღალდების, ხელისუფლების ფედერალური და ადგილობრივი ორგანოების ვალდებულებების, თუ მოკლევადიანი კომერციული თამასუქების სახით.

საბანკო აქცეპტების აღრიცხვა. ბანკის აქცეპტი ექსპორტიორის ან იმპორტიორის მიერ იმ ბანკისათვის წარდგენილი ვადიანი ტრატა ან გადასაყვანი თამასუქია, რომელიც თანახმაა მის აქცეპტზე. ბანკის აქცეპტებს საგარეო-სავაჭრო გარიგებების დასაფინანსებლად იყენებენ. კომერციულ ბანკს შეუძლია ფსს-ში მოახდინოს აქცენტების ხელახლა აღრიცხვა 6 თვემდე ვადის მქონე აქცეპტებზე საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებზე ან სასაქონლო გარიგებებზე ქვეყნის შიგნით.

სესხების აღება ევროდოლარების ბაზარზე. რესურსების მოზიდვის ეს ხერხი ხელმისაწვდომია იმ მსხვილი კომერციული ბანკებისათვის, რომლებსაც საზღვარგარეთ აქვთ ან არა აქვთ ფილიალები. ევროდოლარები ამერიკული დოლარებით გამოხატული ის ანაბრებია, რომლებიც აშშ-ის ფარგლებს გარეთ განლაგებულ ბანკებს ან სხვა მფლობელებს ეკუთვნით, ამერიკის ბანკების ფილიალების ჩათვლით. აშშ-ის მსხვილი ბანკები ევროდოლარული ანაბრების ბაზრებს ჩვეულებრივ შიდაბაზარზე სიმწელეთა პერიოდში სესხების მისაღებად იყენებენ. ევროდოლარების მთავარი ბაზარი ლონდონშია.

კომერციულ ბანკებს საკუთარი კაპიტალის და აქედან გამომდინარე, საბანკო რესურსების გადიდების მიზნით შეუძლიათ გამოუშვან კაპიტალური ნოტები და ობლიგაციები. ნოტებს და ობლიგაციებს ძირითადად მსხვილი ბანკები უშვებენ. ამ სახეობის სავალო ვალდებულებების გამოშვება ადიდებს, ერთი მხრივ, ბანკის კაპიტალს, მეორე მხრივ კი – მის რესურსებს.

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ

1. საბანკო საქმის ისტორიაში ბევრი არაა სხვა ისეთი პრობლემა, ბანკის კაპიტალს რომ უკავშირდებოდეს. ბანკებსა და მათ მარეგულირებელ დაწესებულებებს (რომლებიც საზოგადოებას წარმოადგენენ) შორის „კონფლიქტი“ ბანკის კაპიტალის რაოდენობასა და სტრუქტურაზე ძველი დროიდან მოდის. იცვლება ბანკის კაპიტალის არამარტო განმარტებები და კონცეფცია, არამედ ბანკის კონტროლის საქმეში კაპიტალის როლზე არსებული შეხედულებებიც.

2. საბანკო საქმეში კაპიტალს, ჩვეულებრივ, უწოდებენ ბანკის მფლობელების მიერ შეტანილ საბსრებს, რომლებიც ძირითადად შედგება სააქციო კაპიტალისგან, ნამატისგან, გაუთვალისწინებელი ხარჯების რეზერვისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. კაპიტალი ყოველგვარი რისკებისგან

იცავს ბანკს და გაკოტრებისგან მისი დამცავი ერთგვარი ბოლო ხაზია. იგი სხვა გრძელვადიანი სახსრების შემავსებელიცაა და ბანკის საკრედიტო საქმიანობის გაფართოების და ფიზიკური სტრუქტურის განვითარების მხარდაჭერის საფუძველსაც წარმოადგენს. ბანკის კაპიტალის ამჟამად გამოყენებული ფორმებია: ჩვეულებრივი აქციები, პრივილეგირებული აქციები, გაუნაწილებელი მოგება, რეზერვები, სუბორდინირებული ვალდებულებები (ანუ კაპიტალის სავალო ვალდებულებები), კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიების აქციათა არასაკონტროლო პაკეტი, აგრეთვე, აქციების გაყიდვის ზარჯზე დაფარული ფასიანი ქაღალდები.

3. ბანკის კაპიტალს და მის სტრუქტურას განსაზღვრავს როგორც სახელმწიფოს მხრიდან რეგულირება, ისე ბაზარი. რეგულირება დიდი ხანია იქცა საბანკო საქმიანობის ნაწილად, რადგანაც საზოგადოებაში არსებობს იმის საფრთხე, რომ ბაზარი, როგორც ბანკის კაპიტალის რეგულატორი, საკმარისად საიმედო არა არის. ჩვეულებრივ, ამტკიცებენ, რომ თავისუფალი ბაზარი არაა ყოველგვარი რისკის მართვის ეფექტიანი ინსტრუმენტი.

4. კაპიტალის სიდიდის მინიმალურ სტანდარტს (მთლიანი აქტივების სიდიდის მიმართ) ამჟამად ყველა ბანკის მიმართ იყენებენ. ეს სტანდარტი აშშ-ში განსხვავებით გამოწვეული უკმაყოფილების გამო და განმტკიცდა 1983 წ. კანონით საერთაშორისო დაკრედიტებისა და ზედამხედველობის შესახებ. კაპიტალის საერთაშორისო სტანდარტებზე 1987 წ. დადებული ბაზელის შეთანხმების შესაბამისად, შემდეგში იგი სხვა ქვეყნების ბანკებზეც გავრცელდა. ბანკები მარეგულირებელი დაწესებულებების მხრიდან ზეწოლას განიცდიან დამატებითი კაპიტალის მოზიდვის აუცილებლობის თაობაზე. ამის გამო ისინი მიმართავენ სახსრების შიდა ან გარე წყაროებს. დაფინანსების ძირითადი შიდა წყაროა გაუნაწილებელი მოგება. კაპიტალის მთავარი გარე წყაროებია: 1) ჩვეულებრივი აქციების გაყიდვა; 2) პრივილეგირებული აქციების გაყიდვა; 3) კაპიტალის სავალო ვალდებულებების გამოშვება; 4) ბანკის აქტივების გაყიდვა; 5) უძრავი ქონების არენდა; 6) აქციების გადაცვლა სავალო ვალდებულებებზე. დაფინანსების ამა თუ იმ ფორმას შორის არჩევანის გაკეთების დროს ბანკმა უნდა გაითვალისწინოს ყოველ მათგანთან დაკავშირებული ხარჯები და რისკი, საერთო რისკის დონე, კაპიტალის მოზიდვის შერჩეული ხერხის გაყლენა აქციონერთა შეხედულებებზე და, აგრეთვე, სახელმწიფო რეგულირება.

5. საბანკო კაპიტალი ასრულებს გარკვეული სახის ფუნქციებს: დაცვით, ოპერატიულ და მარეგულირებელს. ცალკე გამოყოფენ ბანკის საწესდებო კაპიტალის ფუნქციებს. კერძოდ: ა. ბანკის შუამაობის საწყის ეტაპზე იგი იმ აუცილებელი თავდაპირველი სასტარტო სახსრების როლში გამოდის, რის გარეშეც ბანკი ვერ შეძლებს მუშაობის დაწყებას; ბ. კაპიტალის როლი დიდია საბანკო ოპერაციების გაშლა-გაფართოების მომდევნო ეტაპებზეც; გ. კაპიტალი ბანკის საქმიანობის რეგულატორი, მ.შ. მისი ოპერაციების მოცულობისა და შესაბამისი რისკების გაუმართლებელი ზრდის შემზღუდავია; დ.სოლიდური კაპიტალის არსებობა აყალიბებს და განამტკიცებს ბანკისადმი კლიენტების ნდობას; ე.კაპიტალი თამაშობს ამორტიზატორის როლს, რომელმაც უნდა გადაფაროს მიმდინარე დანაკარგებით მიღებული ზარალი.

6. ბანკების კაპიტალის სიდიდეს შეცარად არეგულირებენ, რისი ძირითადი მიზეზებია:

- ბანკის გაკოტრების რისკის შეზღუდვა;
- მაღალი საზოგადოების ნდობის შენარჩუნება;
- ფედერალური მთავრობის იმ დანახარჯების შეზღუდვა, რომლებიც ბანკების დაზღვევას უკავშირდება.

ახალ საერთაშორისო შეთანხმებაში ბანკის კაპიტალის წყაროები ორ კლასადაა დაყოფილი: პირველი (ძირითადი) კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს, ნამატს, გაუნაწილებელ მოგებას, ისეთ უფაღო პრივილეგირებულ აქციებს, რომლებიც არ ითვალისწინებენ დივიდენდების დაგროვებას; მეორე (დამატებითი) კლასის კაპიტალი მოიცავს სესხებიდან და არენდიდან მიღებულ

დასაშვებ დანაკარგებს, აგრეთვე, სუბორდინირებულ სავალო ინსტრუმენტებს, მათ შორის აქციებით უზრუნველყოფილს.

7. კომერციული ბანკები სულ უფრო მეტ ზეწოლას განიცდიან თავიანთი კაპიტალის მოცულობის გადიდების მხრივ. ეს იწვევს დამატებით კაპიტალზე გაჩენილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გრძელვადიანი დაგეგმვის აუცილებლობას. ამყამად ასეთი დაგეგმვის შემდეგი ძირითადი ეტაპები გამოიყოფა: 1. ბანკის საერთო ფინანსური გეგმის შემუშავება; 2. კაპიტალის იმ სიდიდის განსაზღვრა, რომელიც აუცილებელია ბანკისათვის მისი მიზნების, განზრახული ახალი მომსახურების, რისკის ალბათობის და სახელმწიფო რეგულირების პირობების გათვალისწინებით; 3. იმ კაპიტალის სიდიდის განსაზღვრა, რომლის მოზიდვაც შიძა წყაროს – გაუნაწილებელი მოგების – სარჯზე შეიძლება; 4. ბანკის მოთხოვნილებებისა და მიზნებისათვის ყველაზე უფრო შესაბამისი კაპიტალის წყაროების შეფასება და შერჩევა.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

საბანკო სახსრები – ფინანსური რესურსების სახესხვაობა, შემადგენელი ნაწილი, რომელიც ბანკების საკუთარ და მოზიდულ სახსრებს მოიცავს. **საკუთარი სახსრები** – აქციონერული და სარეზერვო კაპიტალი, აგრეთვე, გაუნაწილებელი მოგება. **მოზიდული სახსრები** – ანაბრები, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებული სახსრები. იმ სახსრების ერთობლიობაა, რომლებიც ბანკების განკარგულებაში და მათ მიერ საკრედიტო და სხვა აქტიური ოპერაციებისათვის გამოიყენება.

დიურაცია – დაფარვის ვადის საშუალო შეწონილი, ხანგრძლივობის ანალიზი გამოიყენება იმ ნაღდი თანხების ნაკადის საშუალო შეწონილი ხანგრძლივობის გამოსათვლელად, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. დიურაცია, აქტივ-პასივების სხვა ფასში გადაანაგარიშების მონაცემებზე დაყრდნობითა და შერეული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, იძლევა საპროცენტო განაკვეთის რისკის უფრო ზუსტი შეფასების შესაძლებლობას. დიურაციის მეშვეობით აღირიცხება ის, თუ როგორ იცვლება ბანკის სახსრების ღირებულება მომავალი ფულადი ნაკადის ახლანდელი ღირებულებით;

ბანკის საკუთარი სახსრები – ზოგადი ცნებაა და მოიცავს ბანკის საქმიანობის პროცესში ჩამოყალიბებულ ძირეულ პასივებს: ბანკის საწესდებო, სარეზერვო და სხვა ფონდებს, ბანკის მიერ შექმნილ მთელ რეზერვებს, აგრეთვე, წინა წლების გაუნაწილებელ მოგებას და მიმდინარე წლის მოგებას.

ბანკის საკუთარი კაპიტალი – გაანგარიშების გზით მიღებული სიდიდეა. იგი მოიცავს საკუთარი სახსრების (ზოგჯერ მოზიდული სახსრებისაც) იმ მუხლებს, რომლებსაც ეკონომიკური აზრით ბანკის კაპიტალის ფუნქციის შესრულება შეუძლიათ. ბანკის საკუთარ კაპიტალად უნდა ჩაითვალოთ სპეციალურად შექმნილი ის ფონდები და რეზერვები, რომელთა დანიშნულებაა ბანკის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და შესაძლო ზარალის დაფარვა და რომლებიც ბანკის განკარგულებაშია მისი ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში.

საბანკო კაპიტალის ფუნქციები – დაცვითი, ოპერატიული და მარეგულირებელი; თუ რისკთან დაკავშირებით განვიხილავთ, მაშინ ფუნქციები შემდეგია: კაპიტალი ის ბუფერია, რომელსაც შესწევს წაგების გადაფარვის და გადახდისუნარიანობის შენარჩუნების უნარი; კაპიტალი უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების ბაზრებში შეღწევას და ლიკვიდურობის პრობლემისგან იცავს ბანკებს; კაპიტალი აკავებს რისკის ზრდას და ზღუდავს მას.

საბანკო კაპიტალი – ფულადი კაპიტალი, რომლებიც მოზიდულია ბანკის მიერ სხვადასხვა წყაროებიდან და გამოიყენება საბანკო ოპერაციების ჩასატარებლად, ქმნის ბანკის ფინანსურ რესურსებს. ბანკის საკუთარი კაპიტალი (აქციონერული და სარეზერვო კაპიტალის ჯამი) საბანკო კაპიტალის ნაწილია, რომელიც ჩადებულია ბანკის მესაკუთრეების (აქციონერების)

მიერ.

საკუთარი კაპიტალი — კაპიტალი, რომელიც დაბანდებულია ფირმის მფლობელის მიერ. აქციონერული საზოგადოების პირობებში — აქციონერული კაპიტალი. იგი გაიანგარიშება, როგორც სხვაობა ფირმის ერთობლივ აქტივებსა და მის ვალდებულებებს შორის.

რესტრიქცია — ცენტრალური ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გასაცემი კრედიტების შეზღუდვა, რაც იწვევს სარეწველო და სავაჭრო საწარმოების კრედიტების საერთო შემცირებას, წარმოების შეკვეცას ან მისი ზრდის ტემპების დაცემას.

საბაზრო რისკი აქციების მიმართ — მოცემული კომპანიის აქციების საბაზრო ფასის ცვალებადობის ზომა სხვა კომპანიების აქციების საბაზრო ფასების საშუალო მერყეობის მიმართ.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი — ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის სფერო, რომლის საშუალებითაც ხდება საწარმოთა დროებითი თავისუფალი სახსრებისა და მოსახლეობის დანაზოგების მობილიზაცია ეკონომიკაში ინვესტირებისათვის. იყოფა პირველად და მეორეულ ბაზრებად. პირველად ბაზარზე იყიდება ახალგამოშვებული, ემიტირებული ფასიანი ქაღალდები. ფასიანი ქაღალდების მეორეულ ბაზარზე ინვესტორები, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები და შუამავლები ეჯრობენ იმ ფასიანი ქაღალდებით, რომლებიც ერთხელ უკვე გაყიდეს მათმა ემიტენტებმა.

ბანკის საკუთარი ბრუტო-კაპიტალი — ბანკის ყველა ფონდის და ბალანსის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების ჯამია.

ბანკის საკუთარი ნეტო-კაპიტალი — მიიღება ბრუტო კაპიტალისაგან, რომელსაც აკლდება საკუთარ წყაროებზე გაწეული კაპიტალური ხასიათის ხარჯები, დაშვებული და პერსპექტიული ზარალი, გამოსყიდული საკუთარი აქციები და 30 დღეზე მეტი ხანგრძლივობის შეძენე დებიტორული დავალიანება. ნეტო-კაპიტალი ასახიათებს ბანკის ფაქტობრივად არსებულ საკუთარი სახსრების სიდიდეს.

.ბანკის „კაპიტალის საკმარისობა“ — გამოხატავს ბანკის საიმედოობის ზოგად შეფასებას, მასზე რისკის „დამუქრების“ დონეს. კაპიტალის, როგორც ზარალის საწინააღმდეგო ბუფერის მოაზრება განაპირობებს უკუდამოკიდებულებას კაპიტალის სიდიდესა და ბანკზე რისკის დამუქრების ძალას შორის. აქედან გამომდინარეობს კაპიტალის საკმარისობის ძირითადი პრინციპი: საკუთარი კაპიტალის ზომა უნდა შეესაბამებოდეს აქტივების სიდიდეს, მათი რისკის ხარისხის გათვალისწინებით.

კუკის კოეფიციენტი — საკრედიტო დაწესებულებებისა და კომერციული ბანკების გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი, რომელიც მოითხოვს 8%-იანი დონის თანაფარდობას საკუთარ ფონდებსა და აქტივებს შორის, შეფარდებულს მათი რისკის ხარისხთან.

ბაზელის შეთანხმება — შეთანხმების თანახმად მოხდა ქვეყნის და კრედიტების რისკების შეფასების სტანდარტიზაცია. საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებული საბაზრო რისკები ამ მეთოდიკის ფარგლებში 1997 წლამდე არ არსებობდა. ამჟამად ბაზელის კომიტეტის მიერ დამუშავებულია კაპიტალის საკმარისობის ნორმატივების გაანგარიშების რეკომენდაციები საპროცენტო და საბაზრო რისკების გათვალისწინებით.

NOW ანგარიშები — მოთხოვნამდე არსებული. ისეთი დეპოზიტური ანგარიშებია, რომლებზეც საანგარიშსწორებო დეკუმენტების გამოწერა შეიძლება მესამე პირის სასარგებლოდ. ეს ანგარიშები ლიკვიდობის პრინციპს აერთიანებს შემოსავლების მიღების შესაძლებლობასთან (პროცენტის სახით), მათ უხსნიან მხოლოდ კერძო პირებს და მოგების არმქონე ფირმებს.

დადასტურებული ჩეკების ანგარიშები — მოთხოვნამდე შენახული ისეთი დეპოზიტური ანგარიშებია, რომლებზეც მოთავსებული ფულადი სახსრები დადასტურებული ჩეკების გასანაღდებლადაა განკუთვნილი. დადასტურებულ ჩეკზე ბანკი საგანგებო აღნიშვნას აკეთებს მისი განაღდებისათვის სახსრების არსებობის შესახებ (ადრე მას ჩვენთან „ბანკის მიერ აქცეპტებულ საანგარიშსწორებო ჩეკს“ უწოდებდნენ).

ტრატა – თანამედროვე საბანკო და კომერციულ პრაქტიკაში გადასაპირებელი თამასუქის სინონიმი. განასხვავებენ: 1. სავაჭრო ტრატას, რომელსაც გამყიდველი გასცემს მყიდველზე; 2. საბანკო ტრატას, რომელსაც გამყიდველი გასცემს ბანკზე; 3) საფინანსო ტრატას, რომელსაც ბანკის გასცემს ბანკზე. განსაკუთრებით გაერცელებულია საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში.

ობლიგაცია – 1. განსაზღვრული ვადით გამოშვებული მყარი კურსის მქონე ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს მითითებულ დროში სესხის დაფარვისა და პროცენტის ყოველწლიური გადახდის ვალდებულებას. საგადასახადო ვალდებულება, რომლის მიხედვითაც კრედიტორი ყოველწლიურად იღებს შემოსავალს ფიქსირებული პროცენტის სახით. ობლიგაციებს უშვებენ სახელმწიფო და აქციონერთა საზოგადოებები. 2. ფიქციური კაპიტალის ერთ-ერთი ფორმა.

კონვერტირებადი ობლიგაციები – ობლიგაცია, რომლის მფლობელსაც შეუძლია გაცვალოს იგი ჩვეულებრივ აქციაზე.

ევროდოლარები – ევროპული დოლარები, რომლებიც წარმოადგენს ფულად სახსრებს აშშ-ს დოლარებში და მათი მფლობელების მიერ მოთავსებულია აშშ-ს საზღვრებს გარეთ არსებულ ბანკებში, უმთავრესად – ევროპულ ბანკებში. საბანკო ანგარიშები დოლარებში საშუალებას აძლევს ბანკებს, რომლებშიც გახსნილია ანგარიშები, გამოიყენონ დოლარიანი ფული ოპერაციებისათვის სასესხო კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე, რადგან დოლარი მსოფლიო ვალუტადაა აღიარებული.

კონვერსია – არსებითი გარდაქმნა, პირობების შეცვლა, წარმოების ერთი ობიექტის მეორეთი ან ერთი ფასიანი ქაღალდის მეორეთი შეცვლა. კონვერსიის სახეებია: ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების კონვერსია – ერთი ვალუტის სხვაზე ან ერთი სახის აქციის მეორეზე გაცვლა; სესხის კონვერსია – სესხის თავდაპირველი პირობის შეცვლა ან ობლიგაციების გამოცვლა;

შებრუნებითი კონვერსია – ფასიანი ქაღალდების ვალდებულებათა უკუგაცვლა, რომელსაც ბროკერები მათი კლიენტების ფასიანი ქაღალდებიდან შემოსავლის მისაღებად იყენებენ.

კონიუნქტურა – 1. ნიშნების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია გარკვეულ პერიოდში ეკონომიკის მდგრადობისათვის. 2. ურთიერთდაკავშირებული პირობების ერთობლიობა, ჩამოყალიბებული ვითარება.

ბაზრის კონიუნქტურა – დროის გარკვეულ პერიოდში კონკრეტულ ადგილზე ჩამოყალიბებული საქონლის რეალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური, სავაჭრო-ორგანიზაციული და სხვა პირობები. დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: მომხმარებელთა ფულადი შემოსავლები, საქონლის ფასები, სასაქონლო რესურსები, მათ შორის სასაქონლო მარაგის მოცულობა და სტრუქტურა.

შვილობილი კომპანია – სათავო კომპანიის კონტროლით მომუშავე ფილიალი, სადაც კონტროლი სორციელდება მონაწილეობის სისტემის მეშვეობით, ე.ი. სათავო კომპანია, როგორც ჰოლდინგის როლში მყოფი საზოგადოება, ფლობს შვილობილი კომპანიების საკონტროლო პაკეტებს. შვილობილ კომპანიებს აქვთ დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი. მათი რეგისტრაცია ხდება მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილსამყოფელის მიხედვით და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, სად არის დაფუძნებული სათავო კომპანია. მათ აქვთ დამოუკიდებელი საბუღალტრო ბალანსი და საფინანსო დოკუმენტები, ფართო უფლებებით სარგებლობენ საკუთარი მოგების განაწილებაში, მათი რეინვესტიციის ჩათვლით. ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით შვილობილი კომპანიები იყოფა საბაზო, საექსპორტო, საფინანსო, მეცნიერულ-ტექნიკურ და სხვა განყოფილებებად.

რეპო – 1. შეთანხმება ადრე გაყიდული საქონლის უკან შესყიდვის თაობაზე. 2. ოპერაცია ფინანსურ ბაზარზე, რომელიც ითვალისწინებს მონაწილეების შეთანხმებას ფასიანი ქაღალდების უკან გამოსყიდვის შესახებ; გარიგება გულისხმობს, რომ ერთი მხარე მიჰყიდის მეორე მხარეს გარკვეული ღირებულების ფასიანი ქაღალდის პაკეტს ვალდებულებებით, რომ უკან გამოისყი-

დის მას წინასწარ დათქმული ფასით.

აქცეპტი – 1. თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე; 2. წარწერა გადასაპირებელ თამასუქზე, რომლითაც გადამხდელი ადასტურებს თავის ვალდებულებას, გაანაღდოს თამასუქი მასზე მითითებულ ვადაში. აქცეპტს აფორმებს აქცეპტანტი წარწერით „აქცეპტირებულია“ და ხელის მოწერით. 3. ბანკის თანხმობა გადასაპირებელ თამასუქზე აღნიშნული თანხის გადახდის გარანტიის შესახებ.

?. . . . . კითხვები და დავალებები დაეროუკიდებელი მუშაობისათვის

1. როგორია კაპიტალის ცნების მნიშვნელობა საბანკო საქმისათვის?

2. რა წამყვან როლს თანაშობს კაპიტალი ბანკის მართვისა და საქმიანობის უზრუნველყოფაში?

3.როგორია კაპიტალისა და რისკის გაჩენის ალბათობის ურთიერთდამოკიდებულება საბანკო საქმიანობაში?

4. საბანკო კაპიტალის რომელ სახეებს იყენებენ ამჟამად?

5. როგორ აფასებენ ბანკის კაპიტალის სიდიდეს?

6. რა განსხვავებაა „ბულალტერიის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების მიხედვით“ და „ბულალტერიის რეგულირებადი პრინციპების მიხედვით“ ბანკის კაპიტალის შეფასებებს შორის?

7. რითი ამართლებენ სახელმწიფოს მიერ ბანკის მინიმალური სტანდარტების დაწესებას იმის საპირისპიროდ, რომ ეს სტანდარტები კონკრეტულმა ბაზარმა განსაზღვროს?

8. რა მონაცემები მოგეცა ბოლო გამოკვლევებმა კერძო ბაზრის როლის შესახებ ბანკების კაპიტალიზაციის სტანდარტების განსაზღვრაში?

9. ბოლო გამოკვლევების დასკვნების მიხედვით, თავიდან გვაცილებს თუ არა ბანკის კაპიტალი მის გაკოტრებას?

10. რომელია ყველაზე პოპულარული ის ფინანსური მაჩვენებლები, რომლებსაც ამჟამად იყენებენ მარეგულირებელი დაწესებულებები ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებისათვის?

11. რა განსხვავებაა ძირითად (პირველი კლასის) კაპიტალსა და დამატებით (მეორე კლასის) კაპიტალს შორის?

12. რა ცვლილებები შეიტანა ბაზელის შეთანხმებამ ბანკის კაპიტალის რეგულირებაში?

13. რა შესაძლო შედეგები შეიძლება მოყვეს ბაზელის შეთანხმებას ბანკების მიერ იმ გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომლებიც აქტივების შერჩევას უკავშირდება?

14. დაასახელეთ ბანკის კაპიტალზე გრძელვადიანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დაგეგმვის ოთხი ეტაპი.

15. როგორ მოქმედებს დივიდენდების პოლიტიკა ბანკის მიერ დამატებითი კაპიტალის მოზიდვის მოთხოვნილებაზე?

16. რა არის შიდა კაპიტალის ზრდის ტემპი და რატომ აქვს ამ მაჩვენებელს დიდი მნიშვნელობა ბანკის მართვისათვის?

17. რომელია ბანკის კაპიტალის ძირითადი გარე წყაროები?

18. რა ფაქტორებს უნდა ითვალისწინებდნენ მენეჯერები კაპიტალის გარე წყაროების შერჩევის დროს?

19. აღწერეთ კომერციული ბანკის საკუთარი სახსრების შემადგენელი ნაწილები და მათი სტრუქტურა.

20. დაასახელეთ საბანკო კაპიტალის ფორმირების პროცესის ძირითადი ეტაპი. ჩამოთვალეთ

ბანკის სადეპოზიტო პოლიტიკის ძირითადი კრიტერიუმები.

21. როდის გაფორმდა ბაზელის ხელშეკრულება და კომერციული ბანკების რომელ სფეროს ეხებოდა იგი?

22. რას გამოხატავს კუკის კოეფიციენტი?

23. რა განსხვავებაა ბანკის საკუთარ სახსრებსა და საკუთარ კაპიტალს შორის?

24. რა არის დიურაცია და რის აღსარიცხავად იყენებენ მას?

25. ჩამოთვალეთ საბანკო კაპიტალის მიერ შესრულებული ფუნქციები.

რეკომენდებული ლიტერატურა

ასათიანი რ. ეკონომიკსი. განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 2003.

გიტმანი ლ., ჯონკი მ..., ინვესტირების საფუძვლები, გადმოქართულებული და შევსებული ლ. ქოქიაურის მიერ. თბ. „ფინანსები", 2000.

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

ეკონომიკური ლექსიკონი. ავტ. კოლ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით. თბ., 2000.

კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 1999.

მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტები. საქართველოს ეროვნული ბანკი. №4(46), თბ., 202.

პაპავა ვლ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბ., 2000.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

Банковское дело. Авт. колл. под ред. **Ю.А. Бабичевой. М.,**

Банковское дело. Авт. колл. под редакцией **Ю.Ю. Русанова.** Комплекс методических материалов для дистанционного обучения. М., МБИ, 1999.

Банковский портфель: в 3-х томах. /Овт. ред. **Ю.И. Коробов, Ю.Б. Рубин, В.И. Солдаткин.** М.:Сомintех. 1994-1995.

Деньги. кредит. банки. Авт. колл. под ред. **О.И. Лаврушина.** _ Учебник М., 1998.

Жуков Е. Ф. Банки и банковские операции: Учебник. М., 1997.

Коллесников В.И., Кролинецкая Л.П. Банковское дело. М., 1995.

Миловидов В.Д. Современное банковское дело: Опыт организации и функционирования банков США. М.: Изд-во Моск. университета, 1992.

Ресин В.И. Тагирбеков К.Р. Банк в системе экономических структур. М., Весь Мир, 1997.

Усоскин В.М. Современный коммерческий банк. управление и операции. М.: Всё для вас. 1993.

Эдвин Дж. Долан. Денги. Банки и денежно-кредитная политика. пер. с англ-ого. М., СПБ, 1994.

Palfreman David., Ford Philip. Elements of Banking. Pritman Publishing. London. 1996.

Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling Financial Services. Second Edition. IRWIN. Honewood. Boston. 1993.

Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

მესამე განყოფილება
კომერციული ბანკების ოპერაციები და შემოსავლები

მეცხრე თავი. კომერციული ბანკების ოპერაციები (გარიგებები) და საიმედოობა

ტერმინები და ძირითადი ცნებები
9.1. ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციები
9.2. აქტივების შედგენილობა და სტრუქტურა
9.3. ბანკის აქტივების ხარისხი
9.4. საბანკო საქმიანობის რისკები: ცნება, კლასიფიკაცია, გაანგარიშების მეთოდები, მარკა
9.5. ბანკის საიმედოობა: ცნება, განმსაზღვრელი ფაქტორები, მაჩვენებლები, დინამიკა
9.6. კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველმყოფი ნორმატივების სისტემა
მოკლე დასკვნები
ტერმინები და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

აქტივები
აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი
ბანკის აქტიური ოპერაციები
ბანკი – კორესპონდენტი
ბანკო
გეპი
დებიტორები
დებიტორული დავალიანება
დეპოზიტორი
დეპოზიტური ბანკები
დეპოზიტური ოპერაციები
დეპოზიტური სერთიფიკატი
დიურაცია
ინსაიდერი
კრედიტის სადეპოზიტო ბაზის გამოყენების კოეფიციენტი
ლიზინგი
სპრედი
სპრედერი
ფაქტორინგი
ფაქტორ-კომპანია
ფულადი ბაზრის დეპოზიტური ანგარიში
შენონილი საკლასიფიკაციო მაჩვენებელი

9.1. ბანკის პასიური და აქტიური ოპერაციები

ბანკი გამუდმებით ეწევა სრულიად განსხვავებულ ფინანსურ მოქმედებებს, რომლებსაც მის ოპერაციებს (გარიგებებს) უწოდებენ. ყოველი ასეთი ოპერაცია ბანკის მუშაკების გარკვეული პროფესიული მოქმედებაა. ამ ოპერაციების (თანამშრომელთა შესაბამისი მოქმედებების) მთელი ერთიანობა ორ მსხვილ ჯგუფად იყოფა – პასიურ და აქტიურ ოპერაციებად.

ბანკის პასიური ოპერაციები. ეს ის ოპერაციებია, რომელთა ჩატარებაც თავის რეალურ მფლობელობასა და განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებს უზრდის ბანკს (სახელწოდება უკავშირდება საბუღალტრო აღრიცხვაში გამოყენებულ ტერმინლოგიას – ბანკის ყველა ამგვარი სახსრები ბალანსის პასიურ ანგარიშებზე აღირიცხება). დასახელებული რესურსები ორი კომპლექსური ნაწილისგან შედგება – ბანკის საკუთარი სახსრებისაგან და მოზიდული სახსრებისაგან. ამის შესაბამისად შეგვიძლია განვსაზღვროთ ბანკის მუშაკთა საქმიანობის კონკრეტული მიმართულებები (პასიური ოპერაციების სახეები), რომლებიც იწვევენ როგორც ბანკის საკუთარი სახსრების, ისე გარედან მოზიდული რესურსების მოცულობის გადიდებას. ესენია:

- **ბანკის საკუთარი კაპიტალის დაგროვების ოპერაციები:**
  - მისი საწესდებო კაპიტალის ჩამოყალიბებისა და შემდგომი გადიდების გზით (აქციების გამოშვებისა და განთავსების გზით ბანკის მონაწილეთა შორის). ამ ოპერაციებს ხშირად საემისიო ოპერაციებს უწოდებენ;
  - მისი სპეციალური ფონდების ჩამოყალიბებისა და შემდეგომი გადიდების გზით (ძირითადად, მოგებიდან გადარიცხვების სარჯზე);
  - სუბორდინირებული კრედიტების (სესხების) მოზიდვის გზით.
- **სასესხო სახსრების მოზიდვის ოპერაციები;**
  - იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ბანკში დეპოზიტებისა და ანაბრების შეტანის ფორმით;
  - კლიენტებს შორის ბანკის თამასუქების, სერტიფიკატებისა და ბარათების გაყრცელების ფორმით;
  - კლიენტების მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშებზე სახსრების დაგროვების ფორმით (გარკვეული თანხების შეტანა ახლად გახსნილ ანგარიშებზე, კლიენტების ფულად შემოსულობათა ან მათი საკუთარი ამონაგების თანხების ჩარიცხვა არსებულ ანგარიშებზე);
  - სხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისგან კრედიტებისა და სესხების მიღების ფორმით.

ბანკის მიერ პასიური ოპერაციების წარმატებით განხორციელება მისი აქტიური ოპერაციების ჩატარების ერთ-ერთი საკმარისი პირობაა.

ბანკის აქტიური ოპერაციები. ეს ის ოპერაციებია (თანამშრომელთა ის მოქმედებებია), რომელთა შედეგადაც ბანკის თავისუფალ ფულად სახსრებს (საკუთარს თუ მოზიდულს) ან მოგების შემოსტანი მიმართულებით აბანდებენ ან ბანკის საქმიანობის საერთო პირობების უზრუნველსაყოფად იყენებენ.

საზოგადოდ, ბანკის შემოსავლების შემომტანი აქტიური ოპერაციების ძირითადი სახეები (ბანკის თანმშრომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები) შემდეგია:

- საკრედიტო (სასესხო) ოპერაციები – მსესხებლებზე ფულის გაცემა საბანკო კრედიტის სახით. იმ საკრედიტო ოპერაციებს, რომელთა პროცესშიც ბანკები იძენენ (ანაღდებენ) თამასუქებს ან გირაოდ იღებენ მათ, სააღრიცხვო-სასესხო ოპერაციებს უწოდებენ;
- საფონდო ოპერაციები – ბანკის მიერ თავისი და კლიენტების სახსრების, როგორც წესი, მათივე განკარგულების შესაბამისად დაბანდება ფასიან ქაღალდებში ორგანიზებულ ან არაორგანიზებულ საბირჟო ბაზარზე;

- საანგარიშსწორებო (საანგარიშსწორებო-საგადასახადო) ოპერაციები – ძირითადად, სახსრების ჩარიცხვა კლიენტების ანგარიშებზე და სხვა პირების წინაშე არსებული ვალდებულებების გასტუმრება ამ ანგარიშებიდან. ეს ოპერაციები აქტიურია (ბანკის ფულის განთავსებას გულისხმობს) იმ აზრით, რომ თავისი და კლიენტების ვალდებულებების დროულად გადახდისათვის ბანკს თავისი სახსრების ნაწილი მუდმივად უნდა ჰქონდეს შენახული ცენტრალურ ბანკში, სხვა ბანკებში, საანგარიშსწორებო (კლირინგულ) ცენტრებში;
- საინვესტიციო ოპერაციები – ბანკის მიერ თავისი სახსრების დაბანდება სხვა იურიდიული პირების აქციებსა და პაიებში (ე.ი. საწესდებო კაპიტალებში) იმ ერთობლივი სამეურნეო-კომერციული საქმიანობის მიზნით, რომელიც დივიდენდების სახის მოგების მიღებაზეა გათვლილი;
- საკომისიო და საგარანტიო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს და ზოგიერთი სხვა ოპერაცია შემოსავლის მომტანია. თუმცა, მათი ასეთნაირად დახასიათება არაა მუდმივი და უცვლელი. სხვადასხვა გარემოებებზე დამოკიდებულებით ისინი შესაძლოა გადაიქცნენ მაღალშემოსავლიან, დაბალშემოსავლიან, სტაბილური და არასტაბილური შემოსავლის მომტან, არაშემოსავლიან და წამგებიან ოპერაციებადაც კი. ამიტომაც აქვს ბანკისთვის ასე დიდი მნიშვნელობა, თავისი საბაზრო პრიორიტეტების და სპეციალიზაციის ზუსტად განსაზღვრას საქმიანობის ყოველი მოცემული პერიოდისათვის.

ბანკის აქტიური ოპერაციების ნაწილს უეჭველად არ მოაქვს შემოსავალი. ასეთია მისი სახსრების განთავსები (ხშირად – უალტერნატივო) ისეთი ოპერაციები, რომლებიც აბსოლუტურად აუცილებელია როგორც ბანკის ნორმალური, სტაბილური ფუნქციონირების საერთო პირობა. ამის გამო ხშირად ასეთ სახსრებს არაკორექტულად უწოდებენ „უმუშეარ აქტივებს". ესაა, უმთავრესად:

- საკასებსა და ბანკის საოპერაციო სალაროებში არსებული ნაღდი ფული, უძრავ ქონებაზე ოპერაციების უმრავლესობა;
- ცენტრალურ ბანკში საჭიროებული რეზერვებად დეპონირებული ფული;
- სახსრების ნაშთები ბანკის ძირითად საკორესპონდენტო ანგარიშზე ცენტრალურ ბანკში, ზოგჯერ – სხვა ბანკებშიც; სახსრები საანგარიშსწორებო ცენტრებში;
- უპროცენტო კრედიტები (თუ ამგვარ კრედიტებს გასცემდნენ), ან პროლონგირებული კრედიტები, როდესაც მათზე პროცენტებს არ იხდიან;
- კაპიტალის დაბანდება ძირითად სახსრებში და სხვა.

ბანკის განკარგულებაში არსებული რესურსების განთავსება და გამოყენება ბუღალტრულ ბალანსში აისახება (აქტიურ ანგარიშებში), როგორც ბანკის აქტივები.

აქტივების ხარისხი. ბანკის აქტიური ოპერაციები განსხვავებულია როგორც ეკონომიკური შინაარსით, ისე მათი ხარისხის (ბანკისთვის შედეგების მოტანის) თვალსაზრისით. ხარისხით განსხვავებულ აქტივებს (სახსრების დაბანდებას) შორის რაოდენობრივ თანაფარდობას, ანუ სხვადასხვა ჯგუფის აქტივების ხვედრით წონას მათ საერთო საბალანსო შედეგში, აქტივების სტრუქტურას უწოდებენ. იგი შესაძლოა იყოს რაციონალური (გამართლებული, მიზანშეწონილი) ან არარაციონალური, ეფექტიანი (ოპერაციების შემოსავლიანობისა და მომგებიანობის მისაღები დონის უზრუნველმყოფი) ან არაეფექტიანი. ამაზე იმის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ:

- როგორია აქტივების დიფერსიფიკაციის დონე, აქტივების სტრუქტურა, მათ შორის „კარგი" (უზრუნველყოფილი, საიმედო) და „ცუდი" (მაღალრისკიანი, კრიტიკული, არაუზრუნველყოფილი, საეჭვო, დაბრუნების თვალსაზრისით არასაიმედო), აქტივების მოცულობის ან ხვედრითი წონის მიხედვით;
- როგორია სხვადასხვა ჯგუფის აქტივების ლიკვიდობის დონე;
- როგორ იცავს ბანკი პასივების სტრუქტურასთან აქტივების სტრუქტურის (მოზიდული და განთავსებული სახსრების მოცულობებისა და ვადების მიხედვით) შესაბამისობის ოქროს წესს.

ბანკის აქტივების ხარისხი უაღრესად მოძრაკი პარამეტრია, რის გამოც მუდმივადაა აუცილებელი მისი გაანალიზება და შეფასება. ამ დროს უნდა გაანალიზდეს:

1. ბალანსის აქტივების მოცულობის დინამიკა და ხარისხობრივი შედგენილობა, მათ შორის:

მწარმოებლური აქტივების (პირველ რიგში, კლიენტებთან ოპერაციების);

– არამწარმოებლური აქტივების;

– საკუთარ საჭიროებებზე გაწეული ხარჯების (კაპიტალიზებული აქტივები, შიდასაბანკო ფულადი აქტივები, არამატერიალური აქტივები, მოგების ხარჯზე გადადებული სახსრები, ხარჯები და დანაკარგები);

2. მოზიდული სახსრების მოცულობისა და შედგენილობის დინამიკა;

3. საკუთარი სახსრების მოცულობისა და შედგენილობის დინამიკა.

ასეთი ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ბანკის საქმიანობაში არსებული მნიშვნელოვანი ტენდენციები (მისი ბალანსის გამსვლებული მუსლების ჭრილში) და განვსაზღვროთ, თუ რომელი ოპერაციების ხარჯზე გაიზარდა ან შემცირდა მომგებიანობა (წამგებიანობა); შევაფასოთ საკუთარი კაპიტალისა და მოპილიზებული კაპიტალის ცვლილება; თვალყური ვადევნოთ მოზიდული სახსრების ზრდას (კლებას); გამოვავლინოთ ბანკის საქმიანობის პრიორიტეტებისა და სერსების შეცვლის აუცილებლობა.

სხვა სიტყვებით რომ ეთქვათ, ბანკის პორტფელის (აქტივების, მოზიდული სახსრებისა და საკუთარი კაპიტალის) დინამიკის შეფასება მისი ბალანსის ე.ი. არსებითად, მთელი მისი ბიზნესის მართვის ეფექტიანობის შეფასებაა. ამ დროს ითვალისწინებენ ბანკის პორტფელის ფორმირების ალტერნატიულ ვარიანტებს, მისი სიდიდის, ბაზარზე არსებული პროცენტების განაკვეთების, შემოსავლების მაქსიმიზაციისა და ხარჯების მინიმიზაციის მხედველობაში მიღებით. ბანკის ყოველდღიურ ოპერატიულ საქმიანობაში მისი აქტივებისა და პასივების მართვისათვის მთავარი ცვლადებია საპროცენტო შემოსავლები და გასაელები, მოზიდული და განთავსებული სახსრების მოცულობები.

ბანკის ლიკვიდობა და მისი რეგულირება. ბანკის აქტივების ხარისხის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მათი ლიკვიდობის დონე.

ლიკვიდობა (ლათ. liquidus-იდან, რაც თხევადს, დინებადს ნიშნავს) ყველაზე ზოგადად არის ფასეულობებისა და აქტივების რეალიზაციის, კვლავ ფულად გადაქცევის სიადვილე და სისწრაფე. ბუნებრივია, რომ ბანკებს, ისე, როგორც ეკონომიკის სხვა რგოლებს, ესაჭიროება ლიკვიდური ფორმის სასსრები, ე.ი. ისეთი აქტივები, რომლებიც ან უკვე წარმოადგენენ ფულს, ან ადვილად შეუძლიათ ფულად გადაქცევა დანაკარგების მცირე რისკით ან სულაც ურისკოდ. ტერმინ „ლიკვიდობას", ჩვეულებრივ, იყენებენ ბანკის (ან სხვა მეურნე სუბიექტის) გარკვეული უნარის, მისი აქტივების გარკვეული თვისების აღსანიშნავად. ამ მიდგომას იმ შემთხვევაში არ იცავენ, როდესაც ამ ტერმინით უბრალოდ ფულს აღნიშნავენ.

ბანკის მთელ აქტივებს ფულად მათი გადაქცევის შესაძლებლობისა და სისწრაფის თვალსაზრისით ასეთნაირად აჯგუფებენ:

პირველი კლასის ლიკვიდური სახსრები – დაუყოვნებლივი მზადყოფნის მდგომარეობაში მყოფი სახსრები, ე.ი. ის სასსრები, რომლებიც უკვე გვეელინება ან თითქმის გვეელინება ფულად. ამას შეიძლება მივაკუთვნოთ სალაროში არსებული და მასთან გათანაბრებული სახსრები, ცენტრალურ ბანში და სხვა ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშებზე მყოფი სახსრები (იმათი გამოკლებით, რომლებიც მოცემულ მომენტში პრობლემური აღმოჩნდა), პირველი კლასის ემიტენტების თამასუქები, ზოგიერთი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი. ცენტრალურ ბანკში, სავალდებულო დაზღვევის ფონდში დეპონირებული სახსრებიც ბანკის „ცოცხალი" ფულია, მაგრამ ბანკს მისი გამოყენება არ შეუძლია;

ლიკვიდური სახსრები – სახსრები, რომლებსაც უახლოეს დროში შეუძლიათ ფულად გადაქცევა. ეს შეიძლება იყოს დასაბრუნებელი კრედიტები და ბანკის სასარგებლოდ სხვა გადასახდელები, რომელთაც უახლოეს 30 დღეში აქვთ შესრულების რეალური ვადა, ბანკის განკარგულებაში არსებული ფასიანი ქაღალდების ნაწილი და სხვა აქტივები;

დაბალლიკვიდური სახსრები – აქტივები, რომლებიც პრინციპში შეიძლება რეალიზებული იყოს, მაგრამ სავარაუდოდ არც ისე სწრაფად, როგორც ეს შესაძლოა ბანკს ჭირდებოდეს, და თანაც ფასში მნიშვნელოვანი წაგებით (მაგალითად, ბანკის კუთვნილის ძირითადი ფონდები);

არალიკვიდური სახსრები – აქტივები, რომელთა ფულად გადაქცევა, ეტყობა, ეელარ მოხერხდება (ვადაგადაცილებული და უიმედო ვალები ბანკის მიმართ, ბანკის ის აქტივები, რომელთაც მყიდველები არ გამოუჩნდა).

არსებობს ორი მდგომარეობა ლიკვიდობის დასახასიათებლად. ლიკვიდობა შეგვიძლია გავიგოთ როგორც მარაგი, ან როგორც ნაკადი. ყველაზე უფრო გავრცელებულია პირველი – მარაგის (ნაშთების) პრინციპის მიხედვით გაგება. მას ახასიათებს:

ა) ლიკვიდობის დონის განსაზღვრა გარკვეული თარიღისათვის, ბანკის ბალანსის აქტივებისა და პასივების ნაშთების შესახებ მონაცემების საფუძველზე (განვლილი პერიოდის შიგნით აქტივებისა და პასივების მოცულობისა და შედგენილობის შესაძლო ცვლილება მხედველობაში არ მიიღება);

ბ) ლიკვიდობის დონის განსაზღვრა ისეთნაირად, როცა მხოლოდ იმ აქტივების შეფასებას ახდენენ, რომელთა ფულად გადაქცევაცაა შესაძლებელი, შემდეგ კი ლიკვიდური აქტივების არსებულ მარაგს ადარებენ ლიკვიდურ სასრებზე მოცემული თარიღისთვის არსებულ მოთხოვნილებას (მხედველობაში არ მიიღება ის ლიკვიდური სახსრები, რომელთა მიღებაც შეიძლება ფულის ბაზარზე და შემოსავლების ნაკადის სახით);

გ) ლიკვიდობის დონის შეფასება ბალანსის იმ მონაცემებით, რომლებიც განვლილ პერიოდს ეხება (შეფასება მიმართულია წარსულისაკენ, მაშინ როდესაც მნიშვნელობა აქვს ლიკვიდობის მდგომარეობას მომავალ პერიოდში).

აშკარაა, რომ ესაა ვიწრო, შეზღუდული შესაძლებლობებისა და მნიშვნელობის მქონე, მაგრამ აუცილებელი მიდგომა. ამ მიდგომის ფარგლებში ბალანსის ლიკვიდობა ასე შეგვიძლია განვმარტოთ: ბანკის ბალანსი ლიკვიდურია, თუკი მისი მდგომარეობა იძლევა პასივის სასწრაფო ვალდებულებათა დაფარვის (დაკმაყოფილების) შესაძლებლობას აქტივის სახსრების სწრაფად რეალიზების ხარჯზე.

ცხადია, ფაქტიურად აქ იგულისხმება ბალანსში ასახული აქტივები და პასივები (ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციები) და არა თვითონ ბალანსი, რადგანაც აზრი არ ექნებოდა საუბარს ბალანსის, როგორც ბუღალტრული დოკუმენტის ლიკვიდობის ან არალიკვიდობის შესახებ.

უფრო ფართო და ეფექტიან მიდგომად ლიკვიდობის მიმართ უნდა მივიჩნიოთ მეორე – ნაკადის (ბრუნვის) პრინციპზე დაყრდნობილი მიდგომა. ამ შემთხვევაში ლიკვიდობის მდგომარეობის ანალიზი უწყვეტად (და არა ერთი თარიღიდან მეორემდე) შეიძლება ჩატარდეს, თანაც უკვე აუცილებელი არაა მისი დაყვანა ბალანსის ანალიზამდე, რადგან შესაძლებელი ხდება გავითვალისწინოთ ბანკის უნარი – მიიღოს კრედიტები და სესხები, უზრუნველყოს ფულის მოდინება მიმდინარე ოპერაციული საქმიანობისგან.

როდესაც ლიკვიდობა „ნაკადის" პრინციპის შესაბამისად განიხილება, მაშინ უფრო სწორია საუბარი ბანკის იმგვარ ლიკვიდობაზე, რომელიც ასე შეგვიძლია განვმარტოთ: ბანკი ლიკვიდურია, თუკი მისი მიმდინარე ვალდებულებების თავისდროზე დასაფარავად საკმარისია მისი ლიკვიდური აქტივებისა და ლიკვიდური სახსრები ჯამი, რომელთა მობილიზება მას სწრაფად შეუძლია სხვა წყაროებიდან.

ბანკის ბალანსის ლიკვიდობა თვით ბანკის ლიკვიდობის ძირითადი ფაქტორია. ამიტომ, უსაფუძვლოა მათი როგორც შეუთავსებელი ცნებების დაპირისპირება ერთმანეთთან.

ბანკის ბალანსის (და აქედან, თვით ბანკის) ლიკვიდობაზე ბრავალი ფაქტორი მოქმედებს. მათგან მთავარია:

- **პასივების სტრუქტურა** – სასესხო სახსრების მთლიან თანხაში რაც უფრო მაღალია გარკვეული ვადით მოზიდული რესურსების ხვედრითი წილი, მით უფრო ადვილად შეუძლია ბანკს აქტივებსა და პასივებ შორის ბალანსის დაცვა ვადებისა და თანხების მიხედვით, ე.ი. მით უფრო მაღალია მისი ლიკვიდობა;
- **აქტივების სტრუქტურა** – რაც უფრო მეტია პირველი კლასის ლიკვიდური აქტივების ხვედრითი წილი აქტივების მთლიან თანხაში, მით უფრო მაღალია ბანკის ლიკვიდობა. თუმცა, აქ უნდა გვასსოვდეს, რომ ასეთი აქტივები (სალაროს ნაღდი ფული და სხვა) შემოსავალს არ იძლევა. ამიტომ აქტივების ისეთი სტრუქტურა, რომელიც მხოლოდ მოცემულ კრიტერიუმს უპასუხებს, არ შეიძლება ოპტიმალურად ჩაითვალოს. ამის გათვალისწინებით ბანკი უნდა ეძებდეს და პოულობდეს გაწონასწორებულ გადაწყვეტილებას – თავისი ლიკვიდობის კარგ დონეზე შენარჩუნების აუცილებლობასა და მაქსიმალური შემოსავლიანობის უზრუნველყოფის მოთხოვნილებას (ეს კი მოითხოვს რაც შეიძლება მეტი წილის მქონე რესურსების მოქცევას მოგების მომტან ოპერაციებში);
- **რესურსების მოზიდვის ვადებისა და განთავსების ვადების თანაფარდობა** – ოპტიმალურად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი თანაფარდობა, რომელიც მოასწავებს ბანკის საქმიანობის ყოველ მოცემულ საგეგმო პერიოდში დინამიკური წონასწორობის შენარჩუნებას ორ სიდიდეს შორის: ერთი, ბანკის მიერ გასასტუმრებელი თანხები (კლიენტებისგან და სხვა პირებისგან ნასესხები ფულის დაბრუნება) და, მეორე, ფულის ის თანხა, რომელიც აქტივებში შეიძლება მოათავსოს ბანკმა, იმ ფულის ჩათვლით, რომლებიც უკვე განთავსებულია, მაგრამ უნდა გამოთავისუფლდეს. მოკლედ, აქ ოქროს წესი ასეთია: როგორიცაა პასივი, აქტივიც ისეთი უნდა იყოს;
- **აქტიური ოპერაციების რისკიანობის დონე;**
- **ბანკის პართვის ხარისხი.**

გარდა ჩამოთვლილისა, ბანკის ლიკვიდობაზე სხვა ფაქტორებიც მოქმედებენ, მათ შორის:

- ბალანსგარეშე ოპერაციების მოცულობა, სტრუქტურა და შესრულების ვადები;
- სხვა წყაროებიდან სახსრების სწრაფად მობილიზების შესაძლებლობა.

ბანკის ლიკვიდობა გარე ფაქტორებზეცაა დამოკიდებული, რომლებსაც შეგვიძლია მივაკუთვნოთ:

- გრძელვადიანი (მოხმარებაში, საინვესტიციო პროცესსა და საშეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში მომხდარი ძვრებით განპირობებული);
- ციკლური (რომლებიც საქმიან აქტივობაში მომხდარ რყევებს ასახავენ);
- ცენტრალური ბანკის ფულად და საკრედიტო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები;
- სეზონური (სეზონური სახის წარმოებასთან დაკავშირებული);
- შემთხვევითი და/ან საგანგებო (კლიენტების ქცევის თავისებურებებით გამოწვეული).

ბანკის ლიკვიდობის აქ მოყვანილი (ფაქტიურად – საყოველთაოდ აღიარებული) გაგება არსებითად მცირედ განსხვავდება მისი გადახდისუნარიანობის გაგებისგან და პრაქტიკულად არც კი განსხვავდება ნებისმიერი სხვა იურიდიული პირის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის განსარტებებისგან. ამასთან, ლიკვიდობის მხრივ ბანკებს არ შეიძლება არ ჰქონდეთ მნიშვნელოვანი სპეციფიკა, რომელიც ბანკის (და არა მარტო ბანკის) მიერ საგადასახდელო სახსრების შექმნის და ამ სახსრებით სამეურნეო ბრუნვის უზრუნველყოფის უნარს უკავშირდება. ამ განსაკუთრებული პრეროგატივის რეალიზებას ბანკები ახდენენ, უპირველეს ყოვლისა, შემდეგი ოპერაციების ჩატარებით: იურიდიული და ფიზიკური პირებისგან ფულის მიღება ანაბრებში

(დეპოზიტებში); ფულადი კრედიტების გაცემა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე (ახალი საკრედიტო ფულის გაჩენა); ფულის, თამასუქების, საგადასახადო და საანგარიშსწორებო დოკუმენტების ინკასაცია და იურიდიული და ფიზიკური პირების სალაროს მომსახურება; უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა. ეფიქრობთ, სწორედ ამ ოპერაციების წარმატებას უნდა ეუკავშირებდეთ ბანკის ლიკვიდობის ცნების სპეციფიკურ კომპონენტს. თუმცა, ამ იდეას საფუძვლიანად ჭირდება დამუშავება.

კონკრეტული ბანკის ლიკვიდობის დონე, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ამ ბანკის, მისი ხელმძღვანელობის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის საქმეა. სწორედ ხელმძღვანელობაა ვალდებული და მას შეუძლია განსაზღვროს სათანადო პოლიტიკა და შეირჩიოს მოცემულ რეალურ ვითარებაში მოცემული ბანკისათვის უფრო სამჯობინო ლიკვიდობის დონე. ამასთან, ბუნებრივია, ეს იმ ფარგლებში უნდა გაკეთდეს, რომლებსაც ცენტრალური ბანკი უყენებს ბანკების მუშაობის ამ ასპექტს.

ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბანკის ლიკვიდობის პრობლემა მოიცავს მისი პასივების პრობლემას, აქტივების პრობლემას და მათი თანაფარდობის პრობლემას. ამის გათვალისწინებით, ცენტრალური ბანკის მოთხოვნები ორ ძირითად მომენტზე შეგვეიძლია დავიყვანოთ. ჯერ ერთი, ცენტრალური ბანკი ყველა ბანკს ავალებს მათი აქტივების კლასიფიცირებას ხუთ ჯგუფად, რისკის დონეებიდან გამომდინარე, რომელთაგან თითოეულს რისკის ნორმატიული კოეფიციენტი აქვს (0-დან 100%-მდე). მეორე ცენტრალური ბანკი ავალდებულებს ყველა ბანკს, დაიცვან ლიკვიდობის ეკონომიკური ნორმატიულების შემდეგი მწკრივი:

ნორმატივი

ნორმატივის განმარტება

ნორმატივის მნიშვნელობა, %

მყისიერი ლიკვიდობა — Н 2

მიმდინარე ლიკვიდობა — Н 3

გრძელვადიანი ლიკვიდობა — Н 4

საერთო ლიკვიდობა — Н 5

ბანკის მაღალლიკვიდური აქტივების თანხის შეფარდება მოკითხვამდე ანგარიშებით განპირობებული მისი ვალდებულებების ჯამთან

ბანკის ლიკვიდური აქტივების (მაღალლიკვიდურის ჩათვლით) თანხის შეფარდება მოკითხვამდე და 30 დღის ვადიანი ანგარიშებით განპირობებული მისი ვალდებულებების ჯამთან

ბანკისადმი მთელი გრძელვადიანი (1 წელზე მეტი) დავალიანების შეფარდება მისი საკუთარი კაპიტალისა და იმ გრძელვადიანი (1 წელზე მეტი) ვალდებულებების ჯამთან, რომლებიც შემოტანილი დეპოზიტებითა და მიღებული კრედიტებითაა განპირობებული

ბანკის ლიკვიდური აქტივების შეფარდება მისი მთელი აქტივების (ზოგიერთი გამონაკლისით) თანხასა და მისი სავალდებულო რეზერვების თანხას შორის სხვაობასთან

არანაკლებ 20-ისა

არანაკლებ 70-ისა

არაუმეტეს 120-ისა

არანაკლებ 20-ისა

ლიკვიდობის შეფასების დროს ბანკებს შეუძლიათ ისარგებლონ ქვეყნის ცენტრალური ბანკის რეკომენდაციებით და შექმნან დოკუმენტი, რომელიც სულ მცირე, შემდეგ ელემენტებს უნდა შეიცავდეს:

1. მმართველური მიდგომა ლიკვიდობის შეფასების მიმართ, რაც გულისხმობს:

● ისეთი ორგანოს (ორგანოების) არსებობას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე, ლიკვიდობის მართვის სფეროში გადაწყვეტილ-

ბების მიღებაზე; ლიკვიდობის ეფექტიანად მართვის უზრუნველყოფაზე, ლიკვიდობის მდგომარეობის გაკონტროლებაზე და სათანადო გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

- სელძღვანელ ორგანოებსა და ქვედანაყოფებს შორის უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობის მკვეთრად გამიჯვნას ლიკვიდობის მართვის სფეროში;
- ლიკვიდურ სახსრებზე ბანკის რაციონალური მოთხოვნილების განსაზღვრის პროცედურების ფორმალურად აღწერას, რომელიც შეიცავს ლიკვიდობის სიჭარბის დეფიციტის ფაქტიური და მაქსიმალურად დასაშვები სიდიდეების განსაზღვრას;
- მყისიერი, მიმდინარე და გრძელვადიანი ლიკვიდობის მდგომარეობის, სავალდებულო ნორმატივების შეუსრულებლობის მიზეზების ანალიზის წესს და იმ ღონისძიებათა განსაზღვრას, რომლებმაც მაჩვენებლები ნორმატიულ მნიშვნელობებს უნდა მიუახლოვონ;
- აქტივებისა და ვალდებულებების მართვის ორგანიზაციისათვის წაყენებულ მოთხოვნებს ლიკვიდობის მართვის თვალსაზრისით. მოთხოვნების (განსაკუთრებით — ვადაგასულის) და ვალდებულებების (განსაკუთრებით — ვადამდე მოთხოვნის საშიშროების არსებობისას) მდგომარეობის ანალიზის ჩატარებას;
- ბანკის ლიკვიდობისა და მომგებიანობის ინტერესებს შორის კონფლიქტის გაჩენისას — მისი აღმოსაფხვრელი ღონისძიებების მიღების პროცედურებს;
- ლიკვიდობის მოკლევადიანი პროგნოზის შედგენის წესს;
- ლიკვიდობის მდგომარეობის ანალიზის წესს ბანკისათვის ნეგატიური მოვლენების განვითარების სცენარების გამოყენებით (ბაზართან, მოვალეებთან, კრედიტორებთან და სხვა გარემოებებთან დაკავშირებით);
- ბანკის ლიკვიდობის აღდგენის პროცედურებს, მათ შორის ლიკვიდური აქტივების მობილიზაციის და დამატებითი რესურსების მოზიდვის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურებს ლიკვიდობის დეფიციტის გაჩენის შემთხვევაში. კერძოდ, ბანკს უნდა ჰქონდეს საქმიანობის ყველაზე უარეს პირობებზე გათვლილი სცენარი და ასეთ პირობებში ლიკვიდობის შენარჩუნების ღონისძიებათა გეგმა.

2. უცხოური ვალუტით ბანკის ლიკვიდობის შეფასებისა და მართვის პოლიტიკის ძირითადმა ელემენტებმა უნდა განსაზღვროს, როგორც მინიმუმ:

- ბანკის მიმდინარე და პერსპექტიული ლიკვიდობის მდგომარეობაზე იმ ოპერაციების გავლენის შეფასების წესი, რომლებსაც ბანკი ატარებს (ვალუტაში);
- ვალუტაში ლიკვიდობის მდგომარეობის ანალიზის წესი ბანკისათვის ნეგატიური მოვლენების განვითარების სცენარების გამოყენებით;
- ლიკვიდობის დეფიციტების ზღვრული მნიშვნელობები ყველა ვალუტისა და ცალკეული ვალუტების მიხედვით.

3. დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს ბანკის ლიკვიდობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის სისტემის აუცილებად არსებობას. ეს სისტემა შეიძლება იყოს ბანკის საქმიანობის მართვის მთელი საინფორმაციო სისტემის ნაწილი და იგი უნდა უზრუნველყოფდეს ზუსტი და თავისდროული მონაცემების მიწოდებას, მოთხოვნილებისა და ვალდებულებების მდგომარეობის შესახებ.

4. ლიკვიდობის მართვაში მონაწილე ქვედანაყოფებისა და ბანკის ორგანოების მიერ პერიოდულად მიწოდებული ინფორმაციის ჩამონათვალი და შინაარსი, ლიკვიდობის მდგომარეობის კონტროლის საკითხების ჩათვლით. ეს ინფორმაცია საკმარისი უნდა იყოს ბანკის ლიკვიდური პოზიციის ადეკვატურად ასახვისათვის მთლიანად და მისი საქმიანობის ცალკეული მიმართულებების მიხედვით.

5. ლიკვიდობის მდგომარეობის პერიოდულად განხილვა ლიკვიდობის მდგომარეობის შესახებ მოკლევადიანი პროგნოზებისა და ანგარიშების მონაცემების შედარების საფუძველზე. ასეთი

განსილვა უნდა მიეინინიოთ ლიკვიდობის მართვის სისტემაში კორექტივების შეტანის ინფორმაციის წყაროდ.

6. ბანკის ლიკვიდობის მდგომარეობისა და მთლიანად საქმიანობის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის საჯაროდ გამოტანა ბანკის მიერ ლიკვიდობის მართვის მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან ეს პოზიტიურად მოქმედებს ბაზრის მონაწილეთა აზრზე და, შესაბამისად, ბანკის შეგრადობაზე.

9.2. აქტივების შედგენილობა და სტრუქტურა

ბანკის აქტიური ოპერაციები მისი ოპერაციების არსებით და განმსაზღერელ ნაწილს შეადგენენ.

აქტივების სტრუქტურა წარმოადგენს ბანკის აქტივის განსხვავებული ხარისხის მქონე მუხლების შეფარდებას საბალანსო შედეგთან. ბანკის აქტივების ხარისხს განსაზღვრავს, მისი აქტივების მიზანშეწონილი სტრუქტურა, აქტიური ოპერაციების დივერსიფიკაცია, სარისკო ოპერაციების მოცულობა, კრიტიკული და არასრულფასოვანი აქტივების მოცულობა და აქტივების ცვლილების ნიშნები.

კომერციული ბანკის აქტივები ოთხ კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ: სალაროს ნაღდი ფული და მასთან გათანაბრებული სახსრები.ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციები, სესხები, შენობები და მოწყობილობა.

თითოეულ ბანკს პრობლემა უწინდება აქტივების რაციონალური სტრუქტურის დადგენისა და მისი შენარჩუნების დროს. გარდა ამისა, აქტივების სტრუქტურას დიდად განსაზღვრავს ეროვნული თავისებურებები. ისინი კარგად ჩანს ზოგიერთი ბანკის აქტივების სტრუქტურის მაგალითზე (იხ. ცხრ. 9.1.).

როგორც ცხრ. 9.1-დან ჩანს, სალაროს და სხვა ნაღდი სახსრების, აგრეთვე, ცენტრალური ბანკების ანგარიშებზე არსებული სახსრების ყველაზე მაღალი ხვედრითი წილია ესპანეთში, იტალიასა და რუსეთში, ყველაზე ნაკლები – იაპონიის, აშშ-ის და ბელგიის ბანკებში; საფრანგეთში, გერმანიასში და დიდ ბრიტანეთში ყველაზე ლიკვიდური აქტივების ხვედრითი წილი დაახლოებით 3%-ია. ეს აიხსნება, პირველ რიგში, ცალკეული ქვეყნების ცენტრალური ბანკების განსხვავებული სარეზერვო მოთხოვნებით, მეორეც, სხვადასხვა ქვეყნის ბანკებს შორის აქტივების კლასიფიკაციაში არსებული განსხვავებით.

ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციების მხრივ ყველაზე მაღალი ხვედრითი წილია ესპანეთისა და იტალიის ბანკებში, ყველაზე დაბალი – ბელგიის, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის ბანკებში.

შეგვიძლია დავინახოთ ბანკების აქტიური ოპერაციების დივერსიფიკაციის საერთო სურათი და ის პრობლემები, რომლებიც ცალკეულ ქვეყანაში მათი რაციონალური სტრუქტურის განსაზღვრის წინაშე დგას. ამას დიდად განსაზღვრავს კანონმდებლობის და საბუღალტრო აღრიცხვის თავისებურებები. მაგალითად, ბანკთაშორის ბაზრებზე ესპანეთის, აშშ-ის და რუსეთის ბანკების ნაკლები აქტიურობა განსხვავებულ ტენდენციებს უკავშირდება: ესპანეთის ბანკებში ფულის მასის დეფიციტის ვითარება წარმოიშვა საკაღდებულო რეზერვების გამო, რომლებმაც ბანკთაშორის ბაზარს წაართვეს ფული. სიტუაცია იმასაც დაამძიმა, რომ ესპანეთის ბანკებში ამ მუხლში დამატებით აღრიცხავენ გადახდისთვის წარდგენილ და მიმოქცევაში მყოფ ფულად დოკუმენტებს, რომლებსაც სხვა ქვეყნების ბანკები სხვადასხვა აქტივებში ითვალისწინებენ. აშშ-ში შექმნილი ვითარება მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმით, რომ სხვადასხვა აქტივებში ასახულია აუცილებელი რეზერვების ნაწილი. ესეც ბანკთაშორისი ბაზრებიდან ართმევს ბანკს სახსრებს. რაც შეეხება რუსეთს, აქ ამგვარი ვითარება უკავშირდება არა იმდენად აუცილებელი რეზერვების მაღალ ხვედრით წილს, რამდენადაც ბანკთაშორის ბაზარზე 1995 და 1998 წლებში განვითარე-

ცხრილი 9.1

ცალკეული ბანკების აქტივების სტრუქტურა

აქტივების მუხლი	კრედი ლიონეზი (საფრანგეთი)	დოიჩე ბანკი (გერმანია)	კომერც. იტალია (იტალია)	მიდლენდის ბანკი (დიდი ბრიტანეთი)	ბანესტო (ესპანეთი)	ბანკ ოფ ამერიკა (აშშ)	ჯენერ ბანკი (ბელგია)	დაიიტი კანგე (იაპონია)	აღორძინება (რუსეთი)
სალარო და ცენტრალური ბანკის საფოსტო საჩეკო ანგარიშები	3,09	3,90	7,86	2,72	12,94	0	0,23	0	6,0
ბანკთაშორისი ოპერაციები	35,12	28,82	30,63	23,74	10,71	12,37	25,63	25,0	14,0
ხაზინის ობლიგაციები	9,44	1,34	5,34	0	10,05	0	0	0	0
თამასუქები	3,86	1,12	5,87	0,51	12,78	0	4,70	0	9,0
სესხები	30,94	49,83	31,68	4,40	14,57	7,53	37,32	58,25	33,0
სხვა ფასიანი ქაღალდები	2,07	9,01	11,52	6,08	0	0	0	8,9	0
დოკუმენტები მონაწილეობის უფლებაზე და ფილიალების ქაღალდები	0,80	4,03	1,09	1,16	1,04	2,15	1,70	1,25	0
ტრანზიტი	4,22	0,17	4,26	1,62	2,07	2,15	0,72	-	
ძირითადი კაპიტალი	0,42	0,97	0,74	1,50	0,28	9,68	2,09	6,6	5,0
სხვა აქტივები	10,04	0,81	1,01	58,27	35,56	66,12	27,61	-	33,0
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

ბული საგადამხდელო კრიზისის შედეგებს.

იტალიის ბანკებში ბანკთაშორისი ოპერაციების დიდი მოცულობა განპირობებულია ამ მუხლის აღრიცხვის თავისებურებებით, რომელიც მოიცავს სალაროს ფულს საკორესპონდენტო ურთიერთობების მიხედვით; ანალოგიური მდგომარეობა დიდ ბრიტანეთშიც იმითაა გამოწვეული, რომ დასახელებული ოპერაციების შემადგენლობაში შედის პირველივე მოთხოვნით გასაცემი ფულადი სახსრებიც და ბანკში 30 დღეზე შეტი ვადით მოთავსებული სახსრებიც; ბელგიაში ეს აისნება ამ განყოფილებაში ბანკის ტრანზიტული ოპერაციების აღრიცხვით.

რაც შეეხება ხაზინის ობლიგაციებში გაწეულ დაბანდებებს, იტალიის ბანკებში მათი მაღალი ხვედრითი წილი უკავშირდება ამ მუხლში არა მარტო ხაზინის ობლიგაციების, არამედ იტალიის სახელმწიფოს იმ ყველა ვალდებულებების ასახვას, რომლებსაც ერთ წელზე ნაკლები ვადა აქვთ (ყველა ვალუტით); დიდ ბრიტანეთში, პირიქით, ბანკები ამ მუხლში აღრიცხავენ ბრიტანეთის ხაზინის გაუნაღდებელ თამასუქებს, განაღდებულს კი ასახავენ სტრიქონში „თამასუქები"; აშშ-ის ბანკებში მუხლში „ხაზინის ობლიგაციები" ასახავენ შემდგომში გამოსყიდვის შესახებ შეთანხმების შესაბამისად გაყიდულ ან შეძენილ ფედერალურ ფონდებს; ფასიანი ქაღალდების მაღალი ხვედრითი წილი იტალიის ბანკებში აისახება იმით, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით მათ შემადგენლობაში რთავენ დეპოზიტურ სერტიფიკატებსაც.

დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, აშშ-ისა და ბელგიის ბანკების ტრანზიტული ოპერაციების ერთი ნაწილი სხვადასხვა აქტივებში აისახება, რითაც ამ მუხლის მაღალი ხვედრითი წილი შეიძლება ავხსნათ; საფრანგეთის ბანკში სხვადასხვა აქტივების მაღალი ხვედრითი წილი უკავ-

1. წიგნიდან: Мацкевич «Финансовая система Франции и других стран». – М.: АО Финстатинформ», 1994. – ტ. 1, გვ. 29-32

შირდება ინკასაციის პროცესში ჩეკების ძლიერ გავლენას; ამ ოპერაციების დაბალი ხვედრითი წილი გერმანიის ბანკებში გამომდინარეობს გადარიცხვების მაღალი ხვედრითი წილით და ჩეკების ბრუნვის თითქმის არარსებობით.

იტალიისა და ესპანეთის ბანკების მიერ ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციების მაღალი ხვედრითი წილი ამცირებს ბანკის კლიენტების დაკრედიტების შესაძლებლობებს.

ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აქტივების სტრუქტურაზე დიდ გავლენას ახდენს საბანკო კანონმდებლობისა და აღრიცხვის თავისებურებები, აგრეთვე, გარემო პირობები. მაგრამ თუ აქტივების შედგენილობას უფრო გამსხვილებულად დავაჯგუფებთ საბანკო საქმიანობის ძირითადი სახეობების მიხედვით (ცხრ. 9.2), მაშინ შეგვეძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა:

ცხრილი 9.2.

კომერციული ბანკების აქტივები (%-ით შედეგებთან)

აქტივების მუხლი	კრედი ლიონეზი (საფრანგეთი)	დოიჩე ბანკი (გერმანია)	კომერც იტალ. (იტალია)	მიდლენდის ბანკი (დიდი ბრიტანეთი)	ბანესტო (ესპანეთი)	ბენკ ოფ ამერიკა (აშშ)	ფენერ ბანკი (ბელგია)	ფაიიტ კანგე (იაპონია)	აღორძინება (რუსეთი)
სალაროს აქტივები	3,09	3,90	7,86	2,72	12,94	-	0,23	-	6,0
სესხები	66,06	78,65	62,31	28,14	25,28	19,90	62,95	83,25	47,0
ფასიანი ქაღალდები	16,17	15,50	23,82	7,75	23,87	2,15	6,40	10,15	9,0
სხვადასხვა აქტივები	13,87	1,95	6,01	61,39	37,91	77,95	30,42	6,6	38,0
სულ აქტივები	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

1. ბანკის ოპერაციების აქტივებში ძირითადი ადგილი საკრედიტო ოპერაციებს უჭირავს, მათი ხვედრითი წილი 19,90-დან 83,25%-მდე მერყეობს;

2. საბანკო აქტივებს შორის მეორე ადგილი ფასიან ქაღალდებში განსორციელებულ ინვესტიციებს უჭირავს (2,15-დან 23,87%-მდე);

3. შესამე ადგილზეა სალაროს აქტივები (0,2-დან 12-94%-მდე);

4. სხვადასხვა აქტივების ხვედრითი წილი აღრიცხვის თავისებურებებითაა განპირობებული და მოიცავს ოპერაციათა ფართო სპექტრს ძირითად კაპიტალში (შენობები და ნაგებობები) გაწეული დაბანდებებიდან დაწყებული და ბანკის სხვადასხვა საანგარიშსწორებო ოპერაციებით დამთავრებული (2-დან 78%-მდე).

სხვადასხვა ქვეყნის ბანკის აქტივების სტრუქტურებისა და შემადგენლობის საერთო ტენდენციების მიუხედავად, ყოველი ბანკის მიზანი უნდა იყოს აქტივების რაციონალური სტრუქტურის

1. ნიგნიდან: Матук Жан «Финансовая система Франции и других стран». - М.: АО Финстатинформ», 1994. – ტ.1, გვ. 29-32

შექმნა. ეს კი თავის მხრივ დამოკიდებულია აქტივების ხარისხზე.

არსებითი მნიშვნელობა აქვს აქტივების დაყოფას ბრუტო და ნეტო (რისკისა და სხვა მუხლებისვან) აქტივებად.

ბრუტო-აქტივების სტრუქტურა:

I. აქტივები, რომლებსაც შემოსავალი არ მოაქვთ:

ფულადი სესხები, სხვა ბანკებში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშები, ÔÎÐ, ძირითადი კაპიტალი, არამატერიალური აქტივები, დებიტორები, ანგარიშსწორებაში მყოფი სახსრები, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდების გამოყენება, ინვესტორების დაფინანსება, კაპიტალური დანახარჯები, მიმდინარე ხარჯები, მომავალი პერიოდების ხარჯები, სავალუტო სახსრების და ფასიანი ქაღალდების გადაფასება, მოგებიდან გაყენებული სახსრები, საანგარიშო წლის და წინა წლების ზარალი.

II. შემოსავლის მომტანი აქტივები:

კლიენტებზე, ბანკებზე და მოსახლეობაზე გაცემული მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სესხები, ვადაგადაცილებული დავალიანება სესხებზე და პროცენტებზე, ფაქტორინგი, ლიზინგი, მონაწილეობა, ფასიანი ქაღალდები, გაცემული გარანტიები.

III. სულ ბრუტო-აქტივები.

ნეტო-ბალანსის სტრუქტურაში აქტივებს ამცირებენ მარეგულირებელი, დამაგროვებელი და ტრანზიტული ანგარიშების სიდიდით.

ნეტო-აქტივების სტრუქტურა:

I. აქტივები, რომლებსაც შემოსავალი არ მიაქვთ:

ფულადი სახსრები, სხვა ბანკებში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშები, ÔÎÐ, ძირითადი კაპიტალი და არამატერიალური აქტივები ნარჩენი ღირებულებით, დებიტორები კრედიტორების გადამეტების ზომით.

II. შემოსავლის მომტანი აქტივები:

მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სესხები, კლიენტებზე, ბანკებზე და ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების დანაკარგების დაფარვაზე შექმნილი რეზერვების გამოკლებით, ეროვნული და უცხოური ვალუტით. ფაქტორინგი და ლიზინგი ამ ოპერაციების ღირებულების გაუფასურების შეფასვებისთვის ადრე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. ფასიანი ქაღალდები ამ ქაღალდების, თამასუქების, გაყინული ვალდებულებების შეფასვებისთვის შექმნილი რეზერვების გამოკლებით.

ბრუტო-აქტივებთან ნეტო-აქტივების შეფარდება წარმოდგენას გვაძლევს აქტივების რაციონალურ სტრუქტურაზე, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, აქტივების ხარისხზეა დამოკიდებული.

9.3. ბანკის აქტივების ხარისხი

ბანკის აქტივების ხარისხს განსაზღვრავს მათი ლიკვიდობა, სარისკო აქტივების მოცულობა, კრიტიკული და არასრულფასოვანი აქტივების ხვედრითი წილი, შემოსავლის მომტანი აქტივების მოცულობა.

იმისათვის, რომ ბანკს უნარი ჰქონდეს ყოველდღიურად უპასუხოს თავის ვალდებულებებს, კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს ლიკვიდობის ხარისხობრივ მოთხოვნებს. ამ მიზნით ბანკის მთელი აქტივები ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით დაფარვის ვადებზე დამოკიდებულებით იყოფა ჯგუფებად: მაღალლიკვიდურ აქტივებად, გრძელვადიანი ლიკვიდობის აქტივებად, საერთო ლიკვიდობის აქტივებად და ღითონებზე ოპერაციების მიხედვით ლიკვიდობის აქტივებად.

ელვისებური ლიკვიდობის (მაღალლიკვიდურ) აქტივებს ეკუთვნის: ნაღდი ფული, ძვირფასი ლითონები, ქვეყნის ბანკში საკრედიტო ორგანიზაციების საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული სახსრები; ბანკების ის სახსრები, რომლებიც ჩეკებით, ანგარიშსწორებისთვისაა შეტანილი,

საკრედიტო ორგანიზაციების სახსრები ფილიალების სალაროს მომსახურებისათვის; ანგარიშსწორების მონაწილეთა სახსრები საანგარიშსწორებო არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში და არარეზიდენტ ბანკებში, მოთხოვნამდე განთავსებული დეპოზიტები, პლასტიკური ბარათების გამოყენებით ანგარიშსწორებისათვის განკუთვნილი სახსრები, რომლებიც საკრედიტო ორგანიზაციებში და არარეზიდენტ ბანკებშია განთავსებული, სახელმწიფო საჯარო ვალდებულებებსა და ობლიგაციებში დაბანდებული სახსრები.

ლიკვიდურ აქტივებში ზემოჩამოთვლილი მაღალლიკვიდური აქტივების გარდა შედის ბუნებრივი ძვირფასი ქვები, საკრედიტო ორგანიზაციის მიერ გაცემული კრედიტები, დეპოზიტები, სხვა განთავსებული სახსრები.

გრძელვადიანი ლიკვიდობის აქტივებს ეკუთვნის ბანკის მიერ გაცემული ყველა კრედიტი, განთავსებული დეპოზიტები და სახსრები (მათ შორის ძვირფას ლითონებში), რომელთა დაფარვამდე 2 წელზე მეტია დარჩენილი და სხვა.

ძვირფას ლითონებზე ოპერაციების მიხედვით ლიკვიდობის ნორმატივს ანგარიშობენ როგორც ფიზიკური ფორმის მქონე ძვირფას ლითონებში მოთავსებული მაღალლიკვიდური აქტივების შეფარდებას, ძვირფას ლითონებზე მოთხოვნამდე არსებულ ვალდებულებებთან და იმ ვალდებულებებთან, რომლებსაც მოთხოვნის ვადა უახლოეს 30 დღეში აქვთ. ამ ნორმატივის მინიმალური სიდიდე 10%-ითაა განსაზღვრული. მას აქტივების მართვის პროცესში იყენებენ ხოლმე, მაგრამ ბანკის აქტივების რაციონალური სტრუქტურის ასაგებად ყველაზე მთავარია თანაფარდობის დაცვა ლიკვიდურ და ჯამურ აქტივებს შორის.

განვიხილოთ ბანკის აქტივების სტრუქტურა ლიკვიდობის მოთხოვნების გათვალისწინებით (ცხრ. 9.3).

ცხრილი 9.3.

აქტივების სტრუქტურა (%-ობით ჯამთან)

ბალანსის აქტივის მუხლი	წინა პერიოდი	სანგარიშო პერიოდი	გადახრა
სალარო	0,9	0,9	-
საკორესპონდენტო ანგარიში ცენტრალურ ბანკში	6,4	2,1	-4,3
ანგარიში კორესპონდენტ ბანკებში	18,3	34,2	+15,9
დებიტორები	1,3	1,2	-0,1
ბანკთაშორისი კრედიტები	26,9	22,1	-4,8
საერთაშორისო ოპერაციებისთვის შესრულებული ანგარიშსწორებები	19.4	9,7	-9,7
გაცემული სახსრები	4,7	4,2	-0,5
ბანკის მიერ შეძენილი ფასიანი ქაღალდები, პაები და აქციები	0,1	1,6	+1,5
შენობა-ნაგებობები და სხვა ძირითადი საშუალებები	3,8	4,9	+1,1
სხვა აქტივები	18.3	19,1	+0,8
სულ აქტივები	100,0	100,0	

ცხრ. 9.3-დან ჩანს, რომ ლიკვიდობის თვალსაზრისით ბანკის აქტივების სტრუქტურა გაუმჯობესებულია. მაღალლიკვიდური აქტივების ხვედრითი წილი 3,4 პუნქტით ამაღლდა, ლიკვიდური აქტივების შეფარდებამ კი, მაღალლიკვიდური აქტივების ჩათვლით, 71,8% შეადგინა.

გრძელვადიანი ლიკვიდობის მქონე აქტივები ბანკს არა აქვს. საშუალოვადიანი ლიკვიდობის მქონე აქტივები შემცირებულია. გაზრდილია ბანკის დაბანდებები მცირელიკვიდურ და არალიკვიდურ აქტივებში (შენობა-ნაგებობები).

კომერციული ბანკის მაგალითზე განვიხილოთ ლიკვიდობის ნორმატივების დინამიკა. აქტივების რაციონალური სტრუქტურის დადგენის დროს ბანკმა უნდა შეასრულოს ლიკვიდობისადმი მოთხოვნა, ე.ი. მას უნდა ჰქონდეს საკმარისი ზომის მაღალლიკვიდური, ლიკვიდური და გრძელვადიანი ლიკვიდობის მქონე აქტივები ვალდებულებებთან მიმართებაში, ამ ვალდებულებების ვადების, თანხის და ტიპების გათვალისწინებით. იგი უნდა ასრულებდეს ელვისებური, მიმდინარე და გრძელვადიანი ლიკვიდობის ნორმატივებს (ცხრ. 9.4).

ცხრილი 9.4.

კომერციული ბანკის ლიკვიდობის ნორმატივების დინამიკა (მაგალითი)

აქტივის მუხლი	წინა პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	გადახდა
მაღალლიკვიდური აქტივები	45,1	48,5	+3,4
ლიკვიდური აქტივები	28,2	23,3	-4,9
გრძელვადიანი ლიკვიდობის აქტივები	–	–	–
საშუალოვადიანი ლიკვიდობის აქტივები	4,6	4,2	-0,4
არალიკვიდური (მცირელიკვიდური) აქტივები	22,1	24,0	+1,9
სულ აქტივები	100,0	100,0	

ელვისებური ლიკვიდობის ნორმატივს ანგარიშობენ ბანკის მაღალლიკვიდური აქტივების თანხის შეფარდებით მოთხოვნამდე ანგარიშებიდან არსებულ ვალდებულებათა ჯამზე. მისი მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობაა 20%.

მიმდინარე ლიკვიდობის ნორმატივი წარმოადგენს საკრედიტო ორგანიზაციის ლიკვიდური აქტივების თანხის შეფარდებას მისი მოთხოვნამდე ვალდებულებებისა და 30 დღემდე ვადის მქონე ანგარიშების ჯამურ თანხასთან. მისი მინიმალურად დასაშვები ნორმატივის მნიშვნელობაა 70%.

გრძელვადიანი ლიკვიდობის ნორმატივს ანგარიშობენ ბანკის მიმართ ერთ წელზე მეტი დაფარვის ვადით მქონე მთელი გრძელვადიანი დავალიანების (გაცემული გარანტიებისა და თავდებობის ჩათვლით) ბანკის საკუთარ სახსრებთან (კაპიტალთან), აგრეთვე, დეპოზიტური ანგარიშების მიხედვით ბანკის ვალდებულებებთან, მიღებულ კრედიტებთან და ერთ წელზე მეტი დაფარვის ვადის მქონე სხვა საკალო ვალდებულებებთან შეფარდებით. ამ ნორმატივის მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობაა 20%.

ცხრილი 9.5.

ლიკვიდობის ნორმატივები (%)

თარიღი	ელვისებური ლიკვიდობის ნორმატივი – H_2			მიმდინარე ლიკვიდობის ნორმატივი – H_3			საერთო ლიკვიდობის ნორმატივი – H_5		
	მნიშვნელობა ამ თარიღისთვის	წინა თარიღის მიმართ	1998 წ. 1 იანვრის მიმართ	მნიშვნელობა ამ თარიღისთვის	წინა თარიღის მიმართ	1998 წ. 1 იანვრის მიმართ	მნიშვნელობა ამ თარიღისთვის	წინა თარიღის მიმართ 1998 წ. 1	იანვრის მიმართ
01.01.1998	31,90			59,28			37,61		
31.03.1998	0,77	-31,13	-31,13	29,07	-30,21	-30,21	10,01	-27,6	-27,6
30.06.1998	0,85	+0,08	-31,05	12,42	-61,65	+46,86	6,01	-4	-31,6
30.09.1998	60,14	+59,29	+28,24	58,88	+46,46	-0,4	15,71	+9,7	-21,9
01.01.1999	33,50	26,64	+1,6	66,80	+7,92	+7,52	21,90	+6,19	-15,71

საერთო ლიკვიდობის ნორმატივს ანგარიშობენ ლიკვიდური აქტივების პროცენტული შეფარდებით ბანკის ჯამურ აქტივებთან (რომელსაც აკლდება საწესდებო კაპიტალის ბანკის მიერ გამოსყიდული საკუთარი წილი, ძვირფას ლითონებზე და გაცემულ კრედიტებზე ვადაგადაცილებული პროცენტები, ცენტრალურ ბანკში გადარიცხული საჯალდებულო რეზერვები, ჩეკებით ანგარიშსწორებისთვის შეტანილი ბანკის სახსრები, ბიუჯეტის შემოსავლები, რომლებსაც ეროვნული ბანკის სატრანზიტო ანგარიშზე რიცხავენ, ცალკეული სასესხო პროგრამების დაფინანსება ბიუჯეტის უკან დაბრუნებადი სახსრების ხარჯზე და კაპიტალური დაბანდებები ფინანსთა სამინისტროს სახსრების ხარჯზე, გაანგარიშებულ და ფაქტობრივად შექმნილ რეზერვებს შორის არსებული სხვაობის ანაზღაურება, სავალო ვალდებულებებზე ავანსით გადახდილი კუპონური შემოსავალი, ფასიანი ქაღალდების გადაფასება, უცხოური ვალუტით და ძვირფასი ლითონებით არსებული სახსრები, ბანკის ხარჯები, წაგება, გამოყენებული მოგება, თამასუქებზე გადაუხდელი პროცენტები). ნორმატივის მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობაა 20%.

H_2 მაჩვენებლის საკრიტერიუმო დონე 20%-ზე ნაკლებია. ანალიზის შედეგებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნორმატივი არ შესრულებულა 01.01.1998 წ, 30.09.1998 წ. და 01.01.1999 წ. მდგომარეობით. IV კვარტალში აღინიშნა მაჩვენებლის მკვეთრად დაცემა I და II კვარტალებში, რაც გამოიწვია მოთხოვნამდე ვალდებულებების ზომის მკვეთრად დაცემამ. 01.01.1998 წ., 30.09.1998 წ. და 01.01.1999 წ. მდგ. მაღალლიკვიდური აქტივების ზომა და ნორმატივი მნიშვნელოვნად გაიზიდა. 1999 წ. 1 იანვრის მდგომარეობით ნორმატივი სრულდება და მინიმალურ მნიშვნელობას 13,5%-ით აჭარბებს.

H_3 ნორმატივის მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობაა 50%. I და III კვარტალებში იგი ვერ აკმაყოფილებდა დასახულ კრიტერიუმებს, რისი მიზეზიც გახდა ლიკვიდური აქტივების მკვეთრად შეკვეცა ვალდებულებების მიმართ. III და IV კვარტლებში ლიკვიდური აქტივების მოცულობამ მოიმატა და ნორმატივმა ზრდა იწყო 1999 წ. 1 იანვრის მდგომარეობით ნორმატივი 16,8%-ით

აჭარბებს მინიმალურად დასაშვებ მნიშვნელობას.

H_1 ნორმატივის მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობა 20%-ის ოდენობითაა დაწესებული. წლის უმეტეს დროს არ სრულდებოდა და მცირდებოდა 1998 წ. დასაწყისის მიმართ. 1999 წ. დასაწყისისთვის ნორმატივი 1,9%-ით ჭარბობდა მინიმალურ მნიშვნელობას.

აქტივების რაციონალური სტრუქტურის უზრუნველსაყოფად ბანკმა იმაზე უნდა იზრუნოს, რომ ლიკვიდობის შესაძლებლობები ხელს არ უშლიდეს აქტივების რისკ-

ცხრილი 9.6.

აქტივების სტრუქტურა რისკის დონის მიხედვით

აქტივის დასახელება	ხვედრითწილი აქტივების მიმართ, %	რისკის კოეფიციენტი, %	აქტივების თანხა, ათასი დოლარი	
			ანგარიშზე რიცხული	რისკის გათვალისწინებით შეწონილი
I ჯგუფი				
ცენტრალურ ბანკში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხული სახსრები	-	0	-	-
ცენტრალურ ბანკში გახსნილ სარეზერვო ანგარიშზე რიცხული სახსრები	1,43	0	1600	-
კომერციული ბანკების სახსრები საანგარიშსწორებო ჩეკების ოპერაციებისთვის	-	0	-	-
სახელმწიფო სავალო ვალდებულებებში დაბანდებული სესხები	0,45	0	500	-
სალარო და მასთან გათანაბრებული სახსრები	2,87	2	3220	64,40
II ჯგუფი				
მთავრობის მიერ გარანტირებული სესხები	-	10		-
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საწინდრიანი სესხები	-	10	-	-
ძვირფასი ლითონების ზოდების საწინდრიანი სესხები	-	10	-	-
ÍÐÂÑ-ს საანგარიშსწორებო ცენტრში მყოფი სახსრები	-	10		-

ცხრილი 9.6.-ის გაგრძელება

III ჯგუფი				
საავალო ვალდებულებებში დაბანდებული სესხები ეთგო-ს წევრი ქვეყნების		20		
არარეზიდენტი ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე მოთავსებული სახსრები (თავის. კონვერტ. ვალუტით)	-	20	-	-
ეთგო-ს წევრი ქვეყნების არარეზიდენტი ბანკების ანგარიშებზე გადარიცხული სახსრები	-	20	-	-
ფასიანი ქაღალდების საწინდარიანი სესხები	-	20	-	-
IV ჯგუფი				
რეზიდენტ ბანკებში ანგარიშებზე არსებული თანხები უცხ. ვალუტით		70		
რეზიდენტ ბანკებში „ნოსტრო“ ანგარიშებზე არსებული თანხები ადგილ. ვალუტით	-	70	-	-
ეთგო-ს არაწევრი ქვეყნების არარეზიდენტ ბანკებში ანგარიშებზე არსებული სახსრები		70		
საკუთარი შენობა-ნაგებობები (საწინდრად გაცემულის გარდა)	1,47	70	1650	1155
გადასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები	0,21	70	230	161
V ჯგუფი				
საკრედიტო ორგანიზაციის სხვა დანარჩენი აქტივები (აქტიური ნარჩენები საბალანსო ანგარიშების მიხედვით)	93,57	100	104945	04945
საკრედიტო ორგანიზაციის მიერ გაცემული გარანტია-თავდებობები (არასაბალანსო ანგარიშები)	-	50	1000	500
სულ	100	95	112145	6325,4

იანობისა და შემოსაელიანობის მოთხოვნის შესრულებას.

აქტივების შეწონვა რისკის დონის მიხედვით ხდება შესაბამის საბალანსო ანგარიშზე დარჩენილი სახსრების, ან მათი ნაწილის გადამრაელებით რისკის კოეფიციენტზე (%) და მათი გაყოფით 1000-ზე.

პრაქტიკულად ბანკის ყველა აქტივს გარკვეული რისკი ემუქრება. ბანკმა უნდა განსაზღვროს თავისი აქტივების რისკის დონე და ისეთ დონეზე შეინარჩუნოს იგი, რომელიც ამ მხრივ მის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას და მოქმედ კანონმდებლობას შეესაბამება. ბანკის აქტივების სტრუქტურის შესწავლის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია გავაანალიზოთ რისკის სხვადასხვა სახეობები. მაგალითად, საკრედიტო რისკი შეგვიძლია განვსაზღვროთ აქტივების სტრუქტურირების საფუძველზე შემოსავლიანობიდან გამომდინარე. მაგრამ საბანკო საქმეში ძირითადი რისკი მდგომარეობს კონკრეტულ ოპერაციებზე ბანკის მიერ სახსრების დაკარგვის შესაძლებლობაში. სწორედ ამ სახეობის რისკის განსაზღვრის დროს იყენებენ აქტივების სტრუქტურის შესწავლის შედეგებს. თუ გვექნება ყოველი ჯგუფის აქტივის ხვედრითი წილი მათ მთლიან თანხაში და ყოველ ჯგუფს რისკის გარკვეულ კოეფიციენტს მივანიჭებთ, შეგვიძლია განვსაზღვროთ რისკის დონე მთლიანად ბანკისათვის. ავაგოთ ბანკის აქტივების თანმიმდევრობა რისკის დონის ზრდის მიხედვით და ყოველ ჯგუფს მივანიჭოთ გარკვეული რიგითი ნომერი. სწორედ ეს ნომერი იქნება რისკის დონის განმსაზღვრელი.

დავაჯგუფოთ აქტივები რისკის დონის მიხედვით და განვსაზღვროთ მათი ხვედრითი წილი მთლიან თანხაში. აქტივების ხარისხის მდგომარეობის შესაფასებლად ისინი დაყოფილია 5 ჯგუფად. დაბანდებათა რისკის ხარისხზე და ღირებულების ნაწილის დაკარგვის შესაძლებლობაზე დამოკიდებულებით. ცხრ. 9.6-დან ჩანს, რომ ბანკის აქტივების ერთობლივი რისკია 106325,4 ათ. დოლარი, ანუ აქტივები ზომის 95%. აქედან გამომდინარე, ბანკი ახორციელებს სარისკო პოლიტიკას და სასწრაფოდ საჭიროებს აქტივების სტრუქტურის შეცვლას. მას აქვს განაწილებული აქტივები რისკის ხარისხის მიხედვით (ცხრ. 9.7).

ცხრილი 9.7

რისკის ჯგუფები	%-ობით აქტივების შედეგთან
I	4,75
II	-
III	-
IV	1,68
V	93,57
სულ	100,0

აქედან გამომდინარეობს, რომ ბანკი ყველა აქტივის მიხედვით არ ახდენს რისკის დივერსიფიცირებას და დაკრედიტების ძირითადად ერთტიპიურ ოპერაციებს მიმართავს.

რისკის დონის მიხედვით აქტივების განხილვა მოითხოვს აქტივების არა მარტო რისკის დონით შეწონილი მოცულობისა და ხვედრითი წილის ანალიზს, არა მარტო რისკის ყოველი ჯგუფის ხვედრითი წილების პოვნას, არამედ კრიტიკული და არასრულფასოვანი აქტივების მოცულობების და მათი ცვალებადობის ანალიზსაც. ამ დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ბანკის საკრედიტო საქმიანობას, რადგანაც მას კვლავაც არსებითი ადგილი უჭირავს ბანკის მუშაობაში და რისკის ყველაზე მაღალი – მეხუთე ჯგუფის ოპერაციებს ეკუთვნის.

ამგვარი ანალიზის ჩასატარებლად აუცილებელია დამატებით გავითვალისწინოთ შემდეგი მაჩვენებლები:

1) კრედიტების საერთო თანხა, გაანგარიშებული როგორც საწარმოების, ფიზიკური პირების და ბანკების სასესხო ანგარიშებზე ნაშთების ჯამი;

2) ბანკის საკრედიტო პოტრფელის მთლიან ღირებულებაში მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი სესხების და მოთხოვნებამდე სესხების, აგრეთვე, ეკონომიკის ცალკეული სექტორებისთვის და ცალკეული მსესხებლებისთვის მიცემული სესხების მოცულობები და ხვედრითი წილები. ამ ანალიზის დეტალიზება შესაძლებელია, მაგალითად, ცალკეული ეკონომიკური კონტრაჰენტების მოკლევადიანი კრედიტებისა და მოკლევადიანი სესხების მთელი თანხის შედარებით;

3) საშუალო საპროცენტო განაკვეთები სესხების ჯგუფების მიხედვით;

4) ვადაგადაცილებული დავალიანების მოცულობა და მისი შეფარდება გაცემული სესხების მთლიან თანხასთან;

5) ბანკის მიერ გაცემული შსხვილი კრედიტების მოცულობა;

6) რისკის დონის მიხედვით ცენტრალური ბანკის მოთხოვნების შესაბამისად შეწონილი სესხების მოცულობა და მსესხებლის ვალდებულებათა 50% ბანკის კაპიტალთან მიმართებაში;

7) იგივე ინსაიდერებისა და ურთიერთდაკავშირებული მსესხებლების ჯგუფების მიხედვით;

8) რისკისა და უზრუნველყოფის სხვადასხვა მქონე კრედიტების ჯგუფების მოცულობები და ხვედრითი წილები, რომლებშიც ცენტრალური ბანკის მოთხოვნების შესაბამისადაა გაანგარიშებული;

9) ფაქტორინგული და ლიზინგური ოპერაციების ანგარიშებზე არსებული ნაშთების მოძრაობის მაჩვენებლები; ეს საშუალებას მოგვცემს დავახასიათოთ ფაქტორინგული და ლიზინგური ოპერაციების განვითარების დინამიკა.

10) ძალიან მნიშვნელოვანია რისკისგან დაცვის კოეფიციენტის გაანგარიშება, რომელიც ახასიათებს მოგების მომტან აქტივებში ვადაგადაცილებული დავალიანების იმ ზღვრულ წილს, რომლის დაფარვაც ბანკს წმინდა მოგებისა და რეზერვების სარჯზე შეუძლია.

$$K_1 = \frac{\text{ნეტო-მოგება+სესხებზე დანაკარგების დასაფარავი რეზერვები+ +ფასიანი ქაღალდები გაუფასურების შემთხვევისთვის შექმნილი რეზერვები+ +ФОР+ +ბანკის სარეზერვო ფონდი}}{\text{ბრუტო-შემოსავლის მომტანი აქტივები (შესაბამისი რეზერვების გამოუკლებლად}}$$

საკრიტერიუმო დონეებს არ აწესებენ და მაჩვენებელს დინამიკაში განიხილავენ.

აქტივების ხარისხის დამახასიათებელი შემდეგი მაჩვენებელია მომატებული რისკის მქონე აქტივების დონის მაჩვენებელი. იგი გვიჩვენებს კომერციული ბანკის პოლიტიკის რისკიანობის ხარისხს.

$$Y_1 = \frac{\text{მომატებულრისკიანი აქტივები}}{\text{სულ ნეტო აქტივები}}$$

მომატებული რისკის მქონე აქტივებია რისკის III და IV ჯგუფის სესხები, ფასიანი ქაღალდები, ფაქტორინგი, ლიზინგი, მონაწილეობა, ვადაგადაცილებული დავალიანება, დებიტორული დავალიანების სიჭარბე კრედიტორულზე.

საეჭვო დავალიანების დონე გვიჩვენებს ბანკის აქტიური ოპერაციების მიხედვით საეჭვო ვალების მოცულობას.

$$Y_1 = \frac{\text{ვადაგადაცილებული დავალიანება}}{\text{ბანკის საკრედიტო პორტფელი+ +აღრიცხული თამასუქები+დებიტორები}}$$

შემდეგ სასარგებლოა ასეთი კოეფიციენტების გაანგარიშება:

1. აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი. მას ანგარიშობენ შემოსავლის მომტან ანგარიშებზე არსებული საშუალო ნაშთების შეფარდებით მთელი აქტივების ანგარიშების საშუალო ნაშთებთან. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ აქტივების რა ნაწილს მოაქვს მოგება.

2. კრედიტებისთვის სადეპოზიტო ბაზის გამოყენების კოეფიციენტი. მას ანგარიშობენ კრედიტებზე საშუალო დავალიანების შეფარდებით სადეპოზიტო ანგარიშების საშუალო ნაშთთან.

ყველა ეს მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ბანკის საკრედიტო პოლიტიკა, აქტივების სტრუქტურის რაციონალურობა, აქტიური ოპერაციების რისკის ხარისხი და მისი გაელენა ბანკის ლიკვიდობაზე, შემოსაელიანობასა და რენტაბელობაზე.

საკრედიტო დაბანდებების გარდა ბანკის აქტივში არის სხვა მუხლებიც, რომლებიც აქტიურია და მოგება მოაქვთ. ესაა სახელმწიფო და არასახელმწიფო ფასიან ქაღალდებში და უცხოური ვალუტით ოპერაციებში განსორციელებული დაბანდებები. შესაბამისად, აუცილებელია განვსაზღვროთ მათი მოცულობა და სტრუქტურა იმავე კრიტერიუმებით, როგორც საკრედიტო დაბანდებებისას. ასევე, სასარგებლოა საკრედიტო დაბანდებების შედარება შემოსავლის მომტან სხვა დაბანდებებთან და ბანკების სხვა მონაცემებთან.

აქტივების რაციონალური სტრუქტურის ანალიზის განმაზოგადებელი მაჩვენებელია შემოსავლის მომტანი აქტივების შეფარდება აქტივების მთელ თანხასთან. ნეტო- და ბრუტო-აქტივების თანაფარდობა მიუთითებს აქტივების რისკიანობაზე. რისკისგან გაწმენდილი აქტივები არ უნდა იყოს 0.65-ზე ნაკლები და 1-ზე მეტი.

$$C_{\text{ნბ}} = \frac{\text{ნეტო-აქტივები}}{\text{ბრუტო-აქტივები}}$$

საპროცენტო შემოსავლის შემომტანი აქტივების თანხამ 117,6 მლნ. დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდზე 96,3 მლნ. დოლარით მეტია (ცხრ. 9.8). „მომუშავე“ აქტივების სვედრითი წილი 65,8-დან 80,4%-მდე გაიზარდა. საპროცენტო შემოსავლის (79,38%) შემომტანი აქტივების ძირითადი თანხა განთავსებული ფასიან ქაღალდებში ერთდღიან და მოკლევადიან დაბანდებებში, საზღვარგარეთის კორესპონდენტი ბანკების, მათ შორის The Bank of New York-ის მეშვეობით.

საანგარიშო წელს ბანკი განაგრძობდა თავის აქტივებზე საკრედიტო რისკის დაწევის პოლიტიკის გატარებას. გაჩნდა ინვესტიციები მოკლევადიან ფასიან ქაღალდებში. საკრედიტო დაბანდებების მატება ძირითადად მოხდა უცხოური ვალუტით გაცემული კრედიტების ზრდის ხარჯზე. მათი ხვედრითი წილი 2,99-დან 6,41%-მდე ამაღლდა. ამაზე იმოქმედა კრედიტებზე მოთხოვნის ზრდამ აშშ-ის დოლარებით. უზრუნველყოფის სახეები განსაზღვრავდნენ, ასევე, გაცემული კრედიტების ვალუტას, რამაც საკრედიტო ოპერაციების საკურსო რისკის თავიდან აცილების შესაძლებლობა მისცა ბანკს. ბანკი ცდილობდა, კრედიტები პირველ რიგში თავისი კლიენტებისთვის მიეცა. კლიენტურის შემადგენლობის გათვალისწინებით, ბანკს შესაძლებლობა ჰქონდა პირველი კლასის საზღვარგარეთული კომპანიებისა და ბანკების საიმედო გარანტიებით გაეცა სესხები და ამით გადაეკეტა გზა საკრედიტო რისკისათვის.

განსახილველი ბანკის საკრედიტო დაბანდებათა ეფექტიანობა ძალიან მაღალია, მაგრამ ამ მაჩვენებლებს თან უნდა ახლდეს მონაცემები ბანკის აქტივების შემოსავლიანობისა და რენტაბელობის შესახებ, რადგანაც შემოსავლიანი აქტივები ყოველთვის ვერ „მუშაობენ“ ეფექტიანად (ცხრ. 9.9).

მნიშვნელოვანი მაჩვენებელია აქტივების შემოსავლიანობის დონე. მის გასაანგარიშებლად საკმარისი არაა მარტო შემოსავლების მომტანი აქტივების გათვალისწინება. საჭიროა მოვახდინოთ მათი კორექტირება საკრედიტო ხელშეკრულების ან დაფარვის შეცვლილი პირობების მქონე

ცხრილი 9.8.

საპროცენტო შემოსავლის შემოტანი აქტივების სტრუქტურა

	თანხა ათასი დოლარი	ხვედრითი წილი, %
იურიდიულ პირებზე გაცემული კომერციული კრედიტები	7934,9	6,75
მოკლევადიანი:		
• ეროვნული ვალუტით	368,5	0,31
• უცხოური ვალუტით	7537,3	6,41
გრძელვადიანი (ერ. ვალუტით)	0	0,00
ვადაგადაცილებული (ერ. ვალუტით)	29,2	0,03
ფიზიკურ პირებზე გაცემული მოკლევადიანი კრედიტები	15,4	0,01
• ეროვნული ვალუტით	15,4	0,01
• უცხოური ვალუტით	-	-
მოკლევადიანი კრედიტები და დეპოზიტები ბანკებში:	11212,5	9,53
• ეროვნული ვალუტით	280,0	0,23
• უცხოური ვალუტით	10932,5	9,30
მოკლევადიანი დაბანდებები:	98442,5	83,71
• ეროვნული ვალუტით	4413,1	3,75
• უცხოური ვალუტით		
• ოქროს სესხის სახელმწიფო სერტიფიკატები	684,2	0,58
• უცხოური ფასიანი ქაღალდები	93345,2	79,38
სულ:	117605,3	100,0
• ეროვნული ვალუტით	5106,2	4,34
• უცხოური ვალუტით	112499,1	95,66

კრედიტების თანხით.

$$\text{შემოსაელიანი აქტივების დონე} = \frac{\text{შემოსაელის მომატანი ნეტო-აქტივები}}{\text{შემოსაელის მომტანი ბრუტო აქტივები}}$$

მაჩვენებელს ან დინამიკაში განიხილავენ, ან მის ზედა და ქვედა საზღვრებს თვითონ ბანკი აწესებს თავისი პოლიტიკის განსაზღვრის დროს.

აქტივების შემოსაელიანობას ახასიათებს, აგრეთვე, დებიტორული დავალიანების დონე შემოსაელის შემომტანი აქტივების მიმართ.

$$Y_{\text{ლვ}} = \frac{\text{დებიტორები}}{\text{შემოსავლის არმომტანი ბრუტო აქტივები}}$$

თუ ეს მაჩვენებელი აჭარბებს 40%-ს, მაშინ აქედან გამომდინარეობს ლიკვიდობის შემცირება და სასესხების არათავისდროულად დაბრუნება. მაგრამ მაღალი შემოსავლიანობის, რენტაბელობის და ძოძგებიანობის, აგრეთვე, ,,მოშუშავე'' აქტივების მაღალი ხვედრითი წილის მიუხედავად, ბანკს მაინც ემუქრება ლიკვიდობის მაჩვენებლის შეუსრულებლობის საფრთხე ,,არმომუშავე'' აქტივების დაბალი ხვედრითი წილის გამო. ამ აქტივებს ეკუთვნის:

ცხრილი 9.9

ბანკის აქტივების შემოსავლიანობა

აქტივი	საშუალო ნაშთები	შემოსავალი	%
დეპოზიტები ბანკებში	431,1	553,2	128,30
მოკლევადიანი დაბანდებები	662,9	553,1	83,43
ფასიან ქაღალდებში	142,5	12,7	8,93
უცხოურ ფასიან ქაღალდებში	65715,8	2515,2	3,37
კრედიტები:			
• ეროვნული ვალუტით	633,8	901,6	142,3
• უცხოური ვალუტით	1928,3	101,1	5,24
სულ შემოსავლიანი აქტივები:	69514,6	4336,8	6,26
• ეროვნული ვალუტით	1727,9	-	-
• ხვედრითი წილი აქტივებში	2,49		
• უცხოური ვალუტით	67786,7		
• ხვედრითი წილი აქტივებში	97,51		

1. ფულადი სახსრები:
   ა) სალარო;
   ბ) სხვა ფულადი სასესხები;
2. საკორესპონდენტო ანგარიში;
3. ცენტრალურ ბანკში მყოფი რეზერვები;
4. უპროცენტო სესხები, აგრეთვე, ის ვადაგადაცილებული სესხები, რომლებზეც პროცენტებს არ იხდიან;
5. კაპიტალური დაბანდებები;
   ა) ძირითადი საშუალებები;
   ბ) კაპიტალური დანახარჯები;
6. სხვა დებიტორები;
7. სხვა აქტივები.

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, კერძოდ, აქტივების ლიკვიდობის, შემოსავლიანობისა და რისკიანობის გათვალისწინებით, საერთაშორისო პრაქტიკაში იყენებენ აქტივების ხარისხის შეფასების სარეიტინგო სისტემას, რომელიც ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნად შეიცავს კრიტიკულ და უხარისხო სიდიდეს. მათი მოცულობების გაანგარიშებისას ითვალისწინებენ:

შეწონილ საკლასიფიკაციო მაჩვენებელს;

საკლასიფიკაციო მაჩვენებელს და ტრენდებს (ცვლილებებს).

შეწონილ საკლასიფიკაციო მაჩვენებელს მსოფლიო პრაქტიკაში იყენებენ გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი ზარალის გასაანგარიშებლად და საკრედიტო ოპერაციებზე შესაძლო დანაკარგების შემთხვევისთვის რეზერვის შესაქმნელად. მას ანგარიშობენ კრედიტის ჯგუფების მიხედვით ზარალზე გამოყოფილი სესხების ჩამოწერის წლიური კოეფიციენტის გამრავლებით შესაბამისი ჯგუფის კრედიტების რისკის პროცენტზე.

შეწონილი საკლასიფიკაციო მაჩვენებლის სიდიდეს ანგარიშობენ აქტივების შესაბამისი ჯგუფის თანხის გამრავლებით რისკის კოეფიციენტზე. საკლასიფიკაციო მაჩვენებლები (რისკის კოეფიციენტები) განსაზღვრავენ აუცილებელი რეზერვების მოცულობას კრიტიკული და უხარისხო აქტივების ჯგუფებისათვის. თუ მათ საფუძველზე გაანგარიშებული რეზერვები ტოლია ან აჭარბებს ბანკის ერთობლივ კაპიტალს, მაშინ ასეთი ბანკი არასაიმედოთა ჯგუფს ეკუთვნის. თუმცა, აქტივების შემფასებელ ძირითად მაჩვენებლად რჩება შეწონილი კლასიფიკაციების შეფარდება მთლიან კაპიტალთან. რეიტინგი შეფასებათა 5 ტიპს შეიცავს:

რეიტინგი 1 (ძლიერი)

ჩვეულებრივ, ასე მაშინ აფასებენ აქტივებს, როცა საერთო შეწონილი კლასიფიკაციები ერთობლივი კაპიტალის 5%-ს აჭარბებს. მცირე გადაჭარბება არ ეწინააღმდეგება რეიტინგს, თუ ეკონომიკური მდგომარეობა კარგია და ხელმძღვანელობამ აჩვენა აქტივებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების უნარი. მაგრამ თუ ინვესტიციების ან კრედიტის კონცენტრაციასთან დაკავშირებით არსებობს დამატებითი პრობლემები, ან პრობლემები უკავშირდება „არმომუშავე“ აქტივების დიდ ხვედრით წილს, ან ფიქსირებულ (მუდმივ) აქტივებში განხორციელებულ მსხვილ ინვესტირებას, მაშინ იყენებენ სხვა უფრო დაბალ რეიტინგს, თუნდაც შეწონილი კლასიფიკაციები არ აჭარბებდნენ მთელი კაპიტალის 5%-ს.

რეიტინგი 2 (დამაკმაყოფილებელი)

დადებითი ან უარყოფითი შეფასების გამოყენების დროს იმავე მოტივებითა და ინსტრუქციებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როგორც ადრე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შეწონილი კლასიფიკაციები არ უნდა აჭარბებდნენ საერთო კაპიტალის 15%-ს.

რეიტინგი 3 (საშუალო)

უნდა ვიხელმძღვანელოთ იმავე მოტივებით, ოღონდ გავითვალისწინოთ, რომ შეწონილი კლასიფიკაციები არ უნდა აჭარბებდეს მთელი კაპიტალის 30%-ს.

რეიტინგი 4 (კრიტიკული)

უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეწონილი კლასიფიკაციები არ უნდა აჭარბებდეს მთელი კაპიტალის 50%-ს.

რეიტინგი 5 (არადამაკმაყოფილებელი)

ასე აქტივებს მაშინ აფასებენ, როდესაც შეწონილი კლასიფიკაციები მთელი კაპიტალის 50%-ს აჭარბებენ.

ჩამოთვლილ შეფასებებთან ერთად გამოყოფენ აქტივების ხარისხის კრიტიკულ ფინანსურ ფაქტორებს.

1) კლასიფიკაციის მოცულობა:
   შეწონილი საკლასიფიკაციო მაჩვენებელი;
   საერთო საკლასიფიკაციო მაჩვენებელი;
- დოლარების რაოდენობისა და თანაფარდობების ტრენდი.

2) სპეციალურად მოხსენიებული სესხები – დონე და ტრენდი.

3) იმ სესხების დონე, ტრენდი და სტრუქტურა, რომლებზეც პროცენტების დარიცხვა არ წარმოებს; იგივე – გადასინჯული პირობების მქონე სესხებისთვის;

4) სასესხო ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტიანობა:

სასესხო და საინვესტიციო პოლიტიკა:

კრედიტებისა და ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა და ტრენდი;

სესხების მიმოქცევისა და ანალიზის სისტემის ადეკვატურობა;

5) იმ კრედიტების კონცენტრაციის მოცულობა, რომლებიც კაპიტალის 25%-ს აჭარბებს;

6) ინსაიდერებთან დადებული გარიგებების მოცულობა და ხარისხი;

7) ფასიანი ქაღალდების პორტფელის ხარისხის შეფასების შემცირება.

ბანკების პრაქტიკაში აქტივების ხარისხის შესაფასებლად ბანკები ყველა ჩამოთვლილ მიმართულებას იყენებენ, თუმცა, ისინი კანონმდებლობით არაა დაწესებული და ბანკები მათ დამოუკიდებლად ახორციელებენ, გარდა ზემოხსენებული ნორმატივებისა.

9.4. ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲔᲑᲘ: ᲪᲜᲔᲑᲐ, ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ, ᲒᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ, ᲛᲐᲠᲗᲕᲐ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲖᲔᲠᲕᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ

საფინანსო რისკების ცნებისათვის. საფინანსო რისკები უნდა გავიგოთ, როგორც შემოსავლების კლების, ზოგების შემცირებისა და დანაკარგების გაჩენის რეალური შესაძლებლობა (არანულოვანი ან უმოქმედობის) ნებისმიერი იმ ფაქტორის (მათ შორის არასწორი მოქმედების) შედეგად, რომლებიც ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის პირობებსა და შედეგებზე მოქმედებენ. ამასთან, აღსანიშნავია შემდეგი: ეკონომიკური მეცნიერების ფარგლებში რისკის ფაქტორებად (მიზეზებად, წყაროებად) განიხილავენ მხოლოდ ისეთ მოვლენებს (პროცესებს, გარემოებებს და ა.შ.), რომლებიც შესაძლოა ნეგატიურად აისახოს სუბიექტის საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე. საკითხისადმი ეკონომიკური მიდგომის დროს დაუშვებელია ნებისმიერი, ამა თუ იმ აზრით თუნდაც ყველაზე არასასურველი ფაქტორის, მხედველობაში მიღება, თუკი მისი შედეგი არ შეიძლება იყოს შემოსავლიანობისა და მომგებიანობის მაჩვენებლების გაუარესება.

რისკი ყოველგვარი კომერციული საქმიანობის, მათ შორის — საბანკო საქმიანობის, განუყოფელი ნაწილია. ამის მიუხედავად ბანკი ამჯობინებს გაექცეს (თავი აარიდოს) რისკს და, თუ ეს შეუძლებელია, მაშინ მინიმუმამდე დაიყვანოს იგი. ამ ზოგადი მიდგომის ფარგლებში ბანკები კერძოდ, ამა თუ იმ შესაძლო ვარიანტიდან ირჩევენ ყველაზე ნაკლებად სარისკოს და აუცილებლად ადარებენ ერთმანეთს მოსალოდნელი რისკს (ე.ი. ამ მოვლენასთან დაკავშირებული შესაძლო დანაკარგების გაანგარიშებით სიდიდეს) და, ერთი მხრივ, იმისთვის საჭირო სარეზერვო ფონდებს, რომ ამ ამ მოვლენის ნეგატიური შედეგები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, ხოლო, მეორე მხრივ, იმ შესაძლო მოგებას, რომელიც მათ შეიძლება მიიღონ, თუკი ეს მოვლენა არ მოხდა. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებას, რომ რისკის დონეზე მკვეთრად და ერთმნიშვნელოვნად არაა დამოკიდებული მოსალოდნელი მოგების (შემოსავლის) დონე. შესაძლებელია ისეთი შემთხვევების არსებობა, როდესაც მაღალი (დაბალი) მოსალოდნელი მოგება სწორხაზოვნად უკავშირდებოდეს მაღალ (დაბალ) რისკს. მაგრამ გაცილებით ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ეს დამოკიდებულება არ შეინიშნება.

დავუშვათ, რომ ბანკი ვერაგაურბის რისკს და იძულებულია იკისროს იგი, მაგრამ გარკვეულ ფარგლებში მას ეძლევა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. მაგალითად, საჭიროა არჩევანის გაკეთება შემდეგ ორ გადაწყვეტილებას შორის: გასცეს 100 ათ. დოლარი კრედიტი და თავის თავზე აიღოს მისი არდაბრუნების რისკი 30%-იანი ალბათობით ან უარი უთხრას კლიენტს კრედიტის მიცემაზე და ამით თავის თავზე აიღოს 20 ათ. დოლარის სარფის დაკარგვის რისკი. არჩევანის გაკეთება ასლა ბანკზეა დამოკიდებული, რისთვისაც მან კარგად უნდა იცოდეს, თუ რა ოდენობის რისკი შეუძლია იტვირთოს.

საფინანსო რისკების ფაქტორები. ბანკისათვის არსებითი რისკების ფაქტორები საზოგადოდ ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: შიდა და გარე ფაქტორებად.

რისკების შიდა (შიდასაბანკო) ფაქტორები ბანკების საქმიანობის შედეგად ჩნდება და დამოკიდებულია მათ მიერ ჩატარებული ოპერაციების ხასიათზე, შრომისა და წარმოების ორგანიზაციაზე, თვით ბანკების მიერ თავიანთი საქმიანობის ყველა მხარის მართვაზე. ასეთი ფაქტორებია, კერძოდ:

- ბანკის პასივების, აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის მეტ-ნაკლებად არაეფექტიანი სტრუქტურა;
- ბანკის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული მეტ-ნაკლებად არაეფექტიანი სტრატეგია და პოლიტიკა, მათ შორის — რისკების ზომისა და ხარისხის არასწორი შეფასებები, მცდარი გადაწყვეტილებები (მაგალითად, ერთი და იმავე კრედიტის არაერთჯერადი პროლონგაციის შესახებ), ოპერაციების ჩატარების პირობებისა და ვადების არასწორად განსაზღვრა, ბანკის დანახარჯებისა და დანაკარგების სათანადო კონტროლის უქონლობა და ა.შ.;
- ბანკის თანამშრომელთა არასაკმარისი პროფესიონალიზმი;
- ბანკის საინფორმაციო, ფინანსური და სხვა უსაფრთხოების მეტ-ნაკლებად არასაკმარისი უზრუნველყოფა;
- ბანკის კომპიუტერულ სისტემებში შეფერხებების, დოკუმენტების, დოკუმენტების დაკარგვის, ბუღალტრულ გატარებათა არასწორად და არადროულად განხორციელების შესაძლებლობა;
- ბანკის თანამშრომელთა მხრიდან თაღლითობის და ბოროტმოქმედების აღკვეთის სრული გარანტიის უქონლობა და სხვა.

საბანკო რისკების გარე ფაქტორები (წყაროები) ის პოტენციური, არასასურველი მოვლენებია, რომლებიც ბანკის გარეთ არსებულ სივრცეში ხდება და მის საქმიანობაზე არაა დამოკიდებული. ასეთი ფაქტორებია:

- პოლიტიკური;
- სოციალური;
- სამართლებრივი (სამართლებრივი ნორმების უქონლობა, მათი გამკაცრება და დარღვევა);
- საერთოეკონომიკური და ფინანსური;
- კონკურენტული (ფინანსური ბაზრის მონაწილეთა მხრიდან ზეწოლა);
- ინფორმაციული (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კომერციული, ტექნიკური, ფინანსური და სხვა ინფორმაციის უქონლობა ან მათი უკმარისობა);
- სტიქიური უბედურებები (დაუძლეველი ძალის მქონე არასასიკეთო ბუნებრივი მოვლენები), ავარეთვე, ძარცვა, ავარიები და ხანძარი.

მოცემული მეურნე სუბიექტისათვის არ არსებობს გარე და შიდა რისკები. შიდა და გარე შეიძლება იყოს მხოლოდ რისკების ფაქტორები (მიზეზები, წყაროები).

საბანკო რისკების კლასიფიკაცია. საბანკო რისკები არც ისე მრავალგვარია (თუ მათ რისკების ფაქტორებში არ ავურეთ). მათგან ძირითადია:

- საკრედიტო — ბანკის მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი;
- საპროცენტო — მოზიდულ და განთავისუფლებულ ფულად რესურსებზე დაწესებული საბაზრო პროცენტების რყევის რისკი (ბანკისათვის არასასურველი მიმართულებით);
- საბაზრო-ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ფასების, მათ შორის — ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის კურსების, რყევის რისკი (ბანკისათვის არასასურველი მიმართულებით);
- არალიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის რისკები, (რომლებიც „აჯამებენ“ უკვე ჩამოთვლილ ყველა რისკის ან მათი ნაწილის გავლენას).

უფრო დაწვრილებით განვისილოთ რისკის სახეები.

რისკის ძირითადი სახეები საბანკო საქმიანობაში.

საკრედიტო რისკი. უპირველეს ყოვლისა, არსებობს საკრედიტო რისკი. ბანკები გასცემენ კრედიტებს და სამაგიეროდ იღებენ ფასიან ქაღალდებს, რომელიც მეტი არაფერია, თუ არა გადახდის დაპირება. თუ მსესხებლები მთლიანად ან ნაწილობრივ ვერ იხდიან დაპირებულ პროცენტებს და კრედიტის თავდაპირველ თანხას, ეს იწვევს ზარალს, რომელსაც საბოლოოდ შეუძლია შეამციროს ბანკის კაპიტალი. რადგანაც ეს კაპიტალი, ჩვეულებრივ, არ აღემატება კრედიტებისა და სარისკო ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 10%-ს (ხშირად გაცილებით მცირეა ამ სიდიდეზე), ამიტომ, რამდენიმე უიღბლო კრედიტი და ინვესტიციაც კმარა იმისათვის, რომ კაპიტალის მოცულობა საკმარისი არ აღმოჩნდეს დანაკარგების საკომპენსაციოდ. ამ შემთხვევაში ბანკი გაკოტრდება და დაიხურება, თუკი მარეგულირებელი ორგანოები არ გადაწყვეტენ მის მხარდაჭერას მყიდველის გამოჩენამდე.

არალიკვიდობის რისკი. საბანკო საქმიანობაში მნიშვნელოვნად დიდია არალიკვიდობის რისკი — საკმარისი რაოდენობით ლიკვიდური სახსრების გარეშე დარჩენის საშიშროება, როდესაც ისინი აუცილებელია ანაბრებიდან ფულის გასაცემად ან საიმედო კლიენტებისათვის კრედიტების მისაცემად. თუ ბანკი დროულად ვერ ამოახერხებს ნაღდი სახსრების პოვნას, იგი ბევრ კლიენტს დაკარგავს, მისი მფლობელების მოგება კი შემცირდება. თუ ნაღდი სახსრების დეფიციტი მუდმივია, ამან შეიძლება გამოიწვიოს ბანკიდან ანაბრების მასობრივად გამოტანა, საბოლოოდ კი მისი გაკოტრება. თუ ბანკს იმის უნარი არა აქვს, რომ გონივრული დანახარჯების გაწევით უზრუნველყოს ნაღდ სახსრებზე თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაშინ ეს ხშირად სერიოზული სიძნელეების პირველი სიგნალია.

საპროცენტო რისკი. ბანკების რისკი მათ მარჟასაც ეხება (მარჟა არის სხვაობა ბანკის მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო განაკვეთსა და ანაბრებზე გაცემულ პროცენტს შორის). საპროცენტო რისკი იმის საშიშროებაა, რომ შემცირდება მოგების მომტანი აქტივების შემოსავლიანობა, ან მნიშვნელოვნად მოიმატებს პროცენტების გაცემაზე გაწეული ხარჯები და თანაც შემცირდება ბანკის შემოსაელებსა და ხარჯებს შორის სხვაობა, ე.ი. წმინდა მოგება. ბანკის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობის ცვლილებას, ჩვეულებრივ, უკავშირებენ ან გადაწყვეტილებებს პორტფელის მართვის თაობაზე (ე.ი. ბანკის აქტივებისა და პასივების სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს) ან საპროცენტო რისკს — იმის ალბათობას, რომ საპროცენტო განაკვეთების რყევა გამოიწვევს ბანკის აქტივების როგორც ღირებულების, ისე შემოსავლიანობის მნიშვნელოვნად შემცირებას ან ზრდას. ბოლო წლებში ბანკებმა მიაგნეს საპროცენტო რისკის შემცირების ხერხებს, მაგრამ მისი მთლიანად გამორიცხვა შეუძლებელია.

ოპერაციული რისკი. მნიშვნელოვანი ოპერაციული რისკი ჩნდება ხარისხის კონტროლის სისტემაში შესაძლო ჩავარდნების, გაწეული მომსახურების არაეფექტიანობის, აგრეთვე, მართვაში დაშვებული შეცდომების გამო.

ბოროტად გამოყენების რისკი. ბანკის მოსამსახურის ან მმართველის მიერ დაშვებულ ცდომილებას ან გაფლანგვას შეუძლია არსებითად დაასუსტოს ბანკი, ზოგჯერ კი გაკოტრებამდეც მიიყვანოს იგი. დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის დასკვნით, ბანკის მოსამსახურეთა კორუფცია ბოლო დროს ხშირად გამხდარა ბანკების დახურვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. გარდა ამისა, ბანკის სეიფებში დაცული უზარმაზარი ფულადი სახსრები ხშირად ხდება ხოლმე დამნაშავეთა საცდური. მსოფლიოში ბანკების ძარცვამ რეკორდულ ციფრებს მიაღწია 1970-80-იან წლებში. ეს დანაშაულობანი ხშირად ბანკების იმ მცდელობის თანამდევი ნაყოფი იყო, რომ თავიანთი შენობები, სალაროს სარკმლები, აგრეთვე, ავტომობილში კლიენტთა საბანკო მოსახურების სალაროები უფრო ხელმისაწვდომი ყოფილიყო. 90-იან წლებში ბანკების გაძარცვის სიხშირემ იკლო, მაგრამ მოპარული სახსრების თანხები და დანაშაულო-

ბათა ინტენსიობა კვლავ მაღალი რჩება. ასეთ დანაშაულობათა სპეციფიკა შეიცვალა საბანკო ტექნოლოგიების გაუმჯობესებასთან ერთად: საბანკო ავტომატებიდან ფულის მოპარვა ამჟამად კრიმინალური საბანკო რისკის ერთ-ერთი უფრო პრობლემური ასპექტია.

ბანკების დაცვა რისკისგან. ცხადია, ბანკები სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ ამ მრავალრიცხოვანი რისკებისგან თავის დასაცავად. პრაქტიკაში არსებობს რამდენიმე „თავდასაცავი რგოლი“, რომელთა იმედიც შეუძლიათ ჰქონდეთ ბანკის მფლობელებს თავიანთ დაწესებულებათა ფინანსური პოზიციების შესანარჩუნებლად. მათგან შეგვიძლია გამოვყოთ ხარისხის მართვა, დივერსიფიკაცია, დეპოზიტების დაზღვევა და საკუთარი კაპიტალი.

ხარისხის მართვა. დაცვის ერთ-ერთი არსებული ხერხია. ხარისხის მართვა არის პირველხარისხოვან მმართველთა უნარი, მანამდე გადაჭრან წარმოქმნილი პრობლემები, ვიდრე ისინი სერიოზულ სირთულეებს შეუქმნის ბანკებს.

დივერსიფიკაცია. ბანკის სახსრების მიღების წყაროებისა და გამოყენების მიმართულებების დივერსიფიკაციაც რისკის შემცირების ერთ-ერთი ხერხია. ბანკები, ჩვეულებრივ, ცდილობენ გამოიყენონ რისკის შემამცირებელი დივერსიფიკაციის ორი ტიპი – პორტფელური და გეოგრაფიული. პორტფელის დივერსიფიკაცია ნიშნავს ბანკის კრედიტებისა და დეპოზიტების განაწილებას კლიენტთა ფართო წრის შიგნით. აქ შევლენ მსხვილი და წვრილი საქმიანი ფირმები და შინამეურნეობები, რომელთაც მრავალფეროვანი შემოსაედლის წყაროები და საგირაონო გადასახდელები აქვთ. გეოგრაფიული დივერსიფიკაცია ნიშნავს კლიენტების მოზიდვას სხვადასხვა გეოგრაფიული რაიონებიდან ან განსხვავებული ეკონომიკის პირობების მქონე ქვეყნებიდან. დივერსიფიკაციის ეს ფორმები ყველაზე ეფექტიანად ამცირებენ საბანკო რისკს, როდესაც სხვადასხვა ჯგუფის კლიენტებისგან მიღებული შემოსავლები სხვადასხვა მიმართულებით იცვლება დროში. ამ შემთხვევაში ერთი ჯგუფის კლიენტებისგან მიღებული შემოსავლების კლების კომპენსირება სხვა ჯგუფისგან მიღებული შემოსავლების მატებით ხდება.

დეპოზიტების დაზღვევა. რისკისგან თავის დაცვის კიდევ ერთი მეთოდია დეპოზიტების დაზღვევა. 1934 წელს შეიქმნა დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია. იგი იმ შეანაბრეებს იცავს, რომლებსაც 100 ათას დოლარზე ნაკლები თანხა აქვთ სახელმწიფოს მიერ დაზღვეულ ნებისმიერ ბანკში. ამ კორპორაციის შექმნის მიზანი იყო საბანკო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნება. მართალია, მან გაკოტრება ვერ აღკვეთა, მაგრამ შეაჩერა სახსრების მასობრივად გამოტანა რომელიმე გაკოტრებული ბანკის მეზობელი ბანკებიდან. გარდა ამისა, მას აქვს ბანკების შემოწმებისა და არაკანონიერ მოქმედებათა აკრძალვის უფლებამოსილებანი. ეს ამცირებს რისკს, რომელსაც თავის თავზე იღებენ ბანკის მმართველები და აქციონერები.

საკუთარი კაპიტალი. როდესაც ყველა დამცავი ხერხი ამოიწურება, რისკის შესამცირებლად იყენებენ მფლობელთა კაპიტალს (საკუთარ კაპიტალს). მის ხარჯზე კომპენსირდება წარუმატებელი კრედიტებისა და ფასიანი ქაღალდებში დაბანდებული ინვესტიციებისგან, აგრეთვე, დანაშაულობებისა და მმართველური შეცდომებისგან მიღებული დანაკარგები. ასე, რომ ბანკს შეუძლია ფუნქციონირების გაგრძელება წამოჭრილი პრობლემების მოგვარებამდე და ზარალის დაფარვამდე. ოღონდ, თუკი ბანკის დანაკარგები იმდენად დიდი იქნება, რომ გაანადგურებს არამარტო სხვა დამცავ ხაზებს, არამედ საკუთარ კაპიტალსაც, მაშინ იგი იძულებული გახდება, დახუროს კარები. საკუთარი კაპიტალი ბანკის გაკოტრების საწინააღმდეგო თავდაცვის ბოლო ზღუდეა. ამგვარად, რაც უფრო მაღალია გაკოტრების რისკი (რომელი წყაროდანაც არ უნდა მოდიოდეს ეს საფრთხე), მით უფრო მეტი საკუთარი კაპიტალი უნდა ჰქონდეს ბანკს.

საბანკო რისკების დონეს (ხარისხს) სამი ცნებით განსაზღვრავენ: 1) სრული რისკი – გულისხმობს ბანკის მიერ ოპერაციაში დაბანდებული სახსრების ტოლ ან მასთან შესადარის დანაკარგებს. მაგალითად, საეჭვო, უიმედო ან დაკარგულ კრედიტს სრული ანუ 100%-იანი რისკი ახასიათებს. ამ ოპერაციიდან ბანკი მოგებას არ იღებს, თვითონ ოპერაცია კი

დაუშვებელი (მიუღებელი) რისკის ზონაშია მოქცეული.

2) ზომიერი რისკი — შეესაბამება ბანკის მიერ ოპერაციის ჩატარებაზე დახარჯული თანხის მცირე ნაწილის (30%-მდე) დანაკარგს (მაგალითად, თუკი ბანკს თავისდროულად ვერ დაუბრუნებენ ან საერთოდ არ დაუბრუნებენ გაცემული კრედიტის ან მასზე გადასახდელი პროცენტის რაღაც ნაწილს). თუმცა, ეს იმ პირობით, რომ ასეთი ოპერაციის ჩატარება მაინც იმაზე მეტ მოგებას მოიტანს, ვიდრე ბანკის მიერ განცდილი დანაკარგის დასაფარავადაა საჭირო. ამ შემთხვევაში მიაჩნიათ, რომ ოპერაცია დასაშვები რისკის ზონაში იმყოფება;

3) დაბალი რისკი — მაღალი ან ჩვეულებრივი მოგების მიღების შესაძლებლობას აძლევს ბანკს პრაქტიკულად დანაკარგების გარეშე.

სასარგებლოა რისკების ასე დაყოფაც:

- ღია, რომლის თავიდან აცილება ან მინიმუმამდე დაყვანა შეუძლებელია ან ძნელია;
- დახურული, რომლის თავიდან აცილება ან მინიმუმამდე დაყვანა ადვილია.

რისკების გაანგარიშების მეთოდები. ყველა შემთხვევაში უნდა ხდებოდეს რისკების თვისებრივად განსაზღვრა (იდენტიფიცირება) და რაოდენობრივად შეფასება. მათი ანალიზი და შეფასება მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა იმის გარკვევის სისტემატურ სტატისტიკურ მეთოდს, რომ ბანკისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიღაც მოვლენები (რომლებიც უმთავრესაც უკვე ცნობილია მისთვის, ან, იქნებ, ადრე არ იყო შემჩნეული, მაგრამ მოსალოდნელია მათი მოხდენა) ახლო მომავალში მოხდება. ამ ალბათობას, ჩვეულებრივ, პროცენტობით გამოხატავენ. ბანკში სათანადო მუშაობის წარმართვა მაშინ შეიძლება, თუკი შემუშავებულია ის კრიტერიუმები, რომლებიც ალტერნატიული მოვლენების რანჟირების საშუალებას იძლევა რისკის დონეზე დამოკიდებულებით. ასეთი მუშაობის ამოსავალი წერტილია ყველა ოპერაციის მიხედვით საჭირო ინფორმაციის დაგროვება ბანკის მიერ შეძლებისდაგვარად უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის და მთელი ამ ინფორმაციის წინასწარი სტატისტიკური ანალიზი.

ამ საქმეში შემდეგ მეთოდებს იყენებენ:

სტატისტიკურს — შეძლებისდაგვარად მეტი პერიოდის სტატისტიკური მწკრივების ანალიზს ბანკისათვის დასაშვები და მიუღებელი რისკის ზონების განსაზღვრის მიზნით. ამ მეთოდს, რომელსაც ბანკის სრულიად სხვადასხვა სახის რისკების შეფასების დროს იყენებენ, საფუძვლად უდევს დანაკარგების წარმოქმნის ალბათობათა შედარებები მათი ფაქტიური წარმოქმნის სიხშირესთან.

ექსპერტულ შეფასებათა მეთოდს — მასში შედის ექსპერტთა მოსაზრებების შეგროვება და ანალიზი. განმაზოგადებელი რეიტინგული შეფასების (კოეფიციენტების) შედგენა და მათი „მიბმა“ გარკვეულ რისკის ზონებზე;

ანალიტიკურს — გამოვლენილი რისკების ზონების გაღრმავებულ ანალიზს (დასახელებული მეთოდების გამოყენებით) ბანკის თითოეული ოპერაციის ან მათი ერთობლიობისთვის დასაშვები რისკების ოპტიმალური დონეების დადგენის მიზნით.

ბანკის რისკების მართვა. ყოველი ბანკი უნდა ფიქრობდეს თავისი რისკების (დანაკარგების) მინიმიზაციაზე ანუ მათ მართვაზე. ეს სამუშაო მოიცავს: ა) რისკების განჭვრეტას და იდენტიფიკაციას; ბ) მათი სავარაუდო სიდიდეებისა და შედეგების განსაზღვრას; გ) დანაკარგების თავიდან აცილებას ან მათი მინიმუმამდე დაყვანისკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავებას და რეალიზებას. ყოველიეე ეს მაშინაა შესაძლებელი, თუკი ბანკს გააჩნია: პირველი, რისკების მართვის გააზრებული საკუთარი პოლიტიკა, რომელიც მას საშუალებას მისცემს თანმიმდევრულად გამოიყენოს განვითარების ყველა არსებული შესაძლებლობა და იმავდროულად დასაშვებ და კონტროლირებად დონეზე შეინარჩუნოს რისკები, და, მეორე, რისკების დაკვირვებისა და მათი მართვის ორგანიზაციული მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ რისკების თავიდან აცილებისა და მათი მინიმუმამდე დაყვანის მეთოდები საკმაოდ ბევრია.

თუ რისკების მთლიანად აღმოფხვრა ვერ ხერხდება, მაშინ ამოქმედდება ყველა შესაძლებელი ხერხიდან ბოლო ხერხი — დანაკარგების ანაზღაურება, რომელშიც შედის:

- ბანკში სარეზერვო ფონდების შექმნა და მათი სახსრების გამოყენება დანიშნულებით;
- დაუბრუნებელ კრედიტებზე პროცენტების დარიცხვის შეწყვეტა;
- სათანადო თანხების დაწერა ზარალზე.

რაც შეეხება რისკების მართვის შიდასაბანკო ორგანოებს, შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილია:

ბანკის მმართველობა;

საკრედიტო კომიტეტი (საკრედიტო რისკების კომიტეტი);

აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი (ზოგიერთ ბანკში);

ფუნქციური ქვედანაყოფები და მათი ხელმძღვანელები.

ბანკის სარეზერვო ფონდი. საქმიანობის პროცესში მიღებული დანაკარგების დასაფარავად ყველა ბანკი ქმნის სარეზერვო ფონს (გარდა ვიწრო, „დარგობრივი" ორიენტაციის მქონე ფონდებისა, რომლებსაც აყალიბებენ, მაგალითად, საკრედიტო საქმიანობიდან მიღებული ზარალის დასაფარავად). ამ დროს იყენებენ მსოფლიოში საყოველთაოდ დადგენილ შემდეგ ნორმებს:

1. სარეზერვო ფონდს ქმნიან:

- სააქციო საზოგადოების ფორმით მოქმედი ბანკები — მათი ფაქტიურად გადახდილი საწესდებო კაპიტალის სიდიდიდან გამომდინარე (თუკი რეგისტრაცია აქვთ გავლილი ბანკების ანგარიშებს აქციების გამოშვების შესახებ);
- სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მოქმედი ბანკები — მათი დარეგისტრირებული საწესდებო კაპიტალის ოდენობიდან გამომდინარე.

2. ფონდის ფორმირების წყაროა ბანკის მოგება.

3. ფონდის მინიმალური ზომა ბანკის წესდებითაა დადგენილი, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს საწესდებო კაპიტალის 15%-ზე ნაკლები (მას შემდეგ, რაც ფონდის ფორმირების პროცესი დასრულებულად ჩაითვლება).

4. ფონდში გადარიცხვები ხდება საანგარიშო წლის იმ მოგებიდან, რომელიც ბანკის განკარგულებაში რჩება გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების გადახდის შემდეგ (საანგარიშო წლის წმინდა მოგება). ბანკს შეუძლია სარეზერვო ფონდში გადარიცხოს წმინდა მოგების ხარჯზე არსებული სხვა ფონდების სახსრების გამოუყენებელი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ ამცირებს ბანკის ქონების სიდიდეს და რომლებიც მონაწილეობენ მისი საკუთარი კაპიტალის სიდიდის გაანგარიშებაში. სარეზერვო ფონდში არ შეიძლება აღნიშნული ფონდების სახსრების ნაშთების იმ ნაწილის გადარიცხვა, რომელიც მიმდინარე წლის მოგების ხარჯზეა შექმნილი.

5. მიმდინარე წლის წმინდა მოგებიდან ფონდში სახსრების გადარიცხვა ხდება წლიური ბუღალტრული ანგარიშისა და მოგების განაწილების ანგარიშის დამტკიცების შემდეგ (მონაწილეობა საერთო კრებაზე).

6. ბანკის წესდებით, ფონდში ყოველწლიურ გადარიცხვათა სიდიდე წმინდა მოგების 5%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს (ვიდრე ფონდი მინიმალურად აუცილებელ სიდიდეს მიაღწევდეს). მინიმალურად აუცილებელ სიდიდეზე ზევით ფონდში გადარიცხული სახსრების ზომებსა და წესს ბანკის წესდება განსაზღვრავს.

7. ბანკის სარეზერვო ფონდის ფორმირების სისწორეს აუდიტორული ფირმა (აუდიტორი) უნდა ამტკიცებდეს.

8. სარეზერვო ფონდის სახსრების გამოყენება შესაძლებელია ბანკის მართვის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით ან იმ წესის დაცვით, რომელსაც მისი მონაწილეების საერთო კრება ადგენს, და მხოლოდ:

- საანგარიშო წლის შედეგების მიხედვით მიღებული ზარალის დასაფარავად;
- ბანკის საწესდებო კაპიტალის გასაფართოებლად (მხოლოდ ფონდის იმ ნაწილში, რომელიც მის მინიმალურად აუცილებელ სიდიდეს აჭარბებს);
- ბანკის იმ სხვა ფონდების შესავსებად, რომლებიც წინა წლების მოგების ხარჯზეა ჩამოყალიბებული (მხოლოდ ფონდის იმ ნაწილში, რომელიც მის მინიმალურად აუცილებელ სიდიდეს აჭარბებს).

9. ზემოთ აღნიშნული მიზნებით სარეზერვო ფონდის სახსრების ხარჯვა ბანკს შეუძლია მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც წინა წლების მოგების ხარჯზეა შექმნილი და, თანაც, მონაწილეთა საერთო კრებაზე შესაბამის გადარიცხვათა დამტკიცების შემდეგ.

9.5. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲠᲝᲝᲑᲐ: ᲪᲜᲔᲑᲐ, ᲒᲐᲜᲛᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ, ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ბანკის საიმედოობის ცნებისათვის. საბანკო კანონმდებლობა იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „საბანკო სისტემის სტაბილურობა“, „საკრედიტო ორგანიზაციების მდგრადობა“, „საკრედიტო ორგანიზაციის ფინანსური საიმედოობა“. ამ ტერმინების არსი კანონმდებლობაში ასსნილი არაა, თუმცა, კანონების კონტექსტიდან ჩანს, რომ ბანკის მდგრადობასა და მის ფინანსურ საიმედოობას შორის პრინციპული განსხვავება არაა. რამდენადმე განსხვავებულია „სტაბილურობა“, მაგრამ ეტყობა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელშიც ტერმინი მთლიანად საბანკო სისტემაზეა „მიბმული“.

საბანკო ლიტერატურაში ყველაზე უფრო ხშირად იყენებენ ტერმინ „საიმედოობას“. იგი ზოგადად ესმით როგორც ბანკის მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის და ახლო მომავალში მისი პერსპექტივების კომპლექსური (ინტეგრალური) მახასიათებელი. მას იღებენ ბანკის ოფიციალური და გამოქვეყნებული ინფორმაციის მეტ-ნაკლებად პროფესიული დისტანციური („უკონტაქტო“) ანალიზის საფუძველზე. ბანკის ეს შეფასება, ჩვეულებრივ, ბალებითაა მოცემული (ამდენად, იგი სუბიექტურობის ნიშნითაა აღბეჭდილი), რომელთა მნიშვნელობები ან უშუალოდაა გადმოცემული, ან შესაბამისი მაჩვენებლების ნორმატიულ დონეებთანაა შედარებული (ამგვარ ნორმატივებს ან მარეგულირებელი ორგანოები ადგენენ, ან თვითონ საიმედოობის „შემფასებლები“ – ბანკების ანალიტიკოსები, დამოუკიდებელი ექსპერტები თუ რეიტინგის სააგენტოები). ამ დროს მაჩვენებელთა სხვადასხვა ნაკრებს იყენებენ. მაგალითად, ფართოდაა გავრცელებული ისეთი მიდგომა, როდესაც ბანკის საიმედოობაზე იმით უფრო მსჯელობენ, თუ როგორ იცვლება ყოველი კონკრეტული ბანკისათვის გაანგარიშებული მაჩვენებლები: კაპიტალის საკმარისობა, აქტივების ხარისხი, ლიკვიდობა, მართვის ხარისხი, შემოსავლიანობა. ასეთი მიდგომის შესაბამისად, ბანკს საიმედო მიიჩნევენ მაშინ, თუკი მისი მაჩვენებლების ინდივიდუალური მნიშვნელობები აკმაყოფილებენ ნორმატიულ მოთხოვნებს, ხოლო ნორმატივების არარსებობის შემთხვევაში – ნაკლები არაა საბანკო სექტორის საშუალო მნიშვნელობებზე, და თუ საკმარისი საფუძველი არა გვაქვს ეიფიქროთ, რომ ბანკის ეს შეფასება ახლო მომავალში შესაძლოა გაცილებით უბრო დაბალი აღმოჩნდეს.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ბანკის საიმედოობის ამგვარ გაგებასთან გარდაუვალად დაკავშირებული ის სიძნელეები, რომლებიც ამ შეფასებას საკმაოდ პირობითს, მის გამოყენებას კი პრობლემურს ხდის. ჯერ ერთი, ეს შეფასება ინტეგრალური უნდა იყოს და ბანკის ფუნქციონირების სრულიად განსხვავებულ მხარეებს უნდა ითვალისწინებდეს. ყოველი მათგანის შეფასება კიდეც რომ მოხერხდეს, ბოლომდე მაინც ნათელი არაა, თუ როგორ მოხერხდება ამ განსხვავებულ შეფასებათა დაყვანა ერთ მნიშვნელამდე; მეორე, შეუძლებელია, მკაცრად რაოდენობრივი შეფასების მიცემა ბანკის საქმიანობის ყველა მაჩვენებლისათვის, რაც განსაკუთრებით მისი მართვის ხარისხს ეხება; მესამე, ყოველთვის მრავალი კითხვა უკავშირდება იმ წარმოდგენილი

საბანკო ინფორმაციის სისრულეს, სარწმუნოობასა და შესადარისობას, რომლის საფუძველზეც გვისდება ახლანდელ მდგომარეობაზე და გამოვლენილ ტენდენციებზე მსჯელობა. მეოთხე, ბალური შეფასება ყოველთვის უაღრესად თავისუფალი და „საეტროროა“ (პრინციპში, შეუძლებელია მკაცრად დავამტკიცოთ, თუ რამდენად დასაბუთებულია ისინი). იგივე შეგვიძლია ვთქვათ საიმედოობისა და მდგრადობის იმ ნორმატივებზეც, რომლებსაც ოფიციალურად აწესებენ მარეგულირებელი ორგანოები; მეზუთე, არ შეიძლება თვითნებური არ იყოს იმ მაჩვენებელთა ნაკრებიც, რომლებსაც კრიტერიალურ მნიშვნელობებს ანიჭებენ; დაბოლოს, მეექვსე, უაღრესად მცირეა იმის ალბათობა, რომ ბანკის ფუნქციონირების პირობებში, რაიმე არსებითი სიახლე არ გამოჩნდეს. მაშასადამე, გარკვეულწილად პირობითი და ხელოვნურია იმ ინფორმაციის ბაზაზე ფორმულირებული ძახასიათებლების გავრცელება თუნდაც უახლოეს მომავალზე, რომლებიც ბანკების გუშინდელ დღეს ასახავს (არადა, სხვა ინფორმაციას საბანკო ანგარიშგება არც იძლევა).

აღსანიშნავია ისიც, რომ „ბანკის საიმედოობის“ ცნება როგორღაც გარედან, უპირველეს ყოვლისა, მისი კლიენტურის თვალით დანახულ სურათს ასახავს. თვით ბანკების შესედულებას საკუთარ საიმედოობაზე და მისი უზრუნველყოფის ხერხებზე ყველაზე უკეთ გამოხატავს „მგდრადობის“ ცნება.

ბანკმა თავისი ფინანსური საიმედოობა შემდეგი ხერხით შეიძლება უზრუნველყოს:

- საკუთარი რეზერვების (ფონდების) შექმნა, მათ შორის – ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შემთხვევისათვის;
- აქტივების კლასიფიკაცია საეჭვო და უიმედო ვალების გამოყოფის მიზნით და რეზერვების შექმნა შესაძლო დანაკარგების დასაფარავად;
- სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივების დაცვა;
- შიდა კონტროლის ორგანიზება;
- ცენტრალურ ბანკში დეპონირებული სავალდებულო რეზერვების ნორმატივების შესრულება.

ეს რეკომენდაციები სწორია, მაგრამ საკმარისი არაა. ნებისმიერი ბანკისათვის, რომელმაც უკვე გაიარა განვითარების პირველი ეტაპი, მთავარი ხდება შემდეგი ამოცანები:

1) საბანკო ოპერაციების მთელი სპექტრის ათვისება იმის მიუხედავად, თუ რა ხვედრითი წილი აქვს ამა თუ იმ ოპერაციას ბანკის საქმიანობის მაჩვენებელთა მთელ მოცულობაში ამა თუ იმ მომენტში;

2) საკორესპონდენტო ურთიერთობათა სისტემის განვითარება;

3) მოზიდული სახსრების აქტიურ გამოყენებაზე გადასვლა;

4) სიტუაციის შეცვლაზე სწორად რეაგირებისთვის მუდმივი მზადყოფნა.

ეს უკანასკნელი იმის უმთავრეს დასტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ბანკს მდგრადობის კარგი პოტენციალი აქვს. მდგრადობის ეკონომიკური შინაარსის უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებაა ბანკის სტრატეგიის (პოლიტიკის) შესაბამისობა იმ რეალური გარემოს ობიექტურ მახასიათებლებთან, რომელშიც მას უწევს მუშაობა, და ბანკის საქმიანობის მიმდინარე პარამეტრების შესაბამისობა მის საკუთარ სტრატეგიულ მიზნებთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბანკის მდგრადობა“ გამოხატავს ბანკის მდგომარეობას რეალური ეკონომიკური და სოციალური გარემოს პირობებში და მისიეე სტაბილურობითაა დიდწილად განსაზღვრული. თუ ამას პრაქტიკულ ქმედებათა ენაზე გადაეთარგნით, მაშინ, ალბათ, სწორი იქნება მტკიცება, რომ ბანკის ეკონომიკური მდგრადობა უნდა გვესმოდეს, როგორც მისი წონასწორული მდგომარეობის მიღწევა დროის ყოველი კონკრეტული მომენტისათვის. ამას ბანკი უნდა ახერხებდეს გარე და შიდა პირობებთან ადაპტირების ხარჯზე.

ბანკის ეს თვისება მოიცავს:

- მთლიანად ეკონომიკისა და მისი ცალკეული სექტორების მდგომარეობისა და ტენდენციების ალეკვატურად შეფასებას ბანკის მიერ;

- თავისი განვითარების სტრატეგიის, პოლიტიკისა და საჭირო კონკრეტული ღონისძიებების დროულად დაზუსტებისა თუ გადასინჯვის უნარს;
- თავისი სპეციალიზაციის იმ ძირითადი მიმართულებების (ყველაზე უფრო მომგებიანი და ნაკლებად სარისკო ოპერაციების) დროულად და ზუსტად განსაზღვრის უნარს, რომლებიც ყველაზე უფრო შეესაბამება მიმდინარე მომენტს;
- ასალი ფინანსური ინსტრუმენტების დროულად და ხარისხიანად ათვისების უნარს;
- უფრო სრულყოფილი იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენების აუცილებლობის გაგებას და შესაძლებლობას, რომლებიც საბანკო ოპერაციების შესრულებას უზრუნველყოფენ;
- კადრების თავისდროულად გადაჯგუფების უნარს ბანკის მიერ მიღებული პოლიტიკის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში კი – მისი ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლის უნარს.

ბანკის მდგრადობის ფაქტორები. ბანკების მდგრადობას განსაზღვრავს ეგზოგენური (გარე) და ენდოგენური (შიდა) ფაქტორები.

ყველაზე უფრო არსებითი გარე ფაქტორები, რომლებზეც თვითონ ბანკებს არ შეუძლიათ გავლენის მოხდენა, შემდეგია:

ა) ქვეყანაში (რეგიონში) არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება – მთავრობის სტაბილურობა, ოპოზიციის გავლენა, საფინანსო-ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ცვლილებები, რეგიონებში არსებული სოციალური სტაბილურობა თუ დაძაბულობა, პოლიტიკური ურთიერთობები;

ბ) ქვეყანაში (რეგიონში) არსებული საერთო ეკონომიკური მდგომარეობა – ეკონომიკის რეალური სექტორის პოტენციალი, საწარმოო სიმძლავრეების განახლება, საქონელმწარმოებელთა კონკურენტუნარიანობა, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა (აქტიური/ პასიური სალდო), დარგებს შორის კაპიტალის გადადინების შესაძლებლობები, ინვესტიციები (კაპიტალის მოდინება/გადინება);

გ) საფინანსო ბაზარზე (ფედერალურ და რეგიონულ) არსებული ვითარება – რესურსების მოზიდვის საპროცენტო განაკეთი, ფულის ბაზრის და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემოსავლიანობა, ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსი, ვალუტის მოთხოვნა/მიწოდების მოცულობა, ფულის ემისია, ინფლაციის ტემპები და ინფლაციური მოლოდინები, სახელმწიფო ვალის მომსახურების მოცულობა და ღირებულება, ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ფულის მასის მიწოდება, საბანკო პროდუქტების ბაზარზე არსებული კონკურენცია;

დ) მთავრობისა და სახელმწიფო ბანკის პოლიტიკა კომერციული ბანკების მიმართ (ქვეყნის ან რეგიონის საბანკო სისტემის მიმართ).

მდგრადობის მთავარი პრობლემა, რაც ასე მწვავედ უდგათ ჩვენს ბანკებს, არის მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის და, უპირველეს ყოვლისა, მისი რეალური სექტორის არასტაბილურობა.

გარე ფაქტორებით განსაზღვრულ ფარგლებში თითოეული ბანკის მდგრადობა მისიეე ხელშია, ე.ი. დამოკიდებულია შიდა ხასიათების ფაქტორებზე – მენეჯმენტის ხარისხზე, პროფესიონალიზმზე და ა.შ.

ბანკის მდგრადობის სტრუქტურა. ბანკის მდგრადობის ეკონომიკური შინაარსი შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც რთული მოვლენა, რომელიც რამდენიმე შემადგენელ ნაწილს (მდგრადობის სახეებს) მოიცავს.

ფინანსური მდგრადობა შეგვიძლია დავახასიათოთ ბანკის საქმიანობის ისეთი ინტეგრალური ფინანსურ-ეკონომიკური პარამეტრებითა და შედეგებით, როგორიცაა საკუთარი სახსრების მოცულობა და სტრუქტურა, შემოსავლებისა და მოგების დონე, საკუთარ კაპიტალზე მოგების ნორმა, ლიკვიდობის საკმარისობა, საკუთარი კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტიანობა და დამატებული ღირებულების შექმნა, აგრეთვე, საქმიანობის ის პარამეტრები, რომლებიც ბანკის

მართვის საინფორმაციო-ანალიტიკურ და ტექნოლოგიურ მხარდაჭერას უკავშირდება.

ბანკის ორგანიზაციულ-სტრუქტურული მდგრადობა. ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი მართვა უნდა შეესაბამებოდეს როგორც ბანკის საქმიანობის მიზნებს, ისე მისი მომსახურების კონკრეტულ ასორტიმენტსა და იმ შესასრულებელ ფუნქციებს, რომელთა განხორციელებითაც თავის სტრატეგიულ მიზნებს აღწევს იგი. ბანკის ორგანიზაციულ-სტრუქტურული მდგრადობის უმნიშვნელოვანეს პარამეტრად გეელინება მისი საქმიანობის ცალკეული სახეების ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური დიფერენციაცია საქმიანობის მარეგლამენტებელი შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე.

ბანკის ფუნქციური მდგრადობა. მას ორი შესაძლო ვარიანტი აქვს: ბანკის სპეციალიზაცია, რაც მომსახურების შერჩეული ასორტიმენტის უფრო ეფექტიანად გაწევის შესაძლებლობას აძლევს ბანკს; ბანკის ფართო უნივერსალიზაცია, რისი წანამძღვარიცაა ბანკის მდგრადობის შესახებ ჩამოყალიბებული წარმოდგენა იქიდან გამომდინარე, რომ კლიენტთა უმრავლესობა ამჯობინებს საბანკო პროდუქტებზე თავის მოთხოვნილებათა მთელი ნაკრების დაკმაყოფილებას ერთ ბანკში.

ამ დასახელებულ ვარიანტებს თავიანთი უპირატესობები და ხარვეზები აქვთ. შედარებით ვიწრო სპეციალიზაცია ზედმეტად დამოკიდებულს ხდის ბანკს საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებაზე და გამორცხავს მისი საქმიანობის დივერსიფიცირების შესაძლებლობას კონიუნქტურის შეცვლის დროს; ფართო უნივერსალიზაცია იმის შესაძლებლობას უქმნის ბანკს, რომ მოახდინოს სახსრების მოზიდვის/განთავსების სტრუქტურის დივერსიფიცირება და ერთ კლიენტზე არ იყოს დამოკიდებული, მაგრამ გაწეული მომსახურების მოცულობისა და დიაპაზონის გაფართოებამ შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზაციისა და მართვის მეტისმეტად გართულება, ამის შედეგად კი ბანკის მგრძნობელობის დაკარგვა საბაზრო გარემოს მოთხოვნილებების მიმართ, მისი მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის დაქვეითება.

ბანკის კომერციული მდგრადობა. ამ სახის მდგრადობის საფუძველია საბაზრო ურთიერთობაში ბანკის მონაწილეობის მასშტაბი: საბანკო სისტემასთან ბანკის კავშირების სიმტკიცე და სიღრმე, ბანკთაშორის ურთიერთობებში ბანკის მონაწილეობა და მთლიანად საბანკო სისტემაში დაკავებული ადგილი, ქვეყნის (რეგიონის) ფინანსური ნაკადების მეტი თუ ნაკლები წილის კონტროლი, კრედიტორებთან, კლიენტებთან და მეანაბრეებთან ურთიერთობათა ხარისხი, ეკონომიკის რეალურ სექტორთან კავშირების სიმჭიდროვე, ბანკის სოციალური მნიშვნელობა (მასში აქტივებისა და კერძო ანაბრების ამა თუ იმ წილის თავმოყრა).

ბანკის კაპიტალობრივი მდგრადობა. მას განსაზღვრავს ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდეები. მისი მნიშვნელოვანი ოდენობა საკმარისი რესურსებით უზრუნველყოფს ბანკს ანაბრების დაფარვის შესახებ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, გაუთვალისწინებელი დანაკარგებისა და ვალების დასაფარავი რეზერვების შესაქმნელად, ფორს-მაჟორულ გარემოებათა დადგომის შემთხვევაში ადეკვატური ქმედებების განსახორციელებლად, მუდმივად ცვალებად გარე პირობებთან შესაგუებლად.

ბანკის მდგრადობის მართვა. მდგრადობის მართვა გულისხმობს შესაბამისი მექანიზმის შეხუშავებას და პრაქტიკულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელებას მისი მეშვეო-

ბით (იხ. ცხრილი 9.10).


ცხრილი 9.10.

ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲑᲚᲝᲙᲔᲑᲘ

მდგრადობის სახე	ბანკის მდგრადობის მართვის ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური პარამეტრები		
ფინანსური	ბანკის პროგრამულ-მიზნობრივი მართვა მისი საქმიანობის საფინანსო-ეკონომიკური ნორმატივების (შიდა და გარე) საფუძველზე, ბანკის სტრატეგიის მართვა	ბანკის საქმიანობის ანალიზი და მონიტორინგი, რისკების იდენტიფიკაცია	ეკონომიკური სარფის მიმდინარე შეფასება, ბანკის საოპერაციო ღირებულებითი ანალიზი და ტრანსფერული ფასწარმოქმნა
ორგანიზაციული	ბანკის საქმიანობის დაგეგმვა – ბანკის ქვედანაყოფების ბიზნეს-სტრატეგიები და ბიზნეს-დაგეგმვა	ბანკის ორგანიზაციული აგებულება (ხაზოვანი, დივიზიური, მატრიცული სტრუქტურა; ორიენტაცია მომსახურებაზე/კლიენტზე/ტერიტორიაზე).	ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება და ადამიანისეული კაპიტალის მართვა: მოტივაცია, მატერიალური სტიმულირება, საინოვაციო პოტენციალის გაფართოება ბანკის უნივერ-
ფუნქციური	ბანკის სპეციალიზაცია	სალიზაცია	
კომერციული	ბანკის საპროდუქტო პოლიტიკა და ბანკის საპროდუქტო მწკრივის ფუნქციურ-ტექნოლოგიური მხარდაჭერა	ბანკის კლიენტურის პრობლემებზე ორიენტირებული მენეჯმენტი და ბანკის საქმიანობის ინოვაციურ მიმართულებად მისი განვითარების კლიენტების (ბაზრის) ინდივიდუალური მოთხოვნილებათა საფუძველზე	
კაპიტალობრივი	ბანკის საკრედიტო საინვესტიციო პოლიტიკა	ბანკის საემისიო-საფონდო პოლიტიკა	


ბანკების საქმიანობა ისეთ პირობებში მიმდინარეობს, როდესაც მუდმივად იცვლება საერთო ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, საფინანსო ბაზრის მდგომარეობა, ეს კი არსებით გავლენას ახდენს საკრედიტო ორგანიზაციების ეკონომიკურ მდგრადობაზე. ამიტომ ბანკმა ძირითადი ყურადღება უნდა დაუთმოს ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებებს (ბანის რეინჟინირინგს), თავისი საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის კომპლექსურად შეფასებას (ფულის ნაკადებისა და ტრადიციული საბანკო რისკების მართვას), საინფორმაციო ანალიტიკური უზრუნველყოფისა და საფინანსო ტექნოლოგიების გაუმჯობესებას (საინფორმაციო-ანალიტიკური

და ფუნქციურ-ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას). ეს კი იმას მოითხოვს, რომ ბანკში არსებობდეს ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური, ფუნქციურ-ტექნოლოგიური და ანალიტიკური დოკუმენტების შეთანხმებული ერთობლიობა, რომელიც მისი საქმიანობის რეგლამენტირებას ახდენს და მდგრადობის (წონასწორული მდგომარეობის) მიღწევისკენაა მიმართული. ეს მიდგომა 9.1 სქემაზეა ასახული:



სქემა 9.1 ბანკის მდგრადობის მართვის ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური პარამეტრების ურთიერთკავშირი

9.2. სქემაზე წარმოდგენილია ბანკის ფინანსური საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური მართვის ბლოკები. ასეთი მართვა საშუალებას იძლევა მუდმივად იქნეს გათვალისწინებული გარემოს ცვალებადი პირობები – მართვის ობიექტის მოთხოვნილებები – და ამ გზით რეგულირდებოდეს ბანკის ორგანიზაციული, ფუნქციური და კომერციული მდგრადობა, სრულყოფილ იქნეს ფინანსური ოპერაციები, იმართებოდესფინანსური და კაპიტალობრიივ მდგრადობა.



სქემა 9.2. ბანკის ფინანსური მენეჯმენტის პოზიციონირება მისი მდგრადობის მართვის სისტემაში.

მოკლე დასკვნები

1. ბანკის ოპერაციების მთელი ერთობლიობა ორ მსხვილ ჯგუფად იყოფა – პასიურ და აქტიურ ოპერაციებად. პასიური ოპერაციების ჩატარება ბანკს თავის რეალურ მფლობელობასა და განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებს უზრდის. იგი ორი კომპლექსური ნაწილისაგან შედგება – ბანკის საკუთარი სახსრებისაგან და მოზიდული სახსრებისაგან. ბანკის საკუთარი და მოზიდული სახსრების მოცულობის გადიდებას განაპირობებს:

1. ბანკის საკუთარი კაპიტალის დაგროვების ოპერაციები;
2. სასესხო სახსრების მოზიდვის ოპერაციები;

2. ბანკის აქტიური ოპერაციების მეშვეობით კომერციული ბანკები მოიზიდავენ ფულად სახსრებს – ანაბრების მიღება, ბანკნოტების გამოშვება – და ა.შ. და აწარმოებენ მათ განკარგულებაში არსებული რესურსების განთავსებას მოგების მიღებისა და ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით. ბანკის აქტიურ ოპერაციებს მიეკუთვნება: ფირმის სამეწარმეო, სოციალური, საინვესტიციო და სამეცნიერო საქმიანობის მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაკრედიტება; ფირმის სამეურნეო საქმიანობაში ბანკების სახსრებით წილობრივი მონაწილეობა; სხვა ბანკებზე გაცემული სესხები; გარდა ამისა, ბანკის შემოსავლების შემომტანი აქტიური ოპერაციების ძირითადი სახეები შემდეგია: საფონდო ოპერაციები, საანგარიშსწორებო ოპერაციები; საინვესტიციო ოპერაციები, საკომისიო და საგარანტიო.

3. ბანკის აქტიური ოპერაციები განსხვავებულია როგორც ეკონომიკური შინაარსით, ისე მათი სარისკის თვალსაზრისით. სარისკით განსხვავებულ აქტივებს შორის რაოდენობრივ თანაფარდობას, ანუ სხვადასხვა ჯგუფის აქტივების ხვედრით წონას, მათ საერთო საბალანსო შედეგში აქტივების სტრუქტურას უწოდებენ.

4. ბანკის აქტივების ხარისხის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მათი ლიკვიდობის დონე. ლიკვიდობა ყველაზე ზოგადად არის ფასეულობებისა და აქტივების რეალიზაციის, კლავ ფულად გადაქცევის სიადვილე და სისწრაფე. ლიკვიდობა შეიძლება გავიგოთ, როგორც მარაგი ან როგორც ნაკადი. ლიკვიდობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. მათგან მთავარია:

- პასივების სტრუქტურა;
- აქტივების სტრუქტურა;
- რესურსების მოზიდვის ვადებისა და განთავსების ვადების თანაფარდობა;
- აქტიური ოპერაციების რისკიანობის დონე;
- ბანკის მართვის ხარისხი და ა.შ.

5. ბანკის აქტივების სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს ლიკვიდობის ხარისხობრივ მოთხოვნებს. ამ მიზნით ბანკის მთელი აქტივები ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით იყოფა ჯგუფებად – დაფარვის ვადებზე დამოკიდებულებით. ბანკის აქტივები იყოფა: მაღალლიკვიდურ, გრძელვადიანი ლიკვიდობის, საერთო ლიკვიდობის და ლითონებზე ოპერაციების მიხედვით ლიკვიდობის აქტივებად. აქტივების რაციონალური სტრუქტურის დადგენის დროს ბანკმა უნდა შეასრულოს ლიკვიდობისადმი ყველა მოთხოვნა ამ ვალდებულებების ვადების, თანხის და ტიპების გათვალისწინებით. იგი უნდა ასრულებდეს ელვისებური, მიმდინარე და გრძელვადიანი ლიკვიდობის ნორმატივებს.

6. პრაქტიკულად ბანკის ყველა აქტივს გარკვეული რისკი ემუქრება. ბანკმა უნდა განსაზღვროს თავისი აქტივების რისკის დონე და ისეთ დონეზე შეინარჩუნოს იგი, რომლებიც ამ მხრივ მის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას და მოქმედ კანონმდებლობას შეესაბამება. რისკი ყოველგვარი კომერციული საქმიანობის, მათ შორის საბანკო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. საბანკო საქმიანობაში რისკის შემდეგ ძირითად სახეებს განისილავენ: საკრედიტო რისკი; არალიკვიდური რისკი; საპროცენტო რისკი; ოპერატიული რისკი; ბოროტად გამოყენების რისკი.

7. ბანკის მდგრადობის ეკონომიკური შინაარსის უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებაა ბანკის სტრატეგიის შესაბამისობა იმ რეალური გარემოს ობიექტურ მახასიათებლებთან, რომელშიც მას უწევს მუშაობა და ბანკის საქმიანობის მიმდინარე პარამეტრების შესაბამისობა მის საკუთარ სტრატეგიულ მიზნებთან. ბანკების მდგრადობას განსაზღვრავს ეგზოგენური (გარე) და ენდოგენური (შიდა) ფაქტორები. ბანკის მდგრადობის ეკონომიკური შინაარსი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც რთული მოვლენა, რომელიც რამდენიმე შემადგენელ ნაწილს მოიცავს: ფინანსური მდგრადობა; ორგანიზაციულ-სტრუქტურული მდგრადობა; ფუნქციური მდგრადობა; კომერციული მდგრადობა; კაპიტალობრივი (საკუთარი კაპიტალის სიდიდეები) მდგრადობა.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

აქტივი — ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტების ნებისმიერი ქონება (ნაღდი ფული ანუ მიმოქცევაში გამოშვებული ქაღალდისა და ლითონის ფულის ერთობლიობა, მანქანა-დანადგარები, შენობა-ნაგებობები, საბანკო ანაბრები, პატენტი, ინვესტიციები, ფასიანი ქაღალდები და სხვ.), დასაღებეის პრაქტიკაში — აგრეთვე საქმიანი რეპუტაცია.

აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი — შემოსავლის მომტან ანგარიშებზე არსებული საშუალო ნაშთების შეფარდება მთელი აქტივების ანგარიშების საშუალო ნაშთებთან. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ აქტივების რა ნაწილს მოაქვს მოგება.

ბანკების აქტიური ოპერაციები — ოპერაციები, რომელთა მეშვეობითაც კომერციული ბანკები მიიზიდავენ ფულად სახსრებს — ანაბრის მიღება, ბანკსოტების გამოშვება და სხვ. — და აწარმოებენ მათ განკარგულებაში არსებული რესურსების განთავსებას მოგების მიღებასა და ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით. ბანკის აქტიურ ოპერაციებს მიეკუთვნება: ფირმების სამეწარმეო, სოციალური, საინვესტიციო და სამეცნიერო საქმიანობის მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაკრედიტება; ფირმის სამეურნეო საქმიანობაში ბანკების სახსრებით წილობრივი მონაწილეობა; სხვა ბანკებზე გაცემული სესხები.

ბანკი-კორესპონდენტი — ბანკი, რომელიც საკორესპონდენტო ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს გადასახდელებს, ანგარიშსწორებას, სხვა სახის ოპერაციებს სხვა ბანკის დავალებითა და მათ ანგარიშზე. დავალებათა შესრულებისათვის კორესპონდენტი-ბანკები ხსნიან სპეციალურ საკორესპონდენტო ანგარიშებს.

ბანკო — ფასი ან კურსი, რომლის მიხედვითაც ბანკი ფასიან ქაღალდებს ყიდულობს ან ყიდის.

გეპი — სხვაობა საპროცენტო განაკვეთებისადმი მგრძნობიარე აქტივებსა და საპროცენტო განაკვეთებისადმი მგრძნობიარე პასივებს შორის დროის მოცემული შუალედისათვის. გეპის მართვის დაცვითი სტრატეგია მიმართულია იქითკენ, რომ შეასუსტოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის გავლენა ბანკის მომგებიანობაზე.

დებიტორები — დავალიანების მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი.

დებიტორული დავალიანება — ვალი, რომელიც ეკუთვნის ფირმას იურიდიული ან ფიზიკური პირისგან და წარმოიქმნება მათ შორის სამეურნეო ურთიერთობის საფუძველზე.

დეპოზიტორი — დეპოზიტის მფლობელი; ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც ორგანიზაციამ უნდა გადაუხადოს ფულის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც მას რაიმე მიზეზის გამო ადრე არ ჰქონდა მიღებული.

დეპოზიტური ბანკები — ბანკები, რომლებიც ახორციელებენ საბანკო ოპერაციებს ძირითადად დეპოზიტების (ანაბრების) მოზიდვის ხარჯზე.

დეპოზიტური ოპერაციები — საკრედიტო დაწესებულებების, ბანკების ოპერაციები ფულადი სახსრების მოზიდვის მიზნით ანაბრების სახით და ამ ანაბრების განთავსება, ე.ი. ფულადი სახსრების დაკრედიტება მიღებული დეპოზიტების ხარჯზე.

დეპოზიტური სერთიფიკატი — დოკუმენტი, რომელიც მოწმობს ფულადი სახსრების ჩადებას, მათ მოთავსებას დეპოზიტზე ბანკში. ანაბარი დეპოზიტურ სერთიფიკატზე თავსდება ბანკის მიერ სარგებლის განაკვეთის გამოცხადებისას, მაგრამ არამყარი ფინანსური სიტუაციისა და ინფლაციის მაღალი დონის პირობებში სარგებლის სტაბილურობა გარანტირებული არ არის. ანსხვავებენ: ა) მოკითხვამდე დეპოზიტურ სერთიფიკატს, რომლის მეშვეობითაც ფულის მიღება ბანკიდან ნებისმიერ დროს შეიძლება; ბ) ვადიან დეპოზიტურ სერთიფიკატს, რომლის დროსაც ფულის მიღება შეიძლება განსაზღვრულ ვადაში.

დიურაცია — სანგრძლივობის ანალიზი გამოიყენება იმ ნაღდი თანხების ნაკადის საშუალო

შეწონილი ხანგრძლივობის გამოსათვლელად, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. დიურაცია, აქტივ-პასიების სხვა ფასში გადაანგარიშების მონაცემებზე დაყრდნობით და შერჩეული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, იძლევა საპროცენტო განაკვეთის რისკის უფრო ზუსტი შეფასების შესაძლებლობას. დიურაციის მეშვეობით აღირიცხება ის, თუ როგორ იცვლება ბანკის სახსრების ღირებულება გარკვეული დროის მონაკვეთში. ამ დროს გამოითვლება მომავალი ფულადი ნაკადის ახლანდელი ღირებულება, რის საშუალებითაც შესაძლებელია სწორად შეჯამდეს შეუსაბამობა აქტივ-პასიების სხვა ფასში გადაანგარიშებისას, ანუ გეპი.

ინსაიდერი – ნებისმიერ პირი, რომელიც დაშვებულია ფირმის საქმიანობის კონფიდენციალურ ინფორმაციებზე თავისი სამსახურებრივი მდგომარეობისა და ნათესაური კავშირების წყალობით.

კრედიტების სადეპოზიტო ბაზის გამოყენების კოეფიციენტი – ანგარიშობენ კრედიტებზე საშუალო დაყალიანების შეფარდებით სადეპოზიტო ანგარიშების საშუალო ნაშთებთან.

ლიზინგი – კომერციული საქმიანობის ფორმა, საარენდო ოპერაციების ნაირსახეობა, რომელიც გულისხმობს მანქანების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, წარმოებითი დანიშნულების ნაგებობების გრძელვადიან არენდას 3-დან 9 წლამდე ან ზოგჯერ უფრო ხანგრძლივი ვადით (10-დან 15 წლამდე). ფირმა-არენდატორი თანდათანობით ფარავს დაყალიანებას მოწყობილობათა გამოყენების მიხედვით. ლიზინგო კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ არენდატორს შეუძლია შეიძინოს მოწყობილობები დარჩენილი ღირებულების გადახდის კვალობაზე, დადოს ახალი შეთანხმება ან მატერიალური ფასეულობები დაუბრუნოს ლიზინგო კომპანიას.

სპრედი – 1. ფიუჩერსული კონტრაქტების იმავდროული ყიდვა და გაყიდვა ერთსა და იმავე საქონელზე მიწოდების სხვადასხვა ვადით; 2. ერთი ტიპის ოფციონების იმავდროული ყიდვა და გაყიდვა სხვადასხვა ფასში ან ვადის გასვლის სხვადასხვა პერიოდში;

სპრედერი – ბირჟის ვაჭარი, რომელიც ყიდულობს და იმავდროულად ყიდის ფიუჩერსულ კონტრაქტებს დროის სხვადასხვა პერიოდით.

ფაქტორინგი – სავაჭრო-საკომისიო ოპერაციების ნაირსახეობა, შერწყმული კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან, რომლის დროსაც სპეციალიზებული კომპანია – ფაქტორ-კომპანია იძენს კლიენტის დებიტორულ დაყალიანებას, რათა შემდეგში გადაახდევინოს იგი მევალეს. უფრო ხშირად ფაქტორ-კომპანია იძენს კლიენტის ანგარიშ-ფაქტურას იმ პირობით, რომ მიწოდების ღირებულების 20%-მდე გადაიხადოს დაუყოვნებლივ, დარჩენილი ნაწილი – მკაცრად დადგენილ ვადაში. კლიენტი მიღებულ კრედიტზე პროცენტის გარდა იხდის საკომისიოს წლიური საბრუნავი თანხის 0,75-4%-ის ოდენობით. ფაქტორინგი აჩქარებს კლიენტის კაპიტალის ბრუნვას და აფართოებს საბანკო კრედიტის მიზიდვის შესაძლებლობებს.

ფაქტორ-კომპანია – კომპანია, რომელიც სპეციალიზებულია ფაქტორინგის ოპერაციებზე. გარდა საკრედიტო მომსახურებისა, ფაქტორ-კომპანიები ეწევიან საბუღალტრო, საკონსულტაციო, სარეკლამო, საინფორმაციო, სადაზღვევო, იურიდიულ და ა.შ. მომსახურებას.

ფულადი ბაზრის დეპოზიტური ანგარიში – ანგარიში, რომელსაც ბანკები და შემნახველი დაწესებულებები სნიან საინვესტიციო ფონდების აქციების მხრიდან კონკურენციის საპასუხოდ. ასეთ ანგარიშზე ბანკები და შემნახველი დაწესებულებები უფრო მაღალ სარგებელს გასცემენ, ვიდრე მიმდინარე ანგარიშებზე.

შეწონილი საკლასიფიკაციო მაჩვენებელი – გაიანგარიშება აქტივების შესაბამისი ჯგუფის თანხის გამრავლებით რისკის კოეფიციენტზე. მას იყენებენ გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი ზარალის გასაანგარიშებლად და საკრედიტო ოპერაციებზე შესაძლო დანაკარგების შემთხვევაში რეზერვის შესაქმნელად.

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1) ჩამოაყალიბეთ კომერციული ბანკის აქტიური ოპერაციების განსაზღვრა.
2) რა არის ბანკის აქტივების ძირითადი სახეები?
3) რომელი აქტივებია, რომლებსაც მოგება მოაქვთ?
4) რაში მდგომარეობს აქტივების მართვის სტრატეგია?
5) ჩამოაყალიბეთ აქტივების და პასივების ერთობლივი მართვის სტრატეგია.
6) რა არის ლიკვიდობის მართვის სტარატეგია?
7) რა არის წმინდა პროცენტული მარჟა და როგორ ტარდება მისი ანალიზი?
8) დაახასიათეთ სპრედის მართვის კონცეფცია.

რეკომენდებული ლიტერატურა

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 1999.

ეკონომიკური ლექსიკონი. აეტ. კოლ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით. თბ., 2000.

კაკულია რ. ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2002.

კოზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., თსუ, 2001.

კომპტონი ერიკ ნ. კომერციული საბანკო სისტემის ახალი ჰორიზონტები. თარგმანი. თბ., 1993.

დ. ჯოუნს კ. საბანკო და საფინანსი რეფორმების ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ბენკერი. 1996

როდე ე. ბანკები. ბირჟები და სავალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში. თარგმანი რ. ნამიჭეიშვილის. ქუთაისი, „სარანგი“, 1993.

ქისტაური ლ. ეროვნული ბანკი (ფორმირება, საქმიანობა, მომავალი) თბ., „სამთავისი“, 1996.

ქისტაური ლ., ქისტაური შ. საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები. თბ., „სამთავისი“, 1997.

ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

ხელაია გ. ფული. ბანკები და ბირჟები. თბ., „სამთავისი“. 1996.

ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხები. თბ., „ლამპარი“, 1993.

Синки Дж.Ж. (мл.), Управление фонансами в коммерческих банках: пер. с англ.-ого. 4-го переработонного изд..под ред. **Р. Я. Левиты, Б.с. Пинскера.** М.: Catallaxy, **1994.**

Бакстер Н., Беррел Т. Банковское дело _ стратегическое управление. М., изд. АО Консалбанкир, 1998.

მეათე თავი. კომერციული ბანკების შემოსავლები, ხარჯები და მოგება

ტერმინები და ძირითადი ცნებები
10.1. ბანკების შემოსავლები:წყაროები, კლასიფიკაცია, დონის შეფასება და დაგეგმვა
10.2. კომერციული ბანკების ხარჯები
10.3. საპროცენტო მარჟა
10.4. კომერციული ბანკების შემოსავლებისა და გასაელების დონის ანალიზი
10.5. შემოსავლებისა და ხარჯების ფაქტორული ანალიზი
10.6. კომერციული ბანკის მოგების ფორმირება და გამოყენება
10.7. კომერციული ბანკების მოგების დონის შეფასება
10.8. ბანკის ფინანსური ანალიზი, მისი მიზნები და მეთოდები
მოკლე დასკვნები
ტერმინების და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდირებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

დიუპონის სისტემა
ლევერეჯი: „ბერკეტის პრინციპი“
მარჟა
მარჟა დაკრედიტების
მიმოქცევაში არსებული ფული
მოგება
პროლონგაცია
პროლონგაციური გარიგებები
ჟიროცენტრალი
საბაზისო პუნქტი
სპრედი
წმინდა მოგება

ბანკის, როგორც კომერციული ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიზანია მოგების მიღება. პრაქტიკული (ბუღალტრული) თვალთახედვით ორგანიზაციის მოგება წარმოადგენს დადებით სხვაობას მის შემოსავალსა და გასავალს შორის. ამით აიხსნება მოცემულ თავში განხილულ საკითხთა თანმიმდევრობა.

10.1. ბანკის შემოსავლები: წყაროები, კლასიფიკაცია, დონის შეფასება და დაგეგმვა

ბანკის შემოსავლების წყაროები. ზოგადად, ამგვარ წყაროებს ძირითადად უნდა მოვაკუთვნოთ მოცემული დროისათვის ბანკების საქმიანობის (ბიზნესის) ყველა მიმართულება, უფრო სწორად, მათ შიერ გატარებული ყველა აქტიური ოპერაცია, ასევე საწილობრივ პასიურიც. კონკრეტულ სიტუაციაში ცალკე აღებულ ბანკს შეუძლია აირჩიოს განვითარების ისეთი სტრატეგია, რომელიც ვარაუდობს ან უშვებს მისი ერთი ან რამდენიმე აქტიური და/ან პასიური ოპერაციების მუდმივ ან დროებით გატარებას უშუალოდ ამ ოპერაციებიდან შემოსავლის მიღებაზე გაუთელელად.

ძირითად წყაროებთან ერთად არის, აგრეთვე, შემოსავლის დამატებითი წყაროებიც. ეს და სხვა წყაროები შეიძლება იყოს სტაბილური ან არასტაბილური. შემოსავლის ყველა წყარო ბანკმა უნდა განიხილოს როგორც მხოლოდ და მხოლოდ პოტენციური („თავისთავად", ანუ ავტომატურად არარეალიზებადი, არაგარანტირებული).

ბანკის შემოსავლების სახეები. ბანკის შემოსავლები შეიძლება დაიყოს შემდეგ ეკონომიკურ ერთგვაროვან ჯგუფებად:

I. **შემოსავლები პასიური ოპერაციებიდან, რომელსაც ბანკი იღებს (შეიძლება მიიღოს) საკომისიო გასამრჯელოს (კომისიების) ფორმით, კერძოდ:**

– ანგარიშის გახსნისათვის, რომელზედაც ახალ კლიენტს შემოაქვს ანაბარი (დეპოზიტი)

– ანგარიშის წარმოებისათვის (ანგარიშიდან საანგარიშსწორებო და სავადასახადო ოპერაციების გატარებისათვის);

– კლიენტებისათვის მისი ანგარიშებიდან ამონაწერის გაცემისათვის;

– ნაღდი ფულის გაცემისათვის;

– ანგარიშების დახურვისათვის.

მოცემული სახის საკომისიო შემოსავლები შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლებად ბანკის საოპერაციო (ძირითადი) საქმიანობიდან.

II. **შემოსავლები აქტიური ოპერაციებიდან.** ისინი, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს საოპერაციო და სხვა (არასაოპრაციო) შემოსავლებად.

საოპერაციო შემოსავლები (შემოსავლები საოპერაციო საქმიანობიდან) მოიცავენ:

■ **საპროცენტო შემოსავლებს** – ბანკის მიერ მიღებული პროცენტები:

– გაცემულ კრედიტებსა და სესხებზე (ბანკს ამავდროულად შეუძლია მიიღოს საკომისიოც);

– დეპოზიტებზე, რომლებიც მან განათავსა სხვა ბანკებში, მ.შ. ცენტრალურში (სხვა კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე ბანკის სახსრებზე პროცენტის ჩათვლით);

– ბანკის მიერ შეძენილი სხვა ემიტენტების სავალო ფასიან ქაღალდებზე;

– სალიზინგო ოპერაციებზე (ბანკი ამავდროულად იღებს სალიზინგო გადასახადებს და საკომისიოებს);

– სხვა აქტიურ ოპერაციებზე.

■ **არასაპროცენტო შემოსავლებს** – ბანკის მიერ მიღებული შემოსავლები:

– ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან;
ნდობითი მართვის ოპერაციებიდან;

– სხვა იურიდიული პირების საქმიანობაში წილობრივი მონაწილეობიდან (ბანკის მიერ მიღებული დივიდენდები მისი კუთვნილი აქციებიდან ან ამ პირთა პაიდან);

სხვა შემოსავლებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

■ **ბანკის საინფორმაციო, სასწავლო, საკონსულტაციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები;**

■ **გაუთვალისწინებელი, შემთხვევითი (არარეგულარული) ხასიათის შემოსავლები:**

– შემოსავალი ბანკის ქონების რეალიზაციიდან. შემოსავალი იქმნება იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ქონების საბაზრო ფასი მეტი იქნება მის საბალანსო ღირებულებაზე; წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღება გასავალი, რომელიც ზარალის ტოლფასი იქნება;

– შემოსავალი ბანკის კუთვნილი ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ზოგიერთი სხვა აქტივების ხელახალ შეფასებაში დადებითი საკურსო სხვაობის სახით (იგივე დაზუსტებით, რაც მოცემულია წინა პუნქტში);

– ბანკისათვის ადრე მიღებული ზარალის ანაზღაურების თანხა;

– საანგარიშო წელს გამოელენილი წინა წლის მოგება;

– შემოსავლები ბანკის მიერ კრედიტის უზრუნველსაყოფად მიღებული გირაოს რეალიზიციიდან;

– ბანკისათვის დაბრუნებული თანხები (ზარალისათვის ჩამოწერილი კრედიტის თანხები, ბანკისაგან დაუსაბუთებლად დაკავებული გადასახადები და ა.შ.);

– ბანკის მიერ მიღებული ჯარიმები, პენი, პირგასამტეხლოები.

უნდა აღინიშნოს, რომ ბუღალტრულ აღრიცხვაში ბანკის შემოსავლების ზოგიერთი სახე მიეკუთვნება არა შემოსავლების აღრიცხვის ანგარიშებს, არამედ პიდაპირ საანგარიშო პერიოდის მოვების და ზარალის აღრიცხვის ანგარიშს.

შემოსავლების ანალიზი და რეგულირება. ამ გაგებით ბანკის წინაშე მდგარი ამოცანები შეიძლება ორ ძირითად პუნქტად ჩამოვაყალიბოთ:

პირველი, აუცილებელია ერთობლივი შემოსავლების ფაქტობრივი მოცულობისა და სტრუქტურის რეგულარული შეფასება რამდენიმე წლის დინამიკაში, მათ სხვადასხვა სახეებს შორის თანაფარდობების განსაზღვრა, ასევე შემოსავლის ყოველი სახის ხვედრითი წილის განსაზღვრა ერთობლივი შემოსავლების საერთო თანხასა და შემოსავლების შესაბამის ჯგუფში, დადგენა იმ ოპერაციებისა, რომლებიც უზუნველყოფენ ბანკის შემოსავლების ძირითად მასას სტაბილური წყაროების ხარჯზე, და ამ წყაროების გამოყენების შესაძლებლობა თვალმისაწვდომ პერსპექტივაში. ამ თვალსაზრისით, ბანკის ნორმალური მუშაობის საბუთად შეიძლება ჩაითვალოს ძირითადი (საოპერაციო) საქმიანობიდან შემოსავლების ზრდის ტემპების და სიდიდის აშკარა დამოკიდებულება უმთავრესად სტაბილურ (არა შემთხვევით და არა სპეკულაციურ) წყაროებზე.

მეორე, ბანკის ხელმძღვანელობამ რეგულარულად უნდა დააზუსტოს მისი საქმიანობის (ოპერაციების, პროდუქტების) რომელი მიმართულება შეიძლება ჩაითვალოს გეგმიურ პერიოდში მაქსიმალური შემოსავლიანობის უზრუნველყოფის პოზიციიდან უფრო მნიშვნელოვნად მაქსიმალური შემოსავლიანობის გამომუშავების მექანიზმებში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომერციული ბანკების შემოსავლების წყაროებად სხვადასხვა სახეობის ბიზნესი გვევლინება. საბანკო ბიზნესის ელემენტებია: სასესხო ბიზნესი, დისკონტ-ბიზნესი, ფასიან ქაღალდებზე აგებული ბიზნესი, ბიზნესი, რომელიც ეყრდნობა ანაბრების მიღებას და მეანაბრეთა დავალებით ოპერაციების შესრულებას, სხვა ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობებს, არაბრაკიციული საბანკო მომსახურების გაწევას.

სასესხო ბიზნესი ორ ელემენტს მოიცავს: კლიენტებისთვის (იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის) სესხების მიცემას და სხვა კომერციული ბანკებისთვის დროებით სარგებლობაში თავისუფალი სასრსრების გადაცემას პროცენტით. სასესხო ბიზნესის მეორე ნაწილს შესაძლოა ჰქონდეს ბანკთაშორისი კრედიტის ან სხვა ბანკში ვადიანი დეპოზიტის ფორმა. თავისუფალი რესურსების გაყიდვის სახით სასესხო ბიზნესის განვითარების პირობაა საკრედიტო დაწესებულებებს შორის ოპერატიული კავშირის ხაზების არსებობა, იმ საიმედო შუამავლების გაჩენა, რომლებიც ბანკების ბაზარზე რესურსების გადანაწილებაზე არიან დასპეციალებული, აგრეთვე საკორესპონდენტო ანგარიშების უსარიანად მართვა.

დისკონტ-ბიზნესი ეყრდნობა გაუნაღდებელი თამასუქების, ჩეკებისა და მოთხოვნების შეძენის (ბანკის მიერ) ოპერაციებს გარკვეული ფასდაკლებით-დისკონტით. დისკონტ-ბიზნესის სახესხვაობაა ბანკის ფაქტორინგული ოპერაციები. ისინი შეიძლება ორგვარი იყოს: რეგრესის უფლებით (ბრუნვით) და რეგრესის უფლების გარეშე (ბრუნვის გარეშე). პირველ შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს სასრსრების მიმღებისგან (მიმწოდებლებისგან) ამოიღოს გადამხდელის მიერ დაუფარავი ვალდებულება. მეორე შემთხვევაში ბანკს ამის უფლება არა აქვს და ამიტომ იგი უფრო მეტ რისკს ეწევა და უფრო სოლიდურ ჯილდოსაც ითხოვს. ფაქტორინგული ოპერაციის გამო ბანკისთვის მიცემული ჯილდო ამცირებს გაყიდული პროდუქციიდან მიმწოდებლის მიერ მიღებულ შემოსავალს და ამ პროდუქციიდან ფასის ჩამოკლებას წარმოადგენს. ფაქტორინგული ოპერაციის ტექნოლოგია იმაში მდგომარეობს, რომ ბანკი საკორესპონდენტო ანგარიშიდან იხდის შეძენილ გადაუხდელ მოთხოვნას და გადახდის თანხას აწერს ანგარიშს „ბანკის ანგარიშსწორება

ფაქტორინგული და ფორფეიტინგური ოპერაციების მიხედვით".

გადამხდელისგან ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე ფულის სრული (მოთხოვნის ოდენობის) თანხის შემოსვლისას მას სამი მიმართულებით ანაწილებენ: დებიტორული დავალიანების დაფარვა (ფაქტორინგული ოპერაციების მიხედვით ანგარიშსწორების ანგარიშის სალდო), დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა და ბანკის შემოსავლის ფორმირება (დისკონტის თანხა დღგ-ს გამოკლებით).

შენახვის ბიზნესი ეყრდნობა სატრასტო (მინდობილ) და სააგენტო მომსახურებას, რომლებსაც საბანკო ოპერაციებიც შეესაბამება. ეს ბიზნესი ბანკს შემოსავალს აძლევს კლიენტის ქონების (უძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდების, ანგარიშზე მოთავსებული სახსრების) მართვისათვის ან ამ ქონებასთან დაკავშირებული ცალკეული კონკრეტული ოპერაციების შესრულებისთვის-გადახდილი კომისიის ფორმით. მაგალითად, სატრასტო ხელშეკრულების საფუძველზე ბანკი კისრულობს კლიენტის ფულადი სახსრების განთავსების და მისთვის გარკვეული დონის მქონე შემოსაელის უზრუნველყოფის ვალდებულებას. სააგენტო მომსახურების დროს კლიენტს მკაფიოდ აქვს დათქმული თავისი სახსრების განთავსების ოპერაციების შინაარსი. სატრასტო ოპერაციების დროს რისკი უფრო მეტად იმას უკავშირდება, რომ კლიენტის შემოსავალი (რომელსაც ხელშეკრულება განაპირობებს) შეიძლება ნაკლები იყოს ბანკის შემოსაველზე. ამის შესაბამისად, სატრასტო მომსახურებისთვის კუთვნილი კომისიაც უფრო მაღალია, ვიდრე სააგენტო ოპერაციების დროს. ეს თავისებურება განსაზღვრავს კიდეც სატრასტო მომსახურებისთვის გაცემული ჯილდოს სტრუქტურას. ამ ჯილდოში, ჩვეულებრივ, შედის ფიქსირებული ჯილდო ქონების მართვისთვის და ჯილდო მუშაობის შედეგებისთვის, თუ სატრასტო ოპერაციიდან მიღებული შემოსავალი იმაზე მეტია, ვიდრე კლიენტის სახელშეკრულებო შემოსავალი და ბანკის ფიქსირებული ჯილდო.

ფასიან ქაღალდებზე აგებული ბიზნესი შედგება შემდეგი ელემენტებისგან: ფასიანი ქაღალდების გამოშვება თვით ბანკის მიერ და მათი რეალიზაცია ბაზარზე, ფასიანი ქაღალდების განთავსება დავალებით, სხვა ელემენტების დაბანდება ფასიან ქაღალდებში მუდმივი შემოსაელის მიღების ან გადაყიდვის მიზნით, პრივატიზების ხაზით მომსახურების გაწევა. ამგვარი კომერციის დროს ბანკის შემოსავალს აყალიბებს საკურსო განსხვავება ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დროს, დივიდენდები, საპროცენტო შემოსავალი სახელშეკრულებო ვალდებულებების მიხედვით, ფასიანი ქაღალდების გადაყიდვით მიღებული შემოსავალი (სპეკულაციური შემოსავალი), პრივატიზაციის დროს გაწეული მომსახურებისთვის მიღებული საკომისიო ჯილდო, ფასიანი ქაღალდების განთავსების დროს მიღებული ჯილდო და ა.შ. ფასიანი ქაღალდების პაკეტის რეგულარულად გადაფასებასთან დაკავშირებით ბანკის შემოსავალს აყალიბებს, აგრეთვე, ამ გადაფასების დადებითი განსხვავებები.

ბანკის საგარანტიო საქმიანობა იძლევა პირდაპირი ფულადი ფორმის მქონე შემოსავალს ან უკავშირდება განშეულებულ სარფს. თავისი კლიენტებისთვის ამა თუ იმ ფორმის მქონე გარანტიებისა და თავდებობის მიცემისთვის (მათ მიერ ანგარიშსწორების განხორციელების ან კრედიტების მიღების საქმეში) ბანკს შეუძლია მიიღოს ფულადი ფორმის მქონე საკომისიო ჯილდო. შესაძლებელია უფასო საგარანტიო საქმიანობაც, როდესაც კლიენტი ხელსაყრელია ბანკისთვის იმიჯის შენარჩუნების, სარფიანი მომსახურების მიღების და ა.შ. თვალსაზრისით.

ანაბრების მოზიდვასთან და მეანაბრეების დავალებით ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული ბიზნესი შესაძლებლობას აძლევს ბანკს შემდეგი ფორმებით მიიღოს მოგება:

საკომისიო ჯილდო:

ა) ანგარიშის გახსნისთვის;

ბ) ანგარიშის წარმოებისთვის;

ფიქსირებული კომისია გარკვეული პერიოდისათვის (ფულის ერთეულებში);

- ბრუნვიდან მიღებული კომისია (ბრუნვის %);

გ) ანგარიშის მიხედვით ჩატარებული ოპერაციების შესახებ ამონაწერის გაცემა;

დ) ანგარიშის დახურვა;

ე) ნაღდი ფულის გაცემის ან ანგარიშსწორების ხასიათის მქონე ოპერაციების განხორციელება.

ბიზნესის განხილული მიმართულებებიდან ბანკის მიერ მიღებულ შემოსავალს შესაძლოა აყალიბებდას ყველა ან ზოგიერთი ჩამოთვლილი ჯილდო.

შემოსაელის წყარო შეიძლება იყოს საკორესპონდენტო ურთიერთობები, როდესაც ბანკი პროცენტს იღებს სხვა ბანკში ან ბანკების გაერთიანებაში საკორესპონდენტო ანგარიშზე არსებული საკრედიტო სალდოდან. შემოსავალი დამოკიდებულია საპროცენტო განაკეთის სიდიდეზე, პროცენტის დარიცხვის წესზე, საკრედიტო სალდოს ოდენობასა და სანგრძლიობაზე.

არატრადიციული მომსახურებიდან ბანკის შემოსავალს აყალიბებს სალიზინგო, საინფორმაციო, საკონსულტაციო მომსახურებიდან, კლიენტების სწავლებიდან და ა.შ. მიღებული შემოსავალი. სალიზინგო ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავალში შედის ლიზინგის გადასახადი, საპროცენტო გადასახადი და მომსახურების გაწევისთვის მიღებული კომისია.

არაორდინარული (გაუთვალისწინებელი) შემოსაელები ბანკის ქონების რეალიზაციაზე დადებულ ერთჯერად გარიგებებთან დაკავშირებით. ამ შემოსავალს აყალიბებს საბაზრო ფასის გადამეტება საბალანსო შეფასებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ოპერაციები უკავშირდება ხარჯებს, რომელიც ბანკის პირდაპირ ზრდას ქმნის.

ამგვარად, კომერციული ბანკის მთელი შემოსაელები შეგვიძლია ფორმის მიხედვით სამ ჯგუფად დავყოთ: 1) საპროცენტო შემოსავალი; 2) საკომისიო ჯილდოს ფორმის მქონე შემოსავალი; 3) სხვა სახეობები (ბაზარზე ჩატარებული სპეკულაციური ოპერაციებიდან მიღებული შემოსაელები, გაყიდული ქონების საბალანსო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა, ფასიანი ქაღალდების და სხვა აქტივების გადაფარვა, მიღებული ჯარიმები, საურავები, პირგასამტეხლოები, დისკონტური შემოსავალი).

საპროცენტო შემოსავალი შესაძლოა შერწყმული იყოს კომისიასთან. მაგალითად, საკრედიტო ოპერაციების დროს ბანკი შეიძლება ერთდროულად იღებდეს საპროცენტო გადასახადსაც და კომისიასაც. შესაძლოა გაერთიანდეს რამდენიმე მომსახურებისთვის მიღებული კომისიები. მაგალითად, სესხის ორგანიზებისთვის ან ობლიგაციების განთავსებისთვის მიღებული კომისია შესაძლოა მოიცავდეს კონსულტაციის საზღაურსაც. ამ საზღაურს ბანკი მხოლოდ მაშინ მიიღებს, თუკი გარიგება შედგება.

ყველა ჩამოთვლილი ფორმით გაწეული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავლებმა უნდა აანაზღაუროს ბანკის ხარჯები, დაფაროს რისკები და შექმნას მოგება. შემოსავლების მეორე საერთო ნიშან-თვისებაა მათი ფასიანი ხასიათი. ბანკების, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ბაზარზე ფასს მოთხოვნა და მიწოდება აყალიბებს.

სასესხო პროცენტი დროებით სარგებლობისათვის ნასესხები ღირებულების ერთგვარ ფასად გვევლინება. სასესხო პროცენტის კლასიფიკაცია ეყრდნობა კრედიტის ფორმებს (კომერციული კრედიტი, საბანკო, სამომხმარებლო და ა.შ.), საკრედიტო დაწესებულებების სახეობებს (ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო პროცენტი, საბანკო, სალომბარდო), სესხების ვადებს (მოკლევადიანი სესხების ანუ ფულის ბაზრის განაკეთების მიხედვით, გრძელვადიანი სესხების ან ობლიგაციური სესხების განაკეთების მიხედვით), სესხების სახეობებს (პროცენტი საბრუნავ სასრებში გამოყენებული სესხებისთვის, ოვერდრაფტისთვის, თამასუქების აღრიცხვისთვის, მიზნობრივი სესხებისთვის და ა.შ.), ოპერაციათა სახეობებს (პროცენტი სესხებისთვის, ბანკთაშორისი კრედიტებისთვის, დეპოზიტური), დარიცხვის წესის მიხედვით (უბრალო და რთული პროცენტები, ჩვეულებრივი და ზუსტი და ა.შ.).

სახეობისგან დამოუკიდებლად, სახელშეკრულებო სასესხო პროცენტი ყალიბდება საკრედიტო რესურსების ფასისა და მოცემული კომერციული ბანკისთვის აუცილებელი მარჟის საფუძველზე. ამასთან, საკრედიტო რესურსების ფასს რეალურს უნდა ითვალისწინებდნენ და არა საბაზროს (რესურსების მოზიდვის ფასს). რესურსების რეალური ფასის გადახრას საბაზრო ფასისგან განსაზღვრავს საუალდებულო რეზერვების ნორმა, ბანკის საპროცენტო ხარჯის თვითღირებულებაზე მიწერის წესით და დაბეგვრის მოქმედი სისტემა. ბანკისთვის საკმარისია საპროცენტო მარჟამ დაფაროს საერთო საბანკო ხარჯები და შექმნას მოგება. გარდა ამისა, პროცენტი ხელშეკრულებით უნდა ითვალისწინებდეს ინფლაციის ტემპებს და ბანკის რისკებს.

კომისია საბანკო ოპერაციისთვის (მომსახურებისთვის) გადახდილი ჯილდოა, რომლის სახელწოდებაც ლათინური „comissio"-დან (დავალება) მოდის. მისი სიდიდის განსაზღვრას საფუძვლად უდევს მომსახურების თვითღირებულება და აუცილებელი მოგება. მაგრამ მოცემული სახეობის მომსახურების ბაზარზე არსებულ მოთხოვნიდან და მიწოდებიდან გამომდინარე კომისია (ტარიფი) შეიძლება მეტი ან ნაკლები იყოს თვითღირებულებაზე. მომსახურების ფაქტობრივი თვითღირებულების და საბაზრო ფასიდან მისი გადახრის რეგულარული კონტროლი იძლევა მომსახურების თვითღირებულების შემცირების და მომსახურების განვითარების ღონისძიებათა შემუშავების შესაძლებლობას.

შემოსავლების კლასიფიკაციას შესაძლოა საფუძვლად ედოს აღრიცხვის მიღებული სისტემა. ანგარიშთა მოქმედი გეგმის შესაბამისად, პირველი რიგის 62-ე საბალანსო ანგარიშთან ხსნიან მეორე რიგის რამდენიმე ანგარიშს. გარდა ამისა, ცალკეა გახსნილი 63 პირველი რიგის საბალანსო ანგარიში – „შემოსავლები კომერციული სექტორიდან" და 64 ანგარიში – „საკომისიოები და შემოსაელები გაწეული მომსახურების მიხედეით" ამ ანგარიშების გამოყოფას საფუძვლად უდევს შემოსაელის ბუნება, რომელსაც ოპერაციის ხასიათი ან ფულის ბაზრის ინსტრუმენტის სახეობა განსაზღვრავს. შემოსავლების აღრიცხვის ამგვარი სისტემის შესაბამისად შეგვიძლია გამოვყოთ მათი შემდეგი სახეობები: 1) კრედიტების მიცემისთვის მიღებული შემოსაელები; 2) ფასიან ქაღალდებზე წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები; 3) უცხოურ ვალუტაზე და სხვა სავალუტო ფასეულობებზე წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები; 4) მიღებული დივიდენდები; 5) შემოსავლები ბანკების ორგანიზაციების მიხედეით; 6) მიღებული ჯარიმები, საურავები და პირგასამტეხლოები; 7) სხვა შემოსავლები და ა.შ. მეორე რიგის ყოველ საბალანსო ანგარიშთან ხსნის ანალიტიკური აღრიცხვის ანგარიშებს, რომელთა მეშეობითაც გამოყოფენ შემოსავლებს კონტრაჰენტების (გადამხდელების), ფორმის, სტაბილურობის ხარისხის მიხედვით.

იმ პერიოდზე დამოკიდებულებით, რომელსაც შემოსავლების მიღება ეკუთვნის, ისინი იყოფა მიმდინარე პერიოდის შემოსავლებად და მომავალი პერიოდების შემოსავლებად.

შემოსავლის წყაროებს ყოფენ სტაბილურ და არასტაბილურ წყაროებად. შემოსავლის შედარებით სტაბილურ წყაროებს ეკუთვნის საპროცენტო შემოსავალი და საბანკო მომსახურებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავალი, ხოლო არასტაბილურს – ფასიან ქაღალდებზე მეორად ბაზარზე განხორციელებული ოპერაციებიდან და გაუთვალისწინებელი (არაორდინალური) ოპერაციებიდან მიღებული შემოსაელები. ჩვენს პირობებში მრავალ ბანკს შეუძლია არასტაბილური წყაროების ჯგუფში მოაქციოს სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები. ბანკის განვითარების სასურველი მიმართულებაა სტაბილური წყაროების ხარჯზე მიღებული შემოსავლების ზრდა და წმინდა მოგების ზრდაზე შემოსაელის არასტაბილური წყაროების მნიშვნელოვანი გაელენის უქონლობა.

10.2. კომერციული ბანკის ხარჯები

კომერციული ბანკების ხარჯები შეგვიძლია დაეაჯგუფოთ სასიათის, ფორმისა და აღრიცხვის წესის მიხედვით, იმ პერიოდის მიხედვით, რომელსაც მათ მიაკუთვნებენ, დასაბეგრ ბაზარზე მათი ზემოქმედების მიხედვით და შეზღუდვის წესის მიხედვით.

სასიათის მიხედვით ბანკის სარჯებს ექვს ჯგუფად ყოფენ: საოპერაციო, ბანკის სამეურნეო საქმიანობის უზრუნველმყოფი, ბანკის პერსონალის ხელფასის, გადასახადების გასტუმრების, სპეციალურ რეზერვებში გადარიცხვის და სხვა ხარჯები.

საოპერაციო ხარჯებს ეკუთვნის, პირველ რიგში, პროცენტების გადახდა ბანკის მიერ სადეპოზიტო და საკრედიტო ოპერაციების საფუძველზე მოზიდულ რესურსებზე და ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე. მეორე, კომისია, რომელსაც ბანკი იხდის ფასიან ქაღალდებზე და უცხოურ ვალუტაზე წარმოებულ ოპერაციებზე, საკასო და საანგარიშსწორებო ოპერაციებზე და ინკასაციისთვის. მესამე, სხვა საოპერაციო ხარჯები (დისკონტური ხარჯები თამასუქებზე, ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტით მოცემული ანგარიშების გადაფასების მიღებული უარყოფითი შედეგი, ფასიანი ქაღალდების გადაყიდვით და ძვირფას ლითონებზე შესრულებული ოპერაციებით გამოწვეული ხარჯი (ზარალი). ამგვარად, საოპერაციო ხარჯები ის ხარჯებია, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საბანკო ოპერაციებს.

ბანკის სამეურნეო საქმიანობის უზრუნველმყოფი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციას, არენდის, მოწყობილობების რემონტის, კანცელარიის, ავტოტრანსპორტის შენახვის, სპეცტანსაცმლის შეძენის, შენობის შენახვის საექსპლუატაციო სარჯებს და ა.შ. ხელფასის ხარჯებში შედის საკუთრივ ხელფასი, მასზე შესრულებული დანარიცხები და პრემიები.

გადასახადების გასტუმრების ხარჯები მოიცავს ქონების გადასახადს, მიწის გადასახადს, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადს, საავტომობილო გზებით სარგებლობის გადასახადს და სხვა გადასახადებს, რომლებიც საბანკო ოპერაციების თვითღირებულებას ეწერება (ე.ი. იმ გადასახადებს, რომლებიც ბანკის გასავლების ანგარიშებში აისახება).

სარჯების განსაკუთრებული ჯგუფია იმ რეზერვების ფორმირების ხარჯები, რომლებიც იქმნება გაცემული სესხების შესაძლო დაკარგვის ან ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შემთხვევებისთვის, სხვა აქტიური ოპერაციების ან დებიტორული დავალიანების დროს შესაძლო ზარალის დაფარვისთვის.

ბანკის სხვა ხარჯების შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანია. ესაა რეკლამის, მივლინებების და წარმომადგენლობების ხარჯები, კადრების მომზადების, მარკეტინგის, აუდიტორული შემოწმებების, სასამართლოს ხარჯები, ანგარიშგების გამოქვეყნების ხარჯები და ა.შ.

ფორმის მიხედვით განასხვაებენ საპროცენტო, საკომისიო და სხვა არასაპროცენტო ხარჯებს.

საპროცენტო ხარჯები მოიცავს ბანკის მიერ აღებული კრედიტებისთვის გადახდილ პროცენტებს. მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტების იმ ანგარიშებზე სახსრების ნაშთებს, რომლებიც ფიზიკური და იურიდიული პირებისთვისაა გახსნილი (ბანკების ჩათვლით), საპროცენტო გადასახდელებს გამოშვებულ თამასუქებზე, ობლიგაციებზე, დეპოზიტებზე და შემნახველ სერტიფიკატებზე.

ბანკები ხარჯებს სწევენ ფასიან ქაღალდებზე და უცხოურ ვალუტაზე ოპერაციების ჩატარებისთვის, სალარო და საანგარიშსწორებო მომსახურებისთვის, ინკასაციისთვის, გარანტიების მიღებისთვის და ა.შ. კომისიის გადახდასთან დაკავშირებით.

სხვა არასაპროცენტო ხარჯები შეიძლება იყოს: დისკონტის ხარჯები, ბაზარზე სპეკულატური ხასიათის მქონე ხარჯები, აქტივების გადაფასება, ჯარიმები, საურავები და პირგასამტეხლობები, მართვის აპარატის შენახვის ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კადრების მომზადება და ა.შ,), სამეურნეო ხარჯები.

ბანკის ხარჯების აღრიცხვისთვის 80, 81, 82, 83, 84 პირველი რიგის ანგარიშებია გახსნილი, საბალანსო ანგარიშებთან იხსნება მეორე რიგის რამდენიმე საბალანსო ანგარიში. მათ გამოყოფას საფუძვლად უდევს რამდენიმე ნიშან-თვისება: დანახარჯის ფორმა, პასიური ოპერაციის სახეობა, დანახარჯის ხასიათი. მეორე რიგის საბალანსო ანგარიშების საფუძველზე გამოყოფენ დანახარჯების შემდეგ ჯგუფებს:

კრედიტების მოზიდვისთვის გადახდილი პროცენტები;
- მოზიდულ სახსრებზე იურიდიული პირებისთვის გადახდილი პროცენტები;
დეპოზიტებზე ფიზიკური პირებისთვის გადახდილი პროცენტები;
- ფასიან ქაღალდებზე წარმოებული ოპერაციების ხარჯები;
- უცხოურ ვალუტაზე და სხვა სავალუტო ფასეულობებზე ჩატარებული ოპერაციების ხარჯები;
მართვის აპარატის შენახვის ხარჯები;
- ბანკების ორგანიზაციების ხარჯები;
სხვა ხარჯები.

დანახარჯების თითოეული ჯგუფის ფარგლებში გამოყოფენ უფრო დეტალურ სახეობებს, რომლებსაც ანალიტიკურ ანგარიშებში იყენებენ (მაგალითად, დანახარჯები კრედიტორების სახეობების მიხედვით, ჯარიმები დარღვევათა სახეების მიხედვით, საპროცენტო ხარჯები ანგარიშების მფლობელთა საქმიანობის სახეებისა და სტატუსის მიხედვით და ა.შ.).

იმ პერიოდის მიხედვით, რომელსაც ხარჯებს აკუთვნებენ, გამოყოფენ მიმდინარე პერიოდის ხარჯებს და მომავალი პერიოდის ხარჯებს. მომავალი პერიოდების ხარჯები შესაძლოა უკავშირდებოდეს დარიცხულ, მაგრამ ჯერ გადაუხდელ პროცენტებს საკრედიტო და სადეპოზიტო ოპერაციებზე, ფასიან ქაღალდებზე განხორციელებულ ოპერაციებზე, აქტივების გადაფასების უარყოფით სხვაობას.

შეზღუდვის ხერხის მიხედვით ბანკის ხარჯები იყოფა ნორმირებულ და არანორმირებულ ხარჯებად. ნორმირებულია რეკლამის, მიცლინების, კადრების მომზადების, წარმომადგენლობების ხარჯები, ბანკის მუშაკთა პირადი ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯები. ამ ხარჯებს მთლიანად ითვალისწინებენ ბანკის გასაღების ანგარიშებში, მაგრამ ნორმის ზევით გაწეული ხარჯები ადიდებს ბანკის დასაბეგრ ბაზარს.

დასაბეგრ ბაზარზე გავლენის მიხედვით ბანკის დანახარჯები სამ ჯგუფად შეგვიძლია დაყოთ:

1) ხარჯები, რომლებსაც საბანკო მომსახურების თვითღირებულებას აწერენ (ე.ი. გასაღების ანგარიშებში აღრიცხავენ) და რომლებიც ამცირებს ბანკის დასაბეგრ ბაზას მოგების გადასახადის გაანგარიშების დროს;

2) ხარჯები, რომლებსაც გასაღების ანგარიშებში კი აღრიცხავენ, მაგრამ ისინი არ ამცირებენ ბანკის დასაბეგრ ბაზას;

3) ხარჯები, რომლებსაც პირდაპირ აკუთვნებენ ბანკის ზარალს და არ ითვალისწინებენ ბანკის დასაბეგრი ბაზის გაანგარიშების დროს.

10.3. საპროცენტო მარჟა

საპროცენტო მარჟა არის სხვაობა კომერციული ბანკის საპროცენტო შემოსავალსა და გასაყალს შორის, მიღებულ და გადახდილ პროცენტებს შორის. იგი ბანკის მოგების ძირითადი წყაროა და უნდა დაფაროს გადასახადები, სპეკულაციური ოპერაციებიდან მიღებული ზარალი და ა.შ. „ტვირთი" - არასაპროცენტო შემოსავლის მეტობა არასაპროცენტო გასაყალზე, აგრეთვე, ბანკის რისკები.

მარჟის სიდიდე ხასიათდება აბსოლუტური სიდიდით და მთელი რიგი ფინანსური კოეფიციენტებით. მარჟის აბსოლუტური სიდიდე გაიანგარიშება ბანკის საპროცენტო შემოსავლის საერთო სიდიდესა

და ბანკის გასავალს შორის სხვაობით, აგრეთვე, ცალკეული სახეობის აქტიური ოპერაციებთან მიღებულ საპროცენტო შემოსავალსა და იმ რესურსებთან დაკავშირებულ საპროცენტო გასაელებს შორის სხვაობით, რომლებსაც ამ ოპერაციებისთვის იყენებენ. მაგალითად, სესხებზე საპროცენტო გადასახადებსა და საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო ხარჯებს შორის.

საპროცენტო მარჟის აბსოლუტური სიდიდის დინამიკას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს:

- საკრედიტო დაბანდებების და საპროცენტო შემოსავლის შემომტანი სხვა აქტიური ოპერაციების მოცულობა;
- ბანკის აქტიურ ოპერაციებზე არსებული საპროცენტო განაკვეთი;
- ბანკის პასიურ ოპერაციებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა (სპრედი);
- ბანკის საკრედიტო პორტფელში უპროცენტო სესხების ხვედრითი წილი;
- იმ სარისკო აქტიური ოპერაციების ხვედრითი წილი, რომლებსაც საპროცენტო შემოსავალი შემოაქვთ;
- საკუთარ კაპიტალსა და მოზიდულ რესურსებს შორის თანაფარდობა;
- მოზიდული რესურსების სტრუქტურა;
- პროცენტის დარიცხვისა და გადახდევინების ხერხი;
- შემოსავლებისა და გასაელების ფორმირებისა და აღრიცხვის სისტემა;
- ინფლაციის ტემპები.

ბანკის საპროცენტო შემოსავლებისა და გასაელების აღრიცხვის სტანდარტები განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში, რაც გავლენას ახდენს საპროცენტო მარჟის სიდიდეზე.

ცნობილია ოპერაციების აღრიცხვის ორი მეთოდი, რომლებითაც მოზიდულ და განთავსებულ ფულად სასრებზე დარიცხული პროცენტების თანხებს დაწერენ ხოლმე ბანკის შემოსავლებისა და გასაელების ანგარიშებს: სალაროს მეთოდი და „დარიცხვების“ („მატების“) მეთოდი. სალაროს მეთოდის დროს კრედიტორი ბანკის მიერ დარიცხულ პროცენტებს შემოსავლის ანგარიშებს მხოლოდ სახსრების რეალურად შემოსვლისას აწერენ (ე.ი. გადამხდელის ანგარიშიდან სახსრების საკორესპონდენტო ანგარიშზე ჩარიცხვის ან სალაროში სახსრების შემოსვლის თარიღისთვის). მოზიდულ რესურსებზე დარიცხული პროცენტების დაწერას თავის გასავლის ანგარიშებზე მსესხებელი ბანკში მათი გასტუმრების თარიღისთვის ახდენს. გასტუმრებას უწოდებენ სახსრების ჩამოწერას ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან და მის გადატანას კლიენტის ანგარიშზე ან სალაროდან ნაღდი ფულის მიცემას მისთვის. დარიცხულ, მაგრამ ჯერ კიდევ ამოღებულ ან გაუსტუმრებელ პროცენტებს ბანკი აღრიცხავს მომავალი პერიოდების შემოსავლების ან გასაელების ანგარიშებზე.

„დარიცხვების“ მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ მოცემულ თვეში დარიცხულ მთელ პროცენტებს ბანკის შემოსავლებს ან გასაელებს აკუთვნებენ იმის მიუხედავად, ჩამოწერილია (და ჩარიცხულია) თუ არა ისინი კლიენტის ანგარიშიდან (ანგარიშზე). საზღვარგარეთის კომერციული ბანკების საპროცენტო შემოსავლისა და გასაელის ფორმირების პრაქტიკა სწორად „დარიცხვების“ მეთოდს ეყრდნობა.

ჩვენს საბანკო პრაქტიკაში 1998 წლამდე იყენებდნენ დარიცხული პროცენტების აღრიცხვის ძსოლოდ სალაროს მეთოდს. ამჟამად გათვალისწინებულია ორივე მეთოდის გამოყენება ეროვნული ბანკის მითითების შესაბამისად. დარიცხვების მეთოდის გამოყენება ნებადართული არაა: 1) იმ სესხებზე, რომლებიც რისკის II, III და IV ჯგუფებს ეკუთვნის; 2) სესხის ვადაგადაცილებულ ძირითად ვალ'ზე; 3) განთავსებულ სახსრებზე, თუკი თვის ბოლო სამუშაო დღეს მოცემული სელ'შეკრულების მიხედვით პროცენტის გასტუმრება ვადაგადაცილებულია.

სალაროს მეთოდის დროს ყოველთვისაა პროცენტის გარდამავალი თანხები. მაგალითად, კომერციული ბანკი თავის სასარგებლოდ და კლიენტის სასარგებლოდ პროცენტების დარიცხვას ახდენს ყოველი თვის 28 რიცხვში. სალაროს მეთოდის დროს ბანკის მაისის თვის შემოსავლებსა

და გასაღებში შეეა 28 აპრილიდან 28 მაისის ჩათვლით დარიცხული პროცენტები. ამის გამო მაისის მოგება ყალიბდება ნაწილობრივ აპრილის კუთვნილი საპროცენტო შემოსავლისა და გასაღის ხარჯზე (28-დან 30 აპრილის ჩათვლით).

„დარიცხვების" მეთოდის დროს მაისის ანგარიშგებაში შეეა მხოლოდ მაისის კუთვნილი საპროცენტო შემოსაღები, რომლებიც ჩარიცხულია ბანკის ანგარიშზე, და 28-31 მაისის შემოსაღები, რომლებზეც უფლება აქვს ბანკს, მაგრამ ისინი ჯერ კიდეე არ შემოსულა მის ანგარიშზე. ანალოგიურად განისაზღვრება მაისის ხარჯების სტრუქტურაც. იმ შემოსავლებსა და გასაღებს, რომლებიც მოცემულ საანგარიშო პერიოდს ეკუთვნის, მაგრამ ამ პერიოდის ბოლომდე არაა მიღებული ან გასტუმრებული, წამატებულ შემოსავლებსა და გასაღებს უწოდებენ. წამატებული პროცენტების სიდიდეს შემდეგნაირად განსაზღვრაეენ:

$$\frac{\text{წლიური საპროცენტო განაკეთი} \times \text{ მატების პერიოდი}}{360} \times \text{Xსასესხო დაეალიანების ან დეპოზიტის ნაშთი}$$

ჩვენს მაგალითში მატების პერიოდია 28 რიცხვიდან თვის ბოლომდე.

დარიცხული პროცენტების აღრიცხვის სალაროს მეთოდისა და „დარიცხვების" მეთოდის გადმოცემული შინაარსი გეიჩვენებს, რომ ისინი პირდაპირ გაელენას ახდენენ საპროცენტო მარჯის სიდიდეზე.

წამატებული პროცენტები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ბანკის რეალური შემოსავალი ან გასავალი. ეს მხოლოდ უფლებაა შემოსაღების მიღებაზე ან ვალდებულება სხვა პირის სასარგებლოდ სახსრების გადახდის თაობაზე. ამიტომ წამატებული პროცენტების ხარჯზე საპროცენტო მარჯის ზრდა არაა დადებითი მოელენა. საჭიროა იმ საკრედიტო ურთიერთობების გულდასმითი კრიტიკული ანალიზი, რომლებიც მნიშეელოეანი ზომის წამატებულ პროცენტებს იწეეენ. საზღეარგარეთის პრაქტიკაში საპროცენტო დაეალიანების 90 დღეზე მეტი ხნით გადაცილების შემთხვეევაში პროცენტების დარიცხვას წყეეტენ. ჩვენს პრაქტიკაში დარიცხული პროცენტების სიდიდეზე მოქმედებს ვადაგადაცილებული დაეალიანება, ბანკისადმი ვალის პროლონგაცია (ძირითადი და საპროცენტო გადასახადების) და პროცენტების გადახდეევნება სესხით სარგებლობის ეადის ბოლოს.

საპროცენტო მარჯის კოეფიციენტები შესაძლოა გეიჩვენებდნენ, თუ მისი როგორი ფაქტობრივი და საკმარისი დონე აქვს ბანკს. ფაქტობრივი საპროცენტო მარჯის კოეფიციენტი ახასიათებს ბანკის მოგების საპროცენტო წყაროს შეფარდებით ფაქტობრივ სიდიდეს. მას ასე ანგარიშობენ:

I ეარიანტი

$$K_{\text{ფაქტ საპროც მარჯის}} = \frac{\text{პერიოდში მიღებული პროცენტები (ფაქტი)} - \text{პერიოდში გასტუმრებული პროცენტები (ფაქტი)}}{\text{შემოსაღების შემომტანი აქტიეების საშუალო ნაშთი პერიოდში}}$$

II ეარიანტი

$$K_{\text{ფაქტ საპროც მარჯის}} = \frac{\text{პერიოდში მიღებული პროცენტები (ფაქტი)} - \text{პერიოდში გასტუმრებული პროცენტები (ფაქტი)}}{\text{აქტიეების საშუალო ნაშთი პერიოდში}}$$

III ვარიანტი

$$K_{\text{წმინდა საკრედიტო რისკი}} = \frac{\text{სესხების მიხედვით მიღებული პროცენტები - საკრედიტო რესურსებზე გადახდილი პროცენტები}}{\text{სასესხო დავალიანების საშუალო ნაშთი პერიოდში}}$$

ანალოგიურად ანგარიშობენ საპროცენტო მარჟის კოეფიციენტს ბანკთაშორის ბაზარზე საკრედიტო ოპერაციების მიხედვით. აქ გამოყენებული III ვარიანტი გულისხმობს ბანკის აქტიურ ოპერაციებს შორის რესურსების განაწილების პრინციპის შერჩევას. მსხვილი და საშუალო ბანკებისთვის ეს შეიძლება იყოს: 1) რესურსების ერთიანი „ქვაბის“ პრინციპი და 2) პრინციპი, რომელიც ეყრდნობა ბალანსის რესტრუქტურიზაციას აქტივების და პასივების მოთხოვნადობის გათვალისწინებით.

საკმარისი საპროცენტო მარჟის კოეფიციენტი (M_t) გვიჩვენებს ბანკისთვის მის მინიმალურად აუცილებელ დონეს. ამ კოეფიციენტის გაანგარიშება გამომდინარეობს მარჟის ძირითადი დანიშნულებიდან – დაფაროს ბანკის ხარჯები.

$$M_t = \frac{\text{(ბანკის გასავლების – გასასტუმრებელი პროცენტები) - სხვა შემოსავლები}}{\text{შემოსავლის შემომტანი აქტივების საშუალო ნაშთი}} \times 100$$

სხვა შემოსავლები – ესაა ბანკის მიერ გაწეული არასაკრედიტო ხასიათის მჭონე მომსახურებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი, ე.ი. საზღაური საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებისთვის, ინკასაციისთვის, საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებისთვის, კლიენტების საფოსტო-სატელეგრაფო და სხვა ხარჯების ანაზღაურებისთვის, წინა პერიოდების პროცენტისა და კომისიის მიღება, ჯარიმები, საურავები და პირგასამტეხლოები.

საკმარისი მარჟა შეიძლება გაეიანგარიშოთ განელილი პერიოდების ფაქტობრივი მონაცემებისა და საგარეო პერიოდის საპროგნოზო სიდიდეების საფუძველზე.

ბოლო დრომდე მსხვილი და საშუალო ბანკების საკმარისი მარჟა უმნიშვნელოდ სცდებოდა ნულოვან ნიშნულს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბევრ საკრედიტო დაწესებულებას წაგების გარეშე შეეძლო საქმიანობა ძალიან დაბალი საპროცენტო შემოსავლის პირობებში, რომ ძალიან არ შეეწუხებინა თავი სესხების დაბრუნებაზე და საკრედიტო პორტფელის ხარისხზე. ასეთი ვითარება გამოწვეული იყო ცუდი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბანკის დაცვაზე და პერსონალის სწავლებაზე გაწეული ხარჯების სიმცირით, ინფლაციური ხასიათის მჭონე დიდი საეალუტო შემოსავლებით, კლიენტების მომსახურების დაბალი ხარისხით. საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ, კლიენტისთვის გაჩაღებულმა ბრძოლამ, კრიმინოგენულმა სიტუაციამ და საეალუტო დერეფნის შემოღებამ შეცვალა მოთხოვნილი საპროცენტო მარჟის სიდიდე.

საანგარიშო მონაცემების საფუძველზე გამოთვლილი საკმარისი მარჟის შედარება ამ პერიოდში ფაქტობრივად მიღებულ მარჟასთან ყველა საბანკო ოპერაციის ან მათი ცალკეული სახეობების ჭრილში საშუალებას გვაძლევს შეეფასოთ შემოსავლის მართვა და გამოვავლინოთ ის ტენდენციები, რომლებიც ბანკის ფინანსურ მდგრადობას ახასიათებს. ფაქტობრივი მარჟის დაცემის მასასა და საკმარის მარჟას შორის სხვაობის შემცირების ტენდენცია საგანგაშო სიგნალია („კრიტიკული“ ფაქტორია).

საპროგნოზო საკმარისი მარჟის გამოთელა აუცილებელია, უპირველეს ყოელისა, მომავალი პერიოდისთვის სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ფორმირებისთვის. აქტიურ ოპერაციებზე ბანკის მინიმალურად აუცილებელ პროცენტს ადგენს რესურსების რეალური ღირებულება, საკმარისი მარჟა და ინფლაციის მოსალოდნელი ტემპებით შესწორება.

ცალკეული აქტიური ოპერაციების მიხედვით (სასესხო, ბანკთაშორისი კრედიტების და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე) ფაქტობრივი მარჟის კოეფიციენტის შედარება შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ კომერციული ბანკის მუშაობის მიმართულებათა რენტაბელობა.

10.4. კომერციული ბანკის შემოსავლებისა და გასავლების დონის ანალიზი

კომერციული ბანკების შემოსავლებისა და გასავლების შეფასების ძირითად ხერხებად გვეელინება სტრუქტურული ანალიზი, შემოსავლებისა და გასავლების დინამიკის ანალიზი, იმ ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება, რომლებიც ახასიათებენ შემოსავლებისა და გასავლების შეფარდებით დონეს. ამ ხერხების ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს რაოდენობრივად და თვისებრივად შევაფასოთ ბანკის შემოსავლები და გასავლები.

ბანკის შემოსავლების სტრუქტურული ანალიზის მიზანია მათი ძირითადი სახეობების გამოვლენა შემოსავლების წყაროების სტაბილურობის შესაფასებლად და მომავალში მათ შესანარჩუნებლად. ანალიზს ატარებენ წინა წლების ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე. საზღვარგარეთის პრაქტიკაში იღებენ არანაკლებ სამწლიან პერიოდს.

სტაბილურობის შესაფასებლად შემოსავლებს ორ ჯგუფად ყოფენ. პირველ ჯგუფს ეკუთვნის საოპერაციო შემოსავლები – საპროცენტო შემოსავალი და არასაპროცენტო შემოსავალი სტაბილური ხასიათის მქონე საბანკო მომსახურებისთვის მიღებული კომისიების სახით; ბაზარზე შესრულებული ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები, ე.ი. სპეკულაციური ხასიათის მქონე შემოსავლები, აგრეთვე, აქტივების გადაფასებით მიღებით და არაორდინარული, ერთჯერადი ხასიათის მქონე შემოსავლები არასტაბილური შემოსავლებია. სასურველი არაა, რომ სასესხო შემოსავლის ეს მეორე ჯგუფი განსაზღვრავდეს ბანკის საერთო შემოსავლის სიდიდის ზრდის ტემპებს.

ბანკის გასავლების სტრუქტურულ ანალიზს ატარებენ გასავლების ძირითად სახეობათა, მათი ზრდის ტემპებისა და ფაქტორების გამოსავლენად.

სტრუქტურული ანალიზით მიღებული ძირითადი დასკვნების საფუძველზე ახდენენ ბანკის შემოსავლებისა და გასავლების ძირითად სახეობათა უფრო ღრმა კვლევას. მაგალითად, საპროცენტო შემოსავლის ანალიზის დროს სწავლობენ მის სტრუქტურას წყაროების ჭრილში (ვიდა კრედიტები, ბანკთაშორისი კრედიტები, ფასიანი ქაღალდები, სალიზინგო და სხვა ოპერაციები), გაცემული სესხების მოცულობისა და საპროცენტო განაკვეთების გავლენას მის დონეზე, საპროცენტო შემოსავლის შეფარდებით დონეს ცალკეული სახეობის ოპერაციების მიხედვით. საპროცენტო მარჟის დინამიკას. საპროცენტო მარჟის დაცემის ტენდენცია იმის ერთ-ერთი მაჩვენებელია, რომ ბანკი გაკოტრების გზაზეა დამდგარი.

არასაპროცენტო შემოსავლის ანალიზი მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა მისი სტრუქტურის შესწავლა არასაკრედიტო მომსახურების ცალკეულ სახეობათა ჭრილში, ამ მომსახურების ბაზარზე ბანკის პოზიციების შენარჩუნებისა და განმტკიცების ალბათობის შესწავლა, მომსახურების თვითღირებულებისა და ფასის შედარება, არასაპროცენტო შემოსავლის ელემენტების სიდიდის ცვლილების მიზეზების გამოვლენა.

დანახარჯების დეტალური ანალიზის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლის თანაფარდობას, იმ დანახარჯების ხვედრით წილს, რომლებიც ბანკის ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის გაწეულ ხარჯებს უკავშირდება (ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ჩათვლით), რისკების დაფარვასთან და ცალკეული სახეობის გასავლების სიდიდის ცვლილების მიზეზებთან დაკავშირებულ ხარჯებს.

შემოსავლებისა და გასაელების სტრუქტურული ანალიზის ხერხია მათი შეფარდებითი სიდიდეების დინამიკის შეფასება. ამ სიდიდეებთან შესაძლოა ავიღოთ შემოსავლებისა და გასაელების მთლიანი

სიდიდის, საპროცენტო შემოსავლის, საპროცენტო გასავლის, საპროცენტო მარჟის, არასაპროცენტო შემოსავლისა და გასავლის პროცენტული შეფარდება ბალანსის აქტივის შედეგთან.

ბანკის შემოსავლებისა და გასავლების დონის შესაფასებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი საფინანსო კოეფიციენტები (ცხ. 10.1.).

გარდა ჩამოთვლილი კოეფიციენტებისა, შემოსავლიანობის დონეს აფასებენ წმინდა სპრედისა და საშუამავლო მარჟის კოეფიციენტების საფუძველზე.

ცხრილი 10.1.

ბანკის შემოსავლისა და გასავლების დონის შესაფასებლად გამოყენებული ფინანსური კოეფიციენტები

№	მრიცხველი	მნიშვნელი	მსოფლიო ბანკის სპეციალისტების მიერ რეკომენდებული ნორმატიული დონე, %
	საპროცენტო შემოსავალი პერიოდში	შემოსავლების აქტივების საშუალო ნაშთი (კრედიტები, სახსრების დაბანდება ფასიან ქაღალდებში, პაი სხვა საწარმოებში, ფაქტორინგი, ლიზინგი)	I კლასი – 4,6 II – 3,4 III – 4,0 IV – 3,7 V – 3,4 VI – 3,2
	არასაპროცენტო შემოსავალი პერიოდში	აქტივების საშუალო ნაშთი	განსაზღვრავს ბანკი
	არასაპროცენტო გასავალი პერიოდში	იგივე	იგივე
	არასაპროცენტო შემოსავლები მინუს არასაპროცენტო გასავლები	საპროცენტო მარჟა	I კლასი – 48 II – 52 III – 57 IV – 61 V – 64 VI – 67
	საპროცენტო მარჟა პლუს არასაპროცენტო შემოსავალი	აქტივების საშუალო ნაშთი	მონაცემები არაა
	პერიოდში გადახდილი დივიდენდები	შემოსავალი არასტაბილური წყაროების გამოკლებით	I კლასი – 32 II – 42 III – 48 IV – 55 V – 60 VI - 65
	შრომის ანაზღაურების ხარჯები	აქტივების საშუალო ნაშთი	2
	საოპერაციო ხარჯები	იგივე	3,5

$$K_{\text{წმ სარეზერვო}} = \frac{\text{სესხებზე მიღებული პროცენტები} \times 100}{\text{გაცემული სესხების საშუალო ნაშთი პერიოდში}} -$$

$$- \frac{\text{დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები} \times 100}{\text{დეპოზიტური რესურსების საშუალო ნაშთი პერიოდში}}$$

კოეფიციენტის ნორმატიული დონეა 1,25%.

$$K_{\text{საშუალო მარჟის}} = \frac{\text{ბანკის მიერ მიღებული პროცენტები} + \text{მიღებული კომისიები} \times 100}{\text{შემოსავლის შემომტანი აქტივების საშუალო ნაშთი}} -$$

$$- \frac{\text{ბანკის მიერ გადახდილი პროცენტები} \times 100}{\text{ბანკის ვალდებულებების საშუალო ნაშთი}}$$

კოეფიციენტის ნორმატიული დონეა 6,5%.

პირველი კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ საპროცენტო შემოსავლის ანალიზის დროს ბანკები მსოფლიო პრაქტიკაში ორიენტაციას იღებენ 3-4%-იან სპრედზე (მარჟაზე). მეოთხე კოეფიციენტი ბანკებს იქითკენ უბიძგებს, რომ მოგების დაახლოებით 3% საპროცენტო შემოსავლის ხარჯზე ფალიბდებოდეს. ამასთან, რაც უფრო მეტია არასაპროცენტო შემოსავლის ხარჯზე ფორმირებული მოგების ნაწილი, მით უფრო დაბალია ბანკის რეიტინგი (კლასი). ეს იმით აიხსნება, რომ ამგვარი ტენდენცია მოწმობს ბანკის ვიწრო ნიშს ტრადიციული საკრედიტო მომსახურების ბაზარზე.

10.5. შემოსავლებისა და გასავლების ფაქტორული ანალიზი

კომერციული ბანკების შემოსავლებისა და გასავლების ფაქტორული ანალიზის მიზანია: ა) გამოავლინოს ძირითადი ფაქტორები, რისი შედეგიცაა მოგების გადიდება ან შემცირება; ბ) შეაფასოს მოგების წყაროების საიმედოობა და სტაბილურობა, მ.შ. პერსპექტივაში; გ) ბანკის მენეჯმენტის უზრუნველყოფა ინსტრუმენტარიით, რაც მას ბანკის ღირებულების მაქსიმიზაციისაკენ მიმართული ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას მისცემდა.

შემოსავლები მთლიანობაში შეიძლება შეიცვალოს უმთავრესად შემდეგი ფაქტორების ცვლილებების ხარჯზე:

- ძირითადი შემოსავლების შემომტანი აქტივების ჯგუფის ანგარიშებზე ნაშთის სიდიდის (მაგ. საპროცენტო შემოსავალი და შემოსავალი ფასიანი ქაღალდებით ოპერატორებიდან);
- საპროცენტო განაკვეთის საშუალო დონის ცვლილება, რასაც ბანკი იღებს კლიენტებისათვის გადაცემული საფინანსო აქტივებისათვის.

პირველი ფაქტორის გავლენა ბანკის მიერ მიღებული შემოსავლის ცვლილებაზე გამოითვლება ფორმულით:

$$(OD - OD_0) \times V = (V - V_0) \times R,$$

სადაც OD არის საპროცენტო შემოსავალი და შემოსავალი ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან განსახილველ პერიოდში;

OD_0 – იგივე მაჩვენებელი წინა პერიოდში;

(OD - OD_0) – შემოსავლის ცვლილება მოცემულ პერიოდში;

V – საპროცენტო შემოსავლების და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებიდან შემოსავლის შემომტანი აქტივების ჯგუფის ანგარიშებზე განსახილველ პერიოდში არსებული ნაშთი;

V_0 – იგივე წინა პერიოდში;

R – განსახილველ პერიოდში საპროცენტო განაკვეთის საშუალო დონე, გაანგარიშებული შემდეგნაირად: OD:V

ზემოთ დასახელებული ფაქტორებიდან მეორეს გავლენა ბანკის შემოსავლის ცვლილებაზე შეიძლება გაიზომოს შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$(OD - OD_0) \text{ X } r = (R - R_0) \text{ X } V_0,$$

სადაც, R – განსახილველ პერიოდში ზემოთ აღნიშნული წესით გამოთვლილი საპროცენტო განაკვეთის საშუალო დონეა;

R_0 – იგივე წინა პერიოდში;

V_0 – ნაშთები წინა პერიოდის აქტივების ჯგუფის ანგარიშებზე.

ორივე ფაქტორის გავლენას შემოსავლის ცვლილებაზე გამოითვლიან გამოსახულებით:

$$(OD - OD_0) = (OD - OD_0) \text{ X } v + (OD - OD_0) \text{ X } r,$$

ეს ანალიზი გვაძლევს იმის რაოდენობრივ შეფასებას, რომელი ფაქტორი (ნაშთები ანგარიშებზე ან საპროცენტო განაკვეთის საშუალო სიდიდე) აისახა მეტად საპროცენტო შემოსავლებსა და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებიდან შემოსავლებზე და იძლევა შესაძლებლობას თვისებრივი ანალიზი გაკეთდეს იმ მიზეზებისა, რაც იწვევს:

- საპროცენტო შემოსავლების შემომტანი აქტივების ჯგუფის საერთო ზრდას (შემცირებას);
- ერთობლივ აქტივებში შემოსავლიანი აქტივების ხვედრითი წილის ცვლილებას;
- საპროცენტო განაკვეთის საერთო დონის ცვლილებას ბანკის აქტიური ოპერაციების მიხედვით:
- შემოსავლიანი აქტივების პორტფელის სტრუქტურის ცვლილებას, ანუ ბანკის საკრედიტო პორტფელში მაღალი პროცენტით გაცემული სარისკო კრედიტების ან სპეკულაციურ-აჟიოტაჟური მოთხოვნილებების ფასიანი ქაღალდების ხვედრითი წილის სტრუქტურის ცვლილებას;
- პრობლემური კრედიტების გადიდებას, რომლებზედაც გაიცემა გადიდებული პროცენტები და ა.შ.

ბანკის შემოსავლების გენერირება დაკავშირებულია გასავალთან, რომლის ძირითად ნაწილს შეადგენს საპროცენტო ხარჯები. ხარჯების ცვლილება დამოკიდებულია:

- ფასიანი მოზიდული სახსრების ნაშთის ცვლილებაზე;
- ბანკის მიერ ამ სახსრებისათვის გადახდილი საპროცენტო განაკვეთის საშუალო დონის ცვლილებაზე.

I ფაქტორის გავლენა გაიანგარიშება ფორმულით:

$$(OP - OP_0) \text{ X } W = (W - W_0) \text{ X } Q,$$

სადაც, OP – საპროცენტო ხარჯები და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებზე ხარჯებია განსახილველ პერიოდში;

OP_0 – იგივე წინა პერიოდში;

(OP - OP_0) – მოცემულ პერიოდში საპროცენტო ხარჯებისა და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებზე ხარჯების ცვლილება;

W – ნაშთები განსახილველ პერიოდში ფასიანი მოზიდული სახსრების ანგარიშებზე;

W_0 – იგივე წინა პერიოდში;

Q – საშუალო საპროცენტო განაკვეთი განსახილველ პერიოდში ფასიანი პასივების მიხედვით (OP:W).

მეორე ფაქტორის გავლენის ხარისხს გამოითვლიან, როგორც:

$$(OP - OP_0) \times q = (Q - Q_0) \times W_0,$$

სადაც, Q – ზემოთ ხსენებული ხერხით გამოთვლილი საპროცენტო განაკვეთის საშუალო დონეა განსახილველ პერიოდში;

Q_0 – იგივე წინა პერიოდში;

W_0 – ნაშთები განსახილველ პერიოდში ფასიანი პასივების ანგარიშებზე.

ორივე ფაქტორის გავლენა გამოითვლება ფორმულით:

$$(OP - OP_0) = (OP - OP_0) \times W + (OP - OP_0) \times q,$$

ჯამური საპროცენტო ხარჯების ცვლილებაზე თითოეული ამ ფაქტორის გავლენის ხარისხის განსაზღვრა შესაძლებლობას იძლევა გაანალიზდეს მათი ზემოქმედების შეჩერების ან შემცირების ხერხები შემდეგი ცვლილებების ხარჯზე:

- ვადადამდგარი /მოთხოვნამდე/ დეპოზიტების მოცულობების;
- ერთობლივ პასივებში ფასიანი მოზიდული სახსრების ხვედრითი წილის;
- მოზიდვის ვადების დეპოზიტების სტარუქტურის;
- კლიენტთა ჯგუფის მიხედვით დეპოზიტების ცვლილებით და ა.შ.

10.6. კომერციული ბანკის მოგების ფორმირება და გამოყენება


ბანკის მომგებიანობა: ზოგადი საკითხები. მოგება – ბანკის საქმიანობის შედეგიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებელია; ბანკის მოგების სიდიდე მნიშვნელოვანია ყველასთვის, ვისაც შეხება აქვს ამ საქმიანობასთან. ბანკის მონაწილეები (მეპაიეები ან აქციონერები) დაინტერესებული არიან მოგებით, როგორც ჩადებულ კაპიტალზე შემოსავლის ნორმით. მესხებლებიც არაპირდაპირ დაინტერესებული არიან საბანკო მოგების საკმარისობით; ბანკის უნარი – გასცეს კრედიტი და მოახდინოს სხვა დაბანდებები – დამოკიდებულია მისი საკუთარი კაპიტალის სიდიდესა და სტრუქტურაზე, ხოლო მოგება – მისი ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. მოგების მოცულობა, მოლიანად საბანკო სისტემის მიხედვით, უზრუნველყოფს მის საიმედოობას, რაც საბანკო მომსახურების მომხმარებლებს უქმნის ანაბრების უსაფრთხოებისა და კრედიტის წყაროების არსებობის გარანტიას.

მთლიანობაში, მოგების სიდიდე დამოკიდებულია სამ გლობალურ კომპონენტზე: შემოსავლების, გასავლების, გადასახადების და ბანკის სხვა საჭიროებებისაგან. ამის შესაბამისად, მოგების შექმნის ფორმირების და გარკვეულწილად გამოყენების (ხარჯვის) მოდელი სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ (ნახ.10.1):

მომგებიანობის დონე მოითხოვს მუდმივ რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს. აქ შეიძლება არსებობდეს ურთიერთშემავსებელი 3 მიდგომა.

1. ჩამოყალიბებული ზოგადი ტენდენციის გამოვლენა. კეთდება დადებითი შეფასება, თუ ფიქსირდება მომგებიანობის დონის ზრდა უმთავრესად საპროცენტო მარჟის და/ან არასაპროცენტო შემოსავლების ხარჯზე. ამასთან, საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების ელემენტები დამატებით უნდა შეფასდეს მომაჟალში შესაბამისი წყაროების შენარჩუნების პერსპექტივის კუთხით. ბანკის შეფასება მომგებიანობის მიხედვით არ აიწევს, თუ დაფიქსირებული ზრდის ტენდენცია მეტწილად დაკავშირებულია არამდგრად და გაუთვალისწინებელ შემოსავლებთან.

როგორც ტენდენციის გამოვლენისას, ასევე სხვა შემთხვევაშიც მოგება საქმიანობის სახეების



ნახ.10.1. ბანკის ეოგების ფორმირების ზოგადი სქემა

მიხედვით ფასდება: „ჰორიზონტალურად“– საკლევი პერიოდის დინამიკაში და „ვერტიკალურად“ – გაუთვალისწინებელ შემოსავლებთან.

2. საკმარისად ინფორმაციული საფინანსო კოეფიციენტების გამოყენება (ფაქტობრივი მნიშვნელობების შედარების გზით ან ნორმატულ, ან სხვა პერიოდების მონაცემებთან, ან სხვა ბანკების, ბანკთა ჯგუფების, რეგიონის, მთლიანი ქვეყნის საბანკო სისტემის ანალოგიურ მონაცემებთან). აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მაგალითად, ასეთი კოეფიციენტები:

K1= მოგება მოცემულ პერიოდში/აქტივები (საშუალო ოდენობა პერიოდში)

K2= მოგება გადასახადების გადახდამდე/აქტივები;

K3= მოგება/ ბანკის საკუთარი კაპიტალი;

K4= მოგება/ ბანკის საწესდებო კაპიტალი;

K5= დივიდენდი 1 აქტივზე (პაი)/აქციის (პაის) საშუალო ფასი.

კოეფიციენტური ანალიზი შესაძლებელს ხდის გამოვლინდეს რაოდენობრივი ურთიერთკავშირი ბანკის ბალანსის სტატიების სხვადასხვა განყოფილებებსა და ჯგუფებს შორის და ამით შეფასდეს მისი საქმიანობის კონკრეტული ასპექტები. საფინანსო კოეფიციენტების (თანაფარდობების) რიცხვი, რომელიც აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, შემოიფარგლება მხოლოდ ბალანსში ანგარიშების და მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების რიცხვით. პროცენტებში გამოსახული ამგვარი თანაფარდობები, ჩვეულებისამებრ, გათვლილია 1 წელზე ან სხვა პერიოდზე, მაგრამ ამ პერიოდის განსაზღვრობაში შეიძლება გამოვლინდეს სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ახასიათებს, მაგალითად, ბაზრის მდგომარეობის, სახელმწიფოს საფინანსო და ეკონომიკური პოლიტიკის, აღრიცხვის რეგულირების წესებისა და ნორმატივების ცვლილებას, რაც აყენებს მუშაობის ახალ პირობებს და ახალ ტენდენციებს (საფინანსო კოეფიციენტების სხვა სავალდებულო დონე). ამითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ არ არსებობს უნივერსალური ნორმატივები, რომელთაც ბანკი დაბეჯითებით შეადარებდა მისი საქმიანობის ეფექტურობის მახასიათებელ მაჩვენებელთა

ცხრილი 10.2.

ბანკის მოგების ფორმირებისა და განაწილების სქემა

№	შემოსავლის დასახელება	კვარტალი	კვარტალი	ჯამი
1.	შემოსავლები (სულ)			
	მ.შ. შეღავათიანი			
2.	გასავალი (სულ)			
	მ.შ. რომელიც არ შედის თვითღირებულებაში			
3.1.	მთლიანი მოგება (შემოსავალი მინუს ხარჯები)			
3.2.	დასაბეგრი მოგება			
3.3.	გადასახადები მოგებიდან			
3.4.	ზარალით ჩამოწერილი თანხა			
3.5.	წმინდა მოგება (ზარალი)			
3.6.	გამოსაყენებელი წმინდა მოგება			
	გადარიცხვები სარეზერვო ფონდში			
	გადარიცხვები დაგროვების ფონდში			
	გადარიცხვები სპეცდანიშნულების ფონდებში			
3.7.	გაუნაწილებელი წმინდა მოგება			

რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ამიტომაც კოეფიციენტური ანალიზი უნდა წარმოებდეს, როგორც საფინანსო კოეფიციენტების ცვლილებების ტენდენციის საფუძველზე მათი ეკონომიკური შინაარსის ხარისხობრივი ინტერპრეტაციის პროცედურა.

3. ფაქტორული ანალიზის გამოყენება. ჯამური მოგება ასახავს ბანკის კომერციული საქმიანობის საერთო საფინანსო შედეგს, მაგრამ ეს შედეგი, როგორც ადრე ითქვა, ყალიბდება მთელი რიგი კომპლექსების ზემოქმედებით, რომელთაც შეუძლიათ სხვადასხვა მიმართულებით მოქმედება, აი, რატომ მოითხოვს მომგებიანობის ფაქტორები „პერსონალურ" ანალიზს.

მოგების ფაქტორულ ანალიზის ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

მოგება = საკუთარი კაპიტალი X (შემოსავალი/აქტივები) X X (აქტივები/საკუთარი კაპიტლი) X (მოგება/შემოსავალი),

ან აგრეგირებული ფორმით:

$$Пр = К1 \times И1 \times И2 \times И3.$$

ჯამურ მოგებაზე ცალკეული ფაქტორების გავლენის გაანგარიშება ხდება შემდეგი წესით: მოგების საერთო ცვლილება:

$$Пр1 - Пр0,$$

სადაც, Пр1 – მოგებაა საანგარიშო (მიმდინარე) პერიოდში;

Пр0 – იგივე წინა პერიოდში.

მოგებაზე საკუთარი კაპიტალის ცვლილების გაელენა:

$$(K1\text{-}K0)\ X\ H1\ X\ H2\ X\ H3,$$

სადაც K1 – საკუთარი კაპიტალია საანგარიშო პერიოდში;

K0 – იგივე წინა პერიოდში;

H1 – საანგარიშო პერიოდში აქტივების გამოყენების დონე;

H2 – საანგარიშო პერიოდში კაპიტალის მულტიპლიკატორი;

H3 – საანგარიშო პერიოდში მოგების მარჟის დონე.

მოგებაზე აქტივების გამოყენების ეფექტურობის დონის ცვლილების გაელენა:

$$(H1\ -\ H1.0)\ X\ K1\ X\ H2\ X\ H3,$$

სადაც H1.0 – წინა პერიოდში აქტივების გამოყენების ეფექტურობის დონეა.

მოგებაზე საკუთარი კაპიტალის (კაპიტალის მულტიპლიკატორის) სტრუქტურის ცვლილების გაელენა:

$$(H2\ -H2.0)\ X\ K1\ X\ H1.0\ X\ H3,$$

სადაც, H2.0 – წინა პერიოდში საკუთარი კაპიტალის მულტიპლიკატორია.

მოგებაზე მოგების მარჟის ოდენობის ცვლილების გაელენა:

$$(H3\ -\ H3.0)\ X\ K1\ X\ H1.0\ X\ H2.0,$$

სადაც H3.0 – არის მოგების მარჟა წინა პერიოდში.

ანალოგიურად შეიძლება გაანალიზდეს სხვა ფაქტორების გაელენა, რაზედაც დამოკიდებულია მოგების. ცალკეული შემადგენელი ნაწილები, მაგალითად საპროცენტო მარჟის ფაქტორების გაელენა.

საბანკო საქმიანობის რენტაბელობის მაჩვენებლები. ბანკის მომგებიანობის მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს მისი რენტაბელობა, ანუ მოგების ნორმა, რომელიც წარმოადგენს მოგების მასის შეფარდებას დახარჯულ კაპიტალთან.

$$P = (Пр:K)\ X\ 100\%$$

ამ ზოგად ფორმულას აქვს რამდენიმე ვარიანტი. მსოფლიო პრაქტიკაში რენტაბელობის განმაზოგადებელ მაჩვენებლად მიღებულია საერთაო (საბალანსო) ან წმინდა მოგების შეფარდება საწესდებო კაპიტალთან, საკუთარ კაპიტალთან, აქტივებთან და ა.შ. თუმცა მომგებიანობის შესაბამისი მაჩვენებლების კონკრეტული გაანაგრიშებები დამოკიდებულია ქვეყანაში დამკვიდრებულ აღრიცხვისა და ანგარიშგების წესებზე.

ასე, მაგალითად, ბანკების მიერ გამოქვეყნებულ საბუღალტრო ბალანსებში არასაკმარისი კონკრეტული ინფორმაციაა მათი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებელთა გასაანგარიშებლად. აქტივების რენტაბელობის მაჩვენებლის გაანგარიშებისას აუცილებელია მრიცხველისა და მნიშვნელის შეფარდებითობის უზრუნველყოფა (მთლიანი წლიური მოგების შეფარდება აქტივების საშუალო წლიურ ჯამთან), რაც ასევე გაძნელებულია.

მთელ რიგ მიზეზთა გამო ჩვენს ბანკებს არსებითად არა აქვთ შესაძლებლობა ქვეყანაში საბანკო საქმის რენტაბელობის დადგენილ საშუალო მაჩვენებლებზე ორიენტირებისა და იძულებული არიან აწარმოონ შედარება საფინანსო ბაზრის ცალკეულ კონკრეტულ მონაწილეთა ინდივიდუალურ მაჩვენებლებთან. თუმცა ასეთი შედარებების წარმოებაც ძალიან რთულია, რადგან ისინი მოითხოვენ გამოქვეყნებული საფინანსო ანგარიშგებიდან აღებულ მონაცემთა შეფარდებითობას, რომელიც, თავის მხრივ, დამტკიცებული უნდა იყოს აუდიტორული ფირმის (აუდიტორის) მიერ. ამასთანავე, ბანკების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშგება, როგორც წესი, შემოიფარგლება წლიური მონაცემებით და შეიცავს საბალანსო მონაცემთა ვიწრო, თანაც არასაკმარისად უნიფიცირებული ბაზას.

ამჟამად გამოქვეყნებული წლიური საბალანსო მონაცემების მიხედვით შეიძლება გაანგარიშებულ

იქნეს მაჩვენებლები ცალკეული ბანკებისათვის, რომლებიც ასახავენ საბალანსო მოგების თანაფარდობას საწესდებო კაპიტალის სიდიდესა და ბალანსის ჯამთან 1 იანვრისათვის; გარკვეულწილად ისინი მეტყველებენ შესაბამისი ბანკების მუშაობის ეფექტურობაზე, მაგრამ ეს მაჩვენებლები იძლევიან ცალმხრივ, და ამიტომაც, არასაკმარისად საჭირო ინფორმაციას.

ანალიტიკური მიზნებისათვის ხანდახან მიმართავენ რეიტინგული საინფორმაციო სააგენტოების მონაცემებს. მაგრამ თავად ბანკებში მათი მოთხოვნის გზით მიღებული მონაცემების უტყუარობა არავის მიერ და არაფრით არ მტკიცდება.

ასეა თუ ისე, განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ბანკის კაპიტალზე სუფთა მოგების ნორმის მაჩვენებელი, რომელიც საზღვარგარეთ ცნობილია, როგორც მაჩვენებელი ROE (return on eguiti):

P1 = მოგება/კაპიტალი

ეს ფორმულა შეიძლება წარმოადგინოთ სხვა სახითაც:

მოგება/საკუთარი კაპიტალი = (მოგება/შემოსავალი) X (შემოსავალი/აქტივები) X (აქტივები/საკუთარი კაპიტალი).

აღნიშნულ მაჩვენებელს შეუძლია საკმაოდ ზუსტად დაახასიათოს ბანკში მონაწილეთა (მეპაიეთა, აქციონერთა) მიერ ჩადებული სახსრების შედეგიანობა. ამასთან, მისი სიდიდე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საკუთარი კაპიტალისა და მოზიდული სახსრების თანაფარდობასთან ბანკის ბალანსის საერთო ჯამში. რაც უფრო მეტია საკუთარი კაპიტალის წილი, და რაც უფრო მაღალია ბანკის საიმედოობა, მით უფრო ძნელია მისთვის თავისი კაპიტალის მაღალი მომგებიანობის უზრუნველყოფა.

ჩვენს პირობებში ROE-ს მსგავსი მაჩვენებელი ყოველ ბანკს შეუძლია თავად გაიანგარიშოს P1 მაჩვენებელი საკუთარი კაპიტალის სიდიდესთან საბალანსო მოგების შეფარდების სახით.

ბანკის მუშაობის ეფექტურობის მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი – აქტივების მომგებიანობის ნორმა ROA - (return on assets):

P2 = მოგება/აქტივები.

დასავლეთის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი გამოითვლება წმინდა მოგების შეფარდებით ბანკის აქტივების საერთო ჯამთან. ჩვენს პირობებში მისი გაანგარიშებისას მივმართავთ საბალანსო მოგების სიდიდეს.

მსედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ P1 და P2 მაჩვენებლები დამოუკიდებელი არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ P1 მაჩვენებელი უნივერსალურია, სინთეზირებულია ორი პარამეტრისაგან – აქტივების მომგებიანობის (P2) და კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტისაგან (P3):

$$[P1]\ \frac{\text{მოგება}}{\text{კაპიტალი}} = [P2]\ \frac{\text{მოგება}}{\text{აქტივები}} \quad [P3]\ \frac{\text{კაპიტალი}}{\text{აქტივები}} =$$

$$= \frac{\text{მოგება}}{\text{აქტივები}} \ X \ \frac{\text{აქტივები}}{\text{კაპიტალი}}$$

რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკის საქმიანობის რენტაბელობა პირდაპირ კავშირშია აქტივების მომგებიანობასთან და უკუკავშირშია კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბანკისთვის მომგებიანია მუშაობა საკუთარი კაპიტალით აქტივების მინიმალური უზრუნველყოფით.

კაპიტალზე მოგების ზრდის შესაძლებლობები საკმარისობის კოეფიციენტის ხარჯზე შეზღუდულია,

რადგანაც აქტივების ზრდა განმტკიცებულია რესურსული ბაზის გაფართოების ხარჯზე. მეტი ეფექტურობისათვის ბანკს უნდა ჰქონოდა ანაბრებისა და დეპოზიტების მაღალი წილი და საკუთარი კაპიტალის დაბალი წილი. მაგრამ სინამდვილეში ბევრ ბანკს არ ძალუძს აქტივების კაპიტალთან თანაფართობის ოპტიმიზირება და ამიტომაც P1-ის გადიდების რეზერვად რჩება P2 – აქტივების გაცემის ხარისხი.

ეფექტურობის (მომგებიანობის) ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვე-ნებლები ინტეგრალურია, ანუ მოიცავენ ბანკის საქმიანობის პრაქტიკულად ყველა ასპექტს. ამასთანავე, მიზანშეწონილია რეგულარულად გაანგარიშდეს ეფექტურობის კერძო მაჩვენებლები:

- ცალკეული ცენტრების (ფილიალების, განყოფილებების, ფუნქციონალური სამმართველოების და განყოფილებების) პასუხისმგებლობის;
- მუშაობის ცალკეული მიმართულებების (საბანკო ოპერაციების ჯგუფების, ბანკის ცალკეული პროდუქტების).

10.7. კომერციული ბანკების ეოგების ღონის შეფასება

კომერციული ბანკის მოგების ფორმირებას განსაზღვრავს კომერციული საწარმოს სპეციფიკა, ოპერაციების წრე, აგრეთვე, აღრიცხვის მოქმედი სისტემა. თანამედროვე სისტემა გულისხმობს შემოსავლებისა და გასაელების დაგროვებას ბალანსის შესაბამის ანგარიშებზე. კვარტლის ბოლოს ამ ანგარიშებს ხურავენ, მათი სალდო კი გადაქვთ 70301 ანგარიშზე „საანგარიშო წლის მოგება“ ან 70401 ანგარიშზე „საანგარიშო წლის წაგება“. სქემატურად ეს 10.3. ცხრილშია წარმოდგენილი.

წლის განმავლობაში დარგობრივი საბალანსო მოგება არ ასახავს საბოლოო ფინანსურ შედეგს. წლის განმავლობაში 70501 ანგარიშის „საანგარიშო წლის მოგების გამოყენება“ დებეტით აისახება გასაელები მიმდინარე წლის საბალანსო მოგების ხარჯზე (გადასახადები, ავანსური ჩარიცხვები ბანკის ფონდებში, საქველმოქმედო მიზნით გაწეული ხარჯები და ა.შ). წლიური ანგარიშების ჩაბარების შემდეგ 70301 და 70401 ანგარიშების სალდო გადაქვთ 70302 („მომდევნო წლების მოგება“) ან 70402 („მომდევნო წლების წაგება“) ანგარიშზე, 70501 ანგარიშის სალდო კი – 7002 ანგარიშზე „მომდევნო წლების მოგების გამოყენება“, რომლებზეც აისახება მოგების დამატებით გამოყენება აქციონერთა (მეპაიეთა) კრების გადაწყვეტილებით. წლიური ანგარიშების დამტკიცების შემდეგ 70502 ანგარიში იხურება, 70302 ანგარიშზე სალდოს გადატანის გზით. მოგების გაუნაწილებელ ნაწილს აღრიცხავენ ანგარიშზე „მომავალი წლების მოგება“.

აღრიცხვისა და ანგარიშების საზღვარგარეთული სტანდარტების მიხედვით საქმიანობის საბოლოო ფინანსურ შედეგად გვევლინება წმინდა მოგება. იგი წარმოადგენს ბანკის საერთო ხარჯების დაფარვის, გადასახადების გადახდის და ფონდებში გადარიცხვის განხორციელების შემდეგ დარჩენილ შემოსავალს. საბალანსო მოგებისგან წმინდა მოგების განსხვავებაც ბანკის შემოსავალსა და გასაელში საპროცენტო გადასახადების ასახვის განსხვავებულ მეთოდიკას უკავშირდება.

მოგების შესახებ ანგარიშგების ფორმაში მოგების წარმომქმნელი შემოსაელები და გასაელები მსოფლიო სტანდარტების მიხედვით დაჯგუფებულია არა მარტო შინაარსის, არამედ სტაბილურობის პრინციპის მიხედვითაც. გამოყოფილია საპროცენტო მარჟის ბლოკი,არასაპროცენტო შემოსაელებისა და გასაელების ბლოკი, მოგების არასტაბილური წყაროების ბლოკები. მოგების შესახებ ანგარიშგების ამგვარი ფორმა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ საბოლოო ფინანსური შედეგის დინამიკა, გაძოვაელინოთ მოგების მატების ან კლების ძირითადი ფაქტორი, თვისებრივი მხრიდან შევაფასოთ წმინდა მოგების ზრდის წყაროები. დადებითი დასკვნების გამოტანა შეიძლება სტაბილური წყაროების ხარჯზე წმინდა მოგების მატების შემთხვევაში, საწინააღმდეგო შემთხვევაში კი

ცხრილი 10.3.

ბანკის შემოსავლისა და გასავლის ანგარიშების დახურვის, მოგების ფორმირების სქემა

ოპერაციების თარიღი	ანგარიში 701		ანგარიში 702		ანგარიში 703	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
31/I	280	სალდო კვარტლის ბოლოს 280	სალდო კვარტლის ბოლოს 155	155	155	სალდო კვარტლის დასაწყისში 280
I კვარტალი	X	X	X	X	X	125
30/VII	420	სალდო 420	სალდო 420	302	302	სალდო კვარტლის დასაწყისში 125 420
ხახევარი წელი	X	X	X	X	X	243
30/IX	520	სალდო კვარტლის ბოლოს 520	სალდო კვარტლის ბოლოს 633	633	633	სალდო კვარტლის დასანყისში 243 520
9 თვე	X	X	X	X	X	X
31/XII	780	სალდო კვარტლის ბოლოს 780	სალდო კვარტლის ბოლოს 570	570	570	სალდო კვარტლის დასანყისში 130 780 წელი
X	X	X	X	X	X	

ბანკის რეიტინგი არ მაღლდება საბოლოო ფინანსური შედეგის რაოდენობრივად ზრდის მიუხედავად.

ცხ. 10.4-ში მოცემულია ბანკის მოგებისა და წაგების შესახებ ანგარიშების ფორმა მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად კომერციული ბანკის მოგების დონის შეფასების ძირითადი ხერხებია:

მოგების წყაროების სტრუქტურული ანალიზი;

.- ფინანსური კოეფიციენტების სისტემის ანალიზი;

- ფაქტორული ანალიზი.

სტრუქტურული ანალიზის მიზანია მოგების ძირითადი წყაროს გამოვლენა და მისი შეფასება სტაბილურობის, მომავალში შენარჩუნებისა და ზრდის პერსპექტივის თვალსაზრისით.

ფინანსური კოეფიციენტების სისტემის ანალიზი შემდეგში მდგომარეობს:

- ფინანსური კოეფიციენტის ფაქტობრივი გაანგარიშებითი სიდიდის შედარება მის ნორმატიულ (კრიტერიულ) დონესთან;

მოცემული ბანკის კოეფიციენტების შედარება ამავე ჯგუფის კონკურენტი ბანკების კოეფიციენტებთან;

- კოეფიციენტების დინამიკის შეფასება;

კოეფიციენტის დინამიკის ფაქტორული ანალიზი.

მომგებიანობის კოეფიციენტების სისტემა შემდეგ მაჩვენებლებს მოიცავს:

- მოგებისა და აქტივების შედარება;

დაბეგვრამდე არსებული მოგებისა და აქტივების შედარება;

მოგებისა და საკუთარი კაპიტალის შედარება;

მოგება ერთ მუშაზე.

ამ მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდიკა დამოკიდებულია ქვეყანაში აღრიცხვისა და ანგარიშგების მიღებულ სისტემაზე. ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების გაანგარიშების ვარიანტები და მათი ეკონომიკური შინაარსი.

მოგება აქტივების მიმართ ის ძირითადი კოეფიციენტია, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ბანკის რენტაბელობის პირველი რაოდენობრივი შეფასება.

ეს კოეფიციენტი ასე შეგვიძლია გავიანგარიშოთ:

$$K = \frac{\text{საბალანსო მოგება პერიოდში}}{\text{ბალანსის აქტივების შედეგის საშუალო ნაშთი პერიოდში}} \qquad (10.1)$$

ცხრილი 10.4.

ანგარიშგება მოგებისა და ზარგების შესახებ

ჯგუფის №№	მოგება და ზარგება	თანხა
1	2	3
	მიღებული პროცენტები და ანალოგიური შემოსავლები	
1	ბანკებში სახსრების განთავსებიდან კრედიტების, დეპოზიტების და სესხების სახით და სხვა ბანკების ანგარიშებზე სახსრების მოთავსებიდან	
2	სხვა კლიენტებისთვის სახსრების მიცემიდან	
3	ძირითადი კაპიტალის არენდიდან კლიენტების მიერ შემდგომში გამოსყიდვის უფლებით	
4	ფიქსირებულშემოსავლიანი ფასიანი ქაღალდებიდან	
5	სხვა წყაროებიდან	
6	სულ: მიღებული პროცენტები და ანალოგიური შემოსავლები	
	გადახდილი პროცენტები და ანალოგიური გასავლები	
7	ბანკებისგან მოზიდულ სახსრებზე, სესხებისა და დეპოზიტების ჩათვლით	
8	სხვა კლიენტებისგან მოზიდულ სახსრებზე, სესხებისა და დეპოზიტების ჩათვლით	
9	გაშოშებულ საკალო ფასიან ქაღალდებზე	
10	სხვა ოპერაციებზე	
11	სულ გადახდილი პროცენტები და ანალოგიური გასავლები	
12	წმინდა საპროცენტო და ანალოგიური შემოსავლები	
13	საკომისიო შემოსავლები	
14	საკომისიო გასავლები	

ცხრილი 10.4.-ის გაგრძელება

1	2	3
15	წმინდა საკომისიო შემოსავალი	
	სხვა საოპერაციო შემოსავლები	
16	შემოსავლები უცხოურ ვალუტაზე და სხვა სავალუტო ფასეულობებზე ნარმოებული ოპერაციებიდან, საკურსო სხვაობის ჩათვლით	
17	შემოსავლები ძვირფასი ლითონების და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან, ძვირფასი ლითონების და ფასიანი ქაღალდების გადაფასების დადებითი შედეგები	
18	დივიდენდის ფორმით შილებული შემოსავლები	
19	სხვა მიმდინარე შემოსავლები	
20	სულ სხვა საპროცენტო შემოსავლები (სტრ.16+სტრ.17+სტრ.18+სტრ.19)	
21	მიმდინარე შემოსავლები (სტრ.12+სტრ.15+სტრ.20)	
22	შრომის ანაზღაურებაზე განული ხარჯები	
23	საექსპლუატაციო ხარჯები	
24	უცხოურ ვალუტაზე და სხვა სავალუტო ფასეულობებზე ნარმოებული ოპერაციებიდან გამონეეული გასავლები, საკურსო სხვაობის ჩათვლით	
25	ძვირფასი ლითონების და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებით გამონეეული გასაელები, ძვირფასი ლითონების და ფასიანი ქაღალდების გადაფასების უარყოფითი შედეგები	
26	სხვა მიმდინარე გასავლები	
27	სულ სხვა საოპერაციო გასავლები	
28	წმინდა მიმდინარე შემოსავლები რეზერვების ფორმირებამდე და გაუთვალისწინებელი შემოსავლების გაუთვალისწინებლად	
29	სესხებზე მოსალოდნელი დანაკარგებისთვის შექმნილი რეზერვების სიდიდის ცვლილება	
30	ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შემთხვევისთვის შექმნილი რეზერვების სიდიდის ცვლილება	
31	სხვა რეზერვების სიდიდის ცვლილება	
32	წმინდა მიმდინარე შემოსავლები გაუთვალისწინებელი შემოსავლების	
33	გარეშე გაუთვალისწინებელი შემოსავლები გაუთვალისწინებელი გასაელების გამოკლებით	
34	სხვა შემოსავალი მოგების გადასახადის გადახდამდე	
35	მოგების გადასახადი	
36	მოგების გადავადებული გადასახადი	
37	წმინდა მოგება (წაგება) საანგარიშო პერიოდში	

$$K = \frac{\text{საბალანსო მოგება პერიოდში - არასტაბილური შემოსავალი}}{\text{ბალანსის აქტივების შედეგის საშუალო საშუალო პერიოდში}} \qquad (10.2)$$

პირველ და მეორე კოეფიციენტს შორის განსხვავება ისაა, რომ მოგება გაწმენდილია არასტაბილური წყაროებისგან. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც შემდეგში

ხდება კოეფიციენტების დინამიკის შეფასება. ბანკის რეიტინგი მაღალი ვერ იქნება, თუ მომგებიანობის კოეფიციენტების ზრდას არასტაბილური წყაროები უზრუნველყოფენ.

საზღვარგარეთ გამოყენებული აღრიცხვის სტანდარტებით, როგორც უკვე ეთქვათ, განსაზღვრავენ წმინდა მოგებას. ამ შემთხვევაში ანალოგიური კოეფიციენტები ასე იანგარიშება.

$$K = \frac{\text{წმინდა მოგება პერიოდში}}{\text{ბალანსის აქტივების შედეგის საშუალო ნაშთი პერიოდში}} \qquad (10.3)$$

$$K = \frac{\text{წმინდა მოგება პერიოდში - არასტაბილური შემოსავალი}}{\text{ბალანსის აქტივების შედეგის საშუალო ნაშთი პერიოდში}} \qquad (10.4.)$$

საბალანსო და წმინდა მოგების შორის არსებული განსხვავებების გამო შეუძლებელია შედარდეს ერთმანეთს 10.1. და 10.3 ან 10.2. და 10.4 კოეფიციენტები. მაგრამ შეიძლება გაკეთდეს 10.1 და 10.2, აგრეთვე, 10.3 და 10.4 კოეფიციენტების მიმართ იმისათვის, რომ რეალური დასკვნები გამოვიტანოთ კოეფიციენტების მნიშვნელობათა დინამიკის საფუძველზე.

წმინდა მოგების საფუძველზე კოეფიციენტების გაანგარიშებით შეგვიძლია გამოვიყენოთ მათი ნორმატიული მნიშვნელობები, რომლებსაც მსოფლიო ბანკის სპეციალისტები გვირჩევენ ბანკების გამოცდილების განზოგადების საფუძველზე. კერძოდ, 10.3 კოეფიციენტის ნორმატიული დონე დასაშვების 1,15-0,3%-ის ფარგლებში, 10.4-სა კი – 10-0,6%-ის ფარგლებში.

დაბეგვრამდე არსებული მოგება აქტივების მიმართ გამოითვლება მოგების მენეჯმენტის შეფასების მიზნით. მსოფლიო სტანდარტების მიხედვით აღრიცხვის განხორციელების შემთხვევაში კოეფიციენტს ასე ანგარიშობენ:

$$K = \frac{\text{საბალანსო მოგება პერიოდში+} \\ \text{+ პერიოდში გადახდილი ყველა გადასახადი, მიკუთვნებული} \\ \text{საბანკო ოპერაციების თვითღირებულებას}}{\text{ბალანსის აქტივების შედეგის საშუალო ნაშთი პერიოდში}} \qquad (10.5)$$

მსოფლიო სტანდარტებით მიღებული სისტემით:

$$K = \frac{\text{წმინდა მოგება პერიოდში+პერიოდში გადახდილი ყველა გადასახადი}}{\text{ბალანსის აქტივების შედეგის საშუალო ნაშთი პერიოდში}} \qquad (10.6)$$

რაც უფრო მეტი სხვაობაა 10.1. და 10.5, 10.2. და 10.6. კოეფიციენტებს შორის, მით უფრო უარესია მოგების მართვა სხვა თანაბარ პირობებში.

მოგება საკუთარი კაპიტალის მიმართ. საკუთარი კაპიტალი კომერციული ბანკის რესურსების ყველაზე უფრო სტაბილური ნაწილია. ამიტომ განვლილ პერიოდში მოგების სტაბილურობა ან მისი ზრდა საკუთარი კაპიტალის ერთეულზე გარკვეულწილად უზრუნველყოფს მომავალში ბანკის რენტაბელობის დონის შენარჩუნებას. საბოლოოდ, ეს კოეფიციენტი აინტერესებთ დამფუძნებლებს, მეპაიეებს თუ აქციონერებს, რადგანაც იგი უჩვენებს მათ თავიანთი ინვესტიციების ეფექტიანობას.

საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის კოეფიციენტის გაანგარიშების მეთოდიკა მსოფლიო სტანდარტებით განხორციელებული აღრიცხვის დროს ასეთია.

$$K = \frac{\text{წმინდა მოგება პერიოდში}}{\text{საკუთარი კაპიტალის საშუალო ოდენობა პერიოდში}} \quad (10.7)$$

$$K = \frac{\text{წმინდა მოგება პერიოდში}}{\text{სააქციო კაპიტალის საშუალო ოდენობა პერიოდში}} \quad (10.8)$$

$$K = \frac{\text{წმინდა მოგება პერიოდში} - \text{არასტაბილური სახეობის შემოსავლები პერიოდში}}{\text{სააქციო კაპიტალის საშუალო ოდენობა}} \quad (10.9)$$

$$K = \frac{\text{წმინდა მოგება პერიოდში} + \text{მთელი გადახდილი გადასახდელები (დაბეგრამდე არსებული მოგება)}}{\text{სააქციო კაპიტალის საშუალო ოდენობა}} \quad (10.10)$$

10.7 კოეფიციენტის ნორმატიული სიდიდეა 10-20% [1], 10.10-ის – 15%.[2]

(1. Валравен К.Д. Управление рисками коммерческого банка. ИЭР Мирового банка. _ Вашингтон, 1992. с.75.

2. Бартлтроп К., Макнотон Д. Банки на развивающихся рынках: В 2-х т. Пер. с англ. Т.2. Интерпретирование финансовой отчетности. _ М.: Финансы и статистика, 1994. _ с.9.)

მოგება ერთ მუშაკზე ის თანაფარდობაა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად შეთანხმებულად ხდება მოგებისა და პერსონალის მართვა. კოეფიციენტს ასე ანგარიშობენ:

$$K = \frac{\text{წმინდა მოგება პერიოდში}}{\text{ბანკის მუშაკთა საშუალო ოდენობა პერიოდში}} \quad (10.11)$$

მომგებიანობის კოეფიციენტების სისტემაში ფუძემდებლურია მოგება/აქტივები მაჩვენებელი. მისი ფაქტობრივი მნიშვნელობა ბანკის ფუნქციონირების ეფექტიანობის (რენტაბელობის) შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი არაა. ეს პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ მაღალი მოგება, როგორც წესი, დიდ რისკთანაა გადაჯაჭვული. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იმავდროულად ვითვალისწინებდეთ რისკისგან ბანკის დაცვას. მეორე, პრონციპული მნიშვნელობა აქვს იმ ეკონომიკურ მოვლენებს, რომლებიც მომგებიანობის ხსენებული კოეფიციენტის დინამიკის განმსაზღვრელი ფაქტორების უკან იმალება.

პირველი დებულების ასახსნელად განვიხილოთ კომერციული ბანკის მომგებიანობის შეფასება აშშ-ის CEMEL-სისტემაში. ამ სისტემაში ბანკის მომგებიანობის დონის შეფასების საფუძველია რაოდენობრივი და ხარისხოვანი პარამეტრები.

ბანკების მომგებიანობის რაოდენობრივად შეფასების მრავალრიცხოვანი მაჩვენებლებიდან შერჩეულია გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი.

$$K = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}} \quad (10.12)$$

ამ კოეფიციენტის ნორმატიულ დონეს ადგენენ ბანკების ჯგუფების მიხედვით, რომლებიც აქტივების მოცულობის მიხედვითაა გამოყოფილი.

ბანკებს სულ ჯგუფად ყოფენ:

I – 100 მლნ. დოლარზე ნაკლები აქტივები

II – 100-დან 300 მლნ. დოლარამდე

III – 1-დან 5 მლრდ. დოლარამდე

IV – 5 მლრდ. დოლარზე მეტი.

ყოველი ჩამოთვლილი ჯგუფისთვის ადგენენ აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტის საშუალო სიდიდეს სამი წლის ფაქტობრივი დონის საფუძველზე. ამ ჯგუფის ყველაზე უფრო მეტი და ყველაზე უფრო ნაკლები მოგების მქონე ბანკების გამოსაელენად შემდეგ მიდგომას იყენებენ. იგი ეფუძნება სამი წლის განმავლობაში კოეფიციენტის ფაქტობრივ საშუალო მაჩვენებელთა კლებად მწკრივს მოცემული ჯგუფის ბანკებისთვის.

უმაღლესი რეიტინგის მომგებიანობის ნორმატივი (9.1) შეესაბამება მწკრივის დასაწყისის ყველაზე მაღალი კოეფიციენტების საშუალო სიდიდეს, რომელთა რაოდენობა ბანკების ამ ჯგუფის კოეფიციენტების მთლიანი რაოდენობის 15%-ს შეადგენს. შემდეგი კოეფიციენტების საშუალო მნიშვნელობა 50%-ის ოდენობით არის ნორმატიული დონე - დამაკმაყოფილებელი დონისთვის (2): 20% საშუალო დონისთვის და 15%-ზღვრული დონისთვის. ზარალის შემთხვევაში იძლევიან რეიტინგს 5 – არადამაკმაყოფილებელი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დონეები, რომლებიც აქტივების გამოყენების ეფექტიანობის საშუალო მნიშვნელობების მიღებულ ჩამონათვალს ყოფენ უმაღლესი დონისა 15%-ად, დამაკმაყოფილებელი დონის 50%-ად, საშუალო დონის 20%-ად და ზღვრული (უდაბლესი) დონის 15%-ად, ამოსავალი პროპორციების დასადგენადაა გამოყენებული.

სამი წლის განმავლობაში კოეფიციენტის ამოსავალი ფაქტობრივი მნიშვნელობების გამოყენება ამცირებს ბანკის მომგებიანობის სტანდარტებზე იმ შემოსავლების დაქვეითების ან მატების მოკლევადიანი ეფექტის გავლენას, რომლებიც მეურნეობის დინამიკას უკავშირდება. მომგებიანობის კრიტერიუმები უფრო სტაბილური ხდება და ნაკლებად განიცდის ციკლურ რყევებს.

ცხრილი 10.5

ბანკის მომგებიანობის კრიტერიუმები, რომლებსაც აშშ-ში იყენებენ საბანკო ზედამხედველობის სისტემაში

რეიტინგი	აქტივების სიდიდე, მლნ. დოლარი				
	100-ზე ნაკლები	100-300	300-1000	1000-5000	5000-ზე მეტი
1.უმაღლესი	1,15	1,05	0,95	0,85	0,75
2.დამაკმაყოფილებელი	0,95	0,85	0,75	0,65	0,55
3.საშუალო	0,75	0,65	0,55	0,45	0,35
4.ზღვრული	0,75	0,65	0,55	0,45	0,35
5.არადამაკმაყოფილებელი	წმინდა ზარალი				

ბანკებზე ზედამხედველობის წარმომადგენელი აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტის მნიშვნელობას უდარებს ნორმატიულ დონეს, რათა წინასწარ შეაფასოს ბანკის რეიტინგი მისი მომგებიანობის დონის მიხედვით. საბოლოო შეფასებისთვის ითვალისწინებენ შემოსავლების ხარისხს

და სტრუქტურას, რისკებისგან ბანკის დაცვის ხარისხს. კერძოდ, იმისდა მიხედვით, თუ როგორაა დაკავშირებული ბანკის მოგების მოცემული სიდიდე სახსრებზე ზარალის დაფარვისათვის შექმნილ არასაკმარის რეზერვთან, რამდენად განიცდის ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლების, გადასახადების გადახდის გადავადების და არაორდინალური შემოსავლების გაელენას, – ბანკის მომგებიანობის რაოდენობრივად შეფასება შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. ამის შესაბამისად არსებობს მოგებიანობის მიხედვით ბანკის რეიტინგის განსაზღვრის შემდეგი სკალა:

ცხრილი 10.6.

მოგებიანობის მიხედვით ბანკის რეიტინგის განსაზღვრის სკალა

რეიტინგი	კრიტერიუმები
1– უმაღლესი (ძლიერი)	აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი შეესაბამება ბანკების საუკეთესო 15%-ის სტანდარტს. ბანკს საკმარისი რეზერვები აქვს სესხებზე მიღებული ზარალის დასაფარავად; მოგება დამოკიდებული არ იყო გადასახადის გადახდის გადავადებაზე, ფასიან ქაღალდებზე წარმოებული ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავლებზე და არაორდინალურ შემოსავლებზე.
2– დამაკმაყოფილებელი	კოეფიციენტი შეტია ბანკის მოცემული ჯგუფის საშუალო სიდიდეზე, მაგრამ ნაკლებია 1 სტანდარტზე. შემოსავლები სტატიკურია და საკმარისია სესხებზე მიღებული დანაკარგების დასაფარავად განკუთვნილი რეზერვის შექმნისთვის: კოეფიციენტის შემცირებას მხოლოდ ხანმოკლე ხასიათი ჰქონდა.
3– საშუალო	კოეფიციენტი ნაკლებია ბანკების ჯგუფის საშუალო სიდიდეზე, მაგრამ მეტია ბანკების უარეზი 15%-ის ნორმატივზე. ჩამოყალიბდა კოეფიციენტის უარყოფითი ტრენდი, დივიდენდებზე განაკვეთის მაღალი დონე, სესხებზე ზარალის დაფარვისთვის არასაკმარისი რეზერვი.
4– ზღვრული (კრიტიკული)	მოგება არის, მაგრამ მომგებიანობის კოეფიციენტი ნაკლებია ბანკების უარესი 15%-ის ნორმატივზე; შემოსავლების რყევა განუჭვრეტელია; კოეფიციენტის ტრენდი უარყოფითია; სესხებზე ზარალის დასაფარავად საჭირო რეზერვი საკმარისი არაა; საკმარისი არაა საკუთარი კაპიტალის მატებისთვის საჭირო მოგება.
5– არადამაკმაყოფილებელი	წმინდა ზარალი. ან შესაძლოა არსებობს მოგება, მაგრამ მისი არსებობა უკავშირდება ზარალის დაფარვას საგადასახადო შეღავათების, ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსულობების და არაორდინალური შემოსავლების ხარჯზე.

ამგვარად, CEMEL-სისტემით მომგებიანობის დონის შეფასების მეთოდი შემდეგი პრინციპული დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს:

1.მაღალი რეიტინგის მიღება ბანკს არ შეუძლია მარტო მომგებიანობის კოეფიციენტის მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლის საფუძველზე, თუკი იგი რისკისგან დაზღვეული არაა ადეკვატური საკუთარი კაპიტალით და სესხებზე მიღებული ზარალის დაფარვის საკმარისი რეზერვით;

2.მომგებიანობის დონის შეფასებისას რაოდენობრივ პარამეტრებთან ერთად ითვალისწინებენ შემოსავლის წყაროების სტაბილურობას;

წლის განმავლობაში სამი კოეფიციენტის დინამიკის შედარება გვიჩვენებს, რომ მომგებიანობის საერთო კოეფიციენტის ვარდნა ძირითადად ბანკის აქტიური ოპერაციების შემოსავლიანობის შემცირებით აიხსნება. ეს შესაძლოა უკავშირდებოდეს საპროცენტო განაკვეთების და საკომისიო ჯილდოს დონის ცვლილებას, აგრეთვე, შემოსავლების შემომტანი აქტივების ხვედრითი წილის (მუშა აქტივების ხვედრითი წილის) ცვლილებას. ეს უკანასკნელი ხასიათდება ეფექტიანობის კოეფიციენტით:

$$K_э = \frac{A_э}{A},$$

სადაც

$K_э$ - ეფექტიანობის კოეფიციენტია,

$A_э$ - შემოსავლის შემომტანი აქტივების საშუალო ნაშთი პერიოდში,

A ბალანსის აქტივების შედეგის საშუალო ნაშთი პერიოდში.

$$2) \quad \frac{\text{წმინდა მოგება (დაბეგვრის შემდეგ)}^1}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{\text{წმინდა}^2 \text{ მოგება}}{\text{აქტივები}} \times \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი აქტივები}}$$

თავის მხრივ, აქტივების მიმართ წმინდა მოგების კოეფიციენტიც ორ თანამამრავლად იშლება, როგორც ეს პირველ მაგალითში იყო ნაჩვენები. ამის შედეგად განტოლება ასეთ სახეს იღებს:

$$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{მთლიანი შემოსავალი}} \times \frac{\text{მთლიანი შემოსავალი}}{\text{აქტივები}} \times \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

= საშემოსავლო მარჟა X აქტივების შემოსავლიანობა X

X ლევერაჟის კოეფიციენტი (კაპიტალის მულტიპლიკატორი)

წმინდა მოგების და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა, რომელიც სამი თანამამრავლის სახითაა წარმოდგენილი, მსოფლიო პრაქტიკაში დიუკონის ფორმულის სახელითაა ცნობილი. იგი გვიჩვენებს კომერციული ბანკის ინვესტირების შემოსავლიანობის ზრდის და ბანკის სტაბილური რენტაბელობის უზრუნველყოფის ძირითად მიმართულებებს. აქტივების შემოსავლიანობის ზრდის ფაქტორები პირველ მაგალითში იყო ნაჩვენები. საშემოსავლო მარჟის ზრდა დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთების და კომისიების დონეზე, ბანკის შემოსავლებისა და გასავლების ზრდის ტემპების თანაფარდობაზე, რესურსების ღირებულებაზე და ა.შ.

ლევერეჯის კოეფიციენტის გაუმჯობესება დამოკიდებულია ბანკის დეპოზიტური ბაზის გაფართოებაზე, რაც უზრუნველყოფს რესურსების შედარებით სიიაფეს და ბანკის ნაკლებად დამოკიდებულებას ფულის ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების რყევაზე.

1. ROE-Return on Equity (წმინდა შემოსავალი)
2. ROA-Return on Assets (წმინდა შემოსავალი))

10.8. ბანკის ფინანსური ანალიზი, მისი მიზნები და მეთოდები

ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზის საბაზო ცნებები. ბანკის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა თვალსაზრისით განასხვავებენ მისი ფინანსური საქმიანობის ანალიზის რამდენიმე სახეს. ესენია: ბანკის საკუთარი სახსრების დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი; ბანკის მიერ მოზიდული გადახდის საშუალებათა დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი; ბანკის აქტივების დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი; ბანკის შემოსავლების დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი; ბანკის მოგების დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი; კლიენტურის ანგარიშებზე რიცხული სახსრების ანალიზი; ბანკის საკრედიტო და საფონდო პორტფელების ანალიზი; ბანკის ოპერაციების (და მისი ქვედანაყოფების მუშაობის) ეფექტიანობის ანალიზი; ბანკის ლიკვიდობისა და მისი ბალანსის ანალიზი; ბანკის ფინანსური მდგრადობის ანალიზი.

სხვა კრიტერიუმის მიხედვით, გამოყოფენ მის შემდეგ სახეებს (ფორმებს):

- ბანკების მიერ ჩატარებული შიდა თვითანალიზი;
- ბანკების, მათ შორის კონტრაჰენტი ბანკების, დისტანციური ანალიზი (საქმიანობისა და მისი ფინანსური შედეგების, საკუთარი კაპიტალის სტრუქტურისა და დინამიკის, სარესურსო ბაზისა და აქტივების, ბანკის ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის ფაქტორების ანალიზი მისი ოფიციალური და გამოქვეყნებული ანგარიშგების საფუძველზე);
- ბანკების ანალიზი მათი რეიტინგული შეფასებების შედგენის მიზნით.

ბანკის ფინანსური საქმიანობის ანალიზისათვის მრავალფეროვან მეთოდებს იყენებენ, რომელთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია: დაჯგუფებათა მეთოდები; კოეფიციენტების ანალიზი; ინდექსების ანალიზი; ტრენდული ანალიზი (ტენდენციების ანალიზი); ფაქტორული ანალიზი.

ფინანსური ანალიზის მიზანია ბანკის ცხოველმყოფელობის ყველა იმ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და ფინანსური პარამეტრების განვითარების ხარისხიანი მართვის უზრუნველყოფა, როგორიცაა მისი აქტივებისა და პასივების სტრუქტურა; კაპიტალი და საგადასახდელო ბრუნვა (საკუთარი და მოზიდული სახსრები); ოპერაციების მომგებიანობა; ფინანსური რესურსების პორტფელის რისკები; შიდასაბანკო ფასწარმოქმნა და ბანკის ქვედანაყოფების მუშაობის ეფექტიანობა.

ფინანსური ანალიზის მეთოდების შინაარსი. ზემოჩამოთვლილი და მათი მსგავსი სხვა მმართველობითი ამოცანების გადაჭრა მოითხოვს ისეთი სამეცნიერო-მეთოდური ინსტრუმენტარიუმის არსებობას, რომელიც თავისი საქმიანობის განსახვავებული მხარეების ანალიზისა და შეფასების შესაძლებლობას აძლევს ბანკს. ქვემოთ მოყვანილი მეთოდური ინსტრუმენტარიუმი კომერციული ბანკის ფინანსური საქმიანობის მოდელების ანალიზს ეყრდნობა.

1. ბალანსის კაპიტალების განტოლება:

საკუთარი კაპიტალი = აქტივები − ფასიანი პასივები

ამ განტოლების გამოყენება მიზანშეწონილია იმის საბოლოო შეფასებისათვის, თუ რამდენად გონივრულად და ეფექტიანად მართავს ბანკი მის ხელთ არსებულ მთელ კაპიტალს საკუთარი კაპიტალის მატების პოზიციიდან, აელენს და იყენებს თავისი შემოსავლიანობის ამაღლების რეზერვებს (ბანკის ხარჯების მართვა).

2. ბალანსის მოდიფიცირებული განტოლება:

აქტივები = პასივები

ამ ფორმულის შესაბამისად ჩატარებული ანალიზის მთავარი მიზანია იმის ოპერატიულად შეფასება, თუ რამდენად ეფექტიანად (კვალიფიციურად) იყენებს ბანკი მის განკარგულებაში მყოფ პასივებს, იცავს თავისი პორტფელის ოპტიმიზაციის დადგენილ პროპორციებს (ნორმატივებს) ან უშვებს ამ პროპორციებიდან გადახრას (მომგებიანობისა და ლიკვიდობის და მათი დაბალანსებულობის მართვა).

3. ბალანსის ძირითადი მართვა:

აქტივები = საკუთარი კაპიტალი + ფასიანი პასივები

ამ განტოლების საფუძველია ბანკის კუთვნილი მთელი აქტივების ფლობისა და განკარგვის პრინციპი. მისი გამოყენების ყველაზე უფრო მისაღები მიმართულებებია ბანკის საქმიანი აქტივობის, ლიკვიდობის, ფინანსური მდგრადობის და მართვის ეფექტიანობის შეფასება, აგრეთვე, წინასწარი ანალიზი იმის დასადგენად აქვს თუ არა ბანკს გარკვეული ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობები (მაგალითად, ლრესურსების მოზიდვისა და განთავსების რა შესაძლებლობებს აძლევს ბანკს მის ხელთ არსებული კაპიტალური ბაზა).

4. დინამიკური ბუღალტრული ბალანსის განტოლება. ამ განტოლების საფუძველზე, რომელიც მოგებისა და წაგების ანგარიშს წარმოადგენს, ატარებენ ბანკის საქმიანობის მომგებიანობის ფაქტორულ ანალიზს (მისი ფინანსური შედეგიანობის მართვა). დასმულ ანალიტიკურ ამოცანებზე დამოკიდებულებით უნდა შევირჩიოთ განტოლების ის კონკრეტული მოდელი, რომელიც ყველაზე უფრო კარგად შეეფერება გადასაწყვეტ ამოცანას.

განვიხილოთ ანალიზის დასახელებული ინსტრუმენტების გამოყენება.

10.8.1. ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲢᲝᲚᲝᲑᲐ

ამ განტოლების საფუძველზე ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მთლიანი კაპიტალის მართვის ხარისხი ბანკის საკუთარი კაპიტალის მატების პოზიციიდან (კაპიტალის ეკონომიკური უკუგება დამატებული ღირებულების შექმნა). ამ მიზნით ბანკის ბალანსი შემდეგნაირად უნდა წარმოვადგინოთ.

ბანკის აქტივი ხარისხობრივ ჭრილში წარმოდგენილია აგრეგირებული მუხლების შემდეგი ჯგუფებით: 1) მწარმოებლური აქტივები ყველა საკრედიტო და საინვესტიციო ოპერაცია კლიენტურასთან და კონტრაჰენტებთან; 2) არამწარმოებლური აქტივები - ანგარიშებში, რეზერვებსა და დებიტორთა სახსრებში გადანახული სახსრები; 3) საკუთარი საჭიროების ხარჯები კაპიტალიზირებული აქტივები, შიდასაბანკო და ფილიალთაშორისი ფულადი რესურსები, არამატერიალური აქტივები, მოგების ხარჯზე გადანახული სახსრები, ხარჯები და დანაკარგები.

ბალანსის პასივს აქვს შემდეგი სტრუქტურა:

1) საკუთარი სახსრები:

ა) საკუთარი ბრუტო-სახსრები-იმობილიზებული საკუთარი სახსრები და საკუთარი ნეტო-სახსრების ფაქტიური ნაშთი: 1) საკუთარი კაპიტალი; 2) საკუთარი სახსრები ანგარიშსწორებაში, მათ შორის ბანკის მთავარ კანტორასა და მის ფილიალებს (განყოფილებებს) შორის; 3) ერთობლივი შემოსავლები; 4) მომავალი პერიოდების შემოსავლები; 5) სავალუტო სახსრების გადაფასება (საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში შეჰყავთ საწესდებო კაპიტალის მხოლოდ საკალუტო ნაწილში);

ბ) საკუთრი ნეტო-სახსრები რაოდენობრივად ანგარიშობენ საკუთარი ბრუტო-სახსრების თანხიდან მათი მობილიზაციის თანხის, სავალუტო სახსრების გადაფასების და მომავალი პერიოდების შემოსავლების გამოკლებით (ბოლო ორ ელემენტს აკლებენ საკუთარ ბურტო-სახსრებს, რადგან ისინი საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტებია მხოლოდ და არა რეალური);

2) მოზიდული სახსრები:

3) მოზიდული ბრუტო-სახსრები: 1) დეპოზიტები სულ, მათ შორის - მოთხოვნამდე ანგარიშებზე და ვადიანი დეპოზიტები და ანაბრები; 2) ფასიანი ქაღალდების მეშვეობით მოზიდული სახსრები; 3) სხვა ბანკებიდან მიღებული კრედიტები; 4; სახსრები ანგარიშსწორებათა სისტემიდან; 5) სხვა კრედიტორთა სახსრები. მოთხოვნამდე სახსრებს (ონკოლურ ვალდებულებებს) ეკუთვნის მიმდინარე ანგარიშებზე უცხოური ვალუტით რიცხული სახსრები, საწარმოების ან-

გარიშებებზე სახსრების ნაშთები, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და ინდივიდუალურ მეწარმეთა მიმდინარე ანგარიშებზე არსებული სახსრები, უცხოური ფირმების სახსრები და კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისთვის განკუთვნილი სახსრები. მე-4 და მე-5 ჯგუფების სახსრების ნაწილის იმობილიზება ხდება ბალანსის აქტივის ანალოგიურ მუხლებში. ამიტომ მოზიდული ბრუტო-სახსრების ცნება მოიცავს იმობილიზებულ რესურსებს და მოზიდული ნეტო-სახსრების ფაქტიურ ნაშთს.

დ) მოზიდული ნეტო-სახსრები, რომელთა რეალურ სიდიდეს განსაზღვრავენ მოზიდული ბრუტო-სახსრების მთლიანი თანხის შესწორებით იმობილიზაციის თანხით.

ბანკის ბალანსის კაპიტალების განტოლების ანალიზის მეთოდიკა მოიცავს შემდეგ ძირითად ცნებებსა და ელემენტებს.

საკუთარი კაპიტალის ეკონომიკური უკუგება წარმოადგენს დაბეგრილი მოგების შეფარდებას ბანკის საკუთარ კაპიტალთან. მისი გაანგარიშება შეგვიძლია ფორმულით:

$$N = E \times H1 \times H2 \times H3,$$

სადაც N არის კაპიტალის ეკონომიკური უკუგება და = გასანაწილებელი მოგება/საკუთარი კაპიტალი;

E მომგებიანობა = გასანაწილებელი მოგება/დასაბეგრი მოგება (ახასიათებს გადასახადების მართვის ეფექტიანობას);

H1 მოგების მარჟა = დასაბეგრი მოგება/ოპერაციული შემოსავლები (ახასიათებს დანახარჯების კონტროლის ეფექტიანობას);

H2 - აქტივების შემოსავლიანობის დონე = ოპერაციული შემოსავლები/აქტივები (განსაზღვრავს აქტივების გამოყენების ეფექტიანობის დონეს);

H3 კაპიტალის მულტიპლიკატორი = აქტივები/საკუთარი კაპიტალი (გვიჩვენებს რესურსების მართვის ეფექტიანობის დონეს).

კაპიტალის უკუგების გაანგარიშებაში შემავალი პარამეტრების ცვლილების შედარებისას, სტრუქტურისა („ვერტიკალური ანალიზი“) და დინამიკის („ჰორიზონტალური ანალიზი“) მიხედვით, ვლინდება, თუ რომელი ფაქტორების სარჯზე იცვლებოდა შედეგობრივი ნიშან-თვისება ეკონომიკური უკუგება და შემდეგი ფაქტორებიდან კერძოდ რომელმა გამოიწვია კაპიტალის ეკონომიკური უკუგების არსებითად შეცვლა: ა) მომგებიანობის სიდიდეთა შეცვლამ, ე.ი.გადასახადების მართვის ეფექტიანობამ; ბ) მარჟის შეცვლამ, ე.ი. დანახარჯების მართვის ეფექტიანობამ; ც) აქტივების შემოსავლიანობის შეცვლამ, ე.ი. აქტივების შეცვლამ, ე.ი. ეფექტიანობამ; დ) ბანკის კაპიტალის ფინანსური სტრუქტურის შეცვლამ, ე.ი. რესურსების მართვამ.

კაპიტალის ეკონომიკურ უკუგებაზე ამა თუ იმ ფაქტორის გავლენას ასე ანგარიშობენ.

კაპიტალის უკუგების საერთო ცვლილება:

N - N,

სადაც N კაპიტალის უკუგებაა საანგარიშო (მიმდინარე) წელს;

N - კაპიტალის უკუგება წინა წელს.

მომგებიანობის ცვლილება კაპიტალის უკუგებაზე:

(E - E) x H1 x H12 x H3.

სადაც E მომგებიანობაა საანგარიშო (მიმდინარე) წელს;

E0 - მომგებიანობა წინა წელს;

H1 - მოგების მარჟა საგეგმო პერიოდში;

H2 - აქტივების გამოყენების ეფექტიანობის დონე საანგარიშო პერიოდში;

H3 - კაპიტალის მულტიპლიკატორი საანგარიშო პერიოდში.

მოგების მარჟის სიდიდის გავლენა კაპიტალის სიდიდეზე:

$(H1 - H1_0) \times E_0 \times H2 \times H3$,

სადაც $H1_0$ მოგების მარჟაა წინა პერიოდში.

აქტივების გამოყენების ეფექტიანობის ცვლილების გავლენა კაპიტალის უკუგებაზე:

$(H2 - H2_0) \times E_0 \times H1_0 \times H3$,

სადაც $H2_0$ -აქტივების გამოყენების ეფექტიანობაა წინა პერიოდში. კაპიტალის მულტიპლიკატორის ცვლილების გავლენა კაპიტალის უკუგებაზე:

$(H3 - H3_0) \times E_0 \times H1_0 \times H2_0$.

სადაც $H3_0$- აქტივების გამოყენების ეფექტიანობაა წინა პერიოდში.

კაპიტალის მულტიპლიკატორი გვიჩვენებს ბანკის მაქსიმალურ უნარს, მოიზიდოს დეპოზიტები და გასცეს კრედიტები ან გააფართოოს „დეპოზიტ-სესხის" ჯაჭვი საკუთარი კაპიტალის ერთ ფულად ერთეულზე გაანგარიშებით. ე.ი. მულტიპლიკატორი საკუთარი და მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის მართვის ბერკეტია ბანკის ხელში, რომლის დახმარებითაც მან უნდა უზრუნველყოს კაპიტალის საჭირო სტრუქტურა (საკუთარი და ნასესხები კაპიტალების თანაფარდობა), ე.ი. კაპიტალური ბაზის (საკუთარი კაპიტალის) და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობების სასურველი დაბალანსება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა ბანკის კაპიტალის უნარი, მიმოქცევაში მოიზიდოს დამატებითი ფული ისე, რომ არ დაარღვიოს ბანკის მუშაობის მდგრადობა და შემოსავლიანობა.

ბანკის კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტის (კმე) შესაფასებლად შეიძლება გამოვიყენოთ ფორმულა:

კმე = {[(П+ПР): А] x 100% - УС} x МК,

სადაც П- მოგებაა;

ПР– საპროცენტო განაკვეთები;

А - მთელი აქტივები;

[(П+ПР): А] x 100% - ბანკის ეკონომიკური რენტაბელობა (ერ) ანუ საქმიანობის პროცესში დამატებული ღირებულების შექმნის უნარი;

УС- საპროცენტო განაკვეთის დონე ბანკის მიერ მოზიდულ ფასიან სახსრებზე (ტოლია საპროცენტო ხარჯების შეფარდებისა ფასიან მოზიდულ სახსრებზე და გამოიხატება პროცენტობით);

МК - კაპიტალის მულტიპლიკატორი (ბანკის მთელი აქტივების შეფარდება მის საკუთარ კაპიტალთან).

კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტის მნიშვნელობა (იხ.ცხ.12.) საშუალებას გვაძლევს განესაზღვროთ: შემომავალი და გამავალი ფინანსური საპროცენტო ნაკადების ხარისხი ანუ სპრედის (განთავსებულ აქტივებზე საპროცენტო განაკვეთებსა და მოზიდულ ფასიან ფულად რესურსებზე განაკვეთებს შორის სხვაობის) მართვის ეფექტიანობის დონე; ბანკის საკუთარი და მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის ეფექტიანობა (ცხრილი 10.8.).

მაგალითად ჩანს, რომ ბანკმა „გადააბიჯა" მისი საქმიანობის რენტაბელობაზე კაპიტალის მულტიპლიკატორის დადებითი ზეგავლენის დონეს და საჭირო გახდა ოპერატიული ჩარევა აქტივების „გაყინვისა" და მათი რესტრუქტურიზაციის ან ბანკის კაპიტალის დამატებით გადიდების მიზნით.

დამატებული ღირებულება (დღ) რენტაბელობის და ბანკის საქმიანობაში თვისებრივ ცვლილებათა საერთო შეფასებითი მაჩვენებელია; მას იყენებენ ბანკის მმართველობითი საქმიანობის შეფასების, ე.ი. საკუთარი აქტივებისა და პასივების მართვის დონისა და ხარისხის კრიტერიუმად. დღ-ის გაანგარიშებას ასდენენ ფორმულით:

დღ = (საკუთარ კაპიტალზე შემოსავლის პროცენტი მოზიდულ კაპიტალზე პროცენტის ნორმა) X საკუთარი კაპიტალი,

ცხრილი 10.8.

კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტის გაანგარიშების მაგალითი

გაანგარიშება	განმარტება	ზომის ერთეული	სიდიდე		
			t1	t2	t3
П	მოგება	მლნ.	11.02	13.43	20.11
ПС	მოზიდული სახსრები	-"-	700.65	1138.47	3346.89
ПР	საპროცენტო დანახარჯები	-"-	87.45	150.17	283.04
МК	კაპიტალის მულტიპლიკატორი	ერთ.	10.24	10.72	18.05
УС	საპროცენტო განაკვეთის დონე მოზიდულ სახსრებზე	%	12.48	13.19	8.48
А	აქტივები	მლნ.	795.12	1310.80	3646.47
ЭР=(П+ПР): Ах100	ეკონომიკური რენტაბელობა	%	12.38	12.48	8.31
ЭФК = (ЭР - -УС) х МК	კაპიტალის მულტიპლიკატორის შედეგიანობა	-"-	-10.02	-7.61	-2.67

ან აგრეგირებული ფორმით:

$$\text{დღ} = (\text{Н} - \text{К}) \text{ X } \text{К},$$

სადაც К - ბანკის საკუთარი კაპიტალია;

Н - მოგების შეფარდება ბანკის საკუთარ კაპიტალთან;

К - ბანკის საპროცენტო დანახარჯების შეფარდება მოზიდულ ფასიან კაპიტალთან (ბანკის მიერ მოზიდული ფასიანი სახსრები).

დღ-ის გაანგარიშებათა დახმარებით ბანკის მმართველები ყურადღებას ამახვილებენ კაპიტალის განთავსებისა და მართვის (პასივების მართვა, მათი დივერსიფიკაცია) ისეთ კრიტიკულ პრობლემებზე, როგორიცაა მოგების ნორმა კაპიტალზე (ასახავს ბანკის ფინანსური ნაკადების ეფექტიანობის ძირითად პარამეტრებს: აქტივების შემოსავლიანობა, მოგების მარჟა, მულტიპლიკატორი), აქტივებისა და პასივების რესტრუქტურიზაციის აუცილებლობა შემომავალი და გამავალი ფულადი ნაკადების მოცულობებისა და ღირებულების მიხედვით (ცხრილი 10.9).

ცხრილი 10.9

დამატებული ღირებულების გაანგარიშების მაგალითი

გაანგარიშება	განმარტება	ზომის ერთეული	სიდიდე		
			მლნ. t1	-0.65 t2	-9.31 t3
К	საკუთარი კაპიტალი (К)	მლნ.	93.59	172.33	294.44
н=П:К	შემოსავლის პროცენტი საკუთარ კაპიტალზე (Н)	ერთ.	0.1177	0.0779	0.0683
к=УС	პროცენტის ნორმა მოზიდულ კაპიტალზე	-"-	0.1247	0.1319	0.0844
дღ=(н-к) х К	დამატებული ღირებულება (дღ)				-4.74

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ:

1) საჭიროა ყურადღების გამახვილება კაპიტალზე მოგების ნორმის მართვაზე როგორც საბანკო საქმიანობის ეფექტიანობის ინტეგრალურ მაჩვენებელზე (მოგების ნორმა ზოგადად ასახავს აქტივების ღირებულების, დანახარჯების, გეპის, სპრედის, პორტფელის შეზღუდვების ლიკვიდურობისა და ბანკების ლიკვიდური მომსახურების გაყიდვის მართვის ხარისხს);

2) უნდა შემცირდეს ან გადაეწყოს მცირეეფექტიანი აქტივები).

10.8.2. დინამიკური ბუღალტრული ბალანსის განტოლება

მოგების დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზის მიზანია მათში მომხდარი ცვლილებების გამოვლენა ბანკის საქმიანობის ძირითადი სახეების თვალსაზრისით. მთლიანი მოგება მისი მიღების წყაროებზე დამოკიდებულებით იყოფა: 1) ოპერაციული მოგება (ზარალი) კრედიტებზე საპროცენტო შემოსავლებიდან მიღებული მოგება (ზარალი) მინუს გადახდილი პროცენტები; 2) ფასიან ქაღალდებზე განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული მოგება (ზარალი) - ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები მინუს დანახარჯები ამ ოპერაციების ჩატარებაზე; 3) არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება (ზარალი) შემოსავლები კომისიებიდან, ფასეულობათა შემოტანის ხარჯები, დივიდენდები, მიღებული ჯარიმები და ა.შ. მინუს ფუნქციონური საქმიანობის უზრუნველყოფის ხარჯები (ემართველ-ადმინისტრაციული პერსონალის შენახვის ხარჯები, სამეურნეო ხარჯები, საამორტიზაციო ანარიცხები, ძირითადი ფონდების რემონტის ხარჯები) და სხვა ხარჯები (გადახდილი კომისიები, ჯარიმები, ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯები, სხვა ხარჯები და დანაკარგები). ამასთან, მოგებას აფასებენ: „ჰორიზონტალზე“ გამოსაკვლევი პერიოდების დინამიკაში; „ვერტიკალზე“ - მისი სტრუქტურის ცვლილების თვალსაზრისით ბანკის საქმიანობის სახეების მიხედვით. აღნიშნული ელემენტების ცვლილების ტემპების შედარება საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ, თუ რომელმა ფაქტორმა იმოქმედა არსებითად, - პოზიტიურად ან ნეგატიურად, მთლიან მოგებაზე (იხ. ცხ.10.10).

ცხრილიდან ჩანს: 1) ბანკი მთლიანადაა დამოკიდებული იმ საფინანსო ბაზრის სეგმენტების კონიუნქტურაზე, რომლებზეც ის მუშაობს; 2) ბანკი დამოკიდებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის პოლიტიკურ და კონიუნქტურულ რისკებზე; 3) ბანკის მწარმოებლური აქტივების პორტფელი დივერსიფიცირებული არაა დაბანდებათა მიმართულებების მიხედვით განმსაზღვრელი მოცუ-

ცხრილი 10.10

მოგების მოცულობისა და სტრუქტურის დინამიკის ანალიზის მაგალითი საქმიანობის სახეების მიხედვით

აღნიშვნა	მაჩვენებლები და გაანგარიშების წესი	მლნ.			ხვედრითი წილი, %		
		t1	t2	t3	t1	t2	t3
1	შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	83.29	133.28	196.87	-	-	-
2	საოპერაციო ხარჯები	82.00	140.93	250.12	-	-	-
E1	საოპერაციო მოგება (წაგება), პ.1 - პ.2	1.29	-7.65	-53.25	11.7	-57.0	-264.8
3	ფასიან ქაღალდებზე ოპერაციებიდან შემოსავლები	17.02	38.79	113.41	-	-	-
E2	ფასიან ქაღალდებზე ოპერაციებიდან მოგება, პპ.3-4	11.57	29.55	80.49	105.0	220.0	400.3
5	საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული და სხვა შემოსავლები	8.79	17.75	72.22	-	-	-
6	ფუნქციონური უზრუნველყოფისათვის საჭირო და სხვა ხარჯები	10.63	26.22	79.35	-	-	-
E3	არასაოპერაციო საქმიანობიდან მოგება (წაგება) („ტვირთი"), პპ.5-6	-1.84	-8.47	-16.7	-16.7	-63.1	-35.5
E4	მოგება (ზარალი), E1 + E2 + E3						

ლობა დაბანდებულია ფასიან ქაღალდებზე ოპერაციებში; 4) საკმაოდ დარწმუნებით შეგვიძლია ვისაუბროთ ბანკის უხარისხო ფინანსურ მენეჯმენტზე, რადგან ყველა მომგებიანი ოპერაცია ბაზრის იმ სეგმენტზეა თავმოყრილი, რომლებსაც კონკრეტულ პირობებში არადიერსიფიცირებული ხასიათი აქვთ.

ბანკის კაპიტალზე მოგების ნორმა მოგების შეფარდება კაპიტალთან - მისი შედეგიანობის განმაზოგადებელი მაჩვენებელია, რომელიც ასახავს მოგების ნორმის სიდიდის დამოკიდებულებას ისეთი ფაქტორების გავლენაზე, როგორიცაა:

- მოგების მარჟა მოგების შეფარდება მთელ შემოსავალთან - ფაქტორული მაჩვენებელი, რომელიც ასახავს მთელი შემოსავლის ერთეულზე მოსული მოგების მასის ცვლილების გავლენას მოგების ნორმაზე;
- აქტივების გამოყენება მთელი შემოსავლის შეფარდება აქტივების მთელ თანხასთან ფაქტორული მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ბანკის მიერ თავისი აქტივების გამოყენების საერთო ეფექტიანობას;
- კაპიტალის მულტიპლიკატორი.

კაპიტალზე მოგების ნორმის საანგარიშო ფორმულას ასეთ სახე აქვს: (მოგება/საკუთარი კაპიტალი) = (მოგება/შემოსავალი) X (შემოსავალი/აქტივები) X (აქტივები/საკუთარი კაპიტალი).

კაპიტალზე მოგების ნორმის გაანგარიშებაში შემავალი პარამეტრების ცვლილების შედარები-

სას სტრუქტურისა („ვერტიკალური ანალიზი") და დინამიკის („ჰორიზონტალური ანალიზი") მიხედვით ირკვევა, თუ რომელი ფაქტორების ხარჯზე იცვლება შედეგობრივი ნიშან-თვისება კაპიტალზე მოგების ნორმა და ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელმა გამოიწვია მოგების ნორმის არსებითად შეცვლა: ა) შემოსავლის ერთ ფულად ერთეულზე მოგების სიდიდის შეცვლამ; ბ) მთელი აქტივების ეფექტიანობის დონის შეცვლამ; გ) ბანკის კაპიტალის სტრუქტურის შეცვლამ (იხ.ცხ.10.11).

ცხრილი 10.11

ᲙᲐᲐᲘᲢᲐᲚᲖᲔ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ (ᲔᲠᲗᲘᲡ ᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ)

აგრეგატები	მაჩვენებლები	პერიოდები		
		t1	t2	t3
H1	მოგების ნორმა	0.1420	0.1099	0.1001
H2	მომგებიანობა (მოგების მარჟა)	0.1099	0.0780	0.0648
H3	აქტივების გამოყენება	0.1262	0.1313	0.0851
H4	კაპიტალის მულტიპლიკატორი	10.2424	10.7232	18.1520

ცხრილის მონაცემებიდან გამომდინარეობს: 1) ბანკი ვითარდება ექსტენსიური გზით, სავარაუდოდ, ძირითადად მონაწილეთა დამატებითი შენატანების ხარჯზე; 2) ბანკის წარმატებული (წარუმატებელი) საქმიანობა დამოკიდებულია მისი საწესდებო კაპიტალის გადიდების (შემცირების) სიდიდეზე; 3) კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის და შემოსავლების სტრუქტურის მართვა მოითხოვს კვალიფიციურ ჩარევას „რისკი-შემოსავლების" ასპექტით; 4) კაპიტალის მულტიპლიკატორის მნიშვნელოვნად ზრდისა და კაპიტალზე მოგების ნორმის კლების ტენდენციის (ტრენდის) ფონზე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა შემოსავლის მომტან მიმოქცევაში აქტივების მონაწილეობის დაბალი ხარისხისა და ბანკის აქტივების იმობილიზაციის მაღალი დონის შესახებ.

მარჟის, აქტივების გამოყენების ეფექტიანობისა და კაპიტალის მულტიპლიკატორის ურთიერთკავშირების მრავალეტაპობრივი ანალიზის მეთოდს დეკომპოზიციურ ანალიზს უწოდებენ, რომელსაც შემდეგი სქემით იყენებენ.

სტადია 1. განიხილავენ კაპიტალზე მოგების (მოგების ნორმა საკუთარი კაპიტალის ერთეულზე - H1) კავშირს აქტივებზე მოგებასთან (მოგება მთელი აქტივების ერთეულზე - ПНА) და კაპიტალის მულტიპლიკატორთან (H3) შემდეგი ტოლობით:

$$H1 = ПНА \times H3$$

რადგანაც ამ ფორმულის კომპონენტები დამოკიდებულებათა ამსახველი კოეფიციენტებია, ამიტომ საჭიროა მათი გაანალიზებაც.

სტადია 2. მოგების ნორმის (H1-ის) უფრო ღრმად გაანალიზებისათვის აუცილებელია ПНА გავყოთ კომპონენტებზე: მარჟა (H4 = მოგება/შემოსავალი); აქტივების გამოყენება (H2 = შემოსავალი/აქტივები). მაშინ:

$$ПНА = H4 \times H2 = (\text{მოგება}/\text{შემოსავალი}) \times (\text{შემოსავალი}/\text{აქტივები}).$$

ცხრილი 10.12

კაპიტალზე მოგების ნორმის დეკომპოზიციური ანალიზის მაგალითი

მაჩვენებლები და გაანგარიშების წესი მაჩვენებელთა მნიშვნელობა	ერთეულის ნაწილებით			
	პროცენტებით		t2-t1 / t2-t1	t3-t2 / t3-t2
კაპიტალზე მოგების ნორმის სიდიდის ცვლილება (H1 - $H1_0$)	-0,0321	-0,0098	-100,00	-100,0
კაპიტალზე მოგების ნორმის ცვლილების სიდიდეზე მოგების მარჟის ცვლილების გავლენა (H4 - $H4_0$)xH2xH3	-0,0411	-0,0186	-128,04	-189,82
კაპიტალის მოგების ნორმის ცვლილების სიდიდეზე აქტივების გამოყენების დონის ცვლილების გავლენა (H2 - $H2_0$)x$H4_0$xH3	0,0043	0,0544	13,40	-554,08
კაპიტალის მოგების ნორმის ცვლილების სიდიდეზე მულტიპლიკატორის სიდიდის ცვლილების გავლენა (H3 - $H3_0$)x$H4_0$x$H2_0$	0,047	0,0632	14,64	643,90

სტადია 3. აანალიზებენ მოგების ნორმაზე მისი ფაქტორების გავლენას: H1= H4 x H2 x H3 (H1= მოგება/საკუთარი კაპიტალი, H3 = აქტივები/საკუთარი კაპიტალი) და რაოდენობრივად აფასებენ ყოველი მათგანის გავლენას შედეგზე კაპიტალის მოგების ნორმაზე - შემდეგი თანმიმდევრობით:

1) მოგების ნორმის სიდიდის გადახრათა ანგარიში:

$$H1 - H1_0$$

სადაც H1 და $H1_0$ კაპიტალზე მოგების ნორმებია შესაბამისად საანგარიშო და წინა პერიოდებში.

2) მოგების ნორმის გადახრის სიდიდეზე მარჟის ცვლილების გავლენის ანგარიში:

$$(H4 - H4_0)xH_2xH_3$$

სადაც H4 და $H4_0$ მარჟის დონეებია შესაბამისად საანგარიშო და წინა პერიოდებში, H2 აქტივების გამოყენების დონე საანგარიშო პერიოდში;

H3 კაპიტალის მულტიპლიკატორი საანგარიშო პერიოდში.

3) მოგების ნორმის გადახრების სიდიდეზე აქტივების გამოყენების დონის ცვლილების გავლენის ანგარიში:

$$(H2 - H2_0)\ H4_0\ H3,$$

სადაც $H2_0$ აქტივების გამოყენების დონეა წინა პერიოდში;

$H4_0$ -მარჟის დონე წინა პერიოდში;

4) მოგების ნორმის გადახრების სიდიდეზე მულტიპლიკატორის მაჩვენებლის ცვლილების გავლენის ანგარიში:

$$(H3 - H3_0)xH4_0xH2_0,$$

სადაც $H3_0$ კაპიტალის მულტიპლიკატორია წინა პერიოდში

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს: 1) დაბალია კაპიტალზე მოგების ნორმის ისეთი ფაქტორების მართვის დონე, როგორიცაა მოგების მარჟა და აქტივების გამოყენება; 2) შეინიშნება კაპიტალის მულტიპლიკატორის მაღალი დონე და მისი დადებითი გავლენა, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ, მაგალითად, დაბალი პროცენტით მონაწილეთა დაკრედიტებისას ბანკი უკან სრულად ვერ იღებს შემოსავლებს საწესდებო კაპიტალში შენატანების სახით. ეს შესაძლოა უკავშირდებოდეს ან მონაწილეებისა და თვით ბანკის დაბეგვრის სიდიდეებში არსებულ სხვაობას, ან იმ არაფორმალური ჰოლდინგური სტრუქტურის განვითარებას, რომელშიც ბანკი ფინანსური ცენტრის როლს ასრულებს.

10.8.3. ბალანსის მოდიფიცირებული განტოლება

ანალიზის მთავარი მიზანია არა ბანკის მომგებიანობისა და ლიკვიდობის მაჩვენებლების, არამედ მის განკარგულებაში არსებული პასივების გამოყენების კვალიფიციურობის გამოვლენა მომგებიანობას და ლიკვიდობას, აგრეთვე, ბანკის ფინანსური მდგომარეობის სხვა მხარეებს შორის დაბალანსებულობის ხარისხის განსაზღვრის გზით. ანალიზის პროცესში ვლინდება ოპტიმალური თანაფარდობა ბანკის მომგებიანობასა და ლიკვიდობას შორის, განისაზღვრება, იცავს თუ არა იგი საჭირო დივერსიფიკაციას თავის აქტიურ და პასიურ ოპერაციებში, რაციონალურად მართავს თუ არა პორტფელს. მიდგომა იმას ეყრდნობა, რომ გონივრულად მართულმა ბანკმა აუცილებლად უნდა დაიცვას თანაფარდობა აქტივებსა და პასივებში და მათ შორის, პასივების გარკვეული მუხლები მიმაგროს აქტივების სათანადო მუხლებს. დაჯგუფების მეთოდი საშუალებას გვაძლევს ბალანსის მონაცემების სისტემატიზების გზით გავერკვეთ გასაანალიზებელი მოვლენებისა და პროცესების არსში. კრიტერიუმების დეტალიზების ხარისხს, აგრეთვე, ბალანსის აქტივის და პასივის მუხლების დაჯგუფებათა სხვა თავისებურებებს ანალიზის მიზნები განსაზღვრავს. ამ პრინციპით აგებენ ბანკის აგრეგირებულ ბალანსს (იხ.ცხ.10.13), განსაზღვრავენ აქტივების ხარისხს და პასივების სტრუქტურას, აფასებენ ლიკვიდობას.

ბანკის მდგომარეობის შესახებ ობიექტური წარმოდგენის ჩამოსაყალიბებლად იყენებენ ანალიზის 2 ბლოკს. პირველს აყალიბებს აქტივებისა და პასივების ხარისხის, აგრეთვე, მათი ლიკვიდობის მაჩვენებლები და იგი შეიძლება გამოდგეს მსესხებელი ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისთვისაც. მეორე აერთიანებს ეფექტიანობის დამატებით ანუ მადეტალიზებელ მაჩვენებლებს, ძირითადი მაჩვენებლების ცვლილების მიზეზებს და საქმიანობის ეფექტიანობის ფაქტორების დეტალიზებას.

აქტივების ხარისხის მაჩვენებელთა ჯგუფი იძლევა აქტივების შეფასების საშუალებას ბანკის სარესურსო ბაზის მიმართ. პასივების სტრუქტურის მაჩვენებლებში ასახულია ბანკის მდგრადობის მახასიათებელი პარამეტრები, ვალდებულებათა სტრუქტურა, ლიკვიდობის რისკის ან ხარჯების მინიმიზაციის ხარისხი, კაპიტალის საკმარისობის დონე. ბანკის ლიკვიდობის შეფასების განყოფილება ასახავს ვადების მიხედვით ყველაზე მერყევი ვალდებულებების უზრუნველყოფის ხარისხს ბანკის ლიკვიდური სახსრებით. ანალიტიკური საშუალებების მთელი ეს არსენალი საშუალებას აძლევს ანალიტიკოსს „მომენტალურად“ შეაფასოს ბანკის საქმიანობის პრაქტიკულად ყველა ძირითადი კომპონენტის მნიშვნელობა და გამოაელინოს, თუ საქმიანობის რომელმა პარამეტრებმა იქონიეს ყველაზე მეტი გავლენა მის მომგებიანობაზე.

ცხრილი 10.13

ბალანსის აქტივებისა და პასივების აგრეგირებული მაჩვენებლები

აგრე-გატი	ბალანსის აქტივის მუხლები	აგრე-გატი	ბალანსის პასივის მუხლები
A1	სალაროს აქტივები სულ	O1	ორკოლური ვალდებულებები სულ
a2	სალარო	o2	ანაბრები მოთხოვნამდე
a3	სარეზერვო მოთხოვნები	o3	სახსრებისკორესპონდენტო ანგარიშებზე
a4	სახსრები ანგარიშსწორების ცენტრებში	o4	ვადიანი ვალდებულებები სულ
a5	სახსრებისკორესპონდენტო ანგარიშებზე	o5	ვადიანი ანაბრები
A6	ფასიანი ქაღალდები სულ	o6	სებანკო სესხები
a7	სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	o7	მოკლევადიანი ვალდებულებები
a8	ფასიანი ქაღალდები პორტფელში	O8	სხვა ვალდებულებები სულ
a9	ბანკის მიერ განაღდებული, დროულად ვერგადახდილი თამასუქები	o9	კრედიტორები
A10	სესხები სულ	o10	სხვა ვალდებულებები
a11	მოკლევადიანი		სულ ვალდებულებები (O1 + O4 + O8)
a12	სებანკო	C1	მთავარი კაპიტალი სულ
a13	გრძელვადიანი	c2	საწესდებო კაპიტალი
a14	ვადაგადაცილებული	c3	ბანკის სხვა ფონდები
A15	დანარჩენი აქტივები სულ	c8	მოგება
a16	ინვესტიციები	C4	დამატებითი კაპიტალი სულ
a17	კაპიტალიზებული და არამატერიალური აქტივები	c5	ვალდებულებები დანაზღაურებაზე რეზერვი
a18	სხვა აქტივები	c6	რეზერვები
a19	გადახდილი სახსრები, ხარჯები და ზარალი	c7	საგადასახადო სახსრების გადაფასება
	ბალანსი (A1+A6+A10+A15)		ბალანსი (O1 + O4 + O8 + C1 + C4)

საჭიროების შემთხვევაში უფრო გულდასმითი ანალიზისათვის იყენებენ ბანკის ფინანსური საქმიანობის ეფექტიანობის დამატებით მაჩვენებლებს და ატარებენ ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების დეტალიზებას.

ბალანსის მოდიფიცირებული განტოლების საფუძველზე ბანკის ფინანსური საქმიანობის ანალიზი საჭიროა პორტფელის იმ შეზღუდვათა დაცვისა და რეგულირების მონიტორინგისათვის, რომლებსაც თვითონ ბანკი ირჩევს კონკრეტული საგეგმო პერიოდისათვის.

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ შეეცდეთ თვითონ განტოლების შედეგნას. 10.14 ცხრილის ბალანსისა და ბანკის მოგებისა და წაგების ანგარიშების (იხ.ცხ.10.14) საფუძველზე ანგარიშობენ საჭირო კოეფიციენტებს. აქტივების ხარისხის მაჩვენებლებს აფასებენ ბანკის სარესურსო ბაზის მიმართ, ხოლო შემოსაელიანი აქტივების შეფასება უფრო საყურადღებოა ფასიანი აქტივების მიმართ (K2). ამიტომ ამ კოეფიციენტს უპირატესობას ანიჭებენ ტრადიციული K1-ის მიმართ. სხვა მაჩვენებლების პარამეტრები 10.15 ცხრილშია ასახული.

პასივების სტრუქტურის მაჩვენებლებში ასახულია ბანკის მდგრადობის ვალდებულებათა სტრუქტურის, ლიკვიდობის რისკის ან დანაზარაჯების მინიმიზაციის ხარისხის, კაპიტალის საკმარისობის დონის მახასიათებელი პარამეტრები (იხ. ცხ.10.16).

ბანკების ლიკვიდობა ასახავს ვადების მიხედვით ყველაზე უფრო მერყევი ვალდებულებების

ცხრილი 10.14

მოგებისა და ზარალის ანგარიშების აგრეგირებული მაჩვენებლები

აგრეგატი	მუხლები
d1	საპროცენტო განაკვეთები
r1	საპროცენტო ხარჯები
e1	საპროცენტო მარჟა (d1-r1)
d2	არასაპროცენტო შემოსავლები
d2*	მათ შორის ფასიანი ქაღალდების მიხედვით
r2	არასაპროცენტო შემოსავლები
d3	მთელი შემოსავლები (d1+d2)
r3	მთელი დანახარჯები (r1+r2)
e2	მთელი მოგება (d3-r3)

უზრუნველყოფის დონეს ბანკის ლიკვიდური სახსრებით (იხ.ცხ.10.17).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანალიტიკოსს საშუალება აქვს საკმაოდ სწრაფად შეაფასოს ბანკის საქმიანობის პრაქტიკულად ყველა ძირითადი კომპონენტის მნიშვნელობა და გაარკვიოს, საქმიანობის რომელმა პარამეტრებმა იქონიეს ყველაზე მეტი გავლენა მის მომგებიანობაზე (იხ.ცხ.10.18).

უფრო გულდასმითი ანალიზის საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია ვისარგებლოთ ეფექტიანობის დამატებითი მაჩვენებლებით და მოვახდინოთ იმ ფაქტორების დეტალიზება, რომლებიც ბანკის საქმიანობის ეფექტიანობაზე მოქმედებენ (იხ.ცხ.10.19 და 10.20)

ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების ცვლილების მიზეზები შეგვიძლია განვსაზღვროთ 10.21 ცხრილში მოყვანილი ფინანსური კოეფიციენტების მეშვეობით

ანალიზის აქ შემოთავაზებული სქემის გამოყენება შესაძლებელია ბანკების რეიტინგის აგებისთვისაც, რადგანაც იგი იძლევა მსესხებელი ბანკების ობიექტურად რანჟირების შესაძლებლობას მათი მომგებიანობისა და ლიკვიდობის გათვალისწინებით.

10.8.4. ბანკის ბალანსის ძირითადი განტოლება

ამ შემთხვევაში ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასება ეფუძნება შედარებითი ანალიტიკური ბალანსისა და ბანკის მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშგების ანალიზს. ასეთმა ანალიზმა უნდა შეაფასოს: 1) ბანკის ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურა და დინამიკა შედარებითი ანალიტიკური ბალანსის საფუძველზე; 2) ფინანსური მდგომარეობის მდგრადობა; 3) საქმიანი აქტივობა) 4) მართვის ეფექტიანობა; 5) ლიკვიდობა; 6) ბანკის საკუთარი სახსრებით შემოსავლიანი აქტივების უზრუნველყოფა მისი საქმიანოის მაჩვენებლებისა და ოპტიმალური ტენდენციის შეუსაბამობის დროს; 7) ბანკის ფინანსური მდგომარეობის დინამიკა და დასაშვები საზღვრები.

შედარებითი ანალიტიკური ბალანსის საფუძველზე აფასებენ ბანკის საერთო ფინანსურ მდგომარეობას და მის ცვლილებებს საანალიზო პერიოდებში (საანალიზო პერიოდების მინიმალური რაოდენობაა 3). 10.23 ცხრილში მოყვანილია შედარებითი ანალიტიკური ბალანსის ფორმა, რომელიც შემდეგ მაჩვენებლებს მოიცავს: ბანასის სტრუქტურა (გრაფები ან სვეტები 3-8);

ცხრილი 10.15

აქტივების ხარისხის მაჩვენებლები

მაჩვენებლის დასახელება	საანგარიშო ფორმულა	ოპტიმალური მნიშვნელობათა დიაპაზონი	მაჩვენებლის ეკონომიკური შინაარსი და შესაძლო მნიშვნელობათა ექსპერტული შეფასებები
1	2	3	4
K1 - შემოსავლიანი აქტივები/აქტივები	(ა5+A6+A10+ +ა16+ა18) :(A1+A6+ +A10+A15)	0,75 - 0,85	შემოსავლის მომტანი აქტივების ხვედრითი წილი აქტივების შემადგენლობაში (უნდა განვიხილოთ K2-თან ურთიერთკავშირში)
K2 - შემოსავლიანი აქტივები/ფასიანი ქაღალდები	(ა5+A6+A10+ +ა16+ა18) :(O1+O4)	> = 1,0	შემოსავლიანი აქტივების შეფარდება ფასიან რესურსებთან (პრიორიტეტულია K1-ის მიმართ)
K3 - კრედიტები/ვალდებულებები	(A10):(O1+ +O4+O8)	> 0,7 აგრესიული პოლიტიკა <0,6 ფრთხილი პოლიტიკა	ბანკის აგრესიული ან ფრთხილი საკრედიტო პოლიტიკა აგრესიული პოლიტიკის დროს ზედა ზღვარია 0,78. შემდეგ იწყება გაუმართლებლად საშიში საქმიანობა. ფრთხილი პოლიტიკის დროს ქვედა ზღვარია 0,53. უფრო ქვემოთ არის ზარალის შესაძლებლობა ან K10 > 0,4 დროს
K4 - ბანკის სესხები/კრედიტები	(O6) : (ა12)	>=1,0 მსესხებელი; <=1,0 კრედიტორი	ბანკის მიერ აგრესიული ან ზომიერი საკრედიტო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა. თუკი ბანკი მსესხებელია, მაშინ დასაშვებია K3 = 0,6 თუკი ბანკი კრედიტორია, მაშინ დასაშვებია მნიშვნელობა K3 = 0,7
K5 - კრედიტები/კაპიტალი	(A10):(C1+C4)	< = 8,0	საკრედიტო პოლიტიკის რისკიანობა: 8,0-ზე მალალი მნიშვნელობა მოწმობს კაპიტალის უკმარისობას ან ბანკის აგრესიულ საკრედიტო პოლიტიკას (უნდა შეუდაროთ K3 და K4-ის მნიშვნელობებს);
K6 - ვადაგადაცილებული კრედიტები/კრედიტები	(ა14) : (A10)	< = 0,04	ვადაგადაცილებული კრედიტების ხვედრითი წილი ბანკის საკრედიტო პორტფელში
K7 -კრედიტის თვის შექმნილი რეზერვები/კრედიტები	(ა6) : (A10)	< = 0,04	საკრედიტო საქმიანობიდან მიღებული ზარალის დასაფარავი რეზერვები; ნაკლები არ უნდა იყოს K6-ის მნიშვნელობაზე

ბალანსის დინამიკა (სვეტები 9-11, 15-17), ბალანსის სტრუქტურის დინამიკა (სვეტები 12-14, 18-20). 3,4,5 სვეტებში ასახულია ბალანსის აქტივისა და პასივის მუხლებისა და განყოფილებათა შედეგების აბსოლუტური სიდიდეები საანალიზო პერიოდების დასაწყისსა და დასასრულს; 6,7,8 - მათივე სვედრითი წილები; 9,10,11 აღნიშნული სიდიდეების აბსოლუტური ცვლილებები; 12,13,14 - მათივე სვედრითი წილების ცვლილებები; 15,16,17 აბსოლუტურ სიდიდეთა

ცხრილი 10.16

პასივების სტრუქტურის ხარისხის მაჩვენებლები

განმარტება	გაანგარიშების ფორმულა	ოპტიმალური მნიშვნელობათა დიაპაზონი	მაჩვენებლის ეკონომიკური შინაარსი და შესაძლო მნიშვნელობათა ექსპერტული შეფასებები
1	2	3	4
K11 - კაპიტალი/აქტივები	(CI+C4):(A1++A6+A10++A15)	0,08-0,15	ახასიათებს ბანკის ფინანსურ მდგრადობას. როცა K<0,08, არსებობს გაკოტრების რისკი - მეტისმეტი საფრთხის ზღვარი; როცა K>0,15, მაშინ ბანკი არატექნოლოგიური და კონკურენტუუნაროა
K12 - ორკოლერი დავალდებულებები/აქტივები	(OI+OI):(A1+A6+A10+A15)	0,5-0,7	ვადიანობისა და საიმედოობის დონე
K13 - სესხები/აქტივები	(O6+O7):(A1++A6+A10++A15)	0,2-0,35	იგივე
K14 - ორკოლერი ვალდებულებები/ვალდებულებები	(O1):(O1++O4+O8)	0,2-0,4	მდგრადობის რისკის ან დანახარჯების მინიმიზაციის ხარისხი. K14 = 0,2 - მდგრადობის რისკის მინიმიზაცია; K14=0,4 - ოპერაციული ხარჯების მინიმიზაცია
K15 - ვადიანი ანაბრები/ვალდებულებები	(O5):(O1++O4+O8)	0,1-0,3	იგივე K15 = 0,1 - დანახარჯების მინიმიზაცია; K15 = 0,3 - მდგრადობის რისკის მინიმიზაცია
K16 - სესხები/ვალდებულებები	(O6):(O1++O4+O8)	0,25-0,40	იგივე K16 = 0,25 - დანახარჯების მინიმიზაცია; K16 = 0,40 - მდგრადობის რისკის მინიმიზაცია
K17 - სხვა ვალდებულებები/ვალდებულებები	(O8):(O1++O4+O8)	მისწრაფვის min-კენ	პასიური მდგრადობის ხარისხი და სხვა ვალდებულებების (ჯარიმები, პენიები, პირგასამტეხლოები) მართვის დონე
K18 - მთავარი კაპიტალი/საკუთარი კაპიტალი	(CI):(CI+C4)	>=0,5	მთავარი კაპიტალის საკმარისობის დონე

ცხრილი 10.17

მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებლები

გან-მარტება	გაან-გარიშების ფორმულა	ოპტიმალურ მაჩვენებელთა დიაპაზონი	მაჩვენებლის ეკონომიკური შინაარსი და შესაძლო მნიშვნელობათა ექსპერტული შეფასებები
K8 - საკასო აქტივები/ ონკოლური ვალდებულებები	(A1):(O1)	0,2 - 0,5	ლიკვიდური სახსრებით ყველაზე მეტად ვალდებულებების დაფარვის ხარისხი
K9 - საკასო აქტივები/ ონკოლური და ვადიანი ვალდებულებები	(A1):(O1+O4)	0,05 - 03	ლიკვიდური სახსრებით დეპოზიტებისა და ანაბრების დაფარვის ხარისხი K8-თან ერთად იყენებენ დეპოზიტებისა და ანაბრების სტრუქტურის შესაძლო დამახინჯებათა შესარბილებლად; პრიორიტეტული კოეფიციენტია K8
K10-ფასია-ნი ქაღალდების პორტფელი/ ვალდებულებები	(A6):(O1+ +O4+0,3)	0,15 - 0,40	ლიკვიდობის პოტენციური მარაგი მეორადი ლიკვიდური რესურსების გამოყენების დროს როდესაც K10 = 0,4 და K13 + 0,35, მაშინ ჩნდება ზარალის რისკი, როდესაც K10<=0,15 და K3>7, მაშინ ჩნდება ბანკის პორტფელის არალიკვიდობის რისკი

ცელილებები შესადარებელ პერიოდებში; 18,19,20 მუხლების აბსოლუტურ სიდიდეთა ცელილებები პროცენტობით ბალანსის შედეგების ცელილების მიმართ. ბანკის ფინანსური მდგომარ-

ცხრილი 10.18

ბანკის საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი

მაჩვენებლის გან-მარტება	საანგარიშო ფორმულა	ოპტიმალურ მნიშვნელობათა დიაპაზონი	მაჩვენებლის ეკონომიკური შინაარსი და შესაძლო მნიშვნელობათა ექსპერტული შეფასებები
K19 - მოგება/აქტივები	(C8):(A1+A6+ +A10+A15)	1,0 - 4,0	აქტივების მუშაობის ეფექტიანობა
K20 - მოგება/შემოსავლები	(C8):(d3)	8,0 - 20,0	მოგება შემოსავლების ფულად ერთეულში
K21 - შემოსავლები/აქტივები	(d3-d2):(A1+ A6+A10+A15)	14,0 - 22,0	შემოსავალი აქტივების ყოველ ერთეულზე
K22 - მოგება/კაპიტალი	(C8):(C1)	15,0 - 40,0	მთავარი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა
K23 - მულტიპლიკატორი	(A1+A6+A10+ +A15):(C1+ +C4)	8-20-ჯერ	აქტივების ის მოცულობა, რომლის მიღებაც შესაძლებელი ხდება საკუთარი კაპიტალის ყოველი ერთეულიდან

ცხრილი 10.19

ეფექტიანობის დამატებითი მაჩვენებლები

განმარტება	გაანგარიშების ფორმულა	ოპტიმალური მაჩვენებლის დიაპაზონი	მაჩვენებლის ეკონომიკური შინაარსი და შესაძლო მნიშვნელობათა ექსპერტული შეფასებები
K24 - საპროცენტო მარჟა/შემოსავლიანი აქტივები	(e1).(a5+A6++A10+a16)	1,0 - 3,0	შემოსავლიანი აქტივებიდან წმინდა საპროცენტო შემოსავლის დონე
K25 - სპრედი	](d1).(a5+A6++A10+a16)]-[(r1):(O1++O4)]		საპროცენტო განაკვეთების გაბნევა რესურსების დაბანდებასა და მოზიდვას შორის. K25-ის მეტის-მეტად დაბალი ან უარყოფითი მნიშვნელობა მოწმობს არაეფექტიან (წამგებიან) საპროცენტო პოლიტიკას. K25-ის მაღალი მნიშვნელობა მოასწავებს ან დამატებითი რესურსების მოზიდვის შესაძლებლობათა სრულად გამოუყენებლობას (იხ. K14-K16) ან აქტივების მეტისმეტად რისკიან პორტფელს (იხ. K3-K5)
K26-საპროცენტო შემოსავლები/საპროცენტო ხარჯები	(d1):(r1)	110,0--125,0-ჯერ	საპროცენტო შემოსავლებით საპროცენტო ხარჯების დაფარვის ხარისხი

ცხრილი 10.20

ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების დეტალიზაცია (1 ფულად ერთეულზე დაყვანით)

განმარტება	გაანგარიშების ფორმულა	ოპტიმალური მაჩვენებელთა დიაპაზონი	მაჩვენებლის ეკონომიკური შინაარსი და შესაძლო მნიშვნელობათა ექსპერტული შეფასებები
აქტივების ერთეულზე			
K32-საპროცენტო მარჟა	(e1):(A1+A6++A10+A15)	1,0=4,0	სპრედის მართვის ეფექტიანობა
K33-არასაპროცენტო ხარჯები	(r2):(A1+A6++A10+A15)	1,0-4,0	აქტივების 1 ფულად ერთეულზე დანახარჯების ზღვრული დონე

შემოსავლების ერთეულზე

K34-არასაპროცენტო ხარჯები	(d2-d2*):d3	5,0 - 15,0	შიდასაბანკო რეზერვების გამოყენების ეფექტიანობა
K35-არასაპროცენტო ხარჯები	(r2):(d3)	10,0 - 25,0	ბანკის ხარჯების მართვის ხარისხი

კაპიტალის ერთეულზე

K36 - საპროცენტო მარჯა	(c1):(c1)		დამატებული ღირებულების სიდიდე და სარედის მართვის ეფექტიანობა
K37 - შემოსავლები	(d1):(c1)		შემოსავლის რა თანხა მოიზიდება მთავარი კაპიტალის ერთ ფულად ერთეულზე

ცხრილი 10.21

ფინანსური კოეფიციენტები

განმარტება	გაანგარიშების ფორმულა	ოპტიმალურ მაჩვენებელთა დიაპაზონი	მაჩვენებლის ეკონომიკური შინაარსი და შესაძლო მნიშვნელობათა ექსპერტული შეფასებები
K27-საპროცენტო მარჯა/შემოსავლები	(c1):(d3)	6,0 - 18,0	წმინდა საპროცენტო შემოსავლის დონე მოწმობს საპროცენტო პოლიტიკის ეფექტიანობაზე ან არაეფექტიანობაზე (იხ.K25)
K28 - საპროცენტო შემოსავლები/აქტივები	(d1):(A1+A6+A10++A15)	10,0 - 18,0	საპროცენტო შემოსავლის სიდიდე აქტივების 1 ფულად ერთეულზე ასახავს დაბანდებათა ეფექტიანობისა და რისკიანობის დონეს
K29 - არასაპროცენტო შემოსავლები/აქტივები	(d2-d2*):(A1+A6++A10+A15)	1,0 - 3,0	შიდასაბანკო რეზერვების გამოყენების შესაძლებლობები
K30 - არაშემოსავლიანი აქტივები/კაპიტალი	(a2+a3+a4+a17+a18+a19):(C1+C4)	0,5 - 2,0-ჯერ	კაპიტალის გამოყენების მიმართულებები
K31 - შემოსავლიანი აქტივები/კაპიტალი	(a1+A6+A10++a16):(C1+C4)	8,0 - 18,0	იმ შემოსავლიანი აქტივების სიდიდე, რომელთა მიღებაც ხერხდება კაპიტალის ყოველი 1 ფულადი ერთეულიდან

ეოის ცვლილების საერთო სურათის გააზრების მიზნით საყურადღებოა ბალანსის სტრუქტურის დინამიკის მაჩვენებლები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც 18-20 სვეტებშია წარმოდგენილი.

ბანკის აქტივები სამი ნაწილისგან შედგება: შემოსავლის მომტანი; შემოსავლის არმომტანი; იმობილიზებული აქტივები. პასივები ორი ნაწილისგან შედგება: საკუთარი ბრუტო სახსრები;

მოზიდული სახსრები. ბალანსის გარეთ ცალკე სტრიქონადაა წარმოდგენილი საკუთარი ნეტო სახსრები. ბალანსის ამგვარი სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს:

1. გამოვყოთ ოპერაციათა ცალკეული აქტიური და პასიური სახეები და შევაფასოთ მათი მნიშვნელობა აქტივებისა და პასივების მთელ სტრუქტურაში;
2. თვალი ვადევნოთ ნაშთების მოძრაობას ბალანსის ცალკეულ ანგარიშებზე;
3. განვსაზღვროთ კონკრეტული სასის საბანკო ოპერაციების მასშტაბების ცვლილების ზომა;
4. გამოვაელინოთ ბანკის მდგრადობაზე, შემოსაელიანობაზე, ოპერაციების მომგებიანობასა და

ცხრილი 10.22

ბანკის შედარებითი ანალიტიკური ბალანსი

№	ბალანსის მუხლების დასახელება	მლნ.			ხვედრითი წილი, %			ცვლილებები		
		t1	t2	t3	t1	t2	t3	t2-t1	t3-t1	t3-t2
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

ცვლილებები

ხვედრითი წილები			პროცენტობით			პროცენტობით ბალანსის შედეგის ცვლილების მიმართ		
t2-t1	t3-t1	t3-t2	გრ.9: :გრ.3	გრ.10: :გრ.3	გრ.11: :გრ.4	(t2-t1): :(გრ.9-ის ჯამი)	(t3-t1): :(გრ.10-ის ჯამი)	(t3-t2) : :(გრ.11-ის ჯამი)
12	13	14	15	16	17	18	19	20

№	აქტივები	№	პასივები
1	2	1	2
შემოსავლის არმომტანი აქტივები		საკუთარი ბრუნტო-სახსრები	
1.	ფულადი სახსრები	1.	სანესდებო კაპიტალი
2.	სახსრები „ნოსტრო" საკორ. ანგარიშებზე	2.	ბანკის ფონზდები
3.	საეალდებულო სარეზერვო ფონდებში ჩარიცხვები	3.	საკალუტო სახსრების გადაფასება
4.	უპროცენტო სესხები	4.	მოგება
5.	კაპდაბანდებები და ძირითადი საშუალებები	5:	წინა წლების გაუნაწილებელი მოგება
6.	არამატერიალური აქტივები და შენობათა არენდის ხარჯები	6.	შემოსავალი
7.	სამეურნეო მასალები და ძობავალი პერიოდების ხარჯები	7.	სხვადასხვა ხარჯები
8.	სხვადასხვა დებიტორები	8.	რეზერვები
9.	სხვადასხვა აქტივები	9.	მომავალი პერიოდების შემოსავლები

ცხრილი 10.22-ის გაგრძელება

№	აქტივები	№	პასივები
1	2	1	2
	შემოსაელის მომტანი აქტივები	10.	საკუთარი სახსრები ანგარიშსწორებაში
10.	კრედიტები	11.	ბანკის ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული სახსრები
შემოსავლის მომტანი აქტივები		მოზიდული სახსრები	
11.	დავალიანება კრედიტებზე		
12.	ბანკთაშორისი კრედიტები	12.	ვადიანი დეპოზიტები
13.	ფაქტორინგი	13.	დეპოზიტები მოთხოვნამდე
14.	ლიზინგი	14.	ცესტრალური ბანკის კრედიტები
15.	მონაწილეობის უფლებები	15.	სხვა ბანკების კრედიტები
16.	სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	16.	ბანკის სავალო ვალდებულებები
17	არასახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	17.	სახსრები ანგარიშსწორებებში
18.	იმობილიზებული აქტივები	18.	სახსრები საკორესპონდენტო „ლორო“ ანგარიშებზე
		19.	სხვა კრედიტორები
ბალანსი		ბალანსი	
		საკუთარი ნეტო-სახსრები = საკუთარი ბრუტო -სახსრები მინუს იმობილიზებული აქტივები	

ლიკვიდობაზე ცვლილებებისა დაგადახრების ზემოქმედების მიზეზები და ხარისხი მუხლების მიხედვით;

5. გამოვყოთ ბანკის საკუთარი და მოზიდული რესურსები;

6. დავალაგოთ შემოსავლიანი, ლიკვიდური და იმობილიზებული აქტივები;

7. ვადების მიხედვით გავანაწილოთ კლიენტებისგან დეპოზიტების სახით მოზიდული სახსრები.

აქტივსა და პასივში მომხდარი ცვლილებების შედარებით შეგვიძლია დავადგინოთ, თუ ძირითადად რომელი წყაროების ხარჯზე მოდის ფულის ნაკადი და ძირითადად რომელ აქტივებში აბანდებენ სახსრებს. ბალანსის მონაცემების საფუძველზე ანალიზებენ: ბანკის კაპიტალის საკმარისობის დონის დინამიკას; საკუთარი სახსრების იმობილიზაციის დინამიკას; სათანადო ბრუტო-სახსრებისა და ნეტო-სახსრების დონის დინამიკას; ბანკის ვალდებულებების სიდიდისა და სტრუქტურის დინამიკას (მათ შორის კაპიტალისა და ვალდებულებების თანაფარდობის, მოზიდული რესურსების სტრუქტურის, მოთხოვნამდე ანგარიშებზე არსებული ნაშთების, საკუთარი სახსრების სტრუქტურის, სახსრების მოზიდვის აქტიურობის); ბანკის აქტიური ოპერაციების სიდიდისა და სტრუქტურის დინამიკას.

გამოსაკვლევ პერიოდებში ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილების საერთო დახასიათების შემდეგ ანალიზის მომდევნო მნიშვნელოვანი ამოცანაა ბანკის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების კვლევა. ბანკის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრისათვის გამოყენებული მაჩვენებლების ეკონომიკური შინაარსი და შედარებითი ანალიტიკური ბალანსის საფუძველზე მათი გაანგარიშების ალგორითმები 10.23-10.26 ცხრილებშია მოცემული.

ფინანსური მდგრადობის პოლიტიკის ამსახველი ყველაზე უფრო განმაზოგადებელი მაჩვენებელია საკუთარი სახსრების წყაროების სიჭარბე (უკმარისობა) (K1 ცხრ.10.23.-დან). მისი მნიშვნელობა უნდა იყოს K1>0.მისი მზარდი დინამიკა მოწმობს ბანკის მიზანმიმართულად სწრაფვას თავისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ და პირიქით.

დამატებით შემფასებელ მაჩვენებლად, რომელსაც შეუძლია დაადასტუროს K1-ის სიდიდისა და დინამიკის საფუძველზე გამოტანილი დასკვნის სისწორე, გამოდგება საკუთარი ნეტო და ბრუტო სახსრების თანაფარდობა, რომელიც ასევე >0. მისი ნულოვანი მნიშვნელობა ადასტურებს ბანკის არამობილურობას იმ რისკის (საკრედიტო, საპროცენტო თუ საბაზრო) გაჩენის შემთხვევაში, რომელიც ახალი სახის საქმიანობას, კლიენტთა შემადგენლობის შეცვლას და ა.შ. უკავშირდება.

ბაზარზე კონიუნქტურული ძვრების მიმართ ბანკის მედეგობას და დამოუკიდებლობას აფასებენ მისი საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობით (K3). ამ თანაფარდობის დინამიკა მოწმობს მედეგობის ამაღლებას - მაჩვენებლის ზრდისას, ან კლებას - მაჩვენებლის შემცირებისას. მაჩვენებლის არითმია ნიშნავს ბანკში ლიკვიდობასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობას.

ცხრილი 10.23

ბანკის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრისათვის გამოყენებული მაჩვენებლების გაანგარიშების ალგორითმები და ეკონომიკური შინაარსი

მაჩვენებლების დასახელება	გაანგარიშების ალგორითმი შედარებითი ანალიტიკური ბალანსის მიხედვით	მაჩვენებლის ეკონომიკური შინაარსი

განყოფილება 1. ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის მაჩვენებლები

საკუთარი სახსრების მდგომარეობა - K1	საკუთარი ნეტო-სახსრები/აქტივი (სტრ.4+სტრ.5+ +სტრ.6+სტრ.7+სტრ.8)	უშუალოდ მწარმოებლური მიმოქცევიდან გადანახული ფულადი სახსრების უზრუნველყოფა საკუთარი სახსრებით
მანევრირება - K2	საკუთარი ნეტო - სახსრები/საკუთარი ბრუტო-სახსრები	საკუთარი სახსრების მობილურობის ხარისხი
ავტონომიურობა - K3	საკუთარი ნეტო - სახსრები/მოზიდული სახსრები	ნასესხებ სახსრებზე დამოკიდებულების დონე
ვადიანი ხასიათის სახსრების მოზიდვა - K4	პასივი (სტრ.11+ +სტრ.12+სტრ.18)/ მოზიდული სახსრები	მდგრადობის ხარისხი აქტივების მართვის ხარჯზე და აქტივების განთავსების ვადების მართვით მანევრირების ხარჯზე
ფინანსური დაძაბულობა - K5	ბალანსის შედეგი - პასივი, სტრ.3/მოზიდული სახსრები	ნასესხები სახსრების საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის ხარისხი

ბანკის დაუბალანსებელი მდგრადობის რისკს განსაზღვრავენ მოზიდული სახსრების შემადგენლობაში „გრძელვადიანი“ დეპოზიტების სიდიდით (K4). ამ მაჩვენებლის ზრდა უზრუნველყოფს აქტიური და პასიური ოპერაციების დაბალანსებულად მართვას ვადებისა და მოცულობების მიხედვით, ხოლო მისი შემცირება ან ამგვარი ტრენდის უქონლობა მეტყველებს ბანკის დამოკიდებულებაზე ფინანსური ბაზრის ნებისმიერი ცვლილების მიმართ.

ბანკის საკუთარი სახსრებით მისი მოზიდული რესურსების უზრუნველყოფის დონის (K5) ზრდა ასახავს ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის მომატებას, მაგრამ მისი საქმიანობის ეფექტიანობის კლებას ფინანსური რევერიჯის გამოყენებიდან უკუგების შემცირების გამო. განსახილველი პერიოდების განმავლობაში K5-ის შემცირება შესაძლოა მოწმობდეს საკრედიტო პოლიტიკის აგრესიულობას და საკრედიტო რისკის პოტენციურ მომატებას.

ბანკის საქმიანი აქტიურობა. 10.23. ცხრილში მოყვანილი მაჩვენებლების ჯგუფი ესახურება საფინანსო ბაზარზე ბანკის საქმიანობის ეფექტიანობის დონის გაზომვას. აქტივების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა (K6) აისახება მოგების მოშტანი იმ აქტივების ზომაში, რომლებიც განსაზღვრავენ ბანკის მდგომარეობას საბანკო მომსახურების ბაზარზე. ასეთი აქტივების ხვედრითი წილის ამაღლება მოწმობს ბანკის საქმიანი აქტიურობის ესკალაციას და მის მიერ თავისი საბაზრო ნიშნის გაფართოებას (ტენდენციის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ „პრობლემური“ კრედიტების დონის დინამიკას). თუ ამ აქტივების დონე 0,7-ზე ნაკლებია, მაშინ ბანკის მომავალი მეტად პრობლემურია. K6-ის ტრენდის მკვეთრი ცვლილებები მიუთითებს ბანკის შემოსავლიანი ოპერაციების დაუბალანსებელ სტრუქტურაზე.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკა შეგვიძლია შევაფასოთ მოზიდული სახსრების გამოყენების მაჩვენებლით (K7). საანალიზო პერიოდის მანძილზე მისი მკვეთრი რყევები მოწმობს პოლიტიკის ცვალებადობას დაკრედიტების სფეროში (0,75-ზე მეტი -ა გრესიული და მაღალრისკიანი პოლიტიკა; 0,65-ზე ნაკლები - პირიქით), თუკი ესთ სისტემატური არადიერსიფიცირებული რისკებით არაა გამოწვეული. K7-ის უმნიშვნელოდ ზრდის ტენდენცია ან მისი გვერდითა ტრენდი იმის ნიშანია, რომ ბანკი აქტიურად ასორციელებს დაკრედიტებას და თავისი სარეზერვო ბაზის მართვას. K7-ის დინამიკის შეფასებისას ყურადღება უნდა მიეპყროთ შესადარებელი ბალანსის მეთექვსმეტე სტრიქონს, რომელიც შესაძლოა უარყოფით კორელაციაში იმყოფებოდეს გამოსაკვლევ მაჩვენებელთან. ეს დაადასტურებს ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების ისეთ ფულად კონვერტაციის პოტენციურ შესაძლებლობას, რომელიც შემდეგ კრედიტის სახით შეიძლება გაიცეს.

სასესხო სახსრების ეფექტიანად გამოყენებაში ბანკის აქტიურობას გამოხატავს K8 თანაფარდობა. თუ არ არსებობს რაიმე ტრენდი (მატებადი, კლებადი თუ ჰორიზონტალური), ე.ი. ნასტომისებური დინამიკა, მაშინ ეს ნიშნავს არალიკვიდობის ან საპროცენტო რისკის პოტენციურ გაჩენას. მდოვრედ ზრდად ან ჰორიზონტულ ტრენდს შეესაბამება ბანკის ეფექტიანი საქმიანი აქტიურობა დაბალანსებული საკრედიტო-სადეპოზიტო პორტფელის მართვაში.

რამბურსული უნარის მაჩვენებლის (K9) მეშვეობით შეგვიძლია შევაფასოთ ბანკის მიერ მოზიდული სახსრების გამოყენების აქტიურობა და მათი ეფექტიანად განკარგვის უნარი; K9 ახასიათებს შემოსავლის მომტანი აქტივების ეფექტიანად მიმოქცევაში ბანკის მიერ გამოელენილ მეტ-ნაკლებ უნარს.

ბანკის ის საქმიანობა, რომელიც კლიენტთა სადეპოზიტო ბაზის განვითარებისკენაა მიმართული, სახსრების მოზიდვის აქტიურობით (K10) ფასდება. ამ მაჩვენებლის დინამიკის საფუძველზე გამოგვაქვს დასკვნა აღნიშნული აზის საიმედოობის, მოზიდვის ვადებისა და ღირებულების ლ შესახებ, თუკი ბანკი ბანკთაშორისი დაკრედიტების ბაზარზე არ სპეციალიზდება. ხსენებული თანაფარდობის კლება იმაზე მეტყველებს, რომ ბანკს არ შეუძლია ან არ სურს კლიენტების მოიზიდვის ტექნოლოგიის შემუშავება, აგრეთვე, იმაზეც, რომ ბანკი დამოკიდებულია საბანკო რისკების მაღალი დონის მქონე ერთ კლიენტზე ან კლიენტთა ჯგუფზე.

ცხრილი 10.24

ბანკის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრისათვის გამოყენებული მაჩვენებლების გაანგარიშების ალგორითმები და ეკონომიკური შინაარსი

მაჩვენებლების დასახელება	გაანგარიშების ალგორითმი შედარებითი ანალიტიკური ბალანსის მიხედვით	მაჩვენებლის ეკონომიკური შინაარსი

განყოფილება 2. საქმიანი აქტიურობის მაჩვენებლები

აქტივების გამოყენების ეფექტიანობა - K6	შემოსავლის მომტანი აქტივები/ბალანსის შედეგი	შემოსავლის მომტან ოპერაციებში უშუალოდ მონაწილე აქტივების ხვედრითი წილი
მოზიდული სახსრების გამოყენება - K7	აქტივი (სტრ.10 + +სტრ.12+სტრ.13)/ მოზიდული სახსრები	კრედიტებზე გამოსაყენებელი მოზიდული სახსრების ხვედრითი წილი
მოხიდული სახსრების შემოსავლიანობა - K8	პასივი (სტრ.6)/პასივი (სტრ.12+სტრ.13+ +სტრ.14+სტრ.15)	შემოსავალი ბანკის მიერ მოზიდული საკრედიტო რესურსების ფულად ერთეულზე
რამბურსული უნარი - K9	1: [(მოზიდული სახსრები): (პასივი, სტრ.6)]	ბანკის შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც დავალიანების დასაფარავადაა გადანახული
მოზიდული სასესხო სახსრების აქტიურობა - K10	მოზიდული სახსრები/რასივი (სტრ.15)	ბანკის აქტიურობა საფინანსო ბაზარზე სახსრების მოზიდვაში ბანკთაშორისი დაკრედიტების გარდა

ბანკის მართვის ეფექტიანობა. ბანკის მაღალკვალიფიციური მენეჯმენტის შედეგობრივი მაჩვენებლებია მისი საქმიანობის რენტაბელობის მაჩვენებლები, რომლებიც ამ საქმიანობის მომგებიანობასა და შემოსავლიანობას ასახავენ.

შემოსავლის რენტაბელობა (K11) ასახავს ბანკის მენეჯმენტის უნარს, აკონტროლოს თავისი ხარჯები (ობიექტური ხარჯვითი ფაქტორის საპროცენტო განაკვეთის საბაზრო დონის გარდა). ამ მაჩვენებლის ზრდა ნიშნავს სარესურსო ბაზის სტრუქტურის ჰარმონიზაციას, ე.ი. ძვირადღირებული ინსტრუმენტების შემცირებას, რამდენადაც ეს შესაძლებელია. კოეფიციენტის დინამიკის გვერდითა ტრენდი იმას მოწმობს, რომ დანახარჯების ჩამოყალიბებული სტრუქტურა უზრუნველყოფს ბანკის მიერ გაწეული მომსახურების საკმარის ხრისხსა და ეფექტიანობას.

მთელი კაპიტალის რენტაბელობა (K12) ახასიათებს ბანკის საქმიანობას აქტივების განთავსების მართვის ეფექტიანობის თვალსაზრისით ანუ მათ მიერ შემოსავლის მოტანის შესაძლებლობის თვალსაზრისით. მაჩვენებლის მკვეთრად ზრდა მოწმობს ოპერაციების ჩატარებას საკრედიტო რისკის მაღალი დონით, კლება კი იმას, რომ შეიძლება მაღალი იყოს აქტივების იმობილიზაციის დონე და, მაშასადამე, აქტივების მობილური მართვის დაკარგვის რისკი. მაჩვენებლის მდოვრედ

ცხრილი 10.25

ბანკის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრისათვის გამოყენებული მაჩვენებლების გაანგარიშების ალგორითმები და ეკონომიკური შინაარსი

მაჩვენებლების დასახელება	გაანგარიშების ალგორითმი შედარებითი ანალიტიკური ბალანსის მიხედვით	მაჩვენებლის ეკონომიკური შინაარსი

განყოფილება 3. მართვის ეფექტიანობა

შემოსავლის რენტაბელობა - K11	პასივი (სტრ.4)/პასივი (სტრ.6)	შემოსავლის ერთეულზე მოსული მოგება
მთელი კაპიტალის რენტაბელობა - K12	პასივი (სტრ.4)/აქტივის ბალანსის შედეგი	მთელი აქტივების ერთეულზე მოსული მოგება
შემოსავლის მომტანი აქტივების შემოსავლიანობა - K13	პასივი (სტრ.6)/შემოსავლის მომტანი აქტივები	შემოსავლის მომტანი აქტივების ერთეულზე მოსული ფულადი შემოსავალი
საკუთარი სახსრების რენტაბელობა - K14	პასივი (სტრ.4)/საკუთარი ბრუტო-სახსრები	საკუთარი საბრუნავი სახსრების ერთეულზე მოსული მოგება
მიმდინარე აქტივების რენტაბელობა - K15	პასივი (სტრ.4)/[ბალანსის შედეგი - აქტივი (სტრ.3+სტრ.5+სტრ.6+სტრ.7+სტრ.18)]	მიმოქცევაში მყოფი აქტივების ერთეულზე მოსული მოგება

შეცელა ნებისმიერი ტრენდისას შეიძლება აღნიშნავდეს ბანკის აქტიური პორტფელის რაციონალურად ჩამოყალიბებულ სტრუქტურას.

აქტივების „უკუგების“ ფინანსური კოეფიციენტი (K13) გვიჩვენებს, თუ როგორ ფუნქციონირებს ბანკი მომუშავე აქტივებზე პირდაპირ დამოკიდებულების თვალსაზრისით. მისი მეშვეობით შეგვიძლია შევაფასოთ შემოსავლის მომტანი აქტივების პორტფელის დაბალანსებულობა და ამ ოპერაციების მართვის ხარისხი. მდოერედ ზრდა ან მცირედ კლება აქტიური პორტფელის ჩამოყალიბებული პროპორციების დასტურია, ხოლო მკვეთრი ცვლილებები შეიძლება მიუთითებდეს პორტფელის მაღალ რისკზე ან მასში პრობლემური კრედიტების მაღალ დონეზე.

საკუთარი საბრუნავი სახსრების გამოყენების ეფექტიანობას (K14) ზომავენ აღნიშნული სახსრების ღირებულებაზე მოსული მოგების სიდიდით. მისი ზრდა აღნიშნავს ბანკის აქტიურ ოპერაციებში ჩართული იმ საკუთარი მობილური სახსრების მატებას, რომლებიც ამაღლებენ ბანკის მდგრადობას და გადაწყვეტილებათა მიღების ოპერატიულობას რომელიმე საბანკო რისკის დადგომისას, ე.ი. საბაზრო სიტუაციის ცვლილებაზე სწრაფად რეაგირების უნარს.

აქტიურ ოპერაციებში მონაწილე კაპიტალის საერთო რენტაბელობა (K15) აფასებს ბანკის მიმდინარე აქტივების ბრუნვის ეფექტიანობას. ამ მაჩვენებლის მნიშვნელობის მდგრად ზრდა ალნიშნავს მიმდინარე აქტივების ბრუნვათა რიცხვის გადიდებას დროის ერთეულში. „წყვეტილად“ ცვლილება ასახავს ბაზრის კონიუნქტურაზე დამოკიდებულებას (საბაზრო რისკს) და დაუბალანსებელი ლიკვიდობის რისკის წარმოქმნის შესაძლებლობას თავისი ოპერაციებისადმი ბანკის არაკრიტიკულად მიდგომის შემთხვევაში.

ბანკის ლიკვიდობა მდგომარეობს მის შესაძლებლობასა და სურვილში, შეასრულოს კლიენტებისა და კონტრაჰენტების წინაშე წარმოქმნილი ვალდებულებები საანალიზო პერიოდებში. ბალანსის ლიკვიდობას როგორც აქტივებით ვალდებულებების დაფარვის ხარისხს და აქტივების ლიკვიდობას უზრუნველყოფს სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივების დაცვა, აქ ანალიზი მიმართულია ბანკის ლიკვიდობის შეფასებისკენ იმის გათვალისწინებით, თუ როგორ შეიცვალა განსახილველი პერიოდის განმავლობაში საკუთარი და მოზიდული სახსრები, საკუთარი კაპიტალი, სადეპოზიტო ბაზა და ლიკვიდური აქტივები (ცხრ.10.26).

ცხრილი 10.26

ბანკის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრისათვის გამოყენებული მაჩვენებლების გაანგარიშების ალგორითმები და ეკონომიკური შინაარსი

მაჩვენებლების დასახელება	გაანგარიშების ალგორითმი შედარებითი ანალიტიკური ბალანსის მიხედვით	მაჩვენებლის ეკონომიკური შინაარსი

განყოფილება 4. ბანკის ლიკვიდობის მაჩვენებლები

დაფარვის შუალედური კოეფიციენტი - K16	საკუთარი ნეტო-სახსრები/მოზიდული სახსრები	საკუთარი სახსრებით სასესხო სახსრების უზრუნველყოფის დონე
საკუთარი კაპიტალის დაფარვის კოეფიციენტი - K17	პასივი (სტრ.1+სტრ.2+ სტრ.4+სტრ.5+სტრ.8)/ საკუთარი ბრუტო-სახსრები	საბაზისო კაპიტალის დონე საკუთარი საბრუნავი სახსრების შემადგენლობაში
მომუშავე აქტივების დაფარვის კოეფიციენტი - K18	[საკუთარი ბრუტო სახსრები - პასივი (სტრ.3+ +სტრ.4+სტრ.9)]/შემოსავლის მომტანი აქტივები	საკუთარი საბრუნავი სახსრებით მომუშავე აქტივების უზრუნველყოფის ხარისხი
იმობილიზაციის კოეფიციენტი - K19	საკუთარი ნეტო-სახსრები/ [იმობილიზებული აქტივები +აქტივები (სტრ.4+სტრ.5+ +სტრ.6+სტრ.7+სტრ.15)]	ბრუნვიდან გადანახული აქტივების უზრუნველყოფის ხარისხი საკუთარი საბრუნავი სახსრებით
ფულადი რეზერვების დონე - K20	პასივი (სტრ.13)/[პასივი (სტრ.13) - აქტივი (სტრ.1+სტრ.2+სტრ.3+ +სტრ.16)]	მოთხოვნამდე დეპოზიტების უზრუნველყოფის ხარისხი მაღალლიკვიდური აქტივებით

დაფარვის შუალედური კოეფიციენტის მაჩვენებლის (K16) ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა ბანკის საკუთარი და მოზიდული სახსრების ადეკვატურობის შესახებ დინამიკაში. ამ თანაფარდობის ზრდა და მაღალი დონე მეტყველებს ბანკის ზრდა-განვითარების მაღალი პოტენციალების შექმნის სტრატეგიის შესახებ. მაჩვენებლის ზრდის ტემპების შენელება (შეწყვეტა) სათუოს ხდის ბანკის საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფილი დამატებითი სახსრების კრედიტების გაცემისა და სხვა მიზნებისათვის მობილიზების უნარს.

საკუთარი სახსრების სტრუქტურაში საბაზისო კაპიტალის ხვედრითი წილი (K17) ასახავს ბანკის მდგრადობის დონეს, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება საბურავი და იმობილიზებული აქტივების შემადგენლობაში გამოყენებული საკუთარი ბრუტო-სახსრების უზრუნველყოფა მთავარი კაპიტალით. ზრდადი და ჰორიზონტალური ტრენდების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ბანკი ცდილობს ჰქონდეს გადახდისუუნარობის დაბალი ალბათობის უზრუნველყოფისათვის საკმარისი მთავარი კაპიტალი.

მაჩვენებლის სიდიდის შემცირება მეტყველებს ბანკის ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობაზე. აუცილებელია შეფარდების მრიცხველის შემადგენლობისა და სტრუქტურის გამოკვლევაც, ე.ი. ბანკის კაპიტალის სტრუქტურის შესწავლა დინამიკაში, რომელიც ახასიათებს კრედიტორების მოთხოვნების უზრუნველყოფის უნარს გაცემული კრედიტების დაუბრუნებლობის შემთხვევაში.

ბანკის საკუთარი სახსრებით შემოსავლიანი აქტივების უზრუნველყოფა (K18) ასახავს ყველაზე სარისკო სახის აქტივების დაფარვის ხარისხს კაპიტალით. შედარებითი ანალიტიკური ბალანსის მეშვეობით K18-ის საფუძველზე შეგვიძლია განვსაზღვროთ ბანკის საკუთარი სახსრების სარისხი, მომუშავე აქტივების სტრუქტურა და მათი მდგომარეობა დინამიკაში, აგრეთვე, ამ თანაფარდობის ტენდენციის არსებობა-არარსებობა და მიმართულება. მაჩვენებლის ზრდა ხელს უწყობს საბანკო ოპერაციების უზრუნველყოფისა და დაცულობის დონის ამაღლებას ბაზრის კონიუნქტურის არასასიკეთოთ შეცვლის პირობებში.

იმობილიზაციის კოეფიციენტის (K19) მნიშვნელობის გადიდება ასახავს ბანკის შესაძლებლობების ზრდას ბრუნვიდან გამოთიშული აქტივების უზრუნველყოფაში და ბალანსის ლიკვიდობის შესანარჩუნებლად საჭირო საკუთარი სახსრების საკმარისობის ამაღლებაში საკუთარი ნეტო-სასესრების თავისუფალი ნაშთის ხარჯზე. კოეფიციენტის კლების ტენდენცია იმის სიგნალია, რომ ბანკს არ შეუძლია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს იმობილიზაცია, იზრდება არალიკვიდობის, გადახდისუუნარობისა და არასაიმედოობის რისკები.

მოთხოვნამდე ვალდებულებების დაფარვის ხარისხს ბანკის ყველაზე უფრო ლიკვიდური აქტივებით და საკუთარი ვალდებულებების მიხედვით ანგარიშის გასწორების შესაძლებლობას ასახავს შეფარდება K20. მას მხოლოდ ანალიტიკური მნიშვნელობა აქვს და გვიჩვენებს, თუ რა ოდენობითაა უზრუნველყოფილი ბანკის კლიენტების პრეტენზიები მათი საგადასახადო დავალებების დაფარვის ნაწილში.

დინამიკაში ფინანსური მაჩვენებლების სარწმუნო ანალიზის მიზნით მიზანშეწონილია მოვიყვანოთ შესაბამის ტენდენციასთან მათი შეუსაბამობის შესაძლო მიზეზების ჩამონათვალი (იხ.ცხრ.10.27).

ცხრილი 10.28

ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა
(განისაზღვრება როგორც ფინანსური მაჩვენებლების შეფარდებები t2/t1, t3/t1 და t3/t2 პერიოდებში, ოპტიმალურია ამ თანაფარდობის მზარდი ან ჰორიზონტალური (გვერდითა) ტრენდის დროს)

მაჩვენებელი	ოპტიმალურ ტენდენციასთან შეუსაბამობის შესაძლო მიზეზები
1	2
განყოფილება 1. ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები	
საკუთარი სახსრების მდგომარეობა - K1	საკუთარი სახსრების გამოთიშვა მწარმოებლური ბრუნვიდან, რომლის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ბანკის სანარმოო სტრუქტურის განვითარება. მცირდება ბანკის რესურსების განკარგვის ოპერატიულობა. შესაძლებელია პრობლემები ბანკის ვალდებულებათა დაფარვაში
მანევრირება - K2	მწარმოებლურ ოპერაციებში გადაცემული სახსრების ზრდის ტემპები აღემატება მიმოქცევაში გადაცემულისას. შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის ხარჯების მომატება, რომელიც უზრუნველყოფილი არაა საკუთარი და ნასესხები სახსრების უფრო ეფექტიანად გამოყენებით. მცირდება საკუთარი სახსრების მართვის მანევრირება ბანკის მწარმოებლურ ბრუნვაში
ავტონომიურობა - K3	სასესხო სახსრებზე დამოკიდებულების გადიდება შესადარებელი პერიოდების მიმართ. აქტივების იმობილიზაციის ზრდა, სახსრების წარმართვა ბანკის განვითარებაზე, სასესხო სახსრების ექსპანსია, რომელიც უზრუნველყოფილი არაა ბანკის საკუთარი კაპიტალით
ვადიანი ხასიათის სახსრები მოზიდვა - K4	მდგრადობის შემცირება მოზიდული ვადიანი დეპოზიტებისა და „ლორო" ანგარიშებზე არსებული ნაშთების ხვედრითი წილის შემცირების ხარჯზე, რაც იწვევს ბანკის აქტიუ-პასიური პორტფელის დროითი სტრუქტურის დაუბალანსებლობის რისკს
ფინანსური დაძაბულობა - K5	ბანკის საკუთარი სახსრების ზრდის ტემპების კლება ნასესხები სახსრების ზრდის ტემპებთან შედარებით, რაც ამცირებს აქტიური ოპერაციების მართვადობას. შესაძლებელია ბანკის მიერ აღებული ვალდებულებების „გადაკრედიტება" და აგრესიული საკრედიტო პოლიტიკა. ბანკის საკრედიტო რისკი
განყოფილება 2. საქმიანი აქტიურობის მაჩვენებლები	
აქტივების გამოყენების ეფექტიანობა - K6	ბანკის საკრედიტო პორტფელის დაუბალანსებლობა, აქტივების მართვის პოლიტიკის უქონლობა, შესაძლებელია საკრედიტო რესურსების წარმართვა უფრო შემოსავლიან აქტიურ ოპერაციებში. საკრედიტო რისკი

გაგრძელება

1	2
მოზიდული სახსრების გამოყენება - K7	საკრედიტო პორტფელის დაუბალანსებლობა, აქტიური ოპერაციების სტრატეგიის უქონლობა, დიდი დამოკიდებულება ბაზრის კონიუნქტურაზე (დივერსიფიცირებული არაა არასისტემატური რისკი). შესაძლებელია საკრედიტო და საპროცენტო რისკების წარმოქმნა
მოზიდული სახსრების შემოსავლიანობა - K8	აქტივების პორტფელის დაუბალანსებლობა, სისტემატური რისკის დივერსიფიკაციის არარსებობა, დიდი დამოკიდებულება ბაზრის კონიუნქტურაზე, საპროცენტო რისკისა და პოტენციური ზარალიანობის დიდი ალბათობა იმ პირობით, რომ სისტემატური რისკი ერთნაირია საფინანსო ბაზრის ყველა სუბიექტისათვის
რამბურსული უნარი - K9	შედარებით მაღალი ღირებულების მქონე ნასესხები სახსრების ხვედრითი წილის ზრდის ტემპის წინსწრება, როდესაც არ ხდება ამ ღირებულების კომპენსირება აქტივების შემოსავლიანობის შესაბამისი ტემპებით. საპროცენტო რისკის ზრდა. ზარალიანობის პოტენციური შესაძლებლობა
მოზიდული სასესხო სახსრების აქტიურობა - K10	ბანკის მუშაობის აქტიურობის შემცირება სადეპოზიტო ბაზის და საკორესპონდენტო კავშირების გაფართოებაში, პასიური ოპერაციების ტექნოლოგიების შეუშავებაში. მცირდება ბანკის პორტფელის მართვადობა: ,,გადაკრედიტება'', საპროცენტო რისკი

განყოფილება 3. მართვის ეფექტიანობის მაჩვენებლები

შემოსავლის რენტაბელობა - K11	გადახდილი პროცენტების ზრდის ტემპების გადიდება (საპროცენტო რისკი), დანახარჯების ზრდა ფასიანი ქაღალდების ოპერაციებზე, რომელიც მათი ეფექტიანობით არ კომპენსირდება, ჯარიმებს, პენიებსა და პირგასამტეხლოებს, აგრეთვე, მართვის აპარატის შენახვის ხარჯებს ზრდის ტენდენცია აქვს.
მთელი კაპიტალის რენტაბელობა - K12	აქტივების იმობილიზაცია, აქტივებისა და პასივების მიხედვით დაუბალანსებელი პორტფელი, აქტიური ოპერაციების მართვის არასაკმარისი დონე, საპროცენტო რისკის შემატება

გაგრძელება

1	2

განყოფილება 3. მართვის ეფექტიანობის მაჩვენებლები

შემოსავლის მომტანი აქტივების შემოსავლიანობა - K13	შემოსავლის მომტანი აქტივების ბრუნვადობის შენელება, მოზიდული სახსრების ღირებულების მატება, საპროცენტო რისკი, ბანკის პორტფელის დაუბალანსებლობა
საკუთარი სახსრების რენტაბელობა - K14	იმობილიზებული სახსრების ხვედრითი წილის ზრდის ტემპების მატება, ,,არამწარმოებლური" დაგროვების და ,,ფიქტიური" საკუთარი კაპიტალის გადიდება; შესაძლებელია კრედიტების ვერდაბრუნების ზრდა და მათი პროლონგაცია. საკრედიტო რისკების არასაკმარისად დამუშავება. საწესდებო კაპიტალის ზრდა.
მიმდინარე აქტივების რენტაბელობა - K15	აქტივების მდგრადობისა და ლიკვიდობის ზრდა ან ბრუნვადობის შემცირება, რეალური აქტივების ღირებულების ზრდა, აქტივების დაუბალანსებელი პორტფელი, საპროცენტო რისკი

განყოფილება 4. ბანკის ლიკვიდობის მაჩვენებლები

დაფარვის შუალედური კოეფიციენტი - K16	საკუთარი სახსრების ზრდის ტემპები ნაკლებია მოზიდულისაზე (გადახდისუუნარობის რისკი), იმობილიზაციის ზრდა, კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობების ზრდა, ადმინისტრაციულ-მმართველი აპარატის ხარჯების მომატება. ბანკის ლიკვიდობის შემცირება
საკუთარი კაპიტალის დაფარვის კოეფიციენტი - K17	ბანკის საბაზრისო კაპიტალის ზრდის ტემპები ჩამორჩება საერთო და ,,ფიქტიური" კაპიტალისას. აღებულ ვალდებულებათა შესრულების პოტენციური შესაძლებლობათა დაქვეითება
მომუშავე აქტივების დაფარვის კოეფიციენტი - K18	საკუთარი სახსრების შემადგენლობაში არსებული აქტივების რეალური უზრუნველყოფის ხვედრითი წილის შემცირება, საბაზისო კაპიტალის ხვედრითი წილის შემცირება ბალანსის ვალუტაში. მომუშავე აქტივების ლიკვიდური უზრუნველყოფის შემცირება

გაგრძელება

იმობილიზაციის კოეფიციენტი - K19	ბანკის საკუთარი სახსრების ზრდის ტემპების შემცირება აქტიური ოპერაციებიდან გამოთიშული სახსრების ზრდის ტემპებთან შედარებით. ბანკის ბალანსის საკუთარის ახსრებით უზრუნველყოფის დონის შემცირება
ფულადი რეზერვების ნორმა-K20	გადახდისუუნარობის რისკის მომატება, რეზერვების უკმარისობა, მოთხოვნამდე ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი

10.8.5.ბანკის ფინანსური მდგრადობის დინამიკისა და დასაშვები საზღვრების შეფასება

რეკომენდებულ (საცნობარო) მაჩვენებლებს (ნახ. 10.28) იყენებენ ადრე გამოტანილი დასკვნების დასადასტურებლად ან პაზარზე ბანკის პოზიციონირებისათვის. მესამე სტრიქონის შესაბამისი შეფარდება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ბანკის კაპიტალის საკმარისობა, მეოთხე მეექვსის შესაბამისი შეფარდებები კი ბანკის საქმიანობის თითქმის ყველა იმ პარამეტრის „მომენტალური ფოტოსურათია", რომლებიც ყველაზე მეტ გავლენას ახდენენ მის მომგებიანობაზე. მეოთხე-მეექვსე სტრიქონების მაჩვენებლების საფუძველზე ადგენენ, თუ როგორ მოქმედებს ბანკის საქმიანობის შედეგებზე: შემოსავლების რენტაბელობა (ე.ი.მენეჯმენტის დონე, ბანკის საჭიროებებზე დახარჯული თანხების სიდიდე და ხარჯვის მიმართულებები); აქტივების გამოყენების ეფექტიანობა (აქტივების წარმატებით მართვა სხვა თანაბარ პირობებში ან მათი შეკუმშვა), საკუთარი და ნასესხები კაპიტალების სტრუქტურა.

• • • • • • • • • • • • • • ▶ ᲕᲝᲙᲚᲔ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ

1. ბანკის შემოსავლების წყაროებს ძირითადად მიეკუთვნება მოცემული დროისათვის ბანკების საქმიანობის ყველა მიმართულება, მათ შორის გატარებული ყველა აქტიური ოპერაცია: საპროცენტო შემოსავლები, არასაპროცენტო შემოსავლები, სხვა შემოსავლები; აგრეთვე შემოსავლები პასიური ოპერაციებიდან, რომელსაც ბანკი იღებს საკომისიო გასამრჯელოს ფორმით, კერძოდ:

- ანგარიშის გახსნისათვის;
- ანგარიშის წარმოებისათვის;
- კლიენტებისათვის მისი ანგარიშიდან ამონაწერის გაცემისათვის;
- ნაღდი ფულის გაცემისათვის;
- ანგარიშების დახურვისათვის;

2. კომერციული ბანკების შემოსავლების წყაროებად სხვადასხვა სახეობის ბიზნესიც გვევლინება. საბანკო ბიზნესის ელემენტებია: სასესხო ბიზნესი, დისკონტ-ბიზნესი; ფასიან ქაღალდებზე აგებული ბიზნესი; ბიზნესი, რომელიც ეყრდნობა ანაბრების მიღებას და მეანაბრეთა დავალებით

ცხრილი 10.28

ბანკის ფინანსური მდგომარეობის საცნობარო მაჩვენებლები

მაჩვენებლების დასახელება	გაანგარიშების ალგორითმი შედარებითი ანალიტიკური ბალანსის მიხედვით	განმარტებები
მოგების ნორმა კაპიტალზე - K21	(პასივი, სტრ.4):(პასივი, სტრ.1+სტრ.8)	კაპიტალის ერთეულზე მოსული მოგება. საკუთარი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა
აქტივების რენტაბელობა - K12	(პასივი, სტრ.4):(ბალანსის შედეგი)	აქტივების ერთეულზე მოსული მოგება
კაპიტალის მულტიპლიკატორი - K23	K21:K12	თუკი ეს შეფარდება 16-ზე მეტია, ეს იმას მოწმობს, რომ ბანკის კაპიტალური ბაზა მეტის-მეტად მცირეა და მას ამონურული და აქტივების ზრდის არაადეკვატური აქვს სახსრების შემდგომი მოზიდვის შესაძლებლობები
შემოსავლის რენტაბელობა - K11	(პასივი, სტრ.4):(პასივი, სტრ.6)	ფულადი შემოსავლის ერთეულზე მოსული მოგება. დანახარჯების მართვის ეფექტიანობა
აქტივების შემოსავლიანობა -	(პასივი, სტრ.6):(ბალანსის შედეგი)	აქტივების ერთეულზე მოსული ფულადი შემოსავალი. დანახარჯების მართვის ეფექტიანობა
მოგების ნორმა კაპიტალზე - K21	K11 X K22 X K23	ახასიათებს ბანკის საქმიანობის თითოეული ძირითადი კომპონენტის „მომენტალურ ფოტოსურათს"

ოპერაციების შესრულებას, სხვა ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობებს, არატრადიციული საბანკო მომსახურების გაწევას; შენახვის ბიზნესი.

3. ყველა ჩამოთვლილი ფორმით გაწეული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსაელებმა უნდა ანაზღაუროს ბანკის ხარჯები, დაფაროს რისკები და შექმნას მოგება. შემოსაელების მეორე ნიშან-თვისებაა მათი ფასიანი ხასიათი. ბანკების, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ ბაზარზე, ფასს მოთხოვნა და მიწოდება აყალიბებს. ბანკში სასესხო პროცენტი დროებითი სარგებლობისათვის ნასესხები ღირებულების ერთგვარ ფასად გვევლინება.

4. კომერციული ბანკის ხარჯები შეგვიძლია დავაჯგუფოთ ხასიათის, ფორმისა და აღრიცხვის წესის მიხედვით; იმ პერიოდის მიხედვით, რომელსაც მათ მიაკუთვნებენ; დასაბეგრ ბაზარზე მათი ზემოქმედებისა და შეზღუდვის წესის მიხედვით.

5. კომერციული ბანკების შემოსაელებისა და გასაელების შეფასების ძირითად ხერხებად გვევლინება სტრუქტურული ანალიზი, შემოსაელებისა და გასაელების დინამიკის ანალიზი, იმ ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება, რომლებიც ახასიათებენ შემოსაელებისა და გასაელების შეფარდებით დონეს. ამ ხერხების ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს რაოდენობრივად

და თვისებრივად შეეფასოთ ბანკის შემოსავლების და გასავლები.

6. მოგება — ბანკის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებელია. ბანკის უნარი — გასცეს კრედიტი და მოახდინოს სხვა დაბანდებები — დამოკიდებულია მისი საკუთარი კაპიტალის სიდიდესა და სტრუქტურაზე, ხოლო მოგება — მისი ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. მოგების მოცულობა უზრუნველყოფს მის საიმედოობას, რაც საბანკო მომსახურების მომხმარებლებს უქმნის ანაბრების უსაფრთხოებისა და კრედიტის წყაროების არსებობის გარანტიას.

მთლიანობაში, მოგების სიდიდე დამოკიდებულია: შემოსავლებზე, გასავლებზე, გადასახადებსა და ბანკის საკალდებულო გადასახდელებზე.

7. კომერციული ბანკის მოგების დონის შეფასების ძირითადი ხერხებია:

- მოგების წყაროების სტრუქტურული ანალიზი;
- ფინანსური კოეფიციენტების სისტემის ანალიზი;
- ფაქტორული ანალიზი

მას შემდეგ, რაც მოხდება ბანკის მოგების ანალიზი, ბანკში განსაზღვრავენ მოგების ყველა კომპონენტის რეიტინგს. ბანკის მოგების საბოლოო შეფასება უნდა ითვალისწინებდეს საპროცენტო განაკვეთების მარჟას, ოპერაციების მომგებიანობას, დანაკარგების რეზერვის ადეკვატურ უზრუნველყოფას, აქციონერებზე დივიდენდების გადახდასა და ბანკის ზრდასთან დაკავშირებული ინიციატივების უზრუნველყოფას. ამასთან, საბოლოო რეიტინგის დადგენისას, გაანალიზებული უნდა იქნეს მენეჯმენტის მიერ ბიუჯეტის შედგენის პროცესი და შესაძლო მოგების პოტენციალი.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

დიუპონის სისტემა — ფართოდ გამოყენებულია ფირმის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დროს. ამ სისტემის თანახმად ანალიტიკოსი გამოაცალკევებს ჯამობრივ შემოსავლებს და ჯამობრივ გასავლებს და გამოთვლის მოგების სიდიდეს ინვესტიციურ კაპიტალზე, აქტივების ბრუნვადობას და მარჟას მოგებაზე.

ლევერეჯი: „ბერკეტის პრინციპი" — თანაფარდობა საკუთარ (აქციონერულ) და ნასესხებ კაპიტალს შორის. თუ, მაგალითად, კომპანია მისთვის საჭირო სახსრების დიდ ნაწილს აქციების გამოშვებით ღებულობს, ხოლო სესხს ფიქსირებული პროცენტით მცირე მოცულობით იყენებს, მაშინ მას მცირე ლევერეჯი აქვს, ხოლო თუ კომპანია აუცილებელი სახსრების დიდ ნაწილს სესხების ხარჯზე ფიქსირებული პროცენტით ღებულობს და აქციონერებიდან კი მხოლოდ მცირე თანხას იღებს, მაშინ მას დიდი ლევერეჯი აქვს.

მარჟა — სხვადასხვა მაჩვენებლებს (ფასებს, პროცენტულ განაკვეთებს, ფასიანი ქაღალდების კურსებს და ა.შ.) შორის სხვაობის გამომხატველი სიდიდე. ბანკის საპროცენტო მარჟა არის სხვაობა კომერციული ბანკის საპროცენტო შემოსავალსა და გასაცემს შორის, მიღებულ და გადახდილ პროცენტებს შორის.

მარჟა დაკრედიტების — 1. ფასიანი ქაღალდების შეძენა ნაწილობრივ იმ სახსრებით, რომელიც ბროკერისაგან კრედიტით არის აღებული. 2. შესაძენის ფასის ის ნაწილი, რომელიც არ იფარება კრედიტით. 3. უზრუნველყოფის ღირებულების ზედმეტობა.

მიმოქცევაში არსებული ფული — სახელმწიფოს მიერ მიმოქცევაში გაშვებული ქაღალდისა და ლითონის უპროცენტო ფულის ნიშნები.

მოგება — სხვაობა ფირმის ერთობლივ შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის (როდესაც ერთობლივი შემოსავალი ჭარბობს დანახარჯებს).

პროლონგაცია — ხელშეკრულების, თამასუქის, სესხის მოქმედების ვადის გაგრძელება.

პროლონგაციური გარიგებები — ფასიანი ქაღალდებით გარიგების სახეობა, რომელიც მყიდველს ან გამყიდველს შესაძლებლობას აძლევს გააგრძელოს ოპერაცია და გადაავადოს

საბოლოო ანგარიშსწორება ბაზარზე ფასიანი ქაღალდების კურსის მოძრაობის მიხედვით.

ჟიროცენტრალი — საკრედიტო დაწესებულება, რომელიც კომუნალური შემნახველი ბანკებისათვის ცენტრალური ბანკის ფუნქციებს ასრულებს. ყველაზე ფართოდ გავრცელებულია გერმანიაში.

საბაზისო პუნქტი — პროცენტის მეასედი ნაწილი; მაჩვენებელი, გამოყენებული პროცენტულ განაკვეთებში სხვაობის, ფასიანი ქაღალდებით მიღებული შემოსავლების ცვლილებებისა და ა.შ. დახასიათებისათვის.

სპრედი — 1. ფიუჩერსული კონტრაქტების იმავდროული ყიდვა-გაყიდვა ერთსა და იმავე საქონელზე მიწოდების სხვადასხვა ვადით; 2. ერთი ტიპის ოფციონების იმავდროული ყიდვა-გაყიდვა სხვადასხვა ფასში ან ვადის გასვლის სხვადასხვა პერიოდში. 3. ფასების მერყეობის გაქანება.

წმინდა მოგება — თანხა, რომელიც რჩება ფირმას ერთობლივი შემოსავლიდან აშკარა და ფარული (იმპლიციტური) დანახარჯების გამოქვითვის შემდეგ. წმინდა მოგება უდრის ბუღალტრულ მოგებას მინუს იმპლიციტური დანახარჯები.

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1.ჩამოთლეთ ბანკის შემოსავლის წყაროები და დააჯგუფეთ ისინი ეკონომიკურად ერთგვაროვან აქტივებისა და პასივების ჯგუფებად.

2. რა არის საბანკო ბიზნესის ელემენტები?

3. რა არის: ა) სასესხო ბიზნესი?

ბ) დისკონტ-ბიზნესი?

გ) შენახვის ბიზნესი?

დ) ფასიან ქაღალდებზე აგებული ბიზნესი?

ე) ბანკის საგარანტიო ბიზნესი?

ვ) ანაბრების მოზიდვასთან და მეანაბრების დავალებით ოპერაციების განსორციელებასთან დაკავშირებული ბიზნესი?

4. როგორი ნიშნების მიხედვით შეიძლება დავაჯგუფოთ ბანკის ხარჯები? დაახასიათეთ თითოეული მათგანი

5. რა არის საპროცენტო მარჟა?

6. როგორ გამოითვლება საპროცენტო მარჟის კოეფიციენტი?

7. რა ხერხები იცით ბანკების შემოსავლებისა და გასავლების შეფასებისათვის?

8. ჩამოთვალეთ ფაქტორები, რის საფუძველზეც შეიძლება შეიცვალოს ბანკის შემოსავლები?

9. რა მიზანი აქვს ბანკის შემოსავლების სტრუქტურულ ანალიზს?

10. რა არის წმინდა სპრედი და საშუამავლო მარჟის კოეფიციენტები და როგორ ანგარიშობენ მათ?

11. რატომ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება ბანკის მომგებიანობის დონეს და საოპერაციო რისკებს?

12. რომელი ფაქტორები მოქმედებენ ბანკის აქციების ფასზე?

13. რა არის აქციონერული კაპიტალის შემოსავლიანობა და ბანკის საქმიანობის რომელი ასპექტი. ახასიათებს მოცემულ მაჩვენებელს?

14. რა არის ბანკის აქტივების შემოსავლიანობა და მნიშვნელობა აქვს მას ბანკისათვის?

15. რატომ აქცევს ყურადღებას ბოლო პერიოდში ბანკის სალმძღვანელობა წმინდა საპროცენტო მარჟას და უპროცენტო მარჟას? სამშოსავლო ბაზას და სპრედს?

16. ROE მოგება საკუთარ (აქციონერულ) კაპიტალზე
ROA მოგება აქტივების ერთეულზე

დაასახელეთ აღნიშნული მაჩვენებლების მთავარი შემადგენელი ნაწილები და რისი შეფასება ხდება მათი საშუალებით?

17. რისკის რა სახეებს იცნობთ, დაასახელეთ და დაახასიათეთ თითოეული მათგანი?

18. მოგების დონის შეფასების რომელ ხერხებს იცნობთ? დაასახელეთ.

19. რა არის დიუკონის ფორმულა და რას გამოხატავს იგი?

რეკომენდებული ლიტერატურა

ასათიანი რ. ეკონომიქსი. განმარტებითი ლექსიკონი თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2003.

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

ეკონომიკური ლექსიკონი. ავტ. კოლექტივი პროფ. ა სილგაძის ხელმძღვანელობით. თბ., თსუ გამომცემლობა, 2001.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

Банковский менеджмент. Пер с англ.-ого, М.: Дело, 1997.

Банковское дело: Авт. колл. под ред. **О.И. Лаврушина.** _ М.: Финансы и статистика, 2001.

Базельский комитет по банковскому надзору: Сборник документов и материалов. Сост. **Ю. В. Кузнец.** М., 1997.

Банки на развивающихся ринках: В 2-х т. Пер с англ.-ого. Т.1. Укрепление руководства и повышение чувствительности к переменам. **Д. МакНотон, Д.Дж. Карлсон, К.Т. Дитц** и др. М.: Финансы и статистика, 1994.

К. Барлатроп, Д. МакНотон. Банки на развивающихся рынках: В 2-х т. Пер. с англ. Т.2. Интерпретирование финансовой отчетности. _ М.: Финансы и статистика. 1994.

Белых Л.П. Устойчивость коммерческих банков: Как Банкам избежать банкротства. М.: Банки. ЮНИТИ, 1996.

Введение в банковское дело. Пер с нем. Колл. авторов под рук. **Гюнтера Асхауера.** М.: ИПФ "Мир и культура", 1997.

Валравен К.Д. Управление рисками коммерческого банка. ИЭР Мирового банка. _ Вашингтон, 1992.

Масленченков Ю.С. Финансовый менеджмент в коммерческом банке. Кн.1. Фундаментальный анализ. М.: Перспектива, 1996.

Панова Г.С. Анализ Финансового состояния коммерческого банка. М.: Финансы и статистика, 1996.

Palfreman David., Ford Philip. Elements of Banking. Pritman Publishing. London. 1996.

Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling Financial Services. Second Edition. IRWIN. Honewood. Boston. 1993.

Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

მეოთხე განყოფილება
ბანკების საკრედიტო, სავალუტო, იპოთეკური და სხვა ოპერაციები

მეთერთმეტე თავი. ბანკის საკრედიტო ბაზარი

ტერმინები და ძირითადი ცნებები
11.1. საბანკო კრედიტი: ძირითადი ცნებები
11.2. საბანკო დაკრედიტება: ძირითადი ნორმატიული მოთხოვნები
11.3. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა
11.3.1. საკრედიტო პოლიტიკის შინაარსი
11.3.2. საკრედიტო პოლიტიკის მიზნები
11.4. ბანკის საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმები
11.5. კრედიტის გაცემის ტექნოლოგიისა და ბანკის საკრედიტო ქვედანაყოფის მუშაობის ორგანიზების საფუძვლები
11.6. მსესხებლის ფინანსური შესაძლებლობისა და კრედიტუნარიანობის შეფასება
11.7. საბანკო კრედიტის ფასი
11.8. კრედიტების დაბრუნების უზრუნველყოფის ხერხები
11.9. ბანკის საკრედიტო საქმიანობის ხარისხი
დანართი: ეკონომიკური უსაფრთხოების მართვა საბანკო საქმიანობაში
მოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

აქცეპტური კრედიტი
აქცეპტურ-რამბურსული კრედიტი
ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოება
იპოთეკური კრედიტი
კუპიურა
კუპონი
კურტაჟი
მომსახურების დიფერსიფიკაციის სტრატეგია
ოპტიმალური დანახარჯების სტრატეგია
კრედიტი
კომერციული კრედიტი
კრედიტის დაფარვის პირობები
კრედიტის რაციონირება
კრედიტის სიდიდის შეზღუდვა
როლოვერული კრედიტი
საბანკო კრედიტი
საექსპორტო კრედიტი
სავალუტო კრედიტი
სამომხმარებლო კრედიტი
საერთაშორისო კრედიტი
სარგებლიანობის თეორია

საკრედიტო საქმიანობა ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია, რომელიც თვით ბანკის ცნების კონსტიტუირებას ახდენს. გადაჭარბებული არ იქნება მტკიცება იმისა, რომ საკრედიტო პროცესის ორგანიზაციის დონე საერთოდ ბანკის მთელი მუშაობის და მისი მენეჯმენტის ხარისხის საუკეთესო მაჩვენებელია. ყოველივე ეს მეტყველებს საკრედიტო პროცესის მკაფიო და ეფექტიანი მექანიზმების აწყობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

11.1. საბანკო კრედიტი: ძირითადი ცნებები

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ორი მსგავსი ცნება: სესხი და კრედიტი. სესხს ის ახასიათებს, რომ:

- აქ საუბარი შეიძლება ეხებოდეს ერთი მხარის (გამსესხებლის) მიერ მეორისთვის (მსესხებლისთვის) როგორც ფულის, ისე ნივთების გადაცემას:

ა) მსესხებლის საკუთრებაში, ოღონდ, ამავე დროს

ბ) იმავე თანხის ან იმავე რაოდენობისა და ხარისხის ნივთების დაბრუნების პირობით;

- ფულის სესხება შეიძლება უპროცენტოც იყოს;
- მასში ნებისმიერ პირს შეუძლია მონაწილეობა.

სესხისგან განსხვავებით, კრედიტი, რომელიც ერთგვარად სესხის კერძო შემთხვევაა, იმას გულისხმობს, რომ:

- ერთი მხარე (კრედიტორი) მეორეს (მსესხებელს) აძლევს მხოლოდ ფულს, თანაც — დროებით სარგებლობაში;
- იგი არ შეიძლება იყოს უპროცენტო (თუკი ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს);
- მასში კრედიტორია არა ნებისმიერი პირი, არამედ მხოლოდ საკრედიტო ორგანიზაცია (უპირველეს ყოვლისა, ბანკები).

ამგვარად, კრედიტი საბანკო კრედიტია. ჩვენი აზრით „კრედიტისა“ და „სესხის“ სინონიმებად ხმარება რეკომენდებული არაა.

საბანკო კრედიტი შეიძლება იყოს აქტიური ან პასიური. პირველ შემთხვევაში ბანკი გასცემს კრედიტს, ე.ი. კრედიტორია, მეორე შემთხვევაში კი იღებს მას, ე.ი. მსესხებელია. სხვა ბანკებთან (სხვა საკრედიტო ორგანიზაციებთან) ურთიერთობებში ბანკი შეიძლება ან აქტიურ როლს თამაშობდეს, ან პასიურს. რაც შეეხება დანარჩენ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა თუ ფიზიკურ პირებს (ეკონომიკის არასაფინანსო სექტორს), აქ ბანკი ყოველთვის კრედიტორია. ჩვენ ბანკის მხოლოდ აქტიურ დაკრედიტებაზე ვისაუბრებთ.

საბანკო დაკრედიტება ბანკსა (როგორც კრედიტორს) და მის მსესხებელს შორის ურთიერთობათა ერთობლიობაა, რომლებიც ეხება:

ა) ფულის გარკვეული თანხის მიცემას მსესხებლისთვის გარკვეული მიზნით (თუმცა, გვხვდება ე.წ. თავისუფალი კრედიტებიც, როდესაც დაკრედიტების მიზანი ან ობიექტი ხელშეკრულებაში მითითებული არაა);

ბ) მის თავისდროულად დაბრუნებას;

გ) მსესხებლისგან საზღაურის მიღებას მის განკარგულებაში არსებული სახსრების გამოყენებისთვის.

საკრედიტო ურთიერთობის არსებითი საფუძველი და მისი აუცილებელი ელემენტია მხარეებს შორის ნდობის არსებობა (ლათინური credo, საიდანაც სიტყვა „კრედიტი“ წარმოიშვა, ნიშნავს „მჯერა“).

საბანკო კრედიტის ყველაზე უფრო გავრცელებული მიზნებია:

- მეურნე ორგანიზაციის საბრუნავი კაპიტალის გადიდება (შევსება):
- მისი სეზონური მოთხოვნილებების დაფინანსება;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დროებით გაზრდილი რაოდენობის დაფინანსება;
- გადასახდების გადახდის დაფინანსება;
- არაორდინალური (მსხვილი) ხარჯების დაფარვაში დახმარება და ა.შ.

ყველა ამგვარ შემთხვევაში სამართლიანია ვისაუბროთ მოკლევადიან დაკრედიტებაზე.

- საწარმოო ხარჯების დაფინანსება ინვესტიციური პროექტების რეალიზაციის ჩათვლით, ე.ი. მთლიანობაში – კაპიტალის გადიდება, რაც გულისხმობს უძრავ-მოძრავი ქონებისა და თავისი ბუნებით „ძირითად“ სხვა აქტივების შეძენას. ამ შემთხვევაში საუბრობენ საშუალო და გრძელვადიან საწარმოო (საინვესტიციო) კრედიტზე.
- ცალკეულ ფიზიკურ პირთა სამომხმარებლო მიზნები (ბინის შეძენა ან რემონტი, განათლების მიღება), რომლებსაც სამომხმარებლო (პირადი) კრედიტის მეშვეობით აკმაყოფილებენ.

დაკრედიტების თითქმის ყველა შემთხვევაში ბანკები ქმნიან დაკრედიტების მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ისეთ ტექნოლოგიებს, რომლებიც კონკრეტულ მსესხებლებს აძლევს ხელს. სწორედ ეს ტექნოლოგიებია ის მთავარი პროდუქტი, რომლებსაც ყიდიან ბანკები, როგორც საკრედიტო ბაზრის მონაწილეები. პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ორგანიზაციისა და შესრულების თვალსაზრისით ყველაზე უნიკალური და რთულია (მაშასადამე, ძვირი და სარისკო) გრძელვადიანი (ინვესტიციური) დაკრედიტების ტექნოლოგიები.

დაკრედიტების ძირითადი (საბაზო) მომსახურება შემდეგი კლასიფიკაციის სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

1. კრედიტის ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით:

1.1. შებოჭილი (მიზნობრივი):

1. საგადასახდელო (კონკრეტული კომერციული გარიგების ჩასატარებლად ან დროებითი საჭიროების დასაკმაყოფილებლად):

- კლიენტის კონტრაგენტის საგადასახდელო დოკუმენტების გასანაღდებლად;
- ფასიანი ქაღალდების შესაძენად;
- საავანსო გადასახდელების შესასრულებლად;
- ბიუჯეტში გადასახდელების გადასარიცხად (მსესხებლის დავალებით);
- ხელფასის გასაცემად.

2. საწარმოო ხარჯების დასაფინანსებლად:

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დასაფინანსებლად;
- მიმდინარე საწარმოო ხარჯების დასაფინანსებლად;
- ინვესტიციური ხარჯების დასაფინანსებლად.

3. თამასუქების განაღდება რეპო-ოპერაციების ჩათვლით;

4. სამომხმარებლო კრედიტები (ფიზიკური პირებისთვის).

1.2. შეუბოჭავი:

2. კრედიტის გაცემის ფორმის მიხედვით:

2.1. უნაღდო წესით:

1. უნაღდო ფულის ჩარიცხვა მსესხებლის შესაბამის ანგარიშზე, მათ შორის – ადრე გაცემული კრედიტის რესტრუქტურიზაცია და ახლის გაცემა;

2. დაკრედიტება ბანკის თამასუქებით;

3. შერეული ფორმით (წინა ორი ვარიანტის შეხამება);

2.2. ნაღდი – ფულადი ფორმით (ფიზიკურ პირთა დაკრედიტება).

3. კრედიტის გაცემის ტექნიკის მიხედვით:

3.1. ერთი თანხით;

3.2. კრედიტები ორეერდრაფტით (მოკლევადიანი, გახანგრძლივებული, სეზონური);

3.3. საკრედიტო ხაზის გახსნა:

- უბრალო (არაგანახლებადი) საკრედიტო ხაზი;
- განახლებადი (რევოლვერული) საკრედიტო ხაზი, რომელიც მოიცავს:
  ონკოლურ (მოთხოვნამდე) საკრედიტო ხაზს;
  კონტოკორენტულ საკრედიტო ხაზს.

3.4. კომბინირებული ვარიანტები

- ონკოლური კრედიტი (ერთჯერადი კრედიტი სპეციალური ონკოლური სასესხო ანგარიშის გამოყენებით);
- აქცეპტურ-რამბურსული კრედიტი.

4. კრედიტის გაცემის წესის მიხედვით:

4.1. ინდივიდუალური (ერთი ბანკის მიერ გაცემული);

4.2. სინდიცირებული.

5. კრედიტის დაფარვის დროისა და ტექნიკის მიხედვით:

5.1. ერთი თანხით დაფარვა ვადის ბოლოს;

5.2. თანაბარი ნაწილებით დაფარვა დროის ტოლ შუალედებში (შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად);

5.3. არათანაბარი ნაწილებით დაფარვა დროის სხვადასხვა შუალედში:

- რთული კრედიტი (თანხის მნიშვნელოვანი ნაწილის (20-50%-ის) გადახდა ვადის ბოლოს);
- პროგრესული კრედიტი (პროგრესულად მზარდი გადასახდელებით);
- სეზონური კრედიტი (სეზონური წარმოებისთვის (პროექტებისთვის), როდესაც გადახდა მხოლოდ მაქსიმალური ამონაგების თვეებში ხდება).

ცალკე შეიძლება გამოიყოს ბანკების საგარანტიო ოპერაციები თავიანთი კლიენტების დაკრედიტების ნაწილში, აგრეთვე, საკონსულტაციო მომსახურება დაკრედიტების საკითხებში.

კრედიტების კლასიფიკაციისთვის შესაძლებელია სხვა კრიტერიუმების გამოყენებაც.

დაკრედიტების პრინციპები. საბანკო დაკრედიტების უცილობელი პრინციპებია:

- ვადიანობა (კრედიტი გაიცემა ერთმნიშვნელოვნად განსაზღერული ვადით);
- დაბრუნებადობა (კრედიტის თანხის სრულად დაბრუნება);
- ფასიანობა (პროცენტების დათქმული თანხის გადახდა);
- საკრედიტო გარიგების დაქვემდებარება კანონმდებლობის ნორმებსა და საბანკო წესებზე;
- დაკრედიტების პირობების უცვლელობა;
- საკრედიტო გარიგების ურთიერთსარგებლიანობა.

პრინციპების ცალკე ჯგუფად შეგვიძლია გამოვყოთ დაკრედიტების ის გავრცელებული წესები, რომლებსაც იყენებენ მხარეები, თუკი მათი ეს ნება ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული, ან არ იყენებენ, თუკი ისინი ხელშეკრულებაში არაა ჩაწერილი:

- კრედიტის მიზნობრიივად გამოყენება;
- კრედიტის უზრუნველყოფა (მთლიანად ან ნაწილობრივ):

გარდა ამისა, კიდევ ერთ ჯგუფად შეგვიძლია გამოვყოთ დაკრედიტების ის პრინციპები, რომლებიც ბანკის თანამშრომლების მიერ „სამსახურებრივი სარგებლობისთვისაა“ განკუთვნილი და მის შიდა დოკუმენტებში ისე უნდა იყოს დაფიქსირებული, როგორც საკრედიტო პოლიტიკის ელემენტი.

საკრედიტო ოპერაციების კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით მოცემულია 11.1 სქემაში.

11.1 ცქრა. საკრედიტო ოპერაციების კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით

საკრედიტო ოპერაციების კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით

- მსესხებელთა ჯგუფების
  - ფიზიკური პირები
  - იურიდიული პირები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები
  - ბანკები
  - სახელმწიფო ან სახელმწიფო
  - საერთაშორისო ორგანიზაციები
- ვალუტების გათვალისწინებით
  - ეროვნული ვალუტა (ლარი)
  - უცხოური ვალუტა (ამერიკული დოლარი, ევრო, ფუნტ სტერლინგი, იენი, შვეიცარიული ფრანკი)
- ბანკის როლის
  - ბანკი-გამცემი (ბანკი-კრედიტორი)
  - ბანკი-მსესხებელი (ბანკი-დებიტორი)
- დაფარვის ვადების
  - ვადიანი:
    - ხანგრძლივვადიანი;
    - ხანმოკლევადიანი;
  - მოთხოვნამდე (ანაბარი)
- ბანკის ბალანსში ასახვის
  - ბალანსგარეშე ანგარიშზე
  - ბალანსზე
  - ფასიან ქაღალდებში
  - ფასიან ფიზიკურ აქტივებში
- საპროცენტო განაკვეთების
  - ფიქსირებული განაკვეთით
  - ცვალებადი განაკვეთით
  - ინდექსირებული განაკვეთით
- კრედიტების კლიენტისაგან
  - ინდივიდუალური (ცალკეული ხელშეკრულებით)
  - ტიპიური (ერთგვაროვანი ხელშეკრულებით)
- გადაცემის ფორმების
  - ნაღდი ფულით – სალაროში
  - უნაღდო ანგარიშსწორებით
  - ფასიანი ქაღალდით – მოგებაში
  - ფასიანი ქაღალდით – ზარალში
- დაფარვის წესის
  - ანუიტეტული თანაბარი ყოველთვიური
  - ყოველთვიურ თანაბარ ოდენობებად
  - ბოლოს ერთიანად
- კრედიტის ვალუტის
  - ეროვნული ვალუტით
  - უცხოური ვალუტით
  - ფიზიკური აქტივებით
  - ფასიანი ქაღალდებით
- გადაცემის
  - ნაღდი ფულით
  - ანგარიშზე ფულადი სახსრების ჩარიცხვით
  - ფასიანი ქაღალდებით
  - ფიზიკური აქტივებით
- კრედიტორების
  - საერთაშორისო ორგანიზაციები
  - სახელმწიფო

11.2. საბანკო დაკრედიტება: ძირითადი ნორმატიული მოთხოვნები

კომერციული ბანკების მიერ აქტიური საკრედიტო ოპერაციების ჩატარებას ცენტრალური ბანკის მრავალი ნორმატიული აქტი აწესრიგებს. ბანკების საქმიანობის სავალდებულო ეკონომიკურ ნორმატივებს შორისაა:

- კაპიტალის საკმარისობის ნორმატივები;
- რისკის მაქსიმალური სიდიდე ერთ მსესხებელზე ან ერთმანეთთან დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფზე;
- რისკის მაქსიმალური სიდიდე ერთ კრედიტორზე (მეანაბრეზე);
- ბანკის მიერ თავისი მონაწილეებისა და ინსაიდერებისთვის მიცემული კრედიტების, გარანტიებისა და თავდებობების მაქსიმალური სიდიდე;
- ბანკის სათამასუქო ვალდებულებათა მაქსიმალური სიდიდე.

ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობის ნორმატივების განსაზღვრის დროს შემდეგ ხერხს იყენებენ: დაბანდებათა რისკის ხარისხზე და აქტივების გაუფასურების შესაძლებლობაზე დამოკიდებულებით ამ აქტივებს ყოფენ 5 ჯგუფად, რომელთათვისაც აწესებენ რისკის განსხვავებულ კოეფიციენტებს (0-დან 100%-მდე). II ჯგუფის კრედიტებს აკუთვნებენ 10%-ს, III – 20%-ს. ყველა დანარჩენი კრედიტი ხვდება V ჯგუფში, რომლის რისკიც 100%-ია.

საკუთარი კაპიტალის საკმარისობის ნორმატივს (H1) განსაზღვრავენ რთული ფორმულით, რომელშიც ითვალისწინებენ საკრედიტო რისკების სიდიდეებს, აგრეთვე იმ რეზერვების თანხებს, რომლებსაც გაუფასურებული ფასიანი ქაღალდების და რისკის II-IV ჯგუფების კრედიტებზე შესაძლო დანაკარგების შემთხვევებისთვის ქმნიან.

ერთ მსესხებელზე ან მათ ჯგუფზე რისკის მაქსიმალურ ზომას (H6) ადგენენ პროცენტობით ბანკის საკუთარი კაპიტალის (K) მიმართ ფორმულით:

$$H6 = \frac{Kp3}{K} \times 100\%$$

სადაც Kp3 არის კრედიტებზე, აღრიცხულ თამასუქებზე, სესხებზე, ძვირფას ლითონებში არსებულ დეპოზიტებზე მსესხებლის მიმართ ბანკის მოთხოვნების მთლიანი თანხა და ბანკის მიერ თავის გარანტიებზე გადაუხდელი თანხები.

Kp3-ში შეაქვთ, აგრეთვე, იმ საკრედიტო რისკების სიდიდეები, რომლებიც ბალანსგარეშე ანგარიშებზე ასახულ ფინანსურ ინსტრუმენტებსა და მითითებულ პირებთან დადებულ უადიან გარიგებებს უკავშირდება.

- H6 ნორმატივს ანგარიშობენ იმ ყოველი ემიტენტის (სახელმწიფოს ჩათვლით) მიმართ, რომელთა სავალო ვალდებულებებშიც ბანკს სახსრები აქვს დაბანდებული.
- იყენებენ ბანკის მონაწილეების მიერ თანხის სესხების მიმართ იმ შემთხვევაში, თუკი ბანკის საწესდებო კაპიტალში მისი მონაწილის წილი 5%-ს არ აღემატება. 5%-ზე მეტის შემთხვევაში იყენებენ H9 ნორმატივს.
- არ ანგარიშობენ ინსაიდერების მიმართ (მათთვის იყენებენ H10-ს).

H6 – ნორმატივის მაქსიმალურად დასაშვები მნიშვნელობაა 25%.

მსხვილი საკრედიტო რისკების მაქსიმალური სიდიდე (H7) არის მსხვილი საკრედიტო რისკების მთლიანი სიდიდის პროცენტული შეფარდება ბანკის საკუთარ კაპიტალთან. ამასთან, რისკი მსხვილ საკრედიტო რისკად ითვლება მაშინ, თუკი Kp3, Kpa და Kpu (იხ.შემდეგ) მნიშვნელობები ბანკის საკუთარი კაპიტალის 5%-ზე მეტია. ასეთ რისკს ანგარიშობენ ფორმულით:

$$H7 = \frac{Kckp}{K} \times 100\%$$

სადაც Kckp მსხვილი კრედიტების მთლიანი სიდიდეა.

მსხვილი კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას აუცილებლად იღებს ბანკის გამგეობა ან მისი საკრედიტო კომიტეტი ბანკის საკრედიტო ქვედანაყოფის დასკვნის გათვალისწინებით.

ბანკის ერთ მონაწილეზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური სიდიდე (H9):

$$H9 = \frac{Kpa}{K} \times 100\%$$

სადაც Kpa არის Kp3 მაჩვენებლის მნიშვნელობა იმ მონაწილეებისათვის, რომელთა წილი ბანკის საწესდებო კაპიტალში მისი დარეგისტრირებული სიდიდის 5%-ს აღემატება.

H9 ნორმატივის მაქსიმალურად დასაშვები მნიშვნელობა 20%-ია.

ბანკის მონაწილეებზე საკრედიტო რისკების მთლიანი სიდიდე (H9.1) არის ყველა იმ მონაწილის საკრედიტო რისკების (Kp3) მნიშვნელობათა ჯამი, რომელთა წილი ბანკის საწესდებო კაპიტალში მისი დარეგისტრირებული სიდიდის 5%-ს აჭარბებს. H9 ნორმატივის მაქსიმალურად დასაშვები მნიშვნელობაა 50%.

ინსაიდერებისათვის მიცემული კრედიტებისა და სესხების, აგრეთვე მათ სასარგებლოდ გაცემული გარანტიებისა და თავდებობის მაქსიმალურ ზომას ანგარიშობენ ფორმულით:

$$H10 = \frac{Kpu}{K} \times 100\%$$

სადაც Kpu არის ბანკის ინსაიდერისა და მასთან დაკავშირებული პირების მიმართ ამ ბანკის მოთხოვნების მთლიანი თანხა, რომელიც რისკის გათვალისწინებითაა შეწონილი.

ერთ ინსაიდერზე და მასთან დაკავშირებულ პირებზე H10 ნორმატივის მაქსიმალურად დასაშვები მნიშვნელობა 2%-ია. ინსაიდერებზე კრედიტებისა და სესხების მთლიანი სიდიდე არ შეიძლება აღემატებოდეს ბანკის საკუთარი კაპიტალის 3%-ს.

ბანკის საკუთარი სათამასუქო ვალდებულებების რისკების მაქსიმალური სიდიდე H13:

$$H13 = \frac{BO}{K} \times 100\%$$

სადაც BO არის ბანკის მიერ გამოშვებული თამასუქები და საბანკო აქცეპტები, აგრეთვე ბანკის იმ ბალანსგარეშე ვალდებულებების 50%, რომლებიც თამასუქებზე შესრულებული ოპერაციებიდან მომდინარეობს (ინდოსირება, ავალირება და სათამასუქო შუამავლობა). ამ კოეფიციენტის მაქსიმალურად დასაშვები მნიშვნელობა 100%-ია.

მოთხოვნები კრედიტის გაცემის პროცესის მიმართ.

ბანკი კრედიტებს შემდეგი წესით გასცემს:

- იურიდიულ პირებზე – უნაღდო ფორმით, ანგარიშსწორების, მიმდინარე ან საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვის გზით;
- ფიზიკურ პირებზე – უნაღდო ფორმით, ბანკში პიროვნების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვის გზით, ან ნაღდი ფორმით – ბანკის სალაროს მეშვეობით;
- კრედიტები უცხოური ვალუტით იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაიცემა უნაღდო წესით.

ბანკი კრედიტებს შემდეგი ხერხებით გასცემს:

1) საბანკო ანგარიშებზე სახსრების ერთჯერადი ჩარიცხვით ან მსესხებელი ფიზიკური პირისთვის ნაღდი ფულის მიცემით;

2) საკრედიტო ხაზის გახსნით;

3) კლიენტის ანგარიშის დაკრედიტებით (მასზე სახსრების ნაკლებობის ან უქონლობისას) და

კლიენტის ამავე ანგარიშიდან საანგარიშსწორებო დოკუმენტების განაღდებით;

4) ბანკის მონაწილეობით კლიენტისათვის სახსრების მიწოდებაში სინდიცირებულ (კონსორციულ) საფუძველზე;

5) სხვა ხერხებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და ეროვნული ბანკის ნორმატიულ აქტებს.

კრედიტორმა ბანკმა აუცილებლად უნდა შექმნას რეზერვები საკრედიტო საქმიანობისგან შესაძლო დანაკარგების შემთხვევისთვის. რეზერვების შექმნის წესს ეროვნული ბანკი ადგენს.

მოთხოვნები კლიენტის მიერ კრედიტის დაბრუნების და პროცენტების გადახდის პროცესის მიმართ.

კრედიტის დაბრუნება (დაფარვა) და მასზე პროცენტების გადახდა შემდეგი ხერხებით ხდება;

1) მსესხებლის ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერით მისივე დავალების შესაბამისად;

2) სხვა ბანკში მომსახურების მიმღები მსესხებლის ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერით კანონმდებლობით დადგენილი რიგითობის თანახმად და კრედიტორი ბანკის მოთხოვნის შესაბამისად;

3) თვითონ კრედიტორ ბანკში მომსახურების მქონე მსესხებელი იურიდიული პირის ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერით კრედიტორის მოთხოვნის შესაბამისად;

4) მსესხებელი ფიზიკური პირების ანგარიშებიდან სახსრების გადარიცხვით მათი წერილობითი განკარგულების საფუძველზე; მათ მიერ ფულის გადაგზავნით კაუშირგაბმულობის საწარმოების ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციების მეშვეობით; მუშაკების ხელფასის გასასტუმრებლად განკუთვნილი თანხებიდან ფულის დაკავებით (მათიეე განცხადებით ან ხელშეკრულების საფუძველზე).

უცხოური ვალუტით აღებულ კრედიტებს ფარავენ უნაღდო წესით.

ხელშეკრულებით /შეთანხმებით/ დათქმულ დღეს მსესხებლის ანგარიშის წარმოებაზე პასუხისმგებელი საბუღალტრო მუშაკი შესაბამისი განკარგულების საფუძველზე ან ბუღალტრული გატარებებით აფორმებს პროცენტების გადახდის ან ძირითადი ვალის დაფარვის ფაქტს ან კლიენტის წარმოქმნილი დავალიანება გადააქვს ვადაგადაცილებული დავალიანების აღსარიცხავ ანგარიშებზე.

კრედიტებზე არსებული უიმედო ან გადახდევინებისთვის არარეალურად მიჩნეული დავალიანება დადგენილი წესით ჩამოიწერება ბანკის ბალანსიდან, ამ შემთხვევისთვის საგანგებოდ შექმნილი რეზერვის ხარჯზე, მისი უკმარისობის შემთხვევაში კი დაეწერება საანგარიშგებო წლის ზარალს.

კრედიტის გაცემის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე კრედიტორი ბანკი ვალდებულია:

- გულდასმით შეისწავლოს მსესხებლის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ბიზნესგეგმის, მარკეტინგის, წარმოებისა და მართვის გეგმების, ფულის ნაკადების პროგნოზის, დასაკრედიტებელი გარიგების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ჩათვლით;
- შეამოწმოს დასაკრედიტებელი გარიგების სარწმუნოობა, შეისწავლოს მსესხებლის საკრედიტო ისტორია, გააანალიზოს მისი დავალიანებების საკითხი და ა.შ.

კრედიტის გაცემის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვის ეტაპზე და ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში რეგულარულად უნდა ეწყობოდეს შეხვედრა-ინტერვიუები მსესხებელთან.

ბანკის უფლებამოსილმა ქვედანაყოფმა ყოველდღიურად უნდა აკონტროლოს კრედიტების დაფარვის (დაბრუნების) და მათზე პროცენტების გადახდის ვადები, მათ შორის – ვადაგადაცილებული დავალიანება, და მიიღოს მისი დაფარვისთვის აუცილებელი ზომები.

11.3. ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

11.3.1. ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

საკრედიტო პოლიტიკა ბანკების საკრედიტო საქმიანობის ამოცანებსა და პრიორიტეტებს განსაზღვრავს. ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შინაარსობრივი მხარის საკითხში სხვადასხვა მიმართულება არსებობს. მაგალითად, ფინანსურ-საკრედიტო ლექსიკონებში საკრედიტო პოლიტიკა განმარტებულია როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ის ნაწილი, რომელიც სახალხო მეურნეობის დაკრედიტების სფეროს ღონისძიებათა სისტემას წარმოადგენს. საზღვარგარეთის სამეცნიერო ლიტერატურაში საკრედიტო პოლიტიკას განმარტავენ როგორც დაკრედიტების დროს თანმიმდევრულად დაკავშირებული მოქმედებების შესრულების წესს, სადაც პრინციპები წარმოადგენს შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრისა და მისი განხორციელების ხერხების საფუძველს.

ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ საკრედიტო პოლიტიკა ბანკის სტრატეგია და ტაქტიკაა საკრედიტო ოპერაციების დარგში. საკრედიტო პოლიტიკა სტრატეგიის დარგში შეიცავს კონკრეტული ბანკის პრიორიტეტებს, პრინციპებსა და შინაარსობრივ მიზნებს საკრედიტო ბაზარზე, ტაქტიკის დარგში კი ფინანსურ და სხვა ინსტრუმენტარიუმს, რომელსაც მოცემული ბანკი იყენებს საკრედიტო გარიგებების დროს თავისი მიზნების სარეალიზაციოდ, მათი შესრულების წესებსა და საკრედიტო პროცესის ორგანიზაციის წესს. საკრედიტო პოლიტიკა ბანკის მიერ თავის საქმიანობაში გატარებული პოლიტიკის ფართო სპექტრის ერთ-ერთი წახნაგია. ამიტომ ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შემუშავების დროს მთავარი მომენტია მიზნების სწორად დასმა და მათი რეალიზაციის შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევა.

როდესაც ბანკის საკრედიტო პოლიტიკას ბანკის პოლიტიკის ნაწილად განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საკრედიტო პოლიტიკის მიზნები ორგანულ კავშირშია ბანკის საერთო სტრატეგიულ მიზნებთან, უთანხმდება მისი პოლიტიკის მიზნებს. აქედან გამომდინარე, საკრედიტო პოლიტიკის მიზანია მოზიდული სახსრების ეფექტიანად განთავსებისათვის პირობების შექმნა, ბანკის მოგების სტაბილურად ზრდის უზრუნველყოფა.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ზოგადი პრინციპებია: მეცნიერულად დასაბუთება, ოპტიმალობა, ეფექტიანობა, აგრეთვე, საკრედიტო პოლიტიკის ყველა ელემენტის ერთიანობა. მართლაც, მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ცსოვრების ობიექტური რეალიების გათვალისწინებითაა ჩამოყალიბებული, იძლევა სახელმწიფოს. ბანკისა და მისი კლიენტების ინტერესების ყველაზე სრულად გამოხატვის შესაძლებლობას. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის სპეციფიკური პრინციპებია: შემოსავლიანობა, მომგებიანობა, აგრეთვე, საიმედოობა და უსაფრთხოება.

ამგვარად, საკრედიტო პოლიტიკა შეგვიძლია განვმარტოთ როგორც ბანკის ღონისძიებათა სისტემა მისი კლიენტების დაკრედიტების დარგში, რომელსაც ბანკი თავისი სტრატეგიისა და ტაქტიკის რეალიზაციის მიზნით ახორციელებს. ამ დროს ბანკი განსაზღვრავს, ერთი მხრივ, საკრედიტო ურთიერთობათა განეითარების და მეორე მხრივ, საკრედიტო მექანიზმის ფუნქციონირების პროცესის პრიორიტეტებს.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკას გააჩნია შინაგანი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს:

1. ბანკის სტრატეგიას საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შემუშავებაში;
2. ბანკის ტაქტიკას დაკრედიტების ორგანიზებაში;
3. საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის კონტროლს.

თავის მხრივ, საკრედიტო პოლიტიკის შინაგანმა სტრუქტურამ უნდა ასახოს შემდეგი წამყვანი ელემენტები: საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაცია; საკრედიტო პორთფელის მართვა; დაკრედიტების კონტროლი; უფლებამოსილებათა განაწილების პრინციპები; კრედიტების შერჩევის

ზოგადი კრიტერიუმები; დაკრედიტების ცალკეულ მიმართულებებზე გამოყენებული ლიმიტები; კრედიტებზე მიმდინარე მუშაობის პრინციპები; რეზერვირება კრედიტებზე დანაკარგების მიღების შემთხვევებისთვის.

საკრედიტო პოლიტიკის სტრატეგია მთლიანობაში მოიცავს კონკრეტული ბანკის პრიორიტეტებს, პრინციპებსა და მიზნებს საკრედიტო ბაზარზე, ხოლო ტაქტიკა — იმ საფინანსო და სხვა ინსტრუმენტარიუმს, რომელსაც მოცემული ბანკი იყენებს თავისი მიზნების რეალიზაციაში საკრედიტო გარიგებების განხორციელებისას, მათი შესრულების წესებს, საკრედიტო პროცესის ორგანიზაციის წესს. ამგვარად, საკრედიტო პოლიტიკა ქმნის ბანკის საკრედიტო ქვედანაყოფის პერსონალის ეფექტიანად მუშაობისათვის საჭირო საერთო წანამძღვრებს, ახდენს პერსონალის ძალისხმევის შეერთებასა და ორგანიზებას, ამცირებს შეცდომებისა და არარაციონალურ გადაწყვეტილებათა მიღების ალბათობას.

II.3.2. საკრედიტო პოლიტიკის მიზნები

საკრედიტო პოლიტიკის ელემენტები გამოსატულებას პოულობენ მის ორგანიზაციულ ფორმებში, ე.ი. საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების ხერხებში, წესებსა და მეთოდებში. თავის მხრივ, საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმი შემდეგ ეტაპებს მოიცავს.

I. საკრედიტო პოლიტიკის ზოგადი დებულებები და მიზნები. ჩვენში ბანკების უმრავლესობა არცთუ იშვიათად ფორმალურად უდგება განვითარების საკუთარი სტრატეგიის შემუშავებას, ძირითადად განსაზღვრავს დაკრედიტების სფეროს მიმდინარე მიზნებს, არ ახდენს ბანკის სტრატეგიული ამოცანების ფორმულირებას და არ ატარებს ბაზრის სათანადო მარკეტინგულ და სხვა გამოკვლევებს. ამას ისინი საბანკო კრედიტებისა და დეპოზიტების ბაზარზე ვითარების სწრაფი ცვალებადობით ხსნიან. არადა, იმ ბანკს, რომელიც არ ფიქრობს განვითარების პერსპექტივებზე და ცდილობს მხოლოდ მიმდინარე ტენდენციებს ჩაასწოს ხელი, არა აქვს მომავალი, მას არ ძალუძს ცვალებადი ეკონომიკური ვითარების ადეკვატურად განვითარება. დაკრედიტების დარგში მკაცრად ფორმალიზებული დოკუმენტების შემუშავება და, რაც მთავარია, მათი გამოყენება, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, უზრუნველყოფს დაკრედიტებისადმი უფრო ლოგიკურ და ეკონომიკურად დასაბუთებულ მიდგომას.

II. საკრედიტო ოპერაციების მართვის აპარატი და ბანკის თანამშრომელთა უფლებამოსილებანი. საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაცია სესხების გაცემაზე უფლებამოსილებათა მინიჭების იმ სისტემის ბაზაზე ხდება, რომელსაც ბანკი შეიმუშავებს, მაგალითად, ბანკში ეს უფლებამოსილებანი შემდეგნაირად გამოიყურება. ბანკის ფილიალებისთვის აწესებენ რისკის მაქსიმალურ ოდენობას ერთ მსესხებელზე, რომელიც დიფერენცირებულია და დამოკიდებულია ფილიალის მიერ შესრულებული საკრედიტო ოპერაციების მოცულობაზე, პერსონალის კვალიფიკაციის დონესა და გამოცდილებაზე, სესხებზე ვადაგადაცილებული დაგვიანების არსებობაზე, ფილიალის საკრედიტო პორთფელის სტრუქტურაზე და ა.შ. ამ ბანკის გამგეობის საკრედიტო სამმართველოს უფლება აქვს 5 ათასი დოლარის ფარგლებში გასცეს სესხი, ამ თანხის ზემოთ კი საკრედიტო განაცხადებს ბანკის საკრედიტო კომიტეტი განიხილავს. მთლიანობაში ბანკის სესხების თითქმის ნახევარს მისი ფილიალები გასცემენ. საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციაში ანალოგიურ მიდგომებს იყენებენ სხვა ბანკებშიც.

კრედიტის დამტკიცების სისტემა, ჩვეულებრივ, მრავალსაფეხურიანია. ის დონე, რომელზეც კრედიტის ყოველ მომსახურებას დაამტკიცებენ, დამოკიდებულია კლიენტის რეიტინგზე (მის კრედიტუნარიანობაზე) და საკრედიტო რისკის დონეზე.

ბანკის ფილიალის მმართველს შეიძლება ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ჰქონდეს დაკისრებული საკრედიტო განყოფილების მიერ გაცემულ ყველა სესხზე. ორმაგ ხელმოწერას

(მაგალითად, საკრედიტო მუშაკისა და მისი უფროსის) იმ შემთხვევაში ითხოვენ, თუკი საკრედიტო მომსახურება არ გამოიწვევს დამატებით საკრედიტო რისკებს. ორმაგი ხელმოწერა, როგორც წესი, აუცილებელია, თუკი სესხის ოდენობა ან მისი დაფარვის ვადა აღემატება კრედიტის გამცემი ან მასზე პასუხისმგებელი მოსამსახურის საკრედიტო ლიმიტს.

საკრედიტო კომიტეტი განიხილავს საკითხს კლიენტის დაკრედიტების თაობაზე, მაგალითად, 5 ათას დოლარზე მეტი თანხით. საკრედიტო კომიტეტებს სპეციალურად ქმნიან იმ სესხებზე განაცხადების . განსახილველად, რომლებიც ან ლიმიტებს აღემატება (ოდენობით, დაფარვის ვადებითა და ა.შ.), ან არასტანდარტულ პირობებს შეიცავს. შესაძლოა, მათ უხდებოდეთ პროექტების კომპლექსური საკრედიტო ექსპერტიზის ჩატარებაც. მიაჩნიათ, რომ ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს შეცდომების შემცირებას სესხების გაცემაზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში.

ბოლო დროს მთელმა რიგმა კომერციულმა ბანკებმა უარი თქვეს საკრედიტო უფლებამოსილებათა სისტემის გამოყენებაზე, თავიანთთვის მიზანშეუწონლად მიიჩნიეს იგი სხვადასხვა მიზეზების გამო: სისტემის გარკვეული სიხისტე, გადაწყვეტილების გამოტანის ხანგრძლივი პერიოდი, კვალიფიციური საკრედიტო მუშაკების მოცდენა საკრედიტო კომიტეტების მუშაობაში მათი უშუალო მოვალეობებისგან.

III. საკრედიტო პროცესის ორგანიზაცია საკრედიტო ხელშეკრულების რეალიზების სხვადასხვა ეტაპზე. მსესხებლებთან ბანკის საკრედიტო ურთიერთობის ორგანიზაციას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს: ბანკის სიდიდე, მისი იმ მუშაკების კვალიფიკაცია, რომლებიც სესხების გაფორმებაზე აგებენ პასუხს, საკრედიტო პორთფელის სიდიდე, სესხების სახეები და სხვა. საკრედიტო პროცესის ორგანიზებას ეწევა კრედიტის ანალიზის განყოფილება, რომელიც კოორდინირებას უწევს და წარმართავს დაკრედიტების მთელ პროცესს. მცირე სიდიდის ბანკებში და ბანკების ფილიალებში საკრედიტო ანალიზი ზოგჯერ შედის საკრედიტო მუშაკების მოვალეობებში. სპეციალური ანალიტიკური განყოფილების არსებობა ხელს უწყობს საკრედიტო ანალიზის ობიექტურობის დონის ამაღლებას და სესხების დამტკიცების პროცესის მეტ სიფრთხილეს.

საკრედიტო მუშაკები კარგად უნდა იცნობდნენ ბანკის საკრედიტო პოლიტიკას, განსაკუთრებით დოკუმენტაციის გაფორმებისა და წარმოების მოთხოვნებს, აგრეთვე, დაკრედიტების მეთოდებს სესხების დამტკიცების ჩათვლით. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კარგად ორგანიზებულ სისტემას მკაფიო და ზუსტი რეგისტრაციითა და ბუღალტერიით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონდეს დათმობილი საკრედიტო ინფორმაციის კარტოთეკის წარმოებას, რომელიც კლიენტთან ბანკის ურთიერთდამოკიდებულების შიდა, ქრონოლოგიურ და ყოველისმომცველ რეგისტრაციას წარმოადგენს. კარტოთეკის შინაარსი, ჩვეულებრივ, გამოდის წმინდა საკრედიტო ურთიერთობების ფარგლებიდან და კონტრაგენტებს შორის ყოველგვარი საქმიანობის რეგისტრაციას ეხება (მინდობითი ხასიათის შეხვედრების გარდა).

საკრედიტო ინფორმაციის კარტოთეკამ შეიძლება მოიცავას:

- კლიენტსა და ბანკს შორის კორესპონდენციათა ასლები;
- ბანკის პერსონალის მიერ შესრულებული ჩანაწერები - კლიენტებთან კონტრაქტების შესახებ დეტალური ანგარიში;
- საკრედიტო ანალიზის ჩატარებისა და სესხების დამტკიცების შესახებ დოკუმენტების ასლები, რომლებიც ბანკის მუშაკების მიერაა მომზადებული და შეიცავს კრედიტის დამტკიცების დასადასტურებელ ხელმოწერებს, კრედიტზე უარის შემთხვევაში კი - უარის მიზეზებს;
- ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ასლები;
- კლიენტთან ურთიერთობებისას შემოსაელიანობის ანალიზის შედეგებზე შესრულებული ანგარიშგების ასლები.

კონფიდენციალობის პირობების თანახმად, ბანკის მუშაკებს შეზღუდულად მიუწვდებათ ხელი კარტოთეკაზე. საკრედიტო ანალიზის კარტოთეკა საკრედიტო ანალიზის განყოფილებაში უნდა

ინახებოდეს და ბანკის მუშაკებს მასზე ხელი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მიუწვდებოდეთ.

ბანკში საკრედიტო პროცესის ორგანიზაციის ძირითადი სამუშაო შემდეგი ეტაპების სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ: 1.საკრედიტო განაცხადების პორთფელის ფორმირება; 2.პოტენციურ კლიენტებთან მოლაპარაკებების წარმართვა; 3.გადაწყვეტილების გამოტანა კრედიტის გაცემის მიზანშეწონილობისა და მისი ფორმის შესახებ; 4. საკრედიტო ხაქმის გაფორმება; 5.კლიენტთან მუშაობა მასზე სესხის გაცემის შემდეგ; 6.კრედიტის დაბრუნება პროცენტებით და საკრედიტო საქმის დახურვა.

IV. საბანკო კონტროლი და საკრედიტო პროცესის მართვა. ბანკის საკრედიტო პორთფელის დაცვის პროცესისა და, მაშასადამე, თვით ბანკის სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელი ელემენტებია კრედიტის დასაბუთებული ანალიზი და მისი შეფასების პროცესი სესხების მდგომარეობის მუდმივ მონიტორინგთან ერთად. საქართველოს ბანკებისათვის ამჟამად ყველაზე უფრო აქტუალურია საკრედიტო პორთფელის ხარისხის კონტროლის საკითხები, კერძოდ:

- საკრედიტო რისკის ანალიზი და ბანკისათვის ყველაზე უფრო მომგებიანი საკრედიტო განაცხადების მოზიდვისა და შერჩევის ღონისძიებების შემუშავება;
- მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის ანალიზი;
- გირაოს და სესხების დაბრუნების უზრუნველყოფის ანალიზი;
- საგირავნო საშუალებებისა და უზრუნველყოფის მართვისა და ლიკვიდაციის სამუშაოს ორგანიზაცია;
- დაკრედიტების პრინციპების დაცვა;
- გაცემული კრედიტის პერიოდული ტესტირება, მისი დაბრუნების ხარისხი (მსესხებლის მდგომარეობის, მიზნობრივი გამოყენების, ეკონომიკური სიტუაციის და ა.შ. მონიტორინგი);
- საკრედიტო პორთფელის სტრუქტურის ანალიზი, მარვნებელთა გაანგარიშება და ინტერპრეტაცია, საკრედიტო პორთფელის რესტრუქტურიზაციის ღონისძიებათა შემუშავება და შესრულება;
- პრობლემური კრედიტების გამოვლენა და დავალიანების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შემუშავება;
- დაკრედიტება სხვა ეკონომიკურ რეგიონებში;
- დაკრედიტება იმ რისკის პირობებში, რომელიც ეკონომიკურ კრიზისს, ინფლაციას და ა.შ. უკავშირდება.

ქმედითი კონტროლი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი ბანკს გააჩნია ანალიზისათვის აუცილებლად საჭირო დოკუმენტები. დაკრედიტების პროცესში საბანკო კონტროლის გაძლიერებისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ საკრედიტო პოლიტიკის ეგრეთ წოდებული ორგანიზაციული ფორმები საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის ხერხები, საშუალებები და მეთოდები, რომლებიც პრაქტიკაში სათანადო დოკუმენტების სახითაა წარმოდგენილი.

ამგვარად, ბანკის საკრედიტო პოლიტიკა საბანკო საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის პრიორიტეტულ მიმართულებათა გარკვევაში, საკრედიტო რესურსების ინვესტირების, საკრედიტო პროცესის განვითარების, მისი ეფექტიანობის ამაღლებასა და საკრედიტო რისკების მინიმიზებაში მდგომარეობს.

11.4. ბანკის საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმები

კრედიტების გაცემის დაწყებამდე ბანკმა უნდა ჩამოაყალიბოს თავისი საკრედიტო პოლიტიკა და გაითვალისწინოს მისი განხორციელების ხერხები და საშუალებები.

საერთოდ ბანკის საკრედიტო პოლიტიკა – იმ ღონისძიებების კომპლექსია, რომელთა მიზანია

საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის ამაღლება და საკრედიტო რისკის შემცირება. საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისას, ბანკმა საჭიროა გაითვალისწინოს რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები (11.3 სქემა).

საკრედიტო პოლიტიკა ფორმდება დაფიქსირებული წერილობითი დოკუმენტით, რომელიც მოიცავს კრედიტის გაცემის შესახებ კრედიტის გასაცემად წინასწარ ჩასატარებელი მუშაობის მარეგლამენტირებელ დებულებას (11. 2 სქემა).

დაკრედიტების ეტაპები	მარეგლამენტირებელი პარამეტრები და პროცედურები
კრედიტების გაცემაზე წინასწარი მუშაობა	მოშავალი მსესხებლების შემადგენლობა დაკრედიტების სახეები დაკრედიტების რაოდენობრივი პროცედურები მსესხებლების კრედიტუნარიანობის შეფასების ატანდარტები სესხების შეფასების სტანდარტები საპროცენტო განაკეთები კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის მეთოდები კრედიტის გაცემის მომზადების პროცედურების დაცვაზე კონტროლი
კრედიტის გაფორმება	დოკუმენტების ფორმები კრედიტის გაცემის ტექნოლოგიური პროცედურა კონტროლი კრედიტის სწორად გაფორმებაზე
კრედიტის მართვა	საკრედიტო პორტფელის მართვის წესი საკრედიტო ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლი ვადაგადაცილებული კრედიტების გაგრძელების ან აღდგენის პირობები ზარალის დაფარვის წესი კონტროლი კრედიტის მართვაზე

11.2. სქემა. საკრედიტო პოლიტიკის ელემენტები

მაკროეკონომიკური	ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობა საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საქართველოს მთავრობის ფინანსური პოლიტიკა
რეგიონალური და დარგობრივი	ეკონომიკის მდგომარეობა რეგიონებსა და ბანკების მიერ მომსახურე დარგებში კლიენტების შედგენილობა, მათი მოთხოვნა კრედიტებზე ბანკი-კონკურენტების არსებობა
შიდა საბანკო	ბანკის საკუთარი სახსრების (კაპიტალის) სიდიდე პასივების სტრუქტურა პერსონალის გამოცდილება და შესაძლებლობები

11.3 სქემა. ბანკის საკრედიტო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორები

საკუთარი საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრა და დაკმაყოფილება ნიშნავს ბანკის ხელმძღვანელობის პოზიციის ჩამოყალიბებას მინიმუმ შემდეგ საკითხებზე:

ა) ბანკის პრიორიტეტები საკრედიტო ბაზარზე, ანუ ბანკის მიერ უპირატესობამინიჭებული:

- დაკრედიტების ობიექტები (დარგები, წარმოებისა და ბიზნესის სახეები);
- მსესხებელთა კატეგორიები (ხელისუფლების ორგანოები, სახელმწიფოებრივი და არასახ-

ელმწიფოებრივი ორგანიზაციები, კერძო პირები);

- მსესხებლებთან ურთიერთობის ხასიათი (გრძელვადიანი, ერთჯერადი და ა.შ.);
- კრედიტების სახეები და ზომები;
- კრედიტების მომსახურების სქემები;
- კრედიტების დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმები და სხვა.

ბ) დაკრედიტების მიზნები:

- კრედიტების რენტაბელობის მოსალოდნელი დონე;
- სხვა მიზნები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება მოგების მიღებას.

ხარისხიანი საკრედიტო პოლიტიკის გამოყენება, მართალია, უსათუოდ არ უზრუნველყოფს ბანკის წარმატებას, მაგრამ ხელს უწყობს კრედიტების ბაზარზე მისი ძალისხმევის გააზრებულ კოორდინირებას; უზრუნველყოფს საკრედიტო პროცესში მონაწილე ქვედანაყოფების საქმიანობას მოფიქრებული ტექნოლოგიებით; მნიშვნელოვნად ამცირებს არასწორ მმართველურ გადაწყვეტილებათა მიღების რისკს; მნიშვნელოვან კრიტერიუმს აძლევს ბანკის ხელმძღვანელობას საკრედიტო პროცესის მოწყობის შეფასებისათვის.

საკრედიტო პოლიტიკის ყველა დებულება განმტკიცებული უნდა იყოს სათანადო კონკრეტული ღონისძიებებით. მათი მეშვეობით:

- განისაზღვროს საკრედიტო რესურსების შეუსების საჭირო მოცულობები და ხელმისაწვდომი წყაროები;
- დადგინდეს და, საჭიროების შემთხვევაში, გადაისინჯოს დასაშვები რისკებისა და დაკრედიტების ლიმიტების მნიშვნელობები და ლიკვიდობის აუცილებელი დონე;
- გამრავალფეროვნდეს საკრედიტო მომსახურება და გაიზარდოს მისი ხარისხი, გაფართოვდეს კლიენტურა;
- თაეისდროულად და საჭირო მოცულობით ჩამოყალიბდეს რეზერვები;
- გაუმჯობესდეს საკრედიტო პროცესის საორგანიზაციო, საინფორმაციო-ანალიტიკური და მეთოდური უზრუნველყოფა და ა.შ.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს ბანკის მუშაკების მიერ კრედიტების გაცემის, გაფორმებისა და მართვის სტანდარტებს, პარამეტრებსა და პროცედურებს. დაკრედიტების სფეროში ბანკის პოლიტიკის პირველი ეტაპი არის მისი სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა. ამის შემდეგ ბანკი გამოიმუშავებს საკრედიტო პორთფელის ორგანიზაციის პრინციპებს, განსაზღვრავს საკრედიტო ოპერაციების შესრულების რეგლამენტს. დაკრედიტების სფეროში ბანკის პოლიტიკის ფორმირების ეტაპები სქემის სახით შემდეგი სახისაა (11.4 სქემა).


ყოველი ბანკის საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმების განსაკუთრებული ბლოკია ის ინსტრუქციები და მეთოდური მასალები, რომლებიც საკრედიტო ბაზარზე მისი მუშაობის ორგანიზების ყველა ასპექტის რეგლამენტირებას ახდენს. აქ შედის: 1. ბანკის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები) 2. დებულება საკრედიტო ქვედანაყოფის შესახებ; 3. თანამდებობრივი ინსტრუქციები; 4. საკრედიტო ოპერაციების ჩატარების სახელმძღვანელო დოკუმენტი.

11.5. კრედიტის გაცემის ტექნოლოგიისა და ბანკის საკრედიტო ქვედანაყოფის მუშაობის ორგანიზების საფუძვლები

საბანკო დაკრედიტების ორგანიზაცია, საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებების განსაზღვრის გარდა, მოიცავს კრედიტის მიღების შესახებ კლიენტის განაცხადის განხილვას, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას, კრედიტის გაცემის პროცესებს, მის დაბრუნებას (დაფარვას), აგრეთვე, ამ ყველაფრის კონტროლს.

კლიენტის საკრედიტო განაცხადში უნდა იყოს, სულ მცირე, შემდეგი მონაცემები:

იურიდიული პირის განაცხადი გაფორმებული უნდა იყოს ორგანიზაციის ბლანკზე ან ჩვეუ-



11.4 ᲡᲥᲔᲛᲐ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ, ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲢᲐᲞᲔᲑᲘ ᲓᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ

ლებრივ ქაღალდის ფურცელზე, რომელიც დამოწმებული იქნება მისი ბეჭდითა და უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით. განაცხადებს აბარებენ ან ბანკის საოპერაციო ქვედანაყოფში, ან სამდივნოში, ან უშუალოდ საკრედიტო ქვედანაყოფში.

პოტენციურ მსესხებელთან მოლაპარაკებები, რაც განაცხადზე მუშაობის შემდგომი ეტაპია, შეიძლება ჩაატარონ ბანკის ამა თუ იმ ქვედანაყოფის (საკრედიტო, იურიდიული, ეკონომიკური უსაფრთხოების, სავალუტო და ა.შ.) თანამშრომლებმა, მათ შორის – ექსპერტებმა, თანმიმდევრულად ან ერთდროულად. განმცხადებელი მზად უნდა იყოს უპასუხოს ყველა იმ კითხვას, რომელიც მისი ორგანიზაციის შესახებ საერთო ინფორმაციას ეხება.

თუკი მოლაპარაკებათა პროცესში გამოვლინდება, რომ მიზანშეწონილი არაა მოთხოვნილი კრედიტის გაცემა, მაშინ განაცხადის შემომტან პირს უნდა ეთქვას მოტივირებული უარი. პირიქით, კრედიტის მიზანშეწონილობის შემთხვევაში, განმცხადებელს სთხოვენ ანალიზისთვის წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. იურიდიული დოკუმენტები (წესდება, დაფუძნების ხელშეკრულება, სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობა, ხელმოწერებისა და ბეჭდების ნიმუშების კარტოთეკა, კონკრეტული პირების უფლებამოსილებათა დამადასტურებელი დოკუმენტი);
2. ბუღალტრული ანგარიშგება (ბალანსი, ფინანსური შედეგებისა და მათი გამოყენების ანგარიშგება, დავალიანებათა გაშიფრა, ცნობები მიღებული კრედიტებისა და სესხების შესახებ, გაცემულ თაედებობათა შესახებ და სხვა);
3. კრედიტის გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება (ბიზნეს-გეგმა);
4. დასაკრედიტებელი სამეურნეო ოპერაციის დოკუმენტები;
5. დამატებითი ინფორმაცია მსესხებელზე;
6. დოკუმენტები კრედიტის უზრუნველყოფის შესახებ.

ბანკის მუშაობის შემდეგი ეტაპია საკრედიტო განაცხადის დეტალური ანალიზი განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და თვით ბანკის ქვედანაყოფებისა და სამსახურების ექსპერტული დასკვნების საფუძველზე. იგი შედგება შემდეგი ქვეეტაპებისა, ანუ ნაბიჯებისგან:


- მსესხებლის დოკუმენტების სისრულისა და სარწმუნოობის ანალიზი;
- მსესხებლის შესახებ ინფორმაციის ანალიზი;
- მსესხებლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საერთო ანალიზი;
- დასაკრედიტებელი სამეურნეო ოპერაციის ანალიზი;
- მსესხებლის კრედიტუნარიანობის (დაკრედიტების ლიმიტის) შეფასება;
- მსესხებლის რეიტინგის დადგენა.

საკრედიტო განაცხადის ანალიზის დადებითი შედეგის შემთხვევაში კრედიტის გაცემის საკითხი შეიძლება განიხილოს ბანკის საკრედიტო კომიტეტმა. ამ შემთხვევაში კომიტეტს უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტების პაკეტი: ა) განაცხადი; ბ) საკრედიტო მემორანდუმი; გ) ცნობა კრედიტის გაცემის შესაძლო პირობების შესახებ; დ) სხვა დოკუმენტები, რომლებიც მემორანდუმის შინაარსს ადასტურებენ.

თუკი საკრედიტო კომიტეტი საკითხს დადებითად გადაწყვეტს, მაშინ ბანკი წერილობით ატყობინებს მსესხებელს მიღებული გადაწყვეტილებისა და კრედიტის პირობების შესახებ.

შემდეგ იწყება საკრედიტო დოკუმენტაციის მომზადების ეტაპი. ამ დროს უკვე ფაქტიურ მსესხებელთან ერთად მზადდება: 1) საკრედიტო ხელშეკრულება; 2) სასწრაფო ვალდებულება. აუცილებლობის შემთხვევაში ამზადებენ, აგრეთვე, გირაოს ხელშეკრულებას; ხელშეკრულებას უფლებათა დათმობაზე; ხელშეკრულებას ბლოკირებულ ანგარიშზე; თავდებობის ხელშეკრულებას; სხვა აუცილებელ დოკუმენტაციას.


საკრედიტო პროცესის ეს ეტაპი სქემატურად შეგვიძლია ასე წარმოვადგინოთ. (იხ.სქემა 11.5.; 11.6.; 11.7.)




11.5. სქემა საკრედიტო განაცხადის განხილვის პროცედურა

კლიენტისა და ბანკის მიერ შედგენილი დოკუმენტები, რომლებსაც სამართლებრივი სტატუსი აქვს და თან ახლავს საკრედიტო გარიგებას კლიენტის მიერ განაცხადის შეტანიდან კრედიტის დაფარვამდე, არის საკრედიტო დოკუმენტაცია. ასეთ დოკუმენტებს ეკუთვნის:


I. კლიენტის მიერ წარმოდგენილი: 1) საკრედიტო განაცხადი; 2) კრედიტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება; 3) განცხადება კრედიტის მიღების შესახებ; 4) სასესხო ვალდებულება; 5) სხვა დოკუმენტები (გირაოზე, თავდებობაზე და სხვა);




ნახ. 6. სქემა. განმცხადებლის საკრედიტო განაცხადის ანალიზი



11.7. ᲡᲥᲔᲛᲐ. ᲒᲐᲜᲔᲪᲮᲐᲓᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ



11.8. ᲡᲥᲔᲛᲐ. ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ




11.9. ᲡᲥᲔᲛᲐ. ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ „ᲑᲐᲜᲙᲘ – ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲘ“

II. მხარეების მიერ ერთობლივად შედგენილი: 1) საკრედიტო შეთანხმება; 2) სხვა შეთანხმებები.


III. ბანკის მიერ შედგენილი: 1) დასკვნა კლიენტის საკრედიტო განაცხადზე; 2) კლიენტის მიერ საკრედიტო შეთანხმების პირობების შესრულების უწყისი; 3) სხვა დოკუმენტები.

მოცემულ მსესხებელთან დაკავშირებული მთელი საკრედიტო და სამსახურებრივი დოკუმენტაცია თავს უნდა იყრიდეს მის საკრედიტო საქმეში (საკრედიტო დოსიეში), რაც ამ კლიენტთან თავისი ურთიერთობების სწორად აწყობის საშუალებას მისცემს ბანკს.



11.10. სქემა. კრედიტის გაცემის განცხადებაზე დართული დოკუმენტის აპაქტი

საკრედიტო პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა. საკრედიტო პროცესის ორგანიზაცია მოითხოვს ფუნქციურ მოვალეობათა მკაფიოდ გამიჯვნას საკრედიტო ქვედანაყოფის თანამშრომლებს შორის, აგრეთვე, ბანკის ხელმძღვანელობასა, საკრედიტო და იმ სხვა ქვედანაყოფებს შორის, რომელთა მონაწილეობა აუცილებელია ამ პროცესში. თვითონ საკრედიტო ქვედანაყოფის ორგანიზება სხვადასხვაგვარად შეიძლება. უმარტივესი ვარიანტია, როდესაც არსებობს მხოლოდ საკრედიტო განყოფილება და მისი თანამშრომლები უშუალოდ მუშაობენ კრედიტის პრეტენდენტებთან და მსესხებლებთან, საჭიროების შემთხვევაში კი მიმართავენ ბუღალ-



11.11. სქემა. კრედიტების უზრუნველყოფის სახეები

ტერიასა და იურისტს. ამ დროს საკრედიტო კომიტეტის ფუნქციას (კრედიტის ნებართვას) ასრულებს ბანკის გამგეობა, ზოგჯერ კი — მისი რომელიმე წევრიც. ასეთ შემთხვევაში საკრედიტო პროცესის ყველა დანარჩენი შემადგენელი ნაწილი ან საერთოდ არ სრულდება, ან მათ „შეთავსებით“ ასრულებენ საკრედიტო მუშაკები.

საკრედიტო პროცესის ორგანიზების განვითარებული ვარიანტი იმას მოითხოვს, რომ საკუთრივ საკრედიტო ქვედანაყოფთან ერთად ბანკში, აგრეთვე, მოქმედებდნენ:

- სრულფასოვანი, წარმომადგენლობითი საკრედიტო კომიტეტი;
- საკრედიტო რისკების მართვის კომიტეტი;
- საკრედიტო პოლიტიკის განყოფილება;
- კრედიტის ანალიზის განყოფილება.

გარდა ამისა, სრულიად აუცილებელია მარკეტინგული ინფორმაციის მიღება კრედიტების ბაზრიდან. ამის გაკეთება სასურველია პროფესიულ საფუძველზე. მაშასადამე, ბანკს ესაჭიროება საკუთარი მარკეტინგული სამსახური.

ზოგიერთი ბანკი ქმნის საკრედიტო დოკუმენტაციის განყოფილებას, რომელიც უფრო ხშირად იურიდიული სამსახურის შემადგენლობაში იქმნება და საკონტროლო ფუნქციებითაა აღჭურვილი. ჩვენს რეალურ პირობებში საკრედიტო პროცესის უაღრესად სასურველი მონაწილე გახდა ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახური.

11.6. მსესხებლის ფინანსური შესაძლებლობისა და კრედიტუნარიანობის შეფასება

მსესხებლის ფინანსურ შესაძლებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს კრედიტორი ბანკისთვის, რადგან იგი მოლის კრედიტის სახით გაცემული თანხისა და მისი პროცენტების დროულად მიღებას. მსესხებლის ასეთ შესაძლებლობას გამოხატავს მისი გადახდისუნარიანობა და კრედიტუნარიანობა. აღსანიშნავია, რომ არსებობს მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების განსხვავებული მეთოდები, რომლებიც კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს ერთმანეთს, ე.ი. საჭიროა მათი კომპლექსურად გამოყენება.

კლიენტების ფინანსური შესაძლებლობის შეფასებაში დასავლეთის ქვეყნებში მდიდარი გამოცდილებაა დაგროვებული. აქ გამოყენებული მეთოდიკები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: 1) „ნორმალურ“ მსესხებელზე ორიენტირებული; 2) რომლებიც აფასებენ, თუ რამდენად ახლოს არიან მსესხებლები გაკოტრებასთან.

„ნორმალური“ მეთოდიკის შესაბამისად, ბანკის თანამშრომელი ადგენს საკრედიტო რეიტინგს. იგი მოიცავს კრედიტით დაინტერესებული ფირმის, ერთი მხრივ, კრედიტუნარიანობისა და, მეორე მხრივ, წარმოდგენილი გარანტირების ანალიზს. კრედიტუნარიანობა 5 პარამეტრითა და 7 კრიტერიუმით განისაზღვრება. პარამეტრებია: მენეჯმენტი; ბაზარი/დარგი; კლიენტთან ურთიერთობები: ეკონომიკაში არსებული ვითარება; საწარმოს განვითარების პერსპექტივა. შეფასებას იძლევიან 6 ბალიანი სისტემით, სადაც, 6 – უარესი ვარიანტია.

6 ბალიანი სისტემით აფასებენ გარანტიებსაც. 1 ბალი აღნიშნავს სრულ საიმედოობას (100%-ს), ყოველი მომდევნო კი 25%-ით ამცირებს მას. 6 ბალი იმას აღნიშნავს, რომ საიმედოობა საერთოდ არ არსებობს. კრედიტუნარიანობისა და გარანტიების საფუძვლიანი შეფასების საფუძველზე ადგენენ სურათს (მატრიცის გამოყენებით) დაკრედიტების რისკების ჩვენებით.

შემუშავებულია მსესხებელთა კანდიდატების შეფასების მრავალი მეთოდიკა. ყველაზე საინტერესოდ მიიჩნევენ PARSER და CAMPARI მეთოდიკებს. მათი სახელწოდებები სიტყვების პირველი ასოებისგანაა მიღებული.

PARSER:

P – parson – ინფორმაცია პოტენციური მსესხებლის რეპუტაციაზე;

A – amount – მოთხოვნილი კრედიტის თანხის დასაბუთება;

R – repayment – კრედიტის დაფარვის შესაძლებლობა (პირობა);

S – security – კრედიტის უზრუნველყოფის შეფასება;

E – expediency – კრედიტის მიზანშეწონილობა;
R – remuneration – ბანკის გასამრჯელო (საპროცენტო განაკეთი).
CZMPARI:
C – character – მსესხებლის რეპუტაცია, დახასიათება (პირადი თვისებები);
A – ability – კრედიტის დაბრუნების უნარი (ბიზნესის შეფასება);
M – means – კრედიტის თხოვნის საჭიროება; ან marge – მარჟა, შემოსავლიანობა;
P – purposr – კრედიტის მიზანი;
A – amount – კრედიტის სიდიდე;
R – repeyment – კრედიტის დაფარვის პირობები;
I – insurance – უზრუნველყოფა, კრედიტის ვერდაფარვის რისკის დაზღვევა.

უფრო გავრცელებული CAMPARI – მეთოდიკის შესაბამისად,ანალიზი მდგომარეობს საკრედიტო განაცხადიდან და თანდართული ფინანსური დოკუმენტებიდან იმ ყველაზე უფრო არსებითი ფაქტორების რიგრიგობით გამოყოფაში, რომლებიც კლიენტის საქმიანობას განსაზღვრავს, მათ შეფასებასა და დაზუსტებაში (კლიენტთან პირადი შეხვედრის შემდეგ). ადვილი შესამჩნევია, რომ ამ და სხვა მეთოდიკებს აქვთ კლიენტის კომპლექსურად შეფასების პრეტენზია და არამარტო მისი ფინანსური შეძლებისა. ეს ერთდროულად მათი ღირსებაცაა და ნაკლიც.

იურიდიული პირის კრედიტუნარიანობის საკითხის გარკვევაში გვეხმარება მისი ფინანსური მდგომარეობის შეფასება. ამისათვის იყენებენ კომპლექსურ ანალიზს დიდი რაოდენობით ფინანსური მაჩვენებლების გამოყენებით. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საწარმოს მომგებიანობის დინამიკას. შესაძლო საფრთხის სიმპტომებია:

- საწარმოს მიერ ახალი პროდუქციისა და გასაღების ახალი ბაზრების ათვისება;
- კრედიტებზე კლიენტის დამოკიდებულება მზარდი ზედნადები ხარჯების გამო;
- კლიენტის ხარვეზები საკუთარი საბრუნავი კაპიტალის კონტროლში;
- ვალდებულებათა დაუსაბუთებელი შეუსრულებლობა და ა.შ.

არსებობს ნიშნები, რომლებიც სწორად მიუთითებენ ბანკს კლიენტის მოსალოდნელ ფინანსურ კრიზისზე:

- შეთანხმებული ლიმიტების მნიშვნელოვნად გადამეტება;
- მიღებული კრედიტის არამიზნობრივად ხარჯვა;
- მწირი და არარეგულარული შემოსავლები პროდუქციის რეალიზაციიდან.

დასავლეთის ბანკები იყენებენ კრედიტის პრეტენდენტი საწარმოების გაკოტრების რისკის შეფასების მრავალგვარ სტატისტიკურ (ალბათურ) მეთოდებს. ეს ალბათობა შესაძლოა გამოვხატოთ ბალების (SCRE) მეშვეობით, რის გამოც ამ მეთოდს „სკორინგს“ უწოდებენ.

ყველაზე ზოგადი სახით საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეიძლება შევაფასოთ ფორმულით:

$$P = K_1\Pi_1 + K_2\Pi_2 + ... + K_n\Pi_n$$

სადაც P საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საერთო ბალური შეფასებაა, რომელიც განსაზღვრავს გაკოტრების რისკს; რაც უფრო მაღალია შეფასება, მით ნაკლებია რისკი;

$\Pi_1, \Pi_2, ..., \Pi_n$ – მაჩვენებლები (უფრო ხშირად – ერთი საბალანსო მაჩვენებლების შედარება მეორესთან);

$K_1, K_2, ..., K_n$ – თითოეული n -სთვის ადრე მინიჭებული კოეფიციენტები.

სკორინგის მოდელების პრაქტიკულად გამოყენების მთავარი პრობლემაა სხვადასხვა მაჩვენებლის ერთმანეთთან კავშირისა და შეთანხმების უზრუნველყოფა. უფრო ზუსტი შეფასების მისაღწევად მრავალი ბანკი თავისი შეხედულებისამებრ ახდენს სხვადასხვა მაჩვენებლისა და კოეფიციენტის კომბინირებას.

მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდიკა უცხოელი სპეციალისტების რეკომენდაციებში ორ წამყვან პუნქტზე დაიყვანება:

- იღებენ მაჩვენებელთა იმ ჯგუფს, რომელთა ბაზაზეც ანგარიშობენ მსესხებლის საქმიანობის სხვადასხვა მსარის მახასიათებელ კოეფიციენტებს;
- მიღებულ მნიშვნელობებს უდარებენ მათ ნორმატიულ (კრიტიკულ) მნიშვნელობებს.

უცხოელი სპეციალისტების აზრით, მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზის დროს ინფორმაციის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წყაროებია: 1) მისი ბუღალტრული ანგარიშგება; 2) ბანკის შიდა დოკუმენტაცია მოცემული მსესხებლის დაკრედიტების გამოცდილების შესახებ; 3) შუალედური ბუღალტრული ანგარიშგებები) 4) მსესხებლის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია; 5) ინფორმაცია საგადასახადო ორგანოებიდან; 6) პრესის მონაცემები მსესხებლის შესახებ და სხვა.

11. 7. ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

ბანკებისთვის ფული „ყიდვა-გაყიდვის“ საგანია და აქვს ფასი – საბანკო პროცენტი. ამ ცნებას სმარობენ იმ ფასის აღსანიშნავად, რომელსაც ბანკი იხდის მოზიდული სახსრებისთვის (პროცენტი სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში აღებული კრედიტისათვის, პროცენტი ფიზიკური და იურიდიული პირების ანაბრებსა და დეპოზიტებზე, სააღრიცხვო პროცენტი, პროცენტი კლიენტების ანგარიშებზე დარჩენილ ნაშთებზე); იმ ფასის აღსანიშნავად, რომელსაც ბანკი იღებს მის მიერ განთავსებულ სახსრებზე. ამ უკანასკნელის კერძო შემთხვევაა საბანკო კრედიტის, როგორც ფულის .იმ თანხის ფასი, რომელსაც დროებით სარგებლობაში აძლევენ მსესხებელს.

მკაცრად თუ ვიტყვით, მსესხებელმა კრედიტისთვის მარტო პროცენტი არ უნდა გადაიხადოს – საჭიროა ძირითადი ვალის თანხის დაფარვა (დაბრუნება), გარდა ამისა, მას ხშირად უწევს საკ.ომისიოების (მაგალითად, საკრედიტო ბაზის გასხნაზე ბანკის თანხმობისთვის) და ჯარიმების გადახდა. ამის მიუხედავად, კრედიტის ფასად მიიჩნევენ სწორედ საბანკო (სასესხო) პროცენტს, როგორც ბანკის სახსრებით სარგებლობის უფლების საზღაურს. პროცენტის გადახდის წყაროა მსესხებლის იმ მოგების ნაწილი, რომელსაც იგი კრედიტის გამოყენებით იღებს.

პროცენტის აბსოლუტური ზომა არაფერს გვეუბნება კრედიტის თანხასთან მიმართების გარეშე. ამიტომ საკრედიტო გარიგების ეფექტიანობისა და კრედიტის ფასის სიდიდის სასურველობის გამოკვლევის მიზნით იყენებენ შეფარდებით მაჩვენებელს – პროცენტის ნორმას (განაკვეთს), ე.ი. შეფარდებას პროცენტების თანხასა და კრედიტის სიდიდეს შორის:

$$Н_{п} = \frac{П_{р}}{С} \times 100\%$$

სადაც $Н_{п}$ პროცენტის ნორმაა; $П_{р}$ – მიღებული პროცენტების თანხა; $С$ – კრედიტის თანხა.

სასესხო კაპიტალის ბაზრის ამა თუ იმ სექტორის თავისებურებებიდან გამომდინარე, შეგვეიძლია გამოვყოთ პროცენტის ერთგვაროვანი განაკვეთების რამდენიმე ჯგუფი:

- ფულის ბაზრის განაკვეთები, რომლებსაც მოკლევადიანი საკრედიტო ოპერაციების დროს იყენებენ საკრედიტო ორგანიზაციებს შორის;
- რეფინანსირების განაკვეთი (ცენტრალური ბანკის ოფიციალური განაკვეთი);
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის განაკვეთები;
- ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების განაკვეთები არასაბანკო ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირებისთვის.

თითოეული ამ ჯგუფის ფარგლებში საპროცენტო განაკვეთების კლასიფიცირება შესაძლებელია: ა) გარიგებათა ვადების მიხედვით (მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი); ბ) განაკვეთების

სტრუქტურაში როლის მიხედვით (ძირითადი (საბაზო) და დამატებითი). საბაზო განაკვეთს აწესებენ გარკვეული პერიოდით, პირველი კლასის მსესხებლებისათვის; გ) ჩამოყალიბების ხასიათის მიხედვით (უპირატესად საბაზრო და შეგნებულად რეგულირებადი); დ) გამოყენების მასშტაბების მიხედვით (რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო საკრედიტო ბაზრებზე გამოყენებული); ე) ცვალებადობის ხასიათის მიხედვით (ფიქსირებული და მცურავი).

კომერციული ბანკები საკრედიტო ხელშეკრულებების დადების დროს დამოუკიდებლად თანხმდებიან მსესხებლებთან საპროცენტო განაკვეთების სიდიდის შესახებ. ამასთან, ამ განაკვეთების სიდიდესა და დინამიკაზე მოქმედებს მაკროეკონომიკური და კერძო ფაქტორები. მაკროეკონომიკური (საერთო) ფაქტორებია: სასესხო სახსრების მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა; ცენტრალური ბანკის ფულადი და საკრედიტო პოლიტიკა; ინფლაციის დონე და სხვა. კერძო ფაქტორებია: მოცემული ბანკის მდგომარეობა კრედიტების ბაზარზე, მისი პოლიტიკა, ოპერაციების სარისკოობა და სხვა.

ბანკის საპროცენტო განაკვეთების დონეს აყალიბებს, ძირითადად, სასესხო სახსრების მოთხოვნა-მიწოდების მდგომარეობა, აგრეთვე, კრედიტის თვითღირებულება, კრედიტის მოცულობა, მიზანი და დაფარვის ვადა, მსესხებლის კრედიტუნარიანობა, მისი დაბრუნების უზრუნველყოფის არსებობა და სხვა.

პროცენტების გადახდის წყარო კრედიტის სახეზეა დამოკიდებული: მოკლევადიანი კრედიტებისთვის საჭირო გადასახდელებს რთავენ მსესხებლების პროდუქციის (მომსახურების, სამუშაოების) თვითღირებულებაში; გრძელვადიანი და ვადაგადაცილებული კრედიტებისთვის მათი გადახდა უნდა ხდებოდეს საკუთარი მოგებიდან.

საბანკო კრედიტის ფასის ქვედა დონედ სწორად მიიჩნევენ მის თვითღირებულებას (მოგებასგარეშე ვარიანტი). მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ ასეთ დონედ განვიხილავთ ბანკის მთელი ხარჯების გადამფარავ თვითღირებულებას პლიუს ის მინიმალური მოგება, რომელიც საკმარისია დაკრედიტებასთან დაკავშირებული ყველა ეკონომიკური რისკის გარანტირებისთვის.

დაეუშვათ, სესხებულმა დონემ 30% შეადგინა. მაშინ ფასი შემდეგნაირად ჩამოყალიბდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ, თუ როგორ მოქმედებს ფასზე საერთო-საბანკო ხარჯები, ე.ი. რისი ტოლი იქნება მარჟა, რომელიც 30%-ს უნდა მივუმატოთ (მარჟა არის ბანკის აქტიურ და პასიურ ოპერაციებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა), ვისარგებლოთ ფორმულით:

$$\text{მარჟა} = \frac{\text{ბანკის მთელი ხარჯები რესურსების მოზიდვის ხარჯების გამოკლებით} \;+\; \text{საკრედიტო ოპერაციების ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები} \;+\; \text{გეგმური მოგება}}{\text{მოგების მომტანი აქტივები}}$$

მრიცხველის პირველი ელემენტი შეგვიძლია გამოვთვალოთ, მათ შორის — მიახლოებული მეთოდებით. ვთქვათ, იგი 5 ათასია; მეორე ელემენტში შევა საკრედიტო ოპერაციებიდან მიღებული არაგეგმური ხასიათის შემოსავლები, აგრეთვე, ზოგიერთი მიმდინარე საკომისიო. ვთქვათ, მათი ჯამია 3 ათასი; თუკი ბანკი კვარტალში გეგმავს 30 ათას მოგებას, მაშინ მესამე ელემენტი იქნება მისი 1/3, ანუ 10 ათასი.

ფორმულის მნიშვნელში შევა მოგების მომტანი აქტივები, რომელთა გაანგარიშების წესს ცენტრალური ბანკი ადგენს. თუკი ვანგარიშობთ თვიურ მარჟას, მაშინ მთელ აქტივებს ვიღებთ საშუალოშეწონილი სიდიდით. ვთქვათ, გაანგარიშებებმა აჩვენა, რომ საქმე ეხება 300 ათასს. მაშინ M = (5-3+10): 300 = 0,04, ე.ი. საჭიროა, რომ მომუშავე აქტივების ყოველ ერთეულს თეეში 0,04 ერთეული თანხა შემოჰქონდეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, წლიური განაკვეთი ტოლი უნდა იყოს {(1,04-1):30დღე} X 365დღე = 0,486,ანუ 48,6%. ამგვარად, კრედიტის რეალური

ფასი ჩვენს მაგალითში შეადგენს: 30% + 48,6% = 78,6%.

თუკი კრედიტს აძლევენ სტანდარტულ მსესხებელს (რომელიც აკმაყოფილებს ჩვეულებრივ მოთხოვნებს,მაგრამ არაა პირველი კლასის), მაშინ საჭიროა ფასის აწევა დამატებითი რისკისათვის დანამატის ზომით. დანამატის (პრემიის) სიდიდე დიფერენცირებულია მსესხებელზე დამოკიდებულებით.

ზოგჯერ ბანკები იძულებული არიან გასცენ შეღავათიანი კრედიტები. უნდა გვახსოვდეს, რომ საბოლოოდ ესაა ბანკის გაჩანაგებისკენ მიმავალი გზა.

პროცენტების გასტუმრება (მიღება) ხდება ფულადი ფორმით: იურიდიული პირებისთვის – მხოლოდ უნაღდო წესით, ფიზიკური პირებისთვის – უნაღდო წესით და ნაღდი ფულით თანხის შეუზღუდავად სალაროს შემოსავლის (გასავლის) ორდერების საფუძველზე.

კრედიტორი ბანკი მსესხებლისგან პროცენტს იღებს:

- იურიდიული პირის ანგარიშიდან სასხრების ჩამოწერის გზით მისი საგადასახდელო დავალების საფუძველზე, აგრეთვე, ფიზიკური პირის განკარგულების საფუძველზე მისი ანაბრის (დეპოზიტის) ანგარიშიდან სასხრების ჩამოწერის შესახებ;
- სხვა ბანკში მომსახურების მქონე მსესხებლის ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერის გზით რიგითობის წესით კრედიტორი ბანკის საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე;
- კრედიტორ ბანკში მომსახურების მქონე იურიდიული პირის ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერის გზით ბანკის საგადასახდელო მოთხოვნის საფუძველზე;
- ფიზიკური პირების ანგარიშიდან სახსრების გადარიცხვის გზით მათი წერილობითი განკარგულებების საფუძველზე – კავშირგაბმულობის საწარმოების ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციების მეშვეობით; ბანკის სალაროში ნაღდი ფულის შეტანის გზით – სალაროს საშემოსავლო ორდერის საფუძველზე; იმ თანხებიდან დაკავების გზით, რომლებიც ბანკის მუშაკების შრომის ანაზღაურებისთვისაა განკუთვნილი და ეს მუშაკები ბანკის მსესხებლებია (მათივე განცხადების ან ბელშეკრულების საფუძველზე);
- კრედიტორი ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვის გზით მსესხებლის საგადასახდელო დავალების ან ბანკის საგადასახდელო მოთხოვნის საფუძველზე (აქცეპტის გარეშე).

პროცენტების გადახდა (მიღება) ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. პროცენტებს მოზიდულ და განთავსებულ სასხრებზე ბანკი რიცხავს ძირითადი ვალის ნაშთზე საოპერაციო დღის დასაწყისში.

პროცენტების დარიცხვა შეიძლება მოხდეს: მარტივი ან რთული პროცენტების ფორმულებით, ფიქსირებული ან მცურავი საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. თუკი ხელშეკრულებაში მითითებული არაა პროცენტების დარიცხვის სერხი, მაშინ მათ დარიცხავენ მარტივი პროცენტებით ფიქსირებული განაკვეთის გამოყენებით. პროცენტების დარიცხვის დროს ითვალისწინებენ საპროცენტო განაკვეთის სიდიდეს (წლიურ %-ს) და იმ კალენდარული დღეების ფაქტიურ რაოდენობას, რამდენითაც მიზიდულია ან განთავსებულია სახსრები.

განთავსებულ ფულად სახსრებზე (სესხებში, კრედიტებში და სხვა) პროცენტები ბანკის სასარგებლოდ შემოდის იმ ზომითა და წესით, როგორც ამას ითვალისწინებს ხელშეკრულება სახსრების მიცემის (განთავსების) შესახებ.

თუ მსესხებელი (სათანადოდ) ვერ ასრულებს დადგენილ ვადაში პროცენტების გადახდის ვალდებულებას, მაშინ ვადაგადაცილებული დავალიანება ბანკმა უნდა გადაიტანოს ვადაგადაცილებული პროცენტების აღრიცხვის საბალანსო ანგარიშებზე. ამ შემთხვევაში აღნიშნულ ანგარიშებზე პროცენტების დარიცხვა მოხდება იმ თარიღამდე, როდესაც საკრედიტო დავალიანების რისკის მე-2 და უფრო მაღალ ჯგუფს მიაკუთვნებენ. ამის შემდეგ მოცემული დავალიანების მიხედვით ბანკის მიერ დარიცხულ პროცენტებს ბალანსგარეშე ანგარიშებზე აღრიცხ-

ავენ. ამავე ანგარიშებზე გადააქვთ დარიცხული, მაგრამ ამ დღისთვის შემოუსველელი პროცენტების თანხა მოცემული დავალიანების მიხედვით, ბალანსგარეშე ანგარიშებზე ვადაგადაცილებული საპროცენტო დავალიანების აღრიცხვა გრძელდება მათი მიღების მომენტამდე, მიუღებლობის შემთხვევაში კი — არანაკლებ 5 წლის განმავლობაში. თუ ამის შედეგადაც პროცენტები არ გადაუხადეს (ვერ გადაახდევინეს), ბანკს შეუძლია ჩამოწეროს ისინი.

საბანკო პროცენტის გონივრული სიდიდე. საპროცენტო განაკვეთის სიდიდემ უნდა დაფაროს არამარტო რესურსების მოზიდვის ხარჯები, არამედ ყველა რეალური საკრედიტო რისკიც. მაგრამ დაკრედიტება ურთიერთხელსაყრელი უნდა იყოს. ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზაა საპროცენტო განაკვეთების ეკონომიკურად დასაბუთებული სიდიდეების დაწესება. ისინი ხელს უნდა უწყობდეს მსესხებლის ეფექტიანად ფუნქციონირებას. განაკვეთის სიდიდე, ერთი მხრივ, ზარალში არ უნდა აგდებდეს ბანკს, მეორე მხრივ კი, სტიმულს უნდა აძლევდეს მათი ხარჯების შემცირებას. ამის მიღწევა შესაძლებელია სპეციალური მეთოდიკის შემუშაების გზით, რომლებიც ხელს უწყობენ ბანკებს:

- საპროცენტო განაკვეთების ზედა და ქვედა საზღვრების დასაბუთებულად დადგენასა და მათ გადასინჯვაში;
- კრედიტების გაცემის ხარჯების სწორად კლასიფიცირებაში;
- ხარჯების და, შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთების შიდა რეზერვების გამოელენაში.

არსებობს საბანკო კრედიტების ფასების შემცირების სხვა მეთოდებიც:

- სავალდებულო რეზერვების მაღალი ნორმების შემცირება;
- კრედიტებზე რეზერვების ჩამოყალიბების რაციონალიზება;
- ბანკების დაბეგვრის ოპტიმიზება;
- ირიბი დანახარჯების დიდი მოცულობის შეკვეცა.

11.8. კრედიტების დაბრუნების უზრუნველყოფის ხერხები

კრედიტის დაბრუნება ნიშნავს მსესხებლის მიერ მიღებული სესხის თანხისა და შესაბამისი საბანკო პროცენტის თანხების (საკომისიოების და ა.შ.ჩათვლით) თავისდროულად და სრულად დაფარვას. ამასთან,კრედიტის დაბრუნება რთული და, ხშირად, ხანგრძლივი პროცესია და მისი ორგანიზაციული, ფინანსურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა ღონისძიებები განსაზღვრავს კრედიტის დაბრუნების წყაროებსა და ხერხებს (პროცედურებს).

კრედიტის დაფარვის წყაროები შეიძლება იყოს პირველადი და მეორადი (დამატებითი). პირველადი წყაროა მსესხებლის შემოსავალი (იურიდიული პირისთვის — რეალიზაციიდან ამონაგები, ფიზიკური პირებისთვის — ხელფასი და სხვა შემოსავლები). მეორად წყაროებს ეკუთვნის დაგირავებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები, გარიგების გარანტის ან თავდების მიერ დაპირებული სახსრები.

მაგრამ დაკრედიტება მეტ-ნაკლებ რისკებს უკავშირდება. სწორედ ამ შემთხვევისთვისაა აუცილებელი კრედიტის დაბრუნების დამატებითი წყაროს არსებობა, რაც ნიშნავს კუთვნილი ფულის გადახდევინების იძულებითი ფორმის ამოქმედებას ბანკის მიერ.

პრაქტიკამ გამოიმუშავა დაკრედიტების უამრავი წესი ,,სამსახურებრივი სარგებლობისათვის", რომელთაგან ზოგიერთი ასეთია:

1. ბანკი საქმეს იჭერს იმასთან, ვისაც იცნობს;
2. ბანკი ზღუდავს დაკრედიტების ვადებს;
3. ბანკი თანდათან აფართოებს თავის საკრედიტო ურთიერთობებს კლიენტთან;
4. ბანკი, შეძლებისდაგვარად, ახდენს თავისი საკრედიტო პროცესის ფორმალიზებას;
5. ბანკი აკურატულად იხდის საკუთარ გადასახადებს და სხვა.

ხელშეკრულების არსებობას არ შეუძლია მისი შესრულების სრული რწმენა ჩაუნერგოს ბანკს.

დამატებითი გარანტიების შექმნის მიზნით კანონი ითვალისწინებს დამატებითი შეთანხმებების გაფორმებას ამ მხრივ. საბანკო საქმეში მიღებულია აღებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის შემდეგი ხერხები:

1) პირგასამტეხლო; 2) გირაო; 3) მოვალის ქონების დაკავება; 4) თავდებობა; 5) საბანკო გარანტია.

რისკის შემცირება შესაძლებელია ყიდვა-გაყიდვის „უკუ" ხელშეკრულების გაფორმებით, რომელსაც აქვს გადადების ან გაუქმების პირობები. პირველი პირობით შესაძლებელია მევალის მიერ საკრედიტო თანხისა და პროცენტების არგადახდა დადგენილ ვადაში, მეორით კი — არა. პირველ შემთხვევაში ხელშეკრულება მოქმედებას იწყებს გადადების პირობის დადგომის შემდეგ, მეორეში კი ძალას კარგავს გაუქმების პირობის დადგომის შემდეგ.

კრედიტი უზრუნველყოფილი ითვლება გირაოთი, თუკი გირაო შემდეგ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს: 1) მისი რეალური ღირებულება საკმარისია ვალის ძირითადი თანხის, პროცენტების და საგირაენო ვალდებულებების რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების საკომპენსაციოდ; 2) გირაოს რეალიზაციისთვის საჭირო დრო არ აღემატება 150 დღეს.

კრედიტის უზრუნველყოფა დადასტურებული უნდა იყოს დოკუმენტებით. მათი ნუსხა განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რას იყენებენ გირაოდ: ა) საქონელს; ბ) უძრავ ქონებას, თუ გ) ფასიან ქაღალდებსა და სავალუტო ფასეულობებს.

11.9. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ

ბანკის საკრედიტო საქმიანობის ხარისხზე მთელი რიგი კრიტერიუმების მეშვეობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. მათ შორისაა:

- საკრედიტო ოპერაციების რენტაბელობა (დინამიკაში);
- მკაფიოდ ფორმულირებული საკრედიტო პოლიტიკის და მისი რეალიზაციის მექანიზმებისა და პროცედურების არსებობა;
- კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების დაცვა დაკრედიტების დარგში;
- საკრედიტო პორთფელის მდგომარეობა;
- საკრედიტო რისკების მართვის მექანიზმის არსებობა.

ამათგან პირველი სამი შედარებით ამარტივებს და კარგად ცნობილი. ამიტომ შევეხოთ ბოლო ორ ნიშანს.

ბანკის საკრედიტო პორთფელი ფორმალურად არის მის მიერ მოცემული მომენტისათვის გაცემული კრედიტების მთელი ერთობლიობა. იგი სტრუქტურირებულია რომელიმე კრიტერიუმის მიხედვით, რის გამოც „საკრედიტო პორთფელი" ბანკის მიერ გაცემული კრედიტებისა და მისი მთელი საკრედიტო საქმიანობის ხარისხის მახასიათებელი ხდება. ჩვეულებრივ, ამგვარი სტრუქტურიზაციისთვის (კლასიფიკაციისთვის) იყენებენ მათი სარისკოობის კრიტერიუმს. გასაგებია, რომ ეს საკრედიტო პორთფელის (მისი ხარისხის) მართვისთვისაა საჭირო.

საკრედიტო პორთფელის მართვას რამდენიმე ეტაპი აქვს: 1)ძირითადი საკლასიფიკაციო ჯგუფების განსაზღვრა და მათთვის რისკის კოეფიციენტების მინიჭება; 2) ყოველი გაცემული კრედიტის მიკუთვნება ერთ-ერთ ჯგუფზე; 3) პორთფელის სტრუქტურის გამოვლენა; 4) მთლიანად პორთფელის ხარისხის შეფასება; 5) პორთფელის სტრუქტურის (ხარისხის) შემცველი ფაქტორების გამოვლენა და ანალიზი; 6) ყოველი გაცემული კრედიტისთვის საჭირო რეზერვის სიდიდის განსაზღვრა; 7)პორთფელის მთლიანი რისკის შესაბამისი რეზერვების მთლიანი თანხის განსაზღვრა; 8) პორთფელის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება. საკრედიტო პორთფელის მართვაში წამყვანი მომენტია თითოეული კრედიტისა და მთელი მათი ერთობლიობის ხარისხის შეფასების კრიტერიუმის (კრიტერიუმების) შერჩევა.

რეზერვის ჩამოყალიბების აუცილებლობას განაპირობებს ბანკების საქმიანობაში არსებული საკრედიტო რისკები. რეზერვი უზრუნველყოფს ბანკების უფრო სტაბილურად მუშაობის პირობებს და მოგების სიდიდის რყევის თავიდან აცილების შესაძლებლობას აძლევს მათ, საკრედიტო საქმიანობისგან მიღებული დანაკარგების ჩამოწერის გამო.

რეზერვს აყალიბებენ ბანკების დანახარჯებზე მიკუთვნებული ანარიცხების ხარჯზე. მას იყენებენ მხოლოდ კლიენტების მიერ დაუფარავი ძირითადი ვადების დასაფარავად. რეზერვის ხარჯზე ჩამოიწერება კრედიტებისგან გამოწვეული ის დანაკარგები, რომელთა გადახდევინებაც არარეალურია.

ბანკები აფასებენ ყველა კრედიტის საკრედიტო რისკებს. ესენია: ყველა გაცემული კრედიტი ბანკთაშორისი კრედიტებისა და დეპოზიტების ჩათვლით; მათ მიერ შეძენილი თამასუქები; თანხები, რომლებიც გადახდევინებული არაა საბანკო გარანტიებით; ჩატარებული ფაქტორინგული ოპერაციები.

გაცემული კრედიტები კლასიფიცირდება, მათი რისკები კი კომპლექსურად ფასდება, რაც დამოკიდებულია მსესხებლების ფინანსურ მდგომარეობაზე და სხვა კრიტერიუმებზე. მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასება მუდმივად უნდა ხდებოდეს.

საკრედიტო რისკის სიდიდეზე დამოკიდებულებით ყველა კრედიტი 4 ჯგუფად იყოფა: I ჯგუფი – სტანდარტული (პრაქტიკულად ურისკო); II – არასტანდარტული (არდაბრუნების ზომიერი რისკი); III ჯგუფი – საეჭვო (რისკის მაღალი დონე); IV – უიმედო (დაბრუნების ალბათობა პრაქტიკულად არ არსებობს).

სტანდარტულს შეგვიძლია მივაკუთვნოთ: ა) მიმდინარე კრედიტები, გარდა შეღავათიანი და ინსაიდერებისთვის მიცემული კრედიტებისა. მიმდინარეს ვუწოდებთ არაპროლონგირებულ და ძირითადი ვალის გადახდის ვადაგადაუცილებელ კრედიტს; ბ) უზრუნველყოფილ კრედიტებს: მიმდინარე კრედიტებს პროცენტების გადახდის ვადის გადაცილებით 5 დღემდე; ძირითადი ვალის გადახდის გადაცილებით 5 დღემდე; ერთხელ გადაფორმებულ (პროლონგირებულ) კრედიტს ხელშეკრულების პირობების შეუცვლელად (პროცენტები დროულადაა გადახდილი);

არასტანდარტულ კრედიტებს ეკუთვნის: ა) უზრუნველყოფილი კრედიტები: მიმდინარე კრედიტები პროცენტების გადაცილებით 6-დან 30 დღემდე; 2-ჯერ გადაფორმებული კრედიტები პირობების შეუცვლელად; ერთხელ გადაფორმებული კრედიტები პირობების შეცვლით; ბ) არასაკმარისად უზრუნველყოფილი კრედიტები: მიმდინარე კრედიტები პროცენტების გადახდის ვადის გადაცილებით 5 დღემდე; ძირითადი ვალის გადახდის ვადის გადაცილებით 5 დღემდე; ერთხელ გადაფორმებულ კრედიტებს ხელშეკრულების პირობების შეუცვლელად; გ) შეღავათიანი მიმდინარე და ინსაიდერებზე გაცემული კრედიტები.

საეჭვო შესაძლოა იყოს კრედიტები: ა) უზრუნველყოფილი: მიმდინარე კრედიტები 31-დან 180 დღემდე პროცენტების გადახდის ვადის გადაცილებით; ძირითადი ვალის გადახდის ვადის გადაცილებით 31-დან 180 დღემდე; 2-ჯერ გადაფორმებული კრედიტები პირობების შეცვლით; 2-ზე უფრო მეტჯერ გადაფორმებული კრედიტები; ბ) არასაკმარისად უზრუნველყოფილი კრედიტები: მიმდინარე კრედიტები პროცენტების გადახდის ვადის გადაცილებით 6-დან 30 დღემდე; ძირითადი ვალის გადახდის ვადის გადაცილებით 6-დან 30 დღემდე; 2-ჯერ გადაფორმებული კრედიტები პირობების შეუცვლელად; ერთხელ გადაფორმებული კრედიტები პირობების შეცვლით; გ) არაუზრუნველყოფილი კრედიტები: მიმდინარე კრედიტები პროცენტების გადახდის ვადის გადაცილებით 5 დღემდე; ძირითადი ვალის გადახდის ვადის გადაცილებით 5 დღემდე; ერთჯერ გადაფორმებული კრედიტები ხელშეკრულების პირობების შეუცვლელად; დ) შეღავათიანი კრედიტები და ინსაიდერებზე გაცემული კრედიტები ძირითადი ვალის ან პროცენტების გადახდის ვადის გადაცილებით 5 დღემდე.

ყველა დანარჩენი შეგვიძლია მივაკუთვნოთ უიმედო კრედიტებს.

თუკი მოცემულ მსესხებელს უკვე აქვს II, III ან IV რისკის ჯგუფი, მაშინ მასზე კლავ გაცემული ყოველი კრედიტი იმავე ჯგუფებს უნდა მივაკუთვნოთ; თუკი მსესხებელმა კრედიტი რამდენიმე ხელშეკრულებით მიიღო, მაშინ ბანკის მიმართ მისი მთელი დავალიანება იმ მაქსიმალურ რისკის ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ, რომელიც მის ერთ-ერთ კრედიტს აქვს. მოცემული მსესხებლის მიერ რისკის მაქსიმალური ჯგუფის მქონე კრედიტის დაბრუნების შემდეგ ხელახლა ხდება მისი დარჩენილი დავალიანების კლასიფიცირება და განისაზღვრება რეზერვის სათანადო სიდიდე.

თუკი მსესხებელი კრედიტის დაფარვას ან პროცენტების გადახდას ახალი კრედიტის ხარჯზე ასრულებს, მაშინ ეს ახალი კრედიტი უიმედოდ უნდა მივიჩნიოთ.

თუკი ვალის დაფარვა ეტაპობრივად ხდება, მაშინ მთელი დავალიანების საკრედიტო რისკს აფასებენ იმ დღეების მაქსიმალური რაოდენობის საფუძველზე, რომლებიც ყველა მორიგი გადასახდელის – ძირითადი ვალის თუ პროცენტის – ვადის დადგომის შემდეგაა გასული. ვალის დაფარვის რეჟიმის მიუხედავად, რეზერვს ძირითადი ვალის მთელი თანხისათვის ქმნიან.

ძირითადი ვალის თანხის შესაძლო დაკარგვის შემთხვევისათვის ბანკები ყველა კრედიტზე ქმნიან რეზერვებს. ამ დროს იყენებენ შემდეგ ნორმატივებს (რისკის ჯგუფი – ანარიცხების სიდიდე პროცენტობით ძირითადი ვალის თანხის მიმართ): I – 1%; II – 20%; III – 50% და IV – 100%. რეზერვის ჩამოყალიბება ხდება:

- ცალ-ცალკე ყოველი გაცემული კრედიტისთვის (ყოველი შეძენილი თამასუქისთვის);
- ყოველთვიურად საანგარიშგებო თარიღისთვის საანგარიშგებო თვის ბოლო სამუშაო დღეს.

რეზერვის მთლიანი სიდიდე ყოველთვიურად უნდა დაზუსტდეს ბანკის მიმართ ფაქტიური საკრედიტო დავალიანების თანხასა და რისკის ჯგუფზე დამოკიდებულებით. რეზერვს იყენებენ მხოლოდ მსესხებლის მიერ დაუფარავი ძირითადი ვალის დასაფარავად, თამასუქის შემთხვევაში კი – თამასუქის თანხით, რომელსაც აკლდება სააღრიცხვო პროცენტი (დისკონტი), აგრეთვე გადახდილი დაგროვილი საპროცენტო ხარჯი.

უიმედო ან არარეალურად აღიარებული დავალიანება რეზერვის ხარჯზე ჩამოიწერება ბანკის ბალანსიდან, რეზერვის უკმარისობის შემთხვევაში კი დაიწერება საანგარიშგებო წლის ზარალს. თუკი მსესხებლის საკრედიტო (სათამასუქო) დავალიანება დადგენილი წესით იქნება აღიარებული უიმედოდ ან გადახდევინებისთვის არარეალურად და ჩამოსაწერად, მაშინ იხარჯება აღნიშნული რეზერვი.

დღეისათვის არსებობს რამდენიმე აქტუალური პრობლემა, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს ბანკების საკრედიტო პორთფელის ხარისხის ამაღლებას:

1. საკრედიტო ოპერაციების ხარისხიანი საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა, კერძოდ, საბანკო მარკეტინგის მეშვეობით;
2. პრობლემური კრედიტების ადრევე გამოვლენის ხელოვნების დაუფლება;
3. საკრედიტო დაბანდებათა უფრო მეტად დიფერსიფიცირება;
4. იმ თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის ამაღლება, რომელთა თანამდებობრივი მოვალეობაა: ა) რისკების ძირითადი სფეროების იდენტიფიკაცია და მათ დონეზე მოქმედი ფაქტორების ადექვატურად შეფასება; ბ) საკუთარი ბანკის სწორად პოზიციონირება ბაზარზე; გ) დაკრედიტების შიდასაბანკო საოპერაციო ლიმიტების დაწესება; დ) საკრედიტო ინსტრუმენტების სწორად შერჩევა; ე) არსებული რეზერვის საკმარისობის შერჩევა და მისი თავისდროულად კორექტირება.

აღნიშნული პრობლემები ერთხელ კიდევ ადასტურებს ბანკის საკრედიტო პოლიტიკისა და საკრედიტო პროცესის ორგანიზაციის ნორმატიულ-მეთოდიკური ბაზის დიდ მნიშვნელობას.

დანართი 11.1.

ეკონომიკური უსაფრთხოების მართვა საბანკო საქმიანობაში

1. ზოგადი დებულებები

ბოლო დროს ბანკების მუშაობაში გაჩნდა ახალი მიმართულება – ეკონომიკური უსაფრთხოების მართვა. მისი მთავარი დანიშნულებაა ბანკის მდგომარეობის შესახებ მისი სხვადასხვა ქვედანაყოფის მიერ შესრულებული შეფასებების განზოგადება, წინააღმდეგობათა გამოვლენა, ბანკის, როგორც მთლიანის, ჭეშმარიტი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად ამ ქვედანაყოფების მიერ შესრულებულ სამუშაოთა კოორდინაცია.

ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოება უნდა გვესმოდეს, როგორც მისი უნარი, გაუძლოს ფინანსურ ბაზარზე მოქმედ დესტრუქციულ ძალებს და უზრუნველყოს თავის გადარჩენა საბანკო ბიზნესის საკონკურენციო ბრძოლაში.

ეკონომიკური უსაფრთხოების სათანადო დონეზე შენარჩუნება და მისი მუდმივი სრულყოფა ბანკის სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძველია. ეს რთული და მრავალდისციპლინური პრობლემაა. მათგან მთავარია სამი:

- ეკონომიკური უსაფრთხოების ერთიანი ინტეგრალური მაჩვენებლის მიღება და გამოყენება (შემდგომში – ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასებისა და გაზომვის კონცეფცია);
- სპეციალური განმაზოგადებელი მაჩვენებლების დასაბუთება;
- სტრატეგიული მენეჯმენტის ტრადიციული მეთოდებისა და რაოდენობრივი ანალიზის მეთოდების ორგანულად შეერთება.

2. ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების დონის ერთიანი ინტეგრალური მაჩვენებლის კონცეფცია

ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების დონის ერთმა რაოდენობრივმა მაჩვენებელმა (Э) პარამეტრების სახით უნდა მოიცვას შემოსავლიანობის (Д), ლიკვიდობის (Л), კაპიტალის ზრდის ტემპებისა (ТК) და მისი საკმარისობის (ДК) შეფასების ტრადიციული მაჩვენებლები. თუ ბანკის ხელმძღვანელობას ეცოდინება ასეთი ინტეგრალური მაჩვენებლის დინამიკა, მაშინ იგი თავისდროულად იქნება ინფორმირებული ბანკში არსებულ მდგომარეობაზე და მოემზადება ბაზარზე შესაძლო რყევებისთვის.

რეალობის ობიექტების თვისებების ერთ ინტეგრალურ მაჩვენებელში თავმოყრის (ინტეგრირების) პროცესებს სარგებლიანობის თეორია სწავლობს. მისი თვალსაზრისით, განსახილველი ინტეგრალური მაჩვენებელი სარგებლიანობის ფუნქციაა. ამ ფუნქციას აგებენ შესასწავლი ობიექტების ფასეულობის რაოდენობრივი შეფასების მისაღებად. მის ასაგებად საწყისი მონაცემებია ადამიანების მიერ გამოვლენილი უპირატესობები (რას ამჯობინებენ ისინი), ე.ი. ესაა მათი სუბიექტური აზრი შესასწავლი ობიექტების ფასეულობის შესახებ, რომლებსაც ისინი გამოხატავენ ან განსხვავებული ობიექტების შესახებ, ან ერთი და იმავე ობიექტის შესახებ, ოღონდ სხვადასხვა ვითარებაში.

ბანკის ლიკვიდობისა და შემოსავლიანობის თანაფარდობასთან დაკავშირებით მართლზომიერია დაისვას შემდეგი კითხვები: რა სჯობს – ლიკვიდობის შემცირება 10%-ით და შემოსავლიანობის გადიდება 10%-ით (სიტუაცია А), თუ ლიკვიდობის გადიდება 10%-ით და შემოსავლიანობის შემცირება 10%-ით (სიტუაცია В): თუ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ჭირს? თუ ეს ორი სიტუაცია ტოლფასია? ლიკვიდობისა და შემოსავლიანობის პარამეტრებით სარგებლიანობის ფუნქციის ასაგებად დაგეჭირდება უამრავი კითხვა და პასუხი.

ინდივიდუალურ ფასეულობათა სისტემას შესაძლოა ახასიათებდეს მთელი რიგი თავისებურება,

რომლებიც არც გამორიცხავენ და არც ავსებს ერთმანეთს. ინდივიდუალურად ასეთი თავისებურებები იწვევს მათ დაყოფას კომპენსაციურ, არაკომპენსაციურ და ნაწილობრივ კომპენსაციურ უპირატესობად.

კომპენსაციურია ისეთი უპირატესობა, რომლის დროსაც ნებისმიერი მაჩვენებლის გაუარესება (შემცირება) შეიძლება სხვა მაჩვენებლის გაუმჯობესებით (გაღიდებით) კომპენსირდეს. თუ ამგვარი რამ შეუძლებელია, მაშინ უპირატესობა არაკომპენსაციურია. თუ უპირატესობა არც კომპენსაციურია და არც არაკომპენსაციური, მას ნაწილობრივ კომპენსაციურს უწოდებენ.

არ დასტურდება იმის ჭეშმარიტება, რომ ლიკვიდობის, შემოსავლიანობის, კაპიტალის ზრდის ტემპებისა და კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებლები თითქოს დამოკიდებული არაა ერთმანეთზე. საბანკო საქმის ბევრი სპეციალისტი აღიარებს შემდეგ წესებს:

- ბანკის ლიკვიდობა მაღლდება შემოსავლიანობის დონის ზრდასთან ერთად, გარკვეულ დონეზე ქვემოთ შემოსავლიანობის დაცემისას კი ლიკვიდობა რამდენადმე უნდა დაქვეითდეს, თუკი შექმნილ ვითარებაში ეს აუცილებელია ოპერაციების მომგებიანობის ასამაღლებლად;
- გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ ოპერაციების ლიკვიდობისა და მომგებიანობის ზრდა უნდა შენელდეს, თუკი ბანკის საკუთარი კაპიტალის გადიდებაა საჭირო და ა.შ. ეს ყოველივე მეტყველებს მჯობინების ურთიერთდამოუკიდებლობის პირობების შეუსრულებლობაზე ლიკვიდობის, შემოსავლიანობის, კაპიტალის ზრდის ტემპებისა და კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებლების მიხედვით.

ანალიზით ირკვევა, რომ კომერციული ბანკების ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების დროს კომპენსაციური მჯობინება ნაკლებად გამოსადეგად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ კომპენსაციის პრინციპის გამოყენება შესაძლოა დასაშვები იყოს ბანკის მდგომარეობის ერთ-ერთი განმაზოგადებელი მახასიათებლის კრებსითი შეფასების მიღების დროს.

სარგებლიანობის თეორიიდან ცნობილია, რომ არაკომპენსაციური მჯობინებისთვის ზოგად შემთხვევაში არ არსებობს სარგებლიანობის ფუნქცია, რომელიც მოცემული მჯობინების ყველა თავისებურების ამსახველი იქნებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი მოცემულია ხსენებული 4 მაჩვენებლის რაიმე ფუნქცია, მაშინ ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობა, როგორც სარგებლიანობის ფუნქციის ყველაზე მეტი მნიშვნელობა, თითქოს ყველაზე უპირატესი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ამ გადაწყვეტის შედარებით არაფორმალური გზით მიღებულ გადაწყვეტილებასთან, იგი შეიძლება უარესი აღმოჩნდეს. პირიქით, არაფორმალური შეფასების მიხედვით უფრო უპირატეს ვარიანტებს (ეკონომიკური უსაფრთხოების ვარიანტებს) შესაძლოა სარგებლიანობის ფუნქციის უფრო დაბალი მნიშვნელობები ჰქონდეს, ვიდრე ადამიანის შეფასებით ნაკლებად უპირატესობამისაწიფებელ ვარიანტებს. ამასთან, არაკომპენსაციური მჯობინება მიღებულ ფორმულირებაში უფრო შესაფერისია ეკონომიკური უსაფრთხოების ინტეგრალური შეფასებისათვის, ვიდრე კომპენსაციური. საბანკო სიტუაციების ზოგადი შემთხვევისათვის სარგებლიანობის ფუნქციის უქონლობა ძლიერ ართულებს ამ მჯობინების გამოყენებას პრაქტიკაში.

აღსანიშნავია, რომ კერძო შემთხვევებში სარგებლიანობის თეორიის სპეციალისტებმა მოახერხეს სარგებლიანობის ფუნქციების აგება, რომლებიც ინარჩუნებენ არაკომპენსაციური მჯობინების თვისებებს. ეს შემთხვევებია:

ა) ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების დროს გათვალისწინებული ყველა კერძო მაჩვენებლის მნიშვნელობა ინტეგრალური მაჩვენებლის გაანგარიშებამდე ცნობილი საბოლოო სიდიდე უნდა იყოს, ან ცნობილი უნდა იყოს ბანკის განვითარების სტრატეგიული მიზნები, როგორც გასათვალისწინებელი მაჩვენებლების იდეალურ მნიშვნელობათა ერთობლიობა;

ბ) თითოეული კერძო მაჩვენებლის შეფასება ძიძდისარეობს წინასწარ მოცემული იმ სიზუსტით, რომელსაც განსაზღვრავს მძიმის შემდეგ ან მის წინ მოთავსებული თანრიგების რაოდენობა.

დაეუშვათ, „ა“ პირობა ისე სრულდება, რომ ცნობილია ბანკის განვითარების სტრატეგიული მიზნები და ესაა ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის კერძო მაჩვენებლების იდეალური მნიშვნელობები f_1^*, f_2^*, f_m თუკი ყველა ეს მნიშვნელობა ერთდროულად იქნება მიღწეული, მაშინ ბანკის სტრატეგიული მიზნები 100%-ით იქნება შესრულებული. ვთქვათ, მოცემულ მომენტში ამ მნიშვნელობებმა შეადგინეს მხოლოდ f_1^-, f_2^*, ..., f_m იდეალურ მნიშვნელობებზე მათი გაყოფით მივიღებთ $f_i/f_i^* = \varphi_i$, i = 1,2,...m. თითოეული ეს შეფარდება 0-დან 1-მდე დიაპაზონშია მოქცეული. ეკონომიკური უსაფრთხოების ინტეგრალურ მაჩვენებელს ასე მივიღებთ:

1) ვიპოვით უმცირეს φ_i-ს, ვთქვათ, ესაა il-ნომრიანი მაჩვენებელი;

2) მიღებულ φ_{il}-ს გავამრავლებთ 100%-ზე. შედეგს დავამრგვალებთ რიცხვის მთელ ნაწილამდე;

3) φ_{il}-ის გამორიცხვის შემდეგ დარჩენილ რიცხვებში ვიპოვით უმცირესს. ვთქვათ, ესაა φ_{i2}. ამ რიცხვს დავამრგვალებთ თანრიგების წინასწარ მოცემული რიცხვის სიზუსტით. საბოლოოდ მივიღებთ ისეთ რიცხვს, რომელსაც აქვს მთელი ნაწილი (100%-ზე ნაკლები ან მისი ტოლი) და წილადი ნაწილი;

4) ვაგრძელებთ უმცირესი რიცხვის ძიებას გამოუყენებელ φ_i რიცხვებს შორის, ვამრგვალებთ მას მძიმის შემდეგ თანრიგების საჭირო სიზუსტით და მარჯვენიდან ვუერთებთ მას Э რიცხვს, ვიდრე ყველა რიცხვს არ გამოვიყენებთ.

Э სიდიდის გაანგარიშების მაგალითი:

ვთქვათ, მიღებული გვაქვს შემდეგი მნიშვნელობები: φ_1=0,45, φ_2=0,58, φ_3=0,36, φ_4=0,71 შესაბამისად, φ_1 არის ლიკვიდობის მაჩვენებელი, φ_2 – შემოსავლიანობა, φ_3 – კაპიტალის ზრდის ტემპი, φ_4 – კაპიტალის საკმარისობა). აქ უმცირესია 0,36. დამრგვალებით მივიღებთ Э=40%. შემდეგი უმცირესი რიცხვია 0,45, რომლის დამრგვალებით მივიღებთ 0,5-ს, ხოლო Э=40,5%. თუ ასე გავაგრძელებთ, საბოლოოდ გვექნება Э=40,567%. იგი გვიჩვენებს, რომ ბანკის წელმძღვანელობის ძირითადი ამოცანაა კაპიტალის ზრდის ტემპების მაჩვენებლის (φ_3) გადიდება ლიკვიდობის მაჩვენებლის (φ_1) დონემდე მაინც. ამის გარეშე დანარჩენი მაჩვენებლის (0,45) ამაღლება 0,58-ის დონემდე ისე, რომ 4 არ დაეცეს 0,58-ზე ქვემოთ. მესამე ამოცანაა ყველა მნიშვნელობის გადიდება კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებლის 0,71 მნიშვნელობამდე. ბოლოს, ბანკი უნდა ცდილობდეს ოთხივე მაჩვენებლის გადიდებას 1-მდე ($f_1=f_1^-$, $f_2=f_2^-$, $f_3=f_3^*$, $f_4=f_4^-$).

3. ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების მართვაში გადაწყვეტილებათა შეფასების სპეციალური განმაზოგადებელი მაჩვენებლები

განვიხილავთ ექვს სპეციალურ მაჩვენებელს. ისინი ეკონომიკური უსაფრთხოების ინტეგრალური მაჩვენებლის არგუმენტებია მისი ფორმალიზებული და ხარისხიანი წარმოდგენის დროს. ეს მაჩვენებლებია:

- საშუალოთვიური რენტაბელობა (K_1);

ეფექტიანობა (K_2) – ბანკის ვალდებულებათა შესრულების შესაძლებლობის შეფასება;

შემოსავლიანობის დაქვეითების ან გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების მოქმედების შეწყვეტის მდგრადობის შეფასება (K_3);

კაპიტალის ზრდის ტემპები (K_4);

ბანკების ბაზარზე მოპოვებული წილი (K_5);

ბანკის თვითსაკმარისობის ინდექსი (K_6).

საშუალოთვიურ რენტაბელობას ასე ანგარიშობენ:

$$K_1 = \frac{(U - N)}{(Rp + Ra)}$$

სადაც U ბრუტო შემოსავლებია საანგარიშგებო პერიოდში; N – მოგების გადასახადი და სხვა გადასახადები; Rp – რესურსების მოზიდვის ხარჯები; Ra – ბანკის აპარატის შენახვის, არენდის და სხვა ხარჯები.

K_2 მაჩვენებელი ასახავს ბანკის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულების შესაძლებლობის კომპლექსურ შეფასებას (გაუმართლებელი რისკის გარეშე). მისი ფორმირება შემდეგ დაშვებებსა და აქსიომას ეყრდნობა:

დაშვება 1. ბანკის მესაკუთრეების წინაშე არსებული ვალდებულებები მაშინ შესრულდება, თუ. იმავდროულად, დაცული იქნება შემდეგი პირობები:

- აქტივების სტრუქტურაში იქნება გარკვეული მსესხებლებისთვის გარკვეული პირობებით მოცემული გარკვეული თანხები;
- შესაბამისი საკრედიტო ოპერაციების ჩატარების რისკი არ აჭარბებს ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილ ნორმებს;
- აქტიური ოპერაციებიდან მიღებული მოგება მაქსიმალური უნდა იყოს.

დაშვება 2. მსესხებელი ბანკის კლიენტების მოთხოვნები იმაზე ზემოთ, რომლებიც ბანკის მესაკუთრეების სურვილებშია გათვალისწინებული, როგორც წესი, მოიცავს სესხების ჩამონათვალს იმაზე უფრო სარისკო პირობებით, ვიდრე ამას ბანკის მესაკუთრეების სურვილი განსაზღვრავს.

დაშვება 3. ბანკის მეანაბრეთა მოთხოვნა მაშინ სრულდება, თუკი არ ირღვევა მათ მიერ დაბანდებული სახსრების დაბრუნების და საპროცენტო შემოსავლების დათქმულ ვადებში გადახდის პირობები.

აქსიომა. K მაჩვენებლის მნიშვნელობა მით უფრო მეტია, რაც უფრო ნაკლებია აღნიშნული დაშვებების შესაბამისად შესრულებული ოპერაციების რისკის ხარისხი და რაც უფრო სტაბილურია ქვეყნისა და ფინანსების მსოფლიო ბაზრის საერთო ეკონომიკური კონიუნქტურა. ამ აქსიომის სამართლიანობას ადასტურებს მთელ მსოფლიოში საბანკო საქმის განვითარების პროცესი.

K_3 მაჩვენებლის შეფასება შესაძლოა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა გამოდგეს ბანკის სტრატეგიული გადაწყვეტილებების შემუშავებისა და მისი მიმდინარე მდგომარეობის კომპლექსურად შეფასების დროს.

$$K_3 = M \Big/ \sum_{i=1}^{m} n_i^2$$

სადაც n_i არის i აქტივში ბანკის მიერ დაბანდებული სახსრების წილი (%); m – მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობა (ე.ი.შემოსავლის მომტანი აქტივების რაოდენობა). $0 < ni < 100, 1 < i < m, m < 120$. რაც უფრო მეტია ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობა, მით უფრო მაღალია ბანკის ოპერაციების დივერსიფიკაციის ხარისხი და ნაკლებია ბანკის კეთილდღეობა, დამოკიდებულება ცალკეულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ მოულოდნელ საფრთხეებზე, მათი ეფექტიანობის დაქვეითებაზე ან მათი მოქმედების შეწყვეტაზეც კი.

კაპიტალის ზრდის ტემპები შეგვიძლია გამოვთვალოთ ფორმულით:

$$K_4 = (i/T)\sum(CK(t) - CK(t-1)/CK(t_0)),$$

სადაც CK(t) ბანკის საკუთარი კაპიტალია მიმდინარე წლის t კვარტალში. t_0 – საბაზო პერიოდის დასაწყისიდან; CK (t -1) – იგივე კაპიტალი წინა კვარტალში; CK (t_0) – იგივე, საბაზო პერიოდის დასაწყისისთვის; T – კვარტალების რაოდენობა საბაზო პერიოდის დასაწყისიდან; K_4

– კაპიტალის ზრდის საშუალო ტემპი t_0-დან T-მდე მონაკვეთში.

ბანკის კუთვნილ ბაზრის წილს ანგარიშობენ ფორმულით:

$$K_s = A_{\text{ბ}} / \sum A_{\text{ბi}}$$

სადაც $A_{\text{ბ}}$ ბანკისთვის შემოსაელების მომტანი აქტივების სიდიდეა, $A_{\text{ბi}}$ – იგივე i ბანკისათვის.

ბანკის თვითსაკმარისობას ანგარიშობენ ფორმულით:

$$K_{\text{თ}} = CK(t)/(CK(t) + Rb),$$

სადაც Rb მოზიდული სახსრების მოცულობაა.

4. ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების დონის შეფასება

სპეციალური განმაზოგადებელი მაჩვენებლების ერთ ინტეგრალურ მაჩვენებლამდე დაყვანის სქემის შერჩევა მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია განვითარების არჩეული სტრატეგია (ან ოპტიმალური დანახარჯების სტრატეგია, ან კლიენტების მომსახურების ფართო დიფერსიფიკაციის თეორია).

ოპტიმალური დანახარჯების სტრატეგიის არსი დაიყვანება ბანკის დანახარჯების გონივრულ შემცირებაზე, მომსახურების ტარიფების შემცირებაზე, მისი თანამშრომლების ხელფასის შემცირებაზე, წარმომადგენლობითი ხარჯების შემცირებაზე, გადასახადებზე მოსული დანაკარგების იმგვარად ოპტიმიზებაზე, როდესაც K1 მაჩვენებლის დონე უახლოესი კონკურენტებისაზე უფრო მაღალია. ამასთან, K1-ის ზრდა უმჯობესია მოხდეს Ra და N სიდიდეების შემცირების ხარჯზე და არა Rp სიდიდის კლების ხარჯზე. თუკი მოზიდული რესურსების საზღაური Rp მაინც უნდა გაიზარდოს, მაშინ ეს Ra-ს დაქვეითებაზე უფრო ნელა უნდა ხდებოდეს. საკარაუდო კონკურენტების ნუსხა K5 მაჩვენებლის მნიშვნელობათა ანალიზიდან უნდა გამომდინარეობდეს: უახლოესი კონკურენტებია ის ბანკები, რომელთა K5-ის მნიშვნელობა ახლოსაა მოცემული ბანკის იმავე მაჩვენებელთან. სპეციალურ ლიტერატურაში მოცემულია, რომ მცირე ბანკის განვითარების კარგ ტემპს შეიძლება ახასიათებდეს სიდიდე $0{,}05K_s(t_0)$. $K_s(t_0)$ – ბანკების ბაზარზე წილია კონკურენტების ჯგუფში განვითარების სტრატეგიის რეალიზაციის დასაწყისისთვის (t_0). ოპტიმალური ხარჯების სტრატეგიის შერჩევისას ამ შემთხვევაში რეკომენდებულია ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების დონის გაანგარიშების შემდეგი სქემა ფაქტის მიხედვით:

ა) K_1, K_2, K_3 და K_4 მაჩვენებლები ერთმანეთს შორის არაკომპენსაციური უპირატესობის დამოკიდებულებაში არიან;

ბ) აგრეგირებული მაჩვენებლის გაანგარიშებას (როგორც შუალედურ შედეგს) ახდენენ K_1, K_2, K_3 და K_4 მაჩვენებლებიდან. K_5-ს მაჩვენებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებენ, თუკი აგრეგირებული მაჩვენებელი ერთნაირი იქნება ორ შესადარებელ მდგომარეობაში, K_6-ს კი მხოლოდ მაშინ, თუკი აგრეგირებული მაჩვენებელი ერთნაირია, K_5 კი – უცვლელი;

გ) რაკი K_1, K_2, K_3, K_4 მაჩვენებლებს განზომილება არა აქვს და მათი უდიდესი მნიშვნელობები არ შეიძლება 1-ს აჭარბებდეს (K4-ის გარდა), ამიტომ ამ მაჩვენებლების მნიშვნელობათა ფასეულობის მთლიანობითი შეფასების გაანგარიშებისთვის შეგვიძლია ვისარგებლოთ მეორე თავში გამოყენებული ხერხით;

დ) „გ“ პუნქტში მიღებულ რიცხვს მარჯვენივ უერთდება ჯერ K_5-ის, შემდეგ კი – K_6-ის წილადური ნაწილის თანრიგები.

მაგალითად, ვთქვათ, $K_1 = 0{,}41$, $K_2 = 0{,}35$, $K_3 = 0{,}45$, $K_4 = 0{,}12$, $K_5 = 0{,}05$ და $K_6 = 0{,}21$. მაშინ Э შეფასება (ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების დონე) ტოლი იქნება: Э= 12,44512%. მძიმის შემდეგ 5 თანრიგი აქ იმდენად სიზუსტისთვის კი არაა მოცემული, რამდენადაც იმის გასათვალ-

ისწინებლად, თუ როგორი უნდა იყო ბანკის განვითარების უახლოესი და მომდევნო სტრატეგიული ამოცანები. ამ მაგალითში უახლოესი სტრატეგიული ამოცანა უნდა იყოს საკუთარი კაპიტალის ზრდის ტემპების ამაღლება 0,35 სიდიდემდე (თუკი ეს შესაძლებელია).

მომსახურების დივერსიფიკაციის სტრატეგიის არსი დაიყვანება მომსახურებათა რაოდენობის გეგმაზომიერად მატებაზე და წინათ უცნობი მომსახურების შექმნაზე, ახალი ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვასა და ათვისებაზე. ამ სტრატეგიის დროს K_3 მაჩვენებელი ყველაზე მნიშვნელოვანია დანარჩენ სპეციალურ განმაზოგადებელ მაჩვენებლებს შორის, ამასთან, K_1, K_2 და K_4-ს გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე K_5 და K_6-ს, K_5 კი K_6-ზე უფრო მნიშვნელოვანია.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინტეგრალური შეფასება ამ შემთხვევაში წარმოადგენს შერეულ ათწილადს, რომლის მთელი ნაწილი პროცენტობით უდრის 100-ზე გამრავლებულ K_3 რიცხვს, ხოლო წილადი ნაწილი ზემოაღწერილი მოქმედებებით მიიღება. თუკი K_1=0,41, K_2=0,35, K_3=0,45, K_4=0,6, K_5=0.05 და K_6=0,2 და დამრგვალების შემდეგ ერთი თანრიგი იგულისხმება, მაშინ Э = 45,44612%.

მაგრამ თუკი Э ინტეგრალური მაჩვენებლის მნიშვნელობათა ზრდას თან არ ახლავს K_2 ევოლუციური საიმედოობის მაჩვენებლის ზრდა იმავე პროპორციებით, მაშინ ინტეგრალური შეფასება უნდა შევასრულოთ ოპტიმალური დანაზარჯების სტრატეგიის აღწერისას გამოყენებული წესით. ეს უზრუნველყოფს ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის მოქნილობას.

მოკლე დასკვნები

1. კრედიტი არის ფულადი კაპიტალის ან საქონლის გაცემა ვალად, განსაზღვრული ვადითა და მატერიალური უზრუნველყოფით ფიქსირებული სარგებლის (პროცენტის) საფასურად. იგი გამოხატავს კაპიტლის წარმოების პროცესის მონაწილეთა შორის განსაზღვრულ ეკონომიკურ ურთიერთობებს. საკრედიტო ურთიერთობათა აუცილებლობა განაპირობა ერთი მხრივ, დროებით თავისუფალი სახსრების სოლიდური ოდენობით თავმოყრამ, მეორე მხრივ, მათზე მოთხოვნილების არსებობამ.

2. კომერციული ბანკების მიერ აქტიური საკრედიტო ოპერაციების ჩატარებას ცენტრალური ბანკის მრავალი ნორმატიული აქტი აწესრიგებს. ბანკების საქმიანობის სავალდებულო ეკონომიკურ ნორმატივებს შორისაა:

- კაპიტალის საკმარისობის ნორმატივები;
- რისკის მაქსიმალური სიდიდე ერთ ბსესხებელზე ან ერთმანეთთან დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფზე;
- რისკის მაქსიმალური სიდიდე ერთ კრედიტორზე (მეანაბრეზე);
- ბანკის მიერ თავისი მონაწილეებისა და ინსაიდერებისთვის მიცემული კრედიტების, გარანტიებისა და თავდებობების მაქსიმალური სიდიდე;
- ბანკის სათამასუქო ვალდებულებათა მაქსიმალური სიდიდე.

3. საერთოდ ბანკის საკრედიტო პოლიტიკა – იმ ღონისძიებების კომპლექსია, რომელთა მიზანია საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის ამაღლება და საკრედიტო რისკის შემცირება. საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისას, ბანკმა საჭიროა გაითვალისწინოს რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები.

საკრედიტო პოლიტიკა ფორმდება დაფიქსირებული წერილობითი დოკუმენტით, რომელიც მოიცავს კრედიტის გაცემის შესახებ, კრედიტის გასაცემად წინასწარ

ჩასატარებელი მუშაობის მარეგლამენტირებელ დებულებას.

4. საბანკო დაკრედიტების ორგანიზაცია, საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებების განსაზღვრის გარდა, მოიცავს კრედიტის მიღების შესახებ კლიენტის განაცხადის განხილვას, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას, კრედიტის გაცემის პროცესებს, მის დაბრუნებას (დაფარვას), აგრეთვე, ამ ყველაფრის კონტროლს.

5. მსესხებლის ფინანსურ შეძლებულობას დიდი მნიშვნელობა აქვს კრედიტორი ბანკისთვის, რადგან იგი მოელის კრედიტის სახით გაცემული თანხისა და მისი პროცენტების დროულად მიღებას. მსესხებლის ასეთ შეძლებულობას გამოხატავს მისი გადახდისუნარიანობა და კრედიტუნარიანობა. აღსანიშნავია, რომ არსებობს მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების განსხვავებული მეთოდები, რომლებიც კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს ერთმანეთს, ე.ი. საჭიროა მათი კომპლექსურად გამოყენება.

6. ბანკებისთვის ფული ,,ყიდეა-გაყიდვის" საგანია და აქვს ფასი – საბანკო პროცენტი. ამ ცნებას ხმარობენ იმ ფასის აღსანიშნავად, რომელსაც ბანკი იხდის მოზიდული სახსრებისთვის (პროცენტი სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში აღებული კრედიტისათვის, პროცენტი ფიზიკური და იურიდიული პირების ანაბრებსა და დეპოზიტებზე, სააღრიცხვო პროცენტი, პროცენტი კლიენტების ანგარიშებზე დარჩენილ ნაშთებზე); იმ ფასის აღსანიშნავად, რომელსაც ბანკი იღებს მის მიერ განთავსებულ სახსრებზე. ამ უკანასკნელის კერძო შემთხვევაა საბანკო კრედიტის, როგორც ფულის იმ თანხის ფასი, რომელსაც დროებით სარგებლობაში აძლევენ მსესხებელს.

7. ბანკის საკრედიტო საქმიანობის ხარისხზე მთელი რიგი კრიტერიუმების მეშვეობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. მათ შორისაა:

- საკრედიტო ოპერაციების რენტაბელობა (დინამიკაში);
- მკაფიოდ ფორმულირებული საკრედიტო პოლიტიკის და მისი რეალიზაციის მექანიზმებისა და პროცედურების არსებობა;
- კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების დაცვა დაკრედიტების დარგში;
- საკრედიტო პორთფელის მდგომარეობა;
- საკრედიტო რისკების მართვის მექანიზმის არსებობა.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

აქცეპტური კრედიტი – ბანკების მიერ გაცემული კრედიტი კლიენტის წარდგენილი გადასაპირებელი თამასუქის აქცეპტირების გზით. გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობაში, როგორც იმპორტის დაკრედიტების ერთ-ერთი ფორმა.

აქცეპტურ-რამბუსული კრედიტი – აქცეპტური კრედიტის გართულებული ფორმა, რომლის დროსაც თამასუქი წარედგინება არა იმპორტიორის ბანკს, არამედ ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე რომელიმე პირველხარისხოვან ბანკს საერთაშორისო ბაზარზე.

ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოება – ფინანსურ ბაზარზე მიმდინარე დესტრუქციული ცვლილებების მიმართ გაძლებისა და საბანკო ბიზნესის საკონკურენციო ბრძოლაში თავის გადარჩენის უნარი. გვევლინება ბანკში სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლად.

იპოტეკური კრედიტი – კრედიტის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ფორმა, სესხი, რომელსაც გასცემს იპოტეკური ბანკი ხანგრძლივი ვადით (10დან 15 წლამდე) უძრავი ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობები) გირაოდ დატოვების საფუძველზე.

კომერციული კრედიტი – კრედიტი, რომელსაც გამყიდველი აძლევს მყიდველს იმ პირობით, რომ იგი ნაყიდი საქონლის საფასურს განვადებით გადაიხდის. კომერციული კრედიტი გაიცემა

მიმდინარე ხარჯებისათვის ერთ წლამდე ვადით სათამასუქო კრედიტის ან ღია ანგარიშის ფორმით.

კრედიტი — დროებითი თავისუფალი ფულადი სახსრების ან საქონლის გაცემა ვალად განსაზღვრული ვადით ფიქსირებული პროცენტის საფასურად. კრედიტის ფორმებია: საბანკო, კომერციული, სახელმწიფო, საერთაშორისო.

კრედიტის დაფარვის პირობები — 1) პერიოდულად: თვის, კვარტლის, ნახევარი ან ერთი წლის განმავლობაში. 2) თანაბარ ნაწილებად გადახდა: ძირითადი თანხის და დარიცხული პროცენტების გადახდა თანაბარი ოდენობით დათქმული ვადის განმავლობაში. 3) მზარდი ჯამით გადახდა: ვალის დაფარვისათვის დათქმულ პერიოდში ყოველი მომდევნო წლის გადასახადი თანხის წილის გაზრდა. 4) ნაშთის ერთჯერადი დაფარვა ფულის საბოლოო გადახდა ვადის დადგომისას. ჩვეულებრივ გადასახდელი თანხა ვალის საერთო რაოდენობის 15-25%-ს არ აღემატება.

კრედიტის რაციონირება — ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს საბანკო სისტემის კრედიტის ნორმირებულ განაწილებას.

კრედიტის სიდიდის შეზღუდვა — ფულადი პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებს ცენტრალური ბანკი. კომერციულ ბანკებზე გასაცემი კრედიტის სიდიდის შეზღუდვის საფუძველზე.

კუპიურა — ნომინალური ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ქაღალდის ფულზე, ბანკნოტებზე. ობლიგაციებზე და სხვა ფასიან ქაღალდებზე, აგრეთვე თვით ეს ქაღალდის ფული, ბანკნოტი, ობლიგაცია და სხვა.

კუპონი — ფასიანი ქაღალდის ნაწილი, რომელიც იჭრება და ხელწერილის ნაცვლად ეძლევა პროცენტის ან დივიდენდის მიმღებს.

კურტაჟი — კომერციული გასამრჯელო, რომელსაც იღებს მაკლერი ბირჟის წევრებისაგან — ბროკერებისგან. დილერებისგან, მათ შორის გარიგებების დაფიქსირებისათვის. კურტაჟი გაიცემა ოპერაციების განხორციელების შემდეგ, ორივე მხრიდან თანაბარი ოდენობით.

კრედიტორი — სესხის გამცემი იურიდიული ან ფიზიკური პირი რომელიც ვალად იძლევა რაიმე თანხას.

ლაგი — დროის გარკვეული მონაკვეთი მიზეზ-შედეგობრივ კავშირში მყოფ მოვლენებსა და პროცესებს შორის.

ლაჟი — ქაღალდის ფულში გამოსატული ოქროს საბაზრო ფასის ზრდა ქაღალდის ფულის რაოდენობასთან შედარებით. ფასიანი ქაღალდებისა და ფულის ნიშნების საბირჟო კურსის ამაღლება მათი ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით. ანგარიშობენ პროცენტობით.

მომსახურების დივერსიფიკაციის სტრატეგია — კლიენტების მომსახურების სპექტრის გეგმაზომიერად გადიდება. ახალი ფინანსური და სხვა ინსტრუმენტების შემოღება და ათვისება.

ოპტიმალური დანახარჯების სტრატეგია — ბანკის ხარჯების — მომსახურების ტარიფების, თანამშრომელთა ხელფასის, წარმომადგენლობითი ხარჯების, გადასახადებზე განცდილი დანაკარგების — გონივრულად შემცირება.

როლოველური კრედიტი — ითვალისწინებს პროცენტის განაკვეთის პერიოდულ გადასინჯვას. სახელშეკრულებო ვადა იყოფა მოკლე პერიოდებად (3-6 თვედ), ხოლო მტკიცე პროცენტული განაკვეთი დგინდება მხოლოდ პირველ ეტაპზე. ყოველ მიმდინარე ეტაპზე ფასების პროცენტული განაკვეთისა და ვალუტის კურსის ცვალებადობის გათვალისწინებით.

საბანკო კრედიტი — ბანკის მიერ აკუმულირებული თავისუფალი ფულადი სახსრებისა და საკუთარი კაპიტალის გაცემა კლიენტებისათვის დროებითი სარგებლობისათვის. ხორციელდება სესხის გაცემის, ბანკის მიერ კლიენტის თამასუქის დისკონტირების, თამასუქის ღირებულების კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე მოთავსებისა და სხვა ფორმით. საგარეო ვაჭრობაში საბანკო კრედიტის ფორმებია: ფორფეიტინგი, აქცეპტურ-რამბურსული კრედიტი და სხვა.

საექსპორტო კრედიტი — კრედიტი, რომელიც გაიცემა საზღვარგარეთის ქვეყნებში იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე, საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დაფინანსების მიზნით.

საგალუტო კრედიტი — უცხოური ვალუტით აღებული კრედიტი.

სამომხმარებლო კრედიტი — კრედიტის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გულისხმობს საქონლის გაყიდვას უშუალოდ მომხმარებლის მიერ საფასურის განვადებით გადახდის პირობით.

საერთაშორისო კრედიტი — კრედიტი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის ფირმებსა და სახელმწიფოებს შორის საკრედიტო ურთიერთობაში. არსებობს კომერციული, საბაჟო და სახელმწიფო კრედიტის სახით.

სარგებლიანობის თეორია — სარგებლიანობის ფუნქციად წოდებულ ერთ ინტეგრალურ მაჩვენებელზე ობიექტის მრავალი თვისების (მაჩვენებლის) დაყვანის მეთოდოლოგია, რომელსაც იყენებენ შესასწავლი მოვლენების, ეკონომიკის ბუნების პროცესების, პოლიტიკისა და ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროების ფასეულობის რაოდენობრივ შეფასებათა მიღებისთვის. მისი აგების ამოსავალი მონაცემებია ადამიანების მიერ რაიმესთვის უპირატესობის მინიჭება (მჯობინება), ე.ი. შესასწავლი ობიექტების ფასეულობის შესახებ სუბიექტური აზრები, რომლებსაც ისინი გამოხატავენ ან სხვა ობიექტების მიმართ, ან ერთი და იმავე ობიექტების მიმართ, ოღონდ განსხვავებულ სიტუაციებში.

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. რაში მდგომარეობს ბანკის კრედიტის ეკონომიკური მნიშვნელობა?
2. რა კრიტერიუმების მიხედვით შეიძლება საკრედიტო ოპერაციების კლასიფიკაცია?
3. რა ფაქტორები ზემოქმედებენ კრედიტის ფასზე?
4. დაახასიათეთ დაკრედიტების პრინციპები და მათი კავშირი ბანკის ლიკვიდობასთან.
5. რაში მდგომარეობს ბანკის საკრედიტო პოლიტიკა?
6. ჩამოთვალეთ საკრედიტო პოლიტიკის ელემენტები.
7. დაასახელეთ ბანკის საკრედიტო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორები.
8. ჩამოაყალიბეთ ბანკის პოლიტიკის ფორმირების მიზნების პრიორიტეტები და ეტაპები დაკრედიტების სფეროში.
9. რა არის საკრედიტო განაცხადი და მოკლედ გადმოეცით მისი განხილვის პროცედურა.
10. რა საფეხურებს მოიცავს საკრედიტო განაცხადის ანალიზი?
11. რა საშუალებებით შეუძლია ბანკს შეამციროს დაკრედიტების რისკი?
12. ახსენით საკრედიტო ოპერაციების განსხვავება ბანკების ინვესტიციებისაგან ფასიან ქაღალდებში.
13. განმარტეთ ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოება.
14. რა შეადგენს ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითად ამოცანებს?
15. რა არის ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებელი.
16. ზოგადად დაახასიათეთ ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების დროს გამოყენებული ანალიზის მეთოდები.
17. ძირითადი ტიპის რომელ სტრატეგიებს ახორციელებს ბანკი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით?

რეკომენდებული ლიტერატურა

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.
Банковское дело: Учебник под. ред. **Г.Г. Коробовой.** М.: Экономист, 2003.
Банковское дело. Учебник/ Под ред. **О.И. Лаврушина.** М., ФиС, 2004.
Батракова Л.Г. Экономический Анализ деятельности коммерческого банка. М.: Логос, 2002.
Беляков А.В. Банковские риски: Проблемы учета, управления и регулирования. М.: БДЦ-Пресс, 2003.
Белоглазова Г.Н., Кроливецкая Л.П. Банковское дело. Питер, 2004.
Бородин А.В. Математические модели управления кредитным портфелем коммерческого банка. Йошкар-Ола: МарГТУ, 1998.
Долан Э. Дж. Деньги, банки и денежно-кредитная политика, СПБ.: Оркестр, 1994.
Жарковская Е.П. Аренде И.О. Банковское дело. Курс лекций М.: Омега - Л, 2003.
Коробова Г.Г. Банковское дело. Учебник. М.: Экономист, 2004.
Лекции о деятельности центральных банков. Под ред. **М. Роккаса; К. Мастропаскуа.** Рим, 1996.
Миловидов В.Д. Современное банковское дело: Опыт организации и функционирования банков США. М.: Изд.-во МГУ, 1992.
Мод Д., Молино Ф. Private Banking: элитное обслуживание частного капитала. М.: Альпина Паблишер, 2003.
Морсман Э. Кредитный департамент банка: Организация эффективности работы. М.: Альпина Паблишер, 2002.
Москвин В.А. Управление рисками при реализации инвестиционных проектов. М.: Финансы и статистика, 2003.
Общая теория денег и кредита. Под ред. **Е.В. Жукова, Л.М. Максимова** и др. М.: ЮНИТИ, 1995.
Руководство по кредитному менеджменту: Пер. с английского. Под ред. **Б Эдвардса. М.: Инфра _ М, 1996.**
Синки Д.Ж. (мл.). Управление финансами в коммерческих банках: М.: **Catallaxy, 1994.**
Управление деятельности коммерческого банка (банковский менеджмент). под ред. **О.И. Лаврушина.** М.: Юрист, 2002.
Ширинская З.Б. Операции коммерческих банков и зарубежный опыт. М.: Финансы и статистика, 1993.
Челноков В.А. Банки и Банковские операции: Букварь кредитования. Технологии банковских ссуд. Околобанковское рыночное пространство. Учебник. М.: Высшая школа, 2004.
Челноков В.А. Букварь кредитования. М.: Антидор, 1996.
Экономическая безопасность: деньги, финансы, банки. Под. ред. **В.К. Сенчагова.** М.: Финстатинформ, 1998.

მეთორმეტე თავი. კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციები

ტერმინები და ძირითადი ცნებები
12.1. სავალუტო ბაზრის ცნება. სავალუტო ბაზრის ფუნქციები
12.2. სავალუტო ოპერაციების ეკონომიკური საფუძვლები
12.3. სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურა საქართველოში
12.4. სავალუტო ოპერაციების რეგულირება
12.5. სავალუტო რისკები და მათი რეგულირება
მოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

არაკონვერტირებადი ვალუტა
ბანკის სავალუტო პოზიცია
გაანგარიშებითი სავალუტო ფორვარდი
გადამცვლელი პუნქტი
გადახდის ვალუტა
გამყიდველის კურსი
გრძელი სავალუტო პოზიცია
დახურული სავალუტო პოზიცია
ეროვნული ვალუტა
ვადიანი სავალუტო გარიგებები
ვალუტა
ვალუტის ბაზარზე ზეწოლის ინდექსი
ვალუტის ბლოკირება
ვალუტის კალათი
ვალუტის კონვერტირება
ვალუტის კურსი
თავისუფლად კონვერტირებადია
ირიბი კოტირება
კონვერსიული (კონვერტირებული) არბიტრაჟი
კონვერსიული ოპერაციები
კონვერტირებადი ვალუტა
კოტირება
კროს-კურსი
კურსი
მყიდველის კურსი
მოკლე სავალუტო პოზიცია
ნაწილობრივ კონვერტირებადი
პირდაპირი კოტირება
სავალუტო არბიტრაჟი
სავალუტო-გაცვლითი ოპერაციები
სავალუტო ლიცენზია
სავალუტო ოფციონი
სავალუტო პარიტეტი ან ოფიციალური
სავალუტო კურსი
სავალუტო პოლიტიკა
სავალუტო სისტემა
სავალუტო ურთიერთობანი
სავალუტო ფიუჩერსი
სავალუტო ფორვარდი
სარეზერვო ვალუტა
საშუალო კურსი
სვოპი
სპოტური სავალუტო გარიგებები
უცხოური ვალუტა
ღია სავალუტო პოზიცია
ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი
შიდა კონვერსია

12.1. ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲪᲜᲔᲑᲐ. ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ

სავალუტო ოპერაციებს საფუძვლად უდევს საერთაშორისო ვაჭრობა და, მაშასადამე, კაპიტალების საერთაშორისო მოძრაობა. მაგალითად, ინგლისელი ექსპორტიორი იაპონელ მყიდველზე ყიდის საქონელს. ამისთვის აუცილებელია იმპორტიორის იაპონური იენის გადაქცევა გირვანქა სტერლინგებად საქონლის მიწოდებლისათვის.

სავალუტო ბაზარი მსოფლიოში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საფინანსო ბაზარია, რომელზეც ერთი ქვეყნის ვალუტა სხვა ვალუტაზე იყიდება. საერთაშორისო სავალუტო ბაზარი არასაბირჟო ბაზარია. მისი მონაწილეები გაცვლის ოპერაციებს მთელ მსოფლიოში ახდენენ კომერციული და საინვესტიციო ოპერაციების მეშვეობით და საამისოდ იყენებენ კომპიუტერულ ტერმინალებს, ტელეფონებს, ინტერნეტსა და კავშირის სხვა საშუალებებს. მაგალითად, ვალუტაზე ოპერაციების განსახორციელებლად ერთ-ერთი საკომუნიკაციო ქსელია ბელგიის არაკომერციული სტრუქტურა SWIFT (Society For Wordwide Interbank Financial Telecommunications).

სავალუტო ბაზრის ძირითადი მონაწილეები არიან:

- კომერციული ბანკები;
- იმპორტიორები, რომლებიც შემოსულ საქონელს ვალუტით იხდიან;
- ექსპორტიორები, რომლებიც გატანილი საქონლისთვის ვალუტას იღებენ და ეროვნულ ფულად ერთეულში ახდენენ მის კონვერტირებას;
- პორტფელური ინვესტორები, რომლებიც ყიდულობენ და ყიდიან საზღვარგარეთულ აქციებსა და ობლიგაციებს;
- სავალუტო ბროკერები, რომლებიც კლიენტის შეკვეთით ყიდულობენ და ყიდიან ვალუტას;
- დილერები, რომლებიც კურსის სხვაობაზე თამაშობენ და სპეკულაციურ გარიგებებს ახორციელებენ ვალუტაზე;
- ტრეიდერები, რომლებიც სავალუტო ბაზრის მარკეტმეიკერებად გვევლინებიან.

საერთაშორისო ფინანსების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია უცხოური ვალუტის გაცვლა. ვალუტების საერთაშორისო კურსები, საპროცენტო განაკვეთები და ინფლაციის დონე, ჩვეულებრივ, ისინი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.


უცხოურ ვალუტაზე ჩატარებულ ოპერაციებს ეკუთვნის:

- კლიენტურის სავალუტო ანგარიშსწორებების წარმოება;
- საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარება ადგილობრივ უფლებამოსილ სუბიექტებსა და საზღვარგარეთულ ბანკებს შორის;
- საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული საერთაშორისო ანგარიშსწორებები:
- უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ვალუტის შიდა ბაზარზე;
- სავალუტო სასხვრების მოზიდვა და განთავსება ქვეყნის შიგნით;
- საკრედიტო ოპერაციები ფულის საერთაშორისო ბაზრებზე;
- სადეპოზიტო და კონვერსიული ოპერაციები ფულის საერთაშორისო ბაზრებზე.

სავალუტო ოპერაციების კლასიფიკაცია 12.1 სქემაზეა მოყვანილი.

კომერციულ ბანკებს ამ ოპერაციების ჩატარება შეუძლიათ მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ლიცენზიის ქონის შემთხვევაში. ამგვარი ლიცენზიებია:

- ლიცენზია საბანკო ოპერაციების შესრულებაზე ეროვნული ან უცხოური ვალუტით (გარდა ანაბრებზე ფიზიკური პირების სახსრების მოზიდვისა). ამგვარი ლიცენზია შეიძლება მიეცეს მოქმედ ან ახლად გახსნილ ბანკს. მის მქონე ბანკს შეუძლია საკორესპონდენტო ურთიერთობები დაამყაროს შეუზღუდავი რაოდენობის საზღვარგარეთულ ბანკებთან;



12.1. სქემა. სავალუტო ოპერაციების სქემა

• ლიცენზია ფიზიკური პირების სახსრების ანაბრებში მოზიდვაზე (ეროვნული და უცხოური ვალუტით). მას ისეთ ბანკს აძლევენ, რომლის რეგისტრაციიდან არანაკლებ 2 წელიწადია გასული;

• გენერალურ ლიცენზიას აძლევენ იმ ბანკს, რომელიც ყველა საბანკო ოპერაციას ასრულებს ეროვნული და უცხოური ვალუტით. ამ ლიცენზიის მქონე ბანკი უფლებამოსილია ფილიალები შექმნას საზღვარგარეთ და მონაწილეობდეს არარეზიდენტი საკრედიტო ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალში.

ბანკს, რომელსაც ერთი ან რამდენიმე ლიცენზია აქვს მიღებული, უფლებამოსილ ბანკს უწოდებენ და იგი სავალუტო კონტროლის აგენტს წარმოადგენს, რომელიც ანგარიშვალდებულია ეროვნული ბანკის წინაშე.

სავალუტო ოპერაციების ჩატარების დროს აუცილებელია სავალუტო კანონმდებლობის დაცვა. სწორედ ამ მიზნით ცენტრალური ბანკი ატარებს სავალუტო კონტროლს, რომელიც მოიცავს:

• ჩატარებული სავალუტო ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის განსაზღვრა და აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვების ქონის გარკვევა;

• უცხოურ ვალუტაზე სახელმწიფოს წინაშე რეზიდენტებისათვის დაწესებული ვალდებულებების შესრულების შემოწმება, აგრეთვე, ქვეყნის სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის გაყიდვის ვალდებულებების შემოწმება;

• უცხოური ვალუტით გადახდათა დასაბუთების ანალიზი;

• სავალუტო ოპერაციების, აგრეთვე, არარეზიდენტების მიერ უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების აღრიცხვისა და ანგარიშგების სისრულისა და ობიექტურობის შემოწმება.

სავალუტო კონტროლს ახორციელებს ქვეყნის მთავრობა, სავალუტო კონტროლის ორგანოები და სავალუტო კონტროლის სააგენტოები კანონმდებლობის შესაბამისად.

სავალუტო კონტროლის ორგანოა, აგრეთვე ქვეყნის ცენტრალური ბანკი.

კომერციული ბანკები უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების ანალიტიკურ აღრიცხვას ახდენენ ორმაგი შეფასების მეშვეობით: სხვა ქვეყნების ვალუტების ჭრილში ნომინალით და ეროვნული ფულადი ეკვივალენტით ცენტრალური ბანკის მიმდინარე კურსის შესაბამისად, რომლის შეცვლის შემთხვევაში სავალდებულოა სავალუტო მუსლების გადაფასება.

უცხოური ვალუტით შესრულებული მრავალი სავალუტო ოპერაცია, მაგალითად, ანაბრების მოზიდვა, კრედიტების გაცემა და ა.შ. ეროვნული ვალუტის ანალოგიურია. თუმცა, აქაც არსებობს ზოგიერთი სპეციფიკა. მაგალითად, სავალუტო კრედიტებზე საორიენტაციო განაკვეთია არა ცენტრალური ბანკის რეფინანსირების, არამედ LIBOR-ის განაკვეთი (LIBOR - London Interbank Offered Rates). ესაა ლონდონის ბანკთაშორის ბაზარზე სავალუტო სახსრების განთავსების გამაკეთი, რომელსაც ფულის ბაზრის ყველა მონაწილე აღიარებს. LIBOR-განაკვეთს ყოველდღიურად აზუსტებენ 16 ბანკის გამოკითხვის საფუძველზე, რომლებსაც ლონდონის ფულის ბაზრის ძირითად მარკეტმეიკერებად ირჩევენ. ამას ახდენს ბრიტანეთის ბანკირთა ასოციაცია (BBA) ლონდონის დროით 11 სთ-ზე, რაც გარკვეული დროის შემდეგ ჩნდება ძირითად საინფორმაციო სააგენტოების ეკრანებზე. LIBOR-ი ყოველდღიურად ქვეყნდება 13 ვალუტისათვის (მათ შორის 1999 წ. 1 იანვრიდან ევროსთვის).

საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების შესრულების დროს ყოველ კლიენტს უფლებამოსილ ბანკში უხსნიან პარალელურად მოქმედ ორ ანგარიშს: ტრანზიტულსა და მიმდინარეს. საექსპორტო ოპერაციის დროს ტრანზიტულ ანგარიშზე რიცხავენ უცხოური ვალუტით მიღებულ შემოსულობათა მთელ მოცულობას. მიმდინარე ანგარიშზე აღირიცხება ის სახსრები, რომლებიც კლიენტის განკარგულებაში რჩება სავალუტო ამონაგების სავალდებულო გაყიდვის შემდეგ. სავალდებულო გაყიდვის ნორმა დღეს 50%-ს შეადგენს. სავალუტო ამონაგების ნაწილის სავალდებულო გაყიდვა უნდა ხორციელდებოდეს მისი შემოსვლის დღიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული

დღისა. ეს ვალუტა შეიძლება უფლებამოსილი ბანკის მიერ (ანგარიშის მფლობელის განკარგულებით).

ბანკის სავალუტო ოპერაციების მართვის ძირითადი ამოცანაა კლიენტებისათვის იმის შესაძლებლობის მიცემა, რომ მოახდინონ თავიანთი აქტივების კონვერტირება ერთი ვალუტიდან მეორეში. ამიტომ ცალკე უნდა განვიხილოთ ის ოპერაცია, რომელიც უკავშირდება კონვერსიას, ე.ი. ერთი ვალუტის გაცვლას მეორეზე. ამას კონვერსიულ ოპერაციებს უწოდებენ. იგი ტარდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ფორმით. ამ გარიგებათა შესაბამისად სახსრების მიწოდება შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ, გარიგების დადების თარიღიდან ორი სამუშაო საბანკო დღის განმავლობაში (ე.წ. სპოტური ოპერაციები) ან გარკვეული ვადის შემდეგ, რომელიც ორ საბანკო სამუშაო დღეს აღემატება (ვადიანი სავალუტო ოპერაციები).

ნაღდი უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ხდება ვალუტის გაცვლის ოპერაციების პროცესში, რომლებსაც ბანკების გამცვლელი პუნქტები ახორციელებენ.

ოპერაცია „სპოტი" არის ერთი ვალუტის მეორით ყიდვა მიმდინარე საბაზრო პირობებით. ამ ოპერაციებისათვის ანგარიშსწორება „საკასო" საფუძველზე სრულდება გარიგებათა დადებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში, თანაც ორივე გადახდა ერთდროულად უნდა ხდებოდეს. „სპოტური სავალუტო გარიგების" ცნება მოიცავს სამი სახის გარიგებას, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება შესაბამისი სახსრების მიწოდების დროის მიხედვით.

იმ კურსს, რომლის საფუძველზეც ხდება ერთი უცხოური ვალუტის მეორეზე ყიდვა-გაყიდვა, კროს-კურსს უწოდებენ. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გარიგებები შეიძლება ხორციელდებოდეს უშუალოდ უფლებამოსილ ბანკებს შორის არასაბირჟო ბაზარზე ან სავალუტო ბირჟების მეშვეობით.

თუკი კომერციული ბანკი არასაბირჟო ბაზარზე ეძებს პოტენციურ კონტრაგენტებს სპეციალიზებული შუამავლების ან უცხოური ვალუტით ვაჭრობის ორგანიზებული სისტემის მეშვეობით, მაშინ ის ათაასებს განაცხადს, რომელშიც მითითებულია გარიგების პირობები (TOD, TOM, SPOT), ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის კურსი და შესაძენი ან გასაყიდი ვალუტის რაოდენობა. ამ ოპერაციებში მეტად მაღალია კონტრაგენტის მიერ გარიგებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის რისკი. ამიტომ ბანკები აწესებენ სხვადასხვა საკრედიტო ორგანიზაციებთან ამგვარ ოპერაციათა ჩატარების ლიმიტებს.

თუკი კომერციული ბანკი უცხოური ვალუტით ვაჭრობას ეწევა ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე, მაშინ იგი ამ ბირჟის წევრი უნდა იყოს.

უფლებამოსილ ბანკებს უცხოური ვალუტის ყიდვა და გაყიდვა შეუძლიათ საკუთარი სახელითა და საკუთარი ხარჯით, ან საკუთარი სახელით, მაგრამ კლიენტების ხარჯზე და მათივე დავალებით. თუკი ბანკები ვალუტას საკუთარი ხარჯებით ყიდულობენ და ყიდიან, მაშინ ისინი ამას აკეთებენ ან მოგების მიღების მიზნით, ან თავიანთი ლიკვიდობის შენარჩუნების გულისთვის, ან ბანკისათვის მოწყობილობის შესაძენად უცხოეთში და ა.შ.

ბანკებს უფლება აქვთ მოგების მიღების მიზნით დადონ საარბიტრაჟო და სპეკულაციური გარიგებები.

საარბიტრაჟო გარიგებები ერთმანეთს უხამებს უცხოური ვალუტის ყიდვის (გაყიდვის) გარიგებასა და მისი გაყიდვის (ყიდვის) კონტრგარიგებას. იმ მოგების მიღების მიზნით, რომელიც სხვადასხვა სავალუტო ბაზარზე ვალუტების კურსებში არსებული სხვაობის ხარჯზე წარმოიშობა. თუ უცხოური ვალუტის ყიდვა ერთ სავალუტო ბაზარზე ხდება, გაყიდვა კი მეორეზე, მაშინ ეს სივრცითი არბიტრაჟია. თუ მოგება მიიღება დროში სავალუტო კურსების ცვლილებით, მაშინ ეს დროითი არბიტრაჟია.

განვიხილოთ ვალუტის გაცვლის ოპერაციების მაგალითი სავალუტო კურსის სხვადასხვა კოტირების საფუძველზე.

სავალუტო კურსი არის ერთი ქვეყნის ვალუტის ფასი, რომელიც მეორე ვალუტითაა გამოხატული.

არსებობს გაცვლის პირდაპირი ანუ ამერიკული კურსი. იგი გვიჩვენებს, თუ რამდენ დოლარადაა შესაძლებელი სხვა ქვეყნის ფულადი ერთეულის ყიდვა (ე.ი.გვიჩვენებს დოლარის კურსს მოცემული ქვეყნის ვალუტის მიმართ). მაგალითად, ავსტრალიის დოლარი 0,7245 ამერიკული დოლარი ღირს. ეს იმას ნიშნავს, რომ 1 ავსტრალიური დოლარის ყიდვა 0,7245 ამერიკულ დოლარად შეიძლება. გაცვლის შებრუნებული ანუ ევროპული კურსი გვიჩვენებს უცხოური ვალუტის რაოდენობას 1 დოლარისთვის. ეს კოტირება ამერიკულის საპირისპიროა (ქვეყნის ვალუტის კურსი დოლარის მიმართ). თუ ჩვენს მაგალითს გავაგრძელებთ: 1 ამერიკული დოლარი შეგვიძლია ვიყიდოთ 1,3803 ავსტრალიურ დოლარად (1:0,7245).

მაგალითი №1

თქვენ გაქვთ 1000 დოლარი, მაგრამ გჭირდებათ იაპონური იენები. რამდენი იაპონური იენის ყიდვას შეძლებთ, თუ დოლარის მიმართ იენის გაცვლის კურსია 105,15? რომელ კურსს გამოიყენებთ პირდაპირს თუ შებრუნებულს?

1000 დოლარად თქვენ მიიღებთ: 1000 დოლარი X 105,15 იენა ერთ დოლარში = 105150 იენას (ევროპული კურსი).

მაგალითი №2

თუკი ავტომობილი 2000 000 ევრო ღირს, რამდენი დოლარი დაგჭირდებათ მის შესაძენად? პირდაპირ კურსს გამოიყენებთ გაანგარიშებისთვის თუ შებრუნებულს?

თუკი ევროს მიმართ დოლარის კურსია 0,8756, მაშინ მიიღებთ:

200000 ევრო X 0,8756 დოლარი ევროში = 175120 დოლარს (პირდაპირი კურსი).

ბესამე ვალუტის მეშვეობით კურსის განსაზღვრის დროს წარმოიშობა კროს-კურსები, რომლებიც სამმაგ არბიტრაჟზე გარიგებათა საფუძველად გვევლინება.

კროს-კურსი არის არაამერიკული ვალუტის გასაცვლელი კურსი, რომელიც სხვა არაამერიკული ვალუტითაა გამოხატული. დოლარის გამოყენება იმისათვის, რომ მისი მეშვეობით გამოიხატოს სხვა ვალუტათა კურსები, მნიშვნელოვნად ამცირებს შესაძლო კროს-კურსების რაოდენობას.

განვიხილოთ სამმაგი არბიტრაჟის ნიმუში

იაპონური იენები 1 დოლარისათვის = 100,0;

მექსიკური პესოები 1 დოლარისათვის = 3,00.

დავუშვათ, რომ კროს-კურსი ტოლია: იენები პესოსათვის = 25,00.

ამ შემთხვევაში კროს-კურსი არ შეესაბამება გაცვლის კურსს.

დავუშვათ, რომ თქვენ გაქვთ 100 დოლარი. თუ მოახდენთ მათ კონვერტირებას მექსიკურ პესოებში, მიიღებთ:

100 X 3 = 300 პესო

თუკი პესოებს იენებზე გადაცვლით, მაშინ მიიღებთ:

300 X 25 = 7500 იენა

ბაგრამ დოლარების პირდაპირ იენებზე თუ გადაცვლით, მიიღებთ:

100 დოლარი X 100 იენა = 10000 იენა

ვლინდება, რომ იენას აქვს ორი სხვადასხვა ფასი: 75 იენა დოლარისათვის და 100 იენა დოლარისათვის, იმის მიხედვით, თუ როგორც ხორციელდება გაცვლითი ოპერაცია.

ფული რომ იმოვოთ, იაფად უნდა იყიდოთ ვალუტა და ძვირად გაყიდოთ იგი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ იენა უფრო იაფია, თუკი მას ყიდულობთ დოლარებით, რადგან თქვენ 100 იენას მიიღებთ შესაძლო 90-ის ნაცვლად.

ასე, რომ საჭიროა ჩაატაროთ შემდეგი ოპერაციები


1. იყიდოთ 10000 იენა 100 დოლარად.

2. 10000 იენით იყიდოთ მექსიკური პესოები კროს-კურსით. რადგან პესო 25,0 იენა ღირს, ამიტომ თქვენ მიიღებთ 10000/25,0 = 400 პესო.

3. 400 პესოთი შეგიძლიათ იყიდოთ დოლარები. დოლარის მიმართ პესოს კურსია 3. შესაბამისად, თქვენ 400 პესოდ მიიღებთ 133,3 დოლარს (400/3).

მთლიანად ამ ოპერაციებიდან მიღებული მოგება 33,3 დოლარს შეადგენს.

ამ პროცედურამ მიიღინა „სამმაგი არბიტრაჟის" სახელი, რადგან გაცვლითი ოპერაციების პროცესში ვალუტა სამი განსხვავებული კურსით იცვლება, რაც 12.2 სქემაზე ჩანს.



12.2. სქემა. სამმაგი არბიტრაჟის პროცედურა

ამგვარ გარიგებათა აღსაკეთად საჭიროა დაწესდეს ისეთი კროს-კურსი, რომლის მეშვეობითაც 100 იენა 3 პესოს ტოლი იქნება:

(100 იენა/1 დოლარი): (პესო 3/1 დოლარი) = 33,3 იენა/1 პესო.

ამგვარად, პესოსთან იენის კურსია 33,3 იენა პესოში. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ჩნდება სამმაგი არბიტრაჟის შესაძლებლობა.

ამჟამად საერთაშორისო ბაზარზე ფართოდაა განვითარებული საპროცენტო არბიტრაჟი. ამ სახის გარიგება აერთიანებს საერთაშორისო საკრედიტო ოპერაციებსა და ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის ოპერაციებს. მათი არსი შემდეგნაირად შეგვიძლია გამოვხატოთ.

ბანკი კრედიტს იღებს იმ ქვეყანაში, სადაც მისი საპროცენტო განაკვეთები უფრო დაბალია და ყიდის იმ ვალუტას, რომლითაც კრედიტს იღებს. ბანკი იძენს იმ სახელმწიფოს ვალუტას, სადაც განთავსების საპროცენტო განაკვეთები უფრო მაღალია, და დეპოზიტში განათავსებს მას. შემდეგ, დეპოზიტისა და მასზე დარიცხული პროცენტების მიღების მერე ხდება ვალუტების საპირისპირო კონვერსია და კრედიტისა და მისი პროცენტების დაბრუნება. ამ ოპერაციიდან მოგება წარმოიქმნება, როგორც იმ პროცენტების სხვაობა, რომელსაც მეარბიტრაჟე იღებს მისთვის საჭირო ვალუტით.

უფლებამოსილი ბანკების მიერ უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა შემდეგი ხერხებით შეიძლება განხორციელდეს:


უშუალოდ უფლებამოსილ ბანკთან ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადების გზით;

უფლებამოსილი ბანკების მეშვეობით სხვა საწარმოებისთვის ან ბანკებისათვის (მათ შორის ცენტრალური ბანკისათვის) ვალუტის მიყიდვის (ყიდვის) კომისიის ან დავალების ხელშეკრულების დადების გზით საბირჟო ან არასაბირჟო სავალუტო ბაზარზე.

სხვა სახის სავალუტო ოპერაციაა უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები ვადიანი გარიგებების საფუძველზე, ე.ი. ამ გარიგებათა შესაბამისად სახსრების მიწოდება დროის იმ გარკვეული პერიოდის შემდეგ, რომელიც აღემატება ორ სამუშაო საბანკო დღეს გარიგების

დადების თარიღიდან. ამ ოპერაციებს ეკუთვნის ფორვარდები, ფიუჩერსები, ოფციონები და „სვოპ"-გარიგებები.

„ფორვარდის" საფუძველზე განხორციელებული ოპერაციების დროს ვალუტის გამყიდველი ვალდებულებას კისრულობს, მყიდველს მიყიდოს მისი გარკვეული რაოდენობა მომავალი პერიოდის გარკვეულ მომენტში და იმ ფასით, რომელიც გარიგების დადების დროსაა დაფიქსირებული, როგორც მიწოდების ფასი. ეს გარიგებები ხდება, როგორც წესი, არასაბირჟო ბაზარზე. ამიტომ ყოველი მაჩვენებლის პირობები უნიკალურია და მონაწილე მხარეები მათ გარიგებათა დადების დროს ათანხმებენ. შუამავლების მონაწილეობით გარიგებათა დადების დროს ჩნდება ფინანსური ხარჯები მათი მომსახურების გასასტუმრებლად, სხვა შემთხვევაში თავდაპირველი ფინანსური ხარჯების გაწევა საჭირო არაა. ფორვარდული გარიგების დადების წესი 12.3 სქემაზეა წარმოდგენილი.



12.3. სქემა. ფორვარდული გარიგების პირობები და წესი

ამ გარიგების განხორციელების დროს მონაწილეთა ბალანსებში იხსნება სავალუტო პოზიციები: გამყიდველის ბალანსში მოკლე, ხოლო მყიდველის ბალანსში გრძელი. სავალუტო ფორვარდები იდება კომერციული და ფინანსური ოპერაციების თანხმლები რისკების ჰეჯირებისათვის. კონტრაქტის გამყიდველი, იგივე საბაზისო ვალუტის მფლობელი, თავს იზღვევს მისი კურსის დაცემისგან, მყიდველი კი - მისი აწევისგან. როდესაც ფორვარდულ კონტრაქტს სპეკულაციური მიზნებით იყენებენ, რომ მოგება მიიღონ ვალუტის კურსის შეცვლის შედეგად, მაშინ დებენ საანგარიშსწორებო ფორვარდებს. ამგვარი კონტრაქტის ფარგლებში ხდება ვალუტის პირობითი ყიდვა და გაყიდვა, რის შედეგადაც წაგებულ და მოგებულ მხარეებს შემდეგნაირად განსაზღვრავენ. თუკი საანგარიშსწორებო ფორვარდის შესრულების დღეს საბაზისო ვალუტის მიმდინარე კურსი მეტია მიწოდების კურსზე, მაშინ ამ კურსებს შორის სხვაობას მიწოდების მთელ მოცულობაზე გამყიდველი იხდის, ხოლო თუ ნაკლებია, მაშინ მყიდველი. ეს ანგარიშსწორება შემდეგ სიტუაციას ეყრდნობა: ფორვარდული კონტრაქტი ვალუტის მიწოდებას რომ ითხოვდეს, მაშინ ვალუტის გამყიდველს ზარალი მოუვიდოდა იმ მიმდინარე კურსით მისი მისი

შეძენისას, რომელიც გარიგების შესრულების მომენტში მეტია მიწოდების ფასზე. ვალუტის მყიდველს, თავის მხრივ, შეეძლო იგი გაეყიდა მიმდინარე კურსით და მიეღო მოგება. ამიტომ ამგვარი კონტრაქტის დადების დროს მყიდველი იმედოვნებს საბაზისო ვალუტის კურსის ზრდას, გამყიდველი კი - მის შემცირებას.

განვიხილოთ ფორვარდული კონტრაქტის მაგალითი:

2001 წ. 15 ნოემბერს „X" და „Y" ბანკებმა დადეს საანგარიშსწორებო ფორვარდული კონტრაქტი, რომლის თანახმად „X" ბანკი ვალდებულია 2002 წ. 15 აპრილს პირობითად მიყიდოს „Y" ბანკს 1000 ამერიკული დოლარი კურსით 31,20 ეროვნული ვალუტა/დოლარი. 2002 წ. 15 აპრილს ცენტრალურმა ბანკმა დაადგინა დოლარის ოფიციალური კურსი 31,15. ამგვარად, მიმდინარე სავალუტო კურსი მიწოდების კურსზე ნაკლები აღმოჩნდა და ამ შემთხვევაში წაგებული დარჩა „Y" ბანკი. იგი „X" ბანკს გადაურიცხავს შემდეგი ოდენობის ფულად სახსრებს:

(31,20 31,15) X 10000 = 500 ეროვნული ვალუტა.

სწორედ ესაა გამყიდველის მოგება.

საგალუტო ფიუჩერსული კონტრაქტი, არსებითად, ფორვადულს ჩამოგავს, მაგრამ ეს საბირჟო კონტრაქტია, რაც სწორედ მათ განსხვავებულობას განსაზღვრავს. ფიუჩერსული კონტრაქტის პირობები სტანდარტულია და მათ ბირჟა ადგენს, ამიტომ ეს კონტრაქტები უფრო ლიკვიდურია. ამ კონტრაქტს ფაქტიურად არა აქვს შესრულების რისკი, რადგან უფრო ხშირად თვითონ ბირჟა ხდება კონტრაქტის მოპირდაპირე მხარე, ფიუჩერსული კონტრაქტის დადების დროს მისი მონაწილეები საკომისიოს უხდიან ბირჟის წევრებს, თუკი თვითონ არ გეევლინებიან ამ წევრებად.

გარდა განხილულისა, კიდევ არსებობს ვადიანი კონტრაქტები ოფციონის პირობებით, რითაც მხარეები იძენენ კონტრაქტის პირობებით საბაზისო ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის უფლებას. ესეც პირობითი ვადიანი გარიგებაა და შესრულების უფლებების მიხედვით არსებობს:

კოლ (coll) ოფციონი. იგი ოფციონის მყიდველს აძლევს საბაზისო ვალუტის ყიდვის უფლებას, ამასთან, გამყიდველი ვალდებულია გაყიდოს ვალუტა (იყენებენ კურსის აწევა'ზე თამაშის დროს);

პუტ (put) ოფციონი. იგი ოფციონის გამყიდველს უფლებას აძლევს, გაყიდოს საბაზისო ვალუტა, ამასთან, მყიდველი ვალდებულია იყიდოს ეს ვალუტა (იყენებენ კურსის დაწევაზე თამაშის დროს).

ამასთან, შესაბამისი უფლების მიღებისთვის იხდიან გარკვეულ ფულად თანხას, რომელსაც ოფციონის ფასს ან პრემიას უწოდებენ. ოფციონები მიმოქცევაშია როგორც საბირჟო, ისე არასაბირჟო ბაზრებზე. ვადის მიხედვით შესაძლოა არსებობდეს ორგვარი ოფციონები:

ამერიკული, რომლებიც შეიძლება შესრულდეს მათი მოქმედების დასრულებამდე ნებისმიერ მომენტში;

- ევროპული, რომლებიც შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მათი მოქმედების ვადის დასრულების დღეს.

დეპოზიტური ოპერაციების მიმართ ფულის ბაზრებზე ხშირად დებენ „სვოპ" გარიგებებს, რომლებიც წარმოადგენენ მათ ყიდვას „სვოპ" პირობებით და იმავდროული რეალიზაციით „ფორვარდის" პირობებით, და პირიქით.

უცხოურ ვალუტოვან აქტივებში სახსრების განთავსების ჰეჯირებას ახდენენ შესაბამისი ვალუტის ვადიანი გაყიდვის გზით; უცხოურვალუტიანი პასივების მოზიდვის რისკების ჰეჯირებას ახდენენ შესაბამისი ვალუტის ფორვარდული ყიდვით.

უფლებამოსილ ბანკებს უფლება აქვთ, უცხოური ვალუტა იყიდონ ან გაყიდონ შიდა საგალუტო ბაზარზე ფიზიკურ პირებთან საგალუტო (არასავაჭრო) ოპერაციების განხორციელების

მიზნით. ეს ოპერაციები წარმოებს უფლებამოსილი ბანკების გადასაცვლელი პუნქტების მეშვეობით. ბანკის გადასაცვლელ პუნქტში შეიძლება მოხდეს შემდეგი ოპერაციები:

ნაღდი უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ნაღდ ეროვნულ ფულზე;

სხვა სახელმწიფოს ვალუტით არსებული გადახდის დოკუმენტების ყიდვა-გაყიდვა ნაღდი ეროვნული ან უცხოური ვალუტით;

ნაღდი უცხოური ვალუტის ან უცხოური ვალუტით არსებული გადახდის დოკუმენტების მიღება ინკასოზე წარმართვისათვის;

- უცხო სახელმწიფოთა იმ ფულის ნიშნებისა და უცხოური ვალუტით არსებული იმ გადახდის დოკუმენტების მიღება ექსპერტიზისათვის, რომელთა ნამდვილობა ეჭვს აღძრავს;

ნაღდი უცხოური ვალუტის გაცემა და ჩარიცხვა საკრედიტო და სადებეტო ბარათებით ანგარიშსწორებების დროს;

- ერთი სახელმწიფოს ნაღდი ვალუტის გაცვლა მეორისაზე;

ერთი სახელმწიფოს გადახდის ფულის ნიშნის დახურდავება იმავე ნიშნებზე;

არასაგადასახადო უცხოური ფულის ნიშნის შეცვლა იმავე ქვეყნის გადახდის ფულის ნიშნებით;


სხვა სახელმწიფოს არასაგადასახადო ფულის ნიშნის შეძენა ნაღდი ეროვნული ვალუტით.

უცხოური ვალუტით არსებულ სახსრებზე ოპერაციების ჩატარების დროს ბანკში (მის ფილიალში) შესაბამისი ვალუტით ყალიბდება აქტივები და პასივები (მოთხოვნები და ვალდებულებები), რომელთა თანაყარდობას „სავალუტო პოზიციას" უწოდებენ. ბანკის (ფილიალის) სავალუტო პოზიცია შეიძლება იყოს დახურული ან ღია:

- დახურული სავალუტო პოზიცია არის პოზიცია ცალკეულ უცხოურ ვალუტაში, რომელშიც აქტივები (მოთხოვნები) და პასივები (ვალდებულებები) რაოდენობით ერთმანეთს ემთხვევა;

- ღია სავალუტო პოზიცია აღმოცენდება ცალკეული უცხოური ვალუტის მიხედვით აქტივების (მოთხოვნების) და პასივების (ვალდებულებების) რაოდენობრივი სხვადასხვაობის დროს და წარმოადგენს ამ ვალუტით გამოხატულ მათ სხვაობას.

ბანკის ღია სავალუტო პოზიცია (ღსპ) შეიძლება იყოს გრძელი ან მოკლე (იხ.სქემა 12.4).



12.4. სქემა. ბანკის სავალუტო პოზიცია

• გრძელი ღია სავალუტო პოზიცია არის იმ ცალკეული უცხოური ვალუტით გამოხატული ღია სავალუტო პოზიცია, რომელშიც არსებული ბანკის აქტივები (მოთხოვნები) რაოდენობით აღემატება მოცემულ ვალუტაში არსებულ მის პასივებს (ვალდებულებებს);

• მოკლე ღია სავალუტო პოზიცია არის იმ ცალკეული უცხოური ვალუტით გამოხატული ღია სავალუტო პოზიცია, რომელშიც არსებული ბანკის პასივები (ვალდებულებები) რაოდენობით აღემატება მოცემულ ვალუტაში არსებულ მის აქტივებს (მოთხოვნებს).

ღია სავალუტო პოზიციის ცნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბანკო საქმიანობის თეორიისა და პრაქტიკისათვის, რადგან ნებისმიერი ღია სავალუტო პოზიცია რისკისკენ მიდრეკილებას მოასწავებს და მისი შედეგი ხდება მოგების ან ზარალის შესაძლებლობა. სავალუ-

ტო რისკი, თაყის მხრივ, ყველაზე უფრო თეალნათლივ ელინდება ღია სავალუტო პოზიციის დროს. ამიტომ ეს ორი ცნება განუყოფლად უკავშირდება ერთმანეთს, რითაც აიხსნება კიდეც ღია სავალუტო პოზიციის მეორე დასახელება - კომერციული ბანკის „სავალუტო რისკის პოზიცია".

სავალუტო რისკის პოზიციის რეგულირება არის ქვეყნის საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი და თანაც, სავალუტო რეგულირების იარაღი. ღია სავალუტო პოზიციის რეგულირების მთავარი მიზანია კომერციული ბანკის სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე სავალუტო რისკის უარყოფითი გავლენის მინიმიზაცია. კომერციული ბანკები იყენებენ ღსპ-ის რეგულირების ინსტრუმენტების ფართო ასპექტს. მათი მეშვეობით სავალუტო რისკის მართვის პროცესი ექცევა ბანკში მიღებული სტრატეგიის დამოკიდებულებაში. ამასთან, ეს ინსტრუმენტები თანამედროვე ეტაპზე ბანკთაშორისი ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაკონტროლებელი ორგანოები კომერციული ბანკების ღსპ-ის რეგულირებასა და კონტროლს იყენებენ როგორც საბანკო, ისე სავალუტო რეგულირების ფარგლებში, რათა უზრუნველყონ საბანკო სისტემის ეფექტიანობის ამაღლება და ვალუტის ბაზარზე არსებული ვითარების სტაბილიზება.

მაგალითებზე განვიხილოთ ღია სავალუტო პოზიციის ტრანსფორმაციის მექანიზმი:

ა) მოცემული ვალუტით აშშ-ის დოლარების ყიდვაზე today -ტიპის გარიგების დროს საკორესპონდენტო ანგარიშზე მატულობს დოლარული სავალუტო სახსრების თანხა, ხოლო ადგილობრივი ვალუტით არსებული სახსრების თანხა მცირდება (ანალოგიურ ანგარიშზე ეროვნული ვალუტით). აშშ-ის დოლარით ევროს ყიდვის შემთხვევაში იცვლება ბანკის სხვადასხვა ანგარიშზე სხვადასხვა ვალუტით არსებული სახსრების თანხები. ამგვარად, ხდება ბალანსში სავალუტო სახსრების თანხების (მათ შორის სხვადასხვა ვალუტით) ვარირება, იცვლება სავალუტო აქტივებსა და პასივებს შორის თანაფარდობა, ე.ი. იცვლება ღია სავალუტო პოზიცია.

ბ) უცხოური ვალუტით შემოსავლების მიღების დროს ღსპ იმის შედეგად ტრანსფორმირდება, რომ განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში მიღებული ბუღალტრული წესების თანახმად, ბანკების მიერ უცხოური ვალუტით მიღებული შემოსავლები (ან ხარჯები) ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ვალუტებით შემოსავლების (გასაღების) საბალანსო ანგარიშებზე. ეს იმას იწვევს, რომ, ერთი მხრივ (საკორესპონდენტო ანგარიშზე ვალუტით შემოსავლების თანხის შემოსვლის შედეგად) იზრდება სავალუტო საკორესპონდენტო ანგარიშზე არსებული სახსრების თანხა, ხოლო, მეორე მხრივ, ბალანსის პასივში შემოსავლები (ხარჯები) აღირიცხება ეროვნული ვალუტით, რაც ხელს უწყობს სავალუტო აქტივებსა და პასივებს შორის სხვაობის შეცვლას.

ღია სავალუტო პოზიციის ცვლილებაზე არ მოქმედებენ ისეთი ოპერაციები, როგორიცაა: ანგარიშზე სავალუტო სახსრების შემოტანა კლიენტის მიერ; კლიენტების გადასახდელების შესრულება; კრედიტების გაცემა და მიღება; დოკუმენტარული ოპერაციები; გადასახდელების განხორციელება ჩეკების მიხედვით; თამასუქების განაღდება და ა.შ. ამას ის განაპირობებს, რომ ამგვარი ოპერაციები არ იწვევს სავალუტო აქტივებსა და პასივებს შორის სხვაობის შეცვლას, რადგან გულისხმობენ ბალანსის აქტივისა და პასივის ერთდროულად და ერთნაირი თანხით შეცვლას (მაგალითად, კლიენტის მიერ გადახდის განხორციელების დროს ბალანსში ერთნაირი მიმართულებით მოხდება მოძრაობა როგორც სავალუტო საკორესპონდენტო ანგარიშზე, ისე კლიენტის სავალუტო ანგარიშზეც); მაშასადამე, ისინი არ იწვევენ ღია სავალუტო პოზიციის შეცვლას.

კომერციული ბანკის (მისი ფილიალის) ღია სავალუტო პოზიციის რეგულირების მთავარი ამოცანაა ბანკის (ფილიალის) საქმიანობის თანმდევი სავალუტო რისკის უარყოფითი გავლენის მინიმიზაცია. ეს ამოცანა შედგება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ორი შემადგენელი

ნაწილისგან, რომელთაც ეკუთვნის:

1) ღია პოზიციების საკუთრივ რეგულირება ბანკის სავალუტო რისკის მართვის მიზნით. სავალუტო რისკის მართვის რეგულირების თავისებურება ისაა, რომ მას შეუძლია ბანკს მოუტანოს არა მარტო ზარალი, არამედ მოგებაც, მათ შორის სპეკულაციური, სავალუტო კურსების იღბლიანად შეცვლის შედეგად.

ბანკში მიღებულ პოლიტიკაზე დამოკიდებულებით, ღია სავალუტო პოზიციის რეგულირების პროცედურები შეიძლება ხორციელდებოდეს მხოლოდ სავალუტო რისკთან დაკავშირებული სავარაუდო დანაკარგების აღკვეთის მიზნით ან დამატებითი სპეკულაციური შემოსავლის მიღების მიზნით. ზოგად შემთხვევაში ეს მართვა უზრუნველყოფს ორივე მითითებული ამოცანის ერთდროულად შესრულებას.

2) ღია სავალუტო პოზიციის რეგულირება სავალუტო რისკის პოზიციის მიმართ მაკონტროლებელი ორგანოების ძიერ დაწესებული მოთხოვნების - ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტების დარღვევათა აღკვეთის მიზნით. ეს ასპექტი მთლიანად შეესაბამება ღია სავალუტო პოზიციის რეგულირების მთავარ ამოცანას, რადგან იმ სავალდებულო ნორმატიული მოთხოვნების შესრულებისკენაა მიმართული, რომელთა მიზანიც, ასევე, ბანკის საქმიანობის შედეგებზე სავალუტო რისკის ზემოქმედების უარყოფითი გავლენის მინიმიზაციაა.

შეგვიძლია გამოვყოთ ღია სავალუტო პოზიციის რეგულირების ორი მეთოდი ჰეჯირება და ლიმიტირება.

ჰეჯირება ეყრდნობა მაკომპენსირებელი სავალუტო პოზიციის შექმნას, რომლის დროსაც ხდება ერთი სავალუტო რისკის (მოგების ან ზარალის) ნაწილობრივ ან მთლიანად კომპენსირება მეორე, შესაბამისი რისკით.

ლიმიტირება ეყრდნობა ბანკის ღია სავალუტო პოზიციის სავალდებულო ან ნებაყოფლობით შეზღუდვას დაწესებული ლიმიტების შესაბამისად.

ჰეჯირების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ვადიანი და ნაღდი გარიგებების დამბალანსებელი შემხვედრი (ე.ი. ღია სავალუტო პოზიციის ჩამოყალიბებული სიდიდის მიმართულების საპირისპირო) გარიგებების დადება. ამას ის განაპირობებს, რომ კონვერსიის ოპერაციები ბანკის ღია სავალუტო პოზიციაზე მოქმედ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საბანკო ოპერაციებად იქცა.

თუკი ბანკში ჩამოყალიბდა მოკლე ღია სავალუტო პოზიცია, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული ვალუტით:

პასივები > აქტივებზე ⇨ ვალდებულებები > მოთხოვნებზე ⇨
⇨ ვალუტის გაყიდვა > ყიდვაზე.

ამიტომ ღია სავალუტო პოზიციის რეგულირების მიზნით აუცილებელია დაიდოს შემხვედრი გარიგება ვალუტის შეძენაზე, რათა შემცირდეს მოცემული ვალუტით ბანკის ვალდებულებებსა და მოთხოვნებს შორის არსებული სხვაობა, ე.ი. შემცირდეს ღია სავალუტო პოზიცია.

თუკი ბანკში ჩამოყალიბდა გრძელი ღსპ, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული ვალუტით:

აქტივები > პასივებზე ⇨ მოთხოვნები > ვალდებულებებზე ⇨
⇨ ვალუტის ყიდვა > გაყიდვაზე.

ღია სავალუტო პოზიციის რეგულირების მიზნით ამ შემთხვევაში უნდა დაიდოს შემხვედრი გარიგება ვალუტის გაყიდვაზე, რათა შემცირდეს მოცემული ვალუტით ბანკის მოთხოვნებსა და ვალდებულებებს შორის არსებული სხვაობა, ე.ი. შემცირდეს ღსპ.

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ღია სავალუტო პოზიციაში გამოყოფენ ნაღდ და ვადიან შემადგენელ ნაწილებს. თუმცა, ბუღალტრული აღრიცხვის ლოგიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ამ ელემენტების დაყოფა მათში აკუმულირებული სახსრების სახის მიხედვით საბალანსო, არასაბალანსო და არასისტემურ შემადგენელ ნაწილებად.

ჰეჯირებისგან განსხვავებით, ლიმიტირებას მიმართავენ როგორც ბანკები, ისე მაკონტროლებელი ორგანოები. იგი მდგომარეობს ბანკის ღია სავალუტო პოზიციის სიდიდეთა ნებაყოფლობით (ბანკის მხრიდან) ან იძულებით (მაკონტროლებელი ორგანოს მოთხოვნით) შეზღუდვაში დაწესებული ლიმიტების შესაბამისად.

12.2. საგალუტო ოპერაციების ეკონომიკური საფუძვლები

თანამედროვე ეკონომიკის განვითარების პირობებში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება წარმოების საერთაშორისო კოოპერაციისა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები. საერთაშორისო სასაქონლო და ფულადი ურთიერთობების ნორმალური ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ვალუტის სხვა ქვეყნის ვალუტაზე თავისუფლად გადაცვლის პირობის არსებობის შემთხვევაში.

საგალუტო ურთიერთობები განეკუთვნება ფულადი ურთიერთობის ნაირსახეობას, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტებს, აგრეთვე ამ უკანასკნელებსა და სახელმწიფოს შორის. მისი ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნულ ურთიერთობათა ობიექტად გვევლინება სხვა ქვეყნის უცხოური ვალუტა, რომლის გამოყენების არეალი, მოცემული ქვეყნის სუვერენული ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან ობიექტურად მოითხოვს განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცევას, რათა არ მოხდეს მის მიერ ეროვნული ვალუტის ჩანაცვლება ან/და საგარეო-სავაჭრო და ფინანსურ ურთიერთობათა პარალიზება[1] (ვ.კაკულია. საგალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბ.: საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 2001. გვ.14.).

საგალუტო ურთიერთობების ცალკეული ელემენტების ნიშნები სათამასუქო და გადამცველი საქმიანობის ფორმით ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში შეინიშნებოდა უძველეს საბერძნეთსა და რომში. საგალუტო ურთიერთობების განვითარების შემდეგი ეტაპი გახლდათ დასავლეთ ევროპის ცნობილ საჯარო ცენტრებში (ლიონი, ანტვერპენი) შუა საუკუნეებში გამართული „სათამასუქო ვაჭრობები". მოგვიანებით ავტომატური საკლირინგო პალატები შეიქმნა გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და ჰოლანდიაში. მოხდა საერთაშორისო შრომის განაწილების გაღრმავება, ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და სხვ.

ცნობილია, რომ საგალუტო ურთიერთობებსა და კლავეწარმოების პროცესს შორის არსებობს როგორც პირდაპირი, ასევე უკუკავშირი. საგალუტო ურთიერთობების ობიექტური საფუძველია ისეთი საზოგადოებრივი კლავეწარმოების პროცესები, რომლებიც წარმოშობენ საქონლის, ფულისა და შრომის საერთაშორისო გაცვლას. საგალუტო ურთიერთობების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკების განვითარებაზე, მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე. იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ურთიერთობები, მათ შორის, საგალუტო, მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ისეთ სფეროებთან, როგორებიცაა: პოლიტიკა, ეკონომიკა, დიპლომატია, კომერცია, სამრეწველო წარმოება და ვაჭრობა, ამ ურთიერთობებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო მეურნეობაში. სხვადასხვა ქვეყნებსა და მათ ეკონომიკურ სუბიექტებს შორის განხორციელებული საანგარიშსწორებო, საკრედიტო და საფინანსო ოპერაციები იწვევს ეროვნული ვალუტების უცხოურ ვალუტებად გადაქცევას და პირიქით. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ საგალუტო ურთიერთობები ხასიათდება გარკვეული დამოუკიდებლობით, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათ შეიძლება უკუპროპორციული გავლენა იქონიონ კლავეწარმოების პროცესზე. სამეურნეო ურთიერთობების ინტერნაციონალიზაციის პირობებში უფრო მეტად ძლიერდება კლავეწარმოების პროცესის დამოკიდებულება ისეთ საგარეო ფაქტორე-

ბზე, როგორებიცაა: საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება, უცხოური კაპიტალის ბრუნვა და ა.შ. საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების არასტაბილურმა მდგომარეობამ და სავალუტო კრიზისებმა კლავწარმოების პროცესზე შესაძლოა ძალზე უარყოფითად იმოქმედოს.

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, სავალუტო ურთიერთობების ობიექტს სხვა ქვეყნის უცხოური ვალუტა წარმოადგენს. ,,ვალუტა'' იტალიური სიტყვაა და პირდაპირი თარგმანით ღირებულებას ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, ეკონომიკურ თეორიაში უცხოური ვალუტის ცნების ზუსტი შინაარსი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ბოლომდე.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ უცხოური ვალუტის კატეგორიას მიეკუთვნება მხოლოდ ის ფულადი ერთეულები, რომლებიც უშუალოდ ასრულებს მსოფლიო ფულის ფუნქციას. ასეთი სახის ვალუტებს სარეზერვო ვალუტებს მიაკუთვნებენ. ამასთანავე, ფულადი ერთეულის უცხოურ ვალუტად აღიარების უმთავრესი წინაპირობა არ არის. დღეისათვის არსებობს რამდენიმე ვალუტა, რომელებსაც სარეზერვო ვალუტის სტატუსი გააჩნია. ესენია: აშშ დოლარი, ევრო და იაპონური იენი. თუ მეცნიერთა ამ ჯგუფის მოსაზრებებს გავითვალისწინებთ, უნდა მივიჩნიოთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში მხოლოდ სამი სახის უცხოური ვალუტა არსებობს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. რატომ არ შეიძლება უცხოურ ვალუტებად განვიხილოთ ისეთი ფულადი ერთეულები, როგორებიცაა ბრიტანული ფუნტი, კანადური დოლარი ან ნორვეგიული კრონი? მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილ ფულად ერთეულებს არ გააჩნიათ სარეზერვო ვალუტის სტატუსი, მათი კონვერტირებადობა უზრუნველყოფილია ემიტენტი ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ და მათი კურსი ყოველდღიურად განისაზღვრება საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე კონკრეტული მომენტისათვის არსებული მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. რადგანაც საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე არსებობს აღნიშნულ ვალუტებზე მოთხოვნა, შეიძლება ითქვას, რომ ისინი გამოიყენება საერთაშორისო ანგარიშსწორებაში. ასეთი სახის ვალუტების წილი გაცილებით მცირეა სარეზერვო ვალუტებით განხორციელებული ოპერაციების მოცულობასთან შედარებით, ვერავინ დაადასტურებს, რომ ისინი არ წარმოადგენენ უცხოურ ვალუტებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უცხოური ვალუტის ცნება გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყანაში გადახდის კანონიერი საშუალების სტატუსის მქონე ბანკნოტებს, მონეტებს, აგრეთვე საბანკო ანგარიშებზე რიცხულ ნაშთებს, რომელთა ყიდვა-გაყიდვა რეგულარულად ხორციელდება ემიტენტი ქვეყნის საზღვრების გარეთ (მ.კაკულია, სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში თბ.: საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 2001 გვ.13.).

როგორც ზემოთ აღინიშნა, სავალუტო ურთიერთობები წარმოიშობა სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის, აგრეთვე ამ უკანასკნელებსა და სახელმწიფოს შორის. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სავალუტო ურთიერთობის სუბიექტები არიან სხვადასხვა სახელმწიფოები, წარმოდგენილი შესაბამისი ორგანიზაციების სახით, იურიდიული პირები, განურჩევლად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, და, რაღა თქმა უნდა, ფიზიკური პირები, რომელთა ცხოვრებაშიც მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების პროცესების ფონზე უცხოურ ვალუტას სულ უფრო მნიშვნელოვანი როლი აქვს...

• მსოფლიოში მიმდინარე სამეურნეო კავშირების ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე, საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობებმა თანდათან მიიღო ორგანიზაციის გარკვეული ფორმა. სავალუტო სისტემა წარმოადგენს სავალუტო ურთიერთობების რეგულირებისა და ორგანიზაციის ფორმას, რომელიც გამყარებულია ეროვნული კანონმდებლობით ან სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებებით (Международные валютно-кредитные и финансовые отношения/ Под.ред. Красавиной Л.

-М.: Финансы и статистика. - 1994. С.8.) აღნიშნული სისტემა შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკონომიკური, ისე ორგანიზაციულ-სამართლებრივი თვალსაზრისით. ეკონომიკური თვალსაზრისით, სავალუტო სისტემა არის სამეურნეო კავშირების ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე ისტორიულად ჩამოყალიბებული სავალუტო-ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა. ორგანიზაციულ-სამართლებრივი თვალსაზრისით კი სავალუტო სისტემა წარმოადგენს სავალუტო ურთიერთობების ორგანიზაციის სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ ფორმას, რომელიც ისტორიულად სამეურნეო კავშირების ინტერნაციონალიზაციის ბაზაზე წარმოიშვა და საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით შექმნილი ეროვნული კანონმდებლობით გამყარდა.

რადგანაც წინამდებარე ნაშრომის მიზანია სავალუტო ურთიერთობათა სპეციფიკის განხილვა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ტერმინს „გარდამავალი ეკონომიკა".

• გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა არის ისეთი ქვეყნის ან ქვეყნების ეკონომიკა, რომლებიც გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგომარეობიდან თვისებრივად სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში გადასვლის პროცესში (economy in transition) იმყოფებიან. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკას გააჩნია მთელი რიგი სპეციფიკური მახასიათებლებისა, რითაც იგი განსხვავდება სტაციონარულ მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკისაგან, რომელიც ვითარდება არსებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩარჩოებში მისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტების, კავშირების და ურთიერთობების სრულყოფისა და ცვლილებების გზით. საპირისპიროდ ამისა, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის განვითარება მიმდინარეობს გარდამავალ პერიოდში ახალი ტიპის ინსტიტუტების, კავშირებისა და ურთიერთობების წარმოშობის ფონზე. აღნიშნული პროცესების შედეგად, ბუნებრივია, წარმოიქმნება სრულიად ახალი მაკრო და მიკროეკონომიკური კანონზომიერებანი და ტენდენციები, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, ეკონომიკური პოლიტიკის ახალი ამოცანები.

XX საუკუნის მიწურულს დღის წესრიგში განსაკუთრებული აქტუალობით დადგა პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის ტრანსფორმაციის პრობლემები, რაც გამოწვეული იყო სოციალისტური ბანკის წევრ ქვეყნებში განვითარებული ყველასათვის კარგად ცნობილი პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენებით. დაახლოებით ოცდაათამდე ქვეყნის თითქმის 300 მილიონი ადამიანი ურთულესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რაც ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლამ გამოიწვია. ამასთან, თუ აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის რიგი ქვეყნებისათვის აღნიშნული პროცესი გარკვეულწილად უასლოეს წარსულში დაბრუნებას ნიშნავდა, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისათვის ეს იყო სრულიად განსხვავებული, ახალი ტიპის ინსტიტუტებისა და ურთიერთობების ჩამოყალიბების საწყისი ეტაპი.

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სამი ძირითადი ჯგუფი, კერძოდ:

• მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალიზაცია და მაკროეკონომიკური სტაბილურობა სხვადასხვა ტიპის პრობლემებია, ისტორიულად ისინი ერთმანეთზე მჭიდროდ გადაჯაჭვულნი აღმოჩნდნენ. ცნობილია, რომ გარადმავალი ეკონომიკის უმეტეს ქვეყნებში სისტემური კრიზისები საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისების ფონზე მიმდინარეობდა. შესაბამისად, საბაზრო ფასწარმოქმნის პროცესზე გადასვლა შეუძლებელი იქნებოდა ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის შემცირების გარეშე. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ზემოთ აღნიშნული ორი სხვადასხვა პრობლემის ერთ ჯგუფში გაერთიანება;

• გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პრობლემების შემდეგ ჯგუფს პირობითად „ინსტიტუციური" შეიძლება ვუწოდოთ. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ისეთი ინსტიტუტებისა და ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყანაში კერძო მესაკუთრეობის განვითარებას;

• და ბოლოს, დამოუკიდებელ პრობლემად შეიძლება განვიხილოთ ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები და შესაძლებლობა პოსტკომუნისტური ქვეყნების სამეურნეო სტრუქტურების ძირეული ტრანსფორმაციის აუცილებლობა და ამა თუ იმ ქვეყნის შესაძლებლობა თავისი ეკონომიკური განვითარებით მიაღწიოს განვითარებული ქვეყნების დონეს, პრობლემას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს.

12.3. სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურა საქართველოში

საველუტო ბაზრები თანამედროვე საფინანსო ბაზრების ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და ლიკვიდურ სეგმენტს წარმოადგენს. მისი, როგორც კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის მთავარ მიმართულებად განიხილება.

სავალუტო ბაზარი წარმოადგენს საკონვერსიო ოპერაციათა ერთობლიობას, რომელიც ამ ბაზრის მონაწილეებს შორის, კონკრეტული პირობების (თანხა, გაცვლითი კურსი, ვალუტირების თარიღი) დაცვით, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს მოიცავს. თავის მხრივ, საკონვერსიო ოპერაციები უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორებას, სესხების გაცემასა და სხვა მიზნებს ემსახურება.

ქვეყნის საველუტო სისტემა მოიცავს ეროვნულ და საერთაშორისო სავალუტო სისტემებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება ფუნქციებით, როლით, ამოცანებითა და რეგულირების მეთოდებით.

ცნობილია, რომ ვალუტა არის ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული ფულადი ერთეული, აგრეთვე სხვა საკრედიტო საგადასახდელო საშუალება (თამასუქი, ჩეკი და ა.შ.), რომელიც გამოიყენება საქონლის ღირებულების სიდიდის გამოსათვლელად.

გამოყენებისა და მიმოქცევის სფეროების თვალსაზრისით, განასხვავებენ ეროვნულ და სარეზერვო. კონვერტირებად (თავისუფლად კონვერტირებად და ნაწილობრივ კონვერტირებად) და არაკონვერტირებად ვალუტებს. სწორედ აღნიშნული სახეობის ვალუტები წარმოადგენს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო საველუტო ბაზრების ძირითად და, ამავე დროს, უმთავრეს ინსტრუმენტებს. მათ შორის, მსოფლიოს სავალუტო ბაზრებზე ყველაზე გავრცელებულია თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტები, რომლებზე დადებული გარიგებებიც მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ვალუტებში დადებულ გარიგებათა მოცულობებს. ასეთ ვალუტათა სახეობებს განეკუთვნება: აშშ დოლარი, ევრო, იაპონური იენი, ბრიტანული გირვანქა სტერლინგი და შვეიცარიული ფრანკი. თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების დახმარებით ამ ვალუტებში დადებული გარიგებათა ყოველდღიური მოცულობა მილიარდობით აშშ დოლარს შეადგენს. მათ შორის, აშშ დოლარის ხვედრითი წილი მსოფლიო სავალუტო ოპერაციების საერთო მოცულობაში დაახლოებით, 87%-ია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავალუტო ბაზარზე ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტის როლი განისაზღვრება მისი ადგილით მსოფლიო სამეურნეო სისტემაში.

ტერიტორიული სავალუტო ბაზრები მჭიდროდ არის დაკავშირებული უმსხვილეს საბანკო და საველუტო საბირჟო ცენტრებთან. სავალუტო ბაზრის ძირითადი ოპერატორები არიან ცენტრალური და კომერციული ბანკები, სავალუტო ბირჟები, საინვესტიციო ფონდები, საგარეო ვაჭრობით დაკავებული ორგანიზაციები, სადაზღვევო და საბროკერო კომპანიები, აგრეთვე ფიზიკური პირები (ს.ფხაკაძე, კ.სეხნიაშვილი, სავალუტო ღილინგი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში//ბანკი.-2000.№4. გვ.27).

საქართველოს შიდა სავალუტო ბაზარს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკის ერთერთ ორგანიზებულ სეგმენტს, საფუძველი ჩაეყარა 1993 წლიდან თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის ჩამოყალიბებასთან ერთად და დღემდე განვითარებად ხასიათს ატარებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამავე პერიოდში გამოვიდა მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის

ლარის წინამორბედი, საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონი, (საქართველოს ტერიტორიაზე კუპონი 1993 წლის 2 აპრილიდან შემოვიდა მიმოქცევაში. ხოლო ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად 1993 წლის 3 აგვისტოდან გამოცხადდა და 1993 წლის 7 აგვისტომდე მისი შეფარდება რუსულ რუბლთან 1:1-ს შეადგენდა. 7 აგვისტოს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე შედგა პირველი სავაჭრო სესია, სადაც 1 აშშ დოლარი 5690 კუპონს, ხოლო 100 რუსული რუბლი 550 კუპონს შეადგენდა), რომელმაც რეალურად შეასრულა თავისი ფუნქცია და უფრო სრულყოფილი ეროვნული ვალუტის ემისიის საფუძველი შექმნა.

თავდაპირველად საკონვერსიო ოპერაციების უფლება მხოლოდ ეროვნულ ბანკს და კომერციულ ბანკებს მიეცა, თუმცა შემდეგ კანონმდებლობით დაშვებულ იქნა იურიდიული და ფიზიკური პირების ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობაც. აქედან გამომდინარე, საქართველოში შიდა სავალუტო ბაზრის აგენტებად უნდა განვიხილოთ ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები და ვალუტის გადამცვლელი პუნქტები. ამ კონტექსტში ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზარი მნიშვნელოვნად განსხვავდება განვითარებული სავალუტო ბაზრებისაგან, რომლებიც არასაბანკო ოპერატორების მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდება. სახელდობრ, საქართველოში არ არსებობს სპეციალიზებული საბანკო დაწესებულებები (საინვესტიციო, სავაჭრო, იპოთეკური ბანკები), რომლებიც შედარებით განვითარებულ საბაზრო სივრცეში აქტიურად მონაწილეობენ ვალუტით ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში.

ამრიგად, საქართველოს შიდა სავალუტო ბაზრის სტრუქტურა დღეისათვის, ფაქტობრივად, წარმოგვიდგება ოთხი სეგმენტით. კერძოდ:

- შიდა საბანკო სავალუტო ბაზარი;
- ბირჟის გარეშე ბანკთაშორისი სავალუტო, ანუ სადილინგო ბაზარი;
- თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა;
- უცხოური ვალუტის გადამცვლელი საბანკო და არასაბანკო პუნქტები.


საქართველოს შიდა სავალუტო ბაზრის უდიდეს სეგმენტს წარმოადგენს შიდა საბანკო სავალუტო ბაზარი, რომელსაც კლიენტურ სავალუტო ბაზარსაც ვუწოდებთ. იგი მოიცავს კომერციულ ბანკებსა და მათ კლიენტებს შორის გარიგებებს და ბევრად აღემატება საბირჟო და სადილინგო სეგმენტების ერთობლივ სვედრით წილს. სწორედ აქ ყალიბდება უცხოური ვალუტის მოთხოვნა-მიწოდების სიღრმისეული ტენდენციები, რაც შემდეგ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარს გადაეცემა. თავის მხრივ, ბანკთაშორის სავალუტო ბაზარს შეუძლია სერიოზული გავლენა იქონიოს კლიენტურ ბაზარზე. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნული ბანკის ინტერვენციების შეწყვეტამდე კლიენტური ბაზარი ეროვნული ბანკის მიერ გაყიდული უცხოური ვალუტით საზრდოობდა. მიუხედავად ქვეყნის სავალუტო საბაზრო სივრცეში მათი განსხვავებული ხვედრითი წილისა, აღნიშნული სეგმენტები დღემდე აქტიურ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება. (მ.კაკულია. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბ. 2001. გვ.37).

სადილინგო ბაზარი ბანკთაშორისი ბირჟის გვერდის ავლით განხორციელებულ საკონვერსიო გარიგებებს მოიცავს, ეროვნული ბანკის ოპერატიული ინფორმაციის მისედვით, ბირჟის გარეშე ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი გარიგებათა მოცულობის სიდიდით, ცალ-ცალკე, ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟისა და სავალუტო პუნქტების გარიგებათა საერთო მოცულობებს სულ მცირე, 6-ჯერ აღემატება (დიაგრამა №1). ამასთან, მას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობებისა: ჯერ ერთი, ბირჟის გარეშე ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე განხორციელებული საკონვერსიო ოპერაციები გარიგების მონაწილეთაგან საკომისიო გასამრჯელოს არ საჭიროებს; მეორე, საგადამცვლელო ოპერაციების ტექნოლოგია ნაკლებ სტანდარტიზებულია, რაც მას ერთგვარ მოქნილობას ანიჭებს; მესამე, პირდაპირი ბანკთაშორისი ბაზარი მთელი დღის განმავლობაში ფუნქ-

ციონირებს და განსაკუთრებით ოპერატიულია; მეოთხე, შიდა სავალუტო ბაზრის ამ სეგმენტზე შეიძლება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ვალუტის ყიდვა-გაყიდვა, რაც განაღდების პრობლემას ხსნის.

უცხოური ვალუტით ვაჭრობისა და გარიგებების საერთო მოცულობა სავალუტო ბაზარზე (2001 წლის სექტემბრის მდგომარეობით)

(ათასებში) დიაგრამა №1



სავალუტო ბაზრის ამ სეგმენტის შემდგომი განვითარება აუცილებელს ხდის ბანკთაშორისი ელექტრონული კომუნიკაციების სრულყოფას. ამ მიზნით, 2000 წლის დასაწყისიდან დაინერგა და ფუნქციონირება დაიწყო ბანკთაშორისმა ელექტრონულმა არასაბირჟო სავაჭრო სისტემამ. ბაზრის აღნიშნული სეგმენტის განვითარება ქვეყანაში არსებული სავალუტო ბაზრის ლიკვიდურობასა და ეფექტიანობას გაზრდის.

სავალუტო ბაზარის ბანკნოტური სეგმენტი, რომელიც საქართველოში უპირატესად ვალუტის გადამცვლელი პუნქტებით არის წარმოდგენილი, ნაკლებად ორგანიზებულია. ამ ბაზარზე მოძრავი სავალუტო სახსრები კვლავ ნაკლებად კონტროლირებადია და ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთერთ ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება. ქვეყანაში გატარებული არაერთი ალმკვეთი ღონისძიების მიუხედავად, ფიზიკური პირები კვლავ ახერხებენ ბანკების გვერდის ავლით კანონგარეშე საბითუმო სავალუტო გარიგებებს, რის გამოც ბაზარი აღურიცხავი ეკონომიკის მთავარ სასიცოცხლო არტერიად წარმოგვიდგება. ვალუტის გადამცვლელი პუნქტებში ძირითადად საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე კონტრაბანდული გზით შემოტანილი საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები თანხები მიმოიქცევა. მაშინ, როდესაც მათი ძირითადი ფუნქცია მხოლოდ ადგილობრივ

მოქალაქეებისა და ტურისტების მომსახურება უნდა იყოს. თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებს, შეიძლება ითქვას, რომ ვალუტის გადამცვლელი პუნქტები ერთობ სერიოზულ გავლენას ახდენს ორგანიზებული ბაზრის ყველა სეგმენტზე.

ვალუტის საგადამცვლელო საქმიანობის ლიცენზიას გასცემს საქართველოს ეროვნული ბანკი. ამგვარი ლიცენზიის მიღება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ (როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო) თუ ფიზიკურ პირს სებ-ში საჭირო დოკუმენტაციის წარდგენისა და შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შემდგომ. საგადამცვლელო საქმიანობის პერიოდში იგი ვალდებულია, დაიცვას ეროვნული ბანკის შესაბამისი ინსტრუქციით გათვალისწინებული ნორმატივები. უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემებით, ვალუტის გადამცვლელი საქმიანობის ლიცენზია 353 იურიდიულ და ფიზიკურ პირზე გაიცა. რიგი დარღვევების საფუძველზე, ლიცენზია ჩამორთვა 49-ს, ხოლო დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს 304 სავალუტო გადამცვლელი პუნქტი, მათ შორის, თბილისში - 240, რომელთა უმეტესობა მსხვილი სავაჭრო ობიექტების მიმდებარე ან მახლობელ ტერიტორიებზეა გახსნილი.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე (ზემოთ აღნიშნული სამი საბაზრო სეგმენტისგან განსხვავებით) გარიგებათა დადება დღეს ყველაზე აქტიურ პერიოდში ხორციელდება. საქართველოს ეროვნული ბანკი ვაჭრობის შედეგებზე დაყრდნობით აფიქსირებს ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსს უცხოური ვალუტების მიმართ, რომელიც ვაჭრობის მეორე დღიდან შედის ძალაში და სავალუტო ბაზრის ყველა სხვა სეგმენტის მონაწილეთათვის ძირითად ორიენტირს წარმოადგენს. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსით ხდება აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება და ორგანიზაცია-დაწესებულებების საბუღალტრო აღრიცხვა.

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟისა და ეროვნული ბანკის მიერ ერთობლივი წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ შეიქმნა ახალი კომპიუტერული ქსელური პროგრამა და მისი მეშვეობით განხორციელდა ბანკთაშორისი საცდელი ელექტრონული სავალუტო ვაჭრობა. 2001 წლის 1 მაისიდან თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ბანკთაშორისი ელექტრონული სავაჭრო სისტემის საშუალებით წარმოების გარიგებები, რაც ამ ეტაპზე აღნიშნული სეგმენტის ფუნქციონირების სრულყოფის კუთხით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. შესაბამისად, დაიხვეწა და გაიოლდა უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის დადგენის პროცესი.

მსოფლიო პრაქტიკაში განასხვავებენ თავისუფალ (სადაც სავალუტო შეზღუდვები არ არსებობს) და შეზღუდულ სავალუტო ბაზარს (სადაც დომინირებს სავალუტო შეზღუდვები). ავრეთვე არსებობს ჩრდილოვანი არალეგალური ბაზარიც.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველოში შიდა სავალუტო ბაზრის სამივე ტიპი ფუნქციონირებდა მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკით. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით დღეისათვის სახელმწიფო პოლიტიკა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების პრაქტიკას ეფუძნება. შიდა სავალუტო ბაზარი ეტაპობრივად გათავისუფლდა ყოველგვარი სავალუტო შეზღუდვებისგან და შეიძლება ითქვას, იგი მთლიანად ლიბერალიზებულია, რაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყანაში მათი დაბანდებისთვის უდავო გარანტი ხდება. ხოლო, რაც შეეხება სავალუტო ოპერაციების დაბეგვრისა და აღრიცხვის მექანიზმებს, ისინი ქვეყნის კანონმდებლობით რეგულირდება.

თავისი არსებობის მანძილზე ეროვნულმა ვალუტამ სავალუტო კურსის რეგულირების ცნობილი სამივე კლასიკური ფორმა განიცადა (ეროვნული ვალუტა ლარი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა და მიმოქცევაში გაეშვა 1995 წლის 2 ოქტომბრიდან. ლარის კუპონზე გადაცვლა მიმდინარეობდა 1995 წლის 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე. კუპონის ლარზე გადაცვლის კურსი განისაზღვრა შეფარდებით 1000000 კუპონი 1 ლარი). საქართველოში 1995-1998 წლებში, ინფლაციის მზარდი ტემპების შეზღუდვისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის მიზნით, გამოყენებულ იქნა მართვადი


სავალუტო კურსის რეჟიმი, რამაც ხელი შეუწყო და დასაბამი მისცა ახალი ქართული ვალუტის ლარის შემოღებას. საყურადღებოა, რომ ქვეყანაში არსებული კრიზისული მდგომარეობის მიუხედავად, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შეიქმნა ლარის, როგორც სტაბილური ქართული ეროვნული ვალუტის იმიჯი.

1998 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის საფუძველზე და სავალუტო ბაზარზე შექმნილი უალტერნატივო მდგომარეობის გამო, სავალუტო რეზერვების შენარჩუნების მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება, გადასულიყო თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსის რეჟიმზე (საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თბსბ-ზე უცხოური ვალუტის ინტერვენციები საფინანსო წლის ბოლოს შეწყვიტა, როდესაც ტრადიციულად შეინიშნება ეროვნული ვალუტის დეფიციტი, რაც შიდა სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის მიწოდებას უწყობს ხელს. შედეგად 1998 წლის დეკემბერში ლარის დევალვაციამ მართვადი ხასიათი მიიღო გარკვეული მერყეობის შემდეგ 1 აშშ დოლარი 1.8 ლარის ნიშნულზე გაჩერდა / ეროვნული ბანკის 1998 წლის წლიური ანგარიში. გვ.26). ამასთან, ქვეყნის სავალუტო პოლიტიკა მთლიანად ლარის კურსის სტაბილურობის შენარჩუნებაზე იყო და არის ორიენტირებული, რაც, ქვეყანაში ფასების სტაბილურობას გულისხმობს.

რაც შეეხება თბსბ-ზე ვაჭრობას, იგი რეგულირდება „თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის მიერ ორგანიზებული ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესებით". ამ წესების მიხედვით, ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ბანკს, რომელიც არის თბსბ-ის ვაჭრობის სექციის წევრი. ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე განაცხადების მიღება იწყება ყოველი სამუშაო დღის 10 სთ-ისა 30 წთ-დან და მთავრდება 11 სთ-სა და 15 წთ-ზე, ელექტრონული ვაჭრობა კი 11 სთ-სა და 30 წთ-ზე. ამ პერიოდში მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ყალიბდება ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ. ბირჟაზე დაფიქსირებულ აშშ დოლარის გაცვლით კურსს ლარის მიმართ ეროვნული ბანკი კროსკურსულად გადაიანგარიშებს სხვა ვალუტების მიმართ საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე დაფიქსირებული აშშ დოლარის კურსთან მიმართებაში. აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი შესაბამისი ბრძანებით ადგენს უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსებს (36 უცხოური ვალუტის მიმართ). გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება როგორც ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებში, ასევე „როიტერის" და „ბლუმბერგის" საერთაშორისო ელექტრონული საინფორმაციო სისტემებში. ეს სისტემები დამონტაჟებულია სებ-ის სავალუტო სამმართველოს საერთაშორისო რეზერვების მართვისა და სადილინგო ოპერაციების განყოფილებაში.

კოპერციული ბანკების ხვედრითი წილი თბსბ-ის გარიგებათა საერთო მოცულობაში
(2004 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით)

დიაგრამა №2



ინტერსმოკლებული არ იქნებოდა ლარის გაცვლითი კურსის ფორმირების ძირითადი მომენტების განხილვა. პირობითად სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიებზე ტრადიციულად მონაწილე ბანკები იყოფა უცხოური ვალუტის მიმწოდებელ და მასზე მოთხოვნის მქონე ბანკებად და ლარის ოფიციალური კურსის ჩამოყალიბების პროცესის აქტიურ და პასიურ მონაწილეებად. საქართველოში ამჟამად ფუნქციონირებს 27 რეზიდენტი კომერციული სათაო საბანკო დაწესებულება და არარეზიდენტი კომერციული ბანკის 2 ფილიალი (საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს ოპერატიული მონაცემები). მათ შორის 2001 წლის განმავლობაში 18-მა მათგანმა მიიღო საბირჟო სესიებში მონაწილეობა. ეაჭრობაში აქტიურობით გამოირჩეოდა 9 წამყვანი საბანკო დაწესებულება, რომლებიც ფაქტობრივად, გადამწყვეტ განაცხადს აკეთებდნენ ლარის კურსის განსაზღვრისას. 2001 წლის სექტემბრის თვის მონაცემების მიხედვით, მათი საერთო სავალუტო ბრუნვა მთლიანი მოცულობის 64%-ს შეადგენს. ამავე პერიოდში დანარჩენი 9 პასიურად მონაწილე ბანკის ვაჭრობის ბრუნვა ერთად აღებული მთლიანი ბრუნვის 10%-ია, (საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო სამმართველოს ოპერატიული მონაცემები), ამასთან, ეროვნული ბანკის ხვედრითი წილი საერთო ვაჭრობის მთლიანი მოცულობის 26%-ს შეადგენს (დიაგრამა №2).

უნდა ითქვას, რომ სექტემბრის თვის მიხედვით წარმოდგენილი სურათი დიდად არ განსხვავდება წინა და მომდევნო თვეების მაჩვენებლებისგან და ამ მიმართულებით თითქმის იგივე ხასიათს ატარებს.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გარიგებების საერთო მოცულობის ზრდა უმთავრესად დამოკიდებულია თვის ბოლოს ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების აკუმულირების პროცესის გააქტიურებაზე, აგრეთვე, ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებაზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია სეზონურ ფაქტორებზე (ზაფხულისა და წლის ბოლო პერიოდებს მოიცავს) და ქვეყანაში შემოდინებული უცხოური ინვესტიციების ნაკადის მოცულობაზე. აღნიშნულ შემთხვევებში უცხოური ვალუტის მიწოდება ხშირად აღემატება მასზე მოთხოვნას იმ მიზეზით, რომ დღეისათვის შიდა სავალუტო ბაზრის ლიკვიდობა მაინც დაბალია და არ ძალუძს უცხოური ვალუტის მსხვილი ნაკადების შესრუტვა. საქართველოს ეროვნული ბანკი მხოლოდ ამ შემთხვევისათვის იტოვებს უფლებას, მონაწილეობა მიიღოს ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაში და შეისყიდოს მიწოდებული ჭარბი უცხოური ვალუტა, რათა, ერთი მხრივ, თავიდან აიცილოს ლარის არასასურველი გამყარება, ხოლო მეორე მხრივ, გაზარდოს სავალუტო რეზერვების საერთო მოცულობა. ამ მიზნით, ეროვნულმა ბანკმა 2000 წელს 74,9 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო 2001 წლის განმავლობაში 35,4 მლნ აშშ დოლარით გაზარდა ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვები (1998 წლის ბოლოსთვის მსოფლიო ბანკიდან მიღებული კრედიტის, ევროგაერთიანებისა და პოლანდიის გრანტების, აგრეთვე „თელასის" პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობა 118,4 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდა) (ცენტრალური ბანკების სავალუტო ოპერაციები, როგორც წესი, საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მართვას, სავალუტო ინტერვენციების განხორციელებას და სამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშების მომსახურებას მოიცავს).

ცნობილია, რომ ქვეყანაში ან მის ფარგლებს გარეთ საფინანსო ბაზრებზე შექმნილი კრიზისული მდგომარეობა სავალუტო კურსებზე უარყოფით გავლენას ახდენს. საერთაშორისო საფინანსო ბაზრებთან საქართველოს ნაკლებად ინტეგრირების გამო, იქ შექმნილი კრიზისული სიტუაციები ლარის კურსზე მყისიერად ვერ ზემოქმედებს. აღნიშნული ქვეყანას საშუალებას აძლევს, მოასწროს რეაგირება და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა აიცდინოს ან შეასუსტოს კრიზისის ტალღა.

თუ განვიხილავთ ლარის ემისიიდან დღემდე პერიოდს, აშკარაა მისი დევალვაციის ფაქტები, განსაკუთრებით რუსეთის (დსთ-ის ქვეყნების) საფინანსო კრიზისის პერიოდში. აღნიშნულის


მიზეზად საქართველოს ამ ქვეყანასთან მჭიდრო მეზობლური სავაჭრო პარტნიორობა გეეელინება. საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის სფეროებში პროცენტულად ყველაზე მეტი წილი სწორედ რუსეთზე მოდის (თურქეთთან ერთად). ქვეყანაში კორუფციული სიტუაციებისა და, კერძოდ, კონტრაბანდული აღურიცხავი საქონლით საქართველოს სასაქონლო ბაზრების ოკუპირების მიუხედავად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, გაატარა რა მიზანდასახული სწორი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა, შეძლო კონტროლირებადი გაეხადა ლარის დევალვაცია. შედეგად, რუსეთის კრიზისის შემოხვევაში, ლარის საკურსო ცვლილებამ 36,8% შეადგინა(ლარის საკურსო ცვლილებამ 1998 წლის დასაწყისთან შედარებით 2.2% შეადგინა. ნოემბრის ბოლოს 10.5%, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ინტერვენციების შეწყვეტის შემდეგ 36.8%-მდე გაიზარდა/საქართველოს ეროვნული ბანკის 1998 წლისა და 2000 წლის ანგარიშებიდან).

საქართველოს დილერთა კლუბის მიზანია საქართველოს სავალუტო ბაზარზე სადილინგო გარიგებების წარმოების საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ერთიანი პროცედურების დანერგვის ხელის შეწყობა და მისი საერთაშორისო საფინანსო ბაზართან ინტეგრაცია. კლუბის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საგანმანათლებლო საქმიანობა - ბაზრის მონაწილეთათვის საფინანსო-სავალუტო სფეროში მუდმივი ევოლუციის პირობებში მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეების გაცნობა.

2001 წლის 24-26 მაისს სინგაპურში ჩატარდა საერთაშორისო საფინანსო ბაზრების ასოციაციის (ACT) რიგით 42-ე კონგრესი (აღნიშნული ასოციაცია დაარსდა 1956 წელს და მსოფლიოს 65-ზე მეტი ქვეყნის საფინანსო ბაზრებსა და მათ პროფესიონალ მონაწილეებს აერთიანებს). საქართველოს ისტორიაში პირველად, კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სავალუტო დილერთა კლუბი. იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან პირველი ორგანიზაციაა, რომელიც ოფიციალურად გაწევრიანდა ACT-ში სრულუფლებიანი ნაციონალური ასოციაციის სტატუსით. ამის შედეგად საქართველო საერთაშორისო საფინანსო ბაზრების ასოციაციის საბჭოს 65-ე წევრი გახდა (საერთაშორისო საფინანსო ბაზრების ასოციაციაში საქართველოს მხრიდან 50-ზე მეტი დილერი გაწევრიანდა). ACT-ში გაწევრიანება უნიკალურ საშუალებას აძლევს საქართველოს, დაამყაროს კონტაქტები მსოფლიოს საფინანსო ბაზრების მონაწილეებთან, ფლობდეს ინფორმაციას საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე შექმნილი სიტუაციებისა და სიახლეების შესახებ.

ლარის საშუალო წლიური კურსების დინამიკა
(1995-2001 წწ.)

თარიღი	1995 წელი	1996 წელი	1997 წელი	1998 წელი	1999 წელი	2000 წელი	2001 წელი
ლარის საშუალო წლიური კურსები	1.259	1.269	1.298	1.39	2.023	1.977	2.073



საქართველოს შიდა საგალუტო ბაზრის სტაბილურობა ფუნდამენტურად არის დამოკიდებული ქვეყნის საგადამხდელო სისტემის განვითარება-სრულყოფაზე, მსხვილი ინვესტიციების მოზიდვასა და დაბანდებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და კონკურენტუნარიანი ეროვნული პროდუქციის წარმოებაზე, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს ექსპორტის ხვედრითი წილი ქვეყნის საგარეო სავაჭრო ოპერაციებში.

ეფიქრობთ, ყველა ეკონომიკური წარმატების გარანტად ქვეყნის სტაბილური საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა გვეელინება. საერთაშორისო მასშტაბებით სტაბილური სუვერენული სახელმწიფოს სტატუსის შექმნა და შემდგომ მისი შენარჩუნების გარანტია თანდათან უფრო პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნებს შორის პარტნიორული ეკონომიკური კავშირების დამყარების დროს.

12.4. საგალუტო ოპერაციების რეგულირება

საგალუტო რეგულირება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ეროვნული ვალუტის სრული კონვერტირებადობის მიღწევა. აღნიშნული გულისხმობს ამ უკანასკნელის „სხვა ვალუტებზე შეუზღუდავად გადაცვლის უფლებას მოქმედი გაცვლითი კურსით"(M. Guitian, S. Nsouli. Currency Convertibility in the Middle East and North Africa. - IMF - M.: Wash., D.C. - 1996. - P.22.), თუმცა ეკონომიკურ ლიტერატურაში კონვერტირებადობის უფრო ფართო განმარტებებიც არსებობს.

სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორის რ.მაკკონონის აზრით, „ვალუტა ითვლება კონვერტირებადად, თუ მოცემული ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთაც სურვილი აქვთ შეძინონ ის უცხოური საქონელი და მომსახურება, რომელიც არ ექვემდებარება განსაკუთრებულ შეზღუდვებს, თავისუფლად შეუძლიათ უნიფიცირებულ ბაზარზე ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტაზე გაყიდვა იმ ერთიანი ან ცვალებადი კურსით, რომელიც გამოიყენება ყველა პირის მიმდინარე ოპერაციების განხორციელებისას, მაშინ, როდესაც არარეზიდენტებს, რომლებიც მიმდინარე ოპერაციების განხორციელების შედეგად ფლობენ სახსრებს ადგილობრივ ვალუტაში, შეუძლიათ გაყიდონ ისინი იმავე კურსით ან თავისუფლად შეიძინონ ადგილობრივი საქონელი ამავე ვალუტით" (R. Makkinnon.Money in International Exchange. The Convertible Currennсy System. - New-York. - 1979. - P.6.).

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელიც სახელმწიფოთაშორის დონეზე არეგულირებს საგალუტო ურთიერთობებს, კონვერტირებადობის სტატუსს ანიჭებს მხოლოდ იმ წევრი ქვეყნების ვალუტებს, რომლებიც შეუერთდნენ ფონდის წესდების VIII მუხლს და მოხსნეს საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციებზე შეზღუდვები. საგალუტო შეზღუდვების გაუქმების შედეგად მიღებული სავალუტო ურთიერთობების და ბაზრის ლიბერალიზაციის მაღალი დონე ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის წინაპირობაა. არსებული საგალუტო შეზღუდვების შინაარსიდან გამომდინარე, ვალუტები იყოფა შიდა და გარე კონვერტირებად ვალუტებად. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ვალუტის შიდა და გარე კონვერტირებადობის საფუძვლად რეზიდენტი და არარეზიდენტი ეკონომიკური სუბიექტების მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე დაწესებულ შეზღუდვებს განიხილავს.

ისტორიული გამოცდილების თანახმად, მთელმა რიგმა ქვეყნებმა ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის მიღწევის პროცესი არარეზიდენტების მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე არსებული შეზღუდვების ლიბერალიზაციით დაიწყეს. ბუნებრივია, ასეთი მიდგომა ხელს უწყობდა უცხოელი ინვესტორების მხრიდან ეროვნულ ვალუტებზე მოთხოვნის ზრდას და მათი საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებას. თუმცა, საწინააღმდეგოდ ამისა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების გარკვეულმა ნაწილმა, მათ შორის რუსეთმა, ეროვნული ვალუტის კონვერტირე-

ბადობის მიღწევის განსხვავებული გზა აირჩია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული სავალუტო ურთიერთობების ლიბერალიზაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც რუსული რუბლის შიდაკონვერტირებადობის მიღწევის მექანიზმი. აღნიშნულის საფუძველს გვაძლევს შემდეგი ფაქტორები: პირველი, რუსული რუბლის სხვა მყარ ვალუტებზე თავისუფლად გაცვლადობა მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიით შემოიფარგლებოდა. იმ პერიოდში დამოუკიდებელი თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მხრიდან ჯერ კიდევ არსებობდა რუსულ რუბლზე მოთხოვნა, თუმცა მისი სხვა არაკონვერტირებად ვალუტებზე გადაცვლის უნარი არ ნიშნავდა რუბლის გარე კონვერტირებადობას. მეორე, უცხოური ვალუტით ოპერაციების განხორციელების თავისუფალი შესაძლებლობა ვრცელდებოდა მხოლოდ რუსეთის რეზიდენტებისათვის, მაშინ, როდესაც არარეზიდენტების მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების სპექტრი მკაცრად იყო შეზღუდული და სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეზიდენტი და არარეზიდენტი სუბიექტების განსხვავებული სავალუტო რეჟიმები ვრცელდებოდა მხოლოდ იმ ოპერაციებზე, რომლებიც საბანკო ანგარიშებით ანგარიშსწორების ელემენტებს მოიცავდა. რაც შეეხება ნაღდი რუსული რუბლის უცხოურ ვალუტაში კონვერსიის ოპერაციებს, ამ მხრივ, ეკონომიკის ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზეე რეზიდენტი და არარეზიდენტი სუბიექტები თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ. ამდენად, თუ ნაღდი რუსული რუბლის კონვერტირებადობის პრობლემა ხელისუფლებამ საკმაოდ ოპერატიულად გადაჭრა, იგივე ვერ შეძლო უნაღდო რუსული რუბლის მიმართ, რისი გამომწვევი მიზეზიც ჩვენი აზრით, შემდეგში მდგომარეობს: იმ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობის თანასმად, არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების სახსრები რუსულ რუბლებში, მათი წარმოშობის წყაროს განურჩევლად, ექვემდებარებოდა რწმუნებულ ბანკში გახსნილ სხვადასხვა სახის ანგარიშებზე ჩარიცხვას. თავის მხრივ, ეს ანგარიშები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა მათზე რიცხული სახსრების გამოყენების რეჟიმებით.

იმ არარეზიდენტ იურიდიულ პირებს, რომლებსაც რუსეთში ფილიალები და წარმომადგენლობები გააჩნდათ, უფლება ჰქონდათ გაეხსნათ „И ტიპის მიმდინარე ანგარიშები", რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იყო სავაჭრო-სამეურნეო საზიათის ოპერაციების განსახორციელებლად. ამ ანგარიშებზე სახსრების ჩარიცხვის წყარო შეიძლებოდა ყოფილიყო სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი ან უცხოური ვალუტის გაყიდვის შედეგად ადგილობრივ ვალუტაში მიღებული სახსრები. რაც შეეხება აღნიშნული ტიპის ანგარიშიდან სახსრების სარჯვას, რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დასაშვები იყო მათი გამოყენება საქონლისა და მომსახურების შესაძენად ან სხვადასხვა სამეურნეო ხარჯებისა და მიმდინარე ვალდებულებების (დაზღვევა, საბიუჯეტო გადასახადები) ასანაზღაურებლად. მიმდინარე სამანეთო ანგარიშის ნაირსახეობას წარმოადგენდა „არარეზიდენტი ბანკების საკორესპონდენტო ანგარიში რუბლებში", რომელიც გამოიყენებოდა იმ არარეზიდენტი იურიდიული პირების მომსახურებისათვის, ვისაც რუსეთის ტერიტორიაზე არ გააჩნდა წარმოადგენლობები და ფილიალები და იმ არარეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში რეგისტრირებულნი იყვნენ, როგორც მეწარმე სუბიექტები. აღნიშნული ანგარიშის გამოყენების შემთხვევაში იგივე რეჟიმები ვრცელდებოდა, რაც „И ტიპის მიმდინარე ანგარიშებზე". გარდა ამისა, ზემოთ აღნიშნული ორივე ტიპის ანგარიშის უმთავრესი თავისებურება გახლდათ ის, რომ ორივე არაკონვერტირებად ანგარიშს წარმოადგენდა. ცენტრალური ბანკის სპეციალური ინსტრუქციის თანახმად, აკრძალული იყო ამ ანგარიშებიდან როგორც უცხოური ვალუტის შეძენა, ისე რუსულ რუბლებში რიცხული სახსრების სხვა სახის ანგარიშებზე გადარიცხვა.

რუსული რუბლის გარე კონვერტირებადობის ელემენტს შეიცავდა „N ტიპის საინვესტიციო ანგარიში", რომელიც, არარეზიდენტების მიერ განხორციელებული საინვესტიციო საქმიანობისა

და ამ საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების რეპატრიაციის მიზნით, უცხოურ ვალუტაში კონვერტაციისათვის გამოიყენებოდა. არარეზიდენტებისათვის ამ ანგარიშის მიმზიდველობა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ რწმუნებული ბანკის მეშვეობით საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული რუსული რუბლის შიდა საგალუტო ბაზარზე კონვერტაციის უფლება ეძლეოდათ. რუსული ვალუტის უცხოურ ვალუტაზე გადაცვლის პრინციპი ვრცელდებოდა აგრეთვე „არარეზიდენტი ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშებზე". ასეთი ტიპის ანგარიშები, პირადი შემოსავლების მიღებისა და საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევის მიზნით, იმ არარეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის იხსნებოდა, რომლებიც დროებით ცხოვრობდნენ რუსეთის ტერიტორიაზე. მათზე ვრცელდებოდა ერთადერთი შეზღუდვა – არ შეიძლებოდა ამ ანგარიშების საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენება. სხვა მხრივ, მათი გამოყენების რეჟიმი აბსოლუტურად უთანაბრდებოდა რეზიდენტი ფიზიკური პირების ანგარიშების რეჟიმს.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი საგალუტო რეჟიმი შეიცავდა რუსული რუბლის გარე კონვერტირებადობის ნიშნებს, არსებული ნორმები საკმარისი არ იყო, რომ რუსეთი მიერთებოდა საერთაშორისო საგალუტო ფონდის წესდების VIII მუხლს და რუსული რუბლის კონვერტირებადობა ფორმალურად მაინც ყოფილიყო აღიარებული. აღნიშნული შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც 1996 წელს ცენტრალური ბანკის სპეციალურ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის თანახმადაც, არარეზიდენტი სუბიექტებს საგაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული რუბლების არაკონვერტირებადი „T ტიპის ანგარიშიდან" „M ტიპის კონვერტირებად ანგარიშზე" გადარიცხვის განხორციელების უფლება მიეცათ. რუსული რუბლის კონვერტირებადობის მისაღწევად გატარებული შემდგომი ღონისძიებები მიზნად ისახავდა ხელისუფლების მიერ საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემის გადაჭრას სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე უცხოელი ინვესტორების მოზიდვის გზით. ამისათვის რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა შემოიღო კიდევ ერთი „C ტიპის სპეციალური ანგარიში რუბლებში", რომელიც გამოიყენებოდა არარეზიდენტების მიერ რუსეთის მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების განსახორციელებლად. აღნიშნულ ანგარიშებზე რიცხული სამანეთო სახსრების უცხოურ ვალუტაზე გადაცვლა და მათი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადარიცხვა ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ხორციელდებოდა. ამგვარად, ჩამოყალიბდა რუსული რუბლის კონვერტირებადობისათვის საჭირო სამართლებრივი ბაზა, თუმცა მისი რეალური კონვერტირებადობის მიღწევა მაინც ვერ მოხერხდა.

საგალუტო ურთიერთობების ლიბერალიზაცია და შეზღუდვების მოხსნა, ბუნებრივია, ვალუტის კონვერტირებადობის მისაღწევად გარკვეულ წინაპირობებს ქმნის, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის გარე კონვერტირებად ვალუტად ავტომატურად გადაქცევას. რუსეთის შემთხვევაში საქმე გვქონდა რუსული რუბლის „დე იურე" კონვერტირებადობასთან, ხოლო მისი „დე ფაქტო" კონვერტირებადობა ვერ იქნა მიღწეული, რადგან: ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის მიღწევა გარკვეულ დონემდე არ ნიშნავს მის მიერ ამ თვისების სამუდამოდ მოპოვებას; ვალუტის კონვერტირებადობა და გაცვლითი კურსი ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და სტაბილურობის, მისი საერთაშორისო ეკონომიკასთან ინტეგრირების გამომხატველია; ეროვნული ეკონომიკის განვითარების ადეკვატური დონის მიუღწეველობის შემთხვევაში აუცილებლად დგება მაკროეკონომიკური სტაბილურობის რღვევის მომენტი, რასაც უმძიმესი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა 1998 წელს რუსეთში განვითარებული საფინანსო კრიზისი - დეევალვირებული რუსული რუბლი, მწვავე ინფლაციური პროცესები, ქვეყნის საბრუნველო და საექსპორტო პოტენციალის შემცირება, რასაც თან ახლდა ხელისუფლების მიერ არარეზიდენტების წინაშე აღებული ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა. ეს უკანასკნელი კი ნამდვილად არ ქმნიდა უცხოელი ინვესტორების მხრიდან რუსული რუბლით დაინტერესების წინაპირობას. ამდენად, რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები ქვეყნის

ეკონომიკის ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე საკმარისი არ აღმოჩნდა რუბლის „დე ფაქტო" კონვერტირებადობის მისაღწევად.

როგორც უკვე აღინიშნა, გარდამავალი ეკონომიკის რეფორმირების პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სავალუტო ურთიერთობებზე, სადაც კონვერტირებადობასთან ერთად ცენტრალური ადგილი უკავია ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ფორმირების საკითხებს.

გაცვლითი კურსის ფორმირების მექანიზმი განისაზღვრება საკურსო რეჟიმის საფუძველზე. განასხვავებენ ფიქსირებულ, მართვად და მცურავ საკურსო რეჟიმებს. ოპტიმალური საკურსო რეჟიმის შერჩევა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მნიშვნელოვნად განაპირობებს განხორციელებული რეფორმების წარმატებულობას. მაგალითის მოყვანა რუსეთის უახლესი ისტორიიდან შეიძლება.

1997-1998 წლებში „სავალუტო კორიდორის" რეჟიმის ფარგლებში ძვირი რუსული რუბლის კურსის შენარჩუნება უცხოეთიდან სახაზინო ვალდებულებების შესაძენად შემოსული კაპიტალის სარჯზე ხდებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სახაზინო ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციების ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე წარმოების ნება დართო. რუსეთში არარეზიდენტების „C ტიპის ანგარიშებზე" ჩარიცხული უცხოური ვალუტის მოცულობამ 1996 წელს შეადგინა 5,9 მლრდ აშშ დოლარი, 1997 წელს - 10,9 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო 1998 წლის I კვარტალში 3,1 მლრდ აშშ დოლარი, რის გამოც რუსეთის ფინანსთა სამინისტროს მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების 30% უცხოელების ხელში აღმოჩნდა. აღნიშნულმა გარემოებამ, ფაქტობრივად, საფინანსო სისტემის სტაბილურობა მნიშვნელოვნად გახადა დამოკიდებული არარეზიდენტი პირების შემდგომ ქმედებაზე. ამას დაერთო რუბლის სიძვირით გამოწვეული ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის შემცირება, რასაც იმპორტის მოცულობის ზრდა და საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების სალდოს უარყოფითი მნიშვნელობის დაფიქსირება მოჰყვა. ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური პოლიტიკური ვითარებისა და აზიური კრიზისის ფონზე, სახაზინო ვალდებულებების არარეზიდენტმა მფლობელებმა აქტიურად დაიწყეს მათი გაყიდვა და მიღებული სახსრების ქვეყნიდან გატანა. სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული სავალუტო რეზერვებისა და საბიუჯეტო სახსრების სიმცირის გამო ხელისუფლებამ უარი განაცხადა საკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და, ამავე დროს, მოახდინა რუსული რუბლის სავალუტო კორიდორის გაფართოება 5,25-7,15-დან 6,0-9,5 ნიშნულამდე I აშშ დოლარისათვის. ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული ორივე ღონისძიების ერთდროულად გატარება მიზანშეწონილი არ იყო, რადგან ეროვნული ვალუტის დევალვაციის განხორციელება გარკვეულწილად გაანეიტრალებდა შიდა ვალის მომსახურებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რაც რუსეთს დეფოლტის თავიდან აცილების შესაძლებლობას მისცემდა, ხოლო, თუ ხელისუფლება გამიზნულად აპირებდა დეფოლტის გამოცხადებას, ამ უკანასკნელის განხორციელება უფრო უპრიანი იქნებოდა ვალუტის შემდგომი დევალვაციის განხორციელების გარეშე. არასწორმა საკურსო და სავალუტო პოლიტიკამ რუსეთი უმწვავესი საფინანსო კრიზისის წინაშე დააყენა, რომლის უარყოფითი შედეგების განეიტრალებას არა ერთი და ორი წელი დასჭირდა.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც ფიქსირებულ საკურსო რეჟიმს მიმართავენ, ხოლო ამის საპირისპიროდ გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც ლიბერალური საკურსო რეჟიმი მოქმედებს, ფიქსირებული საკურსო რეჟიმის ხელაღებით უარყოფა გამართლებულად არ მიგვაჩნია. ამ პოზიციის გასამყარებლად ბოლო წლების საქართველოს მაგალითის მოყვანა შეიძლება.

1995 წელს, როდესაც მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდა გარკვეული მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა და მიღებულ იქნა ფულადი რეფორმის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება, ხელისუფლებამ ფიქსირებული კურსის შემოღებით

იმ პერიოდისთვის ყველაზე სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ვინაიდან ფიქსირებული საკურსო რეჟიმის შემოღებით შესაძლებელი გახდა 90-იანი წლების დამდეგს დაწყებული ჰიპერინფლაციის მოთოკვა, რასაც ფასების სტაბილურობის მიღწევა და ეროვნული ვალუტისადმი მოსახლეობის ნდობის მატება მოჰყვა. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის უარყოფითი მხარე, რომელიც ფიქსირებული რეჟიმის გამოყენებას ახლავს თან. პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობისათვის, გამონაკლისი არც საქართველო გახლდათ, დაშახასიათებელი იყო დეფიციტური ბიუჯეტით გამოწვეული პრობლემები, რომელთა დაბალანსებაც ცენტრალური ბანკის ემისიური კრედიტების ხარჯზე ხდებოდა. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ეკონომიკისთვის მიწოდებული ჭარბი ფულადი სახსრები ტვირთად აწვება ეროვნულ ვალუტას და ცენტრალური ბანკი იძულებულია, საკურსო პარიტეტის შენარჩუნების მიზნით, სისტემატურად განახორციელოს ინტერვენციები შიდა სავალუტო ბაზარზე, რაც ქვეყნის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების შემცირებას იწვევს. სწორედ ამიტომ ეროვნული ვალუტის შემოღების შემდგომ პერიოდში დღის წესრიგში დადგა უფრო მოქნილი საკურსო რეჟიმის გამოყენების საკითხი. ფაქტობრივად, 1996-1998 წლებში საქართველოში მართვადი საკურსო რეჟიმი მოქმედებდა, რომლის პირობებშიც ეროვნული ბანკის ზემოქმედება ლარის კურსზე ისეთი მაკროეკონომიკური პარამეტრების მაჩვენებლებით განისაზღვრებოდა, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობა და ინფლაცია. მართვადი საკურსო რეჟიმის პირობებში შესაძლებელი გახდა ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება. 1998 წელს რუსეთში განვითარებული საფინანსო კრიზისის შემდეგ, რასაც რუსული რუბლის 73%-იანი დევალვაცია მოჰყვა, ლარი რუსული რუბლის მიმართ რეალურ გამოხატულებაში მეტისმეტად გამყარდა. გაიაფებული რუსული (საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო პარტნიორი) საქონლის იმპორტმა ქვეყნიდან ვალუტის მნიშვნელოვანი ნაკადების გადინება გამოიწვია, რასაც შიდა სავალუტო ბაზარზე ლარის ნომინალური კურსის გაუფასურება მოჰყვა. შედეგად, ეროვნულმა ბანკმა შეწყვიტა ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ინტერვენციები, რაც საქართველოში მცურავი საკურსო რეჟიმის შემოღების წინაპირობა გახდა.

• დასასრულს, შეეხოთ სავალუტო სისტემის ისეთ მნიშვნელოვან ელემენტს, როგორიცაა სავალუტო რეგულირების ეროვნული ორგანოები. ზოგიერთი ეკონომისტი სავალუტო სისტემის ამ ელემენტს ინსტიტუციურსაც უწოდებს. ცნობილი რუსი ეკონომისტი და მეცნიერი ლ.კრასავინა სავალუტო სისტემის ინსტიტუციურ ელემენტად მიიჩნევს სავალუტო ურთიერთობების მარეგულირებელი ეროვნული ორგანოების (ცენტრალური ბანკი, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები, ზოგიერთ შემთხვევაში სავალუტო კონტროლის განმახორციელებელი სხვა ორგანოები) საქმიანობის რეგლამენტაციას. (Международные валютно-кредитные отношения. Под ред. Красавиной Л. М.: Финансы и статистика. 1994. გვ.17) სავალუტო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად და მათი გარკვეულ ჩარჩოში მოქცევის მიზნით, აუცილებელია ქვეყნის კანონმდებლობით მკაცრად იქნეს განსაზღვრული იმ ორგანოების ჩამონათვალი და უფლებამოსილება, რომლებიც სავალუტო რეგულირებას განახორციელებენ. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უდიდეს ნაწილში, ისევე როგორც განვითარებულ ქვეყნებში, სავალუტო რეგულირებას, ძირითადად, ცენტრალური ბანკები ახორციელებენ. თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც აღნიშნულ პროცესში ცენტრალურ ბანკთან ერთად სხვა ინსტიტუტებიც არის ჩართული.

რაც შეეხება საერთაშორისო მასშტაბით სავალუტო ურთიერთობების რეგულირების ასპექტს, აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სახელმწიფოთაშორისი სავალუტო რეგულირება, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ზემოთ ჩამოთვლილი ეროვნული და სახელმწიფოთაშორისი ინსტიტუტები ერთმანეთთან კოორდინირებული და შეთანხმებული მუშაობის შედეგად უზრუნველყოფენ საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობების უსაფრთხო ფუნქციონირებასა და განვი-

თარებას.

12.5. სავალუტო რისკები და მათი რეგულირება

სავალუტო რისკი არის იმის ალბათობა, რომ უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა მისი აქტივებისა და პასიების საბაზრო ღირებულების ცვლილება და, შესაბამისად, ფინანსური დანაკარგები გამოიწვიოს (Питер с Роуз. Банковский менеджмент. Пер. с англ.-ого. М.: Дело, 1997.ст.146).

სავალუტო რისკის მატარებლები ძირითადად შედარებით დიდი მოცულობის ბანკები არიან, რადგანაც ეს რისკი უცხოურ ვალუტაში ოპერაციებთან არის დაკავშირებული. სხვადასხვა ვალუტების კურსები დამოკიდებულია ბაზრის მიმდინარე პირობებზე. ბანკები, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს უცხოური ვალუტით, თავის თავზე იღებენ სავალუტო ბაზარზე ფასების არასასურველი მოძრაობის რისკს როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მხრიდან (იქვე, გვ.447). სავალუტო რისკი აქტივების ფორმირებისა და უცხო ქვეყნების ვალუტის მოზიდვის დროს წარმოიქმნება. სავალუტო კურსზე გარკვეულწილად გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციები - სავალუტო რეგულირების პოლიტიკის ცვლილებები და ქვეყნის სოციალური დაძაბულობის დონე.

შეიძლება გამოიყოს სავალუტო რისკის სამი ძირითადი ნაწილი:

- გაცვლითი კურსის ცვალებადობის რისკი - უცხოურ ვალუტაში დაბანდებების გაუფასურება, რომლის შედეგი შეიძლება გახდეს გაცვლითი კურსის ცვალებადობა;
- კონვერტირების რისკი, რომელიც გამოწვეულია გაცვლითი ოპერაციების შეზღუდვით;
- ღია სავალუტო პოზიციის რისკი, რომელიც წარმოიქმნება უცხოური ვალუტით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობის შეუსაბამობის შედეგად.

როგორც სხვა კატეგორიის რისკებმა (მაგალითად, საკრედიტო რისკი), სავალუტო რისკმაც შეიძლება გამოიწვიოს ბანკის ლიკვიდობის კრიზისი ან მსესხებლის მხრიდან საკრედიტო რისკის წარმოქმნის ფაქტორი გახდეს. სავალუტო რისკი თან სდევს უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ყველა ბალანსურ და გარებალანსურ ოპერაციას.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მონაცემებით (Bank for international Settlements), მიმდინარე ეტაპზე მსოფლიოს სავალუტო ბაზრების დღიური ჯამური ბრუნვა 1 ტრლნ აშშ დოლარზე მეტია. (ჟურ. Banking Technology1996 წ., ივნისი, გვ.40). ასეთი მოცულობითი ბრუნვის პირობებში, სავალუტო ოპერაციების წარმოების დროს რისკის მართვის პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეს განპირობებულია იმით, რომ სავალუტო ბაზრებზე მონაწილე ბანკების უმრავლესობა ექვემდებარება რისკებს, რომლებიც ბანკის კაპიტალის მოცულობას აღემატება და ამიტომ, თუ რისკი სათანადოდ არ იქნა შეფასებული და დაცული, სავალუტო გარიგებაში მონაწილე თუნდაც ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობამ შეიძლება სხვა ბანკების და გარიგებაში მონაწილე ფირმების სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს.

იმისათვის, რომ საბანკო საქმიანობა მომატებული რისკის მქონე სფეროში წარმატებული იყოს, ბანკებმა უნდა განავითარონ რისკის მართვისა და გადაწყვეტილების მიღების განსაკუთრებული მექანიზმები. ისინი უნდა იძლეოდნენ იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რა რაოდენობის რისკები და დანაკარგები შეუძლია აიღოს თავის თავზე საკრედიტო დაწესებულებამ. უნდა გაანალიზდეს, ამართლებს თუ არა მოსალოდნელი მოგება ბანკის მიერ გაწეულ შესაბამის რისკს. ამის საფუძველზე უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც რისკის ფაქტორების გავლენის შემცირებას მოახერხებენ.

აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად უნდა შემუშავდეს რისკების მართვის სისტემა, რომელიც ბანკის მენეჯმენტს რისკის იდენტიფიცირების, ლოკალიზების, გაზომვის, კონტროლირებისა და ამით მისი გავლენის შესაძლო მინიმუმამდე დაყვანის საშუალებას მისცემს.

რისკების მართვის სისტემის რეალიზება კონკრეტული ღონისძიებების მეშვეობით ხდება, რომლებიც სტრატეგიული მართვით და მეთოდებით ხორციელდება.

ფინანსური ბაზრის განვითარებასთან ერთად ფორმირდება ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარი. ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება მჭიდროდ უკავშირდება ჰეჯირებას. ჰეჯირება (ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს დაცვას) სავალუტო, საკრედიტო და სხვა რისკების შემცირების საშუალებაა და რისკის განსაზღვრული ფაქტორისადმი ინვესტორის მიერ საპირისპირო პოზიციის ამორჩევით რისკის შემცირების მეთოდს ნიშნავს. თუკი რისკის ფაქტორი თავს იჩენს, მაშინ ერთი ოპერაციის შემოსავლიანობა შემცირდება, ხოლო მეორე ოპერაციისა - გაიზრდება. ჰეჯირება გულისხმობს პორტფელში ისეთი ოპერაციების ჩართვას, რომელთა შედეგებზე რისკის გარკვეული ფაქტორები დიამეტრალურად საპირისპირო გავლენით მოქმედებს.

სავალუტო კურსის ცვალებადობისას, ქვეყანაში ვალუტის კურსის ვარდნის დროს, ექსპორტიორები მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდებიან, რადგან იზრდება ექსპორტიორის ქვეყნის ვალუტის ეკვივალენტი მისივე ექსპორტის უცხოური ვალუტის ამონაგებთან. ადგილობრივ მომწოდებლებსა და პერსონალთან ანგარიშსწორება მათი ქვეყნის ვალუტაში უწევთ და, პირიქით, ქვეყნის ვალუტის კურსის გამყარებამ შეიძლება პრობლემები შეუქმნას ექსპორტიორებს და მომგებიან პოზიციაში ჩააყენოს იმპორტიორები. თუ ბანკის პოზიცია ჰეჯირებული არ არის და ის მხოლოდ ექსპორტზე ან იმპორტზე ორიენტირებულ საქმიანობის სფეროებს აკრედიტებს, სავალუტო კურსის მკვეთრმა ცვალებადობამ შეიძლება არაფუნქციონირებადი კრედიტების რაოდენობის ზრდა გამოიწვიოს.

სავალუტო რისკის ჰეჯირების მეთოდები შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

- ფორვარდული გარიგებები თანამედროვე პირობებში ფორვარდული გარიგება, როგორც „ჰეჯირების" მეთოდი, ყველაზე ფართოდ გამოიყენება. ასეთი გარიგებები სავალუტო რისკის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დროს მათ გარკვეულ ვადაში მიწოდებას ითვალისწინებს (იგი, როგორც წესი, უნდა აღემატებოდეს ორ დღეს). ფორვარდული გარიგებების ყველაზე გავრცელებული ვადებია 1, 2, 6 თვე, შეიძლება რამდენიმე წელიც. ასეთი გარიგების არსი ის არის, რომ იმპორტიორს, რომელიც გადასახდელი ვალუტის კურსის გაზრდას ვარაუდობს, უფლება აქვს წინასწარ მიმართოს ბანკს და იყიდოს მისგან ეს ვალუტა მიწოდების ვადით გადასასდელ თანხასთან მიახლოებული კურსით, და პირიქით, თუ იგი ვალუტის კურსის ატრეციაციას ვარაუდობს, მაშინ იგი დამატებით დანახარჯებზე წავა, რაც, არსებითაც, ასეთი დაზღვევის საზღაურია.

ფორვარდული ოპერაციების მეშვეობით სავალუტო რისკის დაზღვევა ექსპორტიორმაც შეიძლება განახორციელოს, ოღონდ იგი საპირისპირო გარიგებას ასრულებს და, კურსის მოსალოდნელი დაცემის შემთხვევაში, ყიდის მის კუთვნილ თანხას ეროვნულ ან სხვა უცხოურ ვალუტაზე გარკვეული ვადით, რითაც იგი ბანკს თავის რისკს გადააკისრებს.

- სტრუქტურული დაბალანსება იგი წარმოადგენს აქტივებისა და პასივების ისეთი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალის დაფარვას მოგებით, რომელიც მიიღება ასეთივე ცვლილებით ბალანსის სხვა პოზიციების მიხედვით. სხვაგვარად, მსგავსი ტაქტიკის მიზანია, ბანკს „დახურული" პოზიციების მაქსიმალური რაოდენობა ჰქონდეს. მაგრამ რამდენადაც ყველა პოზიციის ყოველთვის დახურვა შეუძლებელია, ამიტომ ბანკები მუდამ მზად უნდა იყვნენ სტრუქტურული დაბალანსებისათვის. დაბალანსების ყველაზე მარტივი და გავრცელებული ხერხია სავალუტო ნაკადების შესაბამისობაში მოყვანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი კონტრაქტის დადებისას ბანკმა თავისი არჩევანი უნდა შეაჩეროს იმ ვალუტაზე, რომელიც საშუალებას მისცემს სრულად ან ნაწილობრივ „დახუროს" არსებული და სავალუტო პოზიციები.
- გადახდის ვადის ცვლილება „Leads and Legs (გასწრება და ჩამორჩენა)

წარმოადგენს ანგარიშსწორებათა ვადების მანიპულირებას ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების, დაბეგვრის მოსალოდნელი მკვეთრი ცვლილების, აგრეთვე სავალუტო შეზღუდვების დაწესების ან გაძლიერების, მევალის მსყიდველობითიუნარიანობის გაუარესების შემთხვევაში. ამ ტაქტიკის ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

– საქონლისა და მომსახურების ფასის ვადაზე ადრე დაფარვა (თუ მოსალოდნელია ვალუტის კურსის გაზრდა) ან პირიქით - გადასახადის გადახდის დაყოვნება (თუ მოსალოდნელია ვალუტის კურსის დაცემა);

– მოგების რეპატრიაციის დაჩქარება ან შენელება; კრედიტორების ძირითადი თანხის დაფარვა; სარგებლისა და დივიდენდების გადახდა.

• გარიგება „ფიუჩერსი" საფინანსო და საკრედიტო ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის ვადიანი გარიგებებია ბირჟაზე გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფასით, ოპერაციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულებით. ფიუჩერსული გარიგების მეთოდით „ჰეჯირება" განსაკუთრებით პოპულარულია თანამედროვე საბანკო პრაქტიკაში.

• „სვოპ" ტიპის ოპერაციები ასეთი ოპერაციები გულისხმობს უცხოური ვალუტის ყიდვას „სპოტ" პირობით და იმავდროულად საპირისპირო ოპერაციის განხორციელებას „ფორვარდ" პირობით. ამ გარიგების შედეგად ბანკები იძენენ ვალუტას, რომელიც აუცილებელია საერთაშორისო ანგარიშსწორებისათვის და ამავე დროს ახორციელებენ თავიანთი სავალუტო რეზერვების დივერსიას, ინარჩუნებენ რა „დახურულ" სავალუტო პოზიციებს.

• გარიგება „ოფციონი" წარმოადგენს გარიგების სახეობას, რომლის მიხედვითაც მყიდველს უფლება აქვს გარკვეული ვადის განმავლობაში ან იყიდოს უცხოური ვალუტის შეთანხმებული თანხა ფიქსირებული კურსით (call ტიპის „ოფციონი") ან გაყიდოს იგი (put ტიპის „ოფციონი"). „ოფციონის" მფლობელი იღებს გადაწყვეტილებას გამოიყენოს, თუ არა მისი უფლებები ვალუტის კურსების დინამიკის შესაბამისად. ყველა შემთხვევაში „ოფციონის" მფლობელის რისკი წინასწარ არის შეზღუდული „ოფციონის" ფასით, ხოლო მოგება თეორიულად შეუზღუდავია და პრაქტიკულად საკმაოდ მნიშვნელოვანი. „ჰეჯირება" „ოფციონ" გარიგების მეთოდით „ფორვარდ" ოპერაციებისაგან იმით განსხვავდება, რომ ბანკი ინარჩუნებს არჩევის უფლებას, რაც ოპერაციის ეფექტიანობას ამაღლებს.

• პარალელური სესხები წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოების ან ბანკების ეროვნული ვალუტით ურთიერთდაკრედიტების პროცესს. ორივე სესხი ერთი და იგივე ვადით გაიცემა. თავისი არსით ასეთი სესხები განიხილება, როგორც „სვოპ" გარიგება. რომლის დროსაც ვალუტას ყიდულობენ „სპოტ" პირობით და იმავდროულად „ფორვარდ" პირობით ყიდიან. მაგრამ თვით „ჰეჯირების" პერიოდი შეიძლება უფრო ხანგრძლივი იყოს, ვიდრე ეს მოცემულ ქვეყანაში არსებული საკრედიტო კანონმდებლობის შესაბამისად ფორვარდული გარიგების დროს ხორციელდება.

• „სავალუტო კალათა" არის ერთი ვალუტის საშუალო შეწონილი კურსის დადგენის მეთოდი სხვა ვალუტების განსაზღვრულ ნაკრებთან შეფარდებით. ვალუტების რაოდენობა ნაკრებში, მათი შემადგენლობა და სავალუტო კომპონენტების (თითოეული ვალუტის ერთეულის რაოდენობა ნაკრებში) სიდიდე დგინდება საშუალო შეწონილი კურსის მიხედვით. ასეთ კალათაში, თუ მისი მიზანია „ჰეჯირება", შეირჩევა ისეთი ვალუტები, რომელთა კურსები ჩვეულებრივ „ცურავენ" ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით, რითაც აწონასწორებენ თავისი „ცურვის" შედეგებს და მთელი „კალათის" ერთობლივ ღირებულებას უფრო სტაბილურს ხდიან. „სავალუტო კალათა", როგორც ვალუტის საშუალო შეწონილი კურსის დადგენის მეთოდი სხვა ვალუტების გარკვეულ ნაკრებთან მიმართებაში, აცილებს გადასახდელი თანხის მკვეთრი ცვლილების ალბათობას. ამასთან, სავალუტო რისკის თვალსაზრისით, ორივე კონტრაგენტი თანაბარ პირობებში იმყოფება.

უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდები: სტრუქტურული დაბალანსება, გახადოს ეადის ცვლილება, მოთხოვნათა დისკონტირება უცხოურ ვალუტაში; გარიგებები: „ფორვარდი", „სპოპ", „ოფციონი" და „ფიუჩერსი" მოკლევადიანი „ჰეჯირებისას" გამოიყენება, ხოლო დაკრედიტება და ინვესტიციები უცხოური ვალუტით, სავალუტო დავალიანების რესტრუქტურიზაცია, პარალელური სესხები, ლიზინგი, ფილიალების მიერ გადასახდელების „მზარდი" ვალუტით გადახდა და თვითდაზღვევა გრძელვადიანი „ჰეჯირების" მეთოდებია.

სტრუქტურული დაბალანსება და „სავალუტო კალათა" წარმატებულია ნებისმიერ შემთხვევაში. პარალელური სესხებისა და ფილიალების მიერ გადასახდელების „მზარდი" ვალუტით გადახდის მეთოდების გამოყენება შეუძლიათ ისეთ ბანკებსა და კომპანიებს, რომელთაც უცხოეთის ქვეყნებში აქვთ ფილიალები (ლ. ღუდუშაური. კრედიტი და თანამედროვე და საბანკო მექანიზმი. თბილისი. 1996 წ., გვ.118).

წარმატებული ჰეჯირება მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს, რადგან აუცილებელია სწორად შეირჩეს ჰეჯირების ინსტრუმენტი და წარმართული თანხების განთავსების ფაქტორისა და ხარისხის შეფასების მეთოდი კონკრეტულ და მის საპირისპირო განთავსებაზე.

საქართველოში უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოქმნა-განვითარება ქვეყნის განვითარების ისტორიულ ჭრილში უნდა განვიხილოთ. საქართველოში სავალუტო ბაზარი 90-იანი წლების დასაწყისიდან სტიქიურად ყალიბდებოდა იმდროინდელი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, რაც კანონზომიერი იყო. ქვეყნის დამოუკიდებლობასთან ერთად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ უცხოური ვალუტით ოპერაციების წარმოებაზე ბუნებრივი მოთხოვნა წარმოშვა. ბუნებრივია, 90-იან წლებამდე საქართველოში, ისევე, როგორც მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში, სადაც ეკონომიკური და ფინანსური ბერკეტები მთლიანად სახელმწიფოს ხელში იყო მოქცეული და ქვეყანაში უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები ფართოდ და საყოველთაოდ არ წარმოებდა, არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებულიყო სავალუტო რისკის მართვის პრაქტიკა და გამოცდილება.

საქართველოს ეკონომიკური რეფორმირების, მისი დინამიკური ზრდისა და ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველი ქვეყნის ვალუტის კურსის სტაბილურობა, ბანკის მიერ რისკების გონივრული მართვა და მდგრადი საბანკო სისტემაა.

საქართველოს ეროვნული ბანკი 1998 წლის დეკემბრიდან ახორციელებს თავისუფლად მცურავი კურსის პოლიტიკას, რაც გულისხმობს იმას, რომ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობა მთლიანად ეფუძნება საბაზრო ბერკეტების ფუნქციონირებას და პროცესში არ მონაწილეობს ეროვნული ბანკი. ასეთი საკურსო რეჟიმის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სავალუტო რისკის მართვის სხვადასხვა მექანიზმების და ინსტრუმენტების გამოყენებას, მაგრამ სავალუტო რისკისაგან გარკვეულწილად დაზღვევის ჰეჯირების მექანიზმები საქართველოში ჯერჯერობით არ გამოიყენება.

სავალუტო საკონვერსიო ოპერაციების შედეგად უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შესაძლო რისკის შემცირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1998 წლის 5 ოქტომბრის №93 ბრძანებით დამტკიცდა „კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის (სავალუტო რისკის) ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესი"

ბანკის საერთო ღია სავალუტო პოზიცია არის ბანკის მიერ შესყიდული (გაყიდული) ყველა უცხოური ვალუტის თანხობრივი მოცულობისა და ყველა უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე დადებული ხელშეკრულებების თანხობრივი მოცულობის ნეტოს ჯამი.

დადებული ხელშეკრულებები უცხოური ვალუტის ყიდვასა ან გაყიდვაზე ნიშნავს სპოტური, სპოპური, ფორვარდული, ფიუჩერსული ხელშეკრულებებით და ოფციონებით ნაკისრ ვალდებულებას თანხობრივი მოცულობით უცხოური ვალუტის ყიდვასა ან გაყიდვაზე.

წესების თანახმად, ბანკები ვალდებულნი არიან ყოველდღიურად დაიცვან საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი. ამასთან, ყოველდღიურად ან დღის განმავლობაში (საოპერაციო დღის დაწყებიდან დამთავრებამდე) ბანკი უნდა ინარჩუნებდეს და გონივრულად განსაზღვრავდეს საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტს. საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დარღვევისას, ბანკები ვალდებულნი არიან, უკიდურეს შემთხვევაში, საოპერაციო დღის ბოლომდე, დარღვეული ლიმიტის აღსადგენად აწარმოონ დამაბალანსებელი სავალუტო ოპერაციები, ე.ი. გაყიდონ ან შეისყიდონ უცხოური ვალუტა.

ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით, გრძელ ღია სავალუტო პოზიციის ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციის ჯამს შორის უდიდესი, არ უნდა აღემატებოდეს ბანკის მთლიანი კაპიტალის 20%-ს.(საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1998 წლის 5 ოქტომბრის №93 ბრძანება კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის (სავალუტო რისკის) ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ).

როგორც ვსედავთ, ბანკის კაპიტალი და რისკები ერთმანეთთან უშუალო კავშირში არიან, კაპიტალი ეს არის ბანკის დამფუძნებლების ბანკში არსებული სახსრები იმ რისკის გათვალისწინებით, რომ ინვესტირებული თანხიდან შემოსავალი შეიძლება იყოს ძალიან მცირე, ან ბანკი გაკოტრდეს, რის შედეგადაც დამფუძნებლები თავისი თანხის მცირე ნაწილს ან საერთოდ ვერაფერს მიიღებენ (Питер с Роуз Банковский менеджмент. Пер. с англ.-ого. М.: Дело, 1997.ст.446).

აქედან გამომდინარე, რისკების განეიტრალებაში ბანკის კაპიტალის მოცულობა მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს. ქართული ბანკების კაპიტალის ზრდა და საერთაშორისო ორგანიზაციების და ფართოდ ცნობილი უცხოური კომპანიების ინვესტიციები დადებითი ფაქტორია. ამას თან სდევს ქვეყანაში სხვადასხვა სახეობის ხელსაყრელი მიზნობრივი საკრედიტო ხაზებისა თუ სესხების შემოდინება. როგორც ქვეყნის მთლიანი საბანკო სისტემის, ისე თითოეული კომერციული ბანკის სტაბილურობის და მდგრადობის ამაღლება.

ეერძოდ. უცხოელ ინვესტორებს თავის ინვესტიციებთან ერთად ქვეყანაში შემოაქვთ ის პრაქტიკა და გამოცდილება, რომელიც მათ ათწლეულების განმავლობაში დააგროვეს. შესაბამისად, თანდათანობით ისვეწება საბანკო საქმიანობა და იგი საერთაშორისო სტანდარტებით მიღებულ წესებსა და ნორმებს უახლოვდება. მიმდინარეობს ახალი საბანკო პროდუქტების და ტექნოლოგიების ათვისება, მრავალფეროვანი ხდება ბანკების მიერ განხორციელებული საბანკო მომსახურება და უმჯობესდება მათი ხარისხი.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკაში არსებული სიძნელეებისა და პრობლემებისა, საბანკო სისტემამ, შესძლო საკუთარი პოზიციების შენარჩუნება და დინამიკური განვითარება. ეს მით უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა წინა წლებთან შედარებით, გარკვეულწილად შემცირდა ზრდის ტემპები. აღნიშნული იმის საწინდარია, რომ მომავალში კომერციული ბანკები უფრო დიდ ყურადღებას დაუთმობენ როგორც სავალუტო რისკის, ასევე ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო რისკის მართვას და უფრო ეფექტიანად და ხშირად გამოიყენებენ მსოფლიოში უკვე კარგად ცნობილ და აპრობირებულ ჰეჯირების მეთოდებს. ამით ისინი თავის საქმიანობას ნაკლებად რისკიანს გახდიან და შეინარჩუნებენ იმ კრედიტორებისა და ინვესტორების ნდობას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სტაბილური, განვითარებული და მდგრადი საბანკო სისტემის არსებობა.

მოკლე დასკვნები

1. სავალუტო ბაზრები თანამედროვე საფინანსო ბაზრების ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და ლიკვიდურ სეგმენტს წარმოადგენს. მისი, როგორც კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის მთავარ მიმართულე-

ბად განიხილება.

სავალუტო ბაზარი წარმოადგენს საკონვერსიო ოპერაციათა ერთობლიობას, რომელიც ამ ბაზრის მონაწილეებს შორის, კონკრეტული პირობების (თანხა, გაცვლითი კურსი, ვალუტირების თარიღი) დაცვით, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს მოიცავს. თავის მხრივ, საკონვერსიო ოპერაციები უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორებას, სესხების გაცემასა და სხვა მიზნებს ემსახურება.

ქვეყნის სავალუტო სისტემა მოიცავს ეროვნულ და საერთაშორისო სავალუტო სისტემებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება ფუნქციებით, როლით, ამოცანებითა და რეგულირების მეთოდებით.

2. ბანკის სავალუტო ოპერაციების მართვის ძირითადი ამოცანაა კლიენტებისათვის იმის შესაძლებლობის მიცემა, რომ მოახდინონ თავიანთი აქტივების კონვერტირება ერთი ვალუტიდან მეორეში. ამიტომ ცალკე უნდა განეხილოთ ის ოპერაცია, რომელიც უკავშირდება კონვერსიას, ე.ი. ერთი ვალუტის გაცვლას მეორეზე. ამას კონვერსიულ ოპერაციებს უწოდებენ. იგი ტარდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ფორმით ამ გარიგებათა შესაბამისად. სახსრების მიწოდება შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ, გარიგების დადების თარიღიდან ორი სამუშაო საბანკო დღის განმავლობაში (ე.წ. სპოტური ოპერაციები) ან გარკვეული ვადის შემდეგ, რომელიც ორ საბანკო სამუშაო დღეს აღემატება (ვადიანი სავალუტო ოპერაციები).

3. სავალუტო ურთიერთობების ობიექტური საფუძველია ისეთი საზოგადოებრივი კლავწარმოების პროცესები, რომლებიც წარმოშობენ საქონლის, ფულისა და შრომის საერთაშორისო გაცვლას. სავალუტო ურთიერთობების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკების განვითარებაზე, მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე.

4. სავალუტო რეგულირება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ეროვნული ვალუტის სრული კონვერტირებადობის მიღწევა. აღნიშნული გულისხმობს ამ უკანასკნელის ,,სხვა ვალუტებზე შეუზღუდავად გადაცვლის უფლებას მოქმედი გაცვლითი კურსით", თუმცა ეკონომიკურ ლიტერატურაში კონვერტირებადობის უფრო ფართო განმარტებებიც არსებობს.

5. სავალუტო რისკი არის იმის ალბათობა, რომ უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა მისი აქტივებისა და პასივების საბაზრო ღირებულების ცვლილება და, შესაბამისად, ფინანსური დანაკარგები გამოიწვიოს

სავალუტო რისკის მატარებლები ძირითადად შედარებით დიდი მოცულობის ბანკები არიან, რადგანაც ეს რისკი უცხოურ ვალუტაში ოპერაციებთან არის დაკავშირებული. სხვადასხვა ვალუტების კურსები დამოკიდებულია ბაზრის მიმდინარე პირობებზე. ბანკები, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს უცხოური ვალუტით, თავის თავზე იღებენ სავალუტო ბაზარზე ფასების არასასურველი მოძრაობის რისკს როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მხრიდან.

6. ამრიგად, საქართველოს შიდა სავალუტო ბაზრის სტრუქტურა დღეისათვის, ფაქტობრივად, წარმოგვიდგება ოთხი სეგმენტით. კერძოდ:

- შიდა საბანკო სავალუტო ბაზარი;
- ბირჟის გარეშე ბანკთაშორისი სავალუტო, ანუ სადილინგო ბაზარი;
- თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა;
- უცხოური ვალუტის გადამცვლელი საბანკო და არასაბანკო პუნქტები.

7. ვალუტის საგადამცელელო საქმიანობის ლიცენზიას გასცემს საქართველოს ეროვნული ბანკი. ამგვარი ლიცენზიის მიღება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ (როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო) თუ ფიზიკურ პირს სებ-ში საჭირო დოკუმენტაციის წარდგენისა და შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შემდგომ. საგადამცველო საქმიანობის პერიოდში იგი ვალდებულია, დაიცვას ეროვნული ბანკის შესაბამისი ინსტრუქციით გათვალისწინებული ნორმატივები.

ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ

არაკონვერტირებადი ვალუტა ის ვალუტაა, რომელიც ჩაკეტილია ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე და საერთაშორისო სავალუტო ოპერაციებზე შეზღუდვები გააჩნია.

ბანკის სავალუტო პოზიცია რწმენებული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის განსაზღვრული ოდენობის მიღებასა და მიწოდებას შორის მოთხოვნათა თანაფარდობა.

გაანგარიშებითი სავალუტო ფორვარდი ფორვარდული კონტრაქტი, რომლითაც ფორმდება ორი გარიგების კომბინაციის კონვერსიული ოპერაცია; სავალუტო კონტრაქტი და მიმდინარე სავალუტო კურსის მიხედვით შემსვედრი გარიგება მისი ვალუტირების ვალდებულება. პრაქტიკაში ეს ფორვარდული კონტრაქტის სახეს იღებს, რომლის მიხედვით საბაზო ვალუტის მიწოდება ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს ამ ვალუტას პირობითად.

გადამცვლელი პუნქტი სპეციალური შენობა, რომელიც, როგორც წესი, განთავსებულია რწმუნებული ბანკის სალაროს კვანძში, ან ცალკე დაცულ შენობაში და რომელიც განკუთვნილია სავალუტო გაცვლითი ოპერაციებისათვის.

გადახდის ვალუტა ვალუტა, რომლითაც საგარეო-სავაჭრო გარიგებისას საქონლის ღირებულებას იხდიან; შეიძლება არ დაემთხვეს ფასის ვალუტას.

გამყიდველის კურსი კურსი, რომლის მიხედვითაც ბანკი ყიდის უცხოურ ვალუტას.

გრძელი სავალუტო პოზიცია ბანკის ღია სავალუტო პოზიცია, რომლის დროსაც მისი აქტივები და მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში აღემატება მის პასივებსა და ვალდებულებებს იმავე უცხოურ ვალუტაში.

დახურული სავალუტო პოზიცია სავალუტო პოზიცია, რომლის დროსაც ბანკის მოთხოვნებისა და ბანკის ვალდებულებების თანხა ცალკეულ უცხოურ ვალუტაში ერთმანეთის ტოლია.

ეროვნული ვალუტა წარმოადგენს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს ფულად ერთეულს, რომელიც გამოიყენება ამ ქვეყნის სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო ეკონომიკური, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ურთიერთობათა უზრუნველსაყოფად.

ვადიანი სავალუტო გარიგებები უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გარიგება, მათზე სახსრების გარკვეული დროის შემდეგ მიწოდებით, შეთანხმების დადებიდან ორი საბანკო სამუშაო დღის შემდეგ.

ვალუტა ქვეყნის ფულადი ერთეული, რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო ეკონომიკურ გაცვლაში და დაკავშირებულია ყოველგვარ ფულად ანგარიშსწორებასთან საერთაშორისო ურთიერთობაში. ვალუტას მიეკუთვნება აგრეთვე საერთაშორისო საანგარიშსწორებო ფულადი ერთეულები, რომლებიც ემიტირებულია სამთავრობათაშორისო სავალუტო საფინანსო ორგანიზაციების მიერ.

ვალუტის ბაზარზე ზეწოლის ინდექსი მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის, საერთაშორისო რეზერვებისა და გადასაცვლელი კურსის ცვლილების საშუალო შეწონილი სიდიდე.

იგი მხოლოდ რამდენიმე მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს მოიცავს და, ამის გამო, ქვეყანაში მიმდინარე ყველა ეკონომიკურ პროცესს სრულად ვერ აღწერს. FMP ინდექსი 1996 წელს შეიმუშავეს ეიჩენგრინმა, როუზმა და უაიპლოზმა.

ვალუტის ბლოკირება საბანკო ანგარიშებზე არსებული უცხოური ვალუტის გამოყენების აკრძალვა ან შეზღუდვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ.

ვალუტის კალათი - ეროვნული ვალუტების ნაკრები, რომელსაც იყენებენ უცხოური ვალუტების კოდირებისას ეროვნული ან საერთაშორისო კოლექტიური ვალუტების კურსის განსაზღვრისათვის, რაც ვალუტების მსყიდველობითი უნარისა და გაცვლის საერთო-ეკონომიკური პირობების გაელენის გათვალისწინების საშუალებას იძლევა.

ვალუტის კონვერტირება ერთი გაცვლა სხვა ქვეყნის ვალუტაზე მოქმედი ვალუტის კურსის მიხედვით, ანუ კონვერსის განხორციელება.

ვალუტის კურსი ეროვნული ვალუტის ერთეულის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გადაიცვალოს უცხოური ვალუტის ერთ ან რამდენიმე ერთეულზე და პირიქით, ერთი ფულადი ერთეულის ფასი, რომელიც გამოსახულია მეორე ერთეულით. საბაზრო ეკონომიკაში განისაზღვრება მოთხოვნა-მიწოდების ზემოქმედებით და გამოხატავს ეკონომიკის მდგომარეობას.

თავისუფლად კონვერტირებადია ის ვალუტა, რომელიც შეუზღუდავად იცვლება ნებისმიერი (მფლობელს შეუძლია) ქვეყნის ვალუტაზე და ნებისმიერ მფლობელს შეუძლია მისი ყველა ქვეყანაში გატანა ყოველგვარი სახის საერთაშორისო და რეგიონალური ოპერაციების საწარმოებლად.

ირიბი კოტირება - უცხოური ვალუტის კოტირების დროს ერთეულად აღებულია ეროვნული ფულადი ერთეული, რომლის კურსიც გამოსახულია უცხოური ვალუტის განსაზღვრული ოდენობით, აღნიშნული მეთოდი, ტრადიციულად გამოიყენება ფუნტი სტერლინგის მიმართ.

კონვერსიული (კონვერტირებული) არბიტრაჟი საკალუტო ოპერაცია, რომლის მიზანია უცხოური ვალუტის შეძენა ყველაზე დაბალი კურსით.

კონვერსიული ოპერაციები ბანკების ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია კონვერსიასთან, ე.ი. ერთი ვალუტის მეორე ვალუტაზე გაცვლასთან.

კონვერტირებადი ვალუტა მიჩნეულია ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტა, რომელიც იცვლება ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე და ასრულებს საერთაშორისო საგადასახდელო საშუალების ფუნქციას იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის ყოველგვარი სახით ოპერაციათა შესრულებისას.

კოტირება უცხოური ვალუტის კურსის დადგენის და პუბლიკაციის მეთოდი.

კროს-კურსი კურსი, რომლის მიხედვითაც სწარმოებს ერთი უცხოური ვალუტის გაცვლა (ყიდვა-გაყიდვა) მეორეზე.

კურსი ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის ფასი, გამოხატული მეორე ქვეყნის ფულადი ერთეულით. განასხვავებენ სპოტურ (TOD, TOM, SPOT) და ვადიან (ფორვარდულ) სავალუტო კურსებს.

მყიდველის კურსი კურსი, რომლის მიხედვითაც ბანკი ყიდულობს უცხოურ ვალუტას.

მოკლე სავალუტო პოზიცია ბანკის ღია სავალუტო პოზიცია, რომლის დროსაც ყველა პასივი და ვალდებულება უცხოურ ვალუტაში აღემატება მის აქტივებს და მოთხოვნებს იმავე ვალუტაში.

ნაწილობრივ კონვერტირებადი ვალუტის სტატუსი გააჩნია იმ ქვეყნის ვალუტას, რომელსაც საერთაშორისო ოპერაციების გარკვეული ნაწილის წარმოებისათვის შენარჩუნებული

აქვს სავალუტო შეზღუდვები.

პირდაპირი კოტირება უცხოური ვალუტის კოტირების მეთოდი, რომლის დროსაც უცხოური ვალუტის ერთეულის ღირებულება გამოისახება ეროვნულ ფულად ერთეულში. კოტირების ამგვარი მეთოდი გამოიყენება მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში.

სავალუტო არბიტრაჟი სავალუტო ოპერაცია, რომელიც მოიცავს უცხოური ვალუტის ყიდვას (გაყიდვას) კონტრგარიგების შემდგომი გაფორმებით; მიზანი სხვადასხვა სავალუტო ბაზარზე ვალუტის კურსებს შორის სხვაობით მიღებული მოგება (სივრცობრივი არბიტრაჟი); ან განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში სავალუტო კურსების ცვლილებით (დროითი არბიტრაჟი) დარჩენილი მოგება.

სავალუტო-გაცვლითი ოპერაციები ნაღდი უცხოური ვალუტის ან საგადამხდელო დოკუმენტები უცხოურ ვალუტაში ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები.

სავალუტო ლიცენზია ცენტრალური ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც უცხოური ვალუტით ოპერაციების ჩატარების უფლებას ანიჭებს კომერციულ ბანკს.

სავალუტო ოფციონი ვადიან სავალუტო ბაზარზე დადებული კონტრაქტი, რომლის მიხედვით ერთი მხარე (გამყიდველი) ყიდის, ხოლო მეორე (მყიდველი) ყიდულობს საბაზრო ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის უფლებას, ხელშეკრულების პირობებით.

სავალუტო პარიტეტი ან ოფიციალური სავალუტო კურსი წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ფულადი ერთეულების შეფარდებას საკანონმდებლო წესით და სამთავრობათაშორისო დონეზე: 1978 წლამდე განისაზღვრებოდა ვალუტებში ოქროს შინაარსით, ხოლო შემდეგ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდებით ნასესხობის სპეციალური უფლებების ბაზაზე, 1979 წელს მოქმედება დაიწყო ევროპის სავალუტო კავშირმა, რომელშიც დაფიქსირებულია ამ კავშირის წევრი-ქვეყნების ვალდებულებები შეინარჩუნონ ეროვნული ვალუტის სავალუტო პარიტეტი დაწესებულ საზღვრებში და არ დაუშვან ეროვნული ვალუტის საბაზრო კურსის ურთიერთგადახრა შეთანხმებული ნორმებიდან.

სავალუტო პოლიტიკა არის ეკონომიკურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებსაც ახორციელებს სახელმწიფო ორგანიზაციები და სახელმწიფოთაშორისი დაწესებულებები მათი საპროგრამო მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე.

სავალუტო სისტემა წარმოადგენს ფულად ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც მსოფლიო მეურნეობის წარმოების სხვადასხვა აგენტებს შორის მიმდინარე საერთაშორისო საგადასახდელო საანგარიშსწორებო ოპერაციების გამასამუალებელი საშუალებაა.

სავალუტო ურთიერთობანი ეს არის ეკონომიკური ურთიერთობანი, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო ფულის (ფუნქციების) ფუნქციონირებასთან და ემსახურება ქვეყნებს შორის სამეურნეო კავშირების სხვადასხვა ფორმებს: საგარეო ვაჭრობას, კაპიტალის გატანას, სესხების გაცემას, სამეცნიერო-ტექნიკურ გაცვლას, ტურიზმს, სახელმწიფო და კერძო გადარიცხვებს.

სავალუტო ფიუჩერსი საბირჟო კონტრაქტი, რომლის მიხედვით ერთი მხარე (გამყიდველი) ვალდებულებას იღებს მიყიდოს მეორე მხარეს (მყიდველს) უცხოური ვალუტის განსაზღვრული ოდენობა მომავალში, განსაზღვრული მომენტისათვის იმ ფასით, რომელიც მოცემული კონტრაქტის გაფორმების მომენტისათვის არის დაფიქსირებული.

სავალუტო ფორვარდი ვადიანი სავალუტო გარიგების კონტრაქტი, რომლის დროს ერთი მხარე (გამყიდველი) თავის თავზე იღებს მიყიდოს მეორე მხარეს (მყიდველს) განსაზღვრული ოდენობის უცხოური ვალუტა მომავალში განსაზღვრულ მომენტში, მაგრამ შეთანხმების დადე-

ბის მომენტში დაფიქსირებული ფასით.

სარეზერვო ვალუტა წარმოადგენს მსოფლიოში ეკონომიკურად და პოლიტიკურად ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტას, რომელიც გამოიყენება სხვა დანარჩენი სახელმწიფოების საგალუტო პარიტეტისა და საგალუტო კურსის განსაზღვრის საფუძვლად და ასრულებს საერთაშორისო მასშტაბით საგადასახდელო და სარეზერვო საშუალების ფუნქციებს.

საშუალო კურსი ნაღდი უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსი, რომელიც გამოითვლება როგორც მყიდველისა და გამყიდველის კურსების საშუალო არითმეტიკული.

სვოპი - ორ მხარეს შორის შეთანხმებაა ფულადი გადახდების გაცვლის შესახებ მომავალში განსაზღვრული პერიოდისათვის. სვოპი შეიძლება განხილული იქნეს, როგორც მხარეებს შორის დადებული მოცემული შეთანხმების ფორვარდული კონტრაქტების პორტფელი.

სპოტური საგალუტო გარიგებები უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გარიგება იმ პირობით, რომ ამ გარიგებებზე სახსრები მიეწოდება გარიგების დადებიდან არა უგვიანეს ორი საბანკო სამუშაო დღისა.

უცხოური ვალუტა საზღვარგარეთის ქვეყნების ფულადი ნიშნები, აგრეთვე უცხოური ფულადი ერთეულით გამოხატული საკრედიტო და საგადასახადო დოკუმენტები (თამასუქი, ჩეკი და სხვ.), გამოყენებული საერთაშორისო ანგარიშსწორებაში.

ღია საგალუტო პოზიცია საგალუტო პოზიცია, რომლის დროსაც ბანკის მოთხოვნების თანხა და თანხა ცალკეულ უცხოურ ვალუტაში არ ემთხვევა ბანკის ვალდებულებებს ამავე ვალუტაში.

ღია საგალუტო პოზიციის ლიმიტი ბანკის ღია საგალუტო პოზიციის მაქსიმალურად დასაშვები სიდიდის შეფარდება მისი საკუთარი სახსრების (კაპიტალის) თანხასთან.

შიდა კონვერსია უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გარიგება, რომელიც დადებულია რწმუნებულ ბანკსა და მის კლიენტის შორის.

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. ჩამოაყალიბეთ ვალუტის განმარტება
2. რა არის გადახდის ვალუტა
3. განსაზღვრეთ უცხოური ვალუტა
4. რაში მდგომარეობს ვალუტის ბაზარზე ზემოქმედების ინდექსი
5. რას ნიშნავს ვალუტის ბლოკირება
6. რა არის ვალუტის კალათი?
7. როგორ გესმით ვალუტის კონვერტირება?
8. რა არის ვალუტის კურსი?
9. რა იგულისხმება კონვერსიული ოპერაციების ქვეშ? ახსენით, როგორ ხორციელდება აღნიშნული ოპერაციები
10. დაახასიათეთ სპოტურ და ვადიან საგალუტო გარიგებებს შორის განსხვავება
11. რა არის საგალუტო არბიტრაჟი?
12. ჩამოაყალიბეთ ბანკის საგალუტო პოზიციები
13. რას წარმოადგენს ღია საგალუტო პოზიცია? როგორია მისი სიდიდე? ახსენით მისი გამოთვლის წესი

14. განსაზღვრეთ სავალუტო ბაზარი და ჩამოთვალეთ მისი ძირითადი მონაწილენი
15. რა სახის სავალუტო საბანკო ლიცენზიებს იცნობთ?
16. როგორ ხდება სავალუტო ოპერაციების დაზღვევა?

რეკომენდებული ლიტერატურა

ასათიანი რ. – ეკონომიკსი. განმარტებითი ლექსიკონი. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2000.

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

კაკულია მ. – სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში (სადოქტორო დისერტაცია). თბ., 2003.

კაკულია მ., ასლამაზიშვილი ნ. – დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები. თბ., 2000.

ღუდუშაური ლ. – კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ.,1996

როდე ერვინ – ბანკები, ბირჟები და სავალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში. თარგმანი რ.ნამიჭეიშვილისა. ქუთაისი, 1998.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

ხალაია გ., კაკულია რ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2000.

Банковское дело. Под ред. **О.И. Лаврушина.** М., Финансы и статистика, 2004.

Жарковская Е.П. Банковское дело. Учебник. М.: Омега - Л, 2004.

Коробова Г.Г. Банковское дело. М.: Экономист, 2004.

Красавина Л.Н. Билияк С. Международные валютно-кредитные и финансовые отношения. М.: Финансы и статистика, 2003.

Паговщин Д.Г. Валютная политика. М.: Экзамен, 2000.

Основы банковской деятельности (Банковское дело). М.: "ИНФРА-М", 2001.

Финансо-кредитный энциклопедический словарь. Под общ. ред. **А.Г. Грязновой.** М.: Финансы и статистика, 2004.

მეცამეტე თავი. კომერციული ბანკების სატრასტო, დეპოზიტური, იპოთეკური და სხვა ოპერაციები

ტერმინები და ძირითადი ცნებები
13.1. კომერციული ბანკების სატრასტო ოპერაციები
13.2. კომერციული ბანკების დეპოზიტური საქმიანობა
13.3. კომერციული ბანკების იპოთეკური ოპერაციები
13.4. საკრედიტო ოპერაციების თანამედროვე სახეები
მოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები


აგალი
ბენეფიციარი
დასრული ფაქტორინგი
დეპოზიტარული მომსახურება
იპოთეკური კრედიტი
კომისიონერი
ნდობის აღმწერელი მსროველი
სატრასტო ოპერაციები
ტრასტის დამფუძნებელი
ღია ფაქტორინგი

13.1. კომერციული ბანკების სატრასტო ოპერაციები

განვითარებულ ქვეყნებში ფინანსური აქტივების მატების კვალობაზე კომერციული ბანკები აფართოებენ მინდობით ანუ სატრასტო (ინგლისური სიტყვიდან trust- ნდობა) ოპერაციებს. ბანკების ეს მომსახურება უკავშირდება მინდობილობით ურთიერთობებს. კომერციული ბანკების ტრასტ-განყოფილებები კლიენტთა დავალებით მოქმედებენ როგორც რწმუნებულები (ნდობით აღჭურვილი პირები) და ახორციელებენ ძირითადად საკუთრების მართვასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ასრულებენ, აგრეთვე, სხვა მომსახურებას. მინდობილ ოპერაციებს ბანკები ახდენენ კერძო პირებისათვის, საწარმოებისა და ფირმებისათვის, საქველმოქმედო კომპანიების (ფონდების) და სხვა დაწესებულებებისათვის.

სატრასტო ოპერაციები კომერციული ბანკების და სპეციალური ფინანსური ინსტიტუტების ოპერაციებია, რომელთა დანიშნულებაა ქონების მართვისა და კლიენტების სხვა სახის დავალებების შესრულება. სატრასტო ოპერაციებში ფიგურირებს კლიენტების სხვადასხვა სახის ქონება. სატრასტო ოპერაციების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს 13.1. სქემა.

სატრასტო მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბება იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებში გაჩნდა მოთხოვნილება, თავისანი ფინანსური და იურიდიული საქმეების გაძღოლა მიენდოთ პროფესიონალებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მათი საკუთრების დაცვას, ვალდებულებათა შესრულებასა და მაღალ შემოსავალს. განვითარებული ქვეყნების ბაზრის ძირითად ნაწილს შეადგენს კლიენტის ფულადი სახსრების, მისი ფასიანი ქაღალდების „პორტფელის" მართვაში გაწეული მომსახურება. საერთოდ, სატრასტო ოპერაციების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნით სწარმოებს. ქვემოთ მოტანილ




13.1. სქემა. სატრასტო ოპერაციების ობიექტები

კლასიფიკაციაში გათვალისწინებულია სატრასტო ოპერაციისა და კლიენტის სახეები (სქემა 13.2).

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ის ტრასტ-მომსახურებანი, რომლებსაც კომპანიებსა და ცალკეულ მოქალაქეებს უწევენ.

მინდობილი ოპერაციები სამ სახეობად შეგვიძლია დაეყოთ:

- მემკვიდრეობის მართვა;




13.2. სქემა. სატრასტო ოპერაციების სახეები

- ოპერაციების შესრულება რწმუნებით და მეურვეობასთან დაკავშირებით;
- სააგენტო მომსახურება.

ყველა სატრასტო მომსახურება არსით საბანკოა. ისინი აყალიბებენ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ ხელშეკრულებაში (შეთანხმებაში) არის დაფიქსირებული.


საბაზრო ეკონომიკის პირობებში სატრასტო ოპერაციები ბანკებისათვის მეტად მიმზიდველ სახეს იღებს. მათი დახმარებით ბანკები ბაზარზე თავიანთი პოზიციების გარკვეულწილად გამყარების საშუალებას იძენენ (იხ.13.3. სქემა).

საწარმოები და ორგანიზაციები მომსახურებისთვის, ჩვეულებრივ, თავიანთი კომერციული ბანკების იმ სატრასტო-განყოფილებებს მიმართავენ, რომლებიც მათთვის მრავალფეროვან ოპერაციებს



13.3. სქემა. ბანკის ამოცანები სატრასტო ოპერაციებში

ასრულებენ (იხ. სქემა 13.4). ნდობით შესრულებული ოპერაციები ითვალისწინებს ობლიგაციური სესხის მომსახურებას. მას თან ახლავს რწმუნებულისათვის იმ ქონების განკარგვის უფლების გადაცემა, რომელიც სესხის უზრუნველყოფად გეგულინება. როდესაც ბანკს მოსახურებისათვის საქციო კომპანიები მიმართავენ, ისინი მას ანდობენ აქციებისა და ობლიგაციების საკუთრების უფლებას, საპენსიო ფონდების მართვას, ავალებენ ბირჟაზე გამოშვებული აქციების რეგისტრაციას და ა.შ. ფირმებისათვის ბანკი ახორციელებს საგადასახდელო ფუნქციებს. კუპონების გასტუმრება




13.4. სქემა. ბანკის სატრასტო განყოფილების ფუნქციები

და ობლიგაციების დაფარვა, რომელთა ვადაც დადგა, კომპანიების აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდა. ტრასტ-განყოფილებები ასრულებენ დეპოზიტარიუმის ფუნქციას: მათში ინახება აქციები, რომლებზეც აქციონერებს უფლებამოსილი წარმომადგენლებისათვის აქვთ გადაცემული ხმის მიცემის უფლება (ე.წ.ხმის მიმცემი ტრასტი).

ბანკს შეუძლია დროებით მართოს კომპანიის საქმეები მისი რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან გაკოტრების შემთხვევაში.

საზღვარგარეთულ პრაქტიკაში ფირმებისათვის შესრულებული მინდობითი ოპერაციების სახეები 13.5. სქემაზეა წარმოდგენილი.

კომპანიის მიერ სახსრების ხანგრძლივად მოზიდვას, როგორც წესი, თან ახლავს ფასიანი ქაღალდების გამოშვება. ასეთ შემთხვევებში ბანკის ტრასტ-განყოფილება, ჩვეულებრივ, გირაოს მფლობელად გვევლინება და საკუთრების უფლება აქვს დაყადაღებულ აქტივებზე. გარდა ამისა,



13.5. სᲥᲔᲛᲐ. ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲢᲠᲐᲡᲢᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲨᲘ

ტრასტ-განყოფილებას შეუძლია იმოქმედოს ობლიგაციების მესაკუთრების სახელით.

სატრასტო ურთიერთობათა ფარგლებში შესაძლოა იქმნებოდეს დაკალიანების დაფარვის ფონდები. ასეთი ფონდიდან კონტრაქტის საფუძველზე შეიძლება განსორციელდეს (კონტრაქტის პირობებზე დამოკიდებულებით):

1) პროცენტების გადახდა და ვალების დაფარვა;

2) დაყადაღებული ქონების გათავისუფლება;

3) დაფარვის ფონდის გამგებლობა (რომელიც ობლიგაციების გამოსასყიდად იქმნება);

4) აღრიცხვის ჩატარება და ანგარიშგებების შედგენა ემიტენტი-კომპანიის ობლიგაციების მფლობელებისათვის, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟისათვის.

თუკი ფასიანი ქაღალდები გამოშვებულია ტრასტის საფუძველზე შენახული სხვა ფასიანი

ქაღალდების საწინდრით, მაშინ ბანკი იღებს შენახულ ქაღალდებზე საკუთრების უფლებას.

ბანკს უფლება აქვს გამოსცეს ტრასტ-სერტიფიკატები კომპანიის მოწყობილობითა და სხვა ფონდებით უზრუნველყოფილი ვალდებულებები. მოწყობილობაზე საკუთრების უფლება ტრასტ-განყოფილებას გადაეცემა. მისი გამოყენებისთვის ბანკში შეაქვთ იჯარის გადასახადი.

ტრასტ-განყოფილებები მთელ რიგ საშუამავლო ოპერაციებსაც ასრულებენ საწარმოებისა და კომპანიებისთვის. ისინი გამოდიან ფირმების აქციებზე საკუთრების გადაცემის აგენტის როლში. ამის მსგავსია გაცვლის აგენტის ოპერაციები, რომლის დროსაც ბანკი, არსებული მოლაპარაკების შესაბამისად, იღებს ერთ წყება ფასიან ქაღალდებს და გასცემს მეორეს.

გაცვლა შეიძლება განაპირობოს აქციების დანაწევრებამ, მათმა კონვერსიამ ობლიგაციებად, ორი ან რამდენიმე ფირმის გაერთიანებამ ან ფასიანი ქაღალდების განთავსებამ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. ტრასტ-განყოფილება როგორც აქციების რეგისტრატორი პასუხს აგებს იმაზე, რომ ზღვარს არ გასცდეს გამოსაშვებად ნებადართული თანხა. ტრასტ-განყოფილებას არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს ითამაშოს საკუთრების უფლების გადაცემის აგენტისა და აქციების რეგისტრატორის როლი. ამიტომ ფირმის მიერ გამოშვებული აქციების კონტროლს დამოუკიდებელი ორგანო ახორციელებს.


იმ საწარმოებისა და კომპანიებისთვის, რომლებსაც მრავალრიცხოვანი აქციონერები ჰყავთ, დივიდენდების გაცემა დიდი მოცულობის პრიორიტეტულ სამუშაოს უკავშირდება. ამიტომ ისინი იმ კომერციული ბანკის ტრასტ-განყოფილებას მიმართავენ, რომელიც დივიდენდების გადახდის აგენტად მოქმედებს. ვადის დადგომის დროს ასეთი ფირმა ფულს ურიცხავს ტრასტ-განყოფილებას, რომელიც გამოწერს ჩეკებს და ფოსტით უგზავნის მათ თითოეულ აქციონერს.

ტრასტ-განყოფილებას სააქციო საზოგადოებებისთვის სხვა მომსახურების გაწევაც შეუძლია, მაგალითად, პრივილეგირებული აქციებისა და ხელმოწერითი სერტიფიკატების გამოსყიდვა.

ტრასტ-განყოფილებების მიერ შესრულებული მინდობითი ოპერაციების მოცულობაში მნიშვნელოვან ხვედრით წილს შეადგენენ ფიზიკური პირების სასარგებლოდ ჩატარებული ოპერაციები. ისინიც საკმაოდ მრავალფეროვანია. მათი სახეობები 13.6 სქემაზეა წარმოდგენილი.

სატრასტო კომპანიას (ბანკს) და მოქალაქეს შორის ურთიერთობათა გაფორმება დიდადაა დამოკიდებული მინდობილი ქონების სიდიდეზე.

მეორე მსოფლიო ომამდე ბანკები მინდობით სამართავად იღებდნენ მხოლოდ მსხვილ კაპიტალებს. ამჟამად სამართავად მიიღება ღირებულების მხრივ შედარებით მცირე (რამდენიმე ათეული ათასი დოლარის) ქონებაც. აშშ-ში, კანადასა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, აქტიურად ქმნიან „საერთო



13.6. სქემა. მოქალაქეების მიმართ სატრასტო მომსახურების სახეები

ტრასტ-ფონდებს" (inut trust), სადაც მრავალი წვრილი კლიენტის ქონებაა გაერთიანებული ინვესტიციების მიზნით. ამის შედეგად იქმნება უზარმაზარი კაპიტალები, რომლებიც წვრილ კლიენტებსაც კი უქმნიან მათ კაპიტალზე მაღალი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

სატრასტო კომპანიასთან (ბანკთან) კლიენტები, ჩვეულებრივ, დებენ ხელშეკრულებას ტრასტ-ანგარიშის გაძღოლაზე (ფასიანი ქაღალდების, ვალუტის ან კომბინირებულის), საიდანაც კლიენტი პროცენტებს (რწმუნებულის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილს) მიიღებს.

მსხვილ კლიენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უფრო ფართო სპექტრის მომსახურებით, რომელიც მათი მრავალფეროვანი ქონების მართვას უკავშირდება პერსონალური ტრასტის საფუძველზე.

პერსონალური ტრასტი შეიძლება რამდენიმე ხერხით გაფორმდეს. ძირითადია ხელშეკრულება მრწმუნებელსა და რწმუნებულს შორის. ამ ხელშეკრულების საფუძველზე რწმუნებული ქონებას ფლობს და განკარგავს მრწმუნებლის ან იმ ბენეფიციარის ინტერესებისთვის, რომელსაც (რომლებსაც) მრწმუნებელი მიუთითებს.

ანდერძის ტრასტი არის მანდობილობა, რომელიც ანდერძის სახით ფორმდება. რწმუნებულ პირს აკალებენ, განკარგოს ქონება და დანიშნულ ბენეფიციარებს შორის გაანაწილოს მიღებული შემოსავალი.

სიცოცხლეში დადებული ტრასტები არის მრწმუნებლისა და რწმუნებულის კერძო შეთანხმება (მორიგება). აქ გასამურებული არაა შესაბამისი აქტიების ხასიათი და მასშტაბები. ასეთი ტრასტის აქტივებს კი არ ამტკიცებს სასამართლო მრწმუნებლის სიკვდილის შემდეგ (რაზეც 4-5 წელი შეიძლება დაიხარჯოს), არამედ მათი გამოყენება გრძელდება ბენეფიციარის ინტერესებისთვის, ანდერძის თანასმად.

სამედიო ტრასტის დროს მრწმუნებელი შეთანხმების დებს ტრასტ-განყოფილებასთან და გარკვეულ ქონებას გადასცემს მას ტრასტში, ბანკი (კომპანია) კი ინახავს და აბანდებს მას, შეთანხმების შესაბამისად განაგებს შემოსავალსა და კაპიტალის ძირითად თანხას.

გარკვეულ შემთხვევებში მრწმუნებელი ინარჩუნებს ერთგვარ კონტროლს ტრასტზე და, ჩვეულებრივ, აქვს შეთანხმების გაუქმების ან მისი პირობების შეცვლის უფლება.

კერძო პირების ტრასტებისთვის გასამრჯელოს ზომები თავდაპირველი (ძირითადი) თანხის 0,5-დან 0,75%-ის ფარგლებში მერყეობს წელიწადში. ესაა საშუალო გადასახადი ე.წ. წარმომადგენლობისთვის. იმ ქონების მართვისთვის, რომელიც იპოთეკას, თამასუქებსა და კონტრაქტებს ეკუთვნის, განაკვეთები უფრო მაღალია. კიდევ უფრო მეტია გადასახადი უძრავი ქონების მართვისთვის.

საბრასტო მომსახურების კომპლექსში შედის მემკვიდრეობის განკარგვაც. პირმა, რომელიც ქონებას ტოვებს, ანდერძში უნდა მიუთითოს მისი აღმასრულებელი. ეს შეიძლება იყოს სატრასტო კომპანია ან ბანკის ტრასტ-განყოფილება. ვინც იმ პირის მემკვიდრეობას განკარგავს, ვისაც ანდერძი არ დაუტოვებია, განმკარგავს უწოდებენ და მას სასამართლო ნიშნავს. ეს ვალდებულება შესაძლოა რწმუნებულსაც დაეკისროს და მაშინ იგი ხდება აღმასრულებელი ან განმკარგავი სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ანდერძის წერილის საფუძველზე (ესაა ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც აღმასრულებელი იღებს სასამართლოში, რის შემდეგაც იგი შეუდგება ქონების განკარგვას).

მემკვიდრეებს შორის ქონების გაყოფის (კანონის შესაბამისად) ფუნქციების გარდა კომპანია და ბანკი სხვა მოვალეობებსაც შეიძლება ასრულებდეს, მაგალითად, ანდერძის შევსებას და ქონების გაყოფის დასრულების შევსებას. ამ დროს:

- პირველი მოვალეობა შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუკი ანდერძში აღმასრულებელი მიჩნეთებული არაა, ან იგი დასახელებულია, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მას არ სურს (ან არ ძალუძს) გარდაცვლილის ნების შესრულება (ამ შემთხვევებში ანდერძის აღმასრულებელს ნიშნავს სასამართლო);
- ქონების გაყოფის დასრულების მოვალეობები მაშინ ჩნდება, როდესაც ანდერძის აღმასრულებელი გარდაიცვლება. უარს ამბობს უფლებამოსილებებზე ან ჩამოშორებულია მის განხორციელებას ქონების სრულ გაყოფამდე.

ანდერძის აღმასრულებლის მთავარი მოვალეობა ისაა, რომ მიიღოს სასამართლოს ნებართვა, შეაგროვოს და საფრთხე აარიდოს მემკვიდრეობის აქტივებს, გაისტუმროს ადმინისტრაციული ხარჯები და ვალები, გადაიხადოს გადასახადები, გაყოს დატოვებული ქონება და პირადი მომსახურება გაუწიოს ოჯახის წევრებს.

მემკვიდრეობის აქტივების შემადგენლობის განსაზღვრისათვის სატრასტო კომპანია (ბანკი) ვალდებულია გამოაქვეინოს საბანკო ანგარიშები, მოაგვაროს ბროკერებთან ანგარიშსწორებანი, გახსნას სეიფები და გამოიტანოს იქ მოთავსებული ნივთები, შეაგროვოს დაზღვევის მოწმობები და გასანაღდებლად წარადგინოს ისინი (როდესაც მემკვიდრეობას ემატება დაზღვევის თანხა).

თუკი ქონებას შეადგენს უძრავი ქონება, ასაღები მოსაჯალი ან პირუტყვი, საჭიროა ყოველივე ამის ინვენტარიზება და სრული დაცულობის უზრუნველყოფა. შესაძლოა საჭირო გახდეს საქმიანი ოპერაციების კონტროლი და გაგრძელება, ავეჯის და სხვა საოჯახო ქონების აღწერა და მათი დაცვის ზომების მიღება.

აუცილებელია, რომ აქტივებს აფასებდნენ მცოდნე პირები. ასევე, საჭიროა ზრუნვა მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციაზე ნაკლები დანაკარგებით და, თუ საჭიროა, საწარმოს ან ფასიანი ქაღალდის გაყიდვა. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს გაყიდვისათვის ხელსაყრელი მომენტის სწორად შერჩევას, რათა მისაღები ფასი დაედოს მათ.

უძრავი ქონების ფასეულობის შესანარჩუნებლად საჭიროა მისი დაზღვევა, გაქირავება ან უშიშარყოფა. აღმასრულებელი ვალდებულია გადაიხადოს დაკრძალვისა და სასამართლოს მთელი ხარჯები, შემფასებლისა და ადვოკატის გასამრჯელო, გადასახადები და სხვა საჭალო ვალდებულებები.

შემდეგი ეტაპია აქტივების გაყოფა. თუკი ქონების მესაკუთრე გარდაიცვალა და ანდერძი არ დაუტოვებია, მაშინ ქონების გაყოფა ხორციელდება კანონის შესაბამისად, ე.ი. აქტივების გარკვეულ ნაწილს გადასცემენ მის ცოცხალ მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს და ა.შ. როცა არსებული ანდერძი არ ეწინააღმდეგება ქონების გაყოფის შესახებ კანონებს, მაშინ იგი უნდა შესრულდეს. გარდა ამისა, აღმასრულებელმა გარკვეული მომსახურება უნდა გაუწიოს გარდაცვლილის ოჯახს, მათ შორის - დაკრძალვის მოწყობაში. იმ შემთხვევაში, თუკი ამ ოჯახს სასწრაფოდ სჭირდება ნაღდი სახსრები, აქტივების ნაწილი შესაძლოა გაიყიდოს რწმუნებულის კონტროლით.

სატრასტო კომპანია ცალკეული პირებისათვის ხშირად ასრულებს აგენტის ფუნქციებს, რომელთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია: აქტივების შენახვა, საკუთრების მართვა, იურიდიული მომსახურება. აგენტის ფუნქციების შესრულების დროს საკუთრების უფლებას, როგორც წესი, მფლობელი ინარჩუნებს.

ამაშია აგენტის ფუნქციების პრინციპული განსხვავება პერსონალური ტრასტისაგან, რომლის დროსაც ქონებაზე საკუთრების უფლება რწმუნებულ პირს გადაეცემა.

საგენტო ურთიერთობები მაშინ აღმოცენდება, როდესაც პრინციპალად წოდებულმა ერთმა პირმა უფლებამოსილება მიანიჭა აგენტად წოდებულ მეორე პირს, იმოქმედოს თავისი სახელით. წარმომადგენლობა ხორციელდება სახელშეკრულებო საწყისებზე და ვიდრე ამ როლს შესრულებდეს, კომერციული ბანკის ტრასტ-განყოფილება მოითხოვს ან მხარეებს შორის საagენტო შეთანხმების დადებას, ან პრინციპალის წერილობით მითითებებს. წარმომადგენლობა ისე საგულდაგულოდ არაა დეტალიზებული, როგორც სატრასტო შეთანხმება და მისი შეწყვეტა ნაკლები ფორმალობებითაა შესაძლებელი.

აქტივების შენახვის ფუნქციების შესრულების დროს სატრასტო კომპანია შესანახად და საკონტროლოდ იღებს გარკვეულ აქტივებს, მაგალითად, ფასიან ქაღალდებს, იღებს შემოსავლებს და კლიენტს აწვდის ყველა შემოსულობის ცნობას. ამ ვითარებაში მოსახერხებელია ვითვალისწინებდეთ: ვადაგასული ობლიგაციების დაფარვას; საწინდრისგან ფულის მიღებას; ფასიანი ქაღალდების გაცვლას, ყიდვა-გაყიდვას, მიღებასა და შემოტანას.

სატრასტო კომპანიას შეუძლია, აგრეთვე, მრწმუნებლის საინვესტიციო ან კომერციული ოპერაციების

განხორციელება, სხვადასხვა ანგარიშების გასტუმრება, გადასახადების გადახდა, სადაზღვეო პოლისების განახლება, ყველა წყაროდან შემოსავლების მიღება და აქციების ფლობიდან გამომდინარე უფლებების რეალიზება, ე.ი. აქტივების მართვა წარმომადგენლის უფლებით.

იმ შემთხვევაში,როდესაც სატრასტო კომპანიაზე ფორმდება მინდობილობა,იგი პრინციპალის რწმუნებული ანუ აგენტი ხდება და იურიდიულ ფუნქციებს ქონების შენახვასა და მის მართვას უთავსებს. უმჯობესია სპეციალური (და არა საერთო) უფლებების გაფორმება, რომელშიც შეძა ჩეკების გამოწერის, თამასუქების, ჩეკებისა და სხვა დოკუმენტების ინდოსირების, სესხების მიღების, აქციებისა და ობლიგაციების გაყიდვის, ხელშეკრულებათა დადების უფლება.

„შეკვეთით" შესრულებულ მომსახურებას (მათ შორის - იურიდიულს) შესაძლებელია პქონდეს ყოვლისმომცველი ხასიათი, თუკი ეს კლიენტისთვისაა სასურველი. აგენტის ფუნქციების შესრულებისათვის გაღებული გასამრჯელო მცირედ განსხვავდება იმისგან, რასაც პერსონალური ტრასტის დროს იხდიან. წარმომადგენლობის განაკვეთები (აქციებისა და ობლიგაციების მართვის ჩათვლით) პერსონალური ტრასტების ანალოგიურია თავდაპირველი ღირებულების 0,5-0,75% წელიწადში. ისეთი წარმომადგენლობისთვის, რომელიც იპოთეკებს, თამასუქებსა და კონტრაქტებს ესება, განაკვეთები უფრო მაღალია, უძრავი ქონებისა და საწარმოების მართვისათვის კიდევ უფრო მეტი.


გასამრჯელოს თანხაში ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება შევიდეს საკომისიოები იმ მოგებიდან შესრულებული ანარიცხების სახით, რომლებსაც მრწმუნებლის აქტივებზე განხორციელებული ოპერაციებიდან იღებენ. თუმცა, ასეთი შემთხვევები დამახასიათებელი არაა დასავლეთ ევროპის პრაქტიკისათვის.

აგენტს შეიძლება დაავალონ სხვა ქვეყანაში სავაჭრო-საფინანსო წარმომადგენლის ფუნქციებიც. ასეთი აგენტი მრწმუნებლის სახელით აფორმებს სავაჭრო და ფინანსურ კონტრაქტებს, რომლებსაც მოგება მოაქვს. ტრასტ-შომსახურების ბაზარზე წარმატების მოსაპოვებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კლიენტის მოთხოვნილებათა გაგებას, იმ „ნიშნის" ძიებასა და მოპოვებას, რომლებშიც ყველაზე უკეთ შეძლებენ სატრასტო კომპანია თუ ბანკი კლიენტისთვის დახმარების გაწევას მის ფინანსურ საქმეებში.

ამჟამად კარგი წინაპირობებია შექმნილი სატრასტო მომსახურების განვითარებისათვის კომერციულ ბანკში ან მასთან შექმნილ სატრასტო კომპანიაში. განსაკუთრებით პერსპექტიულია ის სტრუქტურები, რომლებიც შემდეგ პირობებს აკმაყოფილებენ:

1. მრავალრიცხოვან პოტენციურ მსხვილ კლიენტებთან კავშირების ქონა;
2. საწარმოთა პრივატიზებისა და მათი ქონების შეფასების გამოცდილება;
3. კლიენტთა შეკვეთით საწარმოთა რეგისტრაციის გამოცდილება;
4. ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მათით ვაჭრობის გამოცდილება;
5. პროექტის ეარგისიანობა ბანკისათვის მისი ლიკვიდობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
6. ბანკის მჭიდრო კავშირები უძრავი ქონებით მოვაჭრე კომერციულ ორგანიზაციებთან;
7. სერვისული საფინანსო ფირმების მქონე დასავლეთის ქვეყნებში (სასურველია - შვეიცარიაში, ლუქსემბურგში, დიდ ბრიტანეთსა და პოლანდიაში);
8. უმწიკვლო რეპუტაცია სასულმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და მოქალაქეების თვალში.

მინდობილი ოპერაციების შესრულებისათვის კომერციული ბანკები საკომისიო გასამრჯელოს იღებენ. მემკვიდრეობის მართვასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე მისაცემ გასამრჯელოს მთელ რიგ ქვეყნებში ადგენენ საკანონმდებლო გზით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. სააგენტო მომსახურების საკომისიო გადასახდელს უმრავლეს შემთხვევებში ადგენენ სახელშეკრულებო საწყისებზე, რადგან სამუშაოს მოცულობა ერთმანეთისგან განსხვავდება შესრულებული ოპერაციების სახეების მიხედვით. საკომისიო გასამრჯელო შეიძლება შედგებოდეს ტრასტიდან მიღებული შემოსავლიდან შესრულებული ყოველწლიური გადარიცხვებისგან, ძირითადი თანხიდან შესრულებული ყოველწლიური შენატანისგან და, მთელ რიგ



13.7. სქემა. სატრასტო კომპანიების ძირნაწილთა კლასიფიკაცია

შემთხვევებში - იმ ძირითადი თანხიდან განხორციელებული ყოველწლიური შენატანებისგან, რომელიც ტრასტის შესახებ შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლის დროს დაფიქსირდა. მინდობილი ოპერაციების მოცულობა ისეთი უნდა იყოს, რომ მან ანაზღაუროს ამ ოპერაციების შესრულებით გამოწვეული ხარჯები და ბანკისათვის უზრუნველყოს მოგების მიღება.

ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში სატრასტო ოპერაციები ჯერ-ჯერობით ბანკების დეპოზიტური საქმიანობითაა შემოფარგლული.

განვიხილოთ ამგვარი საქმიანობის ორგანიზების ძირითადი მომენტები.

13.2. კომერციული ბანკების დეპოზიტური საქმიანობა

ბანკის დეპოზიტური ოპერაციები მოიცავს საკუთრების უფლებათა აღრიცხვის, შენახვის, მინდობით მართვის განხორციელების ოპერაციებს, აგრეთვე, საბროკერო და სხვა ოპერაციების ჩატარებას საკუთრივ ბანკების კუთვნილ საემისიო ქაღალდებზე და საკრედიტო ორგანიზაციის დეპონენტების მიერ გადაცემულ ფასიან ქაღალდებზე.

დებულება დეპოზიტური საქმიანობის შესახებ ადგენს მოთხოვნას ამ საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის და იმ ცალკეული ქვედანაყოფებისათვის, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ დეპოზიტურ საქმიანობას ეწევიან. სტრუქტურაზე დამოკიდებულებით, ბანკებში შეიძლება იქმნებოდეს როგორც სამმართველო ან განყოფილება, ისე სექტორიც. განყოფილების ფარგლებში აშკარაა, რომ მომავალში უფრო მკვეთრი იქნება იმ ქვედანაყოფების

ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა საბრასტო ოპერაციებში ცხრილი 13.1

№	ურთიერთობის მონაწილენი	ურთიერთობის საგანი	მოქმედების შინაარსი	მოქმედების გამომწვევი მიზეზები
1	ბრასტის დაზღვეველი	ქონება ან ქონებრივი უფლება	ქონების (ქონებრივი უფლების) გადაცემა ლრუნველი საზოგადოებისთვის	შეზღუდული მიღება ან განსაზღვრული ოპერაციის ჩატარება
	ნდობით აღჭურვილი მმართველი		ქონების ბარათა ან ჩასთან დაკავშირებულ კონკრეტულ დავალებათა შესრულება	გასაშრალის მიღება
2	ნდობით აღჭურვილი მმართველი	ქონება (ქონებრივი უფლება)	ქონების (ქონებრივი უფლების) მართვა, გაფორმება დალება, ოპერაციების განხორციელება	შეზღუდული ან დაბეჭდილის დავალების შესრულება
	ნდობით აღჭურვილი მმართველის პარტნიორები		ქონების (ქონებრივი უფლების გამოყენების დაშვება)	საკუთარი ინტერესები საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე
3	ბრასტის დაზღვეველი	ქონების (ქონებრივი უფლების ბარიერიდან შეზღუდული)	ბენეფიციარზე შეზღუდული გადაცემის შესახებ განკარგვა	ბენეფიციარის ხელშეწყობა სამართლებრივი ან პირადი პოზიციიდან (ფიზიკური პირის შემთხვევაში-ნათესაობა)
	ბენეფიციარი		მოცემული პირის ფესხობა ხელშეწყობაში ბენეფიციარის სტატუსით	საბრასტო ხელშეწყობის თანხმობ შეზღუდის მიღება
4	ნდობით აღჭურვილი მმართველი	ქონების ბარიერიდან შეზღუდული	მოცემული შეზღუდის გადაცემა ბენეფიციარზე გადაწყვეტილების გამოცხადების გაჩერება	ტრასტის დაზღვეულის შესრულება დავალების შესრულება
	ბენეფიციარი			მიღებული შეზღუდის გამოყენება
5	ბანკის შიდა საბრასტო ქვეგანყოფილების ურთიერთობა	საბრასტო ოპერაციებიდან საკომისიო გასაშრალი	მიღებული გასაშრალის განაწილება	ქვეგანყოფილების ხარჯების ანაზღაურება საბრასტო ოპერაციებიდან და მისი შედეგის ფორმირება

გამიჯვნის წესები, რომლებიც ამა თუ იმ საქმიანობას განახორციელებენ.

სადეპოზიტო ქვედანაყოფი შეიძლება ჩამოყალიბდეს არამარტო იმ ბანკში, რომელიც დეპოზიტურ საქმიანობას ეწევა, არამედ ისეთ ბანკშიც, რომელიც მხოლოდ საკუთარი ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას ახორციელებს.

ფასიან ქაღალდებზე სრული და სარწმუნო ინფორმაციის მიღების მიზნით (მათი მფლობელების, შენახვის ადგილისა და მათზე ჩატარებული დეპოზიტური ოპერაციის მხრივ) სპეციალურ დეპო-

ანგარიშებზე მიმდინარეობს ფასიანი ქაღალდების დეპოზიტური აღრიცხვა (დეპოზიტური ოპერაციების აღრიცხვა).

დეპოზიტარიუმები ახორციელებენ დეპოზიტების ანალიტიკურ და სინთეზურ აღრიცხვას. ანალიტიკურ აღრიცხვაში იმ დეპო-ანგარიშების ანალიტიკურ აღრიცხვას ახდენენ, რომლებზეც რიცხული ფასიანი ქაღალდები კონკრეტულ მფლობელებს ეკუთვნის ან კონკრეტულ ადგილზეა შენახული. სინთეზური აღრიცხვის მიზანია სტანდარტული ანგარიშების მომზადება დეპო-ანგარიშთა გეგმის შესაბამისად. სინთეზურ აღრიცხვაში დეპოზიტარიუმი აფიქსირებს იმ სინთეზური დეპო-ანგარიშების მდგომარეობას, რომლებზეც ფასიანი ქაღალდების გამოშვებათა ჭრილში ერთიანი თანხითაა ნაჩვენები დეპოზიტარიუმში აღრიცხული და მოცემულ სინთეზურ ანგარიშზე მიკუთვნებული მთელი ფასიანი ქაღალდები.

შესრულებული მოქმედებების ხასიათის მიხედვით ერთმანეთისგან განასხვავებენ სამი კლასის დეპოზიტურ ოპერაციებს:

- ადმინისტრაციული ოპერაციები;
- ბუღალტრული ოპერაციები;
- საინფორმაციო ოპერაციები.

ადმინისტრაციულია ის დეპოზიტური ოპერაციები, რომლებიც იწვევენ დეპო-ანგარიშების ანკეტების, აგრეთვე, დეპოზიტარიუმის სხვა კარტოთეკებისა და ჟურნალების შემცველობის ცვლილებას, გარდა პირად დეპო-ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების ნაშთებისა.

ბუღალტრულია ის დეპოზიტური ოპერაციები, რომლებიც იწვევენ პირად დეპო-ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების ნაშთების ტრანსფორმირებას.

საინფორმაციოა ის დეპოზიტური ოპერაციები, რომლებიც გულისხმობენ დეპო-ანგარიშების, პირადი დეპო-ანგარიშების შესახებ ანგარიშგებათა და სხვა კარტოთეკებისა და ცნობარების, აგრეთვე, დეპოზიტური საქმიანობის განხორციელების შესახებ ინფორმაციის შედგენას.

შესაძლებელია ისეთი კომპლექსური დეპოზიტური ოპერაციების შესრულება, რომელთა განუყოფელი ელემენტებია სხვადასხვა ოპერაციები ადმინისტრაციული და ბუღალტრული. კომპლექსური ოპერაციის შესრულების დროს იცვლება ანგარიშების ანკეტების ან დეპოზიტარიუმის სხვა კარტოთეკებისა და ჟურნალების შემცველობა, აგრეთვე, ტრასფორმირდება ნაშთები პირად დეპო-ანგარიშებზე.

სადეპოზიტო ოპერაციის შესრულების საფუძველია დავალება-დოკუმენტი, რომელიც დეპოზიტარიუმშია გადაცემული და ხელმოწერილია ოპერაციის ინიციატორის მიერ. ადმინისტრაციული, ბუღალტრული ან კომპლექსური ოპერაციების შესრულებაზე დავალებები ქაღალდის ფორმით მოცემული დოკუმენტები უნდა იყოს. დავალებად ელექტრონული ან სხვა ფორმის შეტყობინებათა მიღება ნებადართულია იმ შემთხვევაში და იმ წესით, რომელსაც კანონი, სხვა სამართლებრივი აქტები ან მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს.

დეპოზიტური ოპერაციის შესრულების დაწყებად მიიჩნევენ დავალების მიღებას, დასრულებად კი - ოპერაციის შესრულების შესახებ ანგარიშგების გადაცემას ყველა იმ პირისთვის, ვინც დეპოზიტური ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

დეპოზიტური ოპერაციის დასრულების შესახებ ანგარიშგება, რომელიც მის მიმღებს გადაეცა, დეპოზიტური აღრიცხვის ოფიციალური დოკუმენტია.

მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სია, რომელსაც გარკვეული თარიღისათვის ადგენს დეპოზიტარიუმი, ის დოკუმენტია, რომლის საფუძველზეც იქმნება ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რეესტრი.

დეპოზიტური (ანალიტიკური და სინთეზური) აღრიცხვის ყველა დოკუმენტი, კარტოთეკები, ჟურნალები, ანგარიშგების მასალები და ჩანაწერები დეპოზიტარიუმში უნდა ინახებოდეს არანაკლებ 3 წლით მათი შემოსვლის დღიდან, კარტოთეკაში ან ჟურნალში ბოლო ცვლილებათა შეტანის,

ანგარიშგების მომზადების ან ჩანაწერის კორექტირების მომენტიდან. ამ პერიოდის გასელის შემდეგ დეპოზიტური აღრიცხვის ყველა მასალა გადაეცემა არქივს, სადაც ისინი უნდა ინახებოდეს გადაცემიდან არანაკლებ 5 წლის მანძილზე. თუკი დეპოზიტური აღრიცხვის ჩანაწერი იცვლება, მაშინ დეპოზიტარიუმში გათვალისწინებული უნდა იყოს მისი შენახვის ნორმატიულ პერიოდში მდგომარეობის ყველა წინა ჩანაწერის მიღების შესაძლებლობა.

ამჟამად დეპოზიტარიუმების ნორმატიულ ბაზაში აღწერილი არაა მათი საქმიანობის მრავალი მნიშვნელოვანი მომენტი. ამიტომ დეპოზიტარიუმები იძულებული ხდებიან შექმნან საკუთარი დოკუმენტები, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ:

- დეპოზიტური საქმიანობის განხორციელების პირობები (კლიენტთა რეგლამენტი);
- დეპოზიტარიუმის შიდა რეგლამენტი.

რადგან ყოველ დეპოზიტარიუმს დეპოზიტური საქმიანობის განხორციელების საკუთარი პირობები აქვს, რომლებიც დეპოზიტური ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, ამიტომ კლიენტს უხერხულობები უჩნდება სხვადასხვა დეპოზიტარიუმთან მუშაობის დროს.

ყველა დეპოზიტარიუმისათვის პირადი ანგარიშების კოდირების ერთიანი უნიფიცირებული სისტემა არ არსებობს (დეპოზიტარიუმი კოდირებას აღწერს მის შიდა რეგლამენტში), რაც უხერხულობებს უქმნის მაკონტროლებელ ორგანოებს დეპოზიტარიუმების გეგმურ შემოწმებათა დროს.

13.3. კომერციული ბანკის იპოთეკური ოპერაციები

ამჟამად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა სულ უფრო მეტად ინტეგრირებული ხდება მსოფლიო მეურნეობაში, ეს კი წამყვან სამრეწველო ქვეყნებში გამოყენებული ახალი ფინანსური ინსტრუმენტების ათვისებას მოითხოვს.

საბაზრო ეკონომიკის გადასვლა კრიზისის ფაზიდან აღმავლობის ფაზაში, როგორც წესი, საბინაო მშენებლობის გააქტიურებით იწყება. საბინაო სექტორი საჭიროებს გრძელვადიან ინვესტიციებს, ისინი კი, თავის მხრივ, ასახავენ მოსახლეობისა და კომპანიების რწმენას, რომ შემოსავლები სტაბილური იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში.

იპოთეკური კრედიტი არის ფულადი სახსრები, რომლებსაც ბანკი სესხად აძლევს კლიენტს უძრავი ქონების გირაოთი. მიღებული კრედიტით სარგებლობისთვის კლიენტმა ბანკს უნდა გადაუსადოს პროცენტები და, აგრეთვე, ყოველთვიურად დააბრუნოს ნასესხები სახსრები საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

იპოთეკა როგორც დაკრედიტების მეთოდი ჯერ კიდევ XVII ს. შუახანებში გაჩნდა პრუსიაში. იმ დროს მიწა იყო ყველაზე უფრო საიმედო საწინდარი, რომელიც განადგურებას შეიძლებოდა გადარჩენოდა არაერთი დამანგრეველი ომის შემდეგაც. გადაცემული კაპიტალისთვის იძლეოდნენ დოკუმენტებს, რომლებშიც მკაფიოდ იყო აღნიშნული მიწის ნაკვეთი. გასესხებული ფულის დაბრუნების დაგვიანების შემთხვევაში მიწის მფლობელობა გადიოდა მიწის (სახელმწიფო) საკრედიტო სალაროს საკუთრებაში როგორც ვალის კომპენსაცია. პირველი საკრედიტო ასოციაცია, რომელიც პრუსიული მოდელის მიხედვით შეიქმნა 1790 წ. იყო ლუქსემბურგის სამთავროს რაინდთა საკრედიტო ორგანიზაცია. ეს იყო იპოთეკური რეფინანსირების განვითარებაში გადადგმული პირველი ნაბიჯი, რადგან მან შესაძლებელი გახადა (მანამდელი იპოთეკური ორგანიზაციებისგან განსხვავებით) სპეციალური ფონდიდან დაუყოვნებლივი გადახდების განხორციელება ხელშეკრულებათა მიხედვით.

იპოთეკურ ურთიერთობათა განვითარების შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი უკავშირდება Credit Foncier de France-ს (CFF-ის) დაარსებას. 1852 წ. ამ ინსტიტუტმა გააადვილა კრედიტების მიღება სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის. მას საფუძვლად დაედო საფრანგეთის მთელ

ტერიტორიაზე იპოთეკური დაკრედიტების ცენტრალიზაციის იდეა. გაცემულ დოკუმენტში უკვე მითითებული აღარ იყო ის კონკრეტული ქონება, რომელიც კონკრეტულ ფასიან ქაღალდზე აგებდა პასუხს. საწინდო ფურცლის მფლობელს ახლა შეეძლო უშუალო მოთხოვნები წაეყენებინა მხოლოდ ემიტენტისათვის. ამის შედეგად შეიქმნა იპოთეკური დაკრედიტების ახალი სისტემა და ევროპაში პირველი იპოთეკური ბანკები გაჩნდა.

პირველი იპოთეკური ბანკი, რომელიც ოპერაციების წრეზე იყო დასპეციალებული, 1831 წ. ჩამოყალიბდა ბელგიაში. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე იპოთეკურ ბანკებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ბაზარზე. ეს იყო მნიშვნელობით მესამე საკრედიტო ორგანიზაციების ჯგუფი შემნახველი და კერძო კომერციული ბანკების შემდეგ.

მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა, ინფლაციამ და 1930-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა სერიოზული დარტყმა მიაყენეს იპოთეკურ დაკრედიტებას. აღმაღლობის მოკლე პერიოდს მოჰყვა მეორე მსოფლიო ომი, 1948 წ. კი დაიწყო სავალუტო რეფორმა. ამ მოვლენების შემდეგ იპოთეკამ ზელახლა დაიწყო განვითარება,რომლის დამახასიათებელი ნიშანი გახდა დაკრედიტების ვადების საგრძნობლად მომატება.

1960-იან წლებამდე საწინდო ფურცლებს უშვებდნენ 30 წელზე მეტი ხნის ვადით და, შესაბამისად, მსესხებლები იპოთეკას სთავაზობდნენ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და უფრო მეტი ვადით. მაგრამ მსოფლიოში 1970-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბებულმა ეკონომიკურმა ვითარებამ გამოიწვია გრძელვადიან საწინდო ქაღალდებზე მყიდველთა მოთხოვნის დაქვეითება; კაპიტალის ბაზარზე გაჩნდა ვადების შემცირების ტენდენცია. ამის შედეგად იპოთეკური ბანკები გადავიდნენ ისეთ დაკრედიტებაზე, რომლებიც განვადებით ხორციელდებოდა 5-10 წლის განმავლობაში.

ამგვარად, საწინდო ფურცლებმა გაუძლო ყველა გამოცდას და უძრავი ქონების ბაზარზე კაპიტალის მოზიდვის საიმედო საშუალების სახელი დაიმკვიდრა, აჩვენა თავისი გამძლეობა და ნებისმიერ ეკონომიკურ პირობებთან შეგუების უნარი.

იპოთეკური ბაზრების ძირითადი მოდელები

იპოთეკური დაკრედიტების სრულფასოვანი სამართლებრივი რეგულირების უზრუნველსაყოფად საჭიროა კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შექმნა. ამ აქტებმა უნდა დაარეგულირონ ბანკებისა და იპოთეკური დაკრედიტების ბანკის სხვა სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა, იპოთეკური ფასიანი ქაღალდების ემისიისა და მიმოქცევის წესი და ა.შ. ამ კანონებისა და სამართლებრივი აქტების შინაარსი და მიმართულება დამოკიდებული იქნება იმაზე,თუ იპოთეკური ბაზრის რომელი მოდელის კონსტრუირებას მოახდენენ ისინი.

იპოთეკის განვითარების ისტორიაში გამოყოფენ იპოთეკური დაკრედიტების ორ ძირითად მოდელს.

პირველ მოდელს ორდონიანს უწოდებენ და მას ინგლისურ-ამერიკულ ქვეყნებში იყენებენ. ორდონიანი სისტემის არსი ისაა, რომ ხდება პირველად იპოთეკურ ბაზარზე (იმ ბაზარზე, რომელზეც კრედიტებს გასცემენ უძრავი ქონების საწინდრით) გაცემული კრედიტების დათმობა სპეციალურად შექმნილი საagენტოებისთვის. შექმნილ გარემოებებზე დამოკიდებულებით ამ საagენტოებს შეუძლიათ ასე განკარგონ მიღებული იპოთეკური კრედიტები:

1) მეორად ინვესტორებს დაუთმონ ისინი;

2) ერთგვაროვანი იპოთეკური კრედიტებისagან ჩამოაყალიბონ პულები და მეორად ინვესტორებს მიყიდონ იპოთეკების ასეთი განუყოფელი პულები ან ამგვარ პულებში მონაწილეობის უფლებები (წილები);

3) გამოუშვან და განათავსონ იპოთეკური ფასიანი ქაღალდები.

იპოთეკური დაკრედიტების ბაზრის მეორე მოდელი - ერთდონიანი - ევროპაშია გავრცელებული.

ამ დროს ის ბანკი, რომელმაც იპოთეკური კრედიტი გასცა, დამოუკიდებლად ახდენს იპოთეკური კრედიტების რეფინანსირებას ობლიგაციების ტიპის ფასიანი ქაღალდების - საწინდო ფურცლების - გამოშვების ხარჯზე. საწინდო ფურცლების გამოშვებასა და მიმოქცევას სპეციალური კანონმდებლობა არეგულირებს; ეს რეგულირება განსხვავდება ობლიგაციების გამოშვების რეგულირებისგან.

საწინდო ფურცლების ემიტენტების საქმიანობა, როგორც წესი, იპოთეკური კრედიტების გამოშვებითა და სხვა ისეთი ოპერაციებით შემოიფარგლება, რომელთაც რისკის დაბალი დონე ახასიათებს. „საწინდო ფურცლის" სახელის მქონე ფასიანი ქაღალდების გამოშვება არ შეუძლია არცერთ სხვა ემიტენტს იმათ გარდა, რომლებიც კანონშია მითითებული. იპოთეკური ბანკების საქმიანობას მკაცრად აკონტროლებენ სახელმწიფო და საბანკო ზედამხედველობის ორგანოები.

იპოთეკური სესხების სახეები.

თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში ყველაზე უფრო ფართოდაა გავრცელებული შემდეგი სახის იპოთეკური სესხები:

- ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთისა და დაფარვის 30-წლიანი ვადის მქონე ტრადიციული იპოთეკური სესხები;
- 15 წლის განმავლობაში სწრაფად დაფარვის იპოთეკური სესხები;
- საკუთარი კაპიტალის გადიდების მქონე იპოთეკური სესხები;
- ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე, „ბურთისებური გადახდის", ორსაფეხურიანი იპოთეკური სესხები.

ტრადიციული გირავნობის სიგელი დაფარვის 30 წლიანი ვადით.

მისი საპროცენტო განაკვეთები და გადახდების თანხა არ იცვლება და 30 წლის შემდეგ მას მთლიანად ფარავენ. ესაა ყველაზე პოპულარული იპოთეკური სესხი და 10%-ზე ნაკლები საპროცენტო განაკვეთით მსესხებელთა უმრავლესობა იღებს ტრადიციული გირავნობის სიგელს დაფარვის 30 წლიანი ვადით.

მაგალითად, თუ იპოთეკური სესხის სიდიდეა 100 ათასი დოლარი, დაფარვის ვადა 30 წელი და განაკვეთი 8%, მაშინ მსესხებელი ყოველთვიურად იხდის 733,77 დოლარ ძირითად თანხასა და პროცენტს. გადასახდელის ნაწილს შეადგენს საპროცენტო განაკვეთი. გადახდების დანარჩენი ნაწილი ამცირებს ვალის დაუფარავ ძირითად ნაწილს და თანდათან მთლიანად ფარავს მას. სესხებს, რომლებსაც თანდათანობით ფარავენ ხანგრძლივი ვადის განმავლობაში, გრძელვადიან სესხებს უწოდებენ.

უპირატესობები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ტრადიციული გირავნობის სიგელის ძირითადი უპირატესობაა იმის გარანტია, რომ ძირითადი თანხისა და პროცენტების ყოველთვიური გადასახდელები არ მოიმატებს. გადახდების თანხა უცვლელი დარჩება 30 წლის განმავლობაში.

ნაკლოვანებები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთებმა რომ დაიწიოს, მათთან ერთად არ მოიკლებს ტრადიციული გირავნობის სიგელის საპროცენტო განაკვეთი. უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთებით სარგებლობისათვის მსესხებელს მოუწევს რეფინანსირების მოხდენა, ეს კი ათასობით დოლარი ღირს. ამგვარად, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი ორ საპირისპირო თვისებას შეიცავს: იგი კარგია, როცა საბაზრო განაკვეთები მაღლა იწევს, და ცუდია, როცა ეს განაკვეთები ეცემა.

15 წლის განმავლობაში სწრაფად დაფარვის მქონე გირავნობის სიგელი.

15 წელიწადში დასაფარავი გირავნობის სიგელი მაშინ იზვეჭს პოპულარობას, როცა საპროცენტო განაკვეთები დაბალია. ამ დროს მომხმარებლები ცდილობენ თავიანთი გირავნობის სიგელების რეფინანსირებას 15%-იანი სესხების მეშვეობით. ეს სესხი თითქმის არ განსხვავდება ტრადიციული 30-წლიანი სესხისგან, გარდა ერთისა: ყოველთვიური გადასახდელები ამ დროს უფრო მაღალია

და სესხის დაფარვა 15 წელიწადში ხდება.

უპირატესობები. კრედიტორები თავიანთ ფულს უფრო ადრე იბრუნებენ, ვიდრე ტრადიციული გირავნობის სიგელების შემთხვევაში. ამიტომ ისინი უფრო დაბალ განაკეთს ახდევინებენ გადახდის 15-წლიანი დაფარვის მქონე სესხებისთვის. სესხის სხვაობა ყოველ კრედიტორს განსხვავებული აქვს, მაგრამ თუ 30-წლიანი დაფარვის სესხებს 8%-ით გასცემენ, 15-წლიანებისთვის ან შეიძლება 7,7% შეადგინოს.

რაკი სესხის გასტუმრება უფრო ადრე ხდება, ამიტომ პრაქტიკულად იგი ნაკლებია და მსესხებელი მთლიანობაში, სესხის დაფარვის ვადის განმავლობაში, ნაკლებს იხდის პროცენტებს 50%-ზე მეტით.

ნაკლოვანებები. ყოველთვიურ გადახდათა თანხა გაცილებით მაღალია (100000 დოლარის იპოთეკური სესხის დროს ყოველთვიური გადახდები შეადგენს 941,28 დოლარს, რაც 28%-ით აჭარბებს 30-წლიანი სესხისას). ამ მიზეზით საჭიროა უფრო მეტი წლიური შემოსავლის ქონა, რათა დაამტკიცონ სესხის გაცემა.

მიუხედავად იმისა, რომ 15-წლიანი სესხების შეთავაზება გააქტიურებულია, ბევრი ფიქრობს, რომ ამას 30-წლიანი სესხები ჯობს. ტრადიციული გირავნობის სიგელების დროს მსესხებელს იმდენჯერ შეუძლია დამატებითი გადახდების შესრულება ვალის დარჩენილი თანხის შესამცირებლად, რამდენჯერაც მოისურვებს. დამატებითი გადახდების სიდიდესა და სიხშირეზე დამოკიდებულებით ვალის დაფარვა 30 წელზე გაცილებით ადრეა შესაძლებელი. მაგალითად, თუკი წელიწადში 12-ის ნაცვლად 13 გადახდა შესრულდება, მაშინ 30-წლიანი გირავნობის სიგელი დაახლოებით 20 წელიწადში შეიძლება დაიფაროს.

ვალის დაფარვის ანგარიშში გადახდათა მზარდი თანხის მქონე გირავნობის სიგელი. ეს გირავნობის სიგელი პირველ წლებში უფრო ხელმისაწვდომია თავისი ღირებულებით, ვიდრე ტრადიციული გირავნობის სიგელი. მისი ყოველთვიური გადასახდელები თავდაპირველად დაბალია, შემდეგ კი, წლითი-წლობით, ფიქსირებული პროცენტით მატულობს 5 წლის განმავლობაში.

მაგალითად, 100000 დოლარ სესხზე, რომელზეც მზარდი თანხით ახდენენ გადახდებს 8,75%-ით, ნაღი ყოველთვიური გადახდები 593,45 დოლარს შეადგენს - ტრადიციული საგირავნო სიგელის 733,77 დოლარის ნაცვლად. გადახდები ყოველწლიურად 7,5%-ით მატულობს, ვიდრე მექვსე წელს 851,97 დოლარს არ მიაღწევს. ამ მომენტიდან გადახდების თანხა უცვლელი რჩება ვალის დაფარვამდე.

ამასთან, პირველი ხუთი წლის განმავლობაში ვალის ნაშთი ცოტათი გაიზრდება, მაშინ, როდესაც ტრადიციული სესხის დროს განუხრელად მიმდინარეობს შემცირება. ამას უარყოფით დაფარვას უწოდებენ. იგი მაშინ ხდება, როდესაც ყოველთვიური გადახდები მეტისმეტად მცირეა პროცენტის დასაფარავად. ამიტომ გადასახდელ თანხას ზრდიან და მასში შეჰყავთ გადაუხდელი პროცენტი.

ვალის დაფარვის ანგარიშში გადახდათა მზარდი თანხის მქონე გირავნობის სიგელზე ვალის ძირითადი თანხის დაუფარავი ნაშთი თავის მაქსიმუმს 104050 დოლარს აღწევს მეხუთე წელს, შემდეგ კი ისევ იწყებს ქვემოთ დაშვებას.

უპირატესობები. ვალის დაფარვის ანგარიშში გადახდათა მზარდი თანხის მქონე გირავნობის სიგელის ძირითადი უპირატესობა მისი ხელმისაწვდომობაა. მასზე პირველადი გადახდების თანხის მცირე სიდიდის წყალობით უფრო მსხვილი სესხის მიღებაა შესაძლებელი შედარებით მცირე შემოსავლის დროს.

განხილული გირავნობის სიგელის მეშვეობით 1000 ათასი დოლარის სესხის მიღება შესაძლებელია საჭიროზე 20%-ით ნაკლები შემოსავლისას. ამგვარი გირავნობის სიგელი იდეალურად გამოადგებათ იმ მსესხებლებს, რომელთა შემოსავალი, როგორც წესი, მატულობს გირავნობის სიგელზე გადახდათა თანხის მატების შესაბამისად, რაც სამსახურში დაწინაურების ან ხელფასის მომატების გამო ხდება.

ნაკლოვანებები. ჯერ ერთი, ასეთი გირავნობის სიგელით კრედიტორი უფრო მაღალ პროცენტს იღებს. აქ საპროცენტო განაკეთი, ჩვეულებრივ, 0,75-1%-ით უფრო მაღალია, ვიდრე ტრადიციული გირავნობის სიგელის დროს.

მეორე, კრედიტორები, ჩვეულებრივ, მოითხოვენ თავდაპირველი შენატანის 10%-ს მაინც, ტრადიციული გირავნობის სიგელის 5%-ის ნაცვლად.

მზარდი საკუთარი კაპიტალის მქონე გირავნობის სიგელი (GEM).

GEM-ის სხვა სახელია საკუთრების სწრაფად შეძენის მქონე გირავნობის სიგელი. ესაა ვალის დაფარვის ანგარიშში გადახდების მზარდი თანხის მქონე გირავნობის სიგელი, რომლის დროსაც გადახდების თანხა მატულობს ვალის მთლიანად დაფარვამდე. გადახდების თანხა არ დგინდება ფიქსირებულ დონეზე.

საკუთარი კაპიტალის ზრდის მქონე გირავნობის სიგელები მეტად მრავალფეროვანია. მათზე პირველი წლის ყოველთვიური გადასახადები, როგორც წესი, ისეთივეა, როგორც ტრადიციული გირავნობის სიგელის დროს (30-წლიანი ვადით). მათი სიდიდე ყოველწლიურად მატულობს ფიქსირებული პროცენტით. 7,5%-ით გაცემული 100000 დოლარის სესხზე პირველი წლის გადასახდელები 716,41 დოლარს შეადგენს. ისინი ყოველწლიურად 4%-ით მატულობს და მე-15 წელს 1240,59 დოლარს აღწევს, ვიდრე სესხი მთლიანად დაიფარებოდეს.

უპირატესობები. 15-წლიანი გირავნობის სიგელის მსგავსად, GEM-ი სწრაფად იფარება და მისი ტიპიური საპროცენტო განაკეთი 0,25-0,5%-ით ნაკლებია, ვიდრე ტრადიციული გირავნობის სიგელის დროს. ამაღე დროს, ისევე, როგორც 15-წლიანი სესხის დროს, მსესხებელი სესხის დაფარვის მთელი პერიოდის განმავლობაში ნაკლებ სახსრებს იხდის პროცენტზე.

15%-იანი გირავნობის სიგელისგან განსხვავებით, GEM-სესხის მიღების დამტკიცება ტრადიციულ გირავნობის სიგელზე უფრო ძნელი არაა, რადგან სესხის თავდაპირველი ყოველთვიური გადახდის თანხა მცირეა. GEM კარგად ესადაგება იმათ, ვისი შემოსავალიც მატულობს და ვინც 15 წლის შემდეგ გეგმავს პენსიაზე გასვლას.

ნაკლოვანებები. მზარდი საკუთარი კაპიტალის მქონე გირავნობის სიგელზე გადახდები მატებას აგრძელებს იმის მიუხედავად, იზრდება თუ არა შემოსავალი.

ცვალებადი საპროცენტო განაკეთის მქონე გირავნობის სიგელები (ARM).

ეს გირავნობის სიგელები პოპულარული გახდა 1980-იანი წლების დასაწყისში, როცა საპროცენტო განაკეთები გაცილებით უფრო მაღალი იყო. კრედიტორები იძლეოდნენ 15-16%-იანი ფიქსირებული განაკეთის მქონე გირავნობის სიგელებს. მსესხებლები ამჯობინებდნენ ისეთ ARM-ს, რომლებიც 12-13%-დან იწყებოდა.

ARM მოხერხებულია მაშინ, როდესაც ვარაუდობენ საპროცენტო განაკეთების დაცემას ამჟამინდელზე გაცილებით დაბალ დონემდე. ფიქსირებული განაკეთის მქონე ტრადიციულ გირავნობის სიგელთან შედარებით ARM-ის აშკარა განსხვავება ისაა, რომ ARM-ის დროს განაკეთი ყოველწლიურად მატულობს და კლებულობს დაფარვის ვადის განმავლობაში.

ცვალებადი საპროცენტო განაკეთის მქონე გირავნობის სიგელს აქვს ზოგიერთი საბაზო თვისება და არჩევის მთელი რიგი თვისებები.

არჩევის თვისებებია:

- საპროცენტო განაკეთის შეზღუდვა დაფარვის მთელი ვადის განმავლობაში;
- საპროცენტო განაკეთის პერიოდულად ლიმიტირება დაფარვის მთელი ვადის განმავლობაში;
- ყოველთვიური გადახდის ცვლილების შეზღუდვა;
- ფიქსირებული განაკეთის მქონე გირავნობის სიგელად გადაქცევა.

საბაზო თვისებებია:

განაკეთის ცვლილების ინტერვალი. ARM-ტიპის გირავნობის სიგელის საპროცენტო განაკეთი დადგენილ ინტერვალებში ვარირებს. ამას განაკეთის ცვლილების ინტერვალს უწოდებენ. სხვადასხვა

სიგელს განაკვეთის ცვლილების სხვადასხვა ინტერვალი აქვს. ARM-ტიპის გირავნობის სიგელის უმრავლესობის განაკვეთები წელიწადში ერთხელ იცვლება, თუმცა, ზოგიერთი მათგანისთვის გათვალისწინებულია თვეში ერთხელ, ნახევარ წელიწადში, ამ წელიწადში ან ხუთ წელიწადში ერთხელ შეცვლაც.

ზოგჯერ განაკვეთის შეცვლის პირველი ინტერვალი მომდევნო ინტერვალებზე მეტ ან ნაკლებ ხანს გრძელდება. მაგალითად, გირავნობის სიგელის საპროცენტო განაკვეთი პირველ სამ წელიწადს შესაძლოა საერთოდ არ შეიცვალოს, შემდეგ კი შეიცვალოს ყოველწლიურად.

თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთი. ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ყველა გირავნობის სიგელის საბაზო თვისებაა თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთი. ეს ის განაკვეთია, რომელსაც პირველი ინტერვალის ბოლომდე არ იხდიან. თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრავს იმ თავდაპირველი ყოველთვიური გადასახდელის სიდიდესაც, რომელსაც კრედიტორი, ჩვეულებრივ, იყენებს სესხის მიწოდების დასამტკიცებლად.

არჩევის თვისებები. ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე გირავნობის სიგელების უმრავლესობას დაცვის ვარიანტები აქვს. ისინი ზღუდავენ იმ სიდიდეებს, რომლებითაც საპროცენტო განაკვეთი და ყოველთვიური გადასახდელი შეიძლება გაიზარდოს. ასეთ დაცვას ზღვრული ღონეების შეზღუდვას უწოდებენ. იგი განსაზღვრავს იმ მინიმალურ და მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთს, რომელსაც მსესხებელი იხდის სესხის დაფარვის ვადის განმავლობაში.

საპროცენტო განაკვეთის შეზღუდვა დაფარვის ვადის განმავლობაში. დაფარვის მთელი ვადით შეზღუდვას ზოგჯერ გამოხატავენ პროცენტობით თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთის მიმართ. მაგალითად, „საპროცენტო განაკვეთის 5%-იანი შეზღუდვა დაფარვის ვადის განმავლობაში'' ნიშნავს +5%-ს თავდაპირველი განაკვეთის მიმართ.

საპროცენტო განაკვეთის პერიოდულად შეზღუდვა. ასეთი შეზღუდვა ზღვარს აწესებს იმ სიდიდეებისთვის, რომლებითაც ეს საპროცენტო განაკვეთი შეიძლება შეიცვალოს კოტირების ერთი ინტერვალიდან მეორემდე.

ყოველთვიური გადახდის სიდიდის შეზღუდვა. იგი ახდენს იმ სიდიდის ლიმიტირებას, რომლითაც ყოველთვიური გადასახდელი შეიძლება შეიცვალოს კორექტირების ერთი ინტერვალიდან მეორემდე. გადახდებზე შეზღუდვების მქონე ARM-ები, ისევე, როგორც ტრადიციული გირავნობის სიგელები, შესაძლოა უარყოფითი დაფარვის მიზეზი გახდეს. მაგრამ თუკი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე გირავნობის სიგელს შეზღუდვა აქვს დაფარვის მთელი ვადის განმავლობაში, მაშინ უარყოფითი დაფარვა მინიმალური იქნება.

ARM-ებს აქვთ, ჩვეულებრივ, ვალის ძირითადი თანხის ყოველთვიურად გადასახდელის თანხის შეზღუდვა ან საპროცენტო განაკვეთის პერიოდულად ლიმიტირება, მაგრამ არა — ორივე ერთად.

ამ ორი შეზღუდვიდან ნებისმიერი კარგად იცავს მსესხებელს ყოველთვიური გადასახდელის სიდიდის მეტისმეტად ზრდისგან.

ყოველთვიური გადასახდელის შეზღუდვა უფრო საიმედო დაცვას უზრუნველყოფს, ვიდრე საპროცენტო განაკვეთის პერიოდულად შეზღუდვა, მაგრამ უარყოფითი დაფარვის გამო მომატებულ პროცენტს იხდიან უფრო საიმედო დაცვისათვის. ამის მიუხედავად, თუკი კრედიტორი მსესხებელს სთავაზობს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე გირავნობის სიგელს შეზღუდვის გარეშე, მაშინ მსესხებელმა მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს.

თუკი კლიენტი ეძებს დამატებით სესხს, მაშინ ჯობს მან ისარგებლოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე გირავნობის სიგელით, ან შეზღუდვებიანი ARM-ებით.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე გირავნობის სიგელად გადაქცევა. ასეთი თვისების მქონე ARN-ები მსესხებლის შეხედულებისამებრ შეიძლება გადაიქცეს ფიქსირებული განაკვეთის მქონე გირავნობის სიგელად რეფინანსირების გარეშე. ყოველ კრედიტორს ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული შექცევის პირობები აქვს. ამგვარი თვისების მქონე ზოგიერთი ARM-ები შექცევადია

ნებისმიერ დროს, სხვები - მხოლოდ პირველი ხუთი წლის განმავლობაში, ზოგიც - მხოლოდ ხუთი წლის ბოლოს.

იმ ფიქსირებულგანაკვეთიან სესხს, რომლითაც მსესხებელს შეუძლია აქციოს თავისი სესხი, ადვილი შესაძლებელია არ ჰქონდეს იმ მომენტში არსებული ,,საბაზრო განაკვეთი".

კრედიტორების უმრავლესობა არსებულ ფიქსირებულ განაკვეთს წამატებას უკეთებს შექცევის დროს, რის გამოც შექცეული ფიქსირებული განაკვეთი იწყებს საბაზრო განაკვეთებზე გადამეტებას. შექცევის პირობებს კრედიტორი სავალო ვალდებულებაში მიუთითებს.

კრედიტორები ხშირად ახდევინებენ წინასწარ მოსაკრებელს (ერთი პუნქტის ოდენობით) გირავნობის სიგელის შექცევის შესაძლებლობისათვის. ეს კეთდება სულ თავიდან, შექცევის მომენტში, ან ორივე შემთხვევაში. კარგი შექცევის თვისება დამატებითი მოსაკრებელი ღირს.

იმ ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც ARM-ებს ირჩევენ, მაღალი საპროცენტო განაკვეთების მომენტში უპირატესობას ანიჭებენ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე გირავნობის სიგელს.

ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე გირავნობის სიგელის მფლობელმა განაკვეთების დაცემამდე უნდა დაიცადოს, რის შემდეგაც მოახდინოს ამ სიგელის გადაქცევა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხად.

უპირატესობები. ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე გირავნობის სიგელის განაკვეთი მატულობს და კლებულობს. თუკი განაკვეთები მაღალია და არსებობს იმის ალბათობა, რომ ისინი აღარ დაეცემა, მაშინ ეს უპირატესობაა. თუკი განაკვეთები დაბალია და არსებობს იმის ალბათობა, რომ ისინი მოიმატებს, მაშინ ეს ნაკლია. ARM-ებს სხვა მიმზიდველი თვისებებიც აქვთ, მაგრამ საპროცენტო განაკვეთი მთავარი ფაქტორი უნდა იყოს იმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, უნდა მიიღოს თუ არა მსესხებელმა ცვალებადი განაკვეთის მქონე სესხი.

თუკი შესაძლებელია ისეთი ვითარების წარმოშობა, რომლის დროსაც საპროცენტო განაკვეთები ძირს წავა, მაშინ ARM-ები უნდა ეამჯობინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში უმჯობესია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გირავნობის სიგელის შერჩევა. თუკი საპროცენტო განაკვეთები სტაბილურია ან კლებულობს, მაშინ ARM-ი ნაკლებად ძვირადღირებული იქნება დიდი ხნის მანძილზე, ვიდრე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე გირავნობის სიგელი.

ARM-ის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთი, ჩვეულებრივ, 2-3%-ით დაბალია ტრადიციულ ფიქსირებულ განაკვეთებზე. ARM-ები ძირითადად უფრო ხელმისაწვდომია პირველ ორ წელიწადს და ართც ისე დიდი შემოსავლის ქონაა საჭირო მისი მისაღები კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად, როგორც ეს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ტრადიციული სესხისათვისაა აუცილებელი.

ნაკლოვანებები. ARM-ების დროს საპროცენტო განაკვეთი და ყოველთვიური გადახდის სიდიდე შეიძლება დიდდებოდეს და უმეტესად დიდდება კიდეც სესხის დაფარვის ვადის განმავლობაში. მაგალითად, 5%-ის ტოლი თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთი მეექვსე წლისთვის შეიძლება 10%-მდე გაიზარდოს. საპროცენტო განაკვეთის ამგვარი ზრდა 65%-ით გაზრდის ყოველთვიურ გადახდებს ყველა დამცავი შეზღუდვის არსებობის დროსაც კი.

განსაკუთრებული იპოთეკური პაკეტები.

1980-იანი წლების ბოლოს მსოფლიო მასშტაბით დაინერგა საბინაო იპოთეკური სესხების სამი ძირითადი ვარიანტი: ,,ბურთიესებური დაფარვის მქონე სესხები", ,,ორსაფეხურიანი" ARM, ARM 3/1 (აგრეთვე, ARM 5/1, 7/1 და 10/1).

ყველა ამ სესხს ერთი და იგივე თვისება აქვს: პირველი რამდენიმე წლის მანძილზე მათზე დაწესებული გადასახდელები და საპროცენტო განაკვეთები ფიქსირებულია. 3, 5, 7 ან 10-წლიანი საწყისი პერიოდის გასვლის შემდეგ მათი სიდიდეები იცვლება, თითოეული ტიპის სესხისათვის სხვადასხვაგვარად.

უპირატესობები. ამ ტიპის თითოეულ სესხს თავიდან უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთი და ნაკლები ყოველთვიური გადასახდელი აქვს, ვიდრე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის

მქონე 30-წლიან სესხს. „ბურთისებური გადახდის" დროს საპროცენტო განაკვეთი, ჩვეულებრივ, 0,5%-ით დაბალია 30-წლიან სესხთან შედარებით. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს შესაბამისი კრიტერიუმებით განპირობებული მოთხოვნების დონეს, აგრეთვე, უფრო ხელმისაწვდომს ხდის გადახდებს პირველი კრიტიკული წლების განმავლობაში. ARM ტიპის ტრადიციულ გირავნობის სიგელთან შედარებით ასეთი სესხები სტაბილური საპროცენტო განაკვეთებისა და ყოველთვიური გადასახდელების უფრო სანგრძლივ თავდაპირველ პერიოდს სთავაზობს მსესხებელს.

ნაკლოვანებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთისა და გადახდათა თავდაპირველი პერიოდის დასრულების შემდეგ გაურკვეველია ახალი საპროცენტო განაკვეთი და გადახდათა ზომები.

ბურთისებური გადახდის მქონე სესხები.

ეს სესხი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე 30-წლიანი სესხის მსგავსია, მაგრამ მას ერთი თავისებურება აქვს. 5,7 ან 10-წლიანი ვადის ბოლოს („ბურთისებური დაფარვის პირობებიდან" გამომდინარე) საჭიროებულოა სესხის დაფარვა და გადახდა. მისი დაფარვა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ტრადიციული სესხის მსგავსად ხდება.

დაფარვის ვადის დადგომისთანავე მსესხებელმა ან ნაღდი ფულით უნდა გადაიხადოს ეს თანხა, ან მოახდინოს სესხის რეფინანსირება. ყოველთვის არა, მაგრამ ბურთისებური გადახდის მქონე ზოგიერთი სესხის დროს კრედიტორს მოეთხოვება სესხის რეფინანსირება (როდესაც მისი დაფარვის ვადა დგება) მოცემულ მომენტში მოქმედი საპროცენტო განაკვეთებით, იმ პირობით, თუკი მსესხებელი შეესაბამება ახალი სესხის მიწოდებისათვის დადგენილ კრიტერიუმებს. მსესხებელი მოვალეა განმეორებით გადაიხადოს გარიგების დახურვის ხარჯები და მთელი ინფორმაცია მიაწოდოს შემოსავლების, საქმიანობის, დავალიანების და ა.შ. შესახებ. ბურთისებური გადახდის მქონე სესხის შერჩევის დროს საჭიროა იპოთეკური დაკრედიტების შესახებ ხელშეკრულების ყურადღებით წაკითხვა და რეფინანსირების პირობებში გარკვევა.

კლიენტი დარწმუნებულიც რომ იყოს იმაში, რომ სახლს გაყიდის ან სესხის რეფინანსირებას განახორციელებს მანამ, ვიდრე სესხის მთლიანად დაფარვის დრო დადგება, მან მაინც ბურთისებური გადახდის ისეთი სესხი უნდა შეირჩიოს, რომლის პირობებითაც კრედიტორი სესხის რეფინანსირების მოვალეა იმ შემთხვევაში, თუკი მსესხებლის გეგმები შეიცვლება.

ორსაფეხურიანი სესხები.

ესაა ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე გირავნობის სიგელი, თუმცა, ეს განაკვეთი მხოლოდ ერთხელ იცვლება დაფარვის 30-წლიანი პერიოდის განმავლობაში. პირველი 7 წლის მანძილზე, რომლებსაც თავდაპირველ პერიოდს უწოდებენ, განაკვეთი მსესხებლის სავალო ვალდებულებაშია დაფიქსირებული. თავდაპირველი პერიოდის ბოლოს მის კორექტირებას ახდენენ ისევე, როგორც ცვალებადი განაკვეთის მქონე ნებისმიერი სხვა სესხის დროს. ამ ახალ განაკვეთს უცვლელად ინარჩუნებენ დანარჩენი 23 ან 25 წლის მანძილზე. 30-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ სესხს მთლიანად ფარავენ.

უპირატესობა. ისევე, როგორც ბურთისებური გადახდის მქონე სესხის დროს, აქაც თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთი დიდი არაა, მაგრამ ამავე დროს საჭირო აღარაა სესხის რეფინანსირება თავდაპირველი პერიოდის ბოლოს, რაც მსესხებელს ბურთისებური სესხის დროს მოუწევდა. ამის წყალობით ორსაფეხურიანი სესხი უფრო სასურველია ბურთისებური გადახდის სესხთან შედარებით.

ორსაფეხურიანი სესხები ხელსაყრელია მათთვის, ვისაც სურს მიიღოს ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხი, მაგრამ ამჯობინებს გარკვეულ რისკს მომაჯალში, რათა ყოველთვიური გადასახდელების უფრო დაბალი და მისაღები საპროცენტო განაკვეთი ჰქონდეს თავდაპირველი პერიოდის განმავლობაში.

ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე 3/1 ტიპის სესხები.

ეს სესხი წარმოადგენს ცვალებადი განაკვეთის მქონე გირავნობის სიგელს კორექტირების თავდაპირველი 3-წლიანი ინტერვალით. პირველი 3 წლის განმავლობაში განაკვეთი და ყოველთვიური გადასახდელების თანხა უცვლელია. 3-წლიანი პერიოდის ბოლოს და შემდეგ - ყოველწლიურად

განაკეთის სიდიდე და ყოველთვიური გადახდის თანხა ისევე იცვლება, როგორც ცვალებადი განაკეთის მქონე გირავნობის სიგელის დროს. არსებობს, ასევე 5/1, 7/1 და 10/1 ტიპის ცვალებადი განაკეთის მქონე სესხები, რომელთა თავდაპირველი კორექტირების პერიოდებია, შესაბამისად, 5, 7 და 10 წელი.

თუკი ფიქსირებული განაკეთის მქონე სესხის საპროცენტო განაკეთი მეტისმეტად მაღალია საიმისოდ, რომ შეესაბამებოდეს გადახდების უცვლელი თანხის მქონე სესხის სასურველი მოცულობის მიღებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, მაშინ 3/1, 5/1 და 7/1 ტიპის სესხები შესაძლოა მთლიანად შეესაბამებოდეს მსესხებლის მოთხოვნებს. მათი თავდაპირველი განაკეთის დონე იმაზე უფრო დაბალი იქნება, ვიდრე ფიქსირებული განაკეთის მქონე სესხის დროს, რაც ააღვილებს კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესაძლებლობას, ხოლო ამ სესხებით განპირობებული გადახდები იმავე დონეზე რჩება რამდენიმე წლის განმავლობაში.

არსებობს იპოთეკური დაკრედიტების სხვა პროგრამებიც, რომლებსაც შედარებით უფრო იშვიათად იყენებენ. ასეთია:

ა) ორკერძიანი იპოთეკები. ამ შემთხვევაში გადახდებს ახორციელებენ ყოველ ორ კვირაში და არა თვეში ერთხელ. გადასახდელის სიდიდეს ანგარიშობენ ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ორზე გაყოფით. იმის გამო, რომ გადახდა თვეში ორჯერ სრულდება, ყოველწლიურად ისდიან ერთი დამატებითი კვირისათვის, რაც მნიშვნელოვნად ფარავს მთლიანი სესხის თანხას. გარდა ამისა, ნამდვილი ორკვირიანი იპოთეკის დროს სესხს ფარავენ ორკვირიანი გადასახდელების საფუძველზე, რის გამოც გადახდების გრაფიკის გაელენა ფაქტიურად გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ერთი კვირისათვის უბრალო დამატებითი გადახდის განხორციელება ყოველ წელს. ორკვირიანი იპოთეკების უმრავლესობისთვის დაწესებულია, რომ კრედიტორმა ორკვირიანი გადასახდელი უშუალოდ მსესხებლის მიმდინარე საბანკო ანგარიშიდან გამოქვითოს. თუკი ამ ანგარიშზე სახსრები საკმარისი არაა, მაშინ ვალი გარკვეულ გარემოებებში ტრადიციულ გირავნობის სიგელად გადაიქცევა.

ბ) საპირისპირო ანუიტეტის მქონე იპოთეკური კრედიტები. ამ კრედიტებს აძლევენ პენსიაზე გასულ სახლის მფლობელებს. ვალის მომსახურების გადასახდელები აქ მინიმალურია ან საერთოდ არ არსებობს საკუთრების გაყიდვის ან მფლობელის თვით გარდაცვალების მომენტამდე, აგრეთვე, იქამდე, ვიდრე იპოთეკური დავალიანების კოეფიციენტი დადგენილ დონეს არ გადააჭარბებს. შეთავაზებული დროის პერიოდი შეიძლება იყოს კრედიტით მოსარგებლე მფლობელის სიცოცხლის მოსალოდნელი დარჩენილი ვადა ანდა კონტრაქტით განსაზღვრული პერიოდი. საპირისპირო ანუიტეტის მქონე იპოთეკურ კრედიტებს იმგვარად აგებენ, რომ სახლის მფლობელი ნასესხებ სახსრებს მანამდე მიიღებს ყოველთვიურად, ვიდრე არ დადგება ვალის დაფარვის ვადა.

იპოთეკური დაკრედიტების დასავლეთ-ევროპული პრაქტიკა აქ საკმაოდ დაწერილებითაა გადმოცემული იმისთვის, რათა გააქტიუროს დაინტერესებული მკითხველის ფანტაზია ახალი საბანკო პროდუქტების შემუშავების მიზნით.

13.4. ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲘ

საბანკო პრაქტიკაში კრედიტების მრავალ სახეს იყენებენ. ბანკების მიერ საკრედიტო მომსახურების ამა თუ შემადგენლობის შეთავაზებას შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავს:

– ბანკის კლიენტების მოთხოვნა სასესხო რესურსებზე მათი გამოყენების მიზნების, ვადიანობის, საკრედიტო პროცედურის ხანგრძლივობისა და იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებსაც ბანკი ითხოვს მსესხებლებისაგან;

– მოცემული სახის კრედიტების გაცემის მიზანშეწონილობა ბანკის თვალსაზრისით; ამ დროს ითვალისწინებენ კლიენტის კრედიტუნარიანობას, საერთო საკრედიტო რისკის დონეს, შემოსავლიანობას, თანხებითა და ვადებით შესაბამისი საკრედიტო რესურსების არსებობას, კლიენტების მიერ შეთავაზებული უზრუნველყოფის ხარისხს, კარგად დამუშავებული საკრედიტო ტექნოლოგიებისა

და კვალიფიკაციური საბანკო პერსონალის არსებობას;

– ეკონომიკისა და მისი ცალკეული სეგმენტების მდგომარეობა, საკრედიტო ოპერაციების რეგულირებისათვის ცენტრალური ბანკის მიერ გამოყენებული პოლიტიკა, კრედიტების ბაზრის განვითარების ტენდენციები.

ამ ფაქტორების ანალიზის შედეგების მიხედვით კომერციული ბანკები გადასინჯავენ კლიენტებისათვის შეთავაზებულ კრედიტების სახეებს, საპროცენტო განაკვეთებსა და მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. დაკრედიტების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეებია საკრედიტო ხაზი, კონტოკორენტული კრედიტი, საკრედიტო ოპერაციები თამასუქებზე და იპოთეკა.

1. საკრედიტო ხაზი

საკრედიტო ხაზი დაკრედიტების ისეთი სახესხვაობაა, რომლის დროსაც მსესხებელს სესხს აძლევენ დათქმულ ფარგლებში და ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში, ფულად სახსრებზე წარმოქმნილი მოთხოვნილების და მიხედვით.

ბანკისა და მსესხებლის მიმართ საკრედიტო ხახს შემდეგ შემთხვევებში მიმართავენ:

1. საიმედო მსესხებელთან ხანგრძლივი საკრედიტო ურთიერთობების ჭონის დროს. ბანკის სახსრები ამ დროს მსესხებლის მოკლევადიანი კაპიტალის მუდმივ დამატებით წყაროდ იქცევა. ეს საშუალებას აძლევს მოახდინოს სახსრების თანაბარ შემოსულობათა ორგანიზება, რათა გაისტუმროს შეძენილი საქონელი, სამუშაო და მომსახურება, თავიდან აიცილოს მეტისმეტად დიდი საკრედიტო დავალიანების გაჩენა, ურთიერთობები მოაგვაროს მომწოდებლებთან და მთლიანობაში, ამაღლოს სამეურნეო საქმიანობის ეფექტურობა. საკრედიტო ხაზის გამოყენება ხელს უწყობს მსესხებლის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გაფართოებას, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას საკმარისი, საკუთარი სახსრები.

2. ბანკთაშორისი დაკრედიტების ორგანიზაციების პროცესში საკრედიტო ხაზის გახსნა შესაძლებელია კრედიტის მიწოდების შესახებ ორ ბანკს შორის დადებული გენერალური შეთანხმების ფარგლებში. ამ შემთხვევაში შეთანხმებაში დათქმულია შესაძლო სესხის ის ლიმიტები, რომელთა გადამეტების გარეშე მსესხებელ ბანკს ნებისმიერ მომენტში შეუძლია სახსრების მიღება გაჩენილი მოთხოვნილების შესახებ კრედიტორი ბანკის საქმის კურსში ჩაყენების მეშვეობით. გენერალურ შეთანხმებას როგორც ბანკთაშორისი ხელშეკრულების ფორმას, ჩვეულებრივ, იყენებენ მაღალი კრედიტუნარიანობის მქონე მსხვილ ბანკებს შორის ურთიერთობებში. იმის გამო, რომ კრედიტორი ბანკი ვალდებულებას კისრულობს, პირველი მოთხოვნებისთანავე მიაწოდოს მსესხებელს სახსრები, იგი აწყდება დაწესებული ლიმიტის ფარგლებში რესურსების ნაწილის „დამუხრუჭების“ აუცილებლობას. ამის გამო ხდება ბანკის რესურსების მოცდენა ოპერატიული ბრუნვიდან, აგრეთვე, მოგების ნაწილის დაკარგვა. გარდა ამისა, გახსნილი ხაზის დროს კრედიტორ ბანკს ეზრდება საკრედიტო რისკი, რადგან მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი ხორციელდება გენერალური შეთანხმების დადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო შემდგომში სესხის მიცემა ხდება მსესხებელი ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და მისი შესაძლო მარეპრესიების მიმდინარე შეფასების გარეშე. ამიტომ შეთანხმებაში გათვალისწინებულია კრედიტორის უფლება დაკრედიტების შეჩერებაზე ან წინათ გაცემული სახსრების ვადამდე დაბრუნებაზე, თუკი გამოვლინდება მსესხებელი ბანკის ფინანსური მდგომარეობის და გადახდისუნარიანობის გაუარესების ფაქტები; თუკი იგი არ ასრულებს გენერალური შეთანხმების პირობებს; თუკი დარღვეულია ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული ეკონომიკური ნორმატივები ან არსებობს საკრედიტო რისკის მომატების სხვა ნიშნები.

3. მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში საკრედიტო ხაზს იყენებენ საქონლის სამუშაოსა და მომსახურების ექსპორტის სტიმულირებისათვის. ამ შემთხვევაში საკრედიტო ხაზის პირობებს დათქმენ კონკრეტული საგარეო სავაჭრო კონტრაქტების მახასიათებლების, იმპორტიორი – მსესხებლის

რეალური ფინანსური მდგომარეობის, გადასახადების დაბრუნების ხარისხობრივი გარანტიების არსებობის გათვალისწინებით. საკრედიტო ხაზის გახსნას შესაძლოა ხელს უწყობდეს ეროვნული ბანკის მხრიდან გარანტიების მიცემა.

ექსპორტიორის თვალსაზრისით, მყიდველისათვის გახსნილ საკრედიტო ხაზს მთელი რიგი უპირატესობები აქვს:

– სტიმული ეძლევა ექსპორტიორის პროდუქციის რეალიზაციას საგარეო ბაზარზე, რაც ხელს უწყობს მისი წარმოების განვითარებასა და ზრდას;

– არსებობს იმ მყიდველისაგან გადასახდელების თავისდროულად შემოსვლის გარანტია, რომელსაც საკრედიტო ხაზი გაუხსნა ბანკმა, ე.ი. იგი დაცულია არაგადახდების რისკისგან;

– ჩქარდება ექსპორტიორის სახსრების ფულადი ნაკადები, რაც პროდუქციის წარმოების მოცულობის უცვლელობის დროსაც კი მისი ეფექტიანობისა და მომგებიანობის ადეკვატურა. ეს პროცესი შეიძლება შეზღუდოს მხოლოდ ექსპორტიორის საწარმოო სიმძლავრეების მოცულობამ და მათი დატვირთვის ხარისხმა.

მყიდველ-იმპორტიორის თვალსაზრისით, საკრედიტო ხაზის გახსნა შესაძლოა მიმზიდველი იყოს შემდეგ მოსაზრებათა გამო:

– სესხის მიღება ხდება ფულად სახსრებზე მოთხოვნილების გაჩენის მიხედვით;

– გამარტივებულია ხელშეკრულების ფარგლებში კრედიტის გაცემის პროცედურები და შესაბამისად, დაჩქარებულია საკრედიტო დავალიანების დაფარვა;

– უზრუნველყოფილია მისთვის საჭირო ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობის გარანტირებული შემოსვლა რიტმული წარმოების ორგანიზებისათვის.

მაგრამ აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი როგორც წესი, ჩვეულებრივ კრედიტზე უფრო მაღალია. ეს ზრდის მყიდველ-იმპორტიორის ხარჯებს.

4. საკრედიტო ხაზი შეიძლება გაიხსნას მოწყობილობების შესახებ გრძელვადიანი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების საფუძველზე იდება შესაბამისი ბანკთაშორისი შეთანხმებები, რომლებშიც განსაზღვრულია საკრედიტო ხაზის გახსნის პირობები, ე.ი. დადგენილია უფლებამოსილი პარტნიორი ბანკები; დაკრედიტების ლიმიტის ზომები; კრედიტების მიზნობრივი გამოყენება; შეთანხმების ვადა და საპროცენტო გადასახადების გაანგარიშების წესი; კრედიტის ძირითადი თანხის შესაბამისი დავალიანების დაფარვის წესი; კრედიტის უზრუნველყოფის ფორმები; საანგარიშსწორებო ოპერაციების ჩატარების წესი და უნაღდო ანგარიშსწორებათა რეკომენდებული ფორმები (მაგალითად, დოკუმენტარული ინკასო ან აკრედიტივი).

ამასთან, სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებისა და ბანკთაშორისი შეთანხმების მომზადების პროცესში განსაკუთრებულად გულდასმით აანალიზებენ როგორც პარტნიორი ბანკების, ისე იმ საბოლოო მომხმარებლების გადახდისუნარიანობასა და ფინანსურ მაჩვენებლებს, რომლებსაც ობიექტების კაპიტალურ მშენებლობასა და ტექნიკით მათ აღჭურვასთან დაკავშირებული მოწყობილობა და ტექნიკური დოკუმენტაცია მიეწოდებათ. ურთიერთობათა სწრაფად გაფორმებას შეიძლება ხელი შეუწყოს გარანტიების არსებობამ სახელმწიფო ხელისუფლების სათანადო ორგანოების მხრიდან. გარდა ამ გარანტიებისა, საკრედიტო ხაზის შესაბამისი ვალდებულებების უზრუნველყოფაში იყენებენ ხოლმე თამასუქებს, სახელმწიფო ფასიან ქაღალდებსა და სხვა სახის სავალო ვალდებულებებს.

საკრედიტო ხაზის ორგანიზების მნიშვნელოვანი ელემენტია დაკრედიტების პერიოდის დაწყების საკითხების გადაჭრა. საბანკო პრაქტიკაში გვხვდება კრედიტის გახსნის შემდეგი ვარიანტები:

1) საკრედიტო ხაზის წესით გახსნილი აკრედიტივებიდან სახსრების გადახდის თარიღიდან;

2) ბანკში იმ საგადასახდელო – საანგარიშსწორებო დოკუმენტების წარდგენის დღიდან, რომლებიც ადასტურებენ საქონლის მიწოდებას, სამუშაოთა დასრულებას ან მომსახურების გაწევას;

3) საკრედიტო ხაზის ფარგლებში ანგარიშსწორებათა განხორციელებაზე პარტნიორ ბანკებს შორის მისდობილობის არსებობის შემთხვევაში – მსესხებელი ბანკიდან იმ დავალიანების შემოსულის მომენტიდან, რომელიც საკრედიტო ანგარიშიდან თანხების ჩამოწერას ითხოვს ლიმიტის ფარგლებში.

საკრედიტო ხაზით ოპერაციების გატარება შეიძლება უბრალო ან სპეციალური სასესხო ანგარიშის მეშვეობით. სპეციალურ სასესხო ანგარიშს მაშინ იყენებენ, თუკი ბანკი კლიენტთან მთელი ურთიერთობების კონცენტრაცია, საანგარიშსწორებო – საკასო მომსახურების ჩათვლით, ერთიან ანგარიშზე ახდენს.

2. კონტოკორენტული კრედიტი.

კონტოკორენტული კრედიტი განკუთვნილია მსესხებლის საზრუნაი აქტივების ჩამოსაყალიბებლად. მას სახსრებზე მიმდინარე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გაცემენ საქმიანობის დაფინანსების საკუთარი წყაროების უკმარისობის შემთხვევაში. მიმდინარე სახსრებზე მოთხოვნილება ჩნდება მსესხებლის შემომავალი და გამავალი ფინანსური ნაკადების მოძრაობაში ვადების მხრივ არსებითი განსხვავებულობის შედეგად.

კონტოკორენტულია ისეთი სახის კრედიტი, რომელიც მსესხებელს ეძლევა გადასახადების შესასრულებლად მის მიმდინარე ან ანგარიშსწორების ანგარიშებზე სახსრების უქონლობის პირობებში ტრადიციული მოკლევადიანი დაკრედიტებისგან განსხვავებით, კონტოკორენტული კრედიტი გაიცემა საბრუნაე სახსრებზე მიმდინარე მოთხოვნილების შესაბამისად და იგი განახლებულია ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

კონტოკორენტული კრედიტის დროს კრედიტორად გვევლინება კომერციული ბანკი ან მისი ქვედანაყოფი. მსესხებლები შეიძლება იყვნენ ნაირგვარი იურიდიული პირები, რომლებიც კომერციულ საფუძველზე ფუნქციონირებენ. ამ შემთხვევაში დაკრედიტების ობიექტებია საბრუნაი სახსრები, რომლებზეც ჯამური მოთხოვნა წარმოიქმნება გარკვეული დროითი ლაგის არსებობის გამო. იგი ჩნდება, ერთი მხრივ, პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციიდან ამონაგების შემოსვლასა და, მეორე მხრივ, შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გასტუმრების, ბიუჯეტში გადასახადების, პერსონალისთვის ხელფასის მიცემის, საპენსიო და სხვა არასაბიუჯეტო ფონდებთან, აგრეთვე, სხვა პირებთან ანგარიშსწორების განხორციელებას შორის.

მეორე შემთხვევაში დაკრედიტების ობიექტად გვევლინება ფიზიკური პირის ის ფულადი სახსრები, რომლებიც მას სჭირდება შეძენილი საქონლისა და მომსახურების გასასტუმრებლად, კომუნალური გადასახადების გადასახდელად და სხვა საკითხების მოსაგვარებლად.

კომერციულ ბანკებს მკაცრი მოთხოვნები აქვთ კონტოკორენტულ დაკრედიტებაზე. მსესხებლის გადახდისუნარიანობის დასადგენად ბანკები დამოუკიდებლად ამუშავებენ ანალიზის მეთოდიკებს, თუმცა, მსესხებლის შეფასების საერთო კრიტერიუმებია შემდეგი:

– სტაბილური ფინანსური მაჩვენებლები კრედიტუნარიანობის პირველი კლასის ნორმატივების შესაბამისად;

– წმინდა მოგების ისეთი სტაბილური სიდიდის ქონა, რომელიც საკმარისია მსესხებლის საჭირო ფონდების ჩამოსაყალიბებლად;

– კარგი მდგომარეობა ბაზარზე ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე;

– საქმიანობაში მუდმივი პარტნიორების ყოლა.

კონტოკორენტული კრედიტი ახლოს დგას ზემოთ განხილულ საკრედიტო ხაზთან. ამასთან, საკრედიტო ხაზს უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვაგვარი პროექტების დასაფინანსებლად (ობიექტების კაპიტალური მშენებლობა, პროდუქციის ექსპორტის სტიმულირება, მოწყობილობის, ტექნიკური დოკუმენტაციის და ტექნოლოგიების მიწოდების მხარდაჭერა საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში; საშინაო მშენებლობის დაფინანსება ბანკების მიერ და სხვა). თუმცა, ამ დროს გაცემულ სესხს მოკლევადიანი ხასიათი აქვს. კონტოკორენტულ კრედიტს იყენებენ კლიენტის საანგარიშსწორებო – საკასო მომსახურების განსახორციელებლად მისი საკუთარი საბრუნაი

სახსრების უკმარისობის დროს. ამავე დროს, საკრედიტო ხაზით გაცემული სესხი მკაცრად მიზნობრივია და მსესხებელს არ შეუძლია მისი გამოყენება სხვა მიმართულებით, განსხვავებით კონტოკორენტული კრედიტისა, სადაც სესხის გამოყენების მიზანი დათქმული არაა.

სხვა სახის დაკრედიტებასთან შედარებით, კონტოკორენტულ კრედიტს შემდეგ თავისებურებები აქვს:

– ხელშეკრულების დადებამდე ტარდება სესხის მიმღების კრედიტის უნარიანობის ანალიზი მოცემულ ბანკში მოქმედი მეთოდიკის მისედვით. შემდგომ, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, შესაძლებელია კრედიტის არაერთგზის მიღება მისი ამღების ფინანსური მდგომარეობის შესახებ დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე;

– დავალიანების მაქსიმალურ სიდიდეს დიფერენცირებულად ადგენენ თითოეული კლიენტისთვის. იურიდიული პირების დაკრედიტების დროს ბანკი სწავლობს საბრუნავი სახსრების გეგმურ და ფაქტიურ მოძრაობას, ანგარიშზე ნაშთების მდგომარეობას და მის ბრუნვას, საკუთარი სახსრების წყაროებს. კონტოკორენტზე დავალიანების ლიმიტს, ჩვეულებრივ, განსაზღვრავენ საბრუნავ სახსრებზე საშუალო მოთხოვნილებასა და საკუთარი წყაროების ხარჯზე ჩამოყალიბებულ სახსრებს შორის სხვაობით. ზოგიერთ შემთხვევაში, თუკი მოცემული კონტოკორენტული დაკრედიტების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე ბანკსა და მსესხებელს შორის უკვე არსებობდა ხანგრძლივი საკრედიტო ურთიერთობები, კონტოკორენტზე დავალიანების ლიმიტად შეგვიძლია მივიღოთ წინათ გაცემულ სესხებზე არსებული დავალიანების საშუალო სიდიდე, რომლის ოდენობა, მიახლოებით ასახავს კლიენტის მოთხოვნილებას სასესხო სახსრებზე;

– დამატებითი რისკების არსებობა, რომლებიც უკავშირდება ბანკის ვალდებულებებს, პირველი მოთხოვნებისთანავე მისცეს საჭირო ფულადი სახსრების რეზერვირების აუცილებლობას; დამატებით რისკს აჩენს, აგრეთვე, ხელშეკრულების შესრულების პროცესში ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობის ცვლილების მიმდინარე კონტროლის გარკვეული უტყუარობა.

– კონტოკორენტზე დავალიანების დაფარვის ზღვრულად დასაშვები ვადის დაწესება. ხელშეკრულებაში, რომლის საკმაოდ ხანგრძლივი ვადით შეიძლება დაიდოს, ჩაწერილია სესხის დაფარვის ვადა და ამით განმტკიცებულია მისი მოკლევადიანი ხასიათი. მართლაც, სესხის დაფარვის პროცესის გაჭიანურება ზრდის რისკს ბანკის მხრიდან. ამ შემთხვევაში დათქმული არაა დავალიანების დაფარვის ვადა;

– კონტოკორენტული კრედიტის დაბრუნების მატერიალური უზრუნველყოფის უქონლობა. ეს ძირითადი უცხოეთის საბანკო პრაქტიკისათვისაა ჩვეული. იქ კი, სადაც დაკრედიტების რისკი მომატებულია, უზრუნველყოფის ფორმებად იყენებენ ფასიან ქაღალდებს, მათ შორის – კრედიტორი ბანკის აქციებს, მსესხებლის ქონებას, მესამე პირების გარანტიებსა და თავდებობას. კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა რამდენიმე პრობლემების ერთდროულად გადაჭრის შესაძლებლობას ქმნის. ესაა ბანკის თვალსაზრისით ყველაზე უფრო გარანტირებული ფორმების გამოყენება კრედიტ-გირაოს უზრუნველყოფისათვის; ბანკის აქციების განთავსების სტიმულირება და ამ გზით სახსრების მოზიდვა აქციონერულ კაპიტალში;

– კონტოკორენტულ ოპერაციებზე არსებობს ორი სახის პროცენტები: პირველს აწესებენ კლიენტის მიმდინარე (ანგარიშსწორების) ანგარიშზე სახსრების არსებობისას და ეყრდნობიან ბანკში მოქმედ მსგავს განაკვეთებს; მეორეს არიცხავენ სასესხო დავალიანების დღიურ ნაშთს კონტოკორენტისათვის საანგარიშო საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ეს განაკვეთი, რისკის გათვალისწინებით, უფრო მაღალია ხოლმე, ვიდრე მსგავსი ხანგრძლივობის ჩვეულებრივი კრედიტებისას;

– დავალიანების დაფარვა ხორციელდება ავტომატურად, რადგან კრედიტის ანგარიშში მიმართება კლიენტის მისამართით მიღებული ყველა შემოსულობა, რომლის შესაბამის საკრედიტო ანგარიშზე აისახება მასზე სალდოს ლიკვიდაციის მომენტამდე. ფულადი სახსრების ყველა შემდგომი

შემოსულობა კლიენტის მიმდინარე (ანგარიშსწორების) ანგარიშზე იქნება დაფიქსირებული.

კონტოკორენტის ხელშეკრულება ასახავს კომერციული ბანკისა და კლიენტის ურთიერთობების ძირითად ელემენტებს: გახსნისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების წარმოების წესს; ანგარიშებში ასახულ ოპერაციებს; კრედიტის მიწოდების წესს და დავალიანების ლიმიტს; სადეპოზიტო და სასესხო პროცენტის დონეს და მათი ცვლილების მექანიზმს (მაგალითად, განაკვეთების პროგრესული სკალა); სესხის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმებს; მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის კონტროლის შესაძლო ფორმებს; კონტოკორენტით დაკრედიტების შეზღუდვის ან შეწყვეტის წესს მსესხებლის გადახდისუნარიანობისა და კრედიტუნარიანობის დაქვეითების შემთხვევაში.

საბანკო პრაქტიკაში ზოგჯერ ოვერდრაფტს განიხილავენ კონტოკორენტული კრედიტის სახესხვაობად. ისიც ფულად სახსრებზე კლიენტის მთლიანი მოთხოვნილების მოკლევადიანი დაკრედიტების ფორმაა, როდესაც ეს სახსრები საკმარისი არაა მიმდინარე გადასახადების განსახორციელებლად.

ამავე დროს შეგვიძლია გამოვყოთ ოვერდრაფტული კრედიტის მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნები:

– მისი კრედიტორები არიან არამარტო კომერციული ბანკები, არამედ ქვეყნის ცენტრალური ბანკიც;

– მსესხებლები არიან შემდეგი პირები:

1) კომერციული ბანკები, თუკი საკორესპონდენტო ურთიერთობები იძლევა ოვერდრაფტის შესაძლებლობას;

2) კომერციული ბანკის ქვედანაყოფები – ოვერდრაფტის გამოყენებით შიდასაბანკო ანგარიშსწორებათა განხორციელების პროცესში;

3) მეწარმე ფიზიკური პირები:

– ოვერდრაფტული კრედიტის ყველა ოპერაცია აისახება შესაბამისი მსესხებლების ანგარიშსწორების, მიმდინარე ან საკორესპონდენტო ანგარიშებზე;

– მსესხებელზე სესხს გასცემენ ანგარიშებზე მყოფი ნაშთის ზევით არსებული სახსრების ჩამოწერის გზით, რის შედეგადაც წარმოიქმნება ამ ანგარიშის დებეტური სალდო;

– ამ ფორმის სესხის გასაფორმებლად საჭირო არაა სპეციალური საკრედიტო ხელშეკრულების დადება. ოვერდრაფტის შესაძლებლობაზე საანგარიშსწორებო – მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის დროს თანხმდებიან ხოლმე;

– დავალიანების ლიმიტს უფრო ხშირად არ ითვალისწინებენ. თუმცა, ჩვენს პირობებში დავალიანების შეზღუდვა მიზანშეწონილია – ეს ამცირებს ბანკის რისკს. ფიზიკური პირების დაკრედიტების დროს ლიმიტს განსაზღვრისას ანალიზებენ ანგარიშებზე შემოსულობებისა და ჩამოწერათა გრაფიკს, შემოსავლების წყაროებსა და გადახდათა ვადებს, შემოსავლების სახეებსა და სიდიდეებს;

– ოვერდრაფტის ვადები ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული და ისინი, ჩვეულებრივ, არ აღემატება 10–15 დღეს. ვადიანობის დარღვევისას თანრიგში და იმავდროულად საკრედიტო ხელშეკრულებაშია გაფორმება;

– კრედიტზე გადასახდელი განისაზღვრება როგორც აბსოლუტური (ფულადი) გამოხატებული მოცემული ჯამური სიდიდე, რომელსაც კრედიტით სარგებლობის ყოველი დღისათვის ანგარიშობენ საპროცენტო განაკვეთისა და ოვერდრაფტის ფაქტიური სიდიდის გათვალისწინებით. ისევე, როგორც კონტოკორენტის შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალ დონეზეა დაწესებული მსგავსი ხანგრძლივობის კრედიტებზე შემოღებულ განაკვეთთან შედარებით;

– არსებობს ბანკებში ანგარიშებზე ოპერაციების ასახვის თავისებურებები. კომერციული ბანკის ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, ოვერდრაფტის დროს სახსრების მოძრაობისთვის შესაბამის

ანგარიშებს იყენებენ, რომელთა დანიშნულებაა ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიშზე სახსრების უკმარისობის დროს დადგენილი წესით გაცემული კრედიტების ასახვა. ეს ანგარიშები კორესპონდირდება ბანკის კლიენტების ანგარიშსწორების ანგარიშზე შესრულებული წესის მიხედვით.

გადარიცხული საკრედიტო ანგარიშების დებეტით აისახება ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიშით გადახდების ჩატარებისათვის მიწოდებული კრედიტის თანხები; აღდგენილი კრედიტების თანხები კრედიტის გადავადებასთან დაკავშირებით კლიენტების ვადაგადაცილებული დავალიანების აღრიცხვის ანგარიშებთან კორესპონდენციაში. ანგარიშების კრედიტით ოვერდრაფტის ფორმით გაცემულ სესხზე დაფარული დავალიანების თანხებს კლიენტების ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიშებთან კორესპონდენციაში; კრედიტებზე შესაძლო დანაკარგების შემთხვევისთვის შექმნილი რეზერვის ხარჯზე ჩამოწერილი დავალიანების თანხებს და სხვა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ კონტოკორენტულ და ოვერდრაფტულ კრედიტებს შორის განსხვავება სინამდვილეში არცთუ იმდენად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, თუ განვიხილავთ კომერციული ბანკის ანგარიშებზე ოპერაციების ასახვის წესს. ამასთან დაკავშირებით, სრულიად დასაშვებია ამ ორი სახის კრედიტის მიჩნევა ანალოგიურ კრედიტებად. კონტოკორენტული კრედიტის განვითარებამ შეუძლია ხელი შეუწყოს კრედიტების უფრო რაციონალურად განთავსებას, კლიენტების სახსრების მოდინებას და საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის ამაღლებას.

3. საკრედიტო ოპერაციები თამასუქებით

თამასუქების მიმოქცევის განვითარების კვალობაზე კომერციულ ბანკებს უჩნდებათ სხვადასხვაგვარი სათამასუქო ოპერაციების ჩატარების ინტერესი. საკრედიტო სათამასუქო ოპერაციების მიზანი ერთია — ბანკის კლიენტების უზრუნველყოფა მოკლევადიანი სასესხო საშუალებებით მიმდინარე ფულადი ბრუნვის ორგანიზაციისათვის. მათი თავისებურება ისაა, რომ კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფად იყენებენ მხოლოდ თამასუქებს. ამასთან, თუ წარმოდგენილი თამასუქები მაღალლიკვიდურია, მაშინ კრედიტის მიწოდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში თვით მსესხებლის კრედიტუნარიანობა მეორეხარისხოვან როლს თამაშობს.

საკრედიტო სათამასუქო ოპერაციების საფუძველია სხვადასხვაგვარი თამასუქები, კერძოდ, კომერციული და საბანკო თამასუქები ჩნდება საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობების პროცესში, როცა მყიდველი განვადებით ახორციელებს გადახდას და გამყიდველს თამასუქებს სთავაზობს. ამ შემთხვევევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმაში დარწმუნებას, რომ თამასუქი გაჩენილია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რეალური მოძრაობის შედეგად, რადგან მისი დაფარვა განხორციელდება ფასეულობათა რეალიზაციით მიღებული ამონაგების ხარჯზე. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია ბანკის გადახდისუნარიანობის შეფასება და ბანკის მეშვეობით ანგარიშსწორების ჩატარებაში შეფერხებების უქონლობაში დარწმუნება.

მიმოქცევაში სახაზინო თამასუქების ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოშვებული თამასუქების ჩართვა აფართოებს საკრედიტო სათამასუქო ოპერაციების ჩატარების ბაზას. მთელ რიგ შემთხვევებში მათში შეიძლება მონაწილეობდეს კერძო პირების მიერ გაცემული თამასუქები, თუკი ეს მიზანშეწონილია ბანკის თვალსაზრისით.

თამასუქების დისკონტი მათი მფლობელის დაკრედიტების ფორმაა, რომლის დროსაც ბანკი ვადამდე გამოისყიდის (ანაღდებს) თამასუქებს. ბანკების პრაქტიკულ საქმიანობაში, აგრეთვე, სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებულ ტერმინებს იყენებენ თამასუქების განაღდების აღსანიშნავად (განაღდებითი კრედიტი, თამასუქების დისკონტი, თამასუქების დისკონტირება, დისკონტური კრედიტი და სხვა.). მაგალითად, განაღდებითი კრედიტი იმას აღნიშნავს, რომ გასანაღდებლად მიიღება ის თამასუქები, რომლებმაც ეს პროცედურა უკვე გაიარეს სხვა ბანკში. ტერმინ „დისკონტის“ გამოყენება მიუთითებს ასეთი თამასუქების განაღდების გამომსახველ ნიშანზე — ბანკის შემოსავლის ფორმირებაზე გასანაღდებლად წარმოდგენილი ნომინალიდან პროცენტების გაანგარიშებული თანხის გამოქვითვის (დისკონტის) სახით. აღსანიშნავია. რომ ყველა სახის თამასუქის დისკონტის

ოპერაციების მექანიზმი ერთგვაროვანია.

თამასუქების დისკონტი იწყება როგორც თვითონ თამასუქების, ისე მათთან დაკავშირებული პირების ანალიზით. თამასუქებს აფასებენ კომერციული ბანკის მთელი რიგი სამსახურების სპეციალისტები. ფასიან ქაღალდებზე ოპერაციებით დასაქმებული ქვედანაყოფების მუშაკები და იურიდიული სამსახური სწავლობენ თამასუქის იურიდიულ საფუძვლიანობას, მის ნამდვილობას (თამასუქის გაფორმებისათვის წაყენებული მოთხოვნების დაცულობას) და ლიკვიდობას, ამოწმებენ თამასუქის მიმცემის და იმ სხვა პირების საიმედოობას და გადახდისუნარიანობას, რომლებიც თამასუქშია მითითებული (ინდოსანტები, აქცეპტანტები, ავალისტები). საკრედიტო ქვედანაყოფები განსაზღვრავენ თამასუქის მფლობელის კრედიტუნარიანობას. ზოგიერთ შემთხვევაში ბანკი ითვალისწინებს დამატებით პირობებს და თამასუქის იმ ფლობელს შეუძლია შესთავაზოს კრედიტი, რომლის კრედიტუნარიანობა განსხვავდება ბანკში დადგენილი კრიტერიუმებისგან. ამ დროს საკრედიტო რისკის არსებითად მომატება არ შეინიშნება, რადგან სესხზე არსებული ვალის თანხის დაბრუნება მოხდება თამასუქის მიმცემის ან თამასუქში აღნიშნული პირების მიერ თამასუქის დაფარვის მომენტში.

ბანკისათვის თამასუქის მიყიდვის დროს აფორმებენ ინდოსამენტს (გადაცემის მინაწერს), რომელიც ადასტურებს თამასუქზე გადასახდელის მიმღების უფლების გადასვლას ბანკზე.

თუკი თამასუქის ხარისხის შემოწმების შედეგად ბანკის სპეციალისტებმა გასცეს დადებითი დასკვნა, მაშინ ტარდება განაღდების პროცენტის თანხის გაანგარიშება. განაღდების პროცენტი არის თამასუქის მფლობელისათვის ბანკის მიერ მიცემული რესურსების საზღაური. მას განსაზღვრავენ ან ცენტრალური ბანკის რეფინანსების განაკეთის საფუძველზე, ან მოცემულ ბანკში «მაქვე ხანგრძლივობის (თამასუქის განაღდების თარიღიდან დაფარვის თარიღამდე პერიოდი) კრედიტებისათვის მოქმედი განაკეთებიდან გამომდინარე.

ბანკს თამასუქებს გადასცემენ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა რეესტრის დართვით. დისკონტის პროცენტს ანგარიშობენ ყოველი წარმოდგენილი თამასუქისათვის მარტივი ან რთული პროცენტის ფორმულების მეშვეობით (თუკი თამასუქის დაფარვამდე დარჩენილი ვადა ერთ წელზე მეტია), შემდეგ კი მიღებულ შედეგებს აჯამებენ ყველა რეესტრის მიხედვით.

თამასუქების დისკონტით ბანკის მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი ყალიბდება დისკონტის პროცენტისა და საბანკო კომისიისგან. ის უკანასკნელი მოიცავს თამასუქზე, აგრეთვე, ბანკის დამატებით დანახარჯებს თამასუქის დაფარვაზე ან მის პროტესტზე (დაფარვის ვადების დარღვევის შემთხვევაში).

თამასუქის მფლობელთან ბანკის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მას აძლევენ სესხს, რომლის სიდიდე ტოლია თამასუქის ნომინალს მინუს ოპერაციიდან მიღებული შემოსავლის თანხა.

თუკი თამასუქის მიმცემი უარს ამბობს გადასახდელზე, მაშინ ფორმდება ნოტარიულად დამოწმებული თამასუქის პროტესტი. ამის საფუძველზე ბანკი სასამართლოს მეშვეობით ინაზღაურებს ზარალს კანონით დადგენილი წესით. თუკი არ ხერხდება თამასუქის მომცემისაგან თანხის მიღება, მაშინ პრეტენზიები შეიძლება წაუყენონ თამასუქზე პასუხისმგებელ ნებისმიერ პირს.

თავისუფალი ფულადი სახსრების შეუსების აუცილებლობის შემთხვევაში ბანკებს შეუძლიათ ვადაზე ადრე მოახდინონ თამასუქების განაღდება მათი პორტფელიდან სხვა კომერციულ ბანკებში ან ცენტრალურ ბანკში.

თამასუქების დისკონტის მიმართ კომერციული ბანკების ინტერესი მთელ რიგ გარემოებებს უკავშირდება:

– თამასუქების დისკონტის (განსაკუთრებით – მსხვილი ემიტენტების) დროს საკრედიტო რისკი უფრო დაბალია, ვიდრე წვრილი და საშუალო მსესხებლების ტრადიციული დაკრედიტების დროს;

— საბანკო კომისიის გათვალისწინებით შემოსავლიანობის დონემ შეიძლება გადააჭარბოს იმავე ხანგრძლივობის ოპერაციებისათვის ბანკში დაწესებულ საკრედიტო განაკვეთს;

— უკვე დაკრედიტების პროცესში თამასუქების დისკონტის დროს ბანკი იტოვებს მათი სწრაფი რეალიზაციის უფლებას აქტივების ლიკვიდობის ამაღლების მიზნით.

თამასუქები დისკონტს, აგრეთვე, იყენებენ როგორც კომერციული ბანკებისათვის ცენტრალიზებული კრედიტების მიცემის ფორმას ცენტრალური ბანკის მიერ თამასუქების შეძენის გზით (განაღდებითი კრედიტი). ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული დისკონტის განაკვეთი მისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია და ბანკთაშორისი კრედიტების ბაზრების განაკვეთების ინდიკატორად გვევლინება.

ცენტრალური ბანკის მიერ გატარებული დისკონტის პოლიტიკა, მათ შორის — განაღდებითი კრედიტის გაცემის წესი და ღირებულება, არსებით გავლენას ახდენს საბანკო სფეროს მდგომარეობაზე.

თამასუქების საწინდარი კრედიტი ლომბარდული მოკლევადიანი კრედიტის ფორმაა, რომელსაც ადვილად რეალიზებადი ფასეულობების საწინდარით გასცემენ ხოლმე. ამ სახის საწინდარის მიმზიდველობას განაპირობებს თამასუქის, — როგორც საწინდარის საგნის შენახვის მცირე ხარჯები, ოპერაციის ორგანიზებისათვის საჭირო სპეციალისტების ყოლა პრაქტიკულად ყველა ბანკში (ფასიან ქაღალდებზე მომუშავე ქვედანაყოფების, საკრედიტო სამსახურების და ა. შ.), საწინდარის საგნის მაღალი ლიკვიდობა.

თამასუქების საწინდარი დაკრედიტების დროს კრედიტორები შეიძლება იყვნენ კომერციული ბანკები, მსესხებლები კი — კომერციული ბანკები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც კომერციულ საფუძველზე ფუნქციონირებენ, ფიზიკური პირები.

თამასუქის იურიდიული და ეკონომიკური საფუძელიანობის შეფასებაში ბანკის სპეციალისტების წინასწარი ანალიტიკური მუშაობა იმავე მიმართულებით ტარდება, როგორც თამასუქების დისკონტის დროს. ოღონდ თამასუქების საწინდარი დაკრედიტების შემთხვევაში ბანკს არ გადაეცემა თამასუქების საკუთრების უფლება და მასზე გადასახდელის მიღების უფლება. მსესხებელი აფორმებს გირავნობის ვალდებულებას, რომლის შესაბამისად ბანკს მხოლოდ მაშინ შეუძლია დავალიანების დაფარვის ანგარიშში მიიღოს თამასუქის თანხა, თუკი მსესხებელმა დაარღვია საკრედიტო ხელშეკრულების პირობები.

თამასუქის საწინდარით დაკრედიტების დროს ბანკის რისკის შესამცირებლად გასაცემი კრედიტის თანხას თამასუქის ნომინალზე უფრო დაბალ დონეზე აწესებენ(50—90%-ის ფარგლებში), ამასთან, ითვალისწინებენ შემდეგ ფაქტორებს:

— უშუალო მსესხებლის კრედიტუნარიანობას;

— თამასუქის მფლობელის გადახდისუნარიანობას და თამასუქზე პასუხისმგებელი სხვა პირების არსებობას, რაც ზრდის მისი გადახდის ალბათობას;

— თამასუქის ლიკვიდობას, მისი სწრაფად რეალიზების შესაძლებლობას და ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

— თამასუქის პროტესტის გაფორმების ხარჯებს და ამ პროცედურის შესაძლო დანახარჯებს;

— სათამასუქო საწინდარის გაფორმებისა და ბანკში მისი შენახვის ხარჯებს;

— სასესხო პროცენტის დონეს;

— მსესხებლის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკის მიერ განცდილი ზარალის ანაზღაურების შესაძლო ხარჯებს.

ამგვარი დაკრედიტების დროს აფორმებენ საკრედიტო შეთანხმებას, რომელიც მოიცავს სესხის გაცემისა და დაბრუნების პირობებს და საგირაონო ვალდებულებას, მსესხებლის მიერ შეთავაზებულ თამასუქების შეფასებას და მათ ხარჯზე იმ ვალდებულებათა ანაზღაურების წესს, რომლებიც მსესხებელს აქვს კომერციული ბანკის წინაშე.

ოპერაციაში ბანკის რისკზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორია საკრედიტო ხელშეკრულებისა და თამასუქების დაფარვის ვადების თანაფარდობა. თუკი პირველი მეორეზე მეტია, მაშინ მსესხებლების მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკის თამასუქის მოქმედების დროის განმავლობაში არ შეუძლია დანაკარგების გარეშე წარადგინოს იგი გადასახდელად და ამით დაფაროს მსესხებლის დავალიანება. ამის გამო ბანკი განიცდის ზარალს ან დაკარგავს შემოსავლის ნაწილს, თუკი თამასუქის მოქმედების ვადა მანამდე ამოიწურა, ვიდრე საკრედიტო ხელშეკრულება დასრულდა, მაშინ ეს ზრდის თამასუქზე გადასახდელის დაფარვის საბანკო გარანტიებს, რადგან უზრუნველჰყოფს მსესხებლის ვალდებულებათა დაფარვის ფულადი ფონდის ფორმირებას. თუმცა, უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ ზოგიერთი კანონმდებლობით შესაძლებელია თამასუქის წარდგენა გადასახდელად მისი ვადის გასვლიდან ერთი წლის განმავლობაში.

საკრედიტო ხელშეკრულების მსვლელობაში მსესხებელს ბანკთან შეთანხმებით შეუძლია ისარგებლოს თამასუქის გადახდის ანგარიშში შემოსული სახსრებით. თუმცა, ამ შემთხვევაში იგი ვალდებულია ბანკის პორტფელში არსებული თამასუქები შეცვალოს ხარისხით ადეკვატური თამასუქებით. ბანკის წინაშე მსესხებლის ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ დაგრავებული თამასუქები განკარგულებაში ბრუნდება.

სათამასუქო კრედიტს ზოგიერთ საბანკო პრაქტიკაში იყენებენ იურიდიული პირების გადახდისუნარიანობის პრობლემის გადასაჭრელად. მისი ორგანიზების სქემა შემდეგია:

1) ბანკი და მსესხებელი (საწარმო, ორგანიზაცია) დებენ ხელშეკრულებას, რომლის შესაბამისად ბანკი გამოწერს მოკლევადიან თამასუქს, (6 თვის ვადით), მსესხებელი კი ვალდებულებას კისრულობს დროულად დააბრუნოს თამასუქის ფორმით გამოყოფილი კრედიტი და მისი პროცენტები.

აღსანიშნავია, რომ თამასუქის სახეობაზე დამოკიდებულებით არსებობს კრედიტის განსხვავებული თანხები და ოპერაციიდან მიღებული საბანკო შემოსავლის ფორმები. მაგალითად, თუკი სათამასუქო კრედიტი ეყრდნობა საპროცენტო თამასუქს, მაშინ სესხის თანხა ემთხვევა თამასუქის ნომინალს, მასზე პროცენტებს კი ჩვეულებრივი წესით რიცხავენ. დისკონტური თამასუქების გამოყენების დროს სესხის თანხა თამასუქის დისკონტირებული ნომინალის ტოლია, საბანკო პროცენტებს კი დისკონტის ფორმით ანგარიშობენ მოცემულ ბანკში მოქმედი მეთოდიკის მიხედვით;

2) თამასუქის მოქმედების ვადის განმავლობაში მსესხებელს შეუძლია სხვა იურიდიული პირებისათვის მისი გადაცემა თავისი დავალიანების ანგარიშში , რომლის დროსაც იგი ინდოსამენტს აფორმებს. ეს იძლევა მსესხებლის გადახდისუნარიანობის შენარჩუნების შესაძლებლობას მის ანგარიშზე სახსრების უქონლობის დროსაც კი. ამით მსესხებელი დამოუკიდებლად წყვეტს თავის საგადასახდელო პრობლემებს, მიუხედავად სხვა კრედიტორების მხრიდან არსებული პრეტენზიებისა;

3) დაფარვის ვადის დადგომისთანავე თამასუქის ბოლო მფლობელი ბანკს წარუდგენს თამასუქს გადასახდელად;

4) ბანკი ამოწმებს თამასუქის ნამდვილობას (დადგენილი წესით) და მისი ნომინალის ტოლ თანხას რიცხავს თამასუქის მფლობელის ანგარიშზე.

სათამასუქო კრედიტის გაცემის დროს იურიდიული პირის კრედიტუნარიანობას ბანკი ჩვეულებრივი წესით ამოწმებს მოქმედი მეთოდიკით. სათამასუქო კრედიტის ტექნოლოგია შესაძლოა ითვალისწინებდეს თამასუქის ვადამდე წარდგენის გადახდისათვის მის მფლობელ ბანკში, ე.ი. თამასუქის დისკონტის ოპერაციის ჩატარებას. დისკონტირება, როგორც წესი, ხორციელდება ცენტრალური ბანკის დისკონტის განაკვეთის ან მოცემულ ბანკში ამგვარი ვადიანობის კრედიტებზე მოქმედი განაკვეთის მიხედვით. თამასუქების მფლობელისათვის საჭირო ფულადი სახსრების წყაროს მოძიების პრობლემის გადაწყვეტას და ამით ამაღლებს ბანკის თამასუქების გადახდისუნარიანობასა და ლიკვიდობას.

სათამასუქო კრედიტზე არსებული დავალიანების დაფარვა დაშვებულია სესხის თანხისა და მისი პროცენტების ერთჯერადი გადახდის გზით ხელშეკრულების ვადის ბოლოს (თუკი იგი არ

აღემატება 3-4 თვეს) ან ყოველთვიურად ტოლი ნაწილების გადახდის გზით.

სათამასუქო კრედიტს შემდეგი თავისებურებები აქვს:

– მისი გაცემის დროს არ ხდება ბანკის რეალური საკრედიტო რესურსების მოცდენა, რომლებიც ამ პერიოდში სხვა შემოსავლიან ოპერაციებში შეუძლიათ გამოიყენონ;

– ამის გამო სათამასუქო კრედიტის საპროცენტო განაკვეთი გაცილებით ნაკლებია (ზოგჯერ 2–3-ჯერ) ბანკში მოქმედ განაკვეთზე;

– სათამასუქო კრედიტს, ჩვეულებრივ, საბანკო ხასიათი აქვს, ე.ი. მისი გაცემა ხდება შესაბამისი უზრუნველყოფის გარეშე. თუმცა, საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით შესაძლოა გათვალისწინებული იყოს საწინდარი სწრაფად რეალიზებადი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით;

– სათამასუქო კრედიტზე ხელშეკრულების მოქმედების ვადა პროლონგაციას არ ექვემდებარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის რისკი გაუმართებლად მოიმატებს;

– თუკი თამასუქზე თანხის მიღების ვადა უკვე გავიდა, მაშინ თამასუქის მფლობელს შეუძლია იგი წლის განმავლობაში წარუდგინოს ბანკს გადასახდელად – იმ თარიღიდან დაწყებული. რაც დაფარვისთვისაა დადგენილი. ამის შემდეგ თამასუქი ძალას კარგავს;

– სათამასუქო კრედიტის თანხა შესაძლოა დაყოფილი იყოს რამდენიმე თამასუქის მიხედვით, რაც შესაძლებლობას უქმნის მსესხებელს, უფრო მოხერხებულად განახორციელოს გადასახადები კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების შესაბამისად.

თამასუქების ავალირება ბანკის მიერ არის კლიენტების თამასუქებზე საბანკო გარანტიების უზრუნველყოფისკენ მიმართული ოპერაცია, რაც არსებითად ამაღლებს მათ გადახდისუნარიანობას. ავალი თავდებობის სახესხვაობაა, რომლის შესაბამისადაც თამასუქების სახესხვაობაა, რომლის შესაბამისადაც თამასუქების მფლობელი ბანკი და მათში მითითებული სხვა პირები სოლიდარულ პასუხისმგებლობას კისრულობენ თამასუქების მიხედვით გადასახადებზე. ავალი დამოწმებულია ბანკის გამგეობის თავმჯდომარის (ან მისი მოადგილის) და ბანკის მთავარი ბუღალტრის მიერ.

ზოგიერთ შემთხვევაში თამასუქების ოპერაციას ავალურ კრედიტს უწოდებენ, რადგან ბანკი კისრულობს თამასუქის გადხდის ვალდებულებას, თუკი ამის გაკეთება რაიმე მიზეზის გამო არ შეძლია თამასუქის მიმცემს, რომელიც ამ ბანკის კლიენტია. ამ უკანასკნელს ასე აძლევენ კრედიტს თამასუქის თანხის დაფარვის პერიოდით. ამის გამო ბანკის თანამშრომლები განსაკუთრებულად გულდასმით ამოწმებენ თამასუქის მიმცემის კრედიტუნარიანობას. რადგან ავალურ კრედიტს ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე გასცემენ, ამიტომ მსესხებელი უნდა შეესაბამებოდეს პირველი კლასის კრედიტუნარიანობის მოთხოვნებს ბანკში მოქმედი მეთოდიკის მიხედვით. თუკი დადგა თამასუქის მფლობელის ნაცვლად თამასუქის გადახდის აუცილებლობა ბანკის რესურსების ხარჯზე, მაშინ თამასუქის მფლობელის წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდეგ ბანკი უფლებას იძენს, თამასუქზე პრეტენზიები წაუყენოს მის მფლობელს და სხვა პასუხისმგებელ პირებს. გადამხდელი ვალდებულია ბანკსაუნაზღაუროს არამარტო თამასუქის ნომინალი, არამედ ბანკის ხარჯებიც მის პროტესტთან დაკავშირებით, აგრეთვე, ის პროცენტები, რომლებიც გაანგარიშებულია ბანკის მიერ თამასუქის დაფარვის თარიღიდან მისი დანახარჯების მთლიანად ანაზღაურების მომენტამდე პერიოდში.

კლიენტის თამასუქის მიხედვით ავალის გაცემის დროს ბანკი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ ცენტრალური ბანკის ინსტრუქციის შესაბამისად, ყველა გაცემული გარანტიის თანხა არ უნდა აღემატებოდეს მისი საკუთარი კაპიტალის სიდიდის ნახევარს.

კონსორციული კრედიტები

დაკრედიტების მოცულობის გაფართოებასთან, სახელმწიფო პროგრამების და საბაზრო ეკონომიკის მეურნე სუბიექტების დაფინანსებისათვის საჭირო მსხვილ საკრედიტო დაბანდებებზე მოთხოვნილების

ზრდასთან დაკავშირებით კომერციულ ბანკებს უჩნდებათ მსესხებლებზე რესურსების გაცემისათვის თავიანთი სახსრების გაერთიანება. გარდა საკრედიტო რესურსების აკუმულირებისა, საბანკო კონსორციუმის მიზანი შეიძლება იყოს დაკრედიტების რისკის შემცირება სხვა კრედიტორების მიზიდვის ხარჯზე ან ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული იმ ეკონომიკური ნორმატივების დაცვა, რომლებიც საკრედიტო რისკის სიდიდეს ზღუდავენ. ესაა, კერძოდ, მსხვილი საკრედიტო რისკების მაქსიმალური ზომა (37), ბანკის მიერ თავისი მონაწილეებისათვის (აქციონირებისათვის) ან ანსაიდერებისათვის მიცემული თაღდებობების, გარანტიებისა და კრედიტების მაქსიმალური სიდიდე (39 და 310). კონსორციულ კრედიტში მონაწილეობით ბანკები ერთდროულად ორ ამოცანას წყვეტენ: მუშაობენ მსხვილ მსესხებლებთან და აკმაყოფილებენ ცენტრალური ბანკის მოთხოვნებს საკრედიტო რისკის დონესთან დაკავშირებით. კონსორციული კრედიტების გაცემის შესახებ ბანკების შეთანხმებებს მიზნობრივი ხასიათი აქვს და ისინი გარკვეული ვადის განმავლობაში მოქმედებენ. თუმცაა, საბანკო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კონსორციუმებს მარტო მსხვილი კრედიტების გასაცემად არ აყალიბებენ. მაგალითად, 1998 წ. რუსეთში ჩამოყალიბდა ბანკთაშორისი კონსორციუმი. შეთანხმების შესაბამისად, პრობლემური ბანკების მეანაბრეებს შესაძლებლობა მიეცათ, კონკრეტული ვადის განმავლობაში თავიანთი დანაზოგები გადაეტანათ შემნახველ ბანკში, შემდეგ კი თავიანთი შეხედულებისამებრ განეგოთ ეს დანაზოგები (გამოეტანათ ისინი ან დაეტოვებინათ საბანკო ანგარიშებზე).

კონსორციული კრედიტების მიწოდების პროცედურის საფუძველია შეთანხმების მხარეებს შორის ხელშეკრულების დადება, რომელშიც მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული შემდეგი დებულებები:

– კონსოლციუმის მიზნები;

– საკრედიტო შეთანხმების მონაწილეთა შემადგენლობა გასაცემი სესხის მთლიან თანხაში წილების ჩვენებით;

– ვალდებულებათა ხასიათი და ვადები თითოეული მონაწილისათვის;

– ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულებისათვის დაწესებული ქონებრივი პასუხისმგებლობა (ჯარიმები და სხვა სანქციები);

– კონსორციუმის ხელმძღვანელი ორგანოები და მათი ფუნქციები. კონსორციუმის გადაწყვეტილებით საერთო ხელმძღვანელობას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ფორმა, კერძოდ, მიცემულ კრედიტზე დაწესებული პროცენტი, საკომისიო ჯილდო, მიღებული ჯარიმები და ა.შ. ანალოგიური განისაზღვრება ხელშეკრულების ფარგლებში კონსორციუმის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების განხორციელებისა და კომპენსაციის წესი;

– კონსორციული ხელშეკრულების დამთავრების და მონაწილეთა იმ სახსრების დაბრუნების წესი, რომლებიც გაცემულ კრედიტშია აკუმულირებული. ხელშეკრულებაში მიზანშეწონილია დათქმული იყოს კონსორციუმის ფინანსური ვალდებულებები მისი წევრების წინაშე, მათ შორის – შემოსავლის განაწილებისა და დაბანდებული სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებით, აგრეთი, კონსორციუმის მხრიდან ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქციები.

კონსორციული კრედიტის გაცემის პროცედურა გაცემის სხვა მხრივ არ განსხვავდება ბანკებში მიღებული წესისგან, მათ შორის – თანხლების დოკუმენტებით. მსესხებელთან (იურიდიულ პირთან ან კომერციულ ბანკთან) იდება ტრადიციული საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც ყველა არსებითად პირობას მოიცავს (კრედიტის თანხა და მისი გაცემის წესი, ვადა, საპროცენტო განაკვეთის დონე, ვალის ძირითადი თანხის დაბრუნების და პროცენტების გადახდის წესი, მხარეების უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა და ა.შ.). დამატებით ფორმდება ქონების დაგირავების, თაღდებობის, კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის გარანტიის ხელშეკრულება.

ხელშეკრულების კონსორციულ ფორმას საკმაოდ ხშირად მიმართავენ საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობებში.

მოკლე დასკვნები

1. სატრასტო მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბება იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებში გაჩნდა მოთხოვნილება, თავიანთი ფინანსური და იურიდიული საქმეების გაძღოლა მიენდოთ პროფესიონალებისთვის, რომლებიც მათი საკუთრების დაცვას, ვალდებულებათა შესრულებასა და მაღალ შემოსავალს უზრუნველყოფდნენ. განვითარებული ქვეყნების ბაზრის ძირითად ნაწილს შეადგენს კლიენტის ფულადი სახსრების, მისი ფასიანი ქაღალდების „პორტფელის" მართვაში გაწეული მომსახურება.

2. სატრასტო კომპანიასთან (ბანკთან) კლიენტები, ჩვეულებრივ, დებენ ხელშეკრულებას ტრასტ-ანგარიშის გაძღოლაზე (ფასიანი ქაღალდების, ვალუტის ან კომბინირებულის), საიდანაც კლიენტი პროცენტებს (რწმუნებულის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილს) მიიღებს.

მსხვილ კლიენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უფრო ფათრო სპექტრის მომსახურებით, რომელიც პერსონალური ტრასტის საფუძველზე მათი მრავალფეროვანი ქონების მართვას უკავშირდება.

პერსონალური ტრასტი შეიძლება რამდენიმე ხერხით გაფორმდეს. ძირითადია ხელშეკრულება მრწმუნებელსა და რწმუნებულს შორის. ამ ხელშეკრულების საფუძველზე რწმუნებული ქონებას ფლობს და განკარგავს მრწმუნებლის ან იმ ბენიფიციარის ინტერესებისთვის, რომელსაც (რომლებსაც) მრწმუნებელი მიუთითებს.

3. ბანკის დეპოზიტური ოპერაციები მოიცავს საკუთრების უფლებათა აღრიცხვის, შენახვის, მინდობით მართვის განხორციელების ოპერაციებს, აგრეთვე, საბროკერო და სხვა ოპერაციების ჩატარებას საკუთრივ ბანკების კუთვნილ საემისიო ქაღალდებზე და საკრედიტო ორგანიზაციის დეპონენტების მიერ გადაცემულ ფასიან ქაღალდებზე.

დებულება დეპოზიტური საქმიანობის შესახებ ადგენს მოთხოვნას ამ საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის და იმ ცალკეული ქვედანაყოფებისათვის, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ დეპოზიტურ საქმიანობას ეწევიან. სტრუქტურაზე დაშოკიდებულებით, ბანკებში შეიძლება იქმნებოდეს როგორც სამმართველო ან განყოფილება, ისე განყოფილების ფარგლებში სექტორიც. აშკარაა, რომ მომავალში უფრო მკვეთრი იქნება იმ ქვედანაყოფების გამიჯვნის წესები, რომლებიც ამა თუ იმ საქმიანობას განახორციელებენ.

4. იპოთეკური კრედიტი არის ფულადი სახსრები, რომლებსაც ბანკი უძრავი ქონების გირაოთი სესხად აძლევს კლიენტს. მიღებული კრედიტით სარგებლობისთვის კლიენტმა ბანკს უნდა გადაუხადოს პროცენტები და, აგრეთვე, ყოველთვიურად დააბრუნოს ნასესხები სახსრები საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

იპოთეკა, როგორც დაკრედიტების მეთოდი ჯერ კიდევ XVII ს. შუახანებში გაჩნდა პრუსიაში. იმ დროს მიწა იყო ყველაზე უფრო საიმედო საწინდარი, რომელიც განადგურებას შეიძლებოდა გადარჩენოდა არაერთი დამანგრეველი ომის შედეგად. გადაცემული კაპიტალისთვის იძლეოდნენ დოკუმენტებს, რომლებშიც მკაფიოდ იყო აღნიშნული მიწის ნაკვეთი. გასესხებული ფულის დაბრუნების დაგვიანების შემთხვევაში

მიწის მფლობელობა გადიოდა მიწის (სახელმწიფო) საკრედიტო სალაროს საკუთრებაში, როგორც ვალის კომპენსაცია.

5. იპოთეკური დაკრედიტების სრულფასოვანი სამართლებრივი რეგულირების უზრუნველსაყოფად საჭიროა კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შექმნა. ამ აქტებმა უნდა დაარეგულირონ ბანკებისა და იპოთეკური დაკრედიტების ბანკის სხვა სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა, იპოთეკური ფასიანი ქაღალდების ემისიისა და მიმოქცევის წესი და ა.შ. ამ კანონებისა და სამართლებრივი აქტების შინაარსი და მიმართულება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ იპოთეკური ბაზრის რომელი მოდელის კონსტრუირებას მოახდენენ ისინი.

იპოთეკის განვითარების ისტორიაში გამოყოფენ იპოთეკური დაკრედიტების ორ ძირითად მოდელს.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

ავალი სათამასუქო თავდებობა, რომელსაც კისრულობს მესამე პირი (ავალისტი) განსაკუთრებული საგარანტიო ბარათის გაცემით. ავალისტის ხელის მოწერა აუცილებელია თამასუქის წინა პირზე ან დამატებით ფურცელზე ალონჟზე. საგარეო-სავაჭრო გარიგებებში ვალისტის როლში გამოდის იმპორტიორის ბანკი.

ბენეფიციარი - პირი, ვის სასარგებლოდაც დაიდება სატრასტო ხელშეკრულება, მ.შ. სატრასტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლებიდან მიღებული თანხების მიხედვითაც.

დახურული (კონფედენციალური) ფაქტორინგი - კლიენტსა და ბანკის ფაქტორ-განყოფილებას (ფაქტორინგული კომპანია) შორის შეთანხმების ფორმა, რომლის დროსაც გადახდები ისევ ჩაირიცხება კლიენტის ანგარიშზე, ხოლო დავალიანების დაფარვა სწარმოებს კლიენტის ანგარიშიდან სახსრების შემდგომი გადარიცხვების საშუალებით.

დეპოზიტარული მომსახურება სააგენტო მომსახურების სახე ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის. მას ეკუთვნის მომსახურების შემდეგი სახეები: ფასიანი ქაღალდების ნაწილობრივი სერტიფიკატის ან გლობალური შენახვა, აქციონერების რეესტრის წარმოება, ემიტენტის ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოება, მისი აქციების განთავსება და ახალ აქციებზე ან ობლიგაციებზე გადაცვლა და ა.შ.

იპოთეკური კრედიტი სამომხმარებლო კრედიტის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ამასთან მისთვის დამახასიათებელია მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნები, რაც სამომხმარებლო კრედიტის სხვა ფორმებში არ გვხვდება. უპირველესად, აღსანიშნავია მისი მკაცრად განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულება, რაც დაკავშირებულია ინდივიდუალური კერძო მეურნეობების კაპიტალურ დანახარჯებთან.

კომისიონერი - პირი, რომელიც საკომისიო ხელშეკრულების შესაბამისად, კლიენტის სახსრებით შეუძლია აწარმოოს განსაზღვრული ქმედებანი თავისი სახელით; აღნიშნული საქმიანობისათვის იგი იღებს საკომისიო გასამრჯელოს.

ნდობით აღჭურვილი მმართველი - პირი, რომელსაც მფლობელი (მესაკუთრე) ხელშეკრულებით გადასცემს თავის ქონებას ან ქონებრივ უფლებას დროებითი მართვის (სარგებლობის) უფლებით ან განსაზღვრული საქმიანობის მიზნით. მმართველი ამ შემთხვევაში მოქმედებს თავისი სახელით,

მაგრამ მესაკუთრე კლიენტის დავალებითა და სახსრებით. იგი მატერიალურად პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის შედეგებზე.

სატრასტო ოპერაციები - კომერციული ბანკების და სპეციალიზებული ფინანსური ინსტიტუტების ოპერაციებია, რომლითაც ხორციელდება კლიენტის ქონების მართვა და მათი დავალებების შესრულება მათი სახელით და მათი ინტერესებიდან გამომდინარე.

ტრასტის დამფუძნებელი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ქონების მესაკუთრეა ან კანონის ძალით (მესაკუთრის დავალებით) განკარგავს მას.

ღია ფაქტორინგი ფაქტორინგის სახე, რომლის დროსაც საანგარიშსწორებო ოპერაციების მიხედვით კლიენტის პარტნიორებს ეგზავნებათ შეტყობინება ფაქტორინგული ხელშეკრულების შესახებ და გადახდის რეკვიზიტების შეცვლის შესახებ.

? . . . . . ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

1. ჩამოთვალეთ და განმარტეთ სატრასტო ოპერაციები.
2. რა მოთხოვნებს უყენებენ ბანკებს, რომლებიც ასრულებენ სატრასტო ოპერაციებს?
3. რა ფუნქციებს ასრულებენ სატრასტო ქვედანაყოფები?
4. რა შინაარსის და დანიშნულების არის ინვესტიციური დეკლარაციები?
5. ვის წინაშე და რა პოზიციების მიხედვით ხდება სატრასტო ქვეგანაყოფების ანგარიშგება?
6. ჩამოთვალეთ, რა როლი შეიძლება შეასრულონ ბანკებმა სატრასტო ოპერაციებში. რაში მდგომარეობს მათი თავისებურებები?
7. დაასახელეთ და დაახასიათეთ სატრასტო ოპერაციების მონაწილენი.
8. თუ არის თქვენთვის ცნობილი, როგორ ხდებოდა სატრასტო ოპერაციების სამართლებრივი საფუძველი. რომელი კანონის შესაბამისად რეგულირდება დღეს სატრასტო ოპერაციები.
9. რას მოიცავს ბანკის დეპოზიტური ოპერაციები?
10. რა ფუნქცია აქვს ბანკის დეპოზიტარიუმს?
11. ჩამოთვალეთ დეპოზიტური ოპერაციების სახეები.
12. განსაზღვრეთ იპოთეკური კრედიტის არსი.
13. რომელი ობიექტები შეიძლება იქნეს გამოყენებული გირაოდ იპოტეკის დროს?
14. ჩამოთვალეთ დოკუმენტები, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება იპოთეტიკური კრედიტის დროს.
15. დაახასიათეთ იპოთეკური დაკრედიტების მექანიზმი.
16. დაასახელეთ და დაახასიათეთ იპოთეკური ბაზრის მოდელები.
17. დაახასიათეთ იპოთეკური ოპერაციები ამჟამად საქართველოში.
18. როდის გამოიყენება კონსორციული კრედიტები?
19. განსაზღვრეთ კონტოკორენტული კრედიტი.

20. რა არის ოვერდრაფტი?
21. რა ინტერესები აქვს ბანკს სათამასუქო კრედიტის გაცემისას?
22. რა ფაქტორები მიიღება მხედველობაში სათამასუქო კრედიტის რისკის შემცირების მიზნით?
23. რას ნიშნავს ბანკის მიერ თამასუქის ავალირება?
24. ჩამოთვალეთ საბანკო მომსახურების რა ახალი ფორმებია კიდევ თქვენთვის ცნობილი?

რეკომენდებული ლიტერატურა

ასათიანი რ. ეკონომიქსი. განმარტებითი ლექსიკონი. თბ., საგამომცემლო ფირმა ,,სიახლე'', 2003.

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 1996.

ხელაია გ., კაკულია რ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2000.

ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საფინანსო ინჟინერია, კრედიტი. თბ., 1999.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

ხელაია გ. ფული, ბანკები, ბირჟები. თბ., 1996.

Банковское дело. Под ред. **Белоглазова Г.Н., Кроливецкая Л.П.** М., Финансы и статистика, 2004.

Банковское дело. Под ред. **О.И. Лаврушина.** М., Финансы и статистика, 2004.

Деятельность коммерческих банков. Под ред. **А.В. Калтырина.** М.: Феникс6 2004.

Жарковская Е.П. Банковское дело. Учебник. М.: Омега - Л, 2004.

Иванов В.В. Ипотечное кредитование. М.: Маркетинг, 2001.

Коробова Г.Г. Банковское дело. М.: Экономист, 2004.

Мод Д., Молино Ф. Private Banking: элитное обслуживание частного капитала. М.: Альпина, 2003.

Основы банковской деятельности (Банковское дело). Под ред. **К.Р. Тагирбекова** М.: "ИНФРА-М", 2001.

Финансо-кредитный энциклопедический словарь. Под общ. ред. **А.Г. Грязновой.** М.: Финансы и статистика, 2004.

მეთოთხმეტე თავი. საბანკო საქმიანობის რეგულირება

ტერმინები და ძირითადი ცნებები
14.1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სახეები და თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე
14.2. საოპერაციო პროცედურა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები
14.3. ცენტრალურ ბანკში დეპონირებული სავალდებულო რეზერვების დადგენა
14.4. საპროცენტო პოლიტიკა. ოფიციალური საპროცენტო განაკვეთის რეგულირება
14.5. ბანკების რეფინანსირება
14.6. ოპერაციები ღია ბაზარზე
14.7. სავალუტო რეგულირება
14.8. ფულის მასის ზრდის ორიენტირების დადგენა და პირდაპირი რაოდენობრივი შეზღუდვები: ტარგეტირების პოლიტიკა
მოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

არამატერიალური აქტივები
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება
არაკუმულაციური უვადო პრივილეგებული აქცია
აუტსაიდერი
აქციებში კონვერტირებადი ვალი
გარესაბალანსო ვალდებულებები
გრძელი ღია სავალუტო პოზიცია
გუდვილი
დასალღვებადი ანგარიშები
დისკონტი
დისკონტირება
ეგთო
ემისია
ექსპანსიონისტური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა
ვალდებულებები
ინსაიდერი
ინტერვენცია
კორპორაციული სავალო ვალდებულებები
კორპორაციული სავალო ფასიანი ქაღალდი
ლაგი
ლაჟი
ლიკვიდური აქტივები
მთლიანი აქტივები
მთლიანი ვალდებულებები
მთლიანი კაპიტალი
მიმდინარე აქტივები
მინიმალური რეზერვები
მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი
ოვერდრაფტი
ოპერაციები ღია ბაზარზე
პირდაპირი რაოდენობრივი შეზღუდვები
პრივილეგებული აქცია
რესტრიქცია

რესტრიქციული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა
რეფინანსირება
საემისიო საქმიანობა
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები
საერთო რეზერვი
სავალდებულო რეზერვების ნორმატიები
სავალუტო რეგულირება
საკრედიტო დაბანდება
საპროცენტო პოლიტიკა
სპეციალური რეზერვი
სუბორდინირებული ვალი
ტარგეტირება
ტრანსაქცია უვადო პრივილეგებული აქცია
ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების მექანიზმი
ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტრატეგია
ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები
ფულის მასის ზრდის ორიენტირების დადგენა
ღია საბაზრო ოპერაცია
ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა
ძირითადი საშუალებები (კაპიტალი)
ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება

14.1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სახეები და თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა წარმოადგენს სამეურნეო კონიუნქტურის რეგულირებისა და მთელი რიგი ზოგად ეკონომიკური მიზნების — ფულის გამყარების, ფასების სტაბილიზაციის, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის, ეკონომიკური ზრდის ტემპების სტაბილიზაციის მიზნით ფულად-საკრედიტო სისტემის საქმიანობის მარეგლამენტირებელ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობას.

სამეურნეო კონიუნქტურის მდგომარეობიდან გამომდინარე, გამოყოფენ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ორ ძირითად ტიპს, რომელთაგან თითოეულისათვის დამახასიათებელია ინსტრუმენტების საკუთარი ნაკრები და რეგულირების ეკონომიკური და ადმინისტრაციული მეთოდების განსაზღვრული შეხამება.

რესტრიქციული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიმართულია კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერაციების მოცულობის შეზღუდვისა და საპროცენტო განაკვეთების დონის ამაღლების გზით ფულად-საკრედიტო სისტემის მარეგლამენტირებელ ღონისძიებათა რეალიზაციაზე. მის გატარებას, ჩვეულებისამებრ, თან ახლავს გადასახადების გადიდება, სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ასევე ინფლაციის შეჩერებისაკენ მიმართული სხვა ღონისძიებანი, მთელ რიგ შემთხვევებში კი — საგადასახადო ბალანსის გაჯანსაღება. რესტრიქციული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ინფლაციასთან ბრძოლის, ასევე საქმიანი აქტივობის ციკლური ცვალებადობის შენელების მიზნით.

ექსპანსიონისტური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, როგორც წესი, ხასიათდება დაკრედიტების მასშტაბების გაფართოებით, მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის ნამატზე კონტროლის შესუსტებით, საგადასახადო განაკვეთების შემცირებით, საპროცენტო განაკვეთის დონის დაქვეითებით.

როგორც ექსპანსიონისტურ, ასევე რესტრიქციული ტიპის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეიძლება ჰქონდეს ან ტოტალური, ან სელექციური ხასიათი. ტოტალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დროს ცენტრალური ბანკის ღონისძიებები ვრცელდება საბანკო სისტემის ყველა დაწესებულებაზე, სელექციურისას კი — ცალკეულ საკრედიტო ინსტიტუტებზე ან მათ ჯგუფებზე, ან საბანკო საქმიანობის განსაზღვრულ სახეებზე. სელექციური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შესაძლებლობას აძლევს ცენტრალურ ბანკს,

მოახდინოს არჩევითი. ზემოქმედება მოცემული მიმართულებით. მისი ჩატარებისას პრაქტიკაში გამოიყენება ინსტრუმენტების შემდეგი ნაკრები, ან მათი შეხამების შემდეგი მრავალფეროვნება: სააღრიცხვო და გასანაღდებელი ოპერაციების (მაგ. დარგების რეგიონების მიხედვით და ა.შ.) ლიმიტების დადგენა; ბანკების (მათი დაჯგუფებების) ოპერაციების ცალკეული სახეების ლიმიტირება; სხვადასხვაგვარი ფინანსური-საკრედიტო ოპერაციების ჩატარებისას მარჟის დადგენა; მსესხებელთა ცალკეული კატეგორიებისათვის სესხების ცალკეული სახეების გაცემის პირობების რეგლამენტაცია; საკრედიტო ზღვრების დადგენა და ა.შ.

სელექციურ პოლიტიკას მიმართავენ სუსტად განვითარებული ფინანსური ბაზის პირობებში, როცა მათ არ ძალუძთ საჭირო მიმართულებით ფულადი საშუალებებისა და ინვესტიციების საკმაოდ ეფექტური გადანაწილება. ერთის მხრივ, ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობს ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებში კრედიტის ნაკადის არსებით შეცვლას, მეორე მხრივ, ხელს უშლის ფინანსური-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას ცალკეული რეგიონების, დარგების, საქმიანობის სფეროების დაკრედიტების შეღავათიანი პირობების შექმნის გამო. პრიორიტეტული დარგებისაკენ მიმართული კრედიტების რაოდენობრივი შეზღუდვის, ასევე მათზე შეღავათიანი საპროცენტო სფეროების სუბსიდირების აუცილებლობას საერთაშორისო საკრედიტო-ფინანსური ორგანიზაციებისა და ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე, რაც უცილობლად წარმოშობს ახალ პრობლემებს საკრედიტო-ფინანსურ სფეროში.

გასატარებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ტიპის, შესაბამისად კი კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების, ინსტრუმენტების ნაკრების შერჩევას ცენტრალური ბანკი ახორციელებს სამეურნეო კონიუნქტურის გათვალისწინებით ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის. ასეთი შერჩევის საფუძველზე შემუშავებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები მტკიცდება საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ამასთან, აუცილებელია ფულად-საკრედიტო რეგულირების ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარებასა და მისი რეალიზაციის ეფექტის გამოვლინებას შორის დროებითი ლაგის გათვალისწინება. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სხვადასხვა ტიპების გამოყენების ეფექტურობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენადაა ფულის მიმოქცევის დესტაბილიზაცია გამოწვეული „წმინდა“ ფულადი და არა ზოგადეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებით.

უახლოესი პერიოდისათვის ცენტრალური ბანკის ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ყალიბდება ღრმა ზოგადეკონომიკური კრიზისის რთულ პირობებში. ასეთი სიტუაცია შეიქმნა მთელი რიგი გარე და შიგა ფაქტორების ზემოქმედებით, სახელდობრ:

- გადასახადების აკრეფის დაბალ დონესთან დაკავშირებული საგადასახადო-საბიუჯეტო პრობლემების გამწვავებით, ხელფასებისა და სოციალური გადასახადების დავალიანების გადიდებით, შიგა სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და რეფინანსირების ხარჯების ზრდით;
- რეალური სექტორის მრავალი დაწესებულების ურთიერთგადაუხდელობისა და ფაქტობრივი ბანკროტირების ზრდით;
- საგარეო სახელმწიფო ვალის მომსახურების ხარჯების ზრდითა და ფულის ერთეულის მაღალი კურსის შენარჩუნებით, ენერგორესურსების მსოფლიო ბაზრებზე კონიუნქტურის პროგნოზირებადი ცვლილებებით განპირობებული საგადასახადო ბალანსის მდგომარეობის გაუარესებით;
- მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე სიტუაციის გაუარესებით, რაც გამოიხატება ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბაზრების მქონე ქვეყნებიდან საერთაშორისო კაპიტალის გადინებაში.

1998 წ. კრიზისის განვითარებაში გამოყოფენ ორ ეტაპს, რომლის დროსაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განსხვავებული იყო და ყალიბდებოდა ზოგადეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად. პირველ ეტაპზე კრიზისი მეტწილად ფარული ფორმით მიმდინარეობდა და შესაძლებე-

ლი იყო მისი დამალვა სახელმწიფო ვალის ზრდითა და ქვეყნის ოქროსა და ვალუტის რეზერვების გახარჯვით. ამ პერიოდში ფინანსურ ბაზარზე არაერთხელ გაიზარდა რეფინანსირების, სალომბარდე კრედიტების, ასევე ბანკის დეპოზიტებში სახსრების მოზიდვის განაკვეთები. სწორედ ამ პერიოდში ნათელი გახდა, რომ სახელმწიფო მოკლევადიანი ვალდებულებები აღარ იყო ცენტრალურ ბიუჯეტში სახსრების მოზიდვის ინსტრუმენტი, პირიქით, მოხდა ბიუჯეტის სახსრების შთანთქმა.

კრიზისის მეორე ეტაპი მიმდინარეობდა ღია ფორმით და მოიცვა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარე: სახელმწიფომ ვეღარ შეძლო სახელმწიფო ვალის მომსახურება და თავისი მიმდინარე ვალდებულებების შესრულება, ფინანსურმა ბაზრებმა პრაქტიკულად შეწყვიტეს ფუნქციონირება, ქვეყნის ოქროსა და ვალუტის რეზერვები უკიდურესად დაბალ დონეზე აღმოჩნდა, საბანკო სექტორში წარმოიშვა სისტემური კრიზისი. მისმა თანამდევმა ქაღალდის ფულის დაავალიანებამ განსაზღვრა ეკონომიკის ახალი მდგომარეობა, რადგან მოხდა ინფლაციის მკვეთრი ნახტომი, ხოლო მოსახლეობამ დაკარგა ფინანსური სისტემისა და ბანკებისადმი ნდობა.

კრიზისმა მიგვიყვანა ქვეყნის ეკონომიკაში ახალ პრობლემებთან:

- საგარეო ვალების გადახდის ვალდებულებების შესრულების პირობების გაუარესებასთან;
- ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლის ტემპების შენელებასთან;
- საბანკო სისტემისა და ფინანსური ბაზრების გაჯანსაღებისათვის დამატებითი სახსრების გამონახვის აუცილებლობასთან;
- საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის ზრდასთან.

ამ სიტუაციაში მოხდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრიორიტეტების ცვლა მისი რომელიმე ტიპის – რესტრუქციულისა თუ ექსპანსიონისტურისათვის უპირატესობის მინიჭების შეუძლებლობის გამო. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გახდა შეწონილი, რაც ითვალისწინებს ყველა ეკონომიკური აგენტის მიერ მკაცრი ფინანსური დისციპლინის დაცვას, ფულადი მასის რეგულირებისადმი პასუხისმგებლურ მიდგომას და ინსტიტუციონალური რეფორმების სფეროში მუშაობის უკიდურეს აქტივიზაციას მცოცავი სავალუტო კურსის პირობებში.

მცოცავი სავალუტო კურსის პირობებში გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ქრება სავალუტო კურსისა და ცვალებადი მაკროეკონომიკური პირობების შეუსაბამობასთან დაკავშირებული დისბალანსის წარმოშობის საშიშროება. მცოცავი სავალუტო კურსის რეჟიმის დროს ცენტრალური ბანკის მიერ შესაძლებელი ხდება ეკონომიკის ფულით გაჯერება. სავალუტო კურსის იმ დონის საბაზრო განსაზღვრა, რომლის შესანარჩუნებლად არ იხარჯება ცენტრალური ბანკის სავალუტო რეზერვები, ბანკს შესაძლებლობას აძლევს მეტი ყურადღება დაუთმოს ეკონომიკის რეალური სექტორების პრობლემებს. ამ პირობებში ჩნდება შესაძლებლობები მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დადებითი სალდოს გადასახდელად, მთლიანობაში, საგადასახადო ბალანსის გასაუმჯობესებლად, ასევე ოქროსა და ვალუტის რეზერვების აღსადგენი სამუშაოების დასაწყებად, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება კრიზისის შემდგომ პერიოდში. მცოცავი სავალუტო კურსის რეჟიმის შემოღების შემდეგ არსებითად გაიზარდა სახსრების ნაშთები კომერციული ბანკების კორესპონდენტო ანგარიშებზე, რაც ხელს უწყობდა საბანკო არგადახდების კრიზისიდან თანდათანობით გამოსვლას. ფულადი შემოთავაზება რამდენადმე გაიზარდა, თუმცა მას თან არ სდევდა ინფლაციის ზრდა.

უახლოესი პერსპექტივებისათვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნები მიმართულია მშპ-ის შემცირების შეზღუდვის, ინფლაციის შეჩერებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციისკენ. ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების შემუშავება ემყარება განსაზღვრულ ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს: რეალური მშპ-ს დინამიკას, სამრეწველო პროდუქციის მოცულობას, სამომხმარებლო ფასების

ინდექსს, უმუშევრობის დონეს და ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტის დინამიკას.

საგადასახადო დისციპლინისა და ეფექტური საგადასახადო კანონმდებლობის პრობლემების გადაუჭრელობას მივყავართ ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებასთან და ზღუდავს სახელმწიფოს შესაძლებლობებს საინვესტიციო პროგრამის დაფინანსებაში. ბიუჯეტის შემოსავლებისა და მისი დეფიციტის წყაროების აღრიცხვის საერთაშორისო მეთოდოლოგიაზე ნაკარაუდევ გადასვლასთან დაკავშირებით, შემოთავაზებულია ამ უკანასკნელის შემადგენლობაში სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფი ქონების გაყიდვიდან, ასევე სახელმწიფო მარაგის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების გათვალისწინება. კეთდება პროგნოზი ფედერალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურის შეცვლის თაობაზე, ასევე პირდაპირი შემოსავლების გაზრდისა და არაპირდაპირი შემოსავლების წილის შემცირებაზე, რაც განპირობებულია საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით. კეთდება პროგნოზი ასევე სახელმწიფო ვალის მოშსახურების ხარჯებში ცვლილებების თაობაზე: ვარაუდობენ, რომ ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების ჯამის ხვედრითი წილის გადიდებისას შიგა ვალის წილი მცირდება, ხოლო საგარეო ვალისა – იზრდება.

მაგრამ იმის მიზეზი, რომ ქვეყნის ეკონომიკა ვერა და ვერ გავიდა მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტრაექტორიაზე, არის არა ბიუჯეტის დეფიციტი და მისი შემოსავლების არასაკმარისობა, არამედ თავად საბანკო სისტემის კრიზისი. საბანკო სისტემის გაჯანსაღება ეფექტური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების ძირითადი პირობაა, კრიზისულმა მოვლენებმა გვიჩვენეს შექმნილი ეკონომიკური გაურკვევლობის პირობებში ფულადი მასის მოცულობის პროგნოზირების სირთულე. ქვეყნის ეკონომიკის დოლარიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში როგორც ეკონომიკური აგენტების აქტივების დინამიკის ცვლილებებს, ასევე მათი სავალუტო ანგარიშების მოძრაობის გამოყენებას. ამიტომაც, საგადასახადო ბალანსის პროგნოზიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საგარეო სექტორი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ფულადი შემოთავაზების ჩამოყალიბების პროცესში. საექსპორტო საქონელზე ფასების დონის შენარჩუნების, სავალუტო რეგულირებისა და სავალუტო კონტროლის ქმედითი ღონისძიებების განხორციელების პირობებში შესაძლებელია საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების ანგარიშების დადებითი სალდოს გადიდება. ეს შექმნის საფუძველს ცენტრალური ბანკის სავალუტო რეზერვების გასადიდებლად და გავლენას მოახდენს ფულადი მასის ნამატის პარამეტრებზე, ასევე შეამცირებს მთავრობის მოთხოვნილებებს სასესხო საშუალებებზე.

უახლესი წლებისათვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტრატეგია მდგომარეობს გონივრულად დასაშვები დაბალი ინფლაციის პირობებში ეკონომიკური ზრდის ტრაექტორიაზე თანდათანობით გასვლაში. ამ სტრატეგიის სარეალიზაციო მასტიმულირებელ პირობებს წარმოადგენს: საბანკო სისტემის გაჯანსაღება, ფინანსური ბაზრების აღდგენა, საგარეო დავალიანების პრობლემების რეგულირება, სავალო ვალდებულებების უპირობო შესრულების მექანიზმის შექმნა მისი ყველა ფორმისათვის. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საბოლოო მიზანი იქნება ინფლაციის ზრდის შეჩერება ეკონომიკაში დაქვეითების შეზღუდვისას. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ხელს შეუწყობს მოსახლეობის რეალური შემოსავლების დაცვას და უმუშევრობის შეჩერებას. მნიშვნელოვანია საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დადებითი სალდოს უზრუნველყოფა, რაც ასევე შესაძლებელს გახდის სავალუტო რეზერვების ზრდას და ვალების დაფარვას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი ფაქტორია პერსპექტივაში ეკონომიკის რეალური საპროცენტო განაკვეთების დაბალი დადებითი დონე, რაც სტიმულს მისცემს რეალური სექტორის მხრიდან სასესხო რესურსებს, ასევე ეკონომიკურ ზრდას. თუმცა, საბაზრო პირობებში ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია პირდაპირი გავლენა იქონიოს საბოლოო მსესხებელთა საკრედიტო განაკვეთებზე, ეს არაპირდაპირი გავლენა გასაშუ-

ალებულია ფინანსური ბაზრებით. ამ მიზნის მიღწევა რთულდება პრაქტიკულად ყველა ფინანსური ბაზრის დესტაბილიზაციით. ამიტომაც უკანასკნელთა აღდგენა და უცხოური კაპიტალის მოძრაობაზე მათი ნაკლები დამოკიდებულების უზრუნველყოფა შესაძლებელს გახდის საპროცენტო განაკვეთების რეგულირებაში მანევრირების მაღალი ხარისხის მიღებას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ახალი ელემენტი შეიძლება იყოს ბანკების მიერ ფულად შეთავაზებებში საწარმოთა დაკრედიტების ხვედრითი წილის გადიდება, იმდენად, რამდენადაც ცენტრალური ბანკი გაზრდის ბანკებისათვის გადაცემულ კრედიტებს.

14.2. საოპერაციო პროცედურა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები

ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საოპერაციო პროცედურა დაფუძნებულია ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოების წმინდა საერთაშორისო რეზერვებისა და წმინდა შიგა აქტივების მოცულობის კონტროლზე. პირველ რიგში, ეს არის გაფართოებული კრედიტების გადაცემა ქვეყნის მთავრობისა და კომერციული ბანკებისათვის. ბანკი ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენებს მის განკარგულებაში არსებული ინსტრუმენტების მთელ სპექტრს. ცენტრალური ბანკი დღეს ზემოქმედებას ახდენს ბანკების რეზერვებზე საბაზრო ინსტრუმენტების მეშვეობით. თავის მოკლევადიან პოლიტიკაში ის ითვალისწინებს რეზერვებზე საბანკო სისტემის მოთხოვნილების მოსალოდნელ ცვლილებებს, როგორც წლის, ასევე თვის განმავლობაში, რითაც ხელს უწყობს ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების ზედმეტი ცვალებადობის გაწონასწორებას.

საბანკო ოპერაციების რეგულირების მექანიზმი დამოკიდებულია ქვეყანაში საბანკო საქმიანობის ორგანიზაციის ფორმებზე, ცენტრალური ბანკის ადგილზე, როლსა და ფუნქციებზე, მთავრობისაგან მისი დამოუკიდებლობის ხარისხზე და სხვა ფაქტორებზე. იგი მოიცავს როგორც ნაღდ და უნაღდო საბანკო ოპერაციების რეგულირების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, ასევე ფულადი მასის დინამიკაზე, საბაზრო საპროცენტო განაკვეთებსა და მიკრო და მაკროდონეზე ბანკის ლიკვიდობაზე კონტროლის კონკრეტულ ფორმებს.

ერთიან ეკონომიკურ სივრცეში საგადასახდელო ბრუნვის მართვის მიზნით, დასახული ამოცანების გადაწყვეტა ცენტრალური ბანკის მიერ ხორციელდება მაკროდონეზე ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებისა და რეალიზაციის გზით, ასევე ცალკეული საბანკო დაწესებულებების ან მათი ჯგუფების ოპერაციების რეგულირების მეშვეობით. ამასთან, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბანკების საქმიანობაზე ზემოქმედების როგორც პირდაპირი (ადმინისტრაციული), ასევე არაპირდაპირი (ეკონომიკური) მეთოდები. საბანკო მომსახურების ბაზრის რეაქცია ბანკების საქმიანობაში ჩარევის პირდაპირ, ანუ ადმინისტრაციულ მეთოდებზე უფრო ოპერატიულია, ვიდრე არაპირდაპირზე. არაპირდაპირი, ანუ ეკონომიკური მეთოდების გამოყენება ეარაუდობს მიკროდონეზე თვითრეგულირების პროცესების განვითარების მაღალ ხარისხს, ხოლო მათი გამოყენებისაგან ეფექტი შენელებული და არაერთმნიშვნელოვანია.

ადმინისტრაციულ მეთოდებს მიეკუთვნება ცენტრალური ბანკის მიერ ბანკების საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების მიმართ დაწესებული პირდაპირი შეზღუდვები (ლიმიტები) და აკრძალვები. ზემოქმედების ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებისას განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული შემდეგი ინსტრუმენტები:

- პასივებისა და აქტივების ცალკეული სახეების კვოტირება;
- სხვადასხვა კატეგორიის სესხების გაცემასა და საკრედიტო რესურსების მოზიდვის ზღვრული ოდენობის (ან ლიმიტების) შემოღება;
- შეზღუდვები ფილიალებისა და განყოფილებების გახსნაზე;

• საკომისიო გასამრჯელოს ოდენობის, სხვადასხვა სახის მომსახურების ტარიფების, საპროცენტო განაკვეთების ლიმიტირება, ოპერაციების ნომენკლატურის, უზრუნველყოფის სახეების, ასევე ოპერაციების ცალკეული სახეების წარმოების უფლების მქონე ბანკების ჩამონათვალის განსაზღვრა (ე.წ. კონტიგენტირება).

მთლიანი ფულადი მიმოქცევის მართვისა და საბანკო ოპერაციების რეგულირების ეკონომიკურ მეთოდებს მიეკუთვნება ღონისძიებები, რომელთა გამოყენება უმთავრესად არაპირდაპირ ზემოქმედებას ახდენს და ვარაუდობს პირდაპირი აკრძალვების და ლიმიტების დადგენას. გამოყოფენ მართვის ეკონომიკური მეთოდების სამ ძირითად ჯგუფს: საგადასახადო, ნორმატიული (რაც შემოღებული შეზღუდვები ან შეღავათები უკავშირდება ოპერაციების მასშტაბს) და მაკორექტირებელი (გამოირჩევა მოქნილობითა და ოპერატიულობით, სიტუაციის შესაბამისად მასტიმულირებელი ან შემზღუდველი ზემოქმედების შესაძლებლობით). საგადასახადო მეთოდების გამოყენება ფინანსური ორგანოების პრეროგატივაა, მაშინ როცა ნორმატიული და მაკორექტირებელი — ცენტრალური ბანკისა.

ზემოქმედების ნორმატიულ მეთოდებს მიეკუთვნება ზემოქმედების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა გადარიცხვები საკრედიტო რესურსების რეგულირების ფონდში, საბანკო კაპიტალის ლიკვიდურობისა და საკმარისობის კოეფიციენტი, ასევე ანარიცხებისა და კოეფიციენტების სხვა სავალდებულო სახეები, რომლებიც დგინდება ნორმატივის სახით; მაკორექტირებელს მიეკუთვნება — სააღრიცხვო პოლიტიკა (სააღრიცხვო ფანჯარა) და ღია ბაზარზე ოპერაციების გატარება.

ნორმატიული მეთოდები გამოიყენება საკონტროლო ციფრების, მაჩვენებელთა თანაფარდობის ან სხვა შეზღუდვების (როგორც გადიდების, ისე შემცირების მიმართულებით) დადგენის და პერიოდული გადასინჯვის გზით; მათი ზემოქმედების სიჩქარე მცირეა და შემოღებული ნორმატივების ეფექტი შედარებით გვიან იჩენს ხოლმე თავს.

მაკორექტირებელი ზემოქმედება ხორციელდება ცენტრალური ბანკის მიერ საკრედიტო ოპერაციების ან ფასიანი ქაღალდების ოპერაციების გატარების გზით, რომელთაც ახორციელებს ცენტრალური ბანკი აუცილებელი მასშტაბებით და საჭირო პერიოდულობით, რის გამოც ეფექტი შედარებით მალე მიიღწევა. ზემოქმედების ეს ფორმა უფრო მოქნილი და ოპერატიულია.

თუ გეგმურ ადმინისტრაციულ-ბრძანებლურ ეკონომიკაში ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების რეალიზება აუცილებელია ყველა მოქმედი საბანკო დაწესებულებისათვის, საბაზრო ტიპის ეკონომიკაში თვითრეგულაციის პროცესების განვითარება ვარაუდობს ყოველი საკრედიტო დაწესებულების მიერ დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას. ამ პოლიტიკის ეფექტურობა და შედეგები განსაზღვრავს როგორც საკრედიტო დაწესებულების სტატუსს, ასევე მის შემდგომ როლს საბანკო სისტემაში, ასტიმულირებს კონკურენციას.

მრავალ ქვეყანაში საბანკო ოპერაციების მართვისა და რეგულირების მიზნით ცენტრალური ბანკი ძირითადად ორიენტირებულია ეკონომიკური მეთოდების გამოყენებაზე. ოფიციალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანდასასრულობის შესაბამისად, მუშავდება ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითადი ღონისძიებები ყოველი კონკრეტული პერიოდისათვის, განისაზღვრება ამ მომენტისათვის მართვის ყველაზე ეფექტური მეთოდები და ბანკების საქმიანობაზე ზემოქმედების ინსტრუმენტები.

ჩვენი ქვეყნის საბანკო კანონმდებლობაში იურიდიულად კანონდება ფულის მიმოქცევის, საკრედიტო ემისიის, ბანკების საპროცენტო განაკვეთის მართვის წმინდა ადმინისტრაციული მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა. შეიცვალა კომერციულ ბანკებთან ცენტრალური ბანკის ურთიერთობის პრინციპები; ცენტრალურ ბანკს არა აქვს მათ საქმიანობაში ჩარევის უფლება;

მისი საკონტროლო ფუნქციები შეზღუდულია შესაბამისი კანონების მოქმედების არეალით და მიმართულია ფულად-საკრედიტო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნების, ბანკის კრედიტორების და მეანაბრეების ინტერესების დაცვისაკენ. ეს ქმნის წანამძღვრებს მარეგულირებელი ორგანოსა (სახელმწიფო ცენტრალური ბანკის სახით) და ქვემდგომი საკრედიტო დაწესებულებების ურთიერთობის სრულიად განსხვავებული ფორმების ჩამოყალიბებისათვის.

საბაზრო პირობებში ცენტრალური ბანკის მიერ ჩატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანდასახულობათა რეალიზაციის ძირითადი ინსტრუმენტებია:

- ცენტრალურ ბანკში დომინირებული სავალდებულო რეზერვების ნორმატივები (მოთხოვნის რეზერვები);
- საპროცენტო განაკვეთები ცენტრალური ბანკის ოპერაციებზე;
- ბანკების რეფინანსირება;
- ბანკების ოპერაციები ღია ბაზარზე;
- სავალუტო რეგულირება;
- ფულადი მასის ზრდის ორიენტირების დადგენა;
- პირდაპირი რაოდენობრივი შეზღუდვები.

14. 3. ცენტრალურ ბანკში დეპონირებული სავალდებულო რეზერვების დადგენა

სავალდებულო რეზერვები – ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია და წარმოადგენს საბანკო სისტემის საერთო ლიკვიდობის რეგულირების მექანიზმს. მინიმალური რეზერვები – ესაა ცენტრალურ ბანკში კომერციული ბანკების ანაბრების სავალდებულო ნორმა, რომელიც დგინდება კანონმდებლობით საკრედიტო ორგანიზაციების საკრედიტო შესაძლებლობების შეზღუდვისა და განსაზღვრულ დონეზე მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის ოდენობის შესანარჩუნებლად.

სარეზერვო მოთხოვნების შესრულების აუცილებლობა წარმოიშობა შესაბამისი საბანკო ოპერაციების საწარმოებლად ცენტრალური ბანკის ლიცენზიის მიღების მომენტიდან და წარმოადგენს მისი განსორციელების აუცილებელ პირობას. საკრედიტო ორგანიზაცია პასუხისმგებელია სავალდებულო რეზერვების დეპონირების წესის დაცვაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, სარეზერვო მოთხოვნების შესრულების აუცილებლობა წარმოიშობა ლიცენზიის მიღების მომენტიდან. საკრედიტო ორგანიზაციისათვის საბანკო ოპერაციების განსახორციელებლად ლიცენზიის ჩამორთმევის შემდეგ სავალდებულო რეზერვების თანხები ირიცხება სალიკვიდაციო კომისიის (ლიკვიდატორის) ან კონკურსში გამარჯვებული მმართველის ანგარიშზე და გამოიყენება კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და ცენტრალური ბანკის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ცენტრალური ბანკი სავალდებულო რეზერვებიდან წარმოქმნის ქვეყნის საკრედიტო სისტემის სარეზერვო ფონდს, რომლის სახსრებიც იქმნება კომერციული ბანკების მიერ გარეშე საწარმოებისა და ორგანიზაციების მოზიდული სახსრების განსაზღვრული წილის რეზერვირების გზით, ეს სახსრები გამოიყენება საკრედიტო რესურსების სახით. მეტწილად მათ მიეკუთვნება საანგარიშსწორებო, მიმდინარე ანგარიშებზე დროებით თავისუფალი სახსრები, ასევე საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ შეტანილი ანაბრები და დეპოზიტები. ამ მოზიდული სახსრების შემადგენლობაში არ შედის სხვა ბანკების კრედიტები.

რეზერვების სიდიდე – საბანკო აქტივების ნაწილი, რომელიც ნებისმიერ კომერციულ ბანკს უნდა გააჩნდეს ცენტრალური ბანკის ანგარიშებზე, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კომერციული ბანკის საკრედიტო შესაძლებლობებს. მას შეუძლია გასცეს სესხები და ამით გააფართოოს ფულადი შეთავაზება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გააჩნია თავისუფალი რეზერვები,

რომლებიც აღემატება კანონით დადგენილ მინიმალურ ნორმას. ოფიციალური სარეზერვო მოთხოვნების გადიდებით ან შემცირებით ცენტრალურ ბანკს შეუძლია არეგულიროს ბანკების საკრედიტო აქტივობა და ამით გააკონტროლოს ფულის შეთავაზება.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების რეგულირებას ორმაგი დანიშნულება აქვს: ჯერ ერთი, ის მოწოდებულია უზრუნველყოს კომერციული ბანკების ლიკვიდობის უცვლელი დონე და, მეორე, ის წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს კომერციული ბანკების ფულადი მასისა და კრედიტუნარიანობის რეგულირებისათვის. სავალდებულო რეზერვების ფონდი შექმნილია იმისათვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს კომერციული ბანკების მიერ თავისი კლიენტების წინაშე აღრე მოზიდული ფულადი სახსრების დროულად დაბრუნების ვალდებულებები, რადგანაც ამ სახსრების ნაწილის დეპონირება არ ხდება და არ გამოიყენება ბანკების მიერ საკრედიტო რესურსების სახით.

ცენტრალური ბანკი სავალდებულო რეზერვების ნორმების შეცვლით გავლენას ახდენს კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკასა და მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის მდგომარეობაზე. ასე, მაგალითად, სავალდებულო რეზერვების ნორმის შემცირება კომერციულ ბანკებს აძლევს შესაძლებლობას უფრო სრულად გამოიყენოს მათ მიერ შექმნილი საკრედიტო რესურსები. ანუ გაზარდოს საკრედიტო დაბანდებანი. თუმცა ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ამგვარ პოლიტიკას მივყავართ მიმოქცევაში ფულის მასის ზრდისკენ, რაც წარმოების დაქვეითების პირობებში იწვევს ინფლაციურ პროცესებს.

თუ საპროცენტო განაკვეთები სავალდებულო რეზერვებზე მაღალია, ცენტრალური ბანკი ზღუდავს კომერციული ბანკების განკარგულებაში არსებული ფულის ოდენობას. ეს ამცირებს ამ უკანასკნელთა კრედიტუნარიანობას და ზრდის პროცენტებს მათ მიერ გაცემულ კრედიტებზე. ცენტრალური ბანკის სავალდებულო რეზერვებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილება მოცემულია №14.1 ცხრილში.

ცხრილი №14.1

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲐᲠᲝᲪᲔᲜᲢᲝ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

	2002	2001
საპროცენტო შემოსავალი		
მთავრობაზე გაცემული სესხებიდან	67, 055	62,739
უცხოური საკრედიტო დაწესებულებების		
მიმართ მოთხოვნებიდან	4,192	8,983
გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდებიდან	3, 073	-
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდებიდან	282	1,305
თანამშრომლებზე გაცემული სესხებიდან	107	135
ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებების		
მიმართ მოთხოვნებიდან	47	275
სხვა	700	675
	75,456	74,112
საპროცენტო ხარჯი		
სსფ-თან დაკავშირებული ვალდებულებებიდან	5,790	6,174
ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებებ-		
ის მიმართ ვალდებულებებიდან	2,582	2,204
სხვა	1,045	675
	9,417	9,053
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	66,039	65,059

სხვადასხვა რეზერვებში გადასანაწილებელ თანხებს ყოველწლიურად ამტკიცებს საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ნებისმიერი ნამეტი თანხა, რომელიც არ გადანაწილდება სებ-ის შიდა რეზერვებზე, გადაერიცხება ფინანსთა სამინისტროს. 2002 და 2001 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის სებ-ის მიერ ფინანსთა სამინისტროზე განაწილებული თანხები შეადგენს შესაბამისად 35,000 და 20, 500 ათ. ლარს. 16,000 ათ. ლარის ნარჩენი გაუნაწილებელი მოგების გადარიცხვა ფინანსთა სამინისტროზე 2003 წელს მოხდება.

მსოფლიო საბანკო პოლიტიკის შესაბამისად, სავალდებულო რეზერვების ნორმა შეიძლება დიფერენცირებულ იქნეს ანაბრების და დეპოზიტების სახეების, ოდენობისა და ვადის მიხედვით. კერძოდ, უვადო ანაბრების შემთხვევაში, როცა კლიენტს შეუძლია ნებისმიერ დროს მოხსნას თავისი ფულადი სახსრები ან შენახვის უმნიშვნელო ვადების მქონე ანაბრების დროს, – ასევე სოლიდური თანხის შემთხვევაში – კლიენტთა წინაშე ვალდებულებების შესრულებაზე კომერციული ბანკის შესაძლებლობები მცირდება, რადგან ამ რესურსების ხარჯზე გაცემულ კრედიტებს დაბრუნების უფრო ხანგრძლივი ვადა აქვს. ამიტომაც, ასეთი ანაბრების რეზერვირებადი ნაწილი უნდა აღემატებოდეს შენახვის ხანგრძლივი ვადის მქონე ანაბრების თანხებს.

სავალდებულო რეზერვის ნორმის სიდიდეზე გავლენას ახდენს ასევე საბანკო სისტემის განვითარების დონე და მთლიანობაში ეკონომიკის მდგომარეობა. განვითარებული საბანკო სისტემის ქვეყნებში, სადაც ბანკები ფუნქციონირებენ სტაბილური ეკონომიკის პირობებში, სავალდებულო რეზერვების ნორმები დგინდება შედარებით ხანგრძლივი დროით.

იმდენად, რამდენადაც კომერციული ბანკების მიერ სავალდებულო რეზერვების ფონდში სახსრების შეტანა ხორციელდება არა ყოველდღიურად, არამედ პერიოდულად, უნდა ვისწრაფვოდეთ ანგარიშზე მიღებული მოზიდული სახსრების მაქსიმალური სიდიდისაკენ სავალდებულო რეზერვების ნორმების გათვალისწინებით. რაც უფრო ხშირად ოპერატიულად შესრულდება ცენტრალურ ბანკში რეზერვებს დაქვემდებარებული სახსრების ნაშთის სიდიდის რეგულირება, მით უფრო მაღალი იქნება ასეთი შესაბამისობის დონე. ამჟამად მოცემული ოპერაცია ხორციელდება ცენტრალური ბანკისა და კომერციული ბანკების მიერ ერთობლივად თვეში ერთხელ თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით.

რეზერვებს დაქვემდებარებული სახსრების ნაშთის სიდიდის რეგულირება იმაში მდგომარეობს, რომ კომერციული ბანკი თავისი საბუღალტრო ბალანსის შესაბამისი სტატიების მონაცემების საფუძველზე (სადაც აღირიცხება კლიენტებისაგან მოზიდული სახსრები საკრედიტო რესურსების სახით), ასევე ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო რეზერვების ნორმატივის საფუძველზე ადგენს დასარეგულირებელი სახსრების სიდიდის ანგარიშს ზემოთ მითითებული პირველი მაჩვენებლის მეორეზე გამრავლებით. მიღებული შედეგი უტოლდება სახსრების წინასწარ რეზერვირებულ სიდიდეს და თუ რეზერვირებას დაქვემდებარებული სახსრების სიდიდე მეტია წინასწარ რეზერვირებულზე, მაშინ წარმოქმნილი სხვაობა გადაირიცხება საგადასახადო დავალებით. იმ შემთხვევაში, როცა წინასწარ რეზერვირებული მეტია, ვიდრე საჭიროა მომდევნო თარიღამდე, ცენტრალური ბანკი მისთვის მიწოდებული ცნობების საფუძველზე ახდენს გადაანგარიშებას და უბრუნებს კომერციულ ბანკს საგადასახადო დავალებით შეტანილ ზედმეტ თანხებს. სავალდებულო რეზერვების ნამეტის ჩათვლის ან მიმდინარე პერიოდიდან მეორეზე გადატანის ამგვარი წესი ამაღლებს მარეგულირებელ ღონისძიებათა მოქნილობას.

პერსპექტივაში ცენტრალური ბანკი აგრძელებს მუშაობას საკრედიტო ორგანიზაციების მიერ სავალდებულო რეზერვების შესაქმნელად, შესაბამისი ნორმატიული ბაზის სრულყოფისა და შემუშავების მიმართულებით.

სარეზერვო მოთხოვნებისაგან ვალდებულებათა ცალკეული სახეების განთავისუფლებას მივყავართ განსაზღვრულ უარყოფით შედეგებამდე. ასე, მაგალითად, ბანკები იწყებენ მანიპულირებას

თავისი დეპოზიტებით და ცდილობენ მოზიდული სახსრების დიდი ნაწილი გადაიტანონ სარეზერვო მოთხოვნებიდან თავისუფალ კატეგორიაში.

ამიტომ ცენტრალური ბანკი სხვა უფლებამოსილ ორგანიზაციებთან ერთად ითვალისწინებს საკრედიტო ორგანიზაციების სავალდებულო რეზერვებზე კონტროლის ერთიანი საპროგრამო კომპლექსის შექმნას. ამჟამად გეთავაზობენ ბანკებში სავალდებულო რეზერვების ერთიანი წესის გავრცელებას, რეზერვირების ბაზაში შეტანილი ვალდებულებების ნაშთების საშუალო ქრონოლოგიურის მიხედვით.

14. 4. საპროცენტო პოლიტიკა. ოფიციალური საპროცენტო განაკვეთის რეგულირება

ცენტრალური ბანკის ტრადიციულ ფუნქციას წარმოადგენს კომერციულ ბანკებზე სესხების გაცემა. პროცენტის განაკვეთს, რომლის მიხედვითაც გაიცემა ეს სესხები, ეწოდება პროცენტის სააღრიცხო განაკვეთი ან რეფინანსირების განაკვეთი. ამ განაკვეთის შემცირებით ცენტრალურ ბანკს შეუძლია, ზემოქმედება მოახდინოს ბანკების რეზერვირებაზე მოსახლეობისა და საწარმოებისათვის კრედიტის გაცემაში მისი შესაძლებლობების გაფართოებით ან შეზღუდვით. სააღრიცხვო პროცენტის სიდიდის შესაბამისად აიგება კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთების სისტემა, ხდება ზოგადად კრედიტის გაძვირება ან გაიაფება, რითაც იქმნება მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის შეზღუდვის ან გაფართოების პირობები. კომერციული ბანკები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ ცენტრალური ბანკის რეფინანსირების ოფიციალურ განაკვეთზე წანამატის ოდენობას მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის, მუშაობის რენტაბელობის, დასაკრედიტებელი ობიექტის პერსპექტიულობისა და პრიორიტეტულობის შესაბამისად.

ცენტრალური ბანკი საპროცენტო განაკვეთის დონის რეგულირებას ახდენს ორგვარად:

- კომერციული ბანკებისათვის კრედიტების გაცემაზე განაკვეთების ფიქსაციის გზით, რაც საბაზრო განაკვეთების განსაზღვულ ორიენტირს წარმოადგენს;
- საკრედიტო დაწესებულებების განაკვეთებზე კონტროლის გზით.

პირველ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი, ოფიციალური რეფინანსირების განაკვეთის დადგენით, განსაზღვრავს ბანკების მიერ რესურსების მოზიდვის ღირებულებას: რაც უფრო მაღალია რეფინანსირების განაკვეთი, მით მეტია საბანკო ოპერაციების რეფინანსირების ღირებულება; მეორე შემთხვევაში რეგულირებას ექვემდებარება მხოლოდ ზოგიერთი ბანკის კრედიტის ან ოპერაციების ცალკეული სახეების ღირებულება.

ცენტრალური ბანკის საპროცენტო პოლიტიკა პოსტკრიზისულ პერიოდში მდგომარეობს ფულად ბაზარზე ბანკის ყველა ოპერაციის მიხედვით საპროცენტო განაკვეთების რეგულირებაში საბანკო სისტემის ლიკვიდურობის საჭირო დონის შესანარჩუნებლად. ამასთან, ცენტრალური ბანკი მიისწრაფვის საპროცენტო განაკვეთების შემცირებისაკენ რეალურ გამოსახულებაში.

ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის (ბსბ) მუშაობის აღსადგენად ცენტრალური ბანკი თავისი საპროცენტო პოლიტიკით შესაძლებლობას აძლევს ბანკების ერთ ნაწილს, შეავსონ თავიანთი ლიკვიდურობა ცენტრალური ბანკის კრედიტების ხარჯზე, სხვებს კი — გაანეიტრალონ ნამეტი ლიკვიდურობა. ამ სიტუაციაში ცენტრალური ბანკისათვის მთავარია საკრედიტო და სადეპოზიტო ოპერაციებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის თანაფარდობის დარეგულირება, რათა თავიდან აიცილოს ცენტრალურ ბანკთან ოპერაციებზე კომერციული ბანკების საარბიტრაჟო თამაშის შესაძლებლობები.

ცენტრალური ბანკი უშუალო გავლენას ახდენს თავიანთ კლიენტებთან კომერციული ბანკების ოპერაციების საპროცენტო განაკვეთებზე. ეს საპროცენტო განაკვეთები განისაზღვრება მათ

მიერვე და დამოკიდებულია მიმოქცევაში ფულის ოდენობაზე და საბანკო სისტემისა და ფინანსური ბაზრების საშუამავლო საქმიანობის ეფექტურობაზე.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ახალი ინსტრუმენტი – ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო განაკვეთი – დგინდება არასაბანკო ორგანიზაციების ვექსილების გასანაღდებელი ოპერაციების გასატარებლად. ამგვარი სააღრიცხვო განაკვეთის შემოღება იგეგმება ექსპერიმენტის სახით ბანკების იმ შეზღუდული ოდენობისათვის, რომელთაც საბანკო კრიზისის პირობებში არ დაუკარგავთ მდგრადობა. მაგალითად, თავდაპირველად გასანაღდებლად მიიღება მანქანათმშენებელი პროდუქციის ექსპორტიორთა ვექსილები. სქემა მუშავდება მთავრობის ინიციატივით, რომელიც იმედოვნებს ამ გზით სამამულო საქონელმწარმოებლების შენარჩუნებასა და ტექნოლოგიური ექსპორტის ხელშეწყობას.

ცენტრალური ბანკი სიამოვნებით გამოიყენებდა ეკონომიკაში საკრედიტო რესურსების ღირებულების განსაზღვრის ახალ მექანიზმს – სააღრიცხვო განაკვეთის მეშვეობით. ამასთანავე, ამგვარი მექანიზმის სრულმასშტაბიანი რეალიზაციით დაინტერესებული არიან უმსხვილესი ბანკები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ საანგარიშო წოდებაზე – ცენტრალური ბანკის საანგარიშო განაკვეთსა და სადისკონტო განაკვეთს შორის სხვაობით, რომლის მიხედვითაც ბანკები შეისყიდიან თამასუქებს ემიტენტებისაგან, ისინი დააგროვებენ ფულად სახსრებს.

ცენტრალური ბანკის თამასუქების განაღდების სქემა მარტივია: კომერციული ბანკი, რომელიც ცბ-ის ერთ-ერთი ქვედანაყოფიდან იღებს საანგარიშოს სტატუსს, აფინანსებს ორგანიზაციას – ექსპორტიორს უბრალო თამასუქის მიღებით, რომელიც გაცემული იქნება საანგარიშო ბანკის სახელზე. აღნიშნული ბანკი, თავის მხრივ, გაანაღდებს (ანუ გადახდის ვადის დადგომამდე ყიდის) ამ თამასუქს ცენტრალურ ბანკში წინასწარ დადგენილი პროცენტით. მთავარი პირობაა ის, რომ ამ ოპერაციაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ პირველი კლასის ბანკებს და პირველი კლასის მყიდველებს – არარეზიდენტებს საექსპორტო კონტრაქტით, ანუ იმათ, რომლის საკრედიტო რეიტინგი არანაკლებია **Standart & Poor's** დადგენილ რეიტინგზე. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი – არარეზიდენტი არ შეესაბამება პირველი კლასის სტატუსს, გარიგება დაზღვეული იქნება პირველი კლასის მზღვეველთან.

კონტრაქტის გარანტირების ამგვარი სქემა შემთხვევით არაა შერჩეული. ასეთ გარანტიებს, ჯერ ერთი, მინიმუმამდე დაჰყავთ თამასუქების დაუფარაობის რისკი (იმდენად, რამდენადაც დასაელეთელი მზღვეველები ძალისხმევის მაქსიმუმს მოახმარენ გარიგების შესრულების პირობების უზრუნველყოფას), მეორე მხრივ, არ დაუშვებენ ექსპორტიორების მიერ მოგების დაფარვას.

გასანაღდებლად დაიშვება მხოლოდ 1930 წ. ჟენევის კონფერენციის მოთხოვნების შესატყვისი თამასუქები, რაც შეესაბამება ამგვარი ოპერაციების საერთაშორისო პრაქტიკას. საანგარიშო განაკვეთს სამართლიანად მიიჩნევენ რეალური სექტორის შენარჩუნების ერთ-ერთ „ცივილიზებულ" მეთოდად. ამ დროს ხდება მწარმოებელთა მიერ გაცემული თამასუქების განაღდება.

თუმცა თამასუქების განაღდების სქემა თავისი არსით ემისიურია, რადგანაც საექსპორტო კონტრაქტებიდან ჯერ კიდევ არამატერიალიზებულ მოგებაზე იქნება ემიტირებული რეალური ფული. ინფლაციური ეფექტი, როგორც ჩანს, არც ისე დიდი იქნება ამგვარი დაკრედიტების გამოყენების სფეროს შედარებითი სივიწროეის გამო, რამდენადაც ნედლეულის ექსპორტიორებს ნებას დართავენ ბოლოს, მოახდინონ თამასუქების ემიტირება.

ცენტრალური ბანკი თამასუქებს გაანაღდებს საკუთარ დეპოზიტარიუმში. ამასთან, მასთან იქნება შენახული არა მხოლოდ მათ მიერ გამოსყიდული, არამედ საანგარიშო ბანკების კუთვნილი თამასუქები. ცენტრალურ ბანკში თელიან, რომ თამასუქების თაემოყრა ერთ დეპოზიტარიუმში უზრუნველყოფს განაღდების ოპერაციების ჩატარების საიმედოობას.

14. 5. ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲠᲔᲑᲐ

თავდაპირველად კომერციული ბანკების რეფინანსირების პოლიტიკა ცენტრალური ბანკის მიერ გამოიყენებოდა მხოლოდ ფულად-საკრედიტო მიმოქცევის მდგომარეობაზე ზემოქმედებისათვის. საბაზრო ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ რეფინანსირება სულ უფრო აქტიურად გამოიყენება, როგორც კომერციულ ბანკებზე ფინანსური დახმარების აღმოჩენის ინსტრუმენტი. ცენტრალური ბანკი, ამრიგად, ხდება ბოლო ინსტანციის კრედიტორი და ასრულებს „ბანკების ბანკის“ ფუნქციას. რეფინანსირების კრედიტებს მინიმუმამდე დაჰყავთ ლიკვიდური სახსრების მარაგი ცენტრალური ბანკის სესხების გამოყენების ხარჯზე. ცბ-ის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციისას ბანკებს მიეცემათ კრედიტები ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად, ფინანსური მდგრადობის ასამაღლებლად, ასევე კრედიტები სტაბილიზაციისათვის ერთ წლამდე ვადით ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ორიენტირების ფარგლებში. სიტუაციის ნორმალიზაციის კვალდაკვალ, საბანკო სექტორში გათვალისწინებულია მითითებული კრედიტების გაცემის შეწყვეტა.

საკრედიტო რეფინანსირება განსხვავდება შემდეგი მაჩვენებლებით:

- უზრუნველყოფის ფორმით – სააღრიცხვო და სალომბარდე კრედიტები;
- გამოყენების ვადებით – მოკლევადიანი (ერთ ან რამოდენიმე დღეზე) და საშუალოვადიანი (6 თვემდე);
- გაცემის მეთოდებით – პირდაპირი კრედიტები და ცბ-ის მიერ აუქციონების გზით რეალიზებული კრედიტები;
- მიზნობრივი ხასიათით – მაკორექტირებელი და სეზონური კრედიტები.

სააღრიცხვო (სადისკონტო კრედიტები) – ეს არის ცბ-ის მიერ კომერციული ბანკებისათვის თამასუქების ვადის გასვლამდე მათი განაღდების გზით გადაცემული სესხები. სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი კანონების თანახმად, ცბ უფლებამოსილია, ბანკებისაგან შეისყიდოს და მიყიდოს მათ კომერციული და სახაზინო თამასუქები დადგენილი სააღრიცხვო განაკვეთის შესაბამისად. ფულად-საკრედიტო მიმოქცევის მდგომარეობაზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ბანკების განკარგულებაში არსებული სააღრიცხვო კრედიტების რაოდენობრივი შეზღუდვების გამოყენება გადაანგარიშებული სესხების საერთო თანხის ლიმიტის დადგენის მეშვეობით. ლიმიტი ერცელდება გადაანგარიშებულ ყველა თამასუქზე და შეიძლება დადგენილ იქნეს ინდივიდუალურად ცალკეული დაწესებულებისათვის ან ერთი მსესხებლისათვის გაცემული კრედიტის მოცულობაზე შეზღუდვის ფორმით. ფულად-საკრედიტო სფეროში სიტუაციიდან გამომდინარე, გადაანგარიშების ლიმიტი ან მცირდება, ან იზრდება. ლიმიტის დონის გადიდებით ცბ ცდილობს საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად წარმოშობილი ფინანსური ზარალის გამოსწორებას ან ბანკების საკრედიტო რესურსების გადიდებას ფულადი მასის დაგეგმილი ნამეტის ფარგლებში. ამიტომაც საკრედიტო ლიმიტის დონის ამაღლება ნიშნავს არა ცბ-ის მიერ ექსპანსიონისტური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, არამედ განიხილება როგორც ბანკების ლიკვიდურობის რეგულირების მექანიზმი.

ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის გადაცემული სალომბარდე კრედიტი წარმოადგენს საპროცენტო სესხებს ფასიანი ქაღალდების გირავნობით. სესხების ოდენობა დგინდება გირაოს სახის შესაბამისად. საგირავნო უზრუნველყოფის ღირებულება უნდა აღემატებოდეს სალომბარდე კრედიტის თანხას. სალომბარდე კრედიტი გაიცემა მხოლოდ საკრედიტო ინსტიტუტების მოკლევადიანი სიმინელეების წარმოქმნისას. სალომბარდე კრედიტის საპროცენტო განაკვეთი, ჩვეულებისამებრ, აღემატება სააღრიცხვო პროცენტის განაკვეთს 1-3%-ით.

საკრედიტო აუქციონები წარმოადგენს ცენტრალური ბანკების მიერ საკრედიტო რესურსების გაცემის ფართოდ გავრცელებულ ხერხს. საკრედიტო აუქციონის ჩატარები-

სას პოტენციური მსესხებლები ცენტრალურ ბანკში აგზავნიან განაცხადებს საჭირო კრედიტების მიღების მოთხოვნით და საპროცენტო განაკვეთის დონის ჩვენებით. მიღებული განაცხადების საფუძველზე ცბ ადგენს აუქციონის კრედიტების საერთო თანხას, საპროცენტო განაკვეთის დონეს, ასევე აუქციონის ჩატარების ხერხს.

ამერიკული ხერხის გამოყენებისას განაცხადების რანგირება ხდება შემოთავაზებული საპროცენტო განაკვეთის დონის მიხედვით, კლების შესაბამისად, შემდეგ კი აკმაყოფილებენ მას იგივე წესით შემოთავაზებული მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთით დაწყებული კრედიტის დადგენილი მოცულობის სრულ ამოწურვამდე. ამის შედეგად, დაკმაყოფილებული განაცხადებიდან უკანასკნელი შეიძლება შემცირდეს. ჰოლანდიური ხერხის გამოყენებისას ყველა განაცხადი კმაყოფილდება მყიდველი ბანკების მიერ შემოთავაზებული მინიმალური განაკვეთით.

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით აუქციონის შემთხვევაში კმაყოფილდება ყველა განაცხადი, თუმცა იმ შემთხვევაში, როცა ამ განაცხადების საერთო თანხა აღემატება აუქციონისათვის შეთავაზებული კრედიტის მოცულობას, ყველა განაცხადი ნაწილობრივ კმაყოფილდება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე რესურსების რეგულირების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების კრედიტებზე სააღრიცხვო განაკვეთების დადგენა, სავალდებულო რეზერვების ფონდების ფორმირება, ცენტრალიზებული საკრედიტო რესურსების ოდენობის რეგულირება. ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე მიმდინარე პროცესებიც.

საბანკო ინვესტორების აქტიურობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და სავარაუდოა, რომ მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. არასაბანკო ინვესტორები თითქმის მთლიანად რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირები იყვნენ, აქედან 64% იურიდიულ პირებზე მოდიოდა, ხოლო დანარჩენი – ფიზიკურ პირებზე.

სახაზინო ვალდებულებების ბაზრის მოცულობის ზრდამ და ინვესტორთა რაოდენობის მატებამ განაპირობა მეორადი ბაზრის გააქტიურება. წინა წელთან შედარებით მეორად ბაზარზე გარიგებების მოცულობა 5,4-ჯერ გაიზარდა და 40 მლნ ლარი შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის და თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის (თბსბ) ერთობლივი ძალისხმევით ჩამოყალიბდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული მეორადი ბაზარი. თბსბ-ზე 2002 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 7 გარიგება, რომლის საერთო ბრუნვამ 0, 6 მლნ ლარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ 2002 წელს მეორად ბაზარზე განხორციელებული ოპერაციების დიდი ნაწილი არასაბირჟო გარიგებებზე მოდის, თუ გავითვალისწინებთ, რომ დაბალი საკრედიტო რისკის გამო ინვესტორთათვის თბსბ-ზე გარიგების დადება უფრო მოსახერხებელია, ვიდრე არასაბირჟო წესით, სავარაუდოა, რომ სამომავლოდ მეორადი ბაზრის საბირჟო სეგმენტი მნიშვნელოვნად გააქტიურდება.

სახაზინო ვალდებულებების მაღალმა შემოსავლიანობამ და ფინანსთა სამინისტროს მიერ ემისიის მოცულობის ზრდამ კომერციული ბანკების დროებით თავისუფალი რესურსები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოიზიდა, რის გამოც საპროცენტო განაკვეთებმა საკრედიტო რესურსების აუქციონზეც აიწია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2002 წელს, წინა წლის მსგავსად, გაგრძელდა საკრედიტო რესურსების აუქციონების ბრუნვის კლების ტენდენცია და წლიური ბრუნვა 17,5-დან 13 მლნ ლარამდე, ანუ 25%-ით შემცირდა. მაშინ როდესაც 2000 წელს იგივე მაჩვენებელი, შესაბამისად, 72 მლნ ლარს აღწევდა, ანუ 2000 წელთან შედარებით ბრუნვა 5,5-ჯერ არის შემცირებული.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, 2001 წელთან შედარებით 7 დღემდე ვადიანობის საკრედიტო აუქციონებზე საშუალო წლიური განაკვეთი გაიზარდა 5-დან 23%-მდე, ხოლო 90 დღემდე ვადიანობის რესურსებზე – 19-დან 31%-მდე. საანგარიშო წლის მეოთხე კვარტალიდან

გამოიკვეთა მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების კლების ტენდენცია, რის ფონზეც 7 და 30-დღიან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონებზე წლიური საპროცენტო განაკვეთები შესაბამისად 31-დან 20-მდე და 30-დან 22 პროცენტამდე შემცირდა. საპროცენტო განაკვეთების კლება ამ შემთხვევაშიც საკრედიტო რესურსების ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის ცვლილებებით იყო გამოწვეული. კერძოდ, საბანკო სისტემაში გაიზარდა ლიკვიდობა, რის შედეგადაც გარიგების საერთო მოცულობის 79% დაიდო წლის ბოლო ოთხი თვის განმავლობაში. ამასთან, წლის მეორე ნახევარში ფინანსთა სამინისტრომ შეამცირა მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებების ემისია და უპირატესობა შედარებით გრძელვადიან სავალო ვალდებულებებს მიანიჭა, რის ფონზეც გამოთავისუფლდა მოკლევადიანი რესურსები. ამით აიხსნება, ერთი მხრივ, 30 დღემდე საკრედიტო რესურსების გაიაფება წლის ბოლოს და 90 დღემდე საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთების მაღალ დონეზე შენარჩუნება, როგორც ეს საანგარიშო პერიოდში ხდებოდა.

2001 წელთან შედარებით იკლო დადებული გარიგებების საშუალო ვადიანობამ. აუქციონების ბრუნვაში 36-დან 8 პროცენტამდე შემცირდა 90-დღიანი რესურსების წილი, რის ხარჯზეც გაიზარდა 7 და 30-დღიანი რესურსების სვედრითი წონა – შესაბამისად, 32-დან 36 პროცენტამდე და 32-დან 56 პროცენტამდე. ცალკეულ აუქციონებზე საპროცენტო განაკვეთები მკვეთრად იცვლებოდა, რაც ბაზრის განუვითარებლობისა და დაბალი ლიკვიდობის შედეგია. ამავე დროს, იმის გამო, რომ საკრედიტო აუქციონები კვირაში ორჯერ ტარდებოდა, იგი ჯერჯერობით ვერ ასრულებდა ბანკების ყოველდღიური ლიკვიდობის მართვის ეფექტიანი ინსტრუმენტის როლს.

ცენტრალური ბანკი გააგრძელებს მუშაობას დაკრედიტების მოქმედი სისტემის სრულყოფისა და ამ პროცესის თანდათანობითი ცენტრალიზაციისათვის საკრედიტო ოპერაციების ერთიანი საპროგრამო კომპლექსის მეშვეობით. ეს შესაძლებლობას მისცემს მათ, უზრუნველყონ უნაღდო ანგარიშწორების სისტემის უწყვეტი ფუნქციონირება, არგადახდების აღმოფხვრა და დაეხმარება ბანკებს უფრო ეფექტურად მართონ თავიანთი ლიკვიდურობა.

14.6. ოპერაციები ღია ბაზარზე

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების ეკონომიკურ ღონისძიებებს მიეკუთვნება ასევე ფასიანი ქაღალდების ღია ბაზარზე ცენტრალური ბანკის ოპერაციები. ღია ბაზრის პოლიტიკას უწოდებენ ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას ფულად ბაზარზე გავლენის მოპოვების მიზნით. ღია ბაზრის პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნილებისა და წინადადებების რეგულირებით მიაღწიონ კომერციული ბანკებისაგან შესაბამის რეაქციას.

ცენტრალური ბანკი, კომერციული ბანკებისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მიყიდვით, ზღუდავს კომერციული ბანკების საკრედიტო ექსპანსიას, ამცირებს მიმოქცევაში არსებულ ფულის მასას, რითაც ასუსტებს სასაქონლო ბაზარზე საგადასახდელო საშუალებების ზეწოლას და ზრდის ფულის კურსს.

ტერმინი „ღია ბაზრის პოლიტიკა“ პირველად გაჩნდა აშშ-ში 20-იან წლებში. აშშ-ის ცენტრალური ბანკის ოპერაციები ღია ბაზარზე სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მასშტაბური იყო, რადგან ამ ქვეყანაშია ფასიანი ქაღალდების ყველაზე დიდი ბაზარი.

ღია ბაზრის პოლიტიკა წარმოადგენს სწრაფი და მოქნილი ზემოქმედების იარაღს. ფასიანი ქაღალდის ყიდვა-გაყიდვის დროს ცენტრალური ბანკი ცდილობს, ხელსაყრელი პროცენტის შეთავაზებით ზემოქმედება მოახდინოს კომერციული ბანკების ლიკვიდობის სახსრების მოცულობაზე და, ამდენად, განახორციელოს მათი საკრედიტო ემისიის მართვა. ღია ბაზარზე ფასიანი ქაღალდების შესყიდვით იგი ზრდის კომერციული

ბანკების რეზერვებს და ხელს უწყობს ფულადი შეთავაზებების ზრდას. იგი განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყენება კრიზისის პერიოდში. მაღალი კონიუნქტურის პერიოდში ცენტრალური ბანკი სთავაზობს კომერციულ ბანკებს ფასიანი ქაღალდების შესყიდვას ეკონომიკასა და მოსახლეობასთან მიმართებაში მათი საკრედიტო შესაძლებლობების შესამცირებლად.

ასეთი პოლიტიკის გატარება ცენტრალურ ბანკს შეუძლია ორი გზით. ჯერ ერთი, მას შეუძლია განსაზღვროს ყიდვა-გაყიდვის მოცულობა, საპროცენტო განაკვეთები, რის შესაბამისადაც ბანკებს შეუძლიათ მისგან იყიდონ ფასიანი ქაღალდები. ფასიანი ქაღალდების გაყიდვის კურსი დგინდება დიფერენცირებულად, მათი ვადებიდან გამომდინარე. მეორე, ცენტრალურ ბანკს შეუძლია დაადგინოს საპროცენტო განაკვეთები, რომლის მიხედვითაც მზადაა, შეისყიდოს ფასიანი ქაღალდები.

ღია ბაზრის პოლიტიკის წარმატება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. კომერციული ბანკები იძენენ ფასიან ქაღალდებს ცენტრალური ბანკისგან მეწარმეთა და მოსახლეობის მხრიდან კრედიტებზე დაბალი მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე მაშინ, როცა ცენტრალური ბანკი სთავაზობს ღია ბაზრის ქაღალდებს კომერციული ბანკებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობებით, ვიდრე კომერციული ბანკების მიერ მეწარმეებისა და მოსახლეობისათვის კრედიტების გადაცემის პირობებია.

როცა კომერციული ბანკების ლიკვიდობის შესაბამისად, აუცილებელია მათი საკრედიტო აქტივობის შენარჩუნება, ცენტრალური ბანკი გამოდის მყიდველად ღია ბაზარზე. ამ შემთხვევაში ფართოდ გამოიყენება გადაყიდვის შეთანხმებები. ამ დროს ცენტრალური ბანკი იღებს ვალდებულებას, შეისყიდოს კომერციული ბანკებისაგან ფასიანი ქაღალდები იმ პირობით, რომ უკანასკნელნი, დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ განახორციელებენ უკუგარიგებას, ანუ ფასიანი ქაღალდების უკანეე გამოსყიდვას ფასდაკლებით – ე.წ. შებრუნებული ოპერაციები (РЕПО-ს ოპერაციები). ეს ფასდაკლება შეიძლება იყოს ფიქსირებული ან ორ ზღვარს შორის მცოცავი. ღია ბაზარზე შებრუნებული ოპერაციები ხასიათდება ფულის ბაზარზე უფრო რბილი ზემოქმედებით და ამიტომ წარმოადგენს რეგულირების უფრო მოქნილ მეთოდს.

ცენტრალური ბანკის წინაშე დადგა ფინანსური ბაზრის აღდგენის მექანიზმის შემუშავების ამოცანა, რადგანაც ოპერაციები ღია ბაზარზე წარმოადგენს საბანკო სისტემის ლიკვიდურობის რეგულირების ინსტრუმენტს. ამ პირობებში ცენტრალური ბანკი სთავაზობს ბაზარს საკუთარ მოკლევადიან ობლიგაციებს.

ცენტრალურმა ბანკმა შესაძლებლობა მისცა კომერციულ ბანკებს, გამოიყენოს ისინი გირაოს სახით სალომბარდე ოპერაციებისათვის.

ფინანსური ბაზრის აღდგენის ეტაპზე იზრდება ცენტრალური ბანკის მარეგულირებელი საქმიანობის მნიშვნელობა. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარმა უნდა მიაღწიოს ახალ ხარისხობრივ დონეს, რაც გამოხატული იქნება მისი დინამიკის წინასწარგანსაზღვრასა და განხორციელებული სპეკულაციური ოპერაციების წილის შემცირებაში.

14.7. საჯალუტო რეგულირება

საჯალუტო კურსის რეგულირების აუცილებლობა განპირობებულია მისი მკვეთრი და გაუთვალისწინებელი ცვალებადობის ნეგატიური შედეგებით. ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ფასების სტაბილურობისა და ფულის მიმოქცევის უზრუნველსაყოფად. ეროვნული ვალუტის კურსის დაცემას მივყავართ შიგა ბაზარზე ფასების ზრდასთან, ანუ ეროვნული ფულის ერთეულის მსყიდველობითუნარიანობის დაქვეითებასთან. ეროვნული ვალუტის კურსის მუდმივი დაცემის პირობებში შიგა ბაზარზე საქონლის ფასები ორიენტირებულია არა წარმოების დანახარჯებზე, არამედ ეროვნული ვალუტის კურსის დაცემაზე. კურსის დაცემა ინფლაციის ფაქტორი ხდება.

ტრადიციულად, ცენტრალური ბანკი ახორციელებს სავალუტო კურსის რეგულირებას შემდეგი საშუალებებით:

- ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით;
- სავალუტო ინტერვენციით;
- საერთაშორისო საგადასახადო საშუალებების ან უცხოური სესხების სახელმწიფო რეზერვების გამოყენებით.

პრაქტიკაში, ჩვეულებრივ, გამოიყენებენ სავალუტო პოლიტიკის ორ ძირითად ფორმას: სადისკონტოს და სადევიზოს. სადისკონტო (სააღრიცხვო) პოლიტიკა ტარდება არა მხოლოდ ეროვნული კომერციული ბანკების რეფინანსირების პირობების შეცვლის მიზნით, არამედ, ზოგჯერ, მიმართულია სავალუტო კურსისა და საგადასახდელო ბალანსის რეგულირებისაკენ.

ცენტრალური ბანკი, უცხოური ვალუტების (დევიზების) ყიდვა-გაყიდვით საჭირო მიმართულებით ზემოქმედებას ახდენს ეროვნული ფულის ერთეულის კურსის შეცვლაზე — სწორედ ეს არის სადევიზო პოლიტიკა. მსგავსმა ოპერაციებმა მიიღო სახელწოდება „სავალუტო ინტერვენციები“. ოფიციალური ოქროსვალუტინი რეზერვების ხარჯზე ეროვნული ვალუტის შეძენით იგი ზრდის მოთხოვნას, ამის შედეგად, მის კურსსაც და, პირიქით, ცენტრალური ბანკის მიერ ეროვნული ვალუტის მსხვილი პარტიების გაყიდვას მივყავართ მისი კურსის დაცემამდე. ცენტრალური ბანკის სავალუტო პოლიტიკის გავლენა სასწრაფო სავალუტო ბაზარზე ოპერაციების გატარების ფორმით ვლინდება კაპიტალის ექსპორტის ან იმპორტის სტიმულირებით. კაპიტალის სასურველი მოძრაობის მიმართულება დამოკიდებულია ცენტრალური ბანკის პოლიტიკის პრიორიტეტებზე მოცემულ ეკონომიკურ სიტუაციაში, რაც შეიძლება გამოიხატოს ან სასაქონლო ექსპორტის (სადემპინგო პოლიტიკა) სტიმულირებით, ან ეროვნული ვალუტის კურსის შენარჩუნებაში უცხოეთთან მიმართებაში.

სავალუტო რეგულირების პირდაპირ ღონისძიებებთან — დისკონტურ და დევიზურ პოლიტიკასთან და სავალუტო რეგულირების უშუალო ღონისძიებებთან ერთად, სავალუტო კურსზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვა საკანონმდებლო ნორმები, მათ შორის შეიძლება გამოიყოს ნორმათა შემდეგი სამი ჯგუფი:

1. საგადასახადო კანონმდებლობის ნორმები:
- კურსებს შორის განსხვავების დაბეგვრა;
- საგადასახადო გადასახდელების ფორმები სავალუტო ოპერაციების მიხედვით;
- უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების დაბეგვრა.

2. განვითარების ეკონომიკური პირობების მარეგლამენტირებელი ნორმები:
- ქვეყნის ტერიტორიაზე ანგარიშსწორების საკანონმდებლო რეგლამენტაცია უცხოურ ვალუტაში;
- მოთხოვნები სავალუტო ანგარიშებისა და სალაროების გამოყენების მსურველი საწარმოებისადმი;
- სავალუტო ამონაგების აუცილებელი გაყიდვის ნორმა;
- საპროცენტო განაკვეთი თვითღირებულებაზე ჩამოწერილი სავალუტო კრედიტის მიხედვით;
- სახელმწიფო შესყიდვების რეგლამენტაცია (სამამულო ან უცხოელ მომწოდებელთა არჩევა).

3. საბანკო კანონმდებლობის ნორმები:
- სავალდებულო რეზერვების ნორმები და ცენტრალურ ბანკში მათი გადარიცხვის ფორმები.

მრავალი ბანკი ცენტრალურ ბანკში სავალდებულო რეზერვების სახით გადარიცხული თანხის განსაზღვრის წინ, პრაქტიკაში ნერგავს დროებით ანგარიშგებას, თუ სავალუტო დეპოზიტებზე რეზერვების ზომა დაბალია, ვიდრე ქაღალდის ფულისა, დღეს ის ერთიანია.

- მოთხოვნები ბანკებისადმი, რომელთაც სურთ უცხოურ ვალუტაში ოპერაციების გატარება.

ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების გამკაცრებას მივყავართ, ერთის მხრივ, სავალუტო ანგარიშების მწარმოებელი ბანკის პროფესიონალიზმის ამაღლებამდე, ხოლო, მეორე მხრივ, საბანკო მომსახურების ღირებულების შეცვლამდე და სავალუტო ანგარიშების მომსახურებამდე. ამასთან, თაუს იჩენს ორი ტენდენცია: წინადადების (შეთავაზების) შემცირებას და კონკურენტუნარიანობის შეზღუდვას მიეყავართ საბანკო მომსახურების ღირებულების გადიდებამდე, ხოლო ოპერაციათა თავმოყრა მსხვილ ბანკებში ამცირებს გასავალს და, შესაბამისად, მომსახურების ღირებულებას. ეს, თავის მხრივ, გაელენას ახდენს სავალუტო ანგარიშების გახსნის მსურველი საწარმოების რაოდენობაზე. როგორც შედეგი, იცვლება მოთხოვნილება სავალუტო ბაზარზე.

უკანასკნელ წლებში სამამულო სავალუტო ბაზრის ლიბერალიზაციისას ცენტრალურმა ბანკმა მოსინჯა სავალუტო კურსის ყველა ძირითადი მოქმედი რეჟიმი ოფიციალური სავალუტო რეზერვების მოცულობებზე ზემოქმედების ამა თუ იმ შედეგით. რაც უფრო მკაცრი და რეგულირებადი იყო სავალუტო კურსის რეჟიმი, მით უფრო მეტ სავალუტო რეზერვების სახსრების დანახარჯებს მოითხოვდა იგი ცენტრალური ბანკისაგან საერთაშორისო პრაქტიკის სრული შესაბამისობის შესანარჩუნებლად.

მცოცავი ფიქსაციის რეჟიმის ფარგლებში, ეროვნული ვალუტის კურსი ებმება რომელიმე ობიექტურ საბაზრო კრიტერიუმს: მყარი ვალუტის კურსს ან ვალუტათა კალათას. შემდგომ კი ეროვნული ვალუტისა და ობიექტური საბაზრო კრიტერიუმის კურსების თანაფარდობა უცვლელად შენარჩუნდება დროის ცალკეულ მონაკვეთებში. სავალუტო ბაზარზე, სიტუაციიდან ან ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს დონეები შედარებით ნელა იცვლება. დადგენილი დონეების ფარგლებში ეროვნული ვალუტის კურსის შენარჩუნება ხდება ცენტრალური ბანკის მიერ მიზანმიმართული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — ოფიციალური სავალუტო ინტერვენციების მოწყობით.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა პერსპექტივაში — ეს არის ლარის სავალუტო კურსის ეკონომიკურად დასაბუთებული დინამიკის უზრუნველყოფა. ფინანსური კრიზისისა და ეკონომიკის გამჭვირვალობის ჩამოყალიბებული დონის პირობებში გაწონასწორებული სავალუტო კურსის გარეშე შეუძლებელია საგარეო სექტორის ნორმალური და თანმიმდევრული განვითარების, საბანკო სისტემაში სიტუაციის სტაბილიზაციის, ინფლაციის შეჩერების, უცხოური კაპიტალის ნაკადისათვის პირობების შექმნის უზრუნველყოფა.

აქედან გამომდინარეობს, რომ ცენტრალური ბანკის ამოცანას, ამჟამად, შიგა სავალუტო ბაზრის რეგულირების სფეროში მოკლე და გრძელვადიანი პერიოდისათვის წარმოადგენს შემდეგი:

1. სამამულო სავალუტო ბაზრის ლიკვიდურობის და, შესაბამისად, საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების მიხედვით ანგარიშსწორების ეფექტურობის უზრუნველყოფა;

2. სათანადო კონტროლის უზრუნველყოფა კომერციული ბანკების მიერ სავალუტო ოპერაციების გატარების კანონიერების დაცვაზე; სავალუტო შეზღუდვების დროებით შემოღება იმ კაპიტალურ ოპერაციებზე, რომლებიც ამცირებს კაპიტალის გატანას საზღვარგარეთ;

3. ეროვნული ვალუტის კურსის რეგულირების დაბალანსებული (პრიორიტეტული საექსპორტო დარგებისა და კრიტიკული იმპორტის რენტაბელობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით) პოლიტიკის გატარება, რომელიც პასუხობს უამრავი სამამულო მწარმოებლის ინტერესებსა და მთლიანად ეკონომიკის განვითარების ძირითად ამოცანებს;

4. ოქროს სავალუტო რეზერვების ზრდა საექსპორტო ამონაგების სავალდებულო გაყიდვის მოცულობის ზრდის, იმპორტიორთა მიერ შეძენილი სავალუტო საშუალებების მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის გამკაცრების და სავალუტო ინტერვენციის მოცულობების თანდათანობითი შემცირების გზით;

5. ცენტრალური ბანკის ოქროს სავალუტო რეზერვების მართვის ეფექტურობის გამოყენება, მათი მინიმალური გამოყენება შიგა ბაზარზე თავისი მიზნების მისაღწევად.

ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანებიდან, მეორეს შეუძლია უფრო სწრაფი ეფექტის მოხდენა, რამდენადაც იმყოფება სავალუტო რეგულირებისა და სავალუტო კონტროლის ადმინისტრაციული მეთოდების სფეროში. ის მეტწილად დამოკიდებულია ცენტრალური ბანკის ეფექტურ ურთიერთქმედებაზე საგადასახადო სამსახურთან, საბაჟო სამსახურთან, ასევე საბანკო აუდიტის სისწორესა და საგულდაგულოდ გატარებაზე, საბანკო ზედამხედველობისა და ინსპექტირების ქვედანაყოფების მუშაობის ხარისხზე და ა.შ.

ყველა სხვა დანარჩენი მიზნის მიღწევა დამოკიდებულია ცენტრალური ბანკის მიერ სავალუტო ბაზრის რეგულირების პოლიტიკის გატარების არჩეული ორიენტირების სისწორეზე, რომელიც უმეტესად განისაზღვრება სავალუტო კურსის პოლიტიკით.

14. 8. ᲤᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲘ: ᲢᲐᲠᲒᲔᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ტარგეტირებამ, ანუ მიმოქცევაში მყოფი ფულის მასის ნამეტის მიზნობრივი ორიენტირების დადგენამ, განსაზღვრულ პერიოდში მისი გადიდების ზედა და ქვედა საზღვრების დადგენამ განვითარება ჰპოვა 70-იან წლებში ინფლაციური პროცესების გაძლიერების გამო, რომლებმაც გავლენა იქონია ფულის მასის ზრდის ტემპის გადიდებაზე, ასევე მცოცავი კურსების რეჟიმის შემოღებამ, რამაც შეასუსტა გარე ფაქტორების ზემოქმედება ფულის მასის დინამიკაზე. 1975 წ. ფულის მასის დინამიკის მიზნობრივი ორიენტირები დადგინდა აშშ-ში, 1976 წ. – საფრანგეთში, 1978 წ. – დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში. ამჟამად ეს პროცესი შეინიშნება მრავალ ქვეყანაში, თუმცა მათი როლი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია.

თავისი არსით ტარგეტირება წარმოადგენს ფულის მასის მოცულობის ზრდის პირდაპირი შეზღუდვის დადგენას. მიზნობრივი ორიენტირების მეშვეობით ფულის მასის დინამიკის რეგულირების ეფექტურობაზე გავლენას ახდენს ამ ორიენტირების დადგენის წესი: საკონტროლო ციფრების (საფრანგეთში), დეპოზიტის (აშშ-ში) და პროგნოზების (იაპონიაში) ფორმით.

არსებობს პირდაპირი კავშირი ფულის მასის დინამიკის ორიენტირების დადგენასა და ცბ ფულად-საკრედიტო რეგულირების სხვა ინსტრუმენტების ქმედითობასთან. ფულის მასის დინამიკის დაპირისპირება დადგენილ ორიენტირებთან შესაძლებელს ხდის, ზუსტად განისაზღვროს დრო, რომლის განმავლობაშიც საჭიროა მარეგულირებელ ორგანოთა ჩარევა, ხოლო სათანადო ზომების თანადროულობა ზრდის მათ ეფექტურობას.

ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მასის დინამიკის მიზნობრივი ორიენტირების გამოყენება ხელს უწყობს ფულადი რეგულირების სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობისა და საიმედოობის ამაღლებას.

ᲔᲙᲚᲔ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ

1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ორ ძირითად ტიპს გამოყოფენ: რესტრიქციულს და ექსპანსიონისტურს. პირველი მათგანი მიმართულია კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერაციების მოცულობის შეზღუდვისა და საპროცენტო განაკვეთების დონის ამაღლების გზით ფულად-საკრედიტო სისტემის მარეგლამენტირებელ ღონისძიებათა რეალიზაციაზე. მის გატარებას თან ახლავს გადასახადების გადიდება, სახელმწიფო

ხარჯების შემცირება, ინფლაციის შეჩერებისაკენ მიმართული ღონისძიებანი, აგრეთვე საგადასახადო ბალანსის გაჯანსაღება. ექსპანსიონისტური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ხასიათდება დაკრედიტების მასშტაბების გაფართოებით, მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის ნამატზე კონტროლის შესუსტებით, საგადასახადო განაკვეთების შემცირებით, საპროცენტო განაკვეთების დონის დაქვეითებით.

2. ექსპანსიონისტურ და რესტრიქციული ტიპის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეიძლება ჰქონდეს ტოტალური ან სელექციური ხასიათი. ტოტალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დროს ცენტრალური ბანკის ღონისძიებები ვრცელდება საბანკო სისტემის ყველა დაწესებულებაზე, სელექციურისა კი – ცალკეულ საკრედიტო ინსტიტუტზე ან მათ დაჯგუფებაზე, ან საბანკო საქმიანობის განსაზღვრულ სახეებზე.

3. ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საოპერაციო პროცედურა დაფუძნებულია ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოების წმინდა საერთაშორისო რეზერვებისა და წმინდა შიგა აქტივების მოცულობის კონტროლზე. საბანკო ოპერაციების რეგულირების მექანიზმი დამოკიდებულია ქვეყანაში საბანკო საქმიანობის ორგანიზაციის ფორმებზე, ცენტრალური ბანკის ადგილზე, როლსა და ფუნქციებზე და სხვა ფაქტორებზე. იგი მოიცავს როგორც ნაღდი და უნაღდო საბანკო ოპერაციების რეგულირების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, ასევე ფულადი მასის დინამიკაზე, საბაზრო საპროცენტო განაკვეთებსა და მიკრო- და მაკროდონეზე ბანკის ლიკვიდობაზე კონტროლის ფორმებს.

4. საბანკო ოპერაციების მართვისა და რეგულირების მიზნით ძირითადად ცენტრალური ბანკი ორიენტირებულია ეკონომიკური მეთოდების გამოყენებაზე. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანდასახულობის შესაბამისად მუშავდება ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითადი ღონისძიებები ყოველი კონკრეტული პერიოდისათვის, განისაზღვრება ამ მომენტისათვის მართვის ყველაზე ეფექტური მეთოდები და ბანკების საქმიანობაზე ზემოქმედების ინტრუმენტები.

5. ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია სავალდებულო რეზერვები. საკრედიტო ორგანიზაცია პასუხისმგებელია სავალდებულო რეზერვების დეპონირების წესის დაცვაზე.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების რეგულირებას ორმაგი დანიშნულება აქვს: ჯერ ერთი, ის მოწოდებულია, უზრუნველყოს კომერციული ბანკების ლიკვიდობის უცელელი დონე და მეორე, ის წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს კომერციული ბანკების ფულადი მასისა და კრედიტუნარიანობის რეგულირებისათვის. სავალდებულო რეზერვების ფონდი შექმნილია იმისათვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს კომერციული ბანკების მიერ თავისი კლიენტების წინაშე აღრე მოზიდული ფულადი სახსრების დროულად დაბრუნების ვალდებულებები.

6. ცენტრალური ბანკი საპროცენტო განაკვეთის დონის რეგულირებას ორგვარად ახდენს: 1. კომერციული ბანკებისათვის კრედიტების გაცემაზე განაკვეთების ფიქსაციის გზით, რაც საბაზრო განაკვეთების განსაზღვრულ ორიენტირს წარმოადგენს; 2. საკრედიტო დაწესებულებების განაკვეთებზე კონტროლის გზით. პირველ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი, ოფიციალური რეფინანსირების განაკვეთის დადგენით, განსაზღვრავს ბანკების მიერ რესურსების მოზიდვის ღირებულებას; მეორე შემთხვევაში რეგულირებას ექვემდებარება მხოლოდ ზოგიერთი ბანკის კრედიტის ან ოპერაციების ცალკეული სახეების ღირებულება.

7. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების ეკონომიკურ ღონისძიებებს მიეკუთვნება ფასიანი ქაღალდების ღია ბაზარზე ცენტრალური ბანკის ოპერაციები. ღია ბაზრის პოლიტიკას უწოდებენ ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას, ფულად ბაზარზე გავლენის მოპოვების მიზნით. ღია ბაზრის პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნილებისა და წინადადებების რეგულირებით მიაღწიონ კომერციული ბანკებისაგან შესაბამის რეაქციას.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

„არამატერიალური აქტივები" არის ისეთი აქტივები, რომლებსაც აქვთ გარკვეული ღირებულება და არა აქვთ მატერიალური ფორმა: პატენტები, საიჯარო უფლებები, სასაქონლო ნიშნები, ნოუ-ჰაუ, გუდვილი და ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტები;

„არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება" არის არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. მისი გაანგარიშებისას N 2961 საბალანსო ანგარიშზე რიცხულ თანხას აკლდება N 4911 საბალანსო ანგარიშზე რიცხული თანხა;

არაკუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქცია _ ისეთი უვადო პრივილეგირებული აქცია, რომელზეც არ ხდება ნინა ნლებში ბანკის მიერ გაუნაწილებელი დივიდენდების აკუმულირება.

„აუქციონერი" არის არაინსაიდერი ფიზიკური ან იურიდიული პირი;

აქციებში კონვერტირებადი ვალი _ სესხებით და/ან სავალო ფასიანი ქაღალდებით მიღებული ფულადი სახსრები, რომლებიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დადგომისას კონვერტირდება ბანკის ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში.

„გარესაბალანსო ვალდებულებები" არის ბანკის მიერ გაცემული გარანტიები, აქცეპტები, თამასუქები, სესხების დაფინანსებისათვის ნაკისრი ვალდებულებები და ბანკის მიერ დოკუმენტურად აღიარებული და შესაძლო გადასახდელი ვალდებულებითი შინაარსის მქონე საბანკო ინსტრუმენტები ძირითადი თანხებით;

გრძელი ღია საეალუტო პოზიცია – აქტივები და ბალანსგარეშე მოთხოვნები, რომლებიც რაოდენობრივად აღემატებიან პასიებს და ბალანსგარეშე ვალდებულებებს.

ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები და მეთოდებია:

- ცენტრალური ბანკის ოპერაციების საპროცენტო განაკვეთები;
- ცენტრალურ ბანკში დეპონირებული სავალდებულო რეზერვების ნორმატივები (სარეზერვო მოთხოვნები);
- ოპერაციები ღია ბაზარზე;
- ბანკების რეფინანსირება;
- სავალუტო რეგულირება;
- ფულის მასის ზრდის ორიენტირების დადგენა;
- პირდაპირი რაოდენობრივი შეზღუდვები.

„გუდვილი" არის საზოგადოების პრესტიჟის, საქმიანი რეპუტაციის, მისი პარტნიორების, კლიენტურისა და კადრების, როგორც აქტივის ღირებულება, რომელიც განისაზღვრება საზოგადოების საბაზრო ღირებულებასა და მისი აქტივების ღირებულებას შორის სხვაობის თანხით. გუდვილს საზოგადოების გარეშე არ გააჩნია საბაზრო ღირებულება, იგი იქმნება და ღირებულებას იძენს მხოლოდ საზოგადოების შერწყმისას ან ერთი საზოგადოების მიერ მეორე საზოგადოების შეძენისას.

„დასალდოვებად ანგარიშებს" მიეკუთვნება სანაშთო ბალანსის 28 და 48 კლასის საბალანსო ანგარიშები, რომლებზეც რიცხული საერთო თანხა, როგორც წესი, ყოველდღიურად ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს. საქართველოს ეროვნულ ბანკში წარსადგენ სანაშთო ბალანსში 28 და 48 კლასის

ანგარიშები ექვემდებარება დასალდოვებას, რომლის შედეგად მიღებული შესაძლო სადებეტო ნაშთი მონანილეობას იღებს „რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების", „მთლიანი აქტივების" და „მიმდინარე აქტივების" გაანგარიშებაში, ხოლო შესაძლო საკრედიტო ნაშთი _ „მთლიანი ვალდებულებების" და „მიმდინარე ვალდებულებების" გაანგარიშებაში.

დისკონტი — 1. პროცენტის განაკვეთი, რომლის საფუძველზეც ცენტრალური ბანკი აძლევს კომერციულ ბანკებს კრედიტს; 2. თამასუქის განაღდება მისი ვადის გასვლამდე ნორმალურ ღირებულებასთან შედარებით ნაკლებ ფასში; 3. საბირჟო და საეალუტო გარიგების შესაბამისად საქონლისა და ვალუტის ფასდათმობა.

დისკონტირება — კაპიტალურ თანხაზე პროცენტის დღევანდელი ექვივალენტის დასადგენად მომავალი თანხის ამჟამინდელი ღირებულება. განისაზღვრება დისკონტის კოეფიციენტის დასმარებით, რომელიც სარგებლის ნორმისა და დისკონტირების პერიოდზეა დამოკიდებული.

„ეგთო" არის „ეკონომიკური განვითარებისა და თანამშ-რომლობის ორგანიზაცია", რომლის წევრ ქვეყნებში ითვლება შემდეგი ქვეყნები: ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, აშშ, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იაპონია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, შვეცია, შვეიცარია;

ემისია — ფასიანი ქაღალდების, ყველა ფორმის ფულის ნიშნების მიმოქცევაში გაშვება.

ექსპანსიონისტური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა — დაკრედიტების მასშტაბის გაფართოების, საპროცენტო განაკვეთების დონის შემცირებისა და მიმოქცევაში არსებული ფულის ნამეტზე კონტროლის შესუსტებისაკენ მიმართული წამახალისებელი პოლიტიკა.

„ვალდებულებები" არის ბანკის მთლიანი ვალდებულებებისა და გარესაბალანსო ვალდებულებების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ამ წესით დადგენილი ლიკვიდურობის კმ და კ9 ეკონომიკური ნორმატივების გასაანგარიშებლად. ვალდებულებები გაიანგარიშება როგორც ბანკის „მთლიანი ვალდებულებებისა" და „გარესაბალანსო ვალდებულებების" თანხობრივ მოცულობათა ჯამი, რომელშიც არ გაითვალისწინება: ბანკის მიერ მიღებული ის სესხები, სუბორდინირებული ვალები და გარესაბალანსო ვალდებულებები და/ან მათი ნაწილი, რომელთა გადახდისშესრულებამდე დარჩენილია ექვს თვეზე მეტი ვადა; გაცემული გარანტიებისა და გასანაღდებელი აკრედიტივების ნაწილი მათ უზრუნველსაყოფად ამავე ბანკში დაჯავშნული ფულადი სახსრების ოდენობით; უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვისათვის ნაკისრი ვალდებულებები;

„ინსაიდერი" არის ბანკთან დაკავშირებული პირი _ ბანკის ადმინისტრაციული მუშაკი და აქციონერი (პარტნიორი), მასთან ცოლქმრული, ახლონათესაური კავშირის მქონე ან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირი;

ინტერვენცია — ერთი სუბიექტის ეკონომიკური ზემოქმედება სხვა სუბიექტის საქმეებსა და მოქმედებებზე, რომელიც ტარდება ამ მოქმედების სფეროში შეღწევით, მასში საკუთარი ფულადი სახსრების დაბანდებითა და განლაგებით. ჩვეულებრივ, ინტერვენციული ოპერაციები ტარდება ცენტრალური ბანკების, ხაზინების მიერ ვალუტის, ფასიანი ქაღალდების მასობრივი გაყიდვის ან ყიდვის, ფინანსური სისტემის მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით კრედიტების გაცემის გზით.

კორპორაციული საკალო ვალდებულებები — იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციები, კომერციული ვექსილები და სხვ.

„კორპორატიული სავალო ფასიანი ქაღალდი" არის ისეთი არასახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდი, რომლის ემიტენტი არის იურიდიული პირი და რომელიც ვალდებულია სავალო ფასიანი ქაღალდით გათვალისწინებული ძირითადი თანხის და მასზე დარიცხული პროცენტების გადახდისათვის;

ლაგი — დროის გარკვეული მონაკვეთი მიზეზ-შედეგობრივ კავშირში მყოფ მოვლენებსა და პროცესებს შორის.

ლაჟი — 1. ქაღალდის ფულში გამოხატული ოქროს საბაზრო ფასის ზრდა ქაღალდის ფულის

რაოდენობასთან შედარებით. 2. ფასიანი ქაღალდებისა და ფულის ნიშნების საბირჟო კურსის ამაღლება მათ ნორმალურ ღირებულებასთან შედარებით. ანგარიშობენ პროცენტებში.

„ლიკვიდური აქტივები" არის ფულადი სახსრები და ისეთი სახის აქტივები, რომლებსაც აქვს ფულად სახსრებად მყისიერად (სწრაფად) გადაქცევის უნარი და შესაძლებლობა. ლიკვიდური აქტივების გაანგარიშებაში მონაწილეობას იღებს NN 1003, 1004, 1005, 1006, 1013, 1014, 1015, 1016, 1018, 1051, 1052, 1062, 1401 მინუს 1402, 1411 მინუს 1412, 1702, 1703, 1712, 1713, 1722, 1723, 1732, 1733 საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხები. ამასთან, ლიკვიდური აქტივების გაანგარიშებაში სახაზინო ვალდებულებები ჩაითვლება ლიკვიდურობის ნორმატივების გაანგარიშებისათვის დადგენილი „ვალდებულებების" თანხის არაუმეტეს 5%-ისა. ლიკვიდური აქტივების გაანგარიშებაში არ ჩაითვლება: ყადაღადადებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული თანხები, ნეგატიურად კლასიფიცირებული ბანკთაშორისი დეპოზიტები, საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული მინიმალური რეზერვების თანხა ან მისი ნაწილი, რომლის უზრუნველყოფითაც კომერციულ ბანკს აღებული აქვს კრედიტი;

„მთლიანი აქტივები" უდრის NN 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 23, 24, 25, 27, 29 კლასის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხების ჯამს გამოკლებული NN 41, 49 კლასის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხები;

„მთლიანი ვალდებულებები" უდრის NN 33, 34, 35, 36, 37, 38, 40, 43, 44, 45, 47 კლასის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხების ჯამს;

„მთლიანი კაპიტალი" არის პირველადი და მეორადი კაპიტალის ჯამი დაქვითვების გამოკლებით;

„მიმდინარე აქტივები" არის დაფარვის ერთ თვემდე ვადის მქონე აქტივები;

„მიმდინარე ვალდებულებები" არის ბანკის მთლიანი და გარესაბალანსო ვალდებულებებიდან ერთ თვემდე ვადაში გადასახდელი/შესასრულებელი და შესაძლო შესასრულებელ ყველა ვალდებულებათა თანხობრივ მოცულობათა ჯამი, რომელშიც არ გაითვალისწინება ბანკის მიერ გაცემული გარანტიებისა და გასანაღდებელი აკრედიტივების ნაწილი მათ უზრუნველსაყოფად ამავე ბანკში დაჯავშნული ფულადი სახსრების ოდენობით და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვისათვის ნაკისრი ვალდებულებები."

მინიმალური რეზერვები – ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია, ეს არის ცენტრალურ ბანკში კომერციული ბანკების ანაბრების სავალდებულო ნორმა, რომელიც დგინდება კანონმდებლობით საკრედიტო ორგანიზაციების შესაძლებლობების შეზღუდვისა და განსაზღვრულ დონეზე მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის ოდენობის შესანარჩუნებლად.

მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი _ ამ დებულების მიხედვით დადგენილი და გაანგარიშებული საზედამხედველო კაპიტალი, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს ეროვნული ბანკი.

„ოვერდრაფტი" არის მოკლევადიანი დაკრედიტების ფორმა, რომლითაც ბანკი კლიენტს აძლევს უფლებას, მისი ანგარიშსწორების ანგარიშზე რიცხული ნაშთების გადამეტებით განახორციელოს გადახდები, ანუ ბანკი უშვებს კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე სადებეტო (უარყოფითი) სალდოს არსებობას, ოვერდრაფტის შესახებ ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების (თანხობრივი მოცულობა, დაფარვის ვადა და საპროცენტო განაკვეთი) გათვალისწინებით;

ოპერაციები ღია ბაზარზე – ცენტრალური ბანკის მიერ სახაზინო ვექსილების, სახელმწიფო ობლიგაციებისა და სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა; ფასიანი ქაღალდების მოკლევადიანი ოპერაციების განხორციელება მოგვიანებით მოხდა შებრუნებული გარიგების მოხდენით. ოპერაციები ღია ბაზარზე ლიმიტირებულია.

პირდაპირი რაოდენობრივი შეზღუდვები – ეს არის ლიმიტების დადგენა ბანკების დაფინანსებასა და საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ცალკეული საბანკო ოპერაციების გასატარებლად.

პრივილეგირებული აქცია _ აქცია, რომლის მფლობელს არა აქვს ხმის უფლება აქციონერთა საერთო კრებაზე. ასეთი აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით,

რომლის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება წესდებით ან სათანადო ემისიის პროსპექტით (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში). ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში პრივილეგირებული აქციის თანხა (წილის შესაბამისად) გასტუმრებულ უნდა იქნეს ჩვეულებრივი აქციის თანხის გადახდამდე.

რესტრიქცია – ცენტრალური ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გასაცემი კრედიტების შეზღუდვა, რაც იწვევს სამრეწველო და საეჭრო საწარმოების კრედიტების საერთო შემცირებას, წარმოების შეკვეცას ან მისი ზრდის ტემპების დაცემას.

რესტრიქციული ფულად-საკრედიტო სტრატეგია – ფულის ბაზარზე ხანგრძლივ პერსპექტივაში შესაძლო ცვლილებების დაგეგმვა, რაც შესაძლებელს ხდის კონიუნქტურის მოსალოდნელი ცვლილებების განჭვრეტას და მათ გათვალისწინებას.

რეფინანსირება – ცენტრალური ბანკის მიერ საკრედიტო რესურსების გადაცემა პირდაპირი კრედიტების, ვექსილების გადაანგარიშების, ფასიანი ქაღალდების გირაოსობით სესხების ფორმით, ასევე საკრედიტო აუქციონების ორგანიზაციის მექანიზმით. რეფინანსირების ფორმები, წესი და პირობები იცვლება.

საემისიო საქმიანობა – ქვეყნის ცბ-ის პრეროგატივა, რაც დაკავშირებულია ფულის კუპიურების დაბეჭდვასთან, დიზაინთან ან გაფორმებასთან, გაფალბებისაგან მისი დაცვის ხერხების შემუშავებასთან, ასევე მიმოქცევიდან ფულისა და ფასიანი ქაღალდების კუპიურების ამოღებასა და ემისიაზე დანახარჯების მინიმიზაციასთან.

„საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში" ითვლება: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (მსოფლიო ბანკი), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ევროპის რეკონ-სტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ამერიკათაშორისი განვითარების ბანკი, ჩრდილოეთის საინვესტიციო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, აფრიკის განვითარების ბანკი;

საერთო რეზერვი _ რეზერვი, რომელიც იქმნება სესხებისა და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტების შესაძლო დანაკარგებისათვის, მათ დაუკონკრეტებლად, არაიდენტიფიცირებული ზარალისათვის.

სავალდებულო რეზერვების ნორმატივები – ცენტრალურ ბანკში კომერციული ბანკების ანაბრების სავალდებულო ნორმა, რომელიც დგინდება კანონმდებლობით საკრედიტო ორგანიზაციების საკრედიტო შესაძლებლობების შეზღუდვისა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასის განსაზღვრულ დონეზე შენარჩუნებისათვის.

სავალუტო რეგულირება – სავალუტო კურსის რეგულირება გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და სავალუტო ინტერვენციებით, ანუ ცენტრალური ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვით ფულის ერთეულის კურსზე და ფულის ჯამურ მოთხოვნასა და წინადადებებზე ზემოქმედებისათვის. სავალუტო ინტერვენციის სახსრების წყაროა ოფიციალური სავალუტო (ხანდასან ოქროს) რეზერვები და სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს შორის შეთანხმების საფუძველზე მიღებული კრედიტები.

„საკრედიტო დაბანდება" არის ბანკის ყველა ვადიან და ვადაგადაცილებულ სასესხო და ოვერდრაფტების ანგარიშებზე რიცხული თანხები;

საპროცენტო პოლიტიკა – საპროცენტო განაკვეთები ცენტრალური ბანკის ოპერაციებზე. ცენტრალური ბანკი არეგულირებს საპროცენტო განაკვეთების დონეს რეფინანსირების განაკვეთის ფიქსაციის და საკრედიტო დაწესებულებების განაკვეთებზე კონტროლის გზით.

სპეციალური რეზერვი _ რეზერვი, რომელიც იქმნება კონკრეტული სესხისა და მასზე დარიცხული მისაღები პროცენტების შესაძლო დანაკარგების დასაფარავად, იდენტიფიცირებული ზარალისათვის.

„სუბორდინირებული ვალი" არის ისეთი ვალი, რომელსაც სხვა დეპოზიტებსა და სესხებთან შედარებით აქვს გადახდის (დაფარვის) უფრო დაბალი პრიორიტეტი, ანუ ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის მძიმე ფინანსური მდგომარეობის, გაკოტრების ან

ლიკვიდაციის შემთხვევაში, სუბორდინირებული ვალის კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდება მხოლოდ ყველა სხვა კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ;

ტარგეტირება — ფულადი სისტემის მიზნობრივი ორიენტირების დადგენა, ფულის მასის ნამატის რეგულირება, რასაც თავის პოლიტიკაში იყენებენ ცენტრალური ბანკები.

ტრანსაქცია — 1. საბანკო ოპერაცია, რომელიც გულისხმობს ფულადი სახსრების გადაგზავნას (მათ შორის საზღვარგარეთ) რაიმე მიზნით; 2. საკუთრებისა და თავისუფლების დაცვა.

უვადო პრივილეგირებული აქცია _ ისეთი პრივილეგირებული აქცია, რომელსაც არა აქვს დაფარვის კონკრეტული ვადა და რომლის მფლობელს არა აქვს უფლება მოსთხოვოს ბანკს ასეთი აქციის რაიმე ფორმით უკან გამოსყიდვა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების მექანიზმი — ნაღდი და უნაღდო საბანკო ოპერაციების რეგულირების ადმინისტრაციული და ეკონომიკური მეთოდები და ინსტრუმენტები, ფულის მასის, საბანკო საპროცენტო განაკვეთების და მაკრო- და მიკროდონეზე ბანკების ლიკვიდურობის დინამიკაზე კონტროლის კონკრეტული ფორმები.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები — ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის ანალიზი და განვითარების პროგნოზები, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ორიენტირები, პარამეტრები და ინსტრუმენტები.

ფულის მასის ზრდის ორიენტირების დადგენა — ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით განსაზღვრული ფულის მასის ერთი ან რამდენიმე მაჩვენებლის ზრდის მიზნობრივი ორიენტირი.

ღია სავალუტო პოზიცია — უცხოურ ვალუტაში სახსრების ნაშთების სხვაობა, რომლებიც ქმნის რაოდენობრივად დაუმთხვეველ აქტივებსა და პასივებს (ბალანსგარეშე მოთხოვნებისა და დაუსრულებელ ოპერაციებზე ვალდებულებების გათვალისწინებით) ცალკეულ ვალუტაში.

ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა — ფულად-საკრედიტო სისტემის საქმიანობის მარეგლამენტირებელ სახელმწიფო ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია სამეურნეო კონიუნქტურის რეგულირება და მთელი რიგი ზოგადეკონომიკური ამოცანის მიღწევა: ფულის ერთეულის განმტკიცება, ფასების სტაბილიზაცია, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, ეკონომიკური ზრდის ტემპების სტაბილიზაცია.

„ძირითადი საშუალებები“ არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება ბანკის განკარგულებაში, გამოიყენება საბანკო მომსახურების გასაწევად, ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით სარგებლობისათვის;

„ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება“ არის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. მისი გაანგარიშებისას N 290 და 291 ჯგუფის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხების ჯამს აკლდება N 490 და 492 ჯგუფის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხა;

„ხელუხლებელი კაპიტალი და რეზერვები“ არის ბანკის აქციონერთა (პარტნიორთა) კაპიტალი და განისაზღვრება როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის;

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. რა არის საბანკო ზედამხედველობის ძირითადი ამოცანები?
2. ჩამოთვალეთ ძირითადი სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაზე კონტროლს.
2. ჩამოთვალეთ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. სად წარადგენს ეროვნული ბანკი მომავალი წლისათვის შედგენილი

აღნიშნული დოკუმენტის პროექტს და გასული წლის ანგარიშს განსახილველად და დასამტკიცებლად?

4. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი ორგანოები და მათი ძირითადი ფუნქციები – საზღვარგარეთის წამყვან ქვეყნებში და საქართველოში.

5. რა არის ბანკის ჰეჯინგური საქმიანობა და რას მოიცავს იგი?

რეკომენდებული ლიტერატურა

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ". საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2003.

კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 1999.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

Банковское дело. Авт. колл. под. ред. **Лаврушина О.И.** М.: Финансы и статистика, 2001.

Батракова Л.Г. Экономический Анализ деятельности коммерческого банка. Учебник. М.: Логос, 2003.

Жарковская Е.П. Банковское дело. Учебник. М.: Омега - Л, 2004.

Козлова И.К., Купрюшина Т.А. и др. Анализ деятельности банков. Учебное пособие. М.: Выщэйшая школа, 2003.

Кононлицкая М.А., Шмарловская С.С. и др. Банковские операции. Учебное пособие. М.: Выщэйшая школа, 2003.

Коробова Г.Г. Банковское дело. Учебник. М.: Экономист, 2004.

Миловидов В.Д. Современное банковское дело: Опыт организации и функционирования банков США. М.: Изд.-во Моск. ун-та, 1992.

Мод Д., Молино Ф. Private Banking: элитное обслуживание частного капитала. М.: Альпина Паблишер, 2003.

Основы банковской деятельности (Банковское дело). Авт. колл. под. ред. **Колесникова В.И.** и др. М.: Финансы и статистика, 1997.

Основы банковской деятельности (Банковское дело). Авт. колл. под. ред. **Тагирбекова К.Р.** М.: ИНФРА - М., 2001.

მეხუთე განყოფილება
კომერციული ბანკების ლიკვიდობა, გადახდისუნარიანობა, რისკები

მეთხუთმეტე თავი. კომერციული ბანკის ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა

ტერმინები და ძირითადი ცნებები
15.1. კომერციული ბანკის ლიკვიდობა როგორც ფინანსურ-ეკონომიკური კატეგორია
15.2. კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები
15.3. კომერციული ბანკის ლიკვიდობის ანალიზი
15.4. კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვა
15.4.1. აქტივების მართვა
15.4.2. პასივების მართვა
15.4.3. აქტივების და პასივების დაბალანსებული მართვა
15.5. კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასების საზღვარგარეთული გამოცდილება
15.6. აშშ ბანკების ლიკვიდობის ინდიკატორები და მათი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოს პრაქტიკაში
მოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

აღქვატური ლიკვიდობა
აქტივების განაწილების მეთოდი
აქტივების ლიკვიდობა
ბანკის ლიკვიდობა
ბანკის გადახდისუნარიანობა
ბანკების ასოციაცია
ბაზელის შეთანხმება
ბაზელის ხელშეკრულება
გეპი
გეპის ანალიზი ვადების მიხედვით
გრძელვადიანი ლიკვიდობის მაჩვენებელი
დადებითი გეპი
ლიკვიდობა
ლიკვიდობა ჭარბი
ლიკვიდობის რისკი
ლიკვიდობის კოეფიციენტი
ლიკვიდობის ნორმა
ლიკვიდური „ხაფანგი“
ლიკვიდობის ინდიკატორები
ლიკვიდური სახსრები
მართვადი პასივები
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი
მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებელი
მყისიერი ლიკვიდობის მაჩვენებელი
ნეგატიური გეპი

საბანკო ლიკვიდური სახსრები
საბანკო სისტემის ლიკვიდობა
საერთაშორისო საბანკო ლიკვიდობა
საპროცენტო განაკვეთის რისკი
სახსრების საერთო ფონდის მეთოდი
საერთო ლიკვიდობა
საერთო ლიკვიდობის მაჩვენებელი
საპროცენტო განაკვეთისადმი ბანკის წმინდა
მოგების მგრძნობიარობა
სიმულაციური ანალიზი
ფირმის ლიკვიდური სახსრები
ძვირფას ლითონებთან დაკავშირებული
ოპერაციების ლიკვიდობის მაჩვენებელი
ხანგრძლივობის ანალიზი

15.1. კომერციული ბანკების ლიკვიდობა როგორც ფინანსურ-ეკონომიკური კატეგორია

ლიკვიდობა კომერციული ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მაჩვენებელია, რომელიც მის საიმედოობასა და სტაბილურობას ადასტურებს.

კომერციული ბანკის ლიკვიდობა, ყველაზე ზოგადი გაგებით, ნიშნავს ბანკის შესაძლებლობას, თავისდროულად, სრული მოცულობითა და დანაკარგების გარეშე უზრუნველყოს თავისი კონტრაგენტების წინაშე არსებული ფინანსური და საგალო ვალდებულებების შესრულება, აგრეთვე, მიაწოდოს მათ სახსრები მის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა ფარგლებში, მათ შორის – მომავალში.

ბანკის აქტივების მართვა წარმოადგენს საბანკო დაგეგმვისა და ფინანსური მენეჯმენტის არსს. ფინანსური მართვა წარმოადგენს მიღებული და გადახდილი პროცენტების მოცულობებს შორის არსებული სხვაობის (სპრედის) მართვის პროცესს, რომლის მიზანია ადეკვატური ლიკვიდობის უზრუნველყოფა. იგი მოიცავს ორ კომპონენტს – ლიკვიდობასა და საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვას.

ლიკვიდობა წარმოადგენს ბანკის უნარს, შეძლოს ვალდებულებების შემცირება და უზრუნველყოს აქტივების ზრდა. ბანკს გააჩნია ადეკვატური ლიკვიდობა, თუ მას შეუძლია სწრაფად და მისაღებ ფასებში, აქტივების კონცენტრაციის ან ვალდებულებების გაზრდის საშუალებით მოიპოვოს აუცილებელი სახსრები. ბანკს უნდა ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდობა, რათა მან შეძლოს უზრუნველყოს თავის ბალანსში ყველა მოულოდნელი ცვლილება და მოიპოვოს განვითარებისათვის აუცილებელი სახსრები. ლიკვიდობის საფასური დამოკიდებულია ბაზრის პირობებზე და ამ პირობებში მისაღები რისკის დონეზე. აქ იგულისხმება საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშებთან დაკავშირებული რისკი. ამასთან, უნდა იყოს გათვალისწინებული, თუ რამდენად შეესაბამება ფინანსური ბაზრის მდგომარეობას ბანკის მართვა და არჩეული სტრატეგიული მიმართულებანი.

რადგანაც ლიკვიდობა უზრუნველყოფილია იმით, რომ ბანკი იტოვებს მოკლევადიან მაღალი ხარისხის აქტივებს, ლიკვიდობის საფასური წარმოადგენს იმ მოგებაზე უარის თქმას, რომელსაც იღებენ გრძელვადიანი ნაკლები ხარისხის აქტივებიდან. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროებულო ლიკვიდობის მოთხოვნების დაცვისათვის საკმარისი არ იქნება ლიკვიდური აქტივების მარაგები, საბაზრო პირობების გაუარესებისას, ბანკი იძულებული იქნება მოახდინოს აქტივების რესტრუქტურიზაცია ან მოიპოვოს ახალი ვალდებულებები.

ამრიგად, ლიკვიდობა ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი განზოგადოებული მაჩვენებელია, რომელიც მის საიმედოობას განაპირობებს. ბანკის ლიკვიდობა არის მისი უნარი – თავისდროულად და დანაკარგების გარეშე შეასრულოს მეანაბრეებისა და კრედიტორების წინაშე აღებული ვალდებულებები.

ბანკის ვალდებულებები მოიცავს მის რეალურ და პოტენციურ ვალდებულებებს. რეალური

ვალდებულებები ბანკის ბალანსშია ასახული მოთხოვნამდე დეპოზიტების, ვადიანი დეპოზიტების, მოზიდული ბანკთაშორისი რესურსებისა და კრედიტის სახსრების სახით. პოტენციური ვალდებულებები, პირველ რიგში, გამოხატულია ბანკების ბალანსგარეშე პასიური ოპერაციებით (მაგალითად, ბანკის მიერ გაცემული გარანტიები და თავდებობები), აგრეთვე, აქტიური ბალანსგარეშე ოპერაციებით (გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები, წარმოდგენილი აკრედიტივები და სხვა). ბანკის ვალდებულებების ამ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ კლიენტის იმ მოთხოვნის თავისდროულად დაკმაყოფილებაც, რომელიც საკრედიტო ხაზის გაუხსნელად ახალი სესხების მიღებას უკავშირდება. კლიენტის ამ თხოვნის შესრულება იმას ნიშნავს, რომ ბანკს აქვს აუცილებელი რესურსებით თავისი თავის ოპერატიულად უზრუნველყოფის უნარი.

ვალდებულებათა შესრულებისთვის საჭირო სახსრების წყაროებია ბანკის ნაღდი ფული, რომელიც გამოხატულია სალაროში და საკორესპონდენტო ანგარიშებზე (ცენტრალურ და სხვა კომერციულ ბანკებში) არსებული ფულის ნაშთებით. ის აქტივები, რომლებიც მას შეუძლია სწრაფად აქციოს ნაღდ ფულად, ბანკთაშორისი კრედიტებია, რომელთა მიღება აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია ბანკს ბანკთაშორისი ბაზრიდან ან ქვეყნის ცენტრალური ბანკიდან.

ამ წყაროების გამოყენებას თან არ უნდა ახლდეს დანაკარგების მიღება ბანკის მიერ ე.ი. ზარალი უნდა მოჰქონდეს მისთვის. მაგალითად, ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ან სხვა აქტივების რეალიზება, როგორც ლიკვიდური სახსრების გაჩენის წყარო, ჩვეულებრივ რეჟიმში უნდა ხორციელდებოდეს ფასსა და ვადებზე წინასწარ მოლაპარაკებული პირობებით.

ბანკის ლიკვიდობა მისი მდგრადობისა და შრომისუნარიანობის საწინდარია, რადგან ლიკვიდობის საკმარისი დონის მქონე ბანკს უნარი შესწევს მინიმალური დანაკარგებით შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:

1. გადახდები განაზორციელოს კლიენტების დავალებით (ანგარიშსწორების და მიმდინარე ანგარიშებზე, აგრეთვე, ანგარიშსწორებისათვის განკუთვნილ სარეზერვო საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული სახსრების ვალდებულებები);

2. სახსრები დაუბრუნოს კრედიტორებს (შეანაბრებებს), მათ შორის ის სახსრები, რომლებსაც დაფარვის ვადები დაუდგა, და ისინიც, რომლებსაც ვადამდე ითხოვენ (დეპოზიტებში არსებული სახსრები);

3. ფულად სახსრებზე გამოვლენილი მოთხოვნა დაუკმაყოფილოს კლიენტებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა ფარგლებში. მაგალითად, დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით, საკრედიტო ხაზებით, კონტოკორენტული და ოვერდრაფტული დაკრედიტებით;

4. დაფაროს ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები;

5. პასუხი აგოს იმ ვალდებულებებზე, რომლებიც მომავალში შეიძლება გაჩნდეს, მაგალითად, ბალანსგარეშე ვალდებულებებზე (გაცემულ გარანტიებზე, მინდობით მართვაზე, ნაღდ და ვადიან გარიგებებზე) და ა.შ.

ამგვარად, კომერციული ბანკისათვის ლიკვიდობა მისი ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის აუცილებელი პირობაა აქტიური და პასიური ოპერაციების რისკიანობასთან, პორტფელების დაბალანსებულობასთან და ოპერაციების შემოსაელიანობასთან ერთად.

ლიკვიდობას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თვით ბანკისათვის, არამედ მისი კლიენტებისთვის. მაღალი ლიკვიდობა იმის მანიშნებელია, რომ კლიენტს ნებისმიერ მომენტში შეუძლია დაბანდებული სახსრების დაბრუნება ან ბანკში კრედიტის აღება. ლიკვიდობა იცავს ბანკის აქციონერებს აქტივების იძულებით გაყიდვისგან ფორს-მაჟორულ გარემოებათა დადგომის შემთხვევაში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კომერციული ბანკები კრედიტში და გადახდებში შუამავლების ფუნქციებს ასრულებენ, სტიმულს აძლევენ დაგროვებას ეკონომიკაში, აგრეთვე, ახორციელებენ საინვესტიციო რესურსების გადანაწილებას ბაზრის ნაკლებად ეფექტიანი სეგმენტებიდან უფრო

ეფექტიან სეგმენტებში, მაშინ საბანკო სექტორის არასტაბილური მდგომარეობა და ამ სფეროში კრიზისების გამოვლენა სავალალოდ აისახება მთელი ეკონომიკის მდგომარეობაზე. ამდენად, კომერციული ბანკების ლიკვიდობის სათანადო დონეზე შენარჩუნება კრიზისიდან ქვეყნის ეკონომიკის გამოყვანის ერთ-ერთი წამყვანი ამოცანაა.

ჩვენთან, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკის დაბალი ლიკვიდობის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია. მის წარმატებით გადაჭრაზე დიდადაა დამოკიდებული მთლიანად ეკონომიკის განვითარება. დაბალი ლიკვიდობა საბანკო სისტემის შიდა არასტაბილურობის წყაროა, რომელიც ზღუდავს ბანკების ფინანსურ ოპერაციათა მოცულობის გაფართოების შესაძლებლობებს, გარედან ნეგატიური ზემოქმედებისგან თავის დაცვის უნარს ართმევს ამ სისტემას.

გარდა ამისა, კომერციული ბანკების ლიკვიდობის შენარჩუნება სათანადო დონეზე კრიზისული მდგომარეობიდან ქვეყნის ეკონომიკის გამოყვანის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

სამწუხაროდ, საქართველოში მრავალი ბანკი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს ლიკვიდობის შენარჩუნების პრობლემას. არადა, მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბანკის ლიკვიდობის მართვა საბანკო მენეჯმენტის ერთ-ერთი წამყვანი ამოცანაა. ამ სფეროში დაშვებულ შეცდომებსა და ცდომილებებს კი სერიოზული უარყოფითი შედეგების მოტანა შეუძლია როგორც ცალკეული ბანკის, ისე მთლიანად საბანკო სისტემისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა რუსეთში მომხდარი ლიკვიდობის კრიზისები 1995 და 1998 წლებში. მათ ასობით ბანკი მიიყვანეს გაკოტრებამდე და ლიცენზიები დააკარგვინეს ამ ბანკებს. ცხადია, ეს ვითარება უამრავმა სხვა ფაქტორმაც განაპირობა, მაგრამ აქ მთავარი მაინც ლიკვიდობის სფეროში დაშვებული ცდომილებები და იმ პირობების არაადეკვატური შეფასება იყო, რომლებშიც ბანკები ფუნქციონირებდნენ. კრიზისის ერთადერთი დადებითი შედეგი გახდა ის ფასდაუდებელი გამოცდილება, რომელმაც საგრძნობი გაელენა იქონია ლიკვიდობის ანალიზისა და მართვის ხარისხზე და ერთხელ კიდევ აჩვენა ლიკვიდობის შენარჩუნების ამოცანის დიდი მნიშვნელობა.

ამგვარად, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ლიკვიდობა დინამიკური მაჩვენებელია. იგი ასახავს ამჟამად და მომავალში ბანკის მიერ თავის ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის უნარს. თუმცა, პრობლემის უფრო ნათლად გაგების მიზნით, აუცილებელია ბანკის ლიკვიდობის ცნებიდან გამოვყოთ მისი გადახდისუნარიანობის ცნება.

ბანკის გადახდისუნარიანობა აღნიშნავს კონკრეტული მომენტისათვის, გარკვეული თარიღისათვის მის უნარიანობას, შეასრულოს ანგარიშსწორებები და პასუხი აგოს კლიენტების წინაშე არსებულ ვალდებულებებზე მთელი მოცულობითა და დადგენილ ვადებში.

გადახდისუნარიანობის ცნება, არსებითად, ლიკვიდობის ცნებაზე უფრო ვიწროა, რადგან გადახდისუნარიანობა ბანკის საქმიანობის სტატიკური მაჩვენებელია. ეს ცნებები ერთმანეთისაგან იმიტომაც უნდა გავარჩიოთ, რომ საბანკო პრაქტიკაში ხშირად ჩნდება სიტუაციები— ხანმოკლე ჩავარდნები გადახდისუნარიანობაში – ბანკები ლიკვიდური რჩებიან, მაგრამ არ შეუძლიათ კლიენტების წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულება გადახდების შესრულების ნაწილში. ამას იწვევს, ერთი მხრივ, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება და ობიექტური სიძნელეები, ხოლო მეორე მხრივ, ბანკებისა და მთელი საბანკო სისტემის მდგრადობის უქონლობა. რადგან გადახდისუნარიანობაში გამოვლენილი ჩავარდნები ბანკების ფინანსური მდგომარეობის სისუსტესა და მათი მართვის არასაკმარის ხარისხზე მეტყველებს.

ამრიგად, კომერციული ბანკის ლიკვიდობა კომპლექსური მაჩვენებელია. მისი ყველაზე უფრო სრულად დახასიათებისათვის თანამედროვე ლიტერატურაში გამოყოფენ სამ დამხმარე მაჩვენებელს: სტაციონარულ ლიკვიდობას („მარაგი"), მიმდინარე ლიკვიდობას („ნაკადი" ან „ბრუნვა") და პესპექტიულ ლიკვიდობას („პროგნოზი").

ლიკვიდობა-მარაგის ცნება გულისხმობს ბანკის ბალანსში აქტივების იმ გარკვეუ-

ლი რაოდენობის (მარაგის) არსებობას, რომელთა წარმართვაც შეიძლება კლიენტების წინაშე ბანკის ვალდებულებების დაფარვის მიზნით. ამგვარად, ლიკვიდობა-მარაგი ასახიათებს ბანკის ლიკვიდობას გარკვეული მომენტისათვის და გვიჩვენებს, აქვს თუ არა ბანკს საკმარისი რესურსები. მაგრამ ასეთი მაჩვენებელი მთლად სრულად ვერ ასახავს ლიკვიდობის რეალურ არსს, რომელიც უკიდურესად დინამიკური და ცვალებადია. ეს, კერძოდ, ისეთ სიტუაციაში ელინდება, როდესაც ბანკს აქტივების ლიკვიდობის (აქტივების ლიკვიდობა არის ფულად სახსრებად მათი ტრანსფორმირების ან მათ მიერ ვალდებულებათა დაფარვის უნარი) საკმარისი დონე აქვს მყისიერი ან მიმდინარე ლიკვიდობის შენარჩუნებისთვის, მაგრამ დროის გასვლასთან ერთად (იმის გამო, რომ ვალდებულებათა შემოსული ნაკადი აჭარბებს ლიკვიდურ აქტივებად დაბანდებათა ტრანსფორმაციის ნაკადს) იგი კარგავს ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის უნარს. ამ წინააღმდეგობის მოსახსნელად და მომავალში ბანკის ლიკვიდობის დასაძლევად შეიმუშავეს უფრო პროგრესული და კომპლექსური მიდგომა ლიკვიდობის დასახასიათებლად. ეს არის ლიკვიდობა-ნაკადის განსაზღვრა.

ლიკვიდობა-ნაკადი გვიჩვენებს მარაგ-ლიკვიდობის მდგომარეობას მომავალში, ე.ი. საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მისი საპროგნოზო მნიშვნელობები და დინამიკური ცვლილებები იმ შემომავალი და გამავალი ფულადი ნაკადების გავლენის გათვალისწინებით, რომლებიც ბანკის მიერ ახალი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეძენის დროს იქმნება, აგრეთვე, ბანკის მიერ აქტივებისა და პასივების სტრუქტურის შეცვლის უნარის გათვალისწინებით. პროგნოზირებას ახორციელებენ მოკლევადიანი პერსპექტივებისთვის (ერთიდან სამ თვემდე) და, მაშასადამე, ამით ახასიათებენ ბანკის მიმდინარე, ანუ მოკლევადიან ლიკვიდობას.

ლიკვიდობა-პროგნოზი იმით განსხვავდება ლიკვიდობა-ნაკადისაგან, რომ ლიკვიდობის პირველი ფორმა დამატებით უკავშირდება ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების მიმდინარე და მომავალი რისკის შეფასებას.


ლიკვიდობის ზემოთ ჩამოთვლილი სამი მახასიათებლის შედარებიდან გამომდინარეობს, რომ ლიკვიდობის შენარჩუნებისა და მართვის მიზნით ყველაზე უფრო ეფექტიანია ლიკვიდობა-ნაკადის განსაზღვრა, რადგანაც სწორედ ეს მიდგომა გვაძლევს საშუალებას, დავადგინოთ ბანკის მიერ თავისი მდგომარეობის რეალურად შეფასების უნარი, მისი ის უნარი, რომ თავისდროულად აღკვეთოს ლიკვიდობის ობიექტურად აუცილებელი დონის გაუარესება, აგრეთვე, დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შეცვალოს ლიკვიდობის არასასურველი დონე.

ლიკვიდობის შესანარჩუნებლად ბანკი უნდა ცდილობდეს დანახარჯების მაქსიმალურად შემცირებას აქტივების რეალიზაციისა და პასივების მოზიდვის დროს, რაც მისი მდგრადი ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნების გარდაუვალი პირობაა.

ბანკისათვის არასასურველი დანაკარგების მოხდენის ალბათობის მახასიათებელია ლიკვიდობის რისკი. ბანკის ლიკვიდობის რისკი უკავშირდება საგადამხდელო საშუალებით ფინანსური აქტივების სწრაფად კონვერსიის შესაძლებლობას მისაღები ფასებით და უდანაკარგოდ ან დამატებით ვალდებულებათა მოუზიდავად.

ლიკვიდობის რიშიდა კონტროლის სამსახურს ორი მდგენელი აქვს: რაოდენობრივი და ფასისძირი (ნახ. 15.1).

დაუბალანსებელი ლიკვიდობის რისკის დონე მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათგან მთავარია: აქტივებისა და პასივების ხარისხი, აქტივების საიმედობა, დივერსიფიკაცია, პასივების სტაბილურობა, რესურსების მოზიდვისა და განთავსების თანხებისა და ვადების შეთანხმებულობა. ბანკის საპროცენტო პოლიტიკის შეთანხმება მისი ოპერაციების შემოსავლიანობის საერთო დონესთან (მუდმივმა უარყოფითმა საოპერაციო მარჟამ შეიძლება ლიკვიდობა დააკარგვინოს ბანკს), რისკების სხვა სახეობები (მაგალითად, სავალუტო და საპროცენტო), აგრეთვე ბანკის



ნახ. 15.1. ლიკვიდობის რისკი

რეპუტაცია, რომელიც დამატებითი სახსრების მოზიდვის შესაძლებლობას იძლევა მოკლე ვადებში – ამ ფაქტორების ზემოქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოქმედი აქტივების გამოყენების ეფექტიანობის შემცირება ან მათი გაუფასურება.

ლიკვიდობის რისკი უარყოფითად მოქმედებს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, ზრდის მის ხარჯებს როგორც ბალანსის აქტიური ნაწილის მხრიდან (აქტივების რეალიზაციის დროს მომხდარი დანაკარგების შედეგად), ისე პასიური ნაწილის მხრიდან.

ამგვარად, საბანკო მენეჯმენტის ერთ-ერთი მიმართულება უნდა იყოს დაუბალანსებელი ლიკვიდობის რისკის მართვა ბანკის ფინანსური მდგრადობის მიზნით, აგრეთვე ლიკვიდობის შენარჩუნების პროცესში დანაკარგების მინიმიზაციის მიზნით.

ჩვენ განვიხილეთ ლიკვიდობის კატეგორიასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები. ვიდრე ლიკვიდობის მართვის ძირითად მეთოდებზე გადავიდოდეთ, ჩამოვთვალოთ კომერციული ბანკების მიერ ამ მაჩვენებელის ანალიზის ძირითადი ეტაპები. ეს დაგვეხმარება ბანკის საქმიანობის სხვა მაჩვენებლებთან ლიკვიდობის ურთიერთკავშირის სისტემის დანახვაში და უკვე პრობლემის უფრო ღრმად გაგების საფუძველზე განვიხილოთ ლიკვიდობის მართვის საკითხები.

15.2. ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲥᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ

ბანკის ლიკვიდობის ორი ნიშან-თვისების (ვალდებულებათა შესრულების თავისდროულობა და უდანაკარგობა) არსებობას განაპირობებს უამრავი შიდა და გარე ფაქტორი, რომლებიც ბანკის საქმიანობის ხარისხს განსაზღვრავს.

შიდა ფაქტორებს ეკუთვნის: ბანკის მტკიცე კაპიტალური ბაზა, მისი აქტივების ხარისხი, დეპოზიტების ხარისხი, გარე წყაროებზე ზომიერად დამოკიდებულება, აქტივებისა და პასივების კავშირი ვადების მიხედვით, მოქნილი მენეჯმენტი, პირველი კლასის იმიჯი.

ბანკის მტკიცე კაპიტალური ბაზა იმას ნიშნავს, რომ ბანკს მნიშვნელოვანი ოდენობით უნდა ჰქონდეს საკუთარი კაპიტალის აბსოლუტური სიდიდე, როგორც აქტივების რისკის გადაფარვისა და მეანაბრეებისა და კრედიტორების სახსრების გარანტირების მთავარი დამცავი წყარო. საკუთარი კაპიტალის საფუძველს შეადგენს ბანკის საწესდებო ფონდი და სხვა ფონდები, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა მიზნებისათვის, მათ შორის — ბანკის ფინანსური სიმტკიცის უზრუნველყოფისათვის. რაც მეტია ბანკის საკუთარი კაპიტალი, მით უფრო მაღალია მისი ლიკვიდობა.

ბანკის ლიკვიდობაზე მოქმედი სხვა ფაქტორია მისი აქტივების ხარისხი. აქტივების ხარისხს ოთხი კრიტერიუმის საფუძველზე განსაზღვრავენ. ესენია: ლიკვიდობა, რისკიანობა, შემოსავლიანობა და დივერსიფიცირებულობა. აქტივების ლიკვიდობა ნაღდი ფულადი აქტივების ტრანსფორმირების უნარია მათი რეალიზაციის ან მოვალეების (მსესხებლების) მიერ ვალდებულებათა დაფარვის მეშვეობით. აქტივების ლიკვიდობის ხარისხი მათ დანიშნულებაზეა დამოკიდებული. ფულადი ფორმით არსებული ბანკის აქტივები გადახდის ფუნქციის შესასრულებლადაა გამიზნული. სესხებს შეუძლია დააკმაყოფილოს კლიენტების მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნილებები. ანალოგიურია ფასიან ქაღალდებში განხორციელებული დაბანდებები და სხვა ინვესტიციები.

ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით ბანკის აქტივები რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

პირველ ჯგუფს შეადგენს პირველი კლასის აქტივები, რომელთაც ეკუთვნის:

ა) ბანკის უშუალო ფულადი სახსრები, რომლებიც იმყოფება მის სალაროში ან საკორესპონდენტო ანგარიშებზე;

ბ) ბანკის პორტფელში მყოფი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც შეიძლება მან რეალიზაცია გაუკეთოს, კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო ნაღდი ფულის უკმარისობის შემთხვევაში.

გარკვეულ დონეზე პირველი ჯგუფის აქტივების მოცულობის შენარჩუნება ბანკის ლიკვიდობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გარდაუვალი პირობაა.

ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით აქტივების მეორე ჯგუფს შეადგენს იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის მიცემული მოკლევადიანი სესხები, ბანკთაშორისი კრედიტები, ფაქტორინგუ-

ცხრილი 15.1

კომერციული ბანკების კრებსითი აქტივების დინამიკა

ნაღდი ფულადი სახსრები	59489	53437	65013	70910	57058
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	181361	206949	227625	250149	277812
ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	210	213	211	124	8
საინვესტიციო ფულადი სახსრები	38863	39882	36252	35439	32855
წმინდა სესხები	446779	488012	517691	548127	588220
სესხები სახელმწიფო ინსტიტუტებს	2381	4785	5188	6678	6755
სესხები კერძო სექტორს (ბანკთაშორისი სესხების გარდა)	481626	524362	545453	570467	611734
ბანკთაშორისი სესხები	5776	6776	5146	8649	10997
აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვები (-)	43004	47312	38076	37966	41266
დარიცხული მისაღების პროცენტები და დივიდენდები	19030	17429	16315	16058	15091
ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	17290	16538	15423	12172	12333
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	80598	75159	89001	90392	94946
სხვა წმინდა აქტივები	36303	36258	37702	43754	38151
მთლიანი აქტივები	880412	834488	1005232	1067127	1116473

ლი ოპერაციები, სააქციო საზოგადოებების კომერციული ფასიანი ქაღალდები. მათ ნაღდ ფულად გადაქცევის უფრო ხანგრძლივი პერიოდი აქვთ.

აქტივების მესამე ჯგუფი მოიცავს ბანკის გრძელვადიან დაბანდებებს და ინვესტიციებს, მათ შორის – გრძელვადიან სესხებს, სალიზინგო ოპერაციებს და საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს.

აქტივების მეოთხე ჯგუფი მოიცავს არალიკვიდურ აქტივებს ვადაგადაცილებული სესხების სახით, ზოგიერთი სახის ფასიან ქაღალდებს, შენობებსა და ნაგებობებს.

რისკიანობა, როგორც აქტივების ხარისხის კრიტერიუმი, აღნიშნავს დანაკარგების პოტენციურ შესაძლებლობას ფულადი ფორმით მათი გადაქცევისას. აქტივების რისკის დონე მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომლებიც სპეციფიკურია მათი გარკვეული სახეობისთვის. მაგალითად, სესხის შიდა კონტროლის სამსახურს განაპირობებს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, დაკრედიტების ობიექტის შინაარსი, სესხის მოცულობა, გაცემისა და დაფარვის წესი და ა.შ. ფასიან ქაღალდში დაბანდების განხორციელების რისკი დამოკიდებულია ემიტენტის ფინანსურ სიმტკიცეზე, ფასიანი ქაღალდის გამოშვებისა და გაყიდვის მექანიზმზე, ბირჟაზე კოტირების უნარზე და ა.შ.

რისკიანობის დონის მიხედვითაც ბანკის აქტივები რამდენიმე ჯგუფად იყოფა. რისკის დონის მიხედვით აქტივების კლასიფიკაცია და ყოველი ჯგუფის აქტივების რისკის დონე ერთგვაროვანი არაა სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა შემთხვევაში. კაპიტალის საკმარისობის შესაფასებლად საერთაშორისო პრაქტიკაში იყენებენ ბაზელის შეთანხმების რეკომენდაციებს, რომლის შესაბამისადაც აქტივების ოთხ ჯგუფს გამოყოფენ.

სხვადასხვა ქვეყანაში არსებული კონკრეტული პრაქტიკის მიუხედავად, აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით აქტივების კლასიფიკაციისთვის არსებობს ერთიანი პრინციპული დებულება, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ბანკის ლიკვიდობის დამოკიდებულება აქტივების რისკიანობაზე. რაც უფრო მაღალია ბანკის აქტივების ერთობლივი რისკი, მით უფრო დაბალია ბანკის ლიკვიდობა.

აქტივების შემოსავლიანობა, როგორც მათი ხარისხის კრიტერიუმი, ასახავს აქტივების შრომისუნარიანობას, ეფექტიანობას, ე.ი. უნარს – მოიტანონ შემოსავალი და ამ გზით შექმნან ბანკის განვითარებისა და მისი კაპიტალური ბაზის განმტკიცების წყარო.

შემოსავლიანობის დონის მიხედვით აქტივები ორ ჯგუფად იყოფა: შემოსავლის მომტან და შემოსავლის არმომტან აქტივებად. რაც უფრო მეტია შემოსავლის მომტანი აქტივების ხვედრითი წილი, სხვა თანაბარ პირობებში მით უფრო მეტი შემოსავალი (მოგება) და, მაშასადამე, თავისი კაპიტალური ბაზის განმტკიცების მეტი შესაძლებლობები აქვს ბანკს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბანკს შეუძლია გაუძლოს მის მიერ ნაკისრ რისკებს.

ამავე დროს, შემოსავლიანობის დონის მიხედვით აქტივების სტრუქტურის რეგულირებისას დაცული უნდა იყოს გონივრულობა, რადგანაც მოგებისკენ თავშეუკავებელ სწრაფვას შესაძლოა მოჰყვეს აქტივების კლება და ლიკვიდობის დაკარგვა.

აქტივების ხარისხის კრიტერიუმად შეიძლება გამოდგეს მათი დივერსიფიცირებულობაც, რომელიც გვიჩვენებს ბანკების რესურსების განაწილებას განთავსების სფეროების მიხედვით. აქტივების დივერსიფიცირებულობის მაჩვენებელია ბანკის აქტივების სტრუქტურა რესურსების დაბანდების ძირითადი მიმართულებების მიხედვით; საკრედიტო დაბანდებების სტრუქტურა ობიექტებისა და სუბიექტების მიხედვით; ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურა, იმ ვალუტების სტრუქტურა, რომლებზეც ბანკი სავალუტო ოპერაციებს ახორციელებს; იმ ბანკების სტრუქტურული შემადგენლობა, რომლებთანაც მოცემული ბანკი ახორციელებს საკორესპონდენტო, სადეპოზიტო და საკრედიტო ურთიერთობებს.

რაც უფრო მეტად დივერსიფიცირებულია აქტივები, მით უფრო მაღალია ბანკის ლიკვიდობა.

ბანკის ლიკვიდობის დონის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი დეპოზიტური ბაზის ხარისხი. დეპოზიტურ ბაზას აყალიბებენ იურიდიული და ფიზიკური პირების სახსრები, რომლებსაც ბანკი უფრის თავს ანგარიშსწორების და მიმდინარე ანგარიშებზე არსებული სახსრების სახით. ავრეთვე, ახდენს მათ აკუმულირებას ვადიან დეპოზიტებსა და შემნახველ ანაბრებში. დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და შემნახველი დეპოზიტების) ხარისხის კრიტერიუმად გვევლინება მათი სტაბილურობა. რაც უფრო მეტია დეპოზიტების სტაბილური ნაწილი, მით უფრო მაღალია ბანკის სტაბილურობა, რადგან ამ ნაწილში აკუმულირებული რესურსები არ ტოვებენ ბანკს. დეპოზიტების სტაბილური ნაწილის გადიდება ამცირებს ბანკის მოთხოვნილებას ლიკვიდურ აქტივებზე, რადგან იგი გულისხმობს ბანკის ვალდებულებების განახლებადობას.

საზღვარგარეთელი მკვლევარების მიერ ჩატარებულმა სხვადასხვა სახეობის დეპოზიტების მდგომარეობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ყველაზე მეტი სტაბილურობა აქვს მოთხოვნამდე დეპოზიტებს. ამ სახეობის დეპოზიტები დამოკიდებული არაა საპროცენტო განაკეთის დონეზე. ამა თუ იმ ბანკისადმი მათ მიკუთვნებას დიდად განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მომსახურების ხარისხი და სისწრაფე; ბანკის საიმედობა; მეანაბრეებისთვის შეთავაზებული მომსახურების მრავალფეროვნება; ბანკის ტერიტორიული სიახლოვე კლიენტთან. ამიტომ ანგარიშსწორების ან მიმდინარე ანგარიშის გახსნით იმ ბანკში, რომელიც აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, კლიენტი ხანგრძლივ კავშირებს ამყარებს ბანკთან, სისტემატურად ხარჯავს და ავსებს ანგარიშზე მყოფ სახსრებს.

საზღვარგარეთელი მკლევარების გამოკვლევების მონაცემებით, ნაკლები სტაბილურობა აქვს ვადიანი და შემნახველი დეპოზიტების ნაშთებს. კონკრეტულ ბანკზე მათი მიმაგრების საქმეში

სერიოზულ როლს თამაშობს საპროცენტო განაკვეთის დონე. ამიტომ ისინი მიგრაციას განიცდიან სხვადასხვა ბანკის მიერ დაწესებული სადეპოზიტო პროცენტის დონის გარკვეული რყევების შემთხვევაში.

ბანკის ლიკვიდობას განაპირობებს, აგრეთვე, მისი დამოკიდებულება გარე წყაროებზე, რომლებიდანაც ბანკთაშორისი კრედიტები გვეელინება. ბანკთაშორისი კრედიტი გარკვეულ ფარგლებში საფრთხეს არ უქმნის ლიკვიდობას. პირიქით, იგი საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ლიკვიდური სახსრების ხანმოკლე უკმარობა. მაგრამ თუ ბანკთაშორის კრედიტს მთავარი ადგილი უჭირავს მოზიდულ სახსრებში, მაშინ ბანკთაშორის ბაზარზე ჩამოყალიბებულ არახელსაყრელ კონიუნქტურას შეუძლია ბანკის კრახი გამოიწვიოს. გარე წყაროებზე დიდი დამოკიდებულებით გამორჩეულ ბანკს არ გააჩნია საკუთარი ბაზა ბიზნესისთვის. იგი მოკლებულია განვითარების პერსპექტივებს და მას ემუქრება რესურსული ბაზის რყევის მნიშვნელოვანი რისკი.

ბანკის ლიკვიდობაზე სერიოზულ გავლენას ახდენს აქტივებისა და პასივების ურთიერთკავშირი თანხებისა და ვადების მიხედვით. ბანკის მიერ კლიენტების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება მოითხოვს ფულადი სესხების ინვესტიციების ვადების შეთანხმებას მეანაბრეების მიერ ამ სახსრების შემოტანის ვადებთან. ამ წესის უგულვებელყოფა უმეტესწილად შოზიდულ სახსრებზე მომუშავე ბანკის საქმიანობაში აუცილებლად დაბრკოლებს კრედიტორების წინაშე ბანკის მიერ აღებული ვალდებულებების თავისდროულად და სრულად შესრულებას. ცხადია, ყველა დეპოზიტი ერთდროულად არ გაიქცა, მისი გარკვეული ნაწილის განახლებაც ხდება, მაგრამ აქტივებისა და პასივების ძირითადი ნაწილისთვის ამ წესის დაცვა გარდაუვალია.

კონკრეტულ ფაქტორებს, რომლებზეც ბანკის ლიკვიდობის დონეა დამოკიდებული, ეკუთვნის მენეჯმენტიც, ე.ი. მთლიანად ბანკის საქმიანობის, კერძოდ კი, მისი ლიკვიდობის მართვის სისტემა. ბანკის მართვის ხარისხი გამოიხატება ბანკის პოლიტიკის არსებობასა და მის შინაარსში; ბანკის რაციონალურ ორგანიზაციულ სტრუქტურაში, რომელიც იძლევა სტრატეგიული და მიმდინარე ამოცანების მაღალ დონეზე გადაწყვეტის შესაძლებლობას; ბანკის აქტივებისა და პასივების შინაარსის მკაფიოდ განსაზღვრაში, მათ შორის ისეთებშიც, რომლებიც ყველაზე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებას შეეხება.

მენეჯმენტის მაღალი დონე გულისხმობს კვალიფიციური სპეციალისტების არსებობას, აუცილებელი საინფორმაციო ბაზის შექმნას და, რაც მთავარია, ბანკის საქმიანობის მართვის მეცნიერული სისტემის დამკვიდრების მნიშვნელობის გაგებას ბანკის ხელმძღვანელობის მხრიდან.

იმ ფაქტორებს, რომლებიც ბანკის აუცილებელ ლიკვიდობას უზრუნველყოფენ, მიეკუთვნება მისი იმიჯიც. დადებითი იმიჯი უპირატესობებს აძლევს ბანკს სხვა ბანკების მიმართ რესურსების მოზიდვის საქმეში და ამ გზით — ლიკვიდური სახსრების უკმარობის სწრაფად დაძლევაში. კარგი რეპუტაციის მქონე ბანკს უადვილდება თავისი დეპოზიტური ბაზის სტაბილურობის უზრუნველყოფა. მას მეტი შესაძლებლობები აქვს იმისათვის, რომ ფინანსურად მყარ კლიენტებთან დაამყაროს კონტაქტი, რაც მისი აქტივების უფრო მაღალ ხარისხს მოასწავებს.

პირველი კლასის იმიჯი შესაძლებლობას აძლევს ბანკს, კაეშირები განავითაროს უცხოეთის პარტნიორებთან, რაც ასევე ხელს უწყობს მისი ფინანსური მდგომარეობისა და ლიკვიდობის განმტკიცებას.

ბანკის დადებითი იმიჯის ფორმირება, თუკი ეს რეალურად მიღწეულ შედეგებს ეყრდნობა, რთული პროცესია, რომელიც მოიცავს: განვითარების სტრატეგიის სწორად შერჩევას; კლიენტების მოშსახურების ხარისხის ამაღლებას; მარკეტინგული კელეების გაღრმავებას; სანდო, სისტემატური და ფართო რეკლამის მოწყობას; საზოგადოებასთან კაეშირურთიერთობების დამყარებას; თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გახსნილობის უზრუნველყოფას, მათ შორის —

ანგარიშების გამოქვეყნების მეშვეობით.

ბანკის ავტორიტეტს უზრუნველყოფს ის რეიტინგული შეფასებები, რომლებსაც დამოუკიდებელი და რეიტინგული სააგენტოები ახორციელებენ და აქვეყნებენ პრესაში.

დადებით იმიჯს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მთავარი მენეჯერების პიროვნული ღირსებები, მათი კომპეტენტურობა და მორალური სახე. კრიტიკულ სიტუაციებში თავისი ლიკვიდობის ადვილად და სწრაფად აღდგენის მოსურნე ბანკი აქტიურად და მიზანმიმართულად უნდა ახდენდეს თავისი დადებითი იმიჯის ფორმირებას. ბანკის ლიკვიდობის უზრუნველმყოფი ზემოაღნიშნული ფაქტორები მეტ ან ნაკლებ მნიშვნელობას იძენენ იმისდა მიხედვით, თუ როგორია ბანკის ინდივიდუალური თავისებურებები, დამფუძნებლის ფინანსური მდგომარეობა, ბანკის შექმნის სპეციფიკა, კლიენტების წრე, სპეციალიზაცია, ბანკის ფუნქციონირების ხანგრძლივობა, მენეჯერთა გუნდის თვისებები და ა.შ.

ერთ შემთხვევაში ბანკის ლიკვიდობის პრობლემა შეიძლება შექმნას რესურსული ბაზის სტრუქტურამ და ხარისხმა; მეორე შემთხვევაში – აქტივების ხარისხმა; მესამეში – მენეჯმენტმა, ხოლო სხვა შემთხვევაში – ფაქტორთა კომპლექსმა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკის ინდივიდუალობის გათვალისწინებას, მისი მთავარი ,,საბრძოლო“ წერტილების გამოყოფას, რომლებსაც ყველაზე არსებითი მნიშვნელობა აქვთ მოცემული ბანკისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბანკების ლიკვიდობის მდგომარეობა მთელ რიგ ისეთ გარე ფაქტორებზეცაა დამოკიდებული, რომლებიც ბანკების საქმიანობის სფეროს გარეთ იმყოფება. მათ ეკუთვნის: ქვეყნის საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება; ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და ბანკთაშორისი ბაზრის განვითარება; რეფინანსირების სისტემის ორგანიზაცია; მთავარი ბანკის საზედამხედველო ფუნქციების ეფექტიანობა.

ქვეყნის საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება წანამძღვრებს უქმნის საბანკო ოპერაციების განვითარებას და საბანკო სისტემის ფუნქციონირების წარმატებას, უზრუნველყოფს ბანკების საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლის სტაბილურობას, განამტკიცებს ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების ნდობას ბანკების მიმართ. აღნიშნული პირობების გარეშე ბანკებს უნარი არ შესწევთ შექმნან მყარი დეპოზიტური ბაზა, მიაღწიონ ოპერაციების რენტაბელობას, განავითარონ ინსტრუმენტერიუმი, აიმაღლონ აქტივების ხარისხი, სრულყონ მართვის სისტემა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება უზრუნველყოფს ლიკვიდური სახსრების შექმნის ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს მომგებიანობაში დანაკარგების გარეშე, რადგანაც ფულად სასესრებად ბანკის აქტივების გადაქცევის ყველაზე სწრაფი გზა უმრავლეს ქვეყნებში უკავშირდება საფონდო ბაზრის ფუნქციონირებას.

ბანკთაშორისი ბაზრის განვითარება ხელს უწყობს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების გადანაწილებას ბანკებს შორის. თავისი ლიკვიდობის შესანარჩუნებლად ბანკს შეუძლია ბანკთაშორისი ბაზრიდან სხვადასხვა ვადით მოიზიდოს სახსრები, მათ შორის – ერთი დღითაც. ბანკთაშორისი ბაზრიდან სახსრების მიღების ოპერატიულობა დამოკიდებულია საერთო ფინანსურ კონიუნქტურაზე, ბანკთაშორისი ბაზრის ორგანიზაციასა და ბანკის ავტორიტეტზე.

ამ ფაქტორს მჭიდროდ უკავშირდება მეორე ფაქტორი – ქვეყნის მთავარი ბანკის მიერ კომერციული ბანკების რეფინანსირების სისტემა. მისი მეშვეობით კომერციული ბანკის ლიკვიდური აქტივების შევსების წყარო ხდება ქვეყნის ცენტრალური ბანკის კრედიტი. ცენტრალური ბანკის საზედამხედველო ფუნქციების ეფექტიანობა განსაზღვრავს კომერციულ ბანკებთან სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს ურთიერთმოქმედების ხარისხს ლიკვიდობის ძარღვის ნაწილში. ცენტრალურ ბანკს შესაძლებლობა აქვს ლიკვიდობის გარკვეული ნორმატივები დაუწესოს ბანკებს და ამ ნორმატივების დაცვისკენ წარმართოს მათი საქმიანობა. რაც უფრო ახლოსაა დადგენილი ნორმატივები ბანკის ლიკვიდობის რეალურ მდგომარეობასთან, მით მეტი

შესაძლებლობები აქვთ თვით ბანკსაც და ზედამხედველობის ორგანოსაც ლიკვიდობის პრობლემის თავისდროზე გამოსაყვლევად და მის აღმოსაფხვრელად.

ამგვარად, ბანკის ლიკვიდობა არის ბანკის საქმიანობის ხარისხობრივი მახასიათებელი, რომელიც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული და იმყოფება მუდმივ ცვალებადობასა და ურთიერთკავშირში. ამიტომ ბანკის ლიკვიდობა წარმოადგენს დინამიკურ მდგომარეობას, რომელიც გამუდმებით ყალიბდება და რომელსაც ახასიათებს მრავალფეროვანი ფაქტორებისა და ტენდენციების გავლენა. ბანკის „ლიკვიდობის" ტერმინის გვერდით ლიტერატურასა და პრაქტიკაში ხმარობენ ტერმინს ბანკის „გადახდისუნარიანობა". მეორე ცნების შინაარსის განმარტებისას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მიდგომას იყენებენ.

მსოფლიო ბანკის მასალებში გადახდისუნარიანობა უკავშირდება ბანკის საკუთარი კაპიტალის დადებით სიდიდეს, ხოლო „მინუს" ნიშნიანი კაპიტალი აღნიშნავს ბანკის გადახდისუნარიანობას. ასე გაგებული გადახდისუნარიანობა ეყრდნობა ბანკის კაპიტალს, როგორც მის მიერ აღებულ ვალდებულებათა დაფარვის საგარანტიო ფონდს.

სხვა ქვეყნებში ბანკის გადახდისუნარიანობას განსაზღვრავენ კაპიტალის საკმარისობით აქტივების რისკის მიმართ. ეკონომიკურ ლიტერატურაში გადახდისუნარიანობას განიხილავენ როგორც უფრო ზოგად ან უფრო ვიწრო კატეგორიას ბანკის ლიკვიდობის მიმართ (რუსეთი). უფრო ზოგადი კატეგორიის როლში მას განიხილავენ ამ მდგომარეობაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების კომპლექსში, ხოლო ლიკვიდობას – შიდა ფაქტორების რაკურსში.

მაგრამ ყველაზე უფრო გავრცელებული თვალსაზრისით, ბანკის ლიკვიდობას განმარტავენ, როგორც იმ დინამიკურ მდგომარეობას, რომელიც ასახავს კრედიტორებისა და მეანაბრეების წინაშე აღებული ვალდებულებების თავისდროულად შესრულების უნარს (თავისი აქტივებისა და პასივების მართვის ხარჯზე). ბანკის ლიკვიდობისგან განსხვავებით, გადახდისუნარიანობა განისაზღვრება მის მიერ კონკრეტული თარიღისათვის ყველა ვალდებულების, მათ შორის – ფინანსურის, შესრულების ასპექტში. ამგვარად განმარტებისას ბანკის ლიკვიდობის კრიტერიუმად გვევლინება მისი ყველა აქტივისა და პასივის ურთიერთკავშირი ვადებისა და თანხების მიხედვით, ხოლო შეუსაბამობის წარმოქმნის შემთხვევაში – ლიკვიდური აქტივებით საკუთარი თავის უზრუნველყოფის უნარი. გადახდისუნარიანობის კრიტერიუმად გამოდის მოცემული თარიღისთვის საკორესპონდენტო ანგარიშზე არსებული სახსრების საკმარისობა გადახდათა შესასრულებლად, მათ შორის – ბანკის მოგებიდან.

ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობას შორის ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება პრაქტიკაში იმას იწვევს, რომ ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ასეთნაირად განმარტებისას ბანკმა შესაძლოა ცალკეულ პერიოდში ვერ შეასრულოს თავისი საგადასახდელო ვალდებულებები, მაგრამ იგი ლიკვიდური დარჩეს; რაც შეეხება ლიკვიდობის დაკარგვას, იგი სისტემატურ გადახდისუუნარობას გულისხმობს.

ბანკის ლიკვიდობის დაკარგვით გამოწვეული გადახდისუნარიანობა ნიშნავს, ჯერ ერთი, აღებულ ვალდებულებათა დაფარვისთვის შიდა წყაროების გამოძებნის უუნარობას ბანკის მხრიდან; მეორე, ამ მიზნით გარე წყაროების მოზიდვის შეუძლებლობას.

15.3. კომერციული ბანკის ლიკვიდობის ანალიზი

დღეს არსებულ მაკროეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოების და გადახდების კრიზისში – ინფლაციაში ვლინდება, კომერციული ბანკების ლიკვიდობის შენარჩუნება ძნიშნელოვნად ძნელდება. მუდმივ ცვალებად ვითარებაში კომერციულმა ბანკმა სტაბილურად და ეფექტიანად ფუნქციონირება რომ შეძლოს, მისმა ხელმძღვანელობამ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ბანკის საქმიანობისა და ჩატარებული ოპერაციების მაჩვენებლების ანალიზს.

ბანკში ფინანსური ანალიზის ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მისი შედეგების საფუძველზე ბანკის ხელმძღვანელობა აფასებს ბანკის არსებულ პოლიტიკას და ამუშავებს პერსპექტიულს, განსაზღვრავს ცალკეული სახეობის ოპერაციათა ეფექტიანობას და გეგმავს მათი ახალი სახეობების განვითარებას. ამგვარად, ფინანსური ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, ბანკის ხელმძღვანელობა შეიმუშავებს ბანკის ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების ღონისძიებებს.

ლიკვიდობის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ის პოტენციური და რეალური ტენდენციები, რომლებიც მოწმობს ბანკის ბალანსის ლიკვიდობის გაუარესებას, ჩატარდეს იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც უარყოფითი ტენდენციების განვითარებას იწვევენ, და მიღებულ იქნეს ვითარების შეცვლის შესაბამისი ღონისძიებები.

გამოყოფენ ბანკის ლიკვიდობის ანალიზის შემდეგ ძირითად მიზნებს:

1. იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც უარყოფით ტენდენციებს იწვევენ ბანკის ლიკვიდობაში, და მათი გავლენის დაყვანა მინიმუმამდე;
2. შემფასებელი კოეფიციენტების სისტემის დაზუსტება, გაანგარიშების დროს დაშვებული შესაძლო უზუსტობების გამოვლენა;
3. ბანკის ბალანსის ლიკვიდობის გაუარესების რეალური და პერსპექტიული უარყოფითი ტენდენციების გამოვლენა და მათი შეცვლის შესაბამის ღონისძიებათა მიღება;
4. საანალიზო მასალების ფორმირება ბანკის ლიკვიდობის ღონისძიებათა შესახებ;
5. რეკომენდაციების შემუშავება ბანკის მართვასთან დაკავშირებით და განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა ანალიზის შედეგების გათვალისწინებით.


ბანკის საქმიანობის ანალიზისათვის ინფორმაციის ძირითადი წყაროა ბანკის ბალანსი, რომელიც ყველაზე კომპლექსურად ახასიათებს ბანკის საქმიანობას. ბალანსის მონაცემების ანალიზის მეშვეობით ანალიტიკოსს შეუძლია გააკეთოს დასკვნები ძირითად მიზანდასახულობათა რეალიზაციის, ბანკის ოპერაციების შემოსავლიანობისა და რისკიანობის მაჩვენებლების, აქტიური და პასიური ოპერაციების დაბალანსების, აგრეთვე, ბანკის საქმიანობის კანონმდებლობით დაწესებული ნორმატივების შესრულების შესახებ. ლიკვიდობის მაჩვენებელთა ანალიზი ეყრდნობა, აგრეთვე, ბანკის ბალანსის ანალიზის დროს მიღებულ ინფორმაციას.

სამწუხაროდ, დღემდე შემუშავებული არაა ერთიანი მიდგომა ბანკის ლიკვიდობის ანალიზისადმი. მიმდინარეობს მისი ანალიზის უკვე არსებული მეთოდების დახვეწა და ახალი მეთოდების შემუშავება. მაგრამ კონკრეტული მეთოდიკის განსხვავებულობის მიუხედავად, ლიკვიდობის ანალიზის ძირითადი მიმართულებები და ეტაპები ერთნაირია და მათი ფორმულირება შემდეგნაირად შეიძლება (ნახ. 15.2).

განვიხილოთ ბანკში ლიკვიდობის ანალიზის ძირითადი ეტაპები.

I ეტაპი. ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასება მისი ლიკვიდობის თვალსაზრისით. ეს ეტაპი მოსამზადებელი ეტაპია. ამ ეტაპზე ხორციელდება ბანკის ლიკვიდობის განსაზღვრა ანალიზის დაწყების მომენტისათვის. აქ ფინანსური ანალიტიკოსის წინაშე დგას ამოცანა, განსაზღვროს ბაზა, ამოსავალი წერტილი შემდგომი ანალიზისთვის. თუ ეს ეტაპი ვერ გამოავლენს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის სფეროში სერიოზულ პრობლემებს, მაშინ უნდა გაგრძელდეს ანალიზი ტენდენციებისა და სიტუაციების განვითარების პერსპექტივების განსაზღვრის მიზნით. თუ რაიმე პრობლემა გამოვლინდა, მაშინ შემდგომი ანალიზი საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ შექმნილი ვითარების გამომწვევი მიზეზები და დავსახოთ მათი აღმოფხვრის გზები.

II ეტაპი. ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი. ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე, ისე როგორც მთლიანად მის საქმიანობაზე, მოქმედების სხვადასხვა მიმართულების მქონე დიდძალი ფაქტორები ახდენს გავლენას. ამიტომ ლიკვიდობის დარგში



ნახ. 15.2. ბანკის ლიკვიდობის ანალიზის ძირითადი ეტაპები

შექმნილი უარყოფითი ტენდენციების გამოვლენის დროს ფინანსურმა ანალიტიკოსებმა აუცილებლად უნდა გამოავლინონ ამ ტენდენციების გამომწვევი ფაქტორები, გააანალიზონ მათი გავლენა და შეიმუშაონ ბანკის პოლიტიკის შეცვლის რეკომენდაციები ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების მიზნით. ამგვარად, ანალიზის მეორე ეტაპის ჩატარების მთავარი მიზანია მთლიანად ბანკის პოლიტიკაზე და, კერძოდ, მის ლიკვიდობაზე შიდა და გარე ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინება.


განვიხილოთ ის მთავარი ფაქტორები, რომლებიც ლიკვიდობაზე მოქმედებენ და დავაკვირდეთ მათ გავლენას ბანკის საქმიანობაზე. ზემოქმედების მექანიზმების მიხედვით ეს ფაქტორები ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:

1. მაკროეკონომიკური (ეგზოგენური) ფაქტორები. მათი მეშვეობით კომერციული ბანკის საქმიანობაზე და, საბოლოოდ, მის ლიკვიდობაზე გარემომცველი სამყარო ახდენს გავლენას (იხ. ნახ. 15.3).

2. მიკროეკონომიკური (ენდოგენური) ფაქტორები. ისინი თვითონ ბანკის დონეზე მოქმედებს მის პოლიტიკასთან დაკავშირებით. მაკროეკონომიკური ფაქტორებისგან განსხვავებით, რომელთა გავლენის შეზღუდვაც ბანკს არ შეუძლია, მიკროეკონომიკური ფაქტორები პირდაპირ უკავშირდება მის საქმიანობას. ამიტომ ბანკის პოლიტიკის შეცვლით შეგვიძლია შევზღუდოთ იმ ფაქტორების გაელენა, რომელიც ლიკვიდობის არასასურველ ცვლილებებს იწვევს (იხ. ნახ. 15.3).

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ლიკვიდობაზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორები.

ა. ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება. საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების სტაბილურობა პირდაპირ მოქმედებს მთლიანად საბანკო სისტემის და, კერძოდ, კომერციული ბანკის როგორც მისი რგოლის სტაბილურობაზე. იგი დიდწილად განსაზღვრავს ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობის დონეს, აგრეთვე, საბანკო სისტემის „პოლიტიზების" დონეს. ამ სფეროებში არასტაბილურობის ნებისმიერი გამოვლინება მკვეთრად



ნახ. 15.3. კომერციული ბანკის ლიკვიდობაზე ზოგადი მაკროეკონომიკური ფაქტორები

ამწვავებს კომერციული ბანკების ლიკვიდობის პრობლემას.

ბ. სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და კონტროლის ეფექტიანობა. კომერციული ბანკები განიცდიან ფულად-საკრედიტო რეგულირების სახელმწიფოებრივი ზომების ზემოქმედების მთელ სპექტრს. ეს ვლინდება მთლიანად საბანკო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების დაწესებაში, აგრეთვე, შესასრულებლად სავალდებულო ნორმატივების დაწესებაში და მათი დარღვევისთვის სანქციების შემოღებაში. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ცენტრალური ბანკები კომერციული ბანკების გადახდისუნარიანობას არეგულირებენ მათ საქმიანობაზე შეზღუდვების დაწესების მეშვეობით. ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე უშუალო გავლენას შემდეგი მომენტები ახდენს:

– ცენტრალური ბანკის სარეკომენდაციო პოლიტიკა (რეფინანსირების განაკვეთების აწევა ცენტრალური ბანკის მიერ, სავალდებულო რეზერვირების ნორმებისა და საკუთარი კაპიტალის მინიმალური სიდიდის ნორმების ცვლილება, სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივების დაწესება პირდაპირ მოქმედებს ბანკების აქტიური და პასიური ოპერაციების სტრუქტურასა და ეფექტიანობაზე);

– სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკა (იმ გადასახადების დაწესება, რომელთა პირდაპირი და ირიბი გადამხდელია ბანკი, გავლენას ახდენს მის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე);

– ცენტრალური ბანკის ოპერაციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე და უცხოურ ვალუტაზე არსებითად მოქმედებს საპროცენტო განაკვეთებზე, ვალუტათა კურსებზე და ა.შ.


გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავების დონეს და ქმედითობას, დაწესებული ნორმატივების დასაბუთებულობას და დამრღვევ ბანკებზე ზემოქმედების ზომების ეფექტიანობას. სახელმწიფოებრიემა რეგულირებამ და კონტროლმა ლიკვიდობის საკმარისი დონის შენარჩუნების სტიმული უნდა მისცეს ბანკებს, რაც, თავის მხრივ, საბანკო სისტემისა და მთელი ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

გ. ფინანსური ბაზრის სეგმენტების ეფექტიანობა და განვითარება. ეს ფაქტორი განაპირობებს ფინანსური ბაზრის მონაწილეებსა და, კერძოდ, ბანკებს შორის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების გადანაწილების ხასიათს. მაგალითად, ბაზრის განვითარების მაღალი

დონე, ლიკვიდობის შესანარჩუნებლად, საჭირო სახსრების სწრაფად მოზიდვის საშუალებას აძლევს ბანკს, ხოლო ფასიანი ქაღალდების ბაზრის სტაბილური მდგომარეობა, საჭიროების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების სწრაფად რეალიზების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ეს ფაქტორი საგრძნობლად მოქმედებს აქტივების ლიკვიდობის დონეზე, რადგან აქტივების ლიკვიდობის აუცილებელი პირობაა მათი რეალიზაციის ჩამოყალიბებული ბაზარი.

დ. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მოპოვების შესაძლებლობა ელინდება მთავრობისა და ცენტრალური ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით, მაგალითად, ცენტრალური ბანკის რესურსებიდან სახელმწიფოს კრედიტის მიღების შესაძლებლობაში.

ახლა გადავიდეთ მიკროდონეზე მოქმედი (ე.ი. თვითონ ბანკის დონეზე მოქმედი) ფაქტორების განხილვაზე.



ნახ. 15.4. ბანკის ლიკვიდობაზე მოქმედი მიკროეკონომიკური ფაქტორები

1. **ბანკის საქმიანობის მართვის ხარისხი.** ბანკის ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების პროფესიონალიზმი და კვალიფიკაციის დონე განსაზღვრულ გავლენას ახდენს კომერციული ბანკის ლიკვიდობის მდგომარეობაზე. ბანკის ხელმძღვანელობა ასაბუთებს ლიკვიდობის უმჯობეს დონეს და უზრუნველყოფს ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებას. ბანკის ფუნქციონირების ხარისხზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მისი პერსონალის კვალიფიკაციაც. ეს წამყვანი ფაქტორია ბანკის ლიკვიდობის უზრუნველყოფაში.

2. **ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობა.** ბანკის კაპიტალობრივი ბაზის მნიშვნელოვანი ოდენობა დადებითად მოქმედებს მისი ლიკვიდობის დონეზე. საკუთარი კაპიტალი ამორტიზაციის როლს თამაშობს გაუთვალისწინებელ გარემოებათა წარმოშობის დროს. მათ შეუძლიათ გამოიწვიონ სახსრების გატანა და, როგორც შედეგი, ლიკვიდობის ან გადახდისუნარიანობის კრიზისი. ამ მაჩვენებელს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ბანკის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის. ამიტომ მის მინიმალურად დასაშვებ სიდიდეს კანონმდებლობა არეგულირებს (ცენტრალური ბანკების ინსტრუქციები, ბაზელის შეთანხმება).

3. ბანკის სარესურსო ბაზის ხარისხი და მდგრადობა. როგორც ცნობილია, სარესურსო ბაზა ბანკის აქტიური ოპერაციების განვითარების მოცულობისა და ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორია. მაშასადამე, მისი სტაბილურობა მოქმედებს ბანკის ფინანსურ მდგრადობასა და ლიკვიდობაზე. ბანკის პერსონალმა აუცილებლად მუდმივად უნდა აკონტროლოს ეს მაჩვენებლები, ჩაატაროს პასივების სტრუქტურული ანალიზი გარკვეული ვადით მოზიდული სახსრებისათვის ოპტიმალური მნიშვნელობების შენარჩუნების მიზნით, რადგან სწორედ ისინი ეხმარება ბანკს, შეინარჩუნოს ვადებისა და თანხების მიხედვით დაბალანსებულობა აქტივებსა და პასივებს შორის, ანუ ბანკის ლიკვიდობა.

4. ნასესხობის გარე წყაროებზე დამოკიდებულების დონე. რაც უფრო ძლიერადაა გამოხატული ბანკის ეს დამოკიდებულება, მით უფრო სერიოზული შეიძლება გამოდგეს პრობლემები დროებითი გადახდისუუნარობის წარმოქმნის შემთხვევაშიც კი. კრიზისულ სიტუაციაში სახსრების მცირე მოცულობით დაუბრუნებლობამაც კი გაკოტრების პირას შეიძლება მიიყვანოს ბანკები. ამ ფაქტორის მოქმედების ძალა პირდაპირაა დამოკიდებული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის მარაგზე, აგრეთვე, ბანკის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე.

5. აქტივებისა და პასივების დაბალანსებულობა თანხებისა და ვადების მიხედვით. ამ ფაქტორს ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, ბანკის ლიკვიდობისა და, საერთოდ, მისი ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების პროცესში. ამგვარად, დაბალანსებულობა პრაქტიკულად გამორიცხავს ბანკში ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის კრიზისის წარმოქმნის შესაძლებლობას, რადგან ბანკის ვალდებულებები არსებული რესურსებით იქნება უზრუნველყოფილი, ვადების მიხედვით აქტივებისა და პასივების შეთანხმებულობა კი აქტივების წამგებიანად რეალიზაციის გარეშე უზრუნველყოფს ვალდებულებათა თავისდროულად შესრულებას. რაც უფრო სრულია ეს შეთანხმებულობა, მით უფრო დაბალანსებულია ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა, უფრო მაღალია მისი ლიკვიდობა და მტკიცეა ფინანსური მდგომარეობა.

6. ბანკის აქტივების რისკიანობა აღნიშნავს პოტენციური დანაკარგების ალბათობას აქტივების რეალიზაციის დროს ან ბანკის მიერ დაბანდებული სახსრების დაუბრუნებლობის რიშიდა კონტროლის სამსახურის. აქტივების რისკიანობა მრავალ შიდა და გარე ფაქტორზეა დამოკიდებული. ესენია: ბანკის სტრატეგია სახსრების განთავსების დროს, მისი საკრედიტო პორტფელის ხარისხი და სტრუქტურა, ფასიან ქაღალდებში ინვესტირების აქტივობა, ჩატარებული ფინანსური ანალიზის ხარისხი, რეალური სექტორის მდგომარეობა, სახელმწიფო ფინანსური მდგომარეობა და ა.შ. მაგალითად, საკრედიტო რისკი, როგორც აქტიური ოპერაციების რისკის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, უაღრესად სერიოზული პრობლემაა არგადახდებისა და საერთო ეკონომიკური კრიზისის პირობებში.ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მსესხებელთა კრედიტუნარიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შეფასებას. მთლიანობაში, რაც უფრო მაღალია ბანკის აქტიური ოპერაციების რისკი, მით უფრო მეტია დანაკარგების წარმოქმნის ალბათობა ფულად სახსრებად აქტივების ტრანსფორმაციის დროს, ეს კი, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ბანკის ლიკვიდობაზე.

7. ბანკის აქტივების შემოსავლიანობა. ეს ფაქტორი სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებს ლიკვიდობაზე. ერთი მხრივ, რაც უფრო მეტია მომუშავე აქტივების ხვედრითი წილი ბანკის ბალანსში და რაც უფრო მაღალია მათი ეფექტიანობა და შემოსავლიანობა, მით უფრო მდგრადია ბანკის ფინანსური მდგომარეობა. მეორე მხრივ, შემოსავლიანობის ზრდა თითქმის ყოველთვის გადაჯაჭვულია რისკის გადიდებასთან, რაც ზრდის ლიკვიდობის მიმართ არსებულ მოთხოვნებს.

8. აქტივების სტრუქტურა და დივერსიფიკაცია. ლიკვიდობის მართვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ აქტივების სტრუქტურას. მაგალითად, კლიენტების საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურების განსახორციელებლად, მოთხოვნამდე ანგარიშე-

ბზე მოთავსებული სახსრების დასაბრუნებლად ბანკს უნდა ჰქონდეს მაღალლიკვიდური აქტივების გარკვეული მარაგი. მათი დაბალი ან ნულოვანი შემოსავლიანობის გათვალისწინებით ბანკმა ამ აქტივების ხვედრითი წილი ისეთ, შეძლებისდაგვარად მინიმალურ დონეზე უნდა შეინარჩუნოს, რაც საკმარისი იქნება ბანკის გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობისთვის.

აქტივების დივერსიფიკაცია, ე.ი. განსხვავებული მიმართულებებით მათი განთავსება, დადებით გავლენას ახდენს ლიკვიდობის დონეზე, რადგან ამ შემთხვევაში აქტივების მთლიანი რისკი კლებულობს. თუმცა, არც ზედმეტი დივერსიფიკაცია უნდა დავუშვათ – ამან შეიძლება გამოიწვიოს აქტივების პორტფელის უმართველობა, მათ მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო დანახარჯების მომატება, ამის შედეგად კი – ზარალი. აქტივების დივერსიფიკაციის დროს აუცილებლად უნდა ვითვალისწინებდეთ ისეთი ფაქტორის გაელენას, როგორიცაა ბანკის კლიენტებისა და პარტნიორი ბანკების ფინანსური მდგრადობა, რადგან ეს მნიშვნელოვანწილად მოქმედებს მოცემული ბანკის ფინანსური მდგომარეობის მდგრადობაზე, მისი განვითარების პერსპექტივებზე, ამით კი – მის საიმედოობასა და ლიკვიდობაზე. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ კრედიტების დაუბრუნებლობით ან ხელმოკლე კლიენტების საგარანტიო ვალდებულებებზე პასუხისგების აუცილებლობით გამოწვეული დანაკარგები, ბანკმა აუცილებლად უნდა ადევნოს თვალი კლიენტურის ფინანსურ მდგომარეობაში მიმდინარე ცვლილებებს, შეისწავლოს პოტენციური კლიენტების ფინანსური მდგომარეობა, ეცადოს, მიიღოს მაქსიმალურად სარწმუნო და ყოველმხრივი ინფორმაცია თავისი პარტნიორების შესახებ.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ ის ფაქტორები, რომლებიც ბანკის ლიკვიდობაზე მოქმედებენ. თუმცა, მარტო ისინი არ განსაზღვრავენ ბანკის ლიკვიდობას. კომერციული ბანკის ლიკვიდობა ეყრდნობა სამ კომპონენტს შორის ობიექტურად აუცილებელი თანაფარდობის მუდმივად დაცვას ოპერატიული მართვის მეშვეობით, კერძოდ, ერთი მხრივ, ბანკის საკუთარ კაპიტალსა და მოზიდულ სახსრებს შორის და, მეორე მხრივ, მასსა და განსხვავებულ სახსრებს შორის.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ბანკის ლიკვიდობაზე სხვა ფაქტორებიც მოქმედებს, მაგალითად, ბალანსგარეშე ოპერაციების მოცულობა, სტრუქტურა და შესრულების ვადები. ბალანსის მონაცემების საფუძველზე ლიკვიდობის შეფასების დროს ამ ფაქტორის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ბალანსგარეშე ოპერაციების გავლენა და ამით უფრო მეტი სარწმუნოებით განვსაზღვროთ ბანკის ფაქტობრივი მდგომარეობა. მართალია, ამ დროს მიღებული ანალიტიკური დასკვნები პროგნოზის ხასიათისაა, რადგან ყოველთვის შეიძლება არ დადგეს ბალანსის გარეთ არსებული ვალდებულებებისთვის პასუხისმგებლობა, მაგრამ ასეთ ანალიზს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს და შესაბამისი ვალდებულებების გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ბანკის ლიკვიდობის შემცირება ან მისი არალიკვიდობაც კი.

III ეტაპი. ბანკის აქტივებისა და პასივების ანალიზი. განმარტებიდან გამომდინარე, ბანკის ლიკვიდობა არის მისი უნარი, თავისდროულად შეასრულოს პასივებზე აღებული ვალდებულებები ფულადი ფორმით. მაშასადამე, ლიკვიდობას განსაზღვრავს ბალანსის აქტივებისა და პასივების დაბალანსება. ე.ი. განთავსებული აქტივებისა და მოზიდული პასივების თანხებისა და ვადების შესაბამისობის ხარისხი. ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად ბანკმა აუცილებლად უნდა ჩამოაყალიბოს ბალანსის ისეთი სტრუქტურა, რომლის დროსაც აქტივებს თავიანთი ღირებულების დაუკარგავად შეეძლებათ ფულად სახსრებად გარდაქმნა პასივების მოთხოვნისთანავე. ამგვარად, ბანკის აქტივებისა და პასივების ანალიზი მისი ლიკვიდობის ანალიზის განუყოფელი ნაწილია.

ერთმანეთისგან განასხვავებენ ბალანსის მონაცემების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ანალიზს.

ჰორიზონტალური ანალიზი აგებულია გარკვეული ჯგუფის აქტივებისა და პასივების ხვედრითი წილების დინამიკების განსაზღვრაზე. ამ მაჩვენებელს აანალიზებენ ბანკის ოპერაციების მთლიანი მოცულობის დინამიკის გათვალისწინებით და ამ მიზნით ასახავენ მოცემული ოპერა-

ციების ან აქტივებისა და პასივების ჯგუფების მოცულობათა ცვლილებას ბანკის საქმიანობაში.


ვერტიკალურ ანალიზს აგებენ აქტიურისა და პასიურის ცალკეული ჯგუფების ხვედრითი წილების განსაზღვრაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ინფორმაციას იძლევა სახსრების წყაროების ძირითად ჯგუფებზე პასიური ოპერაციების დროს და აქტივის სახსრების განთავსების ძირითად მიმართულებაზე.

ასეთი ანალიზის ჩატარებამდე აუცილებელია ბალანსის გაწმენდა განმეორებითი ანგარიშისაგან. ე.ი. ნეტო-ბალანსზე გადასვლა იმ მუხლების გამორიცხვით, რომლებიც ნომინალურად ზრდიან ბანკის აქტივებს (ა) და პასივებს (პ). მაგალითად, აუცილებელია გამოირიცხოს შემდეგი მუხლები: ცვეთა (პ), ზარალის (ა), მოგების გამოყენება (ა), ფილიალთაშორისი ანგარიშსწორება (ა ან პ).

პასივების სტრუქტურული ანალიზი. ბანკის პასიური ოპერაციები განსაზღვრულია მისი აქტიური ოპერაციების მიმართ. მათ ხარისხსა და ხასიათზეა დამოკიდებული აქტიური ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობა, მათი შესაძლებლობები და, მაშასადამე, ბანკის მომგებიანობა, ლიკვიდობა და სიმტკიცე.

არსებობს პასივების დაჯგუფების რამოდენიმე ხერხი. სტრუქტურულად აანალიზებენ ყველა ჯგუფს, რაც მდგომარეობს ნეტო-ბალანსში შესული ყოველი ჯგუფის ხვედრითი წილის განსაზღვრაში (ეს კი ფაქტობრივად ბანკის ოპერაციების მოცულობას მოგვცემს).

პასივების სტრუქტურულმა ანალიზმა უნდა დაადგინოს, თუ რა მოცულობით და რა ვადებში აგებს პასუხს ბანკი თავის ვალდებულებებზე, ამისათვის საჭიროა ანალიზის ჩატარება პასივების შემდეგი ძირითადი ჯგუფების მიხედვით (იხ. ნახ. 15.5).



ნახ. 15.5. სტრუქტურული ანალიზის დროს გამოყოფილი ჯგუფები

განვიხილოთ თითოეული ჯგუფის მახასიათებლები.

მოთხოვნამდე ვალდებულებები ყველაზე უფრო იაფი ვალდებულებებია ბანკის მიერ მოზიდულ სახსრებს შორის. ამასთან, პასივებში მათი ხვედრითი წილის განსაზღვრის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მათი ძირითადი უარყოფითი ნიშან-თვისება ბანკისათვის — არასტაბილურობა, ე.ი. ის, რომ ეს რესურსები ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაიცეს კლიენტის მოთხოვნის თანახმად. მოთხოვნამდე ვალდებულებებს ეკუთვნის: მოთხოვნამდე დეპოზიტები, სახსრების ნაშთები კლიენტების მიმდინარე და ანგარიშსწორების ანგარიშებზე, ბანკის მიერ დეპონირებული

სახსრები ჩეკებით და პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორებისათვის.

როგორც დასახელებიდან ჩანს, ვადიან ვალდებულებებს ეკუთვნის გარკვეული ვადით მოზიდული სახსრები. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ვადიანი დეპოზიტები და იურიდიული და ფიზიკური პირებისგან კონკრეტული ვადით მოზიდული სახსრები, ბანკთაშორისი სესხები, აგრეთვე, დეპოზიტური და შემნახველი სერტიფიკატების გამოშვებიდან შემოსული სახსრები. ამგვარად, ამ ჯგუფში შედის ის ანგარიშები, რომლებზეც ბანკისათვის ყველაზე ძვირი რესურსებია მოზიდული, თუმცა, სხვა ჯგუფის პასივების მიმართ ისინი უფრო მყარია. მაშასადამე, ამ ჯგუფის დიდი ხვედრითი წილის დროს, ერთი მხრივ, ძვირდება ბანკის სარესურსო ბაზა, ხოლო, მეორე მხრივ, მაღლდება ახალ ვალდებულებათა წარმოქმნის განჭვრეტადობა, რაც აადვილებს ლიკვიდობის შენარჩუნების ამოცანას.

ბანკის საკუთარი სახსრებია (კაპიტალია): საწესდებო კაპიტალი, სარეზერვო ფონდი, სპეციალური დანიშნულების ფონდები, დაგროვების ფონდი, დამატებული კაპიტალი, აგრეთვე, ბანკის მოგება. საკუთარი კაპიტალი კლიენტების წინაშე ბანკის ვალდებულებების შესრულების გარანტიაა, აგრეთვე, იმ სახსრების რეზერვია, რომლებიც ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შენარჩუნების საშუალებას უქმნის ბანკს ოპერაციებზე ზარალის წარმოქმნის შემთხვევაში. ამგვარად, საკუთარი კაპიტალის სიდიდე განსაზღვრავს ბანკის, როგორც საიმედოობასა და მდგრადობას, ისე მის ლიკვიდობასაც. ამიტომ ბანკის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ზომა სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების ობიექტია.

ბანკის პასივების სტრუქტურის ანალიზი საერთო წარმოდგენას გვაძლევს სარესურსო ბაზაზე, ასახავს მის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებს. მაგრამ ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და მისი ლიკვიდობის შესაფასებლად, პასივების ანალიზის გარდა, აუცილებელია რესურსების განთავსების ძირითადი მიმართულებების შეფასებაც მოვახდინოთ, ე.ი. განვახორციელოთ აქტივების სტრუქტურული ანალიზი. პასივებისა და აქტივების სტრუქტურული ანალიზის დროს მიღებული მონაცემების ერთმანეთთან შედარება საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ რესურსების ძირითად წყაროებსა და მათი განთავსების მიმართულებებს შორის კავშირი, გამოვაელინოთ ბანკის აქტიურ-პასიურ პოლიტიკაში არსებული ან მოსალოდნელი დისბალანსი, დავსახოთ კრიტიკული შედეგების თავიდან აცილების ღონისძიებები ბანკის გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის, საბოლოოდ კი — მისი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

გადავიდეთ ბანკის აქტივების სტრუქტურულ ანალიზზე.

აქტივების სტრუქტურული ანალიზი. იმისათვის, რომ ბანკს ყოველდღე შეეძლოს პასუხი აგოს თავის ვალდებულებებზე, მისი აქტივების სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს ლიკვიდობის ხარისხობრივ მოთხოვნებს. ამ მიზნით ბანკის მთელ აქტივებს ყოფენ ჯგუფებად ლიკვიდობის დონის მიხედვით, შემდეგ კი განსაზღვრავენ თითოეული მათგანის ხვედრით წილს, რაც იძლევა აქტივების ლიკვიდობის დონის შეფასებას.

ლიკვიდობის დონის მიხედვით აქტივებს ასე აჯგუფებენ:

1. მაღალლიკვიდური აქტივები. 2. ლიკვიდური სესხები. 3. ხანგრძლივი ლიკვიდობის აქტივები. 4. ბანკის ყველაზე ნაკლებად ლიკვიდური ან არალიკვიდური აქტივები. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. მაღალლიკვიდურ აქტივებს განეკუთვნება: მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივი მზადყოფნის მდგომარეობაში მყოფი სახსრები, კერძოდ კი — ფულადი და მასთან გათანაბრებული სახსრები, მათ შორის — ნაღდი ვალუტა და საგადასახდელო დოკუმენტები, აგრეთვე ძვირფასი ლითონები;

— იმ საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული სახსრები, რომლებიც ცენტრალურ ბანკებსა და „განვითარებულთა ჯგუფის" წევრი ქვეყნების რეზიდენტ ბანკებშია გახსნილი;

— იმ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელებული დაბანდებები, რომლებიც ვალდე-

ბულებებით არაა დატვირთული;

– ცენტრალურ ბანკში მოთავსებული დეპოზიტები;

– სხვადასხვა მსესხებლებზე მოთხოვნამდე გაცემული სახსრები.

თუ ფულადი სახსრები და საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული თანხები მაშინვე შეგვიძლია გამოვიყენოთ გადახდების შესასრულებლად ან დავალიანების დასაფარავად, ფასიან ქაღალდებში დაბანდებული სახსრები და განთავსებული სესხები წინასწარ უნდა გარდაიახოს ფულად სახსრებად, რაც, ჯერ ერთი, დროს მოითხოვს, მეორეც, ამას შესაძლოა დანაკარგებიც მოჰყვეს.

2. ლიკვიდური სახსრები – ისეთი სახსრებია, რომლებიც ბანკის განკარგულებაშია და საკმაოდ სწრაფად შეუძლიათ ფულად სახსრებად გადაქცევა:

– სახსრები კორესპონდენტი ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე, იმ არარეზიდენტი ქვეყნების ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე, რომლებიც არ შედის „განვითარებულთა ჯგუფში“. თაყისუფლად კონვერტირებადი და შეზღუდული კონვერციის მქონე ვალუტების ფორმით არსებული სახსრები;

– კრედიტები და ბანკის სასარგებლოდ განხორციელებული სხვა გადასახდელები (მაგალითად, ფაქტორინგული ოპერაციებისთვის), რომელთაც უახლოეს 30 დღეში აქვს შესრულების ვადა;

– 30 დღემდე ვადით გაცემული ბანკთაშორისი კრედიტები;

– არასახელმწიფო ემიტენტების ისეთ ფასიან ქაღალდებში შესრულებული დაბანდებები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების მეორეულ ბაზარზე მიმოიქცევა.

3. გრძელვადიანი ლიკვიდობის აქტივები, მაგალითად:

– ბანკის მიერ გაცემული გრძელვადიანი კრედიტები;

– ბანკის ლიზინგური ოპერაციები;

– წილობრივი მონაწილეობა სხვა საწარმოებისა და ბანკების საქმიანობაში;

– საინვესტიციო მიზნებით შეძენილი ფასიანი ქაღალდები;

– არამატერიალური აქტივები.

4. ყველაზე ნაკლებად ლიკვიდური ან არალიკვიდური აქტივები:

– ვადაგადაცილებული და უიმედო (პრობლემური) ვალები;

– კაპიტალური დაბანდებები;


– ბანკის საკუთარი და ძირითადი ფონდების კუთვნილი შენობები, ნაგებობები და მოწყობილობა.

აქტივების სტრუქტურა შესაძლოა იცვლებოდეს პასივების სტრუქტურის ცვალებადობაზე დამოკიდებულებით ე.ი. იმ ვალდებულებების ცვალებადობიდან გამომდინარე, რომლებიც მათ უნდა უზრუნველყონ. ამრიგად, აქტივების რაციონალური სტრუქტურის დადგენის დროს ბანკი უნდა ასრულებდეს ლიკვიდობის მოთხოვნებს და, მაშასადამე, ჰქონდეს მაღალლიკვიდური, ლიკვიდური და დაბალლიკვიდური სახსრების ოპტიმალური ზომა ვალდებულებების მიმართ, მათი ვადების, თანხებისა და ტიპების გათვალისწინებით.

საზღვარგარეთის პრაქტიკაში ბანკის ლიკვიდობის მთლიან რეზერვს პირველად და მეორად რეზერვებად ყოფენ. პირველადი რეზერვი ბანკის ლიკვიდობის ძირითადი წყაროა და იმ აქტივებს ძოიცავს, რომლებიც მოქცეულია მუხლში „ნაღდი ფული და სხვა ბანკების დავალიანება“. ფულადი სესხები, ჩეკები და ინკარისირების პროცესში გამოყენებული სხვა დოკუმენტები. სავალდებულო რეზერვების ანგარიშებზე და სხვა ბანკებში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული სახსრები. ლიკვიდობის მეორადი რეზერვი აუცილებელია პირველადი რეზერვის შესავსებად, მას ეკუთვნის პირველ ჯგუფთან შედარებით ნაკლებად ლიკვიდური აქტივები, რომლებიც აგრეთვე შეიძლება გარდაიახოს ნაღდ ფულად მინიმალურ ვადებში, მინიმალური რისკებით. კერძოდ კი, სამთავრობო ფასიანი ქაღალდების პორტფელი და ზოგ

შემთხვევაში — სასესხო ანგარიშებზე არსებული სახსრები.

ლიკვიდობის ანალიზის მიზნით მიზანშეწონილია აქტივების დალაგება და გადაჯგუფება ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები (ნახ. 15.6).



ნახ. 15.6. სტრუქტურული ანალიზის დროს გამოყოფილი აქტივების ჯგუფები

განვიხილოთ თითოეული გამოყოფილი ჯგუფი:

ყველაზე ლიკვიდური აქტივები — იმ აქტივების ჯგუფია, რომელთა წილი ბანკმა საკმარის დონეზე უნდა შეინარჩუნოს ოპერაციების უწყვეტად განხორციელებისათვის. ამ დროს უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ მაღალი ლიკვიდობის მიღწევა ეწინააღმდეგება უფრო მაღალი მომგებიანობის მიღწევას. ამგვარად, ლიკვიდობის შენარჩუნების მხრივ, კომერციული ბანკის ყველაზე რაციონალური პოლიტიკა ლიკვიდობისა და მომგებიანობის ოპტიმალურად შეხამების მიღწევაში მდგომარეობს. ამიტომ ბანკის ლიკვიდობისა და მომგებიანობის ანალიზი კომპლექსურად უნდა ხდებოდეს.

გაცემული სახსრები — ეს ჯგუფი მთლიანობაში ყველაზე მსხვილი ჯგუფია აქტივების სხვა დანარჩენ ჯგუფებს შორის, რადგან საკრედიტო ოპერაციები წამყვანი საკრედიტო ოპერაციებია და სწორედ მათგან იღებს ბანკი თავის ძირითად შემოსავალს. თუმცა, ამ ჯგუფში მოქცეული აქტივების მრავალგვარობას თუ გავითვალისწინებთ, მათი ლიკვიდობის ანალიზი უნდა ჩატარდეს ჯგუფის თითოეული სტრუქტურული ნაწილის ცალ-ცალკე განხილვით.

1. ბანკის მიერ გაცემული კრედიტები და სხვა სახსრები. აქტივების ეს ჯგუფი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოცულობისაა. ამიტომ აუცილებელია ჩავატაროთ მისი სარისხის ანალიზი. ლიკვიდობის ანალიზის დროს მიზანშეწონილია გაცემული კრედიტების დაყოფა მათი დაფარვის ვადების მიხედვით, თანაც ეს აღრიცხვა უნდა მოვახდინოთ „რეალური დროის რეჟიმში", ე.ი. თვალი ვადევნოთ კრედიტის დაბრუნების საგეგმო ვადის მოახლოებას. გარკვეულ ინტერესს იწვევს, აგრეთვე, აქტივების ჯგუფის დაყოფა მსესხებელთა კატეგორიების მიხედვით. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, ჯერ ერთი, გამოვაელინოთ ბანკის ძირითად კლიენტთა წრე და ბაზრის ის სეგმენტი, რომელზეც იგი მუშაობს. სოლო, მეორე, განვსაზღვროთ გაცემული

კრედიტების ხარისხობრივი მახასიათებლები და ბანკის საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაცია.

2. ქვეჯგუფი, რომელშიც კომერციული ბანკების მიერ სახსრების განთავსების ერთ-ერთი სახეა დეპოზიტების განთავსება ცენტრალურ ბანკსა და საკრედიტო ორგანიზაციაში. ამ ქვეჯგუფშიც აუცილებელია სტრუქტურირების განხორციელება სახსრების დაბრუნების ვადების მიხედვით.

3. გაცემულ სახსრებს შორის ცალკე ჯგუფად შეგვიძლია გამოვყოთ ბანკის მიერ განაღდებული თამასუქები. განაღდებული კრედიტი დაკრედიტების განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც განეითარების თანამედროვე ეტაპზე უკავშირდება გაზრდილ რისკს. ამ ქვეჯგუფის შიგნით მიზანშეწონილია მოვახდინოთ დაყოფა თამასუქების სახეების მიხედვით ემიტენტზე დამოკიდებულებით, აგრეთვე დაფარვამდე დარჩენილი ვადების მიხედვით.

4. გაცემული სახსრების ჯგუფში შეგვიძლია მოვათავსოთ ბანკის სასარგებლოდ შეუსრულებელი ზოგიერთი სახის გადახდები, მაგალითად, ლიზინგის გადასახდელები, რომლებიც რეგულარულად შემოდის სანგძლივი დროის მანძილზე. ამ სახსრების გამოყენება ასევე შეიძლება ბანკის ვალდებულებების საპასუხოდ.

ვადების მიხედვით ბანკის განთავსებული სახსრების დაყოფის მიზანია პასივებთან მათი შესაბამისობის განსაზღვრა. ამიტომ ვადების მიხედვით აქტივების დაყოფა უნდა ხდებოდეს ვადების მიხედვით პასივების დაყოფის მსგავსად, ე.ი. აუცილებელია გამოვყოთ მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი საკრედიტო დაბანდებები.

დაბანდებები ფასიან ქაღალდებში – ამ ჯგუფს ეკუთვნის ბანკის მიერ არასაბელმწიფო ემიტენტების ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციები. ლიკვიდობის ანალიზისათვის აუცილებელია მოვახდინოთ ამ ჯგუფის შემდეგნაირად კლასიფიცირება:

1) საინვესტიციო მიზნებით შეძენილი ფასიანი ქაღალდები (შვილობილი და დამოკიდებული სააქციო საზოგადოებების აქციები და პაიები). საინვესტიციო დაბანდებების თავისებურებაა მათი გრძელვადიანი ხასიათი და დაბალი ლიკვიდობა. ამგვარად, ეს ჯგუფი არსებითად შეგვიძლია გრძელვადიან დაბანდებებს მივაკუთნოთ;

2) გაყიდვის მიზნით შეძენილი ფასიანი ქაღალდები. ამ ქვეჯგუფს ეკუთვნის მოკლევადიანი დაბანდებები იმ ლიკვიდურ ფასიან ქაღალდებში, რომელთა გაყიდვაც შესაძლებელია აუცილებლობის შემთხვევაში და ამიტომ ისინი ბანკის ვალდებულებათა დაფარვის დამატებით წყაროდ გვევლინება.

ლიკვიდობის შესანარჩუნებლად ბანკს თავის პორტფელში მუდმივად უნდა ჰქონდეს მაღალი ლიკვიდობის მქონე ისეთი ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების მეორეულ და არასაბირჟო ბაზრებზე მიმოიქცევა და ამით ბანკის ლიკვიდური სახსრების მეორად რეზერვს ქმნის. ასეთ შესაძლებლობას იძლევა ე.წ. „ცისფერი ჩიპები“, ანუ მსხვილი საიმედო ემიტენტების აქციები.

გრძელვადიანი დაბანდებები – აქტივების ამ ჯგუფს ეკუთვნის სხვადასხვა სახის ისეთი დაბანდებები, როგორიცაა დაბანდებები ბანკის ქონებაში, არამატერიალური აქტივები, კაპიტალური დაბანდებები, აგრეთვე ზოგიერთი სხვა სახის გრძელვადიანი დაკრედიტება (მაგალითად, ლიზინგი).

ამ ჯგუფის თავისებურებაა მასში შემავალი აქტივების დაბალი ლიკვიდობა, აგრეთვე უმრავლეს აქტივებზე შემოსავლის უქონლობა. ბაზარზე ხანგრძლივად მომუშავე ბანკისთვის ეფექტიანად ფუნქციონირებისა და ლიკვიდობის კრიზისის თავიდან აცილების საწინდარია იმ აქტივების ნაწილში გრძელვადიანი დაბანდებების მინიმალური ხვედრითი წილი, რომლებსაც შემოსავალი არ მოაქვთ და ლიკვიდური არ არიან. მაგრამ ამ წილის სიდიდე საკმარისი უნდა იყოს ბანკის ნორმალური საქმიანობის შესანარჩუნებლად. ამ ჯგუფში ლიკვიდობის შენარჩუნების პრობლემის

კიდევ ერთი ასპექტია ბანკის გრძელვადიანი დაბანდებების ფორმირების წყაროების გამოკვლევა. ეს იმისთვის უნდა ჩატარდეს, რომ არ მოხდეს მოკლევადიანი რესურსების მეტისმეტი ტრანსფორმირება გრძელვადიან დაბანდებებად (როგორც ცნობილია, გრძელვადიან ინვესტიციებზე ეკონომიკის მოთხოვნებთან მოკლე ვადით მოზიდული რესურსების შეუსაბამობა ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მწვავე პრობლემაა). ამგვარი ჭარბი ტრანსფორმაცია ბანკების ლიკვიდობის კრიზისის ერთ-ერთი მიზანია, რადგან გრძელვადიანი დაბანდებები არ იძლევა ხანმოკლე პერიოდებში გაჩენილი ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას, ლიკვიდურ აქტივებად მათი ტრანსფორმირება კი ან ძლიერ გაძნელებულია, ან ამას დიდი სარჯები ახლავს თან.

სხვა აქტივები — ამ ჯგუფს ეკუთვნის ის აქტივები, რომლებიც უკვე დასახელებულ ჯგუფებში არ შევიდა და ლიკვიდური არ არის: ვადაგადაცილებული კრედიტები და მათზე დარიცხული პროცენტები, უიმედო (პრობლემური) ვალები (მაგალითად, მრავალგზის პროლონგირებული კრედიტები), დებიტორებთან ანგარიშსწორება. ამ ჯგუფის შინაარსიდან გამომდინარე, ბანკი თავის აქტივებში მისი მინიმიზებისკენ უნდა ისწრაფოდეს.

აქტივებისა და პასივების სტრუქტურული ანალიზი ფინანსურ ანალიტიკოსს ინფორმაციას აძლევს ლიკვიდობის ანალიზისათვის, თუმცა, უფრო სრული სურათის მისაღებად მაჩვენებლების (ლიკვიდობის კოეფიციენტების) გაანგარიშების მეთოდს იყენებენ.

IV ეტაპი. ლიკვიდობის კოეფიციენტის გაანგარიშება და ანალიზი. ანალიზის ამ ეტაპზე მიღებული მონაცემები უნდა გავითვალისწინოთ, როგორც ლიკვიდობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით გრძელვადიანი რეკომენდაციების შედგენისას, ისე ბანკის საქმიანობის გლობალური სტრატეგიის შემუშავების დროსაც.

კოეფიციენტების ანალიზი ბანკის საქმიანობის რაოდენობრივი ანალიზის სახესხვაობაა და მის გამოყენებას ლიკვიდობის ანალიზში უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდი საშუალებას გვაძლევს გამოვაელინოთ რაოდენობრივი ურთიერთკავშირი ბალანსის ამა თუ იმ მუხლებს, განყოფილებებსა და ჯგუფებს შორის. ამის შესაბამისად პარალელურად უნდა ვიყენებდეთ დაჯგუფებისა და შედარების მეთოდებსაც. ანალიზის მსელელობისას იყენებენ ბალანსის ანგარიშების დაჯგუფების, ბანკის საკუთარი და მოზიდული რესურსების გრძელვადიან და მოკლევადიან საკრედიტო დაბანდებებს, აქტიურ-პასიური ოპერაციების ვადებს, შემოსავლების ხარჯებისა და ზარალის სახეობათა გამოყოფის გზით. მუხლების დაჯგუფება შეიძლება ლიკვიდობის ხარისხის საბანკო ოპერაციების ეკონომიკური შინაარსის, შემოსავლიანობის (აქტივი), დონის და ხარჯების (პასივი) მიხედვითაც. შედარების მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ მუხლების მიხედვით დინამიკური ცვლილებებისა და გადახრების მიზეზები და ბანკის ლიკვიდობასა და მისი ობლიგაციების მომგებიანობაზე მათი გავლენის ზომა, აგრეთვე გამოვაელინოთ ლიკვიდობისა და მომგებიანობის გადიდების რეზერვები.

კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდის გამოყენებით განსაზღვრავენ კონკრეტული მუხლის ხვედრით წილს (აქტივისა და პასივის მთლიან მოცულობაში. ბალანსის აქტიურ ანგარიშებს უდარებენ პასივის ანალოგიურ ანგარიშებს, რომლებიც დაჯგუფებულია ან ერთიანი ვადების, ან ოპერაციების სახეობების მიხედვით).

ამგვარად, ლიკვიდობის ანალიზის დროს კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ მიღებულ მაჩვენებელთა და დაწესებულ მაჩვენებელთან მათი შესაბამისობის კონტროლის საფუძველზე, ფინანსურმა ანალიტიკოსმა შესძლოს რაოდენობრივად შეაფასოს ლიკვიდობის არსებული დონე, და განსაზღვროს ლიკვიდურ სახსრებზე ბანკის მოთხოვნის ცვლილება, ე.ი. მისი ლიკვიდური აქტივების ის სიდიდე, რომელიც მეტი უნდა იყოს მოცემულ მომენტში და მომავალში პროგნოზირებადი და არაპროგნოზირებადი მოთხოვნების ჯამზე.

კოეფიციენტებს, რომლებსაც ბანკში ანგარიშობენ ფინანსური ანალიზის პროცესში, ძირითადად ორ ჯგუფად ყოფენ: 1) ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული ნორმატივები, რომელიც სავალდებულოა ყველა ბანკისათვის და 2) შემფასებელი კოეფიციენტები, რომლებსაც შეიძლება ამუშავებდნენ ბანკების ანალიტიკური სამსახურები, ან ის სპეციალური კომპანიები, რომლებიც კომერციული ბანკების ფინანსური ანალიზის საკითხზე მუშაობენ, შემფასებელი კოეფიციენტების მნიშვნელობების დაცვა სავალდებულო არ არის. მათი გაანგარიშება უზრუნველყოფს ხარისხობრივად უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას ლიკვიდობასთან დაკავშირებით.

კოეფიციენტებს გარკვეული პერიოდულობით ანგარიშობენ. ეს ლიკვიდობის მართვის ძირითადი პირობაა, როგორც თვით კომერციული ბანკის მხრიდან, ისე მისი საქმიანობის გარე ანალიზისა და კონტროლის განხორციელებისთვისაც.

ცენტრალური ბანკი ავალდებულებს, იანგარიშონ და დაიცვან ლიკვიდობის შემდეგი სავალდებულო ნორმატივები:

1. მყისიერი ლიკვიდობის ნორმატივი H1;
2. მიმდინარე ლიკვიდობის ნორმატივი H3;
3. გრძელვადიანი ლიკვიდობის ნორმატივი H4;
4. საერთო ლიკვიდობის ნორმატივი H5;
5. ფასიან ქაღალდებზე წარმოებული ოპერაციების ლიკვიდობის ნორმატივი H14.

განვიხილოთ ამ კოეფიციენტების არსი და გაანგარიშების წესი:

პირველი სამი კოეფიციენტი ახასიათებს ბანკის ლიკვიდობას ვალდებულებათა დაფარვის დროის გათვალისწინებით, ე.ი. მათი მეშვეობით აკონტროლებენ ბანკის ლიკვიდობას იმ რეალური თუ პოტენციური ვალდებულებების მიხედვით, რომლებიც წარმოიქმნება ყოველ ცალკეულ მომენტში (H2), ერთი თვის (H3) ან 1 წელზე მეტი ვადის (H4) განმავლობაში. ამგვარად, ლიკვიდობის უფრო ხარისხიანად და ობიექტურად კონტროლისა და ანალიზისათვის იყენებენ ლიკვიდობის კოეფიციენტის დეტალიზაციის მეთოდს, დროის ფაქტორის გათვალისწინებით.

მყისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტი H2 განისაზღვრება, როგორც ბანკის მაღალლიკვიდური აქტივების თანხის შეფარდება ბანკის იმ ვალდებულებების თანხასთან, რომლებიც განპირობებულია მოთხოვნამდე ანგარიშებით.

ამ ნორმატივის მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობა დადგენილია 20%-ის დონეზე, ე.ი. ბანკს თავისდროულად და სრულად უნდა შეეძლოს პასუხი აგოს მოთხოვნამდე ვალდებულებების არანაკლებ 1/5-ზე. ამისთვის ბანკმა თავის ბალანსზე უნდა შეინახოს საკმარისი რაოდენობის მაღალლიკვიდური აქტივები, ოღონდ ზედმეტი არა, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს მომუშავე აქტივების ხვედრითი წილის შემცირება და ამით – შემოსავლიანობის დონის დაწევა.

განვიხილოთ მყისიერი ლიკვიდობის საანგარიშო ფორმულა:

$$H2 \quad \frac{\text{მაღალლიკვიდური აქტივები}}{\text{მოთხოვნამდე ვალდებულებები}} \quad X100\%$$

წილადის მრიცხველში შედის მაღალლიკვიდური აქტივების შემდეგი ჯგუფები:

1) ფულადი და მასთან გათანაბრებული სახსრები;

2) ცენტრალურ ბანკსა და საკრედიტო ორგანიზაციებში, მათ შორის – არარეზიდენტ ბანკებში, საკორესპონდენტო ანგარიშებზე (ნოსტრო-ანგარიშებზე) რიცხული სახსრები, რომლებიც შემცირებულია დაპატიმრებული თანხებით;

3) ვალდებულებებით დაუტვირთავ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელებული

დაბანდებები (ცენტრალური ბანკის ვალდებულებები, სასელმწიფო სავალო ვალდებულებები, საშინაო და საგარეო სავალუტო სესხების ობლიგაციები);

4) ცენტრალურ ბანკსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში, მათ შორის – არარეზიდენტ ბანკებში განთავსებული სახსრები;

5) მოთხოვნამდე განთავსებული სახსრები.

წილადის მნიშვნელს შეადგენს შემდეგი პასიები:

1) კორესპონდენტი ბანკების (არარეზიდენტების ჩათვლით) საკორესპონდენტო ანგარიშები, მათ შორის – ძვირფას ლითონებში (ლორო-ანგარიშები);

2) სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ფონდების, კომერციული და არაკომერციული საწარმოების ანგარიშებზე არსებული სახსრები;

3) ანგარიშსწორებები ცალკეულ ოპერაციებზე (სავალუტო და საფონდო ბირჟებთან, უცხოური ვალუტის მყიდველ და გამყიდველ კლიენტებთან, ეადიან ოპერაციებზე და კონვერსიულ გარიგებებზე მომუშავე კლიენტებთან);

4) ბანკებიდან, მათ შორის – არარეზიდენტი ბანკებიდან – პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორებისათვისმოზიდული დეპოზიტები და სახსრები;

5) სხვადასხვა სუბიექტებისგან მოზიდული დეპოზიტები, აგრეთვე პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორებისათვის გადადებული სახსრები;

6) ვადაგადაცილებული დაკალიანება ბანკთაშორის სესხებზე და მათ პროცენტებზე;

7) მოთხოვნამდე გამოშვებული თამასუქების თანხები;

8) ანგარიშსწორება კრედიტორებთან.

ამგვარად, მრიცხველისა და მნიშვნელის კომპონენტების განხილვით ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ ამ ნორმატიეის მნიშვნელობაზე პირდაპირ და ირიბად მოქმედი ფაქტორებია, შესაბამისად, ბალანსში დაგროვილი ლიკვიდური აქტივების თანხა და მოთხოვნამდე ბანკის ვალდებულებათა ჯამი. ლიკვიდური აქტივების დონის უცვლელობის შემთხვევაში, მოთხოვნამდე ვალდებულებების გადიდება გააუარესებს ლიკვიდობის მდგომარეობას, ანუ დასწევს H2-ის მნიშვნელობას. პირიქით, ვალდებულებათა უმნიშვნელოდ შეცვლის პირობებში მაღალლიკვიდური აქტივების თანხის მომატება ასწევს მყისიერი ლიკვიდობის დონეს და გაზრდის H2-ის მნიშვნელობას.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომეტებული ლიკვიდობა უარყოფითად მოქმედებს ოპერაციების შემოსავლიანობაზე. მაშასადამე, იმ ბანკებმა, რომლებიც აქტიურად ეწევიან საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურებას (ე.ი. აქვთ ანგარიშებზე მოთხოვნამდე ვალდებულებათა დიდი ხვედრითი წილი ან მოთხოვნამდე დეპოზიტების მნიშვნელოვანი მოცულობები), ლიკვიდური აქტივების იმდენად მაღალი დონეც უნდა შეინარჩუნონ, რაც საკმარისი იქნება გადახდების შესრულებისათვის და ანაბრების გასაცემად, კლიენტების მოთხოვნის შესაბამისად. მაღალლიკვიდური აქტივების ჭარბი რაოდენობის გამო მოგების ვერ მიღების უარყოფითი შედეგების მინიმიზაციისათვის ბანკები თვალს ადევნებენ და პროგნოზს უკეთებენ ანგარიშებზე სახსრების შემოსავლისა და გატანის დინამიკას და ამ გზით განსაზღვრავენ ანგარიშებზე საშუალო და სტაბილური ნაშთების ზომას. ამის შემდეგ ისინი ადგენენ მოსალოდნელი ოპერაციების ჩასატარებლად საჭირო ლიკვიდური სახსრების საკალდებულო რეზერვს. მყისიერი ლიკვიდობის შენარჩუნების მეორე მეთოდია დამატებითი სახსრების მოზიდვა გარე წყაროებიდან, მაგალითად, ბანკთაშორისი კრედიტების – „overnight". თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს სახსრები არ მონაწილეობს ნორმატივების გაანგარიშებაში.

მყისიერი ლიკვიდობის მდგომარეობის ცვლილების ტენდენციის განსაზღვრისათვის ნორმატივის მნიშვნელობას უნდა ვაკვირდებოდეთ დინამიკაში და ვაანალიზებდეთ საბაზო პერიოდებთან შედარებით მის შეცვლას.

საკონტროლო მნიშვნელობებიდან მყისიერი ლიკვიდობის მაჩვენებლის შესაძლო გადახრების დროს ბანკს შეუძლია გაიუმჯობესოს მყისიერი ლიკვიდობა, თუკი, კერძოდ, იგი შემდეგ ღონისძიებებს გაატარებს:

– მოთხოვნამდე ვალდებულებების ზრდასთან შედარებით უფრო სწრაფად გაზრდის მაღალლიკვიდური აქტივების დონეს;

– დამატებით სახსრებს მოიზიდავს დაფინანსების გარე წყაროებიდან;

– თვისებრივად შეცვლის ბანკის ვალდებულებათა სტრუქტურას. მაგალითად, აკონტროლებს ანგარიშებზე საშუალო ნაშთებს და აქტიურად მუშაობს კლიენტებთან მიმდინარე და ანგარიშსწორების ანგარიშების ნაწილის გადასაფორმებლად მოკლევადიან პასივებად (დეპოზიტები, დეპოზიტური და სამშენახველო სერტიფიკატები და სხვა), რითაც შესაძლებელია ბანკის ბალანსში მერყეევი პასივების ხვედრითი წილის შემცირება.

მიმდინარე ლიკვიდობის ნორმატივს Н3-ს განსაზღვრავენ ბანკის ლიკვიდური აქტივების ჯამის შეფარდებით მოთხოვნამდე და 30 დღემდე ვადის მქონე ანგარიშებზე ბანკის ვალდებულებათა ჯამთან. ეს ნორმატივი ახასიათებს ბანკის ლიკვიდობას მოკლევადიან პერიოდში. ამიტომ მისი გაანგარიშების სქემა ასეთია: Н2 ნორმატივის მრიცხველს უმატებენ 30 დღემდე ვადის მქონე აქტივებს, მნიშვნელს კი – 30 დღემდე ვადის მქონე ვალდებულებებს.

ამ კოეფიციენტის გაანგარიშების ფორმულა ასეთია:

$$Н3 = \frac{\text{ლიკვიდური აქტივები}}{\text{მოთხოვნამდე და 30 დღემდე ვადის მქონე ვალდებულებები}} \times 100\%$$

მიმდინარე ლიკვიდობის ნორმატივის Н3-ის გასაანგარიშებლად Н2 კოეფიციენტის მრიცხველს უნდა დავუმატოთ ისეთი ლიკვიდური აქტივები, როგორიცაა:

1) საკრედიტო ორგანიზაციებში, მათ შორის – არარეზიდენტ ბანკებში, 30 დღემდე ვადით განთავსებული კრედიტები და დეპოზიტები;

2) სხვადასხვა სუბიექტისთვის 30 დღემდე ვადით მიცემული კრედიტი;

3) მოთხოვნამდე ან 30 დღემდე დაფარეის ვადის მქონე განაღდებული თამასუქები;

4) ბანკის მიმართ ანალოგიური დავალიანება, რომელსაც დაფარვამდე 30 დღეზე ნაკლები ვადა აქვს დარჩენილი და რომელსაც მეორე რიგის ანგარიშებზე აღრიცხავენ დაფარვის 30 დღეზე მეტი ვადის მქონე ჯგუფებში.

კოეფიციენტის მნიშვნელში მოთხოვნამდე ვალდებულების გარდა შედის შემდეგი სახის ვადიანი პასივები:

1) საკრედიტო ორგანიზაციებისგან, მათ შორის – არარეზიდენტი ბანკებისგან, 30 დღემდე ვადით მიღებული კრედიტი და დეპოზიტები;

2) სხვადასხვა სუბიექტებისგან 30 დღემდე ვადით მოზიდული დეპოზიტები;

3) ბანკის მიერ 30 დღემდე დაფარვის ვადით გამოშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული სახსრები;

4) ბანკის ანალოგიური დავალიანება, რომელსაც დაფარვამდე 30 დღეზე ნაკლები აქვს დარჩენილი და რომელიც აღირიცხება მეორე რიგის ანგარიშებზე 30 დღეზე მეტი დაფარეის ვადის ჯგუფებში.

ამგვარად, მიმდინარე ლიკვიდობის ანალიზისა და კონტროლისათვის აუცილებელია ჩავატაროთ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიტიკური აღრიცხვა რეალურად, მათ დაფარვამდე დარჩენილი ვადის გათვალისწინებით. ეს დაეხმარება ბანკს ისეთი ვითარების თავიდან აცილება-

ში, როდესაც მას ზედმეტი ლიკვიდური სახსრები გაუჩნდება აქტივების „მოულოდნელად" დაბრუნებისას, ანუ, რაც კიდევ უფრო უარესია, წარმოიქმნება გადახდისუუნარობის ან ლიკვიდობის პრობლემა იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია „გადაუდებელი" დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებზე პასუხისგება.

H3 ნორმატივის მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობაა 70%, ე.ი. ბანკი ვალდებულია, შეეძლოს იმ ვალდებულებათა 70%-ის დაფარვა ლიკვიდური აქტივების ხარჯზე, რომლებიც თვის განმავლობაში წარმოიქმნება.

ამ ნორმატივის ანალიზის სქემა H2 ნორმატივისთვის გამოყენებული სქემის ანალოგიურია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ H3 კოეფიციენტის ფაქტიურ მნიშვნელობათა ნორმატიულიდან გადახრის აღმოჩენისას ბანკს მანევრირების მეტი შესაძლებლობა აქვს ვითარების გამოსასწორებლად, ვიდრე ეს მყისიერი ლიკვიდობის შემთხვევაშია. H3 ნორმატივის მნიშვნელოვნად გადამეტების შემთხვევაში აუცილებელია ყურადღება მიექციოთ აქტივების სტრუქტურას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, მაგალითად, რისკის მინიმალური დონის მქონე აქტივების ნაწილის გადანაწილება (მაგრამ მხოლოდ თუკი აქტივებში მათ დიდი ფარდობითი ხვედრითი წილი აქვს) ინვესტირების უფრო შემოსავლიან სფეროებში. ლიკვიდური აქტივების დიდი ხვედრითი წილის დაგროვების დადებითი ეფექტი ისაა, რომ ბანკს უჩნდება პასიური ოპერაციების გაფართოების შესაძლებლობა, ე.ი. თავისი სარესურსო ბაზის გაფართოების შესაძლებლობა იმ მოკლევადიანი პასივების ხარჯზე, რომლებიც პრაქტიკულად მთლიანად შეგვიძლია გამოვიყენოთ მოკლევადიან აქტივებში განთავსებისათვის, რადგანაც ლიკვიდური აქტივების გატანის შემთხვევისთვის უკვე არსებობს მათი რეზერვი.

მიმდინარე ლიკვიდობის არასაკმარისი დონის დროს ბანკმა აუცილებლად უნდა ჩაატაროს თავისი სარესურსო ბაზის კორექტირება სახსრების მოზიდვის ვადების გადიდების მიმართულებით, მაგალითად, შეცვალოს დეპოზიტების მოზიდვის განაკვეთები, შემოიღოს ანაბრებზე პროცენტების დარიცხვის ახალი სქემები, რაც ხელს შეუწყობს სადეპოზიტო ხელშეკრულებების პროლონგაციას და ვალდებულებებზე პასუხისგების ვადის გადაწევას. ვითარების გაუმჯობესების მეორე გზა შეიძლება იყოს ლიკვიდური აქტივების დონის ამაღლება, მაგალითად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დამატებითი რაოდენობის შეძენა.

გრძელვადიანი ლიკვიდობის ნორმატივი H4 განისაზღვრება ბანკის მიმართ ერთ წელზე მეტი ვადის მქონე მთელი დავალიანების შეფარდებით ბანკის საკუთარ სახსრებთან და კაპიტალთან, აგრეთვე სადეპოზიტო ანგარიშებზე ბანკის ვალდებულებებთან, ერთ წელზე მეტი დაფარვის ვადის მქონე საერთო ვალდებულებებთან და მიღებულ კრედიტებთან.

კოეფიციენტის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$H4 = \frac{\text{ბანკისადმი დავალიანება 1 წელზე მეტი ვადით}}{\text{ბანკის კაპიტალი + ბანკის დავალიანება 1 წელზე მეტი ვადით}} \times 100\%$$

კოეფიციენტის მრიცხველს ეკუთვნის ბანკის გრძელვადიან დაბანდებათა ისეთი სახეები, როგორიცაა ბანკის მიერ გაცემული კრედიტები და განთავსებული კრედიტები, მათ შორის ძვირფას ლითონებში, რომელთა დაფარვამდეც 1 წელზე მეტი აქვთ დარჩენილი ბანკებს, ამ ანგარიშების ვადაგადაცილებული ნაწილის ჩათვლით.

კოეფიციენტის მნიშვნელშია ბანკის საკუთარი კაპიტალი და მისი ვალდებულებები მიღებულ კრედიტებსა და დეპოზიტებზე, აგრეთვე, ბანკის იმ საერთო ვალდებულებებზე, რომლებიც ბაზარზე მიმოიქცევა და ერთ წელზე მეტი დაფარვის ვადა აქვს.

თუმცა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ გრძელვადიანი ინვესტირებისათვის შესა-

ძლებელია საკუთარი კაპიტალის გამოყენება მისი მობილიზებული ნაწილის გარდა. ამ კოეფიციენტის გაანგარიშების კიდევ ერთი თავისებურებაა ის, რომ დადგენილი არაა გრძელვადიანი აქტივებისა და პასივების ანალიტიკური აღრიცხვის წესი ვალდებულებათა დაფარვამდე დარჩენილ ვადაზე დამოკიდებულებით. ამგვარად, გრძელვადიანი ლიკვიდობის უფრო ზუსტად განსაზღვრისათვის ბანკი გამუდმებით უნდა ადევნებდეს თვალს ამ ვადებს.

მოცემული ნორმატივის ეკონომიკური არსი ასე შეგვიძლია ავხსნათ: იგი გვიჩვენებს, თუ რა ზომითაა ფორმირებული გრძელვადიანი დაბანდებები სახსრების გრძელვადიანი წყაროების ხარჯზე, ე.ი. ბანკის საკუთარი სახსრებისა და ხანგრძლივი ვადით მოზიდული სახსრების ხარჯზე.

H4 ნორმატივის მაქსიმალურად დასაშვები დონე 120%-ის ოდენობითაა დაწესებული. ამგვარად, ცენტრალური ბანკი დასაშვებად მიიჩნევს გრძელვადიან დაბანდებათა 20%-ის ფორმირებას მოკლევადიანი რესურსების ხარჯზე. ამ ღონისძიებების მიზანია ეკონომიკაში გრძელვადიანი ინვესტიციების საქმეში ბანკების სტიმულირება. ბანკის პოლიტიკის ფორმირების დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოზიდული და განთავსებული სახსრების დაუბალანსებლობა ვადების მხრივ, განსაკუთრებით, მოკლევადიანი პასივების ზედმეტად ტრანსფორმირება გრძელვადიან დაბანდებებად, აუცილებლად გამოიწვევს დაუბალანსებელ ლიკვიდობას და, საბოლოოდ, ბანკის გადასხისუნარიანობის და ლიკვიდობის დაქვეითებას.

საერთო ლიკვიდობის ნორმატივი H5 განისაზღვრება ბანკის ლიკვიდური და ჯამური აქტივების თანაფარდობით:

განვსხილოთ კოეფიციენტის გაანგარიშების ფორმულა:

$$H5 = \frac{\text{ბანკის ლიკვიდური აქტივები}}{\text{ნეტო-აქტივები} - \text{საეალდებულო რეზერვები}} \times 100\%$$

კოეფიციენტის მრიცხველშია ბანკის ლიკვიდური აქტივები, რომელთა განსაზღვრის მექანიზმი ზუსტად ანალოგიურია მიმდინარე ლიკვიდობის H3 ნორმატივის მრიცხველის ანგარიშისა.

კოეფიციენტის მნიშვნელს შეადგენს ბანკის ჯამური აქტივები, რომლებიც გაწმენდილია ნომინალურად მათი გამადიდებელი მუხლებისგან (დანაკარგები, ხარჯები, ვადაგადაცილებული პროცენტები, ფილიალთაშორისი ანგარიშსწორებები და სხვა) და შემცირებულია ბანკის საეალდებულო რეზერვების ზომით. ამრიგად, კოეფიციენტის მნიშვნელი წარმოადგენს ბანკის აქტიური ოპერაციების მთლიან მოცულობას.

H5 ნორმატივის მინიმალურად დასაშვები ნიშნულობაა 20%, ე.ი. ბანკის აქტივების 1/5 ნაწილი მაინც ლიკვიდურ აქტივებში უნდა იყოს დაბანდებული, მომუშავე აქტივების ხვედრითმა წილმა კი მაქსიმალურად 80% შეიძლება შეადგინოს. მაშასადამე, H5 ნორმატივის გაანგარიშების ეკონომიკური არსი მდგომარეობს ბანკის ბალანსის შემადგენელი აქტივების თანაფარდობის დადგენაში, რათა ერთდროულად ბალანსის ლიკვიდობის საჭირო დონეც უზრუნველვყოთ და ბანკის აქტიური ოპერაციების განხორციელების ეფექტიანობაც შევინარჩუნოთ.

ძვირფას ლითონებზე ოპერაციების ლიკვიდობის ნორმატივი H14 იანგარიშება ფიზიკური ფორმის ძვირფას ლითონებში მაღალლიკვიდური აქტივების შეფარდებით ძვირფას ლითონებზე ჩამოყალიბებულ იმ ვალდებულებებთან, რომლებიც ან მოთხოვნამდეა, ან რომელთა დაფარვის ვადა უახლოეს 30 დღეში დადგება.

$$H14 = \frac{\text{მაღალლიკვიდური აქტივები ძვირფას ლითონებში}}{\text{მოთხოვნამდე ან 30 დღემდე ვალდებულებები ძვირფას ლითონებზე}} \times 100\%$$

ძვირფას ლითონებში მაღალლიკვიდურ აქტივებს (კოეფიციენტის მრიცხველს) ეკუთვნის

შემდეგი მუხლები:

1) ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები – ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის სხვა ლითონები (პალადიუმი, ირიდიუმი, როდიუმი, რუტენიუმი, ოსმიუმი);

2) გზაში მყოფი ძვირფასი ლითონები;

3) ძვირფასი ლითონები მონეტებად და სამახსოვრო მედლებად.

კოეფიციენტის მნიშვნელს შეადგენს მონაცემები ძვირფას ლითონებში ბანკის შემდეგ ვალდებულებათა შესახებ:

1) ბანკების, მათ შორის – არარეზიდენტი ბანკების, საკორესპონდენტო ანგარიშები ძვირფას ლითონებში;

2) ძვირფას ლითონებში ბანკის ვალდებულებები დეპოზიტურ ანგარიშებზე და კლიენტების ანგარიშებზე, როგორც მოთხოვნამდე, ისე უახლოეს 30 დღეში მოთხოვნის ვადით.

ამგვარად, ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს ბანკის მიმდინარე ლიკვიდობას ძვირფას ლითონებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე. რადგან მისი მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობა 10%-ის ოდენობითაა დაწესებული, ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკს უნდა შეეძლოს პასუხი აგოს კლიენტების წინაშე თავის ვალდებულებათა მხოლოდ 1/10-ზე. ბანკის ყველა ოპერაციის მიხედვით, მყისიერი და მიმდინარე ლიკვიდობის ნორმატივებთან შედარებით ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა ძალიან დაწეულია.

ჩვენ განვიხილეთ სახელმწიფოს მხრიდან კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირების ძირითადი მიმართულებები. როგორც უკვე ვთქვით, ლიკვიდობის ნორმატივებთან ერთად, კომერციული ბანკები ლიკვიდობას ანალიზებენ კოეფიციენტების იმ შემფასებელი სისტემებისა და ანალიზის მეთოდიკების გამოყენებით, რომლებიც ბანკების სპეციალიზებულ საპროგრამო პროდუქტებშია ინტეგრირებული. დღეს ბანკების პრაქტიკაში ყველაზე უფრო ხშირად იყენებენ ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასების იმ სისტემებს, რომლებიც დამუშავებული აქვთ ფირმებს: დიასოფტს, R-Style-ს, Intersoft Lab-ს, პროგრამბანკს, ფორსს. ლიკვიდობის შემფასებელი კოეფიციენტების გაანგარიშების ავტომატიზაცია, რომელიც სტანდარტული ანგარიშების ინფორმაციის მომზადებისა და გადამუშავების პარალელურად მიმდინარეობს, მოსახერხებელს ხდის ასეთი მეთოდიკების გამოყენებას და დიდ დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს ბანკის მხრიდან. მიღებული შედეგების რეგულარული ანგარიში და ანალიზი საშუალებას აძლევს ფინანსურ ანალიტიკოსებს, დროულად აღმოაჩინონ ბანკის ფინანსური მდგომარეობის დინამიკაში მომსდარი არასასურველი ცვლილებები და შეიმუშაონ მათი თავისდროულად კორექტირების რეკომენდაციები ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე, განახორციელონ თავიანთი პოლიტიკისა და მართვის ოპერატიული კონტროლი.

ლიკვიდობის ცვლილების შესაფასებლად, აგრეთვე, მომავალში ბანკის ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირებისათვის, შეიძლება ჩატარდეს კოეფიციენტების გაანგარიშების შედეგების ტრენდული ანალიზი.

ცხადია, ლიკვიდობის ანალიზს აქვს თავისი ღირსებები და ნაკლოვანებები. კოეფიციენტების სისტემის ძირითადი უპირატესობებია ის, რომ:

ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს მიღებული ბანკის ბალანსის მუხლების უმნიშვნელოვანეს თანაფარდობათა დარღვევის საწინააღმდეგო ღონისძიებები, რადგან ეს თანაფარდობები კოეფიციენტების დადგენილი მნიშვნელობებითაა განმტკიცებული;

კოეფიციენტების სისტემის გამოყენების საფუძველზე შესაძლებელია ლიკვიდობის მართვა ნორმატივებით, ე.ი. ბანკის იმ ოპერაციების შეზღუდვა, რომლებიც კოეფიციენტების მნიშვნელობათა ცვლილებებს განაპირობებს;

ლიკვიდობის ანალიზი კოეფიციენტების მეშვეობით პრაქტიკაში უზრუნველყოფს ყველა ქვედანაყოფის პასუხისმგებლობას ბანკის ლიკვიდობის მდგომარეობისათვის. ჯერ ერთი, ოპერაციების შესრულების დროს ქვედანაყოფები მკაცრად არიან ორიენტირებული ლიმიტზე – მათ შორის

ლიკვიდობის კოეფიციენტებზე, ხოლო, მეორე მხრივ, ამ კოეფიციენტების მნიშვნელობაა კონტროლის პროცესში ბანკის ყველა ქვედანაყოფი მონაწილეობდეს;

- კოეფიციენტების ანალიზის რეალიზაციისათვის დიდი ხარჯები არაა საჭირო.

ამასთან, კოეფიციენტების შეშვეობით ლიკვიდობის ანალიზს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებიც აქვს:

კოეფიციენტის გაანგარიშებისთვის საჭირო მონაცემების განზოგადებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ამ დროს მიღებული ინფორმაციის სარწმუნოებაზე;

- მეთოდი იძლევა საკმაოდ მიახლოებულ შეფასებებს ლიკვიდობისას, რადგანაც კოეფიციენტებს ბალანსის მონაცემების საფუძველზე ანგარიშობენ. სინამდვილე კი გვიჩვენებს, რომ, თითქმის ყველა შემთხვევაში, გასაანგარიშებლად უნდა ვიღებდეთ მუხლების საბაზრო ღირებულებას;

ამ მეთოდის გამოყენების დროს პრობლემური ჩანს ლიკვიდობის განსაზღვრა მომავალი პერიოდისათვის. აგრეთვე ლიკვიდური სახსრების ფონის დაგეგმვა;

- უნდა გავითვალისწინოთ კოეფიციენტების მნიშვნელობათა დაწესების სუბიექტურობის ფაქტორიც და მათი პერიოდულად გადასინჯვის ობიექტური აუცილებლობა მაკრო და მიკროეკონომიკურ სიტუაციაში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით, ამიტომ აქ მთავარი საკითხია ის, თუ რამდენად უნდა დავიცვათ სავალდებულო ნორმატივები და შემფასებელი კოეფიციენტები, ბანკის საიმედოობის ნამდვილად უზრუნველსაყოფად.

ამგვარად, თუმცა კოეფიციენტებით ანალიზის მეთოდს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანობები აქვს, მაგრამ მისი გამოყენება საშუალებას გვაძლევს, საიმედოობის მაღალი დონით განვსაზღვროთ ბანკის მდგომარეობა და მოვამზადოთ ბანკის ლიკვიდობის მართვის მიმართულებათა ფორმირების ბაზა.

V ეტაპი. რეკომენდაციების შემუშავება ლიკვიდობის შემდეგში მართვისათვის. ბანკის ლიკვიდობის ანალიზის დამაგვირგვინებელი და ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპია წინა ეტაპზე ჩატარებული ანალიზის შედეგების შეჯამება. ანალიტიკური მასალების მომზადება ბანკის საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, მისი აქტივებისა და პასივების სტრუქტურებისა და დაბალანსების შესახებ, ლიკვიდობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება მომავალში ლიკვიდობის მართვისათვის და ბანკის განვითარების პროგნოზების შედგენა.

მას შემდეგ, რაც გაანალიზებული იქნება ყველა ის ფაქტორი, რომელიც ახდენს გავლენას ბანკის აქტივების /პასივების/ ლიკვიდობის მართვაზე, დგება ლიკვიდობის რეიტინგი. მან უნდა განსაზღვროს შემდეგი:

ა) თუ აქტივების/პასივების მართვის ლიკვიდობას მიენიჭა 1 რეიტინგი, ეს ნიშნავს, რომ ბანკის აქტივების /პასივების/ მართვის ლიკვიდობის საერთო მდგომარეობა მიჩნეულია დამაკმაყოფილებლად.

ბ). თუ ბანკის აქტივების /პასივების/ მართვა-ლიკვიდობას მიენიჭა 2 - რეიტინგი, ეს ნიშნავს იმას, რომ ბანკის მდგომარეობა ლიკვიდობის მხრივ დამაკმაყოფილებელია. თუმცა არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც იმსახურებს ბანკის მენეჯმენტის ყურადღებას.

გ) თუ ბანკის ლიკვიდობას მიენიჭა 3 რეიტინგი, ეს ნიშნავს, რომ აქტივების /პასივების/ მართვის – ლიკვიდობის საერთო მდგომარეობა ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. არსებობს ისეთი პრობლემები, რომლებიც საჭიროებს გაძლიერებულ ყურადღებას მენეჯმენტის მხრიდან.

დ) თუ ბანკის ლიკვიდობას მიენიჭა 4 რეიტინგი, ეს ნიშნავს, რომ აქტივების /პასივების/ მართვის – ლიკვიდობის საერთო მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და იგი უარყოფითად მოქმედებს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტმა უნდა გაატაროს სასწრაფო გამოსასწორებელი ღონისძიებანი.

ე) თუ ბანკის ლიკვიდობას მიენიჭა 5 რეიტინგი, ეს ნიშნავს, რომ საერთო სიტუაცია კრიტიკულია.

ცხრილი 15.2

ლიკვიდობის რეიტინგის ცხრილი

რეიტინგი	K8, K9, K10	სტატისტიკური გეპი	დეპოზიტები/ მთლიანი აქტივები	სესხები/ მთლიანი აქტივები
დასკვნა ფილე-ბელი\1	შეესაბამება ნორმატივებს	აქტივების და პასივების სტატისტიკური გეპის ანალიზი ტარდება თვეში ერთხელ ან ორჯერ. მენეჯმენტმა დაადგინა მინიმუმი და მაქსიმუმი კუმულაციური გეპი +/- 10% და შესაბამისად მართავს თავის ფონდებს	> 75%	საშუალო ზომის პორტფელი 50%-65%
ადეკვატური\2	ძირითადად შესაბამისობაშია. არის რიგი გადახრები, რომლებიც სწორდება და აღარ მეორდება	აქტივების და პასივების სტატისტიკური გეპის ანალიზი ტარდება თვეში ერთხელ ან ორჯერ. მენეჯმენტმა დაადგინა მინიმუმი და მაქსიმუმი კუმულაციური გეპი +/- 15% და შესაბამისად მართავს თავის ფონდებს	65%-75%	საშუალო ზომის პორტფელი 65%-75% ან პატარა პორტფელი 40%-50%
ნაკლებადეკვატური\3	ნორმატივების გამეორებითი დარღვევები	სტატისტიკური გეპის ანალიზი არ ტარდება, თუ ტარდება არარეგულარულად. მენეჯმენტს არ დაუდგენია კუმულაციური გეპის მინიმუმი და მაქსიმუმი, ან თუ დაადგინა, ისინი არ არის გონივრული და დასაბუთებული	50%-75%	დიდი პორტფელი 75%-80% ან პატარა პორტფელი 30%-40%
არაადეკვატური\4	ნორმატივების გამუდმებული დარღვევები	სტატისტიკური გეპის ანალიზი არ ტარდება	25%-50%	დიდი პორტფელი 80%-90% ან პატარა პორტფელი 20%-30%
კრიტიკული\5	ნორმატივების გამუდმებული და განზრახ დარღვევები	მენეჯმენტს არა აქვს პროცედურები და ღონისძიებები აქტივების და პასივების მართვისა და მონიტორინგისათვის	<25%	პორტფელი არის >90% ან <20%

15.4. კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვა

ბანკის ლიკვიდობის დონის ობიექტურად შეფასება და მისი ეფექტიანად მართვა კომერციული ბანკის საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. იმისათვის, რომ ბანკმა თავისდროულად შეასრულოს გადახდები, დააბრუნოს სახსრები სადეპოზიტო ანგარიშებიდან, პასუხი აგოს სხვა ვალდებულებებზე, მან დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს თავისი ლიკვიდობის შენარჩუნებას. ამ პრობლემას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს საბანკო მენეჯმენტში.

ბანკის ხელმძღვანელობის წინაშე ყოველდღიურად დგება საკითხები: რომელ ფინანსურ ინსტრუმენტებში, რა ვადით და როგორი რისკით შეუძლია მას ბაზარზე განათავსოს თავის განკარგულებაში არსებული სახსრები, ან რამდენი სახსრების მოზიდვაა აუცილებელი' იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, უზრუნველყოს დაბანდებათა შემოსავლიანობის სათანადო დონე, ხოლო მეორე მხრივ, არ აღმოაჩნდეს ლიკვიდური სახსრების უკმარისობა ვალდებულებებზე

პასუხის საგებად ახლა და მომავალში.

აქტივების /პასივების/ და ლიკვიდობის ეფექტური მართვისათვის ბანკმა უნდა შეიმუშაოს ლიკვიდობის პოლიტიკა. ლიკვიდობის მართვისათვის აუცილებელია შემუშავდეს გაუთვალისწინებელ სიტუაციაში მოქმედების ეფექტური გეგმა, რომელშიც მოცემული იქნება ლიკვიდობის მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები და მოქმედების ალტერნატიული გზები, იმისდა მიუხედავად, თუ რა მეთოდი ან მეთოდების კომბინაცია გამოიყენება ბანკის ლიკვიდობის მართვისას, ბანკმა უნდა შეიმუშაოს ლიკვიდობის პოლიტიკა და შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ლიკვიდობაზე არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების რეგულარულ მონიტორინგს.

ამასთან, ლიკვიდობის მართვის სტრატეგიის ჩამოყალიბების დროს ბანკი დგას დილემის წინაშე: ან გაზარდოს ფუნქციონირების საიმედოობა, ან გაზარდოს ოპერაციების შემოსავლიანობა.

ყოველმა ბანკმა ჯერ უნდა შეიმუშაოს, შემდეგ კი პრაქტიკაში გამოიყენოს ლიკვიდობის ისეთი ოპტიმალური დონის შენარჩუნების ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის კლიენტების მოთხოვნის დაკმაყოფილებას ფულად სახსრებზე და, იმავე დროს, არ შეამცირებს აქტივების რენტაბელობასა და ბანკის მოგებას. იმ ღონისძიებებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნებისკენაა მიმართული, ლიკვიდობის მართვის მეთოდოლოგია შეგვიძლია ვუწოდოთ. ლიკვიდობის მართვა სხვადასხვა ბანკში განსხვავებულია და ეს მათ სპეციალიზაციაზე, კლიენტურაზე, ჩატარებულ ოპერაციებზე და სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული. ცხადია, ბანკის მუშაობის პროცესში ლიკვიდობის მართვის მეთოდოლოგია მუდმივად უნდა იცვლებოდეს და უმჯობესდებოდეს ფუნქციონირების ცვალებადი პირობების გავლენით, რათა ადეკვატურად მოხდეს რეაგირება კონიუნქტურულ ცვლილებებზე.

არსებულ განსხვავებათა მიუხედავად, შეგვიძლია გამოვყოთ ის ძირითადი დებულებები, რომლებიც ლიკვიდობის დილემას – მომგებიანობას ეხება:

1. მეტისმეტი ლიკვიდობა უარყოფითად მოქმედებს ბანკის შემოსავლებზე. ამიტომ ხანმოკლე ასპექტში ბანკისთვის მომგებიანია ლიკვიდობის შენარჩუნება მინიმალურ დონეზე და ლიკვიდობის ნორმატივების მინიმალურად დასაშვებ მაჩვენებელთა ზღვარზე მუშაობა. ამის შედეგად აღწევენ არსებული რესურსების ყველაზე ეფექტიანად გამოყენებას, რაც მართვის გარკვეული პრინციპების დაცვის შემთხვევაში უზრუნველყოფს ჩატარებული ოპერაციების შემოსავლიანობას.

2. გრძელვადიან პერსპექტივაში უკეთესი ვარიანტია ლიკვიდობის შედარებით უფრო მაღალი დონის შენარჩუნება. რაც მართალია, აფერხებს უფრო მაღალი შემოსავლიანობის მიღწევას, მაგრამ სამაგიეროდ ხელს უწყობს ბანკის ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებას.

ამგვარად, ლიკვიდობის მართვა რთული და კომპლექსური ამოცანაა. საბანკო საქმის ევოლუციის პროცესში, აგრეთვე ფინანსური ბაზრის განვითარების კვალობაზე იქმნებოდა ლიკვიდობის მართვის მრავალი თეორია. დღეისათვის არსებობს რამდენიმე ძირითადი მიმართულება და თეორია, რომელთა შესაბამისადაც ლიკვიდობის მართვა ხორციელდება. მათგან მართვის ძირითადი მეთოდები შემდეგია:

აქტივების მართვა. ბანკი განსაზღვრავს საკუთარი და მოზიდული სახსრების იმგვარად განთავსების გზებს, რომ მინიმალური რისკით მიიღოს მაქსიმალურად შესაძლო შემოსავალი და ამ დროს ლიკვიდური დარჩეს;

პასივების მართვა. ბანკი განსაზღვრავს საკუთარი კაპიტალისა და მოზიდული სახსრების ოდენობის მართვის პოლიტიკას, ადგენს მათ ოპტიმალურ სტრუქტურას აქტიურ ოპერაციებში ეფექტიანად გამოყენების მიზნით. პასივების მართვის მეშვეობით ლიკვიდობის მართვა ვიწრო აზრით ხშირად დაჰყავთ ისეთ მოქმედებამდე, რომლებიც მიმართულია ნასესხები სახსრების ძიებისკენ მათზე მოთხოვნილების გაჩენის შემთხვევაში (ლიკვიდობის შესანარჩუნებლად).

აქტივებისა და პასივების დაბალანსებული მართვა. ეს მეთოდი წარმოადგენს ლიკვიდობის მართვისადმი საპორტფელო მიდგომას ბანკის აქტივებისა და პასივების შეთანხმებულად მართვის მეშვეობით.

ვიდრე ამ მეთოდებს დაწვრილებით განვიხილავდეთ, აუცილებელია განვსაზღვროთ, თუ როგორი ვალდებულებები იჩენს თავს ბანკის საქმიანობის პროცესში და რომელი წყაროების ხარჯზეა შესაძლებელი მათი დაფარვა.

ბანკის მთელი ვალდებულებები ორ ჯგუფად იყოფა:

1) რეალური ვალდებულებები, ე.ი. ბანკის ბალანსიდან გამომდინარე ვალდებულებები. ისინი წარმოდგენილია მიღებული ბანკთაშორისი კრედიტებით და დეპოზიტებით, ანგარიშსწორების და მიმდინარე ანგარიშებზე არსებული სახსრებით, მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტებით, აგრეთვე სხვა მოზიდული სახსრებით;

2) პოტენციური, ანუ ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოშვას გახსნილმა საკრედიტო ხაზებმა, ბანკის მიერ გაცემულმა გარანტიებმა, მინდობით მართვის, აგრეთვე ნაღდი და ვადიანი გარიგებების მიხედვით არსებულმა ვალდებულებებმა.

ამ ვალდებულებების დაფარვა ბანკს შეუძლია:

საკუთარი სახსრების ხარჯზე (აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკის საკუთარი კაპიტალის, როგორც ლიკვიდობის შენარჩუნების საქმეში ბუფერის, საკმარისობის ფაქტორს: მისი სიდიდე ბანკს უზრუნველყოფს წარმოქმნილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი სახსრებით და, აგრეთვე, იმ სახსრებით, რომლებიც საჭიროა გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და ზარალის დაფარვის შემთხვევისთვის შექმნილი რეზერვების შესავსებად);

მოზიდული სახსრების ხარჯზე (ბაკთაშორისი კრედიტები, ფიზიკური და იურიდიული პირების მოზიდული სახსრები და სხვა);

ბანკის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების მობილიზაციისა და მისი აქტივების რეალიზაციის ხარჯზე (ძვირფასი ლითონები, ფასიანი ქაღალდები და ა.შ., უკიდურეს შემთხვევაში – კაპიტალური დაბანდებები და ქონება).

ამგვარად, თავის ვალდებულებებზე პასუხისგება ბანკს შეუძლია როგორც მის ბალანსში დაგროვილი ლიკვიდური აქტივების, ისე მოზიდული დამატებითი სახსრების ხარჯზე, ე.ი. ფინანსური ბაზრის ვალდებულებათა ხარჯზე. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლიკვიდობის მართვა შესაძლებელია ბანკის აქტივებისა და პასივების მართვის მეშვეობით.

15.4.1. აქტივების მართვა

აქტივების მართვა მდგომარეობს არსებული რესურსების ეფექტიანად განთავსებაში, ე.ი. შესაძლო შემოსავლების მაქსიმიზაციაში მინიმალური რისკის დროს, და ამავე დროს, ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნებაში. აქტივების მართვის ძირითადი პრობლემაა ლიკვიდურ აქტივებზე მომავალში გამოცლენილი იმ მოთხოვნილების გაურკვევლობა, რომლის თვალყურის დევნებასაც და პროგნოზირებასაც ბანკი გამუდმებით უნდა ახდენდეს.

იმისთვის, რომ ბანკმა ლიკვიდობა შეინარჩუნოს, მისი აქტივები მთელ რიგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- აქტივების გარკვეული ხვედრითი წილი უნდა იმყოფებოდეს მაღალლიკვიდური ფორმით, ე.ი. შენარჩუნებული უნდა იყოს პირველი რიგის რეზერვების საკმარისი დონე;

ბანკი ლიკვიდური იქნება, თუკი შესაძლებელია მისი აქტივების ნაწილის გაყიდვა ან კრედიტორებისთვის მათი გადაცემა მოკლე ვადითა და მინიმალური დანაკარგებით (ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს მეორე რიგის რეზერვები);


ბანკის ლიკვიდობა შენარჩუნებულია, თუკი მისი აქტივების გარკვეული ხვედრითი წილი მოკლევადიანი სესხებია, რომლებსაც თავისდროულად ფარავენ;

- ბანკის ლიკვიდობის დაგეგმვა შესაძლებელია ბანკის აქტივების დროით სტრუქტურაზე ზემოქმედების გზით, ე.ი. კრედიტების დაფარვის და ინვესტირებული სახსრების დაბრუნების „საფეხურებად“ განხორციელების დროს;

- ბანკის ლიკვიდობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რისკისა და ბანკის აქტივების ხარისხის ფაქტორები, რადგანაც ამ მაჩვენებლებზე პირდაპირაა დამოკიდებული ბანკში სახსრების დაბრუნების თავისდროულობა.

ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით განვიხილოთ ორი მთავარი მიდგომა აქტივების მართვისადმი.

სახსრების საერთო ფონდის მეთოდი. ესაა პრაქტიკული გამოყენებისთვის ერთ-ერთი ყველაზე უმარტივესი მეთოდი. კომერციული ბანკის მიერ თავისი საქმიანობის პროცესში განთავსებული სახსრები სხვადასხვა წყაროებიდან შემოდის და მათ სხვადასხვა ხარისხი აქვთ. ამ მეთოდის არსია ყველა არსებული რესურსების „ერთ ქვაბში“ გაერთიანება აქტივებს შორის მათი შემდეგში განაწილებისთვის ბანკის მიერ გაკეთებული არჩევანის შესაბამისად. ვიდრე სახსრების განთავსება ბანკის მიერ დასახული მიზნების მიღწევას შეესაბამება, მანამდე კონკრეტული აქტიური ოპერაციების შესრულებისას არ ითვალისწინებენ, თუ სახსრების რომელი წყაროების სარჯზე სრულდება ისინი (იხ. ნახ. 15.7).



ნახ.15.7. სახსრების საერთო ფონდის მეთოდი

ამ პრინციპით სახსრების განთავსების დროს აუცილებელია აქტივების სტრუქტურის იმგვარად ფორმირება, რომ ერთდროულად მოხდეს ლიკვიდობისა და შემოსავლიანობის მოთხოვნების გათვალისწინება, ე.ი. ბანკმა წინასწარ უნდა დააწესოს თავისი საქმიანობის გარკვეული პარამეტრები და ორიენტირები.

ბანკმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადგინოს მაღალლიკვიდური აქტივების ის წილი, რომელიც

მოხმარდება კლიენტების ანგარიშების მიხედვით გადახდების შესრულებას, მოთხოვნამდე ვალდებულებების და ბანკის მიმართ იმ მოთხოვნების დაფარვას, რომელთაც უკვე დაუდგათ გადახდის ვადა, ე.ი. ის წილი, რომელიც მყისიერ ლიკვიდობას უზრუნველყოფს. იმ ბანკებმა, რომლებშიც შეინიშნება რესურსული ბაზის ძლიერი რყევები, უნდა შექმნან მეორე რიგის დიდძალი რეზერვები, მაგალითად, მოკლევადიანი ბანკთაშორისი კრედიტებისა დეპოზიტების ან სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში გაწეული დაბანდებების ფორმით, რათა შეეძლოთ უეცრად გაჩენილ ვალდებულებებზე პასუხისგება.

ამგვარად, საერთო ფონდიდან სახსრების პირველადი განთავსება ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით ხორციელდება. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ლიკვიდობის მოთხოვნა უპირისპირდება ბანკის ფუნქციონირების მომგებიანობას. ამიტომ მაღალლიკვიდური და ლიკვიდური აქტივების ხვედრითი წილის განსაზღვრის დროს უნდა ვითვალისწინებდეთ ამ გარემოებას და მინიმუმამდე დაგვყავდეს ამ აქტივების წილი უფრო მაღალი შემოსავლიანობის მიღწევის მიზნით. სახსრების საერთო ფონდის განაწილებას ამის შემდეგ უნდა ვახდენდეთ ბანკის პრიორიტეტების და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

როგორც ცნობილია, ბანკების უმრავლესობის ძირითადი საშემოსავლო მუხლია გაცემულ კრედიტებზე მიღებული პროცენტები. ამიტომ სახსრების განთავსების შემდეგი ეტაპი მდგომარეობს ბანკის საკრედიტო პორტფელის ფორმირებაში. მაგრამ აქ საჭიროა იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ამგვარი დაბანდება ერთ-ერთი ყველაზე რისკიანი დაბანდებაა და აქტივების რისკიანობის ამაღლება ბანკის ლიკვიდობის შემცირებას იწვევს ვალის ძირითადი თანხის და მასზე დარიცხული პროცენტების პოტენციურად ვერ დაბრუნების გამო.

სახსრების განთავსების მომდევნო ეტაპია დაფარვის სხვადასხვა ვადის მქონე კორპორაციული ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირება. ამგვარ დაბანდებას შედარებით უფრო მომგებიან, თუმცა საკმაოდ სარისკო დაბანდებად მიიჩნევენ.

გრძელვადიანი დაბანდებები, როგორც წესი, ისეთ ოპერაციებს უკავშირდება, რომლებსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ბანკისთვის. მაგალითად, წილობრივ მონაწილეობას ამა თუ იმ იურიდიულ პირთა საწესდებო კაპიტალსა და საქმიანობაში; ისინი უზრუნველყოფენ, აგრეთვე ბანკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებას. საერთო ფონდიდან ამ დაბანდებებისკენ სახსრების წარმართვის დროს აუცილებლად გაითვალისწინება მათი მნიშვნელობა ბანკისთვის, აგრეთვე, ამ ჯგუფის აქტივების უკიდურესად დაბალი ლიკვიდობა. ამიტომ ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით ამ აქტივების მოცულობა იზღუდება.

ბანკის აქტივების მართვის ამ მეთოდს კომერციული ბანკები პრაქტიკაში უფრო ხშირად იყენებენ ფულადი სახსრების მოჭარბების დროს. მაგრამ ამ მეთოდს ღირსებებთან ერთად ნაკლოვანებებიც გააჩნია. მისი ღირსება ისაა, რომ იგი ბანკის ხელმძღვანელობას მნიშვნელოვან თავისუფლებას ანიჭებს სახსრების დაბანდების მიმართულებებისა და აქტიური ოპერაციების სახეობების არჩევის დროს. ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ პოლიტიკის ფორმირების დროს არსებული სახსრების ნაწილს ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნებისთვის გამოყოფენ, დანარჩენ სახსრებს კი აბანდებენ, ბანკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, — შემოსავლის მომტან ოპერაციებში. მაგრამ ამგვარ მიდგომას არსებითი ნაკლოვანებებიც აქვს:


- ჯერ ერთი, მომგებიანობისა და ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით სახსრების განაწილების სტრუქტურის განსაზღვრა ბანკის ხელმძღვანელობამ შესაძლოა საკმაოდ სუბიექტურად განახორციელოს და, მაშასადამე, დამატებითი რისკი შეიტანოს ბანკის საქმიანობაში;

მეორე, ლიკვიდობის შენარჩუნების თვალსაზრისით ეს მეთოდი არასაკმაოდ კორექტულია, რადგან იგი მოკლებულია მკაფიო ორიენტირებს ლიკვიდური აქტივების საკმარისი დონის დადგენისთვის.

სახსრების საერთო ფონდის მეთოდის ნაკლოვანებებს ნაწილობრივ ავსებენ უფრო რთული,

მაგრამ უფრო ეფექტიანი მეთოდის – აქტივების განაწილების, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, სახსრების კონვერსიის მეთოდის გამოყენების დროს.

აქტივების განაწილების (სახსრების კონვერსიის) მეთოდი. ამ მეთოდის არსი ისაა, რომ ბანკის აქტივებსა და პასივებს ერთმანეთს უდარებენ ვადებისა და თანხების მიხედვით. საამისოდ სახსრების წყაროებსა და ძირითად მიმართულებებს იმგვარად აჯგუფებენ და უდარებენ ერთმანეთს, რომ პასივების გარკვეული ჯგუფის სახსრები განთავსებული იყოს აქტივების გარკვეულ ჯგუფებში, დაბანდებათა შემოსავლიანობისა და ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნების გათვალისწინებით (იხ. ნახ. 15.8).



ნახ.15.8.აქტივების განაწილების (სახსრების კონვერსიის) მეთოდი.

ეს მოდელი იმას გულისხმობს, რომ ბანკის ლიკვიდობის შესანარჩუნებლად აუცილებელი ლიკვიდური აქტივების რაოდენობა პირდაპირაა დამოკიდებული რესურსების მოზიდვის წყაროებზე. ლიკვიდობის შენარჩუნების ამ მეთოდის გამოყენების დროს აქცენტს აკეთებენ იმ წყაროების გამიჯვნაზე, რომელთა ბანკზეც მოხდება ბანკის აქტივების შემდგომი ფორმირება. არამდგრადი და მოკლევადიანი პასივები (ბანკის მყისიერი და მიმდინარე ლიკვიდობის შესანარჩუნებლად) მაღალკვალიფიციურ აქტივებში წარიმართება, ხოლო გრძელვადიანი პასივები, შესაბამისად, ნაკლებად ლიკვიდურ, მაგრამ უფრო შემოსავლიან აქტივებში, მაგალითად, ბანკის საკრედიტო პორტფელში დაბანდდება.

სახსრების კონვერსიის მეთოდის გამოყენება ერთგვარად ხსნის აქტივების დროითი სტრუქტურის განსაზღვრის პრობლემას, რომელიც საერთო ფონდის მეთოდის გამოყენების დროს იჩენს თავს. აქტივების დროებით სტრუქტურას განსაზღვრავენ ბანკის ხელთ არსებული რესურსებიდან გამომდინარე.

ბანკში იქმნება ე.წ. „ლიკვიდობა-მომგებიანობის ცენტრები", რომელთა მეშვეობითაც ახდენენ სახსრების არსებული წყაროების განთავსებას. ამ ცენტრებს ბანკის შიგნით არსებულ ბანკებსაც უწოდებენ, რადგან ყოველი ცენტრიდან განთავსება ხდება სხვა ცენტრების სახსრების განთავსებისგან დამოუკიდებლად.

ამგვარად, საწყის ეტაპზე ბანკის ხელმძღვანელობამ უნდა განსაზღვროს ამა თუ იმ ცენტრზე სახსრების მიკუთვნება და მათი განთავსების წესი. აქ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი საკალდებულო რეზერვების ნორმები, აგრეთვე სახსრების ბრუნვის სისწრაფე, რადგანაც შემდეგ ისინი გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს პასიევების განაწილებას და ინვესტირებას.

განვიხილოთ, თუ როგორ იყენებენ პრაქტიკაში ლიკვიდობის მართვის ამ მეთოდს.

პირველადი რეზერვები უმეტესწილად ჩამოყალიბდება მოთხოვნამდე ანაბრების, მიმდინარე და ანგარიშსწორების ანგარიშებზე არსებული სახსრების ხარჯზე. ეს იმითაა გამოწვეული, რომ იმ ჯგუფის სახსრების ბრუნვა უკიდურესად დიდია და ამიტომ მათი ძირითადი ნაწილი სწორედ მაღალლიკვიდურ აქტივებში იქნება მოთავსებული. მოთხოვნამდე სახსრების ნაწილის მოთავსება შეიძლება, აგრეთვე, მეორად რეზერვებში. მაგალითად, შესაძლებელია მათი ინვესტირება მოკლევადიან სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში. ბანკის ბალანსზე მოთხოვნამდე ანგარიშებზე სტაბილური ნაშთების არსებობის შემთხვევაში მათი ნაწილის მოთავსება შეიძლება საიმედო მსესხებლების მოკლევადიან კრედიტებში. ამგვარად, პირველი ჯგუფის პასიევების გამოყენება უფრო სრული იქნება, ე.ი. დაცული იქნება ლიკვიდობის მიმართ წაყენებული მოთხოვნები და თანაც ამ დროს ბანკი გარკვეულ შემოსავალს მიიღებს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებსა და კრედიტებში ჩადებული მოკლევადიანი დაბანდებებისგან.

მოთხოვნამდე მოზიდული სახსრებისგან განსხვავებით, ვადიან საფუძველზე მოზიდულ სახსრებს აქვთ მეტი სტაბილურობა, მაგრამ მათი ბრუნვადობა გაცილებით დაბალია. ამიტომ ამ სახეობის სახსრების დაფარვაზე მოთხოვნა იმაზე რამდენადმე უფრო დაბალია, ვიდრე მოთხოვნამდე მოზიდულ სახსრებზე. მაშასადამე, ვადიან საფუძველზე მოზიდული სახსრები შეგვიძლია გამოვიყენოთ ბანკისთვის ძირითადი შემოსავლის მომტან ოპერაციებში, ე.ი. საკრედიტო დაბანდებებისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ემიტენტების და დაფარვის სხვადასხვა ვადის მქონე ქაღალდებში ინვესტირებისათვის.

ბანკის საკუთარი სახსრების გამოყენება შეგვიძლია ბანკის ქონების შემქმნელ ოპერაციებში, ე.ი. მათი დაბანდება შენობებში, მოწყობილობებში, ტელეკომუნიკაციებში, ტრანსპორტში, რომლებიც აუცილებელია ბანკის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის. ამავე სახსრების ხარჯზეა შესაძლებელი გრძელვადიანი დაკრედიტება, ბანკის წილობრივი მონაწილეობა, საინვესტიციო დაბანდებები ფასიან ქაღალდებში. ამგვარად, ამ ჯგუფის პასიევების სახსრებსაც ბანკის მიერ შემოსავლების მისაღებად იყენებენ (ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბანკის საკუთარი კაპიტალი დამცავ ფუნქციას ასრულებს, ე.ი. ამ ჯგუფის სახსრების საინვესტიციო პროექტებში დაბანდების დროს აუცილებელია რისკიანობის გათვალისწინება).

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ ბანკის ლიკვიდობის მართვის მეორე მეთოდი — მისი აქტივების მართვის გზით. მისი მთავარი უპირატესობა ისაა, რომ პასიევების თითოეული ჯგუფის სახსრებისთვის ფაქტობრივად იქმნება ლიკვიდური აქტივების გარკვეული რეზერვი, რომლის სიდიდეც დაუბალანსებელი ლიკვიდობის რისკზე მოცემული ჯგუფის პასიევების გაველენის ხარისხზეა დამოკიდებული. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს ბანკს, შეინარჩუნოს და დაგეგმოს თავისი

ლიკვიდობა, უზრუნველყოს აქტივებში სახსრების საკმარისად დასაბუთებული განთავსება პასივების ვადიანობის შესაბამისად, აგრეთვე კორექტირება გაუკეთოს სახსრების მოზიდვისა და განთავსების მოცულობებს – ბანკის ოპერაციების მნიშვნელობის, აქტივების შემოსაელიანობის, პასივების მოზიდვის ხარჯების, სახსრების განთავსების რისკიანობის, სარესურსო ბაზის სტაბილურობის და სხვა ფაქტორებზე დამოკიდებულებით. ამგვარად, პრაქტიკაში ამ მეთოდის გამოყენება უმცირებს ბანკს ლიკვიდობის რიშიდა კონტროლის სამსახურის აქტივებისა და პასივების დარგში გაწონასწორებული პოლიტიკის განხორციელების წყალობით. ბანკის ბალანსში ლიკვიდური აქტივებისა და პასივების გარკვეული მარაგის დაგროვება ზრდის კლიენტების შანსებს მათი მოთხოვნების თავისდროულად დაკმაყოფილებაზე, თვითონ ბანკს კი აძლევს შედარებითი სტაბილურობისა და მინიმალური ხარჯების გარანტიას, თუკი საჭირო გახდება ლიკვიდობის გარე წყაროების ექსტრენულად მოზიდვა.

სახსრების კონვერსიის მეთოდის ნაკლოვანება ისაა, რომ პრაქტიკაში ძირითადი პრინციპის (ლიკვიდური აქტივების რეზერვის შექმნა გარკვეული ჯგუფის პასივებისათვის) გამოყენება იწვევს მუშა აქტივების ხვედრითი წილის შემცირებას, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს ბანკის საშეპოსაელო ბაზას, ამას კი მომავალში შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მის განვითარებაზე. საპართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სახსრების საერთო ფონდის მეთოდთან შედარებით, ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, რამდენადმე შევამციროთ ბანკის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად შექმნილი ლიკვიდური სახსრების რეზერვის სიდიდე, რადგანაც მასში გათვალისწინებულია პასივების ჯგუფების თვისებრივი განსხვავებები. გარდა ამისა, არსებობს პრობლემა, თუ როგორ განვსაზღვროთ პრაქტიკულად ლიკვიდური სახსრების რეზერვის ის ოპტიმალური ზომა, რომელიც ბანკის ლიკვიდობის უზრუნველსაყოფადაა აუცილებელი სახსრების ჯგუფების არაერთმნიშვნელოვნად შერჩევის გამო. მაგალითად, აუცილებელია გავითვალისწინოთ მოთხოვნამდე მოზიდული ანაბრების სპეციფიკა: მრავალ ბანკში ეს სახსრები რესურსების ერთ-ერთ ყველაზე სტაბილური წუხლია; მაშასადამე, მათთვის შექმნილი ლიკვიდური სახსრების რეზერვი მკვეთრად შეიძლება შემცირდეს, სახსრები კი სრულიად დასაბუთებულად დაბანდდეს საშუალო და გრძელვადიან აქტივებში.

აქტივების მართვის მეშვეობით ბანკის ლიკვიდობის მართვის ზემოთ განხილული მეთოდები საშუალებას გვაძლევს, ზოგადად განვსაზღვროთ ბანკის პოლიტიკის შესაძლო მიმართულებები. ლიკვიდობის მართვის ეს მოდელები რეალურ პირობებში არსებით დამატებებს მოითხოვს ბანკის მართვის დარგში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით. საჭიროა ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც ასახავს ბაზრის თანამედროვე და საპროგნოზო კონიუნქტურას, აგრეთვე კომერციული ბანკის საქმიანობაზე მოქმედ ფაქტორებს. აშკარაა, რომ კონკრეტული მმართველური გადაწყვეტილებების გამოტანისათვის აუცილებელია ფინანსური ანალიზის ჩატარება, რის შემდეგაც ეს მოდელები მნიშვნელოვნად უნდა გართულდეს და შეივსოს.

ლიკვიდობის მართვისადმი უფრო რთულ და გაღრმავებულ მიდგომას იძლევა მათემატიკური მეთოდებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება. ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, გავითვალისწინოთ ყველა იმ ფაქტორის გავლენა და მათ შორის ურთიერთქმედება, რომლებიც განსაზღვრავს ბანკის საქმიანობას მთლიანად და, კერძოდ, მის ლიკვიდობას. იგი მდგომარეობს ისეთი მათემატიკური მოდელების აგებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ პრობლემის კომპლექსურ ანალიზსა და ლიკვიდობის მართვის ეფექტიანობის ამაღლებას გამოტანილი დასკვნების საფუძველზე.

ლიკვიდობის მართვა კომპლექსური პროცესია და ეხება როგორც ბანკის აქტივებს, ისე მის პასივებსაც. როგორც ზემოთაც ვთქვით, ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად კომერციულ ბანკებს ორი ძირითადი სახეობის წყარო აქვს – შიდა და გარე. აქტივების მართვის სტრატეგიები ეხება ლიკვიდობის შიდა წყაროების მართვას, ე.ი. ფაქტობრივად დაიყვანება ბანკის

ბალანსში ლიკვიდური აქტივების აუცილებელი წილის განსაზღვრასა და შენარჩუნებაზე. საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პერიოდისთვის ტიპიურია კომერციული ბანკების ლიკვიდობის შენარჩუნება ძირითადად შიდა წყაროების ხარჯზე. მსგავს პოლიტიკას მიმართავენ მცირე ბანკებიც — ლიკვიდობის შიდა წყაროები მათთვის ძირითადი წყაროებია, რადგან მნიშვნელოვანი გაკვეთილისა და საკმარისი საკუთარი რესურსების უქონლობის, აგრეთვე, მათთვის ფინანსური ბაზრის რესურსების მიუწვდომლობის გამო, ამ ბანკებს შეზღუდულად აქვთ ლიკვიდობის შენარჩუნების შესაძლებლობები, გარე წყაროების მეშვეობით მისი უზრუნველყოფის გზით.

რაც შეეხება სხვა ბანკებს, თავიანთი მდგომარეობის, საიმედოობისა და რეპუტაციის წყალობით, ხელი მიუწვდებათ დაფინანსების დამატებით წყაროებზე, ე.ი. გარე ლიკვიდობაზე. პასივების მართვა ასეთ ბანკებს საშუალებას აძლევს, თავიანთი ლიკვიდობა შეინარჩუნონ არა ბალანსში მაღალლიკვიდური აქტივების ხარჯზე (ე.ი. ფაქტობრივად შემოსავლების ნაკლულად მიღებით), არამედ გარკვეული ოპერაციებიდან მოზიდული სახსრების ხარჯზე.

ამგვარად, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ლიკვიდობის აუცილებელი დონის შენარჩუნების ეფექტიანი გზაა ბანკის აქტივებისა და პასივების კოორდინირებულად მართვა.

15.4.2. პასივების მართვა

კომერციული ბანკის პასივების მართვა მისი ლიკვიდობის მართვის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. იგი გაცილებით გვიან ჩამოყალიბდა, ვიდრე ლიკვიდობის მართვა ბანკის აქტიური ნაწილის მეშვეობით. ეს მაშინ მოხდა, როდესაც წარმოიქმნა ახალი ფინანსური ინსტრუმენტები და ამან ისეთი ვალდებულებების მოზიდვის შესაძლებლობა მისცა ბანკს, რომლებიც ლიკვიდობის პრობლემის მოგვარებაში დაეხმარებოდა მას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბანკის პასიური ოპერაციები განსაზღვრავენ მისი აქტიური ოპერაციების მასშტაბებს და იმ ფაქტსაც, რომ ბანკი ფინანსური შუამავალია და მუშაობს ძირითადად მოზიდული და არა საკუთარი სახსრების ხარჯზე, მაშინ ბალანსის პასიური ნაწილის მართვა საბანკო მენეჯმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

ლიკვიდობის მართვის ამოცანის გადაჭრაში პასივები არანაკლებ როლს თამაშობს. დამატებითი რესურსების მოზიდვით ბანკს შეუძლია მიიღოს ლიკვიდობაში არსებული ხანმოკლე გარღვევის დაფარვისათვის საჭირო რესურსები. გარდა ამისა, ბანკის პასივების მართვა მოქმედებს ბალანსის პარამეტრებზე და, ამგვარად, შეუძლია სასიკეთოდ შეცვალოს ან გააუარესოს მისი ლიკვიდობა.

ფორმირების ხერხის მიხედვით ბანკის პასივები სამ ძირითად ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: პირველი მათგანია ის პასივები, რომლებსაც აყალიბებს საანგარიშსწორებო-სალარო და სადეპოზიტო ოპერაციებით მოზიდული სახსრები. ისინი ბანკის პასივების დიდ ნაწილს შეადგენს, მაგრამ მათ ოდენობაზე კომერციულ ბანკს შეუძლია გაელენა მოახდინოს მხოლოდ ირიბად, კლიენტებზე ზემოქმედების გზით, მაგალითად, საპროცენტო პოლიტიკით, დამატებითი მომსახურების გაწევით და ა.შ. პასივების მეორე ნაწილს შეადგენს ე.წ. მართვადი პასივები, რომელთა ფორმირების ინიციატივა თვით ბანკს ეკუთვნის და რომელთა მეშვეობითაც ბანკს შეუძლია თავისი პასივების კორექტირება და მათ ძირითად მაჩვენებლებზე (ვადიანობა, მდგრადობა, ხარჯები) ზემოქმედება; პასივების მესამე ჯგუფს შეადგენს ბანკის საკუთარი სახსრები, რომელთა სიდიდე პირდაპირ მოქმედებს ბანკის მდგრადობასა და ლიკვიდობაზე.

ბანკის პასივების ამგვარად დაყოფის შესაბამისად ფორმირდება ლიკვიდობის მართვის მეთოდების განვითარების ძირითადი მიმართულებები, ბანკის პასივების მართვის მეშვეობით.

პირველ მიმართულებას განაპირობებს იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთაც მიმართავენ კლიენტების მოზიდული სახსრებისგან შემდგარი პასივების ძირითადი ნაწილის ფორმირებისათვის. ამ ნაწილში ბანკს შეუძლია შეიმუშაოს გარკვეული სტრატეგია,

რომლის გამოყენება განაპირობებს პასივების სასურველი სტრუქტურის ჩამოყალიბებას და უპასუხებს ლიკვიდობის მოთხოვნებს. მაგალითად, პასივების მნიშვნელოვანი ნაწილის მოზიდვა უნდა ხდებოდეს ვადიან საფუძველზე, რათა:

– ჯერ ერთი, შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება მოგების მომტან აქტიურ ოპერაციებში;

– მეორე, ამაღლდეს სარესურსო ბაზის მდგრადობა, რაც ასევე დადებითად მოქმედებს ბანკის ლიკვიდობაზე.

– მესამე, მნიშვნელოვნად გაადვილდეს მომავალი პერიოდებისთვის ლიკვიდობის დაგეგმვა, რაც დადებითად იმოქმედებს ბანკის სიმტკიცესა და ლიკვიდობაზე მომავალში;

– მეოთხე, სასესხებლის მოზიდვისა და განთავსების ვადების შეთანხმების მეშვეობით შემცირდეს ბანკის დაუბალანსებელი ლიკვიდობის რისკი.

მოზიდული ვადიანი სასხესების გარკვეული წილის შენარჩუნების გარდა, მთლიანად ბანკის ბალანსში აუცილებელია, აგრეთვე, პოლიტიკის იმგვარად გატარება, რომ გაელენა მოვახდინოთ დროით სტრუქტურაზე და შეექმნათ ერთგვარი „საფეხურები“ ბანკის მიერ თაეის ვალდებულებათა დაფარვის ვადების დადგომაში. ეს საშუალებას მისცემს ბანკს, განსაზღვროს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ლიკვიდურ სასხესებზე არსებული მოთხოვნები და, მაშასადამე, თავიდან აიცილოს დანაკარგები მათი ექსტრემულად რეალიზაციის დროს.

მეორე მიმართულება უკავშირდება ლიკვიდობის შენარჩუნებას მართვადი პასივების მეშვეობით, ე.ი. იმ სახსრების მართვის მეშვეობით, რომელთა მოზიდვაც ბანკს თავისი ინიციატივით შეუძლია. ის მეთოდები, რომლებიც მართვადი პასივების გამოყენებას გულისხმობს, ბანკის ბალანსში ლიკვიდური აქტივების დაგროვების პოლიტიკის ერთგვარი ალტერნატივაა. ისინი ითვალისწინებენ დამატებითი სასხსრების მოზიდვას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის მეშვეობით იმ შემთხვევაში, თუკი აუცილებელი გახდა ვალდებულებათა დაფარეა მოკლე ვადებში. დასავლეთის პრაქტიკაში (მაგალითად, აშშ-ში) იყენებენ შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებს:

მსხვილი ზომის მქონე ვადიან დეპოზიტებს (სადეპოზიტო სერტიფიკატებს), რომლებიც მეორად ბაზარზე მიმოიქცევა და წარმოადგენს 6 თვეზე ნაკლები დაფარეის ვადის მქონე სავალო ქაღალდებს.

– ფედერალურ ფონდებს – ფედერალური ფონდების ბაზარზე არსებულ სახსრებს, რომლებსაც აყალიბებს მოზიდული დეპოზიტებისთვის ფედერალურ სარეზერვო ბანკში რეზერვირებული სახსრების სიჭარბე;

– ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მოზიდული სახსრები უკან შესყიდვის შესახებ შეთანხმებით (რეპოს ტიპის ოპერაციები).

ზოგ ქვეყანაში ბანკებს შეზღუდულად აქვთ ლიკვიდობის შენარჩუნებისათვის მართვადი პასივების გამოყენების შესაძლებლობები. მაგალითად, რუსეთში ამის მიზეზია ფინანსური ბაზრის განუვითარებლობა და არასტაბილურობა, აგრეთვე, იმ ფინანსური ინსტრუმენტების სიმცირე, რომელთა მეშვეობითაც ბანკს შეუძლია სასხრების მოზიდვა. ეს ინსტრუმენტებია:

● ბანკთაშორისი სესხები. დღეისათვის ეს წყარო ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი და მობილურია. მისი უარყოფითი მომენტია სიძვირე. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ბანკთაშორისი სესხების მოზიდვა მთავარი არ უნდა იყოს ლიკვიდობის შენარჩუნებაში, რადგან ეს, ჯერ ერთი, ზარჯებს უდიდებს ბანკს და მისი ფუნქციონირების ეფექტიანობას აქვეითებს, ხოლო, მეორე, აძლიერებს ბანკთაშორის კრედიტზე დამოკიდებულებას, რაც მერყეეი ან კრიზისული ვითარებისას ლიკვიდობის კრიზისს აჩენს თვით ბანკებში. ამიტომ ბანკებმა, ერთი მხრივ, ყურადღება უნდა დაუთმონ სხვა ბანკებთან პარტნიორული ურთიერთობების მოგვარებას, რათა შეეძლოთ ბანკთაშორისი კრედიტების მოზიდვა ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, გულდასმით არეგულირონ მოზიდული სახსრების მოცულობები.

● ცენტრალურ ბანკში აღებული სესხები. კომერციული ბანკების მიერ ამ სესხების აღების რამდენიმე გზა არსებობს. დაწვრილებით განვიხილოთ ისინი.

● ერთდღიანი საანგარიშსწორებო კრედიტები (დღის განმავლობაში დასაფარავი და „ოვერნაითი"), ცენტრალური ბანკი მათ გასცემს საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრების ნაკლებობის ან უქონლობის დროს. ამ შემთხვევაში იგი ბანკს აკრედიტებს დაწესებული ლიმიტის ფარგლებში, შემდეგ კი ატყობინებს ბანკს ერთდღიანი კრედიტის მიცემის თაობაზე. კომერციული ბანკების ასეთნაირად დაკრედიტების მიზანია საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება და ანგარიშსწორებათა სისტემის ეფექტიანად და შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ამდენად, ეს ხელს უწყობს კომერციული ბანკების გადახდისუნარიანობის გაუმჯობესებას და მყისიერი ლიკვიდობის მართვას;

● ლომბარდული კრედიტები. მათ კომერციულ ბანკებს 30 დღემდე ამლევენ ლიკვიდობის შესანარჩუნებლად იმ ფასიანი ქაღალდების საწინდარით, რომლებიც ე.წ. სალომბარდო ნუსხაშია მოქცეული. მათ ხარჯზე ბანკები იღებენ მოკლევადიან რესურსებს და მათ იყენებენ კლიენტების წინაშე არსებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. ამგვარად, ბანკების მიმდინარე ლიკვიდობა მატულობს;

● ლიკვიდობის ასამაღლებელი კრედიტები. ეს შედარებით უფრო გრძელვადიანი (1 წლამდე) კრედიტებია, რომლებიც ხელს უწყობს ბანკების გრძელვადიანი ლიკვიდობის შენარჩუნებას.

აღსანიშნავია, რომ ცენტრალური ბანკიდან კრედიტის მისაღებად (ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით) კომერციული ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ მოთხოვნებს, მაგალითად, ბაზარზე უნდა საქმიანობდეს არანაკლებ 1 წლის განმავლობაში, ასრულებდეს ცენტრალური ბანკის სავალდებულო ეკონომიკურ ნორმატივებს, თავისდროულად რიცხავდეს სახსრებს სავალდებულო სარეზერვო ფონდებში და სხვა.

● რეპო-ოპერაციებზე მოზიდული სახსრები. ეს სახსრები ლიკვიდობის შენარჩუნების შესაძლებლობას უქმნის ბანკებს ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული რესურსების ხარჯზე. ბანკების საქმიანობაში რეპო-ოპერაციების გამოყენება დადებითად მოქმედებს ბანკის ლიკვიდობაზე, რადგანაც ლიკვიდური აქტივების უკმარისობის შემთხვევაში ისინი დამატებითი სახსრების მოზიდვის საშუალებას აძლევს მას. ამის შედეგად ბანკს უფრო თავისუფლად შეუძლია არსებული საშუალებების დაკარგვა.

პასივების მართვის მეშვეობით ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნების მესამე მიმართულებაა ბანკის საკუთარი კაპიტალის შემადგენელი ნაწილების მართვა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთარი კაპიტალი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკის ლიკვიდობის უზრუნველყოფაში. ბანკის საკუთარი სახსრების სიდიდე განუწყვეტელივ იცვლება. ამიტომ უნდა ჩატარდეს საკუთარი ნეტო-კაპიტალის ანალიზი, რათა არ იქნეს დაშვებული მისი დაცემა უარყოფით მაჩვენებლებამდე. ასევე აუცილებელია, რომ თავისდროულად ჩატარდეს ფონდების ფორმირება, მიღწეულ იქნეს დადებითი შედეგი ბანკის ფინანსურ საქმიანობაში, რადგანაც დიდი მოცულობის საკუთარი კაპიტალი ხელს უწყობს ბანკის ლიკვიდობის ამაღლებას და, მაშასადამე, მისი ფინანსური მდგრადობის გაძლიერებას.

პასივების მართვის ზემოთ განხილულ მეთოდებს ფართოდ იყენებენ მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში. ისინი ორგანულად ავსებენ აქტივების მართვის მეთოდებს და აფართოებენ ბანკის შესაძლებლობებს ოპერაციების ჩატარებაში, ხელს უწყობენ არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, რომლებსაც უფრო თავისუფლად მიუწვდებათ ხელი ბაზარზე და, მაშასადამე, გარე ფინანსურ რესურსებზე (ბაზრისათვის თავიანთი დიდი მნიშვნელობის, სიმტკიცისა და კარგი იმიჯის გამო). ამასთან, გამორიცხული არაა, რომ ლიკვიდობის შესანარჩუნებლად წვრილი და საშუალო ზომის ბანკებიც ასევე აქტიურად იყენებდნენ დაფინანსების გარე წყაროებს, გან-

საკუთრებით კი – ბანკთაშორის სესხებს.თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, შეგვიძლია გამოვყოთ პასივების მართვის მეთოდების შემდეგი ძირითადი ღირსებები:

ბანკის მიერ პასივების მართვის მეთოდების გამოყენება ამაღლებს ბანკის მდგრადობას, რადგანაც დასახული მიზნების რეალიზაციის შემთხვევაში აღწევენ პასივების სასურველ სტრუქტურას ვადებისა და გადახდის თვალსაზრისით. მოვლენათა ამგვარი მსვლელობის ერთ-ერთი შედეგი იქნება დაუბალანსებელი ლიკვიდობის რისკის შემცირება ბანკისათვის;

პასივების მართვის სტრატეგია არსებული სახსრების უფრო ეფექტიანად გამოყენებასაც უწყობს ხელს და სტიმულს აძლევს მაღალლიკვიდური, მაგრამ დაბალშემოსავლიანი აქტივების ხვედრითი წილის შემცირებას ბანკის ბალანსში (აღსანიშნავია, რომ ასეთი ვითარება შესაძლებელია მხოლოდ კარგად განვითარებული და სტაბილური ფინანსური ბაზრის პირობებში). ეს, თავის მხრივ, იწვევს ბანკის მიერ ჩატარებული ოპერაციების წრის გაფართოებას, მისი დაბანდებების დივერსიფიკაციას და, საბოლოოდ, ხელს უწყობს აქციების რენტაბელობის, მიღებული მოგებისა და ბანკის ლიკვიდობის ამაღლებას.

აქედან გამომდინარე, კომერციული ბანკები უნდა ცდილობდნენ გარე ლიკვიდობის წყაროების გაფართოებას მათი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვის ძირითადი მეთოდები – აქტივებისა და პასივების მართვა. მაგრამ ლიკვიდობის მართვის მიზნით გამოყენებული მეთოდები მოითხოვს მისი მართვის დაყოფას შიდა და გარე წყაროების მართვად. რაც შეეხება პრაქტიკას, იგი გვიჩვენებს, რომ ლიკვიდობის ოპერატიული დონის შენარჩუნება შეხებაშია ბანკის საქმიანობის თითქმის ყველა მხარესთან და მოითხოვს კომპლექსური და დაბალანსებული პოლიტიკის გატარებას მისი აქტივებისა და პასივების მართვასთან დაკავშირებით.

15.4.3. აქტივებისა და პასივების დაბალანსებული მართვა

ბანკის ბალანსის ლიკვიდობა, ე.ი. მასში იმ აქტივების საკმარისი რაოდენობის არსებობა, რომელიც შეიძლებოდა რეალიზებულიყო ვალდებულებათა დაფარვისთვის, ყოველთვის არ იძლევა ბანკის ლიკვიდობის მდგომარეობის რეალურ სურათს. არსებითად, ბანკის ლიკვიდობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ბალანსის ლიკვიდობა, რადგან ეს მაჩვენებელი ითვალისწინებს იმ აქტივებისა და სახსრების ჯამის საკმარისობას, რომელთა მობილიზებაც სხვა წყაროებიდან შეუძლია ბანკს თავისი მიმდინარე ვალდებულებების თავის დროზე დასაფარავად.

აქედან გამომდინარეობს, რომ პრაქტიკაში ბანკმა უნდა გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც მაქსიმალურად დაბალანსებინებს მას აქტივებსა და პასივებს თანხებისა და ვადების მიხედვით; მომავალში კი შეანარჩუნებინებს ამ წონასწორობას და დაეხმარება ლიკვიდობის მართვის პოლიტიკის გატარებაში იმ ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, რომლებიც მათი სტრუქტურის ცვლილებებს იწვევენ. შეგვიძლია მოვიყვანოთ ამ საქმიანობის შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

ჯერ ერთი, ბანკმა თვალყური უნდა ადევნოს თავის ვალდებულებათა დინამიკას, გააანალიზოს მოზიდულ სახსრებზე გადასახადი ძირითადი თანხის გადახდამდე დარჩენილი ვადები, აგრეთვე დინამიკაში განსაზღვროს მათი დაფარვის შესაძლებლობები;

მეორე, ლიკვიდობის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა ლიკვიდურ სახსრებად უფრო ნაკლებად ლიკვიდური სახსრების ტრანსფორმირების შესაძლებლობათა უზრუნველყოფა, აგრეთვე ვალდებულებათა გასასტუმრებლად საჭირო დამატებითი სახსრების შემოსვლის უზრუნველყოფა;

- მესამე, ბანკი აუცილებლად უნდა გეგმაზდეს მომავალი პერიოდებისთვის ლიკვიდობის ოპტიმალურ სიდიდეს, ე.ი. მთლიანობაში აფასებდეს მარაგ-ლიკვიდობისა და ნაკად-პროგნოზის

მაჩვენებლებს. ეს ისეთ ღონისძიებათა კომპლექსის დასახვის შესაძლებლობას მისცემს, რომელიც მიმართული იქნება აქტივების განთავსების და პასივების მოზიდვის მაქსიმალური რაციონალურობისა და ეფექტიანობის მიღწევისკენ, აპოვნინებს მომავალში ამ სახსრების მართვის გზებს.

ამგვარად, აქტივების მართვის სფეროში აუცილებელია შეეხტანოთ შემდეგი შესწორებები:

მაღალლიკვიდური და ლიკვიდური სახსრების მარაგის ფორმირების დროს უნდა გავითვალისწინოთ როგორც ახლანდელი მომენტი, ისე პერსპექტივაც, ბანკის ვალდებულებების ცვლილება (მოდინება და გადინება);

საკრედიტო და თავდაპირველად საინვესტიციო დაბანდებებში აქტივების დაბანდებას უნდა ეწეოდეთ პასივების მოზიდვის ვადების შესაბამისად, შემდეგ კი ვახდენდეთ მის ტრანსფორმირებას პასივების დროითი სტრუქტურის ცვლილების კვალობაზე.

პასივების მართვის სფეროში საჭიროა დამატებით გავითვალისწინოთ შემდეგი მომენტები:

სახსრების მოზიდვას უნდა ვახორციელებდეთ შესაბამისი ვადების მქონე აქტივებში მათი მომგებიანად განთავსების შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ეს ხელს შეუწყობს აქტივებისა და პასივების მეტ დაბალანსებას ვადების მიხედვით;

- არსებული რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების მიზნით ბანკს ხელი უნდა მიუწვდებოდეს გარე რესურსებზე და მათი მეშვეობით არეგულირებდეს თავის ლიკვიდობას აქტივების სტრუქტურის რყევის დროს.

ცხადია, ამ დებულებების პრაქტიკაში გამოსაყენებლად აუცილებელია მათი დაწვრილებით დეტალიზება, რაც ცალკე კვლევის საგანს შეადგენს. მაგრამ სრულად გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის კომერციული ბანკები, რომლებიც ლიკვიდობის მართვის მეთოდებს იყენებენ ფულადი ნაკადების ანალიზისა და პროგნოზირების საფუძველზე, ყველაზე ნაკლებ მტკივნეულად გრძნობენ კონიუნქტურული რყევებისა და ლიკვიდობის დისბალანსის რისკის ნეგატიურ ზემოქმედებას.

15.5. კომერციული ბანკების ლიკვიდობის შეფასების საზღვარგარეთული გამოცდილება

კომერციული ბანკის ლიკვიდობა, როგორც ხარისხობრივი მდგომარეობა, რომელზეც მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, ძნელად გასაზომი მაჩვენებელია. ამას მისი შეფასების საზღვარგარეთული გამოცდილებაც ადასტურებს.

როგორც წესი, არსებობს ლიკვიდობის გაზომვის ორი მეთოდი:

ა) იმ ფინანსური კოეფიციენტების საფუძველზე, რომლებსაც ბალანსის მიხედვით ანგარიშობენ და რომლებიც ბალანსის ლიკვიდობას ასახავენ;

ბ) ლიკვიდურ სახსრებზე პოტენციური მოთხოვნილების განსაზღვრის საფუძველზე. იმ ბრუნვის ანალიზის გათვალისწინებით, რომელიც შესაბამის პერიოდებში აქვს ბანკის ბალანსს აქტივებისა და პასივების მიხედვით.

კოეფიციენტების მეთოდი გულისხმობს ბალანსის მუხლებს შორის გარკვეული რაოდენობრივი თანაფარდობების დადგენას. ამასთან, ზოგ ქვეყანაში ამ თანაფარდობებს ხელისუფლება აწესებს, ზოგში კი მათ თვითონ ბანკები ადგენენ და იცავენ.

მაგალითად, აშშ-ში არ არსებობს ლიკვიდობის გაზომვის ზევიდან დაკანონებული სისტემა. მისი განსაზღვრა და დაცვა ბანკის ხელმძღვანელობის ამოცანაა.

ლიკვიდობის შეფასებისათვის მაჩვენებლების შერჩევა დამოკიდებულია:

- იმ ბაზარზე, რომელზეც ბანკი ფუნქციონირებს;
- ბანკის ტიპზე ან სახეობაზე;
- საბანკო ოპერაციების შინაარსსა და კომპლექსზე.

ამაღე დროს, ბანკების მიერ დაგროვილმა გამოცდილებამ ყველაზე ხშირად შემდეგი მაჩვენებლების გამოყენება განაპირობა:

მაჩვენებლების პირველი ჯგუფი ახასიათებს ლიკვიდური აქტივების და დეპოზიტების თანაფარდობას. ამ დროს ორ მაჩვენებელს იყენებენ:

პირველადი რეზერვები (სალარო+ცენტრალურ ბანკში არსებული საკორესპონდენტო ანგარიში)

1. ——————————————————————————————

დეპოზიტები

პირველადი + მეორადი (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები) რეზერვები

2. ——————————————————————————————

დეპოზიტები

ამ მაჩვენებლების მეშვეობით ადგენენ უშუალო კავშირს ლიკვიდურ აქტივებსა და იმ შესასრულებელ ვალდებულებებს შორის, რომლებსაც დეპოზიტების სახე აქვთ. ბანკის ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად პირველი მაჩვენებლის დონე 5-10%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, მეორისა კი — 15-25%-ზე ნაკლები.

მეორე მაჩვენებელს იყენებენ იაპონიაში, ოღონდ იგი საკალდებულოა ყველა ბანკისათვის. მისი დონე 30%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

აშშ-ში ბანკის ლიკვიდობის შესაფასებლად კიდევ რამდენიმე მაჩვენებელს იყენებენ. ერთერთი მათგანია გაცემული კრედიტების თანხისა და დეპოზიტების თანაფარდობა. მის შეფასებას დინამიკაში ახდენენ. ამასთან, დაწესებულია შემდეგი დამოკიდებულება: რაც უფრო მეტად აჭარბებს ეს მაჩვენებელი ერთს, მით უფრო ნაკლებია ბანკის ლიკვიდობა. ამის პარალელურად ანგარიშობენ და აფასებენ კრედიტების ხვედრით წილს აქტივების შთლიან თანხაში, რაც აქტივების დივერსიფიცირებას ასახავს. ამ მაჩვენებელს ოპტიმალურად მიიჩნევენ მაშინ, თუ მისი დონე 65-70%-ის ფარგლებშია.

ბანკის ლიკვიდობის შესაბამისად ისეთ მაჩვენებელსაც იყენებენ, რომელიც გამოხატავს ნაღდ ფულზე აქტივის სწრაფად გადაცვლის უნარს. მას ანგარიშობენ ლიკვიდური აქტივების შეფარდებით აქტივების მთელ თანხასთან. ამ დროს ლიკვიდური აქტივები მოიცავს მხოლოდ სალაროში არსებული სახსრების ნაშთებს, გზაში მყოფ ფულად სახსრებს, საკალუტო ანგარიშებზე მყოფ სახსრებს, აგრეთვე, ცენტრალურ ბანკში და სხვა ბანკებში, „ნოსტრო" ანგარიშებზე მყოფ ნაშთებს. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია ბანკის ლიკვიდობა, მაგრამ დაბალია მისი შემოსავლიანობა. ამიტომ ლიკვიდობის მართვის სფეროში მენეჯმენტის მიზანია ოპტიმალური საზღვრის დადგენა ბანკის ლიკვიდობასა და მის შემოსავლიანობას შორის.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოზიდული რესურსების სტუქტურისა და დეპოზიტური ბაზის სტაბილურობის ანალიზს. ამასთან დაკავშირებით განიხილავენ იმ მაჩვენებლების ჯგუფს, რომლებიც ახასიათებს ბანკის რესურსული ბაზის სარისკს.

სტაბილურობის თვალსაზრისით დეპოზიტები იყოფა ძირითად (მდგრად) და „მფრინავ" დეპოზიტებად. ძირითადია ის დეპოზიტები, რომლებიც ამ ბანკში დამკვიდრდნენ და არ ტოვებენ მას. რაც უფრო მეტია მდგრადი დეპოზიტები, მით უფრო მაღალია ბანკის ლიკვიდობა, რადგანაც ისინი ამცირებენ მოთხოვნას ლიკვიდურ აქტივებზე.

ძირითადი დეპოზიტები შესაძლოა იყოს როგორც მოთხოვნამდე შეტანილ ანაბრებს შორის, ისე ვადიან და საშემნახველო ანგარიშებსა და ანაბრებს შორის. ამასთან, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დეპოზიტების მდგრადი ნაწილი უფრო მეტია მოთხოვნამდე შენახულ ანგარიშებს შორის. ამის მიზეზია ის ფაქტორი, რომ ვადიან და საშემნახველო ანაბრებს უფრო მაღალ პროცენტებს

უწესებენ მოთხოვნამდე მყოფ ანაბრებთან შედარებით, თანაც ვადიან და საშემნახველო დეპოზიტებზე გადასახდელი სხვადასხვა ბანკში სხვადასხვაგვარია. ამიტომ, სახელდობრ, ეს დეპოზიტებია ყველაზე უფრო მოძრავი, რამაც განაპირობა კიდეც მათი დასახელება - „მფრინავი“ დეპოზიტები.

დეპოზიტების მდგრადობის და სტაბილურობის დონის მაჩვენებელს ანგარიშობენ ძირითადი დეპოზიტების თანხის შეფარდებით დეპოზიტების მთლიან თანხასთან. ლიკვიდურად ითვლება ის ბანკი, რომლის დეპოზიტების მთლიან თანხაში ძირითადი დეპოზიტების ხვედრითი წილი 75%-ზე ნაკლები არაა.

დეპოზიტური ბაზის სტაბილურობის ამსახველი მეორე მაჩვენებელია ვადიანი და საშემნახველო დეპოზიტების შეფარდება დეპოზიტების მთლიან თანხასთან. როგორც უკვე ვთქვით, ვადიანი და საშემნახველო დეპოზიტები ბანკების იმ რესურსებს ეკუთვნის, რომლებიც ყველაზე უფრო მგრძნობიარეა საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ. ამიტომ ასეთი დეპოზიტების ხვედრითი წილის ამაღლება ადიდებს „მფრინავი“ დეპოზიტების მოცულობას და დაბლა სწევს ბანკის ლიკვიდობას.

ბანკის რესურსული ბაზის ხარისხს აფასებენ, აგრეთვე, ისეთი მაჩვენებლებით, რომელიც ასახავს კომერციული ბანკისთვის გარე წყაროების (ბანკთაშორისი კრედიტის) ხელმისაწვდომობას. მისი გასაანგარიშებელი ფორმულა ასეთია:

სხვა ბანკებში, მ. შ. - ცენტრალურ ბანკში მიღებული სესხები

მოზიდული სახსრების თანხა

ამ მაჩვენებლის შეფასება ერთგვაროვანი არაა. ერთი მხრივ, ბანკის მაღალ ლიკვიდობაზე მიანიშნებს იმის შესაძლებლობა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში სწრაფად და ზომიერ ფასად მოიზიდოს რესურსები ბანკთაშორისი ბაზრიდან, ცენტრალური ბანკიდან და ამით აიცილოს თავიდან ლიკვიდური სახსრების დროებითი უკმარისობა. მეორე მხრივ, გარეთ ნასესხები სახსრების მაღალი ხვედრითი წილი ბანკის სისუსტესა და მის დაბალ ლიკვიდობაზე მეტყველებს. ამიტომ დამატებით აანალიზებენ: ა) სესხების აღების სიხშირეს; ბ) სესხების აღების პირობებს (საწინდრით თუ უსაწინდროდ); გ) რესურსების მოზიდვის მიზეზებს; დ) სესხების პროცენტებს.

მრავალ ქვეყანაში კომერციული ბანკების ლიკვიდობის მაჩვენებლებს ანგარიშობენ ბალანსის იმ აქტიური და პასიური მუხლების თანაფარდობის საფუძველზე, რომლებიც ვადების მიხედვითაა დაჯგუფებული.

საფრანგეთში ასეთ ვადად ითვლება სამი თვე. ამის შესაბამისად, ლიკვიდობოს კოეფიციენტს ანგარიშობენ სამ თვემდე მოთავსებული აქტივების შეფარდებით მოთხოვნამდე მოთავსებულ დეპოზიტებთან, ვადიან დეპოზიტებთან და ამავე ვადით მოზიდულ სხვა რესურსებთან. ამ კოეფიციენტის გაანგარიშება ბანკებმა ყოველკვარტალურად უნდა წარუდგინონ მაკონტროლებელ ორგანოებს. მისი ზღვრული მაჩვენებელია არანაკლებ 60%-ისა.

ინგლისის კომერციული ბანკები ყოველთვიურ ანგარიშს წარუდგენენ ინგლისის ბანკს ლიკვიდობის კოეფიციენტის დაცვის შესახებ. მისი გაანგარიშების დროს მრიცხველშია ნაღდი სახსრები, „ნოსტრო“ ანგარიშზე მყოფი ნაშთები, მოთხოვნამდე და ერთი დღის ვადით მოთავსებული სახსრები, ფასიანი ქაღალდები და გასანაღდებლად ვარგისი თამასუქები, მნიშვნელში კი – მთელი მოზიდული რესურსები. ამ კოეფიციენტის მინიმალურად დასაშვები სიდიდეა 12,5%.

გარდა ამისა, ინგლისის კომერციული ბანკები ლიკვიდობის სხვა ისეთ კოეფიციენტებსაც ანგარიშობენ, რომლებსაც ცენტრალურ ბანკში წარდგენა არ სჭირდება, ასეთებია:

ა) ერთ თვემდე ვადით მოთავსებული აქტივების თანხის და იმავე ვადაში დასაფარავი ვალდებულებების თანხის თანაფარდობა;

ბ) ექვს თვემდე მოთავსებული აქტივების და ბანკის ვალდებულებების შესაბამისი ნაწილის თანაფარდობა.

ბალანსის ლიკვიდობის მდგომარეობის შესახებ გერმანიის ბანკებიც ყოველთვიურ ანგარიშს წარუდგენენ გერმანიის ფედერალურ ბანკს. აქ კანონითაა დადგენილი კომერციული ბანკების ვალდებულებათა შემდეგი თანაფარდობების დაცვის შესახებ:

ა) მოკლე და გრძელვადიანი დაბანდებები (ოთხ წლამდე) იმავე ვადით მოზიდულ რესურსებთან და საშემნახველო ანაბრებთან;

ბ) გრძელვადიანი დაბანდებები (ოთხი და მეტი წლით) ამავე ვადით მოზიდულ რესურსებთან.

ამ კოეფიციენტებს 100%-ის დონეზე ითხოვენ, რაც, თაყის მხრივ, გულისხმობს უფრო გრძელვადიანი დაბანდებების ნაწილობრივად დაფარვის შესაძლებლობას უფრო მოკლევადიანი რესურსებით.

უცხოელი ექსპერტები ითვალისწინებენ ბანკის ლიკვიდობის მდგომარეობის დინამიკურობას და აღნიშნავენ, რომ მისი სრულად გაზომვა შეუძლებელია საბალანსო თანაფარდობათა საფუძველზე გამოთვლილი ფინანსური კოეფიციენტების მეშვეობით. ამიტომ თანდათანობით ისახებოდა ლიკვიდობის შეფასების პრაქტიკა ბანკის არსებული აქტივებისა და პასივების მიხედვით გაჩენილი ნაღდი ფულის ნაკადების საფუძველზე.

ამ შეფასების სირთულე იმაშია, რომ ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისთვის გათვალისწინებული არაა გადახდის ვადის დადგომა (მაგალითად, მოთხოვნამდე შეტანილი დეპოზიტები). სხვა სირთულეა ცალკეული სესხების დაფარვის პერსპექტივების შეფასების სისწორე. ამიტომ ამ მეთოდის გამოყენება ითვალისწინებს:

ა) აქტივებისა და პასივების მიხედვით გადასახდელების ვადების შესახებ ინფორმაციის სიზუსტესა და მისი მიღების თავისდროულობას;

ბ) სესხებისა და დეპოზიტების მდგომარეობის წარსული და მომავალი ტენდენციების ანალიზის (რომელსაც ბანკი ატარებს) მაღალ ხარისხს.

ნაღდი ფულის ნაკადების საფუძველზე ბანკების ლიკვიდობის შეფასების პრაქტიკამ ფართო გავრცელება ჰპოვა იაპონიაში, აშშ-ში და ევროპის მრავალ ქვეყანაში. ქვემოთ მოგვყავს იაპონიის კომერციული ბანკების ლიკვიდობის შეფასების ნიმუში (იხ. ცხრ. 15.3). რადგანაც ლიკვიდობის რისკი აღნიშნავს ბანკის ლიკვიდური აქტივებისა და მისი ვალდებულებების დაუბალანსებლობის რისკს მათი ვადების და თანხების მიხედვით, ამიტომ სასარგებლოა ცხრილის შედგენა აქტივებისა და პასივების ჯგუფების მიხედვით.

მოყვანილი შეპირისპირების შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს ლიკვიდური სახსრების სიჭარბე ან უკმარისობა, რაც მოითხოვს დაუბალანსებლობის რისკის თავიდან აცილების ღონისძიებების განსაზღვრას (ბანკთაშორის ბაზარზე ახალი სესხის აღება, ფასიანი ქაღალდების გაყიდვა, ვალდებულებათა ვადის გახანგრძლივება და ა.შ.).

ერთ თვეში ბანკის ლიკვიდობის შეფასებისთვის ანგარიშობენ ლიკვიდობის კოეფიციენტს:

$$K_{ლ} = \frac{\text{სახსრებზე საერთო მოთხოვნილება-ვალდებულებები უზრუნველსაყოფად პერიოდში}}{\text{იმ აქტივების საერთო თანხა, რომლებიც მერყევ საპროცენტო განაკვეთს უკავშირდება}}$$

გაანგარიშების მაგალითი მოგვყავს ქვემოთ (ცხრ. 15.4).

$$K_{ლ} = \frac{4032 - 179}{12155} \quad 100 = 31{,}7\%$$

ცხრილი 15.3.

იაპონიის კომერციული ბანკების ლიკვიდობის შეფასება

მაჩვენებლები	მიმდინარე თვეში			1თვის შემდეგ	2თვის შემდეგ	3თვის შემდეგ	6თვის შემდეგ	1წლის შემდეგ
	Iდეკადა	IIდეკადა	IIIდეკადა					
1.ვალდებულებების თანხა დაფარვის ვადის მიხედვით: ა) სულ ბ) ცვლილება წინა პერიოდთან შედარებით								
2. ბანკის ხელთ არსებული ლიკვიდური აქტივების თანხა: ა) სულ ბ) ცვლილება წინა პერიოდთან შედარებით								
3. შედეგი (±)								

მითითებული მაჩვენებელი იმას მოწმობს, რომ ბოლო თარიღისთვის ამ ბანკს ლიკვიდური აქტივებით უზრუნველყოფილი არ ექნება თავისი ვალდებულებების ერთი მესამედი. ის, თუ რამდენად შეძლებს ეს ბანკი შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს, დამოკიდებულია მისი მენეჯმენტის დონეზე და ბანკთაშორის ბაზარზე მის მიერ მოხვეჭილ ავტორიტეტზე. გარდა ამისა, განხილული მაჩვენებლის შეფასებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი დონის ტენდენციას, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ წინა პერიოდებთან შედარება და გავარკვიოთ ლიკვიდური სახსრების უკმარისობის პრობლემის მასშტაბი და ამ პრობლემის მოგვარების რეალურობა.

მრავალ ქვეყანაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მსხვილი საკრედიტო რისკების შეზღუდვას ბანკის ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, აშშ-ში XX ს. 70-იანი წლებიდან დაკანონეს ორი მაჩვენებელი: გაცემული კრედიტების შეფარდებამ 11-ჯერ არ უნდა გადააჭარბოს ბანკის კაპიტალს, ან კრედიტების შეფარდება კაპიტალთან არ უნდა შეადგენდეს 0,1-ზე მეტს.

საფრანგეთში ერთ მსესხებელზე ან მსესხებელთა ერთ ჯგუფზე გაცემული კრედიტის ზომა არ უნდა აჭარბებდეს ბანკის საკუთარი სახსრების 75%-ს.

გერმანიაში გაცემული კრედიტების და მონაწილეობის თანხა 18 ჯერზე მეტად არ უნდა აჭარბებდეს ბანკის საკუთარ სახსრებს. თითოეული კრედიტი იმ ხუთი მსხვილი კრედიტიდან, რომლებიც ბანკის საკუთარი სახსრების თანხის 15%-ზე მეტს შეადგენს, 3 ჯერზე მეტად არ უნდა სჭარბობდეს ამ სახსრებს, ხოლო ეს ხუთივე კრედიტი ერთად 8 ჯერზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკუთარ სახსრებს. ყველაზე მსხვილი კრედიტი ბანკის საკუთარი სახსრების 75%-ზე მეტი არ უნდა იყოს.

ცხრილი 15.4.

მაჩვენებლები	ფაქტობრივად 1 თებერვლისთვის	თებერვალში მოსალოდნელი ცვლილება	მოსალოდნელი დონე 1 მარტისთვის
1.მერყევ საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული აქტივები, სულ	12334	-179	12155
მათ შორის:			
აქტიური სალდო სავალუტო ანგარიშების მიხედვით	562	-62	500
კლიენტებზე გაცემული სესხები	5236	+83	5319
ბანკებზე გაცემული სესხები	2637	-112	2525
ფასიანი ქაღალდები	2332	-26	2306
სხვა აქტივები	1567	-62	1505
2. ვალდებულებები სულ	12334	-4032	8302
მათ შორის:			
სახსრები მოთხოვნამდე	2816	+137	2953
ცენტრალური ბანკის კრედიტები	1125	-1125	
სახაზინო გადასახადი	105	-105	
ვადიანი ანაბრები (დეპოზიტური სერტიფიკატების ჩათვლით)	6365	-3132	3233
დეპოზიტები მინდობით	1923	+193	2116

15.6. აშშ ბანკებში ლიკვიდობის ინდიკატორები და მათი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოს პრაქტიკაში

საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ოპერატიულ საქმიანობაში იყენებენ ისეთ მაჩვენებელთა ჯგუფებს, რომელთა გაანგარიშება საკმაოდ მარტივია, მაგრამ ამ მაჩვენებელთა სისტემის კომპლექსურობის წყალობით შეიძლება შეფასდეს ბანკის ლიკვიდობა.

კერძოდ, აშშ-ის ბანკებში იყენებენ მაჩვენებელთა იმ სისტემას, რომლებიც ლიკვიდობის „ინდიკატორების" სახელითაა ცნობილი. მაჩვენებელთა დონის შეფასებისათვის მათ უდარებენ იმ მნიშვნელობებს, რომლებიც ბანკის მენეჯერთა საკუთარი გამოცდილებითაა მიღებული, და იმ მნიშვნელობებს, რომლებიც მთელ საბანკო სისტემაშია უშუალოდ ჩამოყალიბებული. ყველა მაჩვენებელი, რომლებიც ამ სისტემაში შედის, ეკონომიკური აზრის მიხედვით ოთხ ჯგუფად იყოფა:

პირველი ჯგუფი – მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მაღალლიკვიდურ აქტივებს და აფასებენ აქტივების სტრუქტურას ლიკვიდობის თვალსაზრისით:

1. ფულადი პოზიციის მაჩვენებელი (ფულადი სახსრების შეფარდება ერთობლივ აქტივებთან). მიაჩნიათ, რომ ფულადი სახსრების დიდი ხვედრითი წილი იმას აღნიშნავს, რომ ბანკს საიმედო მდგომარეობა უკავია და შეუძლია უზრუნველყოს გადაუდებელი მოთხოვნილებები ფულად სახსრებზე. ჩვენს პირობებში ფულადი პოზიციის მაჩვენებელი უფრო დეტალურად უნდა დაკონკრეტდეს:

- მაღალლიკვიდური სახსრების – ცენტრალურ ბანკში საკორესპონდენტო ანგარიშზე არსებული ნაღდი სახსრების – მიხედვით. ეს სახსრები არ საჭიროებს დროსა და დანახარჯებს რეალიზაციისათვის, რის გამოც მათ აბსოლუტური ლიკვიდობა აქვთ. მათ, ჩვეულებრივ, პირველად რეზერვებს უწოდებენ;
- სავალუტო რეზერვების ფონდში გადარიცხული სახსრები, ცენტრალურ ბანკში საკორესპონდენტო ანგარიშისა და ნაღდი ფულის პოზიციის მიხედვით. ამ პოზიციის გაანგარიშების მიზანშეწონილობას განაპირობებს სავალდებულო რეზერვების ფონდში გადარიცხული სახსრების განსაკუთრებული სტატუსი: ისინი საიმედოა, მაგრამ არ შეიძლება მათი მოთხოვნა მიმდინარე საქმიანობაში;
- საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაღდი ფულისა და სახსრების პოზიციის მიხედვით. ცენტრალურ ბანკში საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრებისგან განსხვავებით, სხვა ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშებზე სახსრების შენახვა გარკვეულ შიდა კონტროლის სამსახურს უკავშირდება.

2. ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების მაჩვენებელი (აშშ-ის მთავრობის ფასიანი ქაღალდების ღირებულების შეფარდება მთელ აქტივებთან). რაც უფრო მაღალია სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ხვედრითი წილი, მით უფრო ლიკვიდური ხდება ბანკის პოზიცია. ამ მაჩვენებელთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს პირობებში ყველა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი არაა მაღალლიკვიდური. ამიტომ ეს კოეფიციენტი არაა მაღალლიკვიდური აქტივების ერთმნიშვნელოვანი მახასიათებელი.

3. ფედერალური სარეზერვო ფონდების ნეტო-პოზიცია (ამ ფონდების გასაყიდი ნაშთების და შესაძენი ნაშთების სხვაობის შეფარდება მთლიან აქტივებთან). ლიკვიდობა მატულობს, როცა ეს შეფარდება იზრდება. საქართველოს პრაქტიკაში ფედერალური სარეზერვო ფონდების ნეტო-პოზიცია შეესაბამება ნეტო-პოზიციას ერთღღიანი ბანკთაშორისი კრედიტებისა და სხვა ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშების მიხედვით.

მეორე ჯგუფი – მაჩვენებლები, რომლებიც ასახავს აქტივების რისკიანობას (საკრედიტო აქტივობის კოეფიციენტი და დაგირავებული ფასიანი ქაღალდების ხვედრითი წილის კოეფიციენტი).

1. საკრედიტო აქტივობის კოეფიციენტი (წმინდა კრედიტებისა და ლიზინგის შეფარდება მთელ აქტივებთან). ეს ნეგატიური მაჩვენებელია, რადგან კრედიტი და ლიზინგი ხშირად ეკუთვნის ბანკის ყველაზე არალიკვიდურ აქტივებს. ჩვენთან საკრედიტო აქტივობის კოეფიციენტის გაანგარიშება შესაძლებელი და მიზანშეწონილია.

2. დაგირავებული ფასიანი ქაღალდების ხვედრითი წილი (დაგირავებული ფასიანი ქაღალდების შეფარდება ფასიანი ქაღალდების პორტფელთან). ეს კოეფიციენტიც ნეგატიური მაჩვენებელია, რადგან რაც უფრო მეტია დაგირავებული ფასიანი ქაღალდების ხვედრითი წილი, მით უფრო ნაკლებად შეიძლება მათი გაყიდვა, როდესაც ლიკვიდურ სახსრებზე მოთხოვნილება გაჩნდება. ჩვენთან ამ მაჩვენებლის გასაანგარიშებლად საჭიროა ბალანსგარეშე აღრიცხვის მონაცემები.

მესამე ჯგუფი – აქტიური და პასიური ოპერაციების შესაბამისობის მაჩვენებლები

(„ცხელი ფულის“ ხვედრითი წილი და მოკლევადიანი შეფარდება საპროცენტო განაკვეთების რყევის დროს ცვალებად ვალდებულებებთან) ახასიათებს ბანკის მოკლევადიანი აქტიური ოპერაციების შესაბამისობას არასტაბილურ პასივებთან. ეს მაჩვენებლები აფასებს ბანკის მაღალლიკვიდური და სწრაფადრეალიზებადი სახსრების საკმარისობას არასტაბილური რესურსების დასაფარავად.

1. „ცხელი ფულის“ ხვედრითი წილი (ნაღდი ფული+აშშ-ის მთავრობის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები+ფედერალური სარეზერვო სისტემის სესხები+შეთანხმებები გამოსყიდვის მქონე სარეზერვო ფასიანი ქაღალდების შეძენაზე გაყოფილი დიდი СД+ +დეპოზიტები ევროვალუტით+ფედერალურ სარეზერვო სისტემაში აღებული სესხები + მოზიდული ფასიანი ქაღალდები). ეს კოეფიციანტი გვიჩვენებს ფულის ბაზარზე ბანკის სესხებისა და მისი იმ ფულადი საბაზრო აქტივების სიდიდის თანაფარდობას, რომლებიც სწრაფად შეიძლება გაიყიდოს ფულის ბაზრების ვალდებულებათა დაფარვის მიზნით.

2. მოკლევადიანი ინვესტიციების შეფარდება საპროცენტო განაკვეთების რყევის დროს ცვალებად ვალდებულებებთან. ამ თანაფარდობის ზრდა იმას გვიჩვენებს, რომ ბანკი განიმტკიცებს ლიკვიდობის პოზიციას. მოკლევადიან ინვესტიციებს ეკუთვნის მოკლევადიანი ანაბრები სხვა ბანკებში, ფედერალური რეზერვების გასაყიდი ნაშთები და ბანკის ხელთარსებული მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები; საპროცენტო განაკვეთების რყევის დროს ცვალებად ვალდებულებათა ჯგუფს მიეკუთვნება 100 ათასი დოლარის და მეტი ღირებულების მთელი ვადიანი ანაბრები, უცხოეთის მთავრობათა ანაბრები, ფედერალური სარეზერვო სახსრების და იმ ფასიანი ქაღალდების შეძენა, რომლებიც იყიდება მათი შეძენის შესახებ შეთანხმებათა საფუძველზე, წარმომდგენზე გასაცემი თამასუქები აშშ-ის საზინაო და საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ ძალიან მგრძნობიარე სხვა ვალდებულებები. ყველა მათგანი ადვილად შეიძლება გადავდინოს სხვა ბანკებში.

ამ კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდიკას განაპირობებს ბანკის ოპერაციების თავისებურებები და აშშ ფინანსური ბაზრების სტრუქტურა. საქართველოს პირობებში ამ მაჩვენებლების გამოყენებას შემდეგი მიზეზები არაობიექტებს:

- ანგარიშგების მონაცემების მიხედვით საბაზრო აქტივებისა და ვალდებულებების გამოყოფის შეუძლებლობა;
- იმ ნიშან-თვისებების უქონლობა, რომლის მიხედვითაც შეიძლება სტაბილური რესურსების გამოყოფა არასტაბილური რესურსებისაგან, რომლებიც საპროცენტო განაკვეთების შეცვლის დროს გაედინება;
- საბაზრო ინსტრუმენტების მეშვეობით ლიკვიდობის მართვის სიძნელე ფულისა და ფინანსური ბაზრების განუვითარებლობის გამო.

მეოთხე ჯგუფი – დეპოზიტური ბაზის მაჩვენებლები (საბროკერო დეპოზიტების მაჩვენებელი, ძირითადი დეპოზიტების ხვედრითი წილი და ანაბრების სტრუქტურული თანაფარდობა). ჩვენს პრაქტიკაში ასეთი ცნებები არაა, ისევე როგორც არ არსებობს ანაბრების დაზღვევის საზღვრები. ამიტომ არ არსებობს საბროკერო და ძირითადი დეპოზიტების მაჩვენებლების განგარიშების შესაძლებლობები.

1. საბროკერო დეპოზიტების მაჩვენებელი (საბროკერო დეპოზიტების შეფარდება მთელ დეპოზიტებთან). საბროკერო დეპოზიტები წარმოადგენს ფულადი სახსრების პაკეტს (ჩვეულებრივ, 100 ათასი დოლარის ან ნაკლები სიდიდის დეპოზიტების დაზღვევის უპირატესობათა მიღების მიზნით), რომლებიც თავიანთი კლიენტის მაგივრად შეაქვთ ბროკერებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე. მათზე ბანკები მაღალ პროცენტებს იხდიან. საბროკერო დეპოზიტები ძალიან მგრძნობიარეა საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ და მათ სწრაფად შეუძლიათ ბრუნვა. საბროკერო დეპოზიტების რაოდენობისა და ღირებულების გადიდება ზრდის

ბანკის ლიკვიდობაში კრიტიკული სიტუაციის წარმოქმნის ალბათობას.

2. ძირითადი დეპოზიტების ხვედრითი წილი (ძირითადი დეპოზიტების შეფარდება მთლიან აქტივებთან). რაც უფრო მეტია მაჩვენებლის მნიშვნელობა, მით უფრო ნაკლებია ლიკვიდურ სახსრებზე მოთხოვნილება.

ძირითადი დეპოზიტები წარმოადგენს, უმთავრესად, ადგილობრივი კლიენტების იმ მცირე ზომის ანგარიშებს, რომლებიდანაც სანმოკლე შეტყობინებით ფულის გატანის ალბათობას მინიმალურად მიიჩნევენ (იანგარიშება როგორც მთელი ანაბრების ერთობლიობა 100 ათას დოლარზე მეტი მოცულობის ანაბრების ჯამის გამოკლებით).

3. ანაბრების სტრუქტურული თანაფარდობა (მოთხოვნამდე დეპოზიტების შეფარდება ვადიან დეპოზიტებთან). ეს თანაფარდობა გვიჩვენებს, თუ რამდენად სტაბილურია ბანკის ზულთარსებული ფინანსური სახსრები. შეფარდების შემცირება გვიჩვენებს ანაბრების დიდ სტაბილურობას და ლიკვიდურ სახსრებზე მოთხოვნილების შემცირებას.

მოკლე დასკვნები

1. ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში „ლიკვიდობის“ ცნების გაგება ერთგვაროვანი არ იყო მთელი მისი გამოყენების მანძილზე. თანამედროვე პირობებში ამ ტერმინს ხშირად სხვადასხვა ობიექტების მახასიათებლად იყენებენ. ლიკვიდობის, როგორც ეკონომიკური ცხოვრების ობიექტის, ხარისხობრივი მახასიათებლის არსი მდგომარეობს ამ ობიექტის ღირებულების თავისდროულად რეალიზების შესაძლებლობაში. ქვეყნის საბანკო სისტემის ლიკვიდობა, ვიწრო აზრით, გაიგივებულია მიმოქცევაში მყოფ ფულის მასასთან, ხოლო ფართო აზრით, ესაა საბანკო სისტემის უნარი, თავისდროულად და შეუფერხებლად გადააადგილოს ღირებულებანი ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში.

2. ბანკის ლიკვიდობის ცნებას აქვს მაკრო და მიკროეკონომიკური დონეები, სტატიკური და დინამიკური ასპექტები. სტატიკური ასპექტი ბანკის ლიკვიდობას ახასიათებს როგორც მის უნარს, თვისი ვალდებულებები შეასრულოს დროის კონკრეტულ მომენტში, ხოლო დინამიკური ასპექტი მოიცავს იმ უნარსაც, რომ ბანკმა შეინარჩუნოს თავისი, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა ობიექტის, საკუთარი ღირებულება, რისი წყალობითაც ბანკი ინარჩუნებს თავის ვალდებულებათა თავისდროულად დაფარვის უნარს მომავალში.

3. საბანკო სისტემის ლიკვიდობაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობის ეფექტიანობა ცენტრალური ბანკის მხრიდან; მაღალლიკვიდური სახსრების (მიმოქცევაში მყოფი ფულის მასის მოცულობის) რაოდენობის საკმარისობა; ეროვნული ეკონომიკის მთავარი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მდგრადობა. ლიკვიდობაზე მოქმედი შიდა ფაქტორების რიცხვშია: აქტიური და პასიური ოპერაციების შესაბამისობა დაფარვის ვადების მიხედვით; აქტივების ხარისხი; საკუთარი სახსრების საკმარისობა და მოზიდული სახსრების სტაბილურობა; საქმიანობის დადებითი ფინანსური შედეგები. გარე ფაქტორებს ეკუთვნის ფულისა და ფინანსური ბაზრების განვითარება და ქვეყნის საბანკო სისტემის ლიკვიდობის მართვის ხარისხი.

4. ბანკების საერთაშორისო ლიკვიდობა მდგომარეობს ბანკების საერთაშორისო გაერთიანების — სხვადასხვა ქვეყნის კომერციული ბანკების ერთობის — მონაწილეთა

შესაძლებლობასა და უნარში, პასუხი აგონ თავიანთ ვალდებულებებზე.

5. ყველა მაჩვენებელი, რომლითაც ბანკის ლიკვიდობის ამა თუ იმ მხარეს აფასებენ, შეგვიძლია შემდეგ ჯგუფებად დავყოთ: საკუთარი სახსრების საკმარისობის მიხედვით თანაფარდობის მაჩვენებლები; აქტივების ხარისხისა და რისკიანობის მაჩვენებლები; პასივების სტრუქტურისა და სტაბილურობის მაჩვენებლები; მომგებიანობისა და რენტაბელობის მაჩვენებლები.

6. იმ მაჩვენებლებს, რომლებიც ბანკის ლიკვიდობის ამა თუ იმ ასპექტს ახასიათებს, სხვადასხვა მიზნით იყენებენ. ზოგი მათგანი სავალდებულო ეკონომიკურ ნორმატივებადაა ცნობილი. ამ ჯგუფის მაჩვენებლებს ცენტრალური ბანკი იყენებს როგორც ცალკეული კომერციული ბანკების, ისე მთელი საბანკო სისტემის სამართავად. ლიკვიდობის „ინდიკატორ“ მაჩვენებელთა ჯგუფს აშშ-ის ბანკირები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ანგარიშობენ. ამ ჯგუფის ბევრი მაჩვენებლის გამოყენება შესაძლებელია ჩვენი ბანკების პრაქტიკაშიც.

7. დაინტერესებულ პირთა იმ ზოგიერთი ჯგუფებისათვის (მეანაბრეები, კრედიტორები, ბანკის პოტენციური პარტნიორები), რომლებსაც მხოლოდ პერიოდული პრესის საშუალებით მიღებულ ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი, აქტუალურია ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშება, რომლებიც ლიკვიდობის ცალკეულ მხარეებს ახასიათებს გამოქვეყნებული ანგარიშგების საფუძველზე.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

ადეკვატური ლიკვიდობა ბანკს გააჩნია, თუ მას შეუძლია სწრაფად და მისაღებ ფასებში, აქტივების კონცენტრაციის ან ვალდებულებების გაზრდის საშუალებით, მოიპოვოს აუცილებელი სახსრები. ბანკს უნდა ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდობა, რათა მან შეძლოს, უზრუნველყოს თავის ბალანსში ყველა მოულოდნელი ცვლილება და მოიპოვოს განვითარებისათვის აუცილებელი სახსრები. ლიკვიდობის საფასური დამოკიდებულია ბაზრის პირობებზე და ამ პირობებში მისაღები რისკის დონეზე. აქ იგულისხმება საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშებთან დაკავშირებული რისკი.

აქტივების განაწილების მეთოდი — ლიკვიდობის მართვის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ბანკის აქტივებისა და პასივების შეპირისპირებას ვადებისა და თანხების მიხედვით. ამისათვის სახსრების განთავსების წყაროებსა და ძირითად მიმართულებებს აჯგუფებენ და ისე უპირისპირებენ ერთმანეთს, რომ პასივების გარკვეული ჯგუფების სახსრები აქტივების გარკვეულ ჯგუფებში განთავსდეს დაბანდებათა შემოსავლიანობისა და ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნების გათვალისწინებით.

აქტივების ლიკვიდობა — ფულად სახსრებად აქტივების გარდასახვის უნარი.

ბანკის ლიკვიდობა — იმის უნარი, რომ თავისდროულად, სრული მოცულობითა და დანაკარგების გარეშე უზრუნველყოს ყველა კონტრაგენტის წინაშე თავის სავალო ვალდებულებათა შესრულება, აგრეთვე მიაწოდოს მათ სახსრები ნაკისრ ვალდებულებათა ფარგლებში, მათ შორის — მომავალში.

ბანკის გადახდისუნარიანობა — ანგარიშსწორებათა ჩატარებისა და კლიენტების ვალდებულებებზე დადგენილ ვადებში სრული მოცულობით პასუხისგების უნარი გარკვეული თარიღისათვის.

ბანკების ასოციაცია — აქციონერული და არააქციონერული ბანკების, სატრასტო კომპანიების ჯგუფები, რომელთა მიზანია მათი საერთო კეთილდღეობის მხარდაჭერა, საბანკო პრაქტიკის

შესახებ სასარგებლო ინფორმაციის მიღება და ტრადიციების გაზიარება, აგრეთვე ურთიერთუსაფრთხოების უზრუნველყოფა. წამყვანი როლი აკისრია ამერიკელ ბანკირთა ასოციაციას; მას ნაციონალური ბანკებისათვის, შტატების ბანკებისათვის, აქციონერული შეშახველი ბანკებისა და სატრასტო კომპანიებისათვის აქვს ცალკე სექციები.

ბაზელის შეთანხმება — აშშ-ს, დასაელეთ ეეროპის ქვეყნების და იაპონიის ცენტრალური ბანკების წარმომადგენლებს შორის მიღებული შეთანხმება კომერციული ბანკებისათვის სარისკო კაპიტალის საკმარისობის სტანდარტული კოეფიციენტების შესახებ. იგი საბოლოოდ 1988 წ. იელისში იქნა ხელმოწერილი შვეიცარიის ქალაქ ბაზელის საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკში. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, შემდგომში შემუშავდა ფედერალური სარეზერვო სისტემის — სარისკო კაპიტალის საკმარისობის მარეგულირებელი წესები. აღნიშნული სისტემის საქმიანობის რეგულირების ნორმები მთლიანად გამომდინარეობს ბაზელის შეთანხმებიდან.

ბაზელის ხელშეკრულება — (კუკის კომიტეტის მიერ შემუშავებული შეთანხმება, რომელიც 1975 წ. დეკემბერში მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების მმართველებმა დაამტკიცეს; იგი შეიცავს ძირითად დებულებებს ბანკების ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ფუნქციონირებს არა მარტო ნაციონალური იურისდიქციის ფარგლებში, არამედ მოიცავს უცხოურ ბანკებს, განყოფილებებს და ფილიალებს.

გეპი (GAP) — თანაფარდობა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის მათი ვადების მიხედვით. მის მისაღებად დროის ყოველი პერიოდისათვის საპროცენტო განაკვეთისადმი მგრძნობიარე აქტივებს (RSA) უნდა გამოაკლდეს საპროცენტო განაკვეთისადმი მგრძნობიარე ვალდებულებები (RSL) ე.ი. GAP=RSA-RSL. გეპი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. იგი წარმოადგენს ბანკის საპროცენტო შემოსავალზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გავლენის სიდიდის დადგენის ძირითად საშუალებას.

გრძელვადიანი ლიკვიდობის მაჩვენებელი ასახავს ბანკის საქმიანობის კიდევ ერთ მხარეს ვადების მიხედვით ოპერაციების შესაბამისობის თვალსაზრისით — ხანგრძლივი ვადით (ერთ წელზე მეტი ხნით) ბანკის დაბანდებებისა და ამავე ვადის მქონე წყაროების თანაფარდობას. ამ დროს გრძელვადიან წყაროებს მიაკუთვნებენ ერთ წელზე მეტი ვადის მქონე ვალდებულებებს და ბანკის საკუთარ სახსრებს. მაღალი ინფლაციისა და ფინანსური რყევების პერიოდებში ეს კოეფიციენტი პრაქტიკულ ინტერესს არ იწვევს, მაგრამ ეკონომიკის სტაბილიზაციის, წარმოებაში ინვესტიციების გადიდებისა და გრძელვადიანი დაკრედიტების მოცულობათა ზრდის დროს იგი მეტ მნიშვნელობას იძენს და ბანკის საქმიანობის ერთ-ერთ არსებით მხარეს აშუქებს.

დადებითი გეპი (მგრძნობიარობა აქტივებით) მიუთითებს იმაზე, რომ მოცემულ პერიოდში საჭირო იქნება ვალდებულებებზე უფრო მეტი მოცულობის აქტივების სხვა ფასში გადაანგარიშება.

ლიკვიდობა — 1. ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა აქტივის ფულად გარდაქმნის შესაძლებლობას; აქტივების გადახდის საშუალებად გამოყენების უნარი მათი ნომინალური ღირებულების შეუცველად; 2. ფირმის (კომპანიის, ბანკის) უნარი, დროულად შეასრულოს თავისი ვალდებულებები. ლიკვიდურობის დონეს განსაზღვრავს ადვილად რეალიზებადი აქტივების ხვედრითი წონა, კრედიტების ოპერაციული მობილიზების შესაძლებლობები, დაეალიანების ოდენობისა და კონკრეტულ მომენტში ფირმის განკარგულებაში არსებული ლიკვიდური სახსრების თანაფარდობა და სხვ.

ლიკვიდობა ჭარბი — საგადახდელო შესაძლებლობათა გადამეტება ფულად ვალდებულებებზე.

ლიკვიდობის რისკი — ისეთი სიტუაციის წარმოქმნა, როდესაც შეუძლებელია ფინანსური აქტივების სწრაფი კონვერსია საგადასახადო საშუალებებად დანაკარგების გარეშე, ან დამატებითი ვალდებულებების მოზიდვის გარეშე მისაღები ფასებით.

ლიკვიდობის კოეფიციენტი – თანაფარდობა კომპანიების ფულადი სახსრებისა და სწრაფად რეალიზებადი აქტივების (აქციების, ობლიგაციების და აშ.) ოდენობასა და მათი მოკლევადიანი ვალდებულებების თანხას შორის. გვიჩვენებს ფირმების ფაქტობრივ შესაძლებლობებს, დათქმულ ვადებში შეუფერხებლად შეასრულონ (გადაიხადონ) ყველა ვალდებულება. ბანკისათვის – მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ბანკის ლიკვიდურობას; საკრედიტო დაწესებულების ბალანსის აქტივების სხვადასხვა მუხლის თანაფარდობა პასივის გარკვეულ მუხლთან ან, პირიქით, პასივის მუხლისა აქტივის მუხლთან.

ლიკვიდობის ნორმა – ნაღდი ფულის, დებიტორული დავალიანებისა და ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების დაჯამებული სიდიდე, გაყოფილი მოკლევადიან ვალდებულებებზე.

ლიკვიდური „ხაფანგი" – ეკონომიკის მდგომარეობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მეტისმეტად დაბალი საინვესტიციო აქტიურობა. ამგვარი მდგომარეობა იქმნება მაშინ, როდესაც მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებს ლიკვიდური სახსრების დაგროვებას, რაც კრედიტზე პროცენტის განაკვეთის შემცირების საშუალებას იძლევა.

ლიკვიდური აქტივები – იგულისხმება სალაროს ნაღდი ფული და ზოგიერთი სხვა აქტივი, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაიქცა ნაღდ ფულად, კერძოდ, სახსრები ცენტრალური ბანკის ანგარიშებზე, სახსრები ანგარიშსწორების ანგარიშზე პირველი კლასის ბანკებში, ასევე ყველაზე ცნობილი საიმედო კომპანიების ფინანსურ ბაზარზე კოტირებადი ფასიანი ქაღალდები. „ლიკვიდური აქტივების" ცნება უკავშირდება სტაბილურად პროგნოზირებადი ფასით სწრაფად რეალიზაციის შესაძლებლობას, რომელიც გულისხმობს არსებითი დანაკარგების გარეშე მათი სწრაფად შეძენის ფართო ბაზარს. აქტივების ლიკვიდობა გეევლინება, როგორც შეფარდებითი სიდიდე, ვინაიდან მათი გაყიდვა შესაძლებელია. აქტივის ფულად გადაქცევის ფასში ვლინდება აქტივისა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა.

ლიკვიდური სახსრები – ნაღდი ფულადი სახსრები, ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ნაშთი, ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები, საბრუნავი კაპიტალის ელემენტები და სხვ., რომელთა გამოყენებაც შეიძლება სესხის აღებისას ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

მართვადი პასივები – პასივების ის ნაწილი, რომელთა ფორმირების ინიციატივა თვითონ ბანკს ეკუთვნის და რომელთა მეშვეობითაც ბანკს შეუძლია გავლენა იქონიოს სარესურსო ბაზის ვადიანობასა და მდგრადობაზე, აგრეთვე ცვალოს მისი ფორმირების ხარჯები.

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენად დაბალანსებულია ბანკის აქტივები და პასივები უახლოესი თვისთვის, რამდენად სწორად დაიგეგმა წყაროებისა და დაბანდებების სტრუქტურა მოკლევადიანი პერსპექტივებისათვის, რამდენად ზუსტად ახდენენ ბანკის მუშაკები მიმდინარე გადასახდელებისა და შემოსულობათა პროგნოზირებას, აქტივებში განუთავსებელი რჩება შემოსაელის მომტანი თავისუფალი სახსრები, თუ, პირიქით, ჭარბადაა განთავსებული ლიკვიდობის საზიანოდ.

მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებელს ანგარიშობენ ლიკვიდური ჯამის შეფარდებით მოთხოვნამდე ანგარიშებით და 30 დღემდე ვადის მქონე ანგარიშებით წარმოქმნილ ვალდებულებებთან. იგი დროის უფრო მეტ შუალედს მოიცავს (30 დღემდე); იგი ლიკვიდობის, როგორც ნაკადის, შეფასების მცდელობას წარმოადგენს.

მყისიერი ლიკვიდობის მაჩვენებელი, რომელსაც ანგარიშობენ ბანკის მაღალლიკვიდური აქტივების ჯამის შეფარდებით მოთხოვნამდე ანგარიშებით არსებულ ვალდებულებებთან, ხატოვნად შეეძლოთ „გაელვებას", რომელიც ბანკის ბალანსის ლიკვიდობას აშუქებს დროის მოცემული მომენტისათვის. იგი ყოველდღე და ყოველ საათს იცვლება და ახასიათებს ლიკვიდური სახსრების მარაგს კონკრეტული თარიღისათვის იმ ვალდებულებების მიმართ, რომლებიც ერთ მომენტში შეიძლება მოითხოვონ. ცენტრალურმა ბანკმა მყისიერი ლიკვიდობის ნორმატივის მინიმალურად

დასაშვებ მნიშვნელობად 20% დააწესა.

ნეგატიური გეპი, ანუ საპროცენტო განაკვეთებისადმი ვალდებულებების მგრძნობიარობა, მიუთითებს, რომ დროის მოცემულ პერიოდში, სხვა ფასებში გადასაანგარიშებელ ვალდებულებათა მოცულობა აღემატება სხვა ფასებში გადაანგარიშებულ აქტივების მოცულობას. საპროცენტო განაკვეთის ზრდის შემთხვევაში იგი იქონიებს ნეგატიურ გავლენას ბანკის საპროცენტო შემოსავალზე, რადგან ხარჯები საპროცენტო სასიათის ვალდებულებებზე გაიზრდება უფრო მეტად, ვიდრე აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი. ამავე დროს, საპროცენტო განაკვეთის შემცირებისას, ნეგატიური გეპის შემთხვევაში, ბანკის მოგება გაიზრდება, რადგან საჭირო იქნება უფრო მეტი მოცულობის ვალდებულებათა უფრო დაბალ ფასში გადაანგარიშება.

საბანკო ლიკვიდური სახსრები – შედგება ნაღდი ფულის, მოკითხვამდე ანაბრების ანგარიშებზე არსებული ნაშთის, სხვადასხვა მოკლევადიანი დეპოზიტების, კერძო და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, კომერციული თამასუქისა და ბანკის სხვა ადვილად რეალიზებადი სახსრებისაგან.

საბანკო სისტემის ლიკვიდობა – ფართო გაგებით არის ნაციონალური საბანკო სისტემის ისეთი ორგანიზაცია, ერთიანი ბაზა, რომლის დროსაც ღირებულებების თაეისდროული და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა ხდება ეროვნული ეკონომიკის ჩარჩოებში. ვიწრო გაგებით, საბანკო სისტემის ლიკვიდობის ქვეშ გულისხმობენ მიმოქცევაში ფულადი მასის და არასანგრძლივი ვადების რეალიზაციის სხვა აქტივებს, ე.ი. იმ აქტივებს, რომლების შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბანკო სისტემაში ვალდებულებათა დაფარვისათვის. საბანკო სისტემის ლიკვიდობა უზრუნველყოფილია, პირველ რიგში, მაღალლიკვიდური სახსრების საკმარისი რაოდენობით (მიმოქცევაში ფულის მასის მოცულობით), მეორე მხრივ, საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების საიმედოობით, ანგარიშსწორების ეფექტური ორგანიზაციით, მესამე, ეროვნული და მაკონტროლებელი ორგანოების მიერ განსორციელებული ზედამხედველობით კომერციულ ბანკებზე, და ბოლოს, მეოთხე, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილურობით ეროვნულ ეკონომიკაში, რომელიც შეეხება ინფლაციის დაბალ დონეს, ბიუჯეტის დეფიციტსა და სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებას ქვეყანაში.

საერთაშორისო საბანკო ლიკვიდობა – მდგომარეობს საერთაშორისო საბანკო თანამეგობრობის სხვადასხვა ქვეყნის კომერციული ბანკების მონაწილეთა უნარსა და შესაძლებლობაში, შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები, გადააადგილონ ღირებულება მსოფლიო მასშტაბით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი – წარმოადგენს საბანკო ოპერაციების ისეთ ასპექტს, რომლის მნიშვნელობა უფრო და უფრო იზრდება. კონკურენციის გამკაცრება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საპროცენტო განაკვეთების რიშიდა კონტროლის სამსახურის პროფილის შეცვლისადმი, ბანკის მოქნილობას, რომელიც ჰეჯირებისა ან საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებიდან მოგების მიღებისათვის აუცილებელი ახალი ფინანსური ინსტრუმენტების დანმარებით უფრო სრულყოფილი ხდება. საპროცენტო განაკვეთის რისკი განისაზღვრება, როგორც ბანკის მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი. საპროცენტო განაკვეთის აწევის ან დაწევის დროს, დაწესებულების საპროცენტო განაკვეთებით გამოწვეული რისკი შეიძლება განიხილოს, როგორც პოტენციური ცვლილებები მის ოფიციალურად გამოცხადებულ წმინდა მოგებაში ან მის საბაზრო ღირებულებაში.

სახსრების საერთო ფონდის მეთოდი – ბანკის ლიკვიდობის მართვის მეთოდი, რომელიც მდგომარეობს ბანკის სახსრების ყველა წყაროს გაერთიანებაში შემდგომში მათ მოსათავსებლად სახსრების საერთო ფონდში ისე, როგორც ამას ბანკი ამჯობინებს.

საერთო ლიკვიდობის მაჩვენებელს ანგარიშობენ ლიკვიდური აქტივების შეფარდებით აქტივების მთელ თანხასთან. ამ კოეფიციენტის მრიცხველშია ის აქტივები, რომლებსაც მიმ-

დინარე ვალდებულებათა დაფარვის უნარი აქვთ – მაღალლიკვიდური აქტივები და უახლოესი 30 დღის განმავლობაში დაფარვის ვადის მქონე აქტივები. მრიცხველში აქტივების მთელი თანხიდან გამოყოფილია ის აქტივები, რომელთა ამოქმედებაც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მეანაბრეებისა და კრედიტორების წინაშე არსებულ ვალდებულებათა შესასრულებლად. გარდა ამისა, ჯამური აქტივებიდან გამორიცხავენ ცენტრალურ ბანკში დეპონირებულ სავალდებულო რეზერვებს.

საპროცენტო განაკვეთისადმი ბანკის წმინდა მოგების მგრძნობიარობა წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის საბუღალტრო ასპექტს, რაც გულისხმობს იმის დადგენას, თუ როგორ შეიცვლება ორგანიზაციის წმინდა მოგება, საპროცენტო განაკვეთის შეცვლის შემთხვევაში, ანუ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას შეიცვლება პროცენტების მომტანი აქტივებიდან მიღებული შემოსავლები და პროცენტული ხასიათის დეპოზიტებზე გაწეული ხარჯები, რის შედეგადაც შეიცვლება ბანკის წმინდა საპროცენტო მოგება.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთისადმი ბანკის წმინდა ღირებულების მგრძნობიარობას, იგი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის ეკონომიკური ასპექტის შეფასებას. ბანკის წმინდა ღირებულება, ეკონომიკური თვალსაზრისით, წარმოადგენს ყველა იმ მოსალოდნელი ნაღდი თანხების ნაკადების მიმდინარე წმინდა ღირებულებას, რომლებიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

სახელმწიფოს ლიკვიდური სახსრები – მოიცავს ცენტრალური ბანკისა და სტაბილიზაციის ფონდის რეზერვებს, რომლებიც აუცილებელია საზღვარგარეთ დაგეგმილი სასაქონლო და საკრედიტო ოპერაციების მომსახურებისათვის. ოფიციალურ რეზერვებს მიეკუთვნება ოქროს მარაგი და კონვერტირებადი უცხოური ვალუტა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების სარეზერვო პოზიცია (ფონდის კაპიტალში ამ ქვეყნების შესატანი წილი, რომელიც შეიძლება გაასესხონ) და სახელმწიფოთაშორისი მოკლევადიანი კრედიტის სპეციალური სახე.

ფირმის ლიკვიდური სახსრები – სახსრები, რომელიც შედგება ნაღდი ფულის, ფასიანი ქაღალდების, ბანკებში ანგარიშებზე არსებული რესურსებისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგის ზოგიერთი ელემენტისაგან.

უპირატესობის მინიჭების ლიკვიდურობა – მომხმარებელთა არჩევანი, თაეიანთი დანაზოგის რა ნაწილი იქონიონ ფულადი ფორმით და რა – ნაკლებად ლიკვიდური სახსრების სახით (ფასიანი ქაღალდები, მატერიალურ-ნივთობრივი აქტივები და ა.შ.).

ძვირფას ლითონებთან დაკავშირებული ოპერაციების ლიკვიდობის მაჩვენებელს ანგარიშობენ ფიზიკური ფორმის მქონე ძვირფასი ლითონების შეფარდებით ძვირფას ლითონებზე იმ ვალდებულებებთან, რომელთა შესრულების ვადა უახლოესი 30 დღის განმავლობაშია. ეს მაჩვენებელი ერთმანეთს უდარებს ბანკის ერთი და იმავე შინაარსის აქტიურ და პასიურ ოპერაციებს – ძვირფას ლითონებთან დაკავშირებით. მათი ლიკვიდობის ნორმატივი ადგენს მინიმალურად დასაშვები სიდიდის 20%-იან მნიშვნელობას.

ხანგრძლივობის ანალიზი – ხანგრძლივობის ანალიზი გამოიყენება იმ ნაღდი თანხების ნაკადის საშუალო შეწონილი ხანგრძლივობის გამოსათვლელად, რომელიც წარმოიქმნება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ჩვეულებრივი საშუალო ნაღდი ფულის ნაკადის ნაცვლად ხანგრძლივობა იძლევა უფრო მეტ ინფორმაციას ნაღდი ფულის ნაკადის ანალიზისათვის. ხანგრძლივობის მეთოდის გამოყენებით შეიძლება გამოვთვალოთ, თუ რა პროცენტით შეიცვლება ნაღდი ფულის ნაკადი საპროცენტო განაკვეთის ერთი პროცენტით შეცვლისას. ხანგრძლივობის ანალიზი იძლევა საშუალებას, დავადგინოთ, რამდენადაა მგრძნობიარე ბანკის ნაღდი ფულადი ნაკადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი.

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. რა არის ლიკვიდობა და როგორია მისი როლი კომერციული ბანკის საქმიანობაში?
2. გააშუქეთ ტერმინ „ლიკვიდობის" გამოყენების ისტორიული ასპექტი.
3. რომელი ობიექტების ლიკვიდობას ახასიათებენ თანამედროვე ეკონომიკურ ცხოვრებაში?
4. დაახასიათეთ ბანკის ლიკვიდობის ცნება – მიკრო- და მაკროდონეზე, ვიწრო და ფართო აზრით.
5. რომელი შიდა და გარე ფაქტორები განსაზღვრავს კომერციული ბანკის ლიკვიდობას?
6. რომელი ფაქტორები მოქმედებენ ქვეყნის საბანკო სისტემის ლიკვიდობაზე?
7. რას წარმოადგენს ბანკების საერთაშორისო ლიკვიდობა?
8. აქტიური და პასიური ოპერაციების ვადების მიხედვით თანაფარდობის რომელ ნორმირებად მაჩვენებელს იცნობთ?
9. რომელი ნორმატიული მაჩვენებლები ზღუდავს საქართველოს ბანკების აქტიური ოპერაციების რისკიანობას?
10. რომელი ნორმირებადი მაჩვენებლების მეშვეობით ახდენს ცენტრალური ბანკი კომერციული ბანკების სარესურსო ბაზის სტაბილურობის სტიმულირებას?
11. მაღალლიკვიდური სახსრების რომელ მაჩვენებლებს იცნობთ?
12. რა არის ბანკის გადახდისუნარიანობა და რა განსხვავებაა „ლიკვიდობისა" და „გადახდისუნარიანობის" კატეგორიების შინაარსებს შორის?
13. განმარტეთ ლიკვიდობის რისკი, გამოყავით მისი შემადგენელი ელემენტები და ახსენით კომერციული ბანკის ფინანსურ სიმტკიცეზე მათი ზემოქმედების მექანიზმი.
14. როგორი ურთიერთკავშირი არსებობს ლიკვიდობის, შემოსავლიანობის მაჩვენებლებსა და ბანკის საქმიანობაში არსებულ შიდა კონტროლის სამსახურს შორის?
15. რა არის ბანკის აქტივების ლიკვიდობა?
16. დაახასიათეთ ბანკის ლიკვიდობის პირველადი და მეორადი რეზერვები: მათი შემადგენლობა და მნიშვნელობა ბანკისთვის.
17. დაასახელეთ ბანკის ლიკვიდობის ანალიზის ძირითადი მიმართულებები, განსაზღვრეთ მათი ძირითადი უპირატესობები და ნაკლოვანებები.
18. ინფორმაციის რომელ წყაროებს იყენებენ კომერციული ბანკის ლიკვიდობის ანალიზისათვის?
19. ჩამოთვალეთ ლიკვიდობის ანალიზის ძირითადი ეტაპები და ახსენით მათი შინაარსი.
20. პასივების რომელ ჯგუფებს გამოყოფენ მათი სტრუქტურული ანალიზის დროს და როგორია საანალიზო ჯგუფების ძირითადი პარამეტრები?
21. აქტივების რომელ ჯგუფებს გამოყოფენ მათი სტრუქტურული ანალიზის დროს და როგორია საანალიზო ჯგუფების ძირითადი პარამეტრები?
22. დაასახელეთ ლიკვიდობის ანალიზის დროს კოეფიციენტების მეთოდის გამოყენების ძირითადი ღირსებები და ნაკლოვანებები.
23. როგორ ახორციელებენ კომერციული ბანკების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებას?
24. როგორია ლიკვიდობის რეგულირებისთვის ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული ნორმატივები?
25. დაასახელეთ კომერციულ ბანკებში ლიკვიდობის შართვის მეთოდების განვითარების ძირითადი მიმართულებები და განმარტეთ მათი შინაარსი.

26. რა მეთოდებს მოიცავს ბანკის აქტივების მართვა?
27. რა მეთოდებს მოიცავს პასივების მართვა?
28. ახსენით სახსრების საერთო ფონდის მეთოდის შინაარსი, აღწერეთ მისი სქემა, გამოყავით მისი ძირითადი ღირსებები და ნაკლოვანებები.
29. ახსენით რესურსების განაწილების მეთოდის შინაარსი, აღწერეთ მისი სქემა, გამოყავით მისი ძირითადი ღირსებები და ნაკლოვანებები.
30. რა არის მართვადი პასივები და როგორია მათი როლი ლიკვიდობის შენარჩუნებაში?
31. რა არის საპორტფელო მიდგომა ლიკვიდობის მართვისადმი, რაში მდგომარეობს მისი ძირითადი ღირსებები და ნაკლოვანებები?

რეკომენდებული ლიტერატურა

გოგოხია მ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. 2006.

კაკულია რ., ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2000.

კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა – რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. 1999.

კოჭზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ.: თსუ, 2001.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

ხელაია გ. ფული, ბანკები და ბირჟები. თბ., 1996.

Банковское дело. Авт. колл. под ред. **Г.Г. Коробовой.** М.: Экономист, 2003.

Банк и Банковские операции. Под ред. **Е.Ф. Жукова.** М.: Банки и биржи, ЮНИТИ, 1997.

Банковские операции. Учеб. пособие. Под ред. **О.И. Лаврушина.** Ч. I. М. ИНФРА-М, 1995.

Банковский портфель: в 3-х томах. /Авт. колл. ред. **Ю.И. Коробов, Ю.Б. Рубин, В.И. Солдаткин.** М.:Соминтех, 1994-1995.

Банковское дело. Учебник/ Под редакцией **В.И. Коллесникова, Л.П. Кролевецкой.** М.: Финансы и статистика, 1994.

Банковское дело. Учебник. Под ред. **О.И. Лаврушина.** М.: Финансы и статистика, 2001.

Коробова Г.Г., Нестеренко Е.А. Банковские риски. Учеб. пособие. Саратов: Изд-во Сарат. гос. экон. академии, 1996.

Миловидов В.Д. Современное банковское дело: Опыт организации и функционирования банков США. М.: Изд-во Моск. университета, 1992.

Сверук В.Т. Банковские риски. М.: Дело ЛТД, 1995

Усоскин В.М. Современный коммерческий банк. Управление и операции. М.: Всё для вас, 1993.

Банковское дело: управление и технологии: Учебн. пособие для вузов/ Под редакцией проф. **А.М. Тавасиева.** М., ЮНИТИ - ДАНА, 2001.

Основы банковской деятельности (Банковское дело). Учебное пособие/Под.ред. **К.Р.Тагирбекова** М., ИНФРА-М., 2001.

Ямпольский М., Ликвидность банков и кредитная политика. М.: Дело, 1992.

Синки Д.Ж. (мл.), Управление финансами в коммерческих банках: пер. с англ. М.: **Cata аху, 1994.**

Роуз Питер С. Банковский менеджмент. Пер. с. англ. М.: Дело, 1997.

Джеймс Ф. Нильсен. Банковское дело. Словарь.: Пер. с. англ. М.: ИНФРА - М, 2001.

Чарлз Дж. Вулфел. Энциклопедия Банковского дела и финансов. Пер. с англюого. М., 2000.

მეთექვსმეტე თავი. საბანკო რისკების მართვა

ტერმინები და ძირითადი ცნებები
16.1. საბანკო რისკების არსი და კლასიფიკაცია
16.2. კომერციული ბანკის მიერ რისკების მართვის ორგანიზაცია
16.3. საკრედიტო რისკი: შინაარსი,შეფასება, მართვის მეთოდები
16.4. საკრედიტო რისკები და სესხებზე შესაძლო დანაკარგების შემთხვევისათვის შექმნილი რეზერვი
16.4.1. საკრედიტო პორთფელის ანალიზი
16.4.2. კომერციული ბანკის საკრედიტო რისკის ფაქტორი
16.4.3. საწარმოების საკრედიტო რისკის მიხედვით კლასიფიკაცია ფინანსურ მდგომარეობაზე და კრედიტის უზრუნველყოფის ხარისხზე დამოკიდებულებით.
16.5. სადეპოზიტო რისკი და მისი აღკვეთის საბანკო ღონისძიებები
16.6. ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების რისკი: შინაარსი და კომერციული ბანკის საქმიანობა მის დასარეგულირებლად
16.7. საპროცენტო რისკი: არსი და მართვის თავისებურებები
16.8. სავალუტო რისკი: არსი, სახეები, მართვის მეთოდები
16.9. დარგობრივი და ქვეყნის რისკი
16.10. ორგანიზაციული და საკადრო: არსი, მიზეზები, მართვა
მოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

ბანკის რეპუტაციის დაკარგვის რისკი
გადაყვანის რისკი
დარგობრივი რისკი
ლიკვიდობის დაკარგვის რისკი
როლოველური კრედიტი
საბაზრო რისკი
სავალუტო რისკი
საკრედიტო რისკი
საოპერაციო რისკი
სამართლებრივი რისკი
საპროცენტო რისკი
ქვეყნის რისკი
ფინანსური რისკი
ფუნქციონალური რისკი

16.1. საბანკო რისკების არსი და კლასიფიკაცია

საბანკო რისკები შედის ეკონომიკური რისკების სისტემაში და უკვე ამიტომ თავისი ბუნებით რთულ რისკებად გვეელინება. ამ სისტემაში ისინი იმ სხვა ეკონომიკური რისკების გავლენას განიცდიან, რომლებიც იმავე დროს სპეციფიკური, დამოუკიდებელი რისკებია.

რისკის საკითხს ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მას უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების პროცესი საინფორმაციო გაურკვეველობის პირობებში. რისკის რაობაში გარკვევა სერიოზული საქმეა. პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, რომ ვისაც გარისკვა

შეუძლია, იგი მოგებული რჩება. ამიტომ ისეთი ადამიანები, ვისაც გარისკვის უნარი აქვს, მაგრამ ამ დროს საჭირო რეგლამენტაციას ემორჩილება, ეკონომიკური საზოგადოების ნამდვილი მოწინავარი და თანამედროვე ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების ფასეული რესურსია.

საბანკო რისკის ცნება ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში მხოლოდ ბოლო წლებში გაჩნდა, ტერმინი „რისკი" განმარტებულია როგორც „შესაძლო საფრთხე, ალალბედზე მოქმედება წარმატების იმედით", აგრეთვე „გარისკვა მთელი პასუხისმგებლობის, რაიმეს მთელი შედეგების აღება საკუთარ თავზე", ე.ი. რისკს საფუძვლად უდევს მომავალის რწმენის უქონლობა. ტრადიციულად გამოყოფენ რისკის ორ განმარტებას. პირველი ეყრდნობა რისკის მიზეზებს და მათ გაურკვეველობას (მაგალითად: მე არ ვიცი, როგორ შეიცვლება პროცენტი). მეორე განმარტება ეყრდნობა თვითონ რისკზე ზემოქმედებას. აქედან, რისკი არის ნეგატიური გადახრები დასახული მიზნიდან (მაგალითად, ველოდები, რომ კრედიტს დაბრუნებენ. მაგრამ მას არ აბრუნებენ). ტერმინ „რისკის" ეტიმოლოგია მოდის ლათინური reskum-იდან. რომელიც აღნიშნავს რისკს, ზღვაზე, საფრთხეს, ან იმას, რაც ნგრევას იწვევს. ჯანსაღი აზრის შესაბამისად, რისკი ისეთი რამეა, რასაც უნდა გაეურბოდეთ. ეკონომიკური აზრით, რისკი კომპენსაციას საჭიროებს. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ „რისკს" განმარტავენ თანაფარდობით: რისკი შემოსავალი ან რისკი - მოგება.

საბანკო რისკის განსაზღვრის საკითხი საკამათოა. ზოგიერთი ავტორი არ ეთანხმება საბანკო რისკის, როგორც ბანკის შესაძლო ზარალის განმარტებას და რისკს განსაზღვრავს როგორც გადაწყვეტილების მიღების ისეთ სიტუაციას, რომელსაც ინფორმაციის გაურკვეველობა ახასიათებს. აქედან, საბანკო რისკი იმ ინფორმაციის გაურკვეველობით წარმოქმნილი სიტუაციაა, რომელსაც ბანკი იყენებს მართვისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

რისკის მიზეზები მეტად მრავალფეროვანია: ეკონომიკური კრიზისები, საგარეო დავალიანების ზრდა, ფინანსური ინოვაციები, ინფლაციური პროცესები, ბანკის დანახარჯების ზრდა და სხვა. ბანკო სისტემის შესახებ კლასიკური მოსაზრება ეყრდნობა იმ სამი წამყვანი კრიტერიუმის არსებობას, რომლებსაც ბანკები უნდა ითვალისწინებდნენ: ლიკვიდობა, რენტაბელობა და უსაფრთხოება.

პრაქტიკულ საბანკო საქმიანობაში იგულისხმება ან მიზნების ერთნაირი მნიშვნელობა, ან მოგების მაქსიმიზაცია ლიკვიდობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოების გათვალისწინების პირობებში.

როგორც საზღვარგარეთული პრაქტიკა მოწმობს, რისკის შინაარსობრივი მხარე და მისი დაღგენის ხერხები მუდმივ მოდიფიკაციას განიცდის. ამას მთელი რიგი მიზეზები აქვს, რომელთა შორის შემდეგი ჯგუფები შეგვიძლია გამოვყოთ:

I. ბაზრის სტრუქტურის ცვლილება: კონკურენციის გამწვავება; ბანკების უნივერსალიზაცია; განყოფილებათა ექსპანსია; კლიენტების სტრუქტურის გათანაბრება.

II. პროცენტების სიდიდის რყევა, რასაც განაპირობებს გარე ფაქტორები: კონიუნქტურა, ფულის პოლიტიკა, არასაბანკო კონკურენციის გაძლიერება.

III. კლიენტთა მოთხოვნების ამაღლება, რაც გამოიხატება ფასების მგრძნობელობის ზრდაში და საბანკო მომსახურებაზე უფრო დიფერენცირებულ მოთხოვნაში.

IV. ბანკების დანახარჯების ზრდა.

V. ტიპიური საბანკო რისკების მნიშვნელობის მატება და რაოდენობრივი ზრდა. რომლებიც ყოველთვის არსებობს (საკრედიტო რისკი, საპროცენტო რისკი და სხვა).

VI. ეკონომიკური ზრდის ტემპების სტაგნაციის ტენდენციები, რომლებსაც ბანკების საკუთარი განვითარებისთვის აქვთ მნიშვნელობა.

საბანკო რისკები ბანკის საქმიანობის ყველა მხარეს მოიცავს. მათი საკლასიფიკაციო სტრუქტურა ეკონომიკური რისკის კონცეპტუალურ საფუძველს ეყრდნობა (იხ. სქემა 16.1; 16.2).


საბანკო რისკების კლასიფიკაციისადმი მიდგომები განსხვავებულია. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, საბანკო რისკების ეკონომიკური კლასიფიკაციის საშუალებას გვაძლევს შემდეგი მნიშვნელოვანი

რისკების დონე	რისკების სახეები
მიკროდონის რისკები – რისკები, რომელებიც გამოწვეულია ისეთი მაკროეკონომიკური და ნორმატიულ-სამართლებრივი პირობებით, რომლებიც ბანკის საქმიანობაზე არ არის დამოკიდებულები. ეს ე.წ. საგარეო რისკების, რომლებიც დაკავშირებულია მთლიანად ეკონომიკაში სიტუაციების ცვლილებებთან, ისინი არ გამომდიანარეობს თვით ბანკის საქმიანობისაგან; ასეთი რისკები შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს შეცნობილი და გათვალისწინებული.	სამამულო და საერთაშორისო ფინანსური ბაზრების მიმდინარე ტენდენცია (ьизкость) და შემოსავლიანობა, სადაც ბანკი ატარებს ოპერაციებს და გარიგებებს – არ პასუხობს ბანკის ინტერესებს; ეკონომიკური განვითარების ნეგატიური საერთო და სტრუქტურული (დარგობრივი და რეგიონალური) ტენდენციები; სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის არაკეთილსასურველი ცვლილებები; საბანკო საქმიანობის სამამულო და უცხოური ნორმატიულ-სამართლებრივი პირობების არასასურველი ცვლილებები.
მიკროდონის რისკები – ლიკვიდობის დაკარგვის და კაპიტალის ღირებულების შემცირების რისკები. ისინი მოიცავენ როგორც საგარეო, ისე შიდა რისკების ელემენტებს. ბევრი რამაა დამოკიდებული ბანკის მართვის აპარატის კომპეტენტურობაზე; გარდა ამისა შიდა და საგარეო ბაზრებზე მოქმედებს ბანკის რისკების გამომწვევი ბევრი რისკი.	საკრედიტო რისკი ქვეყნის რისკი სახსრების გადარიცხვების დაყოვნების რისკი საბაზრო რისკი საოპერაციო რისკი საპროცენტო რისკი ლიკვიდობის დაკარგვის რისკი სამართლებრივი რისკი ბანკის რეპუტაციის დაკარგვის რისკი ფასეულობათა დატაცება
ინდივიდუალური დონის რისკები (თანამშრომლის დონე) – შიდა რისკები, რომელთა დონე ძირეულად არის დამოკიდებული ბანკის მუშაკის არა იმდენად პროფესიონალიზმზე, რამდენადაც მის წესიერებაზე.	ისეთი გარიგებების და ოპერაციების ჩატარება, რომლებსაც ბანკებისათვის ზარალი მოაქვთ; ამგვარი ოპერაციების დფარვა. ბანკის ჩათრევა ჩრდილოვან ეკონომიკასთან დაკავშირებულ კომერციულ საქმიანობაში.

სქემა 16. 1. რისკების კლასიფიკაცია მათი წარმოშობის წყაროების მიხედვით

ელემენტები: 1) კომერციული ბანკის ტიპი და სახეობა; 2) საბანკო რისკის გაელენისა და წარმოშობის სფერო; 3) ბანკის კლიენტთა შემადგენლობა; 4) რისკის გაანგარიშების მეთოდი; 5) საბანკო რისკის დონე; 6) რისკის განაწილება დროში; 7) რისკის აღრიცხვის ხასიათი; 8) საბანკო რისკის რეგულირების შესაძლებლობა; 9) ამ რეგულირების მეთოდები.

საბანკო დაწესებულებების რისკების სტრუქტურის შესწავლისადმი მეორე მიდგომა ეფუძნება მათ დაყოფას ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკებად. თავის მხრივ, ერთიცა და მეორეც შეიძლება იყოს შიდა და გარე. გარე რისკები უშუალოდ არ უკავშირდება ბანკის საქმიანობას. მათ დონეზე გაელენას ახდენს ფაქტორთა ძალიან დიდი რაოდენობა პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური, გეოგრაფიული და სხვა. შიდა რისკებს თვითონ ბანკის, მისი კლიენტების (მსესხებლების) ან კონკრეტული კონტრაჰენტების საქმიანობა განაპირობებს.



სქემა 16.2. რისკების კლასიფიკაციის სქემა

საბანკო რისკების ტრადიციული სტრუქტურა გულისხმობს შიდა და გარე რისკების გამოყოფას. გარე რისკები ორ ჯგუფად იყოფა. I ჯგუფი ლიკვიდობის რისკები; II ჯგუფი წარმატების რისკები.

ლიკვიდობის რისკები მოიცავს: პროლონგაციის რისკი, როდესაც ანაბრებს მათ ვადამდე იწვეყენ უკან (დეპოზიტური რისკი); ახალი, დაუგეგმავი კრედიტების რისკი; საქმიანობის ახალ სახეობათა რისკები: ფაქტორინგული, ლიზინგური, საბაზრო და სხვა; სხვა რისკები.

წარმატების რისკებს ეკუთვნის: დარგობრივი რისკი; ქვეყნის რისკი; საპროცენტო რისკი; სავალუტო რისკი; სხვა რისკები.

როგორც მოყვანილი სტრუქტურიდან გამომდინარეობს, ლიკვიდობის ძირითადი რისკია საკრედიტო რისკი. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბოლო წლებში ბანკები აქტიურად ეწევიან საინვესტიციო ოპერაციებს ფასიან ქაღალდებზე, რის გამოც ძლიერდება საბაზრო რისკის მნიშვნელობა.

გვხვდება საბანკო რისკების სხვაგვარი კლასიფიკაციაც, რადგან სხვადასხვა სახის რისკებს შორის ძალიან მჭიდროა მკაცრი საზღვრების გავლება. მრავალი რისკი, როგორც წესი, ერთმანეთთანაა დაკავშირებული, მაგრამ ყველა მათგანი საბოლოოდ გავლენას ახდენს მთლიანად ბანკის ბალანსზე.

ხშირად გამოყოფენ სოლმე საფინანსო რისკს. მისი შინაარსი სხვადასხვა სტრუქტურულ კლასიფიკაციაში სხვადასხვაა. ერთ შემთხვევაში საფინანსო რისკი მოიცავს საკრედიტო რისკს

და არალიკვიდობის რისკს; სხვა შემთხვევებში ამას გარდა კიდევ საფინანსო რისკსა და კაპიტალის სტრუქტურის რისკს. დამოუკიდებლად განიხილავენ საპროექტო საბანკო რისკსაც. ესაა რთული რისკი, რომელიც, თავის მხრივ, სამგვარი რისკებისგან შედგება: 1. ცალკე მდგომი რისკი, ე.ი. რისკი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თვითონ პროექტს უკავშირდება და მესესხებელზე არაა დამოკიდებული; 2. ფირმის შიდა რისკი; 3. საბაზრო ანუ საპორთფელო რისკი, რომელიც ახასიათებს, თუ რამდენად შეესაბამება კონკრეტული პროექტი ბანკის საერთო საპროექტო პორთფელს - ესმარება საბანკო კრედიტების დივერსიფიცირებას თუ ზრდის მათ კონცენტრაციას გარკვეულ დარგზე, გადახდათა ვადების კატეგორიებზე და ა.შ.

ამერიკის პრაქტიკაში შემდეგი ტიპის რისკებს გამოყოფენ: 1) საბალანსო ანგარიშების რისკები (ფინანსური რისკები): საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საპროცენტო რისკი, კაპიტალის სტრუქტურის რისკი (ლევერაჯის რისკი); 2) ფინანსურ მომსახურებათა რისკები (რეალიზაციის რისკები): ოპერაციული რისკები, ტექნოლოგიური რისკები, ინოვაციათა რისკები, სტრატეგიული რისკები; 3) გარე რისკები: მაკროეკონომიკური რისკები, კონკურენტული რისკები, საკანონმდებლო (სამართლებრივი) რისკები.

მოყვანილ კლასიფიკაციაში გარე რისკები უფრო ფართოდაა გაგებული, ვიდრე ზემოთ განეხილეთ. კერძოდ, მასში გამოყოფილია საკანონმდებლო რისკები. გარდა ამისა, გარე რისკები არ უკავშირდება ბანკის მიმდინარე საქმიანობას და მის ფინანსურ რისკებს. თუმცა, ყველა კლასიფიკაციაში საბანკო რისკების ძირითადი სახეები მათი დაჯგუფებებისგან დამოუკიდებლადაა მოცემული.

შიდა რისკებს განაპირობებს ბანკების საქმიანობის ტექნიკურ-ორგანიზაციული სფერო და მათი ორგანიზაციული სტრუქტურა. ეს რისკები არ უკავშირდება წმინდა ფულად ფაქტორებს და მათ პერსონალური, ნივთობრივ-ტექნიკური და ორგანიზაციული მნიშვნელობა აქვთ. გამოყოფენ სამი სახის შიდა რისკებს: 1) პერსონალური სახის რისკები (თანამშრომელთა რისკები), ე.ი. საკადრო რისკები. ერთმანეთისგან განასხვავებენ პერსონალური სახის რაოდენობრივ და ხარისხობრივ რისკებს. რაოდენობრივს უწოდებენ ყველა იმ რისკს, რომელიც თანამშრომელთა მოძიებას და სამუშაოში ჩარევას უკავშირდება. ხარისხობრივი რისკები უკავშირდება პროფესიულ დონესა და ხასიათის თვისებებს; 2) მატერიალურ-ტექნიკური სახის რისკები, რომლებიც უკავშირდება ბანკების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და მის დონეს; 3) სტრუქტურულ-პროცესუალური რისკები წარმოდგენილია პირველი და მეორე სახის რისკების ურთიერთქმედებით. მათგან გამოყოფენ განსაკუთრებულ რისკებს: რისკი, რომელიც უკავშირდება საბანკო საქმიანობაში მანქანების გამოყენებას. კლიენტები ამჯობინებენ „ცოცხალ კონტაქტს“ და არა უპირატესად მანქანურს. კლიენტების შენარჩუნების მიზნით უნდა განისაზღვროს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საზღვრები. უნდა მოიძებნოს ოპტიმუმი კლიენტების ინდივიდუალურ მომსახურებასა და საბანკო საქმიანობის რაციონალიზაციას შორის; რისკი, რომელიც უკავშირდება კადრების ფსიქოლოგიურ მოშხადებასა და მათ კომპეტენტურობას; ორგანიზაციული რისკი. ეს რისკი რომ აეცილოთ თავიდან, აუცილებელია ბანკის კადრების პასუხისმგებლობის გონივრულად განაწილება და მათი სწორად გამწესება. ყველამ მკაფიოდ უნდა იცოდეს თავისი მოვალეობები და პასუხი აგოს მათზე, მათ შორის - მატერიალურადაც. ამიტომ საჭიროა ბანკების თანამედროვე ორგანიზაციული სტრუქტურები და ბანკის პოლიტიკის ცოდნა მისი ყველა მუშაკის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკების საქმიანობა მრავალრიცხოვან რისკებს აწყდება, მათი კრახის მიზეზები, ჩვეულებრივ, შემდეგი გარემოებებითაა განპირობებული: სერიოზული შეცდომები, რომლებიც ბანკის ხელმძღვანელობას მოსდის საპროცენტო პოლიტიკის გატარების დროს; სერიოზული შეცდომები საკრედიტო პორთფელის შედგენის დროს; ორგანიზაციული სტრუქტურის ნაკლოვანებები; საკადრო რისკები.

საბანკო რისკების ზემომოყვანილი კლასიფიკაციების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყ-

ოთ ის საბაზრო კრიტერიუმები, რომლებიც საბანკო რისკების საკლასიფიკაციო სტრუქტურას უდევს საფუძვლად. ეს კრიტერიუმებია: რისკების გაჩენის სფერო (შიდა, გარე); ბანკის კლიენტების შემადგენლობა (საკუთრების ფორმა, ეკონომიკის დარგი, საკუთარი კაპიტალის მოცულობა); საბანკო ოპერაციების სახე (საკრედიტო, სავალუტო, სადეპოზიტო და ა.შ.).

საბანკო რისკების მოყვანილი კლასიფიკაციები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ცალკეული რისკის ადგილი საერთო-საბანკო რისკების შემადგენლობაში და მისი დაქვემდებარება ამ სისტემაში. საბანკო რისკების კლასიფიკაციის აუცილებლობა მდგომარეობს ამა თუ იმ რისკის ანალიზის სათანადო მეთოდის შერჩევაში, მისი დონის შეფასებაში და მთლიანად ბანკის საქმიანობაზე მისი გავლენის ხარისხის განსაზღვრაში.

16.2. ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲠᲘᲡᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

რისკების მართვის დარგში დიდი მნიშვნელობა აქვს კომერციული ბანკის საქმიანობის სწორ ორგანიზაციას. ამ მიზნით ბანკში შეიძლება შეიქმნას რისკების მართვის სპეციალიზებული კომიტეტები. გამოყოფენ ხოლმე საკრედიტო პოლიტიკის (საკრედიტო რისკების) მიზნობრივ კომიტეტს, რითაც საკრედიტო რისკის განსაკუთრებულ როლს უსვამენ ხაზს. ამავე დროს, ქმნიან საქმიანობის უფრო ფართო სფეროს მქონე კომიტეტს, საბანკო რისკების პრაქტიკულად მთელი კომპლექსის მართვისათვის აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული რისკების მართვის კომიტეტს.

საკრედიტო რისკის კომიტეტში შედის თავმჯდომარე - დირექტორი (ბანკის ხელმძღვანელი); მისი წევრებია: საკრედიტო განყოფილების ხელმძღვანელი, საკრედიტო ანალიზის ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების ხელმძღვანელი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში სხვა განყოფილებათა ხელმძღვანელებიც.

საკრედიტო რისკის კომიტეტის ფუნქციებია:

- საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება და მისი მონიტორინგი;
- კრედიტების რეიტინგის პოლიტიკის შემუშავება;
- ახალი კრედიტების გაცემისთვის კრიტერიუმების შემუშავება;
- სესხებზე შეზღუდვების დაწესება ბიზნესის დარგზე და ტიპზე დამოკიდებულებით;
- საკრედიტო პორიფელის რისკის რეგულარულად შეფასება;
- ფულადი სესხების დაბრუნების პოლიტიკის შემუშავება;
- საკრედიტო დოკუმენტაციისთვის სტანდარტების შემუშავება;
- კრედიტების მიწოდების შედგენილობის გადასინჯვა;
- საკრედიტო გირაოს სტანდარტების შემუშავება;
- კრედიტის ღირებულების (კრედიტზე პროცენტის) განსაზღვრის პოლიტიკის გადასინჯვა;
- კრედიტების გაფართოების ან შემცირების პოლიტიკის შემუშავება.

საკრედიტო რისკის კომიტეტის ფუნქციათა ეს ჩამონათვალი შეიძლება გადაისინჯოს და შეიცვალოს. ყოველი კომერციული ბანკი თავისი საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით განსაზღვრავს საკრედიტო რისკის კომიტეტის კონკრეტულ ფუნქციებს.

აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული რისკების მართვის კომიტეტის შემადგენლობაში შედის: თავმჯდომარე ბანკის დირექტორი (ხელმძღვანელი); კომიტეტის წევრებია: საკრედიტო განყოფილების, ფულის მიმოქცევის განყოფილების და სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების ხელმძღვანელები, მთავარი ბუღალტერი, კონტროლის სამსახურის (ფინანსური კონტროლის სამსახურის, შიდა აუდიტის სამსახურის და ა.შ.) ხელმძღვანელი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელებიც.

კომიტეტის ფუნქციებია:

- ბანკის საპროცენტო პოლიტიკის შემუშავება და მონიტორინგი;
- ბანკის საეალუტო პოლიტიკის შემუშავება;
- საბაზრო (საინვესტიციო) რისკის რეგულარულად შეფასება;
- ბანკის ლიკვიდობის მდგომარეობის მონიტორინგი;
- საბანკო რესურსების მდგომარეობის მონიტორინგი;
- ბანკის კაპიტალის მართვის პოლიტიკის შემუშავება;
- რისკებთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობის დაცვა.

კომიტეტს ის სხვა ფუნქციებიც შეიძლება გადაეცეს, რომლებიც კონკრეტული კომერციული ბანკის საქმიანობის თავისებურებებითაა განპირობებული.

თავიანთი ბუნებით ბანკები საიმედოობასა და უსაფრთხოებას უნდა განასახიერებდნენ. ამიტომ რისკების მართვის პროცესის ორგანიზაცია რისკების თავიდან აცილების, რეგულირებისა და მინიმიზაციის მიმართულებით განხორციელებული პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი ელემენტი უნდა იყოს. ბანკის მიერ გატარებული რისკების პოლიტიკა ის ღონისძიებებია, რომლებსაც დასახული მიზნების მისაღწევად მიმართავს ბანკი. უსაფრთხოების მიზნით ყოველი ბანკი ატარებს რისკისგან დამცავ იმ ღონისძიებებს, რომლებიც სწორედ რისკების პოლიტიკის შინაარსს შეადგენენ. იგი ორი მიმართულებით ხორციელდება: 1) რისკის თავიდან აცილება; 2) გარდაუვალი რისკების შერბილება.

ბანკის ფინანსური წონასწორობის უზრუნველსაყოფად აყალიბებენ რისკისგან თავის დაცვის მიზნებს. მათგან მთავარია:

- რისკის თავიდან აცილების აქტიური ღონისძიებები;
- მომხდარი რისკის ღონისძიებები.

ცალკეული ბანკების რისკიან ინიციატივასთან ერთად არსებობს უსაფრთხოების უზრუნველყოფისადმი კოლექტიური მიდგომებიც (მაგალითად, ანაბრების დაზღვევის სისტემები და სხვა). რისკების პოლიტიკის ინსტრუმენტებია: საბანკო ხელშეკრულება და ბანკის წესდება.

ბანკი პასუხს აგებს ანგარიშსწორებაში დაშვებული შეცდომებისთვის, ანაზღაურებს არასწორი ინფორმაციის გამო კლიენტისთვის მიყენებულ ზარალს, აგრეთვე, კლიენტების დაეალებით შესრულებულ შემოწმებებში მომხდარი შეცდომებით მიყენებულ ზარალს.

რისკების მართვის პოლიტიკის შემუშავებისას კომერციულმა ბანკმა მასში უნდა გამოკვეთოს საკუთარი სტრატეგია. სტრატეგიის განსაზღვრისას ბანკი განიხილავს მთელ რიგ პრობლემებს - რისკის მონიტორინგიდან მისი ღირებულების შეფასებამდე. რისკის მართვის სტრატეგია იმის საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ გამოყენებული იყოს საკუთარი ბიზნესის განვითარების ყველა შესაძლებლობა და ამავე დროს შენარჩუნებული იყოს რისკი მართვად დონეზე.

სტრატეგიის რეალიზაციაში დიდ როლს ასრულებენ ბანკის რისკების პოლიტიკის საზღვრები. ეს გულისხმობს ბანკის მიერ ისეთი რისკების შერჩევის უნარს, რომელთა სწორად შეფასება და ეფექტიანად მართვაც შეუძლია მას. როდესაც ბანკი ამა თუ იმ რისკის თავის თავზე აღებას გადაწყვეტს, იგი მზად უნდა იყოს მართოს ეს რისკი და თვალყური ადევნოს მას. რისკების პოლიტიკის შემუშავების დროს ბანკი უნდა იცავდეს გარკვეულ პრინციპებს, რომლებიც ამ პოლიტიკის ცალკეულ მიმართულებებსა და ეტაპებს ეხება. აუცილებელია არამარტო რისკის ზონების განსაზღვრა და მისი გაზომვა, არამედ რისკის კონტროლისა და დაფინანსების სისტემის მოწყობა. კერძოდ, კონტროლის სისტემა უნდა ითვალისწინებდეს ამ საკითხში ბანკის ყველა ქვედანაყოფისა და სამსახურის საქმიანობის კოორდინაციას, აგრეთვე, რისკის შემცირების ეკონომიკურ სტიმულირებას, მისი მართვის მონიტორინგს და პროცედურების ეფექტიანობას.


ბანკის რისკების პოლიტიკის ფარგლებში შეგვიძლია გამოვყოთ რისკის დაძლევის შემდეგი ღონისძიებები:

1) რისკის თავიდან აცილება (მაგალითად, კრედიტი არ გაიცემა);
2) რისკის შემცირება, მისი რეგულირება:
- კლიენტის გადახდისუნარიანობის შემოწმება და მიმდინარე კონტროლი)
- რისკის დაზღვევა და გირაოს გამოყენება;
- რისკის გაწილება, როდესაც კრედიტის მთელ თანხას და, მაშასადამე, რისკსაც რამდენიმე ბანკზე ანაწილებენ (ბანკების კონსორციუმის ფარგლებში);
- ბანკი პრემიას იღებს კლიენტისგან იმის გამო, რომ იგი რისკავს (პრემიის ოდენობას საკრედიტო ხელშეკრულებით ადგენენ);
- რისკის გაბნევა (კრედიტს ისეთ მრავალ მოვალეს აძლევენ, რომელთა რისკებიც ერთმანეთს არ უკავშირდება);
- რისკის შეზღუდვა ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული ნორმატივებით, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს კომერციული ბანკის აქტივების რისკის კოეფიციენტებს;
3) რისკის გათვალისწინება ბანკის ბალანსში.

ცენტრალური ბანკის მითითებით კომერციულ ბანკში შესაძლოა შეიქმნას სესხებზე მოსალოდნელი დანაკარგების დასაფარავი რეზერვი. მას მხოლოდ მაშინ იყენებენ, თუ საჭირო გახდა კლიენტების (ბანკების) მიერ გადაუხდელი სასესხო დავალიანების დაფარვა ძირითადი ვალის ნაწილში.

რისკის დაძლევის ღონისძიებათა შემუშავებისას უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ რისკი ორ ფაზას გაივლის: ფარულს და ღიას. ყოველ მათგანს თავისი ღონისძიებები ესაჭიროება. რისკის დაძლევის პროცესი სქემატურად ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ (საკრედიტო რისკის მაგალითზე):

რისკის დაძლევა



რისკის გაჩენის შემთხვევაში კომერციული ბანკები იზიდავენ მისი დაფარვის სათანადო წყაროებს. რისკის დაფარვის ძირითადი შიდა წყაროებია ბანკის საკუთარი კაპიტალი და რეზერვები.

საკუთარ კაპიტალს უკიდურეს შემთხვევაში იყენებენ, მაგრამ ეს უკვე ბანკის გაკოტრებაა. ცალკეულ შემთხვევებში კომერციულ ბანკებს შეუძლიათ დამატებითი სახსრები მოითხოვონ თანადამფუძნებლებს რისკის დასაფარავად. გარდა შიდა წყაროებისა, არსებობს რისკის დაფარვის გარე წყაროებიც (მაგალითად, შვილობილ ბანკზე პასუხს სათაო ბანკი აგებს).

გარდა ამისა, არსებობს ბანკების ლიკვიდობის შენარჩუნების ცენტრალიზებული წესი. უმრავლეს ქვეყნებში ეს წესი შემოიფარგლება ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეთოდების რეალიზაციით. ზოგიერთ ქვეყანაში ამასთან ერთად მოქმედებს ბანკების ლიკვიდობის მხარდაჭერის სპეციალური სისტემა. მაგალითად, გფრ-ში 1974 წ. შექმნეს სპეციალური კონსორციონური ბანკი ლიკვიდობის მხარდასაჭერად. სხვადასხვა ბანკების გაერთიანებებთან ერთად მასში გერმანიის ცენტრალური ბანკი ბუნდესბანკიც მონაწილეობს. კონსორციონური ბანკი ეწევა კრედიტების დაზღვევას რისკისაგან, თანაც არა ცალკე აღებული ბანკისათვის, არამედ საბანკო კავშირების დონეზე. ეს განსაკუთრებით სასარგებლო გამოცდილებაა.

ამგვარად, ბანკების საიმედო და სტაბილური საქმიანობა პირდაპირაა დამოკიდებული რისკების მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, რომლის დანიშნულებაა კოორდინაცია გაუწიოს, დეტალურად და თანმიმდევრულად აკონტროლოს საბანკო რისკების შემცირების ღონისძიებები.

16.3. ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲠᲘᲡᲙᲘ: ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ, ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ, ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ

მიზეზები და მეთოდები

ტრადიციულად, საკრედიტო რისკს განმარტავენ როგორც მოვალისგან ფულის დაუბრუნებლობის რისკს, საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დარღვევას მის მიერ. საკრედიტო რისკის არსის განსაზღვრაში განსხვავებული მიდგომები არსებობს. ზოგი ავტორი „საკრედიტო რისკის“ ცნებაში მოაქცევს ძირითადი ვალისა და მასზე დარიცხული პროცენტების გადაუხდელობის რისკს. სხვები საკრედიტო რისკს უკავშირებენ ბანკების მიერ მიღებულ მოგებას: საკრედიტო რისკი არის ბანკის მოგების შესაძლო ვარდნა და სააქციო კაპიტალის ნაწილის დაკარგვაც კი მსესხებლის მიერ ვალის დაფარვისა და მისი მომსახურების უუნარობის შედეგად. ამგვარი მიდგომა ბანკის მოგებაზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის მხოლოდ უარყოფით მხარეს ასახავს, იგი დაკრედიტების ნეგატიურ შედეგებს უკავშირდება. ამავე დროს, საკრედიტო გარიგების შედეგი შეიძლება დადებითიც იყოს და თან არსებობდეს გარკვეული დონის რისკი საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

საკრედიტო რისკის სხვა განმარტებას საფუძვლად უდევს კრედიტორის დაეჭვება იმაში, რომ მოვალე შეძლებს თავის ვალდებულებათა შესრულებას საკრედიტო ხელშეკრულების ვადებისა და პირობების შესაბამისად. ამას შეიძლება იწვევდეს:

ა) მოვალის მიერ მომავალში ადექვატური ფულადი ნაკადის შექმნის უუნარობა იმ საქმიან, ეკონომიკურ ან პოლიტიკურ გარემოცვაში მოულოდნელად მომხდარ არასასიკეთო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელშიც მსესხებელი საქმიანობს;

ბ) გაცემული კრედიტის საწინდრის შემავალ ღირებულებასა და ხარისხში (ლიკვიდობისა და ბაზარზე გაყიდვის შესაძლებლობაში) დაეჭვებით;

გ) მსესხებლის საქმიან რეპუტაციაში გაჩენილ კრიზისებით.

საკრედიტო რისკი ერთნაირად განეკუთვნება როგორც ბანკებს, ისე მათ კლიენტებს და შეიძლება უკავშირდებოდეს ამა თუ იმ დარგის პროდუქციის წარმოების ან მასზე მოთხოვნის დაქვეითებას, სახელშეკრულებლო ურთიერთობათა დარღვევას რაიმე მიზეზის გამო, რესურსების სახეების ტრანსფორმაციას (უფრო ხშირად - ვადის მიხედვით) და ფორს-მაჟორულ გარემოებებს.

საკრედიტო რისკის არსის შესახებ საკითხის განხილვისას იგი აუცილებლად უნდა განვიხილოთ როგორც კრედიტის მოძრაობასთან დაკავშირებული რისკი. საკრედიტო რისკის არსი განუყოფლად უკავშირდება კრედიტის კატეგორიას (ე.ი. სასესხო კაპიტალის მოძრაობის ფორმას). მაშასადამე, საკრედიტო რისკის წარმოშობის სფერო შეიძლება იყოს გასესხებული ღირებულების მოძრაობის ერთ-ერთი სტადია.

გასესხებული ღირებულების წრებრუნვის პროცესში დაბრუნების პრინციპი კრედიტის მთელ მოძრაობას მოიცავს და ნებისმიერი საკრედიტო გარიგების საყოველთაო და ობიექტურ თვისებადგვეელინება. ამდენად, რაიმე მიზეზით კრედიტის ამ საყოველთაო თვისების დარღვევა იწვევს ნეგატიური შედეგების, ზარალის და სესხის დაუბრუნებლობის გამო გაჩენილი დანაკარგების გაჩენას, ანუ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია კრედიტის დაბრუნების პრინციპის დაუცველობა, რასაც გასესხებული ღირებულების მოძრაობის წრებრუნვის დარღვევა იწვევს.

ამგვარად, შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1) საკრედიტო რისკი და გაურკვეველობა ის ურთიერთდაკავშირებული ორი ცნებაა, რომლებიც ბანკის საქმიანობას ახასიათებს საკრედიტო ოპერაციების ბაზარზე, რადგან საკრედიტო გარიგების შესახებ გადაწყვეტილებებს ბანკები ხშირად გაურკვეველობის პირობებში იღებენ;

2) პოზიტიური ან ნეგატიური შედეგის მიღების ალბათობას ღირებულებითი გამოხატულება აქვს კრედიტორის მიერ მიღებული მოგება ან ზარალი;

3) საკრედიტო რისკი ბანკის ზარალის გაჩენის პოტენციური შესაძლებლობაა;

4) საკრედიტო რისკის წარმოშობის სფეროა გასესხებული ღირებულების მოძრაობის პროცესი, მისი მიზეზები კი მრავალგვარი რისკწარმომქმნელი ფაქტორები;

5) რისკი რეგულირებადი ეკონომიკური კატეგორიაა, რადგან კონკრეტული ეკონომიკური ვითარების შეფასების შედეგებზე დაყრდნობითა და მოვლენის საპროგნოზო ვარიანტთან მისი შედარებით, ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს შევუპირისპიროთ მიზნებისა და შესაძლებლობების რეალურობა.

ამგვარად, საკრედიტო რისკი ძირითადი ვალისა და მისი პროცენტების დაკარგვის პოტენციური შესაძლებლობაა გასესხებული ღირებულების მოძრაობის მთლიანობის დარღვევის შედეგად, რასაც განაპირობებს სხვადასხვა რისკწარმომქმნელი ფაქტორების ზემოქმედება.

საკრედიტო რისკის მინიმიზებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მისი შეფასების მეთოდების გარკვევას ყოველი ცალკეული სესხის (მსესხებლის) მიხედვით და მთლიანად ბანკის (საკრედიტო პორთფელის) დონეზე. მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებას უწოდებენ მისი ეკონომიკური მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესწავლასა და შეფასებას. საკრედიტო რისკის შეფასების სამუშაოს ბანკში სამ ეტაპად ატარებენ. პირველ ეტაპზე ახდენენ მსესხებლის საქმიანობის ხარისხობრივ მაჩვენებელთა შეფასებას, მეორეზე - რაოდენობრივ მაჩვენებელთა, ხოლო ბოლო ეტაპზე, კრებსითი შეფასება, - პროგნოზის მიღებას და საბოლოო ანალიტიკური დასკვნის ჩამოყალიბებას.

საკრედიტო რისკის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდი. მას იმ ანალიზის საფუძველზე ახორციელებენ, რომელიც კლიენტის ფინანსური მდგომარეობისა და მისი ტენდენციების გამოვლენისკენაა მიმართული.

მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციის ძირითადი წყაროებია: ფინანსური ანგარიშგება, მსესხებლის მიერ მოწოდებული ცნობები, მოცემულ კლიენტებთან სხვა პირების მუშაობის გამოცდილება, ადგილობრივი ინსპექციის მონაცემები, სესხის მიღების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მქონე დასაკრედიტებელი გარიგების სქემა.

ხარისხობრივი ანალიზის რეალიზაციის ეტაპებია: ა) მსესხებლის რეპუტაციის შესწავლა; ბ) კრედიტის მიზნის განსაზღვრა; გ) ძირითადი ვალისა და მისი პროცენტების დაფარვის წყაროების განსაზღვრა; დ) მსესხებლის იმ რისკების შეფასება, რომელსაც ბანკი ირიბად იღებს თავის თავზე.

მსესხებლის რეპუტაციას მეტად გულდასმით სწავლობენ. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია კლიენტის საკრედიტო ისტორიის, ე.ი. სასესხო დავალიანებაზე კლიენტის მუშაობის გამოცდილების შესწავლა. ყურადღებით სწავლობენ იმ ცნობებსაც, რომლებიც ინდივიდუალური მსესხებლის საქმიან და პიროვნულ თვისებებს ახასიათებენ, ადგენენ, არსებობს თუ არა სესხების გადაუხდელობისა და ჯეროვნად გამფორმებული თამასუქების პროტესტის ფაქტები.

მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრა სესხის გაცემის შესაძლებლობის განსაზღვრაში ბანკის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი გულისხმობს მის შეფასებას ბანკის მიერ სესხის მიცემის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად ამ სესხის დაბრუნების ალბათობის განსაზღვრას. ამ მიზნით იყენებენ: ფინანსურ კოეფიციენტებს, ფულადი ნაკადის ანალიზს, საქმიანი რისკის შეფასებას.

აშშ-ში პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასებისა და, მაშასადამე, საკრედიტო რისკის მინიმიზაციის მიზნით იყენებენ მიდგომას, რომელსაც 5„C“ უწოდეს. მას საფუძვლად უდევს რისკის შეფასების შემდეგი კრიტერიუმები: კლიენტის რეპუტაცია - Customer character; გადახდისუნარიანობა - Capacity to pay; კაპიტალი - Capital; სესხის უზრუნველყოფა - Collateral; ეკონომიკური კონიუნქტურა და მისი პერსპექტივები - Current businccs conditions and goodwill.

მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზის პრაქტიკა დიდ ბრიტანეთშიცაა გავრცელებუ-

ლი. აქ მას უწოდებენ „Parts“: კრედიტის დანიშნულება, მიზანი - Purpose; სესხის ოდენობა Amount; დაყალიანების დაფარვა - Repayment (ძირითადი ვალისა და პროცენტების); ვადა Term; სესხის უზრუნველყოფა - Security.

ყველაზე მისაღებია მსესხებლის შეფასების მეთოდები PARSER და CAMPARI, რომლებსაც ინგლისის კლირინგული ბანკები იყენებენ და რომლებიც მსესხებელთა მრავალმხრივი და ყველაზე სრული შესწავლის საშუალებას იძლევა.

PARSER ასე ი'შიფრება: ინფორმაცია პოტენციური მსესხებლის პერსონისა და მისი რეპუტაციის შესახებ Person; მოთხოვნილი კრედიტის თანხის დასაბუთება Amount; დაფარვის შესაძლებლობა - Repayment; უზრუნველყოფის შეფასება - Secuity; კრედიტის მიზან'შეწონილობა Expediency; ბანკის ჯილდო (საპროცენტო განაკვეთი კრედიტის გაცემის რისკისათვის) Remuneration.

CAMPARI ასე ი'შიფრება: მსესხებლის რეპუტაცია Character; მსესხებლის ბიზნესის შეფასება Ability; სესხის თხოვნის აუცილებლობის ანალიზი Means; კრედიტის მიზანი Purpose; კრედიტის თანხის დასაბუთება Amount; დაფარვის შესაძლებლობა - Repayment; საკრედიტო რისკის დაფარვის ხერხი Insurance.

არსებობს კლიენტების კრედიტუნარიანობის ანალიზისადმი სხვა მიდგომებიც. ამ ანალიზს საფუძვლად უდევს ისეთი ინფორმაციის შეგროვება, რომელიც ყველაზე უფრო სრულად ახასიათებს კლიენტს. მაგალითად, იურიდიული აქტი - დებულება „B“ განსაზღვრავს იმ ძირითად კრიტერიუმებს, რომლებიც ბანკებმა უნდა დაიცვან ანკეტების (სესხების გაცემაზე განაცხადების) შევსებისა და კლიენტის კრედიტუნარიანობის დადგენისას. კერძოდ, დებულება „B“ ითვალისწინებს, თუ როგორ უნდა იყენებდეს ბანკი კლიენტის შესახებ ინფორმაციას კრედიტუნარიანობის შეფასების ბალურ სისტემებში; განსაზღვრავს იმ ინფორმაციის წრეს, რომლის მოთხოვნა და კლიენტის წინააღმდეგ გამოყენება არ შეუძლია ბანკს. კრედიტორები ვალდებული არიან სესხის მიღებაზე განაცხადის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში აცნობონ კლიენტს მისი გაცემის შესაძლებლობის შესახებ.

უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ იყენებენ ანალიზის SWOT - მეთოდს (S - strong, W - weak, O - opportunities, T - threat), რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვაელინოთ მსესხებლის ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი პოტენციური შესაძლებლობები და რისკები. ამგვარად, იმ ინფორმაციის ძირითადი მიზნები, რომელიც მსესხებლის კრედიტუნარიანობის დონეს ახასიათებს, არის: განმცხადებლის სიტუაციის ძლიერი მხარეების განსაზღვრა, პოტენციური მსესხებლის სუსტი მხარეების გამოვლენა, იმ სპეციფიკური ფაქტორების განსაზღვრა, რომლებსაც ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს მსესხებლის წარმატების გაგრძელებისათვის; შესაძლო რისკები დაკრედიტების დროს.

ანალიზი, რომელსაც ბანკირები უტარებენ კლიენტების ფინანსურ ანგარიშგებებს, შეიძლება იყოს შიდა და გარე. გარე ანალიზი მოიცავს მოცემული მსესხებლის შედარებას სხვებთან; შიდა ანალიზი გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილების ერთმანეთთან შედარებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათი დინამიკის თვალსაზრისით. ამას ხშირად კოეფიციენტების ანალიზს უწოდებენ. ანალიტიკური პროცესისათვის თავიანთი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ფინანსურ კოეფიციენტებს ორი დიდი ნაკლი აქვს: 1) ისინი არაფერს გვეუბნებიან იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს კლიენტის ოპერაციები; 2) იძლევიან წარსულის ინფორმაციას მაშინ, როდესაც კრედიტი მომავალში უნდა გაიცეს. ამიტომ ბანკის ანალიტიკოსს მუშაობა უხდება არამარტო ფაქტიურ მონაცემებთან, არამედ „რთული“ ინფორმაციის (შეხედულებები, პროგნოზები, შეფასებები) შეფასებასთანაც. კლიენტს შეიძლება უარი უთხრან განაცხადზე, ვთქვათ, თუკი სესხის გაცემა ბანკის საკრედიტო პოლიტიკის დარღვევა იქნება.

მაგრამ ზოგჯერ საჭირო ხდება უფრო სრული ანალიზი, მაგალითად, მსესხებლის ფულადი

სახსრების მოძრაობის შეფასების საფუძველზე, ე.ი. ფულადი ნაკადის ანალიზის პროცესში. ფულადი ნაკადი მსესხებლის იმ უნარის საზომია, თუ როგორ შეუძლია მას საკუთარი ხარჯების დაფარვა და დავალიანების გასტუმრება თავისივე სახსრებით. ასეთსავე ანალიზს ატარებენ მსესხებლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების გამოყენებით.

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგების შედგენა საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ შემდეგ შეკითხვებს:

- უზრუნველყოფს თუ არა თავს მსესხებელი ფულადი სახსრებით ფინანსური აქტივების შემდგომი ზრდისათვის;
- არის თუ არა მსესხებლის ზრდა-განვითარება იმდენად ინტენსიური, რომ მას გარე წყაროებიდან ჭირდება დაფინანსება;
- აქვს თუ არა მსესხებელს ჭარბი სახსრები ვალის დასაფარავად ან შემდგომი ინვესტირებისათვის.

მსესხებლის ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგების გამოყენება მიზანშეწონილია სესხის დაფარვის პერსპექტივების ანალიზისათვის.

დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებში კლიენტების დაკრედიტების საყურადღებო თავისებურებაა ის, რომ მსესხებლებისთვის (ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის) კრედიტის მიცემის ნებისმიერი პროცესის ყურადღების ცენტრში დგას ადამიანი. მაგალითად, გერმანიაში, გაცემული კრედიტის სახეობის მიუხედავად, ე.ი. სამომხმარებლო იქნება იგი თუ საინვესტიციო საფირმო კრედიტი. მსესხებელმა უნდა წარადგინოს მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებს მის პირად კრედიტუნარიანობასა და პიროვნულ თვისებებს.

ინფორმაცია, რომელიც გერმანიის ბანკს აინტერესებს კრედიტის გაცემის საკითხის გადაწყვეტისას, შემდეგ ძონაცემებს უნდა შეიცავდეს.

1. მეწარმის პიროვნული თვისებების დახასიათება: ხასიათი, მანერები, ქცევა, გარეგნობა. მეტყველება, გულახდილობა (ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის საკითხებში), ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და ეითარება, მეწარმეობის გარეთ ნაკისრი სოციალური, საპატიო თანამდებობები, გატაცებები.

2. საერთო განათლება (სასწავლო დაწესებულების დამთავრების მოწმობების ასლი), კვალიფიკაცია, აზროვნების ყაიდა, რისკის მიმართ დამოკიდებულება (აზარტულობა), წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციისადმი ინტერესი, დაგეგმვის უნარი;

3. ტექნიკური კვალიფიკაცია: სპეციალური განათლება, პროფესიული განვითარების მიმდინარეობა, გამოცდილება, სამუშაოში დახპეციალება;

4. ფიზიკური მდგომარეობა: ჯანმრთელობის მდგომარეობა (ადრინდელი და ქრონიკული დაავადებები), დატვირთვის საზღვრები, სპორტს მიდევნება;

5. ქონება: საწარმოს საქმეებში მონაწილეობის დონე, პირადი ქონება, საკუთარი უძრავი ქონება, შემოსავლის სხვა წყაროები, საკუთარი შემოსაველები საწარმოს მოგებიდან, პირადი ვალები, საგადასახადო უწყების ვალები, ოჯახის წევრების ქონებრივი მდგომარეობა, საკრედიტო ორგანიზაციებთან ურთიერთობების ინტენსივობა, კონკურსებში მონაწილეობა.

ჩამოთვლილ პირობებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს ყოველი კონკრეტული მსესხებლისათვის. მაგალითად, კლიენტისა და ბანკის ხანგრძლივი ურთიერთობებისას, როდესაც ბანკმა კარგად იცის მისი რეგულარული შემოსავლები და სარჯები, გერმანიაში კრედიტის გაცემა არსებითად ავტომატურად ხდება.

კლიენტების კრედიტუნარიანობის ანალიზისათვის მათივე ანკეტების გამოყენებასთან ერთად ბანკებს ინფორმაციის მიღება ადგილობრივი საკრედიტო ბიუროებისგან შეუძლიათ. დასავლეთის ქვეყნებში კლიენტს კანონი უფლებას აძლევს შეამოწმოს საკრედიტო ბიუროებში მის ფინანსურ მდგომარეობაზე არსებული ინფორმაცია. შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში კლიენტი ატყობინ-

ებს ამას ბიუროს მისი გამოსწორების მიზნით. ბიურო, თავის მხრივ, ყველა იმ კრედიტორს აცნობებს ამას, ვისაც მცდარი ინფორმაცია აქვს კლიენტზე. თუ ინფორმაციის სიზუსტე ეჭვსა და კამათს იწვევს, მაშინ კლიენტს შეუძლია მუდმივად შეიტანოს ფაილებში შეცდომის მისეული ინტერპრეტაცია.

ამჟამად გერმანიაში ყველა კომერციული ბანკი ეალდებულია ბუნდესბანკის სპეციალურ დეპარტამენტს წარუდგინოს ინფორმაცია მთელი სესხებისა და მსესხებლების შესახებ. ეს ბანკების საქმიანობის ამ სფეროს სისტემატური ანალიზის, კონტროლისა და საჭიროების შემთხვევაში, სათანადო კორექტივების შეტანის შესაძლებლობას ქმნის. საფრანგეთსა და ბელგიაში ბანკებს უფლება აქვთ ცენტრალური ბანკიდან მიიღონ ინფორმაცია სესხების არგადამხდელთა შესახებ. სხვა ქვეყნებში ამგვარი უფლება არ არსებობს საბანკო საიდუმლოს დაცვის აუცილებლობის მოტივით. მაგრამ არსებობს კლიენტის ანაბრის გადატანის შესაძლებლობა სესხის გამცემ ბანკში.

აუცილებელია, აგრეთვე, მსესხებლის რეპუტაციის შეფასება. ამის ერთ-ერთი მეთოდია საკრედიტო სკორინგი. მისი ჩატარების მოდელს ყველა ბანკი დამოუკიდებლად ამუშავებს იმ თავისებურებებიდან გამომდინარე, რომლებიც ბანკსა და მის კლიენტურას გააჩნია, თანაც, საბანკო კანონმდებლობისა და ქვეყნის ტრადიციების გათვალისწინებით. საკრედიტო სკორინგის ტექნიკა პირველად ამერიკელმა ეკონომისტმა დ.დიურანმა შეიმუშავა გასული საუკუნის 40-იან წლებში სამომხმარებლო კრედიტის მსესხებელთა შერჩევისათვის. მან გამოყო იმ ფაქტორების ჯგუფი, რომლებიც, მისი აზრით, საკმარისი სარწმუნოობით ადგენენ კლიენტის საკრედიტო რისკის დონეს. მან გამოიყენა შემდეგი კოეფიციენტები და ასეთი ბალები მიანიჭა მათ:

1) ასაკი: 0,1 ბალი ყოველ 1 წელზე 20 წელს ზემოთ (მაქსიმუმ 0,30);

2) სქესი: ქალები 0,40; მამაკაცები 0;

3) ცხოვრების ვადა: 0,042 მოცემულ ადგილზე გატარებული ცხოვრების ყოველი წლისათვის (მაქსიმამ 0,42);

4) პროფესია: 0,55 დაბალრისკიანი პროფესიისთვის, 0 - მაღალრისკიანი და 0,16 - დანარჩენი პროფესიებისთვის;

5) დარგში მუშაობა: 0,21 საზოგადოებრივი სარგებლობის საწარმოები, სახელმწიფო დაწესებულებები, ბანკები და საბროკერო ფირმები;

6) დასაქმებულობა: 0,059 მოცემულ საწარმოში გატარებული ყოველი წლისთვის (მაქსიმუმ 0,59);

7) ფინანსური მაჩვენებლები: 0,45 საბანკო ანგარიშის ქონისთვის; 0,35 უძრავი ქონების ფლობისთვის; 0,19 სიცოცხლის დაზღვევის პოლისის ქონისთვის.

ამ კოეფიციენტების გამოყენებით დ.დიურანმა განსაზღვრა „კარგი" და „ცუდი" კლიენტების გამყოფი ზღვარი 1,25. ამის ქვემოთ კლიენტი არაკრედიტუნარიანადაა მიჩნეული, ზემოთ კი - მისაღებ კლიენტად.

სკორინგის მეთოდი საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ კრედიტზე განაცხადის ექსპრეს-ანალიზი კლიენტის თანდასწრებით. მაგალითად, საფრანგეთის ბანკებში პერსონალური კრედიტისთვის მოსულ კლიენტს შეუძლია ანკეტის შევსებიდან რამდენიმე წუთში უკვე მიიღოს შესაბამისი პასუხი.

დღეს ამერიკის ბანკები ამუშავებენ თავიანთი კლიენტების კრედიუნარიანობის ანალიზისადმი ახალ მიდგომებს. ამასთან, ყოველი ბანკი იყენებს საკუთარ სისტემებს გარიგების კონკრეტული პირობებიდან, ბანკის მუშაობის პრიორიტეტებიდან, სპეციალიზაციიდან, ბაზარზე დაკავებული ადგილიდან, კლიენტურასთან დამოკიდებულებიდან, ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობიდან და ა.შ. გამომდინარე.

ამერიკის ბანკების უმრავლესობა თავის პრაქტიკაში იყენებს: 1) კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასების იმ სისტემებს, რომლებიც კრედიტის გაცემის ეკონომიკური მიზანშეწონილო-

ბის ანალიზის ექსპერტულ შეფასებებს ეყრდნობა, და 2) კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასების ბალურ სისტემებს ეყრდნობა. კლიენტის კრედიტუნარიანობის რაოდენობრივი შეფასების გამოყენება გულისხმობს ამა თუ იმ სახის კრედიტისათვის და მსესხებლისათვის გარკვეული ჯგუფის მინიჭებას და ბალებით განსაზღვრავს პოტენციური მსესხებლის სხვადასხვა მახასიათებლის მნიშვნელობებს. შემდეგ ბანკირი ითვლის ბალების მთელ რაოდენობას და სესხის გაცემის ან მასზე უარის თქმის მოდელს უდარებს მას.

შეფასების ბალურ სისტემებს ემპირიული მიდგომის საფუძველზე ქმნიან ბანკები რეგრესიული მათემატიკური ანალიზის ან ფაქტორული ანალიზის გამოყენებით. ეს სისტემები იყენებენ „კარგი", „საიმედო" და „არასასიკეთო" საბანკო სესხების შესახებ ისტორიულ ცნობებს და იძლევიან მსესხებელთა შეფასების კრიტერიალური დონის განსაზღვრის შესაძლებლობას.

ამგვარად, თუ ბალების მთელი ჯამი აღემატება მოდელში მითითებულს, მაშინ ბანკი გასცემს კლიენტზე სესხს, ამის საპირისპირო შემთხვევაში კი უარით ისტუმრებს მას. ბალების მინიმალურ და მაქსიმალურ ჯამებს შორის, ჩვეულებრივ, არსებობს განსხვავება და როდესაც ბალების ფაქტიური რაოდენობა ამ მონაკვეთში ექცევა, მაშინ ბანკი დაკრედიტების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო-ეკონომიკური და იურიდიული ფაქტორებიდან გამომდინარე.

ცხადია, რომ კლიენტების კრედიუნარიანობის შეფასების ბალურ სისტემათა გამოყენება ექსპერტულ შეფასებებზე უფრო ობიექტური და ეკონომიკურად დასაბუთებული პროცესია სწორი გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. ერთადერთი სირთულე ისაა, რომ ბალური სისტემები სტატისტიკურად გულმოდგინედ უნდა იყოს შემოწმებული და ისინი მონაცემთა მუდმივად განახლებას მოითხოვს, რაც ძვირი შეიძლება უჯდებოდეს ბანკს. ამიტომ მცირე ბანკები, როგორც წესი, არ შეიმუშავებენ ანალიზის მოდელებს მათი სიძვირის და შეზღუდული საინფორმაციო ბაზის გამო.

ბანკის საკრედიტო რისკის შეფასება მოითხოვს, ერთი მხრივ, კომერციული ბანკის საკრედიტო დაბანდებათა დინამიკის ანალიზს, ხოლო, მეორე მხრივ, მათ ხარისხობრივ ანალიზს. ამის საფუძველია ყოველი საკრედიტო ხელშეკრულების დაკრედიტების ობიექტის, მისი ვადების, სესხების რისკების, კრედიტის უზრუნველყოფის და ა.შ. დეტალურად განხილვა.

კრედიტების ანალიზს და მათ დაჯგუფებას ხარისხის მიხედვით დიდი მნიშვნელობა აქვს. კრედიტის ხარისხი უნდა გაიგოთ როგორც მოცემული სესხისათვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკის დონე. კრედიტის ხარისხის მაჩვენებლის დონე საკრედიტო რისკის დონის უკუპროპორციულია (რაც უფრო მაღალია კრედიტის ხარისხი, მით უფრო ნაკლებია მისი არდაბრუნების ალბათობა ან დაფარვის შეფერხება და პირიქით). საკრედიტო რისკის მაჩვენებლებისგან განსხვავებით, კრედიტის ან ბანკის საკრედიტო პორთფელის ხარისხი ის რეალური მაჩვენებელია, რომელსაც უკვე გაცემული კრედიტის მიხედვით განსაზღვრავენ. როდესაც ვიცით საკრედიტო პორთფელის სტრუქტურა კრედიტის ხარისხის კატეგორიების მიხედვით და სტატისტიკური გზით განვსაზღვრავთ პრობლემური, ვადაგადაცილებული და უიმედო სესხების საშუალო პროცენტს თითოეული კატეგორიის მიხედვით (მათ შორის სამომხმარებლო, იპოთეკური და სხვა სესხების), შეგვიძლია განვახორციელოთ ის ღონისძიებები, რომლებიც საკრედიტო ოპერაციებიდან მიღებული ზარალის შემცირებისკენ იქნება მიმართული.

16.4. ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲠᲘᲡᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲖᲔ ᲖᲔᲡᲐᲫᲚᲝ

დანაკარგების შემთხვევისათვის შექმნილი რეზერვი

საკრედიტო რისკი მსესხებლის მიერ ძირითადი ვალის და პროცენტების არგადახდის რისკია ან საკრედიტო გარიგების კონტრაჰენტის უუნარობაა იმოქმედოს ნაკისრ ვალდებულებათა შესაბამისად.

პროცენტების არგადახდისას ბანკი კარგავს თავის შემოსავალს, ძირითადი ვალის არდაბრუნების დროს კი ბანკი სარჯებს მიაწერს უიმედო სესხს და შესაბამისად, განიცდის ზარალს მოცემული საკრედიტო გარიგების მიხედვით. საკრედიტო გარიგებიდან მოსალოდნელი შემოსავლის მიღების ალბათობის გაანგარიშების მეთოდიკები საკმაოდ დაწვრილებითაა მოცემული ეკონომიკურ ლიტერატურაში. საკრედიტო რისკი მათემატიკურად ფალიბდება, როგორც იმ დანაკარგის წარმოქმნის ალბათობა, რომლის სიდიდესაც ანგარიშობენ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე და რომლის გამოთვლაც საკმაოდ მაღალი სიზუსტით შეიძლება. რისკის სიდიდეს საკმაოდ მაღალი კრიტერიუმით აფასებენ: საშუალო მოსალოდნელი მნიშვნელობით და შესაძლო შედეგის გაფანტვით. რისკის სიდიდის განსაზღვრისათვის აუცილებელია საკრედიტო გარიგების შედეგის შესაძლო ვარიანტების და მათი ალბათობის გათვლა (სტატიკური მონაცემების საფუძველზე). ზოგადი სახით შეგვიძლია გამოვყოთ საკრედიტო გარიგების დასრულების ყველაზე უფრო სავარაუდო შემდეგი ვარიანტები:

ცხრილი 16.1.

საკრედიტო გარიგების შედეგის შესაძლო ვარიანტები

საკრედიტო გარიგების დასრულების ვარიანტი	ეკონომიკური შედეგი
სესხი მთლიანად იფარება თავისი კუთვნილი პროცენტებით	ბანკის შემოსავალი სესხზე მიღებული პროცენტების ოდენობით
იფარება მხოლოდ ძირითადი ვალის თანხა	ნულოვანი შედეგი
სესხი არ ბრუნდება	ძირითადი ვალის თანხის ტოლი ზარალი

ცხადია, შესაძლებელია სხვა „შუალედური" შედეგებიც. მაგალითად, ძირითადი ვალი და პროცენტების ნაწილობრივ დაფარვა მათი განსხვავებული შეფარდებით. საკრედიტო გარიგების სხვადასხვა შედეგის ალბათობათა განაწილებიდან გამომდინარე საზღვრავენ მოსალოდნელ შემოსავალს, საშუალო მნიშვნელობიდან შემოსავლის სტანდარტულ გადახრას და მოსალოდნელი შემოსავლის ალბათობას.

არსებობს საკრედიტო რისკების მინიმიზაციის შემდეგი გზები:

- სასესხო პორთფელის დივერსიფიკაცია;
- მსესხებლის კრედიტუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის წინასწარი ანალიზი;
- კრედიტის დაბრუნებადობის უზრუნველყოფის მეთოდების (საწინდარი, თაედებობა, გარანტიები, ცესია, დაზღვევა) გამოყენება.

საკრედიტო რისკის შემცირება ბანკის საკრედიტო პორთფელის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საკრედიტო რისკის პრობლემის აქტუალობაზე ნათლად მეტყველებს ბანკებში დიდი მოცულობის ვადაგადაცილებული კრედიტების არსებობა.

გაცემულ სესხებზე შესაძლო დანაკარგების შემთხვევისათვის იქმნება რეზერვი, რომლის ფორმირებისა და გამოყენების წესი ასევე განსაზღვრავს საკრედიტო რისკების შეფასების მეთოდებს.

სესხზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი (სშდრ) სპეციალური რეზერვია, რომლის ფორმირების აუცილებლობა განპირობებულია ბანკების საქმიანობაში არსებული საკრედიტო რისკებით. იგი ბანკებისათვის უზრუნველყოფს საფინანსო საქმიანობის უფრო სტაბილური პირობების შექმნას და საშუალებას გვაძლევს თავი აეარიდოთ ბანკების მოგების სიდიდეთა რყევას სესხებზე

მიღებული დანაკარგების ჩამოწერასთან დაკავშირებით.

სშდრ-ის ჩამოყალიბების წყაროებია ის ანარიცხები, რომლებიც ბანკის დანახარჯებზეა მიკუთვნებული. მისი დანიშნულებაა კლიენტის მიერ დაუბრუნებელი სესხის ძირითადი ვალის დაფარვა. ამ რეზერვის ხარჯზე ახდენენ ბანკის იმ დანაკარგების ჩამოწერას, რომელთა ამოღებაც არარეალურია. არარეალურად მიიჩნევენ იმ სასესხო დავალიანებას, რომლის ამოღებისთვის გატარებული ღონისძიებებიც სრული სასიათისაა (საწინდრის რეალიზაციის ჩათვლით) და რომლებიც მოწმობენ სესხის დაბრუნების მიზნით შემდგომ მოქმედებათა ჩატარების შეუძლებლობას.

საკრედიტო რისკის სიდიდეზე დამოკიდებულობით სესხებს შემდეგ ჯგუფებად ყოფენ:

პირველი ჯგუფი – სტანდარტული (პრაქტიკულად ურისკო) სესხები;

მეორე ჯგუფი – საყურადღებო სესხები;

მესამე ჯგუფი – არასტანდარტული სესხები (არდაბრუნების რისკის ზომიერი დონე);

მეოთხე ჯგუფი – საეჭვო სესხები (რისკის მაღალი დონე);

მეხუთე ჯგუფი – უიმედო სესხები (პრაქტიკულად არ არსებობს დაბრუნების ალბათობა, სესხები ფაქტობრივად ბანკის დანაკარგებია).

ზემოთ ჩამოთვლილი დაჯგუფების მიხედვით, რისკის შეფასებისა და დანაკარგების რეზერვში შესაბამისი ანარიცხების განსაზღვრისას გამოიყენება ცხრილი, სადაც სესხის თითოეულ კატეგორიას შეესაბამება რისკის მინიმალური ან მაქსიმალური პროცენტი, რომლის საფუძველზეც გამოიანგარიშება დანაკარგების რეზერვში ანარიცხების ოდენობა (იხ. ცხრ. 16.2).

ცხრილი 16.2.

სესხების კლასიფიკაცია რისკის მიხედვით

სესხების კლასიფიკაცია საკრედიტო რისკის მიხედვით	ვადაგადაცილების ხანგრძლივობა	რისკის პროცენტი
1. საიმედო სესხი	ვადაგადაცილება არ არის	2%
2. საყურადღებო სესხი	60 დღემდე	10%
3. არასტანდარტული სესხი	80-დან 90 დღემდე	30-40%
4. საეჭვო სესხი	90-დან 180 დღემდე	50-60%
5. უიმედო სესხი	180 დღეზე მეტი	100%

სავარაუდო რისკებს ბანკები აფასებენ ყველა სესხისა და კლიენტების ყველა იმ დაჯალიანების მიხედვით, რომლებიც სესხებთანაა გათანაბრებული, როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით. კერძოდ:

- ყველა გაცემული კრედიტისთვის, ბანკთაშორისი კრედიტების (დეპოზიტების) ჩათვლით;
- ყველა თამასუქისთვის, რომლებიც ბანკს აქვს შეძენილი;
- საბანკო გარანტიებით ამოულებელი თანხებისათვის;
- იმ ოპერაციებისათვის, რომლებიც ფულის მოთხოვნის დათმობით დაფინანსების ხელშეკრულების (ფაქტორინგი) შესაბამისად ხორციელდება.

სესხების კლასიფიკაციას ბანკი ან დამოუკიდებლად ახდენს ან ამას აკეთებს აუდიტორული ორგანიზაცია (ხელშეკრულების საფუძველზე) ბანკის აქტივების ხარისხის ანალიზის დროს. გაცემული სესხების კლასიფიკაცია და საკრედიტო რისკების შეფასება კომპლექსურად ხდება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობიდან, აგრეთვე, მის მიერ ვალის ძირითადი თანხისა და მასზე დაგროვილი პროცენტების დაფარვის შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

რისკს აფასებენ სესხის გაცემასთან (თამასუქის ალრიცხვასთან, სესხთან გათანაბრებული

დავალიანების წარმოქმნასთან) ერთად, შემდეგში კი იმ პარამეტრების შეცვლასთან ერთად, რომლებსაც საკლასიფიკაციო კრიტერიუმებად იყენებენ. სახსრების გადარიცხვა რისკის ჯგუფზეა დამოკიდებული და მათ შემდეგი ოდენობით აწესებენ:

ცხრილი 16.3

რეზერვში გადარიცხვათა ოდენობა კლასიფიცირებული სესხების მიხედვით

რისკის ჯგუფი	1	2	3	4
გადარიცხვათა ზომა ძირითადი ვალის თანხის მიმართ (%)	1	20	50	100

რისკის ჯგუფს განსაზღვრავენ შედარების შემდეგი ორი კრიტერიუმის საფუძველზე:

- სესხის უზრუნველყოფა;
- მსესხებლის მიერ საკრედიტო ვალდებულების პირობების შესრულების ხასიათი.

უზრუნველყოფაში იგულისხმება გირაო, რომლის ხარისხსაც განსაზღვრავს გირავნობის საგნის რეალური (საბაზრო) ღირებულება და მისი ლიკვიდობის ხარისხი. გირაოს საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას ითვალისწინებენ საბაზრო კონიუქტურის ფაქტობრივ და პერსპექტიულ მდგომარეობას საგირავნო ქონების სახეობების მიხედვით. აგრეთვე, ფასების დონების შესახებ არსებულ საცნობარო მონაცემებს.

უზრუნველყოფის ხარისხის მიხედვით გამოყოფენ შემდეგი ჯგუფის სესხებს:

- უზრუნველყოფილი სესხები;
- არასაკმარისად უზრუნველყოფილი სესხები;
- არაუზრუნველყოფილი სესხები.

უზრუნველყოფილია ის სესხი, რომელიც გირაოთია უზრუნველყოფილი და ეს გირაო ერთდროულად უპასუხებს შემდეგ მოთხოვნებს:

მისი რეალური (საბაზრო) ღირებულება საკმარისია იმისათვის, რომ ბანკს დაუფაროს სესხის ძირითადი ვალი, ხელშეკრულების შესაბამისი ყველა პროცენტი, აგრეთვე, საგირავნო უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო ხარჯი;

ბანკის საგირავნო უფლებებთან დაკავშირებული მთელი იურიდიული დოკუმენტაცია იმგვარადაა გაფორმებული, რომ გირაოს რეალიზაციისათვის აუცილებელი დრო არ აღემატება 150 დღეს იმ დღიდან მოყოლებული, როდესაც საგირავნო უფლებების რეალიზაცია აუცილებელი ხდება ბანკისათვის. ეს აუცილებლობა თავს იჩენს მსესხებლის მიერ ბანკისათვის ძირითადი ვალის ან პროცენტების მორიგი გადასახდელის შეჩერებიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა.

უზრუნველყოფილი სესხების კატეგორიას მიაკუთვნებენ, აგრეთვე, მთავრობის თავდებობით ან ცენტრალური ბანკის გარანტიით, ეთგო-ს წარმომადგენლობების თავდებობითა და ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ცენტრალური ბანკების გარანტიებით გაცემულ სესხებს, აგრეთვე, ამ ბანკების მიერ ავალირებულ თამასუქებს.

არასაკმარისად უზრუნველყოფილია სესხი, როშლის უზრუნველმყოფი გირაო ვერ პასუხობს უზრუნველყოფილი სესხის საგირავნო უზრუნველყოფის მიმართ წაყენებულ თუნდაც ერთ-ერთ მოთხოვნას.

აუცილებლად უნდა ვითვალისწინებდეთ იმას, რომ დაგირავებული ქონების საბაზრო ღირებულება შესაძლოა კლებულობდეს. ამდენად, გირაოს ღირებულება მეტი უნდა იყოს მოთხოვნილ სესხზე.

- სესხი განეკუთვნება გადაფორმებულის (პროლონგირებულის) კატეგორიას, თუკი მასში არ შეინიშნება საკრედიტო რისკის ნიშნები (ვადაგადაცილებული პროცენტები და სხვა). თუ გადაფორმებულ სესხს მოსდევს პროცენტების დავალიანების ვადის გადაცილება ან ადრე გადა-

ფორმებული სესხი ვადაგადაცილებული სესხების ანგარიშზე გადააქვთ, მაშინ იგი არ შეიძლება მივაკუთვნოთ რისკის იმაზე დაბალი კოეფიციენტის მქონე ჯგუფს, ვიდრე ეს წინა კლასიფიკაციის დროს იყო. თუ სასესხო დავალიანება თამასუქშია გადაფორმებული, მაშინ ეს თამასუქი არ შეიძლება მივაკუთვნოთ რისკის იმაზე უფრო დაბალი კოეფიციენტის მქონე ჯგუფს, ვიდრე ეს თამასუქში გადაფორმებულ სესხს ჰქონდა.

მიმდინარე სესხები ის სესხებია, რომლებზეც არ არსებობს ვადაგადაცილებული დავალიანება ძირითადი ვალის გადახდაში და დადებული არაა დამატებითი შეთანხმებები პროლონგაციაზე. ძირითადი ვალის თუ საპროცენტო გადასახდელების გადახდაში არსებული ვადის გადაცილების სანგრძლივობას კალენდარული დღეებით ანგარიშობენ.

გაცემული სესხების შესაძლო დანაკარგების შემთხვევისთვის შექმნილი რეზერვის სიდიდის რეგულირების დროს შემდეგი წესი უნდა დავიცავთ: თუ მსესხებელზე კრედიტი გაცემულია რამდენიმე საკრედიტო ხელშეკრულებით, მაშინ მოცემულ მსესხებელზე რიცხულ მთელ დავალ-

ცხრილი 16.4

სესხების კლასიფიკაცია საკრედიტო რისკების შეფასების კრიტერიუმებიდან გამომდინარე (რისკის კოეფიციენტები)

სასესხო დავალიანების მდგომარეობა	უზრუნველყოფილი	არასაკმარისად უზრუნველყოფილი	არაუზრუნველყოფილი
1	2	3	4
მიმდინარე სასესხო დავალიანება მასზე ვადაგადაცილებული პროცენტების არსებობისას	1	1	1
სასესხო დავალიანება ძირითადი ვალის გადახდის 5 დღემდე გადაცილებით;	1	2	3
მიმდინარე დავალიანება პროცენტების ვადის 5 დღემდე (ჩათვლით) გადაცილებით; ერთხელ გადაფორმებული დავალიანება ხელშეკრულების პირობების შეუცვლელად			
სასესხო დავალიანება ძირითადი ვალის გადახდის ვადის 6-დან 30 დღემდე (ჩათვლით) გადაცილებით; მიმდინარე დავალიანება პროცენტების გადახდის ვადის 6-დან 30 დღემდე (ჩათვლით) გადაცილებით; ერთხელ გადაფორმებული დავალიანება ხელშეკრულების პირობების შეცვლით თავდაპირველ ხელშეკრულებასთან შედარებით.			
სასესხო დავალიანება ძირითადი ვალის გადახდის ვადის 31-დან 180 დღემდე (ჩათვლით) გადაცილებით; მიმდინარე დავალიანება პროცენტების გადახდის ვადის 31-დან 180 დღემდე (ჩათვლით) გადაცილებით; ორჯერ გადაფორმებული დავალიანება ხელშეკრულების პირობების შეცვლით ანდა უფრო მეტჯერ – სესხის ასეთი ცვლილებების არსებობის მიუხედავად			
სასესხო დავალიანება ძირითადი ვალის ვადის გადაცილებით 180 დღეზე მეტი ხნით ან მიმდინარე დავალიანება პროცენტების გადახდის ვადის გადაცილებით 180 დღეზე მეტი ხნით.			

იანებას მიაკუთვნებენ რისკის იმ მაქსიმალურ ჯგუფს, რომელიც ერთ-ერთ გაცემულ კრედიტს აქვს მინიჭებული.

მსესხებლის მიერ იმ სესხის დაბრუნების შემდეგ, რომელიც ადრე ამ მსესხებლისათვის მაქსიმალური რისკის ჯგუფზე იყო მიკუთვნებული, ახდენენ დაუფარავი სასესხო დავალიანების ხელახლა კლასიფიცირებას და განსაზღვრავენ შესაძლო დანაკარგის შემთხვევისათვის საჭირო რეზერვის სათანადო ოდენობას.

დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში ბანკები ვალდებულნი არიან:

- იმ სამუშაო დღის ბოლოს, რომლის თარიღიც ძირითადი ვალის შესაბამისი დავალიანების დაფარვის ხარისხს წარმოადგენს და ეს ხელშეკრულებით ან სხვა დოკუმენტითაა დაწესებული, კლიენტების ძირითადი ვალის ნაწილში არსებული დავალიანების ნაშთები გადაიტანონ ვადაგადაცილებული დავალიანების ანგარიშებზე;
- იმ სამუშაო დღის ბოლოს, რომლის თარიღიც სესხის შესაბამისი პროცენტების გასტუმრების თარიღს წარმოადგენს (სესხის გამცემი პირველადი ბანკის ან მასთან დაკავშირებული ბანკის მიერ გაცემული ახალი სესხის ხარჯზე). ხელახლა გაცემული ეს სესხი კლასიფიცირდება, როგორც უიმედო სესხი.

ვალის ეტაპობრივად დაფარვის შემთხვევაში მთელი სასესხო დავალიანების საკრედიტო რისკის შეფასებას ახდენენ იმ დღეების მაქსიმალური რაოდენობის საფუძველზე, რომლებიც ყველა მორიგი გადასახდელის ვადის დადგომის შემდეგაა გასული (ძირითადი ვალის ან პროცენტების მიხედვით). ვალის დაფარვის რეჟიმისგან დამოუკიდებლად რეზერვი იქმნება ძირითადი ვალის მთლიანი თანხისათვის.

სშდრ ეროვნული ვალუტით ყალიბდება სესხის გაცემის მომენტში. რეზერვის მთლიანი სიდიდე (რეზერვის აღრიცხვის ანგარიშებზე არსებული ნაშთები) ყოველთვიურად უნდა დაზუსტდეს (შეიცვალოს) ფაქტობრივი სასესხო დავალიანების თანხაზე დამოკიდებულებით, მათ შორის — ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების და რისკის იმ ჯგუფის გათვალისწინებით, რომელზეც ესა თუ ის სესხია (ბანკის მიერ აღრიცხული თამასუქია) მიკუთვნებული.

ბანკის ბალანსის დავალიანების ჩამოწერის მოყვანილი წესი ვრცელდება ყველა სახეობის სესხსა და კლიენტების იმ სხვა დავალიანებებზე, რომლებიც სასესხო დავალიანებებთანაა გათანაბრებული და რომლებზეც რეზერვებია შექმნილი, ამ სესხებისათვის შექმნილი რეზერვის ზომის მიუხედავად.

სშდრ-ს იყენებენ მხოლოდ კლიენტის (ბანკების) მიერ გაუსტუმრებელი სასესხო დავალიანების დასაფარავად ძირითადი ვალის ნაწილში, თამასუქისთვის კი — თამასუქების თანხაზე, დისკონტის პროცენტის გამოკლებით.

უიმედო, ანუ ამოღებისათვის არარეალურად მიჩნეულ დავალიანებას ბანკის ბალანსიდან რეზერვის ხარჯზე ჩამოაწერენ. ამ გადაწყვეტილებას იღებს ბანკის დირექტორთა საბჭო.

საანგარიშო წელს მიღებული ზარალის ანაზღაურებას ახორციელებენ ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი წესით.

სასესხო დავალიანების ჩამოწერის საფუძველი შეიძლება გახდეს:

- მოსამართლის განჩინება მოვალის (გარანტიის ან თავდების) მიერ კრედიტორისათვის დავალიანების გადახდევინების აღსრულებითი წარმოების შეწყვეტის შესახებ;
- სასამართლოს აღმსრულებლის დადგენილება სააღმასრულებლო დოკუმენტის დაბრუნების შესახებ;
- საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებები საწარმოს იძულებითი ლიკვიდაციის შესახებ (საწარმოს გამოცხადება გაკოტრებულად), აგრეთვე, მოვალე საწარმოს ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის შემთხვევაში, ნებისმიერ შემთხვევაში კრედიტორმა ბანკმა უნდა დაადასტუროს თავისი მონაწილეობა საკონკურსო წარმოებაში, აგრეთვე, თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილების

შეუძლებლობა მოვალის ხარჯზე;

- სასამართლოს გადაწყვეტილება მოვალე მოქალაქის უკვალოდ გაქრალად გამოცხადების შესახებ;
- სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ვადაგადაცილებული სესხების დაფარვის შეუძლებლობას მოვალის მიერ.

ბანკის ბალანსიდან სასესხო დავალიანების ჩამოწერა მოვალის გადახდისუნარიანობის შედეგად არ წარმოადგენს სასესხო დავალიანების გაუქმებას. ბალანსიდან ჩამოწერილი დავალიანება ბალანსში აისახება მისი ჩამოწერიდან არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში; ეს წესი დადგენილია მისი გადახდევინების შესაძლებლობაზე დაკვირვებისათვის მოვალის ქონებრივი მდგომარეობის შეცვლის, სასამართლო ორგანოების მიერ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილებების (განჩინების) შეცვლის, ადრე დაკარგულად ან გარდაცვლილად მიჩნეული მოქალაქის ადგილსამყოფელის დადგენის, საწარმოს გაკოტრებულად ფაქტიურად მიჩნევის და სხვა შემთხვევები.

ქვეყნის ცენტრალური ბანკი უფლებამოსილია იძულებითი ზედამხედველობის წესით, მათ შორის – შემოწმების შედეგების შესაბამისად, მოთხოვნები წაუყენოს ბანკს სასესხო დავალიანების გადაფასების შესახებ, თუკი ეს გამომდინარეობს ბანკის საკრედიტო პორთფელის შეფასების შედეგებიდან. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, ბანკს შეიძლება მოთხოვნები წაუყენონ როგორც სასესხო დავალიანების ხაზით, ისე ფაქტობრივად შექმნილი რეზერვის თანხის შემცირების შესახებ.

თუ ცენტრალური ბანკის ზედამხედველი ორგანოები გამოაველენენ საკრედიტო ორგანიზაციების საკრედიტო პორთფელის ხარისხის დაუსაბუთებლად დაწევის და ამის შედეგად, მათი საგადასახადო ბაზის შემცირების შემთხვევებს, მაშინ ცენტრალური ბანკი ვალდებულია მათ წაუყენოს მოთხოვნა აქტივების ხარისხის გადაფასების, რეზერვის ანგარიშში ცვლილებების შეტანის და ბიუჯეტში სახსრების დამატებით გადარიცხვის შესახებ.

16.4.1. ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲞᲝᲠᲗᲤᲔᲚᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ

საკრედიტო რისკი პირდაპირაა დამოკიდებული საკრედიტო პორთფელის ხარისხზე. საკრედიტო პორთფელი არის კრედიტების გაცემაში ბანკის საქმიანობის ის შედეგი, რომელიც მოიცავს ბანკის მიერ დროის გარკვეულ პერიოდში გაცემული ყველა კრედიტის ერთობლიობას. საკრედიტო პორთფელის რისკის ხარისხობრივად შეფასება აქტუალური ხდება ბანკის მიერ თავისი ოპერაციების დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით.

საკრედიტო პორთფელის ანალიზისას დღეს მრავალი ბანკი ახორციელებს კრედიტების რანჟირებას, ე.ი. იყენებს ხარისხისა და რისკის მახასიათებლების შესაბამისად სასესხო პორთფელის სისტემატური და ობიექტური კლასიფიკაციის მეთოდს. კრედიტების რანჟირების ძირითადი მიზნებია:

- სასესხო ოპერაციების ეფექტიანობის ამაღლება;
- პორთფელის ხარისხის ასამაღლებლად: გამაფრთხილებელი სიგნალების გამოყენება; მმართველური ინფორმაციისა და კონტროლის გაუმჯობესება; პასუხისმგებლობის სტანდარტების დაღგენა და საზღვრების დაწესება;
- მმართველური გადაწყვეტილებებისთვის საფუძვლების მომზადება.

ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, რომელთა შესაბამისადაც კრედიტების რანჟირება ხდება, არის ანგარიშგების მდგომარეობა, ინფორმაცია კლიენტების საქმეებისა და ანგარიშების შესახებ, კლიენტებთან ურთიერთობა, უზრუნველყოფის არსებობა. იმისათვის, რომ ბანკმა თავი დაიზღვიოს სესხების აშკარა დაკარგვისგან, თავის კლიენტებთან ურთიერთობა უნდა ააგოს დროით შემოწმებული ორი აქსიომის გამოყენებით: 1) დაკრედიტება გასწიოს უპირატესად იმ მიმართულებებით, რომლებზეც ბანკს უკვე დაუგროვდა გარკვეული გამოცდილება; 2) სესხები არ გასცეს მომსახურე რეგიონის ფარგლებს გარეთ.

სასესხო დავალიანების ხარისხის გულმოდგინე ანალიზის აუცილებლობის გაგების უქონლობა (განსაკუთრებით სესხების დაბრუნების წინასწარი ანალიზისა) დიდად განსაზღვრავს მრავალი ჩვენი ბანკის არამდგრად მდგომარეობას. სასესხო პორთფელის დაბალი ხარისხი ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას საზოგადოების საერთო კრიზისული მდგომარეობით. საქართველოს ბანკების საკრედიტო პორთფელების ძირითად განმასხვავებელ ნიშნებად უნდა ჩაითვალოს კრედიტების მოკლევადიანობა და პორთფელის მომატებული რისკიანობა. კრედიტების დიდი ნაწილის მოკლევადიანობას განაპირობებს ქვეყნის ბაზარზე საინვესტიციო გარემოს არახელსაყრელობა.

თავიანთი საქმიანობის პროცესში ბანკები მკაფიო და მიზანმიმართულ პოლიტიკას უნდა ატარებდნენ კაპიტალის დაბანდების დარგში. ამ დროს მათი მიზნები უნდა იყოს: დაბანდებებიდან მაქსიმალური მოგების მიღება; საკრედიტო პორთფელის ოპტიმალური მართვის მიღწევა; ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის საჭირო დონის შენარჩუნება; ზრდის რეზერვების შექმნა და ა.შ.

საპორთფელო რისკებისგან ბანკები უნდა დაიცვან ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა ნორმატივებმა, რომლებიც მის ინსტრუქციებსა და სხვა ნორმატიულ აქტებშია მოცემული. ამ დოკუმენტების შესაბამისად, გაცემული სესხების კლასიფიკაცია და საკრედიტო რისკების შეფასება სათანადო წესით გაფორმებული რეალური უზრუნველყოფის არსებობაზე, აგრეთვე, ეადაგადაცილებული დავალიანების ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული. ამის გამო ბანკის საკრედიტო პორთფელს ყოფენ ჯგუფებად (სტანდარტული, არასტანდარტული, საეჭვო, უიმედო), რომლებიც მათი ხარისხითაა რანჟირებული საკრედიტო რისკის დონეზე დამოკიდებულებით.

უშუალოდ მსესხებლისა და თავდების მიერ სესხის დაფარვის შეუძლებლობის შემთხვევაში ბანკი სესხს ზარალს დაწერს. ამ მიზნით ბანკებში იქმნება საკრედიტო რისკების დასაფარავი სპეციალური სარეზერვო ფონდები. საკრედიტო ოპერაციებზე მიღებული ზარალის დასაფარავი რეზერვები იმ სადაზღვეო ანაზღაურების ოდენობით იქმნება, რომელიც რისკების დასაფარავადაა საჭირო კრედიტების ყოველი ჯგუფის მიხედვით. ამრიგად, ბანკი რაც უფრო მეტად ატარებს სარისკო საკრედიტო პოლიტიკას, მით უფრო მეტი რეზერვი უნდა შექმნას მოგების სახსრების გამოყენებით. საზღვარგარეთის კომერციული ბანკები, მაგალითად, ამჟამად საკრედიტო ბარათებით გაცემულ კრედიტებზე ზარალის დასაფარავად ქმნიან რეზერვებს ამ კრედიტების თანხის 2-3%-ის ოდენობით.

თანამედროვე ბანკები ფართოდ ინტერესდებიან საკრედიტო რისკის ხარისხის შეფასებაზე და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე მისი გაელენის შემცირებით, სათანადო ღონისძიებათა კომპლექსის ხარჯზე. მაგრამ ბანკის საკრედიტო რისკის რეალურად შეფასება შეიძლება დეტალურად გაანალიზებით იმ ფაქტორთა ერთობლიობისა, რომლებიც დაკრედიტებისას რისკის წარმოქმნას იწვევენ.

16.4.2. კომერციული ბანკის საკრედიტო რისკის ფაქტორი

რისკწარმომქმნელი ფაქტორების ხარისხიანი ანალიზი საშუალებას აძლევს ბანკს არამარტო ადეკვატური გადაწყვეტილებები მიიღოს გასაცემ კრედიტებზე, არამედ მომავალშიც მინიმუმამდე დაიყვანოს მათი დაკარგვით გამოწვეული პირდაპირი ფინანსური ზარალი.

იმ ფაქტორების ანალიზმა, რომლებიც ყველაზე მეტ გაელენას ახდენენ სესხებით გამოწვეული ბანკის დანაკარგებზე, შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა მისცა დასაელეთის ბანკირებს: მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით ბანკის შიგნით მოქმედი ფაქტორები სესხებით გამოწვეული დანაკარგების 67%-ის მიზეზი ხდება და მხოლოდ დანარჩენ ნაწილს იწვევენ გარე ფაქტორები (ცხრ. 16.5).

ძირითადი გარე ფაქტორების ჩამონათვალში პირველ ადგილზეა კომპანიის გაკოტრება (საუბარია სამომხმარებლო კრედიტებზე). ბანკის ინდივიდუალური მსესხებელი მთელი ძალით განიცდის თავის თაეზე ამ ფაქტორის მოქმედებას. ინდივიდუალური მსესხებლის კრედიტუნარიანობის

ცხრილი 16.5

შიდა ფაქტორები		გარე ფაქტორები	
უზრუნველყოფის უკმარისობა სესხზე განაცხადის შესწავლისას ინფორმაციის არასწორი შეფასება	22	კომპანიის გაკოტრება	12
ოპერაციული კონტროლის დაბალი დონე	21	კრედიტორების მოთხოვნა დავალიანების დაფარვაზე	1
უზრუნველყოფის დაბალი ხარისხი	18	უმუშევრობა/ოჯახური პრობლემები	6
კონტრაქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის მიღების შეუძლებლობა	5	ძარცვა/თაღლითობა	4
	1		
ჯამი	67	ჯამი	33

ანალიზით ბანკირმა აუცილებლად უნდა გაარკვიოს იმ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, რომელშიც პოტენციური მსესხებელი მუშაობს.

მრავალფეროვანი რისკწარმომქმნელი ფაქტორებიდან მიზანშეწონილია გამოვყოთ მაკრო - და მიკროეკონომიკური ფაქტორები. მაკროეკონომიკური ფაქტორების კვლევამ აჩვენა, რომ წამყვანი ფაქტორია ეკონომიკის საერთო მდგომარეობა, აგრეთვე, იმ რეგიონის ვითარება, რომელშიც თავის საქმიანობას ავითარებს ბანკი. გარდა ამისა, მათგან გამოყოფენ იმ ფაქტორებს, რომლებსაც ინფლაციის დონე და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები განაპირობებს. არსებით როლს თამაშობს ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც სააღრიცხვო-საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით დიდად განსაზღვრავს მოთხოვნას ბანკის სესხებზე. ერთ-ერთი განმსაზღვრელი რისკწარმომქმნელი ფაქტორია საბანკო კონკურენციის განვითარების დონე, რომელიც ხასიათდება ცალკეულ რეგიონებში საბანკო კაპიტალის კონცენტრაციის გადიდებით და საბანკო მომსახურებისა და ოპერაციების გამის განვითარებით.

მიკროეკონომიკური ფაქტორებიდან დიდ როლს თამაშობს კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის დონე. მას განსაზღვრავს ბანკში მობილიზებული სახსრების მთლიანი მოცულობა, დეპოზიტების სტრუქტურა და სტაბილურობა, ცენტრალურ ბანკში სავალდებულო რეზერვების დონე, ბანკის ვალდებულებათა მთლიანი თანხა და სტრუქტურა. კრედიტების დაუბრუნებლობის რისკის გაჩენაზე პირდაპირი მოქმედების ფაქტორებია: ცალკეული სახის სესხების რისკის დონე, მთლიანად ბანკის საკრედიტო პორთფელის ხარისხი, ბანკის მიერ გატარებული ფასების პოლიტიკა და რისკ-მენეჯმენტის დონე.

ცალკეული სახის სესხების რისკიანობის დონე, თავის მხრივ, მათ ხარისხზეა დამოკიდებული. კონკრეტული სესხისა და მთლიანად ბანკის საკრედიტო პორთფელის ხარისხი საკრედიტო რისკის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ცალკეული გაცემული სესხის ხარისხზე მოქმედი ფაქტორებია:

სესხის დანიშნულება (კაპიტალის მატება, სახსრების დროებითი შევსება, საბრუნავი აქტივების ჩამოყალიბება. კაპიტალური მშენებლობა);

- კრედიტის სახე (სამომხმარებლო, იპოთეკური, საინვესტიციო, საგადახდო, სალიზინგო);
  კრედიტის სიდიდე (მსხვილი, საშუალო, მცირე);
  კრედიტის ვადა (მოკლევადიანი, საშუალოვადიანი, გრძელვადიანი);
- დაფარვის წესი (ამონაგების მიღების კვალობაზე, ერთდროული);

დარგობრივი კუთვნილება (აგრომრეწველობა, მრეწველობა, კომერცია);

საკუთრების ფორმა (კერძო, სააქციო, მუნიციპალური);

მსესხებლის სიდიდე (საწესდებო კაპიტალისა და საკუთარი სახსრების მიხედვით);

კრედიტუნარიანობა (რეიტინგული შეფასების შესაბამისად);

კლიენტთან ბანკის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი (ანგარიშსწორების ანგარიშის არსებობა, ერთჯერადი);

კლიენტის შესახებ ბანკის ინფორმირებულობა;

უზრუნველყოფის ხერხები (გირაო, გარანტიები, თაედებობა).

გასაცემი სახსრების თავისდროული და გულმოდგინე ანალიზი რისკწარმომქმნელი ფაქტორების რეკომენდირებული სტრუქტურის შესაბამისად საშუალებას მოგვცემს შევამციროთ კრედიტის დაუბრუნებლობის რისკის გაჩენის ალბათობა და მივიღოთ ბანკის საკრედიტო პროცესზე ამ ფაქტორების გავლენის მინიმიზაციის ზომები. ამასთან, ცალკეული სესხების რისკის დახასელებული ფაქტორების შეფასება, მათი ყოველმხრივი ანალიზი და აღრიცხვა იმის რეალურ შესაძლებლობას უქმნიან ბანკს, რომ თავიდან აიცილოს ამ ფაქტორთა განმეორებითი ზემოქმედება თავის მომავალ საქმიანობაში.

რისკის მართვას (რეგულირებას) იმ ღონისძიებებს უწოდებენ, რომლებიც შესაბამისი რისკის მინიმიზაციისკენ და შემოსავლიანობასა და რისკს შორის ოპტიმალური თანაფარდობისკენ არის მიმართული, შესაბამისი რისკის შეფასების, პროგნოზისა და დაზღვევის ჩათვლით.

ბანკის რისკების მართვა, როგორც წესი, რამდენიმე ეტაპად ხორციელდება:

- იმ რისკების შინაარსის გამოვლენა, რომლებიც მოცემული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოიშობა;

რისკის დონის შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის წყაროებისა და მოცულობის განსაზღვრა;

რისკის რეალიზაციის ალბათობის შეფასების კრიტერიუმებისა და მეთოდების შერჩევა და რისკის სკალის აგება;

რისკის დაზღვევის მეთოდის შერჩევა ან შემუშავება;

რისკის მართვის შედეგების რეტროსპექტიული ანალიზი და წინა პუნქტების საჭირო კორექციის განხორციელება.

საკრედიტო რისკის მართვასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემების ყველაზე ხშირად გამომწვევი ხარვეზებია:

- ბანკის პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტის უქონლობა;

საკრედიტო პორთფელში რისკების კონცენტრაციის შეუზღუდაობა;

- საკრედიტო ხელმძღვანელობის მეტისმეტი ცენტრალიზაცია ან დეცენტრალიზაცია; დასაკრედიტებელი გარიგების ცუდი ანალიზი;

- არასაკმაოდ ხშირი კონტაქტები კლიენტებთან;

სესხების გამოყენების უკონტროლობა;

სესხების დოკუმენტურად გაფორმების ცუდი კონტროლი;

არასრული საკრედიტო დოკუმენტაცია;

საკრედიტო პროცესის ეფექტიანად გაკონტროლებისა და აუდიტორების უუნარობა.

ამ ხარვეზების გავლენის შესამცირებლად საჭიროა მივმართოთ საკრედიტო რისკის მართვის მეთოდების კომპლექსს. მათგან ძირითადია:

აქტივების პორთფელის დივერსიფიკაცია;

მსესხებლის ან ემიტენტის გადახდისუნარიანობის წინასწარი ანალიზი;

საკრედიტო რისკის დაფარვისთვის რეზერვების შექმნა;

საკრედიტო პორთფელის ოპტიმალური (ბანკისათვის) სტრუქტურის ანალიზი და შენარჩუნება;

სესხების უზრუნველყოფისა და მიზნობრივად გამოყენების მოთხოვნა.

სასესხო პორთფელის დივერსიფიკაცია სესხის გადაუხდელობის რისკის ჰეჯირების ყველაზე მარტივი და იაფი მეთოდია. სასესხო პორთფელის საკმარისი დივერსიფიკაციის უზრუნველყოფის ძირითადი ხერხებია:

კრედიტის რაციონირება, რომელიც გულისხმობს: დაკრედიტების მოქნილი ან მკაცრი ლიმიტების შემოღებას თანხით, ვადებით, საპროცენტო განაკვეთების სახეებით და სესხის გაცემის სხვა პირობებით; დაკრედიტების ლიმიტების დაწესებას ცალკეული მსესხებლებისა და მათი კლასების მიხედვით, ფინანსურ მდგომარეობაზე დამოკიდებულებით; ერთი კლიენტის ან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ კლიენტთა ჯგუფის ხელში კრედიტების კონცენტრაციის ლიმიტის დაწესება მათ ფინანსურ მდგომარეობაზე დამოკიდებულებით;

ლიმიტების პირდაპირ დაწესება მოცემული ჯგუფის ყველა მსესხებლისათვის აბსოლუტური თანხით ან ერთობლიო წილით ბანკის სასესხო პორთფელში;

- მიღებული უზრუნველყოფის დივერსიფიკაცია სესხების მიხედვით;

სხვადასხვა სახის საპროცენტო განაკვეთების, სესხებზე პროცენტების დარიცხვისა და გადახდის სხვადასხვა ხერხების გამოყენება;

- საკრედიტო პორთფელის დივერსიფიკაცია ვადების მიხედვით, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გამო, რომ სხვადასხვა ვადის მქონე სესხების საპროცენტო განაკვეთებს სხვადასხვაგვარი რყევა ემუქრებათ. თანაც, მსესხებლის მიერ თავის თავზე ირიბად მიღებული საქმიანი რისკების დონეც არსებითადაა დამოკიდებული სესხის ვადაზე.

სესხის გადაუხდელობის რისკის მართვის ამ ასპექტის რეალიზაცია ბანკის მიერ გატარებული საკრედიტო პოლიტიკის კალაპოტში მიმდინარეობს.

16.4.3. საწარმოების საკრედიტო რისკის მიხედვით კლასიფიკაცია, ფინანსურ მდგრადობაზე და კრედიტის უზრუნველყოფის ხარისხზე დაყოკიდებულებით

ბანკის ინსტრუმენტარიუმის არსენალში კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის განსხვავებული ფორმირების არსებობა გულისხმობს კონკრეტულ სიტუაციაში ერთ-ერთი მათგანის სწორად შერჩევას ეკონომიკური თვალსაზრისით. ამისთვის საკრედიტო განაცხადის განხილვის მომენტში გერმანიის საბანკო პრაქტიკაში ახორციელებენ კონკრეტული მსესხებლის ანალიზს გაცემული სესხის რისკის კუთხით. რისკის კრიტერიუმად იყენებენ ორ მაჩვენებელს: მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობას და მის მიერ კრედიტის უზრუნველყოფის დონეს.

მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობას გერმანიის ეკონომიკურ ცხოვრებაში განსაზღვრავენ რენტაბელობის დონის და საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის ხვედრითი წილის მიხედვით. ამ კრიტერიუმების შესაბამისად გამოყოფილია კრედიტის არათანაისდროულად დაბრუნების რისკის სხვადასხვა დონის მქონე საწარმოების სამი ჯგუფი. ამ საწარმოებს აქვთ:

- უნაკლო ფინანსური მდგომარეობა, ე.ი. საკუთარი სახსრების სოლიდური ბაზა და რენტაბელობის მაღალი ნორმა;
- დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა;
- არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა, ე.ი. საკუთარი სახსრების დაბალი ხვედრითი წილი და რენტაბელობის დაბალი დონე.

უზრუნველყოფის ზომისა და ხარისხის მიხედვით ყველა საწარმო დაყოფილია რისკის ოთხ ჯგუფად. ამ საწარმოებს აქვთ:

- უნაკლოდ უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოფის საკმარისი, მაგრამ არახელსაყრელი სტრუქტურა;
- ძნელად შესაფასებელი უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოფის უკმარისობა.

რადგანაც ყოველი მსესხებელი საწარმოსათვის ერთდროულად მოქმედებს ორივე ფაქტორი, ამიტომ საკრედიტო რისკის დონის შესახებ საბოლოო დასკვნის გამოსატანად აღგენენ შემდეგ ცხრილს (იხ. ცხრ. 16.6).

ცხრილი16.6.

საწარმოების კლასიფიკაცია კრედიტის დაბრუნების რისკის დონის მიხედვით

ფინანსური მდგომარეობა / დაბრუნების უზრუნველყოფა	უნაკლო ფინანსური მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა	არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა
უნაკლო უზრუნველყოფა	1	1	1
უზრუნველყოფის დამაკმაყოფილებელი, მაგრამ არახელსაყრელი სტრუქტურა	1	2	3
ძნელად შესაფასებელი უზრუნველყოფა	1	3	4
არადამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა	1	4	5

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, საკრედიტო რისკის დონის მიხედვით გამოიყოფა ხუთი ტიპის საწარმო. პირველ ჯგუფზე მიკუთვნება აღნიშნავს მინიმალურ რისკს, რადგანაც კრედიტის დაბრუნება უზრუნველყოფილია უნაკლო ფინანსური მდგომარეობის ხარჯზე. მომდევნო ჯგუფების საწარმოების რისკის დონე თანდათან მაღლდება. ამ კლასიფიკაციის გამოყენება საქართველოს კომერციული ბანკების პრაქტიკაშიც შეიძლება.

ფინანსური მდგომარეობის თვალსაზრისით შეგვიძლია გამოვყოთ საწარმოების სამი ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება რენტაბელობის დონით და საკუთარი რესურსების რაოდენობით. ამ საწარმოებს აქვთ:

- უნაკლო ფინანსური მდგომარეობა, ე.ი. საკუთარი სახსრების ხვედრითი წილი და რენტაბელობის დონე საშუალო დარგობრივ მაჩვენებელზე მეტია;
- დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა, ე.ი. შესაბამისი მაჩვენებლები საშუალო დარგობრივის დონეზეა;
- არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა, ე.ი. შესაბამისი მაჩვენებელი საშუალო დარგობრივის დონეზე ნაკლებია.

უზრუნველყოფის სიღიდისა და ხარისხიდან გამომდინარე, გამოვყოთ საწარმოების ოთხი ჯგუფი. მათგან სამს საკმარისი უზრუნველყოფა აქვს, საწარმოთა ერთ ჯგუფს კი არასაკმარისი უზრუნველყოფა ახასიათებს. პირველ სამ ჯგუფში გამოვყოთ საწარმოები, რომლებსაც აქვთ:

- უნაკლო უზრუნველყოფა, რასაც უნდა მივაკუთნოთ მის შემადგენლობაში დეპოზიტური ანაბრების, ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების, გადატვირთული საქონლის (დებიტორული ანგარიშების), სავალუტო ფასეულობის, დიდი მოთხოვნის მქონე მზა პროდუქციის ან საქონლის სიჭარბე;
- უზრუნველყოფის საკმარისი, მაგრამ არახელსაყრელი სტრუქტურა, რაც ნიშნავს მეორე და მესამე კლასის ლიკვიდური სახსრების სიჭარბეს;
- უზრუნველყოფის ძნელად შესაფასებელი სტრუქტურა, რაც ნიშნავს წარმოების ხარჯების მნიშვნელოვანი თანხების (სოფლის მეურნეობაში), ნახევარფაბრიკატების (დაუმთავრებელი წარმოების) ან ისეთი პროდუქციის არსებობას, რომელზეც მერყევი მოთხოვნაა (ძრეწველობა), ისეთ ფასიან ქაღალდებს, რომელთა კოტირება არ ხდება ბირჟაზე.

მეოთხე ჯგუფი მოიცავს არასაკმარისი უზრუნველყოფის მქონე საწარმოებს.

რადგანაც რეალურ ცხოვრებაში ეს ფაქტორები კომპლექსში მოქმედებენ, შესაძლებელია, რომ დადებითი ფაქტორების გაელენა აბათილებდეს უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედებას; შესაძლებელია სხვა გარემოებაც – ერთი ფაქტორის უარყოფით ზემოქმედებას აძლიერებდეს მეორის მოქმედება. კრედიტის დაბრუნების რისკის პრობლემის განხილვისას ფაქტორების ეს ურთიერთკავშირი კონკრეტულად შესაძლებელია წარმოვადგინოთ საწარმოთა ტიპების შემდეგი კლასიფიკაციით. კრედიტის ვერდაბრუნების ყველაზე ნაკლები რისკი აქვთ იმ საწარმოებს, რომლებიც პირველ ტიპს ეკუთვნიან. ეს ის საწარმოებია, რომლებსაც აქვთ უნაკლო ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფის სიდიდისა და ხარისხის მიუხედავად, ან ის საწარმოები, რომლებსაც უნაკლო უზრუნველყოფა აქვთ მათი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად.

მართლაც, როგორც ცნობილია, კრედიტის დაბრუნების მთავარი წყაროებია რეალიზაციიდან ამონაგები (ნავაჭრი) და ლიკვიდური აქტივები, მათ შორის ის აქტივები, რომლებსაც კრედიტის უზრუნველყოფად იყენებენ. მაშასადამე, კრედიტის ვერდაბრუნების რისკი მინიმალურია ან საერთოდ არ არსებობს, თუ მოქმედებს ორივე ფაქტორი ან, უკიდურეს შემთხვევაში, ერთ-ერთი მათგანი მაინც. სწორედ მეორე შემთხვევაში ბათილდება ერთი ფაქტორის უარყოფითი გაელენა მეორე ფაქტორის დადებითი ზემოქმედების ხარჯზე. ამ ტიპის საწარმოებისათვის (გარდა იმ საწარმოებისა, რომლებსაც არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა აქვთ) მიზანშეწონილია კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ძირითად ფორმად მივიჩნიოთ ნავაჭრი და არ მოვითხოვოთ გარანტიების იურიდიულად გაფორმება. ამ შემთხვევაში კრედიტის დაბრუნების მექანიზმი იმ ნდობაზე აიგება, რომელიც მსესხებლის მყარ ფინანსურ მდგომარეობას ეყრდნობა და ბანკი მნიშვნელობას არ ანიჭებს არც უზრუნველყოფის სიდიდეს და არც მის ხარისხს.

იმ საწარმოების დაკრედიტება, რომლებსაც არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა აქვთ, მაგრამ უნაკლო უზრუნველყოფის გამო პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან, მიზანშეწონილია განხორციელდეს სათანადო ფასეულობათა გირავნობით. კრედიტის ვერდაბრუნების ერთგვარი რისკი, ამ შემთხვევაში, მინიმუმამდეა დაყვანილი.

მეორე, მესამე და მეოთხე ტიპებს მიკუთვნებული საწარმოები, გარკვეული რისკის არსებობის მიუხედავად, მთლიანობაში კრედიუნარიანები არიან. კრედიტის დასაბრუნებლად მათ გააჩნიათ ეკონომიკური წანამძღვრები, რომლებიც იურიდიულად უნდა იყოს განმტკიცებული, მაგრამ კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმები დიფერენცირებული უნდა იყოს.

მეორე ტიპის საწარმოებისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ მატერიალური ფასეულობების დაგირავება უზრუნველყოფის ხარისხის შეფასების გათვალისწინებით.

მესამე ტიპის საწარმოებისათვის მიზანშეწონილია, როგორც ფასეულობათა დაგირავების, ისე გარანტიის ან ორივე მათგანის გამოყენება. ფორმის შერჩევა დამოკიდებული იქნება რეალურ ეკონომიკურ ვითარებაზე: უზრუნველყოფის შემადგენლობის შეფასებასა და კლიენტის ფინანსურ მდგომარეობაზე.

მეოთხე ტიპის საწარმოთა დაკრედიტება მიზანშეწონილია ან ფინანსურად მყარი ორგანიზაციის გარანტიით, რადგანაც თვითონ მათ საკმარისი წყაროები არა აქვთ სესხების დასაფარად, ან კრედიტის ვერდაბრუნების რისკისგან დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებით. ამის პარალელურად ლოგიკურია სესხით სარგებლობისათვის დაწესებული საპროცენტო განაკვეთის ამაღლება. ამ საწარმოებს კრედიტის არათაეისდროულად დაბრუნების მომატებული რისკი აქვთ. ამიტომ ბანკმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მათი ფინანსური მდგომარეობის ანალიზს და უზრუნველყოფის შემადგენლობას.

და, ბოლოს, ბანკმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს და განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდეს მეზუთე ტიპის საწარმოებთან, რომლებსაც რისკის ყველაზე მაღალი დონე აქვთ, მაგრამ ამ ტიპის საწარმოებიც ერთგვაროვანი არაა. წარმოებისა და მენეჯმენ-

ტის არსებითი რეორგანიზაციის შემდეგ, აგრეთვე ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში, მათ ერთ ნაწილს შეუძლია თავისი რეპუტაციის გამოსწორება. ბანკმა ეს საწარმოები დახმარების გარეშე არ უნდა დატოვოს და დახმარება თავდებობის (გარანტიის) პირობით აღმოუჩინოს; საწარმოების მეორე ნაწილი შეიძლება უიმედოდ მივიჩნიოთ და მათთან საკრედიტო ურთიერთობების დამყარება მიზანშეწონილი არ არის.

აღსანიშნავია, რომ კრედიტის ვერდაბრუნების რისკის შეფასებისა და მისგან დაცვის ზემოთ მოყვანილი სისტემა გარდამავალი პერიოდისთვისაა გამიზნული, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობს საბაზრო მექანიზმის მრავალი ელემენტი, განუვითარებელია ფასიანი ქაღალდების ბაზარი, დაუმთავრებელია პრივატიზაციის პროცესი, შექმნილი არ არის კანონმდებლობა გირავნობის შესახებ, ძათ შორის იპოთეკის შესახებ და ა.შ.

16.5. სადეპოზიტო რისკი და მისი აღკვეთის საბანკო ღონისძიებები

სადეპოზიტო რისკი ლიკვიდობის რისკებს ეკუთვნის და მეანაბრეების მიერ თავიანთი ანაბრების ვადამდელ გაწვევას უკავშირდება. ამიტომ კომერციული ბანკები დიდ მუშაობას ეწევიან მეანაბრეთა ანგარიშებიდან თავისუფალი ფულადი სახსრების მოულოდნელად გადინების შესაძლო ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად. კომერციულ ბანკებში ანაბრების მოზიდვის პირობების დიფერენციაცია მეანაბრისათვის მოზიდვის აქტიური ხერხია, რომელიც ამწვავებს საბანკო კონკურენციას. ამ კონკურენციის შესაძლო ნეგატიური შედეგებისაგან თავის დასაცავად თანამედროვე ბანკები მიმართავენ ერთმანეთს შორის შეთანხმებას ანაბრებზე პროცენტის დადგენაში. როგორც საზღვარგარეთის პრაქტიკა მოწმობს, ზოგჯერ ამ დონეს უშუალოდ ცენტრალური ბანკი ადგენს.

სხვადასხვა სახის ანაბრებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოთხოვნამდე დეპოზიტებსა და ვადიან ანაბრებს, რომლებიც ყველაზე მეტადაა გავრცელებული. აქცენტი აქ შეიძლება კეთდებოდეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასა და მისი დარიცხვის პირობებზე (ყოველთვიური, კლიენტთან შეთანხმებული, პროცენტის პროცენტი და სხვა). ამასთან, საინტერესოა ვადიანი ანაბრების დიფერენცირების ზოგიერთი პირობა, რომლებსაც დასავლეთის ბანკები იყენებენ.

ყველაზე ფართოდაა გავრცელებული ორი სახის ვადიანი ანაბარი: საკუთრივ ვადიანი ანაბრები და ანაბრები გატანის შესახებ წინასწარი შეტყობინებით. საკუთრივ ვადიან ანაბრებს მის მფლობელს უბრუნებენ წინასწარ დადგენილ ვადაში; ამ მომენტამდე ბანკს შეუძლია მათი მთლიანად განკარგვა. ვადიანი ანაბრების ვადა 1 თვეზე ნაკლები არაა. მათი მიღების ვადები ოთხ ჯგუფად იყოფა: 30-დან 89 დღემდე, 90-დან 179 დღემდე, 180-დან 359 დღემდე და 360 დღეზე მეტი ხნით. ამის შესაბამისად იცვლება პროცენტის დონეც. როგორც წესი, უფრო გრძელვადიან ანაბარზე უფრო მაღალ პროცენტს აწესებენ. მაგრამ ამ ორ სიდიდეს შორის უკუდამოკიდებულებაც შეიძლება იყოს. მაგალითად, თუკი კომერციული ბანკი უახლოეს მომავალში ელოდება საალრიცხვო პროცენტის დაწევას, მაშინ უფრო გრძელვადიანი ანაბრების პროცენტი ნაკლებვადიანი დეპოზიტების განაკვეთების დონეზე შეიძლება იმყოფებოდეს.

გაწვევის შესახებ წინასწარი შეტყობინების მქონე ვადიანი ანაბრები მოითხოვს მეანაბრისაგან სპეციალური განცხადების შეტანას ბანკში. ასეთი შეტყობინების ვადა წინასწარაა დათქმული და პროცენტის სიდიდეც მის შესაბამისად დგინდება. ჩვეულებრივ, იყენებენ შეტყობინების შემდეგ ვადებს. 1-დან 3 თვემდე, 3-დან 6 თვემდე, 6-დან 12 თვემდე და 12 თვეზე მეტი. ანაბრების ამ თითოეული ჯგუფისათვის სათანადო პროცენტებს აწესებენ. თუ კლიენტს ანაბრის გატანა სურს, მან ამის შესახებ თავისდროულად უნდა შეატყობინოს ბანკს. მოსალოდნელ ცვლილებათა გათვალისწინებით ბანკი სხვა წყაროებიდან ახდენს თავისი აქტიური ოპერაციების რეფინანსირებას.

დეპოზიტების ფორმირების დროს დანაკარგებისგან თავის დაცვაში ხელშეწყობა შეუძლია განსაკუთრებულ პირობებს, რომლებიც „საკრედიტო ანაბრის“ შესახებ კლიენტსა და ბანკს შორის დადებულ ხელშეკრულებაში შედის. ამ დროს ბანკმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელ კლიენტებთანაა საჭირო ამგვარი ხელშეკრულებების გაფორმება. მისი ერთ-ერთი პირობა შეიძლება იყოს ანაბრის ვადამდე მოთხოვნაზე კლიენტისათვის უარის თქმა. ბანკმა პერიოდულად უნდა შეაფასოს მის განკარგულებაში არსებული დეპოზიტების გამოყენების დონე.

სადეპოზიტო რისკი მჭიდროდ უკავშირდება ბანკის სხვადასხვა რისკს. ასე რომ, ბანკის მიერ თავისი სადეპოზიტო რისკის მინიმიზაციისკენ მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსის გატარება ამაღლებს მისი სარესურსო ბაზის საიმედოობის ხარისხს და ზრდის ბანკის მიერ პერსპექტივაში ჩასატარებელი ოპერაციებისა და მომსახურების ჩამონათვალის გაფართოების შესაძლებლობას.

16.6. ᲤᲐᲡᲘᲐᲜ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲔᲑᲖᲔ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘ: ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ოპერაციები ფასიან ქაღალდებზე ბანკის საინვესტიციო ოპერაციებს ეკუთვნის, რომლებიც რისკს უკავშირდება. თანაც, ეს რისკი რთულია, რადგან აქ საფინანსო რისკების მთელი კომპლექსი იჩენს თავს. ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების რისკის მართვისას საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მასზე სხვადასხვაგვარი რისკები ახდენენ გავლენას: სისტემატური, სელექციური, დროითი, ლიკვიდობის, საკრედიტო, ინფლაციური, საპროცენტო, სავალუტო და სხვა. ცალკე ჯგუფს შეგვიძლია მივაკუთვნოთ საკანონმდებლო რისკები. მათი წინასწარ გათვალისწინება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო ბაზის მდგრადობას. უფრო დეტალურად განვიხილოთ ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების ზოგიერთი სახის რისკი.

სისტემატური რისკი კონკრეტულ ფასიან ქაღალდს კი არ უკავშირდება, არამედ მთლიანად ფასიანი ქაღალდების ბაზრის საერთო მდგომარეობის შედეგია.

სელექციური რისკი ფასიანი ქაღალდების ხარისხს ეხება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორი იყო კონკრეტული ფასიანი ქაღალდის შერჩევის პოლიტიკა ფასიანი ქაღალდების პორთფელის ფორმირების დროს.

ლიკვიდობის რისკი უკავშირდება შესაძლო დანაკარგებს ფასიანი ქაღალდის რეალიზაციისას. მისი ხარისხის შეფასების ცვლილების გამო.

საკრედიტოა იმის რისკი, რომ სავალო ფასიანი ქაღალდების გამომშვები ემიტენტი ვერარ შეძლებს მათზე პროცენტების და(ან) ვალის ძირითადი თანხის გადახდას.

ინფლაციურია იმ დანაკარგების რისკი, რომლებიც ინვესტორს შეიძლება მოუვიდეს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების შეცვლის გამო. თუკი პროცენტის საბაზრო განაკვეთი იზრდება, ეს იწვევს ფასიანი ქაღალდების, განსაკუთრებით - ფიქსირებულპროცენტიანი ობლიგაციების საკურსო ღირებულების დაცემას. ამ შემთხვევაში ზარალი იმ ინვესტორს მოსდის, რომელსაც თავისი სახსრები ფიქსირებულ პროცენტიან ფასიან ქაღალდებში აქვს დაბანდებული.

გამოწვევის რისკი არის ინვესტორის დანაკარგების რისკი იმ შემთხვევაში, თუკი ემიტენტი ობლიგაციებს უკან გაიწვევს მათზე დაწესებული ფიქსირებული საპროცენტო გადასახდელების დონის მიმდინარე საბაზრო პროცენტებზე გადამეტებასთან დაკავშირებით.

ფასიანი ქაღალდების რისკის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ბანკის სისტემატური მუშაობა ამ რისკის რეგულირების მიმართულებით. ამ მიზნით საჭიროა:

1. სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის რეგულარული ანალიზი;
2. წარმოქმნილი რისკის დონის შეფასება;
3. ფასიანი ქაღალდების პორთფელის თავისდროული მონიტორინგის ჩატარება.

როგორც უცხოეთის პრაქტიკა გვიჩვენებს, ფასიანი ქაღალდების ყველაზე მეტ ზვედრით წილს

უნდა შეადგენდეს მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდებით გაწონასწორებული გრძელვადიანი ობლიგაციები და აქ საშუალოვადიანი ქაღალდები არ უნდა იყოს. ყოველმა ბანკმა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა შეიმუშაოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საინვესტიციო პოლიტიკა და თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს ამ პოლიტიკით. საყურადღებოა სუბიექტური ფაქტორებიც, კერძოდ, იმ მუშაკის კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი, რომელიც ბანკის საინვესტიციო პროგრამის განხორციელებაზე აგებს პასუხს.

ამგვარად, ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების რისკის დონის თანამედროვე შეფასება იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ფასიანი ქაღალდების გაუფასურების ნეგატიური შედეგები კომერციული ბანკისათვის, აგრეთვე, ამაღლდეს კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრის საინვესტიციო მიმზიდველობა.

16.7. საპროცენტო რისკი: არსი და მართვის თავისებურებები

საპროცენტო რისკია იმის რისკი, რომ ბანკის მიერ მოზიდული სახსრების, ე.ი. დეპოზიტების და სესხად აღებული ფულის, - კრედიტის გაცემასთან დაკავშირებულმა საშუალო ღირებულებამ შესაძლოა კრედიტის მოქმედების ვადის მანძილზე გაუსწროს კრედიტებზე პროცენტის საშუალო განაკვეთს. მუდმივია საპროცენტო რისკი თუ შესაძლებელია მისგან თავის დაცვა? თეორიულად შესაძლებელია, თუკი მოხდება აქტივებიდან მიღებული შემოსავლების ცვლილების (კრედიტების განაკვეთის) მთლიანად დაბალანსება ვადებითაც და სიდიდეც ფონდების მოზიდვის სარჯებში (ე.ი. საბანკო კრედიტის გაცემისათვის სახსრების მიღების ფასში) განხორციელებული ცვლილებებით. მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია ნებისმიერ დროს ყველა კრედიტის ამგვარად დაბალანსება, თანაც, ბანკები ყოველთვის არ არიან დაინტერესებული ასეთი პოლიტიკის გატარებით. ამიტომ ბანკებს მუდმივად ემუქრებათ საპროცენტო რისკები, მაგრამ ეს კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, მოითხოვს საპროცენტო რისკის მართვას.

საპროცენტო რისკის მართვა მოიცავს როგორც ბანკის აქტივების (კრედიტებისა და ინვესტიციების), ისე ვალდებულებების (ნასესხები სახსრების) მართვას. ამ მართვის თავისებურება ისაა, რომ მას გააჩნია საზღვრები. აქტივების მართვას ზღუდავს: ჯერ ერთი, ლიკვიდობის მოთხოვნები და საკრედიტო რისკი, რომლებიც განსაზღვრავენ ბანკის სარისკო აქტივების პორთფელის შედგენილობას; მეორე, სხვა ბანკების მსრიდან მოსალოდნელი კონკურენცია, რომელიც თავისუფლებას უზღუდავს ბანკს კრედიტის ფასის შერჩევისას. ვალდებულებების მართვას აბრკოლებს: 1. იმ საეალო ინსტრუმენტების (სესხები და ა.შ.) შეზღუდული არჩევანი და ზომა, რომლებიც ბანკს შეუძლია წარმატებით განათავსოს თავის მეანაბრეებსა და სხვა კრედიტორებს შორის დროის ნებისმიერ მომენტში, ე.ი. შეზღუდულია კრედიტების გაცემისათვის საჭირო სახსრების ხელმისაწვდომობა; 2. სხვა ბანკებისა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მხრიდან არსებული სახსრებისათვის წარმართული ფასისმიერი კონკურენცია. საპროცენტო რისკის მართვის ამოცანა მოიცავს ამ რისკის მინიმიზაციას ბანკის მომგებიანობისა და ლიკვიდობის მიზნების ფარგლებში.

გამოყოფენ ორი სახის საპროცენტო რისკს - პოზიციურსა და სტრუქტურულს.

პოზიციურია რისკი რომელიმე ერთი პოზიციის მიხედვით (მოცემულ კონკრეტულ მომენტში პროცენტის მიხედვით). მაგალითად, ბანკმა კრედიტი გასცა მცურავი საპროცენტო განაკვეთით. ცნობილი არაა, წარმატებას მოუტანს თუ არა იგი ბანკს. რისი გათვალისწინებაა შესაძლებელი ბალანსში ამ რისკის თავიდან ასაცილებლად? უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შევცვალოთ ანაბრების პროცენტები და გავათანაბროთ ბანკის ბალანსის აქტივებისა და პასივების პროცენტები.

სტრუქტურულია რისკი მთლიანად ბანკის ბალანსის მიხედვით, რასაც იწვევს ფულის ბაზარზე მომხდარი ცვლილებები საპროცენტო განაკვეთების რყევასთან დაკავშირებით.

მაშასადამე, საპროცენტო რისკი მოქმედებს როგორც პროცენტებიდან მიღებულ მოგებაზე, ისე მთლიანად ბანკის ბალანსზე. საპროცენტო რისკის მიზეზები შეიძლება იყოს: საპროცენტო განაკვეთის სახესხვაობების (მუდმივი, ფიქსირებული, მცურავი, კლებადი და სხვა) არასწორად შერჩევა; საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილებათა არასრულად აღრიცხვა საკრედიტო ხელშეკრულებაში; ცენტრალური ბანკის საპროცენტო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები; ერთიანი პროცენტის დაწესება კრედიტის გამოყენების მთელი ვადისათვის; საპროცენტო პოლიტიკის სტრატეგიის უქონლობა; საპროცენტო განაკვეთის (კრედიტის ფასის) არასწორად შერჩევა.

საპროცენტო განაკვეთის ხასიათზე დამოკიდებულებით განასხვავებენ: ა) მყარი პროცენტის რისკს; ბ) ცვალებადი პროცენტის რისკს და გ) ჩამოწერის რისკს (კავშირდება ფასიანი ქაღალდების კურსის შეცვლას).

მყარი პროცენტის რისკი მაშინ ჩნდება, როდესაც პროცენტის მყარი (ფიქსირებული) განაკვეთები დგინდება კრედიტზე, დეპოზიტებსა და სხვა შეძენილ რესურსებზე კი პროცენტი იცვლება. ამ შემთხვევაში კრედიტის პროცენტი არ ითვალისწინებს მოზიდული სახსრების საბაზრო პროცენტის ცვლილებას.

განვიხილოთ კონკრეტული სიტუაცია

	ზომა, მლ.	კრედიტის ვადა, წელი	პროცენტი კრედიტისათვის	
			I ვარიან.	II ვარიან.
აქტივი ბალანსის მიხედვით,	250	7	9	9
კრედიტი პასივი ბალანსის მიხედვით	250	3	9	6

როგორც I, ისე II ვარიანტში ცნობილი არაა, თუ რა იქნება მეოთხე წლიდან მოყოლებული, თუკი ფულის ბაზარი შეიცვლება. ცვალებადი პროცენტის ეს შესაძლო რისკი უნდა გავითვალისწინოთ საკრედიტო ხელშეკრულებაში, სოლო თუ საჭიროა, სტრუქტურულად შევცვალოთ პასივი.

საპროცენტო რისკის თავიდან ასაცილებლად კომერციულ ბანკებში საჭიროა: 1) ფულის ბაზრის ახალ პირობებთან პროცენტის მისადაგების წესის გამოყენება (საკრედიტო ხელშეკრულებებში); 2) ბალანსის სტრუქტურის ცვლილების მართვა; 3) საპროცენტო რისკის კომპენსაციის განსაზღვრა: მაგალითად, თუკი ბალანსის აქტივში ჩნდება საპროცენტო რისკი, მაშინ მისი კომპენსაცია პასივში უნდა იყოს გათვალისწინებული. ამავე მიზნით შეიძლება კლიენტთან შეთანხმება მაქსიმალური და მინიმალური პროცენტის თაობაზე.

ნაჩვენები ზომების რეალიზაციას ბანკი ახდენს საპროცენტო რისკის მართვის სპეციალური (მიზნობრივი) მეთოდების გამოყენებით. ესაა საპროცენტო მარჟისა და გეპის (განსხვავების) მართვის მეთოდები. საპროცენტო რისკის მართვას უკავშირდება, აგრეთვე, საპროცენტო ფიუჩერსებისა და ჰეჯირების კონცეფციები.

ბანკში მიმდინარე მართვის (მენეჯმენტის) ერთ-ერთი მთავარი მიზანია საპროცენტო მარჟის კონტროლი. ესაა მარჟა მოგების მომტანი აქტივებიდან საპროცენტო შემოსავლებსა და ვალდებულებებზე საპროცენტო დანახარჯებს შორის. მარჟის გარდა, ყურადღება ექცევა სპრედს, რომელიც არის სხვაობა აქტივებზე მიღებულ შეწონილ საშუალო განაკვეთსა და ვალდებულე-

ბებზე გადახდილ შეწონილ საშუალო განაკვეთს შორის. ამ ორივე მაჩვენებელს უნდა ასახავდნენ ბანკის ანგარიშგებაში. დაგეგმვის დროს მათ პროგნოზირების მეთოდებით განსაზღვრავენ. ბოლოს, საპროცენტო რისკის მართვის პროცესში ითვალისწინებენ გეპს (განსხვავებას) - მერყევ და ფიქსირებულგანაკვეთიანი აქტივებისა და პასივების განსხვავებას ან დაუბალანსებლობას ფიქსირებულგანაკვეთიანი პასივების მიმართ დროის მოცემულ პერიოდში. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ საპროცენტო რისკის მართვის მეთოდები.

საპროცენტო მარჟის მართვა მოითხოვს საბანკო ოპერაციების ბაზარზე, ეკონომიკასა და საპროცენტო განაკვეთებში მომხდარი ცვლილებების ფრთხილ და მუდმივ ანალიზს. ინფლაციის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია საპროცენტო განაკვეთის პროგნოზირება. ამიტომ ბანკში რისკების მართვა კონცენტრირებული უნდა იყოს აქტივების პორთფელის დაბალანსებაზე ვადების მიხედვით: მაგრამ ეს ძალიან ძნელია, თუკი ბანკს ბალანსზე აქვს ფიქსირებულ და მცოცავ განაკვეთებიანი აქტივები და პასივები. ამიტომ აუცილებელია საპროცენტო განაკვეთების ცვლილების პერსპექტივების შეფასება.

აქტივებისა და პასივების პორთფელის დაბალანსება ვადების მიხედვით საშუალებას აძლევს ბანკს დააფიქსიროს საპროცენტო სპრედი, ე.ი. მოახდინოს საპროცენტო რისკის ნეიტრალიზება. მაგრამ ბანკირები ამჯობინებენ გაურკვეველი სპრედის რისკს, თუკი ვადების დაუბალანსებელი თანაფარდობა დიდ შემოსავლებს უქადის მათ. ეს მაშინ ხდება, როდესაც ეკონომისტებს აღარ შეუძლიათ საპროცენტო განაკვეთის მოძრაობის წინასწარმეტყველება.

განვიხილოთ ფონდების დაბალანსებულად მოზიდვის კონკრეტული სიტუაცია დაუბალანსებელთან შედარებით.

I ვარიანტი (დაბალანსებული):

განაკვეთები	ვადა, დღეები	საკვეთები კრედიტებზე, %	განაკვეთები მოზიდულ სახსრებზე, %	სპრედი, %
მიმდინარე საბაზრო	90	20	15	5
	180	25	20	5
საპროგნოზო (90 დღის შემდეგ)	90	17	12	5

II ვარიანტი (დაუბალანსებელი): დაკრედიტების ალტერნატიული სტრატეგიები 180 დღისათვის: ა) სასესხო სახსრების მოზიდვა 180 დღით, სპრედი 5%; ბ) სასესხო სახსრების მოზიდვა 90 დღით, განახლება 90 დღის შემდეგ: სპრედი 1/2 (10+13)=11,5%.

გეპის წარმატებით მართვა მოითხოვს საპროცენტო განაკვეთის მომავალში ცვლილების სწორად წინასწარმეტყველებას. ჩვენს შემთხვევაში მოკლევადიანი განაკვეთების ზუსტად წინასწარმეტყველებამ აიძულა მენეჯმენტი, კი არ დაებალანსოს 180-დღიანი კრედიტი, არამედ შექმნას ისეთი განსხვავება, რომელიც საპროცენტო მარჟის გაფართოებას იწვევს.

მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარე, მეორე ვარიანტით სპრედმა შეადგინა 11.5 და არა 5%, როგორც ეს პირველ ვარიანტშია. ეს იმის ხარჯზე მოხდა, რომ გეპის მართვის პროცესში, როგორც აღვნიშნეთ, მოხერხდა საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის სწორად პროგნოზირება. მიიღეს სასესხო სახსრების 180 დღით მოზიდვის გადაწყვეტილება ორ დამოუკიდებელ ეტაპად ამ გარიგების დაყოფის პირობით: თავიდან 90 დღით მოზიდვა და შემდეგ კიდევ 90 დღით განახლება. ამ შემთხვევაში სპრედმა დაუბალანსებელ 180 დღიან კრედიტზე 11.5% შეადგინა და ასე ჩამოყალიბდა:

I ეტაპი: განაკვეთი 180 დღით გაცემულ კრედიტებზე = 25%; სახსრების შესყიდვა (პირველი

90 დღე) = 15%; სპრედი = 10%;

II ეტაპი: განაკვეთი 180 დღით გაცემულ კრედიტებზე = 25%; სახსრების შესყიდვა (90 დღის შემდეგ) = 12%; სპრედი 13%.

სპრედი 180 დღიან კრედიტზე შეადგენს 11,5%-ს.

საპროცენტო მარჟაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: აქტივების პორთფელში მომხდარი ცვლილებები კრედიტებსა და ინვესტიციებს შორის თანაფარდობის, ვადებისა და რისკის სტრუქტურის, ფიქსირებულ და მცურავგანაკვეთიან აქტივებს შორის თანაფარდობის ჩათვლით; ვალდებულებათა სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები; საპროცენტო განაკვეთის მოძრაობა (ტენდენციების ცვლილება); აქტივების (ფიქსირებული თუ მცურავი განაკვეთების მქონე) ფასებში მომხდარი ცვლილებები და სხვა.

გეპის მართვა შეგვიძლია განვმარტოთ როგორც საპროცენტო განაკვეთისადმი მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების მოცემული დონეების მართვა. განასხვავებენ დადებით და უარყოფით გეპს. დადებითი გეპისას საპროცენტო განაკვეთის ვარდნასთან ერთად ქვეითდება საპროცენტო მარჟაც; საპროცენტო განაკვეთების ზრდასთან ერთად მარჟა მატულობს. უარყოფითი გეპისას ცვალებადგანაკვეთიანი პასივები ჭარბობენ ცვალებად განაკვეთიან აქტივებს. ამ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთების ვარდნას თან ახლავს მარჟის ზრდა, ხოლო მატებას მარჟის დაწევა.

საპროცენტო რისკის დონე, რაკი იგი საპროცენტო მარჟასა და სპრედზე ახდენს გავლენას, დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთის ცვლილების სიჩქარესა და ხანგრძლივობაზე. ბანკის საქმიანობაში გეპის მართვის შესაძლებლობათა სრულად გამოყენების მიზნით საჭიროა:

- განაკვეთებით, ვადებითა და მეურნეობის სექტორების მიხედვით დივერსიფიცირებული აქტივების პორთფელის შენარჩუნება, უპირატესობა უნდა მიეცეს ლიკვიდურ კრედიტებსა და ფასიან ქაღალდებს;
- აქტივებისა და პასივების მართვის ოპერატიული გეგმების შემუშავება განაკვეთების მოძრაობის მიმდინარე მდგომარეობისა და ტენდენციების შეცვლის პროგნოზების გათვალისწინებით;
- განაკვეთების მოძრაობის მიმართულების ცალკეულ ცვლილებათა განხილვა საპროცენტო განაკვეთების ახალი ციკლის დაწყებისგან დამოუკიდებლად.

განვიხილოთ ბანკის საპროცენტო პოლიტიკის შესაძლო ვარიანტები. აქ შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ეტაპი.

I ეტაპი დაბალი საპროცენტო განაკვეთები (მოსალოდნელია ზრდა): გაიზარდოს სასესხო სახსრების ვადები; შემცირდეს ფიქსირებულგანაკვეთიანი კრედიტები; შემცირდეს ინვესტიციების პორთფელის ვადები; გაიყიდოს ინვესტიციები (ფასიანი ქაღალდები); მიღებული იქნას გრძელვადიანი სესხები; დაიხუროს საკრედიტო ხაზები.

II ეტაპი მზარდი საპროცენტო განაკვეთები (მომავალში მოსალოდნელია მათი მაქსიმალური ზრდა): დაიწყოს სასესხო სახსრების ვადების შემცირება; დაიწყოს ინვესტიციების ვადების გახანგრძლივება; დაიწყოს მზადება ფიქსირებულგანაკვეთიანი კრედიტების ხვედრითი წილის გაღიდებისათვის; დაიწყოს მზადება ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების ხვედრითი წილის გაღიდებისათვის; განხილული იქნას ფიქსირებულგანაკვეთიანი დავალიანების ვადამდე დაფარვის შესაძლებლობა.

III ეტაპი მაღალი საპროცენტო განაკვეთები (მოსალოდნელია მათი დაწევა ახლო მომავალში): შემცირდეს სასესხო სახსრების ვადა; გადიდდეს ფიქსირებულგანაკვეთიანი კრედიტების ხვედრითი წილი; გადიდდეს ინვესტიციების პორთფელის ვადები; გადიდდეს ინვესტიციების პორთფელის ზომა (ფიქსირებული განაკვეთით); დაიგეგმოს აქტივების მომავალი გაყიდვა; მოხდეს ყურადღების კონცენტრირება კლიენტებისათვის ახალ საკრედიტო ხაზებზე.

IV ეტაპი ვარდნადი საპროცენტო განაკვეთები (უახლოეს მომავალში ისინი

მინიმალური გახდება): დაიწყოს სასესხო სახსრების ვადების გახანგრძლივება; დაიწყოს ინვესტიციების ვადების შემცირება; დაიწყოს ცვალებადგანაკეთიანი კრედიტების ხვედრითი წილის გადიდება; დაიწყოს ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების შემცირება; შერჩევით გაიყიდოს აქტივები (ფიქსირებული განაკვეთის ან შემოსავლის მქონე); დაიწყოს გრძელვადიანი დაყალიანების (ფიქსირებული განაკვეთის მქონე) გადიდების დაგეგმვა.

აქ დასახელებული ნებისმიერი მიმართულების (ეტაპის) რეალიზაციის დროს მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ბანკის მთავარი ამოცანაა წმინდა საპროცენტო მარჟის გადიდება ბანკის პოლიტიკით დაწესებული რისკის პარამეტრების ფარგლებში. საპროცენტო განაკვეთები და რისკის დონე, რომელიც აქტივებსა და პასივებს ახასიათებს, გარედან ზემოქმედებით განსაზღვრული ის ცვლადი სიდიდეებია, რაზეც ცალკეულ ბანკებს არ შეუძლიათ გაელენის მოხდენა ან მათი ზუსტად წინასწარმეტყველება. ამიტომ აქტივებისა და ვალდებულებების მართვა ისეთი უწყვეტი პროცესია, რომელიც ბანკის ყველაზე უფრო გამოცდილი კადრების მოზიდვას მოითხოვს.

საპროცენტო პოლიტიკაში დიდ როლს თამაშობს საბანკო სპეციალისტების მიერ კრედიტის ფასის ანუ საპროცენტო განაკვეთის სიდიდის განსაზღვრის უნარი. ამ ფასის განსაზღვრის დეტალები გაშიფრული უნდა იყოს საკრედიტო წინადადებასა და საკრედიტო ხელშეკრულებაში. კრედიტის ფასის განსაზღვრის პროცესში საყურადღებოა შემდეგი ფაქტორები: 1) კრედიტის რისკი; 2) აგრესიულობა: ზრდაა ბანკის მიზანი თუ პოზიციების განმტკიცება; 3) კონკურენცია: რომელ კრედიტებზე აპირებს ბანკი კონკურენციას სხვა ბანკებთან; 4) კლიენტის კატეგორია: კლიენტთან ურთიერთობის განვითარებაზეა ორიენტირებული ბანკი თუ გარიგებიდან მოგების მიღებაზე; 5) მომგებიანობა: საკრედიტო მარჟა მნიშვნელოვნად შეიძლება შემცირდეს, თუკი კლიენტს დიდი მოცულობის მოგება მოაქვს ბანკისათვის. ასეთი პოლიტიკა ყოველ კლიენტთან ურთიერთობების აღრიცხვის საიმედო სისტემას მოითხოვს; 6) საბანკო რესურსების შეძენის ფასი; 7) კრედიტის ფასის ცენტრალიზებულად (ბანკების კავშირებისა და გაერთიანებების მიერ, ცენტრალური ბანკის მიერ) დაწესებული ზედა ზღვრები; 8) ფასის მოქნილობა დაკრედიტების დროს: ბანკს შეუძლია კლიენტს შესთავაზოს სხვადასხვა სახის საპროცენტო განაკვეთები (მცურაები, მისი შეცვლა ფიქსირებულით, სხვადასხვა შესწორებანი, რომლებიც მიმზიდველია კლიენტისათვის და მისაღებია ბანკისათვის მისი მიზნისა და მომგებიანობის თვალსაზრისით).

საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსი არის ფინანსური ფიუჩერსი, რომელიც ვაჭრობის ობიექტია სპეციალურ ფიუჩერსულ ბაზრებზე ფიუჩერსულ ბირჟებზე. ეს უკანასკნელი მდებარეობს მსოფლიოს მთავარ კომერციულ და ფინანსურ ცენტრებში. მაგალითად, ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟა მარცვლეული, ფასიანი ქაღალდები, საპროცენტო განაკვეთები; ლონდონის ფინანსური ფიუჩერსების საერთაშორისო ბირჟა - ვალუტა და საპროცენტო ფიუჩერსები.

ფიუჩერსული გარიგებების დროს აფორმებენ შესაბამის კონტაქტებს. ფიუჩერსული კონტრაქტი არის შეთანხმება ფინანსური ინსტრუმენტების (ან საქონლის) მომავალში ყიდვაზე ან გაყიდვაზე დათქმულ ვადაში და ღღეს (კონტრაქტის გაფორმების დროს) დადგენილი ფასით. თუ ფიუჩერსები ფინანსური ინსტრუმენტებია და იყიდება ბაზარზე, ჰეჯირება არის ფიუჩერსებთან დაკავშირებული საქმიანობა. მას განმარტავენ როგორც ისეთ პროცესს, რომლის დროსაც აქტივებისა და პასივების ფასების მომავალში შეცვლის რისკი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გაქრეს მესამე მხარესთან დადებული შეთანხმების მეშვეობით.ამ შეთანხმებით, აქტივებისა და პასივების შეძენის თავდაპირველი გარიგება მთლიანად ან ნაწილობრივ ნეიტრალდება საპირისპირო გარიგებით.

„ჭერიანი" პროცენტით კრედიტის ჰეჯირების ნიმუში ასეთია: მსესხებელი ბანკთან აფორმებს საკრედიტო შეთანხმებას მცურაეი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მაგრამ მომავალში თაეისი საპროცენტო რისკის შესამცირებლად იგი ბანკს უთანხმდება პროცენტის „ჭერზე" (ან

„ქუდზე"), ე.ი. იმ მაქსიმალურ განაკვეთზე, რომლის გადახდევინებაც შეუძლია ბანკს კრედიტის მოქმედების ვადის მანძილზე. ამაზე დათანხმებით ბანკი ფაქტიურად თავის თავზე იღებს საპროცენტო რისკის ნაწილს. ამისათვის იგი მსესხებელს ახდევინებს რისკისათვის დამატებულ გადასახადს, ე.ი.ზრდის პროცენტულ სპრედს რესურსების ღირებულებაზე ან სხვა რომელიმე საბაზრო განაკვეთზე.

არსებობს საერთაშორისო ფიუჩერსული კონტრაქტებიც. ფინანსურ ფიუჩერსებს რთული ხასიათი აქვთ, მაგრამ ამ ინსტრუმენტის დიდი მნიშვნელობა განაპირობებს მისი სპეციალურად შესწავლისა და პრაქტიკულად გამოყენების აუცილებლობას.

საპროცენტო სვოპი - ორ მხარეს შორის საკონტრაქტო შეთანხმება დასავლეთის ბანკებს შორისაა გავრცელებული. მაგალითად, კომერციულ ბანკსა და მის კლიენტს შორის წინასწარ დათქმული გარკვეული ფიქტიური თანხის მქონე საპროცენტო გადასახდელების გაცვლაზე. უფრო კონკრეტულად: ერთი მხარე მეორეს გადაუხდის ფიქსირებულ პროცენტს რაიმე თანხაზე და მეორე მხარისგან მიიღებს გადასახდელს მცურავი საპროცენტო განაკვეთით (ჩვეულებრივ, ეფუძნება ლიბორ-განაკვეთს)(ლიბორი პროცენტის ყოველდღიური საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც ლონდონის ბანკები განაწვავებენ თავიანთ დეპოზიტებს პირველი კლასის სხვა ბანკებში. ეს განაკვეთი ყველა სხვა ბანკისათვის ორიენტირია სესხებზე პროცენტების დაწესების დროს, განსაკუთრებით საერთაშორისო გარიგებების შემთხვევაში).

საპროცენტო სვოპის დანიშნულებაა საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის ან სესხებზე დასაბარჯების შემცირების საქმიანობის გაუმჯობესება. საპროცენტო სვოპის ტიპიური მახასიათებლები ასეთია: ა) სიდიდე: 1-დან 500 მლნ. დოლარამდე; ბ) ვადა: 1-დან 15 წლამდე, მაგრამ, როგორც წესი, 2-5 წელი; გ) გამოყენება: როგორც უკვე არსებული, ისე ახალი კრედიტებისათვის; დ) კრედიტის ხარისხი: იმისათვის, რომ საველუტო სვოპტი შესაძლებელი გახდეს, აუცილებელია კრედიტის ხარისხში მნიშვნელოვანი განსხვავების არსებობა მონაწილე მხარეებს შორის, რაც აისახება სასესხო საპროცენტო განაკვეთის სხვაობაში 0,7 და მეტი პროცენტით; ე) მცურავი (ფიქსირებული) განაკვეთი: მცურავი განაკვეთით პროცენტის გადამხდელი მხარე სვოპში, ჩვეულებრივ, გეველინება უფრო მაღალი რეიტინგის მქონე მხარედ; იგი ფიქსირებულ საპროცენტო გადასახდელს იღებს ნაკლები საკრედიტო რეიტინგის მქონე მხარისგან.

უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ გარკვეულ რისკს სვოპიც შეიცავს. ესაა პოტენციური გადაუხდელობის რისკი. ამიტომ სვოპებთან დაკავშირებული ნებისმიერი რისკის ნეიტრალიზება, ჩვეულებრივ, პეჯირების მეშვეობითაა შესაძლებელი.

საპროცენტო რისკის მართვის დროს კომერციული ბანკი მრავალ პრობლემას აწყდება: საპროცენტო შემოსავლების ცვლილების განუჭვრეტელობა; ფინანსური ინსტრუმენტების უმრავლესობის შეძოსაველიანობის არასტაბილურობა; ბანკის ბალანსის არასაკმარისი მოქნილობა. პირველ ორ პრობლემას ძირითადად განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები (მათ შორის საბანკო და საგადასახადო კანონმდებლობაში), საფინანსო ბაზრის სუბიექტების უმრავლესობის არასტაბილურობა.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საპროცენტო რისკის მართვისას მიზანშეწონილია შემდეგი მიდგომების დაცვა: აქტივებისა და პასივების პორთფელი ჩამოყალიბებული უნდა იყოს ვადებში მინიმალური განსხვავებით; სტრატეგიული თვალსაზრისით მიზანშეწონილია უპირატესობის მინიჭება მოქნილ საპროცენტოგანაკვეთიანი საშუალო და გრძელვადიანი დეპოზიტებისთვის და მოკლევადიანი სესხებისთვის; ტაქტიკურ პლანში შესაძლებელია სესხის აღება მოკლე ვადით და დაკრედიტება უფრო გრძელი ვადით (იმ მოცულობით, რომლის ნებასაც ბანკის კაპიტალი იძლევა); პეჯირების მეთოდების (სვოპი, ფორვარდი და სხვა) მაქსიმალურად გამოყენება; ტაქტიკური საქმიანობის რისკების კომპენსირება გრძელვადიან პერსპექტივაში ბანკის მართვით.

16. 8. სავალუტო რისკი: არსი, სახეები, მართვის მეთოდები

სავალუტო რისკი უკავშირდება საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის გაურკვევლობას მომავალში, ე.ი. ეროვნული ვალუტის ცვლილებას უცხოურის მიმართ. იგი გავლენას ახდენს იმ მსესხებლებზე, კრედიტორებსა და ინვესტორებზე, რომლებიც გარიგებებს ასრულებენ ეროვნულისგან განსხვავებული ვალუტებით.

სავალუტო რისკი მოიცავს: 1) ეკონომიკურ რისკს - ფირმის ან ბანკის აქტივების ან პასივების ღირებულების შეცვლის რისკს მომავალში კურსის შეცვლის გამო; 2) გადაგზავნის რისკს - აქვს ბუღალტრული ბუნება და უკავშირდება აქტივებისა და პასივების უცხოური ვალუტით აღრიცხვაში არსებულ განსხვავებებს; 3) გარიგებათა რისკი - უცხოური ვალუტით მომხდარი გარიგების მომავალი ღირებულების გაურკვეველობა ეროვნული ვალუტით.

განვიხილოთ თითოეული გამოყოფილი რისკი.

ეკონომიკური რისკი. ეკონომიკური რისკი ფირმისათვის იმაში მდგომარეობს, რომ მისი აქტივების ღირებულებამ შესაძლოა მოიმატოს ან მოიკლოს (ეროვნული ვალუტით) მომავალში ვალუტის კურსის ცვლილებათა გამო. ეს ინვესტორებსაც ეხება, რომელთა საზღვარგარეთულ ინვესტიციებს - აქციებსა და სავალო ვალდებულებებს - უცხოური ვალუტით მოაქვთ შემოსავალი.

რისკი ბანკისათვის. ბანკისათვის საზღვარგარეთულ აქტივებში ინვესტირება, მაგალითად, კრედიტების გაცემა უცხოური ვალუტით, იმოქმედებს ეროვნული ვალუტით გამოხატული გადასახდელების მომავალი ნაკადის სიდიდეზე (მომავალში ვალუტის კურსის ცვლილებათა გამო). გარდა ამისა, თვით ამ კრედიტების დასაფარავი გადასახდელების სიდიდე შეიცვლება კრედიტის უცხოური ვალუტის ღირებულების გადაყვანისას ეროვნული ვალუტით გამოხატულ ეკვივალენტში.

გადაგზავნის რისკი. ფირმისთვისაც და ბანკისთვისაც გადაგზავნის რისკი ეხება ბალანსს და ცვლის აქტივებისა და პასივების ღირებულებას. თუ ეცემა იმ უცხოური ვალუტის კურსი, რომელშიც ეს აქტივებია გამოხატული, მაშინ კლებულობს აქტივების ღირებულება; აქტივების სიდიდე მცირდება, ეცემა ფირმის ან ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდე.

გასათვალისწინებელია, რომ გადაგზავნის რისკი არის ბუღალტრული ეფექტი, მაგრამ უმნიშვნელოდ ასახავს გარიგების იმ ეკონომიკურ რისკს, რომელიც განიხილავს ვალუტის კურსის ცვლილების გავლენას გადახდათა მომავალ ნაკადზე, მაშასადამე, ფირმის ან ბანკის მომავალ მოგებიანობაზე.

გარიგების რისკი. ფირმის მომგებიანობაში მომხდარი ცვლილება მოასწავებს მისი კრედიტუნარიანობის შეცვლას. ამიტომ ბანკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კლიენტების სავალუტო გარიგებათა კურსში ყოფნა.

სავალუტო კურსის შემცირება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით შეიძლება, რომელთა შორისაა დამცავი დათქმები, სავალუტო დათქმები, ჰეჯირება და სხვა.

დამცავი დათქმები სახელშეკრულებო პირობებია, რომლებსაც კერძო და საერთაშორისო შეთანხმებებში რთავენ მხარეთა შეთანხმებით და რომლებიც ითვალისწინებენ ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების შეცვლის (გადასინჯვის) შესაძლებლობას მისი შესრულების პროცესში.

სავალუტო დათქმა. ამ დათქმის შესაბამისად, ფულად ვალდებულებათა თანხა იცვლება კურსების იმ თანაფარდობის ცვლილებაზე დამოკიდებულებით, რომელიც ყალიბდება გადახდის ვალუტასა და დათქმის ვალუტად დადგენილ რომელიმე სხვა, უფრო მყარ ვალუტას (ვალუტების ჯგუფს) შორის. დათქმის ვალუტა შესაძლოა იყოს გარიგების ვალუტა ან მესამე ვალუტა. მცურავი სავალუტო კურსების პირობებში დათქმის ვალუტად იყენებენ რამდენიმე ვალუტის ამა თუ იმ კომბინაციას (სავალუტო კალათას), დათქმას კი მრავალვალუტიანს უწოდებენ.

ჰეჯირება (გარემოცვა) ითვალისწინებს შემხვედრი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შექმნას უცხოური ვალუტით. ჰეჯირების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა ვადიანი სავალუტო

გარიგებების დადება. მაგალითად, ინგლისის სავაჭრო ფირმა, რომელიც 6 თვის შემდეგ ელოდება თანხის მიღებას აშშ-ის ვალუტით, ასორციელებს ჰეჯირებას ამ მომავალ შემოსულობათა გაყიდვით გირვანქა სტერლინგებზე ვადიანი კურსით 6 თვისათვის. ვადიანი სავალუტო გარიგების დადებით ფირმა ვალდებულებას დოლარებით კისრულობს არსებულ მოთხოვნათა დაბალანსებისთვის. გირვანქა სტერლინგის მიმართ დოლარის კურსის დაცემის შემთხვევაში სავაჭრო კონტრაქტით მიღებული ზარალი კომპენსირდება ვადიანი სავალუტო გარიგებიდან მიღებული მოგების ხარჯზე.

სავალუტო რისკის შემცირების მიზნით რეკომენდებულია სხვადასხვა სიტუაციაში ჰეჯირების შემდეგი ძირითადი ხერხების გამოყენება:

1) თუკი მოსალოდნელია ეროვნული ვალუტის კურსის კლება: ეროვნული ვალუტის გაყიდვა, გარიგების ქვეშე ვალუტის შერჩევა; ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების მოცულობის შემცირება ეროვნული ვალუტით, ნაღდი ქონების მოცულობის შემცირება; ეროვნული ვალუტით არსებული დებიტორული დავალიანების მიღების დაჩქარება; უცხოური ვალუტით არსებული დებიტორული დავალიანების მიღების გადადება და მისი დაგროვების დაწყება; ეროვნული ვალუტით არსებულ საკრედიტო დავალიანებაზე გადახდის გადადება; ეროვნული ვალუტით სესხის აღების (გადაცემის) გადიდება; მყარი ვალუტით პროდუქტების იმპორტის დაჩქარება და გადიდება; უცხოელი აქციონერებისათვის, პარტნიორებისა და კრედიტორებისათვის ჯილდოს, ხელფასის, დივიდენდებისა და ა.შ. გადახდის დაჩქარება; ანგარიშების გაგზავნა იმპორტიორებისათვის ეროვნული ვალუტით და ექსპორტიორებისთვის უცხოური ვალუტით;

2) თუკი მოსალოდნელია ეროვნული ვალუტის კურსის ზრდა: ჩატარდეს პირველი სიტუაციისთვის მოცემულის საპირისპირო მოქმედებები. სავალუტო რისკის თავიდან აცილებისთვის სავალუტო სვოპებსაც იყენებენ (საპროცენტო სვოპების ანალოგიურად).

16.9. ᲓᲐᲠᲒᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘ

დარგობრივ რისკს განაპირობებს დარგის ეკონომიკურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებები და მათი დონე, როგორც დარგის შიგნით, ისე სხვა დარგებთან შედარებით. დარგის რისკი უკავშირდება საკრედიტო რისკს და უშუალოდ მოქმედებს მასზე. ამიტომ დაკრედიტების სფეროში ბანკის დასაბუთებული სტრუქტურული პოლიტიკის შესამუშავებლად საჭიროა ერცელი ინფორმაცია არამარტო კლიენტებზე, არამედ მათ დარგებზეც.

დარგობრივი რისკის შეფასებისათვის უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: მოცემული და მომიჯნავე დარგების საქმიანობა დროის გარკვეულ (შერჩეულ) პერიოდში; მათი საქმიანობის მდგრადობა ქვეყნის ეკონომიკასთან შედარებით; ერთი და იმავე დარგის ფირმების საქმიანობის შედეგები და მათ შორის არსებული განსხვავების სიდიდე.

დარგობრივი რისკის შეფასების მიმართ სხვადასხვაგვარი მიდგომები არსებობს. მისი გაზომვის ერთ-ერთი მაჩვენებელია დარგის საქმიანობის შედეგებში რყევების (გადახრების) დონის ან მთელი ეკონომიკის საქმიანობის შედეგების მიმართ. რისკის ამ სახესხვაობას საზღვარგარეთის სტატისტიკურ ანალიზში აღნიშნავენ ბერძნული ასო-ით.=1 მაჩვენებელი ნორმალურად ითვლება საბაზრო ეკონომიკისთვის. <1 მაჩვენებელი ექნება შედარებით სტაბილურ დარგს, რომელსაც არ ახასიათებს მნიშვნელოვანი ცვლილებები. > 1 მაჩვენებელი მოწმობს დარგში არსებულ მნიშვნელოვან ცვლილებებს. ამიტომ რაც უფრო მაღალია, მით ძლიერია დარგობრივი რისკი.

მაჩვენებლის გასაანგარიშებლად ერცელი ინფორმაციაა საჭირო. ამასთან ერთად, ჩვეულებრივ, ატარებენ მომავალში დარგის მუშაობის რეგრესიულ ანალიზს, ანუ, პრაქტიკულად მარკეტინგული სარჯების ანალიზს. ამგვარი ანალიზი ძალუძს სპეციალურ სააგენტოებს (ფირმებს) და არა ბანკს. საზღვარგარეთ დარგობრივი რისკის მონაცემებს ბანკები იღებენ შესაბამისი სპეციალური ორგანიზაციებიდან. მაგრამ თუ განხილული ანალიტიკური მიდგომა შეუძლებელია,

მაშინ ალტერნატივის სახით განიხილავენ ამა თუ იმ დარგის მუშაობასთან დაკავშირებულ სპეციალურ ფაქტორებს. მაგალითად, იყენებენ შემდეგ ორ ფაქტორს: დარგის სამრეწველო სასიცოცხლო ციკლის სტადიას და კონკურენციის შიდადარგობრივ გარემოს.

სამრეწველო სასიცოცხლო ციკლი შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე სტადიად, რომელთაგან თითოეულს თავისებურებები აქვს რეალიზაციისა და შემოსაელების ზრდის მიმდინარე და მოსალოდნელ ტემპების და სხვა მაჩვენებლების მხრივ: სტადია 1 - დარგის თავდაპირველი განვითარება; სტადია 2 დაჩქარებული ზრდა; სტადია 3 - ზომიერი ზრდა; სტადია 4 - ბაზრის სტაბილიზაცია და მომწიფება; სტადია 5 - ზრდის კლება და დაქვეითება.

კონკურენციის შიდადარგობრივი გარემო სხვა დარგების ფირმების მიმართ მოცემული დარგის ფირმების მდგრადობის შესახებ ინფორმაციის დამატებითი წყაროა და შეგვიძლია განვიხილოთ რისკის ერთ-ერთ მაჩვენებლად. კონკურენციის შიდადარგობრივი გარემოს შეფასებისას იყენებენ შემდეგ ინფორმაციას: ფასისმიერი და არაფასისმიერი კონკურენციის დონე; დარგში შესვლის (ზოგჯერ უკან გამოსვლის) სიადვილე ან სირთულე; ახლოს მდგომი და ფასით კონკურენტუნარიანი შემცვლელების არსებობა ან არარსებობა; მყიდველებისა და მომწოდებლების მსყიდველობითი უნარიანობა; პოლიტიკური და სოციალური გარემოცვა.

თუმცა, ყველა ეს ჩამოთვლილი პირობა, რომლებშიც დარგი მუშაობს, მოულოდნელ და, ხშირად, მკვეთრ ცვლილებებს განიცდის. ამიტომ დარგობრივი რისკის დონე სტატიკური არაა და მუდმივ ყურადღებას მოითხოვს.

ქვეყნის რისკი არის ქვეყანაში მიმდინარე და მომავალი პოლიტიკური ან ეკონომიკური პირობების იმ ზომით ცვლილებების რისკი, რომ ისინი გაელენას იქონიებენ ქვეყნის, ფირმებისა და სხვა მსესხებლების მიერ საგარეო დავალიანების გადახდის უნარზე. ქვეყნის რისკი იმ ბანკებზე მოქმედებს, რომლებსაც აქვთ განვითარებული საგარეო ეკონომიკური ურთიერთკავშირები და რომელთა კლიენტებიც საერთაშორისო საქონელბრუნვის აქტიური მონაწილეებია.

ქვეყნის რისკი რთული რისკია. ამიტომ მისი ანალიზის დროს ითვალისწინებენ ზემოქმედების მრავალრიცხოვან ფაქტორებს. გარდა ამისა, ამ რისკის შემადგენელი რისკებია პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები და გადაყვანის რისკი.

პრაქტიკულ საქმიანობაში ბანკები დამოუკიდებლად ამუშავებენ ქვეყნის რისკთან დაკავშირებულ რეიტინგებს. უცხოეთის ბანკები ტრადიციულად სარგებლობენ საგანგებოდ შემუშავებული რეიტინგებით. მაგალითად, აშშ-ის ბანკებს შეუძლიათ გამოიყენონ ქვეყნის რისკის სამთავრობათშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული რეიტინგები. პოლიტიკური რისკის რეიტინგები ზომავენ მოცემული მთავრობის მიერ საგარეო ვალდებულებათა გადახდის სურვილსა და პოლიტიკურ უნარიანობას.

ეკონომიკური რისკის რეიტინგები ზომავენ ქვეყნის გრძელვადიან საერთო ეკონომიკურ განვითარებას და მის პოტენციალს როგორც საგარეო ვალის მომსახურებაში ქვეყნის უნარის შეფასების საშუალებას. ამ რეიტინგების შედგენისას ითვალისწინებენ შემდეგ ფაქტორებს: ქვეყნის ეკონომიკური ხელმძღვანელობა; ეკონომიკის სტრუქტურა; საინვესტიციო სტრუქტურა; რესურსების საკმარისობა, მათ შორის სამუშაო ძალის, კაპიტალის, ბუნებრივი რესურსების; ქვეყნის უნარი სტაბილური არაინფლაციური ზრდის შენარჩუნებაში; ქვეყანაზე გარე ფაქტორების გაელენის ძალა.

ეკონომიკურ რისკს უკავშირდება გადაყვანის რისკი. მას განსაზღვრავს ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის ლიკვიდობა, ეროვნული ვალუტის კონვერტაბელობა და საგარეო ვალის გადასახდელების უზრუნველყოფის უნარი.

გადაყვანის რისკი არის ვალის მომსახურების შეჩერების შესაძლებლობა ლიკვიდობის იმ პრობლემის გამო, რომელიც საგარეო ვაჭრობასა და ინვესტიციებს უკავ-

შირდება. ამ რისკის შეფასების დროს ქვეყნებს ყოფენ კატეგორიებად, რასაც საფუძვლად უდევს არსებული პირობები და ამ პირობების მოსალოდნელი ცვლილებები უახლოეს 12 თვეში. მიღებულია დაყოფა სამ კატეგორიად:

- არასტანდარტული, როდესაც ქვეყანა ვერ ასრულებს ვალის მომსახურების ვალდებულებებს, არ იღებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომიკური ადაპტაციის პროგრამებს ან არ მიჰყვება უკვე არსებულ პროგრამებს;
- მოვალე ქვეყნები (როდესაც ქვეყანამ შეაჩერა გადახდები და აგროვებს დავალიანებას);
- გაკოტრებული ქვეყნები.

ამ რეიტინგების შესაბამისად, ქვეყანას უწესებენ დაკრედიტების პირობებს, რომელშიც შედის კრედიტის მაქსიმალური სიდიდე (ქვეყნის ლიმიტი), სუბლიმიტები მოქმედების ვადებისა და მსესხებელთა ტიპების მიხედვით (სუვერენული რისკი სამთავრობო დაწესებულებების დაკრედიტებისას და კომერციული რისკი კერძო სექტორის კომპანიების დაკრედიტებისას), აგრეთვე, რისკის ტიპების მიხედვით. კონკრეტულად აღებული ქვეყნისთვის თითოეულ ამ ელემენტს შეიძლება მივცეთ სხვადასხვა მნიშვნელობა კრედიტების პორთფელის ფორმირებისას.

16.10. ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲠᲘᲡᲙᲔᲑᲘ: ᲐᲠᲡᲘ, ᲛᲘᲖᲜᲔᲖᲔᲑᲘ, ᲛᲐᲠᲗᲕᲐ

საბანკო რისკების განხილულ კლასიფიკაციაში შიდა რისკების სტრუქტურაში გამოყოფილია ორგანიზაციული რისკი, რომელსაც ადრე არ გამოყოფდნენ სრულად. ამავე დროს, მისი გამოყოფა არათუ დასაბუთებულია, არამედ აუცილებელიც კია. ორგანიზაციული რისკი უკავშირდება ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურას. მისი ამა თუ იმ ფორმის შერჩევას განსაზღვრავს, პირველ რიგში, ის მიზნები, რომლებსაც კომერციული ბანკი ისახავს თავისი საქმიანობის პრიორიტეტულ შედეგებად. მათი შერჩევა შემთხვევითი არაა და ამას შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავს: ბანკის და მისი ფილიალების ქსელის სიდიდე, ბანკის რეიტინგი, მისი საქმიანობის პირობები, საბანკო ბაზარზე კონკურენციის განვითარება, აქციონერთა მოთხოვნები და სხვა. ამაზე დამოკიდებულებით, თავისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებად ბანკს თავის მიერ შერჩეული სტრატეგიის ფარგლებში შეუძლია დაადგინოს: საბანკო მომსახურების გაფართოება, კლიენტების მოზიდვა ან მოგების გადიდება და ა.შ. შესაძლებელია ბანკის მრავალმიზნობრივი სტრატეგია. ეს განსაკუთრებით ახასიათებს „ახალგაზრდა“ კომერციულ ბანკებს.

აღსანიშნავია, რომ არსებობს მეცნიერება ბანკების სტრუქტურების შესახებ, რომელიც სტრუქტურათა სხვადასხვა ვარიანტებს განიხილავს. ამ გარემოებას გათვალისწინება უნდა კონკრეტული ბანკის სტრუქტურის ფორმირებისას, რადგან ბანკისათვის ორგანიზაციული სტრუქტურა მისი საქმიანობის ერთგვარი ტექნოლოგიური პროცესია, რომელშიც ყველა აუცილებელი რგოლი უნდა იყოს გათვალისწინებული.

ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა შეგვიძლია შევადაროთ საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესს. იქ მომხდარი ნებისმიერი დარღვევა ან შეუსაბამობა გამოშვებულ პროდუქციაზე აისახება, რის გამოც ტექნოლოგიურ პროცესებს საწარმოში ყოველთვის ღიდ ყურადღებას უთმობენ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება შესაძლებელი კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდება ბაზრისათვის (მომხმარებლისათვის). ასეთივე დამოკიდებულება უნდა იყოს ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის აგების მიმართაც. მეტადრე, რომ თვალსაზრისი ბანკი სპეციფიკური საწარმოა სულ უფრო მეტ მომხრეებს იძენს.

ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა მუდმივი არაა. იგი ეითარდება საბანკო ბაზრის განვითარების თავისებურებებზე და მოთხოვნებზე დამოკიდებულებით. ბაზრის სხვა სექტორების მსგავსად, საბანკო ბაზარმაც განიცადა ევოლუცია და XX საუკუნის დასასრულს იგი გამყიდ-

ველის ბაზრიდან მყიდველის ბაზრად გადაიქცა. იცვლებოდა ბანკების ორგანიზაციაც. მან განვლო გზა ტრადიციულიდან მარკეტინგ-ორიენტირებულ სტრუქტურამდე.

ტრადიციული საბანკო ორგანიზაცია აგებულია გაწეული მომსახურების ხასიათის შესაბამისად. მასში გაბატონებულია მომსახურების წარმოების პრიორიტეტი მის გასაღებაზე, ე.ი. ბანკი მხოლოდ იმ მომსახურებას ასაღებს, რომლის წარმოებაც მას შეუძლია. ეს სისტემა უზრუნველყოფს მომსახურების ტექნიკურად უნაკლოდ შესრულებას და ეს მისი დიდი უპირატესობაა. ამავე დროს, მისთვის დამახასიათებელი ვიწრო სპეციალიზაცია ართულებს განყოფილებების საქმიანობის კოორდინაციას და კლიენტებს შორის გაჩენილი კომპლექსური ხასიათის პრობლემების მოგვარებას. ეს ნაკლი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა საბანკო ბაზარზე კონკურენციის გამწვავების პირობებში, რის შედეგადაც გაჩნდა მარკეტინგ-ორიენტირებული საბანკო ორგანიზაციის კონცეფცია. იგი იქიდან გამოდის, რომ მომსახურების გასაღება პრიორიტეტულია წარმოებაზე: ბანკი ცდილობს განსაზღვროს მომსახურების ის სახეები, რომლებსაც მოსხვრებელი ითხოვს.

კომერციული ბანკის მარკეტინგ-ორიენტირებული ორგანიზაციის მთავარი თავისებურებაა ის, რომ მასში ტრადიციული საწარმოს მსგავსად გამოყოფილია წარმოების სექტორი და გასაღების სექტორი. გარდა ამისა, აქ მკაფიოდაა განსაზღვრული თითოეული მუშაკის როლი და ადგილი.

ბანკის ორგანიზაციის ვარიანტებს გარკვეული მიზნობრივი ორიენტაცია აქვთ: ერთი მათგანი მომსახურების გაფართოებაზეა ორიენტირებული, მეორე კლიენტების მოზიდვაზე და ა.შ. ორგანიზაციული სტრუქტურა მაშინ იქნება სრულყოფილი, თუკი მასში დაცული იქნება მეცნიერულად დასაბუთებული ორგანიზაციული სტრუქტურების აგების პრინციპები. მხოლოდ ასეთ სტრუქტურას აქვს ორგანიზაციული რისკის ნეიტრალირების უნარი.

საკადრო რისკებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბანკო რისკების სტრუქტურაში. მათ შეუძლიათ ნებისმიერი საბანკო რისკის გაძლიერება. მათი დონე დიდადაა დამოკიდებული ბანკის პერსონალის მართვის ეფექტიანობაზე. ამიტომაც კომერციულ ბანკებში პერსონალის მართვას შესაბამისი არ ექცევა დიდი ყურადღება.

საკადრო რისკი რთული რისკია, რომელიც შემდეგ რისკებს მოიცავს:

- თანამდებობრივი რისკი - თანამდებობის შეუფერებლობა საქმიანობის სახეებთან, მიზნებთან, ფუნქციებთან და ტექნოლოგიებთან. მისი მიზეზი შესაძლოა იყოს არაადეკვატური საშტატო განაწესი ან თანამდებობის დამახინჯებული აღწერა;
- კვალიფიციურ-საგანმანათლებლო რისკი, რომლის არსია მუშაკის შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან;
- ბოროტმოქმედებისა და არაკეთილსინდისიერების რისკი, რომელიც დამოკიდებულია პერსონალის შერჩევისა და დაქირავების კუთხით მუშაობის დონეზე. უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობის ეფექტიანობაზე, საკონტროლო-სარევიზიო აპარატის შედეგიანობაზე, ხელმძღვანელობის სტილზე, კორპორაციულ კულტურაზე;
- თანამშრომლების მიერ სიახლეთა მიუღებლობის რისკი. სიახლეთა დანერგვის მართვა მოითხოვს ადამიანთა თავისდროული ინფორმირებას, მკაფიო მიზნებისა და სტრატეგიების დასახვას, მოქნილ დაგეგმვასა და ორგანიზაციას, პერსონალის წახალისებას და მის ჩაბმას ყველა ეტაპის ცელილებებში, პერსონალის სწავლებას და მის ქცევაზე მიზნობრივ ზემოქმედებას.

ამგვარად, საკადრო რისკი უკავშირდება საბანკო საქმიანობის მრავალ მხარეს. ეს განაპირობებს მის ზემოქმედებას ბანკის პრაქტიკულად ნებისმიერ ოპერაციაზე და, მაშასადამე, მისი რისკის დონეზე. ამავე დროს, საკადრო რისკის არარსებობა ან მისი დაბალი დონე სხვა რისკების - საკრედიტო, საპროცენტო, საინვესტიციო და სხვა - მართვის ამოცანის წარმატებით გადაჭრის შესაძლებლობას უქმნის ბანკს. ამდენად, საკადრო რისკების მართვის პრობლემა პრიორიტეტულია ბანკის მართვაში.

ძირითადი დასკვნები

1. საბანკო რისკები ბანკების გაკოტრების ძირითადი მიზეზია და ამის გამო ცალკეული სახის რისკების მართვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ.

2. ბანკის რისკების პოლიტიკის შედეგებს დიდად განსაზღვრავს რისკების მართვის დარგში კომერციული ბანკის მუშაობის ორგანიზაცია. ეს მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული კომერციული ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე.

3. ბანკის რისკები ურთიერთდაკავშირებულია, მაგრამ რისკების მართვის მეთოდები სპეციფიკური ხასიათისაა.

4. კომერციული ბანკის საქმიანობის საბოლოო შედეგებზე გავლენის ძალის მიხედვით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია საკრედიტო, საპროცენტო და სავალუტო რისკები, მაგრამ განსაკუთრებით ფასიან ქაღალდებზე ოპერაციათა რისკები.

5. საბანკო რისკები რთული რისკებია. ერთი მხრივ, ისინი ეკონომიკური რისკების სისტემაში იმყოფებიან და ამიტომ განიცდიან სხვა ეკონომიკური რისკების გავლენას, ხოლო, მეორე მხრივ, ისინი დამოუკიდებელი რისკებია და კომერციული ბანკების საქმიანობაზე არიან დამოკიდებული. ბანკების საიმედო და სტაბილური საქმიანობა პირდაპირაა დამოკიდებული რისკების მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, რომლის დანიშნულებაა კოორდინაცია გაუწიოს, დეტალურად და თანმიმდევრულად აკონტროლოს საბანკო რისკების შემცირების ღონისძიებები.

6. საკრედიტო რისკის არსის შესახებ საკითხის განხილვისას იგი აუცილებლად უნდა განვიხილოთ როგორც კრედიტის მოძრაობასთან დაკავშირებული რისკი. საკრედიტო რისკის არსი განუყოფლად უკავშირდება კრედიტის კატეგორიას (ე.ი. სასესხო კაპიტალის მოძრაობის ფორმას). მაშასადამე, საკრედიტო რისკის წარმოშობის სფერო შეიძლება იყოს გასესხებული ღირებულების მოძრაობის ერთ-ერთი სტადია.

7. საკრედიტო რისკი პირდაპირაა დამოკიდებული საკრედიტო პორთფელის ხარისხზე. საკრედიტო პორთფელი არის კრედიტების გაცემაში ბანკის საქმიანობის ის შედეგი, რომელიც მოიცავს ბანკის მიერ დროის გარკვეულ პერიოდში გაცემული ყველა კრედიტის ერთობლიობას. საკრედიტო პორთფელის რისკის ხარისხობრივად შეფასება აქტუალური ხდება ბანკის მიერ თავისი ოპერაციების დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით.

საკრედიტო პორთფელის ანალიზისას დღეს მრავალი ბანკი ახორციელებს კრედიტების რანჟირებას, ე.ი. იყენებს ხარისხისა და რისკის მახასიათებლების შესაბამისად სასესხო პორთფელის სისტემატური და ობიექტური კლასიფიკაციის მეთოდს.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

სავალუტო რისკი სავალუტო დანაკარგების საშიშროება, რომელიც წარმოიქმნება საგარეო-საჯარო, საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების ჩატარებისას დაუკავშირდება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებს.

როლოველური კრედიტი ითვალისწინებს პროცენტის განაკვეთის პერიოდულ გადასინჯვას. სახელშეკრულებო ვადა იყოფა მოკლე პერიოდებად (3-6 თვედ), ხოლო მტკიცე პროცენტული განაკვეთი დგინდება მხოლოდ პირველ ეტაპზე. ყოველ მომდევნო ეტაპზე ხდება მისი კორექტირება ფასების, პროცენტის განაკვეთის და ვალუტის კურსის ცვალებადობის გათვალისწინებით. როლოველური კრედიტი თავიდან აცილებს საბაზრო რისკს როგორც კრედიტორს, ისე მსესხებელს.

საკრედიტო რისკი გამოწვეულია პარტნიორის უუნარობით ან არასასურველობით იმოქმედოს ხელშეკრულების პირობებით. საკრედიტო რისკი ძირითადი რისკია, რომელსაც ბანკი აწყდება თავისი საქმიანობის პროცესში. იგი წარმოიქმნება საკრედიტო ოპერაციების, აგრეთვე ფასიან ქაღალდებთან, სხვა ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებულ გარიგებებთან დაკავშირებით, ბანკის მიერ გარანტიების გაცემისას, საკლეტო და სხვა ოპერაციების ჩატარების დროს.

ქვეყნის რისკი დანაკარგების შესაძლებლობა, რომელიც დაკავშირებულია ბანკის საქმიანობის და აქტივების განლაგებისას კონკრეტულ სახელმწიფოში. ქვეყნის რისკები სხვა ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებულ რისკების ფართო სპექტრს მოიცავს. ამიტომ აღნიშნული სახის რისკი შეიძლება დაიყოს უფრო მარტივ ჯგუფებად: პოლიტიკური რისკი, გეოგრაფიული რისკი.

საბაზრო რისკები - წარმოიშობა იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორ ხდება კონიუნქტურის გაუთვალისწინებელი და არასასიამოვნო ცვლილება საკრედიტო ბაზარზე, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, ძვირფასი ლითონების ბაზარზე. საბაზრო რისკის სპეციფიკური ელემენტია სავალუტო რისკი.

საოპერაციო რისკი გამოწვეულია შიდასაბანკო კონტროლის პროცესისა და ბანკის მართვაში დარღვევების გამო, აგრეთვე შესაძლო ჩავარდნებით ოპერაციულ სისტემებში, განსაკუთრებით იმ სფეროში, სადაც ხდება გადახდები და მონაცემთა ელექტრონული დამუშავება.

საპროცენტო რისკი განპირობებულია ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთების არასასურველი ცვლილებებით საკრედიტო და საფინანსო ბაზრებზე.

ლიკვიდობის დაკარგვის რისკი დაკავშირებულია ბანკების ვალდებულებების შესაძლო შეუსრულებლობით. ეს რისკი წარმოიშობა ბანკის მიერ „ბანკების ოქროს წესის" დარღვევის დროს, როდესაც ბანკის მოთხოვნები და ვალდებულებები არ შეესაბამება ერთმანეთს თანხებისა და ვადების მიხედვით. ლიკვიდობის რისკი განიხილება, როგორც საბანკო საბაზრო რისკი.

.გადაყვანის რისკი არის ვალის მომსახურების შეჩერების შესაძლებლობა ლიკვიდობის იმ პრობლემის გამო, რომელიც საგარეო ვაჭრობასა და ინვესტიციებს უკავშირდება.

სამართლებრივი რისკი - მოიცავს აქტივების გაუფასურების ან ვალდებულებების გაფართოების რისკებს, რომლებიც გამოწვეულია არასწორი იურიდიული გადაწყვეტილებებით, არასწორად შედგენილი იურიდიული დოკუმენტაციით. გარდა ამისა, შეიძლება შეიცვალოს ბანკებისა და მათი კლიენტების ინტერესებთან დაკავშირებული კანონმდებლობაც.

ბანკის რეპუტაციის დაკარგვის რისკი შეიძლება წარმოიშვას მის მუშაობაში ოპერაციული ჩავარდნებით, აგრეთვე მათ შესაძლო ურთიერთობით კრიმინალურ სტრუქტურებთან. რეპუტაციის დაკარგვის საშიშროება განსაკუთრებით დამღუპველია ბანკებისათვის, რამდენადაც მათი ბიზნესის ბუნება მოითხოვს კრედიტორების, მეანაბრეების და მთლიანად ბაზრის ნდობის შენარჩუნებას.

ფინანსური რისკი დაკავშირებულია აქტივების და პასივების მოცულობის, შემოსავლიანობის, ღირებულების და სტრუქტურის გაუთვალისწინებელ ცვლილებებთან. ფინანსურ რისკს მიეკუთვნება: საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, ფასისმიერი რისკი, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკი, სავალუტო რისკი, საბაზრო რისკი, ინფლაციის რისკი, გადახდისუნარობის რისკი.

ფუნქციონალური რისკი წარმოიშვება ნებისმიერი პროდუქტის შექმნის ან მომსახურების გაწევის დროს, როდესაც ვერ ხერხდება ფინანსურ-სამეურნეო პროცესის დროულად და სრული მოცულობით კონტროლი და შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. აღნიშნული რისკი თითქმის ყველა ბანკს ახასიათებს. ფუნქციონალური რისკი ისეთივე სახიფათოა, როგორც ფინანსური რისკები, მაგრამ რთულია მათი იდენტიფიცირება და რაოდენობრივი განსაზღვრა.

ფუნქციონალურ რისკებს მიეკუთვნება: სტრატეგიული რისკი; ტექნოლოგიური რისკი; საოპერ-

აციო და ზედდებული ხარჯების რისკი ანუ არაეფექტიანობის რისკი; ახალი ტექნოლოგიების დანერგვის რისკი.

დარგობრივ რისკს განაპირობებს დარგის ეკონომიკურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებები და მათი დონე როგორც დარგის შიგნით, ისე სხვა დარგებთან შედარებით, დარგის რისკი უკავშირდება საკრედიტო რისკს და უშუალოდ მოქმედებს მასზე. მისი შეფასებისათვის გაითვალისწინება მოცემული და მომიჯნავე დარგების საქმიანობა დროის გარკვეულ პერიოდში; მათი საქმიანობის მდგრადობა ქვეყნის ეკონომიკასთან შედარებით; ერთი და იმავე ფირმების საქმიანობის შედეგები და მათ შორის არსებული განსხვავების სიდიდე.

? . . . . . ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

1. დაახასიათეთ ტერმინი „რისკი“.
2. რა არის ბანკების საქმიანობაში რისკის გაჩენის მიზეზები?
3. ჩამოთვალეთ საბანკო რისკების კლასიფიკაციის კრიტერიუმები.
4. როგორია ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა რისკების მართვაში?
5. როგორია საკრედიტო რისკის კომიტეტის შემადგენლობა და ფუნქციები?
6. ჩამოთვალეთ რისკის დაძლევის საბანკო ღონისძიებები.
7. განმარტეთ საკრედიტო რისკი.
8. დაახასიათეთ დაკრედიტებისას რისკის მართვის ძირითადი მეთოდები.
9. განმარტეთ ბანკის საკრედიტო პოლიტიკა.
10. რაში მდგომარეობს ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების რისკი?
11. ჩამოთვალეთ ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების რისკის წარმოშობის მიზეზები.
12. რა არის ბანკის სადეპოზიტო რისკის არსი?
13. რომელია ბანკის ღონისძიებები დეპოზიტების ფორმირების დროს დანაკარგებისგან თავის დასაცავად?
14. საპროცენტო რისკის არსი და მისი მიზეზები.
15. ჩამოთვალეთ საპროცენტო რისკის წარმოშობის მიზეზები.
16. საპროცენტო რისკის მართვის სპეციალური მეთოდების არსი.
17. რა არის სავალუტო რისკის არსი და რომელია მისი მართვის მეთოდები?
18. განმარტეთ „ჰეჯირების“ ცნება, რა შემთხვევებში იყენებენ ამ მეთოდს?
19. როგორია დარგობრივი რისკის შინაარსი?
20. ახსენით ქვეყნის რისკის და მისი სტრუქტურის შინაარსი.
21. რაში მდგომარეობს ორგანიზაციული და საკადრო რისკების არსი?
22. რა არის ბანკის საკადრო რისკების არსი?

რეკომენდებული ლიტერატურა

ასათიანი რ. ეკონომიქსი. განმარტებითი ლექსიკონი. თბ.: საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2003.

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

კოეზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ.: თსუ, 2001.

გამსახურდია გ. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ.,1995.

ღუდუშაური ლ. საბანკო საქმე. თბ., 1996.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. თბ., 1993.

ჯგერენაია ე. საერთაშორისო საბანკო ოპერაციების უნიფიცირებული წესები. თბ., 1995.

ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, ფინანსური ინჟინერია. თბ., 1999.

Банковское дело: управление и технологии. Под ред. **А.М. Тавасиева.** М.:ИОНИТИ-ДАНА, 2001.

Банковское дело: Учебник под. ред. **Г.Г. Коробовой.** М.: Экономист, 2003.

Грюннинг Х., Брайович С.Б. Анализ банковских рисков М.: Весь Мир, 2004.

Жарковская Е.П. Банковское дело. М.: Омега - Л, 2004.

Коробова Г.Г., Нестеренко Е.А. Банковские риски. Саратов, 1996.

Миловидов В.Д. Современное банковское дело: Опыт организации и функционирования банков США. М.: Изд-во Моск. университета, 1994.

Севрук В.Т. Банковские риски. М.: Дело ЛТД, 1995.

Palfreman David., Ford Philip. Elements of Banking. Pritman Publishing. London. 1996.

Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling Financial Services. Second Edition. IRWIN. Honewood. Boston. 1993.

Woelfél Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl. 1997.

მეექვსე განყოფილება
საბანკო მენეჯმენტი, მარკეტინგი, საბანკო ინოვაციები

მეჩვიდმეტე თავი. საბანკო მენეჯმენტის საფუძვლები

ტერმინები და ძირითადი ცნებები
17.1. საბანკო მენეჯმენტის ძირითადი საკითხები
17.1.1. მართვა თუ მენეჯმენტი?
17.1.2. საბანკო საქმიანობის მართვა და მისი შემადგენელი ელემენტები
17.1.3. საბანკო საქმიანობის ხარისხი. ამოსავალი დებულებები.
17.2. საბანკო მენეჯმენტის სისტემაში გარემოს ცნება
17.3. ინფორმაცია საბანკო მენეჯმენტის სისტემაში
17.4. საბანკო პოლიტიკა
17.5. საბანკო მენეჯმენტის ფინანსური სფეროები. აქტივების და პასივების მართვა
17.6. აქტივებისა და პასივების კომპლექსური მართვა
17.6.1. ბანკის აქტივებისა და პასივების ერთიანი პორტფელის მართვის პრინციპები
17.6.2. წმინდა საპროცენტო მარჟა და მისი ანალიზი
17.6.3. GAPის მართვა
17.6.4. შემოსავლიანობის მრუდი და მისი გავლენა GAPის მართვაზე
17.6.5. დიურაციის (ხანგრძლივობა) მართვა
17.7. მოგების მართვა
17.8. საბანკო რისკ-მენეჯმენტი
17.8.1. საბანკო რისკების ცნება
17.8.2. საკრედიტიო რისკი
17.8.3. ლიკვიდობის რისკი. სავალუტო რისკ-შანსი
17.8.4. საფონდო, ანუ საინვესტიციო რისკი
17.9. საბანკო მენეჯმენტის შეფასება
17.10. ზედამხედველობა და რეგულირება საბანკო მენეჯმენტში
მოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

„ავანტურული“ მენეჯმენტი
ბანკების არასაპროცენტო ინტელექტუალტევადი შემოსავლები
გარესამყარო მენეჯმენტის სისტემაში
თაღლითობა საბანკო მენეჯმენტში
კოსმეტიკური მენეჯმენტი
მენეჯერი
მენეჯმენტი
„მოსავარი გზაჯვარედინი“
„მისმენეჯმენტი“
რისკი
საბაზრო რისკები
საბანკო ზედამხედველობის უფლებამოსილებანი
საბანკო მენეჯმენტი
საბანკო მისმენეჯმენტის ევოლუცია
საბანკო პოლიტიკა
საბანკო პოლიტიკის ინდიკაციის სფერო
საბანკო მენეჯმენტის ფინანსური სფეროები
საბანკო პროდუქციის ხარისხობრივი მახასიათებლების მართვა
საერთო რისკები
ტექნიკური მენეჯმენტი

შანსი

17.1. საბანკო მენეჯმენტის ძირითადი საკითხები

17.1.1. მართვა თუ მენეჯმენტი?

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში მოდური გახდა ცნება „მენეჯმენტი“ და არა ჩვენეული „მართვა“ მისი ტრადიციული გაგებით. არის თუ არა მათ შორის განსხვავება და თუკი არის, რამდენად პრინციპულია იგი? მენეჯმენტი (მართვა, გამგებლობა, ორგანიზაცია) განიმარტება, როგორც ფირმის მართვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელიც მიმართულია საუკეთესო ეკონომიკური შედეგების მიღების ოპტიმალური ხერხის შერჩევისაკენ. ამ დროს გამოყოფენ მენეჯმენტის შემდეგ პრინციპებსა და არსის ელემენტებს (იხ. ცხ. 17.1.).

ცხრილი. 17.1.
მენეჯმენტის პრინციპების არსის ძირითადი ელემენტები

მენეჯმენტის პრინციპები	მენეჯმენტის არსი
1. ფირმის მკვეთრი და ზუსტი სტრატეგია და მის ფარგლებში ძიების თავისუფლება 2. სპეციალიზებული ინფორმაციის შეგროვების, საგარეო კავშირების, პერსონალის გაცვლის სისტემის შექმნა, ახალი იდეების აქტიური ძიება. 3. შეფასების სისტემის შექმნა და ახალი იდეების რეალიზაცია 4. პირადი ინტერესებისა და ძიების მიზნების ინტეგრაცია	1. ფირმის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა 2. ამ მიზნების მიღწევის ყველაზე ეფექტიანი ხერხების მიღწევა 3. მმართველური გადაწყვეტილებების პრაქტიკული განხორციელება 4. მიღებული შედეგების ანალიზი. 5. ადრე მიღებული გადაწყვეტილებების კორექტირება, მათი ოპტიმიზაცია 6. კადრების სწავლება და მოზადება

ეს პუნქტები, მართალია, უამრავ კითხვას ბადებს, მაგრამ მაინც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მენეჯმენტზე და, მაშასადამე, გვეხმარება ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემაში. თუმცა არსებობს საქმის არსის კიდევ უფრო მარჯვედ და მოხერხებულად გადმოცემებიც. მაგალითად, ფიქრობენ, რომ მენეჯმენტის, როგორც თავისებური ტიპის, მართვის ძირითადი ნიშან-თვისებებია:

საქმიანობის სფერო — მართვის ობიექტის ეკონომიკური ქცევა;

საქმიანობის პირობები — ეკონომიკის განვითარების საბაზრო მექანიზმები;

მართვის ორგანიზაციული ფორმები — საკმაოდ მოქნილი და ფირმის საბაზრო ქცევის პროცესებთან ადაპტირებული;

მოთხოვნები მენეჯერისა და მართვის პერსონალისადმი — პროფესიონალიზმი;

ორგანიზაციული პრიორიტეტები — ადამიანისეული ფაქტორი;

მართვის სტილი — ეფექტიანი საქმიანობის მოტივირება;

პიროვნული ფაქტორი — მენეჯერის შემოქმედება და ხელოვნება;

გარემო — საბაზრო ეკონომიკა".(Коротков Э.М. Концепция менеджмента. Учеб. пособие. - М. ДеКА, 1996. с. 40.)

თუკი ყურადღებას არ მივაქცევთ იმ ნიშან-თვისებებს, რომლის მოთხოვნის უფლებაც აქვთ ადამიანებს კარგად მოწყობილი ნებისმიერი მართვისაგან, მაშინ შეგვეძლია დავასახელოთ ტრადიციული მართვისგან მენეჯმენტის განმასხვავებელი მთავარი ნიშნები (იხ. ცხ. 17.2.)

ცხრილი 17.1.2.

ტრადიციული მართვისაგან მენეჯმენტის განმასხვავებელი ნიშნები

მენეჯმენტი (დასავლური ვარიანტი)	მართვა (ჩვენეული ვარიანტი)
1. ცალკეული სამეურნეო ერთეულის მართვა 2. მართვა საბაზრო პირობებში 3. უპირატესობას ანიჭებენ ჰორიზონტალურ კავშირებს (თუმცა ამით არიფარგლებიან)	1. როგორც ცალკეული სამეურნეო ერთეულის, ისე მთლიანად ქვეყნის (რეგიონის) ეკონომიკის მართვა 2. მართვა ნებისმიერ მოცემულ პირობებში, საბაზრო პირობების ჩათვლით 3. განსაკუთრებულ უპირატესობას არაფერს ანიჭებენ (თუმცა პრაქტიკულად პირველ ადგილზე იდგა ვერტიკალური კავშირები)

ჩამოთვლილი ნიშან-თვისებებიდან მხოლოდ პირველ საჭიროებს ერთგვარ განმარტებას. როდესაც ამტკიცებენ, რომ მენეჯმენტის ცნება ორგანულად უკავშირდება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში განსორციელებულ მართვას, ამ დროს უპირველეს ეკონომიკური საქმიანობის საკმაოდ უხეშ გამარტივებას. საქმე ისაა, რომ ყველაზე უფრო განვითარებულ საბაზრო მეურნეობებშიც კი ეკონომიკის ყველა სექტორი და ყველა ეკონომიკური პროცესი როდია ნამდვილად საბაზრო, მართვა კი იქაც აუცილებელია. მაგალითად, საბაზრო არ შეიძლება იყოს საწარმოებისა და ორგანიზაციების ურთიერთობები სახელმწიფო მართვის ორგანოებთან, შიდასაწარმო (შიდასაფირმო) ურთიერთობები, ზოგიერთი ჯგუფის ურთიერთობები საწარმოებსა და ორგანიზაციებს

შორის. საბაზრო შინაარსს დიდადაა მოკლებული ურთიერთობები არამატერიალური წარმოების სფეროს ორგანიზაციებთან. საზოგადოდ, არ არსებობს წმინდა საბაზრო ან წმინდა არასაბაზრო ეკონომიკა. იგი ყოველთვის შერეულია (ე.ი. მასში ამა თუ იმ პროპორციით ყოველთვისაა საბაზრო და არასაბაზრო საწყისის მქონე ელემენტები). ამიტომ მართვა არ შეიძლება მხოლოდ ბაზრის სიგნალებზე იყოს ორიენტირებული.

.დასახელებული მთავარი ნიშან-თვისებების შედარება გვიჩვენებს, რომ მენეჯმენტი სინამდვილეში მეტწილად იგივეა, რაც ჩვენთვის ჩვეული მართვა (ერთსაც და მეორესაც, ცხადია, დახვეწა სჭირდება). და მაინც, ეს იგივეობრივი და ურთიერთშემცველი ცნებები არაა. ჩამოთვლილი ნიშან-თვისებების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ მართვა, ტრადიციული ვარიანტით, უფრო ტევადი, პოტენციურად უფრო მდიდარი და ტექნოლოგიური მოვლენაა (და ცნებაა), რომელიც მოიცავს მენეჯმენტს, როგორც კერძო შემთხვევას. გასაგებია, რომ უაზრობაა „მართვაზე" უარის თქმა (თუ სხვა რაი დათქმული არაა, მაშინ შეიძლება სახელისძღვანელოს ტექსტში „მენეჯმენტის" ტერმინის გამოყენება, მაგრამ მისთვის რაიმე ისეთი კატეგორიობრივი მნიშვნელობის მიუნიჭებლად, რომელიც მას „მართვის" მნიშვნელობისგან განასხვავებს).

17.1.2. საბანკო საქმიანობის მართვა და მისი შემადგენელი ელემენტები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყნის საბანკო სისტემას შეადგენს ცენტრალური ბანკი, კომერციული ბანკები, არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებები და ინფრასტრუქტურის როლის შემსრულებელი მისი დამხმარე ელემენტები – ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც თვითონ არ ეწევიან საბანკო ოპერაციებს. მაგრამ უზრუნველყოფენ საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობას სპეციალური მომსახურების (საინფორმაციო, აუდიტორული და ა.შ.) გაწევით. საბანკო ოპერაციების ჩატარება (საბანკო მომსახურების გაწევა) არის სწორედ საბანკო საქმიანობა. ამდენად, ამგვარ მომსახურებას ახორციელებენ მხოლოდ ცენტრალური ბანკები, კომერციული ბანკები და, ნაწილობრივ, არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები.

ლიტერატურაში არსებული ის წინადადებები, რომ საბანკო სისტემას აგრეთვე უნდა მიეკუთვნოთ საბანკო კანონმდებლობა და „საბანკო ბაზარი", საკრედიტო ორგანიზაციების საზოგადოებრივი კავშირები და ასოციაციები, საფუძველს მოკლებულად უნდა ჩაითვალოს.

საბანკო საქმიანობის მართვა (საბანკო მართვა – ამ სიტყვის ფართო გაგებით) ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ მისი ორი, მჭიდროდ დაკავშირებული ნაწილი:

ა) მთლიანად საბანკო სისტემისა და მისი ცალკეული ელემენტების მართვა ცენტრალური ბანკისა და საბანკო სფეროს ცენტრალიზებული მართვის სხვა სპეციალიზებული ორგანოების მხრიდან;

ბ) კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების მიერ თავისი თავის მართვა.

ცენტრალური ბანკის მიერ საბანკო საქმიანობის მართვა მოიცავს: საკუთარი საქმიანობის. როგორც საბანკო სისტემის მთავარი ელემენტის, ყოველმხრივ მართვას; ქვეყნის მთელი საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიულ (რამდენიმე წელიწადზე გათვლილ) მართვას; ყველა კომერციული ბანკის და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობისა და განვითარების მართვას (მათ ოპერატიულ საქმიანობაში ჩაურევლად), ფუნქციონირების ყველასთვის სავალდებულო კონკრეტული წესებისა და მთელი რიგი უმთავრესი პარამეტრების (რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეზღუდვების) ფორმულირების გზით, აგრეთვე მათთვის სათანადო მეთოდური დახმარების გაწევით; იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც კანონმდებლობით ცენტრალური ბანკის ნორმატიული აქტებითაა გათვალისწინებული და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას – ცალკეული საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის ოპერატიულ

მართვას.

საბანკო საქმიანობის ცენტრალიზებულ მართვაში ცენტრალური ბანკის გარდა თავიანთ უფლებამოსილებათა ფარგლებში პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობენ სახელმწიფო მმართველობის ისეთი ორგანოები, როგორიცაა საგადასახადო, სასამართლო (უპირველეს ყოლისა – არბიტრაჟი), საბაჟო, შინაგან საქმეთა და ა.შ.

გარდა ამისა, ამ მართვაში შესაძლოა მონაწილეობდნენ (თუმცა ყველა ქვეყანაში ეს სავალდებულო არაა) ამისათვის სავანგებოდ შექმნილი ორგანოები ან ორგანიზაციები, რომლებსაც აკისრებენ საბანკო სისტემის, მისი ცალკეული რგოლებისა და ამ სისტემისათვის მნიშვნელოვანი პროცესების მართვასთან დაკავშირებული იმ ცალკეული ფუნქციების შესრულებას, რომელთა შესრულებაც სხვა ვითარებაში თვითონ ცენტრალურ ბანკს შეეძლო. რუსეთში ასეთია, მაგალითად, საკრედიტო ორგანიზაციების რესტრუქტურიზაციის სააგენტო (АРКО). ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ისინი უფრო ბევრია. აშშ-ში გარდა ცენტრალური ბანკისა, რომლის მრავალ ფუნქციას ცენტრალური სარეზერვო სისტემა ასრულებს, მოქმედებენ: ფულის მიმოქცევის კონტროლის სამმართველო (ფინანსთა სამინისტროს ქვედანაყოფი); დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია; შემნახველ ინსტიტუტებზე მეთვალყურეობის უწყება; შტატების მთავრობასთან არსებული 50 საბანკო განყოფილება და სხვა.

ცალკეულ ორგანოებს ხშირად ავალებენ საკრედიტო ორგანიზაციებზე ზედამხედველობას. ზოგ შემთხვევაში ეს ორგანოები თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ ცენტრალურ ბანკთან ერთად (ბელგიაში – ფინანსთა სამინისტრო და საბანკო კომისია; გფრ-ში – საკრედიტო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ფედერალური უწყება; საბერძნეთში – სავალუტო კომიტეტი; საფრანგეთში – საბანკო კომისია; შვეიცარიაში – ფედერალური საბანკო კომისია; იაპონიაში – ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საბანკო ბიურო), სხვა შემთხვევაში ისინი ცენტრალური ბანკისგან დამოუკიდებელი დაწესებულებებია, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან პარლამენტის ან პრეზიდენტის წინაშე (დანიაში – ფინანსური მეთვალყურეობის სამმართველო. კანადაში – ფინანსური დაწესებულებებზე მეთვალყურეობის ბიურო, ასევეა ნორვეგიასა და შვედეთში).

ბანკების მიერ თავისი თავის მართვა – ესაა თვითმმართველობა, ე.ი. მართვა, რომელსაც ახორციელებენ არა გარედან და არა ბანკის მიმართ გარე სუბიექტები, არამედ თვით საბანკო სისტემის ელემენტები. ამ დროს ისინი ხელმძღვანელობენ საკუთარი მოსაზრებებით, შეფასებებით, ინტერესებით და იყენებენ მათთვის ხელმისაწვდომ მექანიზმებს. ასეთი მართვა ორ დონეზე ხორციელდება – მთლიანად საბანკო სისტემის (ან მისი იმ მსხვილი ნაწილების, რომლებიც საკრედიტო ორგანიზაციების მასშტაბური ასოციაციებით ან კავშირებითაა წარმოდგენილი), ან ცალკე აღებული ბანკის დონეზე.

გარედან ბანკების მართვა და მათი თვითმმართველობა საბანკო სისტემის არცერთ დონეზე არ ხორციელდება აუტონომიურად და პარალელურად. პირიქით, ყოველ მათგანზე ხდება გარედან მართვისა და თვითმმართველობის ელემენტების ერთმანეთთან შერწყმა-შეხამება. იქმნება თავისებური „ფენოვანი ღეჭელი“, რომელშიც მინაცვლეობას თითოეული ამ სახის ელემენტები. (Банковское дело: управление и технологии. Под редакцией А.М. Тавасиева. М.. 2001. с. 73). თანაც, ფენები უბრალოდ კი არაა გვერდიგვერდ დალაგებული, არამედ ისინი დიალექტიკურად მოქმედებს ერთმანეთზე. თანაც იმაზე უფრო მჭიდროდ და ღრმად, ვიდრე ეკონომიკის სხვა სფეროებში. გარედან მართვა და თვითმმართველობა საბანკო სფეროში ისეთი პროცესებია, რომლებიც მჭიდრო და განუყოფელ კავშირში იმყოფება ერთმანეთთან, გადადის ერთმანეთში და ერთმანეთისგან არის წარმოებული. ეს თანამედროვე საბანკო მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა, რომელიც პრაქტიკულად ყველა ქვეყანას ახასიათებს.

მთლიანად საბანკო თვითმმართველობა და ცალკე აღებული კომერციული ბანკის დონეზე განსორციელებული თვითმმართველობა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მოქმედებათა გარკვეული დერეფნის ფარგლებში იმ მმართველურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესად, რომლის პარამეტრების განმსაზღვრელი ფაქტორები არ ექვემდებარება თვით ბანკებს (მცირე გამონაკლისის გარდა). ასეთი ფაქტორები უამრავია, მაგრამ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი: ეროვნული ეკონომიკის ობიექტური მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები; სახელმწიფოს ეკონომიკური, საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა (რომელიც ფაქტურად ტარდება და არა — გამოცხადებული); ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხი; ქვეყნის ფულადი მეურნეობის ობიექტური დონე და მისი განვითარების პერსპექტივები, ეროვნული ფულის ერთეულის სიმყარე; სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ხარისხი, მისი გამოყენების პრაქტიკა; საზოგადოებაში, ეკონომიკასა და საბანკო სფეროში მართლწესრიგის დონე; საბანკო მონოპოლიზაციის დონე; მართვის მრავალრიცხოვანი სახელმწიფო ორგანოების კანონქვემდებარე აქტების ხარისხი; ცენტრალური ბანკის საკანონმდებლო აქტებისა და კომერციულ ბანკებთან მისი დამოკიდებულების ხარისხი.

ყველა ეს ჩამოთვლილი ფაქტორი მუდმივად იცვლის თავის ინტენსიობას, მიმართულებას და ნიშნებსაც კი, თანაც ეს ი"შვიათად ხდება შეთანხმებულად. განსხვავებული მიმართულების მქონე მთელი ამ ცვლილებების შედეგად, რომლებიც აღინიშნავს მათი სამოქმედო ველის გაფართოებასა ან შევიწროებას, თვითმმართველობის პირობების გაუმჯობესებას ან გაუარესებას, „თამაშის წესების" მეტ-ნაკლებად სერიოზულ განახლებას და ა.შ., განუწყვეტლივ იცვლება მოქმედებათა იმ დერეფნის პარამეტრებიც, რომლის ფარგლებშიც ბანკმა უნდა გაიკვლიოს თავისი მოქმედების გეზი.

თვითმმართველობის შესაძლებლობები სხვადასხვაა საბანკო სისტემის სხვადასხვა დონეზე (ისევე როგორც ამ დონეებზე გადასაწყვეტი ამოცანებია განსხვავებული). ისინი შეიძლება განსხვავებული იყოს სისტემის ერთ „სართულზეც" კი. მაგალითად, ცენტრალურმა ბანკმა შეიძლება მოქმედების განსაკუთრებული პარამეტრები დაუდგინოს ყველა ბანკს ან მხოლოდ ზოგიერთ მათგანს; ცალკე აღებული კომერციული ბანკის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ — თავისი ორგანიზაციის კონკრეტულ ქვედანაყოფს.

17.1.3. საბანკო საქმიანობის მართვის ხარისხი. ამოსავალი დებულებები

საბანკო საქმიანობის მართვის ხარისხის ან დონის საკითხი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ბოლო დროს დაისვა პირველად და ივი დამოუკიდებელ პრაქტიკულ და მეცნიერულ ინტერესს იწვევს. ამავე დროს, მასზე გაცემული პასუხი საშუალებას გვაძლევს, კონკრეტულად ვაჩვენოთ ჩვენი საბანკო სფეროს მართვისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

როგორც ცნობილია, **ხარისხი არის საგნის ისეთი განსაზღვრულობა, რომლის ძალითაც მხოლოდ ის საგანია მოცული, რომლითაც განსხვავდება სხვა საგნებისგან.** საგნის ხარისხი არ დაიყვანება მის ცალკეულ თვისებებზე და უკავშირდება საგანს, როგორც მთელს, მოიცავს მას მთლიანად და მისგან განუყოფლად. სოციალურ-ეკონომიკურ კოორდინატებში ხარისხის ცნებას იყენებენ როგორც შრომის, საწარმოო საქმიანობის, პროდუქციის მახასიათებელს. აქ ხარისხი:

- ასახავს პროდუქციის (მომსახურების, საქმიანობის) დანიშნულებას;
- საქმიანობის ხარისხი განსაზღვრავს პროდუქციის (მომსახურების) ხარისხს;
- პროდუქციის ხარისხი და საქმიანობის ხარისხი გამოიხატება იმ მაჩვენებელთა სისტემით, რომლებიც მის ცალკეულ მხარეებს ახასიათებს;

● არის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის მიზანი, რაც განაპირობებს ხარისხის მართვის მექანიზმების ფორმირების მოთხოვნილებას.

აქედან გამომდინარე, მართვის ხარისხი უნდა გვესმოდეს, როგორც იმ არსებითი თვისებების ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებს მართვის უნარს, დააკმაყოფილოს სამართავი ობიექტის მოთხოვნილებები, ჩვენს შემთხვევაში — ბანკის საქმიანობის პროცესში გაჩენილი მოთხოვნილებები. ამგვარად, საბანკო მართვას მის ნებისმიერ ასპექტში ყველაზე ზოგადად შეგვიძლია წავუყენოთ შემდეგი ხარისხობრივი მოთხოვნა: იგი იმ მიზნებისა და ამოცანების ადექვატური უნდა იყოს, რომლებიც მართვის ობიექტის მოთხოვნილებებს უპასუხებს და მართვის ორგანოების წინაშე დგას. ეს იმას ნიშნავს, რომ საბანკო სისტემის (ბანკების ჯგუფის, ცალკეული ბანკის) მიზნები და ამოცანები მკაფიოდ უნდა იყოს შეცნობილი, იდენტიფიცირებული, რაოდენობრივად და ხარისხობრივად განსაზღვრული და დოკუმენტების სახით დაფიქსირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეტად გაძნელდება მსჯელობა არა მარტო მართვის ხარისხზე. არამედ საერთოდ მის არსებობაზეც. ბანკის მართვის ხარისხი შეგვიძლია დავაკონკრეტოთ იმ მახასიათებლების ერთიობლიობის აღწერით, რომლებიც სამართავი ობიექტის მიხნობრივ, ფუნქციურ, მოტივაციურ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ, სოციალურ, ტექნოლოგიურ და სამოხელეებრივ თვისებებს ასახავს, იმის გარკვევით, თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნულ მახასიათებლებს მართვის პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტები.

მმართველური საქმიანობის პროცესში პირველ ნიშან-თვისებად გვეველინება შესაბამისი შრომის ხარისხი. შრომის ხარისხი, თავის მხრივ, კლინდება მისი შედეგის — შრომის პროდუქტის (შედეგის) ხარისხში. სწორედ ამ უკანასკნელის ხარისხია მმართველური შრომის ფუნქციონური დანიშნულება.

ბანკებში მმართველური შრომის ხარისხობრივ თავისებურებად გვეველინება:

1) მმართველური შრომის საერთო თავისებურებები: შემოქმედება, როგორც გონებრივი შრომის ფორმა: ინოვაციურობა; მკაცრი დროითი შეზღუდვები; კოლექტიური ხასიათი (პარტნიორობა, კორპორატიულობა); რისკიანობა.

2) საბანკო სფეროში მმართველური შრომის სპეციფიკური თავისებურებები: კვალიფიკაციისადმი დიდი მოთხოვნები შრომითი საქმიანობის მიმართულებათა აბსოლუტურ უმრავლესობაზე; სამეწარმეო ხასიათი; შრომის უპირატესად ინდივიდუალური ხასიათი; განსაკუთრებული მოთხოვნილებები მუშაკთა შრომის სარესურსო (უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო) უზრუნველყოფის მიმართ (სრული და სარწმუნო ინფორმაცია); ბანკის ხელმძღვანელთა და მუშაკთა მთელი რიგი კატეგორიების შრომაში სტრესულობის გამოკვეთილი ელემენტი.

ამგვარად, მმართველური შრომის ხარისხობრივი მახასიათებლები მრავალწახნაგოვანია. მათ შორისაა ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული და სხვა. მათი შეფასება მოითხოვს ხარისხობრივი მახასიათებლების მნიშვნელობათა სავალდებულო შედარებას რეალური საბანკო საქმიანობის მოთხოვნებთან.

შრომის ხარისხის დასახელებულ მახასიათებლებს უნდა დაეუმატოთ საინფორმაციო რესურსებისა და მართვის ტექნიკური საშუალებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, მუშაკებსა და კოლექტივებს შორის ურთიერთობების, შრომის პირობებისა და მოტივაციების ხარისხობრივი მახასიათებლები და სხვა.

შრომის უშუალო პროდუქტად მართვაში გვეველინება ზემოქმედება, რომელიც რეალიზებულ გადაწყვეტილებად განიხილება. მმართველური შრომის ხარისხი გამოიხატება ამ გადაწყვეტილების ხარისხით, საბანკო საქმიანობის ამა თუ იმ მოთხოვნილებასთან მისი ადექვატურობით. მმართველურ გადაწყვეტილებად უნდა გვესმოდეს გარკვეული სახით დაფიქსირებული გეგმა, იმ საჭირო ან შესაძლო მოქმედებათა ვარიანტი ან ხერხი, რომლებიც დასახული მიზნების მიღწევისკენაა მიმართული და ერთმნიშვნელოვანი ფორმითაა დაყვანილი შემსრულებლებამდე. ამის შესაბამის-

ად, მმართველური გადაწყვეტილების მიღებას განვმარტავთ, როგორც პრობლემის გამოვლენის, მისი გადაჭრის ხერხებისა და მოქმედებათა იმ გარკვეული პროგრამის შედგენის პროცესს, რომელიც წერილობითი ან ზეპირი ფორმითაა დაფიქსირებული და აქვს სავალდებულო ძალა.

მმართველურ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობას განსაზღვრავს ის, რომ მათმა რეალიზაციამ იმაზე მეტი სახსრები უნდა მოუტანოს ორგანიზაციას, ვიდრე გადაწყვეტილებათა გამოტანასა და პრაქტიკაში მათ განხორციელებაზე იქნა დახარჯული.

მმართველურ გადაწყვეტილებათა ხარისხზე მოქმედი ფაქტორების მთელი ერთობლიობა ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტორები და გადაწყვეტილების რეალიზაციის ფაქტორები.

მართვის ხარისხი, როგორც ზემოქმედების შედეგი, ელინდება მის გამააქტიურებელ, მაორგანიზებელ, წარმმართველ და მამოტივირებელ ძალაში და განისაზღვრება ზემოქმედების ხერხებისა და მეთოდების სწორად შერჩევით, მათი რეალიზაციის სწორი პროცედურით. მართვის ხარისხზე მსჯელობა მხოლოდ მისი რეალიზაციის შემდეგ შეიძლება. მანამდე შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ ზემოქმედების პრინციპებისა და მეთოდების დაცვაზე და სავარაუდო ხარისხზე. ზემოქმედების ხარისხი აისახება მის შესრულებადობაში, დროულობაში, პრობლემის გადაჭრის გზებისა და ხერხების შერჩევის სისწორეში.

მმართველური გადაწყვეტილების, როგორც პროცესის შეფასებაში იყენებენ ისეთ ხარისხობრივ მახასიათებლებს, როგორიცაა ოპტიმალურობა, ეკონომიურობა, ოპერატიულობა, ეფექტიანობა, რისკიანობის დონე, სოციალური მნიშვნელობა, სამართლებრიეი დაცულობა. გადაწყვეტილების, როგორც შედეგის, შეფასებაში განსაზღვრავენ ეფექტს. რომელსაც მართვის ხარისხის შედეგობრივ მახასიათებლად განიხილავენ.

მართვის ხარისხი საბოლოოდ შემდეგ მახასიათებლებში ელინდება:

- სოციალურ-ეკონომიკური: რენტაბელობა, ეკონომიკაში ინტეგრირება, კლიენტურასთან ურთიერთობების ხასიათი;
- ორგანიზაციული: საიმედოობა, ორგანიზებულობა, შემგუებლობა და სხვა;
- ტექნოლოგიური: ფორმალიზაციის დონე (როგორც „ბსელში" მართვის ანტითეზა), კადრების პროფესიონალიზმი, ინოვაციურობა, ავტომატიზაციის დონე;
- სოციალური და ფსიქოლოგიური: კორპორატიულობა, კულტურის დონე, სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ხელმძღვანელობის სტილი, ხელმძღვანელთა ქცევის ეთიკურობა.

ცენტრალური ბანკის მიერ საბანკო საქმიანობის მართვის ხარისხი. ორ გლობალურ ნაწილად საბანკო საქმიანობის მართვის დაყოფიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მართვის ხარისხის განხილვა კონკრეტულად, შესაბამისი დონეების მიხედვით – ცენტრალური ბანკის დონეზე და ცალკე აღებული კომერციული ბანკის დონეზე. ზოგადი, წინასწარი შენიშვნის სახით აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ბანკის მართვის ხარისხის (დონის) შეფასებებში სუბიექტური წარმოდგენები ბატონობს. ეს ის პოტენციური, ყველაზე დიდი საშიშროებაა ამ საკითხში, რომლის დაძლევა აუცილებელიცაა და შესაძლებელიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცენტრალური ბანკის მხრიდან საბანკო საქმიანობის მართვა ოთხ ასპექტს მოიცავს. ამასთან, თავდაპირველად აუცილებლად უნდა გამოვყოთ შემდეგი პრინციპული მოქმედები:

1) დიდი მნიშვნელობა აქვს საბანკო მართვის პრობლემატიკის გაფართოებას მასში ცენტრალური ბანკის სათანადო სამუშაოს ჩართვით (ბანკების მართვაზე საუბრისას აქამდე რატომღაც იგულისხმებოდა, როგორც წესი, კომერციული ბანკების მიერ თავიანთი თავის მართვა);

2) უნდა გამოვიდნენ იქიდან, რომ საბანკო საქმიანობის მართვის ხარისხის კრიტერიუმები განსხვავებული ექნებათ ცენტრალურ ბანკსა და კომერციულ ბანკებს;

3) შეგვიძლია ვამტკიცოთ: ცენტრალური ბანკის მხრიდან კარგი მართვა წარმოადგენს კომერ-

ციული ბანკების მიერ თავიანთი საქმიანობის კარგად მართვის აუცილებელ, მაგრამ არა საკმარის პირობას. სამაგიეროდ, პირველის ცუდი ხარისხი მეორესაც არაეფექტიანს ხდის.

ამგვარად, ცენტრალური ბანკის მიერ განხორციელებული მართვის პირველი ასპექტია საკუთარი საქმიანობის მართვა. იმასთან დაკავშირებული ცალკეული დებულებები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს მართვა, საბანკო კანონმდებლობასა და თვით ცენტრალური ბანკის ნორმატივებშია მოცემული.

მეორე ასპექტი უკავშირდება მთელი ქვეყნის საბანკო სისტემის განვითარების მართვას ცენტრალური ბანკის მიერ. ამ დროს ეფექტიანი მართვის ორგანიზების უმთავრესი მომენტია აღსაწყისი სისტემის პროგრესული და ჯანსაღი განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმების განსაზღვრა. ასეთად შეგვიძლია განვიხილოთ სპეციალისტების მიერ შემოთავაზებული **საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პრინციპები: მმართველობა, ეველუციურობა, ადექვატურობა, ფუნქციონური სისრულე, თვითგანვითარება, კარგაბსნილობა, ეფექტიანობა, ადექვატური საშართლებრივი თანხლება.** ამ კრიტერიალური პრინციპების მოსაცემებისა და პრაქტიკის შედარებით შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, თუ რამდენად ხარისხიანად ახრულებს ცენტრალური ბანკი ეროვნული საბანკო სისტემის განვითარების მართვას.

მესამე ასპექტი — ყველა საკრედიტო ორგანიზაციის მიმდინარე ფუნქციონირებისა და განვითარების მართვა — ცენტრალური ბანკის მიერ მიღებულ მრავალრიცხოვან ნორმატიულ აქტებში ისახამს სორცს. ამ აქტების ხარისხი იგივეა, რაც მათი მეშვეობით განხორციელებული მართვის ხარისხი.

ცენტრალური ბანკის მხრიდან საბანკო საქმიანობის მართვის მეოთხე ასპექტი რეალიზდება მის იმ მოქმედებებში, რომლებიც კონკრეტული საკრედიტო ორგანიზაციების გარე მართვას, გაჯანსაღებას, რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას უკავშირდება.

საბანკო მენეჯმენტი შეიძლება განისაზღვროს როგორც საკრედიტო რესურსების მოძრაობის უწყვეტობისა და თანადროულობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი საორგანიზაციო სტრუქტურების მიერ მიღებული მმართველობით ღონისძიებათა სისტემა, რომელთა მიზანს წარმოადგენს როგორც მიკრო, ასევე მაკროეკონომიკური პრიორიტეტების მიღწევა. მიკროეკონომიკურ პრიორიტეტებს შეიძლება მიეკუთვნოს: საბანკო დაწესებულების სიმყარე, ბანკისა და მისი კლიენტების რესურსების დაცულობა და შემოსავლიანობა. მაკროეკონომიკური პრიორიტეტები ძეს ეროვნული ფულადი ერთეულის სტაბილიზაციის ეკონომიკაში მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების მაქსიმალური აქტივიზაციის სფეროში.

სარისხიან, ეფექტურ და ადექვატურ საბანკო მენეჯმენტს ძალუძს არა მხოლოდ წინ აღუდგეს ნეგატიური მაკრო და მიკროეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებას, არა მხოლოდ გაანეიტრალოს ის, არამედ ხშირად გამოიყენოს ისინი თავისი მიზნებისათვის. ამიტომაც ბანკის მიერ ამგვარი მენეჯმენტის განხორციელება წარმოადგენს მისი სიმყარისა და ეფექტური მუშაობის ძირითად პირობას და გარანტიას. ამასთან დაკავშირებით ისმება საკითხი მენეჯმენტის შეფასების, ანუ მაჩვენებელთა შესაბამისი სისტემის არსებობის შესახებ. მაგრამ თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ თავად მენეჯმენტი, როგორც საბანკო საქმიანობის შეფასების მდგენელი მიმართულება, ასახულია მთელ რიგ რეიტინგულ სისტემაში, კერძოდ, აშშ-ის მიერ ბანკების მდგომარეობის შესაფასებლად გამოყენებულ რეიტინგულ სისტემაში „CAMEL“.

მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც ფასდება საბანკო მენეჯმენტი, იყოფა კატეგორიებად:

- რაოდენობრივი და ხარისხობრივი (მ.შ.სოციალური);
- ობიექტური და სუბიექტური;
- ფორმალური და არაფორმალური.

საბანკო მენეჯმენტის რაოდენობრივი მაჩვენებლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ

ბანკის სიდიდის, მის მიერ გატარებული პოლიტიკის (უპირატესობების) და სპეციალიზაციის შეფასებისას. მათ მიეკუთვნება:

- ბანკის კაპიტალის ოდენობა;
- დამფუძნებელთა რაოდენობა;
- აქტიური და პასიური ოპერაციების მოცულობები;
- კლიენტთა რაოდენობა;
- ეკონომიკის სფეროებისა და მუშაობის დარგების რაოდენობა;
- მუშაობის გეოგრაფია;
- ფილიალთა ქსელის განშტოებანი;
- საკორესპონდენტო ურთიერთობანი;
- საბანკო პროდუქტების რაოდენობა პორთფელში და ა.შ.

საბანკო მენეჯმენტის ხარისხობრივი მაჩვენებლები შეიძლება დაიყოს შემდეგ დამახასიათებელ ჯგუფებად.

1. მდგომარეობისა და მუშაობის მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც აფასებენ ბანკის მენეჯმენტს საკრედიტო მეწარმეობის პროფესიული მოთხოვნების პოზიციიდან:

- კაპიტალის საკმარისობა, აქტივების ხარისხი, შემოსავლიანობა, ლიკვიდუნარიანობა (უსაფრთხოებისა და სიმყარის ფარგლებში);
- ოპერაციების განსორციელების, დოკუმენტების დამუშავების სისწრაფე;
- მოცემული საბანკო პროდუქტის კომპლექტურობა;
- შეთავაზებული საბანკო პროდუქტის სახეების, მახასიათებლების, მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისად კლიენტთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარისხი;
- გაწეული რისკების ადეკვატურობა და მათი მართებადობის ხარისხი და ა.შ.

2. მენეჯმენტის მაჩვენებლები (პერსონალი), რომელთა მეშვეობით ფასდება საბაზრო ეკონომიკის მიერ ნებისმიერი სამეწარმეო სტრუქტურისათვის ნაკარნახევი ნორმატიული მოთხოვნებისადმი პერსონალის შესაბამისობა:

- ადმინისტრაციის შემადგენლობა და კომპეტენტურობა (კვალიფიკაცია იერარქიაში ადგილის შესაბამისად, საბანკო სისტემის შესაბამის თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება, ურთიერთცვლადობა, კადრების რეზერვის არსებობა, სწავლების ადეკვატურობა, იერარქიაში ზევიდან ქვევით ზედამხედველობის არსებობა და ხარისხი და ა.შ.);
- საბანკო საქმიანობაზე მარეგულირებელ ნორმათა შესრულება და კანონების, ინსტრუქციებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების დაცვა (საბანკო იერარქიის სხვადასხვა დონეებზე დადგენილი ნორმების, შეზღუდვების და რეკომენდაციების დაცვა, წარსულში კანონმდებლობის დარღვევებისა და ფინანსური დანაშაულის არარსებობა, ინფორმაციის გამჭვირვალობა და ა.შ.);
- ადმინისტრაციისა და პერსონალის უნარი – განჭვრიტოს ბაზრის კონიუნქტურის შესაძლო ცვლილებები, მათზე დროული რეაგირება და სწორი საპასუხო ზომების მიღება (ადეკვატური რეაქცია მაკრო და მიკროდონეების დაცემის, ინფლაციის, დეპრესიების ბანკის ოპერატიული საქმიანობის ზემოქმედებაზე. მოსალოდნელ ცვლილებათა უპირატესობების გამოყენების უნარი. წარსული მარცხის აღიარების, მათი გამოსწორებისა და საკუთარი პოლიტიკის კორექტირების უნარი და ა.შ.).

3. სოციალური მაჩვენებლები, რომელთა გამოყენება დაკავშირებულია საკრედიტო მეწარმეობის განსაკუთრებულ სოციალურ, საზოგადოებრივ სტატუსთან:

პერსონალის დამოკიდებულება შრომისადმი;

კვალიფიკაციის, პასუხისმგებლობისა და ანაზღაურების თანაფარდობა;

- დირექტორატის სოციალური ადეკვატურობა (პროფესიული მომზადება, კეთილსინდისიერება, ვალდებულებებისადმი ერთგულება, კონტრაქტებისათვის მზადყოფნა);

სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ხარისხი და ადექვატურობა.

როცა ბანკების მენეჯმენტი უხარისხოდ ხორციელდება, ის ხშირად ხდება საბანკო კრიზისის მთავარი მიზეზი, მისგან გამომდინარეობს ბანკებისა და მისი კლიენტების ზარალი და ბოლოს, ეკონომიკური დისპროპორციები. ასეთი „ცუდი" მენეჯმენტის აღსანიშნავად არსებობს ტერმინი „მისმენეჯმენტი" – მენეჯმენტის სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც უნებლიე შეცდომები, ასევე ბანკის პერსონალის წინასწარგანზრახული კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები, საჭირო კონტროლის არარსებობა, ზედამხედველობის არაადექვატური უფლებამოსილებანი და ა.შ. მისმენეჯმენტი არის საბანკო მენეჯმენტის რიგი სკოლების წარმომადგენელთა დაყინებული ყურადღების ობიექტი. მაკროდონეზე ძალიან ეკონომიკური სისტემის გამანადგურებელი საერთო ფინანსური კრიზისის პირობებში მისმენეჯმენტს მიეყვანართ სარალის გაღიდების, რესურსების არასწორად განლაგების. ოპერაციების გაუმართლებელი რისკის და საპროცენტო განაკვეთის გადიდების ხარჯზე ინფლაციის გაძლიერების გამო ბანკების კრიზისის გაღრმავებამდე.

მისმენეჯმენტს ყოფენ ბანკის კრიზისის ეტაპობრივი გაღრმავების მახასიათებელ ოთხ ჯგუფად (კატეგორიად):

- ტექნიკური მისმენეჯმენტი;
- კოსმეტიკური მისმენეჯმენტი;
- ავანტიურული მისმენეჯმენტი;
- თაღლითობა.

ტექნიკურ მენეჯმენტს ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როცა:

- ბანკი „ახალგაზრდაა", ანუ ახლადორგანიზებულია და აწარმოებს აგრესიულ პოლიტიკას, ამასთან შედარებით გამოუცდელი სელმძღვანელების მეშვეობით;
- ბანკი იცვლის მფლობელებს და ხელმძღვანელობას, რაც იწვევს მისი პოლიტიკის შეცვლასაც;
- ადრე წარმატებით მარჟიული ბანკი რიგი მიზეზების გამო ვეღარ ახერხებს ბაზრის კონიუნქტურული ცვლილებების განჭვრეტას ან სიტუაციის გაუარესებაში გარკვევას და გამოვანსაღებელი ღონისძიებების მიღებას.

ტექნიკური მენეჯმენტისათვის დამახასიათებელია ბუნდოვანი მიზანდასახულობანი, მისთვის დამახასიათებელია რეალური სიტუაციისათვის არაადექვატური ზომების მიღება, მაგრამ ტექნიკური მენეჯმენტის ყველაზე ნათელი გამოვლინებაა – არაადექვატური პოლიტიკა, შიდა კონტროლის ნაკლებობა და სუსტი დაგეგმარება, პერსონალის გაუმართლებელი ზრდა და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურ მენეჯმენტს გააჩნია ნეგატიური შედეგები, ის მაინც ხორციელდება კანონების, იურიდიული მოთხოვნების, ზედამხედველობის ნორმების შესაბამისად, ანუ. მიუხედავად აგრესიულობისა და რისკიანობისა, ამგვარი მენეჯმენტის მიზანი და პოლიტიკა არაკრიმინალურია. თუმცა რეალური მოგების შემცირება, ზარალის დაფარვა, რომელსაც ბოლოსდაბოლოს მივყავართ კაპიტალის შემცირებამდე, ასევე ბანკის აქციონერთა დივიდენდების დაცემამდე, – ძნიშნელოვანი სიგნალია ბანკის მდგომარეობის გაუარესებისა. ამგვარ სიტუაციაში ბანკის ხელმძღვანელობასა და პერსონალს შეუძლია და ვალდებულია განაცხადოს საქმის რეალური მდგომარეობის შესახებ, შეცვალოს მენეჯმენტის სტილი, გამოასწოროს საკრედიტო და დეპოზიტური პორთფელის სტრუქტურები, რეალიზება გაუკეთოს აქტივების ნაწილს. მიზიდოს ახალი კაპიტალი, ანუ შეეცადოს გააკეთოს ყველაფერი, რათა თავიდან აიცილოს ბანკისადმი უნდობლობა და შეინარჩუნოს სიტუაციაზე კონტროლი. ეს მომენტი საკვანძო მომენტია ბანკის საქმიანობაში. ბანკი, რომლის პერსონალი მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას, პირველ რიგში, შეამცირებს თავისი საქმიანობის რიშიდა კონტროლის სამსახურის და გამოვა პოტენციური კრიზისიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ის განწირულია კოსმეტიკური ან ავანტიურული

(კრიზისული) მისმენეჯმენტისათვის, ეს კი პირველი ნაბიჯია თაღლითობისაკენ.

კოსმეტიკური მისმენეჯმენტისას ბანკი ფარავს წინა და ამჟამინდელ დანაკარგებს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მისდამი ნდობა, მოიგოს დრო და იპოვოს გამოსავალი არაკეთილსაიმედო სიტუაციიდან. კოსმეტიკური მისმენეჯმენტის მიზანია, შექმნას ბანკში ნორმალური ვითარების არსებობის შთაბეჭდილება საანგარიშგებო დოკუმენტაციაში მთელი რიგი საკვანძო მაჩვენებლების, მაგალითად, ბანკის აქციონერებისათვის დივიდენდების გაცემის, უცვლელად დატოვების, ანგარიშის სხვა მაჩვენებლებთან მანიპულაციის ხარჯზე, რასაც არაფერი აქვს საერთო რეალურ მონაცემებთან. არსებითად ეს არის ბანკის რეალური მდგომარეობის დაფარვა, რაც ხორციელდება ისეთი ხერხებით, როგორიცაა „შემოსავლებზე უკუღმაგარიში", სესხების არაზუსტი კლასიფიკაცია არაადექვატური„ დაქვითებული რეზერვების, აქტივების გადაჭარბებული შეფასების მიზნით და ა.შ. კოსმეტიკური მისმენეჯმენტი თავისთავად არ აძლიერებს რიშიდა კონტროლის სამსახურის, მაგრამ მკვეთრად აქვეითებს მათგან დაცვის უნარს. ის საშიშროებას წარმოადგენს ბანკის კლიენტებისა და პარტნიორებისათვის, ქმნის პრობლემებს მათზე ზედამხედველობის მხრივ, რადგან ძნელი ხდება შექმნილ სიტუაციაზე რეაგირება.

კრიზისული მმართველობა („ავანტიურული" მისმენეჯმენტი) წარმოადგენს ოპერაციათა კომპლექსს, რომელსაც ბანკის მენეჯმენტი მიმართავს მაშინ, როცა კოსმეტიკურ მისმენეჯმენტს უკვე აღარ ძალუძს კაპიტალის დაკარგვისა და დივიდენდების შემცირების დამალვა. ამ ოპერაციების მიზანია – შესაძლებლობა მისცეს ბანკს, თუნდაც მოკლე დროით კონცენტრაცია გაუკეთოს რესურსებს, მოიგოს დრო და ხელსაყრელ გარემოებათა წყალობით გამოასწოროს მდგომარეობა. კრიზისული მმართველობა მოიცავს, კლიენტებთან შეთანხმებით, დეპოზიტების შესყიდვას ბაზართან შედარებით მაღალი განაკვეთებით, მსესხებლებისაგან სესხებზე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მაღალი პროცენტების მიღებას, მეანაბრეთათვის თანხების დაბრუნების გადავადებას, სპეციალაციური ოპერაციების მკვეთრ გაფართოებას, ამასთან, არა მხოლოდ ვალუტასთან და ფასიან ქაღალდებთან, არამედ მიწასთან, უძრავ ქონებასთან მიმართებაში.

თუმცა როგორც ტექნიკური, ისე კოსმეტიკური და განსაკუთრებით კრიზისული (ავანტიურული) მისმენეჯმენტი პოტენციურად, ხშირად კი რეალურადაც საშიშია საზოგადოებისათვის, რადგან შეუძლია საგრძნობი ზიანი მოუტანოს პარტნიორებს, კლიენტებს, ბანკის შეანაბრეებს, მათი მიზანდასახულობანი მაინც პოზიტიურია, თუმცა საკმაოდ ეგოისტური. მოტივაცია ხშირად იცვლება მისმენეჯმენტის ბოლო სტადიაზე, როცა უკვე არა ავანტიურული, არამედ აშკარად კრიმინალური მიზნები ხდება პრიორიტეტული ბანკებისათვის.

თაღლითობა წარმოადგენს საზოგადოებისათვის ყველაზე საშიშ მისმენეჯმენტის სახეს. თაღლითობას ეხებებით საბანკო კრიზისის სხვადასხვა სტადიებზე, მაგრამ მეტწილად არა უკანასკნელ სტადიაზე. მთელი რიგი ხერხების მეშვეობით (ფიქტიური ფირმებისა და ყალბი პირების დაკრედიტებით, კორპორაციის შიგნით „ჭონათესავე" ფირმებში სახსრების „გადაქაჩვით" და ა.შ.), ხდება ბანკებიდან თანხების ამოღება და კლიენტთა და მეანაბრეთა პრეტენზიების დაკმაყოფილების ნაცვლად მიდიან თაღლითური გამდიდრების გზით.

17.2. გარემოს ცნება საბანკო მენეჯმენტის სისტემაში

მრავალფეროვან ფაქტორთა ერთობლიობა (მოვლენები, პროცესები, საორგანიზაციო სტრუქტურები, პარტიები, საზოგადოებები, პრიორიტეტები და ა.შ.), რომელზედაც დამოკიდებულია ბანკის მენეჯმენტის მდგომარეობა და მიზანდასახულობათა რეალიზაცია, შეიძლება განსილულ იქნეს როგორც საბანკო მენეჯმენტის „გარემო".

როგორც ზოგად კატეგორიას, ცნებას „გარემო" გააჩნია რიგი მახასიათებლებისა, ამასთან,

მათი მნიშვნელობა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს მენეჯმენტისათვის სხვადასხვაა. გარემოს ძირითად მახასიათებლებს მიეკუთვნება:

- სირთულე, ანუ მენეჯმენტის ობიექტზე მორეაგირე მრავალრიცხოვან ფაქტორთა არსებობა, ამასთან წინასწარ უცნობია მათგან რომელი ფაქტორია პოტენციური და რომელი გამოვლინდება რეალობაში.
- ურთიერთდაკავშირებულობა – კავშირურთიერთობათა ხასიათი, მათი ძალა და სისწრაფე, რომელთაც გარემოს ერთი ფაქტორის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა ფაქტორების გამოვლინებაზე, როგორც მათი მოქმედების გაძლიერებით, ასევე ნეიტრალიზებით.
- მოძრაობისუნარიანობა – სიჩქარე, რითაც გარემოში ცვლილებები ხდება (რაც უფრო ინტენსიურია ისინი, მით უფრო მეტი ოცულობის ინფორმაცია უნდა გააჩნდეს მენეჯმენტს და ახდენდეს მათ ოპერირებას). გარემოში მოძრაობისუნარიანობას გააჩნია მკაცრი დარგობრივი ორიენტაცია. ძალიან მოძრაობისუნარიანობით ხასიათდება კომპიუტერულ ტექნოლოგიათა, ბიოინჟინერიის, ელექტრონიკის, მსუბუქი მრეწველობის გარემოებები; ნაკლებად მოძრაობისუნარიანობა უფრო კონსერვატიულია კვების მრეწველობის, პოლიგრაფიის, აგეჯის წარმოების და ა.შ. გარემოებით. გარდა ამისა, გარემოთა მოძრაობისუნარიანობა გავლენას ახდენს მის ფაქტორთა ურთიერთდაკავშირებულობაზე;
- განუსაზღვრელობა – გარემოში ინფორმაციის ადექვატურობის, საკმარისობის მიღწევის აღბათობა. თუ წარმოიშვება უფრო ფართო და მრავალფეროვანი საინფორმაციო ნაკრების შექმნის აუცილებლობა, ეს დამახასიათებელია გარემოს ძალიან განუსაზღვრელობისათვის და მიუთითებს ინფორმაციის დაბალ საიმედოობაზე;
- მმართველობა – სამართავ ობიექტზე გარემოს მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორების ზემოქმედების შეზღუდვის, ნეიტრალიზაციის ან შეცვლის შესაძლებლობა;

იმის შესაბამისად, თუ როგორი ზემოქმედების ძალით ყალიბდება გარემოს ხასიათი, მას შეიძლება გააჩნდეს სხვადასხვაგვარი იერარქიული სტრუქტურა. ასე მაგალითად, საბანკო მენეჯმენტში შეიძლება გამოიყოს გარემოს შემდეგი იერარქიული დონეები:

- ზედა, ანუ მმართველი, რომელზედაც ხორციელდება ნორმატიული და სამართლებრივი რეგულირება. ზედა დონე წარმოდგენილია „სისტემაში" ცენტრალური ბანკით, და ფინანსთა სამინისტროს ცალკეული მიმართულებების მიხედვით, საგადასახადო ინსპექციითა და პოლიციით. ხოლო „სისტემის გარეთ" – პარლამენტის კომიტეტებით, პრეზიდენტის აპარატით, უშიშროების სამსახურით, სასამართლოებით, ინსპექციებით და ა.შ.
- პარალელური, ამ დონეზე ყალიბდება რეკომენდაციები და შეზღუდვები საბანკო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით, მუშავდება და ქვეყნდება ბანკის რეიტინგები. ხდება საინფორმაციო ნაკადის ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ეს დონე წარმომადგენლობითია „სისტემაში" ბანკთაშორისი გაერთიანებებითა და კავშირებით, ბანკ-კონკურენტებით, სპეციალური საინფორმაციო-ანალიტიკური კომპანიებით, სააგენტოებითა და ბიუროებით, საბანკო აუდიტის ფირმებით, „სისტემის გარეთ" – საზოგადოებრივი ორგანიზაციებით (მაგალითად, მომხმარებლების). პარტიებით, მასობრივი ინფორმაციის სამსახურებით, სარეკლამო სააგენტოებით;
- შიდა დონე განსაზღვრავს საბანკო პროდუქტების ხარისხობრივ მახასიათებლებს მათი სასიცოცხლო ციკლის პროცესში. აღნიშნული დონე წარმოდგენილია ბანკის კლიენტებით – პასიური და აქტიური საბანკო პროდუქტების მომხმარებლებით, რომლებიც, ამასთანავე, შეიმუშავებენ და ახდენენ თავიანთი მიზნების, ამოცანებისა და პრიორიტეტების რეალიზაციას;
- ქვედა – გავლენას ახდენს ბანკების საქმიანობაზე, მაგრამ ირიბად – ნაკლებად. ის იმყოფება „სისტემის გარეთ" და წარმოდგენილია ბანკის შესაძლო კლიენტებით. იურიდიული და ფიზიკური პირებით, რომლებიც საჭიროებენ ბანკების მომსახურებას და, ჩვეულებრისამებრ, ძალიან ორიენტირებული არიან მათ პირობებზე.

ამასთან, ზემოთ აღნიშნული იერარქიული პრინციპის შესაბამისად, საბანკო მენეჯმენტის გარემოში შეიძლება გამოყოთ ორი სფერო:

- შიდა (ენდოგენური, ,,სისტემაში"), რომელიც მოიცავს საკრედიტო სისტემას დონეთა მიხედვით, მ.შ. საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების ორგანოებს, საბანკო პროდუქტების მომხმარებლებს, ნაწილობრივ, საფონდო ბაზარს;
- გარე (ეგზოგენური, ,,სისტემის" გარეთ), რომელიც მოიცავს სახელმწიფო ორგანოებს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამეწარმეო გარემოს, სოციალურ გარემოს, ნაწილობრივ საფონდო ბაზარს.

თეორიასა და პრაქტიკაში ცნობილია ზემოქმედების ხასიათის მიხედვით საბანკო მენეჯმენტის გარემოს კიდევ ერთი, მართალია, არც ისე მკვეთრად გამოხატული განაყოფი ორ სფეროდ:

- პირდაპირი ზემოქმედების არე, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს ბანკის მენეჯმენტზე (ინფორმაციის, ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურის, სასიცოცხლო ელემენტების მომწოდებლები; შრომითი რესურსები, კაპიტალი და საკრედიტო რესურსები, საბანკო პროდუქტების მომხმარებლები, კონკურენტები, ზედამხედველობა და რეგულირება);
- ირიბი ზემოქმედების არე, რომელიც არაპირდაპირ, ფარულ გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე, მაგრამ ხანდახან იმდენად ძლიერს, რომ აუცილებელი და მნიშვნელოვანი ხდება მისი გამოვლენა, იდენტიფიკაცია, ანალიზი და აღრიცხვა (ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა – დაკლება, სტაგნაცია, აწევა, ინფლაცია; ტექნოლოგია – საბანკო, მაგრამ ძირითადად ბანკის კლიენტების; პოლიტიკური ფაქტორები – პოლიტიკური სტაბილურობა, საკანონმდებლო ორგანოებზე, ზედამხედველობისა და რეგულირების სტრუქტურებზე პოლიტიკურ განწყობილებათა, პარტიებისა და ბლოკების გავლენა; სოციოკულტურული ფაქტორები – ტრადიციები, სასიცოცხლო ღირებულებები, რელიგიური მოთხოვნები და შეზღუდვები; დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობასთან – ადგილობრივი უპირატესობები, შეზღუდვები და მიზანდასახულობანი როგორც ბიზნესის კონკრეტულ სახეებზე, ასევე ბანკის გაფორმებაზე, მისი მუშაობის წესზე, რეკლამის შინაარსზე და ა.შ.).

17.3. ინფორმაცია საბანკო მენეჯმენტის სისტემაში

ინფორმაციის აუცილებლობა და მისი მიღების პროცესის ორგანიზაცია ვარაუდობს ინფორმაციის წყაროების ან არსების არსებობას, შესწავლასა და აქტივიზაციას. საბანკო მენეჯმენტის სტრუქტურაში მოწოდებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, სისრულის, კომპლექსურობის, მზაობის და ხარისხის მიხედვით ყალიბდება და გამოიყენება შემდეგი არხები:

1. ბანკის კლიენტებისაგან მიღებული ინფორმაცია, რომელთა წარმოდგენა ხდება ბანკის ინიციატივით. ეს გახლავთ სხვადასხვაგვარი დამატებითი მონაცემები განსაკუთრებით რთულ, პრობლემურ სიტუაციებში საბანკო პროდუქტის რეალიზაციის მიმდინარეობის მართვისათვის ადექვატური საინფორმაციო ბაზის უზრუნველმყოფი სხვადასხვა მიმართულების მიხედვით. ინფორმაციის მატარებლებად გამოიყენება პასუხები სპეციალურ მოთხოვნებზე, სატელეფონო საუბრების ოქმები, ბანკის თანამშრომლების მიერ ფირმების, კლიენტების პირადად მონახულების შედეგები და ა.შ. ისევე როგორც პირველ არხზე, ინფორმაციის ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულებაშია ბანკის მენეჯმენტის პერსონალის კვალიფიკაციაზე.

2. შიდასაბანკო ინფორმაცია, როგორც საბანკო პროდუქტის რეალიზაციის მიხედვით კლიენტებთან ურთიერთდამოკიდებულების ისტორია, განსაკუთრებით მონაცემები პრობლემებისა და დაშვებული დარღვევების, მისი მიზეზებისა და გამოვლინების სიხშირის შესახებ. ამ არხის წყაროებია:

- საარქივო-ანალიტიკური საბანკო ინფორმაცია, კლიენტთა დოსიე;

- პროფესიონალური საკონსულტაციო სამსახურების დასკვნები;
- უშიშროების განყოფილებების მონაცემები;
- კლიენტთა მონიტორინგი.

ამ არხში ჩამოყალიბებული ინფორმაციის ხარისხი შესაძლოა იყოს საკმაოდ მაღალი და ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს გადაწყვეტილების (საკრედიტო, საინვესტიციო) მიღების პროცესში. მაგრამ დამოკიდებულია რეტროსპექტივის სიღრმეზე, თანაც ნეგატიური ხასიათის ინფორმაცია კი ასუსტებს ყურადღებას და ადუნებს მენეჯერის სიფხიზლეს, ნეგატიურ გაელენას ასდენს მის ორგანიზებულობასა და დოსიეს საგულდაგულო წარმოებაზე; ამ არხში ინფორმაციის ხარისხი ასევე დამოკიდებულია კონსულტანტების კვალიფიკაციაზე, კომპეტენტურობაზე და უშიშროების სამსახურების ურთიერთკავშირებზე.

3. ბანკის კლიენტთა კონტრაგენტებისაგან მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს ბანკების პოტენციურ და რეალურ კლიენტებს და მათთან საქმიან კონტრაქტებში შესულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტების რიგს. ეს კონტაქტები შესაძლოა იყოს მრავალფეროვანი, შესაბამისად, მონაცემებს მათ შესახებ ბანკისათვის განსხვავებული მნიშვნელობა აქვს:

- მომწოდებლები შეიძლება იყოს კლიენტის საგადახდო დისციპლინის, გადახდების სიხშირის და პერიოდულობის, ასევე მათი დაგვიანების მიზეზების შესახებ ინფორმაციის წყარო;
- მყიდველებს შეუძლიათ საქონლის მიწოდების დისციპლინის, მომსახურების შესრულების, ხელშეკრულებათა, ფასთა და ანგარიშთა დისციპლინის დახასიათება;
- შეცალეები – მონაცემთა პოტენციური წყაროა იმის შესახებ, თუ რა პირობებით ჩამოყალიბდა მისი ვალი კლიენტთან, მან კი როგორ წარმართა საქმიანობა მისი კონტროლისა და დაბრუნებისათვის;
- კრედიტორებს გააჩნიათ მონაცემები დავალიანების წარმოშობის მიზეზებზე, მისი დაფარვისას კლიენტის აკურატულობაზე;
- ბანკები და ფინანსური კომპანიები (ამასთან, აუცილებელია კონკურენტებისაგან და „მოკავშირეებისაგან" მომავალი ინფორმაციისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა) მათ მიერ სააბანკო პროდუქტების მოხმარების მიმდინარეობისას როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მომენტების ამსახველი მონაცემების კონცენტრაციას ახდენენ და ინახავენ თავიანთ მონაცემთა შიდა ბაზაში, კლიენტთა დოსიეში;
- სადაზღვეო კომპანიებს ასევე გააჩნიათ ბანკისათვის საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია კლიენტებში სადაზღვევო რისკების წარმოშობის მიზეზებსა და სიხშირეზე;
- გარანტებს და თავდებებს ძალა შესწევთ მოგვაწოდონ ცნობები ვალდებულებათა შესრულების პროცესში მათი ჩაბმის პირობების შესახებ.

ეს საინფორმაციო არხი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც აუცილებელი ინფორმაციის მიმწოდებელი ბანკის ახალი კლიენტების შესახებ, თუმცა მისი აქტივიზაცია საკმაოდ პრობლემატურია. რადგანაც მოითხოვს ნორმატიულ რეგლამენტაციას და მნიშვნელოვან ორგანიზაციულ ძალისხმევას.

4. მართვის, ზედამხედველობის და რეგულირების ოფიციალური ორგანიზაციები და საქმიანურები შეიცავენ არა მხოლოდ მთელ რიგ ნორმატიულ მითითებებს, მოთხოვნებს, ნორმატივებს და შეზღუდვებს, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ბანკი თავის საქმიანობაში, არამედ მონაცემებს ზედამხედველობის ამა თუ იმ მოთხოვნების დარღვევი, ვალდებულებების არშესრულებელი, მომგებიანი მუშაობის ვერუზრუნველყოფი ბანკების. ან საეჭვო რეპუტაციის ფირმების შესახებ, რომლებთანაც კონტრაქტი ბანკისათვის ზედმეტ რისკთანაა დაკავშირებული. ამგვარი სახის დოკუმენტებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ცენტრალური ბანკის, პარლამენტის კომიტეტებისა და კომისიების, საგადასახადო ორგანოების, სასამართლოებისა და უშიშ-

როების ორგანოების არბიტრაჟის, სტატისტიკის ორგანოების პუბლიკაციები.

5. **სპეციალიზებული საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურები და ბიუროები.** ისინი ახორციელებენ პროფესიულ კომერციულ საქმიანობას ძირითადი სამეწარმეო სტრუქტურების — რეალური და, რაც მთავარია, ბანკების პოტენციური კლიენტების შესახებ მონაცემთა საკმაოდ სრული კომპლექსის შეკრების, მუდმივი მონიტორინგის, დაჯგუფების, ანალიზის, რანჟირების სახით. მათი მუშაობის მიზანია დაინტერესებულ პირთათვის საინფორმაციო პროდუქტების სხვადასხვა სახის მომზადება და რეალიზაცია, ისეთებისა, როგორიცაა:

ბიზნეს-ცნობები;
საკრედიტო-ანალიტიკური ცნობები;
საგადახდო-ანალიტიკური ცნობები;
მარკეტინგული ცნობები;
საქმიანი საცნობარო ლიტერატურა;
პერიოდული ბიულეტენები კომერციულ რისკებსა და გადასახდელებზე;
საინფორმაციო მიმოხილვები და სხვ.

ეს დოკუმენტები, ჩვეულებრივ, შეიცავს როგორც ზოგად მონაცემებს ფირმის შესახებ (მისამართი, მოკლე ისტორია, საქმიანობის სახეები, ინფორმაცია მფლობელთა და ხელმძღვანელთა შესახებ, ფილიალები და შვილობილი ფირმები და ა.შ.), ასევე მონაცემებს, სპეციალიზაციისა და პროდუქტის რეალიზაციის მიმართულების შესახებ. თუმცა სამომხმარებლო საინფორმაციო-ანალიტიკური ფირმები და სააგენტოები უფრო საინტერესოა კლიენტებისათვის, ვიდრე ბანკებისათვის, რადგან აანალიზებს მხოლოდ საკრედიტო სისტემის ელემენტებს.

6. **საქართველოში მასობრივი ინფორმაციისა და რეკლამის თანამედროვე საშუალებები** წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ხელმისაწვდომ, არარეგლამენტირებულ, მაგრამ ძალზე დაბალხარისხოვან ინფორმაციის არხს. შემოსული მონაცემები წინააღმდეგობრივია, სუბიექტურია, კომერციალიზებულია და საბანკო გადაწყვეტილებათა დასასაბუთებლად მიუღებელი, თუმცა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც გარემოს საერთო ფონი და დამატებითი მონაცემები შედარებითი ანალიზისათვის.

7. **საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საზოგადოებები** (მომხმარებელთა, მოტყუებულ მეანაბრეთა და ა.შ.) — შედარებით „ახალგაზრდა", მაგრამ საკმაოდ ძლიერად მომუშავე საინფორმაციო არხია. თავისი საქმიანობის საწყის ეტაპზე ის აგროვებდა და ფართოდ აერცელებდა ინფორმაციას რეალურ, ხანდახან კი პოტენციურად „პრობლემურ" ბანკებზე, ფირმებსა და კომპანიებზე, სადაც სჭარბობდა თაღლითური, პროფესიული თვალსაზრისით სუსტი ან ზედმეტად რისკიანი მენეჯმენტი. ამ საქმიანობის მიზანია, გაფრთხილოს პოტენციური კლიენტები „პრობლემურ" სტრუქტურებთან კონტაქტების საშიშროებით, ხოლო რეალური კლიენტები — მათგან ჩამოშორების აუცილებლობის შესახებ. შემდგომში ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციები გადაიზრდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ბანკებისა და ფირმების რეიტინგების დამუშავებაზე, შედგენასა და განთავსებაზე. ბანკებისათვის დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არა ხარისხს, არამედ ნეგატიური ინფორმაციის არსებობას.

17.4. საბანკო პოლიტიკა

სამეწარმეო საქმიანობა, ზოგადად, და საკრედიტო მეწარმეობა, კერძოდ, შეიძლება იყოს ნამდვილად წარმატებული და ნამდვილად აღექვატური, თუკი საკრედიტო დაწესებულება განსაზღვრავს და პრაქტიკულად ახორციელებს მიზანთა კომპლექსს და მოქმედებათა სტრატეგიას, თავის „მისიას" — განვითარების საბაზო კონცეფციას. ყოველივე ეს კონცენტრირდება საბანკო პოლიტიკაში, სადაც აკუმულირდება, ფასდება, შეკავშირდება იდეები, მოქმედებები, შესაძლებლობები, რეალიზაციის სქემები. საბანკო პოლიტიკის არსებობა კომერციულ ბანკებს შესაძლე-

ბლობას აძლევს არა ბრმად მისდიოს ცვალებად (ხშირად კარდინალურად) ეკონომიკურ კონიუნქტურას, არამედ ჩამოაყალიბოს ადექვატური რეაქცია, რაც შესაძლებლობას მისცემს მას, მაქსიმალურად გამოიყენოს დადებითი მომენტები და ფაქტორები და გაანეიტრალოს ნეგატიური. ძირითადი კითხვები, რომლებზეც უნდა პასუხობდეს საბანკო პოლიტიკის დებულებანი – ეს არის ის, თუ რატომ უნდა განხორციელდეს ესა თუ ის ქმედება; კერძოდ რა მოქმედებები უნდა იქნეს წარმოებული; კერძოდ რომელმა სტრუქტურულმა ქვედანაყოფებმა, კონკრეტულმა თანამშრომლებმა, მათმა ჯგუფებმა და გაერთიანებებმა უნდა შეასრულონ ან მონაწილეობა მიიღონ კონკრეტული ოპერაციების შესრულებაში; რა კონკრეტული სქემებითა და სცენარებით უნდა განხორციელდეს ამ ბანკში კონკრეტული ოპერაციები. საბანკო პოლიტიკის სფერო მოიცავს ძირითად ბაზრებს, საბანკო პროდუქტების ოპტიმალურ ასორტიმენტს, შემოსავლიანობას, რისკებს, ორგანიზაციულ სტრუქტურებს, ბანკის სახეს და იმიჯს.

საბანკო პოლიტიკა შეიძლება დაფუძნებული იყოს შემდეგ მდგომარეობებზე:

- ბანკის სპეციალიზაცია (ხანდახან საბაზო ინფორმაციას მის შესახებ შეიცავს თავად სახელწოდება);
- მიზანთა პრიორიტეტები (ესეც ხანდახან გათვალისწინებულია სახელწოდებაში; შეიძლება იყოს მრავალგვარი: საიმედოობა, სტაბილურობა, ზრდა, მეხოსაელიანობა, „ზრუნვა“ – პერსონალის ჯეროვნება, კვალიფიკაცია და ა.შ.);
- ლიზინგი – სარეკლამო სახე (ამ ბანკისადმი დადებითი, მიმნდობელი დამოკიდებულებისაკენ მიმართული ფრაზები, ისეთები, როგორიცაა, მაგალითად: „მხოლოდ სოლიდური კლიენტებისათვის“, „ეს ჩვენი ბანკია“, „არ ჩქარობს, იმიტომ რომ ასწრებს“, „ყველაზე მოსაწონი ბანკი – მუშაობენ ადამიანები, მუშაობს ფული“, „გადაუჭარბებელი ფასეულობანი“ და ა.შ.);
- განსაზღვრულ კლიენტზე ორიენტაცია (მათი რიცხვის მაქსიმალური ზრდისაკენ სწრაფვა. ან. პირიქით, „ელიტის“ შექმნა, სანდახან კი ცალკეული დარგების, ტერიტორიების, საზოგადოებრივი ან სოციალური ფენების (რელიგიურის ჩათვლით) – მიხედვით სპეციალიზება);
- პარტნიორული ურთიერთობანი (კლიენტების ინფორმირება სიძნელეებზე, ბანკის შეცდომებზე, მის პრობლემებსა და მათგან თავის დაღწევის პერსპექტივებზე);
- საორგანიზაციო სტრუქტურებისა და პერსონალის უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა);
- შიდა კონტროლი და აუდიტი (მისი არსებობა ან არარსებობა. ადექვატურობა და ორგანიზაციული სტრუქტურები);
- იერარქია, დაქვემდებარებულობა და გასამრჯელო;
- პერსონალის მომზადება (შიდასაკვალიფიკაციო მოთხოვნები იერარქიულ სტრუქტურაში, შიდა მოთხოვნების თანაფარდობა ზედამხედველობის მოთხოვნებთან, კადრების მომზადების, შერჩევისა და გადამზადების ორიენტაცია);
- ინფორმაცია (ღიაობა ან დახურულობა, ინფორმაციის ღიაობის დონე, ინფორმაციის გამოყენებული არხები – სპეციალური, პროფესიული ან მასობრივი);
- რესურსების პოლიტიკა (ზედამხედველობის მოთხოვნების გათვალისწინება, რეზერვირების დამოუკიდებელი პოლიტიკა – აუცილებლობა ან სიფრთხილე);
- კლასიფიკაციის პრინციპები (ზედამხედველობის სირთულიდან მოთხოვნებისადმი დაქვემდებარება. საკუთარი შეხედულებების შეძენა და გამოყენება. კლასიფიკაციის სფეროთა სიფართოე).
- დოკუმენტაცია (საბანკო პოლიტიკის რეალიზაციის და საბანკო საქმიანობის განხორციელების დამკანონებელი როგორც ტიპური, ასევე ოპერატიული დოკუმენტების ჩამონათვალი და შინაარსი);
- კონფიდენციალობა (ინფორმაციის შინაარსისა და სისრულის შეზღუდვა, ისევე როგორც საინფორმაციო საკადების სახეებისა და დოკუმენტთა ტიპების იერარქიაში ადგილის. პერსონალის უფლებამოსილებების, ასევე საბანკო მენეჯმენტის გარემოში სუბიექტის ადგილის შესაბამისად). ჩამოყალიბებული და რეალიზებული საბანკო პოლიტიკის მაშტაბისა და სისრულის

შესაბამისად, მისი სტრუქტურა შეიძლება შეიცავდეს შემდეგ შემადგენელ ნაწილებს:

- საკრედიტო პოლიტიკა;
- სადეპოზიტო პოლიტიკა;
- ფასების პოლიტიკა;
- საინვესტიციო პოლიტიკა;
- რისკების პოლიტიკა;
- გირაოების პოლიტიკა;
- პრობლემურ კრედიტებთან მუშაობა;
- სტრუქტურირება და დივერსიფიკაციის პოლიტიკა;
- ლიკვიდურობის დაცვის პოლიტიკა;
- სანქციების პოლიტიკა.

17.5. საბანკო მენეჯმენტის ფინანსური სფეროები. აქტივებისა და პასივების მართვა

კომერციული ბანკების პასივები გარკვეულწილად წარმოადგენს მისი ფუნქციონირების (არსებობა და საქმიანობა) უზრუნველმყოფ ფინანსურ რესურსებს. არსებობს სხვადასხვაგვარი მიდგომა ბანკის პასივების კლასიფიკაციისადმი. მათგან განსაკუთრებული კარდინალური საბაზო ელემენტებია:

- საკუთარი, მოზიდული და ნასესხები რესურსები;
- კაპიტალი და ბანკის ვალდებულებანი.

ზოგადად ბანკის კაპიტალის მართვა მიმართულია მისი საკმარისობის მიღწევისა და შენარჩუნებისაკენ, რაც ითვალისწინებს საკუთარი სახსრების გარკვეული სიდიდის შექმნას, რაც აუცილებელია:

- ზრდის ადეკვატური ბაზის უზრუნველსაყოფად (ბანკის მიერ წარმოებული ოპერაციების მოცულობის გაფართოებისას, საბანკო პროდუქტების ახალი სახეების, ახალი ბაზრების, დარგების ათვისებისას, ანუ რისკის გადიდებისას საჭირო კაპიტალის ზრდა). საბანკო ზედამხედველობის თანამედროვე პოზიციებიდან ბანკის კაპიტალის სიდიდის შესაბამისად ნორმატიულად შეზღუდულია:
- რისკის გათვალისწინებით შეწონილი აქტივები;
- ვალდებულებები;
- რისკი ერთ მსესხებელზე;
- მოსახლეობის მოზიდული სახსრები;
- სხვა იურიდიული პირების აქციების შეძენა;
- გარანტიების, თავდებობების გაცემა;
- შესაძლო ზარალის დაფარვა (ანუ თავისებური ბუფერის, სარეზერვო ფონდის შექმნა, რომელიც დაიფარავს ბანკს ზარალის გამოელენისას მისი მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებისაგან და მისცემს საკმაოდ რისკიანი ოპერაციების წარმოების საშუალებას);
- ბანკის მეანაბრეთა და კრედიტორთა ფინანსური ინტერესების დაცვა მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში (კაპიტალის საკმაო ოდენობა წარმოადგენს ფონდს, რომლის მეშვეობითაც მეანაბრეებს შეიძლება დაუბრუნდეს მათი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი).

კაპიტალის მართვა მოიცავს მეთოდებსა და ხერხებს, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ ბანკს, შეინარჩუნონ კაპიტალის საკმაო ოდენობა და გაზარდონ იგი აქტივების და რისკების, ვალდებულებათა და სხვა ნორმატიული მოთხოვნის შესაბამისად. მათ რიცხვში არის:

- აქციებზე მუშაობა (გამოშვება, შეთავაზება, განთავსება, გამოსყიდვა, მ.შ. კოტირებების შენარჩუნების, ობლიგაციებში აქციების კონვერტირების და, პირიქით, ა.შ. მიზნით). ამ მეთოდს

გააჩნია როგორც უდაო უპირატესობანი – მაგ.: კაპიტალის კონცენტრაციის მოკლე ვადები, ასევე არსებითი ნაკლოვანებები. მაგალითად, ის ქმნის სერიოზულ პოცენტიურ პრობლემებს. აქციათა ახალ ემისიებს „რეცხავენ", აქვეითებენ წინა ემისიების აქციათა პაკეტების წონას და საკონტროლო პაკეტი შეიძლება აღმოჩნდეს სხვა ინვესტორების ხელში.

• შემოსავლების მართვა და დივიდენდების პოლიტიკა. ეს შესაძლებელს ხდის კაპიტალიზაციას დაქვემდებარებული გაუნაწილებელი მოგების ადექვატურ ზრდას, ამასთან, აქციების მფლობელთა პოზიციები სტაბილური რჩება, მტკიცდება რაოდენობრივად. ამასთანავე, კაპიტალიზაციით გადაჭარბებულმა გატაცებამ შეიძლება მიგვიყვანოს დივიდენდების შემცირებამდე, შესაბამისად კი, ბანკების აქციათა მიმზიდველობის დაქვეითებამდე, კოტირებათა დაწევამდე;

• ზარალისა და დაბეგვითი ხარჯების მინიმიზაციისაკენ მიმართული აქტივების კონტროლი, ანუ არაშემოსავლიანი ან ზარალიანი აქტივების თვალის მიდევნება, ასევე აქტივების დროული გადაფასება.

პასივები, როგორც ბანკის ვალდებულებები, ხოგადი სახით იქმნება სხვადასხვაგვარი რეჟიმებისა და შეხლწუდვების მქონე დეპოზიტების და შენატანების, ასევე ემიტირებული და გავრცელებული საკალო ფასიანი ქაღალდების სახით, ამასთან, მათი თვისებრივი მახასიათებლები დამოკიდებულია უამრავი სხვადასხვაგვარი ფაქტორების ზემოქმედებაზე. პასივების – ვალდებულებების მართვა მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, ფაქტორთა ორი მნიშვნელოვანი ჯგუფის – ბანკის მიზნების (ამოცანების) და მისი კლიენტების (საბანკო პროდუქტების მომხმარებლების) ინტერესების ოპტიმალურად დაბალანსებული გავლენის მიღწევაში. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს გარედან ზემოქმედება – მას აუცილებლად თვალი უნდა მივადევნოთ და შეძლებისდაგვარად გავანეიტრალოთ.

ბანკის ამოცანები პასივების მართვისას მდგომარეობს შემდეგში:

1. არ იქნეს დაშვებული არაშემოსავლიანი რესურსების მოზიდვა, კერძოდ:

• საკალო ფასიანი ქაღალდების ჭარბი დეპოზიტები და რესურსები, რომელთა გავრცელება მიმდინარე და უახლეს მომენტებში შეუძლებელია;

• რესურსები, რომელთა თვისებრივი მახასიათებლები – მოზიდვის პირობები ბაზრის მოთხოვნების არაადექვატურია, აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მათ გაერცელებას;

• დეპოზიტების იმ ტიპების მინიმიზაცია, რომელთა გავრცელების პირობები ნავარაუდევია მაღალი სარეზერვო მოთხოვნებით.

2. მიღება და უპირატესი მოზიდვა საკრედიტო რესურსებისა, რომლებიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად აუცილებელი და საკმარისია: ა) გატარებისა და განვითარებისათვის (აქტიური ოპერაციების გაფართოება); ბ) ბანკის ვალდებულებების დაფარვის ალტერნატიული წყაროების შექმნა (ექსტრემალური ფულადი ნაკადი).

3. თვისებრივი მახასიათებლებით, მოზიდვისა და ამოღების პირობების მიხედვით „იაფი" საკრედიტო რესურსების მოძიება.

4. მაქსიმალურად „მდგრადი" საკრედიტო რესურსების, ანუ თვისებრივი მახასიათებლების ცვლილების მინიმალური ალბათობის მქონე რესურსების ძიება და მოზიდვა, რათა შემცირდეს ლიკვიდურობის რისკი ან საპროცენტო რისკი (გამონაკლისი შეძთხვევების გარდა – მაგალითი).

5. თავისი თვისებრივი მახასიათებლებია ადვილად მისაწვდომი საკრედიტო რესურსების მოძიება და მოზიდვა (ან მოსაზიდად მომზადება). აღვნიშნავთ, რომ ლიკვიდურობის ნეიტრალიზაციის მიმართულებით ეს გასლავთ ძალზე მნიშვნელოვანი მიმართულება.

6. წარმოშობის თვალსაზრისით „საეჭვო" რესურსების წინასწარი სერიოზული ანალიზი და ბანკში მათი მოზიდვის თავიდან აცილება, რადგან მას შეუძლია ბანკის იმიჯის შელახვა, მისი ჩართვა კრიმინალურ სფეროებში, განსახორციელებელ ოპერაციათა რისკის ამაღლება და კლიენტთა დაფრთხობა.

7. რესურსების მოზიდვის პროცესში საინფორმაციო და სტრატეგიული უზრუნველყოფის პრინციპის დაცვა, ანუ გამარტივებული მონიტორინგის მქონე ანგარიშებსა და დეპოზიტებზე ბანკის კრედიტებით ხანგრძლივად მოსარგებლე კლიენტთა სასესრების მოზიდვა (განსაკუთრებით მაღალი რისკის ზონაში მომუშავე მსხვილი კლიენტებისა).

პასივების მართვის საქმეში ბანკის ძირხები და ამოცანები, გახსაკუთრებით საწყის და კრიტიკულ ეტაპებზე, მუდმივად უნდა შეეუფარდოს ბანკის მომსახურების მომხმარებელთა – ბანკის კლიენტთა ინტერესებსა და საერთო მოთხოვნებს, სახელდობრ: 1) შემოსავლიანობას; 2) დაცულობას; 3) შექცევადობას.

ეს სამი ზოგადი მოთხოვნა ითვლება საბაზო, კლასიკურ მოთხოვნად. მისი რეალიზება ხდება სხვა პირობებისა და მოთხოვნების თანაბრად, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ:

- ლიკვიდურობა, რაც წარმოადგენს გაფორმების მოთხოვნას ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების (დოკუმენტები, ფასიანი ქაღალდები) გამოყენებით, რომელიც თანხის დაბრუნების შესაძლებლობას მისცემდა კლიენტს მესამე პირზე მისი რეალიზაციისას, ასევე დამატებით შემოსავალს და გირაოს სახით საანგარიშსწორებო ოპერაციებში მისი გამოყენების შესაძლებლობას;
- ბანკის მიერ შემოთავაზებული პასივების პროდუქტების რეალიზაციის ვადების შესაბამისობა კლიენტის აქტივების მიმოქცევის პერიოდთან, დაგროვების მოთხოვნებთან, ფინანსური ბაზრის განაკვეთების დამახასიათებელი ცვალებადობის ციკლთან და ა.შ.
- ვადამდელი ამოღებისაგან ანაბრების დაცვის დარგში ადექვატური საბანკო პოლიტიკა (მასტიმულირებელი პრინციპების გამოყენება, ან ზომიერად მკაცრი სანქციების პოლიტიკა);
- ორგანიზაციული ხასიათის ინტერესების დაცვა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, საბანკო შენატანი ან დეპოზიტი ფართოდ უხსნიდა გზას სხვა საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებებს;
- დეპოზიტთა თვისებრივ მახასიათებელთა (პირობათა) ადექვატურობა კლიენტთა დაბანდებების მიზნებთან (მიმდინარე ანგარიშები, დანაზოგები, შემოსაელები და ა.შ.);
- მეწარმეთა წრეში, როგორც ბანკის კლიენტებთან იმიჯის ამაღლება (კარგ ბანკს საეჭვო სტრუქტურებთან საქმე არა აქვს);
- პასივების პროდუქტების ტიპისა და მახასიათებლების კონვერსიის შესაძლებლობა კლიენტთა მოთხოვნების შესაბამისად (თანაბარ მოთხოვნამდე – სასწრაფო – შეწნახველი; ობლიგაციები – აქციები და ა.შ.).

ზემოთ აღწერილი პასივების მართვის საბაზო სფეროების გარდა, საჭიროა თვალი ვადევნოთ, აუცილებლობის შემთხვევაში კი გავანეიტრალოთ გარემოს მმართველი და პარალელური დონეების გავლენა, მათ შორის ისეთი ფაქტორებისა, როგორიცაა:

- ქვეყანაში ფულის მიმოქცევის მდგომარეობა, თავისუფალი ფულადი სახსრების დეფიციტი;
- საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების ორგანოების მმართველობითი ზემოქმედება;
- ტერიტორიული და სოციალური პირობები და შეზღუდვები;
- ბანკთაშორისი კონკურენცია;
- ბანკის გავლენის სფერო.

პასიური საბანკო პროდუქტის თვისებრივი მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც პასივების მართვის პროცესში ხორციელდება ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ბალანსირება და კორექტირება, თავისი მნიშვნელობით განსხვავებულია სხვადასხვა კონტრაგენტისათვის, მაგრამ ზოგადად დაიყვანება შემდეგზე:

- მოსაზიდი რესურსების ოდენობა, სიდიდე;
- მოზიდვის ვადები;
- მეანაბრის ტიპი, დარგები, ტერიტორიები;
- დაბრუნების რეჟიმი და წესი;

- პროცენტების დარიცხვის წესი და სიდიდე;
- პროცენტების სახე, მისი შეცვლის შესაძლებლობები და მიზეზები;
- დოკუმენტების გაფორმების წესი და მომსახურების ანაზღაურება პასიური საბანკო მომსახურების გაწევით;
- თანხმლები და დამატებით გაწეული მომსახურების კომპლექსი და არსებობა;
- სესხის ხელშეკრულების მახასიათებლების კონვერსიის შესაძლებლობები და პირობები;
- სახსრების ვადამდელი ამოღებისაგან დაცვის რეჟიმი, სიმკაცრე და ა.შ.

ამ თვისებრივი მახასიათებლების ჩამოყალიბება ხორციელდება დივერსიფიკაციების პოლიტიკის საბაზო პრინციპებზე.

საკმაოდ დაწვრილებითი დეტალიზაციის პირობებში ამ პრინციპების რიცხვმა შეიძლება მიაღწიოს ათეულებამდე და ასეულებამდე, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ცმართველობითი გადაწყვეტილებებისა და ზემოქმედების ფორმების ფორმირებისას. ანალოგიურ პრინციპებზე აიგება პასივების დივერსიფიკაციის პოლიტიკა, მათი სტრუქტურირება და სისტემატიზაცია. პასივების მართვა, ისევე როგორც აქტივების მართვა წარმოებს ორი მთავარი მიმართულებით:

- კონკრეტული საბანკო პროდუქტის ხარისხის მართვა;
- საბანკო პროდუქტის პორთფელის მართვა.

კონკრეტული საბანკო პროდუქტის ხარისხის მართვა მდგომარეობს მის თვისებრივ მახასიათებელთა შექმნაში, დაცვასა და როგორც აუცილებელ, ასევე იძულებით კორექტირებაში. პრაქტიკულად მართვის ეს პროცესი იწყება ჯერ კიდევ საბანკო პროდუქტის დამუშავების სტადიაზე საბანკო პოლიტიკის შესაბამისი სფეროების საბაზისო დებულებათა შესაბამისად. მახასიათებლები ადაპტირდება ზედამხედველობის მოთხოვნებთან, ბაზრისა და გარემოს პირობებთან და მუშავდება საკმაოდ გულმოდგინედ, განსაკუთრებით სიტუაციების მკვეთრი ცვლილებებისა და კრიზისის დროს. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ თვით მახასიათებლებსა და ხელშეკრულებებში მათი ასახვა დაცული იქნეს შესაძლებლობის ფარგლებში, აუცილებლობის შემთხვევაში კი — კორექტირებული.

საბანკო პროდუქტების პორთფელის მართვა გულისხმობს იმას, რომ მათი კონკრეტული თვისებრივი მახასიათებლები შედარებით სტაბილურია თუნდაც ფიქსირებული ვადით. ამასთან, ცმართველობითი ზემოქმედება, მიმართულია შემადგენლობის მართვისაკენ — პორთფელის სტრუქტურის შექმნა, მასში შესული ყოველი კონკრეტული პროდუქტის გულმოდგინე ანალიზი და შერჩევა. გამოირიცხება საბანკო პოლიტიკის ცნების შეუსაბამო მოქმედებები; არასაკმარის საინფორმაციო ბაზაზე დაფარებული კრიზისული ელფერის მოქმედებები. ასევე გამოირიცხება ისეთი მოქმედებები, რომლებიც მოითხოვენ კვალიფიკაციის განსაკუთრებულ დონეს, რაც ბანკის პერსონალს იმ მომენტისათვის არ გააჩნია, მაღალი რისკის მოქმედებები და ა.შ. ბუნებრივია, ეს გამონაკლისები იცვლება გარემოს მდგომარეობით, საბანკო პოლიტიკის მიმართულების, გარეშე რისკების, პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისად და ა.შ. თუმცა პასივების პორთფელის ძმშყობით მართვაში უფრო რთულ პროცესს წარმოადგენს პორთფელის შემადგენელი ნაწილების წილის სიდიდის პერმანენტული კორექტირება. თვით პორთფელის სტრუქტურის ჩამოყალიბება ხელდითი წილის მიხედვით, დივერსიფიკაციის პრინციპების გათვალისწინებით მისი შემადგენელი ნაწილების ჯგუფურად გაერთიანება, მათი წილის კორექტირება გარემოს მდგომარეობის შესაბამისად მოითხოვს ზუსტ პროგნოზებს, სერიოზულ საორგანიზაციო-ანალიტიკურ მუშაობას, ბანკის მენეჯმენტის მაღალ პროფესიულ დონეს.

თანამედროვე პირობებში უფრო ლოგიკურად გვეჩვენება აქტიური ოპერაციების, როგორც საანკო შესრულების მაფორმირებელი ოპერაციების განსაზღვრა. აქტიურ ოპერაციებს, სასესხო და საინვესტიციოსთან ერთად, შეიძლება მივაკუთვნოთ ბანკის ლიზინგური, ფაქტორინგუ-

ლი და ტრასტული ოპერაციები.

ისევე, როგორც პასივების, აქტივების მართვაც ხდება საბანკო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების, გარემოს მავნე გავლენის შემზღუდავი საბანკო პროდუქტის მომხმარებელთა ინტერესების ბალანსირების აუცილებლობის გათვალისწინებით. აქტივების მართვის სფეროში საბანკო მენეჯმენტის ამოცანებს მიეკუთვნება:

- შემოსავლიანობის უზრუნველყოფა – სამეწარმეო სტრუქტურების მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელიც მოიცავს ბანკის საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროს;
- ლიკვიდურობის მხარდაჭერა – დაბანდებული თანხების შექცევადობის (ღირებულების დაუკარგავად) უზრუნველყოფა ან ახალი რესურსების მოზიდვა ბანკის ვალდებულებათა დასაფარავად. შესაძლებელია შექცევადობის მართვა როგორც გარკვეული ვადით (საკრედიტოს შემცირებისას), ასევე თავისუფალი (სპეციალურად გაფორმებული დოკუმენტალური აქტივები, სეკიუტერიაციას – მესამე პირზე ფასდაკლებით გაყიდვას – დაქვემდებარებული აქტივები);
- აქტივების, მისი ღირებულების დაცულობა (კლიენტთა გადაჭარბებული რისკის ან ბაზრის პირობების ცვლილებების გამო შესაძლო დანაკარგების ნეიტრალიზაცია);
- ახალი ტერიტორიების, მეწარმეობის დარგების, სფეროების, სოციალური ფენების ათვისება და ა.შ.;
- ბაზრის მოთხოვნების ადექვატური საბანკო მოთხოვნების დასრულებული კომპლექსის ჩამოყალიბება.

საბანკო პოლიტიკის ყველა ამოცანა უნდა შეესაბამებოდეს აქტიური საბანკო პროდუქტის მომხმარებელთა – ბანკის კლიენტთა ინტერესებს, ისეთებს, როგორიცაა:

- საბანკო მომსახურების თვისებრივ მახასიათებელთა ადექვატურობა პროექტის მოთხოვნებთან (კლიენტის მიერ სასესხო სახსრების გამოყენებისას). ეს განსაკუთრებით ეხება კრედიტის მოცულობებს, ვადებს, მისი მიღების, გაფორმების, დაფარვის და ა.შ. წესს;
- მოსაზიდი რესურსების ანაზღაურების მისაღები სიდიდე (პროცენტი, საკომისიო);
- დაბრუნების (დაფარვის) პირობებისა და მოთხოვნების ადექვატურობა კლიენტის შესაძლებლობებთან საერთო, ადექვატური, ექსტრემალური ან ალტერნატიული ფულადი ნაკადის მიხედვით;
- კრედიტის მიღებისა და მომსახურების პირობებში, სახსრების დაბრუნების მეთოდებში ზედმეტი სირთულისა და სიმკაცრის არარსებობა;
- მომსახურების კომპლექსის ან დამატებითი დახმარების (კონსულტაციების, პრობლემურ კრედიტებთან მუშაობის სახით) მიღების შესაძლებლობა და ა.შ.

გარემომცველი სამყაროც აყალიბებს თავის უპირატესობებს და შეზღუდვებს, ქმნის შეშფოთებელ ზემოქმედებას, რომელსაც თვალი უნდა მივადევნოთ და გავითვალისწინოთ აქტივების მართვის პროცესში. უპირველეს ყოვლისა, ეს არის:

- ზედამხედველობის ორგანოების მიერ დადგენილი ნორმატივები და შეზღუდვები;
- მაკროეკონომიკური ფაქტორები, ბანკის მდგომარეობა საერთოდ და ფინანსური – კერძოდ;
- სოციალური გარემოს უპირატესობანი, ტრადიციები და პირობები;
- სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიმართულებები;
- კონკურენტთა ძალისხმევა;
- ახალი საბანკო პროდუქტების, ტექნოლოგიებისა და ხერხების შემუშავება და დანერგვა;
- საინფორმაციო უზრუნველყოფის დონე.

აქტივების მართვა – არსებითად ეს არის აქტივების კონკრეტული პროდუქტის, ჯგუფის ან პორთფელის ხარისხის მართვა. საფუძველია – მთელი რიგი თვისებრივი მახასიათებლის შესაბამისად აქტივების დიფერსიფიკაცია. ამ მახასიათებელთაგან ძირითადს შეიძლება მივაკუთვნოთ:

მოცულობები;
ვადები;
მიზნები და პროექტები;
მსესხებლები;
მსესხებლის დარგები;
- ტერიტორიები;
პროცენტების სიდიდე და სახეები, საკომისიოთა გადასდა;
გაცემის წესი;
დოკუმენტირება და დაცვა, სანქციები;
დაფარვის წესი.

ჩამოთვლილი საბანკო პრინციპები გვაწვდის საბანკო აქტივების მართვისადმი მიდგომის ფორმებს. ბანკის აქტივების ყოველ სახეს თავისი სპეციფიკა გააჩნია.

ბანკის საქმიანობის სფეროებს შორის არის კიდევ ერთი, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს საბანკო დაწესებულების შესახებ, მაგრამ მასში აქტიურ თუ პასიურ ოპერაციებს გააჩნიათ განმასხვავებელი ნიშნები. ეს არის კლიენტთა საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურება. მისთვის დამახასიათებელია პასიური ოპერაციების ნიშნები, რადგან განსაზღვრულ წილში (უცვლელი ნაშთი) კლიენტთა საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე ბანკისათვის წარმოადგენს საკრედიტო რესურსს და მრავალ ბანკში ნაღდდება. ასევე მას გააჩნია აქტიური ოპერაციების ნიშნებიც. რადგან ამგვარი ოპერაციების გატარება ბანკს აძლევს საკომისიო შემოსავლებს. აქედან გამომდინარე, ამ ოპერაციების მართვისას გათვალისწინებულ ბანკის ინტერესებს გააჩნია კომპლექსური ხასიათი და ამდენად, საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურება აქტივებისა და პასივების მართვის ამოცანებს ერთობლიობაში (ხელმისაწვდომობა, მდგრადობა, სიიაფე, ასევე შემოსავლიანობა და ა.შ.). კლიენტთა ინტერესები უფრო სპეციფიურია. ეს არის, პირველ რიგში, ანგარიშსწორების მონაწილეთა ინტერესები, რომელთაც უნდა მივაკუთვნოთ:

- გარიგების წამყვანი მიმართულების მოთხოვნის შესაბამისად ანგარიშსწორების შესაფერისი ფორმის შეთავაზების საშუალება;
- ოპერაციების გატარების სისწრაფე, განსაკუთრებით ინფლაციის მაღალი ტემპების პირობებში;
- გადახდის (მომწოდებლისათვის), მოწოდების ან მომსახურების გაწევის (გადამხდელისათვის, მყიდველისათვის) გარანტია;
- ანგარიშსწორების გატარების პირობების ცვლილების შედარებითი თავისუფლება (მ.შ.ურთიერთშეთანხმების საფუძველზე – გამოსათხოვი აკრედიტივები, აქცეპტები და ა.შ.).
- ანგარიშსწორების განხორციელების პროცესში ბანკისაგან ფინანსური (ოვერდრაფტები, კონსტრუირებული ანგარიშები), ასევე საორგანიზაციო დახმარების და კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

საჭიროა ასევე აღინიშნოს ინვესტორთა ინტერესების შესახებ:

- შედარებით დაბალი ანაზღაურება;
- ანგარიშებზე სახსრების არარსებობა და მინიმალური „ბლოკირება“ (უპირატესობა ენიჭება ჩეკებსა და აკრედიტივებს ბანკის გარანტიით);
- ანგარიშზე სახსრების უცვლელი ნაშთიდან სარგებლის მიღების შესაძლებლობა.

საანგარიშსწორებო-სალარო ოპერაციები ნაწილობრივ რეგლამენტირდება საბანკო ზედამხედველობის ორგანოების მიერ. მასზე გავლენას ახდენს ბაზარი და სამეწარმეო სფეროები, ტექნოლოგიებისა და საანგარიშსწორებო ინსტრუმენტების განვითარება.

17.6. აქტივების და პასივების კოორდინირებული მართვა

საბანკო-ფინანსური მენეჯმენტის შედარებით ახალი მიმართულებაა აქტივებისა და პასივების მართვა. ხშირად ეს გაიგივებულია ლიკვიდურობის მართვასთან. ეს მიმართულება ავსებს აქტივებისა და პასივების მენეჯმენტის ზემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებს. მისი რეალიზაციისათვის საჭიროა, რომ აქტივების მართვის ძირითადი მიზანდასახულობანი შეიქმნას პასიური ოპერაციების მიმდინარეობისას წარმოქმნილი რესურსების მახასიათებელთა ბაზაზე. ამგვარი მიდგომის არსი მდგომარეობს შეზღუდვის დაძლევაში. ეს მიიღწევა პასივებისა და აქტივების შეთანხმებულობის შემდეგ ძირითად მაჩვენებლებთან შეთანხმების გზით:

- ვადების მიხედვით (იმართება საპროცენტო რისკი და ლიკვიდობის რისკი);
- ღირებულების მიხედვით (შემოსავლიანობის მართვა);
- გარემოს ცვლილებებისადმი საპროცენტო განაკეთების მგრძნობელობის მიხედვით (იხმარება საპროცენტო რისკი);
- რისკების საწინააღმდეგოდ რეზერვების შექმნის მიხედვით (საკრედიტო რისკი და ლიკვიდობის რისკი);
- სახელშეკრულებო რეჟიმის მიხედვით: პირობების დაცვის, სანქციების და ა.შ.
- სამეწარმეო სფეროების, სოციალური ფენების, ტერიტორიების მიხედვით.

გარდა ამისა, მენეჯმენტის საკმაოდ მაღალი კომპეტენტურობისას შეიძლება ჩამოყალიბდეს ეფექტური კავშირურთიერთობანი, რომლებიც ხელს უწყობენ ბანკის პარტნიორების ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებას და მისი იმიჯის ამაღლებას.

17.6.1. ბანკის აქტივებისა და პასივების ერთიანი პორთფელის მართვის პრინციპები

საბანკო საქმის თანამედროვე თეორიაში აქტივებისა და პასივების მართვას განმარტავენ როგორც ბანკის ბალანსის კოორდინირებულად მართვას, რომელიც ითვალისწინებს ლიკვიდობისა და პროცენტის განაკეთის ცვლილებათა ალტერნატიულ სცენარებს.

აქტივებისა და პასივების მართვის არსი ისაა, რომ იგი ერთ კოორდინირებულ პროცესად აერთიანებს პორთფელის მართვის ცალკეულ, რამდენიმე ათწლეულის მანძილზე გამოყენებულ მეთოდებს (ე.ი.აქტივების, პასივებისა და სპრედის მართვის მეთოდებს). ამგვარად, აქტივებისა და პასივების მართვის ძირითადი ამოცანაა ბალანსის არა ცალკეული ნაწილების, არამედ მთელი ბალანსის კოორდინირებულად მართვა.

აქტივებისა და პასივების მართვის ინსტრუმენტარიუმი მოიცავს საინფორმაციო სქემებს, დაგეგმვის მოდელებს, მოდელირებას, ანუ სცენარულ ანალიზს, ყოველთვიურ მიმოხილვას და სპეციალურ ანგარიშგებას. პრინციპში, აქტივებისა და პასივების მართვა საშუალოვადიანი (3-იდან 12 თვემდე) დაგეგმვის ერთ-ერთ კომპონენტად შეგვიძლია განვიხილოთ. მისი დანიშნულებაა ბანკის იმგვარად „წაყვანა“ გრძელვადიანი მიზნების მიმართულებით, რომ, იმავდროულად, შეინარჩუნოთ ყოველთვიური ცვლილებებზე რეაგირება. საგეგმო ასპექტის გარდა, აქტივებისა და პასივების მართვა გულისხმობს აქტივების, პასივებისა და კაპიტალის ცვლილებების ხელმძღვანელობასა და კონტროლს.

აქტივებისა და პასივების მართვის ძირითადი მდგენელები იმის მიხედვით იცვლება, თუ რა დროით იგეგმება მართვა. მოკლევადიან პერსპექტივაში მთავარი ყურადღება ეთმობა ბანკის საქმიანობის ისეთ საარღრიცხვო მაჩვენებლებს, როგორიცაა წმინდა საპროცენტო მარჟა, წმინდა საპროცენტო შემოსავალი და შემოსავალი აქციაზე. გრძელვადიან პერსპექტივაში აქცენტი საკუთარი კაპიტალის საბაზრო შეფასებაზე გადაიქცა (ბალანსგარეშე საქმიანობის შედეგების შეფასების ჩათვლით). სტრატეგიული დაგეგმვის თვალსაზრისით, გრძელვადიანი მართვა შეი-

ძლება გამოვხატოთ როგორც აქტივებიდან და კაპიტალიდან მიღებული მოგების კონკურენტუნარიანი დონის შენარჩუნება.

ამგვარად, აქტივებისა და პასივების მართვის ყოველმხრივი პოლიტიკა მოიცავს შემდეგს:

- წმინდა საპროცენტო შემოსაელის სტაბილიზებას ან გადიდებას;
- საკრედიტო ორგანიზაციის საბაზრო ღირებულების სტაბილიზებას ან გადიდებას;
- იმ დანახარჯების კონტროლს, რომლებიც პროცენტების გადახდას არ უკავშირდება;
- ბანკის სესხების სარისკის შენარჩუნებას;
- ლიკვიდობის მოთხოვნების უზრუნველყოფას;
- საკმარისი კაპიტალის შეძენას;
- ბალანსგარეშე საქმიანობის მართვას.

აქტივებისა და პასივების მართვის კონცეფცია სპრედის მართვის სტრატეგიის განვითარების შედეგად გაჩნდა. ამასთან, შეიმუშავეს პასივების მართვის სტრატეგია, რომლის მიზანია ერთიანი კონტროლის დაწესება როგორც ბანკის სახსრების წყაროებზე, ისე აქტივებზე. მართვის ძირავარ ბერკეტად იქცა ფასები, მათ შორის — საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელობა, აგრეთვე, ის სხვა პირობები, რომლებსაც ბანკი სთავაზობდა დეპოზიტორებსა და კრედიტორებს ფონდების სასურველი მოცულობის, სტრუქტურისა და დანახარჯების შესანარჩუნებლად. როდესაც საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნამ იმატა, ბანკს შეეძლო, უბრალოდ გაეღიდებინა ფულის ბაზრის სადეპოზიტო და სასესხო სახსრებზე არსებული განაკვეთი კონკურენტების მიერ შეთავაზებულ განაკვეთთან შედარებით და მიეღო დამატებითი ფონდები. მაგრამ თუ ბანკს ძოჭარებულად ექნებოდა ფონდები, ოღონდ მრავალი მომგებიანი მიმართულებით ვერ გაეიყენებდა მათ, მაშინ იგი უცვლელად შეინარჩუნებდა თავის სადეპოზიტო განაკვეთს ან დასწევდა კიდეც მას, ამით კი უპირატესობას მისცემდა თავის კონკურენტებს ფულის ბაზარზე სახსრების მოზიდვაში. სწორედ ასეთ პრაქტიკას უწოდეს „სპრედის მართვა“.

პასივების მართვის ტექნიკა განუწყვეტლივ ვითარდებოდა, მაგრამ ამასთან ერთად გაჩნდა საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობისა და, საბოლოოდ, რისკების გადიდების ტენდენცია. ამან წარმოშვა გაცილებით უფრო დაბალანსებული მიდგომა აქტივებისა და პასივების მართვისადმი. ეს მიდგომა გაბატონებულია საბანკო საქმიანობაში და დღეს მის ფარგლებში შემდეგ წამყვან აპოცანებს გამოყოფენ:

1. ბანკის გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად მისმა ხელმძღვანელობამ მაქსიმალურად შესაძლო დონეზე უნდა აკონტროლოს როგორც აქტივების, ისე პასივების მოცულობა, სტრუქტურა, მოგება და დანახარჯები;

2. აქტივებსა და პასივებზე დაწესებული კონტროლი იმგვარად უნდა იყოს შეთანხმებული, რომ დაცული იყოს მართვის ერთიანი ლოგიკა, ამგვარი შეთანხმებულობის ეფექტი კი ელინდებოდეს აქტივებიდან ბანკის მიერ მიღებულ შემოსავლებსა და ემიტირებულ ვალდებულებებზე გაწეულ სარჯებს შორის მაქსიმალურ სხვაობაში;

3. დანახარჯები და შემოსავალი ახასიათებს ბალანსის ორივე მხარეს — აქტიურსაც და პასიურსაც. ბანკის პოლიტიკა ისე უნდა წუშაღებოდეს, რომ აქტივებზეც და პასივებზეც ხელებოდეს შემოსავლების მაქსიმიზაცია და სარჯების მინიმიზაცია.

ამგვარად, იმ ტრადიციულმა თვალსაზრისმა, რომ ბანკის მთელი შემოსავალი სესხებისა და ინვესტიციების შედეგია, იმ გაგებას დაუთმო ადგილი, რომ სინამდვილეში ბანკი ყიდის ფინანსური მომსახურების მთელ პაკეტს — კრედიტებს, დანაზოგებს, კონსალტინგს და ა.შ. — და თითოეული მათგანის ფასმა უნდა დაფაროს ბანკის მიერ მათ გაწეევაზე მოსული სარჯები. ბალანსის პასიური ნაწილის მართვის შედეგად მიღებული შემოსავალი შეიძლება ზუსტად ისევე დაეხმაროს ბანკს მომგებიანობის მიღწევაში, როგორც აქტივების მართვით მიღებული შემოსავლები.

1990-იან წლებში საბანკო სისტემაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები: კონსოლიდაცია, საბანკო პროდუქტების ექსპანსია, ფულის ბაზრებისა და კაპიტალის ბაზრების გლობალიზაცია, სეკიურიტიზაცია და ცვლილებები რეგულირების სისტემებში, რამაც აქტივებისა და პასივების მართვა კიდევ უფრო გარდაუვალი გახადა საბანკო პრაქტიკაში.

დღეს ბანკები თავიანთი აქტივებისა და პასივების პორთფელებს განიხილავენ როგორც ერთ მთლიანს, როგორც ბანკის ერთობლივ პორთფელს, რომელიც საერთო მიზნების მიღწევას, კერძოდ, მაღალი მოგების და რისკის დასაშვები დონის უზრუნველყოფას ემსახურება. აქტივებისა და პასივების ერთობლივად მართვა ის ინსტრუმენტარიუმია, რომელიც საქმიანი აქტიობის ციკლების და სეზონური რყევების ზემოქმედებისგან იცავს დეპოზიტებსა და სესხებს, აგრეთვე, ხელს უწყობს აქტივების პორთფელის ჩამოსაყალიბებლად საჭირო სახსრების მიღებას. აქტივებისა და პასივების მართვის არსია ისეთი სტრატეგიების ჩამოყალიბება და იმგვარ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც ბანკის ბალანსის სტრუქტურას მის სტრატეგიულ პროგრამებთან შესაბამისობაში მოიყვანს.

ბევრი ბანკი მიხვდა გარდაქმნების აუცილებლობას და გადავიდა ბალანსის მართვის ახალ სტრატეგიაზე, რომელიც მართვის შემდეგ პრინციპებს ეყრდნობა:

1. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავადგინოთ ბანკის მიზნები და მხოლოდ ამის შემდეგ ვცადოთ მათი განხორციელება აქტივებისა და პასივების მართვის სტრატეგიის, როგორც ინსტრუმენტის გამოყენებით. მთავარი მიზანია ბანკის აქციონერთა ინვესტიციების ღირებულების მაქსიმიზაცია, რაც გულისხმობს აქციების მაქსიმალურად შესაძლო საბაზრო ფასის მიღებას რისკის დასაშვები დონის პირობებში;

2. აქტივებისა და პასივების მართვის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომსახურების ახალი ბაზების გახსნამ ან ფასების შეცვლამ შეიძლება ხელი შეუწყოს ბანკის მოგებათა როგორც მატებას, ისე კლებას, ან გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი შედეგები. ბალანსის სტრუქტურის მართვა თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ ორგანიზაციის მიზნების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს;

3. აქტივებისა და პასივების ერთდროულად მართვას მაქსიმალური ეფექტის მოტანა შეუძლია შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სპრედის (სხვაობის) ან ბანკის მარჟის გადიდებასა და შენარჩუნებაში.

არსებობს რამდენიმე ინსტრუმენტი, რომელთა მეშვეობითაც ბანკის აქტივებისა და პასივების მართვას ახორციელებენ. ესაა წმინდა საპროცენტო მარჟა, ვალის ხანგრძლივობა (ან მისი დაფარვის საშუალოშეწონილი ვადა), საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების დისბალანსი (გეპი), შემოსავლიანობის მრუდი.

17.6.2. წმინდა საპროცენტო მარჟა და მისი ანალიზი

აქტივებისა და პასივების მართვის ბუღალტრული მოდელი გულისხმობს ბანკის მარჟის სიდიდის (საპროცენტო შემოსულობებსა და საპროცენტო დანახარჯებს შორის სხვაობის) მაქსიმიზაციას ან სტაბილიზებას რისკის დასაშვები დონის პირობებში. ეს მაჩვენებელი უნდა განვასხვაოთ სპრედისგან, რომელიც ფასისმიერი მაჩვენებელია და ახასიათებს განთავსებულ და მოზიდულ სახსრებზე განაკვეთებს შორის სხვაობას.

აქტივებისა და პასივების მართვის კრიტიკული პარამეტრებია წმინდა საპროცენტო შემოსავალი (წპშ) და მისი შეფარდებითი სიდიდე წმინდა საპროცენტო მარჟის (წპმ) ფორმით. ამ პარამეტრების სიდიდეს ფიქსირებულ დონეზე უნდა ვისარჩუნებდეთ.

$$\text{წპშ} = \text{მპშ} \quad \text{მპხ}, \qquad (17.1)$$

სადაც მსშ კრედიტებიდან და ინვესტიციებიდან მიღებული მთელი საპროცენტო შემოსავალია;
მსხ – დეპოზიტებზე და სხვა სასესხო საშუალებებზე გაწეული მთელი საპროცენტო სარჯები.

$$\text{წსმ} = \frac{\text{წსმ}}{\text{შემოსავლის მომტანი ყველა აქტივის ღირებულება}}$$

წსმ-ის მნიშვნელობაზე მოქმედი ფაქტორებია:

1. საპროცენტო განაკეთების აწევა ან დაწევა;

2. სპრედის – აქტივების შემოსავლიანობასა და ბანკის ვალდებულებათა მომსახურების ხარჯებს შორის სხვაობის – ცვლილება (რომელიც შემოსავლიანობის მრუდის ფორმის ან გრძელვადიან და მოკლევადიან საპროცენტო განაკეთებს შორის თანაფარდობის შეცვლაში იჩენს თავს, რადგან ბანკის მრავალი პასივი მოკლევადიანია, აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს კი დაფარვის უფრო სანგრძლივი ვადები აქვს);

3. საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯების სტრუქტურის ცვლილება;

4. შემოსავლის მომტანი ისეთი აქტივების მოცულობათა ცვლილება, რომლებსაც ბანკი ფლობს საქმიანობის მასშტაბის გაფართოების ან შემცირების დროს;

5. საპროცენტო განაკეთების ხარჯების მქონე იმ პასივების მოცულობათა ცვლილება, რომელთაც შემოსავლის მომტანი აქტივების პორთფელის ჩამოსაყალიბებლად იყენებს ბანკი საქმიანობის საერთო მასშტაბის გაფართოების ან შემცირების დროს;

6. აქტივებისა და პასივების თანაფარდობათა ცვლილება, რომლებსაც ბანკი იყენებს ფიქსირებული და ცვალებადი საპროცენტო განაკეთების, დაფარვის ხანგრძლივი და ხანმოკლე ვადების მქონე აქტივებსა და პასივებს შორის არჩევანის გაკეთების დროს, აგრეთვე, მაღალშემოსავლიან და დაბალშემოსავლიან აქტივებს შორის არჩევანის გაკეთების დროს (მაგალითად, დიდი მოცულობის ნაღდი ფულის ტრანსფორმაციის დროს კრედიტებად ან უძრავი ქონების საწინდრიანი კრედიტებიდან და მაღალშემოსავლიანი სამომხმარებლო სესხებიდან დაბალშემოსავლიან კომერციულ კრედიტებზე გადასვლის დროს).

თუ ბანკის მიერ მიღებული წსმ-ის სიდიდე ხელს აძლევს ხელმძღვანელობას, მაშინ მისი ფიქსაციისათვის იგი გამოიყენებს საპროცენტო განაკეთების ცვლილებათა რისკის ჰეჯირების მრავალ მეთოდს, რითაც ხელს შეუწყობს წმინდა შემოსავლის სტაბილიზაციას. თუ ბანკის ვალდებულების საპროცენტო განაკეთები უფრო სწრაფად მატულობს, ვიდრე კრედიტებიდან და ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლები, მაშინ წსმ-ის სიდიდე შემცირდება, რაც მოგებასაც შეამცირებს. თუ საპროცენტო განაკეთები მცირდება და იმაზე უფრო სწრაფად აძცირებს კრედიტებისა და ფასიანი ქაღალდების შემოსავალს, ვიდრე ნასესხებ სახსრებზე საპროცენტო დანახარჯების კლება, მაშინ წსმ-ც დაიწევს. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობამ უნდა გამოძებნოს რისკის შემცირების გზები, რათა შემცირდეს სახსრების სესხად აღების ხარჯების მნიშვნელოვნად ზრდა საპროცენტო შემოსავლებთან შედარებით, რაც უარყოფითად აისახება წსმ-ის სიდიდეზე.

მაგრამ წსმ და წსმ მსოლოდ ორიენტირებია აქტივებისა და პასივების მართვის დროს, მაშინ როდესაც საბუღალტრო მოდელის თვალსაზრისით, ბალანსის ჰეშმარიტი მართვა უმთავრესად გეპის კონტროლის გზით სორციელდება.

17.6.3. გეპის მართვა

აქტივებისა და პასივების მართვის (საპროცენტო განაკვეთების რისკის ჰეჯირების) ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია გეპის მართვა, რომელიც ეყრდნობა აქტივებისა და პასივების დაფარვის ვადებს შორის არსებული განსხვავების გამო წარმოქმნილი რისკის ცვლილებას. გეპის მოდელებს აგებენ მოკლევადიან პერსპექტივაში წმინდა საპროცენტო შემოსავლის სტაბილიზების ან გადიდების მიზნით. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ნეგატიური გავლენისგან ბანკის მოგების დასაცავად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პორთფელის იმ შემადგენელ ელემენტებს, რომლებიც ყველაზე უფრო მგრძნობიარეა საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ (პორთფელის აქტიური ნაწილის ფარგლებში ესაა, ჩვეულებრივ, კრედიტები და ფასიან ქაღალდებში დაბანდებული ინვესტიციები, პასიური ნაწილის ფარგლებში კი – დეპოზიტები და სესხები ფულის ბაზარზე).

საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო გაწვნილი რისკის დონის მიხედვით ბალანსის მუხლები სამ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ;

- საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისადმი მგრძნობიარე მუხლები;
- საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისადმი არამგრძნობიარე მუხლები (მას შეიძლება მივაკუთვნოთ უსაზღაურო პასიები და არამოშუშაე აქტივები);
- ფიქსირებულგანაკვეთიანი მუხლები.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ ყველაზე უფრო მგრძნობიარე აქტივებს ეკუთვნის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები, სესხები, რომლებიც მოკლე დროში უნდა დაიფაროს ან განახლდეს. თუ საპროცენტო განაკვეთებმა მანამდე აიწია, ვიდრე ამ სესხების პირველად გაცემა მოხდა, მაშინ ბანკი მხოლოდ იმ შემთხვევაში განაახლებს მათ, თუკი სესხების მოსალოდნელი შემოსავლიანობა თითქმის შესაბამისი იქნება სხვა შესადარისი ფინანსური ინსტრუმენტების მიმდინარე მოსალოდნელი შემოსავლიანობისა. ამგვარად, ის სესხები, რომელთა მოქმედების ვადაც იწურება, ბანკს მისცემს სახსრებს, რომლებიც მიმდინარე პროცენტით ახალ კრედიტებში იქნება რეინვესტირებული.

გადასაფასებელ აქტივებს ეკუთვნის დაფარვის წინმყოფი ან გასაახლებელი დეპოზიტური სერტიფიკატები, რადგანაც ამ შემთხვევაში ბანკი და მისი კლიენტები უნდა შეთანხმდნენ ახალ საპროცენტო განაკვეთზე ბაზარზე არსებული ვითარების შესაბამისად. მოთხოვნამდე რიცხული დეპოზიტებიც გადასაფასებელ აქტივებად შეგვიძლია განვიხილოთ, რადგან ბანკიდან მათი გატანა ნებისმიერ მომენტში შეიძლება, თუკი მათი მფლობელი სხვა სახის ანაბრებს მიიჩნევს უფრო მიმზიდველად.

მნიშვნელოვანი გარემოებაა ისიც, რომ საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძნობიარე სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა საპროცენტო განაკვეთის შეცვლასთან ერთად იცვლება. ფიქსირებულგანაკვეთიანი აქტივები და პასივები არ იცვლება დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში. ფულადი სახსრების მოძრაობა არ იცვლება მანამ, ვიდრე არ იქნება არგადახდები. „არამოშუშაე“ აქტივები არ იძლევა აშკარა შემოსავალს, შემოუსავლიანი პასივები კი – პროცენტს.

გეპის სიდიდეს ანგარიშობენ საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ მგრძნობიარე აქტივებსა (RSA - Risk Sensitive Assets) და საპროცენტო განაკვეთების მიმართ მგრძნობიარე პასივებს (RSL - Risk Sensitive Liabilities) შორის სხვაობით დროის თითოეული მონაკვეთისათვის:

$$\text{გეპი} = \text{RSA} - \text{RSL}. \qquad (17.2)$$

განასხვავებენ გეპის გაანგარიშების ორ მეთოდს – სტატიკურსა და დინამიკურს. სტატიკური მეთოდი წარმოადგენს ბანკის ბალანსის მომენტალურად ჩამოჭრას. დინამიკური მეთოდი გულისხმობს საპროცესტო გასაკვეთების ძიძართ ბახკის აქტივებისა და პასივების „მგრძნობიარობის“ ახალი ზ-

ის ჩატარებას დროის გარკვეულ მომენტში (მაგალითად, სამი თვით წინასწარ).

მნიშვნელობის მიხედვით გეპი შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი (პასიური), ისე დადებითი (აქტიური).

უარყოფითი გეპი გვიჩვენებს, რომ ბანკი მგრძნობიარეა პასივების ზაზით. როდესაც საპროცენტო განაკვეთი მატულობს დროის გარკვეულ პერიოდში, ბანკი უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს იხდის ყველა გადაფასებულ პასივზე და მეტ მოგებას იღებს ყველა გადაფასებულ აქტივზე. თუ ყველა განაკვეთი ერთი და იმავე სიდიდით იწევს მაღლა, მაშინ პროცენტების გასტუმრებაზე გაწეული ხარჯები წსშ-ს უსწრებს წინ, რადგანაც ხდება პასივების მეტი მოცულობის გადაფასება. „მოშუშაე" აქტივებიდან მიღებულ საშუალო მოგებასა და ბანკის იმ პასივების საშუალო ღირებულებას შორის, რომლებზეც პროცენტებს იხდიან, სპრედი კლებულობს. ამკვარად, წსშ ამ შემთხვევაში კლებულობს. როდესაც დროის რომელიმე პერიოდის საპროცენტო განაკვეთები მცირდება, მაშინ აქტივების თანხაზე მეტი პასივების თანხის გადაფასება ხდება უფრო დაბალი განაკვეთებით. ამის შედეგად საშუალო სპრედი მატულობს და წსშ იზრდება.

ამის საპირისპირო სიტუაცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს დადებით გეპთან. იგი გვიჩვენებს, რომ ბანკს აქტივები უფრო მეტი აქვს, ვიდრე განაკვეთების ცვალებადობის მიმართ მგრძნობიარე პასივები. საპროცენტო განაკვეთების აწევისას წსშ გაიზრდება, რადგან ბანკის აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები უფრო მეტად მოიმატებს, ვიდრე ნასესხობათა ხარჯები. ამიტომ სხვა თანაბარ პირობებში, ბანკის წმინდა შემოსავალი და სპრედი გაიზიდება. თუ საპროცენტო განაკვეთების დონე დაიწევს, წსშ მოიკლებს, რადგან აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსაელები უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე პასივებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები.

საპროცენტო განაკვეთების რისკისგან ბანკი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შედარებით დაცული, როდესაც საპროცენტო განაკვეთების ცვლილებათა მიმართ მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების მოცულობები ტოლია, ე.ი. როდესაც ნულოვან გეპთან გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსულობანი და დაფინანსებაზე გაწეული ხარჯები ერთნაირი პროპორციებით შეიცვლება და წსშ სტაბილური იქნება საპროცენტო განაკვეთების ცვლილების დინამიკისგან დამოუკიდებლად. თუმცა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ნულოვანი გეპი არ იძლევა საპროცენტო რისკისგან მთლიანად დაცვის გარანტიას, რადგანაც აქტივებისა და ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები სინამდვილეში სხვადასხვა სიდიდით შეიძლება იცვლებოდეს. მაგალითად, კრედიტების საპროცენტო განაკვეთი გარკვეული ლაგით მიჰყვება ფულის ბაზარზე სესხების საპროცენტო განაკვეთს. ეკონომიკური აღმავლობის პერიოდებში ბანკების შემოსაელები, როგორც წესი, წინ უსწრებს დანახარჯების დონის ზრდას, მაშინ როდესაც დაქვეითების დროს საპროცენტო დანახარჯების კლება უსწრებს წინ შემოსაელების კლებას.

ბანკის მოგებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გავლენა ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

$$\Delta\text{წსშ} = \text{გეპი} \times \Delta i, \qquad (17.3)$$

სადაც ΔწსშწმინდაᲐ საპროცენტო შემოსაელის მოსალოდნელი შეცვლაა;

გეპი – განაკვეთის მიმართ მგრძნობიარე აქტივებისა და განაკვეთის მიმართ მგრძნობიარე პასივების სხვაობა;

Δi – მოსალოდნელი საპროცენტო განაკვეთების დონის მოსალოდნელი ცვლილება.

თუ განსახილველი პერიოდის ამოწურვამდე საპროცენტო განაკვეთები აიწევს, მაშინ დადებითი გეპი გაზრდის მოსალოდნელ წსშ-ს. წსშ-ის ნამდვილი ცვლილება მაშინ გაუტოლდება

მოსალოდნელს, თუკი საპროცენტო განაკვეთები ნავარაუდევი მიმართულებითა და მასშტაბით შეიცვლება. გეპის სიდიდე მიუთითებს დაკისრებული რისკის სიდიდეზე.

გეპის მოდელი გულისხმობს, რომ ბანკს, რომელიც ამჯობინებს, მომავალ საპროცენტო განაკვეთებზე არ მოახდინოს სპეკულირება, ნულოვანი გეპის მიღწევის გზით შეეძლო დაეწია საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი. წსშ, არ იცლება განაკვეთების ცვლილებებისგან დამოუკიდებლად და ბანკი მთლიანად ანდენს ჰეჯირებას საპროცენტო განაკვეთების გაუთვალისწინებელი ცვლილებებისგან. მეორე მხრივ, ბანკს შეუძლია მომავალ საპროცენტო ცვლილებებზე სპეკულაცია არჩიოს და აქტიურად მართოს გეპი. მაგალითად, ზოგიერთი ბანკი თავისი აქტივებისა და პასივების მგრძნობიარობას იმის მიხედვით „მომართავს", თუ როგორ ენდობა იგი საკუთარ პროგნოზებს საპროცენტო განაკვეთების დონის შეცვლაზე. თუ ბანკის მმართველები ღრმად არიან დარწმუნებული იმაში, რომ დაგეგმვის მიმდინარე დონეზე საპროცენტო განაკვეთები დაიწევს, მაშინ მათ შეუძლიათ დაუშვან განაკვეთების მიმართ მგრძნობიარე აქტივების გადამეტება ვალდებულებებზე. თუ საპროცენტო განაკვეთები პროგნოზის შესაბამისად შეიცვლება, მაშინ ვალდებულებით განპირობებული ხარჯები შემოსავლებზე უფრო სწრაფად მოიკლებს და წსმ გაიზრდება. ზუსტად ასევე, საპროცენტო განაკვეთების აწევაზე დასაბუთებულად გაკეთებული პროგნოზი აიძულებს მრავალ ბანკს, უფრო მგრძნობიარენი გახდნენ აქტივების მხრივ, რადგანაც მათ იციან, რომ თუ განაკვეთები აიწევს, მაშინ მათი შემოსავლების ზრდა წინ გაუსწრებს საპროცენტო განაკვეთების მომსახურების ხარჯებს. ცხადია, ამგვარი სტრატეგია აიძულებს ბანკს, მეტი რისკი აიღოს თავის თავზე, რაკი საპროცენტო განაკვეთების მოძრაობა წინასწარმეტყველების საპირისპირო მიმართულებით ბანკის დანაკარგების ზრდას გამოიწვევს.

პრაქტიკაში ძნელია გეპის აქტიურად ვარირება და მუდმივად მოგების მიღება. ჯერ ერთი, საპროცენტო განაკვეთების პროგნოზირება ხშირად შეცდომებით ხდება. გეპის საიმედოდ შეცვლისათვის და წსშ-ის გადიდებისათვის ხელმძღვანელობამ უნდა გამოიცნოს ბაზრის ქცევა მომავალი საპროცენტო განაკვეთების ხაზით. მეორე, განაკვეთების ცვლილება სწორად რომც იყოს განჭვრეტილი, ბანკებს ხშირად აკლია მოქნილობა გეპის ვარირებაში. მართლაც, სესხების მიმღები პირები და მეანაბრეები ბანკის მიერ შეთავაზებული პირობებიდან ირჩევენ მათთვის სასურველს, ბანკს კი მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია აკონტროლოს გადაფასება და დაფარვა. ამავე დროს, გეპის მართვის ტექნიკას მთელი რიგი „ვიწრო" ადგილი აქვს. მაგალითად, საპროცენტო განაკვეთებს, რომლებსაც პასივებზე იხდიან (ისინი, ჩვეულებრივ, მოკლევადიანია), აქტივების (ძრავალი მათგანი გრძელვადიანია) საპროცენტო განაკვეთებზე უფრო სწრაფად ცვალებადობის ტენდენცია აქვთ და არც ისე მარტივია ბანკის კონკრეტული აქტივების ან პასივების შესაძლო გადაფასების მომენტის განსაზღვრა. გარდა ამისა, გარკვეულწილად ნებისმიერია იმ საგეგმო პერიოდების შერჩევა, რომელთა განმავლობაშიც მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების დაბალანსება ხდება. ბალანსის ცალკეული მუხლების მიხედვით ფულადი სახსრების შემოსვლა ანგარიშზე ყოველთვის საგეგმო პერიოდებს შორის შეალედებში ხდება. ეს დიდ დანაკარგებს იწვევს, თუ განაკვეთები ბანკისათვის არასასურველი მიმართულებით იცვლება.

გეპის მართვას ან აბსოლუტური სიდიდის ცვლილების გზით ახდენენ (როგორც ეს ზემოთ ვაჩვენეთ), ან საპროცენტო რისკის მახასიათებელი შეფარდებითი მაჩვენებლების დახმარებით. აქტივებისა და პასივების მართვის პროგრამების უმრავლესობა ეფუძნება გეპის ანალიზს საპროცენტო რისკის შეფასების დროს:

$$\text{გეპი} = \text{RSA/RSL}$$

ეს შეფარდება იდეალში ერთისაკენ მიისწრაფვის. როდესაც გეპი დადებითია, მაჩვენებელი ერთზე მეტია, უარყოფითი გეპის დროს კი – ნაკლები. მაგრამ ეს მაჩვენებელი სრული არაა,

რადგან პირდაპირ ინფორმაციას არ გვაძლევს წსშ-ის ცვლილების შესახებ და არ ეთანხმება ისწინებს ბანკის სიდიდეს. 3 მლნ. დოლარის აქტივებისა და 2 მლნ. დოლარის პასივების მქონე ბანკს იგივე მაჩვენებელი აქვს, რაც 300 მლნ. დოლარის აქტივებისა და 200 მლნ. პასივების მქონეს. ცხადია, ფულის მასის შემოსვლის ის შედეგები, რასაც საპროცენტო განაკვეთის ცვლილება იწვევს, განსხვავებულია.

აქტივებისა და პასივების მართვის დროს გამოყენებული მეორე მაჩვენებელია დაგროვილი გეპის სიდიდე, რომელიც წარმოადგენს შგრძნობიარე აქტივების მთლიან მოცულობასა და იმ ვალდებულებებს შორის სხვაობას, რომლებიც დროის გამოსაკვლევი შუალედის განმავლობაში შეიძლება გადაფასდეს. იგი საპროცენტო განაკვეთების რისკის სასარგებლო ინტეგრალური მაჩვენებელია.

დაგროვილი გეპის ცნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მოცემული რყევის დროს შეგვიძლია მიახლოებით გამოვთვალოთ, თუ როგორ აისახება მათი ცვლილება ბანკის წმინდა შემოსავლის დონეზე. მთავარი თანაფარდობა აქ ასეთია:

$$\Delta \text{წმ} = \Delta\text{საგ} \times \text{გეპი}, \qquad (17.4)$$

სადაც Δწმ ბანკის წმინდა შემოსავლის ცვლილებაა;

Δსაგ საპროცენტო განაკვეთების ცვლილება;

გეპი დაგროვილი გეპის სიდიდე.

თუ, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთები 1 პუნქტით აიწევს, ბანკი 6 მლნ. დოლარ წმინდა შემოსავალს დაკარგავს (600 X 0,01). თუკი ბანკის მმართველები წინასწარ განჭვრეტენ საპროცენტო განაკვეთების მომატებას, მათ შეუძლიათ შემოსავლის მოსალოდნელი დანაკარგების თავიდან აცილება ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების გადიდებით დაგროვილი გეპის შესამცირებლად ან ჰეჯირების სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით (მაგალითად, ფიუჩერსული კონტრაქტების). ამგვარად, უარყოფითი დაგროვილი გეპის მქონე ბანკი სარფს მიიღებს საპროცენტო განაკვეთების შემცირებისას, მაგრამ მათი აწევისას ბანკს დანაკარგები ექნება. პირიქით, დაგროვილი დადებითი გეპის მქონე ბანკი სარფს მიიღებს საპროცენტო განაკვეთების აწევით, მაგრამ დაწევით კი ზარალი მოუვა.

საბანკო საქმიანობაზე გეპის უშუალო გავლენის განსაზღვრისათვის იყენებენ მაჩვენებელს, რომელსაც ანგარიშობენ გეპის შეფარდებით ბალანსის ვალუტასთან. იგი გეპს ასე ახასიათებს:

10%-ზე ნაკლები – ნორმალური გეპი, დასაშვები და მართვადი რისკი;

10-12% – ტაქტიკური გეპი;

12-15% – სტრატეგიული გეპი;

15%-ზე მეტი – სპეკულაციური გეპი, რომელიც უმართავად და ბანკისათვის საშიშად მიიჩნეული.

ამჟამად ბანკები გეპის მართვისათვის იყენებენ სირთულის სხვადასხვა დონის მქონე მეთოდებს, მაგრამ ყოველი მათგანი ბანკის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებას:

1. საჭიროა დროის იმ პერიოდის შერჩევა, რომლის განმავლობაშიც ბანკის წსშ-მ სასურველ დონეს უნდა მიაღწიოს (მაგალითად, ნახევარ ან ერთ წელიწადში), აგრეთვე, საგეგმო პერიოდის შუალედური ეტაპების ხანგრძლივობის („დაფარვის ვადების სპექტრის“) დადგენა;

2. აუცილებლად უნდა განისაზღვროს წსმ-ის მიზნობრივი მნიშვნელობა, კერძოდ, დაფიქსირდება იგი დაახლოებით მიმდინარე დონეზე, თუ მოიმატებს;

3. თუკი ბანკის ხელმძღვანელობას სურს წსმ-ის გადიდება, მან ან საპროცენტო განაკვეთების ზუსტი პროგნოზი უნდა ჩამოაყალიბოს, ან თავისი აქტივებისა და პასივების გადანაწილების

ისეთი ხერხი უნდა იპოვოს, რომ გაზარდოს შემოსავლებისა და ხარჯების დონეებს შორის სხვაობა;

4. ხელმძღვანელობამ აუცილებლად უნდა განსაზღვროს, თუ დოლარით მოცემული საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების რა მოცულობები იქნება უფრო ძისადები ბანკისათვის.

მრავალი ბანკი ისეთ მეთოდებს იყენებს, რომლებსაც გამომთველი ტექნიკა სჭირდება. მათი გამოყენების ბანკის აქტივებსა და პასივებს დაფარვის ვადების მიხედვით ავჯგუფებენ (ამ მომენტისათვის; შემდეგი კვირის განმავლობაში; უახლოეს 30 დღეში და ა.შ.). მმართველები ცდილობენ მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების მოცულობების შესაბამისობაში მოყვანას დაფარვის ვადების ყოველ ამ ინტერვალზე. ეს მათ აძლევს ბანკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის – შემოსავლიანობის გადიდების – გადაჭრის შესაძლებლობას. კომპიუტერის მეშვეობით ღებულობენ იმ პერიოდებად დაჯგუფებული ყველა აქტივისა და პასივის მოცულობათა მოწვსრიგებულ ნუსხას, რომელთა განმავლობაშიც ეს ფინანსური ინსტრუმენტები უნდა დაფარონ ან საპროცენტო განაკვეთებს უნდა გადახედონ.

ცვლილების მიმართ საპროცენტო განაკვეთის მგრძნობიარობის შესახებ შედგენილი ანგარიშგების მონაცემები წარმოდგენას გვაძლევს საპროცენტო რისკზე დროის ნებისმიერ მომენტში. მათი გამოყენება შეიძლება აგრეთვე წსშ-ის, პორთფელის შემადგენლობის, აქტივების მოცულობისა თუ საპროცენტო განაკვეთების განელილ ცვლილებათა გავლენის შეფასებისათვის და მომავალ ცვლილებათა ზემოქმედების გათვალისწინებისათვის.

17.6.4. შემოსავლიანობის მრუდი და მისი გავლენა გეპის მართვაზე

როდესაც დაფარვის სხვადასხვა ვადების მქონე გრძელვადიანი და მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების შეძენას შორის არჩევანის გაკეთებაა საჭირო, ინვესტიციურმა მენეჯერმა აწონილ-დაწონილად უნდა გამოიყენოს საინვესტიციო პორიზონტის განფენილობის მართვის ერთ-ერთი წამყვანი ინსტრუმენტი – შემოსავლის მრუდი. ეს ინსტრუმენტი შესაძლებლობას გვაძლევს, უფრო სრულად შეეფასოთ არჩევანის შედეგები და მისი შესაძლო ზეგავლენა შემოსავალსა და რისკზე ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადების ნებისმიერი კონკრეტული შეხამებისას.

შემოსავლის მრუდი იმის გრაფიკული გამოსატულებაა, თუ როგორ იცვლება საპროცენტო განაკვეთები ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადებზე დამოკიდებულებით დროის გარკვეული მომენტისათვის (სხვა თანაბარ პირობებში, მაგალითად, საკრედიტო რისკის ტოლობისას). ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ვადების ხანგრძლივობა აბსცისების ღერძზე გადააქვთ, დაფარვის მომენტისათვის არსებული შემოსავლიანობა კი – ორდინატების ღერძზე. შემოსავლის მრუდები გამუდმებით იცვლება, რადგანაც ყოველ მრუდში აღრიცხული ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობები ყოველდღე ეარირებს. დაფარვის მომენტისათვის არსებული შემოსავლიანობის მაჩვენებლებს ცვლილების სხვადასხვა სისწრაფე აქვთ, თანაც მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებს გრძელვადიან განაკვეთებზე უფრო სწრაფად ზრდისკენ მიდრეკილება გააჩნია, მაგრამ უფრო სწრაფად კლებულობს კიდეც, როდესაც ყველა საპროცენტო განაკვეთი ქვემოთ ეშვება.

შემოსავლის მრუდებს დადებითი დახრილობა აქვს (ე.ი. იზრდება), თუკი გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები მოკლევადიანს აჭარბებს. ეს ხშირად ხდება მაშინ, როდესაც ყველა საპროცენტო განაკვეთი დიდდება, მაგრამ მოკლევადიანი განაკვეთები გრძელვადიანებზე უფრო დაბალი დონიდან იღებს სტარტს. შემოსავლების მრუდს შეიძლება უარყოფითი დახრილობაც ქონდეს, როდესაც მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები გრძელვადიანებზე უფრო მაღალია. შემოსავლის მრუდების უარყოფითი დახრილობა ხშირად შეიმჩნევა ეკონომიკის ციკლური აღმავლობის პერიოდში, აგრეთვე, დაქვეითების აღრეულ სტადიებზე, როდესაც ყველა საპროცენტო განაკვეთი იკლებს, მაგრამ მოკლევადიანი განაკვეთები გრძელვადიანებზე გაცილებით უფრო

სწრაფად მცირდება. ბოლოს, შემოსავლის მრუდების ჰორიზონტალური ფორმა მაშინ სჭარბობს, როდესაც პროცენტის გრძელვადიანი და მოკლევადიანი განაკვეთები დაახლოებით ერთსა და იმავე დონეზეა. ასე რომ, ინვესტორი ერთნაირ შემოსავლიანობას იღებს დაფარვის მომენტისათვის და ეს დამოკიდებული აღარაა მის მიერ შეძენილი ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადებზე.

შემოსავლის მრუდის ფორმა მთელი რიგი სერიოზული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს. მაგალითად, შემოსავლიანობის მრუდის მეშვეობით შეგვიძლია შევადგინოთ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებათა მოსდნინის გარკვეული პროგნოზი. მრუდების დადებითი დახრილობა იმის საშუალო საბაზრო მოლოდინს ასახავს, რომ მომავალი მოკლევადიანი განაკვეთების დონე მათ მიმდინარე მნიშვნელობებზე უფრო მაღალი იქნება. ამ შემთხვევაში ინვესტორები მოელიან საპროცენტო განაკვეთების მომატებას და ამ მოლოდინს ახორციელებენ თავიანთი საინვესტიციო პრიორიტეტების გადანაცვლებით გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდებიდან (რომელშიც დაბანდება ყველაზე მეტ წაგებას მოუტანს კაპიტალს, თუ საპროცენტო განაკვეთები მართლა აიწევს) მოქმედების უფრო მოკლე ვადების მქონე ფასიანი ქაღალდებისაკენ.

თავის მხრივ, ის ბანკები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების პორთფელების მართვაში ანალოგიურად უდგებიან პროცენტების მოლოდინის ანალიზს, ეცდებიან გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების შეძენისგან თავის არიდებას, რადგანაც მოსალოდნელია მათი საბაზრო კურსების დაწევა და. მაშასადამე, ზარალი. ამიტომ ისინი აქცენტს უფრო მოკლე ვადების მქონე ფასიან ქაღალდებზე გააკეთებენ. პირიქით, შემოსავლის დაღმავალი მრუდი იმაზე მიგვითითებს, რომ ბაზრის ოპერატორები მომავალში მოელიან მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების დაწევას და ინვესტორი, საფიქრებელია, მოინდომებს ვადა გაუხანგრძლივოს ბანკის ფასიანი ქაღალდების პორთფელის ერთ ნაწილს მაინც, რადგანაც საპროცენტო განაკვეთების დაწევა მოქმედების შედარებით ხანგრძლივი ვადის მქონე ფასიანი ქაღალდებიდან კაპიტალის მნიშვნელოვნად მატების პერსპექტივას უსახავს მას.

მოკლევადიან პერსპექტივაში საპროცენტო შემოსავლის მრუდის ფორმის ანალიზი ფასიანი ქაღალდების დაწეული ან აწეული შეფასების გამოვლენის გასაღებს აძლევს ინვესტორს. შემოსავლის მრუდი ასახავს, თუ როგორი უნდა იყოს შემოსავლიანობა მოქმედების ნებისმიერი ვადის მქონე ფასიანი ქაღალდების დაფარვის მომენტისათვის. ამიტომ იმ ფასიანი ქაღალდის შემოსავლიანობა, რომლის მაჩვენებელი მრუდის მაღლა მდებარე რომელიმე წერტილშია, აწეულად უნდა მივიჩნიოთ (შესაბამისად, ფასიც მეტისმეტად დაბალია). ის ფასიანი ქაღალდი, რომლის შემოსავლიანობის მაჩვენებელი მრუდის ქვემოთაა, წარმოადგენს გაყიდვის ან შეძენაზე უარის თქმის შესაძლო ობიექტს, რადგან მისი შემოსავლიანობა მოცემულ მომენტში მეტისმეტად დაბალია დაფარვის ვადისათვის (ე.ი. ფასი მეტისმეტად მაღალია).

შემოსავლის მრუდს შეუძლია ინვესტორს დაეხმაროს მეტი შემოსავლიანობისკენ სწრაფვასა და მეტი რისკის აღებას შორის დილემის გადაწყვეტაში. მრუდის დახრის კუთხე გვიჩვენებს, თუ როგორი დამატებითი შემოსავლის მიღება შეუძლია ბანკს მოქმედების უფრო ხანმოკლე ვადების მქონე ფასიანი ქაღალდების უფრო გრძელვადიანით შეცვლის გზით ან, პირიქით. იგი შესაძლო მოგების შეპირისპირების შესაძლებლობასაც იძლევა იმ ალბათობით, რომ ბანკი გადაწყდება ლიკვიდობის კრიზისს და ზარალი მოუვა, თუკი საპროცენტო განაკვეთები გაუთვალისწინებელი სახით შეიცვლება. თუ შემოსავლის მრუდებს მნიშვნელოვანი დადებითი დახრილობა ახასიათებს, მაშინ ბანკს საგრძნობი მოგების მიღება შეუძლია იმ ხერხის გამოყენებით, რომელსაც „შემოსავლიანობის მრუდის ჩაწევას უწოდებენ“. საინვესტიციო მენეჯერი აკვირდება იმ სიტუაციას, რომლის დროსაც ბანკის კუთვნილი ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადები ახლოვდება და მათმა ფასებმა მნიშვნელოვნად აიწია, ხოლო შემოსავლიანობა მნიშვნელოვნად დაქვეითდა. თუკი მრუდის დახრილობა საკმაოდ მკვეთრია საიმისოდ, რომ დაიფაროს ტრანსაქციური ხარჯე-

ბი, ბანკს შეუძლია გაყიდოს ეს ფასიანი ქაღალდები, დიდი მოგება მიიღოს მათი კურსების აწევით და ამ ოპერაციიდან მიღებული შემოსულობების რეინვესტირება მოახდინოს მოქმედების უფრო ხანგრძლივი ვადისა და უფრო მაღალი შემოსავლის ნორმის მქონე ფასიან ქაღალდებში. თუ ამ დროს მრუდის ფორმა სერიოზულად არ იცვლება ბანკისათვის არასასიკეთო მიმართულებით, მაშინ ბანკს შეუძლია პორთფელისგან მიიღოს როგორც უფრო დიდი მიმდინარე შემოსავალი, ისე უფრო მნიშვნელოვანი პერსპექტიული შემოსავალიც.

გეპის სტრატეგიის შერჩევის საჭიროებაა შემოსავლის მრუდის მეშვეობით განვიხილოთ ნებისმიერად ამოზნექილი მრუდი. რადგან შემოსავლის მრუდი დაფარვის ვადის მოახლოებასთან ერთად სწორი ხდება, ამიტომ სწორედ მრუდის დასაწყისში შეიმჩნევა ყველაზე მსხვილი ლიკვიდური პრემიები. ამგვარად, ამ სეგმენტზე ბანკირებისათვის მომგებიანია სესხების აღება მოკლე ვადით და კრედიტების გაცემა სანგრძლივი ვადით. მაგრამ მოკლე ვადით სესხის აღება და გრძელვადიანი დაკრედიტება (უარყოფითი გეპი) საპროცენტო განაკვეთების აწევისკენ მიდრეკილს ხდის ბანკს. ეს ზრდა იმას მოასწავებს, რომ ბანკის აქტივების შეფასება პასივებზე მეტად განიცდის ვარდნას. ამის შედეგად ბანკის კაპიტალი დაიკლებს.

ბანკის აქტივებისა და პასივების შეთანხმებული მართვის გამო, სწორად შედგენილი სტრატეგია საპროცენტო რისკის კომპენსირებაში შეიძლება დაეხმაროს ბანკს მის ტაქტიკურ საქმიანობაში. ამის მისაღწევად ბანკის სტრატეგია – როგორც 1 წელიწადზე მეტი ვადისთვის გათვლილი საქმიანობა – დადებით გეპზე უნდა იყოს ორიენტირებული. ბანკის სწორი სტრატეგიაა ხანგრძლივად სესხის აღება და მოკლე ვადით დაკრედიტება (აქტივები უფრო გრძელვადიანია, ვიდრე პასივები) და არა პირიქით. თუმცა, ტაქტიკისა და სტრატეგიის საკითხებში წონასწორობის მიღწევა საკმაოდ ძნელია.

ამგვარად, აქტივებისა და პასივების მართვის ტაქტიკური და სტრატეგიული კომპონენტების გარჩევით მომგებიანად შეუძლიათ მრუდის დასაწყისში ლიკვიდური პრემიების გამოყენება ისე, რომ საპროცენტო რისკი აარიდონ ბანკის საკუთარ კაპიტალს. საამისოდ საშედეგო ბალანსი მგრძნობიარე უნდა იყოს აქტივების მიხედვით, ე.ი. პასივების მგრძნობიარობას აქტივების მგრძნობიარობა უნდა ფარავდეს.

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, შეიძლება შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: თუკი შემოსავლების მრუდს დადებითი დახრილობა აქვს, ბანკი კი ნეგატიურ გეპს ინარჩუნებს გრძელ და მოკლევადიან განაკვეთებს შორის სხვაობით დამატებითი შემოსავლების მისაღებად, მაშინ ბანკში განაკვეთების აწევას ელოდებიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბანკი დგას შემდეგი დილემის წინაშე: თუკი პოზიტიური გეპის პოზიციას დაიკავებს და განაკვეთების აწევას განჭვრეტს, მაშინ ეს გაზრდისაუკეთესი მოგების მიღებას რეფინანსირებიდან; თუკი ბანკი მიზნად დაისახავს რეფინანსირებიდან მოგების მიღებას, მაშინ იგი წინ ველარ აღუდგება პროცენტის განაკვეთის მომატებას. ამ ანალიზის ორი კრიტიკული მომენტია ვადების შეუსაბამობა და შემოსავლის მრუდის ბერების სიჩქარე. მაშასადამე, თუ პროცენტის განაკვეთები ბანკის გეპის პოზიციის საწინააღმდეგო მიმართულებით იცვლება, მაშინ ბანკის ბალანსს საკმარისი ელასტიკურობა უნდა ჰქონდეს შესაგუებლად. გეპის ან საპროცენტო რისკის პეჯირებისათვის ბანკს შეუძლია გამოიყენოს საქმიანობის ბალანსგარეშე სახეობები (ვადიანი გარიგებები).

შემოსავლის მრუდის უარყოფითი დახრილობის შემთხვევაში, თუკი ბანკი ხანგრძლივი ვადით სესხულობს და მოკლე ვადით გასცემს კრედიტებს (დადებითი გეპი), იგი რეფინანსირებიდან ზიანებს მოგებას. პროცენტის განაკვეთის ცვლილების სიჩქარის პროგნოზის შესაბამისად გეპის რეგულირების უნარი პროცენტის განაკვეთებზე წარმატებით თამაშის შესაძლებლობას უქმნის ბანკს.

გეპის ციკლური მართვა გეპის მართვის გასაღებია, ბალანსის მოქნილობის შენარჩუნებაა. ამის თქმა ადვილია, გაკეთება კი ძნელი, რადგანაც ბანკებს არ შეუძლიათ აქტივებისა და პასივების

სრულად გაკონტროლება. ბალანსის პასივების რეგულირება ძნელია. ამიტომ მოქნილობის შენარჩუნებისთვის უფრო მეტი ძალისხმევა ბალანსის აქტივებს ხმარდება. ტიპიური საპროცენტო ციკლის მსვლელობაში იდეალურია შემდეგი მიზნობრივი გეპების დადგენა.

პოზიტიურიდან ნეგატიურ გეპზე გადასვლისას, როდესაც შემოსაველის მრუდი ღუნვის წერტილში იმყოფება, მართლაც საჭიროა მოქნილი ბალანსი. ყველაზე უფრო რეალური ქმედებებია – საკმარისი მოქნილობის გამოჩენა და პროცენტის განაკვეთის ცვლილების მომგებიანად გამოყენების უნარის ქონა. იდეალური მდგომარეობაა პოტენციური, მაგრამ იმგვარი დაუბალანსებლობისათვის მზადყოფნა, რომელიც შეგნებული და პროცენტის განაკვეთის დინამიკის შესაბამისი იქნებოდა. ბუნებრივია, ამგვარი მდგომარეობა უფრო ხელმისაწვდომია მსხვილი ბანკებისათვის, რადგან პროგნოზისა და მართვის ხარისხზეა დამოკიდებული – ცუდი დაგეგმვისა და გეგმების სუსტად რეალიზების დროს დანაკარგები გარდაუვალია.

17.6.5. დიურაციის (ხანგრძლივობა) მართვა

გეპის ანალიზთან ერთად მრავალი ბანკი ახდენს თავისი პორთფელის ხანგრძლივობის ზომების (ე.ი. დაყვანილი ღირებულების ზომების) შეფასებას, რაც აქტივებისა და პასივების მართვის ეკონომიკური მოდელის საფუძველია. ასეთი ინფორმაციის მიღების აუცილებლობას განაპირობებს აქტივებისა და პასივების მართვის სხვა მეთოდებით არასაკმარისობა. მაგალითად, გეპის მოდელი ზუსტად არ ასახავს საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებულ რიშიდა კონტროლის სამსახურის, რადგან არ ითვალისწინებს აქტივებისა და პასივებისათვის ფულის მასის შემოსვლის დროს (მომენტს) დაფარვის ვადების იმავე კლასიფიკაციის ფარგლებში.

გეპის მაჩვენებლები მხოლოდ მიახლოებით აფასებენ საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებულ რიშიდა კონტროლის სამსახურის. როდესაც გეპი ნულის ტოლია, წსშ მაინც იცვლება, რადგან აქტივებისა და პასივების ნაღდი ფული სულ მთლად სინქრონულად არ მოძრაობს. დაფარვის მოკლე ვადის ფარგლებშიც კი ფულის სასრების მოძრაობა არ ემთხვევა ერთმანეთს. ზემოთ განხილული სხვა მეთოდი – შემოსალიანობის მრუდის ანალიზი – იმ ვადის გათვალისწინებას ეყრდნობა, რომელიც ფასიანი ქაღალდის დაფარვამდეა დარჩენილი, ანუ იმ მომენტამდე დარჩენილი დღეების, კვირების, თვეებისა და წლების, როდესაც რომელიმე ფასიანი ქაღალდით განპირობებული ვალდებულებები შესრულდება და ეს ქაღალდი შეწყვეტს მიმოქცევას. ამგვარად, დაფარვის ვადის ეს ტრადიციული საზომი ითვალისწინებს მხოლოდ წმინდა სახის დროს და არა მოცემული აქტივიდან მოსალოდნელი შემოსავლის ან შემოსულობათა ნაკადს. მთავარი ინფორმაცია ის კი არაა, თუ რამდენად ხანგრძლივად იმყოფება მიმოქცევაში ყოველი ცალკეული ფასიანი ქაღალდი, არამედ ის, თუ როდის მოუტანს იგი ბანკს შემოსავლის ან შემოსულობათა ნაკადს და რამდენ ფულს შემოიტანს იგი ყოველ თვეში, კვარტალსა თუ წელიწადში, მთელი იმ პერიოდის მანძილზე, ვიდრე ამ ფასიან ქაღალდს ინახავს ბანკი. ამ პრობლემებმა წარმოშვა დაფარვის საშუალოშეწონილი ვადის (დიურაციის) ცნება.

დიურაცია მიმდინარე ღირებულების მიხედვით შეწონილი დაფარვის ვადაა, რომელიც ითვალისწინებს აქტივებიდან მთელ შემოსულობათა (მაგალითად, სესხებსა და ფასიან ქაღალდებზე გადახდათა ნაკადების) და პასივებზე გაწეულ გადახდათა (მაგალითად, შენახულ დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტების ნაკადის) დროით გრაფიკს. პრაქტიკაში ხშირად საინვესტიციო სახსრების აღდგენისათვის საჭირო საშუალო დროს. ის ბანკი, რომლის აქტივების დაფარვის საშუალოშეწონილი ვადა 5 წელია, ამ აქტივებში თავის თავდაპირველ დაბანდებებს საშუალოდ 5 წელიწადში დაფარავს, იმის მიუხედავად, თუ რა მოუვა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს ამ პერიოდში. აქტივებისა და პასივების დაფარვის საშუალო ვადების დაფარვით ბანკს შეუძლია დაბალანსოს მოსალოდნელ შემოსულობათა და

მოსალოდნელ გადახდათა საშუალო ვადა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქტივებზე და პასივებზე არსებული განაკვეთების ცვლილება ერთნაირი არ იქნება სიდიდისა და მიმართულების თვალსაზრისით. ამგვარად, დაფარვის საშუალოშეწონილი ვადების ანალიზის გამოყენება შესაძლებელია ბანკის კაპიტალის საბაზრო ღირებულების სტაბილიზაციისათვის.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებათა მთლიანად ჰეჯირებით დაინტერესებული ბანკი ცდილობს ისე შეირჩიოს აქტივები და პასივები, რომ შემოსულობათა ღირებულებით შეწონილი დაფარვის ვადები დაახლოებით ტოლი ჰქონდეს აქტივებისა და პასივების პორთფელებს, ანუ დაფარვის საშუალოშეწონილი ვადების დისბალანსი პრაქტიკულად ნულის ტოლი იყოს.

აქტივის ღირებულების მიხედვით შეწონილი მათი დაფარვის საშუალო ვადა (წლებით) ტოლია სესხებიდან და ფასიანი ქაღალდებიდან მოსალოდნელ შემოსულობათა დროის მიხედვით შეწონილი განაწილების შეფარდებისა სესხებისა და ფასიანი ქაღალდების დაყვანილ ღირებულებასთან, ანუ

$$DA = \frac{\sum_{i=1}^{n}(CFA \times X_i)/(1+r)^t}{\sum_{i=1}^{n} CFA \times (1+r)^t} \qquad DP = \frac{\sum_{i=1}^{n}(CFP \times X_i)/(1+r)^t}{\sum_{i=1}^{n} CFP \times (1+r)^t} \qquad (12.5)$$

სადაც **DA** აქტივების ღირებულების მიხედვით შეწონილი დაფარვის საშუალო ვადაა;

DP – პასივების ღირებულების მიხედვით შეწონილი დაფარვის საშუალო ვადა;

CFA – ნაღდი სახსრების მოსალოდნელი შემოსულობები;

CFP – მოსალოდნელი გადასახდელები პასივებზე;

t – ნაღდი სახსრების შემოსვლის (პასივებზე განხორციელებული გადახდების) პერიოდი;

r – დისკონტის განაკვეთი.

რადგან ბანკის აქტივების ღირებულება, ჩვეულებრივ, აღემატება მისი პასივების ღირებულებას (წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი გაკოტრდება), ამიტომ იმ ბანკმა, რომელიც ცდილობს ნულამდე დაიყვანოს დაფარვის საშუალოშეწონილი ვადების დისბალანსი, უნდა მიაღწიოს იმას, რომ

$$DA = DP \times \frac{A}{P} \qquad (12.6)$$

სადაც DA – აქტივების პორთფელის შემოსულობათა ღირებულების მიხედვით შეწონილი დაფარვის ვადაა;

DP – პასივების პორთფელის გადახდათა ღირებულების მიხედვით შეწონილი დაფარვის ვადა;

A – აქტივების მთლიანი სიდიდე;

P – პასივების მთლიანი თანხა.

დაფარვის მეტი საშუალოშეწონილი ვადა გულისხმობს მეტ მგრძნობიარობას. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ. ამიტომ, როგორც ზემოთ მოყვანილი ფორმულიდან ჩანს, საპროცენტო განაკვეთების საერთო რისკის ნულამდე დასაყვანად ბანკის პასივების ღირებულება რამდენადმე უფრო მეტად უნდა იცვლებოდეს, ვიდრე აქტივების ღირებულება. თუ ბანკის აქტივების დაფარვის საშუალოშეწონილი ვადა დაბალანსებული არაა ღირებულებით შეწონილი პასივების მოქმედების ვადასთან, მაშინ ბანკს საპროცენტო რისკი ემუქრება. რაც მეტია დაფარვის საშუალოშეწონილი ვადების დისბალანსი, მით უფრო მგრძნობიარე იქნება წმინდა ღირებულება საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ.

დაუშვათ, აქტივების დაფარვის საშუალოშეწონილი ვადა აჭარბებს პასივების იმავე მაჩვენებელს. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს დაფარვის საშუალოშეწონილი ვადების დადებითი დისბალანსი. ყველა საპროცენტო განაკვეთის დონეთა პარალელურად ცვლილება იმას გამოიწვევს, რომ

ბანკის პასივების ღირებულება ნებისმიერი მიმართულებით უფრო ნაკლებად შეიცვლება, ვიდრე აქტივების ღირებულება. ამ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთების მომატება გამოიწვევს ბანკის საკუთარი კაპიტალის საბაზრო ღირებულების შემცირებას, რადგან აქტივების ღირებულება პასივების ღირებულებაზე უფრო მეტად დაიწევს, სააქციო კაპიტალის საბაზრო შეფასება კი შემცირდება.

თუ ცნობილია დაფარვის ვადების დისბალანსის მიზეზები, ე.ი. ფულის ნაკადებისთვის გამოყენებული დისკონტირების საწყისი კოეფიციენტი, აგრეთვე, საპროცენტო განაკვეთების დინამიკა მთელი განსახილველი პერიოდის (t) მანძილზე, მაშინ შეგვიძლია ვიანგარიშოთ ბანკის სააქციო (საკუთარი) კაპიტალის საბაზრო ღირებულების ცვლილება:

$$A = B \times \frac{C}{D} \qquad (17.7)$$

სადაც A – ბანკის საკუთარი კაპიტალის ცვლილებაა;
B – დაფარვის ვადების დისბალანსი;
C – საპროცენტო განაკვეთების დონის ცვლილება;
D – დისკონტირების საწყისი კოეფიციენტი.

აშკარაა, რომ ბანკის საკუთარი კაპიტალი არსებითად შემცირდება, თუკი იგი ვერ შეძლებს საპროცენტო განაკვეთების აწევის შედეგად მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილებას.

განვიხილოთ იმის მაგალითი, თუ როგორ შეგვიძლია გამოვთვალოთ და გამოვიყენოთ დაფარვის საშუალოშეწონილი ვადის მაჩვენებელი ბანკის აქტივებისა და პასივების პორთფელის დასაცავად. ვისარგებლოთ იმით, რომ აქტივების პორთფელის და დეპოზიტების, აგრეთვე სხვა სასესხო სახსრებისა და ვალდებულებების პორთფელის დაფარვის საშუალოშეწონილი ვადა პორთფელში შემავალი სხვა ინსტრუმენტების ღირებულებით შეწონილი ვადის ტოლია. ჩვენ ჯერ გავიანგარიშებთ ყოველი საბაზრო სესხის, დეპოზიტისა და ა.შ. დაფარვის საშუალოშეწონილ ვადას; შემდეგ თითოეულ ჩამოთვლილ მაჩვენებელს შევწონით შესაბამისი ინსტრუმენტების ღირებულების მიხედვით და, ბოლოს, შევაჯამებთ ყველა შეწონილ მაჩვენებელს და მივიღებთ მთელი პორთფელის დაფარვის საშუალო ვადას.

იმისათვის, რომ შევწონოთ თითოეული აქტივის დაფარვის საშუალო ვადა მისი საბაზრო ღირებულების მიხედვით, ვანგარიშობთ ბანკის პორთფელის დაფარვის ღირებულებით შეწონილ საშუალო ვადას:

$$\sum A = t_A \times \frac{S_A}{S_{AO}} \qquad (17.8)$$

სადაც A – ბანკის პორთფელის დაფარვის საშუალო ვადაა;
t – თითოეული აქტივის დაფარვის საშუალო ვადა;
S_A – პორთფელის თითოეული აქტივის საბაზრო ღირებულება;
S_{AO} – ყველა აქტივის მთლიანი საბაზრო ღირებულება.

ამგვარად, მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს აქტივების პორთფელის დაფარვის საშუალო ვადას. ბანკს შეუძლია თავი დაიცვას საპროცენტო განაკვეთების აწევის ნეგატიური გაელვენისგან. თუ პასივის მუხლების დაფარვის საშუალო ვადას დაახლოებით იმავე დონეზე დააწესებს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ უნდა მოვახდინოთ აქტივების პორთფელის დაფარვის საშუალო ვადის კორექტირება აქტივებისა და პასივების მთლიან ღირებულებათა შეფარდების გათვალისწინებით, რაკი ბანკის აქტივები თავიანთი ღირებულებით აჭარბებენ პასივებს, ე.ი.:

$$\sum A = \frac{t_n \times S_p}{S_p} \qquad (17.9)$$

სადაც t_n – პასივების დაფარვის საშუალოშეწონილი ვადაა;

S_p – პასივების მთლიანი ღირებულება.

ამგვარად, ბანკის აქტივების დაყვანილი ღირებულება გააწონასწორებს ბანკის პასივების დაყვანილ ღირებულებას, რაც პრაქტიკულად დაიფარავს ბანკს საპროცენტო განაკვეთების რყევით გამოწვეული დანაკარგებისგან.

რისკის მართვის თვალსაზრისით, დაფარვის საშუალოშეწონილი ვადის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ იგი ზომავს ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების მგრძნობიარობას. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების მიმართ აქტივის ან ვალდებულების საბაზრო ფასის პროცენტული ცვლილება დამოკიდებულია მისი დაფარვის საშუალოშეწონილი ვადის ნამრავლზე ან კონკრეტულ აქტივთან, ან პასივთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთის ფარდობით ცვლილებაზე. მგრძნობიარობის გაანგარიშების საბაზო ფორმულა ასეთია:

$$MD = \frac{\Delta P}{P} = -D \times \frac{\Delta i}{(1+i)} \qquad (17.9)$$

სადაც $\Delta P/P$ საბაზრო ფასის ფარდობითი ცვლილებაა;

$\Delta i/(1+i)$ – აქტივისა და პასივის საპროცენტო განაკვეთის სათანადო ფარდობითი ცვლილება;

D – დაფარვის საშუალოშეწონილი სიდიდე. აქ „მინუს“ ნიშანი იმას შეგვახსენებს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის საბაზრო ფასი და საპროცენტო განაკვეთი ურთიერთსაპირისპირო მიმართულებებით იცვლება.

ეს განტოლება იმას გვიჩვენებს, რომ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტის საპროცენტო განაკვეთის რისკი მისი დაფარვის საშუალოშეწონილი ვადის პირდაპირპროპორციულია: თუ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტისათვის ეს მაჩვენებელი 2-ის ტოლია, მაშინ იგი 2-ჯერ უფრო სარისკოა (ფასების დონის დინამიკის მიმართ), ვიდრე დაფარვის 1-ის ტოლი საშუალოშეწონილი ვადის მქონე ინსტრუმენტი.

პრაქტიკაში მგრძნობიარობის მნიშვნელობა შეგვიძლია მივიღოთ პირდაპირი ანგარიშით, როგორც ერთი და იმავე ფინანსური ინსტრუმენტის იმ მიმდინარე ღირებულებებს შორის სხვაობა, რომლებიც გამოთვლილია დისკონტური მამრავლის ერთი პუნქტით შეცვლისას (გადიდების ან შემცირებისას – ბაზარზე გამოვლენილ ტენდენციაზე დამოკიდებულებით).

დაფარვის საშუალოშეწონილი ვადის გაანგარიშება სინამდვილეში მთელ რიგ სირთულეებსა და შეზღუდვებს უკავშირდება. მაგალითად, ხშირად უკიდურესად ძნელია იმ აქტივებისა და პასივების პოვნა, რომლებსაც მოქმედების ერთნაირი საშუალო ვადები აქვთ და თანაც შეესაბამება ბანკის პორთფელს. გაცილებით იოლი იქნებოდა, სესხის მოქმედების ვადა მისი დაფარვის საშუალოშეწონილი დროის ტოლი რომ ყოფილიყო.

ზოგიერთი სახის საბანკო ანგარიშს, მაგალითად, მოკითხვამდე დეპოზიტებსა და შემნახველ ანგარიშებს, შესაძლოა ახასიათებდეს გადახდათა საკმაოდ ბუნდოვანი რეჟიმი. უფრო მეტიც, კლიენტების მიერ კრედიტების ნაადრევად დაბრუნების მრავალგვარი ფორმები ამახინჯებენ სესხებზე მოსალოდნელ გადახდათა სურათს. დაფარვის საშუალოშეწონილი ვადის მოდელები იმას გულისხმობს, რომ საპროცენტო განაკვეთები ან სტაბილური რჩება, ან პარალელურად იცვლება (ე.ი. შემოსავლიანობის მრუდის დახრილობა მუდმივია დროში). რეალურ ეკონომიკაში ასეთ იდეალურ მოვლენას ვერ ეხვდებით. ბოლოდროინდელი გამოკვლევები, საბედნიეროდ, იმას გვიჩვენებენ, რომ დაფარვის საშუალოშეწონილი ვადების დაბალანსების ტექნიკა შეიძლება ეფექტიანი იყოს იმ ვარაუდებიდან ზომიერ გადახრათა შემთხვევაშიც კი, რომლებიც მას უდევს საფუძვლად.

შეჯამების სახით გავიმეოროთ, რომ ჩვენ დიურაცია განვმარტეთ როგორც აქტივის ან პასივის გადაფასებამდე დარჩენილი ნამდვილი დრო. აქტივებისა და პასივების პორტფელების შეზომებისას (ვადებით) უნდა გვასსოვდეს, რომ საპროცენტო განაკვეთების ნებისმიერი ცვლილებისას აქტივების აბსოლუტური ღირებულება უფრო ძლიერ იცვლება, ვიდრე პასივებისა. ამ შემთხვევაში კი ბანკის კაპიტალის ღირებულება დაცული არ იქნება ცვლილებებისგან. სასურველი წონასწორობის მიღწევის მიზნით ბანკს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჰქონდეს მგრძნობიარობა აქტივების მიმართ (ე.ი. აქტივების გადაფასება წინ უნდა უსწრებდეს პასივების გადაფასებას, ანუ საჭიროა პოზიტიური გეპი აქტივებისა და პასივების საპროცენტო განაკვეთებს შორის).

17.7. მოგების მართვა

რა მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ბანკისათვის მიზნები და ამოცანები, რომელთა რეალიზაცია ხდება პასივების, აქტივების, აქტივებისა და პასივების კომპლექსური მართვის პროცესში. ბანკი წარმოადგენს სამეწარმეო სტრუქტურას და, აქედან გამომდინარე, მისი მნიშვნელოვანი ამოცანაა – მოგების მიღება, საქმიანობის მომგებიანობა.

მოგება ბანკის საქმიანობაში ასრულებს განმსაზღვრელ, მაგრამ მრავალპლანიან როლს. მოგება – ეს არის:

- კაპიტალის ზრდა გაუნაწილებელი მოგების კაპიტალიზაციის გზით;
- ეკონომიკის ახალ სფეროებში, სოციალურ სფეროებში, ტერიტორიებში ექსპანსიის და ზრდის რესურსები;
- პრობლემურ სიტუაციებში, პოტენციური ზარალის შემთხვევებისათვის სიმყარის მარაგის (რეზერვის) შექმნა;
- ინვესტორებისათვის დივიდენდების გაცემის უზრუნველყოფა;
- რეალურ და პოტენციურ ინვესტორებსა და კრედიტორებში მათი სახსრების დაცულობისა და შემოსავლების მიღების თვალსაზრისით ნდობის აღძრა;
- ბანკის პროდუქტიულობის გაზომვა და ინდიკაცია (პირველ რიგში, მისი აქტიური ოპერაციებისა).

ბანკის მინიმალური დანახარჯებისას რაც შეიძლება მეტი შემოსავლის მიღების ხარჯზე მოგების მაქსიმიზაციის საბაზისო მიზანდასახულობა მენეჯმენტის მიერ „სუფთა სახით“ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება იქნეს აღქმული. საბანკო შემოსავლები შეიძლება დიფერსიფიცირებულ იქნეს ნიშან-თვისებათა საკმაოდ ფართო წრით:

- მიღების წესის მიხედვით (საპროცენტო, არასაპროცენტო და ა.შ.);
- მიღების წყაროების მიხედვით (სამეწარმეო სტრუქტურები, მოსახლეობა, ბირჟები);
- მიღების სიხშირის მიხედვით (სტანდარტული, განუსაზღვრელი);
- მიღების გარანტიების მიხედვით (ნაღდი ფული, ანგარიშები, ფასიანი ქაღალდები, მატერიალური ობიექტები);
- მიღების ვადების – საინვესტიციო დროებითი ეფექტის – მიხედვით, რომელიც წარმოადგენს სხვაობას ფინანსური რესურსების ინვესტიციების მომენტსა და შემოსავლის მიღებას შორის (მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი და ა.შ.).

შესაბამისად, მენეჯმენტის როგორც მიზნობრიობა, ისე მეთოდური და საორგანიზაციო შემოსავლები იქმნება ფართო დიაპაზონით და ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა მიმართულებით.

ასე მაგალითად, საპროცენტო შემოსავლები პრინციპში შეიძლება ოპტიმიზირებულ იქნეს კონკურენტუნარიანი, რესურსული, სოციალური და სხვა გარეგანი შეზღუდვების, ასევე თვისებრივი შეზღუდვების (გადავადებულ კრედიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლების წილი, მაგალითად, არ უნდა აღემატებოდეს ბანკის შემოსავლების სტრუქტურაში 2-5%-ს) ფარგლებში.

საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები (დივიდენდები წილობრივი ფასიანი ქაღალდებიდან და შემოსავლები ერთობლიუი საქმიანობიდან) იშვიათ შემთხვევებში შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს, რადგან შემოსავლიანობა იშვიათად არის ინვესტიციების ერთადერთი მიზანი. სწორად იგულისხმება შეხამება სხვა მიზნებთან, რაც აპირობებს შემოსავლიანობის შემცირებას მართვაზე, ინფორმაციასა და დიეერსიფიკაციაზე დანახარჯებთან მიმართებაში.

არასაპროცენტო საკომისიო შემოსავლები (ანგარიშების გახსნისა და წარმოების ანაზღაურება, საკომისიოები ლიზინგზე, ფაქტორინგსა და ტრასტების მიხედვით სააგენტო შემოსავლებზე და ა.შ.) არსებითად ანაზღაურებადია, ანუ უნდა შეესაბამებოდეს ოპერაციებზე დანახარჯებსა და ხარისხს, მათი გადაჭარბებული ზრდა კი ნიშნავს მენეჯმენტის ხარისხის დაკარგვას, ბანკის იმიჯის დაკარგვას.

არასაპროცენტო საეაჭრო შემოსავლები (ვალუტის, ფასიანი ქაღალდების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების – ფიუჩერსების, ოფციონების, სავალუტო დილინგისა და არბიტრაჟის – ყიდვა-გაყიდვა); რომლებიც იქმნება აქტივთა კოტირების მოკლევადიანი ცვლილებებით, არის არა ტრადიციული საბანკო ოპერაციების, არამედ საბანკო გარიგებების შედეგი. ამგვარი გარიგებები, საერთოდ, ბანკებისათვის არაა დამახასიათებელი და ბევრ ქვეყანაში აკრძალულიც კია, როგორც ძალზე სარისკო. ამდენად, ამ შემოსავლების წილი ბანკების შემოსავალთა სტრუქტურაში მკვეთრადაა შეზღუდული მათი არასტაბილურობის გამო. შესაბამისად, არაა ნავარაუდევი მათი მაქსიმიზაცია.

არასაპროცენტო „ინტელექტუალური“ შემოსავლები მომსახურების ანაზღაურებიდან (კონსულტაციები, საშუამავლო მომსახურება, გარანტიები, თავდებობა) და ასევე შემოსავლები ბანკის მიერ შემუშავებული არშეძენილი არამატერიალური აქტივების ანაზღაურებიდან ან არენდიდან, გამოირჩევა ყველაზე მაღალი ხარისხით და ბანკის მენეჯმენტს ახასიათებს როგორც მაღალპროფესიულს და კომპეტენტურს. ერთჯერადი ინვესტიციებისა და შედარებით უმნიშვნელო საოპერაციო გასავლებისას ეს შემოსავლები შეიძლება იყოს სტაბილური და გარანტირებული. ეს იშვიათი შემთხვევაა, როცა მენეჯმენტის მიზანდასახულობა გულისხმობს შემოსავლის შესაძლო მაქსიმიზაციას.

და, პირიქით, ბანკის მიერ პრობლემური მსესხებლების და საერთოდ ხელშეკრულებათა დამრღვევების მიმართ გამოყენებული ფინანსური სანქციებიდან (ჯარიმები და სხვ.) მიღებული შემოსავლები ბანკის მენეჯმენტის თვალსაზრისით უკიდურესად ნეგატიურია და პრინციპში უნდა იქნეს მინიმიზირებული. ისინი მხოლოდ აუარესებს პრობლემური მსესხებლების ფინანსურ მდგომარეობას, ურთულებს მათ თაეიანი ვალდებულებების შესრულებას და მხოლოდ ნაწილობრივ უსაზღაურებს დანაკარგს ბანკებს, ხშირად კი ხელს უწყობს ზარალის ზრდას. რადგან აქეითებს ბანკის იმიჯს, არღვევს პარტნიორულ ურთიერთობებს.

მყარი შემოსაელები, ისეთები, როგორიცაა პრობლემური მსესხებლის სანაციის შემთხვეეაში დაკარგული კრედიტის დაბრუნება და მისი ვალების „გასუფთავება“, ზარალის მხოლოდ ნაწილობრივი ანაზღაურებაა და, შეძლებისდაგვარად, მინიმიზირებულ უნდა იქნეს.

ბუნებრივია, შემოსავლების მაქსიმიზაციის მიზანმიმართულება მავნეა შემთხვეით შემოსაელებზე, სტანდარტულიდან განუსაზღვრელზე, მატერიალური ობიექტებიდან ნაღდ შემოსავალზე გადასელისას. შეიძლება ითქვას, რომ ბანკების შემოსაელების სფეროშიც საერთო მიზანმიმართულება მათ მინიმიზაციაზე დიეერსიფიკაციის საწყის სტადიაზე არაერთგვაროვან შედეგს იძლევა.

ასე მაგალითად, კლიენტებს საპროცენტო გასაელების ბანკების დეპოზიტებისა, ემიტირებული და გავრცელებული საკალო ფასიანი ქაღალდებიდან გააჩნიათ მკვეთრად განსაზღვრული მაქსიმიზაციის ზღვრული დონე. ამ დონის აწეეა მიგეიყვანს კლიენტის დაკარგვამდე, რესურსების დეფიციტამდე, ზრდის ტემპის დაცემამდე. ასევე შეზღუდულია ოპტიმალური მინიმალური დონის

პოზიციიდან რიგი არასაპროცენტო გასაღები, რომელთა ზედმეტად შემცირება მიგვიყვანს საბანკო პროდუქტის ხარისხის გაუარესებამდე, მრავალი სერიოზული რისკის გაჩენამდე. ეს ეხება ასევე სამეურნეო-საქმიანობა გასაღებს (არენდა და შენობა-ნაგებობათა შიგთავსი, ამორტიზაცია, ელექტრომომარაგება, თბომომარაგება, კავშირგაბმულობა); სატრანსპორტო გასაღებს, გასაღებს დაცვაზე, სიგნალიზაციაზე, საოპერაციო გასაღებსა და საგასაღლო მასალებს.

თუმცა, ექსტრემალურ სიტუაციებში, მეანაბრეების, კლიენტების, ბიუჯეტის წინაშე თავისი მოვალეობების შესასრულებლად პრობლემურ ბანკებს შეუძლიათ შეამცირონ თავიანთი გასაღების ცალკეული სახეები და საკმაოდ მნიშვნელოვნადაც (სატრანსპორტო გასაღები, ხელფასი, მივლინებები), ზოგიერთი გასაღალი კი, საერთოდ, ნულამდე დაიყვანონ (წარმომადგენლობითი და სარეკლამო გასაღები, ქველმოქმედება და ა.შ.). ამგვარი ეკონომიის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება დიდი იყოს, რადგან მზარდი სოციალური დაძაბულობა ბანკის კოლექტივში და მისი იმიჯის უცილობელი დაქვეითება ნეგატიურ გავლენას იქონიებს მისი მენეჯმენტის ხარისხზე.

მხოლოდ ხანგრძლივი მიხედვით გასაღები წარმოადგენს იმ ი'შვიათ შემთხვევას, როცა მიზანმიმართულება ბანკის მოგების სამართავად გულისხმობს მათ სრულ ზღვრულად დასაშვებ მინიმიზაციას, ისიც არა ყოველთვის. თუ საუბარია ბანკის მენეჯერთა მისწრაფებაზე – არ დაუშვან ამგვარი სანქციების მიღება, მაშინ გასაღების მინიმიზაცია ახასიათებს მის მენეჯმენტს, როგორც ხარისხიანს. მაგრამ თუკი ბანკი, პარტნიორული ურთიერთობების პარიტეტის დარღვევით, უბრალოდ გამორიცხავს მასზე სანქციების გამოყენებას დეპოზიტურ, საკრედიტო და სხვა ხელშეკრულებებში, ხოლო კლიენტები ფინანსურად სრულად არ აგებენ პასუხს, მაშინ ამგვარ ეკონომიას შეუძლია მკვეთრად დააქვეითოს მისი იმიჯი, მიიყვანოს კლიენტების დაკარგვამდე, რესურსების დეფიციტამდე და ლიკვიდურობის კრიზისამდე.

რაც შეეხება „ეკონომიას" გადასახადებზე, რეზერვირებასა და დაზღვევაზე, აქ საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ მათი დონის ოპტიმიზაციაზე რისკების ადექვატური, ნორმატიულად დასაშვები შეღავათების ფარგლებში.

თუმცა, რაოდენობრივი პარამეტრების ნამატის განსაკუთრებულობის მიუხედავად, ბანკის მენეჯმენტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემოსავლების ხარისხობრივ პარამეტრებს, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მმართველობითი გადაწყვეტილებების პრიორიტეტების შემუშავებისას. მათი ხარისხის პოზიციიდან შემოსავლები იყოფა შემდეგ ჯგუფებად და ქვეჯგუფებად:

- ადექვატური – საბანკო საქმიანობის ძირითადი სახეებიდან მიღებული ხარისხობრივად უფრო მაღალი შემოსავლების ჯგუფი (ანსხვავებენ საპროცენტო და არასაპროცენტო, სასესხო, საკომისიო საშუამავლო და სავაჭრო; რესურსტევად და ა.შ.);
- შემთხვევითი – უფრო დაბალი ხარისხისა, რომელთა შორის გამოყოფენ განსაკუთრებულ შემოსავლებს („ცუდი", დაკარგული კრედიტის დაბრუნება), სავალუტო არბიტრაჟისა და ფასიანი ქაღალდებით მოკლევადიანი ოპერაციებით მიღებული შემოსავლები, მიღებული ჯარიმები და ფინანსური სანქციები, ქონების რეალიზაცია (ქონების, აქტივები);
- ავანტურული – დაბალი ხარისხის, ან პრაქტიკულად უხარისხო შემოსავლები, რომელიც მიიღება ბანკის მიერ საბელშეკრულებო პარიტეტების დარღვევისას, თანაფარდობის რისკი – კლასიფიკაცია – რეზერვი და ა.შ. დარღვევისას.

შემოსავლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შეთავსება

მათი მართვის ერთ-ერთი მიზანია. ასე, მაგალითად, მაღალი რაოდენობრივი მახასიათებლები დაბალი ხარისხობრივი მახასიათებლისას – ეს უფრო მისმენეჯმენტის მაჩვენებელია და არა ხარისხიანი მენეჯმენტისა. მოცულობით მცირე, ადექვატური შემოსავლები უფრო შეესაბამება სტაბილური, პროგრესული, მდგრადი ბანკის იმიჯს, ვიდრე მაღალი ავანტურული შემოსავლები.

საბანკო მოგების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების მართვა ვერ ამოწურავს

საბანკო მენეჯმენტის მოცემული ამოცანის ყველა ასპექტს ფინანსურ სფეროებში. ხარისხიანი მენეჯმენტი გულისხმობს ასევე მიღებული მოგების ეფექტურ მართვას – მის განაწილებას. ეს ეხება დივიდენდების გადახდის განაწილებას, ნამატის საბაზრო ექსპანსიის ბაზის შექმნას, რისკებისაგან დაცვას, ბანკის იმიჯის შექმნას და მის მხარდაჭერას, ურთიერთკავშირს გარემოსთან, ამ განაწილების რაოდენობრივ წილებს, ამ პროცესებზე კონტროლს და შესაბამის საინფორმაციო უზრუნველყოფას და რეკლამას.

17.8. საბანკო რისკ-მენეჯმენტი

17.8.1. საბანკო რისკების ცნება

რისკის კონცეფცია, მისი არსებობა, მისი გაელენა ადამიანის ცხოერებასა და მოღუაწეობაზე განუყოფელია კაცობრიობის ისტორიიდან. სხვადასხვა სფეროში იგი ელინდება სხვადასხვა ძალით, სანდაზან კარდინალურად, სანდაზან უმნიშვნელოდ, მაგრამ ყოელისმომცეელად და ყოელისჩამწედომად, იგი გახლაეთ ჩვენი ცხოერების რთული, გარდაუვალი და პერმანენტული მდგენელი.

ხშირად რისკი აღიქმება როგორც გაუბედაობა (100%-იანი დარწმუნებით რამის წინასწარ თქმის შეუძლებლობა), რომ პროცესი, მოელენები წარიმართება და მოგეცემენ მოსალოდნელ დაგეგმილ შედეგს. აქედანვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოელენათა დაგეგმილი მსელელობიდან გადახრამ შეიძლება მოგვცეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. შესაბამისად, რისკის კონცეფცია თაედაპირველად კარდინალურად იყოფა საკუთრივ რისკზე (რომლის შედეგიც შეიძლება იყოს ნეგატიური მოელენები, ზარალი) და შანსზე (პოტენციურად დადებითი შედეგი). ამ თეალსაზრისით საბანკო მენეჯმენტში გამოარჩეენ უშუალოდ შიდა კონტროლის სამსახურს (საკრედიტო, ლიკეიდურობის და ა.შ.) და რისკ-შანსს (საპროცენტო, სავალუტო, საინვესტიციო). რისკი წარმოიშობა გამიზნული ფიქსირებული, მაგრამ ნეგატიური მოელენის დროს, რისკ-შანსი დაკავშირებულია დროში ცვალებად პროცესებთან (საპროცენტო განაკეთების, ვალუტის კურსის ცვლილებები). სრულიად ცხადია, რომ რისკები იქმნება, უპირეელეს ყოელისა, გარემოს გაელენით და მით უფრო ძლიერია ისინი, რაც უფრო მძლავრია მისი შემაფერხებელი ზემოქმედება. თუმცა როგორც ობიექტები, ისე პროცესები შეიძლება იყოს იმდენად მდგრადი, რომ ხანდახან მათ ნულოვანი რისკის მოელენებს მიაკუთვნებენ. ამასთან, ეს მოელენები საკმაოდ იშვიათია და დამოკიდებულია მასშტაბზე და დროებით პერიოდებზე. ასე, მაგალითად, დღისა და ღამის, წელიწადის დროების ცვლილებები, გეოლოგიური პროცესები ასწლეულების და ათასწლეულების მასშტაბებით არ უკავშირებს რიშიდა კონტროლის სამსახურს, მაგრამ იძენს მას მილიონობით და მილიარდობით წლის შემდეგ და, პირიქით, ერთი თვის შემდეგ კონკრეტული ინდივიდიუმის სიკედილი – ძალზე მაღალი რისკის მოელენაა (ანუ, შეიძლება მოხდეს განსაკუთრებული მოელენის ძალით). რისკი მცირდება წლის მასშტაბში და, ბოლოს, მოელენა ხდება პრაქტიკულად ურისკო (ანუ აუცილებლად მოხდება).

თუმცა რისკთანაა დაკავშირებული მთლიანად ადამიანის ცხოერება და საქმიანობა, მაგრამ ერთნი, ხასიათის განსაკუთრებულობის, სხვები კი არსებული პროფესიული საქმიანობის წყალობით ან მიისწრაფეიან რისკის მაქსიმალური შემცირებისაკენ, ალტერნატიული ვარიანტებიდან უფრო ნაკლებად სარისკოა. არჩეით, ან პერიოდულად მიდიან რისკზე, განსაზღერულ დონემდე უგულართ რისკი (ლატარიები, აზარტული თამაშები და ა.შ.). მიუხედავად ამისა, ადამიანები ხშირად დგებიან აუცილებლობის წინაშე – რომელიმე საწარმოს, საქმიანობის რისკისა და სარგებლის ოპტიმალური თანაფარდობის არჩეის, თუ რისკების მართვისა და დაფინანსების წინაშე.

ოდითგანვე საკმაოდ სარისკო სამეწარმეო საქმიანობის წარმომადგენლები – ვაჭრები პირადი გამოცდილების, კოლეგებისა და სხვა პირების მონათხრობის საფუძველზე ეცადნენ საფრთხეს და შესაძლო დანაკარგებს დატაცებებიდან, ყაჩაღთა თაედასხმებიდან, პირატობიდან, ხომალდის

დაღუპვიდან, ომებიდან, ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული უბედურებებიდან, ადგილობრივ ხელისუფალთა მძიმე გადასახადებიდან და ა.შ., ასევე შეიმუშავებდნენ დაცვის ღონისძიებებს მათი ფინანსირების საკითხების ჩათვლით, რომლის მოცულობაც, ბუნებრივია, შემოიფარგლებოდა მოსალოდნელი დანაკარგების მოცულობით (ქარავანების ჩამოყალიბება, გამოსასყიდი ყაჩაღებისა და ხელისუფალთათვის, დაქირავებული დაცვა, შემოვლითი გზების გამოყენება, უკეთესად აღჭურვილი და დაცული ტრანსპორტი და ა.შ.) და სავაჭრო ექსპედიციის პროექტის ეკონომიკური ეფექტურობით. მოკლედ, იგიეე საბაზისო პრინციპები — ინფორმაცია, ანალიზი, დაზღვევა, დაფინანსება და ა.შ. უდევს საფუძვლად რისკების მართვას დღესაც.

რისკ-შანსებში იგულისხმება ფაქტორული მხარე (პროცესის მოსალოდნელი მსვლელობისაგან გადახვევა და შედეგობრივი მხარე (ამ გადახრათა შედეგები). ამიტომ, რისკების მართვის სფეროში დიდი მნიშვნელობა აქვს რისკების პარამეტრების გამოყოფას და კლასიფიკაციას:

- რისკის შემქმნელი ფაქტორების ჩამონათვალი, ნაკრები (გარეგანი ზემოქმედებით);
- მათი გამოვლენის შესაძლებლობა, ალბათობა;
- მათი გამოვლენის სიხშირე;
- მათი გამოვლენის ძალა;
- კომპლექსურობა — მათი გამოვლენის ურთიერთკავშირი.

ასევე:

- მათი გამოვლენის შედეგები და მათი მნიშვნელობა ობიექტის მენეჯმენტისათვის;
- ობიექტში რისკისადმი ამა თუ იმ დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- რისკის მართვადობა, რისკის წარმომქმნელი გარე-ფაქტორებისადმი, ობიექტის მენეჯმენტის მმართველობითი ზემოქმედებისადმი მიდრეკილება.

ალბათობა, როგორც გარკვეული შედეგის (როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური) მიღების შესაძლებლობა, დამოკიდებულია მოსალოდნელ მოვლენათა ბუნებასა და მასზე დამყარებულ ობიექტზე (ან საშიშროებაზე).

განასხვავებენ ალბათობის გაანგარიშების ობიექტურ და სუბიექტურ მეთოდებს. ობიექტური მეთოდი დამყარებულია მომხდარი მოვლენების სიხშირესა და პერიოდულობაზე. ამ მეთოდის სიზუსტე პირდაპირაა დაკავშირებული ინფორმაციის რეტროსპექტიული ნაკლების მასშტაბზე. სუბიექტური მეთოდი იძლევა ვარაუდს მოვლენათა შედარებით გარკვეული შედეგების შესახებ მსჯელობისა და პირადი გამოცდილების ბაზაზე. იმდენად, რამდენადაც სხვადასხვა ექსპერტს გააჩნია სხვადასხვა ინფორმაცია, მისი გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობა, სხვადასხვა კვალიფიკაცია, ალბათობის სუბიექტური შეფასებანი ძლიერ მერყეობს. შედარებით მისაღები მიდგომაა ობიექტური და სუბიექტური მეთოდების შერწყმა.

თუკი ყოველდღიურ ცხოვრებაში რისკის მინიმიზირების სურვილი არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც ხორციელდება, სამეწარმეო საქმიანობაში, უფრო სრულად კი საკრედიტო მეწარმეობაში შეინიშნება მაღალი რისკი. აქ მოქმედებენ მძლავრი და საკმაოდ მრავალგვარი რისკები. საბანკო სისტემაში საუბარია არა რისკის მინიმიზაციაზე, არამედ ბანკის საკვალიფიკაციო, ტექნიკური, ორგანიზაციული და ფინანსური შესაძლებლობების ადექვატური რისკების მიღებასა და მათ მართვაზე.

ბანკებისათვის შანსი გვევლინება დამატებითი მოგების მიღების შესაძლებლობად, ხოლო რისკი — როგორც ზარალის საშიშროება (ალბათობა). შემდეგი სახეებია:

- შემოსავალთა არასრული მიღება;
- დამატებითი გასაღების განხორციელება;
- საკუთარი რესურსების (კაპიტალის) ნაწილის დაკარგვა.

ამ დანაკარგების სიდიდე არის ბანკის რისკიანობის, რისკის სფეროში სტრატეგიის ხარისხის დონის მაჩვენებელი.

თუ განვიხილავთ ბანკს, როგორც ზოგადად ფუნქციონირებად დაწესებულებას, კერძოდ, როგორც სამეწარმეო სტრუქტურას და, განსაკუთრებით, როგორც ფინანსური-საკრედიტო სფეროს ობიექტს, გამოყოფენ და აჯგუფებენ რისკების შემდეგ სახეებს:

1. საერთო რისკები – მოსალოდნელია მოცემულ სოციალურ სფეროში, ადგილზე, გეოგრაფიულ ოლქში და ა.შ. არსებულ ნებისმიერ ობიექტზე. ესაა ავარიები, ხანძრები, წყალდიდობები, მიწისძვრები, სხვა გეოკატაკლიზმები, ასევე ძარცვა, სოციალური ძერები, ეპიდემიები და ა.შ. ჩვეულებრივი დაცვა რისკის ამ სახეობიდან მდგომარეობს პოტენციური საშიშროების წინასწარ გაანალიზებასა და პროექტზე უარის თქმაში, თუ რისკი ძალზე დიდია, ობიექტის ტექნოლოგიებში რისკის გათვალისწინებაში (სეისმოდაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები, სიგნალიზაცია, სეიფები და ა.შ.), დაზღვევა – რისკის ეს სახე განსაკუთრებით დამახასიათებელია სადაზღვეო ამოღებებისათვის.

2. საბაზრო რისკები – დამახასიათებელია, პირველ რიგში, ბაზრის პირობებში მოქმედ, სამეწარმეო სტრუქტურებში. იგი წარმოიქმნება ბაზრის მიერ საბანკო პროდუქტის მიუღებლობით გამოწვეული დანაკლისისას, საბანკო სტრატეგიის ჩაშლისას, ბაზარზე პოლიტიკური და საკანონმდებლო ფაქტორების გაელენის ცვლილებისას და ა.შ. ამ რისკებისაგან დაცვის ვარიანტები მოიცავენ საბანკო პორთფელის ჩამოყალიბებისა და რეზერვების შექმნას, აგრეთვე მარკეტინგის სამსახურის ეფექტურობის ამაღლებაში წარმოშობილი სიტუაციების წინასწარ აღრიცხვას.

3. საბანკო რისკები ის რისკებია, რომლებიც სპეციფიკურია საკრედიტო მეწარმეობისათვის. ისინი ვლინდება საბანკო საქმიანობის განხორციელების მსვლელობაში. საბანკო რისკებმა სახელწოდება შეიძლება მიიღოს ოპერაციების მიხედვით (საკრედიტო, საინვესტიციო), საბაზო პარამეტრების ცვლილების ხასიათის მიხედვით (საპროცენტო, სავალუტო, ლიკვიდობის), საბანკო ოპერაციების გეოგრაფიის (ქვეყნის), საქმიანობის სფეროების (დარგობრივი, ტექნოლოგიური), საბანკო პროდუქტების სახეების (საპროექტო) მიხედვით.

17.8.2. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ვალდებულებათა არგადახდას უკავშირდება. იგი ბანკისათვის უმნიშვნელოვანესი და საბაზო რისკია და მრავალ სხვა რიშიდა კონტროლის სამსახურის (ლიკვიდობის, საინვესტიციო რისკებს) იწვევს. ამ სახის რისკი ვლინდება კრედიტის მთლიანად არდაბრუნების, ნაწილობრივ არდაბრუნების (ბ'მირად ეს ეხება დარიცხულ პროცენტებსა და საკომისიო გადასახდელებს) ან კრედიტების დაფარვის გადავადების ფორმით.

საკრედიტო რისკი შეგვიძლია განვმარტოთ როგორც კრედიტორის დაეჭვება იმაში, რომ მსესხებელი (დებიტორი) შეძლებს და დააპირებს თავისი ვალდებულებების შესრულებას სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებით და სახსრების სესხად აღების ხარჯების გასტუმრებას საკრედიტო ხელშეკრულების ვადებისა და პირობების შესაბამისად. საკრედიტო რისკი მაშინ წარმოიშობა, როდესაც მსესხებელს აქვს იმის ეჭვი ან სირთულე, ან არა აქვს შესაძლებლობა და უნარი, შექმნას რომელიმე (ადექვატური, საერთო, ექსტრემალური, ალტერნატიული) იმ ფულადი ნაკადიდან, რომლებიც ვალის დაფარვის წყაროდ გამოიყენება, ან მაშინ, როდესაც მსესხებელს აკლია საქმიანი რეპუტაცია, აგრეთვე თუ მის მფლობელებსა და მმართველებს კრიმინალური განწყობილება აქვთ.

იმ მიზეზებს, რომლებიც საკრედიტო რიშიდა კონტროლის სამსახურის აყალიბებენ, შეგვეძლია მივაკუთვნოთ, ასევე, ბანკზე ან მსესხებლებზე კრიმინალური სტრუქტურების და, შესაძლოა, ხელისუფლების ორგანოების მხრიდან განხორციელებული ზეწოლა. შეიძლება არსებობდეს შიდა მიზეზებიც: პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია, კოლექტივში შექმნილი სოციალური დაძაბულობა, რისი შედეგიცაა თავიანთი ვალდებულებების უხარისხოდ შესრულება თანამშრომ-

ლების მიერ, ბანკის მუშაკთა მოსყიდვა.

ამა თუ იმ მეთოდისა და ინსტრუმენტების გამოყენებით საკრედიტო შიდა კონტროლის სამსახურს მართავენ საკრედიტო პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ძირითად სტადიაზე: ბანკის პოლიტიკის ძირითადი დებულებების შემუშავება – პოტენციურ კლიენტებთან მუშაობის პირველი სტადიები (გაცნობა), ბანკის მიზნებისა და კლიენტის ინტერესების კოორდინაცია, მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება, კრედიტის ხარისხობრივი მახასიათებლების სტრუქტურირება, საკრედიტო მონიტორინგი, პრობლემურ კრედიტებზე მუშაობა, სანქციების გამოყენება და ა.შ.

საკრედიტო რისკის მართვის, მისი განეიტრალების მეთოდები საკმაოდ მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მათში შედის:

1) რისკის ფაქტორული მხარის განეიტრალების მეთოდები:

- კრედიტუნარიანობის შეფასება (რისკის პროფილაქტიკა, თავიდან აცილება) შემდეგი მიმართულებებით: მსესხებელი, გარემო (დარგი, კონკურენტები), პროექტი;
- საკრედიტო უზრუნველყოფის მიღებაში უფლებამოსილებათა განაწილება კრედიტის ოდენობისა და პოტენციური რისკის სიდიდის გათვალისწინებით;
- პროექტის შებოჭილი დაფინანსება, მათ შორის – მსესხებლის საკუთარი სახსრების ხარჯზე;
- სტრუქტურაში მენეჯმენტის არსებობა და პრობლემურ კრედიტებზე მუშაობის ორგანიზაცია;
- ვალის პირობების დამცავი კონვერსია, რომელიც ხელშეკრულებებშია გათვალისწინებული (საინფორმაციო უზრუნველყოფის გაუმჯობესება, გირაოს ზრდა, ჯარიმები, პენიები, პირგასამტეხლოები, პროცენტების მომატება და ა.შ.);
- სპეციალური შიდაორგანიზაციული სტრუქტურების საქმიანობა (კრედიტუნარიანობის განყოფილებები, უსაფრთხოების სამსახურები და ა.შ.);
- სპეციალური ფირმების ფასიანი მომსახურება, როგორიცაა, მაგალითად, „დან ენდ ბრე...“ (კონსულტაციები, ფინანსური მსარდაჭერა), რომლებიც ფულის დაბრუნებაში ეხმარებიან მსესხებელს;
- იურიდიული პასუხისმგებლობა (მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში გათვალისწინებულია სისხლის სამართლის სასჯელი განზრახ გაკოტრებისათვის, ბიზნესის მომატებული საფრთხისათვის, წარდგენილი ინფორმაციის დამახინჯებისათვის და ა.შ.);

2) საკრედიტო რისკის შედეგების (დანაკარგების) მინიმიზაციისკენ მიმართული მეთოდები:

საკრედიტო პორთფელის დივერსიფიკაცია (კრედიტის ხარისხობრივ მახასიათებელთა კომპლექსის განვითარება) რისკის კონცენტრაციის შემცირების მიზნით;

ალტერნატიული ფულადი ნაკადების შექმნა (ზოგჯერ ამ მეთოდს „სესხის დაბრუნების უზრუნველყოფას“ უწოდებენ) გირაოს, გარანტიების, თავდებობის, დაზღვევის, რისკების შერბილებისთვის გამოსაყენებელი სახსრების რეზერვის შექმნის სახით;

კრედიტების სიდიდის შეზღუდვა ერთ მსესხებელზე გაცემისას;

დისკონტირებული კრედიტების გაცემა;

კრედიტის სეკიუტერიზაცია – ვალის მომსახურების შეღავათიანად მიყიდვა მესამე პირზე.

საპროცენტო რისკი საბანკო რისკის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც განაპირობებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების რყევა. მას შეუძლია გამოიწვიოს საკრედიტო-სადეპოზიტო ოპერაციებისგან ბანკის (შემოსავლების) კლება ან დაკარგვა (Финансовый словарь. М. Инфра. 1999). საპროცენტო რისკ-შანსი ვლინდება ბანკის საპროცენტო მარჟის რყევებში, ხოლო ამის მიზეზია აქტიური და პასიური საბანკო პროდუქტების ფასისმიერი მახასიათებლების მგრძნობელობა

ფინანსურ ბაზრებზე ფასების რყევის მიმართ.

საპროცენტო რისკის მართვა მოიცავს ბანკის როგორც აქტივების (კრედიტებისა და ინვესტიციების), ისე მისი ვალდებულებების (ნასესხები სახსრების) მართვას. ამას გარკვეულ ფარგლებში ახორციელებენ. აქტივების მართვა შეზღუდულია, ჯერ ერთი, იმ მოთხოვნებით, რომლებსაც ლიკვიდობასა და საკრედიტო რისკებს უყენებენ, სწორედ ისინი განსაზღვრავენ ბანკის სარისკო აქტივების პორთფელის შედგენას; მეორე, სხვა ბანკების მხრიდან გაწეული საქმიანი კონკურენცია, რაც აფერხებს კრედიტის ფასის თავისუფლად შერჩევას. ვალდებულებების მართვას პირველ რიგში ართულებს ისეთი საკალო ინსტრუმენტების (სესხების და ა.შ.) არჩევანისა და სიდიდის შეზღუდულობა; რომლის განთავსებაც ბანკს ნებისმიერ მომენტში და წარმატებით შეუძლია თავის მეანაბრეებსა და სხვა კრედიტორებს შორის, ანუ, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, კრედიტის გასაცემად საჭირო სახსრების ხელმისაწვდომობის შეზღუდულობა; მესამე მიზეზია სხვა ბანკებისა და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების მხრიდან გაწეული კონკურენცია არსებული სახსრების გამოყენებაში.

ბანკები თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებენ საპროცენტო რისკის მართვის სპეციალურ (მიზნობრივ) მეთოდებს. მათ შორის აღსანიშნავია გეპის მართვის მეთოდიც.

საპროცენტო მარჟის რყევები და სპრედი დამოკიდებულია გეპის ზომებზე, მის მიმართულებაზე, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების სისწრაფესა და ხანგრძლივობაზე.

17.8.3. ლიკვიდობის რისკი. საკალო-შანსი

ლიკვიდობის რისკი უკავშირდება ბანკებში ფინანსური რესურსების არსებულ ან პოტენციურ დეფიციტს იმ რესურსების რაოდენობითაც და ხარისხითაც, რომლებიც საჭიროა ბანკის მიერ თავის ვალდებულებათა შესასრულებლად (დეპოზიტებისა და ანაბრების დაბრუნება, ემიტირებულ ფასიან ქაღალდებზე პროცენტებისა და დივიდენდების გადახდა) და აქტიური საბანკო ოპერაციების ჩასატარებლად. ფინანსური რესურსების ჩამოყალიბება უნდა ხდებოდეს საკმარისობის, თავისდროულობისა და შედგენილობის (ანგარიშები, ნაღდი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, მატერიალური ობიექტები და ა.შ.) მოთხოვნების შესაბამისად.

ლიკვიდობის რისკის განეიტრალება შესაძლებელია რესურსების მოზიდვისა და განთავსების ვადების შეთანხმებით, აგრეთვე, საკრედიტო რისკისგან თავის დაცვის გამოყენების გზით.

გარდა ამისა, ლიკვიდობის რისკი შეიძლება წარმოშვას საგადასამხდელო საშუალებებად ფინანსური აქტივების უდანაკარგოდ და სწრაფად კონვერსიის შეუძლებლობამ.

საკალუტო რისკ-შანსი უკავშირდება საკალუტო საპროცენტო განაკვეთების გაურკვევლობას, რომლებიც საკალუტო კურსების რყევაზეა დამოკიდებული. ეს გავლენას ახდენს მსესხებლებზე, კრედიტორებზე, ინვესტორებსა და სპეკულანტებზე, რომლებიც გარიგებებს უცხოური ვალუტით ახორციელებენ.

საკალუტო რიშიდა კონტროლის სამსახურს შემდეგი სახესხვაობები აქვს:

- ეკონომიკური რისკი;
  გადაყვანის რისკი;
  გარიგებათა რისკი.

ეკონომიკური რისკი ბანკისათვის იმაში მდგომარეობს, რომ მისი აქტივებისა და პასივების ღირებულება გადიდებისკენ ან შემცირებისკენ იცვლებოდეს (ეროვნული ვალუტით) საკალუტო კურსის მომავალ ცვლილებათა გამო. ეს იმ ინვესტორებსაც ეხება, რომელთა უცხოური ინვესტიციები — აქციები ან საკალო ვალდებულებები — ვალუტით იძლევიან შემოსავალს.

გადაყვანის შიდა კონტროლის სამსახურს ბუღალტრული ბუნება აქვს და უკავშირდება აქტივებისა და პასივების უცხოური ვალუტით აღრიცხვის სისტემაში არსებულ განსხვავებებს. თუ ეცემა იმ ვალუტის კურსი, რომლითაც ეს აქტივებია გამოხატული, მაშინ ეცემა აქტივების

ღირებულება, კლებულობს აქტივების სიდიდე, იკეცება ფირმისა თუ ბანკის სააქციო კაპიტალის სიდიდე.

ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია გარიგების რისკი, რომელიც უკავშირდება მომავალ პერიოდში გადასახადების სავალუტო კურსის ცვლილების მოლოდინს და, მაშასადამე, მის გავლენას ფირმისა თუ ბანკის მომავალ მომგებიანობაზე. ფირმის მომგებიანობის ცვლილება მისი კრედიტუნარიანობის ცვლილებას მოასწავებს, რის გამოც ბანკისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კლიენტის სავალუტო გარიგებათა საქმის კურსში ყოფნას.

სავალუტო შანსის რეალიზება შესაძლებელია სავალუტო გეპების შექმნითა და მათი მართვით.

სავალუტო რისკი შეგვიძლია შევამციროთ, სხვადასხვა ხერხით, მაგალითად, დამცავი დათქმებით, სავალუტო დათქმებით, ჰეჯირებით და სხვა.

17.8.4. ᲡᲐᲤᲝᲜᲓᲝ, ᲐᲜᲣ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲠᲘᲡᲙᲘ

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ძრავალი მიდგომა გვხვდება საფონდო ანუ საინვესტიციო რისკის მიმართ.

პირველი, უფრო ვიწრო მიდგომა საინვესტიციო რისკს შიდა კონტროლის სამსახურის პროცენტული და სავალუტო რისკ-შანსის ანალოგიურად განმარტავს; იგი გამოხატავს იმ ფასიანი ქაღალდების ღირებულებისა და შემოსავლების მომავალში მოძრაობის იმედის უქონლობას, რომელშიც თავისი სახსრები დააბანდა ბანკმა.

მეორე, უფრო ფართო გაგება საფონდო, საინვესტიციო რისკის ცნებაში აერთიანებს ყველა იმ ძრავალრიცხოვანი რისკების კომპლექსს, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ოპერაციების ჩატარებას უკავშირდება.

გარდა ზემოჩამოთვლილი საბაზო საბანკო რისკებისა, საბანკო მენეჯმენტის სტრუქტურაში თვალს ადევნებენ და ითვალისწინებენ „მეორე დონის“ საკმაოდ მრავალრიცხოვან (ზოგიერთი წყაროს მიხედვით ოცამდე) შიდა კონტროლის სამსახურს. ესაა:

ქვეყანასთან დაკავშირებული რისკები;
საპროექტო რისკები;
დარგობრივი რისკები;
საოპერაციო ციკლის რისკები;
რეგიონული რისკები და ა.შ.

17.9. ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

მენეჯმენტის შეფასება წარმოადგენს ყველაზე ძნელ და, ამავე დროს, ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას, რადგან ამ დროს ფაქტიურად ხდება რისკის მართვა და მონიტორინგი მენეჯმენტის საშუალებით.

ბანკის მენეჯმენტის სრული შეფასება მოიცავს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, დირექტორატის (გამგეობის) წევრებსა და იმ მუშაკებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ცალკეულ ოპერაციებზე ოპერაციების შეფასებას; ის ასევე მოიცავს იმის შეფასებას, თუ რამდენად ადექვატურია ბანკის შიდა კონტროლის სტრუქტურა, აუდიტორული ფუნქციები და მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემა. ვინაიდან მენეჯმენტისა და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები ახდენენ გავლენას საბანკო ოპერაციების ყველა სფეროზე, მენეჯმენტის ყოველი კომპონენტი ძალზე ფრთხილად უნდა შეფასდეს.

ფინანსური მდგომარეობა ყოველთვის არ არის ბანკის მენეჯმენტის მდგომარეობის მაჩვენებელი (ინდიკატორი), თუმცა, თუ ბანკი იმყოფება ცუდ ან კრიტიკულ მდგომარეობაში, ეს, როგორც წესი, გვიჩვენებს ამ ბანკის მენეჯმენტის დონეს. ზოგჯერ შეიძლება ადგილი ჰქონდეს

ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბანკის ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მიუხედავად იმისა, რომ ბანკის მენეჯმენტი ნაკლებად კომპეტენტურია. ასეთ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს ისეთი გარე ფაქტორი როგორიცაა ძლიერი ეკონომიკა.

საერთოდ, მენეჯმენტის მდგომარეობის შეფასება ხდება იმის შემდეგ, როცა მოგროვდება ბანკის ყველა მნიშვნელოვანი ოპერაციის შემოწმების მასალები. მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მიზნები ჯგუფდება შემდეგ ჯგუფებად:

I. სამეთვალყურეო საბჭოს ადექვატურობა;

II. მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის ადექვატურობის შეფასება;

III. მენეჯმენტის ადექვატურობის შეფასება:

III.ა. განისაზღვრება, რა ტიპის პოლიტიკა ხორციელდება ამ სისტემაში;

III.ბ. განისაზღვრება, რამდენად ადექვატურად ადგენს მენეჯმენტი მომავალ პირობებს და განვითარების დაგეგმვას სტრატეგიული გეგმის შედგენისას;

III.გ. ფასდება ბანკის პერსონალის მუშაობის ადექვატურობა და ის, თუ რა გაელენას ახდენს მათ საქმიანობაზე ცვლილებები მენეჯმენტში;

III.დ. ფასდება, თუ რამდენად გამოცდილია მენეჯმენტი და რამდენად ღრმად ესმის მას სიტუაცია, რამდენად ეხმარება სპპანკო ოპერაციების ჩატარებას და ხელს უწყობს ურთიერთკავშირს, სხვადასხვა ფილიალების მმართველთა ჩათელით;

III.ე. დგინდება, შექმნა თუ არა მენეჯმენტმა ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის ეფექტურ საქმიანობას და ეფექტურ კავშირებს ფილიალების ხელმძღვანელობასთან.

III.ვ. ფასდება მენეჯმენტის გადაწყვეტილების თანადროულობა და სისწორე;

III.ზ. კეთდება პროგნოზირება იმისა, თუ რამდენად ახდენს მენეჯმენტი გაელენას ბანკის მომავალ მდგომარეობაზე.

IV. განისაზღვრება რისკის მართვის ადექვატურობა და რამდენადაა ის დამოკიდებული:

IV.ა. მოქმედი სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის მიერ დაშვებულ შეცდომებზე;

IV.ბ. ადექვატურ პოლიტიკასა და ლიმიტებზე;

IV.გ. რისკის ადექვატურ მართვაზე, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემაზე;

IV.დ. შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ეფექტურ პროცედურებზე.

მენეჯმენტის შეფასება იწყება სამეთვალყურეო საბჭოდან, რადგან სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკის აქციონერების წინაშე იმაზე, თუ რამდენად ადექვატურია არსებული მენეჯმენტი იმისათვის, რომ დაცული იქნეს აქციონერთა ინტერესები. ამიტომ ბანკის საქმეების გაძღოლისას სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს დამოუკიდებლად; მან უნდა უზრუნველყოს ის, რომ ბანკის მენეჯმენტი მოქმედებდეს მისდამი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭო ასრულებს შემდეგ მოვალეობებს:

1. კომპეტენტური აღმასრულებელი მუშაკების შერჩევა და შენარჩუნება. ვინაიდან ბანკის პასუხისმგებელი მუშაკები მართავენ ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას, ძალზე მნიშვნელოვანია მათი სწორი შერჩევა. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ისეთი მუშაკების დათხოვნაზე, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კომპეტენტურობისა და ეფექტურობის მოთხოვნებს, ზოგიერთ ბანკში სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბანკის პასუხისმგებელ მუშაკთა ხელფასებს, აგრეთვე უნდა მოამზადოს უფროსი მენეჯმენტის ცვლა.

2. ეფექტური მეთვალყურეობა ბანკის საქმიანობაზე. ამისათვის აუცილებელია, დირექტორები საკმარისად ინფორმირებულები იყვნენ ბანკის საქმიანობის შესახებ. ამიტომ ისინი აუცილებლად უნდა ესწრებოდნენ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს. პოლიტიკისა და მიზნების განსაზღვრისას ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროებია: დაგეგმვა, ლიკვიდობა და კადრები. დასახული მიზნების მისაღწევად ბანკს უნდა გააჩნდეს მენეჯმენტის მძლავრი საინფორმაციო სისტემა,

რადგან ზუსტი და დროული ინფორმაცია წარმოადგენს ეფექტური ზედამხედველობის ძირითად ფაქტორს. ბანკის დირექტორები აგრეთვე პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ ბანკის საქმიანობა იმართებოდეს ხშირად და კანონთან შესაბამისობაში.

3. სწორი პოლიტიკის ფორმულირება და ცხოვრებაში გატარება. ბანკის დირექტორატის მთავარი მიზანია, გამოიმუშაოს და მიაწოდოს ბანკის პრეზიდენტს ნაკლი,ზოგადი სქემა იმ ამოცანებისა და პოლიტიკისა, რომლის თანახმად უნდა განხორციელდეს ბანკის მართვა. ამასთან, დირექტორებმა უნდა შეამოწმონ და პასუხი აგონ იმაზე, თუ რამდენად სწორად სრულდება ეს ამოცანები და პოლიტიკა. ხშირად ასეთი მონახაზი კეთდება ბანკის საქმიანობის ძირითად არეში პოლიტიკის ფორმირების, სტრატეგიული გეგმისა და ბიუჯეტის შედგენისას. სტრატეგიულ გეგმაში განსილული უნდა იქნეს გრძელვადიანი და, ზოგ შემთხვევაში, ძალლევადიანი მიზნები და ამოცანები. სტრატეგიულ გეგმაში ასევე განხილული უნდა იქნეს ის, თუ როგორ შეფასდება დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხი. პოლიტიკისა და პროცედურების მიზანია, უზრუნველყოს ბანკის მიერ გაწეული რისკის სწორი მართვა და მისთვის დაწესებული ლიმიტების დაცვა.

4. თვითმომსახურების პრაქტიკის თავიდან აცილება. როგორც უფროსი მენეჯმენტი, ასევე ბანკის დირექტორატი უნდა ერიდებოდეს ბანკის დირექტორებისადმი მიკერძოებას ან გაუმართლებელი კეთილგანწყობის გამოვლენას.

5. შიდა კონტროლისა და აუდიტის პროცედურები. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მოითხოვოს ბანკის ფინანსური მდგომარეობის ყოველწლიური, დამოუკიდებელი გარე აუდიტი, საქართველოს ეროვნული ბანკის გარე აუდიტის შესახებ გამოცემული დადგენილების შესაბამისად. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭო დამატებით პასუხისმგებელია იმაზე, რომ ბანკის შიგნით არსებობდეს ადექვატური შიდა კონტროლის საშუალებები, რაც როგორც წესი, დაკავშირებულია შიდა აუდიტის ფუნქციებთან. ოპტიმალურ შემთხვევაში შიდა აუდიტის ფუნქციები გამიჯნული უნდა იყოს ბანკის ყოველდღიური სასესხო საქმიანობისა და საბანკო ოპერაციებისაგან.

II. მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის ადექვატურობის შეფასება

ეფექტური საინფორმაციო სისტემა იძლევა ორგანიზაციის ეფექტური მართვისთვის აუცილებელ ინფორმაციას. ის გამოიყენება ბანკის ყველა დონის პერსონალისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ბანკში წარმოებულ ოპერაციათა სხვადასხვა ასპექტის შემოწმებისა და ბანკის რისკის მართვის მიზნით. ამგვარი, საბუღალტრო და ფინანსური ინფორმაციის მომწოდებელი სისტემების არსებობა აუცილებელია, რადგანაც ისინი უზრუნველყოფენ კონტროლს საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე. იმის გამო, რომ ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ეფუძნება ფინანსურ ანგარიშებს, აუცილებელია სათანადო კონტროლის პროცედურების შექმნა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწორი და მოთხოვნების შესაბამისი ინფორმაციის დროული მიწოდება.

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ადექვატური მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის არსებობაში, უნდა გატარდეს შემდეგი ზომები:

ა. შესწავლილი და შედარებული იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს ყველა ანგარიში. გასარკვევია დირექტორებს აქვთ თუ არა საკმარისი და დროული ინფორმაცია უმთავრესი საბანკო ოპერაციების შესახებ, ე.ი. საინვესტიციო საქმიანობის, გაცემული სესხებისა და მათი ვადების გასვლის, წმინდა მოგების დონის, კაპიტალის მოცულობის, ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთების ადექვატურობის შესახებ.

ბ. შესწავლილია მოგება-ზარალის ანგარიშები და ბანკის მოგების დონე, არსებული საპროცენტო განაკვეთები და ის, თუ რამდენად სრულდება ბიუჯეტი, შესაძლებლობის შემთხვევაში, გასაანალიზებელია ბანკის განყოფილებების მომგებიანობა.

გ. ხდება თუ არა დროული და რეგულარული (ყოველკვარტალური) ანგარიშგებები ბანკის უცხოურ პარტნიორებთან ურთიერთობებისა და ანგარიშსწორებების შესახებ, იმის ჩათვლით, თუ

რა პოზიციით დახურა ბანკმა ის დღე.

დ. დასაძგენია, უზრუნველყოფს თუ არა სისტემა ბანკის კაპიტალის მდგომარეობის ანალიზს, იმის ჩათვლით, თუ რამდენად იცავენ ბანკში საბანკო საქმიანობის ნორმატივებს და ლიმიტებს, როგორ გეგმავენ დივიდენდების განაწილებას აქციონერებზე, როგორია განვითარების ფონდი და დაგეგმილი მოგების ოდენობა იმისათვის, რომ დაკმაყოფილონ ზრდის მოთხოვნები, ხარჯები კაპიტალის გაუმჯობესებისათვის და ა.შ.

ე. უზრუნველყოფილია თუ არა დეტალური მოსსენებები ლიკვიდობაზე და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად სრულდება ბანკში სებ-ის მოთხოვნები დარეზერვების შესახებ, ანგარიშგება ყველა მნიშვნელოვანი აქტივებისა და ვალდებულებათა შესახებ, ე.ი. სესხებისა და ინვესტიციების, დეპოზიტების, ნასესხები სასრებისა და გრძელ და მოკლევადიანი მიზნების შესრულებისთვის აუცილებელ სახსრებზე მოსალოდნელი მოთხოვნილების შესახებ. სრულდება თუ არა მოთხოვნები ლიკვიდობასთან დაკავშირებული საბანკო ნორმატივებისა და ლიმიტების დაცვის შესახებ.

ვ. აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს თუ არა სისტემა საიმედო და დეტალურ ანგარიშებს ყველა ფილიალის ოპერაციების შესახებ. კარგმა საინფორმაციო სისტემამ დეტალურად უნდა გვიჩვენოს ფილიალების საქმიანობა და უზრუნველყოს ფილიალების შოგება-ზარალის ანგარიშების შესწავლის შესაძლებლობა, რადგანაც ფილიალების საქმიანობის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია ძალზე მნიშვნელოვანია ბანკის ოპერაციათა ეფექტური მონიტორინგისათვის.

ზ. უზრუნველყოფს თუ არა სისტემა დეტალურ ინფორმაციას ბანკის საკრედიტო საქმიანობის შესახებ, ე.ი. ინფორმაციას ვადიანი, ვადაგასული და ვადაგადაცილებული კრედიტების, კრედიტების ჩამოწერისა და ჩამოწერილი კრედიტების ამოღების, ინსაიდერებზე გაცემული სესხებისა და სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ადექვატურობის შესახებ. გვიჩვენებს თუ არა სისტემა საკრედიტო საქმეებში დაშვებული გამონაკლისების სიას, ყველა ზომას, მიღებულს სესხების ამოღების მიზნით, ყველა იურიდიული ღონისძიების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად იცავს ბანკი ეკონომიკურ საბანკო ნორმატივებსა და ლიმიტებს.

თ. იძლევა თუ არა სისტემა ინფორმაციას ბანკის საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკის ოპერატიულობის შესახებ. ინფორმაციამ უნდა გვიჩვენოს ყველა აქტივისა და ვალდებულების სტრუქტურა. ყველა შეუსაბამობა ვადებსა და, საპროცენტო განაკვეთებში, ყველა მნიშვნელოვანი აქტივი ან ვალდებულება, რომელთა ვადა გადის მომავალი თვის განმავლობაში და დაშვებული შეცდომების გამოსწორების მიზნით, მენეჯმენტის მიერ მიღებული ყველა ზომა.

ი. აუცილებლობის შემთხვევაში, შემმოწმებელმა ავრეთვე უნდა შეამოწმოს ყველა სხვა ანგარიში, გარესაბალანსო ანგარიშების ჩათვლით, ნაღდ თანხებთან ჩატარებული ოპერაციები (სალაროს დანაკლისების ჩათვლით) და სტრატეგიული გეგმის განხორციელებისას მიღწეული შედეგები.

III. მენეჯმენტის ადექვატურობის შეფასება

ბანკის მენეჯმენტი პასუხისმგებელია ბანკის ოპერაციებზე, აქტივების ხარისხზე და მომავალი საქმიანობის დაგეგმვაზე. ამრიგად, მენეჯმენტი უნდა შეფასდეს როგორც მისი მომავალი გეგმების მიხედვით, ასევე ბანკის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მიხედვით.

სამომავლო გეგმების შესწავლისას უნდა შეფასდეს ის ღონისძიებები, რომლებსაც გაატარებს მენეჯმენტი იმისათვის, რომ მოამზადოს ბანკის უფროს ხელმძღვანელ მუშაკთა ცვლა. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია, შეეფასოთ მენეჯმენტის მიერ შესრულებული მუშაობა, აგრეთვე მნიშვნელოვანია დავადგინოთ ის, თუ რის გაკეთებას აპირებს ბანკის მენეჯმენტი მომავალში, რადგანაც ბანკების ზედამხედველობის სამმართველოს ძირითადი მიზანია, მოახდინოს შესაძლო პრობლემების პროფილაქტიკა. ე.ი. გაატაროს ზომები მანამ, სანამ წარმოიქმნება პრობლემა.

ბანკის მიერ დასახული მიზნების მიღწევისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მენეჯმენტის მიერ

განვითარების პერსპექტივების შეფასება. მენეჯმენტის ეფექტურობისა და მისი გავლენის შეფასებისას ძალზე მნიშვნელოვანია შეფასდეს მენეჯმენტის სტრუქტურა, უფროსი მენეჯმენტისა და განყოფილებების უფროსების (საშუალო მენეჯმენტის) ჩათვლით. გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა მასშტაბისა და სირთულის ბანკების მენეჯმენტს მოეთხოვება გამოცდილებისა და კვალიფიკაციის სხვადასხვა დონე. შემმოწმებელმა უნდა გაითვალისწინოს ის, რომ ბანკის მენეჯმენტი იმყოფება არა მარტო შემმოწმებელთა გაელენის ქვეშ, არამედ განიცდის კლიენტების, აქციონერთა და კონკურენტთა გავლენას. კლიენტებს (მეანაბრეებს) სურთ მეტი საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე, აქციონერები მოითხოვენ დივიდენდებს. მენეჯმენტმა უნდა აწონ-დაწონოს ყველა ეს მოთხოვნა და შეუფარდოს ისინი იმ მოთხოვნებს, რომელთაც უყენებს მას მზარდი კონკურენცია. უმეტეს შემთხვევაში ეს დაწოლა ძალზე ძძიმეა და ბანკისათვის თითქმის შეუძლებელია თავისი გრძელვადიანი მიზნების მიღწევა ფრთხილი დაგეგმვისა და მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის კოორდინაციის გარეშე. ამ მიზნის ეფექტური მიღწევისათვის, მენეჯმენტს ცხადად უნდა ესმოდეს ბანკის მდგომარეობა ფინანსურ ბაზარზე. ამასთან, მენეჯმენტმა უნდა სცადოს, გამოიყენოს თავისი ბანკის ძლიერი მხარეები, რათა მიაღწიოს თავისი მდგომარეობის განმტკიცებასა და საქმიანობის გაფართოებას.

საჭიროა, გამოყენებულ იქნეს შემოწმების ყველა პროცედურა იმისათვის, რომ შეიქმნას ნათელი სურათი იმისა, თუ როგორია ბანკის ყველა განყოფილებისათვის მენეჯმენტის სუსტი და ძლიერი მხარეები და აგრეთვე სურათი იმისა, თუ როგორია ბანკის არსებული მდგომარეობა და როგორ შეიცვლება მომავალში. შემოწმების პირველად მიზნებთან ერთად (აქტივების ხარისხის შეფასება, მოგება და ა.შ.). ნათლად გასარკვეევია ის, თუ რას წარმოადგენს ბანკის მენეჯმენტი, შეფასდეს მისი კომპეტენტურობა, დოკუმენტური პოლიტიკისა და პროცედურების დაცვა და ა.შ.

ხელფასების შესწავლა. მენეჯმენტის შესწავლისას უნდა შეფასდეს იმ ხელფასის დონე, რომელსაც უხდიან შემსრულებელ მუშაკებს, ხელფასების დონე შედარებული უნდა იქნეს ანალოგიური ბანკების ხელფასების დონეებთან. რა თქმა უნდა, სებ-ის უნარი, გააკონტროლოს აღმასრულებელი მუშაკების ხელფასის დონე, – შეზღუდულია, განსაკუთრებით, თუ ბანკის ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ამავე დროს, შემმოწმებელმა უნდა გააფრთხილოს მენეჯმენტი (ზეპირად), რომ ძალზე მაღალმა ხელფასებმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

კადრები. უფროსი მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია ბანკის პერსონალის კვალიფიკაციაზე და კომპეტენტურობაზე. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკის შემდგომი ფუნქციონირებისათვის. პერსონალის კარგი მართვის ნიშნებია:

- ორგანიზაციული სტრუქტურა და ნათელი უკუკავშირი (საინფორმაციო ხაზები);
- პერსონალის ყოველი წევრის სტატუსის დეტალური აღწერა;
- შტატის გაზრდისა ან შემცირების წინდახედული დაგეგმვა;
- შესაბამისი პერსონალის მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- ბანკის პერსონალის მიერ თავისი ფუნქციების შესრულებადობის შემოწმება:
- საიმედო კომუნიკაციური სისტემის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიული გეგმის შემუშავება ხდება უფროსი მენეჯმენტის მიერ და წარმოადგენს ბანკის მომავალი განვითარების მონახაზს. სტრატეგიულ გეგმაში განხილული უნდა იქნეს გრძელვადიანი და, ზოგ შემთხვევაში, მოკლევადიანი მიზნები და ამოცანები. ნაჩვენები უნდა იყოს მათს შესრულებაში მიღწეული პროგრესის შეფასება. სტრატეგიული გეგმისა და ბიუჯეტის ეფექტურობა ეცემა, თუ არ არის შემუშავებული შემოწმების ეფექტური სისტემა. სტრატეგიული გეგმა შეიძლება იყოს სხვადასხვა მოცულობის, იმისდა მიხედვით, რამდენად დიდია ბანკის საქმიანობის მასშტაბი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის უნდა მოიცავდეს:

- ბიუჯეტს ან წმინდა მოგების გეგმას;

- კაპიტალის გეგმას, რომელშიც ნაჩვენები იქნება კაპიტალის ის ოდენობა, რომელიც აუცილებელია მიმდინარე და მომავალი ოპერაციების უზრუნველსაყოფად. ასევე კაპიტალის იმ ხარჯების დაგეგმვას, რომლებიც დაკავშირებული იქნება თაისუფალი სახსრების გამოყენებასთან;
- ბანკის შიგნით შემუშავებულ ყველა პროექტსა და პროგნოზებს;
- დოკუმენტურად გაფორმებულ გეგმებს, რომლებიც ეხება ბანკის საერთო განვითარების მიმართულებას. ოპტიმალურ შემთხვევაში, საერთო გეგმა გამაგრებული უნდა იყოს ბანკის სხვადასხვა განყოფილების მიერ წარდგენილი წერილობითი გეგმებით, რომლებშიც გაშიფრული იქნება ყოველი განყოფილების როლი ბანკის საერთო განვითარებასა და მართვაზე. გეგმაში აგრეთვე განხილული უნდა იქნეს ბანკის ზრდა და გაფართოება;
- აქტივების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებებს;
- დაფინანსების წყაროების ცვლილებებს.

ფილიალების მართვა. ბანკის მენეჯმენტი ვალდებულია, იქონიოს კონტროლისა და ინფორმაციის მძლავრი სისტემა, რადგან ფილიალის ფინანსურ ინფორმაციასა და მათი საქმიანობის ცოდნას ენიჭება დიდი მნიშვნელობა იმისათვის, რომ ბანკის მენეჯმენტი და შემმოწმებელი კარგად გაერკვეს ბანკის საქმიანობაში.

მენეჯმენტმა შეიძლება შექმნას ფილიალების მართვის პროგრამები, რომლებიც უნდა თანხვედებოდეს – სათაო ოფისის პროგრამებს; შტატებზე მოთხოვნილებებს; ბანკის ფილიალის პერსონალის მომზადების დონის შეფასების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებს; სათაო ოფისის ხელმძღვანელობასთან მოზსენებების წარსადგენად არსებულ საკომუნიკაციო ხაზებს (არხებს, რომელთა საშუალებითაც ხდება უფროსი პასუხისმგებელი მუშაკისადმი ანგარიშების წარდგენა). სათაო ოფისისადმი მონაცემების გადაცემის სიხშირეს.

ამასთან, რადგანაც ყველა ფილიალი ვალდებულია, გაატაროს მენეჯმენტის პოლიტიკა, ფილიალის ხელმძღვანელი მენეჯმენტი მონაწილეობას უნდა იღებდეს ან იყოს სრულად ინფორმირებული: სათაო ოფისის პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებებსა და დეპოზიტებზე ან სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების შესახებ.

IV. რისკის მართვის სისტემის ადექვატურობის შეფასება

მიუხედავად იმისა, რომ რისკის მართვის სისტემის მასშტაბი დამოკიდებულია ბანკის სიდიდესა და სირთულეზე, ბანკის სიდიდისგან დამოუკიდებლად რისკის მართვის სისტემა წარმოადგენს ყოველი ბანკის საქმიანობის შემადგენელ ნაწილს. სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობაში შედის – დაადგინოს რისკის შესაბამისი დონე და შეამოწმოს ის პარამეტრები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას იმისათვის, რომ საქმიანობა ამ საზღვრებში წარმოებდეს. რისკის ადექვატური მონიტორინგის, პრობლემების დადგენის და კონტროლის მექანიზმის ნაკლებობა წარმოადგენს სერიოზულ ხარვეზს და ძოითხოვს დაუყოვნებლივ გამოსწორებას. ამ შემთხვევაში საბანკო ზედამხედველობის სამმართველომ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები.

ცალკე აღებული ბანკის რისკის მართვის სისტემის შეფასებისას, საჭიროა კარგად გარკვევა ბანკთან დაკავშირებულ რიშიდა კონტროლის სამსახურისი, რათა შეფასდეს, როგორი რისკის მართვა სჭირდება ბანკს. ყოველდღიური (მიმდინარე) საქმიანობისთვის საკმარისი იქნება შედარებით მარტივი სისტემა. უფრო რთული ბანკებისათვის, რომლებიც ეწევიან სხვადასხვა საქმიანობას და რომლის მენეჯმენტის სტრუქტურული დაშორებულია უშუალო საქმიანობიდან, საჭიროა შეიქმნას რისკის მართვის უფრო რთული სისტემა.

საინტერესოა რისკის მართვის სისტემის შემოწმების პროცედურები:

1. სამეთვალყურეო საბჭოს და მენეჯმენტის ხარვეზები.

ა. შესასწავლია სამეთვალყურეო საბჭო შემდეგი კუთხით – შეიმუშავა და მიიღო თუ არა არსებულ რისკთან დაკავშირებული სპეციალური პოლიტიკა?

- დაამტკიცა თუ არა სამეთვალყურეო საბჭომ საერთო საქმიანობის სტრატეგია (სტრატეგიუ-

ლი ბიზნეს-გეგმა)?

- ახდენს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო რისკის საზღვრების პერიოდულ გადასინჯვას იმ მიზნით, რომ გაითვალისწინოს ბანკის სტრატეგიისა და საბაზრო პირობების ცვლილებანი?
- არის თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მოგროვილი ინფორმაციის დონე და მონაწილეობის ხარისხი შესაბამისობაში ბანკის საქმიანობის სიდიდესა და მიზნებთან? ანუ შეესაბამება თუ არა ბანკის საქმიანობას და ამ საქმიანობის მიზნებს სამეთვალყურეო საბჭოს ცოდნისა და მონაწილეობის დონე (ხარისხი)?

ბ. შეისწავლა ბანკის მენეჯმენტი (ხელმძღვანელობა) შემდეგი კუთხით:

- ასრულებს თუ არა მენეჯმენტი ბანკის პოლიტიკას, იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს სამეთვალყურეო საბჭო?
- სრულად მონაწილეობს თუ არა ბანკის მენეჯმენტი ბანკის საქმიანობაში და გააჩნია თუ არა მას ბანკის საქმიანობის ყველა სფეროს ცოდნა? ასევე, გააჩნია თუ არა ამ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის საკმარისი ცოდნა? ესმის თუ არა მენეჯმენტს რა საქმიანობას ეწევა ბანკი და იცის თუ არა, რა რისკია დაკავშირებული ამ საქმიანობებთან?
- დარწმუნებულია თუ არა მენეჯმენტი იმაში, რომ საქმიანობის ყველა მიმართულება ადექვატურადაა დაკომპლექტებული კომპეტენტური კადრებით?
- შეუძლია თუ არა მენეჯმენტს მოახდინოს რეაგირება რისკის განმსაზღვრელ გარეშე პირობათა ცვლილებებზე?

2. ადექვატური პოლიტიკა და ლიმიტები.

ა. განსახილველია პოლიტიკა და საზღვრები შემდეგი კუთხით:

- შეესაბამება თუ არა პოლიტიკა მენეჯმენტის სიდიდეს, სირთულესა და ბანკის შინაგან სტრუქტურას. თუ ბანკის სირთულე და ორგანიზების დონე იზრდება და უფროსი მენეჯმენტი ნაკლებად ხდება ჩართული ყოველდღიურ საბანკო საქმიანობაში, საბანკო პოლიტიკა და პროცედურები უნდა გახდეს უფრო დეტალიზირებული.
- შეესაბამება თუ არა არსებული პოლიტიკა და არსებული საზღვრები მენეჯმენტის უნარს და ბანკის საერთო ფინანსურ მდგომარეობას?
- ნათლად განსაზღვრავს თუ არა პოლიტიკა პასუხისმგებლობის არეებს?
- უზრუნველყოფს თუ არა პოლიტიკა ახალი საქმიანობის კონტროლს, რათა ყოველი რისკი გაითვალისწინებოდეს და იმართებოდეს?

3. რისკის მართვის და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა.

ა. განსახილველია მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა შემდეგი კუთხით:

- უზრუნველყოფს თუ არა მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა საკმარის მონაცემებს იმისათვის, რომ მოხდეს ბანკის ყველა მნიშვნელოვანი რისკის მონიტორინგი და მართვა?
- რეგულარულად მოწმდება თუ არა, რამდენად სამართლიანი და სანდოა ის დაშვებები და მონაცემთა წყაროები, რომელსაც იყენებენ რისკის მონიტორინგისათვის?
- არის თუ არა ანგარიშები საკმარისად დეტალიზებული იმისათვის, რომ სწორად ასახონ რისკის დონე, უზრუნველყონ პოლიტიკის მიერ დაწესებული საზღვრებისა და მიზნების დაცვა და გვიჩვენებენ თუ არა მოსსენებები, თუ რამდენად სრულდება არსებული გეგმები?
- არის თუ არა მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოსადმი წარდგენილი მოხსენებები დროული, სწორი და საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყონ უარყოფითი ტენდენციების აღმოჩენა და ბანკის რისკის დონის სწორი შეფასება?

4. შიდა კონტროლი და აუდიტის პროცედურები.

შესაფასებელია შიდა კონტროლი შემდეგი კუთხეებით:

ა. შიდა კონტროლი:

- მოწმდება თუ არა შიდა კონტროლი დამოუკიდებელი შიდა ან გარე აუდიტორების მიერ?

თუ ბანკის სიდიდე არ იძლევა შიდა ან გარე აუდიტის ჩატარების საშუალებას, მაშინ შიდა კონტროლი უნდა განხორციელდეს იმ მუშაკების მიერ, რომლებიც დამოუკიდებლნი არიან იმ საქმიანობისგან, რომლებსაც განიხილავენ.

- შეესაბამება თუ არა შიდა კონტროლის სისტემა ბანკის რისკის ზომას, დონესა და სერიოზულობას?
- უზრუნველყოფს თუ არა შიდა კონტროლის სისტემა კანონისა და საბანკო საქმიანობის წესების დაცვას და ფინანსური რისკის ანგარიშების სწორ სტრუქტურას?

ბ. განსახილველია აუდიტის პროცედურები შემდეგი კუთხით:

- შეიცავს თუ არა ბანკის შიდა აუდიტის ფუნქციები შიდა კონტროლის მიმოხილვას და საინფორმაციო სისტემის შემოწმებას?
- დამოუკიდებელია თუ არა აუდიტის ფუნქციები?
- იხილავენ თუ არა სამეთვალყურეო საბჭო ან აუდიტის კომიტეტი აუდიტის ფუნქციების ეფექტურობას?

დასკვნა. ა. მას შემდეგ, რაც დასრულდება მენეჯმენტის შემოწმების პროცედურები, უფროს მენეჯმენტთან ერთად განიხილება შედეგები (შესაძლებლობის შემთხვევაში ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ერთადაც). ეს განხილვა წარმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ მიღწეულ იქნას მენეჯმენტის „ზოგადი ფილოსოფიის“ გაგება და მიღებულ იქნას თანხმობა შესაბამისი ზომების გატარების თაობაზე.

ბ. მას შემდეგ, რაც დასრულდება შესაბამისი თათბირები ბანკის მენეჯმენტთან, განისაზღვრება მენეჯმენტის რეიტინგის კომპონენტები: ბანკის მენეჯმენტის სრულმა შეფასებამ უნდა გაითვალისწინოს, რამდენად ადექვატურია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემუშავებული პოლიტიკა და პროცედურები და რამდენად მისდევს მათ მენეჯმენტი, რამდენად ეფექტურია ზედამხედველობა და კონტროლი მენეჯმენტზე, რამდენად ხარისხიანად ასრულებს სამეთვალყურეო საბჭო თავის ფუნქციებს, რამდენად ადექვატურია მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა, რისკის მართვა და კონტროლი და რამდენად კარგია ბანკის საერთო ფინანსური მდგომარეობა. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა შიდა და გარე ფაქტორი მენეჯმენტის უცვლელობის ჩათვლით. ცვლილებები მენეჯმენტში (დაწინაურება, შეცვლა, დათხოვნა და ა.შ.) და სტრატეგიული დაგეგმვა. ვინაიდან მენეჯმენტის შეფასება ხდება სუბიექტურად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შემოწმების პროცედურის შედეგის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ შემმოწმებელმა გამოიჩინოს კეთილგონიერება და სიფრთხილე. შეფასებისათვის შემოღებულია სიდიდეები, სადაც 1 ყველაზე კარგს, ხოლო 5 ყველაზე ცუდს ნიშნავს.

გ. მას შემდეგ რაც ჩატარდება ყველა მოლაპარაკება და თათბირი და დადგენილი იქნება მენეჯმენტის რეიტინგის საბოლოო კომპონენტები, უნდა მომზადდეს შემოწმების ანგარიშის კომენტარები. კომენტარში უნდა მიეთითოს:

1. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ თავისი ფუნქციის შესრულება, ამასთან, ბანკის მენეჯმენტთან მოლაპარაკებისას არ ეჩვენება მენეჯმენტის რეიტინგის რიცხვითი კომპონენტები და გამოიყენება შემდეგი სიტყვები:

1 — დამაკმაყოფილებელი
2 — ადექვატური
3 — ნაკლებად ადექვატური
4 — არაადექვატური
5 — კრიტიკული.

17.10. ᲖᲔᲓᲐᲔᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲨᲘ

ზედამხედველობა და რეგულირება საბანკო მენეჯმენტის განუყოფელი ელემენტებია.. ამ მიმართულებით ჩატარებული საქმიანობა გარემოს ზედა (მმართველურ) სფეროში დეეს და მას პირდაპირი ზემოქმედება ახასიათებს. ამ საქმიანობის წყალობით, დგინდება ბანკის მუშაობის საზღვრები და წესები, ხდება ნორმატიული რეგულირება. ხორციელდება ბანკებისა და მათი კლიენტების ინტერესების დაცვა. ბანკების თვალსაზრისით, ზედამხედველობას აქვს როგორც პოზიტიური (წარმმართველი, მაორგანიზებელი, მარეგულირებელი), ისე ნეგატიური ასპექტები (აქტიურობის დაქვეითება, ოპერაციების შემოსავლიანობის კლება, დამატებითი ორგანიზაციული მოვალეობები, დამატებითი საოპერაციო ხარჯები და ა.შ.). მაგრამ შეფასებათა განსხვავებულობის მიუხედავად, მხოლოდ იმ საბანკო მენეჯმენტს, რომელიც ხორციელდება მოთხოვნებისა და ნორმატივების ფარგლებში და საბანკო ზედამხედველობის გამოყენებას ითვალისწინებს, გააჩნია ბანკის სტაბილურობის, ეფექტიანობისა და კარგი იმიჯის უზრუნველყოფის უნარი.

საბანკო სისტემაში ზედამხედველობისა და რეგულირების მიზნები და ამოცანები. მთელი იერარქიული სტრუქტურისათვის საბანკო მეთვალყურეობის მთელი სისტემების წინაშე მდგომი ძირითადი ამოცანები ყველაზე განზოგადებულად შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

1. „ჯანსაღი" საბანკო სისტემის როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი და მისი ეკონომიკის სტაბილურობის გამაუმჯობესებელი ერთ-ერთი საბაზო ფაქტორის მხარდაჭერა და გარანტირება.

2. ბანკების კლიენტების კანონიერი და მიზანშეწონილი ინტერესების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, იმ მეანაბრეების, რომლებსაც თავიანთი სახსრები ბანკებში აქვთ დაბანდებული, და იმ ინვესტორებისა, რომლებსაც სახსრები ბანკების სავალო ინსტრუმენტებში აქვთ განთავსებული. ამგვარი დაცვის აუცილებლობას ის განსაზღვრავს, რომ უამრავ მეანაბრეს არ შეუძლია ბანკის რისკის შესაფასებლად საჭირო ინფორმაციის შეგროვება და გაანალიზება, კონკრეტული ბანკის მიმართ მეანაბრეთა ნდობის დაკარგვამ კი შესაძლებელია მთელი საბანკო სისტემის მიმართ უნდობლობა გამოიწვიოს. საბანკო მეთვალყურეობის წინაშე მდგომი ამოცანების მრავალფეროვნება და მრავალმიმართულებიანობა საბანკო საქმიანობის განმსაზღვრელი მიზნების წრით კონკრეტიზდება. ეს მიზნები უფრო კონკრეტულად შემდეგნაირად შეგვიძლია გამოვყოთ და ჩამოვაყალიბოთ:

- სტაბილიზაციის მიზნები — იმ სასიკეთო ტენდენციების განსაზღვრა და შენარჩუნება, რომლებიც ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების განვითარებისა და საქმიანობის სხვადასხვა ეტაპებზე გამოელინდა (საბანკო პროდუქტების გაფართოება და დაკომპლექტება, საბანკო პოლიტიკის წარმართვა კლიენტებთან პარტნიორულ ურთიერთობებზე და ა.შ.);
- სტიმულაციის მიზნები — ცალკეული ტიპებისა და სახეების ბანკების და ფინანსური დაწესებულებების, საბანკო საქმიანობის ცალკეული მიმართულებებისა და საბანკო გარიგებების, საბანკო პროდუქტების ხარისხობრივ მახასიათებელთა გეოგრაფიული და სოციალური შემადგენელი ელემენტების წახალისება და საქმიანობის განმტკიცება (ბანკების ინოვაციური სპეციალიზაციის, გრძელვადიანი დაკრედიტებისა და ინვესტიციების, ბანკების მიერ კონვერსიული პროგრამების დაფინანსების და ა.შ. სტიმულირება);
- ნეიტრალიზაციის მიზნები — საკრედიტო სისტემის (ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების) დაცვა არაკეთილსასურველი გარე და მაკროეკონომიკური ობიექტებისა და ზემოქმედებისაგან (ეროვნული ვალუტების მხარდაჭერის ღონისძიებები, ანტიინფლაციური ღონისძიებები, ეროვნულ ბაზარზე დასაშვები საგარეო კონკურენტების მკაცრად შერჩევა და მათი საქმიანობის შეზღუდვა;

● მხარდაჭერისა და აღდგენის მიზნები – კონკრეტული ბანკების, საკრედიტო ორგანიზაციებისა თუ მათი ჯგუფების მხარდაჭერა ისეთ კრიტიკულ სიტუაციებში, რომელსაც იწვევს ობიექტური მიზეზები ან პოლიტიკური და მაკროეკონომიკური, აგრეთვე, საგარეო ფაქტორები;

საბანკო ზედამხედველობის მოთხოვნები. ცალკეული ქვეყნების საბანკო მენეჯმენტის სფეროებში ზედამხედველობისა და რეგულირების ორგანოების მიერ გამოყენებული მიდგომები და ნორმატივებისა და შეზღუდვების სახეები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამის მიუხედავად, მაინც შესაძლებელია მათგან ყველაზე უფრო ზოგადისა და მნიშვნელოვანის გამოყოფა:

1. კაპიტალისადმი წაყენებული მოთხოვნები მოიცავს:

● მოთხოვნები კაპიტალის მინიმალური ზომის მიმართ (ფულის კონკრეტული თანხის სახით, რომელიც ზოგჯერ საკრედიტო დაწესებულების ტიპზე დამოკიდებულებით იცვლება) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია დამწყები კონტროლისა, რომელიც აფერისტების სტრუქტურებისგან იცავს ფინანსურ ბაზრებს;

● მოთხოვნები ადექვატური (საკმარისი) კაპიტალის მიმართ გარკვეულ ურთიერთობათა სახით:

● ბანკის ან საკრედიტო დაწესებულების კაპიტალისა და ვალდებულებების;

ბანკის კაპიტალისა და აქტივების, რომლებიც რისკის გათვალისწინებითაა შეწონილი (კუკის კოეფიციენტი საერთაშორისო სტანდარტებში). თანამედროვე ანალიტიკური მიდგომა მოითხოვს ბანკის აქტივების სტრუქტურიზაციას. საკრედიტო რისკის დონის მიხედვით და მათ დიფერენცირებულად აღრიცხვას, ამ ნორმატივის განსაზღვრაში. მაგალითად, მინიმალური რისკის აქტივების შეწონვა ხდება „0“ კოეფიციენტის რისკების სკალით და, მაშასადამე, ნორმატიების გაანგარიშებაში ისინი არ მონაწილეობს. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კუკის კოეფიციენტის გაანგარიშების დროს კაპიტალს ყოფენ მთავარ და დამატებით კაპიტალად. ითვალისწინებენ კაპიტალის შედგენილობისა და სტრუქტურის მიმართ იმ მოთხოვნებს, რომლებიც კრძალავს ცალკეული სახის აქტივების შეტანას საწესდებო კაპიტალში და ზღუდავს ამ კაპიტალის არაფულადი ნაწილის სიდიდეს. (მაგალითად, რუსეთში – 20% პირველ ორ წელს და 10% – მომდევნო წლებში).

2. კრედიტის სიდიდის შეზღუდვა მოიცავს:

● კონკრეტული მსესხებლისათვის კრედიტის (რისკის) ზედა ზღვარის დადგენას. ჩვეულებრივ, მას ფინანსური-საკრედიტო დაწესებულების კაპიტალის სიდიდეს უკავშირებენ;

● სამეწარმეო საქმიანობის კონკრეტული სფეროსთვის, ეკონომიკური სექტორისთვის ან ქვედანაყოფისთვის გაწეული საკრედიტო მომსახურების მოცულობისა და ხარისხის შეზღუდვას.

3. ბანკის უფლებამოსილებათა შეზღუდვა მოიცავს:

● აქტივების პორთფელში მთელი რიგი ოპერაციების ჩართვის შეზღუდვას ან აკრძალვას (მაგალითად, ცალკეული სახის ფასიანი ქაღალდების განთავსების გარანტიები, თვითონ ანდერსაიტინგის და დაზღვევის გარანტიები და ა.შ.);

● შეზღუდვები მთელ რიგ აქტივებზე, მაგალითად, უძრავი ქონების ან არამყარი საწარმოების აქციების ფლობის სახით.

4. იმ პირებზე კრედიტების გაცემის შეზღუდვა, რომლებიც კონფიდენციალურ საიდუმლოებას ფლობენ. ეს ეხება მოცემული ბანკის პერსონალს, პირველ რიგში კი – ბანკების მმართველებს, მათ დირექტორებსა და მესაკუთრეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკმაოდ იზრდება ბოროტმოქმედების რისკი.

5. კომერციული ბანკების ფლობის უფლების აკრძალვა ან შეზღუდვა არაფინანსური ორგანიზაციებისა და კომპანიებისთვის (ზოგიერთ ქვეყანაში). ეს საშუალებას მისცემდა მათ, საკრედიტო მომსახურებით ესარგებლათ შერბილებული მოთხოვნებისა და პირობების

დაცვით. ამ ოპერაციების რისკის ზედმიწევნით გათვალისწინების გარეშე.

6. გარანტიებისა და საგარანტიო ვალდებულებების ნაწილში შეზღუდვები მოიცავს: დასაზღვევი დეპოზიტების თანხის ზედა ზღვარის დაწესებას (აშშ-ში 100 ათ.დოლარი); იმ მეანაბრეთა წრის შეზღუდვას, ვის დეპოზიტებსაც აზღვევენ;

მესამე პირთა იმ ვალდებულებების ზღვრული ლიმიტის დაწესებას, რომლებზეც ბანკები გარანტიებს ან ვალებს გასცემენ. ამ ლიმიტის გადაჭარბებას, როგორც წესი, არ მოსდევს ზემოქმედების ღონისძიებები, მაგრამ ეს მკვეთრად სცემს დაბლა ბანკის რეიტინგს.

საბანკო ზედამხედველობის უფლებამოსილებანი. საბანკო ზედამხედველობის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების რეალიზებას ახდენენ მისი ორგანიზაციული სტრუქტურები. ხშირად ამას საფუძველად უდევს სპეციფიკური სცენარები და სქემები, რომლებიც მოიცავს რეგულირების ინდიკატორებს, მაჩვენებლებს, ანალიზის ხერხებს, ინსტრუმენტების გამოყენების არსენალებსა და თანმიმდევრობას. ეფექტიანი და მიზანმიმართული საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების ორგანიზება ლოგიკურად მოითხოვს იმას, რომ, საბანკო ზედამხედველობის სტრუქტურირებისა და ორგანიზების თავისებურებების მიუხედავად, მის პასუხისმგებელ ფუნქციურ სტრუქტურებს უნდა გააჩნდეს არა მარტო საკმარისად მძლავრი საინფორმაციო-ანალიტიკური ბაზა, არამედ ძალაუფლება და უფლებამოსილებაც საიმისოდ, რათა სრულად და ადექვატურად შეასრულონ თავისი ფუნქციები, ე.ი. ჰქონდეს არა მარტო „დიაგნოზის დასმის", არამედ „მკურნალობის" უნარიც.

თუ მაკონტროლებელ ორგანოს საკმარისი უფლებამოსილება არა აქვს თავისი სამუშაოს შესასრულებლად (ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში), დამოუკიდებლად არ შეუძლია მიიღოს და გამოიყენოს მკაცრი ადექვატური ზომები, მაშინ საეჭვო ხდება, რომ ის შეძლებს თავისი მოვალეობებისთვის თავის გართმევას.

ამგვარად, საბანკო ზედამხედველობის ორგანოების ასეთ ზომებს მიმართავენ მისმენეჯმენტის თავიდან აცილების, შეზღუდვისა და მისი შედეგების გამოსწორებისათვის. ყველაზე ზოგადად, ამ უფლებამოსილებებში შედის:

1. პირველადწყებითი კონტროლი – წესებისა და შეზღუდვების დაწესების, აგრეთვე, მათი მეშვეობით, ბაზარზე ახალი ბანკის ან საკრედიტო დაწესებულების კონტროლის უფლება და მექანიზმი (ფორმირების მოსამზადებელი ეტაპები, მათთვის ლიცენზიის მიცემა და რეგისტრაცია, მუშაობის სასტარტო ეტაპი. ფილიალთა ქსელის განვითარება, ოპერაციების, ახალი დარგებისა და სამოქმედო ტერიტორიების ათვისება). ეს კონტროლი მოიცავს იმ აკრძალვასაც, რომელიც საბანკო ზედამხედველობის უფლებამოსილებითაა დადასტურებული და ითვალისწინებს ჯარიმების გადახდევინებას და სასამართლო ორგანოების მეშვეობით იმ იურიდიული პირების საქმიანობის შეწყვეტის მოთხოვნას, რომლებიც ბანკებსა ან საბანკო ოპერაციების შემსრულებლებს უწოდებენ თავიანთ თავს), სათანადო ლიცენზია კი არ გააჩნიათ.

პირველადწყებითი კონტროლის მოთხოვნები შესაძლოა გულისხმობდეს:

- საპროცედურო და საინფორმაციო უზრუნველყოფის მოთხოვნას ბანკის ან საკრედიტო დაწესებულების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების ნორმატიული ნაკრების სახით;
- საწესდებო ფონდში შესატანი სახსრების წარმოშობის კანონიერების მოთხოვნას (აუდიტორული დასკვნა ან დეკლარაცია შემოსავლების შესახებ);
- იმის მოთხოვნას, რომ საწესდებო ფონდის ფორმირებისათვის არ გამოიყენებენ მოზიდულ ფულად სახსრებს, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების (გაერთიანებების) ფულად სახსრებს და საკუთრების სხვა ობიექტებს;
- მოთხოვნა საწესდებო ფონდის მინიმალური სიდიდისა და მასში არაფულადი აქტივების წილის ზღვრული სიდიდის შესახებ;
- მოთხოვნა ბანკის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელთა კვალიფიკაციაზე, მუშაობის

სტატუსზე და ბიოგრაფიის კრიმინალურ და პროფესიულ წარსულზე;

- მოთხოვნა საწესდებო ფონდის ფორმირების ეალების მიმართ;
- მოთხოვნა ბანკის საქმიანობის დაწყების ეადის მიმართ მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

ამ ეტაპზე საბანკო ზედამხედველობის მიზნები და ამოცანები საკმაოდ კარდინალურია – თაღლითი ბანკირი ვერ უნდა გახდეს (მან ვერ უნდა შექმნას ბანკი ან ვერ უნდა მოახერხოს უკვე მოქმედ ბანკზე კონტროლის დაწესება). ამის შესაბამისად, აღექტატურია მისი უფლებამოსილებანიც – რეგისტრაციაზე უარის თქმა (ლიცენზიის არგაცემა) და ლიცენზიის გამოწვევა.

2. გამაჯანსაღებელი რეგულირება – ბანკებისა და საკრედიტო ორგანიზაციების მდგომარეობის ანალიზისა და დიაგნოსტიკის უფლება და მექანიზმი, აუცილებელი აღდგენითი ზომების გატარების მოთხოვნისა და გაკონტროლების უფლება, ამ ზომების თავსმოხვევის, მათზე დაკვირვების, ნორმატიული პირობებისა და შეზღუდვების ჩარჩოებში გასაკონტროლებელი სტრუქტურების მოქცევის შეფასების უფლება.

3. იძულების ზომები – ბანკებისა და საკრედიტო ორგანიზაციების პრობლემური მდგომარეობის გამოვლენისა და შეფასების უფლება, საკმაოდ მკაცრი და ვითარების აღექტატური, როგორც ერთჯერადი, ისე კომპლექსური და თანმიმდევრული ზომების მიღება იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორია ამ ზომების ქმედითობა და ზედამხედველობა გასაწევი სტრუქტურების რეაგირება მათზე. გასატარებელი ზომების მთავარი მიზანია პოლიტიკის, სტრატეგიისა და ტაქტიკის მიზნების, ზოგჯერ – ბანკების მენეჯმენტის ორგანიზაციული სტრუქტურის მკეთრად შეცვლა პრობლემური, კრიზისული მდგომარეობიდან მათ გამოსაყვანად, რადგან ეს კიდევ შესაძლებელია, სოლო „ინტენსიური თერაპია" და „ოპერატიული ჩარევა" ჯერ კიდევ შეიძლება იყოს ქმედითი და ეფექტიანი. საუბარია კრიზისის ზღურბლზე მყოფი კრიზისული და წინაკრიზისული ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების შესახებ, რომლებიც „კოსმეტიკური" და „ავანტიურისტული" მისმენეჯმენტის ზონებში მუშაობენ.

ლოგიკა თითქოს იმას გვკარნახობს, რომ „პროფილაქტიკა" და „პროცედურები" საკმაოდ მკაცრად უნდა იყოს დისტანცირებული „ოპერატიული ჩარევისგან", მაგრამ ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად, რუსეთის) საბანკო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამას.

ზედამხედველობის მოთხოვნათა დარღვევის გამოსწორებისკენ მიმართული „ზემოქმედების ზომები" შეიძლება იყოს:

- ბანკის ხელმძღვანელობისთვის სავალდებულო მითითება გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად;
- ბანკების დამფუძნებლებისათვის წაყენებული მოთხოვნა ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებათა გატარებისა და აუდიტორული შემოწმების შესახებ;
- ბანკის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელთა დაჯარიმება;
- დამფუძნებლებისთვის წაყენებული მოთხოვნა ბანკის ხელმძღვანელობის შეცვლის თაობაზე;
- ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური ნორმატივის დროებით გამკაცრება;
- ცალკეული საბანკო ოპერაციების დროებით აკრძალვა;
- ბანკებისთვის უკანონოდ მიღებული შემოსავლებისა და დამატებითი ჯარიმების გადახდევინება;
- თაღლითობის ფაქტების დადგენის შემთხვევაში – დროებითი ადმინისტრაციის დაწესება ბანკის ახალი ხელმძღვანელობის დანიშვნისა და ბანკის (საკრედიტო დაწესებულების) რეორგანიზაციისა და გაჯანსაღების პროგრამის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

პრინციპში, შესაძლებელია საკმაოდ ფართო დიაპაზონის ზომების გამოყენება. მათი შერჩევა მთლიანადაა დამოკიდებული ზედამხედველი ორგანოს, პირველ რიგში – ცენტრალური ბანკის პოზიციაზე. მარეგულირებელი ზომების აღექტატურობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, ისევე როგორც მათი ეფექტიანობა.

4. სალიკვიდაციო კონტროლი – ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების კრიზისული მდგომარეობის იდენტიფიკაციისა და დაფიქსირების უფლება და მექანიზმი, როდესაც მათი საქმიანობა არა მარტო საფრთხეს აჩენს, არამედ პირდაპირ საგრძნობლად აზარალებს კლიენტებსა და საბანკო სისტემას, ამის გამო კი მთელი ქვეყნის ეკონომიკას და მის სტაბილურობას აყენებს ზიანს. აქ რეალიზდება უფლება, მკაცრად აღკვეთოს, შეაჩეროს ამგვარი ბანკების ოპერაციები, გამოიწვიოს მათ მიერ საბანკო საქმიანობის განხორციელებაზე გაცემული ლიცენზიები, მოითხოვოს, თვალყური ადევნოს, არეგულიროს, ზოგჯერ კი მონაწილეობა მიიღოს და უხელმძღვანელოს კიდეც საბანკო სისტემის ამ „არაჯანსაღი, საზიანო“ ელემენტების ლიკვიდაციას (კრიზისული ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც „თაღლითობის“ ზონაში იმყოფებიან – დოკუმენტების პირდაპირი გაყალბება, ინფორმაციის დამალვა, ვალდებულებების შეუსრულებლობა სახსრების მოზიდვის აქტიური სარეკლამო კამპანიის დროს, თვითდაკრედიტება, ბანკის ან ბანკირის კუთვნილი საკუთრებით მანიპულირება).

ზედამხედველობის აქტუალურ პრაქტიკულ პრობლემებს შორის აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი:

ბანკების ტერიტორიულ დაწესებულებათა საზედამხედველო (საინსპექციო) ქვედანაყოფების მთელი მუშაობა მოითხოვს უკეთეს დაგეგმვას ამოცანების დასახვის, ვადების განსაზღვრის და გადაწყვეტილებათა მიღების რეგლამენტაციის ჩათვლით. ასე, მაგალითად, შემოწმების გეგმები იშვიათად იქმნება მათი შესრულების რეალური შესრულების გათვალისწინების გარეშე (მაგალითისათვის, ბანკების ინსპექტირების ცალკეულ სამმართველოებში კვარტალის დავალებათა რაოდენობა შეიძლება 2-ჯერ აღემატებოდეს სამუშაოს „საშტატო“ მოცულობას).

თვით მუშაობის ორგანიზაცია შედგება 3 ძირითადი ეტაპისაგან. პირველი ეტაპი მოსამზადებელია (წინასაინსპექციო). იგი ითვალისწინებს ერცელი ინფორმაციის მიღება-დამუშავებას - სტატისტიკიდან პრესაში პუბლიკაციამდე, რათა ცნობილი გახდეს რომელ ორგანიზაციაში გადიან ინსპექტორები, რით შეიძლება იგი „დავადებული“ იყოს და ამის საფუძველზე შედგეს მუშაობის გეგმა. თუმცა მოსამზადებელი სამუშაობისათვის ინსპექტორებს დროს არაცინ აძლევენ. მეორე ეტაპი – საკუთრივ შემოწმების – ასევე შორს არის სრულყოფისაგან. დამამთავრებელი, მესამე ეტაპი – შემოწმების შემდეგ გადაწყვეტილებების მიღება. ამ შემთხვევაში წესი საკმაოდ მკაცრად რეგლამენტირებულია, მაგრამ რეგლამენტის შინაარსობრივ ნაწილში იგი აშკარად აკლია, რადგან ერთი და იგივე მოქმედება შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს გაგებული.

ყოველმა ბანკმა ორ წელიწადში ერთხელ უნდა გაიაროს შემოწმება. თუმცა ზოგიერთ საბანკო ცენტრში ამ წესის შესრულება შეუძლებელია ინსპექტორთა არსებული რიცხოვნობის პირობებში. აქედან გამომდინარე, აქ საჭიროა თვისებრივად ახალი მიდგომები. ერთის მხრივ, ასეთი მიდგომა შეიძლება დაკავშირებული იყოს ზემოხსენებული პრინციპის „რისკების მინიმუმი – კონტროლის მინიმუმი“ რეალიზაციასთან, ხოლო მეორე მხრივ, ბანკები პრობლემურობის ნიშნების გარეშე შეიძლება მხოლოდ დისტანციური („უკონტაქტო“) ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ინსპექტორებს, არსებითად, არავითარი საქმე არა აქვთ კრიტიკული ფინანსური მდგომარეობის მქონე ბანკებში, რომლებიც ან ლიკვიდირებული, ან სანირებული უნდა იქნენ. ბანკების ორი სხვა (შუალედური) ჯგუფების მიმართაც საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა.

განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო მსხვილი ბანკებისადმი. ინსპექტირების ჩვეულებრივი მეთოდები მათთვის მიუღებელია, ძალზე დიდია ინფორმაციის მოცულობა. ასეთ ბანკებზე კონტროლი, შესაძლოა, დაყვანილ იქნეს არა იმდენად ცალკეული ნაკლოვანებების გამოვლენამდე, რამდენადაც იქამდე, რომ ისინი ვითარდებოდნენ თითოეული მათგანისათვის დადგენილ კალაპოტში, მის ფარგლებს გარეთ გაუსვლელად.

ყველაფრის შემოწმება ინსპექტორებს არ შეუძლიათ და არც არის საჭირო. ინსპექტირების სამსახურებმა, რომელთაც კვალიფიციური კადრები გააჩნია, იციან უამრავი ირიბი ნიშანი,

რომლის მიხედვითაც საქმაო დამაჯერებლობით შეიძლება შემოწმების ამოცანების ფორმულირება. მაგალითისათვის, ბანკში უეცრად აიწია კრედიტებსა და დეპოზიტებზე განაკვეთებმა. რა დგას ამის მიღმა? ან ბანკი იმდენად კარგად მუშაობს, რომ შეუძლია სხვებზე მეტის გადახდის უფლება მისცეს თავის თავს, ან მისი მდგომარეობა იმდენად ცუდია, რომ მას სურს მოზიდული, თუნდაც ძვირი სახსრებით „ჩააზშოს“ რაღაც დეფიციტი. ჩვეულებრივი ანგარიშგების ფორმებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთული, ან თითქმის შეუძლებელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა გავერკვეთ, რა მოხდა. სინამდვილეში, ამგვარი ირიბი მაჩვენებლები მრავალია.

ახალი დამფუძნებლების მოსელა, ხელმძღვანელობის შეცვლა, საბჭოს მუშაობის რეგულარობა, მის მიერ განხილულ საკითხთა ჩამონათვალი, საკრედიტო საქმეების გაელის წესი, ფართოვდება თუ ვიწროვდება ბანკის კლიენტთა წრე, როგორია ეს კლიენტები, საწესდებო კაპიტალის და საკრედიტო აქტივობის ზრდა – ყველაფერი ეს და ბევრი სხვა, როგორც წესი, ახასიათებს შემობრუნების მომენტს ბანკის ცხოვრებაში. სწორედ ისინი, როგორც სპეციალისტები თვლიან, უნდა იქნეს გაანალიზებული. საინსპექციო შემოწმებების შედეგებით ოფიციალური ანგარიშგების კორექტირებით შეიძლება ბანკში საქმის ვითარების რეალური სურათის მიღება.

საინსპექციო შემოწმებების შედეგებით დგება საქმაოდ „სქელი“ აქტები, რომლებშიც, ჩვეულებისამებრ, მრავალი დაწვრილებითი აღწერა, გაუგებარი ფორმულირება და ცოტა დასკვნა და რეალური წინადადებაა. ასეთი აქტების შედეგნით დასრულებული შემოწმებები ეერაკითარ დახმარებას ეერ გაუწევენ შემოწმებულ ბანკებს.

ცალკეული ბანკის საქმიანობის გარედან რეგულირება. რეგულირება, როგორც კონკრეტულ ბანკზე გარეგანი სამმართველო ზემოქმედების პროცესი, იწყება იმ მომენტიდან, როცა ცენტრალური ბანკის ან მისი ტერიტორიული დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელიც მოცემული ბანკის შემოწმებას დანიშნავს, დაამტკიცებს მისი შემოწმებს აქტს და მიიღებს ინსტრუქციით გათვალისწინებულ ერთ-ერთ შესაძლო გადაწყვეტილებას, ანუ განსაზღვრავს ბანკზე ზემოქმედების კონკრეტულ ღონისძიებას საქმიანობის პრუდენციული ნორმების დარღვევისათვის.

აღნიშნული საზედამხედველო ორგანოს მიერ გადასაწყვეტ ძირითად ამოცანად ითვლება საბანკო კანონმდებლობის ნორმებსა და მოთხოვნებთან შესაბამისობაში ბანკის საქმიანობის მოყვანა. აქედან გამომდინარე, უნდა შეირჩეს ზემოქმედების ისეთი ზომები, რომლებიც უფრო ეფექტურად გადაწყვეტენ მითითებულ ამოცანას. თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული შესაბამისი ინსტრუქციით, საზედამხედველო ორგანო ირჩევს ზემოქმედების ღონისძიებებს დამოუკიდებლად, ბანკის მიერ დაშვებული დარღვევების, გამოვლენილ დარღვევათა წარმოშობის მიზეზების, ბანკის საერთო ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, ბანკებთან მიმართებაში გამოიყენოს ზემოქმედების ღონისძიებათა 2 ტიპი: გამაფრთხილებელი და იძულებითი. მისაღები ზომების კონკრეტული შემადგენლობა შეიძლება მოიცავდეს როგორც ერთი ტიპის, ასევე ორივე ტიპის ზემოქმედების ღონისძიებებს.

ზემოქმედების გამაფრთხილებელი ღონისძიებები:

1. ზემოქმედების გამაფრთხილებელი ღონისძიებები მიიღება ძირითადად იმ შემთხვევებში, როცა ნაკლოვანებები ბანკის საქმიანობაში საფრთხეს არ უქმნიან კრედიტორებს და მეანაბრეებს. ამასთანავე, ბანკის მმართველობითი ორგანოების და მისი მონაწილეების მხრიდან გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისადმი პასუხისმგებლური და კონსტრუქციული მიდგომის, ასევე საზედამხედველო ორგანოსთან სათანადო ურთიერთქმედების პირობით (მსჯელობაში გვაქვს ბანკის საქმიანობის მაკორექტირებელი ეალდებულებების მიღება).

2. ზემოქმედების აღნიშნული ზომები მიიღება უმთავრესად ნაკლოვანებათა წარმოშობის ადრეულ სტადიებზე, კერძოდ:

- ბანკის საქმიანობის მაჩვენებლების გაუარესებისას, თუკი ბანკის მიერ მიღებული საკალდე-

ბულო ნორმატივები ან სხვა მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავენ რისკის ზღვრულ ნორმებს, სრულდება ან ირღვევა უმნიშვნელოდ, ანუ არ მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ბანკის ფინანსურ მდგომარეობას, მის კრედიტორთა და მეანაბრეთა ინტერესებს.

- თუ არსებობს ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების საფრთხის დამადასტურებელი ნიშნები (მიმდინარე ზარალი, საკუთარი კაპიტალის კლების ტენდენცია, სახსრების მოზიდვა საბაზროზე უარესი პირობებით, მოზიდულ რესურსებში მნიშვნელოვანი წილის მქონე კლიენტთა მიერ ბანკის მომსახურებაზე უარის თქმა; თავისუფალ ბრუნვაში მყოფი ბანკის ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების დაცემა და ა.შ.).
- კანონმდებლობისა და ცენტრალური ბანკის ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობა საკრედიტო ორგანიზაციების რეგისტრაციის, მათი ლიცენზირებისა და საქმიანობის გაფართოების ნაწილში;
- ცენტრალური ბანკის შემდეგი მოთხოვნების შეუსრულებლობისას: ა) ბანკის საანგარიშსწორებო სისტემის აგების წესების შემუშავების შესახებ; ბ) ფილიალების მიერ საკორესპონდენტო სუბანგარიშგებიდან გადახდების დროებით გატარების შესახებ.

3. გამაფრთხილებელი ზომების მიღება შესაძლებელია ბანკის საქმიანობაში უფრო სერიოზული დარღვევების დროსაც. ამ შემთხვევაში ის ერწყმის იძულებით ღონისძიებებს.

4. ზემოქმედების გამაფრთხილებელი ღონისძიებებია:

- ბანკის მმართველობის ორგანოებამდე მის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებებისა და ამის გამო საზედამხედველო ორგანოს შეშფოთების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- რეკომენდაციები ბანკში შექმნილი სიტუაციის გამოსასწორებლად;
- წინადადება იმის შესახებ, რომ ბანკებმა საზედამხედველო ორგანოს წარუდგინოს ნაკლოვანებათა აღმოუხვრის ღონისძიებათა გეგმა;
- ბანკის საქმიანობაზე დამატებითი კონტროლის დაწესება.

5. ინფორმაცია ბანკის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების ან დარღვევის და მათი აღმოფხვრის აუცილებლობის შესახებ ბანკის ხელმძღვანელი ორგანოებისათვის მიწოდებული უნდა იქნეს ოფიციალურად, წერილობითი ფორმით (წერილი, ტელეგრამა, ტელექსი და სხვ.) ან საქმიანი თათბირის დროს. თათბირის შედეგები ფორმდება ოქმით.

ზემოქმედების იძულებითი ზომები:

1. ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებები მიიღება იმ შემთხვევებში, როცა ეს გამომდინარეობს ბანკის მიერ დაშვებული დარღვევების ხასიათიდან იმის გათვალისწინებით, რომ იძულებითი ზომების ერთი ფორმა არ იძლევა ან ვერ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის სათანადო კორექტირებას. იძულებითი ზომების მიღების საფუძველია ბანკის მიერ ცენტრალური ბანკის კანონების, ნორმატიული აქტების და მითითებების დარღვევა (შეუსრულებლობა), ინფორმაციის წარმოუდგენლობა, არასრული ან არასწორი ინფორმაციის წარმოდგენა, ასევე იმ ოპერაციათა გატარება, რომლებიც რეალურ საფრთხეს უქმნიან კლიენტთა ან კრედიტორთა (მენაბრეთა) ინტერესებს.

2. ძირითად იძულებით ღონისძიებებს მიეკუთვნება:

- ჯარიმა;
- მოთხოვნა ბანკის ფინანსური გაჯანსაღების შესახებ;
- ბანკის მიერ ცალკეული ოპერაციების გატარების უფლების შეზღუდვა (6 თვემდე ვადით);
- ბანკისათვის ლიცენზიით გათვალისწინებული ცალკეული ოპერაციების წარმოება — აკრძალვა (1 წლამდე ვადით);
- ბანკის ხელმძღვანელების შეცვლის მოთხოვნა;
- ბანკში დროებითი ადმინისტრაციის შემოღება;
- ბანკისათვის ლიცენზიის ჩამორთმევა;

ბანკის მიმართ იძულებითი ზომების მიღება, როგორც წესი, ფორმდება განაწესის სახით; დროებითი ადმინისტრაციის შემოღება და ლიცენზიის ჩამორთმევა – ბრძანებით.

3. ჯარიმა – ეს არის ფულადი სასჯელი, რომელიც ედება ბანკს საბანკო კანონმდებლობისა და ცენტრალური ბანკის ნორმატიული აქტების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. დაჯარიმება ფორმდება განაწესით, რომელშიც მითითება სასჯელის საფუძველი, ასევე მისი გადარიცხვის ვადა (არაუმეტეს 1 თვისა). ჯარიმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონების დარღვევის ყოველ ცალკეულ შემთხვევაზე.

მოკლე დასკვნები

1. საბანკო მენეჯმენტი შეიძლება განისაზღვროს როგორც საკრედიტო რესურსების მოძრაობის უწყვეტობისა და თანადროულობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი საორგანიზაციო სტრუქტურების მიერ მიღებული მმართველობით ღონისძიებათა სისტემა, რომელთა მიზანს წარმოადგენს როგორც მიკრო, ასევე მაკროეკონომიკური პრიორიტეტების მიღწევა.

საბანკო მენეჯმენტი იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- რაოდენობრივი და ხარისხობრივი;
- ობიექტური და სუბიექტური;
- ფორმალური და არაფორმალური.

2. ძრავალფეროვან ფაქტორთა ერთობლიობა (მოვლენები, პროცესები, საორგანიზაციო სტრუქტურები, პარტიები, საზოგადოებები, პრიორიტეტები), რომელზედაც დამოკიდებულია ბანკის მენეჯმენტის მდგომარეობა და მიზანდასახულობათა რეალიზაცია, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საბანკო მენეჯმენტის „გარემო".

საბანკო მენეჯმენტის სისტემაში დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის სისრულეს, კომპლექსურობას, ხელმისაწვდომობას, ხარისხს. ინფორმაციის ძირითადი წყაროებია:

- ბანკის კლიენტებისაგან მიღებული ინფორმაცია;
- შიდასაბანკო ინფორმაცია;
- ბანკის კლიენტთა კონტრაგენტებისაგან მიღებული ინფორმაცია;
- მართვის, ზედამხედველობის და რეგულირების ოფიციალური ორგანიზაციებისა და სამსახურების ნორმატიული მითითებები, მოთხოვნები;
- სპეციალიზებული საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურები და ბიუროების მასალები.
- მასობრივი ინფორმაციისა და რეკლამის თანამედროვე საშუალებები;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საზოგადოებები.

3. საბანკო ფინანსური მენეჯმენტის შედარებით ახალი მიმართულებაა აქტივებისა და პასიუების მართვა. საბანკო საქმის თანამედროვე თეორიაში აქტივებისა და პასიუების მართვას განმარტავენ, როგორც ბანკის ბალანსის კოორდინირებულად მართვას, რომელიც ითვალისწინებს ლიკვიდობისა და პროცენტის განაკვეთის ცვლილებათა ალტერნატიულ სცენარებს. აქტივებისა და პასიუების მართვის არსი ისაა, რომ იგი ერთ კოორდინირებულ პროცესად აერთიანებს პორთფელის მართვის ცალკეულ, რამდენიმე ათწლეულის მანძილზე გამოყენებულ მეთოდებს (ე.ი. აქტივების, პასიუებისა და სპრედის მართვის მეთოდებს). ამგვარად, აქტივებისა და პასიუების მართვის ძირითადი ამოცანაა ბალანსის არა ცალკეული ნაწილების, არამედ მთელი ბალანსის კოორდინირებულად მართვა.

4. აქტივებისა და პასივების მართვის ინსტრუმენტარიუმი მოიცავს საინფორმაციო სქემებს, დაგეგმვის მოდელებს, მოდელირებას, ანუ სცენარულ ანალიზს, ყოველთვიურ მიმოხილვას და სპეციალურ ანგარიშგებას. უკანასკნელ პერიოდში ბანკი გადავიდა ბალანსის მართვის ახალ სტრატეგიაზე, რომელიც მართვის პრინციპებს ეყრდნობა; გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე სხვა ინსტრუმენტი, რომელთა მეშვეობითაც ბანკის აქტივებისა და პასივების მართვას ახორციელებენ. ესაა წმინდა საპროცენტო მარჟა, ვალის ხანგრძლივობა (ან მისი დაფარვის საშუალოშეწონილი ვადა), საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების დისბალანსი (გეპი), შემოსავლიანობის მრუდი.

5. აქტივებისა და პასივების მართვის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია გეპის მართვა, რომელიც ეყრდნობა აქტივებისა და პასივების დაფარვის ვადებს შორის არსებული განსხვავების გამო წარმოქმნილი რისკის ცვლილებას. გეპის მოდელებს აგებენ მოკლევადიან პერსპექტივაში წმინდა საპროცენტო შემოსავლის სტაბილიზების ან გაღიდების მიზნით.

მნიშვნელობის მიხედვით გეპი შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი (პასიური), ისე დადებითი (აქტიური). უარყოფითი გეპი გვიჩვენებს, რომ ბანკი მგრძნობიარეა პასივების ხაზით. დადებითი გეპი გვიჩვენებს, რომ ბანკს აქტივები უფრო მეტი აქვს, ვიდრე განაკვეთების ცვალებადობის მიმართ მგრძნობიარე პასივები.

განასხვავებენ გეპის გაანგარიშების ორ მეთოდს – დინამიკურს და სტატიკურს. სტატიკური მეთოდი წარმოადგენს ბანკის ბალანსის მომენტალურად ჩამოჭრას. დინამიკური მეთოდი გულისხმობს საპროცენტო განაკვეთების მიმართ ბანკის აქტივებისა და პასივების „მგრძნობიარობის“ ანალიზის ჩატარებას დროის გარკვეულ მომენტში.

6. საბანკო რისკი არის იმაში დაეჭვება (დიდი ან მცირე გადახრების შესაძლებლობა), რომ სამართავი პროცესი (მოვლენა, რომელსაც ვაკვირდებით) დაგეგმილი სცენარით წარიმართება და მოსალოდნელ შედეგს მოგვცემს. ამასთან, ამ გადახრათა შედეგები ნეგატიურად ან დადებითად აისახება სამართავი ობიექტების მდგომარეობაზე. თუ განვიხილავთ ბანკს, როგორც სამეწარმეო სტრუქტურას და, განსაკუთრებით, როგორც ფინანსური-საკრედიტო სფეროს ობიექტს, გამოყოფენ რისკის შემდეგ ჯგუფებს:

- საერთო რისკები;
- საბაზრო რისკები;
- საბანკო რისკები;

საბანკო რისკები სპეციფიკურია საკრედიტო მეწარმეობისათვის. საბანკო რისკებმა სახელწოდება შეიძლება მიიღოს:

- ოპერაციების მიხედვით (საკრედიტო, საინვესტიციო);
- საბაზრო პარამეტრების ცვლილების ხასიათის მიხედვით (საპროცენტო, სავალუტო, ლიკვიდობის);
- საბანკო ოპერაციების გეოგრაფიის მიხედვით (ქვეყნის);
- საქმიანობის სფეროების მიხედვით (დარგობრივი, ტექნოლოგიური);
- საბანკო პროდუქციის სახეების მიხედვით (საპროექტო).

ბანკის ლიკვიდობის რისკი უკავშირდება ბანკებში ფინანსური რესურსების არსებულ ან პოტენციურ დეფიციტს იმ რესურსების რაოდენობითაც და ხარისხითაც, რომელიც საჭიროა ბანკის მიერ თავის ვალდებულებათა შესასრულებლად და აქტიური საბანკო ოპერაციების ჩასატარებლად. ფინანსური რესურსების ჩამოყალიბება უნდა ხდებოდეს საკმარისობის, თავისდროულობისა და შედგენილობის მოთხოვნების შესაბამისად.

7. ზედამხედველობა და რეგულირება საბანკო მენეჯმენტის განუყოფელი ელემენ-

ტია. ამ მიმართულებით ჩატარებული საქმიანობა გარემოს ზედა (მმართველურ) სფეროში დევს და მას პირდაპირი ზემოქმედება ახასიათებს. ამ საქმიანობის წყალობით, დგინდება ბანკის მუშაობის საზღვრები და წესები, ხდება ნორმატიული რეგულირება. ხორციელდება ბანკებისა და მათი კლიენტების ინტერესების დაცვა. ბანკების თვალსაზრისით ,ზედამხედველობას აქვს როგორც პოზიტიური (წარმმართველი, მაორგანიზებელი, მარეგულირებელი), ისე ნეგატიური ასპექტები (აქტივობის დაქვეითება, ოპერაციების შემოსავლიანობის კლება, დამატებითი ორგანიზაციული მოვალეობები, დამატებითი საოპერაციო ხარჯები და ა.შ.). მაგრამ შეფასებათა განსხვავებულობის მიუხედავად, მხოლოდ იმ საბანკო მენეჯმენტს, რომელიც მკაცრად ხორციელდება მოთხოვნებისა და ნორმატივების ფარგლებში და საბანკო ზედამხედველობის გამოყენებას ითვალისწინებს, გააჩნია ბანკის სტაბილურობის, ეფექტიანობისა და კარგი იმიჯის უზრუნველყოფის უნარი.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

„ავანტურული“ მისმენეჯმენტი (კრიზისული მმართველობა) – წარმოადგენს ოპერაციათა კომპლექსს, რომელსაც ბანკის მენეჯმენტი მიმართავს მაშინ, როცა კოსმეტიკურ მენეჯმენტს უკვე აღარ ძალუძს კაპიტალის დაკარგვისა და დივიდენდების შემცირების დამალვა. ამ ოპერაციების მიზანია – შესაძლებლობა მისცეს ბანკს, თუნდაც მოკლე დროით კონცენტრაცია გაუკეთოს რესურსებს, მოიგოს დრო და ხელსაყრელ გარემოებათა წყალობით გამოასწოროს მდგომარეობა. კრიზისული მმართველობა მოიცავს დეპოზიტების შესყიდვას ბაზართან შედარებით მაღალი განაკეთებით, მსესხებლებისაგან სესხებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მაღალი პროცენტების მიღებას, მეანაბრეებისათვის თანხების დაბრუნების გადავადებას, სპეკულაციური ოპერაციების მკვეთრ გაფართოებას.

ბანკების არასაპროცენტო ინტელექტუალტევადი შემოსავლები – მომსახურებიდან (კონსულტაციები, შუამავლობა, გარანტიები, თავდებობა და სხვა) მიღებული შემოსავლები, რომელთა დონე პერსონალის კვალიფიკაციასა და კომპეტენტურობაზეა დამოკიდებული, აგრეთვე ბანკის მიერ შემუშავებული ან შეძენილი არამატერიალური აქტივების (მეთოდიკები და მეთოდური დამუშავებები, ნოუ-ჰაუ, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა) რეალიზაციიდან მიღებული ნავაჭრი (ამონაგები) ან არენდის საზღაური.

გარესამყარო მენეჯმენტის სისტემაში – მრავალფეროვან ფაქტორთა ერთობლიობა (მოვლენები, პროცესები, საორგანიზაციო სტრუქტურები, პარტიები, პრიორიტეტები და ა.შ.), რომელზედაც დამოკიდებულია ბანკის მენეჯმენტის მდგომარეობა და მიზანდასახულობა რეალიზაცია;

თაღლითობა საბანკო მენეჯმენტში – წარმოადგენს საზოგადოებისათვის ყველაზე საშიშ მისმენეჯმენტის სახეს. მთელი რიგი ხერხების მეშვეობით (ფიქტიური ფირმებისა და ყალბი პირების დაკრედიტებით, კორპორაციის შიგნით „მონათესავე“ ფირმებში სახსრების ,,გადაქაჩვით“ და ა.შ.) ხდება ბანკებიდან თანხების ამოღება. კლიენტთა და მეანაბრეთა პრეტენზიების დაკმაყოფილების ნაცვლად მიდიან თაღლითური გამდიდრების გზით.

კოსმეტიკური მენეჯმენტისას – ბანკი ფარავს წინა და ამჟამინდელ დანაკარგებს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მისადმი ნდობა, მოიგოს დრო და იპოვოს გამოსავალი არაკეთილსაიმედო სიტუაციიდან. მისი მიზანია, შექმნას ბანკში ნორმალური ვითარების არსებობის შთაბეჭდილება, საანგარიშგებო დოკუმენტაციაში მთელი რიგი საკვანძო მაჩვენებლების უცვლელად დატოვების, ანგარიშის სხვა მაჩვენებლებთან მანიპულაციის ხარჯზე. კოსმეტიკური მენეჯმენტი თავისთავად არ წარმოადგენს რიშიდა კონტროლის სამსახურს, მაგრამ აქვეითებს მათგან დაცვის უნარს.

მენეჯერი — საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის მართვის სპეციალისტი, დაქირავებული მმართველი. მენეჯერები ორგანიზებას უკეთებენ ფირმაში მუშაობას, ხელმძღვანელობენ ფირმის თანამშრომელთა ჯგუფის საწარმოო საქმიანობას. იგი იმ ფირმის, კომპანიის თანამდებობის პირია, რომელშიც მუშაობს და შედის ფირმების საშუალო და უმაღლეს ხელმძღვანელთა შემადგენლობა.

მენეჯმენტი — წარმოებისა და საწარმოო პერსონალის პრინციპების, ფორმების, მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა მართვის მეცნიერების მიღწევათა გამოყენებით. მენეჯმენტის ძირითადი მიზანია წარმოების მაღალი ეფექტიანობის, საწარმოს (ფირმის), კომპანიის რესურსული პოტენციალის უკეთ გამოყენების მიღწევა.

„მთავარი გზაჯვარედინი“ — საბანკო მისმენეჯმენტის ეეოლუციის ის მომენტი, როდესაც ხდება ბანკის პრობლემური მდგომარეობის შეცნობა და გადაწყვეტილების მიღება.

„მისმენეჯმენტი“ — ე.წ. „ცუდი“ მენეჯმენტის აღსანიშნავად გამოიყენება, ეს არის მენეჯმენტის სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც უნებლიე შეცდომები, ასევე ბანკის პერსონალის წინასწარგანზრახული მოქმედებები, საჭირო კონტროლის არარსებობა, ზედამხედველობის არაადექვატური უფლებამოსილებანი და სხვ. მისმენეჯმენტს ბანკის კრიზისის ეტაპობრივი გაღრმავების მახასიათებელ 4 ჯგუფად (კატეგორიად) ყოფენ: ტექნიკური მენეჯმენტი, კოსმეტიკური მენეჯმენტი, ავანტურული მენეჯმენტი, თაღლითობა.

რისკი — იმაში დაეჭვება (დიდი ან მცირე გადახრების შესაძლებლობა), რომ სამართაო პროცესი (მოვლენა, რომელსაც ვაკვირდებით) დაგეგმილი სცენარით წარიმართება და მოსალოდნელ შედეგს მოგვცემს. ამასთან, ამ გადახრათა შედეგები ნეგატიურად აისახება სამართაო ობიექტის მდგომარეობაზე.

საბაზრო რისკები — აყალიბებს ბაზრის ფაქტორები და ვლინდება იმ დანაკარგების სახით, რომელსაც იწვევს საბანკო პროდუქტების არცნობა ბაზრის მიერ, საბანკო სტრატეგიის მარცხი, ბაზარზე პოლიტიკური პრიორიტეტებისა და კანონმდებლობის გაელენის ცვლილება.

საბანკო ზედამხედველობის უფლებამოსილებანი — მისი მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის ხერხები, რომლებიც მოიცავს მათ სცენარებსა და სქემებს, ინდიკატორებს, მაჩვენებლებს, ანალიზის ხერხებს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, საბანკო რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენების მეთოდიკებსა და თანმიმდევრობას.

საბანკო მენეჯმენტი — საკრედიტო რესურსების მოძრაობის უწყვეტობისა და თანადროულობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი საორგანიზაციო სტრუქტურების მიერ მიღებული მმართველობით ღონისძიებათა სისტემა, რომელთა მიზანს წარმოადგენს როგორც მიკრო, ასევე მაკროეკონომიკური პრიორიტეტების მიღწევა. მიკროეკონომიკურ პრიორიტეტებს მიეკუთვნება: საბანკო დაწესებულებების სიმყარე, ბანკისა და მისი .კლიენტების რესურსების დაცულობა და შემოსავლიანობა. მაკროეკონომიკური პრიორიტეტები ძევს ეროვნული ფულადი ერთეულის სტაბილიზაციის. ეკონომიკაში მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების მაქსიმალური აქტივიზაციის სფეროში.

საბანკო მენეჯმენტი — მმართველობით ზემოქმედებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საკრედიტო რესურსების უწყვეტობასა და თავისდროულობას როგორც მიკრო, ისე მაკროეკონომიკური პრიორიტეტების მიღწევის მიზნით.

საბანკო მისმენეჯმენტის ეეოლუცია — ბანკის მენეჯმენტის ხარისხის ეტაპობრივად გაუარესების პრიცესი. ეს ეტაპებია: ტექნიკური მისმენეჯმენტი — კოსმეტიკური მისმენეჯმენტი — კრიზისული მართვა (ავანტურული მისმენეჯმენტი) — თაღლითობა.

საბანკო პოლიტიკა — ბანკების მიერ დამოუკიდებლად შემუშავებული და დაწესებული შიდა ეტალონების კომპლექსი, რომლებიც განსაზღვრავს მათი ონერატიული საქმიანობისა და განვითარების პერსპექტივების პარამეტრებსა და მახასიათებლებს.

საბანკო საქმიანობის, საბანკო პოლიტიკის შინაარსია (ელემენტებია) ის ჩარჩოები, რომლებიც ბანკის საქმიანობას განსაზღვრავს. ისინი ყალიბდება და ხორციელდება მიზნების ფორმებში (მიზნობრივი მითითებები), მიზნების პრიორიტეტებში, უპირატესობათა მინიჭებაში, შეზღუდვებში, შეზღუდვებისა და აკრძალვების საზღვრებში. სწორედ ისინი განსაზღვრავენ საბანკო პროდუქტების ხარისხობრივ მახასიათებლებს, კლიენტებზე ორიენტაციას, მარკეტინგულ გადაწყვეტილებათა ხასიათს, — პრაქტიკულად, ბანკის საქმიანობის ნებისმიერ ნიუანსს.

საბანკო პოლიტიკის ინდიკაციის სფერო — ბანკის მთელი რიგი ის მახასიათებლები (დასახელება, სპეციალიზაცია, მიზნების პრიორიტეტი და სარეკლამო იერ-სახე), რომლებიც თავიდანვე იძლევა საბანკო პოლიტიკის ძირითადი ელემენტების განსაზღვრისა და შეფასების შესაძლებლობას.

საბანკო მენეჯმენტის ფინანსური სფეროები კომერციული ბანკის ფინანსური ნაკადებისა და ფონდების მართვა მოიცავს პასივების (კაპიტალების, ვალდებულებების), აქტივების, ლიკვიდობის (აქტივები პასივების მიმართ) და მოგების მართვას.

საბანკო პროდუქტების ხარისხობრივი მახასიათებლების მართვა ისეთი საქმიანობაა, რომელიც საბანკო პროდუქტების სიცოცხლის ციკლის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს აღმაშფოთებელ გარემოთა ფაქტორების მაფორმირებელ და მაკორექტირებელ დაბალანსებას (საბანკო პოლიტიკის ამოცანები, ბანკის კლიენტების ინტერესები, გარემოს გაელენა).

საერთო რისკები — აყალიბებს გარე არასპეციალიზებული ფაქტორები (ბუნებრივი, სოციალური, კრიმინალური და სხვა) და ხასიათდება დაბალი ამომრჩეველობითა და, ჩვეულებრივ, მკაფიო გეოგრაფიული კონცენტრაციით.

ტექნიკურ მენეჯმენტს — ადგილი აქვს ახლად ორგანიზებული ბანკის შემთხვევაში, როცა იგი აწარმოებს აგრესიულ პოლიტიკას; ან იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი იცვლის მფლობელებს და ხელმძღვანელებს, რაც იწვევს მისი პოლიტიკის შეცვლასაც. ტექნიკური მენეჯმენტისათვის დამახასიათებელია ბუნდოვანი მიზანდასახულობანი, რეალური სიტუაციისათვის არაადექვატური ზომების მიღება, არაადექვატური პოლიტიკა, შიდაკონტროლის ნაკლებობა და სუსტი დაგეგმარება, პერსონალის გაუმართლებელი ზრდა. ტექნიკური მენეჯმენტი ხორციელდება კანონების, იურიდიული მოთხოვნების, ზედამხედველობის ნორმების შესაბამისად, ანუ, მიუხედავად აგრესიულობისა და რისკიანობისა, ამგვარი მენეჯმენტის მიზანი და პოლიტიკა არაკრიმინალურია.

შანსი — პოზიტიური პოტენციალის მატარებელი რისკი. მას აყალიბებს ნეგატიურ შედეგზე მენეჯმენტის იძულებით დამიზნება.

? . . . . . კითხვები და დავალებები დაეროუკიდებელი მუშაობისათვის

1. რაში მდგომარეობს აქტივების მართვის სტრატეგია?
2. დაახასიათეთ აქტივებისა და პასივების ერთობლიეად მართვის სტრატეგია.
3. რას წარმოადგენს ლიკვიდობის მართვის სტრატეგია?
4. რა არის წმინდა საპროცენტო მარჟა და როგორ უნდა ჩატარდეს მისი ანალიზი?
5. დაახასიათეთ სპრედის მართვის კონცეფცია.
6. ბანკის მენეჯმენტის შეფასების რომელი მაჩვენებლებია უფრო მრავალფეროვანი — პირდაპირი თუ ირიბი?
7. როგორ ეხამება ერთმანეთს საბანკო მენეჯმენტის გარემომცველი სივრცის ურთიერთდაკავშირებულობა და ცვალებადობა?
8. რომელი პარამეტრებით შეგვიძლია დავეხმაროთ კლიენტს უფრო მაღალი საპრო-

ცენტრო განაკვეთების კომპენსირებაში?

9. ხელს უწყობს თუ არა კოსმეტიკური მისმენეჯმენტი საბანკო რისკების გაძლიერებას?

10. როგორ იყენებენ ბანკის კლიენტებისგან მისივე ინიციატივით მიღებულ ინფორმაციას, მაგალითად, კრიტიკულ სიტუაციებში?

11. არის თუ არა ბანკის ლიკვიდური აქტივები უფრო შემოსავლიანი?

12. რისკის რომელი პარამეტრებია შეზღუდული ნორმატიულად?

13. ჩამოთვალეთ ბანკის ზედამხედველობის მოთხოვნები.

14. საბანკო მენეჯმენტის რომელი ძირითადი მაჩვენებლები შეგიძლიათ დაასახელოთ?

15. რა მოსდის საპროცენტო მარჟას საპროცენტო რისკ-შანსის გამოვლენის დროს?

რეკომენდებული ლიტერატურა

კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ.,1999

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., თსუ გამომცემლობა, 2001.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

Роуз Питер С. Банковский менеджмент. Пер. с англ.-ого. М.: Дело, 1997.

Банковское дело. Авт. кол. под. ред. **О.И. Лаврушина.** М.: Финансы и статистика, 2001.

Базельский комитет по банковскому надзору: Сборник документов и материалов. сост. **Ю.В. Кузнец.** М., 1997.

Банки на развивающихся рынках: в 2-х т. Пер. с англ-ого, т. 1. Укрепление рукаводства и повышение чувствительности к переменам. **Д. Макнотон, Д. Дж. Карлсон, К.Т. Дитц** и др. М.: Финансы и статистика, 1994.

Белых Л.П. Устойчивость коммерческих банков: как банкам избежат банкротства. М.: Банки. ЮНИТИ, 1996.

Руководство по кредитному менеджменту. Пер с. англ.-ого. под. ред. **В. Эдвардса.** М., 1996.

Масленченков Ю.С. Финансовый менеджмент в коммерческом банке. // Кн. 1. Фундаментальный анализ. М.: Перспектива, 1996.

Масленченков Ю.С. Финансовый менеджмент в коммерческом банке. // Кн. 3 Технология финансового менеджмента клиента. М.: Перспектива, 1997.

Полфреман Дэвид Форд Филип. Основы банковского дела. Пер с. англ.-ого. М.: Инфра _ М. 1996.

Рассказов Е.А. Управление свободными ресурсами банка. М.: Финансы и статистика, 1996.

Тагирбеков К.Р. Опыт развития технологии управления коммерческим банком. М.: Финансы и статистика, 1996.

Усоскин В.М. Современный коммерческий банк: Управление и операции. М.,1994.

Уткин Э. А. Стратегический менеджмент: Способы выживания банков. М. Фонд экономического просвещения, 1996.

Банковское дело. Авт. кол. под. ред. **Г.Г. Коробовой.** М.: Экономист, 2003.

Гомовчиков И.Ф. Ещё раз о надёжности коммерческих банков. // Бизнес и банки. _ 2002, №21.

Геращенко В.В. О денежно-кредитной политике и ходе реструктуризации банковской системы // Бухгалтерия и банки. 2000. №4.

Кавалло Д.Ф. Рецепт латиноамериканского успеха.// Проблемы теории и практики

управления. _ 2000. №2

Ларионова И.В. Методы управления рисками кредитной организации // Бизнес и банки. _ 2000, №40.

Поморина М.А. Управление рисками как составная часть процесса управления активами и пассивами банка // Банковское дело. _ 1998. №3.

Синки Д.Ф. (мл.) Управление финансами в коммерческих банках. _ М. Catalaxy, 1994.

Соколинская Н.Е. Создание эффективных систем комплексного управления и внутреннего контроля за банковскими рисками // Бухгалтерия и банки. 2000. №7.

Шахов В.В. Риски. Теоретический аспект // Финансы. _ 2000. №7.

Беляков А.В. Банковские риски: проблемы учета, управления и регулирования. _ М.: Издательская группа "БДЦ-пресс", 2003.

Котлер Ф. Маркетинг. Менеджмент. М., Прогресс, 1998.

Банковское дело. под ред. **В.И. Колесникова**. М., Финансы и статистика, 1998.

Гриф А.А. Инвестиционная и кредитная деятельность коммерческих банков. М., Экономика, 1997.

Мхитарды Ю.И. Организация управления банковской деятельности. Новосибирск, 1994.

Черечникова И.Н. Менеджмент. М., Банки и биржи, ЮНИТИ, 1995.

Содвакасов К. Коммерческие банки: Управленческий анализ деятельности: Планирование и контроль. М., Ось, 1998.

Ресин В.И. Гагирбеков К.Р. Банк в системе Экономических структур: Функции: Методология управления: Технология, М., Весь мир, 1997.

Банковское дело. Управление и технологии. Под ред. **А.М. Тавасиева**. М., ЮНИТИ, 2001.

Киселев В.В. Управление коммерческим банком в переходный период.: Логос, 1997.

Коротков Э.М. Концепция Менеджмента. М.: ДеКА, 1996.

Кох Г.У. Управление банком. Уфа: Спектр,1993, ч.2.

Тосунян Г.А. Государственное управление в области финансов и кредита. М.: Дело, 1997.

Лобанова Т.Н. Банки: организация и персонал. М.: БДЦ-Пресс, 2004.

Никитина Т.В. Банковский менеджмент. Питер, 2002.

Коробова Г.Г. Банковское дело. М.: Экономист, 2004.

Жарковская Е.П. Банковское дело. М.: Омега - Л, 2004.

Костерина Т.М. Банковское дело. М.: Маркет ДС, 2003.

Белоглазова Г.Н. Кроливецкая Л.П. Банковское дело. Питер, 2004.

Лаврушин О.И. Управление деятельностью коммерческого банка (Банковский менеджмент). М,: Юрист, 2003.

Беляков А.В. Банковские риски: проблемы учета, управления и регулирования. М.: ВДЦ-Пресс, 2003.

Грюнинг Х., Брайович С.Б. и др. Анализ банковских рисков. М.: Весь Мир, 2004.

Кнорринг В.И. Искуство управления. М.: БЕК, 1997.

Руководство по кредитному менеджменту: Пер. с. англ.-ого; Под ред. **Б. Эдвардса**. М.: Инфра-М, 1996.

Фон Штайн И. - Х. Ранее распознание кредитных рисков. Щтутгардт, 1982.

Балабанов И.Т. Риск-менеджмент. М.: Финансы и статистика, 1996.

Масленченков С.Д. Финансовый менеджмент в коммерческом банке. М., 1996.

Соколинская Н.Э. Экономические риски в деятельности коммерческих банков. М., 1991.

მეთვრამეტე თავი. საბანკო მარკეტინგი

ტერმინები და ძირითადი ცნებები
18.1. მარკეტინგის ცნება
18.2. მარკეტინგის სპეციფიკა საბანკო სფეროში
18.3. საბანკო ბაზრის მარკეტინგული კვლევა
18.4. საბანკო ბაზრის სეგმენტაცია
18.5. საბანკო მომსახურების შემცველები
18.6. ბანკის კონკურენტული პოზიცია
18.7. ბაზარზე დაკვირვება
18.8. ბანკების მარკეტინგული სტრატეგია
18.9. ბანკების კონკურენტული სტრატეგიის ტიპოლოგია. ბანკის სტრატეგიის დონეები
18.10. ბანკის მარკეტინგული სტრატეგიის რეალიზაცია
მოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა


ტერმინები და ძირითადი ცნებები

ანგარიშ-ფაქტურა
აუქციონი
ბაზარი
მარკეტინგი
მარკეტინგის გარემო
საბანკო მარკეტინგი
ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი
ჯობერი
პეჯირება

18.1. მარკეტინგის ცნება

საბაზრო ურთიერთობათა განვითარებასა და ორდნინიანი საბანკო სისტემის ფორმირებას არსებითი ცვლილებები შეაქვს ბანკების საქმიანობაში: საბჭოური პერიოდის ტიპური დაწესებულებიდან ისინი სრულფასოვან საწარმოებად გარდაიქმნება. როგორც ნებისმიერმა საწარმომ, ბანკმაც უკვე უნდა იზრუნოს თავისი მომსახურების გასაღებაზე, რაც ძლიერი კონკურენციის პირობებში მხოლოდ მარკეტინგის განხორციელების საფუძველზეა შესაძლებელი.

ტერმინი „მარკეტინგი“ მომდინარეობს ინგლისური სიტყვა **market**-ისაგან, რომელიც ბაზარს ნიშნავს. მას, ჩვეულებრივ, იყენებენ ფირმის იმ განსაკუთრებული მიდგომის აღსანიშნავად, რომელსაც იგი ბაზარზე თავისი საქონლის რეალიზაციის მიმართ, ანუ თავისი საბაზრო სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელების მიმართ იყენებს. როგორც განვითარებული სამრეწველო ქვეყნების ისტორია გვიჩვენებს, მარკეტინგის კონცეფციის აღმოცენებამდე ფირმების საბაზრო სტრატეგიამ და პოლიტიკამ გარკვეული ევოლუცია გამოიარა, რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა საბაზრო კონიუნქტურისა და კონკურენციის ინტენსიობის ცვლილებებს (ნახ.17.1).



ცხრ. 18.1. საბანკო სტრატეგიისა და პოლიტიკის ევოლუცია.

მარკეტინგის კონცეფცია, უპირველეს ყოვლისა, მყიდველთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. ამ კონცეფციაში პირველად დადგა წინა პლანზე არა მწარმოებლის (გამყიდველის) მოთხოვნილებები, არამედ მომხმარებლის ინტერესები. მისი არსი მოკლედ ასე შეგეიძლია ჩამოვაყალიბოთ: „ვაწარმოოთ ის, რაც მყიდველს სჭირდება“.

მარკეტინგი შეხებაშია არა მარტო გასაღებასთან, არამედ წარმოებასთანაც, რის გამოც უფრო ზუსტია მისი ასეთი განმარტება: მარკეტინგი საქონლის წარმოებისა და გასაღების ორგანიზების კომპლექსური სისტემაა, რომელიც მომხმარებელთა კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და მოგების მიღებაზეა ორიენტირებული და ბაზრის შესწავლასა და პროგნოზირებას ეყრდნობა.


ნებისმიერი ორგანიზაციის მიერ მარკეტინგის გამოყენებას ახასიათებს მის საქმიანობაში შემდეგი სამი ნიშნის არსებობა, რომლებიც მარკეტინგის არსებით ნიშნებად გვევლინება:

- ფირმების ორიენტაცია კლიენტების მოთხოვნილებებზე (მარკეტინგის ფილოსოფია);
- საბაზრო პოლიტიკის უამრავი ინსტრუმენტის გამოყენება (მარკეტინგ-მიქსი);
- გასაღების სფეროში განხორციელებული ყოველგვარი საქმიანობის მიზანმიმართული კოორდინაცია (მარკეტინგული მართვა).

ამ ასპექტების გამოყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს მარკეტინგის არსის გაგებისათვის, რადგან მრავალ მეწარმეს (მათ შორის - ბანკირს) მეტად გამარტივებული წარმოდგენა აქვს მარკეტინგზე და საბაზრო პოლიტიკის ინსტრუმენტების კომპლექსებამდე დაჰყავს იგი. მარკეტინგის ინსტრუმენტარიუმი (მარკეტინგ-მიქსი) საბანკო მარკეტინგის სისტემის მართლაც მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მისი ყველაზე მსხვილი ელემენტებია: 1) ბაზრის კლეება და 2) მის საფუძველზე საბაზრო (საკონკურენტო) სტრატეგიის შემუშავება და რეალიზება. პირველი ავლენს, თუ როგორ შეიცვლება ვითარება ბაზარზე და, არსებითად, ნიადაგს უმზადებს საბანკო სტრატეგიის ჩამოყალიბებას; მეორე სტადიაზე სტრატეგია საბანკო პოლიტიკის კონკრეტული ღონისძიებების ფორმას იჩენს (ნახ.18.2).

მაგალითად, სასაქონლო პოლიტიკა მდგომარეობს შეთავაზებული მომსახურების ასორტიმენტის, ხარისხისა და მოცულობის განსაზღვრასა და შეცვლაში; კომერციული ბანკების ფასების პოლიტიკა გულისხმობს სხვადასხვა საბანკო პროდუქტზე ფასების დაწესებას და მათ შეცვლას საბაზრო ვითარების შეცვლის შესაბამისად; ბანკის გასაღების პოლიტიკის მიზანია საქონლის დაყვანა პოტენციურ მყიდველამდე; კომუნიკაციური პოლიტიკა არის პოტენციურ მყიდველებთან ბანკის ურთიერთქმედების საშუალებათა სისტემა, რომლებმაც ამ ბანკის მომსახურების შეძენა უნდა აფიქრებინონ მათ.

თუკი მარკეტინგს განვიხილავთ მხოლოდ საბაზრო პოლიტიკის ინსტრუმენტარიუმის თვალსაზრისით, აღმოჩნდება, რომ ბანკები მას დიდი ხანია მიმართავენ. ასე თუ ისე, ისინი ყოველთვის ამუშავებდნენ პროექტებს (მაგალითად, განსაზღვრავდნენ კრედიტის ოდენობას, დაკრედიტების ვადას, გაცემისა და დაფარვის პირობებს), აწესებდნენ ფასებს (საპროცენტო განაკვეთს, საკომი-



ნახ. 18.2. საბანკო მარკეტინგის ინსტრუმენტები

სიო გასამრჯელოს), აწესრიგებდნენ გასაღების სისტემას (მაგალითად, საკუთარი ფილიალების ქსელის და პარტნიორი ბანკების მეშვეობით) და ბოლოს, დიდ ძალისხმევას ახმარდნენ რეალიზაციას (ძირითადად, საკუთარი ძალებით გაყიდვის გზით). თუმცა ყველა ეს მოქმედება ექვემდებარებოდა, უპირველეს ყოვლისა, ბანკების სწრაფვას მოგებისკენ, კლიენტების მოთხოვნილებები კი „ჩრდილში“ რჩებოდა.

საფინანსო-საბანკო ინსტიტუტების ორიენტაცია კლიენტების მოთხოვნილებებზე (მარკეტინგის ფილოსოფია) მხოლოდ ბოლო ბაზრები, არსებითად, გამყიდველის ბაზრები იყო, რასაც არცთუ მცირედ უწყობდა ხელს საბანკო კონკურენციის სახელმწიფოებრივი რეგულირება. 60-70-იან წლებში მოსახლეობის ფართო მასების კეთილდღეობის ზრდამ და კონკურენციის მკვეთრად გამწვავებამ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში განაპირობა გამყიდველის ბაზრის გადაქცევა მყიდველის ბაზრად. ამის გამო ბანკებს მოუხდათ თავიანთი „აზროვნების“ გადაკეთება მარკეტინგული ფილოსოფიის პოზიციებზე, იმის გაცნობიერება, რომ ისინი არა მარტო მომსახურებას სთავაზობენ კლიენტებს, არამედ აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნილებებს.

ყოველივე ზემოალნიშნულმა გამოიწვია ბანკების მართვის იდეოლოგიისა და ორგანიზაციის შეცვლა და ჩამოაყალიბა მარკეტინგული მართვა. მეწარმეები მარტო პირადი გამოცდილების და ინტუიციის საფუძველზე ვეღარ იღებდნენ გადაწყვეტილებებს საბანკო ბაზრებზე, რომლებიც სულ უფრო რთული ხდებოდა და მსხვილ ინვესტიციებს მოითხოვდა, საჭირო გახდა მათი გადაყვანა მეცნიერულ და გეგმურ საფუძველზე. ღრმა სტრუქტურული ცვლილებები დაიწყო საბანკო ორგანიზაციაშიც.

ამგვარად, საბანკო საქმიანობაში მარკეტინგის დანერგვა მხოლოდ საბაზრო პოლიტიკის გააქტიურებით (რეკლამის მოცულობათა მატება და ა.შ.) კი არ შემოიფარგლება, არამედ გულისხმობს ბანკირების აზროვნების ყაიდის შეცვლას და საბანკო სტრუქტურის სერიოზულ ცვლილებებს. ამ პროცესის მთავარ სტიმულად გვევლინება საბანკო კონკურენციის გამწვავება. ეს კარგად ხსნის მარკეტინგის სფეროში ჩვენი საფინანსო-საბანკო ინსტიტუტების სუსტი აქტიობის მიზეზს, რაც საბანკო კონკურენციის ჯერ კიდევ დაბალ ინტენსიობაში მდგომარეობს. ის ბანკებიც კი, რომლებიც მარკეტინგული ორიენტაციის დეკლარირებას ახდენენ და თავიანთ ორგანიზაციაში შესაბამის სტრუქტურებსაც ქმნიან, ამას ხშირად აკეთებენ არა მარკეტინგის აუცილებლობის რწმენით, არამედ უცხოეთის წყაროები ბანკებისგან „არჩამორჩენის“ სურვილით. ამიტომაც ჩატარებული ღონისძიებები სანახევრო და არაეფექტიანი გამოდგება ხოლმე.

18.2. მარკეტინგის სპეციფიკა საბანკო სფეროში

საბანკო მარკეტინგის სპეციფიკა უკავშირდება საბანკო პროდუქტის – საბანკო მომსახურების თავისებურებებს. საერთოდ, ეკონომიკურ ლიტერატურაში მომსახურებად მიიჩნევენ ნებისმიერ ღონისძიებას ან სარფას, რაც ერთმა მხარემ შეიძლება შესთავაზოს მეორეს და რაც, ძირითადად, არაბელშესახებია და არ იწვევს რაიმეს დაუფლებას. საბანკო მომსახურების სპეციფიკური მახასიათებლებია: 1. აბსტრაქტულობა (ხელშეუხებლობა და აღქმის სირთულე); 2. წყაროსგან განუყოფლობა; 3. ხარისხის ცვალებადობა (არაერთგვაროვნება); 4. შენახვის შეუძლებლობა; 5. ხელშეკრულებითი ხასიათი; 6. ფულთან კავშირი; 7. დროში გაწელვა; 8. ამ მომსახურებით დასაკმაყოფილებელი მოთხოვნილებების მეორადობა.

აბსტრაქტულობის კონცეფციას ორი მხარე აქვს. ივი, ჯერ ერთი, შეგეიძლია გაეიგოთ როგორც ხელშეუხებლობა და, მეორე, როგორც აღქმის სირთულე. ეს ორივე თვისება საბანკო მომსახურებასაც ახასიათებს. ამიტომ იგი ორმაგად აბსტრაქტულია: ა) საბანკო მომსახურებანი ხელისთვის და თვალისთვის მიუწვდომელია სხვაგვარი მომსახურების მსგავსად: შეუძლებელია მათი დანახვა, მათთვის ხელის შეხება ან გრძნობის სხვა ორგანოების მეშვეობით მათი აღქმა. ამის მიზეზი ისაა, რომ მომსახურებას, როგორც ასეთს, არ გააჩნია მატერიალური სუბსტანცია. ამის გამო მომხმარებლები მოქმედებულ ყურადღებას აქცევენ მომსახურების ხილული ელემენტების – საბანკო მოწყობილობის, მომსახურე პერსონალის გარეგნობის, საბანკო სიმბოლიკისა და ყოველივე იმის მიმართ, რასაც ირიბი ინფორმაციის მოცემა შეუძლია ბანკის მიერ გაწეული მომსახურების ხასიათისა და ხარისხის შესახებ; ბ) საბანკო მომსახურების თავისებურებაა მისი აღქმის სირთულე. სხვებისგან განსხვავებით, საბანკო მომსახურება მომხმარებლებისგან მოითხოვს კულტურისა და განათლების გარკვეულ დონეს. აღქმის გასაიოლებლად ბანკები მიმართავენ თავიანთი მომსახურების ფსიქოლოგიური ასოციაციის დადგენას რომელიმე ხილულ და უფრო ადვილად გასაგებ ობიექტთან („ჩვენთან თქვენი ფული საიმედო ხელშია“, „ბანკში შემოტანილი ანაბარი თქვენთვის ქოლგაა წვიმიან დღეში“, „ჩვენი ბანკი კლდესავით საიმედოა“ და ა.შ.) ან ყურადღებას ამახვილებენ ბანკისა და კლიენტის ურთიერთობის ასპექტზე, აყალიბებენ ბანკის, როგორც „კარგი მეზობლისა“ და „მრჩევლის“ სახეს და ა.შ. საბანკო მომსახურებას შესაძლოა წარმატება მოუტანოს მომხმარებლებისთვის მისი სარგებლობის ხაზგასმამაც.

მომსახურება არ არსებობს იმისგან განცალკევებულად, ვინც მას ასრულებს. ამით იგი განსხვავდება საქონლისგან, რომელიც მატერიალური სახით არსებობს მისი წყაროს იქვე ყოფნა-არყოფნის მიუხედავად. მომსახურების წყარო შესაძლებელია იყოს მანქანა ან ადამიანი. საბანკო მომსახურებას ტრადიციულად ასრულებდნენ ბანკის თანამშრომლები, რომლებსაც სათანადო კვალიფიკაცია ჰქონდათ. ბოლო დროს, თანამედროვე საბანკო სისტემის ტექნიკური აღჭურვის დონის ზრდის კვალობაზე, საბანკო მომსახურების წყარო სულ უფრო მეტად ხდება მანქანები. კლიენტებს შესაძლებლობა გაუჩნდათ ელექტრონული არხების (ბანკომატების, მოდემური კავშირის) მეშვეობით მისცენ ბანკს განკარგულება. თუმცა პერსონალური კონტაქტი დღესაც რჩება მრავალი, ძირითადად – იმ რთული, ინდივიდუალური საბანკო მომსახურების მიღების აუცილებელ პირობად, რომელიც მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს. ავტომატიზაცია მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, სტანდარტიზებულ, რუტინულ მომსახურებას.

ინდივიდუალიზებული მომსახურების დამატებითი თავისებურებაა წარმოების განუყოფლობა მოხმარებისგან, რაც იმას გულისხმობს, რომ მომსახურების გაწევის აუცილებელი პირობაა კლიენტის ან მისი წარმომადგენლის პირადად ყოფნა ბანკში. თუმცა, კავშირგაბმულობის საშუალებებისა და ანგარიშსწორების ელექტრონული სისტემის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო მატულობს ისეთი მომსახურების ხვედრითი წილი, რომელიც კლიენტის არყოფნაშიც სრულდება.

მართალია, მრავალი საბანკო დაწესებულება კლიენტებს მომსახურების მსგავს ან სულაც ერთნაირ ნაკრებს სთავაზობს, მაგრამ საბანკო პროდუქტების აბსოლუტური იდენტურობა (როგო-

რიცაა სერიოზული წარმოება მრეწველობაში) მაინც მიუღწეველია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება არაავტომატიზებულ მომსახურებას ბანკის იმ თანამშრომლების მიერ, რომლებსაც ტექნიკური და საკომუნიკაციო ჩვევების განსხვავებული დონე აქვთ და სხვადასხვაგვარად ეკიდებიან საქმეს. უფრო მეტიც, ერთმა და იმავე თანამშრომელმა შესაძლოა მომსახურების სხვადასხვა დონე აჩვენოს და ეს დამოკიდებული იქნება არსებულ ვითარებაზე და მის გუნება-განწყობილებაზე.

ავტომატიზაციის საშუალებათა დანერგვასთან ერთად ამ მახასიათებლის მნიშვნელობა რამდენადმე იკვეცება: საბანკო ავტომატი ყველა კლიენტს ერთნაირად ემსახურება და დამოკიდებული არაა საათზე, რიგის სიგრძეზე, მომხმარებლის გარეგნობასა და საქციელზე.

შეუძლებელია საბანკო მომსახურების შენახვა, მისი „მომარაგება“ (რასაც ვერ ვიტყვით ფულად და სხვა მატერიალურ აქტივებზე). ეს მახასიათებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუკი გავითვალისწინებთ საბანკო მომსახურებაზე არსებული მოთხოვნის მერყეობას. ეს მოთხოვნა განსხვავებული შეიძლება იყოს კვირის სხვადასხვა დღეს ან დღის სხვადასხვა მონაკვეთშიც კი. ამიტომ ბანკები ხშირად მიმართავენ მოთხოვნის შერბილების ზომებს და სტიმულს აძლევენ ბანკში კლიენტების ვიზიტს გარკვეულ (ნაკლებად დატვირთულ) დროს ანდა მათ მიერ ავტომატიზაციის საშუალებების გამოყენებას.

საბანკო მომსახურების აბსოლუტური უმრავლესობის გაწევა გულისხმობს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების დადებას მის მწარმოებელსა და მომხმარებლებს შორის (თუმცა ამას, შესაძლოა, ბოლომდე ვერც კი აცნობიერებდეს კლიენტი, მაგალითად, ანაბრებზე ფულადი სახსრების მოთავსებისას). ეს დამატებით სირთულეებს (ზოგჯერ — ფსიქოლოგიურ ბარიერსაც) უქმნის კლიენტებს.

მომსახურების ხელშეკრულებითი ხასიათი იმის აუცილებლობას იწვევს, რომ კლიენტს უნდა განემარტოს საბანკო მომსახურების შინაარსი და მათი გაწევის ხასელშეკრულებო პირობები. ამით ბანკის მარკეტინგული საქმიანობა თავისებურ „საგანმანათლებლო“ ხასიათს იძენს.

საბანკო მომსახურების გაწევა სხვადასხვა ფორმისა და ხარისხის ფულის გამოყენებას უკავშირდება (საწარმოების ფული, კომერციული ბანკების ფული, ცენტრალური ბანკის ნაღდი ფული, ბუღალტრული ჩანაწერები ან საგადამხდელო-საანგარიშსწორებო დოკუმენტები), ხოლო ყოველივე იმას, რაც ფულს უკავშირდება, ადამიანები განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობიან. ეს ბანკის საქმიანობას დამოკიდებულს ხდის კლიენტების ნდობაზე და მოითხოვს ამ ნდობის განმტკიცებისთვის საჭირო ძალისხმევას.

საბანკო მომსახურების უმრავლესობის ყიდვა-გაყიდვა დროშია განფენილი. გარიგება, როგორც წესი, არ შემოიფარგლება ერთჯერადი აქტით. ბანკის კლიენტი ანაბრის შეტანის, კრედიტის მიღების ან სეიფის ბოინირების დროს მეტ-ნაკლებად სანგრძლივ კავშირს ამყარებს ბანკთან. ყიდვა-გაყიდვის აქტი გაწელილია დროში, რაც ფულთან მჭიდრო კავშირთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბანკისა და კლიენტის ურთიერთობის ხდობით ხასიათს. მართლაც, მაგალითად, ბანკო ანგარიშის გახსნისას კლიენტი თავის ფულს ანდობს ბანკს და გარიგებას დებს მასთან, რომლის მსყელობის გაკონტროლებაც მას იმთავითვე არ შეუძლია.

ის მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილებასაც საბანკო მომსახურება უწყობს ხელს, მეტად მრავალფეროვანია. შესაძლოა ეს იყოს როგორც საწარმოო, ისე პირადი მოთხოვნილებები, რომლებსაც უშუალოდ საბანკო მომსახურებით ვერ აკმაყოფილებენ. საბანკო მომსახურება აკმაყოფილებს არა პირველად საწარმოო და პირად მოთხოვნილებებს, არამედ მათგან წარმოებულ ფინანსურ მოთხოვნილებებს.

ამ მხრივ საბანკო მომსახურება მიმზიდველობით ჩამორჩება მატერიალურ დოვლათსა და იმ მომსახურებას, რომლებიც უშუალოდ აკმაყოფილებენ მომხმარებელთა საჭიროებებს. ეს საფინანსო-საბანკო ინსტიტუტებს უძნელებს თავიანთი პროდუქტებისთვის მოწინავე პოზიციების მოპოვებას ბაზარზე მომხმარებლის ფულისთვის გამართულ ბრძოლაში და დამატებით მარკეტინგულ

ძალისხმევას მოითხოვს.

ამგვარად, ბანკის მიერ შემოთავაზებული პროდუქტების სპეციფიკა გამომდინარეობს, ერთი მხრივ, მომსახურების სფეროზე მათი მიკუთვნებიდან და, მეორე მხრივ, საბანკო მომსახურების თავისებურებებიდან. ეს, თავის მხრივ, განსაზღვრავს საბანკო მარკეტინგის თავისებურებებს.

საბანკო მომსახურების აბსტრაქტულობა, შენახვის შეუძლებლობა და დასაკმაყოფილებელი მოთხოვნილებების მეორადობა განაპირობებს მარკეტინგის ორიენტაციას საბანკო მომსახურების თვალსაჩინო ნიმუშ-სახეების შექმნაზე. წყაროსგან მომსახურების განცალკევებლობაც ბანკის, როგორც ასეთის გარე მიმზიდველობის ფორმირებისთვის საჭირო ძალისხმევას მოითხოვს.

მომსახურების აბსტრაქტულობა და ხელშეკრულებითი ხასიათი იმას იწვევს, რომ სხვადასხვა საბანკო მომსახურების ხარისხის განსაზღვრა და შეფარდება მომხმარებლისგან მოითხოვს საკმაოდ მაღალ ეკონომიკურ კულტურას. ამისათვის, თავის მხრივ, საჭირო ხდება მომსახურების შინაარსის განმარტება კლიენტისთვის და მარკეტინგის საგანმანათლებლო ორიენტაცია. მომსახურების ხარისხის ცვალებადობა ზრდის პერსონალის მიერ კლიენტების ხარისხიანი მომსახურების მდგრადი მოტივაციის შექმნის აუცილებლობას, ამაღლებს საბანკო საქმის ავტომატიზაციის მნიშვნელობას.

18.3. საბანკო ბაზრის მარკეტინგული კვლევა

მარკეტინგის ინსტრუმენტარიუმის წარმატებით გამოყენების წანამძღვარია საბანკო ბაზრის მარკეტინგული კვლევა. მისი ძირითადი ელემენტებია: ინფორმაციის შეგროვება, ბაზრის ანალიზი, ბაზარზე დაკვირვება, ბაზრის პროგნოზირება.

კონკურენტული სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად ბანკის ხელმძღვანელს უამრავი ინფორმაცია სჭირდება. მთელი მარკეტინგული ინფორმაცია შეგვიძლია დავყოთ პირველად და მეორად ინფორმაციად. პირველადია რაღაც კონკრეტული მიზნით პირველად შეკრებილი ინფორმაცია. იგი ყველაზე უფრო ზუსტი და აქტუალურია, მაგრამ მისი შეგროვება შესაძლოა ძალიან ძვირი იყოს; მეორადია სადღაც უკვე არსებული ინფორმაცია, რომელიც ადრე სხვა მიზნებით იყო შეგროვებული. მარკეტინგული კვლევა, როგორც წესი, მეორადი ინფორმაციის შეგროვებით იწყება. მისი უპირატესობებია შედარებით სიიაფე და ხელმისაწვდომობა, ხარვეზები კი — შედარებით არააქტუალურობა და არასისრულე.

საბანკო მარკეტინგისთვის საჭირო ინფორმაციის ძირითადი წყაროებია: სტატისტიკური მონაცემები, კლიენტების — საწარმოებისა და კერძო პირების — მონაცემები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მოთავსებული მონაცემები, კონკურენტების საქმიანი ანგარიშგებებისა და სარეკლამო მასალების მონაცემები. ინფორმაციის შეგროვების დროს გამოყენებული ძირითადი მიდგომებია: კონსალტინგური (მარკეტინგული) ფირმებისთვის მიცემული შეკვეთები; საკუთარი საინფორმაციო სამსახურის შექმნა; კოლექტიურ საინფორმაციო სისტემასთან მიერთება.

ჩვენს დღევანდელ პირობებში მარკეტინგული ინფორმაციის შეგროვება უკიდურესადაა გაძნელებული. არსებითად, არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საკუთარი ძალებით ინფორმაციის შეგროვება კი ძალიან ძვირია, რის გამოც მრავალი ბანკი ამას მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე მიმართავს. ამასთან, ეჭვს არ იწვევს ის, რომ თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების (მაგალითად, ინტერნეტის) განვითარება უკვე ახლო მომავალში გამოიღებს სასურველ ნაყოფს.

ბანკის ანალიზი წარმოადგენს მიმდინარე მომენტში არსებული საბაზრო სიტუაციისა და გასაღების შესაძლებლობების გამოკვლევას. მ.პორტერის აზრით, ამა თუ იმ დარგისათვის კონკურენტული სტრატეგიის შერჩევის დროს უნდა ჩატარდეს წინასწარი ანალიზი ორი ასპექტის მიხედვით: 1) დარგის მიმზიდველობა რენტაბელობისა და განვითარების შესაძლებლობათა თვალსაზრისით, რომლებსაც კონკურენციის ინტენსიობა განსაზღვრავს; 2) მოცემული საწარმოს

კონკურენტული პოზიცია დარგში. ამ ასპექტების განხილვის დროს უნდა ვითვალისწინებდეთ შემდეგს:

ჯერ ერთი, ამ ორივე ასპექტს ურთიერთკავშირში უნდა ვიხილავდეთ; მეორე, მათ უნდა ვიხილავდეთ დინამიკაში და, მესამე, ორივე მათგანზე საწარმოს შეუძლია გავლენის მოხდენა თავისი საქმიანობით. ასე რომ, კონკურენტული სტრატეგია არის არა მარტო რეაქცია გარემოს პირობებზე, არამედ თავის სასარგებლოდ ამ გარემოს შეცვლის მცდელობა.

მ.პორტერის კონცეფციაში ეს ორივე ფაქტორი წარმოდგენილია როგორც კონტროლირებადი, თუმცა დარგის მიმზიდველობის გაკონტროლებაზე საუბარი მხოლოდ პირობითი შეიძლება იყოს. ამ კონცეფციის ნაკლია ისიც, რომ მხედველობაში არ იღებენ დარგის „ფარგლებს გარეთ“ არსებულ იმ ძალებს (სახელმწიფო, ბუნება), რომლებსაც არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ მასზე.

დარგის ანალიზისადმი კლასიკურ მიდგომად ითვლება კონკურენციის ხუთი ძალის მ.პორტერისეული კონცეფცია. ეს ძალებია: 1. არსებულ კონკურენტებს შორის მეტოქეობა; 2. მყიდველთა გავლენა, ანუ მათი ეაჭრობის უნარი; 3. მიმწოდებელთა გაელენა, ანუ მათი ეაჭრობის უნარი; 4. ახალი კონკურენტების მხრიდან გამომდინარე საფრთხე; 5. სუბსტიტუტი – საქონლის მხრიდან გამომდინარე საფრთხე. ყოველი მათგანის მნიშვნელობა დარგზეა დამოკიდებული და საბოლოოდ განსაზღვრავს დარგების მომგებიანობას. ეს ასეა იმიტომ, რომ კონკურენციის ხუთი ძალა მოქმედებს იმ ფასებზე, რომელთა დაწესებაც შეუძლიათ ფირმებს იმ დანახარჯებზე, რომლებსაც ისინი ეწევიან, და იმ კაპიტალდაბანდებათა სიდიდეებზე, რომლებიც აუცილებელია ამ დარგში კონკურენციაში მონაწილეობისათვის.

თუ მეტოქეობის ინტენსიობა დიდია, ეს ამცირებს ფასების დონეს (ირიბად – მიწოდების გადიდებით და უშუალოდაც – „ფასთა ომის“ გზით) და დარგის რენტაბელობას. კონკურენციის რენტაბელობა შეიძლება მერყეობდეს თავაზიანი ჯენტლმენური ფორმებიდან ყველაზე უფრო მწვავე ხერხებამდე. არსებული კონკურენციის ხასიათსა და ინტენსიობას შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავს:

ა) კონკურენტების რაოდენობა. საბანკო კონკურენციის მონაწილეთა ყველაზე მეტი რაოდენობაა ისეთ დარგებში, როგორიცაა საშემსახველო საქმე, საინვესტიციო შუამდგომლობა, საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურება, სავალუტო მომსახურება, სააგენტო მომსახურება; კონკურენტების ყველაზე ნაკლები რაოდენობაა დაკრედიტებაში, მინდობით მართვაში, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებაში, ფასეულობათა შენახვაში, დაცვასა და ტრანსპორტირებაში. მთლიანად საბანკო დარგებში კონკურენტების რაოდენობა, შეგვიძლია ვთქვათ, დიდია.

ბ) კონკურენტების ძალთა თანაფარდობა. რაც უფრო თანაბარი ძალები აქვთ ცალკეულ დარგში მყოფ კონკურენტებს, მით უფრო ინტენსიური იქნება მათ შორის კონკურენცია. თუ გაეითვალისწინებთ, რომ კონკურენტებს შორის ყველაზე უფრო ძლიერები კომერციული ბანკებია. მაშინ სხვა თანაბარ პირობებში კონკურენტების ყველაზე უფრო თანაბარი შემადგენლობა იმ დარგებში იქნება, რომლებსაც ბანკების მინიმალური დომინირება ახასიათებს (მინდობით მართვა, სააგენტო მომსახურება, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება). დაახლოებით თანაბარი ძალებია ბანკების წამყვანი როლის მქონე ზოგიერთ დარგშიც („საბარათო“ ბიზნესი, ფასეულობათა დაცვა, შენახვა და ტრანსპორტირება) მათი არასაკმარისად განვითარების გამო. ამაეე დროს, ისეთ ტრადიციულ დარგებში, როგორიცაა დაკრედიტება, საშემსახველო საქმე, საანგარიშსწორებო-საკასო და სავალუტო მომსახურება, კონკურენტთა ძალები საკმაოდ განსხვაედება ერთმანეთისგან. მთლიანობაში, ძალთა თანაფარდობა საბანკო დარგებში არათანაბარია.

გ) დარგის ზრდის ტემპები. დარგის სწრაფად ზრდისას მოთხოვნა მუდმივად უსწრებს მიწოდებას, რაც შესაძლებლობას უქმნის ფირმებს, კონკურენტების ინტერესების შეულახავად მიიღონ მოგება. ზრდის შენელების ან წარმოების დაქვეითებისას (სხვა თანაბარ პირობებში)

კონკურენცია ძლიერდება. ამჟამად მაღალი ტემპები აღინიშნება საშემნახველო საქმეში, საინვესტიციო შუამავლობაში, სავალუტო და საagენტო მომსახურებაში, რაც მნიშვნელოვანწილად ასახავს ეკონომიკის სპეკულაციურ ხასიათს. თუმცა მცირე, მაგრამ მაინც ზრდაა მთელ რიგ სხვა დარგებშიც (პლასტიკური ბარათების გამოშვება და მომსახურება, მინდობით მართვა, საკონსულტაციო მომსახურება და სხვა. ყოველივე ეს ფარავს რეცესიულ პროცესებს საკრედიტო სფეროში და მთლიანობაში საშუალებას გვაძლევს, ეკონომიკის სწრაფად მზარდ სფეროდ წარმოვაღგინოთ საბანკო საქმე.

დ) შემოთავაზებული მომსახურების დიფერენციაციის ხარისხი. რაც უფრო ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისგან კონკურენტების მომსახურება, მით უფრო მეტია კონკურენციის ინტენსივობა. ღრმა დიფერენციაცია ერთგვარ „არათანაბარ მდგომარეობაში“ აყენებს კონკურენტებს, ე.ი. ისევე მოქმედებს, როგორც კონკურენტების ძალთა უთანაბრობის ფაქტორი. საბანკო საქმეს ტრადიციულად მიიჩნევენ საქონლის დიფერენციაციის მაღალი დონის მქონე სფეროდ. ჩვენში მაღალი დონის დიფერენციაცია აღინიშნება ისეთ დარგებში, როგორიცაა საშემნახველო საქმე, საინვესტიციო შუამავლობა, ყოველგვარი საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურება, სავალუტო მომსახურება. ამა თუ იმ ხარისხის დიფერენციაციაა თითქმის ყველა დანარჩენ დარგში.

ე) კონვერსიის ხარჯების დონე. კონვერსიის ხარჯები მწარმოებელთა ის დანახარჯებია, რომლებიც გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტისა და მომხმარებელთა მიზნობრიობის ცვლილებებს უკავშირდება. ეს ეხება თანამშრომელთა გადამზადებას, ახალ დამატებით მოწყობილობას, პროდუქტის დიზაინს და, ბოლოს, წინანდელ მიმწოდებლებთან და მომხმარებლებთან ჩამოყალიბებული ურთიერთობების გაწყვეტასთან დაკავშირებულ ფსიქიურ დანაკარგებს.

კონვერსიის დაბალი ხარჯები იმის საშუალებას აძლევენ კომპანიებს, რომ „გვერდი აუარონ“ კონკურენციას, სწრაფად გადაწყონ თავიანთი წარმოება და ამით შეასუსტონ საკონკურენციო ბრძოლის სიმწვავე. რაც მეტია ეს ხარჯები, მით მაღალია კონკურენციის ინტენსიურობა დარგში.

საბანკო მომსახურების ასორტიმენტის ცვლილებებს, უპირველეს ყოვლისა, თან მოსდევს პერსონალის გადამზადების აუცილებლობა. თუ გავითვალისწინებთ საბანკო მიმოქცევის მასშტაბებს, ამასთან დაკავშირებული ხარჯების დონე შედარებით დაბალია. იგივე ეხება სასხრებს, რომლებიც ახალი საბანკო ტექნოლოგიების დანერგვაზე იხარჯება – ახალ პროგრამულ უზრუნველყოფაზე გადასვლის ხარჯები კომერციულ ბანკებში უფრო მაღალია, ვიდრე, ვთქვათ, ახალი ტექნოლოგიური ბაზის დაყენებაზე გაწეული ხარჯები მთელ რიგ სამრეწველო საწარმოში. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საბანკო საქმიანობის ავტომატიზაციის განვითარებასთან ერთად (ბანკომატების, კავშირის სისტემა „კლიენტი-ბანკის“ დაყენება) ამგვარი დანახარჯები გაიზრდება.

ბაზარზე ახალი მომსახურებისთვის გზის გაკაფვასთან დაკავშირებული ხარჯების დონე, ეტყობა, დაახლოებით ერთნაირია ყველა საბანკო დარგისთვის. ამგვარად, დარგების უმრავლესობაში კონვერსიის ხარჯების დონე მაღალი არაა. გამონაკლისია ის დარგები, სადაც ფართოდ იყენებენ ავტომატიზაციის საშუალებებს და ძვირადღირებულ ტელეკომუნიკაციებს (საინვესტიციო შუამავლობა, საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურება, პლასტიკური ბარათების გამოშვება და მომსახურება, სავალუტო მომსახურება) და სადაც შედარებით უფრო მაღალია ფონდტევადობა (ფასეულობათა შენახვა, დაცვა და ტრანსპორტირება). გარდა ამისა, ამ დანახარჯებს ზრდის ტენდენცია აქვს.

ვ) მწარმოებლებისთვის საბაზრო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დონე. რაც უფრო ხელმისაწვდომია ინფორმაცია, სხვა თანაბარ პირობებში მით უფრო ინტენსიურია მოქმედ კონკურენტებს შორის გაჩაღებული მეტოქეობა. საბანკო ბაზრის მეტწილ დარგებში ინფორმაცია დღეს იმდენადვე მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსია, რამდენადაც ძნელად ხელმისაწვდომი (ეს განსაკუთრებით ჩანს დაკრედიტებაში). ეს ქვეყანაში საბანკო კონკურენციის შესუსტების

ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ფაქტორია.

თუმცა, როგორც დასაელეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნა მომავლის საქმეა. დღეს უკვე მეტ-ნაკლებად მისაღებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საშემნახველო საქმეში, საინვესტიციო შუამავლობაში, პლასტიკური ბარათების ინდუსტრიაში და სააგენტო მომსახურებაში. საბაზრო პროცესების სწრაფად განვითარება იმის პროგნოზირების საშუალებას გვაძლევს, რომ უახლოეს მომავალში საბანკო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გაიზრდება.

ზ) დარგის სტრატეგიული მნიშვნელობა. რაც უფრო ძლიერია კონკურენტების სტრატეგიული ინტერესები ამა თუ იმ დარგში, მით მეტია კონკურენციის ინტენსივობა. თავის მხრივ, ამა თუ იმ დარგის სტრატეგიული მნიშვნელობა მერყეობს სხვადასხვა მომსახურების სასიცოცხლო ციკლის ფაზების შესაბამისად. სადღეისოდ ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საშემსახველო საქმეს, საინვესტიციო შუამავლობას, საანგარიშსწორებო-საკასო, სავალუტო და სააგენტო მომსახურებას. პერსპექტივაში უნდა გაიზარდოს დაკრედიტების, ირიბი დაკრედიტების, პლასტიკური ბარათების ინდუსტრიის, ინყორმირებისა და კონსულტირების მნიშვნელობა.

ამავე დროს, კომერციული ბანკის სპეციფიკა ისაა, რომ იგი მრავალდარგოვანი საწარმოა და ერთდროულად ფუნქციონირებს მეტწილ ან ყველა საბანკო დარგში. საბანკო საქმე მთლიანობაში გეეცლინება ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან, სტრატეგიულად ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სფეროდ, რაც სხვა თანაბარ პირობებში კონკურენციის უფრო მაღალ პოტენციურ ინტენსივობას განაპირობებს.

თ) გამოსასვლელი ბარიერების სიმაღლე. გამოსასვლელი ბარიერები ის დაბრკოლებებია, რომლებიც ბაზრიდან უკან გამოსვლაში ეღობებიან ფირმებს. მათ შესაძლოა ჰქონდეთ არამარტო ეკონომიკური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური და ემოციური ხასიათიც კი. მაგრამ ასეთ დაბრკოლებათა ბუნების მიუხედავად, რაც უფრო ძნელია დარგიდან გამოსვლა, მით უფრო ინტენსიური იქნება მის შიგნით არსებული კონკურენცია. რადგან ბანკი მრავალდარგოვანი საწარმოა, ამიტომ მიზანშეწონილი არაა გამოსასვლელი ბარიერების ანალიზის ჩატარება თითოეული საბანკო დარგისათვის; შემოვიფარგლოთ მთლიანად საბანკო საქმისათვის გამოსასვლელი ბარიერების განხილვით.

საწარმოო დარგებში გამოსასვლელი ბარიერები შეიძლება იყოს: მსხვილი ინვესტიციების ჩაჭიმწერის აცუილებლობა, წარმოების ლიკვიდაციის ან კონვერსიის დიდი ხარჯები, შექმნილი იმიჯის შენარჩუნების სურვილი, მენეჯერების პატივმოყვარეობა, მთავრობის წინააღმდეგობა (როდესაც ბაზრიდან საწარმოს წასვლა საფრთხეს უქმნის მთლიანად ეკონომიკას), პროფკავშირების წინააღმდეგობა (სამუშაო ადგილების დაკარგვის გამო), მომწოდებელთა, კლიენტთა და დიღერების პროტესტები და ა.შ.

მოყვანილი ჩამონათვალიდან საბანკო საქმეში მეტ-ნაკლებად რეალურად მხოლოდ რამდენიმე მათგანი არსებობს, თანაც — არაეკონომიკური. ამასთან, მათი მეტი წილი საკმარისად მაღალი არაა (მენეჯერების პირადი ამბიციები, დამფუძნებლებისა და კლიენტების წინააღმდეგობები). შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უფრო არსებითი გამოსასვლელი ბარიერია სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოების წინააღმდეგობა. მრავალი ქვეყნის უმსხვილესი ბანკები მთავრობის ერთგვარი „პატრონაჟის“ ქვეშ იმყოფებიან, რომელიც ცდილობს ფინანსური დახმარება გაუწიოს მათ სიძნელეთა პერიოდში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბანკო საქმეს ნებაყოფლობით თავს თითქმის არავინ ანებებს, თუმცა შეიძლება ხდებოდეს ბანკის რეორგანიზაცია (შერწყმა, შთანთქმა, გაყიდვა) ან ამა თუ იმ საბანკო დარგს შორის პრიორიტეტების გადანაწილება (მაგალითად, გრძელვადიან დაკრედიტებაზე უარის თქმა ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების სასარგებლოდ). ეს მეტყველებს საბანკო დარგებში არსებული გამოსასვლელი ბარიერების საკმაოდ მნიშვნელოვან სიმაღლეზე.

ამგვარად, საბანკო დარგებში კონკურენციის ინტენსიობის განმსაზღვრელი ფაქტორები ყველაზე უფრო ძლიერად მოქმედებს ისეთ დარგებში, როგორიცაა საშემნახველო საქმე, საინვესტიციო შუამავლობა, საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურება, პლასტიკური ბარათების გამოშვება და მომსახურება, სავალუტო და სააგენტო მომსახურება; ყველაზე სუსტად მათი მოქმედება გამოხატულია ისეთ დარგებში, როგორიცაა დაკრედიტება და ირიბი დაკრედიტება.

კონკურენციის მეორე ძალაა მყიდველთა გაელენა, ე.ი. ფასების მიმართ მათი მგრძნობიარობა და შეეაჭრების უნარი. მომხმარებლები, აგრეთვე, ერთეულებიან თავისებურ კონკურენციაში დარგის საწარმოებთან (ზოგიერთი ამას კონკურენციის განსაკუთრებულ ფორმად გამოყოფს) და ცდილობენ დასწიონ ფასები, შეიძინონ უფრო მაღალი ხარისხის საქონელი, რითაც ერთმანეთს აჯახებენ კონკურენტებს. ეს ყოველივე აისახება დარგის მოგებასა და მიმზიდველობაზე. მომხმარებელთა გავლენას შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავს:

- მიწოდების მოცულობისა და მოთხოვნის მოცულობის თანაფარდობა. ამა თუ იმ მომსახურების დეფიციტისას მომსმარებლის გაელენა მცირეა და, პირიქით. აქ სირთულეა ამ სიდიდეთა ზუსტად განსაზღვრის შეუძლებლობა სტატისტიკის უქონლობის გამო (შესაძლებელია მხოლოდ ექსპერტული შეფასება). აღნიშნული თანაფარდობა შესაძლოა განსხვავდებოდეს რეგიონების მიხედვით, მაგრამ მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ფაქტორის თვალსაზრისით გარკვეული კონკურენტული პოტენციალი აქვთ ტრადიციულ საბანკო დარგებს – დაკრედიტებას, საშემნახველო საქმეს, საინვესტიციო შუამავლობას, საანგარიშსწორებო-საკასო და საეალუტო მომსახურებას, აგრეთვე პლასტიკური ბარათების გამოშვება-მომსახურებას.
- სუბსტიტუტი საქონლის არსებობა. რაც უფრო მეტია ამა თუ იმ საქონლის შემცველობა, არჩევანის მით უფრო მეტი შესაძლებლობები უწნდება მომხმარებელს და მით უფრო დიდია მისი გაელენა ბაზრის პირობებზე. ურთიერთშემცელელია, ძირითადად, სხვადასხვა საბანკო დარგის პროდუქტები. მაგალითად, ვადიან ანაბარზე ფულადი სახსრების შეტანის შემცელელია ბანკისათვის დავალების მიცემა, დაბანდოს ისინი ფასიან ქაღალდებში ან ძვირფას ლითონებში (მონეტებში, სხმულებში) და ა.შ. მაგრამ მთლიანად საბანკო საქმის მიმართ ეს შემცელობა შინაგანია, რადგანაც უმრავლეს შემთხვევაში შემცელი მომსახურების მიწოდება „ერთსა და იმავე ხელშია“ თავმოყრილი. შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად „გარე“ (ე.ი.არასაბანკო) სუბსტიტუტების მქონე ერთადერთი საბანკო მომსახურებაა დაკრედიტება. მის არასაბანკო შემცელელებად გვეელინება სასაქონლო კრედიტი და საბიუჯეტო კრედიტი.
- მომხმარებლის უნარი, დარგის პროდუქციის გარეშე გაიტანოს თავი. რაც უფრო ძლიერია ეს უნარი, მით მეტი გაელენა აქვთ მომხმარებლებს. მთელ რიგ მომსახურებაზე უარის თქმის ალბათობა მომხმარებლებში მაღალია. კომერციულ ბანკებს და საბანკო ბაზრის სხვა ინსტიტუტებს ჯერ კიდევ წინა აქვთ მათზე მოთხოვნის ჩამოყალიბება. ამასთან, დაკრედიტებაზე და საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურებაზე უარის თქმა კლიენტებს არსებითად არ შეუძლიათ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საბანკო მომსახურებას არა აქვს კონკურენტუნარიანი შემცელელები, დიდი არაა საბანკო მომსახურებაზე უარის თქმის შესაძლებლობა, ეს კი ამაღლებს საბანკო სფეროს მიმზიდველობას მეწარმებისთვის;

- დარგში ვერტიკალური ინტეგრაციის გზით შეღწევის უნარი. თუკი საბანკო მომსახურების მომხმარებლებს აქვთ „თვითუზრუნველყოფაზე გადასელის“ უნარი, მაშინ მათი გაელენა დიდია და პირიქით. ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბანკო მომსახურების მომხმარებელ კერძო პირებს პრაქტიკულად საერთოდ არ გააჩნიათ საბანკო დარგებში ვერტიკალური ინტეგრაციის უნარი. საწარმოებს შეუძლიათ შეაღწიონ ცალკეულ საბანკო დარგებში, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მოიცვან საბანკო მომსახურების მთელი კომპლექსი, – მომხმარებლებს ეს არ შეუძლიათ.
- მომხმარებლებისა და მწარმოებლების კონვერსიის ხარჯების თანაფარდობა.

მომხმარებლების კონვერსიის ხარჯები ის დანახარჯებია, რომლებიც მომწოდებლის შეცვლას უკავშირდება. მომხმარებლების გავლენა მაშინ იქნება მნიშვნელოვანი, თუკი მომწოდებლებთან მათი ურთიერთობების გაწყვეტა მათზე უფრო ნაკლებად იმოქმედებს, ვიდრე მომწოდებლებზე. აღსანიშნავია, რომ ბანკის კლიენტების შეცვლა ძირითადად ხდება „ახალი“ ბანკისგან სარფის მიღების მოლოდინით. გარდა ამისა, თანამედროვე პირობებში ჩვეულებრივი ხდება სოლმე იმგვარი ვითარება, როდესაც კლიენტები ერთდროულად რამდენიმე ბანკის მომსახურებით სარგებლობენ.

• **ფასის ხვედრითი წილი მოხმარების ბიუჯეტში.** რაც უფრო მაღალია მოცემულ საქონელზე დანახარჯების ხვედრითი წილი მოხმარების ბიუჯეტში, მით უფრო მაღალია მისი მგრძნობიარობა საქონლის ფასის მიმართ, ე.ი. ბაზარზე მისი გავლენაც. თუ მომხმარებელი მოცემულ საქონელზე ხარჯავს თავისი ბიუჯეტის უმნიშვნელო ნაწილს, მაშინ მას არ სჭირდება თავისი ჩვეულებისა და მიდრეკილებების შეცვლა ფასების ცვლილების დროს. საბანკო ბაზარზე ამ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან საბანკო მომსახურების უმრავლესობას ან იშვიათად იძენენ, ან ისინი შედარებით იაფია. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში მომსახურების ფასი აშკარა სახით საერთოდ არ არსებობს.

• **მომხმარებელთა საკუთარი პროდუქციის ან მომსახურების ხარისხის დამოკიდებულება დარგის პროდუქციაზე.** დიდი დამოკიდებულების შემთხვევაში მომხმარებლები არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე საწარმოს დარგებთან (ამ შემთხვევაში — ფინანსურ ინსტიტუტებთან) და არსებითი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ საბაზრო პირობებზე. რაც უფრო ნაკლებია ეს დამოკიდებულება, მით უფრო მეტია მომხმარებელთა გავლენა.

საბანკო მომსახურება, როგორც ასეთი. შემადგენელ ელემენტებად არ შედის ნებისმიერი სხვა დარგის პროდუქტებში. ცხადია, არსებობს ისეთი საწარმოები, რომელთათვისაც ხარისხიან საბანკო მომსახურებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აქ იგულისხმება, მაგალითად, ნაირგვარი შუამავლები, რომლებსაც უზადო საანგარიშსწორებო მომსახურება ესაჭიროებათ. თუმცა, მთლიანობაში, უმრავლესი საწარმოების წარმოების შედეგების ხარისხის დამოკიდებულება საბანკო მომსახურებაზე დიდი არაა.

• **მომხმარებელთა და მწარმოებელთა კონცენტრაციის ხარისხის თანაფარდობა.** თუკი მომხმარებლებს დიდი კაპიტალი აქვთ და ორგანიზებული არიან, ხოლო დარგის მწარმოებებს მცირე კაპიტალი აქვთ და დაცალკევებული არიან, მაშინ მომხმარებელთა გავლენა მეტია და, პირიქით. ამ (ისევე, როგორც წინა) ფაქტორის გავლენის განხილვა მიზანშეწონილია არა ცალკეული საბანკო დარგების, არამედ მთლიანად საბანკო ბაზრის მიხედვით.

საბანკო მომსახურების გამყიდველები (განსაკუთრებით — კომერციული ბანკები), როგორც წესი, საკმაოდ მსხვილი სამეწარმეო ერთეულებია. მრავალი მათგანისათვის დაწესებულია საწესდებო კაპიტალის საკმაოდ მაღალი მინიმალური დონე. მათი კონცენტრაციის ხარისხი ხშირად უფრო მაღალია, ვიდრე საბანკო მომსახურების მომხმარებლებისა, ამასთან, ზოგიერთი არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტის (რეგისტრატორები, კონსულტანტები) სიდიდე მცირეა, მაშინ, როდესაც ცალკეულ კლიენტებს გიგანტური მასშტაბები შეიძლება ჰქონდეთ. ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევასთან ერთად მომხმარებელთა ფინანსური მდგრადობა და კონცენტრაციის ხარისხი გაიზრდება.

ფინანსური მომსახურების გამყიდველები თანამედროვე პირობებში მიდრეკილებას აცლენენ ნაირგვარი გაერთიანებების ორგანიზებისკენ (ასოციაციები, კავშირები, კონსორციუმები და ა.შ.). რაც შეეხება მომხმარებლებს (განსაკუთრებით — კერძო პირებს), მათი უმრავლესობა გათიშულია, მაგრამ ისინი აცნობიერებენ გაერთიანების საჭიროებას საკუთარი უფლებების დაცვის საქმეში.

• **შეთავაზებული მომსახურების დიფერენციაციის ხარისხი.** დიფერენციაციის დაბალი ხარისხი ხელს უშლის მომხმარებლებში არჩევანის გაკეთებას და ამით დიფერენცირებული

მომსახურეის გამყიდველთა კვაზიმონოპოლიური მდგომარეობის ჩამოყალიბებას. ეს, თავის მხრივ, აძლიერებს მომხმარებელთა გავლენას.

- მომხმარებელთა ინფორმირებულობის დონე. რაც უფრო მეტად ინფორმირებული არიან მომხმარებლები კონკურენტების მომსახურების შესახებ, მით უფრო მგრძნობიარედ ეკიდებიან ისინი მომსახურების ფასებსა და ხარისხს. საბანკო მომსახურების მომხმარებელთა ინფორმირებულობა ჯერ კიდევ ერთი თანრიგით უფრო დაბალია, თანაც, ყველაზე უფრო დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობა.

18.4. საბანკო ბაზრის სეგმენტაცია

საბანკო მომსახურების მყიდველთა გავლენის ანალიზის დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საბანკო ბაზრის სეგმენტაციას. იგი გულისხმობს საბანკო მომსახურების პოტენციურ მომხმარებელთა საერთო მასაში შედარებით განცალკევებული სეგმენტების – კლიენტთა მიზნობრივი ჯგუფების – გამოყოფას, რომლებზეც უნდა მოხდეს ბანკის საგამსაღებლო ძალისხმევის კონცენტრაცია.

სეგმენტი აღნიშნავს ბაზრის ნაწილს (რეგიონს, მომხმარებელთა ჯგუფს, საქონლის ან მომსახურების ჯგუფს), რომელიც საერთო ნიშან-თვისებებით შეგვიძლია დავახასიათოთ. სეგმენტაციას საფუძვლად უდევს მეტად განსხვავებული ნიშან-თვისებები: სამართლებრივი, ეკონომიკური, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ქცევითი და სხვა.

ყველაზე უფრო საფუძვლიანია ბაზრის სეგმენტაცია კლიენტების იურიდიული სტატუსის მიხედვით (ინსტიტუციონური სეგმენტაცია). იგი გულისხმობს საწარმოებისა (იურიდიული პირები) და მოსახლეობისათვის (ფიზიკური პირები) განკუთვნილი მომსახურების ბაზრების გამოყოფას. დასავლეთის ქვეყნების მრავალი საკრედიტო ინსტიტუტი შემდეგ ინსტიტუციურ ჯგუფებს გამოყოფს: 1) მოსახლეობა (საოჯახო მეურნეობები); 2) საწარმოები; 3) საზოგადოებრივი ორგანიზაციები; 4. ფინანსური ინსტიტუტები.

იურიდიული პირების ბაზარზე ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით სეგმენტაციის დროს ითვალისწინებენ საწარმოების სიდიდეს, მათი საქმიანობის სფეროს, მომუშავეთა რაოდენობას და ა.შ., ფიზიკური პირების ბაზარზე – მათ ქონებრივ მდგომარეობას. ზოგჯერ ეკონომიკურ ნიშანს აერთიანებენ ინსტიტუციონურთან. მაგალითად, ევროპის საბანკო პრაქტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებულია შემდეგი ოთხი მიზნობრივი ჯგუფის გამოყოფა: 1) საწარმოები, რომლებსაც ემისია შეუძლიათ; 2) საშუალო და მცირე საწარმოები; 3) შეძლებული კერძო პირები, რომლებიც ინდივიდუალიზებულ მომსახურებას ითხოვენ; 4) სხვა კერძო პირები, რომლებიც მასობრივი ასორტიმენტის მომსახურებას ითხოვენ.

გეოგრაფიული სეგმენტაციის ერთეულები შესაძლოა იყოს ქვეყნები, დიდი რეგიონები, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები და ა.შ. ასეთ სეგმენტაციას შესაძლოა ვიყენებდეთ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების ბაზრის კვლევის დროს. მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი მსხვილი ბანკებისათვის, რომელთა ფილიალების ქსელით უზარმაზარი სივრცეა დაფარული, საბანკო საქმიანობის გლობალიზაციასთან დაკავშირებით კი – ზოგჯერ მთელი ჩვენი პლანეტაც. რაც შეეხება ბანკების უმრავლესობას, ისინი ქალაქის ან მხარის საზღვრებით იფარგლებიან. ასეთ პირობებში სეგმენტაციის გეოგრაფიულ ნიშანს დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

შეძენის მოცულობის მიხედვით (მოცულობითი), სეგმენტაცია მომხმარებლებს ყოფს ისეთ პირებად, რომლებიც საბანკო მომსახურებას იძენენ ძალიან ხშირად (heavy users), ხშირად (medium users), იშვიათად (light users) ან საერთოდ არ იძენენ მას (nonusers). მარკეტინგული სტრატეგიის თვალსაზრისით ამას მნიშვნელობა აქვს, რადგან საშუალებას გვაძლევს გან-

ვსაზღვროთ ამ ჯგუფების მოთხოვნილებები და მათი განსხვავებულობის მიზეზები, აგრეთვე, დავსახოთ მათი დაკმაყოფილების გზები. გარდა ამისა, გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ხშირად კომერციული ბანკის მთელი ოპერაციების მოცულობის 80% ყველაზე აქტიური კლიენტების 20%-ზე მოდის. ეს ჯგუფი ყველაზე უფრო ინტენსიური კონკურენციის ობიექტია.

ფიზიკური პირების ბაზარზე მიმართავენ დემოგრაფიულ სეგმენტაციას. ამ დროს მომხმარებლებს ჯგუფებად ყოფენ ასაკის, სქესის, ოჯახური მდგომარეობის, ოჯახის სიდიდის, შემოსავლის, პროფესიის, განათლების, ეროვნებისა და რელიგიის მიხედვით და ა.შ.

ცხოვრების ნირის მიხედვით ამერიკელი ბანკირები კლიენტებს ყოფენ კონსერვატიულობის, გაწოდილების მქონეთა და მერყეების ჯგუფებად; ქცევის მიხედვით ფრანგი ბანკირები ასეთ კლასიფიკაციას ახდენენ: 1) დღევანდელი დღით მცხოვრები ადამიანები; 2) ავანტიურისტები; 3) უტილიტარისტები, პასიური ქცევის ადამიანები, რომლებიც პატივს სცემენ მატერიალურ ფასეულობებს; 4) პირები, რომლებიც ცდილობენ მოვლენათა ცენტრში მოხვედრას.

მომსახურებითი სარგებლობისათვის მზადყოფნის მიხედვით მომხმარებლები შესაძლოა იყვნენ: საქმეში ჩაუხედავები, საქმეში ჩახედულები, ინფორმირებულები, დაინტერესებულები და მოსურნეები.

ინდივიდუალობის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ დამყოლ, აგრესიულ და დამოუკიდებელ მომხმარებლებს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფსიქოგრაფიული მახასიათებელია ინოვაციურობა, ე.ი. ახალი პროდუქტებისა და მომსახურების პოზიტიურად აღქმისა და ათვისების უნარი და მზადყოფნა ადამიანებში.

რისკის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით განასხვავებენ ისეთ კლიენტებს: ა) რომლებსაც აქვთ რისკისადმი მიდრეკილება; ბ) ნეიტრალურად ეკიდებიან ან 3) გაურბიან რისკს. ეს მიდგომა ხშირად შეხამებულია ინვესტირების შერჩეული მიმართულებების მიხედვით სეგმენტაციასთან. მაგალითად, ფასიან ქაღალდებში ინვესტირების დროს განასხვავებენ კლიენტების შემდეგ ძირითად ტიპებს:

1) „კონსერვატიული“ კლიენტები. დასავლეთის ქვეყნებში მათ მიაკუთვნებენ ბანკების კლიენტების 50-60%-ს. ისინი თავიანთი სახსრების დაბანდებას ამჯობინებენ საიმედო ფასიან ქაღალდებში, მაგალითად, სასელმწიფო სესხის ობლიგაციებში. ამ ჯგუფის კლიენტებს არ უყვართ გარისკვა, ისინი ნაკლებად იცნობენ ბაზარზე შექმნილ ვითარებას;

2) ზოგიერთი სპეკულანტი – მთელი კლიენტების 35-45%. მათ გარკვეული წვრმოდგენა აქვთ ბაზარზე, შეუძლიათ გარისკონ, ინვესტირების ობიექტებად კი სამრეწველო და სავაჭრო კომპანიების აქციებსაც ირჩევენ;

3) „რადიკალური სპეკულანტები“ – ბანკების მთელი კლიენტების 5%-მდე. ისინი კარგად არიან ჩახედული ბაზრის სიტუაციაში, მუდამ რისკზე მიდიან და ყველაზე ხშირი კონტაქტები აქვთ ბანკის კონსულტანტებთან.

მეტად ნაყოფიერი შეიძლება იყოს კლიენტების ჯგუფების გამოყოფა საბანკო მომსახურების საძიებელი სარგებლის მიხედვით. ნებისმიერ საბანკო მომსახურებას სარგებელთა (თვისებების) მთელი „თაიგული“ აქვს, რითაც იგი მომხმარებლებს იზიდავს, მაგრამ ყოველი მომხმარებელი მათ სხვადასხვაგვარად აღიქვამს: ზოგიერთებს იზიდავს მოგების მიღების შესაძლებლობა, სხვებს – მომსახურების კომფორტი და თავაზიანობა, დანარჩენებს – პრესტიჟი და ა.შ. არიან ისეთებიც, რომლებსაც ეს ყოველივე ერთად აინტერესებთ. ამერიკის ბანკების საქმიანობაში ამ მიდგომის გამოყენებამ გამოიწვია ინდივიდუალური მომსახურების ცენტრების გაჩენა, რომლებსაც დაახლოებით ასე უწოდებენ: „ჯგუფი №1“, „საპრეზიდენტო კლუბი“ და ა.შ. ეს კრიტერიუმი მჭიდროდ უკავშირდება სხვებს, რასაც შემდეგი ცხრილიც ადასტურებს.

ცხრილი 18.1.

ფიზიკური აირების ბაზრის სეგმენტაცია

ინვესტორის დახასიათება	გამოცდილი ინვესტორები	ფრთხილი ინვესტორები	დროის ფასის მცირე ინვესტორები	„ნეიტრალური დილა“ სეგმენტი
საძიებელი სარგებელი	მაქსიმალური შემოსავალი დაბანდებული ფულიდან	ფულის დაცულობაში დარწმუნება	კომფორტი	მომავლისთვის ბუფერის აშენება
დემოგრაფიული მახასიათებლები	განათლებული, პროფესიონალი, მაღალი სამსახურებრივი მდგომარეობა, შედარებით მაღალი შემოსავალი	ნაკლებად განათლებული, უფრო ასაკოვანი, ნაკლები შემოსავალი	მშობლებთან მცხოვრები შვილები, უმეტესი ოჯახები	ნაკლებად განათლებული, „ლურჯი საყელოები“
სოციოფსიქოლოგიური მახასიათებლები	უმაღლესი სოციალური კლასი, ზრდისკენ მისწრაფება	დაბალი სოციალური კლასი	საშუალო კლასი	დაბალი სოციალური კლასი
განსაკუთრებული ქცევითი მახასიათებლები	თაიანთი ფინანსური უნარის ჩვენების სურვილი, ნარმატება ინფლაციასთან ბრძოლაში	არსებულის შენარჩუნებისკენ სწრაფვა, ახალი პროდუქტების გამოყენების სურვილის უქონლობა, თავდაჯერებულობა ცნობილი ქაღალდების გამოყენებისას	მუდამ საქმიანი, კლუბების წევრი, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური	კონსერვატული ბუნების, ვინც საგულდაგულოდ გეგმავს თავის ბიუჯეტს
ინვესტირების უპირატესი მიმართულებები	აქციები, ობლიგაციები, უძრავი ქონება, ურთიერთ ფონდები, ძვირფასი ლითონები, მონეტები	ანგარიშები ბანკებში, საბელნიერო ფასიანი ქაღალდები	ფულის ბაზრის ანგარიშები, ურთიერთფონდები, ბანკები	ბანკები, ურთიერთფონდები

ბანკის სეგმენტი იდეალში შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს:

1) ერთგვაროვნება. რაც უფრო ერთგვაროვანია გამოყოფილი ჯგუფი, მით უფრო მსგავსი იქნება მისი წარმომადგენლების ფინანსური მოთხოვნილებები და მომსახურების წარმოებისა და გასაღების უფრო ეფექტიანად ორგანიზების საშუალებები ექნება ბანკს;

2) გაზომვადობა. ბანკს უნდა ჰქონდეს როგორც სეგმენტის ზომის, ისე მისი მსყიდველობითი ძალის გაზომვის შესაძლებლობა. მიზნობრიეი ჯგუფი მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და არა – ბუნდოვნად;

3) მისაწვდომობა. ნაკლები ფასი აქეს ისეთ სეგმენტს, რომლის ყურადღების მიქცევაც ბანკს არ შეუძლია თავისი გასაღებითა და კომუნიკაციებით;

4) არსებითობა. სეგმენტი საკმაოდ დიდი უნდა იყოს საიმედოდ, რომ მომგებიანი გამოდგეს მოცემული ბანკისათვის;

5) დაცულობა. რადგან მომგებიანობა კონკურენტებს იზიდავს, საჭიროა იმის ცოდნა, შეძლებს ბანკი თავისი სეგმენტის დაცვას შემოჭრისგან, თუ დაკარგავს ბაზარზე თავის წილს უფრო ძლიერის სასარგებლოდ. დაცულობა დამოკიდებულია სეგმენტის დამუშავებისათვის აუცილებელი რესურსების მოცულობაზე.

საბანკო რესურსების მიმწოდებლები.

კონკურენციის მესამე ძალაა მიმწოდებლების გავლენა. იგი ელინდება საქონლისა და მომსახურების ფასის აწევის ან ხარისხის დაწევის მუქარით. ძლიერი პოზიციების მქონე მიმწოდებლებს შეუძლიათ შეამცირონ იმ დარგის მომგებიანობა, რომელსაც აღარ ძალუძს დანახარჯების ზრდის დაფარვა ფასების გადიდებით. მიმწოდებლების გაძლიერების პირობები ჰგავს იმ პირობებს, რომლებიც მომხმარებელთა ჯგუფებს ანიჭებენ ძალას. ბანკების საწარმოო რესურსების სისტემა მოიცავს: ა) ფინანსურ რესურსებს; ბ) შრომით რესურსებს; გ) ინფორმაციულ რესურსებს; დ) ტექნოლოგიურ რესურსებს; ე) მატერიალურ რესურსებს.

ფინანსური რესურსების მიმწოდებლები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ბანკის საშემნაველო, საინვესტიციო და საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურების კლიენტები არიან, აგრეთვე ცენტრალური ბანკი და საკრედიტო რესურსების გამცემელი სხვა საკრედიტო ორგანიზაციები.

საბანკო წარმოების მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შრომითი რესურსები — ბანკების მოსამსახურეები, მენეჯერები და ა.შ. პერსონალთან დაკავშირებულ დანახარჯებს სიდიდით მეორე ადგილი უჭირავს და მთელი დანახარჯების 20-30%-ს აღწევს, რაც 3-ჯერ აღემატება მატერიალურ დანახარჯებს. ადამიანის ფაქტორის მნიშვნელობა საბანკო საქმეში არ კლებულობს. მთელ მსოფლიოში ბანკების ავტომატიზაციის აქტიურად განვითარების მიუხედავად. ამას განაპირობებს ფილიალების ქსელის გაფართოება, საბანკო ოპერაციების რაოდენობისა და მოცულობის ზრდა და სხვა. მაგრამ ავტომატიზაცია იწვევს ბანკების შრომითი რესურსების სტრუქტურის შეცვლას და მათი ხარისხის მიმართ მოთხოვნების გადიდებას. კონკურენციის გაძლიერება იმას იწვევს, რომ ბანკები აქტიურ საბაზრო პოლიტიკას უნდა ატარებდნენ, რაც შეუძლებელია კვალიფიციური ექსპერტებით დაკომპლექტებული ქვედანაყოფების გადიდების გარეშე. მათ უნდა შეეძლოთ კლიენტების შიდა და გარე მონაცემების შეფასება და გაანალიზება. ეს განსაკუთრებით ვლინდება საბანკო დაგეგმვის სფეროში.

უნივერსალური ბანკების მომსახურების ასორტიმენტის გამოთანაბრებამ და ფასისმიერიდან არაფასისმიერ კონკურენციაზე გადასვლამ გაზარდა მოთხოვნები ბანკების მოსამსახურეების საკონსულტაციო კვალიფიკაციის მიმართ. ამასთან, გამოთქვამენ მოსაზრებებს, რომ საკრედიტო ორგანიზაციების კონკურენციაში მომავალში გადამწყვეტი იქნება არა მომსახურების დიფერენციაცია, არამედ სერვისი და თანამშრომლების კვალიფიკაცია. ბანკებისათვის შრომითი რესურსების მიმწოდებლები, ცხადია, არიან ადამიანები, როგორც საკუთარი სამუშაო ძალის მესაკუთრეები. ამავე დროს, გარკვეულ გარემოებათა დროს (ხელშეკრულებების საფუძველზე) შრომითი რესურსების მიმწოდებლები შეიძლება იყვნენ სპეციალიზებული სასწავლო დაწესებულებებიც (უნივერსიტეტები, აკადემიები, ინსტიტუტები და ა.შ.).

ინფორმაციული რესურსების მიმწოდებლები შეიძლება იყვნენ როგორც თვითონ საბაზრო გაცვლაში ობიექტები (კონკურენტები, მომხმარებლები, სახელმწიფო), ისე საინფორმაციო ინფრასტრუქტურის დაწესებულებებიც: საინფორმაციო-კომერციული სატელეკომუნიკაციო ქსელები („ინფორმაციის ბანკები"); კონიუნქტურული და მარკეტინგული კვლევების ცენტრები; საკრედიტო-საცნობარო ფირმები; სარეკლამო სააგენტოები; სარეიტინგო სააგენტოები და სხვა.

ცალკეული ბანკების ტექნოლოგიური რესურსების მიმწოდებლები შესაძლოა იყვნენ ან პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალიზებული ფირმები,ან სხვა კომერციული ბანკები. პრინციპში, ყოველი საკრედიტო-ფინანსური ინსტიტუტის წინაშე დგას პრობლემა: რა უფრო მიზანშეწონილია — პროგრამული უზრუნველყოფის საკუთარი ქვედანაყოფის შექმნა, თუ სტანდარტული პროგრამის შეძენა. თითქმის ყველა ბანკში შექმნილია კომპიუტერული განყოფილება, მაგრამ ზოგ ბანკში ასეთი განყოფილების სპეციალისტები ძირითადად გარედან მოწოდებული კომპიუტერული სისტემების მუშაობას აკონტროლებენ, ზოგში კი თითქმის ძლიერად ამუშავებენ პროგრამულ უზრუნველყოფას (ზოგჯერ სხვებსაც სთავაზობენ მას). ექსპერტთა აზრით, ბოლო ხანს შექმნილმა ბანკებმა არ

უნდა შექმნან საკუთარი კომპიუტერული სისტემები და მათი პროგრამული უზრუნველყოფა. უფრო მიზანშეწონილია სტანდარტიზებული სისტემების შეძენა კარგი რეპუტაციის მქონე იმ ფირმებისგან, რომლებიც ამგვარ სისტემებზე არიან დასპეციალებული.

მატერიალური რესურსების ძირითადი მიმწოდებლებია საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი სამრეწველო და სავაჭრო ფირმები – მოწყობილობის მწარმოებლები და დისტრიბუტორები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საბანკო დარგების სარესურსო ბაზა შედარებით ერთგვაროვანია, ხოლო საბანკო ბაზრის ძირითადი სუბიექტები – კომერციული ბანკები – ერთდროულად ფუნქციონირებენ უმრავლეს დარგებში ან თითქმის ყველა დარგში, მაშინ აზრი აქვს მიმწოდებლების გავლენის გაანალიზებას არა დარგების, არამედ რესურსების ჯგუფების მიხედვით.

საბანკო რესურსების მიმწოდებლებს შორის ყველაზე დიდი გავლენა აქვთ ფინანსური, ინფორმაციული და მატერიალური რესურსების მიმწოდებლებს, ხოლო ნაკლები – შრომითი და ტექნოლოგიური რესურსების მიმწოდებლებს. საბანკო დარგების მიმართ ეს იმას ნიშნავს, რომ მიმწოდებლების გავლენა ყველაზე უფრო ძლიერია დაკრედიტებაში, ირიბ დაკრედიტებაში, საინვესტიციო შუამავლობაში, საანგარიშსწორებო-საკასო და სავალუტო მომსახურებაში.

პოტენციური კონკურენტები საბანკო დარგებში

კონკურენციის მეოთხე ძალაა საფრთხე ახალი კონკურენტების მხრიდან. დარგის მიმზიდველობაზე მისი გავლენა არსებულ ფირმებს შორის კონკურენციის ანალოგიურია. ხსენებული საფრთხის განმსაზღვრელი ფაქტორებია:

1. **შესასვლელი ბარიერების არსებობა და სიმაღლე.** ეს ბარიერები დაბრკოლებას უქმნიან ახალ კონკურენტებს დარგობრივ ბაზარზე შეღწევაში. მათ ეკუთვნის: ეკონომია წარმოების მასშტაბებზე; პროდუქტის დიფერენციაცია; მოთხოვნა მნიშვნელოვან კაპიტალზე; მომხმარებელთა კონვერსიის ხარჯები; მასალების არხების მიუწვდომლობა; რესურსების წყაროების ხელმისაწვდომობის შეზღუდულობა; გამოცდილების უკმარისობა; დარგში გამოყენებული ტექნოლოგიების მაღალი დონე; სალიცენზიო შეზღუდვები; საპატენტო შეზღუდვები; მიწის ნაკვეთების უქონლობა ან მათი სიძვირე და სხვა.

საბანკო დარგებში შესასვლელი ბარიერების მნიშვნელოვანი თავისებურებაა სიახლეთა საპატენტო დაცვის უქონლობა. ამის გამო ნებისმიერი ფინანსური ინოვაცია, ნებისმიერი ახალი საბანკო მომსახურება, რომელსაც ერთი საკრედიტო ინსტიტუტი ნერგავს, მოკლე დროში შეიძლება გადაიღონ მისმა კონკურენტებმა. ეს აძლიერებს კონკურენციის ინტენსივობას.

გარდა ამისა, კომერციული ბანკებისთვის არ არსებობს გასაღების არხების მიუწვდომლობის პრობლემა, რადგან საბანკო მომსახურების წარმოება და გასაღება დროში ემთხვევა ერთმანეთს და შეიძლება ლოკალიზებული იყოს საბანკო განყოფილების შენობაში. ბანკების სფეროში ყველაზე უფრო არსებითი შესასვლელი ბარიერებია: 1) საკრედიტო რესურსების წყაროების შეზღუდული ხელმისაწვდომობა; 2) მნიშვნელოვან კაპიტალზე მოთხოვნა; 3) საბანკო პროდუქტის დიფერენციაცია; 4. მომხმარებელთა კონვერსიის ხარჯები; 5) სალიცენზიო შეზღუდვები; 6) ეკონომია წარმოების მასშტაბებზე.

2. **დარგში ახლად შემომავალ ფირმებზე უკვე მოქმედი ფირმების მოსალოდნელი რეაქცია.** ფირმა მზად რომ იყოს კიდევაც ზემოჩამოთვლილი ბარიერების გადასალახავად, მან შეიძლება ყოყმანი დაიწყოს იმ რეაქციის მოლოდინში, რომლითაც მოქმედი კონკურენტები შეხვდებიან ბაზართან მისი მიერთების სურვილს. მისცემენ ისინი „ახალბედას" ბაზარზე მისი წილის მიღების ნებას თუ ბოლომდე შეებრძოლებიან მას? კონკურენციის რომელ მეთოდებს გამოიყენებენ საიმისოდ, რომ არ მისცენ მას ბაზარზე შესვლის უფლება?

ჩვენს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებს ამ დრომდე არ გამოუმჟღავნებიათ დიდი აგრესიულობა „ახალბედებთან" საკონკურენციო ბრძოლაში (შეშზღუდავ პრაქტიკას კანონმდებლობაც

კრძალავს). პირიქით, დაბალი ფასების დაწესების პოლიტიკას სწორედ „ახალბედები" მიმართავდნენ: საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნის პოტენციალი საკმაოდ დიდია, გამოსასვლელი ბარიერები კი შედარებით დაბალია. ამის გათვალისწინებით ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ საბანკო ბაზარზე დიდია ახალი კონკურენტების გამოჩენის საფრთხე და ახალი საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების შექმნის პროცესი უახლოეს მომავალშიც გაგრძელდება.

ამჟამად სულ უფრო რთულდება „ახალბედებისთვის" ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. ყველაზე მომგებიანი კლიენტურა უკვე არსებულ კონკურენტებს შორისაა „დანაწილებული".

18.5. საბანკო პროდუქტების შემცვლელები

კონკურენციის ბოლო, მეხუთე ძალაა საფრთხე სუბსტიტუტი საქონლის მხრიდან. მისი გაჩენა ზღუდავს ყოველ კონკრეტულ დარგში მოგების ამოღების შესაძლებლობებს იმ ზღვრული ფასების დაწესებით, რომლებიც კომპანიებმა შეიძლება მოითხოვონ თავიანთი მოგების ნორმის დაუქვეითებლად. სუბსტიტუტი საქონლის მხრიდან საფრთხეს შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავენ:

1. შემცვლელი და შესაცვლელი საქონლის სამომხმარებლო ეფექტის თანაფარდობა. თუკი პირველი მეორეზე მეტია, მაშინ სუბსტიტუტი საქონლის მხრიდან მომდინარე საფრთხე მნიშვნელოვანია. საბანკო საქმეში შემცვლელი და შესაცვლელი საქონლის (მომსახურების) სამომხმარებლო ეფექტი აბსოლუტურად იდენტურია, რადგანაც კრედიტის ეფექტიანობას განსაზღვრავს არა მისი წყარო, არამედ გამოყენების სასიათი.

2. მომხმარებელთა კონვერსიის ხარჯების დონე. რაც უფრო დაბალია კონვერსიის ხარჯები, მით უფრო დიდია სუბტიტუტებისკენ მომხმარებელთა გადახრის ალბათობა. მომხმარებელთა გადართვა საბანკო მომსახურების მწარმოებელთა ერთი ჯგუფიდან მეორეზე გარკვეულ ორგანიზაციულ დანახარჯებს იწვევს. თუმცა, სასაქონლო ან საბიუჯეტო კრედიტით სარგებლობა არ ნიშნავს საბანკო კრედიტზე უარის თქმას და საბანკო ბაზრის ინსტიტუტებთან ჩამოყალიბებული ურთიერთობების რღვევას, ე.ი. არ განაპირობებს კონვერსიის არავითარ ხარჯებს.

3. მომხმარებელთა მობილურობა, სუბსტიტუტებზე ორიენტაციის აღებისკენ მათი მიდრეკილება. რაც უფრო მობილური არიან მომხმარებლები, მით უფრო მეტია სუბსტიტუტების მხრიდან წამოსული საფრთხე. საკრედიტო-ფინანსურ ორგანიზაციებსა და მათ კლიენტებს შორის საბაზრო ურთიერთობები ჩვენში ამ ბოლო ხანს ჩამოყალიბდა, საბჭოთა პერიოდში კი საბანკო დაწესებულების შერჩევის თავისუფლება არ არსებობდა. ამის შედეგად საბანკო მომსახურების მომხმარებელთა მობილურობა დღეს შედარებით ნაკლებია, თუმცა ყოველწლიურად მატულობს. საბანკო ბაზარზე სუბსტიტუტების მხრიდან მომდინარე საფრთხე მთლიანობაში მნიშვნელოვანი არაა. მისი უგულებელყოფა ყველა დარგშია შესაძლებელი, გარდა დაკრედიტებისა და ირიბი დაკრედიტებისა.

ამგვარად, დღეს საბანკო ბაზრის ყველაზე უფრო კონკრეტული სეგმენტებია საშემნახველო საქმე და საინვესტიციო შუამდგომლობა.

18.6. ბანკის კონკურენტული პოზიცია

საბანკო დარგების ანალიზთან ერთად საბანკო ბაზრის მარკეტინგულმა კვლევამ აუცილებლად უნდა მოიცვას ბანკის კონკურენტული პოზიციის ანალიზიც ყველა ამ ქვედარგში.

კონკურენტული პოზიცია არის თავის დარგში ამა თუ იმ საწარმოს მიერ დაკავებული ადგილი საკუთარი საქმიანობის შედეგების, უპირატესობებისა და ნაკლოვანებების შესაბამისად. საბანკო ბაზრის ინსტიტუტების კონკურენტული პოზიციის ძირითადი მახასიათებლებია:

- აბსოლუტური და ფარდობითი წილი ბაზარზე;
- საწარმოს კონკურენტუნარიანობა.

ბაზარზე მოპოვებული წილი კონკურენტული პოზიციის უმნიშვნელოვანესი რაოდენობრივი მახასიათებელია, მაგრამ იგი საკმარისი არაა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მყარია ბანკის პოზიცია. ამ საქმეში ერთგვარ დახმარებას გვიწევს ბაზრის წილის დინამიკაზე დაკვირვება, თუმცა ამის მიხედვით შეუძლებელია ეიმსჯელოთ ამა თუ იმ ბანკის პოზიციის რყევა-ურყეობის მიზეზებზე.

კონკურენტული პოზიციის ურყეობას და მის ფაქტორებს განსაზღვრავენ კონკურენტუნარიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზით. ამ დროს შეგვიძლია გამოვაელინოთ საბანკო პროდუქტისა და მთლიანად ინსტიტუტის კონკურენტუნარიანობა.

საბანკო პროდუქტის კონკურენტუნარიანობა მისი იმ ხარისხობრივი და ფასისმიერი მახასიათებლების ერთობლიობაა, რომლებიც უზრუნველყოფს მომხმარებლის კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მატერიალური წარმოების დარგებისათვის პროდუქციის კონკურენტუნარიანობა K ზოგადი სახით განისაზღვრება $Э_{ი}$ სასარგებლო ეფექტის შეფარდებით $Ц_{ი}$ მოხმარების ფასთან:

$$K = \frac{Э_{ი}}{Ц_{ი}}$$

სასარგებლო ეფექტი ამა თუ იმ პროდუქტის გამოყენების პროცესში მომხმარებლის საჭიროებათა დაკმაყოფილების ზომაა და დამოკიდებულია კონკრეტული პროდუქტის ხასიათზე. მაგალითად, საბანკო მომსახურების სასარგებლო ეფექტი შეგვიძლია გამოვხატოთ დეპოზიტურ ანგარიშებზე მოთავსებული სახსრებიდან მიღებული შემოსავლებით; იმ სახსრების ეკონომიით, რომელსაც ანგარიშსწორების დაჩქარება ან სესხების გამოყენება გვაძლევს და ა.შ.

მოხმარების ფასი უფრო რთული ცნებაა. ეს იგივე არაა, რაც შეძენის დროს გადახდილი ფასი. საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მყიდველმა არა მარტო უნდა შეიძინოს საქონელი, არამედ შემდეგ მისი ექსპლუატაციის ხარჯებიც გასწიოს. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევებში შეუძლებელია საქონლის გამოყენება მისი შეძენისთანავე. როგორც წესი, იგი უნდა მიუტანონ მყიდველს, შეამოწმონ, დააყენონ და ა.შ. ამგვარად, მყიდველის ხარჯები ორი ნაწილისგან შედგება: 1) შეძენის ხარჯები (საქონლის გასაყიდი ფასი) და 2) მოხმარებასთან დაკავშირებული ხარჯები.


მთლიანად ინსტიტუტის კონკურენტუნარიანობა არის მის მიერ უკეთესი მიწოდების უზრუნველყოფის უნარი კონკურენტებთან შედარებით, მის მიერ კონკურენტული უპირატესობების ფლობა. მხოლოდ ასეთი უპირატესობების მქონე ბანკს შეუძლია მოიპოვოს ბაზარზე მტკიცე კონკურენტული პოზიცია. მთელი მრავალფეროვანი კონკურენტული უპირატესობები ორ დიდ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: ა) მცირე დანახარჯებთან დაკავშირებული და ბ) პროდუქტის დიფერენციასთან დაკავშირებული უპირატესობები.

მცირე დანახარჯებს უზრუნველყოფს სწორი მენეჯმენტი (უპირველეს ყოვლისა – ფინანსური), ახალი რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების ქონა, წარმოების ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურა, მომუშავეთა გამოცდილება, წარმოების მასობრივი ხასიათი და ა.შ. კიდევ უფრო მრავალფეროვანია პროდუქტის დიფერენციაციასთან დაკავშირებული უპირატესობები. მრავალ სამრეწველო დარგში პროდუქტის დიფერენციაციას ძირითადად მაღალი ხარისხის პარჯზე აღწევენ. ამჟამად ხარისხის მნიშვნელობა საბანკო დარგებშიც მატულობს. იგი ერთობ საიმედო კონკურენტული უპირატესობაა. თუმცა დიფერენციაციას, შესაძლოა, ეფექტიანად წარმართული რეკლამით (აგრეთვე, მარკეტინგულ ძალისხმევათა მთელი კომპლექსით), მოიხმარებლებთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებით, ბაზარზე ხანგრძლივად ყოფნით, სახელმწიფოს მხარდაჭერით ან მძლავრი სამეწარმეო სტრუქტურების მეშვეობითაც მივაღწიოთ.

სასარგებლოა იმის გათვალისწინება, რომ კონკურენტული უპირატესობები შეიძლება იყოს გრძელვადიანი ან მოკლევადიანი. ამასთან, კონკურენტული სტრატეგია მიმართული უნდა იყოს

გრძელვადიანი სტრატეგიული უპირატესობების მიღწევისკენ.

T დროის განმავლობაში K სტრატეგიული კონკურენტული უპირატესობების ცვლილება ნაჩვენებია 18.1 ნახაზზე. აქ AB არის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ხდება კონკურენტული სტრატეგიის განსაზღვრა და სტრატეგიული უპირატესობის ფორმირება; BC – პერიოდი, რომლის ფარგლებშიც კონკურენტები თავიანთი ადრინდელი პოზიციებიდან მოქმედებენ. ამ პერიოდის ხანგრძლივობა დარგის დინამიკასა და ხასიათზეა დამოკიდებული. ბუნებრივია, სხვადასხვა დარგის რეაქციები არსებითად შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. CT პერიოდი მაშინ დგება, როდესაც კონკურენტები ახალი სტატეგიით გადადიან შეტევაზე და იწყებენ ჩვენი კონკურენტული უპირატესობების ნგრევას. AD მონაკვეთი გვიჩვენებს იმ უპირატესობების სიდიდეს, რომელიც შეიძლება გამოიხატებოდეს, მაგალითად, მაჩვენებლის სახით (ბაზრის წილი პრიცენტობით).



ნახ. 18.1 კონკურენტული უპირატესობის „სასიცოცხლო ციკლი“

კონკურენტუნარიანობის ანალიზის ამოცანაა იმის ჩვენება, თუ როგორია არსებული კონკურენტული უპირატესობების სიდიდე და ხასიათი, რამდენად მდგრადია საწარმოს კონკურენტული პოზიცია. პირობითად შეიძლება ვაჩვენოთ „ძველი“ ბანკების მთავარი უპირატესობები „ახლების“ მიმართ (პროცენტობით იმ რესპოდენტების მთლიანი რიცხოვნობიდან, რომელთა აზრითაც „ძველ“ ბანკებს ფუნქციონირების უკეთესი პირობები აქვთ) (ცხრ. 18.2.).

ცხრილი 18.2.

„ძველი“ ბანკების უპირატესობები „ახალ“ ბანკებთან შედარებით, %

უპირატესობები	შეხედულებით	
	ააააა ბ აააააა ააა	ააააა ბ ააააააა ააა
კლიენტებთან უფრო ხანგრძლივი ურთიერთობა	100	51
უფრო ხარისხიანი კლიენტები	89	29
უფრო კვალიფიციური სპეციალისტები	67	110
მარკეტინგული კვლევების ხარისხი	56	90
შესაძლებლობა აქვთ საწარმოო ფართის გაფართოებისა	54	61
შეღავათიანი ფარულობა საკუთარი და ნასესხები სახსრების	44	70
შეღარებით სოლიდური დამფუძნებლები	44	20
საწარმოს მხარდაჭერა გაბანკროტების შემთხვევაში	0	61

როგორც ვხედავთ, „ძველი“ ბანკების წარმომადგენლები თავიანთ მთავარ უპირატესობად მიიჩნევდნენ კლიენტურასა და კადრებს, „ახლებისა“ კი – „ძველი“ ბანკების განსაკუთრებულ დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან. მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ დროთა ვითარებაში სას-

ტარტო პირობებში არსებულმა განსხვავებებმა შეწყვიტა არსებითი როლის თამაში.

საინტერესოა ადგილობრივი ბანკების კონკურენტუნარიანობის პრობლემა საზღვარგარეთის ბანკებთან შედარებით პროტექციონისტული დაცვის აუცილებლობის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. კერძოდ, უცხოეთის ბანკებს შემდეგი უპირატესობები აქვთ: გაცილებით მეტი საკუთარი კაპიტალი, მომსახურების გაცილებით უფრო ფართო ასორტიმენტი; მომსახურების უფრო მაღალი ხარისხი; წამყვანი ბანკების გამოცდილება და სახელი.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს ბანკებს შანსები არ რჩებათ მათთან კონკურენციაში. ადგილობრივი ბანკების კონკურენტულ უპირატესობებს ეკუთვნის: ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების თავისებურებათა ცოდნა; საბანკო მომსახურების ადგილობრივი მომხმარებლების ფსიქოლოგიის გაგება; რისკისკენ მეტი მიდრეკილება; ცვალებად ეკონომიკურ პირობებთან შეგუების მაღალი დონე; მომსახურების შედარებითი სიიაფე.

18.7. ბაზარზე დაკვირვება

ანალიზი ბაზის კონიუნქტურის მდგომარეობის ერთგვარი „მომენტალური სურათია", მაგრამ ბაზრის ტენდენციების გამოსაყვლენად საკმარისი არაა ბაზრის ანალიზი სტატიკაში. ამისათვის იყენებენ ბანკების ბაზრის მარკეტინგული კვლევის სხვა ინსტრუმენტს – ბაზარზე დაკვირვებას. იგი წარმოადგენს ბაზრის სიტუაციაზე თვალყურის მუდმივად დევნებას კონიუნქტურული ცვლილებების, ბაზრის ტენდენციების და ა.შ. გამოსაყვლენად. საბანკო მომსახურების მომხმარებელთა ქონებრივი მდგომარეობის ცვლილებაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გამოვაყვლინოთ, თუ როგორია წრებრუნვის დროს წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაშტისა და დანაკლისის ზომები და პერიოდულობა, გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, თავისუფალი კაპიტალის დაბანდების შესაძლებლობა უნდა შეეთავაზოთ მოცემულ მიზნობრივ ჯგუფს თუ ნასესხები სახსრების მოზიდვისა.

საბანკო პრაქტიკა იმას ადასტურებს, რომ შინამეურნეობათა სექტორი ფინანსების სიჭარბის სექტორია (ნასესხები სახსრების მოზიდვას აქ ნაკლები მნიშვნელობა აქვს) და კაპიტალის დაბანდების მომსახურებაზე ავალენს მოთხოვნას. სამეწარმეო სექტორი, პირიქით, გამუდმებით აწყდება დაფინანსების დეფიციტის პრობლემას და აუცილებელ დაკრედიტების მომსახურების მოთხოვნას. ამიტომ ის ბანკი, რომლის კლიენტები უპირატესად კერძო პირები არიან, თავისებური „საინვესტიციო ინსტიტუტი" იქნება და მისთვის აუცილებელი გახდება მოზიდული კაპიტალის დაბანდების სექტორის მოძიება, ხოლო ის ბანკი, რომელიც ძირითადად საწარმოებს ემსახურება, იქნება „დამფინანსებელი ინსტიტუტი", რომელიც იძულებული გახდება გამოძებნოს რესურსების მოზიდვის შესაძლებლობები. პრინციპში, ფინანსური წონასწორობის აღდგენის ეს ორივე ამოცანა შეიძლება გადაწყდეს სხვა ფინანსური ინსტიტუტის ჩარევის მეშვეობით, მაგრამ ეს ხელოვნური წონასწორობა იქნება. თუკი ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ წონასწორობის ასე ხელოვნურად აღდგენასთან დაკავშირებული რისკები მიუღებელია გრძელვადიან პერსპექტივაში, მაშინ მან ისეთი საბაზრო სტრატეგია უნდა შეიმუშაოს, რომელიც მიმართული იქნება ბაზრის კომპლემენტარული სექტორის მოპოვებისკენ, ამით კი – ბუნებრივი წონასწორობის მიღწევისაკენ.

ბაზრის პროგნოზირება

ბაზრის პროგნოზირება გვეხმარება გამოვაყვლინოთ, თუ როგორია განვითარების მიმართულება, როგორ შეიცვლება ბაზარზე არსებული ვითარება. იგი არსებითად ნიადაგს უმზადებს საბანკო სტრატეგიის ფორმულირებას. შეიძლება გამოვყოთ ამ ამოცანის გადაჭრისადმი ორი მიდგომა: პროგნოზის შედგენა და სცენარის შედგენა.

პროგნოზი არის მომავლის წინასწარმეტყველება, რაც არსებულ ტენდენციებსა და ფაქტებს ეყრდნობა. არსებობს პროგნოზირების მრავალი მეთოდი, რომელთაგან გამოვყოთ შემდეგი:

1. ტრენდის (ტენდენციის) უბრალო ანალიზი. ფირმა აკეთებს გასაღების პროგნოზს

ამასწინანდელი ან მიმდინარე მაჩვენებლების საფუძველზე. მაგალითად, თუკი ბოლო ხუთი წლის მანძილზე ფირმის გასაღება წელიწადში საშუალოდ 10%-ით მატულობდა, მაშინ გაისად მისი ზრდა 10%-ით გადააჭარბებს წლევანდელ მონაცემებს, ან გარკვეული პერიოდისთვის აგებენ ინფლაციის ტემპების გრაფიკს და მისი გაგრძელების (ექსტრაპოლაციის) გზით ასდენენ ინფლაციის პროგნოზირებას უახლოეს მომავალში.

2. პროგნოზირება ბაზრის წილის საფუძველზე. თავდაპირველად ასდენენ გასაღების პროგნოზირებას მთელი დარგისათვის, შემდეგ კი ანგარიშობენ საწარმოს წილს მთელი დარგის გაყიდვათა ერთობლივ მოცულობაში; ამ დროს გულისხმობენ, რომ პროცენტული შეფარდებით ბაზრის წილი უცვლელი რჩება.

3. სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. ამას ეკუთვნის კორელაციური ანალიზი, რეგრესიული ანალიზი, დროებითი მწკრივების ანალიზი და ა.შ.

4. ალბათობათა სტანდარტული განაწილების მეთოდი, რომელიც PERT-მეთოდს ეყრდნობა (PERT-Program Evaluation and Review). თავდაპირველად ექსპერტულ შეფასებათა საფუძველზე განსაზღვრავენ სამი ტიპის პროგნოზს: ოპტიმალურს (O), ყველაზე უფრო მოსალოდნელს (M) და პესიმისტურს (P). ამის შემდეგ განსაზღვრავენ გასაღების მოსალოდნელ მნიშვნელობას, რისთვისაც იყენებენ სტანდარტულ ფორმულას:

$$E = \frac{O + 4M + P}{6}$$

მაგრამ მათემატიკური მეთოდების ბაზაზე შესრულებულ პროგნოზირებას მთელი რიგი ხარვეზები აქვს. მათგან მთავარი ისაა, რომ ეს მეთოდები ვერ ითვალისწინებენ ეკონომიკური განვითარების ფაქტორების მთელ მრავალფეროვნებას.


18.8. ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ

საბანკო მარკეტინგის სისტემის მნიშვნელოვან, მაკონსოლიდერებელ ელემენტს კონკურენტული სტრატეგიის ფორმირება წარმოადგენს.

პირველად, წარმოებასთან მიმართებაში „სტრატეგიის“ ტერმინი გამოიყენა ა. ჩანდლერმა-უმცროსმა წიგნში „სტრატეგია და სტრუქტურა“ (1962წ). შემდგომ მისი ეკონომიკური კვლევა გააგრძელა ჯ. დრაკერმა („ეფექტიანი მართვა“ – 1963წ).

ფართო აზრით, სამეწარმეო სტრატეგიაში იგულისხმება მოქმედებათა განზოგადებული მოდელი, რაც მიმართულია საწარმოს გრძელვადიან განვითარებაზე.

სტრატეგია განსაზღვრავს კომპანიის მიზნების სისტემის განსაზღვრულ დონეს. მისთვის დამახასიათებელ უამრავ ნიშანს აჯგუფენებს მიზნების პირამიდის ოთხ დონედ:



ნახ. 18.3. ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲐ

პირამიდის მიხედვით ზემოდან ქვევით სდება მიზნების კონკრეტიზაცია. სტრატეგიული მიზნები გრძელვადიანია და ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ბანკების საქმიანობის სისტემაში.

ფირმის სტრატეგიის კონცეფციამ გარკვეული ევოლუცია განიცადა, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა საკონკურენციო ბრძოლის ხასიათსა და ინტენსივობაში მომხდარ ცვლილებებს. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმეტესი საქონლის, მათ შორის – საბანკო მომსახურების, ბაზრები ავსებული არ იყო და მოთხოვნის მაღალ დონეს თავისთავად გასაგებ მოვლენად მიიჩნევდნენ. კონკურენციის ინტენსიურობა დაბალი იყო და ფირმის სტრატეგიის მთავარ პრობლემად რესურსების, უპირველეს ყოვლისა, კაპიტალის მართვა რჩებოდა. ამან პორტფელური სტრატეგიის სახელწოდება დაიმკვიდრა.

პორტფელური სტრატეგია გულისხმობს ინვესტირების მიმართულებების (სამეურნეო ობიექტების) შერჩევას, ფირმის საინვესტიციო პორტფელის ჩამოყალიბებას. ყველაზე ზოგადად ეს შემდეგ მომენტებს უკავშირდება:

- ახალ დარგებში შენაძენის შესრულება. ბანკისთვის ეს შესაძლოა იყოს ისეთი შეილობილი ფირმების შექმნა, რომლებიც მოქმედებენ საბანკო ბაზრის დარგებშიც და მის ფარგლებს გარეთაც (სადაზღვეო და საინვესტიციო კომპანიები, სხვა ფინანსური დაწესებულებები ან არაფინანსური საწარმოები);
- არსებული ქვედანაყოფების განმტკიცება შეძენათა გზით (მაგალითად, სხვა საკრედიტო დაწესებულების შთანთქმა ბანკის მიერ და მისი გადაქცევა საკუთარ ფილიალად);
- ქვედანაყოფების გაყიდვა, რომლებიც შემდგომში მათთვის უფრო შესაფერის სტრუქტურაში შეიძლება შევიდეს, მათ შორის – საბანკო ქვედანაყოფების გარდაქმნა (მაგალითად, ლიზინგის ან ფაქტორინგის განყოფილებისა – დამოუკიდებელ სპეციალიზებულ დაწესებულებად);
- რესურსების განთავსება კაპიტალისა და ხარჯების ფორმით (ბანკისათვის ეს აღნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, ბალანსის ლიკვიდობის მართვას);
- იმის რწმენის შექმნა, რომ ქვედანაყოფები სტრატეგიული მართვის ობიექტებია;
- პორტფელში არსებულ საწარმოებს შორის სინერგიზმის ეფექტის უპირატესობათა გამოყენება (ყველაზე სრულად ამ იდეის გამოყენება ხდება უნივერსალური ბანკის მოდელში. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ საკრედიტო მომსახურებისა და დეპოზიტების მიღების ურთიერთშევსება, ყოველგვარი მომსახურების საკონსულტაციო თანხლება და ა.შ.).

პორტფელური სტრატეგიის კონცეფცია მთლიანად შეესაბამებოდა გასული საუკუნის 70-იან წლებამდე გაბატონებულ ვითარებას, როდესაც კონკურენტული დაწოლა არც ისე მაღალი იყო. შემდგომში იმის კვალობაზე, რომ ეფექტიანი კონკურენციის აუცილებლობა სულ უფრო აშკარა ხდებოდა, სტრატეგიული მართვის ყურადღების ცენტრმა ინვესტიციური პორტფელიდან მაღალი კონკურენტუნარიანობის მიღწევისკენ გადაინაცვლა, სტრატეგია კი პორტფელურის ნაცვლად კონკურენტული გახდა.

კონკურენტული სტრატეგია იმ წესების ერთობლიობაა, რომლებსაც ფირმა უნდა იყენებდეს კონკურენტუნარიანობის მიღწევისა და ხანგრძლივად მისი შენარჩუნებისთვის. ეს სტრატეგია ამჟამად კომერციული ბანკის მიზნების სისტემის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. სტრატეგიულ ალტერნატივებს შორის შეუცდომლად ორიენტირებისათვის თანამედროვე ეკონომიკურმა თეორიამ და პრაქტიკამ შეიმუშავა მთელი რიგი მიდგომები სტრატეგიის ტიპების კლასიფიკაციისადმი.

18.9. ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲘᲡ ᲢᲘᲞᲝᲚᲝᲒᲘᲐ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲔᲑᲘ

ბანკის სტრატეგია მისივე მიზნების სისტემის ელემენტია (დონეა) და თვითონაც მრავალდონიან სისტემას წარმოადგენს. მაგალითად, ამერიკის ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ სამეწარმეო სტრატეგიის ოთხ დონეს: 1) კორპორაციული სტრატეგია; 2) საქმიანი სტრატეგია (საქმიანი სფეროს სტრატეგია); 3) ფუნქციონური სტრატეგია; 4) ოპერატიული სტრატეგია.

კორპორაციული სტრატეგია (corporate strategy) არის კომპანიის როგორც ერთიანი მთელის, სტრატეგია. იგი უშუალოდ „ებჯინება“ კორპორაციის მისიას და განსაზღვრავს, თუ რომელ სამეწარმეო სფეროებში (რომელ ბაზრებზე) ფუნქციონირებს კომპანია, დივერსიფიცირებულია იგი თუ ერთპროდუქტიანი, მომხმარებელთა ფართო წრეზეა ორიენტირებული თუ ვიწროზე.

საქმიან სტრატეგიას (business strategy) აბუშავებენ კომპანიაში გამოყოფილი თითოეული საქმიანი სფეროსთვის. თუკი ფირმა ერთპროდუქტიანია, მაშინ კორპორაციული და საქმიანი სტრატეგიები იდენტურია. დივერსიფიცირებულ ფირმას (მათ შორის — ბანკს) რამდენიმე საქმიანი სტრატეგია აქვს.

ფუნქციონურ სტრატეგიას (functional Strategy) განსაზღვრავენ კომპანიის თითოეული ფუნქციონური სფეროსთვის, მაგალითად, წარმოება, გასაღება, ფინანსები.

ოპერატიული სტრატეგიის (Operation Strategy) ფორმულირებას ახდენენ კომპანიის განცალკევებული ქვედანაყოფებისთვის. ფუნქციონური განყოფილებებისათვის, სამმართველოებისათვის, ფილიალებისთვის, წარმომადგენლობებისთვის და ა.შ.

სტრატეგიის ფორმულირების ეტაპზე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დონეებია კორპორაციული დონე და საქმიანი სფეროს დონე (ფუნქციონურ და ოპერატიულ დონეებს უფრო მეტად სტრატეგიის რეალიზაციის ეტაპთან აქვს კავშირი).

ბანკების კორპორაციული სტრატეგიები. პორტერის მატრიცა.

იმ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების დროს, რომლებიც ბანკების კორპორაციულ სტრატეგიას უდევს საფუძვლად, მიზანშეწონილია ვისხელმძღვანელოთ პორტერის კლასიკური კონცეფციით, რომელიც ცნობილია როგორც პორტერის ზოგადი სტრატეგიული მოდელი. პორტერმა გამოყო სამი სახის ტიპური სტრატეგია,რომლებიც კონკურენტუნარიანობის ამაღლებისკენაა მიმართული: 1) დანახარჯების შემცირებაში ლიდერობის სტრატეგია; 2) დიფერენციაციის სტრატეგია; 3) ფოკუსირების (კონცენტრაციის) სტრატეგია (ცხ.18.4).

ცხრილი 18.4

ᲞᲝᲠᲢᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲐ

მომარაგების მიზნობრივი ბაზარი	სტრატეგიული უპირატესობა	
	დაბალი დანახარჯები	პროდუქციის დიფერენციაცია
ფართო	დანახარჯების შემცირებაში ლიდერობის სტრატეგია	დიფერენციაციის სტრატეგია
ვინრო	ფოკუსირების სტრატეგია	
	დანახარჯების შემცირებაზე აქცენტით	დიფერენციაციაზე აქცენტით

პირველი სტრატეგია იმას გულისხმობს, რომ ფირმა ორიენტაციას იღებს ფართო ბაზარზე და საქონელს დიდი რაოდენობით ამზადებს. მასობრივი წარმოების დროს მას შეუძლია მოახდინოს თავისი საშუალო დანახარჯების მინიმუმირება და საქონელი გაყიდოს შედარებით იაფად. ეს შესაძლებლობას უქმნის მას, მიიღოს კონკურენტებზე მეტი მოგება, უკეთ მოახერხოს რეაგირება თვითღირებულების ზრდაზე და მოიზიდოს ფასების დონეზე ორიენტირებული მომხმარებელი. ამგვარი სტრატეგია ვარგისია სტანდარტიზებული საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე (სრულყოფილი კონკურენცია, ერთგვაროვანი ოლიგოპოლია). საბანკო საქმეში ასეთი სტრატეგია გამოდგება მოსახლეობისთვის შეთავაზებული მასობრივი მომსახურების სფეროში.

დიფერენციაციის სტრატეგია იმას აღნიშნავს, რომ ფირმას გეზი დიდ ბაზარზე აქვს აღებული და ერთგვარად უნიკალური ისეთი საქონელი გამოაქვს, რომელიც გამოირჩევა დიზაინით, ხარისხით და ა.შ. ეს მომხმარებელში აყალიბებს ისეთ არჩევანს, რომელიც ძლიერად არაა დამოკიდებული ფასზე. ასეთი სტრატეგია უმეტესობისა დიფერენცირებული საქონლის ბაზრებზე (მონოპოლისტური კონკურენცია, დიფერენცირებული ოლიგოპოლია). ბანკებმა იგი შეიძლება გამოიყენონ საწარმოებისთვის შეთავაზებული მომსახურების და მოსახლეობისთვის განკუთვნილი ინდივიდუალიზებული მომსახურების სფეროებში, ბაზარზე ახალი მომსახურების გამოტანის დროს და ა.შ.

ფოკუსირების სტრატეგია იმას გულისხმობს, რომ ფირმა თავის ყურადღებას თავს უყრის ვიწრო ბაზარზე ან ბაზრის სეგმენტზე (მყიდველთა გარკვეულ ჯგუფზე, გარკვეული სახის პროდუქციაზე ან მომსახურებაზე, გარკვეულ რეგიონზე). თუკი პირველი ორი სტრატეგიის გამოყენება პირველ რიგში უნივერსალურ ბანკებს შეუძლიათ, ეს სტრატეგია მისაღებია სპეციალიზებული საკრედიტო-ფინანსური ინსტიტუტებისთვის (მაგალითად, მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევაზე ორიენტირებული ბანკებისთვის, მსხვილი გაერთიანების „ჯიბის“ ბანკისთვის ან „ელიტარული“ კერძო ბანკისთვის.

ფოკუსირების სტრატეგიას 2 ვარიანტი აქვს. პირველის დროს ფირმა შერჩეული სეგმენტის ფარგლებში ცდილობს უპირატესობის მოპოვებას სარჯებში, მეორის დროს კი ძლიერებს პროდუქტის დიფერენციაციას და ამით ცდილობს გამოირჩეს სხვა ანალოგიურ საწარმოებს შორის.

ბანკის საქმიანი სფეროების სტრატეგია. რადგანაც ბანკების ბაზრის ძირითადი სუბიექტები — კომერციული ბანკები — დივერსიფიცირებული სამეწარმეო სტრუქტურებია, ამიტომ მათი საკონკურენციო ბრძოლის წარმატებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქმიანი სტრატეგიების კომპლექსის სწორად შერჩევას შედარებით განკერძოებული საქმიანი სფეროებისთვის (როგორიცაა დაკრედიტება, ანაბრები, საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურება და სხვა). ბანკის მიერ თავისი საქმიანი სტრატეგიის განსაზღვრის დროს შეგვიძლია გამოვიყენოთ მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის მიერ უკვე შემუშავებული მიდგომები. მათი უმრავლესობა ეყრდნობა ორგანზომილებიანი მატრიცების აგებას, რომელთა თითოეულ სექტორს გარკვეული ტიპური სტრატეგია შეესაბამება.

საქმიანი სფეროსთვის ყველაზე უფრო ზოგადი სტრატეგიული ალტერნატივებია ზრდა და შემცირება. ამჟამად ჩვენში უფრო ზრდის სტრატეგიას მიმართავენ, რომელსაც ახასიათებს მოკლე — და გრძელვადიანი მიზნების დონის მეტობა წინა პერიოდების მაჩვენებლების დონეზე.

ზრდის სტრატეგიის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ი. ანსოფის მატრიცა „საქონელი-ბაზრები“ გულისხმობს გასაღების შენარჩუნებასა ან ზრდის ოთხ ალტერნატიულ სტრატეგიას: ბაზარზე შეღწევა; ბაზრის განვითარება; საქონლის დამუშავება; დივერსიფიკაცია (ცხრ. 18.5).

ბაზარზე შეღწევის სტრატეგია იმას გულისხმობს, რომ ბანკი იმავე პროდუქტით (მომსახურებით) შედის უკვე არსებულ ბაზარზე, რაც მის კონკურენტებს აქვთ. ეს სტრატეგია მისაღებია მაშინ, თუკი მიზნობრივი ბაზარი იზრდება ან ჯერ კიდევ არ გაჯერებულა. შესაძლებელია ამ სტრატეგიის სამი ვარიანტი: გამოყენების არსებული მასშტაბების გადიდება (rate of usage); კონკურენტების კლიენტების გადმობირება; ახალი კლიენტების მოზიდვა.

ცხრილი 18.5.

ი. ანსოფის მატრიცა

საქონელი \ ბაზრები	ძველი	ახალი
ძველი	ბაზარზე შეღწევა	ბაზრის განვითარება
ახალი	საქონლის დამუშავება	დივერსიფიკაცია

გამოყენების მასშტაბების გადიდებას ფართოდ იყენებენ, უპირველეს ყოვლისა, სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებლები. მისი გამოყენება ბანკებსაც შეუძლიათ. მაგალითად, როდესაც აშშ-ში პირველად შემოიღეს ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშები, ბანკების უმრავლესობამ თავიანთ ძალისხმევას თავი მოუყარა მაღალი შემოსავლების მქონე პირებზე, რადგან სწორედ მათ შეეძლოთ ყველაზე მეტი თანხების შეტანა ამ ანგარიშებზე. ასეთი „მოსავლიანი" მოთხოვნის ამოწურვის შემდეგ ბანკები სხვა სეგმენტებზე გადაერთვნენ და თან მცდელობას არ აკლებდნენ ამ ანგარიშების გამოყენების მასშტაბების გადიდებას.

კლიენტების გადმობირების დროს ყველაზე მეტ აქტიობას ავლენენ ახლად შექმნილი საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები, რომლებიც იყენებენ როგორც პატიოსან (რეკლამა, საზოგადოებრიობასთან მუშაობა), ისე სრულიად უსინდისო მეთოდებს (კონკურენტების შესახებ უარყოფითი ინფორმაციის გავრცელება).

ახალი კლიენტების მოზიდვის ძირითადი საშუალებაა რეკლამა. მეორე მაგალითია საბანკო მომსახურების ჯვარედინად გაყიდვა, როდესაც ბანკში ერთი რომელიმე მომსახურებისთვის მოსულ კლიენტს სხვა მომსახურებითაც დააინტერესებენ. აშშ-ში ამას ფართოდ იყენებენ სატრასტო მომსახურებისათვის.

ბაზრის განვითარების სტრატეგია იმას ნიშნავს, რომ ბანკი ცდილობს გასაღების ბაზრის გაფართოებას ახალი ბაზრების ან სეგმენტების შექმნის გზით. ამ სტრატეგიის გამოყენებაში შეგვიძლია გამოვყოთ: ა) საბანკო პროდუქტების გამოყენების ახალი სფეროების გამოვლენა; ბ) არსებული პროდუქტებისთვის გზის გაკაფვა ბაზრის ახალ სეგმენტებში; გ) გეოგრაფიული ექსპანსია. ამ სტრატეგიას, უპირველეს ყოვლისა, იმ შემთხვევებში იყენებენ, როდესაც უკვე კარგად ცნობილი პროდუქტისთვის (მომსახურებისთვის) გამოვლინდება გამოყენების ახალი სფეროები და მის შეძენას მომხმარებელთა ახალი ჯგუფები იწყებენ. ასეთი იყო მოსახლეობისთვის იმ მომსახურებათა შეთავაზება ბანკების კომერციალიზაციის პერიოდში, რომლებითაც წინათ მხოლოდ საწარმოებს ემსახურებოდნენ. ბანკებმა, ასევე, შეიძლება სცადონ უკვე ცნობილი მომსახურების გამოყენება ახალი მიმართულებით. ასე იქცევიან დასავლეთის ბანკები, როდესაც შემოაქვთ და დიდ რეკლამას უწევენ სამოხმარებლო კრედიტის ახალ მიმართულებებს: ბინის, ავტომობილის ან ტურისტული საგზურის შესაძენ კრედიტს. ამით ბანკი ირიბად მოქმედებს მოთხოვნაზე და იზიდავს ახალ კლიენტებს.

ბაზრის განვითარების სტრატეგია შეიძლება განხორციელდეს არსებული პროდუქტების შეტანით ბაზრის ახალ სეგმენტებში. ეს მაშინ მოხდება, თუკი ახლად შემოტანილი პროდუქტი კარგად იყო მიღებული თავდაპირველად განზრახულ მიზნობრივ ბაზრებზე. მაგალითად, თავიდან შეძლებულ მომხმარებლებზე გათვლილი მომსახურება (პლასტიკური ბარათები) ბანკებმა თანდათან შესთავაზეს უფრო დაბალი შემოსავლების მქონე მიზნობრივ ჯგუფებსაც. ეს ვარიანტი

აქტუალურია მაშინაც, როდესაც ცხოვრების სტილის ან დემოგრაფიული ფაქტორების შეცვლის გამო ჩნდება პრინციპულად ახალი სეგმენტები (ცხრ. 18.6)

ცხრილი 18.6

მატრიცა „საქონელი – საბაზრო განსაზღვრულობა“

საქონელი \ ბაზრები	არსებული	ახალი, მაგრამ არსებულთან დაკავშირებული	სრულიად ახალი
ამჟამად შემოთავაზებული	90	60	30
ახალი, მაგრამ შემოთავაზებულთან დაკავშირებული	60	40	20
სრულიად ახალი	30	20	10

წინათ გეოგრაფიული ექსპანსია ხორციელდებოდა ახალი ფილიალების, წარმომადგენლობების, მოშორებული სამუშაო ადგილებისა და შვილობილი კომპანიების გახსნის გზით. ამჟამად ახალ ბაზრებზე გასვლის გზად იქცა საბანკო ავტომატებისა და ტელეკომუნიკაციური ტექნიკის გამოყენება.

ახალი საქონლის დამუშავების სტრატეგია ხორციელდება პრინციპულად ახალი საქონლისა და მომსახურების დამუშავების, უფრო ხშირად კი – უკვე არსებულის მოდიფიკაციისა და ძველ ბაზრებზე მათი რეალიზაციის გზით. ამ სტრატეგიას ბანკები უფრო ხშირად მიმართავენ არაფასისმიერი კონკურენციის ბატონობის პირობებში, როდესაც პირველ პლანზე ხარისხობრივი პარამეტრებია წამოწეული. ამ სტრატეგიის ვარიანტებია: 1) არსებული მომსახურების მოდიფიცირება; 2) მომსახურების ხარისხის დიფერენცირება; 3) ახალი მომსახურების შექმნა.

მოდიფიცირება ისეთი სტრატეგიაა, როდესაც ბანკები მომხმარებელს სთავაზობენ სხვადასხვა ნომინალის მქონე დეპოზიტურ სერტიფიკატებს (და განსხვავებული ვადების, თანხების და ა.შ. მქონე ანაბრებს) ისე, რომ მათზე სხვადასხვა დონის შემოსავლების მქონე მომხმარებლებს მიუწვდებოდეთ ხელი.

ხარისხის დიფერენცირება იმას გულისხმობს, რომ ერთსა და იმავე მომსახურებას სხვადასხვა ხარისხით შეიძლება სთავაზობდნენ სხვადასხვა ბაზარს და, ბუნებრივია, ფასებიც ამ დროს განსხვავებული იქნება. ამის მაგალითია ჩეულებრივი პლასტიკური ბარათები და მათი პრესტიჟული („ოქროს“, „პლატინის“) ანალოგები, ტრადიციული და გასელითი საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურება („ლუქსის“ კლასის).

ახალი მომსახურების შექმნაში (საბინო ინოვაციებში) შეგვიძლია გამოვყოთ სამი სახეობა: 1) ადაპტური ინოვაცია; 2) ფუნქციონური ინოვაცია; 3) ფუნდამენტური ინოვაცია. პირველი ყველაზე იოლია და გულისხმობს არსებული პროდუქტის ან მომსახურების მინიმალურად შეცვლას, რაც ცვლილებებს არ იწვევს მომხმარებლის ქცევაში. ეს ყველაზე იოლია კონკურენტების კოპირების თვალსაზრისითაც. ამის მაგალითი შეიძლება იყოს მომხმარებლისთვის უკვე ცნობილ საბანკო მომსახურებათა ურთიერთდაკავშირებული პაკეტების ფორმირება: ფუნქციონური ინოვაციის დროს პროდუქტი ინარჩუნებს ფუნქციას, მაგრამ იცვლება მისი რეალიზაციის ხასიათი. მომხმარებლები ახლებურად (უკეთესად) იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს. ამიტომ საჭირო ხდება მომხმარებელთა ჩვევების შეცვლა. უცხოეთში თავის დროზე ასეთი იყო ფოსტით მომსახურება და საბანკო ავტომატების გამოყენება; ფუნდამენტური ინოვაციის დროს ხორციელდება ახალი კონცეფცია ან იდეა და შექმნილი პროდუქტი აბსოლუტურად ახალია. ჩვენთან

ასეთი იყო პლასტიკური ბარათები, ინდივიდუალური სეიფების შეთავაზება და სხვა, რომლებიც საზღვარგარეთიდან გადმოიღეს.

დივერსიფიკაციის სტრატეგია იმას ნიშნავს, რომ ბანკს სურს მისთვის ახალ ბაზრებზე გასვლა და ამისთვის საკუთარ ასორტიმენტში შეაქვს ახალი სახის მომსახურება. ამით ბანკი თავს აღწევს ერთ პროდუქტზე ან ერთ ასორტიმენტულ ჯგუფზე მეტისმეტად დამოკიდებულებას. ამ სტრატეგიის გამოყენება განაპირობებს საქმიანობის უნივერსალიზაციას, განსხვავებულ საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებს შორის ზღვარის წაშლას და ფინანსური კონგლომერატების წარმოქმნას.

შემცირების სტრატეგია. ეს ნაკლებად პოპულარული სტრატეგიაა, რომლის დროსაც მი'ნების დონეს წინათ მიღწეულზე ქვემოთ აწევებენ. ამ შემთხვევაშიც რამდენიმე ვარიანტია: ლიკვიდაცია; ზედმეტის ჩამოჭრა (მოსახლეობის მომსახურებაზე უარის თქმა, ფაქტორინგის ან ლიზინგის განყოფილების დახურვა და ა.შ.); ორიენტაციის შეცვლა. შემცირების სტრატეგიას ყველაზე ხშირად მაშინ მიმართავენ, როცა კომპანიის საქმიანობის მაჩვენებლები სისტემატურად უარესდება, ეკონომიკური დაქვეითებაა ან მკვეთრად იცვლება კონიუნქტურა. ბანკებს ახასიათებს ზრდისა და შემცირების სტრატეგიების შეხამება, როდესაც ერთი მიმართულებით ზრდაა, მეორით კი — შემცირება.

პორტფელური ანალიზის კონცეფცია. ერთ-ერთი ასეთი კლასიკური კონცეფციაა ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის საყოველთაოდ ცნობილი მატრიცა, რომელშიც ფირმის მთელი საქონელი ოთხ ჯგუფადაა დაყოფილი: 1) „ვარსკვლავი"; 2) „მეწველი ძროხა"; 3) „კითხვის ნი'შანი"; 4) „ძაღლი" (ცხრ. 18.7). რადგან საბანკო ასორტიმენტი საკმაოდ ფართოა, მიზანშეწონილია მისი გაანალიზება აღნიშნული მატრიცის მეშვეობით და იმის გამოვლენა, თუ რომელი მომსახურება შეიძლება ასრულებდეს „მეწველი ძროხის" ფუნქციას და „კითხვის ნიშნებიდან" რომელს შეუძლია „ვარსკვლავად" გადაქცევა. ცხადია, პირველ როლს ყველაზე მეტად შეესაბამება ტრადიციული საბანკო მომსახურება, მეორეს კი — ფინანსური ინოვაციები.

ცხრილი 18.7

ბოსტონის ჯგუფის მატრიცა

ბაზარზე შედარებითი წილი / დარგის ზრდის ტემპი	მაღალი	დაბალი
მაღლები	„ვარსკვლავი"	„რთული ბავშვი"
დაბლები	„მეწველი ძროხა"	„ძაღლი"

ბანკის მენეჯერი უნდა ცდილობდეს ბალანსის დაცვას პორტფელში ნაღდი სახსრების „მწარმოებლებსა" („მეწველი ძროხა" და, ნაწილობრივ, „ძაღლი") და ამ სახსრების „მომხმარებლებს" („ვარსკვლავი", „კითხვის ნიშანი") შორის, აგრეთვე, აკონტროლებდეს დროთა განმავლობაში პროდუქტების გადანაცვლებას მატრიცაში.

ბოსტონის კონცეფციის ნაკლია „მაღალ" და „დაბალ" მაჩვენებლებს შორის საზღვრის გავლების სიძნელე. ზოგიერთ ქვედანაყოფს ან პროდუქტს შესაძლოა შუალედური მდგომარეობა ეკავოს, რაც ართულებს სტრატეგიის შერჩევას. ამიტომ არსებობს გაუმჯობესებული მატრიცა „ჯენერალ ელექტრიკი", რომელშიც საშუალო მაჩვენებლებიცაა გამოყოფილი. ორივე მათგანის

ერთად გამოყენება იმის განსაზღვრაში ეხმარება ბანკს, თუ რომელი საქმიანი სფეროების მიმართ უნდა ირჩევდნენ ზრდის სტრატეგიას, ხოლო რომლის მიმართ შემცირების სტრატეგიას. ამ მატრიცების საფუძველზე შესაძლებელია არა მარტო მიმდინარე, არამედ მომავალი სტრატეგიების განსაზღვრაც, თუკი ცნობილია ერთი კეადრატიდან მეორეში საქმიანი სფეროების გადანაცვლების კანონზომიერებები. ამის შესაძლებლობას გვაძლევს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია.

პორტფელურ მიდგომას საფუძვლად უდევს დებულება იმის შესახებ, რომ ნებისმიერი საბანკო პროდუქტი წარმოქმნის მომენტიდან მოყოლებული გადის განვითარების რამდენიმე სტადიას. მათგან მთავარია ოთხი: 1) შესვლის სტადია (introductory Stage); 2) ზრდის სტადია (groqth Stage); 3) სიმწიფის სტადია (maturity Stage) და 4) დაქვეითების სტადია (decling Stage). ჩვენთან შესვლის სტადიაში იმყოფება პლასტიკური ბარათები (ყოველ შემთხვევაში – პროვინციულ ბაზრებზე მაინც). ამ შემთხვევაში ბანკები ცდილობენ, თვითონ არ იყვნენ პირველები და ისეთი პროდუქტები დანერგონ, რომლებმაც უკვე მოისვეჭეს სახელი. ზრდის სტადიაზე კონკურენცია ძლიერდება, რადგან ფინანსური ბაზრის სხვა ინსტიტუტებიც ცდილობენ, წარმოებული პროდუქტით შეავსონ თავიანთი ასორტიმენტი. იცვლება კომუნიკაციური პოლიტიკის მიზნებიც: რაკი პროდუქტი უკვე ცნობილია, აქცენტს ახლა იმაზე აკეთებენ, რომ მას აღეილად ცნობდეს მომხმარებელი, ხდებოდეს საკუთარი პროდუქტის დიეერსიფიცირება სხვა ბანკების ანალოგიური პროდუქტებისგან. შესაძლებელია პროდუქტის მოდიფიცირებაც მოთხოვნებთან მისი მეტი შესაბამისობის მიზნით. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან საბანკო პროდუქტების უმრავლესობა ზრდის სტადიაზე იმყოფება. სიმწიფის სტადიაში ამჟამად შესულია აშშ-ის მრავალი ბაზრის საშემნაველო ანგარიშები. მათი მომგებიანობის გასადიდებლად ბანკები მიმართავენ მომსახურების ფასის აწევას თანხის შემცირების შემთხვევაში მინიმალურ დონეზე ქვემოთ, აწესებენ ანაბრის მინიმალურ სიდიდეს. დაქვეითების სტადიაზე გადასული პროდუქტის მიმართ ბანკის ამოცანაა მისი ჯერ კიდევ დარჩენილი პოტენციალის „გამოწურვა“ და ამ პროდუქტის ამოღება ასორტიმენტიდან.

საბანკო მომსახურების დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ამა თუ იმ ბაზარზე დამოკიდებულებით შესაძლოა ესა თუ ის მომსახურება სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიაზე იმყოფებოდეს. განსხვავებული შეიძლება იყოს სხვადასხვა პროდუქტების ცალკეული სტადიების ხანგრძლივობებიც. ამ პროდუქტების გასაღების შედეგები სხვადასხვაა, რაც ბანკების მენეჯერებს უბიძგებს, განსხვავებული გადაწყვეტილებები მიიღონ საბაზრო პირობების ცვლილებათა პასუხად (ცხრ. 18.8).

ცხრილი 18.8

მატრიცა „ბაზრის მიმზიდველობა – საქონლის კონკურენტუნარიანობა“

საქონლის კონკურენტუნარიანობა / ბაზრის მიმზიდველობა	მაღალი	საშუალო	დაბალი
მაღალი	დანყებითი სტრატეგია	დანყებითი სტრატეგია	სელექციური სტრატეგია
საშუალო	დანყებითი სტრატეგია	სელექციური სტრატეგია	დეზსაინვეს–ტიციო სტრატეგია
დაბალი	სელექციური სტრატეგია	დეზსაინვეს–ტიციო სტრატეგია	დეზსაინვეს–ტიციო სტრატეგია

ამგვარად, კონკურენტული სტრატეგიის შემუშავების საქმეში პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის კონცეფციის სარგებლობა ისაა, რომ ბანკის მენეჯერებს უკარნახოს ახალი პროდუქტების დამუშავების აუცილებლობა ყალჩაგასული პროდუქტების სანაცვლოდ, რაც ეხმარება მათ გასაღების სტაბილური მოცულობისა და მოგების დონის უზრუნველყოფაში.

შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სტრატეგიის ფორმულირება, ყველაზე უფრო ფართო გაგებით, დაიყვანება მიზნობრივი ბაზრისა და კონკურენციის მეთოდების განსაზღვრაზე მთლიანად ბანკისთვის, აგრეთვე ცალკეული საქმიანი სფეროების ოპტიმალური დინამიკის განსაზღვრაზე.

18.10. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ

სასაქონლო პოლიტიკა. სასაქონლო პოლიტიკა (საბანკო პროდუქტის დაგეგმვა) მდგომარეობს გასაწევი მომსახურების ხასიათისა და ასორტიმენტის (ასორტიმენტული პოლიტიკა), მისი ხარისხისა (ხარისხის პოლიტიკა) და მიწოდების მოცულობის (მოცულობის პოლიტიკა) განსაზღვრასა და შეცვლაში.

ასორტიმენტული პოლიტიკის ორი წამყვანი ამოცანაა საბაზო და მიმდინარე ასორტიმენტის ფორმირება.

საბაზო ასორტიმენტის სტრუქტურის შესახებ გადაწყვეტილებას ბანკი იღებს ჯერ კიდევ მისი შექმნის ეტაპზე. ასორტიმენტი შეიძლება იყოს ვიწრო (სპეციალიზებული საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი) ან ფართო (უნივერსალური ბანკი), რომელთაც თავ-თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები აქვს. ვიწრო ასორტიმენტის უპირატესობებია – მომსახურების განსაკუთრებული ხარისხი და ბარჯებზე გაწეული ეკონომია, მთავარი ნაკლოვანება კი – შედარებით ვიწრო საბაზრო სექტორში არსებულ კონიუნქტურაზე დამოკიდებულება და, ამის გამო, მნიშვნელოვანი საშეწარმეო რისკი; ფართო ასორტიმენტის უპირატესობებია მიმზიდველობა როგორც კლიენტის, ისე ბანკისათვის, ბანკის სიმძლავრეების თანაბარი დატვირთვა, გაწონასწორებული ფასწარმოქმნის შესაძლებლობა, სამეწარმეო რისკის გაბნევა.

ბოლო 20 წლის მანძილზე ასორტიმენტის ცვლილება მარკეტინგ-მიქსის ერთ-ერთი წამყვანი ინსტრუმენტი გახდა და განვითარებული ქვეყნების ბანკები ამჟამად 300-ზე მეტი სახის მომსახურებას უწევენ თავიანთ კლიენტებს. ამასთან, მიმდინარე ასორტიმენტი, არსებითად, ყოველდღიურად იცვლება, რაც არ არღვევს მის საბაზო მიმართულებას. მიმდინარე ასორტიმენტის ამგვარ ცვლილებას მოქნილი ასორტიმენტის პოლიტიკა შეგვიძლია ვუწოდოთ.

ბანკების ასორტიმენტულ პოლიტიკას ბოლო ათწლეულებში შემდეგი თავისებურებები ახასიათებს: ჯერ ერთი, პრაქტიკულად უკვე ამოწურულია მომსახურებათა ასორტიმენტი ყველა მიზნობრივი ჯგუფის მიხედვით, რის გამოც არსებით ასორტიმენტულ ინოვაციებს უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდოთ. უფრო მეტიც, პერსპექტივაში ასორტიმენტი შესაძლოა შემცირდეს კიდეც.

მეორე, დანახარჯების ზრდამ გამოიწვია მიმდინარე ასორტიმენტის პოლიტიკის აშკარად გაორსტული ორიენტაცია რენტაბელობის ამაღლებაზე, რაც ელინდება დანახარჯების შემცირებით ან ამონაგების გადიდებით. დანახარჯების შემცირების ღონისძიებებია: „ბარჯტევად“ მომსახურებაზე უარის თქმა (ინდივიდუალიზებული მომსახურების შეცვლა სტანდარტიზებულით); ირიბი ასორტიმენტის პოლიტიკა – მომსახურების გაწევა სხვა საკრედიტო ინსტიტუტის მეშვეობით (მაგალითად, კონსორციული კრედიტის გაცემა). ამონაგების გადიდების ღონისძიებებია: დამატებითი მომსახურების გაწევა არსებული რესურსების უფრო სრულად გამოყენებით (მაგალითად, კომპიუტერის გამოყენებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა); ირიბი ასორტიმენტის პოლიტიკა შეიცავობილი დაწესებულებების ჩართვით (მაგალითად, სალიზინგო მომსახურება იმ სალიზინგო კომპანიის მონაწილეობით, რომელშიც ბანკს აქციების პაკეტი აქვს).

მესამე, ურთიერთშემავსებელ მომსახურებათა გაერთიანება „პაკეტებად“ (packaging). ხშირია შემთხვევები, როდესაც მათზე პასუხს აგებს ე.წ. პერსონალური ბანკირი, რომელიც მოცემულ კლიენტს ემსახურება.

მეოთხე, ე.წ. გადაჯვარედინებული გაყიდვა (cross-selling), რომლის დროსაც შემთხვევითი კლიენტი მუდმივ კლიენტად შეიძლება აქციონ, თუკი მას მრავალი მომსახურების მიღების სურვილს აღუძრავენ.

ამგვარად, საკრედიტო-ფინანსური ინსტიტუტის ასორტიმენტული პოლიტიკა გულისხმობს ასორტიმენტის ფართო ან ვიწრო საბაზო ფარგლების განსაზღვრას და მისი შესრულების გამუდმებულ კონტროლს.

ხარისხის პოლიტიკა. ამერიკელ ეკონომისტთა კელეის მონაცემების თანახმად, თავაზიანი და კვალიფიციური მომსახურება მომხმარებლების მიერ ბანკის შერჩევის მთავარი კრიტერიუმია. გერმანიაში ჩატარებული გამოკითხვა ადასტურებს, რომ მომხმარებელთა 20%-მა მათი მომსახურე ბანკის შეცვლის მიზეზად მომსახურების არადამაკმაყოფილებელი ხარისხი დაასახელა. ამის მიუხედავად, ერთიანი არაა აზრი იმის თაობაზე, თუ რას უნდა ეწოდოთ საბანკო მომსახურების ხარისხი. მაგალითად, ამერიკის ეკონომიკურ ლიტერატურაში იგი დიდხანს იყო გაიგივებული თავაზიან მომსახურებასთან (courtesy), შემდეგ კი გაჩნდა სხვა მოსაზრებებიც. კერძოდ, გამოყოფენ ხარისხის პრობლემის ორ ასპექტს, ამასთან დაკავშირებით კი – ხარისხის კრიტერიუმების ორ სისტემას: ბანკისა და მომხმარებლის პოზიციიდან. პირველი აერთიანებს შიდა სამუშაო პროცესების სისწრაფეს, შეცდომების გასწორების სარჯებს, სამუშაო პროცესების ეფექტიანობას, მუშაკთა მოტივაციის დონეს, შრომის ნაყოფიერებას, საკრედიტო რისკის დონეს მომსახურების სარჯების მიმართ; კლიენტის თვალსაზრისით, ხარისხის კრიტერიუმებია, მომსახურების სისწრაფე, ოპერაციების განსორციელების ვადიანობა, შეცდომებისა და უზუსტობების რაოდენობა, ბანკის მუშაობის საათები და ა.შ. ყოველივე ამას მომხმარებლები უდარებენ ფასებს.

საბანკო კონკურენციის გაძლიერების პირობებში წამყვანი მნიშვნელობა კლიენტების თვალსაზრისს ენიჭება. ბანკების მენეჯერებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ იმაზე, თუ რას აქვს მნიშვნელობა კლიენტისთვის.

აღსანიშნავია, რომ საბანკო მომსახურების ხარისხის მართვის სისტემა სტანდარტიზაციისა და ხარისხის ორგანოების რეგულირების საგანია. ISO-s (International Standard Organization) საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ყოველ მომსახურებას უნდა ჰქონდეს ისეთი მკაფიო მახასიათებლები (პარამეტრები), რომ შესაძლებელი იყოს მათზე დაკვირვება და შეფასება. ასეთი პარამეტრებია: საიმედოობა, სიზუსტე, ტექნოლოგიური ციკლის დრო, თავაზიანობა, კომპეტენტურობა, ნდობა, კომფორტი და სხვა.

ხარისხის მიმართ ყოველი ბანკის დამოკიდებულება მის კორპორაციულ სტრატეგიაზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუ ბანკი ესწრაფვის ლიდერობას დანახარჯების შემცირებაში, მაშინ მომსახურების ხარისხის ამაღლება მისთვის შესაძლოა ხარჯების მომატების არასასურველი ფაქტორი იყოს. მაგრამ თანამედროვე ბანკების უმრავლესობა დიფერენციაციის სტრატეგიას იყენებს, რაც ხარისხისადმი მომეტებულ ყურადღებას მოითხოვს. ზოგიერთი ბანკი „ხარისხის ტოტალური მართვის" (total juality management) პრინციპების დანერგვასაც კი ცდილობს,როდესაც ბანკის მთელი საქმიანობა კლიენტების საჭიროებათა უზადოდ დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს.

საზღვარგარეთის ბანკები ასევე ფართოდ მიმართავენ ერთტიპიური მომსახურების ხარისხის დიფერენცირებას ფასზე დამოკიდებულებით (ჩვეულებრივი და ექსკლუზიური ანგარიშები) მიზნობრივ კლიენტურაზე დამოკიდებულებით (მასობრივი და ინდივიდუალური მომსახურება), გასაღების არხებზე დამოკიდებულებით (მომსახურება ავტომატების მეშვეობით, ბანკის განყოფილებაში, საკონსულტაციო ცენტრში) და ა.შ.

მოცულობის პოლიტიკა. კომერციული ბანკის მოცულობის პოლიტიკის მიზანია ფასზე გაცვლების მოხდენა საბანკო პროდუქტების მოცულობის მეშვეობით. მისი ღონისძიებების (მაგალითად, ხელოვნურად შექმნილი დეფიციტის) შედეგი შეიძლება გახდეს მოთხოვნის ხელოვნურად გადიდება და ფასების სასურველი აწევა. თუმცა. რადგან ცალკეული საკრედიტო ინსტიტუტის

გავლენა ფინანსური ბაზრის მთავარი პროდუქტის – ფულადი სახსრების – მიწოდებაზე უაღრესად შეზღუდულია, ამიტომ მოცულობის პოლიტიკას კომერციული ანკისათვის ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ასორტიმენტულ პოლიტიკას.

ბანკის ფასების პოლიტიკა. ბანკის ფასების პოლიტიკა გულისხმობს სხვადასხვა საბანკო პროდუქტზე ფასების დაწესებას და მათ შეცვლას საბაზრო ვითარების შეცვლის შესაბამისად. მისი ობიექტებია: საპროცენტო განაკვეთები, ტარიფები, საკომისიოები, ბონიფიკაციები (პრემიები), შეღავათები, აგრეთვე ანაბრის მინიმალური ზომა. ტრადიციულად, მიაჩნიათ, რომ ფასი მომხმარებლის ქცევის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია. მას დღესაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საკონკურენციო ბრძოლაში არაფასისმიერი კონკურენციის როლის მატების ტენდენციის მიუხედავად.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ საბანკო ფასწარმოქმნის სამ ძირითად მიდგომას: 1) დანახარჯებზე ორიენტირებულს; 2) ბაზარზე ორიენტირებულს; 3) მიზნობრივს.

ფასების პოლიტიკის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანი ნებისმიერი ბანკისათვის არის მოგების მაქსიმიზაცია. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა დანახარჯების სიდიდისა და სტრუქტურის ცოდნა. დანახარჯების საფუძველზე ფასწარმოქმნა გულისხმობს, რომ ბანკი ჯერ ითვლის თავის ხარჯებს და არკვევს მათ დამოკიდებულებას გაწეული მომსახურების მოცულობაზე, შემდეგ კი მომსახურების გასაღების ფასს და მოცულობას იმგვარად ადგენს, რომ ამონაგები ფარავდეს ხარჯებს და უზრუნველყოფდეს საჭირო მოგებას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბანკო დანახარჯების რთული სტრუქტურის გამო, ბანკების უმრავლესობას უძნელდება კონკრეტულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების ზუსტად განსაზღვრა. შეგვიძლია გამოვყოთ ფასების დადგენის რამდენიმე მეთოდი. მათგან ყველაზე ტრადიციულია ქვაბის მეთოდი. ამ დროს ბანკი არ ახდენს ყოველი კონკრეტული გარიგების კალკულაციას. აღრიცხავს მხოლოდ საერთო ხარჯებს და ადგენს ყოველი სახის მომსახურების გასაშუალოებულ საბაზო ფასს იმ ანგარიშით, რომ ფასმა გადაფაროს ეს საშუალო ხარჯები და მასში შედიოდეს სასურველი მოგება.

მეორე მეთოდია დიფერენცირებული ფასწარმოქმნა, რომლის მიხედვითაც ხდება ყოველი კონკრეტული გარიგების საბაზო ფასის კორექტირება, ამის შედეგად მიმდინარეობს ერთი და იმავე მომსახურების ფასების დიფერენცირება. ამის მაგალითია კრედიტზე პროცენტის დადგენა, რომლის კრიტერიუმებია:

- კონკრეტული მსესხებლის საკრედიტო რისკი;
- დაკრედიტების ვადა (გრძელვადიან კრედიტზე განაკვეთი უფრო მაღალია);
- მსესხებლის ხასიათი (ძუძმიე და საიმედო კლიენტებს შესაძლოა დაუწესდეს შეღავათიანი განაკვეთები).

ბანკის გასაღების პოლიტიკა. კომერციული ბანკის გასაღების პოლიტიკამ (საქონელმოძრაობამ) უნდა განაპირობოს საქონლის დაყვანა პოტენციურ მყიდველამდე. მასში ორი ასპექტი შეგვიძლია გამოვყოთ: სივრცობრივი (გასაღების ადგილისა და არხების შერჩევა) და დროითი (მუშაობის საათებისა და მომსახურების ვადების დაწესება).

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში დღეს ჩამოყალიბებულია საკრედიტო ინსტიტუტებისა და მათი ფილიალების მეტად ხშირი და მძლავრი ქსელი. მაგალითად, ბელგიაში ყოველ 968 მცხოვრებზე ბანკის ერთი განყოფილება მოდის. ძნელია იმის თქმა, ეტალონური უნდა იყოს ეს თუ არა. ბოლო დროს ევროპის საბანკო წრეებში ხშირად საუბრობენ საბანკო ქსელის ზედმეტი სიხშირის პრობლემაზე (overbanking). გასაღების ქსელის ორგანიზაცია არა მარტო მომხმარებელთა რაც შეიძლება ფართო წრეზე უნდა იყოს ორიენტირებული, არამედ ბანკების სიმძლავრეების რაციონალურად გამოყენებაზეც.

საზღვარგარეთის კომერციული ბანკების გასაღების ქსელს რამდენიმე მიმართულებით აგებენ:

• საბანკო ავტომატები, რომლებიც მომხმარებელთან რაც შეიძლება ახლოსაა დადგმული. მოდერნული კაშხირის პირობებში ისიც კია შესაძლებელი, რომ მომსახურების ადგილი იყოს არა ბანკის განყოფილება (branch banking). არამედ კომპიუტერთან დადგმული საყარძელი (home banking);

• გადასატანი საბანკო განყოფილებები უმარტივესი მომსახურების ჩასატარებლად (ანგარიშსწორება, ვალუტის გაცვლა, მცირე კრედიტები);

• სათაო განყოფილებები ქალაქის საქმიან ნაწილში, რომლებიც მომსახურების მთელ სპექტრს ახორციელებს.

რაც შეეხება გასაღების არხების შერჩევას, ბანკები იყენებენ პირდაპირი გასაღების მეთოდს, რომლის დროსაც საბანკო მომსახურების გამყიდველი (საკრედიტო ინსტიტუტი) და მყიდველი უშუალო კონტაქტს ამყარებენ ერთმანეთთან. თუმცა შუამავლების მეშვეობით გასაღება მთლიანად გამორიცხული არაა. ასეთი ურთიერთობები ხშირად ჩნდება ერთი საბანკო კაშხირის წევრებს შორის. ბანკები ხშირად იყენებენ, აგრეთვე, დეცენტრალიზებულ გასაღებას თაიისუფალი პროფესიების წარმომადგენელთა, დამოუკიდებელი შუამავლების, ბითუმად მოვაჭრეთა და ა.შ. მონაწილეობით.

საბანკო გასაღების დროითი პარამეტრები. რადგან საბანკო მომსახურების შენახვა შეუძლებელია, ამიტომ ბანკები მას ახორციელებენ, როგორც წესი, დღის განმავლობაში. გამონაკლისია საკრედიტო ოპერაციები. მათი გაცემის სარისკოობის გამო კრედიტის გაცემას წინ უძღვის მსესხებლის კრედიტუნარიანობის შემოწმება, ზოგჯერ კი საკითხის შეთანხმება საბანკო იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე. ამ შემთხვევაში საკრედიტო განაცხადის წარდგენიდან კრედიტის გაცემამდე შესაძლოა რამდენიმე დღე გაიაედს. მაგრამ ეს ტიპური ვითარება არაა და საბანკო გასაღების ძირითადი ცვალებადი დროითი პარამეტრი ბანკის განყოფილების მუშაობის საათებია.

კონკურენციის მიუხედავად, ევროპის საკრედიტო ინსტიტუტების უმრავლესობას მუშაობის თითქმის ერთნაირი საათები აქვს, რაც, კერძოდ, პროფკავშირების გაელენით ხდება. ეს დროა 8.30 – 16.00, ზოგჯერ სადილზე შესვენებით, შაბათი და კვირა კი დასვენების დღეებია. დასაქმებული მოქალაქეებისთვის ეს მოუხერხებელი გრაფიკია. ამიტომ თუ ბანკის თანამშრომლებთან შეთანხმებით მოხერხდება მუშაობის საათების გახანგრძლივება, ამით ბანკს შეუძლია კონკურენტული უპირატესობა მოიპოვოს.

საბანკო მომსახურების დროის ფარგლებს არსებითად აფართოებს საბანკო საქმის ავტომატიზაცია, რადგან ფულის ავტომატები და საბანკო ტერმინალები მთელი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობენ (24 hours banking). თვითმომსახურების პრინციპით ზოგჯერ მთელი საბანკო განყოფილებებია ორგანიზებული და კლიენტებს ტელეფონით შეუძლიათ კონსულტაციების მიღება სათაო განყოფილების სპეციალისტებისგან.

ბანკის კომუნიკაციური პოლიტიკა. კომერციული ბანკის კომუნიკაციური პოლიტიკა (საქონლისთვის გზის გაკაფვა) არის პოტენციურ მომხმარებლებთან ბანკის ურთიერთობის საშუალებათა სისტემა, რომელმაც საბანკო მომსახურების შეძენის სურვილი უნდა აღძრას მათში. მისი ინსტრუმენტებია: პირდაპირი მარკეტინგი, რეკლამა, საზოგადოებასთან მუშაობა და გასაღების სტიმულირება. კომუნიკაციური პოლიტიკის წარმატების საწინაღრია მომხმარებლის ქცევის თავისებურებათა ცოდნა ბანკის მუშაკების მიერ.

პირადი გაყიდვის დროს ბანკი იყენებს მომხმარებლებთან ურთიერთობის (კომუნიკაციების) ინდივიდუალურ არხებს. მისი მეთოდებია: პირადი ურთიერთობა ბანკის განყოფილებაში ან „ბინაზე", რომელიც კონსულტაციისა და მომსახურების გაწევას უკავშირდება, საუბრები ტელეფონით, მომხმარებელთან ურთიერთობა საფოსტო კავშირის გამოყენებით.

საბანკო რეკლამის ძირითადი ფუნქციებია: კლიენტის ნდობის მოხვეჭა; მისი ინფორმირება მომსახურების ასორტიმენტის შესახებ; შეთავაზებული მომსახურების უპირატესობაში კლიენ-

ტის დარწმუნება; კლიენტში იმის სურვილის აღძვრა, რომ მან სწორედ მოცემული მომსახურება შეიძინოს. რეკლამის ფორმები მეტად მრავალფეროვანია: საბანკო პროდუქტის რეკლამა; ბანკის, როგორც ასეთის, რეკლამა; მოთხოვნილების რეკლამა.

რეკლამა სელს უწყობს ბანკის საფირმო სულისკვეთების (სტილის) ფორმირებას ბანკის სიმბოლიკის შემუშავებისა და ტირაჟირების გზით. მისი ელემენტებია: საფირმო (სასაქონლო) ნიშანი, საფირმო ფერი და ფირმის დევიზი (სლოგანი). დევიზის ზოგიერთი ნიმუში ასეთია: „ჩვენ შეუცვლით თქვენს წარმოდგენას ბანკებზე", „კომერციბანკი თქვენს მხარეზეა", „ჩვენ ისეთ რაიმეს გთავაზობთ, რომელიც რაღაცით მეტია ფულსა და პროცენტებზე", „თქვენი ინიციატივების ბანკი" და ა.შ. ამასთან, რეკლამა კომპაქტური და ლაკონური უნდა იყოს და მისი მინიმალური ტექსტი მაქსიმალურ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს.

რეკლამასთან ძალიან ახლოს დგას მოთხოვნის სტიმულირება. მისი ინსტრუმენტები ოთხ კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ: თანამშრომელთა მომზადება, ტრენინგი და მოტივაცია; ბანკის შენობების აღჭურვა მომხმარებლებისთვის ხელსაყრელი სახით; კლიენტების უზრუნველყოფა საჭირო საინფორმაციო მასალებით; კლიენტების მოსაზიდი აქციების ჩატარება.

საზოგადოებასთან მუშაობა, ანუ „ფაბლიქ რილეიშნზ" (public relations) არის ბანკის ძალისხმევა კეთილსასურველი კლიმატის შესაქმნელად. ამერიკელი სპეციალისტების ხატოვანი გამოთქმით, ესაა „მეგობრების წარმოების ბიზნესი". მას'ში ბანკის ყველა მუშაკი მონაწილეობს. საზოგადოებასთან მუშაობა მოიცავს მუშაობას თანამშრომლებთან, თანამესაკუთრეებთან, კლიენტებთან, კონკურენტებთან, საზოგადოებრივ გაერთიანებებთან და ორგანიზაციებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. ამ მუშაობაში შედის პრეს-კონფერენციები, ღია კარის დღის ჩატარება, ქველმოქმედება, ბანკის შენობაში კონცერტებისა და გამოფენების მოწყობა და ა.შ.

ბანკის მარკეტინგის ორგანიზაცია. ბანკის საერთო სტრატეგიული მიზნების ფორმულირებას ახდენს მისი უმაღლესი ხელმძღვანელობა, ხოლო მათი რეალიზაციის ღონისძიებების კოორდინაციას — ბანკის მარკეტინგის სამსახური. ეს შეიძლება იყოს დირექციასთან არსებული მარკეტინგული ჯგუფი, მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილება, რამდენიმე განყოფილებისგან შემდგარი მარკეტინგული სექტორი და ა.შ.

ბანკის მარკეტინგის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

- ბაზრის კვლევა და მასზე ზემოქმედების შესაძლებლობების ძიება;
- მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავება;
- ახალი მომსახურების დაგეგმვა;
- ინტერვალის განსაზღვრა ფასებით მანევრირებისათვის;
- გასაღების ადგილისა და არხების შერჩევა;
- გასაღების რეკლამა და სტიმულირება;
- მომსახურების გაწევით დასაქმებული პერსონალის სწავლება;
- მარკეტინგული სტრატეგიის რეალიზაციის კონტროლი.

საკონკურენციო ბრძოლის გამწვავებამ არსებითად შეცვალა ბანკების მართვის სფერო. ჯერ წარმოიშვა მარკეტინგი, შემდეგ კი — კონტროლინგი. წამყვან ბანკებში ამჟამად მარკეტინგი და კონტროლინგი ყოველთვის „გადაბმულად" მოქმედებენ.

კონტროლინგი მენეჯმენტის კონცეფციაა, რომელიც ბანკის ყოველგვარი საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლისკენაა მიმართული. იგი მიზნად ისახავს სტრატეგიული მიზნების წარმატებით მიღწევას. კონტროლინგის სამსახური შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:

- ბანკის ყველა ქვედანაყოფის გამართულად მუშაობის კონტროლი. გერმანელი ეკონომისტების თქმით, კონტროლიორი ყველაზე უფრო ინფორმირებული ადამიანი უნდა იყოს.
- ყველა დონის ხელმძღვანელისთვის დახმარების გაწევა, რაც გამოიხატება დაგეგმვაში, კონსულტირებაში, პრობლემების გამოვლენასა და გადაჭრაში ხელის შეწყობით.

კონტროლინგის ძირითადი პრინციპია: „დღეს გაეკეთოთ ის, რაზედ სხვები მხოლოდ ხვალ დაიწყებენ ფიქრს". მაგრამ სწორი არ იქნებოდა გეეფიქრა, რომ ბანკის სტრატეგიისა და პოლიტიკის ორგანიზაციული უზრუნველყოფა მარკეტინგისა და კონტროლინგის სამსახურების შექმნით შემოიფარგლება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სტრატეგიის წარმატებით რეალიზაციისთვის შეიძლება საჭირო გახდეს ცვლილების გატარება მთლიანად ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურაში.

ბანკის ორგანიზება ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვს მის შიგნით მთელი რიგი ქვედანაყოფების შექმნას და მათი ურთიერთქმედების წესის განსაზღვრას. ასეთი ქვედანაყოფების ძირითადი ბლოკებია დირექცია (ბანკის საჭე, გამგეობა) და განყოფილებათა სისტემა.

მრავალი წლის მანძილზე კომერციულ ბანკებში გაბატონებული იყო ტრადიციული, ანუ ფუნქციონური ორგანიზაცია, როდესაც იქმნებოდა შესასრულებელი ამოცანებით განსხვავებული სამი ტიპის განყოფილება: 1) დირექციასთან არსებული ცენტრალური განყოფილებები (სამდივნო, იურიდიული, კადრების, სარევიზიო და სხვა); 2) დამხმარე (ბუღალტერია, რეგისტრატურა, გამომთვლელი ცენტრი, კავშირგაბმულობის კვანძი, ექსპედიცია და ა.შ.); 3) კომერციული განყოფილებები (საკრედიტო-საანგარიშსწორებო, დეპოზიტების, საერთაშორისო, საკონსულტაციო და ა.შ.).

ტრადიციული მოდელის კრიტიკის საფუძველზე გაჩნდა მარკეტინგ-ორიენტირებული ორგანიზაცია, რომელმაც მოითხოვა ბანკის მთელი ორგანიზაციული სტრუქტურის გადაკეთება მარკეტინგის ფილოსოფიის შესაბამისად.

ბანკის მარკეტინგ-ორიენტირებული ორგანიზაცია იქიდან იღებს სათავეს, რომ მომსახურების გასაღება მის წარმოებაზე უფრო პრიორიტეტულია. ეს იმას ნიშნავს, რომ მარკეტინგის სამსახური ბანკში წინა პლანზეა წამოწეული და ყველა დანარჩენი ქვედანაყოფის საქმიანობის კოორდინაციას ახდენს. არსებობს მარკეტინგ-ორიენტირებული ორგანიზაციის ოთხი ძირითადი ვარიანტი: ა) მომსახურების ჯგუფების მიხედვით; ბ) კლიენტების ჯგუფების მიხედვით; გ) მატრიცული ორგანიზაცია; დ) დივიზიონური ორგანიზაცია.

მომსახურების ჯგუფების მიხედვით ორგანიზაცია დიდად არ განსხვავდება ტრადიციულისგან. მასში შენარჩუნებულია სპეციალიზებული განყოფილებები, მაგრამ ყოველ მათგანში შემოღებულია მომსახურების ჯგუფების მენეჯერის ერთი ან რამდენიმე თანამდებობა. ასეთი მენეჯერი იკვლევს ბაზარს, აკონტროლებს მომსახურების არსებული ასორტიმენტის შესაბამისობას მომხმარებლის მოთხოვნასთან, ამუშავებს ახალი სახის მომსახურებას, ეწევა რეკლამას, გასაღების სტიმულირებას და ა.შ.

კლიენტების ჯგუფების მიხედვით ორგანიზების ძირითადი თავისებურებაა ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის აგება კლიენტურის ხასიათის გათვალისწინებით. ყოველი კომერციული ჯგუფი ამ დროს პასუხს აგებს ერთი მიზნობრივი ჯგუფის კომპლექსურად მომსახურებაზე. ასეთი განყოფილებები, არსებითად, მინიატურული ბანკებია, რომლებსაც სხვადასხვა ოპერაციების სპეციალისტები ჰყავთ შტატში.

მატრიცული ორგანიზაცია არის ორგანიზაციული სტრუქტურის აგების ორი კრიტერიუმის — მართვის ეკონომიკური ფუნქციებისა და მომსახურების ჯგუფების — კომბინირება. ფუნქციონურ განყოფილებებთან ერთად ბანკში არსებობს მომსახურების ჯგუფების მენეჯერების ინსტიტუტი. მათ უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილებები მომსახურების „თავიანთი ჯგუფის" ფარგლებში და კოორდინაციას უწევენ სხვა განყოფილებების საქმიანობას.

დივიზიონური ორგანიზაცია გულისხმობს ბანკის დაყოფას რამდენიმე მსხვილ დივიზიონად, ანუ მოგების ცენტრად (profit centers), ან მომსახურებისა და კლიენტების ჯგუფებად. ამ დროს მენეჯერები პასუხს აგებენ თავიანთი დივიზიონების მოგებაზე. ამით ბანკი პრაქტიკულად დანაწევრებულია შედარებით დამოუკიდებელ ცალკეულ ბანკებად. ამასთან, შენარჩუნებულია ზოგიერთი ფუნქციონური განყოფილება, რომლებიც დირექციის კონსულტანტების როლს თამაშობს.

ეოკლე დასკვნები

1. მარკეტინგი შედარებით ახალი მოვლენაა ბანკების ბაზარზე. იგი XX ს. დაახლოებით 60-იან წლებში გაჩნდა, რაც ბანკების ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებამ, ამ ბაზრების გამყიდველის ბაზრებად გადაქცევამ განაპირობა.

მარკეტინგის სამი არსებითი ნიშან-თვისებაა – მარკეტინგული ფილოსოფია, მარკეტინგ-მიქსი და მარკეტინგული მართვა.

2. საბანკო მარკეტინგისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბანკო პროდუქტის (საბანკო მომსახურების) თავისებურებებს, რომლებსაც ეკუთვნის: აბსტრაქტულობა, წყაროსგან განუყოფლობა, ხარისხის არამუდმივობა, შენახვის შეუძლებლობა, სახელშეკრულებო ხასიათი, ფულთან კავშირი, მომსახურების გაწევა დროში, დასაკმაყოფილებელი მოთხოვნილებების მეორადობა, საბანკო მომსახურების ვიზუალიზაციის აუცილებლობა, საგანმანათლებლო ორიენტაცია, ნდობის კლიმატის ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა, პერსონალის მუდმივი მოტივაცია, მომსახურების ავტომატიზაციაზე განსაკუთრებული ყურადღება.

3. მარკეტინგული საქმიანობის პროცესში ბანკი იკვლევს ბაზარს, ამუშავებს კონკურენტულ სტრატეგიას და ახორციელებს მისი რეალიზაციის ღონისძიებათა პროგრამას. შეგროვილი მარკეტინგული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება საბანკო ბაზრის ანალიზი, ბაზარზე დაკვირვება და ბაზრის ცვლილებათა პროგნოზირება.

4. ბანკების მარკეტინგული სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი დონეებია კორპორაციული სტრატეგია და საქმიანი სფეროს სტრატეგია. ძირითადი კორპორაციული სტრატეგიებია – დანახარჯების შემცირებაში ლიდერობა, დიფერენციაციის სტრატეგია და ფოკუსირების სტრატეგია. საქმიანი სფეროების ძირითადი სტრატეგიებია – ზრდის სტრატეგია და შემცირების სტრატეგია. ალტერნატიული ვარიანტების შერჩევას ახორციელებენ პორტფელური ანალიზის ინსტრუმენტების მეშვეობით.

5. ბანკების მარკეტინგული სტრატეგია ხორციელდება მისი სასაქონლო, ფასისმიერი, საგამსაღებლო და კომუნიკაციური პოლიტიკის ღონისძიებათა კომპლექსში.ბანკის სასაქონლო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია – ასორტიმენტის, ხარისხისა და მოცულობის პოლიტიკა.

6. საბანკო მომსახურებაზე ფასწარმოქმნას შეუძლია გაითვალისწინოს მომსახურების გაწევის ხარჯები, საბაზრო კონიუნქტურის დინამიკა ან კონკრეტული მომსახურების მიზნობრივი ფუნქცია. ბანკის საგამსაღებლო პოლიტიკის რეალიზების პროცესში ბანკი აყალიბებს გასაღების ქსელს და განსაზღვრავს კლიენტების მომსახურების ოპტიმალურ დროით რეჟიმს.

7. ბანკის კომუნიკაციური პოლიტიკა მოიცავს საბანკო მომსახურების პირად გაყიდვას, რეკლამას, გასაღების სტიმულირებას და საზოგადოებასთან მუშაობას („ფაბლიქ რილეიშნზ"). საბანკო მარკეტინგის ორგანიზაცია არ დაიყვანება ბანკში მხოლოდ მარკეტინგის სამსახურის დაფუძნებით. იგი მოითხოვს ბანკის მთელი ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნას მომხმარებელზე ორიენტირებით – ბანკის მარკეტინგ-ორიენტირებული სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

ანგარიშ-ფაქტურა — სავაჭრო გარიგების ამსახველი დოკუმენტი, რომელსაც გამყიდველი ადგენს და უგზავნის მყიდველს; შეიცავს საქონლის მიწოდების საბაზისო პირობებს.

აუქციონი — საჯარო ვაჭრობა აუქციონერის ხელმძღვანელობით, რომლის დროსაც გასაყიდ საქონელს იძენს უმაღლესი ფასის გადამხდელი პირი;

ბაზარი — საბაზრო ეკონომიკაში აღწარმოების მთელი პროცესის მომცველი ფენომენი, ეკონომიკური სივრცე, სადაც თვითრეგულირების მექანიზმის საფუძველზე ყალიბდება ურთიერთობა საქონლისა და მომსახურების მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. იგი ჰორიზონტალური კავშირების განვითარების საფუძველზე გამორიცხავს ადმინისტრაციულ ჩარევას ფასწარმოქმნასა და რესურსების განაწილებაში, რითაც საგრძნობლად ამარტივებს მმართველობის იერარქიულ ვერტიკალურ სტრუქტურას.

მარკეტინგი — კომერციული საქმიანობის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ბაზრის შესწავლითა და სამომხმარებლო მოთხოვნაზე აქტიური ზემოქმედებით, ფასის სწორად დადგენით, საქონლის მორალური ცვეთის პროგნოზით, სარეკლამო სტრატეგიითა და ა.შ. განაპირობებს წარმოებული საქონლისა და მომსახურების შეუფერხებელ გასაღებას.

მარკეტინგის გარემო — გამოყოფენ ხუთ ძირითად კომპონენტს, რომლებიც მარკეტინგის სისტემაზე ახდენს როგორც დადებით, ისე უარყოფით გაელენას. ეს კომპონენტებია: ეკონომიკა, პოლიტიკა, დემოგრაფია, სამართალი, კულტურა.

საბანკო მარკეტინგი — ბანკიდან კლიენტებისაკენ მიმართული ფინანსური ნაკადების მიმართულებასთან დაკავშირებული ბანკების საქმიანობის მართვისა და ორგანიზაციის სისტემა, რომელიც მიმართულია საბაზრო პირობებზე აქტიური გაელენისა და მოგების აღრიცხვის მაქსიმიზაციისაკენ.

ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი — ხელშეკრულება, რომელსაც დებენ კომერციულ საფუძველზე და ითვალისწინებს საქონლის ან მომსახურების მიწოდებას. მასში დადგენილია მხარეთა გარკვეული უფლებები და მოვალეობები. კონტრაქტში მითითებულია ხელშეკრულების სუბიექტი, საგანი, ფასი, საერთო თანხა, მიწოდების ვადები და პირობები, გამყიდველთა გარანტიები, დაზღვევა, საჯარიმო სანქციები, არბიტრაჟი.

ჯობერი — ფირმა, რომელიც შეისყიდის საქონლის დიდ პარტიებს სწრაფად გასაყიდად.

ჰეჯირება — ბირჟის ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც გულისხმობს ფასების შესაძლებელ არახელსაყრელ მერყეობასთან დაკავშირებული რისკის დაზღვევას.

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. რა არის მარკეტინგული ფილოსოფია?
2. რაში ვლინდება საბანკო სფეროში მარკეტინგის სპეციფიკა?
3. იყენებენ თუ არა მარკეტინგს საქართველოს ბანკები?
4. რომელია სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი ფაზები?
5. რა განსაზღვრავს ბანკის კონკურენტულ პოზიციას? რა არის კონკურენტუნარიანობა და რომელია მისი სახეები?
6. რით განსხვავდება პროგნოზი სცენარისაგან? შეადგინეთ საბანკო მომსახურებ-

ის ადგილობრივი ბაზრის განვითარების სცენარი 2005 წლისთვის.

7. დაამუშავეთ მონაცემთა ბაზის სტრუქტურა ბანკების ბაზარზე კონკურენციის ანალიზისათვის. ინფორმაციის შეგროვების რომელ მეთოდებს იყენებენ აქ?

8. განსხვავებული იქნება თუ არა ბანკების ფასების პოლიტიკა, რომლებმაც აირჩიეს ი.ანსოფის მატრიცის სხვადასხვა სეგმენტებში განთავსებული სტრატეგიები? თუ დიახ, მაშინ რითი?

9. დაასახელეთ რომელიმე მსხვილი უნივერსალური კომერციული ბანკის კონკურენტული უპირატესობები და სისუსტეები.

10. ბანკების რეკლამის რომელი ტიპებია გაბატონებული ჩვენში და რატომ: ა) საბანკო მომსახურების რეკლამა; ბ) მოთხოვნილებათა რეკლამა; გ) ბანკების, როგორც ასეთის, რეკლამა?

11. რომელი საბანკო პროდუქტი გამოდგებოდა ,,ვარსკვლავის" ან ,,კითხვის ნიშნის" როლში, ხოლო რომელია სხვა არაფერი, თუ არა ,,მეწველი ძროხა" ან ,,ძაღლი"?

12. რა არის ბანკების ტრადიციული ორგანიზაციიდან მარკეტინგ-ორიენტირებულ ორგანიზაციაზე გადასვლის აუცილებლობა და რაშია მისი არსი?

13. რაში მდგომარეობს მარკეტინგის არსი?

14. დაახასიათეთ საბანკო მარკეტინგის შინაარსი.

15. რა ამოცანებს ასრულებს საბანკო მარკეტინგი?

16. რაში მდგომარეობს საბანკო მარკეტინგის კონცეფცია?

17. დაახასიათეთ მარკეტინგული საქმიანობის შინაარსი.

18. მოიყვანეთ საბანკო პროდუქციაზე არსებული მოთხოვნის კლასიფიკაცია მყიდველთა ფსიქოფიზიოლოგიური რეაქციისა და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხის მიხედვით.

19. რა არის რენდიტი?

20. რა არის სპრედი?

21. რა ეტაპებს მოიცავს საბანკო მარკეტინგის პროცესი?

22. რა ფუნქციებს ასრულებს საბანკო მარკეტინგი?

23. დაახასიათეთ საბანკო მარკეტინგის გეგმა.

24. რაში მდგომარეობს საბანკო მარკეტინგის სტრატეგია?

25. დაახასიათეთ საბანკო მარკეტინგის სტრატეგიის კონცეფცია.

26. განმარტეთ საბანკო მარკეტინგის ტაქტიკის ცნება.

რეკომენდებული ლიტერატურა

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

Академия рынка: Маркетинг. Пер. с франц. М.: Экономика, 1993.

Банковское дело. Под ред. **Белоглазова Г.Н., Кроливецкая Л.П.** Питер, 2004.

Банковское дело. Под ред. **Г.Г.Коробовой**. М.: Экономисть, 2004.

Банковское дело. Под ред. **О.И Лаврушина**, М.: ФИС, 2005.

Барлтроп К.Дж., МакНомон Д. Банки на развивающихся рынках. В 2 т. Т 1и 2. 1994. Пер с англ. М.: Финстатинформ, 1997.

Дебелак. Магия Маркетинга. София, 1997.

Дихтль Х. Хершген. Практический Маркетинг. М.: Высшая школа, 1996.

Коробов Ю.И. Банковский маркетинг. Саратов,1996.

Котлер Ф. Маркетинг. Менеджмент. М.: Прогресс, 1998.

Линтон И. Маркетинг по базам данных. М.: Амалфея, 1998.

Липсиц И.В. Бизнес-план _ основа успеха: Практическое пособие. М.: Дело,1994.

Макогон Ю.В., Булатова Е.В. Международний банковский бизнес. М.:Атика, 2003.

Миловидов В. Д. Современное банковское дело: опыт организации и функционирования банков США. М.: МГУ. 1992.

Моррис Ф. Маркетинг: ситуации и примеры. Пер. с англ. М.: Банки и биржи, 1994.

Основы Банковской деятельности (Банковское дело). Под ред. **Тагирбекова К.Р.** М.: ИНФРА _ М, 2001.

Павлов В.В Банковское обслуживание внешнэкономической деятельности. М.: Экзамен, 2002.

Самойлов Г.О. Банковская конкуренция. М.: Экзамен, 2002.

Спицын И.О., Спицын Я.О. Маркетинг в банке. Тернополь, 1993.

Третьяк В.П. и др. Основы Маркетинга. С_Петербург, ПГУС, 1993.

Уткин Э.А. Банковский маркетинг. М.: ИНФРА_М, 1995.

Эванс ДЖ., Бирман Б. Маркетинг. М.: Экономика, 1993.

Pallfreman David., Ford Philip. Elements of Banking. Pritman Publishing. London. 1996.

Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling Financial Services. Second Edition. IRWIN. Honewood. Boston. 1993.

Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

მეცხრამეტე თავი. საბანკო ინოვაციები

ტერმინები და ძირითადი ცნებები
19.1. საბანკო ინოვაციის არსი და შინაარსი
19.2. საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი
19.3. ზოგიერთი სახეობის საბანკო ინოვაციის დახასიათება
19.4. პლასტიკური ბარათები
19.5. პლასტიკური ბარათების დანერგვის საზღვარგარეთული გამოცდილება
19.5.1. საბანკო საკრედიტო ბარათები
19.5.2. მიკროპროცესორული ბარათების დამუშავება და გამოყენება
19.6. ინტერნეტ-ბანკინგი, მდგომარეობა, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები
19.6.1. ინტერნეტ-ბანკინგის ბაზრის სეგმენტაციის სახეები
19.6.2. ინტერნეტ-ბანკინგის განვითარების პერსპექტივები
19.7. ბანკომატი, როგორც გადახდის ელექტრონული სისტემის ელემენტი
19.8. ბანკთაშორისი ელექტრონული გზავნილები სავაჭრო ორგანიზაციებში
19.9. „Home Banking" კლიენტების საბანკო მომსახურება ადგილზე და სამუშაო ადგილებზე
19.10. ბანკების ფორფეიტინგული ოპერაციები
19.11. ოფციონები, ფიუჩერსები, სვოპები
მოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

„ბანკი-კლიენტი" პროგრამა
ბანკის ლოგისტიკა
ბანკის პლასტიკური ბარათი
დისტანციური საბანკო მომსახურება
ელექტრონული კომერცია
ელექტრონული ფული
ინოვაცია
ინტერნეტ-ბანკინგი
ისტერნეტ-ტრეიდინგი
ინოვაციური საქმიანობა
ინფორმაციული პროცესები
კონსალტინგი
მიკროპროცესორული ბარათი
ონლაინური ტექნოლოგიები
ოფლაინური ტექნოლოგიები
პერსონალური საბანკო მენეჯერი
საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი
ფინანსური ინჟინირინგი

19.1. საბანკო ინოვაციის არსი და შინაარსი

ბანკის მუშაობის ეფექტიანობა და ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობა დიდადაა დამოკიდებული ახალი საბანკო პროდუქტებისა და ტექნოლოგიების (პროცესების) დანერგვაზე.

ბაზარზე რეალიზებული ახალი საბანკო პროდუქტები და ტექნოლოგიები ინოვაციას წარმოადგენს. ინოვაცია (ინგ. Inovation - სიახლე, ნოვატორობა, ახალშემონაღები) ნიშნავს „ნოვაციაში ინვესტიციას"

ნოვაცია (ლათ. Novation - ცვლილება, განახლება) წარმოადგენს ადრე არარსებულ რაიმე სიახლეს.იგი აღნიშნავს მხარეთა შეთანხმებას მათ მიერ ადრე დათქმული ერთი ვალდებულების მეორით შეცვლას. ფინანსურ სფეროში მოქმედი ინოვაცია ფინანსური ინოვაციაა. ფინანსური ინოვაციების ერთ ნაწილს ბანკები ქმნიან საბანკო პროდუქტის ან ოპერაციის (ტექნოლოგიის) სახით. ესაა საბანკო ინოვაცია. საბანკო ინოვაცია არის ბანკის ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგი, რომელიც ახალი საბანკო პროდუქტის ან ოპერაციის ფორმით რეალიზდება.

საბანკო პროდუქტი უნდა გაეგოთ როგორც საბანკო მომსახურების მატერიალურად გაფორმებული ნაწილი (ბარათი, შემნახველი სალაროს წიგნაკი, საგზაო ჩეკი, ელექტრონული ქისა და ა.შ.).

საბანკო პროდუქტს აქვს ნივთის სახე, ე.ი. ფინანსურ ბაზარზე გასაყიდად განკუთვნილი ხელშესახები ფორმა.

ახალი საბანკო პროდუქტი ორგვარი შეიძლება იყოს:

1. ერთეული
2. მასობრივი

ერთეული პროდუქტი ინდივიდუალური პროდუქტია. როგორც ნივთს, მას დამახასიათებელი, მხოლოდ მისთვის ჩვეული თავისებურებები აქვს, რომლებიც სხვა საბანკო პროდუქტებისგან გამოარჩევენ მას. ესაა, მაგალითად, კონკრეტული ძვირფასი ლითონისგან დამზადებული და გარკვეული მასის მქონე კონკრეტული მონეტა, კონკრეტული უძრავი ქონება, კონკრეტული ემიტენტი, ბანკის ობლიგაცია და ა. შ.

ერთეულ საბანკო პროდუქტს თავისი მყიდველის მკაფიოდ გარკვეული წრე ჰყავს. ამიტომ მას უშვებენ კონკრეტულ მომხმარებლებზე გათვლით.

მასობრივი საბანკო პროდუქტი არის მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობის უქონელი პროდუქტი. მას განსაკუთრებული ნიშან-თვისებები არ გააჩნია. მასობრივი საბანკო პროდუქტი მხოლოდ პროდუქტის ან ფინანსური აქტივის სახეობების მიხედვით განირჩევა, მაგალითად, საბანკო დეპოზიტი, საბანკო ანგარიში, სახელმწიფო შინაგანი ან მუნიციპალური სესხის ობლიგაციები და ა.შ. მასობრივი საბანკო პროდუქტს უშვებენ მოხმარებლებისა და ინვესტორების ფართო წრეზე გათვლით.

ახალი საბანკო პროდუქტი შეიძლება იყოს:

1. ლიმიტირებული
2. არალიმიტირებული

ლიმიტირებული საბანკო პროდუქტი ისეთი პროდუქტია, რომლის გამოშვების მოცულობა ან რაოდენობა მკაცრადაა კვოტირებული. მის მოცულობას პროდუქტის გამოშვების წინ ადგენენ. მოცულობის სიდიდეს მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს: საქციო ბანკის საწესდებო კაპიტალის სიდიდე, მომხმარებელთა მოთხოვნა და სხვა. ლიმიტირებულ საბანკო პროდუქტს განეკუთნება აქციები, ობლიგაციები, საკრედიტო შეთანხმებათა სახეობები და ა.შ. ამ პროდუქტს კონკრეტულ მყიდველზე გათვლით უშვებენ.

არალიმიტირებული საბანკო პროდუქტი ისეთი პროდუქტია, რომლის მოცულობა (რაოდენობა) არავითარი კვოტებით არაა შეზღუდული. ამ პროდუქტს უშვებენ შესაძლო პოტენციურ მყიდველზე გათვლით. მყიდველთა რაოდენობა განუსაზღვრელი სიდიდეა. ამიტომ არალიმიტირებული საბანკო პროდუქტის გამოშვების მოცულობა შეზღუდული არაა რაიმე ნორმებითა და პირობე-

ბით, გარდა სამომხმარებლო მოთხოვნის ფაქტორისა.

არალიმიტირებულ საბანკო პროდუქტს ეკუთვნის პლასტიკური საანგარიშსწორებო და საკრედიტო ბარათები, საბანკო ანგარიშები და ა. შ.

ახალი საბანკო პროდუქტის ფორმებია, ასევე:

1. ქონება

2. ქონებრივი უფლება

ქონება წარმოადგენს საკუთრების მატერიალურ ობიექტს, მაგალითად, ფული, მონეტები, ოქროს საზომი ზოდები, ფასიანი ქაღალდები და სხვა.

ქონებრივი უფლება ნიშნავს გარკვეული ქონების ფლობის, განკარგვისა და გამოყენების უფლებას. ქონებრივი უფლების ფორმის მქონე საბანკო პროდუქტს ეკუთვნის ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება, საკრედიტო შეთანხმებები და სხვა.

საბანკო ოპერაცია (ლათ. Operatio- მოქმედება) იმ მოქმედებათა პროცედურას აღნიშნავს, რომლებიც საბანკო კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული გარკვეული ამოცანის გადაჭრისკენაა მიმართული. საბანკო ოპერაციებს მიაკუთვნებენ ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების მოძრაობის კონტროლისა და აღრიცხვის ფორმებს, საფინანსო მაჩვენებლების დაგეგმვის მეთოდებს, ამა თუ იმ საფინანსო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიას, საფინანსო ანალიზის ხერხებს. ბანკში საფინანსო საქმიანობის ორგანიზაციის ფორმებს, კაპიტალის ინტერაქტიულ და სხვა ანალოგიურ ინვესტირებას და სხვა მოქმედებებს. საბანკო ოპერაციებს, როგორც მოქმედებებს, უსილავი ფორმა აქვთ, ე.ი. მათ ვერ შეეხებით და ვერც ფიქსირებული ფასით გაყიდით. საბანკო ოპერაცია რომ გაიყიდოს, იგი ჯერ მატერიალური უნდა გახდეს. საბანკო ოპერაციის მატერიალიზაციის ფორმაა რაიმე გარკვეული ობიექტი (მეთოდური მითითება, ინსტრუქცია და ა.შ.). ეს დოკუმენტი უკვე მატერიალურ პროდუქტს წარმოადგენს, ე.ი. იგი ფინანსურ ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გვევლინება.

საბანკო ინოვაცია ახალ პროდუქტებად გამოვლინდება მხოლოდ ფინანსურ ბაზარზე ან ბანკის შიგნით მისი რეალიზაციის პროცესში.

საბანკო პროდუქტებზე ან ოპერაციაზე მყიდველის მოთხოვნას განსაზღვრავს ამ სახეობის ინოვაციის, სიახლის ხარისხი. როდესაც ბაზარზე გამოჩენილი ახალი პროდუქტი იყიდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მასზე არსებობს მოთხოვნა და მას ჰყავს მყიდველი. ახალ პროდუქტზე გაჩენილი მოთხოვნის დონეს განსაზღვრავს მისი სარგებლიანობის დონე, ე.ი. მისი სიახლის დონეც.

ყოველი ახალი მოვლენა დროსთანაა დაკავშირებული. „დროის" კატეგორია ნებისმიერი მოვლენის, მათ შორის ეკონომიკური მოვლენის სიცოცხლის კატეგორიაა. დრო ბაზრის განვითარების მნიშვნელოვანი სტიმული და საკონკურენტო ბრძოლაში გამარჯვების არსებითი ფაქტორია. გაუსწრო დროს–ნიშნავს, რომ გაუსწრო კონკურენტებსაც.

ის ბანკი, რომელიც თავისი ინოვაციით პირველი გამოვიდა ბაზარზე და მისი „ნიშა" დაისაკუთრა, სწრაფად იქმნის იმიჯს, რომელთანაც ბრძოლა კონკურენტს უძნელდება.

დროთა ეითარებაში ყოველი ახალი მოვლენა მასობრივი, ტრადიციული მოვლენა ხდება.

საბანკო ინოვაცია დროის ფუნქციაა. ის მხოლოდ დროის იმ ფარგლებში მოქმედებს, რომლებსაც მოცემული ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის საწყისი და ბოლო წერტილები განსაზღვრავენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბანკო ინოვაციად არ შეიძლება მივიჩნიოთ ის საბანკო პროდუქტი და ოპერაცია, რომლებიც მხოლოდ მოცემული ბანკისთვისაა ახალი, სხვა ბანკებში კი ისინი კარგა ხნის რეალიზებულია.

საბანკო ინოვაციებისათვის არც იმ უმნიშვნელო ცვლილებების მიკუთვნება შეიძლება, რომლებიც კერძო წესს ატარებენ და არ ცვლიან საბანკო პროდუქტის ან ოპერაციის არსს და შინაარსს. ესაა, მაგალითად, საბანკო ანგარიშებზე ან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების შეცვლა. დეპოზიტური ანაბრის ვადების შეცვლა და სხვა.

ამის გათვალისწინებით, საბანკო ინოვაცია შინაარსის მიხედვით მოიცავს:

ა) ახალ საბანკო პროდუქტს, რომელიც პირველად გამოჩნდა საფინანსო ბაზარზე, ე.ი. მხოლოდ ერთ ბანკში;

ბ) მოცემული ქვეყნისათვის ახალი საზღვარგარეთული საბანკო პროდუქტი;

გ) ახალი ფინანსური ოპერაციები.

19.2. საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი

საბანკო ინოვაცია დროს მოითხოვს და მთელ რიგ სტადიებს გადის, რომელთა ერთობლიობა მისი სიცოცხლის ციკლს შეადგენს.

საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი დროის ის გარკვეული პერიოდია, რომლის განმავლობაშიც საბანკო პროდუქტს ან ოპერაციას აქტიური სასიცოცხლო ძალა აქვს და გარკვეული მოგება ან სხვა რეალური სარგებელი მოაქვს ბანკისთვის, როგორც ინოვაციის პროდუცენტისა (მწარმოებლისა) და გამყიდველისათვის.

საბანკო ინოვაციის პროდუცენტი (ლათ. Producens – მწარმოებელი) მოცემული საბანკო ინოვაციის მწარმოებელია, ე.ი. ესაა თვითონ ბანკი ან ბანკების ასოციაცია.

საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის კონცეფციას დიდი მნიშვნელობა აქვს ინოვაციების წარმოების დაგეგმისა და საბანკო სისტემაში ინოვაციური პროცესის ორგანიზაციისთვის. ეს შემდეგში ელინდება:

1) საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია აიძულებს ბანკის ხელმძღვანელს და მის მარკეტინგულ სამსახურს, სამეურნეო საქმიანობა გაანალიზონ როგორც ახლანდელი დროის პოზიციიდან, ისე ამ საქმიანობის განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისითაც, ე.ი. მომავალი დროის პოზიციიდანაც.

2) საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია ასაბუთებს იმას, რომ აუცილებელია ინოვაციების გამოშვების დაგეგმვის (იდეის ძიება, ინოვაციური პროცესის ორგანიზაცია, საბანკო ინოვაციის შექმნა, მისი გატანა ბაზარზე და დიფუზია) და ინოვაციების შეძენის (მოთხოვნის შესწავლა, საბანკო მარკეტინგი, ბენჩმარკეტინგი) სამუშაოთა სისტემატურად წარმართვა.

3) საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია ინოვაციის ანალიზისა და დაგეგმვის მექანიზმის საფუძველია. საბანკო ინოვაციის ანალიზის დროს შეგვიძლია დავადგინოთ, თუ სასიცოცხლო ციკლის რომელ სტადიაზე იმყოფება ინოვაცია, როგორია მისი უახლოესი პერსპექტივა, როდის დაიწყება მკვეთრად დაქვეითება და როდის დასრულებს ინოვაცია თავის არსებობას.

საბანკო ინოვაციის დაგეგმვა ინოვაციის მთელი სიცოცხლო ციკლის მანძილზე შეიძლება განხორციელდეს. მისი სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია საშუალებას გვაძლევს საბანკო ინოვაციის დაგეგმვის კუთხით წარმოებული მთელი საქმიანობა შემდეგ ელემენტებად დავყოთ:

- საფინანსო ბაზრის კვლევა;
- საბანკო ინოვაციის ბაზრის კვლევა ბაზრის მოცემული აქტივის მიხედვით;
- საბანკო ინოვაციის სიცოცხლის ხანგრძლივობის კვლევა;
- საბანკო ინოვაციის დამუშავება (ე.ი. საბანკო პროდუქტის ან ახალი ოპერაციის წარმოება);
- ფასების პოლიტიკა;
- რეკლამა;
- საბანკო ინოვაციის გაყიდვის (რეალიზაციის) ორგანიზაცია;
- საბანკო ინოვაციის დიფუზია.

საბანკო ინოვაციის დაგეგმვის პროცესის ჩამოთვლილ ელემენტებს კორექტირებას უკეთებენ სასიცოცხლო ციკლის ამა თუ იმ სტადიაზე მათი როლის შესაბამისად. კორექტირების მიზანია საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის ყოველ სტადიაზე საბანკო მარკეტინგის შემადგენელი

ელემენტების ისეთი ოპტიმალური თანაფარდობის პოვნა, რომელიც ფინანსურ ბაზარზე შექმნილ კონკრეტულ ვითარებას შეესაბამება.


ბანკს როგორც საბანკო ინოვაციის პროდუცენტს გამუდმებით უხდება შემდეგი ოთხი ამოცანის გადაჭრა:

1. რა უნდა გაკეთდეს არსებული ფინანსური ბაზრების გასაფართოებლად და ახალი ბაზრების ასათვისებლად?
2. რა უნდა გაკეთდეს საბაზრო ინოვაციის დასამუშავებლად?
3. რა უნდა გაკეთდეს საბაზრო ინოვაციის დასანერგად ბაზარზე?
4. როგორ უნდა ემართოთ ეფექტიანად საბანკო ინოვაცია?

ამ ამოცანების გადაჭრა საფუძველს უქმნის დროის აუცილებელი პერიოდის, მატერიალური, ფინანსური, შრომითი და საინფორმაციო რესურსების განსაზღვრას. დროისა და რესურსების ერთ პროცესში გაერთიანება განსაზღვრავს საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის კონცეფციის ძნიშვნელობას ბანკების საქმიანობისთვის.

საბანკო ინოვაციის ციკლებს განასხვავებენ საფინანსო ინოვაციების სახეობების მიხედვით. ეს განსხვავებანი ეხება, უპირველეს ყოვლისა, სასიცოცხლო ციკლის მთლიან ხანგრძლივობას, ციკლის შიგნით თითოეული სტადიის ხანგრძლივობას, თვით ციკლის განვითარების თავისებურებებს, სტადიების სხვადასხვა რაოდენობას. სასიცოცხლო ციკლის სტადიების სახეობებსა და რაოდენობას განსაზღვრავს ამ თუ იმ ინოვაციის თავისებურებები. მაგრამ ყოველ ინოვაციაში შეიძლება გამოვყოთ მისი საბაზრო საფუძველი, რომელიც მკაფიოდ ახასიათებს სასიცოცხლო ციკლის დამოუკიდებელ სტადიებს.

ახალი საბანკო პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი შეიძ სტადიას მოიცავს (ნახ. 19.1)



სადაც (O-A) კაპიტალის დაბანდებაა.

(O-B)– დანახარჯების დამატებით დაფინანსება;

1 – ბაზარზე გასვლის წერტილი;

2 – პროდუქტებით ბაზრის გაჯერების წერტილი;

3 – პროდუქტის დაცემის და გაყიდვის კლების დაწყების წერტილი;

4 – გაყიდვის მატებაზე გადასვლის წერტილი;

5 – ბაზრის მუდმივად შემცირებაზე გადასვლის წერტილი:

6 – პროდუქტის მთლიანად რეალიზაციის ან გაყიდვის მთლიანად შეწყვეტის წერტილი;

ნახ. 19.1. ახალი საბანკო პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი

1) ახალი საბანკო პროდუქტის დამუშავება;
2) ბაზარზე გამოსვლა;
3) ბაზრის განვითარება;
4) ბაზრის სტაბილიზება;
5) ბაზრის კლება;
6) ბაზრის აღმავლობა;
7) ბაზრის დაქვეითება.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია პირველი სტადია. ამ სტადიაზე განსაზღვრავენ ახალი საბანკო პროდუქტის რეალიზაციის წარმატების ალბათობას, მის შემოსავლიანობას, მოთხოვნის მოცულობას და პროდუქტის რეალიზაციიდან შემოსული ფულის მოცულობას.

საბანკო პროდუქტის დამუშავების პროცესში პროდუცენტი ეწევა ინიციაციას, იდეის ძიებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას და ახალი პროდუქტის შექმნას.

ინიციაცია (ლათ. Initiatio – საიდუმლოებათა აღსრულება) ისეთი საქმიანობა, რომელიც შედგება ინოვაციის მიზნის შერჩევის, ამოცანის დასმის, იდეის ძიების, ინოვაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და იდეის გადაქცევისაგან გასაყიდ ნიეთად ანუ საქონლად.

პროდუცენტი აფინანსებს ახალი საბანკო პროდუქტის შექმნის ყველა ხარჯს. ამ სტადიაზე ხდება იმ კაპიტალის დაბანდება, შემოსავალთან ერთად, რომლის დაბრუნებაც მომდევნო სტადიებზე მოხდება.

ბაზარზე გასვლის სტადია გვიჩვენებს ინვესტორ-მყიდველების სამეურნეო ცხოვრებაში ახალი პროდუქტის დანერგვის პერიოდს. ამ სტადიამ შესაძლოა მოიცვას რომელიმე ცალკეულ რეგიონში ან საფინანსო დაწესებულებაში რეკლამის გაელენით პროდუქტის დანერგვის პერიოდი. საბანკო პროდუქტი პროდუცენტისთვის ან ინვესტორ-გამყიდველისათვის ფულის მოტანას იწყებს მისი გამოჩენიდან რაღაც დროის გაელის შემდეგ. ამ სტადიის ხანგრძლიეობა დამოკიდებულია რეკლამაზე, ინფლაციის დონეზე, სავაჭრო წერტილების, ახალი საბანკო პროდუქტების გამყიდველი პუნქტების არსებობასა და მათი მუშაობის ეფექტიანობაზე. Producents an investor –გამყიდველს სწორედ ამ სტადიაზე აქვთ ყველაზე მეტი უპირატესობის მოპოვების შანსი. მას განაპირობებს საკუთარი საბანკო პროდუქტის მაღალი კონკურენტუნარიანობა, რაც უწინარეს ყოვლისა, უკავშირდება კონკურენტების არარსებობას, სარეკლამო და სხვა ორგანიზაციულ-სავაჭრო ოპერაციების ჩატარებას.

ბაზრის განვითარების სტადია ბაზარზე საბანკო პროდუქტის გაყიდვის მოცულობის მატებას უკავშირდება. მისი ხანგრძლიეობა გვიჩვენებს იმ დროს, რომლის განმავლობაშიც ახალი საბანკო პროდუქტი აქტიურად იყიდება და ბაზარი ამ პროდუქტით გაჯერების გარკვეულ საზღვარს აღწევს.

ეს ორი სტადია, ანუ ბაზარზე გასვლის სტადია და ბაზრის განვითარების სტადია საბანკო პროდუქტის წარმატებით გაყიდვასა და დიფუზიასთანაა დაკავშირებული. ამიტომ ამ სტადიებზე საჭიროა საბანკო პროდუქტით ბაზრის გაჯერებისა და დიფუზიის უზრუნველმყოფი ოპერაციების აქტიურად და კომპლექსურად ჩატარება.

ინოვაციის დიფუზია (ლათ. Diffusio – გავრცელება) უკვე ერთხელ ათვისებული ინოვაციის გაერცელებაა.

ბაზრის სტაბილიზაციის სტადია იმას ნიშნავს, რომ ბაზარი უკვე გაჯერებულია მოცემული საბანკო პროდუქტით. მისი გაყიდვის მოცულობამ გარკვეულ ზღვარს მიაღწია და გაყიდვის მოცულობის შემდგომი ზრდა აღარ მოხდება. მთელი ამ სტადიის განმავლობაში საბანკო პროდუქტის მოცულობა შეფარდებითად სტაბილურია. აქ აქტიურად მოქმედებენ ეკონომიკური კანონები (მოთხოვნისა და მიწოდების კანონები). პროდუცენტი ან ინვესტორ-გამყიდველი გაყიდვის სტაბილურობის შესანარჩუნებლად არაეითარ კაპიტალს არ ხარჯავს. ამ სტადიაზე დიდია ადრე გატარებული სარეკლამო ღონისძიებების, აგრეთვე, ე.წ. ფსიქოლოგიური კანონების („რაკი ყველა

ყიდულობს, მეც ვიყიდი", „ვიყიდი, რადგან სასარგებლოა" და ა. შ.) ინერციის მოქმედება.

ბაზრის შემცირების სტადიაზე ხდება საბანკო პროდუქტის გასაღების დაცემა. მისი გაყიდვის მოცულობა კლებას იწყებს. მაგრამ ამ სტადიაზე ჯერ კიდევ არსებობს მოცემულ საბანკო პროდუქტებზე მოთხოვნა და აქედან გამომდინარე, ყველა ობიექტური წანამძღვარი არსებობს პროდუქტის გაყიდვის მოცულობის გადიდებისათვის.

ბაზრის აღმაელობის სტადია წინა სტადიის ლოგიკური გაგრძელებაა. რადგან არსებობს პროდუქტზე მოთხოვნა, ამიტომ ეს მოთხოვნა უნდა გაიცვალოს საბანკო პროდუქტის მიწოდებაში. ამიტომ პროდუცენტი ან ინვესტორ-გამყიდველი იწყებს მოთხოვნის პირობების შესწავლას, თავისი კადრების და ფასების პოლიტიკის შეცვლას, ვაჭრობის ორგანიზაციის მთელი რიგი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას (მაგალითად, მყიდველსაა უფასოდ კონსულტირება სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მათ მიერ საბანკო პროდუქტის შეძენის პირობით), მატერიალურად წაასალისებს როგორც პროდუქტის გამყიდველს (პრემია), ისე მყიდველს (პრიზები, მოგებები, შეღავათები), ატარებს დამატებით სარეკლამო ღონისძიებებს, აწყობს სარეკლამო სმაურს და სარეკლამო ტრიუკებს.

ყოველივე ეს საშუალებას აძლევს პროდუცენტს ან ინვესტორ-გამყიდველს გაადიდოს გაყიდვის მოცულობა და საბანკო პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობა დროის რაღაც პერიოდით. მაგრამ საბანკო პროდუქტის გაყიდვის მოცულობის კლება უკვე ექვემდებარება ამ პროდუქტზე მოთხოვნის შემცირების აშკარად გავრცელებულ ტენდენციას. ამიტომ საბანკო პროდუქტის გაყიდვის მოცულობას უკვე არ შეუძლია მიაღწიოს საფინანსო ბაზრის გაჯერების ადრე მიღწეული ზღვარის. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბანკო პროდუქტის კონკრეტული სიტუაციიდან (ინფლაცია, მოსახლეობის და სამეურნეო სუბიექტების შემოსავლები) გამომდინარე, მისი გაყიდვის მოცულობის ზრდა დამატებითი ღონისძიებების შემდეგ არ აღემატება გაყიდვის ადრე მიღწეული მოცულობის 90%–95%. ბაზრის აღმაელობის სტადია საკმაოდ მოკლე ხანს გრძელდება. ეს სტადია მოცემულ საფინანსო პროდუქტზე მოთხოვნის შემცირების უკვე აღნიშნულ ტენდენციას უკავშირდება. ბაზრის აღმაელობის სტადია გადადის უკანასკნელ სტადიაში — ბაზრის დაცემის სტადიაში.

ბაზრის დაცემის სტადია საბანკო პროდუქტის გაყიდვის მოცულობის მკვეთრად დაქვეითებაა, ე.ი. მისი ვარდნაა ნულამდე. ამ სტადიაზე ხდება ლიმიტირებული საბანკო პროდუქტის მთლიანად რეალიზება ან არალიმიტირებული საბანკო პროდუქტის გაყიდვის ძთლიანად შეწყვეტა მყიდველისთვის მისი უსარგებლობის გამო.

ახალი საბანკო ოპერაციის სასიცოცხლო ციკლის განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ საქი მომენტი:

1. საბანკო ოპერაციის რეალიზება ხდება იმ დასრულებული დოკუმენტის ფორმით, რომელიც მოცემული ოპერაციის შესრულების მთელ პროცედურას აღწერს. ამ მომენტს ასახავს საბანკო ოპერაციის ალგორითმი. იგი წარმოადგენს ისეთი თანმიმდევრული მოქმედებების სისტემას, რომელსაც მკაცრად განსაზღვრული წესების დაცვით იყენებენ საბანკო საქმიანობის წინაშე დასმული ამოცანის გადასაწყვეტად. საბანკო ოპერაციების რეალიზება ორი მიმართულებით ხდება:

— მოცემული ოპერაციის პროდუცენტი ბანკის შიგნით;

— საფინანო ბაზარზე — სხვა ფინანსური ინსტიტუტებისთვის საბანკო ოპერაციის მიყიდვის გზით.

2. საბანკო ოპერაციის რეალიზაციის მიზანია ეკონომიკური სარგებლის მიღება: რაიმე სამუშაოზე დახარჯული დროის შემცირება, არასაჭირო სამუშაოს ლიკვიდაციით მუშაკთა გამოთავისუფლება, ფულადი რესურსების ეკონომია და სხვა.

ბაზარზე სხვა ფინანსური ინსტიტუტებისათვის საბანკო ოპერაციის მიყიდვის მიზანია ფულადი რესურსების მიღება მოგების სახით და იმიჯის ამაღლება.

საბანკო ოპერაციებს არ აპატენტებენ, მაგრამ ისინი „ნოუ-ჰაუს“ წარმოადგენენ, ამიტომ საბანკო ოპერაციის პროდუცენტმა შესაძლოა მონოპოლია დაკარგოს ოპერაციაზე, თუ მას ბაზარზე არ გაყიდის. გარდა ამისა, საფინანსო ინსტიტუტების მუშაკებს შეუძლიათ თვითონ დაამუშაონ ეს ოპერაცია, თუკი გამოიყენებენ სხვა ბანკებიდან ან საფინანსო ინსტიტუტებიდან აღებული თუ მოპარული (სამრეწველო შპიონური) ოპერაციის ელემენტებს.

ახალი საბანკო ოპერაციის სასიცოცხლო ციკლის სქემა ნახ. 19.2–ზეა ნაჩვენები. ეს ციკლი ოთხ სტადიას მოიცავს:


1. ახალი საბანკო ოპერაციის დამუშავება;
2. საბანკო ოპერაციის რეალიზაცია;
3. ბაზრის სტაბილიზება;
4. ბაზრის ვარდნა.

საბანკო ოპერაციის პროცედურის დამუშავების სტადია და დოკუმენტად მისი გაფორმება ინოვაციური პროცესის ორგანიზაციას უკავშირდება. აქ ხორციელდება ინოვაციის, იდეის ძიების, ფინანსური ოპერაციის მთელი ალგორითმის დამუშავების და დოკუმენტის შექმნის (ინსტრუქცია, მეთოდური მითითებები და ა.შ.) სამუშაოები. ამავე სტადიაზე პროდუცენტი ახდენს ოპერაციის დამუშავებისათვის აუცილებელი მთელი ხარჯების დაფინანსებას.

საბანკო ოპერაციის რეალიზაციის სტადია უკავშირდება მის დანერგვას ბანკის შიგნით ან საფინანსო ბაზარზე რეალიზებას. ამ სტადიაზე აქტიურად მოქმედებს ინოვაციის დაწინაურებისა და დიფუზიის მექანიზმი.

ბაზრის სტაბილიზაციის სტადია გვიჩვენებს ბაზრის გაჯერებას მოცემული ოპერაციით და იგი ბაზრის ვარდნის სტადიაში გადადის. ამ დროს ოპერაციის გაყიდვის მოცულობა მკვეთრად იწყებს კლების თვით მის მთლიანად შეწყვეტამდეც კი.

ბაზრის გაჯერების ზღვარი



სადაც

(O-A)– ოპერაციის დამუშავების პროცესისა და დოკუმენტის შექმნის დაფინანსება;

(1-B)– ოპერაციის რეალიზება მეურნე სუბიექტის შიგნით;

(1-2) – ოპერაციის რეალიზება ბაზარზე;

2– ბაზრის გაჯერებაზე გადასელის წერტილი;

3– ბაზრის მოცულობის შემცირებისკენ და ბაზრის დაცემისაკენ გადასელის წერტილი;

4– ბაზარზე ოპერაციის გაყიდვის შეწყვეტის წერტილი.

ნახ. 19.2. ახალი საბანკო ოპერაციის სასიცოცხლო ციკლის სქემა

19.3. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲐ

საფინანსო ბაზრებზე გამუდმებით ჩნდება სრულიად ნაირგვარი, ახალი საბანკო პროდუქტები და ოპერაციები. საბანკო ინოვაციების გაჩენას ძირითადად სამი მიზეზი განაპირობებს:

1. სამეწარმეო აზრის განუწყვეტლივ მოპოვება და კონკურენტებისათვის გასწრების სურვილი;

2.საბანკო სფეროში პერიოდულად წარმოქმნილი კრიზისი (მთლიანი ან ნაწილობრივი), რაც ფინანსური აზრის გაძლიერების სტიმული და ბანკის ფინანსური სიმტკიცის ამაღლების ფაქტორია;

3.საზღვარგარეთის ქვეყნებში საფინანსო ბა'ზრის ფუნქციონირება, რაც მათ საბანკო ინოვაციების შესახებ ინფორმაციას იძლევა.

ჩვენი ქვეყნის ბაზარზე მოსალოდნელია შემდეგი საბანკო ინოვაციების გაჩენა:

1.სავალუტო საპროცენტო სვოპი;

2. ნულოვანკუპონიანი სვოპი;

3. პენსიონერების მიკროდაკრედიტება;

4.NOW– ანგარიშები;

5. სვოპების შენახვა;

6. ოვერდრაფტებთან კონტოკორენტის შეხამების ოპერაციები.

სავალუტო-საპროცენტო სვოპი. სვოპი (ინგ. Swap, swop –გაცვლა, შეცვლა) სუბიექტების მიერ ვალდებულებების ან აქტივობის გაცვლის სავალუტო ოპერაციაა. ტრადიციული სვოპებია სავალუტო და საპროცენტო.

სავალუტო სვოპი წარმოადგენს ვალუტის შეძენას და იმავდროულად მის ფორვარდულ გაყიდვას (დეპორტი) ან, პირიქით, ვალუტის გაყიდვას და იმავდროულად მის ფორვარდულ ყიდვას (რეპორტი).

საპროცენტო სვოპი სასესხო სახსრების საპროცენტო განაკვეთების გაცვლაა. სვოპის ამ ორი სახეობის შერწყმა იძლევა სრულიად ახალ საფინანსო ოპერაციას – სავალუტო-საპროცენტო სვოპს.

სავალუტო-საპროცენტო სვოპი წარმოადგენს როგორც ვალუტის, ისე პროცენტების გაცვლას. ამგვარი სვოპი რამდენიმე მონაწილეს შორის შეიძლება იყოს დადებული.


პრაქტიკაში იყენებენ დიფერენციულ სვოპებსაც. ესაა ერთი მხარის ნეტო-გადასახდელიანი სვოპი მეორის სასარგებლოდ კონტრაქტის დადების დროს.

ყველაზე მარტივია ე.წ. პირდაპირი სავალუტო სვოპი ცვალებადი კურსით, როცა მხარეები თანხმდებიან გაცვალონ ვალუტის ნაღდი თანხები, შემდეგ კი წინასწარ დათქმულ რომელიღაც დღეს განმეორებით მოახდინონ ერთი ვალუტით მოცემული ამავე თანხის გაცვლა მეორე ვალუტით მოცემულ შეცვლილ თანხაზე. ამ ტიპის სავალუტო სვოპს პრაქტიკულად რეგულარულად იყენებენ საკალუტო ბაზრებზე. იგი უზრუნველყოფს საოპერაციო სარჯების ეკონომიას ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მიმდინარე და ფორვარდულ გარიგებებთან შედარებით.

სვოპის, როგორც ვადიანი პოზიციების შექმნის საშუალების ძირითადი უპირატესობა ისაა, რომ მის მონაწილეებს არ ალელვებთ კურსების მოკლევადიანი ცვლილებები, რადგანც ეს კურსები ძლიერ გავლენას არ ახდენენ ფორვარდული კურსების სტრუქტურაზე, თუ ამ დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ხდება მათი გარდასახვის თვალსაზრისით. არც სავალუტო კურსებში გამოვლენილი მარჟის რყევა აისახება ძლიერად ფორვარდულ მარჟაზე.

ამგვარად, ამ და ზოგიერთმა სხვა ფაქტორმა გავლენა იქონიეს მსოფლიო პრაქტიკაში სვოპოპერაციების ფართოდ გავრცელებაზე. ამ ოპერაციების ბუმი, რომელიც XX ს. 80–იან წლებში დაიწყო, დღემდე ისევ გრძელდება. მრავალი ქვეყნის ბანკები და სხვა საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები აქტიურად ითვისებენ მათთვის ახალ ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათ შორის სვოპოპერაციებსაც.

მაგალითი. A მსესხებელს ფიქსირებულ პროცენტიანი ობლიგაციები აქვს ამერიკული დოლარებით, B-ს კი – მცურავპროცენტიანი. ბანკის მეშვეობით ისინი შემდეგნაირად უცვლიან ერთმანეთს ამ ობლიგაციებს (ნახ. 19.3.)




1 – ფიქსირებულ განაკვეთიანი ობლიგაცია (დოლარებით)
2– ფიქსირებულ განაკვეთიანი ობლიგაცია (მარკებით)
3– მცურავგანაკვეთიანი ობლიგაცია (დოლარებით)

ნახ. 19.3. საჯალუტო-საპროცენტო სვოპი (სამმხრივი გაცვლა)

ნახ. 21.3. გეიჩვენებს, რომ A მსესხებელი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ობლიგაციას (ამერიკული დოლარებით) ცვლის ფიქსირებული განაკვეთის მქონე ობლიგაციაზე (გერმანული მარკებით). ეს ვალუტების ჩვეულებრივი გაცვლაა, ე.ი. საჯალუტო სვოპი. B მსესხებელი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ობლიგაციას (ამერიკული დოლარებით) ცვლის საპროცენტო განაკვეთის მქონე ობლიგაციაზე (ამერიკული დოლარებით). ეს პროცენტების ჩვეულებრივი გაცვლაა, ე.ი. საპროცენტო სვოპი. C მსესხებელი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ობლიგაციას (გერმანული მარკებით) ცვლის მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ობლიგაციაზე (ამერიკული დოლარებით). ესაა როგორც ვალუტების, ისე პროცენტების გაცვლა, ანუ საჯალუტო- საპროცენტო სვოპი.

ნულოვანკუპონიანი სვოპი. ნულოვანი კუპონი აღნიშნავს კუპონური შემოსავლის უქონლობას. ფასიან ქაღალდზე შემოსავალი ამ დროს იქმნება არა მის ნომინალურ ღირებულებაზე დარიცხული პროცენტების ხარჯზე, არამედ ამ ღირებულებიდან ფასჩამოკლების (დისკონტის) ხარჯზე ნომინალური ღირებულებით, ფასიანი ქაღალდის დაფარვის ან გაყიდვის დროს.

ნულოვანკუპონიანი სვოპის არსი ისაა, რომ უკუპონო ობლიგაციის ემიტენტს შეუძლია ფიქსირებული შემოსაელის გაცვლა მცურავ საპროცენტო განაკვეთზე იმავდროულად საპროცენტო სვოპისა და ყოველწლიურად შებრუნებითი გადახდის გზით.



1 – ობლიგაციის ყიდვის ფასი მისი ემისიის დროს (8 000 ამერიკული დოლარი);
2 – ობლიგაციის– ნომინალი (10 000 დოლარი);
3 – ობლიგაციის ღირებულებებიდან (8 000 დოლარი) ფიქსირებული განაკვეთის თანხა (11,8%);
4 – ობლიგაციის ღირებულებიდან (8 000 დოლარი) ლიბორ-განაკვეთის თანხა;
5 – ობლიგაციის დაფარვის დროს შეშოსული ფულის თანხა (10-8 =2000 დოლარი)

ნახ 19.4. ნულოვანკუპონიანი სვოპი

მაგალითი:

A მეურნე სუბიექტმა გამოუშვა ობლიგაციები, ე.ი. იგი ობლიგაციის ემიტენტია. ობლიგაციის ნომინალია 10 000 დოლარი, მიმოქცევის ვადა– 2 წელი. ემიტენტმა ობლიგაციები გაყიდა 8 000 დოლარად. ამ შემთხვევაში ობლიგაციის მყიდველი A მეურნე სუბიექტის კრედიტორია, თვითონ მეურნე სუბიექტი კი მსესხებლის როლში (A მსესხებელი) გამოდის. იმავდროულად A მსესხებელმა სვოპის ხელშეკრულება დადო B მსესხებელთან და თაეის ფიქსირებულ განაკვეთს უცვლის მცურავ ლიბორ–განაკვეთში.

ნახ. 19. 4. გვიჩვენებს, რომ ემიტენტმა (A მსესხებელმა) 10 000 დოლარის ნომინალური ღირებულების მქონე ობლიგაცია 8 000 დოლარად გაყიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ თანხა 10 000 დოლარი დისკონტირებული იყო წლიური 11,8%–იანი განაკვეთით.

იმავდროულად A მსესხებელმა სვოპის ხელშეკრულება დადო B მსესხებელთან, რომლის თანახმადაც B მსესხებლისაგან იგი იღებს ფიქსირებულ განაკვეთს (11,8%–ს), თვითონ კი მას ლიბორ-განაკვეთს უხდის. ფიქსირებული განაკვეთით მიღებული თანხა 8 000 დოლარი A მსესხებელს შეაქვს ბანკში წლიური 11,8%–ით. ორი წლის შემდეგ ეს თანხა 2 000 დოლარს მოუტანს მას: 8+(1+0,118)-8=2 000 დოლარი. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ მან 10 000 დოლარი გადაიხადოს უპროცენტო ობლიგაციის დასაფარავად.

პენსიონერთა მიკროდაკრედიტება. მიკროდაკრედიტებაში შეიძლება მონაწილეობდნენ ბანკი, საპენსიო ფონდი (მისი ტერიტორიული განყოფილება), პენსიებისა და შემწეობების დარიცხვისა და გაცემის ცენტრი, საფოსტო კავშირის სამმართველო. ამ დროს დგინდება მიკროკრედიტის ლიმიტი (თანხა), საპროცენტო განაკვეთი (ვთქვათ, წლიური 8%). მიკროკრედიტის გაცემის ვადაა პენსიის უახლოეს დარიცხვამდე, ე.ი.30 დღეზე ნაკლები. კრედიტის დაბრუნება ავტომატურად ხდება – ბანკში საპენსიო ანგარიშზე შემოსული ფულადი სახსრების ხარჯზე. შესაძლებელია მიკროკრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ.


NOW – ანგარიში. NOW – ანგარიში (ინგ. Now-negatiable orders of with-drawal- მიმოქცევაში მყოფი ბრძანებები გადახდევინების შესახებ) დეპოზიტური ანაბრისა და მიმდინარე ანგარიშის ნაერთია. NOW – ანგარიშის მფლობელს უფლება აქვს (30 დღით ადრე შეტყობინების შემთხვევაში) გამოიწეროს „მიმოქცევაში მყოფი ბრძანებები გადახდევინების შესახებ" და გადახდისთვის გამოიყენოს ისინი როგორც საანგარიშსწორებო ჩეკები.

NOW – ანგარიშზე აწესებენ ანაბრის იმ მინიმალურად აუცილებელ ნაშთს, რომელიც მფლობელს მხოლოდ ანგარიშის დახურვის შემდეგ უბრუნდება, და, აგრეთვე, ანაბრის მკაცრად მიზნობრიობას. ანაბრის ზღვრული მნიშვნელობა არის ანგარიშზე ფულადი სახსრების ნაშთის საშუალო ზომა ანგარიშის ძოლი თანხით, რომლის გადაჭარბების შემთხვევაშიც პროცენტები ირიცხება. პროცენტების დარიცხვა ყოველთვიურად ხდება.

სვოპების შენახვა. სვოპების შენახვა (ინგ. Warehousing of swaps) არის სვოპის შესახებ ბანკთან ხელშეკრულების დადება და მისი დაზღვევა (ჩვეულებრივ, ფიუჩერსებით) იმ მომენტამდე, ვიდრე ბანკი არ გამოძებნის სვოპის შესახებ ხელშეკრულების მეორე მხარეს. გარიგებას დებენ მოთხოვნით და ამიტომ მისი დადების მომენტში მეორე მხარის არსებობა აუცილებელი არაა.

შესაძლებელია, მაგალითად, სვოპების შენახვის შემდეგი სქემა. ბანკი ინვესტორთან დებს ხელშეკრულებას საპროცენტო განაკვეთების გაცვლის შესახებ და იმავდროულად ახდენს საპროცენტო განაკვეთის სიდიდის დაზღვევას (ნახ. 19.5).

ნახ. 19.5-ზე მოცემული სქემა გვიჩვენებს, რომ სვოპის ხელშეკრულების მიხედვით ბანკი ინვესტორს უხდის ფიქსირებულ განაკვეთს მისგან მცურავი განაკვეთის მიღების სანაცვლოდ. ბანკი ახდენს იმ რისკის დაზღვევას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დაწევამ მცურავ განაკვეთზე ქვემოთ.



1– ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მოძრაობა;
2– მცურავი საპროცენტო განაკვეთის მოძრაობა.

ნახ. 19.5. სვოპების შენახვა

მაგალითად, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთია წლიური 10%. მცურავი განაკვეთის სიდიდე დგინდება სავალუტო ბირჟაზე მიმდინარე ვაჭრობისას. მცურავი განაკვეთის სიდიდეზე ქვემოთ ფიქსირებული განაკვეთის დაწევის რისკისგან დაზღვევის მიზნით ბანკმა შეიძინა ექსთეიანი ფიუჩერსული კონტრაქტი წლიური 10%–იანი საპროცენტო განაკვეთის მიღებაზე.

ექვსი თვის შემდეგ ბაზარზე ორი სიტუაციაა შესაძლებელი:

პირველი სიტუაცია. ბირჟაზე ვაჭრობის მსვლელობაში შეიმჩნევა ფიქსირებულ განაკვეთთან შედარებით მცურავი საპროცენტო განაკვეთის კლების ტენდენცია. ამიტომ ბანკი ინარჩუნებდა ფიუჩერსს მისი მოქმედების ვადის გასვლამდე და იგი დასურა მაშინ, როცა მცურავი განაკვეთის სიდიდე გახდა 7% წლიური.

სვოპების შემოსავალმა წლიური 1,5% შეადგინა:

$$(10-7)\times 6/12 = 1{,}5\%$$

მეორე სიტუაცია. ბირჟაზე ვაჭრობის მსვლელობაში შეიმჩნეოდა მცურავი საპროცენტო განაკვეთის ზრდის ტენდენცია ფიქსირებული განაკვეთის სიდიდესთან შედარებით. ამიტომ ბანკმა გაყიდა ფიუჩერსი. სვოპის შესახებ დადებული ხელშეკრულების ვადის გასვლის დღეს მცურავი განაკვეთის სიდიდემ წლიური 12% შეადგინა.

სვოპების შენახვით მიღებულმა შემოსავლიანობამ წლიური 1% შეადგინა:

$$(12-10)\times 6/12 = 1{,}0\%$$

ოვერდრაფტთან კონტოკორენტის შეხამების ოპერაცია. ოვერდრაფტთან კონტოკორენტის შეხამების ოპერაციის შეაარსი მდგომარეობს მათ ერთდროულად გამოყენებაში ფულის გადახდის დროს, განსაკუთრებით–სავალუტო ანგარიშწორებებისას, როდესაც გადახდის საკონტრაქტო ვადის დადგომაზე ადრე მფლობელის ანგარიშზე შემოსულას იწყებს ფულადი სახსრები (მათ შორის ვალუტა), მათ ჩარიცხვას კონტოკორენტულ ანგარიშზე ახდენენ ხოლმე. თუ ფულის გადახდის ვადა დგება ფულის შემოსულის ვადაზე ადრე, მაშინ ინვესტორი ბანკის ოვერდრაფტს იყენებს. ოვერდრაფტის კრედიტი და მისი პროცენტები ბანკს დაუბრუნდება მფლობელის ანგარიშზე ფულის შემოსულის მომენტში.

19.4. პლასტიკური ბარათები

ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი პლასტიკური ბარათების გამოყენებაზეა დაფუძნებული და მოიცავს ბანკომატების მეშვეობით განხორციელებულ ოპერაციებს, სავაჭრო ორგანიზაციებში მოსახლეობის ანგარიშსწორების ელექტრონულ სისტემებს, კლიენტების საბანკო მომსახურების სისტემებს ბინაზე და სამუშაო ადგილზე.

პლასტიკური ბარათი განმაზოგადებელი ტერმინია და მოიცავს სხვადასხვა სახეობის ბარათებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც დანიშნულებითა და მათი მეშვეობით გაწეული მომსახურების კომპლექსით, ისე ტექნიკური შესაძლებლობებითა და გამომშვები ორგანიზაციებით.

ყველა პლასტიკური ბარათის უმნიშვნელოვანესი თავისებურება ისაა, რომ მათში ინახება ამა თუ იმ გამოყენებით პროგრამაში გამოყენებული ინფორმაცია. ფულის მიმოქცევის სფეროში პლასტიკური ბარათები უნაღდო ანგარიშსწორების ერთ–ერთი პროგრამული საშუალებაა.

ელექტრონული ფულადი ანგარიშსწორების სისტემის ფორმირების პროცესში დასავლეთში შეიქმნა ორგანიზაცია ISO (International Standards Organization), რომელმაც დაამუშავა პლასტიკური ბარათების იერსახის გარკვეული სტანდარტები. ანგარიშების ნუმერაციის (ჩამოყალიბების) წესი; მაგნიტური ზოლების ფორმატი; შეტყობინების ფორმატი, რომელიც ბარათის მფლობელს ეგზავნება მისი ოპერაციების შესახებ. ISO –ს წევრებია ბარათების ისეთი მსხვილი ემიტენტები, როგორიცაა VISA, Master Card, American Express.

პლასტიკური ბარათები საბანკო საქმეში ე.წ. „ტექნოლოგიური რევოლუციის" უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ პლასტიკური ბარათები გვეელინება ელექტრონული საბანკო (და სხვა) სისტემების წამყვან ელემენტად. ისინი წინა პოზიციებზე გავიდნენ დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ფულის მიმოქცევის ორგანიზაციაში და თანდათანობით გამოდევნეს ჩეკები და ჩეკის წიგნაკები.

ანგარიშსწორებისათვის განკუთვნილი ყველა პლასტიკური ბარათი შეგვიძლია დავყოთ პირად და კორპორაციულ ბარათებად. პირად ბარათებს ბანკები ანძლევენ კერძო პირებს, თავიანთ გადახდისუნარიან კლიენტებს და, აგრეთვე, სხვა პირებსაც მას შემდეგ, რაც გაანალიზებული იქნება მათი „საკრედიტო ისტორიები" და ისინი ამ ბანკში გახსნიან მიმდინარე ანგარიშს ან შეიტანენ სადაზღვევო დეპოზიტს. კორპორაციულ ბარათებს ანძლევენ იურიდიულ პირებს მათი გარანტიითა და უზრუნველყოფით, ისევ და ისევ ამ პირთა გადახდისუნარიანობის ანალიზის შემდეგ. კორპორაციული ბარათების გამოყენება შეუძლიათ ამ ბარათის მიმღები ორგანიზაციის თანამშრომლებს.

ფუნქციური ნიშნის მიხედვით პლასტიკური ბარათები პირობითად შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დავყოთ:

ცხრილი 19.1.

პლასტიკური ბარათების ძირითადი სახეები:


ბარათების ტიპი	ბარათის დანიშნულება
1.საკრედიტო ბარათები; 2.სავალდებულო (დებეტური) ბარათები; 3.ვალუტური (აღმასრულებელი) ბარათები; 4.სარეკლამო ბარათები; 5.ფიქსირებული მყიდველობითი უნარის მქონე ბარათები ("store value") – საგასტრონომო და სხვა	მრავალფუნქციური ბარათები 6. მიკროპროცესორული ბარათები; მახსოვრობის ბარათები ("memory cards"); ელექტრონული ბარათები ("smart cards"); სუპერ ინტელექტუალური ბარათები ("supersmart cards"); 7. ლაზერული ბარათები

ფიქსირებული მსყიდველობითი უნარის მქონე ბარათები შესაძლოა იყოს მაგნიტური ან ჰქონდეს პერფორაცია, ბარათზე გაკეთებული შიფრი და სხვა ტექნოლოგიური თავისებურება.

ფიქსირებული მსყიდველობითი უნარის მქონე ბარათები ყველაზე მარტივი ბარათებია. მათზე, ჩვეულებრივ, აღნიშნულია დამამზადებლის სახელი, მისი საფირმო ნიშანი, მფლობელის ვინაობა და მისი მაიდენტიფიცირებელი კოდი. ეს ყოველივე დაბეჭდილია ან რელიეფითაა შესრულებული ბარათის წინა მხარეზე. უკანა მხარე შეიძლება შეიცავდეს მისი მფლობელის ხელმოწერას.

უცხოეთის პრაქტიკაში მიღებულია პლასტიკური ბარათების კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით (სქემა 19.6).

მაგნიტური ბარათები ისევე გამოიყურება, მაგრამ უკანა მხარეზე მათ აქვთ მაგნიტური ზოლი, რომელსაც ინფორმაციის დაახლოებით 100 სიმბოლოს (ბაიტის) შენახვის უნარი აქვს. მაგნიტურ ზოლზე არსებული ინფორმაცია ემთხვევა ბარათის წინა მხარეზე გაკეთებულ ჩანაწერებს



19.6 სქემა. პლასტიკური ბარათების სახეები სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით

(მფლობელის ვინაობა, მისი ანგარიშის ნომერი, მოქმედების დასრულების ვადა) და სპეციალური მოწყობილობით შესაძლებელია მისი შედარება.

მაგნიტური ბარათები 30 წელზე მეტი ხნის წინათ გამოჩნდა, თავდაპირველად – გზაში მყოფი ბიზნესმენების მომსახურების მიზნით. ამჟამად დასავლეთის ქვეყნებში მიმოქცევაშია 2 მლრდ-ზე მეტი ასეთი ბარათი.

მიკროპროცესორული ბარათის XX ს. 70–იან წლებში გამოიგონეს, მაგრამ მისი პრაქტიკულად გამოყენების რეალური შესაძლებლობები მხოლოდ 80–იანი წლების ბოლოს გაჩნდა. 1993 წ. ბოლოსთვის გამოშვებული იყო დაახლოებით 250 მლნ. ელექტრონული პლასტიკური ბარათი. ამჟამად, მათმა რაოდენობამ 1 მლრდ–ს გადააჭარბა. ისინი ყველაზე უფრო საფრანგეთშია გავრცელებული.

კლიენტების თვალსაზრისით ბარათების მიმზიდველობა შეიძლება:

ერთი მხრივ, რისკის შემცირება (საჭირო არაა ფულის დიდი თანხის თან ტარება), მეორე მხრივ კი – შეძენილი საქონლის ღირებულების მომენტალურად გადახდის შესაძლებლობა.

საჭირო არაა ზრუნვა ვალუტის კონვერტირებაზე. მას ბანკი გააკეთებს და თანაც ისე, რომ კლიენტი მოგებას ნახავს მაღაზიასა და ბანკში გაცვლის კურსების არსებული სხვაობით.

ბარათის დაკარგვის შემთხვევაში საკმარისია ბანკს ვაცნობოთ ამის შესახებ, რომ მასზე ყველა ანგარიშსწორებას მაშინვე დაბლოკავენ.

შესაძლოა პროცენტების მიღება ბანკში შეტანილი ფულად რესურსებზე (როგორც წესი, საშუალო ნაშთზე, რომელიც რომელიღაც მოლაპარაკებულ თანხაზე მეტია).

პრესტიჟულობა (განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ბარათებს ჯერ კიდევ არ იყენებენ საყოველთაოდ), რომელიც თანაც იმასაც ადასტურებს, რომ კლიენტს შეუძლია საფინანსო სფეროში გამოყენებული თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით სარგებლობა.

საკრედიტო ბარათების მინუსები კლიენტისთვის უკავშირდება, უპირველეს ყოვლისა, იმ ხარჯებს, რომლებიც მან უნდა გაასწოროს.

კლიენტს ფულის გადახდა უწევს იმ მოსურნეებული პირობებისთვის, რომლებსაც ბარათების გამოყენება იძლევა.

ბარათებს არ იღებენ ყველა მაღაზიაში და ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს სხვა ორგანიზაციაში (განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც ახლა დგებიან ამ გზაზე).

მაღაზიის მოგება შემდეგში გამოიხატება:

– შესაძლებელია მეტი და უფრო შეძლებული კლიენტების მოზიდვა და საქონლებრუნვის მნიშვნელოვნად გაფართოება;

– საჭირო არაა ზრუნვა ფულის კონვენტირებაზე და ამონაგების ინკასაციაზე;

– გაცილებით ადვილია უსაფრთხოების პრობლემის მოგვარება (მფლობელების ხელმოწერის მქონე ჩეკები, რომლებიც მაღაზიებში რჩება და აღნიშნავს მის ანგარიშზე ფულის შემოსვლას, აღარ აინტერესებს მძარცველებს);

– საქონლის ყიდვის მიდრეკილება იმ ადამიანს უფრო აქვს, ვისაც ბარათი აქვს თან, ვიდრე იმას, ვისაც ნაღდი ფული უჭირავს ხელში;

– მატულობს მაღაზიის პრესტიჟი და რეიტინგი.

ამავე დროს მაღაზიას უხდება ზოგიერთი დამატებითი ხარჯის გაწევა: საჭიროა თავდაპირველი ხარჯების გაღება შესაბამისი მოწყობილობის შესაძენად ან არენდისთვის და მუშა მდგომარეობაში მისი შენარჩუნებისა და მომსახურებისთვის მიმდინარე დანახარჯების გაწევა.

შესაძლოა გარკვეულწილად რთული იყოს ბარათების ავტომატიზაციის პროცესი და, საერთოდ, იმ საპროცესინგო ცენტრთან ურთიერთობა, რომელიც მოცემული ემიტენტის ბარათებს ემსახურება.

ბარათებზე მუშაობით ბანკი შეიძლება მოსაზრებებიდან გამომდინარეა დაინტერესებული:

ისინი გეაძლევს მოზიდული რესურსების მოცულობათა გადიდების საშუალებას. იგულისხმება, ჯერ ერთი, ის თანხები, რომელთა შეტანაც ბარათების მფლობელებს ევალებათ ბანკში თავიანთ სპეციალურ ანგარიშებზე. მეორე, შესაძლოა ეს იყოს სადაზღვევო დეპოზიტები, რომლებსაც ბანკები, „საბარათო" ოპერაციების მეტი საიმედოობის უზრუნველყოფისთვის იყენებენ;

ბარათებზე წარმოებული ოპერაციებისთვის (შეძენა, კონვენტირება) ბანკი, როგორც წესი, საკომისიოს აბდევინებს. გარდა ამისა, კლიენტი ფულს იხდის თვით ბარათის მიღებისთვის.

მაღლდება ბანკის საკონკურენტო პოტენციალი იმასთან დაკავშირებით, რომ მთელ მსოფლიოში გამოხატული საგადამხდელო ბრუნვიდან არა მარტო ნაღდი ფულის, არამედ ჩეკების გამოძევების ტენდენცია, იზრდება ბანკის როგორც ინოვაციური პროცესების მონაწილის ავტორიტეტი.

რაც შეეხება „საბარათო" ბიზნესის ნაკლებად სასიამოვნო მხარეს, ბანკისთვის იგი დაკავშირებულია მეტად დიდ დანახარჯებთან, განსაკუთრებით ბარათებზე მუშაობის დასაწყისში (უკვე არსებულ სისტემაში შესვლა ან საკუთარი საპროცესინგო ცენტრის ორგანიზება, ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები, მაღაზიებთან ურთიერთობების აგება და ა.შ.).

19.5. პლასტიკური ბარათების დანერგვის საზღვარგარეთული გამოცდილება

ამჟამად 200–ზე მეტი ქვეყანა აკეთარებს საბანკო მომსახურებას საკრედიტო ბარათების საფუძველზე, საქონლისა და მომსახურების უნაღდო ანაზღაურება კი მრავალი ქვეყნის მთელი ფულადი ოპერაციების სტრუქტურაში 90%-ს აღწევს. საფულედატენილი მყიდველი დღეს გაკვირვებას იწვევს. უკვე ანაქრონიზმად გამოიყურება ჩეკის წიგნაკიც. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია შევისწავლოთ საზღვარგარეთ საკრედიტო ბარათების გამოყენების ზოგიერთი ასპექტი.

19.5.1. საბანკო საკრედიტო ბარათები

საბანკო საკრედიტო ბარათი წარმოადგენს პლასტიკურ ბარათს, რომელიც საშუალებას აძლევს მის პატრონს საქონლისა და მომსახურების შეძენის დროს გადააადგილოს მათი ღირებულების გადახდის ვადა. ბარათის ყოველ მფლობელს უდგინდება მისი სასესხო ანგარიშის მეშვეობით დაკრედიტების ლიმიტი, რომელიც აბსოლიტურად არაა დამოკიდებული ბანკში კლიენტის ჩვეულებრივ (მიმდინარე, შემნახველ და სხვა) ანგარიშზე. ბანკის მიერ ემიტირებული ბარათებისთვის ანგარიში წარმოებს ბანკის იმ სპეციალურ განყოფილებაში, რომელიც საკრედიტო ბარათების გამოყენებით ახდენს ანგარიშსწორების ორგანიზებას.

ბარათებით სარგებლობა შეუძლიათ 18 წლის ასაკს მიღწეულ პირებს და თანაც აუცილებელი არაა, რომ მათ სახელზე ბანკში ანგარიში იყოს გახსნილი. ამიტომ საკრედიტო ბარათები სარგებლობა თანაბრად შეუძლიათ ბანკში მიმდინარე ანგარიშებისა და დანაზოგების მქონე კლიენტებს.

საკრედიტო ბარათის გაცემამდე ბანკი ან ბარათების გამომშვები შესაბამისი კომპანია კლიენტს სთხოვს სპეციალური ფორმის შევსებას, რომელიც მოიცავს მთელ რიგ საკითხებს კლიენტისა და მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მათ შორის წინა საკრედიტო ოპერაციების დეტალებს. ამ მონაცემების საფუძველზე ბანკი განსაზღვრავს ფულადი სახსრების სალდოს კლიენტის ანგარიშზე და შესაძლო შემოსულობებისა და ანგარიშიდან ჩამოწერის თანხებს. თუ კლიენტის ფინანსური მდგომარეობა აკმაყოფილებს ბანკს, მაშინ მას ანძლევენ საკრედიტო ბარათს და უწესებენ დაკრედიტების ლიმიტს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ეს შეადგენს თვეში 300–დან 1000–მდე გირვანქა სტერლინგს.

საკრედიტო ბარათი შეიცავს ინფორმაციას კლიენტის გადახდისუნარიანობის შესახებ, მფლობელის სახელს, მისი საბანკო ანგარიშის ნომერს, ბანკის განყოფილების შიფრს, გადახდათა იმ

ელექტრონული სისტემების სიმბოლოებს, რომელშიც მოცემული სახეობის ბარათებს იყენებენ, გოლოგრამას, ბარათით სარგებლობის ვადას და მის უკანა გვერდზე (მაგნიტურ ბოდიზე) — კლიენტის ხელმოწერას.

იმ ოპერაციებს, რომლებიც საკრედიტო ბარათების მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს, ეკუთვნის: საქონლის შეძენა, მომსახურების ფასის გადახდა, ნაღდი ფულადი სახსრების მიღება სესხის ან ავანსის სახით იმ სისტემის წევრი ნებისმიერი ბანკიდან, რომელშიც მოცემული სახეობის ბარათები ფუნქციონირებს. საკრედიტო ბარათების უმრავლესობა შეიძლება გამოვიყენოთ, აგრეთვე, ბანკომატებიდან (ავტობანკებიდან) ნაღდი ფულის მისაღებად. როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ ეს ხდება იმ ბანკის დაწესებულებებში, რომელიც საკრედიტო ბარათების გამოყენების სათანადო სისტემაში მონაწილეობს. მაგალითად, ამერიკის ბანკების RIGGS-ის და Citibank-ის საკრედიტო ბარათები იძლევა აშშ-ის ტერიტორიაზე არსებული 40-50 ათასი ავტომატიდან ნაღდი ფულის მიღების შესაძლებლობას. თუმცა, ავტომატების უმრავლესობაში მისაღები ნაღდი ფულადი სახსრების თანხა, ჩვეულებრივ, შეზღუდულია არა კლიენტის დეპოზიტის ზომებით, არამედ ყოველდღიური ლიმიტით (მაგალითად, 300 დოლარით). ეს იმას უკავშირდება, რომ საკრედიტო ბარათით ფულის გაცემისას „ავტომატის სახის მქონე" ბანკი კრედიტს აძლევს კლიენტს, მაგრამ ბანკის მომსახურისაგან განსხვავებით, ავტომატს არ შეუძლია მაშინვე შეამოწმოს კლიენტის გადახდისუნარიანობა და მისი დაკრედიტების ლიმიტი (განსაკუთრებით-თუ ავტომატი ემიტენტ ბანკს არ ეკუთვნის). ეს შეზღუდვა მხოლოდ მაგნიტურ ბარათებს ეხება, რადგან მიკროპროცესორული ბარათები თავიანთ მესსიერებაში მთელ აუცილებელ ინფორმაციას ინახავენ.

საკრედიტო ბარათების მეშვეობით გაწეული მომსახურების ერთ-ერთი სახეობაა მოგზაურობის დროს უბედური შემთხვევებისგან უფასოდ დაზღვევა. საკრედიტო ბარათით მოგზაურობის ღირებულების გადახდის შემთხვევაში ამ ბარათის პატრონს ავტომატურად აზღვევენ შესაძლო დაზარალების, დაზიანების ან სიკვდილისაგან. ზარალის ანაზღაურება გარანტირებული აქვს ბარათის მფლობელს, მისი სიკვდილის შემთხვევაში კი — მის კმაყოფაზე მყოფ ცოლსა და შვილს.

საკრედიტო ბარათების მეშვეობით განხორციელებული, ყველაზე უფრო გავრცელებული ოპერაციაა საქონლისა და მომსახურების განაღდება. გადახდის ეს მეთოდი მხოლოდ სპეციალურად მოწყობილ ადგილებში შეიძლება განხორციელდეს. იქ დადგმულია მანქანები სალაროს აპარატის ჩეკის მომზადებისთვის და ოპერაციის რეგისტრაციისთვის. აქვე აქვთ სპეციალური მოწყობილობა, რომელსაც შეუძლია სააქციპტო საკრედიტო ბარათის სიმბოლოების განმეორება.

საქონლის ღირებულების გადასახდელად მყიდველი ბარათს გადასცემს მყიდველს, რომელიც მას ჩეკთან ერთად ათავსებს ტერმინალის მოწყობილობაში. მანქანის ჩართვის დროს ბარათზე ამობურცული შრიფტით მოყვანილი ინფორმაცია, რომელიც მფლობელის ვინაობისა და ანგარიშის ნომრის დეტალიზებას ახდენს, ჩეკზე ამოიბეჭდება მყიდველის სახელთან და მისამართთან ერთად. მსხვილი შენაძენის გაფორმების დროს გამყიდველი, ჩვეულებრივ, ტელეფონით ან ფაქსით უკავშირდება ბარათის ემიტენტ კომპანიას ან ბანკს და არკვევს ბარათის „მყიდველობით ძალას" ანუ ბარათით დაკრედიტების თავისუფალ ლიმიტს. აუცილებელი ინფორმაციის მიღების შემდეგ გამყიდველი წყვეტს საკითხს, შესაძლებელია თუ არა ბარათის აქცეპტება — საქონლის ან მომსახურების ღირებულების გადახდისთვის მისი გამოყენება. გარიგების დეტალები და თანხა აისახება ანგარიშზე, რომელსაც შემდეგ ხელს აწერს მყიდველი. ამ ხელმოწერას გამყიდველი უდარებს ბარათზე აღნიშნულს და მათ იდენტურობაში დარწმუნების შემდეგ ჩეკის ასლის გადასცემს მყიდველს და უბრუნებს მას ბარათს. ბანკის ადგილობრიეი განყოფილების მეშვეობით გამყიდველი ჩეკს გაგზავნის კომპანიაში (ან ბანკში) და ამ გზით ადასტურებს გადახდას, რომელიც შემდეგ მომენტში ხორციელდება კავშირის კომპიუტერული ხაზებით. ფულადი სახსრების გადაგზავნის ელექტრონულ სისტემებთან მიერთების სპეციალური მოწყობილობები დაყ-

ენებულია უშუალოდ საცალო ვაჭრობის დაწესებულებებში. ეს ტერმინალური მოწყობილობები სანქციას აძლევენ საკრედიტო ბარათის გამოყენებით გარიგების მოხდენას იმ მომენტში, როცა მისი მფლობელი კრეფს პერსონალურ საიდენტიფიკაციო ნომერს (PIN). საკრედიტო ბარათის ანგარიში ავტომატურად დებეტდება და ფულადი სახსრები დაუყოვნებლივ გადაირიცხება გამყიდველის ანგარიშზე. ამგვარად, საჭირო აღარაა ნაღდი ფულადი სახსრების ან ქაღალდის სხვა საგადამხდელო დოკუმენტების (ჩეკების და სხვა) გამოყენება.

კლიენტსა და ბანკს შორის დადებული იმ ხელშეკრულებების უმრავლესობას, რომლებიც საკრედიტო ბარათების გამოყენებას ეხება, დასაელეთის ქვეყნებში არეგულირებენ შესაბამისი კანონებით სამომხმარებლო კრედიტის შესახებ და მათ „რეგულირებად ხელშეკრულებებს" უწოდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ გარკვეული ინფორმაცია კრედიტორმა მსესხებელს წერილობით უნდა მისცეს. ამ დოკუმენტის საფუძველზე მსესხებელი გარკვეულ იურიდიულ უფლებებს იღებს. მაგალითად, სამომხმარებლო კრედიტზე დიდ ბრიტანეთში 1974 წ. მიღებული კანონის პირობებით, თუ კრედიტი გამოიყენეს საქონლისა და მომსახურების გასანაღდებლად, საქონელი კი უკან დაუბრუნეს გამყიდველს დაბალი ხარისხის ან სხვა მიზეზების გამო, ან მომსახურების გაწევა არ მოხდა, მაშინ მყიდველს იურიდიული უფლება აქვს სარჩელით მიმართოს კრედიტორს (საკრედიტო ბარათების გამომშვებ კომპანიას ან ბანკს), ისევე, როგორც გამყიდველს. ასეთი წესი არსებობს საკრედიტო ბარათის მეშვეობით ისეთი საქონლის ან მომსახურების ღირებულების გადახდის შემთხვევაში, რომლის ერთეულიც 100-დან 30 000 გირვანქა სტერლინგი ღირს. ამასთან, პრეტენზიების გამოხატვა შესაძლებელია როგორც მთელ ღირებულებაზე, ისე ნაწილ-ნაწილ.

ბარათის მფლობელი თვეში ერთხელ იღებს ცნობას (ანგარიშს) მის სასესხო ანგარიშზე არსებული სახსრების მოძრაობის შესახებ. მასში დეტალიზებულია შეძენის განხორციელების და ნაღდი ფულადი სახსრების ავანსად მიღების თარიღები და ღირებულება, რადგანაც დაშვებულია სახსრების ერთგვარად გადახარჯვაც — ოვერდრაფტი — მცირეპროცენტიანი კრედიტი. ბარათის მფლობელს უფლება აქვს პროცენტების გადაუხდელად დაფაროს დაკალიანების მთელი თანხა 25 დღის განმავლობაში ან გადაიხადოს თანხის მხოლოდ ნაწილი (არანაკლებ 5 გირვანქა სტერლინგისა ან შენაძენის ღირებულების 5%-ისა) და ვალის ნაშთი რამდენიმე თვეში დაფაროს. ოღონდ ამ შემთხვევაში პროცენტები გადაუხადოს ბანკს.

გასათვალისწინებელია ის, რომ კლიენტებისთვის სამომხმარებლო კრედიტების, მათ შორის საკრედიტო ბარათების მიცემის პირობები განსხვავებულია ამა თუ იმ ბანკსა თუ ქვეყანაში. უფრო მეტიც, სხვადასხვა საკრედიტო ბარათი სხვადასხვაგვარ მომსახურებას სთავაზობს კლიენტს. მაგალითად, არსებობს ისეთი საკრედიტო ბარათები, რომლებსაც ერთნაირი უფლებით გამოიყენებს ორი პირი (მაგალითად, ცოლი და ქმარი), ან ისეთები, რომლებიც მიცემული კრედიტების უზრუნველყოფას მოითხოვს და სხვა.

სხვადასხვა ქვეყნის ის ეროვნული კომპანიები, რომლებიც საკრედიტო ბარათებს უშვებენ, ბოლო წლებში ფართო საერთაშორისო ქსელის ნაწილად იქცნენ. ამგვარად, ამ ბარათების უმრავლესობის გამოყენება ფართოდ შეიძლება შიდა და საერთაშორისო საანგარიშსწორებო და საგადამხდელო ოპერაციებში.

მთლიანობაში შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ საკრედიტო ბარათების გამოყენებაზე დაფუძნებული კრედიტი ტრადიციული, განვადებით დასაფარავი კრედიტისგან შემდეგი ნიშნებით განსხვავდება: კრედიტის გაფორმებაზე გაწეული დანახარჯები ერთჯერადია; ძნელია ზოგიერთი მფლობელის მიერ ბარათების უკონტროლოდ გამოყენების აღკვეთა — არსებობს ამ ბარათების თაღლითურად გამოყენების რისკი.

საკრედიტო ბარათების გამოყენება არსებითად მოქმედებს უნაღდო ფულადი მიმოქცევის განვითარებაზე, ამცირებს მიმოქცევის ხარჯებს. არსებობს სხვა უპირატესობებიც: ბრუნვისა და

მოგების ზრდა, იმ ბანკების, საცალო ვაჭრობის საწარმოების და სხვა ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობისა და პრესტიჟის ამაღლება, რომლებიც საკრედიტო ბარათებს იყენებენ; გადახდის გარანტიის არსებობა; დასაქმების მატება, მაგალითად, საზღვარგარეთული ტურიზმის სფეროში და სხვ.

უახლესი საგადასახდელო საშუალებების, კერძოდ, საკრედიტო ბარათების გამოყენებით ბანკები არსებითად ამცირებენ ქაღალდის საგადასახდელო საშუალებების დამზადების, დამუშავებისა და აღრიცხვის ხარჯებს, ზოგავენ დროს და ცოცხალი შრომის დანახარჯებს. ელექტრონული ანგარიშსწორების უზარმაზარი სამუშაო სრულდება სწრაფად, საიმედოდ და მინიმალური მომსახურებით. გარდა ამისა, საკრედიტო ბარათის გამოყენება ძირეულად ცვლის კლიენტის ფსიქოლოგიას, აჩვევს მას კომპიუტერულ აზროვნებას, ტექნიკისადმი მოპყრობას, მომავალში გასაწევი ხარჯების გათვლას.

ბარათების ფუნქციონირების ზემოთ აღწერილი მექანიზმი რამდენადმე განსხვავდება საგადამხდელო, ანუ სადებეტო ბარათებისგან. სადებეტო ბარათები წარმოადგენს ნაღდი ფულის, ჩეკების, საკრედიტო ბარათების პოტენციურ ელექტრონულ ალტერნატივას საცალო ვაჭრობის დაწესებულებებში.

სადებეტო ბარათებს იყენებენ საქონლისა და მომსახურების ღირებულების გადასახდელად გადამხდელის ანგარიშიდან თანხის პირდაპირ ჩამოწერის გზით. ისინი ნაღდი ფულის ყველაზე უფრო მარტივი და უნივერსალური შემცვლელია. ეს ბარათები არ იძლევა საქონლის შეძენის შესაძლებლობას კლიენტის ანგარიშზე სახსრების არქონის შემთხვევაში. გამონაკლისი მაშინ ხდება, თუ კლიენტს გახსნილი აქვს ოვერდრაფტის შესაძლებლობის მქონე მიმდინარე ანგარიში. მაშინ საგადამხდელო ბარათით შესაძლებელია სესხის მიღება ნებადართული ოვერდრაფტის ფარგლებში. ამ ბარათების მფლობელები ვალდებულნი არიან მთლიანად გაისტუმრონ ანგარიში მათი სახსრების მოძრაობის შესახებ ყოველთვიური ცნობის მიღებისთანავე და თუ ეს მოთხოვნა შესრულებულია, მხოლოდ მაშინ არ გადაახდევინებენ მას დამატებით საფასურს.

განვიხილოთ საკრედიტო და საგადამხდელო პლასტიკური ბარათების ძირითადი მახასიათებლები (ცხრ. 19.2).

სადებეტო ბარათი გადახდის ოპერაციების შესრულების მოსახერხებელი საშუალებაა მისი მფლობელისათვის, რადგან ამ დროს ხდება სახსრების პირდაპირ ჩამოწერა მისი ანგარიშიდან და არა სესხის აღება. ამ ბარათების მთავარი უპირატესობაა უნაღდო გზით გადახდის ხელსაყრელობა. ლიმიტით მისი სიდიდის შეუზღუდავად. სადებეტო ბარათების სახესხვაობებია ელექტრონული საბანკო ავტომატებისთვის (Electronic Banking Machines-EBM ან Automated Teller Machines-ATM).

განკუთვნილი ბარათები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ნაღდი ფულადი სახსრების მიღება კლიენტის ანგარიშზე არსებული სახსრების ფარგლებში, ანგარიშზე ფულის შეტანა და სხვა. ბანკომატისთვის გამოსადეგ ბარათებს ის ბანკები გასცემენ, რომელშიც დეპოზიტი აქვს კლიენტს.

ამჟამად, საფრანგეთში, მაგალითად, დაახლოებით 12 მლნ. ბარათია, მათ შორის 5 მლნ. ბარათი სადებეტოა. მათ მიერ მომსახურებული ანგარიშები საბანკო და საფოსტო საჩეკო ანგარიშსწორების რაოდენობის 12%-ს აჭარბებს.

საკრედიტო და სადებეტო ბარათების უპირატესობები, დასავლელი ეკონომისტების აზრით, ვლინდება ე.წ. აღმასრულებელ, ანუ ეგზეკუტიურ ბარათებში. ამჟამად, მათ მხოლოდ დიდი შემოსავლის მქონე კლიენტებს აძლევენ (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მათი წლიური შემოსავალი 20 ათას გირვანქა სტერლინგს უნდა აჭარბებდეს).

საჩეკო საგარანტიო ბარათი პლასტიკური მაგნიტური ბარათის სახესხვაობაა, რომელსაც კლიენტის (ბარათის პატრონის) ჩეკის გარანტიისთვის იყენებენ. იგი პირველად 1964 წ. გამოუშვეს,

ცხრილი 19.2

საკრედიტო და საგადამხდელო საკრედიტო პლასტიკური ბარათების ძირითადი შედარებითი მახასიათებლები

	▪▪▪▪ ▪▪ ▪▪▪▪ ▪▪▪▪ ▪▪ ▪▪▪▪	▪▪▪▪ ▪▪ ▪▪▪▪ ▪▪ ▪ ▪▪▪▪ ▪▪ ▪▪▪▪
1. ძირითადი წარმომადგენლები	ვიზა, მასტერქარდ/ევროქარდი	დისკერ კლაბი, ამერიკენ ექსპრესი
2. კლიენტის ანგარიში	სასესხო ანგარიში	მიმდინარე ანგარიში
3. დაკრედიტების ლიმიტი	დადგენილია ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობაზე გამომდინარე	
4.	შესაძლებელია გადავადება, არსებობს დაკრედიტების შეღავათიანი პერიოდი	დაუყოვნებლივ ხდება ანგარიშზე
5. წლიური	ახდენენ ან წლიურ გადასახადს, ან საკომისიო გადასახადის საკრედიტო ბარათის მისეული შესრულებული თითოეული ოპერაციისთვის.[2]	სასრულის მოძრაობის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ ახდენენ წლიურ გადასახადს.

* თუ კლიენტის ბანკში გახსნილი აქვს ოვერდრაფტის შესაძლებლობის მქონე მიმდინარე ანგარიში, მაშინ მას შეუძლია სესხის მიღება ბანკის მიერ დაწესებული ლიმიტის ფარგლებში, იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშზე ნაშთი არ არის, ოვერდრაფტის შესაძლებლობის მქონე მიმდინარე ანგარიშის მახასიათებელია.
* მოცულობით ჭრელობაში (მაგალითად, რესტორანი) წლიური გადასახადისაგან ათავისუფლებენ და საკომისიოსაც.

ამჟამად კი მათი რაოდენობა მარტო დიდ ბრიტანეთში 25 მლნ-ს აღწევს. მთლიანობაში ბარათმა დააჩქარა საქონლის ღირებულების გადასდისთვის ჩეკის გაფორმების პროცესი, თუმცა, ჩეკუ-ლებრივი ოპერაციის გაფორმებაზე დღესაც 90 წამი იხარჯება. ამასთან, დაწესებულია ყოველდ-ღიური ლიმიტი – საჩეკო ბარათით გარანტირებული ზღვრული თანხა გადასდისა. ამჟამად, ინგლისში ეს ლიმიტი 50 გირვანქა სტერლინგს შეადგენს, საქონლის ღირებულების გადასდის დროს საკრედიტო ბარათის გამოვლინების დროს კი დაკრედიტების კრედიტი იძლევა გაცილებით უფრო მეტის გადასდის შესაძლებლობას. ამიტომ კლიენტები არც თუ იშვიათად ამჯობინებენ საკრედიტო ბარათების გამოყენებას.

დასახელებული მაგნიტური პლასტიკური ბარათების უპირატესობებში კიდევ უფროა გაზრდილი მიკროპროცესორული ბარათების უკანასკნელი თაობის, „Smart card"-ის სახელით ცნობილი ბარათების გამოყენებისას.

19.5.2. მიკროპროცესორული ბარათების დამუშავება და გამოყენება

ერთი ან რამდენიმე მიკროპროცესორის მქონე პლასტიკური ბარათის იდეა XIX ს. 70–იან წლებში ფრანგმა რონალდ მორენომ გაჩოთქვა. მიკროპროცესორები ხელს უწყობს მახსოვრობის მოცულობის და ამ ბარათით შესრულებული ოპერაციების რაოდენობის გადიდებას. ასეთ ბარათებს სხვადასხვა სახელწოდება აქვთ: Memory card, Chip card, Microcircuit card, Master card. მისი ზომები სხვა პლასტიკური ბარათების ანალოგიურია. მიკროპროცესორული ბარათის თავისებურე-ბაა მისი უნარი, საიმედოდ შეინახოს და გამოიყენოს ინფორმაციის დიდი მოცულობები. ყველა ელექტრონულ ბარათს აქვს ჩადგმული მიკროპროცესორი და სიმძლავრით მცირედ ჩამორჩება პერსონალურ კომპიუტერს.

ამჟამად, მიკროპროცესორული ბარათი წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო ან საგადამხდელო ბარათის ზომის ბარათს, რომელშიც ჩადგმულია ე.წ. მიკროჩიპები — მიკროპროცესორები. ასეთნაირად გადიდებული მისი მეხსიერება საშუალებას გვაძლევს შევინახოთ და გამოვიყენოთ ინფორმაცია მის მფლობელზე, ანგარიშის ნომერზე, აგრეთვე, ამ ბარათის მეშვეობით ჩატარებულ დაახლოებით 200 ბოლო ოპერაციაზე. მიკროპროცესორული ბარათი ფაქტობრივად წარმოადგენს ჩეკების ელექტრო წიგნაკს, რომლის მეშვეობითაც წარმოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია ტერმინალის ეკრანზე შეგვიძლია ვნახოთ. მიკროპროცესორული ბარათების მთავარი უპირატესობაა ოპერაციების ჩატარების საიმედობის გადიდება. პრაქტიკულად შეუძლებელია მათი გაყალბება ან მათზე პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომრის მორგება. გარდა ამისა, მიკროპროცესორულ ბარათებს ენერგოდამოუკიდებელი, მუდმივი, პროგრამირებადი მახსოვრობა აქვთ. მასში შეიქვთ ყველა საჭირო ინფორმაცია და იგი კვების წყაროს გამორთვის შემდეგაც კი ინახება. არსებითად, ყოველ ბარათში ჩამონტაჟებულია პატარა კომპიუტერი. იგი მართავს მახსოვრობასთან და იმ გარე მოწყობილობებთან ურთიერთქმედების ყველა პროცესს, რომლებსაც იყენებენ ბარათში შეტანილი ინფორაციის წაკითხვისა და მასში ახალი ინფორმაციის შეტანისთვის. ტექნიკურად უკვე გადაწყვეტილია არასანქცირებული შეღწევისგან მახსოვრობის გარკვეული ნაწილების ბლოკირების შესაძლებლობის შესახებ.

მიკროპროცესორული ბარათის მეორე მნიშვნელოვანი უპირატესობაა ის, რომ კლიენტის სურვილით შეიძლება გაცილებით მეტი სახეობის ოპერაციების შესრულება. ამ ბარათებს ხშირად მრავალმიზნობრივ და მრავალფუნქციურ ბარათებს უწოდებენ. მართლაც, მიკროპროცესორული ბარათი შეიძლება გამოვიყენოთ მისი მფლობელის ანგარიშიდან ნაღდი ფულის მისაღებად ბანკომატის მეშვეობით, საქონლისა და მომსახურების ღირებულების გადასახდელად საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ორგანიზაციებში, სესხის მისაღებად და ა.შ. ამასთან, დაკრედიტების ლიმიტი წინასწარაა დაპროგრამებული ბარათის მიკროპროცესორში და ყოველი ახალი ოპერაციის დროს გამოყენებული თანხა აკლდება ბარათის „მსყიდველობითი ძალის" თანხას. მომდევნო თვეში ბარათის პირველად გამოყენება ბანკის წინაშე კლიენტის დავალიანების დაფარვის შემდეგ ავტომატურად აღადგენს ლიმიტს თავდაპირველ დონეზე.

ელექტრონული ბარათების რამდენიმე სახეობა არსებობს:

1. მახსოვრობის ბარათები. ესაა უმარტივესი ელექტრონული ბარათები, რომელთაც მხოლოდ მახსოვრობა აქვთ. მიკროპროცესორული ბარათების მახსოვრობა გაცილებით აღემატება მაგნიტური ბარათებისას. მისი შედარება, შეჯამება და გადაწერა მრავალჯერაა შესაძლებელი. მაგრამ ამგვარი ბარათი ჯერ კიდევ არაა ნამდვილი სმარტ-ბარათი, რადგან მთელი მისი „ინტელექტუალური შესაძლებლობები" ტერმინალური მოწყობილობითაა განპირობებული, რომელსაც შეუძლია ინფორმაციის შედარება და ჩაწერა ბარათის მეხსიერებაში. ამ ბარათებისათვის უფრო ზუსტად შეიძლებოდა ინტეგრალურსქემიანი ბარათები გვეწოდებინა.

2. სმარტ-ბარათები. გარეგნულად სმარტ-ბარათები მახსოვრობის ბარათებს ჰგავს, მაგრამ მათი მიკროსქემა „ლოგიკას" შეიცავს. ისინი სწორედ ამით გამოიყოფიან ინტელექტუალური ბარათების (ინგ. Smart-დან) ცალკე ჯგუფად. სმარტ-ბარათის მიკროსქემა წარმოადგენს მიკროკალკულატორს, რომელსაც უნარი აქვს პერსონალური კომპიუტერის მსგავსად შეასრულოს ანგარიში. თანამედროვე სმარტ-ბარათები სიმძლავრით შეგვიძლია 80-იანი წლების პერსონალურ კომპიუტერებს შევადაროთ. მათი ძირითადი მწარმოებლებია: Gemplus(საფრანგეთი), AT&T(აშშ), Bull SP 8(საფრანგეთი), Data card (აშშ), Philips TRT (გფრ), Solaic Sligos (საფრანგეთი), Toshiba (იაპონია). მათ მიკროსქემებს ძირითადად შემდეგი ფირმები ამზადებენ: Amtel(აშშ), Hitachi (იაპონია), Motorolla (აშშ). Oki(იაპონია), Philips (გფრ) და სხვა.

3. სუპერსმარტ-ბარათები. მათი ნიმუშია ფირმა Toshiba–ს მრავალმიზნობრივი ბარათი, რომელსაც Visa-ს სისტემაში იყენებენ. ჩვეულებრივი სმარტ-ბარათების შესაძლებლობებისგან

დამატებით მას გააჩნია პატარა დისპლეი და მონაცემების შესაყვანი დამხმარე კლავიატურა. ეს ბარათი აერთიანებს საკრედიტო და სადებეტო ბარათებს, თანაც ასრულებს საათის, კალენდრის, კალკულატორის ფუნქციებს, ახორციელებს ვალუტის კონვერტაციის გაანგარიშებებს, შეგეძლია ჩანაწერებისთვის მისი გამოყენება. სუპერსმარტ-ბარათები დღეს ისე ფართოდ არაა გავრცელებული სიძვირის გამო, თუმცა მისი პერსპექტივები ეჭვს აღარ იწვევს.

მაგნიტური და მიკროპროცესორული ბარათები ერთმანეთისგან განსხვავდება მათი დამუშავების პროცედურით. საქონლის შეძენის დროს ბარათის მფლობელი მას ათავსებს სპეციალურ შესადარებელ მოწყობილობებში(ტერმინალში) და კრეფს პერსონალურ საიდენტიფიკაციო ნომერს (PIN)-ტერმინალი ბეჭდავს ქვითარს სამ ასლს, რომლებსაც ხელს აწერს მყიდველი. ყველა მათგანი განკუთვნილია გარიგების ერთ-ერთი მონაწილისთვის (ბარათის მფლობელი, ბანკი და მაღაზია). გარიგების მოხდენისთვის გამყიდველმა აუცილებლად უნდა მიიღოს დასტური კლიენტის გადახდისუნარიანობაზე.

თანამედროვე ტერმინალები რეალური დროის რეჟიმში ("online") იძლევიან ცენტრალურ კომპიუტერულ საინფორმაციო ცენტრთან რამდენიმე წამში დაკავშირების შესაძლებლობას. გამყიდველს ზოგჯერ დამატებით სჭირდება აღნიშნული დასტური. ამ შემთხვევაში, იგი ტელეფონით უკავშირდება ბანკს და აცნობებს მას კლიენტის ანგარიშის ნომერს, ბარათის მოქმედების საბოლოო ვადას, საკუთარი ანგარიშის ნომერს და იმ თანხას, რაც გარიგებას სჭირდება. ბარათის გამცემი დაწესებულება კომპიუტერული ქსელით გადაცემული შესაბამისი კოდით იწონებს (ან შეაჩერებს) გარიგების დადებას. ეს კოდი ფიქსირდება სავაჭრო ქვითარზე, რის შემდეგაც გარიგება ტარდება ბარათის მფლობელის ანგარიშებში. ყოველი დღის ბოლოს გამყიდველი აგროვებს ტერმინალის მიერ დამუშავებულ ქვითრებს, ავსებს დეპოზიტურ ბლანკს და მიაქვს იგი ან ფოსტით გზავნის მას თავის ბანკში. მთელი ნავაჭრი თანხა, თამასუქების აღრიცხვისგან მიღებული საკომისიოს გარდა, დაუყოვნებლივ გადაიტანება მის მიმდინარე ანგარიშზე. შემდეგ სრულდება ბანკთაშორისი ოპერაციები. გამყიდველის ბანკი ანგარიშს ასწორებს ბარათების ემიტენტ ბანკთან კლირინგული ანგარიშსწორების სისტემით, შემდეგ კი ემიტენტი ბანკი გადასახდელს იღებს ბარათის მფლობელისგან.

მიკროპროცესორულ ბარათებს რამდენადმე სხვაგვარად ამუშავებენ. მათ ათავსებენ სპეციალურ ტერმინალურ მოწყობილობაში POS (position of sale), რომელიც აღჭურვილია ელექტრონული ბარათების დათვლისა და შედარების მოწყობილობით. მფლობელს კლავიატურით შეჰყავს თავი PIN, ტერმინალი კი ამოწმებს ბარათის ნამდვილობას და „მსყიდველობით ძალას". თუ სახსრები საკმარისია, მაშინ ბარათი დებეტდება (სრულდება მფლობელის ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერის ოპერაცია) და სახსრები ირიცხება გამყიდველის ანგარიშზე (კრედიტდება POS აპარატი). ეს ყველაფერი სულ რამდენიმე წამში ხდება. რადგანაც კლიენტის გადახდისუნარიანობის მონაცემები თვით ბარათის მახსოვრობაშია შენახული, ამიტომ საჭირო აღარაა ყოველი ოპერაციის დადასტურება ძვირადღირებულ და დიდი დროის წამრთმევ „on-line"-ს რეჟიმში. გამყიდველის საბანკო ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვა ხდება სამუშაო დღის ბოლოს ბანკთან გამართული სატელეფონო კავშირის ერთი სეანსის დროს. იმ რეგიონებში, რომელთანაც სატელეფონო კავშირი არ არსებობს, ფულადი სახსრების გადაგზავნა შესაძლებელია სპეციალური ელექტრონული ბარათის მეშვეობით, რომელშიც სდება POS–აპარატის მონაცემების ჩაწერა და ბანკში გადაგზავნა. სახსრების ყოველი გადაგზავნისას სალაროს აპარატზე ხდება დაკარგული, მოპარული და გამოუყენებელი ბარათების სიის განახლება.

ამგვარად, ელექტრონული ბარათები მნიშვნელოვნად ამარტივებენ და აჩქარებენ გადახდის პროცესს და არ მოითხოვენ კავშირის ტელესაკომუნიკაციო ხაზების მუდმივად გამოყენებას. ასეთი ბარათებით წარმოებული ანგარიშსწორება არ შეუერხდება ცენტრალური კომპიუტერის დაზიანების შემთხვევაში.

მიკროპროცესორული ბარათები ეროვნულ დონეზე პირველად საფრანგეთში შემოიღეს. ამჟამად, დასავლეთის ქვეყნებში აქტიურად მუშაობენ მათ დანერგვაზე. ამის ნიმუშია გერმანია, რომლის მიკროპროცესორული ბარათი სამი უბნისგან შედგება. პირველში მოცემულია მონაცემები კრედიტის გაცემის ზომების შესახებ (300-დან 3000 მარკამდე). სავაჭრო დაწესებულებებში ბარათის გამოყენების წესი უკვე არსებულის ანალოგიურია (შესაჯამებელი აპარატი და პირადი კოდი). კლიენტის კრედიტუნარიანობის შემოწმება ტელეფონით მაშინ ხდება, თუ ბარათის ლიმიტი გადაჭარბებულია. ეს არსებით ეკონომიას იძლევა სხვა, უფრო მარტივ ბარათებთან შედარებით. მიკროპროცესორის ორი დანარჩენი უბანი გახსნილია და აქ პირადი კოდის გამოყენება საჭირო არაა თანხების სიმცირის გამო. სქემის მეორე ნაწილი ინახავს მონაცემებს ტელეფონით საუბრისათვის. უსაფრთხოების ძოსაზრებით აქ თანხა 20 მარკითაა შეზღუდული. მიმოქცევის ხარჯების ეკონომიას გადახდების ამ ნაწილშიც აღწევენ, რადგან საჭირო აღარ ხდება გამოყენებული სატელეფონო ბარათების განადგურება და ახლის შეძენა. პროცესორის მესამე უბანი ერთგვარი „ელექტრონული საფულეა" (50–100 მარკა), რომლის ხარჯზეც კლიენტი იძენს ავტობუსის და მატარებლის ბილეთებს, ფულს იხდის ავტოსადგომზე ან აუზზე და ა.შ. თანხის ამოწურვისას ბარათს კვლავ ავსებენ ბანკომატებში, რაც უზრუნველყოფს მის სწრაფად აღდგენას და მრავალჯერად გამოყენებას.

მიკროპროცესორული ბარათების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზის დროს ეკონომისტები გამოყოფენ მათი თვითღირებულების საკითხს. ცნობილია, რომ მაგნიტურ-ზოლიანი ბარათების საწარმოო თვითღირებულება გაციცებით ნაკლებია მიკროპროცესორულზე. გერმანელი სპეციალისტების გაანგარიშებით, მიკროპროცესორული ბარათის თვითღირებულება მისი გამზადებისა და გამოყენების ყველა ხარჯის ჩათვლით 12 მარკას აღწევს, ჩვეულებრივი სატელეფონო პლასტიკური ბარათი კი სულ 2 მარკა ღირს. მიკროპროცესორული ბარათების გამოყენების სფეროს გაფართოების შემდეგ მათი თვითღირებულება შესაძლოა 5–7 მარკამდე შემცირდეს.

ინგლისელი ექსპერტების შეფასებით, მიკროპროცესორული ბარათის შესაძენი ფასი 3 გირვანქა სტერლინგს შეადგენს, ჩვეულებრივი მაგნიტური ბარათისა კი — 25 პენსს (იმის გათვალისწინებით, რომ შეკვეთა ბარათების ერთსა და იმავე რაოდენობაზე იყო გაკეთებული). თუ მიკროპროცესორულ ბარათებზე მიცემული შეკვეთა ერთ მილიონს გადააჭარბებს, მაშინ მისი ერთეულის ღირებულება 2 გირვანქა სტერლინგამდე დაიკლებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ბარათების მწარმოებლებმა და ემიტენტმა საკრედიტო კომპანიებმა და ბანკებმა უკვე დიდი კაპიტალი დააბანდეს მაგნიტური ბარათების შეძენაში, მოწყობილობის დადგმაში, წარმოებასა და ემისიაში, აგრეთვე, ამ სფეროში ჩასატარებელ მეცნიერულ კვლევებში. ამიტომ დამატებითი დანახარჯების გაწევაა საჭირო პლასტიკური ბარათების დამამზადებელი მოწყობილობის შესაცვლელად ანგარიშსწორების პუნქტებში, ბანკებსა და კომპანიებში, ახალი საპროგრამო უზრუნველყოფის ძოსამზადებლად, კომპიუტერული სისტემების და კავშირის ტელესაკომუნიკაციო ხაზების გასაახლებლად და ა. შ. თუ ამ და სხვა ფაქტორებსაც გავითვალისწინებთ, ამჟამად საკმაოდ რთულია განისაზღვროს მიკროპროცესორული ბარათების გამოყენების ეფექტიანობა. ამასთან, ეკონომისტებს ძიანინიათ, რომ მომავალი სწორედ ამ ბარათებს ეკუთვნის, რადგან ტექნიკისა და ტექნოლოგიის პროგრესი წლითიწლობით აფართოებს ულტრათანამედროვე პროექტების გამოყენების შესაძლებლობებს და ამცირებს მათ დანერგვაზე გაწეულ ხარჯებს.

მრავალფუნქციური პლასტიკური ბარათების სახესხვაობაა ლაზერული ბარათები, რომელთა შექმნასა და გამოყენებას საფუძვლად უდევს უახლესი ტექნოლოგიები, კერძოდ, ლაზერული სკანირება. ლაზერული ბარათები ყველაზე ფართოდ აშშ-შია წარმოდგენილი. ამ ბარათებს დიდი მოცულობის ინფორმაციის დაგროვება შეუძლიათ, მათი მეშვეობით კი უამრავი ოპერაციის შესრულებაა შესაძლებელი — საქონლისა და მომსახურების ღირებულების გადახდით დაწყებუ-

ლი და კლიენტის მისი მფლობელის ჯანმრთელობის მდგომარეობის დიაგნოსტიკისთვის გამოყენებით დამთაერებული (დროის ნებისმიერ მომენტში და ნებისმიერ ვითარებაში). საამისოდ საკმარისია კლიენტი თითით შეეხოს ბარათზე არშესულ სენსორს და მონიტორის ეკრანზე გაჩნდება კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლების გაშიფვრა.

ამ ბოლო წლებში პლასტიკური ბარათებით მოსარგებლე თითქმის ყველა ქვეყანაში სულ უფრო მატულობს ფიქსირებული მსყიდველობითი უნარის მქონი იაფი ბარათების რაოდენობა. ესაა ე.წ. "store value" ბარათები, რომლებიც სხვადასხვაგვარი ტექნოლოგიური სისტემების გამოყენებას ემყარება. მაგალითად, აშშ-ში, იტალიაში, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში ასეთ ბარათებს იყენებენ ტელეფონის აპარატებით შესრულებულ სატელეფონო საუბრებში. დიდ ბრიტანეთში აქ ბარათების საფუძველია გოლოგრაფიული ტექნოლოგიები, იტალიაში იყენებენ მუყაოს მაგნიტურ ბარათებს, რომლებზეც შიფრია გაკეთებული და ა.შ. ამ და სხვა „იაფი" ბართების საერთო ნიშანი ისაა, რომ მათ აქვთ ფიქსირებული მსყიდველობითი უნარი, რომელიც მათ თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ გადააქვთ გასანაღდებელ ობიექტზე მსყიდველობითი ძალის დაკარგვამდე. „იაფი ბარათების" ჯგუფს ეკუთვნის პერფორაციის ან მაგნიტური ზოლის მწონე პლასტიკური ბარათები, რომლებსაც იყენებენ როგორც ბინის, გარაჟის, სასტუმროს ნომრის, სახლის და ა.შ. გასაღებს; ქსეროასლის გადამღები პლასტიკური ბარათები; პლასტიკური ან მუყაოს ბარათები, რომლებსაც იყენებენ როგორც სამსახურის, ან ბიბლიოთეკის საშვს, საქალაქო ტრანსპორტის ბილეთს, ავტობანკებში შესასვლელ საშვს და ა.შ.

ბანკის კლიენტებს დღეს, როგორც წესი, რამდენიმე ბარათი აქვთ, რომელთა გამოყენებაც მათ დანიშნულებისამებრ შეუძლიათ. პერსპექტივაში მათ მრავალმიზნობრივი ბარათები შეცვლის, საბოლოოდ კი გაჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ კლიენტები შინ ან სამუშაოზე ჩაატარებენ საბანკო ოპერაციებს თვითმომსახურების წესით.

19.6. ინტერნეტ-ბანკინგი, მდგომარეობა, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები

19.6.1. ინტერნეტ-ბანკინგის ბაზრის სეგმენტაციის საკითხები

ისეთი ბანკი, რომელიც ინტერნეტის მეშვეობით ემსახურებოდა კლიენტებს, პირველად 1995 წ. გამოჩნდა. ეს იყო Security First Network Bank-ი.

ახლა მსოფლიოში 300-ზე მეტი ისეთი ბანკია, რომელიც სრულფასოვან ინტერნეტ-სერვისს სთავაზობს თავის კლიენტებს და ამით უზრუნველყოფს ელექტრონული ფულის ბრუნვასა და მის თანმხლებ ვირტუალურ საქონელგაცვლას. ინტერნეტის გლობალური ქსელით მოსარგებლეთა რაოდენობა სწრაფი ტემპებით იზრდება და, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში იგი მთელი მოსახლეობის 35-40%-ს აღწევს. ასევე სწრაფად ვითარდება საბანკო ინტერნეტ-სერვისი. ცნობილი სარეიტინგო და ანალიტიკური კომპანია Fitch IBCA-ს ანგარიშგების მიხედვით ევროპის მთელი რიგი უმსვლელესი ბანკების იმ კლიენტების ხვედრითი წილი, რომლებიც ინტერნეტ-ბანკინგით სარგებლობენ 10%, ანუ 500 ათასი ადამიანია (2000 წ. დასაწყისის მონაცემებით).

ჰოსტსაბჭოთა სივრცეში ვირტუალური ბანკის დამაარსებლად უნდა მივიჩნიოთ რუსეთის „ავტობანკი", რომელმაც ამ სახის მომსახურება უკვე 1998 წ. მაისში შესთავაზა თავის კლიენტებს. ინტერნეტიზაციის დონით დღეს რუსეთი პრაზილიასა და ინდონეზიას უტოლდება (ქვეყნის მოსახლეობის 4%), მისი 40-მდე ბანკი კი დაშორებული საბანკო სერვისის განსხვავებულ ფორმებს სთავაზობს მოსახლეობას ინტერნეტის ქსელის გამოყენებით.

განვიხილოთ დაშორებული ბანკინგის არსი.

ზოგადი აზრით, როგორც ეს სახელწოდებიდანაც გამომდინარეობს, დაშორებული ბანკინგი

არის საბანკო მომსახურების გაწევა არა ბანკის ოფისში კლიენტისა და ბანკის მოსამსახურის უშუალო კონტაქტის დროს, არამედ შინ, კლიენტის ოფისში, ე.ი. ყველგან, სადაც ეს მოსახერხებელია ამ უკანასკნელისათვის. აქ საჭიროა იმის დამატება, რომ თუ სისტემა მთლიანად ავტომატიზებულია, მაშინ უფრო ხშირად იგი დღე-ღამის განმავლობაშია ხელმისაწვდომია კვირის ნებისმიერ დღეს, განსხვავებით თვით ბანკისაგან, რომელიც მკაცრი განრიგის მიხედვით მუშაობს.

შეგვიძლია გამოვყოთ დაშორებული ბანკინგის ოთხი ძირითადი სახესხვაობა: internet banking-ი, PC banking-ი, telephone banking-ი, video banking-ი.

PC-ბანკინგად (PC banking), როგორც წესი, მიიჩნევენ ანგარიშთან დაკავშირებას პერსონალური კომპიუტერის მეშვეობით, რაც საბანკო ქსელთან პირდაპირი მოდემური შეერთების გზით ხორციელდება და არა ინტერნეტის გზით. ამ დროს კლიენტს სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას უწევენ ანგარიშთან მუშაობისთვის.

ვიდეობანკინგი (video banking) არსებითად ლარის კლიენტის ინტერაქტიული ურთიერთობა ბანკში მყოფ პერსონალთან, ერთგვარი ვიდეოკონფერენცია. ვიდეობანკინგისთვის, ჩვეულებრივ, ისეთ მოწყობილობებს იყენებენ, რომლებსაც „კიოსკების" (kiosk) უწოდებენ. ესაა სენსორულეკრანიანი აპარატები, რომლებიც საშუალებას აძლევენ კლიენტს, მოიპოვონ ესა თუ ის ინფორმაცია, აგრეთვე, „ცოცხლად" ესაუბროს ბანკში მყოფ მომსახურეებს და მისი მეშვეობით ჩაატაროს პრაქტიკულად ნებისმიერი ოპერაცია. ცხადია, ამ მოწყობილობებს დგამენ არა ბინებში, არამედ სუპერმარკეტებში, უნივერსიტეტებსა და სხვა ხალხმრავალ ადგილებში. „კიოსკები" ხშირად შესამბულია ბანკომატებთან (ATM - automatic teller machine).

ამჟამად დაშორებული ბანკინგის ყველაზე უფრო პოპულარულ სახესხვაობად რჩება ტელეფონით მომსახურება (telephone banking), რასაც განაპირობებს სატელეფონო ტერმინალების გავრცელება და ხელმისაწვდომობა. ამ შემთხვევაში ოპერაციები ხორციელდება ტონური ნაკრების მეშვეობით. სატელეფონო ბანკინგი ჯერ-ჯერობით ყველაზე უფრო სრულყოფილი სისტემაა მობილურობის თვალსაზრისით, რადგან თუ თქვენ გაქვთ ტელეფონი, მაშინ თქვენთვის ხელმისაწვდომია სბანკო მომსახურებაც. დამატებით შესაძლებლობებს ანენს დისპლეიიანი ტელეფონების (Screen-phone) გამოყენება. მეორე მხრივ, ტელეფონი იმთავითვე ზეპირი ურთიერთობის საშუალებაა და ცუდადაა მორგებული საბანკო ოპერაციების შესრულებას. ამიტომ მუდმივად მატულობს იმ ბანკებისა და მათი კლიენტების რაოდენობა, რომლებიც ინტერნეტის ქსელით მუშაობენ.

დასავლეთში კლიენტების მომსახურებისთვის ბანკების მიერ ინტერნეტის გლობალური მსოფლიო ქსელის გამოყენება home-banking -ის ტექნოლოგიის ლოგიკური განვითარება აღმოჩნდა. დაშორებული საბანკო სერვისი ბინაზე სატელეფონო საბანკო მომსახურებიდან დაიწყო 1980-იან წლებში. შემდეგ გამოჩნდა დაშორებული მომსახურება პერსონალური კომპიუტერისა და საბანკო სერვერებთან პირდაპირ მიერთების (PC-banking) გამოყენებით. 1995 წ. კი გაჩნდა ის პირველი ბანკები, რომლებმაც თვისებრივად ახალ დონეზე შესთავაზეს კლიენტებს PC-banking-ბანკინგი. იგი ინფორმაციასთან (ტექსტი, გრაფიკი, ბგერა, გამოსახულება) მუშაობის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ხერხების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების შესაძლებლობას აძლევდა ადამიანს, ამასთან, უზრუნველყოფდა მომსახურების მობილურობასა და ხელმისაწვდომობას ყველა იმათთვის, ვინც იყენებს ინტერნეტის საკომუნიკაციო და სერვისულ შესაძლებლობებს – internet banking-ს.

ამასთან. სატელეფონო და PC-ბანკინგის საკმაოდ ფართოდ გავრცელება დიდად განაპირობა საბანკო მომსახურებაზე არსებულმა მაღალმა მოთხოვნილებამ როგორც კორპორაციული, ისე კერძო კლიენტების მხრიდან. ამგვარად, ინტერნეტ-ბანკინგი ნოყიერ, გამზადებულ ნიადაგზე მოხვდა. მართალია, დასავლეთში კერძო პირებისთვის PC-banking მომსახურებას შორის ყველაზე მასობრივ ფორმად კვლავ სატელეფონო მომსახურება რჩება, მაგრამ ინტერნეტ-ბანკინგის სისტემები ყველაზე უფრო პერსპექტიულადაა მიჩნეული.

მაინც რა უნდა მივაკუთვნოთ „ინტერნეტ-ბანკინგის" მომსახურებას? უფრო ხშირად მას აიგივებენ საბანკო ანგარიშთან კლიენტის პირდაპირი დაკავშირების შესაძლებლობასთან ინტერნეტით, რაც ჩვეულებრივი კომპიუტერისა და სტანდარტული პროუზების გამოყენებით ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტერნეტ-ბანკინგი არის ინტერნეტის ქსელის გზით ყველა იმ სტანდარტული ოპერაციის შესრულების შესაძლებლობა, რომლებიც ბანკის ოფისში შეიძლება განხორციელდეს კლიენტის მიერ (გარდა ოპერაციებისა ნაღდით).

ინტერნეტ-ბანკინგის მომსახურება მოიცავს იმ ფუნქციებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის:

ყველა კომუნალური გადასახდელის განხორციელებას, კავშირგაბმულობისა და სხვა მომსახურების ანგარიშების განაღდებას;

ფულის გადარიცხვას (მათ შორის უცხოური ვალუტით) ნებისმიერი ბანკის ნებისმიერ ანგარიშზე;

- სასესრების გადარიცხვას შეძენილი (მაგალითად, ინტერნეტ-მაღაზიაში) საქონლის ანგარიშების გასანაღდებლად;

უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვას;

პლასტიკური ბარათის ანგარიშიდან ფულადი სასესრების მოხსნას ან მათ შევსებას;

ამა თუ იმ სახის ანგარიშების გახსნას და მათზე ფულადი სახსრების გადატანას;

- ამა თუ იმ ფორმატის ინფორმაციის მიღებას ანგარიშის მდგომარეობის შესახებ გარკვეულ პერიოდში;

- ინფორმაციის მიღებას გადახდების შესახებ რეალური დროის რეჟიმში;

სხვა დამატებითი მომსახურებით სარგებლობას (იგულისხმება, მაგალითად, საბროკერო მომსახურება).

ყველა ჩამოთვლილი მოქმედება ხელმისაწვდომი იყო ჯერ კიდევ ინტერნეტის გლობალური მსოფლიო ქსელის გაჩენამდე, როცა ბანკები ეწეოდნენ PC-banking - მომსახურებას. კომპიუტერისა და მოდემის დახმარებით კლიენტს შეეძლო სპეციალურ საბანკო სისტემასთან შეერთება თავისი ანგარიშის მართვისათვის. ამ შემთხვევაში კლიენტის კომპიუტერზე აუცილებლად აყენებდნენ სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას.

ინტერნეტ-ბანკინგ-მომსახურებას მთელი რიგი უპირატესობები აქვს PC-banking-მომსახურებასთან შედარებით. გარდა იმისა, რომ კლიენტი ანგარიშზე მუშაობისას ახალ შესაძლებლობებს იღებს ინტერნეტის ქსელის და არა პირდაპირი მოდემური შეერთების მეშვეობით, ეს საქმიანობა მისთვის გაცილებით უფრო მარტივი და ხელმისაწვდომი ხდება. კლიენტს არ სჭირდება ბანკის მოდემურ პულში დარეკვა საკმარისია ინტერნეტში შესასვლელის ქონა, და, რაც მთავარია, კლიენტს არ სჭირდება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის დაყენება თავის კომპიუტერზე. ყველა აუცილებელი ოპერაციისა და გადახდის განხორციელება მას შეუძლია ბროუზერის მეშვეობით სტანდარტული web-ფორმების შევსების დროს (ამისთვის ზოგჯერ შეიძლება java-აპლეტების გამოყენება).

ამჟამად ინტერნეტ-ბანკინგის ცნება მოიცავს მთელ რიგ პროგრამულ პროდუქტებს, რომლებიც გარკვეული პირობითობით შეგვიძლია შემდეგ ჯგუფებად დავყოთ:

კლიენტების ანგარიშების მართვის სისტემები („ინტერნეტი - ბანკის კლიენტი" სისტემები, ან მოკლედ „ინტერნეტი-კლიენტი");

საგადასახდელო და საანგარიშსწორებო სისტემები, მათ შორის ისეთები, რომლებშიც ინტერნეტს იყენებენ მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის გარემოდ;

- ბარათების პროცესინგის სისტემები (ისინი შეიძლება საგადასახდელო სისტემის ნაწილი იყოს);

- ფასიანი ქაღალდებით ონლაინური ვაჭრობის სისტემები;

ელექტრონული კომერციის გარე სისტემებთან ურთიერთმოქმედებისათვის საჭირო ინტერ-

ფეისური მოდულები (მაგალითად, მოდულები, რომლებიც ახორციელებენ კავშირს „ბანკი-ინტერნეტ-მაღაზია", ისინიც შეგვიძლია განვიხილოთ საგადასახდელო სისტემების ნაწილად).

ამასთან, პრაქტიკაში სულ უფრო ხშირად გვხვდება კომპლექსური გადაწყვეტები, მაგალითად, „საგადასახდელო სისტემა + ანგარიშის მართვა + ინტერფეისი ინტერნეტ-მაღაზიებთან და პროცესინგთან" ესაა, სხვათა შორის, ფართოდ ცნობილი საანგარიშსწორებო სისტემა Cyber-Plat. ხოლო მისადგმელი, რომელიც კომუნალური გადახდების ავტომატიზებას ახდენს, შესაძლოა ურთიერთმოქმედებდეს როგორც ანგარიშის მართვის სისტემასთან, ისე პლასტიკური ბარათების პროცესინგის კომპლექსთან.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული კლასის სისტემების დამახასიათებელი ნიშნები და სპეციფიკური პრობლემები.

ბაზარზე სხვებთან შედარებით უფრო მეტი მოთხოვნაა ანგარიშების მართვის სისტემებზე. გამოკითხვათა შედეგებით, იმ ბანკების რაოდენობა, რომლებსაც ისინი სჭირდება, გაცილებით აღემატება იმათ ჯამურ რაოდენობას, რომლებსაც ყველა სხვა ტიპის სისტემები სჭირდება.

ამასთან, დაშუშავების თვალსაზრისით სისტემები „ინტერნეტი-კლიენტი" რამდენადმე უფრო მარტივია დანარჩენებზე. ეს იმიტომ, რომ მათ წინაშე მდგომი ამოცანების წრე საკმაოდ მკაფიოდაა მოხაზული და, ყველაფერთან ერთად, არსებობს „კლიენტი-ბანკის" ტიპის სისტემების ტრადიციული რეალიზაციებიდან იდეებისა და გადაწყვეტილებების გადმოღების შესაძლებლობა. სწორედ ამ ორი ფაქტორის წყალობით დღეს ბაზარზე წარმოდგენილია „ინტერნეტი-კლიენტის" სისტემების დიდი მრავალფეროვნება, თანაც, მათ ამუშავებენ როგორც ბანკები, ისე „სოფტვერული" კომპანიები.

„ინტერნეტ-კლიენტის" სისტემების ძირითადი პრობლემები უკავშირდება უსაფრთხოებას, მათ შორის - იურიდიული თვალსაზრისითაც (რაც ინტერნეტ-ბანკინგის აბსოლუტურად ყველა პროდუქტის პრობლემაა), ავრეთვე, ინტერნეტ-დაპროგრამების თანამედროვე ტექნოლოგიების ფარგლებში მოსახერხებელი გადაწყვეტილების რეალიზების სირთულეს.

თუ სიტუაციას განვიხილავთ ფასიანი ქაღალდებით ონლაინური ვაჭრობის სისტემების გამოყენების თვალსაზრისით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემშუშავებლებისა და კლიენტების პოზიციებიდან სიტუაცია ცუდად არ გამოიყურება. გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რომ ფასიანი ქაღალდებით ონლაინური ვაჭრობის კომპლექსები მოთხოვნის დონით „ინტერნეტ-კლიენტის" სისტემების შემდეგ მოდის, მაგრამ მათზე მოთხოვნა სამჯერ ჩამორჩება „კლიენტზე" არსებულ მოთხოვნილებას. აქ, ეტყობა, თავს იჩენს ის ფაქტი, რომ ამ სახის ბიზნესს ყველა საკრედიტო დაწესებულება არ ეწევა.

ელექტრონული კომერციის გარე სისტემებთან ურთიერთმოქმედი მოდელების შექმნის პროცესის ძირითადი თავისებურებაა ამ სისტემების შემშუშავებლებთან ერთობლივი მუშაობის ორგანიზების აუცილებლობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის, რომ მათი დამუშავების სათანადო დარგობრივ სფეროებში (მაგალითად, ინტერნეტ-ვაჭრობის, დაზღვევის და სხვა სფეროებში) უნდა მოვიზიდოთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

ინტერნეტის ქსელის მობილური ფორმების განვითარების კვალობაზე სულ უფრო მეტი ბანკი უქმნის თავის კლიენტებს საბანკო ანგარიშთან დაკავშირების შესაძლებლობას ფიჭური ტელეფონების, პეიჯერების ოქმის საფუძველზე. ამჟამად ბანკების უმრავლესობა იძლევა მხოლოდ ანგარიშებზე ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციით სარგებლობის შესაძლებლობას, უფრო ი'შვიათად - იმის შესაძლებლობას, რომ მათ განახორციელონ გადახდები კორესპონდენტების მოცემული სიის ფარგლებში, საბარათო ანგარიშებზე გადარიცხონ ფულადი სახსრები, გადახდები აწარმოონ ანგარიშებზე ბანკის შიგნით.

განვიხილოთ ინტერნეტ-ბანკინგის ბაზრის სეგმენტაციის სახეები. არსებობს ინტერნეტ-ბანკინგის ბაზრის ორი სეგმენტი: კორპორაციული და პერსონალური სეგმენტები.

ის, რაც დღეს ინტერნეტ-ბანკინგის ბაზრის კორპორაციულ სეგმენტში ხდება, არის იმ ტექნოლოგიების კანონზომიერი ევოლუციური განვითარება, რომლებიც დაშორებული საბანკო მომსახურების სტრუქტურას ცვლიან. მაგალითად, თუ გასული წლის ბოლოს „პირდაპირი დარეკვით" მომსახურებული კლიენტების რაოდენობას აფასებდნენ დაშორებული საბანკო სერვისით მოსარგებლე კლიენტების მთლიანი რაოდენობის 80-90%-ით, ხოლო ინტერნეტის გზით შესაბამისად 10-20%-ით, ამჟამად ინტერნეტის მსოფლიო გლობალური ქსელით მომსახურებული კლიენტების რაოდენობა 50%-ს უახლოვდება. ეს დინამიკა გვიჩვენებს იმ კლიენტების არჩევანის ცვლილებას, რომლებიც დაშორებული საბანკო სერვისის ამა თუ იმ ფორმით სარგებლობან.

გარდა ამისა, კორპორაციულ სეგმენტში იცვლება არამარტო ინსტალაციების რაოდენობა და ამასთან დაკავშირებული ინტერნეტ-მომსახურების მიწოდება ბანკების მიერ. რეალურად იზრდება მოთხოვნა საბოლოო მოხმარებული იურიდიული პირების მხრიდან. ამის ირიბ დადასტურებად გამოდგება, მაგალითად, მონაცემები ინტერნეტ-ბანკინგის სისტემების მიმწოდებლების მიერ გაყიდული მოსარგებლეთა ლიცენზიების რაოდენობის შესახებ. მაგალითად, კომპანია ÁÊÒÈÒ-ის გენერალური დირექტორის სიტყვებით, „იმ ბანკების 85%-ზე მეტი, რომლებმაც ibank-სისტემა შეიძინეს, 2001 წელს ერთხელ ან მეტჯერ ყიდულობდა დამატებით ლიცენზიებს 100-200 ლიცენზიის პაკეტებით. ამასთან, 10-ზე მეტმა ბანკმა გადააჭარბა რეალურად მომუშავე 500 კლიენტის ნიშნულს".

ინტერნეტ-ბანკინგის ბაზრის პერსონალურ სეგმენტში ჯერ არ შეინიშნება მიწოდების ისე ინტენსიურად ზრდა, როგორც ეს კორპორაციულშია. რუსეთის ბაზარზე ბოლო წელს არ გამოსულა არცერთი ისეთი ახალი ბანკი, რომელიც ინტერნეტ-ბანკინგის მომსახურებას შესთავაზებდა ფიზიკურ პირებს და თავისი ფუნქციური შესაძლებლობა იქნებოდა იმისა, რაც ჯერ კიდევ 1998-1999 წლებში შესთავაზეს თავიანთ კლიენტებს „ავტობანკმა" და „ÄÓÒÀ"-ბანკმა.

ამასთან, ბაზრის მდგომარეობაზე განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს არა ის, რომ თვითონ ბანკები სათანადო ძალისხმევას არ ახმარენ ამ მიმართულების განვითარებას. ვითარებას არსებითად აუარესებს შემდეგი გარემოება: ინტერნეტ-ბანკინგის სისტემების შემმუშავებლები ფიზიკური პირების მომსახურებაზე ორიენტირებული მზა გადაწყვეტილებების შექმნას თუნდაც იმდენსავე ყურადღებას არ უთმობენ, რამდენსაც იურიდიული პირებისთვის არსებულ სისტემებს. ეს ძალიან აფერხებს ბაზრის განვითარებას. კორპორაციული სეგმენტი აქტიურად ვითარდება უმეტესწილად შემმუშავებელი კომპანიების მცდელობის წყალობით, რომლებიც თავიანთი სისტემების განვითარების პროცესში მნიშვნელოვან დროს უთმობენ ბანკირების დარწმუნებას ახალი ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენების მიზანშეწონილობაში. ესაა სწორედ ის შემთხვევა, როდესაც ინტენსიური მიწოდება აყალიბებს და სტიმულს აძლევს მოთხოვნას.

მზა გარე გადაწყვეტილებების მიწოდების არარსებობისას ბანკები იძულებული არიან სცადონ საკუთარი სისტემების შექმნა. ამგვარად, ბანკები მაინც ახორციელებენ ინტერნეტ-მომსახურების ბაზარში თანდათანობით შესვლის სტრატეგიას.

19.6.2. ინტერნეტ-ბანკინგის განვითარების პერსპექტივები

ინტერნეტ-ბანკინგის განვითარება ამჟამად საკმარისად პერსპექტიულია. სულ უფრო მეტი რაოდენობის ბანკები იწყებენ იმ სისტემების დანერგვას, რომლებიც კლიენტებთან ინტერნეტის მეშვეობით ურთიერთმოქმედების შესაძლებლობას უქმნიან მათ. მაგალითად, სპეციალისტების აზრით, ამგვარი სისტემების მქონე ბანკების ყველა კლიენტის დაახლოებით ნახევარს შემდგომში შეუძლია ბანკებთან ურთიერთმოქმედებისათვის გამოიყენოს ინტერნეტის გლობალური მსოფლიო ქსელი.

მოცემული მომენტისათვის ინტერნეტ-ბანკინგის მომსახურების მომხმარებელთა უმრავლესობაა საწარმოების ბუღალტრები, რომლებიც ეწევიან ანგარიშსწორებას, იღებენ ამონაწერებს და

საგადასახადო ვალდებულებებს გზავნიან ინტერნეტის მეშვეობით.

ინტერნეტ-ბანკინგის შემდგომი განვითარების მოსალოდნელო საფეხურად შესაძლოა იქცეს მრეწველობის კონკრეტულ დარგებთან მუშაობა. მაგალითად, ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა კლიენტებისათვის ისეთი მექანიზმების შეთავაზება, რომლებიც გადახდების სწრაფად შესრულების შესაძლებლობას ქმნის მიმღებისა და იმ ბანკის ადგილმდებარეობის მიუხედავად, რომლის მომსახურებითაც იგი სარგებლობს. იმ ბანკების უმრავლესობა, რომლებშიც ინტერნეტ-ბანკინგის სისტემები დანერგეს, ცენტრალურ ქალაქებში მდებარეობს, თუმცა, რეგიონული ბანკებიც ხშირად იყენებენ ინტერნეტს კლიენტების მომსახურებისათვის.

კომპანია ,,ინტერნეტ-მარკეტინგმა'' ჩაატარა ბანკის სპეციალისტების გამოკითხვა, რომელიც ინტერნეტ-ბანკინგის ტექნოლოგიის განვითარების პერსპექტივებს მიეძღვნა. გამოკითხვა ჩატარდა ანკეტირების მეთოდით ,,ინტერნეტ-ფინანსების'' პროექტის საიტზე და მოსკოვში გამართულ ინტეგრირებული საბანკო სისტემების დამმუშავებელთა VII საერთაშორისო ფორუმზე.

ანკეტის კითხვებს უპასუხა ბანკების საქმიანობის 57 წარმომადგენელმა. ყველა რესპონდენტმა აღნიშნა ინტერნეტ-ბანკინგის ტექნოლოგიის პერსპექტიულობა: სპეციალისტების 91%-მა მიუთითა, რომ მათი ბანკი იყენებს ან აპირებს გამოიყენოს ინტერნეტ-ბანკინგის ტექნოლოგია; სპეციალისტთა 9%-ს ინტერნეტ-ბანკინგის ტექნოლოგია პერსპექტიულად მიაჩნია, მაგრამ მათ ბანკებს ჯერ არა აქვთ განზრახული მისი გამოყენება. არცერთ რესპონდენტს არ აღუნიშნავს ამ მიმართულების უპერსპექტივობა.

ამასთან, ბანკები კიდევ დიდხანს გასწვევენ ინტერნეტ-ბანკინგის მომსახურებას დისტანციური საბანკო მომსახურების სხვა ფორმებთან კომპლექსში: - კლასიკური ,,ბანკი-კლიენტი'' და ,,ტელეფონი-კლიენტი'' ეს იმიტომ, რომ დისტანციური საბანკო სერვისის კომპლექსურად შეთავაზება არსებითად აფართოებს კლიენტების შესაძლებლობებს თავიანთ ანგარიშებთან, საბანკო ინფორმაციასთან და თვით ბანკთან მუშაობის საქმეში. ბანკების სპეციალისტების დაახლოებით 84%-ს მიაჩნია, რომ ინტერნეტ-ბანკინგი ავსებს ,,კლიენტ-ბანკის'' კლასიკური სისტემის შესაძლებლობებს; რესპონდენტების 14% ფიქრობს, რომ ინტერნეტ-ბანკინგი მასზე მთლიანად უარის თქმის შესაძლებლობას იძლევა; საბანკო სამყაროს წარმომადგენლების 2%-მა აღნიშნა, რომ ინტერნეტ-ბანკინგი საჭირო არაა, თუკი არის ,,კლიენტი-ბანკი''.

ბანკების სპეციალისტები, ასევე, აღნიშნავენ ინტერნეტ-ბანკინგის ტექნოლოგიისადმი დიდ ინტერესს კლიენტების მხრიდან. მაგალითად, ბანკების წარმომადგენლების 72%-მა მიუთითა, რომ კლიენტები დაინტერესებული არიან ინტერნეტ-ბანკინგის სისტემით. გამოკითხულთა მხოლოდ 5%-ს მიაჩნია, რომ კლიენტები, როგორც ჩანს, უარს იტყვიან ინტერნეტ-ბანკინგის სისტემის გამოყენებაზე.

გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა (თუ მათ განვიხილავთ იმ თვალსაზრისით, არიან თუ არა ბანკები მზად ასეთი სისტემის დანერგვისათვის), რომ აღნიშნული სისტემა უკვე დანერგილია ბანკებში (რესპონდენტთა 25%) ან მისი დანერგვა ერთი წლის მანძილზე იგეგმება (დაახლოებით 57%). ბანკების 100 წარმომადგენლიდან მხოლოდ 18-მა აღნიშნა, რომ მათი ბანკი ჯერ არ გეგმავს მის დანერგვას.

ახლა გავარკვიოთ, თუ რა არის ონლაინ-ბანკინგი - არა ტექნოლოგიის, არამედ საგნის მიმართ დამოკიდებულების აზრით. ამერიკელი ბანკირები ამ საკითხში ერთსულოვანი არ არიან. მათი დაახლოებით 39% ინტერნეტს მიიჩნევს კლიენტებთან მუშაობის მეორე არხად, 27% - დამცავ მექანიზმად, 34% კი ფიქრობს, რომ ესაა რევოლუციური ინსტრუმენტი, რომელიც ცვლის ბაზარზე ქცევის კონცეფციას.

გარდა ამისა, კიდევ აფასებდნენ საბანკო მომსახურების მიღების არხების პერსპექტიულ (სამი წლის მანძილზე) მნიშვნელობას. პრიორიტეტები ასე აღმოჩნდა განაწილებული: ინტერნეტ-ბანკინგი (79%). ბანკომატები (74%), ბანკების განყოფილებები (63%), სატელეფონო ბანკინგი

(42%), მობილური (სატელეფონო) ბანკინგი (11%).

ინტერნეტ-ბანკის მომსახურების დანერგვის მხრივ ბანკების ხელმძღვანელების მოტივაციის თვალსაზრისით პირველ ადგილს იკავებს „არსებული კლიენტების შენარჩუნება" (95%), რასაც მოსდევს „მომსახურების სტანდარტების ამაღლება" (74%), „კლიენტებთან ეფექტიანი ურთიერთმოქმედება" (68%) და „სხვა დანარჩენ საბანკო მომსახურებასთან ინტეგრაცია" (63%). მომგებიანობა გამოკითხულთა მხოლოდ ერთი მესამედისთვისაა მოტივაცია და მხოლოდ 42% განიხილავს ინტერნეტ-ბანკინგს ახალი კლიენტების მოზიდვის ხერხად.

თვითონ ბანკირებს უარყოფითი შეხედულება აქვთ ინტერნეტ-ბანკინგის მომგებიანობაზე. მათი მხოლოდ 2,4%-ია ღრმად დარწმუნებული ამ მიმართულების მომგებიანობაში, 27%-ს უჭირს ამაზე პასუხის გაცემა, ბანკირთა 31% კი დარწმუნებულია, რომ ამ მომენტისთვის არამომგებიანი მიმართულება მომგებიანი გახდება უახლოეს მომავალში, 39% კი ამასაც არ ელის.

დაწვრილებით განვიხილოთ ინტერნეტ-ბანკინგის თანმხლები პრობლემები. ისინი უკვე მრავლადაა დაგროვილი. მათი ნაწილი უკავშირდება საბანკო საქმის სპეციფიკას, ნაწილი კი ინტერნეტის ქსელის თავისებურებებითაა განპირობებული.

არცთუ დიდი ხნის წინ ბანკებს შედარებით მშვიდად შეეძლოთ საბანკო ინტერნეტ-მომსახურებაზე მოსახლეობის მცირე, მაგრამ მაინც არსებული მოთხოვნის უგულებელყოფა. ბოლო დრომდე ეს საგრძნობ გავლენას ვერ ახდენდა მათ საბაზრო მდგომარეობაზე. მაგრამ ვითარება იცვლება: რუსეთში საშუალო კლასი სულ უფრო თავდაჯერებული ხდება, მატულობს როგორც ყოველდღიური მოთხოვნილების, ისე ხანგრძლივი გამოყენების საქონლის მოხმარება; იზრდება მოთხოვნა ფასიან მომსახურებაზე. ყოველივე ეს უკვე დღეს აიძულებს მომხმარებლებს, უფრო ხშირად მიმართონ ბანკების (და არა მარტო მათ) მომსახურებას. იმ ნიშნებს, რომლებშიც ბანკები არასაკმარისად აქტიურობენ (გადახდები ანგარიშების გაუხსნელად, გადახდისწინა ფინანსური პროდუქტები, ინტერნეტ-ანგარიშსწორება), ძალიან სწრაფად იკავებენ უფრო მობილური საფინანსო კომპანიები. მაგალითად, „ÄÓÒÀ-ბანკის" ვიცე-პრეზიდენტის სიტყვებით, ადგილობრივი ბანკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა „ინტერნეტ-ბანკინგის სუსტად განვითარება საცალო საბანკო სექტორში არასაბანკო საგადასახადო ინტერნეტ-სისტემების მხრიდან მზარდი კონკურენციის ფონზე".

რუსეთის იმ ბანკების საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ინტერნეტ-სერვისს ავითარებენ ფიზიკური პირებისთვის, არსებითად არ შეცვლილა. ყველაზე ოპტიმისტური შეფასებებით, ინტერნეტის ქსელით მომსახურებული ფიზიკური პირების მთლიანი რაოდენობა დღეს დაახლოებით 20 ათასია. შედარებით უკეთ გამოიყურება კლიენტების მიერ ინტერნეტ-სერვისის გამოყენების ფინანსური მაჩვენებლები. ბოლო წელს იმ კლიენტების ანგარიშების მიხედვით განხორციელებული ყოველთვიური მთლიანი ბრუნვა, რომლებიც ინტერნეტ-ბანკინგის სისტემებს იყენებენ, 3-4-ჯერ გაიზარდა. ამასთან, ბრუნვის საშუალოთვიურმა ზრდამ ბოლო დროს 10-12%-ს მიაღწია.

პროგრამული სისტემების დამუშავება და დანერგვა, ყველაზე პრიმიტიულის გარდა, ყოველთვის მნიშვნელოვან ორგანიზაციულ ძალისხმევას ითხოვს. განაწილებული კომპლექსების შემთხვევაში ამ ძალისხმევის მოცულობა მრავალჯერადად მატულობს, გადახდათა სისტემისთვის კი - უზარმაზარი ხდება. ეს იმიტომ, რომ ყოველი მათგანისთვის საჭიროა ორგანიზაციული ღონისძიებების სისტემებს ემატება მის ყველა მონაწილეს შორის მოქმედებათა კოორდინაცია ან პირობების უზრუნველყოფაც კი ერთობლივი დამუშავების წარმართვისათვის. გარდა ამისა, გადახდების სისტემაში ახალი მონაწილეების მოზიდვა პროფესიულ მოქმედებათა აუცილებლობასთანაა გადაჯაჭვული. ჩნდება ხელისუფლებასთან კონტაქტის სფეროს პრობლემები.

ამ არცთუ ადვილი ამოცანების გადაწყვეტა მნიშვნელოვან ხარჯებს ითხოვს. „ÄÓÒÀ-ბანკისა" და „ავტობანკის" წარმომადგენელთა აზრით, მათი უკვე ხანგრძლივად მომუშავე საგადასახდე-

ლო კომპლექსები მხოლოდ 2-3 წლის შემდეგ შეძლებენ ხარჯების ანაზღაურებას, თუკი შენარჩუნებული იქნება კლიენტების რაოდენობის ზრდისა და სახსრების ბრუნვის გადიდების არსებული დინამიკა.

ხარჯების ანაზღაურების საკითხი ყველაზე უფრო მტკივნეულია ინტერნეტის გლობალურ მსოფლიო ქსელთან დაკავშირებული პროექტებისთვის. ამასთან, არსებობს სრულიად ადვილად შესაფასებელი ის უპირატესობები, რომელთა მიღებაც შეუძლია ბანკს ინტერნეტ-გადაწყვეტილების კეთილსინდისიერად რეალიზების დროს. პირველ რიგში ესაა კერძო კლიენტების მომსახურებაზე გაწეული ეკონომია ამ პროცესის ავტომატიზაციის ხარჯზე. ადამიანის შრომის გამოყენებით ოპერაციის ჩატარება, საერთო შეფასებით, დაახლოებით ერთი დოლარი ჯდება (ეს შეფასება მოიცავს შეცდომის შესაძლებლობასაც). ინტერნეტის მეშვეობით ოპერაციების განხორციელებისას მათი ღირებულება ათობით ცენტამდე ეცემა, ხოლო დიდი მასშტაბების დროს (50 ათასი კაციდან დაწყებული), რისი იმედიც საბოლოო ჯამში აქვთ მსხვილ ბანკებს, რამდენიმე ცენტამდეც კი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროექტის სერიოზული ეკონომიისა და მნიშვნელოვანი ეფექტიანობის მიღწევა მაშინაცაა შესაძლებელი, თუკი გამოვიყენებთ ინტერნეტ-ბანკინგის განვითარებისადმი კომპლექსურ მიდგომას. კომპლექსური მომსახურების რიცხვში შესაძლებელია იყოს საოჯახო ბანკი, ინტერნეტ-ტრეიდინგი, იურიდიული პირების მომსახურების სისტემა და ელექტრონული სავაჭრო მოედნები, ელექტრონული მაღაზიები და გადახდის სისტემები ინტერნეტ-ვაჭრობისთვის.

ამგვარად, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ბანკის ინტერნეტ-პროექტი გამოისყიდება ირიბი ფაქტორებით: აქტივების გადიდებით, ახალი კლიენტების მოზიდვით, ბრუნვებისა და ტრანსაქციული კომისიების ზრდით, ე.ი. ბანკის სხვა ქვედანაყოფებში გამოვლენილი ფაქტორებით.

ბანკის ინტერნეტ-პროექტის შემუშავებისა და დანერგვის გზაზე ძალიან სერიოზულად დგას საკადრო პრობლემა, ნებისმიერი ამოცანის გადაჭრის ხარისხი და ოპერატიულობა პირდაპირაა დამოკიდებული შესაბამისი სპეციალისტების კვალიფიკაციაზე. ინტერნეტ-ბანკინგის დამუშავებისა და თანსლებისთვის დღეს აუცილებლადაა საჭირო პროგრამისტები (თანაც არამარტო ინტერნეტ-ტექნოლოგიების სფეროში მომუშავენი), სისტემური ადმინისტრატორები, ვებ-დიზაინერები, ვებ-პროგრამისტები, კომპიუტერული და საკომუნიკაციო დაცვის დარგის ექსპერტები, ეკონომისტები, მარკეტოლოგები და იურისტები. ყველა მათგანს კარგად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ინტერნეტის ქსელის სამყარო, რისი მიღწევაც დღეს ყოველთვის ვერ ხერხდება. მაგალითად, ძალიან ძნელია ისეთი იურისტის პოვნა, რომელიც ელექტრონულ კომუნიკაციებს იცნობს. იგივე ეხება ქსელური უსაფრთხოების პროფესიონალებსაც.

ინტერნეტ-ბანკინგის გზაზე ფსიქოლოგიური პრობლემებიც გაჩნდა. ბანკირების წრეში გვხვდება ორი უკიდურესი თვალსაზრისი. პირველი მათგანის მომხრეებს მიაჩნიათ: „ინტერნეტი საშიშია და ჩვენ იგი არ გვჭირდება". მეორე პოზიცია ამის საპირისპიროა: „ინტერნეტი უალრესად პერსპექტიულია და რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, აუცილებელია ინტერნეტ-ბიზნესის განვითარება" ეს ორივე რადიკალური მსჯელობა ასახავს მხოლოდ იმ განსხვავებულ სტადიებს, რომლებზეც. ჩვეულებრივ, იმყოფებიან ინტერნეტის ქსელის გაცნობის პროცესში მყოფი ადამიანები. მაგალითად, ძისი გამოყენების მიზანშეწონილობის აბსოლუტური უარყოფა იმათ ახასიათებს, ვინც ცუდად იცნობს ინტერნეტის გლობალურ მსოფლიო სისტემას. ფანატიკური რწმენა ჩვეულია იმათთვის, ვინც ეს-ესაა კარგი ახალი ჰორიზონტების შესახებ. პირველის შედეგი დაბნეულობის გამო შეიძლება გახდეს ბანკის ტექნოლოგიური ჩამორჩენა, მეორისა კი - მნიშვნელოვანი სახსრების სარჯვა კონკრეტული უკუგების გარეშე.

არსებობს ერთადერთი სწორი ხერხი ინტერნეტის ქსელის მიმართ უფრო პროფესიული დამოკიდებულების გამოსამუშავებლად, - უბრალოდ, უნდა გაგრძელდეს მისი ათვისება.

უფრო რთულად დგას მთლიანად საზოგადოების საკითხი. რუსეთში ქსელის აქტიური აუდიტორია ჯერაც მცირეა: ასე, 800 ათასი - 1 მლნ.კაცი (საagენტო Monitoring.ru-ს მონაცემებით) და იგი თითქმის მთლიანად მსხვილ ქალაქებშია თავმოყრილი. მათი უმრავლესობა ან პირველი დაბნეულობის სტადიაშია, ან საერთოდ არ ფიქრობს ინტერნეტის ქსელზე. ცხადია, ეითარება თანდათან იცვლება, მაგრამ მაინც ძალიან ნელა. ამას მრავალი მიზეზი აქვს, მათ შორის ეკონომიკურიც. და მაინც, ის ფაქტი, რომ საბანკო სისტემით სარგებლობენ და ინტერნეტის ქსელში მუშაობენ სოციალურად ყველაზე უფრო აქტიური ადამიანები, იმის იმედს იძლევა, რომ მათი რაოდენობა საკმარისი აღმოჩნდება თუნდაც დასაწყისისათვის, ინტერნეტ-ბანკინგის სისტემების განვითარების საწყის ეტაპებზე. არსებობს იმის ალბათობა, რომ ინტერნეტი გაზრდის საბანკო სერვისით დაინტერესებას. გამოკითხვის მონაცემების თანახმად, ბანკირების უდიდეს უმრავლესობას მიაჩნია, რომ ინტერნეტ-მომსახურების მოხერხებულობა უახლოეს მომავალში გადაიქცევა ბანკებში კლიენტების სახსრების მოზიდვის მნიშვნელოვან ფაქტორად.

რაც შეეხება ფსიქოლოგიურ სირთულეებს, მათ ეყუთვნის ქსელში საკუთარი ფულის დაკარგვის შიში. ინტერნეტ-ბანკინგისთვის სულაც არ მოაქვს სარგებლობა მრავალრიცხოვან პუბლიკაციებს კომპიუტერული სისტემებიდან ფულის მოპარვისა და მასობრივ შემტვრეეათა შესახებ. თუმცა, ამ პრობლემას საზოგადოებრივი და იურიდიული ფესვები უფრო აქვს, ვიდრე ტექნიკური და რომელიმე სხვა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს სერიოზული ტექნიკური სიძნელეები და პრობლემებიც, რომლებიც ელექტრონულ-ციფრულ ხელმოწერას უკავშირდება.

ძირითადი ტექნიკური პრობლემა რამდენიმეა:

ჯერ ერთი, რეალიზაცია. ჩვეულებრივ სირთულეებს ისეთებიც ემატება, რომლებიც ინსტრუმენტისა და პროგრამული ტექნოლოგიის შერჩევას უკავშირდება.

მეორე, საჭირო კონფიგურაციის შერჩევა. სირთულე მდგომარეობს ინტერნეტ-კომპლექსებისათვის სისტემური პროგრამული უზრუნველყოფის უზარმაზარ მრავალფეროვნებაში. მასეე მიეკუთვნება ვებ-სერვერის, პროქსი-სერვერის, ბრანდმაუერის, საფოსტო სერვერის, FTP-სერვერისა და ა.შ. და ა.შ. შერჩევის პრობლემა. ამის გამო აქ, ჩვეულებრივ, დომინირებას იწყებენ საკადრო და ფინანსური მიდგომები უპირატესობა ენიჭება ისეთ სისტემებს, რომლებიც ან ცნობილია ავტომატიზაციის განყოფილებათა თანამშრომლებისათვის, ან უფრო ადვილად ასათვისებელი იქნება, ან ბანკს უფრო იაფი დაუჯდება მათი მომსახურე სპეციალისტები.

მესამე, დაცვა. სერიოზული სპეციალისტები უკვე უარს ამბობენ ტექნიკურ ასპექტში მის განხილვაზე. ერთ-ერთი R-Style Software Lab.-სემინარის მონაწილეებმა უსაფრთხოების პრობლემა შეაფასეს როგორც საყურადღებო, მაგრამ არა-სხვა დანარჩენზე უფრო მწვავე.

რაც შეეხება ელექტრონულ-ციფრულ ხელმოწერასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მის შესახებ მიღებული კანონი ბევრ კამათს შეიძლება იწვევდეს. ამ ხელმოწერის ჩამოყალიბებამდე პრაქტიკულად აუცილებელი იქნება ხელშეკრულების სამართლებრივი ანალიზი, რაც რამდენადმე გაძნელებულია. წინაამდეგ შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს უამრავი შესაძლებლობა ექმნება ბოროტმოქმედების ჩასადენად.

უნდა შევეხოთ ლიცენზირების საკითხსაც. კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაციის კრიპტოგრაფიული დაცვის საშუალებათა ტექნიკური მომსახურება ლიცენზირებას საჭიროებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი ლიცენზია ინფორმაციის გაცვლის ყოველმა მონაწილემ უნდა აიღოს, საკმარისია, თუ ეს ლიცენზია სისტემის ორგანიზატორს ექნება.

ინტერნეტ-ბანკინგში არის იმიჯის ელემენტიც. როცა გროედება ამ მომსახურების შემსრულებელი ბანკების კრიტიკული მასა, მაშინ სხვა დანარჩენი ბანკები წაგებას იწყებენ. ისინი კარგავენ კლიენტებს და ეს უკვე წმინდა ზარალია. მოსახლეობასთან მოქ.უშავე მსხვილი ბანკების სექტორი უკვე საკმაოდ ძლიერადაა „ინტერნეტიზებული", რის გამოც ამ მომსახურების უქონლობა

უკვე ნიშნავს წაგებას (თუმცა, ჯერ კიდევ ძირითადად იმიჯის თვალსაზრისით).

ახლა განვიხილოთ ინტერნეტ-ბანკინგის პერსპექტივები. აქ აღსანიშნავია დასავლელი ანალიტიკოსების პროგნოზები. მაგალითად, კომპანია Cap Gemini/Ernst & Yang-ის ჩამოკვლევაში ნათქვამია, რომ ინტერნეტის ქსელის მეშვეობით შესრულებული საბანკო ოპერაციების ხვედრითი წილი 2003 წლისთვის ევროპაში შესაძლოა 25%-მდე ამაღლდეს. იგივე პროგნოზი აშშ-თვის გაცილებით უფრო მოკრძალებულია - სულ რაღაც 12%.

დასავლეთში საბანკო ინტერნეტ-სერვისი, რომელიც ელექტრონული კომერციის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დინამიკური სეგმენტია, ინარჩუნებს დაჩქარებულ განვითარების ტემპებს ინტერნეტით მოსარგებლეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად. მათი ხვედრითი წილი დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მოსახლეობაში უკვე საშუალოდ 40%-ს შეადგენს. ამასთან, დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა ინტერნეტის გლობალური მსოფლიო ქსელის ათვისებით წინ უსწრებს ჩრდილოეთ ამერიკელ აღიარებულ ლიდერებს: ნორვეგია - მოსახლეობის 48%, აშშ - 45%, შვედეთი 42%, კანადა 41%, ფინეთი - 38%, დანია - 35%, დიდი ბრიტანეთი - 25% (2000 წ. დასაწყისის მონაცემები).

ინტერნეტ-პოპულაციის გადიდების პარალელურად მატულობს იმ კლიენტების რაოდენობაც, რომლებიც ინტერნეტის მეშვეობით ახორციელებენ საბანკო ოპერაციებს. ბაზრის განვითარების მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია იმ ბანკების რაოდენობა, რომლებიც ინტერნეტ-ბანკინგს აწითარებენ. მაგალითად, უკვე 2000 წ. ზაფხულში აშშ-ის 100 უმსხვილესი ბანკიდან 71 ინტერნეტ-სერვისს სთავაზობდა თავის კლიენტებს, მათ შორის 9 ბანკი 10 უმსხვილესის ჯგუფის წარმომადგენელია, რომელთა შორისაა ამერიკის საბანკო ბიზნესის ლიდერები: Citicorp Bank of America. Case. Bank one, First Union. Wells Fargo. მაგრამ ევროპის ბანკები არათუ არ ჩამორჩებიან თავიანთ ამერიკელ კოლეგებს ბანკების რაოდენობითაც და ამ სფეროში მიღწეული ბრუნვითაც, არამედ უსწრებენ კიდეც მათ. მაგალითად, Cap Gemini/Ernst & Yang-ის მონაცემებით, ევროპელებმა ბოლოს და ბოლოს გაუსწრეს თავიანთ ამერიკელ კონკურენტებს ინტერნეტის ქსელის გამოყენებით შესრულებული საბანკო ოპერაციების ხვედრითი წილით, ევროპაში ყველა საბანკო ოპერაციის 4%-ს ახორციელებენ ინტერნეტის მეშვეობით, აშშ-ში კი 3%-ს (21 ქვეყნის 125 ბანკიდან მიღებული ცნობების მიხედვით). სულ მსოფლიოში დღეს 1500-ზე მეტი ისეთი ბანკია, რომლებსაც თავიანთი არსებობა ინტერნეტ-ბანკინგის მომსახურება აქვთ.

ინტერნეტ-ბანკინგი სულ უფრო ფართოდ ვრცელდება რუსეთშიც. დღეს უკვე 40-მდე ბანკი ახორციელებს ამა თუ იმ ფორმის დაშორებულ საბანკო სერვისს ინტერნეტის ქსელის გამოყენებით. ამასთან, ამ ბანკების ნახევარზე მეტი ინტერნეტ-ბანკინგის მომსახურების განვითარებას ამჯობინებს მხოლოდ და მხოლოდ იურიდიული პირებისათვის და ამ დროისათვის გაუმართლებლად მიიჩნევს ფიზიკურ პირებზე პოზიციონირებას. ამგვარი შერჩევითი მიდგომის მიზეზია ბანკებსა და ფიზიკურ პირებს შორის ურთიერთობათა ის „გაცივება", რაც 1998 წ. შემდეგ დაიწყო. მთლიანობაში მონაცემები იმას მოწმობენ, რომ ახალი მომსახურების მოსინჯვის მცდელობიდან ბანკების კლიენტები სულ უფრო აქტიურად გადადიან ინტერნეტ-მომსახურების რეგულარულად გამოყენებაზე.

ინტერნეტ-ბანკინგის განვითარების გაანალიზებით შეგვიძლია გამოვყოთ მისი სისტემების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მახასიათებლები, რომლებიც აუცილებელია კლიენტებისათვის:

1) ფუნქციური შესაძლებლობები (კლიენტებისთვის ხელმისაწვდომი ოპერაციები);

2) სისტემით სარგებლობის მოხერხებულობა (მოსარგებლის ინტერფეისი);

3) ფინანსური ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სწორედ ამ მაჩვენებლების მნიშვნელოვნებას ადასტურებს მოსარგებლეთა მრავალრიცხოვანი გამოკითხვის შედეგები და იმ სპეციალისტების მიერ ჩატარებული დეტალური ანალიზი, რომლებიც ინტერნეტ-ბანკინგის სისტემებს ამუშავებენ.

რაც უფრო ფართოა ინტერნეტ-ბანკინგის სისტემის ფუნქციური შესაძლებლობები, ე.ი. რაც უფრო მეტ მომსახურებაზე მიუწვდება ხელი ბანკის კლიენტს ინტერნეტის მეშვეობით, მით უფრო სრულფასოვნად და სასურველად გვეჩვენება ასეთი სისტემა. მართლაც, საბანკო ინტერნეტ-სერვისის ფუნქციურ შესაძლებლობათა შეზღუდულად ან იძულებით შეზღუდვა ძალიან ამცირებს ამგვარი სისტემების მიმზიდველობას, რადგან ზოგიერთი საბანკო მომსახურებისათვის კლიენტს მაინც მოუხდება ბანკში მისვლა. ამიტომ ინტერნეტ-ბანკინგის სისტემების კონკურენტუნარიანობის მიღწევის მიზნით ბანკები ცდილობენ მათ აღჭურვას მომსახურების პრაქტიკულად მთელი იმ სპექტრით, რომელიც კლიენტებისთვის ბანკის ოფისშია ხელმისაწვდომი. ასეთებია: საკუთარ ანგარიშებზე მყოფ სახსრებზე მიმდინარე ოპერაციები (ამონაწერების გაკეთება, საკუთარ ანგარიშებზე გადაყვანა, პლასტიკურ ბარათებზე მუშაობა), სახსრების ინვესტირება (დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები), კონტრაგენტებთან ანგარიშსწორება (ერთჯერადი და პერიოდული გადახდები) და ა.შ.

ინტერნეტ-ბანკინგის ამა თუ იმ სისტემის მოხერხებულობა, როგორც წესი, შემდეგში მჟღავნდება:

- მოსარგებლის რამდენად მეგობრული ინტერფეისი აქვს სისტემის კლიენტთა წრეს;
- რამდენად მარტივი და გასაგებია პროგრამული უზრუნველყოფის დანადგარი და მისი გამართვა;
- რამდენად უბრალო და მოსახერხებელია სისტემაში ოპერაციების შესრულების ჩვეულებრივი ხერხები ამა თუ იმ საბანკო მომსახურების მისაღებად, განსაკუთრებით - ახალბედა მოსარგებლეებისათვის.

ინტერნეტ-ბანკინგის სწორედ ეს მახასიათებელი - გამოყენების მოხერხებულობა - გვეჩვენება ჩვენი სისტემების ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ადგილად. აღსანიშნავია, რომ იმ რთული სისტემების შექმნაში, რომლებიც კომპიუტერულ ტექნოლოგიებში არასპეციალისტების მიერ მასობრივად გამოყენებისთვისაა განკუთვნილი, პროგრამისტების გარდა მონაწილეობას უნდა იღებდეს საინფორმაციო სისტემების დამპროექტებლების, მარკეტოლოგების, ფსიქოლოგებისა და მოსარგებლის გრაფიკული ინტერფეისების დამუშავების სფეროს სპეციალისტებისგან შემდგარი გუნდიც. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვიქონიოთ ისეთი პროდუქტის შექმნის იმედი, რომელიც შეძლებს მოსარგებლეთა სიმპათიების მოხვეჭას და, ეფექტიანი სტრატეგიის პირობებში შესაბამისი ბაზრების დაპყრობას.

ინტერნეტ-ბანკინგის სისტემების შექმნისა და ექსპლუატაციის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს უსაფრთხოების ორგანიზაციის საკითხებს. საჭიროა გონივრული ძალისხმევის გამოყენება რისკების შესამცირებლად პროფესიულ გადაწყვეტილებათა დანერგვის ხარჯზე და ამ რისკების დაზღვევა.

ინტერნეტ-ბანკინგი არის საბანკო მომსახურების გაწევა ინტერნეტის ქსელის მეშვეობით, როდესაც კვირის ნებისმიერ დღეს და დღე-ღამის ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია მასში ჩართვა იმ ნებისმიერი ადგილიდან, სადაც კი ინტერნეტი ხელმისაწვდომია. ინტერნეტ-ბანკინგს მთელი რიგი უპირატესობები აქვს: 1) დროის ეკონომია; 2) ანგარიშების სადღეღამისო კონტროლი; 3) ნებისმიერი online-გადახდის გატარება შეუფერხებლად და მათი განხორციელება ანგარიშის მფლობელის პირადი მონაწილეობის გარეშე.

ინტერნეტ-ბანკინგის ძირითადი პრობლემებია: 1) მომსახურების გაწევის არასაკმარისობა; 2) ბაზრის პერსონალური სეგმენტის ცუდად განვითარება. მაგალითად, რუსეთის ბანკები აჯობინებენ კორპორაციულ კლიენტებს, ე.ი. იმ იურიდიულ პირებს, რომლებსაც ფულის მასის დიდი ბრუნვა აქვთ და მეტად უმნიშვნელო ყურადღებას უთმობენ ცალკეულ მოქალაქეებს. ამ გარემოებას ის განაპირობებს, რომ წვრილი კლიენტების უმნიშვნელო ფინანსურ ოპერაციებს მომეტებული ყურადღება და დიდი საოპერაციო ძალისხმევა სჭირდება; 3) უსაფრთხოება და ელექტრონული ფულის ხელმოწერასთან დაკავშირებული პრობლემები.

ბანკის მიერ ამა თუ იმ სისტემის არჩევის უდავო კრიტერიუმებია: 1) მისი ფუნქციური

შესაძლებლობები (კლიენტებისათვის ხელმისაწვდომი ოპერაციები); 2) სისტემით სარგებლობის მოხერხებულობა (მოსარგებლეთა ინტერფეისი); 3) საფინანსო ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ კრიტერიუმებზე დამოკიდებულებით ყალიბდება იმ ბანკის მომსახურებაზე ფასების დაწესების პოლიტიკა, რომელიც ამ მომსახურებას განახორციელებს. ჩვენი სისტემების ერთ-ერთი სუსტი ადგილი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) არის სწორედ გამოყენების მოხერხებულობა.

ინტერნეტ-ბანკინგის სისტემების დაცვამ უნდა უზრუნველყოს:

- ურთიერთმოქმედი სუბიექტების (კლიენტისა და ბანკის) ერთმნიშვნელოვანი იდენტიფიკაცია;
  გადასაცემი საფინანსო ინფორმაციის დაშიფრა;
  ინფორმაციის გადაცემის არხების უსაფრთხოება;
  ინფორმაციის მატარებლების დაცვა.

19.7. ᲑᲐᲜᲙᲝᲛᲐᲢᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲓᲐᲮᲚᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘ

ბანკომატი (ATM-Automated Teller Machine) მრავალფუნქციური ავტომატია, ე.წ. ავტობანკი, რომელსაც მართავს მაგნიტური პლასტიკური ბარათების ახალი თაობა. პირველად ბანკომატი XX ს. 60-იან წლებში გამოჩნდა, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ ნაღდი ფულის მცირე თანხებს გასცემდა. 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში მრავალი სიძნელე შეიმჩნეოდა სალაროს ავტომატების გამოყენებასთან დაკავშირებით (ავტომატების გატეხვა, პერსონალური ბარათების ხშირი დაზიანება ან მათი დაყოვნება ოპერაციის შესრულების შემდეგ). ამის შემდეგ კლიენტების უმრავლესობა ამჯობინებდა თავიანთი ოპერაციების შესრულებას ტრადიციული მეთოდით — უშუალოდ ბანკში.

მარტივი საბანკო ოპერაციების შესრულებისათვის ბანკომატების გამოყენება განაპირობებს ბანკის მუშაკთა გამოთავისუფლებას, ეს კი საშუალებას აძლევს მათ უფრო სპეციალიზებული სახეობის მომსახურებაზე გააძლიერონ თავიანთი ძალისხმევა. ამავე დროს, გრძელვადიან პერსპექტივაში მცირდება მოსახლეობის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები.

მოლარე-ავტომატების გამოყენება ასახავს ბანკების მცდელობას უფრო ახლოს მიიტანონ თავიანთი მომსახურება კლიენტებთან. ბანკომატის გამოყენებით ფართოვდება მომხმარებლების საბანკო ოპერაციების შესრულების არეალი, მაგალითად, ნაღდი ფულის მიღებასთან ან ანაბრის შეტანასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ბანკს, მისთვის ბანკომატი ის ეფექტიანი საშუალებაა, რომელიც მისი განყოფილებების პერსონალს ამცირებს და დიდ მოგებას აძლევს ბანკს, თანაც პოზიციებს ანარჩუნებინებს სამომხმარებლო ბაზარზე და უპირატესობებს ანიჭებს მას საკონკურენციო ბრძოლაში. ATM-ის ასე ელეგანტურად განეითარება იმითაც აისახება, რომ ბანკები ალტერნატივის შექმნას ცდილობენ შაბათ-კვირას დაკეტილი საბანკო დაწესებულებებისათვის. ATM-ის შექმნაზე ბანკის მიერ გაწეული დანახარჯების თვალსაზრისით ავტომატების გამოყენება ეფექტიანად ითვლება, რადგანაც ამ პირობებში აუცილებელი აღარაა დამატებითი ხარჯების გაწევა შენობებსა და მომსახურე პერსონალზე. სწორედ ამიტომ ინგლისის ბანკები დღეს გაცილებით მეტი მოცულობის ოპერაციებს ასრულებენ, არადა საბანკო დაწესებულებების ფართობები და მათში მომუშავეთა რიცხვნობა 70-იანი წლების დონეზეა დარჩენილი.

კლიენტის თვალსაზრისით, ATM-ით სარგებლობას მრავალი უპირატესობა აქვს ბანკში შესრულებულ მომსახურებასთან შედარებით. უპირველეს ყოვლისა, ესაა მომსახურების სისწრაფე და მოხერხებულობა. ოპერაციის შესრულების შესაძლებლობა დღე-ღამის ნებისმიერ დროს, ATM-თან დაკავშირების სიმარტივე ქსელების გაერთიანების გამო. ამიტომ ბანკების კლიენტები ბოლო წლებში უფრო ხშირად ავტომატებს მიმართავენ მოსახურებისთვის, ვიდრე ბანკის

განყოფილებებს. ამასთან, ბანკების კლიენტების ნახევარზე მეტი რეგულარულად სარგებლობს ბანკომატების მომსახურებით.

ATM-ის გამოყენების საკლოვანებების მიეკუთნება:ა) კლიენტის ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერა ოპერაციის ჩატარების დღესვე (გარდა შაბათ-კვირისა) და არა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როგორც ბანკის განყოფილებაში შესრულებული მომსახურების დროს ხდება (გარდა იმ განყოფილებისა, რომელშიც კლიენტის ანგარიშია გახსნილი); ბ) ბარათების დაკარგვის და მოპარვის შესაძლებლობა; გ) პრობლემის წარმოქმნა, თუ საჭირო მომენტში ბანკომატი რაიმე მიზეზით არ მუშაობდა.

მომავალში განზრახულია ბანკომატების რაოდენობის გაძიდება, მათი საიმედოოის ამაღლება და შეუწყვეტლივ მუშაობა, ATM-ის ქსელის გაფართოება. იმისათვის, რომ უფრო სრულად გამოიყენოს ბანკომატების პოტენციალი, ბანკმა ერთ-ერთს უნდა დაუკავშიროს ATM-ის მიერ შესრულებული, განყოფილებების მიერ გაწეული, კლიენტებისათვის შინ შესრულებული საბანკო მომსახურება და მომსახურების გაწევის სხვა ხერხები და ამით შექმნას კლიენტის მომსახურების ერთიანი სისტემა.

19.8. ბანკთაშორისი ელექტრონული გზავნილები საქაღალდო ორგანიზაციებში

უახლესი ელექტრონული ტექნიკის გამოყენებით ბანკების კლიენტების მომსახურების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა მათთვის ელექტრონული მომსახურების გაწევა მაღაზიებში. საქაღალდო ორგანიზაციებში ფულადი სახსრების ბანკთაშორისი ელექტრონული გზავნილების სისტემებში ხორციელდება ფულადი სახსრების გადარიცხვა მყიდველის ანგარიშიდან გამყიდველის ანგარიშზე საქონლის ყიდვის მომენტში. მყიდველის სურვილის შესაბამისად შესაძლებელია ფულის გადახდის განაღდებაც. ოპერაციების უმრავლესობა აქ პლასტიკური ბარათების მეშვეობით სრულდება, რომლებიც დასავლეთის მაღალგანვითარებული ქვეყნების საგადასახდელო ბრუნვის ორგანიზაციებში მოწინავე პოზიციებს იკავებენ და თანდათან დეფიციტ ჩეკებს და მათ წიგნაკებს. ბოლო წლებში მიმდინარეობს მუშაობა მრავალმიზნობრივი ბარათების დასანერგად, რომლებსაც გამოიყენებენ როგორც საკრედიტო, სავადასახდელო და საგარანტიო საქაღალდო ბარათებად.

ამ სისტემებით სარგებლობის დროს სახსრების გადარიცხვის პროცედურის აუცილებელი ელემენტია ბარათი. გამყიდველი მას ატარებს სპეციალურ ტერმინალში და ამოწმებს ბარათის მსყიდველობით უნარს, რის შემდეგაც ხორციელდება გადარიცხვა. მთელი ოპერაცია 30 წმ–ზე მეტს არ გრძელდება.

სისტემებით სარგებლობას მთელი რიგი უპირატესობები აქვს კლიენტისთვის:

1. ოპერაციის შესრულების სიწრაფე. ამჟამად, ერთი ოპერაციის ხანგრძლივობა ამ სისტემების გამოყენებისას 15-30 წამს (საშუალოდ 22 წამს) შეადგენს, მაშინ როდესაც ნაღდი ფულის გამოყენებისას ერთ ოპერაციას სჭირდება 30, საკრედიტო ბარათების – 75 და ჩეკების – 90 წამი.

2. ბანკისათვის გადასახდელი თანხის შემცირება. ელექტრონული სისტემების გამოყენებით შესრულებული ფულის გადახდის ოპერაციები ბანკს გაცილებით იაფი უჯდება, ვიდრე ანალოგიური ოპერაციები ნაღდ ფულზე ან ქაღალდის სხვა საგადამხდელო საშუალებებზე.

3. ფულადი სახსრების უფრო სწრაფად ჩარიცხვა გამყიდველის ანგარიშზე, რადგანაც ოპერაცია ავტომატურად სრულდება საქონლის შეძენის მომენტში.

4. ქაღალდის დოკუმენტბრუნვის და მიმოქცევის სარჯების შემცირება.

5. გადახდის გარანტია და საიმედოდ დაცვა კლიენტის ანგარიშის არასანქცირებული ხელყოფისაგან.

6. საქონლის შეძენის შესაძლებლობა ნაღდი ფულის თან არქონისას.

ამ და სხვა უპირატესობებმა (მაგალითად, ინფორმაციის დამუშავების დიდმა სისწრაფემ, ნავაჭრის დაუყოვნებელმა ინკასაციამ) უზრუნველყვეს მოსახლეობის ელექტრონული საბანკო მომსახურების ამ სფეროს სწრაფად განვითარება. ამჟამად კომერსანტებს მიაჩნიათ, რომ ტერმინალის დაყენება ეფექტიანია, თუ იგი 10 წამის განმავლობაში უზრუნველყოფს ოპერაციის შესრულებას. თავის მხრივ, ბანკები ყოველმხრივ სტიმულს აძლევენ სავაჭრო ორგაიზაციებთან ამგვარი ურთიერთობების განვითარებას, რათა გააძლიერონ მათი დაინტერესება ელექტრონული მოწყობილობის დადგმით და ანგარიშსწორებისა და ფულის გადახდის ახალი სისტემების დანერგვით.

აშშ-ში მაგალითად, უკვე შუა 80-იან წლებში 10-დან 9 მსხვილ სავაჭრო ფირმას დადგმული ჰქონდა ტერმინალური მოწყობილობა EFTPOS (Electronik Funds Transfer at Point of Sale), ამჟამად კი სავაჭრო ორგანიზაციების დიდ უმრავლესობას თავიანთი მაღაზიები აუცილებელი მოწყობილობით აქვთ აღჭურვილი.

ამასთან, EFTPOS–სისტემების გამოყენებაში უკვე გაჩნდა მთელი რიგი პირობები. ჯერ ერთი, ბანკებმა და საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებმა უკვე დიდი კაპიტალი დააბანდეს ATM–ის და სხვა ტექნიკის შეძენაში, ტექნოლოგიის პროგრესი კი უფრო თანამედროვე და უფრო ძვირად ღირებული ტექნიკის დანერგვას მოითხოვს. ამიტომ ახლა განსაკუთრებით მწვავე გახდა ახალ ტექნიკაზე გაწეული ხარჯების ბანკების, სავაჭრო ფირმებისა და სახელმწიფოს მხრიდან დაფარვის პრობლემა. მეორე, არ არსებობს მოწყობილობის 100%–იანი საიმედოობის გარანტია. მესამე, ფულადი სახსრების გამჭვირვალობის ზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს ოპერაციების კონფიდენციალურობის დარღვევა, ოპერაციების არასანქცირებულად შესრულება ბარათების მოპარვის და ა.შ. მეოთხე, რადგანაც მყიდველები ითხოვენ ფულის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმებას, ქაღალდის დოკუმენტბრუნვის მკვეთრად შემცირება ჯერ კიდევ არ შეიძნევა.

ამის მიუხედავად, დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ბოლო 5 წელიწადში EFTPOS–ით სარგებლობის მსურველთა რაოდენობა გაორმაგდა და ზრდადსული მოსახლეობის თითქმის 25% შეადგინა. ამჟამად ეს საკითხი ერთმნიშვნელოვნადაა გადაწყვეტილი საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებში ფულადი სახსრების ბანკთაშორისი ელექტრონული გზავნილების სისტემების განვითარების სასარგებლოდ.

19.9. „Home Banking"– ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲖᲔ

ადგილზე კლიენტების საბანკო მომსახურების („Home banking") შემოღება მოსახლეობის საბანკო მომსახურების დამოუკიდებელი ფორმაა, რომელიც ბანკების პაექრობაა კლიენტების შინმოსახურებაში პრიველობის მოსაპოვებლად. 1982 წელს სამშენებლო საზოგადოება Nottingam Building Society–მ შოტლანდიის ბანკთან და ბრიტანეთის სატელეფონო კომპანია British Telecom–თან ერთად დანერგა სისტემა Home link, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 1983 წლიდან. შემდეგ ასეთიე სისტემების დანერგვა დაიწყეს მსხვილმა კომერციულმა ბანკებმა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებმა.

ადგილზე ელექტრონული საბანკო მომსახურებით მოსარგებლეები თვითონვე იძენენ საჭირო მოწყობილობას, ბანკი კი კონსულტაციებს უწევს მათ. საშინაო ტერმინალების მოწყობაში და აუცილებელი საპროგრამო უზრუნველყოფის შეძენაში კლიენტი იყენებს პერსონალურ კომპიუტერს, მონიტორის ან ტელევიზორის ეკრანს და ტელესაკომუნიკაციო ხაზებით (ტელეფონით ან ვიდეოთი) ერთვება ბანკის კომპიუტერში. ამ შემთხვევაში ბანკის ოპერაციები შეიძლება კვირის შვიდივე დღეს ხორციელდებოდეს 24 საათის განმავლობაში. ყოველი ოპერაციის წინ ანგარიშის

მფლობელი იყენებს „გასაღებს", რათა არ მოხდეს სისტემაში ვისიმე არაუფლებამოსილად ჩართვა. ამ სისტემის გამოყენებით შესაძლებელია ემართოთ მიმდინარე ანგარიში, ანაბარი, კლიენტის ანგარიშსწორება ბიუჯეტთან, გადახდისა და დანაზოგის ანგარიშები.

ბანკის კომპიუტერულ სისტემასთან პერსონალური კომპიუტერის მეშვეობის დროს შესრულებული ოპერაციებიდან შეიძლება გამოვყოთ: დღეისათვის ანგარიშის ბალანსის მიღება; იმ ინსტრუქციებისა და წესების დეტალების გაცნობა, რომელთა შესაბამისადაც შესაძლებელია ცვლილებების, შესწორებების და ა.შ. შეტანა; ჩეკების წიგნაკის და დროის გარკვეულ პერიოდში ანგარიშზე არსებული სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშის შეკვეთა; კლიენტების ანგარიშიდან ანგარიშზე ფულის გადარიცხვა; ამა თუ იმ კომპანიის (მაგალითად, საკრედიტო და სხვა პლასტიკური ბარათების გამომშვები კომპანიების) მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა (მათ შორის – წინასწარ); ოპერაციების შესრულება ფასიან ქაღალდებზე და ა.შ. კლიენტების სალაროს შინმომსახურება მთელ რიგ შემთხვევებში შეზღუდული არაა ეროვნული ვალუტით გახსნილი მათი ანგარიშებით.

იაპონიის ბანკები, მაგალითად თავიანთ კლიენტებს აძლევენ ლონდონში, ნიუ-იორკში თუ სხვაგან გახსნილი ანგარიშების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. ამგვარად, შეგეიძლია დავასკვნათ, რომ შინიდან გაუსვლელად კლიენტის საბანკო მომსახურებაში პრაქტიკულად სერიოზული დაბრკოლება არ არსებობს. კლიენტს დღე-ღამის ნებისმიერ მომენტში შეუძლია ნებისმიერი საბანკო ოპერაციის შესრულება, ბანკი კი მხოლოდ ამის შემდეგ აკონტროლებს მას.

ამჟამად, საფრანგეთში ბანკთან პირდაპირი კავშირი აქვს დამყარებული დაახლოებით 300 ათას კლიენტს. აშშ-ში 80-იანი წლების ბოლოს ამგვარი მომსახურებით სარგებლობდა 33 ათასი ამერიკელი, ამ მომსახურების განხორციელების ელექტრონული პროგრამები კი 41 ბანკს ჰქონდა. დღეს ყველა მსხვილი ბანკი სთავაზობს თავის კლიენტებს შინმომსახურებას.

სისტემა „ბანკი – კლიენტი" შესაძლებლობას აძლევს კლიენტს:

– საგადამხდელო დოკუმენტები გადაუგზავნოს ბანკს;

– მიიღოს მისი ანგარიშებიდან ამონაწერები;

– მიიღოს საგადამხდელო დოკუმენტების ელექტრონული ასლები მის ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვის დროს;

.– ელექტრონული შეტყობინების ასლები გაუცვალოს ბანკს;

– მიიღოს საცნობარო ინფორმაცია;

– განახორციელოს ინფორმაციის ექსპორტი (იმპორტი).

ბანკის ნებისმიერი კლიენტისათვის (იურიდიული პირი იქნება ეს თუ ფიზიკური) ასეთი სისტემებით სარგებლობისგან თავის შეკავების ერთ-ერთი ფაქტორია სისტემის მომსახურებით სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადი. ბიზნესმენისთვის ელექტრონული საბანკო მომსახურების ამ სახეობის დიდი უპირატესობაა, სხვა რამესთან ერთად, ნებისმიერი ინფორმაციის მიღება ნებისმიერ დროს. ბანკებისთვის შედარებით ძნელია ამ სისტემის ეფექტიანობის შეფასება. ერთია, რომ მცირდება შენობებზე, ნაგებობებზე, მოსამსახურეებზე, დოკუმენტბრუნვაზე და ა.შ. გაწეული ხარჯები, მაგრამ, მეორე მხრივ, კლიენტებს შესაძლებლობა აქვთ სწრაფად გადაიტანონ თავიანთი სახსრები პროცენტების არმომტანი ანგარიშებიდან შემოსავლიან ანგარიშებზე. სერიოზულად გაანალიზებას საჭიროებს, აგრეთვე, იმ საზღვარგარეთული ბანკების და სხვა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების მხრიდან გაწეული კონკურენცია, რომლებიც ანალოგიურ მომსახურებას ეწევიან კლიენტს ბინაზე და ოფისში.

ბინაზე საბანკო მომსახურების განვითარებისა და გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პრობლემაა საკომუნიკაციო სისტემების მოდერნიზაცია. ცნობილია, რომ ბინაზე და ოფისში მომსახურების გაწევა კლიენტებისათვის დიდი ხანია გახდა ხელმისაწვდომი. ისინი ფოსტით (ან ტელეფონით) იღებდნენ ინფორმაციას თავიანთ ანგარიშებზე სახსრების მოძრაობის შესახებ და თვითონვე

გზავნიდნენ ბანკში ჩეკებს. ამ ტიპის ურთიერთობა დიდძალ ქაღალდის დოკუმენტებს მოითხოვდა. თანამედროვე ტელესაკომუნიკაციო სისტემები, სპეციალისტების აზრით, აუცილებლად გართულდება და ფართოდ გავრცელდება ყველა ქვეყანაში. ეჭვს არ იწვევს ის, რომ მომავალში ბინაზე და ოფისში კლიენტების მომსახურება საცალო საბანკო მომსახურების მოსახლეობის მომსახურების – ძირითად ფორმად გადაიქცევა. სწორედ ის გააერთიანებს ბინაზე საბანკო ვიდეომომსახურების ერთიან სისტემად ბანკომატების, საკრედიტო და საგადამხდელო ბარათების გამოყენებაზე დაფუძნებულ მომსახურებას და ბანკების განყოფილებების მიერ გაწეულ მომსახურებას.

დასავლელი ეკონომისტების აზრით, ახლო მომავალში საბანკო დაწესებულებებს რევოლუციური ცვლილებები მოელის. ტელეკომუნიკაციებისა და პერსონალური კომპიუტერების განვითარება მილიონობით მოსამსახურეს შინ მუშაობის საშუალებას მისცემს. ეს დაახლოებით 4 მლნ. ადგილს გამოათავისუფლებს ოფისებში და საჭირო აღარ იქნება შესაბამისი რაოდენობის ადმინისტრაციული შენობები და სამსახურებრივი ნაგებობები. მოსამსახურისთვის ბინა ის ადგილი იქნება, სადაც თავს მოიყრის და შემდეგ გაიცემა მუშაობისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია. კომპიუტერები ავტომობილებშიც დაიდგმება, რომ არც ერთი სამუშაო წუთი უქმად არ დაიკარგოს. ნავარაუდევია, რომ ასეთ სიახლეთა შემოღებით შრომის ნაყოფიერება 4-ჯერ გაიზრდება, შემცირდება კომპანიების ზედნადები ხარჯები, მკვეთრად ამაღლდება მათი რენტაბელობა და შემოსავლები.

19.10. ბანკების ფორფეიტინგული ოპერაციები

ფორფეიტირება საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაში არსებული ერთ–ერთი ალტერნატიული მიდგომაა. იგი გულისხმობს ფორფეიტერის (კომერციული ბანკის ან სპეციალიზებული საფინანსო კომპანიის) მიერ საექსპორტო მოთხოვნების შეძენას იმ პირობით, რომ ექსპორტიორზე გადაუხდელობის შემთხვევაში (ფორფეიტისტზე) რეგრესის უფლება გამორიცხულია.

ფორფეიტინგის განვითარების უმნიშვნელოვანესი წინამძღვარია საერთაშორისო ინტეგრაციის გაძლიერება, ბანკების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, საექსპორტო ვაჭრობაზე სახელმწიფო შეზღუდვების მოხსნა, აგრეთვე, იმ რისკების ზრდა, რომლებიც ექსპორტიორს ემუქრება.

ამრიგად, ფორფეიტინგი (ფრანგული გამოთქმით – a forfait) კრედიტორისგან იმ ვალის შეძენაა მისთვის დაუბრუნებლად, რომელიც მიმოქცევადი დოკუმენტით – ჩეკულებრივი ან გადასაყვანი თამასუქითაა გამოხატული. ეს იმას ნიშნავს, რომ ვალის მყიდველი (ფორფეიტერი) კისრულობს თავის იმ უფლებაზე (ფორფეიტინგის) ვალდებულებას, რომ მას შეეძლო კრედიტორისთვის რეგრესის მოთხოვნის წარდგენა მოვალისგან დაკმაყოფილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში. ბუნებრივია, რომ მიმოქცევადი ვალდებულებების შეძენა ფასჩამოკლებით მიმდინარეობს.

ფორფეიტინგის მექანიზმს ორგვარ გარიგებებში იყენებენ:

– ფინანსურ გარიგებებში – გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების სწრაფად რეალიზაციის მიზნით;

– საექსპორტო გარიგებებში – იმ ექსპორტიორისთვის ნაღდი ფულის მიღებაში ხელშეწყობის მიზნით, რომელმაც უცხოელ მყიდველს მისცა კრედიტი.

ფორფეიტინგის ინსტრუმენტებად გამოყენებული მიმოქცევის ძირითადი დოკუმენტებია თამასუქები. გამორიცხული არაა სხვა ფასიანი ქაღალდების გამოყენებაც, ოღონდ მთავარია, რომ ისინი „სუფთა" (აბსტრაქტული ვალდებულებების შემცველი) იყოს.

ფორფეიტინგი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა. იგი განსაკუთრებით გავრცელდა იმ ქვეყნებში, სადაც შედარებით სუსტია სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის დაკრედიტება. თავდაპირველად ფორფეიტირებას კომერციული ბანკები ეწეოდნენ, მაგრამ „ა-ფორფე" ოპერაციების გაფართოების კვალობაზე შესაბამისი სპეციალიზებული ინსტიტუტებიც ჩამოყალიბდა. ესაა,

ძირითადად, კომერციული ბანკების ქალიშვილი კომპანიები. ფორფეიტირების დროს მოჟალე შეიძლება იყოს კარგი რეიტინგის მქონე ქვეყნის იმპორტიორი, რომლის მაგივრადაც მოთხოვნის დაკმაყოფილება კარგი რეიტინგის მქონე ბანკმა იკალდებულა.

ამჟამად ფორფეიტინგის ერთ-ერთი მთავარი ცენტრია ლონდონი. ეს იმან განაპირობა, რომ დიდი ხანია, რაც ევროპის მრავალი ქვეყნის ექსპორტს სიტიდან აფინანსებენ, რომელიც არასდროს აყოენებს ახალი საბანკო ტექნოლოგიების ათვისებას. ფორფეიტინგული ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანიასა და შვეიცარიაშია თავმოყრილი.

ამგვარად, ფორფეიტინგი სხვადასხვა ფინანსურ ცენტრებში ითარდება, თანაც ყოველწლიურად აღინიშნება ასეთ გარიგებათა ზრდა. ამის მიუხედავად, შეცდომა იქნებოდა „ა-ფორფე" გარიგებების მატება აღნიშნული ცენტრების ზრდასთან დაგვეკავშირებინა. ეს აიხსნება იმ რისკების მომატებით, რაც ექსპორტიორებს მოელის, აგრეთვე, რისკების ზრდის ადეკვატური დაფინანსების წყაროების არარსებობით. ფორფეიტინგს არსებითი უპირატესობები გააჩნია, რაც საშუალოვადიანი დაფინანსების მიმზიდველ ფორმად აქცევს მას. მათ შორის მთავარი ისაა, რომ ფორფეიტერი თავის თავზე იღებს ოპერაციასთან დაკავშირებულ ყველა რისკს. გარდა ამისა, მას მიმზიდველობას მატებს ფიქსირებულ საპროცენტო განაკეთებზე უარის თქმა ზოგიერთ ქვეყანაში, იმპორტირებული საქონლის ღირებულების გასასტუმრებელი ვალუტის ქრონიკული დეფიციტი მრავალ განვითარებად ქვეყანაში, პოლიტიკური რისკების მომატება და სხვა.

ფორფეიტირების ვადაა 180 დღიდან 5 წლამდე (ზოგიერთ შემთხვევაში 7 წლამდე). ამჟამად ფორფეიტირებისათვის იღებენ თანხებს, რომლებიც გაცილებით ნაკლებია ადრე მოთხოვნილ 100 000 გერმანულ მარკაზე.

ფორფეიტინგზე გარიგებებს უპირატესად გერმანული მარკებით, შვეიცარული ფრანკებით ან დოლარებით დებენ, რადგანაც ბაზარზე უფრო ნაკლები პოპულარობის მქონე ვალუტის შემთხვევაში ფორფეიტერს დიდი სიძნელეები მოელის რეფინანსირებასთან დაკავშირებით.

ფორფეიტინგული გარიგების გაფორმება რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. პირველია გარიგების მომზადება. ამ ეტაპზე ექსპორტიორი, მისი ბანკი ან იმპორტიორი გველინებიან გარიგების ინიციატორებად. ექსპორტიორისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გაარკვიოს, თუ რა მოთხოვნები აქვს ფორფეიტერს გარანტიების მიმართ და განსაზღვროს დისკონტის მიახლოებითი ზომა იმპორტიორთან გარიგების საბოლოოდ დადებამდე. ამ ინფორმაციის გარეშე ექსპორტიორი ვერ შეძლებს კონტრაქტის ფასის განსაზღვრას და მან შეიძლება აღმოაჩინოს, რომ დაფინანსებისთვის დადგენილი მარჟა, რომელიც მის მიერ კონტრაქტის ფასშია შეტანილი, დაუსაბუთებელია. შემდეგ, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ექსპორტიორის განაცხადის განხილვა ფორფეიტერის მიერ. იგი აუცილებლად ადგენს გარიგების ხასიათს (ფინანსურია იგი თუ სასაქონლო), რადგანაც ფინანსური ქაღალდების გაყიდვის შემთხვევაში აუცილებელია ხელმძღვანელის ამის შესახებ წინასწარ შეტყობინება.

შემდეგი ნაბიჯია მოსალოდნელი გარიგების შესახებ სხვა ინფორმაციის შეგროვება (ვალუტა, დაფინანსების ვადა, იმპორტიორი, ექსპორტიორი, მათი ადგილმდებარეობა და სხვა). ამის შემდეგ ფორფეიტერი ატარებს საკრედიტო ანალიზს და მტკიცე ფასს უსახელებს ექსპორტიორს: გარიგების შესახებ წინასწარი მოლაპარაკების მიღწეისას ხდება მისი დოკუმენტურად გაფორმება. შემდეგ ექსპორტიორი ამზადებს გადასაყვანი თამასუქების სერიებს ან ხელს აწერს შეთანხმებას მყიდველისგან ჩვეულებრივი თამასუქების მიღების შესახებ. გარდა ამისა, ექსპორტიორმა უნდა მიიღოს გარანტია ან ავალი თავის თამასუქებზე.

ამგვარად, ფორფეიტინგული გარიგება საკმაოდ ხანგრძლივ მომზადებას მოითხოვს და მაინც ბოლო წლებში ფორფეიტინგი სულ უფრო მეტად ერცელდება. ეს იმით აიხსნება, რომ ფორფეიტინგს მრავალი ღირსება აქვს, რაც მას დაფინანსების მიმზიდველ მეთოდად აქცევს.

ფორფეიტირების პროცესში მომხდარი დაფინანსება რისკის შემცირებასთან ერთად დიდ უპი-

რატესობებს ანიჭებს ექსპორტიორის ბალანსის სახისა და ლიკვიდობის გაუმჯობესების გამო. კერძოდ, ეს უპირატესობებია:

– საავალუტო და სხვა რისკების გამორიცხვა ფორფეიტერის მიერ მოთხოვნათა ყიდვის მომენტიდან მოყოლებული;

– გადახდის (გადაწეული) ვადის შემცველი მიწოდების ოპერაციის შეცვლა ნაღდი ანგარიშსწორების შემცველ ოპერაციად (ექსპორტიორი პროდუქციის მიწოდებისთანავე იღებს სახსრებს);

– ფორფეიტინგული დაფინანსება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამგვარად, მყარი საფუძველი არსებობს კალკულაციისთვის მცურავი საპროცენტო განაკვეთების უქონლობის წყალობით, რომლებიც სხვაგვარი დაკრედიტების შემთხვევაში შეიძლება იყოს კიდეც;

– დოკუმენტაციის სიმარტივე და მისი გაფორმების სისწრაფე;

– ფორფეიტირის მიერ იმაზე მეტი შემოსავლის მიღება, ვიდრე დაკრედიტების ოპერაციის დროს.

ლიზინგთან შედარებით ფორფეიტინგის დოკუმენტურად გაფორმება უფრო მარტივია. გარდა ამისა, თუ ლიზინგის ხელშეკრულებაში ექსპორტიორის სახელით შემოდის საფინანსო კომპანია, იგი აუცილებლად მოითხოვს ექსპორტიორზე რეგრესის უფლების შენარჩუნებას, ე.ი. ექსპორტიორი ატარებს იმპორტიორის გაკოტრების რისკს. ეს მაშინ, როდესაც ფორფეიტირების დროს რისკს მთლიანად ფორფეიტერი იღებს თავის თავზე. იგივე ეხება ფაქტორინგს, რომლის დროსაც საფინანსო ფირმები იტოვებენ ექსპორტიორზე რეგრესის უფლებას.

ამასთან, ფორფეიტორის თვალსაზრისით, რისკი მაინც საკმაოდ მაღალია. ამიტომ დაფინანსების ამ მეთოდის გამოყენების დროს დიდი ყურადღება ეთმობა პეჯირებას და რისკების მინიმიზაციას.

19.11. ᲝᲤᲪᲘᲝᲜᲔᲑᲘ, ᲤᲘᲣᲩᲔᲠᲡᲔᲑᲘ, ᲡᲕᲝᲞᲔᲑᲘ

ოფციონები, ფიუჩერსები და სვოპები ფასებზე (საქონლის), კურსებზე (ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების), განაკვეთებზე (პროცენტების და ა.შ.) სპეკულაციური თამაშის და რისკების პეჯირების მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტრუმენტებია. ისინი წარმოებულ ფასიან ქაღალდებს, ე.წ. დერივატივებს წარმოადგენენ.

ფორვარდული ოფციონი (option) იმ ორ კონტრაგენტს შორის დადებული კონტრაქტია, რომელთაგან ერთ–ერთი გამოიწვევს და ყიდის ოფციონს (ამ დროს იგი ოფციონის გამყიდველად გვევლინება), მეორე კი ყიდულობს მას და უფლებას იძენს, ოფციონის პირობებით დათქმულ ვადაში ან იყიდოს ოფციონის გამყიდველისგან გარკვეული თანხის საზღვარგარეთული ვალუტა ფიქსირებული ფასით (ყიდვაზე სავალუტო ოფციონის შემთხვევაში), ან მიყიდის ოფციონის გამყიდველს გარკვეული თანხის ვალუტა (ოფციონი ყიდვაზე). ამგვარად, ოფციონის თავისებურება ისაა, რომ ყიდვა-გაყიდვის გარიგებაში მყიდველი იძენს არა საკუთრების ტიტულს (ე.ი. უცხოურ ვალუტას), არამედ მისი შეძენის უფლებას. ამ დროს ოფციონის მყიდველი გამყიდველს უხდის თავისებურ საკომისიოს, რომელსაც პრემიას უწოდებენ. ამ გარიგებაში კონტრაქტის გამყიდველი თავის თავზე იღებს ოფციონის პირობებზე დამოკიდებულ ვალდებულებებს (გაყიდოს ან იყიდოს გარკვეული თანხის ვალუტა). რაც შეეხება ოფციონის მყიდველს, იგი იღებს გარკვეული თანხის ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის უფლებას.

ყოველ ოფციონს თავისი შესრულების ფასი აქვს. ესაა მოლაპარაკებით დაფიქსირებული ის ფასი, რომლითაც ოფციონის რეალიზება შეიძლება. მთლიანობაში ოპერაციები ოფციონებზე ხორციელდება ან წმინდა სპეკულაციური ფასებით, ე.ი. მოგების მიღების მიზნით (მაგალითად, კურსების სხვაობაზე მოგების), ან რისკის ჰეჯირების მიზნით. ამ დროს ოფციონური გარიგების მონაწილეები იმედს ამყარებენ საავალუტო კურსების მოძრაობაში გაჩენილ ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებზე. მოგების ან წაგების დონეს დიდად განსაზღვრავს ოფციონის ტიპი.

ოპერაციის სახეობაზე დამოკიდებულებით განასხვავებენ ოფციონს გაყიდვაზე („put") და ოფციონს ყიდვაზე („call"), მისი შესრულების პრინციპის მიხედვით კი – ამერიკულ და ევროპულ ოფციონებს. ამერიკული ვარიანტის დროს ოფციონის მყიდველს თავისი უფლების გამოყენება შეუძლია დროის გარკვეული პერიოდის (ოფციონური პერიოდის) განმავლობაში, ევროპული ვარიანტის დროს კი – კონტრაქტში დაფიქსირებულ გარკვეულ დღეს.

ოფციონური კონტრაქტი ჩვეულებრივ დაზღვევის ხელშეკრულებას ჰგავს. მზღვეველი (ოფციონის გამყიდველი) თავის თავზე იღებს დაზღვევის (ოფციონის მყიდველის) რისკებს და ამისთვის გარკვეულ საკომისიოს (პრემიას) ართმევს მას. თუ ეს ერთჯერადი, იზოლირებული გარიგებაა, მაშინ ყველა საკითხს მოლაპარაკების მონაწილე მხარეები წყვეტენ. ოფციონებით ორგანიზებული, ლიკვიდური ვაჭრობის დროს ისინი ორიენტაციას საბაზრო ფასების ჩამოყალიბებულ დონეზე იღებენ.

ფიუჩერსული კონტრაქტი (futures) ორი მხარის დამაკავშირებელი კანონიერი შეთანხმებაა, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე თანახმაა მიაწოდოს, მეორე კი – მიიღოს გარკვეული რაოდენობისა და ხარისხის კონკრეტული საქონელი. კონტრაქტის გაფორმების დროს მხარეები ადგენენ მიწოდების ვადას (ვადებს) მომავალში და ფასს.

არსებობს ფინანსური ფიუჩერსული კონტრაქტების და მისი განხორციელების ხერხების რამდენიმე თავისებურება. ჯერ ერთი, ფინანსური ფიუჩერსები მაღალ ლიკვიდური, სტანდარტიზებული კონტრაქტებია, რომელიც გულისხმობს ღია წამოძახილით ვაჭრობას ან ცენტრალიზებულ და რეგულირებად ბირჟებზე არსებულ კომპიუტერში (სავაჭრო ტერმინალში) გარკვეული ინფორმაციის შეყვანას. სხვა ფორვარდული კონტრაქტებისაგან მეორე განმასხვავებელი ნიშანი ანგარიშსწორებისა და მიწოდების მეთოდებს ეხება. ყოველ ფიუჩერსულ გაცვლას, როგორც წესი, მხარს უჭერს ცენტრალიზებული კლირინგული პალატა, რომელიც ყოველ გარიგებაში წარმატებით ასრულებს კონტრაგენტის როლს და ამ გზით ყოველი კონტრაქტის შესრულების გარანტირებას ახდენს.

პრაქტიკაში ფიუჩერსული გარიგებების მხოლოდ მცირე ნაწილი გამოიხატება შესაბამისი ინსტრუმენტის ფიზიკური მიწოდებით, თუმცა, მიწოდების პროცესი ყოველი კონტრაქტისა და მისი სპეციფიკაციის შემადგენელი ნაწილია და უზრუნველყოფს ნაღდი (სალაროს) და ფიუჩერსული (ვადიანი) ფასების გამოთანაბრების მექანიზმს.

● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ▶ ᲔᲙᲘᲚᲔ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ

1. ბაზარზე რეალიზებული ახალი საბანკო პროდუქტები და ტექნოლოგიები ინოვაციას წარმოადგენს. ინოვაცია (ინგ. **Inovation** - სიახლე, ნოვატორობა, ახალშემონაღები) ნიშნავს „ნოვაციაში ინვესტიციას".

ნოვაცია (ლათ. **Novation** - ცვლილება, განახლება) წარმოადგენს ადრე არარსებულ რაიმე სიახლეს. იგი აღნიშნავს მხარეთა შეთანხმებას მათ მიერ ადრე დათქმული ერთი ვალდებულების მეორით შეცვლას. ფინანსურ სფეროში მოქმედი ინოვაცია ფინანსური ინოვაციაა. ფინანსური ინოვაციების ერთ ნაწილს ბანკები ქმნიან საბანკო პროდუქტის ან ოპერაციის (ტექნოლოგიის) სახით. ესაა საბანკო ინოვაცია. საბანკო ინოვაცია არის ბანკის ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგი, რომელიც ახალი საბანკო პროდუქტის ან ოპერაციის ფორმით რეალიზდება.

2. საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი დროის ის გარკვეული პერიოდია, რომლის განმავლობაშიც საბანკო პროდუქტს ან ოპერაციას აქტიური სასიცოცხლო ძალა აქვს და გარკვეული მოგება ან სხვა რეალური სარგებელი მოაქვს ბანკისთვის, როგორც ინოვაციის პროდუცენტისა (მწარმოებლისა) და გამყიდველისათვის.

3. ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი პლასტიკური ბარათების გამოყენებაზეა დაფუძნებული და მოიცავს ბანკომატების მეშვეობით განხორციელებულ ოპერაციებს, სავაჭრო ორგანიზაციებში მოსახლეობის ანგარიშსწორების ელექტრონულ სისტემებს, კლიენტების საბანკო მომსახურების სისტემებს ბინაზე და სამუშაო ადგილზე.

პლასტიკური ბარათი განმაზოგადებელი ტერმინია და მოიცავს სხვადასხვა სახეობის ბარათებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც დანიშნულებითა და მათი მეშვეობით გაწეული მომსახურების კომპლექსით, ისე ტექნიკური შესაძლებლობებითა და გამომშვები ორგანიზაციებით.

4. ბანკომატი (ATM-Automated Teller Machine) მრავალფუნქციური ავტომატია, ე.წ. ავტობანკი, რომელსაც მართავს მაგნიტური პლასტიკური ბარათების ახალი თაობა. პირველად ბანკომატი XX ს. 60-იან წლებში გამოჩნდა, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ ნაღდი ფულის მცირე თანხებს გასცემდა. 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში მრავალი სიძნელე შეიმჩნეოდა სალაროს ავტომატების გამოყენებასთან დაკავშირებით (ავტომატების გატეხვა, პერსონალური ბარათების ხშირი დაზიანება ან მათი დაყოვნება ოპერაციის შესრულების შემდეგ). ამის შემდეგ კლიენტების უმრავლესობა ამჯობინებდა თავიანთი ოპერაციების შესრულებას. ტრადიციული მეთოდით — უშუალოდ ბანკში.

5. უახლესი ელექტრონული ტექნიკის გამოყენებით ბანკების კლიენტების მომსახურების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა მათთვის ელექტრონული მომსახურების გაწევა მაღაზიებში. სავაჭრო ორგანიზაციებში ფულადი სახსრების ბანკთაშორისი ელექტრონული გზავნილების სისტემებში ხორციელდება ფულადი სახსრების გადარიცხვა მყიდველის ანგარიშიდან გამყიდველის ანგარიშზე საქონლის ყიდვის მომენტში. მყიდველის სურვილის შესაბამისად შესაძლებელია ფულის გადახდის განვადება. ოპერაციების უმრავლესობა აქ პლასტიკური ბარათების მეშვეობით სრულდება, რომლებიც დასავლეთის მაღალგანვითარებული ქვეყნების საგადასახდელო ბრუნვის ორგანიზაციებში მოწინავე პოზიციებს იკავებენ და თანდათან დეენიან ჩეკებს და ვიგნაკებს. ბოლო წლებში მიშდინარეობს მუშაობა მრავალმიზნობრივი ბარათების დასანერგად, რომლებსაც გამოიყენებენ როგორც საკრედიტო, საგადამხდელო და საგარანტიო საჩეკო ბარათებად.

6. ინტერნეტ-ბანკინგი არის საბანკო მომსახურების გაწევა ინტერნეტის ქსელის მეშვეობით, როდესაც კვირის ნებისმიერ დღეს და დღე-ღამის ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია მასში ჩართვა იმ ნებისმიერი ადგილიდან, სადაც კი ინტერნეტი ხელმისაწვდომია. ინტერნეტ-ბანკინგს მთელი რიგი უპირატესობები აქვს: 1) დროის ეკონომია; 2) ანგარიშების საღღეღამისო კონტროლი; 3) ნებისმიერი -გადახდის გატარება შეუფერხებლად და მათი განხორციელება ანგარიშის მფლობელის პირადი მონაწილეობის გარეშე.

ინტერნეტ-ბანკინგის ძირითადი პრობლემებია: 1) მომსახურების გაწევის არასაკმარისობა; 2) ბაზრის პერსონალური სეგმენტის ცუდად განვითარება. მაგალითად, რუსეთის ბანკები ამჯობინებენ კორპორაციულ კლიენტებს, ე.ი. იმ იურიდიულ პირებს, რომლებსაც ფულის მასის დიდი ბრუნვა აქვთ და მეტად უმნიშვნელო ყურადღებას უთმობენ ცალკეულ მოქალაქეებს. ამ გარემოებას ის განაპირობებს, რომ წვრილი კლიენტების უმნიშვნელო ფინანსურ ოპერაციებს მომე-

ტებული ყურადღება და დიდი საოპერაციო ძალისხმევა სჭირდება; 3) უსაფრთხოობა და ელექტრონულ-ციფრულ ხელმოწერასთან დაკავშირებული პრობლემები.

7. ბანკის მიერ ამა თუ იმ სისტემის არჩევის უდავო კრიტერიუმებია: 1) მისი ფუნქციური შესაძლებლობები (კლიენტებისათვის ხელმისაწვდომი ოპერაციები); 2) სისტემით სარგებლობის მოხერხებულობა (მოსარგებლეთა ინტერფეისი); 3) საფინანსო ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის უსაფრთხოობის უზრუნველყოფა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ კრიტერიუმებზე დამოკიდებულებით ყალიბდება იმ ბანკის მომსახურებაზე ფასების დაწესების პოლიტიკა, რომელიც ამ მომსახურებას განახორციელებს. ჩვენი სისტემების ერთ-ერთი სუსტი ადგილი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) არის სწორედ გამოყენების მოხერხებულობა.

ინტერნეტ-ბანკინგის სისტემების დაცვამ უნდა უზრუნველყოს:

ურთიერთმოქმედი სუბიექტების (კლიენტისა და ბანკის) ერთმნიშვნელოვანი იდენტიფიკაცია;

- გადასაცემი საფინანსო ინფორმაციის დაშიფვრა;
  ინფორმაციის გადაცემის არხების უსაფრთხოობა;
  ინფორმაციის მატარებლების დაცვა.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

ინოვაცია შრომის ორგანიზაციისა და მართვის ახალი ფორმების დანერგვა, ბანკებში ბაზარზე რეალიზებული ახალი საბანკო პროდუქტები და ტექნოლოგიები

საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი დროის ის გარკვეული პერიოდია, რომლის განმავლობაშიც საბანკო პროდუქტს ან ოპერაციას აქტიური სასიცოცხლო ძალა აქვს და გარკვეული მოგება და სხვა რეალური სარგებელი მოაქვს ბანკისათვის, როგორც ინოვაციის პროდუცენტისა (მწარმოებლისა) და გამყიდველისათვის.

ბანკის პლასტიკური ბარათი ფინანსური ბარათის ერთ-ერთი სახესხვაობაა. იგი პერსონიფიცირებული საგადასახადო საშუალებაა, რომელიც გამიზნულია საქონლის, მომსახურების და ნაღდი ფულის მისაღებად ბანკებში და საბანკო ავტომატებში (ბანკომატებში).

ინტერნეტ-ბანკინგი კლიენტებისათვის სხვადასხვა საბანკო მომსახურების გაწევაა ინტერნეტის ქსელის საშუალებით სპეციალური პროგრამული აპარატის სისტემის დახმარებით. ფართო გაგებით ინტერნეტ-ბანკინგის ქვეშ იგულისხმება სხვადასხვა სისტემები, დაწყებული ჩვეულებრივი ბანკის - გვერდით ინტერნეტში და დამთავრებული რთული ვირტუალური საგადასახადო სისტემებით.

ინტერნეტ-ტრეიდინგი ელექტრონული ბიზნესის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელსაც ასრულებენ არამარტო ბანკები, არამედ ფინანსური კომპანიები, ბირჟები და ა.შ.

ელექტრონული კომერცია საქონლის გაყიდვისა და მომსახურების გაწევა ინტერნეტის საშუალებით (საიტების შედგენა, პროვაიდერული მომსახურება, რეკლამა ინტერნეტში და ა.შ.).

კონსალტინგი - ბანკის კლიენტებისათვის დამატებითი სერვისული მომსახურებაა. რაც გულისხმობს კლიენტებისათვის კონსულტაციების გაწევას, ხასიათის, სახეების, ხერხების და მოცულობის მიხედვით კონსალტინგს ჰყოფენ:

- დისტანციური და უშუალოდ;

- ფინანსური, სამართლებრივი, ეკონომიკური;
- კომპლექსური, მიზნობრივი და ოპერატიული;
- ბანკის სპეციალისტების ან სხვა კომპანიების მოწვევით.

ფინანსური ინჟინირინგი ფინანსური კონსალტინგის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც წარმოადგენს ახალი აღმოჩენების, ახალი გამოგონების ფინანსურ წყაროს. იგი საშუალებას აძლევს ფინანსური ბაზრის მონაწილეებს (ეფექტურად მოახდინონ რეაგირება მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებზე, გამოიყენონ უკვე არსებული ან დაამუშაონ ახალი ფინანსური ინსტრუმენტები და ოპერაციული სქემები. ფინანსური ინჟინირინგის საშუალებით შეიმუშავებენ და შემოქმედებითად გამოიყენებენ ტექნოლოგიურ საშუალებებს კლიენტების ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად და მათი დაფარული ფინანსური შესაძლებლობების გამოსაყენებლად.

პერსონალური საბანკო მენეჯერი - კლიენტებთან პერსონალურად მომუშავე პირები. მათ მუდმივი ურთიერთობა აქვთ კლიენტებთან, რაც საშუალებას აძლევს ბანკს ახლოს იყოს თითოეულ ინდივიდუალურ კლიენტთან; პერსონალური მენეჯერი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე კოორდინაციას უკეთებს ბანკის ყველა სტრუქტურულ ქვეგანაყოფის მუშაობას, რაც ოპერატიული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა.

ელექტრონული ფული - არის ღირებულების გამოხატვის ელექტრონული ფორმა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს გადახდის საშუალებად როგორც ემიტენტის, ასევე მესამე პირის მიმართ.

დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საშუალება ეძლევათ ბანკში მიუსვლელად, ისეთი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა ღილაკიანი ტელეფონის აპარატი, ფაქსი, კომპიუტერი ან მობილური ტელეფონი, მიიღონ სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურება. ეს სერვისი მთლიანად ავტომატიზირებულია და ხორციელდება როგორც სატელეფონო (ხმოვანი ავტოპასუხისა და ფაქსიმილური) კავშირის, ასევე ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტისა და მობილური ინტერნეტის (??????? ტექნოლოგიის) საშუალებით.

მიკროპროცესორული ბარათი წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო ან საგადამხდელო ბარათის ზომის ბარათს, რომელშიც ჩადგმულია ე.წ. მიკრო ჩიპები მიკროპროცესორები. იგი წარმოადგენს ჩეკების ელექტრო წიგნაკს, რომლის მეშვეობითაც წარმოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია ტერმინალის ეკრანზე გაითიტანება.

„ბანკი-კლიენტი" პროგრამა თანამედროვე კომპიუტერულ-პროგრამული სისტემაა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საბანკო ოპერაციების წარმოება, საკუთარი ანგარიშების კონტროლი და მართვა ოფისიდან/სახლიდან გაუსვლელად.

ინოვაციური საქმიანობა ახალი სახის პროდუქციის, ტექნოლოგიების, ორგანიზაციული ფორმების შექმნის, წარმოების, განვითარებისა და ხარისხობრივი სრულყოფისკენ მიმართული პროცესი. მას ახასიათებს მეცნიერების, წარმოებისა და კაპიტალის ინტეგრაციის ახალი ფორმები.

ინტერნეტ-ბანკინგი ანგარიშების მართვა ინტერნეტის ქსელის მეშვეობით. იგი ბანკს საშუალებას აძლევს განახორციელოს, ხოლო კლიენტს, მიიღოს საბანკო მომსახურების მაქსიმალური სპექტრი; შესაძლებელს ხდის ანგარიშის მდგომარეობასა და ოპერაციებზე თვალყურის დევნებას დროის ნებისმიერ მონაკვეთში. ოპერაციები ხორციელდება ფიჭური და პეიჯერული კავშირის ოპერატორების მეშვეობით.

ინფორმაციული პროცესები ინფორმაციის შეკრების, დამუშავების, დაგროვების, შენახვის, მოძიებისა და გავრცელების პროცესები.

ბანკის ლოგისტიკა კლიენტის ფულადი ნაკადების მოძრაობის ოპტიმიზაციის პროცესი მათი ეფექტიანად გამოყენების მიზნით კლიენტის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. მისი ორგანიზება ხდება ბანკის ორგანიზაციულ-ფუნქციური ინფრასტრუქტურის შექმნის გზით.

ონლაინური ტექნოლოგიები შეტყობინების კომუნიკაციის საშუალებები ფიჭურ საინფორმა-

ციო სივრცეში, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის სინქრონულად გაცვლას რეალურ დროში.

ოფლაინური ტექნოლოგიები შეტყობინებათა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები ფიჭურ საინფორმაციო სივრცეში, რომლებიც არსებით ასინქრონულობას უშვებენ მონაცემებისა და შეტყობინებების გაცვლაში.

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. რაში მდგომარეობს საბანკო ინოვაციის არსი და შინაარსი?
2. ჩამოთვალეთ საბანკო ინოვაციის განმასხვავებელი თავისებურებები
3. განმარტეთ საბანკო პროდუქტი და დაახასიათეთ მისი სახეობები
4. დაახასიათეთ საბანკო ოპერაცია
5. დაახასიათეთ საბანკო ინოვაციის და დროის კავშირი
6. რაში გამოიხატება ახალი საბანკო პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი
7. რაში გამოიხატება ახალი საბანკო ოპერაციის სასიცოცხლო ციკლი?
8. რაში გამოიხატება საველუტო-საპროცენტო სვოპის შინაარსი?
9. რაში გამოიხატება ნულოვანკუპონიანი სვოპის შინაარსი?
10. რა არის პენსიონერთა მიკროდაკრედიტება?
11. დაახასიათეთ NOW- ანგარიში
12. რაში მდგომარეობს სვოპის შენახვის ოპერაცია?
13. რა უპირატესობები აქვს პლასტიკური ბარათების გამოყენებას?
14. განმარტეთ „საბანკო პლასტიკური ბარათის" ცნება
15. ჩამოთვალეთ პლასტიკური ბარათების კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები
16. დაასახელეთ საერთაშორისო საგადასახადო სისტემების ძირითადი სახეები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები
17. რა არის ვირტუალური ბანკები და რა პერსპექტივები აქვს მის განვითარებას?
18. რა არის საბანკო კონსალტინგი? ჩამოთვალეთ მისი ძირითადი სახეები
19. რა ფუნქციები და ამოცანები აკისრია პერსონალურ საბანკო მენეჯერს?
20. რა არის ელექტრონული ფული და რა პერსპექტივებია მისი განვითარებისათვის საქართველოში?

რეკომენდებული ლიტერატურა:

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

საქართველოს საგადამხდელო სისტემები და მათი განვითარების ძირითადი მიმართულებები (კონცეფცია). ჟურნ.„ბანკი", №6, 2002, გვ.67-72.

მურღულია თ. ელექტრონული ფულის ფენომენი და მისი გავლენა მონეტარულ პოლიტიკაზე. ჟურნ. „ბანკი" №6, 2002, გვ.44-49.

პატეიშვილი ელ. ინოვაციური პროცესები კომერციულ ბანკში: „საქართველოს ბანკის" გამოცდილება. ჟურნ. „ბანკი" №2, 2000, გვ.54-56.

საქართველოს საბანკო სისტემაში დროის რეალური რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის (RTGS) უძაღლდო ტექნოლოგიაზე გადაყვანის შესახებ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №135, 2003 წ. 12 ივნისი.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

Банковское дело. Авт. колл. под ред. **Г.Г. Коробовой.** М.: Экономист, 2003.

Жарковская Е.П. Банковское дело. М.: Омега - Л, 2004.

მეშვიდე განყოფილება
ფულადი ანგარიშსწორების სისტემა, ბუღალტრული აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი კომერციულ ბანკებში

მეოცე თავი. კომერციული ბანკები და ფულადი ანგარიშსწორების სისტემა

ტერმინები და ძირითადი ცნებები
20.1. საანგარიშსწორებო ოპერაციები – კომერციული ბანკების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო
20.2. ანგარიშის გახსნის, გაფორმებისა და დახურვის წესი, ანგარიშების სახეები
20.3. უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზაციის ზოგადი დებულებები
20.4. ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ორგანიზაცია
20.4.1. ანგარიშსწორება სხვა ბანკებში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით
20.4.2. ანგარიშსწორება ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო ქსელის მეშვეობით
20.4.3. ანგარიშსწორება შიდასაბანკო საანგარიშსწორებო ქსელის მეშვეობით
20.4.4. ბანკთაშორისი კლირინგი
20.5. უნაღდო ანგარიშსწორების ძოქმედი ფორმები
20.5.1. ანგარიშსწორება საგადახდო დავალებებით
20.5.2. ანგარიშსწორება საგადახდო მოთხოვნა-დავალებებით
20.5.3. ჩეკებით ანგარიშსწორება
20.5.4. ანგარიშსწორება აკრედიტივით
20.5.5. თამასუქებით ანგარიშსწორება
20.5.6. თამასუქების დომიცილაცია
20.6.სალაროს ოპერაციები
20.7. ფაქტორინგი
მოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი სამუშაოებისათვის
რეკომენდებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

აკრედიტივი
ანგარიშსწორების ანგარიში
ანგარიშ-ფაქტურა
აქცეპტი
ბანკთაშორისი ანგარიშსწორება
ბენეფიციარი
გადახდის დავალება
გადახდის მოთხოვნა
ვარანტი
დადებითი აქცეპტი

თამასუქი
თამასუქი მარტივი
თამასუქის დისკონტი
თამასუქის გადასაპირებელი
ინვესტიციური და კონვერსიული ანგარიშები
ინკასო
ინდოსანტი
ინდოსამენტი
კლირინგი
მიმდინარე ანგარიში
საბანკო აქცეპტი
საბიუჯეტო ანგარიში
საკორესპონდენტო ანგარიში
საკორესპონდენტო ურთიერთობები
უნაღდო ანგარიშსწორება
უარყოფითი აქცეპტი
ფაქტორინგი
შემდგომი აქცეპტი
წინასწარი აქცეპტი

20.1. საანგარიშსწორებო ოპერაციები – კომერციული ბანკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო

საანგარიშსწორებო ოპერაციები არის იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშების წარმოება და ანგარიშსწორების განხორციელება მათი დავალებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში იურიდიული პირებისთვის სავალდებულოა სახსრების შენახვა კომერციულ ბანკებში, საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურების ფუნქცია ერთ-ერთი პრიორიტეტული ფუნქციაა კომერციული ბანკის საქმიანობაში.

კომერციული ბანკი დაინტერესებულია იურიდიული პირების მოზიდვით საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურების გასაწევად. ეს იმიტომ, რომ კომერციული ბანკის ანგარიშზე არსებული ფული კომერციული ბანკის მოზიდულ სახსრებს წარმოადგენს, რომელთა მოცულობის შესაბამისადაც მისი სამეწარმეო საქმიანობა აიგება.

საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებასთან ერთად კომერციულ ბანკს შეუძლია კლიენტებს შესთავაზოს ოპერაციების ფართო წრე, რითაც იურიდიული პირია დაინტერესებული: ფასიანი ქაღალდების პორთფელისა და ქონების მინდობით მართვა, საკონსულტაციო მომსახურება, დაკრედიტება და სხვა.

ამასთან, კლიენტის მიერ კომერციული ბანკის შერჩევა საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებისათვის კომერციულ ბანკსაც ავალდებულებს უზრუნველყოს საანგარიშსწორებო მომსახურეობის გაწევის მაღალი ხარისხი, რაც თავისდროულად, ეკონომიურად და საიმედოდ უნდა შესრულდეს. რადგანაც საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებასთან დაკავშირებული კონტაქტები ბანკთან რეგულარულია, ამიტომ კლიენტები მისი მუშაობის ხარისხზე დამოკიდებულებით იღებენ გადაწყვეტილებას ბანკთან შემდგომი თანამშრომლობის მიზანშეწონილობის შესახებ, ამ თანამშრომლობის ფორმების შესახებ, საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებაზე ბანკის მიერ დაწესებული ტარიფების დასაბუთების ხარისხის შესახებ. სწორედ ამიტომ საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურების ორგანიზაცია ყოველი ბანკის „საეზიტო ბარათია“.

20.2. ანგარიშის გახსნის, გაფორმებისა და დახურვის წესი. ანგარიშების სახეობები

კომერციულ ბანკში კლიენტის მიერ ანგარიშის გახსნის შემდეგ ბანკი მას სთავაზობს შემდეგნაირ მომსახურებას:

საანგარიშსწორებო, მიმდინარე და კლიენტის სხვა ანგარიშების გახსნა და წარმოება;

უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზაცია და ჩატარება;

ნაღდ ფულზე ოპერაციების შესრულება.

ანგარიშსწორების ან მიმდინარე ანგარიშის გახსნის წესს და ამ ანგარიშებიდან განხორ-

ციელებული ოპერაციების წრეს ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს, შესაბამისი ანგარიშის ფუნქციონირების მექანიზმს (ოვერდრაფტის შესაძლებლობას და ა.შ.) კი – კომერციული ბანკი კონკრეტულ კლიენტთან შეთანხმებით, რასაც განამტკიცებს ხელშეკრულება საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურების შესახებ.

ხელშეკრულების შესაბამისად ბანკი კისრულობს შემდეგ ვალდებულებებს:

კლიენტის მიერ გახსნილ ანგარიშზე ჩატარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახეობის ოპერაცია თავის კომპეტენციის ფარგლებში;

- უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშზე შემოსული მთელი ფულადი სახსრების დაცულობა;

კლიენტის დავალებით ჩაატაროს მისი უნაღდო ანგარიშსწორების ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერის ოპერაციები;

- უზრუნველყოს ინფორმაციის კონფიდენციალობა კლიენტის სამეურნეო საქმიანობის შესახებ და მის ანგარიშზე ჩატარებული ოპერაციების შესახებ;

კლიენტზე გასცეს ამონაწერები მისი ანგარიშიდან.

საანგარიშსწორებო, მიმდინარე და წებისმიერი სხვა ანგარიში კლიენტს შეიძლება გაუხსნან როგორც ცალკე საზღაურით, ისე უფასოდ. საანგარიშსწორებო მომსახურების გაწევისთვის ბანკი კლიენტს საზღაურს ახდევინებს გასასტუმრებელი გადასახდელის თანხიდან იმ ფიქსირებული პროცენტის ზომით, რომელიც ხელშეკრულებითაა დადგენილი. ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშის უფასოდ გახსნა იმას გულისხმობს, რომ ბანკს შეუძლია კლიენტს გაუწიოს სხვა, ფასიანი მომსახურების ფართო ნაკრები, რითაც კომპენსირდება ანგარიშსწორების ანგარიშის მიხედვით უფასოდ ჩატარებულ ოპერაციებზე გაწეული ხარჯები.

ბანკებისა და საბანკო საქმიანობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კლიენტს აქვს ბანკის თავისუფლად არჩევის უფლება საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებისთვის და შეუძლია გახსნას იმდენი ანგარიში, რამდენიც აუცილებელია მისთვის.

ხელშეკრულების საფუძველზე ისსნება: ანგარიშსწორების, მიმდინარე, ბიუჯეტური, დეპოზიტური, საკრედიტო, სასესხო, სავალუტო და სხვა ანგარიშები.

- ანგარიშსწორების ანგარიშები: ესსნებათ იურიდიულ პირებს – რეზიდენტებს, კომერციულ ორგანიზაციებსა და მეწარმის სტატუსის მქონე მეწარმეებს. აგრეთვე, მოქალაქეებს, ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

მიმდინარე ანგარიშები: საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის და როგორც წესი, იურიდიული პირების ფილიალების, წარმომადგენლობების, განყოფილებებისა და სხვა განკერძოებული ქვედანაყოფებისთვის. იურიდიული პირები წარმოადგენენ შუამდგომლობას და მიუთითებენ, თუ რა სახეობის ოპერაციები განხორციელდება ამ ანგარიშებზე.

ანგარიშსწორების ანგარიში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ანგარიშია, რომელსაც უხსნიან კომერციული ანგარიშის პრინციპებზე მომუშაე და იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოებს. ამ ანგარიშის მეშვეობით ხორციელდება ყველა ის ოპერაცია, რომლებიც საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას, მათი წარმოების უზრუნველყოფას, საწარმოო და სხვა ხარჯებს უკავშირდება. ამ ანგარიშზე ხდება მოგების (ამონაგების) ჩარიცხვა. ამ ანგარიშიდან ჩამოწერენ ფულს ხელფასის გასაცემად, შეძენილი მაკომპლექტებელი ნაკეთობების და სხვათა ღირებულების გასასტუმრებლად, იხდიან გადასახადებს. ეს ანგარიში იძლევა პრაქტიკულად ნებისმიერი ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობას, რადგანაც მფლობელი თვითონ განსაზღვრავს სახსრების გამოყენების მიმართულებებს, შესასრულებელი ოპერაციების დროს და ზომებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გარდა ამისა, გამოყოფენ ანგარიშსწორების ანგარიშის შემდეგ სახესხვაობებს:

- ანგარიში ერთობლივი საქმიანობის განხორციელებისათვის;
- ანგარიში პროდუქციის გაყოფის შესახებ შეთანხმების მიხედვით სამუშაოების შესრულები-

სათვის.

ერთობლივი საქმიანობის განხორციელებისთვის გახსნილი ანგარიშის თავისებურებაა მისი მესაკუთრეების მრავალობითი შემადგენლობა. ანგარიშს კონკრეტულ შინაარსს განსაზღვრავენ ხელშეკრულებით ერთობლივი საქმიანობის შესახებ ან ხელშეკრულებით უბრალო ამხანაგობის შესახებ. ანგარიშს განაგებს ან ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილე, ან ყველა მონაწილე თანაბარი დონით, ან ყველა მონაწილე ერთად. ანგარიშის ერთობლივად განმგებლობა მიღებულია არაა, რადგან იგი გულისხმობს ყველა მფლობელისგან თანხმობის მიღებას ფულის ყოველი ცალკეული გადახდის დროს. ამ ანგარიშით ხორციელდება ერთობლივი საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია. ანგარიშს ხსნიან და ხურაენ ხელშეკრულების შესაბამისად.

პროდუქციის გაყოფაზე დადებული ზეთანხმების მიხედვით სამუშაოების შესრულებისთვის ანგარიშს ხსნიან როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარგარეთის ბანკებში. ამ ანგარიშის თავისებურებაა მისი გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ ზემოაღნიშნული სამუშაოების შესრულებისათვის. ეს ანგარიში იხსნება ეროვნული და უცხოური ვალუტით. საზღვარგარეთელი ინვესტორებისთვის გათვალისწინებულია ანგარიშის გახსნის და მომსახურების საგანგებო წესი, რომელიც თავისი ბუნებით სავალუტო ოპერაციებზეა მიკუთვნებული. ამ ანგარიშის მეშვეობით ახორციელებენ ისეთ ოპერაციებს, როგორიცაა მოგების ჩარიცხვა და შენახვა, მოგებაზე გადასახადის გადახდა, წიაღით სარგებლობისთვის გადასახადის გადახდა. თუ მოგება მყარი ვალუტითაა მიღებული, მაშინ ამ ანგარიშის გამოყენების შემთხვევაში აღარ მოქმედებს მისი აუცილებლად გაყიდვის და ანგარიშზე ეროვნული ფულის ექვივალენტის ჩარიცხვის წესი.

მიმდინარე ანგარიში იმ არაკომერციული იურიდიული პირების, წარმომადგენლობების და სტრუქტურული ქვედანაყოფების დაფინანსებისთვის გამოყენებული ანგარიშია, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან. მიმდინარე ანგარიში განკუთვნილია მისი მფლობელის მიზნობრივი დაფინანსებისთვის. ფულის შესანახად, აგრეთვე საანგარიშსწორებო ოპერაციებისთვის.

ანგარიშსწორების ანგარიშის მფლობელთან შედარებით მიმდინარე ანგარიშის მფლობელის დამოუკიდებლობა არსებითადაა შეზღუდული, რადგან მიმდინარე ანგარიშზე არსებულ სასრებს იგი განაგებს ზემდგომი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებულ სისტემასთან სრული შესაბამისობით.

მიმდინარე ანგარიშის სახესხვაობად გვეელინება:

საბიუჯეტო ანგარიშები;

საინვესტიციო და კონვერსიული ანგარიშები.

საბიუჯეტო ანგარიშები ის ანგარიშებია, რომლებსაც საწარმოებსა და ორგანიზაციებს უხსნიან ფედერალური, რეგიონული ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მათთვის ფულადი სახსრების გამოყოფის დროს გარკვეული სახეობების საქმიანობის განხორციელებისთვის. ფულადი სახსრების გამოყოფის ფორმა შესაძლოა იყოს სუბსიდიები, სუბვენციები, დოტაციები ან სახელმწიფო ასიგნაციებისა და დაფინანსების სხვა სახეობები, თუ ეს არ ხორციელდება მიმდინარე ან ანგარიშსწორების ანგარიშზე ფულის ჩარიცხვის გზით. ამგვარი ანგარიშის თავისებურებაა ორი ნიშანი:

ჩარიცხული ფულის მიზნობრივი დანიშნულება. საერთო წესის მიხედვით ამ ფულს უნდა აკონტროლებდეს მისი მესაკუთრე ან ის პირი, ვისაც ეს აქვს დავალებული. თუმცა არც თუ იშვიათად ასეთ კონტროლს არაკანონიერად თვით ბანკებს აკისრებენ;

- ანგარიშის არსებობის შეზღუდული ვადა (ერთი წელი). რადგან ბიუჯეტს წელიწადში ერთხელ ამტკიცებენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ წლის ბოლოს ასეთი ანგარიშები უნდა დაიხუროს, დარჩენილი ნაშთები კი ბიუჯეტში გადაირიცხოს.

ინვესტიციური და კონვერსიული ანგარიშები ისეთი ანგარიშებია, რომელთა მფლო-

ბელებიც ფედერალური ბიუჯეტის სახსრების აღმრიცხველი საწარმოებია. ამ სახსრების გაცემა ხდება კონვერსიული და საინვესტიციო პროგრამების დასაფინანსებლად, დაბრუნებისა და საზღაურის გადახდის საფუძველზე.

საანგარიშსწორებო (მიმდინარე ან სხვა რომელიმე) საბანკო ანგარიშის გასახსნელად კლიენტი მოქმედი კანონმდებლობისა და საბანკო წეს-ჩვეულებების შესაბამისად ბანკში წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

განცხადებას ანგარიშის გახსნის შესახებ;

- წესდების, სადამფუძნებლო ხელშეკრულების, საერთო კრების №1 ოქმის, საწარმოს რეგისტრაციის შესახებ მოწმობის, მთავარი ბუღალტერის დანიშვნის შესახებ ბრძანების ასლებს;

- ცნობებს კოდის მინიჭების (სტატისტიკის სახელმწიფო უწყებიდან) და აღრიცხვაზე აყვანის (საგადასახადო უწყებიდან) შესახებ;

იმ საბუთების ასლებს, რომლებიც ადასტურებენ შესაბამის ფონდებში რეგისტრაციას (საპენსიო ფონდი, მოსახლეობის დასაქმების ფონდი, საეალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდი, სოციალური დაზღვევის ფონდი);

ბარათს ხელმოწერებისა და ბეჭდის ანაბეჭდის ნიმუშებით.

სადამფუძნებელო დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო ან მარეგისტრირებელი ორგანოების მიერ. საბანკო ბარათების შევსების დროს ხელმოწერები ფიქსირდება მხოლოდ ნოტარიუსის ან ზემდგომი ორგანიზაციის თანამდებობის პირის თანდასწრებით. საბანკო ბარათები. ისეთივე როგორც განცხადება, ხელით უნდა შეივსოს. პირველი ხელმოწერის უფლება აქვს საწარმოს ხელმძღვანელს ან მის მოადგილეს, ბეორე ხელმოწერის უფლება – მთავარ ბუღალტერს, ხოლო თუ შტატში ასეთი თანამდებობა არ არსებობს – იმ პირს, რომელსაც საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება აქვს დაკისრებული. აღნიშნული პირებისთვის დოკუმენტების ხელმოწერის უფლების მინიჭება გაფორმებული უნდა იყოს საწარმოს სათანადო ბრძანებით. საანგარიშსწორებო საბუთებზე ამ ორი ხელმოწერის არსებობა უმნიშვნელოვანესი პირობაა იმისათვის, რომ ბანკმა შესასრულებლად მიიღოს ისინი. თუ საწარმოს შტატში არ არის ბუღალტრის ან იმ პირის თანამდებობა, რომელიც მის ფუნქციებს ასრულებს, მაშინ ფიქსირდება მხოლოდ ხელმძღვანელის ხელმოწერა.

ქვედანაყოფისთვის ანგარიშსწორების სუბანგარიშის გახსნის შემთხვევაში საბანკო ბარათების ნაცვლად ბანკს წარედგინება მეთაური საწარმოს ბრძანება ქვედანაყოფის შექმნის შესახებ და გაიცნობა იმ ოპერაციების ჩამოთვლით, რომელთა შესრულებაც ამ სუბანგარიშის მეშვეობითაა ნებადართული. ანგარიშსწორების სუბანგარიშისა და მიმდინარე ანგარიშის ერთდროულად გახსნის შემთხვევაში ბანკს უნდა წარედგინოს ქვედანაყოფის წესდებაც, რომელსაც მეთაური ორგანიზაცია აქტიცებს. ანგარიშსწორების სუბანგარიშისა და მიმდინარე ანგარიშის გახსნის შემთხვევაში საჭიროა საბანკო ბარათების დასწრმება ზემდგომი ორგანოების მიერ, მისი ბეჭდით და ნოტარიულად დამოწმება ამ დროს არ მოითხოვება.

საკრედიტო ორგანიზაცია (ბანკი) კლიენტს საბანკო ანგარიშს უხსნის ორივე მხარესთან შეთანხმებული პირობებით. საკრედიტო ორგანიზაციას უფლება არა აქვს უარი უთხრას კლიენტს ანგარიშის გახსნაზე, თუ კლიენტის მიერ ჩატარებული ოპერაციები გათვალისწინებულია კანონით. ბანკის სადამფუძნებლო დოკუმენტებითა და ლიცენზიით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უარის მიზეზია საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებაზე მიღების ტექნიკური და საწარმოო შესაძლებლობების უქონლობა ბანკის მიერ.

ანგარიშის გახსნა მიმდინარეობს საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებაზე ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების შესაბამისად ბანკი ვალდებულებას კისრულობს:

თავისდროულად გაუწიოს კლიენტს კომპლექსური საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახ-

ურება მოქმედი ნოტარიულ-სამართლებრივი დოკუმენტების შესაბამისად (ანგარიშსწორების ჩატარება, ფულისა და საანგარიშსწორებო ჩეკების წიგნაკების გაცემა, პირადი ანგარიშებიდან ამონაწერების გაცემა, საფოსტო და სატელეფონო მომსახურების განხორციელება და სხვა);

- უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშზე შემოსული მთელი ფულადი სახსრების დაცულობა და მათი დაბრუნება კლიენტის პირველი მოთხოვნისთანავე, რისი გარანტირებაც ხდება ბანკის მთელი მოძრავი და უძრავი ქონებით, მისი ფულადი ფონდებითა და რეზერვებით, აგრეთვე, იმ ღონისძიებებით, რომლებსაც ბანკი ატარებს თავისი სტაბილურობისა და ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად;

- კლიენტის ანგარიშებისა და ოპერაციების შესახებ საბანკო საიდუმლოების უზრუნველყოფა; შესაბამისად, კლიენტი ვალდებულებას კისრულობს:

- ბანკში წარადგინოს ანგარიშის გახსნისა და მისი წარმოებისათვის აუცილებელი დოკუმენტები;

- დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა და ანგარიშსწორების განმახორციელებელი ბანკებისა და იურიდიული პირებისთვის აუცილებელი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტები, რომლებიც საანგარიშსწორებო მომსახურებას, უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელებას და სალაროს ოპერაციებს ეხება;

- ბანკს დაწესებულ დროში წარუდგინოს საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშება და საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურების განხორციელებისთვის აუცილებელი სხვა დოკუმენტები;

წერილობით წინასწარ აცნობოს ბანკს ანგარიშის დახურვის შესახებ და სხვა.

საანგარიშსწორებო-სალაროს ოპერაციებს ბანკები, როგორც წესი, საზღაურის ფასად ახორციელებენ. ამ შემთხვევაში ხელშეკრულებაში ითვალისწინებენ სპეციალურ განყოფილებას მომსახურების ღირებულების და მასთან ანგარიშსწორების წესის შესახებ. ხელშეკრულებაში შესაძლოა გათვალისწინებული იყოს გადასახადი ანგარიშის გახსნისათვის, საკომისიო-ანგარიშსწორების ანგარიშის მეშვეობით ჩატარებული ოპერაციებისთვის (სადებეტო ბრუნვის თანხის ან დამუშავებული დოკუმენტების რაოდენობისა და სახეობის მიმართ გარკვეული პროცენტი) და კლიენტების სალაროს მომსახურებისთვის (გაცემული ნაღდი ფულის თანხის მიმართ გარკვეული პროცენტი). ხელშეკრულება შეიძლება მოიცავდეს საპროცენტო განაკვეთის ზომას, რომელსაც კლიენტები იხდიან თავიანთ ანგარიშზე სახსრების სტაბილურად მინიმალური ან საშუალო ნაშთისთვის.

საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებაზე დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ორივე მხარის პასუხისმგებლობა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. მაგალითად, ბანკი პასუხს აგებს კლიენტის ანგარიშებიდან მისი კუთვნილი სასრების არათანხდროულად ან არასწორად ჩამოწერის ან ჩარიცხვისთვის.

თავის მხრივ, კლიენტი პასუხს აგებს:

ანგარიშის გახსნისა და მისი მეშვეობით ოპერაციების წარმოებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობაზე;

- მოახლოებული კვარტალის სალაროს პროგნოზის თავისდროულად წარდგენაზე;

ბანკის მიერ გაწეული მომსახურებისთვის ფულის გადახდის ვადების დარღვევაზე;

- ბანკის მიერ მისთვის იმ დღეს დაჯავშნული ნაღდი ფულის მიღებაზე, რომელიც განაცხადში იყო ნაჩვენები და ა.შ.

განაცხადში შესაძლებელია ჯარიმების ზომების დაფიქსირება თითოეული ჩამოთვლილი დარღვევისათვის როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მიერ. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია დავების მოგვარების წესი. მისი მოქმედების ვადა და განსაკუთრებული ან დამატებითი პირობები.

ანგარიშის გახსნაზე ყველა აქ ჩამოთვლილი საბუთის წარდგენის და საანგარიშსწორებო – სალაროს მომსახურებაზე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ბანკის მმართველის განკარგულებით საწარმოს ანგარიშს აკუთვნებენ ნომერს და ხსნიან პირად ანგარიშს მისი სახსრების

აღსარიცხავად.

რეორგანიზაციასთან დაკავშირებით (შერწყმა, მიერთება და ა.შ.) ანგარიშის გადაფორმებისას ბანკს იგივე საბუთები წარედგინება, რაც მისი გახსნის დროს. დასახელების ან დაქვემდებარების შეცვლის შემთხვევაში აუცილებელია ამ მოვლენებიდან არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში ანგარიშის მფლობელმა წარადგინოს განცხადება შესაბამისი ცვლილებების შესახებ და ამ გადაწყვეტილების ასლი.

ანგარიშის დახურვა შეიძლება განხორციელდეს ანგარიშის მფლობელის, საწარმოს ქონების მესაკუთრის, ბანკის ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით. კლიენტის ინიციატივით საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს და თანაც ყოველგვარი პირობების გარეშე, ბანკს კი საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებაზე დადებული ხელშეკრულების გაუქმება შეუძლია შემდეგ შემთხვევაში და თანაც თუ ეს საგანგებოდაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული:

ანგარიშზე ნაშთის მინიმალური ზომის მოთხოვნის შეუსრულებლობა;

ამის თაობაზე ბანკის კლიენტის გაფრთხილებიდან ერთი თვის განმავლობაში;

ერთი წლის განმავლობაში ამ ანგარიშზე ოპერაციის უქონლობის შემთხვევაში.

სახელშეკრულებო ურთიერთობაა შეწყვეტა ორ ეტაპად ხდება:

(1) ხელშეკრულების შეწყვეტა; (2) ანგარიშის დახურვა. ხელშეკრულების შეწყვეტიდან შეიდი დღის ვადაში ანგარიშზე არსებული ნაშთი ან უნდა მისცენ კლიენტს, ან გადარიცხონ სხვა ანგარიშზე.

ანგარიში შეიძლება დაიხუროს საწარმოს კოტრად აღიარების შემთხვევაში; მეურნეობის ამა თუ იმ სუბიექტის საქმიანობის აკრძალვის შესახებ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში: საქმიანობის ხასიათის შეცვლისას, რაც მისი თუნდაც ერთი ისეთი ნიშან-თვისების დაკარგვას უკავშირდება, რომელიც მოცემული სახეობის ანგარიშისთვისაა აუცილებელი; საწარმოს შემქმნელი ორგანოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანისას.

თუ საწარმო სხვა ბანკში გადადის საანგარისწორებო მომსახურებაზე, მან ამის შესახებ აუცილებლად უნდა აუწყოს თავის ბანკს. ამ შემთხვევაში ახალ ბანკში გადაირიცხება ანგარიშებზე არსებული სახსრების ნაშთები, გაიგზავნება ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნისთვის საჭირო საბუთები და გაუნაღდებელი დოკუმენტები. თუ საწარმოს საკრედიტო დავალიანება აქვს ბანკის წინაშე, ახალ ბანკში მომსახურებისთვის გადასვლის წინ საწარმო ვალდებულია ან დააბრუნოს სესხი, ან კრედიტორი ბანკისგან ცილოს თანხმობა ვადების შეუცველად კრედიტის დაფარვის ვალდებულების გაფორმებაზე.

ანგარიშსწორების ანგარიშის ხელშეკრულების გარდა საწარმომ და ბანკმა შეიძლება გააფორმონ საბანკო ანაბრის ხელშეკრულება, რომლითაც ბანკი კისრულობს ფულადი სახსრების შეპასუხის, მათზე შემოსავლების გაცემის, მოთხოვნის შესაბამისად ფულის თანხის დაბრუნების და ანაბრების მიხედვით ანგარიშსწორების თაობაზე მეანაბრის დავალებათა შესრულების ვალდებულებას. ანაბრის შეტანა საწარმოს შეუძლია გარკვეული ვადით. მას უფლება აქვს ან ვადაზე ადრე მიიღოს თანხა და შემოსავლის უფრო ნაკლები პროცენტით, ან დააგვალოს, რომ მიზნობრივად გამოიყენონ ეს სახსრები. საბანკო ანაბარი შეიძლება გაფორმდეს დეპოზიტური სერთიფიკატით, რომელიც ანაბრის შესახებ ბანკის მიერ გაცემული მოწმობაა. ამით ბანკი ადასტურებს მეანაბრის ან მისი მემკვიდრის უფლებას დეპოზიტის თანხისა და მისი პროცენტების მიღებაზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.


20.3. ᲣᲜᲐᲦᲚᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲫᲝᲒᲐᲦᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ნაღდი ფულის მიმოქცევისგან განსხვავებით უნაღდო მიმოქცევის არსი ისაა, რომ გადასახა-

დები სორციელდება კომერციული ბანკების დაწესებულებებში არსებული გადამხდელის ანგარიშიდან მიმღების ანგარიშზე ფულის ჩარიცხვის (გადაგზავნის) გზით. საწარმოებს შორის ანგარიშსწორება, როგორც წესი, უნაღდო წესით ხორციელდება.

ამგვარად, უნაღდო ანგარიშსწორება ისეთი ფულადი ანგარიშსწორებაა, რომლის დროსაც გადახდები სორციელდება ნაღდი ფულის მონაწილეობის გარეშე, გადამხდელის ანგარიშიდან ფულის მიმღების ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის გზით.

უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა შედგება ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისაგან (იხ. 20.1 სქემა).



20.1 სქემა. უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა

საანგარიშსწორებო ოპერაციების დროს გამოიყენება გადახდის შემდეგი ხერხები:

– ფულადი სახსრების გადარიცხვა გადამხდელის ანგარიშსწორების ანგარიშიდან (სხვა ანგარიშებიდან) მიმწოდებლის ანგარიშზე;

– გადამხდელებისა და მიმწოდებლების ურთიერთმოთხოვნათა ჩათელები;

– მიმწოდებლებისათვის გარანტირებული გადახდა.

გადახდის სახეებია: მთლიანი თანხით, ნაწილობრივი თანხით, ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლების ნაშთის მიხედვით.

უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზაციის პრინციპებია:

I პრინციპი: უნაღდო ანგარიშსწორება სორციელდება საბანკო ანგარიშების საშუალებით, რომლებიც ეხსნებათ კლიენტებს – ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სახსრების შენახვისა და გადარიცხვისათვის;

II პრინციპი: ანგარიშებიდან გადახდები წარმოებს ბანკების მიერ მათი მფლობელების განკარგულებით, გადახდის რიგითობის დაცვით და ანგარიშზე სახსრების ნაშთის ფარგლებში;

III პრინციპი: ბაზრის სუბიექტების მიერ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმების თავისუფალი შერჩევა;

IV პრინციპი: გადახდების ვადიანობა. კერძოდ, ვადაში გადახდა; ვადაზე ადრე გადახდა და

ვადაგასული გადახდა.

V პრინციპი: გადახდის უზრუნველყოფა. გადამხდელს ან მის გარანტს ანგარიშზე უნდა გააჩნდეს ლიკვიდური სახსრები მიმწოდებლის წინაშე არსებული ვალდებულების დასაფარად.

საწარმოებს უფლება აქვთ გამოიყენონ ანგარიშსწორების ნებისმიერი შესაძლო ფორმა თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე და ეს შერჩეული ფორმა დაამკვიდრონ პარტნიორებთან სახელშეკრულებო ურთიერთობებში.

ბანკები ანგარიშზე ინახავენ საწარმოების ფულად სახსრებს, ახდენენ ამ ანგარიშებზე შემოსული თანხების ჩარიცხვას, ასრულებენ საწარმოების განკარგულებებს მათი გადარიცხვისა და ანგარიშიდან გაცემის შესახებ, აგრეთვე, საბანკო წესებითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა საბანკო ოპერაციების შესასრ.

უნაღდო ფულადი ანგარიშსწორებები სორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:

ფულის გადამხდელს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას წარმოდგენილი დოკუმენტის განაღდებაზე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გადამხდელის თანხმობის ან მისი დავალების გარეშე ანგარიშებიდან სახსრების მოხსნა, როგორც წესი, დაშვებული არაა;

გადახდები ხორციელდება გადამხდელის საკუთარი სახსრებიდან, ცალკეულ შემთხვევებში კი – ბანკის კრედიტის და სხვა მოზიდული სახსრების ხარჯზე;

ფულის მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა ხდება მხოლოდ გადამხდელის ანგარიშიდან მათი მოხსნის შემდეგ;

ფულის გადამხდელი ასრულებს დოკუმენტბრუნვის იმ წესებს, რომლებიც დამუშავებულია ცენტრალური ბანკის მიერ და განსაზღვრავს ფულის და ფულადი დოკუმენტების მოძრაობას.

უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელებისთვის საჭირო ფულადი დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული სტანდარტების მოთხოვნებს.

უნაღდო ანგარიშსწორების დროს ნებადართულია გადახდის დავალებების, ჩეკების, აკრედიტივებისა და ინკასოს გამოყენება. ამავე დროს, მყიდველებსა და მიმწოდებლებს შორის ტრადიციულად ჩამოყალიბებული ურთიერთობების გათვალისწინებით, ბანკებს დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად უფლება აქვთ მიიღონ გადახდის მოთხოვნები. ბანკები პასუხს არ აგებენ საურავის დარიცხვაზე და გადახდევინებაზე, რადგანაც დადგენილია, რომ მიწოდებული პროდუქციის ღირებულების არათავისდროულად გადახდის დროს მყიდველი (ფულის გადამხდელი) საურავს იხდის მიმწოდებელსა (ფულის მიმღებსა) და მყიდველს (ფულის გადამხდელს) შორის დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული წესით.

შეთანხმების შემთხვევაში საწარმოებს შორის შესაძლებელია წარმოებდეს ურთიერთდავალიანების ჩათვლა ბანკების გვერდის აქლით. ამ შემთხვევაში ბანკს წარედგინება საგადამხდელო დოკუმენტი ჩაუთვლელ თანხაზე.

ყველა უნაღდო ანგარიშსწორება წარმოებს ბანკის მეშვეობით საანგარიშსწორებო დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენს საწარმოს (ანგარიშის მფლობელის) განკარგულებას სახსრების გადარიცხვის თაობაზე. ეს დოკუმენტები დადგენილი სტანდარტების მიხედვით უნდა იყოს გაფორმებული. საანგარიშსწორებო დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

საანგარიშსწორებო დოკუმენტის დასახელება;

დოკუმენტის ნომერი, მისი გამოწერის რიცხვი, თვე და წელი;

გადამხდელის ბანკის დასახელება, მისი ინდივიდუალური ნომერი, ტექსტში შეიძლება აღნიშნული იყოს საფირმო ნიშანიც;

გადამხდელის დასახელება, მისი ინდივიდუალური ნომერი, ბანკში მისი ანგარიშის ნომერი;

სახსრების მიმღების დასახელება, ბანკში მისი ანგარიშის ნომერი;

მიმღები ბანკის დასახელება, მისი ინდივიდუალური ნომერი, სახსრების მიმღების ანგარიშის

ნომერი, მისი ინდივიდუალური ნომერი. ამასთან, ნებადართულია ფულის გადამხდელისა და მიმღების დასახელების შემოკლება, თუ ეს მუშაობას არ გაურთულებს ბანკებსა და კლიენტებს;

გადასახდელის დასახელება (ჩეკში არ მიუთითებენ), რომელიც შეიძლება ნაწვენები იყოს როგორც ტექსტობრივი დასახელებით, ისე კოდური აღნიშვნით;

- გადასახდელი თანხა ციფრებითა და სიტყვიერად;

საანგარიშსწორებო დოკუმენტის დამზადების ხერხის მიუხედავად პირველ ეგზემპლარზე დასმული უნდა იყოს ხელმოწერები და ბეჭდის ანაბეჭდი. ბანკები საანგარიშსწორებო დოკუმენტებს შესასრულებლად იღებენ იმ შემთხვევაში, თუ მათ პირველ ეგზემპლარზე არის იმ ორი პირის ხელმოწერა, რომლებსაც უფლებამოსილება აქვთ მინიჭებული განაგონ ანგარიში, აგრეთვე, ბეჭდის ანაბეჭდი, რომელთა ნიმუშები ადრე უკვე გადაცემული ჰქონდა ბანკს. თუ ფულის გადამხდელი მეწარმე იურიდიულ პირად არაა ჩამოყალიბებული, მაშინ ბანკი საანგარიშსწორებო დოკუმენტებს მიიღებს ერთი ხელმოწერის არსებობისა და ბეჭდის ანაბეჭდის უქონლად.

საანგარიშსწორებო დოკუმენტებს ბანკი შესასრულებლად იღებს გადასახდელი თანხის ოდენობის მიუსედავად. საწარმოებისგან ბანკი დოკუმენტებს იღებს იმ დროის განმავლობაში, რომელიც საკრედიტო ორგანიზაციას კლიენტებთან მუშაობისთვის აქვს დაწესებული. ამასთან, საოპერაციო დროის მანძილზე ბანკის მიერ ორგანიზაციებიდან მიღებული დოკუმენტები ბალანსში იმავე დღეს უნდა იყოს შეტანილი.

საგადამხდელო დოკუმენტების ამოწერა ტექნიკური საშუალებების მეშვეობით სდება და მისი ეგზემპლარების რაოდენობა იმდენია, რამდენიც სჭირდება ბანკს ანგარიშსწორებაში მონაწილე ყველა მხარისათვის. საანგარიშსწორებო დოკუმენტებში აკრძალულია წანაშალები და გადასწორება-ამოშლა. ფართოდება ავტომატიზებული სისტემების „ბანკი-კლიენტის“ გამოყენების სფერო, აგრეთვე, ელექტრონული საგადამხდელო დოკუმენტების სფერო.

გადამხდელის ანგარიშიდან სახსრების მოხსნა წარმოებს მხოლოდ საანგარიშსწორებო დოკუმენტის პირველი ეგზემპლარის საფუძველზე, თუ კი ცენტრალური ბანკის მითითებებით სხვა რამ არაა დათქმული.

ამგვარად, ხელშეკრულების დადების დროს სახსრების გადამხდელი და მათი მიმღები რამდენიმე შესაძლო ფორმიდან ირჩევენ მათთვის მისაღებ კონკრეტულ ფორმას. ბანკს უფლება არა აქვს აკონტროლოს ანგარიშსწორების ხერხი ან გადახდების განხორციელების რიგითობა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელების პროცესში ბანკი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი გადახდათა რიგითობა. ამჟამად მოქმედებს გადახდების კალენდარული რიგითობა. თუ კი ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები საკმარისი არაა ყველა წარმოდგენილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ მათი ჩამოწერა ხდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თანმიმდევრობით.

პირველ რიგში ხორციელდება სახსრების მოხსნა იმ აღმასრულებელი დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებენ ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვას ან გაცემას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორების, აგრეთვე, ალიმენტების გადახდის შესახებ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მეორე რიგში წარმოებს სახსრების მოხსნა იმ აღმასრულებელი დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებენ ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვას ან გაცემას მათთვის, ვინც სამსახურიდან თავისუფლდება, მათ შორის იმათთვის, ვინც შრომითი ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მუშაობდა; აქვეა გასამრჯელოს გაცემა საავტორო ხელშეკრულების მიხედვით.

მესამე რიგში წარმოებს სახსრების მოხსნა იმ საგადამხდელო დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებენ გადახდებს ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში.

მეოთხე რიგში წარმოებს სახსრების მოხსნა იმ აღმასრულებელი დოკუმენტების მიხედვით,

რომლებიც ითვალისწინებენ სხვა ფულადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

მეხუთე რიგში წარმოებს ფულის ჩამოწერა სხვა საგადამხდელო დოკუმენტების შესაბამისად კალენდარული რიგითობის წესით.

ამავე დროს, იმ მოთხოვნების შესაბამისად ანგარიშიდან ფულადი სახსრების მოხსნა, რომლებიც ერთ რიგს განეკუთვნება, წარმოებს დოკუმენტების შემოსვლის კალენდარული რიგითობის წესით.

სახსრების გადამხდელებსა და მიმღებებს შორის ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ ურთიერთპრეტენზიებს მხარეები სასამართლოში განიხილავენ საკრედიტო ორგანიზაციების მონაწილეობის გარეშე.

20.4. ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ორგანიზაცია

საწარმოებს შორის ბანკის მონაწილეობით განხორციელებული ანგარიშსწორება პირობითად შემდეგ ჯგუფებად შეგვიძლია დავყოთ:

იმ საწარმოებს შორის ანგარიშსწორება, რომელთა ანგარიშები ერთ ბანკშია გახსნილი;

ანგარიშსწორება ცენტრთან (საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრი);

იმ საწარმოებს შორის ანგარიშსწორება, რომელთა ანგარიშები გახსნილია სხვადასხვა ბანკში და ამ ბანკებს ერთი საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრი ემსახურება და იმ საწარმოებს შორის ანგარიშსწორება, რომელთა ანგარიშები იმ ბანკებშია გახსნილი, რომელთაც სხვადასხვა საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრი ემსახურება.

განვიხილოთ თითოეული ჯგუფი. იმ შემთხვევაში, თუ ფულის გადამხდელისა და მისი მიმღების ანგარიშსწორების ანგარიშები ერთსა და იმავე ბანკშია გახსნილი, მაშინ გადამხდელის ანგარიშიდან მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვას თვითონ ბანკი ახორციელებს საბანკო დღის ფარგლებში. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთი ანგარიშსწორების ხვედრითი წილი იმ ანგარიშსწორებათა მთლიან რაოდენობაში, რომლებსაც ბანკი კლიენტების დავალებით ახორციელებს, უმნიშვნელო ადგილს იკავებს.

საწარმოებს შორის, საფინანსო ორგანოებთან და არასაბიუჯეტო ფონდებთან ანგარიშსწორებაში წამყვანი ადგილი უჭირავს ორი ბანკის მონაწილეობით განხორციელებულ ანგარიშსწორებას. ამ შემთხვევაში საუბრობენ ბანკთაშორისი ანგარიშსწორების შესახებ. ამგვარად, ბანკთაშორისი ანგარიშსწორებები ბანკების მიერ განხორციელებული ანგარიშსწორებებია ან მათ შორის დადგენილი ურთიერთობების საფუძველზე, ან საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებაზე კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ანგარიშსწორების ჩატარების შესახებ ცენტრალური ბანკის დებულების თანახმად, საკრედიტო ორგანიზაციებს (ფილიალებს) შორის ანგარიშსწორება უნაღდო წესით შეიძლება განხორციელდეს:

საკრედიტო ორგანიზაციების მეშვეობით, საკორესპონდენტო ანგარიშებით „ლორო“ და „ნოსტრო“:

ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო ქსელის მეშვეობით;

იმ არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებიც საანგარიშსწორებო ოპერაციებს ახორციელებენ;

შიდასაბანკო საანგარიშსწორებო ქსელის მეშვეობით (ფილიალთაშორისი ანგარიშსწორების ანგარიშები).

20.4.1. ანგარიშსწორება სხვა ბანკებში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით

გადასახადების განსორციელებისა და კლიენტთა საანგარიშსწორებო-საკასომო მსახურები-

სთვის ბანკებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის დამყარონ სახელშეკრულებო ურთიერთობები, ე.წ. საკორესპონდენტო ურთიერთობები.

საკორესპონდენტო ურთიერთობებს უწოდებენ ორ ან რამდენიმე საკრედიტო დაწესებულებას შორის აგებულ ურთიერთობებს ერთ-ერთი მათგანის მიერ გადახდებისა და ანგარიშსწორების განხორციელების დროს მეორის დაჟალებითა და მისსავე ხარჯზე. ბანკებს შორის ასეთი ურთიერთობები შეიძლება ჩამოყალიბებული იყოს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. საკორესპონდენტო ურთიერთობებით ბანკები შესაძლოა დაკავშირებული იყვნენ უამრავ საკრედიტო დაწესებულებასთან.

არსებობს ბანკის ორგვარი საკორესპონდენტო ურთიერთობები:

(1) საკორესპონდენტო ურთიერთობების ორმხრივად დამყარებით და (2) უმთავრესად. საკორესპონდენტო ანგარიშებს, ჩვეულებრივ, მოცრო ბანკები ხსნიან უფრო მსხვილ საბანკო დაწესებულებებში.

საბანკო დაწესებულებას თავის კორესპონდენტთან ანგარიშსწორების წარმოება შეუძლია ან იმ ანგარიშის მიხედვით წარმოდგენილი დაჟალების შესაბამისად, რომელიც მოცემულ საკრედიტო დაწესებულებას კორესპონდენტთან აქვს გახსნილი, ან კიდევ მოცემული ბანკისა და მისი კორესპონდენტის მიერ მესამე საკრედიტო დაწესებულებაში გახსნილი ანგარიშების მიხედვით. პირველ შემთხვევაში გვაქვს ურთიერთობები ანგარიშის მქონე კორესპონდენტებს შორის, მეორე შემთხვევაში კი – ურთიერთობები ანგარიშუქონელ კორესპონდენტებს შორის.

საკორესპონდენტო ანგარიშებს ნებაყოფლობის საფუძველზე ხსნიან ის საბანკო დაწესებულებები, რომლებიც იურიდიულად დამოუკიდებლები არიან. ცენტრალურ ბანკთან კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ურთიერთობების აგება შედარებით უფრო მკაცრ საფუძველზე ხდება.

საკორესპონდენტო ანგარიში ისეთი ანგარიშია, რომლიდანაც ანგარიშსწორებას ერთი ბანკი ახორციელებს მეორე საკრედიტო დაწესებულების დაჟალებით და ამავე დაწესებულების ხარჯზე. საკორესპონდენტო ანგარშს სხნიან საკორესპონდენტო ურთიერთობების შესახებ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. ეს ანგარიშები ორგვარია: „ნოსტრო“ („თქვენთან გახსნილი ჩვენი ანგარიში“) და „ლორო“ („ჩვენთან გახსნილი თქვენი ანგარიში“). „ნოსტროს“ ტიპის ანგარიშებს რომელიმე ბანკი ხსნის კორესპონდენტ ბანკებში, „ლოროს“ ტიპის ანგარიშებს კი – მისი კორესპონდენტი ბანკების სახელზე. ეს ანგარიშები შესაძლოა გახსნილი იყოს ცალსრიგადაც და ორმხრივ საფუძველზეც. ამასთან, ერთ საკრედიტო დაწესებულებაში გახსნილი „ნოსტრო“ ანგარიში „ლორო“ ანგარიშად გვეცლინება კორესპონდენტ ბანკში.

საკორესპონდენტო ანგარიშების მიხედვით გადახდები, რომელთა პირობები დადებულ ხელშეკრულებებშია დათქმული, შესაძლოა ხორციელდებოდეს ან ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთების ფარგლებში, ან ამ ნაშთების გადამეტებით, ოღონდ ამ ანგარიშზე ჩარიცხული კრედიტის (ე.წ. ოვერდრაფტის) ხარჯზე.

კორესპონდენტ ბანკებში სახსრების ნაშთის სიდიდე დამოკიდებულია კორესპონდენტის მიერ გაწეული მომსახურების ხასიათსა და მოცულობაზე. საკორესპონდენტო ანგარიშის გამოყენებას ანაზღაურებენ, როგორც წესი, ანგარიშზე სახსრების მინიმალური ნაშთის შენარჩუნებით და ნაწილობრივ – საკომისიო ჯილდოს გადახდის მეშვეობით. ამასთან, საკორესპონდენტო ანგარიშებზე მყოფი საკრედიტო რესურსები მოკითხვამდე დაცულ დეპოზიტებად გვეცლინება. ამიტომ აღნიშნულ ანგარიშებზე მყოფი სახსრები ნაშთის ინარჩუნებენ ისეთ მინიმალურ დონეზე, რომელიც აუცილებელია საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელებისთვის.

20.4.2. ანგარიშსწორება ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო ქსელის მეშვეობით

ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო ქსელი წარმოადგენს საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრების ერთობლიობას, რომლებსაც დაკისრებული აქვთ საბანკო სისტემაში ფულის გადა-

სახადების წარმოების უზრუნველყოფის ფუნქციები. ყოველი კომერციული ბანკი ვალდებულია საკორესპონდენტო ანგარიში ჰქონდეს გახსნილი რომელიმე საანგარიშო-სალაროს ცენტრში. საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრები შუამავლებად გვევლინებიან ბანკებს შორის საანგარიშსწორებო ოპერაციათა ჩატარების დროს. ანგარიშსწორების წარმოების გარდა საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრები ახდენენ ბანკების დაკრედიტებას, სალაროს მომსახურებას, ინვესტიციების დაფინანსებას საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე და ა.შ.

თვით კომერციულ ბანკებს შორის ანგარიშსწორებას აფიქსირებენ საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრში გახსნილი მათი საკორესპონდენტო ანგარიშების მიხედვით.

თუ ფულის გადამხდელისა და მისი მიმღების ანგარიშები ისეთ სხვადასხვა ბანკებშია გახსნილი, რომლებსაც ერთი და იგივე ცენტრი ემსახურება, მაშინ ბანკი ასდენს ფულის გადამხდელის ანგარიშიდან თანხის მოხსნას და დავალებას აძლევს საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრს, რომ მან თავისი ანგარიშიდან მოხსნას სახსრები და ისინი მიმწოდებელი საწარმოს ბანკის ანგარიშზე ჩარიცხოს.

ყველაზე რთულია ის სიტუაცია, რომლის დროსაც მიმწოდებელი საწარმოს ბანკს და ფულის გადამხდელი საწარმოს ბანკს სხვადასხვა საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრი ემსახურება. ამ შემთხვევაში იყენებენ ფილიალთაშორისი ბრუნვების ანგარიშთა სისტემას, რომელშიც საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრები ანგარიშთა გარკვეულ ნომრებზე აკუთვნებენ. ამ ნომრების მიხედვით შემდეგ აფიქსირებენ იმ კლიენტებთან მიმდინარე ანგარიშსწორების ოპერაციებს, რომლებსაც სხვა ცენტრებში ემსახურებიან.

ფილიალთაშორისი ბრუნვების შესაბამისად ანგარიშსწორებები ხორციელდება ავიზოს მეშვეობით, რისლებსაც ადგენენ და გზავნიან საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრები სხვა ცენტრების მისამართით ფილიალთაშორისი ოპერაციის დასასრულებლად. ავიზოს მიმღები ცენტრი, თავის მხრივ, იძლევა საპასუხო გატარებას მის მისამართზე შემოსული ყველა ავიზოს (გარდა დეფექტურისა) მთელ თანხაზე. იმ შემთხვევაში, თუ გაურკვეველია გარკვეულ საკორესპონდენტო ანგარიშზე რომელიმე ავიზოს მიკუთვნების საკითხი, მაშინ თანხა აისახება გამოსარკვევი თანხების ანგარიშზე.

არასწორად შემოსული ავიზოები შემოწმების შემდეგ უბრუნდება იმ საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრს, საიდანაც ისინი გამოგზავნეს.

საწარმოებისა და ორგანიზაციების ანგარიშებზე სასესრებს რიცხავენ მხოლოდ იმ პირობით, თუ მოცემული ოპერაციები სრულდება მათი ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით ამ ბანკების მომსახურე ცენტრებში. საკორესპონდენტო ანგარიშებით საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელებას ყოველდღიურად ადასტურებენ სოლმე მათ შესახებ გაკეთებული ამონაწერებით საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრების მხრიდან.

ამგვარად, გამორიცხული არაა ისეთი სიტუაცია, როცა თავის ანგარიშსწორების ანგარიშზე აუცილებელი რესურსების მქონე კლიენტს ფულის გადახდის განხორციელება არ შეუძლია საკრედიტო დაწესებულების საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრების უკმარისობის გამო. ამიტომ კლიენტის მიერ ანგარიშსწორების შესრულების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით ბანკებმა უნდა უზრუნველყონ აუცილებელი სახსრების თავისდროულად შემოსვლა თავიანთ საკორესპონდენტო ანგარიშებზე და ანგარიშებზე შეინარჩუნონ სახსრების თანხა იმ ოდენობით, რომელიც სხვა ბანკებთან შეუფერხებელი საანგარიშსწორებო მუშაობისთვისაა აუცილებელი.

20.4.3. ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ ᲨᲘᲓᲐᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ

იმის გათვალისწინებით, რომ ბანკებს აქვთ გამსხვილებისა და მრავალფილიალიან სტრუქტურებად გარდაქმნის ტენდენცია, ცენტრალური ბანკი აწესებს საკრედიტო ორგანიზაციების ფილიალების მიერ საანგარიშსწორებო ოპერაციების ჩატარების მარეგულირებელ წესებს.

საკრედიტო ორგანიზაციას უფლება აქვს ფილიალის სახელზე გახსნას შემდეგი ანგარიშები საანგარიშსწორებო ოპერაციების განსახორციელებლად:

- საკორესპონდენტო სუბანგარიში ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო ქსელის იმ განყოფილებაში, სადაც ფილიალი მდებარეობს;

საკორესპონდენტო ანგარიშები სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში და მათ ფილიალებში;

- ფილიალთაშორისი ანგარიშსწორების ანგარიშები მეთაურ ორგანიზაციაში, აგრეთვე, საკრედიტო ორგანიზაციის ნებისმიერ ფილიალში.

ფილიალის საკრედიტო ორგანიზაციისგან უფლება აქვს მინიჭებული განაგოს ეს ანგარიშები და თავის ბალანსში ასახოს მათი მეშვეობით მიმდინარე ოპერაციები.

ამასთან, ფილიალთაშორისი ანგარიშების გახსნისა და დახურვის წესს ბანკი დამოუკიდებლად ადგენს, სოლო მათი გახსნა და დახურვა სორციელდება საკრედიტო ორგანიზაციის მართვის უფლებამოსილი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ გაცემული განკარგულებით.

20.4.4. ბანკთაშორისი კლირინგი

კლირინგს უწოდებენ საქონლის, მომსახურებისა თუ ფასიანი ქაღალდებისთვის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემას, რომელიც ორმხრივი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ჩათვლაზეა დაფუძნებული. ბანკთაშორისი კლირინგი, თავის მხრივ, ბანკებს შორის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემაა, რომელიც იურიდიული პირების ფულადი მოთხოვნების ორმხრივი ჩათვლის საფუძველზე ხორციელდება.

ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილებით კლირინგული ანგარიშსწორების ორგანიზაცია შეიძლება იკისრონ არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებებმა ან კლირინგულმა ორგანიზაციებმა ცენტრალური ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

კლირინგული დაწესებულების დამფუძნებელი შეიძლება იყოს კომერციული ბანკები, ცენტრალური ბანკი, სხვა იურიდიული და ფიზიკური პირები ხელისუფლების ორგანოების, პოლიტიკური ორგანიზაციებისა და სპეციალიზებული საზოგადოებრივი ფონდების გამოკლებით.

კლირინგული ორგანიზაციის ძირითადი ამოცანებია:

- ბანკებსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორების დაჩქარება და ოპტიმიზება;

- ანგარიშსწორების უტყუარობისა და საიმედოობის ამაღლება;

უნაღდო ანგარიშსწორების ახალი ფორმების (ჩეკები, თამასუქები, პლასტიკური ბარათები და სხვა) განვითარება და უზრუნველყოფა;

ბანკების დროებით თავისუფალი სახსრების ყველაზე უფრო რაციონალურად გამოყენება;

თანამედროვე საერთაშორისო ტექნოლოგიების, სტანდარტებისა და ოქმების დანერგვა;

თანამედროვე საინფორმაციო საბანკო ინფრასტრუქტურის შექმნა;

მონაცემების საიმედოდ და მრავალ დონეზე დაცვა დამუშავებისა და შენახვის ეტაპზე არასანქცირებული მოპოვების, გამოყენების, დამახინჯებისა და ფალსიფიცირებისგან;

მონაცემების უტყუარობის კონტროლი ყველა ეტაპზე.

საყოველთაოდ მიღებულია კლირინგული ოპერაციების ორგანიზაციის ორი მოდელი. პირველი მათგანი ითვალისწინებს კლირინგის ჩატარებას ორმხრივი ჩათვლების მონაწილეთა ანგარიშებზე არსებული სახსრების წინასწარ დეპონირებით. მეორე მოდელის თანახმად კლირინგი ასეთი დეპონირების გარეშე სორციელდება.

კლირინგი შეიძლება იყოს ორმხრივი, როცა სდება ორი ბანკის მოთხოვნების ჩათლეა და მრავალმხრივი, როცა ჩათვლის სქემებში სამი და მეტი ბანკი მონაწილეობს. ამასთან, კლირინგის მთავარი იდეა ისაა, რომ გარკვეული თანმიმდევრობით მხოლოდ ჰირად ანგარიშზე გამოკლენილი სადებეტო სალდო უნდა დაიფაროს რეალური ფულით, რომელიც კლირინგული დაწესებულების

განკარგულებაში გადაიცემა. ეს სალდო კლირინგულმა ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს იმ საკრედიტო სალდოს ასანაზღაურებლად, რომელიც კლირინგის სხვა მონაწილეებს უყალიბდებათ.

20.5. ᲣᲜᲐᲦᲓᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ

უნაღდო ანგარიშსწორების ეკონომიკური ბაზაა მატერიალური წარმოება. ამის გამო საგადამხდელო ბრუნვის მეტი წილი (დაახლოებით სამი მეოთხედი) მოდის სასაქონლო ოპერაციებისთვის შესრულებულ ანგარიშსწორებაზე, ე.ი. გადატვირთული საქონლის, შესრულებული სამუშაოსა და გაწეულის მომსახურებისთვის განხორციელებულ გადახდაზე.

საგადამხდელო ბრუნვის დარჩენილი ნაწილი (დაახლოებით ერთი მეოთხედი) არის ანგარიშსწორება არასაქონლო ოპერაციების მიხედვით, ე.ი. საწარმოებისა და ორგანიზაციების ანგარიშსწორება ბიუჯეტთან. სახელმწიფო და სოციალური დაზღვევის ორგანოებთან, საკრედიტო დაწესებულებებთან, მაროვის ორგანოებთან, სასამართლოსთან, არბიტრაჟთან და ა.შ.

საქონლისა და მომსახურებისთვის, აგრეთვე, ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით წარმოებული უნაღდო ანგარიშსწორება განსხვავებული ფორმებით ხორციელდება, თითოეულ მათგანს კი თავისი სპეციფიკა აქვს საანგარიშსწორებო დოკუმენტების ხასიათისა და მოძრაობის თვალსაზრისით. ანგარიშსწორების ფორმა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობას, მ.შ. გადახდის ხერხი და მისთვის შესაბამისი დოკუმენტბრუნვა. დოკუმენტბრუნვას უწოდებენ საანგარიშსწორებო დოკუმენტებისა და ფულადი სახსრების გაფორმების, გამოყენებისა და ბოძრაობის სისტემას, რომელშიც შედის: ანგარიშ-ფაქტურის ამოწერა ტვირთის გაგზავნის მიერ და მისი გადაცემა ანგარიშსწორების სხვა მონაწილისთვის; საანგარიშსწორებო დოკუმენტის შინაარსი და მისი რეკვიზიტები; საანგარიშსწორებო დოკუმენტის შევსების ვადები და ბანკისთვის, აგრეთვე, ანგარიშსწორების სხვა მონაწილეებისთვის მისი წარდგენის წესი; საანგარიშსწორებო დოკუმენტის მოძრაობა საბანკო დაწესებულებებს შორის; საანგარიშსწორებო დოკუმენტის განაღდების და ფულადი სახსრების გადაგზავნისა და მიღების წესი და ვადები; ურთიერთ კონტროლისთვის საანგარიშსწორებო დოკუმენტის გამოყენების და ეკონომიკური ზემოქმედების ღონისძიებათა გატარების წესი.

არც ისე დიდი ხნის წინ უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელებაში მთავარი ადგილი ეკავა საინკასო ფორმას, რომელიც საგადამხდელო მოთხოვნათა საფუძველზე სრულდებოდა. 90-იანი წლების დასაწყისში მის წილად მოდიოდა მთელი საგადამხდელო ბრუნვის დაახლოებით 44-45% და საქონლისა და მომსახურების ღირებულების გასტუმრების 66-67%. საინკასო ფორმის წამყვანი როლი იმით აიხსნებოდა, რომ იგი ანგარიშსწორების სხვა ფორმებზე უფრო მეტად შეესაბამებოდა მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის პირობებში დამუშავებულ და მოქმედ უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზაციის პრინციპებს.

მეურნეობრიობის საბაზრო პირობებზე გადასვლასთან დაკავშირებით ანგარიშსწორების საინკასო ფორმა გაუქმებულია და შემოღებულია მისი ისეთი ფორმები, რომლებიც ანგარიშსწორებაში გამორიცხავენ მწარმოებლის დიქტატს, გადახდის შესრულების ინიციატორებად კი თვით გადამხდელები გამოდიან.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თანამედროვე პირობებში ნებადართულია უნაღდო ანგარიშსწორების შემდეგი ფორმების გამოყენება:

- გადახდის დავალება;
- გადახდის მოთხოვნა-დავალება;
- ჩეკები;
- აკრედიტივები.

ფულის გადამხდელსა და მის მიმღებს შორის ანგარიშსწორების ფორმას ისინი თვითონვე განსაზღვრავენ სამეურნეო ხელშეკრულებაში (შეთანხმებაში). თუ ანგარიშსწორებასთან დაკავ-

შირებით მათ პრეტენზიები გაუჩნდებათ ერთმანეთის მიმართ, ორივე მხარე მათ საბანკო დაწესებულებების მონაწილეობის გარეშე განიხილავს. სადავო საკითხებს წყვეტს სასამართლო, სამედიატორო სასამართლო ან არბიტრაჟი.

ბანკის მიმართ საანგარიშსწორებო-სალაროს ოპერაციებთან დაკავშირებით გაჩენილ პრეტენზიებს კლიენტები წერილობითი ფორმით გზავნიან მათ მომსახურე ბანკში. თვითონ ბანკები ამ პრეტენზიებთან დაკავშირებით მიმოწერას მართავენ ერთმანეთს შორის და საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრის მონაწილეობით.

ანგარიშიდან სახსრების არათავისდროულად ან არასწორად ჩამოწერის ან მასზე ბანკის მიერ თანხის არათავისდროულად ან არასწორად ჩარიცხვისთვის ანგარიშის მფლობელს უფლება აქვს თავის სასარგებლოდ ჯარიმის გადახდა მოსთხოვოს ბანკს იმ თანხის 0.5%-ის ოდენობით, რომელიც შეფერხების თითოეულ დღეს არათავისდროულადაა ჩარიცხული ან არამართებულადაა ჩამოწერილი.

ანგარიშსწორების მოქმედი ფორმების დროს გამოყენებულ საანგარიშსწორებო დოკუმენტებს ბანკი შესასრულებლად იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეესაბამება სტანდარტირებულ მოთხოვნებს და შესაბამისად, აუცილებლად შეიცავს ყველა საჭირო მონაცემს.

საანგარიშსწორებო დოკუმენტების გამოწერა ხდება, როგორც წესი, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ერთ ჯერზე პირგადასაღები ქაღალდით (გარდა ჩეკებისა). ჩეკს წერენ ხელით, მელნის ან ბურთულიანი საწერკალმით.

ბანკი საანგარიშსწორებო დოკუმენტებს შესასრულებლად იღებს ბანკის საოპერაციო დღის განმავლობაში. ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად, ბანკების უმრავლესობაში საოპერაციო დღე 13 საათამდეა დაწესებული. კლიენტებისგან საოპერაციო დროში შემოსულ დოკუმენტებს ბანკი ბალანსში იმავე დღეს ატარებს.

20.5.1. ანგარიშსწორება საბადახდო დაპალებებით

გადახდის დაპალება წარმოადგენს ანგარიშის მფლობელის წერილობით განკარგულებას ბანკისადმი მისი (საანგარიშსწორებო, მიმდინარე, საბიუჯეტო თუ სასესხო) ანგარიშიდან გარკვეული ფულადი თანხის გადარიცხვის შესახებ სხვა საწარმოს ანგარიშზე, რომელიც იმავე ან სხვა ქალაქის საბანკო დაწესებულებაშია გახსნილი.

ანგარიშსწორების გადახდის დაპალებათა გამოყენების შესაძლებლობები მრავალფეროვანია. მეურნეობაში მათი მეშვეობით ხორციელდება ანგარიშსწორება როგორც სასაქონლო, ისე არასასაქონლო გადახდა მხოლოდ და მხოლოდ გადახდის დაპალებით სრულდება.

საქონლისა და გაწეული მომსახურებისთვის ჩატარებულ ანგარიშსწორებაში გადახდის დავალებებს შემდეგ შემთხვევებში იყენებენ:

- მიღებული საქონლისა და გაწეული მომსახურებისთვის (ე.ი. საქონლის პირდაპირი აქცეპტის გზით). აქ აუცილებელი პირობაა დაპალებაში მითითებული იყოს იმ სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტის ნომერი და თარიღი, რომელიც ადასტურებს გადამხდელის მიერ საქონლის მიღების ან მისთვის მომსახურების გაწევას;
- საქონლისა და მომსახურების ღირებულების წინასწარ ანაზღაურების წესით შესრულებული გადახდებისთვის. აქ აუცილებელი პირობაა დაპალებაში მითითებული იყოს იმ შეთანხმების, ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის ნომერი, რომლითაც წინასწარ გადახდაა გათვალისწინებული;
- სასაქონლო ოპერაციების მისედვით არსებული ოპერაციების მიხედვით არსებული საკრედიტო დაპალიანების დაფარვისთვის;
- სასამართლოსა და არბიტრაჟის გადაწყვეტილების შესაბამისად საქონლის და მოსახურების გამო ანგარიშსწორების დროს;

- შენობაში არენდის თანხის გადახდისას;
- საექსპლუატაციო მომსახურების ღირებულების გადახდისას სატრანსპორტო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო საწარმოებისათვის.

არასასაქონლო ოპერაციების მიხედვით შესრულებულ ანგარიშსწორებაში გადახდის დავალებებს იყენებენ:

- ბიუჯეტში სახსრების გადახდისთვის;
- ბანკისგან მიღებული სესხებისა და მათი პროცენტების დაფარვისთვის;
- სახელმწიფო და სოციალური დაზღვევის ორგანოებისთვის სახსრების გადარიცხვისთვის;
- საკრედიტო საზოგადოებების, ამხანაგობების და ა.შ. დაფუძნებისას მათ საწესდებო ფონდებში სახსრების შეტანისთვის;
- აქციების, ობლიგაციების, დეპოზიტური სერთიფიკატების, საბანკო თამასუქების შეძენისთვის;
- საურავის, ჯარიმების, პირგასამტეხლოების გადახდისთვის.

გადახდის დავალებას სახსრებს გადამხდელი გამოწერს დაწესებული ფორმის მქონე ბლანკზე, რომელიც გადახდისთვის საჭირო ყველა რეკვიზიტს შეიცავს და, როგორც წესი, ოთხ ეგზემპლარად წარუდგენს მას ბანკს, რომელთაგან თითოეულს თავისი დანიშნულება აქვს:

– პირველ ეგზემპლარს გადამხდელის ბანკში იყენებენ მისი ანგარიშიდან სახსრების ჩამოსაწერად და ბანკისთვის განკუთვნილ დოკუმენტებში ინახავენ;

– მე-4 ეგზემპლარზე დასვამენ ბანკის შტამპს, რაც ადასტურებს გადახდის დავალების მიღებას შესრულებისთვის და მას უბრუნებენ გადამხდელს;

– მე-2 და მე-3 ეგზემპლარებს უგზავნიან სახსრების მიმღების ბანკს. ამასთან მე-2 ეგზემპლარს იყენებენ სახსრების მიმღების ანგარიშზე ამ სახსრების ჩარიცხვის საფუძვლად და იტოვებენ ბანკისთვის განკუთვნილ დოკუმენტებში, მე-3 ეგზემპლარს კი ურთავენ სახსრების მიმღების ანგარიშიდან ამონაწერს, როგორც საფუძველს საბანკო გატარების დასადასტურებლად.


გადახდის დავალებას ბანკი შესასრულებლად იღებს მხოლოდ გადამხდელის ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობის შემთხვევაში. გადახდის განსახორციელებლად შესაძლებელია აგრეთვე ბანკის სესხის გამოყენება, თუ გადამხდელს მისი მიღების უფლება აქვს.

დავალება მოქმედებს მისი გამოწერიდან 10 დღის განმავლობაში. გამოწერის დღეს მხედველობაში არ იღებენ. გადახდის დავალებით ანგარიშსწორების დროს (ფაქტობრივად მიღებული საქონლისთვის, გაწეული მომსახურებისთვის და შესრულებული სამუშაოსთვის) დოკუმენტბრუნვის სქემას აქვს ნახ. 20.2.-ზე ნაჩვენები სახე.

თუ საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა მუდმივად და ტოლი მოცულობებით ხდება, მაშინ გადახდის დავალებით მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება მყიდველებს შეუძლიათ გეგმური გადახდის წესით. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება ხორციელდება საქონლის არა ყოველი ცალკეული გადატვირთვის ან ცალკეული მომსახურებისთვის, არამედ სახსრების სათანადო გადარიცხვით კონკრეტულ ვადებში და გარკვეული თანხით. ამას საფუძვლად უდევს დამდეგ თვეში თუ კვარტალში საქონლისა და მომსახურების მიწოდების გეგმა. ამ გზით შესაძლებელია ანგარიშსწორების წარმოება სავაჭრო ორგანიზაციებსა და მათ მიმწოდებლებს (ხორცკომბინატები, პურის ქარხნები, რძის ქარხნები) შორის.

გეგმური გადახდებით ანგარიშსწორება პროგრესული ფორმაა, რადგანაც მისი საფუძველი ფულისა და საქონლის შემხვედრი მოძრაობაა. ეს განაპირობებს ანგარიშსწორების დაჩქარებას, ორმხრივი დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შემცირებას, ამარტივებს ანგარიშსწორების ტექნიკას, საწარმოებსა და ორგანიზაციას საშუალებას აძლევს წინასწარ დაგეგმონ თავიანთი საგადამხდელო ბრუნვა.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა თუ სასურსათო საქონლის მიწოდებაში თავს იჩენს არსებითი გადახრები ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მოცულო-



1 პროდუქციის გადატვირთვა, მომსახურების გაწევა ანგარიშ-ფაქტურის გადაცემით;
2 მიმწოდებლისთვის სახსრების გადაცემაზე გადახდის დავალების წარდგენა ბანკში;
3 დოკუმენტების გაცემა გამომთველელ ცენტრში ანგარიშებში ოპერაციების ასახვის მიზნით;
4 გამომთველელ ცენტრში გაკეთილი დოკუმენტების გაფორმება და მათი ჩაბმა საანგარიშო-სალაროს ცენტრში;
5 გადამხდელის ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერა და ფილიალთაშორისი ბრუნვის საკრედიტო ავიზოს გაგზავნა საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრში (B ფილიალი);
6 მიმწოდებლის ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა და ფილიალთაშორისი ბრუნვის სადებეტო ავიზოს გაგზავნა საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრში (A ფილიალი);
7 მიმწოდებლის ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერა და მათი ჩარიცხვა მიმწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე;
8 მიმწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიშიდან ამონაწერის გაკეთება გადახდის დავალების მიხედვით სახსრების ჩარიცხვაზე.

ნახ. 20.2. დოკუმენტბრუნვის სქემა გადახდის დავალიანებებით ანგარიშსწორების დროს.

ბიდან, მხარეებს შეუძლიათ სათანადო ცვლილებები შეიტანონ სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ამ დროს მისაღებია ანგარიშსწორების ისეთი წესი, როცა თვის დასაწყისში ერთ-ერთი გადახდა სრულდება გეგმური მოცულობის შესაბამისად, მომდევნო გადახდები კი – ფაქტობრივი მიწოდებიდან გამომდინარე.

მხარეებმა თვეში ერთხელ ერთმანეთს უნდა შეუდარონ ურთიერთანგარიშსწორება საქონლის ფაქტობრივად მიწოდებიდან გამომდინარე და ერთმანეთს ჩაუთალონ კრედიტორული და დებიტორული დავალიანება მომდევნო თანხის გადარიცხვის დროს.

საწარმოებსა და ორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ უფლება თანხის შეუზღუდავად განახორციელონ ფულის გადაგზავნა კაუშირგაბმულობის საწარმოების მეშვეობით შემდეგი მიზნებით:

- ცალკეული მოქალაქეების სახელზე პირადად მათი კუთვნილი სახსრების გასაცემად (პენსიები, ალიმენტები, ხელფასი, სამეცნიერო ხარჯები, საავტორო honorarii);
- ისეთ ადგილებში მყოფი საწარმოების სახელზე, სადაც ბანკის დაწესებულებები არაა გახსნილი – ხელფასის გასაცემად, მუშების ორგანიზებულად მოსაგვარებლად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დასაშზადებლად.

ასეთ შემთხვევაში გადამხდელი საწარმო უახლოეს საფოსტო განყოფილებას გამოუწერს გადახდის დავალებას, სადაც მიუთითებს გადასარიცხი თანხის დანიშნულებას და აბარებს მას თავის საბანკო დაწესებულებაში. გადამხდელმა დავალებას უნდა დაურთოს სახსრების კონკრეტულ მიმღებებზე შევსებული ფულადი გზავნილების ბლანკები, აგრეთვე, გზავნილებათა მიმღები ყველა პირის სია (2 ეგზემპლარად) იმის ჩვენებით, თუ ვინ იღებს ფულს, რა მიზნით, რომელ ქალაქში ან დასახლებულ პუნქტში ხდება ამ გზავნილების გადარიცხვა. კაუშირგაბმულობის საწარმოები შემოსულ გზავნილებებს ანაღდებენ ფულით ან სახსრების მიმღებთა ანგარიშებზე

მათი კუთვნილი სახსრების ჩარიცხვით. ამათან, იურიდიული პირებისთვის განკუთვნილ გზავნილებს ანაზღაურებენ მხოლოდ უნაღდო გზით, ასევე დავალებებით, რომლებიც შედგენილია 4 ეგზემპლარად ყველა გზავნილების მთლიან თანხაზე და ყოველი მიმღების გამოყოფით.

კავშირგაბმულობის საწარმოების მეშვეობით მეურნე სუბიექტებს შეუძლიათ, აგრეთვე, სავაჭრო მოგების ნაღდი თანხების გადატანა ბანკში გახსნილ თაყვანთ ანგარიშებზე. საფოსტო გზავნილების ბლანკზე სახსრების გამგზავნმა უნდა მიუთითოს:

- თაყვის სრული დასახელება;
- იმ საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ეს მოგებაა ჩასარიცხი;
- იმ ბანკის დასახელება და ნომერი, რომელშიც ეს ანგარიშია გახსნილი.

კავშირგაბმულობის საწარმომ სავაჭრო მოგების გადაგზავნასთან დაკავშირებულ ყველა ფულად გზავნილზე უნდა შეადგინოს გადახდის დავალება (მთლიან თანხაზე) გზავნილის მიმღების მისამართით და ჩააბაროს იგი კავშირგაბმულობის მოცემული საწარმოს მომსახურე ბანკს. სავაჭრო ამოგების გადარიცხვასთან დაკავშირებული დავალებების ყველა ეგზემპლარის უკანა გვერდზე კავშირგაბმულობის საწარმომ აუცილებლად უნდა მიუთითოს სავაჭრო მოგების კონკრეტულ გადამგზავნთა ვინაობა და ის თანხები, რომლებსაც ისინი სავაჭრო მოგების ანგარიშზე რიცხავენ ბანკში.

გადახდის დავალებით შესრულებულ ანგარიშსწორებას მთელი რიგი ღირსებები აქვს სხვა ფორმებთან შედარებით. ესაა შედარებით მარტივი და სწრაფი დოკუმენტბრუნვა, ფულადი სახსრების მოძრაობის დაჩქარება. განაღდებული საქონლისა და მომსახურების ხარისხის წინასწარ შემოწმების შესაძლებლობა გადამხდელის მიერ, რაც ანგარიშსწორების ყველაზე პერსპექტიულ ფორმად აქცევს მას.

20.5.2. ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲠᲐᲓᲐᲮᲓᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ-ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ

გადახდის მოთხოვნა-დავალება წარმოადგენს მიმწოდებლის მოთხოვნას მყიდველის მიმართ, თანდართული სატვირთო და სასაქონლო დოკუმენტების საფუძველზე გადაუს..დოს მას ხელშეკრულებით მიმწოდებელი საქონლის, გაწეული მომსახურების ან შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

გადახდის მოთხოვნა-დავალებას 3 ეგზემპლარად გამოწერს მიმწოდებელი პროდუქციის ფაქტობრივად მიწოდების ან მომსახურების გაწევის საფუძველზე. სტანდარტიზებულ ბლანკზე გამოწერილი ეს ეგზემპლარები გაგზავნის დოკუმენტებთან ერთად ეგზავნება გასანაღდებლად მყიდველის ბანკს. მოთხოვნა-დავალების მიღება შესაძლებელია ინკასოზეც (მიმწოდებლის ბანკში).

ინკასო ისეთი საბანკო ოპერაციაა, რომლის მეშვეობითაც ბანკი თაყვის კლიენტის დავალებით იღებს მის კუთვნილ ფულად სახსრებს სხვა საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან საანგარიშსწორებო, სასაქონლო და ფულადი დოკუმენტების საფუძველზე. ინკასოთი მომსახურების დროს მიმწოდებლის ბანკი სპეციალური ფოსტით თვითონ გზავნის გადახდის მოთხოვნა-დავალებებს გადამხდელის ბანკში კავშირგაბმულობის ორგანოების მეშვეობით. მიმწოდებელსა და მომხმარებელს და მათ ბანკებს შორის ორმხრივი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, ანგარიშსწორების დაჩქარების მიზნით, დოკუმენტების ფოსტით გადაგზავნა მიმწოდებლის ბანკთან გადამხდელის ბანკში იცვლება ელექტრო ფოსტით ამ დოკუმენტების შინაარსის გადაცემით. მიმწოდებლის ბანკი ინკასოთი მომსახურებას კლიენტს საკომისიო გაუმართლებელს ფასად უწევს.

რადგანაც გადახდის მოთხოვნა-დავალებით ანგარიშსწორების ინიციატივა მიმწოდებლიდან მოდის, ამიტომ ამ დოკუმენტების განაღდება შესაძლებელია მხოლოდ მყიდველის თანხმობით (აქცეპტით). ამ მიზნით მყიდველის ბანკში შემოსულ გადახდის მოთხოვნა-დავალებებს რეგისტრაციას უკეთებენ სპეციალურ ჟურნალში და ბანკი მას უშუალოდ გადამხდელს გადასცემს

აქცეპტის ხელმოსაწერად.

ცნობილია აქცეპტის რამდენიმე ფორმა: დადებითი და უარყოფითი, წინასწარი და შემდგომი, სრული და ნაწილობრივი.

დადებითია აქცეპტის ისეთი ფორმა, რომლის გადამხდელი ვალდებულია გადახდის შესახებ მიმწოდებლის მოთხოვნის შემცველ თითოეულ საანგარისწორებო დოკუმენტზე ან წერილობითი განცხადება გააკეთოს თავის თანხმობაზე, ან უარი თქვას აქცეპტზე.

უარყოფითია აქცეპტის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც გადამხდელი წერილობით აუწყებს ბანკს მხოლოდ აქცეპტზე თავისი უარის შესახებ. თუ წინასწარ მოლაპარაკებულ ვადაში გაცხადებული არაა უარი, მაშინ ბანკი ამას მიიჩნევს გადამხდელის თანხმობად გადახდაზე.

წინასწარი აქცეპტი ნიშნავს იმას, რომ გადახდის შესახებ მიმწოდებლის მოთხოვნაზე გადამხდელი თავის თანხმობას იძლევა მისი ანგარიშიდან ფულის ჩამოწერამდე. ამ დროს საანგარიშსწორებო დოკუმენტი აქცეპტირებულად ითვლება, თუ გადამხდელმა ბანკს არ აცნობა უარის შესახებ სამი სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, საანგარიშსწორებო დოკუმენტის ბანკში შემოსვლის დღე მხედველობაში არ მიიღება. განაღდება ხდება აქცეპტის ვადის ამოწურვის მეორე დღეს.

შემდგომი აქცეპტი ითვალისწინებს საანგარიშსწორებო დოკუმენტების დაუყოვნებლივ განაღდებას ბანკის საოპერაციო დღის განმავლობაში მათი შემოსვლისთანავე. ამ დროს გადამხდელი ინარჩუნებს უფლებას აქცეპტზე შემდგომი უარი თქვას სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

80-იანი წლების ბოლომდე პრაქტიკაში აქცეპტის წამყვანი ფორმა იყო შემდგომი სახის უარყოფითი აქცეპტი, რადგანაც ეს ფორმა აჩქარებს ფულადი სახსრების მოძრაობას და გადამხდელის მიერ საქონლის მიღებას. ამის შემდეგ, ანგარიშსწორებაში მომხდარი ორგანიზაციული ცვლილებების შედეგად ძირითადი გახდა წინასწარი სასიათის უარყოფითი აქცეპტი.

გადამხდელის მიერ გამოცხადებული უარი შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი და აუცილებელად მოტივირებული. აქცეპტზე უარის თქმის ტრადიციული მოტივებია:

საქონელი შეკვეთილი არაა;

ანგარიში არასასაქონლოა;

საქონელი წინასწარაა განაღდებული;

აკლია შეთანხმებული ფასი;

საქონელი გაგზავნილია არასწორ მისამართზე.

ეს და სხვა მოტივები უკავშირდება სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევას მიმწოდებლის მხრიდან.

აქცეპტზე უარის თქმის მოტივი, როგორც წესი, შემოწმებული უნდა იყოს მიმწოდებელსა და მყიდველს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტების მითითებით. ამ საკითხთან დაკავშირებით მათ შორის არავითარ დავაში ბანკი არ ერევა. ამავე დროს, როგორც თანხმობა აქცეპტზე, ისე მასზე უარის თქმა საწარმოებს უფლებას არ ართმევს პრეტენზიები წაუყენონ ერთმანეთს, რასაც სასამართლო ან არბიტრაჟი განიხილავს ერთი რომელიმე მხარის სარჩელის შესაბამისად.

გადახდის მოთხოვნა-დავალების აქცეპტირებისთვის მყიდველს სამი სამუშაო დღე ეძლევა (აქ არ ითვლება გადამხდელის ბანკში მისი შემოსვლის დღე).

როდესაც გადამხდელი თანახმაა მთლიანად ან ნაწილობრივ გაანაღდოს გადახდის მოთხოვნა-დავალება, იგი ამას სამ ეგზემპლარად აფორმებს იმ პირთა ხელმოწერით, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განაგონ ანგარიში ბანკში და ბეჭდის ანაბეჭდით. ამ ეგზემპლარებს იგი აბარებს ბანკს, რომელთაგან:

1-ლ ეგზემპლარს იყენებენ გადამხდელის ანგარიშიდან სახსრების მოხსნის საფუძვლად და იტოვებენ ბანკისთვის განკუთვნილ დოკუმენტებში;

მე-2 ეგზემპლარს გზავნიან მიმწოდებლის ბანკში, სადაც მას იყენებენ მიმწოდებლის ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვის საფუძვლად;

მე-3 ეგზემპლარს უბრუნებენ გადამხდელს, როგორც მისი ანგარიშის მისედვით საბანკო ოპერაციის ჩატარების დასტურს.


გადახდაზე ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში გადახდის მოთხოვნა-დავალების გრაფაში აღინიშნება „გადასახდელი თანხა“. გადამხდელს შეაქვს ის თანხა, რომლის გადახდაზეც ის თანახმაა.

მოთხოვნა-ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ მთლიანად ან ნაწილობრივ განაღდებაზე უარის თქმის შემთხვევაში გადამხდელი აფორმებს აქცეპტზე უარის თქმის მოტივირების შემცველ თანმხლებ წერილს (შეტყობინებას). თუ უარი ნაწილობრივია, მაშინ ამ წერილს გადამხდელი გადახდის გაფორმებულ მოთხოვნა-დავალებასთან ერთად გადასცემს მის მომსახურე ბანკს, რათა ისინი ერთად გადაიგზავნოს მიმწოდებლის ბანკში.

აქცეპტზე სრული უარის თქმის შემთხვევაში გადამხდელი ბანკის გვერდის ავლით, უშუალოდ მიმწოდებელს უბრუნებს გადახდის მოთხოვნა-დავალებას, გადახდაზე უარის თქმის შესახებ შედგენილ თანმხლებ წერილთან ერთად.

საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდის მოთხოვნებით წარმოებული ანგარიშსწორების დროს შესრულებული დოკუმენტბრუნვის სქემას ასეთი სახე აქვს:

გადახდის მოთხოვნა-დავალებებით წარმოებული ანგარიშსწორება უნაღდო ანგარიშსწორების ახალი და პერსპექტიული ფორმაა ჩვენი საბანკო პრაქტიკისთვის. იგი პასუხობს როგორც



1 – პროდუქციის გადატვირთვა, მომსახურების გაწევა;
2 – გადახდის მოთხოვნა-დავალების კომპლექტის გაპრწერა და მისი გაგზავნა;
3 – მიღებული დოკუმენტების გაცემა აქცეპტისთვის;
4 – აქცეპტებული მოთხოვნა-დავალების დაბრუნება გადამხდელთან;
5 – დოკუმენტების გადაცემა გამოთვლით ცენტრში გადამხდელის ანგარიშებიდან სახსრების მოსახსნელად;
6 – გამოთვლით ცენტრში გაელილი დოკუმენტების გაფორმება და მათი გადაცემა საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრში;
7 – საკრედიტო ავიზოს გაფორმება და მისი გადაგზავნა გადახდის მოთხოვნა-დავალების მე-2 ეგზემპლართან ერთად საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრის (B ფილიალი) მისამართით; იმავდროულად სახსრების ჩამოწერა გადამხდელის ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან;
8 – სახსრების ჩარიცხვა მიმწოდებლის ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე;
9 – სახსრების ჩამოწერა მიმწოდებლის საკორესპონდენტო ანგარიშიდან და მათი ჩარიცხვა მიმწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე;
10 – ამონაწერის გაკეთება მიმწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიშიდან სახსრების ჩარიცხვის შესახებ გადახდის მოთხოვნა-ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ შესაბამისად.

ნახ. 20.3. ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲑᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲡᲥᲔᲛᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ-ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ.

მიმწოდებლების, ისე გადამხდელთა ფინანსურ და სამეურნეო ინტერესებს და განამტკიცებს სახელშეკრულებო ურთიერთობას მეურნეობაში. კერძოდ:

- აჩქარებს საანგარიშსწორებო დოკუმენტების გამოწერას, რადგან მათ გაფორმებას ახორციელებს თვითონ გადასახდელის მიმღები, მიმწოდებელი კი საბუთებს აგზავნის პროდუქციის მიწოდების ან მომსახურების გაწევისთანავე;
- გადახდა ხორციელდება გადამხდელის თანხმობით მის მიერ მიმწოდებლის საანგარიშსწორებო და სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების წინასწარ შემოწმების შემდეგ, რაც მიმწოდებლის მიერ სამეურნეო ხელშეკრულების პირობების შესრულების შემოწმებას ისახავს მიზნად;
- მიმწოდებელს შესაძლებლობა აქვს ბანკში ფაქტორინგული კრედიტი მიიღოს იმ დროით, რომლის განმავლობაშიც სამეურნეო ბრუნვის სახსრები გადატვირთულ საქონელშია ჩადებული.

20.5.3. ჩეკებით ანგარიშსწორება

ჩეკი ფულის გადამხდელის მიერ თავისი ბანკისთვის მიცემული განკარგულებაა, რომ მისი ანგარიშიდან ჩეკის პატრონს ფულის გარკვეული თანხა გადაუხადონ. ერთმანეთისგან განასხვავებენ ფულად ჩეკებს და საანგარიშსწორებო ჩეკებს.

ფულად ჩეკებს იყენებენ ჩეკის მფლობელისთვის ნაღდი ფულის გადასახდელ ბანკში, მთლიანად, ხელფასისთვის, სამეურნეო საჭიროებისთვის, სამიელინებო ხარჯებისთვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვისთვის და ა.შ.

საანგარიშსწორებო ჩეკები უნაღდო ანგარიშსწორებისთვის გამოყენებული – ჩეკებია. ესაა დადგენილი ფორმის მქონე დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ჩეკის უსიტყვო წერილობით ბრძანებას საკუთარი ბანკისადმი თავისი ანგარიშიდან ფულის გარკვეული თანხა გადარიცხოს სახსრების მიმღების (ჩეკის პატრონის) ანგარიშზე. საანგარიშსწორებო ჩეკს, ისე როგორც გადახდის დავალებას, აფორმებს გადამხდელი, მაგრამ გადახდის დავალებისგან განსხვავებით ჩეკს გადამხდელი გადასახდელის მიმღებ საწარმოს გადასცემს სამეურნეო ოპერაციის შესრულების მომენტში, ის კი ამ ჩეკს თავის ბანკს წარუდგენს გასანაღდებლად.

საანგარიშსწორებო ჩეკები შეიძლება იყოს დაფარული ან დაუფარავი. დაფარული საანგარიშსწორებო ჩეკები ისეთი ჩეკებია, რომელთა შესაბამისი თანხები ჩეკის გამცემი კლიენტის მიერ წინასწარაა დეპონირებული ცალკე საბანკო ანგარიშზე, რაც ამ ჩეკების მიხედვით გაანაღდების გარანტიას უზრუნველყოფს.


დაუფარავი საანგარიშსწორებო ჩეკები ისეთი ჩეკებია, რომელთა მიხედვით სახსრების გაცემის გარანტიასაც იძლევა. ამ შემთხვევაში ბანკი გარანტიას აძლევს ჩეკის გამცემს, რომ თუ მის ანგარიშზე თანხები დროებით არაა, ჩეკების განაღდება ბანკის სახსრების ხარჯზე მოხდება. ბანკის გარანტიების ის თანხა, რომლის ფარგლებშიც ჩეკების განაღდებაა შესაძლებელი, გარანტ ბანკში აღირიცხება არასაბალანსო ანგარიშზე №9925 ბანკის მიერ გაცემული „გარანტიები და თავდებობა".

ჩეკებით ანგარიშსწორების დროს დოკუმენტბრუნვა არსებითად შემდეგნაირად მიმდინარეობს: საქონლის, მომსახურებისა თუ სამუშაოს მიღებისას ჩეკის გამცემი გამოწერს საანგარიშსწორებო ჩეკს. მას იგი თავისი ხელმოწერით აღრწმებს უშუალოდ გადასდის შესრულების (გადასახდელის მიმღებისთვის ჩეკის ჩაბარების) მომენტში. ჩეკის მიმღები საწარმოს (ჩეკის პატრონის) წარმომადგენელი ჩეკის უკანა მხარეზე აწერს ხელს და ვადის შტამპის ანაბეჭდს. ამის შემდეგ მიმწოდებელს, როგორც ჩეკის მფლობელს, შეუძლია ეს ჩეკი თავის ბანკში წარადგინოს გადასახდელის მისაღებად. ბანკში ჩეკის წარდგენის ვადა 10 კალენდარული დღეა (გამოწერის დღის ჩაუთვლელად).

ჩეკის მფლობელის ანგარიშზე სახსრებს მისი მომსახურე ბანკი ჩარიცხავს მხოლოდ ჩეკის

გამცემისგან და მისი მომსახურე ბანკიდან სახსრების მიღების შემდეგ. ჩეკის გამცემისა და ჩეკის მფლობელის ბანკებს შორის ანგარიშსწორება საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრისა და ცენტრალური ბანკის მეშვეობით მიმდინარეობს.

ჩეკებით ანგარიშსწორების დროს დოკუმენტბრუნვის სქემა ნახ. 20.4.-ზეა წარმოდგენილი.



1 – ბანკში განცხადების ჩაბარება ჩეკების მიღებაზე და გადახდის დავალებისა-ჩეკებით ანგარიშსწორებისთვის სახსრების დეპონირებაზე ცალკე ანგარიშზე „საანგარიშსწორებო ჩეკები";

2 – გადამხდელის ანგარიშსწორების ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერა და მათი ჩარიცხვა ანგარიშზე „საანგარიშსწორებო ჩეკები";

3 – ბანკის მიერ გაფორმებული ჩეკების ბლანკების დაბრუნება გადამხდელისთვის;

4 – „საანგარიშსწორებო ჩეკების" ანგარიშზე დეპონირებული სახსრების გადარიცხვა საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრში;

5 – ჩეკის გამოწერა გადამხდელის მიერ და მომწოდებლისთვის მისი ჩაბარება საქონლის (მომსახურების, სამუშაოს) მიღების მომენტში;

6 – ჩეკების ჩაბარება ბანკში ინკასოზე ? რეესტრთან ერთად (4 ეგზემპლარად);

7 – ჩეკის გადაცემა რეესტრთან ერთად (2 ეგზემპლარად);

8 – სახსრების ჩარიცხვა საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრში მიმწოდებლის ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე;

9 – ჩეკების რეესტრების გადაგზავნა მიმწოდებლის ბანკში;

10 – სახსრების ჩამოწერა ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან და მათი ჩარიცხვა მიმწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

ნახ. 20.4. დოკუმენტბრუნვის სქემა ჩეკებით ანგარიშსწორების დროს.

20.5.4. ანგარიშსწორება აკრედიტივით

აკრედიტივი მყიდველის ბანკის მიერ მიმწოდებლის ბანკისთვის მიცემული დავალებაა საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლის ფულის გადახდის თაობაზე იმ პირობებით, რომლებიც მყიდველის საკრედიტივო განცხადებაშია გათვალისწინებული. ამ განცხადებას საქონლისა და მომსახურების მყიდველი აკეთებს მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.

აკრედიტივებით ანგარიშსწორებას მხოლოდ სხვადასხვა ქალაქებს შორის დოკუმენტბრუნვაში იყენებენ. აკრედიტივი განკუთვნილია მხოლოდ მიმწოდებელთან ანგარიშსწორებისთვის. აკრედიტივის მოქმედების ვადას ბანკი არ აწესებს, არამედ მისი რეგულირება მიმწოდებელსა და მყიდველს შორის დადებული ხელშეკრულებით ხდება. ანგარიშსწორების ამ ფორმის დროს ფულის გადახდა ხორციელდება მიმწოდებლის ადგილმდებარეობის მიხედვით. უნაღდო ანგარიშსწორების სხვა ფორმებისგან განსხვავებით იგი გარანტირებულ გადახდას უზრუნველყოფს მიმწოდებლისთვის ან მყიდველის საკუთარი სახსრების ხარჯზე, ან მისი ბანკის სახსრების ხარჯზე.

აკრედიტივი ორი სახეობის შეიძლება იყოს: დაფარული (დეპონირებული) და დაუფარავი (გარანტირებული).

დაფარულად ითვლება აკრედიტივი, რომლის დროსაც გადამხდელი წინასწარ ახდენს სახსრების დეპონირებას მიმწოდებლებთან ანგარიშსწორებისთვის. ამ შემთხვევაში ფულის გადამხდელის ბანკი (ემიტენტი ბანკი) გადამხდელის ანგარიშსწორების ანგარიშიდან ჩამოწერს სახსრებს და ისინი გადააქვს მიმწოდებლის ბანკში (შესრულებულ ბანკში) ცალკე საბალანსო ანგარიშზე „აკრედიტივები".

მიმწოდებლის ბანკში სახსრების დეპონირება იმ სესხის ხარჯზეც შეიძლება მოხდეს, რომელსაც ფულის გადამხდელი ემიტენტ ბანკში იღებს. ამ შემთხვევაში გადამხდელის ბანკში ანგარიშზე ოპერაციების გატარება იცვლება, მიმწოდებლის ბანკში კი – არა. საბანკო პრაქტიკაში გათვალისწინებული არაა აკრედიტივის წარდგენა ნაწილობრივ მყიდველის და ნაწილობრივ ბანკის სესხის ხარჯზე, ე.ი. მოცემულ კონკრეტულ აკრედიტივზე შესაძლებელია გადახდის მხოლოდ და მხოლოდ ერთი წყაროს გამოყენება.

დაუფარავია ის აკრედიტივი, რომელზეც გადახდის გარანტიას მიმწოდებელს ბანკი აძლევს. ამ შემთხვევაში ფულის გადამხდელი შუამდგომლობით მიმართავს თავის ბანკს, გარანტირებული აკრედიტივი გამოყოს მისთვის. ამ შუამდგომლობას ემიტენტი ბანკი აკმაყოფილებს, როგორც წესი, გადახდისუნარიანი, პირველი კლასის კლიენტების მიმართ და ისიც იმ პირობით, თუ მასა და აკრედიტივის შემსრულებელ ბანკს შორის საკორესპონდენტო ურთიერთობებია დამყარებული. გარანტირებული აკრედიტივის გასხსნისას ემიტენტი ბანკი უფლებას აძლევს შემსრულებელ ბანკს, რომ მან აკრედიტივის მიხედვით გადახდები ჩამოწეროს თავისი საკორესპონდენტო ანგარიშიდან მიმწოდებლის (სახსრების მიღების) სასარგებლოდ.

ყოველი აკრედიტივი ნათლად უნდა მიუთითებდეს, გამოსაწვევია იგი თუ_არაგამოსაწვევი. თუ ეს მითითებული არაა, მაშინ იგულისხმება, რომ აკრედიტივი გამოსაწვევია. მისი თავისებურება ისაა, რომ ემიტენტ ბანკს შეუძლია მისი შეცვლა ან გაუქმება (მყიდველის მითითებით) მიმწოდებლებთან წინასწარ შეუთანხმებლად. თუმცა, შემსრულებელი ბანკი ვალდებულია გააანალდოს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი და მისი ბანკის მიერ მიღებული დოკუმენტები მანამ, ვიდრე უკანასკნელი შეტყობინებას მიიღებდეს აკრედიტივის შეცვლის ან გაუქმების შესახებ.

არაგამოსაწვევი აკრედიტივის შეცვლა ან გაუქმება დაუშვებელია მიმწოდებლის თანხმობის გარეშე, რომლის სასარგებლოდაც იგია გახსნილი.

ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმის გამოყენებას ითვალისწინებს გადამხდელსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, სადაც. კერძოდ დათქმულია აკრედიტივით ანგარიშსწორების კონკრეტული პირობები, მისი მოქმედების ვადა, აკრედიტივის საბუთა და მისი შესრულების წესი, გადამხდელისა და მიმწოდებლის ბანკების დასახელება, იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლის პასუხადაც გადასდა ხდება და ა.შ.

გადამხდელის მიერ აკრედიტივის გახსნის საფუძველია მიმწოდებლისგან გაგზავნილი დეპეშა იმაზე, რომ საქონელი მზადაა გასაგზავნად. აკრედიტივის გასახსნელად გადამხდელი თავის ბანკში წარადგენს სტანდარტიზებულ ბლანკზე დაბეჭდილ განცხადებას, სადაც მოცემულია ყველა აუცილებელი მონაცემი. გადამხდელი ბანკი მას რეგისტრაციის უკეთებს სპეციალურ ჟურნალში. შემოსავალში ატარებს არასაბალანსო ანგარიშზე „გასანაღდებელი აკრედიტივები". განცხადება, ჩვეულებრივ, ხუთ ეგზემპლარადაა საჭირო.

მყიდველის ხელმოწერით და ბეჭდის ანაბეჭდიანი პირველი ეგზემპლარი იმის საფუძველია, რომ ჩამოწერონ მყიდველის ანგარიშსწორების ანგარიშიდან და იგი დოკუმენტებში რჩება გადამხდელის ბანკისთვის;

მე-5 ეგზემპლარი ფულის გადამხდელს უბრუნდება, როგორც ოპერაციის შესრულებაზე ბანკის დასტური;

განაცხადების მე-2, მე-3 და მე-4 ეგზემპლარები საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრის გავლით მიდის მიმწოდებლის ბანკში, სადაც:

მე-2 ეგზემპლარს, რომელზეც გადამხდელის ბანკის თანამდებობის პირთა ხელმოწერები და ბეჭედია დასმული, იყენებენ საბსრების დეპონირებისთვის ანგარიშზე „აკრედიტივები“;

მე-3 ეგზემპლარს მიმწოდებელს აბარებენ და იგი საქონლის გადატვირთვის საფუძველია;

მე-4 ეგზემპლარს იყენებენ როგორც მოცემულ აკრედიტივზე მიმწოდებლის პირად ანგარიშს.

აკრედიტივით საბსრების მისაღებად მიმწოდებელი საქონლის გადატვირთვის შემდეგ თავის ბანკში წარადგენს ამ საქონელზე შედგენილ სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტებს და ანგარიშ-ფაქტურების რეესტრს. მათ საფუძველზე შემსრულებელი ბანკი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ აკრედიტივის პირობების შესრულებას და დოკუმენტების გადაფორმების სისწორეს და მხოლოდ ამის შემდეგ ახდენს აკრედიტივის მიხედვით განაღდებას.


მიმწოდებლის ბანკში აკრედიტივის დახურვა ხდება:

1) აკრედიტივის ვადის გასვლის გამო;

2) ვადის გასვლამდე მიმწოდებლის მიერ გამოთქმული უარის გამო აკრედიტივის შემდგომ გამოყენებაზე;

3) მყიდველის მიერ აკრედიტივის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოწვევის გამო. აკრედიტივს ხურავენ ან ამცირებენ ემიტენტი ბანკიდან შეტყობინების შემოსვლის დღეს.

აკრედიტივის გამოუყენებელი თანხა უბრუნდება ფულის გადამხდელის ბანკს იმ ანგარიშზე მის ჩასარიცხავად, რომლიდანაც სახსრები იყო დეპონირებული.



1 – განცხადება აკრედიტივის გახსნის შესახებ;

2 – ფულის გადამხდელის ბანკში გახსნილი აკრედიტივის აღრიცხვა, დოკუმენტების გადაცემა გამოთელით ცენტრში მიმწოდებლის ბანკში ფულის გადასაგზავნად;

3 – გამოთელით ცენტრში გავლილი დოკუმენტების გაფორმება და მათი გადაცემა საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრში;

4 – საკრედიტო აეიზოს გაფორმება და მისი გაგზავნა ფულის გადამხდელის განცხადებებთან ერთად (მეორე, მესამე და მეოთხე ეგზემპლარები) საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრში (B ფილიალი);

5 – საკრედიტო ავიზოს გაგზავნა საანგარიშსწორებო სალაროს ცენტრში (A ფილიალი) და იმავდროულად სახსრების ჩარიცხვა მიმწოდებლის ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე;

დოკუმენტების დამუშავება მიმწოდებლის ბანკში

6 – სასხრების დაჯავშნა ცალკე ანგარიშზე „აკრედიტივები“ მიმწოდებელთან ანგარიშსწორებისთვის;

7 – შეკუმშების გაგზავნა მიმწოდებლისათვის მის სახელზე აკრედიტივის გახსნის შესახებ (ფულის გადამხდელის ბესამე ეგზემპლარის გადაცემა);

8 – საქონლის გადატვირთვა მყიდველისთვის;

9 – ანგარიშების რეესტრების, სატრანსპორტო და იმ სხვა დოკუმენტების გადაცემა გადასახდელის მისაღებად, რომლებიც საქონლის გადატვირთვას ადასტურებენ;

10 – სახსრების ჩარიცხვა მიმწოდებლის ანგარიშზე;

11 – რეესტრის გაგზავნა ანგარიშ-ფაქტურებთან და გადატვირთვის დოკუმენტებთან ერთად;

12 – არასაბალანსო ანგარიშის „გასანაღდებელი აკრედიტივების“ გახარჯვა;

13 – რეესტრების, ანგარიშ-ფაქტურების და სატრანსპორტო დოკუმენტების გადაცემა მყიდველისთვის (ფულის გაღაიხდელისთვის).

ნახ. 20.5. დოკუმენტბრუნვის სქემა აკრედიტივით ანგარიშსწორების დროს.

20.5.5. თამასუქებით ანგარიშსწორება

თამასუქებით ანგარიშსწორება გულისხმობს საქონლის მიმწოდებელსა და ფულის გადამხდელს შორის ანგარიშსწორებას გადახდის გადაედებით (კომერციული კრედიტი) სპეციალური დოკუმენტის – თამასუქის საფუძველზე.

თამასუქი კანონით მკაცრად დადგენილი ფორმის მქონე წერილობითი სავალო ვალდებულებაა, რომელიც მის მფლობელს (თამასუქის პატრონს) აძლევს უცილობელ უფლებას, ვადის დადგომისთანავე მოსთხოვოს მოვალეს თამასუქში აღნიშნული თანხის გადახდა. კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს თამასუქის ორ ძირითად ფორმას– მარტივს და გადასარებელს.

მარტივი თამასუქი (სოლო–თამასუქი) ისეთი წერილობითი დოკუმენტია, რომელშიც მოცემულია თამასუქის გამცემის (მოვალის) უპირალო და ჯეელგვარ პირობას მოკლებული ვალდებულება, გარკვეულ ვადაში და გარკვეულ დროს გადაუხადოს ფულის გარკვეული თანხა სახსრების მიმღებს.

გადასაყვანი თამასუქი (ტრატა) ისეთი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს თამასუქის გამცემის (კრედიტორის) უპირობო ბრძანებას გადამხდელის მიმართ, რომ მან თამასუქში ნაჩვენები თანხა გადაუხადოს მესამე პირს ანუ რემიტენტს.

უპირალო თამასუქისგან განსხვავებით გადასაყვან თამასუქში მონაწილეობს არა ორი, არამედ მინიმუმ სამი პირი:

თამასუქის გამცემი (ტრასანტი);

ფულის გადამხდელი (ტრასანტი), რომლისკენაც ბრძანებაა მიმართული, თამასუქის შესაბამისად განახორციელოს ფულის გადახდა;

თამასუქის პატრონი (რემიტენტი) – თამასუქის მეშვეობით ფულის მიმღები.

გადასაპირებელი თამასუქი აუცილებლად აქცეპტირებული უნდა იყოს გადამხდელის (ტრასანტის) მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ იძენს იგი შესასრულებელი დოკუმენტის ძალას. გადასაპირებელი თამასუქის აქცეპტანტი, ისე როგორც მარტივი თამასუქის გამცემი, მთავარი მოვალეა და მას ეკისრება დადგენილ დროში თამასუქის განაღდების პასუხისმგებლობა. აქცეპტი აღინიშნება თამასუქის წინა მხარის მარცხენა ნაწილში და გამოიხატება სიტყვებით „აქცეპტებულია, მიღებულია, გადაიხდი" და ა.შ., რასაც აუცილებლად მოსდევს გადამხდელის ხელმოწერა.

თამასუქი მკაცრი დოკუმენტია, რომელიც ყველა აუცილებელი რეკვიზიტის ჩამონათვალს უნდა მოიცავდეს. თუნდაც ერთ-ერთი მათგანის ლება იურიდიულ ძალას აცლის თამასუქს.

თამასუქის აუცილებელი რეკვიზიტებია: თამასუქის ნიშანი, ეი. დოკუმენტზე დასმული აღნიშვნა „თამასუქი", რომელიც იმავე ენაზეა, რომელზეც დოკუმენტია დაწერილი; თამასუქის შედგენის დრო და ადგილი; დაპირება გარკვეული ფულადი თანხის გადახდის თაობაზე; ფულის თანხა სიტყვებითა და ციფრებით, რომელიც არ შეიძლება ჩასწორებული იყოს; გადახდის ვადა და ადგილი; ვინაობა იმისა, ვისაც უნდა გადაუხადონ ან ვისი ბრძანებითაც უნდა გადაიხადონ გადასახდელი; თამასუქის გამცემის ხელმოწერა.

მარტივი თამასუქისგან განსხვავებით. სადაც ფულის გადამხდელი თამასუქის გამცემია, გადასაპირებელ თამასუქში ფულის გადამხდელად გვევლინება განსაკუთრებული პირი – ტრასანტი. მისი დასახელება გადასაპირებელი თამასუქისკენ ერთი აუცილებელი რეკვიზიტია. ჩვეულებრივ, ფულის გადამხდელის (ტრასანტის) ვინაობას აღნიშნავენ თამასუქის წინა მხარის მარცხენა ქვედა კუთხეში. უპირალო თამასუქში მოყვანილი სიტყვების „ვალდებულებას ვკისრულობ გადაიხდი" ნაცვლად გადასაყვან თამასუქში წერენ გადახდის შესახებ ბრძანებას: „გაანაღდეთ" , „გადაიხადეთ".

თამასუქების შესახებ არსებული დებულება ითვალისწინებს, რომ ფულის გადამხდელის მიერ აქცეპტებული თამასუქის მიხედვით ფულის გადახდა შეიძლება დამატებით იყოს გარანტირებული თაედებობის (ავალის) გაცემით.

ავალი ფორმდება სპეციალური ხელმოწერით, რომელიც კეთდება ან თამასუქის წინა მხარეზე

ან თანდართულ დამატებით ფურცელზე (ალონჟზე). ავალში მიუთითებენ, თუ ვის მაგივრად გასცემს ბანკი გარანტიას. აგრეთვე, გაცემის დროს და ადგილს და სვამენ ბანკის ორი პირველი თანამდებობის პირის ხელმოწერას და ბეჭედს. ბანკის მიერ ავალირებულ თამასუქებს იღებენ არასაბალანსო ანგარიშზე „ბანკის მიერ გარემოცული გარანტიები და თავდებობები".

თამასუქების ავალირება ამაღლებს მათ საიმედოობას და ხელს უწყობს თამასუქების მიმოქცევის განვითარებას. კანონმდებლობა ითვალისწინებს თამასუქის, როგორც ფულის გადახდის იარაღის ხელიდან ხელში გადაცემის შესაძლებლობას, გაკეთებული მინაწერის — ინდოსამენტის მეშვეობით. ამ დროს თამასუქთან ერთად სხვა პირს იმის უფლებაც გადაეცემა, რომ მან მიიღოს ამ თამასუქის მიხედვით გადახდილი თანხა. თამასუქის პატრონი მის უკანა გვერდზე ან ალონჟზე აწერს სიტყვებს: „გადაუხადეთ ბრძანებას" ან „გადაიხადეთ (ჩვენს) ნაცვლად" და მიუთითებს, თუ ვისზე გადადის გადახდა.

ინდოსამენტის შესაბამისად თამასუქის გადამცემ პირს ინდოსანტს უწოდებენ, მის მიმღებ პირს კი — ინდოსატს. ინდოსატზე გადადის თამასუქთან დაკავშირებული ყველა უფლება და მოვალეობა. კანონი ითვალისწინებს, რომ ყველა გადახაზული ინდოსამენტი იგივეა, რაც წაუწერელი და მას იურიდიული ძალა არ გააჩნია. გადასაპირებელი წარწერით გაფორმებულ თამასუქში მონაწილე ყველა პირს სოლიდური პასუხისმგებლობა აკისრია ფულის გადახდაზე.

თამასუქზე გაკეთებული ყველა გადასაყვანი მინაწერი, მისი აქცეპტი და ავალი ფულის გადახდის დადგენილი ვადის ფარგლებში უნდა იყოს გაფორმებული. გადახდის ვადა თამასუქის აუცილებელი რეკვიზიტია და თუ იგი აკლია, თამასუქი ბათილი ხდება. არსებობს თამასუქის მიხედვით ფულის გადახდის ვადის დადგენის ოთხი ხერხი:

1) თამასუქის განაღდება მოცემულ კონკრეტულ დღეს;

2) თამასუქის განაღდება მისი წარდგენის დღეს (მაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში თამასუქის გამოწერის დღიდან);

3) თამასუქის განაღდება მისი გამოწერიდან მოცემულ გარკვეულ დროში;


4) თამასუქის განაღდება მისი წარდგენიდან გარკვეულ დროში.

კანონმდებლობა ითვალისწინებს თამასუქების ინკასირებას ბანკების მიერ, ე.ი. ასრულებენ თამასუქის მფლობელთა დავალებას თამასუქით გადასახდელის მიღებაზე გარკვეულ დროში. ინკასირებისთვის ბანკში გადაცემულ თამასუქს მისი მფლობელი ბანკის სახელზე უკეთებს დავალებისწინა მინაწერს „გადასახდელის მიბაღებად" ან „ინკასოზე". თამასუქის ინკასირებით ბანკი პასუხისმგებლობას იღებს მის დროულად წარდგენაზე გადამხდელისთვის და ამ თამასუქით კუთვნილი გადასახდელის მიღებაზე. ინკასოზე თამასუქის მიღების შემდეგ ბანკი ვალდებულია თავისდროულად გადაგზავნოს იგი გადახდის ადგილას მოთავსებულ ბანკის დაწესებულებაში და უწყებით აცნობოს გადამხდელს ინკასოზე დოკუმენტის შემოსვლა. გადასახდელის შემოსვლისთანავე ბანკი კლიენტის ანგარიშზე რიცხავს მას და ატყობინებს დავალების შესრულებას.

თამასუქის ინკასირების დავალების შესრულებისთვის ბანკი კლიენტისაგან საკომისიო გასამრჯელოს იღებს ამოღებული თანხის პროცენტის სახით. გარდა ამისა, ბანკი კლიენტს ახდევინებს დოკუმენტების გაგზავნა-მიღებასთან და თამასუქის გაპროტესტებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. გაპროტესტება იმ შემთხვევაში ხდება, თუ ფულის გადამხდელი თანახმა არაა მოცემული თამასუქის შესაბამისად გადაიხადოს ფული ან თუ იგი გადახდისუუნაროა.

თამასუქების პროტესტი სანოტარო კანტორის საჯარო აქტია, რომელიც ოფიციალურად აფიქსირებს თამასუქის განაღდებაზე უარს. კანონმდებლობა ითვალისწინებს თამასუქის წარდგენას სანოტარო კანტორაში გასაპროტესტებლად გადახდის ვადის ამოწურვის მეორე დღის 12 საათამდე. ის ბანკი, რომელიც არ ასრულებს კლიენტის დავალებას თამასუქის ინკასირებაზე, პასუხისმგებელია მის თავისდროულად გაპროტესტებაზე.

დადგენილ ვადაში გაუნაღდებელი თამასუქი სანოტარო კანტორას წარედგინება ნუსხით,



1 – გამყიდველმა წარუდგინა საქონელი;
2 – მყიდველმა თავის ბანკში თამასუქს გაუკეთა აქცეპტი;
3 – მყიდველმა თამასუქი გადასცა გამყიდველს;
4 – გამყიდველმა წარადგინა თამასუქი აღრიცხვისათვის;
5 – ბანკმა გაითვალისწინა გამყიდველის თამასუქი;
6 – გამყიდველის ბანკმა წარადგინა თამასუქი დადგენილ ვადაში გასანაღდებლად;
7 – მყიდველის ბანკმა გაანაღდა თამასუქი.

ნახ. 20.6. გადასაირებელი თამასუქის მეშვეობით ანგარიშსწორების სისტემა

რომელიც შემდეგ მონაცემებს მოიცავს:

- იმ თამასუქის გამცემის ზუსტი ვინაობა და მისამართი, ვისი თამასუქიც უნდა გაპროტესტდეს;
- გადახდის ვადა თამასუქის მიხედვით;
- გადასახდელი ფულის თანხა;
- თამასუქის ყველა ინდოსანტის ზუსტი დასახელება და მისამართები;
- პროტესტის მიზეზი;
- იმ ბანკის დასახელება, ვისი სახელითაც კეთდება პროტესტი.

გასაპროტესტებელი თამასუქის დღეს სანოტარო კანტორა გადახდის მოთხოვნით წარუდგენს მას ფულის გადამხდელს. თუ გადამხდელმა დაწესებულ ვადაში განახორციელა გადახდა, მაშინ ამ თამასუქს უბრუნებენ გადამხდელს წარწერით გადასახდელის მიღების შესახებ; თუ სანოტარო კანტორის მოთხოვნას ფულის გადახდის შესახებ გადამხდელი უარით პასუხობს, მაშინ ნოტარიუსი ადგენს აქტს გადაუხდელობაში თამასუქის პროტესტის შესახებ. ამის პარალელურად სპეციალურ რეესტრში მას შეაქვს ყველა მონაცემი გაპროტესტებული თამასუქის ირგვლივ, საკუთარ თამასუქის წინა მხარეს კი აღნიშნავს აკეთებს პროტესტის შესახებ (სიტყვა „გაპროტესტებულია“, თარიღი, ხელმოწერა და ბეჭედი).

პროტესტის პროცედურის შესრულების შემდეგ თამასუქი ბანკის მეშვეობით უბრუნდება თამასუქის პატრონს, რომელსაც უფლება ეძლევა სასამართლო წესით ამოიღოს გადასახდელი თანხა. თანაც, თუ თამასუქზე ინდოსამენტები იყო გაკეთებული, თამასუქის ბოლო მფლობელს, რომელმაც თანხა ვერ მიიღო, შეუძლია სარჩელი აღძრას ნებისმიერი ინდოსანტის წინააღმდეგ. ამისთვის დაწესებულია ხანდაზმულობის ვადები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება თამასუქის ყოველი მონაწილის პასუხისმგებლობის ხასიათზე დამოკიდებულებით და 6 თვიდან 3 წლამდე მერყეობს.

ბანკის მიერ თამასუქების ინკასირების ოპერაციები მოიცავდა როგორც კლიენტებისთვის, ისე თვითონ ბანკისათვის. მაგალითად, კლიენტი თავისუფლდება ვადებზე თვალყურის დევნებისგან, ბისთვის გადასახდელ თანხებს კი იგი უფრო სწრაფად, იაფად და საიმედოდ იღებს.

ბანკისთვის თამასუქების ინკასირება მოგების მიღების ერთ-ერთი წყაროა. გარდა ამისა, ინკასოს ოპერაციების შესრულების პროცესში კომერციული ბანკის კორესპონდენტო ანგარიშზე თავს იყრის მნიშვნელოვანი სახსრები, რომელთა გამოყენებაც მას შეუძლია თავის საქმიანობაში.

20.5.6. თამასუქების დომიცილაცია

თამასუქებით ანგარიშსწორების დროს გარდა თამასუქის მფლობელისა, რომელიც მის ინკასირებას ახდენს, დომიცილანტის როლში შესაძლოა მონაწილეობდეს ფულის გადამხდელის ბანკიც, ანუ მას შეუძლია შეასრულოს თავისი კლიენტის (გადამხდელის) გაჟალება თამასუქის შესაბამისად გადასახდელის თავისდროულად განხორციელებაზე. დომიცილებული თამასუქის ნიშანია გადამხდელის ხელმოწერის ქვეშ მოთავსებული სიტყვები „გადახდა ბანკში".

ეს ოპერაცია მომგებიანია ბანკისათვის, რადგანაც ამისთვის იგი საკომისიოს იღებს და, თანაც, თუ გადახდა არ შედგება, იგი როგორც დომიცილანტი არავითარ პასუხს არ აგებს. კლიენტი-გადამხდელი თვითონაა ვალდებული გადახდის ვადის მოსვლისას ან თვითონ უზრუნველყოს ბანკში თავის ანგარიშზე აუცილებელი ფულადი სახსრების შემოსვლა, ან წინასწარ დაჯავშნოს გადასახდელის თანხა ცალკე ანგარიშზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უარს ამბობს გადახდაზე და თამასუქი ჩვეულებრივი წესით პროტესტდება თამასუქის გამცემის წინააღმდეგ.

თანამედროვე საბანკო პრაქტიკაში გამოჩნდა თამასუქის ახალი სახეობა — ბანკის თამასუქი. ესაა თამასუქი ემიტენტი ბანკის ცალმხრივი, არაფორმით განპირობებული ვალდებულება იმაზე, რომ დადგენილ ვადაში ფულის გარკვეული თანხა გადაუხადოს თამასუქში აღნიშნულ პირს ან მის ბრძანებას. მოქმედი კანონმდებლობა ბანკების მიერ თამასუქების გამოშვების შემთხვევისათვის არ ითვალისწინებს რაიმე განსაკუთრებულ წესებს ან გამონაკლისს. ასეთი თამასუქების სამართლებრივი რეჟიმი ემთხვევა ყველა სხვა ემიტენტის თამასუქებისთვის არსებულ საერთო რეჟიმს. ეს განაპირობებს კონკრეტული საბანკო თამასუქის გამოშვებისა და მიმოქცევის ორ მთავარ თვისებას: როგორც ერთეული ეგზემპლარების, ისე სერიების გამოშვების შესაძლებლობას, აგრეთვე. ბანკების მიერ საკუთარი თამასუქების გამოშვებისა და ბრუნვის ისეთი წესების დამოუკიდებლად დადგენის შესაძლებლობას, რომლებიც წესდებას არ ეწინააღმდეგება.

ბანკის თამასუქების შეძენა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ, უპირველეს ყოვლისა, შემოსავლის მიღების მიზნით. ამ დროს შემოსავალს ანგარიშობენ როგორც სხვაობას თამასუქის დაფარვის ფასსა (რომელიც თამასუქის ნომინალის ტოლია) და მისი შეძენის ფასს შორის (რომელიც ნომინალზე ნაკლებია). ეს სხვაობა — დისკონტი— არსებითად ის შემოსავალია, რომელიც გამოითვლება საბანკო პროცენტის მიმდინარე დეპოზიტური განაკვეთის საჟუძველზე. ეს მეტყველებს ბანკის თამასუქის დეპოზიტურ ბუნებაზე და დეპოზიტურ სერთიფიკატს ამსგავსებს მას. თუმცა, ამ სერთიფიკატისგან განსხვავებით ბანკის სერთიფიკატის გამოყენება მის მფლობელს შეუძლია არამარტო დაგროვების საშუალებად, არამედ შეძენისა და გადახდის საშუალებადაც. თამასუქის მეშვეობით მის მფლობელს შეუძლია გაისტუმროს საქონელი და მომსახურება. ამისათვის იგი თამასუქს ინდოსამენტით გადასცემს ახალ მფლობელს, რომელზეც კანონით გადადის თამასუქიდან გამომდინარე ყველა უფლება.

ბანკის თამასუქის ინდოსამენტი, როგორც წესი, ითვალისწინებს თამასუქთან დაკავშირებული უფლებების თავისუფლად გადასვლას იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის. ინდოსამენტს, რომელშიც ფიზიკური პირები მონაწილეობენ ამოწმებს ბანკი ან სახელმწიფო ნოტარიატის ორგანოები.

ამგვარად, ბანკის თამასუქს ვადიანი ვალდებულების იურიდიული ძალა აქვს. აქედან გამომდინარე ყველა უფლებით, რითაც იგი გადახდების განხორციელებისა და მეურნეობის საგადამხდელო ბრუნვის ნაწილს მომსახურების მოქნილი და ელასტიკური ინსტრუმენტი ხდება.

20.6. სალაროს ოპერაციები

ამჟამად ფულის მიმოქცევის ერთ-ერთი თავისებურებაა მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის მაღალი დონე. ნაღდი ფულის მიმოქცევის გაუართოების მიზეზად ასახელებენ ეკონომიკურ კრიზისს, არგადახდევინების კრიზისს, ანგარიშსწორებათა შენელებას, ანგარიშსწორებების გატანას ã „÷¸ðíûé íàë". არსებითი ფაქტორების რიგშია ისეთი საგადამხდელო ინსტრუმენტების ფართოდ გამოყენების ტრადიციების უქონლობა, როგორიცაა ჩეკები და პლასტიკური ბარათები, აგრეთვე, მოსახლეობის დაბალი შემოსავლები. ნაღდი ფულის მიმოქცევის სფეროს დიდი მოცულობა განსაზღვრავს, ერთის მხრივ კომერციული ბანკების მიერ შესრულებული სალაროს ოპერაციების უზარმაზარ მოცულობას, მეორეს მხრივ კი, ცენტრალური ბანკის განსაკუთრებულ როლს ფულის მიმოქცევის ასეთი სფეროს რეგულირებაში. მაგალითად, ცენტრალურ ბანკს ეკისრება მთელი რიგი ვალდებულებები. ესენია:

- ეროვნულ მეურნეობაში სალაროს ოპერაციების წარმოების წესის განსაზღვრა;
- ბანკნოტებისა და ლიმონის მონეტების სარეზერვო ფონდების შექმნა;
- ფულის ნიშნების გადახდისუნარიანობის ნიშან-თვისებების დადგენა, დაზიანებული და მოძველებული ბანკნოტების შეცვლისა და განადგურების წესის განსაზღვრა.

კომერციული ბანკის წარმატებით საქმიანობის მნიშვნელოვანი მარეგულირებელია კლიენტების შეუფერხებელი სალაროს მომსახურება. ამასთან, საწარმოებსა და ორგანიზაციებზე ნაღდი ფულის გაცემა კომერციული ბანკების უმნიშვნელოვანეს მოვალეობად გვევლინება.

ამგვარად, სალაროს ოპერაციად მიჩნეულია ბანკის ისეთი საქმიანობა, რომელიც ნაღდი ფულის ინკასაციას, შენახვასა და გაცემას უკავშირდება.

კლიენტების სალაროს მომსახურების გაწევისას კომერციული ბანკები ხელმძღვანელობენ კანონით „ბანკებსა და საბანკო საქმიანობის შესახებ" და სალაროს ოპერაციების წარმოების წესით, რომელიც ცენტრალური ბანკის მიერაა დამტკიცებული.

საწარმოები ნაღდ ფულთან დაკავშირებულ ოპერაციებს ახორციელებენ „ეროვნულ მეურნეობაში სალაროს ოპერაციების წარმოების წესის" შესაბამისად. იგი ითვალისწინებს, რომ საწარმოებს სალაროში შეუძლიათ პქონდეთ ნაღდი ფული იმ ლიმიტის ფარგლებში, რომელსაც ბანკი აწესებს საწარმოს ხელმძღვანელებთან შეთანხმებით. საწარმო ვალდებულია დაწესებული ლიმიტის ზემოთ არსებული ნაღდი ფული ბანკში შეიტანოს მის მომსახურე ბანკთან შეთანხმებული წესით და ვადებში. საწარმოს სალაროში ნაღდი ფულის ნაშთის ლიმიტს ადგენენ საწარმოს საქმიანობის თავისებურებებიდან და მოგების ინკასაციის პირობებიდან გამომდინარე.

ნაღდი ფულის ჩაბარება საწარმოებს შეუძლიათ:

- ბანკების დღისა და საღამოს სალაროებში;
- საწარმოებში არსებულ გაერთიანებულ სალაროებში, შემდგომ ბანკში მისი შეტანის მიზნით;
- ინკასატორებისთვის;

კავშირგაბმულობის საწარმოებისთვის, ბანკების ანგარიშებზე მისი გადარიცხვის მიზნით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

დადგენილი ლიმიტის თანხის ზევით ფულის შენახვა საწარმოს სალაროს შეუძლია სამი დღის განმავლობაში, ბანკში ფულის მიღების დღის ჩათვლით. ნორმები არ უწესდებათ მხოლოდ იმ სამეურნეო ორგანოებს, რომლებსაც მუდმივი ფულადი მოგება აქვთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვისგან, მოსახლეობისთვის საქონლის შეძენიდან და სხვა ამგვარი ხარჯებიდან. ამ დროს აკრძალულია ნაღდი ფულის გაბარჯება სხვა საწარმოს საჭიროებისათვის ან მისი სესხად გაცემა.

ბანკის დაწესებულებებში არსებული მთელი ნაღდი ფული ნაწილდება სარეზერვო ფონდებში და საბრუნავ სალაროში. სარეზერვო ფონდების ფული ითვლება მიმოქცევაში ჯერ კიდევ გაუშვებლად ან მიმოქცევიდან ამოღებულად. ამიტომ პოქმედი წესების თანახმად, მათი გამოყენება

შესაძლებელია მხოლოდ ცენტრალური ბანკის ნებართვით. საბრუნავ სალაროში მყოფი ნაღდი ფული ითვლება მიმოქცევაში გაშვებულ ფულად და მათ გაცემას დამატებითი ნებართვა არ სჭირდება.

ნაღდი ფულით გადახდების განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში (ხელფასების გაცემა და სხვა გადასახადები) საწარმოები ნაღდ ფულს იღებენ ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნის ადგილას მყოფ ბანკში. ნაღდი ფულის გაცემისას იცავენ შემდეგ პირობებს:

- ანგარიშსწორების ანგარიშზე სახსრების არსებობა, თუ კი სახსრებზე წარმოქმნილი მოთხოვნა, დადგენილი წესების თანასმად, ნაღდი ფულით უნდა კმაყოფილდებოდეს (სახსრების გაცემა შრომის ანაზღაურებლად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესასყიდლად, მივლინების და სამეურნეო ხარჯები);

სახსრების გაცემის ვადების დადგომა.

ფულის მიღებისა და გაცემის მიზნით ყველა კომერციულ ბანკში იქმნება სალაროს ოპერაციების განყოფილება, რომელშიც შეიძლება იყოს შემოსაელის, გასაელის, შემოსაველ-გასაელის და საღამოს სალაროები, ფულის დამზურდავებელი სალაროები, სალაროები ფულადი მოგების გადასაანგარიშებლად და ა.შ. მოგების გადაანგარიშების სალარო იმ ბანკებში იქმნება, რომლებშიც მოგება ინკასაციის დაწესებულებების მეშვეობით შემოდის. საღამოს სალაროები ფულის მიღებას მხოლოდ საღამოობით ასრულებენ.

ბანკები ნაღდ ფულს იღებენ ინკასატორებისგან და კლიენტების პირადად გამოცხადების შემთხვევაში.

ბანკში შემოსული ყველა ნაღდი ფულის შემოსავალში აღების და გასაელის ოპერაციების შესრულების მიზნით ბანკებს შექმნილი აქვთ საბრუნავი სალარო. საოპერაციო დღის დასრულებამდე შემოსული ყველა ნაღდი ფული საბრუნავმა სალარომ აუცილებლად უნდა აიღოს შემოსავალში და იმავე სამუშაო დღეს ჩარიცხოს შესაბამის ანგარიშებზე. საწარმოებისთვის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისთვის ნაღდი ფულის გაცემაც საბრუნაი სალაროდან ხდება. კომერციული ბანკის ამოცანაა უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი ნაღდი ფულით თავისი კლიენტების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

რადგანაც ნაღდი ფულის გამოშვებისა და ამოღების განსაკუთრებული უფლება ცენტრალურ ბანკს აქვს მინიჭებული, იგი სალაროს მუშაობის შესასებ ინსტრუქციის შესაბამისად თავის დაწესებულებებში აწყობს კომერციული ბანკების სალაროს მომსახურებას, რაც მისი საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრების მეშვეობით ტარდება.

ყოველ კომერციულ ბანკს საკორესპონდენტო ანგარიში აქვს გახსნილი ცენტრალური ბანკის ერთ-ერთ დაწესებულებაში საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრში. ნაღდი ფულის მიღებისას კომერციულ ბანკზე გაცემული ნაღდი ფულის თანხები ჩამოიწერება მისი საკორესპონდენტო ანგარიშიდან ბანკის მიერ გაფორმებული საგადასახადო დავალების ან ფულადი ჩეკის საფუძველზე. თუ კომერციული ბანკი ფულს საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრში აბარებს, მაშინ ფული ჩის საკორესპონდენტო ანგარიშზე ჩაირიცხება.

ბანკების სალაროს მომსახურებას საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრი აწყობს კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი წინასწარი განაცხადის შესაბამისად. წინასწარი განაცხადის შესადგენად კომერციული ბანკი ვალდებულია იცოდეს თავისი კლიენტურის მოსალოდნელი ფულის ბრუნვა კვარტალის განმავლობაში. ამ ინფორმაციას ისინი იღებენ კლიენტების იმ განაცხადებიდან, სადაც მოყვანილია ნაღდ ფულზე კვარტალში მოსალოდნელი საჭიროება და კომერციული ბანკის სალაროებში ჩაბარებული თანხა. საკომისიო-სალაროს საქმიანობის ასეთი პროგნოზების შესადგენად კომერციული ბანკები ატარებენ ფულის მიმოქცევის, ფულის მოსალოდნელი შემოსაელისა და გაცემის საგანგებო კვლევას ბანკის თითოეული კლიენტის საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით.

თავისი საოპერაციო სალაროების განმტკიცებაზე განაცხადი კომერციულ ბანკს შეაქვს ასეთი მოთხოვნილებების წარმოშობამდე არაუგვიანეს ხუთი დღით ადრე. განცხადების თავისდროულად წარდგენის მიზნით კომერციულ ბანკში შეუფერხებლად უნდა იყოს მოწყობილი სალაროს მუშაობა და ფულის ბრუნვის აღრიცხვა.

კომერციული ბანკისა და საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრის ურთიერთობა სახელშეკრულებო საფუძველზე ხდება. ხელშეკრულება ითვალისწინებს იმას, რომ ყველა კომერციული ბანკი გამოიყენებს ფულადი ბილეთებისა და მონეტების დამუშავებისა და შეფუთვის, ფულის გადაცემის ერთიან წესებს და მისი მიტანის ერთიან ფორმებს. ხელშეკრულებაში კომერციული ბანკის საოპერაციო სალაროში ფულის ზღვრული ნაშთიცაა დათქმული. დადგენილ ზღვრულ ნაშთზე მეტი ფულის ნაშთი სალაროში უნდა ჩაბაროს საანგარიშსწორებო ცენტრის საბრუნავ სალაროს ან გადასცეს სხვა ისეთ კომერციულ ბანკს, რომელსაც საბრუნაო სალაროს შევსება სჭირდება.

როგორც წესი, შემოსაველის სალაროები ფულს იღებენ ნაღდი ფულის შეტანაზე განცხადების შესაბამისად, რომელიც კლიენტის მიერ შევსებული სამი კომპონენტისგან შედგება. ესენია განცხადება, ქვითარი და ორდერი. განცხადებაში მიუთითებენ სოლმე, თუ ვისგან იღებენ ფულს, რომელ ანგარიშზე ჩაირიცხება იგი, როგორია თანხა (ციფრებითა და სიტყვიერად) და შენატანის დანიშნულება. განცხადებას იყენებენ არა მარტო ანგარიშზე ფულის შეტანისას, არამედ საბანკო მომსახურების საზღაურის გადახდის დროსაც ნაღდი ფულით (ანგარიშის გახსნათვის, ჩეკის წიგნაკის გაცემისათვის და ა.შ.).

ნაღდი სახსრების გატანისას მიმდინარე ოპერაციების დროს იყენებენ ფულად ჩეკებს, რომლებსაც ბანკს წარუდგენენ ანგარიშსწორების ანგარიშიდან სახსრების მოხსნის დროს (ხელფასისათვის, დახმარებისთვის, მივლინების ხარჯებისათვის, სამეურნეო საჭიროებისთვის). ჩეკის შევსების პარალელურად მისი რეკვიზიტები გადააქვთ ყუაზე, რომელიც საწარმოს რჩება ჩეკის წიგნაკში და გასამართლებელ დოკუმენტს წარმოადგენს. სრულად და სწორად შევსების შემდეგ (თანსის მითითება, ხელმოწერებითა და ბეჭდებით დამოწმება) ჩეკები გადაეცემა სახსრების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს. ჩეკის მიღების შემდეგ ბანკი აბრუნებს საკონტროლო მარკას, რომლითაც შესაძლებელია სახსრების მიღება დანიშნულ დროს.

სალაროს მომსახურების გაუმჯობესებისა და დაჩქარების მიზნით საბანკო საქმიანობის პრაქტიკაში ნერგავენ ელექტრონული საბანკო მომსახურების სისტემებს ბანკომატებისა და პლასტიკური ბარათების გამოყენებით, რის შედეგადაც მცირდება სალაროს ოპერაციების შრომატევადობა და მაღლდება მათი საიმედოობა.

20.7. ფაქტორინგი

სიტყვა „ფაქტორინგი" (factoring)ინგლისურიდან მომდინარეობს და „შუამავალს", „აგენტს" უკავშირდება. ფაქტორინგულ ოპერაციებში სამი მხარე მონაწილეობს:


1) ფაქტორ–შუამავალი, რომელიც შესაძლოა იყოს კომერციული ბანკი ან სპეციალიზებული ფაქტორინგული კომპანია;

2) საქონლის მიმწოდებელი;

3) საქონლის მყიდველი.

ფაქტორინგი პირველყოფილისა მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების დაფინანსების სფეროს შედარებით ახალი სახეა. აღნიშნული მომსახურებით დღეს დასაქმებულია სპეციალური ფაქტორინგული ფირმები; ისინი თავის მხრივ მჭიდროდ არიან დაკავშირებული ბანკებთან ან წარმოგვიდგებიან მათ ქალიშვილ კომპანიებად. დღეს ფაქტორინგული ოპერაციები მეტად აქტუალური გახდა გადაუხდელობის პრობლემის გაწყვეტებასთან ერთად.

აღნიშნული ოპერაციის ძირითადი პრინციპი მარტივია: ფაქტორინგული ფირმა თავისი კლიენტებისაგან ყიდულობს მათ მოთხოვნას დებიტორისადმი; 2-3 დღის განმავლობაში მათ უხდის მოთხოვნილი თანხის 70-90% ავანსის სახით; დანარჩენ 10-30% კლიენტი იღებს გადამხდელი-მევალეების მიერ მოთხოვნილი თანხების მთლიანი დაფარვის შემდეგ. ცხადია, მნიშვნელოვანი საკომისიო გასამრჯელოს ფასად.



1 – ხელშეკრულების გაფორმება ფაქტორინგულ მომსახურებაზე;
2 – საქონლის მიწოდება გადახდის გადავადებაზე;
3 – გადახდის ვადამდე განაღდება (მიწოდებული საქონლის თანხის 85%-მდე) საქონლის მიწოდებისთანავე;
4 – მიწოდებული საქონლის განაღდება;
5 – დარჩენილი სახსრების გადახდა, საკომისიო გასამრჯელოს გამოკლებით.

20.7. სქემა. ფაქტორინგული მომსახურების სქემა

მსოფლიო პრაქტიკაში ფაქტორინგს უწოდებენ ფაქტორის მიერ კლიენტისთვის გაწეულ ისეთ საკომისიო-საშუამავლო მომსახურებას, რომლის განხორციელების პროცესშიც საქონლისა და მომსახურებისათვის შესრულებული ანგარიშსწორება მისი საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან არის შერწყმული.

ფაქტორინგული მომსახურების ძირითადი მიზანია თავისი კლიენტის დებიტორული ანგარიშების ინკასირება და მისი კუთვნილი გადასასდელების მიღება. ეს მომსახურება ფაქტორმა შესაძლოა კლიენტს გაუწიოს, როგორც დაფინანსების გარეშე, ისე დაფინანსებითაც.

პირველ შემთხვევაში ფაქტორინგული კომპანიის კლიენტი პროდუქციის გაგზავნის შემდეგ თავის მყიდველს ანგარიშებს წარუდგენს იმ კომპანიის შუამავლობით, რომლის ამოცანაცაა კლიენტის სასარგებლოდ მიიღოს გადასახდელი სამეურნეო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში (ჩვეულებრივ, 30-დან 120 დღემდე).

დაფინანსებასთან ერთად ანგარიშების ინკასირების შემთხვევაში ფაქტორინგული კომპანია კლიენტისგან ყიდულობს ანგარიშ-ფაქტორებს გადატვირთული საქონლის ღირებულების 80–90%-ის დაუყოვნებლივ გადახდის პირობით, ე.ი. ახდენს კლიენტის საბრუნავი კაპიტალის ავანსირებას (ანგარიშ-ფაქტურების დისკონტირებას). ღირებულების სარეზერვო 10-20%-ს კი არ უხდიან კლიენტს, არამედ ახდენენ მის დაჯავშნას ცალკე ანგარიშზე იმ შემთხვევისათვის, თუ იქნება მყიდველის პრეტენზია საქონლის ხარისხთან, ფასთან და ა.შ. დაკავშირებით. ამგვარი მომსახურების გაწევა სრულად პასუხობს მოქმედი საწარმოების მოთხოვნილებებს, რადგან ფაქტორინგი საშუალებას აძლევს მათ განვადებით გაყიდვა გადააქციონ დაუყოვნებლივ განაღდების მქონე გაყიდვად და ამ გზით დააჩქარონ თავიანთი კაპიტალის ბრუნვა.

ანგარიშ-ფაქტურების დისკონტირებისთვის ფაქტორინგული კომპანია კლიენტს ახდევინებს:

ა) საკომისიოს (ანგარიშების ინვასირებისთვის);

ბ) ფაქტორინგული კრედიტის პროცენტს. მას ახდევინებენ კრედიტის მიცემის დღიდან მყიდველის მხრიდან სახსრების შემოსვლამდე.

დაფინანსებასთან (კრედიტთან) ერთად შესრულებული ფაქტორინგი ორი სახის შეიძლება

იყოს: ღია და დახურული.

ღია ფაქტორინგი მომსახურების ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც ფულის გადამხდელმა იცის, რომ მიმწოდებელი ახდენს ანგარიშ-ფაქტურების გადათმობას ფაქტორინგული კომპანიისათვის.

დახურული ანუ კონფიდენციალური ფაქტორინგის დროს კლიენტის არცერთმა კონტრაგენტმა არაფერი იცის ფაქტორინგული კომპანიისათვის ანგარიშ-ფაქტურების დათმობაზე. ამ შემთხვევაში ფულის გადამხდელი ანგარიშსწორებას ეწევა თვითონ მომწოდებელთან, რომელიც საზღაურის მიღების შემდეგ ვალდებულია მისი შესაბამისი ნაწილი კრედიტის დასაფარავად გადაურიცხოს ფაქტორინგულ კომპანიას.

მხარეთა შეთანხმებით, მიმწოდებელსა და ფაქტორინგულ კომპანიას შორის შესაძლებელია დაფინანსებითი ფაქტორინგის შემთხვევაში გათვალისწინებული იყოს რეგრესის უფლება. ამ დროს ფაქტორინგულ კომპანიას უფლება აქვს კლიენტს უკან დაუბრუნოს მყიდველის მიერ გაუნაღდებელი ანგარიშები და მოსთხოვოს მას კრედიტის დაბრუნება. მაგრამ მსოფლიო პრაქტიკაში ამას ნაკლებად მიმართავენ და ფაქტორინგული კომპანია მთელ რისკს, როგორც წესი, თავის თავზე იღებს.

„ფაქტურების დისკონტირებასთან" ერთად ფაქტორინგულ კომპანიას შეუძლია მთელი რიგი სხვა ისეთი მომსახურების შესრულება, რომლებიც ანგარიშსწორებას და კლიენტის ძირითად სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას უკავშირდება:

დებიტორული დავალიანების მთელი საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება;

კონსულტაციების გაწევა ანგარიშსწორების წარმართვის, სამეურნეო ხელშეკრულებების გაფორმების, გადასახდელების თავისდროულად მიღების და სხვა საკითხებში;

ინფორმაციის მოპოვება და გადაცემა გასაღების ბაზრების და საქონლის ფასების შესახებ, პერსპექტიულ მყიდველთა გადახდისუნარიანობის შესახებ და ა.შ.

ამ პირობებში ფაქტორინგი იქცევა კლიენტების საფინანსო მომსახურების უნივერსალურ სისტემად (კონვერსიულ ფაქტორინგად). კლიენტი პრაქტიკულად მხოლოდ საწარმოო ფუნქციებს ინარჩუნებს. ფაქტორინგის ასეთი ფორმის დროს კლიენტს შეუძლია არსებითად შეკეცოს მოსამსახურეთა საკუთარი შტატი, რაც ამცირებს პროდუქციის წარმოებისა და გასაღების ხარჯებს. ამავე დროს, ჩნდება ფაქტორინგულ კომპანიაზე კლიენტის თითქმის მთლიანად დამოკიდებულების რისკი, რადგან ასეთი ურთიერთობები იწვევს კლიენტის საქმეებზე მთელი ინფორმაციის თავმოყრას ფაქტორის ხელში და მასზე გაელენის მოპოვებას.

ფაქტორინგულ კომპანიას და მის კლიენტს შორის ურთიერთდამოკიდებულების სამართლებრივი საფუძველია ხელშეკრულება. რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს. მასში დათქმულია, კერძოდ, ფაქტორინგის სახეობა, ფაქტორინგული კრედიტის სიდიდე და მისი საპროცენტო განაკვეთი, საკომისიო ანაზღაურების სიდიდე საკომისიო-საშუამავლო მომსახურების ყოველი სასეობის მიხედვით, ერთმანეთის წინაშე აღებულ ვალდებულებათა შესრულების გარანტიები და მატერიალური პასუხისმგებლობა მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში, დოკუმენტების გაფორმების წესი და სხვა პირობები, რასაც მხარეები საჭიროდ მიიჩნევენ.

ფაქტორულ ოპერაციებს დიდი რისკი სდევს თან. ანიტომ კლიენტებთან ხელშეკრულების დადებამდე ფაქტორულმა კომპანიამ გულდასმით უნდა შეისწავლოს მომავალი კლიენტის ფინანსური მდგომარეობა და კარგად დარწმუნდეს მის საბოლოო გადახდისუნარიანობაში. კერძოდ, მან უნდა გააანალიზოს კლიენტის ბალანსის ლიკვიდობის მაჩვენებლები, დებიტორული დავალიანების შედგენილობა და ხანგძლივობა, გაწოშვებული პროდუქტის რეალიზაციის შესაძლებლობები, გასაღების ბაზრების კონიუნქტურა. მომავალი კლიენტის პროდუქციის მყიდველთა წრე და მათი გადახდისუნარიანობა და ა.შ. ფაქტორინგული კომპანიები ამისათვის იყენებენ პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას, თავისი აგენტების მონაცემებს. ბანკების კლიენტურის გადახდის და

კრედიტუნარიანობის შესწავლის მასალებს, კლიენტის ბუღალტრულ ანგარიშგებას და სხვა ინფორმაციას. ასეთი ანალიზი ორ კვირაში უნდა ჩატარდეს. კლიენტსა და ფაქტორინგულ კომპანიას შორის ხელშეკრულების დადებაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ის მაქსიმალური თანხა, რომელიც ფაქტორინგული კრედიტის სახით შეიძლება გაიცეს, ან რასაც ინკასოზე მიღებული დოკუმენტები შეიძლება მოიცავდეს. ლიმიტის ზომის განსაზღვრისათვის კლიენტმა ფაქტორინგულ კომპანიას უნდა წარუდგინოს მყიდველებთან მის მიერ გაფორმებული სამეურნეო ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებს ფაქტორინგული მომსახურების შესახებ აფორმებენ, როგორც წესი, არანაკლებ ერთი წლით.

ამჟამად, საბანკო დაწესებულებების ფაქტორინგულ განყოფილებებს შეუძლიათ კლიენტებს შემდეგი ძირითადი სახეობის მომსახურება გაუწიონ:

— მიმწოდებელი საწარმოებისგან შეიძინონ სასაქონლო ოპერაციებისთვის ერთი კონკრეტული მყიდველისგან ან მყიდველთა ჯგუფისგან საზღაურის მიღების უფლება (ვადიანი დავალიანების შეძენა);

— მიმწოდებელი საწარმოებისგან შეიძინონ დებიტორული დავალიანება გადატვირთულ საქონელზე ან გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც დროულად არა აქვთ გასტუმრებული მყიდველებს (ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების შეძენა);

— თავიანთი კლიენტებისგან შეიძინონ თამასუქები.

ამ ძირითად მომსახურებასთან ერთად ფაქტორინგულ კომპანიას შეუძლია თავის კლიენტებს გაუწიოს ერთჯერადი ხასიათის მქონე შემდეგი დამატებითი მომსახურება:

- სამეურნეო ორგანოების მუდმივი და ერთჯერადი კონსულტირება მიმწოდებლებთან და მყიდველებთან ანგარიშსწორების ორგანიზაციის გაუმჯობესების, ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების და სხვა ეკონომიკურ საკითხებზე;
- იურიდიული მომსახურება (საქმიანი ქაღალდების და საკრედიტო საფინანსო დოკუმენტების მომზადებაში დახმარების გაწევა);
- გადატვირთული საქონლისა და დებიტორული დავალიანების აღრიცხვა კლიენტების დავალებით.

მოკლე დასკვნები

1. საანგარიშსწორებო ოპერაციები არის იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშების წარმოება და ანგარიშსწორების განხორციელება მათი დავალებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში იურიდიული პირებისთვის სავალდებულოა სახსრების შენახვა კომერციულ ბანკებში, საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურების ფუნქცია ერთ-ერთი პრიორიტეტული ფუნქციაა კომერციული ბანკის საქმიანობაში.

2. ნაღდი ფულის მიმოქცევისგან განსხვავებით უნაღდო მიმოქცევის არსი ისაა, რომ გადასახადები ხორციელდება კომერციული ბანკების დაწესებულებებში არსებული გადამხდელის ანგარიშიდან მიმღების ანგარიშზე ფულის ჩარიცხვის (გადაგზავნის) გზით. საწარმოებს შორის ანგარიშსწორება, როგორც წესი, უნაღდო წესით ხორციელდება.

ამგვარად, უნაღდო ანგარიშსწორება ისეთი ფულადი ანგარიშსწორებაა, რომლის დროსაც გადახდები ხორციელდება ნაღდი ფულის მონაწილეობის გარეშე, გადამხდელის ანგარიშიდან ფულის მიმღების ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის გზით.

3. გადასახადების განხორციელებისა და კლიენტთა საანგარიშსწორებო-საკასო მსახურებისთვის ბანკებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის დაამყარონ სახელშეკრულე-

ბო ურთიერთობები, ე.წ. საკორესპონდენტო ურთიერთობები.

საკორესპონდენტო ურთიერთობებს უწოდებენ ორ ან რამდენიმე საკრედიტო დაწესებულებას შორის აგებულ ურთიერთობებს ერთ-ერთი მათგანის მიერ გადახდებისა და ანგარიშსწორების განხორციელების დროს მეორის დაკალებითა და მისსაე ხარჯზე. ბანკებს შორის ასეთი ურთიერთობები შეიძლება ჩამოყალიბებული იყოს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. საკორესპონდენტო ურთიერთობებით ბანკები შესაძლოა დაკავშირებული იყვნენ უამრავ საკრედიტო დაწესებულებასთან.

4. კლირინგს უწოდებენ საქონლის, მომსახურებისა თუ ფასიანი ქაღალდებისთვის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემას, რომელიც ორმხრივი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ჩათვლაზეა დაფუძნებული. ბანკთაშორისი კლირინგი, თავის მხრივ, ბანკებს შორის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემაა, რომელიც იურიდიული პირების ფულადი მოთხოვნების ორმხრივი ჩათვლის საფუძველზე ხორციელდება.

5. უნაღდო ანგარიშსწორების ეკონომიკური ბაზაა მატერიალური წარმოება. ამის გამო საგადამხდელო ბრუნვის მეტი წილი (დაახლოებით სამი მეოთხედი) მოდის სასაქონლო ოპერაციებისთვის შესრულებულ ანგარიშსწორებაზე, ე.ი. გადატვირთული საქონლის, შესრულებული სამუშაოსა და გაწეული მომსახურებისთვის განხორციელებულ გადახდაზე.

საგადამხდელო ბრუნვის დარჩენილი ნაწილი (დაახლოებით ერთი მეოთხედი) არის ანგარიშსწორება არასასაქონლო ოპერაციების მიხედვით, ე.ი. საწარმოებისა და ორგანიზაციების ანგარიშსწორება ბიუჯეტთან, სახელმწიფო და სოციალური დაზღვევის ორგანოებთან, საკრედიტო დაწესებულებებთან, მართვის ორგანოებთან, სასამართლოსთან, არბიტრაჟთან და ა.შ.

6. თამასუქებით ანგარიშსწორება გულისხმობს საქონლის მიმწოდებელსა და ფულის გადამხდელს შორის ანგარიშსწორებას გადახდის გადავადებით (კომერციული კრედიტი) სპეციალური დოკუმენტის – თამასუქის საფუძველზე.

თამასუქი კანონით მკაცრად დადგენილი ფორმის მქონე წერილობითი სავალო ვალდებულებაა, რომელიც მის მფლობელს (თამასუქის პატრონს) აძლევს უცილობელ უფლებას, ვადის დადგომისთანავე მოსთხოვოს მოვალეს თამასუქში აღნიშნული თანხის გადახდა. კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს თამასუქის ორ ძირითად ფორმას– მარტივს და გადასაპირებელს.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

მიმდინარე ანგარიში იმ არაკომერციული იურიდიული პირების, წარმომადგენლობების და სტრუქტურული ქვედანაყოფების დაფინანსებისთვის გამოყენებული ანგარიშია, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან. მიმდინარე ანგარიში განკუთვნილია მისი მფლობელის მიზნობრივი დაფინანსებისთვის, ფულის შესანახად, აგრეთვე საანგარიშსწორებო ოპერაციებისთვის.

საბიუჯეტო ანგარიშები ის ანგარიშებია, რომლებსაც საწარმოებსა და ორგანიზაციებს უხსნიან ფედერალური, რეგიონული ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მათთვის ფულადი სახსრების გამოყოფის დროს გარკვეული სახეობების საქმიანობის განხორციელებისთვის. ფულადი სახსრების გამოყოფის ფორმა შესაძლოა იყოს სუბსიდიები, სუბვენციები, დოტაციები ან სახელმწიფო ასიგნაციებისა და დაფინანსების სხვა სახეობები, თუ ეს არ ხორციელდება მიმდინარე ან ანგარიშსწორების ანგარიშზე ფულის ჩარიცხვის გზით.

ანგარიშსწორების ანგარიში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ანგარიშია, რომელსაც უხსნიან კომერციული ანგარიშის პრინციპებზე მოშუშვე და იურიდიული

პირის სტატუსის მქონე საწარმოებს. ამ ანგარიშის მეშვეობით ხორციელდება ყველა ის ოპერაცია, რომლებიც საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას, მათი წარმოების უზრუნველყოფას, საწარმოო და სხვა ხარჯებს უკავშირდება.

გადახდის დავალება წარმოადგენს ანგარიშის მფლობელის წერილობით განკარგულებას ბანკისადმი მისი (საანგარიშსწორებო, მიმდინარე, საბიუჯეტო თუ სასესხო) ანგარიშიდან გარკვეული ფულადი თანხის გადარიცხვის შესახებ სხვა იურიდიული პირის ანგარიშზე, რომელიც იმავე ან სხვა ქალაქის საბანკო დაწესებულებაშია გახსნილი.

გადახდის მოთხოვნა დავალება წარმოადგენს მიმწოდებლის მოთხოვნას მყიდველის მიმართ, თანდართული სატვირთო და სასაქონლო დოკუმენტების საფუძველზე გადაუხადოს ხელშეკრულებით მიწოდებული საქონლის, გაწეული მომსახურების ან შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

ინკასო - ისეთი საბანკო ოპერაციაა, რომლის მეშვეობითაც ბანკი თავისი კლიენტის დავალებით იღებს მის კუთვნილ ფულად სახსრებს სხვა საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან საანგარიშსწორებო, სასაქონლო და ფულადი დოკუმენტების საფუძველზე. მიმწოდებლის ბანკი ინკასოთი მომსახურებას კლიენტს საკომისიო გასამრჯელოს ფასად უწევს.

ინვესტიციური და კონვერსიული ანგარიშები ისეთი ანგარიშებია, რომელთა მფლობელებიც ფედერალური ბიუჯეტის სახსრების აღმრიცხველი საწარმოებია. ამ სახსრების გაცემა ხდება კონვერსიული და საინვესტიციო პროგრამების დასაფინანსებლად, დაბრუნებისა და საზღაურის გადახდის საფუძველზე.

დადებითია აქცეპტის ისეთი ფორმა, რომლის გადამხდელი ვალდებულია გადახდის შესახებ მიმწოდებლის მოთხოვნის შემცველ თითოეულ საანგარიშსწორებო დოკუმენტზე ან წერილობითი განცხადება გააკეთოს თავის თანხმობაზე, ან უარი თქვას აქცეპტზე.

უარყოფითია აქცეპტის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც გადამხდელი წერილობით აუწყებს ბანკს მხოლოდ აქცეპტზე თავისი უარის შესახებ. თუ წინასწარ მოლაპარაკებულ ვადაში გაცხადებული არაა უარი, მაშინ ბანკი ამას მიიჩნევს გადამხდელის თანხმობად გადახდაზე.

წინასწარი აქცეპტი ნიშნავს იმას, რომ გადახდის შესახებ მიმწოდებლის მოთხოვნაზე გადამხდელი თავის თანხმობას იძლევა მისი ანგარიშიდან ფულის ჩამოწერამდე. ამ დროს საანგარიშსწორებო დოკუმენტი აქცეპტირებულად ითვლება, თუ გადამხდელმა ბანკს არ აცნობა უარის შესახებ სამი სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, საანგარიშსწორებო დოკუმენტის ბანკში შემოსვლის დღე მხედველობაში არ მიიღება. განაღდება ხდება აქცეპტის ვადის ამოწურვის მეორე დღეს.

შემდგომი აქცეპტი ითვალისწინებს საანგარიშსწორებო დოკუმენტების დაუყოვნებლივ განაღდებას ბანკის საოპერაციო დღის განმავლობაში მათი შემოსვლისთანავე. ამ დროს გადამხდელი ინარჩუნებს უფლებას აქცეპტზე შემდგომი უარი თქვას სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

ანგარიშ-ფაქტურა სავაჭრო გარიგების ამსახველი დოკუმენტი, რომელსაც გამყიდველი ადგენს და უგზავნის მყიდველს; შეიცავს საქონლის მიწოდების საბაზისო პირობებს.

აქცეპტი 1. თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე. 2. წარწერა გადასაპირებელ თამასუქზე, რომლითაც გადამხდელი ადასტურებს თავის ვალდებულებას, გაანაღდოს თამასუქი მასზე მითითებულ ვადაში. აქცეპტს აფორმებს აქცეპტანტი წარწერით „აქცეპტირებულია" და ხელის მოწერით. 3. ბანკის თანხმობა გადასაპირებელ თამასუქზე აღნიშნული თანხის გადახდის გარანტიის შესახებ.

საბანკო აქცეპტი მსხვილი ბანკების მიერ აქცეპტირებული გადასაპირებელი თამასუქი. თამასუქის აქცეპტირებისათვის ბანკი იღებს საკომისიოს.

ბენეფიციარი პირი, რომლის სასარგებლოდაც იხდიან ფულს და გასცემენ აკრედიტივს; სადაზღვევო პოლისის მიმღები.

ვარანტი საქონლის განმაწესრიგებელი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება გადაეიდეს ხელ-

იდან ხელში ინდოსამენტის მეშვეობით. მასში ფიქსირებულია წარმომდგენლის უფლებამოსილება, აწარმოოს გარიგება ან ეწეოდეს სხვა სამართლებრივ საქმიანობას მრწმუნებლის სახელით.

თამასუქი კანონით დადგენილი ფორმის წერილობითი საგადასახადო ვალდებულება, ფულადი დოკუმენტი, მსესხებლის მიერ გაცემული კრედიტორის სახელზე, რომლითაც ამ უკანასკნელს ენიჭება უფლება, მოსთხოვოს მსესხებელს თამასუქში მითითებული თანხის გადახდა განსაზღვრულ ვადაში.

თამასუქის დისკონტი - თამასუქის განაღდება ბანკებისა ან კერძო პირების მიერ მისი ვადის გასვლამდე პროცენტის გამოქვითვით.

საკორესპონდენტო ურთიერთობები გადასახადების განხორციელებისა და კლიენტთა საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურებისთვის ბანკებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის დამყარონ სახელშეკრულებო ურთიერთობები, ე.წ. საკორესპონდენტო ურთიერთობები.

ბანკთაშორისი ანგარიშსწორებები ბანკების მიერ განხორციელებული ანგარიშსწორებებია ან მათ შორის დადგენილი ურთიერთობების საფუძველზე, ან საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებაზე კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

საკორესპონდენტო ანგარიში ისეთი ანგარიშია, რომლიდანაც ანგარიშსწორებას ერთი ბანკი ახორციელებს მეორე საკრედიტო დაწესებულების დავალებით და ამავე დაწესებულების სარჯზე. საკორესპონდენტო ანგარიშს ხსნიან საკორესპონდენტო ურთიერთობების შესახებ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. ეს ანგარიშები ორგვარია: „ნოსტრო“ („თქვენთან გახსნილი ჩვენი ანგარიში“) და „ლორო“ („ჩვენთან გახსნილი თქვენი ანგარიში“). „ნოსტროს“ ტიპის ანგარიშებს რომელიმე ბანკი ხსნის კორესპონდენტ ბანკებში, „ლოროს“ ტიპის ანგარიშებს კი – მისი კორესპონდენტი ბანკების სახელზე. ეს ანგარიშები შესაძლოა გახსნილი იყოს ცალმხრივადაც და ორმხრივ საფუძველზეც. ამასთან, ერთ საკრედიტო დაწესებულებაში გახსნილი „ნოსტრო“ ანგარიში „ლორო“ ანგარიშად გვეელინება კორესპონდენტ ბანკში.

ანგარიში - განსაზღვრული ფორმით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობის ამა თუ იმ ასპექტის გამოსახატავად. მაგ. დროის გარკვეულ მონაკვეთში აქტივისა და პასივის, ან კიდევ, მათი მარაგის ცვლილებების ანგარიში შეიძლება იყოს აუდიტორული, ბუღალტრული, კაპიტალის მოძრაობის, კომერციული, მიმდინარე ოპერაციების, მოგებისა და ზარალის, საკორესპონდენტო, ფიდუციარულური და ა.შ.

აკრედიტივი 1. საბანკო ანგარიშის სახეობა, რომელიც კონტრაგენტს აძლევს შესაძლებლობას, სააკრედიტივო დავალებაში მითითებული პირობების დაცვით მიიღოს გასამრჯელო ვალდებულების შესრულებისთანავე; 2. ანგარიშსწორების ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 3. სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მოცემული პირის უფლებას, ბანკში მიიღოს აკრედიტივში მიღებული თანხა.

ბანკში აკრედიტივი მყიდველის ბანკის მიერ მიმწოდებლის ბანკისთვის მიცემული დავალებაა საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლის ფულის გადახდის თაობაზე იმ პირობებით, რომლებიც მყიდველის სააკრედიტივო განცხადებაშია გათვალისწინებული. ამ განცხადებას საქონლისა და მომსახურების მყიდველი აკეთებს მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.

კლირინგი საშინაო და საერთაშორისო უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა სავაჭრო და სხვა ოპერაციებისათვის, დაფუძნებული მოთხოვნისა და ვალდებულების ურთიერთჩათვლაზე. განსახვაებენ საბანკო და საველუტო კლირინგს. საბანკო კლირინგი გამოიყენება ქვეყნის შიგნით და წარმოადგენს ბანკებს შორის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემას. ხორციელდება საანგარიშსწორებო პალატის მეშვეობით. კლირინგს უწოდებენ საქონლის, მომსახურებისა თუ ფასიანი ქაღალდებისთვის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემას, რომელიც ორმხრივი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ჩათვლაზეა დაფუძნებული. ბანკთაშორისი კლირინგი, თავის მხრივ, ბანკებს

შორის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემაა, რომელიც იურიდიული პირების ფულადი მოთხოვნების ორმხრივი ჩათვლის საფუძველზე ხორციელდება.

უნაღდო ანგარიშსწორება ანგარიშსწორება, რომელიც ხორციელდება საკრედიტო დაწესებულებებში ანგარიშიდან ანგარიშზე გადარიცხვის გზით ან ურთიერთმოთხოვნისა და ვალდებულების ჩათვლით. გამოიყენება როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ფაქტორინგი საეჭრო-საკომისიო ოპერაციების ნაირსახეობა, შერწყმული კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან, რომლის დროსაც სპეციალიზებული კომპანია ფაქტორ-კომპანია იძენს კლიენტის დებიტორულ დავალიანებას, რათა შემდეგში გადაახდევინოს იგი მევალეს. უფრო ხშირად ფაქტორ-კომპანია იძენს კლიენტის ანგარიშ-ფაქტურას იმ პირობით, რომ მიწოდების ღირებულების 20%-მდე გადაიხადოს დაუყოვნებლივ, დარჩენილი ნაწილი (კრედიტისათვის პროცენტის გამოკლებით) - მკაცრად დადგენილ ვადაში.

თამასუქი მარტივი ვალდებულება განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ გარკვეული დროის განმავლობაში. მარტივი თამასუქი მოიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: დასახელება, მარტივ დაპირებას განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ, რაც არაფრით არ არის შეპირობებული; გადახდის ვადა; თანხის გადასახდელი ადგილი; იმ პირის დასახელება, ვისთვის ან ვისი ბრძანებითაც ხდება გადახდა; თამასუქის შედგენის თარიღი და ადგილი; თამასუქის გამცემი პირის ხელმოწერა. გადასაპირებელი თამასუქისაგან განსხვავებით, მარტივ თამასუქში არ არის მითითებული გადამხდელი. მარტივ თამასუქს გამოწერს და ხელს აწერს მევალე.

თამასუქი გადასაპირებელი (ტრატა) - ბრძანება კონკრეტული პირის (მევალის) მიმართ მესამე პირისათვის (რეციტენტისათვის) გარკვეულ დროში განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ. იგი შეიძლება გადავიდეს ხელიდან ხელში გადაცემის წარწერის მეშვეობით.

მარტივი თამასუქისგან განსხვავებით, გადასაპირებელ თამასუქში მითითებულია გადამხდელის ვინაობა. გადასაპირებელ თამასუქს გამოწერს და ხელს აწერს კრედიტორი.

ინდოსამენტი გადაცემის წარწერა, წარწერა თამასუქის, ჩეკის, კონოსამენტის და სხვა ფასიანი ქაღალდების მეორე მხარეზე, რომლითაც დასტურდება ამ დოკუმენტით განსაზღვრული უფლების გადაცემა სხვა პირისათვის (სხვაგვარად ჟირო).

ინდოსანტი პირი, რომელიც ფასიანი ქაღალდების უკანა მხარეზე აკეთებს გადაცემის აღმნიშნველ წარწერას (სხვაგვარად ჟირანტი).

ინდოსატი - პირი, რომლის სასარგებლოდაც ფასიან ქაღალდზე გაკეთებულია გადაცემის წარწერა.

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. რატომაა საანგარიშსწორებო-სალაროს ოპერაციები ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საბანკო ოპერაციებში? ვისთვისაა ეს ოპერაცია უფრო მნიშვნელოვანი: ქვეყნის ეკონომიკისთვის, ბანკის კლიენტი საწარმოებისთვის თუ კომერციული ბანკებისთვის?

2. რით განსხვავდება ანგარიშსწორების ანგარიში მიმდინარე ანგარიშისგან?

3. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ანგარიშსწორების ანგარიშის სახესხვაობები.

4. რით განსხვავდება ბიუჯეტური და მიმდინარე ანგარიშები? ბიუჯეტური და კონვერსიული ანგარიშები?

5. ჩამოთვალეთ ანგარიშის გასახსნელად აუცილებელი დოკუმენტები.

6. ჩამოთვალეთ საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებაზე დადებული ხელშეკრულების

ძირითადი დებულებები.

7. რის საფუძველზე შეუძლია ბანკს მოახდინოს ანგარიშის დახურვა?

8. რა განსხვავებაა უნაღდო ანგარიშებსა და ნაღდ ანგარიშებს შორის?

9. ჩამოთვალეთ საანგარიშსწორებო დოკუმენტების ძირითადი რეკვიზიტები.

10. რა შემთხვევაში იყენებს ბანკი კანონმდებლობას ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერის რიგითობის დადგენისას?

11. რომელ რიგში ხდება სახსრების მოხსნა იმ საგადამხდელო დოკუმენტების შესაბამისად, რომლებიც ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში ითვალისწინებს გადახდებს?

12. გაანმარტეთ ბანკთაშორისი ანგარიშების ცნება და ჩამოთვალეთ მათი სახეობები.

13. რა სახეობებად იყოფა საკორესპონდენტო ანგარიშები?

14. რით განსხვავდება „ლორო" ანგარიში „ნოსტრო" ანგარიშისგან?

15. დაახასიათეთ საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრების როლი ბანკთაშორის ანგარიშსწორებებში.

16. როგორია თქვენი აზრით ბანკთაშორისი კლირინგის მნიშვნელობა?

17. როგორ გესმით სალაროს ოპერაციები? ჩამოთვალეთ და დახასიათეთ ბანკის სალაროს სახეობები.

18. რომელი დოკუმენტის საფუძველზე იღებენ ნაღდ ფულს ბანკის შემოსავლის სალაროებში? ჩამოთვალეთ მისი ელემენტები.

19. რომელ დოკუმენტს წარუდგენენ ბანკს ნაღდი ფულის მოხსნისას?

20. რა პირობებში შეიძლება კლიენტზე ნაღდი ფულის გაცემა?

21. რა თანამედროვე ტენდენციები შეიმჩნევა სალაროს ოპერაციების განხორციელებაში?

რეკომენდებული ლიტერატურა

აბათიანი რ. ეკონომიკსი. განმარტებითი ლექსიკონი. თბ.: საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2003.

ღუდუშაური ლ. საბანკო საქმე. თბ., 1996

ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, ფინანსური ინჟინერია, კრედიტი. თბ., 1999.

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

Банковское дело. Под ред. **Г.Г. Коробовой**. М.: Экономист, 2003.

Денежные средства и расчеты: учет, анализ, аудит. Под ред. **В.А. Палко**. М. Феникс, 2002.

Долан Э. Дж., Кембелл К.Д. и др. Деньги, банковское дело и денежно-кредитная политика. М., Л., 1991.

Жарковская Е.П. Банковское дело. М.: Омега - Л, 2004.

Финансово-кредитный энциклопедический словар. Под ред. **А.Г. Грязновой**. М.: Финансы и статистика, 2004.

Тавасиев А.М. Эриашвили Н.Д. Банковское дело: М.: ЮНИТИ - ДАНА, Единство, 2004.

Пилецкий А.Н. Организация и проведение безналичных расчетов. М.: ВЗФЭЙ. 1992.

Челноков В.А. Банки и Банковские операции: Букварь кредитования. Технологии банковских ссуд. Околобанковское рыночное пространство. Учебник. М.: Высшая школа, 2004.

ოცდაექვსმეტე თავი. საბუღალტრო სამსახურის მუშაობის ორგანიზაცია ბანკებში

ტერმინები და ძირითადი ცნებები

21.1. ბუღალტრული აღრიცხვისა და სააღრიცხვო-საოპერაციო მუშაობის არსი და მნიშვნელობა ბანკებში

21.2. ბუღალტრული აღრიცხვის ამოსავალი დებულებები ბანკებში

21.3. სააღრიცხვო-საოპერაციო მუშაობის ორგანიზაციული სტრუქტურა

21.4. საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციისა და წარმართვის საერთაშორისო პრინციპები

21.5. ბანკის ბალანსის დახასიათება და მისი აგების პრინციპები

21.6. საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა

21.7. საბანკო ანგარიშგების მნიშვნელობა და სახეობები

21.8. მიმდინარე ბუღალტრული ანგარიშგება

21.9. წლიური ბუღალტრული ანგარიშგება

21.10.საგადამხდელო სისტემის და საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფისათვის საქართველოში

ბოკლე დასკვნები

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

რეკომენდირებული ლიტერატურა

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ანგარიში
ანგარიშგება
ანგარიშთა გეგმა
ანგარიშსწორების ანგარიში
ანგარიშსწორების სუბანგარიში
აქტიური ანგარიშები
აქტიურ-პასიური ანგარიში
ბალანსი
ბუღალტრული ანგარიში
ეროვნული ანგარიშები
კონტრაბალანსი
კრებსითი ბალანსი
მონიტორინგი
პასიური ანგარიშები
საბანკო კონტროლი
საკორესპონდენტო ანგარიში
საჯარო ხელშეკრულება
სტორნო
ტრანსდორტი
ყადაღა

21.1. ბუღალტრული აღრიცხვისა და საანრიცხვო-საოპერაციო მუშაობის არსი და ღნიშვნელობა ბანკებში

.თანამედროვე ბანკების მართვა ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული ინტელექტუალური სფეროა. იგი ეყრდნობა რესურსების ფორმირებისა და მათი განთავსების, მიღწეული შედეგების, სესხების გაცემაზე და სხვა საბანკო ოპერაციებზე შესაძლო დანაკარგებისას რეზერვების არსებობის შესახებ სრულ და სარწმუნო ინფორმაციას. სწორედ ამ ინფორმაციით ბანკების უზრუნველმყოფი სისტემაა ბუღალტრული აღრიცხვა. იგი იყენებს რაოდენობით ინფორმაციას, რომელიც რიცხვებით, კონკრეტული ფულადი ერთეულებითაა გამოხატული. ბუღალტრული ანგარიშგებები შესაძლოა არაფულად ინფორმაციასაც მოიცავდეს, თუკი იგი ფულადი ინფორმაციის გაგებას უწყობს ხელს.

თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ბანკები იყენებენ მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაციას კლიენტების პირად ანგარიშებზე და შიდასაბანკო ოპერაციების ანგარიშებზე არსებული სახსრების მოძრაობის შესახებ. ოპერატიული ინფორმაცია საწყისი მონაცემებით უზრუნველყოფს ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვას. ფინანსური აღრიცხვის მონაცემები განკუთვნილია სპეციალისტ-მენეჯერებისთვის და გარეშე მოსარგებლეებისთვის, მათ შორის – აქციონერებისთვის, ბანკის კლიენტების, კორესპონდენტი ბანკების, საგადასახადო ორგანოებისთვის და ა.შ. მაგალითად, ბანკის კლიენტებს ყოველდღე უნდა გადაეცემოდეთ ამონაწერები მიზნობრივი ანგარიშებიდან, ე.ი.ანგარიშსწორების და მიმდინარე პირადი ანგარიშების მერე ეგზემპლარები; კორესპონდენტ ბანკებს – საკორესპონდენტო ანგარიშებიდან გაკეთებული ამონაწერები. ბანკთაშორისი კრედიტების მიღების დროს პროთხოვენ ბანკის სრული საღრიცხვო ინფორმაციის წარდგენას მისი გადახდისუნარიანობის შესახებ.

ფინანსური აღრიცხვა ბანკებში ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთო ფუძემდებლურ წესებს, ყველა ოპერაციის ასახვას აქტიურ და პასიურ ანგარიშებში ორმაგი ჩაწერის მეთოდით, აღრიცხვის უნიფიკაციას, ე.ი. ეკონომიკურად ერთგვაროვანი ოპერაციების განხორციელებისთვის ერთი და იმავე ანგარიშების გამოყენებას ყველა ბანკის მიერ. ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების მეთოდოლოგიური ცენტრია ქვეყნის მთავარი ბანკი, რომელიც კომერციულ ბანკებს უდგენს ანგარიშთა გეგმას და მათში ოპერაციების ასახვის წესს.

ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციის გამოყენების გარდა სპეციალისტ მენეჯერებს სჭირდებათ საგანგებოდ მომზადებული მმართველური საღრიცხვო ინფორმაცია ბანკის საქმიანობის შესახებ, რომელსაც დაეგეგმვის, შესრულებისა და კონტროლის დროს იყენებენ. მაგალითად, სესხებზე შესაძლო დანაკარგების შემთხვევისთვის სარეზერვო ფონდის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა დაწვრილებითი საღრიცხვო ინფორმაციის არსებობა საკრედიტო პორტფელის სესხების კლასიფიკაციის შესახებ მათი რისკის დონის მიხედვით, აგრეთვე. სესხების უზრუნველყოფის არსებობის და მისი ხარისხის შესახებ.

ბუღალტრულ აღრიცხვას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. მისი განვითარება სახელმწიფოს საქმიანობას უკავშირდებოდა (კერძოდ, გადასახადების აკრეფას). სამრეწველო განვითარების, მსხვილი საწარმოებისა და ბანკების ჩამოყალიბების პირობებში მეპატრონეები და აქციონერები მოითხოვდნენ ანგარიშგებას თავიანთი სახსრების დაცულობისა და გამოყენების შესახებ. ამავე დროს, მმართველ-მენეჯერებსაც სჭირდებოდათ ისეთი საინფორმაციო ანგარიშგება, რომელიც ასახავდა საწარმოთა საწარმოო და ფინანსურ საქმიანობას, ამასთან დაკავშირებით კი, განვითარება იწყო მმართველობითმა აღრიცხვამ.

ბანკებში მიმდინარე აღრიცხვა მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკის სხვა დარგებში განხორციელებულ აღრიცხვას. ამას განსაზღვრავს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საანგარიშსწორებო, საკასო და საკრედიტო მოშსახურების ხაზით ბანკის მიერ გაწეული

საქმიანობა. მისი შესაბამისი ოპერაციები ბანკების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება. ბანკის ბალანსის აქტივში ასახული საბანკო ოპერაციები შეესაბამება საწარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსების პასივებს. ამავე დროს, საწარმოებისა და ორგანიზაციების ფულადი სახსრები ანგარიშსწორების, მიმდინარე და სხვა ანგარიშებზე მათ ბალანსებში აქტივით აისახება, ბანკის ბალანსში კი — პასივით.

ბანკის ბუღალტრულ აღრიცხვას ახასიათებს ოპერატიულობა და აგების ერთიანი ფორმა. ეს იმაში ვლინდება, რომ ყველა საანგარიშსწორებო, საკრედიტო და სხვა ოპერაცია, რომლებიც ბანკში საოპერაციო დროის ' განმავლობაში სრულდება, იმავე დღეს აისახება კლიენტების ანალიტიკური ბუღალტრული აღრიცხვის პირად ანგარიშებში და კონტროლდება ბანკის დაწესებულების ყოველდღიური ბუღალტრული ბალანსის შედგენის გზით. ყველა ბანკისათვის ერთიანი აღრიცხვის ფორმა ქმნის ბანკის საქმიანობის ანალიზის შესაძლებლობას. (საოპერაციო უწოდებენ საბანკო ოპერაციისთვის გამოყოფილ დროს. როგორც წესი, იგი 3,5-4 სთის ტოლია).

საბანკო აღრიცხვის სიზუსტე და ოპერატიულობა ფულადი სახსრების დაცულობის, ფულის მიმოქცევის საანგარიშსწორებო და საკრედიტო ურთიერთობების კონტროლის განხორციელების პირობაა.

ბანკის დაწესებულებებში ბუღალტრული აღრიცხვისა და დოკუმენტბრუნვის სწორად ორგანიზება უშუალოდ მოქმედებს საწარმოებისა და ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის მდგომარეობაზე. ბანკების დაწესებულებები ყოველდღიურად ადგენენ ანალიტიკური აღრიცხვის პირად ანგარიშებს და კლიენტებს აძლევენ ამ ანგარიშებიდან ამონაწერებს (ასლებს), რომლებშიც ასახულია დღის განმავლობაში შესრულებული საანგარიშსწორებო, საკრედიტო, საკასო და სხვა ფულადი ოპერაციები. ეს ამონაწერები საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების აღრიცხვაში ყველა საბანკო ოპერაციის აღრიცხვის საფუძველია.

ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის ბაზაა ოპერატიული მუშაობა, რომელსაც ეკუთვნის:

ფულადი დოკუმენტების მიღება საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან, დაწესებულებებიდან და მათი გაფორმების სისწორის შემოწმება;

დოკუმენტების მომზადება ბუღალტრულ აღრიცხვაში მათი აღრიცხვისათვის;

საანგარიშსწორებო დოკუმენტების კარტოთეკებისა და ვადიანი ვალდებულებების კარტოთეკების წარმოება;

გადახდების თავისდროულობაზე კონტროლის განხორციელება;

ოპერაციები იმ საკორესპონდენტო ანგარიშებით, რომელთა წარმოშობის მიზეზია ფულის გადაბმხდელებსა და მის მიმღებებს შორის ანგარიშსწორება, როდესაც მათი ანგარიშები სხვადასხვა ბანკებშია გახსნილი.

ბანკებში მიმდინარე ოპერაციული მუშაობა რთული და მრავალფეროვანია, რასაც განაპირობებს ფულადი ანგარიშსწორებების ფორმების, საბანკო კრედიტის გაცემისა და დაფარვის ხერხებისა და წესების, გადახდათა განხორციელების თავისებურებების სიმრავლე. ოპერაციული მუშაობის პროცესში კონტროლდება საანგარშსწორებო, საკასო და სხვა ფულადი ოპერაციები, აგრეთვე, ოპერატიულად აღირიცხება ფულადი სახსრებისა და გადახდების შემოსელა. ოპერაციულ მუშაობას ეკუთვნის იმ მონაცემების აღრიცხვაც, რომელსაც ატარებენ ხელფასის ფონდის გამოყენების კონტროლისათვის, საბანკო სესხებზე დავალიანებათა რეგულირებისა და ფულადი სახსრების ჩარიცხვის სხვა საბანკო ოპერაციების შესრულებისათვის. ოპერაციული მუშაობის შესრულებასა და ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებასთან დაკავშირებული პროცესების ერთობლიობას საალრიცხვო-ოპერაციულ მუშაობას უწოდებენ, შესაბამისი ფუნქციების შემსრულებელ მუშაკებს კი ბანკის საალრიცხვო-ოპერაციულ აპარატს.

საალრიცხვო-ოპერაციული მუშაობის სწორად და ზუსტად ორგანიზება უზრუნველყოფს ბანკზე

დაკისრებული ყველა ფუნქციის წარმატებით შესრულებას. ყველა საბანკო ოპერაცია დასრულებულად ითვლება, თუკი ისინი ასახულია ბანკის ბუღალტრულ აღრიცხვაში. მხოლოდ ყველა ოპერაციის თავისდროულად და სრულად აღრიცხვისას შეიძლება განხორციელდეს დაკრედიტება, ანგარიშსწორებები, ფულის მიმოქცევის რეგულირება, სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულება.

ბანკებში სააღრიცხვო-ოპერაციული მუშაობის ორგანიზაცია შემდეგ ძირითად მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს:

– ყველა ოპერაცია იმ დოკუმენტებზე, რომლებიც კლიენტებისგან ერთი საოპერაციო დროის განმავლობაშია მიღებული, აგრეთვე, კავშირგაბმულობის ორგანოებიდან და იმავე ქალაქში მდებარე საბანკო დაწესებულებებიდანაა შემოსული, ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახება იმავე დღეს;

– სამუშაო დღის დამთავრებამდე ორი საათით ადრე ინკასოზე შემოსული გადახდის დავალებები იმავე დღეს უნდა გაიგზავნოს ბანკების დაწესებულებებში გადამხდელის ანგარიშის ადგილსამყოფელის მიხედვით;

– საოპერაციო დროის დასრულების შემდეგ მიღებული დოკუმენტები ასახება მომდევნო სამუშაო დღის ბუღალტრულ აღრიცხვაში;

– არსებული პრეტენზიების მიხედვით ფულის გადახდა ხორციელდება სამუშაო დღის დასაწყისისთვის სახსრების თავისუფალი ნაშთისა და ბანკში საოპერაციო დროის განმავლობაში შემოსული ფულის ხარჯზე;

– იმ ბანკების იმავე ქალაქში მდებარე დაწესებულებებიდან გადარიცხული ფული, რომლებსაც გამომთელელი ცენტრები ემსახურება, პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება არაუგვიანეს მეორე დღის დილისა.

აღნიშნულ მოთხოვნათა შესასრულებლად აუცილებელია სააღრიცხვო-ოპერატიული მუშაობის ზუსტად ორგანიზება, რაც უზრუნველყოფს ბანკის თითოეული თანამშრომლის თანაბრად დატვირთას და დოკუმენტების სწრაფად გატარებას მათი დამუშავების ყველა სტადიაზე.

ბანკების დაწესებულებებში სააღრიცხვო-ოპერაციული აპარატი შედგება, როგორც წესი, პასუხისმგებელი შემსრულებლებისგან, აუცილებლობის შემთხვევებში კი – ოპერაციული ბრიგადებისაგან. პასუხისმგებელ შემსრულებლებად ნიშნავენ ყველაზე უფრო მოშზადებულ მუშაკებს, რომლებსაც ბანკში მუშაობის საკმარისი გამოცდილება აქვთ. ისინი ამოწმებენ საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან და გაერთიანებებიდან, აგრეთვე, ბანკის სხვა დაწესებულებებიდან შემოსულ დოკუმენტებს და ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვისათვის აფორმებენ მათ. მათ მინდობილი აქვთ საბუთების ხელმოწერა. პასუხისმგებელ შემსრულებლებს შორის ნაწილდება ბუღალტრული აღრიცხვის ყველა ანგარიში, რომლებიც ბანკშია გახსნილი. ანგარიშები იმგვარადაა დანაწილებული, რომ ხორციელდებოდეს მუდმივი კონტროლი, შეუფერხებლად ხდებოდეს დოკუმენტების დამუშავება და გაფორმება და ყველა მუშაკი თანაბრად იყოს დატვირთული. ამიტომ ბანკის მუშაობის პრაქტიკაში სასურველია, რომ ერთი პასუხისმგებელი მუშაკი უძღვებოდეს ანგარიშსწორებისა და სასესხო ანგარიშებს იმ კლიენტთა წრის მოკლევადიან კრედიტებს, რომლებიც ახლოს დგანან ერთმანეთთან თავიანთი სამეურნეო საქმიანობის ხასიათით.

ოპერაციულ ჯგუფებს ქმნიან ბანკების მსხვილ დაწესებულებებში, რაც ამაღლებს საბანკო შრომის ნაყოფიერებას, აჩქარებს დოკუმენტბრუნვას, აძლიერებს შიდასაბანკო კონტროლს და უზრუნველყოფს მუშაკთა ურთიერთშეცვლას საბანკო ოპერაციების განხორციელებისას. ჯგუფის საერთო ხელმძღვანელობა ეკისრება უფრო გამოცდილ მუშაკს, რომელიც მუშაობის ორგანიზატორია და კონტროლს უწევს ოპერაციების შესრულების თავისდროულობას. ხელმძღვანელი პასუხს აგებს ჯგუფში მთელი მუშაობის მდგომარეობაზე.

პასუხისმგებელ შემსრულებლებსა და ოპერაციულ ჯგუფებს შორის ბუღალტრულ ანგარიშებსა და მოვალეობებს ანაწილებს ბანკის დაწესებულების მთავარი ბუღალტერი. რაც ფორმდება

სპეციალურ წიგნში ჩანაწერის შეტანით.

საალრიცხვო-ოპერაციული მუშაობის ორგანიზება დიდადაა დამოკიდებული ბანკის დაწესებულებაში დადგენილ დოკუმენტბრუნვაზე, ე.ი. დამუშავების ყველა სტადიაზე დოკუმენტების გავლის წესზე. დოკუმენტბრუნვის რაციონალიზაციის მიზნით ბანკის ყველა დაწესებულებაში ადგენენ დოკუმენტბრუნვის გრაფიკს, რომელსაც მისი ხელმძღვანელი ამტკიცებს. ოპერაციული განყოფილების სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის მოძრაობის დასაჩქარებლად დოკუმენტებს ყოფენ მათში მიღებული საბანკო ოპერაციების ხასიათის გათვალისწინებით: საკასო ოპერაციები; სხვა ქალაქებთან წარმოებული ანგარიშსწორებები; ბანკის ერთ დაწესებულებაში არსებული ანგარიშების დებეტითა და კრედიტით ასახული ანგარიშსწორებები; ერთი ქალაქის მასშტაბით განსორციელებული ანგარიშსწორებები.

გრაფიკში, როგორც წესი, ითვალისწინებენ იმ დროს, რომელიც საჭიროა კლიენტების მომსახურების დაწყებამდე ბანკში შემოსული დოკუმენტების გაფორმებისათვის, აგრეთვე, ადგილობრივი საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან და იმავე ქალაქის სხვა ბანკებიდან საოპერაციო დროის დამთავრების შემდეგ შემოსული დოკუმენტების გავლისა და დამუშავების დროს.

ოპერაციულ ჯგუფებში (ქვედანაყოფებში) დოკუმენტების თავისდროულად (დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად) გავლას აკონტროლებენ ჯგუფების (ბრიგადების) ხელმძღვანელები, განყოფილებათა უფროსები, ბანკის მთავარი ბუღალტრის მოადგილეები.

ბანკებში საალრიცხვო-ოპერაციული მუშაობის ორგანიზება ემსახურება საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სწრაფად და ზუსტად მომსახურებას, ბუღალტრულ აღრიცხვაში ოპერაციების თავისდროულად და უშეცდომოდ ასახვას.

21.2. ბუღალტრული აღრიცხვის ამოსავალი დებულებები ბანკებში

ბანკში ბუღალტრული აღრიცხვა თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს მისი მატერიალური ქონების, ფულადი სახსრების, კრედიტების, ფორმების, ფასიანი ქაღალდების, შექმნილი რეზერვების მდგომარეობისა და მოძრაობის, აგრეთვე, შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური შედეგების შესახებ ფულადი გამოხატულებით არსებული ინფორმაციის შეგროვების, რეგისტრაციისა და განზოგადების მკაცრად ორგანიზებულ, მოწესრიგებულ პროცესს. ასეთ ბუღალტრულ აღრიცხვას ქმნის და სრულყოფს თვითონ ბანკი კანონმდებლობის ნორმებისა და მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნების საფუძველზე და მისი დანიშნულებაა სისტემატიზებული სახის მქონე მონაცემების (ანგარიშგების) სრული და სარწმუნო ინფორმაციის ფორმირება. მან უნდა ასახოს ბანკის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ამ ინფორმაციას კი შიდა და გარე მოსარგებლეები იყენებენ ბანკის საქმიანობის მართვის (ანალიზის, დაგეგმვის, რეგულირებისა და კონტროლის) მიზნით.

ბუღალტრული ინფორმაციის შიდა მოსარგებლეებია ბანკის მესაკუთრეები (მონაწილეები) და მათი ორგანოები (საბჭო და მისი თავმჯდომარე, სარევიზიო კომისია, საერთო კრებები), ბანკის აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები (გამგეობა და მისი თავმჯდომარე), ბანკის ქვედანაყოფები და მათი ხელმძღვანელები, შიდა კონტროლიორები და აუდიტორები, ხოლო გარე მოსარგებლეები — შესაბამისი სახელმწიფოებრივი ორგანოები (ცენტრალური ბანკი, საგადასახადო და სხვა ორგანოები), გარე აუდიტორი, ბანკის კრედიტორები და მეანაბრეები.

ბანკების ბუღალტრულ აღრიცხვას ახასიათებს ოპერატიულობა და აგების ფორმის ერთიანობა. ეს იძლევა ყველა ბანკის საქმიანობის ადეკვატურად შედარებისა და ანალიზის შესაძლებლობას.

სწორად მოწყობილი აღრიცხვა ბანკს ეხმარება შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრაში:

- ოპტიმალურად შეასრულოს თავისი, როგორც გადასახადების გადამხდელის ვალდებულებე-

ბი (იმის გათვალისწინებით, რომ ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები შეიძლება არ ემთხვეოდეს საგადასახადოს);

• თავისდროულად წარმოადგინოს ანგარიშგება და სხვა მოთხოვნილი ინფორმაცია და აჩვენოს კანონმორჩილება და გამჭვირვალობა;

• უზრუნველყოს ხელმძღვანელობა დასაბუთებული მმართველური გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო მასალით.

პრინციპები. საერთაშორისო აღიარებით სარგებლობენ ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგი პრინციპები (არსებითად იგივეა, შეიძლება დავსტოს ორი):

• შემოსავლებისა და სარჯების მატების პრინციპი მოითხოვს შემოსაელებისა და სარჯების აღრიცხვას მათი ფაქტიურად ფორმირების კვალობაზე სახსრების შემოსელის ან გადახდის შესრულების დროისგან დამოუკიდებლად; ის შემოსაელები და სარჯები, რომლებიც დარიცხულია, მაგრამ მიღებული ან გასტუმრებული არაა საანგარიშო წლის ბოლომდე, ან ისინი, რომელთა მიზედვით ანგარიშსწორება მომაეალ პერიოდებში გადაიქცეს, საანგარიშო პერიოდში უნდა აისახოს;

• კონსოლიდაციის პრინციპი გულისხმობს, რომ ანგარიშგებას ადგენენ მთლიანად ბანკის მიხედვით მისი შეილობილი და ერთობლივი ორგანიზაციების გათვალისწინებით, ურთიერთგადახდებისა და დაბანდებების გამოკლებით.

დასაელეთის საქმიან სამყაროში გაერცელებულია აღრიცხვისა და ანგარიშგების კორპორაციული სტანდარტების ცნება. ესაა შიდასაფირმო (შიდასაბანკო) სტანდარტები, რომლებიც IAS/GAAP ზოგადი სტანდარტების – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების – გამოყენებას ეფუძნება.

IAS და GAAP არის დოკუმენტები, რომლებიც აღრიცხვის და ანგარიშგების სტანდარტების რეგლამენტირებას ახდენენ. უფრო კონკრეტულად, IAS (International Accounting Standards) არის იმ ექსპერტთა კომიტეტის მიერ ფინანსური აღრიცხვის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, რომლებიც მთელი რიგი ქვეყნების ეროვნულ პროფესიულ ორგანიზაციებსა და მარეგულირებელ ორგანოებს წარმოადგენს (IASC). ეს ორგანიზაცია 1973 წ. შეიქმნა ევროპის რამდენიმე ქვეყნის, აგრეთვე, ავსტრალიის, კანადის, მექსიკის, იაპონიისა და აშშ-ის პროფესიულ საბუღალტრო ორგანიზაციებს შორის შეთანხმების შედეგად და მიზნად ისახავს კორპორაციების ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მათი ფინანსური ანგარიშგების უნიფიცირებას. რაც შეეხება GAAP-ს (Generally accepted accounting principles), ესაა ფინანსური ანგარიშგების მიმართ მხოლოდ აშშ-ის პროფესიული ორგანიზაციებისა და მარეგულირებელი ორგანოების მიერ წაყენებული მოთხოვნები (ხშირად მათ US GAAP-სტანდარტებს უწოდებენ).

ამ დროს იგულისხმება, რომ კორპორაციული აღრიცხვა არის ფირმის (ბანკის) მიერ ყოველდღიურად ჩატარებული ოპერაციების ეისახე ინფორმაციის სისტემატურად შეგროვებისა და რეგისტრაციის პროცესი, აგრეთვე ამ ინფორმაციის ანალიზი და მისი გადაცემა შიდა და გარე მოსარგებლეებისათვის (accounting). ამ ტერმინს ჩვენან თარგმნიან როგორც „ბუღალტრულ აღრიცხვას“. თუმცა არიან სპეციალისტები, რომელთა აზრით „accoumting“ უფრო ფართო ცნებაა და სხვა რამესაც მოიცავს (აღრიცხვის შიდა წესები და პროცედურები, ანგარიშგების ფორმირება გარე მოსარგებლეებისათვის). ეს პოზიცია საკამათოა, თუმცა, კონტექსტზე დამოკიდებულებით, ეს ცნება შეიძლება გადავთარგმნოთ ხან როგორც „ბუღალტრული აღრიცხვა“, ხან კი – „ანგარიშგება“.

ამასთან, საკამათოა არა მარტო და არა იმდენად გამოყენებული ტერმინოლოგია, არამედ თვით IAS-ის დასაბუთება და მისი გამოყენების მიზანშეწონილობა ნებისმიერ ცალკე აღებულ ქვეყანაში (რომელიმე ქვეყანაში US GAAP-ის გამოყენების საკითხი, აშშ-ის გარდა, ეჭვობა საერთოდ არ არსებობს). საქმე ისაა, რომ თვითონ განვითარებულ საბაზრო ქვეყნებში, რომლებიც ფინან-

სური ანგარიშგების (ბუღალტრული აღრიცხვის) ე.წ. საერთაშორისო სტანდარტების სამშობლოდ გეველინებიან, ძალიან ფრთხილად ეპყრობიან თავიანთ სააღრიცხვო ტრადიციებს: ეროვნული სტანდარტები შესაბამისობაში არ მოჰყავთ საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ მხოლოდ იწონებენ და იქ იყენებენ, სადაც ეს აუცილებელია.

IAS-ის გამოყენებას მხოლოდ მსოფლიო საფონდო ბაზრები ითხოვენ, კერძოდ, საზღვარგარეთული ფირმების აქციების კოტირებისათვის ამას ითხოვენ იტალიისა და დიდი ბრიტანეთის საფონდო ბაზრები. აშშ-ის ბირჟებმა კოტირებისთვის დაიწყეს იმ ფირმების ფასიანი ქაღალდების მიღება, რომელთა ანგარიშგების წარმოდგენაც IAS/GAAP-ის შესაბამისად ხდება. ესპანეთში ეს მხოლოდ მაშინაა დასაშვები, თუკი არ არსებობს შესაბამისი ეროვნული სტანდარტი. კანადისა და ავსტრალიის ადგილობრივ საფონდო ბაზრებზე მოვაჭრე ფირმები მხოლოდ ეროვნულ სტანდარტებს იყენებენ.

ბუღალტრული აღრიცხვის იმ 32 საბაზო მეთოდიდან, რომლებიც IAS/GAAP-ს აყალიბებენ, ათ წამყვან ქვეყანაში (ავსტრალია, კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, ნიდერლანდები, შვედეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი და აშშ) იყენებენ მხოლოდ 6-ს: ორს აქტივების შესაფასებლად მათი თვითღირებულების მინიმალური მნიშვნელობით ან საბაზრო ღირებულებით; ორს – მშობელი და ქვილობილი ფირმების კონსოლიდირებული ანგარიშგების შესადგენად; ერთს – საპენსიო ფონდებში შენატანების აღრიცხვისათვის და ერთს – მეცნიერულ კვლევასა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაობზე გაწეული ხარჯების აღრიცხვისათვის. რაც შეეხება დანარჩენ მეთოდებს, მათი გამოყენება ზოგიერთ ქვეყნებში ან შეზღუდულად ხდება, ან ალტერნატიულ მეთოდებს იყენებენ. საერთაშორისო (მთლიანად გადმოღებულ) სტანდარტებს იყენებენ შვიდ ქვეყანაში: ბოსტვანაში, კვიპროსში, მალტაში, მალაიზიაში, ომანში, პაკისტანსა და ზიმბაბვეში (1997 წ. მონაცემებით).

მაშასადამე, რაღაც ერთიან, მსოფლიო საბუღალტრო საბანკო აღრიცხვაზე ორიენტაცია აბსურდია, რადგან ბუნებაში ამგვარი რამ არ არსებობს. ასე რომ, საუბარი უნდა იყოს არა საბანკო აღრიცხვის გადასვლაზე საერთაშორისო სტანდარტებზე, არამედ მხოლოდ აღრიცხვის ეროვნული სტანდარტების შემდგომ განვითარებასა და გამდიდრებაზე, მათ შორის – სხვა ქვეყნების სასარგებლო გამოცდილების გამოყენებით.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, რომ აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები თითქოსდა ორი ნაწილისგან შედგება: პრინციპები და პროცედურები. ერთიანი საერთაშორისო პრინციპები საფუძვლად უდევს მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებს. რაც შეეხება პროცედურებს, მათ სხვადასხვა ქვეყანაში თავიანთი სპეციფიკა აქვს. ზოგჯერ – არსებითი. ამიტომ თავიანთი ეროვნული სტანდარტებით მომუშავე ქვეყნები ამუშავებენ ანგარიშგების ტრანსფორმაციის პროცედურებს.

აღრიცხვის თავისებურებები საქართველოში. დასავლეთში და ჩვენში მიღებულ აღრიცხვას შორის კონცეპტუალური განსხვავება ისაა, რომ ჩვენი სტანდარტები განსაზღვრავს ამა თუ იმ ოპერაციის აღრიცხვის წესებს, დასავლეთისა კი –ანგარიშგებაში მისი ასახვის წესებს. ამგვარად, საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შესადარისობას, ჩვენი სტანდარტებით, უზრუნველყოფენ აღრიცხვის პირველადი მონაცემების (ბუღალტრულ გატარებათა) დონეზე, დასავლეთის სტანდარტებით კი – ანგარიშგების დონეზე. ამასთან, ჩვენი სტანდარტებით, უზრუნველყოფენ აღრიცხვის პირველადი მონაცემების (ბუღალტრულ გატარებათა) დონეზე, დასავლეთის სტანდარტებით კი – ანგარიშგების დონეზე. ამასთან, ჩვენი სტანდარტებით, ანგარიშგების შესაბამისობის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს არითმეტიკულად (მუხლი „ა" = მუხლი „ბ" მუხლი „გ" = სულ), დასავლეთში პირველადი მონაცემების აღრიცხვის შესაბამისობისა კი – თითოეული ოპერაციის რეგისტრაციის დროს აღრიცხვის მიღებული პრინციპების დაცვით.

გარდა კონცეპტუალურისა, არსებობს ტრადიციებთან დაკავშირებული განსხვავებაც. მაგალითად, ანგლო-ამერიკულ პრაქტიკაში ძძიმეებით გამოყოფენ რიცხვის მთელი ნაწილების თანრიგებს, წერტილით კი – წილად ნაწილს მთელისგან. გარდა ამისა, აღრიცხვასა და ანგარიშგებაში არ იყენებენ „-“ (მინუს) ნიშანს და ნაკლებს ფრჩხილებში სვამენ.

ბალანსის კლასიკური ფორმულა „აქტივი = პასივს“ დასაელურ ფორმულირებაში სხვაგვარია: „აქტივები = ვალდებულებები + კაპიტალი“.

ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკა, ფართო აზრით, არის ოპერატიული და ბუღალტრული აღრიცხვის წარმართვის მეთოდოლოგია (წესი), რომლის მიზანია:

- დაგეგმვა და მართვა მთლიანად (სხვადასხვა დონეზე მმართველურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის სააღრიცხვო უზრუნველყოფა);
- აქტივების, ვალდებულებების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების ადეკვატურად შეფასება, მათ შორის კრებსითი ფინანსური ანგარიშგების შედგენისას;
- საგადასახადო დაგეგმვა (დაბეგვრის ოპტიმიზება).

სააღრიცხვო პოლიტიკა, ვიწრო აზრით, აღნიშნავს ბუღალტრულ აღრიცხვაში ოპერაციების, აქტივებისა და ვალდებულებების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების ასახვისათვის გამოყენებული ალტერნატივების კომპლექსს, რომელსაც კანონმდებლობა აძლევს. ამასთან, ფინანსური და საგადასახადო კანონმდებლობა ადგენს სააღრიცხვო პოლიტიკაში შესაბამისი ოპერაციის ჩამონათვალს და ბუღალტრულ აღრიცხვაში ცალკეული ოპერაციების ასახვის ალტერნატიულ ხერხებს.

მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოადგენს კონკრეტულ ბანკში ბუღალტრული აღრიცხვის გონიერულად ორგანიზებისა და წარმართვის პრინციპების, წესების (მათი ვარიანტების) და ტექნოლოგიების (ხერხების, მეთოდების) ერთობლიობას. მისი მიზანია მაქსიმალურად ოპერატიული, სრული, ობიექტური და სარწმუნო ფინანსური და მმართველური ინფორმაციის ფორმირება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სააღრიცხვო პოლიტიკა უშუალოდ აღნიშნავს მოცემულ ორგანიზაციაში ბუღალტრული აღრიცხვის – პირველადი დაკვირვების, ღირებულებითი გაზომვის, ეკონომიკური საქმიანობის ფაქტების მიმდინარე დაჯგუფებისა და შედეგების განზოგადების – ხერხების ერთობლიობას.

ორგანიზაცია დამოუკიდებლად აყალიბებს თავის სააღრიცხვო პოლიტიკას. ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკაში განსაზღვრული უნდა იყოს იმ ოპერაციების აღრიცხვის შესაძლო ვარიანტები, რომელთა მიმართ ალტერნატიული გადაწყვეტები საკრედიტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი ოფიციალური ნორმატიული დოკუმენტებითაა გათვალისწინებული. ამავე დროს, ეს პოლიტიკა არ უნდა იმეორებდეს არც საკრედიტო, საინვესტიციო და სხვა პოლიტიკის დებულებებს, არც ოპერაციების აღრიცხვის წესებს მათ იმ ნაწილში, რომელიც მკაცრადაა განსაზღვრული ნორმატიული დოკუმენტებით. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ბანკებს ნება ეძლევა, დამოუკიდებლად განსაზღვრონ საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვის ესა თუ ის ელემენტი და სწორედ ეს ელემენტები უნდა ასახოს სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სააღრიცხვო პოლიტიკის შემქმნელებს კარგად უნდა ესმოდეთ თაეიანთი მუშაობის მიზნები. ასეთ მიზნებად უნდა ჩაითვალოს:

- აღრიცხვის იმ ხერხების გამოყენების წესის დაკონკრეტება, რომლებიც ნორმატიული აქტებითაა ნებადართული;
- აღრიცხვის დამოუკიდებლად შემუშავებული სერსებისთვის ნორმატიული სტატუსის მინიჭება;
- აღრიცხვის ხერხების რეალიზების მექანიზმების დადგენა ბანკის საქმიანობის სტრუქტურისა და სპეციფიკის შესაბამისად.

ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკამ უნდა მოიცვას:

- ბანკსა და მის ფილიალებში ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა სამუშაო გეგმა;

- ოპერაციების გაფორმებისათვის გამოყენებული პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების ფორმები;
- ქონებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესი და შეფასების მეთოდები;
- დოკუმენტბრუნვის წესები და სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგია;
- შიდასაბანკო ოპერაციების კონტროლის წესი და სხვა.

ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკა შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს: აღრიცხვაში სამეურნეო საქმიანობის ყველა ფაქტორის ასახვის სისრულე; წინდახედულობა (სიფრთხილე); აღრიცხვის რაციონალურობა და ეკონომიურობა; დაპირისპირებულობის უქონლობა და ა.შ. ეს პოლიტიკა გაფორმებული უნდა იყოს ბრძანებით, განკარგულებით ან სხვა დოკუმენტით. პოლიტიკის შეცვლა შესაძლებელია ბანკის რეორგანიზაციის, მესაკუთრეთა შეცვლის, ბუღალტრული აღრიცხვის ნორმატიული რეგულირების მექანიზმის ან კანონმდებლობის შეცვლის, აღრიცხვის ახალი წესების შემოღების შემთხვევებში. დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა ბანკმა უნდა წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს თავისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. მასვე უნდა უთანხმდებოდეს ამ პოლიტიკაში შესატანი ცვლილებები.

ბანკების სააღრიცხვო პოლიტიკის შინაარსს სხვადასხვა ასპექტში განიხილავენ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ორგანიზაციულ-ტექნიკური (ბუღალტრული აღრიცხვის ერთი ვარიანტის შერჩევა რამდენიმე დასაშვებიდან) და მეთოდური ასპექტები.

თუკი კანონში და ნორმატიულ აქტებში დადგენილი არაა ბუღალტრული აღრიცხვის ვარიანტები, მაშინ, აღრიცხვის არსებული წესებიდან გამომდინარე, ბანკი თვითონ აყალიბებს საკუთარ სააღრიცხვო პოლიტიკას, რაც მოიცავს: ანგარიშთა სამუშაო გეგმის ფორმირებას, პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების ფორმების შერჩევას, ქონების ინვენტარიზაციის, დოკუმენტბრუნვის წესს, სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიას, ოპერაციების შიდასაბანკო კონტროლს, სააღრიცხვო დოკუმენტების ბეჭდვის წესსა და პერიოდულობას.

მეთოდიკის თვალსაზრისით, ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა მოიცავდეს მის მიერ ჩატარებული ოპერაციების აღრიცხვის შესახებ შიდა (სამუშაო) დებულებებს. ამ ასპექტში აღრიცხვის მთელი რიგი საკითხები, შეიძლება ითქვას, საკმარისად არაა დამუშავებული. მათგან ბანკის ფინანსურ შედეგებზე და დასაბეგრავ ბაზაზე ყველაზე უფრო არსებით გავლენას ახდენს:

1. ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების მეთოდი;
2. ფინანსური შედეგების ფორმირების პერიოდულობის შერჩევა;
3. მისაღები, არჩნდით, ლიზინგით გადაცემული ქონებიდან შემოსავლების მიღების პერიოდულობა;
4. საანგარიშო პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებზე მომავალი პერიოდების შემოსავლებისა და ხარჯების დაწერის პერიოდულობა;
5. შრომის საგნების დაყოფა ძირითად საშუალებებად და მცირეფასიან საგნებად;
6. საკრედიტო ოპერაციების აღრიცხვის მეთოდიკა;
7. ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების აღრიცხვის მეთოდიკა;
8. სხვა ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალებში ბანკების მონაწილეობის ოპერაციების აღრიცხვის მეთოდიკა;
9. უცხოურ ვალუტაზე ოპერაციების აღრიცხვის მეთოდიკა;
10. არამატერიალური აქტივებისა და სალიზინგო მოწყობილობის შეძენის რიგითობა;
11. მატერიალურ ფასეულობათა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვის ცალკეული ელემენტების განსაზღვრა;
12. ბოგების განაწილების პერიოდულობა, ბანკის ფონდების შექმნისა და გამოყენების წესი.

საბანკო ანგარიშგებას ავალდებულებენ სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე. წარდგენის პერიოდულობის ნიშნის მიხედვით ანგარიშგება შეიძლება იყოს: ა) ოპერატიული (ყოველდღიური, ხუთდღიური, ყოველდეკადური); ბ) ყოველთვიური; გ) ყოველკვარტალური; დ) წლიური; ე) ერთჯერადი (მოთხოვნების საპასუხოდ).

სხვა ნიშნების შესაბამისად ანგარიშგების სახეებია: 1) სტატისტიკური; 2) ბუღალტრული (ფინანსური).

ბუღალტრული ანგარიშგების ყველა სახე, მათი წარდგენის პერიოდულობის მიხედვით, ბანკების ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში გამსჭვალებულად იყოფა მიმდინარე და წლიურ ანგარიშგებად.

ბანკის ბუღალტრული სამსახური. ბანკი დამოუკიდებლად ადგენს ბუღალტრული აპარატის ორგანიზაციულ სტრუქტურას. როგორც წესი, ესაა ერთიანი ბუღალტრული ქვედანაყოფი, რომელიც განყოფილებებისა და სექტორებისგან შედგება. ორგანიზაციული სტრუქტურის სპეციფიკის მიუხედავად, ბანკის ყველა საბუღალტრო მუშაკი მთავარ ბუღალტერს ექვემდებარება.

ოპერაციული მუშაობის ჩატარებასთან და ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული პროცესების ერთობლიობას სააღრიცხვო-ოპერაციულ მუშაობას უწოდებენ, ამ ფუნქციების შემსრულებელ მუშაკებს კი – ბანკის სააღრიცხვო-ოპერატიულ აპარატს.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციისთვის და საბანკო ოპერაციების შესრულების დროს კანონმდებლობის დაცვისთვის პასუხისმგებლობა ბანკის ხელმძღვანელს ეკისრება. სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირებაზე, აღრიცხვის შესრულებაზე, სრული და სარწმუნო ანგარიშგების დროულად წარდგენაზე პასუხს მთავარი ბუღალტერი აგებს. მას, ჩვეულებრივ, ჰყავს მოადგილეები, რომლებიც მუშაობის სხვადასხვა უბანზე არიან პასუხისმგებლები: ბანკის შიდა სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა, საოპერაციო აღრიცხვა, სავალუტო ოპერაციების აღრიცხვა, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა, შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების აღრიცხვა, ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების შედგენა.

მთავარი ბუღალტერი, მისი მოადგილეები და განყოფილებათა ხელმძღვანელები ამუშავებენ: ა) საბუღალტრო მუშაკების თანამდებობრივ ინსტრუქციებს; ბ) ოპერაციების შესრულებისა და რეგისტრაციის წესს.

21.3. სააღრიცხვო-საოპერაციო ქვედანაყოფის ორგანიზაციული სტრუქტურა

ბუღალტერია ბანკის დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფია და მას მთავარი ბუღალტერი ხელმძღვანელობს. ბანკის სიდიდიდან და სპეციალიზაციიდან, აგრეთვე, შესრულებული ოპერაციების მოცულობიდან გამომდინარე, შესაძლებელია სააღრიცხვო-ოპერაციული განყოფილებების ორგანიზაციისა და სტრუქტურის სხვადასხვა ვარიანტების შერჩევა. ბანკის ბუღალტრული ქვედანაყოფის სანიმუშო სტრუქტურა ასეთია:

ბანკის სააღრიცხვო-ოპერაციული ქვედანაყოფის შტატს შეადგენენ შემდეგი სპეციალისტები: მთავარი ბუღალტერი; პასუხისმგებელი შემსრულებლები; ოპერაციული ჯგუფის კონტროლიორი; ოპერაციონისტები; ოპერატორები.

მთავარი ბუღალტერი ბანკში სააღრიცხვო-ოპერაციული საქმიანობის ორგანიზატორია. იგი განაგებს ორგანიზაციულ საკითხებს, ასორციელებს კონტროლის ფუნქციებს და უზრუნველყოფს:

- ბანკის მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის კონტროლს და მათ ასახვას ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში;
- კლიენტების ანგარიშსწორების, მიმდინარე და სხვა ანგარიშების გახსნის გაფორმებას;
- პირად ანგარიშებში შესწორებათა ზეტანის კონტროლს;
- ანგარიშებზე პროცენტების დარიცხვის კონტროლს;
- მკაცრი აღრიცხვის ბლანკების გამოყენების კონტროლს;
- ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებისა და მოვალეობების განაწილებას პასუხისმგებელ შემსრულებლებს შორის;

- ოპერატიული ინფორმაციის მიწოდებას ბანკის ხელმძღვანელობისათვის;
- ბუღალტრული ანგარიშების შედგენას;
- ბანკის ფინანსური მდგომარეობის ეკონომიკური ანალიზის განხორციელებას.
- მთავარი ბუღალტერი ყოველდღიურად ამოწმებს:
- საკასო ოპერაციების დასრულებას;
- შეწონავალში ფულის აღების სისრულეს;
- დღის მანძილზე მიმოქცევის ცნობას და ბალანსს;
- ფულად-საანგარიშსწორებო დოკუმენტების გაფორმებისა და შენახვის სისწორეს.

არ შეიძლება მთავარ ბუღალტერს დაეკისროს ისეთი მოვალეობები, რომლებიც ფულად სახსრებსა და მატერიალურ ფასეულობებზე უშუალო მატერიალურ პასუხისმგებლობას უკავშირდება.

ბანკების დაწესებულებათა სააღრიცხვო-ოპერაციული აპარატის ძირითადი რგოლია პასუხისმგებელი შემსრულებლები. ისინი ახორციელებენ კლიენტთა საკასო და საანგარიშსწორებო მომსახურებას, აწარმოებენ ანგარიშსწორების მიმდინარე და სასესხო ანგარიშებს, აქვთ საანგარიშსწორებო დოკუმენტების, პირადი ანგარიშების გაფორმებისა და ხელმოწერის უფლება. პასუხისმგებელი შემსრულებლები დღის განმავლობაში ახდენენ ფულის გადარიცხვას დაწესებული თანმიმდევრობით, მიმდინარე და ანგარიშსწორების ანგარიშებზე სახსრების ნაშთების ფარგლებში. ამ მიზნით ხორციელდება პასიურ ანგარიშებზე ნაშთების ცვლილებისა და სახსრების შემოსავლის ოპერაციული აღრიცხვა.

ოპერაციონისტთა ჯგუფები ბანკების მსხვილ დაწესებულებებში იქმნება დოკუმენტების დამუშავების დაჩქარების მიზნით. მთავარი ბუღალტერი ოპერაციულ მუშაკებს ანგარიშებს მიამაგრებს, როგორც წესი, საბალანსო ანგარიშების ეკონომიკური შინაარსის ერთგვაროვნებიდან და კლიენტების ანგარიშსწორებისა და სასესხო ანგარიშების ერთი და იმავე შემსრულებლის მიერ გაძღოლის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. შემსრულებლებსა და ოპერაციულ ჯგუფებს შორის ანგარიშებისა და ოპერაციების განაწილება რეგისტრირდება სპეციალურ წიგნში და ფორმდება შემსრულებლისა და მთავარი ბუღალტრის ხელმოწერით.

ოპერაციონისტების შრომის ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს აპარატის ცალკეული რგოლების მუშაობის რიტმულობა და შეთანხმებულობა, ოპერაციების შესრულებაზე დროის დანახარჯების შემცირება და ბანკის შიგნით დოკუმენტბრუნვის მაქსიმალურად დაჩქარება. ოპერაციული მუშაობის გაუმჯობესებას დიდად უწყობს ხელს ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის კომპიუტერული ტექნოლოგიების მაქსიმალურად გამოყენება.

ბანკში ჯგუფები (ბრიგადები) შეიძლება შეიქმნას მუშაობის სახეების მიხედვით. ჯგუფების მუშაკები სპეციალიზდებიან ერთგვაროვანი ოპერაციების შესრულებაზე და ითვლებიან პასუხისმგებელ შემსრულებლებად. სამუშაოს სასეობაზე დამოკიდებულებით და ბანკში დოკუმენტბრუნვის, აღრიცხვისა და კონტროლის მიღებული ტექნოლოგიიდან გამომდინარე, ხდება სამუშაო უბნის გაკეთება. ოპერაციულ ჯგუფებს იქ აყალიბებენ, სადაც ოპერაციები უფრო მეტად საჭიროებენ დაჩქარებით კონტროლს. ამიტომ ამ ჯგუფის შემადგენლობაში კონტროლიორიც შედის.

კონტროლიორი ხელმძღვანელობს ოპერაციული ჯგუფის (ბრიგადის) მუშაობას, აკონტროლებს ბრიგადის მიერ შესრულებულ ყველა ოპერაციას და გაკეთებულ ჩანაწერს: სახელობით ჩეკზე ან ხარჯვის ორდერზე ამოწმებს მიმღების პასპორტის წარმოდგენის შესახებ მინაწერის სისწორეს; საკონტროლო სელმოწერით აწერს ხელს დოკუმენტებსა და პირადი ანგარიშებიდან გაკეთებულ ამონაწერებს; უძღვება სარჯვის საკასო ჟურნალებს; სალაროს უდარებს ამ ჟურნალების შედეგებს; რწმუნდება ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის მონაცემების შედარების სისწორეში; ამოწმებს ანგარიშგებას ბრიგადის მიერ შესრულებული ოპერაციების მიხედვით.

ოპერაციონისტის (კლიენტის წარმომადგენლებისგან საანგარიშსწორებო-ფულადი დოკუმენტე-

ბის მიმღები მუშაკის) მოვალეობებში შედის: ბანკის კლიენტების ანგარიშსწორების, მიმდინარე, სასესხო და სხვა ანგარიშების მიხედვით ფულად-საანგარიშსწორებო დოკუმენტების მიღება; საშემოსავლო საკასო ოპერაციების გაფორმება; ფულადი ჩეკების მიღება, მიღებული ჩეკის საკონტროლო მარკის გაცემა კლიენტზე, ფულის მიმღების პიროვნების დადგენილი წესით შემოწმება სახელობით ჩეკებზე. ბანკში წარსადგენი საანგარიშსწორებო-ფულადი დოკუმენტების გაფორმების წესებისა და ბანკის მუშაობის სხვა საკითხების გაცნობა-განსარტება კლიენტების წარმომადგენლებისათვის; ფულის გადახდის დავალებათა (რომლებიც აქცეპტირებულია ბანკის მიერ), აკრედიტივზე დოკუმენტების, აგრეთვე, პირადი ანგარიშებიდან ამონაწერების, მათი დანართებისა და სხვა ისეთი დოკუმენტებისა ხელწერილით გაცემა კლიენტების წარმომადგენლებზე, რომლებისთვისაც ბანკში სააბონენტო ყუთები არაა დადგმული.

ბანკში აღრიცხვის ავტომატიზაციის ქვედანაყოფის ოპერატორის მოვალეობებში შედის: ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის დოკუმენტების შედარება; მემორიალური დოკუმენტების დათვლა; საპროცენტო რიცხვების გამოთვლა პირად ანგარიშებზე და პროცენტების დარიცხვა; სხვადასხვა სახის გაანგარიშებათა ჩატარება და კრებსითი ორდერებისა და აღწერების შედგენა ოპერაციების ბუღალტრული გაფორმებისათვის.

ამ ქვედანაყოფში დგება ბუღალტრული, სტატისტიკური და ფინანსური ანგარიშგება. ამიტომ ოპერატორის მოვალეობებში, გარდა ზემოაღნიშნული ოპერაციებისა, შედის შემდეგი ფუნქციების შესრულებაც:

- პირადი ანგარიშების ბეჭდვა ეგმ-ზე;
- ნაშთების ყოველდღიური ბალანსების შედგენა;
- პირადი ანგარიშების ბეჭდვა ბალანსგარეშე ანგარიშების მიხედვით;
- მემორიალური დოკუმენტების ფორმირება და თვლა;
- თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით პირადი ანგარიშების ნაშთების შესამოწმებელი უწყისების ბეჭდვა;
- საპროცენტო რიცხვების გამოთვლა იმ ანგარიშებისთვის, რომლებსაც პროცენტები ერიცხება და, პარალელურად, პირადი ანგარიშების შევსება თვის დასაწყისიდან მზარდი შედეგებით:
- კრებსითი ორდერებისა და უწყისების შედგენა;
- ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშგების უწყისების შევსება.

ანალიზური და სინთეზური აღრიცხვა. ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში ორი მიმართულებით ხორციელდება – ანალიზური და სინთეზური. ანალიზური აღრიცხვა არის დაწერილებითი აღრიცხვა, რომელიც საბანკო ოპერაციას ყველა დეტალით აღრიცხავს. მისი მიზანია:

- ყველა საბანკო ოპერაციის სრულად, დაწერილებით და ოპერატიულად ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში;
- მათი გაკონტროლება არსისა და ფორმის მიხედვით, იმ პირველადი ფულად-საანგარიშსწორებო დოკუმენტების მონაცემების გამოყენებით, რომლებიც ანალიზურ აღრიცხვაში ბუღალტრული ჩანაწერების საფუძვლად გველინება.

ანალიზური აღრიცხვის ძირითადი საშუალებებია (რეგისტრებია): პირადი ანგარიშები, დოკუმენტების კარტოთეკები, ოპერაციული ჟურნალები.

სინთეზურია განზოგადებული აღრიცხვა. იგი განაზოგადებს ანალიზური აღრიცხვის მონაცემებს. სინთეზური აღრიცხვის ამოცანებია:

- ანალიზური აღრიცხვის მონაცემების დაჯგუფება გარკვეული ნიშნებით (საბალანსო ანგარიშების მიხედვით);
- ანალიზური აღრიცხვის მიმდინარეობის სისწორის შემოწმება.

სინთეზური აღრიცხვის დაჯგუფებულ მონაცემებს იყენებენ საბანკო საქმიანობის ანალიზისა და მართვისათვის. ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენების პირობებში სინთეზური

აღრიცხვის ძირითადი საშუალებებია (რეგისტრებია): ყოველდღიური ბალანსები და შესამოწმებელი უწყისები.

ანალიზური აღრიცხვის ორგანიზაცია. ანალიზური აღრიცხვის პირადი ანგარიშები ესხნება სინთეზური აღრიცხვის ყველა საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშს აღრიცხული სახსრებისა და ფასეულობების მიხედვით და მათი დაყოფით დანიშნულებისა და მფლობელების მიხედვით. გაცემულ სესხებს ითვალისწინებენ იმ პირად ანგარიშებში, რომლებიც გახსნილია საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად მათი მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, აგრეთვე მსესხებლების მიხედვით. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსაელებისა და ხარჯების აღრიცხვისათვის პირადი ანგარიშების წარმოება ხდება სპეციალურ კალიფიკაციის შესაბამისად.

პირადი ანგარიშების გახსნის დროს მათი რეგისტრაცია ბანკში ხდება სპეციალურ წიგნში, რომელშიც მეორე რიგის თითოეული საბალანსო ანგარიშისთვის გამოყოფილია ცალკე ფურცლები. ეს წიგნი არის ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშების კლასიფიკატორი. მასში რეგისტრირდება საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის გახსნილი ანგარიშსწორების მიმდინარე ანგარიშები და სუბანგარიშები. რეგისტრაციის დროს პირად ანგარიშებს ანიჭებენ ნომრებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს 13-დან 15-მდე ნიშანი.

ანგარიშის აღნიშნაში მითითებული უნდა იყოს: მისი დასახელება (სიტყვებით); პირადი ანგარიშის ციფრული ნომერი; სასესხო ანგარიშებისთვის – კრედიტის გაცემის მიზანი, – სიტყვებით; საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი; საპროცენტო განაკეთის სიდიდე; საკრედიტო რისკის იმ ჯგუფის აღნიშვნა, რომლითაც ხდება რეზერვის დარიცხვა სესხზე შესაძლო დანაკარგების შემთხვევისათვის; სხვა მონაცემები ბანკის გადაწყვეტილებით.

ანალიზური აღრიცხვის პირადი ანგარიშები იბეჭდება დადგენილი სტანდარტული ფორმებით, რომლებიც შედის საანგარიშსწორებო-ფულადი დოკუმენტაციის უნიფიცირებულ სისტემაში და ბანკის გამომავალ დოკუმენტებად ითვლება. თუ ბუღალტრულ აღრიცხვაში ეგმ-ს იყენებენ, მაშინ პირადი ანგარიშები იბეჭდება რულონის ქაღალდზე, პირადი ანგარიშების სტანდარტული ბლანკების ფორმების დაცვით.

ყველა ფორმის პირადი ანგარიშისათვის საერთოა შემდეგი რეკვიზიტები: იმ დოკუმენტის ნომერი, რომლის საფუძველზეც ხდება ჩანაწერის გაკეთება, მაკორესპონდენტირებელი ანგარიშის ნომერი, ოპერაციების სახის პირობითი ციფრული აღნიშვნა; ბრუნვათა თანხები დებეტისა და კრედიტის მიხედვით და ნაშთის თანხები. პირადი ანგარიშის დასახელებაში მიუთითებენ მის ნომერს და საცნობარო მონაცემებს, ხოლო ინდივიდუალურ მსესხებელთა პირადი ანგარიშების დასახელებაში. გარდა ამისა, ანგარიშგების სიმბოლოს და კრედიტის დროულად დაბრუნების კონტროლისათვის საჭირო დამატებით მონაცემებს. არასაბალანსო ანგარიშებით ანალიტიკური აღრიცხვის პირად ანგარიშებში მაკორესპონდენტირებელი ანგარიშისა და ოპერაციების სახის პირობითი ციფრული აღნიშვნის ნომერს არ მიუთითებენ. ძირითადი პირადი ანგარიშის ფორმა ქვეშოთაა მოყვანილი.

პირად ანგარიშებში ჩანაწერები და მათგან ამონაწერები კეთდება მოცემული დღის ყველა დოკუმენტისათვის ერთდროულად და მომდევნო დღისათვის ერთი ნაშთის გამოყვანით, დღის განმავლობაში ბრუნვიდან და დღის დასაწყისში ნაშთიდან გამომდინარე. თარიღი პირად ანგარიშში იბეჭდება ერთხელ, პირველი ოპერაციის ასახვის დროს. ოპერაციების სახის პირობითი ციფრული აღნიშვნა გამოყენებულია პირადი ანგარიშების შედგენასთან დაკავშირებით უტექსტო გამომთველელ მანქანებზე. მაგალითად, გადახდის დავალების შესაბამისად, სახსრების ჩამოწერა ან ფულის გადახდის ჩარიცხვა, გადახდის დავალების ასლის თანახმად, აღინიშნება ციფრით (კოდით) 1, გადახდის მოთხოვნის გასტუმრება – ციფრით 2, ფულის გაცემა ჩეკზე – ციფრით 3 და ა.შ.

ბანკის კლიენტებზე გასაცემი პირადი ანგარიშებიდან ამონაწერებს საწრმუნოობისთვის ადასტურებენ ბანკის დაწესებულების ბეჭდით და პასუხისმგებელი შემსრულებლის ხელმოწერით. იმ

ანგარიშებს, რომლებიც დამატებით კონტროლს მოითხოვს, გარდა ამისა, კონტროლიორიც აწერს ხელს. კლიენტზე ისეთი ამონაწერის გაცემის შემთხვევაში, რომელიც რამდენიმე ფურცელზეა შედგენილი, თითოეული ფურცელი დამოწმებული უნდა იყოს ბანკის დაწესებულების შტამპითა და პასუხისმგებელ შემსრულებელთა ხელმოწერებით. ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებზე შესრულებულ ამონაწერებს შტამპით არ ამოწმებენ.

კრედიტის პირად ანგარიშებში გაკეთებული ჩანაწერების გამიფერისათვის ამონაწერებს თან ერთვის დოკუმენტები (მათი ასლები), რომელთა მონაცემების შესაბამისადაც ეს ჩანაწერებია შესრულებული. ამ დოკუმენტზე დასმულია შტამპი, რომლითაც ამონაწერები ფორმდება, აგრეთვე მითითებულია პირად ანგარიშზე მისი გატარების თარიღი. ამონაწერის გაფორმებისას პასუხისმგებელი შემსრულებელი უნდა დარწმუნდეს პირად ანგარიშთან მის სრულ შესაბამისობაში, აგრეთვე, აუცილებელი დანართების არსებობასა და მათი გაფორმების სისწორეში.

პირადი ანგარიშებიდან ამონაწერებს კლიენტებზე გასცემენ ანგარიშთა მფლობელებთან შეთანხმებულ ვადებში. მათთან მოლაპარაკებით შესაძლებელია ამონაწერების გაგზავნა ფოსტით. იმ ანგარიშებზე, რომლებიც არ მოქმედებენ თვის ბოლო სამუშაო დღეს, ამონაწერები პირველი რიცხვისათვის არ გაიცემა. თვის განმავლობაში ანგარიშზე მოძრაობის არარსებობისას კლიენტებს უგზავნიან შეტყობინებას პირველი რიცხვისათვის ნაშთის თანხის შესახებ. პირველი იანვრისათვის უნდა შედგეს ყველა პირადი ანგარიში კლიენტებისთვის ამოწერის მიცემით. ამ ამონაწერების მონაცემების მიხედვით კლიენტებმა ბანკს წერილობით უნდა წარუდგინონ პირადი ანგარიშების ნაშთების დადასტურება საანგარიშო წლის ბოლოსათვის.

კლიენტების წერილობითი განცხადებების საფუძველზე და ბანკის დაწესებულების ხელმძღვანელის ნებართვით აუცილებლობის შემთხვევაში, მათზე შეიძლება გაიცეს პირადი ანგარიშებიდან ამონაწერების დუბლიკატები. განცხადებას დუბლიკატის მიღებაზე ხელს აწერენ ის პირები, რომლებსაც აქვთ ბანკში ანგარიშის მართვა-გამგებლობის უფლებამოსილება. ამონაწერის დუბლიკატი დგება ორ ეგზემპლარად პირადი ანგარიშის დადგენილი ფორმის ბლანკზე. დოკუმენტის სატიტულო ნაწილში მიეთითება იმ საბანკო ოპერაციების შესრულების თარიღი, რომელიც ამონაწერშია ასახული. დუბლიკატის მეორე ეგზემპლარს ხელს აწერენ ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებელი და მთავარი ბუღალტერი. მას ამოწმებენ ბეჭდით და ხელწერილით გასცემენ კლიენტის წარმომადგენელზე. დუბლიკატის პირველ ეგზემპლარს კლიენტის განცხადებასთან ერთად ათავსებენ ცალკე საქმეში, რომელიც საბანკო დაწესებულების მთავარ ბუღალტერთან ინახება.

სინთეზური აღრიცხვის ორგანიზაცია. ბანკში სინთეზური აღრიცხვის ორგანიზებისათვის იყენებენ სალაროს ჟურნალებს, შესამოწმებელ უწყისებს, ყოველდღიურ, ყოველთვიურ და წლიურ ბალანსებს.

სალაროს ჟურნალები შეიცავს სალაროში თანხების შემოსვლისა და ხარჯვის დოკუმენტების ჩანაწერებს. მათში მითითებულია კლიენტების პირადი ანგარიშების ნომერი, სალაროს გეგმის სიმბოლოები და თანხები. ოპერაციული დროის დამთავრებისას დაიანგარიშება შედეგები სალაროს ჟურნალების მიხედვით, რომლებიც შემდეგ უდარდება ბანკის საბრუნავი სალაროს შემოსელისა და ხარჯვის მონაცემებს.

შემოწმების უწყისებში იბეჭდება ბრუნვათა შედეგები დღის განმავლობაში მოქმედი ყოველი პირადი ანგარიშის მიხედვით და ნაშთები მოქმედი და უმოქმედო პირადი ანგარიშების მიხედვით, აგრეთვე, ბრუნვებისა და ნაშთების შედეგები საბალანსო ანგარიშების მიხედვით და უწყისების საერთო შედეგები. ამ უწყისებს იყენებენ პირად ანგარიშებში გამოყენებული ნაშთების სისწორის გასაკონტროლებლად. გარდა ამისა, მათი მონაცემების მიხედვით ადგენენ ბალანსს თვის პირველი რიცხვისათვის მეორე რიგის ანგარიშებისგან, რომელიც პირველი რიგის ანგარიშების მიხედვით შედგენილ ბრუნვის უწყისთან ერთად წარმოადგენს ბანკის დაწესებულების ბუღალტრულ ანგარიშგებას. ბანკის იმ დაწესებულებებში, რომელთა ინფორმაცია ელექტრონულ გამომთვლელ

მანქანებზე მუშავდება, სინთეზურ ანგარიშთან ანალიზურის შედარებას ინფორმაციის დამუშავების პროცესში ავტომატიზებული ხერხით ახდენენ. ამავე ხერხით აგროვებენ ბრუნვებს საბალანსო ანგარიშების მიხედვით და ადგენენ ყოველთვიური და წლიური ბრუნვის უწყისებს. ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებზე შედგენილ შემოწმების უწყისებში ბეჭდავენ მხოლოდ ნაშთებს პირადი ანგარიშების მიხედვით. ამ უწყისებს იყენებენ დოკუმენტების განაღდებისას ანგარიშებზე არსებული სახსრების მოძრაობის ოპერატიული აღრიცხვისათვის.

კომერციული ბანკის ბალანსს ყოველდღიურად ადგენენ და იგი ასახავს ბანკის მოზიდული და საკუთარი სახსრების მდგომარეობას. აგრეთვე, საკრედიტო და სხვა ოპერაციებში მათ განთავსებას.

ბალანსის მონაცემების მიხედვით აკონტროლებენ:

- ფულადი რესურსების ფორმირებასა და განთავსებას;
- საკრედიტო, საანგარიშსწორებო, საკასო და სხვა საბანკო ოპერაციების მდგომარეობას;
- ბუღალტრულ აღრიცხვაში ოპერაციების ასახვის სისწორეს.

ამგვარად, ბალანსი ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი დოკუმენტია.

დასკვნითი ბრუნვები. დასკვნითია ის ბრუნვები ცალკეული ანგარიშებისა და ოპერაციების მიხედვით, რომელთა გატარება ახალ წელში ხდება, მაგრამ უნდა აღირიცხოს როგორც გასული წლის ბრუნვები. შესაბამისი ანგარიშების მიხედვით დასკვნითი ბრუნვების გატარებისას ხელმძღვანელობენ ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის გამოყენების მითითებებით.

დასკვნითი ბრუნვების დასრულების ბოლო ეადას ადგენს ბანკის მთავარი ბუღალტერი იმ ანგარიშით, რომ არ შეფერხდეს ბანკის წლიური ანგარიშის გაგზავნა დადგენილ ვადაში.

დასკვნითი ბრუნვების დოკუმენტებზე სვამენ შტამპს ან უკეთებენ წარწერას: „დასკვნითი ბრუნვების მიხედვით". მათ ცალკე დასტად კინძავენ, მაგრამ კრავენ მიმდინარე წლის ოპერაციების მოცემული დღის დოკუმენტებთან ერთად.

ბრუნვების მიხედვით ანალიზური აღრიცხვის სინთეზურთან შედარებას ყოველდღიურად ახდენენ ცალ-ცალკე გასული და მიმდინარე წლების დასკვნითი ბრუნვების მიხედვით, ნაშთებს კი ჩვეულებრივი წესით ადარებენ. დასკვნითი ბრუნვების დასრულების შემდეგ ადგენენ ბრუნვის უწყისს ყველა დასკვნითი ბრუნვის მიხედვით.

ბუღალტრულ აღრიცხვასთან ერთად ბანკის დაწესებულებებში ეწევიან ოპერატიულ აღრიცხვას. მას, როგორც წესი, არ ამოწმებენ ბუღალტრული ბალანსით და უშუალოდ სააღრიცხვო-ოპერატიული ბუშაკები ეწევიან. ოპერატიული წესით, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებენ პირად ანგარიშებში არსებულ ცვლილებებს, რაც ფულის შემოსვლასა და გადახდასთან დაკავშირებით ხდება. ამგვარი აღრიცხვა საოპერაციო დროის განმავლობაში ხდება და მხოლოდ არსებული სახსრების ფარგლებში იძლევა ანგარიშსწორების, მიმდინარე, საბიუჯეტო და სხვა ანგარიშებიდან ფულის გადახდის განხორციელების საშუალებას. ოპერატიულ აღრიცხვას ახდენენ შემოსული და გადახდილი ფულის დაანგარიშების, მათი სალდირებისა და ყოველ ანგარიშზე ნაშთის გამოყვანის გზით. ოპერატიული წესით ანგარიშზე მიღებული ახალი ნაშთი იწერება დოკუმენტებზე — პირად ანგარიშში ან წინა დღის შესამოწმებელ უწყისში.

21.4. საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციისა და წარმართვის საერთაშორისო პრინციპები

ანგარიშთა გეგმის დამუშავების დროს გათვალისწინებულია საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციისა და წარმართვის შემდეგი საერთაშორისო პრინციპები:

- საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის უწყვეტობის პრინციპი, რომელიც იმას გულისხმობს, რომ ორგანიზაცია უწყვეტად განახორციელებს თავის საქმიანობას მომავალში;
- საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების წესების შუდმივობის პრინციპი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საკრედიტო ორგანიზაცია უნდა ხელმძღვანელობდეს საბუღალტრო აღრიცხ-

ვის ერთი და იმავე წესებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებითი ცვლილებები ხდება სამართლებრივ მექანიზმში ან საკუთარ საქმიანობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესადარისობა სხვა პერიოდების ანგარიშგებებთან;

- საბანკო ოპერაციების შესრულების დროს სიფრთხილის პრინციპი;
- შემავალი ნაშთის ურყეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის საბალანსო და არასაბალანსო ანგარიშებზე არსებული ნაშთები უნდა შეესაბამებოდეს წინა პერიოდის ბოლოს არსებულ ნაშთებს;
- შინაარსის პრიორიტეტი ფორმაზე: ოპერაციები აისახება მათ ეკონომიკურ არსთან და არა იურიდიულ ფორმასთან შესაბამისობით;
- აქტივებისა და პასივების ცალ-ცალკე ასახვის პრინციპი , რომლის შესაბამისადაც აქტივებისა და პასივების ანგარიშები ცალ-ცალკე ფასდება და გაშლილი სახით აისახება;
- გაბსნილობის პრინციპი ნიშნავს, რომ საბანკო ანგარიშები სარწმუნოდ უნდა ასახავდეს საკრედიტო ორგანიზაციის ოპერაციებს, გასაგები იყოს ინფორმირებული მოსარგებლისათვის და არ შეიცავდეს ორაზროვან განმარტებებს საკრედიტო ორგანიზაციის პოზიციის გამოხატვისას.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპებზე გადასვლის პრობლემებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეროვნული საბანკო სისტემის ჩამოყალიბებაში. კომერციულ ბანკებში ამჟამად შექმნილია ამ საკითხის გადაწყვეტის წანამძღვრები, მაგრამ ამას შემდეგი სერიოზული ფაქტორების ამუხრუჭებს:

პირველი – კომერციული ბანკების არათანაბარი შეესება კვალიფიციური საბუღალტრო კადრებით. ასეთი სპეციალისტების მწვავე დეფიციტს განსაკუთრებით განიცდიან ახლახან შექმნილი ბანკები. აშკარაა, რომ თვით ბანკებისა და საბანკო ასოციაციების აქტიური მონაწილეების გარეშე კვალიფიციური კადრების მომზადების პრობლემის მოგვარება უაღრესად ძნელი იქნება.

მეორე – ბუღალტრის პროფესიაზე წარმოდგენების პრინციპული შეცვლა, რაც ახლა ჩნდება საბანკო პრაქტიკაში აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან მიერთებასთან დაკავშირებით. თუკი წინათ ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშსწორებასთან იყო გათანაბრებული, ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ საზღვარგარეთ საბანკო ბიზნესმა ზურგი აქცია ამგვარ წარმოდგენებს. ანგარიშწარმოება – ანგარიშებზე ჩანაწერების წარმოება – ბუღალტრული აღრიცხვის მხოლოდ ნაწილია. ანგარიშწარმოების გარდა ბუღალტრული აღრიცხვა მოიცავს აღრიცხული ინფორმაციის ანალიზს და მმართველურ გადაწყვეტილებათა მიღებაში, ე.ი. საბანკო მენეჯმენტში მონაწილეობას. ბანკების პერსონალის რეტრენინგული შეფასებისას ბანკის ანალიზსა და მართვაში მონაწილეობა ბუღალტრული კადრებისათვის სავალდებულო საქმიანობად უნდა განვიხილოთ.

მესამე – მთელი რიგი საბანკო ოპერაციების ბუღალტრული გაფორმებისათვის საჭირო ნორმატიული ბაზის უქონლობა. ქვეყანაში არსებული სტანდარტები აძლევენ საბანკო საქმიანობის ანალიზს, არ იძლევიან ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შეფასების იმ მაჩვენებლებისა და კოეფიციენტების გამოყენების შესაძლებლობას, რომელსაც წარმატებით იყენებენ საზღვარგარეთის საბანკო პრაქტიკაში.

მეოთხე – მონაცემების გადაცემის საშუალებათა, ტელეკომუნიკაციებისა და ყალბი დოკუმენტების შეღწევისგან საბანკო ინფორმაციის დაცვის ტექნიკური აღჭურვის არასაკმარისი დონე, საბანკო უსაფრთხოების საერთო დაბალი დონე, მათ შორის – კომპიუტერული უსაფრთხოებისა. ამას უკავშირდება საბანკო საიდუმლოებების შენახვაში ზოგიერთი ბანკის უუნარობა, მაშინ, როდესაც საბანკო ბიზნესი განვითარებას მოითხოვს (დასავლეთის სტატისტიკის თანახმად, საბანკო სფეროში დანაშაულის 60%-ს ბანკის პერსონალი იდენს).

მეხუთე – ზოგიერთი აუდიტური ფირმის არასაკმარისი პროფესიონალიზმი ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში, შემოწმების ხარისხზე მათი პასუხისმგებლობის საერთო დონე.

საბანკო ინფრასტრუქტურამ უნდა მოიცვას კვალიფიკაციური აუდიტი, რომელიც არა მარტო

დაადასტურებს ბანკის ანგარიშგებას, არამედ შეაფასებს კიდეც მისი ხელმძღვანელობის, მენეჯმენტის ხარისხს რისკების, ლიკვიდობის, შემოსავლიანობის და ა. შ. ანალიზის საფუძველზე. აქვე უნდა შედიოდეს კვალიფიციური სამსახური, გირაოს რეგისტრაციის სააგენტო, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი ორმაგი და მრავალჯერადი გამოყენება.

როგორც ვხედავთ, ბანკებში აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპებზე გადასვლის განხორციელება მათი საქმიანობის რთულ პირობებში დაიწყო. 1990 წლიდან კომერციული ბანკები ექსპერიმენტის წესით შეუდგნენ ახალი ფინანსური ანგარიშების შედგენას და აღრიცხვის ახალ სტანდარტებზე გადასვლას.

ანგარიშთა ახალი გეგმის დამუშავების დროს გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნები ფინანსური სტატისტიკის დარგში, აგრეთვე, ეკონომიკურ ურთიერთობათა ორგანიზაციის პრინციპების შეცვლა, ქვეყნის კომერციული ბანკების ფუნქციებისა და მათ მიერ შესრულებული ოპერაციების წრის გაფართოება. შეიცვალა ანგარიშთა გეგმის საერთო სტრუქტურა, რომელსაც ახლა საფუძვლად უდევს ეკონომიკური შინაარსით ერთგვაროვანი საბანკო ოპერაციების გამოყოფა განყოფილებებად.

ანგარიშთა გეგმის ფორმირებას საფუძვლად დაედო შემდეგი პრინციპები:

1. ანგარიშების დანაწილება აქტიურ და პასიურ ანგარიშებად და აქტიურ-პასიური ანგარიშების გამოყენებაზე უარის თქმა. იმ ოპერაციების ასახვის მიზნით, რომლებზეც შესაძლებელია ან დებეტური, ან კრედიტური სალდოს წარმოქმნა, ანგარიშთა გეგმაში გათვალისწინებულია ორი დაწყვილებული ანგარიშის გახსნა: აქტიურის და პასიურის. საოპერაციო დღის დასაწყისში ასეთ ანგარიშებზე ოპერაციები იმ ანგარიშებში აისახება, რომლებსაც ნაშთი აქვთ წინა დღის შედეგების მიხედვით. არ შეიძლება დაუშვათ დღის ბოლოს დებეტური სალდოს (ოვერდრაფტის) წარმოქმნა პასიურ ანგარიშზე ან კრედიტული სალდოსი - აქტიურ ანგარიშზე.

2. საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშების ნომრების აგების ორდონიანი სისტემა. ბალანსზე ზსნიან პირველი რიგის ანგარიშებს, რომლებსაც სამნიშნა ნომერი აქვთ. ეს ანგარიშები წარმოადგენს სინთეზური აღრიცხვის იარაღს, რადგანაც მათში ბანკის ოპერაციები გამსხვილებული სახით აისახება. ოპერაციების აღრიცხვის დეტალიზაციის მიზნით პირველი რიგის ანგარიშებს უსნიან მეორე რიგის ანგარიშებს, რომელთაც ბუთნიშნა ნომრებს აკუთვნებენ.

3. აქტიური და პასური ოპერაციების ერთიანი დროითი სტრუქტურა მათი გატარების ვადების მიხედვით. საკრედიტო ორგანიზაციის ბალანსში აქტიური და პასიური ოპერაციების ასახვის დროს მისი ლიკვიდობის უზრუნველყოფის ოპერატიული კონტროლის მიზნით იყენებენ, — სადაც ეს აუცილებელია, — მეორე რიგის ანგარიშების ერთიან სტრუქტურას მოზიდვისა და განთავსების ვადების მიხედვით:

- მოთხოვნამდე;
- 1 დღის ვადით;
- 7 დღის ვადით;
- 30 დღის ვადით;
- 31-დან 90 დღემდე ვადით;
- 91-დან 180 დღემდე ვადით;
- 181-დან 1 წლამდე ვადით;
- 1-დან 3 წლამდე ვადით;
- 3 წელზე ბეტი ვადით.

4. ანგარიშების დაყოფა კლიენტთა ტიპების მიხედვით. ოპერაციების ასახვის დროს იყენებენ კლიენტთა ერთიან კლასიფიკაციას, რომელიც ეყრდნობა რეზიდენტებისა და არარეზიდენტების გამოყოფას, საკუთრების ფორმებისა და საქმიანობის სახეების განსხვავებულობას. მაგალითად, რეზიდენტი იურიდიული პირების შემთხვევაში ოპერაციების ასახვისათვის ცალკე

ანგარიშები აქვთ გახსნილი ბანკის ისეთ კლიენტებს, როგორიცაა:

- საკრედიტო ორგანიზაციები;
- სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოები და ორგანიზაციები, მათ შორის – ფინანსური, კომერციული და არაკომერციული;
- სხვა საწარმოები და ორგანიზაციები, მათ შორის - ფინანსური, კომერციული და არაკომერციული.

ბანკის ბალანსზე ცალკე ანგარიშებს ხსნიან იმ ოპერაციების ასახვისათვის, რომლებიც ეხება საწარმოებს, იურიდიული პირების ჩამოუყალიბებლად, ფიზიკურ პირებსა და არარეზიდენტებს.

5. აღრიცხვაში საბანკო ოპერაციების ასახვის პრინციპი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. ამ პრინციპის შესაბამისად, საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშებში საბანკო ოპერაციებს ასახავენ ოპერაციების ეკონომიკური შინაარსის და არა ვალუტის სახის ან სხვა ნიშნის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით, ანგარიშთა ახალ გეგმაში არ გამოყოფენ ახალ განყოფილებას უცხოური ვალუტით ოპერაციების ასახვისათვის. ყველა ეს ოპერაცია უნდა აისახოს მხოლოდ ეროვნული ვალუტით ბანკის ერთიან ყოველდღიურ საბუღალტრო ბალანსში. ეროვნული და უცხოური ვალუტებით მიმდინარე ოპერაციების გამიჯვნის მიზნით, ერთიან საბუღალტრო ანგარიშზე იხსნება ცალკე პირადი ანგარიშები, რომელთა ნომრებში შემოაქვთ ვალუტების სამნიშნა კოდი.

6. დამატებითი ანგარიშების გახსნის უფლების მიცემა ბანკებისთვის გასატარებელი ოპერაციების ზუსტად ასახვის უზრუნველყოფის მიზნით. იმ ცალკეული ოპერაციების აღრიცხვისათვის, რომელთა გატარება ერთნაირად აუცილებელია ბანკისთვისაც და მისი კლიენტისთვისაც, საკრედიტო ორგანიზაციებს უფლება აქვთ, გახსნან მეორე რიგის დამატებითი ანგარიშები. მაგალითად, ბანკის კლიენტს შეუძლია ისარგებლოს სპეციალური სატრანზიტო ანგარიშით. ამ ანგარიშს ხსნიან იმ ოპერაციების გასატარებლად, რომლებიც ძირითადად ეხება კლიენტისგან გადახდების მიღებას შემდგომში მათი გადარიცხვის მიზნით სახსრების უშუალოდ მიღებისთვის. საკრედიტო ორგანიზაციებს უფლება აქვთ, გარკვეული ვადით გაუხსნან კლიენტებს ანგარიშები დაგროვებისთვის განკუთვნილი სახსრების ჩასარიცხად. ამ ანგარიშების ფუნქციონირების რეჟიმს თავისებურებები აქვს. ნებადართული არაა მათზე რიცხული სახსრების გახარჯვა, ვადის გასვლის შემდეგ ამ ანგარიშებზე რიცხული სახსრები უნდა გადარიცხოს დადგენილი წესით გაფორმებულ საანგარიშსწორებო ან მიმდინარე ანგარიშებზე.

7. ანგარიშსწორება ფილიალებთან. ანგარიშთა მოქმედი გეგმის შესაბამისად, ანგარიშებს ინასავენ თავის ფილიალებთან საკრედიტო ორგანიზაციის ანგარიშსწორებათა აღრიცხვისათვის. ამ დროს ერთმანეთისგანაა გამიჯნული ქვეყნის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ მოქმედი ფილიალები. საკრედიტო ორგანიზაციას მინიჭებული აქვს იმავე ქალაქში მდებარე დამატებით ოფისებში აღრიცხვისა და დოკუმენტბრუნვის წესის არჩევის თავისუფლება. ეს ოფისები უნდა საქმიანობდნენ მათ შესახებ შესაბამისი წესით დამტკიცებული დებულებების საფუძველზე.

8. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების ცალმხრიად დაჯგუფების პრინციპი იმას ნიშნავს, რომ ბანკის ბალანსის ერთ განყოფილებაში შეიძლება მოხვდეს როგორც აქტიური, ისე პასიური ანგარიშები. ეს ეხება იმ განყოფილებებსაც, სადაც ბალანსის ანგარიშებია დაჯგუფებული, და ბალანსგარეშე აღრიცხვის განყოფილებებსაც.

9. კლიენტთა პირადი ანგარიშების ნუმერაცია. კლიენტისათვის პირადი ანგარიშის გახსნის დროს ბანკი მას აკუთვნებს ნომერსა და დასახელებას. საერთაშორისო სტანდარტებით პირადი ანგარიშის ნომერი ოცი ნიშნისგან შედგება. პირადი ანგარიშის ნომრის აგების სქემა (გარდა საბიუჯეტო ანგარიშისა) 21.1 ნახაზზეა მოცემული.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20

ნახ 21.1. კლიენტთა პირადი ანგარიშების ნუმერაცია

საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშებში ოპერაციების გატარებას საფუძვლად უდევს ორმაგი ჩაწერის მეთოდი. ეს მთლიანად ეხება როგორც საბალანსო, ისე არასაბალანსო ანგარიშებს და იმას ნიშნავს, რომ ყოველი ოპერაცია ასახული უნდა იყოს ერთი ანგარიშის დებეტით და მეორე ანგარიშის კრედიტით, ერთი ანგარიშის შემოსაელით და მეორე ანგარიშის გასაელით.

ბანკის ბალანსის შედგენის ყველა ჩამოთვლილი პრინციპის დაცვა საშუალებას გვაძლევს, უზრუნველვყოთ ხარისხიანი საბუღალტრო ანგარიშგების ფორმირება. ეს ამ ინფორმაციით მოსარგებლე პირებს დაესმარება კომერციული ბანკის საქმიანობაში არსებული სუსტი უბნების გამოელენაში და ვითარების ნორმალიზების ღონისძიებათა თავისდროულად მიღებაში.

ანგარიშის ნომრის აგების სქემა: 1. განყოფილების ნომერი; 2,3 – პირველი რიგის ანგარიშის ნომერი (ყოველ განყოფილებაში იგი იწყება 01-დან); 4,5 – მეორე რიგის ანგარიშის ნომერი (პირველი რიგის ყველა ანგარიშში იგი იწყება 01-დან); 6-8 – ვალუტის კოდი; 9 – დამცავი გასაღები; 10-13 – იმ განყოფილების ნომერი, რომელსაც არა აქვს საკორესპონდენტო ანგარიში; 14-20 – რიგითი ნომერი პირადი ანგარიშების რეგისტრაციის წიგნში.

ქვემოთ მოყვანილია საკრედიტო ორგანიზაციების საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშების ჩამონათვალი მცირე შემოკლებით.

21.5. ბანკის ბალანსის დახასიათება და მისი აგების პრინციპები

ბანკის ბალანსი ფულადი გამოსატულებით ახასიათებს კომერციული ბანკების რესურსების მდგომარეობას. მათი ფორმირების წყაროებს და გამოყენების მიმართულებებს, აგრეთვე, ბანკების საქმიანობის ფინანსურ შედეგებს საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და ამ პერიოდის ბოლოს. ბანკის ბალანსი საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი დოკუმენტია. რომელიც ანალიტიკური აღრიცხვის ყველა პირადი ანგარიშის ნაშთების ჯამს ასახავს მათი ნომრების ზრდის წესით. ბალანსის განყოფილებებში ისინი დაჯგუფებულია აღრიცხული ფულადი სახსრებისა და საბანკო ოპერაციების ეკონომიკური ერთგვაროვნების ბიზედვით. ბალანსის მონაცემების ანალიზი გვაძლევს გარკვეულ პერიოდში ბანკების საქმიანობის კომპლექსურ დახასიათებას: ბალანსის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ საკუთარი სახსრების ოდენობა, რესურსების წყაროების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები, აქტივების შემადგენლობა და დინამიკა და ა.შ. გარდა ამისა, ბალანსის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ლიკვიდობის, შემოსავლიანობის მდგომარეობაზე და კომერციული ბანკების განვითარების შესაძლო პერსპექტივებზე.

კომერციულმა ბანკებმა საკანონმდებლო წესით უნდა გამოაქვეყნონ წლიური ბუღალტრული ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშების მონაცემები. ქვეყნის ყველა კომერციული ბანკის კონსოლიდირებული ბალანსი შესაძლებლობას გვაძლევს, დავახასიათოთ მთლიანად ეკონომიკის და, კერძოდ, მისი ცალკეული სფეროებისა და რეგიონების მდგომარეობა. კომერციული ბანკების ბალანსების ანალიზი ის ძირითადი წყაროა, რომელზე დაყრდნობითაც ქვეყნის ეროვნული ბანკი შეიმუშავებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის და კომერციული ბანკების რეგულირების ძირითად მიმართულებებს. კომერციული ბანკების ანგარიშგების სასელმწიფო საგადასახადო სამსახურიც იყენებს საგადასახადო პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში.

საქართველოს საბანკო დაწესებულებებში 2001 წლის იანვრიდან მოქმედებაში შევიდა ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ანგარიშთა გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქცია. იგი შედგენილია საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისო აღრიცხვის ძირითადი პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

1999 წლის 5 თებერვლის საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების რეგულირების შესახებ" მოთხოვნათა თანახმად, ანგარიშთა გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქცია დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხ-

ვის სტანდარტების კომისიის მიერ, ერთდროულად რეგისტრირებულია და შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო სტანდარტებით ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბანკო ინფორმაციისადმი შიდა და გარე მომხმარებლების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის წარმატებულ განხორციელებას. მისი მიზანია, სრულყოფილი აღრიცხვით უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რომელიც საშუალებას აძლევს ბანკის ხელმძღვანელობას, აქციონერებს და სხვა კატეგორიის მომხმარებლებს, მიიღონ უტყუარი ინფორმაცია ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ხელს უწყობს ადგილობრივი საბანკო დაწესებულებების მიერ საერთაშორისო საზოგადოების ნდობის მოპოვებას, საინვესტიციო რისკების შემცირებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას.

ბანკების ბალანსი აგებულია უნიფიცირებული სქემით, ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, რომელსაც ქვეყნის ცენტრალური ბანკი ამტკიცებს. ბანკების ბალანსები ეკუთვნის კომერციული ინფორმაციის საშუალებებს და უასუხებს ოპერატიულობის, კონკრეტულობისა და სოლიდურობის (სარწმუნოობის) მოთხოვნებს. ბანკის ბალანსის ოპერატიულობა ვლინდება მის ყოველდღიურად შედგენაში, რომელიც მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს ბანკებში წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვის სისწორესა და სარწმუნოობას და უკავშირდება კლიენტებისათვის მათი პირადი ანგარიშების მეორე ეგზემპლარების (ამონაწერების) ყოველდღიურად გადაცემას, რომლებშიც გამორიცხულია მცდარი ჩანაწერების არსებობა. 2001 წლამდე მოქმედი ანგარიშთა გეგმა, რომელიც ბანკების ბალანსების აგებას ედო საფუძვლად, იყენებდა ეკონომიკურად ერთგვაროვანი ნიშნებით ანგარიშთა დაჯგუფების პრინციპს.

აქტივების მიხედვით მუხლების კლებადი ლიკვიდობის და პასივების მიხედვით სასესრების მოთხოვნის დონის შემცირების წესს მკაცრად არ იცავენ და მას მხოლოდ ტენდენციის სახე აქვს.

ბალანსგარეშე ანგარიშებს იყენებენ ბანკში შესანახად შემოსული იმ ფასეულობებისა და დოკუმენტების აღრიცხვისთვის, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ბალანსის აქტივსა და პასივზე. ინკასოს და კომისიის, აგრეთვე, მკაცრი ანგარიშგების ბლანკების, აქციათა ბლანკების, სხვა დოკუმენტებისა და ფასეულობების აღრიცხვისთვის.

ბანკების ბალანსის შემადგენლობა და სტრუქტურა დამოკიდებულია მათი საქმიანობის სასიათსა და სპეციფიკაზე, ბანკებში საბუღალტრო აღრიცხვის მოწყობის პრინციპებზე და გამოყენებულ საბანკო ოპერაციებზე.

ბანკის ბალანსის ანგარიშები დაყოფილია საბალანსო და არასაბალანსო ანგარიშებად.

საბალანსო ანგარიშებზე აღრიცხვა წარმოებს ორმაგი ჩაწერის სისტემით, ყოველი საბანკო ოპერაციის ასახვით ერთი ანგარიშის დებეტისა და მეორის კრედიტის მიხედვით. არასაბალანსო ანგარიშებზე აღირიცხება ბანკში შესანახად ინკასოზე ან კომისიაზე შემოსული ფასეულობებისა და დოკუმენტების მოძრაობა, აგრეთვე, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ნიშნები, მკაცრი ანგარიშგების ბლანკები და ფასიანი ქაღალდები. როგორც წესი, ამ ანგარიშებზე აღრიცხვა მარტივი სქემით ხდება: შემოსაგალი, გასაგალი, ნაშთი.

ანგარიშთა ახალ გეგმაში საბალანსო ანგარიშები დაჯგუფებულია შემდეგი შინაარსის მიხედვით: აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსაგალები, ხარჯები. თავის მხრივ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფი დაყოფილია ე.წ. კლასებად. კერძოდ, აქტივები მოიცავს 10-დან 29 კლასის ჩათვლით, ვალდებულებები – 30-დან 49 კლასის ჩათვლით. კაპიტალი – 50-დან 59 კლასის ჩათვლით, შემოსაგალები – 60-დან 76 კლასის ჩათვლით და ხარჯები 80-დან 96 კლასის ჩათვლით (თითოეული კლასის გაშიფრა ქვემოთაა მოცემული).

საბალანსო ანგარიშები შედგება პირველი რიგის (ძირითადი ანგარიშები) და მეორე რიგის

ანგარიშებისაგან, რომლებიც პირველი რიგის ანგარიშების დეტალიზებას ახდენენ. პირველი რიგის ანგარიშები ორი ნიშნისგან შედგება, მეორე რიგის ანგარიშები კი სამი ნიშნისგან. მეორე რიგის ანგარიშის სამნიშნა ნომერში პირველი ორი ციფრი აღნიშნავს პირველი რიგის ანგარიშის ნომერს და მიუთითებს საბანკო ოპერაციების ძირითად ეკონომიკურ ნიშან-თვისებებზე, მესამე ციფრი კი ახდენს ანგარიშის ნიშან-თვისებების დეტალიზებას. მაგალითად, კლასი 30 „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ნაღდი ფული“ მოიცავს: ანგარიშთა ჯგუფს 300 „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტები და მონეტები“, რომელიც თავის მხრივ კიდევ დეტალიზდება ორი ოთხციფრიანი ანგარიშით – 3001 – „მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტები“ და 3002 „მიმოქცევაში გაშვებული მონეტები“ და ა.შ. კლასი 35 „ბანკების ფულადი სახსრები“ ანგარიშები გამოიყენება ბანკების კუთვნილი თანხების აღსარიცხავად, რომელთა გაცემა ხორციელდება ნებისმიერ დროს, თუ ანგარიში ბლოკირებული არ არის. იგი მოიცავს 6 მეორე რიგის საბალანსო ანგარიშს 350 „ლორო“ ანგარიშები ეროვნული ვალუტით, 351 „ლორო“ ანგარიშები უცხოური ვალუტით, 352 „ბანკების ვადიანი დეპოზიტები ეროვნული ვალუტით“, 353 „ბანკების ვადიანი დეპოზიტები უცხოური ვალუტით“, 355 „ბანკების სესხები ეროვნული ვალუტით“, 356 „ბანკების სესხები უცხოური ვალუტით“ და 358 „საქართველოს ეროვნული ბანკის სესხები“. თითოეული ზემოთჩამოთვლილი ანგარიში დეტალიზებულია ოთხნიშნა ანგარიშებით, მაგ. 352 „ბანკების ვადიანი დეპოზიტები ეროვნული ვალუტით“ მოიცავს: 3521 „არარეზიდენტი ცენტრალური ბანკების ვადიანი დეპოზიტები“, 3522 „არარეზიდენტი კომერციული ბანკების ვადიანი დეპოზიტები“; 3523 „რეზიდენტი კომერციული ბანკების ვადიანი დეპოზიტები“.

გარებალანსური ანგარიშების მიხედვით, საბანკო ოპერაციების წარმოებაში, კერძოდ, აღრიცხვის სისწორის შემოწმების უზრუნველსაყოფად ბალანსგარეშე ანგარიშებზე გამოიყენება ორმაგი ჩაწერის მეთოდი, რისთვისაც შემოღებულია 0999 „ტექნიკური ანგარიში“.

ბალანსგარეშე ანგარიშები მოიცავს 9 კლასს, რაც აღინიშნება ორნიშნა ციფრით. მაგალითად, კლასი 09 „მემორანდუმის ანგარიშები“ მოიცავს სამ სამნიშნა ანგარიშს 090 „გაუნაღდებელი დოკუმენტები“. 091 „ზარალში ჩამოწერილი ვალები“, 092 „სხვა ფასეულობა და დოკუმენტები“. თავის მხრივ 090 დეტალიზებულია სამი ოთხნიშნა გარებალანსური ანგარიშით: 0901 „ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები გადამხდელების მიზეზით“, 0902 „ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები ბანკის მიზეზით“, 0903 „გაუნაღდებელი საწესდებო კაპიტალი“. უნდა აღინიშნოს, რომ მემორანდუმის ანგარიშების კლასში შეტანილია ყველა ის ბალანსგარეშე ანგარიშები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ახალ ანგარიშთა გეგმით და რომელიც შემდგომში საჭიროებს მათ სისტემგარეშე აღრიცხვას.

ნორმატიული საბანკო დოკუმენტებით დადგენილია, რომ ოპერატიული (ყოველდღიური) ბალანსი უნდა შედგეს პირველი რიგის საბალანსო ანგარიშებზე საბრუნავი უწყისის ფორმით. ეს უწყისი ბანკებში ანგარიშთა გეგმის იმ ანგარიშთა ჩამონათვალია, რომლებიც მათი ზრდის წესითაა განლაგებული და მათზე მიმოითებულია მოცემული პერიოდის დასაწყისში არსებული ნაშთები. ამ პერიოდში მომხდარი ბრუნვა და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის დარჩენილი ნაშთები. პრაქტიკაში, როგორც წესი, ოპერატიულ, თვიურ, კვარტალურ, წლიურ ბალანსებს მეორე რიგის საბალანსო ანგარიშების მიხედვით ადგენენ და გამოჰყავთ შედეგები პირველი რიგის ანგარიშების მიხედვით. ბანკის წლიური ბალანსი საბოლოო ბრუნვების გათვალისწინებით დგება. ესაა ახალ წელში ჩატარებული ანგარიშები და ოპერაციები, რომლებიც ისე ექვემდებარება აღრიცხვას, როგორც გასული წლის ბრუნვები.

კომერციული ბანკები ბალანსის ნაირგვარ ფორმებს იყენებენ. ყველაზე უფრო მეტადაა გავრცელებული ბალანსში მარცხენა და მარჯვენა მხარეების არსებობა, რომლებიც ცალ-ცალკე ასახავენ ოპერაციებს აქტივისა და პასივის მიხედვით.

ბანკის ბალანსის ანგარიშები იყოფა აქტიურ, პასიურ და აქტიურ-პასიურ ოპერაციებად.

აქტიურ ანგარიშებზე აღრიცხავენ ბანკის რესურსების შემადგენლობას და უჭერებენ მათ განთავსებას (ბანკის სალაროებში არსებული ნაღდი ფული, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება, რესურსების დაბანდება ფასიან ქაღალდებში, უცხოური ვალუტის შეძენა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, სასესხო ოპერაციები, დებიტორული დავალიანება, ძირითადი საშუალებები და სამეურნეო ხარჯები და ა.შ.). აქტიურ ანგარიშებზე საბოლოო სალდოს დებეტის მიხედით აჩვენებენ. ბანკის ბალანსის აქტივი ასახავს ბანკის რესურსების დაბანდებას და განსაზღვრავს აქტიური ოპერაციების განხორციელების დროს გაწეული დანახარჯების სიდიდეს. პასიურ ანგარიშებში აისახება ბანკების რესურების ფორმირების წყაროები (ბანკის ფონდები და მოგება, ბიუჯეტის შემოსავლები, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისთვის გამოყოფილი სახსრები, სარების ნაშთები საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე, დეპოზიტებში. ანგარიშსწორებაში არსებული თანხები, კრედიტორული დავალიანება და ა.შ.). პასიურ ანგარიშებში არსებული საბოლოო სალდო აისახება კრედიტის მიხედით. აქტიურ-პასიური ანგარიშებით ძირითადად აღირიცხება სხვა ბანკებთან მოცემული ბანკის ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ოპერაციები (მათ შორის უცხოურ ბანკებთან), საანგარიშსწორებო ოპერაციები კლიენტებთან, მეანაბრეებთან და სხვა კრედიტორებთან. ამ ანგარიშების საბოლოო სალდოს აჩვენებენ გაშლილი სახით, დებეტსა და კრედიტში ნაშთების გამოყვანით.

ანგარიშთა ახალი გეგმის ფორმირების დროს გათვალისწინებულია ეკონომიკური სისტემის საფუძვლებში და ეკონომიკურ ურთიერთობათა ორგანიზაციის პრინციპებში ბოლო წლებში მომხდარი ცვლილებები, ბანკების ფუნქციების გაფართოება და მათ მიერ ჩატარებული ოპერაციების რაოდენობის გადიდება. შეიცვალა ანგარიშთა გეგმის საერთო სტრუქტურა, რომელიც ახლა ეფუძნება შინაარსით ერთტიპიურ საბანკო ოპერაციების (ბანკთაშორისი ოპერაციები, კლიენტურის ანგარიშები, მოზიდული და განთავსებული სახსრები, ფასიან ქაღალდებზე წარმოებული ოპერაციები) გამოყოფას განყოფილებებად.

21.6. საბანკო ანგარიშგების მნიშვნელობა და სახეობები

საბანკო ანგარიშგების ძირითადი დანიშნულებაა ბანკის საქმიანობის შესახებ სარწმუნო, სრული და ოპერატიული ეკონომიკური ინფორმაციის მოცემა. საბანკო ანგარიშგება გასაგები უნდა იყოს არსებული და პოტენციური ინვესტირებისა და კრედიტორებისათვის, წარმოდგენას აძლევდეს მათ მოსალოდნელ შემოსავლებთან დაკავშირებულ თანხებზე, დროსა და რისკებზე. შეიცავდეს ინფორმაციას მოზიდული რესურსების შემადგენლობასა და სახეობებზე, მათ განთავსებაზე, სესხებთან დაკავშირებული შესაძლო რისკების შემთხვევისთვის შექმნილი რეზერვების რაოდენობაზე და ა.შ.

თანამედროვე ბანკების მართვა ეყრდნობა რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებას, რომელიც ფულადი ერთეულებითაა გამოხატული. ამასთან, ბუღალტრული ანგარიშგება შეიძლება მოიცავდეს ხარისხობრივ (არაფულად) ინფორმაციასაც, თუკი იგი ეხმარება ბუღალტრული ანგარიშგებების ანალიზს. მენეჯერების დასახმარებლად სპეციალურად მომზადებული ანგარიშგება მმართველობით საარრიცხეო ინფორმაციას განეკუთვნება. მას იყენებენ ბანკის საქმიანობის დაგეგმვაში, შესრულებასა და კონტროლში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბუღალტრული ინფორმაცია იყენებს პირობით კლასიფიკაციებს, სავარაუდო შეფასებებს და ამ აზრით იგი მიახლოებითია. მაგალითად, ბალანსში ჩვეულებრივ სასესხო ანგარიშებზე მრავალჯერადად პროლონგირებული სესხების ასახვა დიდი პირობითობით გამოხატავს ვადიან და ვადაგადაცილებულ სესხებს შორის თანაფარდობას. ბანკის სარეზერვო ფონდების პასიურ ანგარიშებზე ანალოგიურად ასახვა არ მოწმობს მათ არსებობას ლიკვიდური ფორმით.

ამგვარად, იმ „სიზუსტის აურის" მიუხედავად, რომელიც ერთი შეხედვით გარს აკრავს ბუღალტრულ ანგარიშგებას, მისი მაჩვენებლები და მნიშვნელობა მხოლოდ მიახლოებითი შეიძლება იყოს. ამის გამო ანგარიშგების სწორად გამოყენებისთვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მისით მოსარგებლეს, რომელიც ვალდებულია, შეეძლოს მისი ადეკვატურად გაგება და გამოყენება გადაწყვეტილებათა გამომუშავების დროს. მას უნდა ესმოდეს და განსაზღვრავდეს, თუ საქმიანობის რომელ სფეროში და როგორ გამოიყენოს ესა თუ ის ანგარიშგება.

ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის მეთოდოლოგიური ცენტრია ქვეყნის ცენტრალური ბანკი. კანონის შესაბამისად, იგი ადგენს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ბუღალტრული ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის წესებს, რომლებიც სავალდებულოა ბანკებისათვის.

აუცილებელია, რომ კომერციული ბანკების მიერ შედგენილი ფინანსური ანგარიშგება მაქსიმალურად იყოს მიახლოებული საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკას. საერთაშორისო სტანდარტების მთავარი დანიშნულება ისაა, რომ ფინანსური ანგარიშგება პასუხობდეს რაც შეიძლება მეტი მოსარგებლის (ბანკის აქციონერების (მეპაიეების), დეპოზიტორების, სესხის გამცემთა, ბანკის თანამშრომლების, ეროვნული ბანკის, ფინანსური ორგანოების) მოთხოვნილებებს. ყველა მოსარგებლეს სჭირდება ისეთი ინფორმაცია, რომელიც ბანკის რეალური ფინანსური მდგომარეობის შეფასებას ახდენს.

კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგების შედგენა შესაძლებელია მხოლოდ საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპების გამოყენებით. მათ მიეკუთვნება: საქმიანობის უწყვეტობა, საბუღალტრო აღრიცხვის წესების მუდმივობა, სიფრთხილე, შემოსავლებისა და გასავლების მატება, აქტივებისა და პასიების განსხვავებულად ასახვა, წარდგენილი ბალანსის ურყევობა, შინაარსის პრიორიტეტი ფორმაზე, არსებითობა, გახსნილობა, კონსოლიდაცია.

კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საბალანსო ანგარიშგებას, ანგარიშგებას მოგებისა და წაგების შესახებ, ცალკეულ ანგარიშებს. ერთად აღებული ყველა ანგარიში სრულ წარმოდგენას გვაძლევს კომერციული ბანკის რეალურ ფინანსურ მდგომარეობაზე.

ფინანსური ანგარიშგება დგება ოპერაციების საფუძველზე, მათი შესრულების მომენტში ამ ოპერაციების ფაქტობრივი ღირებულების მიხედვით. გარდა ამისა, კომერციული ბანკები, შემოსავლებისა და გასავლების მატების პრინციპის შესაბამისად, აუცილებლად ანგარიშობენ იმ დაგროვილ პროცენტებს, რომელთა გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა. ასეთი გაანგარიშება წარმოებს ბანკებსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში არსებულ დეპოზიტებსა და კლიენტების სესხებზე. პროცენტის თანხებს აღრიცხავენ საანგარიშო პერიოდის შემოსავლებში და ასახავენ საბალანსო ანგარიშგებასა და მოგებისა და წაგების შესახებ ანგარიშგებაში. მომატებული შემოსასვლელი პროცენტები, რომლებიც ჩართულია საანგარიშო პერიოდის მოგებაში, მაგრამ წინა საანგარიშო პერიოდს ეკუთვნის, სათანადოდ უნდა ამცირებდეს საანგარიშო პერიოდის მოგებას. ამავე წესით ანგარიშობენ კლიენტების, ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების დეპოზიტებზე გადასახდელ მომატებულ იმ პროცენტებს, რომლებიც წინა საანგარიშო წელს ეკუთვნის, მაგრამ საანგარიშო პერიოდის გასავლებშია ჩართული. პროცენტების სიჭიდით მცირდება ის მოგება, რომელიც საბალანსო ანგარიშგებაში და მოგებისა და წაგების შესახებ ანგარიშში აისახება. კლიენტების, ბანკების და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების დეპოზიტებზე და ანაბრებზე მომატებული პროცენტები, რომლებიც გადახდის ბოლო თარიღიდან ანგარიშგების თარიღამდე განცლილ პერიოდს ეკუთვნის, შესაბამისად გაზრდის მოგებას.

ამგვარად, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მხოლოდ ის შემოსავლები, რომლებიც რეალურად აქვს გამომუშავებული კომერციულ ბანკებს საანგარიშო წლის ბოლომდე. მიმდინარე ან გასული პერიოდების განმავლობაში გამოვლენილი ყველა მოსალოდნელი ვალდებულება და პროცენტიური დანაკარგები აისახება რისკების დაფარვის რეზერვში. საერთაშორისო ანგარიშებში

ყოველგვარი რეზერვების გატარებას ახდენენ სათანადო რისკების გაჩენის კალობაზე. მოგებისა და საკუთარი სახსრების საერთაშორისო განმარტების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის მოგება ასახავს კომერციული ბანკების საქმიანობის მხოლოდ ფაქტობრივ შედეგებს.

საერთაშორისო ფორმის მიხედვით შედგენილ საბალანსო ანგარიშგებაში აქტივები და პასივები დაჯგუფებულია შინაარსის მიხედვით და დალაგებულია ლიკვიდობის ან მოთხოვნის კლების ხარისხის შესაბამისად. საბალანსო ანგარიშგებაში ცალკეა ასახული კომერციული ბანკების ურთიერთობები ცენტრალურ ბანკთან, სხვა ბანკებთან, დეპოზიტორებთან და ა.შ.

21.7. მიმდინარე ბუღალტრული ანგარიშგება

მიმდინარე ბუღალტრული ანგარიშგება იყოფა თავისი შედეგების მიხედვით წარმოებულ ანგარიშგებად და კვარტალის შედეგების მიხედვით წარმოებულ ანგარიშგებად. კომერციულ ბანკებში მიმდინარე ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის წესს, შინაარსსა და წარდგენის ვადებს ქვეყნის მთავარი ბანკის დაწესებულებები განსაზღვრავს.

თავისი შედეგების მიხედვით შედგენილი მიმდინარე ანგარიშგება მოიცავს:

- ბალანსს (ფ.№1);
- კრებსით ბალანსს (ფილიალების ბალანსების ჩათვლით);
- სასესხო დავალიანების ნაშთებისა და ბანკის სესხებზე არგადახდების გაშიფრას;
- ბალანსის ცალკეული ანგარიშების გაშიფრას მოზიდვის ვადების მიხედვით და სახსრების მიმართულებებს;
- ბალანსის ცალკეული ანგარიშების გაშიფრას კომერციული ბანკის საქმიანობის ეკონომიკური ნორმატივებისათვის;
- მსხვილი კრედიტორების სიას;
- საბალანსო ანგარიშის „ბანკის საწესდებო ფონდის" გაშიფრას;
- ეკონომიკური ნორმატივების გაანგარიშებას;
- სავალდებულო რეზერვების ფონდის გაანგარიშებას;
- №30102 საბალანსო ანგარიშის გაშიფრას;
- საბალანსო ანგარიშების გაშიფრას №30109, 30110 საკორესპონდენტო ანგარიშების მიხედვით.

ყოველთვიურ ბუღალტრულ ანგარიშგებას კომერციული ბანკები წარუდგენენ ცენტრალური ბანკის მთავარ სამმართველოს და საგადასახადო ორგანოებს. ის კომერციული ბანკები, რომლებიც უცხოური ვალუტით ასრულებენ ოპერაციებს, ცენტრალურ ბანკს დამატებით წარუდგენენ ანგარიშს უცხოური აქტივებისა და პასივების მოძრაობის შესახებ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით, აგრეთვე, სხვა ვალუტით — არარეზიდენტებისათვის შესრულებულ ოპერაციებზე. ამ ანგარიშგების შემადგენლობაში შედის ცნობა მიმდინარე შემოსულობებისა და გადასახადების შესახებ არარეზიდენტებისათვის შესრულებულ ოპერაციებზე, ქვეყნების ჭრილში.

სავალუტო აქტივებისა და პასივების მოძრაობის შესახებ ანგარიშის დანიშნულებაა საანგარიშო პერიოდში ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის წარმოებულ ოპერაციებში კომერციული ბანკების საზღვარგარეთული აქტივებისა და პასივების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. ანგარიშში მოყვანილ ინფორმაციას იყენებენ ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის შედგენის მიზნით. იგი კონფიდენციალური ხასიათისაა და საჯაროდ არ აქვეყნებენ.

ის ბანკები, რომლებიც სავალუტო ოპერაციებს ასრულებენ, აღნიშნული სახეობის ანგარიშგების გარდა, ვალდებული არიან, ცენტრალური ბანკის დაწესებულებებს წარუდგინონ სპეციალური ანგარიშგება ღია სავალუტო პოზიციის წარმოების შესახებ, აგრეთვე, ანგარიში ნაღდი უცხოური ვალუტისა და უცხოური ვალუტით მოცემული საგადამხდელო დოკუმენტების მოძრაობის შესახებ.

კომერციული ბანკების ანგარიშგება კვარტალის შედეგების მიხედვით აღნიშნულის გარდა დამატებით მოიცავს ბრუნვის უწყისებს ეროვნული ვალუტით შედგენილი ბალანსის მიხედვით და უცხოური ვალუტით შედგენილი ბალანსის მიხედვით, ფილიალების ბრუნვის უწყისებს და ბრუნვის უწყისებს კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით, ანგარიშს მოგებისა და ზარალის შესახებ, კომერციულ ბანკებში დეპოზიტების დაზღვევის ფონდის გაანგარიშებას და გაკოტრებისგან კომერციული ბანკების დაზღვევის ფონდის გაანგარიშებას.

ანგარიში მოგებისა და ზარალის შესახებ მოიცავს შესაბამის ანგარიშებზე მიკუთვნებული შემოსავლებისა და ხარჯების სპეციფიკაციას (ჩამონათვალს). ანგარიშში მოჰყავს ცალკეული სახეობის მიხედვით დაჯგუფებული ბანკის საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლები და ხარჯები. ცალკე განყოფილებადაა გამოყოფილი მართვის აპარატის შენახვის ხარჯები და ზარალზე მიწერილი თანხები. ანგარიშის მონაცემებს იყენებენ ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილების ფაქტორების ანალიზისა და გამოვლენისათვის.

21.8. ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲑᲣᲦᲐᲚᲢᲠᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ

2003 წლის წლიური ანგარიშგება სათაო ბანკთან წარმოებს ფასს-ებით დათვლილი ბალანსებით, სოლო ადგილობრივ საგადასახადო სამსახურებთან – ფასს-ებით დათვლილი ბალანსებითა და ცალკეული გადასახადების შესაბამისი მაკორექტირებელი ცხრილებით, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება სააღრიცხვო ბალანსიდან კონკრეტული გადასახადის დასაბეგრი ობიექტის გაანგარიშება (ამასთან, გადასახადების დასაბეგრი ობიექტის გაანგარიშება წარმოებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის № 69, 70 და 71 მუხლებით განსაზღვრული საკასო მეთოდით).

წლიური ანგარიში, რომელსაც ფილიალები სათაო ბანკის აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტში ადგენენ, შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

- ფასს-ებით დათვლილი ბრუნვითი ბალანსი (წლიური ბრუნვებით) 2003 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადაც შემოსავლები და ხარჯები, ანუ ბალანსის მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 კლასის მუხლები გადასურული არ არის;
- ფასს-ებით დათვლილი ბრუნვითი ბალანსი (წლიური ბრუნვებით) 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სადაც ბალანსის მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 კლასის მუხლები გადახურულია მოგება-ზარალის ანგარიშზე;
- მოგება-ზარალი, ფორმა № 2 (იგივე პერიოდის ბრუნვების გათვალისწინებით;
- დროებითი და მუდმივი საგადასახადო სხვაობები 2003 წლის განმავლობაში. (აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგინეთ დანართი №1 და 1.1-ის შესაბამისად);
- ანგარიშგება დატაკების, დანაკლისისა და ჯალბი ფულის შესახებ, ფორმა №113 (დანართი №9);
- საკორესპონდენტო ანგარიშებისა და სისტემის შიდა ბრუნვების ამსახველი საბალანსო ანგარიშების ურთიერთშედარების უწყისები (ბალანსის 28 და 48 კლასის ანგარიშები). აღნიშნული უწყისები დადასტურებული უნდა იყოს მომსახურე ბანკის (სათაო ბანკის) შესაბამისი დეპარტამენტის დირექტორის ხელმოწერით და შტამპით, ან ბეჭდით (შეგახსენებთ, რომ საკორესპონდენტო ანგარიშების შედარება წარმოებს სახაზინო-საოპერაციო დეპარტამენტში, გადაცემული საწესდებო კაპიტალის შედარება რესურსების მოძრაობა – აქტივ-პასივების მართვის დეპარტამენტში);
- ვადაში გაუნაღდებელი ბიუჯეტისა და კლიენტების კუთვნილი თანხების ინვენტარიზაცია. აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგინეთ დანართი № 2-ის შესაბამისად;
- № 33 კლასის ანგარიშების გაშიფვრა დანართი № 3-ის შესაბამისად;
- 03.01.03 წლიდან 01.01.04-მდე პერიოდში ნულოვანი ტარიფებით გაწეული მომსახურების

გამო მიუღებელი შემოსავლებისა და კლიენტების ან მე-3 პირის სასარგებლოდ ბანკის მიერ გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია დანართი № 4-ის შესაბამისად;

- ბანკის დებიტორებისა (25 კლასი) და კრედიტორების (45 კლასი) შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია, ამ უკანასკნელთა წარმოშობის თარიღის, დაფარვის პერსპექტივისა და მოცულობის ჩვენებით (დანართი № 5 და დანართი № 6);
- ბანკის ძირითადი საშუალებების მიმდინარე შეკეთების შესახებ ინფორმაცია, დანართი № 7-ის მიხედვით;
- 03.01.03-დან 01.01.04-მდე პერიოდში შეძენილ ძირითად საშუალებებზე შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები (პირველი საბუთი) იმ პოზიციების მიმართ, რომლებიც სათავო ბანკში არ წარმოდგენილა;
- 03.01.03-დან 01.01.04-მდე პერიოდში სახელმწიფო გადასახადების შესახებ ინფორმაცია დანართი № 8-ის შესაბამისად (აღნიშნულ ცხრილში შეიტანება ყველა გადასახადის მიხედვით 2003 წელში გადასახდელი თანხები, მიუხედავად იმისა, 2003 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილია თუ არა ისინი, ავრეთვე ფაქტიურად გადახდილი თანხები – შემსვედრი გადასახადები და საგადასახადო აქტივები).

2003 წლის წლიური ანგარიშები შედგება დასკვნითი ბრუნვების გარეშე, რის გამოც აღრიცხვაში არსებული ყველა სახის შეუსაბამობის კორექტირება დამთავრდება 2003 წლის 31 დეკემბრისთვის (ჩათელით).

წლიური ბალანსის აქტივ-პასივების ფასს-ების შესაბამისად სრულყოფილად ფორმირების მიზნით ყურადღება მახვილდება ზოგიერთ მნიშვნელოვან და საგულისხმო საკითხზე, კერძოდ:

1. ბანკმა (ფილიალმა) ბალანსში უნდა აღიაროს ყველა ის აქტივი და ხარჯი, რომელიც პერიოდულობის თვალსაზრისით 2003 წელს მიეკუთვნება, მიუხედავად იმისა, ამგვარი აქტივების შეძენაზე ან ხარჯების გადახდაზე იწარმოა თუ არა ანგარიშსწორება. იგულისხმება, რომ ამგვარი ხარჯები და შემოსავლების რაოდენობრივი შეფასება შესაძლებელია. მაგალითად: საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გადასახადებზე, რომლებიც 2003 წელს მიეკუთვნება, ფილიალმა ანგარიშსწორება შეიძლება აწარმოოს 2004 წელს, თუმცა მათი ხარჯებში ასახვა უნდა იწარმოოს 2003 წლის ბალანსში გატარებით:

დ – ხარჯის შესაბამისი ანგარიში

კ –კრედიტორების შესაბამისი ანგარიში

ანალოგიური გატარებით აისახება 2003 წელს ყველა ის დანახარჯი, რომელთა ანგარიშსწორების შესახებ კონტრაგენტებიდან ანგარიშსწორებაზე მოთხოვნის დოკუმენტი ჯერ არ მიღებულა. ასეთები შეიძლება იყოს: კომუნალური, საფოსტო, სატელეგრაფო, გათბობის, განათების, იჯარის, დაცვის, კომუნიკაციის და სხვა ხარჯები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ფილიალის შესაბამისმა სამსახურებმა წინასწარ უნდა მოიძიონ საჭირო ინფორმაცია 2003 წელს მისაკუთვნებელი ხარჯების შესახებ და სათანადო გატარებებით ასახონ ბალანსში.

მიმდინარე წლიდან საშვებულებო საზღაურთან დაკავშირებით ხარჯები ბალანსში აღიარებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისად. გამომდინარე აქედან, ბალანსში აისახება მუშაკთა 2002-2003 და 2003-2004 სამუშაო წლების კუთვნილი შვებულების ის ხარჯები, რომლებიც 2003 კალენდარული წლის პერიოდს მიეკუთვნება. მაგალითად: მუშაკის სამუშაო წელი იწყება აგვისტოში და მთავრდება შესაბამისად 12 თვის შემდეგ, მომდევნო წლის აგვისტოში. გამომდინარე აქედან, 2003 კალენდარულ წელში მოხდება 2002-2003 სამუშაო წლის 8 თვის შვებულების საზღაურის ხარჯი, ხოლო 2003-2004 სამუშაო წელში 4 თვის შვებულების საზღაურის ხარჯი.

ზოგიერთი გადასახადი, კერძოდ, წლის განმავლობაში, რომელთა გადახდები ავანსის სახით

წარმოებს, შესაბამისი პერიოდის მიხედვით ექვემდებარება ხარჯებში გადატანას. აღნიშნული გადასახადები ს.ს.კ-ის მიხედვით საავანსო ხასიათისაა, თუმცა სააღრიცხვო მიზნით ხარჯებში გატარდება იმ პერიოდში, რომელსაც ისინი მიეკუთვნება. თუ ხარჯებში აღიარების პერიოდის დადგომამდე მოხდა მათი ფაქტიური გადახდა, მაშინ ანგარიშსწორება იწარმოებს ავანსების დადგომისას. მაგალითად: გადამხდელი ვალდებულია, თებერვლის თვის მდგომარეობით ბიუჯეტს გადაუხადოს I კვარტლის ქონების საავანსო გადასახადი. სააღრიცხვო თვალსაზრისით, აღნიშნული საგადასახადო ვალდებულება ხარჯებში უნდა ვაღიაროთ, შესაბამისად, იანვარში იანვრის წილი, თებერვალში – თებერვლის წილი, მარტში – მარტის წილი – გადასახადი ვალდებულების 1/3 სიდიდით – თებერვლის თვეში, ვინაიდან მთლიან საავანსო გადასახადს დაუდგება გადახდის ვადა, ამიტომ მარტის თვის წილი საგადასახადო ხარჯი გატარდება დებიტორების ანგარიშზე, D – დებიტორი, K – შესაბამისი პასივის ანგარიში და იწარმოებს საგადასახადო ვალდებულების გასტუმრება. მარტის თვის დამთავრების შემდეგ მოხდება დებიტორზე არსებული ავანსის ხარჯებში გადატანა.

2. ბანკის (ფილიალის) ყველა ის შემოსავალი, რომელიც პერიოდულობის თვალსაზრისით 2003 წელს მიეკუთვნება, აკმაყოფილებს შემოსავლებად აღიარების ფასს-ების კრიტერიუმებს და, რაიმე მიზეზის გამო ვერ მოხერხდა მისი მიღება, ბალანსში აისახება გატარებით (სესხებზე მიუღები პროცენტების გარდა):

დ – დებიტორების შესაბამისი ანგარიში

კ – შემოსავლების შესაბამისი ანგარიში

პენსიების გაცემასთან დაკავშირებით საკომისიო შემოსავლები ფასს-ისა და შესაბამისი ხელშეკრულების მიხედვით აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ მაშინ, თუ ბანკმა უზრუნველყო საპენსიო სასესრების პირად ანგარიშზე ჩარიცხვა ან გაცემა. იმ შემთხვევაში, თუ ბანკს არ მიუღია გაცემული პენსიების საკომისიო, მაშინ მას აიღარებს დებიტორების მეშვეობით. დაუშვებელია მომავალ პერიოდში გასაცემი პენსიების წილის საკომისიო შემოსავლების დებიტორების მეშვეობით აღიარება.

3. ყველა ფილიალმა სისტემის შიგნით ძირითადი საშუალებების შესახებ ნებისმიერი მოძრაობა ყიდვა-გაყიდვა, სათაო ბანკზე გადაცემა. აგრეთვე მათი შესაბამისი წყაროების მოძრაობა მთავრდება არაუგვიანეს 29 დეკემბრისა იმის გათვალისწინებით, რომ შემხვედრი გატარებები ბალანსში აისახება არაუგვიანეს 30 დეკემბრისა.

ბალანსის აქტივ-პასივების რეალურობის მიზნით, აუცილებელია 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსის დაფორმირებამდე ყველა კლიენტიდან მოვიძიოთ სათანადო დასტურები საბანკო ნაშთების შესახებ. დასტურს ხელს უნდა აწერდეს კლიენტის მთავარი ბუღალტერი და ხელმძღვანელი. აღნიშნული არ ვრცელდება ფიზიკურ პირებზე. თუ დასტურების მოძიება ვერ მოხერხდა, მაშინ ბალანსი ფორმირდება ბანკში არსებულ ანალიზურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხოლო კლიენტურასთან მუშაობა დასტურების მოძიების კუთხით უნდა გაგრძელდეს და დასრულდეს არაუგვიანეს მომავალი წლის 15 იანვრისა.

დასტურებით გამოვლენილი ნებისმიერი გადახრა (მეტობა, დანაკლისი) შესწავლილ უნდა იქნეს გულმოდგინედ და დადგინდეს გადახრის მიზეზები. თუ გადახრები გამოწვეულია ფილიალის მიზეზით, ასეთ შემთხვევაში სათანადო ინფორმაცია უნდა მიეწოდოს სათაო ბანკს. თუ საჭირო ხდება ბალანსის აქტივ-პასივების კორექტირება, მაშინ ის უნდა მოხდეს შემდეგი გატარებით:

ა) ზედმეტობაზე: დ) – კლიენტის ანგარიში

კ) – შემოსავლები

ბ) დანაკლისზე: დ) – დებიტორების ანგარიში

კ) – კლიენტის ანგარიში

5. ანაბრების ინვენტარიზაციის ფ.№19 ამონაწერების წარმოდგენა 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხულ ნაშთებზე, როგორც ქაღალდის დოკუმენტით, ისე დისკეტით (წლიური ანგარიშგების წარმოდგენისას).

6. დაწვრილებით ხდება ბანკის დებიტორების (25 კლასი) გაანალიზება იმის გათვალისწინებით, რომ აუანსად გადახდილი ხარჯები, რომლებიც პერიოდულობით 2003 წელს მიეკუთვნება, ჩამოიწეროს აღნიშნული ანგარიშიდან და მიეკუთვნოს ხარჯების შესაბამის ანგარიშს.

განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება გაურკვეველ თანხებზე. აღნიშნულის ხანდაზმულობა არ უნდა აღემატებოდეს 3 საბანკო დღეს. თუ არ ირკვევა თანხის ადრესატი, მაშინ ის უნდა დაბრუნდეს უკან.

ყურადღება ექცევა დებიტორების იმ ნაწილზე, სადაც ბიუჯეტში მიმდინარე გადასახადია აღიარებული. პრაქტიკულად ყველა ის გადასახადი, რომელიც 2003 წელს მიეკუთვნება და გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, ზუსტად განისაზღვრება და აღირიცხება კრედიტორების ანგარიშზე.

7. ბანკის ძირითადი საშუალებების აღიარება წარმოებს ფასს-ების შესაბამისად 29 კლასზე. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა და ცვეთის დარიცხვა ხორციელდება შესაბამისი პროგრამის საშუალებით, აქვე შეგახსენებთ, რომ პროგრამაში შესატანია ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯები. ცვეთა დაერიცხება და ბალანსში გატარდება ფასს-ებითა და ბანკის საარიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. შეგახსენებთ, რომ ქონების გადასახადის დროს დასაბეგრი ობიექტის გაანგარიშება უნდა მოახდინოთ აღრიცხვის მიზნით ბალანსის მატერიალური აქტივების ღირებულებისა და ცვეთის სიდიდეების მიხედვით (რაც ს.ს.კ-ის 54-ე მუხლის მიხედვით გაანგარიშებული ცვეთის ხარჯებს შეეხება, მოგების დასაბეგრი ბაზის დათვლის მიზნითაა საჭირო).

მიმდინარე წლის ინვენტარიზაციის შედეგების ბუღალტრული ჩანაწერების ბოლო ვადაა 2003 წლის 29 დეკემბერი. აღნიშნული თარიღის შემდეგ არ დაიშვება 29-ე კლასზე არანაირი ჩანაწერები და ბრუნვა.

მას შემდეგ, რაც ბანკის მუშაკი დარწმუნდება იმაში, რომ არ გამორჩათ ბალანსში აქტივ-პასივების ელემენტების აღიარების რაიმე შემთხვევა, იწყება შემოსავლებისა და ხარჯების გადასურვა და შედეგობრივი მაჩვენებლის – მოგება-ზარალის გამოყვანა. ამასთან გაითვალისწინება ის გარემოება, რომ სათაო ბანკში უზრუნველყოფილია როგორც გადაუსურაკი, ისე გადახურული ბალანსის წარმოდგენა. თუ შემდგომ პერიოდში საჭირო შეიქმნება რაიმეს ჩასწორება, ის უნდა გატარდეს შემოსავალ ხარჯების გადაუსურავ ბალანსში და შემდეგ მოხდება მისი გადახურვა. დაუშვებელია რაიმე შესწორების შეტანა შედეგობრივ მაჩვენებლიან ბალანსში მოგება-ზარალის ანგარიშთან უშუალო კორესპონდენციის გზით.

გულდასმით გაანალიზებენ გარებალანსური ანგარიშების ნაშთებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიუჯეტის სასარგებლოდ ვადაში გაუნაღდებელი თანხების, აგრეთვე უსაბუთო ხარჯების, უსაბუთო შემოსავლებისა და დროებითი და მუდმივი სხვაობების ანგარიშებს. აღნიშნული ანგარიშების ნაშთები უნდა შეესაბამისებოდეს სათაო ბანკში წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაციებით მოწოდებულ მაჩვენებლებს და წლის ბოლომდე უნდა მოხდეს აღნიშნულ ანგარიშებზე რიცხული ნაშთების მაქსიმალური განულება.

ფილიალების მიერ სათაო ბანკში წლიური ანგარიშგების წარდგენის ვადებს კომერციულ ბანკებს წერილობით უდგენს ეროვნული ბანკი.

წლიური ბუღალტრული ანგარიშის შესადგენად ბანკები საანგარიშო წლის ბოლოს ატარებენ აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოს. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ინვენტარიზაციას უტარებენ საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშებზე რიცხულ მთელ ფულად სახსრებს და ფასეულობებს, ძირითად საშუალებებს, სამეურნეო და სხვა მასალებს, ანგარიშსწორებებს. მოსამზადებელი

მუშაობის მსვლელობაში ანალიზს უკეთებენ დებიტორ-კრედიტორულ დავალიანებას, აქტიურ ღონისძიებებს მიმართავენ მათ დასაფარავად, არარეალური თანხები უნდა ჩამოიწეროს ბალანსიდან და დაეწეროს ზარალს. ანალიზი უტარდება საკრედიტო პორტფელს და მიიღება არარეალური სასესხო დავალიანების, აგრეთვე, ამ სესხებზე დარიცხული პროცენტების გამოვლენისა და დადგენილი წესით მათი ჩამოწერის ღონისძიებები. ანალოგიური ანალიტიკური მუშაობა სრულდება ყველა სხვა სახეობის აქტივზე (ფასიან ქაღალდებში გაწეული დაბანდებები, ერთობლივი სამეურნეო საქმიანობა და სხვა), წლიურ ბალანსში რეალური და სარწმუნო აქტივებისა და პასივების ასახვის მიზნით.

ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით მიმართავენ გამოვლენილ განსხვავებათა მოგვარების ღონისძიებებს (გადამეტება და დანაკლისი უნდა აისახოს საანგარიშო წლის ბალანსით), აფორმებენ დოკუმენტებს დამნაშავე პირებისთვის თანხების გადახდევინებაზე, დადგენილი წესით ჩამოწერენ არარეალურ აქტივებს, უიმედო სესხების ჩათვლით პროცენტებსა და სხვა ვალებს, აგრეთვე, უსარგებლოდ ქცეული ძირითადი საშუალებების, სამეურნეო ინვენტარისა და მასალების ღირებულებას.

წლიური ბუღალტრული ანგარიშის შედგენის წინ მთავრდება ყველა ის ოპერაცია, რომლებიც დამამთავრებელი ბრუნვების მიერ სრულდება. ახალი წლის პირველ სამუშაო დღეს პირადი ანგარიშების მქონე ყველა კლიენტს აძლევენ ან ფოსტით უგზავნიან პირადი ანგარიშებიდან ამონაწერებს ახალი წლის 1 იანვრისთვის არსებული ნაშთით. ამ მიზნით ადგენენ შემოწმების უწყისებს.

წლიური ანგარიშის თავისდროულად და ხარისხიანად შედგენის პასუხისმგებლობა ეკისრება ბანკების ხელმძღვანელებს და მთავარ ბუღალტრებს. ბანკის მთავარი ბუღალტერი ვალდებულია, წლიური ანგარიშის ხელმოწერამდე პირადად შეადაროს ყველა ფორმის საანგარიშო მონაცემები ახალი წლის 1 იანვრისთვის შედგენილი ბალანსის მონაცემებს, ფულადი სახსრების, ქონებისა და მასალების ინვენტარიზაციისა და რევიზიების აქტებს. მოგებისა და ზარალის ანგარიში უნდა ასახავდეს ფინანსურ შედეგებზე მიკუთვნებულ შემოსავლებსა და ხარჯებს, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების წესებიდან გამომდინარე.

ნ.ოგების გადასახადის გადახდისთვის დასაბეგრი ბაზის განსაზღვრის თავისებურებები საგადასახადო აღრიცხვის კომპეტენციას განეკუთვნება და არ შეიძლება გაველენას ახდენდეს საბოლოო ფინანსურ შედეგზე. წლიური ანგარიშის განმარტებით ბარათში ახდენენ ბანკში არსებული აღრიცხვის მდგომარეობის შეფასებას და ცალკეული ანგარიშების ნაშთების გამოფერას.

კომერციული ბანკის წლიური ანგარიში აუდიტორულად უნდა შემოწმდეს, რის მიზანსაც შეადგენს ანგარიშის სარწმუნოობის, სისრულისა და რეალურობის დადასტურება, ბუღალტრული ანგარიშის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და ნორმატიულ დოკუმენტებთან. წლიურ ანგარიშს კომერციული ბანკები წარუდგენენ ქვეყნის ცენტრალურ ბანკს მისი სარწმუნოობის დადებით აუდიტორულ დასტურთან ერთად.

საბანკო ინფრასტრუქტურა უნდა მოიცავდეს კვალიფიციურ აუდიტს, რომელიც არა მარტო დაადასტურებს ანგარიშგებას, არამედ შეაფასებს კიდეც ბანკის ხელმძღვანელობის, მისი მენეჯმენტის ხარისხს რისკების, ლიკვიდობის, შემოსავლიანობისა და ა.შ. ანალიზის საფუძველზე. აქვე უნდა შედიოდეს კვალიფიციური იურიდიული სამსახური, გირავნობის რეგისტრაციის სააგენტო, რათა თავიდან იქნეს აცილებული საწინდრების ორჯერადად და მრავალჯერადად გამოყენება.

21.10. საგადამხდელო სისტემისა და საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფისათვის საქართველოში

2001 წელს მიმდინარეობდა მუშაობა საგადამხდელო სისტემის სრულყოფისა და მისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით. ცვლილებები შევიდა ანგარიშსწორებისა და ოპერაციული დღის დამუშავების პროგრამულ უზრუნველყოფაში. ძირეულად შეიცვალა საბიუჯეტო შემოსავლების სახელმწიფო და ტერიტორიულ ბიუჯეტებში განაწილების ტექნოლოგია, რამაც შესაძლებელი გახადა თანხების იმაჟღლიურად ჩარიცხვა და საგრძნობლად გაუმჯობესა შემოსავლების აღრიცხვის ეფექტიანობა.

2001 წლის ივლისისათვის ეროვნული ბანკის სპეციალისტების მიერ სრულ მზადყოფნაში იქნა მოყვანილი დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა „მონტრანი“ და მოხდა მოქმედ სისტემასთან ერთად მისი საცდელ რეჟიმში ამუშავება. გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების შემდეგ, 2001 წლის 14 სექტემბრიდან დაიწყო მისი ექსპლოატაცია. საანგარიშსწორებო რისკის მონიტორინგის მიზნით, ბუღალტრულ შემოწმებასთან ერთად დროებით გამოიყენებოდა კონტროლის პროგრამული მექანიზმიც ძველი სისტემის დახმარებით.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ახალ გამოყენებით ამოცანებზე მუშაობა. შემუშავდა ეროვნული ბანკის თანამშრომელთა ატესტაციისა და კვალიფიკაციის ამაღლების საინფორმაციო-საძიებო სისტემები; დაინერგა საკრედიტო რესურსების აუქციონისა და ვალუტით ვაჭრობის შორეული საკომუნიკაციო წვდომით მართვის ტექნოლოგია.

საანგარიშო პერიოდში საბოლოოდ შემუშავდა და დაინერგა ეროვნული ბანკის სერვერების რეზერვირების ტექნოლოგია. დასრულდა მოშორებული წვდომის უბნის მონტაჟი, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ეროვნული ბანკის სერვერებთან კომერციული ბანკების წვდომა. ეროვნული ბანკის გლობალური 9 ქსელის სიჩქარის, ხარისხისა და უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, ჩატარდა სამუშაოები ჩისკო-ს აპარატურის ბაზაზე, ხოლო სათადარიგო კავშირების უზრუნველსაყოფად დაინერგა მონაცემთა გადაცემა უხაზო კავშირებით.

2001 წელს გრძელდებოდა მუშაობა ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფის მიმართულებით. საბანკო დაწესებულებების ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით, ამოქმედდა ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ახალი ოთხნიშნა ანგარიშთა გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქცია, ხოლო 2001 წლის 1 თებერვლიდან კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა ბასს-ის მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს ეროვნულ ბანკში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფის მიმართულებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით დაინერგა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ახალი ფორმები. ანგარიშგების სისტემატიზაციისა და კოდირების ახალ სისტემებზე გადასვლამ შესაძლებელი გახადა ეროვნული ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების დეტალური აღრიცხვა და ბანკის ბიუჯეტის მართვის ოპტიმიზაცია.

შეიცვალა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ანგარიშგების ფორმები. კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსავლების მისედვით მომზადებული ანგარიშგება, რომელიც მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე ტერიტორიული ბიუჯეტების შემოსავლებს, დაყოფილია საგადასახადო, სახელმწიფო ფონდებისა და არასაგადასახადო შემოსავლების ჭრილში. ასევე დაფინანსების წყაროების მისედვით.

2002 წელს ხორციელდებოდა საგადამხდელო სისტემის სრულყოფისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები. ამ მიზნით, ინფორმატიზაციისა და საოპერაციო სამმართველოების ბაზაზე შეიქმნა საგადამხდელო სისტემების სამმართველო, ჩამოყალიბდა ამ ქვედანაყოფთა

მოქნილი სტრუქტურები. ქვეყანაში საგადამხდელო სისტემების კომპლექსური განვითარების უზრუნველსაყოფად და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, შეიქმნა საგადამხდელო სისტემების მართვის ეროვნული კომიტეტი. მის შემადგენლობაში შეიდნენ საქართველოს ეროვნული ბანკის, სამინისტროებისა და უწყებების, ასევე კომერციული სტრუქტურების წარმომადგენლები. დამტკიცებულია კომიტეტის დებულება, რეგლამენტი, შემუშავებულია საქართველოს საგადამხდელო სისტემების განვითარების ძირითადი მიმართულებები (კონცეფცია). კომიტეტის შეიგნით ჩამოყალიბდა მეთოდოლოგიური სტრატეგიის შემმუშავებელი და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ქვეკომიტეტები.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების ოპერაციების ეროვნული ბანკიდან ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში გადასატანად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოწესრიგების მიზნით, 2002 წელს მჭიდრო თანამშრომლობა ხორციელდებოდა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურთან.

საანგარიშო პერიოდში ცვლილებები შევიდა „საქართველოს უნაღდო ანგარიშსწორების წესებში". აღნიშნულის საფუძველზე შეიცვალა საგადახდო დავალების ფორმა, ხოლო კომერციულ ბანკებს მიეცათ სათანადო დავალებები პროგრამულ უზრუნველყოფაში შესაბამისი ცვლილებების შესატანად.

2003 წლიდან საანგარიშსწორებო საქმიანობის ფასიან მომსახურებაზე გადაყვანისა და უქაღალდო ტექნოლოგიის დანერგვის მიზნით, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა რეალური დროის რეჟიმში ანგარიშსწორების მომსახურების ანაზღაურებასთან, ტარიფების ოდენობასა და გადახდის საკითხებთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციის პაკეტი, ანგარიშსწორების მონაწილეებთან გასაფორმებელი დამატებითი ხელშეკრულების, აგრეთვე, „საქართველოს საბანკო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ" და „რეალური დროის რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) შესახებ" დებულებების პროექტები.

საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა საბანკო სფეროში საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულყოფის სამუშაოები. კერძოდ, გლობალური და ლოკალური კომპიუტერული ქსელის დაგეგმვა და დანერგვა; საქსელო აპარატურის შესწავლა და კონფიგურაცია; ახალი პროგრამული და სისტემური ტექნოლოგიების მოძიება და დანერგვა; SWIFT-ის სისტემის ახალი თაობის ქსელზე მიგრაციის საკითხების შესწავლა და მომსახურება; ეროვნული ბანკის საინფორმაციო ბაზის რეზერვირება; ეროვნულ ბანკსა და მის ფილიალებს შორის მაღალსიჩქარიანი ქსელის დანერგვა; ეროვნული ბანკის ცენტრალიზებული საბუღალტრო სისიტემის (PACS) დასანერგავი ღონისძიებების განსორციელება. 2002 წელს გრძელდებოდა მუშაობა ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფის მიმართულებით. „ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონის 66-ე მუხლის შესაბამისად მომზადდა საქართველოს ეროვნული ბანკის 2001 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომლის შედგენა და აუდიტი ნიშანდობლივი იყო რამდენიმე თავისებურებით: პრაქტიკულად განხორციელდა ეროვნული ბანკის ორგანული კანონის ფინანსური დებულებებში შეტანილი ცვლილებები; დაინერგა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) 39; შეიცვალა გარეაუდიტორული ფირმა.

აღნიშნულის გათვალისწინებით გარკვეულწილად შეიცვალა ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის ფორმატები. „ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონის ფინანსურ დებულებებში შეტანილი ცვლილების შედეგად, ეროვნული ბანკის წმინდა მოგების გამოანგარიშებისა და განაწილების პროცედურები სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და საანგარიშო წელს არ გახდა მოგება-ზარალის 2 სახით წარდგენა. ბასს-39-ის მოთხოვნების შესაბამისად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისა და ასახვის საკითხი განხილულ იქნა გარე აუდიტორებთან და პრაქტიკულად განახორციელდა მათი კონსულტაციებითა და

უშუალო მონაწილეობით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მთაერობისათვის მიცემული სესხების შეფასებასა და ასახვას, რაზედაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2001 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მისიებმა გამოთქვეს კონკრეტული შენიშვნა და ეროვნულ ბანკს შესთავაზეს რეკომენდაცია აღნიშნული საკითხის გარე აუდიტორებთან აუცილებლად შეთანხმების შესახებ. 2001 წლის ფინანსურ ანგარიშგებას აუდიტორულმა ფირმამ „არტურ ანდერსენმა" მისცა „უპირობო დასკვნა".

ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფის უზრუნველსაყოფად, საანგარიშო პერიოდში მომზადდა მითითებები ეროვნული ბანკის ქალაქდებისა და მათზე ოპერაციების აღრიცხვის წესის შესახებ; დაიწყო მუშაობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიების შეფასებების გათვალისწინებით ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოში შიდა კონტროლის მექანიზმების განსაზღვრის, შეფასებისა და სრულყოფის მიმართულებით.

მოკლე დასკვნები

1. ბანკში ბუღალტრული აღრიცხვა თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს მისი მატერიალური ქონების, ფულადი სახსრების, კრედიტების, ფონდების, ფასიანი ქაღალდების, შექმნილი რეზერვების მდგომარეობისა და მოძრაობის, აგრეთვე, შემოსაელებისა და ხარჯების, ფინანსური შედეგების შესახებ ფულადი გამოხატულებით არსებული ინფორმაციის შეგროვების, რეგისტრაციისა და განზოგადების მკაცრად ორგანიზებულ, მოწესრიგებულ პროცესს.

2. ფინანსური აღრიცხვა ბანკებში ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთო ფუძემდებლურ წესებს, ყველა ოპერაციის ასახვას აქტიური და პასიური ანგარიშებში ორმაგი ჩაწერის მეთოდით, აღრიცხვის უნიფიკაციას, ე.ი. ეკონომიკურად ერთგვაროვანი ოპერაციების განხორციელებისთვის ერთი და იმავე ანგარიშების გამოყენებას ყველა ბანკის მიერ. ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების მეთოდოლოგიური ცენტრია ქვეყნის მთავარი ბანკი, რომელიც კომერციულ ბანკებს უდგენს ანგარიშთა გეგმას და მათში ოპერაციების ასახვის წესს.

3. ბუღალტერია ბანკის დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფია და მას მთავარი ბუღალტერი ხელმძღვანელობს. ბანკის სიდიდიდან და სპეციალიზაციიდან, აგრეთვე, შესრულებული ოპერაციების მოცულობიდან გამომდინარე, შესაძლებელია სააღრიცხვო-ოპერაციული განყოფილებების ორგანიზაციისა და სტრუქტურის სხვადასხვა ვარიანტების შერჩევა. ბანკის ბუღალტრული ქვედანაყოფის სანიმუშო სტრუქტურა ასეთია:

ბანკის სააღრიცხვო-ოპერაციული ქვედანაყოფის შტატს შეადგენენ შემდეგი სპეციალისტები: მთავარი ბუღალტერი; პასუხისმგებელი შემსრულებლები; ოპერაციული ჯგუფის კონტროლიორი; ოპერაციონისტები; ოპერატორები.

4. ბანკებში აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპებზე გადასვლის განხორციელება მათი საქმიანობის რთულ პირობებში დაიწყო. 1990 წლიდან კომერციული ბანკები ექსპერიმენტის წესით შეუდგნენ ახალი ფინანსური ანგარიშების შედგენას და აღრიცხვის ახალ სტანდარტებზე გადასვლას.

ანგარიშთა ახალი გეგმის დამუშავების დროს გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნები ფინანსური სტატისტიკის დარგში, აგრეთვე, ეკონომიკურ ურთიერთობათა ორგანიზაციის პრინციპების შეცვლა, ქვეყნის კომერციული ბანკების ფუნქციებისა და მათ მიერ შესრულებული ოპერაციების წრის გაფართოება. შეიცვალა ანგარიშთა გეგმის საერთო სტრუქტურა, რომელსაც ახლა საფუძ-

ველად უდევს ეკონომიკური შინაარსით ერთგვაროვანი საბანკო ოპერაციების გამოყოფა განყოფილებებად.

5. ბანკის ბალანსი ფულადი გამოხატულებით ახასიათებს კომერციული ბანკების რესურსების მდგომარეობას, მათი ფორმირების წყაროებს და გამოყენების მიმართულებებს, აგრეთვე, ბანკების საქმიანობის ფინანსურ შედეგებს საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და ამ პერიოდის ბოლოს. ბანკის ბალანსი საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი დოკუმენტია, რომელიც ანალიტიკური აღრიცხვის ყველა პირადი ანგარიშის ნაშთების ჯამს ასახავს მათი ნომრების ზრდის წესით. ბალანსის განყოფილებებში ისინი დაჯგუფებულია აღრიცხული ფულადი სახსრებისა და საბანკო ოპერაციების ეკონომიკური ერთგვაროვნების მიხედვით.

6. საბანკო ანგარიშგების ძირითადი დანიშნულებაა ბანკის საქმიანობის შესახებ სარწმუნო, სრული და ოპერატიული ეკონომიკური ინფორმაციის მოცემა. საბანკო ანგარიშგება გასაგები უნდა იყოს არსებული და პოტენციური ინვესტირებისა და კრედიტორებისათვის, წარმოდგენას აძლევდეს მათ მოსალოდნელ შემოსავლებთან დაკავშირებულ თანხებზე, დროსა და რისკებზე. შეიცავდეს ინფორმაციას მოზიდული რესურსების შეზადგენლობასა და სახეობებზე, მათ განთავსებაზე, სესხებთან დაკავშირებული შესაძლო რისკების შემთხვევისთვის შექმნილი რეზერვების რაოდენობაზე და ა.შ.

7. წლიური ბუღალტრული ანგარიშის შესადგენად ბანკები საანგარიშო წლის ბოლოს ატარებენ აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოს. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ინვენტარიზაციას უტარებენ საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშებზე რიცხულ მთელ ფულად სახსრებს, და ფასეულობებს, ძირითად საშუალებებს, სამეურნეო და სხვა მასალებს, ანგარიშსწორებებს. მოსამზადებელი მუშაობის მსვლელობაში ანალიზს უკეთებენ დებიტორ-კრედიტორულ დავალიანებას, აქტიურ ღონისძიებებს მიმართავენ მათ დასაფარავად, არარეალური თანხები უნდა ჩამოიწეროს ბალანსიდან და დაეწეროს ზარალს. ანალიზი უტარდება საკრედიტო პორტფელს და მიიღება არარეალური სასესხო დავალიანების, აგრეთვე, ამ სესხებზე დარიცხული პროცენტების გამოელენისა და დადგენილი წესით მათი ჩამოწერის ღონისძიებები.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

ანგარიში – განსაზღვრული ფორმით შედგენილი ცნობები, მონაცემები ორგანიზაციის, კომპანიის საქმიანობის შესახებ გარკვეული გასული პერიოდისათვის.

ანგარიშგება – საწარმოების, ორგანიზაციების მიერ თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშების პერიოდულად შედგენა, რომლებიც წარედგინება სახელმწიფო ორგანოებს. კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საბალანსო ანგარიშგებას, ანგარიშგებას მოგებისა და წაგების შესახებ, ცალკეულ ანგარიშგებას. ერთად აღებული ყველა ანგარიში სრულ წარმოდგენას გვაძლევს კომერციული ბანკის რეალურ ფინანსურ მდგომარეობაზე.

ანგარიშთა გეგმა – მოწესრიგებული, ორგანიზებული ბუღალტრული ანგარიშების სისტემა, ერთობლიობა.

ანგარიშსწორების ანგარიში – ანგარიში, რომელსაც ბანკები უხდიან დამოუკიდებელი ბალანსის მქონე იურიდიულ პირებს (საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს) იმისათვის, რომ შეინახონ ფულადი სახსრები და განახორციელონ ანგარიშსწორება სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.

ანგარიშსწორების სუბანგარიში – ანგარიში, რომელიც იხსნება ფულადი რესურსების (აქტივების) აკუმულაციის მიზნით ბანკის დაწესებულებებში იმ სამეურნეო საწარმოებისათვის,

რომლებსაც აქვთ ქვედანაყოფები ან ფილიალები სხვა დასასლებულ პუნქტებში და რომლებიც არ შედიან ბანკის დაწესებულებების მოქმედების რაიონში, სადაც გახსნილია ძირითადი ანგარიშსწორების ანგარიში. დადგენილ ვადებში სახსრები სუბანგარიშებიდან გადაირიცხება ძირითადი ანგარიშსწორების ანგარიშზე.

აქტიური ანგარიშები – ბანკის მიერ თავისი ფინანსური რესურსების განლაგება ბრუნვაში გაშვებისა და მოგების მიღების მიზნით. მათზე აღირიცხება რესურსების შემადგენლობა და უჭვენებს მათ განთავსებას.

აქტიურ-პასიური ანგარიშებით ძირითადად აღირიცხება სხვა ბანკებთან მოცემული ბანკის ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ოპერაციები (მათ შორის უცხოურ ბანკებთან), საანგარიშსწორებო ოპერაციები კლიენტებთან, მეანაბრეებთან და სხვა კრედიტორებთან.

ბალანსი – ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, გამოსატული ფულადი ფორმით, რომელიც ასახავებს ამა თუ იმ მოვლენას მისი მზარდის შედარების ან დაპირისპირების გზით; განსხვავებენ საგადასახდელო, სავაჭრო, საქონლისა და მომსახურების, ფინანსური ოპერაციების და ა.შ. ბალანსებს.

ბუღალტრული ანგარიში – ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების ერთობლიობა. რომლებშიც ფიქსირებულია იმ საწარმოს – ფირმის გარკვეული საქმეობის ფულადი სახსრების მოძრაობა, რომლებსაც აქვთ ერთნაირი ბუნება ან მიღების, გამოყენების ერთიანი მიმართულება.

ეროვნული ანგარიშები – ანგარიშები, რომლებიც მოიცავს ეროვნული შემოსავლის წყაროებს, მონაცემებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში წარმოების, ფასების, სხვადასხვა სახის საქონლის შესაძენი ხარჯების შესახებ. ამ მონაცემების საფუძველზე გაანგარიშება ქვეყნის ეროვნული შემოსავალი, გამოვლინდება ეკონომიკური აქტიანობისა და მისი შედეგების საერთო სურათი.

კონტრაბალანსი – ცხრილი, რომელიც შედგენილია საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე საბუღალტრო ბალანსის შემოწმებისა და ანალიზისათვის.

კრებსითი ბალანსი – განმაზოგადებელი ბალანსი, საბალანსო ანგარიშგება, რომელიც ცალკეული სახეობის დანახარჯების, რესურსების, შემოსავლებისა და დანახარჯების წყაროების მისედვით აერთიანებს კერძო ბალანსებს.

მონიტორინგი – ეკონომიკური ობიექტისადმი უწყვეტი მეთვალყურეობა, მათი საქმიანობის ანალიზი, როგორც მართვის შემადგენელი ნაწილი.

პასიურ ანგარიშებზე აისახება ბანკების რესურსების ფორმირების წყაროები (ბანკის ფონდები და მოგება, ბიუჯეტის შემოსავლები, სახსრების ნაშთები საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე, დეპოზიტებში, ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული თანხები, კრედიტორული დავალიანება და ა.შ.).

საბანკო კონტროლი – ბანკის კონტროლი გაცემული კრედიტების მიზნობრივ გამოყენებაზე ან ვადახდისუუნარო მოვალის მიერ სახსრების ხარჯვაზე მანამ, სანამ იგი გაკოტრებულად გამოცხადდება; კომერციული ბანკების საქმიანობაზე ცენტრალური ბანკის კონტროლი.

საკორესპონდენტო ანგარიში – საბანკო ანგარიში, რომელშიც აისახება ერთი საკრედიტო დაწესებულების მიერ წარმოებული ანგარიშსწორება მეორეს დავალებით და ანგარიშზე საკორესპონდენტო ხელშეკრულების საფუძველზე.

საჯარო ანგარიშგება – საწარმოს (ფირმის), კომპანიის ღია ბუღალტრული ანგარიშგება.

სტორნო – შეცდომების გასწორების წესი საბუღალტრო აღრიცხვაში: შეცდომით შეტანილ ოპერაციას ხელმეორედ ჩაწერენ წითელი მელნით და ამორიცხავენ ანგარიშის ჯამობრივი თანხიდან.

ტრანსდორტი – ბანკის გზავნილი ან წერილობითი ბრძანება თავისი კორესპონდენტისადმი ბრძანებაში მითითებული პირის სასელზე გარკვეული თანხის გაცემის შესახებ.

ყადაღა – აკრძალვა ან შეზღუდვა, დაწესებული სახელმწიფო ორგანოების მიერ რაიმე ქონების გამოყენებაზე ან განკარგვაზე; კონფისკაციის მოხდენა, ჩამორთმევა.

? . . . . . კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. განმარტეთ ბანკის ბალანსი.
2. რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ახასიათებს ბანკის ბალანსს სხვა იურიდიული პირების ბალანსისაგან?
3. ჩამოაყალიბეთ ბანკის აქტიური, პასიური და აქტიურ-პასიური ანგარიშების დამახასიათებელი ნიშნები.
4. განსაზღვრეთ ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვისა და სააღრიცხვო-ოპერაციული მუშაობის არსი და დანიშნულება.
5. ჩამოაყალიბეთ სააღრიცხვო-ოპერაციული სექტორის სტრუქტურა.
6. როდიდან მიიღეს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა ახალი გეგმა და რამ გამოიწვია საქართველოში მისი დანერგვა?
7. განმარტეთ ბანკის ბალანსის საბალანსო და გარებალანსური ანგარიშები.
8. რას ნიშნავს საბალანსო ანგარიშებზე ორმაგი ჩაწერის სისტემა?
9. ჩამოაყალიბეთ საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციისა და წარმართვის საერთაშორისო პრინციპები.
10. რა პრინციპები უდევს საფუძვლად ანგარიშთა გეგმის ფორმირებას?
11. დაახასიათეთ კლიენტების პირადი ანგარიშების აგების სქემა.

რეკომენდებული ლიტერატურა

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქცია. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2000.

კომერციული ბანკის საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 1999.

საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში. 2002.

საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში. 2001.

საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2002.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

Алборов Р.А. Выбор Учетной политики предприятия М.: ДИС, 1997.

Андросов А.М. Бухгалтерский учет и отчетность в банке. М.: Менатеп-Информ, 1994.

Банковское дело. Управление и технологии. Под ред. проф. **А.М. Тавасиева.** М., ЮНИТИ-ДАНА,2001.

Бор М. З. Артемова Л.В., Назарова А.Г. и др. Практический курс бухучета в современном банке. Под. ред. **Бора М.З.**: АО "ДИС", 1996.

Бухфет Ч. Энциклопедия банковского дела и финансов. М.: Корпорация Федоров. 2000.

Горина С.А., Бухгалтерский учет в банке. М.: ПРИОР, 1995.

Шеремет А.Д., Щербакова Г.Н. Финансовый анализ в коммерческом банке. М.: Финансы и статистика. 2000.

Ширинская З. Г. нестерова Т.Н., Соколинская Н.Э. Бухгалтерский учет и операционная техника в банках. М.: "Перспектива": ИНФРА - М., 1998.

Хан Д. Планирование и контроль: концепция контроллинга. М.: Финансы и статистика. 1997.

ოცდამეორე თავი. კონტროლი და აუდიტი კომერციულ ბანკებში

ტერმინები და ძირითადი ცნებები
22.1. ბანკის საქმიანობის შიდა კონტროლის სისტემა
22.2. შიდა კონტროლის ორგანიზაცია: ცენტრალური ბანკის ვერსია
22.3. შიდასაბანკო კონტროლი და მისი სახეები
22.4. მიმდინარე კონტროლის ორგანიზაცია ბანკში
22.5. მომდევნო კონტროლი და მისი ჩატარების ხერხები
22.6.შიდა და გარე აუდიტი: მიზნები, ამოცანები და ბანკში მისი ორგანიზაციის თავისებურებები
22.7. საბანკო რეიტინგის სისტემა
მოკლე დასკვნები
ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება
კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი ნაშრომისათვის
რეკომენდირებული ლიტერატურა

ტერმინები და ძირითადი ცნებები

ადმინისტრატორი
აუდიტი
აუდიტორები
აქტი
გადახდისუნარიანობა
დერივატივი
ინსაიდერი
კონტროლი
კონტროლიორი
კონტროლი დოკუმენტური
კონტროლი პარამეტრული
მაკონტროლებელი პირი
ნიუ-იორკის საკლირინგო პალატების ასოციაცია
სასინჯი კოდი
სვიფტი
ტელექსი
ფედვაირი
ჩიპსი

22.1. ბანკის საქმიანობის შიდა კონტროლის სისტემა

საბანკო კონტროლი (თვითკონტროლი) ბანკის მიერ განხორციელებული ისეთი ზედამხედველობაა, რომელიც საკუთარი თავისკენაა მიმართული. ქვემოთ მოგყავს რამდენიმე აშინაწერი ბაზელის საბანკო რეგულირების კომიტეტის ცნობილი წერილიდან „საბანკო საქმიანობაზე ეფექტიანი ზედამხედველობის საბაზო პრინციპები“ (ბაზელი, 1997 წ.). თუ ტექსტში სიტყვა „ზედამხედველობას“ „კონტროლით“ შევცვლით და მოვახდენთ მასშტაბების კორექტირებას, მივიღებთ პირველ სწორ წარმოდგენას შიდასაბანკო კონტროლის დანიშნულებაზე.

საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაზე ეფექტიანი ზედამხედველობა განუყოფელი კომპონენტია ეკონომიკისა, რომელშიც საბანკო სისტემა მთავარ როლს თამაშობს. მისი ეს როლი მდგომარეობს ანგარიშსწორებათა განხორციელებაში, ფულადი დანაზოგების მობილიზებასა და განაწილებაში. ზედამხედველობამ უნდა უზრუნველყოს საბანკო ოპერაციების ეკეროვნად შეს-

რულება და საიმედოობა და თვალი ადევნოს იმას, რომ ბანკების კაპიტალი და რეზერვები საკმარისი იყოს მათ მიერ დაკავებული სარისკო პოზიციების მხარდასაჭერად. მკაცრი და ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობა ემსახურება საერთო კეთილდღეობას, რომელიც მიღწეული ვერ იქნება მხოლოდ და მხოლოდ საბაზრო ბერკეტების დახმარებით, და ეფექტიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად ნებისმიერ ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ღირებულება საკმაოდ მაღალია, მაგრამ მისი უქონლობისათვის კიდევ უფრო მაღალი ფასის გაღება ხდება საჭირო.

ზედამხედველობის მთავარი მიზანია ფინანსურ სისტემაში სტაბილურობისა და ნდობის ატმოსფეროს შენარჩუნება, რაც მეანაბრეებისა და სხვა კრედიტორებისთვის დანაკარგების რისკის მინიმიზაციას უზრუნველყოფს.

ზედამხედველობის ორგანოები ხელს უნდა უწყობდნენ საბაზრო დისციპლინის დაცვას კვალიფიციური ხელმძღვანელობის, აგრეთვე საბაზრო კარგახსნილობისა და კონტროლის სტიმულირების გზით.

თავიანთი ფუნქციების წარმატებით შესრულების მიზნით ზედამხედველობის ორგანოებს უნდა გააჩნდეთ ოპერატიული დამოუკიდებლობა, შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობა როგორც დაკვირვებების, ისე ადგილებზე შემოწმებების მეშვეობით, აგრეთვე, თავიანთი გადაწყვეტილებებისთვის სავალდებულო ხასიათის მინიჭების უფლებამოსილება.

საბანკო ზედამხედველობის ორგანოებს კარგად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი საბანკო საქმიანობის არსი და შეძლებისდაგვარად აღწევდნენ იმას, რომ ბანკები კვალიფიციურად მართავდნენ მათ მიერ ნაკისრ რისკებს. ეფექტიანი ზედამხედველობა მოითხოვს იმას, რომ ბანკების მიერ ნაკისრი რისკები ფასდებოდეს, და ზედამხედველობის ხასიათი ამ შეფასებებს შეესაბამებოდეს. ზედამხედველობის ორგანოები დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ ბანკი ფლობს მის მიერ ნაკისრი რისკების შესაბამის რესურსებს, კერძოდ, საკმარის კაპიტალს, კვალიფიციურ ხელმძღვანელობას, კონტროლისა და აღრიცხვის ეფექტიან სისტემებს.

ზედამხედველობა ხელს უნდა უწყობდეს ეფექტიანი და კონკურენტული საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც შეესაბამება მისაღები ფასებით შემოთავაზებულ ფინანსურ მომსახურებაზე საზოგადოების მოთხოვნილებებს.

ზედამხედველობას არ შეუძლია და ვალდებულიც არა იძლეოდეს იმის გარანტიებს, რომ ბანკები არ გაკოტრდება.

კონტროლის სისტემა ბანკში: ძირითადი მოთხოვნები. აქაც გამოვიყენოთ ბაზელის კომიტეტის 1998 წლის მოხსენება: „საკრედიტო ორგანიზაციებში შიდა კონტროლის სისტემების ფუნქციონირების ძირითადი საფუძვლები“ (დოკუმენტი მოგვყავს შემოკლებული სახით).

1. თემატიკის აქტუალურობა

1. ბაზელის კომიტეტი სწავლობდა იმ პრობლემებს, რომლებსაც ბანკები აწყდებოდნენ ბოლო დროს. ეს ძირნად ისახავდა შიდა კონტროლის განხორციელებაში არსებული ხარვეზების ძირითადი წყაროების გამოვლენას. გამოვლენილი პრობლემების ანალიზი ადასტურებს იმის დიდ მნიშვნელობას, რომ ბანკების ხელმძღვანელობა, შიდა და გარე აუდიტორები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც ზედამხედველობას ახორციელებენ, მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ შიდა კონტროლის სისტემების განმტკიცებას და მათი ეფექტიანობის მუდმივად შეფასებას. შიდა კონტროლის სისუსტეს შეუძლია მნიშვნელოვანი ზარალი მოუტანოს ბანკს.

2. საბანკო კონტროლის სფეროში მომხდარი ის ჩავარდნები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აგდებენ ბანკებს, შეგვიძლია 5 კატეგორიად დავაჯგუფოთ:

- ადმინისტრაციული ზედამხედველობისა და ანგარიშგების უკმარისობა, აგრეთვე კონტროლის მყარი ტრადიციების შექმნის უუნარობა;

ზოგიერთი სახის საბანკო საქმიანობის რისკის ნაკლებად გაგება და შეფასება;

კონტროლის მთავარი სტრუქტურებისა და სახეების უქონლობა ან მათი არაეფექტიანობა;
- ბანკის მართვის სხვადასხვა დონეებს შორის ინფორმაციის გადაცემის ნაკლოვანებები;
- აუდიტური შემოწმებებისა და მონიტორინგის არასაკმარისი ან არაეფექტიანი პროგრამები.

3. სახელდობრ, ბანკის საბჭოს და უფროსი თანამდებობის პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ბანკში შიდა კონტროლის საკმარისი ზომების დანერგვაზე და ისეთი ვითარების შექმნაზე, რომლის დროსაც თანამშრომლები აცნობიერებენ და ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს ამ დარგში.

II. შიდა კონტროლის საერთო საფუძვლები მიზნები და დანიშნულება

4. შიდა კონტროლი არის პროცესი, რომელსაც ახორციელებენ საბჭო, უფროსი თანამდებობრივი პირები და ყველა დონის თანამშრომლები. ესაა არა მხოლოდ გარკვეულ მომენტში შესრულებული პროცედურა ან პოლიტიკა, არამედ ისეთი პროცესი, რომელიც მუდმივად ხორციელდება ბანკის ყველა დონეზე. საბჭო და უფროსი თანამდებობრივი პირები პასუხს აგებენ შესაბამისი ტრადიციების ჩამოყალიბებაზე შიდა კონტროლის ეფექტიანი ღონისძიებების შესრულებისათვის ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე მისი ეშედითობის მონიტორინგზე. მაგრამ ამ პროცესში ორგანიზაციის თითოეული თანამშრომელი უნდა მონაწილეობდეს.

შიდა კონტროლის მთავარი მიზნები ასე შეგვიძლია დავაჯგუფოთ:
- განხორციელებული ოპერაციების ეფექტიანობა და ქმედითობა;
- ფინანსური და მმართველური ინფორმაციის სარწმუნოობა, სისრულე და თავისდროულობა;
- კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების დაცვა.

5. შიდა კონტროლი მიმართული უნდა იყოს ბანკის მიერ განხორციელებული ოპერაციების ეფექტიანობისა და ქმედითობის უზრუნველყოფისკენ საკუთარი აქტივებისა და სხვა რესურსების გამოყენებით, აგრეთვე დანაკარგებისგან ბანკის დაცისკენ. შიდა კონტროლის პროცესი ხელს უნდა უწყობდეს იმას, რომ ორგანიზაციის ყველა მუშაკი ეფექტიანად და კეთილსინდისიერად მოქმედებდეს დასმული ამოცანების მისაღწევად, არ იწვევდეს გაუთვალისწინებელ ან გაუმართლებელ ხარჯებს და არ აყენებდეს სხვა ინტერესებს (თანამშრომელთა, პარტნიორთა ან კლიენტთა ინტერესებს) ბანკის ინტერესებზე მაღლა.

6. საინფორმაციო ამოცანები უკავშირდება გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო დროული, სარწმუნო და არსებითად მნიშვნელოვანი ცნობების მომზადებას. ისინი უკავშირდება, აგრეთვე, სარწმუნო წლიურ და სხვა ანგარიშგებაზე ფინანსური მონაცემების გაშიფვრაზე არსებულ მოთხოვნილებას, ანგარიშგებათა გადაცემას ზედამხედველობის მონაწილეებისათვის, ზედამხედველობის ორგანოების წარმომადგენლებისთვის და სხვა გარეშე მხარეებისათვის. ინფორმაცია თავისი ხარისხითა და მოცულობით საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ მისით მოსარგებლეებს შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ფინანსური ანგარიშების მიმართ ტერმინი ,,სარწმუნოობა" იმას ნიშნავს, რომ იგი შედგენილია გასაგებად და აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული, ნათლად ჩამოყალიბებული პრინციპებისა და წესების გამოყენებით.

7. დადგენილი ნორმატივებისა და პროცედურების დაცვა იქითკენაა მიმართული, რომ საბანკო საქმიანობის მსვლელობაში უზრუნველყოფილი იყოს კანონმდებლობისა და რეგულირების წესების, ზედამხედველობის ორგანოების, აგრეთვე თვით საკრედიტო ორგანიზაციების პოლიტიკისა და პროცედურების მოთხოვნების შესრულება. ამის შესრულება საჭიროა ბანკის კანონიერი უფლებებისა და მისი რეპუტაციის დასაცავად.

III. შიდა კონტროლის ძირითადი ელემენტები

8. შიდა კონტროლის პროცესმა, რომელიც შეცდომებისა და თაღლითობის ან სახსრების არაჯეროვნად გამოყენების თავიდან აცილების მექანიზმია, შეიძინა ყოელისმომცველი ხასიათი. მოიცვა ყველა რისკი, რომელსაც საკრედიტო ორგანიზაცია აწყდება. შიდა კონტროლის რაციონალურად ორგანიზებულ პროცესს კრიტიკულად დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკის იმ უნარის

უზრუნველყოფაში, რომ იგი ასრულებდეს თავის საწესდებო მიზნებს და ინარჩუნებდეს ფინანსურ მდგრადობას.

9. შიდა კონტროლი შედგება ურთიერთდაკავშირებული 5 ელემენტისგან:

- ადმინისტრაციული ზედამხედველობა და კონტროლის ტრადიციები;
- რისკების გამოვლენა და შეფასება;
- მოვალეობების კონტროლი და გამიჯვნა;
- ინფორმაცია და კავშირი;
- მონიტორინგი და ხარვეზების აღმოფხვრა.

A. ადმინისტრაციული ზედამხედველობა და კონტროლის ტრადიციები

1. ბანკის საბჭო (დირექტორთა საბჭო).

პრინციპი 1. საბჭო პასუხისმგებელია საოპერაციო საქმიანობის საერთო სტრატეგიისა და ბანკის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა დამტკიცებასა და პერიოდულად გადასინჯვაზე, იმ ძირითადი რისკების შესწავლაზე, რომელსაც ბანკი აწყდება, რისკების მისაღები დონეების დაწესებაზე და უფროსი თანამდებობრივი პირების მიერ იმ ზომების მიღების აუცილებლობაზე, რომელიც რისკების იდენტიფიცირების, გაზომვის, თვალის დევნების და გაკონტროლებისთვისაა საჭირო; ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცებაზე, აგრეთვე, უფროსი თანამდებობრივი პირების მხრიდან შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემის მონიტორინგის უზრუნველყოფაზე. საბოლოო ჯამში საბჭო პასუხისმგებელია შიდა კონტროლის ჯეროვანი და ეფექტიანი სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაზე.

10. საბჭო უზრუნველყოფს მართვას, ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას უფროსი თანამდებობრივი პირების საქმიანობის მიმართ. საბჭოს წევრები უნდა ავლენდნენ ობიექტურობას, კომპეტენტურობასა და მაძიებელ გონებას, მათ უნდა ჰქონდეთ ცოდნა და საბანკო სფეროში მუშაობის ჩვევები (ზოგიერთ ქვეყანაში დაშვებულია იმის შესაძლებლობა, რომ საბჭოში შემაკავალ პირებს კავშირი არ ჰქონდეთ ბანკის ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობასთან). შრომისუნარიანი და ინიციატივიანი საბჭო, განსაკუთრებით – თუკი ეს შეხამებულია ვერტიკალური კავშირების ეფექტიან არხებთან, კომპეტენტურ ფინანსურ და იურიდიულ სამსახურებთან და შიდა აუდიტის სამსახურთან, იმ პრობლემების გადაჭრაში კორექტივების შეტანის მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელსაც შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის შემცირება შეუძლია.

11. მას ნიერ გატარებულ ღონისძიებებში საბჭომ უნდა შეიტანოს:

1) პერიოდული დისკუსიები მმართველ პერსონალთან შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის საკითხებზე;

2) მმართველი პერსონალის, გარე და შიდა აუდიტორების მიერ ჩატარებული შიდა კონტროლის ღონისძიებათა შეფასებების თავისდროული მიმოხილვა;

3) პერიოდული შემოწმებები იმაში დასარწმუნებლად, რომ მმართველი შემადგენლობა ოპერატიულად რეაგირებს აუდიტორებისა და ზედამხედველობის ორგანოების მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებსა და შენიშნებზე შიდა კონტროლის სისტემაში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით;

4) ბანკის სტრატეგიისა და რისკის მაქსიმალურად დასაშვები დონეების შესაბამისობის პერიოდული მიმოხილვა.

12. მრავალ ქვეყანაში ბანკები ითვალისწინებენ დამოუკიდებელი აუდიტური კომიტეტის დაფუძნებას საბჭოსთვის დახმარების აღმოსაჩენად. კომიტეტს, ჩვეულებრივ, ეკისრება ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შიდა კონტროლის სისტემის შესაბამისობაზე თვალის დევნება. ამ მოვალეობის შესასრულებლად კომიტეტი თვალს ადევნებს ბანკის შიდა აუდიტის განყოფილების საქმიანობას და უშუალო კონტაქტებს ინარჩუნებს მასთან, აგრეთვე, პირველად კავშირებს ამყარებს

გარე აუდიტორებთან. ზოგიერთ ქვეყანაში ითვალისწინებენ იმის შესაძლებლობას, რომ კომიტეტი უმთავრესად ან მთლიანად ყალიბდება საბჭოს იმ წევრებისგან, რომლებიც ბანკის მოსამსახურეები არ არიან, თუმცა, აქვთ ამისათვის საკმარისი ცოდნა.

2. უფროსი თანამდებობრივი პირები

პრინციპი 2. უფროსი თანამდებობრივი პირები პასუხს აგებენ საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელებაზე; ბანკის მიერ ნაკისრი რისკების იდენტიფიკაციის, გაზომვის, მონიტორინგისა და კონტროლის მეთოდების შემუშავებაზე; ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურის შენარჩუნებაზე, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილებათა მკაფიოდ გამოყენას და ანგარიშვალდებულებითი ურთიერთობების დამკვიდრებას დელეგირებულ ვალდებულებათა ეფექტიანად შესრულების მიზნით; შიდა კონტროლის ჯეროვანი პოლიტიკის განსაზღვრაზე. აგრეთვე, კონტროლის საკმარისობისა და ეფექტიანობის მონიტორინგზე.

13. უფროსი თანამდებობრივი პირები პასუხს აგებენ საბჭოს მითითებების, მათ შორის – შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემის შექმნის შესახებ მითითებების შესრულებაზე. როგორც წესი, შიდა კონტროლის პოლიტიკის უფრო კონკრეტული მიმართულების და პროცედურების შემუშავებაზე პასუხისმგებლობას ისინი გადასცემენ მათ, ვინც ამა თუ იმ საოპერაციო ქვედანაყოფზეა პასუხისმგებელი. უფლებამოსილებათა და მოვალეობათა დელეგირება მართვის არსებითი ოფციაა პასუხისმგებელი. უფროსი თანამდებობრივი პირები თვალყურს უნდა ადევნებდნენ შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების შექმნისა და განხორციელების უზრუნველყოფას იმ პასუხისმგებელი შემსრულებლების მიერ, ვისაც ისინი გადასცემენ მოვალეობებს.

14. შიდა კონტროლის დადგენილი სისტემით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, რომელიც დოკუმენტბრუნვისა და შიდა კომუნიკაციების რაციონალიზაციის წყალობით ნათლად გვიჩვენებს ანგარიშგების წესს დელეგირებული მოვალეობებისა და უფლებამოსილებათა ფარგლებში და მთელი ორგანიზაციის მასშტაბით კავშირის უზრუნველყოფის ეფექტიანი საშუალებაა. მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განაწილების საფუძველზე აუცილებელია ანგარიშგების წესში შეუთანხმებლობის თავიდან აცილების მიღწევა და მმართველობის კონტროლის ეფექტიანობის უზრუნველყოფა ბანკის ყველა დონეზე და მისი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

15. დიდი მნიშვნელობა ენიჭება უფროსი თანამდებობრივი პირების მიერ იმ ღონისძიებათა გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ საქმიანობაში აუცილებელი გამოცდილებისა და ჩვევების მქონე კვალიფიციური პერსონალის მონაწილეობას. კონტროლის ფუნქციის შემსრულებელი თანამშრომლები სათანადო ანაზღაურებას უნდა იღებდნენ. საჭიროა პერსონალის პროფესიული მომზადებისა და ჩვევების დონის რეგულარულად ამაღლება. უფროსი თანამდებობრივი პირები უნდა აწესებდნენ თანამშრომელთა მატერიალური დაჯილდოებისა და დაწინაურების სისტემას, რათა სტიმული მიეცეს ქცევის მოთხოვნილი ნორმების დაცვას და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ის სტიმულები, რომლებიც შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფისკენ ან მათი დაცვისგან თავის არიდებისკენ უბიძგებს პერსონალს.

3. კონტროლის ტრადიციები

პრინციპი 3. საბჭო და უფროსი თანამდებობრივი პირები პასუხს აგებენ მოვალეობათა კეთილსინდისიერად შესრულების მაღალი ეთიკური სტანდარტების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობაზე და ორგანიზაციის ფარგლებში იმგვარი ტრადიციების დამკვიდრებაზე, რომლებიც ხაზს უსვამს და ყველა დონის თანამშრომელს უჩვენებს შიდა კონტროლის ღონისძიებათა მნიშვნელობას. ყველა თანამშრომელს კარგად უნდა ესმოდეს თავისი როლი და მონაწილეობდეს შიდა კონტროლის პროცესში.

16. შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემის არსებითად მნიშვნელოვანი ელემენტია კონტროლის მტკიცედ ფეხმოკიდებული ტრადიციები. საბჭო და უფროსი თანამდებობრივი პირები განსაკუთრებულ

მნიშვნელობას უნდა ანიჭებდნენ შიდა კონტროლს. აქვე შედის ის ეთიკური ასპექტებიც, რომლებსაც ხელმძღვანელობა ავლენს გარიგებების დადებისას, როგორც თვით ორგანიზაციაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაკავებული პოზიციითა და მოქმედებებით საბჭოს წევრები და უფროსი თანამდებობრივი პირები გავლენას ახდენენ ბანკში საქმიან კეთილსინდისიერებაზე, ქცევის ეთიკურ ნორმებზე და კულტურის სხვა ასპექტებზე.

17. შიდა კონტროლი ამა თუ იმ ზომით ბანკის თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობის საგანია. თითქმის ყველა მუშაკი ან შიდა კონტროლის სისტემაში გამოყენებული ინფორმაციის წყაროა, ან ისეთ მოქმედებას მიმართავს, რომელიც კონტროლის განხორციელებისთვისაა საჭირო. შიდა კონტროლის საიმედო სტრუქტურის არსებითი ელემენტია ყველა თანამშრომლის მიერ იმის აუცილებლობის აღიარება, რომ მათ ეფექტიანად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები და მართვის შესაბამის დონეს აცნობონ საოპერაციო საქმიანობის ნებისმიერი პრობლემა, ქცევის კოდექსის დარღვევის ყოველი შემთხვევა, დადგენილი ნორმების სხვა დარღვევები და ნებისმიერი შეშფოთებული კანონსაწინააღმდეგო მოქმედება. ამის მიღწევა მაშინაა ყველაზე ადვილი, როდესაც საოპერაციო პროცედურები მკაფიო წერილობით ინსტრუქციებშია გადმოცემული და დაყვანილია ყველა მათგანამდე, ვისაც იგი ესება. დიდი მნიშვნელობა აქვს იმის მიღწევას, რომ ბანკის ყველა თანამშრომელს კარგად ესმოდეს შიდა კონტროლის მნიშვნელობა და აქტიურად მონაწილეობდეს ამ პროცესში.

18. ეთიკური ნორმების განმტკიცებისას საკრედიტო ორგანიზაციები უნდა გაურბოდნენ ისეთ ზომებსა და პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომლებსაც უნებლიედ შეუძლიათ წაახალისონ შეუფერებელი მოქმედებები ან შექმნან მათი ჩადენისაკენ მიდრეკილება. ასეთი ზომები და ნაბიჯები შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, მუშაობის ზოგიერთი მაჩვენებლის ან საოპერაციო საქმიანობის სხვა შედეგების მიღწევისთვის მეტისმეტ მონდომებას, განსაკუთრებით — მოკლევადიანი მიზნების რეალიზაციის დროს, რომლის დროსაც სჯობია უფრო გრძელვადიანი სასიათის რისკების უგულვებელყოფა; მატერიალური ანაზღაურების ისეთ სისტემებს, რომლებიც ზედმეტადაა ორიენტირებული საქმიანობის მოკლევადიან მაჩვენებლებზე; მოვალეობათა არაეფექტიანად გამიჯვნას და კონტროლის სხვა ღონისძიებებს, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ რესურსების ბოროტად გამოყენებას ან მუშაობის არადაკმაყოფილებელ შედეგებზე წაყრუებას, აგრეთვე, შეუფერებელი საქციელისათვის არასაკმარის ან, პირიქით, მეტისმეტად მკაცრ ზომებს.

19. ბართალია, შიდა კონტროლის მყარი ტრადიციები თავისი მიზნების მიღწევის გარანტიებს არ აძლევს ორგანიზაციას, მაგრამ ამ ტრადიციების უქონლობა უფრო სავარაუდოს ხდის შეუმჩნეველ შეცდომებსა და არაეთიკური მოქმედებების ჩადენას.

B. რისკების გამოვლენა და შეფასება

პრინციპი 4. შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა გულისხმობს იმ რისკების მუდმივად გაპოვლენასა და შეფასებას, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად აისახოს ბანკის მიერ დასახული მიზნებია მიღწევაზე. შეფასებამ უნდა მოიცვას ყველა რისკი, რომელსაც ბანკი აწყდება. ამ დროს შესაძლოა აუცილებელი გახდეს შიდა კონტროლის ღონისძიებათა გადასინჯვა, რათა სათანადოდ იქნას გათვალისწინებული ნებისმიერი ახალი ან წინათ გაუკონტროლებელი რისკი.

20. აუცილებელია, რომ რისკების გამოვლენა და შეფასება მუდმივად ხდებოდეს. შიდა კონტროლის პოზიციიდან, რისკების შეფასების დროს უნდა გამოვლინდეს და შეფასდეს ყველა შიდა და გარე ფაქტორი, რომლებიც შეიძლება უარყოფითად მოქმედებდეს საკრედიტო ორგანიზაციის ფუნქციონირებასთან, ინფორმაციულ უზრუნველყოფასა და დაწესებულ მოთხოვნათა დაცვასთან დაკავშირებული ამოცანების შესრულებაზე. ამ პროცესმა უნდა მოიცვას ყველა რისკი, რომელსაც კი ბანკი აწყდება, და იგი უნდა განხორციელდეს მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე. იგი განსხვავდება რისკების მართვის პროცესისგან, რომელიც,

როგორც წესი, უფრო მეტად საოპერაციო საქმიანობის იმ მთავარი სტრატეგიული მიმართულებების ანალიზზეა კონცენტრირებული, რომლებსაც მაქსიმალური უკუგების მიზნით ამუშავებენ (რისკის დონესა და ოპერაციების შემოსავლიანობას შორის თანაფარდობის გათვალისწინებით – საბანკო მეწარმეობის სხვადასხვა მიმართულებაზე).

21. რისკების ეფექტიანად შეფასებისას აუცილებელ და განიხილავენ იმ შიდა (ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის სირთულე, მისი საქმიანობის ხასიათი, პერსონალის ხარისხობრივი მახასიათებლები, ორგანიზაციული ცვლილებები და კადრების დენადობა) და გარე (ეკონომიკური კონიუნქტურის რყევა, მრეწველობაში მომხდარი ცვლილებები და წარმოების ტექნოლოგიაში არსებული მიღწევები) ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითად იმოქმედონ ბანკის მიერ დასახული მიზნების განხორციელებაზე. ამის მიღწევა სხვადასხვა მეთოდითაა შესაძლებელი. რისკების ეფექტიანად შეფასებას ექვემდებარება მათი ყველა ელემენტი იმის მიუხედავად, შესაძლებელია მათი გაზომვა თუ არა (იმ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც კონტროლის განხორციელებას უკავშირდება და მოგება მოაქვს).

22. რისკების შეფასებისა და თვით შიდა კონტროლის სისტემის ქმედითობის შესანარჩუნებლად უფროსი თანამდებობრივი პირები მუდმივად უნდა აფასებდნენ დასახული მიზნების მიღწევასთან კავშირში მყოფ რისკებს და მიმართავდნენ საჭირო ზომებს ცვალებადი პირობებისა და გარემოებების გათვალისწინებით. ამ დროს შესაძლოა საჭირო გახდეს შიდა კონტროლის ღონისძიებათა გადასინჯვა. მაგალითად, ახალი ფინანსური ოპერაციების დანერგვის კვალობაზე ბანკს უხდება ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისა და საბაზრო გარიგებების შეფასება, აგრეთვე მათთან დაკავშირებული რისკების განხილვა. ხშირად ამ რისკების გაგება უფრო ადვილია ფინანსური ინსტრუმენტებისა და გარიგებების შემოსავლიანობასა და ფულის ნაკადებზე სხვადასხვა სცენარის (ეკონომიკური და სხვა) გავლენის განხილვის დროს. შესაძლო პრობლემების მთელი სპექტრის კლიენტებთან მომხდარი გაუგებრობებით დაწყებული და საოპერაციო მარცხით დამთავრებული – გულდასმითი ანალიზი სამუალებას გვაძლევს, ჩამოვაყალიბოთ კონტროლთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დებულებები.

C. კონტროლი და მოვალეობათა გამიჯვნა

პრინციპი 5. კონტროლი ბანკის ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემისათვის საჭიროა კონტროლის სათანადო სტრუქტურის დადგენა და, მასთან ერთად, შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა საოპერაციო საქმიანობის ყოველ დონეზე. ეს ღონისძიებები მოიცავს: განხილვათა ჩატარებას უმაღლეს დონეზე; ქვედანაყოფების საქმიანობის კონტროლის აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელებას; მატერიალური აქტივების დაცულობის კონტროლს; რისკებისადმი მიდრეკილების ლიმიტების დაცვის შემოწმებას და შემდეგ კონტროლს მათი დარღვევის შემთხვევაში; უფლებამოსილებათა გამიჯვნის და გადაწყვეტილებათა მიღების სისტემას და შეღარებისა და შეთანხმების სისტემას.

23. კონტროლის ღონისძიებები უნდა მოქმედებდეს იმ რისკებზე, რომელთა იდენტიფიცირებაც მოახდინა ბანკმა რისკების შეფასების დროს. კონტროლი მოიცავს 2 სტადიას: 1) კონტროლის ძირითადი მიმართულებებისა და მეთოდების შემუშავებას, 2) იმის შემოწმებას, რომ კონტროლი ამ მიმართულებებისა და მეთოდების შესაბამისად ხორციელდება. საკონტროლო საქმიანობაში რთავენ ბანკის ყველა დონის თანამშრომელს უფროსი თანამდებობრივი პირების ჩათვლით, აგრეთვე, ბანკის კლიენტებთან, საქმის მცოდნე ოპერაციონისტებს.

24. კონტროლის ღონისძიებები ყველაზე უფრო ეფექტიანია მაშინ, როდესაც ხელმძღვანელები და ყველა თანამშრომელი მას განიხილავს, როგორც ბანკის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილს და არა როგორც მის დამატებას. თუ კონტროლის ღონისძიებებს ყოველდღიური ოპერაციების დამატებად განიხილავენ, მაშინ ისინი შეიძლება საერთოდ არ შესასრულონ იმ შემთხვევებში, როდესაც ცალკეული თანამშრომლებისთვის საჭირო ხდება ოპერაციის დასრულება დროის

უკმარისობისას. გარდა ამისა, კონტროლი, როგორც ყოველდღიური საქმიანობის ნაწილი, საშუალებას გვაძლევს სწრაფად გამოვძებნოთ საპასუხო ღონისძიებები გარე პირობების შეცვლის დროს და თავიდან ავიცილოთ ზედმეტი ხარჯები. შიდა საბანკო კონტროლის კულტურის აუცილებელი დონის ჩამოყალიბების მიზნით, უფროსი თანამდებობრივი პირები ვალდებული არიან მიაღწიონ იმას, რომ კონტროლის სათანადო ღონისძიებები ამ პროცესში ჩართული ყველა თანამშრომლის ყოველდღიური მუშაობის ნაწილად იქცეს.

25. უფროსი თანამდებობრივი პირები რეგულარულად უნდა ადევნებდნენ თვალს იმას, რომ ბანკის ყველა სფერო ფუნქციონირებდეს დადგენილი მიმართულებებისა და პროცედურების შესაბამისად, აგრეთვე იმას, თუ რამდენად ადექვატურია გამოყენებული ღონისძიებები და მეთოდები. სწორედ ესაა შიდა აუდიტის სამსახურის მთავარი როლი.

პრინციპი 6. შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემისათვის საჭიროა მოვალეობების სწორად დანაწილება და იმის უზრუნველყოფა, რომ თანამშრომლებს არ დაეკისროთ ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. აუცილებელია მოხდეს ინტერესთა პოტენციური კონფლიქტების სფეროების იდენტიფიცირება, მათი მინიმუმამდე დაყვანა და გულდასმითი მიუდევნელი მონიტორინგი.

26. შიდა კონტროლის სუსტი ორგანიზაციით განპირობებული ყველა მსხვილი დანაკარგის ანალიზის დროს ბანკის სპეციალისტები ხშირად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მოვალეობათა განაწილებისას დაშვებული შეცდომები. გარკვეული მოვალეობები ბანკში შეძლებისდაგვარად უნდა იყოს დანაწევრებული და ისინი სხვადასხვა თანამშრომლებს უნდა დაეკისროს.

27. აუცილებელია მოხდეს ინტერესთა პოტენციური კონტროლირების სფეროების იდენტიფიცირება, მათი მინიმუმამდე დაყვანა და გულდასმითი მონიტორინგი დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ. უნდა ხდებოდეს, აგრეთვე, პასუხისმგებელი თანამშრომლების მოვალეობებისა და ფუნქციების პერიოდულად გადასინჯვა და იმის გადამოწმება, რომ მათ არ ეძლეოდეთ შეუფერებელი ქცევების დაფარვის შესაძლებლობა.

D. ინფორმაცია და კავშირი

პრინციპი 7. შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემისათვის საჭიროა საკმარისი მოცულობის ყოველმხრივი მონაცემები შიდა ფინანსურ ანგარიშგებაზე, საოპერაციო საქმიანობასა და დაწესებულ მოთხოვნათა დაცვაზე, აგრეთვე, საბაზრო ხასიათის გარე ინფორმაცია გადაწყვეტილებათა მიღებისთვის მნიშვნელობის მქონე მოვლენებისა და პირობების შესახებ. ინფორმაცია უნდა იყოს სარწმუნო, თავისდროული, გასაგები და შემოდიოდეს თავსებადი ფორმატით.

პრინციპი 8. შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის მისაღწევად აუცილებელია საიმედო საინფორმაციო სისტემების რაციონალურად განთავსება, რომლებიც ბანკის ყველა მნიშვნელოვანი სახის საქმიანობას მოიცავს. ეს სისტემები, იმათი ჩათვლით, რომელთა მეშვეობითაც ელექტრონული ფორმის მონაცემებს ინახავენ და იყენებენ, უნდა აკმაყოფილებდნენ უსაფრთხოება მოთხოვნებს და გადიოდნენ მიუმხრობელ მონიტორინგს, მათთვის შემუშავებული უნდა იყოს ადექვატური ზომები გაუთვალისწინებელ გარემოებათა წარმოქმნის შემთხვევებში.

პრინციპი 9. შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემისთვის აუცილებელია კავშირის ეფექტიანი სისტემები იმის მისაღწევად, რომ ყველა თანამშრომელს სრულად ესმოდეს და მხარს უჭერდეს გატარებულ ღონისძიებებს და ამ დროს გამოყენებულ პროცედურებს, რომლებიც მათ საქმიანურეარე მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას შეეხება, და რომ ხდებოდეს სხვა საჭირო ინფორმაციის დაყვანა ყველა იმ მუშაკამდე, ვისაც ეს ეხება.

E. მონიტორინგი და ხარვეზების აღმოფხვრა

პრინციპი 10. ბანკის მიერ შიდა კონტროლში გამოყენებული ღონისძიებების ეფექტიანობას გაუწევენ ესაჭიროება თვალყურის დევნება. მთავარი რისკების მონიტორინგი ბანკის ყოვე-

ლდღიური საქმიანობის ნაწილი და იმ პერიოდული შეფასებების საგანი უნდა იყოს, რომლებსაც საოპერაციო სამსახურები და შიდა აუდიტი ახორციელებენ.

28. შიდა კონტროლის ეფექტიანი ღონისძიებების მონიტორინგის ჩატარება შეუძლიათ მთელი რიგი ქვედანაყოფების თანამშრომლებს საოპერაციო განყოფილების, ფინანსური კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურების ჩათვლით. ამიტომ უფროსი თანამდებობრივი პირები მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდნენ, თუ რომელმა თანამშრომლებმა უნდა აგონ პასუხი მონიტორინგთან დაკავშირებული ამა თუ იმ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე. მონიტორინგი უნდა გახდეს ბანკის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილი, მანვე უნდა მოიცვას შიდა კონტროლის მთელი პროცესის ცალკეული პერიოდული შეფასებები.

29. უწყვეტი მონიტორინგი იძლევა შიდა კონტროლის სისტემაში არსებული ხარვეზების სწრაფად გამოვლენისა და აღმოუხერხის შესაძლებლობას. ასეთი მონიტორინგი განსაკუთრებით ეფექტიანია იმ შემთხვევაში, თუკი შიდა კონტროლის სისტემა საოპერაციო გარემოსთანაა ინტეგრირებული და უზრუნველყოფს რეგულარული ცნობების მიწოდებას ხელმძღვანელობის მიერ განსახილველად. უწყვეტი მონიტორინგის მაგალითებია საერიცხო რეგისტრებში გაკეთებული ჩანაწერების დათვალიერება და შემოწმება, აგრეთვე, „არასშტატო" სიტუაციების შესახებ მიწოდებული ცნობების განხილვა და დამტკიცება მართვის შესაბამისი ორგანოების მიერ.

30. ერთჯერადი შეფასებები, როგორც წესი, მხოლოდ პოსტფაქტუმ აელენენ პრობლემებს, თუმცა ისინი მონიტორინგის ეფექტიანობის ყოველმხრივ განხილვის დაწყების შესაძლებლობას იძლევიან. შიდაკონტროლის სისტემის ერთჯერად შეფასებებს ხშირად აქვთ თვითშეფასების ფორმა, როდესაც ამა თუ იმ მოვალეობებზე პასუხისმგებელი მუშაკები განსაზღვრავენ საკუთარი საქმიანობის კონტროლის ღონისძიებათა ეფექტიანობას. ამის შემდეგ დოკუმენტაციასა და შეფასების შედეგებს უფროსი თანამდებობრივი პირები ანალიზებენ. აუცილებელია ყველა დონეზე ხდებოდეს ამ ანალიზის სათანადო სახით დოკუმენტირება და დასკვნების თავისდროულად მიწოდება მართვის შესაბამისი დონის თანამდებობრივი პირებისათვის.

პრინციპი 11. შიდა კონტროლი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საოპერაციო თვალსაზრისით დამოუკიდებელი ეფექტიანი და ყოველმხრივი შიდა აუდიტით სათანადოდ მომზადებული და კომპეტენტური თანამშრომლების მიერ. შიდა აუდიტის სამსახური, როგორც შიდა კონტროლის სისტემის მონიტორინგის ნაწილი, ანგარიშგებას წარუდგენს და ცნობებს გადასცემს უშუალოდ საბჭოს ან მის სააუდიტო კომიტეტს და უფროს თანამდებობრივ პირებს.

31. შიდა აუდიტის სამსახური უზრუნველყოფს შეშუშავებული პოლიტიკისა და დადგენილი პროცედურების ადექვატურობისა და დაცვის დამოუკიდებელ შეფასებას. შიდა აუდიტის სამსახური დაკავშირებული არ უნდა იყოს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობასთან და ხელი მიუწვდებოდეს მისი ფუნქციონირების ყველა სახეზე.

32. უშუალოდ საბჭოსთვის ან მისი სააუდიტო კომიტეტისთვისა და უფროსი თანამდებობრივი პირებისთვის ანგარიშგებისა და ცნობების გადაცემით, შიდა აუდიტორები უზრუნველყოფენ ობიექტურ ინფორმაციას სასაზო სამსაურების საქმიანობის შესახებ. მისი ხასიათის დიდი მნიშვნელობის გამო, შიდა აუდიტის სამსახური დაკომპლექტებული უნდა იყოს თავიანთი როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ ნათელი წარმოდგენის მქონე კომპეტენტური თანამშრომლებით. შიდა აუდიტის მიერ შიდასაბანკო კონტროლის სფეროში განხორციელებული გამოკვლევებისა და შემოწმებების პერიოდულობა და მოცულობა სასანკო საქმიანობის სასიათს, სირთულესა და რისკებს უნდა უკავშირდებოდეს.

პრინციპი 12. საოპერაციო სამსახურების, შიდა აუდიტისა და კონტროლის სხვა ორგანოების მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნაკლოვანებები თავისდროულად უნდა ეცნობოს მართვის შესაბამისი დონის თანამდებობრივ პირებს, გამოვლენილ ნაკლოვანებებზე კი დაუყოვნებლივ უნდა იყოს მიღებული ზომები.

33. გამოვლენილ ხარვეზებზე ცნობების მიღებისთანავე ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს მათი გამოსასწორებელი ზომები. შიდა აუდიტორებმა უნდა განახორციელონ შემდგომი კონტროლი ან მიმართონ სათანადო ზომებს მონიტორინგის ფორმით და დაუყოვნებლივ აცნობონ უფროს თანამდებობრივ პირებს ამ ბანკის საბჭოს ნებისმიერი გამოუსწორებელი ნაკლოვანების შესახებ. უფროსი თანამდებობრივი პირები პასუხს უნდა აგებდნენ შიდა კონტროლის არასაკმარისობის ნიშნებზე თვალყურის დევნების სისტემის შექმნაზე და შემჩნეული ცდომილებების გამოსწორების ზომების მიღებაზე.

34. საბჭო და უფროსი თანამდებობრივი პირები რეგულარულ ანგარიშგებას და განზოგადებულ დასკვნებს უნდა იღებდნენ კონტროლთან დაკავშირებულ ყველა გამოვლენილ პრობლემაზე. კონტროლის ის პრობლემები, რომლებიც იზოლირებულად განსილვის დროს შესაძლოა არაარსებითი ჩანდეს, ზოგჯერ შეიძლება ისეთ ტენდენციებზე მიუთითებდეს, რომელთა დახმარებითაც კონტროლის დარგში არსებული მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების გამოვლენაა შესაძლებელი.

IV. ზედამხედველობის ორგანოების მიერ შიდა კონტროლის სისტემების შეფასება

პრინციპი 13. ზედამხედველობის ორგანოები უნდა ითხოვდნენ იმას, რომ ყველა ბანკს ჰქონდეს შიდა კონტროლის ღონისძიებათა ეფექტიანი სისტემა საბანკო საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების ხასიათის, სირთულისა და დონის შესაბამისად და, აგრეთვე, საბანკო გარემოში და ბანკების ფუნქციონირების პირობებში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით. თუკი ზედამხედველობის ორგანოები გამოიტანენ დასკვნას, რომ ბანკის შიდა კონტროლის სისტემა საკმარისი ან ეფექტიანი არაა (ბანკის მიერ ნაკისრი რისკების კონკრეტული დიაპაზონიდან გამომდინარე), მაშინ მათ უნდა მიმართონ სათანადო ქმედებებს.

44. ზედამხედველობის ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა მიდგომები ბანკის მიერ შიდა კონტროლისას განხორციელებული ღონისძიებების ხარისხობრივი მახასიათებლების შეფასებისას. ბან შეუძლიათ ბანკის შიდა აუდიტის განყოფილების მუშაობა შეაფასონ მისი საჭიროებისამებრ მოსსენებების ანალიზისა და იმ მეთოდიკის საფუძველზე, რომელიც რისკების იდენტიფიკაციის, გაზომვის, მონიტორინგისა და კონტროლის დროსაა გამოყენებული. თუკი ზედამხედველობის ორგანოები შიდა აუდიტის განყოფილების მუშაობას მიიჩნევენ ხარისხობრივი მახასიათებლების მხრივ დამაკმაყოფილებლად, მაშინ მათ შეუძლიათ შიდა აუდიტორების მოსსენებები და ანგარიშგება პირველად მასალად გამოიყენონ ბანკში კონტროლის იმ პრობლემებისა და რისკების იმ სფეროების გამოსავლენად, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო გაანალიზებული აუდიტორების მიერ.

ზედამხედველობის ორგანოების წარმომადგენლებს შეუძლიათ გამოიყენონ ბანკის ხელმძღვანელობის თვითშეფასების შედეგები, რომლის მსელელობაშიც უმაღლესი მენეჯერები განიხილავენ საოპერაციო ქვედანაყოფების მიხედვით შიდა კონტროლის ღონისძიებებს და ზედამხედველობის ორგანოებს უდასტურებენ, რომ გამოყენებული ზომები საკმარისია მოცემული ქვედანაყოფისათვის. ზედამხედველობის ორგანოების სხვა წარმომადგენლებს შეუძლიათ მოითხოვონ გარეშე აუდიტორების მიერ ბანკის საქმიანობის წამყვანი სფეროების პერიოდულად ჩატარებული შემოწმებების შედეგებზე გაკეთებული დასკვნების წარდგენა მოთხოვნილი ინფორმაციის დეტალიზაციის საჭირო დონით. ბოლოს, ზედამხედველობის ორგანოებს შეუძლიათ მოახდინონ ზემოხსენებული ხერხების კომბინირება ადგილზე შიდა კონტროლის ღონისძიებათა დამოუკიდებლად განხილვასთან ან შემოწმებებთან.

45. ბრაკად ქცეულ ზედამხედველობის ორგანოები ეწევიან ადგილებზე შემოწმებას. ასეთ შემოწმებათა შემადგენელი ნაწილია შიდა კონტროლის ღონისძიებათა განხილვა. ადგილზე საქმის ვითარების განხილვამ შეიძლება მოიცვას როგორც საოპერაციო საქმიანობის ანალიზი, ისე დადებულ გარიგებათა ტესტირება გონივრულ ფარგლებში, რისი მიზანიცაა ბანკის მიერ შიდა კონტროლის ღონისძიებათა შედეგების დამოუკიდებლად შემოწმება.

შიდა კონტროლის განხორციელების დროს განცდილ
ნარუმატებლობათა გამოცდილებით მიღებული
გაკვეთილები:

A. ადმინისტრაციული ზედამხედველობა და კონტროლის ტრადიციები

1. მრავალ შემთხვევაში შესაძლებელი იყო შიდა კონტროლის განხორციელებაში განცდილი იმ წარუმატებლობების არსებითად შეზღუდვა და თავიდან აცილებაც კი, რომლებმაც მნიშვნელოვანი დანაკარგები მოუტანეს ბანკებს, თუკი ამ ორგანიზაციების საბჭო და უფროსი მენეჯერები შეძლებდნენ კონტროლის მტკიცე ტრადიციების ჩამოყალიბებას. იქ, სადაც ეს ტრადიციები სუსტია, ხშირად აღინიშნებოდა 2 საერთო ნაკლი. ჯერ ერთი, უფროსი თანამდებობრივი პირები განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდნენ შიდა კონტროლის საიმედო სისტემის შექმნის აუცილებლობას და არ ითვალისწინებდნენ ამ პრობლემის იმ კრიტერიუმების დამუშავებისას, რომლებსაც თანამშრომელთა მატერიალური ანაზღაურებისა და მათი სამსახურებრივი დაწინაურების საკითხის გადაწყვეტის დროს იყენებენ. მეორე, უფროსმა თანამდებობრივმა პირებმა ვერ მიაღწიეს ზუსტად განესაზღვრათ ორგანიზაციული სტრუქტურა და ანგარიშვალდებულება მართვაში. მაგალითად, უფროსი თანამდებობრივი პირები ხშირ შემთხვევებში არ მოითხოვდნენ იმ მუშაკებზე აუცილებელი მეთვალყურეობის უზრუნველყოფას, რომლებიც ძირითად გადაწყვეტილებებს იღებენ, აგრეთვე, თავისდროულ ანგარიშგებას საოპერაციო საქმიანობას ჩატარების ხასიათსა და წესზე.

2. უფროსმა თანამდებობრივმა პირებმა შეიძლება გამოიწვიონ კონტროლის დარგში შექმნილი ტრადიციების დასუსტება იმ თანამშრომლების დაწინაურებითა და დაჯილდოებით, რომლებსაც წარმატებები აქვთ მოგების უზრუნველყოფაში, მაგრამ არ შეუძლიათ შიდა კონტროლის სფეროში დაშვებული ამოცანების შესრულება ან შიდა კონტროლის სამსახურის მიერ გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტა. ამგვარმა მოქმედებებმა ორგანიზაციის სხვა თანამშრომლებს შეიძლება აფიქრებინოს, რომ შიდა კონტროლს ბანკში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ძირს უთხრის კონტროლის ტრადიციების ერთგულებას და მათ ქმედითობას.

3. ზოგიერთ ბანკში, სადაც პრობლემებია კონტროლის სფეროში, ზუსტად არ იყო რეგლამენტირებული ანგარიშვალდებულების წესი. ამის გამო ესა თუ ის განყოფილება რომელიმე თანამდებობრივი პირის წინაშე უშუალო ანგარიშვალდებულების გარეშე რჩებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ხელმძღვანელთაგან საკმარისი ყურადღებით არავის აღენებოდა თვალს მიეცემული ქვედანაყოფის საქმიანობას, რათა შეეფასებია რაიმე უჩვეულო ოპერაციები (ფინანსური და სხვა თვალსაზრისით), არავის ჰქონდა სრული წარმოდგენა ამ ქვედანაყოფის საქმიანობაზე და იმაზეც, თუ რის ხარჯზე აღწევდა იგი მოგებას. ხელმძღვანელობას რომ ჩაეხედა ქვედანაყოფის საქმიანობაში, იგი ამოიცნობდა საკანგაშო სიმპტომებს (როგორიცაა მოგებასა და რისკის დონეს შორის უჩვეულო თანაფარდობა), გაერკვეოდა ოპერაციებში და ნაბიჯებს გადადგამდა მომავალში დანაკარგების შემცირების მიზნით. ამ პრობლემებისგან თავის დაღწევა მაშინაც შეიძლებოდა, თუკი ბანკის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებათა ხელმძღვანელები გაანალიზებდნენ პასუხისმგებელ პირთა ანგარიშგებას და დადებულ გარიგებებს და შესაბამისი ქვედანაყოფების პერსონალთან განსჯილიყვნენ გარიგებათა ხასიათს.

B. რისკების გამოვლენა და შეფასება

4. ცალკეულ შემთხვევებში, ცალკეული ოპერაციების მაღალ პოტენციურ შემოსაველიანობაზე ორიენტირებით, ხელმძღვანელობას ყურადღების მიღმა რჩებოდა შესაბამისი რისკების გულდასმითი ანალიზისა და მიმდინარე მონიტორინგის განხორციელებაზე საკმარისი რესურსების ფორმირების აუცილებლობა, აგრეთვე, რისკებისადმი მიღრეკილების შეფასების აუცილებლობა. დანაკარგებს იწვევდა ბანკის საოპერაციო გარემოს შეცვლის კვალობაზე რისკების შეფასების გადასინჯვაში ხელმძღვანელობის უუნარობაც.

C. კონტროლის განხორციელება და მოვალეობათა გამიჯვნა

5. იმ ბანკებში, რომლებმაც ნნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადეს, ყველაზე ხშირად ივიწ-

ყებდნენ შიდა კონტროლის რაციონალური სისტემის ერთ-ერთ ქვაკუთხედს — მოვალეობათა გამიჯვნას. უფროსი თანამდებობრივი პირები ხშირად აკისრებდნენ პატივსაცემ თანამშრომელს მუშაობის ორი ან მეტი ისეთი მიმართულების მიხედვით საქმის წარმოებაზე მეთვალყურეობის პასუხისმგებლობას, რომლებიც ერთმანეთთან ინტერესების კონფლიქტით იყვნენ დაკავშირებული. მაგალითად, ზოგჯერ ერთი თანამშრომელი თვალს ადევნებდა საქმის მსვლელობას, როგორც კლიენტების საოპერაციო მომსახურებაზე, ისე საფონდო განყოფილებაში გარიგებათა დადების დოკუმენტურად გაფორმებაზე. ეს საშუალებას აძლევდა მას, ეკონტროლებინა გარიგებათა ინიციირების პროცესი (მაგალითად, ფასიანი ქაღალდებისა და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის), აგრეთვე, აღრიცხვის შესაბამისი ოპერაციები. ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული ამგვარი მოვალეობების დაკისრება ერთი თანამშრომლისთვის საშუალებას აძლევს მას, ანგარებითი მიზნებით მოახდინოს ფინანსური მონაცემებით მანიპულირება ან დამალოს ზარალი.

6. კონტროლის განხორციელებაში არსებული ხარვეზები ასახავს ბანკის ხელმძღვანელობის უუნარობას სხვადასხვა ღონისძიებების დასმარებით იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად შეესაბამება მიმდინარე ოპერაციები თავდაპირველ გაანგარიშებებს. მაგალითად, ზოგ შემთხვევებში ხელმძღვანელობა სათანადოდ არ რეაგირებდა მისთვის ვადაცემულ ინფორმაციაზე. ეს ინფორმაცია პერიოდული ანგარიშგების სახით შემოდიოდა ყველა განყოფილებაში ოპერაციათა შესრულების შედეგების შესახებ და პერსონალის წინაშე საკითხების დასმის საშუალებას უქმნიდა ხელმძღვანელობას, თუკი მისი მუშაობის შედეგები არ ემთხვეოდა მოსალოდნელს. ხშირად ის ქვედანაყოფები, რომლებმაც დიდი ზარალი განიცადეს, თავიდან იმაზე გაცილებით უფრო მაღალი დონის მოგების შესახებ იძლეოდნენ ცნობებს, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო რისკის ჩატარებული შეფასებების გათვალისწინებით. ასას უმაღლესი მენეჯერების შეწყოთება უნდა გამოეწვია. უმაღლეს ხელმძღვანელ დონეზე ამგვარი გულდასმითი შედარებები რომ ჩატარებინათ, მაშინ უფროსი თანამდებობრივი პირები შეძლებდნენ თავისდროულად გამოეკლიათ საქმიანობის ანომალიური შედეგები, შემდეგ კი გაანალიზებინათ ზოგიერთი პრობლემა მაინც და ბედგომოდნენ მათ აღმოფხვრას, ამით კი შეზღუდავდნენ ან თავიდან აიცილებდნენ მომავალ დანაკარგებს. მაგრამ რადგან წინასწარი გაანგარიშებებიდან გადახრები (საუბარი იყო მოგებაზე) დადებითი იყო, საკითხს არ აყენებდნენ და გამოკვლევას მანამდე არ იწყებდნენ, ვიდრე პრობლემები არაკონტროლირებადი არ ხდებოდა.

ე). ინფორმაცია და კავშირი

7. ზოგიერთმა ბანკმა ზარალი იმიტომ განიცადა, რომ შიდა ინფორმაცია ან არასარწმუნო იყო ან არასრული, ორგანიზაციის ფარგლებში არსებული კავშირი კი — არაეფექტიანი. არადა, ბანკის შიგნით შესაძლოა ხდებოდეს ფინანსური ანგარიშგების დამახინჯებანი. გარე წყაროებიდან შემოდიოდეს მცდარი მონაცემები, ემპირიული პერსონალისთვის გადაცემულ ანგარიშგებაში კი შეიძლება გათვალისწინებული არ იყოს მოცულობით უმნიშვნელო, მაგრამ მაღალრისკიანი საქმიანობის სახეები. ზოგჯერ ბანკებმა ვერ მოახერხეს თანამშრომლებამდე დაეყვანათ ადექვატური ინფორმაცია მათ მიერ შესასრულებელი მოვალეობების შესახებ და გაეკონტროლებინათ მათი შესრულება, ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით იტყობინებოდნენ ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შესახებ, რომელიც არ უზრუნველყოფდა ამ ინფორმაციის გაცნობას თანამშრომლების მიერ და პოლიტიკის გაგებას. ამის შედეგად ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები არ სრულდებოდა სანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. სხვა შემთხვევებში არ ითვალისწინებდნენ კავშირის შესაბამის ხერხებს ზოგიერთი თანამშრომლის შეუფერებელ საქციელში ეჭვის გაჩენის შესახებ ცნობის გადაცემისათვის. უზრუნველყოფილი რომ ყოფილიყო მართვის ვერტიკალზე ქვემოდან ზევით მოსალოდნელი პრობლემების შესახებ შეტყობინების გადაცემისათვის საჭირო კავშირის არხები, მაშინ ხელმძღვანელობა შეძლებდა გამოეყენებინა ამგვარი გადაცდომები და გაცილებით უფრო ადრე მიეღო აუცილებელი ზომები.

E. მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზების თავიდან აცილება

8. ის მრავალი ბანკი, რომლებმაც ზარალი განიცადა შიდა კონტროლის სფეროში წარმოქმნილი პრობლემების გამო, ვერ უზრუნველყოფდა თავისთან შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიან მონიტორინგს. ხშირად ამ სისტემებში არ ითვალისწინებდნენ მიმდინარე მონიტორინგის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ „ჩაშენებულ“ პროცესებს, ხოლო განცალკევებულად ჩატარებული შეფასებები ან არ შეეფერებოდა სინამდვილეს, ან მათზე ვეროვან ზომებს არ იღებდა ხელმძღვანელობა.

9. შიდა კონტროლის სისტემების მონიტორინგის უქონლობა ზოგ შემთხვევაში უკავშირდებოდა საბანკო სამსახურების ხელმძღვანელობისთვის და სხვა თანამშრომლებისთვის გადაცემული ყოველდღიური ინფორმაციის განხილვის შედეგებზე ზომების მიუღებლობას, ისეთი სტანდარტების დარღვევის შესახებ ცნობებს, როგორიცაა რისკებისადმი მიდრეკილების ნორმების გადამეტება, კლიენტების ანგარიშების გამოყენება მინდობით მართვის ოპერაციებში ან მსესხებლთა მიმდინარე ფინანსური ანგარიშების უქონლობა.

10. მართალია, შიდა აუდიტი შესაძლოა ცალკეულ შეფასებათა ეფექტიანი წყარო იყოს, მაგრამ ამ მხრივ მის შესაძლებლობებს არ იყენებდნენ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ მრავალ ბანკში. ამას ხელს უწყობდა 3 ფაქტორის ერთობლიობა: ერთჯერადი აუდიტური შემოწმებების შესრულებისადმი მიდგომაში გამოვლენილი შეუთანხმებლობა; საოპერაციო საქმიანობის პროცესების ბოლომდე შეუცნობლობა და პრობლემების გამოვლენის შემდეგ განხორციელებული კონტროლის არასაკმარისობა. აუდიტისადმი ფრაგმენტული მიდგომა, უპირველეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ შიდა აუდიტის პროგრამები კონკრეტული საბის ოპერაციების ჩატარების იზოლირებულ შემოწმებათა სერიის სახით მუშავდება, მათ შორის – ერთი და იმავე ქვედანაყოფის ფარგლებში. პროცესის დანაწევრების გამო შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებს ბოლომდე გაუგებარი რჩებოდათ საოპერაციო საქმიანობის სფეროში მიმდინარე პროცესები. აუდიტის ჩატარების დროს აუდიტორებმა რომ მისცემოდათ ამ პროცესებზე თავიდან ბოლომდე თვალის დევნების შესაძლებლობა (მაგალითად, ცალკეული გარიგების ანალიზის ჩატარება მისი ინიცირების მომენტიდან ანგარიშგების წარმოდგენის სტადიამდე), მაშინ ასეთი მიდგომა იმის უკეთ გაგების საშუალებას მისცემდა აუდიტორებს. რაც სინამდვილეში. უფრო მეტიც, ეს უზრუნველყოფდა პროცესის ყველა ეტაპზე კონტროლის ღონისძიებათა საკმარისობის შემოწმებისა და ტესტირების შესაძლებლობას.

11. ზოგ შემთხვევაში შიდა აუდიტის სფეროში პრობლემების გამწვავება იმით აიხსნებოდა, რომ შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებს არასაკმარისი ცოდნა და მომზადება ჰქონდათ საბროკერო ოპერაციებზე და ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე, ელექტრონულ საინფორმაციო სისტემებზე და მუშაობის სხვა რთულ მიმართულებებზე. რადგან თანამშრომლებს არ ჰქონდათ მოთხოვნილი ცოდნა და გამოცდილება, ხშირად ისინი ვერ ბედავდნენ კითხვების მიცემას პრობლემების არსებობაზე დაეჭვების შემთხვევაში. და თუკი ისინი მაინც იძლეოდნენ ამ კითხვებს. უფრო მიღებულ პასუხზე დათანხმებას ამჯობინებდნენ, ვიდრე მათ მიმართ კრიტიკულად დამოკიდებულებას.

12. შიდა აუდიტი შესაძლოა არაეფექტიანი აღმოჩნდეს, როცა ხელმძღვანელობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს აუდიტორების მიერ გამოვლენილი პრობლემების მომდევნო კონტროლს. აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის ბეღურება, ეტყობა, ხელმძღვანელობის მიერ შიდა აუდიტის როლისა და მნიშვნელობის აღიარებაზე უარის თქმით იყო განპირობებული. გარდა ამისა, შიდა აუდიტის ეფექტიანობა ქვეითდებოდა მაშინ, როდესაც მუშაკების და საბჭოს წევრები (ან მისი სააუდიტო კომიტეტის წევრები) დროულად და რეგულარულად ვერ იღებდნენ ცნობებს გამოვლენილი მნიშვნელოვანი პრობლემების ანალიზისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შემდგომი მაკორექტირებელი მოქმედებების შესახებ ინფორმაციასთან ერთად. არადა, ასეთ საკონტროლო ინსტრუმენტს შეუძლია კარგი დასაწყისი გაუწიოს უსაღლეს მენეჯერებს მნიშვნელოვანი

პრობლემების თავისდროულად გადაჭრაში.

საზღვარგარეთის გამოცდილებიდან (შიდა კონტროლი საფრანგეთის ბანკებში)

1997 წ. 1 ოქტომბერს ძალაში შეიდა ევროპის კავშირში შემუშავებული რეგლამენტი 97-02, რომელიც ეხება შიდა კონტროლს კავშირის წევრი ქვეყნების ბანკებში. მის დებულებებს თავის პრაქტიკაში უკვე ითვალისწინებს საფრანგეთის ბანკების თითქმის 80%.

რეგლამენტი მოითხოვს ბანკების სელმძღვანელი ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერებას შიდა კონტროლის ორგანიზაციასა და წარმოებაზე. 1998 წლიდან საფრანგეთის ბანკების გამგეობის წევრები ვალდებული არიან მიიღონ მოხსენებები შიდა კონტროლზე, რისკების დაცვასა და კონტროლზე. მოხსენებებში მოცემული უნდა იყოს რისკებზე მეთვალყურეობისა და კონტროლის მექანიზმის აღწერა, მონაცემები რისკების ლიმიტების შესახებ, რომლებიც რისკებისადმი ბანკების „მგრძნობიარობის" შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლევა.

თუკი ბანკი მნიშვნელოვანი მოცულობის ოპერაციებს ატარებს ფინანსურ ბაზრებზე, გამგეობას შეუძლია თავის რომელიმე წევრს დაავალოს შიდა კონტროლისა და რისკების შესახებ ანგარიშგების გაანალიზება და მისი დასკვნების წარმოდგენა. რეგლამენტი არ ავალდებულებს ყველა ბანკში აუდიტის კომიტეტის შექმნას, მაგრამ საფრანგეთის უმრავლეს ბანკებში იგი არსებობს; მის შემადგენლობას, სტრუქტურასა და პასუხისმგებლობას თითოეული ბანკი დამოუკიდებლად განსაზღვრავს.

რეგლამენტის თანახმად, კონტროლის მექანიზმები ინტეგრირებული უნდა იყოს ბანკების აღმასრულებელი ორგანოების (დირექციების) მმართველობით საქმიანობაში. კონტროლი განიხილება, როგორც საბანკო საქმიანობის ყველა დონეზე და ყველა სფეროში წარმართული საქმიანობის გაუყოფელი ნაწილი.

რაც შეეხება ბანკში ინსპექციის ან აუდიტის სამსახურებს, მათ განსაკუთრებული როლი ენიჭებათ კონტროლისა და საჭირო ინფორმაციის მიწოდების ორგანიზებაში. შიდა აუდიტის სამსახურებს მრავალ ბანკში აქვთ სტრუქტურა, რომლის ფარგლებშიც სათაო ბანკებში მოქმედებენ აუდიტის ცენტრალური სამსახურები, ხოლო განყოფილებებსა და ფილიალებში – მათზე დაქვემდებარებული აუდიტის სამსახურები. უფრო წვრილ ბანკებს ევალებათ შექმნან „შიდა კონტროლის კორესპონდენტების" სისტემა, რომლებიც ბანკის მართვის ოპერატიულ და ფუნქციურ ორგანოებში მოქმედებენ. მათი მთავარი ამოცანაა, თვალი ადევნონ მიმდინარე კონტროლის მექანიზმების მოქმედებას სამუშაო ადგილებზე და ოპერაციების ჩატარების დროს. „კორესპონდენტების" რაოდენობა შესაძლოა სხვადასხვა იყოს.

წვრილ და საშუალო ბანკებს ხშირად არა აქვთ ხოლმე შიდა კონტროლის სპეციალური სამსახურების შექმნის მესაძლებლობა, რადგან აქ ძნელია შიდა კონტროლისა და საოპერაციო ფუნქციების გამიჯვნა. მაგრამ ისინიც კი გარკვეულ ძალისხმევას ახმარენ თავიანთი სტრატეგიის გადასინჯვას რისკებსა და დანახარჯებს შორის საუკეთესო თანაფარდობის მიღწევის მიზნით. მაგალითად, ჯერ კიდევ 97-02 რეგლამენტის მიღებამდე მრავალმა ბანკმა უარი თქვა საკუთარი ხარჯით საბაზრო ოპერაციების ჩატარებაზე და ზოგიერთ საკრედიტო გარიგებაზე და ყურადღება გადაიტანა ფინანსური შუამავლობისა და მინდობით მართვის ოპერაციებზე.

ბანკის ბანკებში შიდა კონტროლის განვითარების მთავარი სიძნელეები უკავშირდება ოპერაციებს, საინფორმაციო სისტემებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების გართულებას. ხელს შეშლეული ფსიქოლოგიური ფაქტორებიც (მენტალიტეტი).

22.2. შიდა კონტროლის ორგანიზაცია: ცენტრალური ბანკის ეერსია

საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა. საბანკო კანონმდებლობაში ძუნწადაა ხოლმე საუბარი კომერციულ ბანკებში შიდა კონტროლის შესახებ. მაგალითად, რუსეთის კანონმდებლობაში საკრედიტო ორგანიზაციის წესდებასთან დაკავშირებით მოთხოვნილია, რომ ეს წესდება უნდა მოიცავდეს ცნობებს მართვის ორგანოების, მათ შორის – აღმასრულებელი ორგანოებისა და შიდა კონტროლის ორგანოების შესახებ, მათი შექმნის წესისა და უფლებამოსილებების შესახებ; რაც შეეხება საკრედიტო ორგანიზაციის ფინანსური საიმედოობის შესახებ მუხლს, აქ ნათქვამია, რომ საკრედიტო ორგანიზაცია მოვალეა მიაწყოს შიდა კონტროლი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ჩასატარებელი ოპერაციების ხასიათისა და მასშტაბების შესაბამისი საიმედოობის დონე.

ბანკებში შიდა კონტროლის ორგანიზაციისა და განხორციელების ძირითად საკითხებს უმთავრესად ცენტრალური ბანკების ნორმატიული აქტები – დებულებები და მითითებები განსაზღვრავს. კერძოდ, შიდა კონტროლის ორგანიზაციის საფუძვლად შეიძლება ამ აქტებით დადგენილი იყოს შემდეგი:

1. შიდა კონტროლის სამსახურის (შიდა კონტროლის სამსახურის) დამოუკიდებლობა დარგობრივი ქვედანაყოფებისგან;

2. შიდა კონტროლის ყოველმხრიობა (ბანკის საქმიანობის ყველა მიმართულების მოქცევა კონტროლქვეშ);

3. შიდა კონტროლის მრავალდონიანობა (როგორც შემსრულებელთა ყველა დონის, ისე მართვის ყველა დონის კონტროლი);

4. შიდა კონტროლის კომპეტენტურობა, რაც გულისხმობს კვალიფიკაციის მოთხოვნებს შიდა კონტროლის სამსახურში კადრების შერჩევისას;

5. შიდა კონტროლის შესაბამისობა ბანკის მიერ ჩასატარებელი ოპერაციების ხასიათსა და მასშტაბებთან.

ცენტრალური ბანკი ავალებს დაწარეულ ბანკებს, შექმნან შიდა კონტროლის სისტემები და ჩამოაყალიბონ საგანგებო შიდა კონტროლის სამსახურები, მათი ჩამოყალიბებისა და უფლებამოსილებების შესახებ ინფორმაცია კი თავიანთ წესდებებში ასახონ.

ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს შიდა კონტროლის მთავარ მიზანს. ესაა ინვესტორების, ბანკებისა და მათი კლიენტების ინტერესების დაცვა ბანკის თანამშრომლების მიერ კანონმდებლობის, ნორმატიული აქტებისა და პროფესიული საქმიანობის სტანდარტების დაცვაზე კონტროლის დაწესების, ინტერესთა კონფლიქტის მოგვარების და საიმედოობის ისეთი დონის უზრუნველყოფის გზით, რომელიც შეესაბამება ბანკის მიერ ჩასატარებელი ოპერაციების ხასიათსა და მასშტაბებს და საბანკო საქმიანობის რისკების მინიმიზაციას.

შიდა კონტროლის ძირითადი ამოცანებია:

- კანონმდებლობისა და ცენტრალური ბანკის ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულება;
- დადგენილი პროცედურებისა და ზღვრებამოსილებების განსაზღვრა დოკუმენტებში და მათი დაცვა იმ ნებისმიერი გადაწყვეტილებების მიღების დროს, რომლებიც ეხება ბანკის, მისი მეაკუთარეებისა და კლიენტების ინტერესებს;
- ბანკის საქმიანობაში გამოვლენილი ხარეზებისა და დარღვევების გამოსწორებისკენ მიმართული თავისდროული და ეფექტიანი ზომების მიღება;
- საბანკო საქმიანობის რისკების ეფექტიანად მართვის მოთხოვნების შესრულება;
- ბანკის აქტივების (ქონების) დაცვა;
- ბანკის ოპერაციების ადექვატურად ასახვა აღრიცხვაში;
- ანგარიშგების სათანადო მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომელიც ადექვატურ ინფორმაციას იძლევა ბანკის საქმიანობასა და მასთან დაკავშირებულ რისკებზე;

- ბანკის შიდა აუდიტის ეფექტიანად ფუნქციონირება;
- ნაყოფიერი თანამშრომლობა გარეშე აუდიტორებთან, სახელმწიფო რეგულირებისა და ზედამხედველობის ორგანოებთან ისეთ საკითხებში, როგორიცაა: პრუდენციული საქმიანობა, აღრიცხვისა და ანგარიშგების სარწმუნოობა, შიდა კონტროლის ორგანიზაცია, ბანკის თანამშრომლების მიერ კანონმდებლობის, ნორმატიული აქტებისა და პროფესიული საქმიანობის სტანდარტების დარღვევათა თავიდან აცილება და აღმოფხვრა.

შიდა კონტროლის სამსახური, მისი ხელმძღვანელისა და თანამშრომლებისთვის წაყენებული მოთხოვნები. აღნიშნული სამსახური იქმნება შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგის, ამ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენისა და ანალიზის, მისი ფუნქციონირების სრულყოფისა და ეფექტიანობის ამაღლების წინადადებების შემუშავების მიზნით. სამსახურის მუშაკთა რაოდენობას ბანკის ხელმძღვანელობა განსაზღვრავს და იგი საკმარისი უნდა იყოს შიდა კონტროლის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად მიღწევა-გადაწყვეტისათვის.

შიდა კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს ბანკის მართვის ის ორგანო, რომელსაც ამის უფლებამოსილება დამფუძნებელი დოკუმენტებით აქვს მინიჭებული. ამ დროს გამოყენებული წესი უნდა უზრუნველყოფდეს ხსენებული სამსახურისა და მისი ხელმძღვანელის დამოუკიდებლობას ბანკის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელისგან, ე.ი. შიდა კონტროლის სამსახური არის არა ბანკის გამგეობის, არამედ მისი საბჭოს აპარატი.

იმ ბანკებში, რომელთა საკუთარი სახსრების სიდიდე 5 მლრდ. ევროს ექვივალენტ თანხაზე ნაკლებია, შიდა კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელს შეიძლება ფუნქციონურად ექვემდებარებოდეს ბანკის სხვა ქვედანაყოფები. მეტი თანხის შემთხვევაში, ე.ი. შედარებით მსხვილ ბანკებში, ამ სამსახურის ხელმძღვანელი მთლიანად თავისუფალი უნდა იყოს სხვა სამუშაოსგან.

შიდა კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელს არ შეუძლია ბანკის სახელით ხელს აწერდეს ისეთ დოკუმენტებს, რომელთა შესაბამისადაც ბანკი რისკებს კისრულობს, აგრეთვე, ვიზას აძლევდეს ამ დოკუმენტებს (გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც შიდა კონტროლის სამსახურის პირდაპირ კომპეტენციას გაეკუთვნება). თუკი შიდა კონტროლის სამსახური ფუნქციურად ექვემდებარება ბანკის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, მაშინ იგი შიდა კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელად ითვლება და მასაც იგივე მოთხოვნება.

შიდა კონტროლის სამსახური ანგარიშვალდებულია ბანკის მართვის ორგანოების წინაშე მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და შიდა კონტროლის სამსახურის შესახებ დებულების შესაბამისად.

შიდა კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი ეკონომიკური ან იურიდიული განათლება და საკრედიტო ორგანიზაციის ქვედანაყოფში იმ უბნებზე მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟი, რომლებიც რისკების მიღებასთან, მათ ანალიზთან ან რისკებისგან დაცვასთანაა დაკავშირებული.

შიდა კონტროლის სამსახურის თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ მათ მიერ შესასრულებელი ფუნქციებია შესაფერისი უმაღლესი განათლება, საჭირო პროფესიული ჩვევები და კვალიფიკაცია. შიდა კონტროლის სამსახურში თანამდებობებზე დანიშნულ პირებს უფლება არა აქვთ შეასრულონ სხვა მოვალეობები ბანკში.

შიდა კონტროლის სამსახურის უფლებები. შიდა კონტროლის სამსახურს და მის თანამშრომლებს უფლება აქვთ:

- შესაბამისებული ქვედანაყოფის ხელმძღვანელისგან ან თანამშრომლებისგან მიიღონ შემოწმებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი და გადაიღონ მათი ასლები;
- განსაზღვრონ, შეესაბამება თუ არა ბანკის თანამშრომლების მიერ განხორციელებული მოქმედებები და ოპერაციები კანონმდებლობისა და ცენტრალური ბანკის აქტების, აგრეთვე, ბანკის შიდა დოკუმენტების ნორმების მოთხოვნებს, სადაც განსაზღვრულია ბანკის პოლიტიკა,

გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციის, აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზების პროცედურები;

- საჭიროების შემთხვევაში შიდა კონტროლის ამოცანების გადაჭრაში ჩაბან ბარკის სხვა ქვედანაყოფების თანამშრომლები.

ბანკის ყველა ქვედანაყოფის მუშაკები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ შიდა კონტროლის სამსახურის თანამშრომლებს თავიანთი ფუნქციების განხორციელებაში. ასეთი თანამშრომლობის წესს განსაზღვრავს დებულება შიდა კონტროლის სამსახურის შესახებ.

შიდა კონტროლის სამსახურის მოვალეობები. შიდა კონტროლის სამსახური და მისი თანამშრომლები მოვალენი არიან:

- რეგულარულ შემოწმებათა მეშვეობით მუდმივად აკონტროლონ ბანკის ქვედანაყოფებისა და ცალკეული თანამშრომლების საქმიანობა, კერძოდ, მათი მოქმედებების შესაბამისობა კანონმდებლობის, აქტებისა და სტანდარტების, ინსტრუქციების მოთხოვნებთან;
- უზრუნველყონ დაწესებული პროცედურების, ფუნქციებისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებათა დაცვის (თანამშრომლების მიერ) მუდმივი კონტროლი;
- შეიმუშაონ რეკომენდაციები და მითითებები გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ, აკონტროლონ მათი შესრულება;
- უზრუნველყონ შემოწმების ყოველი ფაქტის დოკუმენტურად გაფორმება და ჩამოაყალიბონ შემოწმებათა შედეგების დასკვნები, რომლებიც ასახავს ყველა შესწავლილ საკითხს, გამოვლენილ ხარვეზებსა და დარღვევებს, მათი აღმოფხვრის რეკომენდაციებს, დამრღვევების მიმართ დისციპლინარული და სხვა ზომების გამოყენებას;
- უზრუნველყონ ქვედანაყოფებიდან მიღებული დოკუმენტების დაცულობა და დაბრუნება;
- შემოწმებათა შედეგებზე დასკვნები წარუდგინონ ბანკისა და ქვედანაყოფების ხელმძღვანელობას;
- თაეისდროულად მიაწოდონ ბანკის ხელმძღვანელობას ინფორმაცია:
- ყოველ ახლად გამოვლენილ რისკზე;
- თანამშრომლების მიერ კანონმდებლობის, ნორმატიული აქტებისა და შიდა განაწესების დარღვევათა ყოველ შემთხვევაზე;
- შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პროცედურების ყოველ დარღვევაზე;
- შეტოწმებული ქვედანაყოფების მიერ მიღებულ ზომებზე, რომლებმაც უნდა აღმოფხვრას დაშვებული დარღვევები და მათი შედეგები.

შიდა კონტროლის სამსახურის მუშაობისთვის აუცილებელია შემდეგი დოკუმენტები:

- გადაწყვეტილების მიღების პროცედურის განმსაზღვრელი დოკუმენტები;
- ბანკის ქვედანაყოფებსა და თანამრომლებს შორის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განაწილების განმსაზღვრელი დოკუმენტები;
- შიდა კონტროლის სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- სასსრების განთავსების ოპერაციების ჩატარების დროს ბანკის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები;
- სასსრების მოზიდვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები და სხვა.

შესაძლებელია ცალკეული დოკუმენტები ერთ დოკუმენტში იყოს გაერთიანებული.

რისკების კონტროლის დროს რეკომენდებულია ადმინისტრაციული და ფინანსური კონტროლის ჩატარება. ადმინისტრაციული კონტროლი უზრუნველყოფს ოპერაციების ჩატარებას მხოლოდ მისი უფლებამოსილი პირების მიერ და ბანკის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილებებთან და პროცედურებთან მკაცრი შესაბამისობით, ხოლო ფინანსური – ოპერაციების ჩატარებას ბანკის პოლიტიკასთან მკაცრი შესაბამისობით.

როგორც ადმინისტრაციული, ისე ფინანსური კონტროლი უნდა მიმდინარეობდეს, ერთი მხრივ, წინასწარი, მიმდინარე და შემდგომი კონტროლის წესებით, მეორე მხრივ, სამ ძირითად დონეზე: ინდივიდუალურ (თანამშრომლის დონე), მიკრო და მაკროდონეზე. ამ შემთხვევების შეხამება-შერწყმაზე დამოკიდებულებით სხვადასხვანაირი იქნება ბანკის შიდა კონტროლიორების სამუშაოს შინაარსიც.

ინდივიდუალურ (თანამშრომლის) დონეზე ვამოყოფენ იმ რისკებს, რომლებიც ცალკეული მუშაკების არამართლზომიერი ან არაკომპეტენტური გადაწყვეტილებებით შეიძლება იყოს გამოწვეული (ფასეულობათა დატაცება, ზარალიანი გარიგებების განხორციელება და მათი შედეგების დამალვა, ბანკის დაკავშირება ჩრდილოვან ან კრიმინალურ ეკონომიკასთან). ამ დროს კონტროლის ძირითადი ობიექტია ცალკეული მუშაკი, მისი მოტივაცია და კომპეტენტურობა გადაწყვეტილებების მიღების დროს. ამ დონეზე განხორციელებული წინასწარი კონტროლი იწყება კადრების შერჩევითა და განწესებით; მიმდინარე კონტროლით ამოწმებენ მუშაკის მიერ თავის მოვალეობათა შესრულების ხარისხს; მომდევნო კონტროლის ეტაპზე კი მთავარია მუშაკის მიერ ჩატარებული ოპერაციების შედეგების რეგულარულად განხილვა ხელმძღვანელის მიერ.

მაკროდონეზე გამოყოფენ ლიკვიდობისა და კაპიტალის შემცირების რისკებს, რასაც მმართველი აპარატის გადაწყვეტილებები აყალიბებს (საკრედიტო, საბაზრო, საპროცენტო, საოპერაციო, ლიკვიდობისა და რეპუტაციის დაკარგვის, სამართლებრივი რისკები). ამ დონეზე კონტროლის ძირითადი ობიექტია ბანკში გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი და ტაქტიკის შესაბამისობა ბანკის მიზნებთან. წინასწარი კონტროლის ეტაპზე ამ შემთხვევაში შიდა კონტროლის სამსახურის ამოცანებს დასკვნა დასასული მიზნების რეალურობის შესახებ, აგრეთვე, წინადადებებს ამ მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი ორგანიზაციული გადაწყვეტილებების შესახებ; მიმდინარე კონტროლის ეტაპზე შიდა კონტროლის სამსახური ატარებს რეგულარულ კომპლექსურ და თემატურ შემოწმებებს და აკონტროლებს რისკების ოპტიმიზაციის წესების დაცვას; მომდევნო კონტროლის ეტაპზე შიდა კონტროლის სამსახური სწავლობს რისკებს და ანალიზებს მათი მართვის პრაქტიკას.

მაკროდონეზე გამოყოფენ იმ რისკებს, რომლებსაც განაპირობებს ბანკის საქმიანობის მაკროეკონომიკური და ნორმატიულ-სამართლებრივი პირობები. ამ დროს პირველადი კონტროლის ეტაპზე შიდა კონტროლის სამსახური ამოწმებს მონაცემთა საწყისი ბაზის შემადგენლობას, სისრულესა და განახლების თავისებურებას; მიმდინარე კონტროლის ეტაპზე შიდა კონტროლის სამსახური პერიოდულად ამოწმებს ანალიზისა და პროგნოზირების ამოცანების შესრულებას ბანკის პასუხისმგებელი მუშაკებისა და ქვედანაყოფების მიერ, ხოლო მომდევნო კონტროლის ეტაპზე იგი ერთმანეთს უდარებს ანალიტიკური სამსახურების დასკვნებსა და რეალურ ვითარებას. შესაბამისი წინადადებები შეაქვს ბანკის ხელმძღვანელობაში.

ბანკებში შიდა კონტროლის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის მიზეზები შეიძლება იყოს: ა) შიდა კონტროლის სამსახურის უქონლობა; ბ) ბანკების ფილიალების საქმიანობის უკონტროლობა საბაზო ოფისებში შექმნილი შიდა კონტროლის სამსახურების მხრიდან; გ) შიდა კონტროლის სამსახურის არარსებობა ფილიალებში.

აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევებში საკრედიტო ორგანიზაციებში შემუშავებული არა აქვთ შიდა კონტროლის სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები, შექმნილი არაა საკრედიტო რისკების შეფასების სისტემები. საკრედიტო ორგანიზაციების უმრავლესობაში შიდა კონტროლის სამსახური შედგება 1-2 მუშაკისგან, რაც აშკარად არასაკმარისია ასეთი სამსახურის მუშაობის ეფექტიანობისთვის. განსაკუთრებით – ფილიალების ქსელის ბქონე ორგანიზაციებში. არის ისეთი საკრედიტო ორგანიზაციებიც, რომლებიც ფორმალურად ქმნიან შიდა კონტროლის სამსახურს, მაგრამ დაკისრებული ფუნქციები კი არ სრულდება. ხშირია ამ სამსახურების არასარწმუნო ანგარიშგების შემთხვევები და, პირიქით, იშვიათია მათ მიერ გამოვლენილი დარღვევები. ეს მაშინ, როდესაც საინსპექციო შემოწმებები დარღვევათა გაცილებით მეტ ფაქტებს ადგენს ხოლმე.

არცთუ იშვიათად შიდა კონტროლის სამსახურები ინფორმაციას აწვდიან ხელმძღვანელობას საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობაში დამატებითი რისკების წარმოქმნის შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ ხელმძღვანელობა არ მიმართავს ადეკვატურ ზომებს.

ინვესტორებისა და კლიენტების ინტერესების დაცვის მიზნით ბანკებს ევალებათ შემოიღონ კომპლაენს - კონტროლიორის (ინგლისური Compliaisance - თავაზიანობა, ზრდილობა) საშტატო თანამდებობა, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს იმას (აკონტროლოს), თუ როგორ იცავენ ბანკის თანამშრომლები კანონმდებლობას ფინანსური ბაზრების შესახებ და ამ ბაზრებზე პროფესიული საქმიანობის სტანდარტებს. ამასთან, კომპლაენს-კონტროლი გაგებულია როგორც ბანკის შიდა კონტროლის ნაწილი, ხოლო ფინანსური ბაზარი – როგორც ფასიანი ქაღალდებისა და ვალიან გარიგებათა ბაზრები. აღნიშნული სპეციალიზებული კონტროლი კომპლაენს-კონტროლიორის განსაკუთრებულ კომპეტენციად ითვლება (შესაძლოა მას თავისი ცალკე სამსახურიც ჰქონდეს შექმნილი), მაგრამ მას ბანკში სხვა თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებაც შეუძლია.

22.3. შიდა საბანკო კონტროლი და მისი სახეები

საბანკო საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა შიდასაბანკო კონტროლის ორგანიზება. საკრედიტო ორგანიზაციაში შიდა კონტროლის აუცილებლობას მოითხოვს კანონები ცენტრალური ბანკის, საბანკო საქმიანობისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. შიდასაბანკო კონტროლი შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც იმ მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობა, რომლებსაც ბანკი მიმართავს მის მიერ ჩატარებული ოპერაციების კონტროლისთვის, მაგრამ შიდა კონტროლი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც უბრალო, ერთდროული პროცედურა.

ბანკში შიდა კონტროლის სისტემის ძირითადი დანიშნულება ისაა, რომ შემოწმდეს:

- მოქმედი კანონმდებლობის დაცვა;
- საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობა მისი განვითარების გეგმასთან;
- ფინანსური და სამმართველო ინფორმაციის სარწმუნოობა, ოპერატიულობა და კონტროლი;
- ბანკის ლიკვიდობის, რენტაბელობისა და მდგრადობის შენარჩუნებისთვის გატარებულ ღონისძიებათა რაციონალურობა.

შიდა კონტროლის სისტემა მოიცავს ბანკის საქმიანობის საკუთრივ კონტროლის ჩატარებას, აგრეთვე, მონიტორინგის მოწყობას ბანკის მუშაობის ყველა უბანზე. რაც გულისხმობს კომერციული ბანკის ყველა ქვედანაყოფის მუშაობაზე მუდმივად დაკვირვებას. მისი მიზნით მათი საქმიანობის შედეგიანობის შეფასება და საბანკო ბიზნესის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავება. მონიტორინგის ჩატარების პროცესში მიღებული შედეგების საფუძველზე ბანკის ხელმძღვანელობა ღებულობს გადაწყვეტილებებს, რომელთა რეალიზაციას უნდა მოჰყვეს ბანკის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის ნორმალიზება.

შიდასაბანკო კონტროლის სისტემის ორგანიზების ეფექტიანობა მრავალ შიდა და გარე ფაქტორზეა დამოკიდებული. გარე ფაქტორებს ეკუთვნის, უპირველეს ყოვლისა, შიდა კონტროლის სისტემის ორგანიზების სავალდებულო ნორმატიული ბაზის არსებობა. შიდა ფაქტორებს ეკუთვნის იმ სპეციალისტების არსებობა, რომელსაც უნარი შესწევთ ხარისხიანად და ოპერატიულად შეაფასონ ბანკში შექმნილი ვითარება და კვალიფიციური რეკომენდაციები წარმოადგინონ საბანკო საქმიანობის რისკის მინიმიზაციისათვის. შიდასაბანკო კონტროლის ჩასატარებლად ბანკში უნდა შეიქმნას სპეციალური ქვედანაყოფი. შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია საბანკო რისკების გამოვლენისა და შეფასების სისტემის შექმნა ბანკში. და ბოლოს, ხარისხიანი შიდა კონტროლის ჩატარების წინაპირობაა სრული და სარწმუნო ინფორმაციის არსებობა როგორც თვით ბანკში, ისე კონკურენტ ბანკებში შექმნილი

მდგომარეობის შესახებ.

შიდასაბანკო კონტროლის მოქმედი სისტემა მოიცავს მიმდინარე და მომდევნო კონტროლს ბანკებში და შიდა აუდიტის ორგანიზებას. უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ თითოეული მათგანის დასასიათებაზე.

22.4. მიმდინარე კონტროლის ორგანიზაცია ბანკში

მიმდინარე საბანკო კონტროლს ახორციელებენ საბანკო ოპერაციების ყოველდღიური გატარების პროცესში საალრიცხვო საოპერაციო აპარატის მუშაობის ორგანიზების ყოველ უბანზე. მაგალითად, დოკუმენტბრუნვის ორგანიზების დროს მიმდინარე კონტროლის მთავარი დანიშნულებაა ოპერაციების კანონიერების შემოწმება, მათ შესრულებაზე დადგენილი წესებისა და დოკუმენტების გაფორმების სისწორის დაცვა. მიმდინარე კონტროლის ორგანიზების დროს მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ რეგისტრების ანალიზური და სინთეზური შემოწმების ჩატარებას საოპერაციო დღის დასურვისას. ამ საქმეს ასრულებენ პასუხისმგებელი შემსრულებლები. საოპერაციო განყოფილების ბუღალტრები, მათი მუშაობის მაკონტროლებელი მუშაკები, აგრეთვე ბანკის ქვედანაყოფთა უფროსები. მიმდინარე შიდასაბანკო კონტროლის განსორციელების პროცესში ისინი ხელმძღვანელობენ მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებითა და ამა თუ იმ საბანკო ოპერაციის ჩატარების წესებით.

კლიენტებისგან ფულად-საანგარიშსწორებო საბუთების მიღების დროს პასუხისმგებელი შემსრულებლები აკონტროლებენ ყველა აუცილებელი რეკვიზიტის შევსების სისწორეს, ამოწმებენ საბრების არსებობას ორგანიზაციის ანგარიშსწორების ანგარიშზე. გადახდისთვის წარმოდგენილი დოკუმენტები იმ თვალსაზრისითაც მოწმდება, თუ რამდენად კანონიერია შესრულებული ოპერაციები. ამ ეტაპზე ბანკის მუშაკი არსებითად განსაზღვრავს კლიენტის სახსრების გამოყენების მიზნობრივ დანიშნულებას. საბუღალტრო მუშაკს დიდი პასუხისმგებლობა აწევს სხვადასხვა ფორმის უნაღდო ანგარიშსწორებების განსორციელების დროს, რომლებსაც კლიენტი დამოუკიდებლად ირჩევს თავის კონტროლიორთან ერთად. მაგალითად, ანგარიშსწორებებში საგადამხდელო მოთხოვნების გამოყენებისას ბანკის მუშაკი ამოწმებს საქონლის გაგზავნის, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის დამადასტურებელი სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების არსებობას. იმავე საგადამხდელო მოთხოვნის აქცეპტზე კლიენტის უარის შემთხვევაში აუცილებელია დარწმუნება მის მართლზომიერებაში, გაფორმების სისწორეში და ამ პროცედურისთვის დადგენილი ვადის დაცვაში. ასეთსავე გულდასმით შემოწმებას გადიან ანგარიშსწორებათა სხვა ფორმებიც, რომლებსაც კლიენტი იყენებს თავის საგადასახადო მიმოქცევაში. განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ქვითარ მოთხოვნის დაცვის შემოწმება აკრედიტივის, ჩეკებისა და თამასუქების ფორმით ანგარიშსწორებათა დროს. კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე სასესხების სიმცირის ან უქონლობის დროს ბანკის მუშაკი პასუხს აგებს ინკასოს № 2 კარტოთეკაში საანგარიშსწორებო დოკუმენტების თავისდროულად გატარებაზე და სახსრების შემოსულის მისედვით მათი თანხის გასტუქრებაზე იმ რიგითობის შესაბამისად, რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს.

კლიენტის მისამართზე შემოსული ფულადი სახსრების ჩარიცხვისას პასუხისმგებელი მუშაკი უნდა დარწმუნდეს გადამხდელი ბანკის მუშაკის ხელმოწერის არსებობაში გადამხდელისგან მიღებული საბუთის ასლზე, ე.ი. შეამოწმოს საბუთის უტყუარობა. განსაკუთრებული კონტროლი უწესდებათ იმ ოპერაციებს, რომლებიც უკავშირდება ფიზიკური პირების სახსრების უნაღდო გადარიცხვებს ანაბრებზე. ეს აუცილებელია ანგარიშების მფლობელთათვის სახსრების ჩარიცხვისას შეცდომების თავიდან ასაცილებლად. კლიენტის სასესხო ანგარიშის გახსნისა და წარმოების დროს მოწმდება კრედიტის დაფარვის ვადებზე არსებულ ვალდებულებათა შედგენის

სისწორე და ყოველდღიური კონტროლი უწესდება მისი დაფარვის თავისდროულობას.

ცალკეული სახის საბანკო ოპერაციებს ორმაგ მიმდინარე კონტროლს უტარებენ. მაგალითად, განაცხადებს ჩეკებისა და საჩეკო წიგნაკების გაცემაზე, აგრეთვე, გადახდის დავალებათა აქცეპტს პასუხისმგებელ შემსრულებელთან ერთად ხელმოწერით ადასტურებს კონტროლიორიც. მაკონტროლებელი მუშაკები ამოწმებენ და ხელს აწერენ ყველა ფულად-საანგარიშსწორებო დოკუმენტს და ანალიზურ აღრიცხვაში გაკეთებულ ჩანაწერს სამხედრო მოსამსახურეებისა და მოქალაქეების ანგარიშებზე, ბანკის ძირითად სასესხებზე, სხვა მატერიალურ ფასეულობებზე, კლიენტებისგან ჯარიმების გადახდევინებაზე საანგარიშსწორებო ოპერაციების ჩატარების წესების დარღვევისათვის, ბანკის საოპერაციო შემოსავლებისა და გასავლების ფორმირებაზე და ა.შ. ორმაგ კონტროლს მოითხოვს ტრანზიტის და სუბანგარიშების ოპერაციებიც, პირადი საკრედიტო ანგარიშები, საბელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშები, ინდივიდუალურ მსესხებელთა სასესხო ანგარიშები. ბანკის გადაწყვეტილებებით, ცალკეულ შემთხვევებში, ანალოგიური წესით აკონტროლებენ სხვა ოპერაციებსაც.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიმდინარე კონტროლის ორგანიზებას უძრავ ქონებაზე ოპერაციების ჩატარების პროცესში. აქ განსაკუთრებულ ადგილს უთმობენ წინასწარ კონტროლს გასაელის საკასო ოპერაციების შესრულებისას. ამ შემთხვევაში კონტროლის ჩატარება ეკისრება ამ ოპერაციის მონაწილე სამ მუშაკს: პასუხისმგებელ შემსრულებელს, კონტროლიორსა და მოლარეს. ამ უბანზე კონტროლის მოწყობის ამოცანები იმაზე დაიყვანება, რომ თაეიდან აიცილონ არასწორად შედგენილი საბუთების მიხედვით თანხის გადახდა პასუხისმგებელი შემსრულებლის მიერ მათი წინასწარ შემოწმების გარეშე. კონტროლიორის ამოცანაა, შემოწმება ჩაუტაროს სალაროს გასაელის თითოეული დოკუმენტის გაფორმების სისწორეს.

როდესაც კლიენტი ნაღდ ფულს იღებს საბელობითი ფულადი ჩეკით, მაკონტროლებელი მუშაკი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ ჩეკზე ლარის აღნიშნა სახსრების მიმღებისგან პასპორტის ან მისი პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარდგენის შესახებ. გარდა ამისა, ჩეკზე ან ხარჯვის ორდერზე უნდა იყოს მისი ხელმოწერა სახსრების მიღებაზე. ფულის ჩეკის შემოსვლისას ხდება იმ პირთა ხელმოწერის შედარება, რომელთაც ამ ხელმოწერის უფლებამოსილება გააჩნიათ, და კლიენტის ბეჭდის ანაბეჭდის შეპირისპირება იმ ნიმუშებთან, რომლებიც პასუხისმგებელ შემსრულებელსა და კონტროლიორს აქვთ და შესაბამის ბარათშია მითითებული. სალაროს გასავლის ყველა დოკუმენტს გულდასმით ამოწმებს სალაროს მუშაკიც.

მიმდინარე კონტროლის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია ბანკის მთავარი ბუღალტერი. იგი უშუალოდ აკონტროლებს კლიენტების ანგარიშსწორებისა და მიმდინარე ანგარიშების გახსნის ოპერაციების გაფორმების სისწორეს, ორგანიზებას უკეთებს მიმდინარე კონტროლს და მისი ჩატარების ყოველდღიურ მეთვალყურეობას ბანკის სალარიცხეო-საოპერაციო და საკასო მუშაობის ყველა უბანზე. მთავარი ბუღალტრისა და მისი მოადგილეების მოვალეობაა, გააკონტროლონ პირად ანგარიშებში შესწორებების შეტანა, ანგარიშების გახსნა და დახურვა, ამ ანგარიშებზე პროცენტების დარიცხვა, მკაცრი აღრიცხვის ბლანკებისა და ნაღდი ფულის მიღების ქვითრების მოძრაობა. ბანკის მთავარი ბუღალტერი ყოველდღიურად ასდენს საკასო ოპერაციების დასრულების კონტროლს; ამოწმებს შემოსავალში აღებული ფულის – როგორც ინკასირებულის, ისე სალაშოს სალაროში შემოსული ფულის მთლიანობას, ყველა ფულად-საანგარიშსწორებო და სხვა სალარიცხეო დოკუმენტაციის ფორმირებასა და შესასვას. იგი ყოველდღე აკონტროლებს დღის განმავლობაში ბანკის ბალანსის პრუნვათა ცნობის შედგენის თავისდროულობასა და ხარისხს.

22.5. მომდევნო კონტროლი და მისი ჩატარების ხერხები

შიდასაბანკო კონტროლის ჩატარების პროცესში ბანკში მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ მომდევნო კონტროლის სწორად ორგანიზებას, რომლის მიზანია ყველა მიმართულების სააღრიცხვო-საოპერაციო მუშაობის სისტემატურად შემოწმება საბანკო ოპერაციების შესრულების შემდგომ პერიოდში. შეგვიძლია გამოვყოთ მომდევნო კონტროლის ორგანიზების შემდეგი ამოცანები:

- აღრიცხვისა და დოკუმენტმიმოქცევის საქმის დაყენების შემოწმება;
- სააღრიცხვო-საოპერაციო აპარატის მუშაკებზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების სისწორის დადასტურება;
- შესრულებული ოპერაციებისა და მათი გაფორმების სისწორის შემოწმება.

საკრედიტო ორგანიზაციაში მომდევნო კონტროლის ჩატარების ორგანიზებას ხელმძღვანელობენ მთავარი ბუღალტერი და მისი მოადგილეები, მსხვილ ბანკებში კი ამას მომდევნო კონტროლის სპეციალური ინსპექტორები ეწევიან. მომდევნო შემოწმება ტარდება გეგმების შესაბამისად, რომლებსაც თემატური ხასიათი აქვს და მას ყოველკვარტალურად ადგენენ. შესაძლოა ტარდებოდეს როგორც კომპლექსური, ისე იმგვარი შემოწმებებიც, რომლებიც სააღრიცხვო-საოპერაციო მუშაობის მცირედ ცალკეულ უბნებს ეხება. ამის ნიმუშად შეიძლება გამოდგეს მარტო საკასო ან მარტო მემორიალური დოკუმენტების შემოწმება ბანკის საქმიანობის გარკვეული პერიოდისათვის. კომპლექსური შემოწმების პროცესში იკელევენ ამა თუ იმ პასუხისმგებელი შემსრულებლის საქმიანობის მთელ მოცულობას. მომდევნო შემოწმების გეგმებს, ჩვეულებრივ, ისე ადგენენ, რომ კვარტლის განმავლობაში მომდევნო შემოწმების წესით გაკონტროლებული იყოს სააღრიცხვო-საოპერაციო საქმის ყველა უბანი.

მომდევნო კონტროლის განხორციელების მსვლელობაში შერჩევით სწავლობენ იმ დოკუმენტებს, რომლებიც მიმდინარე კონტროლით არ შეუმოწმებიათ მთავარ ბუღალტერსა და მის მოადგილეებს. შემოწმების პროცესში დგინდება ოპერაციების კანონიერება, მათი გაფორმებისა და აღრიცხვაში ასახვის სისწორე. ოპერაციის კანონიერების დადგენის შემდეგ ამოწმებენ დოკუმენტების გაფორმების სისწორეს: ბლანკის ფორმის დაცვას, ყველა სავალდებულო რეკვიზიტის არსებობას, ბუღალტრულ გატარებას, აგრეთვე, დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერებისა და ბეჭდების შესაბამისობას არსებულ ნიმუშებთან. საგანგებო ყურადღება ექცევა გადახდის დავალებებში, გადახდის მოთხოვნებსა და საანგარიშსწორებო ჩეკებში იმ გადატვირთვის დოკუმენტების თარიღებისა და ნორმების მითითებას, რომლებიც ადასტურებენ საქონლის გადატვირთვის, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის ფაქტს. ამ დროს შერჩევის წესით შეიძლება მოხდეს საგადასახადო დოკუმენტების დედნების შედარება იმ ასლებთან, რომელთა საფუძველზეც კეთდებოდა ჩანაწერები საკრედიტო ანგარიშებში.

მომდევნო კონტროლის წესით კეთდება რევიზია. ბანკის სააღრიცხვო-საოპერაციო მუშაობის ის უბნები, რომლებზეც შემოწმება ან რევიზია ჩატარდა, შეიძლება არ შემოწმდეს მომდევნო სამი თვის განმავლობაში.

შემოწმებისა და რევიზიის შედეგებს განიხილავს კომერციული ბანკის ხელმძღვანელობა, რასაც მოჰყვება გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის და მომავალში მათი წარმოშობის თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავება და რეალიზაცია. როგორც წესი, იმ ნაკლოვანებების აღმოჟყფხვრის კონტროლს, რომლებსაც პერიოდული მომდევნო შემოწმებები გამოაყენებს, უშუალოდ ახორციელებს ბანკის მთავარი ბუღალტერი.

აღრიცხვის მდგომარეობაზე, დოკუმენტბრუნვის ორგანიზაციაზე და კონტროლზე კომერციულ ბანკში საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება ბანკის პრეზიდენტს. მისი მოვალეობაა ბანკის იმ ყოველდღიური ბალანსის შედგენის თავისდროულობის შემოწმება, რომელზეც იგი აწერს ხელს.

22.6. შიდა და გარე აუდიტი: მიზნები, ამოცანები და ბანკში მისი ორგანიზაციის თავისებურებები

მიმდინარე და მომდევნო კონტროლის გარდა, ყოველ კომერციულ ბანკში, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების თანახმად, უნდა იქმნებოდეს და ეფექტიანად ფუნქციონირებდეს შიდა აუდიტის სისტემა. შიდა აუდიტი უნდა განვიხილოთ როგორც ბანკის უსაფრთხოების სისტემა მუდმივი ინტერესების დაცვისთვის, ბანკის საქმიანობაში კონკრეტული შედეგების მიღწევისა და შენარჩუნებისთვის.

საბაზრო ურთიერთობათა განვითარების, ორდონიანი საბანკო სისტემის დამკვიდრებისა და კომერციული ბანკების ქსელის გაფართოების პირობებში ვლინდება მათ შორის კონკურენცია კლიენტების, დეპოზიტების, ბანკთაშორისი კრედიტის და სხვა საკრედიტო რესურსების მოზიდვაში. საბანკო საქმის წარმართვის წარმატება, ბანკის სტაბილურობა, დამფუძნებლების, აქციონერებისა და კლიენტების მხრიდან მისდამი ნდობის ხარისხი დიდადაა დამოკიდებული მისი საქმიანობის მართვის სწორად ორგანიზებაზე და კადრების კვალიფიკაციაზე. ბანკის კომერციული ინტერესები განსაზღვრავს მისი საქმიანობის სხვადასხვა უბანზე საქმის ვითარების შესახებ სარწმუნო ინფორმაციის ქონის აუცილებლობას, რაც გარდაუვალია ბანკის მუშაკების ურყეობის შესანარჩუნებლად, დამფუძნებლების, აქციონერების, კლიენტებისა და საკუთარი თანამშრომლების ინტერესების დასაცავად, სადეპოზიტო-სასესხო პოლიტიკის დასახვებად, ფულის, ფასეულობათა და ქონების დაცულობის უზრუნველსაყოფად. ამ ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა წყაროდან შეიძლება, თუმცა, საჭიროა მისი საგულდაგულოდ გადამოწმება. გარდა ამისა, კომერციულ ბანკებს, განსაკუთრებით კი – ფილიალების მქონეთ, უწნდებათ თავიანთი საქმიანობის წინასწარი შიდა შემოწმების ორგანიზების აუცილებლობა. ამის მიზანია იმ შესაძლო ნეგატიური ფაქტების თავიდან აცილება, რომლებიც კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობის ორგანოებმა (ცენტრალურმა ბანკმა, საგადასახადო ინსპექციამ, სამართალდამცავმა ორგანოებმა) შეიძლება გამოაელინონ.

აუდიტის სამსახურის მიზანია ორგანიზაციის ფინანსური, საბუღალტრო პროცედურების, ჩანაწერებისა და პოლიტიკის სამართლიანობისა და სიზუსტის შეფასება. აუდიტის მიერ შეგროვებული ინფორმაციის ღირებულება დამოკიდებულია მისი დამოუკიდებლობის დონეზე, აუდიტორების კომპეტენციაზე და აუდიტის მასშტაბზე. თუ ამ ფაქტორებიდან რომელიმე საეჭვოა, მაშინ ეჭვს იწვევს საერთოდ აუდიტის ადექვატურობა. ბანკი, როგორც წესი, ატარებს რიგორც შიდა, ისე გარე აუდიტს. შიდა აუდიტი ტარდება ბანკის შიდა კონტროლის განყოფილების მიერ. იგი აწარმოებს ყველა სფეროს ოპერაციების მიმდინარე შემოწმებას.

ბანკის გარე აუდიტი ტარდება გარე აუდიტორული ფირმის მიერ და ხშირად არის ფინანსური მდგომარეობის წლიური შედეგების ანალიზი.

საკანონმდებლო ბაზის არსებობა და საბანკო საქმიანობის რისკების კონტროლის განხორციელების ყოველდღიური პრაქტიკა შიდა აუდიტის სისტემების (ამა თუ იმ ფორმით) შექმნის აუცილებლობას კარნახობს ბანკებს. შესაბამისი დებულებები განსაზღვრავს შიდა აუდიტის მიზნებსა და ამოცანებს, შესაბამისი სამსახურის ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს, მისი თანამშრომლებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, ბანკებში შიდა კონტროლის მდგომარეობის შეფასების დროს ცენტრალური ბანკის მიერ გამოყენებულ მიდგომებს.

ბანკის შიდა აუდიტის მთავარი მიზანია ბანკის, მისი აქციონერებისა და კლიენტების ინტერესების დაცვა. ამას აღწევენ ცალკეული სამსახურების და კონკრეტული თანამშრომლების მიერ კანონმდებლობის, სხვა ნორმატიული აქტებისა და პროფესიული საქმიანობის ნორმატივების დაცვის კონტროლით, ინტერესთა კონფლიქტის მოგვარებით, ბანკის საიმედოობისა და მდგრადობის სათანადო დონის უზრუნველყოფით. სწორედ აქედან გამომდინარეობს შიდა აუდიტის ძირითადი

ამოცანები. მათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

- ბანკის მიერ კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების შესრულების შემოწმება;
- დადგენილი პროცედურებისა და უფლებამოსილებათა განსაზღვრა და დაცვა იმ გადაწყვეტილებების მიღების დროს, რომლებიც ბანკის, მისი მესაკუთრეებისა და კლიენტების ინტერესებს ეხება;
- თავისდროული და ეფექტიანი ღონისძიებების მიღება, რომლებიც მიმართულია გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ბანკის საქმიანობაში არსებული დარღვევების აღმოფხვრისაკენ;
- ბანკის საქმიანობის რისკების ეფექტიანად მართვის წინაშე არსებული მოთხოვნების შესრულება:
- ბანკის აქტივების დაცულობის შემოწმება;
- აღრიცხვაში ბანკის ოპერაციების ასახვის სისწორის შემოწმება;
- ანგარიშგების მდგომარეობის კონტროლი, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის მიღებას ბანკის საქმიანობისა და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ;
- ეფექტიანი თანამშრომლობა გარე აუდიტორებთან და სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და ზედამხედველობის ორგანოებთან.

ამგვარად, ბანკის შიდა აუდიტის ძირითადი ამოცანაა საბანკო საქმიანობის რისკების მინიმიზაცია. შიდა აუდიტი ორგანიზაციულად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფი. ამ სამსახურს განსაკუთრებული სტატუსი აქვს. იგი მოქმედებს ბანკის წესებისა და შიდა აუდიტის სამსახურის შესახებ დებულების საფუძველზე. მის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მიზნით, შიდა აუდიტის სამსახურს უნდა ჰქონდეს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებანი. მას უნდა ჰქონდეს უფლება:

- სელი მიუწვდებოდეს ბანკის ყველა დოკუმენტზე;
- შეფასება მისცეს მისი თანამშრომლების მიერ განხორციელებულ მოქმედებათა და ოპერაციათა შესაბამისობას მოქმედ ნორმატიულ-სამართლებრივ და შიდასაბანკო მოთხოვნებთან;
- მუშაობაში ჩართოს ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომლები.

ამასთან ერთად, შიდა აუდიტის სამსახურს გარკვეული ვალდებულებები ეკისრება:

1) საბანკო საქმიანობის რისკების მუდმივი მონიტორინგის განხორციელება;

2) რეკომენდაციებისა და მითითებების შემუშავება გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად და მათი შესრულების კონტროლის განხორციელება;

3) ბანკის გელმძღვანელობის დროულად ინფორმირება რისკის დასაშვები ნორმების გადამეტებაზე, ფაქტორიე და შესაძლო დარღვევებზე და ა.შ.

შიდა აუდიტის სამსახური შესაძლოა უშუალოდ დაექვემდებაროს ბანკის ხელმძღვანელს ან დამფუძნებელს. მისი მუშაობა უნდა წარიმართოს ბანკის მმართველობის მიერ სპეციალურად დადგენილი გეგმების შესაბამისად, რომლებშიც აუცილებლად ითვალისწინებენ კომერციული ბანკის ფილიალების, განყოფილებებისა და ქვედანაყოფების შემოწმებათა ჩატარებას. შემოწმებათა გეგმები უნდა შეიცავდეს შესამოწმებელი საბანკო ოპერაციების კონკრეტულ ჩამონათვალს. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩასატარებელი შემოწმებების პროგრამათა ძირითადი ნაწილები შესაძლოა იყოს:

- ბანკის ჩამოყალიბების კანონიერება;
- ბანკის საწესდებო კაპიტალის, სარეზერვო და სხვა ფონდების ფორმირების თავისდროულობა, სისწორე და კანონიერება;
- აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ფულადი სახსრების, ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებისა და ანგარიშების, კლიენტთა დეპოზიტების ასახვის სარწმუნოობისა და სისწორის დადასტურება;
- აღრიცხვასა და ანგარიშგებაში საანგარიშსწორებო ოპერაციების გატარების კანონიერება

და სარწმუნოობა;

- აღრიცხვასა და ანგარიშგებაში დაკრედიტების ოპერაციების ასახვის კანონიერება და სარწმუნოობა;
- საკასო ოპერაციების განხორციელების სისწორე და კანონიერება;
- კომერციული ბანკის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მართლზომიერება და სისწორე;
- ფასიან ქაღალდებზე ჩატარებული ოპერაციების სარწმუნოობა, მათი გაფორმების და საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშებში ასახვის სისწორე;
- აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ბანკის ძირითადი სახსრების და სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივების გატარებისა და ასახვის სისწორის შემოწმება;
- აღრიცხვაში ბანკის შემოსაელებისა და გასაელების ასახვის სისრულის, სისწორისა და სარწმუნოობის შემოწმება.

შიდა აუდიტი

ბანკის შიდა აუდიტი ტარდება შიდა აუდიტორების მიერ, რომლებიც ახორციელებენ შიდა კონტროლსა და საუდიტო პროგრამას. ეს აუდიტორები აფასებენ საბუღალტრო და ადმინისტრაციული კონტროლის მასშტაბს. აუდიტორები ცდილობენ დარწმუნდნენ, რომ საბუღალტრო ოპერაციების გატარება ხდება დროზე, რათა თავიდან აიცილოთ არაზუსტი ფინანსური ანგარიშებითა ან ფაქტების დამახინჯებით გამოწვეული პოტენციური დანაკარგები. საუდიტო პროგრამამ უნდა შეაფასოს ადმინისტრაციული პროგრამის ეფექტურობა და დადასტუროს, რომ ბანკის ყველა განყოფილებაში დანერგილია ადექვატური კონტროლი და საგარანტიო სისტემა. აუდიტორები აგრეთვე ამოწმებენ, თუ რამდენად იცავს ბანკის მენეჯმენტი საბანკო წესებისა და კანონების მოთხოვნებს. შიდა აუდიტორებმა უნდა ჩაატარონ პროცედურები, საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო საბანკო და საბუღალტრო პრაქტიკასთან შესაბამისობაში. ყოველმა ბანკმა უნდა იქონიოს შიდა აუდიტორული სამსახური ან ისარგებლოს გარეშე აუდიტორული მომსახურებით.

გარე აუდიტი

გარე აუდიტის ძირითადი მიზანია მესამე მხარის დამოუკიდებელი აზრი, რომელიც ადასტურებს ბანკის ფინანსური მდგომარეობის სიმართლეს და სიზუსტეს. დამოუკიდებელი სააუდიტო სამსახური, აგრეთვე, ამოწმებს ბანკის შიდა კონტროლს, საბუღალტრო პროცედურებსა და პოლიტიკას. ძირითადი მიზნების გარდა, აუდიტორებთან კონტრაქტებს დებენ სხვადასხვა სპეციალიზირებული ამოცანების ან საინფორმაციო სისტემები, პერსონალის მოთხოვნები. აუდიტორული ფირმები ხშირად იძლევიან რეკომენდაციებს ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და ნაკლოვანების გამოსასწორებლად, რაც მოლიანობაში მიგვიყვანს საბანკო კონტროლის სისტემის გაძლიერებამდე. ხშირად, გარე აუდიტების რჩევა ძალზე საჭიროა ბანკის მენეჯმენტისათვის, საბანკო ოპერაციების სისტემების ადექვატურობის ობიექტური შეფასებისათვის.

აუდიტის განყოფილებას უნდა შეეძლოს შექმნას და განახორციელოს საუდიტო პროგრამა, რომელზეც ზეგავლენას ვერ მოახდენს მენეჯმენტი. შიდა აუდიტმა უნდა დაადგინოს, რამდენად არის შესაბამისობაში ბანკის ოპერაციები შიდა პოლიტიკასთან და პროცედურებთან. მან უნდა შეისწაელოს ბანკისათვის დამასასიათებელი სისუსტეები და შესაბამისობა, ერთი მხრივ, ბანკის მიერ ჩამოყალიბებულ წესებთან და პოლიტიკასთან. მეორე მხრივ, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონის, ამ კანონიდან გამომდინარე ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული წესებისა და ინსტრუქციების მოთხოვნებთან. თუ აუდიტის განყოფილება დამოკიდებულია მენეჯმენტისაგან, მაშინ ის ვერ შეძლებს თავისი ფუნქციის განხორციელებას. შიდა აუდიტის განყოფილების დამოუკიდებლობის განმსაზღვრელია ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა.

ორგანიზაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებული შემოწმების პროცედურები:

შიდა და გარე აუდიტების მდგომარეობის შემოწმების მიზნები	
I.ა.	შიდა აუდიტის განყოფილების ორგანიზაციული სტრუქტურა და შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა
I.ბ.	შიდა აუდიტის კომპეტენტურობა
I.გ.	შიდა აუდიტის პროგრამისა და მასშტაბის ადეკვატურობა
II.ა.	გარე აუდიტის დამოუკიდებლობა
II.ბ.	გარე აუდიტის კომპეტენტურობისა და მასშტაბის ადეკვატურობა
III.	საბანკო წესებთან და საბანკო ინსტრუქციებთან შესაბამისობა
IV.	შემოწმების შედეგები
V.	საბოლოო რეიტინგი

I.ა. შიდა აუდიტის ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი დამოუკიდებლობა

- მოითხოვეთ, რომ მენეჯმენტმა წარმოადგინოს ბანკის ორგანიზაციული სქემის ბოლო ვარიანტი;
- მოითხოვეთ, რომ წარმოდგენილი იყოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის წევრების სია. საბუღალტრო, გვარების, თანამდებობების და მათი პროფესიული წარსულის აღნიშვნით.

შიდა აუდიტის განყოფილების დამოუკიდებლობის დასადგენად:

- მოითხოვეთ, რომ ხელმისაწვდომი იყოს ყველა მიმდინარე და საუდიტო მოხსენება. დაადგინეთ, სად არის საუდიტო განყოფილების ონფორმაციის დუბლიკატები.
- დაადგინეთ, ვინ იღებს ინფორმაციას.
- დაადგინეთ, ვინ განსაზღვრავს და ამტკიცებს აუდიტორების ანაზღაურებას.
- მოითხოვეთ განყოფილების მუშაკების სამუშაოს აღწერა.
- მოითხოვეთ საუდიტო პერსონალის დაქირავების და განთავისუფლების აქტები.
- შეხვდით საუდიტო განყოფილების მუშაკებს და გაართვეთ დისკუსია.
- აწარმოეთ ჩანაწარები.

I.ბ. შიდა აუდიტის კომპეტენტურობა

შიდა აუდიტორების პროფესიული დონე და მათ მიერ დაკავებების შესრულების უნარი მნიშვნელოვან როლს თამაშობს განყოფილების ეფექტურ მუშაობაში. ინსპექტორმა უნდა განსაზღვროს, რამდენად კომპეტენტურია განყოფილების თითოეული წევრი თავისი ინდივიდუალური მოვალეობის შესასრულებლად.

შემოწმების პროცედურები:

- მოითხოვეთ და გადახედეთ განყოფილების თითოეული წევრის ბიოგრაფიულ მონაცემებს.
- მოითხოვეთ ბანკში ჩატარებული მთელი სასწავლო პროგრამის ასლი, ყველა მონაწილის ვინაობის მითითებით.
- ჩაატარეთ განყოფილების მუშაკებთან ადგილზე არაოფიციალური საუბრები მათი გამოცდილებისა და სამუშაოს შესრულების უნარის დასადგენად. მაგ.: აახსნევინეთ აუდიტორებს მათ მიერ ჩატარებული აუდიტის სხვადასხვა პროცედურები, იმსჯელეთ აუდიტორი ბანკის შიდა კონტროლის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, პრობლემურ სფეროებზე, გამოათქმევინეთ აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად დროულად პასუხობს მენეჯმენტის ჩანაწერები შიდა აუდიტის შედეგებს, გააჩნია თუ არა აუდიტორს

შინაგანი პირადი ურთიერთობის უნარ-ჩვევები, რათა ეფექტურად მიიღოს მბიმე საშუალოს შესასრულებლად საჭირო ინფორმაცია, იცნს თუ არა აუდიტორი ინტერესს საბანკო ინდუსტრიისა და საუდიტო სფეროს შემდგომი განვითარების მიმართ, დამატებითი სწავლების კურსების ჩათვლით.

I.გ. შიდა აუდიტის პროგრამისა და მასშტაბის ადექვატურობა

შიდა აუდიტის პროგრამა ადექვატურად უნდა მოიცავდეს ყველა საბანკო ოპერაციას. აუდიტორებს უნდა შეეძლოთ, მისცენ ოპერაციებს ზუსტი და სამართლიანი შეფასება. შიდა აუდიტის პროგრამისა და მასშტაბის ადექვატურობის განსაზღვრისათვის, შემმოწმებელმა უნდა განახორციელოს შიდა აუდიტის პროგრამასთან დაკავშირებული პროცედურები:

- მიმდინარე და წინა წლების ბოლოსი საუდიტო პროგრამის ასლების მიღება და გადასინჯვა.
- აუდიტის განყოფილების საუდიტო სახელმძღვანელოს (რომელიც მოიცავს სპეციფიკურ შიდა კონტროლის კითხვარს) ასლის მიღება და გადასინჯვა.
- აუდიტის განყოფილების პოლიტიკისა და პროცედურების ასლის მიღება.

შიდა საუდიტო მასშტაბთან დაკავშირებული შესამოწმებელი პროცედურები:

- როგორც მიმდინარე, ისე წარსული აუდიტების მასშტაბების შესწავლა.
- ყველა კომიტეტის კრებების, შენიშვნებისა და ოქმების ასლები, რომელთაც შესაძლოა გაეცნენა პქონოდათ ჩატარებულ აუდიტებზე. მაგ. თუ საკრედიტო კომიტეტი მენეჯმენტს სთავაზობს სესხების ტიპების კონცენტრაციაში ან მომსახურებაში ცვლილებების შეტანას, მაშინ აუდიტის მასშტაბიც უნდა შეიცვალოს, რომ მოიცვას ეს ცვლილებები.

II.ა. გარე აუდიტის დამოუკიდებლობა

გარე აუდიტორული ფირმა და აუდიტორები დამოუკიდებლები უნდა იყვნენ ბანკის თანამშრომლებისა და დირექტორთა საბჭოსაგან, თუ გვინდა რომ სახელმწიფოს მარეგულირებელმა ორგანიზაციებმა, ფინანსურმა საზოგადოებრიობამ და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა ცნონ აუდიტის სიზუსტე და დამაჯერებლობა.

შემოწმების პროცედურები:

- ბანკის მენეჯმენტისა და დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობაში მყოფი, საუდიტო ფირმასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ინტერესების სიის მიღება.
- სასესხო სიის შემოწმება, რათა დავინახოთ, გაანჩია თუ არა ფირმას ან აუდიტორებს აღნიშნულ დაწესებულებასთან მიმდინარე სასესხო ან სხვა ტიპის საქმიანი ურთიერთობები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინტერესების კონფლიქტი (მაგალითად, როცა საუდიტო ფირმას აქვს იმ ბანკის ფასიანი ქაღალდები, რომელსაც ამოწმებს).
- ბანკსა და საუდიტო ფირმას შორის დადებული კონტრაქტების ყველა ასლი, რომელიც ეხება სხვა ნებისმიერ გაწეულ სამსახურს.
- დირექტორთა საბჭოსა და ყველაზე დიდ აქციონერებთან (ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომელთა წილი ბანკში აღემატება 5%-ს) დაკავშირებული ინტერესების სია.

II.ბ. გარე აუდიტის კომპეტენცია და მასშტაბები

განსაზღვრული უნდა იქნეს, როგორც გარე აუდიტის ფირმისა და აუდიტორების კომპეტენტურობა, ასევე აუდიტის მასშტაბის ადექვატურობა, რომლის შემდეგ შემმოწმებელს შეუძლია განსაზღვროს, რამდენად სარწმუნოა საუდიტო მოხსენების ხარისხი, სიზუსტე და გადაწყვეტოს, შეიძლება თუ არა მათ შედეგებზე დაყრდნობა.

საერთაშორისოდ აღიარებული საბუღალტრო ფირმები პატივს სცემენ პროფესიული ეთიკის კოდექსს, რომელიც ითხოვს, რომ აუდიტი ჩატარდეს საზოგადოდ მიღებული საბუღალტრო სტანდარტებისა და პრინციპების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვენ, რომ აუდიტი ჩატარონ მხოლოდ შესაბამისი ცოდნისა და განათლების მქონე კომპეტენტურმა და კვალიფიციურმა ადამიანებმა. დასრულებული მოხსენებებიდან უნდა ჩანდეს, შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია და შენიშვნები საზოგადოდ მიღებულ საბუღალტრო სტანდარტ-

ებს. საუდიტო ფირმა უნდა იძლეოდეს გარანტიას, რომ ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილი არის სწორად.

აუდიტის მასშტაბი მერყეობს სრულმასშტაბიანიდან მოკლემასშტაბიანამდე. სრულმასშტაბიანი აუდიტი წარმოადგენს საქმიანობის პირველადი სფეროების, პოლიტიკის, პროცედურების, მენეჯმენტის ამომწურავ შესწავლას და ფინანსური ინფორმაციის მოწოდებას.

გარე აუდიტის კომპეტენციის განმსაზღვრელი პროცედურები:

- ბანკსა და საუდიტო ფირმას შორის დადებული კონტრაქტის ასლის მიღება, რომელშიც აღნიშნული იქნება პირობები, მომსახურება და საკომისიოები.
- საუდიტო ფირმასთან დაკავშირება და საუდიტო ჯგუფის ხელმძღვანელ აუდიტორთან აუდიტსა და მის მასშტაბზე მოლაპარაკება.
- საუდიტო ფირმის შესახებ ინფორმაციის მიღება. მაგ. რა ხნის ისტორია აქვს, რამდენი და რა ტიპის აუდიტები აქვს ჩატარებული.
- თითოეული გარე აუდიტორის ბიოგრაფიული მონაცემების შესწავლა.

გარე აუდიტის მასშტაბის განსაზღვრის შემოწმების პროცედურები:

- აუდიტის მასშტაბის ასლის მიღება, რომელიც უნდა აღინიშნებოდეს ბანკსა და საუდიტო ფირმას შორის დადებულ კონტრაქტში.
- საუდიტო მოხსენების საბოლოო პროექტის, კონტრაქტისა და აუდიტის შეჯამებული შედეგების (საჭიროების შემთხვევაში) ასლების მიღება. ეს მოხსენებები გვიჩვენებს საუდიტო საქმიანობის რეალურ მასშტაბს. შემმოწმებელმა უნდა დაადგინოს და განსაზღვროს შემდეგი:

III. საბანკო წესებთან და ინსტრუქციებთან შესაბამისობა

შემოწმების პროცედურები:

შესწავლილ იქნას ყველა შესაბამისი საბანკო წესი და ინსტრუქცია, რომლებიც ეხება კომერციული ბანკის შიდა და გარე აუდიტის ფუნქციებს.

IV. შემოწმების შედეგები

ამის შემდეგ, რაც შემმოწმებელი დაასრულებს პროცედურებს და ბანკის გარე და შიდა აუდიტის შესაფასებლად საჭირო ინფორმაციას დააგროვებს, მან უნდა წარმოადგინოს თავისი შედეგები. შედეგები არის შემოწმების შესახებ მოხსენების საფუძველი.

ორგანიზაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

- შიდა აუდიტის განყოფილება ყველა სხვა განყოფილებისაგან დამოუკიდებლად უნდა ფუნქციონირებდეს.
- კომიტეტის კრებების პროტოკოლების ანალიზმა, უნდა დადგინდეს, რამდენად აქტიურობენ საბჭოს წევრები შიდა აუდიტის განყოფილების საქმიანობაში.
- რამდენად ხშირად იმართება საბჭოს კრებები და თუ იხილება ამ კრებებზე შიდა აუდიტის შედეგები. იმ შემთხვევებში, როცა აუდიტის შედეგები უარყოფითია და მოითხოვს მენეჯმენტისა და განყოფილებისაგან რეაგირებას, აქვს თუ არა ასეთ რეაგირებას ადგილი და თუ აკონტროლებს ამას სარევიზიო კომისია.
- დახურულია თუ არა საუდიტო კომიტეტის კრებები ბანკის პერსონალისა და მენეჯმენტისთვის.

შიდა აუდიტის განყოფილების დამოუკიდებლობის განსაზღვრა

- ამარებს თუ არა შიდა აუდიტი ანგარიშს უშუალოდ ბანკის პრეზიდენტს. თუ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შექმნილ სარევიზიო კომისიას.
- ვის მიერ არის აუდიტორების ხელფასი განსაზღვრული.
- თუ ყოფილა შემთხვევები, როცა აუდიტორებს მოეხსნათ პასუხისმგებლობა მენეჯმენტის მიერ.
- ინახავს თუ არა აუდიტის განყოფილება მიმდინარე სამუშაოების ჩანაწერებს, საუდიტო

მოხსენებებს და დუბლიკატებს.

- აქვთ თუ არა აუდიტორებს სხვა ფუნქციების შესრულების საშუალება (მაგ.მოლარის დახმარება, ჩანაწერების გაკეთება ღღის ანგარიშების დამოწმებებისას და სხვა).

შიდა აუდიტის კომპეტენცია

- აღემატება თუ არა აუდიტორების პროფესიული დონე სხვა თანამშრომლებისას, რომლებსაც იგივე დონის მდგომარეობა უკავიათ ბანკში. არის თუ არა აუდიტორი დიპლომირებული საბუღალტრო ან სხვა რომელიმე მის ფუნქციებთან დაკავშირებულ სფეროში.
- ბანკის სხვადასხვა საქმიანობიდან გამომდინარე, აქვთ თუ არა აუდიტორებს გამოცდილება სპეციფიკურ სფეროებში, მაგ. უცხოურ ვალუტაში მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებში, ვაჭრობასა და სესხებში. ადგილზე უნდა ჩატარდეს არაოფიციალური ინტერვიუები განყოფილების სხვადასხვა მუშაკებთან, რათა დადგინდეს თითოეულის გამოცდილება და სამუშაოს შესრულების უნარი (მაგ.წარმოადგენინეთ და ახსნევინეთ აუდიტორებს მათ მიერ ჩატარებული აუდიტის სხვადასხვა პროცედურები, თუ რაში ხედავენ ისინი ბანკის შიდა კონტროლის სუსტ და ძლიერ მხარეს, პრობლემურ სფეროებს). შეამოწმეთ, არის თუ არა აუდიტორი კომუნიკაბელური.
- ამჟღავნებენ თუ არა აუდიტორები მზადყოფნას, დანერგონ და დაიცვან საზოგადოდ მიღებული საარღიცხვო პრინციპები და სტანდარტები.

შიდა აუდიტის პროგრამის ადეკვატურობასთან დაკავშირებული შემოწმების მიზნები:

- უნდა განისაზღვროს პროგრამის ადეკვატურობა, მოიცავს თუ არა იგი ბანკის სხვადასხვა განყოფილებას და საქმიანობას.
- უნდა განისაზღვროს განყოფილების ხელმძღვანელობის ადეკვატურობა. მოიცავს თუ არა იგი შიდა კონტროლის კითხვარს, რომელსაც აუდიტორები იყენებენ თითოეული აუდიტისას.
- ჰყავს თუ არა განყოფილებას ადეკვატური შტატი თავისი მოვალეობის შესასრულებლად.
- აკეთებს თუ არა სააუდიტო პროგრამას ნათელი მიზნები.
- ვინ განაახლებს და ამტკიცებს პროგრამაში შეტანილ ცვლილებებს.
- რამდენად თანმიმდევრულია სააუდიტორო პროგრამა. შეიტანება თუ არა მასში აღრე ჩატარებული აუდიტის შედეგებიდან გამომდინარე ცვლილებები.
- რა ზემთხვევაში შეუძლიათ აუდიტორებს. გადაუხვიონ დადგენილი პროგრამიდან.
- ადგენს და აკონტროლებს თუ არა სააუდიტო პროგრამა რისკის ფაქტორს ბანკის თითოეული განყოფილებისა და საქმიანობისათვის და თუ მისდევს მას შესაბამისი სააუდიტო განრიგით. მაგ. როცა საქმე ეხება ბანკის პრობლემური სესხების ადმინისტრირებას, აკეთებს თუ არა სააუდიტო პროგრამა დაწვრილებით მონიტორინგს წელიწადში ორჯერ ან ყოველკვარტალურად.
- თუ არის რაიმე შინაგანი მექანიზმი, რომელიც ადასტურებს, რომ თითოეული აუდიტი ჩატარებულია განყოფილების სააუდიტო პროცედურების შესაბამისად. თუ ადგილი აქვს გადახვევებს, რა განმარტება ეძლევა მათ.
- თუ ეგაძლევს პროგრამა ჩანაწერებისა და საუდიტო მოხსენებების შენახვის საშუალებას. ჩანაწერები ინახება დროებით საფუძველზე (მაგ. მუშაობის პროცესში გამოყენების მიზნით), თუ მუდმივად. წარმოებს თუ არა მათი რეესტრი.
- იძლევა თუ არა პროგრამა ისეთი ფორმალური მოხსენებების საშუალებებს, რომლებიც მოიცავს აუდიტორების შენიშვნებსა და რეკომენდაციებს, წინა აუდიტის შენიშვნების გათვალისწინებით, რომელიც მიეწოდება რიგორც საუდიტო კომიტეტს, ისე ბანკის მენეჯმენტს. საუდიტო განყოფილებამ უნდა დაადგინოს პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ბანკის მენეჯმენტმა უნდა მოასდინოს ოფიციალური რეაგირება აუდიტის შედეგებზე.
- უნდა შეფასდეს განყოფილების პოლიტიკისა და პროცედურების ადეკვატურობა, რამდენად ზუსტი და ნათელია ისინი. პერსონალს უნდა ჰქონდეს პროფესიონალიზმის გარკვეული დონე.

შიდა აუდიტის მასშტაბთან დაკავშირებული შემოწმების შედეგები

- განსაზღვრავს თუ არა სრულად თითოეული განყოფილების აუდიტის მასშტაბი განყოფილების ფუნქციებსა და საქმიანობებს.
- არის თუ არა აუდიტორებისათვის ხელმისაწვდომი განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებული მიღილი დოკუმენტაცია და ინფორმაცია.
- ხელმისაწვდომია თუ არა აუდიტორებისათვის კომიტეტის კრებების ის ოქმები და შენიშვნები, რომლებიც გავლენას ახდენენ განყოფილების საქმიანობაზე.
- ადექვატურია თუ არა თითოეული აუდიტის ჩატარების შედეგად შესრულებული ანალიზის დონე.
- თუ კ39ეთდება რაიმე იმის უზრუნველსაყოფად, რომ განყოფილებამ, სადაც უნდა ჩატარდეს აუდიტი, არაფერი იცოდეს მოსალოდნელი აუდიტის დროსა და მასშტაბზე.
- მოიცავს თუ არა აუდიტის მასშტაბი ყველა პოლიტიკასა და პროცედურას, რომელიც ტარდება ბანკში.
- გადასინჯული და შეფასებულია თუ არა სააღრიცხვო ჩანაწერებისათვის საჭირო კონტროლი და პროცედურა.
- ექვემდებარება თუ არა გადასინჯვას ყველა იმ მომსახურების სახეები, რომლებიც არ არის შეტანილი საერთო სააღრიცხვო ჩანაწერებში.
- აუდიტის მასშტაბი უნდა შეიცავდეს თითოეულ ფუნქციასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული კონტროლის ფუნქციების შეფასებას. გარდა ამისა, მასშტაბი უნდა მოიცავდეს აუდიტის კომენტარებს და წინადადებებს იმ სისუსტეების გამოსასწორებლად, რომლებიც აღმოჩენილ იქნა აუდიტის ჩატარებისას.

გარე აუდიტის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შემოწმების შედეგები:

- ბანკთან დაკავშირებული რომელიმე აუდიტორი თუ არის მენეჯმენტის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
- ეწევა თუ არა ეს სააუდიტო ფირმა ძირითად სააღრიცხვო ან ჩანაწერების შენახვის მომსახურებას.
- თუ აქვს ფირმას ან აუდიტორს პირდაპირი ფინანსური ინტერესები ბანკში.
- აქვს თუ არა მენეჯმენტს პირდაპირი ფინანსური ინტერესი სააუდიტო ფირმაში, ან გამააკუთრებული ურთიერთობები აუდიტორებთან, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც ინტერესთა კონფლიქტი.

გარე აუდიტის კომპეტენციასთან დაკავშირებული შემოწმების შედეგები:

- თუ აქვთ გარე აუდიტორებს ადექვატური ცოდნა და გამოცდილება აუდიტის ჩასატარებლად (მაგ. თუ არიან ისინი სერტიფიცირებული ბუღალტრები).
- მოსსენებებში წარმოდგენილი ინფორმაციიდან ჩანს თუ არა აუდიტორების პროფესიონალიზმი.
- თუ სააუდიტო ფირმა ან ფირმის თანამშრომელი არ არის აღიარებული, რა გარანტია აქვს ბანკის ხელმძღვანელს, რომ ფირმა უზრუნველყოფს სარისხიან აუდიტორულ მომსახურებას.

გარე აუდიტის მასშტაბთან დაკავშირებული შემოწმების შედეგები:

- არის თუ არა კონტრაქტში აღნიშნული აუდიტის მასშტაბი ადექვატური. საზოგადოდ მიღებულ სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მასშტაბი უნდა იყოს ამომწურავი და უახლოვდებოდეს სრულმასშტაბიან აუდიტს (იხ.საქართველოს ეროვნული ბანკის დადგენილება გარე აუდიტზე).
- რა იყო გადამწყვეტი ფაქტორი აუდიტის მასშტაბის განსაზღვრაში, ვინ ატარებდა მოლაპარაკებას აუდიტის ფასსა და მასშტაბზე.
- შეესაბამება თუ არა აუდიტის მოხსენებები აუდიტის კონტრაქტს. ჩატარდა თუ არა ყველა სააუდიტო მომსახურება, რომელიც შეთანხმებული იყო.

საბანკო წესებთან, ინსტრუქციებთან შესაბამისობა და მასთან დაკავშირებული

შემოწმების შედეგები:

- უნდა განისაზღვროს, იცავს თუ არა ბანკი მისი საქმიანობის წესებსა და ინსტრუქციებს. გარდა ამისა, დადგინდეს, წარსულში შეესაბამებოდა თუ არა ბანკი ამა თუ იმ სფეროში რეგულირების მოთხოვნებს.

როგორც გარე, ისე შიდა აუდიტთან დაკავშირებული ყველა სხვა ფაქტორის ანალიზის დასრულების შემდეგ უნდა განისაზღვროს:

ა. დამაკმაყოფილებელია თუ არა ბანკის შიდა აუდიტის ფუნქცია.

ბ. დამაკმაყოფილებელია თუ არა ბანკის გარე აუდიტის ფუნქცია.

ბანკებმა წელიწადში ერთხელ (წლიური ანგარიშით) ცენტრალურ ბანკს უნდა წარუდგინონ ანგარიშგება შიდა კონტროლის მდგომარეობის შესახებ. ცენტრალურ ბანკს უფლება აქვს, აუცილებლობის შემთხვევაში, განახორციელოს მათი შიდა კონტროლის მდგომარეობისა და შესაბამისი სამსახურის მუშაობის შემოწმება.

22.7. საბანკო რეიტინგის სისტემა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი და ფუნქციაა, უზრუნველყოს სტაბილურ ბაზარზე დამყარებული ფინანსური სისტემის ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობისა და სათანადო ფუნქციონირების საფუძვლები. ამ მიზნების განსახორციელებისათვის ეროვნულ ბანკს უნდა გააჩნდეს დროული და ზუსტი ინფორმაცია სბანკო დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მიღებული ინფორმაციის ადექვატურობისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად და საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც სბანკო სექტორის პრუდენციალური შემმოწმებლის ფუნქციის შესასრულებლად შეიქმნა „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო“ (1999 წ.), რომელშიც სრულყოფილადაა განხილული საკითხები სბანკო დაწესებულებების ინსპექტირების პროგრამისა და მეთოდოლოგიის შესახებ.

აღნიშნული სახელმძღვანელო ეფუძნება ბანკების ზედამხედველობის ადგილზე ინსპექტირების მეთოდოლოგიას, რომელიც CAMEL-ის სახელით არის ცნობილი. ამ მეთოდოლოგიას ბოლო 20 წელია წარმატებით იყენებს შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ცენტრალური ბანკი; იგი ეფუძნება ხუთი მთავარი კომპონენტის შეფასებას, სბანკო ზედამხედველობას და რეგულირების სამმართველოს ინსპექტორის მიერ ჩატარებული ყოველი სრულმასშტაბიანი ინსპექტირებისას უნდა მოხდეს ბანკის კაპიტალის ადექვატურობის (C), აქტივების ხარისხის (A). ბანკის მენეჯმენტის (M), მოგებაშემოსაყალიანობის (E) და ლიკვიდობის (L) შეფასება. (სბანკო რისკზე რეაგირება (S) წარმოდგენს CAMEL-ით განხორციელებული რეიტინგისა და ინსპექტირების პროცესის ახალ დანამატს, რაც წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკისა და სბანკო ზედამხედველობის და რეგულირების სამმართველოს მხრიდან რეაგირებას იმაზე, რომ აუცილებელია ცალკეული ბანკის მგრძნობელობის შეფასება და მონიტორინგი სბანკო კონიუნქტურის ცვლილებებთან დაკავშირებით).

აღნიშნული მეთოდოლოგიით შესაძლებელია ბანკის საიმედოობისა და მდგრადობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება, აგრეთვე წარმოდგენას იძლევა ბანკის არსებული და მოსალოდნელი სისუსტეებისა და ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შესახებ. სახელმძღვანელოში გამოყენებული მეთოდები საერთაშორისოდ არის აღიარებული, როგორც ბანკების ზედამხედველობის, რეგულირებისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული CAMEL-ით ინსპექტირების ხსენებული სახელმძღვანელო გახდა საქართველოში სბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს მიერ ქვეყანაში ლიცენზირებული დაწესებულებების ადგილზე ინსპექტირების მეთოდოლოგიური ბაზა. მასში ნათლად არის ჩამოყალიბებული სბანკო დაწესებულებების სოლიდური და ყოველისმომცველი

ფინანსური შეფასებისათვის საჭირო კრიტერიუმები. ცხადია, რადგან მეთოდური სახელმძღვანელო კანონმდებლობას არ წარმოადგენს, საბანკო კონტროლისას ინსპექტორები ვალდებულნი არიან, გაითვალისწინონ მოქმედი კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები.

უნდა აღინიშნოს, რომ „კომერციული ბანკების ზედამხედველობა რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო“ ასევე სასარგებლო და აუცილებელია საბანკო დაწესებულებების ხელმძღვანელთა და ადმინისტრატორებისათვის, ვინაიდან იგი იძლევა მითითებებსა და რეკომენდაციებს, თუ რა პრინციპით, ფორმით, სახით უნდა იყოს მოწყობილი საბანკო დაწესებულებების ესა თუ ის უბანი, საქმიანობა, კომპონენტი, რა პროცედურები და წესები უნდა არსებობდეს, რათა მისი საქმიანობა სტაბილური, მდგრადი და წარმატებული იყოს.

ქემელის შედგენილი რეიტინგი. პირველი კატეგორია. ამ ბანკში შემავალი ბანკები არიან ყოველმხრივ ძლიერები. შემოწმების შედეგები და კომენტარები უმნიშვნელო ხასიათს ატარებს. რეკომენდაციების შესრულება ადვილია და არსებული უმნიშვნელო შეცდომები შეიძლება გასწორდეს მუშაობის პროცესში. ასეთი ბანკები, როგორც წესი, იოლად იტანენ ეკონომიკური და ფინანსური მღელვარების ზეგავლენას და დაბალი რეიტინგის ბანკებზე უფრო კარგად შეუძლიათ გაუძლონ ეკონომიკური პირობების გაუარესებას. ზემოთქმულის შედეგად, ასეთი ბანკები თითქმის არ წარმოადგენენ ზედამხედველობის ყურადღების საგანს.

ჯე-2 კატეგორია. ამ ჯგუფის ბანკებიც შეიძლება ჩაითვალოს ძლიერად, თუმცა მათ შეიძლება ვაჩვენოთ უმნიშვნელო სისუსტეები, რომელთა გამოსწორება შეიძლება ნორმალური საქმიანობის პროცესში. ამ ნაკლოვანებათა ხასიათი და ხარისხი, როგორც წესი, არ არის მნიშვნელოვანი. ამიტომ ეს ბანკებიც, როგორც წესი, არიან სტაბილურნი და კარგად უძლებენ ბიზნესის პირობათა ნეგატიურ ცვლილებებს. თუმცა, არსებული სისუსტეები, თუ მათ არ მიექცა სათანადო ყურადღება, შეიძლება გადაიზარდოს მნიშვნელოვან პრობლემებში. ზედამხედველობის პასუხისმგებლობა შეიცავს ფიფარგლება იმით, რომ უზრუნველყონ ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აუცილებელი მცირე გამოსასწორებელ ღონისძიებათა გატარება.

ჯე-3 კატეგორია. ამ კატეგორიის ბანკებს გააჩნია სისუსტეები ფინანსურ, ოპერაციულ და მართველობათა შესრულების სფეროებში. ამ სისუსტეთა ხარისხი იცვლება, საშუალოდ მძიმეზე ნაკლებად ადექვატურამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სისუსტეები ეხება ბანკის ფინანსურ მდგომარეობას, ამგვარი ბანკები შეიძლება გახდნენ მგრძნობიარენი ბიზნესის გარეშე პირობათა ცვლილებების მიმართ, თუ სასწრაფოდ მიღებული სათანადო ზომები არ აღმოჩნდება.

საკმარისად ეფექტური, შეიძლება ითქვას მათი მდგომარეობის გაუარესება, ამ კატეგორიაში შეიძლება აღმოჩნდნენ ის ბანკები, რომლებიც მნიშვნელოვნად არღვევენ კანონის, საბანკო ნორმატივებისა და ლიმიტების მოთხოვნებს. ამ კატეგორიის დაწესებულებები მათ ნაკლოვანებათა გასასწორებლად საჭიროებენ დამატებით ზედამხედველობას, თუმცა მათი ფინანსური მდგომარეობის მიხედვით მათი გაკოტრება მხოლოდ სავარაუდოა.

ჯე-4 კატეგორია. ამ კატეგორიის ბანკებისათვის ფინანსური სისუსტეებისა და სხვა არადამაკმაყოფილებელ მაჩვენებელთა კომბინაციის მოცულობა ცდება ზომიერების საზღვრებს. შეიძლება არსებობდეს დიდი და მნიშვნელოვანი პრობლემები ან არაადექვატური სიტუაცია, რომლის გამოსწორება ვერ ხერხდება. სიტუაციის გამოსასწორებლად, ეფექტური ზომების არგატარების შემთხვევაში, შეიძლება შეექმნეს საფრთხე მეანაბრეთა ინტერესებს, ამ შემთხვევაში გაკოტრების ალბათობა მაღალია, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის გარდაუვალი და გამოცხადებული. ამ კატეგორიის ბანკები ითხოვენ დამატებით ყურადღებას ზედამხედველობის სამმართველოს მხრივ. ამასთან, აუცილებელია მათი მდგომარეობის გამოსასწორებელი ზომების კონკრეტული გეგმის შემუშავება.

ჯე-5 კატეგორია. ეს კატეგორია განკუთვნილია იმ ბანკებისათვის, რომელთა ფინანსური მდგომარეობა იმდენად კრიტიკულია, რომ არსებობს მათი გაკოტრების ახლა ან ახლო მომავალ-

ში ძალზე დიდი შესაძლებლობა. ამგვარი ბანკების სისუსტეები იმდენად დიდია ან მათი მდგომარეობა იმდენად არასაიმედო და სახიფათოა, რომ ისინი თხოულობენ დაუყოვნებლივ ფინანსურ დახმარებას მეპაიების მხრიდან, დაუყოვნებელი და გადაუწყვეტი ზომების არმიღების შემთხვევაში, შეიქმნება ბანკის ლიკვიდაციისა და მეანაბრეთა გასტუმრების აუცილებლობა.

კაპიტალის ანალიზი (C). კაპიტალის ადექვატურობა ფასდება შემდეგ ფაქტორებთან მიმართებაში: ზედამხედველობის რეკომენდაციები, საერთო ფინანსური მდგომარეობა, საშუალო და ნეგატიურად კლასიფიცირებული აქტივების მოცულობა, ბუნება და ტენდენციები, არაბელშესახები აქტივები (გუდვილი და ა.შ.), გარე საბალანსო საქმიანობა და მოგება: ბალანსის შემადგენლობა, ზრდის გამოცდილება და მომავლის პერსპექტივები, აგრეთვე ბანკის მენეჯმენტის სიძლიერე დამატებით ითვალისწინებენ წმინდა მოგების ნაწილის დაკავებას კაპიტალის საჭიროებისათვის; დივიდენდების ზომიერებაა; კაპიტალის ბაზრის შეფასებას, ფინანსური დახმარების სხვა შესაბამის წყაროებს და კაპიტალის ადექვატურობის შენარჩუნების და აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გეგმებს.

აქტივების ხარისხი ა A) ფასდება შემდეგ პუნქტებთან მიმართებაში. ნეგატიური რეიტინგის მქონე აქტივების ოდენობა, შემადგენლობა, ტენდენციები და ხარისხი; ვადაგადაცილებული, ვადაგაგრძელებული და პროცენტების დარიცხვა შეჩერებულ კრედიტებზე; უიმედო სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ადექვატურობა; უნარი, რომელიც გამომჟღავნეს პრობლემური აქტივების დადგენაში, მართვასა და ამოღებაში. გარდა ამისა, ფასდება ფასიანი ქაღალდების ხარისხი, საინვესტიციო პოლიტიკის ადექვატურობა; სავაჭრო ოპერაციები; გარე საბალანსო ანგარიშების მოცულობა და მათთან დაკავშირებული რისკი. აგრეთვე ყურადღება ექცევა კრედიტების და ინვესტიციების ჭრილი კონცენტრაციის დონეს, საეურადღებო კრედიტების ხარისხს, ტენდენციებს და ბუნებას. საკრედიტო პოლიტიკის და სესხების ადმინისტრირების პროცედურების ეფექტურობას, დონეს და ხარისხს.

მენეჯმენტის შეფასება (M) – ხდება ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებიც აუცილებელია ბანკების საიმედო, საღ და მიღებულ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოქმედებისათვის. მზედველობაში მიიღება კომპეტენტურობა, ხელმძღვანელობის ადმინისტრირების უნარი. კანონებთან, ეკონომიურ ნორმატივებთან შესაბამისობა; დაგეგმვასა და გარემოს ცვლილებებზე რეაგირების უნარი; მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის ეფექტურობა, სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტურობა, შიდა პოლიტიკის ადექვატურობა და მისი დაცვა: შემმოწმებლების და აუდიტორების რეკომენდაციებზე რეაგირება, გარდა ამისა, ყურადღება ექცევა იმას, თუ რა ზეგავლენას ახდენს მენეჯმენტზე უფლებამოსილების კონცენტრაცია ან დომინანტური გავლენა.

წმინდა მოგების (E) ადექვატურობა ფასდება შემდეგ პუნქტებთან მიმართებაში: მიმდინარე და მომავალი ოპერაციების შენარჩუნების უნარი, დანაკარგების დაფარვა და ადექვატური კაპიტალის უზრუნველყოფა; წმინდა მოგების დონე და არსებული ტენდენციები; ძირითადი შემოსავლების ხარისხი და შემადგენლობა: წმინდა პროცენტული მარჟის (პროცენტულ შემოსავლებს მინუს პროცენტული ხარჯები) სიდიდე; სტრატეგიული დაგეგმარება და ბანკის ბიუჯეტი; ნაერთი ბალანსის საპროცენტო განაკეთის მიმართ მგრძნობელობის მაკონტროლებელი და სამონიტორინგო პოლიტიკისა და პრაქტიკის ადექვატურობა. გარდა ამისა: უიმედო სესხების დარეზერვება, უწვეულო და ერთჯერად შემოსავლებზე ან ხარჯებზე დაყრდნობა; ექსტრაორდინარული ხარჯების, ფასიანი ქაღალდების ბრუნვის, უცხოური ვალუტის ოპერაციებიდან მიღებული მოგება-ზარალისა და გადახდების გაველენა წმინდა შემოსავალზე; ნებისმიერი ნაკლოვანების გამოსწორების გეგმები.

აქტივები/პასიების მართვის ლიკვიდობა ა L) – ფასდება აქტივების და პასიების მართვის საერთო ეფექტურობასთან მიმართებაში. ის მოიცავს ანაბრების შედგენილობას და სტაბილურობას; სახსრების მოკლევადიან და არამდგრად წყაროებზე დამოკიდებულების ხარისხს

და ტენდენციების (ფინანსური ბაზრის ცალკეულ სეგმენტებზე ზედმეტი დამოკიდებულების ჩათვლით); ძნელად საშოვნი რესურსების მოპოვების შესაძლებლობის და ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული, მინიმალური რეზერვების მოთხოვნათა დაცვას; ლიკვიდობას, უზრუნველყოფილს საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებით ან სხვა აქტივებით. გარდა ამისა, ყურადღება ექცევა ბანკის ვალდებულებებს სესხების გაცემაზე და გარე-საბალანსო ანგარიშების ხასიათს, მოცულობასა და საჭიროების გამოყენებას; საბსრების შემთხვევითი წყაროების მოცულობას და სტაბილურობას; კაპიტალის ბაზარზე შეღწევის უნარს, ლიკვიდობისა და დაფინანსების პოლიტიკისა და პრაქტიკის ადექვატურობას, ფონდების ალტერნატიული წყაროებისათვის რეზერვის შექმნას; რისკის შემცირებისათვის ფინანსური კონტრაქტებისა და სხვა ჰეჯინგური ინსტრუმენტების გამოყენებას.

საერთოდ, რეიტინგის სისტემა ისეა აგებული, რომ იგი იძლევა, როგორც ბანკის თითოეული ძირითადი სფეროს ინდივიდუალური შეფასების, ასევე ბანკის მდგომარეობის მთლიანი შეფასების საწყალებას. შეფასების სკალა 1-დან 5-მდეა. 1 და 2 შეესაბამება დამაკმაყოფილებელს, 3 – დამაკმაყოფილებელზე ნაკლებს, 4 – არადამაკმაყოფილებელია, 5 – კრიტიკული. ბანკის ძირითადი სფეროებია: კაპიტალი, აქტივების ხარისხი, მენეჯმენტი, ლიკვიდობა, შემოსავლები. რეიტინგის სისტემაში ეს ხუთი ძირითადი სფერო ცნობილია როგორც „ქემელი" (CAMEL). რადგან 1-დან 5-მდე რეიტინგი მიეწერება თითოეულ ასპექტს. ამ ხუთი რეიტინგის საშუალო არითმეტიკული განსაზღვრავს ბანკის მდგომარეობის მთლიან რეიტინგს. „ქემელის" თითოეული კომპონენტის რეიტინგის განსასაზღვრავად დადგენილი იქნა შემდეგი ინსტრუქციები.

1 კაპიტალი

კაპიტალის მაღალი რეიტინგი ძირითადად ეფუძნება სებ-ის მიერ დადგენილ მარეგულირებელ მოთხოვნებთან მის შესაბამისობას. კაპიტალის მოთხოვნები არის K1 და K2. ეს საკმარისია იმ შემთხვევაში, როცა ბანკის მთლიანი ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია საბანკო ოპერაციების ნორმალური მსვლელობის განმაპირობებში, თუმცა მხოლოდ რეიტინგის ეს ცხრილი არ არის საკმარისი, როცა არსებობს კაპიტალის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ფაქტორები, როგორიცაა, სესხების დანაკარგების დიდი მოცულობა, დაკები, შემოსავლების დაცემა. ბანკის მიერ დაფინანსებული დიდმასშტაბიანი პროექტები და ან მნიშვნელოვანი ზრდის გეგმები. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალის დამაკმაყოფილებელი რეიტინგი არ არის ადექვატური, და უნდა გათვალისწინებული უფრო დაბალი რეიტინგი. (ცხრ. 22.1)

ცხრილი 22.1

კაპიტალის რეიტინგის ცხრილი

რეიტინგი	პირველადი კაპიტალი/ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	მთლიანი კაპიტალი/ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები
დამაკმაყოფილებელი \ 1	>15%	>18%
ადექვატური \ 2	12%-15%	15%-18%
ნაკლებად ადექვატური \ 3	10%-12%	12%-15%
არაადექვატური \ 4	7%-10%	9%-12%
კრიტიკული \ 5	<7%	<9%

II აქტივები ხარისხი

ორი ტიპის აქტივი, რომლებსაც ყველაზე დიდი გაელენის მოხდენა შეუძლია ბანკის აქტივების მთლიან ხარისხზე, არის სესხები და ინვესტიციები. ეს ორი პორტფელი დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს და მერე იქნას მიღებული აქტივების ხარისხის კომპოზიტური რეიტინგი. ამ ორი ფაქტორისგან მიღებული რეიტინგი არ არის საკმარისი. აქტივების ხარისხის მთლიანი რეიტინგის განსაზღვრაში უნდა გამოვიყენოთ რეიტინგის ორი ცხრილი. ინსპექტორმა უნდა იცოდეს შეფასებები ბანკის სხვა აქტივების შესახებ და გაითვალისწინოს ისინი რეიტინგის განსაზღვრის დროს. (იხ. ცხრ. 22.2 და ცხრ. 22.3)

ცხრილი 22.2.

აქტივების ხარისხის სესხების პორტფელის რეიტინგი

რეიტინგი	ნორმატივებთან შესაბამისობა K3,K4,K5,K6	სესხები მთლიანი აქტივები	ზომა>50% ა <20% მთლიანად ნეგატიურად კლასიფიცირებული პრესტიჟის დანაკარგები		ვადაგა დაცილ სესხებ თან	სესხების დანა აკარგების რეზერვი
დამაკმაყოფილებელი1	მენეჯმენტი შესაბამისობაშია ტრიებთან	საშუალო ზომა პორტფელი 50%-65%	<15%	<5%	0%-3%	
ადექვატური2	მენეჯმენტი ორითად შესაბამისობაშია, მაგრამ არის პრობლემა, რომელსაც ყურადღება ჭირდება და აღარ მწვრდება	საშუალო ზომის პორტფელი 65%-75%ა პატარა პორტფელი 40%-50%	15%-30%	5%-15%	3%-6%	
ნაკლებად ადექვატური3	ნორმატივების გამეორება დარღვევები	დიდი პორტფელი 75%-80% ან პატარა პორტფელი 30%-40%	30%-50%	15%-30%	6%-9%	
არაადექვატური4	ნორმატივების გამუდმებული დარღვევები	დიდი პორტფელი 80%-90% ან პატარა პორტფელი 20%-30%	50%-75%	30%-50%	9%-12%	
კრიტიკული5	ნორმატივების გამუდმებული და აშკარად განზრახული დარღვევები	პორტფელი	>75%	>50%	>12%	

ცხრილი 22.3

აქტივების ხარისხის სესხების პორტფელის რეიტინგი

რეიტინგი	მთლიანი კლასიფიკაციები / პირველად კაპიტალთან	რასაც მიყვება შენოხილი კლასიფიკაციები / პირველად კაპიტალთან	მცირეული ინვესტიციები	დარეზერვება ინვესტიციებისათვის / მთლიანი ინვესტიციები
დამაკმაყოფილებელი1	<15%	<5%	პორტფელის 85%-100% არის საინვესტიციო ხარისხის, დანარჩენი კი საინვესტიციოზე ნაკლები ხარისხის	მენეჯმენტმა დაადგინა უხარისხო ან რისკიანი გარანტიები. გამოითვალა ბანკის პოტენციური ზარალის მოცულობა და გაკეთდა ამ თანხის სპეციფიური ან ზოგადი დარეზერვება
ადეკვატური2	15%-25%	5%-10%	პორტფელის 80%-85% არის საინვესტიციო ხარისხის, დანარჩენი საინვესტიციოზე ნაკლები ხარისხია, ამასთან, მენეჯმენტი საკმაოდ კომპეტენტურია, რათა მარეოს ხარისხის ვალდებულებანი	მენეჯმენტმა დაადგინა უხარისხო ან რისკიანი გარანტიები. გამოითვალა ბანკის პოტენციური ზარალის რაოდენობა, მთლიანად დარეზერვების ნაცვლად, ბანკი ნაწილობრივ არეზერვებს ამ ინვესტიციებს
ნაკლებად ადეკვატური3	25%-50%	10%-30%	პორტფელის 65%-80% არის საინვესტიციო ხარისხია, დანარჩენი ნაწილი საინვესტიციოზე ნაკლები ხარისხისაა	მენეჯმენტს არ შეუფასებია და არ გამოუთვლია ინვესტიციების პორტფელის რისკის დონე, ცუდი ხარისხის ან ძალიან რისკიანად გარანტიებისათვის რეზერვები არ შექმნილა
არაადეკვატური4	50%-60%	30%-50%	პორტფელის 45%-60% არის საინვესტიციო ხარისხის, დანარჩენი ნაწილი საინვესტიციოზე ნაკლები ხარისხისაა ან შეუფასებელი ვალდებულებია	მენეჯმენტს არ შეუფასებია ინვესტიციების პორტფელის რისკიანი დონე და არც შესწევს ამის უნარი
კრიტიკული 5	>90%	>50%	პორტფელის 45% საინვესტიციო ხარისხისაა, დანარჩენი ნაწილი საინვესტიციოზე ნაკლები ხარისხის და შეუფასებელ ვალდებულებათა ნარევია	მენეჯმენტს არ შეუფასებია ინვესტიციების პორტფელის რისკის დონე და არ არის დაინტერესებული პრობლემაში ამის გასაკეთებლად

III. მენეჯმენტი

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი შემმოწმებელს აძლევს მენეჯმენტის ხარისხის შეფასების საშუალებას. შემმოწმებელმა ყველა დონე უნდა იხმაროს, რათა დაამტკიცოს რეიტინგის სიზუსტე იმის დემონსტრირებით, თუ რას აკეთებს მენეჯმენტი, რას მიაღწია მან და რას ახორციელებს, რაც საკმაოდ ხელშესახები ინფორმაციაა. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებაში შემმოწმებლის დამხმარე რეკომენდაციას. შემოწმების დროს განუხილაეი სხვა ფაქტორებიც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, თუ ისინი გავლენას ახდენენ მენეჯმენტის მიერ სამუშაოს შესრულების უნარზე. (იხ. ცხრ. 22.4.)

ცხრილი 22.4.

მენეჯმენტის რეიტინგი

რეიტინგი	საბანკო წესებთან ინსტრუქციებთან შესაბამისობა	საერთაშორისო კომპეტენტურობა	მიღებული ადეკვატური პოლიტიკის და პროცედურების შესაბამისობა მასთან	სტრატეგიული დაგეგმარების ადეკვატურობა	ინფორმაციული სისტემების ადეკვატურობა
დამაკმაყოფილებელი 11	მენეჯმენტი შეიძლება შეფასდეს ნებისმიერ დროს ინსტრუქციების	არიან ღირსეული, აქტიური წარმომადგენლები საბანკო კრებებში	პასუხობს ბრენდული და ზედმიწევნით საბანკო საქმიანობის მასშტაბებს	მენეჯმენტი — ეფექტიანად სტრატეგიულ ამოცანებს აღწერილია და წარდგენილია საბჭოს	მენეჯმენტს აქვს საინფორმაციო სისტემა, რომელიც ზედმიწევნით გამოდგება
ადეკვატური 12	მენეჯმენტი ზედმიწევნით და სრულად ინსტრუქციებს, ზოგჯერ თუ სადაც დარღვევებია, ისინი მეორდება	არიან ღირსეული, აქტიური წარმომადგენლები საბანკო კრებებში	ფორმალურად არსებობს, მაგრამ ნაკლებად ეფექტიანია	ბიზნეს-პროცესი, რომელიც მართავს ბანკის საქმიანობას, ნაკლებად ეფექტიანია	მენეჯმენტს ინფორმაციული სისტემა ადეკვატურია, მაგრამ გაუმჯობესების საჭიროებას
ზედაპირული 13	რამდენიმე კრიტიკული საკითხი ინსტრუქციებთან მიმართებაში	დელეგირების მიმართ არ ენდობიან ქვედა რგოლის მენეჯერებს	მიღებული პოლიტიკა, რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება ბანკის საქმიანობას, არაადეკვატურია	მენეჯმენტს არ მოუმზადებია ბანკის სტრატეგიული განვითარების გეგმა	მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემები ადეკვატურია ბანკის ოპერაციების მოცულობასთან მიმართებაში, რაც გამოსასწორებელია
არადამაკმაყოფილებელი 14	ნაკლებად ინსტრუქციებთან შესაბამისობა, ქვედა რგოლის მენეჯერებს ენდობიან, მაგრამ არაადეკვატურად	ქმნიან ნეგატიურ კრებებს, სადაც მონაწილეობა არ ეკისრებათ	მიღებული პოლიტიკა არ შეესაბამება ბანკის საქმიანობას	მენეჯმენტს არ გააჩნია ბანკის განვითარების სტრატეგიული გეგმა	მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემები ადეკვატურია ბანკის ოპერაციების მოცულობასთან მიმართებაში, მაგრამ გაუმჯობესების საჭიროებაა
კრიტიკული 15	გამოვლენილი ფაქტები სერიოზულად აზიანებს ბანკის საქმიანობას, ან ბანკის ოპერაციები ხორციელდება ისეთ სფეროში, სადაც	ბანკის ხელმძღვანელობა ან საბჭო ვერ ახორციელებს ეფექტიან ზედამხედველობას	მიღებული პოლიტიკა, რომელიც ბანკის საქმიანობას	ბანკის ხელმძღვანელობა ან საბჭო ვერ ახორციელებს ეფექტიან ზედამხედველობას	ბანკის ინფორმაციული სისტემები შეესაბამება ბანკის ოპერაციების მოცულობას

IV. მოგება

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს რეკომენდაციებს შემმოწმებლებისათვის შემოსავლების მთლიანი ხარისხის განსასაზღვრავად, თუ რამდენად ამაგრებს იგი მიმდინარე და მომავალი ოპერაციების საფუძველს, ფარავს დანაკარგებს და უზრუნველყოფს კაპიტალის ადეკვატურობას და ცუდი ხარისხის აქტივების რეზერვებს. ქვემოთ მოყვანილი კოეფიციენტები მძლავრი მაჩვენებელია იმის განსასაზღვრავად, თუ რამდენად ადეკვატურია ბანკის ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი შემოსავლები. შემოსავლებზე რეიტინგის პინიჭების დროს უნდა გავითვალისწინოთ სხვა ფაქტორებიც, განსაკუთრებით აქტივების ხარისხი და მენეჯმენტის მომავალი გეგმები. (იხ. ცხრ. 22.5.)

ცხრილი 22.5.

მოგების რეიტინგის ცხრილი (მოცემული პერიოდისთვის)

რეიტინგი	წმინდა შემოსავალი / საშუალო აქტივები	საშუალო შემოსავლიანი აქტივები/საშუალო აქტივები	სესხების დანაკარგების რეზერვი / საშუალო სესხები	ფულადი დივიდენდები
დამაკმაყოფილებელი \1	>1,4%	>85%	>1,5%	გადახდილი დივიდენდები შეადგენს წმინდა შემოსავლის 50%-ზე ნაკლებს და უარყოფითად არ მოქმედებს ბანკის კაპიტალზე
ადექვატური \2	1,0%-1,4%	55%-85%	0,8%-1,5%	გადახდილი დივიდენდები შეადგენს წმინდა შემოსავლების 50%-100% და უარყოფითად არ მოქმედებს ბანკის კაპიტალზე
ნაკლებად ადექვატური \3	0,6%-1,0%	45%-55%	0,5%-0,8%	გადახდილი დივიდენდები აჭარბებს წლის წმინდა შემოსავალს+ წინა წლის გაუნაწილებელი მოგება
არაადექვატური \4	0%-0,6%	25%-45%	0%-0,5%	გადახდილი დივიდენდები აჭარბებს წლის წმინდა შემოსავალს+ წინა ორი წლის განმავლობაში მიღებული წმინდა შემოსავალი
კრიტიკული \5	<0%	<25%	<0%	გადახდილია ჭარბი დივიდენდები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს კაპიტალზე

V. ლიკვიდობა

ლიკვიდობის ადექვატურობა განისაზღვრება იმასთან მიმართებაში, თუ რამდენად ეფექტურია აქტივებისა და პასივების მართვა და რამდენად შეუძლია მენეჯმენტს, დაადგინოს და გააკონტროლის საპროცენტო განაკეთის რისკი. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს რეკომენდაციას შემძოწმებლისათვის მთლიანი რეიტინგის განსაზღვრისას. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სხვა ფაქტორებიც, რომლებიც თავს იჩენს შემოწმების დროს. მაგ სიძნელეები, რომლებსაც შეიძლება წააწყდეს მენეჯმენტი დაფინანსების ალტერნატიული წყაროების შეძენისას, დეპოზიტების და აქტივების არამდგრადი ხასიათი. (იხ. ცხრ. 22.6)

ცხრილი 22.6.

ლიკვიდურობის რეიტინგის ცხრილი

რეიტინგი	K8,K9,K10	სტატისტიკური გეში	დეპოზიტები/ მთლიანი აქტივები	სესხები/მთლიანი აქტივები
დამაკმაყოფილებელი \1	შეესაბამება ნორმატივებს	აქტივებია და პასივები აქტივების სტატისტიკური გეში ანალიზი ტარდება თვეში ერთხელ ან ორჯერ. შენიშვნებში დადგინდა მნიშვნელობები და მასშტაბები კრიტიკული გეში არ 10%-ზე მეტით განსხვავდება თავის ფარგლებში	>75%	საშუალო ზომის პორტფელი 50%-65%
ადექვატური \2	ძირითადად შეესაბამისობაშია, არის რიგი გადახრები, რომლებიც იწვევს ნორმატივების დარღვევას და აღარ მეორდება	აქტივებია და პასივების სტატისტიკური გეში ანალიზი ტარდება თვეში ერთხელ ან ორჯერ. შენიშვნებში დადგინდა მნიშვნელობები და მასშტაბები კრიტიკული გეში არ 15%-ზე მეტით განსხვავდება თავის ფარგლებში	65%-75%	საშუალო ზომის პორტფელი 65%-75% ან პატარა პორტფელი 40%-50%
ნაკლებად ადექვატური \3	ნორმატივების განმეორებითი დარღვევები	სტატისტიკური გეში ანალიზი არ ტარდება, თუ ტარდება თვეში ერთხელ ან ორჯერ შენიშვნები არ დაფიქსირდა კრიტიკული გეში ნიშნებში და მასშტაბები, ან თუ დაფიქსირდა, იარის არ არის გონიერული და დასაბუთებული	50%-75%	დიდი პორტფელი 75%-80% ან პატარა პორტფელი 30%-40%
არაადექვატური \4	ნორმატივების გამუდმებული დარღვევები	სტატისტიკური გეში ანალიზი არ ტარდება	25%-50%	დიდი პორტფელი 80%-90% ან პატარა პორტფელი 20%-30%
კრიტიკული \5	ნორმატივები გამუდმებული და განზრახ დარღვევები	ინფორმაციები არა აქვს პრიორიტეტები და ღონისძიებები აქტივებისა და პასივების მართვა და მონიტორინგი არ	<25%	პატარა პორტფელი 90%-20%

VI. მთლიანი კომპოზიტური რეიტინგის განსაზღვრა

როცა დადგინდება თითოეული კომპონენტი, კომპოზიტური რეიტინგის დასადგენად აიღება საშუალო არითმეტიკული. მაგ. 1+2+1+2+1=7-ს გაყოფილი 5-ზე უდრის 1,4-ს და შესაბამისად, რეიტინგი იქნება 1. შემმოწმებელს, რომელიც ადგენს საბოლოო მოხსენებას, შეუძლია არ გამოითვალოს 5 კომპონენტის ზუსტი საშუალო არითმეტიკული, თუ გარემოებები ამის საშუალებას გვაძლევს. ძირითადად, ყველა კომპონენტი ერთნაირად მნიშვნელოვანია, თუმცა შეიძლება რაღაც პუნქტებს ხაზი გაესვას და მეტი ყურადღება მიექცეს, როცა განსაკუთრებულად კრიტიკულ ელემენტებთან გვაქვს საქმე ან იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე კომპონენტი ზღვარს უახლოვდება.

22.1. დანართი

დებულება
კომერციულ ბანკებში მიდაატიგორული საქმიანობისადმი მოთხოვნების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში _ ეროვნული ბანკი), როგორც საქართველოში საბანკო სისტემის მღგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებელი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო, კომერციული ბანკების აღრიცხვა-ანგარიშგების, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის განვითარების მიმართ აწესებს მოთხოვნებს შიდააუდიტორული საქმიანობისადმი.

2. საბანკო სისტემაში შიდააუდიტორული საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით, თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია, ჩამოაყალიბოს შიდააუდიტორული სამსახური (შემდგომში _ სამსახური), უზრუნველყოს და დაიცვას მისი დამოუკიდებელი საქმიანობა.

3. სამსახურის ძირითადი ამოცანა და მიზანია ბანკის საფინანსო, სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობის შეფასება და ობიექტურ ინფორმაციულ ანგარიშებთან მათი შესაბამისობის დადგენა.

4. სამსახურის ფუნქციონირება და მისი საქმიანობა დაფუძნებული უნდა იყოს შემდეგ პრინციპებზე:

ა) დამოუკიდებლობა;

ბ) კომპეტენტურობა;

გ) შიდა აუდიტის პროგრამისა და მასშტაბის ადეკვატურობა;

დ) რესურსებით უზრუნველყოფა.

5. სამსახური მისთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია ბანკის სარევიზიო კომისიის წინაშე.

6. სამსახურის ხელმძღვანელობა დანიშნავს და გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატს ბანკის საქმიანობაში არსებული რისკის დონის დადგენაში, პრობლემებისა და ხარვეზების იდენტიფიცირებასა და ანალიზებაში, საკითხი ვალდებულებების ეფექტიანად განხორციელებაში.

7. ამ დებულებით განსაზღვრული სამსახურის ფუნქციების, პოლიტიკის, სტანდარტებისა და პროცედურების ჩამოყალიბება და შესრულება სავალდებულოა ყველა კომერციული ბანკისათვის.

მუხლი 2. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, სარევიზიო კომისიისა და დირექტორატის პასუხისმგებლობა მიდაატიგორული სამსახურის ფუნქციონირებისა და საქმიანობისათვის

1. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო, სარევიზიო კომისია და დირექტორატი პასუხს აგებენ აქციონერთა საერთო კრების წინაშე; ბანკში სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის.

2. ბანკის სარევიზიო კომისია უფლებამოსილია, სამსახურის მეშვეობით ჩაატარებს ბანკის ანგარიშგებისა და საბუღალტრო ჩანაწერების რევიზია.

3. ბანკის სარევიზიო კომისიამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს სამსახურის დებულება და ორგანიზება გაუწიოს ბანკში სამსახურის ფუნქციონირებას.

4. სამსახურის დებულებაში ჩამოყალიბებული და განსაზღვრული უნდა იყოს:

ა) სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა;

ბ) სამსახურის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები;

გ) სამსახურის საქმიანობის სფერო და მასშტაბები;

დ) სამსახურის ანგარიშვალდებულება ბანკის სარევიზიო კომისიის, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის წინაშე, აგრეთვე ამ უკანასკნელთა ვალდებულებები სამსახურის მიმართ;

ე) სამსახურსა და ბანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ანგარიშვალდებულებრივი ურთიერთობები;

ვ) სამსახურსა და მისი თანამშრომლების უფლება-მოვალეობანი;

ზ) შიდა აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების პროცედურები, აგრეთვე ა ელიტორული შემოწმებების, გამოკვლევების, დასკვნებისა და რეკომენდაციების სარევიზიო კომისიისათვის მოხსენების პროცედურები;

თ) შიდაა უდიტორულ საქმიანობაში შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები.

5. ბანკის სარევიზიო კომისია ვალდებულია:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს სამსახურის ხელმძღვანელი შიდა აუდიტის წლიური სამუშაო პროგრამა კვარტალების მიხედვით;

ბ) კონტროლი გაუწიოს სამსახურის მეშვეობას მისი საქმიანობის კვარტალური და წლიური სამუშაო პროგრამის შესრულებაზე.

გ) უზრუნველყოს სამსახურის ობიექტურობა და მისი დამოუკიდებლობა სამეთვალყურეო საბჭოსა და

დირექტორატისაგან;

დ) განიხილოს სამსახურის კვარგალური მოხსენებები, დაამტკიცოს აუდიტორული გამოკვლევები და რეკომენდაციები, წარუდგინოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს ინფორმაციისათვის ან, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ღონისძიებების გასატარებლად;

ე) შეაფასოს სამსახურისა და მისი უფროსის მიერ გაწეული მუშაობა პროფესიონალიზმისა და საქმისადმი დამოკიდებული მიდგომის გათვალისწინებით და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება;

ვ) შეაფასოს სამსახურის თითოეული თანამშრომლის მიერ გაწეული მუშაობა სამსახურის უფროსის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

ზ) ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატთან ერთად უზრუნველყოს ბანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულების თანამშრომლობა სამსახურთან.

მუხლი 3. შიდააუდიტორული სამსახურის საქმიანობის დამოუკიდებლობა

1. კომერციულ ბანკში შიდააუდიტორული საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რასაც უნდა განაპირობებდეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მხრიდან ჩარეველობა, სტრუქტურული დამოუკიდებლობა, დამოკიდებული საკადრო პოლიტიკა და შრომის ანაზღაურების სისტემა.

2. შიდააუდიტორულ საქმიანობაში სტრუქტურული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით სამსახური ანგარიშვალდებული უნდა იყოს ბანკის სარეიტინგო კომისიის წინაშე.

3. ბანკის შიდააუდიტორულ საქმიანობაში დამოუკიდებელი საკადრო პოლიტიკის წარმართვის მიზნით:

ა) სამსახურის საშტატო ნუსხა უნდა დამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ მხოლოდ სარეიტინგო კომისიის წარდგინებისა და თანხმობის საფუძველზე;

ბ) სამსახურის უფროსისა და მის მოადგილეს ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო მხოლოდ სარეიტინგო კომისიის წარდგინებისა და თანხმობის საფუძველზე;

გ) სამსახურის სხვა თანამშრომლებს ნიშნავს და ათავისუფლებს ბანკის დირექტორატი მხოლოდ სამსახურის უფროსის წარდგინებისა და თანხმობის საფუძველზე, რაც ბანკის შიდა პროცედურების თანახმად შეიძლება საჭიროებდეს სარეიტინგო კომისიასთან შეთანხმებას.

4. სამსახურის უფროსის, მისი მოადგილისა და სხვა თანამშრომლების შრომის ანაზღაურების, მატერიალური წახალისებისა და ამ სამსახურის მუშაობასთან დაკავშირებული სხვა პარამეტრების ოდენობას განსაზღვრავს სარეიტინგო კომისია, რომელსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

5. სამსახურის უფროსის, მისი მოადგილისა და სხვა თანამშრომლების თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებასთან, შრომის ანაზღაურებასა და სამსახურის სხვა პარამეტრებთან დაკავშირებულ საკითხებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი, რიგგარეშე წესით, ამტკიცებენ ცალკეულებისა და შეფერხებების გარეშე.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, ობიექტური მიზეზებისა და გარემოებების არსებობისას, აღნიშნულ საკითხებში ცალკეულებები შეიძლება განსხვავებულად მხოლოდ სარეიტინგო კომისიის თანხმობით.

მუხლი 4. სარეიტინგო კომისიისა და შიდააუდიტორული სამსახურის უფლებები

1. სარეიტინგო კომისიას შიდააუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებით უფლება აქვს:

ა) ჩაიბაროს ანგარიშები და დასკვნები წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს სამსახურის საშტატო ნუსხა;

ბ) განიხილოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს სამსახურის უფროსისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხები;

გ) შეათანხმების მიზნით განიხილოს სამსახურის უფროსის მიერ წარდგენილი სამსახურის სებისმიერი თანამშრომლის დანიშვნის, დაწინაურებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხები;

დ) გასაცნობიერების და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს სამსახურის უფროსის, მისი მოადგილისა და სამსახურის სხვა თანამშრომლების შრომის ანაზღაურების, მატერიალური წახალისებისა და ამ სამსახურის მუშაობასთან დაკავშირებული სხვა პარამეტრების შესახებ საკითხები;

ე) რეგულარულად მოიწვიოს კვარგალური და, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საგანგებო შეხვედრები სამსახურის უფროსისა და სამსახურის სხვა თანამშრომლებთან შიდააუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებული სებისმიერი საკითხის განსახილველად;

ვ) სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად განიხილოს შიდააუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და დირექტორატის მხრიდან სამსახურის რეკომენდაციების უგულებელყოფის ან მაკორექტირებელი ღონისძიებების გაუგარჩევლობის გამო, სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვოს ბანკის პასუხისმგებელი პირის თანამდებობიდან გათავისუფლება.

2. სამსახურს უფლება აქვს:

ა) მოქმედი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების, პროფესიული ეთიკისა და გამოცდილების საფუძველზე სარეიტინგო კომისიასთან შეთანხმებით განსაზღვროს შიდა აუდიტის ჩატარების ფორმები და პერიოდი;

ბ) შიდააუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოითხოვოს და მიიღოს ბანკის ნებისმიერი იურიდიული, ბუღალტრული და სხვა შიდა დოკუმენტები, აგრეთვე აუდიტთან დაკავშირებით ნებისმიერი საჭირო განმარტება ზეპირი თუ წერილობითი ორმით;

გ) სრული მოცულობით შეამოწმოს ბანკის საფინანსო, სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობა, ნებისმიერი პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე შეამოწმოს ბანკის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების პრაქტიკა და პროცედურები, დაადგინოს მათი უტყუარობა, სისრულე და შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და დადგენილ ნორმატივებთან;

დ) საბანკო საქმიანობაში ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით, ზეისწავლოს ბანკის ადმინისტრატორებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს შორის განხორციელებული ყველა ოპერაცია და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მოახსენოს იგი სარევიზიო კომისიას და, შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს;

ე) ერთპიროვნულად ან გარე აუდიტთან ერთად იკონტროლოს ურთიერთობა ეროვნულ ბანკთან, პარტნიორ ბანკებთან, ბანკის კლიენტებსა და სხვა კრედიტორებთან, ასევე შეამოწმოს პირის სხვა მხარეებთან ანგარიშების ნაშთები ან იმ საბანკო ოპერაციების შესწავლისა თუ დადასტურების მიზნით, რომელთა აუდიტორული შემოწმებაც სდება;

ვ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით, პირდაპირი და კონფიდენციალური ურთიერთობა იქონიოს ბანკის სარევიზიო კომისიასთან, სამეთვალყურეო საბჭოსთან, დირექტორატთან, ბანკის სტრუქტურულ ერთეულებთან, აგრეთვე გარე აუდიტორებთან;

ზ) შიდა აუდიტის დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისათვის შეხვედს ბანკის შესაბამისი სამსახურების ნებისმიერ მუშაკს და დირექტორატის წარმომადგენლებს. საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს სარეციზიო კომისიის სხდომის გამართვა მათი მონაწილეობით.

მუხლი 5. შიდააუდიტორული სამსახურის პასუხისმგებლობა

1. სამსახურის ბანკის აქტივების უსაფრთხოების დაცვის მიზნით ეკისრება შემდეგი პასუხისმგებლობა:

ა) შეასრულოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული შიდა აუდიტის სტანდარტები ამ დებულების დანართის თანახმად;

ბ) განახილოს ბანკის შიდა კონტროლის სისტემა, შეაფასოს ამ სისტემის ადეკვატურობა და ეფექტიანობა, ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები ამ სისტემის გასაუმჯობესებლად და გაუწიოს მას მონიტორინგი;

გ) განახორციელოს შეუსაბამება თუ არა ბანკის მმართველობის სისტემა. პოლიტიკა და სტრატეგია მოქმედ ნორმატიულ აქტებსა და ეროვნული ბანკის მოთხოვნებს;

დ) გარკვეული პერიოდულობით შეამოწმოს ბანკის ოპერაციები, პროგრამები და თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობა და განსაზღვროს მათი შესაბამისობა ბანკის ბიზნეს-გეგმებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან;

ე) შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა ბანკის თანამშრომლების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულება ბანკის შიდა ინსტრუქციებს, პოლიტიკასა და პროცედურებს, აგრეთვე მოქმედ კანონმდებლობას და ეროვნული ბანკის მოთხოვნებს;

ვ) შეაფასოს ბანკის მიერ საკუთარი რესურსების განაწილების ეფექტიანობა და შეღებები მოახსენოს სარევიზიო კომისიას;

ზ) შეაფასოს მიწოდებული ფასიანი ელექტრონული ინფორმაციის საიმედოობა. სისწორე და ასეთი ინფორმაციის იდენტიფიცირების, კლასიფიცირებისა და მოხსენების პროცედურის ეფექტიანობა;

თ) კოორდინაცია გაუწიოს ბანკის პროგრამების გარე აუდიტორებთან ერთად, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი შეესაბამება შიდა და გარე აუდიტის მოთხოვნებს;

ი) მომზადოს და სარევიზიო კომისიას განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინოს შიდააუდიტორული საქმიანობის პროგრამა თითოეული ფისკალური წლისათვის ეკარგალების მისულეით;

კ) დაეწყოს თითოეული შიდააუდიტორული შემოწმება და შემოწმების შედეგები მოახსენოს სარევიზიო კომისიას;

ლ) აუდიტის ობიექტურად განხორციელების მიზნით, განსაზღვროს აუდიტის შედეგები და რეკომენდაციები აუდიტის მსჯელობისას ან მასთან დამთავრებისას იმ პირებთან ერთად, რომელთა საქმიანობაც შემოწმდა;

მ) შეამოწმოს ბანკის ღირებულებრივის მიერ შიდა და გარე აუდიტის შედეგებისა და რეკომენდაციების შესაბამისი ღონისძიებების დროულად და ადეკვატურად განხორციელება;

ნ) მომზადოს და სარევიზიო კომისიის წარუდგინოს ეკვარტალური მოხსენება, რომელშიც განხილული იქნება აუდიტორული შემოწმების შედეგად მიღებული ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და რეკომენდაცია, ასევე ყველა მნიშვნელოვანი პაკორექტირებული ღონისძიება, რომლებიც ამ რეკომენდაციების საფუძველზე მხედველობაში მიიღო ბანკის ღირებულებრივმა;

ო) დაეხმაროს ბანკის უსაფრთხოების სამსახურს არასწორი მოქმედებების გამოძიებასა და დადგენაში;

პ) მოიწვიოს მონაწილეობა ბანკის ღირებულებრივის და გარე აუდიტორებთან ერთად იმ აუდიტორული შემოწმების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რომელიც თანხვედრაში ან მსგავს წინადადებებთან (კაპიტალდაბანდებათა

შეძენა და გასხვისება, შეილობილი ორგანიზაციის ყიდვა-გაყიდვა, უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, დაკვირთება, იჯარით გაცემა და სხვა მსგავსი უფლებები) არის დაკავშირებული;

რ) ჩაატაროს საეჭვიანური აუდიტი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის მოთხოვნით, თუ ამის საჭიროება არსებულ ვითარებაში არსებობს.

ს) მოახსენოს სარევიზიო კომისიის სამსახურის საქმიანობისათვის შექმნილი დისკრეციული;

ტ) საიდუმლოდ შეინახოს შიდაუდიტორული საქმიანობის განხორციელების დროს მიღებული ინფორმაცია, არ გაახმაუროს კომერციული საიდუმლოების შემცველი ცნობები, არ გამოიყენოს ისინი თავისი ან მესამე პირის ინტერესებისათვის, განურჩევლად დატოვის ბანკში საიდუმლოება.

მუხლი 6. შიდაუდიტორული სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის კრიტერიუმები

1. სამსახურის შესაბამის თანამდებობებზე მიღება უნდა განხორციელდეს კვალიფიკაციის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

2. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის უნდა ჰქონდეს:

ა) საუნივერსიტეტო განათლება ბუღალტერიაში, ბანკის საქმესა ან ეკონომიკაში;

ბ) ბანკში მუშაობის 5 წლის გამოცდილება, მათ შორის 2 წელი მაღალი რანგის თანამდებობაზე (სტრუქტურული ერთეულის უფროსი ან მოადგილე);

გ) საქმისადმი დამოუკიდებელი მიდგომა;

დ) ბანკის ოპერაციების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის ცოდნა.

3. სამსახურის უფროსის მოადგილეს უნდა ჰქონდეს:

ა) საუნივერსიტეტო განათლება ბუღალტერიაში, ბანკის საქმესა ან ეკონომიკაში;

ბ) ბანკში მუშაობის 3 წლის გამოცდილება, მათ შორის 1 წელი მაღალი რანგის თანამდებობაზე (სტრუქტურული ერთეულის უფროსი ან მოადგილე);

გ) საქმისადმი დამოუკიდებელი მიდგომა;

დ) ბანკის ოპერაციების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის ცოდნა.

4. უფროს შიდა აუდიტორს უნდა ჰქონდეს:

ა) საუნივერსიტეტო განათლება ბუღალტერიაში, ბანკის საქმესა ან ეკონომიკაში;

ბ) ბანკის სხვადასხვა სტრუქტურაში (საინფორმაციო-ეკონომიკური ანალიზისა და დაგეგმვის, საკრედიტო-საინვესტიციო, ფასიანი ქაღალდების, ჩეკების, ბარათებისა და სალარო ოპერაციების, საბუღალტრო და სხვ.) მუშაობის ხუთ წელზე გამოცდილება;

გ) საქმისადმი დამოუკიდებელი მიდგომა;

დ) ბანკის ოპერაციების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის ცოდნა.

მუხლი 7. კომერციული ბანკის დამოკიდებულება შიდა აუდიტის სტანდარტებისადმი

თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია, სასედმიდეგანელოდ მიიღოს ამ დებულების დასართით გათვალისწინებული შიდა აუდიტის სტანდარტები, რათა

ა) სულმოკლეთ ბანკის ყველა რესურსისათვის გამოგები და მისაღები იყოს შიდა აუდიტის როლი და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა;

ბ) შეიქმნას სათანადო ბაზა სარევიზიო კომპანიისათვის, რომელსაც უნდა ჰქონდეთ ანალიზის და შეაფასოს საქმიანობა ეფექტურად.

მუხლი 8. ეროვნული ბანკის უფლებამოსილება კომერციული ბანკების მიერ შიდა აუდიტისადმი დაფიქსირებული მოთხოვნების შეუსრულებლობის დროს.

1. ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების ინსპექტირების შემოწმებისას ამოწმებს:

ა) ჩამოყალიბდა თუ არა ბანკში შიდა აუდიტორული სამსახური, უზრუნველყოფილია თუ არა ეს სამსახური საკმარისი პერსონალითა და სათანადო მასალებით;

ბ) ასრულებს თუ არა ბანკი ამ დებულებითა და მისი დანართით (შიდა აუდიტის სტანდარტები კომერციული ბანკებისათვის) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. იმ ბანკების მიმართ, რომელთა შიდაუდიტორული საქმიანობაც არ შეესაბამება ამ დებულების მოთხოვნებს და რეკომენდებულ შიდა აუდიტის სტანდარტებს, ეროვნული ბანკი გამოიყენებს "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ სანქციის ჯარიმების ჩათვლით.

22.2. *დანართი*
კომერციულ ბანკებში
შიდაუალტორული საქმიანობისადმი
მოთხოვნების შესახებ დებულება

შიდა აუდიტის სტანდარტები კომერციული ბანკებისათვის

მუხლი1. შიდა აუდიტის სტანდარტების მიზანი

1. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკებისათვის შეიმუშავა შიდა აუდიტის სტანდარტები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს მათი შიდააუდიტორული სამსახურების საქმიანობა, რაც მიზნად ისახავს:

ა) ბანკის ადმინისტრაციის ყველა დონის ინფორმირებას შიდააუდიტორული სამსახურის როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ;

ბ) საფუძვლების მომზადებას შიდააუდიტორული სამსახურის მიზნების, საქმიანობის, შიდა აუდიტორების პროფესიული დონის შესაფასებლად და ამასთან დაკავშირებით განსაზღვრული წესების შესაქმნელად.

მუხლი 2. შიდა აუდიტის სტანდარტების განსაზღვრა

შიდა აუდიტის სტანდარტები განსაზღვრავს შიდა აუდიტორების პროფესიული თვისებების, მათი აუდიტორული მუშაობის ხარისხისა და დასახული აუდიტორული მიზნების შეფასების საფუძველებსა და კრიტერიუმებს.

მუხლი 3. შიდა აუდიტის სტანდარტების მასშტაბი

1. შიდა აუდიტის სტანდარტები, რომელსაც მისდევდეთაც უნდა იმუშაოს თითოეულმა კომერციულმა ბანკმა, შემდეგია:

ა) შიდააუდიტორული სამსახურის თანამშრომელთა დამოუკიდებლობა იმ საქმიანობისაგან, რომლის აუდიტსაც იგი ახორციელებს, და მათი ობიექტურობა;

ბ) შიდა აუდიტორების პროფესიული უნარი და მიდგომა საქმისადმი;

გ) შიდააუდიტორული საქმიანობის მასშტაბები;

დ) შიდა აუდიტის ამოცანათა შესრულება;

ე) შიდააუდიტორული სამსახურის მართვა.

მუხლი 4. ზოგადი და კონკრეტული სტანდარტები

1. შიდააუდიტორული საქმიანობის ზოგადი და კონკრეტული სტანდარტები მოიცავს დამოუკიდებლობის, პროფესიული უნარშესაძლებლობის, სამუშაოს მასშტაბის, აუდიტორული საქმეების შესრულებისა და შიდააუდიტორული სამსახურის მართვის საკითხებს.

2. დამოუკიდებლობის მასასიათებელებია:

ა) პროფესიული სტატუსი _ შიდააუდიტორულ სამსახურს შიდააუდიტორული მიზნების მისაღწევად უნდა ქონდეს საკმარისი ორგანიზაციული სტატუსი;

ბ) ობიექტურობა _ შიდა აუდიტორებმა აუდიტის ჩატარებისას ობიექტურობის შესანარჩუნებლად არ უნდა იყვნენ დამოკიდებული იმ საქმიანობაზე, რომლის აუდიტსაც ახორციელებენ.

3. პროფესიული უნარშესაძლებლობის მასასიათებელებია:

ა) სამსახურის კომპეტენტური და საკმარისი რაოდენობის შიდა აუდიტორებით დაკომპლექტება, რომლებსაც ექნებათ სათანადო განათლება და გამოცდილება;

ბ) სამსახურის მუშაკების ცოდნის, უნარისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლება იმ დისციპლინებში, რომლებიც არსებითია და აუცილებელია აუდიტთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად;

გ) შიდა აუდიტის ჩატარების სათანადო კონტროლი;

დ) შიდა აუდიტორების მიერ პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვა;

ე) შიდა აუდიტორების მიერ ტექნიკური კომპეტენციის დონის შენარჩუნება და განმტკიცება მომზადება-გადამზადებისა და შემდგომი განათლების მეშვეობით;

ვ) შიდა აუდიტორების პროფესიული მიდგომა შიდა აუდიტისადმი.

4. სამუშაოს მასშტაბი მოიცავს შიდააუდიტორული სამსახურის მიერ მისთვის მინიჭებული ვალდებულებების შესრულებას ბანკის შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის, აგრეთვე დირექტორატის მუშაობის ხარისხის შეფასებას კერძოდ:

ა) შიდა აუდიტორებმა უნდა შეაფასონ საფინანსო და საოპერაციო ინფორმაციის სანდოობა და სისწორე, აგრეთვე ის პრაქტიკა და პროცედურები, რომლებიც გამოიყენება ასეთი ინფორმაციის გამოთვლების, შეფასებისა და კლასიფიკაციისთვის, რაც მნიშვნელოვანია მოხსენებების მოსამზადებლად;

ბ) შიდა აუდიტორებმა უნდა შეისწავლონ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მიერ ჩამოყალიბებული

ბანკის საშოქმედო სტრატეგიის, პოლიტიკისა და მართვის სისტემის შესაბამისობა მოქმედ ნორმატიულ აქტებსა და ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან და უნდა განსაზღვრონ, იცავს თუ არა ბანკი მათ;

გ) შიდა აუდიტორებმა უნდა შეისწავლონ აქციების დასაცავად გამოყენებული კონტროლი და დაადასტურონ მისი აქციების არსებობა;

დ) შიდა აუდიტორებმა უნდა შეაფასონ რესურსების გამოყენების ეფექტიანობა;

ე) შიდა აუდიტორებმა უნდა შეისწავლონ ბანკის ოპერაციები და პროგრამები, რათა განსაზღვრონ, შეესაბამება თუ არა შედეგები დასახულ მიზნებს, აგრეთვე სრულდება თუ არა ოპერაციები და პროგრამები დაგეგმილის შესაბამისად.

5. აუდიტორული სამუშაო მოიცავს აუდიტის სამუშაოს დაგეგმვას, ინფორმაციის შემოწმების და შეფასების, სამუშაოს დასრულების და შედეგების შეტყობინებას. შესაბამისად, შიდა აუდიტორი:

ა) გეგმავს ყოველ აუდიტს;

ბ) აგროვებს, აანალიზებს, განმარტავს და ლოკუმენტს სახის აღწერენ მოპოვებულ ინფორმაციას აუდიტორული შემოწმების შედეგების დასასაბუთებლად;

გ) აწვდის ინფორმაციის სარეიტინგო კომისიას ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ;

დ) სამ თვეზე დასრულების შემდეგ კონტროლს უწევენ ჩატარებული აუდიტის შედეგებსა და რეკომენდაციების საბუღალტრო შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებების დროულად შესრულების.

6. შიდააუდიტორული სამსახურის ხასიათდება მართვითი სამსახური, უფროსი ეკლესიულია:

ა) ჩამოაყალიბოს სამსახურის მიზანი, უფლებამოსილება და ვალდებულება;

ბ) შეიმუშაოს გეგმები სამსახურის ვალდებულებების შესასრულებლად;

გ) სისაიტის თანამშრომლები უზრუნველყოს წერილობითი პოლიტიკით და პროცედურებით;

დ) დააწესოს პროგრამა კადრების შერჩევისა და განვითარებისათვის;

ე) უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების მუშაობის კოორდინირება;

ვ) შეიქმნას და დაიცვას სამსახურის მიერ ბანკის ოპერაციების მესაკედ და ობიექტურად შეფასების პროგრამა (სახელმძღვანელო).

მოკლე დასკვნები

1. საბანკო საქმიანობა მაღალი დონის შიდა კონტროლის სამსახურს უკავშირდება, რაც განსაზღვრავს ყველა საბანკო ოპერაციის ჩატარებაზე მუდმივი კონტროლის დაწესების აუცილებლობას თვით ბანკის მიერ.

2. შიდასაბანკო კონტროლი იმ ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობაა, რომელსაც ბანკი იყენებს მის მიერ ჩატარებული ოპერაციების კონტროლისთვის.

3. შიდასაბანკო კონტროლის მოქმედი სისტემა მოიცავს ბანკებში მიმდინარე და მომდევნო კონტროლს და შიდა აუდიტის ორგანიზებას.

4. მიმდინარე საბანკო კონტროლი ყოველდღე ხორციელდება საბანკო ოპერაციების ჩატარების პროცესში სააღრიცხვო-საოპერაციო აპარატის მუშაობის ორგანიზაციის ყველა უბანზე.

5. მომდევნო კონტროლის მიზანია სააღრიცხვო-საოპერაციო მუშაობის ყველა მიმართულების სისტემატურად შემოწმება საბანკო ოპერაციების შესრულების შემდგომ პერიოდში.

6. შიდა აუდიტი ბანკის უსაფრთხოების ღონისძიებათა სისტემაა მეანაბრეთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ბანკის საქმიანობის კონკრეტული შედეგების მისაღწევად და შესანარჩუნებლად.

7. გარე აუდიტის ძირითადი მიზანია მესამე მხარის დამოუკიდებელი აზრი, რომელიც ადასტურებს ბანკის ფინანსური მდგომარეობის სიმართლესა და სიზუსტეს. დამოუკიდებელი სააუდიტო სამსახური, აგრეთვე, ამოწმებს ბანკის შიდა კონტროლს, საბუღალტრო პროცედურებსა და პოლიტიკას. ძირითადი მიზნების გარდა, აუდიტორებიან კონტრაქტებს დებენ სხვადასხვა სპეციალიზირებული ამოცანების ან საინფორმაციო სისტემები, პერსონალის მოთხოვნები.

ტერმინებისა და ძირითადი ცნებების განმარტება

ადმინისტრატორი — ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორის (გამგეობის) ან სარევიზიო კომისიის წევრი, აგრეთვე პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან ერთ ან მეტ პირთან ერთად უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები ბანკის სახელით.

აუდიტი — საწარმოების, ორგანიზაციების, ასოციაციების, ფონდების, კავშირების ფინანსური-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური ანალიზი, ბუღალტრული კონტროლი, რევიზია, რომელსაც კვალიფიციური სპეციალისტების (აუდიტორული სამსახურები, აუდიტორები) დამოუკიდებელი სამსახურები ატარებენ. აუდიტის პროცესში ძირითადად ბუღალტრული ანგარიშგება ანალიზდება. აუდიტის მიზანია შესამოწმებელი ობიექტების ფინანსური მდგომარეობის გამოვლენა და მათი გაუმჯობესების მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

აუდიტორები — ნებით აღჭურვილი პირები, რომლებიც ახორციელებენ აუდიტს, ამოწმებენ საწარმოების (ბანკების) ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას.

აქტი — იურიდიული ძალის მქონე ოფიციალური დოკუმენტი, ოქმი, რომელიც ადასტურებს გარკვეულ ფაქტს.

გადახდისუვარიანობა — საბელმწიფოს, იურიდიული ან ფიზიკური პირის უნარი, დროულად და მთლიანად შეასრულოს სავაჭრო, საკრედიტო და ფულადი ხასიათის სხვა ოპერაციებიდან გამომდინარე საგადასახადო ვალდებულებები.

დერივატივი — ფინანსური ოპერაცია (ოფციონი, ფორვარდი, სვოპი), რომლის დროსაც ერთ-ერთ მხარეს აქვს უფლება ან ვალდებულება, განახორციელოს საქონლის, ფასიანი ქაღალდების ან ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები დაფიქსირებულ ფასსა და დადგენილ დროში.

ინსაიდერი — ბანკის ადმინისტრატორი ან აქციონერი, მათთან ახლონათესაური კავშირის მქონე ან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირი.

კონტროლი — კომერციული ბანკის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საქმიანობაზე ან ამ საქმიანობიდან გამომდინარე გადაწყვეტილებაზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უშუალოდ თუ სხვებთან ერთად, სმის უფლების მქონე აქციების (წილის, პაის) გამოყენებით თუ სხვა გზით ზეგავლენის მოხდენა.

კონტროლიორი — პირი, რომელსაც აქვს უფლებამოსილება, გააკონტროლოს, შეამოწმოს ორგანიზაციების, დაწესებულებების, სახელმწიფო ორგანოების, მოქალაქეთა მოქმედებების სისწორე, დაკაბუებულობა, კანონიერება.

კონტროლი დოკუმენტური — კონტროლი, რომელიც დოკუმენტის შესწავლისა და ანალიზია საფუძველზე ტარდება.

კონტროლი პარამეტრული — დადგენილი ნორმებისადმი ობიექტის, პროცესის პარამეტრების შესაბამისობის შემოწმება.

მაკონტროლებელი პირი —კონტროლის განმახორციელებელი პირი.

ნიუ-იორკის საკლირინგო პალატების ასოციაცია — ახორციელებს დოლარული თანხების გადაბარებასა და მიღებას იმ ადგილობრივი და უცხოური ბანკებისათვის, რომელთა ოფისი გაწერილია ნიუ-იორკ სიტიში.

სასინჯი კოდი — გამოიყენება ბანკში ვადარიცხვის დავალების იდენტურობის დასადგენად. იგი არის რიცხვი, რომელიც გამოითვლება კოდების სპეციალურ წიგნში მოყვანილი კოდების საშუალებით. მათი მნიშვნელობა დამოკიდებულია ისეთ ცვლადებზე, როგორიცაა თარიღი, დრო, მიმღები ბანკის კოდი, ანგარიშის ნომერი და გადასარიცხი თანხის მოცულობა. ეს რიცხვები შეჰყავთ სპეციალურ ფორმულაში და მისი მიხედვით გამოითვლიან სასინჯ კოდს. კლიენტი, ბანკი ან კორპორაცია აწვდის გადამრიცხავ ბანკს დავალებას, რომელსაც დართული აქვს სასინჯი კოდი. ბანკში ახდენენ აგრეთვე ამ კოდის გამოანგარიშებას და უდარებენ ერთმანეთს ორ ციფრს, თუ ორივე რიცხვი ემთხვევა ერთმანეთს, დავალებები მიიჩნევა იდენტურად და სრულდება. სასინჯი კოდების წიგნი უნდა ინახებოდეს სათანადო პირობებში, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი არაკეთილსინდისიერი გამოყენების შესაძლებლობა. ბოლო დროს შემცირდა ასეთი სისტემის გამოყენება, რადგანაც ბანკებში დაიწყეს პერსონალურ კომპიუტერებზე დაფუძნებული სისტემების გამოყენება.

სვიფტი — ბანკთაშორისი ფინანსური კომუნიკაციების მსოფლიო საზოგადოება. — წარმოადგენს წევრი ბანკების ასოციაციას, რომლის მიზანი არაა მოგების მიღება. ასოციაციის

მთავარი ოფისი განლაგებულია ქ.ბრიუსელში. ის წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს სისტემას, რომელიც გამოიყენება ბანკების მიერ მსოფლიო მასშტაბით ადგილობრივი და საერთაშორისო საგადასახადო დავალებების გადაგზავნისათვის.

ტელექსი – რამდენიმე ტელეკომუნიკაციური კომპანია სთავაზობს მსოფლიო ან შიდა მომსახურებას, რომელიც მოიცავს ყოველი გაგზავნილი შეტყობინებისათვის დაბეჭდილი ჩანაწერების წარმოებას. იმ ბანკებისათვის, რომლებიც არ არიან ჩართულნი სვიფტის სისტემაში, ტელექსი წარმოადგენს შეტყობინების გაგზავნის უმთავრეს საშუალებას. ტელექსის სისტემაში შეღწევა სდება ნომრის აკრეფის ან სპეციალურად გამოყოფილი ზაზების საშუალებით. სისტემაში გამოიყენება სხვადასხვა კომპანიების მიერ წარმოებული ტელეპრინტერები. ასეთი სახის მომსახურების უდიდესი ნაწილი წარმოებს Western Union-is, rca Globe-ისა და ITT World Communications-ის მიერ. ამასთან, ტელექსის სისტემაში არ შედის კომუნიკაციების უსაფრთხოების სისტემა, რის შედეგადაც გამოიყენება გაგზავნილი ინფორმაციის კოდირება. შეტყობინების გამგზავნი ბანკი ვალდებულია, საგადასახადო დავალების შესრულების დაუყოვნებლივ დაურთოს საკონტროლო შეტყობინება. მიმღები ბანკი ვალდებულია, სეიფში შეინახოს ყოველი გამგზავნის საკონტროლო შეტყობინების კოდის გასაღები (Test Key) და მოახდინოს ყოველი გამოგზავნილი საკონტროლო შეტყობინების გაშიფვრა. ამასთან, გაშიფრა გამიჯნული უნდა იყოს ტელექსის მომსახურებისა და თანხების გადასდისაგან და უნდა წარმოებდეს ცალკე ადგილას.

ფედვაიერი – შეერთებული შტატების ფედერალური რეზერვების სისტემა უზრუნველყოფს ანგარიშსწორების სისტემის ფუნქციონირებას, ფედვაირს და გეფლისნგა როგორც საკლირინგო ცენტრი ამ სისტემის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციებისათვის. ფედვაირი უზრუნველყოფს დაუყოვნებლივი და გამოუთბოყარი ანგარიშსწორების მონაწილე ბანკებს შორის ელექტრონულ გადარიცხვებს და ასრულებს საანგარიშსწორებო და საკლირინგო საშუალების ფუნქციას. გადარიცხვების საშუალო დღიური მოცულობა აღემატება 1 ტრილიონ დოლარს.

ჩიპსი – საკლირინგო პალატების ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემა, წარმოადგენს სახსრების გადარიცხვის ქსელს, რომელსაც ფლობს და მართავს ნიუ-იორკის საკლირინგო პალატების ასოციაცია. ქსელი შედგება მცირე რაოდენობის წევრებისაგან (აშშ-ს დიდი ბანკები, რომლებიც ერთმანეთთან ანგარიშსწორებას ახდენენ დღის ბოლოსათვის არსებული ნაშთების მიხედვით) და დიდი რაოდენობის არაანგარიშსწორების წევრებისაგან; მათ გაჩნიათ ანგარიშები იმ ანგარიშსწორებ ბანკებში, რომლებიც ახდენენ თანხების გადარიცხვას მათი სახელით. თუმცა ჩიპსის სისტემის საშუალებით შესრულებული გადარიცხვების უმრავლესობა განკუთვნილია უცხოეთთან დადებულ კონტრაქტებზე დოლარული ანგარიშსწორებისა და ევროდოლარული ინვესტიციებისათვის. არსებობს აგრეთვე დიდი რაოდენობის გადარიცხვები, დაკავშირებული ადგილობრივი ბიზნესის წარმოებასთან. ფედვაიერისაგან განსხვავებით, ჩიპსი არ წარმოადგენს გამოუთბოყარი ანგარიშსწორების სისტემას და გადარიცხული თანხა შეიძლება გამოთხოვილი იყოს იმავე საოპერაციო დღის განმავლობაში.

კითხვები და დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. რა არის შიდასაბანკო კონტროლი და რაში მდგომარეობს მისი დანიშნულება
2. რას მოიცავს შიდა კონტროლის სისტემა?
3. ვინ და როდის ახორციელებენ მიმდინარე კონტროლს?
4. რა არის ორმაგი მიმდინარე კონტროლი და რა სახის ოპერაციებზე ხორციელდება იგი?
5. ვინ არის პასუხისმგებელი მიმდინარე კონტროლის სწორ ორგანიზაციაზე?
6. ჩამოაყალიბეთ მომდევნო კონტროლის ძირითადი ამოცანები.
7. რა არის ბანკის შიდა აუდიტის ძირითადი მიზანი?

8. ჩამოთვალეთ შიდა აუდიტის ძირითადი ამოცანები ბანკში.

9. დაასახელეთ შიდა აუდიტის სამსახურის უფლებამოსილებანი და ვალდებულებები.

10. რა საკითხებს მოიცავს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩასატარებელი შემოწმებების პროგრამა?

11. ჩამოაყალიბეთ გარე აუდიტის ძირითადი მიზნები ბანკში

12. რა არის CAMEL-ის სისტემა და როდიდან იყენებს მას აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემა?

13. რომელი წლიდან დაინერგა CAMEL-ის ბანკების ზედამხედველობის ინსპექტირების მეთოდოლოგია საქართველოში და რას ეფუძნება იგი?

14. ჩამოთვალეთ CAMEL-ის შედგენილი რეიტინგები და მოკლედ დაახასიათეთ იგი.

15. რა ძირითადი კრიტერიუმები უდევს საფუძვლად შიდააუდიტორული სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციას?

16. ჩამოაყალიბეთ შიდა აუდიტის სტანდარტების მიზანი კომერციული ბანკებისათვის.

17. რა არის ზოგადი და კონკრეტული სტანდარტები? ჩამოთვალეთ.

18. რა იწვევს ბანკებში შიდა კონტროლის ჩატარების აუცილებლობას?

19. რა არის მისი ორგანიზების ამოცანები?

20. შიდა კონტროლის რომელი სახეები არსებობს?

21. დაახასიათეთ მიმდინარე კონტროლის ჩატარების თავისებურებები.

22. რა არის მოშდევნო კონტროლი?

23. ვის ეკისრება ბანკში პასუხისმგებლობა მომდევნო კონტროლის ორგანიზებაზე?

24. რას წარმოადგენს შიდა აუდიტი?

25. დააბაიათეთ შიდა აუდიტის ჩატარების მიზნები, ამოცანები და ძირითადი მიმართულებები.

რეკომენდებული ლიტერატურა

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

კომერციული ბანკის საქმიანობის ზედამხედველობა რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 1999.

საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში. 2001

საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში 2001.

საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2002.

დებულება კომერციულ ბანკებში შიდააუდიტორული საქმიანობისადმი მოთხოვნების შესახებ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2001 წ. 28 დეკემბრის № 318 ბრძანება. თბ., 2001.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

Банковское дело: управление и технологии. Под ред. **А.М. Тавасиева.** М.: ЮНИТИ-ДАНА. 2001.

Белоглазова Г.Н., Кроливецкая Л.П. Аудит банков. М.: ФиС, 2002.

Власова М.И. Внутренный контроль в банке: система или служба? Бизнес и

банки, 1998, №8. сс.16-24.

Гвелесиани Т.В. Бухгалтерский учет в кредитных организациях. М.: Экзамен. 2004.

Глушко И.Е., Киселева Т.В. Бухгалтерский, налоговый, финансовый и управленческий учет на современном предприятий и управленческий учет на современном предприятий. М.: КноРУС, 2004.

Грязнова А.Г., Баршгольц С.Б. Банковский аудит и его роль в снижении Банковских рисков. // Деньги и кредит, 1997. №9, сс. 10-16.

Клочков И.А., Терехов А. Г. и др. Управленческий учет в коммерческом банке. Практическое пособие. М.: ФБК-ПРЕСС, 2002

Кролливецкая Л.П., Смирнова Л.Р. Бухгалтерский учет в коммерческих банках. М.: ФиС, 2003.

Макарова Л.Г., Широкова Л.П. и др. Аудит операций с денежними средствами на счетах в банках. М.: ЮНИТИ-ДАНА, 2003.

Методические рекомендации по внешнему и внутреннему банковскому аудиту. Под. общей ред. **Е.В. Емельянова.** М.: Легат, 1997.

Московин В.А. Внутренный контроль в банках: анализ вводимой системы // денги и кредит, 1997, №10, сс. 30-35.

Московин В.А. Принципы организации системы внутренного контроля в коммерческом банке // Банковское дело, 1998, №12, сс.24-29.

Перрье Д. Внутренный контроль во Французских банках // бизнес и банки, 1998, №37, сс.3-10.

Сидельникова Л.Б. Аудит коммерческого банка. М.: БУКВИЦА.1996.

Смирнова Л. Р. Банковский аудит. Под ред. Бакакова Л.И. М.:. 2001

Уткин Э.А., Суханов М.С. Аудит банковской деятельности. М.: ТЕИС. 2003.

Шидловская М.С. Банковский надзор и аудит. Практикум. Беларус. 2003.

Хан Д. Планирование и контроль: концепция контроллинга. М.: Финансы и статистика, 1997.

Экономический анализ деятельности деятельности банка. Под. ред. **И.Д. Мамонова.** М.: Инфра-М, 1996.

Palfreman David., Ford Philip. Elements of Banking. Pritman Publishing. London. 1996.

Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling Financial Services. Second Edition. IRWIN. Honewood. Boston. 1993.

Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

ლამარა ქოქიაური

საბანკო საქმე

(ეკონომიკის პროფილის სტუდენტებისათვის)

სსიპ ბათუმის ბაკალავრიატი

შემდგენელი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს ეკონომიკისა და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი

ლამარა ქრქიაური

სილაბუსი შედგენილია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწოდებული ფორმატის შესაბამისად და გამოყენებულია სილაბუსის სტანდარტული ფორმა:
hup:/www.tsu.ge/geo/inst/silabusis/20forma.htm

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2012

რედაქტორი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
გიორგი ცაავა

რეცენზენტი: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული სტატისტიკისა და ინფორმაციის განყოფილების უფროსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
ნანა ასლამაზიშვილი

© საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2012

საბანკო საქმე

• სასწავლო კურსის სტატუსი: საგანი სავალდებულოა ეკონომიკის ფაკულტეტების ყველა სპეციალობის სტუდენტე-ბისათვის: ეკონომიკის თეორიის; ფინანსები, საბანკო და სადაზღვეო საქმის; საგადასახადო და დაბაჟო საქმის; საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის; ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის; მენეჯმენტის და ადმინისტრირების; მარკეტინგის; ტურიზმის; ეკონომიკური სტატისტიკის მიმართულებებით და ა.შ.

დისციპლინა გათვალისწინებულია ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისათვის. საგანი სავალდებულოდ მიგვაჩნია სწავლების ორივე საფეხურზე. მაგრამ სწავლების თითოეული საფეხურის მიმართულებისათვის გათვალისწინებულია მათთვის დამახასიათებელი თავისებურებები და სპეციფიკა.

• სასწავლო კურსის ხანგრძლივობა: ჩვენი მოსაზრებით კურსი ხუთსემესტრიანია. მისი სწავლება სასურველია ბაკალავრიატის მეორე და მესამე კურსების სამ სემესტრსა და მაგისტრატურის პირველი კურსის ორივე სემესტრში.

ECTS - სასწავლო კურსის კრედიტები: სასწავლო კურსის კრედიტების რაოდებობა ამჟამად შეადგენს 2-ს. აქედან, მთლიანად ორივე კრედიტი დათმობილია საკონტაქტო (ლექცია და სემინარი) საათებზე. დამოუკიდებელი ნაშრომის საათები პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვაში არ იყო გათვალისწინებული. საჭიროდ მიგვაჩნია კრედიტების რაოდენობა ბაკალავრიატში შეადგენდეს 5 კრედიტს, ხოლო მაგისტრატურაში – 4 აქედან ბაკალავრიატში სააუდიტორო დატვირთვას დაეთმობა 75 საათი, დანარჩენი დამოუკიდებელ მუშაობას.

ლექტორი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს ეკონომიკისა და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი ლამარა ქოქიაური.

საკონტაქტო ინფორმაცია: 79–07-10; 76-05-95; (899) 90-60-11.

გარდა ლექცია-სემინარებისა, სტუდენტებთან საკონტაქტო დღეები: სამშაბათი და ხუთშაბათი, დილის 12 სთ-დან 17 სთ-მდე; ამასთან ერთად, სასწავლო კურსთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით შეუძლიათ ტელეფონით დამიკავშირდნენ ყოველდღე 8 სთ-დან 18 სთ-მდე, ან მიიღონ კონსულტაცია მათთვის სასურველ საკითხებზე ელექტრო ფოსტით: E-mail:qoqiauri @ Caucasus Net.

2. სასწავლო კურსის მიზანი და ამოცანები: კურსის ამოცანაა მისცეს სტუდენტებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკების წარმოქმნის, ფუნქციონირების, ძირითადი ოპერაციების ჩატარების უნარ-ჩვევები; ბანკების მენეჯმენტის და მისი ეკონომიკური ანალიზის თანამედროვე მეთოდების შესწავლის საშუალება; გააცნოს სტუდენტებს საბანკო ბაზარი და კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობა. აღჭურვოს ისინი საბანკო ინოვაციური საქმიანობის ასლესული მუშაობის კულტურით; გააცნოს სტუდენტებს სამამულო და განსაკუთრებით უცხოეთის პრაქტიკაში ბანკების საქმიანობის ორგანიზაციის, მართვის, ანალიზის თანამედროვე ტექნოლოგიები და ინსტრუმენტარიუმი.

• სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები:

დისციპლინა მოიცავს საბანკო საქმიანობის ძირითად საკითხებს ბაზრის პირობებში; მასში გადმოცემულია ბანკების წარმოშობისა და საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები; პირველადაა კომპლექსურად შესწავლილი კომერციული ბანკების შექმნის, ლიცენზირების, რეორგანიზაციის, სანაციის და ლიკვიდაციის პრობლემატური საკითხები საქართველოში; აგრეთვე საბანკო ბაზრის განვითარების კანონზომიერებები; ცენტრალური და კომერციული ბანკების ფუნქციონირების, მათი საქმიანობის სამართლებრივი ბაზის განვითარების საკითხები; შესწავლილია კომერციული ბანკის რესურსები და მათი კაპიტალური ბაზა, ოპერაციები (გარიგებები) და საიმედოობა; გაანალიზებულია შემოსაველები, ხარჯები და მოგება; განსაზღვრულია ბანკების ლიკვიდობა და გადახდისუნარია-

ნობა; განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საბანკო მენეჯმენტს, მის შეფასებასა და სარისკს; საბანკო მარკეტინგის არსსა და ტექნოლოგიას; საბანკო საქმიანობის რეგულირებას, ასევე განსილული საუღალტრო სამსახურის მუშაობის ორგანიზაცია, კონტროლი და აუდიტი ბანკებში.

კურსის შესწავლისათვის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს გავლილი უნდა ჰქონდეთ ან პარალელურად სწავლობდნენ უმაღლესი მათემატიკის, ფინანსური მათემატიკის, ალბათობის თეორიის, სტატისტიკის ზოგადი თეორიის, ფინანსების, ფინანსური მენეჯმენტის, ფულადი ნაკადების ანალიზის და ა.შ. კურსები.

• **სასწავლო კურსის ფორმატი:** კურსი შეისწავლება სტანდარტული: სალექციო, სემინარული, პრაქტიკული მეცადინეობების ფორმატით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწავლების ახალ მეთოდებს – თანამედროვე აუდიო და ვიდეო მასალების, თვალსაჩინოებების, წინასწარ ამ მიზნით ლექტორის მიერ შემუშავებული დიაგრამების, სქემების გამოყენებას; ჩაიწერება სალექციო კურსის ელექტროვერსიები, რომელიც განთავსდება ლექტორის ვებ-გვერდზე, ინტერნეტში. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება მოლიანად ჩვენი სასელმძღვანელოს „საბანკო საქმიანობის საფუძვლების“ (საბანკო საქმე) ინტერნეტში განთავსება, რათა იგი ხელმისაწვდომი იყოს ყველა ბაკალავრისა და მაგისტრანტისათვის.

კურსის შესწავლაში ყველაზე მეტი შედეგი აქვს დებატებს. ყოველი შესწავლილი თემის შემდეგ დაისმება პრობლემა. ლექტორიც და სტუდენტებიც წინასწარ ვეშზადებით დასახე-ლებული თემისათვის. წინასწარ მიეცემა მათ სარეკომენდაციო ლიტერატურა.

სემესტრია განმავლობაში ეძლევათ პრეზენტაცია მათ შორის შერჩეულ აქტუალურ თემაზე. ორჯერ მაინც ჩატარდება შუალედური ტესტირება პრაქტიკულ უნარჩვევებში და წერითი სამუშაო-კოლოქვიუმი ძირითადი თემების მიხედვით.

გარდა ამისა, სემესტრების განმავლობაში პრობლემურ საკითხებზე მოამზადებენ პროექტებს, რეფერატებს.

მაგისტრანტები, გარდა ამისა, შეასრულებენ საკურსო შრომას და ნარკვევს წინასწარ შერჩეულ თემაზე.

სტუდენტებმა მოეთხოვებათ სწავლის განმავლობაში წერითი დავალებების შესრულება, ამოცანებისა, სავარჯიშოების ამოხსნა, სიტუაციების შეფასება და კვლევების ჩატარება. მათ საშუალება ეძლევათ, აგრეთვე, მოამზადონ პრეზენტაციები, მოიწვიონ საბანკო სფეროში აღიარებული სპეციალისტები და მიიღონ მონაწილეობა დებატებში.

სავნის დაუფლების პროცესში ლექტორი დაეხმარება სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ საბანკო სფეროს სამართლებრივი ნორმატიული კანონმდებლობის შემუშავებაში; ხელმძღვანელობას გაუწევს წარჩინებულ სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში და აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით გამოაქვეყნონ მეცნიერული პუბლიკაციები; უნარიან, ნიჭიერ და შრომისმოყვარე სტუდენტებს ჩაებმის სახელმძღვანელოების და მონოგრაფიების მომზადებასა და გამოცემაში.

შეშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით, კურსის რამოდენიმე თემის გავლის შემდეგ შევარჩევთ განსაკუთრებული სამეცნიერო უნარის მქონე მაგისტრანტებს, რომელთაც სისტემატურ მეთვალყურეობას გავუწევთ და შემდგომში რეკომენდაციას გავუწევთ დოქტორანტურაში სამუშაოდ.

გარდა ამისა, შეძლებლისდაგვარად მოვიძიებთ და რეკომენდაციას გავუწევთ მოწინავე სტუდენტებს ჩვენს მიერ შემუშავებულ პროექტებში მონაწილეობის მისაღებად.

3. კურსის შინაარსი და სტრუქტურა (სასწავლო თემატიკა)

№	თემის დასახელება	საათი	ლექცია	პრაქტიკული მეცადინეობა	საშინაო დავალება
1	ბანკების წარმოშობისა და საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები	2	1		ბიბლიოგრაფიული ძებნა
2	საერთაშორისო სისტემა საბანკო ეკონომიკის პირობებში	2	1		საერთაშორისო სისტემა – რეფერატის მომზადება
3	საბანკო ბაზარი	4	1	დებატების ჩატარება	
4	ცენტრალური ბანკები	2	1	პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება ერთერთ ბანკში	
5	კომერციული ბანკები	2	1	თბილისის რომელიმე კომერციული ბანკის გაცნობა-დათვალიერება	
6	საბანკო საქმის სამართლებრივი საფუძვლები	2	1		საბანკო კანონმდებლობის მოძიება და გაცნობა
7	კომერციული ბანკების შექმნა, რეორგანიზაცია, ხანაკია. ლიკვიდაცია	2	1	ბანკის გახსნისათვის დოკუმენტების პაკეტის პროექტის მომზადება	საქართველოში არსებულ ბანკების შექმნა-დასურების მიმდინარეობის ანალიტიკური მასალის მომზადება
8	კომერციული ბანკების რესურსები და მისი კაპიტალური ბაზა	2	1	ჩემინარული მეცადინეობა	
9	კომერციული ბანკებისოპერაციები (ტრანზაქციები) და მათი ფასწარმოქმნა	2	1	დებატების ჩატარება	

10	კომერციული ბანკების შეთხოვები, სესხე ბი და მათება	2	1			ცოდნის ბანკის ორგანიზაციული ფუნქციები
11	ბანკის საქმიანობა ბაზარი		1	ფულების ბაზარი		ფულებების ბაზრის მოსაზრება ტენდენციის ანალიზები.
12	კომერციული ბანკების საფულე ოპერაციები	2	1	ბანკთაშორისი ბანკის მეშვეობის ფულები		
13	კომერციული ბანკები საერთაშორისო ანგარიშები, საკორესპონდენტო ანგარიშები	2	1			
14	ბანკის საქმიანობის რეგულირება	2	1	ხელშანი		
15	კომერციული ბანკების კლიენტები და ურთიერთობა	2	1			
16	ბანკი რისკის ნაირი	2	1	ხელშანი		ცოდნის ბანკის ლიცენზიები და ნებართვა
17	ბანკის ფულები	2	2	ხელშანი		
18	ბანკის ანგარიში	2	1			
19	ბანკის ოპერაციები	2	1	ბანკის ოპერაციების შესწავლის ობიექტი ანალიზის ფინანსური პროცესი		ცოდნის ბანკის პროცედურების ანალიზი
20	კომერციული ბანკები და მისი ანგარიშების სისტემა	2	2	ცნობა საინვესტიციო ობიექტის ბანკის ანალიზზე ცოდნა		ცოდნის ბანკის მეშვეობა
21	ბანკთაშორისი სისტემის შეშაობის ორგანიზება ბანკში	4	1	ელექტრონი სისტემა ცოდნის ბანკში		
22	კორესპონდენტი ბანკები	2	1	ბანკის პრინციპის დასაწყისი ცოდნა		ცოდნის ბანკის საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზი
		სულ	48	24		

4. დისციპლინაში განსახილველი თემების შინაარსი

I თავი. ბანკების წარმოშობისა და საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები
ბანკების არსი – მოკლე ისტორიული ექსკურსი
დისკუსია ბანკის არსის შესახებ
ბანკის არსის ანალიზისათვის
საბანკო მონოპოლია
ბანკების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში
ბანკი როგორც საბანკო სისტემის შემადგენელი ელემენტი

რეკომენდებული ლიტერატურა პირველი თავის შესასწავლად: საუალდებულო ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. თელია ა. ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე. თბ., 1989. გვ. 8-271.
3. ქოიავა ნ. კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი. ტ.1. თბ., 1956. გვ. 5-26.
4. ქოქიური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 01-39.
5. ცააცა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005. გვ. 26-49.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დაეხმარე მასალა

1. გამსახურდია გ. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ. „მერანი", 1995.
2. გუგუშვილი პ. ფულის ნიშნები და ფულის მიმოქცევა. საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფიები. ტ.II. 1956, ტ.V. 1962.
3. ვახტანგ VI. სამართლის წიგნი, თბ.. 1955.
4. კაპანაძე დ. ქართული ნუმიზმატიკა, 1950.
5. კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2001.
6. ქისტაური შ. ილია ჭავჭავაძე – დიდი ქართველი ბანკირი-ფინანსისტი. თბ., 1998.
7. ჩანტლაძე ვ. ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია. I და II ნაკვეთი. თბ., 1986.
8. ჩანტლაძე ვ. ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია. ფული, კრედიტი და ფინანსები საქართველოში. ნაწილი I და II. თბ., 1987.
9. ბელაია გ. ფული, ბანკები და ბირჟები. თბ., 1996.
10. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. ტ.I. თბ., 1930.
11. ჯავახიშვილი ივ. ქართული ერის ისტორია, თბ., 1941.
12. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2003.
13. Долан Э. Дж., Кемпбелл К.Д., Кемпбелл Р. Дж. Деньги, банковское дело и денежно-кредитная политика. М. - Л., 1991.
14. Жарковская Е.П. Аренде И.О. Банковское дело. Курс лекций М.: Омега - Л, 2003.
15. *Goodhart C.* and *Huang H.* A Simple Model of International Lender of Last Resort. – IMF, 2000. Working Paper. № 75.
16. *Markowitz H. M.* Portfolio selection. Efficient Diversification of Investments. – Oxford, N. Y., Blackwell, 1991

II თავი. საკრედიტო სისტემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში.
საკრედიტო სისტემა და მისი განვითარება ბაზარზე გადასვლის პერიოდში
საბანკო სისტემის ცნება
საბანკო სისტემის ორგანიზაციული სქემა
საბანკო სისტემის ინსტიტუციური სქემა
კომერციული ბანკების ასოციაცია
საქართველოს საბანკო სისტემის მდგომარეობა
საბანკო სისტემის განვითარება

რეკომენდებული ლიტერატურა მეორე თავის შესასწავლად:
საჯალდებულო ლიტერატურა

1. გოგობია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 40-71.
3. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005. გვ. 62-107.

დამატებითი ლიტერატურა და ახალი დამხმარე მასალა

1. ეკონომიკური ლექსიკონი. ავტორთა კოლექტივი პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით. თბ., 2001.
2. კოკუზაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2001.
3. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ". საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. თბ., 2002.
4. ლუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
5. ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საფინანსო ინჟინერია, კრედიტი. თბ., 1999.
6. ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. თბ., 1993.
7. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004.
8. Банковское дело. Под ред. О.И. Лаврушина. - М.: Ф и С, 2005.
9. Банковское дело: управление и технологии. Под ред. А.М. Тавасиева. М.: ЮНИТИ-ДАНА, 2001.
10. Бульфел Чарлз Дж. Энциклопедия банковского дела и финансов. М. 2000.
11. Мод Д., Молинё Ф. Private Banking: элитное обслуживание частного капитала. М.: Альпина Паблишер, 2003.
12. *Baltensperger E.* Central bank policy and lending of last resort // Prudential regulation, supervision and monetary policy. – Bruni F. ed., 1992.
13. *Greenawalt M., Sinkey J.* Bank Loan-Loss Provisions and the Income-Smoothing Hypothesis: An Empirical Analysis // Journal of Financial Services Research. – 1988. December

მესამე თავი. საბანკო ბაზარი
ფინანსური ბაზარი. არსი. სტრუქტურა. დახასიათება
საბანკო ბაზრის ცნება
საბანკო ბაზარი, როგორც საბანკო მომსახურების გასაღების ბაზარი
საბანკო, ფინანსური და ფულის ბაზრების თანაფარდობა
საბანკო ბაზრის მონაწილეები
კომერციული ბანკები: უნივერსალური და სპეციალიზებული
არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები
საბანკო ბაზრის არასაფინანსო მონაწილეები
საბანკო ბაზრის სტრუქტურა
დარგობრივი მიდგომა საბანკო ბაზრისადმი
საბანკო ბაზრის სტრუქტურა კლიენტთა ჯგუფების მიხედვით
საბანკო ბაზრის სივრცობრივი სტრუქტურა
კონკურენცია საბანკო ბაზარზე
საბანკო კონკურენციის არსი
საბანკო კონკურენციის ფორმები
საბანკო კონკურენციის თავისებურებები

რეკომენდებული ლიტერატურა მესამე თავის შესასწავლად:
საჯალდებულო ლიტერატურა

1. გოგობია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.
ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 72-120.

3. პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკის გაჯანსაღებისა და ნორმალიზაციისათვის საქართველოში. თბ., „ფინანსები", 2000. გვ. 3-82.

4.ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები. თბ, 1993. გვ. 21-55.

5. Самойлов Г.О. Банковская конкуренция. М.: Экзамен, 2002. გვ. 44-71.

6. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004. გვ. 52-102.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. ასათიანი რ. ეკონომიკა. განმარტებითი ლექსიკონი, თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2003.

2. ეკონომიკური ლექსიკონი. აეტ. კოლექტიე პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით. თბ., თსუ გამომცემლობა, 2001.

3. კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., თსუ გამომცემლობა, 2001.

4. მესხია ი. ფინანსური სტაბილიზაციის საგარეო და საშინაო ფაქტორები საქართველოში. „შრომები", საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2000.

5. პაპავა ვლ. საბაზრო თანასწორობის დოქტრინა, თბ., 1999.

6. ჭოქიაური ლ. ინვესტიციის ბაზარი: თეორია, პოლიტიკა, პრაქტიკა. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2002.

7. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.

8. ხელაია გ. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები, თბ., 1994.

9. Банковское дело: управление и технологии. Под ред. А.М. Тавасиева. М.: ЮНИТИ-ДАНА, 2001.

10. Основы банковской деятельности (Банковское дело). Учебное пособие. Под.ред. проф. Тагирбекова К.Р. М., Издательский дом "ИНФРА-М", 2001.

11. Международный банковский бизнес. Под. ред. Макогон Ю. В., Булатова Е.В. М.: Атика, 2003.

12. Максюкова А. А. Основы банковского дела. М.: Бератор-Пресс, 2003.

13.*Timoty W. Koch.* Bank Management. – The Driden Press. Harcourt Brace College Publishers, 1995.

14. *Beaver W. Y. and G. Parker*, eds. Risk Management: Problems and Solutions. Stanford University Press, McCraw Hill, _ 1995.

მეოთხე თავი. ცენტრალური ბანკები

ცენტრალური ბანკის წარმოშობა
ცენტრალური ბანკის დამოუკიდებელი სტატუსის შესახებ
ცენტრალური ბანკის ადგილი ეკონომიკაში
საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა
ეროვნული ბანკის მმართველობა
ცენტრალური ბანკის ფუნქციები და ამოცანები
ცენტრალური ბანკების ფულადი და საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები
საემისიო საქმიანობის რეგულირება
ფულის მასა და მისი შეფასების მეთოდები
საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა
ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნები და ძირითადი შედეგები
ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები

რეკომენდებული ლიტერატურა მეოთხე თავის შესასწავლად:
საუალდებულო ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

2. კაკულია რ., ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2000 წ.

3. სალია რ. ფულის აგრეგატები და ფართო ფული. ჟურნ. ბანკი №5, 2002, გვ. 59-62.

4. ჭოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე). თბ., 2010. გვ. 121-161.

5. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005. გვ. 112-158.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. ასათიანი რ. ეკონომიკის. განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 2003.
2. ასათიანი რ. ფული და ფულადი სისტემები. თბ., 1996.
3. ეკონომიკური ლექსიკონი. ავტ. კოლ. ა. ხილაგაძის ხელმძღვანელობით. თბ., 2001.
4. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. თბ., 2002.
5. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
6. ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. თბ., 1993.
7. ხელაია გ. ფული, ბანკები და ბირჟები. თბ., 1996.
8.Банки и банковское дело. Авт. колл. под. ред. И.Т. Балабанова. М.: ФинС, 1998.
9. Львов Ю.И. Банки и финансовый рынок. СПБ. Санкт-Петербург, 1995.
10. Миллер Р.Л., Ван Хуз Д.Д. Современные деньги и банковское дело. М.,2000.
11. Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика, 2004.

მეხუთე თავი. კომერციული ბანკები

კომერციული ბანკის ცნება
კომერციული ბანკის საქმიანობის პრინციპები
საბანკო ოპერაციები და მომსახურება
კომერციული ბანკების ფუნქციები
ტიპიური კომერციული ბანკების ორგანიზაციულ-ფუნქციური აგებულება
კომერციული ბანკების ხელმძღვანელი ორგანოები

რეკომენდებული ლიტერატურა მეხუთე თავის შესასწავლად:
საკვლევლად

1. გოგორაძე მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 162-189.
3. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005. გვ. 162-221..
4. Банковское дело. Учебник. Под ред. О.И. Лаврушина. М.: Ф и С, 2005.
5. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004. გვ. 103-129.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. კაკულია რ., ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2002.
2. კოჭლამაზაშვილი ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2001.
3. კოშტოვნი ერიკ ნ. კომერციული საბანკო სისტემის ახალი ჰორიზონტები. თარგმნ. ინგლისურიდან. თბ., 1993.
4. მანაგაძე ი. საქართველოს საბანკო სისტემა XXI საუკუნის მიჯნაზე. „ბანკი". თბ., 2000, №1 გვ. 3-8.
5. საქარაველოს ეროვნული ბანკი. 1996, 1997, 1998, 1999, 2000. 2001, 2002. 2003 წლების წლიური ანგარიშები.
6. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. თბ.,2002.
7. საქართველოს საბანკო სისტემის რეტროსპექტული მიმოხილვა 1994-1999 წლებში. თბ.. 2000. გვ.24-48.
8. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
9. შათირიშვილი ჯ. საბანკო რეფორმის სრულყოფის აქტუალური საკითხები. ჟურნ. „მაცნე", თბ.. 1997, ტ. V. №3 და №4. გვ. 29-41.
10. ხელაია გ. ფული. ბანკები და ბირჟები. თბ., 1996.
11. Банки и банковское дело. Авт. колл. под. ред. И.Т. Балабанова. Питер, 2003.
12. Банковское дело: управление и технологии. Под ред. А.М. Тавасиева. М.: ЮНИТИ-ДАНА. 2001.
13. Вулкэл Чарлз Дж. Энциклопедия банковского дела и финансов. М.: Корпорация Федоров. 2001.
14. Миллер Р.Л., Ван Хуз Д.Д. Современные деньги и банковское дело. М.,2000.
15. Мэдд Д., Молино Ф. Private Banking: элитное обслуживание частного капитала. М.: Альпина Паблишер, 2003.
16. *Hertz D. B., Thomas H.* Risk Analysis and its Applications. – Chichester – N. Y., 1983.

მეექვსე თავი. საბანკო სამეიანობის სამართლებრივი საფუძვლები

მოკლედ – საბანკო სამართლის შესახებ
თანამედროვე ბანკის საქმიანობის საკანონმდებლო საფუძვლები
კომერციული ბანკების კანონმდებლობის სტრუქტურა
საქართველოს საბანკო სისტემის სამართლებრივი ბაზის განვითარება- ქრონოლოგია
ბანკებსა და საბანკო საქმიანობაზე ზედამხედველობის ბაზელის სტანდარტები
ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობის საზღვარგარეთული გამოცდილებიდან
ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების სამართლებრივი რეგულირებისა და ზედამხედველობის ღონისძიებათა სისტემა 2000-2002 წლებში
ბანკებისა და საბანკო საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

რეკომენდებული ლიტერატურა მეექვსე თავის შესასწავლად:
საუალდებულო ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. საქართველოს კონსტიტუცია. 1995 წ. 24 აგვისტო.
3. საქართველოს კანონი ეროვნული ბანკის შესახებ. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა, თბ., 2003. გვ. 3-21.
4. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ". საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. იბ., 2003. გვ. 3-21.
5. ქისტაური ლ., ქისტაური შ. საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები. თბ., „სამთაური", 1997. გვ. 7-255.
6. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 190-227.
7. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.
8. Банковское дело. Авт. колл. под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономист, 2004.
9 .Банковское дело. Под ред. О.И. Лаврушина. - М.: Ф и С, 2005. გვ. 376-442.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. CAMEL-ის სისტემით საბანკო ზედამხედველობისა და ანალიზის დასკვნის სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2000 წლის 9 აგვისტოს № 227 ბრძანება.
2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1998 წლის 28 დეკემბრის № 127 ბრძანება „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელოს" დამტკიცების შესახებ.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2000 წლის 9 აგვისტოს 227 ბრძანება „CAMEL"-ის" სისტემის გარესაბანკო ზედამხედველობისა და ანალიზის კვარტალურად განხორციელების შესახებ".
4. საქართველოს კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", საბანკო კანონმდებლობა. საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემა, თბილისი, 1998.
5. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საბანკო კანონმდებლობა. საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემა, თბილისი, 1998.
6. გამსახურდია გ. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., „მერიდიანი", 1995.
7. კოუზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., თსუ, 2001.
8. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
9. Банковское дело. Учебник. Под ред. Е. П. Жарковской. М.: Омега - Л., 2004.
10. Банковское законодательство: учебное пособие. Под ред Е.Ф. Жукова, М.: ЮНИТИ - ДАНА, 2001.
11. Банковское дело: управление и технологии: Учебное пособие для вузов/ Под ред. А.М. Тавасиева. М.: ЮНИТИ - ДАНА, 2001.
12. Бернстайн П. Против богов: Укращение риска. Пер. с англ. - М.: ЗАО "Олимп-бизнес", 2000.

13. Боумен К. Основы стратегического менеджмента. Пер. с англ. - М.: Банки и биржи, ЮНИТИ, 1997.
14. Вульфел Чарлз Дж. Энциклопедия банковского дела и финансов. М.: Корпорация Федоров, 2001.
15. Изамбер Жан-Лу. Креди Агриколь вне закона? М.: РИА-АРП, 2002.
16.Мод Д., Молино Ф. Private Banking: элитное обслуживание частного капитала. М.: Альпина Паблишер, 2003.
17. Шидловская М.С. Банковский надзор и аудит. М.: Вышейшая школа, 2003. გვ. 13-165.
18. Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика, 2004.

მეშვიდე თავი. კომერციული ბანკების შექმნა, რეორგანიზაცია, სანაცია და ლიკვიდაცია

კომერციული ბანკების შექმნა
კომერციული ბანკების შექმნის კონცეფცია და ეტაპები
ბანკის რეგისტრაცია და ლიცენზირება: ნორმატიული მოთხოვნები და პროცედურები
ახლად შექმნილი და მოქმედი ბანკების ლიცენზირების წესები
ბანკების ვანყოფილებების (ფილიალების) გახსნისა და დახურვის წესები.
კომერციული ბანკების რეორგანიზაცია
ბანკების რეორგანიზაციის ცნება
ბანკების რეორგანიზაციის აუცილებლობის კრიტერიუმები
ბანკების შეერთება და შერწყმა. პროცედურები და პრობლემები
ბანკების რეორგანიზაციის სხვა ფორმები
კომერციული ბანკების სანაცია
კომერციული ბანკების სანაციის აუცილებლობის კრიტერიუმები
ბანკის ფინანსური გაჯანსაღების ფინანსური გეგმა
ბანკების რესტრუქტურიზაცია ეკონომიკური შინაარსი
საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილებიდან
კომერციული ბანკების ლიკვიდაცია
სიცოცხლისუნარო ბანკის ლიკვიდაცია: ამოსავალი დებულებები
ბანკის ბანკროტად ცნობის წესი
ბანკის ლიკვიდაციის პროცედურები
ბანკის შუალედური სალიკვიდაციო ბალანსი

რეკომენდებული ლიტერატურა მეშვიდე თავის შესასწავლად: საგანგებო ლიტერატურა

1. გივოვია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. ქიქავური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 228-309.
3. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005. გვ. 167-179.
4.Банковское дело: Управление и технологии. Учеб. пособие. Под ред. А.М. Тавасиева. - М.: ЮНИТИ-ДАНА. 2001. გვ. 172-334.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. თბ., საქართველოს ეროვნული ბანკი. 2002.
2. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. თბ.; საქართველოს ეროვნული ბანკი. 2002.
3. ასათიანი რ. ეკონომიკა. განმარტებითი ლექსიკონი. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2003.
4. კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. თბ., საქართველოს ეროვნული ბანკი, 1999.
5. ცაავა გ. ფინანსები. ფულის მიმოქცევა, საფინანსო ინჟინერია, კრედიტი. თბ., 1999.

6. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
7. Банковское дело. Учебник. Под ред. О.И. Лаврушина. М., Ф и С, 2005.
8. Вульфел Чарлз Дж. Энциклопедия банковского дела и финансов. М.: Корпорация Федоров, 2001.
9. Жарковская Е.П. Банковское дело. М.: Омега - Л, 2004.
10. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004.
11. Мод Д., Молино Ф. Private Banking: элитное обслуживание частного капитала. М.: Альпина Паблишер, 2003.
12. Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика, 2004.

მერვე თავი. კომერციული ბანკის რესურსები და მისი კაპიტალური ბაზა

კომერციული ბანკის რესურსები: მათი სტრუქტურა და დახასიათება
ბანკის საკუთარი კაპიტალის არსი
საქართველოს კომერციული ბანკების კაპიტალი და მისი ბარისხის განსაზღვრის მეთოდიკა
საბანკო კაპიტალის სახეები
საბანკო კაპიტალის ფუნქციები
რამდენი კაპიტალი ესაჭიროება ბანკს?
ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობის შეფასება
დამატებითი კაპიტალის მოზიდვის მიმდინარე ტენდენციები
კომერციული ბანკის მოზიდული სახსრები

რეკომენდებული ლიტერატურა მერვე თავის შესასწავლად:
საუალდებულო ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. კოზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2001. გვ. 78-153.
3. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 310-362.
4. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.გვ. 362-386.
5. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004. გვ. 103-145.
6. Банковское дело. Авт. колл. под ред. О.И. Лаврушина. М., ФиС, 2005.გვ. 69-93.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. ასათიანი რ. ეკონომიკა. განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 2003.
2. გიტმანი ლ., ჯონკი მ., ინვესტირების საფუძვლები, გადმოქართულებული და შევსებული ლ. ქოქიაურის მიერ. თბ. „ფინანსები", 2000.
3. ეკონომიკური ლექსიკონი. ავტ. კოლ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით. თბ., 2000.
4. კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ.: 1999.
5. პაპავა ელ. საერთაშორისო საველუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბ., 2000.
6. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
7. Банковский портфель: в 3-х томах. /Отв. ред. Ю.И. Коробов, Ю.Б. Рубин, В.И. Солдаткин. М.:Сомнитех, 1994-1995.
8. Белоглазова Г.Н., Кроливецкая Л.П. Банковское дело. ФиС, 2004.
9. Жарковская Е.П., Аренде И.О. Банковское дело. М.: Омега - Л, 2004.
10. Миловидов В.Д. Современное банковское дело: Опыт организации и функционирования банков США. М.: Изд.-во МГУ, 1992.
11. Ресин В.И., Тагирбеков К.Р. Банк в системе экономических структур. М., Весь Мир, 1997.
12. *Brigham E. F. Gapenski L. C.* Financial Management (Theory and Practice). 7th ed. – New York: The Dryden Press. 1994.

მეცხრე თავი. კომერციული ბანკების ოპერაციები (გარიგებები) და საიმედოობა

ბანკის პასიური და აქტიური ოპერაციები
აქტივების შედგენილობა და სტრუქტურა
ბანკის აქტივების ხარისხი
საბანკო საქმიანობის რისკები: ცნება, კლასიფიკაცია, გაანგარიშების მეთოდები. ბანკის სარეზერვო ფონდი
ბანკის საიმედოობა: ცნება, განმსაზღვრელი ფაქტორები, მაჩვენებლები

რეკომენდებული ლიტერატურა მეცხრე თავის შესასწავლად:
საქალდებულო ლიტერატურა

1. გოგობია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 363-401.
3. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005. გვ. 390-429.
4. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономистъ, 2004. გვ. 679-726.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ.. 1999.
2. კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ.. ისუ, 2001.
3. დ. ჯონს კ. საბანკო და საფინანსო რეფორმები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. 1996.
4. როდე ე. ბანკები, ბირჟები და საკალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში. თარგმანი რ. ნაიჭეიშვილის. ქუთაისი, „სარანგი". 1993.
5. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
6. ხელაია გ. ფული. ბანკები და ბირჟები. თბ., „საშთაისი" 1996.
7. ბერლაა გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. თბ., „ლამპარი", 1993.
8. Бакстер Н., Беррел Т. Банковское дело _ стратегическое управление. М., изд. АО Консалбанкир, 1998.
9. Синки Дж.Ф. (мл.), Управление финансами в коммерческих банках: пер. с англ.-ого. 4-го переработоного изд..под ред. Р. Я. Левиты. Б.с. Пинскера. М.: Catallaxy, 1994.
10. Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика, 2004.

მეათე თავი. კომერციული ბანკების შემოსავლები, ხარჯები და მოგება

ბანკის შემოსავლები: წყაროები, კლასიფიკაცია, დონის შეფასება და დაგეგმვა
კომერციული ბანკების ხარჯები
საპროცენტო მარჟა
კომერციული ბანკების შემოსავლებისა და გასავლების დონის ანალიზი
შემოსავლებისა და ხარჯების ფაქტორული ანალიზი
კომერციული ბანკის მოგების ფორმირება და გამოყენება
კომერციული ბანკების მოგების დონის შეფასება
ბანკის ფინანსური ანალიზი, მისი მიზნები და მეთოდები
ბანკის კაპიტალის განტოლება
დინამიკური ბუღალტრული ბალანსის განტოლება
ბალანსის მოდიფიცირებული განტოლება
ბანკის ბალანსის ძირითადი განტოლება
ბანკის ფინანსური მდგომარეობის დინამიკის შეფასება

რეკომენდებული ლიტერატურა მეათე თავის შესასწავლად: საჯალდებულო ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 402-463.
3. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005. გვ. 500-512.
4. Банковское дело. Авт. колл. под ред. О.И. Лаврушина. М., ФиС, 2005. გვ. 222-242.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. ასათიანი რ. ეკონომიკა. განმარტებითი ლექსიკონი თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2003.
2. ეკონომიკური ლექსიკონი. ავტ. კოლექტივი პროფ. ა სილგაძის ხელმძღვანელობით. თბ., თსუ გამომცემლობა, 2001.
3. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
4. Базельский комитет по банковскому надзору: Сборник документов и материалов. Сост. Ю. В. Кузнец. М., 1997.
5. К. Барлатроп, Д. МакНотон. Банки на развивающихся рынках: В 2-х т. Пер. с англ. Т.2. Интерпретирование финансовой отчетности. _ М.: Финансы и статистика. 1994.
6. Введение в банковское дело. Пер с нем. Колл. авторов под рук. Гюнтера Асхауэра. М.: ИПФ "Мир и культура", 1997.
7. Вилравен К.Д. Управление рисками коммерческого банка. ИЭР Мирового банка. _ Вашингтон, 1992.
8. Полферман Дэвид Форд Филип. Основы банковского дела. Пер с англ. М.: Инфра-М, 1996.
9. Уайтинг Д.П. Осваиваем банковское дело. Пер с англ. Под.ред В.В. Мирюкова. М.: Банки и биржи. ЮНИТИ,1996.
10. Энциклопедия банковского дела и финансов. Ч.Дж. Вулфел; Ф.Л. Гарсия. Пер с англ. М., 2000.
11. Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика, 2004.

მეთერთმეტე თავი. ბანკის საკრედიტო ბაზარი

საბანკო კრედიტი: ძირითადი ცნებები
საბანკო დაკრედიტება: ძირითადი ნორმატიული მოთხოვნები
კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა
საკრედიტო პოლიტიკის შინაარსი
საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის მიზნები და მექანიზმები
ბანკის საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმები
კრედიტის გაცემის ტექნოლოგიისა და ბანკის საკრედიტო ქვედანაყოფის მუშაობის ორგანიზების საფუძვლები
მსესხებლის ფინანსური შეძლებისა და კრედიტუნარიანობის შეფასება
საბანკო კრედიტის ფასი
კრედიტების დაბრუნების უზრუნველყოფის ხერხები
ბანკის საკრედიტო საქმიანობის ხარისხი

რეკომენდებული ლიტერატურა მეთერთმეტე თავის შესასწავლად: საჯალდებულო ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე). თბ., 2010. გვ. 547-
3. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005. გვ. 390-428
4. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004. გვ. 274-396.
5. Морсман Э. Кредитный департамент банка: Организация эффективности работы. М.: Альпина Паблишер, 2002. გვ. 85-114.
6. Челноков В.А. Банки и Банковские операции: Букварь кредитования. Технологии банковских ссуд. Околобанковское рыночное пространство. Учебник. М.: Высшая школа. 2004. გვ. 7-210.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
2. Батракова Л.Г. Экономический Анализ деятельности коммерческого банка. М.: Логос, 2002.
3. Беляков А.В. Банковские риски: Проблемы учета, управления и регулирования. М.: БДЦ-Пресс, 2003.
4. Жарковская Е.П. Аренде И.О. Банковское дело. Курс лекций М.: Омега - Л, 2003.
5. Банковское дело. Учебник/ Под ред. О.Л. Лаврушина. М., ФиС, 2005.
6. Белоглазова Г.Н., Кроливецкая Л.П. Банковское дело. Питер, 2004.
7. Лекции о деятельности центральных банков. Под ред. М. Роккаса; К. Мастропаскуа. Рим, 1996.
8. Синки Д.Ж. (мл.), Управление финансами в коммерческих банках: М.: Catallaxy, 1994.
9. Ширинская З.Б. Операции коммерческих банков и зарубежный опыт. М.: Финансы и статистика, 1993.
10. Москвин В.А. Управление рисками при реализации инвестиционных проектов. М.: Финансы и статистика, 2003.
11. Милованов В.Д. Современное банковское дело: Опыт организации и функционирования банков США. М.: Изд.-во МГУ, 1992.
12. Руководство по кредитному менеджменту: Пер. с английского. Под ред. Б Эдвардса. М.: Инфра _ М, 1996.
13. Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика, 2004.

მეთორმეტე თავი. კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციები

სავალუტო ბაზრის ცნება. სავალუტო ბაზრის ფუნქციები
სავალუტო ოპერაციების ეკონომიკური საფუძვლები
სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურა საქართველოში
სავალუტო ოპერაციების რეგულირება
სავალუტო რისკები და მათი რეგულირება

რეკომენდებული ლიტერატურა მეთორმეტე თავის შესასწავლად: სავალდებულო ლიტერატურა

1. გოგობერიძე ვ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.
3. ქარჩავა ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 89-155.
4. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004. გვ. 448-472.
5. Банковское дело. Под ред. О.И. Лаврушина. М., Финансы и статистика, 2005. გვ. 497-583.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. ახალაია რ. ეკონომიკა. განმარტებითი ლექსიკონი. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2000.
2. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ.,1996
3.როდე ერვინ. ბანკები, ბირჟები და სავალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში. თარგმანი რ.ახალციშვილისა. ქუთაისი, 1998.
4.კაკულია რ. ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2000.
5. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
6. Банковское дело. Под ред. О.И. Лаврушина. М., Финансы и статистика, 2005.
7. Жарковская Е.П. Банковское дело. Учебник. М.: Омега - Л, 2004.
8. Красавина Л.Н. Билинк С. Международные валютно-кредитные и финансовые отношения. М.: Финансы и статистика, 2003.
9. Пановицин Д.Г. Валютная политика. М.: Экзамен, 2000.
10. Основы банковской деятельности (Банковское дело). М.: "ИНФРА-М", 2001.
11. Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика, 2004.

მეცამეტე თავი. კომერციული ბანკების სატრასტო, დეპოზიტური, იპოტეკური და სხვა ოპერაციები

კომერციული ბანკების სატრასტო ოპერაციები
კომერციული ბანკების დეპოზიტური საქმიანობა
კომერციული ბანკების იპოტეკური ოპერაციები
საკრედიტო ოპერაციების თანამედროვე სახეები

რეკომენდებული ლიტერატურა მეცამეტე თავის შესასწავლად:
საყალდებულო ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე). თბ., 2010. გვ. 158-218.
3. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть. 2004. გვ. 427-447.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. ახათიანი რ. ეკონომიქსი. განმარტებითი ლექსიკონი. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2003.
2. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
3. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.
2. ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საფინანსო ინჟინერია, კრედიტი. თბ., 1999.
3. ხელაია გ. ფული, ბანკები, ბირჟები. თბ., 1996.
4.Банковское дело. Под ред. О.И. Лаврушина. М.: Финансы и статистика. 2005.
5. Жарковская Е.П. Банковское дело. Учебник. М.: Омега - Л. 2004.
6.Основы банковской деятельности (Банковское дело). Под ред. К.Р. Тагирбекова М.: "ИНФРА-М". 2001.
7. Мод Д., Молино Ф. Private Banking: элитное обслуживание частного капитала. М.: Альпина. 2003.
8. Иванов В.В. Ипотечное кредитование. М.: Маркетинг, 2001.
9.Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика, 2004.

მეთოთხმეტემეტე თავი. საბანკო საქმიანობის რეგულირება

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საბეები და თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე
საოპერაციო პროცედურა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები
ცენტრალურ ბანკში დეპონირებული სავალდებულო რეზერვების დადგენა
სარეფინანსირებო პროცენტო პოლიტიკა. ოფიციალური სარეფინანსირებო განაკეთის რეგულირება
ბანკების რეფინანსირება
ოპერაციები ღია ბაზარზე
სავალუტო რეგულირება
ფულის მასის ზრდის ორიენტირების დადგენა და პირდაპირი რაოდენობრივი შეზღუდვები: ტარგეტირების პოლიტიკა

რეკომენდებული ლიტერატურა მეთოთხმეტე თავის შესასწავლად:
საყალდებულო ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 1999. გვ. 12-185.
3. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე). თბ., 2010. გვ. 222-268.
4. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005. გვ. 225-265.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ". საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2003.

2. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
3. Банковское дело. Авт. колл. под. ред. Лаврушина О.И. М.: Финансы и статистика, 2001.
4. Миловидов В.Д. Современное банковское дело: Опыт организации и функционирования банков США. М.: Изд.-во Моск. ун-та, 1992.
5. Мод Д., Молино Ф. Private Banking: элитное обслуживание частного капитала. М.: Альпина Паблишер, 2003.
6.Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004.
7.Жарковская Е.П. Банковское дело. Учебник. М.: Омега - Л, 2004.
8.Козлова И.К., Купрюшина Т.А. и др. Анализ деятельности банков. Учебное пособие. М.: Высшэйшая школа, 2003.
9.Кононлицкая М.А., Шмарловская С.С. и др. Банковские операции. Учебное пособие. М.: Вышэйшая школа. 2003.
10. Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика. 2004.

მეთხუთმეტე თავი. კომერციული ბანკის ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა

კომერციული ბანკის ლიკვიდობა, როგორც ფინანსურ-ეკონომიკური კატეგორია
კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები
კომერციული ბანკის ლიკვიდობის ანალიზი
კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვა
აქტივების მართვა
პასივების მართვა
აქტივების და პასივების დაბალანსებული მართვა
კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასების საზღვარგარეთული გამოცდილება
აშშ ბანკების ლიკვიდობის ინდიკატორები და მათი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოს პრაქტიკაში

რეკომენდებული ლიტერატურა მეთხუთმეტე თავის შესასწავლად: საყალდებულო ლიტერატურა

1. გოგობია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. კოზაბაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ.: თსუ. 2001. გვ.218-286.
3. ქოქაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 271-373.
4. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005. გვ. 549-586.
5. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004. გვ. 146-176.
6. Банковские операции. Учеб. пособие. Под ред. О.И. Лаврушина. Ч. I. М. ИНФРА-М, 1995. გვ. 140-168.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. ქაკულია რ., ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2000.
2. კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა – რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. 1999.
3. ხელაია გ. ფული. ბანკები და ბირჟები. თბ., 1996.
4. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
5. Банк и банковские операции. Под ред. Е.Ф. Жукова. М.: Банки и биржи, ЮНИТИ, 1997.
6. Банковский портфель: в 3-х томах. /Авт. колл. ред. Ю.И. Коробов, Ю.Б. Рубин, В.И. Солдаткин. М.:Сомпитех. 1994-1995.
7. Банковское дело. Учебник. Под ред. О.И. Лаврушина. М.: Финансы и статистика. 2001.
8. Сверук В.Т. Банковские риски. М.: Дело ЛТД, 1995.

9. Банковское дело: управление и технологии: Учебн. пособие для вузов/ Под редакцией проф. А.М. Тавасиева. М., ЮНИТИ - ДАНА, 2001.

10. Основы банковской деятельности (Банковское дело). Учебное пособие/Под.ред. К.Р.Тагирбекова М., ИНФРА-М., 2001.

11. Ямпольский М. Ликвидность банков и кредитная политика. М.: Дело, 1992.

12. Синки Д.Ж. (мл.), Управление финансами в коммерческих банках: пер. с англ. М.: Catallaxy, 1994.

13. Чарлз Дж. Вулфел. Энциклопедия Банковского дела и финансов. Пер. с англ.-ого, М.: Корпорация Федоров 2000.

14.Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика. 2004.

მეთექვსმეტე თავი. საბანკო რისკების მართვა

საბანკო რისკების არსი და კლასიფიკაცია.

კომერციული ბანკის მიერ რისკების მართვის ორგანიზაცია.

საკრედიტო რისკი: შინაარსი,შეფასება, მართვის მეთოდები.

საკრედიტო რისკები და სესხებზე შესაძლო დანაკარგების შემთხვევისათვის შექმნილი რეზერვი.

საკრედიტო პორტფელის ანალიზი.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა.

საწარმოების კლასიფიკაცია საკრედიტო რისკის მიხედვით ფინანსურ მდგომარეობაზე და კრედიტის უზრუნველყოფის ხარისხზე დამოკიდებულებით.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა.

საკრედიტო პოლიტიკის შინაარსი.

საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის მიზნები და მექანიზმები.

სადეპოზიტო რისკი და მისი აღკვეთის საბანკო ღონისძიებები.

ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების რისკი: შინაარსი და კომერციული ბანკის საქმიანობა მის დასარეგულირებლად.

საპროცენტო რისკი: არსი და მართვის თავისებურებები.

სავალუტო რისკი: არსი, სახეები, მართვის მეთოდები.

დარგობრივი და ქვეყნის რისკი.

ორგანიზაციული და საკადრო: არსი, მიზეზები, მართვა.

რეკომენდებული ლიტერატურა მეთექვსმეტე თავის შესასწავლად:
საკალდებულო ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

2. ეკონომიკური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 379-453.

3. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

4. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономистъ, 2004. გვ. 679-726.

5. Коробова Г.Г., Нестеренко Е.А. Банковские риски. Саратов. 1996.გვ. 3-210.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. ასათიანი რ. ეკონომიკური. განმარტებითი ლექსიკონი. თბ.: საგამომცემლო ფირმა „ისანელი", 2003.

2.კოზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ.: ისუ, 2001.

3.გამსახურდია გ. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ.,1995.

4.ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.

5.ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. თბ., 1993.

6.ჯგერენაია ე. საერთაშორისო საბანკო ოპერაციების უნიფიცირებული წესები. თბ., 1995.

7.ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა. ფინანსური ინჟინერია. თბ., 1999.

8.Жарковская Е.П. Банковское дело. М.: Омега - Л, 2004.
9.Банковское дело: управление и технологии. Под ред. А.М. Тавасиева. М.: ЮНИТИ-ДАНА, 2001.
10.Миловидов В.Д. Современное банковское дело: Опыт организации и функционирования банков США. М.: Изд-во Моск. университета, 1994.
11.Севрук В.Т. Банковские риски. М.: Дело ЛТД, 1995.
12.Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика, 2004.

მეჩვიდმეტე თავი. საბანკო მენეჯმენტის საფუძვლები

საბანკო მენეჯმენტის ძირითადი საკითხები.
მართვა თუ მენეჯმენტი?
საბანკო საქმიანობის მართვა და მისი შემადგენელი ელემენტები
საბანკო საქმიანობის ხარისხი. ამოსავალი დებულებები
გარემოს ცნება საბანკო მენეჯმენტის სისტემაში
ინფორმაცია საბანკო მენეჯმენტის სისტემაში საბანკო პოლიტიკა
საბანკო მენეჯმენტის ფინანსური სფეროები. აქტივების და პასივების მართვა
აქტივებისა და პასივების კომპლექსური მართვა
ბანკის აქტივებისა და პასივების ერთიანი პორტფელის მართვის პრინციპები
წმინდა საპროცენტო მარჟა და მისი ანალიზი
გეპის მართვა
შემოსავლიანობის მრუდი და მისი გავლენა გეპის მართვაზე
დიურაცია (ხანგრძლივობა)
მოგების მართვა
საბანკო რისკ-მენეჯმენტი
საბანკო რისკების ცნება
საკრედიტო რისკი
ლიკვიდობის რისკი. სავალუტო რისკ-შაბსი
საფონდო, ანუ საინვესტიციო რისკი
ზედამხედველობა და რეგულირება საბანკო მენეჯმენტში
ბანკის მენეჯმენტის შეფასების სქემა

რეკომენდებული ლიტერატურა მეჩვიდმეტე თავის შესასწავლად: საყალდებულო ლიტერატურა

1. გოგობერიძე მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. ქოქაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 451-583.
3. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005. გვ. 513-545.
4. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004. გვ. 539-588.
5. Роуз Питер с. Банковский менеджмент. Пер. с англ.-ого. М.: Дело, 1997.გვ. 10-315.
6.Руководство по кредитному менеджменту. Пер с. англ.-ого. под. ред. В. Эдвардса. М., 1996. გვ. 17-87.
7.Управление деятельности коммерческого банка (банковский менеджмент). под ред. О.И. Лаврушина. М.: Юрист, 2002. გვ. 3-410.

დამატებითი ლიტერატურა და ახლა დასახმარე მასალა

1.კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ.,1999
2. კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., თსუ გამომცემლობა, 2001.
3.ლუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.

4. Банковское дело. Авт. кол. под. ред. О.И. Лаврушина. М.: Финансы и статистика, 2005.
5. Базельский комитет по банковскому надзору: Сборник документов и материалов. сост. Ю.В. Кузнец. М., 1997.
6. Масленченков Ю.С. Финансовый менеджмент в коммерческом банке. Кн. 1. Фундаментальный анализ. М.: Перспектива, 1996.
7. Полфреман Дэвид Форд Филип. Основы банковского дела. Пер с. англ.-ого. М.: Инфра _ М, 1996.
8. Поморина М.А. Управление рисками как составная часть процесса управления активами и пассивами банка // Банковское дело. _ 1998. №3.
9 .Синки Д.Ф. (мл.) Управление финансами в коммерческих банках. _ М. Catalaxy, 1994.
10. Тагирбеков К.Р. Опыт развития технологии управления коммерческим банком. М.: Финансы и статистика, 1996.
11. Уткин Э. А. Стратегический менеджмент: Способы выживания банков. М. Фонд экономического просвещения, 1996.
12. Шахов В.В. Риски. Теоретический аспект // Финансы. _ 2000. №7.
13. Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика, 2004.

მეთვრამეტე თავი. საბანკო მარკეტინგი

მარკეტინგის ცნება
მარკეტინგის სპეციფიკა საბანკო სფეროში
საბანკო ბაზრის მარკეტინგული კვლევა
საბანკო ბაზრის სეგმენტაცია
საბანკო მომსახურების წემცველელ ბი
ბანკის კონკურენტული პოზიცია
ბაზარზე დაკვირვება
ბანკების მარკეტინგული სტრატეგია
ბანკების კონკურენტული სტრატეგიის ტიპოლოგია. ბანკის სტრატეგიის ღონეები.
ბანკის მარკეტინგული სტრატეგიის რეალიზაცია

რეკომენდებული ლიტერატურა მეთვრამეტე თავის შესასწავლად:
საქალდებულო ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.
3. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010.
4. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004. გვ. 589-667.
5. Коробов Ю.И. Банковский маркетинг. Саратов,1996. გვ. 13-57.
6. Эванс ДЖ., Бирман Б. Маркетинг. М.: Экономика, 1993. გვ. 21-85.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. ლუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
2.Банковское дело. Под ред. Белоглазова Г.Н., Кроливецкая Л.П. Питер. 2004.
3. Банковское дело. Под ред. О.И Лаврушина, М.: ФИС, 2005.
4. Барлтроп К.Дж. МакНомон Д. Банки на развивающихся рынках. В 2 т. Т 1и 2. 1994. Пер с англ. М.: Финстатинформ, 1997.
5. Дебелак. Магия Маркетинга. София, 1997.
6. Дихтль Х. Херштген. Практический Маркетинг. М.: Высшая школа. 1996.
7. Котлер Ф. Маркетинг. Менеджмент. М.: Прогресс. 1998.
8. Линтон И. Маркетинг по базам данных. М.: Амалфея, 1998.
9 .Макогон Ю.В., Булатова Е.В. Международный банковский бизнес. М.:Атика, 2003.
10. Миловидов В. Д. Современное банковское дело: опыт организации и функционирования

банков США. М.: МГУ. 1992.
11. Моррис Ф. Маркетинг ситуации и примеры. Пер. с англ. М.: Банки и биржи, 1994.
12. Основы Банковской деятельности (Банковское дело). Под ред. Тагирбекова К.Р. М.: ИНФРА _ М, 2001.
13. Самойлов Г.О. Банковская конкуренция. М.: Экзамен, 2002.
14. Спицын И.О., Спицын Я.О. Маркетинг в банке. Тернополь, 1993.
15.Третьяк В.П. и др. Основы Маркетинга. С_Петербург, ПГУС, 1993.
16. Уткин Э.А. Банковский маркетинг. М.: ИНФРА_М, 1995.
17. *Bagehot W.* The Lombard street – A description of The money market. – London: Kegan. Paul & Co, 1873.

მეცხრამეტე თავი. საბანკო ინოვაციები

საბანკო ინოვაციის არსი და შინაარსი
საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი
ზოგიერთი სახეობის საბანკო ინოვაციის დახასიათება
პლასტიკური ბარათები
პლასტიკური ბარათების დანერგვის საზღვარგარეთული გამოცდილება
საბანკო საკრედიტო ბარათები
მიკროპროცესორული ბარათების დამუშავება და გამოყენება
ინტერნეტ-ბანკინგი, მდგომარეობა, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები
ინტერნეტ-ბანკინგის ბაზრის სეგმენტაციის სახეები
ინტერნეტ-ბანკინგის განვითარების პერსპექტივები
ბანკომატი, როგორც გადახდის ელექტრონული სისტემის ელემენტი
ბანკთაშორისი ელექტრონული გზავნილებები სავაჭრო ორგანიზაციებში
„Home Banking" კლიენტების საბანკო მომსახურება ადგილზე და სამუშაო ადგილებზე
ბანკების ფორფეიტინგული ოპერაციები
ოპციონები, ფიუჩერსები, სვოპები

რეკომენდებული ლიტერატურა მეცხრამეტე თავის შესასწავლად: საველდებულო ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. ცაავა ვ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.
3. საქართველოს საგადამხდელო სისტემები და მათი განვითარების ძირითადი მიმართულებები (კონცეფცია). ჟურნ.„ბანკი". №6, 2002. გვ.67-72.
4. ბურღულია ო. ელექტრონული ფულის ფენომენი და მისი გავლენა მონეტარულ პოლიტიკაზე. ჟურნ. „ბანკი" №6, 2002. გვ.44-49.
5. პაჭულიშვილი ელ. ინოვაციური პროცესები კომერციულ ბანკში: „საქართველოს ბანკის" გამოცდილება. ჟურნ. „ბანკი" №2. 2000. გვ.54-56.
6. ჭოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 653-734.
7.Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004. გვ. 486-538.
8. Жарковская Е.П. Банковское дело. М.: Омега - Л, 2004. გვ. 205-252.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. საქართველოს საბანკო სისტემაში დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის (RTGS) უკალდო ტექნოლოგიაზე გადაყვანის შესახებ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №135, 2003 წ. 12 ივნისი.
2. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
3. Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика, 2004.

მეოცე თავი. კომერციული ბანკების და უფლადი ანგარიშსწორების სისტემა

საანგარიშსწორებო ოპერაციები – კომერციული ბანკების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო
ანგარიშის გახსნის, გაფორმებისა და დახურვის წესი. ანგარიშების სახეები
უმაღლო ანგარიშსწორების ორგანიზაციის ზოგადი დებულებები
ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ორგანიზაცია
ანგარიშსწორება სხვა ბანკებში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით
ანგარიშსწორება ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო ქსელის მეშვეობით
ანგარიშსწორება შიდასაბანკო საანგარიშსწორებო ქსელის მეშვეობით
ბანკთაშორისი კლირინგი
უმაღლო ანგარიშსწორების მოქმედი ფორმებში
ანგარიშსწორება გადახდის დავალებებით
ანგარიშსწორება გადახდის მოთხოვნა – დავალებებით
ჩეკებით ანგარიშსწორება
ანგარიშსწორება აკრედიტივით
თამასუქებით ანგარიშსწორება
თამასუქების დომიცილაცია
ფაქტორინგი
სალაროს ოპერაციები

რეკომენდებული ლიტერატურა ოცდაერთე თავის შესასწავლად:
საუალდებულო ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. 2006.
2. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე). თბ., 2010. გვ. 737-805.
3. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005. გვ. 306-358.
4. Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004. გვ. 223-273.
5. Таваслев А.М. Эриашвили Н.Д. Банковское дело: М.: ЮНИТИ - ДАНА, Единство. 2004. გვ. 425-461.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დაეხმარე მასალა

1. ასათიანი რ. ეკონომიკა. განმარტებითი ლექსიკონი. თბ.: სავაჭრო ფირმა „სიახლე", 2003.
2. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ.,1996
3. ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა. ფინანსური ინჟინერია. კრედიტი. თბ., 1999.
4. Денежные средства и расчеты: учет, анализ, аудит. Под ред. В.А. Палко. М. Финкс, 2002.
5. Долан Э. Дж., Кембелл К.Д. и др. Деньги, банковское дело и денежно-кредитная политика. М., Л., 1991.
6. Жарковская Е.П. Банковское дело. М.: Омега - Л. 2004.
7. Финансово-кредитный энциклопедический словарь. Пол ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика, 2004.
8. Пилецкий А.Н. Организация и проведение безналичных расчетов. М.: ВЗФЭЙ, 1992.
9. Челноков В.А. Банки и Банковские операции: Букварь кредитования. Технологии банковских ссуд. Околобанковское рыночное пространство. Учебник. М.: Высшая школа, 2004.
10. Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика, 2004.

ოცდამეერთე თავი. საბუღალტრო სამსახურის მუშაობის ორგანიზაცია ბანკებში

ბუღალტრული აღრიცხვისა და საალრიცხვო-ოპერაციული მუშაობის არსი და მნიშვნელობა ბანკებში
ბუღალტრული აღრიცხვის ამოსაეალი დებულებები ბანკებში

სააღრიცხვო-ოპერაციული მუშაობის ორგანიზაციული სტრუქტურა
საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციისა და წარმართვის საერთაშორისო პრინციპები
ბანკის ბალანსის დახასიათება და მისი აგების პრინციპები
საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა
საბანკო ანგარიშგების მნიშვნელობა და სახეობები
მიმდინარე ბუღალტრული ანგარიშგება
წლიური ბუღალტრული ანგარიშგება
საგადამხდელო სისტემის და საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფისათვის საქართველოში

რეკომენდებული ლიტერატურა ოცდამეერთე თავის შესასწავლად:
საბაზისო ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 809-928.
3. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005. გვ. 269-295.
4. Ширинская З. Г. Нестерова Т.Н., Соколинская Н.Э. Бухгалтерский учет и операционная техника в банках. М.: "Перспектива": ИНФРА - М., 1998. გვ. 3-310.

დამატებითი ლიტერატურა და ახლა დამხმარე მასალა

1. საქართველოს საბანკო დანესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქცია. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2000.
2. კომერციული ბანკის საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 1999.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში. 2002.
4.საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში. 2001.
5.ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
6.Андросов А.М. Бухгалтерский учет и отчетность в банке. М.: Менатеп-Информ, 1994.
7.Бор М. З. Артемова Л.В., Назарова А.Г. и др. Практический курс бухучета в современном банке. Под. ред. Бора М.З.: АО "ДИС", 1996.
8. Вулфел Ч. Энциклопедия банковского дела и финансов. М.: Корпорация Федоров. 2000.
9.Горина С.А.. Бухгалтерский учет в банке. М.: ПРИОР, 1995.
10.Шеремет А.Д., Щербакова Г.Н. Финансовый анализ в коммерческом банке. М.: Финансы и статистика, 2000.
11.Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. А.Г. Грязновой. М.: Финансы и статистика, 2004.
12.*Drury J. C.* Management and Cost Accounting. 3d ed. – London: Chapman and Hall. 1994.

ოცდაერთე თავი. კონტროლი და აუდიტი კომერციულ ბანკებში

ბანკის საქმიანობის შიდა კონტროლის სისტემა
შიდა კონტროლის ორგანიზაცია: ცენტრალური ბანკის ვერსია
შიდასაბანკო კონტროლი და მისი სახეები
მიმდინარე კონტროლის ორგანიზაცია ბანკში
ბრმტდევნო კონტროლი და მისი ჩატარების ხერხები
შიდა და გარე აუდიტი: მიზნები, ამოცანები და ბანკში მისი ორგანიზაციის თავისებურებები
საბანკო რეიტინგის სისტემა

რეკომენდებული ლიტერატურა ოცდაეერთე თავის შესასწავლად:
საბაზისო ლიტერატურა

1. გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.
2. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2010. გვ. 932-1019.
3. ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ.. 2005. გვ. 225-233.

4.Смирнова Л. Р. Банковский аудит. М.:, 2001 გვ. 11-112.
5.Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004. გვ.727-731
6.Шидловская М.С. Банковский надзор и аудит. Практикум. Беларус, 2003. გვ. 21-109.
7.Хан Д. Планирование и контроль: концепция контроллинга. М.: Финансы и статистика, 1997. გვ. 8-56.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

1. დებულება კომერციულ ბანკებში შიდააუდიტორული საქმიანობისადმი მოთხოვნების შესახებ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2001 წ. 28 დეკემბრის № 318 ბრძანება. თბ., 2001.
2.კომერციული ბანკის საქმიანობის ზედამხედველობა რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 1999.
3.საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში. 2001
4.საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში 2001.
5.საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2002.
6. ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.
7.Белоглазова Г.Н., Кроливецкая Л.П. Аудит банков. М.: ФиС, 2002.
8. Уткин Э.А., Суханов М.С. Аудит банковской деятельности. М,: ТЕИС, 2003.
9. Макарова Л.Г., Широкова Л.П. и др. Аудит операций с денежними средствами на счетах в банках. М.: ЮНИТИ-ДАНА, 2003.
10. Гвелесиани Т.В. Бухгалтерский учет в кредитных организациях. М.: Экзамен, 2004.
11. Глушко И.Е., Киселева Т.В. Бухгалтерский, налоговый, финансовый и управленческий учет на современном предприятие. М.: КноРУС, 2004.
12. Сидельникова Л.Б. Аудит коммерческого банка. М.: БУКВИЦА,1996.
13. Банковское дело: управление и технологии. Под ред. А.М. Тавасиева. М.: ЮНИТИ-ДАНА, 2001.
14. Московин В.А. Принципы организации системы внутреннего контроля в коммерческом банке // Банковское дело, 1998, №12, сс.24-29.
15. Перрье Д. Внутренный контроль во Французских банках // Бизнес и банки, 1998, №37, сс.3-10.
16. Экономический анализ деятельности банка. Под. ред. И.Д. Мамонова. М.: Инфра-М, 1996.
17. Методические рекомендации по внешнему и внутреннему банковскому аудиту. Под. общей ред. Е.В. Емельянова. М.: Легат, 1997.
18. *Brigham E. F. Gapenski L. C.* Financial Management (Theory and Practice). 7th ed. – New York: The Dryden Press. 1994.

გრძელვადიანი და დისკუსიებისათვის რეკომენდებული თემატიკა ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისათვის

პირველი თავისათვის: ბანკების წარმოშობისა და საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები
1. ბანკების წარმოშობის და განვითარების ისტორიული მიმოხილვა
2. ბანკის არსის ეკონომიკური ასპექტები
3. საბანკო მონოპოლია საბაზრო ეკონომიკის პირობებში
4. ბანკების განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში
5. ბანკი, როგორც საბანკო სისტემის შემადგენელი ელემენტი
6. ქართული საიავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე
7. საბანკო ინფრასტრუქტურა
მეორე თავისათვის: საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში
1. საკრედიტო სისტემა და მისი ევოლუცია
2. საბანკო სისტემა და მისი თავისებურებები
3. საბანკო სისტემის ორგანიზაციული და ინსტიტუციური სქემა

4. კომერციული ბანკების ასოციაცია და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები
5. საქართველოს საბანკო სისტემის მდგომარეობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში
6. საქართველოს საბანკო სისტემის ფორმირების წინააღმდეგობრივი ხასიათი
7. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები საკრედიტო კავშირების ეკონომიკური შინაარსი და ფუნქციონირების მექანიზმი

მესამე თავისათვის: საბანკო ბაზარი
1. ფინანსური ბაზრის ადგილი და სტრუქტურა
2. საბანკო ბაზარი, როგორც საბანკო მომსახურების გასაღების ბაზარი
3. საბანკო, ფინანსური და ფულის ბაზრების თანაფარდობა
4. საბანკო ბაზრის საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები და არასაფინანსო მონაწილეები
5. საბანკო ბაზრის სტრუქტურა და მისი სტრუქტურირების ძირითადი კრიტერიუმები
6. საბანკო კონკურენცია და მისი ძირითადი ფორმები
7. საბანკო კონკურენციის თავისებურებები
8. საბანკო ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის კონცეფციისათვის
9. კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელსა და ვალდებულებების სტრუქტურაში არსებული მსხვილი კონცენტრაციების განსაზღვრა, შეფასება და კონტროლის სისტემა
10. ფულის ფენომენი საქართველოში და ბანკები

მეოთხე თავისათვის: ცენტრალური ბანკები
1. ცენტრალური ბანკების ისტორიული მიმოხილვა
2. საქართველოს ეროვნული ბანკის ჩამოყალიბება და განვითარება
3. ცენტრალური ბანკის დამოუკიდებელი სტატუსი და მისი ადგილი ეკონომიკაში
4. საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველობა
5. ცენტრალური ბანკების ფუნქციები და ამოცანები
6. ცენტრალური ბანკის საემისიო საქმიანობა; ფულის მასა და მისი შეფასების მეთოდები
7. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა
8. საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორი
9. საბანკო ურთიერთობათა ევოლუციის საკითხებისათვის
10. საბანკო სისტემის სტაბილურობის თეორიული ასპექტები

მეხუთე თავისათვის: კომერციული ბანკები
1. კომერციული ბანკების შექმნის კონცეფცია და ძირითადი ეტაპები
2. კომერციული ბანკების საქმიანობის პრინციპები და ფუნქციები
3. კომერციული ბანკების ოპერაციების და მომსახურების ძირითადი სახეები
4. კომერციული ბანკების ორგანიზაციულ-ფუნქციური აგებულება
5. კომერციული ბანკების მართვა: შინაარსი და ინსტრუმენტარიუმი
6. ეკონომიკური ზრდისა და გლობალიზაციის ზეგავლენა ბანკების ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე
7. საბანკო საიდუმლოების სამართლებრივი რეგულირება

მეექვსე თავისათვის: საბანკო საქმის სამართლებრივი საფუძვლები
1. საბანკო სამართალი, როგორც სამართლის კომპლექსური დარგი
2. საქართველოს ბანკების საქმიანობის საკანონმდებლო საფუძვლები
3. თანამედროვე საბანკო კანონმდებლობა, მისი პრინციპები და სტრუქტურა
4. ბანკებსა და საბანკო საქმიანობაზე ზედამხედველობის ბაზელის სტანდარტები
5. ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობის საზღვარგარეთული გამოცდილება
6. ბანკებისა და საბანკო საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის სრულყოფის საკითხები საქართველოში
7. თანამედროვე საბანკო კანონმდებლობის წყაროები და ინსტრუმენტები საქართველოში

მეშვიდე თავისათვის: კომერციული ბანკების შექმნა, რეორგანიზაცია, სანაცია, ლიკვიდაცია
1. კომერციული ბანკების შექმნის კონცეფცია სამართლებრიეი და ნორმატიული ბაზა
2. კომერციული ბანკების რეგისტრაცია და ლიცენზირება
3. კომერციული ბანკების რეორგანიზაცია
4. კომერციული ბანკების სანაცია
5. კომერციული ბანკების ლიკვიდაცია
6. საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაცია
7. კომერციული ბანკების განვითარების სტრატეგია საბაზრო-ეკონომიკის პირობებში

მერვე თავისათვის: კომერციული ბანკების რესურსები და მისი კაპიტალური ბაზა
1. ბანკის სარესურსო ბაზის საერთო დახასიათება და მათი სტრუქტურა
2. საქართველოს კომერციული ბანკების კაპიტალი და მისი ხარისხის განსაზღვრის მეთოდიკა
3. ბანკის კაპიტალის საკმარისობა და მისი განსაზღვრა
4. ბანკის მოზიდული სახსრები, მათი სტრუქტურა და დახასიათება
5. ბანკების დამატებითი კაპიტალის მოზიდვის მიმდინარე ტენდენციები
6. უცხოური კაპიტალი საქართველოს საბანკო სისტემაში
7. ნასესხობის დინამიკა და სტრუქტურა საქართველოში

მეცხრე თავისათვის: კომერციული ბანკების ოპერაციები (გარიგებები) და საიმედოობა
1. ბანკის პასიური ოპერაციების საერთო დახასიათება
2. ბანკის აქტივების შედგენილობა და სტრუქტურა
3. ბანკის აქტივების ხარისხი
4. საბანკო საქმიანობის რისკები: ცნება, კლასიფიკაცია, გაანგარიშების მეთოდი
5. ბანკის სარეზერვო ფონდი
6. ბანკის საიმედოობა: ცნება, გამსაზღვრელი ფაქტორები, მაჩვენებლები
7. ბანკების საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველმყოფი ნორმატივების სისტემა

მეათე თავისათვის: კომერციული ბანკების შემოსავლები, ხარჯები და მოგება
1. ბანკების შემოსავლები და მათი წყაროები
2. კომერციული ბანკების ხარჯები და მათი რეგულირება
3. კომერციული ბანკების შემოსავლების და ხარჯების ფაქტორული ანალიზი
4. კომერციული ბანკების მოგების ფორმირება და გამოყენება
5. ბანკის ფინანსური ანალიზი, მისი მიზნები და მეთოდები

მეთერთმეტე თავისათვის: ბანკის საკრედიტო ბაზარი
1. ბანკის საკრედიტო ოპერაციები და მათი ორგანიზაცია
2. საბანკო კრედიტი და მისი კლასიფიკაცია
3. ბანკის საკრედიტო პოლიტიკა და მისი რეალიზაციის მექანიზმი
4. კრედიტის გაცემის ტექნოლოგიისა და ბანკის საკრედიტო ქვედანაყოფების მუშაობის ორგანიზაციის საფუძვლები
5. მსესხებლის ფინანსური შეძლებისა და კრედიტუნარიანობის შეფასება
6. ცალკეული დარგების დაკრედიტების თავისებურებები
7. მოსახლეობის დაკრედიტება
8. საბანკო კრედიტის ფასი. საპროცენტო ფული
9. საწარმოთა ურთიერთდაკრედიტება და საბანკო კრედიტის ახალი სახეები
10. კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ხერხები

მეთორმეტე თავისათვის: კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციები
1. სავალუტო ბაზარი
2. სავალუტო რეგულირებისა და კონტროლის ძირითადი მიმართულებები

3. სპოტური და ვადიანი სავალუტო ოპერაციები
4. სავალუტო რისკები და მათი რეგულირების მეთოდები
5. კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციების ეკონომიკური საფუძვლები
6. სავალუტო პოლიტიკის ამოცანები საქართველოში ეკონომიკის ლეგალიზაციისა და სტრუქტურული გარდაქმნების პირობებში
7. სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურა საქართველოში

მეცამეტე თავისათვის: კომერციული ბანკების სატრასტო, ჰიპოტეკური, საკომისიო და სხვა დამატებითი სახის ოპერაციები
1. ბანკის სატრასტო ოპერაციები
2. კონტოკორენტული კრედიტი
3. სათამასუქო კრედიტი
4. ჰიპოტეკური დაკრედიტება
5. კონსორციალური კრედიტები
6. სამომსმარებლო კრედიტი
7. საბანკო მომსახურეობის ახალი სახეები და მათი განვითარების პერსპექტივები

ბეთოთხმეტე თავისათვის: საბანკო საქმიანობის რეგულირება
1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სახეები და თავისებურებები საბაზრო ეკონომიკის პირობებში
2. საოპერაციო პროცედურა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები
3. ბანკის საპროცენტო პოლიტიკა და მისი განაკვეთის რეგულირება
4. ბანკების რეფინანსირება
5. ფულის მასის ზრდის ორიენტირების დადგენა და პირდაპირი რაოდენობრივი შეზღუდვები
6. ეკონომიკური ზრდის ინფლაციური და დეფლაციური სტიმულირებისათვის
7. ინფლაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

ბეთხუთმეტე თავისათვის: ბანკების ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა
1. ბანკების ლიკვიდობა, როგორც ფინანსურ-ეკონომიკური კატეგორია
2. კომერციული ბანკების ლიკვიდობისა და გადასდისუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები
3. კომერციული ბანკების ლიკვიდობის მაჩვენებლები
4. კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვა
5. ბანკების ლიკვიდობის ინდიკატორები
6. ლიკვიდობის რეგულირების სრულყოფისათვის საბანკო საქმიანობაში
7. მსესხებელისა კრედიტუნარიანობის შეფასების საკითხი კომერციულ ბანკებში

ბეთექვსმეტე თავისათვის: საბანკო რისკების მართვა
1. ბანკების რისკის ეკონომიკური არსი და კლასიფიკაცია
2. კომერციული ბანკების რისკების მართვის ორგანიზაცია
3. საკრედიტო რისკები და მათი შეფასებისა და მართვის მეთოდები
4. კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა
5. საინვესტიციო რისკები
6. საპროცენტო რისკის მართვის თავისებურებები
7. კომერციული ბანკების ოპერაციების დაზღვევა

ბერვიდმეტე თავისათვის: საბანკო მენეჯმენტის საფუძვლები
1. საბანკო მენეჯმენტის ძირითადი საკითხები
2. საბანკო მენეჯმენტის ფინანსური სფეროები
3. ბანკის აქტივებისა და პასივების კომპლექსური მართვა
4. საბანკო რისკ-მენეჯმენტი
5. ზედამხედველობა და რეგულირება საბანკო მენეჯმენტში

6. საქართველოს კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის ანალიზი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში
7. ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების ბაზრის განვითარების პრობლემები საქართველოში

მეთვრამეტე თავისათვის: საბანკო მარკეტინგი
1. საბანკო მარკეტინგის ეკონომიკური ცნება და სახეები
2. საბანკო ბაზრის მარკეტინგული კვლევა
3. საბანკო პროდუქტები
4. ბანკების მარკეტინგული სტრატეგია
5. საბანკო მარკეტინგისა და სარეკლამო საქმიანობის განვითარების პერსპექტივები

მეცხრამეტე თავისათვის: საბანკო ინოვაციები
1. საბანკო ინოვაციების შინაარსი
2. საბანკო ინოვაციების სასიცოცხლო ციკლი
3. პლასტიკური ბარათები
4. ბანკების ფორფეიტინგული ოპერაციები
5. ინტერნეტ-ბანკინგი, მდგომარეობა, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები
6. დისტანციური საბანკო მომსახურეობა
7. ახალი საბანკო პროდუქტების განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მეოცე თავისათვის: კომერციული ბანკები და ფულადი ანგარიშსწორების სისტემა
1. უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზაციის საფუძვლები
2. ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ორგანიზაცია
3. უნაღდო ანგარიშსწორების მოქმედი ფორმები
4. ანგარიშსწორება საგადასახადო დავალებებით
5. ანგარიშსწორება აკრედიტივით
6. ფაქტორინგული ოპერაციები
7. სალაროს ოპერაციები

ოცდამეერთე თავისათვის: საბუღალტრო სამსახურის მუშაობის ორგანიზაცია ბანკებში
1. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია ბანკებში
2. საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციისა და წარმართვის საერთაშორისო პრინციპები
3. ბანკის ბალანსი და მისი აგების პრინციპები
4. საბანკო ანგარიშგების მნიშვნელობა და სახეები
5. საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფის საკითხები
6. საქართველოს საგადამხდელო სისტემები და მათი განვითარების ძირითადი მიმართულებები
7. ელექტრონული ფულის ფენომენი და მისი გავლენა მონეტარულ პოლიტიკაზე

ოცდამეორე თავისათვის: კონტროლი და აუდიტი ბანკებში
1. კონტროლის ორგანიზაციის ძირითადი საკითხები ბანკებში
2. შიდასაბანკო კონტროლი ბანკებში
3. მიმდინარე კონტროლი ბანკებში
4. მომდევნო კონტროლი ბანკებში
5. საბანკო აუდიტის საფუძვლები
6. საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების (ბასს) დანერგვა საქართველოს კომერციულ ბანკებში
7. კომერციული ბანკების ზედამხედველობის ღონისძიებათა სისტემა

5. შუალედური შეფასების სისტემა ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები

ჯამური ნიშანი – 100%

ლექციებზე დასწრება –10 ქულა

სასურველია, მაგისტრანტები დაესწრონ ლექციებს, დიალოგის სახით მიიღონ მონაწილეობა პრობლემური საკითხების დაყენებასა და განხილვაში.

დებატებში მონაწილეობა –10 ქულა

სემინარებში მონაწილეობა ჩატარდება დებატებში მონაწილეობის სახით. მაგისტრანტებმა საჭიროა განიხილონ და შეაფასონ კეისები. ჩაატარონ დებატები პრობლემური საკითხის გარშემო, გააკეთონ დასკვნები.

არგუმენტირებული რეფერატის წარდგენა –10 ქულა

1. ყველა ბაკალავრი და მაგისტრანტი ვალდებულია, სემესტრის განმავლობაში შეასრულოს და წარმოადგინოს ყველა თემაზე არგუმენტირებული ნარკვევი 5 ნაბეჭდი გვერდის მოცულობით. მოიძიოს, დაამუშაოს და დაურთოს ნარკვევს მასთან დაკავშირებული ლიტერატურის სია.

2. გამოტოვებულ ნარკვევს მაგისტრანტი წარმოადგენს სემესტრის ბოლომდე. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საშუალება.

საშინაო დავალება – 20 ქულა

სტუდენტს ეძლევა შესასრულებლად საშინაო დავალება წინასწარ შერჩეულ პრობლემაზე, რომელიც ნაკლებად არის გამოკვლეული, არ არის სრულყოფილად მოცემული სახელმძღვანელოებში ან ლექციების კურსში.

ლექტორისა და სტუდენტის შეთანხმებით შეირჩევა კონკრეტული თემა სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში. რეფერატის მოცულობა არ უნდა იყოს 25 გვერდზე ნაკლები, შრიფტი 12, ინტერვალი 1,5, lit ის ლიტერატურის სია.

სტუდენტი შესრულებულ რეფერატს, მოხსენების სახით, წარმოადგენს სემინარზე. ხდება მისი განხილვა და სტუდენტთა პოლემიკა აღნიშნული თემის ირგვლივ.

შესრულებული თემის რეცენზირება ხდება სტუდენტებთან მისი განხილვის შემდეგ. რეცენზენტი გამოიყოფა სტუდენტებიდან. ლექტორი შეარჩევს საუკეთესო ნაშრომს და გაუწევს რეკომენდაციას კათედრაზე შემდგომი მსჯელობისათვის. აგრეთვე ეკონომიკურ სამეცნიერო პრესაში გამოსაქვეყნებლად.

ქოლოქვიუმი – 10 ქულა

გამოცდა – 40 ქულა

გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, ტესტირების გზით.

საბოლოო შეფასება

91-100 – „ფრიადი“ :

81-90 – „ძალიან კარგი“;

71-80 – „კარგი“;

61-70 – „საშუალო“;

51-60 – „დამაკმაყოფილებელი“;

41-50 – „არადამაკმაყოფილებელი“ (საგნის ერთხელ გადაბარების უფლებით);

0-40 – სრულიად არადამაკმაყოფილებელი (სტუდენტმა თავიდან უნდა გაიაროს დისციპლინის სრული კურსი).

6.პრაქტიკული გეცადინეობის ფორმები

სტუდენტებთან პრაქტიკული მუშაობა როგორც, ზემოთ აღინიშნა, ჩატარდება ქოლოქვიუმების, სიტუაციების ანალიზის, პრეზენტაციის, ბანკებში ადგილზე პრაქტიკული, გასვლითი მეცადინეობის ჩატარების გზით (სემესტრში ჩატარდება ტესტირება ერთხელ მაინც).

შესწავლის შედეგი: კურსის შესწავლის დამთავრების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ:

✓დაეუფლებიან ბანკების წარმოშობისა და საქმიანობის ეკონომიკურ საფუძვლებს;

✓განსაზღვრავენ საბანკო სისტემის ორგანიზაციული და ინსტიტუციური სქემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში:

✓გაეცნობიან საბანკო ბაზრის არსს, სტრუქტურას, კონკურენციას საბანკო ბაზარზე და მის თავისებურებებს;

✓შეისწავლიან ცენტრალური ბანკის ადგილს, ფუნქციებს, მმართველობას; საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას;

✓ჩამოაყალიბებენ კომერციული ბანკების არსს, მისი საქმიანობის პრინციპებს, ოპერაციებს, ფუნქციებს, აგებულებას, ხელმძღვანელ ორგანოებს;

✓აითვისებენ საბანკო საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს;

✓განსაზღვრავენ კომერციული ბანკების რესურსების სტრუქტურას, ბანკის კაპიტალის სახეებს, ფუნქციებს, შეძლებენ კაპიტალის საკმარისობის შეფასებას;

✓დაახასიათებენ კომერციული ბანკების ოპერაციებს (გარიგებები) და მათ საიმედოობას;

✓გააანალიზებენ კომერციული ბანკების შემოსავლებს, ხარჯებსა და მოგებას;

✓შეძლებენ საბანკო საქმიანობის რეგულირების, რეფინანსირების, ტარგეტირების პოლიტიკის საკითხებში გარკვევას;

✓გაერკვევიან საბანკო მენეჯმენტის ძირითად საკითხებში და შეძლებენ ბანკის აქტივებისა და პასივების კომპლექსურ მართვას;

✓გამოიყენებენ კომერციული ბანკების ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შეფასების საზღვარგარეთული გამოცდილებას;

✓გამოიკვლევენ საბანკო ბაზრის მარკეტინგს და აქედან გამომდინარე შეიმუშავებენ მარკეტინგულ სტრატეგიას;

✓გაეცნობიან საბუღალტრო სამსახურის მუშაობის სწორ ორგანიზაციას და აუდიტის საკითხებს ბანკებში;

✓შეისწავლიან ბანკის ყველა ძირითად ოპერაციას: საკრედიტო, სავალუტო, საანგარიშსწორებო, სალაროს, ფაქტორინგულ, სატრასტო, პიპოთეკური და ა.შ.;

✓გაეცნობიან საბანკო ინოვაციების სასიცოცხლო ციკლს, თანამედროვე საბანკო ინოვაციების ძირითად სახეებს და მათი დანერგვის კანონზომიერებებს საქართველოში.

7. სასწავლო-მეთოდური მასალები

საკვლევლებულო ლიტერატურა

კოვზაძაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ.: თსუ გამომცემლობა, 2001.

კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი, 1999.

ქოქიაური ლ. ფინანსები. ფული. კრედიტი. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი. შ.ა.ხ. „პოლიგრაფი" თბ., 2000-2005წწ.

ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე), თბ., 2004-2005წწ.

ღუდუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 2002.

ცაავა გ. საბანკო საქმე: ლექციების კურსი. თბ., 2005.

Банковское дело. Под ред. Г.Г. Коробовой. М.: Экономисть, 2004.

Вулфел Чарлз Дж. Энциклопедия банковского дела и финансов. М.: Корпорация Федоров. 2001.

Полфреман Д., Форд Ф. Основы банковского дела. М.: ИНФРА-М, 1996.

Основы банковской деятельности (Банковское дело). Учебник. Под.ред. К.Р. Тагирбекова. М.: ИНФРА-М., 2001.

დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალა

გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. 2006.

ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, ფინანსური ინჟინერია, კრედიტი. თბ., 1999.

ხელაია გ. ფული, ბანკები, ბირჟები. თბ., 1996.

Банковское дело. Словарь: American Bankers Association. Пер. с англ.-го. М.: ИНФРА-М., 2001.

Финансово-кредитный энциклопедический словарь. Под общей ред. **А.Г. Грязновой.** М.: Финансы и статистика, 2004.

Банковское дело. Учебник. 2-е изд., / Под ред. **О.И. Лаврушина.** М.: Фынансы и статистика, 2003.

Банковское дело: управление и технологии: Учебное пособие для вузов. Под ред. **А.М. Тавасиева.** М.: ЮНИТИ - ДАНА, 2001.

Банковское дело. Учебник. / Под ред. **Е. П. Жарковской.** М.: Омега - Л., 2004.

МакНомон Д.Н. Организация работы в банках, т.1и2. Пер. с англ. М. ФиС, 2002.

Морсман-мл. Э.М. Управление кредитным портфелем. Пер. с англ. М.: Альпина Бизнес Букс, 2004.

Роуз С. Питер. Банковский менеджмент. Представление финансовых услуг. Пер. с. англ. М.: Дело, 1997.

პერიოდული გამოცემები: საქართველოს ეკონომიკა; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე; ეკონომიკა; სოციალური ეკონომიკა; ბიზნესი და კანონმდებლობა; ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშები; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (ეკონომიკა); სტატისტიკის დეპარტამენტის საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულები; საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენები და ა.შ.

Банковское дело. Финансы. Деньги и кредит;

Journal of Bank Cost and Management Accounting;

Journal of Banking and Finance;

Journal of Banking Strategy;

Journal of Bank Reseach;

Journal of Commercial Bank Leading;

Journal of Money, Credit and Banking Magazine of Bank Administration.

Charles J. Woelfel. Encyclopedia of Banking and finance. Tenth Edition. A.Bankline Publication. Cambridge, england. 2000.

Banks and Banking. U.S. Government Printing Office, Washington, DC.

Deregulation and Nonbank Banks: A selected Bibliography. Vance Publications, Monticello, VA.

Guide to Statistical Sources in Money, Banking, and Finance. Oryx Press, Phoenix, AZ.

American Banker Yearbook. Gale Research Co., Detroit, MI.

Austin, D.V., and Simoff, P. Strategic Planningfor Banks. Bank Administration Institute, Chicago, IL, 1992.

Austin, D.V., Hakala, D.DR., and Scampinis, T.J. Modern Banking.

Belasco.K. S. Bank Productivity. Bank Administration Institute, Chicago, IL, 1992.

Garcia, F. L. How to analyze a Bank Statement. Bankers Publishing Co., Rolling Meadows, IL, 1994.

Haves, S.L., and Huabbard, P.M. Investment Banking. Harvard Business School Press, Boston, MA,1990.

Johnson, F.P., and Johnson R. D. Commercial Bank Managment. Dryden Press, Hinsdale, IL, 1985.

Koch. T. W. Bank Management.Dryden, NY, 1992.

Kusnet, J., and Antopol, J.T. Modern Banking Checklists. Warren, Gorham and Lamont, Unc., Boston, MA, Cumulative supplements.

Reed. E. W. Commercial Banking. Prentice Hall, inc., Englewood Cliffs. NJ, 1984.

Santoro, N.J. Bank Operations Management. Bank Administration Institute, Chicago, IL, 1992.

Schroeder, M.R. Bank Officer's Handbook of Commercial Banking Law. Boston, MA, 1993.

Seglin J. L. The Banker's Handbook of Letters and Letter Writing, Bank Administration Institute, Chicago, IL, 1992.

Strategic Management for Bankers. Planning Forum, ford, OH, 1984.

Stemper, R.G. Successful Branch Management. Bank Administration Institute, Chicago, IL., 1992.

Taking Risk to Win. Bank Administration Institute, Chicago, IL, 1992.

ინტერნეტ მასალები:

1. საქართველოს პარლამენტი http://www.parlament.ge/
2. საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი http://www.statistics.ge/
3. საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge
4. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი www.pbo.ge
5. საქართველოს საფონდო ბირჟა www.cse.ge
6. „საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები" – (ყოველკვარტალური მიმოხილვა (www.geplac.ge))
7. მეწარმეობა საქართველოში 2003-2005. სტატისტიკის კრებული.www.statistics.ge
8. GNIERA (საქართველოში ერთადერთი სამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია, ინვესტიციებისა და ექსპორტის ხელშეწყობაზე) http://www.investingeorgia.org/ge/project_database/
9. კონტროლის პალატა www.control.ge
10. ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა" www.economics.com.ge
11. საერთაშორისო ჟურნალი (ინგლისურ ენაზე) FINANCE.BANKING.INVESTMENT www.fin.bank.invest.caucasus.net.
12. საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები (ყოველ კვარტალური მიმოხილვა (www.geplac.org))

8. გამოცდაზე არ დაიშვება სტუდენტი, რომელმაც საკონტაქტო სესსტრული მუშაობისას ვერ დააგროვა საჭიროდებული – მინიმუმ სამი კომპონენტის მინიმალური ჯამი. საგამოცდო ტესტირებაზე დაშვების მინიმალურ ქულათა ოდენობა, ჩვენი აზრით, უნდა შეადგენს 11 ქულას, მაგრამ მისი შეცვლის პირობით, იმისდა მიხედვით, როგორი იქნება სტუდენტთა კონკრეტული ნაკადის ცოდნის საერთო დონე.

Department of Economics and Business
Direction of Finances, Banking and Insurance Business

B A N K I N G
(For the students of Economics)

The Author: Dortor of Economical sciences, Real member of scientific Academy of New-Yourk, real member of Academy of Georgian economics, professor of tecnocal University
LAMARA QOQIAURI

I.The syllabuses is composed according to the delivered format of the Quality Assurance Service of Iv.Javakhishvili Tbilisi State University and the standard form of syllabuses is used: hup:/www.tsu.ge./geo/inst/silabusis/20forma.htm

The status of the Syllabuses: The object is compulsory for all students of the economical faculty: Economical theory; Finances; Banking and insurance business; Accounting and Audit; Business organization and management; Management and Administration; Marketing; Tourism; Economical statistics.

The discipline is considered for Bachelors and Undergraduates. The subject has to be imperative for all two steps of education, but for the direction of each step, their characteristics and specifications are taken into account.

- **The duration of the training course**: In our consideration, the course has to be five semesters. Its training is desirable at the three semesters of the second and third Bachelor Degree Courses and at all two semesters of the first course of the Magistracy.

ECTS- **The credits of the training Course**: The amount of credits of the Training Course is 2 for present. All two credits are yielded to contact hours (lection and seminar). The hours of independent work are not considered in the job of professors-lecturers. The credit amount has to be 5 credits at the Bachelors Degree Course, and in Magistracy –4. 75 hours from them are the auditoria job and the rest are for the individual activity,

The Lecturer: Dortor of Economical sciences, Real member of scientific Academy of New-Yourk, real member of Academy of Georgian economics, professor of tecnocal University **Lamara Qoqiauri.**

- **Contact Information**: Phone: 304066; 790710; 760595; (899) 906011

Except lections and seminars, the contact days with students are: Thursday and Saturday, from 12.00 till 17.00: besides they can contact with lecturer by the phone every day from 8.00 to 18. 00 or get consultation on desirable subjects by E-mail

2. THE OBJECTIVE OF THE TRAINING COURSE: The goals and objectives of the Course is to give to the students the general skills of the origin of banks, functioning, conducting of basic operations, the possibility to learn the modern methods of economical analyzing and management of the banking activity under the conditions of market economics, introduce to the students the banking

market and the investment activity of commercial banks. Provide them with the newel working culture of banking investment activity; introduce to the students of native and especially the modern technologies and instumentariums of the organization, management, analyzing of banking activity in foreign practice.

- **The preconditions of Syllabuses**: The discipline contains the basic subjects of banking under the market conditions; There are expressed the economical fundamentals of origin and activity of banks; first the problematic issues of origin, licensing, reorganization, readjustment and liquidation of commercial banks in Georgia are complexly studied; also the regularities of development of banking market; the issues of functioning of central and commercial banks, the development of legislative basics of their activity; the resources and the capital fund of commercial banks have been studied, operations (agreements) and dependability; the incomes, expenditures and profits have been analyzed; the liquidation and paymentability of banks have been determined; especially the attention is paid at the banking management, its assessment and quality; at the issues and technologies of banking marketing; at the regulation of banking activity; the organization of accounting business, control and audit in banks are newly discussed.

  To study this course the students of Magistracy and Bachelor Degree Course have to gotten through or simultaneously studied the general courses of higher mathematics, financial mathematics. theory of probability, general theory of statistics, financiering, financial management, analyzing of currency and etc.

- **The format of the training course**: The course has to be trained in standard format: lection, seminar, practical training format. The great attention is paid for the newest methods of training – application of modern audio and video data, the diagrams, schemes elaborated by the lecturer for this purposes. The electronic version of the lection course has to be taped, that have to be placed in the lectors web page in Internet. Also, the placement of two volumes of our manual "The Fundamentals of the Banking Activity" (Banking) have to be provided, to be open for all bachelor and undergraduates.

The most resulting in the training are the debates. After the each explored themes the problem have to be put, the lectors and the students have to be prepared preliminary for the selected theme, the recommended literature would be passed them in advance.

During semester they would have presentation among them on the selected actual thematic. The intermediate testing would be conducted twice in practical skills and writing working-colloquium according basical themes.

Except this, the students will prepare projects and synopsis on the problematic issues during the semester.

The undergraduates will perform term paper and abstract on selected theme.

The bachelors and the undergraduates have to perform written works during education, solve the tasks, exercises, assess of situations and conducting investigations. They will have also the possibility to prepare presentation, invite well-known specialists in investment sphere and participate in discussions.

During teaching the subject the lecturer will assist undergraduates to participate in the elaboration of juridical legislative standards of investment sphere, lead the successful students to participate in scientific conferences and publish the articles in related spheres; the gifted, skilled and hard-working students will participate in preparation and publication of textbooks and monographs.

To improve the progress, after passing several themes the special skilled bachelors will be selected, will be systematically observed and further will be recommended for magistracy.

Also, the advanced students have to be searched and recommended to participate in elaboration of projects.

3.THE STRUCTURE AND CONTENT OF THE COURSE (TRAINING THEMATIC)

№	Nomination of thematic	Lection	Attendance	Practical training	Home work
1	The economical basis of creating and activity of banks	2	1		Bibliographical research
2	The crediting system under the conditions of market economics	2	1		The crediting system-preparation of referral
3	The banking market	4	1	Conducting of discussions	
4	The central banks	2	1	Practical training in National Bank	
	The commercial banks	2	1	Introducing with commercial bank	
6	The legislative principles of banking activity	2	1		Searching and introduction of banking logistics
	The origin of commercial banks, reorganization, readjustment and liquidation	2	1	The preparation of project of packet of documents for the opening of bank	Preparing analytical materials of the processes of creation or closing of banks nowadays in Georgia
8	The resources of commercial bank and its capital reserve	2	1	Seminars	
9	The operations and dependability of commercial banks	2	1	Debates	

10	The incomes, expenditures and profit of commercial banks	2	1		Learning financial status of several banks
11	The crediting market of bank	2	1	Debates	Preparation of the documents package for getting credit
12	The exchange operations of commercial banks	2	1	Introducing with interbanking stock activity	
13	The syndicate, deposit, hypothetic and other operations of commercial banks	2	1		
14	The regulation of banking activity	2	1	Seminar	
15	The liquidity of commercial banks and paymentability	2	1		Learning liquidity and payability of one bank
16	The management of banking risks	2	1	Seminar	
17	The fundamentals of banking management	2	2	Seminar	
18	The banking marketing	2	1		Introduction or learning of a marketing , department of one bank.
19	The banking innovation	2	1	Visiting commercial bank of Tbilisi	
20	The commercial banks and money accounting system	2	2	Learning of all accounting operations in bank at places	
21	The organization of accounting service in banks	4	1	Seminar in commercial bank	Learning and introduction of a credit department of one bank
22	The control and audit in commercial banks	2	1	Introduction with audit conclusions of a bank	
	Total	48	24		

4. THE CONTENT OF SYLLABUSES

CHAPTER I: THE ECONOMICAL BASIS OF CREATING AND ACTIVITY OF BANKS

1.1. The essence of banks – short historical view
1.2. The discussion about the essence of banks
1.3. For the analyzes of the essence of bank
1.4. The banking monopoly
1.5. The establishment and development of banks in Georgia
1.6. The bank as the compound element of banking system

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER I:

COMPULSORY LITERATURE

1. **Tedia A.** Georgian Princely bank and Ilia Chavchavadze. Tb. 1989. Pp. 8-271.
2. **Qciava N.** The Currency and credits of capitalistic countries. V.I, Tb. 1956. pp.5-26.
3. **Qoqiauri L.** The Fundamentals of banking (Banking activity), Tb. 2010. pp.1-39.
4. **Tsaava G.** Banking activity: Course of lections. Tb. 2005.

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. **Gamsakhurdia G.** The basical problems of Georgian financing policy at the modern stage. Tb. "Merani", 1995.
2. **Gugushvili P.** Money marks and currency. The economical development of Georgia and TransCaucasus in XIX-XX Centuries. Monographs. V. II, 1956. V.V. 1962.
3. Vachtang The VI –th. The book of Law. Tb. 1955.
4. **Kapanadze D.** Georgian numismatics, 1950.
5. **Kovzanadze I.** The problems of functioning of the Georgian Commercial Banks at modern stage. Tb. TSU Pub. 2001.
6. **Qistauri Sh.** Ilia Chavchavadze - Great Georgian Banker-Financer. Tb. 1998.
7. **Clandadze V.** The history of money, credits and finances. Part I and II. Tb. 1986.
8. **Clandadze V.** The history of money, credits and finances. Money, credits and finances in Georgia. Part I and II. Tb. 1987.
9. **Ilelaia G.** Money, banks, stocks. Tb. 1996.
10. **Javakhishvili Iv.** Georgian economical history, Tb. V.I. 1930
11. **Javakhishvili Iv.** The history of Georgian Nation. Tb. 1941.
12. **Woelfel Charles J.** Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.
13. **Paifreman david., Ford Philip.** Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.

CHAPTER II. THE CREDITING SYSTEM UNDER THE CONDITIONS OF MARKET ECONOMICS

2.1. The crediting system and its development during the market passing period
2.2. The concept of banking system
2.3. The organization scheme of banking system
2.4. The institutional scheme of banking system
2.5. The association of commercial banks
2.6. The state of banking system of Georgia
2.7. The development of banking system

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER II:
COMPULSORY LITERATURE

1. Qoqiauri L. The fundamentals of banking (Banking activity), Tb. 2010. Pp 40-71..
2. Tsaava G. Banking activity: Course of lections. Tb. 2005. pp.62-107.

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. The economical Dictionary. Authors collective managing by prof. A.Silagadze. Tb. 2001.
2. Kovzanadze I. The problems of functioning of the Georgian Commercial Banks at modern stage. Tb. TSU Pub. 2001.
3. Georgian body law "On the national Bank of Georgia". Georgian Banking Legislation. Tb. 2002.
4. Gudushauri L. The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
5. Tsaava G. Finances, currency, financing engineering, credit. Tb. 1999.
6. Ilelaia G. Some actual issues of currency and credits. Tb. 1993.
7. The banking. Ed. by G.G. Korobov M. Economist, 2004. (Russ.)
8. Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
9. The banking activity: management and technologies: Manual for Higher education. Ed. by A.M. Tavasiev. M. UNITI-DANA, 2001.(Russ.)
10. Woolfen Charles J. The encyclopedia of banking and finances. M. 2000. (Rus.)
11. Mode D. Molino F. Private Banking: elite service of private capital. M. 2003. (Rus.)

CHAPTER III. THE BANKING MARKET

3.1. The financial market. Essence. Structure. Characterization
3.2. The concept of financial market
3.3. The banking market as the product market of banking service
3.4. The ratio of banking, financial and money markets
3.5. The members of banking market
3.6. The commercial banks: universal and specialization
3.7. The nonbanking credit-financing institutions
3.8. The nonfinanciering members of banking market
3.9. The structure of banking market
3.10. The sectorial approach at the banking market
3.11. The structure of banking market according to the customers group
3.12. The special structure of banking market
3.13. The essence of banking competition
3.14. The forms of banking competition
3.15. The peculiarities of banking competition

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER III:
COMPULSORY LITERATURE

1. Qoqiauri L. The fundamentals of banking (Banking activity), Tb. 2010. Pp.72-120.
2. Papava G. For the normalization and improving of market economics in Georgia. Tb. "Finances", 2000. Pp.3-82
3. Chitanava N. The organizational problems of the formation of market economics. Tb. 1993. Pp.21-55

4. **Samoilov G.O.** The banking competition. M. 2002. pp.44-71(Rus.)
5. The banking. Ed. by **G.G. Korobov** M. Economist, 2004. (Russ.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. **Asatiani.R.** Explanation Dictionary of Economics. Tb. Pub. Firm "Siakhle", 2003.
2. The economical Dictionary. Authors collective managing by prof. **A.Silagadze.** Tb. 2001.
3. **Kovzanadze I.** The problems of functioning of the Georgian Commercial Banks at modern stage. Tb. TSU Pub. 2001.
4. **Meskhia I.** The internal and external factors of the financing stabilization in Georgia. "Transactions",V. I, Georgian Academy of economical Sciences. Tb. Pub. firm "Siahle", 2000.
5. **Papava V.** The doctrine of market equality. Tb. 1999.
6. **Qoqiauri L.** The investment market: The theory, politics, practices. Tb. 2002.
7. **Gudushauri L.** The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
8. **Helaia G.** The international exchange and credit relations. Tb. 1994.
9. **Palfreman david., Ford Philip.** Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
10. **Pose Peter S.** Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
11. **Woelfel Charles J.** Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

CHAPTER IV. THE CENTRAL BANKS

4.1. The origin of central bank
4.2. On the independent status of the central bank
4.3. The position of the central bank in economics
4.4. The organization structure of the National Bank of Georgia
4.5. The management of National Bank
4.6. The functions and objectives of central bank
4.7. The main instruments of monetary and crediting policy of central banks
4.8. The regulation of emission
4.9. Money supply and the methods of its assessment
4.10.The monetary-crediting and exchange policy of National Bank of Georgia
4.11. The objectives of monetary-crediting policy and main results
4.12. The mechanisms of monetary-crediting policy of National Bank

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER IV:
COMPULSORY LITERATURE

1. **Kakulia·R. Helaia G.** General theory of currency and credit. Tb. 2000.
2. **Saiia R.** Money aggregation and wide money. Mag. Bank №5. 2002. pp.59-62
3. **Qoqiauri L.** The fundamentals of banking (Banking activity), Tb. 2010. pp. 121-161.
4. **Tsaava G.** Banking activity: Course of lections. Tb. 2005.

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. **Asatiani.R.** Explanation Dictionary of Economics. Tb. Pub. Firm "Siakhle", 2003.
2. **Asatiani R.** Money and money systems. Tb. 1996.
3.. The economical Dictionary. Authors collective managing by prof. **A.Silagadze.** Tb. 2001.

4. Georgian Banking Legislation. Tb. 2002.
5. **Gudushauri L.** The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
6. **Helaia G.** Some actual issues of currency and credits. Tb. 1993.
7. **Helaia G.** Money, banks, stocks. Tb. 1996.
8. **Palfreman david., Ford Philip.** Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
9. **Pose Peter S.** Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
10. **Woelfel Charles J.** Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

CHAPTER V. THE COMMERCIAL BANKS

5.1. The concept of commercial bank
5.2. The principles of activity of commercial bank
5.3. Banking operations and service
5.4. The functions of commercial banks
5.5. The organizational-functional structure of typical commercial banks
5.6. The directing bodies of commercial banksChapter

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER V:

COMPULSORY LITERATURE

1. Qaqiauri L. The fundamentals of banking (Banking activity), Tb. 2010. pp. 162-189.
2. Tsaava G. Banking activity: Course of lections. Tb. 2005.
3. The banking activity. Manual. Ed. by **Lavrushin O.I.** M. Finances and statistics, 2004. (Russ.)
4. The banking. Ed. by G.G. Korobov M. Economist, 2004. (Russ.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. **Kakulia R. Helaia G.** General theory of currency and credit. Tb. 2000.
2. **Kovzanadze I.** The problems of functioning of the Georgian Commercial Banks at the modern stage. Tb. TSU Puo. 2001.
3. **Compton Eric N.** The new horizons of commercial banking system. Tr. from Eng. Tb. 1993.
4. **Managadze I.** Georgian banking system at the beginning of XXI century. "Bank", Tb. 2000. №1 pp.3-8.
National Bank of Georgia .Annual Reports of 1996, 1997, 1998, 1999, 2000. 2001, 2002, 2003. years.
6. Georgian Banking Legislation. Tb. 2002.
7. The retrospective overview of Georgian Banking System in 1994-1999. years. Tb. 2000. pp24-48.
8. **Gudushauri L.** The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
9. **Shatirishvili J.** The actual issues of perfection of banking reform. Mag. "Macne", Tb. 1997. V.V. №3, 4. pp.29-41
10. **Helaia G.** Money, banks, stocks. Tb. 1996.
11. **Palfreman david., Ford Philip.** Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
12. **Pose Peter S.** Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.

13. **Woolfen Charles J.** The encyclopedia of banking and finances. M. Corporation Fedorov, 2001. (Rus.)
14. **MillerR.L. Van Hoose D.D.** Modern money and banking. M. 2000. (Rus.)
15. **Mode D. Molino F.** Private Banking: elite service of private capital. M. 2003. (Rus.)

CHAPTER VI. THE LEGISLATIVE PRINCIPLES OF BANKING ACTIVITY

6.1. Briefly – about banking legislation
6.2. The principles of legislation of activity of modern bank
6.3. The legislative structure of commercial banks
6.4. The development of legislative principles of Georgian banking system - the chronology
6.5. The Basel Standards of supervision on banks and banking activity
6.6. From the foreign experience of supervision on banking activity
6.7. The legislative regulation and supervision activity system of National Bank and commercial banks during 2000.-2002. years
6.8. The outlooks of development of regulation and supervision of banks and banking activity in Georgia

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER VI:

COMPULSORY LITERATURE

1. Georgian Constitution. 24 August of 1995.
2. Georgian law on the National Bank. Georgian Banking Legislation. Tb. 2003. pp.3-21.
3. Georgian law "On the activity of commercial banks". Georgian Banking Legislation. Tb. 2003. pp.3-21.
4. **Qistauri L. Qistauri Sh.** The problems of financing and banking legislation of Georgia. Tb. "Samtavisi", 1997. pp.7-255.
5. **Quqiauri L.** The fundamentals of banking (Banking activity), Tb. 2010. pp.190-227.
6. The banking. Ed. by **G.G. Korobov** M. Economist, 2004. (Rus.)
7. The banking activity. Manual. Ed. by **Lavrushin O.I.** M. Finances and statistics, 2004. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. The manual of banking supervision and decision by CAMEL system.
The order №227 of the President of National Bank of Georgia, 2000, 9 august.
2. The order №127 of the President of National Bank of Georgia of 1998, 28 of December on the proving of "Methodological Manual of supervision-regulation of the activity of commercial banks"
3. The order 3227 of the President of National Bank of Georgia of 2000, 9 of august on the "Quarterly implementation of external banking supervision and analyzing of "CAMEL" system "
4. Georgian law on the National Bank. Georgian Banking Legislation. Publications of National Bank of Georgia Tb. 1998.
5. Georgian law on the activity of commercial banks. Georgian Banking Legislation. . Publications of National Bank of Georgia Tb. 1998.

6. **Gamsakhurdia G.** The basical problems of Georgian financing policy at the modern stage. Tb. "Merani", 1995.
7. **Kovzanadze I.** The problems of functioning of the Georgian Commercial Banks at modern stage. Tb. TSU Pub. 2001.
8. **Gudushauri L.** The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
9. **Palfreman david., Ford Philip.** Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
10. **Pose Peter S.** Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
11. The banking activity: management and technologies: Manual for Higher education. Ed. by **A.M. Tavasiev.** M. UNITI-DANA, 2001. (Russ.)
12. **Berstain P.** Against Gods: The Risk curbing. Tr. from Eng. –M. ZAO "Olimp-business". 2000.
13. **Boumen K.** The basics of strategical management. Tr, from Eng.-M Banks and Stocks, YNITI, 1997.
14. **Woolfen Charles J.** The encyclopedia of banking and finances. M. Corporation Fedorov. 2001. (Rus.)
15. **Mode D. Molino F.** Private Banking: elite service of private capital. M. 2003. (Rus.)
16. **Shildovskaia M.S.** The banking observation and audit. M. Higher school. 2003. (Rus.) pp.13-165.
17. The financiering-crediting encyclopedic dictionary. ED. by **A. G. Griaznov** M. Finances and statistics, 2004. (Rus.)

CHAPTER VII. THE ORIGIN OF COMMERCIAL BANKS, REORGANIZATION, READJUSTMENT AND LIQUIDATION

7.1. The origin of commercial banks
7.2. The concept and stages of origin of commercial banks
7.3. The registration and licensing of bank: the normative requirements and procedures
7.4. The licensing rules of newly originated and working banks
7.5. The rules for opening and closing of banking branches
7.6. The reorganization of commercial banks
7.7. The concept of reorganization of banks
7.8. The criteria for necessity of reorganization of banks
7.9. The merging and integration of banks. The procedures and problems
7.10. The other forms of banks reorganization
7.11. The readjustment of commercial banks
7.12. The criteria of necessity of readjustment of commercial banks
7.13. The financial plan of financial normalization of bank
7.14. The economical structure of banks restructurization
7.15. From the foreign experience of the restructurization of banking system
7.16. The liquidity of commercial banks
7.17. The liquidity of unvitality bank: the initial concepts
7.18. The rules of banking failure
7.19. The procedures of banking liquidity
7.20. The intermediate liquidation balance of bank

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER VII:
COMPULSORY LITERATURE

1. Qoqiauri L. The fundamentals of banking (Banking activity), Tb. 2010. pp. 228-309.
2. Tsaava G. Banking activity: Course of lections. Tb. 2005.
3. The banking activity: management and technologies: Manual for Higher education. Ed. by A.M. Tavasiev. M. UNITI-DANA, 2001. (Russ.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. Georgian body law "On the national Bank of Georgia". Georgian Banking Legislation. Tb. 2002.
2. Georgian law on the activity of commercial banks. National Bank of Georgia Tb. 2002.
3. Asatiani.R. Explanation Dictionary of Economics. Tb. Pub. Firm "Siakhle", 2003.
The methodological manual of regulation of supervision of activity of commercial banks. Tb. National Bank of Georgia. Tb. 1999.
5. Tsaava G. Finances, currency, financing engineering , credit. Tb. 1999.
6. Gudushauri L. The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
7. The banking activity. Manual. Ed. by Lavrushin O.I. M. Finances and statistics, 2004. (Rus.)
8. Woolfen Charles J. The encyclopedia of banking and finances. M. Corporation Fedorov, 2001. (Rus.)
9. Paltreman david., Ford Philip. Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
10. Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
11. Mode D. Molino F. Private Banking: Elite service of private capital. M. 2003. (Rus.)
12. The financiering-crediting encyclopedic dictionary. ED. by A. G. Griaznov M. Finances and statistics, 2004. (Rus.)

CHAPTER VIII. THE RESOURCES OF COMMERCIAL BANK AND ITS CAPITAL RESERVE

8.1. The resources of commercial banks: their structure and characterization
8.2. The essence of owned capital of bank
8.3. The capital of Georgian commercial banks and the definition methods of their quality
8.4. The types of banking capital
8.5. The functions of banking functions
8.6. How many capital needs bank?
8.7. The assessment of adequacy of owned capital
8.8. The current tendencies of attraction of additional capital
8.9. The attracted resources of commercial bank

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER VIII:

COMPULSORY LITERATURE

1. Kovzanadze L. The problems of functioning of the Georgian Commercial Banks at modern stage. Tb. 2001. pp.78-153.
2. Qoqiauri L. The fundamentals of banking (Banking activity), Tb. 2010. pp. 310-362.
3. Tsaava G. Banking activity: Course of lections. Tb. 2005.
4. The banking. Ed. by G.G. Korobov M. Economist, 2004. (Rus.)

5. The banking activity. Manual. Ed. by **Lavrushin O.I.** M. Finances and statistics, 2004. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. **Asatiani.R.** Explanation Dictionary of Economics. Tb. Publ. Firm "Siakhle", 2003.
2. **Gitman L.J. Jonk M.D.** The basics of investing. Translated by L.Qoqiauri. Tb. 2001.
3. The economical Dictionary. Authors collective managing by prof. **A.Silagadze.** Tb. 2001.
4. The methodological manual of regulation of supervision of activity of commercial banks. Tb. National Bank of Georgia. Tb. 1999.
5. **Papava V.** The International Exchange Fund in Georgia: achievements and mistakes. Tb. 2000.
6. **Gudushauri L.** The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
7. The banking portfolio: 3V. Ed. by **Y.I. Korobov, Y.B. Rubin, V.I.Soldatkin.** M. Somintex, 1994.-1995. (Rus.)
8. **Palfreman david., Ford Philip.** Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
9. **Pose Peter S.** Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
10. **Woelfel Charles J.** Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

CHAPTER IX. THE OPERATIONS AND DEPENDABILITY OF COMMERCIAL BANKS

9.1. The unfavorable and favorable banking operations
9.2. The structure and composition of assets
9.3. The banking assets degree
9.4. The risks of banking activity: concept, classification, the calculation methods. Banking reserving fund
9.5. Banking dependability: concept, definition factors, indications

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER IX:

COMPULSORY LITERATURE

1. **Qoqiauri L.** The fundamentals of banking (Banking activity), Tb. 2010. pp. 363-401.
2. **Tsaava G.** Banking activity: Course of lections. Tb. 2005.
3. The banking. Ed. by **G.G. Korobov** M. Economist. 2004. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. The methodological manual of regulation of supervision of activity of commercial banks. Tb. National Bank of Georgia. Tb. 1999.
2. **Kovzanadze I.** The problems of functioning of the Georgian Commercial Banks at modern stage. Tb. TSU Pub. 2001.
3. **D.Jons K.** The banking and financial reforms in the countries of Central and Western Europe. 1996. (Rus.)
4. **Rode E.** The banks, stocks and exchange operations in capitalist countries. Tr. by Namicheishvili. Kutaisi, „Sarangi", 1993.
5. **Gudushauri L.** The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
6. **Helaia G.** money, banks, stocks. Tb. 1996.
7. **Helaia G.** Some actual issues of currency and credits. Tb. 1993.
9. **Palfreman david., Ford Philip.** Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.

10. **Pose Peter S.** Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
11. **Woelfel Charles J.** Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

CHAPTER X. THE INCOMES, EXPENDITURES AND PROFIT OF COMMERCIAL BANKS

10.1. The incomes of bank: sources, classification, level assessment and planning
10.2. The expenditures of commercial banks
10.3. The merging interest
10.4. The analyze of income and outcome level of commercial banks
10.5. The factor analyze of incomes and expenditures
10.6. The formation of commercial banks profits and application
10.7. The assessment of profit level of commercial banks
10.8. The financial analyze of bank, its objectives and methods
10.9. The equation of bank's capital
10.10. The equation of dynamical accounting balance
10.11. The modificated equation of balance
10.12. The main equation of balance of bank

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER X:

COMPULSORY LITERATURE

1. **Qoqiauri L.** The fundamentals of banking (Banking activity), Tb. 2010. pp. 402-463.
2. **Tsiava G.** Banking activity: Course of lections. Tb. 2005.
3. The banking activity. Manual. Ed. by **Lavrushin O.I.** M. 2004. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. **Asatiani R.** Explanation Dictionary of Economics. Tb. Publ. Firm "Siakhle", 2003.
2. The economical Dictionary. Authors collective managing by prof. **A.Silagadze.** Tb. 2001.
3. **Gudushauri L.** The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
4. The Basel Committee on the banking supervision. Collected documents and materials. Comp. by **Kuznets Y.V.** M. 1997. (Rus.)
5. **Barlatrop K. MacNoton D.** The markets in developing markets. 2V. Tr. from Eng. M. 1994.
6. Introduction in banking. Tr. from Germ. Ed. by **Giunter Ashaer** M. 1997.
7. **Vanaen K.D.** The risk management of commercial banks. Washington, 1992. (Rus.)
8. **Poulreman D. Forg F.** The fundamentals of banking activity. M. Infra –M, 1996. (Rus.)
9. **Palfreman david., Ford Philip.** Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
10. **Pose Peter S.** Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
11. **Woelfel Charles J.** Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

CHAPTER XI. THE CREDIT MARKET OF BANK

11.1. The banking credit: base concepts
11.2. The banking crediting: fundamental normative requirements
11.3. The crediting policy of commercial bank
11.4. The content of crediting policy

11.5. The objectives and mechanisms of crediting policy of bank11.
11.6. The fundamentals of crediting technology and organization of crediting subdivision activity of bank
11.7.The assessment of creditability and financial stability of lender
11.8. The price of banking crediting
11.9. The measures of ensuring of credit reflexivity
11.10.The degree of crediting activity of bank
11.11.The assessment of dynamic of financial state of bank

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER XI: COMPULSORY LITERATURE

1. Qoqiauri L. The fundamentals of banking (Banking activity), Tb. 2010. pp.464-502.
2. Tsaava G. Banking activity: Course of lections. Tb. 2005. pp. 390-428.
3. The banking. Ed. by G.G. Korobov M. Economist. 2004. pp.274-396. (Rus.)
4. Morsman E. The crediting department of bank: The organization of efficiency of business. M. 2002. pp. 85-114. (Rus.)
5. Chelnokov V.A. Banks and banking operations: The alphabet of crediting. The technology of banking loans. The near banking market space. Manual, M. Higher School. 2004. pp. 7-210. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. Gudushauri L. The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
2. Batrakova L.G.The economical analyzes of activity of commercial bank. M. Logos, 2002.
3. Beliakov A.V. The banking risks: The problems of accounting, management and regulation. M. BDT-Press, 2003. (Rus.)
4. The banking. Manual. Ed. by E.P. Jarcovsky. M. Omega-L. 2004. (Rus.)
5. The banking activity. Manual. Ed. by Lavrushin O.I. M. Finances and statistics, 2004. (Rus.)
6. Beloglazova G.N. Krolivetskaia L.P. Banking. Fis. 2004. (Rus.)
7. The lections on the activity of central banks. Ed. by Pokkas M. Mastropaskula K. Rome, 1996. (Rus.)
8. Sinki D.J. (Jun) The financing management in commercial banks: Ed. by Levit R.Y. Pinsker B.S. M. 1994. (Rus.)
9. Palfreman david., Ford Philip. Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
10. Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
11. Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.
12. The manual of crediting management: Tr. from Eng. Ed. by Edwards B. M. 1996. (Rus.)
13. The financiering-crediting encyclopedic dictionary. ED. by A. G. Griaznov M. Finances and statistics, 2004. (Rus.)

CHAPTER XII. THE EXCHANGE OPERATIONS OF COMMERCIAL BANKS

12.1. The concept of exchange market. The functions of exchange market
12.2. The economical basis of exchange operations
12.3. The infrastructure of exchange market in Georgia

12.4. The regulation of exchange market
12.5. The exchange risks and their regulations

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER XII:
COMPULSORY LITERATURE

1. Qoqiauri L. The fundamentals of banking (Banking activity), 2010. pp. 503-540.
2. The banking. Ed. by G.G. Korobov M. Economist, 2004. pp 448-472. (Rus.)
3. The banking activity. Manual. Ed. by Lavrushin O.I. M. Finances and statistics, 2004. pp.497-583. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. Asatiani.R. Explanation Dictionary of Economics. Tb. Publ. Firm "Siakhle", 2003.
2. Gudushauri L. The credits and modern banking mechanism Tb. 1996.
3. Rode E. The banks, stocks and exchange operations in capitalist countries. Tr. by Namicheishvili. Kutaisi, „Sarangi", 1993.
4. Kakulia R. Helaia G. General theory of currency and credit. Tb. 2000.
5. Gudushauri L. The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
6. The banking activity. Manual. Ed. by Lavrushin O.I. M. Finances and statistics, 2004. (Rus.)
7. The banking. Manual. Ed. by E.P. Jarcovsky. M. Omega-L. 2004. (Rus.)
8. Pattreman david., Ford Philip. Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
9. Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
10. Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

CHAPTER XIII. THE SYNDICATE, DEPOSIT, HYPOTHETIC AND OTHER OPERATIONS OF COMMERCIAL BANKS

13.1. The syndicate operations of commercial banks
13.2. The deposit activity of commercial banks
13.3. The hypothetic operations of commercial banks
13.4. The modern types of crediting operations

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER XIII:
COMPULSORY LITERATURE

1. Qoqiauri L. The fundamentals of banking (Banking activity), 2010. pp. 541-575
2. The banking. Ed. by G.G. Korobov M. Economist, 2004. pp. 427-447. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. Asatiani.R. Explanation Dictionary of Economics. Tb. Publ. Firm "Siakhle", 2003.
2. Gudushauri L. The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
3. Tsnava G. Banking activity: Course of lections. Tb. 2005.
4. Tsnava G. Finances. currency, financing engineering , credit. Tb. 1999.
5. Helaia G. money, banks, stocks. Tb. 1996.
6. The banking activity. Manual. Ed. by Lavrushin O.I. M. Finances and statistics, 2004. (Rus.)
7. The banking. Manual. Ed. by E.P. Jarcovsky. M. Omega-L. 2004. (Rus.)

8. Palfreman david., Ford Philip. Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
9. Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
10. Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

CHAPTER XIV. THE REGULATION OF BANKING ACTIVITY

14.1. The types of monetary- crediting policy and peculiarities at the modern stage.
14.2. The operating procedures and instruments of monetary-crediting policy
14.3. The identification of deposited obligated reserves in the central bank
14.4. The interest policy. The regulation of official interest rate.
14.5. The refinancing of banks
14.6. The operations at the open market
14.7. The exchange regulations
14.8. The identification of the orientates of money supply and direct qualitative restrictions: the targeting policy

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER XIV:

COMPULSORY LITERATURE

1. The methodological manual of regulation of supervision of activity of commercial banks. Tb. National Bank of Georgia. Tb. 1999.
2. Qoqiauri L. The fundamentals of banking (Banking activity), 2010. pp. 576-601.
3. Tsaava G. Banking activity: Course of lections. Tb. 2005.

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1 Georgian body law on the National Bank. of Georgia. Georgian Banking Legislation. National Bank of Georgia Tb. 2003.
2. Gudushauri L. The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
3. The banking activity. Manual. Ed. by Lavrushin O.I. M. Finances and statistics, 2004. (Rus.)
4. Milovidov V.D. The modern banking: The experience of organization and functioning of USA banks. m. MSU Pub. 1992. (Rus.)
5. Moue D. Molino F. Private Banking: Elite service of private capital. M. 2003. (Rus.)
6. The banking. Ed. by G.G. Korotov M. Economist, 2004. (Rus.)
7. Palfreman david., Ford Philip. Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
8. Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
9. Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl. 1997.

CHAPTER XV. THE LIQUIDITY OF COMMERCIAL BANKS AND PAYMENTABILITY

15.1. The liquidity of commercial bank as the financial-economical category
15.2. The definition factors of the liquicity and paymentability of commercial bank
15.3. The analyze of the liquidity of commercial bank
15.4. The management of the liquidity of commercial bank
15.5. The management of assets
15.6. The management of liabilities
15.7. The balancing management of assets and liabilities

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER XV:
COMPULSORY LITERATURE

1. **Kovzanadze I.** The problems of functioning of the Georgian Commercial Banks at modern stage. Tb. TSU Pub. 2001. pp.218-286.
2. **Qoqiauri L.** The fundamentals of banking (Banking activity), 2010. pp. 602-660.
3. **Tsaava G.** Banking activity: Course of lections. Tb. 2005. pp. 549-586.
4. The banking. Ed. by **G.G. Korobov** M. Economist. 2004. pp. 146-176. (Rus.)
5. The banking activity. Manual. Ed. by **Lavrushin O.I.** M. INFRA-M. 1995. pp. 140-168. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. **Kakulia R. Helaia G.** General theory of currency and credit. Tb. 2000.
2. The methodological manual of regulation of supervision of activity of commercial banks. Tb. National Bank of Georgia. Tb. 1999.
3. **Helaia G.** money, banks, stocks. Tb. 1996.
4. **Gudushauri L.** The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
5. Bank and banking operations. Ed. by **Jukov E.F.** M. Banks and Stocks, YUNITI, 1997. (Rus.)
6. The banking portfolio: 3V. Ed. by **Y.I. Korobov, Y.B.** Rubin, V.I.Soldatkin. M. Somintex, 1994-1995. (Rus.)
7. The banking activity. Manual. Ed. by **Lavrushin O.I.** M. Finances and statistics, 2001. (Rus.)
8. **Sweruk V.T.** The banking risks. M. Delo LTD, 1995. (Rus.)
9. The banking activity: management and technologies: Manual for Higher education. Ed. by **A.M. Tavasiev.** M. UNITI-DANA, 2001. (Rus.)
10. The fundamentals of banking activity. Manual. Ed. by **K.R. Tagirbekov** M. Infra-M. 2001. (Rus.)
11. **Palfreman david., Ford Philip.** Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
12. **Pose Peter S.** Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
13. **Woelfel Charles J.** Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Puolishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

CHAPTER XVI. THE MANAGEMENT OF BANKING RISKS

16.1. The essence of the banking risks and classification
16.2. The organization of risk management by the commercial banks
16.3. The crediting risk: content, assessment, the management methods
16.4. The crediting risks and formed reserve for the potential losses of borrows
16.5. The analyze of crediting portfolio
16.6. The classification of industries by the crediting risk on the financial state and depending on the credit supply degree
16.7. The crediting policy of commercial bank
16.8. The content of crediting policy
16.9. The objectives of realization of crediting policy and mechanisms
16.10. The depositing risk and banking operations for its prevention
16.11. The operation risk on securities: content and activity of commercial banks for its regulation

16.12.The interest risk: the essence and managing peculiarities
16.13.The exchange risk: the essence, types, managing methods
16.14.The sectoral and state risk
16.15.The organization and personnel: essence, reasons, management

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER XVI:
COMPULSORY LITERATURE

1. Qoqiauri L. The fundamentals of banking (Banking activity), 2010. pp. 661-703.
2. The banking. Ed. by G.G. Korobov M. Economist, 2004. pp. 679-726. (Rus.)
3. G.G. Korobova, Nasterenko E.A. The banking risks. Saratov, 1996. pp. 3-210. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. Asatiani.R. Explanation Dictionary of Economics. Tb. Publ. Firm "Siakhle", 2003.
2. Kovzanadze I. The problems of functioning of the Georgian Commercial Banks at modern stage. Tb. TSU Pub. 2001.
3. Gamsakhurdia G. The basical problems of Georgian financing policy at the modern stage. Tb. 1995.
4. Gudushauri L. The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
5. Helaia G. Some actual issues of currency and credits. Tb. 1993.
6. Jgerenaia E. The unificated rules of international banking operations. Tb. 1995.
7. Tsaava G. Finances, currency, financing engineering , credit. Tb. 1999.
8. Paifreman david., Ford Philip. Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
9. Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
10. Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

CHAPTER XVII. THE FUNDAMENTALS OF BANKING MANAGEMENT

17.1.The main aspects of banking management
17.2.Drive or management?
17.3.The managing of banking activity and its composed elements
17.4.The degree of banking activity. The initial concepts
17.5.The concept of space in the system of banking management
17.6.The information in the system of banking management.
17.7.The banking policy
17.8.The financial spheres of banking management.
17.9.The management of assets and liabilities
17.10.The complex management of assets and liabilities
17.11.The managing principles of single portfolio of banking assets and liabilities
17.12.The pure merging interest and its analyzing
17.13.The GAP management
17.14.The curve of incomes and its influence on the GAPs management
17.15.The duration
17.16.Management of incomes

17.17.The banking risk-management
17.17.The concept of banking risks
17.19:The crediting risk
17.20.The liquidity risk. The exchange risk-chance
17.21.The fund or investing risk
17.22.The supervision and regulation in the banking management
17.23.The assessment scheme in the banking management

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER XVII:

COMPULSORY LITERATURE

1. Qoqiauri L. The fundamentals of banking (Banking activity), 2010. pp. 704-771.
2. Tsaava G. Banking activity: Course of lections. Tb. 2005. pp. 513-545.
3. The banking. Ed. by G.G. Korobov M. Economist, 2004. pp. 539-588. (Rus.)
4. Rose S. Peter. Banking management. The presentation of financing services. Tr. from Eng. M. 1997.
   The manual of crediting management: Tr. from Eng. Ed. by Edwards B. M. 1996. pp. 17-87. (Rus.)
6. The banking activity. Manual. Ed. by Lavrushin O.I. M. Finances and statistics, 2004. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. The methodological manual of regulation - supervising of activity of commercial banks. Tb. National Bank of Georgia. Tb. 1999.
2. Kovzanadze I. The problems of functioning of the Georgian Commercial Banks at modern stage. Tb. TSU Pub. 2001.
3. Gudushauri L. The credits and modern banking mechanism. Tb., 2002.
4. The banking activity. Manual. Ed. by Lavrushin O.I. M. Finances and statistics, 2004. (Rus.)
5. The Basel Committee on the banking supervision. collected documents and materials. Comp. by Kuznets Y.V. M. 1997. (Rus.)
6. Maslachenkov Yu. S. The financing management in commercial bank. Book 1. The fundamental analyzes. M. Perspective, 1996. (Rus.)
7. Polfreman D. Ford F. The fundamentals of banking activity. M. Infra –M, 1996. (Rus.)
8. Pomorina M.A. The risk management as the composed part of the process of the management of assets and liabilities of bank // banking.-1998..№3. (Rus.)
9. Sinki D.J. (Jun) The financing management in commercial banks: Ed. by Levit R.Y. Pinsker B.S. M. 1994. (Rus.)
10. Palfreman david., Ford Philip. Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
11. Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
12. Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Puolishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

CHAPTER XVIII. THE BANKING MARKETING

18.1.The concept of marketing
18.2.The specificity of marketing in the banking sphere
18.3.The marketing investigation of banking market
18.4.The segmentation of banking market

18.5. The substitutes of banking service
18.6. The banking competitive position
18.7. The observation on the market
18.8. The marketing strategy of banks
18.9. The typology of the competitive strategy of banks. The strategic levels of banks
18.10. The realization of the marketing strategy of banks

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER XVIII:

COMPULSORY LITERATURE

1. Qoqiauri L. The fundamentals of banking (Banking activity), 2010. 772-809.
2. The banking. Ed. by G.G. Korobov M. Economist, 2004. pp.589-667. (Rus.)
3. Korobov Yu.I. The banking marketing. Saratov, 1996. pp. 13-57. (Rus.)
4. Evans J. Birman B. Marketing. M. Economics. 1993. pp. 21-85. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. Gudushauri L. The credits and modern banking mechanism. Tb. 2002.
2. Banking. Ed. by Beloglazova G.N. Krolovetskaia L.P. Piter. 2004. (Rus.)
3. The banking activity. Manual. Ed. by Lavrushin O.I. M. Finances and statistics. 2004. (Rus.)
4. Barltrop K.J. MacNomon D. Banks on the developing markets. In 2 V. 1994. TR.from Eng. 1997.
5. Debalak. The magic of marketing. Sofia, 1997. (Rus.)
6. Dihtl H. Hershgen. The practical marketing. M. Higher School, 1996. (Rus.)
7. Kotler F. Marketing. Management. M. Progress. 1998.. (Rus.)
8. Linton I. Marketing by database. M. Amaltea. 1998.. (Rus.)
9. Paifreman david., Ford Philip. Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
10. Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
11. Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

CHAPTER XIX. THE BANKING INNOVATION

19.1. The essence and content of banking innovation
19.2. The vitality cycle of banking innovation
19.3. The characterization of banking innovation of some type
19.4. The Plastic cards
19.5. The foreign experience of implementation of plastic cards
19.6. The banking plastic cards
19.7. The processing and application of microprocessing plastic cards
19.8. The internet-banking, state, problems and outlooks in development
19.9. The segmentation types of the internet-banking market
19.10. ATM as the electronic payment element
19.11. The electronic interbanking messages in trade organizations
19.12. "Home banking"- the banking service in place and working places
19.13. The banking perfating operations
19.14. Options, futures, swaps

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER XIX:
COMPULSORY LITERATURE

1. Georgian Tax Systems and the main directions of their development. Mag. "Bank", №6, 2002. pp. 67-72.
2. **Murgulia T.** the phenomena of electronic money and its influence on the monetary policy. Mag. "Bank", №6, 2002. pp.44-49.
3. **Pateishvili VI.** the innovation processes in commercial banks: the experience of „Georgian bank" Mag. "bank" №2, 2000. pp.54-56.
4. **Qoqiauri L.** The fundamentals of banking (Banking activity), 2010. pp.810-855.
5. The banking. Ed. by **G.G. Korobov** M. Economist, 2004. (Rus.)
6. The banking. Manual. Ed. by **E.P. Jarcovsky**. M. Omega-L. C (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. On the passing on the paperless technology in Georgian banking system in the real time regime of the accounting system (RTGS). The order of the President of National Bank of Georgia №135, 12 June of 2003.
2. **Gudushauri L.** The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
3. **Fairchman david., Ford Philip.** Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
4. **Pose Peter S.** Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
5. **Woelfel Charles J.** Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.

CHAPTER XX. THE COMMERCIAL BANKS AND MONEY ACCOUNTING SYSTEM

20.1. The settlement operations – one of the most important sphere of commercial banks
20.2. The rules of opening, forming and closing of accounts. The types of accounts
20.3. Some statements of the organization of cashless settlement
20.4. The organization of interbank settlement
20.5. The settlement by the corresponding accounts opened in different banks
20.6. The settlement by the payment net of the central bank
20.7. The settlement by the internal banking payment net
20.8. Interbank clearing
20.9. The working forms of cashless settlement
20.10. The settlement by payment obligation
20.11. The settlement by payment request-obligation
20.12. The settlement by checks
20.13. The payment by a letter of credit
20.14. The payment by bill
20.15. The addressed bill
20.16. The factoring
20.17. The cash desk operations

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER XX:
COMPULSORY LITERATURE

1. **Qoqiauri L.** The fundamentals of banking (Banking activity), 2010. pp. 856-895.
2. **Tsnava G.** Banking activity: Course of lections. Tb. 2005.

3. The banking. Ed. by G.G. Korobov M. Economist, 2004. (Rus.)
4. Tavasiev A.M. Eriashvili N.D. banking. M: YUNITI–DANA, 2004. pp. 425-461. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. Asatiani.R. Explanation Dictionary of Economics. Tb. Publ. Firm "Siakhle", 2003.
2. Gudushauri L. The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
3. Tsaava G. Finances, currency, financing engineering , credit. Tb. 1999.
4. Money resources and calculations: accounting. analyze, audit. ed. by Palko V.A. M. Phoenics, 2002. (Rus.)
5. Dolan E.J. Kembell K.D. and oth.. Money, banking and monetary-crediting policy. M.L. 1991. (Rus.)
6. Jarkovskaia E.P. Banking. M. Omega-L. 1991. (Rus.)
7. The financiering-crediting encyclopedic dictionary. ED. by A. G. Griaznov M. Finances and statistics, 2004. (Rus.)
8. Paifreman david., Ford Philip. Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
9. Pose Peter S. Comercial Bank Manaqament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
10. Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl. 1997.

CHAPTER XXI. THE ORGANIZATION OF ACCOUNTING SERVICE IN BANKS

21.1. The essence and importance of accounting and discounting-operational business in banks
21.2. The initial statements of accounting in banks
21.3. The organizational structure of discounting-operational business
21.4. The international principles of organization and ruling of accounting
21.5. The characterization of banks balance and the principles of its formation
21.6. The plan of book-keeping accounts for banking institutions of Georgia
21.7. The importance and types of accounting settlement
21.8. The current accounting settlement
21.9. The annual accounting settlement
21.10. For the perfection of payment system and accounting in Georgia

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER XXI:

COMPULSORY LITERATURE

1. Qoqiauri L. The fundamentals of banking (Banking activity), 2010. pp. 896-930.
2. Tsaava G. Banking activity: Course of lections. Tb. 2005. pp. 269-295.
3. Shirinskaia Z.G. Hesterova T.N. Sokolinkaia N.E. Accounting and operational technique in banks. M. "Perspective". INFRA-M. 1998.. pp.3-310. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. The accounting reporting plan for Georgian banking institutions and guidebook for its application. National Bank of Georgia. Tb. 2000.
2. The methodological manual of regulation of supervision of activity of commercial banks. Tb. National Bank of Georgia. Tb. 1999.
3. National Bank of Georgia. Annual Report. 2002.
4. National Bank of Georgia. Annual Report. 2001.

5. **Gudushauri L.** The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
6. **Angrosov A.M.** Accounting and settlement in bank. M. Menatep-Inform, 1994. (Rus.)
7. **Bor M.Z. Artemova L.V. Hazarova A.G.** and oth. the practical course of accounting in modern bank. Ed. by Bor M.Z. AO."DIS". 1996. (Rus.)
8. **Woolfen Charles J.** The encyclopedia of banking and finances. M. Corporation Fedorov, 2001. (Rus.)
9. **Palfreman david., Ford Philip.** Element of Banming. Pritman Publishing. London. 1996.
10. **Pose Peter S.** Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.

CHAPTER XXII. THE CONTROL AND AUDIT IN COMMERCIAL BANKS

22.1. The system of internal control of banking activity
22.2. The organization of internal control: the version of central bank
22.3. The internal bank control and its types
22.4. The organization of current control in bank
22.5. The next control and its conducting measures
22.6. The internal and external audit: goals, objectives and the specifications of its organization in bank
22.7. The banking rating system

THE RECOMMENDED LITERATURE FOR THE TRAINING OF THE CHAPTER XXII:

COMPULSORY LITERATURE

1. **Qoqiauri L.** The fundamentals of banking (Banking activity), 2010. pp. 931-979.
2. **Tsaava G.** Banking activity: Course of lections. Tb. 2005. pp. 225-233.
3. **Smirnova L.R.** The banking audit. M. 2001. pp.11-112. (Rus.)
4. The banking. Ed. by **G.G. Korobov** M. Economist, 2004. pp.727-731. (Rus.)
5. **Shiidovskaia M.S.** Banking supervision and audit. Practicum. Belarus, 2003. pp. 21-109.
6. **Han d.** Planning and control: The concept of controlling. M. Finances and Statistics, 1997. pp. 8-56. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

1. The statement on the demand of internal auditing activity in commercial banks. The order of the President of National Bank of Georgia №318, 28 December of 2001.
2. The methodological manual of regulation of supervision of activity of commercial banks. Tb. National Bank of Georgia. Tb. 1999.
3. National Bank of Georgia. Annual Report. 2005.
4. National Bank of Georgia. Annual Report. 2005.
5. Georgian Banking Legislation. National Bank of Georgia. Tb. 2006.
6. **Gudushauri L.** The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
7. **Beloglazova G.N. Krolivetskaia L.P.** The audit of banks. M. FiS, 2002. (Rus.)
8. **Utkin E.A. Suhanov M.S.** The audit of banking activity. M. TEIS, 2003. (Rus.)
9. **Makarova L.G. Shirovskaia L.P.** and oth. The audit of operations with money resources of accounts in banks. M. YUNITI–DANA, 2003. (Rus.)

10. Gvelesiani T.V. The accounting in crediting organizations. M. 2004. (Rus.)
11. Glushko I.E. Kiceleva T.V. The accounting taxes, financial and management accounting in modern enterprises. M. KnoRUS. 2004. (Rus.)
12. Sidelnokova L.B. The audit of commercial bank. M. BUKVITA, 1996. (Rus.)
13. The banking activity: management and technologies: Manual for Higher education. Ed. by A.M. Tavasiev. M. UNITI-DANA, 2001. (Rus.)
14. Palfreman david., Ford Philip. Element of Banning. Pritman Publishing. London. 1996.
15. Pose Peter S. Comercial Bank Managament. Producing and Selling. Second Edition. IRWIN. Homeword. Boston. 1993.
16. Woelfel Charles J. Encyclopedia of Banking and Finance. A Banking Publikation. Probus Publishing company Cambridge. England. Mo Craw-Holl, 1997.
18. The methodological recommendations by internal and external banking audit. Ed. by E.V.Emelianov. M. Legat, 1997. (Rus.)

THE RECOMMENDED THEMATIC FOR REPORTS AND ISCUSSIONS FOR BACHELORS AND UNDERGRADUATES

FOR CHAPTER I: : THE ECONOMICAL BASIS OF CREATING AND ACTIVITY OF BANKS

1. The essence of banks – short historical view
2. The discussion about the essence of banks
3. For the analyzes of the essence of bank
4. The banking monopoly
5. The establishment and development of banks in Georgia
6. The bank as the compound element of banking system

FOR CHAPTER II: THE CREDITING SYSTEM UNDER THE CONDITIONS OF MARKET ECONOMICS

1. The crediting system and its development during the market passing period
2. The concept of banking system
3. The organization scheme of banking system
4. The institutional scheme of banking system
5. The association of commercial banks
6. The state of banking system of Georgia
7. The development of banking system

FOR CHAPTER III: THE BANKING MARKET

1. The financial market. Essence. Structure. Characterization
2. The concept of financial market
3. The banking market as the product market of banking service
4. The ratio of banking, financial and money markets
5. The members of banking market
6. The commercial banks: universal and specialization

7. The nonbanking credit-financing institutions
8. The nonfinanciering members of banking market
9. The structure of banking market
10. The sectorial approach at the banking market
11. The structure of banking market according to the customers group
12. The special structure of banking market
13. The essence of banking competition
14. The forms of banking competition
15. The peculiarities of banking competition

FOR CHAPTER IV. THE CENTRAL BANKS:

1. The origin of central bank
2. On the independent status of the central bank
3. The position of the central bank in economics
4. The organization structure of the National Bank of Georgia
5. The management of National Bank
6. The functions and objectives of central bank
7. The main instruments of monetary and crediting policy of central banks
8. The regulation of emission
9. Money supply and the methods of its assessment
10. The monetary-crediting and exchange policy of National Bank of Georgia
11. The objectives of monetary-crediting policy and main results
12. The mechanisms of monetary-crediting policy of National Bank

FOR CHAPTER V. THE COMMERCIAL BANKS

1. The concept of commercial bank
2. The principles of activity of commercial bank
3. Banking operations and service
4. The functions of commercial banks
5. The organizational-functional structure of typical commercial banks
6. The directing bodies of commercial banksChapter

FOR CHAPTER VI. THE LEGISLATIVE PRINCIPLES OF BANKING ACTIVITY:

1. Briefly – about banking legislation
2. The principles of legislation of activity of modern bank
3. The legislative structure of commercial banks
4. The development of legislative principles of Georgian banking system - the chronology
5. The Basel Standards of supervision on banks and banking activity
6. From the foreign experience of supervision on banking activity
7. The legislative regulation and supervision activity system of National Bank and commercial banks during 2000.-2002. years
8. The outlooks of development of regulation and supervision of banks and banking activity in Georgia

FOR CHAPTER VII. THE ORIGIN OF COMMERCIAL BANKS, REORGANIZATION, READJUSTMENT AND LIQUIDATION

1. The origin of commercial banks
2. The concept and stages of origin of commercial banks
3. The registration and licensing of bank: the normative requirements and procedures
4. The licensing rules of newly originated and working banks
5. The rules for opening and closing of banking branches
6. The reorganization of commercial banks
7. The concept of reorganization of banks
8. The criteria for necessity of reorganization of banks
9. The merging and integration of banks. The procedures and problems
10. The other forms of banks reorganization
11. The readjustment of commercial banks
12. The criteria of necessity of readjustment of commercial banks
13. The financial plan of financial normalization of bank
14. The economical structure of banks restructurization
15. From the foreign experience of the restructurization of banking system
16. The liquidity of commercial banks
17. The liquidity of unvitality bank: the initial concepts
18. The rules of banking failure
19. The procedures of banking liquidity
20. The intermediate liquidation balance of bank

FOR CHAPTER VIII. THE RESOURCES OF COMMERCIAL BANK AND ITS CAPITAL RESERVE

1. The resources of commercial banks: their structure and characterization
2. The essence of owned capital of bank
3. The capital of Georgian commercial banks and the definition methods of their quality
4. The types of banking capital
5. The functions of banking functions
6. How many capital needs bank?
7. The assessment of adequacy of owned capital
8. The current tendencies of attraction of additional capital
9. The attracted resources of commercial bank

FOR CHAPTER IX. THE OPERATIONS AND DEPENDABILITY OF COMMERCIAL BANKS:

1. The unfavorable and favorable banking operations
2. The structure and composition of assets
3. The banking assets degree
4. The risks of banking activity: concept, classification, the calculation methods. Banking reserving fund
5. Banking dependability: concept, definition factors, indications

FOR CHAPTER X. THE INCOMES, EXPENDITU-RES AND PROFIT OF COMMERCIAL BANKS:

1. The incomes of bank: sources, classification, level assessment and planning
2. The expenditures of commercial banks
3. The merging interest
4. The analyze of income and outcome level of commercial banks
5. The factor analyze of incomes and expenditures
6. The formation of commercial banks profits and application
7. The assessment of profit level of commercial banks
8. The financial analyze of bank, its objectives and methods
9. The equation of bank's capital
10. The equation of dynamical accounting balance
11. The modificated equation of balance
12. The main equation of balance of bank

FOR CHAPTER XI. THE CREDITING MARKET OF BANK

1. The banking credit: base concepts
2. The banking crediting: fundamental normative requirements
3. The crediting policy of commercial bank
4. The content of crediting policy
5. The objectives and mechanisms of crediting policy of bank
6. The fundamentals of crediting technology and organization of crediting subdivision activity of bank
7. The assessment of creditability and financial stability of lender
8. The price of banking crediting
9. The measures of ensuring of credit reflexivity
10. The degree of crediting activity of bank
11. The assessment of dynamic of financial state of bank

FOR CHAPTER XII. THE EXCHANGE OPERATIONS OF COMMERCIAL BANKS

1. The concept of exchange market. The functions of exchange market
2. The economical basis of exchange operations
3. The infrastructure of exchange market in Georgia
4. The regulation of exchange market
5. The exchange risks and their regulations

FOR CHAPTER XIII. THE SYNDICATE, DEPOSIT, HYPOTHETIC AND OTHER OPERATIONS OF COMMERCIAL BANKS

1. The syndicate operations of commercial banks
2. The deposit activity of commercial banks
3. The hypothetic operations of commercial banks
4. The modern types of crediting operations

FOR CHAPTER XIV. THE REGULATION OF BANKING ACTIVITY

1. The types of monetary- crediting policy and peculiarities at the modern stage.
2. The operating procedures and instruments of monetary-crediting policy
3. The identification of deposited obligated reserves in the central bank
4. The interest policy. The regulation of official interest rate.
5. The refinancing of banks
6. The operations at the open market
7. The exchange regulations
8. The identification of the orientates of money supply and direct qualitative restrictions: the targeting policy

FOR CHAPTER XV. THE LIQUIDITY OF COMMERCIAL BANKS AND PAYMENTABILITY

1. The liquidity of commercial bank as the financial-economical category
2. The definition factors of the liquidity and paymentability of commercial bank
3. The analyze of the liquidity of commercial bank
4. The management of the liquidity of commercial bank
5. The management of assets
6. The management of liabilities
7. The balancing management of assets and liabilities

FOR CHAPTER XVI. THE MANAGEMENT OF BANKING RISKS

1. The essence of the banking risks and classification
2. The organization of risk management by the commercial banks
3. The crediting risk: content, assessment, the management methods
4. The crediting risks and formed reserve for the potential losses of borrows
5. The analyze of crediting portfolio
6. The classification of industries by the crediting risk on the financial state and depending on the credit supply degree
7. The crediting policy of commercial bank
8. The content of crediting policy
9. The objectives of realization of crediting policy and mechanisms
10. The depositing risk and banking operations for its prevention
11. The operation risk on securities: content and activity of commercial banks for its regulation
12. The interest risk: the essence and managing peculiarities
13. The exchange risk: the essence, types, managing methods
14. The sectoral and state risk
15. The organization and personnel: essence, reasons, management

FOR CHAPTER XVII. THE FUNDAMENTALS OF BANKING MANAGEMENT

1. The main aspects of banking management
2. Drive or management?
3. The managing of banking activity and its composed elements
4. The degree of banking activity. The initial concepts

5. The concept of space in the system of banking management
6. The information in the system of banking management. The banking policy
7. The financial spheres of banking management. The management of assets and liabilities
8. The complex management of assets and liabilities
9. The managing principles of single portfolio of banking assets and liabilities
10. The pure merging interest and its analyzing
11. The GAP management
12. The curve of incomes and its influence on the GAPs management
13. The duration
14. Management of incomes
15. The banking risk-management
16. The concept of banking risks
17. The crediting risk
18. The liquidity risk. The exchange risk-chance
19. The fund or investing risk
20. The supervision and regulation in the banking management
21. The assessment scheme in the banking management

FOR CHAPTER XVIII. THE BANKING MARKETING

1. The essence and content of banking innovation
2. The vitality cycle of banking innovation
3. The characterization of banking innovation of some type
4. The Plastic cards
5. The foreign experience of implementation of plastic cards
6. The banking plastic cards
7. The processing and application of microprocessing plastic cards
8. The internet-banking, state, problems and outlooks in development
9. The segmentation types of the internet-banking market
10. ATM as the electronic payment element
11. The electronic interbanking messages in trade organizations
12. "Home banking"- the banking service in place and working places
13. The banking perfating operations
14. Options, futures, swaps

FOR CHAPTER XIX. THE BANKING INNOVATION

1. The essence and content of banking innovation
2. The vitality cycle of banking innovation
3. The characterization of banking innovation of some type
4. The Plastic cards
5. The foreign experience of implementation of plastic cards
6. The banking plastic cards
7. The processing and application of microprocessing plastic cards
8. The internet-banking, state, problems and outlooks in development
9. The segmentation types of the internet-banking market

10. ATM as the electronic payment element
11. The electronic interbanking messages in trade organizations
12. "Home banking"- the banking service in place and working places
13. The banking perfating operations
14. Options, futures, swaps

FOR CHAPTER XX. THE COMMERCIAL BANKS AND MONEY ACCOUNTING: SYSTEM

1. The settlement operations – one of the most important sphere of commercial banks
2. The rules of opening, forming and closing of accounts. The types of accounts
3. Some statements of the organization of cashless settlement
4. The organization of interbank settlement
5. The settlement by the corresponding accounts opened in different banks
6. The settlement by the payment net of the central bank
7. The settlement by the internal banking payment net
8. Inerbank clearing
9. The working forms of cashless settlement
10. The settlement by payment obligation
11. The settlement by payment request-obligation
12. The settlement by checks
13. The payment by a letter of credit
14. The payment by bill
15. The addressed bill
16. The factoring
17. The cash desk operations

FOR CHAPTER XXI. THE ORGANIZATION OF ACCOUNTING SERVICE IN BANKS

1. The essence and importance of accounting and discounting-operational business in banks
2. The initial statements of accounting in banks
3. The organizational structure of discounting-operational business
4. The international principles of organization and ruling of accounting
5. The characterization of banks balance and the principles of its formation
6. The plan of book-keeping accounts for banking institutions of Georgia
7. The importance and types of accounting settlement
8. The current accounting settlement
9. The annual accounting settlement
10. For the perfection of payment system and accounting in Georgia

FOR CHAPTER XXII. THE CONTROL AND AUDIT IN COMMERCIAL BANKS

1. The system of internal control of banking activity
2. The organization of internal control: the version of central bank
3. The internal bank control and its types
4. The organization of current control in bank
5. The next control and its conducting measures

6. The internal and external audit: goals, objectives and the specifications of its organization in bank
7. The banking rating system

5. THE SYSTEM OF INTERMEDIATE ASSESSMENT THE FORMS AND CRITERIA OF ESTIMATION OF KNOWLEDGE

Total mark –100%

Lection attendance – 10 mark

It is desirable that the bachelors have to attend lections, participate in the statement and discussion of problematic issues by the dialog form

The participation in discussions –10 mark

The participation in seminars will be conducted as the participation in discussions. The bachelors have to discuss cases, conduct discussions on the problematic issues and made decisions

The presentation of argued synopsis –10 mark

1. All the bachelors are obliged to perform and present the argued paper on the each theme in 5 printed paper during the semester. They have to search and treat and attach the reference list
2. The missed paper bachelor have to present until the end of the semester. Otherwise, bachelor wouldn't pass the examination.

The homework –20mark

The bachelor is obliged to perform homework on the selected problem, that is less investigated and isn't perfectly presented in manuals and in the lection course.

According to the agreement between student and lecturer the concrete theme have to be selected during one month after the beginning of semester.

The volume of synopsis haven't be less than the 25 pages, font –lit nusx. spasing-1,5, font size-12.

The student presents the performed synopsis in report type at the seminar. It will be discussed and carried out polemic by the students on the mentioned theme.

The performed theme will be reviewed after the discussion with students. The Reviewer will be selected from the students. The lecturer will choose the best paper and recommend for further processing at the cathedra. also for the publication in scientifical economical press.

The intermediate examination (colloquium) - 10mark

The examination – 40 mark.

The examination will be conducted in written form, by testing,..

The precondition of permission at the examination :

The student will be allowed to take examination during the semester depending on the work (attendance. presentation at the seminars, perform of colloquiums), in the case of obtaining 10 mark as minimum.

Final estimation

91-100- "excellent"
81-90 – "very good"
71-80 – "good"
61-70 – "mean"
51-60 - "satisfactory"
41-50 – "no satisfactory" (with the right to pass the exam once more)
0-40 - - wholly no satisfactory (student have to study the discipline whole course again)

6.THE FORMS OF PRACTICAL TRAINING

As it was mentioned above the practical training with students will be conducted by the means of colloquiums, analyzing of situations, presentations. by practical training in banks (the testing would be conducted even if once during the semester)

Training outputs: After the ending of the training course the students can:

- To **master in** the economical principles of origin and activity of banks;
- **To determine** the organizational and institutional scheme of banking system under the conditions of market economy;

  To acquaint the essence of banking market. structure. competition in banking market and its peculiarities;

  To study the place, functions management of central bank; The monetary – crediting and exchange policy of National Bank of Georgia;

  To formulate the essence of commercial bank. the principles of its activity. operations. functions, structure. leading bodies;

  To learn the legislation principles of banking activity

  To determine the structure of resources, types of bank capital. functions of commercial banks, are able to assess capital adequacy;

  To characterize the operations of commercial banks and their dependability;

  To analyze the incomes of commercial banks. expenditures and profits;

  Are able to investigate in the problems of regulations of banking. refinancing. targeting policy;

  To understand in the main problems of banking management and can to complex manage the bank assets and liabilities;

  To apply the foreign experience of assessment of the liquidity and paymentability of commercial banks;

  To investigate the marketing of banking market and consequently to elaborate marketing strategy;

  To acquaint the right organization of accounting and the audit problems in banks;

  To study all the basic operations of banks: crediting. exchange. settlement. cash desk. factoring. trust, hypothetic and etc.;

  To acquaint the vital cycle of banking innovations. the main types of modern banking innovations and the regularities of their implementation in Georgia

7.THE LEARNING-METHODOLOGICAL MATERIALS COMPULSORY LITERATURE

1. **Kovzanadze I.** The problems of functioning of the Georgian Commercial Banks at modern stage. Tb. TSU Pub. 2001.
2. The manual of supervision-regulation of commercial banks. National Bank of Georgia. 1999.
3. **Qoqiauri L.** Finances Money. Credit. LTd "Poligraph." Tb. 2000.-2005.
4. **Qoqiauri L.** The fundamentals of banking (Banking activity). 2010.
5. **Gudushauri L.** The credits and modern banking mechanism Tb. 2002.
6. **Tsaava G.** Banking activity: Course of lections. Tb. 2005.
7. The banking. Ed. by **G.G. Korobov** M. Economist. 2004. (Rus.)
8. **Woolfen Charles J.** The encyclopedia of banking and finances. M. Corporation Fedorov. 2001. (Rus.)
9. **Polfreman D. Ford F.** The fundamentals of banking activity. M. Infra –M. 1996. (Rus.)
10. The fundamentals of banking activity. Manual. Ed. by **K.R. Tagirbekov** M. Infra-M. 2001. (Rus.)

THE ADDITIONAL LITERATURE AND OTHER SUBSIDIARY MATERIALS

Gogohia M. The banking activity. course of lections. 2006.

Tsaava G. Finances, currency, financing engineering . credit. Tb. 1999.

Helaia G. money, banks, stocks. Tb. 1996.

The banking. Dictionary: American Bankers Association. Tr. from Eng. M. Infra-M. 2001.

The financiering-crediting encyclopedic dictionary. ED. by **A. G. Griaznov** M. Finances and statistics, 2004. (Rus.)

The banking activity. Manual. Ed. by **Lavrushin O.I.** M. Finances and statistics. 2004. (Rus.)

The banking activity: management and technologies: Manual for Higher education. Ed. by **A.M. Tavasiev**. M. UNITI-DANA. 2001. (Rus.)

The banking. Manual. Ed. by **E.P. Jarcovsky**. M. Omega-L. 2004. (Rus.)

MackNomon D.I. The organization of business in banks. Vol. 1,2. Tr. from Eng. M. 2002.

Morsman – jr. E.M. The crediting portfolio management. Tr. from Eng. M. 2004.

Rose S. Peter. Banking management. The presentation of financing services. Tr. from Eng. M. 1997.

Periodical publications: Georgian economics; The Bulletin of Georgian National Academy of Sciences: Economics; Social economics; Business and legislation; Annual reports of National Bank; Transactions of Iv. Javakhishvili Tbilisi State University (economics); Georgian Statistical Annuals of Department of Statistics: The Monetary and Banking Statistical Bulletins of National Bank of Georgia and etc.

THE INTERNET MATERIALS

1. The Georgian Parliament **http://www.parlament.ge/**
2. The Ministry of Economical Development of Georgia Department of Statistics **http://www.statistics.ge/**
3. National Bank of Georgia **www.nbg.gov.ge**
4. The Budget office of the Georgian Parliament
5. The Stock Exchange of Georgia **www.cse.ge**
6. "The directions of Georgian Economics" – (quarterly overview (**www.geplac.ge**))
7. The production in Georgia 2003.-2005. collection of Statistics. **www.statistics.ge**
8. GNIERA (The only governmental organization that is responsible on the promotion of investments and export) http;//www.investingeorgia.org/ge/project–database/
9. Chumber of Control **www.control.ge**
10. Magazine "The Georgian Economics" **www.economics.com.ge**
11. International magazine Finance. Banking. Investment (in Eng.) **www.fin.bank.invest.caucaus.net.**
12. "The directions of Georgian Economics" – (quarterly overview (**www.geplac.ge**))

The student, those can't gather compulsory – minimal sum of minimum three components haven't be allowed at the exam. The minimal quantity of marks for permission on the testing in our opinion have to composed 11 mark, including the condition of it's changing, according on the general educational level of definite flow of students.

ლამარა გიორგის ასული ქოქიაური

საბანკო საქმიანობის საფუძვლები

/საბანკო საქმე/

LAMARA QOQIAURI

ELEMENT OF BANKING

/Banking/

КОКИАУРИ ЛАМАРА ГЕОРГИЕВНА

ОСНОВЫ БАНКОВСКОЙ ДЕЯТЕЛЬОСТИ

/Банковское дело/

გამომცემლობის რედაქტორი: ვახტანგ დათაშვილი
ტექნიკური რედაქტორი: მაგული ბალავაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: მაგული ბალავაძე
კორექტორი: ნინო ქოქიაური

გადაეცა წარმოებას 08.06.2012.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 09.06.2012
პირობითი ნაბეჭდი თაბახი – 67,2
დაიბეჭდა – 11.06.2012

ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო